ჯონ გოლზუორთი

ფორსაიტების საგა

წიგნი 1

მთარგმნელი:

ელგუჯა მაღრაძე

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ნადიმი მოხუცი ჯოლიონის სახლში

თქვენ მიპასუხებთ:
ის მონები ჩვენ გვეკუთვნისო.
შექსპირი, "ვენეციელი ვაჭარი"

ვისაც ფორსაიტთა ოჯახურ ნადიმზე მიწვევა ღირსებია, საკუთარი თვალით ნახავდა ბურჟუაზიის ზედა ფენის წარმომადგენელთა მომაჯადოებელ, დოვლათითა და სიკეთით ავსებულ-აყვავებულ სამაგალითო ოჯახს. ხოლო იმ პატივდებულთაგან თუ რომელიმეს ფსიქოლოგიური ანალიზის (თვისება, რომელსაც ფულადი ღირებულება არ გააჩნია და ფორსაიტებიც სწორედ ამის გამო უგულებელყოფდნენ) უნარიც ჰქონდა მიმადლებული, მაშინ ისეთი სანახაობის შემსწრეც გახდებოდა, რომელიც მხოლოდ მომხიბლავი კი არ არის, არამედ ადამიანთა ურთიერთობის უჩინარ ხლართებსაც გვისურათხატებს. უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორსაიტების შინაურული თავყრილობის მონაწილე ამ ოჯახში, რომლის წარმომადგენლებს ერთმანეთი არაფრად ეპიტნავებოდათ და ისეთ სამ წევრს ვერც იპოვიდით, რომელთაც ერთმანეთი მოსწონდათ, - დაკვირვების შედეგად აღ-

მოაჩენდა უტყუარი ვითარების იდუმალ დუღაბს. სწორედ ისეთს, რომელიც ოჯახს საზოგადოების უძლიერეს ბირთვად ხდის და მინიატიურული ფორმით იმავე საზოგადოებას განასახიერებს. ამ ოჯახური თავყრილობის დამსწრეს შეეძლო განეჭვრიტა საზოგადოების განვითარების ბნელით მოცული გზა, გაეგო ზოგი რამ პატრიარქალურ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები ჯგუფურად, როგორ აღზევდებოდნენ ერები და ისევ ნადგურდებოდნენ. ეს ყოველივე კი მოგვაგონებს განცალკევებით მდგარ შეუპოვარ ახალდარგულ ხეს, რომელიც გადარჩენილა და იზრდება იქ, სადაც სხვა, ნაკლებსიცოცხლისუნარიანი მრავალი ნერგი დაღუპულა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ამ ნერგის ადგილას უკვე უზარმაზარ ხეს იხილავთ, ისე გაფოთლილს, გაშლილსა და აყვავებულს, რომ შეიძლება შეგზარდეთ კიდეც.

1886 წლის 15 ივნისს, დღის 4 საათზე, მოხუცი ჯოლიონის სახლში, სტენჰოპგეიტის ქუჩაზე მოხვედრილი კაცი ფორსაიტთა აყვავებულ ოჯახს იხილავდა. წვეულება იმის გამო გაემართათ, რომ მოხუცი ჯოლიონის შვილიშვილის, ჯუნ ფორსაიტისა და მისტერ ფილიპ ბოსინის ნიშნობა ეზეიმათ. თეთრხელთათმნიანი, მუქ ყვითელ ჟილეტებში გამოწკეპილი, ფრთებით დამშვენებული თუ ძვირფასი კაბებით მორთული მთელი ოჯახი ამ წვეულებაზე შეკრებილიყო. აქ იყო პაპიდა ენიც, რომელიც ამ ბოლო დროს იშვიათად თუ მიატოვებდა თავისი ძმის, ტიმოთის მწვანე სასტუმრო ოთახის ამოჩემებულ კუთხეს, სადაც მას, ფორსაიტების სამი თაობის პორტრეტებით გარშემორტყმულს, კითხვასა და ხელსაქმეში გართულს, ცისფერი ლარნაკიდან ტრამალის

წურწუმა(წურწუმა - იგივე ვაციწვერა. მარცვლოვანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარეა. არსებობს მისი ისეთი სახეობები (მათ შორის ტრამალის), რომელთაც იყენებენ დეკორატიული დანიშნულებითაც.) გადმოჰყურებდა თავზე ჯიღასავით და შუქს უჩრდილავდა. დიახ, აქ გახლდათ თვითონ პაპიდა ენიც, რომლის გამართული ტანი, მშვიდი, მაგრამ ღირსეული გამომეტყველება მესაკუთრის ძლიერ სულს განასახიერებდა, რაც ამ ოჯახის ყველა წევრის უმთავრესი თვისება გახლდათ.

ფორსაიტები თავიანთი ოჯახის წევრების ნიშნობისას, ქორწინებისას და დაბადების დღეს ყოველთვის იკრიბებოდნენ. ასევე ერთად იყრიდნენ თავს, როცა რომელიმე ფორსაიტი კვდებოდა, თუმცა აქამდე არც ერთი ფორსაიტი არ მომკვდარა, ისინი საერთოდ არ იხოცებოდნენ! სიკვდილი ეწინააღმდეგებოდა მათ პრინციპებს და ფორსაიტებიც ფრთხილობდნენ, რომ არ დახოცილიყვნენ. ეს იყო ინსტინქტური სიფრთხილე სიცოცხლისუნარიანი ადამიანებისა, რომლებიც ვერ იტანენ და ძალიან ჯავრობენ, როცა მათ საკუთრებას წასართმევად ან წასალეკავად ემუქრება ვინმე ან რამე.

ფორსაიტები იმ დღეს საგანგებო გულმოდგინებით გამოწკეპილიყვნენ. სხვა სტუმრებში მათი აღრევა, ამ თავდაჯერებული ადამიანების ბრწყინვალე მორთულობას ჩვეულებრივზე გამორჩეულს ხდიდა. მათი ფხიზელი ცნობისმოყვარეობა და შესანიშნავი სამოსი თითქოს რაღაცის თუ ვიღაცის წინააღმდეგ მიმართულიყო. ზიზღნარევი, ნაძალადევი ღიმილი მოსდებოდა თითოეულს. მოკლედ, ფორსაიტები ფხიზლობდნენ.

მოხუცი ჯოლიონის სახლში გამართულ თავყრილობაზე ფორსაიტთა ქვეცნობიერმა, შემტევმა განწყობილებამ ამ ოჯახის ისტორიაში შექმნა ის ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც დინასტიის დრამის პრელუდიად იქცა.

ფორსაიტების ოჯახის ყველა წევრი ერთსულოვნად აღეშფოთებინა რაღაცას; ამ აღშფოთებას უნაკლო სამოსით, მოჩვენებითი გულითადობით, ოჯახის მნიშვნელობის გაზვიადებითა და ზიზღნარევი ღმეჭით გამოხატავდნენ. საფრთხე - უეცრად და სავსებით რომ გამოავლენს ხოლმე საზოგადოების, ადამიანთა ჯგუფისა თუ ცალკეული პიროვნების ძირითად ღირსებებს, - აი, რა იგრძნეს ფორსაიტებმა; საფრთხის წინათგრძნობამ გააკრიალა მათი საჭურველი. თავიანთი ოჯახის ისტორიაში პირველად, ფორსაიტებმა მხოლოდ ახლა იგრძნეს ინსტინქტით რაღაც უცნაურისა და საშიშის მოახლოება.

როიალთან ტანადი, წარმოსადეგი მამაკაცი იდგა; განიერ გულმკერდს ლალის ქინძისთავით დამშვენებული ორი ჟილეტი უფარავდა, ნაცვლად ალმასის ქინძისთავდაბნეული ერთი ატლასის ჟილეტისა, რომელსაც ჩვეულებრივ შემთხვევებში უფრო იცვამენ ხოლმე. მისი გაპარსული, ოთხკუთხა, დაბერებული, ფერმიხდილი სახე და უფერული თვალები ატლასის განიერი ჰალსტუხის ზემოდან მედიდურად გამოიყურებოდნენ. ეს სუითინ ფორსაიტი გახლდათ. სარკმელთან, სადაც სუფთა ჰაერით შეიძლებოდა დატკბობა, სუითინის ტყუპისცალი ჯეიმსი იდგა. ჩასუქებული და ჩამომხმარი - ასე მონათლა მოხუცმა ჯოლიონმა ძმები. ჯეიმსიც ძმასავით ექვს ფუტამდე(ფუტი (ინგლ.) - სიგრძის ინგლისური საზომი. უდრის 30,5 სმ-ს.) აღწევდა სიმაღლეში, მაგ-

რამ მართლაც ისე ჩამომხმარიყო, თითქოს ჩასახვიდანვე ბედად დაჰყოლოდა მსუქანი ძმის სანაცვლო სიგამხდრე. იგი ჩვეულებრივ წელში მოხრილი იდგა. ჯეიმსის მონაცრისფრო თვალებში შეშფოთებას ამოიკითხავდით. ერთი საგნიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა და ყველაფერს სწრაფად და გამომცდელად ათვალიერებდა. ჩაცვივნული ლოყები ორი პარალელური ნაოჭით დაღაროდა, სუფთად გაპარსულ გრძელ ზედა ტუჩს კი ასევე მოგრძო ქილვაში ჩარჩოსავით შემოვლებოდა. ხელში ფაიფურის ჭურჭელი ეჭირა და განუწყვეტლივ ატრიალებდა. იქვე ახლოს იდგა ჯეიმსის ერთადერთი ვაჟი სომსი - ფერმკრთალი, სუფთად გაპარსული მამაკაცი, რომელსაც შავი თმა გვარიანად შესთხელებოდა. სომსი ყავისფერკაბიან ლედის უსმენდა, ქვედა ყბა წინ წამოსწეოდა, ცხვირი აებზუებინა და სახეზე აშკარად გამოხატვოდა ის ზიზღნარევი ღმეჭა, რომელიც ზევით ვახსენეთ. ერთი სიტყვით, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს საძულველი კვერცხი შეეჭამოს, რომლის მონელებაც იცოდა, რომ არ შეეძლო. სომსის უკან იდგა მისი ბიძაშვილი, მეხუთე ფორსაიტის - როჯერის ვაჟიშვილი, ახოვანი ჯორჯი. მსუქან სახეზე ისეთი მაცდური ღიმილი დასთამაშებდა, ეტყობოდა, მორიგ გესლიან ოხუნჯობაზე ფიქრობდა.

ისეთი ამბავი ხდებოდა, რაც ყოველი მათგანის სისხლსა და ხორცს შეეხებოდა.

ერთმანეთის მიყოლებით, ახლო-ახლოს, სამი ლედი ჩამომჯდარიყო: პაპიდა ენი, ესთერი (ორივე შინაბერა) და ჯული (ასე ეძახდნენ შემოკლებით, ისე კი ჯულია ერქვა). ეს უკანასკნელი მოწიფულობაში (ყმაწვილქალობაში კიდევ ეპატიებოდა) ისე

აცუნცრუკდა, გრძნობას აჰყვა და იმდენად გაბრიყვდა, რომ სუსტი ჯანმრთელობის სეპტიმუს სმოლს მისთხოვდა. ქმარი მალევე გარდაეცვალა და მერე უფროს და უმცროს დებთან ერთად ბეისუოთერ როუდზე ცხოვრობდა ყველაზე უმცროსი, სათვალავით მეექვსე ძმის, ტიმოთის სახლში. მანდილოსნებს ხელში მარაოები ეჭირათ, ხოლო კაბებზე შესატყვისი ფერის ფრთები ან გულის ქინძისთავი დაებნიათ. ამით აღნიშნავდნენ სადღესასწაულო შემთხვევას.

ოთახის შუაგულში, ჭაღის ქვეშ, როგორც ეს მასპინძელს შეჰფერის, ოჯახის უფროსი, მოხუცი ჯოლიონი იდგა. ჭაღარით მოსილი თავი, გუმბათივით მოყვანილი შუბლი, პატარა, მუქი ნაცრისფერი თვალები, კუთხოვან ნიკაპზე გადმოზრდილი დიდი ულვაში, ჩავარდნილი საფეთქლებისა და გამხდარი სახის მიუხედავად, ამ ოთხმოც წელს მიღწეულ მოხუცს იმ პატრიარქს ამგვანებდა, რომელიც მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოებას ჩასწვდომია. მოხუცს თავი ახალგაზრდულად ეჭირა და მშვიდ თვალებში კვლავაც შერჩენოდა შუქი და გამჭრიახობა. ყოველივე ამით ოჯახის უფროსი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, კაცუნებისთვის დამახასიათებელი ეჭვიანობა, შური და სიბინძურე რომ ვერ მისწვდებოდა. მრავალი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად მიიკვლევდა ცხოვრებაში გზას და სწორედ ხანგრძლივი შრომითა და რუდუნებით მოიპოვა ეს უპირატესობა. ამიტომ მოხუც ჯოლიონს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ვინმეში დაეჭვება ანდა ვისიმე გამოწვევა შეიძლება დასჭირვებოდა.

მოხუცი ჯოლიონი და ოთხი ძმა: ჯეიმსი, სუითინი, ნიკოლასი და როჯერი, რომლებიც იქვე იყვნენ, ჰგავდნენ კიდევაც ერთმა-

ნეთს და არც ჰგავდნენ. თითოეულ მათგანს ერთი შეხედვითვე გამოარჩევდით სხვებისგან, მაგრამ მაინც ძალიან მიამსგავსებ-დით დანარჩენთ.

ამ ხუთეულის სხვადასხვა გამომეტყველებასა და სახის ნაკ-ვთებში მაინც შეიმჩნეოდა საერთო რამ, - ეს იყო მტკიცე კუთხო-ვანი ნიკაპი, რაც ფორსაიტთა მოდგმის ძირითადი ნიშანი გახ-ლდათ. ნიკაპის ამბავი იმდენად შორეული, შეიძლება ითქვას, პრეისტორიულიც კი იყო, რომ მის წარმოშობაზე დავა არც ღირ-და. სწორედ ეს ნიშანი გახლდათ ფორსაიტების ოჯახური ბედ-ნიერების საწინდარი.

უმცროს თაობას: მაღალსა და კამეჩივით ღონიერ ჯორჯს; ფერმკრთალ, ენერგიულ არჩიბალდს; ახალგაზრდა, თავისნათ-ქვამა, მაგრამ ტკბილ ნიკოლასს; ჩამოყალიბებულ ყოყლოჩინასა და ფუქსავატ იუსტასს ფორსაიტების ოჯახის ეს საგვარეულო ნიშანი, შესაძლოა უფრო სუსტად, მაგრამ მაინც უცილობლად აჩნდა სახეზე.

ფორსაიტების აგრერიგად ერთმანეთის მსგავსსა და განსხვა-ვებულ სახეებზე, საღამომდე წამდაუწუმ იხატებოდა უნდობლო-ბა, რომლის ობიექტი უეჭველად ის ადამიანი უნდა ყოფილიყო, ვის გასაცნობადაც მთელი ოჯახი შეიკრიბა.

ყველამ იცოდა, რომ ახალგაზრდა ფილიპ ბოსინი უიღბლო ვარსკვლავზე იყო დაბადებული და არავითარი ქონება არ გააჩ-ნდა, მაგრამ ფორსაიტების ქალიშვილები წინათაც დანიშნულან ასეთებზე და ცოლადაც გაჰყოლიან. ასე რომ, ეს სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო იმ ცუდი წინათგრძნობის მიზეზი, რასაც ახლა ფორსაიტები აეფორიაქებინა. ამ ფარული უნდობლობისა და გა-

ურკვეველი ცუდი წინათგრძნობის საბაბს თვითონაც ვერ იტ-ყოდნენ, რადგან ყოველივეს ოჯახური მითქმა-მოთქმის ნისლი ებურა. იმას კი მართალს ამბობდნენ, როცა ბოსინი ჯუნის პაპი-დებს: ენს, ჯულისა და ესთერს წარუდგა ოფიციალური ვიზიტით, თავზე ნაცრისფერი, პეწდაკარგული, ჩაჭყლეტილი ქუდი ეხუ-რაო. პაპიდა ესთერს (რომელიც ახლომხედველი იყო) ბნელ მისა-ღებ ოთახში გავლისას ბოსინის ქუდი, რომელიც სტუმარს სკამ-ზე მიეგდო, მაწანწალა კატა ეგონა და, იმით განაწყენებულმა, ამ ბოლო დროს ტომიმ ასეთი სამარცხვინო მეგობრები გაიჩინაო, დაუცაცხანა კიდეც, რომ სკამიდან ჩამოეგდო, მაგრამ ძალიან შეწუხდა, როცა კატა არც კი დაიძრა ადგილიდან.

მსგავსად მხატვრისა, რომელიც მუდამ იმის ძიებაშია, სახა-სიათო წვრილმანი გამომსახველობითი საშუალებები იპოვოს ადგილის, პეიზაჟის ან პიროვნების მთლიანი ხასიათის გამოსა-ძერწად, - ფორსაიტებმაც, ამ ქვეცნობიერმა მხატვრებმა, მთელი გულისყური ბოსინის ქუდს მიაპყრეს. ეს ქუდი იქცა მათთვის გა-მომსახველობით წვრილმანად, რომელშიც მთელი საქმის არსი იმალებოდა. თითოეული მათგანი ეკითხებოდა თავს, მე თუ წავი-დოდი ასეთი ქუდით ოფიციალურ ვიზიტზეო, და თითოეულის პა-სუხი უარყოფითი გახლდათ. ხოლო ისინი, ვისაც სხვებზე დიდი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, ამბობდნენ, - ასეთ რამეს ვერც კი გავიფიქრებდითო.

ჯორჯმა რომ ქუდის ამბავი მოისმინა, თავისთვის ჩაიცინა და ჩაილაპარაკა: ცხადია, კარგად მოფიქრებული ტლანქი ოხუნჯო-ბაოო! მას თვითონაც უყვარდა ასეთი ხუმრობა.

- მეტისმეტად დიდგულა და მარჯვე მეკობრე ყოფილა, - თქვა მან და ჯორჯის ეს მოსწრებული ეპითეტი "მეკობრე" მანამ ეკერათ პირზე, ვიდრე ბოსინის მეტსახელად არ იქცა.

ქუდის ამბავზე პაპიდებმა საყვედურებით აავსეს ჯუნი.

- ჩვენ თუ გვკითხავ, მუდამ ლაგამამოდებული უნდა გყავდეს, თავის ნებაზე არ უნდა მიუშვა იგი, ძვირფასო!

მტკიცე ნებისყოფის თავნება ჯუნმა კი მბრძანებლურად განუცხადა პაპიდებს:

- რას ამბობთ! რა მნიშვნელობა აქვს ამას? ფილი სულაც არ ფიქრობს ჩაცმა-დახურვაზე!

ეს აღმაშფოთებელი პასუხი არავინ ირწმუნა. ბოსინისთვის სულერთია, რას იცვამს და იხურავს? არა და არა!

ვინ იყო სინამდვილეში ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მოხუცი ჯოლიონის ერთადერთ მემკვიდრედ მიჩნეულ ქალიშვილზე დაინიშნა და მისთვის ესოდენ სარფიანი საქმე გაჩარხა? იგი არქიტექტორი გახლდათ, მაგრამ თავისთავად ეს არ იყო საკმარისი საბაბი იმისთვის, რომ ასეთი ქუდი ხურებოდა. ფორსაიტებს შორის არქიტექტორი არ ერია, მაგრამ ერთი მათგანი კი იცნობდა ორ არქიტექტორს, რომლებიც, რაც უნდა მომხდარიყო, ასეთი ქუდებით არ გამოცხადდებოდნენ ოფიციალურ ვიზიტზე, ისიც ლონდონის სეზონის(ლონდონის სეზონი - გრძელდება მაისიდან ივლისის ბოლომდე. ამ დროს დედაქალაქის არისტოკრატიულ საზოგადოებაში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. იმართება მრავალი დღესასწაული, ეწყობა მიღება სასახლესა და კერძო სახლებში. იპოდრომზე ტარდება საჩუქრების ტრადი-

ციული გათამაშება და სხვ.) დროს. საშიში, დიახ, ძალიან საშიში ვინმე უნდა ყოფილიყო ეს ბოსინი!

ჯუნი, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევდა ამას, თუმცა, მიუხედავად ცხრამეტი წლის ასაკისა, დიდად ახირებული, ქეჩერა ადამიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ჯუნი არ იყო, მუდამ ლამაზად ჩაცმულ მისის სომსს რომ უთხრა, ფრთების გაკეთება ძალიან მდაბიური გემოვნების გამომხატველიაო? მისის სომსმა ამის შემდეგ მართლაც მიატოვა ფრთების ტარება. ასეთი საშიში გულახდილობა უყვარდა.

ცუდ წინათგრძნობას, ძრახვას, დაწუნებასა და უნდობლობას ხელი არ შეუშლია ფორსაიტებისთვის მიპატიჟება მიეღოთ და მოხუცი ჯოლიონის სახლში მოეყარათ თავი. სტენჰოპგეიტში ნადიმი დიდ იშვიათობად ქცეულიყო; ქალბატონი ჯოლიონის გარდაცვალებიდან თორმეტმა წელმა ისე განვლო, რომ ნათესავები მოხუცი ჯოლიონის სახლში აღარ შეკრებილან.

ასე სრულად ფორსაიტებს არასდროს მოუყრიათ თავი. ერთმანეთისგან დიდი განსხვავების მიუხედავად, საფრთხის მოლოდინში იარაღს ყველამ ერთიანი ძალით მოჰკიდა ხელი და საერთო მტრის წინააღმდეგ იდუმალად გაერთიანდნენ. ისინი იმ ოთხფეხა ნადირებივით შეჯგუფდნენ, რომლებიც მგლის თავდასხმისას ერთმანეთს შველიან და მხარდამხარ იბრძვიან, რათა მომხდური სასიკვდილოდ გაქელონ. უეჭველია, მოხუცი ჯოლიონის სახლში მათ მისვლას ის მიზანიც ჰქონდა, გაეგოთ, რა საჩუქრები მიერთმიათ დანიშნულთათვის: საქორწინო საჩუქრების საკითხის მოგვარება ჩვეულებრივ ასე იწყებოდა:

- "შენ რის მირთმევას აპირებ? ნიკოლასმა გადაწყვიტა, კოვზები აჩუქოს!" ბევრი რამ საქმროზე იყო დამოკიდებული. თუ იგი პეწიანი, ქოჩორდავარცხნილი, მდიდრულად ჩაცმული გახლდათ, აუცილებელი იყო მისთვის ძვირფასი ნივთების ჩუქება, რადგან იგი ასეთ რამეს მოელოდა. საბოლოოდ ყველა იმ საჩუქარს მიართმევდა, რაც ნამდვილად შესაფერისი იყო. ეს საქმე ბირჟაზე ფასების მორიგებასავით წყდებოდა. ფორსაიტები დიდი გულმოდგინებით აწესრიგებდნენ ყველა საკითხს ბეისუოთერის ქუჩაზე მდებარე წითელი აგურით ნაშენ, ტიმოთის უზარმაზარ სახლში, რომლის ფანჯრები ბაღში გადიოდა და რომელშიც ტიმოთისთან ერთად ჯუნის პაპიდები - ენი, ჯული და ესთერი ცხოვრობდნენ.

საკმარისი იყო ქუდის ხსენება, რომ ფორსაიტთა მთელი ოჯახი ყალყზე დამდგარიყო. ამიტომ წარმოუდგენელ შეცდომას ჩაიდენდა ყველა, ვინც ბურჟუაზიის ზედა ფენის ღვიძლ შვილთა მსგავსად ესოდენ გადამწყვეტ როლს ანიჭებს ცხოვრებაში გარეგნობას და ასეთი ქუდის ნახვისას აღშფოთებას კი არა, სულ სხვა გრძნობას გამოხატავდა.

ფორსაიტთა ყალყზე დგომისა და აღშფოთების მიზეზი შორეულ კართან იდგა და ჯუნს ესაუბრებოდა. ხუჭუჭი თმა ისე აშლოდა, თითქოს გარშემო ყველაფერი უცნაურად და უჩვეულოდ ეჩვენებაო. სახეზე ისეთი შუქი დასთამაშებდა, იფიქრებდით, ვიღაცას დასცინისო.

გვერდზე მიმდგარმა ჯორჯმა, რომელიც იუსტასს ემუსაიფებოდა, ასეთი რამ თქვა:

- ნახე, თუ ეგ მარჯვე მეკობრე კიდევ რამე უბედურებას არ აგვიტეხს!

ბოსინი, რომელსაც მის სმოლმა შემდეგში "ძალიან უცნაური კაცი" შეარქვა, საშუალო ტანის, ძლიერი აგებულების, შავგვრემანი, ოდნავ ფერმკრთალი ყმაწვილი იყო, მას ღია წაბლისფერი ულვაში, გამოკვეთილი ყვრიმალის ძვლები და ჩავარდნილი ლოყები ჰქონდა. საქოჩრისკენ დახრილი შუბლი თვალებს ზემოთ ისე ამოზნექოდა, როგორც ლომებს აქვთ ხოლმე ზოოპარკში. მისი თაფლისფერი თვალები ზოგჯერ უაზროდ და არეულად გამოიცქირებოდნენ. მოხუცი ჯოლიონის მეეტლემ, რომელმაც ჯუნი და ბოსინი ერთხელ თეატრში წაიყვანა, უფროს მსახურს უთხრა:

- ვერ გაუგებ, რა კაცია, გაშმაგებულ ავაზასავით იყურება.

დროდადრო რომელიმე ფორსაიტი გვერდულად აუვლ-ჩაუვლიდა ბოსინის და აკვირდებოდა.

ჯუნი მოწითალო, ხშიროქროსფერთმიანი, სახეზე ვარდისფერგადაფენილი, ლურჯთვალება, მტკიცედ გამოკვეთილნიკაპიანი პატარა არსება, რომელსაც ვიღაცამ "მხოლოდ სული და თმა" უწოდა, წინ ედგა ბოსინის და ცნობისმოყვარეთა მზერისგან იფარავდა.

კოხტად ნაქანდაკარი მაღალი ქალი, ფორსაიტების ოჯახის რომელიღაც წევრმა წარმართთა ღვთაებას რომ შეადარა, იქვე ახლოს იდგა და ჯუნისა და ბოსინის ოდნავ გაღიმებული შესცქეროდა. ფრანგული, ღია რუხი ფერის, ოდნავ სიმწვანედაკრული ლაკისხელთათმნიანი ხელები ჯვარედინად გადაეწყო. დიდი ხელოვანის ნაძერწივით მშვენიერი სახე ოდნავ მოებრუნებინა და იქ მყოფ მამაკაცთა მზერა ანდამატივით მიეზიდა. ნაქანდაკარი

ტანი ისეთნაირად ერხეოდა, გეგონებოდათ, მსუბუქი ნიავი წონასწორობას დააკარგვინებსო. შეუფაკლავ ღაწვებში სითბო იგრძნობოდა. დიდრონი, შავი, მწველი თვალები მშვიდად გამოიყურებოდნენ. გაურკვეველი მსუბუქი ღიმილით გაშუქებული ბაგენი, რომელთაც მხილველნი მონუსხულებივით შესცქეროდნენ და თვალს ვერ სწყვეტდნენ, გამოცანასავით ამოსახსნელი გახლდათ, ეს იყო ნაზი, მგრძნობიარე, ხორციელი ჟინით აღბეჭდილი ბაგე, გარშემო ყვავილივით საამო სითბოსა და სურნელებას რომ აფრქვევდა.

დანიშნულმა წყვილმა, რომელსაც ათასი თვალი სინჯავდა და უკირკიმალებდა, დროზე ვერ შეამჩნია განმარტოებით მდგარი ქალღმერთი. ბოსინიმ პირველმა შენიშნა იგი და ჯუნს მისი ვინაობა ჰკითხა.

ჯუნმა დანიშნული ხელკავგამოდებული წაიყვანა ნაქანდაკარი ქალღმერთისკენ.

- აირენი, ჩემი უახლოესი მეგობარი, - თქვა ჯუნმა, - კეთილინებეთ და თქვენც დამეგობრდით.

პატარა ლედის ბრძანებაზე სამივეს გაეღიმა. სანამ ისინი იღიმებოდნენ, სომს ფორსაიტი უჩუმრად აღიმართა ნაქანდაკარი ქალღმერთის უკან, რომელიც მისი თანამეცხედრე გახლდათ, და თქვა:

- ოჰ, მეც წარმადგინე, გეთაყვა!

სომსი იშვიათად ტოვებდა მარტო აირენს. მაშინაც კი, როცა უკიდურესი აუცილებლობა, - მაღალი წრის ეტიკეტი მოითხოვდა მათ განცალკევებას, აირენს თან სდევდა სომსის გაფაციცებული

მზერა, რომელშიც, გარდა სიფხიზლისა, დანახვის მწველი სურვილიც მჟღავნდებოდა.

სარკმელთან სომსის მამა, ჯეიმსი იდგა და ფაიფურის ჭურჭელზე გამოსახულ ნახატს მუშტრის თვალით აკვირდებოდა.

- ძალიან მაოცებს მოხუცი ჯოლიონის თანხმობა მათ ნიშნობაზე, - უთხრა მან პაპიდა ენს, - მითხრეს, რომ მათი ქორწინების იმედი რამდენიმე წლის შემდეგაც კი არ ჩანსო. ამ ყმაწვილს, ბოსინის (მან მახვილი საერთო წესის წინააღმდეგ მოკლე ხმოვან ოზე დასვა) არაფერი აბადია. როცა უინიფრიდი დარტიზე თხოვდებოდა, მე ვაიძულე დარტი, თითოეული პენი აღენიშნა ნაჩუქრობის ბარათში(ნაჩუქრობის ბარათი - 1882 წლის კანონის გამოცემამდე ცოლის ქონება განუყოფლად ქმარს ეკუთვნოდა. მხოლოდ "ნაჩუქრობის ბარათი" აძლევდა ქალს გათხოვებამდე მის კუთვნილ ქონებაზე მფლობელის სარგებლობისა და განკარგვის უფლებას (უინიფრიდმა და დარტიმ 1879 წელს იქორწინეს)) და კარგადაც მოვიქეცი, თორემ ახლა ცარიელ-ტარიელზე ისხდებოდნენ.

ხავერდის სავარძელში მჯდომმა პაპიდა ენმა ქვევიდან ახედა ჯეიმსს. ჭაღარა კულულებმა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში უცვლელად ეყარა პაპიდა ენს შუბლზე, ფორსაიტთა ოჯახში ჟამთა სვლის ყოველგვარი შეგრძნება მოსპო. პაპიდა ენი უჩუმრად იჯდა. იგი წელთა სიმრავლით მისუსტებულ ხმას უფრთხილდებოდა და საერთოდ ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ მისმა გამოხედვამ მოსაუბრეს პასუხზე უფრო მეტი უთხრა და შეშფოთებულმა ჯეიმსმა, რომელიც სინდისმა შეაწუხა, თავი ასე იმართლა:

- მართალია, - თქვა ჯეიმსმა, - აირენსაც არაფერი გააჩნდა, მაგრამ სომსი ჩქარობდა; რაკი ერთხელვე აეტორღიალა, სულ კუდში დასდევდა და საცოდავი ზეზეურად ჩამოხმა კიდეც.

ჯეიმსმა ფაიფურის თასი გაგულისებით დადგა როიალზე და მზერა კართან მდგარ ჯგუფზე გადაიტანა.

- ჩემი აზრით, - განაგრძო მან მოულოდნელად, - ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა.

პაპიდა ენს არ მოუთხოვია ამ უცნაური ნათქვამის ახსნა-განმარტება. მან იცოდა, რასაც ფიქრობდა ჯეიმსი. რაკი აირენს საკუთარი სახსარი არ გააჩნდა, ისეთი ბრიყვი არ იქნებოდა, რომ რამე სისულელე ჩაედინა, რადგან ხმები დადიოდა და დაჟინებითაც იმეორებდნენ, აირენი ცალკე ოთახს მოითხოვსო, რა თქმა უნდა, სომსს არ...

ფიქრი ჯეიმსმა შეაწყვეტინა:

- სად არის ტიმოთი? განა მათთან ერთად არ მოსულა?

პაპიდა ენის მოკუმული ტუჩები ნაზმა ღიმილმა გააპო.

- ტიმოთის ყველა ავადმყოფობა ადვილად პოულობს, ახლა კი დიფთერია მძვინვარებს და შინიდან გამოსვლა უგუნურებად მიაჩნია.

ჯეიმსმა უპასუხა:

- კარგია, რომ თავს ასე ძალიან უფრთხილდება. მე კი არ შემიძლია საკუთარ თავზე ასე ზრუნვა, - ძნელი სათქმელია, რა უფრო სჭარბობდა მის ნათქვამში, აღფრთოვანება, შური თუ სიძულვილი.

ტიმოთი, რომელიც უმცროსი იყო ფორსაიტების ოჯახში, საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ,

როცა ეს საქმე ყვაოდა, მან როგორღაც იყნოსა წიგნების გამოცემის საქმე შეფერხდება, დიდ მოგებას ვეღარ მომცემს და ვიზარალებო. მართალია, კრიზისი ჯერ არ იყო დამდგარი, თუმცა ყველას აზრით, მოახლოებული კი გახლდათ, რომ ტიმოთიმ გაყიდა თავისი წილი საგამომცემლო წარმოებაში, რომელიც უმთავრესად რელიგიურ წიგნებს ბეჭდავდა, და თავნი და მონაგები სამ-პროცენტიან კონსოლებში დააბანდა. ამ მოქმედებამ იგი სრულიად გამოარჩია ოჯახიდან და განაცალკევა, რადგან მანამდე არც ერთი ფორსაიტი ოთხ პროცენტზე ნაკლებ მოგებას არ დასჯერებია. ამ გამორჩევა-განცალკევებამ ჩვეულებრივზე უფრო მეტი სიფრთხილით დაჯილდოებულ მის სულს ნელ-ნელა, მაგრამ ჭეშმარიტად გამოუთხარა ძირი. ტიმოთი თითქმის მითურ პიროვნებად იქცა. თავისი მოქმედებით მან სამუდამოდ უზრუნველყო თავი, ეს კი ფორსაიტთა სამყაროს ფარულ მიზანს შეადგენდა. ტიმოთის არასოდეს მოსვლია ისეთი შეცდომა, რომ ცოლი შეერთო ან რაიმე გზით, თუნდაც შვილებით მოეწამლა და დაემძიმებინა ცხოვრება.

ჯეიმსმა კვლავ აიღო ხელში ფაიფურის თასი, ზედ თითი აათამაშა და შეწყვეტილი საუბარი განაახლა:

- ეს ნამდვილად უისტერისა(უისტერი - ინგლისური ფაიფურის ნიშანი, მარკა. ქალაქი უისტერი - XVIII საუკუნიდან ინგლისური ფაიფურის ჭურჭლის დამამზადებელი ცენტრი.) არ უნდა იყოს. ალბათ ჯოლიონი გესაუბრებოდა ამ ყმაწვილზე. როგორც ვიცი, მას არც რაიმე საქმეში უდევს წილი, არც რაიმე შემოსავალი გააჩნია და არც ისეთი ახლობლები და ნაცნობები ჰყავს, რომ

სათქმელად ღირდეს. მაგრამ მე ხომ არავინ არაფერს გამანდობს, ამიტომ არც კი ვიცი ხოლმე, რა ხდება ჩვენს ოჯახში.

პაპიდა ენმა რამდენჯერმე უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. მოხუცს არწივივით ცხვირი შეუტოკდა და მტკიცენაკვთიან ოთხკუთხა ნიკაპზე თრთოლა დაეტყო. თხელი, ჩამოქნილი თითები ჯერ ერთმანეთს გადააჭდო და მერე ისე მიაჭყლიტა ერთმანეთს, თითქოს ძალას იკრებდა.

ყველა ფორსაიტზე რამდენიმე წლით უხნეს პაპიდა ენს განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული თავისიანებში. და როცა რომელიმე მათგანი მეტისმეტად საძრახ, უპრინციპო საქციელს სჩადიოდა, მეტი გზა არ იყო, უანგარო პაპიდა ენისთვის თავი უნდა მოერიდებინა!

ჯეიმსს გამხდარი და გრძელი ფეხები ჰქონდა. მან ფეხი ფეხზე გადაიდო და განაგრძო:

- ჯოლიონი მაინც თავისას იზამს. მას ხომ შვილები არ ჰყავს, - ჯეიმსი არ შედგა. მას ჯოლიონის ვაჟის, ჯუნის მამის არსებობა მოაგონდა. ახალგაზრდა ჯოლიონმა ხომ ძალიან ცუდი საქმე დამართა თავს, გადამთიელი აღმზრდელი ქალის გულისთვის ცოლშვილი მიატოვა და სახლიდან გაიქცა, - კეთილი, - საჩქაროდ დაასკვნა ჯეიმსმა, - დაე, ისე მოიქცეს, როგორც თვითონ მოსწონს. მე მგონია, ჯოლიონს შეუძლია ამის ნება მისცეს თავს. ნეტავ, რა თანხას გაიმეტებს? მგონი წელიწადში ათას გირვანქას; მას ხომ არავინ ჰყავს, რომ სამკვიდრო დაუტოვოს.

ჯეიმსმა ხელი გაუწოდა კარგად ჩაცმულ, თითქმის გამელოტებულ, სუფთად გაპარსულ კაცს, რომელსაც კეხიანი ცხვირი,

მსხვილი ტუჩები და სწორ წარბებს ქვევიდან გამომზირალი ცივი, ჭროღა თვალები ჰქონდა.

- ოჰო! ნიკ, - წაიბუტბუტა ჯეიმსმა, - როგორ ხარ?

ჩიტივით მკვირცხლ ნიკოლას ფორსაიტს ზებუნებრივად ჭკვიანი მოსწავლის გამომეტყველება ჰქონდა (მან ყოვლად წესიერი გზით მოახერხა გვარიანი თანხის შოვნა, როცა რამდენიმე კომპანიის დირექტორის ადგილი ეკავა). ნიკოლასმა ჯეიმსს ცივ ხელში თავისი კიდევ უფრო ცივი თითები ჩაუდო და წამსვე უკანვე წამოიღო.

- ცუდად ვარ, - ამრეზით თქვა ნიკოლასმა, - მთელი კვირა ცუდად ვიყავი; ღამეები არ მძინებია. ექიმმა ვერაფერი გამიგო. ჭკვიანი ყმაწვილია, თორემ აქამდეც დავითხოვდი, რადგან მისგან ანგარიშ-თამასუქების მეტი არაფერი მახსოვს.

- ექიმები! - თქვა ჯეიმსმა, მის ხმაში აღშფოთება იგრძნობოდა, - მთელი ლონდონის ექიმები დამყავდა სახლში ხან ჩემთვის და ხან ჩემიანებისთვის, მაგრამ რა სიკეთე მანახვეს; ვერაფერს გეტყვიან. აი, თუნდ სუითინის ამბავი აიღეთ. რა ხეირი დააყარეს? ამაზე მსუქანი არასოდეს ყოფილა; ბეჰემოთივითაა. წონაშიც ვერ დააკლებინეს. აბა, შეხედეთ!

მაღალმა, დევივით ზორბა, მხარბეჭიანმა სუითინ ფორსაიტმა ბრწყინვალე ჟილეტებით დამშვენებული მკერდი ჩინჩახვიანი მტრედივით წამოაგდო წინ და მედიდური ნაბიჯებით მიუახლოვდა მოსაუბრეებს.

- ჰა, როგორა ხართ? როგორ ცხოვრობთ? - დენდივით იკითხა სუითინმა და ეს მფშვინავი "ჰ" ძლიერად წარმოთქვა (ამ ძნელად წარმოსათქმელ მფშვინავ ბგერას თითქმის აბსოლუტური სიმ-

კვეთრითა და ძლიერად წარმოთქვამდა ხოლმე, როცა HOW ARE YOU-ს ამბობდა).

ძმები როგორღაც გამომწვევად, გამაღიზიანებლად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, რადგან თითოეულმა მათგანმა გამოცდილებით იცოდა, რომ ორი დანარჩენი მის ავადმყოფობას არაფრად მიიჩნევდა.

- ჩვენ ახლა სწორედ იმაზე ვსაუბრობდით, - თქვა ჯეიმსმა, - რომ შენ ხორცი ვერა და ვერ დაყარე.

სუითინი სმენად გადაიქცა და უფერული, მრგვალი თვალები გადმოკარკლა.

- ხორცი ვერ დავყარე? მე თავს მშვენივრად ვგრძნობ, - თქვა სუითინმა და წინ გადმოიხარა, - აბა, თქვენსავით ძვალი და ტყავი ხომ არ ვიქნები.

მაგრამ იმით შეშინებულმა, რომ წინ გადმოხრილს ფართო მკერდი კარგად არ გამომიჩნდებაო, უკან დაიხია და ქანდაკებასავით გაქვავდა. იგი არაფერს აფასებდა ისე, როგორც გამორჩეულ გარეგნობას.

პაპიდა ენი მოხუც თვალებს ხან ერთს მიაპყრობდა ხოლმე, ხან მეორეს. შემწყნარებელი და მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. თავის მხრივ, ძმებიც აკვირდებოდნენ პაპიდა ენს. მისი ჯანმრთელობა ბოლო დროს შეირყა. გასაოცარი ქალი კი იყო! ოთხმოცდამეშვიდე წელში ედგა ფეხი და კიდევ შეეძლო ათი წელი მაინც ეცოცხლა, თუმცა მაგარი აგებულებითა და ჯანით არასოდეს გამოირჩეოდა. ტყუპს, სუითინსა და ჯეიმსს მხოლოდ სამოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდათ, ნიკოლასი კი მასთან შედარებით სამოცდაათს მიღწეული ბალღი იყო და მეტი არაფერი. ყველანი

ჯანმრთელად იყვნენ და სადარდებელი და სამწუხარო არა ჰქონ-
დათ რა. საკუთრების ყველა ფორმიდან, ბუნებრივია, უპირველე-
სად ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ.

- თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, - განაგრძობდა ჯეიმსი, -
მაგრამ ნერვები არ მივარგა. უბრალო რამე მოთმინებას მაკარ-
გვინებს და სიკვდილის პირს მაყენებს. უნდა ბათში(ბათი - საკუ-
რორტო დაბა. ცნობილია სამკურნალო წყლებით. მდებარეობს
მდინარე ევონზე, ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.) წავი-
დე.

- ბათში? - იკითხა ნიკოლასმა, - მე ჰეროგეიტში(ჰეროგეიტი -
ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კურორტი. გან-
თქმულია სამკურნალო წყლებით.) ვიყავი. ვერაფერი შვილი კუ-
რორტია მაინცდამაინც. მე ზღვის ჰაერი მესაჭიროება. ამ მხრივ
იარმაუთს(იარმაუთი - ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე
სახელგანთქმული საზღვაო კურორტი) არაფერი შეედრება. რო-
ცა იქ ვარ, შესანიშნავად მძინავს...

- მე კი ღვიძლი მაწუხებს, - ფრთხილად შეაწყვეტინა სუითინ-
მა, - საშინელი ტკივილები მაქვს აქ, აი, - თქვა ეს და ხელი მარჯვე-
ნა მხარეს, ღვიძლთან დაიდო.

- ვარჯიში უნდა, ვარჯიში, - წაიბურტყუნა ჯეიმსმა ისე, რომ
თვალი ფაიფურის თასისთვის არ მოუშორებია და სწრაფადვე
დაუმატა:

- მაგ ადგილს მეც ვიტკივებ.

სუითინი წამოჭარხლდა და მამალ ინდაურს დაემგვანა.

- ვარჯიში უნდაო, რომ მეუბნები, მე ისედაც ბევრს ვვარჯი-
შობ: კლუბში რომ დავდივარ, ლიფტში არასოდეს შევდივარ.

- ეგ მე არ ვიცი, - სწრაფად უპასუხა ჯეიმსმა, - არაფერი ვიცი. მე ხომ არავინ არაფერს მეუბნებით.

სუითინი დაჟინებით დააცქერდა ჯეიმსს და ჰკითხა:

- მერე ტკივილებს რით იყუჩებ?

ამ კითხვამ ჯეიმსი გამოაცოცხლა.

- მე, - დაიწყო მან, - ძალიან რთულ წამალს...

- როგორ ბრძანდებით, პაპა? - წარმოთქვა ჯეიმსის წინ შემდგარმა და ხელგაწვდილმა ჯუნმა, რომელიც პაპას ქვევიდან შესცქეროდა სახეში.

ჯეიმსის სახეზე გამოცოცხლება გაქრა.

- შენ თვითონ როგორ ხარ? - ჰკითხა ჯეიმსმა და უკვე ჯუნზე გადაიტანა ფიქრი, - მაშ, ხვალ უელსში მიემგზავრები, ხომ? საქმროს დეიდები უნდა ნახო, არა? იქ ახლა მაგარი წვიმებია. ეს არაა ნამდვილი ძველი უისტერი, - თქვა მან და თითები თასზე აათამაშა, - აი, ის ჭურჭელი კი, მე რომ დედაშენს ვაჩუქე ქორწინების დღეს, ნამდვილი უისტერისა იყო.

ჯუნმა პაპის ძმებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი და პაპიდა ენს მიუბრუნდა. მოხუცი ლედი სიყვარულით შეჰყურებდა ამ პატარა არსებას და, აცახცახებული, დიდი გულმოდგინებით ეამბორა ლოყაზე.

- მაშ, მთელი თვით მიემგზავრები ხომ, შვილო? - წარმოთქვა მოხუცმა.

ჯუნი გატრიალდა და პაპიდა ენმა თვალი გააყოლა მის მოხდენილ პატარა ტანს. მოხუცი ლედის ფოლადისფერ თვალებს, წელთა სიმრავლით დამძიმებულ ფრინველთა მსგავსად, უკვე თანდათანობით ეკვროდა ბინდი. მაგრამ მისი ნაღვლიანი მზერა

მაინც სწვდებოდა უკვე წასასვლელად გამზადებულ, მოფუსფუსე სტუმართა შორის მიმავალ ჯუნს. პაპიდა ენი კვლავ ერთმანეთს ასრესდა თითის წვერებს, თითქოს სურს წინ აღუდგეს ამ ქვეყნიდან აუცილებელ და გარდაუვალ წასვლას და ძალას იკრებსო.

"დიახ, - ფიქრობდა პაპიდა ენი, - ჯუნისადმი ყველა კეთილად არის განწყობილი. რამდენი ხალხი მოვიდა, რომ დანიშვნა მიულოცოს. ძალიან ბედნიერი იქნება".

კართან შეჯგუფულ, კარგად ჩაცმულ ბრბოში, რომელიც ვექილების, საფონდო ბირჟის საქმოსნების, ექიმებისა და საშუალო კლასისთვის შესაფერ სხვა ათასგვარი ჯურის ხალხისგან შედგებოდა, ფორსაიტი ასიდან ოცი თუ იქნებოდა, მაგრამ პაპიდა ენს ყველა ფორსაიტად ეჩვენებოდა და მათ შორის მართლაც ბევრი არაფერი განსხვავება იყო. პაპიდა ენი ყოველ მათგანში თავის სისხლსა და ხორცს ხედავდა. პაპიდა ენი სხვას არავის და არაფერს იცნობდა, ეს ოჯახი იყო მისთვის მთელი სამყარო. ამ ოჯახის წევრთა პატარა საიდუმლოებანი, ავადმყოფობა, ნიშნობა, ქორწინება, საქმიანობა, ფულის შოვნის ამბები - ყოველივე ეს გახლდათ მისი საკუთრება, სიამოვნება და, თუ გნებავთ, სიცოცხლეც. ამას იქით პაპიდა ენისთვის ყოველ პიროვნებასა და ფაქტს ბუნდოვანი, გაურკვეველი წყვდიადის ნისლი ებურა და არც არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველივე ეს უნდა დაეტოვებინა, როცა მისი აღსასრულის დღე დადგებოდა; ყოველივე, რაც მისი ცხოვრებისა და სიცოცხლის აზრს შეადგენდა, - სიცოცხლისა და ცხოვრების აზრს, ურომლისოდაც არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია არსებობა. და სწორედ ამიტომ, ყოველივე

ამას იგი ჟამთა სვლასთან ერთად უფრო მეტი და მეტი სიხარბითა და გაუმაძღრობით ებღაუჭებოდა. თუ სიცოცხლე ხელიდან გამოეცლებოდა, ეს ყოველივე მაინც უნდა ბოლომდე შეენარჩუნებინა.

მოხუცი ლედის ფიქრები გადასწვდა ჯუნის მამას - ახალგაზრდა ჯოლიონს, რომელიც იმ უცხოელ ქალთან ერთად სახლიდან გაიქცა. ოჰ! რა მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა ამ საქციელით მამას და მთელ ოჯახს! მერედა რა იმედისმომცემი ყმაწვილი იზრდებოდა! რა სამწუხარო სულიერი ტკივილი განაცდევინა ყველას! კიდევ კარგი, რომ ჯოს მეუღლემ გაყრა არ ინდომა, ხალხს სალაპარაკო არ მისცა და ოჯახს თავზე ლაფი არ დაასხა! ეს კარგა ხნის ამბავია! და როცა ამ ექვსი წლის წინ ჯუნს დედა გარდაეცვალა, ჯომ იმ ქალზე იქორწინა და როგორც პაპიდა ენის ყურამდე მოაღწია, ახლა მასთან ორი ბავშვიც ჰყოლია. ჯომ ფორსაიტებთან ყოფნის უფლება დაკარგა, მაგრამ პაპიდა ენსაც თითქმის გაუნახევრდა ოჯახით სიამაყის გრძნობა და ამაში ბრალი ჯოს მიუძღოდა. მანვე მოაკლო პაპიდა ენს მისი ნახვისა და ალერსის კანონიერი სიამოვნება. ეეჰ, რა იმედისმომცემი ყმაწვილი დაიკარგა! ეს დიდი ხნის წინ მიყენებული შეურაცხყოფა პაპიდა ენის შეუპოვარ ბებერ გულში ღველფივით ღვიოდა. მისმა გახსენებამ მოხუც ლედის ძველი დარდები აუშალა და ახლებურად ღრღნა დაუწყო. თვალები დაუსველდა. სუფთა ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო და თვალზე მომდგარი ცრემლი მალულად მოიწმინდა.

- თქვენ რა აზრისა ხართ, მამიდა? - მოესმა ენს უკანა მხრიდან. სომს ფორსაიტი, მიუხედავად იმისა, რომ ვიწრო მხრები და,

ასე გასინჯეთ, სახეც კი ვიწრო ჰქონდა, მაინც რაღაცნაირად დამრგვალებულის შთაბეჭდილებას ახდენდა. საიდუმლოებით მოცული გამომეტყველებით იგი ისე ალმაცერად გაჰყურებდა პაპიდა ენს, თითქოს თავისივე ცხვირი უშლის ხელს და სურს შიგ გახედვით დასძლიოს ეს დაბრკოლებაო, - თქვენ რა აზრისა ხართ ამ ნიშნობაზე, - იკითხა სომსმა. პაპიდა ენმა სიამაყით შეავლო თვალი სომსს. ჯოლიონის სახლიდან გაქცევის შემდეგ მის ძმისშვილებში სომსი იყო ასაკით ყველაზე უფროსი და უსაყვარლესი. სომსი მიაჩნდა პაპიდა ენს ფორსაიტთა ოჯახის ტრადიციების ნამდვილად საიმედო დამცველად - ტრადიციებისა, რომელთა დაცვაც თვით პაპიდა ენს უკვე დიდხანს აღარ ეწერა.

- მაგ ახალგაზრდა კაცისთვის შესანიშნავი ამბავია, - თქვა მან, - თვითონაც კარგი გარეგნობის ყმაწვილია; ოღონდ იმას ვფიქრობ, ჩვენი ძვირფასი ჯუნის შესაფერისი თუა.

სომსმა მოოქრული ჭაღის კიდეს შეახო ხელი.

- ჯუნი მოუვლის მაგას, - თქვა მან, თან მალულად დაისველა თითი და ჭაღის ამობურცული ჩასადგმელის ზედაპირს მტვერი გადაწმინდა, - ნამდვილი ძველებური ლაქია. ახლა ამნაირს ვერ იშოვი. ეს ჯობსონის სახლში კარგ ფასად გავიდოდა, - სხვა დროს სიტყვაძუნწი სომსი ისე სიამოვნებით ლაპარაკობდა, თითქოს გრძნობდა, რომ ამ ენამზეობით მოხუც მამიდას მხნეობას მატებდა, - ასეთ ნივთზე მეც არ ვიტყოდი უარს. ძველ სანდალოზში ყოველთვის აიღებ ხელსაყრელ თანხას.

- მაგ საქმეში შენ ყველაფერი მშვენივრად გესმის და ძალიან ჭკვიანადაც ირჯები, - წარმოთქვა პაპიდა ენმა, - როგორაა ძვირფასი აირენი?

სომსს ღიმილი ზედ ტუჩებზე დააკვდა.

- შესანიშნავად, ოღონდ უძილობას უჩივის, თუმცა ჩემზე გაცილებით კარგად სძინავს, - თქვა და მეუღლეს გახედა, რომელიც კართან იდგა და ბოსინის ესაუბრებოდა.

პაპიდა ენმა ამოიოხრა.

- იქნებ მისთვის სჯობდეს, ჯუნს უფრო იშვიათად შეხვდეს. ხომ იცი, ჯუნს როგორი მტკიცე ხასიათი აქვს?

სომსი წამოწითლდა. მას სიწითლე ვიწრო ლოყებზე გადაურბენდა ხოლმე და თვალებთან რჩებოდა, როგორც სევდიანი ფიქრების უტყვი საბუთი.

- ვერ გავიგე, რა ანდამატი იპოვა ამ თავქარიან გოგოში, - ამოთქვა სომსმა დიდი ხნის გულისნადები, მაგრამ, როცა შენიშნა, უკვე მარტონი აღარ ვართო, მიტრიალდა და ისევ ჭაღს დაუწყო სინჯვა.

- მითხრეს, ჯოლიონმა სხვა სახლიც იყიდაო, - ძალიან ახლოდან ჩაესმა მამის ნათქვამი სიტყვები, - ფულში ბანაობს და, აბა, რას იზამს. როგორც შევიტყვე, მონტპელიესკვერზე სომსის მახლობლად უყიდია სახლი. მე ხომ ყველაფერს მიმალავთ. აირენს სიტყვაც არ დასცდენია ჩემთან!

- შესანიშნავი ადგილია. ჩემგან ორი წუთის სავალზეა, - თქვა სუითინმა, - კლუბამდე მოსვლას კი ჩემი სახლიდან რვა წუთს ვუნდები.

სახლის ადგილმდებარეობას ფორსაიტებისთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სახლი ცხოვრებაში მათი წარმატების სრული სურათის განსახიერებას წარმოადგენდა.

მათი მამა ფერმერი იყო და საუკუნის გარიჟრაჟზე ჩამოვიდა დორსეტშირიდან(დორსეტშირი - ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე საგრაფო.) ლონდონში.

"ამაყი დოსეტ ფორსაიტი" - ასე ეძახდნენ შინაურები. იგი ხელობით კალატოზი იყო და ბოლოს მენარდე მშენებელი გახდა. სიცოცხლის მიწურულს ლონდონში გადმოსახლდა, სიკვდილამდე მშენებლობებზე იმუშავა და იქვე, ჰაიგეტის სასაფლაოზე იპოვა საუკუნო განსასვენებელი. თავის ათ შვილს ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვა. მოხუცი ჯოლიონი, როცა მოიგონებდა ხოლმე მამას, რაც იშვიათად ხდებოდა, იტყოდა, - მუყაითი, ჯანმაგარი, მაგრამ გაუთლელი კაცი იყო მამაჩემიო. ფორსაიტთა მომდევნო თაობა გრძნობდა, რომ ასეთი წინაპრით ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიდნენ. არისტოკრატობის ერთადერთი ნიშანი, რომელიც მის ხასიათში აღმოაჩინეს, მადერის ღვინის სმის სიყვარული გახლდათ.

პაპიდა ესთერი, რომელსაც ოჯახის ისტორიის ცოდნაში ტოლს ვერავინ უდებდა, მამას ასე იგონებდა:

- არ მახსოვს, რომ მამას ოდესმე რამე საქმე ეკეთებინოს; ყოველ შემთხვევაში, ჩემს მახსოვრობაში არა. მას, ჩემო ძვირფასო, საკუთარი სახლები გააჩნდა. ისეთივე თმა ჰქონდა, როგორიც სუითინს აქვს და კარგად ჩადგმული კაცი იყო. მაღალი? არა, ძალიან მაღალი არ იყო (ხუთი ფუტი სიმაღლე და ლაქებიანი სახე ჰქონდა). წითური გახლდათ. მახსოვს, მადერის სმა უყვარდა. მაგრამ, თუ გინდა იცოდე, მამიდა ენს ჰკითხე, ვინ იყო მისი მამა. ის, ოო... მას დორსეტშირში, ზღვისპირად, მიწების სადავო საქმეები ჰქონდა.

ერთხელ ჯეიმსი დორსეტშირში გაემგზავრა, რათა საკუთარი თვალით ენახა ის ადგილი, სადაც ფორსაიტთა წინაპრებს ედოთ ბინა და საიდანაც მათი მოდგმა მომდინარეობდა. იქ ჯეიმსს დახვდა ორი ძველი ფერმა, ზღვისპირა წისქვილისკენ მიმავალი ორთვალებით დასერილი საურმე გზა და ფერგადასული ეკლესია, რომელსაც კედლებში საყრდენები ჰქონდა შეყენებული. იქვე იყო პატარა სამლოცველოც, პაწაწინა მდინარე, რომელზეც წისქვილი იდგა, დაბლობზე ნამცეცა ნაკადულებად ტოტდებოდა და ზღვის შესართავამდე შიგ ღორები ნადირობდნენ და წუმპელაობდნენ. ირგვლივ ყველაფერი ნისლს დაებურა. ფორსაიტთა წინაპარნი ალბათ საუკუნეთა განმავლობაში, კვირიდან კვირამდე ზღვისკენ თვალმიპყრობილნი ზელდნენ ფეხით ამ ღარტაფების ჭენჭყოსა და ლაფს.

არავინ იცის, საგვარეულო განსასვენებლის თუ რამე განსაკუთრებით ღირსშესანიშნავის პოვნის იმედი ამოძრავებდა ჯეიმსს, როცა იქ მიემგზავრებოდა; ერთი რამ კი ცხადია, უკან იგი აფორიაქებული, ნირწამხდარი, გასაწყლებული დაბრუნდა და ნიადაგ იმის ცდაში იყო, მეხსიერებიდან ამოეშალა იქაური შთაბეჭდილება.

- მნიშვნელოვანი იქ არაფერია, - თქვა მან, - ჩვეულებრივი სოფლური, ძველისძველი, პატარა კუთხეა, მორჩა და გათავდა.

ადგილის სიძველემ ფორსაიტები დაამშვიდა. მოხუცი ჯოლიონი, რომელსაც ზოგჯერ გულახდილობა მოერეოდა, თავიანთ წინაპრებზე იტყოდა ხოლმე, - იომენები, ჩემი აზრით, უჯიშო, ბოგანო ტუტრუცანები უნდა ყოფილიყვნენო. მაგრამ მიუხე-

დავად ამისა, სიტყვა იომენს იგი მაინც ისე იმეორებდა, თითქოს მასში რაიმე ნუგეშს პოულობსო.

ფორსაიტებმა ისე კარგად წაიყვანეს საქმე, რომ მალე ეგრეთ წოდებული "ძლიერნი ამა ქვეყნისა" შეიქნენ. ისინი ყველა წამოწყებასა და უკვე დაწყებულ საქმეში აბანდებდნენ კაპიტალს. ყიდულობდნენ ყველა სახის ფასიან ქაღალდებს, გარდა კონსოლებისა, რადგან ტიმოთივით არ სჯერდებოდნენ სამპროცენტიან მოგებას. ისინი სურათებსაც აგროვებდნენ და იმ საქველმოქმედო დაწესებულებებსაც ეხმარებოდნენ, რომლებიც მათ შინამოსამსახურეებს გამოადგებოდათ ავადმყოფობის დროს. მშენებელმა მამამ მემკვიდრეობად დაუტოვა შვილებს აგურისა და კირის დუღაბის საქმის ცოდნა. მათი წინაპრები, ალბათ, რომელიმე უბრალო სექტის მიმდევრები იყვნენ, შთამომავალნი კი ინგლისური ეკლესიის სრულუფლებიან წევრებად იქცნენ და ცოლებსა და შვილებს აიძულებდნენ, რეგულარულად დასწრებოდნენ წირვა-ლოცვებს დედაქალაქის მაღალი საზოგადოებისთვის განკუთვნილ მოდურ ეკლესიებში. მათ ქრისტიანობაში ოდნავი დაეჭვებაც კი ფორსაიტებს დიდად გააოცებდა და მძიმე სულიერ ტკივილს მიაყენებდა. რამდენიმე მათგანი სასულიერო გადასახადსაც იხდიდა ეკლესიაში მათთვის გამოყოფილი მუდმივი ადგილისთვის და ამით პრაქტიკულად გამოხატავდა ქრისტეს მოძღვრებისადმი პატივისცემას.

მათი საცხოვრებელი სახლები თანაბარი მანძილით იყო დაშორებული ერთმანეთისგან, ისინი ფორსაიტებს გუშაგებივით ჩაემწკრივებინათ ჰაიდპარკის გარშემო, რათა დედაქალაქის მშვენიერი გული, სადაც მათი სურვილები, აზრი და ოცნება ერ-

თად იყო თავმოყრილი, თავიანთი კლანჭებიდან არ გაეშვათ. ურომლისოდაც ფორსაიტები საკუთარ თვალშივე დამცირდებოდნენ. მოხუცი ჯოლიონის სახლი სტენჰოპგეიტის ქუჩაზე იდგა, ჯეიმსისა - ლეინპარკზე, სუითინი განმარტოებით ცხოვრობდა ჰაიდპარკ მანსიონის ახლოს, ლურჯ-ნაცრისფრად შეღებილ პალატებში. ის არასოდეს დაქორწინებულა! სომსი თავის ბუდეში ცხოვრობდა ნაიტსბრიჯთან, როჯერი კი - პრინსეზ გარდენთან (როჯერი ის ცნობილი ფორსაიტი გახლდათ, რომელმაც ჯერ აზრი შეიმუშავა და მერე განახორციელა კიდეც და ოთხ შვილს ახალი პროფესია მისცა. "საერთო საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეობაზე უფრო შემოსავლიანი რამ მეორე არ მოიძებნება, სხვა საქმეში აღარც ჩავებმებიო", - ამბობდა როჯერი).

ჰეიმენები - ქალბატონი ჰეიმენი ფორსაიტთა ერთადერთი გათხოვილი და იყო - კემპდენჰილის თავზე ცხოვრობდნენ, ჟირაფის მსგავს სახლში, რომლის შემხედვარეს კისერი წაწყვეტამდე უნდა წაეგრძელებინა. ლედბროკ გროვზე ჩალის ფასად ნაყიდ ვრცელ და ფართო ბინაში ცხოვრობდა ნიკოლასი და, ბოლოს, ბეისუოთერ როუდზე იდგა ტიმოთი, რომლის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდნენ პაპიდები: ენი, ჯული და ესთერი.

ჯეიმსმა კარგა ხანი იფიქრა, და ბოლოს თავის მასპინძელ ძმას ჰკითხა, მონტპელიესკვერზე რომ სახლი იყიდე, რა დაგიჯდაო. ორი წელია თვითონ ჯეიმსს ერთ სახლზე ეჭირა თვალი, მაგრამ მეპატრონეები მამასისხლად აპირებდნენ მის გაყიდვას.

მოხუცმა ჯოლიონმა დაწვრილებით უამბო სახლის ყიდვის წვრილმანი ამბები.

- ოცდაორი წლით დადეთ ხომ ხელშეკრულება? - გაიმეორა ჯეიმსმა, - ეგ სწორედ ის სახლია, მე რომ ვევაჭრებოდი. გაგიმ-დიდრებია ის ხალხი და ეგ არის.

მოხუცმა ჯოლიონმა წარბები შეყარა.

- ეგ სახლი საჩემო არაა, - სასწრაფოდ დაუმატა ჯეიმსმა, - ფა-სი ხელს არ მაძლევს. სომსმა იცის ის სახლი და გეტყვის, რომ ძა-ლიან ძვირად გიყიდია, კარგია, მისი აზრიც იცოდე.

- რა ჯანდაბად მინდა სომსის აზრი, - თქვა მოხუცმა ჯოლიონ-მა.

- კეთილი, კეთილი, - წაიბურტყუნა ჯეიმსმა, - შენ ყველაფერს მუდამ შენებურად აკეთებ, მაგრამ აჯობებდა მისი აზრიც მოგეს-მინა. ნახვამდის! ჩვენ ჰარლიგნემისკენ ვაპირებთ გასეირნებას. როგორც მითხრეს, ჯუნი თურმე უელსში მიემგზავრება და შენ მარტოდმარტო რჩები. აბა, მარტოკამ რა უნდა აკეთო სახლში, ისა სჯობს, სადილზე გვეწვიო.

მოხუცმა ჯოლიონმა მიპატიჟებაზე უარი თქვა. იგი თავი-სიანებს წინა სადარბაზო კარამდე ჩამოჰყვა და შეჰყურებდა, რო-გორ სხდებოდნენ ლანდოებში, თანაც ისე აფახულებდა თვა-ლებს, ეტყობოდა, წყენა უკვე დავიწყებოდა. ლანდოში მისის ჯე-იმსი სახით ცხენებისკენ იჯდა. მის მარცხნივ დიდებული შესახე-დავი, მაღალი, წაბლისფერთმიანი და წარმოსადეგი აირენი მოკა-ლათებულიყო. ორივე ქმარი, - მამა და შვილი - მათ პირისპირ ჩახ-მახზე შეყენებული იჯდა, თითქოს ცოლებზე თავდასხმას მოელიანო. მოხუცი ჯოლიონი გასცქეროდა, როგორ დაიძრა მზით გაშუქებულ ქუჩაში რესორიანი ლანდო(ლანდო (ფრანგ.) -

ძველებური ოთხადგილიანი ეტლი.) და ხტუნვა-რწევით გააქროლა რბილ სავარძლებზე მდუმარედ მსხდომი ფორსაიტები.

დუმილი მისის ჯეიმსმა დაარღვია.

- გინახავთ სადმე ერთად შეყრილი ამდენი უცნაური ხალხი?

სომსმა თავი დააქნია, ქუთუთოებს ქვევიდან გამოიხედა და შენიშნა, რომ აირენის უძირო თვალები ქურდულად უთვალთვალებდნენ მას. შესაძლოა მისის ჯეიმსის აზრისანი იყვნენ მოხუცი ჯოლიონის წვეულებიდან შინ მომავალი სხვა ფორსაიტებიც.

მეოთხე და მეხუთე ძმები, ნიკოლასი და როჯერი, ბოლომდე დარჩენილ სტუმრებთან ერთად გამოვიდნენ ჯოლიონის სახლიდან და გეზი ჰაიდპარკის გვერდით მდებარე მიწისქვეშა სადგურ პრედსტრიტისკენ აიღეს.

როგორც განსაზღვრულ ასაკს მიღწეულ ყველა ფორსაიტს, მათაც საკუთარი ცხენები და მეეტლეები ჰყავდათ და, თუ აუცილებელი არ იყო, ნაქირავებ ეტლში ჯდომას თავს არიდებდნენ.

შუა ივნისის ნათელი დღე იდგა. ჰაიდპარკის შეფოთლილი ხეები ირგვლივ სილამაზესა და ბრწყინვალებას აფრქვევდნენ. ძმები ვერ ამჩნევდნენ ამ მშვენიერებას, რომელიც ამისდა მიუხედავად, ხელს უწყობდა მათ გართობას, სეირნობასა და გულითად საუბარს.

- დიახ, - თქვა როჯერმა, - სომსის ცოლი ერთ ნახვად ღირს, მაგრამ ამბობენ, ერთმანეთს ვერ ეგუებიანო.

როჯერს, სხვა ფორსაიტებისგან განსხვავებით, მაღალი შუბლი და სიცოცხლით აღსავსე სახე ჰქონდა. ღია მონაცრისფრო თვალებით იგი ქუჩის პირას ჩამწკრივებულ შენობათა ფასადებს ზომავდა და დროდადრო ქოლგას ზევით იშვერდა - სიმაღლეს

უზომავდა სახლებს და, როგორც თვითონ ამბობდა, "ნიშნებსაც" უკეთებდა.

- აირენს საკუთარი ფული არ გააჩნია, - წამოიძახა ნიკოლასმა.

თვითონ ჩეჩქივით ჰქონდა ფული, როცა დაქორწინდა. მაშინ ოქროს ხანა იყო, გათხოვილ ქალთა საკუთრების კანონი(გათხოვილ ქალთა საკუთრების კანონი - მიიღეს 1882 წელს. მანამდე მეუღლეთა ქონება განკერძოებულად ითვლებოდა.) ჯერ არ მიეღოთ. ისე რომ, მოწყალე ნიკოლასს მარჯვე შემთხვევა მიეცა თვითონვე დიდი წარმატებით მოემზადებინა ცოლის მზითევი.

- მამა რა მოხელე ჰყავდა?

- როგორც გავიგე, პროფესორი ყოფილა, გვარად ჰერონი, - თქვა როჯერმა და თავი გააქნია.

- ეგ არცაა ფულიანი საქმე, - თქვა მან.

- ამბობენ, მაგის პაპას დედის მხრიდან ცემენტის წარმოება ჰქონდაო.

როჯერს სახე გაუბრწყინდა.

- მაგრამ გაკოტრებულა, - განაგრძო ნიკოლასმა.

- ოჰო! - წამოიძახა როჯერმა, - ნახე თუ სომსს აირენის გამო უსიამოვნება არ შეხვდეს. აი, დაიმახსოვრე, რასაც ვამბობ. აუცილებლად უსიამოვნება შეხვდება. მაგ ქალს გამოხედვაში რაღაც უცხოელისა აქვს.

ნიკოლასმა ნერწყვი გადაყლაპა.

- ძალიან ლამაზი, მიმზიდველი და ეშხიანი კია, - თქვა და მეეზოვე ხელით გასწია განზე, რომ ხელი არ შეეშალა მათთვის.

- ნეტავ როგორ მოიგდო ხელში ასეთი ქალი? - იკითხა როჯერმა, - მაგისი ჩაცმა-დახურვა ალბათ კარგა გვარიანი თანხა დაჯდება!

- ენმა მითხრა, - დაიწყო ნიკოლასმა, - სომსი მაგ ქალის გულისთვის გადარეულივით დადიოდა, ქალმა ხუთჯერ უარყო მისი წინადადება და გაწბილებულს ტოვებდაო. შევატყვე, რომ მაგ ამბავზე ჯეიმსიც ნერვიულობს.

- აჰ, - წამოიწყო ისევ როჯერმა, - მე ჯეიმსი მეცოდება, რაც ეგ ჯერ დარტის გამო დაიტანჯა, - როჯერს ფერი ისედაც არ აკლდა და ახლა სიარულისგან კიდევ უფრო წამოწითლდა სახეზე. ქოლგას უფრო ხშირად აქანავებდა და ყოველი აქნევისას ქოლგის ბოლო თვალის გასწვრივ უწევდა. ნიკოლასიც მშვენივრად გამოიყურებოდა.

- ძალიან ფერმკრთალია, მაგრამ გადასარევი ტანი და ჩამოსხმული ფეხები აქვს.

როჯერმა არაფერი უპასუხა.

- ჩემი აზრით, ეგ ქალი გამოჩენილი შესახედავია, - როგორც იქნა, ამოთქვა როჯერმა. ეს სიტყვა ფორსაიტთა ლექსიკონით უმაღლესი ქება გახლდათ, - ის ყმაწვილი ბოსინი კი თავს ვერაფერ სიკეთეს ვერ მოუტანს. ბარკიტთან უთქვამთ, ეგ ერთი იმ ახალგაზრდა არქიტექტორთაგანია, ვისაც ინგლისის არქიტექტურის დახვეწა და გაუმჯობესება სურს მოახდინოსო. მაგ საქმიდან კი არაფერი გამოდნება! ძალიან მაინტერესებს ტიმოთის აზრი ყოველივე ამაზე.

ისინი მიწისქვეშა რკინიგზის სადგურში შევიდნენ და სალაროს მიადგნენ.

- შენ რომელი კლასის ვაგონით აპირებ მგზავრობას? მე მეორე უნდა ავიღო.

- არა, მეორე კლასის ვაგონში არასგზით არ ჩავჯდები, - თქვა ნიკოლასმა, - კაცმა არ იცის, რას გადაეყრები იქ.

ნიკოლასმა ნოტინგ ჰილგეიტამდე აიღო პირველი კლასის ბილეთი, როჯერმა კი მეორე კლასისა საუთ კენსინგტონამდე. წუთიც და მატარებელი ჩამოდგა. ძმები ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე მოთავსდნენ კუპეებში. ჩვეულებას არც ერთმა უღალატა და არც მეორემ, თუნდაც იმისთვის, რომ ერთმანეთთან ყოფნა გაეხანგრძლივებინათ. ერთიმეორეზე გაგულისდნენ და გუნებაში ფიქრობდნენ:

"ნიკი, როგორც ყოველთვის, კერპი მათხოვარია!"

"როჯერი ყოველთვის ჭირვეული და ანჩხლი იყო და ასეთივე დარჩა!"

გადაჭარბებული მგრძნობიარობით ფორსაიტები ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიდნენ, ჰქონდათ კი დრო მგრძნობიარობისთვის ამ უზარმაზარ ლონდონში, რომელიც მათ დაიპყრეს და რომელმაც თვითონ ისინი შთანთქა?

თავი მეორე

მოხუცი ჯოლიონი ოპერაში მიდის

მეორე დღეს, ხუთ საათზე, მოხუცი ჯოლიონი პირში სიგარაგაჩრილი მარტო მისჯდომოდა მაგიდას, რომელზედაც ჩაის ფინჯანი იდგა. ის დაქანცული იყო და სანამ სიგარას მოათავებდა, კიდეც ჩაეძინა. თავზე ბუზი დააჯდა. ძილისმომგვრელ სიჩუმეში მხოლოდ მისი მძიმე ფშვინვა ისმოდა. ჭაღარა ულვაშით დაფარული ზედა ტუჩი ყოველ ამოსუნთქვაზე ებერებოდა, ჩასუნთქვაზე კი ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდა. დამჭკნარ-დაძარღვული ხელის თითებიდან სიგარა გაუვარდა, დაბლა დაეცა და იქვე, თავისით დაიფერფლა.

ფერადმინიანი, პირქუში, პატარა სამუშაო ოთახი, რომლიდანაც გარეთ ვერაფერს დაინახავდით, სავსე იყო მუქმწვანე ხავერდგადაკრული წითელი ხის ავეჯით. სწორედ ამ ავეჯზე იტყოდა ხოლმე მოხუცი ჯოლიონი: "გასაკვირი არ იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ ავეჯში იმაზე მეტ ფასს მომცემენ, რაც გადავიხადე!"

სასიამოვნო იყო იმის ფიქრი, რომ ჟამთა სვლის მიუხედავად, ავეჯში იმაზე მეტს აიღებდა, ვიდრე თვითონ გადაიხადა.

გარდა სასტუმრო ოთახებისა, ფორსაიტთა სახლებში მიხაკისფერი საღებავები ჭარბობდა. ამ ფერის ფონზე მოხუცი ჯო-

ლიონის თეთრი თმით დაფარული თავი, მძინარეს რომ სავარ-ძლის მაღალი ზურგისთვის მიეყრდნო, რემბრანდტისეულ ეფექ-ტს(რემბრანდტისეული ეფექტი - ჩრდილისა და სინათლის კონ-ტრასტული ეფექტი: საერთო შავ ფონზე განათებულია მხოლოდ სურათის მთავარი ნაწილები, მაგალითად, სახე და ხელები პორ-ტრეტზე. ეს არის ფერწერული ხერხი, რემბრანდტისეული ხატ-ვის მანერა) ქმნიდა, რომელსაც მხოლოდ მოხუცი ჯოლიონის მხედრული ულვაში არღვევდა. ძველი საათი, რომელიც ჯერ კი-დევ ქორწინებამდე შეიძინა და აგერ ორმოცდაათი წელია განუყ-რელად იყო მასთან, განუწყვეტლივ ტიკტიკებდა და საეჭვოდ ით-ვლიდა იმ წუთებს, რომლებიც პატრონს ხელიდან უსხლტებოდა და აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

მოხუც ჯოლიონს არ უყვარდა ის ოთახი, არც ზრუნავდა მას-ზე და წლიდან წლამდე მხოლოდ მაშინ შეიხედავდა შიგ, როცა იაპონური ყუთიდან სიგარის ამოღება მოესურვებოდა, და ახლა ოთახიც შურს იძიებდა პატრონზე.

ჩავარდნილი საფეთქლები, ყვრიმალის ძვლები და ნიკაპი ძილში ისე მკაფიოდ მოჩანდა, რომ შეუცდომლად იტყოდით - მა-თი პატრონი მოხუციაო.

მოხუცმა ჯოლიონმა გაიღვიძა. ჯუნი წავიდა! ჯეიმსმა უთ-ხრა, მარტო დარჩები და რა გაგაძლებინებსო. საცოდავი ჯეიმსი ყოველთვის სულელი იყო. კმაყოფილებით გაიხსენა, რომ თით-ქმის ნაყიდი სახლი ჯეიმსს ხელიდან გამოსტაცა. აბა, რა ეგონა, ფეხი რომ აღარ მოიცვალა და სიძუნწით ერთი პენის მომატებაც აღარ ისურვა. მარტო ფულზე ფიქრობს ყმაწვილი. იქნებ თვითონ მართლა სახლის ღირებულებაზე მეტი გადაიხადა. მერე შეკეთე-

ბაც რომ უნდა! "ვფიქრობ, ჯუნის საქმეების მოგვარებამდე მთელი ფული დამჭირდება და არ უნდა დავხარჯო. არ უნდა დავთანხმებულიყავი ნიშნობაზე. იმ ბოსინის, ბეინზის სახლში რომ გადაეყარა (ბეინზი და ბაილდბოი არქიტექტორები არიან). ბეინზი ალბათ ის არის, მე რომ ვიცნობ, დედაბერს რომ ჩამოჰგავს და იმ ყმაწვილს ბიძად რომ ერგება. გაცნობის მერე ხომ ჯუნი სულ უკან დასდევდა; თუ აიჩემა რამე, მორჩა, ვეღარ გადაათქმევინებ. ან კი სად გამონახავს ხოლმე ამ ჯიბეგაფხეკილ მარცხიან ხალხს და აეკიდება. მაგ ყმაწვილს გროში არ გააჩნია და ჯუნმა მაინცდამაინც რაღა მაგაზე აიხირა დანიშვნა. უგუნური, წინდაუხედავი, არაპრაქტიკული ახალგაზრდაა და ვინ იცის, ცხოვრებაში კიდევ რამდენ სიძნელეს გადაეყრება".

ერთ დღეს ჯუნმა, როგორც სჩვეოდა, ნაჩქარევად, თვითონვე უამბო პაპას ყოველივე და, თითქოს დიდად ანუგეშაო, ისიც დაუმატა:

- რა მშვენიერი ვაჟია; ხშირად მთელი კვირა მხოლოდ კაკაოთი გააქვს თავი.

- და შენც მარტო კაკაოთი უნდა გაცხოვროს?

- ოჰ, არა! მალე დადგება ფეხზე.

მოხუცი ჯოლიონის ჭაღარა ულვაშის ბოლოები ყავას შეეღება. მან პირიდან სიგარა გამოიღო და ჯუნს შეხედა. ამ პატარა არსებას პაპის გული დიდი ხანია მოენადირებინა. მოხუცმა შვილიშვილზე უკეთ იცოდა, რა ხილიც იყო "ფეხზე დადგომა", მაგრამ ჯუნი ხელებით მუხლებზე შემოეხვია, ზედ ნიკაპს უცაცუნებდა და თან კატასავით კრუტუნებდა. მოხუცმა ჯოლიონმა სიგარა

დაბერტყა, რომ ფერფლი მოეშორებინა, და სასოწარკვეთილი კაცის აღელვებული, განწირული ხმით დასჭექა:

- თქვენ ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ: მხოლოდ მაშინ დამშვიდდებით, როცა სურვილს შეგისრულებთ. თუ ჭირსა და უბედურებას გინდა შეეყარო, კისერიც გიტეხია, მე კი ხელი დამიბანია.

და მოხუცმა ჯოლიონმა მართლაც დაიბანა ხელები. მისი პირობა ასეთი გახლდათ: დანიშნულებს მხოლოდ მაშინ ეძლეოდათ ქორწინების უფლება, როცა ბოსინის წლიური შემოსავალი წელიწადში ოთხი ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწევდა.

- მე არ შემიძლია დიდი თანხის მოცემა, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა. პაპის ეს ფორმულა ახალი არ იყო ჯუნისთვის, - იქნებ მაგ ბოსინია თუ ვიღაც ჯანდაბა, ეყოს კიდეც კაკაოსთვის ჩემგან მიცემული თანხა.

რაც ეს ამბავი დაიწყო, მოხუც ჯოლიონს კარგად არც კი უნახავს შვილიშვილი. ცუდი საქმე მოხდა! მას ფიქრადაც არ უნდოდა გაევლო, ჯუნს დიდი თანხა უნდა მივცეო. იმ ფულს ხომ ვიღაც უსაქმური ყმაწვილი მოიხმარდა, რომლის პირად ცხოვრებაზე მოხუც ჯოლიონს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ასეთი რამ ერთხელ უკვე ნახა და გამოცადა ჯოლიონმა. ასეთი დახმარებისგან სასიკეთო მაშინაც არა გამოსულა რა. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ გრძნობდა, ჯუნს გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა, ბავშვობიდანვე კერპი და თავნება იყო. ვერც იმას ხვდებოდა, რით უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი. საბანი ისე უნდა დაეხურათ, როგორც გასწვდებოდათ. ჯოლიონი მანამდე უნდა გადაღობებოდა მათ ქორწინებას, ვიდრე არ დაინახავდა, ბოსინის სა-

კუთარი შემოსავალი გაუჩნდაო. ჯუნი რომ იმ ყმაწვილთან დაიტანჯებოდა, ეს დღესავით ნათელი იყო. ალბათ რქიანმა პირუტყვმა უფრო იცის, რა არის ფული, ვიდრე ბოსინიმ. რაც შეეხება იმ ყმაწვილის დეიდების სანახავად ჯუნის უელსში გამგზავრებას, მოხუცი ჯოლიონის ღრმა რწმენით, ის ქალები ბებერ კატებს მიაგავდნენ.

მოხუცი ჯოლიონი გახევებული იჯდა და კედელს მიშტერებოდა: ღიად დარჩენილი თვალები რომ არა, მძინარე გეგონებოდათ...

იმის გახსენებას, რაც ჯეიმსმა უთხრა - იმ სახლზე სომსის აზრი მოგესმინაო, მოთმინებიდან გამოჰყავდა. ის კატის კნუტი სომსი ყოველთვის ცხვირაწეული კუდაბზიკა იყო! მალე მესაკუთრე გახდება და საპატიო ადგილსაც დაიჩემებს ამქვეყნად! მესაკუთრე! თანაც მამასავით რომ მუდამ იმის ცდაშია, სადმე სახეირო და გამოსარჩენი ადგილი დაყნოსოს და შიგ ცხვირი შეჩაროს, ეგ ცინდლიანი ცივსისხლა მათხოვარი!

ჯოლიონი წამოდგა, ოთახში გაიარა, კოლოფი აიღო და ახალმიღებულ სიგარების ჩალაგებას შეუდგა. ახლანდელი სიგარები ძვირი არა ღირდა, მაგრამ სადღა იშოვიდით კარგ სიგარებს. აბა, რა შეედრებოდა ბრიჯერისა და ჰანსონის უმაღლესი ხარისხის იმ ძველ სიგარებს. აი, სიგარები ის იყო!

ამ ფიქრმა შეჩვეულ სურნელებასავით მოაგონა რაღაც შორეული, რიჩმონდში(რიჩმონდი - ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გარეუბანია, მაღლობზე გაშენებული პარკი. გადაჰყურებს მდინარე თემზას.) გადატყორცნა და იქ გატარებული მშვენიერი ღამეები გაახსენა. სადილის შემდეგ ნიკო-

ლას ტრეფრის, ტრექუერს, ჯეკ ჰერინგსა და ანტონი თორნუორ-თისთან ერთად "კრაუნისა და სკიპტრის" ტერასზე იჯდა ხოლმე და სიგარას აბოლებდა. ოჰ! რა მშვენიერი სიგარები იყო მაშინ. საწყალი ნიკი! - აღარ არის, ჯეკ ჰერინგიც მიიცვალა, მეუღლის გადამკიდე ტრექუერმაც მიაბარა სული უფალს, თორნუორთი კი ზეზეულად ჩამოხმა (თუმცა რა გასაკვირია, კრიჭა აქვს შეკრუ-ლი).

მაშინდელი მეგობრებისგან მხოლოდ თვითონ მოხუცი ჯო-ლიონიღა დარჩა, თუ სუითინს არ ჩავთვლით, რომელიც ისე უსაშველოდ გასუქდა და მაინც ვერაფერი მოუხერხა თავს.

ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს ყოველივე ასე დიდი ხნის წინ იყო; მოხუცი ჯოლიონი თავს ჯერ კიდევ ახალგაზრდად გრძნობ-და და ახლა, რაც იქ იდგა და სიგარებს ითვლიდა, სწორედ ამაზე ფიქრი იყო მისთვის ყველაზე მწარე და მტანჯველი. სიმარტოვი-სა და ღრმა ჭაღარის მიუხედავად, გული ჯერ კიდევ ახალგაზ-რდულად უძგერდა. ახლა ჰემპსტედ ჰიითში(ჰემპსტედ ჰიითი - ლონდონის ჩრდილოეთ გარეუბანში არსებული პარკი.) გატარე-ბული კვირადღეები გაახსენდა, როცა ის და ახალგაზრდა ჯო-ლიონი სპეინიარდ როუდის გზას გაუყვებოდნენ ხოლმე - ჰაიგე-იტსა და ჩაილდსჰილამდე და მერე ისევ უკან, ბიითისკენ იზამ-დნენ პირს. ახლა ჯეკ სტროუს ციხე-კოშკში სადილობა მოაგონ-და.

- ოჰ, რა მშვენიერი, სურნელოვანი სიგარები იცოდნენ მაშინ! მერე როგორი ამინდები იყო ხოლმე! სადღაა ახლა ისეთი ამინდი!

როცა ჯუნი ხუთი წლის გახდა, იმ დალოცვილ ქალებს - ჯუ-ნის დედასა და ბებიას, თვეში ორჯერ მაინც შეუვლიდა ხოლმე და

ბავშვი სასეირნოდ მიჰყავდა ზოოპარკში, ქოლგის ბოლოზე ფუნთუშას წამოაცვამდა და ჯუნის საყვარელ დათვებს ისე კვებავდა. ოჰ! რა ტკბილი იყო მაშინ ის სიგარები!

სიგარები! მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს დახვეწილი გემოვნება. ორმოცდაათიან წლებში, როცა ლაპარაკი გემოვნებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ლონდონელი მამაკაცები ფიცით ადასტურებდნენ: "ყველაზე დახვეწილი გემოვნება მთელ ლონდონში ფორსაიტს აქვსო". ამ გემოვნებამ გვარიანად გაზარდა ცნობილი ჩაის ფირმის "ფორსაიტი და ტრეფრის" შემოსავალი. ამ ფირმის ჩაი რომანტიკული არომატითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მომაჯადოებელი სურნელით სრულიად განსხვავდებოდა სხვა ფირმების ჩაისგან. სიტიში "ფორსაიტი და ტრეფრის" ფირმას იდუმალებისა და გამბედაობის შარავანდედი ედგა. ეს ფირმა განსაკუთრებულად ვაჭრობდა, განსაკუთრებული გემებით, განსაკუთრებულ ნავსადგურებში, განსაკუთრებულ აღმოსავლელ ვაჭრებთან და განსაკუთრებულ სავაჭრო გარიგებებს აწარმოებდა.

იმ საქმეში მოხუცმა ჯოლიონმა ბევრი იმუშავა! მამაკაცებს მაშინ შეეძლოთ მუშაობა! ახლანდელმა ლეკვებმა არც კი იციან, რას ნიშნავს სიტყვა მუშაობა. ის ყოველ წვრილმანს თვითონვე ჩაჰკირკიტებდა. ყველაფერი იცოდა, რაც ფირმაში ხდებოდა. ხანდახან საქმეში მთელი ღამეები უთენებია. აგენტებს თვითონვე არჩევდა და ამით ამაყობდა. გამოცდილი თვალი ჰქონდა, ადამიანების შერჩევაში არ ცდებოდა. ადამიანთა სწორი შერჩევა წარმატების საწინდარიაო, უყვარდა თქმა და კაცის გამორჩევის ძალაც შესწევდა. ეს საქმე იყო მუშაობის ის ნაწილი, რომელიც

ჯოლიონს მართლაც მოსწონდა: ისეთი დიდი შესაძლებლობების ადამიანისთვის, როგორიც ჯოლიონი იყო, ეს ძალიან პატარა კარიერა გახლდათ. მას მერეც კი, რაც ფირმას "ლიმიტედ ლაიბილიტი კომპანი" უწოდეს და მისი საქმეც უკან-უკან წავიდა (თუმცა მოხუცმა ჯოლიონმა თავისი წილი დიდი ხანია გამოიტანა ფირმიდან), ჯოლიონს გული სტკიოდა ამაზე და ძველი დრო ახსენდებოდა. მალე გაცილებით უკეთ შეეძლო ცხოვრების მოწყობა! შეიძლება ბრწყინვალე ვექილიც დამდგარიყო! ზოგჯერ ისიც სურდა, თავისი კანდიდატურა პარლამენტში წამოეყენებინა. ნიკოლას ტრეფრი ხშირად იტყოდა ხოლმე, - შენ ყველაფერს მიაღწევ, ჯო, საკუთარ თავს რომ ასე ძალიან არ უფრთხილდებოდე! ძვირფასი მოხუცი ნიკი! რა კარგი ახალგაზრდა, მაგრამ რა მოუსვენარი და თავქარიანი იყო! ცნობილი ტრეფრი! თავს არასოდეს უფრთხილდებოდა. ამიტომაც მოკვდა. მოხუცმა ჯოლიონმა მტკიცე ხელით გადათვალა სიგარები. "იქნებ მართლაც ძალიან ვუფრთხილდებოდი თავს", - გაუელვა გონებაში.

სიგარების კოლოფი გულის ჯიბეში ჩაიდო, ღილები შეიბნია და დინჯად აუყვა კიბეს საწოლი ოთახისკენ, თან მოაჯირს ეყრდნობოდა. ვეებერთელა სახლში ცხოვრობდა. ჯუნი რომ გათხოვდება, თუ მართლა გაჰყვება იმ ყმაწვილს, თუმცა შესაძლოა არც გაჰყვეს, სახლს გააქირავებს და თვითონ ოთახს იშოვის. რა ჯანდაბად უნდა ექვს-ექვსი მსახური, რომლებიც უსაქმურობისგან მთქნარებაში ატარებენ დროს?

ჯოლიონმა ზარი დარეკა. მის ხმაზე ოთახში წვეროსანი, მუნჯივით უტყვი უფროსი მსახური შემოვიდა და წყნარი ნაბიჯით

მიუახლოვდა. მოხუცმა ჯოლიონმა უბრძანა: საგარეო ტანსაცმელი მომიმზადე, კლუბში სასადილოდ მივდივარო.

- მის ჯუნი რომ სადგურში წაიყვანა, ეტლი რა დროს დაბრუნდა? ორ საათამდე იქ იყო? მაშინ უთხარი, შვიდის ნახევარზე მზად იყოს.

კლუბი, რომელშიც მოხუცმა ჯოლიონმა სწორედ შვიდ საათზე შედგა ფეხი, მსხვილი ბურჟუაზიის ისეთი პოლიტიკური დაწესებულება გახლდათ, ერთი ნეტარი დრო რომ უკვე გამოვლილი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბზე დაჟინებით ამბობდნენ - სულს ღაფავს და მალე დაიშლებაო, იგი, ალბათ სწორედ ამ მოლაყბეთა ჯიბრზე, დიდ სიცოცხლისუნარიანობას იჩენდა და იმედს უცრუებდა არაკეთილმოსურნეთ. ბოლოს და ბოლოს, მოლაყბენი "დაიშლება, დაიშლებას" ძახილით მოიღალნენ და მიწყნარდნენ. მოხუცი ჯოლიონიც იტყოდა ხოლმე, ნამდვილ კლუბმენთა გასაღიზიანებლად, დაიშლებაო, მაგრამ თვითონ მაინცდამაინც თავს არ მოიკლავდა თუ მართლაც დაიშლებოდა კლუბი.

- როდემდე უნდა იყო მაგ კლუბის წევრად? - ხშირად ჰკითხავდა ხოლმე ღრმად აღელვებული სუითინი, - რატომ "პოლიგლოტში" არ გადმოდიხარ? ოც შილინგად, ერთ ბოთლ ისეთ შამპანურს, როგორიც ჩვენი ჰაიდსიიკია, მთელ ლონდონში ვერ დალევ, - მერე ხმას დაუწევდა და დაუმატებდა, - მხოლოდ სამოცი ათასი ბოთლიღა დარჩა, მე კი ყოველ საღამოს ვსვამ.

მოვიფიქრებ, ავწონ-დავწონიო, - ეტყოდა მოხუცი ჯოლიონი; მაგრამ როცა ფიქრს დაიწყებდა, ახსენდებოდა კლუბის წევრად შესვლისას გაღებული ორმოცდაათი გინეა და ის ოთხი-ხუთი წე-

ლი დახარჯული დრო, კლუბში შესვლას რომ მოანდომა, და ისევ განაგრძობდა მოფიქრებასა და აწონ-დაწონას.

იგი ღრმა მოხუცი იყო და ახლა ლიბერალობას ვეღარ დაიწყებდა. დიდი ხანია თავისი კლუბის წევრთა პოლიტიკურ დოქტრინებს აღარც იზიარებდა, ისიც ცნობილი გახდა, რომ ამ დოქტრინებს "გლახაკთა მონაჩმახს" უწოდებდა. მაგრამ რატომღაც სიამოვნებდა, რომ სწორედ იმ კლუბის წევრი იყო, რომლის პრინციპებიც ასე ეწინააღმდეგებოდნენ მის პირად მრწამსსა და კრედოს. მოხუც ჯოლიონს მუდამ სძულდა ეს კლუბი, მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა იქ შესვლა, როცა მრავალი წლის წინ კლუბ "რაგინდარაში" მისი "ვაჭრობა" მოიმიზეზეს და წევრად აღარ მიიღეს, თითქოს რომელიმე კლუბმენზე ნაკლები ყოფილიყო! ბუნებრივია, რომ მოხუც ჯოლიონს სძულდა ის კლუბი, რომელმაც თავისიანად მიიჩნია. მისი წევრები არ ეკუთვნოდნენ "ძლიერთა ამა ქვეყნისა". იქ იყვნენ სიტის მაკლერები, სასამართლოს მოხელეები, აუქციონერები და, ერთი სიტყვით, ვისაც ისურვებდით! როგორც უმრავლესობა ძლიერი, მაგრამ არათვითმყოფი ხასიათის მამაკაცებისა, მოხუცი ჯოლიონიც არ იყო დიდი აზრისა იმ კლასზე, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. იგი ერთგულად ასრულებდა ამ კლასის სოციალურ კანონებსა და სხვა წესჩვეულებებს, მაგრამ გულში კი ფიქრობდა, უბრალო ბრბოს წარმოადგენენ და სხვას არაფერსო.

საკითხის ფილოსოფიურმა განსჯამ, რაც მას აგრერიგად უყვარდა, და ყოვლის მკურნალმა დრომ, მართალია, თავისი გაიტანეს და "რაგინდარას" არჩევნებში დამარცხების სიმწარე გაუნელეს, მაგრამ სულ ვერ დაავიწყეს. ეს კლუბი მის წარმოსახვაში ახ-

ლაც კლუბთა დედოფალი იყო. იგი უკვე რა ხნის მიღებული იქნებოდა იმ კლუბში, მაგრამ მისმა რეკომენდატორმა ჯეკ ჰერინგმა ისე ბინძურად წაიყვანა საქმე, რომ კლუბის წევრად მიღებაზე უარის თქმისას, მოხუცი ჯოლიონის მოწინააღმდეგეებმა თვითონაც არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. მერედა რატომ, რისი გულისთვის?! მისი შვილი ჯო ხომ უცებ მიიღეს. მოხუცი ჯოლიონის ღრმა რწმენით, ბიჭი ისევ კლუბის წევრი უნდა ყოფილიყო. მან ხომ რვა წლის წინ იქიდან მიიღო ჯოს წერილი.

თვეები ისე გავიდა, თავის კლუბში ფეხიც არ შეუდგამს. ამასობაში კი უკვე მოესწროთ კლუბის შეთითხნა ფერად-ფერადი საღებავებით, ისე როგორც გასაყიდად გამიზნულ ძველისძველ სახლებსა და ძირგამომპალ, დაფაცხავებულ გემებს ააჭრელებენ ხოლმე.

"თამბაქოს მოსაწევი ოთახი საძაგლად შეუღებავთ, სასადილო კი გვარიანად გამოიყურება", - გაიფიქრა მან.

მუქი შოკოლადისფერი სასადილო ღია მწვანე საღებავს კიდევ უფრო დაებინდა და ეს მოეწონა.

მოხუცმა ჯოლიონმა მიმტანს სადილი მომართვითო, უბრძანა და სწორედ იმ კუთხეში, იმ მაგიდასთან დაჯდა (კლუბ "დისუნიონში", მართალია, თითქმის რადიკალური პრინციპები მეფობდა, მაგრამ ეტყობოდა ცვლილებები მაინცდამაინც არ მომხდარიყო), სადაც ამ ოცდახუთი წლის წინ თვითონ და ახალგაზრდა ჯოლიონი ისხდნენ ხოლმე "დრური ლეინში“("დრური ლეინი" - ლონდონის დრამატული თეატრი, დაარსებულია XVII საუკუნეში და ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში.) წასვლის წინ. მო-

ხუც ჯოლიონს ხშირად დაჰყავდა ბავშვი არდადეგების დროს ამ თეატრში.

ბიჭსაც ძალიან უყვარდა სანახაობა. მოხუცმა ჯოლიონმა გაიხსენა, როგორი ამაო სიფრთხილით ცდილობდა ხოლმე მის პირდაპირ ჩამომჯდარი ჯო, დაუდევრად და გულგრილად მოეჩვენებინა თავი და აღელვება დაემალა.

მოხუცმა ჯოლიონმა მიმტანს სწორედ იმ სადილის მორთმევა უბრძანა, რაც ბიჭს უყვარდა - წვნიანი, ცქიმურა თევზები, კატლეტი და ტკბილი ღვეზელი.

თორმეტი წელია, ერთმანეთი არ უნახავთ. ამ ხნის განმავლობაში მოხუცი ჯოლიონი პირველად როდი ფიქრობდა, ცოტათი ჩემი ბრალიც უნდა იყოს, შვილს რომ საქმეები ასე აეწეწაო. ანტონ თორნუორთის ქალიშვილის, დანეი თორნუორთის, ახლა რომ დარნეი პელიუ ბრძანდება, უიღბლო სიყვარულმა ჯუნის დედის კლანჭებში ჩააგდო ჯო. მოხუცი იქნებ მოვალეც იყო, წინ აღსდგომოდა ამ ქორწინებას, ისინი ხომ მთლად ახალგაზრდები იყვნენ. მაგრამ გულმოკლულ შვილს რომ შეჰყურებდა, მოხუც ჯოლიონს სურდა მალე ეხილა იგი ცოლიანი. ქორწინებას ოთხ წელიწადში განხეთქილებაც მოჰყვა, მაგრამ გაყრისას რომ ჯოს საქციელი გაემართლებინა, ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. ყოვლად ძლიერი ფაქტორები - გონება და აღზრდა, რომელთაც მოხუც ჯოლიონში პრინციპების ადგილი ეკავათ, თითქოს ეუბნებოდნენ, ეს შეუძლებელიაო, მაგრამ ამბოხებული გული სულ სხვა რამეს უთქვამდა. დაუნდობელმა და შეუბრალებელმა ადათწესებმა ადამიანთა გულები არ დაინდო და არ შეიწყალა. გაყრის შემდეგ დარჩა პატარა, წითელთმიანი ჯუნი, რომელიც სულ მის

გარშემო დაცუნცულებდა, ზედ აცოცდებოდა და სულსა და გულში უძვრებოდა, იმ გულში, რომელიც იმისთვის იყო შექმნილი, რომ პაწაწინა და უმწეო არსების სათამაშო, საყვარელ ნავსაყუდლად ქცეულიყო. მოხუცმა ჯოლიონმა ჩვეული შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა, რომ ორიდან ერთი უნდა ერჩია: ან შვილი, ან შვილიშვილი. სწორედ ამაში იყო ტრაგედია და პაწაწინა, უმწეო არსებამ გაიმარჯვა. მოხუც ჯოლიონს არ შეეძლო ერთდროულად ორ კურდღელს დასდევნებოდა და საკუთარ შვილთან განშორება ამჯობინა.

ეს განშორება აქამდე გრძელდებოდა.

მოხუცმა ჯოლიონმა შვილს, დახმარების სახით, ცოტაოდენი თანხა შესთავაზა, მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონმა დახმარების მიღებაზე ცივი უარი შემოუთვალა. ყველაფერზე მეტად ამ უარმა ჩასწყვიტა გული მოხუც ჯოლიონს. გაწყდა მამა-შვილის დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი. ეს იყო განხეთქილების ისეთივე აშკარა, ნათელი და მყარი საბუთი, როგორიცაა ქონების გადაცემის ხელშეკრულების დადება ან გაუქმება.

სადილი უგემური ეჩვენა. შამპანურს სიტკბოს მაგიერ სიმწარე დაჰკრავდა და სულაც არ ჰგავდა "კლიკოს ქვრივის"("კლიკოს ქვრივი" - შამპანურის მარკა.) ღვინოებს, მოხუც ჯოლიონს რომ ძველად უგემია.

ყავის სმის დროს გონებაში გაუელვა ოპერაში წასულიყო. "ტაიმსი" გადაათვალიერა, რადგან სხვა გაზეთებს აგდებულად უცქეროდა და არ ენდობოდა. განცხადებებში ამოიკითხა, რომ იმ საღამოს ოპერაში "ფიდელიოს"("ფიდელიო" - ბეთჰოვენის ოპერა.) უჩვენებდნენ.

კიდევ კარგი, რომ იმ ცხვირმოუხოცავი გერმანელი ყმაწვილის, ვიღაც ვაგნერის(ვაგნერი, რიჰარდ (1813-1883 წწ.) - გერმანელი კომპოზიტორი.) პანტომიმას არ დგამენ.

მოხუცმა ჯოლიონმა ძველი საოპერო ქუდი დაიხურა. ამ ქუდს უზარმაზარი ცა ჰქონდა, დიდხანს ხმარებით ფარფლები გასწორებოდა, მაგრამ მაინც გარდასული დიდების დღეთა ემბლემასავით მოჩანდა. მერე პალტოს გარეთა ჯიბიდან ამოიღო მუდამ სათუთუნესთან ერთად შენახული ძველისძველი თხელი ხელთათმანი, რომელსაც რუსული ტყავის მჭახე სუნი ასდიოდა, და კებში(კები (ინგლ.) - ერთცხენიანი გასაქირავებელი ეტლი) ჩაჯდა.

კები მხიარულად მიხრიგინობდა. მოხუცი ჯოლიონი გაოცებული იყო ქუჩის უჩვეულო გამოცოცხლებით.

"ალბათ, სასტუმროები დიდ საქმეებს აჭახრაკებენ და უზარმაზარ თანხებს ატრიალებენ", - გაიფიქრა მან. რამდენიმე წლის წინ აქ ერთი დიდი სასტუმროც არ იდგა. ამ მიდამოებში მას საკუთარი მიწები ჰქონდა და ახლა კმაყოფილებით ფიქრობდა, რომ მათი გაყიდვით დიდ მოგებას ნახავდა. რაც დრო გადიოდა, ამ მიწების ფასი ხომ მოიმატებდა! ოჰ, როგორი მოძრაობაა!

ამის შემდეგ იყო, რომ თავში ისეთი აზრები დაებადა, რაც სულაც არ ახასიათებდათ ფორსაიტებს. სწორედ ამით გამოირჩეოდა ჯოლიონი მათგან და ამის შედეგი იყო, რომ მათზე მაღლა იდგა. ო, როგორი პაწაწუნები არიან ადამიანები და მერე რა ბევრნი! ნეტავ რა მოგველის?

კებიდან რომ ჩამოვიდა, წაიბორძიკა, მეეტლეს სწორედ იმდენი გადაუხადა, რამდენიც ერგებოდა, მერე საბილეთო სალაროს-

თან მივიდა და საფულე ამოიღო. მოხუცი ჯოლიონი ყოველთვის თან ათრევდა საფულეს. იგი აგდებულად შეჰყურებდა ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც ფულს პირდაპირ ჯიბეებში იყრიდნენ. ბილეთების გამყიდველმა ბუნაგში შეგდებული ნაგაზივით გამოყო თავი სალაროდან.

- როგორ, - წარმოთქვა განცვიფრებულმა, - ნუთუ ჯოლიონ ფორსაიტს ვხედავ! სწორედ ასეა! რამდენი წელია არა ჩანდით, სერ! თუმცა ახლა სულ სხვა დროა. მახსოვს თქვენ, თქვენი ძმა, აქციონერი მისტერ ტრექუერი და მისტერ ნიკოლას ტრეფრი ყოველ სეზონზე ექვს-შვიდ სავარძელს რომ დაგვიკვეთდით ხოლმე. როგორ ბრძანდებით, სერ? ეჰ, თანდათან გვეპარება სიბერე!

მოხუცს მუქმონაცრისფრო თვალებში სისველე შეეპარა. მოლარეს გინეა გადაუხადა. მაშ, ჯერ კიდევ ხსომებიათ მოხუცი ჯოლიონი. და უვერტიურის ჰანგების ხმაზე ისე შეაბიჯა დარბაზში, როგორც გამობრძმედილმა ძველმა ბედაურმა ცხარე ბრძოლაში.

ქუდი მოიხადა, სავარძელში ჩაეშვა, ძველებურად ჯიბიდან ხელთათმანი ამოიღო და მერე ბინოკლი მოიმარჯვა, რომ ირგვლივ ყველაფერი უფრო კარგად დაეთვალიერებინა. ერთ წამში ბინოკლი ქუდში ჩააგდო და თვალები ფარდას მიაშტერა. წინათ არასოდეს ასე მწვავედ არ უგრძნია, რომ მისთვის ყველაფერი გათავდა. სად? სად გაქრნენ ქალები, ლამაზი ქალები, ზოგჯერ რომ ტევა აღარ იყო თეატრში მათ გამო? სად გაქრა ის ადრინდელი მოუთმენლობა, რითაც დიდი მომღერლის სცენაზე გამოსვლას ელოდა ხოლმე? სად დაიკარგა ცხოვრების ყველა სიკეთით ტკბობის ის ძველი განცდა? სად გაუჩინარდა მისი საკუთარი ძა-

ლა, რომ ძველებურად დასწაფებოდა ცხოვრების დამათრობელ ნექტარს?

ოპერის ნამდვილი ჭია იყო! ახლა ხომ ოპერა აღარაა! იმ ცხვირმოუხოცავმა ყმაწვილმა ვაგნერმა ყველაფერი დაღუპა; აღარც მელოდიაა, აღარც ხმები. ოჰ, რა მომღერლები იყვნენ! ყველაფერი გათავდა! იჯდა, ნაცნობ სცენებს შეჰყურებდა და გული ეწურებოდა.

ყურამდე ჩამოზრდილი ვერცხლისფერი ხვეული თმიდან დაწყებული ფეხის ფრჩხილებით დამთავრებული, მოხუც ჯოლიონში სისუსტესა და სიტლანქეს ვერ აღმოაჩენდით. მას ისევე სწორად ეჭირა სხეული - თითქმის ისევე, როგორც ძველად, როცა ყოველღამ ოპერაში დადიოდა. მხედველობაც ისეთივე გამჭრიახი - თითქმის ისეთივე გამჭრიახი შერჩა. მაგრამ ეს რა გულარძნილობისა და დაღლილობის გრძნობა დაეუფლა.

მისი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ სიცოცხლეში ყოველივეთი ესიამოვნა, იმითაც კი, რაც სანახევრო სიტკბოებას მიანიჭებდა - მერე რამდენი რამ იყო სანახევრო ცხოვრებაში და მოხუცი ჯოლიონი, როგორც თავშეკავებულ ადამიანს შეშვენის, სიამოვნებაში ზომიერებას იცავდა, რომ ახალგაზრდობა შეენარჩუნებინა. ახლა კი ძალამ უღალატა და ვერც სიამოვნების მიღებას და ვერც საგნების ფილოსოფიურ ჭვრეტას ვეღარ ახერხებდა. ისეთი საშინელი გრძნობა დაეუფლა, რომ მისთვის ყოველივე დამთავრებული ეჩვენა. "ტყვეთა ქოროსა“("ტყვეთა ქორო" - ტყვეთა სიმღერა ოპერიდან "ფიდელიო".) და ფლორიანას სიმღერასაც(ფლორიანას სიმღერა - ფლორესტანის (ოპერა "ფიდელი-

ოს" მთავარი გმირის) არია.) აღარ შეეძლოთ მოხუცი ჯოლიონის მოსაწყენი შეგრძნების განქარვება.

ეჰ, ჯო რომ მასთან ყოფილიყო! ბიჭი ახლა ორმოცი წლისა იქნებოდა. შვილის ცხოვრების თოთხმეტი წელი დაკარგული იყო მისთვის. ახლა კი ჯო განწირული ბოგანო აღარაა. იგი დაქორწინდა კიდეც. მოხუცმა ჯოლიონმა გულში მოუწონა ეს საქციელი შვილს და ისე იყო აღტაცებული, რომ თავი ველარ შეიკავა და შვილს ხუთასი გირვანქის ჩეკი გაუგზავნა. უკან დაბრუნებული ჩეკი და წერილი მოხუც ჯოლიონს ერთად მოუტანეს კლუბ "რაგინდარადან". ჯო სწერდა:

"ძვირფასო მამა,

თქვენმა გულუხვმა საჩუქარმა ძალზე მასიამოვნა. ეტყობა, არც ისე ცუდი შეხედულებისა ხართ ჩემზე. უკან გიბრუნებთ ამ საჩუქარს, მაგრამ თუ ისურვებთ და მას მიუძღვნით ჩემს ჩვილ ყრმას, რომელსაც ჯოლის ვეძახით და ჩვენს გვარს ატარებს, მოხარული დავრჩები.

გულითა და სულით მჯერა, რომ თავს უწინდებურად ჯანმრთელად გრძნობთ.

თქვენი მოსიყვარულე შვილი ჯო".

წერილი ნამდვილად ამჟღავნებდა ბიჭის ხასიათს. ის ხომ ყოველთვის თავაზიანი იყო. მოხუცმა ჯოლიონმა არ დააყოვნა პასუხი:

"ძვირფასო ჯო,

ხუთასი გირვანქა სტერლინგი, შენი შვილის, ჯოლიონ ფორსაიტის სახელზე შევიტანე ჩემს წიგნებში. ამ თანხას ყოველ-

წლიურად ხუთი პროცენტი დაერიცხება. იმედი მაქვს, შენი საქმეები კარგად მიგყავს. ჯანმრთელობას არ ვუჩივი.

სიყვარულით, მარად შენი მოსიყვარულე მამა

ჯოლიონ ფორსაიტი".

მოხუცი ჯოლიონი ყოველი წლის პირველ იანვარს ამ თანხას პროცენტების გარდა ას გირვანქასაც უმატებდა. თანხა იზრდებოდა და შემდგომი წლის პირველი იანვრისთვის ათას ხუთასი გირვანქისთვის უნდა გადაეჭარბებინა. ძნელია იმის თქმა, რამდენ სიამოვნებას ანიჭებდა მოხუც ჯოლიონს ეს ოპერაცია, მაგრამ შვილთან მიმოწერა კი შეწყდა.

მიუხედავად იმ სიყვარულისა, რომლითაც შვილი უყვარდა, მიუხედავად იმ სანახევროდ თანდაყოლილი და სანახევროდაც შეძენილი ინსტინქტისა, მასაც, ისევე როგორც მისი კლასის სხვა ათასობით წარმომადგენელს, მუდმივი ბიზნესმენობა და საქმოსნობა ჩასძახოდა, რომ ცხოვრებაში ადამიანთა საქციელი უნდა განესაჯა არა მათი პრინციპული შეხედულების, არამედ მათი მოქმედების შედეგების მიხედვით. სწორედ ამის გამო, ჯოს სახლიდან წასვლისას გულის სიღრმეში უხერხულობას გრძნობდა და შეშფოთებული იყო. ისეთი განცდა დაეუფლა, რომ მისი შვილი უნდა დაღუპულიყო. ეს კანონი ედო საფუძვლად ყოველ რომანს, ქადაგებასა და პიესას, რომლებიც მას წაეკითხა, მოესმინა და ენახა.

როცა უკან დაბრუნებული ჩეკი მიიღო, მოეჩვენა, რომ ცხოვრებაში რაღაც ყალბი აზრი გაჩნდა. რატომ არ დაიღუპა მისი შვილი? მაგრამ პასუხს ვინ ეტყოდა?

მოხუცმა ჯოლიონმა ყური მოჰკრა, თუმცა, მართალი რომ ითქვას, თვითონვე მოისურვა და გაიგო, რომ ჯო სენტ ჯონსვუდში ცხოვრობდა. ჯოს ბაღში ჩადგმული პატარა სახლი ჰქონდა, რომელიც უისტერია ავენიუს გადაჰყურებდა. ჯოსა და მის მეუღლეს ნაცნობების საკუთარი წრეც ჰყოლიათ. ეჭვი არ იყო, ეს საკმაოდ უცნაური და საეჭვო ნაცნობების წრე იქნებოდა. მოხუცმა ჯოლიონმა ისიც შეიტყო, რომ ჯოსა და მის მეუღლეს ორი შვილი ჰყავდათ. პატარა ბიჭი ჯოლი(ჯოლი - ინგლისურად მხიარულს ნიშნავს.) (როცა ყოველივეს აწონ-დაწონიდა ხოლმე, მოხუც ჯოლიონს ეს სახელი როგორღაც ცინიკურად ეჩვენებოდა. ცინიზმს იგი უფრთხოდა და მთელი არსებით სძულდა კიდეც) და გოგონა ჰოლი, რომელიც ქორწინების შემდეგ შესძენოდათ. ვის შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, რა პირობებში ცხოვრობდა მისი ვაჟიშვილი. დედის მხრიდან დანატოვარი მთელი მემკვიდრეობა ჯოს ფულად ექცია და ლოიდის სადაზღვევო კომპანიაში აგენტად მოწყობილიყო. შემთხვევით ისიც გაიგო, რომ ჯომ აკვარელით ხატვას მიჰყო ხელი. ერთხელ ვიღაც ჩარჩის დარაბაში დაინახა აკვარელით შესრულებული თემზის პეიზაჟი, რომელზეც ჯოს ხელმოწერა შენიშნა. ამ დღიდან დროდადრო მალულად ყიდულობდა ჯოს სურათებს. მოხუცი ჯოლიონი შვილის ნახატებზე ცუდი შეხედულებისა იყო და ამიტომ კედლებზე არც გამოუფენია; ისინი მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი კარადის დიდ უჯრაში.

ოპერის ვეებერთელა დარბაზში მჯდომ მოხუც ჯოლიონს ვაჟიშვილის ნახვის ძლიერი სურვილი აღეძრა. მის მეხსიერებაში ის დღეები ამოტივტივდა, როცა ტილოს ხალათ-შარვალში გამოწ-

ყობილი პატარა ჯო მუხლებზე ეჯდა და ათამაშებდა, როცა გვერდში დასდევდა პონის, რათა ბიჭისთვის ცხენოსნობა ესწავლებინა, როცა პირველად წაიყვანა სკოლაში. ჯო ყოველთვის უწყინარი, საყვარელი ბიჭი იყო! მას შემდეგ, რაც იტონში(იტონი - ვაჟთა დახურული კოლეჯი. დაარსებულია 1440 წელს. იქ სწავლობდნენ უმთავრესად არისტოკრატთა და მდიდარ კომერსანტთა შვილები.) წავიდა, ოდნავ გადააჭარბა კიდეც, მაგრამ კარგი მანერები კი შეითვისა. მოხუცმა ჯოლიონმა იცოდა, რომ ასეთი რამის შესწავლა მხოლოდ ისეთ ადგილებში შეიძლებოდა, როგორიც იტონი იყო, და ისიც დიდი საზღაურის ფასად. ჯო ყოველთვის გულღია და თავმდაბალი ბიჭი იყო, მას შემდეგაც კი, რაც კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა, თუმცა ოდნავ თავშეკავებული კი გახდა, ალბათ იმის წყალობით, რომ ასეთი განათლება მიიღო და თავის უპირატესობას გრძნობდა. კოლეჯებსა და უნივერსიტეტებზე მოხუც ჯოლიონს თავისი შეხედულება ჰქონდა და არც ოდესმე შეუცვლია აზრი. იგი ერთსა და იმავე დროს თაყვანისცემითა და უნდობლობით ეკიდებოდა საზოგადოების რჩეულთა აღზრდა-განათლების სისტემას, რომელშიც მას ბედმა არ არგუნა მონაწილეობა... ახლა, როცა ჯუნი წავიდა და მოხუცი ჯოლიონი მიატოვა, ვაჟიშვილის ნახვა ნამდვილად შვებას მოჰგვრიდა. ჯოლიონი ხომ საკუთარ ოჯახს, თავის პრინციპებსა და კლასს ღალატობდა. ეს დანაშაული გაახსენდა და მზერა მომღერალს მიაპყრო. ოჰ, რა საცოდაობაა, ნამდვილი უბადრუკობაა! ფლორიანი კი ნამდვილად ხესავით მოუქნელია!

ოპერა გათავდა. ახლანდელებს სულ მცირე რამ ანიჭებთ სიამოვნებას!

ხალხით სავსე ქუჩაში ვიღაც ჩასუქებულსა და თავისზე ბევრად ახალგაზრდა ჯენტლმენს ზედ ცხვირწინ აართვა ეტლი. ის უბედური კი ალბათ დარწმუნებული იყო, ეტლი უკვე დავიკავეო. მოხუც ჯოლიონს პელ მელისკენ(პელ მელი - ლონდონის გამორჩეული ქუჩა და დედაქალაქის საკლუბო ცხოვრების ცენტრი.) უნდა გაევლო, მეეტლემ კი იმის ნაცვლად, რომ გრინპარკისკენ გადაეხვია, სენტ ჯეიმსსტრიტისკენ გააქროლა ეტლი. მოხუცმა ჯოლიონმა გარეთ გაყო ხელი, რომ მეეტლე შეეჩერებინა (ვერ იტანდა, როცა ვინმე მისი გზის გამრუდებას ცდილობდა), მაგრამ როცა შენიშნა, "რაგინდარას" პირდაპირ ვიმყოფებიო, მასში ყველა სხვა გრძნობა იმ სურვილმა დათრგუნა, რაზეც მთელი საღამო წუხდა. მეეტლეს უბრძანა და ეტლი შეაჩერებინა. სურდა, კლუბში შესულიყო და ეკითხა, ისევ იყო თუ არა ჯო ამ კლუბის წევრი.

მოხუცი ჯოლიონი კლუბში შევიდა. პოლი ძველებურად გამოიყურებოდა. გაახსენდა ჯერ ჰერინგთან ერთად როგორ დადიოდა ხოლმე კლუბში სასადილოდ. აქ ხომ მთელ ლონდონში განთქმული მზარეული ჰყავდათ. მოხუცმა ჯოლიონმა ირგვლივ მიმოატარა მახვილ თვალთა ისარი. ამ მზერის გამო იყო, რომ მას მთელი სიცოცხლე უკეთ ემსახურებოდნენ, ვიდრე სხვა ვინმეს.

- მისტერ ჯოლიონ ფორსაიტი ისევ არის ამ კლუბის წევრი?

- დიახ, სერ; ახლაც აქ გახლავთ, რა მოვახსენოთ?

მოხუცი ჯოლიონი შედრკა.

- მამამისი გახლავართ, - ამოთქვა ბოლოს.

ეს რომ წარმოთქვა, ბუხრის წინ შეჩერდა და ცეცხლთან ზურგშექცეული დადგა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა ქუდი დაიხურა და ის იყო კლუბიდან უნდა გამოსულიყო, რომ მეკარე მიეახლა. უმცროს ჯოლიონზე ვეღარ იტყოდით, ახალგაზრდააო. თმა შეჭაღარავებოდა, ოდნავ ვიწრო, მაგრამ ნამდვილად მამისეული სახე გამოჰყოლოდა, რომელზეც მამასავით დაბლა ჩამოშვებული დიდი ულვაში ჰქონდა და აშკარად ეტყობოდა მოქანცულობა. იგი გაფითრდა, ამდენი წლის შემდეგ მართლაც შემაძრწუნებელი იყო მშობელთან შეხვედრა. არაფერია ამქვეყნად ისეთი საშიში, როგორიც ასეთი სცენა. მათ უხმოდ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. მერე მამამ მთრთოლარე ხმით წარმოთქვა:

- როგორა ხარ, ჩემო ბიჭუნი?

შვილმა უპასუხა:

- შენ თვითონ როგორა ხარ, მამა?

მოხუც ჯოლიონს თხელი, სოსანისფერი ხელთათმნით დაფარული მარჯვენა უთრთოდა.

- თუ ჩემი გზით მოდიხარ, მე წაგიყვან, - წარმოთქვა მან ბოლოს.

მამა-შვილი ისე გამოვიდა და ჩაჯდა ეტლში, თითქოს ყოველ საღამოს მიაცილებდნენ ერთმანეთს სახლამდე.

მოხუც ჯოლიონს მოეჩვენა, რომ შვილი გაზრდილიყო. "ნამდვილად დაკაცებულა", - დაასკვნა მან. უმცროს ჯოლიონს მუდამ თავაზიან სახეზე მაცდური ნიღაბი აეფარებინა, თითქოს შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა უთუოდ ასეთი ჯავშანი გამოეყენებინაო. სახის ნაკვთები ნამდვილად ფორსაიტებისა ჰქონდა, მაგრამ დაკვირვებული გამოხედვითა და გამომეტყველებით სწავლულს ან ფილოსოფოსს უფრო მიაგავდა. ნამდვი-

ლად ეტყობოდა, რომ ამ თხუთმეტ წელიწადში ბევრი საზრუნავი გადაეტანა.

უმცროს ჯოლიონს პირველად მამა დაბერებული და დაუძლურებული ეჩვენა, მაგრამ ეტლში რომ ჩასხდნენ და დააკვირდა, მოხუც ჯოლიონში თითქმის ვერც იპოვა რაიმე ცვლილება. ისევ ისეთი წყნარი გამოხედვა ჰქონდა, რომელიც კარგად ახსოვდა ჯოს, წელგამართული იჯდა და ეტყობოდა, რომ მხედველობაც არ დაჰკლებოდა.

- ძალიან კარგად გამოიყურები, მამა.

- არა მიშავს რა, - უპასუხა მოხუცმა ჯოლიონმა.

მას ნაღველი ტანჯავდა და უნდოდა სიტყვით გამოეთქვა იგი. რაკი გუნებაში უკვე გადაწყვიტა, შვილი უნდა დავიბრუნოო, თავის მოვალეობად მიიჩნია მისი ფინანსური მდგომარეობაც გაერკვია.

- ჯო, - თქვა მან, - მინდა ვიცოდე, რა დღეში ხარ. მგონი ვალი უნდა გქონდეს?

ვალზე ლაპარაკი ისე წამოიწყო, რომ შვილისთვის ადვილად დაეცდინა სათქმელი.

- არა! ვალი არა მაქვს, მამა! - უპასუხა ახალგაზრდა ჯოლიონმა და მის ხმაში დაცინვა გაისმა.

მოხუცმა ჯოლიონმა იფიქრა, შვილი გავაჯავრეო და მის ხელს წაეპოტინა. ეს მისი მხრიდან რისკის გაწევა იყო, მაგრამ ამჯერად ღირდა ასეთი რისკი და გამართლებულიც გახლდათ. წინათ ჯო არასოდეს გაჯავრებულა მასზე. სტენჰოპგეიტამდე უბრად მივიდნენ. მოხუცმა ჯოლიონმა შვილი შინ შეიპატიჟა, მაგრამ უმცროსმა ჯოლიონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ჯუნი შინ არ არის, - სწრაფად დაუმატა მოხუცმა ჯოლიონმა, - სტუმრად წავიდა. მგონი იცი, რომ ჯუნი დაინიშნა კიდეც?

- დაინიშნა კიდეც? - წაიბუტბუტა ახალგაზრდა ჯოლიონმა.

მოხუცი ჯოლიონი ეტლიდან ჩამოვიდა და სიცოცხლეში პირველად შილინგის ნაცვლად შეცდომით სოვერინი გადაიხადა.

მეეტლემ ფული პირში ჩაიდო, ცხენს ფარულად ქვევიდან ამოჰკრა მათრახი და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

მოხუცმა ჯოლიონმა გასაღები უხმაუროდ გადააბრუნა ბოქლომში, კარი გააღო და შვილი თავის დაქნევით შეიპატიჟა. ჯომ დაინახა, როგორ დაკიდა პალტო მოხუცმა ჯოლიონმა. მას სახეზე ისეთივე გამომეტყველება აღბეჭდოდა, როგორიც პატარა ბიჭებს აქვთ ხოლმე, როცა ბალი უნდათ მოიპარონ.

სასადილო ოთახის კარი ღიად დაეგდოთ. გაზისთვის დაბლა ჩაეწიათ, ჩაის ლანგარზე დადგმული სპირტის ქურა შიშინებდა. იქვე ახლოს, სასადილო მაგიდაზე, უსირცხვილოდ მოკალათებულიყო კატა და ჩასძინებოდა. მოხუცმა ჯოლიონმა სასწრაფოდ ჩამოაგდო იგი მაგიდიდან. ამან შვება აგრძნობინა და გული მოუფონა. კატის შესაშინებლად იგი მაგიდაზე ქუდით კაკუნს მოჰყვა.

- რწყილები ახვევია, - თქვა მან, როცა კატა ოთახიდან გააგდო. იგი ჰოლიდან დაბლა სართულზე ჩასასვლელად კარში შეჩერდა და, თითქოს კატას გაქცევაში ეხმარებაო, მანამ უცაცხანებდა "ციც-ციცო", სანამ ქვევიდან ამომავალი მსახური არ შენიშნა.

- შეგიძლია დაიძინო, პარფიტ, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - მე თვითონ ჩავკეტავ კარს და სინათლესაც ჩავაქრობ.

როცა მოხუცი სასადილო ოთახში შემობრუნდა, კატამ ცუდის მაუწყებლად წინ გადაუსწრო და კუდი ჰაერში აბზიკა, თითქოს ანიშნა: ყველაფერს მივხვდი და ვიცი, იმიტომ გამიჯავრდი, მსახურისგან თავის დაღწევას ცდილობდიო.

მოხუც ჯოლიონს სახლში არასოდეს უმართლდებოდა ეშმაკობა და ყოველთვის რაღაც უნდა გამოტყვრომოდა. ასე იყო მუდამ, რაც თავი ახსოვს.

ახალგაზრდა ჯოლიონმა თავი ვერ შეიკავა და გაეღიმა. იგი კარგად ერკვეოდა ირონიულ სიტუაციებში, იმ საღამოს კი ყველაფერი ირონიად ეჩვენებოდა - კატის ეპიზოდიც, ჯუნის ამბავიც. მისი საკუთარი ქალიშვილი ისე დაუნიშნავთ, არც კი შეატყობინეს. ეტყობა, მშობელ მამას ისეთივე უფლებები ჰქონდა საკუთარ ქალიშვილზე, როგორიც ფისუნიაზე. და ყოველივე ამის პოეტური სამართლიანობა მის სულში აღინთო.

- როგორი დადგა ჯუნი? - იკითხა ახალგაზრდა ჯოლიონმა.

- პატარა ტანისაა, - თქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - მე მამსგავსებენ, მაგრამ ცდებიან. თვალებითა და თმით უფრო დედაშენს ჩამოჰგავს.

- ოჰო! ლამაზია?

რაღა ფორსაიტი იქნებოდა მოხუცი ჯოლიონი, თუ იოლად გაიმეტებდა ვისიმე ქებას, განსაკუთრებით იმისას, ვინც სულითა და გულით მოსწონდა.

- ცუდი შესახედავი არაა - ჭეშმარიტი ფორსაიტული ნიკაპი აქვს. არ ვიცი როგორ უნდა გავძლო მარტომ, როცა ჯუნი გამიფრინდება.

ჯო ისევე შეაძრწუნა მოხუცი ჯოლიონის სახის გამომეტყველებამ, როგორც კლუბში პირველად დანახვაზე დაემართა.

- მართლაც რა უნდა ვქნა მარტოხელამ? - გაიმეორა მოხუცმა ჯოლიონმა და მის ხმაში წყრომა მოისმა, - აქ მარტო ცხოვრება მართლაც საცოდაობა იქნება. არ ვიცი, რით დამთავრდება ეს ამბავი. მინდა კეთილი... - აზრი არ დაუმთავრებია და ისე განაგრძო, - სახლს რა ვუყო? აი, რა არის საკითხავი.

ახალგაზრდა ჯოლიონმა უზარმაზარი სურათებით მორთულ დიდსა და პირქუშ ოთახს მოავლო თვალი. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ჩარჩა მეხსიერებაში კედლებზე ჩამოკიდებული ვეებერთელა ნატიურმორტები: სტაფილოს გროვაში ცხვირჩარგული მძინარე ძაღლები, საკვირველი, მიჯრით მიყრილი ხახვის გალები და ყურძნის მტევნები. ეს უზარმაზარი სახლი მართლაც რომ დიდი საზრუნავი და თავსატეხი გახლდათ, მაგრამ ჯოს ვერ წარმოედგინა, როგორ იცხოვრებდა მოხუცი ჯოლიონი პატარა სახლში. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა იმ ირონიულ განწყობილებას, რომელიც იმ დღეს ახალგაზრდა ჯოლიონს დაეუფლა.

დიდ სავარძელში, რომელსაც ზევიდან წიგნების დასაწყობიც ჰქონდა, იჯდა იმ ოთახის მრწამსისა და თავისი კლასის ღვიძლი შვილი - მოხუცი ჯოლიონი. მისი ჭაღარა თავი და გუმბათივით მოყვანილი შუბლი, არა მარტო ზომიერების ნიმუში იყო, არამედ წესრიგისა და საკუთრებისადმი უდიდესი სიყვარულის გამომხატველიც. მთელ ლონდონში ის იყო ყველაზე მარტოხელა და მიუსაფარი მოხუცი.

მორთული და ათასგვარად დამშვენებული ოთახის მოსაწყენ ბრწყინვალებაში იჯდა უდიდესი ძალების ხელში ტიკინად

ქცეული მოხუცი ჯოლიონი. ამ ძალებმა არარაობად აქციეს კლასები, მათი კრედო და ოჯახი. ისინი შემაძრწუნებელი ძალის მანქანებივით მიილტვოდნენ მიუწვდომელი უსასრულობისკენ. აი, რა დაინახა და რა გაიფიქრა ახალგაზრდა ჯოლიონმა, რომელიც ობიექტური თვალის პატრონი იყო და მიუდგომელი განსჯა იცოდა.

საწყალი მოხუცი მამა! მიუსაფრობა, სიბერე და მარტოობა, - აი, თურმე რა მიზანი და ბოლო ჰქონია იმ ჩინებულ ზომიერებას, რომელიც მთელი მისი ცხოვრების უმაღლესი კანონი იყო.

თავის მხრივ, მოხუცი ჯოლიონიც დაჟინებით შესცქეროდა ვაჟიშვილს. იგი შეპყრობილი იყო სურვილით, ამდენი წლის განმავლობაში დაგროვილი გულისნადები გადაეშალა მისთვის. ხომ არ შეიძლებოდა თავისი სანუკვარი აზრები და იმის რწმენა, რომ სოჰოში მიწის ნაკვეთები ერთი მეოთხედით გაძვირდებაო, ჯუნისთვის გაენდო.

ჯუნს ხომ ვერაფერს ეტყოდა იმ წუხილზე, რასაც "ახალი ქვანახშირის კომპანიის" მმართველის, პიპინის უსაშველო დუმილის გამო განიცდიდა. ამ კომპანიის სათავეში ხომ თვითონ მოხუცი ჯოლიონი იდგა საკმაო ხანს. ვერც იმას გაანდობდა ჯუნს, რომ "ამერიკული გოლგოთის" აქციების თანდათანობითი გაუფასურებით იყო შეშფოთებული. არც იმაზე შეიძლებოდა მასთან სჯაბაასი, თუ რა ზომების მიღება იყო საჭირო, რომ მოხუცი ჯოლიონის სიკვდილის შემდეგ სამკვიდროზე ბაჟის გადახდისგან დაეღწიათ თავი. ჩაის გავლენით, რომელშიც ანგარიშმიუცემლად ურევდა კოვზს, მოხუცმა, როგორც იქნა, ენა ამოიდგა. ჯოლიონს უეცრად ცხოვრების ახალი პერსპექტივა გაუჩნდა - აღ-

თქმული ქვეყანა, რომელზეც თამამად შეეძლო საუბარი და რომელშიც ადვილად იპოვიდა წყნარ ნავსაყუდელს წინათგრძნობების ტალღათა აღქაფებისა და სინანულისგან თავდასაცავად. მოხუც ჯოლიონს მოღლილი სული ათასგვარი ხრიკის ბანგით შეეძლო ჩაეყუჩებინა. ეს ხელს შეუწყობდა მისი საკუთრების დამრგვალებას და სამარადისოდ ქცევას. სწორედ ეს საკუთრება იყო მოხუცი ჯოლიონის ის ნაწილი, რაც მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ იცოცხლებდა.

ახალგაზრდა ჯოლიონი კარგი მსმენელი გახლდათ; ეს იყო მისი ჭეშმარიტი ღირსება. თვალები სახეში მიეპყრო მამისთვის და ლაპარაკში ხანდახან შეკითხვებს ურთავდა.

მოხუც ჯოლიონს ჯერ ლაპარაკი არ დაემთავრებინა, რომ საათმა პირველი დაჰკრა. საათის რეკვამ მოხუც ჯოლიონს თავისი პრინციპები გაახსენა. ჯიბიდან საათი ამოიღო და განცვიფრებულმა დახედა:

- უნდა დავწვე, ჯო, ჩემი ძილის დროა, - წარმოთქვა მან. ახალგაზრდა ჯოლიონი წამოდგა, მამას ხელი გაუწოდა და ადგომაში დაეხმარა. მოხუცის სახე ისევ მოღლილი და გაცრეცილი ეჩვენა. თვალები კი დაჟინებით სადღაც შორს იყურებოდნენ.

- ნახვამდის, ჩემო ბიჭო, თავს გაუფრთხილდი.

წამიც და ქუსლებზე შემობრუნებული ახალგაზრდა ჯოლიონი კარისკენ გაემართა. თითქმის ვერაფერს ხედავდა. ღიმილი ათრთოლებულ ტუჩებზე დააკვდა. თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პირველად იგრძნო, რომ ცხოვრება უბრალო თამაში არაა, მაგრამ ასეთი რთული კი არასოდეს მოსჩვენებია.

თავი მესამე

სადილი სუითინთან

სუითინის ყვითელ და ღია ლურჯად შეღებილ სასადილო ოთახში, რომელიც პარკს გადაჰყურებდა, თორმეტი კაცისთვის გაწყობილი მრგვალი მაგიდა დაედგათ.

ჩახჩახა, სანთლებით დამძიმებული ბროლის ჭაღი, რომელიც უზარმაზარ სტალაქტიტს მოჰგავდა, ოთახის შუაგულში ჩამოეკიდებინათ. ოქროს ჩარჩოებით მოვარაყებული ვეება სარკეებიდან არეკლილი ჭაღის შუქი გვერდზე მიდგმული მაგიდების მარმარილოს ზედაპირსა და მძიმე მასალისგან ნაკეთებ, მოოქრულ, მაუდგადაკრულ სკამებს დასთამაშებდა. ყოველი ნივთი სილამაზისკენ სწრაფვასა და სიყვარულზე ღაღადებდა. სილამაზისკენ ასეთი ლტოლვა ღრმად მოიკიდებს ხოლმე ფეხს ყველა იმ ოჯახში, რომლის წევრებიც მდაბიო წარმოშობისანი არიან და თვითონ იკაფავენ გზას საზოგადოებაში. სუითინი სრულებით ვერ იტანდა უბრალოებას და სული მისდიოდა მოოქრულ ნივთებზე. სწორედ ამით გამოირჩეოდა ახლობლებისგან და მასზე ხშირად ამბობდნენ, გემოვნებიანი კაციაო; ის გარემოება კი, რომ მის ბინაში მოხვედრილი ყველა ადამიანი იძულებული იყო მაშინვე ეთქვა, სუითინი დიდად შეძლებულიაო, მას ისეთ მტკიცე და

ხანგრძლივ ბედნიერებას ანიჭებდა, როგორსაც სხვა ვერაფერი განაცდევინებდა.

მას შემდეგ, რაც მისი აზრით, ძალზე სავალალო პროფესიას - სახლების ყიდვა-გაყიდვას მოეშვა, სუითინს განსაკუთრებით შესჯავრდა საჯარო ვაჭრობა და იგი მთლიანად თავისმა არისტოკრატულმა გემოვნებამ გაიტაცა.

ფუფუნებამ სუითინი შაქარნასუსნი ბუზივით გააბრუა, იგი დილიდან საღამომდე უზრუნველად იყო და არაფერზე ფიქრობდა. თავში მხოლოდ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი უტრიალებდა: ჯერ ერთი, ძლიერი და ძვალ-რბილში გამჯდარი კმაყოფილება იმისა, რომ ცხოვრებაში თვითონ გაიკაფა გზა და ბედს ეწია და, მეორეც, ისეთი პიროვნული თვისებებით გამორჩეულმა ადამიანმა, როგორიც თვითონაა, არასოდეს უნდა შეიწუხოს თავი მუშაობითო.

სუითინი ბუფეტის გვერდით იდგა. თეთრი ჟილეტი ეცვა და ზედ ონიქსის მოოქრული ღილები ეკერა. იგი თვალს არ აშორებდა მსახურს, რომელსაც შამპანური ღვინით სავსე სამი ბოთლის ყინულის ვედროში ღრმად ჩადგმა სურდა და წვალობდა. თუმცა მაღალი საყელო კისრის მობრუნებას უშლიდა, მაგრამ, რა გასამრჯელოც უნდა მიგეცათ, მისი ფასონის შეცვლას სუითინი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებოდა. მისი ფერმკრთალი ღაბაბი ამ საყელოს ბოლოებს შორის უმოძრაოდ მოჩანდა. მზერა ბოთლიდან ბოთლზე გადაჰქონდა, თავისთვის ბჭობდა და თავის თავსვე უმტკიცებდა: ჯოლიონი ალბათ ერთ ჭიქას დალევს, დიდი-დიდი ორი დალიოს, ის ხომ თავს აგრერიგად არ გაიმეტებს. ჯეიმსს უკვე აღარ შეუძლია სმა. ნიკოლასი და ფანი, ალბათ

წყალს დაეხარბებიან, მათგან ეს სავსებით მოსალოდნელია! სომსი სათვალავში ჩასაგდები არაა; ოჰ, ის ახალგაზრდა ძმისშვილები - სომსი ოცდათერთმეტი წლისა იყო - სმა სრულიად არ შეუძლიათ! მაგრამ ბოსინი? ეს სახელი სუითინისა და მისი ფილოსოფიისთვის გამოუცნობი იდუმალებით იყო სავსე და ამიტომ შედგა. ენით უთქმელი წინათგრძნობა დაეუფლა! ჯუნი, ჯერ ერთი, გოგოა, და ისიც შეყვარებული! ემილის (მისის ჯეიმსი) ერთი ჭიქა კარგი შამპანურის გადაკვრა უყვარს. ჯულის მშრალად მოეჩვენა შამპანური. საწყალი ბებერი, პირის გემო არა აქვს და ღვინოებში სრულიად ვერ ერკვევა. რაც შეეხება პეტი ჩესმენს, ამ ძველი მეგობრის გახსენებაზე სუითინის თვალთა ისარი ღრუბლებმა დაბინდა: "არ გამიკვირდება, თუ, მიუხედავად იმისა, რომ ქალია, ნახევარ ბოთლ შამპანურს მაინც დალევს!" - გაიფიქრა მან.

როცა ბოლოს კიდევ ერთი სტუმარი მოაგონდა, ბებერი სუითინი ასაჩხავლებლად მომზადებულ კატას დაემგვანა. მისის სომსი! შეიძლება ბევრი არ დალიოს, მაგრამ რასაც დალევს, იმას კი შეაფასებს; კარგი ღვინით მისი გამასპინძლება დიდი სიამოვნებაა! ულამაზესი ქალია, მერე როგორი სიმპათიითაა განწყობილი მისდამი!

აირენზე თვით ფიქრიც კი შამპანურივით მოქმედებდა! ლამაზი ქალის ღვინით გამასპინძლება უდიდესი სიამის მომგვრელია, ქალისა, რომელმაც იცის ჩაცმა-დახურვის გემო, თავდაჭერა და აგრერიგად გამოირჩევა კეთილშობილური ქცევით. ასეთ ქალთან დროს ტარება უმაღლესი სიამოვნება და ნეტარებაა. სუითინმა იმ საღამოს პირველად იგრძნო თავისივე მაღალი საყელოს ბოლოების ჩხვლეტა და თავი ფრთხილად მიატრიალა.

- ადოლფ, - წარმოთქვა მან, - კიდევ ერთი ბოთლი შამპანური ჩააცივე.

თვითონ სუითინმა გვარიანი ღვინის სმა იცოდა. ბლეიტის რეცეპტით დამზადებულმა წამალმა ძალიან არგო. გარდა ამისა, იმ დილით საუზმეს განზრახ შემოსწყრა. კარგა ხანია თავი ასე ჯანიანად არ უგრძნია. ქვედა ტუჩი წინ წამოსწია და მსახურს უკანასკნელი დარიგება მისცა:

- ადოლფ, როცა შაშხზე მიდგება ჯერი, გამახსენე. სოუსს ოდნავი სიმწარე დაჰკრავდეს.

მისაღებ ოთახში რომ გაიარა, სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და მუხლები გაჩაჩხა; მისი წარმოსადეგი, ვეება ტანი მოლოდინში გაიყინა. იგი ყოველ წამს მზად იყო წარმოსადგომად. რამდენიმე თვე ისე გავიდა, მის სახლში წვეულება არ გამართულა. ჯუნის ნიშნობის აღსანიშნავი სადილის გამართვა თავიდან მოსაწყენი ეჩვენა (ფორსაიტებს ადათად ჰქონდათ ნიშნობის ნადიმით აღნიშვნა და ამ ჩვეულებას წმინდად ინახავდნენ), მაგრამ, როცა მოსაწვევი ბარათების დაგზავნასა და საქმელ-სასმლის თადარიგს მორჩა, შვებით ამოისუნთქა და გამხიარულდა.

ასე იჯდა იგი საათით ხელში; ნაპატიები, ოქროსფრად მბზინავი, თითქოს კარაქის შარი გაუბრტყელებიათო, და არაფერზე ფიქრობდა.

ქილვაშიანი აყლაყუდა, რომელიც ადრე სუითინს ემსახურებოდა და შემდეგ კი მემწვანილე გახდა, კარში შემოიმართა და წარმოთქვა:

- მისის ჩესმენი, მისის სეპტიმუს სმოლი!

ორივე ლედი გამოჩნდა. ერთი, წინ მომავალი, სულ წითლებში გამოწყობილიყო, ლოყებზეც წითელი ლაქები აჩნდა და მკაცრი, გაბედული გამოხედვა ჰქონდა. იგი პირდაპირ სუითინისკენ გაემართა და ღია ყვითელხელთათმნიანი ხელი გაუწოდა:

- გამარჯობათ, სუითინ, - წარმოთქვა მან, - რა ხანია არ მინახავხართ. როგორა ცხოვრობთ? რა საშინლად გასუქდით?

სუითინის აღელვებას მხოლოდ გაშტერებულ თვალებში ამოიკითხავდით. ხმა არ ამოუღია, გულში კი სიბრაზისგან ყველაფერი უდუღდა. რომ ამბობენ, სიმსუქნე ვულგარული რამააო, ვულგარული ის არის, მსუქან კაცს რომ ეტყვი, რა საშინლად გასუქდიო; მას კი ფართო გულმკერდი აქვს მხოლოდ და მეტი არაფერი. სუითინი დისკენ მიბრუნდა, მისი გამოწვდილი ხელი თავისაში ჩაბღუჯა და მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

- გამარჯობა, ჯული!

მისის სეპტიმუს სმოლი სიმაღლით გამოირჩეოდა ოთხ დაში. მის მოხუც, კეთილ, მომრგვალებულ სახეს განუყრელად აჩნდა სევდა. დანაღვლიანებულ სახეზე უკმაყოფილო ღმეჭა ისე მოსდებოდა, თითქოს იმ საღამომდე ზედ მავთულის ნიღაბი ეკეთა, მერე ერთბაშად მოუხსნია და მისგან დამჩნეული ნაოჭები ჯერ არ გადასვლიაო. მის თვალთაგანაც კი სევდა გამოსჭვიოდა. ყოველივე ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ იგი ნიადაგ სეპტიმუს სმოლის დაკარგვას გლოვობდა.

ჯულის ახლობლებში ახირებული ენაჭარტალას სახელი ჰქონდა გავარდნილი. იტყოდა რამე უკუღმართს და მერე შეუპოვრად (საგვარეულო ჩვეულების მიხედვით) გაიძახოდა, ნამდვილად ასეაო. ამასობაში ნათქვამს კიდევ რამე უსწოროს

წაუმატებდა და მერე იყო ერთი გაუთავებელი ქაქანი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ხომ ფორსაიტული შეუპოვრობა და საქმიანი ფუსფუსი ძვალსა და რბილში გაუჯდა. ბუნებით ენაჭარტალა, თუ ვინმეს გამოიჭერდა, ყოველგვარი ცოცხალი სიტყვის გარეშე, საათობით ექაქანებოდა და მსმენელს აუცილებლად მიასიკვდილებდა. თანაც ყველაფერს, როგორ დაჩაგრა, დაწიხლა და გაინაპირა ბედმა, ერთნაირად მოსაწყენად, გაბმით ჰყვებოდა; ვერც იმას ხვდებოდა, რომ შეწუხებული მსმენელები ბედისწერის მხარეს იჭერდნენ; გული კი ძალიან კეთილი ჰქონდა.

სარეცელს მიჯაჭვული ქმრის (სმოლი ჯანგატეხილი კაცი გახლდათ) გვერდით დიდხანს ყოფნამ ჩვეულებად უქცია, მოვლა-პატრონობა გაეწია ლოგინად ჩავარდნილი ბავშვებისა და დიდებისთვის, რომლებიც დახმარებას საჭიროებდნენ. ამის გამო იყო, რომ ქვეყანა ადამიანისთვის გაუსაძლისად მიაჩნდა. იგი ყოველ კვირას თომას სკოულზის გონებამახვილურ ქადაგებას უსმენდა. თომას სკოულზის დიდი გავლენა ჰქონდა მასზე; მაგრამ ჯულიმ შეძლო და ყველა დაარწმუნა, რომ მისთვის ქადაგების მოსმენაც უბედურება იყო. ჯულის ამბავი ფორსაიტების ოჯახში საარაკოდ იქცა და თუ ვინმე მოიწყენდა ან რამე ნაღველზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მას ჯულის ეძახდნენ. ასეთ ხასიათს შეიძლება ორმოც წლამდეც ჩაეყვანა ადამიანი სამარეში, მაგრამ იგი ფორსაიტი გახლდათ. ჯულის სამოცდათორმეტი წელი შეუსრულდა და ამაზე კარგი შესახედავი არასოდეს ყოფილა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მას ჯერ კიდევ ჰქონდა ცხოვრებით ტკბობის ნიჭი და უნარი და ალბათ ამისი დროც დაუდგებოდა. ჯულის ჰყავდა სამი იადონი, კატა - ტომი და ნახევა-

რი თუთიყუში; მეორე ნახევარი მის დას, ესთერს ეკუთვნოდა; ეს საწყალი სულიერები (ტიმოთის რომ უმალავდნენ, რადგან ცხოველები ეჯავრებოდა) ადამიანთაგან განსხვავებით, ისე მხურვალედ იყვნენ შეთვისებული პატრონს, რომ ყოველგვარ ენის ჭარტალსა და მოწყენას აპატიებდნენ.

ჯული, როგორც ყოველთვის, დაღვრემილი გახლდათ, მაგრამ შავი ბამბაზიის კაბაში, რომელიც გულისპირთან ლილისფერი ჩასადგმელით მოერთო და გამხდარი ყელ-კისრის გარშემო კი ხავერდის ქობით დაემშვენებინა, ჩინებულად გამოწკეპილი ჩანდა. თითქმის ყველა ფორსაიტი საღამური სამოსისთვის შავსა და ლილისფერს ამჯობინებდა.

მან ტუჩები აიმრიზა და სუითინს უთხრა:

- ენი გკითხულობდა. რამდენი ხანია ჩვენთან არ ყოფილხარ!

სუითინმა ცერათითები ჟილეტის ჭრილში შეიყო და ისე წარმოთქვა:

- ენი ამ ბოლო ხანებში ძალიან ჩამოხმა; ნამდვილად ექიმს უნდა მიმართოს.

- მისტერ და მისის ნიკოლას ფორსაიტი!

ნიკოლას ფორსაიტს სწორკუთხა წარბები მაღლა აეზიდა. იგი სიცილით შემოვიდა. იმ დღეს მან საწადელი აისრულა: ნებართვა აიღო, რომ ზემო ინდოეთის ერთი ტომი ცეილონის ოქროს საბადოებზე მუშახელად გამოეყენებინა. ამ გეგმის განხორციელება მისი დიდი ხნის ოცნება გახლდათ. როგორც იქნა, დიდი გაჭირვებითა და ათასი დაბრკოლების გადალახვით, მიზანს მიაღწია და ახლა მოპოვებული წარმატებით ტკბებოდა. ოქროს მოპოვება ჩემს საბადოებზე ერთიორად გაიზრდება, ხოლო რაკი, როგორც

თვითონ ხშირად ამბობდა ხოლმე, ყველა მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი მოკვდავია და რაკი მეც უნდა მოვკვდე, სულერთია, ჩემს სამშობლოში დავივანებ ღრმად მოხუცებული, თუ უცხო ქვეყნის მაღაროში ამომძვრება სული, მით უმეტეს, რომ ჩემი ცხოვრების შეცვლას შეიძლება ბრიტანეთის იმპერიისთვის სიკეთე მოჰყვესო.

მისი ნიჭი და უნარი საეჭვოდ არავის გაუხდია. კეხიან ცხვირს მოსაუბრისკენ მიაბრუნებდა ხოლმე და დაუმატებდა:

- რაღაც რამდენიმე ასეული მუშახელად გამოსადეგი ადამიანის გამო უკვე მერამდენე წელია, დივიდენდი ვერ გაგვინაღდებია. აბა, ნახეთ ერთი, რა ღირს ჩვენი აქციები. თითოში ათი შილინგიც ვერ მიმიღია.

ნიკოლასი იარმაუთში იყო და იქიდან იმ რწმენით დაბრუნდა, რომ თავის სიცოცხლეს ერთი ათი წელი მაინც მიუმატა. მან მაგრად ჩაბღუჯა სუითინის ხელი და მხიარულად წამოიძახა:

- ისევ აქ ვართ!

ავადმყოფობისგან მისუსტებულ მისის ნიკოლასს, რომელიც მის ზურგს უკან იდგა, გაეღიმა. ეს იყო შიშნარევი სიხარულის ღიმილი.

- მისტერ და მისის ჯეიმს ფორსაიტები! მისტერ და მისის სომს ფორსაიტები!

სუითინმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა - მისი მანერები უზადო იყო.

- გამარჯობათ ჯეიმს, ემილი! როგორა ხარ, სომს? როგორ ცხოვრობ?

სუითინმა აირენის ხელი თავის ხელში მოიქცია და თვალები გადმოკარკლა. ეს იყო ულამაზესი ქალი, ოდნავ ფერმკრთალი, კენარტანიანი და გიშერთვალა! რა თქმა უნდა, სომსი მასთან სახსენებელიც არ იყო!

ღმერთებს აირენისთვის მუქი წაბლისფერი თვალები და ოქროსფერი თმა მიემადლებინათ. ეს იყო ფერების უჩვეულო შერწყმა, რომელიც მამაკაცებს აღტაცებულ მზერას მოსტაცებს ხოლმე და, როგორც ამბობენ, მათი ხასიათის სისუსტის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, აირენის თოვლივით ქათქათა ყელკისერსა და მხრებს ოქროსფერი სამოსი ჯადოსნურ მომხიბვლელობასა და მაცდურ ეშხს მატებდა.

სომსი ცოლს უკან ედგა და მის კისერს ჩაშტერებოდა. სუითინს გახსნილი საათი ჯერ ისევ ხელში ეჭირა; ისრები რვიდან გადასულიყო; სუითინის სადილობის ჩვეულებრივ დროს ნახევარი საათი უკვე გადასცდა - ამას ისიც დაერთო, რომ არ უსაუზმია - და უცნაური, პირველყოფილი მოუთმენლობა დაეუფლა.

- როგორ მოუვიდა, არ ვიცი, მაგრამ ჯოლიონი აგვიანებს! - უთხრა მან აირენს და გაჯავრება ვერ დაფარა, - მე მგონი, ჯუნის მიზეზით უნდა იყოს!

- შეყვარებულები მუდამ აგვიანებენ, - ასეთი პასუხი გასცა აირენმა.

სუითინს მუქი სიყვითლე დააკვდა ლოყის თავებზე; იგი დაჟინებით დააცქერდა ქალს.

- რა საქმე უნდა ჰქონდეთ? ალბათ რამე ახალმოდური სისულელე იქნება!

და ამ გაურკვეველი შეურაცხყოფისა და გაფიცხების მიღმა პირველყოფილი თაობის მდურვა და დრტვინვა გაისმა.

- როგორ მოგწონთ ჩემი ახალი ვარსკვლავი, ძია სუითინ? - ჰკითხა ნაზად აირენმა.

აირენის მკერდზე თერთმეტი ბრილიანტით მოჭედილი ხუთ-ქიმიანი ვარსკვლავი ბრწყინავდა.

სუითინი კარგად დააკვირდა ვარსკვლავს. ძვირფასი ქვები, მათი ფასი და ამის თაობაზე ლაპარაკი სუითინის სტიქია გახ-ლდათ. იმ წუთს, ნუგბარი საჭმელებისა და ჩაცივებული შამპანუ-რისგან მისი ყურადღების ჩამოშორება სხვა არაფერს შეეძლო.

- ვინ მოგართვა ასეთი ძვირფასი საჩუქარი? - იკითხა სუითინ-მა.

- სომსმა.

აირენის სახე შეუცვლელი დარჩა, მაგრამ სუითინმა უფერუ-ლი თვალები ისე გადმოქაჩა და დააშტერდა მოსაუბრეს, თითქოს სულში უნდა ჩახედოს და საიდუმლოება ამოიკითხოსო.

- გავკადნიერდები და გეტყვი, რომ სახლში ძალიან მოწყენი-ლი იქნები, - წარმოთქვა მან, - როცა გენებოს. სადილობისას გა-მომიარე და ისეთ ღვინოს დაგალევინებ, მთელ ლონდონში რომ ვერ იშოვი.

- მის ჯუნი ფორსაიტი! მისტერ ჯოლიონ ფორსაიტი!.. მისტერ ბოსინი!..

სუითინმა ხელი ასწია და დაიგრგვინა:

- აბა, სადილი, სადილი!

მან ხელი მოჰკიდა აირენს, გვერდით მოისვა და თავისი საქ-ციელი იმით გაამართლა, რომ რაც ქორწილში გვერდით ვეჯექი,

მას მერე მისთვის მასპინძლობა არ გამიწევიაო. ჯუნმა ბოსინი თავისსა და აირენს შუა ჩასვა. ჯუნის მეორე მხარეს ჯეიმსი და მისის ნიკოლასი მოთავსდნენ, მერე მოხუცი ჯოლიონი და მისის ჯეიმსი, ნიკოლასი და ჰეტი ჩესმენი, სომსი და მისის სმოლი დასხდნენ და წრეც სუითინამდე ამით შეიკრა.

ფორსაიტთა ოჯახურ სადილებს განსაკუთრებული ტრადიცია ჰქონდა. ეს ტრადიცია იმაში მდგომარეობდა, რომ სადილზე საუზმე არ მოჰქონდათ. რატომ? მიზეზი არავინ იცის. ოჯახის ახალგაზრდა წევრები ამ ამბავს ლოკოკინას ზღაპრული ფასით ხსნიდნენ; მაგრამ უფრო სწორი ის უნდა იყოს, რომ საერთოდ, ფორსაიტებს, უშუალოდ მთავარი საქმის დაწყება უყვართ და არ სჩვევიათ ისეთ წვრილმანსა და არარაობაზე დროის დაკარგვა, როგორიც საუზმეა. მხოლოდ ჯეიმსის ოჯახის წევრები იყვნენ იძულებული, წინ აღსდგომოდნენ ლეინპარკზე გამეფებულ ამ კანონს და დროდადრო დაერღვიათ იგი. როგორც კი სკამებზე დასხდებოდნენ, სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე. ურთიერთისადმი თითქმის პირქუში უყურადღებობა პირველი თავი კერძის შემოტანამდე გრძელდებოდა. ხანდახან ასეთი მოკლე შენიშვნებიც გაისმოდა: ტომი ისევ ავადაა; ვერ გეტყვი, რა ემართება. მგონი, ენი დილაობით სასაუზმოდ არც კი გამოდის ხოლმე? რა გვარია შენი ექიმი, ფანი? სტაბსი? ის ექიმბაში და შარლატანია! უინიფრიდი? ოჰ, ძალიან ბევრი ბავშვი ჰყავს. ოთხი უნდა ჰყავდეს, არა? როგორ ჩამოხმა! რა მიეცი ხერესში, სუითინ? ჩემთვის ძალიან მშრალია.

პირველი სასმისი რომ ჩამოთავდა, მაგიდაზე ზუზუნი გაისმა. თუ ზუზუნს შემთხვევით მიტმასნებულ ხმებს ჩამოვაშორებდით,

მისი წარმომქმნელი ძირითადი ელემენტი შეგვრჩებოდა ხელთ. ეს გახლდათ ჯეიმსი, რომელიც, რაღაც ამბავს ჰყვებოდა. ზუზუ-ნი კარგა ხანს გაგრძელდა და, წარმოიდგინეთ, მაშინაც არ ჩაწ-ყნარებულა, როცა ფორსაიტების ნადიმის დამაგვირგვინებელი ცხვრის "უნაგირა“(ცხვრის "უნაგირა" - პოპულარული კერძი, რო-მელიც ასე მზადდება: ცხვრის ან ბატკნის მთელ უკანა ნაწილს თირკმელთან ერთად ფაშვი უნდა ჩამოსცილდეს. წაესვას მა-რილთან ერთად დანაყილი ნიორი და შეიწვას აირღუმელში. ხორ-ცთან ერთად უნდა შეიწვას მთელ-მთელი, პატარ-პატარა გაფ-ცქვნილი კარტოფილები და დაჭრილი ხახვი. სუფრაზე მიტანამ-დე ხერხემალი ორივე მხრიდან სიგრძივ უნდა ჩამოიჩეხოს, ირი-ბად დაიჭრას ფართო ნაჭრებად და ოვალურ ლანგარზე ისე უნდა დაეწყოს, თითქოს მთლიანი ნაჭერი იყოს. ხორცს გარშემო უნდა შემოეწყოს შემწვარი პამიდორი, კარტოფილი, რომელთა შორის უნდა ჩაიწყოს თირკმლის ნაჭრები. მეტი ლაზათისთვის გარშემო უნდა შემოეწყოს ოხრახუში, ნიახური და სალათის ფოთლები.) შემოიტანეს.

ცხვრის "უნაგირას" გარეშე არც ერთი ფორსაიტი არ მართავ-და სადილს. ამ ცხარე, წვნიან და ყუათიან საჭმელში იყო რაღაც ისეთი, რაც მას "განსაკუთრებული მდგომარეობის" ხალხის შე-საფერ კერძად ხდიდა. ეს კერძი ისე ნოყიერი და გემრიელია, რომ თუ ოდესმე გემოს გაუსინჯავ, აღარც დაგავიწყდება. ცხვრის "უ-ნაგირას" ბანკში შენახული ფულივით თავისი წარსული და მომა-ვალი აქვს. გარდა ამისა, ისეთი კერძია, რომ მასზე კამათიც შეიძ-ლება.

ფორსაიტთა ოჯახის თითოეული შტო ამ კერძის სამშობლოდ სხვადასხვა კუთხეს მიიჩნევდა და ამტკიცებდა, იქაური ყველას სჯობიაო. მოხუცი ჯოლიონი იფიცებოდა, დარტმურისა უკეთესიაო, ჯეიმსი უელსისას ამჯობინებდა, სუითინს საუთდაუნისა(- საუთდაუნი - იგულისხმება ინგლისის სამხრეთი რაიონები, სადაც ცხვრის საძოვრებია.) მიაჩნდა შეუდარებლად, ნიკოლასი კი გაიძახოდა, - ენა უძვლოა, კაცს ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ ახალი ზელანდიისა რომ ყველას თავში ჩაარტყამს, ამას დავა არ უნდაო. ძმებში "ორიგინალობით" გამორჩეულმა და იმ ადამიანის ღირსებებით შემკულმა როჯერმა, რომელმაც შვილებს ახალი პროფესია გამოუძებნა, სრულიად ახალი ადგილი აღმოაჩინა. მან იპოვა საყასბო, სადაც გერმანიიდან ჩამოტანილი ცხვრის "უნაგირათი" ვაჭრობდნენ და ძმებს იქიდან მიღებული ანგარიში წარუდგინა, რითაც თვალნათლივ დაამტკიცა, რომ იგი უფრო მეტს იხდიდა "უნაგირაში", ვიდრე ისინი. სწორედ ამ შემთხვევის გამო ფილოსოფოსობის ხასიათზე დამდგარმა მოხუცმა ჯოლიონმა ერთხელ ჯუნს უთხრა:

- აი, გაიზრდები და ნახავ, რომ ფორსაიტები ძალიან ახირებული და ცანცარა ხალხია!

ძმების დავაში მხოლოდ ტიმოთი არ ერეოდა. იგი მადიანად შეექცეოდა ცხვრის "უნაგირას", მაგრამ თვითონვე ამბობდა, ამ კერძისა ძალიან მეშინია, - მწყენსო.

ვისაც ფორსაიტები ფსიქოლოგიურად აინტერესებს, მისთვის ცხვრის "უნაგირას" კერძს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამ კერძის ამბავი ასურათხატებს არა მარტო მთელი ოჯახისა და მისი თითოეული წევრის შეუპოვრობას, არამედ

ხაზს უსვამს იმასაც, რომ ისინი ხასიათითა და ინსტინქტებით იმ დიდ კლასს ეკუთვნიან, რომელსაც გემრიელი და ნოყიერი კერძები უფრო სწამს, ვიდრე სილამაზის სენტიმენტალური თაყვანისცემა.

ოჯახის ახალგაზრდა წევრებს ცხვრის "უნაგირა" სულაც არაფრად ეპიტნავებოდათ. ისინი ციცრისა და ასთაკვის სალათას ამჯობინებდნენ, რომელიც ნაკლებნოყიერია და ადამიანის წარმოსახვასაც აღიზიანებს - მაგრამ, ესენი იყვნენ ქალები. და ქალის გარდა, აბა, სხვა ვინ წახდებოდა ისე, რომ გაჩენის დღიდან სწორედ ამ კერძის ჭამაში ყოფილიყო და ამავე დროს ფარულად ზიზღი დაეთესა მისდამი თავისივე შთამომავალთა ხასიათში.

ცხვრის "უნაგირას" თაობაზე კამათი დასასრულს მიუახლოვდა, როცა უესტინდიას საწებლიანი ლორი შემოიტანეს. სუითინი ისე მონდომებით შეექცა ამ კერძს, რომ სადილის ნორმალური მსვლელობა შეაფერხა და ახლობლებს ლაპარაკიც კი შეაწყვეტინა.

სომსი, რომელიც მისის სეპტიმუს სმოლის გვერდით იჯდა, ყველას დიდი ყურადღებით ათვალიერებდა. იგი კარგა ხანია გუნებაში სახლის მშენებლობის გეგმას ელოლიავებოდა და ახლა სწორედ ამიტომ აკვირდებოდა ბოსინის. მისი მიზნისთვის არქიტექტორი სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ჭკვიანი უნდა იყოს, - გაიფიქრა სომსმა. ბოსინი სკამის საზურგეზე გადაწოლილიყო და პურის ნამცეცებისგან პატარა ბურთების კეთებაში იყო გართული. სომსმა შენიშნა, რომ ბოსინის გემოვნებით შეკერილი, მაგრამ ოდნავ ვიწრო კოსტიუმი ეცვა. მისი დაკვირვებით, კოსტიუმი კარგა ხნისა უნდა ყოფილიყო.

სომსმა დაინახა, როგორ მიბრუნდა ბოსინი აირენისკენ და რაღაც უთხრა. აირენს სახე გაუბრწყინდა. მას ყოველთვის სხვებთან ლაპარაკის დროს უბრწყინდებოდა სახე, სომსთან კი არასოდეს. სომსმა სცადა ყური მიეგდო და გაეგო რაზე საუბრობდნენ, მაგრამ მამიდა ჯულის ლაპარაკმა შეუშალა ხელი.

- ნუთუ სომსს უჩვეულო და საოცარ ამბად არ ეჩვენება, რომ გასულ კვირას ძვირფასმა მისტერ სკოულზმა გონებამახვილურად და გესლიანად იქადაგა: რა სარგებლობა ექნება იმ ადამიანს, რომელიც სულს მოიპოვებს და ქონებას კი დაღუპავსო? აი, ეს უნდა იყოს საშუალო კლასის დევიზიო; რას გულისხმობდა ამაში მისტერ სკოულზი? შეიძლება საშუალო კლასს მართლაც სჯერა, რაც მან თქვა, არ ვიცი, სომს, მაგრამ ის კი მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ?

სომსმა დაბნეულად უპასუხა:

- აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე? ეგ სკოულზი თვალთმაქცი და თაღლითი უნდა იყოს.

ამ დროს შენიშნა, რომ ბოსინი განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებდა ყველას, თითქოს თითოეული მათგანის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოცნობა მოუნდომებიაო. გულით ეწადა, გაეგო, რაზე ლაპარაკობდა ბოსინი. აირენს ღიმილზე შეატყო, რომ იგი ბოსინის შენიშვნებს აშკარად ეთანხმებოდა. ის ხომ ყოველთვის ეთანხმებოდა სხვებს, როცა ისინი ლაპარაკობდნენ.

მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. სომსმა უეცრად დახარა თვალები, აირენის ტუჩებს ღიმილი ზედ დააკვდა.

რაო? რა თქვა სომსმა? თაღლითიო? თუ ღვთისმსახური მისტერ სკოულზი თაღლითია, მაშინ სხვები ვინღა არიან? ეს საშინელებაა.

- ყველანი თაღლითები არიან, - დაასკვნა სომსმა.

სანამ შეცბუნებული მამიდა ჯული დუმდა, სომსმა აირენის ნათქვამ რამდენიმე სიტყვას მოჰკრა ყური: "აქ ყველა შემომსვლელმა იმედი უნდა გადაიწყვიტოს".(დანტე ალიგიერი, "ღვთაებრივი კომედია", ჯოჯოხეთი, სიმღერა III.)

სუითინმა როგორც იქნა, ლორის ქამა მოათავა და აირენს მიუბრუნდა:

- სოკოს სად ყიდულობთ ხოლმე? - ეს ისე იკითხა, თითქოს კარისკაცობაში ამოხდენოდეს სული, - თუ სნილიბობთან გაგზავნი მსახურს, მუდამ ახალ სოკოს იშოვი. ეს წვრილფეხა ვაჭრუკანები ხომ ახალი საქონლისთვის მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ.

როცა აირენი პასუხის გასაცემად მიბრუნდა სუითინისკენ, სომსმა შენიშნა, რომ ბოსინი აირენს აკვირდებოდა და თავისთვის იცინოდა. მერე რა უცნაური სიცილი იცის ამ ყმაწვილმა, გახარებული ბავშვივით უეშმაკო, გულუბრყვილო სიცილი. სომსს გაახსენდა ბოსინის მეტსახელი "მეკობრე", რომელიც ჯორჯმა შეარქვა მას, და დაასკვნა: ამ სახელს ბოსინისთან საერთო არაფერი აქვსო და როცა ბოსინი ჯუნისკენ მიბრუნდა, სომსმა ირონიულად ჩაიცინა. ჯუნი როგორღაც კუშტად გამოიყურებოდა. სომსს არ უყვარდა ჯუნი.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სულ ახლახან ჯუნს ასეთი საუბარი ჰქონდა ჯეიმსთან:

- შინ რომ ვბრუნდებოდი, მდინარის პირას შესანიშნავი სამოსახლო ადგილი შევნიშნე, ძია ჯეიმს!

ჯეიმსმა, რომელმაც ნელი, მაგრამ საფუძვლიანი ჭამა იცოდა, ყბები შეასვენა.

- ეჰ! - წარმოთქვა მან, - სად შენიშნე?

- პენგბორნთან(პენგბორნი - ქალაქი ლონდონთან, მდინარე თემზაზე, რომელიც შესანიშნავი შემოგარენით ატყვევებდა ლონდონელებს.).

ჯეიმსმა ლორის მოზრდილი ნაჭერი ჩაიდო პირში. ჯუნი ელოდებოდა.

- მგონი, შენ არ იცი, რომ იქ მიწის მფლობელობის უფლება არ იყიდება, - წარმოთქვა მან ბოლოს, - არც ის გეცოდინება, რა ფასებში იყიდება მიწის ნაკვეთები.

- გავიგე, - წარმოთქვა ჯუნმა, - ყველაფერი დაწვრილებით გავიგე, - თქვა და სიმტკიცის გამომხატველი პატარა სახე ეჭვნეულად წამოეგზნო.

ჯეიმსმა ინკვიზიტორის თვალით შეათვალიერა ჯუნი.

- რაო? შენ მიწის ნაკვეთი გინდა იყიდო? - წამოიყვირა ჯეიმსმა და ჩანგალი ხელიდან გაუვარდა.

ჯეიმსის ძლიერმა დაინტერესებამ ჯუნი გაამხნევა. ის დიდი ხანია გულით დაატარებდა იმედს, რომ ბიძები მოწყალებას მოიღებდნენ და ბოსინის ქალაქგარეთ აგარაკებს ააშენებინებდნენ.

- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა ჯუნმა, - მე ვიფიქრე, პენგბორნში დიდებული აგარაკი გაშენდება-მეთქი.

ჯეიმსმა ერთი ალმაცერად გადახედა ჯუნს და პირში ლორის მეორე ნაჭერი ჩაიდო.

- მიწის ნაკვეთი იქ ძალიან ძვირი უნდა ღირდეს, - თქვა მან. რითაც ჯუნი პიროვნულად დაინტერესდა, ყოველ ფორსაიტს აღელვებდა. ისინი ღელავდნენ, როცა იგრძნობდნენ ხოლმე იმის საშიშროებას, რომ მათთვის სასურველი რამ სხვას უნდა ჩავარდნოდა ხელთ. ჯუნს არ უნდოდა ამდენი ხნის ოცნება ერთბაშად საპნის ბუშტივით ხელში შემოსკდომოდა და ისევ თავისი განაგრძო:

- თქვენთვის უკეთესია, თუ ქალაქგარეთ იცხოვრებთ, ძია ჯეიმს. მე რომ ბევრი ფული მქონდეს, ლონდონში ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი.

ჯეიმსის გამხდარსა და გრძელ სხეულს აღელვება ერთიანად მოედო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ მისი ძმის შვილიშვილს ასეთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები ჰქონდა.

- რატომ არ უნდა გადახვიდეთ ქალაქგარეთ! - კვლავ გაუმეორა ჯუნმა, - ეს ხომ სარგებლობის მეტს არაფერს მოგიტანთ.

- რატომ, - აღგზნებით დაიწყო ჯეიმსმა, - რა სარგებელი უნდა ვნახო ახლა, მიწა რომ ვიყიდო და სახლების შენება დავიწყო. მე ხომ მთელ ჩემს თანხაში ოთხ პროცენტ სარგებელსაც ვერ ავიღებ!

- ამას რა მნიშვნელობა აქვს? სამაგიეროდ, სუფთა ჰაერზე იცხოვრებთ.

- სუფთა ჰაერი! - წამოიძახა ჯეიმსმა, - მერე რა თავში ვიხლი მაგ სუფთა ჰაერს?..

- მე მეგონა, სუფთა ჰაერზე ცხოვრება ყველასთვის სასიამოვნო იყო, - ზიზღით ჩაილაპარაკა ჯუნმა.

ჯეიმსმა ხელსახოცით მაგრად მოიწმინდა ტუჩები.

- შენ ფულის ფასი არ იცი, - წარმოთქვა მან და ჯუნის მზერას თვალი აარიდა.

- არ ვიცი და, ალბათ, არასოდეს მეცოდინება, - უპასუხა ჯუნმა და ენით გამოუთქმელი წყენა რომ დაემალა, ტუჩები მოიკვნიტა. საცოდავ ჯუნს მერე ხმა აღარ ამოუღია, ფიქრებმა წაიღო.

რატომაა, რომ მისი ნათესავები ასე მდიდრები არიან და ფილმა კი ისიც არ იცის, სად იშოვოს ხვალინდელი თამბაქოს ფული? რატომ არ უნდა დაეხმარონ ფილს? მაგრამ ყველანი დიდი ეგოისტები არიან. ვითომ რატომ არ აშენებენ აგარაკებს? ჯუნი აღსავსე იყო იმ გულუბრყვილო მგრძნობიარე დოგმატიზმით, რომელიც ზოგჯერ დიდ მიზანს აღწევს ხოლმე, ბოსინი, რომლისკენაც იგი ბრძოლის წაგების მერე მიბრუნდა, აირენს ელაპარაკებოდა და ჯუნის გული ეტკინა. ჯუნს მრისხანებისგან თვალებში სიმკაცრე მოემატა. ასე მოსდიოდა ხოლმე მოხუც ჯოლიონს, როდესაც მის სურვილს ვინმე ან რამე გადაეღობებოდა.

ჯეიმსიც ძალიან შეწუხებული გამოიყურებოდა. მას ეჩვენებოდა, რომ ვიღაც ხელყოფდა მის უფლებას, საკუთარი ფული ხუთპროცენტიან მოგებაში დაებანდებინა. ჯოლიონის ბრალია, იმან გაანებივრა. საკუთარი ქალიშვილები ამის ნახევარსაც ვერ გაუბედავდნენ. ჯეიმსი ძალიან თავისუფლად ზრდიდა შვილებს და ამის შეგნებამ უფრო ღრმად აგრძნობინა ჯუნს სითამამე. წარბშეკრულმა ხენდროს მოურია და როცა ერთ დიდ ხენდროზე კარგა მოზრდილი ნაღების გუნჯალი შენიშნა, ამოიღო და სწრა-

ფად გადასანსლა. რაც უნდა მომხდარიყო, ჯეიმსი ხენდროს შეუჭმელს არ დატოვებდა.

ჯეიმსი რომ უგუნებოდ შეიქნა, არც იყო საკვირველი. მან ორმოცდათოთხმეტი წელი (სრულწლოვანების მიღწევისთანავე რწმუნებულად დაამტკიცეს) შესწირა საკუთარ და მის მარწმუნებელთა კაპიტალის დაბანდებას მაღალ და ყველაზე საიმედოპროცენტიან აქციებში. ჯეიმსი მოლაპარაკებას მუდამ ისეთნაირად აწარმოებდა, რომ არც თვითონ და არც მის კლიენტებს არავითარი რისკი არ გაეწიათ და მუდამ ყველაზე დიდი და ნაღდი მოგება მიეღოთ. მას მუდამ წინასწარ, ზუსტად ფულად თანხაში ჰქონდა გამოთვლილი ყოველგვარი ცხოვრებისეული ურთიერთობა. ყოველივე ამან საბოლოოდ მიაჩვია იმას, რომ ყველაფერი ფულითა და ფულადი ურთიერთობით განესაზღვრა. ჯეიმსისთვის ფული იქცა სინათლედ, ურომლისოდაც მას არ შეეძლო გზის გაგნება. ფული იყო მისთვის სამყაროს აღქმის და შეცნობის ერთადერთი საშუალება. და ჯუნის სიტყვებმა: "ფულის ფასი არ ვიცი და, ალბათ, არასოდეს მეცოდინებაო", გული ატკინა და გააჯავრა. ჯეიმსმა იცოდა, რომ ეს მტკნარი სისულელე იყო, თორემ შეშინდებოდა. საით მიდის ეს ქვეყანა? უეცრად ახალგაზრდა ჯოლიონის ამბავი გაახსენდა და შვებით ამოისუნთქა. ან კი რა სიკეთეს უნდა მოელოდე ასეთი მამის შვილისგან! ახალგაზრდა ჯოლიონის გახსენებამ მისი ფიქრები სხვა გზით წარმართა, მაგრამ მერე უფრო ნაკლებად სასიამოვნო ამბები მოაგონდა. ნეტავ, რატომ დადის ასეთი ხმები სომსსა და აირენზე?

როგორც ყველა საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ოჯახს, ფორსაიტებსაც ჰქონდათ თავიანთი სავაჭრო ცენტრი,

სადაც ოჯახურ საიდუმლოებათა გაცვლა-გამოცვლის გარდა, ძირითადი და სააქციო კაპიტალის ფასების დადგენაც ხდებოდა. სწორედ ამ სავაჭრო ცენტრში, ანუ ფორსაიტთა ბირჟაზე, ცნობილი იყო, რომ აირენი სომსზე გათხოვებას ნანობდა. ფორსაიტებმა დაგმეს აირენის ეს სინანული. იგი მოვალე იყო სცოდნოდა, ვისაც მიჰყვებოდა, როცა თხოვდებოდა. არც ერთი წესიერი ქალი ასეთ შეცდომას არ ჩაიდენსო, - მსჯელობდნენ ისინი.

მართალია, ჩვენი სახლი პატარაა, მაგრამ უკეთეს ადგილს ხომ ლონდონში ვერ ნახავ. ბავშვებიც არ გვაწუხებენ, ფულადი მეურნეობაც მოგვარებული გვაქვს, ფიქრობდა გაგულისებული ჯეიმსი. სომსი გულჩათხრობილია, თავის საქმეებზე ლაპარაკი აგრერიგად არ უყვარს, თუმცა კაი თბილ ადგილზეა მოკალათებული, გვარიანი შემოსავალიც აქვს და საქმეშიც ძალიან ფრთხილია. სომსი მამამისივით "ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტის" ცნობილი ფირმის წევრი გახლდათ. მან ხომ ამას წინათ ერთი დიდად სარფიანი საქმე მოაკვარახჭინა. გირავნობის ფურცლების მფლობელთ ხანდაზმულობის მიზეზით გირაოს გამოსყიდვაზე უარი უთხრა და კარგა დიდი თანხა მოიხვეჭა.

ვითომ რა აკლია? რატომ არ უნდა იყოს აირენი ბედნიერი? როგორც გავიგე, ცალკე ოთახს მოითხოვსო. მან ხომ იცის, როგორი ბოლოც აქვს ხოლმე ასეთ ამბებს. სომსი რომ სვამდეს, კიდევ ჰო.

ჯეიმსმა რძალს მიაპყრო მზერა. მის უჩინარ გამოხედვაში, სიცივისა და უნდობლობის გარდა, პირად შეურაცხყოფას, სამდურავსა და შეწყალების სურვილს ამოიკითხავდით. იქნებ ყოველივე სისულელეა და თვითონ უბრალოდ ღელავს. ქალების ლა-

პარაკს ხომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ! უბრალო ამბავს ისე გააზვიადებენ და გაბერავენ ხოლმე, რომ აღარ იცი, როდის დაუჯერო და როდის არა. მერედა, მას ხომ არავინ არაფერს ეუბნება, ყველაფერს თვითონ უნდა ჩაუკირკიმალდეს და ისე შეიტყოს. ისევ აირენს შეხედა შეფარვით და მერე მზერა გადაიტანა სომსზე, რომელიც მამიდა ჯულის უსმენდა და ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა ბოსინის.

"ვიცი, უსაზღვროდ რომ უყვარს, - ფიქრობდა ჯეიმსი, - მარტო ის რადა ღირს, საჩუქრებით რომ ავსებს".

იმწამსვე სომსზე აირენის უკმაყოფილება წარმოუდგენელ უგუნურებად მოეჩვენა და კიდევ უფრო გააჯავრა რძლის საქციელმა. ო, რა ძალიან დასანანია... ეს ძვირფასი პატარა არსება... თვითონ ჯეიმსი შემოევლებოდა თავს, ნებას რომ დართავდეს. ამ ბოლო დროს ჯუნს დაუმეგობრდა; ეს ვერაფერი სასიკეთო ამბავია და აირენს კარგს არაფერს უქადის. საკუთარი შეხედულებები და აზრებიც რომ გაუჩნდა! გაუგებარია, ყოველივე ამით რისი მიღწევა სურს და საით მიილტვის. შესანიშნავი სახლ-კარი აქვს და რასაც მოიწადინებს, ყველაფრის ასრულება შეუძლია. არა, ვინმემ უნდა ითავოს, და აირენს გულდასმით შეურჩიოს მეგობრები. ასე თუ გაგრძელდა, ძალიან საშიშია.

დაჩაგრულთა და გაუბედურებულთა შემწყალე და მოსარჩლე ჯუნმა მართლაც წამოაცდენინა აირენს აღსარება და პასუხად ასეთი რამ უქადაგა: ძალიან ცუდი ამბავია, მაგრამ თუ საჭირო შეიქნა, უნდა გაეყარო კიდეცო. ჯუნის შეგონებას აირენმა ჩაფიქრებითა და მდუმარებით უპასუხა, თითქოს იმ ცივი შებმისა და ბრძოლის ეშინოდა, გაყრას რომ უნდა მოჰყოლოდა.

- არასოდეს დამთმობს, - უთხრა მან ჯუნს.

- მერე რა? - წამოიძახა ჯუნმა, - როგორც უნდა, ისე მოიქცეს. შენ ნურაფერს დაერიდები და შენს ნათქვამზე იდექი!

ჯუნმა არ ითაკილა და ტიმოთისას ზოგი რამ, ამ ამბის თაობაზე, კიდეც იჭიკჭიკა. როცა ჯეიმსმა ეს შეიტყო, შიშის ზაფრა დაეცა და აღშფოთდა.

"ერთიც ვნახოთ და აირენს მართლაც დაუჯდეს ჭკუაში სომსთან გაყრა".

ამის გაფიქრებაც კი შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა და ისეთ აუტანელ ტკივილს იწვევდა, რომ მაშინვე თავიდან მოიშორა. იგი გონების თვალით უკვე ხედავდა ფორსაიტთა წრიალს და მათი ენების ჭარტალიც ყრუდ ჩაესმოდა. ამ ამბის გახმაურება მის სისხლსა და ხორცს, მის საკუთარ შვილს შეეხებოდა, და ეს საშინელება მაჯლაჯუნასავით აწვა გულზე! ერთი ბედნიერება ისაა, რომ აირენს საკუთარი ქონება არა აქვს. წელიწადში ორმოცდაათი პაუნდი ხომ მათხოვრის ულუფაა! ჯეიმსმა სიძულვილით გაიხსენა გარდაცვლილი ჰერონი, რომელმაც შვილს არაფერი დაუტოვა. მწარე ფიქრებში ჩაფლულს, მაგიდის ქვეშ ფეხები ერთმანეთისთვის გადაეჭდო და, როცა ქალები ოთახიდან გავიდნენ, ისიც კი დაავიწყდა, რომ წამომდგარიყო. სომსს უნდა მოელაპარაკოს და გააფრთხილოს, ფხიზლად იყოს; რაც მოხდა, იმაზე თვალის დახუჭვა აღარ შეიძლება. ნაწყენმა და გაგულისებულმა ჯეიმსმა შენიშნა, რომ ჯუნს ღვინო ხელუხლებლად დაეტოვებინა.

"აირენს გაყრა არასოდეს მოაფიქრდებოდა. ყველაფერი იმ კუსპარა ჯუნის ბრალია", - განაგრძობდა ფიქრს ჯეიმსი, რომელიც წარმოსახვის დიდი უნარით იყო დაჯილდოებული.

ფიქრებში წასულს სუითინის ხმა მოესმა და აზრი გაუწყდა.

- მაგ ნივთში ოთხასი გირვანქა სტერლინგი გადავიხადე, - ამბობდა სუითინი, - რა თქმა უნდა, ხელოვნების ნამდვილი შედევრია.

- ოთხასი გირვანქა! ეს საკმაოდ დიდი თანხაა! - გამოეპასუხა ნიკოლასი.

ნივთი, რომლის თაობაზეც საუბარი ჩამოვარდა, იტალიური მარმარილოსგან საგულდაგულოდ გამოქანდაკებულ, ნატიფად შესრულებულ ჯგუფურ ქანდაკებას წარმოადგენდა, მარმარილოსავე პოსტამენტზე იდგა და ოთახში ჭეშმარიტი ხელოვნებისა და კულტურის ტაძრის სურნელს აკმევდა. ოსტატურად გამოძერწილ, ექვს შიშველ ქალს, რომელნიც ქანდაკების დამხმარე ანსამბლს ქმნიდნენ, ხელები ჰქონდათ გაწვდილი ცენტრალური ფიგურისკენ, რომელიც იშვიათი სილამაზის განსახიერება გახლდათ, ისევე შიშველი იყო, როგორც დამხმარე ფიგურები და ხელით საკუთარ თავზე ანიშნებდა; მხილველს ყოველივე ეს, უდიდეს სიამოვნებასთან ერთად, ამ ენით უთქმელი სილამაზისადმი თაყვანისცემით ავსებდა და გულში მისი ფასდაუდებელი ღირებულების გრძნობას უნერგავდა. პაპიდა ჯული, რომელიც ქანდაკების პირისპირ იჯდა, მთელი სულიერი ძალების დაძაბვით ცდილობდა, როგორმე მისთვის არ ეცქირა და მთელი საღამო იტანჯებოდა.

მოხუცმა ჯოლიონმა დაილაპარაკა და ამით კამათიც წამოიწ-ყო.

- ამაში ოთხასი გირვანქის გადახდა ნამდვილი სისულელეა! აღარა თქვა, ოთხასი გირვანქა გადავიხადეო!

სუითინმა მოსაუბრისკენ მიაბრუნა თავი და იმ საღამოს მეორედ იგრძნო თავისი მაღალი საყელოს ბოლოების ჩხვლეტა.

- ოთხასი გირვანქა, არც ერთი ფარტინგით ნაკლები, და არც ვნანობ. ეს ხომ ჩვეულებრივი ინგლისური ნახელავი არაა, ეს წმინდა წყლის იტალიური მოდური ნაკეთობაა.

სომსს ტუჩების ბოლოებში გამოესახა ღიმილი და კვლავ ბო-სინის გახედა. სიგარეტის კვამლში გახვეული არქიტექტორი იღიმებოდა. "ახლა კი ნამდვილად მიაგავს მეკობრეს", - გაიფიქრა სომსმა.

- ძალიან რთული ნახელავია, - შენიშნა ნაჩქარევად ჯეიმსმა რომელიც ქანდაკების სიდიდემ ნამდვილად გააოცა, - ეს ჯობ-სონთან კარგ ფასში გაიყიდება.

- ამის შემქმნელმა საბრალო უცხოელმა, - განაგრძო სუითინ-მა, - ხუთასი გირვანქა დამიფასა, მე კი ოთხასი გადავუხადე. ისე, მაგისი ნამდვილი ფასი რვაასი გირვანქა სტერლინგია. ის უბედუ-რი დამშეულს კი ჰგავდა.

- აჰ! - გამოელაპარაკა უცბად ნიკოლასი, - ეგ არტისტები მუ-დამ საწყლად გამოიყურებიან. მე ის მაკვირვებს, როგორ ცხოვ-რობენ. აი, ის ახალგაზრდა მევიოლინე ფლაჯელოტი, ფანი და გოგოები რომ ეპატიჟებიან ხოლმე, წელიწადში ათასი გირვანქა შემოსავალი თუ ექნება, მეტს ვერასოდეს გააკეთებს.

ჯეიმსმა თავი გააქნ-გამოაქნია.

- აჰ, - წარმოთქვა მან, - არ ვიცი, მართლაც რით ცხოვრობენ ისინი!

პირში სიგარაგაჩრილი მოხუცი ჯოლიონი წამოდგა და, ნივთი რომ უკეთ დაეთვალიერებინა, ახლოს მივიდა.

- ამაში ორას გირვანქასაც არ გავიმეტებდი! - წარმოთქვა ბოლოს.

სომსმა თვალი შეასწრო, მამამისმა და ნიკოლასმა რა შეწუხებულებმა გადახედეს ერთმანეთს; სუითინის გვერდით ბოსინი იჯდა და კვლავ თამბაქოს ბოლში იყო გახვეული.

"ძალიან მაინტერესებს, ეგ რაღას ფიქრობს ამ ნივთზე?" - გაიფიქრა სომსმა, რომელსაც თავად მშვენივრად ესმოდა, რომ ეს ქანდაკება VIEUX JEU(VIEUX JEU - ძველი ყაიდისა) იყო და ერთი თაობით მაინც იყო მოძველებული. ჯობსონთან ხელოვნების ამნაირ ნიმუშებს უკვე არავითარი გასავალი არ ჰქონდა.

დასასრულ, სუითინის პასუხიც გაისმა:

- შენ ქანდაკებისა არასოდეს გესმოდა რამე. მხოლოდ სურათების კოლექციას აგროვებდი. ეს იყო და ეს!

მოხუცი ჯოლიონი უკანვე დაბრუნდა, თავის ადგილზე დაჯდა და სიგარა გააბოლა. ის ხომ დავას არ დაუწყებდა ამ სახედარივით ჯიუტსა და უთავო მათხოვარს, რომელიც ჭილის ქუდს ქანდაკებისგან ვერ არჩევდა.

- თაბაშირია! - თქვა ჯოლიონმა და დადუმდა.

გამწარებული და გაგულისებული სუითინი კარგა ხანს ენაჩავარდნილი იჯდა. ბოლოს, მაგიდას დაჰკრა მუშტი და იყვირა:

- თაბაშირიო! ერთი ისიცა თქვი, სახლში თუ გაქვს ისეთი ნივთი, ამის ნახევარი რომ ღირდეს?!

მის ხმაში კვლავ გაცნაურდა პირველყოფილი თაობის შმაგი გრგვინვა.

დაძაბული ვითარებისგან ყველანი ჯეიმსმა იხსნა:

- ახლა თქვენ მოგვახსენეთ პირუთვნელი აზრი, - მიმართა მან ბოსინის, - თქვენ ხომ არქიტექტორი ბრძანდებით და ქანდაკება უშუალოდ თქვენი სტიქიაა!

ყველას ყურადღება ბოსინიმ მიიპყრო. თითოეული მათგანი უცნაური უნდობლობით ელოდა მის პასუხს.

სომსმა მხოლოდ ახლა დაილაპარაკა:

- დიახ, თქვენი აზრი მართლაც საინტერესოა, ბოსინი.

ბოსინიმ ძალზე მშვიდად განაცხადა:

- შესანიშნავი ნივთია.

მან ეს სიტყვები სუითინის საამებლად წარმოთქვა, თვალებით კი ისე ეშმაკურად გადახედა მოხუც ჯოლიონს და შესცინა, რომ უეჭველი იყო, მას ეთანხმებოდა; მხოლოდ სომსი დარჩა უკმაყოფილო.

- შესანიშნავიო, ამბობთ, არა? მაგრამ რით?

- თავისი გულუბრყვილობით.

ბოსინის პასუხმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც მრავლისმთქმელი დუმილი მოჰყვა; მხოლოდ სუითინმა ვერ გაარკვია, ბოსინის პასუხი ქათინაურად მიეღო თუ არა.

თავი მეოთხე

სახლის გეგმა

სუითინთან გამართული სადილიდან სამი დღის შემდეგ, თავისი სახლის მწვანედ შეღებილი სადარბაზო შესასვლელიდან გამოსულ სომს ფორსაიტს სკვერი არც კი გადაეჭრა, რომ ისევ სახლისკენ მიიხედა და კიდევ უფრო განუმტკიცდა ერთხელვე აკვიატებული აზრი: ამ სახლს ხელახლა შეღებვა ესაჭიროებაო.

ცოლი სასტუმროში დატოვა დივანზე მჯდარი. მუხლებზე ხელებშემოწყობილი აირენი, ცხადია, მის წასვლას ელოდებოდა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ გახლდათ! ყოველ ცისმარე დღე ერთი და იგივე სცენა მეორდებოდა.

სომსს ვერაფრით აეხსნა, რას ემართლებოდა აირენი. მსმელი არ იყო! აზარტულ თამაშს გაურბოდა; ვალი არ ჰქონდა; ლანძღვა-გინება არ იცოდა; უბრალო შეურაცხყოფასაც არ აყენებდა; ფუქსავატ, ქარაფშუტა ხალხში არ ჰქონდა საქმე, ღამღამობით წანწალი არ უყვარდა; პირიქით.

გულცივობა და ღრმად დაფარული სიძულვილი, რასაც ცოლისგან გრძნობდა, ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა სომსისთვის და კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა. აირენმა რომ შეცდომა ჩაიდინა და უსიყვარულოდ გაჰყვა სომსს, მის შეყვარებას რომ

ცდილობდა და ვერ შეძლო, ცხადია, არაფერი მიზეზი გახლდათ. თუ სომსი, ასეთ უმნიშვნელო, სულელურ მიზეზს ცოლთან გამწვავებული ურთიერთობის საფუძვლად მიიჩნევდა, მაშინ იგი ფორსაიტი არ იქნებოდა. მას არასოდეს შეხვედრია ისეთი ქალი, ზემოქმედების იმდენი ძალა ჰქონოდა და ისე ანდამატივით მიეზიდა ყველა, როგორც აირენს. ისე ფეხს ვერსად გადადგამდნენ, რომ სომსს ცოლის უზომო მიმზიდველობითა და მომხიბვლელობით დატყვევებულ მამაკაცთა აღფრთოვანებული მზერა არ დაეჭირა. მათი გამოხედვა, მანერები და ხმა ყოველივეს საცნაურს ხდიდა სომსისთვის; ამ მუდმივი ყურადღებით გარემოსილი აირენი მაინც ყველასთვის მიუკარებელი რჩებოდა და სომსი ვერაფერს დააყვედრებდა. ის აზრი, რომ ანგლოსაქსონური რასისთვის აირენისთანა ქალი დიდი იშვიათობაა, რომ აირენი ტრფობისთვის იყო გაჩენილი, იგი უნდა ჰყვარებოდათ და თვითონაც სამაგიერო გრძნობა მოემკო, - რომ უსიყვარულოდ ასეთი ქალისთვის სიცოცხლეს ფასი არა აქვს, სომსს ერთხელაც არ მოსვლია თავში. აირენის მიმზიდველობას სომსი ცოლის ღირებულების ნაწილად მიიჩნევდა და, როგორც ჭეშმარიტ ფორსაიტს, ისიც თავის საკუთრებად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ფიქრობდა სომსი, რომ აირენს, როგორც მის საკუთრებას, არა მარტო მისგან უნდა მიეღო ყოველივე, არამედ თვითონაც სამაგიერო გრძნობით უნდა გაეთბო სომსი. აირენი კი საპასუხოდ სომსს არაფერს აძლევდა! "ნეტავ ცოლად რისთვის მომყვებოდა?" - ფიქრობდა სომსი და თავში მუდამ ეს კითხვა უტრიალებდა. ის დრო კი დაავიწყდა, აირენს რომ თავს აწონებდა. წელიწადნახევარი კუდში დასდევდა, ხან სად აეტუზებოდა და ხან სად, მუ-

დამ მის ლოდინში იყო. ათასგვარ ხერხს იგონებდა მის გასამ-ხიარულებლად, აუარებელ საჩუქარს უძღვნიდა, დროდადრო ხელს სთავაზობდა და ნიადაგ მასთან ყოფნით სხვა თაყვანის-მცემლებს უფრთხობდა. დაივიწყა ის დღეც, როცა ოჯახური უთანხმოებით გულმოკლული აირენი დაიმარტოხელა, მოხერხე-ბულად ისარგებლა მომენტით და საწადელს ეწია. თუ სომსს რამე ახსოვდა, ეს იყო ის ახირებული ჭირვეულობა, რომლითაც ოქ-როსფერკულულიანი, შავთვალა გოგონა უმასპინძლდებოდა. მას ნამდვილად არ ახსოვდა აირენის უცნაური, რაღაცნაირი ინერტული, დაუდევარი გამოხედვა, როცა ერთ დღეს თანხმობა განუცხადა და უთხრა, ცოლად გამოგყვებიო.

ეს იყო ნამდვილი თავგანწირული და აბეზარი დევნის შედეგი, წიგნებსა და ხალხში რომაა ხოტბაშესხმული, როცა შეყვარებუ-ლი ბოლოს და ბოლოს, მოიმკის თავისი გარჯის საზღაურს; ბედს, როგორც რკინას, მანამ გამოჭედს, სანამ ცხელია, და ყოველივე ისე ბედნიერად უნდა დასრულდეს, ვით საქორწინო ზარების რეკვა.

სომსი გულმოდგინედ აფარებდა თავს ქუჩის ჩრდილიან მხა-რეს და აღმოსავლეთის მიმართულებით გაეშურა.

"ან ჩვენი სახლი უნდა შევაკეთებინო, ან ქალაქგარეთ დავიწ-ყო სახლის მშენებლობა", მტკიცედ გადაწყვიტა გზად მიმავალმა.

იმ თვეში სახლის მშენებლობაზე ფიქრი არ ასვენებდა. ეს პრობლემა ათასჯერ მაინც აწონ-დაწონა. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია! საქმეები ძალიან კარგად მიუდიოდა, შემოსა-ვალი ეზრდებოდა და წელიწადში სამი ათასს მიაღწია; მართა-ლია, მის მიერ საქმეებში დაბანდებული კაპიტალი იმდენს არ შე-

ადგენდა, რამდენიც მამამისს ეგონა, მაგრამ ჯეიმსს ხომ მუდამ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა შვილების ქონებაზე.

- შემიძლია რვა ათასი თავისუფლად დავხარჯო და რობერტსონის ან ნიკოლასის სათხოვარი არაფერი მექნება.

სომსი გასაყიდად გამოფენილი სურათების წინ შეჩერდა. ის ხომ სურათების "მოყვარული" გახლდათ და მონტპელიესკვერზე, 62 ნომერში ერთი პატარა ოთახი სულ მხატვრული ტილოებით ჰქონდა გამოტენილი. ჩამოსაკიდი ადგილი რომ არ ჰყოფნიდა, სურათები კედლებზე მიეყუდებინა. ეს ტილოები, ჩვეულებრივ, სიტიდან დაბრუნებულს დაბინდებისას მიჰქონდა ხოლმე სახლში. ამ პატარა ოთახში კი კვირაობით იცოდა შევლა, საათობით რჩებოდა, სურათებს სინათლისკენ აბრუნებდა, სინჯავდა, დაჟინებით აკვირდებოდა წარწერებს უკანა მხარეზე და უბის წიგნაკში შენიშვნებს იწერდა.

თითქოს მრავალსართულიან და დაუსრულებელქუჩებიანი ლონდონის გამოსაჯავრებლად, სადაც სომსის, მისი მოდგმისა და კლასის ცხოვრება მიედინებოდა, ყველა ტილო ბუნების სურათს ასახავდა, მათ წინა პლანზე კი ფიგურები მოჩანდა. სომსი ხანდახან ერთ ან ორ სურათს ეტლში დებდა და სიტიში გზად მიმავალი ჯობსონთან ჩერდებოდა.

სომსი სურათებს არავის უჩვენებდა; აირენიც კი, რომლის აზრსა და გემოვნებას ფარულად აღმერთებდა და, ალბათ, სწორედ ამის გამო არაფერს ეკითხებოდა, ამ პატარა ოთახის იშვიათი სტუმარი გახლდათ. იგი მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე იქ, როცა დიასახლისის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. აირენს არავინ ეუბნებოდა, სურათები დაათვალიერეო და ისიც

უკითხავ საქმეში არასოდეს ერეოდა. სომსს აირენის ეს ჩაურევ-ლობაც აწუხებდა და შეურაცხყოფდა. მას არ მოსწონდა ცოლის ასეთი სიამაყე და ფარულად ეშინოდა კიდეც მისი.

დარაბის სარკიდან სომსს თავისივე ორეული შეჰყურებდა.

ქუდიდან გამოჩრილი სწორი თმა საკუთარი ცილინდრივით უბრწყინავდა. ფერმკრთალი და ბრტყელი ღაწვები, სუფთად ულვაშგაპარსული ფორსაიტული ნიკაპი, პარსვისგან რომ ფო-ლადისფერი დასდებოდა, ბოლომდე შეკრული შავი, გემოვნებით შეკერილი პიჯაკი, იდუმალებით მოცული, დინჯი და გულჩახ-ვეული ადამიანის იერს აძლევდა; მაგრამ თავისივე ცივი, ნაცრისფერი, დაძაბულად გამომზირალი თვალები, რომელთა შორი-საც შუბლზე დამჩნეული ნაოჭი ჩამოსდიოდა, ისე ნაღვლიანად შემოჰყურებდნენ, თითქოს პატრონის ფარული სისუსტის ამბავი იციანო.

მან ყურადღებით დაათვალიერა სურათები და ზედ მიწერილი მხატვართა გვარები, მათი ღირებულება იანგარიშა, მაგრამ ისე-თი კმაყოფილება არ განუცდია, როგორსაც ჩვეულებრივ ასეთი წინასწარი შეფასების დროს გრძნობდა ხოლმე და გზა განაგრძო.

თუ მშენებლობის დაწყებას გადაწყვეტს, ძველ სახლში კიდევ ერთ წელიწადს მშვენივრად გაიტანენ თავს. მშენებლობისთვის პირდაპირ ზედგამოჭრილი დროა. ამ ბოლო წლებში ფულის კურ-სი ასეთი მაღალი არც ყოფილა. რაც შეეხება ადგილს, ზაფხულში ნიკოლასის ქონების გირავნობის თაობაზე რობინჰილში ყოფნი-სას რომ სამოსახლო ნახა, იმაზე მეტს ყოველთვის აიღებს, რასაც ახლა დახარჯავს. ასეთ ადგილზე წამოჭიმული სახლი, თუ კარგი

სტილითაც აშენდა, ნამდვილად სარფიან საქმეში დაბანდებული ნაღდი ფული იქნება.

ის, რომ ფორსაიტებში მხოლოდ მას ექნება ქალაქგარეთ სახლი, სომსისთვის ბევრს არ ნიშნავდა; ნამდვილი ფორსაიტისთვის გადაჭარბებული მგრძნობიარობა, თუნდაც ეს საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული, ფუფუნება და ნებივრობა გახლდათ. ამაზე ფიქრი კი ადამიანს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როცა უფრო მნიშვნელოვან სურვილებს დაიკმაყოფილებს.

აირენის ლონდონიდან გაყვანა, მისთვის ხალხში გასვლისა და შეხვედრების შესაძლებლობის მოსპობა და მათი ჩამოცილება, ვინც ჭკუიდან აცდენდა. აი, რა იყო სომსისთვის არსებითი! აირენი და ჯუნი განუყრელი მეგობრები გახდნენ. ჯუნს სომსი არ უყვარდა. სამაგიეროდ, არც სომსი აღმერთებდა. მათ ძარღვებში ხომ ერთნაირი სისხლი ჩქეფდა.

აირენის ქალაქიდან გაყვანა - აი, ესაა მთავარი. სახლი ძალიან მოეწონება, თანაც ისეთი არტისტული ბუნების ადამიანია, მის მორთვა-მოკაზმვასაც თვითონ ითავებს.

სახლისთვის რამე უცხო სტილი უნდა გამონახოს. ისეთი, ფასს რომ არასოდეს დაკარგავს. რამე უნიკალური, აი, იმისთანა, პარკისის კოშკიანი სახლი რომაა; მაგრამ პარკისმა ხომ თვითონვე აღიარა, არქიტექტორმა დამაქციაო. ეშმაკმა არ იცის, მაგ ხალხს როგორ უნდა მოექცე; თუ ცნობილი და სახელოვანი არქიტექტორია, მტრისას, ისეთ ხარჯებში ჩაგაგდებს, თანაც აიხირებს რამეს და მერე მიდი და სდიე.

ჩვეულებრივი არქიტექტორის დაქირავებაც არ ივარგებდა. პარკისის კოშკიანი სახლის მოგონებისას უბრალო არქიტექტორზე ფიქრს მაშინვე უკუაგდებდა ხოლმე.

ამიტომაც გაიხსენა ბოსინი. სუითინთან გამართული სადილის შემდეგ სომსმა გაიკითხ-გამოიკითხა, როგორი არქიტექტორიაო ბოსინი. მართალია, ზედმეტად ძუნწი ცნობები შეკრიბა, მაგრამ, რაც შეიტყო, იმანაც შეაგულიანა და წაახალისა: "ახალი სკოლის მიმდევარი".

"ჭკვიანი?"

"უდავოდ, ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი, მხოლოდ ცოტა ფანტაზიორი!"

სომსმა ვერ მიაკვლია ბოსინის მიერ აშენებულ სახლებს, ვერც ის შეიტყო, რა გასამრჯელოს იღებდა. ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თავისი პირობების წაყენება შეეძლო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ იდეაზე, უფრო მეტად მოსწონდა იგი. ყველაფერი შინაურულად მოგვარდებოდა, ფორსაიტები კი მუდამ ამას ესწრაფვიან ხოლმე ქვეცნობიერად. სომსს შეეძლო ეშოვა "ხელის გამმართავი", თუ ნომინალური პირობებით არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან ხელსაყრელ ფასში. ეს იდეა სამართლიანიც იყო, თუ მხედველობაში მიიღებდა, რომ ბოსინის შემთხვევა ეძლეოდა თავისი ნიჭი და უნარი გამოეჩინა, რადგან სომსი უბრალო შენობის აგებას არ აპირებდა.

ახალგაზრდა კაცს სამუშაოს გაუჩენდა და ამით სომსმა თვითკმაყოფილება იგრძნო; ყოველი ფორსაიტი სრული ოპტიმისტი გახლდათ, როცა ოპტიმიზმიდან რაიმე სარგებელს გამოელოდა.

ბოსინის სამსახური იქვე, ყურის ძირში, სლოუნსტრიტზე იყო. ასე რომ, სომსს შეეძლო თვალი ედევნებინა პროექტის შედგენისთვის.

ლონდონის დატოვებას აირენი უფრო ადვილად შეურიგდება, თუკი მისი ყველაზე ახლობელი მეგობრის საქმრო სამუშაოს იშოვის. ჯუნის დაქორწინებაც ამაზე იქნება დამოკიდებული. აირენი ხომ ჯუნის ბედნიერებას წინ არ გადაეღობება; სომსი მშვენივრად იცნობს აირენს და იგი საძრახს არაფერს ჩაიდენს. ჯუნიც კმაყოფილი დარჩება; და სომსმა კიდევ სარგებელი დალანდა.

ბოსინი ძალიან ჭვიანი, ნიჭიერი კაცი უნდა იყოს. მაგრამ ყველაზე მოსაწონი მასში ისაა, რომ ფულით გაურყვნელი კაცი ჩანს და ეს საკითხი მასთან ადვილად მოგვარდება. ამ ვარაუდში რომ იყო, სომსს არც უფიქრია ბოსინის გაცურება. სომსი და ათასობით გამოჩენილი საქმოსანი, რომელთა შორისაც იკაფავდა იგი გზას ლედგეიტჰილზე(ლედგეიტჰილი - სიტის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა.), ჩვეულებრივად ერთნაირად სჯიდა.

და, როცა სომსი სიამოვნებით ფიქრობდა - ბოსინისთან ფულად საქმეებს ადვილად მოვაგვარებო - იგი ახორციელებდა თავისი დიდი კლასის მიუწვდომელ - ადამიანური ბუნების კანონს.

სომსი ჩვეულებრივ თავჩაქინდრული დადიოდა. იმ დღეს კი, ბრბოში მუჯლუგუნების დახმარებით წინ მიმავალს, მზერა წმინდა პავლეს ტაძარმა(წმინდა პავლეს ტაძარი - აშენებულია კლასიკური სტილის მიხედვით, ცნობილი ინგლისელი არქიტექტორის ქრისტეფორ უოსენის მიერ XVII საუკუნეში და ლონდონის სიტის თავზე გადმოსცქერის) მოსტაცა და მაღლა აიხედა.

ბრწყინვალეგუმბათიანი ძველი ტაძარი სომსს უცნაური ძალით იზიდავდა. ის კვირაში ორ-სამჯერ მაინც შეივლიდა ტაძარში, ხუთ-ათ წუთს გარინდებით დადგებოდა და მონუმენტებსა და ეპიტაფიებს ათვალიერებდა. თუ არა ის მიზეზი, რომ ტაძარში ყოველდღიური საქმიანობის გეგმებს აწყობდა და კარგად ალაგებდა ფიქრებს, აუხსნელი იქნებოდა ტაძრისადმი სომსის ასეთი ლტოლვა. როცა რაიმე უჩვეულო საქმე ან ისეთი საკითხი გაუჩნდებოდა, რაც განსაკუთრებულ სიეშმაკესა და მოსაზრებულობას მოითხოვდა, სომსი აუცილებლად ტაძარში მიდიოდა და ეპიტაფიებით შემკულ საფლავებს შორის თაგვივით უხმაუროდ დაცუცუნებდა. შემდეგ უხმაუროდვე გამოვიდოდა ტაძრიდან, და ჩიპსაიდზე ისეთი მტკიცე ნაბიჯებით გაივლიდა, მის მიხრამოხრასა და სიარულში იმდენი სითამამე გამოსჭვიოდა, თითქოს მოწონებული ნივთის ყიდვა გადაუწყვეტია და პირდაპირ სავაჭრო სახლში მიემართებაო.

სომსი იმ დილითაც ესტუმრა ტაძარს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულებრივ მონუმენტიდან მონუმენტამდე ფეხაკრეფით ევლო, მუმიასავით ერთ ადგილზე გახევდა და თვალი ტაძრის სვეტებსა და მათ შუა მოქცეულ სივრცეს მიაპყრო.

თავი მავედრებელივით უკან გადაეგდო. მაღლა აწეულ სახეზე ტაძრის კედლებიდან არეკლილი შუქი გადაჰფენოდა და ისეთივე კრძალვა დაუფლებოდა, როგორიც საერთოდ ეკლესიებში შესულ მლოცველებს აქვთ ხოლმე. ხელთათმნიან ხელში მაგრად ჩაბღუჯული ქოლგა მაღლა აეშვირა, თითქოს სხეულში ღვთიური ზეშთაგონება ჩასდგომიაო.

"დიახ, - გაიფიქრა სომსმა, - უნდა მქონდეს ჩემი სურათების გამოსაფენი დარბაზი".

იმ საღამოს, სიტიდან დაბრუნებულმა სომსმა ბოსინის გაუარა სახლში. პირში ყალიონგაჩრილი არქიტექტორი პერანგი-სამარა იჯდა და რაღაც გეგმას ხაზავდა. სომსმა ღვინის დალევა-ზე უარი უთხრა ბოსინის და სიტყვა პირდაპირ საქმეზე ჩამოუგ-დო.

- თუ კვირადღეს უფრო საინტერესო არაფერი გელოდებათ, რობინჰილში სამოსახლო ადგილის დასათვალიერებლად წავი-დეთ. თქვენი აზრი ძალიან მაინტერესებს.

- სახლის მშენებლობა გსურთ დაიწყოთ?

- შეიძლება დავიწყო, - უპასუხა სომსმა, - მაგრამ ჯერჯერო-ბით ნურავის ეტყვით, მე მხოლოდ თქვენი აზრი მაინტერესებს.

- როგორც გენებოთ, - დაეთანხმა არქიტექტორი.

სომსმა ოთახს თვალი მოავლო.

- ძალიან მაღლა კი გიცხოვრიათ, - შენიშნა სომსმა.

სომსი ცდილობდა დაწვრილებით გამოეძია ყველაფერი ბო-სინის შესახებ, მისი ჰორიზონტი, გაქანება და ხასიათი. იმედი ჰქონდა, რომ მისი ცოდნა მომავალში გამოადგებოდა.

- მე ზემო სართულზე მირჩევნია ცხოვრება, - უპასუხა არქი-ტექტორმა, - თქვენ კომფორტსა ხართ მიჩვეული.

ბოსინიმ ყალიონი გამობერტყა, მაგრამ ცარიელი ისევ პირში ჩაიდო; ეტყობა, კბილებში გაჩრილი ყალიონი ლაპარაკს უადვი-ლებდა. სომსმა შენიშნა ბოსინის ჩაცვივნული ლოყები და იფიქ-რა, მაგრად ქაჩვისგან მოუვიდოდაო.

- რამდენს იხდით ამ ოთახში? - იკითხა სომსმა.

- ორმოცდაათს, მაგრამ ხომ ხედავთ, მაგის ნახევარიც არ ღირს, - უპასუხა ბოსინიმ.

ბოსინის პასუხი სომსს ძალიან ხელსაყრელად ეჩვენა.

- მეც ასე ვფიქრობ, ძალიან ძვირად გიქირავებიათ. კვირას რომ თერთმეტი საათისთვის შემოგიაროთ?

მეორე კვირას სომსმა მართლაც მიაკითხა ბოსინის ორთვალა ეტლით და რკინიგზის სადგურისკენ გასწიეს. რობინჰილში ჩასულებმა ეტლი ვერ იშოვეს და სამოსახლომდე მილ-ნახევარი ფეხით იარეს.

პირველი აგვისტოს მშვენიერი მოწმენდილი დღე იდგა. მზე აცხუნებდა. ბილიკი პირდაპირ მაღალი ბორცვისკენ მიემართებოდა. მგზავრებს ფეხსაცმელზე ყვითელი მტვერი ედებოდათ.

- ქვიშნარი ყოფილა, - შენიშნა სომსმა და თან ბოსინის პალტო ჩაათვალიერა. ბოსინის პალტოს ჯიბეებიდან ქაღალდის ხვეულებს ამოეყო თავი. ბოსინის უცნაური ჯოხი ამოეჩარა იღლიაში. სომსმა, გარდა ამისა, ბოსინის სხვა უცნაურობაც შეამჩნია.

ასე უბრალოდ, დაუდევრად ჩაცმა, მხოლოდ ნამდვილად ჭკვიანს, ანდა მართლა მეკობრეს თუ შეეძლო; საერთოდ ბოსინის ახირებული ხასიათი სომსს ცნობისმოყვარეობას უღიზიანებდა. მაგრამ ამჯერად ერთგვარი კმაყოფილება იგრძნო. ალბათ, იმიტომ, რომ ამ უცნაურობაში უეჭველ სარგებლობას ხედავდა. თუ კაცმა სახლის აშენება იცის, მისი ჩაცმა-დახურვა რა სახსენებელია.

- მე გაგაფრთხილეთ, რომ სახლის მშენებლობაზე სიტყვა არ უნდა დაძრათ. სანამ ბოლომდე არ მივიყვან, არ მიყვარს ჩემს საქმეებზე ლაპარაკი, - წარმოთქვა სომსმა.

ბოსინიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- თუ ქალს საიდუმლოს გაანდობ, - განაგრძო სომსმა, - მერე თავსა და ბოლოს ვეღარაფერს გაუგებ.

- ოჰ! - წამოიძახა ბოსინიმ, - ქალი და სატანა ერთია!

ეს აზრი დიდი ხანია სომსსაც გულში ედო, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს წამოსცდენია.

- ოჰ! - წაიბურტყუნა სომსმა, - უკვე იწყებთ, არა? - მერე ერთხანს შეჩერდა, მაგრამ შემდეგ თავშეუკავებლად გადმოანთხია ღვარძლი:

- ჯუნიც კარგი კაპარჩხანაა, მუდამ სიანჩხლით გამოირჩეოდა.

- ანგელოზისთვის გულფიცხობა დიდი ნაკლი არ არის!

სომსს აირენისთვის არასოდეს უწოდებია ანგელოზი. მას არ შეეძლო შეებღალა თავისი გულის საიდუმლო, უცხოთათვის გაემჟღავნებინა საკუთარი მეუღლის ფასი და თავი გაეცა. სიტყვა არ დაუძრავს, რჩეულ ოქროდ აღიარებული დუმილი არჩია.

სანახევროდ ნაკეთები გზით უშენ ადგილს მიადგნენ. სასოფლო შარა აქ პირდაპირ სწორი კუთხით უხვევდა და ქვიშის მაღაროსკენ მიემართებოდა, რომლის მიღმაც, ხშირი ტყის საზღვარზე ჩამწკრივებული ხეების კენწეროებში კოტეჯის საკვამურები მოჩანდა. ბუმბულივით მსუბუქად მობიბინე ბალახს ერთიანად დაეფარა გამხმარი მიწა. მათ მიახლოებაზე მოკრიალებულ ცაში ტოროლები აიჭრნენ. შორს, ცის დასალიერზე, თვალუწვდენ მინ-

დვრებს მიღმა, ერთმანეთის მიყოლებით მესერივით შემოვლებული მაღლობები აღმართულიყო.

სომსი წინ მიუძღოდა ბოსინის და მანამდე არ შეჩერებულა, ვიდრე უშენი ადგილი ბოლომდე არ გაიარეს. სწორედ ეს იყო ამორჩეული ადგილი; მაგრამ ახლა, როცა თავისი საიდუმლო სხვისთვის უნდა გაენდო, სომსი შეყოყმანდა.

- აგენტი აქვე, კოტეჯში ცხოვრობს, - თქვა სომსმა, - ცოტა წავიხემსოთ და პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

სომსი ახლა კოტეჯისკენ წაუძღვა ბოსინის. იქიდან მაღალმაღალი ჭაღარაშერეული აგენტი - ოლივერი გამოეგებათ. საუზმისთვის სომსს ხელიც არ დაუკარებია. იგი ბოსინის აკვირდებოდა. სომსმა ერთი-ორჯერ ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, ქურდულად შუბლზე გადაისვა და ოფლი მოიწმინდა. საუზმეს რომ მორჩა, ბოსინი მარდად წამოხტა.

- ალბათ, მოსალაპარაკებელი საქმე გექნებათ, - თქვა ბოსინიმ, - მანამდე აქვე გავივლი და სამოსახლო ადგილს დავათვალიერებ, - თქვა და პასუხისთვის არც კი დაუცდია, ისე წავიდა.

სომსი მამულების რწმუნებული გახლდათ და ოლივერთან ერთად მიწის ნაკვეთების გეგმებს სინჯავდა, ნიკოლასისა და სხვათა გირაოებზე მსჯელობდა. ამასობაში თითქმის მთელი საათი გავიდა. ბოლოს, თითქოს სხვათა შორის მოაგონდაო, სიტყვა მშენებლობაზე ჩამოაგდო.

- თქვენებმა, - მოაგონა სომსმა, - ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ მე პირველად ვიწყებ აქ მშენებლობას და ნაკვეთი ფასდაკლებით უნდა დამითმონ.

ოლივერმა თავი გააქნია.

- ნაკვეთი, რომელიც თქვენ შეარჩიეთ, სერ, ისედაც ყველაზე იაფი ღირს. აი, გორაკის თავზე რომ ადგილებია, გაცილებით ძვირად იყიდება.

- გახსოვდეთ, - დაიწყო სომსმა, - რომ ჯერ არ გადამიწყვეტია მშენებლობის დაწყება და იქნებ თავიც მივანებო. მიწის რენტა ძალიან ძვირი ღირებულა.

- ეჰ, მისტერ ფორსაიტ, თუ თქვენ ხელს აიღებთ სახლის მშენებლობაზე, ძალიან მეწყინება, მაგრამ თქვენი მხრივ ეს დიდი შეცდომაც იქნებოდა, რადგან ყველაფერი შედარებითია და ლონდონის ახლომახლო ასეთი ადგილი, ისიც ამ ფასებში ძალიან იშვიათია. ერთი პატარა განცხადება გაზეთში და მუშტარი ბუზივით დაგვეხვევა.

მათ ერთმანეთს შეხედეს. ორივეს სახეზე აშკარად წაიკითხავდით: "როგორც საქმის კაცს, პატივს გცემ; მაგრამ არ გეგონოს, რომ რასაც იტყვი, თუნც ერთი სიტყვა დაგიჯერო".

- კეთილი, - წამოიძახა სომსმა, - ჯერ საბოლოოდ არაფერი გადამიწყვეტია და იქნებ აღარც ავაშენო! - იგი ქოლგას დასწვდა, ცივი ხელი ისე ჩაუდო ოლივერს მარჯვენაში, რომ ოდნავადაც არ მოუჭერია და მზეზე გამოვიდა.

ღრმა ფიქრებში ჩაფლულმა სომსმა დინჯად გასწია ამორჩეული ადგილისკენ. წინათგრძნობა ეუბნებოდა, რომ აგენტმა სრული სიმართლე უთხრა: ეს ადგილი იაფი ღირსო. მაგრამ სომსმა იცოდა, და ეს იყო სწორედ უმთავრესი, რომ სინამდვილეში ოლივერი სულაც არ მიიჩნევდა ამ ადგილს იაფფასიანად. ამდენად სომსმა ალღოთი და გუმანით აშკარად დაჯაბნა აგენტი.

"იაფფასიანია თუ არა, მაინც ჩემი უნდა იყოს", - გაიფიქრა სომსმა.

ტოროლები თითქოს ფეხებიდან უფრინდებოდნენ. ჰაერში პეპლების ტევა არ იყო და ირგვლივ მინდვრის ყვავილების საამო სურნელი იდგა. გვიმრით მოფენილი უსიერი ტევრიდან მტრედების ღუღუნი მოისმოდა და შორიდან მონაბერ თბილ ნიავს საეკლესიო ზარების მწყობრი გუგუნი მოჰქონდა.

სომსს თვალები ძირს დაეხარა და ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს აქედანვე გრძნობს, გემრიელი ლუკმის გადასანსვლა მომელისო. ბოსინი ამორჩეულ ადგილზე არ დახვდა. ცოტა ხანს უცადა, შემდეგ მინდორი გადაჭრა და ფერდობისკენ დაეშვა. უნდოდა დაეყვირა, რომ როგორმე ხმა მიეწვდინა, მაგრამ საკუთარი ხმისა შეეშინდა და გადაიფიქრა.

ტრამალით უკაცრიელ მინდორზე დასადგურებულ სიჩუმეს მხოლოდ სოროებისკენ გაქცეული კურდღლების ფაჩიფუჩი და ტოროლების სიმღერა არღვევდა.

სომსს, ფორსაიტთა დიდი ოჯახიდან გამოსულ ამ პიონერს, რომელსაც ცივილიზაცია უნდა შეეტანა იმ ველურ ადგილებში, აკრთობდა ცხელი დამათრობელი ჰაერი, უჩინარი სიმღერა და მარტოობა. ის იყო, უკან დასაბრუნებლად ნაბიჯი გადადგა, რომ ბოსინი შენიშნა.

არქიტექტორი ზედ ფერდობის პირას მდგარ ტოტებგაფარჩხულ ვეება მუხის ქვეშ გაშხლართულიყო. სანამ ბოსინი დაინახავდა, სომსი დაიხარა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

- ჰეი, ფორსაიტ! - წამოიძახა ბოსინიმ, - შესანიშნავი ადგილი შეგირჩიეთ სამოსახლოდ! აბა გახედეთ!

სომსმა ერთხანს მდუმარედ ათვალიერა წინ გადაშლილი მიდამო და შემდეგ ცივად თქვა:

- ადგილი მართლაც ჭკვიანურად შეგირჩევიათ, მაგრამ ერთნახევარჯერ მეტი დამიჯდება.

- მეტი დაგიჯდებათ და ჯანდაბას ფული! ერთი გახედეთ, რა სანახაობა იშლება აქედან!

მათ ფეხქვეშ შექარვებული მოლი ბიბინებდა, ქვემოთ ატეხილი პატარა ჭალა მოჩანდა. გორაკებით მესერშემოვლებული მინდორი შორს, რუხ-მოლურჯო ბორცვებამდე გადაჭიმულიყო. მარჯვნივ ვერცხლისფრად მოლივლივე დაკლაკნილი მდინარე მიედინებოდა.

ცა ისე ლაჟვარდოვანი ჩანდა და მზე ისე ბდღვრიალებდა, თითქოს ამ მიდამოში მარადიულ ზაფხულს დაედო ბინა. მათ გარშემო ღინღლი და გარინდებული ჰაერისგან მოჯადოებული თავცეცხლა ირეოდა. მინდორზე უჩვეულო სიცხე ჩამოწოლილიყო და ამო სურნელით გაჟღენთილ ეთერში ისეთი ზუზუნი ისმოდა, თითქოს ის ბრწყინვალე წუთები დამდგარიყო, როცა დედამიწაზე მხოლოდ ნადიმი და ლხინი იმართება ხოლმე.

სომსი კვლავ აქეთ-იქით იყურებოდა. მისდა უნებურად მკერდში თითქოს რაღაც უსივდებოდა და ებერებოდა. უცქირო ყოველივე ამას, შეგეძლოს ეს ენით უთქმელი სილამაზე შენს მეგობრებს უჩვენო, იმსჯელო მასზე და, რაც მთავარია, ფლობდე მას! შინაგანი მღელვარებისგან ღაწვები წამოუწითლდა და იმდაგვარი ციალი და სითბო ჩაეღვარა გულში, ისეთივე მოგიზგიზე ცეცხლის ალი მოედო, როგორიც ოთხი წლის წინ, აირენის სილამაზემ რომ მოაჯადოვა.

სომსმა მალულად გადახედა ბოსინის. არქიტექტორის თვალები, მოხუცი ჯოლიონის მეეტლემ ნახევრად ველური ავაზის თვალებს რომ შეადარა, ხარბად ათვალიერებდნენ გარემოს. მოკაშკაშე მზეზე შუბლის ღარები, წვეტიანი ნიკაპი და ყვრიმალის ძვლები კიდევ უფრო მკაფიოდ მოუჩანდა; ბოსინის მკაცრ, მაგრამ აღტაცებისგან უზრუნველად ქცეულ სახეს სომსი უსიამოვნოდ შეჰყურებდა.

მინდორს ნაზმა სიომ გადაუქროლა და სახეში თბილი ჰაერი შეაფრქვია.

- აქ ისეთ კეკლუცც "სათამაშოს"(A TEASER - მიმზიდველი, თავსატეხი, მომაჯადოებელი სათამაშო) აგიგებთ, რომ თვალი ვერ მოაცილოთ, - დაარღვია ბოსინიმ სიჩუმე.

- რაღა თქმა უნდა, - წამოიძახა სომსმა, - თქვენი ჯიბიდან ხომ არაფერი გეხარჯებათ.

- რვა ათასად სასახლეს ავაგებ!

სომსს სახეზე სიყვითლემ გადაჰკრა. იგი საკუთარ თავს ებრძოდა, ბოლოს თვალები დახარა და ჯიუტად განაცხადა:

- ამდენის გადახდა არ შემიძლია.

მერე ნელი ნაბიჯით კვლავ პირველი ნაკვეთისკენ დაეშვა.

რამდენიმე ხანი იქ დაჰყვეს. მშენებლობასთან დაკავშირებულ წვრილმანებზე იბაასეს და შემდეგ სომსმა აგენტისკენ გასწია.

ნახევარ საათში უკან მობრუნდა და სადგურისკენ წავიდნენ.

- ჰო, ძლივს ამოთქვა სომსმა, - მე თქვენს არჩევანზე შევჩერდი.

შემდეგ კვლავ გაჩუმდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ მოხდა, რომ ბოსინი მთელი არსებით სძულდა და მაინც მის სიტყვას დაუჯერა.

თავი მეხუთე

სომსის ოჯახური მყუდროება

ისევე როგორც მისი თაობისა და კლასის ათასობით ლონდონელი, რომელთაც წითელი ხავერდის სავარძლები აღარაფრად მიაჩნდათ და ისიც იცოდნენ, რომ იტალიური მარმარილოს ნაკეთობანიც მოდიდან გამოვიდა, სომსი ისეთ ფორსაიტულ სახლში ცხოვრობდა, რომელიც საკუთარ თავზე თვითონვე მოგითხრობდათ ყოველივეს. კარზე ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული სპილენძის ჩაქუჩი ეკიდა. სარკმლის ჩარჩოები გადაეკეთებინათ და შიგნით კი არა, გარეთ იღებოდა. ჩარჩოებზე ხევარდას- (ხევარდა (FUCHSIA) - პატარძლის ყვავილი.) ყვავილებით ავსებული პაწაწინა კალათები ჩამოეკიდათ. სახლის უკან პატარა ეზო (რაც ძალზე დამახასიათებელია) მთლიანად მწვანე ფილაქნით დაეფარათ და ირგვლივ ფარშავანგივით დაწინწკლულ ქოთნებში ჩარგული ჰორტენზიებით დაემშვენებინათ. აქ, პერგამენტისფერი იაპონური საჩრდილობლის ქვეშ, რომელიც მთელ ეზოს ფარავდა, ცნობისმოყვარეთა თვალი ვერ აღწევდა და მოცლილობის დროს მასპინძლებსა და სტუმრებსაც შეეძლოთ თავისუფლად მსხდარიყვნენ, ემასლაათათ, ჩაი მიერთვათ და სომსის ვერცხლის სათუთუნეები დაეთვალიერებინათ.

ბინა შიგნით უპირატესად გვიანი კლასიციზმისა(იგულისხმე-ბა დასავლეთ ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში გაბატონებუ-ლი ამპირის - გვიანი კლასიციზმის სტილი. პირველად ამ ტერმი-ნით განსაზღვრავდნენ ნაპოლეონის დროინდელ საფრანგეთის ხელოვნებას) და უილიამ მორისის(უილიამ მორისი (1834-1896 წწ.) - ინგლისელი მხატვარი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი - პრერაფაელისტი. პრერაფაელისტებისთვის დამახასიათებელია აკადემიური კანონების დარღვევა და ერთგვარი სტილიზაცია, რომელიც მათ ხელოვნებაში უპირატესად შუა საუკუნეების მო-ტივებით აისახება. 1863 წელს უილიამ მორისმა ლონდონში გახ-სნა მხატვრული შპალერის, დეკორატიული ქსოვილების, ფერა-დი მინისა და კაფელის სახელოსნო.) სტილით იყო მორთული. სახლი გარედან დიდი არ ჩანდა, მაგრამ შიგნით საკმაოდ ვრცელი იყო. მარტო ის რად ღირდა, რომ მოხერხებულად განლაგებული აუარებელი მყუდრო კუნჭული გაჩნდა და ვერცხლის პაწაწინა ნივთები ამ კუნჭულებში ისე ლამაზად დაეწყოთ, რომ ფრინველ-თა ბუდეში დადებულ კვერცხებს მოგაგონებდათ.

ამ საერთო სრულყოფისა და სრულქმნისთვის ორგვარი დახ-ვეწილი გემოვნება ებრძოდა ურთიერთს. ამ სახლის ქალბატონს უდაბურ კუნძულზე ცხოვრებაც ვერ მოაშლევინებდა კოპ-წიაობასა და სიკოხტავეს, სახლის პატრონის დახვეწილი გემოვ-ნება კი მისივე კაპიტალი იყო, რომლის ძალითაც ის ათასგვარ კონკურენციაში იმარჯვებდა და სულ წინ და წინ მიისწრაფოდა. ამ კონკურენციის შედეგად შექმნილი დახვეწილი გემოვნება სომსს აიძულებდა ჯერ კიდევ მალბოროს(ქალაქ მალბოროში ვაჟთა დახურული კოლეჯი გაიხსნა 1843 წელს. ამ კოლეჯში უპი-

რატესად სწავლობდნენ მდიდარ არისტოკრატთა და კომერსანტთა შვილები.) სკოლაში სწავლის დროს პირველს ჩაეცვა თეთრი ხალათი ზაფხულობით, ხავერდის ჟილეტი ზამთრობით და ყოველთვის წესიერად შეკრული ყელსახვევი ეტარებინა. ერთხელ ამავე დახვეწილმა გემოვნებამ უბიძგა გალაქული ტყავის ფეხსაცმლიდან მტვერი იმავე ხალხის თვალწინ მოეშორებინა, რომელთა წინაშეც მოლიერის საჯარო კითხვით უნდა გამოსულიყო.

მრავალი ლონდონელის მსგავსად, სომსსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი გადაჭარბებული სისუფთავე. თმადაუვარცხნელს, გვერდზე მოქცეული ჰალსტუხით და გაუქათქათებელი საყელოთი სომსს ვერასოდეს ნახავდით. მოდაში ახალშემოსული აბაზანის მიღება ხომ აუცილებელი შეიქმნა მისთვის და არაფრის გულისთვის არ დათმობდა. ამასთან, ჭირივით ეზარებოდა ყველა, ვინც ყოველდღიურად აბაზანის მიღებას გაურბოდა!

აირენს შესაძლებლობა ექნებოდა ნაკვეთის მეზობლად მოლივლივე მდინარეში ნიმფასავით ებანავა და თავისი მშვენიერი სხეულის ცქერით დამტკბარიყო.

ორთაბრძოლაში ქალი ისევე დამარცხდა, როგორც საქსონელებსა და კელტებს შორის მიმდინარე ბრძოლაში (რომელიც ერის შიგნით კიდევ მჟღავნდებოდა ხოლმე), უფრო ამთვისებელი და შთაბეჭდილებიანი ტემპერამენტი გაითელა და იძლია გარედან შემოტანილი პირობითი ზედნაშენით.

სომსის სახლი ათასობით სხვა ლონდონელის სახლს დაემსგავსა და მასზე ხშირად გაიგონებდით: "ჩემო ძვირფასო! სომსის

სახლი პატარაა, მომაჯადოებელი, კოხტა, რაღაც განსაკუთრებული, ჭეშმარიტად ელეგანტური".

თუ ჯეიმს პიიბოლის, თომას ატკინსის, ემანუილ სპაგნოლეტის დახვეწილ გემოვნებაზე რაიმე პრეტენზიის მქონე სხვა რომელიმე მსხვილი ლონდონელი ბურჟუის ბინებს ნახავდით, ვერც კი გაარჩევდით მათ მორთულობას ერთმანეთისგან.

აგვისტოს ერთ საღამოს, რობინჰილში ყოფნისას, სწორედ კვირის სწორზე, სომსის "კოხტა, რაღაც განსაკუთრებულ, ჭეშმარიტად ელეგანტურ" სახლში სომსი და აირენი მაგიდას მისხდომოდნენ და სადილობდნენ. კვირაობით ცხელი სადილი განსაკუთრებული სიკოხტავის, შნოსა და ლაზათის ნიშანი იყო, რომელიც ამ და ბევრი სხვა ოჯახის ჩვეულებად იქცა. ქორწინების შემდეგ სულ მალე სომსმა დაადგინა: "მსახურებმა კვირაობით ცხელი სადილი მოგვიმზადონ - სულერთია, კონცერტინოზე დაკვრის მეტს მაინც არაფერს აკეთებენო".

ამ ახალ წესს რევოლუცია არ მოუხდენია. მსახურები აირენს აღმერთებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სომსი ამაში ცუდ ნიშანს ხედავდა. თავის მხრივ აირენიც, წინააღმდეგ ტრადიციებისა, მსახურებს ადამიანებად მიიჩნევდა და მათი საქციელი, - ცუდი, თუ კარგი, - არ ეუცხოებოდა ხოლმე.

ბედნიერი წყვილი სუფრაგადაუფარებელ (ესეც სიკოხტავის ნიშანი გახლდათ), ლაკარანდის ხის მაგიდას ირიბად მისჯდომოდა და დუმდა.

სომსს სადილობისას საყიდლებსა და საქმეებზე სიტყვის ჩამოგდება უყვარდა. სანამ ლაპარაკობდა ხოლმე, აირენის დუმილს აინუნშიც არ აგდებდა. იმ საღამოს კი ძალიან გაუჭირდა

ენის მობრუნება. სახლის მშენებლობის ფიქრი მთელი კვირა თავში უტრიალებდა და, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, აირენისთვის გაენდო ხვაშიადი.

სურვილმა, რომ ცოლისთვის გაენდო გულისნადები, უფრო ააფორიაქა და ააღელვა. ნეტავ რატომ იქცევა ასე? ცოლი და ქმარი ხომ ერთნი არიან. რაც დასხდნენ, ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის; საგონებელში ჩავარდნილ სომსს გულით ეწადა გაეგო, რაზე ფიქრობდა აირენი. უზომოდ ძნელია, როცა კაცი ასე მუყაითად შრომობს, ფულს შოულობს ცოლისთვის, დიახ, სწორედ მისთვის, და გულნატკენი კია. ცოლი აქვე, მის გვერდით ზის და აქეთ-იქით ისე იყურება, თითქოს კედლების ჩამოქცევას მოელისო. ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ კაცი წამომდგარიყო და გაწყობილი სუფრა მიეტოვებინა.

ლამპის ვარდისფერი შუქფარიდან არეკლილი სინათლე აირენს კისერსა და ხელებზე ეფრქვეოდა. სომსს უყვარდა, როცა აირენს სადილზე დეკოლტეიანი კაბა ეცვა. ეს მას ენით გამოუთქმელ უპირატესობის გრძნობას ჰგვრიდა იმ ნაცნობებთან შედარებით, რომელთა ცოლებსაც სადილობისას უდეკოლტეო კაბები ემოსათ. იმ ვარდისფერი შუქფარის ანარეკლ შუქზე აირენის ქარვისფერი ზილფები და ნუშისგულივით თეთრი პირის კანი უფრო აძლიერებდა უჩვეულო კონტრასტს მისსავე მუქ თაფლისფერ თვალებთან.

განა შეიძლება ადამიანი უფრო ლამაზ რამეს ფლობდეს, ვიდრე ეს საუცხოოდ ფერშეხამებული სასადილო მაგიდა, ეს ვარსკვლავივით მოკიაფე ნაზი ვარდის ფურცლები, ლალისფერი სასმისები ანდა სუფრის დამამშვენებელი არაჩვეულებრივი ვერ-

ცხლეულობა, განა შეიძლება ადამიანი უფრო ლამაზი ცოლის პატრონი იყოს, ვიდრე მისი ცოლია? მადლიერების გრძნობა ფორსაიტთა კარაბადინში აღარ ეწერა, რადგან კონკურენციამ, მეტოქეობამ და საღმა აზრმა მისთვის ადგილი აღარ დატოვა; და ახლა სომსი იმდენად იყო გაჯავრებული, გაგულისებული და გააფთრებული, რომ გულში ტკივილით ჩხვლეტდა იმის განცდა, თუ რატომ არ მეკუთვნის იგი სულით-ხორცამდე, როგორც ამის უფლება კანონით მაქვს ბოძებულიო, რატომ არ შემიძლია ვარდივით მოვწყვიტო, ვუყნოსო და ჩავწვდე მისი გულის საიდუმლოსო.

ყველაფერი, რაც მის საკუთრებას შეადგენდა, ყველაფერი რასაც ის აგროვებდა: ვერცხლეულობა, სურათები, სახლები, დაბანდებული კაპიტალი და სხვა, იდუმალი ძალით იზიდავდა და მათთან დიდი სიახლოვის გრძნობა აკავშირებდა, აირენთან კი თითქოს არაფერი აახლოებდა.

მის სახლში თითქოს ყველა კედელზე ეწერა: აირენი შენთვის არაა შექმნილი. მაგრამ სომსის საქმოსნური ბუნება ამ იდუმალ წინასწარმეტყველებას ვერ ურიგდებოდა და აშკარა ბრძოლას უცხადებდა. მან იქორწინა აირენზე, დაიმორჩილა იგი, თავის საკუთრებად აქცია და, როცა ყველაზე ძირითადი კანონის - საკუთრების კანონის - უფლებით იგი სულიან-ხორციანად მისი უნდა ყოფილიყო, აღმოაჩინა, რომ აირენის სხეულის მეტი მას არაფერი ეკუთვნოდა და ესეც საეჭვოდ მიიჩნია.

სომსისთვის რომ ვინმეს ეკითხა, გსურს თუ არა აირენის სულის ბატონ-პატრონად გაქციიო, ამნაირი კითხვაც კი სასაცილოდ და სენტიმენტალურად მოეჩვენებოდა. მაგრამ ეს ნამდვი-

ლად სურდა, თუმცა უჩინარი კედლის წარწერები წინასწარ ამცნობდა, ვერასოდეს ამას ვერ მიაღწევო.

აირენი ყოველთვის დუმდა, პასიურობდა, კრძალვას იჩენდა და ისე ერიდებოდა სომსს, თითქოს ეშინია, ჩემმა სიტყვამ, მოძრაობამ, მიმიკამ ან მიმოხრამ არ აფიქრებინოს სომსს, რომ მიყვარსო. სომსი თავს მუდამ ასეთ კითხვას უსვამდა: როდემდე გაგრძელდება ასე?

როგორც მისი თაობის უმრავლესობაზე, რომლებსაც რომანების კითხვა უყვარდათ (სომსი რომანებს პირდაპირ შთანთქავდა ხოლმე) - ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინა მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე; მან ირწმუნა, რომ ყოველგვარ იარას კურნავს. საბოლოოდ ქმარმა უნდა სძლიოს ცოლის ყოველგვარ ჟინიანობას და მისი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვოს. მაშინაც კი (სომსს ასეთი რამ არ უყვარდა), როცა წიგნებში საქმე ტრაგიკულად თავდებოდა, ცოლი მწარე მონანიებით ეთხოვებოდა ქვეყანას ან თუ ქმარი კვდებოდა (ეს უფრო არასასიამოვნო გრძნობებით უთრთოლებდა გულს), სინდისის ქენჯნით შეპყრობილი და სულიერად დატანჯული ცოლი მომაკვდავს ზედ დაემხობოდა ხოლმე.

მას ხშირად დაჰყავდა აირენი თეატრში და, მისდა უნებურად, სწორედ იმ თანამედროვე პიესებს არჩევდა, რომლებშიც ცოლქმრობისა და ქორწინების საკითხები, საბედნიეროდ, ისე იყო დასმული და გადაწყვეტილი, როგორც სინამდვილეში არასოდეს ხდება. სომსმა შენიშნა, რომ ამ პიესებს მუდამ ერთნაირი ბოლო ჰქონდათ, მაშინაც კი, როცა საქმეში საყვარელი იყო გარეული. როცა პიესას უყურებდა, სომსის სიმპათია ბევრჯერ გადახრილა

სიყვარულის მხარეზე, მაგრამ ვიდრე აირენთან ერთად ორთვლიანი ეტლით მიმავალი სახლს მიაღწევდა, გონს მოდიოდა და უხაროდა, რომ ყოველივე ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. იმ დროს სცენაზე მკვიდრდებოდა ძლიერი, უხეში, მაგრამ საღად მოაზროვნე ქმრის კულტი, რომელსაც პიესის დასასრულს აუცილებლად უნდა გაემარჯვა; ასეთი პერსონაჟები სომსს ნამდვილად არ მოსწონდა და მისი ცხოვრება რომ ცოტა სხვანაირად წარმართულიყო, მათდამი ზიზღს აუცილებლად გამოხატავდა, მაგრამ ახლა თვითონვე იყო იმ აზრისა, რომ მისთვის აუცილებელი გახლდათ "ძლიერი" და მარჯვე ქმარი ყოფილიყო და ამიტომ პიესებში გამოყვანილი ქმრებისადმი აღშფოთება არასოდეს გამოუთქვამს.

მაგრამ აირენი იმ საღამოს როგორღაც განსაკუთრებულად დუმდა. ასეთი გამომეტყველება მის სახეზე სომსს წინათ არასოდეს შეუმჩნევია. უჩვეულო რამ ხომ მუდამ შეშფოთების წყაროა. ამ უჩვეულო დუმილმა და სახის უცნაურმა გამომეტყველებამ სომსიც შეაშფოთა. მორჩა თუ არა ცხარე საუზმეს, სომსმა სუფრიდან ნამცეცების წმენდით გართული მოსამსახურე ააჩქარა. როცა მსახური ქალი ოთახიდან გავიდა, მან სასმისი ღვინით შეივსო და აირენს ჰკითხა:

- იყო ვინმე ამ საღამოს?

- ჯუნი.

- რა უნდოდა? - ფორსაიტებისთვის ურყევი ჭეშმარიტება გახლდათ ის ამბავი, რომ ადამიანები, მხოლოდ მაშინ მიდიან სადმე, როცა რაიმე სურთ, - ალბათ თავის მიჯნურზე საჭორაოდ იქნებოდა.

აირენს არაფერი უთქვამს.

- ასე მგონია, ჯუნი უფროა შეყვარებული იმ ყმაწვილში. მუდამ მასთანაა და საშველს არ აძლევს.

აირენმა ისე შეხედა, რომ სომსმა უხერხულობა იგრძნო.

- ეგ შენი საქმე არაა, - წამოიძახა აირენმა.

- რატომ არა? ვისაც არ სჯერა, საკუთარი თვალით შეუძლია დარწმუნდეს.

- არა მგონია, და თუ ვინმეს მართლაც შეუძლია საკუთარი თვალით ნახოს ეგ ამბავი, ჩემი აზრით, მაგაზე ლაპარაკი დიდი სირცხვილია.

- ცოლიც ასეთი უნდა! - თქვა სომსმა, მაგრამ გულში მაინც უკვირდა აირენის უჩვეულო გაფიცხება. უცნაური ამბავი ჩანდა, - შენ ჯუნისთვის ჭკუას კარგავ, მაგრამ ერთ რამეს მაინც გეტყვი. რაც იმ "მეკობრეს" გადაეკიდა, შენთვის აღარ სცხელა. მალე თვითონ დარწმუნდები ამაში; თუმცა ახლო მომავალში ხშირად ველარც შეხვდები. ჩვენ ქალაქგარეთ ვიცხოვრებთ.

სომსი გახარებული იყო, რომ აღელვების დროს ახალი ამბის თქმის საშუალება მიეცა და ახლა ელდანაცემი ცოლის წამოკივლებას ელოდა; მაგრამ აირენი რომ დუმილით შეხვდა მის სიტყვებს, ამან კიდევ უფრო შეაშფოთა.

- შენ მგონი არც გაინტერესებს, სად იცხოვრებ? - ნაძალადევად დაუმატა სომსმა.

- უკვე ვიცი ყველაფერი.

სომსმა ცოლს მკაცრი მზერა ესროლა.

- ვინ გითხრა?

- ჯუნმა.

- ჯუნმა საიდან იცის?

აირენს არ უპასუხია. ჩიხში მომწყვდეულმა სომსმა უფრო უხერხულად იგრძნო თავი და თქვა:

- ბოსინისთვის მშვენიერი საქმე გამოეწყო; პირდაპირ აშენდება. ჯუნი ალბათ დაწვრილებით გეტყოდა ყველაფერს?

- დიახ.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც სომსმა დაარღვია.

- შენ მგონი არ გსურს ქალაქგარეთ გადაბარგება?

აირენი კვლავ დუმდა.

- არც აქაურობა მოგწონს, და ვერ გამიგია, რა უნდა გსურდეს.

- მერედა ჩემს სურვილებს აქვს რამე მნიშვნელობა?

აირენმა ვარდებით სავსე ლარნაკს წამოავლო ხელი და ოთახიდან გავიდა. სომსი გაშეშებული იჯდა. ნუთუ ამისთვის მოაწერა ხელი კონტრაქტს? ნუთუ ამისთვის უნდა დაეხარჯა ათი ათასი პაუნდი? მერე ბოსინის ნათქვამი გაახსენდა: "ქალი და სატანა ერთიაო".

ბოლოს უეცრად დამშვიდდა. შეიძლება უარესიც მომხდარიყო. აირენი აპილპილებულიყო. სომსი უფრო მეტს მოელოდა. ყამირი ჯუნმა გატეხა და ყველაფერი მშვენივრად დამთავრდა. ჯუნმა ალბათ სახლის მშენებლობის ყველა წვრილმანი გამოსტყუა ბოსინის; ეს იმთავითვე უნდა სცოდნოდა.

სიგარას მოუკიდა. ბოლოს და ბოლოს, აირენს ვაიუშველებელი არ აუტეხია.

ყველაფერს ურიგდება - ესაა მისი ხასიათის ყველაზე ძვირფასი თვისება; აირენი ცივი კია, მაგრამ მოღუშვა არ იცის. პირი-

დან ბოლქვებად გამოშვებული ბოლი გაპრიალებულ მაგიდაზე დადგმულ ჭიამაიას შეაბოლა და სახლის მშენებლობის ფიქრებში ჩაეფლო. აღელვება საქმეს ვერ უშველის; წავა და ყველაფერს მოაგვარებს. აირენი ალბათ იაპონური საჩრდილობლის ქვეშ ზის სიბნელეში და ქსოვს. ო, რა მშვენიერი თბილი ღამეა...

ნაშუადღევს თვალებგაბრწყინებული ჯუნი მართლაც იყო აირენთან და უთხრა:

- სომსი ერთობ კარგი ყმაწვილია! ფილისთვის ბრწყინვალე საქმე წამოიწყო. სწორედ ისეთი, როგორიც ფილს გულით ეწადა.

როცა ჯუნმა აირენის შეფიქრიანებულ და გაოგნებულ სახეს ჰკიდა თვალი, განაგრძო:

- რობინჰილში თქვენი ახალი სახლის მშენებლობაზე ვლაპარაკობ. როგორ? შენ არაფერი იცი?

აირენმა მართლაც არაფერი იცოდა.

- ოჰ, ალბათ შენთვის არც უნდა გამემხილა! - მერე მოუთმენლად შეხედა აირენს და ხმამაღლა განაგრძო, - ისე მიყურებ, თითქოს შენთვის ყველაფერი სულერთი იყოს. ამას ვევედრებოდი ყველას და ფილსაც სწორედ ეს უნდოდა. აი, ნახავთ, როგორ სახლს ააშენებს, - და შემდეგ ყველაფერი დაწვრილებით ჩაუჭიკჭიკა.

ისე ჩანდა, რომ თავისი ნიშნობის შემდეგ ჯუნს ნაკლებად აწუხებდა აირენის მდგომარეობა; ის დრო, რომელსაც ახლა აირენთან ატარებდა, სულ ჯუნის საქმეებზე ლაპარაკს მიჰქონდა. გულწრფელი თანაგრძნობის მიუხედავად, ჯუნის ღიმილში მაინც იგრძნობოდა ზიზღნარევი სიბრალული იმ ადამიანისადმი, რომელმაც ცხოვრებაში ასეთი მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა.

- მთელი სახლი ფილის სურვილისამებრ გაფორმდება. დიდებული საქმეა, დიდებული, - ახარხარებულ ჯუნს პატარა ტანი სიხარულისა და აღტაცებისგან აუთრთოლდა. მან ხელი მარმაშის ფარდას მიარტყა და თქვა, - იცი, სახლის აშენება ერთხელ ძია ჯეიმსსაც კი ვთხოვე, - მაგრამ ამის გახსენებაზე უსიამოვნო გრძნობები მოუზღვავდა და გაჩუმდა. ჯუნმა შენიშნა, რომ იმ საღამოს აირენი არ თანაუგრძნობდა მის სიხარულს და აღტაცებას და მალე წავიდა სახლში. ქვაფენილზე გასულმა უკან მოიხედა. აირენი ისევ კარში იდგა. ჯუნმა დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია. აირენმა საპასუხო ჟესტის ნაცვლად ხელი შუბლზე მიიდო, ნელა შებრუნდა და კარი მიხურა...

სომსი სასტუმროში შევიდა და აირენს სასტუმროს სარკმლიდან დაუწყო თვალთვალი.

იაპონური საჩრდილობლის ქვეშ წყნარად მჯდარ აირენს ნუშისგულივით თეთრ მხრებზე დაფენილი მაქმანი სუნთქვისგან ოდნავ შესამჩნევად ერხეოდა.

მაგრამ ბნელში უძრავად მჯდარი არსების გარინდებაში იგრძნობოდა სითბო და ფარული ცეცხლის ალი, თითქოს მთელი სხეული მღელვარებისგან უთრთის და მისი სულის სიღრმეში დიდი ცვლილება ხდებაო.

სომსი შეუმჩნევლად გაბრუნდა სასადილოში.

თავი მეექვსე

ჯეიმსი

ქალაქგარეთ სახლის აშენების გადაწყვეტილების მიღების დღიდან ცოტა ხანმა განვლო. ეს გადაწყვეტილება ფორსაიტთა მთელ საგვარეულოს მოედო და ოჯახის წევრთა ისეთი შფოთვა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორიც მოსალოდნელი იყო, როცა საქმე მათ საკუთრებას ეხებოდა.

სომსი აქ არაფერ შუაში გახლდათ. მან მტკიცედ გადაწყვიტა საიდუმლო არავისთვის გაემხილა. ჯუნმა სიხარული ვეღარ დაფარა და მისის სმოლს გაენდო, თანაც იქვე დაამუნათა: პაპიდა ენის გარდა სიტყვა არავისთან დაგცდესო. ჯუნის აზრით, ეს ამბავი გაამხნევებდა მოხუცს! პაპიდა ენი ხომ კარგა ხანია გარეთ ვეღარ გამოდიოდა.

მისის სმოლმა პაპიდა ენს ელვისებურად ჩაუკაკლა ყველაფერი. პაპიდა ენს, მართალია, ბალიშიდან თავი არ წამოუწევია, წელთა სიმრავლისგან დამძიმებული ხმაც აუკანკალდა, მაგრამ გაეღიმა და მკაფიოდ წარმოთქვა:

- ჯუნისთვის შესანიშნავი ამბავი გამოწყობილა; მაგრამ, მგონი, ფრთხილად უნდა იყვნენ, მაინც ძალიან საშიშია.

როცა პაპიდა ენი კვლავ მარტო დარჩა, სახე ისე მოეღრუბლა, თითქოს მოქურუხებული ცა საწვიმრად მოემზადაო.

უკვე კარგა ხანია იწვა და სიბერეს ებრძოდა, მაგრამ ნებისყოფასა და სულიერ მხნეობას არ კარგავდა. ამ ბრძოლის ანარეკლს მის სახეზეც ამოიკითხავდით: ტუჩების კუთხეებში ღარები გასჩენოდა.

მოახლე სმითერს პაპიდა ენთან სამსახური ახალგაზრდობაშივე დაეწყო. მასზე ამბობდნენ: სმითერი კარგი გოგოა, მაგრამ ძალიან ზოზინააო. მოახლე პაპიდა ენის მორთულობას ყოველდღიურად უაღრესი პუნქტუალობით აგვირგვინებდა. პაპიდა ენის კეთილშობილებისა და ღირსების მაჩვენებელი დახვეული ჭაღარა კულულების განჯინიდან სმითერი თოვლივით თეთრ მუყაოს გამოაძრობდა, თავის ქალბატონს ხელში ჩაუდებდა და ზურგშექცევით დადგებოდა ხოლმე.

ჯული და ესთერი ყოველდღიურად უნდა გამოცხადებულიყვნენ პაპიდა ენთან და მოეხსენებინათ ყოველივე წვრილმანი ტიმოთიზე; ეამბნათ, ნიკოლასის ახალი თავგადასავლები; რაკი მისტერ ბოსინიმ სამუშაო იშოვა და სომსის სახლს აშენებდა, დაიყოლია თუ არა ჯუნმა მოხუცი ჯოლიონი, რომ დიდი ხნით აღარ გადაედო ბოსინისა და ჯუნის ქორწინება; მართლა ფეხმძიმედ იყო თუ არა ახალგაზრდა როჯერის მეუღლე; წარმატებით დამთავრდა თუ არა არჩის ოპერაცია; რა მოუხერხა სუითინმა უიგმორსტრიტზე თავის ცარიელ სახლს, რომლის დამქირავებელიც გაკოტრდა და სუითინს ძალიან ცუდად მოექცა; სომსის ამბებს უფრო წვრილად გამოჰკითხავდა ხოლმე და ერთი სული ჰქონდა, სანამ გაიგებდა, კიდევ ითხოვდა თუ არა აირენი ცალკე ოთახს? ყო-

ველ ცისმარე დღე პაპიდა ენისგან ერთი და იგივე ესმოდა სმითერს: დღეს ორ საათზე ხელს შემაშველებ და დაბლა ჩამიყვან, თორემ ამდენი ხნის წოლამ ძალ-ღონე სრულად გამომაცალა!

რობინჰილში სახლის მშენებლობის ამბავი მისის სმოლმა ჯერ პაპიდა ენს უამბო და მერე ეს დიდი საიდუმლო მისის ნიკოლასსაც გაანდო. ამან კი თავის მხრივ უინიფრიდ დარტის ჰკითხა, მართალია თუ არა ეს ამბავიო. მისის ნიკოლასს ეჭვიც არ შეჰპარვია, თუ უინიფრიდ დარტის, სომსის ღვიძლ დას, ყოველივე დაწვრილებით არ ეცოდინებოდა. ქალიშვილიდან ეს ამბავი ჯეიმსის ყურსაც მისწვდა. თავისი ოჯახური ამბის ასე დაგვიანებით შეტყობამ ძლიერ ააღელვა.

- არაფერს არ მეტყვიან ხოლმე, - ჩაილაპარაკა ჯეიმსმა. და იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ მისულიყო სომსთან, რომლის დუმილიც მუდამ აშინებდა, ქოლგა აიღო და გულდაგულ ტიმოთისკენ გასწია.

მისის სეპტიმუსი და ესთერი (რომელზეც ამბობდნენ, სანდო ადამიანია, მაგრამ ლაპარაკისგან მალე იქანცებაო) დიდი მონდომებით შეუდგნენ ამ ახალ ამბავზე მასლაათს. მათი აზრით, ძვირფასი სომსი ძალიან კარგად მოიქცა, რომ მისტერ ბოსინის სამუშაო მისცა, მაგრამ მაინც სარისკო საქმე წამოუწყიაო. რა უწოდა ბოსინის ჯორჯმა? "მეკობრე"! რა სასაცილოა! თუმცა ჯორჯი მუდამ ოხუნჯობს! როგორც იქნება, ყველაფერი ოჯახშივე მოგვარდება. როგორღაც უცნაური კი იყო, მაგრამ ბოსინი მათ უკვე ოჯახის წევრად მიაჩნდათ.

ჯეიმსმა შეაწყვეტინა:

- ბოსინის არავინ იცნობს. არ ვიცი, რა ნახა სომსმა მასში. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ საქმეში აირენის ხელი ურევია. მე მოველაპარაკები...

- სომსმა ბოსინი გააფრთხილა, - ჩაურთო პაპიდა ჯულიმ, - სახლის მშენებლობაზე სიტყვა არავისთან დაგცდესო. მას არ სურს ამ ამბის გახმაურება, რომ მითქმა-მოთქმა არ შეიქმნას. ნეტავ ტიმოთიმ არაფერი შეიტყოს, თორემ ძალიან გაჯავრდება, მე...

ჯეიმსმა ხელი ყურთან მიიდო:

- რაო? - თქვა მან, - სრულებით აღარ მესმის, რას ლაპარაკობთ... მგონია, მთლიანად ვყრუვდები. ემილის ისევ ასტკივდა ფეხის თითები. ალბათ უელსში თვის ბოლომდე ველარც გავემგზავრებით. ყოველთვის რაღაც უნდა გამოეჩხიროს, - ჯეიმსმა უკვე შეიტყო, რაც სურდა, ქუდს ხელი დასტაცა და კარს მიაშურა.

მშვენიერი დღე იდგა. ჯეიმსმა პარკი გადაჭრა და სომსისკენ გაემართა. იგი შვილთან აპირებდა სადილობას, ვინაიდან ემილი ავადმყოფობამ სარეცელს მიაჯაჭვა, ხოლო რეჩელი და სესილი ქალაქგარეთ იყვნენ სტუმრად. ჯეიმსმა ბეისუოთერის ქუჩის პარალელურად ბილიკზე გადაუხვია, როუ(როუ - ხეივანი ჰაიდპარკში. აქ სეირნობდნენ ცხენებით ლონდონელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები) გადაჭრა და ნაიტსბრიჯგეიტისკენ აიღო გეზი. გვერდით ჩაუარა გადამწვარ მინდორს და ცხვრებით მოფენილ საძოვარს, რომელიც სავსე იყო შეყვარებულთა წყვილებით და მიტოვებულ ბრძოლის ველზე უპატრონო გვამებივით მიყრილი მოხეტიალე ბოგანოებით.

თავდახრილი ჯეიმსი ჩქარი ნაბიჯით მიიწევდა წინ და არც კი ამჩნევდა რაიმეს მის მარცხნივ ან მარჯვნივ. პარკის ხედი, რომლის შუაგულიც ჯეიმსისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბრძოლის ველს წარმოადგენდა, არავითარ ფიქრებსა და აზრებს არ აღძრავდა მასში. მის ფანტაზიას არ აღვიძებდა არც ბოგანოთა მიწაზე დაყრილი გვამები, რომლებიც არსებობისთვის ბრძოლის ზათქსა და წნეხს გაენაპირებინა, არც შეყვარებულთა წყვილები, რომელთაც ტუჩი ტუჩზე შეეწებებინათ, სუროსავით ჩახვეოდნენ ერთმანეთს, და აქ გაჰქცეოდნენ ცხოვრების ამაზრზენ ერთფეროვნებას, რათა თუნდ ერთი საათით ჩაძირულიყვნენ თავდავიწყებისა და სიტკბოების მორევში. ჯეიმსმა დიდი ხანია დასძლია ასეთი წარმოსახვები. მას ძოვაში გართული ცხვარივით მხოლოდ იქ ჰქონდა ჩარგული ცხვირი, სადაც ბალახს წიწკნიდა.

ერთი მისი მდგმური ბინის ქირას ვეღარ უხდიდა და ჯეიმსს ახლა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი უნდა გადაეწყვიტა: დაუყოვნებლივ გაეგდო იგი, თუ კიდევ ეცლია. მაგრამ ისიც საეგებიო იყო, რომ შობამდე სხვა ვინმე ეშოვა ბინის დამქირავებელი. მერე სუითინისა და მისი მდგმურის ამბავი გაახსენდა, სუითინზე ახია ყველაფერი, რისთვის ითმენდა იმდენ ხანს, მდგმური რომ ბინის ქირას არ უხდიდაო, გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია.

მდგმურის უეცარი გაგდების გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, შვილის სახლისკენ უფრო მტკიცე ნაბიჯებით გასწია. ქოლგისთვის ხელი სახელურს ცოტა ქვემოთ ჩაევლო. ფრთხილობდა, ქოლგის ბოლო მიწას არ წამოსდებოდა და ხელით აბრეშუმი არ გაეცვითა. ვიწრო მხრები მაღლა აეწურა და გრძელ ფეხებს ისე

ადგამდა, თითქოს ეშინია, მომდევნო ნაბიჯი წინაზე გრძელი ან მოკლე არ მომივიდესო. ჯეიმსი ასე მიაბიჯებდა ჰაიდპარკში, სადაც მზე უხვად აფრქვევდა სხივებს იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთრების მძვინვარე, გააფთრებულ და ულმობელ ბრძოლის არენას გარიდებოდნენ და ჩამოსცილებოდნენ, როგორც ფრინველი, რომელსაც თავისი სამკვიდრო - დედამიწა მიუტოვებია და ზღვაზე გადაფრენას ლამობს.

ალბერტგეიტს(ალბერტგეიტი - ჰაიდპარკში შესასვლელი ნაიტსბრიჯის მხრიდან.) რომ მიუახლოვდა, ვიღაცამ მკლავში წაავლო ხელი.

ეს იყო სამსახურიდან სახლში მიმავალი სომსი, რომელმაც გზა პიკადილის ჩრდილოვანი მხრიდან გადმოჭრა და მამის გვერდით აღმოჩნდა.

- დედაშენი ავადაა, - დაიწყო ჯეიმსმა, - და მე თქვენთან მოვდიოდი.

ჯეიმსსა და მის ვაჟიშვილს, როგორც ფორსაიტებისთვის იყო დამახასიათებელი, გარეგნულად ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, თითქოს ერთმანეთი მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავებათო. მაგრამ ამ გარეგნულ გულცივობას იქით ორივეს მკერდში ერთმანეთის მოსიყვარულე გული ძგერდა. თითქოს ერთმანეთი სარფიან საქმეში დაბანდებულ კაპიტალად მიაჩნდათ, თითოეულის საზრუნავი ის იყო, რომ მეორეს რაც შეიძლება მეტი დოვლათი ჰქონოდა. ერთმანეთის ნახვა ახარებდათ, მაგრამ ცხოვრებაში ორი ტკბილი სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, ინტიმურ პრობლემებსა და თავიანთ ღრმა გრძნობებზე კრინტიც არ დაუძრავთ.

მამა-შვილს ერთმანეთთან აახლოებდა რაღაც ტკბილ სიტ-ყვებზე უფრო ძლიერი, მათ გარეშე არსებული, თვითონ ერისა და ოჯახის ბუნებასა და ხასიათში ღრმად მიმალული უხილავი ძალა. ძარღვებში ხომ წყალი არ ედგათ და არც ერთი მათგანი ცივსის-ხლიანი არ იყო. თავისი არსებობის უპირველეს გამართლებად ჯეიმსს შვილების სიყვარული მიაჩნდა. გყავდეს ცოცხალი არსე-ბა, რომელიც თვით შენი სხეულის ნაწილია და შეგიძლია მთელი შენი სამკვიდრო გადასცე, - აი, ეს იყო მისთვის ფულის მოხვეჭის ძირითადი მიზეზი; ან კი, სხვა რა სიამოვნებაღა უნდა ენახა ცხოვრებაში სამოცდათხუთმეტი წლისას, გარდა ფულის მოხვე-ჭისა? სწორედ ამიტომ შვილებისთვის ფულის მოხვეჭა მიაჩნდა ჯეიმსს სიცოცხლის აზრად და დედაარსად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯეიმსზე უფრო საღად მოაზ-როვნე (თუკი საღი აზროვნების ნიშნად თავის დაცვასა და თავი-სივე არსებობის შენარჩუნებას ჩავთვლით) ადამიანი არ მოიძებ-ნებოდა მთელ ლონდონში, სადაც იგი აურაცხელ სიმდიდრეს ფლობდა და რომელიც მას გამოუთქმელი სიყვარულით უყვარ-და, როგორც თავისი წარმატებისა და ბედნიერების ადგილი და წყარო. ჯეიმსს თავისი კლასისთვის დამახასიათებელი სას-წაულებრივი საღი აზროვნება ჰქონდა. მას უფრო მეტად ეხერხე-ბოდა დათმობაზე წასვლა და ცხოვრებასთან შეგუება, ვიდრე მტკიცე ნებისყოფის, ნაზი მგრძნობიარობისა და ფილოსო-ფიურად განმსჯელ ჯოლიონს, თავისი ახირებებისგან წამებულ სუითინს, ნიჭისა და სიმარჯვისგან გატანჯულ ნიკოლასს და გამ-ბედაობისა და მამაცობის მსხვერპლ როჯერს. ძმებში ჭკუითა და

პიროვნულად ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი ჯეიმსი იყო და სწორედ ამ მიზეზის გამო, მას შეეძლო ყოველ დროში ეცხოვრა.

ძმებში ყველაზე მეტად ჯეიმსს უყვარდა ოჯახი. ცხოვრებისადმი მის დამოკიდებულებაში მუდამ იყო რაღაც პრიმიტიული და უშფოთველი; მას გულით და სულით უყვარდა ოჯახი, უყვარდა ყბედობა და ბუზღუნიც. გადაწყვეტილებას ოჯახის წევრთა საერთო აზრის შეუტყობლად არასგზით არ იღებდა, და ათასობით სხვა ოჯახების აზრსაც წინასწარ ითვალისწინებდა. იგი კვირიდან კვირამდე, წლიდან წლამდე ტიმოთის სასტუმროში იჯდა და უყურებდა, როგორ თუხთუხებდა ოჯახურ ქოთანში აზრები, როგორ იკრებდა ნაღებს და მერე დაშოშმინებული, გამოცოცხლებულ-განახლებული და ძალზე ნასიამოვნები ბრუნდებოდა შინ.

თავის გადარჩენის ალმასივით მყარ ინსტინქტთან ერთად, ჯეიმსის არსებაში ჭეშმარიტი სინაზეც იმალებოდა; ტიმოთის სახლში მისი ვიზიტი დედის მუხლებზე გატარებულ წუთებს მიაგავდა. ჯეიმსის სურვილი იყო, დიდი ოჯახის ფრთებქვეშ დაეზარდა შვილები. იმის გაფიქრება, რომ შვილების ჯანმრთელობა, ქონება და რეპუტაცია ბედის ანაბრად იქნებოდა მიტოვებული, კოშმარი გახლდათ მისთვის. როცა მისი მეგობრის, ჯონ სტრიტის, ვაჟიშვილი სპეცსამსახურის ქვედანაყოფში(სპეცსამსახურის ქვედანაყოფი - პოლიციელთა სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელსაც ინგლისის მთავრობა განსაკუთრებული შემთხვევის დროს შექმნიდა ხოლმე (გაფიცვები, სახალხო მღელვარება და სხვ.). ეს რაზმი ძირითადად დაკომპლექტებული იყო ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის წარმომადგენელთა შვი-

ლებისგან.) მოხალისედ შევიდა, ჯეიმსი სიანჩხლისგან თავის კანტურს მოჰყვა და ჯონ სტრიტზე გაოცდა, თავის ნებაზე როგორ მიუშვა შვილიო, ხოლო როცა ახალგაზრდა სტრიტი მოკლეს, ისე ძალიან განიცადა მისი უბედურება, რომ ყველა ნაცნობ-მეგობარი ჩამოიარა და აუწყა: ადრევეც ვიცოდი, რითაც დამთავრდებოდა ეს ამბავი, მაგრამ რას გავაწყობდიო!

როცა მისი სიძე დარტი ნავთის აქციებით სპეკულაციამ გააკოტრა, ჯეიმსმა ისე მწვავედ განიცადა ეს, რომ ლოგინად ჩავარდა. დარტის გაკოტრება მან ყოველგვარი საკუთრების გამოტირებად და დასასრულის მაუწყებელი ზარების რეკვად მიიჩნია. სამი თვე ებრძოდა ავადმყოფობას და ბოლოს ბადენ-ბადენიც(ბადენ-ბადენი - გერმანული ქალაქი-კურორტი, ცნობილია სამკურნალო წყლებით) დასჭირდა. საშინელი ფიქრები უტრიალებდა თავში და რომ საკუთრივ მისი ფული არა, დარტის სახელი გაკოტრებულთა სიაშიც მოხვდებოდა.

ფიზიოლოგიურად ისეთი მაგარი აგებულებისა გახლდათ, რომ ყურის ტკივილის დროსაც კი სასიკვდილო სარეცელზე ვწევარო, ეგონა. ცოლისა და ბავშვების აზრით, განგება მხოლოდ იმიტომ სჯიდა ავადმყოფობით მათ, რომ ჯეიმსს სულიერი წონასწორობა დაეკარგა. მაგრამ სხვების ავადმყოფობისა არა სჯეროდა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმას ამტკიცებდა, თავის ღვიძლს სათანადოდ არ უვლიანო.

მუდამ ერთსა და იმავე შენიშვნას იმეორებდა: აბა, რა ჰგონიათ? მეც ასე დამემართებოდა, თავს რომ არ ვუფრთხილდებოდეო!

სომსთან მიმავალმა იგრძნო, რომ ცხოვრება ზედმეტად მკაცრად ექცეოდა. ჯერ იყო და მეუღლე გაუხდა ავად, ამ დროს კი ქალიშვილი ქალაქგარეთ გაემგზავრა სტუმრად და მისი შემცოდე და თანამგრძნობი არავინ დარჩა; ენი, თავისი ღვიძლი და, ხელიდან ეცლებოდა. იმ ზაფხულს გაატანდა თუ არა, საეჭვო იყო. სამჯერ იყო ენის სანახავად, მაგრამ ავადმყოფს იმის თავიც არ ჰქონდა, რომ ძმა მიეღო! სომსმაც ახლა აიჩემა, სახლი უნდა ავაშენოო და ამ ამბავსაც მიხედვა უნდოდა. სომსის და აირენის უსიამოვნება კი, მხოლოდ ეშმაკმა უწყოდა, რით დამთავრდებოდა. ადამიანმა კი ყველაფრის დასასრული წინასწარ უნდა გაითვალისწინოს.

იგი მონტპელიესკვერზე, #62 სახლში იმ განზრახვით შევიდა, რომ იქ მყოფთათვის ეთქვა, - აი, რა უბედური ვარო.

დაახლოებით რვის ნახევარი იქნებოდა. აირენს სასადილოდ უკვე ჩაეცვა და სასტუმროში იჯდა. იმ ოქროსფერ კაბაში გამოკვალთულიყო, რომელიც უკვე ეცვა საღამოს მიღებაზე, წვეულებასა და ბალზე და ახლა მხოლოდ სახლში შეეძლო თავი მოეწონებინა. ჯეიმსმა თვალები დაასო კაბის გულისპირზე შემოვლებულ მაქმანს და მწყრალად იკითხა:

- სად შოულობთ ასეთ ძვირფას მოსართავებს? მე რეჩელისა და სესილის ტანზე ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. ეს ნამდვილი მაქმანია? მგონი ნამდვილი არ უნდა იყოს!

აირენი უფრო ახლოს მივიდა მამამთილთან, რათა იგი შეცდომაში დაერწმუნებინა.

ჯეიმსი ძალაუნებურად მოლბა - მან იგრძნო რძლის თავაზიანობა და იმ ნელსაცხებლების დამათრობელი სურნელი, გარ-

შემო რომ აფრქვევდა იგი. მაგრამ არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი ფორსაიტი პირველი დარტყმისთანავე არ ნებდებოდა და ჯეიმსმაც უბრალოდ წარმოთქვა:

- თქვენ ალბათ ძალიან ბევრს ხარჯავთ ჩაცმაზე.

ზარმა დარეკა. აირენმა ნუშისგულივით თეთრი ხელი გაუწოდა ჯეიმსს და სასადილო ოთახისკენ წაიყვანა. ჯეიმსი მან თავის მხარმარცხნივ, სომსის ადგილას დასვა. სინათლე იქ ისედაც მკრთალად ეცემოდა. ჯეიმსს დღის გამოსალმება და დასის ბინდბუნდი არ შეაწუხებდა და რძალმა თავის საქმეებზე გაუბა მუსაიფი.

ჯეიმსი ისე უეცრად შეიცვალა, თითქოს მზემ ხილის დამწიფება დააჩქარაო. მას უალერსებდნენ, აქებდნენ, ეფერებოდნენ, თანაც ისე პირდაპირ და უხეშად კი არა, რომ რაიმე უხერხულობაში ჩავარდნილიყო. იგი გრძნობდა, რომ რასაც ჭამდა, ერგებოდა კიდეც. საკუთარ ოჯახში არასოდეს უგრძნია ასეთი რამ. ვეღარც ის გაიხსენა, როდის და სად ესიამოვნა კიდევ ასე ძალიან შამპანური, ხოლო როცა ღვინის მარკა და ფასი იკითხა, სულ გაოცდა; ეს ხომ იგივე შამპანური იყო, თვითონ რომ ჰქონდა სახლში და არასოდეს სვამდა; და უეცრად გადაწყვიტა, ჩემს სირაჯს უნდა ვუსაყვედურო, რატომ მატყუებსო.

როცა ჭამას მორჩა და მაღლა აიხედა, ჯეიმსმა შენიშნა:

- თქვენ ძალიან ბევრი კარგი ნივთი გაქვთ... აი, ამ საშაქრეში რა მიეცით? ჩემი აზრით, ძვირი უნდა ღირდეს?

განსაკუთრებული სიამოვნება ჯეიმსს კედელზე დაკიდებულმა იმ სურათმა მიანიჭა, რომელიც ახალდაქორწინებულ შვილსა და რძალს თვითონვე აჩუქა.

- არ მეგონა, ასეთი კარგი თუ იყო, - წარმოთქვა მან.

როცა წამოდგნენ და სასტუმროსკენ წავიდნენ, ჯეიმსი ფეხ-დაფეხ მისდევდა რძალს.

აი, ამას ჰქვია ლაზათიანად დანაყრება, - ჩურჩულებდა იგი და მისი სუნთქვა აირენის შიშველ მხრებს სწვდებოდა, - არც მძიმე კერძები, არც ფრანგული რამერუმეები, სახლში ვერაფრით ვერ ვეღირსე ამნაირ საჭმელებს, თუმცა მზარეულს სამოც პაუნდს ვუხდი წელიწადში.

ჯეიმსს აქამდე არც ერთი გადაკრული სიტყვა არ უთქვამს სახლის მშენებლობაზე. არც მერე დაუძრავს სიტყვა, როცა სომ-სმა საქმეები მოიმიზეზა, ბოდიში მოიხადა და მაღლა სართულზე ავიდა, სადაც თავისი სურათები ჰქონდა შენახული.

ჯეიმსი მარტოდმარტო დარჩა რძალთან. ღვინისა და შესა-ნიშნავი ლიქიორისგან შემთბარი სხეული უხურდა. აირენისადმი გულში რაღაცნაირ სითბოს გრძნობდა. ქალი მართლაც ძალზე მიმზიდველი და სანდომიანი პატარა არსება იყო; იგი უსმენდა ჯეიმსს და ჩანდა, ყველაფერს შესანიშნავად უგებდა; ჯეიმსი კი თან ლაპარაკობდა და თან რძალს თავითფეხამდე ათვალიერებ-და, ზომავდა და წონიდა. აირენი სავარძელში გადაწოლილიყო, მხრები სავარძლის ზურგის საყრდენის სწორად მოუჩანდა. როცა მოძრაობდა, სწორი, მაგრამ ღვედივით მოქნილი სხეული ბარძა-ყებს ზემოთ ისე ნარნარად ერწეოდა, თითქოს საყვარლის მკლა-ვებშია მოქცეულიო. ტუჩები უღიმოდა და თვალები ნახევრად დაეხუჭა.

ძნელი სათქმელია, სავარძელში გადაწოლილი მინაბული რძლის მომხიბვლელობამ დაამუნჯა ჯეიმსი, თუ საჭმლის მომნე-

ლებელ ორგანოთა გამალებულმა მუშაობამ. აღარც ახსოვდა, წინათაც დარჩენილა მარტოდმარტო აირენთან თუ არა. რძლის მაცქერალს ისეთი უჩვეულო გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაც უცნაურსა და უცხოს გადაეყარაო.

ანდა რაზე ფიქრობდა, ასეთი პოზით სავარძელში მჯდომარე?

როცა ჯეიმსმა ლაპარაკი დაიწყო, ხმაში ისეთი სიმკაცრე გამოერია, თითქოს ტკბილი სიზმრიდან გამოიყვანეს და ნაწყენიაო.

- რას აკეთებთ მთელი დღე შინ? რატომ ლეინპარკში არ შეივლით ხოლმე?

აირენმა ბევრი ვერაფერი თქვა თავის გასამართლებლად და საბოდიშოდ. ჯეიმსი იმ წუთებში აღარც შეჰყურებდა სახეში. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ რძალი თავს არიდებდა მის ოჯახს - ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა.

- ალბათ დრო არ გაქვთ, - დაიწყო ისევ ჯეიმსმა, - ალბათ მთელ დროს ჯუნთან ატარებთ და თქვენი იქ ყოფნით დიდად შველით ახალგამიჯნურებულთ. ყური მოვკარი, ჯუნს სახლში გული აღარ უდგებაო; მოხუც ჯოლიონს, რა თქმა უნდა, არ მოეწონება მარტოდმარტო ყოფნა. ასე გადმომცეს, ჯუნი იმ ახალგაზრდას გადაეკიდა და საშველს აღარ აძლევსო; მგონი, ყოველდღე უნდა დადიოდეს თქვენთან. რა აზრისა ხართ ბოსინიზე? თქვენი აზრით, გრძნობს, რაშიც გაყო თავი? მე კი საცოდავ კაცად მიმაჩნია და ჯუნის კლანჭებში რომ მოექცევა, მერე ფეხს ველარ გააფხაკუნებს.

აირენს შავმა ფერმა გადაჰკრა სახეზე; ჯეიმსი ეჭვით დააცქერდა რძალს.

- თქვენ სრულებით არა გაქვთ წარმოდგენა მისტერ ბოსინის პიროვნებაზე.

- წარმოდგენა არ მაქვს? - სასწრაფოდ წამოიწყო ჯეიმსმა, - ვითომ რატომაო? ხელოვანი ყმაწვილია, არა? ამბობენ, ჭკვიანიაო - მაგრამ ეგენი ყველანი ჭკვიანებსა და გენიოსებს უწოდებენ თავიანთ თავს. თუმცა ეს თქვენ უკეთ იცით, - დაუმატა მან და კვლავ ეჭვიანი მზერა ესროლა რძალს.

- ის ხომ სახლის პროექტზე მუშაობს, - ნაზად თქვა აირენმა და ხმაში აშკარად შეეტყო, რომ მამამთილის დაწყნარება სურდა.

- სწორედ ამაზე უნდა მელაპარაკა, - განაგრძო ჯეიმსმა, - არ ვიცი, რაღა მაინცდამაინც ამ ახალგაზრდა კაცს გადაეყარა სომსი; რატომ ვინმე ცნობილ, პირველხარისხოვან არქიტექტორს არ მიანდო თავისი საქმე?

- ალბათ მისტერ ბოსინი პირველხარისხოვანი არქიტექტორია და იმიტომ!

ჯეიმსი წამოდგა, თავი დახარა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

- თქვენ, ახალგაზრდები, ერთმანეთს ზურგს უმაგრებთ და თქვენზე უკეთესი და ჭკვიანი აღარავინ გგონიათ!

გამხდარი, აყლაყუდა ჯეიმსი წინ აეტუზა აირენს და პირდაპირ რძლის მკერდთან იქნევდა საჩვენებელ თითს, თითქოს მის სილამაზეს საბრალდებულო ოქმს უდგენსო.

- მე მაინც ვეტყვი, რომ, რასაც უნდა უწოდებდნენ თავიანთ თავს, ეგ ხელოვნების ხალხი მაინც არ არიან სანდონი და ჩემი რჩევა იქნება, რაც შეიძლება შორს იყავით მათგან.

აირენმა გაიღიმა და მის ღიმილში უცნაური გამოწვევა გამოიხატა. ისე ჩანდა, თითქოს მამამთილისადმი ყოველგვარი მო-

რიდება ერთბაშად გაუქრაო. მკერდი ისე აუდ-ჩაუდიოდა, თითქოს ფარული გულისწყრომა აბორგებდა. სავარძლის სახელურზე დაწყობილი ხელები მაღლა ასწია, თითის ბოლოები ერთმანეთს მიაჭდო და უძირო თვალები ჯეიმსს მიაშტერა.

ეს უკანასკნელი კი დაჟინებით ჩასცქეროდა იატაკს. მერე თავი ასწია და ესა თქვა:

- თუ სიმართლის თქმა გინდათ, ძალიან სამწუხაროა, რომ შვილი არა გყავთ, თორემ არც საზრუნავი მოგაკლდებოდათ და არც საფიქრალი!

აირენს წამსვე შეეცვალა სახე და თვით ჯეიმსმაც იგრძნო, ნაზი ქსოვილის ქვეშ როგორ გაუქვავდა ქალს მთელი სხეული.

ჯეიმსი თვითონვე შეაშინა თავისივე სიტყვების ეფექტმა და, როგორც ლაჩრებს სჩვევიათ, თავისი საქციელის გასამართლებლად შეტევაზე გადავიდა.

- თქვენ არსად არ დადიხართ. ხომ შეიძლება, ჩვენთან ერთად ჰარლინგემში წამოსვლა. თქვენს ადგილას ხანდახან თეატრში მაინც წავიდოდი. თქვენს ასაკში ყველაფერი უნდა გაინტერესებდეთ, ახალგაზრდა ქალი ხართ!

აირენს კიდევ უფრო დაუნაღვლიანდა ისედაც სევდიანი თვალები; ჯეიმსს ნერვიულობა დაეტყო.

- თუმცა რა ჩემი საქმეა, - წამოიწყო მან, - მე ხომ არაფერს მეკითხებით ხოლმე და არც არაფერი ვიცი. სომსმა თავს თვითონ მიხედოს. თუ არ შეუძლია, ჩემი იმედით ჩემი მტერი იყოს...

საჩვენებელ თითზე იკბინა და რძალს ქურდულად ცივი, მკაცრი მზერა ესროლა.

რძლის შავი, უძირო თვალთა ისარი მამამთილის მზერას შეეჯახა და ჯეიმსს ცივი ოფლისგან შუბლი დაენამა.

- ჩემი წასვლის დროა, - თქვა ჯეიმსმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ; წუთიც და ისე წამოიწია წასასვლელად, თითქოს დასარჩენად შეპატიჟებას ელოდებაო. რძალს ხელი გაუწოდა, თავი კარამდე მიაცილებინა და ქუჩაში გავიდა. კებით მგზავრობას ფეხით გასეირნება არჩია, სომსს ღამე მშვიდობისა უსურვა და წასვლისას აირენს გადაულაპარაკა, თუ გართობა მოგინდეს, რიჩმონდში, როცა მეტყვი, გაგყვებიო.

სახლში მისული, ზემო სართულზე ავიდა, ოცდაოთხ საათს თვალზე რულმიუკარებელი, ძლივს ჩაძინებული ცოლი გააღვიძა და თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა: სომსს ოჯახური საქმეები კარგად არ უნდა მიუდიოდესო; ამ თემაზე ნახევარი საათი იმუსაიფა, მერე განაცხადა: ალბათ, მთელი ღამე უძილობით დავიტანჯები, თვალს წამითაც ვერ მოვხუჭავო, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა.

მონტპელიესკვერზე მდებარე სახლში კაცი ასეთ სურათს ნახავდა: სურათების ოთახიდან დაბლა ჩამომავალი სომსი კიბეზე შეუმჩნევლად შედგა და თვალთვალი დაუწყო აირენს, რომელიც უკანასკნელი ფოსტით მოსულ წერილებს არჩევდა. ქალი კვლავ სასტუმრო ოთახში შებრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ უკანვე გამოტრიალდა ხელში კატის კნუტით და ისე შეჩერდა, თითქოს ვიღაცას დააყურადაო. მერე ქურდული, შემპარავი ნაბიჯებით აუყვა კიბეს. სომსმა დაინახა, რომ აირენს სახე კნუტის ცხვირ-პირთან მიეტანა, ის კი ზედ მის ყელთან კრუტუნებდა. რატომ აირენი მა-

საც ასე არ უყურებს? უეცრად ქალმა შეამჩნია იგი და ერთბაშად შეეცვალა სახე.

- წერილი ხომ არ არის ჩემს სახელზე? - იკითხა სომსმა.

- სამი.

სომსმა გზა დაუთმო. აირენმა უხმოდ აუარა გვერდი და საწოლ ოთახში შევიდა.

თავი მეშვიდე

მოხუცი ჯოლიონის შეცოდება

მოხუცმა ჯოლიონმა იმ საღამოს ლორდთა კრიკეტ გრაუნდი დატოვა და სახლში წასვლა დააპირა. მაგრამ ვიდრე ჰამილტონ ტერასამდე მიაღწევდა, ადრინდელი გადაწყვეტილება შეცვალა, კები იხმო და უისტერია ავენიუსკენ გასწიეო, უბრძანა.

მთელი კვირა ისე გავიდა, ჯუნი თითქმის არ გამოჩენილა სახლში. უკვე კარგა ხანია ჯოლიონთან სალაპარაკო დროსაც ვეღარ პოულობდა. მას შემდეგ, რაც ბოსინიზე დაინიშნა, ნიადაგ მოუცლელი იყო და აღარც მოხუცი ჯოლიონი აგლეჯდა კალთას, - ჩემთან დარჩიო.

მოხუც ჯოლიონს ხვეწნა-მუდარა არ სჩვეოდა! ჯუნს კი იმხანად თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა - ბოსინი და მისი საქმეები. ვეებერთელა სახლში, უამრავი მსახურით გარშემორტყმული პაპა ისე მარტოდმარტო მიატოვა, რომ დილიდან საღამომდე დამლაპარაკებელიც არავინ ჰყავდა. კლუბი წმენდის გამო დროებით დაეხურათ. კომპანიის გამგეობა კი, რომლის დირექტორიც მოხუცი ჯოლიონი გახლდათ, ისვენებდა, ასე რომ, მოხუც ჯოლიონს, სიტიში იმხანად საქმე არ ეგულებოდა. ჯუნს სურდა, რომ პაპა ლონდონიდან გასულიყო, მაგრამ თვითონ ქა-

ლაქში რჩებოდა, რადგან ბოსინი სომსის სახლის მშენებლობის გადაუდებელი საქმეების გამო ლონდონს ვერ ტოვებდა.

სად უნდა წასულიყო მარტოხელა მოხუცი? ზღვა თირკმელზე სწყენდა; სასტუმრო ჭირივით სძულდა; როჯერი სამკურნალო წყლებზე მიემგზავრებოდა დასასვენებლად, მაგრამ ხანდაზმული ჯოლიონი ამ სიბერეში ვერ დაიწყებდა წყლებზე სიარულს, მოდური კურორტები კი თვალთმაქცობა იყო და მეტი არაფერი.

ამგვარი ფიქრით სურდა მოხუც ჯოლიონს საბურველში გაეხვია სულის მარტოობა და მისგან გამოწვეული სევდა; სახე კიდევ უფრო დაეღარა. მისთვის დამახასიათებელ მშვიდ, მაგრამ მკაცრ იერს თანდათან ნაღველი და მოწყენილობა ერეოდა, რასაც მშვენივრად ამოიკითხავდით მოხუცის ჩაცვივნულ თვალებში.

იმ საღამოს მოხუცმა ჯოლიონმა სენტ ჯონსვუდისკენ გასწია სასეირნოდ. პატარა სახლების წინ ჩარიგებულ აკაციათა კენწეროებს მზის სხივები დასთამაშებდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მზე პატარა ბაღების ცქერით ტკბებაო; მოხუცი ჯოლიონი დიდი ინტერესით ათვალიერებდა ამ არემარეს, რადგანაც ქალაქის იმ უბანში იმყოფებოდა, რომელსაც ყოველი ფორსაიტი ითვალწუნებდა, მაგრამ ერთგვარი ცნობისმოყვარეობით კი ეკიდებოდა.

ჯოლიონის ეტლი პატარა სახლის წინ შეჩერდა. მისი რუხი ფერი იმაზე მეტყველებდა, რომ სახლის შეღებვაზე კარგა ხანია არავის ეზრუნა. შესასვლელი სახლს გარედან ჰქონდა, როგორც ჩვეულებრივ სოფლურ სახლებს აქვთ ხოლმე.

ეტლიდან ჩამოსვლისას მოხუცი ძალიან მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა; გრძელულვაშიანი ვეება თავი უკან გადაეწია, ფართოფარფლიან ცილინდრის ქვეშ ჭაღარა თმა უჩანდა. მწყრალად და მტკიცედ იყურებოდა. აი, სადამდე მიიყვანეს!

- მისის ჯოლიონ ფორსაიტი შინაა?

- დიახ, სერ! ვის სურს თქვენი ნახვა-თქო, როგორ მოვახსენო, სერ?

როცა თავის სახელსა და გვარს უსახელებდა, მოხუცმა ჯოლიონმა თავი ვერ შეიკავა და მსახურ ქალს, რომელიც მომცრო ტანის გამო ძალიან სასაცილოდ ეჩვენა, თვალი ჩაუკრა.

პატარა მსახურმა მოხუცი ჯოლიონი ბნელ ტალანში გაატარა და ორად გაყოფილ სასტუმრო ოთახში შეუძღვა, სადაც ჩითის შალითებგადაკრული ავეჯი იდგა. მსახურმა მოხუც ჯოლიონს სავარძელი შესთავაზა.

- ყველანი ბაღში გახლავან, სერ; დაბრძანდით და ახლავე მოვახსენებ.

მოხუცი ჯოლიონი ჩითისშალითიან სავარძელში ჩაეშვა. მან ოთახში მიმოიხედა. ირგვლივ ყველაფერი საცოდავად ეჩვენა. განსაკუთრებული დაღი - თქმა გაუჭირდა როგორი, მაგრამ ბოლოს მიაგნო, - სიღარიბის დაღი ესვა. როგორც მან შენიშნა, სასტუმროში ხუთ გირვანქაზე მეტად ღირებული ნივთები არ უნდა მდგარიყო. კედლებზე აკვარელით შესრულებული, ძველი, გახუნებული ესკიზები ეკიდა. ჭერი მთელ სიგრძეზე გამსკდარიყო.

ეს პატარა სახლები საკმაოდ მოძველებულიყო. მისი ქირა, ალბათ, წელიწადში ას გირვანქასაც არ აღწევდა. იმის გაფიქრე-

ბამ, რომ მისი საკუთარი ვაჟი - ფორსაიტი ამ სახლში ცხოვრობდა, გული ჩასწყვიტა.

პატარა მსახური უკან დაბრუნდა. სტუმარს უფრო მეტად ხომ არ ასიამოვნებს ბაღში გასეირნება?

მოხუცი ჯოლიონი გარეთ გამოვიდა და დარაბიანი კარი გაიარა. კიბეზე ჩასვლისას იმაზე ფიქრობდა, კარგა ხნის წინ უნდა შეეღებათო.

ახალგაზრდა ჯოლიონი, მისი მეუღლე, ორი ბავშვი და ძაღლი ბალთაზარი ბაღში ისხდნენ, მსხლის ჩრდილქვეშ.

მოხუცი მათკენ გაემართა. ეს გახლდათ ყველაზე გაბედული ნაბიჯი, რომელიც კი სიცოცხლეში გადაედგა მოხუც ჯოლიონს. გაქვავებულ სახეზე კუნთიც არ შერხევია, ნერვიც არ შესტოკებია. ღრმად ჩამჯდარი თვალებით მტკიცედ და დაჟინებით უცქეროდა მტერს და პირდაპირ მისკენ მიემართებოდა.

იმ წუთებში მოხუცმა ჯოლიონმა ბოლომდე შეინარჩუნა წონასწორობა და ისეთი გონიერი და შეუპოვარი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა, რაც მასა და მისი კლასის სხვა წარმომადგენლებს ერის ბურჯად აქცევდა. ყველასა და ყველაფრის გადავიწყება და უგულებელყოფა პირადი საქმეების დამშვიდებით მოგვარებისა და წარმართვის დროს ამ ხალხის ბუნებიდან მომდინარე ინდივიდუალიზმის არსებითი, ტიპური ნიშანი გახლდათ. ესაა ბრიტანეთის კუნძულის მკვიდრთა ბუნებრივი თვისება, რომელიც ისევე გამოყოფს და ანცალკევებს მათ სხვებისგან, როგორც მათი სამშობლოა გამოყოფილი და განცალკევებული.

ბალთაზარმა შარვლის ტოტებზე დაყნოსა მოხუცს და აქსუტუნდა. ამ კეთილმა ცინიკოსმა, რუსული პუდელისა და ფოქსტერიერის შეჯვარების ნაყოფმა, რაღაც უჩვეულო იყნოსა.

ნაძალადევი უხერხული ურთიერთმისალმების შემდეგ მოხუცი ჯოლიონი დაწნულ სავარძელში ჩაეშვა. შვილიშვილები აქეთიქით დაუდგნენ მუხლებთან და უსიტყვოდ ათვალიერებდნენ მოხუცს, რომელიც მანამდე არ ენახათ.

თითქოს განზრახ, რომ აშკარად დასანანი ყოფილიყო ბავშვების სხვადასხვა პირობებში დაბადება, ისინი სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ჯოლის - ამ შეცოდების ნაყოფს - ლოყები პარკებივით ეკიდა, სელივით თეთრი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი, პატარა ფორსაიტული ნიკაპი შუა ჰქონდა გაყოფილი და სახეზე თავაზიანობა და სიკერპე აღბეჭდოდა. იგი ნამდვილი ფორსაიტული თვალების პატრონი იყო! ჰოლის - ახალგაზრდა ჯოლიონის ქორწინების ნაყოფს, - შავგვრემანსა და მწყაზარს, დედასავით ჭკვიანი გამოხედვა და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა.

ბალთაზარმა, რომლის თვალებში ყველა საგნისადმი აშკარა სიძულვილი გამოკრთოდა, ხვეულებად დაგრაგნილი, ზურგზე დადებული კუდის ქიცინით ვარდის სამ ბუჩქს შემოუარა, მოხუცის წინ დაცუცქდა და გაშტერებული თვალები ჯოლიონს მიაპყრო.

სიღარიბე, რომელიც მოსვლისთანავე თვალში ეცა მოხუც ჯოლიონს, ბაღშიც აჩრდილივით აეკვიატა. დაწნული სავარძელი საცოდავად ჭრიჭინებდა მისი სიმძიმით. ბუჩქებიც კი თავჩაქინდრულნი და ფერგადასულნი ჩანდნენ, ხოლო ბაღს შემოვლებულ

ყორეს ჟანგისფერი დასდებოდა და ზედ კატებს ბილიკი გაეკვლიათ.

ვიდრე მოხუცი ჯოლიონი და მისი შვილიშვილები ერთმანეთს იმ უცნაური ნდობით ათვალიერებდნენ, რომელიც მთლად პატარებსა და მოხუცებს შორის წარმოიშობა ხოლმე, ახალგაზრდა ჯოლიონი თავის მეუღლეს აკვირდებოდა.

მის გადაჭიმულ წარბებს ქვეშიდან გამომზირალ დიდრონ ნაცრისფერს თვალებსა და მოგრძო სახეს უჩვეულო ფერი დასდებოდა. შუბლიდან უკან გადავარცხნილ მის თმასაც ახალგაზრდა ჯოლიონივით ჭაღარა ეპარებოდა. სწორედ ამ ჭაღარის გამო უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ის იერი, რომელიც მისთვის უჩვეულო იყო.

მეუღლის ასეთი სახე და გამოხედვა ახალგაზრდა ჯოლიონს ადრე არასოდეს ენახა, ამ გამოხედვას, ფარული გულისწყრომით, შიშითა და მწუხარებით აღსავსეს, მისი თანამეცხედრე ყოველთვის მალავდა მისგან. ცოლის მონუსხულ წარბებს ქვეშიდან გამომზირალ თვალებში ახალგაზრდა ჯოლიონმა შიში და ტკივილი ამოიკითხა. ქალი გაყუჩებული იჯდა.

მარტო ჯოლი ლაპარაკობდა: მას აურაცხელი ქონება ჰქონდა და სურდა ამ ახალშეძენილი გრძელულვაშიანი მეგობრისთვის ეამბნა მასზე. იგი აკვირდებოდა მოხუც ჯოლიონს, რომელსაც ხელებზე ლურჯად აჩნდა ვენები, და მამამისივით ფეხი ფეხზე გადაედო. ოჰ, როგორ სურდა ჯოლის, თვითონაც ესწავლა ასე ჯდომა. ბიჭს, მართალია, საკუთარ სათამაშოებზე საუბრის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ, მისი აზრით, ყველაზე უფრო ძვირფას განძზე - ჯარისკაცთა ბანაკზე, რომელიც სათამაშოების მაღაზი-

ის ვიტრინაში ნახეს და მამა დაჰპირდა, გიყიდიო, - კრინტიც არ დაუძრავს. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 8 წლისა იყო, იგი ნამდვილი ფორსაიტული ჯილაგისა გახლდათ, ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონა და გადაწყვიტა, არც კი ეხსენებინა ის სათამაშო, რადგან ვაითუ რამე ჯადო გაუკეთდეს და აღარ მიყიდონო.

მზის შუქი ხის ფოთლებში ატანდა და სამივე თაობის წარმომადგენლებს ელიცლიცებოდა. ისინი მშვიდად ისხდნენ მსხლის ქვეშ, რომელიც კარგა ხანია ნაყოფს აღარ იძლეოდა.

მოხუც ჯოლიონს დაღარულ სახეზე წითელი ლაქები მოერია, როგორც ჩვეულებრივ ემართებათ ხოლმე მოხუცებს მზეზე ყოფნისას. მან ჯოლის ხელი თავის ხელში მოიქცია. ბიჭი მუხლებზე ააცოცდა. პატარა ჰოლიმ რომ ეს შენიშნა, გულით გაიხარა, პაპა-შვილიშვილს მიუახლოვდა და ზედ მიეკრა; ბალთაზარი ფხანას მოჰყვა და ქავილის ხმა რიტმულად ისმოდა.

მისის ჯოლიონი უეცრად ადგილს მოსწყდა და სახლს მიაშურა. წუთიც და მობოდიშების შემდეგ ქმარიც უკან დაედევნა. მოხუცი ჯოლიონი მარტო დარჩა შვილიშვილებთან.

ბუნებამ თავისი უცნაური ირონიით კვლავ წამოიწყო წრიული ბრუნვა ამ მოხუცში და ბერიკაცის გულის სიღრმეში თავისი საოცარი ციკლური კანონების გამოცდას მოჰყვა. პატარებისადმი გრძნობიერება და სინაზე, რამაც ერთხელ უკვე დაატოვებინა საკუთარი ვაჟიშვილი და შვილიშვილის - ჯუნის აღმზრდელად აქცია, ახლა კარნახობდა, რომ ჯუნის მიტოვება და ამათი პატრონობა იყო საჭირო. ახალგაზრდობა ცეცხლივით ღვიოდა მის გულში. მოხუცი ჯოლიონი ახალგაზრდობისკენ შემობრუნდა. მას იზიდავდა პატარა ფუნთუშა სხეულები, ეს უგუ-

ნური არსებანი, რომელნიც მუდმივ ზრუნვას საჭიროებდნენ, პატარა მრგვალი სახეები ხან სერიოზული და ხან გაცისკროვნებული იერით, წკრიალა ხმები, ყურთასმენისწამღები ჟივილ-ხივილი. კისკისი და ხითხითი, კერპი ჟინიანობით ჩაბღაუჭებული ხელები, პატარები, ახლა მის ფეხებთან რომ დაცუცუნებდნენ, სინორჩე და ახალგაზრდობა და ერთხელ კიდევ ახალგაზრდობა. მოხუცი ჯოლიონის გამოხედვაში სიმკაცრე ალერსმა შეცვალა, ხმა დაურბილდა, გამხდარი, ვენებდაბურცული ხელები გაუნაზდა და გულიც აუჩვილდა. ამ პატარა არსებათათვის მოხუცი ჯოლიონის გული იქცა სიამის მიმნიჭებელ ადგილად, სადაც მათ შეეძლოთ თავის შეფარება, ტიტინი, სიცილი და გართობა-თამაში. დაწნული სავარძელი და შიგ მჯდომი ადამიანი მზესავით აფრქვევდა სხივებს და იმ სიხარულს, რომელსაც სამივეს გულში დაედო ბინა.

ცოლს დადევნებული ახალგაზრდა ჯოლიონი თავს მხიარულად ვერ გრძნობდა.

მისი თანამეცხედრე სარკის წინ მდგარ სავარძელში მოკალათებულიყო და თავი ხელებში ჩაერგო.

ქვითინისგან მხრები უთრთოდა. მეუღლის ეს თვისება, რომ მცირე უსიამოვნებაც კი თავს ერთ ვაი-უშველებელს აუტეხდა და უზომოდ იტანჯებოდა, გამოცანად რჩებოდა ახალგაზრდა ჯოლიონისთვის. იგი არაერთხელ ყოფილა მეუღლის ამგვარი აღელვების მოწმე. როგორ იტანდა ამ ქალთან ცხოვრებას, ვერ გაეგო, ვერც იმას მიმხვდარიყო, ეს ცოლის სულიერი განწყობილება იყო თუ უეცარი აღელვებით გამოწვეული ტანჯვა. ყოველი ასეთი

სცენის შემდეგ თავში ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდა, ჩვენი განშორების საათმა ხომ არ დაჰკრაო.

ღამით, როგორც აქამდეც ასჯერ და მეტჯერ გაუკეთებია, ალბათ კისერზე ხელებს შემოაჭდობს და ეტყვის: "ოჰ! ჯო, როგორ გტანჯავო".

მან ხელი გაიწოდა, სამართებელი ბუდიანად აიღო და შეუმჩნევლად ჯიბეში ჩაიცურა.

"აქ დარჩენა არ შემიძლია, - ფიქრობდა იგი, - ჩემი ადგილი იქაა, ბაღში!" - იგი უსიტყვოდ დაეშვა კიბეზე და ბაღში ჩავიდა.

მოხუც ჯოლიონს ჯოლი ეჯდა მუხლებზე. გოგონა მოხუცის საათს დაპატრონებოდა. სახეწამოჭარხლებული ჯოლი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ თავდაყირა დგომა შეეძლო. ბალთაზარი კი რაც შეიძლება ახლოს მისცუცქებოდა მაგიდას და ტორტს შესციციინებდა.

ახალგაზრდა ჯოლიონს ღვარძლიანი გადაწყვეტილება დაეუფლა, - დაერღვია ეს ისედაც ხანმოკლე მხიარულება.

რა საქმე ჰქონდა მამაჩემს, რომ მოვიდა და ცოლი ასე გამიმწარა? ამდენი წლის შემდეგ ეს ხომ თავზარდამცემი ამბავია. თვითონვე უნდა ეფიქრა, წინასწარ უნდა გავეფრთხილებინეთ. მაგრამ როდის იყო, რომ რომელიმე ფორსაიტი სხვის ნება-სურვილს ემორჩილებოდა და ანგარიშს უწევდა. აქაო და ჩემი საქციელით ვინმეს ინტერესები არ შევულახოო! მან შენიშნა, რომ მოხუცი ჯოლიონი მართალი იყო.

ბავშვები დატუქსა და ჩაის დასალევად წადითო, უბრძანა. პატარები გაოცებულები დაადგნენ სახლისკენ მიმავალ გზას. მამა

მკაცრად არასოდეს ექცეოდათ და ამიტომ იყო, ჯოლი რომ წარა-მარა უკან-უკან იხედებოდა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა ჩაი ორივესთვის დაასხა.

- ჩემი მეუღლე დღეს ცოტა უგუნებოდაა, - თქვა ახალგაზრდა ჯოლიონმა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მამამისი მაშინვე მიხვდა ქალის უეცრად გაცლის მიზეზს. მას თითქმის სძულდა კიდეც მოხუცი, ვინც თავისი მოსვლით თავზარი დასცა მის მეუღლეს, თვითონ კი მშვიდად იჯდა სავარძელში.

- ძალიან კარგი სახლი გქონია, - თქვა მოხუცმა ჯოლიონმა და შვილს დაჟინებით დააცქერდა, - ნაქირავები გაქვს, არა?

ახალგაზრდა ჯოლიონმა თავი დააქნია.

- აქაურობა იმიტომ არ მომწონს, რომ ძველი და დაჩაჩანაკებული უბანია.

- კი, ჩვენ დაჩაჩანაკებულნი ვართ, - უპასუხა ახალგაზრდა ჯოლიონმა.

მერე სიტყვა ორივეს გაუწყდა და სიჩუმეს მხოლოდ ბალთაზარის ფხანისა და ქავილის ხმა არღვევდა.

ბოლოს მოხუცმა ჯოლიონმა უბრალოდ თქვა:

- მგონი უბრალოდ გავისარჯე, რომ მივედი, ჯო; მაგრამ მარტოობას ვეღარ გავუძელი.

ამ სიტყვებზე ახალგაზრდა ჯოლიონი წამოდგა, მამასთან მივიდა და ხელი მხარზე დაადო.

მეზობელ სახლში ვიღაც აუწყობელ როიალზე ვარჯიშობდა LA DONNA E MOBILE-ს(LA DONNA E MOBILE - გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდის ოპერა "რიგოლეტოდან" ჰერცოგის სიმღერა "ლამაზი ქალი სანდო არ არის"). პატარა ბაღში

ჩრდილი ჩამოწვა. მზის სხივები ახლა ბაღის ბოლოში აღმართულ კედელსღა სწვდებოდა, რომელზეც კატა გაწოლილიყო და თბებოდა. ამ ნებივრობაში მას თავისი მარადიული მტერიც არ დავიწყებოდა და ყვითელი, ნამძინარევი თვალები ბალთაზარისთვის მიეპყრო. შორიდან ქუჩის ხმაური ისმოდა. კედლების პირად ერთიან მწკრივად ჩაყოლებულ სუროს, ფათალოსა და სხვა მცოცავ მცენარეებს ყველაფერი დაეჩრდილა და მხოლოდ ცა, სახლი და მსხალი (რომლის კენწეროს ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად აელვარებდა) ჩანდა.

კიდევ რამდენიმე ხანს ისხდნენ თითქმის დამუნჯებულნი. შემდეგ მოხუცი ჯოლიონი წასასვლელად წამოდგა ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, კიდევ აპირებდა მოსვლას თუ არა.

ძალიან მოწყენილი კი მიდიოდა. ოჰ! რა საცოდავად, ნამდვილად საბრალოდ გამოიყურებოდა ირგვლივ ყოველივე. მერე მისი ფიქრი სტენჰოპგეიტს გადასწვდა, სადაც ჭეშმარიტად ფორსაიტული რეზიდენცია ჰქონდა მას. რა საბილიარდო და სასტუმრო ოთახები ამშვენებდა იმ სახლს, მაგრამ კვირიდან კვირამდე არავინ შედიოდა.

რა მგრძნობიარე ყოფილა ის ქალი. მოხუც ჯოლიონს თითქმის მოეწონა კიდეც მისი სახე. მან იცოდა, რომ ჯოს ძალიან უჭირდა მასთან გაძლება. მაგრამ ბალღები რა საყვარლები არიან! ოჰ! რა საშინლად და უაზროდ არის მოწყობილი ქვეყანა!

მოხუცმა ჯოლიონმა ეჯუერ როუდის მიმართულებით გასწია. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულმა პატარა სახლებმა მას საეჭვო ფიქრები აღუძრა (რაღა თქმა უნდა, მცდარი, მაგრამ ფორსაიტთა ცრურწმენაც წმინდა გახლდათ).

მაგ, ეგრეთ წოდებულმა, ჭეშმარიტმა საზოგადოებამ, თავხედმა, ყბედმა, კადნიერმა კუდიანებმა და ჯადოქრებმა განაჩენი გამოუტანეს მოხუცი ჯოლიონის სისხლსა და ხორცს! ბებერი ქოფაკები! მოხუცმა ქოლგის ტარი ისე დაარტყა მიწას, თითქოს გულში ხანჯალი უნდა ჩასცეს იმ ეგრეთ წოდებულ საზოგადოებას, რომელმაც ვაჟიშვილი წაართვა და მისი საკუთარი სიცოცხლის გამგრძელებელი - შვილიშვილი ჯოლი დააკარგვინა.

გაჯავრებულმა ერთხელ კიდევ ჩაარტყა მიწას ქოლგა; თუმცაღა, თვითონაც თხუთმეტი წელიწადი ჩანჩალით მიჰყვებოდა იმ საზოგადოების კანონებს და მხოლოდ დღეს გადაუხვია მათ.

მისი ფიქრები ჯუნის, მისი დედის გარდაცვალებას და მთელ იმ მწარედ გასახსენებელ ამბავს გადასწვდა. ოჰ! რა უბედურება იყო!

გზაც რომ არ გაილია. ვერ იქნა და ვერ მიაღწია სტენჰოპ-გეიტამდე. მიუხედავად იმისა, რომ დაქანცული იყო, მოხუცმა ჯოლიონმა, თითქოს თავის თავს ეჯიბრებაო, მთელი გზა ფეხით გაიარა.

ხელი დაიბანა თუ არა, სასადილო ოთახს მიაშურა. ეს ერთადერთი ოთახი იყო, სადაც ჯუნის არყოფნის დროს მარტო გაძლება შეეძლო მოხუც ჯოლიონს. საღამოს გაზეთი ჯერ კიდევ არ მოეტანათ. "ტაიმსი" კი უკვე გადაიკითხა და საქმე აღარაფერი ჰქონდა.

სასადილო ისეთ ქუჩას გადაჰყურებდა, რომელიც ცალ მხარეს გაუვალი გახლდათ, ამიტომაც იქ მოძრაობა ჩამკვდარი იყო და სრული სიმშვიდე სუფევდა. ჯოლიონს ძაღლები სძულდა, მაგრამ ახლა ძაღლსაც შეეძლო მისთვის კომპანიონობა გაეწია. კედ-

ლებს თვალი მოავლო და ერთ სურათს შეაჩერდა. ეს იყო "დანიელ მეთევზეთა ნავები მზის ჩასვლისას", რომელიც მისი კოლექციის მშვენება გახლდათ. მაგრამ ახლა არავითარი სიამოვნება არ უგრძნია. თვალები დახუჭა. კვლავ მარტოა! იცოდა, არ უნდა დაეჩივლა, მაგრამ სხვა რა საშველი ჰქონდა. საცოდავი არსება იყო! დიახ, ნამდვილად საცოდავი იყო ყოველთვის და არა გულადი, მამაცი, ყოჩაღი! ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში.

სუფრის გასაშლელად შემოსულმა უფროსმა მსახურმა დაინახა, რომ ბატონს ჩასძინებოდა და ფრთხილად დაფაჩუნებდა, არ გავაღვიძოო. ეს წვეროსანი მსახურთუფროსი ულვაშსაც ატარებდა, რაც ოჯახის წევრთა ეჭვიანობისა და მითქმა-მოთქმის საბაბი გამხდარიყო. განსაკუთრებით ისინი ეჭვიანობდნენ, რომელთაც სომსივით დახურული სკოლები დაემთავრებინათ და ამგვარ საკითხებში კარგად ერკვეოდნენ. ჰგავდა კი მსახურს ეს წვერ-ულვაშა? ხუმრობის ხასიათზე დამდგარი ჯოლიონის ძმისშვილები მას "ძია სექტანტს" ეძახდნენ, ხოლო ენაკვიმატმა ჯორჯმა სენკი(სენკი, აირა დევიდ (1840-1908 წწ.) - ამერიკელი მისიონერი, რომელიც ევანგელისტურ მოძღვრებას ქადაგებდა.) შეარქვა.

გაკრიალებულ ვეება ბუფეტსა და ასეთსავე სასადილო მაგიდას შუა მოფუსფუსე მსახური უდიდეს სიფრთხილესა და მოქნილობას იჩენდა.

მოხუცი ჯოლიონი მსახურს უთვალთვალებდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ეძინა. ოჰ! ნამდვილი მეთავისე ლაწირაკია, - იგი მსახურზე მუდამ ასეთი აზრისა იყო, - მარტო იმაზე ფიქრობს, როგორმე ჩემს მოვალეობას მოვრჩე, რომ დოღზე სანაძ-

ლეოს ჩასვლის საქმე მოვაგვარო, საყვარელთან წავიდე ან, ეშ-მაკმა იცის მაგისი თავ-ტანი, კიდევ სად დაძვრება! ცუღლუტი! მერე როგორ კურატივით ჩასუქდა? პატრონისთვის კი წკირსაც არ გადააბრუნებს.

მაგრამ სწორედ ამ დროს, მისდა უნებურად, ისევ ფილოსო-ფიური მსჯელობის ხასიათზე დადგა, რაც ასე განასხვავებდა მას დანარჩენი ფორსაიტებისგან.

ბოლოს და ბოლოს, ასე თავგამოდებით რატომ უნდა ზრუნავ-დეს პატრონზე? პატრონს რომ სულიერი მარტოობა შეუმსუბუ-ქოს და მარტოობით გამოწვეული სულიერი ტანჯვა გაუქარ-წყლოს ამისთვის ხომ გასამრჯელოს არ უხდიან. მაშ, ვის რა უფ-ლება აქვს ფულადი გასამრჯელოს გარეშე მოითხოვოს რაიმე? ამქვეყნად ხომ უანგაროდ არავინ ირჯება. იქნებ იმ ქვეყნად სხვაგვარად იქცევიან - ვინ იცის? და ისევ დახუჭა თვალები.

მსახური ქურდული ნაბიჯებით დაძვრებოდა, ბუფეტიდან ნაირ-ნაირ ჭურჭელს იღებდა და სუფრაზე ალაგებდა. იგი მოხუ-ცი ჯოლიონისკენ მუდამ ზურგშექცეული იდგა, თითქოს პატრო-ნის თანდასწრებით საქმის კეთების ეშინიაო. ხანდახან ვერ-ცხლის ჭურჭელზე მალვით აორთქლებდა და დაორთქლილს ნა-ტის ტყავის ნახევით წმენდდა. გეგონებოდათ იმას ფიქრობს, რომ ღვინო, რომელიც ლანგარზე ედგა, საკმაოდ მაღლა ეჭირა, წვერით დაეფარა და დიდი სიფრთხილით მოჰქონდა, არ იკმარებ-სო. როცა სადილის თადარიგს მორჩა, წუთით შედგა და პატრონს დააკვირდა. მისი მომწვანო თვალებიდან სიძულვილი გამოკ-რთოდა.

ბოლოს და ბოლოს, მისი ბატონი ერთი მიხრწნილი მოხუცია და მეტი არაფერი!

ზარის დასარეკად კატასავით გაძვრა. ნაბრძანები ჰქონდა, სადილი შვიდზე მიერთმია პატრონისთვის, ახლა მას სძინავს, მაგრამ გააღვიძებს. ღამე იმისთვისაა, რომ მაშინ დაიძინოს. თავის თავზეც უნდა იფიქროს თუ არა! ცხრის ნახევარზე კლუბში ელოდებიან.

ზარის ხმაზე სასადილოში პატარა ბიჭი შემოვიდა, რომელსაც ხელში ვერცხლის საწვნე ეჭირა. მსახურმა საწვნე ჩამოართვა, სუფრაზე დადო, შემდეგ ღია კარში ჩადგა და თითქოს სტუმართა კრებულს მიმართავსო, ისეთი სადღესასწაულო ხმით წარმოთქვა:

- სადილი მზად გახლავთ, სერ!

მოხუცი ჯოლიონი ნელა წამოდგა სავარძლიდან და სასადილო მაგიდას მიუჯდა.

თავი მერვე

ახალი სახლის გეგმა

ძალზე სასარგებლო, ნეტარებისა და განცხრომის სიმბოლოდ მიჩნეულ პატარა არსების მსგავსად, ფორსაიტებსაც თავიანთი ნიჟარა ჰქონდათ შემოკრული; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ამ ნიჟარის გარეშე არსად გამოჩნდებოდნენ, ხოლო თუ გამოჩნდებოდნენ, ვერავინ იცნობდა. საკუთრება, ნაცნობ-მეგობრობა და მეუღლეები - აი, ამ ნიჟარის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ფორსაიტებს, ისევე, როგორც მათსავით საკუთარ ნიჟარებში გახვეულ ათასობით სხვა ფორსაიტს, განუყრელად ახლდა თან. ფორსაიტი უნიჟაროდ წარმოუდგენელია! ამის წარმოდგენა იგივე იქნება, რომ კაცმა სიუჟეტისა და სასიყვარულო ინტრიგის გარეშე რომანის დაწერა დაიჯეროს. ეს უკანასკნელი კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ყოვლად დაუშვებელი და არანორმალური ამბავი იქნებოდა.

ფორსაიტების თვალში ბოსინის სწორედ ეს ნიჟარა აკლდა. მათი აზრით, იგი იმ იშვიათ და უბედურ კაცთა მოდგმას ეკუთვნოდა, ვინც ამ ცხოვრებაში სხვისი საკუთრებით, ნაცნობ-მეგობრებით, მდგომარეობით და ცოლებით არის გარშემორტყმული და საკუთარი არაფერი გააჩნია.

სლოუნსტრიტის ზემო სართულზე მისი ბინის კარზე წარწერილი "არქიტექტორი ფილიპ ბეინზ ბოსინი" ფორსაიტებისთვის არაფერს ნიშნავდა. ბოსინის ბინაში არ ჰქონდა ცალკე სასტუმრო ოთახი.

სამუშაო ოთახი თეჯირით იყო გაყოფილი და ისეთი აუცილებელი ნივთები, როგორიცაა: დივანი, სავარძლები, ჩიბუხი, მარანი, წიგნები და ფოსტლები, თეჯირს იქით კედლებში გამოყვანილ განჯინებში განეთავსებინათ.

სამუშაო ოთახის აქეთა მხარეს მთლად უბრალო ავეჯი იდგა: მტრედის ბუდეებივით პაწაწინა უჯრედებიანი ჭურჭლის განჯინა, მუხის მრგვალი მაგიდა, დასაკეცი პირსაბანი, რამდენიმე ვენური სკამი და კიდევ ერთი მაღალი, ვეება მაგიდა, რომელიც ნახატებითა და ნახაზებით იყო მოფენილი. ბოსინის დეიდის თანხლებით ჯუნი სულ ორჯერ იყო აქ ნამყოფი.

სამუშაო ოთახს უკან ალბათ საძინებელი უნდა ყოფილიყო.

როგორც ფორსაიტებმა შეიტყვეს, ბოსინი ორ სამშენებლო ოფისს უწევდა კონსულტაციას, რისთვისაც თითოეული წლიურად ოც გირვანქა სტერლინგს უხდიდა. გარდა ამისა, ძალზე მცირეშემოსავლიანი შემთხვევითი სამუშაოებიც ჰქონდა. მაგრამ რაც მთავარი იყო, დაადგინეს, რომ მამის ანდერძით ას ორმოცდაათი გირვანქა წლიური შემოსავალი გააჩნდა.

ბოსინის მამაზე შეკრებილ ცნობებში მაინცდამაინც დამაშოშმინებელი არაფერი გახლდათ. წარმოშობით კორნიშიდან ყოფილა. ექიმად უმუშავია ლინკოლნშირის საგრაფოში. ბაირონისებური მისწრაფებების პატრონს გარეგნობა შესანიშნავი ჰქონია და საგრაფოში კარგი სახელიც მოუხვეჭია. დედის მხრიდან

ბოსინის ახლო ნათესავმა ბეინზმა, თუ გვარით არა, ინსტინქტებით ნამდვილმა ფორსაიტმა, "ბაილდბოისა და ბეინზის" ფირმის მენახევრემ, ბოსინის მამაზე ბევრი ვერაფრის თქმა შეძლო.

- უცნაური კაცი იყო! - წამოიწყო მან, - თავის უფროს ვაჟიშვილებზე იტყოდა ხოლმე: "სამივენი კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ცოტა მძიმე და დუნე ხალხიაო". ახლა სამივენი ინდოეთის ინგლისურ სამოქალაქო მმართველობაში მუშაობენ და კარგადაც ხვეტავენ. მარტო ფილიპი მოსწონდა. სულ უცნაური აზრები მოსდიოდა თავში. ერთხელ მითხრა: "ჩემო ძვირფასო მეგობარო! შენს საცოდავ ცოლს ყველაფერს ნუ გაანდობ, რასაც ფიქრობო!" მაგრამ მის რჩევას არ ავყოლივარ! ექსცენტრიკული კაცი იყო! ფილს სულ იმას ჩასჩიჩინებდა: "ნამდვილი ჯენტლმენივით ცხოვრობ თუ არა, ეს სულერთია, მაგრამ ჯენტლმენივით კი უნდა მოკვდეო". თვითონ, როცა გარდაიცვალა, მშვენიერ სერთუკში ბრილიანტის ქინძისთავით დამაგრებული აბრეშუმის ყელსახვევი ეკეთა და ისე ესვენა კუბოში. ოჰ! მისთანა კაცი იშვიათად თუ შეგხვდება. ძალიან ორიგინალური ვინმე იყო!

თვითონ ბოსინიზე ბეინზი თბილად, მაგრამ როგორღაც სიბრალულით ლაპარაკობდა.

- რისთვის თქვა უარი ჩემს ფირმაში მუშაობაზე, როცა ამდენი შესაძლებლობა იყო მის წინ გადაშლილი; აიკრა გუდა-ნაბადი და ექვსი თვე სად და რისთვის იხეტიალა, კაცმა არ იცის. უცხოური არქიტექტურა უნდა შევისწავლოო, უცხოური! რას გამოელოდა აქედან? აი, თქვენი ჭკვიანი ყმაწვილი - წელიწადში ას გირვანქასაც ვერ იღებს! ეს ნიშნობა ყველაფერს სჯობს, რაც კი მის თავს შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ამბავი წელში გაასწორებს და

რწმენას განუმტკიცებს. ეგ ხომ ერთი იმათგანია, ვისაც დღისით სძინავს და ღამეებს ათენებს. მათ ხომ მუშაობის მეთოდი არა აქვთ; მაგრამ ამ ყმაწვილს ვერ დაიწუნებ, დიდი უზადო ვინმეა. მოხუცი ფორსაიტი ძალიან მდიდარია!

მისტერ ბეინზი დიდი ყურადღებითა და სიყვარულით ეპყრობოდა ჯუნს, რომელიც იმ ხანებში მისი სახლის ხშირი სტუმარი იყო ლოუნდზსკვერზე.

- მისტერ სომსის სახლის მშენებლობა - ოჰ! ნამდვილი საქმის კაცია მისტერ სომსი - ფილიპისთვის პირდაპირ მისწრებაა, - ეუბნებოდა ჯუნს ბეინზი, - ახლა კი ხშირად ვეღარ ნახავთ ფილიპს, ქალიშვილო. საპატიო მიზეზიცა აქვს, ნამდვილად საპატიო და კაცმა ახალგაზრდობაში უნდა გაიკაფოს ცხოვრების გზა. მისი ხნისა რომ ვიყავი, დღე და ღამეს ვასწორებდი. ჩემი ძვირფასი მეუღლე ხშირად მეტყოდა ხოლმე: "ბობი! ძალიან მძიმე შრომას ეწევი, ჯანს გაუფრთხილდიო"; მაგრამ თავს არ ვზოგავდი!

ჯუნმა დაიჩივლა: ბოსინი დროს ვერ პოულობს, რომ სტენჰოპგეიტში შემოიაროსო.

კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ბოსინიმ კვლავ მოახერხა სტენჰოპგეიტში მისვლა. დანიშნულებმა თხუთმეტ წუთსაც ვერ დაჰყვეს ერთად, რომ თავს მისის სეპტიმუს სმოლი წამოადგათ. მუდამ ასე უდროოდ იცოდა მან შემოსწრება. როგორც დათქმული ჰქონდათ, ბოსინი ადგა და პატარა ოთახში გავიდა, რათა იქ დალოდებოდა მისის სეპტიმუს სმოლის წასვლას.

- ჩემო ძვირფასო, - წამოიწყო პაპიდა ჯულიმ, - ბოსინი მეტისმეტად გამხდარია! დანიშნულებს ხშირად ემართებათ ასე; მაგრამ შენ უნდა მიხედო. არის ეგრეთ წოდებული ბარლოუს ექ-

სტრაქტი. იგი ხბოს ხორცის ნაწურია და სუითინს ძალიანაც არ-გო.

მომცრო ტანის ჯუნი ბუხრის წინ შეჩერდა. პაპიდის უდროო სტუმრობის გამო პატარა სახე სიბრაზისგან საშინლად უკანკა-ლებდა. მისი უდროო ვიზიტი ჯუნმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და ზიზღით თქვა:

- ეს იმიტომ, რომ ბოსინი ბევრს მუშაობს; ვინც საქმეს აკე-თებს, ის არ სუქდება.

პაპიდა ჯული აიმრიზა; თვითონ ნიადაგ გამხდარი, სულ იმა-ზე ოცნებობდა, იქნებ როგორმე გავსუქდეო. სიმსუქნეზე ფიქრი სიამოვნებდა და ასულდგმულებდა.

- მე მგონი, შენ უფლება არ უნდა მისცე მათ, "მეკობრე" უწო-დონ ბოსინის, - მგლოვიარესავით წამოიწყო პაპიდა ჯულიმ, - რას იტყვის ხალხი ამის გაგონებაზე, მით უმეტეს, რომ მან სომსს სახ-ლი უნდა აუშენოს. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს მთელი გუ-ლისყურით მოეკიდება; ეს ხომ ბოსინისთვის ძალზე მნიშვნელო-ვანია; სომსი კი ისეთი დახვეწილი გემოვნების პატრონია.

- გემოვნება, - წამოიყვირა აპილპილებულმა ჯუნმა, - ჩვენს ოჯახში სომსს კი არა, არც ერთს არა აქვს გემოვნება!

მისის სეპტიმუს სმოლი გახევდა.

- შენი პაპის ძმას, სუითინს, - კვლავ წამოიწყო შემკრთალმა მისის სმოლმა, - ყოველთვის შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა! სომსის სახლის ნახვაც ერთ რამედა ღირს; შენც ასე არ ფიქრობ?

- ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ აირენია! - წამოიძახა ჯუნმა.

პაპიდა ჯული შეეცადა საუბარი ტკბილად განეგრძო.

- რას ფიქრობს აირენი ქალაქგარეთ ცხოვრებაზე?

ჯუნის დაჟინებით ცქერაში თითქოს სინდისის ქენჯნა გამოკრთა, მაგრამ მაშინვე გაქრა და შემდეგ უფრო ისეთი გამომცდელი და დაჟინებული მზერა მიაპყრო პაპიდას, თითქოს იმ სინდისის ქენჯნის გამოკრთომისა შერცხვაო. ცოტა ხანმა რომ განვლო, მბრძანებლურად წარმოთქვა:

- რა თქმა უნდა, მოსწონს; ან კი რატომ არ უნდა მოსწონდეს?

მისის სმოლს ნერვიულობა დაეტყო.

- მე რა ვიცი, - თქვა მან, - ვფიქრობ, გაუჭირდება მეგობრების მიტოვება. ჯეიმსმა თქვა, აირენი ცხოვრებას მეტისმეტად ზერელედ უყურებსო. ჩვენ ვფიქრობთ, ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდოდა, ტიმოთი ფიქრობს-მეთქი, აირენი უფრო ხშირად უნდა სეირნობდესო. შენ რა გეშველება უმისოდ, არ ვიცი!

ჯუნმა ხელები ერთმანეთს გადააჭდო და კისერზე შემოიწყო.

- ყველაფერს აჯობებს, - წამოიყვირა მან, - თუ პაპა ტიმოთი არ ჩაერევა იმ საქმეში, რაც არ ეხება.

პაპიდა ჯული მთელი ტანით წამოიმართა.

- ის არასოდეს ერევა იმ საქმეში, რაც არ ეხება, - დასძინა მან.

ჯუნმა მაშინვე ინანა ნათქვამი. პაპიდას მიეახლა და გადაკოცნა.

- მაპატიეთ, პაპიდა, მაგრამ ჩემი სურვილია, აირენი მოასვენონ.

ამის შემდეგ პაპიდა ჯულიმ სალაპარაკოდ შესაფერისი თემა ვეღარ მონახა და გაყუჩდა. როცა წასასვლელად წამოდგა, შავი აბრეშუმის მოსასხამი გულთან შეიკრა და მწვანე საფულეც აიღო.

- პაპა როგორღაა? - უკვე დარბაზში გასვლის შემდეგ იკითხა პაპიდა ჯულიმ, - მარტოდმარტო ძალიან მოწყენილი იქნება, არა? შენ ალბათ სულ მისტერ ბოსინისთან იქნები? - იგი დაიხარა, ჯუნს მოწყურებულივით აკოცა და გზას ცუნცულით გაუყვა.

თვალცრემლიანი ჯუნი იმ ოთახში შევარდა, სადაც ბოსინი იმყოფებოდა. არქიტექტორი მაგიდასთან იჯდა და კონვერტის უკანა მხარეზე ჩიტებს ხატავდა. ჯუნი ბოსინის გვერდით სავარძელში ჩაეშვა და გულსაკლავად ასლუკუნდა.

- ოჰ, რა საშინელებაა ყოველივე ეს, ფილ! - ჯუნის გული ახლა მისი თმისფერი ალით იწვოდა.

იმ კვირის სწორზე, დილით, სომსი პირს იპარსავდა, როცა მოახსენეს, მისტერ ბოსინი გეახლათ და თქვენს ნახვას ჩქარობსო. სომსმა მეუღლის ოთახის კარი შეაღო და სთხოვა:

- ქვემოთ ბოსინი მელოდება. სანამ გავიპარსავდე, ჩადი და სტუმარი გაართე. მეც რამდენიმე წუთში ჩამოვალ. ალბათ სახლის გეგმებს მოიტანდა.

აირენმა უხმოდ ახედა ქმარს, კაბის ჩაცმას მორჩა და ქვევით ჩავიდა.

სომსმა ჯერაც არ იცოდა, რას ფიქრობდა აირენი ქალაქგარეთ სახლის მშენებლობაზე. აირენს არც ჰო უთქვამს და არც უარი. "რაც შეეხება ბოსინის, მისდამი ალბათ მეგობრულად უნდა იყოს განწყობილი", - გაიფიქრა სომსმა.

იგი სარკმლიდან გადაჰყურებდა საუბარში გართულ მეუღლესა და ბოსინის. პარსვას მოუჩქარა და ორგან გადაისერა ნიკაპი. მათი სიცილი გაიგონა და იფიქრა: ეტყობა, მშვენივრად ერთობიანო.

სომსის მოლოდინი გამართლდა. ბოსინი მართლაც გეგმის საჩვენებლად იწვევდა თავისთან.

სომსმა ქუდი აიღო და გაჰყვა.

გეგმა არქიტექტორის მუხის მრგვალ მაგიდაზე იყო გაშლილი. ფერგამკრთალი სომსი დაბლა დაიხარა, მშვიდად (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა), ათვალიერებდა გეგმას და დიდხანს სიტყვა არ დასცდენია.

ბოლოს საგონებელში ჩავარდნილი კაცის ხმით წარმოთქვა:

- ძალზე უცნაური სახლია!

გეგმით ორსართულიანი სახლის მშენებლობა იყო განზრახული. მეორე სართულს ირგვლივ შემოევლებოდა რვა სვეტზე დაყრდნობილი შუშაბანდი, რომლის სახურავადაც მინა იყო ნავარაუდევი.

ფორსაიტს ასეთი სახლი, რა თქმა უნდა, უცნაური ეჩვენებოდა.

- ადგილი ტყუილად იკარგება, - აიჩემა სომსმა.

ბოსინი წინ და უკან სიარულს მოჰყვა და სახეზე ისე შეიცვალა, რომ სომსმა იგრძნო, ეს გამომეტყველება საქმეს კარგს არაფერს უქადდა.

- როდესაც პროექტზე ვმუშაობდი, - წამოიწყო ბოსინიმ, - ვცდილობდი, ისეთი სახლის მშენებლობა გამეთვალისწინებინა, ჯენტლმენის შესაფერისი რომ იქნება და პატრონს შინ თავისუფლად სუნთქვა შეეძლება.

სომსმა ჯერ ცერი და საჩვენებელი თითი გაავლო ნახაზზე, თითქოს იმ პატივისცემის გაზომვა სურდა, რომლითაც ხალხი

შეხედავდა, თუ ასეთი სახლის პატრონი გახდებოდა და შემდეგ დაუმატა:

- ოჰ! დიახ, მივხვდი.

ბოსინის სახეზე ის განსაკუთრებული იერი გამოიხატა, რომელიც მას აღფრთოვანების დროს გადაეფინებოდა ხოლმე.

- განზრახული მაქვს ამ გეგმით ისეთი სახლი აგიშენოთ, თავის ღირსებაზე თვითონ რომ იღაღადებს. თუ ჩემი განზრახვა არ მოგწონთ, სჯობს ახლავე მითხრათ. არც გაგამტყუნებთ. ახლა სახლის ღირსებას ვინ დაგიდევთ, თუ როგორმე დამატებით საპირფარეშო შეჩხირეს შიგ, - უეცრად თითი ნახაზის მარცხენა მხარეს დაატაკა, - აი, აქ იმდენი სივრცეა, რომ თუ გინდათ საქანელას ჩამოაბამთ. ეს ადგილი თქვენი სურათებისთვისაა გათვალისწინებული. ეზოდან ფარდებით გამოიყოფა; აი, აქ, ცენტრში, ორმხრივი ღუმელია. ერთი მხარე ეზოსკენ ექნება, მეორე კი სურათების გამოსაფენი ოთახისკენ; ეს კედელი მთლიანად მინისაა; აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთის სინათლე შემოიჭრება, ეზოდან კი ჩრდილოეთისა. დანარჩენი სურათები შეიძლება ზემო სართულის შუშაბანდში ან სხვა ოთახებში ჩამოჰკიდოთ. არქიტექტურაში, - განაგრძობდა იგი და, მართალია, მოსაუბრეს უყურებდა, მაგრამ სომსმა იგრძნო, რომ ბოსინი ვერ ხედავდა მას და უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, - ისევე როგორც ცხოვრებაში, წესიერების გარეშე არ არსებობს საკუთარი ღირსების გრძნობა. იტყვიან, ეს ყოველივე ძველი მოდააო, მაგრამ ძალზე უცნაური კია, რომ ჩვენს სახლებს არასოდეს ვაშენებთ და არც ვრთავთ ხოლმე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით. ოღონდ კი თვალი გაერთოს და ჩვენს სახლებს ნაირ-ნაირი დეკორაციით,

ზიზილ-პიპილებითა და ათასგვარი განჯინით ვტვირთავთ. პირიქით კი უნდა ვიქცეოდეთ, თვალებს დასვენების საშუალებას უნდა ვაძლევდეთ. ორი-სამი ძლიერი შტრიხი და, თუ ბიჭი ხარ, ეფექტს უნდა მიაღწიო. მთავარი მაინც სწორი ხაზებია, ურომლისოდაც შეუძლებელია საკუთარი ღირსების შეგრძნება.

სომსმა იმ წამს უნებური ირონიით გადახედა ბოსინის მოქცეულ ჰალსტუხს, გაუპარსავ წვერს და დაუუთოებელ შარვალს. ეტყობოდა სწორ ხაზებზე მისი მოთხოვნილება მთლიანად არქიტექტურას შთაენთქა.

- ყაზარმას ხომ არ ემგვანება? - იკითხა სომსმა.

ბოსინიმ პასუხი დაუგვიანა.

- მივხვდი, რაცა გსურთ! - თქვათ ბოსინიმ, - თქვენ ლიტლმაისტერის პროექტით აგებული სახლები მოგწონთ, ლამაზი და მოხერხებული. მსახური სხვენზე იცხოვრებს. წინა კარი იმდენზე იქნება მიწას აცილებული, რომ ასვლა-ჩამოსვლა გაგიადვილდებათ. მიმართეთ ლიტლმაისტერს, ძალიან კარგი ყმაწვილია, დიდი ხანია ვიცნობ.

სომსი აღელდა. გეგმა მოსწონდა, მაგრამ ინსტინქტმა უკარნახა, დაემალა თავისი აზრი. მისთვის ძნელი იყო ბოსინის შექება, რადგან პირმოთნე ხალხი სძაგდა.

სომსს ძალზე რთული ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. ან ბოსინი უნდა შეექო, ან ძალიან კარგი რამ დაეკარგა. ბოსინი ისეთი ვინმე ჩანდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ნაკუწ-ნაკუწ ექცია გეგმა და სომსთან საქმიანი ურთიერთობა გაეწყვიტა. მას ხომ დიდი ბავშვის ხასიათი ჰქონდა!

სწორედ ამ დიდმა ბავშვმა, რომლისადმი აშკარა უპირატესობასაც გრძნობდა სომსი, უცნაურად, თითქმის მომნუსხველად იმოქმედა მასზე. ასეთი რამ ჯერ არასდროს განეცადა სომსს.

- კეთილი, - ენის ბორძიკით ამოღერღა მან, - ნამდვილად ორიგინალური გეგმა კია.

სომსს ისე არ სწამდა ეს სიტყვა "ორიგინალური", შეიძლება პირდაპირ ითქვას, ისე ეჯავრებოდა იგი, რომ თვითონ ირწმუნა, მისი წარმოთქმით არ გამიცია ჩემი თავიო (გეგმა რომ მოსწონდა).

ბოსინი ნასიამოვნები დარჩა. ამ ყმაწვილს სწორედ ასეთი რამით თუ გაახარებდა. წარმატებამ სომსი გაამხნევა.

- აქ ძალიან დიდი ადგილი მოჩანს, - წარმოთქვა სომსმა და ნახაზის ერთ ადგილზე დაადო თითი.

- სივრცე, ჰაერი, სინათლე, - ყური მოჰკრა სომსმა ბოსინის ბუტბუტს, - ლიტლმაისტერის აშენებულ სახლში ჯენტლმენივით ვერ იცხოვრებ. ის ხომ ბინებს მეფაბრიკეებისთვის აგებს.

სომსმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ბოსინის უნდა შეესიტყვოსო. მართალია, ბოსინიმ იგი ჯენტლმენად მიიჩნია და ახლა არავითარი თანხის გადახდას არ დაერიდებოდა, ოღონდ კი მეფაბრიკეთა რიგებში არ გადაენაცვლა, მაგრამ მის არსებაში თანდაყოლილმა უნდობლობამ იძალა. ეშმაკსაც წაუღია ეს სწორი ხაზები და საკუთარი ღირსება. მოეჩვენა, რომ სახლი ძალიან ცივი იქნებოდა.

- აირენი სიცივეს ვერ იტანს, - წარმოთქვა მან.

- აჰ! - როგორღაც სარკასტულად გამოეხმაურა ბოსინი, - თქვენი მეუღლე? სიცივეს ვერ იტანს? ამას გავითვალისწინებ და

საქმეს ისე მოვაწყობ, რომ არ გაიყინება. აბა შეხედეთ! - და ბოსინიმ ნახაზზე კედლის გასწვრივ ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ოთხი წერტილი აჩვენა.

- აქ ალუმინის ჩუქურთმიანი ბადით დაფარულ რადიატორებს დავაყენებ.

სომსმა იმ წერტილებს ეჭვიანად შეხედა.

- ყველაფერი ძალიან კარგად მოგიფიქრებიათ, - თქვა მან, - მაგრამ სახლი რამდენი დამიჯდება?

არქიტექტორმა ჯიბიდან ფურცელი ამოიღო.

- რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სახლი მთლიანად ქვისა ყოფილიყო, მაგრამ ვიცოდი, რომ არ დამთანხმდებოდით და ამიტომ ქვით მოპირკეთებული კედლების აყვანა გადავწყვიტე. სახურავი თუნუქისა სჯობს, მაგრამ მწვანე ფიქლით შევცვალე, ლითონის სამუშაოიანად სულ რვა ათას ხუთასი გირვანქა დაგიჯდებათ.

- რვა ათას ხუთასი? - გაიმეორა სომსმა, - კი მაგრამ, ხომ გითხარით, ხარჯთაღრიცხვა ისე შეადგინეთ, რვა ათასს არ ასცდესმეთქი.

- ისე ვიანგარიშე, ერთი პენიც არ დააკლდება, - ცივად მოუჭრა ბოსინიმ, - ან ჰო, ან არა! მეტი გამოსავალი არაა!

სომსთან სწორედ ასეთი ლაპარაკი თუ გაჭრიდა. იგი ჩიხში მოქცეულივით დაიბნა. გონება ეუბნებოდა, ყველაფრისთვის თავი მიენებებინა, მაგრამ პროექტმა ძლიერ მოხიბლა. ბოსინის სრულყოფილი, მშვენიერი გეგმა შეედგინა. მსახურის სადგომიც საუცხოო რამ იყო. ასეთი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ბევ-

რი ინდივიდუალური თავისებურებანი გააჩნდა და შესანიშნავად იყო მოწყობილი, დიდ სახელს მოუხვეჭდა.

სანამ საძინებელ ოთახში გასული ბოსინი გაიპარსავდა და ტანთ გამოიცვლიდა, სომსს დრო ჰქონდა და ისევ სახლის გეგმას ჩაჰკირკიტებდა.

მონტპელიესკვერზე ორივე ხმაამოუღებლად დაბრუნდა. სომსი ქურდულად ათვალიერებდა ბოსინის.

"როცა წესიერად აცვია და წვერგაპარსულია, ეს "მეკობრე" მშვენიერი შესახედავია", - გაიფიქრა სომსმა.

სახლში რომ შევიდნენ, შენიშნეს: აირენი დახრილიყო და ყვავილებს დასტრიალებდა.

- ჯუნის მოსაყვანად გავგზავნი ვინმეს, - შესთავაზა აირენმა.

- არა, არა, - გააწყვეტინა სომსმა, - ჯერ ისევ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ.

საუზმის დროს სომსი თითქმის გულწრფელი იყო და ბოსინის საჭმელს აძალებდა: სიამოვნებდა ბოსინის მხიარულება. საუზმის შემდეგ აირენი და ბოსინი ერთად დატოვა და თვითონ კი, რაკი კვირადღე იყო, ჩვეულებისამებრ სურათების დასათვალიერებლად გასწია. ჩაის დალევის დრო იქნებოდა, უკან რომ დაბრუნდა. როცა სასტუმროში შესულმა ბოსინი და აირენი კვლავ მუსაიფში გართულნი ნახა, ამდენი რა სალაპარაკო გასჩენიათო, - იფიქრა.

რაკი ვერ შენიშნეს, კარში შეჩერდა და საქმის ასე მარჯვედ შემობრუნება მიულოცა თავის თავს. ბედნიერებაა, რომ აირენი და ბოსინი ასე კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს; ეტყობა, აირენს ძალიან მოსწონს სახლის მშენებლობის იდეა.

იქ, სურათებთან, ყოველივე კარგად აწონ-დაწონა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ აუცილებელი იქნებოდა, დათმობაზე წასულიყო და ის ხუთასი გირვანქაც გადაეხადა; მაგრამ იმედოვნებდა, რომ იმ დღის შემდეგ ბოსინის შედგენილ ხარჯთაღრიცხვას რაღაც ჩამოაკლდებოდა. მისი აზრით, თუ ბოსინი მოინდომებდა, გაიაფების ათასგვარ ხერხს გამონახავდა, ისე, რომ სახლის საერთო ეფექტს არა მოჰკლებოდა რა.

სომსმა იქამდე იცადა, ვიდრე აირენი სტუმარს პირველ ფინჯან ჩაის შესთავაზებდა. სწორედ ამ დროს ფარდებში შემოპარული მზის სხივი აირენის ღაწვებს მისწვდა და კიდევ უფრო წამოაწითლა, თმა და თვალები აუელვარა. ალბათ ბოსინიც იმ სხივმა წამოაგზნო სახეზე და შეაშფოთა კიდეც ერთბაშად.

სომსს ეჯავრებოდა მზის შუქი და მაშინვე გასწია ფარდები, რომ მზის სხივებს სასტუმროში ველარ შემოელწია. მერე თავისი ფინჯანი, აირენს რომ ედგა წინ, ხელში აიღო და როგორც აპირებდა, იმაზე ცივად წარმოთქვა:

- იქნებ თქვენი ხარჯთაღრიცხვა რვა ათასამდე ჩამოიყვანოთ, ჰა? თუ მოისურვებთ, ათას წვრილმანს გამოძებნით შესაცვლელს.

ბოსინიმ ერთი მოსმით გადაკრა ჩაი, ფინჯანი დადგა და ისე უპასუხა:

- არაფრის შემცირება არ შეიძლება!

სომსმა იგრძნო, რომ მისი წინადადება არქიტექტორის თავმოყვარეობის რომელიღაც წერტილს შეეხო.

- კეთილი, - მორჩილად დაეთანხმა იგი, მაგრამ წყენა ვერ დამალა, - ჩანს, ამ საქმეში უნდა დაგითმოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბოსინიმ წასვლა დააპირა და წამოდგა. სომსმა იფიქრა, გავაცილებო და თვითონაც ადგა. არქიტექტორი ძალზე მხიარულ გუნებაზე იყო. მაგრამ რის გამო? ნუთუ უმიზეზოდ იყო ასეთი მხიარული? სომსმა თვალი გააყოლა მის მხნე, მტკიცე ნაბიჯებს და სასტუმროში გაჯავრებული დაბრუნდა. აირენი როიალთან ნოტებს ალაგებდა. სომსში თავშეუკავებელმა ცნობისმოყვარეობამ იფეთქა და აირენს ჰკითხა:

- რა აზრისა ხარ მეკობრეზე?

პასუხის მოლოდინში, რომელმაც კარგა ხანს დააგვიანა, სომსი თავდახრილი იდგა.

- არ ვიცი, - გაისმა ბოლოს აირენის ხმა.

- თვალად მარჯვეა? - ისევ ჩაჰკითხა სომსმა.

აირენმა გაიღიმა. სომსს მოეჩვენა, რომ აირენის ღიმილში დაცინვა გამოკრთა.

- დიახ, ძალიან ლამაზია, - უპასუხა ქალმა.

თავი მეცხრე

პაპიდა ენის გარდაცვალება

სექტემბრის ბოლოს დადგა ისეთი დღე, როცა პაპიდა ენს უკვე აღარ შეეძლო სმითერის ხელებით მისი პიროვნული ღირსების გამომხატველი ნიშნები ემხილა. სასწრაფოდ გამოძახებულმა ექიმმა, დახედა თუ არა მოხუცის სახეს, მაშინვე განაცხადა: ძილში გაპარულაო.

პაპიდები ჯული და ესთერი ელდამ ისე მოაქცია, თითქოს დამბლა დასცემოდათ. ასეთ აღსასრულს ისინი არასგზით არ ელოდნენ. ისიც კი ნამდვილად საეჭვო იყო, გონებით მიხვდნენ და შეიგნეს თუ არა, რომ სიკვდილი გარდაუვალი რამ გახლავთ. გულში უგუნურებად უთვლიდნენ ენს, რომ ასე უსიტყვოდ, უბრძოლველად დატოვა ეს ქვეყანა. ოჰ! როგორ არ ჰგავდა ეს ენის ბუნებრივ საქციელს.

იქნებ პაპიდებზე იმან უფრო ძლიერ იმოქმედა, რომ სიცოცხლე თურმე ფორსაიტის მძლავრ, მაგარ ხელსაც ასე თავისუფლად შეიძლება გამოეცალოს. თუ ერთის სიკვდილი შეიძლება, მაშინ ყველა მოკვდავი ყოფილა!

მთელმა საათმა განვლო, სანამ ტიმოთისთვის ამ ამბის თქმას გადაწყვეტდნენ. რა კარგი იქნებოდა, მომხდარი ფაქტის დამალ-

ვა და ართქმა რომ ყოფილიყო შესაძლებელი! შემზადებაც რომ არ ხერხდებოდა!

ისინი კარგა ხანს ჩურჩულებდნენ ტიმოთის კარის წინ. როცა ყველაფერს მორჩნენ, კიდევ რაღაც წაიჩურჩულეს.

პაპიდებს ეშინოდათ, რომ ტიმოთი თანდათანობით გულთან უფრო ახლო მიიტანდა ამ სამწუხარო ამბავს. თუმცა ახლა მოსალოდნელზე უფრო ნაკლები შეშფოთება გამოამჟღავნა. რა თქმა უნდა, საწოლში დარჩება!

წყნარად მტირალი დები განცალკევდნენ.

უბედურებისგან ღონემიხდილი და სასოწარკვეთილებამდე მისული პაპიდა ჯული თავის ოთახში დარჩა. ცრემლებისგან სახე დალაქავებოდა. მეტისმეტ ღელვას თავისი კვალი დაემჩნია და კანი ალაგ-ალაგ ამობურცოდა.

ენის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. სამოცდაცამეტი წელი ერთად გაატარეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხანმოკლე განშორებას, როცა გათხოვდა, მაგრამ ახლა ჯულის აღარც კი სჯეროდა, თუ ოდესმე გათხოვილი იყო. დროგამოშვებით კამოდთან მოდიოდა და სუმბულის სურნელით გაჟღენთილ ახალ-ახალ ცხვირსახოცებს იღებდა. მისი მოსიყვარულე გული ვერ შეჰგუებოდა ამ ამბავს, რომ მეორე ოთახში უგრძნობლად იწვა გაცივებული ენი.

ჩუმი, მომთმენი, ამტანი, ავსილი აუზი, რომელშიც მთელი ოჯახის ენერგია იყო დაგროვილი. შავ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი პაპიდა ესთერი ფაქიზად იჯდა ფარდებჩამოშვებულ სასტუმროში. უძრავად მყოფს, ხელები მუხლებზე დაეწყო და ბუხარს მიშტერებოდა. უეჭველია, ახლა იმდენი საქმე გამოჩნდება,

რომ მისი დახმარებაც დასჭირდებათ. ვითომ ბევრი წვალებით მიცვალებულს რამე სიკეთეს უზამენ. უკან ხომ ვეღარ დააბრუნებენ? მაშ, რისთვისღა უნდა შეაწუხონ.

ხუთ საათზე სამი ძმა: ჯოლიონი, ჯეიმსი და სუითინი მოვიდნენ. ნიკოლასი იარმაუთში იყო წასული, როჯერს კი ნიკრისის ქარი ტანჯავდა. მისის ჰეიმენი დილით ადრე მოვიდა. ცხედარს დახედა და ოთახიდან რომ გამოვიდა, ტიმოთის გადასაცემად დაიბარა, ენის სიკვდილი ჩემთვის უფრო ადრე უნდა გეცნობებინათო. მისის ჰეიმენის დანაბარები ტიმოთისთვის ჯერ მაინც არ ეთქვათ. მხოლოდ მისის ჰეიმენი კი არა, ყველა იმას ფიქრობდა, უფრო ადრე რომ ეცნობებინათ, იქნებ რამე გვეშველაო.

- ხომ ვამბობდი, ამ ზაფხულს ვერ გაატანს-მეთქი, - წამოიწყო ჯეიმსმა.

პაპიდა ესთერს არაფერი უთქვამს. კამათი რას უშველიდათ. ოქტომბერი კარზე იყო მომდგარი. ზოგიერთს ხომ ვერაფერს შეასმენ!

პაპიდა ესთერმა მსახური გაგზავნა დის დასაძახებლად და დააბარა: ძმები აქ არიანო. მისის სმოლი მაშინვე ჩამოვიდა. გასივებული სახე დაებანა. ჩვეულებრივზე უფრო მხნე შესახედაობის სუითინზე რომ ღია ლურჯი ფერის შარვალი შენიშნა, მისის სმოლმა, იმისდა მიუხედავად, რომ უთხრეს, პირდაპირ კლუბიდან მოვიდაო, მაინც ცივად და მკაცრად გადახედა ძმას. ინსტინქტი, რომ დაღმა ეფარცხა, ახლაც კი ძლიერად დაუფლებოდა პაპიდა ჯულის.

მალე ხუთივენი მიცვალებულის სანახავად შევიდნენ. გაქათქათებული თეთრი სუდარის ქვეშ საბანი დაეგოთ. ალბათ, პაპიდა

ენს ახლა უფრო სჭირდებოდა სითბო, ვიდრე ოდესმე. საწოლიდან ბალიშები აეღოთ და მისი თავი და ტანი ერთ სიბრტყეში ლარივით გაჭიმული იდო, ისევე როგორც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სჩვეოდა პაპიდა ენს. შუბლზე დადებული თავსაბური ყურებსაც უფარავდა. თავსაბურსა და სუდარას შუა მოჩანდა სუდარასავით გათეთრებული თვალდახუჭული სახე, რომელიც ცხედარს თავის დედმამიშვილებისკენ მოჰქცეოდა. მიცვალებულის საოცრად მშვიდი სახე ახლა უფრო ძლიერი ჩანდა, ვიდრე ოდესმე. ყბებზე, ნიკაპზე, ყვრიმალებზე, შუბლზე, ჩაცვივნულ საფეთქლებსა და დაგრძელებულ ცხვირზე ოდნავ დანაოჭებული კანი ეტრატივით გადასჭიმოდა. ეს სახე ჰგავდა აუღებელ ციხესიმაგრეს, რომელსაც თუმცა სიკვდილმა სძლია და ახლა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც ცდილობდა უკან დაებრუნებინა უძლეველობა სულისა, რომელიც ეს-ეს არის, განუტევა.

სუითინმა დახედა თუ არა გარდაცვლილ დას, მაშინვე დატოვა ოთახი. როგორც შემდეგ განაცხადა, მისმა დანახვამ რეტი დამხვიაო. იგი კიბეზე ისე ჩადიოდა, რომ მთელ სახლს აზანზარებდა. ქუდი აიღო, კარეტაში შეძვრა და მეეტლისთვის არც კი უთქვამს, საით წასულიყო. შინ რომ მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და მთელი საღამო არ განძრეულა.

სადილად კაკბის ხორცისა და რაღაც 1/8 გალონი დიდებული შამპანურის გარდა ვერაფერს გაეკარა.

გულხელდაკრეფილი მოხუცი ჯოლიონი მიცვალებულს ფერხთით ედგა. ოთახში მყოფთაგან დედის გარდაცვალება მხოლოდ მას ახსოვდა და ენის შემყურეს ახლა ის ახსენდებოდა. ენი ღრმა

მოხუცი იყო და აი მისი აღსასრულიც დადგა! ჯოლიონს უძრავი, კუშტი სახე ჰქონდა და მზერა შორს, შორს, ცის დასალიერისკენ გაურბოდა.

მოხუცი ჯოლიონის გვერდით პაპიდა ესთერი იდგა. ის ახლა აღარ ტიროდა. ცრემლი გაუშრა. მისი ბუნება ვერ ურიგდებოდა ამდენი ენერგიის უქმად ხარჯვას; იგი ხელებს ისრესდა და მიცვალებულს კი არ დაჰყურებდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რომ როგორმე დის სიკვდილი გადაევიწყებინა და ეს სამწუხარო, გულსაკლავი ამბავი არ ეგრძნო და განეცადა.

დედმამიშვილებისგან ყველაზე მეტად ჯეიმსი ჩანდა დამწუხრებული. გამხდარ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ვიღას შესჩივლებს ახლა თავის ჭირ-ვარამს? ვინ იქნება მისი ჭირისუფალი? ჯული და ესთერი საქმეში ერთმანეთზე უარესები იყვნენ. ენის სიკვდილმა ჯეიმსი იმდენად დაამწუხრა, თვითონაც რომ არ მოელოდა; ალბათ, სამწუხარო ამბავს რამდენიმე კვირა ვერ მოინელებდა.

მალე პაპიდა ესთერი გარეთ გავიდა. პაპიდა ჯულიმ კი განიზრახა მოეწესრიგებინა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო და ორჯერ რაღაცას მაგრად მიეხეთქა. მოხუცი ჯოლიონი ძველისძველი, ძალიან შორეული ზმანებიდან გამოერკვა, კუშტი თვალებით წამით დააცქერდა მიცვალებულს და გარეთ გავიდა. ჯეიმსი ცხედართან მარტოდმარტო დარჩა; არავინ დამინახოსო, იქაურობას ქურდულად მოავლო თვალი, წელში მოიხარა, მიცვალებულ დას შუბლზე ეამბორა და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა. ჰოლში სმითერს გადაეყარა, დაკრძალვის თადარიგზე რამდენიმე შეკითხვა მისცა, მაგრამ დარწმუნდა, რომ არაფერი იცოდა და

გამწარებულმა ჩაილაპარაკა; ყველაფერს დროზე უნდა მიხედვა და მოგვარებაო. უმჯობესია მისტერ სომსთან გაგზავნოთ ვინმე, რადგან ასეთი საქმეების მოვლა ყველაზე უკეთ მას ეხერხებაო. ეტყობა, ტიმოთი ძალიან დაბნეულია და თვითონაა მისახედი; რაც შეეხება ჯულისა და ესთერს, მათ ხომ არაფრის თავი არა აქვთ. ავად თუ არ გახდნენ, ამაზეც მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთს. ისე კი, აჯობებს ახლავე გამოიძახოთ ექიმი. დროზე სჯობია ყველაფრის მოგვარება. მგონი, ენის ექიმიც არ ვარგოდა. მისთვის რომ ბლენკს ემკურნალა, ახლაც ცოცხალი იქნებოდა. თუ რამე დაგჭირდათ, ლეინპარკში აფრინეთ კაცი. რა თქმა უნდა, ჩემი ეტლი დაკრძალვაზე სრულ მომსახურებას გაგიწევთ. იქნებ ბორდოს წითელი ღვინო და ბისკვიტის ნაჭერი მოგეძებნებოდეთ, თორემ დღეს არც მისაუზმია.

დაკრძალვის წინა დღეები მშვიდად გაილია. ყველამ დიდი ხანია იცოდა, რომ პაპიდა ენმა თავისი მცირე ქონება ტიმოთის დაუტოვა. ასე რომ, მღელვარების საბაბი არ ჰქონდათ. სომსმა, რომელიც პაპიდა ენის ანდერძის ერთადერთი აღმასრულებელი იყო, მთლიანად თვითონ იკისრა დაკრძალვის ცერემონიალი და ოჯახის უფროსი მამაკაცების სახელით შემდეგი შინაარსის სამგლოვიარო ბარათები დააგზავნა:

"მავანსა და მავანს...

გთხოვთ მობრძანდეთ მის ენი ფორსაიტის დაკრძალვაზე, დავანება ჰაიგეიტის სასაფლაოზე ა.წ. პირველ ოქტომბერს. პროცესიის მონაწილეთ ეტლები ბეისუოთერ როუდზე დაელოდებათ 10:45 საათზე. გთხოვთ გვირგვინებს ნუ მოიტანთ.

R.S.V.P.".(R.S.V.P. (REPONDEZ S'IL VOUS PLAIT) - ფრანგული სიტყვებია და ნიშნავს: "გთხოვთ გვიპასუხოთ")

დაკრძალვაზე ძალიან ცივი დღე დაესწროთ. მაღალი, ნაცრისფერი, ლონდონისთვის დამახასიათებელი ცა ზევიდან პირქუშად დაჰყურებდათ; თერთმეტის ნახევარზე, პირველი, ჯეიმსის ეტლი მოგრიალდა. შიგ ჯეიმსი და მისი სიძე დარტი ისხდნენ. ჯეიმსის სიძეს, მკერდგაშლილ, ლამაზ მამაკაცს, ვიწროდ შეკერილი სერთუკი ეცვა, მსუქან ფერმკრთალ სახეს კარგად მოვლილი შავი ულვაში უშვენებდა. ლოყებზე წამოზრდილი ქილვაში ემჩნეოდა. თვითონ, ეტყობა, მათ გაპარსვას ცდილობდა, მაგრამ მოურჯულებელი ქილვაში პატრონის ამ გულმოდგინე მონდომებას ალბათ თავს არიდებდა. ქილვაშის დაყენება პატრონის პიროვნებაში ღრმად ფესვგადგმული ჩვეულების ნიშანი იყო, რომელიც უმთავრესად იმ ხალხში შეიმჩნევა, ვინც ბირჟაზე სპეკულანტობს.

სტუმრებს სომსი იღებდა, როგორც ანდერძის ერთადერთი აღმასრულებელი, ვინაიდან ტიმოთი ისევ იწვა და სანამ დაკრძალვას არ მორჩებოდნენ, ადგომას არ აპირებდა. პაპიდები ჯული და ესთერი, როცა ყველაფერი დამთავრდებოდა, დაბლა მაშინ ჩამოვიდოდნენ. ვინც სასაფლაოდან უკან დაბრუნდებოდა, მათთვის საუზმე იყო გამზადებული. ჯეიმსს მალე ვაჟიშვილებით გარშემორტყმული როჯერი მოჰყვა. ნიკრისის ქარის შეტევას კვალი დაემჩნია მისი ფეხებისთვის. როჯერი შესამჩნევად კოჭლობდა. მამას ახლა მხოლოდ სამი ვაჟიშვილი მოჰყვებოდა: ახალგაზრდა როჯერი, იუსტასი და თომასი, სულ მალე კი მეოთხე ძმა ჯორჯიც მოგრიალდა ორთვალა ეტლით. იგი ჰოლში სომ-

სთან შეყოვნდა და ჰკითხა სარფიანია თუ არა შენი ახალი პროფესია - დამკრძალავი ბიუროს პატრონობაო.

მათ ერთმანეთი სძულდათ.

შემდეგ მდუმარე ჯაილზ და ჯესს ჰეიმენები მოვიდნენ. ისინი ისე იყვნენ გამოპრანჭულნი, ჩანდა, ტანსაცმელი და განსაკუთრებით შარვლები საგანგებოდ დააუთოებინეს. მერე მთლად მიტოვებული მოხუცი ჯოლიონი მოვიდა. მას მოჰყვა ლოყებღაჟღაჟა ნიკოლასი, რომელიც გულმოდგინედ მალავდა თავის მხიარულ ბუნებას, მაგრამ მოძრავი სხეული არ აძლევდა ამის საშუალებას. ნიკოლასის უკან წყნარად და თვინიერად მოაბიჯებდა მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი. სუითინ ფორსაიტი და ბოსინი ერთსა და იმავე დროს მოვიდნენ. შესასვლელშიც ერთად მოხვდნენ და ერთმანეთს ზრდილობიანად უთმობდნენ გზას, არა თქვენ შებრძანდით, არა თქვენო, მაგრამ, როცა კარი გაიღო, ორივემ ერთად მოინდომა შესვლა; ჰოლში კიდევ მოებოდიშნენ ერთმანეთს. მერე სუითინმა ბრძოლაში მოღრეცილი ჰალსტუხი გაისწორა და მძიმედ შეუყვა კიბეს. მესამე ჰეიმენიც გამოჩნდა; ნიკოლასის ორი დაქორწინებული ვაჟიშვილი ტუიტმენთან, სპენდერთან და უორისთან ერთად - ფორსაიტისა და ჰეიმენის გათხოვილი ქალიშვილების ქმრები: მთელი ოჯახი შეიკრიბა. ტიმოთისა და ახალგაზრდა ჯოლიონის გარდა მამაკაცებიდან არავინ აკლდათ. სულ ოცდაერთნი იყვნენ.

როცა წითელ-მწვანედ შეღებილ სასტუმროში შეიკრიბნენ, ფორსაიტთა არაჩვეულებრივი კოსტიუმებისთვის ისეთი გარემო შეიქმნა, რომ მათი შავი ფერი უფრო გაბრწყინდა და ყველანი ნერვიულად აწრიალდნენ დასაჯდომი ადგილის ძებნაში, რათა ამ

ფონზე დაჟინებით მეტყველი შავი შარვლები მიემალათ. ეს შავი ტანსაცმელი და შავი ხელთათმანი, თითქოს მეტისმეტად აჭარბებდა და აზვიადებდა მათი მწუხარების გრძნობას. ბევრი შურით შესცქეროდა "მეკობრეს", რომელსაც არც ხელთათმანი ეკეთა და შარვალიც რუხი ფერისა ჩაეცვა. სასტუმროში თავშეკავებული ზუზუნი გაისმა. მიცვალებულზე არც ერთი არ ლაპარაკობდა. ერთმანეთს ჯანმრთელობის ამბებს ეკითხებოდნენ, თითქოს ამით უნდა შეევსოთ ის დანაკლისი, რომლის პატივსაცემადაც აქ მოვიდნენ და რომელზეც ხმას არ იღებდნენ.

მალე ჯეიმსმა თქვა, - ჩემი აზრით, დროა საქმეს შევუდგეთო.

დაბლა ჩავიდნენ და წყვილ-წყვილად, უფროს-უმცროსობის მიხედვით, სწორედ ისე, როგორც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, ეტლებში ჩასხდომა დაიწყეს.

კატაფალკი ჩვეულებრივი ნაბიჯის სიჩქარით დაიძრა. ეტლებიც ნელა მიჰყვნენ უკან. პირველში ჯოლიონი და ნიკოლასი ისხდნენ. მეორეში ტყუპი - სუითინი და ჯეიმსი მოკალათებულიყვნენ. მესამე ეტლი როჯერსა და ახალგაზრდა როჯერს ეკავათ; სომსი, ახალგაზრდა ნიკოლასი, ჯორჯი და ბოსინი მეოთხე ეტლში ჩამსხდარიყვნენ; დანარჩენ ეტლებში (სულ რვა იყო) ოჯახის სხვა წევრები მოთავსებულიყვნენ, თითოში სამი ან ოთხი სული; მათ უკან ექიმის ეტლი მოდიოდა; როგორც წესი მოითხოვდა, სათანადო მანძილის დაშორებით მიმავალ ეტლებში კლერკები და მსახურები ისხდნენ; სულ ბოლოს ერთი ცარიელი ეტლი მიჰყვებოდათ, რათა ეტლების სათვალავი ცამეტამდე შევსილიყო.

ბეისუოთერ როუდი ასე ტაატით გაიარეს. მაგრამ როგორც კი ქალაქის მთავარი არტერიიდან გადაუხვიეს და ნაკლებად გაც-

ხოველებულ ქუჩებში მოხვდნენ, მთელი გზა ჩორთით განვლეს. ასე გრძელდებოდა ჰაიგეიტის სასაფლაომდე. ფეშენებელურ ქუ-ჩებში პროცესია ზოზინით მიიწევდა, ქალაქის მიყრუებულ უბ-ნებში კი მეეტლეები სულ ჩორთით მიერეკებოდნენ ცხენებს. პირველ ეტლში მოხუცი ჯოლიონი და ნიკოლასი იმაზე საუბრობ-დნენ, ანდერძი როგორ შეედგინათ თავიანთ მემკვიდრეობაზე. მომდევნო ეტლში მსხდომმა ტყუპმა სცადა ერთმანეთს გამოლა-პარაკებოდა, მაგრამ მალე მიჩუმდნენ. ორივეს ყურს აკლდა და სმენის დაძაბვით თავის შეწუხება ძალზე სამძიმო საქმედ მიიჩნი-ეს. ჯეიმსმა მხოლოდ ერთხელ დაარღვია სიჩუმე:

- საფლავზე ახლავე უნდა იზრუნოს კაცმა. უკვე იღონე რამე, სუითინ?

სუითინმა ძმას შეშფოთებულმა მიაშტერა თვალები და ისე უპასუხა:

- ასეთ საშინელ რამეზე აღარ მელაპარაკო!

მესამე ეტლში უთავბოლო და გაუგებარი საუბარი ხანდახან იმით წყდებოდა, რომ ეტლიდან წარამარა იხედებოდნენ, სასაფ-ლაომდე კიდევ დიდი გზა დარჩა თუ არაო.

- ეჰ, რაც გინდათ, თქვით, - წამოიწყო ჯორჯმა, - და მაგას კი ძალიან დაუგვიანეს იმ ქვეყნიდან მოკითხვის ბარათი, - მისი აზ-რით, ადამიანს სამოცდაათი წლისთვის არ უნდა გადაებიჯებინა. ახალგაზრდა ნიკოლასმა მსუბუქად თქვა, ეს წესი ფორსაიტებზე არ უნდა ვრცელდებოდესო. ჯორჯმა განაცხადა, სამოცი წლის-თავზე ნამდვილად თავს მოვიკლავო. ახალგაზრდა ნიკოლასმა ჩამოგრძელებულ ნიკაპზე ხელი გადაისვა, გაიღიმა და უთხრა:

- არა მგონია, მამაშენს ეგ თეორია მოეწონოს, მან ხომ სამოც წელს რომ გადააბიჯა, მაშინ მოინაგრა ფული.

- მაშინ სამოცდაათ წელზე მეტი მაინც რაღა ჯანდაბაა, - ისევ დაიწყო ჯორჯმა, - მე მგონია, სწორედ კარგი დროა სიკვდილისთვის. ბავშვებსაც ფულს დაუტოვებს კაცი!

აქამდე გაჩუმებულმა სომსმა, რომელსაც ჯერ ისევ ყურებში უწიოდა ჯორჯის შენიშვნა (სარფიანია თუ არა შენი ახალი პროფესია, დამკრძალავი ბიუროს პატრონობაო), მოსაუბრეთ შეხედა, წამწამები ოდნავ აზიდა და თქვა, ასე მხოლოდ იმას შეუძლია ლაპარაკი, ვისაც ფული თავის დღეში არ მოუნაგრებიაო. სომსმა ამ სიტყვებით აშკარად ჯორჯს გადაჰკრა, რომლის ფინანსური საქმეები იმჟამად აწეწილ-დაწეწილი გახლდათ. ბოსინიმ დაბნეულად წაიბურტყუნა: "სწორია! გესმოდეთ!"

ჯორჯმა დაამთქნარა და საუბარიც შეწყდა.

სასაფლაოზე რომ მივიდნენ, კუბო სამლოცველოში შეიტანეს და ჭირისუფლები ისევ წყვილ-წყვილად შეჰყვნენ უკან. მიცვალებულთან ნათესაური ჯაჭვებით დაკავშირებული ჭირისუფალი მამაკაცების ეს რაზმი დიდ და უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა ამ ვეება ლონდონ-ქალაქში, რომელიც უთვალავი სხვადასხვა ცხოვრებით, ურიცხვი საზრუნავით, სიხარულით, ვალდებულებებით, საშიში სიმკაცრითა და ასევე საშიში ინდივიდუალიზმით სუნთქავდა.

ფორსაიტები კი იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ყველაფერ ამაზე ეზეიმათ და თავიანთი ერთიანობის ძლევამოსილება ეჩვენებინათ. ბრწყინვალედ დაედასტურებინათ, რომ მათი ოჯახური გენეალოგიის ხე, ტანაყრილი და ტოტებგაშლილი, საკუთრების კა-

ნონს იყო დაფუძნებული, მისგან საზრდოობდა და ახლა სრული სიმწიფისთვის მიეღწია. სული მოხუცი ქალისა, რომელიც საუკუნო ძილისთვის განემზადა, აქეთ უხმობდა მათ. ეს იყო გარდაცვლილის უკანასკნელი მოწოდება ერთიანობისკენ, რომელშიც მოქცეული იყო ფორსაიტთა მთელი ძალა. ეს იყო პაპიდა ენის უკანასკნელი ტრიუმფი, რადგან იგი ჯერ კიდევ მაშინ მიიცვალა, როცა ეს ხე აყვავებული, მთლიანი და ცხოველმყოფელი იყო.

პაპიდა ენი ღმერთმა შეიწყალა და არ აჩვენა, საკუთარი სიმძიმით ოჯახური ხის ტოტების დაზნექა. უკანასკნელ გზაზე დამდგარ პაპიდა ენს აღარ შეეძლო მის გამცილებელთა გულებში ჩაეხედა. ის კანონი, რომელმაც ოდესღაც ტანადი, შოლტივით მოქნილი გოგონა ზრდადასრულებულ ძლიერ დედაკაცად აქცია. ძლიერი ქალი კი მოუქნელ, სუსტ, გამხდარ და თითქმის კუდიან ბებრუცუნასნაირ მოხუცად, რომელსაც ბრწყინვალება და პეწი ჟამთა სვლასთან ერთად აკლდებოდა და სულ უფრო და უფრო იმორჩილებდა ინდივიდუალიზმი, იგივე კანონი, რომელიც მომავალშიც იმოქმედებს, ახლაც მოქმედებდა ფორსაიტთა ოჯახში, რომელსაც პაპიდა ენი მზრუნველ დედასავით მუდამ თავს დასტრიალებდა.

პაპიდა ენმა ეს ოჯახი ჯერ კიდევ ყლორტივით აფეთქებული ნახა, ნახა იგი ზრდადასრულებულიც და ძლიერიც და სანამ მისი მოხუცი თვალები სხვა რამესაც იხილავდნენ, იგი მიიცვალა. რაღა თქმა უნდა, პაპიდა ენი სიბერისგან დაუძლურებული თითებით ჩაებღაუჭებოდა ოჯახის ძლიერებას და მთრთოლარე ბაგეთა შეხებით ეცდებოდა მის შენარჩუნებას. და ვინ იცის, იქნებ

ცოტა ხნით კიდევაც აეცილებინა განხეთქილება, მაგრამ, ვაი, რომ ბუნებასთან ბრძოლაში პაპიდა ენიც უძლური აღმოჩნდა.

ბუნების ყველაზე დიდი ირონია ისაა, რომ "აღზევებას გაამაყება მოსდევს და ეს უკანასკნელი კი დაცემის მაუწყებელია". კაცი იფიქრებდა, ფორსაიტები, განგებ შეკრებილან სწორედ თავიანთი დამხობის წინ, რათა უკანასკნელად ჩაატარონ მედიდურობით აღსავსე კარნავალიო. ისინი უგრძნობელი სახეებით, - მათსავე აზრთა დინებას რომ გუშაგობდა, - და გულცივი თვალებით ჩაშტერებოდნენ დედამიწას. მაგრამ დროდადრო რომელიმე მათგანი ისე აიხედავდა მაღლა და შეჰყრიდა წარბებს, თითქოს სამლოცველოს კედლებზე მოჩვენება იხილა ან ყურში საშიში რამ ჩაესმაო, წირვა-ლოცვის დროს, როდესაც თვითონაც უნდა აჰყოლოდნენ მღვდელს და ხმადაბლა ედუდუნათ - "განუტევე, უფალოო", მათი ხმები ისე ერთნაირად ჟღერდა, თითქოს ერთი კაცი იმეორებდა სულმოუთქმელად ერთსა და იმავე სიტყვებს.

წირვა რომ მოთავდა, ჭირისუფლები კვლავ გუშაგებივით შემოადგნენ კუბოს, რომ მიცვალებული სამარემდე მიეცილებინათ. თავღია აკლდამის გარშემო შავოსანი დამტირებლები იდგნენ და უკანასკნელ ცერემონიალს ელოდნენ.

ამ ამაღლებული და წმინდა ადგილიდან, სადაც სამარადისო ძილით განისვენებდა საშუალო კლასის ათასობით ღვიძლი შვილი, ფორსაიტთა თვალი საფლავების ჯარს ზემოთ იყო მიპყრობილი შორეულ სივრცეში. იქ, მოქუფრული ცის ქვეშ, გაწოლილიყო ნისლიანი ლონდონი, რომელიც მისთვის ესოდენ ძვირფას ოჯახთან ერთად მისტიროდა ამ ოჯახის დედაბოძის, მფარველისა და თავისი ღვიძლი შვილის სამუდამო განშორებას. აბლაბუ-

დასავით დაქსელილ ნისლში გახვეული ათასობით ქონგურები და სახლები, საკუთრების ეს ჭეშმარიტი ბასტიონები, მოწიწებით უხრიდნენ თავს ფორსაიტთა მოდგმის უხნესი წარმომადგენლის საფლავს.

ორიოდე სიტყვა უთხრეს, ერთი-ორი მუჭა მიწა მიაყარეს, კუბო სამარეში ჩაიდგა და პაპიდა ენმა მარადიულ განსასვენებელში დაივანა.

გარდაცვლილის მეურვე ხუთივე ძმას ჭაღარა თავები დის საფლავის წინაშე დაეხარა; ისინი იზრუნებენ, რომ ენის იმ ქვეყნად არაფერი გაუჭირდეს. მართალია, განსვენებულს ამქვეყნად მცირე ქონება დარჩა, მაგრამ დაკრძალვის ყველა ცერემონიალი წესითა და რიგით იქნება შესრულებული.

მერე ცალ-ცალკე გადგნენ განზე, ქუდები დაიხურეს და კვლავ საგვარეულო აკლდამისკენ შემობრუნდნენ, რათა მარმარილოზე ამოკვეთილი წარწერა დაეთვალიერებინათ:

აქ დავანებული ჯოლიონ და ენ ფორსაიტების ქალიშვილის ენ ფორსაიტის ნათელ ხსოვნას, რომელიც მიიცვალა 1886 წლის 27 სექტემბერს, დაბადებიდან ოთხმოცდაშვიდი წლის და ოთხი დღისა.

იქნებ მალე კიდევ რომელიმეს დასჭირდეს წარწერა. უცნაური და აუტანელი იყო ამის გაფიქრებაც კი, რადგან აქამდე არც ერთ მათგანს არ მოსვლია აზრად, რომ შესაძლებელი იყო ფორსაიტებიც დახოცილიყვნენ.

ყოველი მათგანი ცდილობდა ჩაეყუჩებინა ეს სულის ამაზრზენი ტკივილი, გადაევიწყებინა ეს ცერემონია, რომელიც ისეთ რამეს ახსენებდა, რაზედაც ფიქრი არ შეეძლო, სასწრაფოდ გან-

შორებოდა აქაურობას, ყოველდღიური საქმიანობისთვის მიეხედა და ხსოვნიდან ამოეგდო ეს დღე.

თანაც სიცივე ძვალსა და რბილში უჯდებოდათ; საფლავებს შორის მქროლავი სუსხიანი ქარი თითქოს ნელ-ნელა აცლიდა ძალას, და ბოლოს, შიგ სახეში დაეძგერათ. ისინი ჯგუფჯგუფად დაიშალნენ და რაც შეიძლებოდა სწრაფად გაეშურნენ შემოსასვლელში მომლოდინე ეტლებისკენ.

სუითინმა თქვა, ქელეხში ვბრუნდები და თუ გსურთ, რომელიმეს ჩემი ეტლით წაგიყვანთო. მის პატარა კარეტაში ჩაჯდომის მსურველი არავინ აღმოჩნდა და იგი მარტო გაემგზავრა. ჯეიმსი და როჯერი მაშინვე უკან მიჰყვნენ; ისინიც ქელეხშიც ბრუნდებოდნენ. თანდათანობით სხვებიც წავიდწამოვიდნენ. მოხუცმა ჯოლიონმა სამი ძმისშვილი ჩაისვა კარეტაში. მას ახალგაზრდა სახეებისთვის სურდა ეცქირა.

სომსი, რომელსაც მესაფლავეთათვის კიდევ რაღაც წვრილმანი მითითებები უნდა მიეცა, ბოსინისთან ერთად გაემგზავრა. მას არქიტექტორთან მოლაპარაკება სურდა. მესაფლავეებთან საუბარს რომ მორჩა, ორივენი ფეხით გაუყვნენ ჰემპსტედისკენ. იქ, სპენიარდზინში დანაყრდნენ და დიდხანს მსჯელობდნენ სახლის მშენებლობის წვრილმან ამბებზე. მერე ორივენი ტრამვაიში ჩასხდნენ, და როცა მარბოლ არჩს(MARBL ARCH - ჰაიდპარკის შესასვლელთან, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე მოედანი. შუა მოედანზე თაღი იყო, რომელიც წინა საუკუნის დასაწყისში აშენდა.) მიაღწიეს, ბოსინიმ ჯუნის სანახავად სტენჰოპგეიტისკენ გაუხვია.

სომსი შესანიშნავ გუნებაზე დაბრუნდა შინ. სადილზე აირენს უთხრა, ბოსინისთან ვისაუბრე და მართლაც ჭკვიანი ყმაწვილი ყოფილაო; გარდა ამისა, კარგადაც ვისეირნეთ, რაც ჩემს დაავადებულ ღვიძლს პირდაპირ წამლად დაედებაო. იგი კარგა ხანია ფეხით აღარ დადიოდა. ერთი სიტყვით, დღევანდელი დღის დიდად კმაყოფილი ვარო, განაცხადა. საწყალი პაპიდა ენი რომ არ მომკვდარიყო, ახლა თეატრში წავიდოდით, მაგრამ, რას იზამ, წესი ასეთია და დღევანდელი საღამო სახლში უნდა გავატაროთო.

- მეკობრემ რამდენიმეჯერ გიკითხა, - უეცრად უთხრა სომსმა.

მერე ნელა წამოდგა, გაურკვეველი, ენით უთქმელი, აუხსნელი სურვილი მოერია, თითქოს თავისი საკუთრების უფლების დაცვა, დამტკიცება სურსო, ცოლთან მივიდა და შიშველ მხრებზე დაეკონა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

სახლის მშენებლობა

იმ წელს თბილი ზამთარი დადგა. ვაჭრობა რატომღაც შეჩერდა და როგორც სომსმა ადრევე ივარაუდა, ეს დრო ზედგამოჭრილი აღმოჩნდა მშენებლობისთვის. აპრილის დამლევისთვის რობინჰილზე სახლიც წამოიჭიმა.

რომ ენახა, რაზე ეხარჯებოდა ფული, სომსი კვირაში ერთხელ, ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც მიდიოდა იქ და საათობით დაბორიალებდა მშენებლობაზე. ფრთხილად, ისე, რომ ტანსაცმელი არ დაესვარა, მიმოდიოდა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შესასვლელის აგურებს შორის, ან მთავარ ეზოში სვეტებს უვლიდა გარშემო.

თითოეული სვეტის წინ რამდენიმე წუთით შედგებოდა ხოლმე, თითქოს მათი ღირებულებისა და ხარისხის ნამდვილ არსში სურს ჩაწვდომაო.

ოცდაათ აპრილს ბოსინის უნდა შეხვედროდა, რათა დაწვრილებით შეესწავლა ანგარიშები. იგი დანიშნულ დროზე ხუთი წუთით ადრე შევიდა არქიტექტორის კარავში, რომელიც ბერმუხის მახლობლად დაადგმევინა ბოსინიმ.

ანგარიშები უკვე გამზადებული ეწყო საკეც მაგიდაზე. სომსმა სალმის ნიშნად თავი ოდნავ დაიქნია, დაჯდა და წვრილმან ხარჯებში კირკიტი დაიწყო. კარგა ხანს იჯდა ასე თავჩაქინდრული, მერე გასწორდა და თქვა:

- ვერაფერი გამიგია. თითქმის შვიდასი გირვანქით იმაზე მეტია დახარჯული, ვიდრე ჩემი ანგარიშით უნდა ყოფილიყო.

შემდეგ ბოსინის შეხედა და განაგრძო:

- მშენებლებს მაგრად თუ დაუდგებით, ფასს ჩამოაკლებინებთ. რამდენ წვრილმან რამეს მოგახვევენ თავზე, თუ კარგად არ მიადევნებთ თვალს. ათი პროცენტი დააკელით ყველას. მაშინ არა მგონია, რომ განსხვავებამ ას გირვანქას გადაამეტოს.

ბოსინიმ თავი გაიქნია.

- არც ერთი გროში არ მიმიცია ზედმეტი.

გაბრაზებულმა სომსმა ხელი ჰკრა მაგიდას და ხარჯთაღრიცხვის ფურცლები მიწაზე მიმოფანტა.

- თუ ასეა, - განაგრძო აღელვებულმა სომსმა, - აგირდაგირევიათ ყველაფერი.

- ათასჯერ გითხარით, - გამომწვევად მიუგო ბოსინიმ, - დამატებითი ხარჯები იქნება-მეთქი, მუდამდღე ამას ჩაგჩიჩინებდით.

- ვიცი, - აბუზღუნდა სომსი, - მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი ათიოდე გირვანქა სტერლინგი წამატებოდა, მაგრამ, აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ეგ თქვენი "დამატებითი ხარჯები" შვიდას გირვანქამდე ააღწევდა.

თითოეული მათგანის თავისებურმა ხასიათმაც შეუწყო ხელი ამ არცთუ უმნიშვნელო უთანხმოების უფრო გაღრმავებას. ერთი მხრივ, საკუთარი იდეის ერთგულ არქიტექტორს თავისივე ხე-

ლით შექმნილი სახლი ხატად ჰქცეოდა, და ეს ხატი უკვე დასრულებული გახლდათ მის წარმოსახვაში. ამიტომაც იყო, რომ ღელავდა, ვაითუ მშენებლობა შემაწყვეტინონ, ანდა სხვა უფრო მდარე მასალით შემაცვლევინონ ის, რისი გაკეთებაც მსურსო. მეორე მხრივ, თვით სომსიც თუმც არანაკლებ შესტრფოდა საუკეთესო ნივთებს, რისი შოვნაც ფულით ხერხდებოდა, მაგრამ არც იმის დაჯერება უნდოდა, რომ ცამეტ შილინგად ღირებულს თორმეტ შილინგად ვერ შეიძენდა.

- ნეტავ ხელიც არ მომეკიდა თქვენი სახლის მშენებლობისთვის, - თქვა უეცრად ბოსინიმ, - სიცოცხლე გამიმწარეთ და ეგ არის. დანახარჯი ერთიორად გინდათ აინაზღაუროთ. სხვა ამაზე ვერც იოცნებებდა, თქვენ კი, როცა უკვე ისეთი სახლი წამოჭიმეთ, რომლის ბადალიც მთელ საგრაფოში არ მოიძებნება, ახლა ფულის გადახდაც აღარ გინდათ. თუ გსურთ, ეს ყველაფერი მუქთად ჩაიგდოთ ხელში და ჩვენი ხელშეკრულება დაარღვიოთ, მაშინ თვითონ დავფარავ ზედმეტ ხარჯებს და ყველაფერს გავასწორებ, მხოლოდ იცოდეთ, წამცდარი ვიყო, თუ მერე თითი გავანძრიო თქვენი გულისთვის.

ამ მუქარამ მალე გამოაფხიზლა სომსი და დააწყნარა. მან იცოდა, რომ ბოსინის ფული არ ჰქონდა და მის გაფიცხებას ისე უცქეროდა, როგორც ველურ ცდუნებას. მაგრამ კარგად ხედავდა იმასაც, რომ შესაძლო იყო სწორედ ახლა, ამ გადამწყვეტ მომენტში დაუმთავრებელი დარჩენოდა სახლი, რომელიც მთელი გულით უნდოდა. არქიტექტორი კი ყველაზე უფრო სახლის მშენებლობის ამ დამამთავრებელ ეტაპზე იყო საჭირო. ამავე დროს, აირენზედაც ხომ უნდა ეზრუნა. ბოლო ხანებში უჩვეულოდ შეც-

ვლილი ეჩვენებოდა ცოლი. სომსის აზრით, აირენი სახლის მშენებლობაზეც იმიტომ დათანხმდა, რომ ბოსინის თანაუგრძნობდა. არა, არქიტექტორისთვის ამ მომენტში ხელის კვრა აირენთან აშკარა განხეთქილებას მოასწავებდა.

- ნუ ცხარობთ, - თქვა სომსმა, - როცა მე თვითონ მსურს შევურიგდე არსებულ მდგომარეობას. ჩემი აზრით, თქვენი ყვირილი საჭირო არ არის. მე მხოლოდ ის უნდა მეთქვა, რომ, როცა მეუბნებით, ესა და ეს ამდენი და ამდენი ღირსო, მსურს ვიცოდე, დიახ... ნამდვილად მსურს ვიცოდე, რა რამდენი მიჯდება.

- მომისმინეთ, - ისე გაბოროტებით მიმართა და შეხედა ბოსინიმ, რომ სომსმა წყენაც იგრძნო და გაიოცა კიდეც, - საშინლად მუქთად მომიმსახურეთ, იმ შრომასა და იმ დროში, რაც ამ სახლს მოვანდომე, ლიტლმასტერისთვის, ან სხვა რომელიმე თავქარიანისთვის ოთხჯერ მეტი უნდა გადაგეხადათ. თქვენ გინდათ მეოთხე თანრიგის გასამრჯელო გაიღოთ და პირველი თანრიგის ოსტატი დაიქირაოთ. ჰოდა, აგისრულდათ კიდეც გულის წადილი.

სომსი გრძნობდა, რომ ბოსინი გულწრფელად ლაპარაკობდა და, თუმცა გაბრაზებული იყო, მაინც თვალნათლივ ხედავდა უთანხმოების შედეგს. წინასწარ ჭვრეტდა დაუმთავრებლად დარჩენილ სახლს, ამბოხებულ ცოლს და საკუთარ თავს სასაცილოდ აგდებულს.

- მოდი, გადავსინჯოთ საბუთები და ვნახოთ, რაზე დაიხარჯა ფული.

- კეთილი, - დაეთანხმა ბოსინი, - მაგრამ თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტა ვიჩქაროთ. დროზე მინდა დავბრუნდე და ჯუნი თეატრში წავიყვანო.

სომსმა ქურდულად გადახედა მას და თქვა:

- სახლში რომ მივალთ, მგონი იქ დაგვხვდება. თქვენ ხომ ჩვენთან არ ხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

წინა ღამით გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და მიწიდან ბალახისა და მცენარეთა სურნელება იფრქვეოდა თბილი, წყნარი ნიავი ფოთლებსა და ბერმუხის ოქროსფერ კოკრებს უნანავებდა, მზე ოქროსფერ სხივებს ჰფენდა არემარეს და შოშიები ისე გალობდნენ, თითქოს თავიანთი გულის ნადები ქვეყნიერებას უნდა მოჰფინონო.

გაზაფხულის სწორედ ისეთი დღე იდგა, რომელიც ადამიანს მტანჯველი სიტკბოებითა და ენით უთქმელი წყურვილით ავსებს, აიძულებს უძრავად დადგეს, ფოთლებსა და ბალახს უცქიროს და მკლავები გაშალოს, რათა მოეხვიოს, ვინ იცის, რას. ზამთრის ცივ სამოსში კარგა ხანს გახვეული მიწიდან რაღაცნაირი თავბრუდამხვევი სითბო ამოდიოდა. ეს იყო მიწის მარადიული ალერსიანი ძახილი, რომელიც ადამიანს იწვევდა ზედ დამხობოდა მას, ჩახვეოდა, ჩაჰკვროდა და კოცნით დაეფარა მისი გულმკერდი.

სომსმა სწორედ ამ დღეს მიიღო აირენისგან მრავალგზის ნათხოვნი თანხმობა. მოჭრილ ხის მორზე ჩამომჯდარი სომსი აგერ მეოცედ ჰპირდებოდა აირენს, რომ თუ მათი ქორწინება ბედნიერი არ გამოდგებოდა, აირენს შეეძლო ისევ თავისუფლად ეგრძნო თავი, თითქოს ისინი არც დაქორწინებულიყვნენ.

- დაიფიცებთ, რომ ასე იქნება? - ჰკითხა მაშინ აირენმა და ამ რამდენიმე დღის წინაც მოაგონა ის ფიცი.

სომსმა მიუგო:

- რა სისულელეა! ასეთ რამეზე როგორ დავიფიცებდი!

რაღაც საბედისწეროდ, სწორედ ახლა მოაგონდა ეს ამბავი. რამდენ უცნაურობას არ იფიცებენ მამაკაცები ქალების გულის მოსანადირებლად. როცა გნებავთ, მაშინ მისცემდა ამნაირ დაპირებას აირენს, როცა გნებავთ, მაშინ შეეკვროდა იმავე ფიცით, ოღონდ კვლავ მოეგო მისი გული! ახლაც კი, ახლაც შეჰფიცებდა, თუ ფიცით გახდებოდა რამეს, მაგრამ აირენს გული გასცივებოდა და ვინღა გაეკარებოდა.

და თითქოს გაზაფხულის თბილ ნიავს მოჰყვაო, სომსის თავში ისე მოზღვავდა მოგონებები. აირენთან აშიკობის ყოველი წვრილმანი ისე ახსოვდა, თითქოს ყოველივე წინა დღით მომხდარიყო.

1881 წლის გაზაფხულზე ეწვია სომსი სკოლის მეგობარსა და კლიენტს ბრანკსომელ ჯორჯ ლივერსეჯს, რომელსაც ბოურნმაუთის(ბოურნმაუთი - ქალაქი-კურორტი, მდებარეობს ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე.) მიდამოებში თავისი ფიჭვის ტყეების დამუშავება სურდა და სომსს მიანდო სათანადო კომპანიის შექმნა. ქალბატონმა ლივერსეჯმა ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და სომსი მუსიკალურ საღამოზე მიიპატიჟა. რაკი მუსიკისა არა ესმოდა რა, ვახშამი სომსს მეტისმეტად მოსაწყენი ეჩვენა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, სომსის მზერა განმარტოებით მდგარი გოგონას მომნუსხავმა სახემ მიიპყრო. მას მაღალ, ოდნავ გამხდარ ტანზე შავი კა-

ბა ისე შემოტმასნოდა, რომ სხეულის ყოველი ნაკვეთი სახიერად გამოკვართოდა, შავთათმანიანი ხელები გულზე დაეკრიფა, ბაგე ნაზად გაეპო და შავ, დიდრონ თვალთა მზერას ხან ვის მიაპყრობდა და ხან - ვის. შავი საყელოს ზემოთ ლითონის ზამბარასავით ბზინვარე დალალები კისერთან სამაგრით შეეკრიბა. სომსი გარინდული შესცქეროდა გოგონას. გრძნობამ, რომელიც მამაკაცთა უმრავლესობას ერთხელ მაინც განუცდია, უნებურად მოიცვა იგი; ეს იყო უცნაური კმაყოფილების გრძნობა, უცნაური რწმენა, რასაც მწერლები და ხანდაზმული ქალები ერთი ნახვით შეყვარებას ეძახიან. სომსი კვლავ ქურდულად ათვალიერებდა ქალიშვილს, მერე დიასახლისს მიეახლა და მუსიკის შეწყვეტას დაელოდა. თან თვალს არ აშორებდა უცხო ასულს.

- ვინ არის ქერათმიანი შავთვალა გოგონა? - იკითხა სომსმა.

- ისა? ჰო, აირენ ჰერონი. მამამისი პროფესორი ჰერონი, წელს გარდაიცვალა. ეს გოგონა დედინაცვალთან ცხოვრობს. ლამაზი, მშვენიერი გოგონაა, მაგრამ უფულოა.

- გამაცანით, გეთაყვა, - ითხოვა სომსმა.

სომსმა გოგონასთან სალაპარაკო ბევრი ვერა გამონახა რა, მაგრამ რაზედაც ესაუბრა, ახალგაცნობილი იმაზეც ძლივს იმეტებდა პასუხებს. სომსი ლივერსეჯების სახლიდან მაინც იმ იმედით წავიდა, რომ აირენი ისევ ენახა. ბრმა შემთხვევაც დაეხმარა. ნავსადგურზე, დედინაცვალთან ერთად, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა თორმეტიდან პირველ საათამდე ესეირნა, აირენიც იხილა. სომსმა დიდი სიხარულით გაიცნო აირენის დედინაცვალი, რადგან მისი სახით თავისი გეგმისთვის სანუკვარი მოკავშირე დალანდა. ოჯახური ცხოვრების კომერციული მხარის მახვილმა

ალღომ მალე უკარნახა, რომ დედინაცვალს ქალიშვილის მიერ შემოტანილ ყოველწლიურ ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგზე მეტი უჯდებოდა აირენი. ამ ალღომ ისიც უჩურჩულა, რომ ქალბატონ ჰერონს, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მეორედ გათხოვება სურდა. გერის თვალწარმტაცი მშვენიერება კი, რომელიც ის-ის იყო იფურჩქნებოდა, წინ ეღობებოდა მისის ჰერონის ამ სანუკვარი სურვილის განხორციელებაში. შეუპოვარმა და თავისნათქვამა სომსმა მალულად დააწყო მოქმედების გეგმა.

სომსი ბოურნმაუთიდან ისე გაემგზავრა, რომ არავისთვის უთქვამს, მოვდივარო, მაგრამ ერთ თვეში დაბრუნდა და აირენის ნაცვლად მის დედინაცვალს მოელაპარაკა. მან მისის ჰერონს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა აირენის შერთვა და რამდენი ხანიც უნდა გასულიყო, მაინც დაელოდებოდა. მართლაც კარგა ხანს ელოდა, ხედავდა, როგორ იფურჩქნებოდა გოგონა, როგორ ნაზდებოდა მისი ნორჩი სხეულის ნაკვთები; როგორ უმატებდა გზნებას აირენის თვალებს ძლიერი სისხლი, როგორ მიმზიდველი და ეშხიანი ხდებოდა მისი სახე. ყოველ მისვლაზე თავის ხელს სთავაზობდა გოგონას. ლონდონში დაბრუნებისას, გულმოკლულს, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილების მქონეს და საფლავივით მდუმარეს თან მიჰქონდა მისი ცივი უარი. სომსი ცდილობდა მიეკვლია აირენის წინააღმდეგობის იდუმალი წყაროს სათავისთვის. და აი, მხოლოდ ერთხელ გამოკრთა ნათელი. ეს იყო საცეკვაო კონცერტზე, რომელზედაც საზღვაო კურორტის მცხოვრებთა გატაცება ვლინდება ხოლმე. სომსი აირენთან ერთად სარკმელთან მიმჯდარიყო და ვალსს უსმენდა, რაც ასეთ ვითარებაში გრძნობებს უფრო აღაგზნებს ხოლმე. აირენმა მსუ-

ბუქად დარხეული მარაოს ზემოდან გადმოხედა სომსს. იგი ისე დაიბნა, რომ არ იცოდა, რა ექნა. უეცრად მაჯაში წაავლო ხელი აირენს და მის შიშველ მკლავს დააკვდა ტუჩებით. გოგონას ცახცახი დააწყებინა და სომსს დღემდე ვერ დაევიწყებინა ვერც ის ცახცახი და ვერც აირენის ზიზღით სავსე გამოხედვა.

ერთი წელი გავიდა და აირენი დათანხმდა, მაგრამ რა მიზეზით, სომსმა ვერა და ვერ გაიგო. თვით ქალბატონი ჰერონისგან, რომელსაც არ აკლდა ერთგვარი დიპლომატიური ნიჭი, სომსმა ვერაფერი შეიტყო. ქორწინების შემდეგ სომსმა ერთხელ ჰკითხა აირენს, ასე დაჟინებით უარს რატომ მეუბნებოდიო, მაგრამ ქალმა უცნაური დუმილით უპასუხა. ეს გამოცანა აირენის გაცნობის დღიდანვე ისევ გამოცანად დარჩა მისთვის...

სომსს შემოსასვლელში ელოდა ბოსინი. არქიტექტორის სახის ლამაზ ნაკვთებს უცნაური, სევდიანი, მაგრამ მაინც ბედნიერი იერი დასდებოდა, თითქოს მასაც კეთილ მომავალს უქადდა გაზაფხულის ცა, თითქოს გაზაფხულის სურნელებაში ისე გრძნობდა ბედნიერების მოახლოებას. სომსი გარინდებული შესცქეროდა მას. რატომ ჰქონდა ბოსინის ასეთი ბედნიერი იერი? რას ელოდა იგი, ან რას მოასწავებდა მისი მოღიმარი ტუჩები და თვალები? სომსს არ შეეძლო დაენახა, რას ელოდა ყვავილთა სურნელებით გაჟღენთილ ნიავს ხარბად დაწაფებული ბოსინი. და სომსმა მის წინაშე ერთხელ კიდევ იგრძნო თავი ჩიხში მომწყვდეულივით. სწორედ იმ კაცის წინაშე, ვინც მას ჩვეულებრივ ზიზღსა ჰგვრიდა. იგი საჩქაროდ შევიდა სახლში.

- ეს ფილები, - მოესმა ბოსინის ხმა, - უთუოდ მეწამული ფერისა უნდა იყოს და ნაცრისფერი დაჰკრავდეს, თუ გვინდა, რომ გამ-

ჭვირვალის შთაბეჭდილება მოახდინოს: კარგი იქნებოდა, აირენის აზრი რომ ვიცოდე. ამ შესასვლელისთვის წითელი ტყავის ფარდები დავუკვეთე. თუ წინააღმდეგი ხართ, რომ სასტუმრო დარბაზში იისფერი შპალერი გავაკრათ, მაშინ თქვენი გემოვნებისა ვერაფერი გამიგია. სახლის მორთულობა მომხიბვლელი უნდა იყოს.

- თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ჩემი მეუღლე მომხიბვლელია? - იკითხა სომსმა.

ბოსინის ვითომ არც გაუგონია ეს კითხვა.

- ეზოს შუაგულში თათრული იის ბუჩქები უნდა დავრგოთ.

სომსმა დამცინავად გაიღიმა.

- ბიჩთან შევივლი, როცა იქნება, - თქვა მან, - და რამე უფრო შესაფერისს გამოვნახავ.

მეტი არა უთქვამთ რა ერთიმეორისთვის. მხოლოდ სადგურისკენ რომ გაემართნენ, სომსმა ჰკითხა:

- როგორ ფიქრობთ, აირენს კარგი გემოვნება აქვს?

- დიახ, - ისე მოსხლეტით უპასუხა ბოსინიმ, თითქოს უნდოდა ეთქვა: "თუ აირენის გაკიცხვა გინდა, სხვა ვინმეს ელაპარაკე, მე კი თავი დამანებეო".

ნაშუადღევიდან ნელ-ნელა გაღვივებული აღშფოთების ცეცხლი ახალი ძალით აენთო სომსის არსებაში და აღარ ნელდებოდა.

სადგურში მისვლამდე ორივენი დუმდნენ. იქ სომსმა დაარღვია სიჩუმე.

- როდის მორჩებით მუშაობას?

- ივნისის დამლევისთვის, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ მე მომანდოთ სახლის მორთვა.

სომსმა თავი დაუქნია.

- მაგრამ თქვენ მშვენივრად გესმით, - თქვა მან, - რომ სახლი გაცილებით ძვირი მიჯდება, ვიდრე ვფიქრობდი. ისიც უნდა გითხრათ, რომ სულაც თავს მივანებებდი, მაგრამ არა მჩვევია ერთხელ განზრახულზე ხელი ავიღო.

ბოსინის პასუხი არ გაუცია. სომსმა ისე გადახედა თანამოსაუბრეს, რომ მის თვალებში დაღრენილი ძაღლის მრისხანებას ამოიკითხავდით. ამპარტავნული გარეგნობისა და ზვიადი ფრანტული დუმილის მიუხედავად, სომსი მოკუმული ტუჩებითა და ოთხკუთხა ნიკაპით ბულდოგს მიაგავდა...

საღამოს შვიდ საათზე, ჯუნი რომ მონტპელიესკვერის 62 ნომერში შევიდა, მოსამსახურე ქალმა ბილსონმა მოახსენა, ბოსინი სასტუმრო დარბაზშიაო.

- ქალბატონი აირენი, - დასძინა მან, - იცვამს და სადაცაა ჩამოვა. მის ჯუნ, თქვენს მოსვლას ახლავე მოვახსენებ.

ჯუნმა შეაჩერა მსახური.

- საჭირო არ არის, ბილსონ, მოუხსენებლადაც კარგად შევალ. ქალბატონ სომსს ნუ ააჩქარებ.

ჯუნმა საზაფხულო პალტო გაიხადა და ბილსონმა ისე შეხედა მას, თითქოს უნდა უთხრას, ყველაფერს მიგიხვდიო. მოსამსახურეს კარიც არ გაუღია, ისე ჩაირბინა კიბე.

ჯუნი წუთით შეჩერდა ძველებური პატარა ვერცხლის სარკის წინ, რომელიც ნოხგადაფარებულ მუხის სკივრს ზევით ეკიდა. შიგ რომ ჩაიხედა, სარკეში გამოჩნდა მისი კოხტა ტანი, მტკიცედ გამომეტყველი სახე, სუსტ ყელ-კისერთან ნახევარმთვარესავით

ამოჭრილი თეთრი კაბა და ამ ყელისთვის შეუფერებელი, მოწითალო-ოქროსფერი, ვეებერთელა თმის გვირგვინი.

ჯუნმა ფრთხილად შეაღო სასტუმროს კარი, რომ მოულოდნელი გამოჩენით გაეოცებინა ბოსინი. ოთახში აყვავებული იელის ტკბილი სურნელება იდგა.

ჯუნმა ღრმად ჩაისუნთქა დამათრობელი ჰაერი და ამ დროს, ოთახიდან კი არა, შორიახლოს ბოსინის ხმაც შემოესმა.

- ეჰ, ბევრი სალაპარაკო მქონდა თქვენთან, მაგრამ ახლა მაგისი დრო არა გვაქვს!

- სადილზე მითხარით, - გამოეხმაურა აირენი.

- იქ როგორ შეიძლება?

ჯუნმა ჯერ ისე იფიქრა, აქაურობას გავეცლებიო, მაგრამ ამის ნაცვლად მცირე ეზოში გამავალ ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც ოთახში იელის სურნელება შემოდიოდა. იქ, ოქროსფრად მოელვარე ყვავილნარით სახემოჩრდილულნი, მისგან ზურგშექცევით მდგარი აირენი და თავისი დანიშნული იდგნენ.

მდუმარედ, მაგრამ მოურიდებლად დაუწყო თვალთვალი. სიბრაზისგან ლოყები ეწვოდა და თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა.

- მოდით კვირას და სახლის სანახავად წავიდეთ.

ჯუნმა შენიშნა, რომ აირენმა ყვავილნარიდან ახედა ბოსინის. ეს კოპწია ქალიშვილის მზერას არა ჰგავდა. ჯუნის მიდარაჯებულმა თვალებმა უარესი რამ აღმოაჩინეს. ეს გახლდათ მზერა ქალისა, რომელსაც ეშინია, თვალებმა საჭიროზე მეტი რომ არა თქვან.

- მე უკვე შეპირებული ვარ, რომ სასეირნოდ გავყვე ბიძია...

- იმ აყლაყუდას! უთხარით, რობინჰილამდე ათ მილზე მეტი არაა-თქო და იქ მიგიყვანოთ. მისი ცხენებისთვის ეს მანძილი სწორედ ზედგამოჭრილია.

- საბრალო მოხუცი ძია სუითინი!

იელის სურნელების ტალღა სახეში ეცა ჯუნის, იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა.

- მოდით, ოჰ, მოდით!

- კი მაგრამ, რატომ უნდა მოვიდე?

- მინდა იქ გნახოთ, იქნებ დამეხმაროთ.

- უთუოდ მოვალ, - მოესმა ქალწულს ყვავილნარიდან, როგორც თვითონ მოეჩვენა, ნაზი და მთრთოლარე ხმით ნათქვამი პასუხი.

ჯუნი ღია ფანჯარასთან მივიდა.

- რა შეხუთული ჰაერია აქ? - წარმოთქვა მან, - ვერ ვიტანს იელის სუნს.

ჯუნმა ბრაზიანი თვალები დაასო ორივეს.

- სახლზე საუბრობდით? იცით რა, ჯერ არც მე მინახავს ის სახლი, რა იქნება, კვირას რომ ვნახოთ?

- მე ძია სუითინს უნდა გავყვე სასეირნოდ, - უპასუხა გაფითრებულმა აირენმა.

- ძია სუითინს? მერე რა? უარი უთხარი!

- უკვე შევპირდი და უარს როგორღა ვეტყვი!

ფეხის ხმა გაისმა და ჯუნმა სომსი დაინახა მათ უკან.

- კეთილი, თუ თქვენ მზადა ხართ, - წარმოთქვა აირენმა და ორივეს უცნაური ღიმილით გადახედა, - სადილი მზადაა.

თავი მეორე

ჯუნის სიამე

სადილზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ქალები და კაცები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ.

ოდნავ სქელი წვნიანი მშვენიერი გემოსი გამოდგა და ისე გათავდა, რომ კრინტი არავის დაუძრავს; მერე თევზი შემოიტანეს. ამ კერძსაც მდუმარედ შეექცნენ.

ბოსინიმ გაბედა და სიჩუმე პირველმა დაარღვია:

- დღეს გაზაფხულის პირველი დღეა.

- დიახ, გაზაფხულის პირველი დღეა, - ნაზად გამოეხმაურა აირენი.

- გაზაფხულის?! სუნთქვა კი ჭირს და, რა ვიცი, - წარმოთქვა ჯუნმა.

არავინ გამოპასუხებია.

ბილსონმა თეთრ ხელსახოცდახვეული ბოთლით შამპანური შემოიტანა და დუვრის შესანიშნავი "ცოცხალი" მაგიდიდან წაიღო.

- შამპანური ტკბილი არ გეგონოთ, მშრალია, - წარმოთქვა სომსმა.

ბილსონმა ახლა კატლეტი შემოიტანა. ჯუნმა კატლეტის ჭამაზე უარი განაცხადა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

- გირჩევნია კატლეტი გადაიღო, ჯუნ, მეტს აღარაფერს მოიტანენ, - უთხრა სომსმა.

ჯუნმა კატლეტის გადაღებაზე კვლავ უარი თქვა და მსახურმა ისიც წაიღო.

- ფილ, ჩემი შაშვის გალობა თუ მოგისმენიათ? - იკითხა აირენმა.

- ბაღში შემოვედი თუ არა, მისი სანადირო სიმღერა შემომესმა, - უპასუხა ბოსინიმ.

- რა მომხიბლავია, არა?

მსახურმა წიწილები წაიღო და იკითხა:

- სალათა მოგართვათ, სერ?

- ეს სატაცური ვერაფერიშვილია, - წამოიწყო სომსმა, - ბოსინი, ტკბილით შეზავებული თითო ჭიქა ხერესი ხომ არ გადავკრათ? ჯუნ, შენ სასმლისთვის ტუჩიც არ დაგიკარებია!

- ხომ იცი, სასმელს რომ არ ვეტანები. ღვინო საშინელი, ბილწი სითხეა! - წარმოთქვა ჯუნმა.

მსახურმა ვერცხლის ლანგრით ვაშლის შარლოტი შემოიტანა.

აირენმა ღიმილით წარმოთქვა:

- წელს იელი საუცხოო სურნელს აფრქვევს!

- ნეტავ იელის სურნელება რა მოსაწონია. ბილსონ! შაქარი მომიტანეთ, გეთაყვა, - წარმოთქვა პასუხად ჯუნმა.

ჯუნს შაქარი მიართვეს. ამ დროს სომსმა შენიშნა: ვაშლის შარლოტი მართლაც კარგად გამოუცხვიათო.

შარლოტი წაიღეს. მაგიდაზე კარგა ხანს სუფევდა სიჩუმე. მერე აირენმა მსახური იხმო და უბრძანა:

- წაიღეთ იელის ლარნაკი, ბილსონ! ჯუნი ვერ იტანს იელის სუნს.

- არა, იყოს! - წამოიძახა ჯუნმა.

მსახურმა პატარა თეფშებით ფრანგული ზეთისხილი და რუსული ხიზალალა მიართვა.

- რატომ ესპანური ზეთისხილი არა გვაქვს?! - იკითხა სომსმა, მაგრამ არავინ გამოპასუხებია.

ზეთისხილი წაიღეს. ჯუნმა ჭიქა ასწია და მსახურს წყალი მოსთხოვა. წყალი წამსვე მიართვეს. მსახურმა ახლა სინზე დაწყობილი გერმანული ქლიავი შემოიტანა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ჭამით გაერთნენ.

ბოსინი კურკების თვლას მოჰყვა:

- დღეს, ხვალ, ზეგ... როდის ამიცხადდება?..

აირენმა ნაზად დაამთავრა:

- არასოდეს. ოჰ! რა მშვენივრად ჩადის დღეს მზე! ცა მთლად წითლად ელვარებს. ასეთი მზის ჩასვლა არც მინახავს.

- ქვემოთ კი უკუნია, - გამოეპასუხა ბოსინი. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ჯუნმა ზიზღნარევი ხმით თქვა:

- ლონდონური მზის ჩასვლა!

ვერცხლის ყუთში ჩაწყობილი სიგარეტებიდან სომსმა ერთი ცალი ამოიღო, ბოსინისა და ჯუნს მიუბრუნდა და იკითხა:

- თქვენი სპექტაკლი რომელ საათზე იწყება?

არავინ გამოპასუხებია.

მინანქრიანი ფინჯნებით მსახურმა თურქული ყავა შემოიტანა.

აირენმა მშვიდად გაიღიმა და თქვა:

- რა აჯობებს, მუდამ რომ...

- რა მუდამ? - სწრაფად იკითხა ჯუნმა.

- მუდამ რომ გაზაფხული იდგეს!

მსახურმა ახლა შეუფერავი ძველისძველი ბრენდი მოართვა.

- ბოსინი, გირჩევ ერთი ჭიქა წყალი გადაჰკრა, - უთხრა სომსმა.

ბოსინიმ ჭიქა ასწია, ყველანი წამოიშალნენ.

- კები გინდათ? - იკითხა სომსმა.

- არა, - უპასუხა ჯუნმა, - ბილსონ, პალტო მომეცით, გეთაყვა.

პალტო მოუტანეს.

აირენი სარკმელთან მივიდა, ცას ახედა და თქვა:

- რა მშვენიერი ღამეა! ვარსკვლავებიც აციმციმდნენ!

- მხიარულ დროს ტარებას გისურვებთ, - დაუმატა სომსმა.

კარიდან ჯუნის ხმა გაისმა:

- გმადლობთ, წავიდეთ, ფილ!

- მოვდივარ, - დაიძახა ბოსინიმ.

- ბედნიერად იყავით, - თქვა სომსმა და სახეზე მქირდავმა ღიმილმა გადაურბინა.

კარში ჩამდგარმა აირენმა თვალი გაადევნა მიმავალთ.

- ღამე მშვიდობისა, - დაიძახა ბოსინიმ.

- ღამე ნებისა! - ნაზად გამოეხმაურა აირენი.

ჯუნმა ბოსინის უთხრა, სული მეხუთება, ჰაერზე ყოფნა მინდაო და ომნიბუსის თავზე აიყვანა. როცა კარგად მოკალათდა, სახე ნიავს მიუშვირა და კრინტი აღარ დაუძრავს.

მეეტლემ ერთი-ორჯერ დააპირა გამოლაპარაკება, რამდენჯერმე მათკენ შებრუნდა კიდეც, მაგრამ ალბათ იფიქრა, ისეთი წყვილი ჩანს, სიტყვას ვერ წამოაცდენინებო და გაყუჩდა. გაზაფხულმა ეტყობა, მასაც აუჩქროლა ძარღვებში სისხლი, მაცოცხლებელმა ამინდმა, ჩანს, მეეტლეც ლაპარაკის ხასიათზე მოიყვანა, მასაც უნდოდა, გრძნობას აჰყოლოდა, ენა ექავებოდა, ტუჩებს აცმაცუნებდა და სადავეებით ერეკებოდა ცხენებს. ამ საბრალო პირუტყვებმაც იგრძნეს გაზაფხულის მასულდგმულებელი სუნთქვა და მთელი ნახევარი საათი მხიარულად მიქროდნენ ქვაფენილზე.

იმ საღამოს მთელ ქალაქში იგრძნობოდა გამოცოცხლება. ზეცისკენ ამართული ნორჩი, ნაზი ფოთლებით დამშვენებული ტოტები თითქოს გაზაფხულის ნიავისგან რაღაც საბოძებელს ელოდნენ. ახალანთებულ ფარნებს სიბნელესთან ჭიდილში გაემარჯვათ და მათ შუქზე გამვლელთა სახეები ფერმკრთალი მოჩანდა, მაღლა კი, წითლად აელვარებულ ცაზე სწრაფად მისრიალებდნენ ბამბის ქულებივით გადაპენტილი ვეება თეთრი ღრუბლები.

პალტოგადაღეღილი მამაკაცები მხიარული, მხნე ნაბიჯებით მიუყვებოდნენ კლუბების საფეხურებს; მუშა ხალხი ქუჩებში დასეირნობდა. ის ქალები კი, რომლებიც ამ დროს მარტოდმარტო დაეხეტებიან ხოლმე, ახლაც ხალხის დინების საპირისპიროდ დაყიალებდნენ, ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში სასოებით ოც-

ნებობდნენ ძვირფას ვახშამზე, საუკეთესო ღვინოსა და ზოგჯერაც იმ უანგარო კოცნაზე, რომელსაც, მხოლოდ სიყვარული წარმოშობს.

ეს უამრავი ადამიანი, მოძრავი ღრუბლებით დაფარულ ცის ქვეშ რომ მიმოდიოდა ფარნების შუქზე, აღსავსე იყო იმ დაუცხრომელი ბედნიერებით, რასაც გაზაფხულის დადგომა იწვევდა მათში. კლუბების საფეხურებზე ამავალი პალტოგადაღეღილი მამაკაცებიცა და იმ ღამით აფორიაქებული ცის ქვეშ გამოფენილი ადამიანებიც, თითქოს თავიანთი კასტურობა, რწმენა და ჩვეულებები დაკარგესო, გვერდზე მოქცეული ქუდებით, სიარულის მანერით, სიცილით და თვით სიჩუმითაც კი ერთმანეთის სიახლოვესა და ნათესაობას ამჟღავნებდნენ.

ბოსინი და ჯუნი მდუმარედ შევიდნენ თეატრში და ქანდარის ლოჟაში თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. წარმოდგენა უკვე დაეწყოთ. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მწყობრად ჩარიგებულ სკამებზე მსხდართ თვალები სცენისთვის მიეპყროთ და ისეთი სანახაობა იშლებოდა, თითქოს უზარმაზარ ბაღში ჩავარდნილ მზისკენ გულმიშვერილ ყვავილთა ჯარს დასცქერით ზემოდანო.

ჯუნი აქამდე არასდროს მჯდარა ქანდარაზე. მას მერე, რაც თხუთმეტი წლისა შეიქნა, ჩვეულებრივ პარტერის მესამე რიგის შუა ადგილზე იჯდა ხოლმე პაპასთან ერთად. სიტიდან მომავალი მოხუცი ჯოლიონი სპექტაკლის დღემდე კარგა ხნით ადრე გროგანსა და ბოინზს (თეატრის ბილეთების გასაყიდ ოფისს) დაუკვეთდა ხოლმე ამ ადგილებს; მერე შეძენილ ბილეთებს სიგარების ყუთსა და ტყავის ხელთათმანთან ერთად პალტოს შიგნითა ჯი-

ბეში ჩაიდებდა, სახლში მოჰქონდა და პიესის წარმოდგენის დღემდე ჯუნს ანახვინებდა.

სავარძლებში მოკალათებული წელგამართული ჭაღარა მოხუცი და პატარა, კოხტა, ცქრიალა, მოწითალო ოქროსფერკულულებიანი გოგონა ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ ხოლმე ყველა პიესას. შემდეგ შინისკენ მიმავალი მოხუცი ჯოლიონი აუცილებლად ეტყოდა ჯუნს თავის აზრს მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობზე, "ოჰ, ნამდვილი ღვთის გლახაა ეგ საცოდავი! შენ პატარა ბობსონი უნდა გენახა!"

იმ საღამოსგან ჯუნი ტკბობასა და სიამოვნებას ელოდა; იგი მალულად გაჰყვა თეატრში ბოსინის და სტენჰოპგეიტში ისე იცოდნენ, თითქოს ჯუნი სომსისას წავიდა. ჯუნს, შეყვარებულის საამებლად ჩადენილი ეშმაკობის სანაცვლოდ, ეგონა, სამაგიეროს მოიმკიდა. ის მოელოდა, რომ მათ შორის ჩამოწოლილი სქელი, ცივი ღრუბლები გაიფანტებოდა და ამ ბოლო ხანების თავსატეხი, შემაფიქრიანებელი მტანჯველი ურთიერთობა კვლავ ისეთივე უბრალო და ნათელი გახდებოდა, როგორიც დაზამთრებამდე იყო. ჯუნი თეატრში იმ განზრახვით მოვიდა, რომ მათ დამოკიდებულებაზე რაიმე განსაზღვრული თქმულიყო; იმედგაცრუებულს ახლა წარბები შეეყარა, ერთმანეთზე მაგრად გადაჭდობილი ხელები დაეწყო, სცენას შეჰყურებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მოჯარული ეჭვები სულსა და გულს უღრღნიდა და აზრს აკარგვინებდა.

იქნებ ბოსინი გრძნობდა კიდეც, რაც ხდებოდა შეყვარებული ქალის სულში, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა.

ფარდა დაეშვა.

პირველი აქტი დასრულდა.

- აქ საშინლად ცხელა! - წამოიძახა ქალმა, - გარეთ, ჰაერზე ყოფნა მირჩევნია.

მიუხედავად იმისა, რომ სიმწრისგან ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა, ბაიასავით გაფითრებულმა ჯუნმა მაინც შენიშნა, რომ ბოსინის სინდისი ქენჯნიდა, სინანული დაუფლებოდა და მასთან ყოფნა ეუხერხულებოდა.

თეატრის უკანა მხარეს მოთავსებული აივანი ქუჩას გადაჰ-ყურებდა. ჯუნი მოაჯირს დაეყრდნო და გაირინდა. ჩანდა, რომ ბოსინის დალაპარაკებას ელოდებოდა.

ბოლოს ვეღარ მოითმინა და პირველმა მაინც თვითონ დაარ-ღვია სიჩუმე.

- მინდა მოგელაპარაკოთ, ფილ, - თქვა მან.

- მომელაპარაკოთ?

ჯუნმა ისეთი ხმით დაილაპარაკა, თითქოს ვიღაცისგან თავი უნდა დაიცვას, რაღაც უნდა მოიგერიოსო. ფერდაკარგულ ქალს ლოყები აელეწა და სიტყვები მისდა უნებურად მოსწყდა ბაგეთა-გან:

- თქვენ იცით, რომ ყველაფერს გავაკეთებ თქვენი გულის-თვის, მინდა, თქვენთვის ყველაფერი ვიყო...

ქუჩიდან ხმაური ისმოდა. ამ ხმაურს ფარდის ახდის მაუწყე-ბელი ზარის მკვეთრი ხმა მოჰყვა. ჯუნი არ განძრეულა. სასოწარ-კვეთილს ერთხანს თავგანწირული ბრძოლის ჟინი დაეუფლა. სასწორზე დადოს ყველაფერი, თუ არა? იბრძოლოს იმ გავლენი-სა და მიზიდულობის წინააღმდეგ, რომელიც მას ბოსინის თავს

ართმევს, თუ არა? ეს კითხვები უტრიალებდა გონებაში. მაგრამ, როგორც ვიცით, ჯუნმა დათმობა არ იცოდა და თქვა:

- ფილ, წამიყვანეთ კვირას რობინჰილში!

ნაძალადევმა ღიმილმა ჯუნს ათრთოლებული ტუჩები გაუპო. იგი განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა, ბოსინის მისი დაჟინებული გამომცდელი მზერა არ შეემჩნია. თვითონ ჯუნმა კი შენიშნა, როგორ ერთბაშად შედრკა ბოსინი, როგორ ყოყმანობდა, როგორ მოაწვა სახეში სისხლი და როგორ შეეკრა გატანჯულს წარბები.

- ამ კვირას არადა, სხვა დროს, როცა გინდა, - წამოილუღლუღა ბოსინიმ.

- რატომ ამ კვირას არა? მე ხელს არ შეგიშლით!

ბოსინიმ თავს აშკარად ძალა დაატანა და ისე წარმოთქვა:

- კვირას ძალიან დაკავებული ვიქნები.

- თქვენ აპირებთ წახვიდეთ...

ბოსინის თვალებში მრისხანებამ იელვა; მან მხრები აიჩეჩა და ისე წარმოთქვა:

- ძალიან ბევრი საქმე მაქვს და კვირას ვერ დაგათვალიერებინებთ!

ჯუნმა ტუჩი ისე მოიკვნიტა, რომ სისხლი დასდიოდა. იგი უხმოდ გაბრუნდა, თავის ადგილზე დაჯდა, მაგრამ ღელვისა და სიბრაზისგან ცრემლები წამოუვიდა და სახე დაუსველდა. მის ბედზე დარბაზში სიბნელე იყო და ჯუნის ტანჯვა-წუხილი არავის შეუნიშნავს.

მაგრამ ფორსაიტთა სამყაროში სხვების თვალთვალისგან არც თავისუფალია ვინმე და არც დაზღვეული.

ნიკოლასის უმცროსი ქალიშვილი ეუფემია და მისივე გათხოვილი და ტუიტმენი, რომლებიც მესამე რიგში ისხდნენ, თვალს არ აცილებდნენ ბოსინის და ჯუნს.

ჯუნისა და ბოსინის თეატრში ყოფნის თაობაზე დებმა ბევრი იჭიკჭიკეს ტიმოთისას.

- პარტერში ისხდნენ?

- არა, პარტერში კი არ...

- ამფითეატრში, არა? ახალგაზრდობისთვის ახლა მოდად იქცა ამფითეატრში ჯდომა!

- მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა. ჰო, იყვნენ და... ასე ვფიქრობთ, რომ ეს საქმე დიდხანს არ გაგრძელდება.

მათ ჯერ არ უნახავთ ისეთი ანთებული, გაცეცხლებული და გაალმასებული ადამიანი, როგორიც იმ ღამეს ჯუნი იყო! სიხარულის ცრემლებით სახედანამულმა დებმა უამბეს, როგორ დაბრუნდნენ შუა მოქმედების დროს ბოსინი და ჯუნი ჩაბნელებულ დარბაზში, როგორ ამოჰკრა ჯუნმა ფეხი მის სკამზე დადებულ ვიღაცის ქუდს და სადღაც გადაისროლა. არ გამორჩენიათ ისიც, თუ როგორი თვალებით გადახედა მას ქუდის პატრონმა. ეუფემიამ თავისებური, ჩუმი სიცილი იცოდა, რომელსაც ბოლოს წივილს მოაყოლებდა ხოლმე; და როცა მისის სმოლი ხელების სავსავს მორჩა და იკითხა:

- რაო, ჩემო ძვირფასებო! ქუდს ფეხი ამოჰკრა?

ეუფემიამ იმდენი იცინა და ისე გადაფიჩინდა, რომ მოსაბრუნებლად საყნოსებელი მარილი დასჭირდა. როცა გარეთ გამოვიდნენ, ეუფემიამ მისის ტუიტმენს უთხრა:

- ქუდს ფეხი ამოჰკრა! ოოჰ! ნამდვილად მომკლავს ამდენი სიცილი.

პატარა ჯუნის მიერ განვლილ დღეთა შორის ეს "სიამის" საღამო ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. ღმერთია მოწამე, რამდენს ეცადა არ აჰყოლოდა თავის ამაყ სულს, დაეთრგუნა ეჭვი და ჩაეხშო შურის გრძნობა.

როცა მოხუცი ჯოლიონის სახლთან ბოსინის გაშორდა, ჯუნი ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი; იმის შეგრძნება, რომ ბოსინის გული უნდა შეენარჩუნებინა და ამისთვის ბრძოლა იყო საჭირო, სულიერად ამაგრებდა, მაგრამ როდესაც მიმავალი ბოსინის ნაბიჯების ხმა შემოესმა, ჯუნმა იგრძნო თავის უბედობის ნამდვილი მნიშვნელობა.

კარი წყნარმა "სენკეიმ" გაუღო. ჯუნს უნდოდა უჩუმრად შეპარულიყო თავის საწოლში, მაგრამ მოხუცმა ჯოლიონმა, რომელიც სასადილოში იჯდა, შეიტყო მისი მოსვლა.

- შემოდი და რძე დალიე. შენთვის ცხლად იქნება შენახული. ძალიან კი დააგვიანე, სად იყავი? - უთხრა მზრუნველმა პაპამ.

ბუხრის წინ მდგარ ჯუნს ფეხი რიკულზე ედო, სწორედ ისე, როგორც იმ ღამით ოპერიდან მობრუნებულ მოხუც ჯოლიონს. ცოტაც და, იქნებ კიდეც აქვითინებულიყო. ამიტომ თავის ნათქვამ სიტყვებზე არც დაფიქრებულა.

- სომსთან ვისადილეთ.

- მესაკუთრესთან?! მისი ცოლი... და ბოსინიც იქ იყვნენ?

- დიახ.

მოხუცმა ჯოლიონმა ისეთი გამჭოლი მზერა მიაპყრო შვილიშვილს, რომ ძნელი იყო ასეთი ყოვლისმხილველი თვალების-

გან ჯუნს რამე დაეფარა. საბედნიეროდ, ჯუნი ამ დროს პაპას არ უყურებდა, ხოლო როცა მისკენ მიაბრუნა სახე, მოხუცი ჯოლიონი უკვე აღარ უყურებდა გამომცდელად და იატაკს დასცქეროდა. ჯუნის სახეზე მან საკმარისზე მეტი რამ ამოიკითხა. ჯოლიონი ბუხრისკენ დაიხარა, რომ ჯუნისთვის ცხელი რძით ფინჯანი მიეწოდებინა და წაიბუზღუნა:

- ასე გვიანობამდე არსად არ უნდა დარჩე, თორემ არაფრად აღარ ივარგებ.

მერე სახეზე გაზეთი აიფარა, და ფურცლებსაც ისე აშრიალებდა, აშკარად ეტყობოდა, უკმაყოფილო და აღელვებული იყო. როცა დასაძინებლად წასვლის წინ ჯუნი საკოცნელად მიუახლოვდა, მოხუცმა ჯოლიონმა - "ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო" - ისეთი აღელვებითა და მისთვის უჩვეულო მთრთოლარე ხმით უთხრა, რომ ჯუნს ისღა დარჩენოდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა პაპას, რომ იქვე არ წასკდომოდა ქვითინი, რომელიც მისი ოთახიდან გვიან ღამემდე ისმოდა.

როცა ჯუნი გავიდა და კარი მიიხურა, მოხუცმა ჯოლიონმა გაზეთი გადააგდო და, აღელვებული, დიდხანს იყო ერთ წერტილს თვალმიშტერებული.

- ნამდვილი მათხოვარი, - წარმოთქვა კარგა ხნის შემდეგ, - სულ იმას ვფიქრობდი, რომ ჯუნი მასთან დაიტანჯებოდა.

საშიში, შემაშფოთებელი ეჭვი, რომელიც უფრო მტანჯველი იმით იყო, რომ თვითონ მოხუცი ჯოლიონი გრძნობდა თავის უძლურებას, წინ აღსდგომოდა ან თავისი სურვილისამებრ წარემართა ყოველივე, კიდევ უფრო ძლიერ შემოაწვა მას.

იქნებ იმ ყმაწვილს სიმუხთლე და ღალატი აქვს გულში? უნდოდა ახლავე წასულიყო და ბოსინისთვის ეთქვა: "აქეთ მომხედეთ, სერ! ჩემი შვილიშვილის გაპამპულება ხომ არ გიდევთ გულში?" იმ მათხოვარმა მართლაც შეიძლება ასეთი რამ ჩაიდინოს. მართალია, მოხუცმა მათ ურთიერთობაზე ძალიან ცოტა რამ, თითქმის სულაც არაფერი იცოდა, მაგრამ გამჭრიახი, უტყუარი ალღოთი ხვდებოდა, რომ ჯუნის თავს კარგი ამბავი არ ტრიალებდა. მოხუც ჯოლიონს გუმანმა უთხრა, რომ ბოსინიმ მონტპელიესკვერზე სიარულს მოუხშირა.

"ეგ ყმაწვილი, - ფიქრობდა იგი, - იქნებ ცუღლუტი სულაც არაა; ავისმეტყველი სახე არ აქვს, მაგრამ ახირებული კი ჩანს. არ ვიცი, რა მოვუხერხო მაგ კაცს. ალბათ, არც მეცოდინება. როგორც მითხრეს, ზანგივით მუშაობსო. მაგრამ ამაში, აბა, რა ყრია. არც მეთოდი აქვს და არაპრაქტიკული კაციცაა. როცა აქ მოდის, სულ დაღვრემილი და მაიმუნივით ცხვირჩამოშვებულია. თუ ვკითხე, რომელი ღვინის დალევა გირჩევნია-მეთქი, მეტყვის, - "გმადლობთ, ყველა ღვინოს გიახლებითო". თუ სიგარა შევთავაზე, ისე გააბოლებს, როგორც ორპენიან გერმანულ ნაგავს. ჯერ არ შემიმჩნევია, რომ ჯუნს ნამდვილი შეყვარებულივით უმზერდეს. მისი მზითევისთვისაც რომ არ კარგავს ჭკუას! ჯუნმა რომ აგრძნობინოს, აღარ მინდიხარო, ხვალვე აიკრავს გუდა-ნაბადს და ჰაიდა! მაგრამ, ვაგლახ, რომ ჯუნს უმისოდ ყოფნა არ შეუძლია. მაშინვე კუდში გამოენთება. ჯიუტია, როგორც ბედისწერა, და სწორედ ბედი მდევარივით აედევნება!"

მოხუცმა ჯოლიონმა ღრმად ამოიოხრა და თავი გაზეთში ჩარგო, იქნება აქ მაინც ვპოვო ნუგეშიო.

მაღლა სართულზე კი ჯუნი თავისი ოთახის ღია სარკმელთან მიმჯდარიყო და პარკის ხეებთან ომგადახდილ გაზაფხულის მონაბერი ცივი ნიავისთვის მიეშვირა გახურებული ღაწვები და ცხელი გული, რომელიც კიდევ უფრო ეთუთქებოდა.

თავი მესამე

სუითინთან ერთად გასეირნება

ერთ ძველისძველ, სასკოლო სიმღერების სახელგანთქმულ წიგნში ასეთი ორი სტრიქონი გვხვდება:

როგორ ელვარებენ მის სერთუკზე ღილები, ტრა-ლა-ლა!

როგორ მოლაღურივით გალობს და მღერის იგი!..(ლექსები თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ)

სუითინს, მართალია, ფრინველივით ჭიკჭიკი და გალობა არ ეხერხებოდა, მაგრამ როგორც კი გარეთ გამოვიდა და ზედ კართან მომლოდინე თავის ცხენებსა და ეტლს შეხედა, ისეთ ხასიათზე დადგა, რომ ერთი სული ჰქონდა, წაეღიღინა.

ივნისის სურნელოვანი დღე იდგა. სუითინი ძველი, ალეგორიული სიმღერის სიტყვებს იმეორებდა. ლურჯ ფრაკში გამოეწყო, მერე ადოლფი სამჯერ ჩაგზავნა დაბლა იმის დასადგენად, აღმოსავლეთის ქარი(ლონდონში აღმოსავლეთის ქარი ცნობილია სუსხით) ხომ არ არის მოსალოდნელიო, და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, აღმოსავლეთიდან არავითარი საშიშროება არ არსებობსო, პალტოს ჩაცმა გადაიფიქრა.

სუითინს ახოვან ტანზე ისე ადგა ფრაკი, ღილები გაკრიალებულიც რომ არ ჰქონოდა, აპატიებდა კაცი. ეს წარმოსადეგი მა-

მაკაცი ქვაფენილზე იდგა და ხელები ძაღლის ტყავის ხელთათმანით ჰქონდა დამშვენებული. დიდი, ზარივით გამოყვანილი ცილინდრი და უზარმაზარი სხეული სუითინს ფორსაიტებისგან განარჩევდა და პირველყოფილ ადამიანს ამსგავსებდა. მისი ხშირი თეთრი თმა, რომელსაც ადოლფმა საცხებელი წაუსვა, ოპოპნაქსისა და სიგარების სურნელს აფრქვევდა. ას ცალ ასეთ სიგარაში სუითინი ას ორმოც შილინგს იხდიდა. ამ სიგარებზე იყო, მოხუცმა ჯოლიონმა რომ თქვა, ვინც ამნაირ სიგარებს ეწევა, ცხენის ორგანიზმი უნდა ჰქონდეს და მე რომ მაჩუქონ კიდეც, მაინც არ მოვწევო.

- ადოლფ!

- სერ!

- შოტლანდიური მოსასხამი შალი მომიტანეთ!

ვერ იქნა და ამ ყმაწვილმა ვერ ისწავლა, რომ მოხდენილად გამოიყურებოდეს; მისის სომსს კი, ალბათ, მახვილი თვალი აქვს!

- ფაეტონის სახურავი დაბლა დასწიეთ; მე ლედისთან ერთად მივდივარ სასეირნოდ!

ყველა ლამაზ ქალს უყვარს გამოაჩინოს თავისი სამოსი. დიახ, ის ლედისთან ერთად მიემგზავრება! ძველი შესანიშნავი დღეები თითქოს თავიდან იწყებოდა.

ქალთან ერთად ეტლით აგერ მერამდენე წელია, აღარ უსეირნია. უკანასკნელად, როგორც სუითინს თვითონ ახსოვდა, ჯულისთან ერთად ისეირნა. საწყალი დედაბერი, მთელი გზა კატასავით ნერვიულობდა და ისე გადაეწურა მოთმინება სუითინს, რომ, როცა ეტლით ბეისუოთერ როუდამდე მიაღწიეს და ჯული დაბლა ჩამოვიდა, გამწარებულმა ესღა უთხრა: "მამაძაღლი ვი-

ყო, თუ კიდევ სადმე წაგიყვანო". ის იყო და ის, შეუსრულა კიდეც დანაპირები.

სუითინმა ეტლს შემოუარა და ცხენებს ლაგამი მოუსინჯა, თუმცა ამ საქმისა არა გაეგებოდა რა. აბა, თუ ყველაფერი თვითონ ეცოდინებოდა, მაშინ მეეტლისთვის წელიწადში სამოცი პაუნდი რაღად უნდა ეძლია. არა, სხვისი საქმის კეთება სუითინის კარაბადინში არ ეწერა.

სუითინის, როგორც ცხენოსნობის საქმეში დიდად გაცნობიერებული და მცოდნე მამაკაცის რეპუტაციას ამ ფაქტმა დაუდო სათავე, რომ გრაფ დერბის სახელობის პრიზის გათამაშების დღეს იპოდრომზე თაღლითებმა სასტიკად გააცურეს. მას შემდეგ, რაც კლუბის რომელიღაც წევრმა რუხი ფერის ცხენებშებმულ ეტლში წამოჭიმული სუითინი შენიშნა, - სუითინი მუდამ რუხი ფერის ცხენებს ამჯობინებდა, ვინაიდან მათში ფასს მეტს არ იხდიდა, ხოლო შნო და ლაზათი კი მეტი ჰქონდათ, - მას "ოთხცხენიანი ფორსაიტი" შეერქვა. ამ სახელმა სუითინის ყურამდე მოხუცი ჯოლიონის კომპანიონის ნიკოლას ტრეფრის საშუალებით მიაღწია. ეს ის ტრეფრი გახლდათ, რომელსაც მთელ სამეფოში ეტლებს თავს გადახდენილ უბედურ შემთხვევათა სარეკორდო ციფრი ეკუთვნოდა. სუითინმა გადაწყვიტა, თვითონაც არ ჩამორჩენოდა ამ სახელმოხვეჭილ კაცს.

"ოთხცხენიანი ფორსაიტის" ზედწოდებამ მისი ფანტაზია იმით კი არ წარიტაცა, რომ მას ან წინათ, ანდა მომავალში ოთხცხენიანი ეტლის მართვა ეზმანებოდა, არა, სუითინმა თვითონ გამოთქმაში - "ოთხცხენიანი ფორსაიტი" დალანდა რაღაც მიმზიდველი და გამოსაჩენი. სუითინი ძალიან ადრე დაიბადა და თა-

ვის ნამდვილ მოწოდებას სწორედ ამიტომ ასცდა. ის რომ ლონ-დონში ოცი წლით გვიან ჩამოსულიყო, აუცილებლად მაკლერი გახდებოდა, მაგრამ იმ დროს, როცა სუითინს არჩევანი უნდა მო-ეხდინა, ამ უდიდეს პროფესიას საშუალო კლასის წარმომადგენ-ლებს შორის ის შარავანდედი არ ედგა, რაც შემდეგში მოიპოვა. იგი იძულებული შეიქნა აუქციონერი გამხდარიყო.

სუითინი ეტლში ჩაჯდა და აღვირი მოიმარჯვა. მოელვარე მზის შუქი პირდაპირ ფერმკრთალ დაბერებულ ღაწვებზე სცემ-და. მან მძიმედ მიმოიხედა. ადოლფი ეტლის უკან ნაწილში მოკა-ლათებულიყო. კოკარდიანი მეჯინიბე ეტლის წინ იდგა და ცხენე-ბის აღვირს ჩასჭიდებოდა. მისი გვერდზე გადგომა და ეტლიც და-იძვრებოდა. გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ სუითინის ნიშანსღა ელოდნენ და მანაც არ დააყოვნა. ეკიპაჟი დაიძრა და წამში სომსის სახლის წინ მიგრიალდა.

აირენს დიდხანს არ ულოდინებია, მაშინვე ჩამოვიდა და ღვთაებრივი ტალიონივით(ტალიონი - სახელგანთქმული მოცეკ-ვავე ქალი, წარმოშობით იტალიელი.) მოკალათდა ეტლში. არავი-თარი უცნაურობა, ქალური ახირება, არავითარი ფუსფუსი და მოუსვენრობა, არავითარი სულელური ნერვიულობა არ დამჩნე-ვია. როცა სუითინი ტიმოთისას ამ ამბებს დაწვრილებით აღწერ-და, მისის სეპტიმუსს ისე დაჟინებით აცქერდებოდა, რომ საწყა-ლი ლედი კარგა გვარიანად შეაფუცხუნა.

სუითინმა შემდეგ პაპიდა ესთერს აირენის ქუდი აუწერა:

- ახლა რომ ქალები ჭკუას კარგავენ აეროდრომივით უზარმა-ზარ ქუდებზე, მთელი ქალაქის მტვერი რომ ზედ ედება, ისეთი კი არ ეხურა, მოხდენილი, პატარა, შნოიანი, - სუითინმა ხელით წრე

მოხაზა ჰაერში, - თეთრპირბადიანი, ოჰ! როგორი გემოვნებიანი ქალია!

ქუდი რა ქსოვილისა იყო? - დაინტერესდა პაპიდა ესთერი, რომელსაც ჩაცმა-დახურვის ხსენებაზე განსაკუთრებული გამოცოცხლება და აღფრთოვანება ეტყობოდა ხოლმე.

- რა ქსოვილისა იყო? - იკითხა სუითინმა, - აბა, ეგ საიდან მეცოდინება, - ეს თქვა და ისე გაყუჩდა, რომ პაპიდა ესთერს შეეშინდა, გრძნობა ხომ არ დაკარგაო, მაგრამ ამ გარინდებიდან სუითინის გამოფხიზლება არც უცდია. ასეთი რამ პაპიდა ესთერს ჩვეულებად არ ჰქონდა.

"ნეტავ, ვინმე მაინც მოვიდოდეს, - ფიქრობდა იგი, - მისი გამომეტყველება არ მომწონს".

სუითინს უცბად დაუბრუნდა გრძნობა.

- რა ქსოვილისგან იყოო? - ღეჭვით წარმოთქვა მან, - რაო, რა მკითხე? რა ქსოვილისგან იყო დამზადებულიო, არა?

ოთხი მილიც არ გაევლოთ, როცა სუითინმა შენიშნა, რომ აირენი კმაყოფილი იყო გასეირნებით. თეთრი ვუალიდან გამომზირალ მკვირცხლ, მინაზებულ სახეზე კმაყოფილების სხივი ეფინა და გაზაფხულის ნათელ შუქზე შავი თვალები განსაკუთრებული ძალით უბრწყინავდა. სუითინის ყოველ გამოლაპარაკებაზე აირენი მისკენ იბრუნებდა თავს და უღიმოდა.

შაბათ დილით, საწერ მაგიდასთან მჯდარ აირენს სომსი წაადგა თავს და ცოლის მიერ დაწერილ სტრიქონებში გასეირნებაზე თავაზიან უარს მოჰკრა თვალი.

- რაღა ბიძაჩემს ეუბნები გასეირნებაზე უარს? - ჰკითხა სომსმა. უარის თქმა თუ უნდა, თავისიანებს ნუ გაჰყვება ნურსად და ის იქნება!

აირენმა ქმარს დაჟინებული მზერა მიაპყრო, ქაღალდი ნაფლეთებად აქცია და უთხრა:

- ძალიან კარგი!

აირენმა ხელახლა დაიწყო ბარათის წერა. სომსმა ზევიდან გადახედა წერაში გართულ ცოლს და თვალი მოჰკრა, რომ აირენი ბოსინის სახელზე წერდა ბარათს.

- რას წერ? - იკითხა სომსმა.

აირენმა ისევ ისე გამომცდელად შეხედა ქმარს და მშვიდად უპასუხა:

- რაღაც დამავალა და იმის თაობაზე ვწერ!

- დაგავალა! - წარმოთქვა სომსმა, - თუ ასეთი ვალდებულებანი იკისრე, მაშინ მალე შენს საქმეებს თავი უნდა მიანებო, - მერე დადუმდა.

რობინჰილის ხსენებაზე სუითინმა თვალები დაჭყიტა. მისი ცხენებისთვის ეს კარგა დიდი მანძილი იყო, ამასთან, იგი ჩვეულებრივ, რვის ნახევარზე, კლუბში ხალხის მომძლავრებამდე შეექცეოდა სადილს. ახალი მთავარი მზარეული, ზარმაცი პირუტყვი, როგორც სუითინი უწოდებდა მას, - კლუბის იმ წევრებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვინც ადრე სადილობდა.

სახლის ნახვაც გულით ეწადა. სახლი ისეთი რამ გახლდათ, რომლის ხილვაც ყოველ ფორსაიტს დიდ ინტერესს აღუძრავდა, განსაკუთრებით კი სუითინს, რომელმაც მრავალი წელი აუქციონერად გაატარა. ყველაფერი რომ კარგად აწონ-დაწონა, რო-

ბინჰილამდე მანძილი არაფერიაო, გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია. ახალგაზრდობაში ოთახი რიჩმონდზე ჰქონდა და იქ კარგა ხანს ცხოვრობდა. საკუთარ ეტლში შესანიშნავი ცხენები ება და რიჩ-მონდსა და ქალაქს შუა დააქროლებდა. ჰაიდპარკიდან "სტარ ენდ გარტერის" სახელგანთქმულ ბარამდე ყველამ იცოდა "ოთხცხე-ნიანი ფორსაიტის" (მაშინ ასე ეძახდნენ) ლამაზი ეტლი და ცხენე-ბი.

Z-ის ჰერცოგმა ეტლსა და ცხენებში ორჯერ მეტი საფასური შეაძლია, მაგრამ სუითინმა ეტლი და ცხენები ვერ გაიმეტა. როცა ძვირფასი განძის მფლობელი ხარ, მისი ფასიც უნდა იცოდე. სუფ-თად გაპარსულ ოთხკუთხა სახეზე რაღაცნაირი დღესასწაულებ-რივი სიამაყე გადაეფინა. იმწუთას იგი ჩიჩაყვჩამობერილ, წამო-ჭარხლებულ, ფრთებგაფხორილ მამალ ინდაურს დაემგვანა და გახამებულ საყელოში თავი ძლივს მოაბრუნა.

"მართლაც საოცრად მომხიბვლელი ქალია!" - და სუითინმა ახლა აირენის ჩაცმულობაზე მოუთხრო პაპიდა ჯულის, რომე-ლიც გაფაციცებით უსმენდა და დროდადრო აღშფოთებისგან ტაშს შემოჰკრავდა ხოლმე.

- დოლზე გადაჭიმული ტყავივით გადატკეცილი პირის კანი - აი, რა მომწონს მისი. აბა, იმ შენს საფრთხობელებს კი არ ჰგავს! - აქ სუითინმა მისის სეპტიმუს სმოლს გადახედა, რომელიც ჯეიმ-სივით გრძელი და გაძვალტყავებული იყო.

- აი, ვინ გაგრძნობინებს სტილს, დედოფლობაც კი დაშვენდე-ბოდა, თანაც უნდა ნახო, როგორ უბრალოდ უჭირავს თავი.

- შენ კი მთლად მოუნადირებიხარ და ეგ არის, - წყნარად წარ-მოთქვა კუთხეში მიმჯდარმა პაპიდა ესთერმა.

სუითინი შესანიშნავად ხვდებოდა ყოველივეს, როცა ვინმე სიტყვას გადაუკრავდა.

- რაო? რაო? მოვუნადირებივარ? - იკითხა მან, - ავსა და კარგს ერთმანეთისგან ძალიან კარგად ვარჩევ. მე მეტსაც გეტყვი, არც ერთი ახალგაზრდა მამაკაცი არ მეგულება, რომ მისი ცოლობა შეეძლოს. იქნებ შენ გეგულება, ჰა? იქნებ შენ იცი ვინმე?

ასეთ შორს მგზავრობას მიუჩვეველს, კარგა ხნით ადრე, ვიდრე რობინჰილს მიაღწევდნენ, თავი ძილმა წაართვა. სადაველები თვალდახუჭულს ეჭირა და მთვლემარეს თავჩაქინდვრისა და გვერდზე გადაქცევისგან ისღა შველოდა, რომ მთელი სიცოცხლე სარგადაყლაპულივით იცოდა ჯდომაცა და დგომაც.

მათი მომლოდინე ბოსინი შესაგებებლად გამოვიდა და სახლში სამივენი ერთად შევიდნენ. სუითინი წინ მიუძღოდათ და ხელში ოქროსთავიან ყავარჯენს ატრიალებდა. ყავარჯენი ადოლფმა გადასცა, რადგან დიდი ხნით ჯდომას სუითინის მუხლები უკვე კარგად გრძნობდნენ. წინდახედულ სუითინს წინასწარ განეჭვრიტა, რომ დაუმთავრებელ სახლში გამჭოლი ქარი ინავარდებდა, და ქურქი ჩაეცვა.

- შესანიშნავი კიბეა! ბარონებს რომ შეეფერებათ, სწორედ ისეთია, ზედ რომ ქანდაკება იდგეს, უფრო დამშვენდებოდა, - სუითინი შიგნითა ეზოსკენ გასასვლელში დაყენებულ სვეტებს შორის შედგა და, თითქოს თავისი ჯოხით რაღაც უნდა გამოიკვლიოსო, ისე აღმართა მაღლა.

- აქ რა იქნება? აი აქ, ამ ვესტიბიულში, თუ რა ჰქვია? - მაგრამ მაღლა რომ მინის სახურავი შენიშნა, თვითონვე მოიფიქრა და

თქვა, - საბილიარდო ხომ? - მაგრამ როცა უთხრეს, აქ ფილაქანს დააგებენ და შუა ადგილზე მცენარეები იქნებაო, აირენს მიუბრუნდა და უთხრა, - მცენარეებისთვის ამ ადგილის გაცდენა დანაშაულია, ბარემ ჩემს რჩევას ენდეთ და ამ ადგილზე ბილიარდი დადგით.

აირენს გაეღიმა. პირბადე ასწია და მონაზვნის ხილაბანდივით შუბლზე მოიხვია. სუითინს ახლა უფრო მომხიბვლელი ეჩვენა მისი მოციმციმე, შავი თვალები. მან თავი დააქნია და ირწმუნა, რომ აირენი მის რჩევას მიიღებდა.

სასადილოსა და საძინებლის ნახვაზე ბევრი ვერაფერი მოიფიქრა და მხოლოდ ისა თქვა, ვრცელი, თავისუფალი და ფართო ოთახებიაო, მაგრამ როცა ფარნით განათებულ ქვის კიბეზე ბოსინის დაბლა ჩაჰყვა და მარანი იხილა, რამდენადაც მის ღირსებას არ შელახავდა, იმდენი აღტაცება გამოამჟღავნა.

- ეს ადგილი თავისუფლად დაიტევს ექვს ან შვიდ ასეულ დუჟინს... შესანიშნავი მარანია, კოხტა და პატარა.

ბოსინის ძლიერ უნდოდა სტუმრებისთვის სახლი ჭალიდან დაენახვებინა, მაგრამ სუითინი შედგა.

- აქედანაც შესანიშნავი სანახაობა იშლება, - შენიშნა მან, - სკამის მსგავსი არაფერი მოგეძევებათ?

ბოსინის კარვიდან სკამი მოართვეს.

- თქვენ ჩადით დაბლა, - შესთავაზა მათ სუითინმა, - თქვენ ორნი, მე კი აქ დავრჩები და შესანიშნავი ხედის ცქერით დავტკბები.

იგი მუხის ხის მახლობლად მზეში მოკალათდა; იჯდა ამაყად წელგამართული და ოთხკუთხედი, ერთი ხელი წინ გაეშვირა და

საბჯენ ჯოხს დაყრდნობოდა, მეორე კი მუხლზე დაედო, ქურქი გაეხსნა და ქუდის ბრტყელი ფარფლები ფერმიხდილ სახეზე საბურავივით დაჰფენოდა, საგონებელს მიცემულივით გაშტერებული მზერა წინ გადაშლილი ლანდშაფტისთვის მიეპყრო. დაბლა ველზე მიმავალ ბოსინისა და აირენს სუითინი თავს უკანტურებდა. ნამდვილად არ სწყინდა, რომ მარტო დატოვეს და მშვიდად ფიქრის საშუალება მიეცა. სურნელოვანი, დამამშვიდებელი ჰაერი იდგა და მზის ქვეშ აგრერიგად არა ცხელოდა. წინ შესანიშნავი ხედი იშლებოდა... თავი გვერდზე მიეღრიცა - უეცრად შეკრთა და გაიფიქრა: "საოცრებაა! ის... ეჰ!" ისინი დაბლიდან ხელს უქნევდნენ!

თვითონაც ასწია ხელი და რამდენჯერმე დაუქნია მიმავალთ. ისინი კვლავ წინ მიიწევდნენ. ამ ადგილიდან შესანიშნავი სანახაობა იშლება... თავი მარცხნივ გადაუვარდა, უცებ შეკრთა და წუთით გამოფხიზლდა. ახლა მარჯვნივ გადაუვარდა თავი და ასე დარჩა. სუითინს უკვე ეძინა.

იგი გუშაგივით იჯდა მაღლობზე და ძილისთვის ისე მიეცა თავი, თითქოს მთელი იმ შესანიშნავი სანახაობის მეუფე ყოფილიყო. სუითინი იჯდა ვით წარმართული ხანის პირველყოფილი ფორსაიტი, რომლის გამოსახულებაც მხატვარს მისივე დაკვეთით შეექმნა იმის დასამტკიცებლად, რომ მატერიაზე ცნობიერება ბატონობს.

თითქოს ახლა, ამ მაღლობზე სუითინთან ერთად იჯდა მისი ურიცხვი იემენი წინაპარი, რომლებსაც ჩვეულებად ჰქონდათ, კვირადღეობით თავიანთ პატარა მამულში დოინჯშემოყრით დგომა და მიწის ფართობების მიჯნვა უმოძრაო ნაცრისფერი

თვალებით, რომლებშიც ნათლად ამოიკითხავდით მთელი ქვეყნის ხელში ჩაგდების ღრმად დაფარულ ინსტინქტს, რომელიც მათთვის ამქვეყნად ყველა ინსტინქტზე ძვირფასად ქცეულიყო.

მაგრამ ძილმორეული სუითინის იჭვნეული სული შორს, ერთმა ღმერთმა არ იცის ფანტაზიის რომელ ჯუნგლებში დაეხეტებოდა იმ ორ ახალგაზრდასთან ერთად, რათა საკუთარი თვალით ენახა, რას აკეთებდნენ ბოსინი და აირენი ჭალაში, იმ ჭალაში, სადაც გაზაფხულს დაედო ბინა, მცენარეულობა აემბოხებინა, კვირტები აეფეთქებინა, კოკრები გაეფურჩქნა, ყლორტებში გაცოცხლებული წვენი ჩაეღვარა და გარშემო საამო სურნელი დაეყენებინა. ჭალაში, სადაც ზევიდან ურიცხვ ფრინველთა დამატკბობელი გალობა ისმოდა, დაბლა კი ნაირნაირ მაჩიტას: ძოწიას, ჩიტითავას, სათითურას, დილხამას, ჭირბადელას, ქარცხვსა და მრავალ ტკბილ მუშკამბარ ბალახს ნოხივით მიექარგმოექარგა იქაურობა და ჰაერში ამო სურნელი მიმოეკმია. მზე კი ხის კენწეროებს ოქროსფრად მოსდებოდა. სუითინს გულით ეწადა დაენახა, რას აკეთებდნენ ბოსინი და აირენი, როგორ მიდიოდნენ მხარდამხარ იმ საცალფეხო ბილიკზე და როგორ ეხებოდა ერთმანეთს ორი სხეული; ჩაეხედა აირენის შავ თვალებში. მარად და ყველგან ქალიშვილის კვალს ადევნებული მოხუცი ქალივით, სუითინსაც სურდა ბოსინისა და აირენთან ერთად ყოფილიყო, მათთან ერთად შეჩერებულიყო პაწაწინა თხუნელას უსულო სხეულთან, სულ ახლახან რომ მომკვდარიყო და მის ვერცხლისფრად მოელვარე ბეწვს ჯერ წვიმა და ცვარი არ შეხებოდა. სურდა, საკუთარი თვალით ეხილა ვაჟისკენ გადახრილი აირენის თავი, მისი ნაზად გამომზირალი, ლმობიერი, შავი თვალები და ქა-

ლისადმი შენამსჭვალები მტკიცედ და უცნაურად შემყურე ბოსინი. მაღლობზე მფშვინავი სუითინი სულითა და გულით მათთან ერთად მიყიალებდა გაკაფული ტყის ზოლში. მაჩიტათი მოქარგულ მოლზე, მოჭრილი, მაგრამ მიწაზე წაუქცეველი მოტორტმანე გაუსხეპავი ხის გვერდით. მათთან ერთად გადააბობღდა ხის მორს და ჭალის იმ მხარეს გაემართა, საიდანაც ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ქვეყნიერება იშლებოდა და საიდანაც ყურთასმენას "გუგუ-გუგუ" შემოესმოდა.

მათთან ერთად მდგარი სუითინი უხერხული სიჩუმის მოწმე შეიქნა. უცნაური, საეჭვო სიჩუმე იყო ჩამომდგარი.

შემდეგ უკან ისე გამობრუნდა, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო. ჯერ ტყე-ტყე მოდიოდა, მერე განაკაფ ზოლში შემოვიდა, კვლავ სირთა განუწყვეტელი გალობა მოესმა და უეცრად ყნოსვა ველურმა სუნმა დაუბნიდა - რა იყო ეს? დაბლა დაიხედა და ისეთ ბალახს მოჰკრა თვალი, ტკბობის დროს რომ ქვეშ... ისევ ბილიკზე წამოქცეული მორისკენ გადაუხვია.

მერე სუითინის უჩინარი, შეშფოთებული სული მათ ზევით მოჰყვა ფრენას. თან ცდილობდა ეხმაურა, რომ მათი ყურადღება მიეპყრო. სუითინმა დაინახა, როგორ ტორტმანობდა წაუქცეველ ხეზე შემდგარი აირენი, თვალი შეავლო ხესთან ერთად დარწეულ მის მშვენიერ სხეულს, თვალი მოჰკრა დაბლა მდგარ მოღიმარ ბოსინისაც, რომელიც კვლავ უცნაურად შეჰყურებდა ქალს, მაგრამ ახლა თვალები განსაკუთრებულად უბრწყინავდა; მერე აირენი დაბლა ჩამოსრიალდა - აჰ! ეცემა, ოოჰ! და ბოსინის მკერდზე კი აღმოჩნდა. მისი ნაზი და თბილი სხეული ვაჟის მკლავებში მოექცა, აირენი თავს არიდებს, რომ ბოსინიმ ტუჩები მის ტუჩებს

არ შეუწებოს; ბოსინი მაინც დაეკონა აირენის ბაგეს; ქალი გაუსხლტა; ვაჟმა კი მშვიდად დამარცვლა: "თქვენ იცით, რომ - მიყვარხართ! თქვენ იცითო", - ნამდვილად ასე უთხრა, მშვენიერი ამბავი კია! სიყვარული! ჰა!

სუითინმა გაიღვიძა; დაბანგული სხეული გამოფხიზლდა. პირში უსიამოვნო გემოს გრძნობდა. სად იმყოფებოდა? ახლა ამის გაგება სურდა.

დასწყევლოს ეშმაკმა! ჩასძინებია.

მას ახალი პიტნით შეზავებული წვნიანი დაესიზმრა.

ის ახალგაზრდები საით წავიდნენ? მარცხენა ფეხი დაბუჟებოდა.

- ადოლფ! ეს ცუღლუტი სადღაა? ოჰ, ეს უქნარა ალბათ სადმე წავიდა.

სუითინი წამოდგა. მაღალი, წარმოსადეგი ტანი გამართა. ქურქი შვენოდა. შეშფოთებით გაიხედა ქვევით და მალე აირენი და ბოსინიც შენიშნა. მისკენ მოდიოდნენ.

აირენი წინ მოგოგმანებდა, ის ახალგაზრდა კი, როგორ უწოდეს? ჰო, მეკობრე! საშინლად დაღლილი მოჩანჩალებდა უკან. მასზე ახია ყველაფერი. რას წაიყვანა ქალი იმ სიშორეს სახლის დასათვალიერებლად! სახლი ყველაზე კარგად გუბურის მხრიდან მოჩანს.

მათაც შენიშნეს სუითინი, რომელიც ისე უქნევდა ხელს, თითქოს კრუნჩხვა დამართვიაო. ისინი შეჩერდნენ. ნეტავ ამდენი სალაპარაკო რა ჰქონდათ, რომ ვერ იქნა და ვეღარ დაამთავრეს? შემდეგ ნელა დაიძრნენ. ალბათ, ქალი არქიტექტორს უჯავრდე-

ბოდა. რა თქმა უნდა, აქ საკვირველიც არაფერი იყო, რადგან სახლი ვეებერთელა და ულაზათოა. ასეთი სახლი მას არც უნახავს.

სუითინი დაჟინებით ჩააცქერდა ორივეს. ახალგაზრდა კაცი უცნაურად გამოიყურებოდა!

- ვერაფერი სახლი გამოგივათ, - გესლიანად წარმოთქვა სუითინმა, - ძალიან ახლებურ ყაიდაზეა აგებული!

ბოსინიმ ისე შეხედა სუითინს, თითქოს მისი ნათქვამი არც გაუგონიაო; სუითინმა მერე ესთერთან საუბარში მას ექსტრავაგანტური ყმაწვილი უწოდა, - როცა გესაუბრება, თავი ძალიან უცნაურად უჭირავს, გამოუსწორებელი მათხოვარი!

ეს სახელდახელო ფსიქოლოგიური დასკვნა რის საფუძველზე გააკეთა, სუითინს არ უთქვამს. შესაძლოა, ასეთი დასკვნის საბაბი სუითინს მისცა ბოსინის გამობურცულმა შუბლმა, წინ წამოწეულმა ღაწვისთავებმა, ნიკაპმა, ანდა მისმა გამომეტყველებამ, დამშეულს რომ მიაგავდა, რადგან სუითინის აზრით, ჭეშმარიტ ჯენტლმენს სულ სხვანაირი შეხედულება და თვისებები უნდა ჰქონოდა.

ჩაის ხსენებაზე სუითინს სახეზე ნათელი გადაეფინა. ჩვეულებრივ ჩაის გაგონებაც კი სიძულვილის ჟრუანტელს ჰგვრიდა ხოლმე. მისი ძმა ჯოლიონი ჩაით ვაჭრობდა და ამ გზით ბევრი ფულიც იშოვა, მაგრამ ახლა ისე სწყუროდა და პირში ისეთ უსიამოვნო გემოს გრძნობდა, რომ ყველაფრის დალევაზე მოაწერდა ხელს. სუითინს გულით ეწადა აირენისთვის შეეჩივლა თავისი გასაჭირი, რადგან იგი ყოველთვის იზიარებდა ხოლმე მის ვარამს; ეთქვა, რომ პირში უსიამოვნო გემო აქვს, მაგრამ იცოდა,

რომ ასეთ რამეზე საუბარი მიუღებელია და დუმილი არჩია. შემდეგ პირში ენა მიატარ-მოატარა და ბოლოს სასას მიაბჯინა.

კარვის შორეულ კუთხეში ცეცხლზე მდგარ ჩაიდანს კატასავით გრძელულვაშა ადოლფი დასტრიალებდა. მათ დანახვაზე ადოლფმა ჩაიდანი ბედის ანაბარა მიატოვა და შამპანურის საცობს დაეჯაჯგურა. სუითინმა რომ შამპანური დაინახა, დიდად ესიამოვნა და ბოსინის უთხრა - თქვენ ნამდვილი მონტე კრისტო ხართო. ამ სახელგანთქმული რომანის ექვსივე წიგნი სუითინს წაკითხული ჰქონდა და მასზე წარუშლელი შთაბეჭდილებაც მოეხდინა.

სუითინმა მაგიდიდან ჭიქა აიღო, შამპანური დაისხა და ღვინოს ფერის შესამოწმებლად გახედა. მართალია, საშინლად სწყუროდა, მაგრამ ამის გამო თხლესაც არ დალევდა! მერე ჭაშნიკის გასასინჯად ერთი ყლუპი გადაჰკრა.

- მშვენიერი ღვინოა, - თქვა მან და ჭიქაში ჩასხმული ღვინის ყნოსვით განაგრძო დაწყებული სიტყვა, - თუმცა ჩემს ჰაიდსიკთან მაინც ვერ მოვა.

სწორედ ამ დროს გაუელვა გონებაში იმ აზრმა, რომელიც შემდეგ ტიმოთისას მოურიდებლად წამოროშა: იოტისოდენადაც არ გამიკვირდება, თუ ის ყმაწვილი არქიტექტორი მისის სომსისადმი შენამსჭვალები აღმოჩნდებაო.

ამ აღმოჩენამ მისი უფერული, მრგვალი თვალები უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით აღავსო.

- ის ყმაწვილი, - უამბობდა სუითინი მისის სეპტიმუს სმოლს, - მისის სომსს ძაღლივით უკან დასდევდა. გაუსწორებელი მათხოვარი! არც მიკვირს. ძალიან მომხიბვლელი ქალია. მე ვიტყოდი,

რომ ველურ მიხაკს მიაგავს, - ასეთი წარმოდგენა სუითინის გონებაში დაბადა იმ ბუნდოვანი სურნელების მოგონებამ, რომელსაც აირენის სხეული აფრქვევდა იმ ყვავილის მსგავსად, თავისი ფურცლებით იმ მუშკამბარა მხურვალე გულს რომ ფარავდა, - მაგრამ მე ეს ამბავი მანამ არ მჯეროდა, ვიდრე ჩემი თვალით არ ვნახე, როგორ აიღო იმ ყმაწვილმა მისის სომსის დაბლა დავარდნილი ცხვირსახოცი.

მისის სეპტიმუს სმოლს მღელვარებისგან თვალები წამოენთო.

- მერე, ცხვირსახოცი აირენს დაუბრუნა? - სულმოუთქმელად იკითხა მან.

- უკან დაუბრუნაო? - გაიმეორა სუითინმა, - დაუბრუნა კი არა, ეგონა, მე ვერ ვხედავ და კინაღამ ზედ დააკვდა იმ ცხვირსახოცს.

გაოცებულმა მისის სმოლმა პირი დააღო და ცნობისმოყვარეობისგან სული შეეხუთა.

- მაგრამ აირენს იგი არაფრით შეუგულიანებია, - წარმოთქვა სუითინმა.

უცებ შეჩერდა და ერთ-ორ წამს ისე გაშტერდა და გაილურსა, რომ პაპიდა ესთერს შეშფოთება დაეტყო. იმ წამს სუითინს ის გაახსენდა, უკან გამობრუნებისას უკვე ეტლში ჩამჯდარმა აირენმა რომ მეორედ გაუწოდა ხელი ბოსინის და უკან კარგა ხანს აღარ წამოუღია... იმით გაგულისებულმა სუითინმა, რომ აირენთან ყოფნას არ აცდიდნენ, მათრახი გადაჰკრა ცხენებს და ეტლი დაძრა. მაგრამ აირენს თვალები უკან დარჩა და სუითინის პირველ

კითხვაზე პასუხიც არ გაუცია; სუითინმა ვერც მისი სახე დაინახა, რადგან ქალი თავჩაქინდრული იჯდა.

სადღაც არის ასეთი სურათი, რა თქმა უნდა, იგი სუითინს არც უნახავს, რომელზეც დახატულია კლდის ქიმზე წამომჯდარი მამაკაცი და მის გვერდით კი წყნარ, მწვანედ მოლივლივე წყალზე გულაღმა გაწოლილი ნიმფა, რომელსაც ცალი ხელი მამაკაცის შიშველ მკერდზე დაუსვენებია. ნიმფას სახეზე უსასოო მორჩილებისა და ფარული სიხარულის მაუწყებელი ღიმილი აფენია. შესაძლოა, სუითინის გვერდით მჯდომი აირენიც ამდაგვარად იღიმოდა.

აირენი რომ მხოლოდ თავისთან დაიგულა, ღვინისგან შეხურებულმა სუითინმა გული გადაუშალა და მთელი თავისი გაჭირვება შესჩივლა: უამბო, როგორ აღაშფოთა კლუბის ახალი უფროსის დანიშვნამ, როგორ აწუხებდა უიგმორსტრიტზე მდებარე სახლი, რადგან საძაგელი დამქირავებელი იმის ნაცვლად, რომ საკუთარ თავზე ეფიქრა, სიძეს დაეხმარა და გაკოტრდა. ისიც უთხრა, მარჯვენა მხარეს, ლავიწის ქვეშ რომ ყრუ, მწვავე ტკივილი ტანჯავდა. აირენი უსმენდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა. სუითინმა იფიქრა, ჩემმა გაუნელებელმა სატკივარმა და გაჭირვებამ მოჰგვარა ცრემლიო და თავი უფრო საშინლად შეეცოდა. თუმცა ბეწვის ქურქი, გვერდზე მოგდებული ცილინდრი და ულამაზესი ქალი, რომელიც ეტლში იჯდა, ისევ განარჩევდა გარშემომყოფთაგან, რომ ამის მსგავსი რამ არასოდეს განუცდია.

მაგრამ სასეირნოდ გამოსულ ვაჭრუკანას, რომელსაც ეტლში გულის მურაზი ჩაესვა, ეტყობოდა, ისევე დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე, როგორიც სუითინს. სწორედ იმ ვაჭრუ-

კანამ წკეპლა გადაჰკრა ჯორს და დაოთხილი პირუტყვი სუითინის ეტლს ამოუყენა გვერდში. ეს ვაჭრუკანა ისე გამართული იჯდა ეტლში, თითქოს სანთლისგან ჩამოქნილი ყოფილიყოს. ნავივით მოყვანილ ეტლში მჯდომს ნიკაპი მედიდურად ჩაეყო წითელ ყელსახვევში, სწორედ ისე, როგორც სუითინს; ქალს ყელსახვევის ბოლოებს ქარი უკან უფრიალებდა, თვითონ კი მოდის მიმდევარი მაღალი წრის ქალბატონივით იგრიხებოდა და მაიმუნობდა. ის ვიღაც სოფლელი თუ სოფლიდან ახლახან ჩამოთრეული ვაჭრუკანა ჯოხსა და ზედ დამაგრებულ ციცქნა თოკს სწორედ ისე ხმარობდა, როგორც სუითინი მათრახს. იგი ხშირად აბრუნებდა თავს ქალისკენ, თვალს უკრავდა და სუითინის მსგავსად პირველყოფილი გაშტერებული ადამიანივით იმზირებოდა.

პირველად სუითინს ეგონა, ეს ავაზაკი შემთხვევით გადამეყარაო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამასხარავებდნენ. მან მათრახით გვარიანად შეახურა ცხენები. მაგრამ ბედისწერა იყო, თუ სხვა რამ, ეტლები მაინც გვერდიგვერდ მიქროდნენ. სუითინს გადაყვითლებული სახე წამოუჭარხლდა. მან მათრახი ასწია, რომ იმ ავაზაკი ვაჭრუკანასთვის გვერდები აეჭრელებინა, მაგრამ მისთვის არასაკადრისი საქციელის ჩადენისგან განგებამ იხსნა. სწორედ იმ დროს რომელიღაც ჭიშკრიდან ოთხთვალა გამოვიდა და ვაჭრუკანას ეტლს გზა გადაუღობა. იმ ავაზაკმა თავის დაჭერა სცადა, დაამუხრუჭა კიდეც, მაგრამ ჯორშებმული ეტლი მსუბუქი აღმოჩნდა, მერე ეტლს მიეხალა, ბორბლები ერთმანეთში გაეხლართათ და ჯორშებმული ეტლი გადაბრუნდა.

სუითინს უკან არც მიუხედავს. ნუთუ იმიტომ უნდა შეეჩერებინა ეტლი, რომ იმ თავხედ ავაზაკს მიშველებოდა. კისერი და კინჩხი დამსახურებისამებრ მოიტეხა და მასზე ყველაფერი ახია!

მაგრამ სუითინს ძალიანაც რომ ნდომებოდა დახმარება, მაინც ვეღარ შეაჩერებდა აქეთ-იქით მოქანავე ეტლს, რომლის დანახვაზეც ქუჩაში გამვლელთა სახეებზე ადამიანი აშკარა შეშფოთებას ამოიკითხავდა. სუითინმა ვეება ხელებით სადავეები მოზიდა. ლოყები დაებერა, ტუჩები მოეკუმა და სახე მრისხანებისგან წამოუწითლდა.

აირენს სახელურისთვის ჩაევლო ხელი და ეტლის ყოველ აყირავებაზე უფრო მაგრად ებღაუჭებოდა მას. სუითინმა გაიგონა მისი მუდარა:

- ცოტა შეანელეთ, ძია სუითინ, თორემ სადმე გადავიჩეხებით.

სუითინმა გახშირებული გულისცემა ძლივს დაიოკა და ისე თქვა:

- არაფერია, გახურდნენ და!

- ავარიაში არასოდეს მოვყოლივარ, - თქვა აირენმა.

- ნუ მოძრაობ, - ურჩია სუითინმა და ქალს შეხედა. იგი მშვიდად იღიმებოდა, - წყნარად იჯექი, - გაიმეორა სუითინმა, - საშიში არაფერია, შინ მშვიდობით მიგიყვან.

- ჩემთვის სულერთია, თუნდ სულაც ნუ მიმიყვანთ შინ!

ეტლი ისე აყირავდა, რომ გაოცების წამოძახილი სუითინს ყელში გაეჩხირა. აღმართში ცხენები დაიქანცნენ და ჭენებას თავი ანებეს, ბოლოს კი სულაც დადგნენ.

ეს ყოველივე სუითინმა ტიმოთისას მოჰყვა და სიტყვასიტ-ყვით ასე განაცხადა:

- ცხენების სადავე რომ მოვწიე და შევაჩერე, აირენი ისევე მშვიდად იჯდა, როგორც მე თვითონ ვიყავი. ღმერთო, ნუ მიწყენ! აირენის ასეთი საქციელისგან მხოლოდ ერთი აზრის გამოტანა შეიძლებოდა: მისთვის სულერთი იყო, კისერს მოიტეხდა თუ არა იმ გზაზე. როგორა თქვა: "ჩემთვის სულერთია, თუნდ სულაც ნუ მიმიყვან შინო", არა? - მერე დაიხარა, ყავარჯენს დაეყრდნო და ისეთი რამ თქვა, კინაღამ მთლად გადარია მისის სეპტიმუს სმო-ლი, - რომ იცოდეთ, არც კი მიკვირს, აირენს შინ მისვლა რომ არ უხაროდა. როცა ქალს სომსისთანა მანჭია ყმაწვილი ეყოლება ქმრად, უარესს უნდა მოელოდე.

სუითინს აზრადაც არ მოსვლია რობინჰილში დარჩენილ ბო-სინიზე ფიქრი; მარტო შთენილი ბოსინი იქნებ მართლაც იმ ძაღ-ლივით დაძრწოდა, რომელსაც თვითონ სუითინმა შეადარა; იქ-ნებ იმავე ჭალაში დაეხეტებოდა, სადაც გაზაფხული მბრძანებ-ლობდა და გუგულების გაუთავებელი "გუგუ-გუგუ" ისმოდა, იქ-ნებ ისევ აირენის ცხვირსახოცს ეკონებოდა და ქალის, პიტნისა და ზირას ერთმანეთში არეულ სურნელებას ესალბუნებოდა; იქ-ნებ ტყეში დაძრწოდა, მიუსაფარი და გულდაზაფრული უტყვ ბუ-ნებას შესტიროდა თავის გულისტკივილს. ფაქტი ის იყო, რომ ვიდრე ტიმოთისას მოვიდოდა, სუითინმა ბოსინი მთლად დაივიწ-ყა.

თავი მეოთხე

ჯეიმსს უნდა, ყველაფერში თვითონ დარწმუნდეს

ვინც ფორსაიტთა ბირჟას არ იცნობს, არ შეუძლია იმის წარმოდგენა და მიხვედრა, თუ რა არეულობა მოჰყვა სახლის დასათვალიერებლად რობინჰილში აირენის მგზავრობას.

როცა სუითინმა ტიმოთისას ამ ყოვლად ღირსსახსოვარი მოგზაურობის მთელი შთაბეჭდილებები გადმოშალა, საეჭვო ცნობისმოყვარეობით ანთებულმა ფორსაიტებმა, მართალია, ოდნავ ღვარძლისა და ავგულობის გამოვლინებით, მაგრამ მაინც კეთილის განზრახვითა და სურვილებით ჩაუკაკლეს ყველაფერი ჯუნს.

- მაინც რა საშინელი განცხადებაა, ჩემო ძვირფასო! - დაუმატა პაპიდა ჯულიმ, - შინ თუნდაც ნუ მიმიყვანთო. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

პაპიდას ნაამბობმა ჯუნს გული დაუკოდა. ეს ამბავი აპილპილებულმა მოისმინა და მძიმედაც განიცადა. მერე წამოხტა, პაპიდა ჯულის ხელი გაუწოდა და უცებ გაუჩინარდა.

- ძალიან უხეშია, - უთხრა მისის სმოლმა პაპიდა ესთერს, როცა ჯუნი გარეთ გავიდა.

იმან, თუ როგორ განიცადა ჯუნმა ეს ახალი ამბავი, ფორსაიტებში ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჯუნს ამ ამბავმა თავზარი დასცაო? მაშასადამე, რაღაც ძალიან საშინელი და დამაფიქრებელი უნდა ხდებოდეს! ის და აირენი ხომ განუყრელი მეგობრები იყვნენ!

ეს ამბავი სავსებით შეესაბამებოდა და ადასტურებდა იმ ჩურჩულს, გადაკვრით და მოიარებით ნათქვამს, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი. გაიხსენეს ეუფემიას ნათქვამი თეატრში ყოფნაზე; ისიც მოიგონეს, ბოსინი რომ ნიადაგ სომსისას დადიოდა! ოჰ, ნამდვილია! რა თქმა უნდა, მაგრამ სომსს სახლს უშენებდა და აბა ვისთან უნდა ევლო! გულახდილობის ნაცვლად, ქარაგმებით ლაპარაკობდნენ. თუმცა ფორსაიტთა ბირჟაზე იშვიათად, მხოლოდ რაიმე არაჩვეულებრივ, გამონაკლის შემთხვევაში საუბრობდნენ გულახდილად. ეს მანქანა მშვენივრად იყო მომართული და მოწესრიგებული; გადაკვრით თუ უბრალოდ ნათქვამი, უმნიშვნელო გამოთქმა, მცირე სინანული, ოდნავი ეჭვი საკმარისი იყო, რომ მთელი ოჯახის სული - ესოდენ თანამგრძნობელი, მთრთოლარე, ფეხზე დამდგარიყო. არც ერთ ფორსაიტს არ სურდა ამ წყენას ან მშფოთვარებას ვინმესთვის რაიმე ზიანი მოეტანა - პირიქით; მათ კეთილი ზრახვა და იმის განცდა ამოქმედებდათ, რომ ოჯახის თითოეული წევრი ოჯახური სულის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ამ მითქმა-მოთქმის იქით დიდი სიკეთე იმალებოდა. საზოგადოებაში იგი ჩვეულებრივ სამძიმარსა და თანაგრძნობის ვიზიტებში გამოიხატება ხოლმე და შესანიშნავ ადათს წარმოადგენს. ერთი მხრივ, თანაუგრძნობ სხვას და ამით ჭირს უმსუბუქებ,

მეორე მხრივ კი თვითონაც თავს ინუგეშებ, რომ რა ჭირიც სხვას მოუსართა ღმერთმა და რითიც სხვა იტანჯება, შენ არ გაწუხებს. ფაქტობრივად, ეს იმის უბრალო სურვილია, რომ ყველაფერი კარგად გამომზეურდეს. სურვილი, რაც აცოცხლებს საერთოდ პრესას, რამაც ჯეიმსი მისის სეპტიმუსთან მიიყვანა; მისის სეპ-ტიმუსი ნიკოლასის პატარებთან; ნიკოლასის პატარები კი ვინ იცის, ვისთან და ასე შემდეგ. იმ დიდმა კლასმა, რომელმაც ისინი შეატკბო და რომელსაც ახლა ეკუთვნოდნენ, დიდი გულწრფე-ლობა და უფრო მეტი გულჩათხრობილობა და თავდაჭერა მოით-ხოვა მათგან. თავდაჭერა და გულწრფელობა იყო ამ კლასის წევ-რად ყოფნის საწინდარი.

ახალგაზრდა ფორსაიტებიდან ბევრს ბუნებრივად მიაჩნდა და ბევრჯერ საჯაროდაც უღიარებიათ, რომ საქმეებში მათ და-მოუკიდებლობა სურდათ, მაგრამ ოჯახური მიეთ-მოეთის უხი-ლავი მაგნიტური ველი ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის ასავალ-დასავალი ნებსით თუ უნებლიეთ მაინც იცოდნენ. რაკი შეატყვეს, ოჯახური ურთიერთობის კლანჭებიდან თავის დაღწე-ვა უიმედო საქმეაო, ის ახალგაზრდებიც დინებას მიჰყვნენ.

ერთმა მათგანმა (ახალგაზრდა როჯერმა) გმირული ნაბიჯი გადადგა, ახალგაზრდა თაობის გასათავისუფლებლად ტიმოთის "ბებერი კატა" უწოდა. მაგრამ გასროლა ბუმერანგივით უკან დაბრუნდა; ამ სიტყვებმა სრულიად წესიერ, დელიკატურ ფორ-მებში მიაღწიეს პაპიდა ჯულის ყურამდე. პაპიდა ჯულიმ, რო-მელსაც არც კი უცდია, აღშფოთება დაეფარა, ეს ამბავი მისის როჯერს გადასცა და მისგან კი კვლავ ახალგაზრდა როჯერამდე მიაღწია.

ბოლოს და ბოლოს, სატანჯველში მხოლოდ ისინი ცვივოდნენ, ვინც მცდარ გზაზე იდგა. აი, მაგალითად, ჯორჯი, რომელმაც მთელი ფული ბილიარდში წააგო; ან თვითონ ახალგაზრდა როჯერი, რომელმაც კინაღამ ის ქალი შეირთო, ვისთანაც ბუნებრივი კავშირი ჰქონდა. ანდა აირენი, რომლის ამბავსაც ჯერ არავის უმხელდნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ მოლიპულ გზას ადგა.

ეს ოჯახური მითქმა-მოთქმა და ჭორები, არა მარტო სასიამოვნო, არამედ ერთობ სასარგებლო რამ გახლდათ. რამდენი დრო ჩაინავლა ამ მიეთ-მოეთში ბეისუოთერ როუდზე. ის საათები რომ ასე არ ჩანავლებულიყო, მაშინ მთელი ის დრო ხომ მძიმე გადასატანი იქნებოდა და ფუჭად ჩაივლიდა იმ სამი არსებისთვის, ტიმოთის სახლში რომ ცხოვრობდნენ; ისეთი სახლი კი, როგორიც ტიმოთისაა, აბა ვინ მოთვლის, რამდენი იყო ისეთ უზარმაზარ ქალაქში, როგორიც ლონდონია. ასეთ სახლებში შეძლებული კლასის ის წარმომადგენელნი ცხოვრობდნენ, რომლებიც თვითონ აღარ მონაწილეობდნენ არსებობისთვის ბრძოლაში და ცხოვრების მიზნად ისღა მიაჩნდათ, რომ სხვისი ბრძოლისთვის ეცქირათ და იმით დამტკბარიყვნენ.

ოჯახური ჭორიკანობისა და აქედან გამომდინარე სიტკბოების გარეშე, ბეისუოთერ როუდზე ცხოვრება მოსაწყენი და უღიმღამო იქნებოდა. ჭორი და ხმის გავარდნა, ძრახვა და კილვა, ეჭვის გამოთქმა და გუმანი სიცოცხლის ელფერს უნარჩუნებდა ტიმოთის სახლს, ვინაიდან არც ძმას და არც მასთან მცხოვრებთ შვილები არ ჰყავდათ, რომ მათ საყვარელ ჭყლოპინსა და ტიტინს მხიარულება და სიცოცხლე შეეტანა სახლში. ბავშვებზე საუბარი სასიამოვნო გახლდათ მათთვის, რადგან შეიძლებოდა მათაც

ჰყოლოდათ შვილებიცა და შვილიშვილებიც და მაშინ სანანებელიც არაფერი ექნებოდათ. ისე კი, ძალზე საეჭვოა, ნანობდა თუ არა ტიმოთი უშვილობას, რადგან უეჭველი ის გახლდათ, რომ პატარა ფორსაიტის გამოჩენაზე თავისი ემართებოდა და სულ ელეთმელეთი მოსდიოდა.

უაზრო და უსარგებლო იყო ახალგაზრდა როჯერისგან ტიმოთისთვის "ბებერი კატის" შერქმევა. ასეთივე უაზრობა იყო ეუფემიას ხელების შლა და მისებური სიცილით, წრიპინითა და ჭყავილით დაბოლოებული წამოძახილი: "ოჰ! ეს სამეული!" უმიზნო და ბოროტი იყო მათი ეს საქციელი.

მდგომარეობისთვის, რომელიც იმხანად შეიქმნა, შეიძლებოდა უცნაური გვეწოდებინა. განსაკუთრებით უცნაურად და შეუძლებლად ეს ფორსაიტებს ეჩვენებოდათ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ფაქტებს, მაშინ დავინახავთ, რომ ის სიტუაცია არც უცნაური იყო და არც შეუძლებელი.

მოვლენათა ნორმალური დინება ფორსაიტებმა ან არ გაითვალისწინეს, ან არად ჩააგდეს.

პირველ ყოვლისა იმ საწინდარმა, რომ აქამდე არც ერთ თხოვა-გათხოვებას ფორსაიტთათვის არავითარი ზიანი და ვნება არ მიუყენებია, მათ გადაავიწყა ცხოვრებისეული ჭეშმარიტება: გადაავიწყა, რომ სიყვარული სათბურის ყვავილი არ არის, რომ სიყვარული მზით ნასაზრდოები, ღამის ცვარ-ნამით ნაპკურები, უცხო, ველური მცენარეა, ველური თესლიდან გზის პირად თავისუფლად აღმონაცენი, ველური ქარით ნანანავები და ნაზარდი; ველური მცენარე, რომელიც ხანდახან ჩვენს ბაღებშიც იშლება და მაშინ ყვავილს ვეძახით, ხოლო თავისუფლად ნაზარდს ღვარ-

ძლსა და მწარე ბალახს ვუწოდებთ; მაგრამ ყვავილია თუ ღვარ-ძლი, სიყვარულს სურნელება და ფერი ყოველთვის თავისუფლად ნაზარდი, ველური აქვს.

ფაქტები და ციფრები, რაც მათი ცხოვრების საფუძველთა საფუძველს შეადგენდა, ხელს უშლიდა მათ ამ ჭეშმარიტების ჩაწ-ვდომაში. ფორსაიტები ვერ ამაღლდნენ იმის გაგებამდე, რომ ეს თავისუფლად ამოსული სიყვარული ყვავილობას როცა იწყებს, ქალებიცა და კაცებიც ცეცხლის ენებმა და სუნთქვამ უნდა შთან-თქან.

ახალგაზრდა ჯოლიონის ეშმაკობის შემდეგ დიდი ხანი იყო გასული - და იმისი საშიშროებაც არსებობდა, რომ ამ ხალხში ტრადიციად ქცეულ ამბავს ვერავინ დაარღვევდა, ტაბუს ვერა-ვინ გატეხდა და თავისუფლად ნაზარდი სიყვარულისთვის გაშ-ლილ ყვავილს ვერავინ მოწყვეტდა; ეს ის ტრადიცია გახლდათ, რომლის მიხედვით სიყვარული თუ გეწვია, წითელა ბატონები-ვით უნდა მოიხადო, კარაქითა და თაფლით შეზავებული წამლით განიკურნო, მერე ცოლქმრობის უღელში გაყო თავი და ამქვეყ-ნად მშვიდობიანად აღესრულო.

ბოსინისა და აირენის სიახლოვის ამბავმა ყველაზე მეტად ჯე-იმსი ააღელვა. მას აღარ ახსოვდა ემილისთან აშიკობის დღეები, როცა აწოწილი, ფერმკრთალი, წაბლისფერბაკენბარდებიანი აყ-ლაყუდა მოსვენებას არ აძლევდა ემილის. მის მეიფერზე(მეიფე-რი - ლონდონის ფეშენებელური კვარტალი) მდებარე ის პატარა სახლიც გადაავიწყდა, თორემ ფორსაიტს სახლს რა დაავიწყებ-და. ჯეიმსმა ხომ ის სახლი ოთხასი გირვანქა სარგებლით გაყიდა.

მან მალე გადაივიწყა მომავლის იმედითა და შიშით აღსავსე დღეები. თავის საქციელში სულ ეჭვი ეპარებოდა და იმას ფიქრობდა, კეთილგონიერებას ხომ არ ვუღალატე, ემილიზე რომ დავქორწინდიო (რადგან მშვენიერ ემილის არაფერი გააჩნდა, ხოლო თვითონ ჯეიმსი წელიწადში ათას გირვანქაზე მეტს ვერ შოულობდა). გადაავიწყდა, რომ იმხანად უცნაური და მოურევნელი წადილის გრძნობა დაეუფლა, რომელმაც ისე შეიპყრო, რომ გულში გადააწყვეტინა: სჯობს მოვკვდე, თუ ის გოგონა, ასე მოხდენილად რომ აქვს უკან გადავარცხნილი მარყუჟით შებნეული ქერა თმა, ხელში ვერ ჩავიგდეო. მერე რა მშვენიერი მხრები ჰქონდა, რა მადისამშლელად აჩნდა ტანზე შემოტმასნილ კორსაჟში ისედაც ლამაზად მოყვანილი გულმკერდი, როგორ დაარწევდა ლერწამივით ტანსა და სავსე თეძოებს, რომელთა მომხიბვლელობას ხაბარდა კაბაც კი ვერ ფარავდა.

იმ დროს ჯეიმსი ემილის სიყვარულის ცეცხლით იწვოდა, მაგრამ მას მერე დიდმა დრომ გაიარა. ჯეიმსს წელთა სიმრავლის მდინარემ ჩამოუარა, კარგა ხნით წინათ გაჩენილი ხანძარი ჩაუქრო და სიყვარულისგან განბანა; ცხოვრებამ ჯეიმსსაც შეახო მსახვრალი ხელი და ყველაზე უფრო სანაღვლო დამღა დაასვა - გადაავიწყა, რა იყო სიყვარული.

გადაავიწყა! და იმდენი ხნით წინათ, რომ აღარც ახსოვდა, როდის გადაავიწყდა.

ახლა საკუთარი შვილის მეუღლეზე დარხეული ხმები მისწვდა მის სმენას, ძალიან ბუნდოვანი, გაურკვეველი. ჩრდილივით დაწვა ეს ხმები გრძნობადი, პატიოსანი, გულწრფელი მოვლენე-

ბის ფონზე, დაწვა და, როგორც ეს არარეალურ მოჩვენებებსა და ამოუცნობ ზმანებებს სჩვევია, თან წარიტაცა ეს აუხსნელი შიში.

ჯეიმსი ცდილობდა გარკვეულიყო ამბებში, ამოეცნო სინამდვილე, მაგრამ ესეც იმდენადვე გაუგებარი იყო მისთვის, როგორც საღამოს გაზეთში ამოკითხული რომელიმე ტრაგედიის ამბავი. მას უბრალოდ არ შეეძლო საქმის არსს ჩასწვდომოდა. მისი აზრით, სინამდვილეში იმ დარხეულ ხმებში მნიშვნელოვანი არაფერი იქნებოდა. ალბათ ყველაფერი მათი გამოგონილი სისულელე იქნება. მართალია, სომსი და აირენი ისე ვერ არიან ერთმანეთთან, როგორც უნდა იყვნენ, მაგრამ აირენი ხომ შესანიშნავი პატარა ქმნილებაა, შესანიშნავი პატარა ქმნილება!

როგორც ადამიანთა უმრავლესობას სჩვევია, ჯეიმსსაც უყვარდა სკანდალური ამბები და მათზე ლაპარაკი. იგი ხშირად ტუჩებს გაილოკავდა ხოლმე და საქმიანი კაცის ტონით იტყოდა; "დიახ, დიახ, ის და ახალგაზრდა დაისონი, ასე გადმომცეს, მონტე კარლოში ერთად ცხოვრობენო!"

მაგრამ ჯეიმსი არასოდეს დაფიქრებულა ასე წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე და, ერთი სიტყვით, იმაზე, თუ რა წარმოშობს მათ და რატომ ხდება ასე, რა არის ამ ამბების ნამდვილი მნიშვნელობა. რა წამება, წვალება და აღტაცება იყო მისი შინაარსი, როგორი ნელი მტანჯველი ბედი ეუფლებოდა მის მონაწილეთ, რა ბედნიერებას ანიჭებდა ეს ხანმოკლე სიყვარული მათ, როგორი შიშველი, ბინძური, ანგარებიანი, ხან კი გაცისკროვნებული, მწვავე და სურნელოვანი ჩანდა ხანდახან ყოველივე. ჯეიმსს არ სჩვეოდა, ბრალი დაედო, შეეფასებინა, გაეკიცხა, ან ემსჯელა და დასკვნები გამოეტანა გაგონილი ამბებიდან; ის მხოლოდ ხარბად

ისმენდა ყოველივეს, რასაც ეუბნებოდნენ, და მერე სხვებს გადასცემდა, რაც ისეთსავე სიამოვნებას ჰგვრიდა, როგორც ხერესის დალევა ან საჭმელში ცხარე სანელებლის ჩაყრა.

როცა ეს ამბავი, ჭორები, თუ მათგან წარმოშობილი და მონაქროლი ხმები თვითონ მას შეეხო, ჯეიმსმა თავი ნისლში მყოფივით იგრძნო, ეს ნისლი კი პირში ძალზე უსიამოვნო გემოს უტოვებდა და სუნთქვას უშლიდა.

აურზაური! შესაძლოა ამას დიდი აურზაური მოჰყვეს!

ამის გამეორება იყო მისთვის ერთადერთი გზა, რათა ეს სიტყვა აზროვნების ფოკუსში მოექცია, მის შინაარსზე ეფიქრა და მის არსს ჩასწვდომოდა. მას გადაავიწყდა, რომ გრძნობა აუცილებელი რამ იყო წინსვლისა და ბედის ძიების ასახსნელად. მისი გონებისთვის მიუწვდომელი და ძნელად მისახვედრი იყო ის, რომ ხალხს შეეძლო გრძნობებისა და ვნებათა გამო რისკის გაწევა.

მის ნაცნობებზე, რომლებიც ყოველდღე სიტიში იყვნენ, იქ თავიანთ საქმეებს აჭახრაკებდნენ, აქციებსა და სახლებს ყიდულობდნენ, სადილობდნენ, სხვადასხვა აზარტულ თამაშშიც კი იყვნენ ჩაბმულნი, მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, სასაცილო იქნებოდა, თუნდაც რომელიმე მათგანზე იმის გაფიქრება, რომ ისეთი ბუნდოვანი და იგავური რამისთვის, როგორიც ვნებაა, რისკი გასწიო.

ვნება, გატაცება! ამაზე ნამდვილად სმენია, სმენია, კარგად ახსოვდა წესიც, რომ: "ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ უნდა შეატოვო", რომელიც ისე ჰქონდა თავში ჩაბეჭდილი, როგორც გეოგრაფიულ რუკაზე პარალელებია აღბეჭდილი (როცა საქმე ძირითად პრინციპებსა და ფაქტებს ეხებოდა, უკლებლივ ყველა

ფორსაიტი სინამდვილეს ჭეშმარიტად რეალისტურად უდგებოდა), მაგრამ დანარჩენ ყველაფერს ჯეიმსი ერთი სიტყვით - აურზაურით ნათლავდა.

აჰ! მაგრამ ამ ამბავში იოტისოდენი სიმართლე არ უნდა ერიოს. შეუძლებელია! არა, მას არ ეშინია, რადგან აირენი მართლაც შესანიშნავი პატარა ქმნილებაა. მაგრამ თავში თუ ერთხელ ასეთმა აზრმა გაგიელვა, მერე მორჩა, მოსვენებას დაკარგავ! თვითონ ჯეიმსი ნერვიული ბუნებისა გახლდათ და თუ ერთხელ რამე აეკვიატებოდა გონებაში, მერე მოვლენების წინასწარხედვა, საკუთარი მერყეობა და გაუბედაობა უღებდა ბოლოს. მას ეშინოდა, ისე არ ემოქმედა, რომ დაეკარგა, რისი შენარჩუნებაც შესაძლებელი იყო. მას ფიზიკურად არ შეეძლო რაიმე გადაწყვეტილება მიეღო, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ თავისი მოქმედებით საქმეს უშველიდა.

მაგრამ ცხოვრებაში ბევრი შემთხვევა იყო ისეთი, როცა გადაწყვეტილების მიღება მარტო ჯეიმსზე არ იყო დამოკიდებული და ესეც ერთი ამნაირ შემთხვევათაგანი გახლდათ.

რა უნდა ეღონა? სომსს მოლაპარაკებოდა? ამით საქმეს საბოლოოდ გააფუჭებდა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს მითქმა-მოთქმა და აურზაური არაფრის გამო ხდება, ნამდვილად უმიზეზოდ, ასე დაასკვნა ჯეიმსმა.

ყველაფერი კი სახლის მშენებლობის ბრალია. ეს იდეა ჯეიმსს თავიდანვე არ მოსწონდა. რისთვის აიჩემა სომსმა ქალაქგარეთ დასახლება? თუ მაინცდამაინც ფულის განიავება უნდოდა, ვინმე ხეირიანი არქიტექტორი მაინც მოეძებნა. რაღა ამ ბოსინის მიახტა, მას ხომ არავინ იცნობს. ჯეიმსმა კი თავის დროზე გააფრთხი-

ლა სომსი, ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანსო. ახლა ყური მოჰკრა, სახლის მშენებლობა გაცილებით იმაზე მეტი ჯდება, ვიდრე სომსი ვარაუდობდაო.

ამან ყველაზე მეტად შეაფიქრიანა ჯეიმსი. სწორედ ეს ამბავი დაეხმარა, კარგად გაეთვალისწინებინა მდგომარეობის მთელი საშიშროება. ამ "ხელოვნების" ხალხისთვის ხომ კანონი არ არსებობს: ჭკუაზე მყოფი კაცი მათთან საქმეს არც დაიჭერს. ჯეიმსმა ხომ აირენიც გააფრთხილა. აი, რით დაამთავრა ყოველივე!

უეცრად გონებაში გაუელვა, რომ წასულიყო და საკუთარი თვალით ენახა სახლის მშენებლობა. იმ აზრმა, რომ შეეძლო სახლის სანახავად წასულიყო, ჯანღშემოჯარული გონება გაუთავისუფლა და ენით უთქმელი სიამოვნება მიანიჭა. შეიძლება უბრალოდ გადაწყვეტილების მიღებამ, რომ რამე გაეკეთებინა - იქნებ უფრო მეტად იმან, რომ წავიდოდა და სახლს ნახავდა - ჯეიმსი მტანჯველი ფიქრებისგან გაათავისუფლა.

ჯეიმსს ეგონა, რომ თუ აგურებს, ქვას, დუღაბს, ხის მასალასა და მთელ შენობას, რომელიც ეჭვმიტანილი კაცის მიერ იყო ნაშენი, საკუთარი თვალით გულდასმით დაათვალიერებდა, იმ ხმების გულშიც შეიჭრებოდა, რომელიც აირენს გაუვრცელეს.ჯეიმსს არავისთვის გაუმხელია, რობინჰილში მივდივარო, ისე გავიდა სადგურში და მატარებელში ჩაჯდა. ადგილზე მისულმა ტრანსპორტი ვერ იშოვა და იძულებული იყო, სახლისკენ მიმავალ გზას ფეხით გასდგომოდა.

იგი ნელა შეუყვა აღმართს. მაღალი მხრებისა და მუხლების მოხრა უჭირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქიზად და მოხდენილად გამოიყურებოდა. მაღალ ცილინდრსა და გაკაწკაწებულ

პალტოს მზრუნველი მომვლელის ხელი ემჩნეოდა. ემილი ქმრის ტანსაცმელს ყურადღებას არ აკლებდა. რაღა თქმა უნდა, თვითონ არ წმენდდა - შეძლებული ხალხი თვითონ არ ათვალიერებს, პალტოს ღილები აკლია, თუ ღილკილო აქვს ამორღვეული - ემილი შეძლებული ოჯახის დიასახლისი გახლდათ და განსაკუთრებით ზრუნავდა, რომ მოურავს მისი ქმრის ტანსაცმლისთვის ყურადღება მიექცია.

ჯეიმსმა სამჯერ იკითხა გზა. მიასწავლიდნენ თუ არა, მათი თანდასწრებითვე იმეორებდა, მერე სთხოვდა, კვლავ გამიმეორეთო და შემდეგ ისევ თვითონ იმეორებდა. ამისი მიზეზი ადვილი ასახსნელია, ჯერ ერთი, რომ ბუნებით ლაქლაქა იყო და, მეორეც, იფიქრა, უცხო ადგილას ვარ, და სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

ყველას დაბეჯითებით არწმუნებდა, ახალ სახლს ვეძებო, და მხოლოდ მაშინ დაიჯერა, გზა სწორად უსწავლებიათო, როცა ხეებს შორის სახლის სახურავს მოჰკრა თვალი.

ღრუბლებით დამძიმებული ცა კირის ხსნარით გათეთრებული ჭერივით დასწოლოდა დედამიწას. ნიავი არ იძვროდა. ჰაერში ვერც ბალახის სურნელს იგრძნობდით. ასეთ დროს ინგლისელი მუშაც კი იმდენს შრომობს, რაც ნორმით უნდა შეასრულოს. ჯეიმსის მისვლის დროს მშენებლობაზე არც ის გაცხოველებული ლაპარაკი ისმოდა, რომელიც მძიმე შრომას აადვილებს ხოლმე.

დაუმთავრებელი სახლის გასასვლელებსა და ოთახებში ზანტად მიმოდიოდნენ პერანგისამარა მუშები; ჩაქუჩის, ლითონის მტვრევის, ხერხვისა და ფიცრებზე ნელა მგორავი ურიკის ხმაური ერთმანეთში ირეოდა სამუშაოს მწარმოებელის ძაღლი

მუხის კოჭზე რომ გამოებათ, ხანდახან ისე უღონოდ წკმუტუნებდა, იფიქრებდით, ძაღლი კი არ წკმუტუნებს, ჩაიდანში წყალი შიშინებსო.

ცარცწასმული, ახალჩასმული ფანჯრის მინები ჯეიმსს თვალებზე ლიბრგადაკრულ ბრმა ძაღლივით შეჰყურებდნენ.

მშენებლობის მკვეთრი ხმაური ცის უსასრულობას ერთვოდა, ახალამოთხრილ მიწაში მატლებზე მონადირე შაშვები კი დადუმებულიყვნენ.

ჯეიმსმა ქვიშის გროვებს შორის გაიარა. სახლისკენ გაკვალულ გზას გაუყვა და ტალანს მიადგა. აქ შეჩერდა და მაღლა აიხედა. იმ ადგილიდან სანახავი ბევრი არაფერი ჩანდა, მაგრამ რაც იყო, ჯეიმსის თვალის გუგებზე სწორედ ის აისახა. აქ იგი კარგა ხანს იდგა და, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა.

პატარა რქებივით ნაზარდ თეთრ წარბებს ქვეშიდან გამომზირალი ჩინური მოყვანილობის ლურჯი თვალები გაუშეშდა. თეთრი ქილვაშით ჩარჩოშემორტყმული საკმაოდ გრძელი ზედა ტუჩი რამდენჯერმე აუკანკალდა. ჯეიმსის ჩაფიქრებულ მწუხარე სახეს თუ დააკვირდებოდით, ადვილად დაადგენდით, ვისგან გამოჰყოლოდა სომსს ის შეწუხებული, კუშტი იერი, რომელიც ხშირად აჩნდა ხოლმე სახეზე. ჯეიმსი თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა, - არ ვიცი, ეს ცხოვრება ძალზე რთულიაო!

სწორედ ამ დროს თავს ბოსინი წაადგა.

ჯეიმსმა მზერა ცას მოსწყვიტა და ბოსინის მიაპყრო, რომელსაც სახეზე კეთილი, მაგრამ ამავდროულად დამცინავი და ზიზღნარევი გამომეტყველება აღბეჭდოდა.

- გამარჯობათ, მისტერ ფორსაიტ! საკუთარი თვალით გსურთ იხილოთ სახლი?

როგორც ვიცით, ჯეიმსი სწორედ ამისთვის იყო მოსული და თავი უხერხულად იგრძნო, თუმცა ბოსინის ხელი გაუწოდა და მოიკითხა:

- გამარჯობათ! როგორ ხართ? - ისე იკითხა, რომ სახეზე არც შეუხედავს.

ბოსინიმ დამცინავი ღიმილით დაუთმო გზა და წინ გაუშვა. ამ თავაზიანობამ ჯეიმსს ერთგვარი ეჭვი აღუძრა.

- პირველ ყოვლისა, მსურს გარშემო შემოვუარო სახლს და ვნახო, რა გააკეთეთ!

სახლს სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მრგვალად ნათალი ქვით ამოშენებული ტერასები ერტყა. ეს ტერასები ორი-სამი დუიმით იყო წინ წაწეული და მარცხნივ დახრილი. ისინი უკვე ფხვიერი მიწით ამოევსოთ და ზევიდან დასაფენი ბელტებიც მოემზადებინათ. ჯეიმსი სწორედ ამ ტერასებს გაუყვა.

- რა დაჯდა ამის გაკეთება? - იკითხა ჯეიმსმა, როცა დაინახა, რომ ტერასი სახლის კუთხესთან უხვევდა და იქით მხარესაც გრძელდებოდა.

- თქვენ რამდენს ფიქრობთ? - დაინტერესდა ბოსინი.

- მე საიდან უნდა ვიცოდე, - ცოტა დაბნეულად თქვა ჯეიმსმა, - ალბათ, ორასი ან სამასი გირვანქა.

- ნამდვილად ასეა.

ჯეიმსმა გამჭოლი მზერა ესროლა ბოსინის, მაგრამ არქიტექ-ტორს თითქოს არც უგრძნია ეს და ჯეიმსმა იფიქრა, პასუხი ალ-ბათ კარგად ვერ გავიგონეო.

ბაღთან რომ მივიდნენ, ჯეიმსი შედგა და ხედის დათვალიერე-ბა მოინდომა.

- ეს უნდა მოიჭრას, - თქვა მან და მუხაზე მიუთითა.

- თქვენ ასე ფიქრობთ? გგონიათ, რომ თუ ხე დარჩება, ხელს შეგიშლით და გადახდილი ფული მეტისმეტად ბევრი იქნება იმ ხედისთვის, რაც აქედან გამოჩნდება?

ჯეიმსმა კვლავ ეჭვის თვალით შეხედა ბოსინის, "ეს ახალგაზ-რდა ძალზე უცნაურად მსჯელობს".

- ჰო, მაგრამ რად გინდათ ეს ხე? - ნერვიულად აუწია ხმას შეშ-ფოთებულმა ჯეიმსმა.

- ხვალვე მოვაჭრევინებ, - უპასუხა ბოსინიმ.

ჯეიმსი კიდევ უფრო მეტად შეშფოთდა.

- ოჰ! - წარმოთქვა მან, - ნურავის ეტყვით, რომ მე ვთქვი, მოჭერით-მეთქი. მე რა ვიცი, უნდა მოჭრათ თუ არა.

- არ მოვჭრა?

ჯეიმსი კიდევ უფრო მეტად აღეგზნო.

- მე რა მესაქმება მაგ ხესთან, ყველაფრის პასუხისმგებელი თვითონ თქვენ ხართ.

- ნებას დამრთავთ, რომ თქვენი სახელით მოვჭრა?

ჯეიმსი ახლა კი ნამდვილად შეშინდა.

- მე არ ვიცი, რაში გჭირდებათ ჩემი სახელის ხსენება! - ჩაიბურტყუნა მან, - დატოვეთ ეგ მუხა თავის ადგილზე, იგი ხომ თქვენი საკუთრება არ არის!

ჯეიმსმა აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი შეიმშრალა. ისინი სახლში შევიდნენ. შიდაეზოს ხილვაზე ჯეიმსი სუითინივით სახტად დარჩა.

- ეტყობა, ამაზე ბევრი ფული დახარჯეთ, - შენიშნა ჯეიმსმა, - როცა კოლონები და გალერეა დაინახა, - აბა, რამდენი დაჯდა მარტო ეს კოლონები?

- ასე ერთბაშად სწორად ვერ გეტყვით, - დაფიქრებით უპასუხა ბოსინიმ, - მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ამ კოლონებზე დიდძალი თანხა დაიხარჯა.

- ეგრეც ვიცოდი, - თქვა ჯეიმსმა, - ეგრეც... - მან არქიტექტორს შეხედა თვალებში და ლაპარაკი შეწყვიტა. ამის შემდეგ, როცა რაიმეს მიადგებოდნენ და ჯეიმსს მისი ღირებულების შეტყობა მოესურვებოდა, იგი ცნობისმოყვარეობას გულში იმარხავდა და აღარაფერს კითხულობდა.

ეტყობა, ბოსინის გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველაფერი ეჩვენებინა ჯეიმსისთვის და ამ უკანასკნელს რომ ძალიან ფხიზელი თვალი არ ჰქონოდა, არქიტექტორი ალბათ მეორედ შემოატარებდა სახლის გარშემო. ამავე დროს ბოსინი ისეთი ხალისით პასუხობდა კითხვებზე, რომ ჯეიმსმა გადაწყვიტა გაფრთხილებულიყო და კითხვებისგან თავი შეეკავებინა. მართალია, მისი აწონილი, კაფანდარა სხეული ძარღვიანი და ამტანი იყო, მაგრამ იგი სამოცდათხუთმეტი წლისა გახლდათ და უკვე დაღლა დაეტყო.

ჯეიმსს ხასიათი წაუხდა. ბუნდოვანი იმედი ჰქონდა, ყველაფერს დაწვრილებით შევიტყობო და იმაზე მეტი ვერა გაიგო რა, რაც სახლის დათვალიერებამდე იცოდა; ბოსინისადმი სიძულვილი და უნდობლობა კიდევ უფრო გაუძლიერდა. ამ ახალგაზრდამ

თავისი ზრდილობითა და თავაზიანობით არაქათი გამოაცალა. გარდა ამისა, ჯეიმსმა ბოსინის საქციელში აბუჩად აგდება და გამასხარავება დალანდა.

ბოსინი იმაზე ჭკვიანი, გონიერი და შნოიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჯეიმსი ფიქრობდა და იმედოვნებდა. ამ ახალგაზრდას ისეთი შეხედულება ჰქონდა, რომელსაც "არაფერი გაუკვირდებოდა", ასეთებისთვის ყველაფერი "სულერთია" და ისინი "ყოველგვარ რისკს გასწევენ". ამ თვისებებს კი ჯეიმსის თვალში გროშის ფასი არ ჰქონდა და ასეთ ხალხს ვერც იტანდა იგი.

- რომ არ მოელი, მაშინ გაიღიმებს. თვალებიც უცნაური აქვს, - განაცხადა მან ემილისთან საუბარში.

ჯეიმსმა მას "მშიერი კატა" უწოდა. იმ გაგულისებამ, დაუნდობლობამ და გამასხარავებამ, რაც ბოსინის საქციელში ამოიკითხა, ჯეიმსს მეტის საშუალება არ მისცა.

როცა ყველაფერი ნახა და დაათვალიერა, უკან იმავე კარიდან გამოვიდა, რომლითაც პირველად შევიდა. მისი აზრით, დრო უქმად, ძალა უმიზნოდ და ფული უშედეგოდ იყო დახარჯული. ჯეიმსმა ფორსაიტული მხნეობა მოიკრიბა, ბოსინის მკაცრად გადახედა და თქვა:

- თქვენ ჩემს რძალს ხშირად ხვდებით; რას ფიქრობს სახლზე? თუმცა, მგონი, ჯერ არც უნახავს, არა?

ეს თქვა, თუმცა მშვენივრად იცოდა აირენის ვიზიტის ამბავი. მართალია, ამაში ცუდი არც არაფერი იყო, აირენს რომ უცნაურად არ ეთქვა: "ჩემთვის სულერთია, თუნდ სულაც ნუ მიმიყვანთ სახლშიო", - და ჯუნს ეს სიტყვები აგრერიგად არ განეცადა!

ჯეიმსს ამ კითხვით სურდა აეძულებინა ბოსინი იმაზე ელაპარაკა, რაც თვითონ უნდოდა და აინტერესებდა.

ბოსინიმ პასუხი დააგვიანა, მანამდე კი ჯიქური მზერით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ჯეიმსი.

- აირენმა დაათვალიერა სახლი, მაგრამ არ ვიცი, რა აზრისა დარჩა.

აღელვებულმა და ჩიხში მომწყვდეულმა ჯეიმსმა თავი ველარ შეიკავა.

- აჰ! - წარმოთქვა მან, - მაშ, აირენმა ნახა სახლი? ალბათ სომსმა მოიყვანა?

ბოსინიმ ღიმილით უპასუხა:

- ოჰ, არა!

- რაო, მარტო მოვიდა?

- აჰ, არა!

- მაშ, ვინ მოიყვანა?

- არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება გითხრათ, ვინც ახლდა.

ჯეიმსმა კარგად იცოდა, რომ აირენი სუითინთან ერთად იყო სახლის სანახავად და ამიტომ ბოსინის პასუხი გაუგებრად მოეჩვენა.

- რატომ? - ენის ბორძიკით წამოიწყო ჯეიმსმა, - თქვენ ხომ იცით... - მაგრამ უცებ შეატყო, რომ მოლიპულ გზას ადგა და შეჩერდა, - ძალიან კარგი, - თქვა მან, - თუ არ გსურთ, ნურც მეტყვით. მე ხომ არავინ არაფერს მეუბნება.

მისდა გასაოცრად ბოსინიმ კითხვით მიმართა:

- სხვათა შორის, თქვენიანებიდან კიდევ ხომ არავინ აპირებს მოსვლას? მინდა ადგილზე დავხვდე.

- ვინმე? - იკითხა დაბნეულმა ჯეიმსმა, - ვინ უნდა მოვიდეს? არა, არაფერი ვიცი. კარგად იყავით.

ჯეიმსმა ბოსინის ხელი ისე გაუწოდა და ჩამოართვა, რომ თვალები ზევით არ აუწევია. მერე ქოლგას ზედ აბრეშუმთან მოჰკიდა ხელი და ტერასის გასწვრივ მიმავალ გზას გაუყვა.

ვიდრე კუთხეში მოუხვევდა, ჯეიმსმა უკან მიიხედა და დაინახა, რომ ბოსინიც იმავე გზას მოჰყვებოდა, რომელიც თვითონ ესეს არის გამოიარა. "მშიერი დიდი კატა ქურდულად მოჰყვება კედელს", - გაიფიქრა ჯეიმსმა. ახალგაზრდა კაცმა ქუდი მოუხადა, მაგრამ ჯეიმსს ეს ამბავი აინუნშიც არ ჩაუგდია.

როცა ბოსინის თვალს ასცდა და მთავარ გზას დაადგა, ნაბიჯი კიდევ უფრო შეანელა. ჩვეულებრივზე მეტად მოხრილი, ჩამომხმარი, მშიერი და სულიერად დაქანცული ნელა წაჩანჩალდა სადგურისკენ.

"მეკობრემ" რომ შეატყო, რა მხნეობადაკარგული და მოწყენილი გაბრუნდა მოხუცი ჯეიმსი, საკუთარმა საქციელმა შეაწუხა.

თავი მეხუთე

ბოსინისა და სომსის მიმოწერა

ჯეიმსს რობინჰილში ყოფნაზე შვილისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა ტიმოთისას შეიარა კანალიზაციის გაყვანის თაობაზე, რასაც ბეისუოთერ როუდზე ქალაქის სანიტარიული სამსახურის მესვეურები აძალებდნენ, სახლის მშენებლობაც ახსენა.

სახლი, როგორც თვითონვე თქვა, ურიგო არ იყო. თუ მოინდომებენ, იქნებ რაღაც გამოვიდეს. ჩანს, ის ახალგაზრდა არქიტექტორი ჭკვიანია, მაგრამ მთავარი ისაა, რა დაუჯდება სომსს სახლის მშენებლობა!

ეუფემია ფორსაიტი, რომელიც იმისთვის მოსულიყო პაპიდასთან, რომ ეთხოვა სკოულზის რომანი "ვნება და მისი დაცხრომა", რომელზეც ერთი მითქმა-მოთქმა იყო ბოლო ხანებში ატეხილი, თვითონ ჩაერია საუბარში.

- გუშინ მაღაზიაში ვნახე აირენი და ბოსინი, ძალზე მეგობრულად მასლაათობდნენ.

ეუფემიამ ასე უბრალოდ წარმოადგინა ბოსინისა და აირენის შეხვედრის სცენა, რომელმაც თვითონ მასზე მეტად დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ეუფემია მიეშურებოდა უნივერ-

სალურ მაღაზიაში, რომ საეკლესიო-ეკონომიკური საზოგადოების განყოფილებაში მუქი ჟოლოსფერი აბრეშუმის ქსოვილი ეყიდა დედისთვის, რომელიც დაბლა ეტლში ელოდებოდა. ეს მაღაზია ისეთ მომხმარებელს არჩევდა, რომელიც ნივთის მიღებამდე ფულს წინასწარ იხდიდა. ეს აქ მიიჩნეოდა საუკეთესო სისტემად, რომელსაც ფორსაიტები დიდად აფასებდნენ და რეკომენდაციასაც უწევდნენ.

გზად მიმავალ ეუფემიას მაღაზიის ერთ კუთხეში ზურგშექცევით მდგარმა ლამაზი ტანის ქალმა მოსწყვიტა მზერა. ის ისეთი ლამაზი და მომხიბლავი ჩანდა, ისე კოხტად იყო ჩაცმული, რომ ეუფემიას ეჩვენა, ასეთ მიმზიდველობასა და და სილამაზეს წესიერებასთან საერთო არა აქვს რაო. ასეთი აღნაგობა, ეუფემიას აზრით, ინტუიციით უფრო, ვიდრე გამოცდილებით, იშვიათად იყო დაკავშირებული სათნოებასა და უმანკოებასთან. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა თვითონ ეუფემია, რადგან მის ზურგზე კაბის მორგებას დიდი ვაი-ვაგლახი სჭირდებოდა და საბოლოოდ მაინც კარგად არ ედგა ხოლმე.

მისი ეჭვი მაშინვე დადასტურდა; ვიღაც ახალგაზრდა, იმ უცნობ მომხიბვლელ ქალს ქუდის მოხდით მიესალმა, და იმწამსვე მასთან მივიდა.

სწორედ მაშინ იცნო ეუფემიამ ის, ვისაც ამდენ ხანს უთვალთვალა. ქალი მისის სომსი აღმოჩნდა, კაცი კი მისტერ ბოსინი. ეუფემიამ უმალ მოისაზრა, რომ დიდად უხერხული იქნებოდა ამანათებით ხელში გამოჩენა და ისიც ასე დილაადრიან, ამიტომ ისე მოიქცა, თითქოს წამით შემოირბინა ტუნისური ხურმის სა-

ყიდლად, და მათი ხანმოკლე შეხვედრის უნებური, მაგრამ დაინტერესებული მოწმე შეიქნა.

ჩვეულებრივ ფერმიხდილ მისის სომსს ღაწვები შეჰფაკლოდა. ბოსინი ძალზე უცნაურად იდგა, თუმცა მაინც მიმზიდველი ჩანდა (ეუფემიას აზრით, მისტერ ბოსინი სხვა მამაკაცებისგან გამორჩეული, მოხდენილი გარეგნობის ყმაწვილი გახლდათ. ჯორჯის მიერ ბოსინისთვის შერქმეული "მეკობრე" კი ეუფემიას რომანტიკულად და მომხიბვლელად ეჩვენებოდა). ეტყობა, ბოსინი რაღაცას ემუდარებოდა აირენს. ისე იყვნენ გართული საუბრით, თუმცა აირენი მეტწილად დუმდა და მხოლოდ ბოსინი ლაპარაკობდა, რომ თავისდა უნებურად სხვებს გზა გადაუღობეს და ვაჭრობაში ხელი შეუშალეს. ერთი სიმპათიური, ხნიერი გენერალი სიგარებისკენ მიდიოდა, მაგრამ იძულებული გახდა, მათ გარშემო შემოევლო და, როცა მისის სომსის სახეს მოჰკრა თვალი, სასწრაფოდ ქუდი მოიხადა. გამოთაყვანებული ბებერი! მაგრამ როგორ დამახასიათებელია ეს კაცებისთვის.

მისის სომსის თვალებმა და გამოხედვამ ხომ მთლად გადარიეს ეუფემია. ვიდრე ელაპარაკებოდა, მისის სომსს არც ერთხელ არ შეუხედავს ბოსინისთვის, მაგრამ როცა წავიდა, მაშინ კი გაადევნა მზერა და მერე როგორი თვალებით.

აირენის იმ გამოხედვაზე ეუფემიამ ძალიან ბევრი იფიქრა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი არა მარტო შავი თვალების სინაზემ და ეშხმა განაცვიფრეს, არამედ იმანაც, რაც იმ თვალებში ამოიკითხა, თითქოს ქალს ვაჟის უკან დაბრუნება და თავისი სიტყვების გადათქმა სურდა.

ეუფემიას დედისთვის აბრეშუმი უნდა ეყიდა და თვალთვალის დრო აღარ ჰქონდა, მაგრამ მომხდარი ამბით ძალზე დაინტერესებული და ცნობისმოყვარეობაგაღიზიანებული გახლდათ. იგი მისის სომსს მიესალმა, რათა ამ უკანასკნელს სცოდნოდა, რომ წაასწრეს. როცა თავის მეგობარ ფრენსისს (როჯერის ქალიშვილს) ამ ამბავს უყვებოდა, ასე დაასრულა:

- როგორ დაიბნა!..

ჯეიმსს არ უნდოდა თავისი მტანჯველი ეჭვი კიდევ რამე ახალი ამბით განემტკიცებინა და ეუფემიას პასუხად ესა თქვა:

- ოჰ, ეჭვი არ მეპარება, შპალერს არჩევდნენ.

ეუფემიამ გაიცინა. იმ განყოფილებაში შპალერს რა უნდაო, წყნარად შენიშნა, "ვნება და მისი დაცხრომა" აიღო მაგიდიდან და პაპიდას ჰკითხა:

- მაშ, ნებას მაძლევთ, რომ ეს წიგნი წავიკითხო, არა? - კარგად იყავითო, - ჩაილაპარაკა და წავიდა.

ჯეიმსიც მაშინვე წამოდგა, მან ხომ ისედაც დააგვიანა წასვლა.

ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტის კონტორას რომ გაუსწორდა, შიგ შეიხედა და მბრუნავ სკამზე მჯდარ სომსს მოჰკრა თვალი. იგი რაღაც თავდასაცავი დოკუმენტის წერაში იყო გართული. მიესალმა თუ არა, სომსმა მაშინვე ჯიბიდან წერილი ამოიღო, მამას გაუწოდა და უთხრა, წაიკითხე, შენთვისაც საინტერესო საბუთიაო.

ჯეიმსი წერილის კითხვას მოჰყვა:

"309 დ. სლოუნსტრიტი, 15 მაისი.

ძვირფასო ფორსაიტ,

თქვენი სახლის მშენებლობა ამჟამად დამთავრებულია. ჩემი, როგორც არქიტექტორის, მოვალეობა ამოწურულად მიმაჩნია. სახლის შინაგანი მორთვა და მოხატვა თქვენი თხოვნით მე ვიკისრე, მაგრამ ამაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგთანხმდებით, თუ ჩემს საქმეებში არავინ ჩაერევა.

თქვენ მშენებლობაზე ისე არ მოსულხართ, რომ ჩემი გეგმის საწინააღმდეგო რაიმე მოსაზრება არ გამოგეთქვათ. მე ხელთა მაქვს თქვენი სამი წერილი. ყოველ მათგანში დაჟინებით მოითხოვთ ისეთი წვრილმანების გაკეთებას, რაც მე არც დამესიზმრებოდა. გუშინ მშენებლობაზე იყო მამათქვენი, რომელმაც ძვირფასი წინადადებანი და რჩევა-დარიგებაც მომცა.

გთხოვთ გადაწყვიტოთ, სახლის შიდა მორთვა-მოხატვას მე მომანდობთ თუ არა. მე თუ მკითხავთ, უკანასკნელს გირჩევდით.

მაგრამ გახსოვდეთ, თუ მე დამევალება მორთვა-მოხატვის სამუშაო, ჩემი შეხედულებისამებრ ვიმოქმედებ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე!

თუ საქმეს მოვკიდებ ხელს, სრულყოფილად უნდა გავაკეთო, მაგრამ მე უნდა თავისუფალი ვიყო.

გულწრფელად თქვენი, ფილიპ ბოსინი".

ასეთი წერილის დაწერის მიზეზი ძნელი ასახსნელია. ზუსტად ვერ გამოიცნობ და ნაუცბადევად ახსნა კი შეუძლებელია. იქნებ ბოსინი სომსის უხეშმა ჩარევამ ააღელვა. ან იქნებ ის წერილი იყო ხელოვნებასა და საკუთრებას შორის ოდითგანვე არსებული მუდმივი დავის კიდევ ერთხელ გამომზეურება, დავისა, რომელიც ჩვენს დროში უფრო სხარტად არის გადაჭრილი და მოგვა-

რებული. ვიდრე ტაციტთან(ტაციტი - ძველი რომაელი ისტორიკოსი (55-120 წწ.)):

თ.ტ. სოროუ, გამომგონებელი.

ბერტ. მ. პედლენდი, გამოგონების მესაკუთრე.

- რა პასუხს მისწერ? - ჰკითხა ჯეიმსმა.

სომსს თავი არ მიუბრუნებია, ისე უპასუხა, ჯერ არ გადამიწყვეტიაო, და წერა განაგრძო.

ერთ-ერთი კლიენტისთვის, რომელსაც სხვის მიწაზე ედგა შენობები, მოულოდნელად გამოეცხადებინათ, შენობები დაშალე და მასალა სადაც გინდა, იქ გადაზიდეო. ფაქტების გულმოდგინე შესწავლამ სომსი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მის კლიენტს ეგრეთ წოდებული მფლობელობის უფლება ჰქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ მიწა სხვას ეკუთვნოდა, შეეძლო შეენარჩუნებინა ნაგებობანი და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაეშვა, რაკი ეს რჩევა თვითონ მარწმუნებელმა გასცა, დანარჩენი, მეზღვაურების ტერმინით: "რომ სწორედ აგრე იყოს", უნდა შესრულებულიყო.

სომსს საქმოსანთა წრეში მტკიცე და საღად მოაზროვნე კაცის რეპუტაცია ჰქონდა. ხალხში მასზე ამბობდნენ: წადი ახალგაზრდა ფორსაიტთან და გონივრულ რჩევას მოგცემსო. თვითონ სომსმაც იცოდა ამ რეპუტაციის ფასი.

თანდაყოლილი სიტყვაძვირობა ძალიან შველოდა საქმეში. სხვა არაფერს ისე არ შეეძლო მის გარშემო შეძლებული კლიენტების (შეძლებულთა გარდა სომსს სხვა კლიენტები არც ჰყავდა) მოზიდვა, როგორც იმ შთაბეჭდილებას, რომ საღი გონების მტკიცე ადამიანთან ჰქონდათ საქმე. ტრადიცია, ხასიათი, აღზრდა,

მემკვიდრეობითი ნიჭი და მიდრეკილებები, ბუნებრივი სიფრთხილე და წინდახედულობა გაერთიანდა პროფესიულ პატიოსნებაში, რომელიც ყოველგვარი ცდუნების წინაშე ციხესავით იდგა, თუნდაც იმიტომ, რომ დაბადებიდანვე რისკის სიძულვილი დაჰყოლოდა. როგორ დაეცემოდა, როცა მის სულს ეზიზღებოდა ყოველივე, რასაც დაცემა მოსდევს. კაცი იატაკზეც არ უნდა დაეცეს.

ურიცხვი ფორსაიტები, რომლებიც აუარებელ გარიგებას ახდენდნენ, როცა საქმე საკუთრებას შეეხებოდა (დაწყებული ცოლიდან და დამთავრებული წყლით სარგებლობის უფლებით), ამჯობინებდნენ ურთიერთობა მტკიცე ხასიათისა და საღი გონების ადამიანთან დაეჭირათ. მას ენდობოდნენ, რწმუნებას აძლევდნენ და ამით თვითონაც სარგებელს გამოელოდნენ. ამპარტავნობა და იმის უნარი, რომ პრეცედენტებს შორის ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა გამოეძებნა, სომსს ხელს უწყობდა წარმატებაში - აბა, კაცი ამპარტავნობას რად დაიწყებს, თუ ოდნავ მაინც არა აქვს ამისი საფუძველი.

ფირმის თავი და ბოლო სომსი გახლდათ. მართალია, ჯეიმსი ოფისში ყოველდღე შეივლიდა ხოლმე, ჯდებოდა სავარძელში, მაგიდის ქვეშ ფეხის ფეხზე გადადებაც უყვარდა, უკვე დაწყობილ და გადაწყობილ საქმეებს ცოტათი ურევდა, მაგრამ ოფისიდან მალე გაუჩინარდებოდა ხოლმე. მეორე პარტნიორი - ბასტარდი,(ბასტარდი (ლათ.) - (ბიოლ.), სხვადასხვა სახეობის ან გვარის ორგანიზმების შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავალი; შორეული ჰიბრიდი.) ერთი საწყალი კაცი იყო, სამუშაო

მუდამ თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ ჭკუას არავინ ეკითხებოდა.

სომსი კვლავ პროტესტის წერაში იყო გართული, მაგრამ მართალი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ თავში მარტო პროტესტის შინაარსი უტრიალებდა. ბოლო ხანებში მას უბედურების გარდაუვალი ვარამი აწვა გულზე და ტანჯავდა. სომსს სურდა ეს მტანჯველი უგუნებობა ღვიძლის გაღიზიანებისთვის დაებრალებინა, მაგრამ სინამდვილეში, მშვენივრად ესმოდა, რომ ასე არ იყო.

მან საათზე დაიხედა. თხუთმეტ წუთში "ახალი ქვანახშირის" კომპანიის საერთო კრება უნდა დაწყებულიყო. ამ კომპანიის სათავეში ძია ჯოლიონი იდგა; იქ შეიძლებოდა მისი ნახვა და ბოსინიზე მოლაპარაკება. ვიდრე ძია ჯოლიონს არ ნახავდა და მოელაპარაკებოდა, მანამდე არც წერილზე პასუხის გაცემა შეიძლებოდა და არც რაიმე გადაწყვეტილების მიღება. ადგა, დაწერილი პროტესტი დაკეცა და მაგიდის უჯრაში ჩადო. მერე ბნელ, პატარა ოთახში შევიდა, სინათლე აანთო, ხელები უინძორული ყავისფერი საპნით დაიბანა, პირსახოცით შეიმშრალა, შუაგაყოფილი თმა ფრთხილად დაივარცხნა, რომ აქეთ-იქით გადაეტანგადმოეტანა, სინათლე ჩააქრო, ქუდი აიღო, დაიბარა, სამის ნახევარზე ისევ მოვალო და პოულტრისკენ(პოულტრი - ლონდონის სიტიში ქუჩის სახელია) გასწია.

"ახალი ქვანახშირის კომპანიის" შენობამდე, რომელიც აირონმონგერლეინზე მდებარეობდა, და არა "ქენონსტრიტოტელში", დიდი მანძილი არ იყო. "ახალი ქვანახშირის" მეპაიეთა კრებებიც აირონმონგერლეინზე იმართებოდა ხოლმე და არა "ქე-

ნონსტრიტოტელში", რომელიც სხვა უფრო დიდი გაქანების კომპანიების საყვარელ თავშესაფარ ადგილს წარმოადგენდა. მოხუცმა ჯოლიონმა კომპანიის მესვეურად გახდომის დღიდანვე გაილაშქრა რეპორტიორების წინააღმდეგ. რა მათი საქმეა კომპანიის საქმეებში ჩარევაო, - სიტყვასიტყვით ასე განაცხადა მან.

სომსმა კრების დაწყებას სწორედ სულზე მიუსწრო და ჩაჯდა გამგეობის წევრებს შორის, რომლებიც თავ-თავიანთი სამელნეების უკან, აქციონერთა პირდაპირ ისხდნენ.

გამგეობის წევრთა რიგის შუაში იჯდა შავ სერთუკში გამოწყობილი ჭაღარაულვაშიანი მოხუცი ჯოლიონი, რომელსაც სერთუკი ბოლომდე შეეკრა, სავარძლის საზურგეს მიყრდნობოდა და თითების ბოლოები გამგეობის მოხსენებისთვის დაებჯინა.

მოხუცი ჯოლიონის მხარმარჯვნივ, ყოველთვის რომ მაცდურად მოჩანდა, მოუხეშავი მდივანი ჰემინგსი იჯდა; ლამაზ თვალებში ზებუნებრივი სევდა ჩასდგომოდა;

შევერცხლილი წვერი მწუხარე იერს უმძაფრებდა და თითქოს ამცნობდა მნახველთ, რომ მის ქვეშ ჰემინგსს ყორნისფერი ჰალსტუხი ეკეთა.

გამგეობისა და აქციონერთა თავშეყრის მიზეზი მართლაც სამგლოვიარო გახლდათ. ექვსი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც სკორიერში სპეციალური დავალებით მივლინებულმა ექსპერტმა დეპეშით შეატყობინათ, რომ ქვანახშირის მაღაროების ზედამხედველმა პიპინმა თავი მოიკლა და ორი წლის უჩვეულო დუმილის ასახსნელად გამგეობის წევრებს წერილი დაგიტოვათო. ეს წერილი ამჟამად მაგიდაზე იდო და აქციონერების-

თვის უნდა გაეცნოთ, რადგან მათ ყოველივე დაწვრილებით უნდა სცოდნოდათ.

ბუხრის წინ მდგარ სერთუკგახსნილ ჰემინგსს ხშირად უთქვამს სომსისთვის:

- არც ღირს, რომ ჩვენს აქციონერებს ვაცნობდეთ იმ საქმეებს, რაც არ იციან. დამიჯერეთ, რომ ასეა, მისტერ სომს.

ერთხელ ასეთ საუბარს მოხუცი ჯოლიონიც შეესწრო. სომსს ახლა გაახსენდა, რა უსიამოვნებაც მოხდა იმ დღეს. ბიძამისმა მკაცრად შეხედა ჰემინგსს და თქვა:

- სისულელეს ნუ როშავ, ჰემინგს! თქვენი აზრით, რაც მათ უნდა იცოდნენ, არ უნდა ვუთხრათ, არა?

მოხუც ჯოლიონს თვალთმაქცობა და სიცრუე ჭირივით სძულდა.

თვალებში ცეცხლჩამდგარმა, მაგრამ ნავარჯიშევი, გაწვრთნილი პუდელივით სახეზე ღიმილგადაფენილმა ჰემინგსმა, ვითომც მოხუცი ჯოლიონის ნათქვამი მომეწონაო, ტაშის შემოკვრაც კი მოახერხა და თქვა:

- ოჰ! ეს ძალიან კარგად თქვით, სერ, ძალიან კარგად. ბიძათქვენი შესანიშნავად ოხუნჯობს, მისტერ სომს!

მეორედ შეხვედრისას კი, როგორც შესაძლებლობა მიეცა, მაშინვე ის უთხრა სომსს:

- ჩვენი თავმჯდომარე დაბერდა, - ვეღარაფერი გამიგებინებია; თანაც როგორი ჯიუტია. მაგრამ რას უნდა მოელოდეთ ისეთი კაცისგან, რომელსაც ასეთი ნიკაპი აქვს.

სომსმა თავი დაუკანტურა.

ყველამ იცოდა, რომ მოხუცი ჯოლიონის ნიკაპი ბევრის-მთქმელი გახლდათ. თუმცა კრებებზე მოხუცმა ჯოლიონმა საერთოდ იცოდა ხოლმე მოღუშვა, მაგრამ იმ დღეს მაინც განსაკუთრებით აღელვებული ჩანდა. "როგორც უნდა იყოს, ბოსინიზე მაინც უნდა მოველაპარაკო", - გაიფიქრა სომსმა.

მოხუცი ჯოლიონის მხარმარცხნივ იჯდა მისტერ ბუკერი, რომელიც კრებისთვის იმით მომზადებულიყო, რომ სახეზე მრისხანე გამომეტყველება აღებეჭდა, თითქოს ყველაზე ჭირვეული აქციონერის მოძებნა და თავზე დაცხრომა სურსო. მის გვერდით კი დაბღვერილი, ყრუ დირექტორი მოკალათებულიყო. ამ ყრუს უკან ბებერი ბლიდჰემი იჯდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის ღირსებებში, ვინაიდან იცოდა, რომ ყავისფერი ქაღალდის გრაგნილი, რომელიც გამგეობის სხდომებზე ყოველთვის თან ჰქონდა, მისივე ცილინდრის უკან კარგად იყო დამალული (ეს გახლდათ ერთი იმ ძველი ფასონის სწორფარფლიანი ცილინდრთაგანი, რომლის პატრონსაც აუცილებლად დიდკვანძიანი ჰალსტუხი, სუფთად გაპარსული ცოცხალი სახე და თეთრი ქილვაში უნდა ჰქონდეს).

სომსი ყოველთვის ესწრებოდა საერთო კრებებს; ყოველ კრებაზე მის ყოფნას ისიც განაპირობებდა, რომ იქნებ "რაიმე საკითხი წამოჭრილიყო". იგი ქედმაღლურად ათვალიერებდა კედლებს, რომლებზეც მაღაროს გეგმები, ნავსადგურისა და მაღაროში შესასვლელის დიდი ფოტოსურათი ეკიდა. მაღარო ძალიან მწირი და შემოუსავლიანი აღმოჩნდა. ეს ფოტოსურათი, - მუდმივი ირონიის საბუთი, რომელიც ყოველ კომერციულ წამოწყებას ედება ხოლმე საფუძვლად, - ჯერ კიდევ ეკიდა კედელზე, როგორც დი-

რექტორთა ნებიერი, მაგრამ მკვდრადშობილი პირმშოს სიმბოლო.

მოხუცი ჯოლიონი წამოდგა, რომ შეკრებილთათვის გამგეობის ანგარიში გაეცნო.

მის ოლიმპიურ სიმშვიდეში იმალებოდა ის მუდმივი, გულში ღრმად დაფარული მტრობა, რომელიც დირექტორებსა და აქციონერთა შორის არსებობს. მაგრამ იგი შეკრებილთ ძალზე მშვიდად შეჰყურებდა. აქციონერებს სომსიც ათვალიერებდა. ამათთაგან იგი უმრავლესობას იცნობდა. აი, იქ რომ ზის, ის წელთა სიმრავლით დამძიმებული, კუპრის მომწოდებელი სკრაბსოულია, რომელიც, ჰემინგსის თქმით, კრებებზე ყოველთვის იმიტომ დადიოდა, რომ რამე მურდალი სიტყვა ეთქვა. ეს იყო ლოყებღაჟღაჟა, მსხვილი ყბების პატრონი, ჭირვეული მოხუცი, რომელსაც ვეება ქუდი ედო ხოლმე მუხლებზე. სკრაბსოულის გვერდით მჯდომი მისტერ ბომზი გახლდათ აქციონერი, რომელიც ყველა კრებაზე წინადადებას იძლეოდა, მადლობა გამოეცხადებინათ თავმჯდომარისთვის, ალბათ იმ იმედით, რომ გამგეობა არ დაივიწყებდა და წინ წასწევდა თავის მოხელეს (საკუთარი სამოსისადმი იმპერიალისტურად იყო განწყობილი). ბომზს ერთი ასეთი კეთილი ჩვეულებაც ჰქონდა: კრების შემდეგ რომელიმე დირექტორს გამოიჭერდა და, მომავალი წელი რას გვიქადისო, ჰკითხავდა; მიღებული პასუხის მიხედვით აქციებს გაყიდდა ან შეიძენდა ხოლმე.

მათ შორის იყო სამხედრო ექიმი ო’ბელი, რომელიც ჩვეულებრივ თავს ვერ იკავებდა ხოლმე, რომ პატარა სიტყვა არ წარმოეთქვა და კონტროლიორის გადარჩევის წინადადება არ წამოეყე-

ნებინა. ო'ბელისა ხანდახან სერიოზულად ეშინოდათ, რომ ვინმესთვის სადღეგრძელო არ წაერთმია. უკეთ რომ ითქვას, სადღეგრძელო კი არა, მისასალმებელი სიტყვა, ვისაც ენდობოდნენ, აფასებდნენ და პატარა ქაღალდზე დაწერილ სიტყვას აძლევდნენ, რომ კეთილი სურვილები გამოეთქვა ვინმეს მიმართ.

მათ გარდა იყო კიდევ ხუთი-ექვსი სოლიდური აქციონერი, რომელთა მიმართ სომსი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი. ესენი საქმის ხალხი იყვნენ და ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე თავიანთ საქმეებს თვითონვე ადევნებდნენ თვალყურს. ისინი ყოველდღე დადიოდნენ სიტიში და საღამოს თავიანთ პატივცემულ სოლიდურ მეუღლეებს უბრუნდებოდნენ.

სოლიდური პატივცემული მეუღლეები! ამ თქმაში იყო რაღაც ისეთი აზრი, რამაც სომსის გონება გაურკვეველი საშიშროებით შეაშფოთა.

რა უნდა უთხრას ბიძამისს? რა უნდა უპასუხოს ბოსინის?

"თუ რომელიმე აქციონერს რაიმე შეკითხვა აქვს, დიდი სიხარულით გავცემდი პასუხს", - გაიფიქრა მან. გაისმა ფრთხილი კაკუნი. მოხუცმა ჯოლიონმა გამგეობის ანგარიში მაგიდაზე დადო და ცერსა და საჩვენებელ თითს შუა მოქცეული კუს ბაკნისგან დამზადებული სათვალის ტრიალი დაიწყო.

სომსს სახეზე ღიმილი გადაეფინა. ამჯობინა, შეკითხვები დაეჩქაროს. მან კარგად იცოდა ბიძამისის მეთოდი (უნაკლო მეთოდი).

- ამ შემთხვევაში გამგეობის ანგარიში დამტკიცებულად მიმაჩნია, - განაცხადა მოხუცმა ჯოლიონმა. - იგი აქციონერებს საქ-

მის გაჭიანურების საშუალებას არ მისცემს. მათ უყვართ დროის უსაზმნოდ ფლანგვა.

უეცრად ადგილიდან წამოიჭრა ერთი პირქუში, დაღვრემილი, მაღალი თეთრწვერა აქციონერი და განაცხადა:

- ბატონო თავმჯდომარევ, დარწმუნებული ვარ, უფლება მაქვს საკითხი აღვძრა იმ ხუთი ათასი გირვანქის გამო, რომელიც გამგეობის ანგარიშში აწ გარდაცვლილი ზედამხედველის ქვრივისა და ბავშვებისთვისაა (ამ სიტყვებზე გაჯავრებულმა გადახედა დარბაზში მსხდომთ) განკუთვნილი. ზედამხედველი ძალზე არაკეთილგონივრულად, დიახ, მე ვიტყოდი, სწორედ არაკეთილგონივრულად მოიქცა, როცა გადაწყვიტა, თვითმკვლელობა სწორედ მაშინ ჩაედინა, როდესაც მისი თავი კომპანიას ყველაზე ძვირად უღირდა და სჭირდებოდა. თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელშეკრულება, რომელიც ასე სამწუხაროდ გაუქმდა, მისივე ხელით დაიდო ხუთი წლის ვადით. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან კი მხოლოდ ერთი წელი გავიდა. მე, - მოხუცმა ჯოლიონმა მოუთმენლობა ჟესტით გამოხატა, - ბატონო თავმჯდომარევ! ვფიქრობ, უფლება მაქვს, დავაზუსტო: გამგეობის მიერ გაცემული თუ გასაცემად დანიშნული თანხა განსვენებულის ოჯახს, ვგონებ იმ სამსახურისთვის ეძლევა, რაც კომპანიისთვის უნდა გაეწია, თავი რომ არ მოეკლა?

- წარსული დამსახურებისთვის, იმ დამსახურებისთვის, რომელსაც ყველა ჩვენგანი, და მათ შორის თქვენც, ძალზე ვაფასებდით.

- თუ ასეა, სერ, მსურს გამოგიცხადოთ, რომ წარსული დამსახურებისთვის ეს თანხა მეტისმეტია.

აქციონერი დაჯდა.

მოხუცმა ჯოლიონმა ერთ წამს იყუჩა და შემდეგ განაცხადა:

- წინადადება შემომაქვს, დავამტკიცოთ...

აქციონერი ისევ წამოდგა:

- მინდა ვიკითხო, გამგეობის წევრები რატომ ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ეს მათი ფული არ არის... ეს რომ მათი საკუთარი ფული იყოს...

ახლა მეორე პირმრგვალი, ჯიუტი გარეგნობის აქციონერი წამოდგა (სომსმა მასში განსვენებულის სიძე შეიცნო) და თქვა:

- ჩემი აზრით, სერ, ეს თანხა სულაც არაა საკმარისი!

შემდეგ მისტერ ბომზი ადგა და დაიწყო:

- ვბედავ, საკუთარი აზრი გამოვთქვა. მსურს აღვნიშნო, რომ თვითმკვლელობის ფაქტი მრავალჯერაა აწონილ-დაწონილი ჩვენი ძვირფასი თავმჯდომარის მიერ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენმა თავმჯდომარემ ღრმად გაიაზრა თვითმკვლელობის აქტი, მე ვლაპარაკობ პირველ ყოვლისა, საკუთარი და შემდეგ ყველა იმ დამსწრის სახელით (სმენა იყოს და გაგონება), იგი სარგებლობს ჩვენი ღრმა პატივისცემითა და ნდობით. ვიმედოვნებ, ჩვენ ყველას გადაწყვეტილი გვაქვს, მოწყალენი ვიყოთ. მაგრამ მე ღრმად დარწმუნებული ვარ (აქ მან მრისხანედ გადახედა გარდაცვლილის სიძეს), რომ ჩვენი თავმჯდომარე წერილობით თუ სხვა საშუალებით შეამცირებს ქვრივისა და ოჯახისთვის გამიზნულ თანხას, რომლის გადახდასაც გამგეობა გვთავაზობს და ამით საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი სიცოცხლის ასეთი უღვთო დაღუპვის გამო ჩვენი ღრმა მწუხარება გამოვხატოთ. მით უმეტეს, რომ გარდაცვლილის სიცოცხლე შეესა-

ბამებოდა როგორც ჩვენი (ვბედავ ამ სიტყვის, "ჩვენის" ხმარებას), ასევე ძვირფასი თავმჯდომარის ინტერესებს. ჩვენ არ უნდა წავახალისოთ, უფლება არა გვაქვს წავახალისოთ და მხარი დავუჭიროთ ყოველგვარი მოვალეობის ასეთ არაკეთილსინდისიერ დარღვევას, როგორც ადამიანების, ასევე ღვთის წინაშე.

ღირსეული ჯენტლმენი თავის ადგილზე დაჯდა. გარდაცვლილის სიძე კი კვლავ წამოიწია ადგილიდან და დამარცვლა:

- მე ჩემს ნათქვამს არ გადავდივარ, გამოყოფილი თანხა ძალზე მცირეა!

ისევ პირველი აქციონერი წამოვარდა:

- სადავოდ მიმაჩნია ამ გადასახადის გადახდის სისწორე. ჩემი ღრმა რწმენით, მისი გადახდა უკანონოა. სადავო საქმეებში კომპანიის რწმუნებული აქ ესწრება და ვფიქრობ, უფლება მაქვს კითხვით მივმართო?

ყველა სომსს მიაჩერდა. აი, გაუგებრობაც გამოტყვრა!

სომსი ადგა. ტუჩები მოეკუმა და ცივად გამოიყურებოდა; ნერვები დაჭიმული ჰქონდა. როგორც იქნა, გათავისუფლდა იმ ღრუბელთა ბურუსისგან, რომელიც მის გონებას ბინდავდა.

- საქმე, - დაიწყო სომსმა წვრილი, დაბალი ხმით, - მთლად ნათელი არ გახლავთ. რამდენადაც ამ საქმის განხილვა-გამოკვლევა შეუძლებელია, საეჭვოა, გადასახადის გადახდა კანონიერი იყოს. თუ დამეთანხმებით, საქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს.

გარდაცვლილის სიძემ კოპები შეიკრა და მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა:

- ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ საქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს. შემიძლია ვიცოდე იმ ჯენტლმენის გვარი, ვინც ასეთი განსაცვიფრებელი ინფორმაცია მოგვცა? მისტერ სომს ფორსაიტი! ჭეშმარიტად? - მან გესლიანი მზერა სომსიდან მოხუც ჯოლიონზე გადაიტანა. მოხუცი ჯოლიონი დაჟინებით დააცქერდა მოლაპარაკეს.

- თუ, - წყნარად დაიწყო მოხუცმა ჯოლიონმა, - გარდაცვლილის სიძეს სათქმელი აღარაფერი აქვს, წინადადება შემომაქვს, გამგეობის მოხსენება...

სწორედ ამ დროს წამოიჭრა ადგილიდან ერთ-ერთი მდუმარე აქციონერი, რომელსაც სომსი სიმპათიურად ეკიდებოდა და თქვა:

- მე პროტესტს ვაცხადებ ამ წინადადების წინააღმდეგ. თქვენ წინადადებას აყენებთ, რომ ჩვენ მოწყალება მივცეთ პიპინის მეუღლესა და ბავშვს, რომელსაც ის არჩენდა. შეიძლება ეს მართლაც ასე გახლდათ, მაგრამ ეს მე არ მეხება. მე პრინციპულად ასეთი დახმარების გაცემის წინააღმდეგი ვარ. დროა, ბოლო მოვუღოთ ისეთ სენტიმენტალურ ჰუმანურობას, რომელიც ქვეყანას ღუპავს. მე არ მსურს საკუთარი ფული იმ ხალხს მოვახმარო, ვისაც არ ვიცნობ და ვისზეც არაფერი ვიცი. მე წინააღმდეგი ვარ IN TOTO.(IN TOTO (ლათ.) - წინააღმდეგობა საფუძველში, პრინციპში) ეს არ არის საქმოსნობა. წინადადებას ვიძლევი, გამგეობის მოხსენების დამტკიცებისგან თავი შევიკავოთ და დახმარების პუნქტი ამოვიღოთ.

ვიდრე მდუმარე აქციონერთა ეს ძლიერი წარმომადგენელი ლაპარაკობდა, მოხუცი ჯოლიონი ფეხზე იდგა. ამ ბოლო სიტყვამ

ყველა იქ მყოფის გულისკენ იპოვა გზა, გამოძახილიც ჰქონდა, რადგან, ჯერ ერთი, მასში ძლიერი ადამიანის კულტი იგრძნობოდა და, მეორეც, სიტყვა კიცხავდა დიდსულოვნებასა და ხელგაშლილობას, რომლის წინააღმდეგაც იმ ხანებში უკვე ილაშქრებდნენ საზოგადოების საქმიანი წრეების მოწინავე წარმომადგენლები.

სიტყვები - "ეს არ არის საქმოსნობა" გამგეობის წევრებსაც მოხვდათ გულზე. სინამდვილეში, ყოველი მათგანი გრძნობდა, რომ ჭეშმარიტად ასეც იყო. მაგრამ მათ იცოდნენ თავმჯდომარის დესპოტური ხასიათი და შეუპოვრობა. ალბათ, გულში ისიც გრძნობდა, რომ ეს არ იყო საქმოსნობა. მაგრამ ახლა თავისივე წინადადებით იყო ხელფეხშეკრული. უკან დაიხევდა? ემჩნეოდა, რომ არა.

მოხუცმა ჯოლიონმა, ძლიერ და მდუმარე აქციონერს პირდაპირ მიმართა:

- თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ განსვენებული ზედამხედველის საზრიანი მოქმედება მაღაროებში აფეთქების დროს და, მიუხედავად ამისა, მაინც მოითხოვთ გამგეობის ანგარიშიდან დახმარების პუნქტის ამოღებას, სერ?

- დიახ.

მოხუცმა ჯოლიონმა საანგარიშო მოხსენებაში შესწორების შეტანის საკითხი კენჭის საყრელად დააყენა...

- ვინ არის მომხრე, რომ საანგარიშო მოხსენებაში შესწორება შევიტანოთ? - იკითხა მან და ირგვლივ მშვიდად მიმოიხედა.

ბიძის შემყურე სომსი მაშინ მიხვდა, თუ რაოდენი ძალა ჰქონდა ამ ბერიკაცს, როგორ ახვევდა თავის ნება-სურვილს სხვებს და

ძლიერი გავლენით როგორ გაჰყავდა თავისი ნათქვამი. ადგილზე არავინ შერხეულა. მოხუც ჯოლიონს თვალი იმ ძლიერი, მდუმარე აქციონერისთვის არ მოუშორებია, ისე თქვა:

- მაშინ წინადადებას ვიძლევი, გამგეობის 1886 წლის მოხსენება და ანგარიში დამტკიცდეს. ვინ არის მომხრე? ნება მიბოძეთ, თქვენი დუმილი თანხმობად მივიჩნიო. წინააღმდეგი ხომ არავინაა? მეორე საკითხი - ჯენტლმენებო...

სომსმა გაიღიმა. იცის ძია ჯოლიონმა, როგორ გაიტანოს თავისი ნათქვამი.

მაგრამ მის გონებაში კვლავ ბოსინი ამოტივტივდა. უჩვეულო ის იყო, ბოსინიზე ფიქრი თავიდან არ შორდებოდა და მუშაობის დროსაც კი მოსვენებს უკარგავდა.

გაახსენდა რობინჰილში აირენის მგზავრობა... მართალია, ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ მისთვის ხომ უნდა ეთქვათ! მერეც რომ კრინტი არ დაუძრავს, თუმცა როდის რას ეუბნება. თანდათან უფრო ჩუმი და მიზეზიანი ხდება. როგორ უნდოდა, სახლი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო და ლონდონს გასცლოდა. აირენს მეტისმეტად ნაზი ნერვები აქვს და ქალაქში ცხოვრებას ვერ ეგუება. ცალკე ოთახზე სულელური ლაპარაკიც რომ კვლავ წამოიჭრა!

კრება იშლებოდა, იმ უბედური მაღაროს ფოტოსურათის ქვეშ წმინდა ჰომზს ჰემინგსი მიეჩიხა და ლაპარაკით ათაყვანებდა. ჩია ტანის, წარბშეჭმუხნილი და ბოროტად მოღიმარი მისტერ ბუკერი მოხუც სკარბსოულს მივარდნოდა და ლანძღავდა. მათ დასანახავად ეჯავრებოდათ ერთმანეთი. მათ შორის შავმა კატამ მას მერე გაირბინა, რაც გამგეობამ კუპრით მომარაგებაზე ზურგი

შეაქცია. სომსმა ეს ყველაფერი ენაჭარტალა ჰემინგსისგან შეიტყო, რომელსაც ყველაზე უფრო გამგეობის წევრებზე უყვარდა ჭორაობა, მოხუცი ჯოლიონის გამოკლებით, რადგან მისი ეშინოდა.

სომსი ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, რომ ბიძას გამოლაპარაკებოდა. როცა უკანასკნელი აქციონერიც თვალს მიეფარა, სომსი მოხუც ჯოლიონს მიუახლოვდა, რომელიც უკვე ცილინდრის დასახურად ემზადებოდა.

- შეიძლება ერთი წუთით შეგაწუხოთ, ძია?

რას მოელოდა სომსი ამ მოლაპარაკებისგან, სავარაუდოდაც ძნელი სათქმელია.

მიუხედავად იმ ფარული მოკრძალებისა, რასაც ფორსაიტებს ალბათ მოხუცი ჯოლიონის ფილოსოფიური მსჯელობის უნარი და თავისებური თუ, როგორც ჰემინგსი იტყოდა, მისი ნიკაპი შთააგონებდა, მოხუც ბიძასა და ახალგაზრდა ძმისწულს შორის მუდამ იყო ფარული წინააღმდეგობა და სიძულვილი. ეს მჟღავნდებოდა ერთმანეთისადმი მშრალ, ცივ მისალმებაში. ერთმანეთის შესახებ მიკიბულ-მოკიბულ, ორჭოფულ, გადაკრულ ლაპარაკში და, ალბათ, ახალგაზრდა კაცისადმი ეს მტრობა მოხუცი ჯოლიონის შემეცნებაში ჩაისახა იმ ნამდვილი შეუპოვრობის (მოხუცი ჯოლიონი ამას სიკერპისა და სიჯიუტის სახელით ნათლავდა) გამო, რისაც მას ფარულად ეშინოდა; ვაითუ, სომსთან დაპირისპირების შემთხვევაში გამარჯვებული ვერ გამოვიდეო.

თითოეული მათგანი სხვადასხვა პოლუსზე იდგა, მაგრამ მიუხედავად მათი განსხვავებული გზებისა, ორივესთვის ერთნაირად დამახასიათებელი ის იყო, რომ ოჯახის სხვა წევრების-

გან განსხვავებით, უნარი ჰქონდათ შეუპოვრად, ფრთხილად და შეუცდომლად ჩასწვდომოდნენ საქმის არსს, რაც მესაკუთრეთა დიდი კლასის წარმომადგენლობაში ყველაზე მეტად ფასობდა. თითოეულ მათგანს შეეძლო, თუ ბედი ოდნავ გაუღიმებდათ, უდიდესი კარიერა შეექმნა. თითოეული მათგანი შეძლებდა უდიდესი ფინანსისტი, მენარდე ან სახელმწიფო მოღვაწე დამდგარიყო. თუმცა მოხუც ჯოლიონს თავისი ხასიათის ზოგი თვისების - სიგარის მოწევის ან ბუნების გადაჭარბებული სიყვარულის - გამოისობით, შესაძლოა, ზიზღის თუ არა, კითხვის ნიშნის ქვეშ მაინც დაეყენებინა თავისი მაღალი მდგომარეობა, სომსს კი, ვინაიდან სიგარას არ ეწეოდა, ეს არ დაემართებოდა.

ამას გარდა, მოხუცი ჯოლიონი თავიდან ვერ იშორებდა იმ აზრს, რომ ჯეიმსის შვილი, - იმ ჯეიმსისა, რომელიც მას ყოველთვის საწყალ და დოყლაპიად მიაჩნდა, საქმიან წრეებში სულ აღმა ვიდოდა, როცა მისი საკუთარი ძე...

დაბოლოს, არცთუ მცირე როლი შეასრულა ოჯახში დარხეულმა მითქმა-მოთქმამ, რამაც მის ყურამდეც მიაღწია, იმ ბუნდოვანმა, მაგრამ საკმაოდ აღმაშფოთებელმა ამბებმა, რაც ბოსინიზე ესმოდა და რამაც მისი საკუთარი ღირსება შელახა.

დამახასიათებელი ის გახლდათ, რომ გული აირენზე კი არ მოსდიოდა, არამედ სომსზე იყო გაჯავრებული. ფიქრი, რომ ძმისწულის ცოლი (რატომ უფრო მეტ ყურადღებას არ აქცევს ცოლს? ოჰ! საკვირველო უსამართლობავ! თითქოს სომსს შეეძლო ცოლისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა) საქმროს ართმევდა მის შვილიშვილს, მეტისმეტად აუტანელი და დამამცირებელი რამ იყო. იგი საფრთხის მოახლოებას გრძნობდა, მაგრამ განსაც-

დელს ჯეიმსივით ნერვიულად ვერ ემალებოდა. პირიქით, ნათელი თვალით და ფხიზელი გონებით ჭვრეტდა მომავალ განსაცდელს და ფიქრობდა: აირენი განსაკუთრებით მიმზიდველი უნდა იყოსო. მოხუცი ჯოლიონი მიხვდა, რაზეც აპირებდა სომსი საუბარს. მათ კომპანიის ოფისი უკან მოიტოვეს და ხმაურიან, აჩოჩქოლებულ ჩიპსაიდზე გამოვიდნენ. კარგა ხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ ერთმანეთის მხარდამხარ. სომსი ისე მიდიოდა, თითქოს მიცუცუნებსო, წელში გამართული მოხუცი ჯოლიონი კი ქოლგის ტარს ხელჯოხივით ეყრდნობოდა და დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა.

სომსს მაღლა არ აუხედავს, ისე წამოიწყო:

- ბოსინისგან წერილი მივიღე. მე მგონი, თქვენ უნდა წაიკითხოთ, რას მწერს; სახლის მშენებლობა იმაზე მეტი დამიჯდა, ვიდრე ვფიქრობდი და მინდა მდგომარეობა ყველასთვის ნათელი იყოს.

მოხუცმა ჯოლიონმა უხალისოდ გადაავლო თვალი წერილს და ხმადაბლა თქვა:

- სავსებით ნათელია, რაც სურს.

- დიახ, მოქმედების თავისუფლებას ითხოვს, - წამოიძახა სომსმა.

მოხუცმა ჯოლიონმა სომსს შეხედა. მის გულში კვლავ გაიღვიძა დიდხანს ნამალავმა ზიზღმა და მტრობამ ამ მამლაყინწასადმი, რომელსაც ახლა თავის საქმეებში მისი გარევა სურდა.

- თუ არ ენდობოდი, რაღა ეგ დაიქირავე?

სომსმა გვერდიდან, ფარულად გახედა ბიძას და პასუხად ეს უთხრა:

- ახლა გვიანღაა თითზე კბენანი. მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, მოქმედების თავისუფლება რომ მივცე, ძალიან დიდ ხარჯში ხომ არ ჩამაგდებს? მე ვფიქრობ, თქვენ რომ მოლაპარაკებოდით, ანგარიშს გაგიწევდათ.

- არა, - უეცრად მოუჭრა მოხუცმა ჯოლიონმა, - მაგ საქმეში არ გავერევი.

ბიძა-ძმისწულის სიტყვებში უფრო მეტი ღრმად დაფარული აზრები იგულისხმებოდა, ვიდრე ითქვა. ეს სავსებით გამოააშკარავა იმან, თუ როგორ აზომეს ერთმანეთი თვალებით.

- კეთილი, - თქვა სომსმა, - მე ჯუნის გამო მსურდა თქვენთან მოლაპარაკება. მგონი მშვენივრად იცით, რომ არავითარ სისულელეს არ მოვითმენ.

- მერე მე რა შუაში ვარ? - შეაწყვეტინა მოხუცმა ჯოლიონმა.

- ოჰ! მეც არ ვიცი, - წარმოთქვა ბიძის მკაცრი შეხედვით აფორიაქებულმა და დაბნეულმა სომსმა, - მერე არა თქვათ, რომ წინასწარ არ გაგაფრთხილეთ, - დაუმატა გაგულისებულმა, როცა გონს მოეგო და დამშვიდდა.

- მაშინ პირდაპირ თქვი, რაც გინდა, მე ხომ არ ვიცი, გულში რა გიდევს. ყველაფერ მოჩმახულ ამბავს მიყვები. მე რაში მეკითხება შენი საქმეები. თავი იმიტომა გაქვს, რომ შენ თვითონ მოაწესრიგო ყველაფერი!

- კეთილი, - გულგრილად გაიმეორა სომსმა.

- მაშ, კარგად ბრძანდებოდე, - გამოეთხოვა მოხუცი ჯოლიონი და დასცილდნენ კიდეც ერთმანეთს.

უკან გამობრუნებული სომსი ერთ-ერთ ბრწყინვალე რესტორანში შევიდა და ბოლში გამოყვანილი ორაგული და ჭიქით "შაბ-

ლი“(შაბლი" - ფრანგული თეთრი, სამარკო ღვინო) მოითხოვა. იგი შუადღისას ბევრს არ გეახლებოდათ და ფეხზე მდგომი ილუკმებოდა, რადგან ასე ეგონა, ჩემს მტკივან ღვიძლს ასე უფრო არას ვავნებო. სინამდვილეში, ღვიძლი სავსებით ჯანმრთელი ჰქონდა, მაგრამ რატომღაც ეგონა, მტკივაო და ყოველგვარი ტანჯვის მიზეზად ის მიაჩნდა.

როცა დანაყრდა, ნელა გაუყვა ოფისისკენ მიმავალ გზას. იგი თავჩაქინდრული მიდიოდა და გარშემო ვერავის ამჩნევდა. არც მისი პიროვნებით დაინტერესებულა ვინმე.

საღამოს ფოსტით ბოსინიმ წერილი მიიღო და შიგ შემდეგი ამოიკითხა:

"ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტი,

2001, ბრანჩლეინი, პოულტრი,

17 მაისი, 1887 წ.

ძვირფასო ბოსინი,

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც ნახმარმა ტერმინებმა ძალიან გამაოცა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა და მაქვს, რომ თქვენ ყოველთვის თავისუფლად მოქმედებდით, ვინაიდან ჩემი შენიშვნები (მოხდა ისეთი უბედურება, რომ შენიშვნები გამოვთქვი) თქვენ ყურად არ გიღიათ. თქვენი მოთხოვნისამებრ გეძლევათ "მოქმედების სრული თავისუფლება", მაგრამ აქედანვე კარგად უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ხელშეკრულებით სახლის შინაგანი მორთვა-მოხატვა თქვენი ჰონორარიანად თორმეტი ათას პაუნდს არ უნდა აღემატებოდეს. ეს თქვენ გაძლევთ უსაზღვრო შესაძლებლობებს და, როგორც კარგად იცით, ბევრად აღემატე-

ბა იმ თანხას, რასაც მშენებლობის დასაწყისში ვითვალისწინებ-
დი.

დავშთები თქვენი ერთგული, სომს ფორსაიტი".

მეორე დღეს სომსმა ბოსინისგან ასეთი პასუხი მიიღო:

"ფილიპ ბეინზ ბოსინი.

არქიტექტორი,

309 დ. სლოუნსტრიტი,

18 მაისი.

ძვირფასო ფორსაიტ,

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისეთ ჭირვეულ საკითხში, როგორიც სახლის შინაგანი მორთვა-მოხატვაა, მე დავთანხმდები, რომ რაიმე თანხით ვიყო შეზღუდული, ძალიან შემცდარხართ. ჩემი აზრით, თქვენ გსურთ, როგორმე შევთანხმდეთ, მაგრამ ჩანს, ეს საქმე ასე არ გამოვა.

ამიტომ მე სახლის მორთვა-მოკაზმვაზე გადაჭრით უარს ვამბობ.

მუდამ თქვენი ფილიპ ბეინზ ბოსინი".

სომსმა ძალიან ბევრი იფიქრა პასუხზე და გვიან ღამით, როცა აირენი დასაძინებლად დაწვა, სასადილო ოთახში მყოფმა ასეთი პასუხი გაუგზავნა ბოსინის:

"მონტპელიესკვერი, 62.

19 მაისი, 1887 წ.

ძვირფასო ბოსინი,

ვფიქრობ, ჩვენი საერთო ინტერესები მოითხოვენ, თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ახლა არ შევწყვიტოთ. წერილში მე სრულიადაც არ მინდოდა ის აზრი გამეტარებინა, რომ თუ დანა-

ხარჯი ჩემ მიერ დასახელებულ თანხას, ათი, ოცი, და თუნდაც ორმოცდაათი პაუნდით გადააჭარბებს, ეს ჩვენ შორის გაუგებრობას გამოიწვევს. ეს ასე იქნება და ამიტომ გთხოვთ, თქვენი უარი ერთხელ კიდევ აწონ-დაწონოთ. თქვენ გენიჭებათ მოქმედების სრული თავისუფლება და დარწმუნებული ვარ, მშვენივრად დაამთავრებთ საქმეს, ძირითადად იმ თანხით, რაზეც ჩვენს მიწერ-მოწერაშია ლაპარაკი. ვიცი ისიც, რომ ძალზე ძნელია, კაცმა წინასწარ აბსოლუტურად ზუსტად იანგარიშოს, რა დაჯდება ესა თუ ის სამუშაო.

თქვენი ერთგული სომს ფორსაიტი".

მეორე დღეს სომსმა ბოსინის პასუხი მიიღო, რომელიც ატყობინებდა:

"20 მაისი,

ძვირფასო ფორსაიტ,

ძალიან კარგი.

ფილიპ ბოსინი".

თავი მეექვსე

მოხუცი ჯოლიონი ზოოპარკში

მეორე სხდომას, რომელსაც მხოლოდ გამგეობის წევრები ესწრებოდნენ, მოხუცმა ჯოლიონმა ბოლო ელვისებურად მოუღო. იგი ისე მბრძანებლურად ირჯებოდა, რომ მისი წასვლის შემდეგ ყველა ერთსულოვნად აღუდგა დესპოტ ბერიკაცს, რომლის შესახებაც ითქვა, მისი მოთმენა აღარ შეგვიძლიაო.

მან მიწისქვეშა რკინიგზით პორტლანდ როუდის სადგურამდე მიაღწია, მერე ეტლი იქირავა და ზოოპარკისკენ გაეშურა.

მოხუც ჯოლიონს იქ პაემანი ჰქონდა დანიშნული, ესეც ერთი იმ შეხვედრათაგანი იყო, რომელთა რიცხვმა ბოლო დროს ძალიან იმატა და რომლებსაც ჯუნის გარშემო არსებული უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ან როგორც თვითონ ამბობდა, "ჯუნის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების" დაძლევის მიზნით აწყობდა.

ჯუნი თავს არიდებდა პაპას და ზეზეურად დნებოდა; თუ პაპა გამოელაპარაკებოდა, ჯუნი ან არ პასუხობდა, ან მკვახედ მიუგებდა რამეს, თანაც ისეთი სახე ჰქონდა, რომ, კაცი იფიქრებდა, სადაც არის აქვითინდება და მერე ვეღარაფერი შეაჩერებსო.

ჯუნი ძლიერ შეიცვალა და ყველაფრის მიზეზი ბოსინი იყო. გაენდო მაინც რამე პაპისთვის, აბა, თქვენც არ მომიკვდეთ!

ამ ბოლო ხანებში მოხუცი ჯოლიონი ხშირად მჯდარა მტანჯველ ფიქრებში ჩაფლული. პირში სიგარაგაჩრილს, წაუკითხავი გაზეთი სჭერია ხელში და უთავბოლო სევდისთვის მიუცია გული. მას მერე, რაც ჯუნი სამი წლისა შეიქნა, ყველაფერში ამფსონობას უწევდა პაპას. მერე თვითონ ჯოლიონიც როგორ ესიყვარულებოდა და ელოლიავებოდა მოციცქნილს.

ძალამ, რომელმაც არად ჩააგდო ოჯახი, კლასი, ჩვეულებები და ტრადიცია, მისი ციხეც გულგრილად შელეწა და მეციხოვნეთაც გაავლო მუსრი: გარდაუვალმა ამბებმა, რომელთა თავიდან აცილება მის ძალას აღემატებოდა, თავიანთი ჩრდილი დატოვეს მის დათოვლილ თავზე. და ჯოლიონის გულში, რომელიც ნაჩვევი იყო, ყველაფერი მისებურად ეკეთებინა, ბოღმამ და ჯავრმა დაიდეს ბინა. მხოლოდ ეს არ იცოდა, ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს ვარამი.

ზოზინით მიმავალმა ეტლმა კიდევ უფრო გააგულისა მოხუცი. როგორც იქნა ზოოპარკის კარს მიაღწია; მისმა ინსტინქტმა, რომ რა შემთხვევაც უნდა ყოფილიყო, შეემჩნია სასიხარულო რამ, მალე გადაუყარა გულიდან ჭმუნვა და დათქმულ ადგილს უკვე კარგ გუნებაზე მყოფი მიადგა.

ქვის ტერასზე გამართულ დათვის ბუნაგთან მომლოდინე ვაჟიშვილმა და შვილიშვილებმა, შენიშნეს თუ არა მოხუცი ჯოლიონი, მისკენ გაეშურნენ და ლომის სამყოფლისკენ წარუძღვნენ. შვილიშვილები აქეთ-იქით ამოუდგნენ და ხელები ჩაჰკიდეს. თანაც მამასავით უკუღმართი ჯოლი პაპის ქოლგას მიწაზე

მიაფხოკიალებდა და ისე ეჭირა, რომ გამვლელებისთვის ტარი ფეხებში წამოედო!

ახალგაზრდა ჯოლიონი უკან მიჰყვებოდა.

საკუთარი მამისა და შვილების ერთად ყოფნაზე ახალგაზრდა ჯოლიონს ეღიმებოდა, მაგრამ თან თვალზე მომდგარ ცრემლსაც ვეღარ იკავებდა. ერთად მოსეირნე მოხუცსა და ბავშვებს დღის რომელ დროსაც გნებავთ, ყველგან შეხვდებით; მაგრამ მოხუც ჯოლიონსა და საკუთარ შვილებს რომ ერთად ხედავდა, ასე ეგონა, კინესკოპით შეჭრილიყო ადამიანთა გულის სიღრმეში. წელში გამართული მოხუცის სრულმა მორჩილებამ იმ პატარებისადმი, რომელთათვისაც ხელები ჩაეკიდა, ახალგაზრდა ჯოლიონის მგრძნობიარე გულზე ისე იმოქმედა, რომ გზად მიმავალი რაღაც სიტყვებს ბუტბუტებდა. ამ სანახაობამ ისე იმოქმედა მასზე, რომ სისხლ-ხორცის გარდა, არაფერი უნდა ჰქონოდა ნამდვილად ფორსაიტული, თორემ ვინ ფორსაიტი და ვინ თავშეუკავებლობა.

ასე მიაღწიეს ლომის სამყოფლამდე.

იმ დღეს ბოტანიკურ ბაღში დიდი სეირნობა იყო გამოცხადებული და ფორსაიტთა დიდი ჯარი, ერთი სიტყვით, კარგად ჩაცმულ-დახურული ხალხი, ვისაც საკუთარი კარეტები ჰყავდა, ყველანი ზოოპარკში მოსულიყვნენ, რათა ენახათ ყველაფერი, რისი ნახვაც კი საკუთარი ფულით შეიძლებოდა, ვიდრე უკან რეტლანდგეიტში ან ბრაინსტონსკვერში მიბრუნდებოდნენ.

- შევიდეთ ზოოლოგიურ ბაღში, - ასე ეპატიჟებოდნენ ისინი ერთმანეთს, - იქ ძალიან ვისიამოვნებთ!

ბაღში შესვლა იმ დღეს ერთი შილინგი ღირდა და უბრალო ხალხი იქ ვერ შეაღწევდა.

მაყურებლები გრძელ მწკრივად ან ჯგუფად იდგნენ გალიების წინ და თვალს ადევნებდნენ აწრიალებულ წითელმურა დამშეულ მხეცებს, რომელთაც მხოლოდ ერთი სიამოვნება - თორმეტსა და ოთხ საათზე ჭამა დარჩენოდათ ამქვეყნად. რაც უფრო მშიერია მხეცი, მით უფრო საინტერესო სანახავია. ახალგაზრდა ჯოლიონს ვერ აეხსნა, მაყურებლებს ოთხფეხთა ჭამის მადა ეხარბებოდათ, თუ უფრო ჰუმანური გრძნობები ამოქმედებდათ, როცა ასე შესცი‌ცინებდნენ, როგორ სანსლავდნენ საჭმელს და რა სწრაფად ძღებოდნენ. მის სმენას მხოლოდ მნახველთა შენიშვნები სწვდებოდა: "ოჰ, რა ავი ვეფხვი უნდა იყოს!" "უჰ! რა საყვარლად უჩანს სველი დრუნჩი!" "შესანიშნავი, ძალიან ლამაზი მხეცია! ასე ახლოს ნუ მიხვალ, დედა!"

ხშირად გაიგონებდით აგრეთვე ჯიბეზე ხელის ტყაპუნს, შეამჩნევდით აქეთ-იქით თვალების ცეცებას, თითქოს ეშინიათ, ახალგაზრდა ჯოლიონმა ან სხვა ვინმემ, სახე რომ მამა აბრამის ბატკანს მიუგავთ, ჩვენს ჯიბეებს კონტროლი არ გაუწიონო.

თეთრებში გამოწყობილმა ჩასუქებულმა კაცმა კბილებში ნელა გამოცრა:

- გაუმაძღრობაა, თორემ მშივრები ხომ არ არიან. მე შენ გეტყვი და სარბენი აქვთ რამე.

სწორედ ამ დროს ვეფხვი ჯერ ისევ სისხლიან ღვიძლს მისწვდა და დაითრია. ამის დანახვაზე მსუქანმა კაცმა ჩაიცინა, ცოლმა კი, რომელსაც პარიზული მოდური კაბა ეცვა და ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ნაზად უსაყვედურა და გაკიცხა:

- რა გაცინებს, ჰარი? რა საშინელი სანახაობაა!

ახალგაზრდა ჯოლიონმა წარბები შეყარა.

თავისი მდგომარეობა და ცხოვრება, რომელზედაც საკუთარი შეხედულებები ჰქონდა, ხშირად ზიზღსა და სიძულვილს ჰგვრიდა ახალგაზრდა ჯოლიონს. მისი სარკაზმი განსაკუთრებული ძალით სწორედ იმ კლასს ატყდებოდა თავზე, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა - საკუთარი ეტლების მქონებელთა კლასს.

ლომისა და ვეფხვის გალიაში გამომწყვდევა საშინელი ველურობაა, მაგრამ არც ერთ კულტურულ ადამიანს არ სურს ამის გაგება.

მაგალითად, ახალგაზრდა ჯოლიონის მამას, ალბათ, აზრადაც არ მოსვლია იმაზე ეფიქრა, რომ გარეულ მხეცთა გალიაში გამომწყვდევა ველურობა იყო. იგი ძველი სკოლის მესაკუთრეებს ეკუთვნოდა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ მაიმუნებისა და პანტერების გალიებში მოთავსება, ჯერ ერთი, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის საქმეა და, მეორეც, მხეცები დროთა ვითარებაში უნდა დააჯერონ, შეაგულიანონ და წააქეზონ, რომ მათი უმიზეზო ჯავრი და გულისტკივილი, რასაც ტყვეობა იწვევს და საბოლოოდ სიკვდილი მოსდევს, საზოგადოებას აიძულებს კვლავაც დახარჯოს ფული სხვა მხეცების შეძენაზე.

მისი შეხედულებით, ისევე როგორც ყველა ფორსაიტის შეხედულებით, ის სიამოვნება, რასაც ლამაზი მხეცების ნახვა ანიჭებს ადამიანს, გაცილებით უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ის უხერხულობა, რასაც განიცდიან დატყვევებული მხეცები, რომლებსაც ღმერთმა წინდაუხედავად უბოძა თავისუფლება! მათი აზრით, ცხოველებისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა გა-

ლიაში ყოფნა, რადგან ამით ისინი ათასგვარ ხიფათს იცილებენ თავიდან და ყველაფრისგან მოშორებულნი და განმარტოებულნი არიან მათთვის გამოყოფილ გალიებში! მართლაცდა, გაუგებარია, სხვა რა უნდა ეკეთებინათ გარეულ მხეცებს, თუ არა ის, რომ გალიებში მსხდარიყვნენ.

მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონმა, რომელსაც გულსა და გონებაში მიუდგომელი განსჯის ელემენტები მოეპოვებოდა, მოიფიქრა, რომ ველურობის დაღის დასმა, მაშინ როცა ეს ყოველივე წარმოსახვის ხარვეზებით იყო გამოწვეული, შეცდომა იქნებოდა. მათ, ვისაც ასეთი შეხედულებანი ჰქონდა, ხომ არ უცდიათ და გამოუცდიათ ტყვეობა, რომ გალიაში გამომწყვდეული ცხოველების ბედს ჩამწვდარიყვნენ.

ბაღიდან გამოვიდნენ. ჯოლი და ჰოლი ნეტარებისგან მეცხრე ცაზე იყვნენ და ციებიანივით ბოდავდნენ. მოხუც ჯოლიონს მხოლოდ ახლა მიეცა შესაძლებლობა, რომ გულისტკივილი შვილისთვის გაეზიარებინა.

- არ ვიცი, რა მოვუხერხო ჯუნს. თუ კიდევ ასე გაგრძელდა, ვერ გეტყვი, რა დაემართება. მინდოდა ექიმს გაესინჯა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სრულებით არა მგავს მე. გამოცხადებული დედაშენია. სახედარივით ჯიუტი. თუ რამე არ უნდა, მოკალი და ვერ გააკეთებინებ.

ახალგაზრდა ჯოლიონს გაეცინა; მამას ნიკაპზე შეხედა და გულში გაიფიქრა: "დედაშენს კი არა, შენა გგავს. სწორედ შენი განსახიერებაა".

- ახლა კიდევ, - გააგრძელა დაწყებული საუბარი მოხუცმა ჯოლიონმა, - ეს ბოსინიც გამოტყვრა. ეჰ, კიდევ შემეძლოს, ერთს

კარგს წავუტიალებდი იმ გოგრაში და მაგრადაც მივბეგვავდი. მართალია, მე აღარ შემიძლია, მაგრამ შენ რატომ არ უნდა სცადო, ჯო, ჰა? - დაუმატა მოხუცმა ჯოლიონმა დაეჭვებით.

- მერედა რა ქნა ბოსინიმ ისეთი? თუ ვერ რიგდებიან, გაშორდნენ და ის იქნება.

მოხუცმა შვილს ახედ-დახედა. სქესთა ურთიერთობაზე ლაპარაკი ჩამოვარდა თუ არა, შვილისადმი უნდობლობა იგრძნო. ჯოს ალბათ ამ საკითხში ძალიან მერყევი, თავისუფალი ან, ეშმაკმა იცის, რა შეხედულება ექნებაო, გაიფიქრა მოხუცმა.

- კეთილი, - წამოიწყო მოხუცმა ჯოლიონმა, - არ ვიცი, რას ფიქრობ, მაგრამ ვხედავ, რომ შენი სიმპათია ბოსინის მხარეზეა და არც მიკვირს. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ იგი ძალიან ცუდად ირჯება და, თუ სადმე შემეყარა, ასეც მოვახსენებ, - ესა თქვა და მოხუცი ჯოლიონი გაყუჩდა.

შეუძლებელია ბოსინის საქციელზე ჯოს სერიოზულად ელაპარაკოს ადამიანი. განა თვითონაც ასეთი რამ (შეიძლება უარესიც) არ ჩაიდინა თხუთმეტი წლის წინ? - და მის სისულელეს ახლაც არ უჩანდა ბოლო!

ახალგაზრდა ჯოლიონიც გაყუჩებულიყო; იგი მაშინვე მიუხვდა მამას, რასაც ფიქრობდა. იმ სიმაღლიდან ჩამოგდების შემდეგ, სადაც ის თავისი წარმოშობით იმყოფებოდა და საიდანაც ადამიანს ყოველივე ნათლად და უბრალოდ ეჩვენება, იგი ეშმაკი გახდა და გუმანით ხვდებოდა ყველაფერს.

რა თვალსაზრისიც მას თხუთმეტი წლის წინ ჰქონდა სქესთა ურთიერთობაზე, აშკარად ეწინააღმდეგებოდა მამის შეხედულე-

ბებს და ამ შეხედულებებს შორის არსებულ უფსკრულზე ხიდის გადება ყოვლად შეუძლებელი რამ გახლდათ.

ახალგაზრდა ჯოლიონმა სიჩუმე დაარღვია და ცივად თქვა:

- ალბათ, სხვა ქალი შეუყვარდა?

მოხუცმა ჯოლიონმა შვილს იჭვნეულად შეხედა:

- დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი, - გამოეპასუხა იგი, - ისე კი ამბობენ, რომ აგრეაო!

- ჰოდა, მართალი იქნება, - მოუთმენლად შენიშნა შვილმა, - ალბათ ქალის ვინაობასაც გეტყოდნენ?

- დიახ, - თქვა მოხუცმა, - სომსის ცოლზე ამბობენ.

ახალგაზრდა ჯოლიონს გაოცებისგან არ დაუსტვენია. მდგომარეობამ, რომელშიც იგი აგერ თხუთმეტი წელიწადია იმყოფებოდა, გადააჩვია ასეთ რამეებზე სტვენას, მაგრამ მამას ისე შეჰყურებდა, თითქოს ღიმილის აჩრდილმა დაუფარა სახეო.

შესაძლოა, მოხუცმა ჯოლიონმა კიდევაც შენიშნა ეს ღიმილი, მაგრამ არ შეუმჩნევია.

- ისა და ჯუნი განუყრელი მეგობრები იყვნენ! - ჩაიბუზღუნა მან.

- საწყალი პატარა ჯუნი, - ეს სიტყვები ისე წარმოთქვა ახალგაზრდა ჯოლიონმა, თითქოს თავისი ქალიშვილი ისევ სამი წლისა ჰგონიაო.

მოხუცი ჯოლიონი უცებ შეჩერდა:

- მე მაგ შეთითხნილი ამბებისა არაფერი მჯერა. ბებერი ქალების მონაჭორია და მეტი არაფერი. იქნებ ეტლი დამიქირაო, ჯო, ისე დავიღალე, რომ მეტი აღარ შემიძლია!

ისინი ქუჩის კუთხეში იდგნენ და თავისუფალ ეტლს ელოდებოდნენ. მათ წინ ეკიპაჟი ეკიპაჟს მისდევდა და ზოოპარკიდან მომავალი ფორსაიტები სახლებისკენ მიჰყავდა. მაისის მზის მოელვარე შუქზე ცხენების აღკაზმულობა, ლივრეები, დაკრიალებული ცხენები კიდევ უფრო მეტად ბზინავდა და ბრწყინავდა. ყველა ეკიპაჟი: ლანდო, კარეტა, ვიქტორია(ვიქტორია - ოთხადგილიანი ეტლი.), ბაროკო(ბაროკო - ფორმით განსხვავდება ვიქტორიასგან, ესეც ოთხადგილიანი ეტლია.) და სხვ. მიგრიალებდა და თან თითქოს ამაყად მიიმღეროდა:

ეს მე ვარ, ჩემი მეეტლე და ცხენები ჩემი, -

საკმაოდ დიდი თანხა ჯდება მგზავრობა ჩვენთან.

მაგრამ ღირს კიდეც, ფულს ამაოდ როდი ხარჯავენ.

შეხედეთ ბატონს და ქალბატონს, - შუბლზე ორივეს

კმაყოფილების ბეჭედი აზის.

და ეს სიტყვები, როგორც საერთოდ ცნობილია, ჯეროვანი აკომპანემენტი იყო ყველა ფორსაიტისთვის სეირნობის დროს.

იმ ეკიპაჟთა შორის უფრო ძალუმად მოგრიალებდა წაბლაცხენებიანი ბაროკო და აკვანივით მოარწევდა მაღალ ზამბარებზე შეყენებულ ძარაში მოკალათებულ პატრონებს.

ამ ეტლმა ახალგაზრდა ჯოლიონის ყურადღება მიიპყრო; უეცრად უკანა საჯდომზე წამოჭიმულ მამაკაცში ბიძამისი ჯეიმსი შეიცნო. მართალია, ქილვაში ძლიერ გაჭაღარავებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონმა კარგად გაარჩია იგი. მის პირდაპირ ქოლგით მზემოჩრდილებული, უზადოდ ჩაცმულ-დახურული, ახლა რომ ზოოპარკში ფრინველები იხილეს, სწორედ იმგვარად ყელმოღერებული რეჩელ ფორსაიტი და მისი გათხოვილი უფრო-

სი და უინიფრიდ დარტიც იცნო. მერე ჯეიმსის გვერდით მჯდომარე დარტიც გაარჩია. მას ბოლომდე შებნეული, დიდმანჟეტიანი ახალთახალი სერთუკი ეცვა.

ეს ეტლი განსაკუთრებით ბრწყინავდა და ლაპლაპებდა და ამით გამოირჩეოდა სხვა ეკიპაჟებისგან. ეს განსხვავება ისეთივე შესამჩნევი გახლდათ, როგორც "ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები" განირჩევა "ჩვეულებრივი" სურათისგან. ეს იყო ფორსაიტთა ტიპური ეტლი, მათი ნამდვილი სამეფო ტახტი.

მოხუც ჯოლიონს ეტლში მსხდომნი არ შეუმჩნევია; იგი დაღლილობისგან გასავათებულ ჰოლის ეალერსებოდა. ეტლიდან კი შენიშნეს ეს პატარა ჯგუფი. ქალებმა უეცრად დახარეს თავები და ქოლგები მოიჩარდახეს; ჯეიმსმა კი მიამიტურად წაიგრძელა კისერი, პირი დააღო და გრძელყელა ჩიტს დაემსგავსა. მოჩარდახებული ქოლგების მრგვალი წრეები თანდათანობით პატარავდებოდა. ბოლოს კი სრულიად გაუჩინარდა.

ახალგაზრდა ჯოლიონი მიხვდა, რომ იგი უინიფრიდმაც კი იცნო, რომელიც თხუთმეტი წლისაც არ იქნებოდა, როცა ჯოს ფორსაიტის სახელის ტარების უფლება წაერთვა.

მას მერე თითქმის არც შეცვლილან. ჯოს კარგად ახსოვდა ფორსაიტობიდან განდევნამდე მის მეხსიერებაში აღბეჭდილი მათი სურათი. ეტლი, ცხენები, მეეტლე ახლა უკვე, რა თქმა უნდა, გამოეცვალათ, მაგრამ თხუთმეტი წლის წინანდელი ბეჭედი მაინც დამღასავით ზედ ჰქონდათ; ისევ ის სიფაქიზე, ისევ საკუთარი ღირსების რწმენა და ისევ ის ქედმაღლური ტყლარჭიაობა. ისევ ზამბარებზე საკმაოდ მაღლა შედგმული ძარას რწევა, მზის-

გან თავდასაცავად ხელში დაჭერილი ქოლგები, ყველაფერში ძველებური სული გამოსჭვიოდა.

მზის სხივებით ნაფერი ეტლები, ქოლგიანი ქალები დაუსრულებლად მოდიოდნენ და მოდიოდნენ ზოოპარკის მხრიდან.

- ძია ჯეიმსმა ჩაიარა ოჯახითურთ, - უთხრა მამას ახალგაზრდა ჯოლიონმა.

მოხუც ჯოლიონს სახეზე შავმა ფერმა გადაჰკრა.

- დაგვინახეს? აქეთ რა ჯანდაბა უნდოდათ?

ამ დროს მოხუცმა ჯოლიონმა ცარიელი ეტლი შენიშნა და გააჩერა.

- მალე გნახავ, შვილო! - ჩაილაპარაკა მან, - ნუ მიაქცევ ყურადღებას, რაც ბოსინიზე გითხარი - მე თვითონაც არა მჯერა ეგ ამბავი!

მან ბავშვები გადაკოცნა, თუმცა მათ არც კი უნდოდათ მისი გაშვება, ეტლში ჩაჯდა და წავიდა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა ჰოლი ხელში აიყვანა, კუთხეში უძრავად დადგა და მიმავალ ეტლს თვალი გააყოლა.

თავი მეშვიდე

ტიმოთისთან

ეტლში ჩაჯდომის წინ მოხუც ჯოლიონს შვილისთვის რომ ეთქვა, - ეგ ამბავი მე თვითონაც არ მინდა დავიჯეროო, თავის გრძნობებს უფრო სწორად გამოხატავდა.

მოხუცი ჯოლიონი გააფიცხა იმან, რომ ჯეიმსმა და მისმა ქალებმა საკუთარ შვილთან ერთად მყოფი დაინახეს. ჯეიმსთან ყოველ შეხვედრაზე ჯოლიონს მოუთმენლობა ეუფლებოდა და ძმისადმი ფარულ სიძულვილს გრძნობდა. ამ სიძულვილისა და მტრობის ფესვები - პატარაობის დროინდელი ქიშპი, რომელიც ხანდახან ფეხს იკიდებს და ღრმავდება ჟამთა სვლასთან ერთად - კვებავს იმ ხეს, რომელიც მერე ძალიან მწარე ნაყოფს იძლევა.

აქამდე ძმებს შორის მხოლოდ უსიყვარულობის გრძნობა შეიმჩნეოდა, რადგან თითოეულს ფარული შიში ჰქონდა, მეორე ჩემზე მეტად არ გამდიდრდესო; ამ გრძნობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ცნობისმოყვარეობაში გადაიზარდა სიკვდილის თანდათან მოახლოებასთან ერთად. სიკვდილისა, რომელიც ყოველგვარი მოშურნეობის დასასრულს წარმოადგენს. ერთმანეთის შემოსავლით ძმების დაინტერესებას მათი რწმუნებულის მტკიცე და საზრიანმა ხასიათმაც შეუწყო ხელი. ეს რწმუნებული

ნიკოლასს ეუბნებოდა, ჯეიმსის შემოსავლისა არა ვიცი რაო, ჯეიმსს უმტკიცებდა, მოხუცი ჯოლიონის შემოსავალზე წარმოდგენა არ მაქვსო, ჯოლიონს როჯერის შემოსავალს უმალავდა, როჯერს სუითინისას არაფერს უმხელდა და მხოლოდ სუითინი ააღელვა ერთხელ, როცა განუცხადა - ნიკოლასი ძალიან მდიდარი უნდა იყოსო. მარტო ტიმოთი იყო თავისი ფასიანი ქაღალდებით შორს გამდგარი.

მაგრამ ახლა ამ ორ ძმას შორის უცნაურმა უნდობლობამ და წყენამ დაისადგურა. იმის შემდეგ, რაც ჯეიმსი უტიფრად ჩაერია სხვის საქმეში, მოხუცმა ჯოლიონმა ბოსინიზე მისი ნალაპარაკევი გულთან აღარ გაიკარა. მისი შვილიშვილი "იმ ყმაწვილის" (ჯეიმსის) ოჯახის წევრმა აბუჩად აიგდო! მისი აზრით, ბოსინის ცილი დასწამეს. ჯუნისგან ბოსინის ჩამოცილების მიზეზი სხვა რაღაც უნდა ყოფილიყო.

ალბათ, ჯუნი გაცხარდა რამეზე, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო. ჯუნი ხომ აუტანელი ფიცხია.

ტიმოთისთან იტყვის ყველაფერს, რაც საჭიროა, და, ვნახოთ, რა დარჩება მაგ მოიარებით ნათქვამიდან. პური მანამ უნდა ჩაიკრას, სანამ თონე ცხელია. ახლავე უნდა წავიდეს და მოაგვაროს ეს საქმე, თორემ მერე მეორედ წასვლაც მოუწევს.

ამ დროს თვალი მოჰკრა ჯეიმსის ეტლს, რომელიც ეზოში შესასვლელთან ქვაფენილზე გახიდულიყო. აქაც მოასწრეს. ალბათ უკვე მასზე ყბედობენ და ხითხითებენ! ცოტა მოშორებით სუითინის ცხენები შენიშნა, რომელთაც თავები ჯეიმსის ცხენებისკენ მიებრუნებინათ, თითქოს ესენიც ფარულად ბჭობდნენ. მეეტლეებიც რომ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ! მოხუცმა ჯოლიონ-

მა ცილინდრი იმ ვიწრო ჰოლში მიდგმულ სკამზე მიაგდო, სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბოსინის ქუდი კატად მიიჩნიეს. მერე გამხდარი ხელი დაღვრემილ სახესა და ულვაშზე ისე გადაისვა, თითქოს დაღლილობისა და სიფიცხის კვალის წაშლა სურსო, და კიბეს აუყვა.

უზარმაზარი სასტუმრო მოხუც ჯოლიონს სავსე დახვდა. თუმცა ეს ოთახი სტუმრის გარეშეც სავსე იყო ხოლმე. ტიმოთიმ და მისმა დებმა თავიანთი თაობის ტრადიციის მიხედვით მორთეს ეს სასტუმრო. მათი აზრით, ოთახი კოხტა და მიმზიდველი არ იქნებოდა, თუ ავეჯით ლაზათიანად არ გააწყობდნენ. ამ მონდომების შედეგი ის გახლდათ, რომ სასტუმროში თერთმეტი სავარძელი, დივანი, სამი მაგიდა, ორი კამოდი, ათასგვარი უსარგებლო სამშვენისით, და როიალის ნაწილი იდგა. ოთახში იყვნენ მისის სმოლი, პაპიდა ესთერი, სუითინი, ჯეიმსი, რეჩელი, უინიფრიდი, ეუფემია, რომელსაც ნათხოვარი "ვნება და მისი დაცხრომა" წაეკითხა და უკან მოეტანა, ეუფემიას მეგობარი ფრენსისი - როჯერის ქალიშვილი (და ფორსაიტებში ერთადერთი მუსიკოსი, რომელიც რომანსებს თხზავდა). ჯოლიონმა თვალი მოჰკრა, რომ სასტუმროში ერთადერთი სკამი იყო თავისუფალი, გარდა იმ ორისა, რომლებზეც არავინ ჯდებოდა ხოლმე. ოთახის შუაგულში კატა გაწოლილიყო და მოხუცმა ჯოლიონმა ფეხი დაადგა მას.

პაპიდა ენის სიცოცხლეში ტიმოთისთან ხშირად იკრიბებოდნენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. რადგან პაპიდა ენს ოჯახის წევრები პატივისცემით ეპყრობოდნენ. ახლა, როცა ის აღარ იყო, ისინი კიდევ უფრო ხშირად დადიოდნენ ტიმოთისთან და დიდხანსაც რჩებოდნენ ხოლმე.

სუითინი პირველი მოვიდა. იგი უძრავად იჯდა წითელ აბრეშუმგადაკრულ სავარძელში, რომელსაც ოქროსვარაყიანი საზურგე ჰქონდა, და, ეტყობოდა, ყველას გასტუმრებას აპირებდა. ვეება მსუქანი ტანი, ხშირი, თეთრი თმა, გაბერილი, უმოძრაო, გაპარსული სახე ამართლებდა ბოსინის მიერ შერქმეულ მეტსახელს "დევკაცი". სუითინი ისე არასდროს ჰგვანებია პირველყოფილ ადამიანს, როგორც ახლა, ამ ავეჯით გატენილ ოთახში.

როგორც ამ ბოლო დროს დასჩემდა, მან მოსვლისთანავე აირენზე ჩამოაგდო სიტყვა. დრო არ დაუკარგავს და პაპიდებს, ესთერსა და ჯულის თავისი აზრი მოახსენა ოჯახის წევრებში დარხეულ ხმებზე. როგორც თვითონ განაცხადა, ალბათ აირენმა ცოტა გაიარშიყა და მეტი არაფერიო. ლამაზ ქალს შვენის კიდეც თავის გასართობი წაეშმაკებაო; მაგრამ სუითინი დარწმუნებულია, რომ ცუდი არაფერი მომხდარა. აირენი ძალიან ჭკვიანი ქალია, იცის თავისი და ოჯახის ფასი! არავითარი სკანდ... სუითინმა კინაღამ არა თქვა, სკანდალიო, მაგრამ თვითონ ეს იდეა ისე უაზროდ და სულელურად მოეჩვენა, რომ ხელი ჩაიქნია, თითქოს თქვა, "თავი მივანებოთ ამ ამბავსო!"

დავუშვათ, სუითინი ამ ამბავს უცოლო კაცის საზომით ზომავდა. მაგრამ, მართალი რომ ითქვას, განა შეიძლება არსებობდეს ისეთი რამ, კაცმა რომ ვერ დათმოს ოჯახის ინტერესებისთვის, ოჯახისა, რომლის მრავალმა წარმომადგენელმა საუცხოო მდგომარეობა შეიქმნა და საზოგადოებაში წინ წაიწია? წინათ, როცა საქმე მათ ჩამომავლობაზე მიდგებოდა ხოლმე, სუითინს ყურში აგონებდნენ "იომენსა" და "მდაბიოს" - ამ გულსაკლავ, პესიმისტურ, ბნელ სიტყვებს. სჯეროდა კი მათი სუითინს?

არა! ის ელოლიავებოდა და გულში ეალერსებოდა იმ ფარულ თეორიას, რომლის მიხედვით მისი წინაპრები მაღალი წარმოშობისანი უნდა ყოფილიყვნენ.

- ნამდვილად ასეა, - უთხრა მან ერთხელ ახალგაზრდა ჯოლიონს, ვიდრე ეს უკანასკნელი შესცოდავდა და ფორსაიტთა სიიდან ამოირიცხებოდა, - შეხედე, როგორ ვიზრდებით! ჩვენ რომ ძარღვებში ცისფერი სისხლი არ გვედგას, განა შევიძლებდით ამას?

მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდა ჯოლიონი: კოლეჯში ბიჭი კარგ წრეში ტრიალებდა, იცნობდა თავზე ხელაღებული ძველი ავაზაკის სერ ჩარლზ ფისტის ვაჟებს; ერთი მათგანი მართლაც ავაზაკი დადგა; ჯო კარგი შესახედავი ყმაწვილი გახლდათ. ოჰ, რა დასანანი იყო, რომ იმ უცხოელ ქალს გადაეყარა და ისიც აღმზრდელ ქალს! თუ ცოლის შერთვას ეშურებოდა, ისეთი მაინც ამოერჩია, ვინც ოჯახს სირცხვილს არ აჭმევდა! ჰოდა, ვინ არის იგი ახლა? დაზღვევის აგენტი ლოიდთან; ამბობენ, თურმე სურათებსაც კი ხატავსო! დალახვროს ღმერთმა! შეეძლო სერ ჯოლიონ ფორსაიტი ყოფილიყო და ბარონეტის ტიტული ჰქონოდა, პარლამენტის წევრი და ქვეყანაში გამოჩენილი კაცი გამხდარიყო!

სწორედ სუითინი გახლდათ ფორსაიტებიდან თავისი წარსულის მონდომებული მკვლევარი. ის აიყოლია გარდასული დიდების ძიების იმპულსმა, როგორც ეს დიდი, ფეხმომდგარი ოჯახის წევრებს მოსდით ხოლმე, და იგი გერბთმცოდნეობის სამმართველოს მიადგა. იქ დაარწმუნეს, რომ მისი ჩამომავლობა იმ დიდებულ ფორსაიტთა გვარიდან მომდინარეობს, რომლებიც "მარ-

ჯვენა მხარეს შავ ფონზე სამი წითელი ფერის ბალთას ატარებ-
დნენ". გერბთმცოდნეობის სამმართველოში ალბათ იმის იმედი
ჰქონდათ, რომ იგი გერბს მიაკითხავდა და წამოიღებდა.

სუითინს არ გამოუსყიდავს გერბი, მაგრამ როცა დაადგინა,
რომ მისი გვირგვინი ხოხბისფერი იყო და დევიზად წარწერილი
ჰქონდა: "ფორსაიტებისთვის", ეტლის კარზე და მეეტლის ღი-
ლებზე თვითონაც ნამდვილი ხოხბის გამოსახულება ამოატვიფ-
რინა, დევიზი კი საფოსტო ბარათებზე წააწერინა, თვითონ
გერბს კი ისევ შორიდან ელოლიავებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ,
რომ არ გამოუსყიდავს, მეორეც, იმის გამო, რომ ძალიან გამოსა-
ჩენი და მყვირალა იქნება, ეტლზე რომ გავაკეთებინოო. გამოსა-
ჩენი და მყვირალა კი არაფერი უყვარდა, ხოლო მესამე მიზეზი ის
იყო, რომ როგორც თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი და პრაქტიკუ-
ლი კაცი, ვერ იტანდა ისეთ ნივთებს, რომლებისაც არა გაეგებო-
და რა. და მართლაც ძნელი იყო, არათუ მას, ვისაც გნებავთ,
გაეგო, რა შინაარსისა იყო: "მარჯვენა მხარეს შავ ფონზე სამი წი-
თელი ფერის ბალთა".

სუითინს არ დავიწყებია, რაც გერბთმცოდნეობის სამმარ-
თველოში უთხრეს: თუ გერბის ღირებულებას გადაიხდით, გერბი
თქვენი საკუთრება იქნებაო. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა აზ-
რი, რომ ჯენტლმენი იყო. თანდათანობით ოჯახის სხვა წევრებ-
მაც შეითვისეს "ხოხბისფერი" და ზოგიერთმა დევიზიც. მოხუცმა
ჯოლიონმა შორს დაიჭირა დევიზისგან თავი და განაცხადა: ჩემი
აზრით, ეგ ნამდვილი სისულელეაო.

ფორსაიტთა მოდგმის უფროსმა თაობამ იცოდა, რომელმა
ისტორიულმა მომენტმა მოუპოვა მათ ეს გერბი და, თუ ვინმე

დაწვრილებით შეუდგებოდა ხოლმე გამოკითხვას, ტყუილის თქმას ვერ ბედავდნენ - მათ არ უყვარდათ მოგონილი ამბების ლაპარაკი, მათი აზრით, ტყუილს მარტო ფრანგები და რუსები იყვნენ ჩვეული, - და ამჯობინებდნენ მეტისმეტად ცნობისმოყვარე ამ საკითხის გასარკვევად სუითინთან გაეგზავნათ.

არა, განაგრძო სუითინმა, მან საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი და, რაც შეუძლია თქვას, ისაა, რომ აირენის საქციელში იმ მეკობრისადმი, ბოსინის, თუ რა ჯანდაბას ეძახიან, არაფერი საგულისხმო არ უგრძნია... - საუბედუროდ, სუითინს დაწყებული სიტყვა არ დაუმთავრებია, რადგან სასტუმროში ფრენსისი და ეუფემია შემოვიდნენ. აბა, გოგონებთან ხომ არ ილაპარაკებდა ასეთ საჩოთირო თემაზე.

დაწყებული საუბრის შეწყვეტამ სუითინს გუნება გაუფუჭა, რადგან საგულისხმო და საყურადღებო ამბის თქმას სწორედ მაშინ აპირებდა, მაგრამ ხასიათი მალევე გამოუკეთდა. სუითინს ფრენსისი თუ ფრენსი, როგორც ოჯახში ეძახდნენ, ძლიერ მოსწონდა. ის ისეთი ცქრიალა, მოხდენილი გოგონა იყო და, როგორც ამბობდნენ, თავისი რომანსებით ფულსაც შოულობდა; სუითინმა მას სიყვარულით ჭკუის კოლოფი უწოდა.

სუითინი ამაყობდა კიდეც, რომ ქალებისადმი ასეთი ლიბერალური აზრები ჰქონდა. აბა, ვის რას დაუშლიან, ქალებმა რომ ხატონ, შექმნან მოტივები და წიგნები, მით უმეტეს, თუ ამაში გასამრჯელოსაც აიღებენ; ეს იმ მხრივაცაა სასარგებლო, რომ ნაკლებად იფიქრებენ ათასგვარ სისულელესა და ბოროტებაზე. ბოლოს და ბოლოს, კაცები ხომ არ არიან!

"პატარა ფრენსი", გულკეთილი სიძულვილით ჩვეულებრივ ასე ეძახდნენ შინაურები, საყურადღებო პერსონაჟი თუნდაც იმიტომ გახლდათ, რომ ამ გოგონასადმი ურთიერთობაში ჩანდა ხელოვნებისადმი ფორსაიტების დამოკიდებულება. სინამდვილეში იგი სრულებითაც არ იყო პატარა. პირიქით, საშუალოზე მაღალი ტანი ჰქონდა, შავი თმა და ნაცრისფერი თვალები კი, როგორც ამბობდნენ, კელტურ შეხედულებას აძლევდნენ. მისი რომანსების სათაურები უცნაურად ჟღერდნენ: "მთრთოლარე ოხვრა", "მაკოცე, მალე მოვკვდები, დედა" და სხვ. მისი სიმღერების რეფრენიც საეკლესიო ჰიმნს მოგაგონებდათ:

მაკოცე, მალე მოვკვდები, დედა,
უკანასკნელად გემშვიდობები,
მაკოცე, ვიდრე ცოცხალსა მხედავ,
მაკოცე, დედა, მალე მოვკვდები.

ამ რომანსების ტექსტებსა და ლექსებსაც თვითონ წერდა ფრენსი. როცა უფრო მსუბუქი განწყობილება ეუფლებოდა, ვალსებსაც თხზავდა. ერთი მათგანი "კენსინგტონის(კენსინგტონი - ლონდონის ფეშენებელური რაიონი. დასავლეთიდან ეკვრის ჰაიდპარკს) ხმები" მელოდიურობის გამო, ცოტა დააკლდა, კენსინგტონის ეროვნულ ჰიმნად იქცა.

ეს ძალზე ორიგინალური ვალსი გახლდათ. მისი ერთი ნაწილი იყო აღმზრდელობითი, ჭკუის სასწავლებელი და გონებამახვილური "სიმღერა პატარებზე". განსაკუთრებით კარგი იყო "ბებიას ჯორჯია“("ბებიას ჯორჯია" - შეიძლება იგულისხმება იმ დროისათვის ცნობილი სიმღერა.) და თითქმის წინასწარმეტყვე-

ლური იმპერიალისტური სულით გაჟღენთილი "ამოუშავე ის პატარა თვალი".

ფრენსის ამ სიმღერებს ყველა გამომცემელი სიამოვნებით იძენდა, ხოლო ჟურნალებმა - "უმაღლესი საზოგადოება" და "ლამაზ ქალთა თანამგზავრი" - აღტაცება ვერ დაფარეს: "მის ფორსაიტის ახალი სიმღერები მხიარული და გრძნობით აღსავსეა. ჩვენ თვითონ მათი მოსმენისას სიცილსა და ცრემლებს ვერ ვიკავებთ. მის ფორსაიტს დიდი მომავალი ელის".

მისი მოდგმისთვის დამახასიათებელი ინსტინქტი ფრენსისს შეუცდომლად კარნახობდა, ვინ იყო ნამდვილად გამოსადეგი.

იგი არჩევდა ადამიანებს, ვინც მასზე დაწერდა და ილაპარაკებდა, ეცნობოდა აგრეთვე უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენლებს. ფრენსიმ გონებაში შეადგინა მათი სია, ვინც გარეგნობით უნდა მოეხიბლა. არც ჰონორარი გაუშვია მხედველობიდან, რადგან, მისი აზრით, იგი ნამდვილ მომავალს შეუქმნიდა. ამ გზით მან უნივერსალური პატივისცემა დაიმსახურა.

ერთხელ, როცა ფრენსის გულის სიმებს გრძნობამ ჩამოჰკრა, - როჯერის ცხოვრების აზრი იმაში მდგომარეობდა, იმიტომ იძენდა შემოსავლიან სახლებს, რომ ერთადერთი ასული ნამდვილი მგრძნობიარე გულის ადამიანად აღეზარდა, - ფრენსიმ ჭეშმარიტად გულწრფელი ნაწარმოების შექმნა მოიწადინა და ვიოლინოსთვის სონატის დაწერა განიზრახა. ეს სწორედ ის ნაწარმოები იყო, რომელიც ფორსაიტებმა დაიწუნეს. მათ იმთავითვე იგრძნეს, რომ ამ ნაწარმოებს გასასყიდი ღირებულება არ ექნებოდა.

როჯერს, რომელიც დიდად ამაყობდა ასეთი ჭკვიანი შვილით და ხშირად ამბობდა, საკუთარი შრომით ჯიბის ფულს შოულობსო, ვიოლინოსთვის შექმნილმა სონატამ თავგზა აუბნია.

- სისულელე, ნაგავი, - ასე უწოდა როჯერმა სონატას. სონატა პრინსეზ გარდენის სასტუმროში შეასრულა ახალგაზრდა ფლაჯელოტიმ.

ფაქტობრივად, როჯერი მართალი აღმოჩნდა. სონატა მართლაც ნაგავი გამოდგა. მაგრამ დასანანი ამ ამბავში უფრო ის იყო, რომ ეს ნაგავი არ გაიყიდებოდა. ის ჭეშმარიტება, რომ რაც იყიდება, უკვე ნაგავი აღარაა, ყველა ფორსაიტმა შესანიშნავად იცოდა.

მიუხედავად იმ საღი აზრისა, რომლითაც ფორსაიტებმა ხელოვნების ნაწარმოები შეაფასეს, ზოგი მათგანი, მაგალითად მუსიკალური პაპიდა ესთერი, ძლიერ ნანობდა, ფრენსის მუსიკალური ნაწარმოები და ლექსები კლასიკური არ იყო. პაპიდა ესთერი ოჯახურ წრეში თამამად აცხადებდა, რომ დღეს პოეზია აღარ არსებობსო, დღეს უკვე აღარავინ წერს ისეთ პოემებს, როგორიცაა "დაკარგული სამოთხე" და "ჩაილდ ჰაროლდი", რომელთა კითხვითაც ადამიანს რაღაც რჩება გონებაშიო. ძალზე კარგია, რომ ფრენსის წესიერი საქმე აქვს და სხვა გოგონებივით ფულს მაღაზიებში კი არ ფანტავს, თვითონ შოულობსო! ისე კი, პაპიდები, ესთერი და ჯული მუდამ მზად იყვნენ იმის მოსასმენად, თუ როგორ ზრდიდა შემოსავალს მათი სასახელო ფრენსისი.

ისინი ახლაც უსმენდნენ ფრენსის სუითინთან ერთად, რომელიც თავს ისე იჭერდა, ვითომ ყურს არ უგდებდა ლაპარაკს.

ახალგაზრდობა ისე სწრაფად საუბრობს და დუდღუნებს, მაინც ვერაფერს გავიგებ ხოლმეო, ამბობდა სუითინი.

- მაინც არ ვიცი, როგორ ახერხებ ასეთ ამბებს? - ჰკითხა მისის სეპტიმუსმა, - მე მაგისთვის გამბედაობა არ მეყოფოდა.

ფრენსისმა მხიარულად გაიცინა.

- საქმიანი საუბარი კაცებთან სჯობია. ქალები ასეთ რამეში გამოუსადეგარნი და მკვახენი არიან.

- ჩემო ძვირფასო, - წამოიწყო მისის სმოლმა, - იმედი მაქვს, მაგას ჩვენზე არ ამბობ.

ეუფემია თავისებურ სიცილს მოჰყვა ჩუმად. ჯერ გადაფიჩინდა და მერე ჭყავილი, წრიპინი და წამოკივლება ერთმანეთში აურია. ბოლოს, თითქოს ვიღაც ახრჩობსო, ისეთ ხმაზე წარმოთქვა:

- ოჰ! პაპიდა, ერთხელაც იქნება, თქვენ სიცილით მომკლავთ და ის იქნება.

სუითინი სასაცილოს ვერაფერს ხედავდა; მას ეჯავრებოდა, როცა უმიზეზოდ იცინოდნენ. უფრო სწორად თუ ვიტყვით, იგი ეუფემიას ვერ იტანდა. მასზე ხშირად ამბობდა, ნიკის ქალიშვილი რომაა, ჰო, რა ჰქვია? აი, ის გალეული და ფერმკრთალიო! სუითინი ეუფემიას ნათლია უნდა ყოფილიყო და იქნებოდა კიდეც, რომ მისი საზღვარგარეთული სახელის წინააღმდეგი არ წასულიყო. ნათლიობა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა. იგი ფრენსის მიუბრუნდა და მისთვის დამახასიათებელი ღირსებით თქვა:

- წელიწადის ამ დროისთვის შესანიშნავი ამინდია.

ეუფემია, რომელმაც იცოდა, რომ სუითინმა უარყო მისი ნათლიობა, პაპიდა ესთერს მიუბრუნდა და მოჰყვა, როგორ შეხვდა მაღაზიაში აირენსა და ბოსინის.

- სომსიც თან ახლდათ, არა? - იკითხა პაპიდა ესთერმა, რომლისთვისაც მისის სმოლს, შესაძლებლობის უქონლობის გამო, დღემდე არ ეამბნა ეს ამბავი.

- სომსი? რა თქმა უნდა, არა!

- მაშ, ქალაქში მარტო იყო გამოსული?

- ოჰ, არა; აირენთან მისტერ ბოსინი გახლდათ. მერე როგორ იყო აირენი ჩაცმული.

მაგრამ სუითინმა ყური მოჰკრა თუ არა აირენის სახელს, მკაცრად გადახედა ეუფემიას, რომელიც არც ჩაცმული ექნა ღმერთს და არც ჩაუცმელი.

- ეჭვი არ მეპარება, - დაიწყო სუითინმა, - რომ როგორც ლედის შეჰფერის, ისე იქნებოდა ჩაცმული. ძალიან მოხდენილი ქალია და მისი ნახვა ერთ სიამოვნებად ღირს.

სწორედ იმ დროს გამოაცხადეს, ჯეიმსი და მისი ქალიშვილები მოვიდნენო. დარტის, რომელსაც უღვინოდ უგუნებობა შემოაწვებოდა ხოლმე, გადაუდებელი საქმეები მოემიზეზებინა. ეთქვა, დანტისტთან უნდა მივიდეო და ალბათ იმ დროს თავის კლუბში მისული და ფანჯარასთან მოკალათებული იქნებოდა.

- ცოლს უნდოდა სტუმრად წავეყვანე, მაგრამ, აბა, რა ჩემი საქმეა ვიზიტები? - განუცხადა მან მეგობრებს.

ოფიციანტს გასძახა, 4:30 საათზე დაწყებული მარულის შედეგი გამიგეო. ძაღლივით დავიღალეო, ამბობდა. მართლაც ძლიერ დაღლილი ჩანდა. მთელი დღე ცოლთან ერთად დავეხეტები

და ბოლოს და ბოლოს, კაცსაც ხომ უნდა ჰქონდეს პირადი ცხოვრებაო, ჩიოდა.

დარტი კლუბში ყოველთვის ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და გამვლელ-გამომვლელს თვალს ადევნებდა. ახლაც ფანჯარასთან მიმჯდარმა, მისდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სომსს მოჰკრა თვალი. იგი გრინპარკის მხრიდან გადმოდიოდა და ალბათ კლუბში აპირებდა შესვლას, რადგან ისიც ამ კლუბის წევრი გახლდათ.

დარტი მაშინვე წამოხტა, ჭიქას ხელი წამოავლო, 4.30 წუთზე დაწყებული მარულის შესახებ რაღაც წაიბურტყუნა და ერთ წამში ბანქოს სათამაშო ოთახში გაჩნდა, სადაც სომსს არასოდეს შეუხედავს. აქ ოდნავ განათებულ ოთახში განმარტოებით იჯდა რვის ნახევრამდე და თავის ჭიას ახარებდა... ამ დროისთვის კი, ალბათ, სომსი კლუბიდან წავიდოდა.

დარტის ერთი სული ჰქონდა, ფანჯარასთან მოლაპარაკებათა ჯგუფს შეერთებოდა, მაგრამ თავისი ფინანსური მდგომარეობა რომ აგონდებოდა, ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და ასე მსჯელობდა: ახლა, ამ გაჭირვების ჟამს, უინიფრიდთან დავა არ ღირს. ხოლო იმ "ბებერს" (ჯეიმსს) ჯერ კიდევ ახსოვს ნავთის აქციების ამბავი და კვლავ იბერებაო. მერე თვითონ დარტის ბრალი მაინც იყოს რამე.

თუ სომსმა კლუბში დაინახა, აუცილებლად უინიფრიდს ეტყვის და ის კი მაშინვე მიხვდება, რომ დარტი დანტისტთან არ ყოფილა. დარტის მეორე ისეთი ოჯახი არ ეგულებოდა, სადაც ასე ელვისებურად ვრცელდებოდა ხმები. ბანქოს სათამაშო მწვანე თივთიკგადაფარებულ მაგიდასთან მიმჯდარს სახეზე თვითო-

ნაც მწვანე ფერი დასდებოდა, კრიალა ლაკის ფეხსაცმლით დამშვენებული ფეხები გადაეჯვარედინებინა, თითი პირში ჩაეყო და თავს იმაზე იმტვრევდა, თუ "ეროტიკი" მარულაში არ გაიმარჯვებდა და ლანკაშირის თასს არ აიღებდა, ფული სად უნდა ეშოვა.

დარტი პირქუში ფიქრებით ფორსაიტებს გადასწვდა. ეს რა ხალხია! ერთ პენს ვერ გააგდებინებ, მაგრამ თუ რამეს გახდი, თან გადაგაყოლებენ. ფულის საკითხში თავისებურნი არიან; ჯილაგში, ჯორჯის გარდა, ერთი სპორტსმენი არა ჰყავთ. ის სომსი ხომ ნულარ იტყვით, რა კაცია. აბა, სცადე და დაესესხე თუნდაც ათი სტერლინგი, ისე ქედმაღლურად გადმოგხედავს, თითქოს რაკი ფულს სესხულობ, ფეხზე ვეღარასოდეს დადგები.

ახლა სომსის მეუღლე გაახსენდა და დარტის მისდა უნებურად ნერწყვი მოადგა. ბევრს ეცადა, აირენთან საერთო ენა გამოენახა, ლამაზ რძალთან ხომ, წესისამებრ, კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმ ქალმა (დარტიმ გონებაში კარგა მაგრად შეუკურთხა) ერთი თბილი სიტყვაც არ გაიმეტა მისთვის. ისე უყურებს, თითქოს ბილწი, მურდალი, მყრალი ვიღაც იყოს. კარგი ჩიტი კია! თითქოს თავზე მწყერს არ აიფრენს! დარტი იცნობს ქალებს; რა წყლიანი შავი თვალები აქვს, კენარი ტანი, ვერც კი შეადარა რამეს! იმ ვაჟბატონს - სომსს მალე სიხარულსაც მოჰგვრის თუ, რასაც აირენზე და იმ მეკობრეზე ამბობენ, მართალი გამოდგა.

სავარძლიდან წამომდგარმა დარტიმ ოთახს დაუარა და მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხრის თავზე ჩასმული სარკის წინ შედგა; აქ კარგა ხანს ტკბებოდა საკუთარი სახის ცქერით. დარ-

ტის ისეთი სახე ჰქონდა (სხვა მამაკაცებსაც აქვთ ასეთი სახეები), თითქოს სელის ზეთით გაუპოხავთო. ულვაში შავად შეღებილი და მოზრდილი ჰქონდა, მაშინ როცა ქილვაშის მხოლოდ დასაწყისი მოუჩანდა. მან მსუქან ცხვირზე მოისვა ხელი და იგრძნო, რომ ძიძიბო ამოსდიოდა.

ამასობაში მოხუცმა ჯოლიონმა ტიმოთის ვეებერთელა სასტუმროში, როგორც იქნა, თავისუფალი სკამი აღმოაჩინა. ნათლად იგრძნობოდა, რომ მისმა გამოჩენამ ოთახში მყოფთ წამოწყებული საუბარი შეაწყვეტინა და უხერხულობა შექმნა. პაპიდა ჯულიმ, რომელიც გულკეთილობით იყო ცნობილი, არ დააყოვნა და მდგომარეობის გამოსწორება სცადა.

- ჯოლიონ, - დაიწყო მან, - ახლა სწორედ იმას ვამბობდით, რამდენი ხანია ჩვენთან არ ყოფილაო; თუმცა არც გასაკვირია; რაღა თქმა უნდა, ძალიან დაკავებული იქნები? ჯეიმსმა გვითხრა, ახლა წელიწადის ისეთი დროა, ყველა დაკავებულიაო...

- ასე თქვა? - იკითხა მოხუცმა ჯოლიონმა და ჯეიმსს მკაცრად გადახედა, - თუ ყველა თავის საქმეს მოუვლის და სხვის საქმეში არ ჩაეჩრება, დროს ყოველთვის გამოძებნის.

მოღუშული ჯეიმსი, იმდენად დაბალ სავარძელში იჯდა, რომ მოხრილი მუხლები კარგა მაღლა აეშვირა. ჯოლიონისგან გაქცეული კატა კი წინდაუხედავად სწორედ მის მოქანავე ფეხებთან მოკალათებულიყო და ჯეიმსმა მას ფეხი მოატყა.

- აქ კატა უნდა იყოს, - გაჯავრებით წაიბუზღუნა ჯეიმსმა, ფეხი რომ რაღაც რბილსა და ბეწვიან სხეულს შეახო.

- თანაც არა ერთი, - გამოეპასუხა ძმას მოხუცი ჯოლიონი და თან ოთახში მყოფნი აათვალიერ-ჩაათვალიერა, - მეც ახლახან დავადგი ერთ-ერთს ფეხი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მისის სმოლმა, როცა თითების წვალებას მორჩა და ყველანი მოათვალიერა უწყინარი მშვიდი თვალებით, ბოლოს ძვირფასი ჯუნის ჯანმრთელობა მოიკითხა.

მოხუცი ჯოლიონის ჯავრიან გამოხედვაში დამცინავი ნაპერწკალი გამოკრთა. ძალზე უცნაური ქალია ეს მოხუცი. ასეთს დუნიაზე მეორეს ვერ იპოვი. ყოველთვის რაღაც უცნაური და უკუღმართი უნდა იკითხოს!

- ცუდად! ძალიან ცუდად! - გამოეპასუხა მოხუცი ჯოლიონი, - ლონდონის ჰაერს ვერ იტანს. აქ ხალხიც ბევრია და ბევრსაც ყბედობენ და ჭორაობენ, - ეს სიტყვები მან დამარცვლით წარმოთქვა და პირდაპირ ჯეიმსს გაუშტერა თვალი.

ხმის ამოღებას ველარავინ ბედავდა.

ახლა სასტუმროში მყოფთ ისეთი გრძნობა დაეუფლათ, რომ ყოველი მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას ან შენიშვნის მიცემას შეიძლება ძალიან საშიში შედეგი მოჰყოლოდა.

როგორც ბერძნული ტრაგედიის წარმოდგენისას მაყურებლებით სავსე დარბაზში იციან, რომ უბედურება გარდაუვალია, ისეთივე ატმოსფერო სუფევდა ახლა ავეჯით გამოტენილ ტიმოთის ოთახში, სადაც თავი მოეყარათ ჭაღარა მოხუცებს, ბრწყინვალედ მორთულ ქალებს, ერთი სისხლისა და ხორცის ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთთან უხილავი ოჯახური სიახლოვე და მსგავსება აკავშირებდათ.

ისინი გონების თვალით კი არ ხედავდნენ გარდაუვალ უბედურებას, ისინი მას გრძნობდნენ.

სუითინი წამოდგა. აქ აღარ დარჩება. ასე ადვილად არავის წაექცევინება და არავის დააჩაგვრინებს თავს. მან მედიდურად ჩამოუარა ოთახში მსხდომთ და ყველას ცალ-ცალკე დაემშვიდობა ხელის ჩამორთმევით.

- ჩემ მაგივრად უთხარით ტიმოთის, რომ ამდენს ტყუილად იფუთნება და ნებივრობს! - მერე კეკლუც ფრენსის მიუბრუნდა, რომელიც ძლიერ მოსწონდა, და დაუმატა, - ამ დღეებში გამოგივლი როგორმე და სასეირნოდ წაგიყვან, - თქვა თუ არა ეს, მაშინვე თვალწინ დაუდგა აირენთან ერთად ის გასეირნება, რომელიც ამდენი სალაპარაკო და სადავიდარაბო შეიქნა. იგი ერთხანს გახევებული იდგა, თითქოს თავისი ნათქვამი თვითონვე უნდა აწონდაწონოსო, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ მისთვის ყველაფერი სულერთი იყო და კარში გასვლამდე მოხუც ჯოლიონს გამოელაპარაკა:

- კარგად იყავი, ჯოლიონ, ძალიან კი ვაჟკაცობ, უპალტოოდ რომ დადიხარ, მაგრამ წელკავს ან რამე უარესს შეეყრები, - თქვა ეს, მერე კატას გალაქული ფეხსაცმლის ჭვინტი ნელა ამოჰკრა და ვეება სხეული გარეთ გაიტანა.

სუითინის წასვლის შემდეგ ერთმანეთს შეფარვით ათვალიერებდნენ. ყველას ერთი მიზანი ამოქმედებდა: ერთმანეთის სახეზე ამოეკითხათ, რა შთაბეჭდილება მოახდინა სუითინის მიერ დაუფიქრებლად წამოსროლილმა, მათ წრეში უკვე გავრცელებულმა სიტყვა "გასეირნებამ", რომელმაც ღრმა აზრი მხო-

ლოდ იმიტომ მიიღო, რომ ოჯახური მითქმა-მოთქმისა და ჭორაობის სათავეს სხვა ოფიციალური საბუთი არ გააჩნდა.

ეუფემიას სხვებზე ადრე გაუწყდა მოთმინების ძაფი და ოდნავ ღიმმორეულმა თქვა:

- უზომოდ მიხარია, რომ ბიძია სუითინმა მეც არ შემომთავაზა სასეირნოდ წასვლა.

ეუფემიაც რომ დაემშვიდებინა და ის ლაპარაკიც თავიდან აეცილებინა, რომელიც სიტყვა გასეირნებას შეიძლება მოჰყოლოდა, მისის სმოლმა გადაწყვიტა, პასუხი გაეცა იმ არამკითხესთვის.

- ჩემს ძვირფას სუითინს მხოლოდ ლამაზი ქალების გასეირნება უყვარს, რომ ხალხის თვალში თვითონაც ფასი დაედოს. არასოდეს დამავიწყდება, მე რომ სასეირნოდ წამიყვანა. ოჰ! შიშისგან რამდენი რამ განვიცადე! - პაპიდა ჯულის პირმრგვალ, მსუქან სახეზე უცნაური წამიერი კმაყოფილება და სიამოვნება აისახა; მერე სახე უკმაყოფილოდ დაეღმიჭა და ცრემლები მოერია.

მას სეპტიმუს სმოლთან ერთად კარგა ხნის წინანდელი, თითქმის ისტორიად ქცეული გასეირნებაც გაახსენდა.

ჯეიმსი, რომელიც დაბალ სავარძელში იჯდა და ფეხებს ნერვიულად ათამაშებდა, თითქოს ახლა გამოფხიზლდა:

- ეგ ჩვენი სუითინი ძალიან ახირებული და სასაცილო ყმაწვილია, - გაუბედავად თქვა მან.

მოხუცი ჯოლიონის დუმილი და გახევებული მზერა ყველა იქ მყოფზე მომნუსხველად მოქმედებდა, ისეთ დღეში იყვნენ, თითქოს დამბლა დასცემიათო. თავისმა ნათქვამმა იგი თვითონაც შეაშფოთა და ცუდ დღეში ჩააგდო, რადგან ამით მხოლოდ დაამძიმა

გარემო და გაამუქა ოჯახში დარხეული ჩურჩულითა და ჭორებით შექმნილი შთაბეჭდილება. სურვილი კი იმისი ჰქონდა, რომ ეს ხმები გაეფანტა და სწორედ ამიტომ მოვიდა; მაგრამ აღელვებამ არ გაუარა და ვერა და ვერ დაწყნარდა.

არა! მოხუც ჯოლიონს ჯერ არ დაუმთავრებია! არა, მათ ჯერ კიდევ მოუხდებათ აბანო და ცხრა პირი ტყავის გაძრობა.

მოხუც ჯოლიონს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ძმისწულ ქალიშვილებზე ამოენთხია გულის დარდი. პირიქით, ახალგაზრდა ლამაზ ქალებს ყოველთვის უნდა ჰქონოდათ მისი მოწყალე გულის იმედი, მაგრამ ეს ვაჟბატონი ჯეიმსი, და დანარჩენებიც, თუმცა მათ ნაკლები დანაშაული მიუძღოდათ, კი იმსახურებდნენ ჭკუის სწავლებას. ჯოლიონმაც იკითხა ტიმოთი.

პაპიდა ჯულიმ თითქოს იგრძნო, რომ უმცროს ძმას საფრთხე დაემუქრა და ჯოლიონს მაშინვე ჩაი შესთავაზა:

- მართალია, ჩვენს აქ ყოფნაში გაცივდებოდა, მაგრამ სმითერი ახალს გააკეთებს.

მოხუცი ჯოლიონი წამოდგა, მადლობთო, წარმოთქვა და პირდაპირ ჯეიმსს მიაჩერდა.

- ჩაის დასალევად, საჩხუბრად და საჭორაოდ არა მცალიან. ახლა უკვე შინ უნდა ვიყო, მშვიდობით ჯული, მშვიდობით ესთერ, ნახვამდის უინიფრიდ.

და ყოველგვარი ცერემონიის გარეშე გარეთ გავიდა.

ეტლში ჩაჯდა თუ არა, განრისხება დაუცხრა. ყოველთვის ასე ემართებოდა ხოლმე. ამოანთხევდა ბოღმას და წყნარდებოდა. ახლა მოწყენილობამ დარია ხელი.

ყველა კი ჩააჩუმა, მაგრამ რა ფასად დაუჯდა! ისე კი დარწმუნდა, რომ ჭორი, რომლის დაჯერებასაც არ აპირებდა, მართალი იყო. ჯუნი მიატოვეს და იმ ვაჟბატონის - ჯეიმსის ვაჟიშვილის ცოლში გაცვალეს! გრძნობდა, რომ ეს სრული ჭეშმარიტება იყო, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა, არ დაეჯერებინა და ისევ ჭორად მიეჩნია. ტკივილი კი, რომელიც ამ გადაწყვეტილების უკან იმალებოდა, ნელა, მაგრამ დაჟინებით გადადიოდა ჯეიმსისა და მისი ვაჟიშვილისადმი გულისწყრომაში.

ექვსი ქალი და ერთი მამაკაცილა დარჩნენ სასტუმროში. საუბარი ისე ადვილად წარიმართა, როგორც ასეთი ამბის შემდეგაა მოსალოდნელი. ცალ-ცალკე ყველა ფიქრობდა, რომ ამ ოჯახურ მითქმა-მოთქმაში თვითონ არაფერ შუაში იყო, ხოლო დანარჩენი ექვსი კი დამნაშავედ მიაჩნდა; ამიტომ ყველანი აღშფოთებულნი და დაბნეულნი ისხდნენ. მხოლოდ ჯეიმსი გაყუჩებულიყო, თუმცა ჩანდა კი, რომ სულით ხორცამდე იყო შეწუხებული.

მალე ფრენსიმ დაარღვია დუმილი:

- ჩემი ღრმა რწმენით, ძია ჯოლიონი ამ ბოლო წელიწადს საგრძნობლად გამოიცვალა. თქვენ რას იტყვით, მამიდა ესთერ?

მამიდა ესთერი, თითქოს რაღაცამ შეაშინაო, ისე შეირხა.

- მამიდა ჯულის ჰკითხე, შვილო! მე მაგისი არაფერი ვიცი.

დანარჩენთაგან არავინ შემკრთალა, ისე დაუმოწმეს ფრენსის, მართალს ამბობო. ჯეიმსს მაღლა არ აუხედავს, ისე სევდიანად წაიბუზღუნა:

- ჯოლიონი იმის ნახევარიც აღარაა, რაც იყო.

- მე ეს კარგა ხანია შევნიშნე, - განაგრძო ფრენსიმ, - უსაშველოდ დაბერდა და მოტყდა.

პაპიდა ჯულიმ თავი გააქნ-გამოაქნია, სახეზე რაღაცნაირი სიბრალული გამოეხატა.

- საბრალო, ძვირფასი ჯოლიონი, ახლა მას მზრუნველი ხელი სჭირდება.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა; მერე ხუთივენი სასწრაფოდ წამოდგნენ, თითქოს ეშინოდათ, სხვებზე მეტხანს არ შევრჩე აქაურობასო და წავიდნენ.

მისის სმოლი, პაპიდა ესთერი და მათი კატა კვლავ მარტონი დარჩნენ. შორიდან კარის მიხურვის ხმა გაისმა, რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ ტიმოთი მოდიოდა.

იმ საღამოს, როცა დასაძინებლად დაწოლილ პაპიდა ესთერს წათვლიმა (იგი იმ ოთახში იწვა, რომელიც ვიდრე პაპიდა ენის საძინებელი გახდებოდა, პაპიდა ჯულის ეკუთვნოდა), კარი გაიღო და ზღურბლზე ვარდისფერხილაბანდწაკრული მისის სმოლი გამოჩნდა სანთლით ხელში.

- ესთერ! - წაიჩურჩულა მან, - ესთერ!

პაპიდა ესთერი ოდნავ შეირხა საბანში.

- ესთერ, - გაიმეორა პაპიდა ჯულიმ, რომ დარწმუნებულიყო, ღვიძავს თუ არაო, - ძლიერ ვწუხვარ საბრალო ჯოლიონის გამო, როგორ... - პაპიდა ჯულიმ ეს როგორღაც დამარცვლით თქვა, - როგორ უნდა ვუშველოთ? - და მის ხმაში მუდარა გაისმა, - აბა რა ვიცი?

პაპიდა ჯული კმაყოფილი გამობრუნდა და კარიც ძლიერ ფრთხილად უნდოდა გამოეხურა, რომ ძვირფასი ესთერი აღარ

შეეწუხებინა, მაგრამ სახელური ხელიდან გაუსხლტა და კარი ზათქით დაიხურა.

უკან დაბრუნებული პაპიდა ჯული თავის საძინებელში ფანჯარასთან მიდგა და მაღლა დარჩენილი ჭუჭრუტანიდან ხეებს ზევით გამოჩენილ მთვარეს დაუწყო თვალთვალი. მარმაშის ფარდები ისე მჭიდროდ აკვროდა სარკმელს, რომ ქუჩიდან ოთახში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. ასე იდგა ვარდისფერ ხილაბანდწაკრული ჯული სარკმელთან, მრგვალ-მსუქან, დანაოჭებულ სახეზე ცრემლი ღვარღვარით სდიოდა და მოხუცი ჯოლიონის მარტოობასა და სიბერეზე ფიქრობდა. მერე ისიც გაახსენდა, რამდენი სიკეთის გაწევა შეეძლო სიბერეში მარტო დარჩენილი ძმისთვის, როგორ შეეთვისებოდა და შეიტკბობდა თავის მხრივ ჯოლიონიც და მას მერე, რაც საბრალო სეპტიმუსი სამარეს ჩავიდა, ალბათ ასე აღარავის ეყვარებოდა ჯული.

თავი მერვე

მეჯლისი როჯერთან

პრინსეზ გარდენზე მდებარე როჯერის სახლი სადღესასწაულოდ გაენათებინათ. ჭაღის ყველა სასანთლეში სანთელი ენთო და გათრაშული მინის ციმციმი პარკეტზე ირეკლებოდა. სამეჯლისოდ გამიზნული ოთახი ფართო და ვრცელი ჩანდა. ამ შთაბეჭდილებას ის ქმნიდა, რომ მთელი ავეჯი ზემო სართულზე აეზიდათ და ოთახში მხოლოდ რაუტისთვის(რაუტი - სადღესასწაულო წვეულება.) საჭირო სავარძლები დაეტოვებინათ.

შორეულ კუთხეში პალმის ჩრდილქვეშ პიანინო იდგა, რომლის სანოტეზეც გადაშლილი "კენსინგტონის ხმები" იდო.

ორკესტრის მოწვევას როჯერი არ დასთანხმდა. მას ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ორკესტრი; ასეთ უმიზნო ხარჯს სულერთია არ გავწევ, უბრალოდ თავს ნუ იწუხებთო, - სწორედ ასე თქვა. ფრენსის (ცოლს როჯერის ამნაირმა საქციელმა დიდი ხანია ქრონიკული დისპეპსია დამართა და ახლა იგი ლოგინში იწვა) სხვა გზა არ ჰქონდა და მხოლოდ პიანინოთი უნდა დაკმაყოფილებულიყო. ფრენსიმ ამას კიდევ ერთი ახალგაზრდა კორნეტისტი დაუმატა და პალმებით ისე მოაწყო საქმე, რომ თუ მუსიკაში ჭიპმოჭრილი ადამიანი არ ესტუმრებოდა, დანარჩენები ვერც მიხ-

ვდებოდნენ, რომ რამდენიმე მუსიკოსი არ უკრავდა. ფრენსიმ გადაწყვიტა, გაეფრთხილებინა ისინი, რომ ხმამაღლა დაეკრათ. თუ კაცი მოიწადინებდა, მარტო კორნეტს შეეძლო რამდენიმენაირი ხმის გამოცემა. თუ უფრო დამუშავებული ამერიკული ენით ვიტყვით, ფრენსი გველის ხვრელში გაძვრა, რომ თავი დაეღწია ამ დახლართული ლაბირინთიდან, - სტუმრებიც ფეშენებლური ბრწყინვალებით მიეღო, ფორსაიტული ეკონომიაც გაეწია და საბოლოოდ ყველაფერი მოეგვარებინა. გამხდარი, მაგრამ მოხდენილი ფრენსი ყელ-კისერთან წულით გაწყობილ ღიაყვითელ კაბაში გამოკვალთულიყო. როგორც გამოცდილ დიასახლისს შეშვენის, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, ხელთათმანს ისწორებდა და ყველაფერს საბოლოოდ ათვალიერებდა.

დაქირავებულ ლაქიას (როჯერს შინამოსამსახურეებად მხოლოდ ქალები ჰყავდა) ფრენსი ღვინოზე მოელაპარაკა. იცის თუ არა მან, რომ მისტერ ფორსაიტმა უიტლიდან მხოლოდ თორმეტი ბოთლი შამპანურის მოტანა ბრძანა? მაგრამ რომ გათავდეს (თუმცა არა მგონია, ქალებიც ხომ ღვინოს არ დალევენ, ალბათ წყალს მიეძალებიან), კრუშონიც არის და როგორც აჯობებს, ისე გააკეთოს.

ლაქიასთან ამდაგვარი ლაპარაკი უხერხულის გარდა დამამცირებელიცაა, მაგრამ ფრენსიმ არ იცოდა, მამისთვის რა მოეხერხებინა. გამართული მეჯლისების გამო როჯერი ჯერ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხოლმე, მერე კი მოირთვებოდა და სასტუმროში ისე მხიარულად შევიდოდა, თითქოს ყველაფერი მისი მოწყობილი ყოფილიყო. იცინებდა, ყველაზე ლამაზ ქალს ვახშმად მიიპატიჟებდა, ორ საათზე კი, როცა სტუმრები ნამდვი-

ლი დროს ტარების ეშხში შევიდოდნენ, ჩუმად მიიპარებოდა მუსიკოსებთან, "ღმერთო, შენ იყავ დედოფლის მფარველის" დაკვრას უბრძანებდა და უჩუმრად საწოლ ოთახში შეძვრებოდა.

ფრენსი ახლაც იმ იმედით იყო, მამა მალე დაიღლება და დასაძინებლად წავაო.

იმ სამ ერთგულ ამხანაგს, რომლებიც მის დასახმარებლად დილიდანვე მოვიდნენ და მეჯლისზეც უნდა დარჩენილიყვნენ, ფრენსი ზემო სართულის პატარა ოთახში ჩაითა და ცივად მოხარშული ქათმის ხორცით გაუმასპინძლდა. კაცები კი, რადგან ასე მსუბუქად ვერ დაკმაყოფილდებოდნენ, სასადილოდ იუსტასის კლუბში გაისტუმრეს.

მისის სმოლი ზუსტად დანიშნულ დროზე გამოცხადდა. ცხრა შესრულდა და მისი ზარიც გაისმა. პაპიდა ჯულიმ ტიმოთის მოუსვლელობის გასამართლებლად საკმაოდ რთული ახსნა-განმარტება წარადგინა, პაპიდა ესთერზე კი, რომელმაც წასვლის წინ უთხრა, აღარ შემაწუხოო, კრინტიც არ დაუძრავს. ფრენსიმ მამიდა ძალიან გულითადად მიიღო, სკამზე ჩამოსვა და თვითონ საქმეებზე გაიქცა. ეს პირველად იყო, რომ ენის გარდაცვალების შემდეგ პაპიდა ჯულის სამგლოვიარო თალხი კაბა გაეხადა და სოსანისფერი აბრეშუმი ჩაეცვა. მარტო დარჩენილმა მისის სმოლმა ტუჩები ამრიზა.

ფრენსის ერთგული ამხანაგები ზემო სართულის ოთახებიდან ქვევით ჩამოიკრიფნენ. ალბათ, რაღაც სასწაულის გამო მოხდა, რომ სულ სხვადასხვა ფერის კაბებში მორთულნი აღმოჩნდნენ, თუმცა სამივეს კაბები ყელ-კისერსა და გულთან წულით იყო გაწყობილი. უცნაური დამთხვევა იყო ისიც, რომ სამივე მე-

ტისმეტად გამხდარი ჩანდა. ყველანი მისის სმოლს წარუდგინეს. არც ერთი არ გაჩერებულა მოხუც ლედისთან რამდენიმე წამზე მეტხანს. ერთად შეჯგუფდნენ, ლაზღანდარობდნენ, ხელში პროგრამებს ატრიალებდნენ და ცალი თვალი კარისკენ ეჭირათ, ვაჟები როდის გამოჩნდებიანო.

მერე ნიკოლასის ვაჟები მოვიდნენ დათქმულ დროზე, როგორც ეს ლედბროკ გროვზე იყო მოდაში. მათ იუსტასი და მისი ძმები შემოჰყვნენ. ესენი რატომღაც ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ და თამბაქოს ბოლით იყვნენ გაჟღენთილნი.

ერთიმეორეს მოჰყვა ფრენსის სამი თუ ოთხი თაყვანისმცემელი; ფრენსის ისინი იმთავითვე გაეფრთხილებინა, დროზე მოდითო. ისინი სუფთად იყვნენ გაპარსული და მხიარულად გამოიყურებოდნენ. ეს იყო ის მხიარულება, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე ხანია, რაც კენსინგტონის ახალგაზრდობას ჩვეულებად ექცა. ერთმანეთის დანახვაზე მამლაყინწებივით არ იქოჩრებოდნენ. ყელზე მშვენიერი ჰალსტუხები გამოენასკვათ, თეთრ ჟილეტებში გამოწკეპილიყვნენ, ფეხზე ისრებიანი წინდები ეცვათ და ცხვირსახოცები ყოშში მიემალათ. მოძრაობა მოქნილი, ძალდაუტანებელი და ხალისიანი ჰქონდათ. სახეებზე პროფესიული მხიარულება გადაჰფენოდათ, თითქოს იმისთვის მოსულიყვნენ, რომ დიდი საგმირო საქმეები ეკეთებინათ. ცეკვის დროს მათ სახეებზე, ნაცვლად ინგლისელი მამაკაცებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სადღესასწაულო იერისა, დაუდევარ, ტკბილ, მომხიბლავ და ზრდილ გამომეტყველებას შენიშნავდით. ქალებთან ერთად ხტუნავდნენ, ძალზე სწრაფად ტრიალებდნენ და მუსიკის რიტმს არად აგდებდნენ.

სხვა მოცეკვავეთ ისინი ათვალწუნებით უცქეროდნენ და უღირსებოდ მიიჩნევდნენ. მარტო ამ ბრწყინვალე ბრიგადის კენსინგტონელ მოცეკვავე გმირებს ჰქონდათ ცეკვის უფლება და სხვებს მათგან უნდა ესწავლათ საზოგადოებაში მოქცევაც, სიცილიცა და ცეკვაც.

ამის შემდეგ სტუმრები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ; ხანში შესული ქალები კედლის გასწვრივ დასხდნენ, უფრო მოძრავმა ადამიანებმა კი მოცეკვავეთა მბრუნავი მორევი გაზარდეს.

კაცები ცოტანი იყვნენ და უკავალროდ დარჩენილი ქალები მათ მიახლოებაზე გრძნობით აღსავსე გამომეტყველებას იღებდნენ, მოთმინებას იკრებდნენ და ისეთნაირი მჟავე გულმოსულობით აღსავსენი იღიმებოდნენ, თითქოს იმისი თქმა სურდათ: "ოჰ, არა, ვერ შემაცდენთ! ვიცი, ჩემთან არ მოდიხართ. მე ამას არც მოველი!" ფრენსი კი სასტუმროს ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა და ხან თავის თაყვანისმცემლებს, ხან კიდევ გამოუცდელ ყმაწვილებს ემუდარებოდა:

- ძალიან გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით, და ნება მომეცით ნამდვილად მომხიბლავი მის პინკი გაგაცნოთ!

მერე კავალერი მის პინკთან მიჰყავდა და ამბობდა:

- მის პინკ - მისტერ გეთერკოული. მის პინკ! ალბათ ყველა ცეკვაზე არ ხართ დაკავებული?

მის პინკი ნაძალადევად გაიღიმებდა, სახე აეტკრიცებოდა და იტყოდა:

- ოჰ, მე მგონია, ყველაზე არ უნდა ვიყო დაკავებული.

მერე ცეკვის ცარიელ ბარათს(ცეკვის ბარათი - არსებობდა სპეციალური ბარათები, რომლებიც მეჯლისებზე მანდილოსნებსა და ახალგაზრდა ქალებს ურიგდებოდათ. ამ ბარათში ისინი იწერდნენ იმ კავალრების სახელსა და ცეკვებს, რომლებიც მათთან ერთად უნდა შეესრულებინათ.) ხელს დააფარებდა, რომ ძალად მოყვანილ კავალერს არ დაენახა, შეუვსებელიაო, და გეთერკოულს ჩაწერდა.

მაგრამ როგორც კი უნებლიე კავალერი ჩაიბურტყუნებდა, სიცხით იწვის აქაურობაო და მის პინკს განშორდებოდა, ის კვლავ უიმედო მოლოდინს ეძლეოდა და სახეზე კვლავ გულმოსულობით აღსავსე მჟავე ღიმილი ეფინებოდა.

დედები ნელა ინიავებდნენ სახეს და ქალიშვილთა წარმატებებს უთვალთვალებდნენ. ამ ქალბატონთა სახეზე აშკარად ამოიკითხავდით, ბედი უღიმოდათ თუ არა მათ ასულებს. რაც შეეხება იმას, რომ საათობით უჩუმრად ისხდნენ, იქანცებოდნენ და მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით თუ გამოელაპარაკებოდნენ ვინმეს, - ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ კი ქალიშვილებს ესიამოვნათ! მაგრამ ძნელია, როცა შენი თვალით უყურებ, რომ მას ყურადღებას არავინ აქცევს, ან გვერდს უვლიან! აჰ! ისინი იღიმებოდნენ, მაგრამ მათი თვალები, შეურაცხყოფილი გედის თვალებით იგესლებოდა; სურვილი ახრჩობდათ, კოხტა შარვლის ტოტებში სწვდომოდნენ გეთერკოულს და ის თავხედი თავის ქალიშვილებთან მიეთრიათ!

ცხოვრების მთელი სისასტიკე, ულმობლობა, სუსხი, უგულობა, სიმძიმე, პათოსი, უთანაბრო ბედნიერება, ახირება, საკუთარი ინტერესების დათმობა, მოთმინება - ყველაფერი უხვად იყო ამ

კენსინგტონულ სასტუმრო ოთახში გამართული მეჯლისების ბრძოლის ველზე.

ხან აქ და ხან იქ შენიშნავდით შეყვარებულთ - ფრენსის თაყვანისმცემლების მსგავსთ კი არა - სხვაგვარ-გუჯაბისას, მაგრამ უბრალოდ, ადამიანურად შეყვარებულთ, მოცახცახეთ, ატკრეცილთ, მდუმარეთ, რომლებიც იმოდენა ხალხში ქურდული მზერით დაეძებდნენ ერთმანეთს, ცეკვის ორომტრიალში ხელიხელჩასაჭიდად პოულობდნენ ერთიმეორეს და ერთად სრიალის დროს ურთიერთსიახლოვით თვალებში სხივჩამდგარნი, უნებური მაყურებლის მზერას იტაცებდნენ.

ზუსტად ათ საათზე მოვიდნენ ჯეიმსი, ემილი, რეჩელი, უინიფრიდი (დარტი ამას წინათ როჯერთან სტუმრად ყოფნისას შამპანურს მიეძალა და შინ დატოვეს) და სესილი. ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის სესილი გახლდათ. ხალხში ეს მისი პირველი გამოსვლა იყო. მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ მამისეულ სახლში ნასადილევი სომსი და აირენი.

ახალმოსულ ქალბატონებს ძალიან გულღია კაბები ეცვათ. შიშველი სხეულის ასეთი გაბედული გამოფენა იმის დამადასტურებელი იყო, რომ ისინი პარკის იქითა მხრიდან, უფრო ფეშენებელური რაიონიდან მოვიდნენ.

სომსი მოცეკვავეთ გაერიდა და კედელთან დადგა. სახეზე უნდილი ღიმილი გადაჰფენოდა და ისე იყურებოდა. ვალსს ვალსი მოსდევდა და განუწყვეტლივ მოსრიალე წყვილები ერთმანეთს უღიმოდნენ, შესციცინებდნენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ; ანდა ტუჩებმოკუმულნი, თვალებით ვიღაცას დაეძებდნენ; ისე უსიტყვოდ, დადუმებულნი ერ-

თმანეთს დაჟინებით აცქერდებოდნენ. ზეიმის კეთილსურნელება, ყვავილებისა და თმის არომატი, სუნამოს ბანგი, ქალებში რომ ასეთი დიდი პატივით სარგებლობს, ჰაერს ავსებდა ზაფხულის ამ თბილ ღამეში.

მდუმარე სომსი, რომელსაც ტუჩებზე რაღაცნაირი ზიზღი თუ სიძულვილში ნარევი ღიმი დამჩნეოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა გარშემო; მაგრამ მისი თვალები ამ ერთმანეთში აღრეულ მოსრიალე ხალხში, ხან აქ და ხან იქ პოულობდა იმას, ვისაც ეძიებდა და ის ზიზღნარევი ღიმილიც კი წამსვე ზედ ტუჩებზე აკვდებოდა.

სომსი არავისთან არ ცეკვავდა. ზოგი ყმაწვილი ცოლთანაც ცეკვავს ხოლმე, მაგრამ სომსს ეტიკეტზე საკუთარი შეხედულება ნებას არ აძლევდა ქორწინების მერე აირენთან ეცეკვა და მარტო ერთმა ფორსაიტების ღმერთმა იცოდა, რა შეღავათს პოვებდა ამაში.

სხვებთან მოცეკვავე აირენი გვერდით ჩაუქროლებდა ხოლმე. შოლტივით ტანზე შემოსალტული ზამბახისფერი კაბა მუხლებზე ელამუნებოდა. საუცხოოდ ცეკვავდა: სომსი დაქანცა აირენის მისამართით ნათქვამი დითირამბების მოსმენამ: "ოჰ, რა შესანიშნავად ცეკვავს თქვენი მეუღლე, მისტერ ფორსაიტ, მისი ყურება ერთ სიამოვნებად ღირს". ახლა პასუხის გაცემა! სომსს ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა და ქანცავდა. იგი ალმაცერად გადახედავდა ხოლმე მოსაუბრეს და ეტყოდა: "თქვენ ასე ფიქრობთ?"

ერთი ახალგაზრდა წყვილი კეკლუცად მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც სომსი იდგა. ისინი რიგრიგობით იქნევდნენ ბარათს.

სომსს უსიამოდ შეუტოკა ნესტოები მათი მარაოთი დარხეულმა სურნელმა. ფრენსი და მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელიც ძლიერ ახლოს იდგნენ მასთან და სომსს ესმოდა, როგორ საუბრობდნენ ისინი სიყვარულზე.

უკნიდან როჯერის ხმა გაისმა. იგი მსახურს ვახშმის თაობაზე ბრძანებას აძლევდა. სომსს ყველაფერი ზედმეტად მდაბიური ეჩვენა. არც უნდოდა წამოსვლა! აირენსაც ჰკითხა, წამოვიდე თუ არაო; აირენმა კი მისთვის დამახასიათებელი ჭკუისამრევი ღიმილით უპასუხა:

- ოჰ, არა!

რისთვის წამოვიდა? აგერ მეოთხე საათი ისე გაილია, ცოლისთვის თვალიც არ მოუკრავს. შემდეგ კი დამცინავი ღიმილით მისკენ მომავალი ჯორჯი შენიშნა. უკვე გვიან იყო და ვეღარსად დაემალებოდა.

- მეკობრე ნახე? - იკითხა ამ პატენტიანმა ხუმარამ, - გეგონება საბრძოლველად გამზადებულაო, - თმაც შეუკრეჭია და ყველაფერი!

სომსმა უპასუხა, არ მინახავსო, ცარიელი სასტუმრო გაიარა (ვინაიდან შესვენება იყო), აივანზე გავიდა და ქუჩას გახედა.

ეტლი მოგრიალდა და თან დაგვიანებული სტუმრები მოიყვანა. კართან ბლომად მოეყარათ თავი ლონდონის ქუჩების ბინადარ ყმაწვილებს, რომლებსაც სინათლესა და მუსიკაზე უყვართ ხოლმე შეგროვება და მოთმინებით ლოდინი. მათი ფერმკრთალი, მავედრებელივით ზევით აპყრობილი სახეები მათივე ტანსაცმლის შავ ფონზე დონდლოდ და უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ და ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფი სომსი, კიდევ უფრო გააღი-

ზიანეს. რატომ არ უშლიან ასე თრევასა და ხეტიალს, ან რატომ პოლიციელი არ გარეკავს?

მაგრამ პოლიციელი არც კი ამჩნევდა მათ. ფეხები შუა ქუჩაში გავლებულ წითელ ზოლზე გაეჩაჩხა და მუზარადს ქვევიდან თვითონაც ისეთივე უსიცოცხლო, დონდლო სახე მოუჩანდა, როგორც იმ ლონდონელ ქუჩის ბიჭებს.

გზის გადაღმა, მოაჯირს იქით სომსმა ქუჩის ლამპიონების შუქზე ნიავისგან ოდნავ დარხეული ტოტების ბრწყინვა შენიშნა; იმავე მხარეზე ჩამწკრივებულ სახლებს კუპრივით ბნელ ღამეში მიშტერებული თვალებივით აჩნდა ფანჯრები, სახლებს ზემოთ კი გაშლილიყო ყოვლისმხილველი ზესკნელი, შესანიშნავი ლონდონური ცა, ურიცხვ ლამპიონთა შუქით გასხივოსნებული, ადამიანთა მოთხოვნილებებითა და საჭიროებებით, ოცნებებითა და ფანტაზიებით ნაქსოვი ვარსკვლავიანი გუმბათი; უსაზღვრო სარკე სიმდიდრისა და გაჭირვებისა, ზარ-ზეიმისა და უბედურებისა, რომელიც ერთიმეორის მონაცვლე ღამეთა განმავლობაში კეთილი დაცინვით გადმოჰყურებს სახლებს, ბაღებს, სასახლეებს, ქოხმახებს, ფორსაიტებს, პოლიციელებს და ქუჩის იმ უსიცოცხლო დონდლოსახიან ბიჭებს.

სომსმა პირი იბრუნა და თავისი სამალავიდან განათებულ ოთახში შეიხედა. აივანზე უფრო გრილოდა. მან ახალმოსულებში ჯუნი და მოხუცი ჯოლიონი შეიცნო. ასე რატომ დაიგვიანეს? ისინი შემოსასვლელ კარშივე შეჩერდნენ. ორივეს განაწამები სახე ჰქონდა. ასე ღამეული სტუმრობა ძია ჯოლიონისგან დაუჯერებელი ამბავია. რატომ ჯუნმა ჩვეულებრივ არ შემოუარა

აირენს? და მას უცებ გაახსენდა, რომ დიდი ხანია, რაც ჯუნი არ ენახა.

სომსი უმიზნო ღვარძლით შეჰყურებდა ჯუნს. შეამჩნია, რომ ქალიშვილს ჯერ სახე გაუფითრდა, თითქოს საცაა წაიქცევაო, შემდეგ წამოეგზნო და აუპარპალდა. სომსმა იქით გაიხედა, საითაც ჯუნი იყურებოდა და ბოსინი შენიშნა. იგი ორანჟერეიდან გამოვიდა და თან ხელგაყრილი აირენი მოჰყავდა სასტუმროს-კენ.

სომსმა კვლავ ჯუნს შეხედა. მას მოხუცი ჯოლიონისთვის ჩაეჭიდა ხელი; ჩანდა, რაღაცას ემუდარებოდა; მერე მოხუცი ჯო-ლიონის განცვიფრებულ სახეს მოჰკრა თვალი; ისინი მიბრუნ-დნენ და კარს იქით გაუჩინარდნენ.

ისევ გაისმა მუსიკის ჰანგები. კვლავ ვალსი წამოიწყეს. სომსი ქანდაკებასავით იდგა ფანჯრის ნიშში. სახეზე აღარ აჩნდა ის ნა-ძალადევი მჟავე ღიმილი და ერთი კუნთიც კი არ უთრთოდა, ის რაღაცის მოლოდინში გარინდებულიყო. ჩაბნელებული აივნიდან დაახლოებით ერთი იარდის მანძილზე უცებ ბოსინიმ და აირენმა ჩაუქროლეს. მის ნესტოებს აირენის საყვარელი სუნამოს, ხევარ-დის სურნელი მისწვდა. სომსმა შენიშნა, როგორ აუდ-ჩაუდიოდა აირენს ფიქალი გულმკერდი, თვალები მიჰბნედოდა და ბაგე ნა-ხევრად გახსნოდა. ასეთი ნეტარება აირენის სახეზე სომსს ჯერ არ ენახა. მას მოეჩვენა, რომ ვალსის ნელ რიტმულ ტაქტზე მათი სხეულები ერთმანეთს ეკვროდნენ. ისიც შენიშნა, რა ნაზად, და-ფარულად აათვალიერა აირენმა ბოსინი და მერე თვალები დახა-რა.

გაფითრებულმა სომსმა სასტუმროს ზურგი აქცია, მოაჯირს დაეყრდნო და დაბლა ცქერა დაიწყო; დონდლოსახიანი ბიჭები ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ, პოლიციელიც ისევე ისე გაჩაჩხული იდგა, მაგრამ სომსი უკვე ვეღარ ამჩნევდა მათ. მალე სადარბაზოს ეტლი მოადგა, შიგ ორნი ჩასხდნენ და გაუჩინარდნენ...

იმ საღამოს ჯუნი და მოხუცი ჯოლიონი ჩვეულებრივ დროს დასხდნენ სადილად. ჯუნს გულთან ამოუჭრელი, ბოლომდე შეკრული საყოველდღეო კაბა ეცვა; მოხუცი ჯოლიონიც საშინაოდ იყო ჩაცმული.

ჯერ კიდევ საუზმეზე ჯუნმა მოხუც ჯოლიონს უთხრა, ძია როჯერთან გამართულ მეჯლისზე ყოფნა მსურს, მაგრამ სულელურად მოვიქეცი, არავისთვის მითქვამს, რომ ერთად წავსულიყავით და ახლა კი გვიანაა.

მოხუცმა ჯოლიონმა გამჭოლავი თვალებით ახედა. როგორც წესი, ის ხომ ცეკვებზე აირენთან ერთად დადიოდა! მოხუც ჯოლიონს წინდახედულად მზერა არ მოუშორებია შვილიშვილისთვის, ისე ჰკითხა:

- რატომ აირენთან ერთად არ გინდა წასვლა?

არა! ჯუნს აირენის ხვეწნა-მუდარის თავი არა აქვს და მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ პაპა ამ ერთხელ მაინც გაჰყვება პაპა როჯერთან - თანაც სულ ცოტა ხნით!

ჯუნი ისე სულწასულად და უღონოდ შეჰყურებდა, რომ მოხუცი ჯოლიონი დათანხმდა, მაგრამ აბუზღუნდა: ნეტავ რა უნდა იქ. აბა, რა უნდა ნახოს. თუნდაც ნაძლევს ჩამოვალ, რომ საცოდაობის მეტი არაფერი იქნება; მერედა რას არგებს მეჯლისებზე სიარული. მას ხომ ზღვის ჰაერი სჭირდება. აი, ოქროს წარმოების

კონცესიის საერთო კრებას ჩაატარებს თუ არა, მაშინვე ზღვისკენ გაუყენებს გზას. რაო? იქ წასვლა არ მინდაო? საკუთარი თავის მტერია, თუ რა? მოხუცმა მალულად შეავლო მჭმუნვარე თვალები ჯუნს და ჭამა განაგრძო.

ჯუნი ადრე გავიდა სახლიდან და დიდხანს იხეტიალა სიცხეში. მის პატარა, მჩატე სხეულს, რომელიც ამ ბოლო დროს მოუდუნდა, ახლა თითქოს ცეცხლი და გენია მოედო. ყვავილები იყიდა. სურვილი კლავდა, რომ მეჯლისზე ძლიერ მომხიბვლელი ყოფილიყო. ისიც იქ იქნება! მან კარგად იცოდა, რომ ბოსინის სადარბაზო ბარათი გაუგზავნეს. ამ საღამოს ჯუნი დაუმტკიცებს, რომ მისთვის ყველაფერი სულერთია. მაგრამ გულის სიღრმეში გადაწყვიტა, სწორედ მეჯლისზე რამენაირად კვლავ მოენადირებინა ბოსინი და უკანვე დაებრუნებინა. იგი აღგზნებული დაბრუნდა და მეორე საუზმეზე ძალიან ბევრს ლაპარაკობდა. მოხუცი ჯოლიონიც იქ იყო და შვილიშვილმა უყელა და აცდუნა.

შუადღისას სასოწარკვეთამ დასძლია და ქვითინი აუვარდა. სლუკუნი და ქვითინი რომ ჩაეხშო, თავი ბალიშში ჩარგო. როცა წამოდგა, სარკეში დაწითლებული თვალები, ჩაშავებული უპეები და გასივებული სახე დაინახა. იგი სადილობამდე ბნელში დარჩა.

სადილზეც ბნელში იჯდა და საკუთარ თავს ებრძოდა. ისე მისუსტებული და ლანდივით მიმქრალი ჩანდა, რომ მოხუცმა ჯოლიონმა ეტლი გადააყენებინა და უთხრა, ვერსად გაგიშვებო. ჯუნი დაემორჩილა და ლოგინში ჩაწვა. სინათლე არ აუნთია. ათ საათზე მსახურს დაურეკა და უთხრა:

- თბილი წყალი მომიტანეთ, მერე ჩადით და მისტერ ფორსაიტს გადაეცით, რომ მშვენივრად დავისვენე და თუ ძლიერ დაღლილია, მეჯლისზე მარტო წავალ.

მსახურმა ეჭვით შეათვალიერა და ჯუნმა ბრძანების კილოთი გაუმეორა:

- წადი და ახლავე თბილი წყალი მომიტანე.

სამეჯლისო კაბა ჯუნს ჯერ ისევ სავარძელზე ჰქონდა გადაფენილი. მან უჩვეულო სისწრაფით ჩაიცვა, ყვავილები აიღო და დაბლა ჩავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მის მომცრო სხეულს მძიმე ტვირთად აწვა მოდურად აქოჩრილი ხშირი თმა, იგი თავაღერილი მიაბიჯებდა. მოხუცი ჯოლიონის ოთახს რომ ჩაუარა, პაპის ფეხის ხმა შემოესმა.

ჩიხში მოქცეულმა, გაგულისებულმა ჯოლიონმა მაინც ჩაიცვა. ათიდან უკვე გადასული იყო და როჯერის სახლამდე ალბათ თერთმეტ საათამდე ვერც მიაღწევდნენ, ჯუნი ნამდვილად შეიშალა. მაგრამ სადილობის დროს ჯუნის გამომეტყველება რომ ახსენდებოდა, მოხუც ჯოლიონს გული ეკუმშებოდა და ამიტომ აღარც ახირებია, ნუ წავალთო.

ებანოზის ხის სავარცხლით იმდენი ივარცხნა, ვიდრე თმამ ვერცხლისფრად ლაპლაპი არ დაუწყო. მერე ისიც წყვდიადით მოცულ კიბეზე დაეშვა. ჯუნი დაბლა დახვდა და ეტლამდე უხმოდ მივიდნენ.

როცა ეს, ჯუნის ფიქრით, დაუსრულებული მგზავრობა დასრულდა, ისინი როჯერის სასტუმროში აღმოჩნდნენ. ჯუნის გარეგნული სიმტკიცის ქვეშ ფარული ტანჯვა და ნერვიულობა იფარებოდა. სირცხვილის გრძნობა, რომ ვინმეს არ ეფიქრა "ბო-

სინის დასდევს კუდშიო", იმის შიშმა გაუნელა, ვაითუ სულაც არ მოსულა აქ და ვერც ვნახოო. მაშინ ხომ ვერ განახორციელებდა სიკერპით მიღებულ გადაწყვეტილებას - უკან დაებრუნებინა ბოსინი, რაც ისედაც არ იცოდა, როგორ და რანაირად უნდა მოეხერხებინა.

სასტუმრო ოთახის გაპრიალებული იატაკის დანახვამ სიხარული მოჰგვარა. ცეკვა ხომ მისი სტიქია იყო. ცეკვისას ჯუნი სიმივით დაიჭიმებოდა და სულ ფრენდა. ბოსინი ნამდვილად გაიწვევს საცეკვაოდ და, თუ იცეკვეს, მაშინ ყველაფერი ძველებურად იქნება. ჯუნი თვალებით გულმოდგინედ დაეძებდა ბოსინის.

ორანჟერეიდან მომავალი ბოსინისა და აირენის დანახვამ და ბოსინის სახეზე იმის ამოკითხვამ, რომ მისთვის აირენს გარდა სხვა არავინ და არაფერი არსებობდა, ჯუნს თავზარი დასცა. მისი მწუხარება და უბედურება არ დაუნახავთ - არავის დაუნახავს, პაპამაც კი ვერ შეამჩნია.

ჯუნმა მკლავზე წაავლო ხელი მოხუც ჯოლიონს და დაბალი ხმით უთხრა:

- მე უნდა შინ დავბრუნდე, პაპა, ძალიან ცუდად ვარ.

მოხუცმა ჯოლიონმა მყისვე დაუთმო გზა გასასვლელში, თან ბუზღუნებდა, წინასწარ ვჭვრეტდი, რითაც დამთავრდებოდა ყველაფერიო.

ჯუნისთვის არაფერი უთქვამს; მაგრამ ეტლში რომ ჩასხდნენ, რომელიც ღვთის წყალობა იყო, თუ სხვა რამ, გასასვლელში კარგა ხანს დაყოვნდა, მოხუცმა ჰკითხა:

- რა დაგემართა, შვილო?

მოხუცი ჯოლიონი ხედავდა, როგორ უთრთოდა ასლუკუნებულ ჯუნის პატარა სხეული და საშინლად აღელდა. აუცილებლად ხვალვე ბლენკს მოჰგვრის. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

როგორც იქნა, ჯუნი თავს მოერია და სლუკუნი შეიკავა. მერე მოხუცის ხელს ჩაეჭიდა, ციებიანივით აცახცახებული კუთხეში მიჯდა და სახეზე ყელსახვევი აიფარა.

მოხუცი ჯოლიონი ახლა მხოლოდ სიბნელეს ჩაშტერებულ ჯუნის თვალებს ხედავდა. იგი გამხდარი თითებით ჯუნის ხელს ხელიდან არ უშვებდა და ბავშვივით ეფერებოდა.

თავი მეცხრე

საღამო რიჩმონდში

ჯუნისა და სომსის გარდა, სხვა თვალმაც შენიშნა ორანჟერეიდან "იმ ორნის" (როგორც მათ ეუფემია ეძახდა) გამოსვლა; სხვა თვალმაც შეამჩნია ბოსინის სახეზე აღბეჭდილი გამომეტყველება.

არის ისეთი წუთები, როცა ბუნებას სააშკარაოზე გამოაქვს გრძნობა, რომელიც ჩვეულებრივ უდარდელი განწყობილების საფარქვეშაა ღრმად დაფარული. შმაგი გაზაფხულის მზით ალმოდებულ ღრუბლებში გამოჭრილი სხივები ნუშის კვირტებსაც გაახელებს, დახედავს და თეთრად გადაპენტავს; მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალი მთვარის შუქზე მუქ სილურჯეში მოკაშკაშე ერთ-ერთ ვარსკვლავთან დაიწყებს ლივლივს; ძველი ურთხელის გაფოთლილი ხე ჩამავალი მზის სხივებისგან იცავს ზეცის რომელიმე ცეცხლოვან საიდუმლოს.

არის ისეთი წუთებიც, როცა სურათების გალერეაში უბრალო დამთვალიერებლებისგან მოწონებული ტილო, მაგალითად, ტიციანის რომელიმე შესანიშნავი ნამუშევარი - ფორსაიტის ჯავშანსაც შელეწავს (იქნებ იმიტომ, რომ იმ დღეს სხვებზე უკეთ მიაძღა საუზმეს) და ისე მოაჯადოებს, მონუსხავს მას, თითქოს ექ-

სტაზშიაო. არის საგნები, არის ამბები და მათი მდინარება და მონუსხული ფორსაიტი გრძნობს - აქ არის საგნები, ჰო, საგნები, რომლებიც ნამდვილად საგნებია. მას რაღაც მოუფიქრებელი, გაუთვალისწინებელი, არაკეთილგონიერი საქმე ემართება; როცა ცდილობს პრაქტიკული კაცის სიზუსტით მოხაზოს, განსაზღვროს და დაადგინოს ყოველივე, ის კი გაურბის, ხელიდან უსხლტება და ისე უორთქლდება, როგორც დალეული ღვინის ალი, რომელიც აწამებს და არ ავიწყებს, რომ ღვიძლი აქვს. ის გრძნობს, რომ რაღაც ექსტრავაგანტური და საკვირველი იყო, ღირსი იმისა, რომ ყველაფრისგან განძარცულიყო. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ჩაეხედა კატალოგში და ენახა, რა იმალება იქ, სამ ვარსკვლავს იქით. ღმერთო, დაიფარე, და ბუნების ძალთა არავითარი საიდუმლო არ აცოდინო! ღმერთო, უშველე! და თუნდაც ერთ წუთს არ აფიქრებინო, რომ ასეთი საიდუმლოება არსებობს. ერთხელ გაიფიქრებ ასეთ რამეს და მერე მშვიდობით, სულიან-ხორციანად დაიკარგები. ერთი შესვლისთვის იხდის შილინგს, მეორე კი პროგრამას იძენს.

გამოხედვა, რომელსაც ჯუნმა მოჰკრა თვალი და სხვა ფორსაიტებმაც გამოიჭირეს, მიაგავდა ტილოს კარავში უცაბედად აალებულ სანთელს, რომლის უკან ვიღაცას მოჰქონდა ბუნდოვანი ცდომილი, მოგიზგიზე ალი... მისმა მხილველებმა ერთხმად ირწმუნეს, რომ საშიში ძალები მოქმედებდნენ. ერთხანს სიამოვნებდათ მისი თვალთვალი და ინტერესიც გაუჩნდათ, მაგრამ მალევე იგრძნეს, რომ იგი არ უნდა შეემჩნიათ.

ახლა ადვილი ასახსნელი იყო, რატომ დააგვიანა ჯუნმა მეჯლისზე, რისთვის გაუჩინარდა ისე, რომ ერთხელაც არ უცეკვია

და რანაირად მოხდა, რომ საქმროს არც მისალმებია. ამბობენ, ავადააო და არცაა გასაკვირი.

ისინიც დამნაშავეებივით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. იქ მყოფ შინაურთაგან არც ერთს ჰქონია სურვილი, ვინმეზე ძვირი ეთქვა და აყალმაყალი გამოეწვია. ან ვინ მოინდომებდა ამას? სტუმრებს ხომ არ გაანდობდნენ ოჯახურ გასაჭირს? დაუწერელმა კანონმა აიძულა ისინი, დადუმებულიყვნენ.

მერე ხმა დაირხა, ჯუნი მოხუცმა ჯოლიონმა ზღვაზე წაიყვანაო.

ვინაიდან ყოველ ფორსაიტს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, დახარჯული ფულით ისეთი ჰაერი ისუნთქოს, რომ პირველივე კვირას იგრძნოს ან დაინახოს ორგანიზმში მომხდარი ცვლილება, ისინი იმჟამად მოდაში ახალშემოსულ კურორტ ბროუდსტერზში გამგზავრებულიყვნენ. ის ფატალური არისტოკრატიული ტენდენცია, რომელიც პირველ ფორსაიტს სხვა ღვინოებზე უფრო მადეირას არჩევინებდა, მის ჩამომავალთ კიდევ უფრო განუმტკიცდათ.

ასე რომ, ჯუნი ზღვაზე გაემგზავრა. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ოჯახი მოვლენათა განვითარებას ელოდა.

მაგრამ განა ასე შორს შეტოპა "იმ ორმა"? ან კი მართლა აპირებდნენ შეტოპვას? მათ ურთიერთობას კარგი ბოლო არ მოჰყვებოდა არც ერთისთვის, რადგან სულის გარდა, არაფერი ებადათ. ალბათ ყველაფერი დროზე დამთავრდებოდა და შეყვარებულნი მხოლოდ არშიყობას დასჯერდებოდნენ, როგორც ჩვეულებრივ მთავრდება ხოლმე უსახსრო სასიყვარულო თავგადასავლები.

სომსის დას, უინიფრიდ დარტის, რომელიც გრინსტრიტზე ცხოვრობდა, მეიფერის ჰაერთან ერთად ცოლქმრულ ურთიერთობაზე მოდური პრინციპებიც შეესისხლხორცებინა.

იგი უფრო სხვა თვალით უყურებდა ბოსინისა და აირენის ურთიერთობას, ვიდრე ლედბროკ გროვზე მცხოვრებნი. დარტის მათი შეხედულებები და დასკვნები სასაცილოდ მიაჩნდა. იმ "პატარა არსებას", - აირენი დარტიზე მაღალი გახლდათ, მაგრამ ფორსაიტისთვის ყოველთვის ღირსების მომმატებელი ნამდვილი საბუთია, თუ სხვას "პატარა არსებას" უწოდებს, - ალბათ თავი მოსძულდა და რატომ არ უნდა გაერთოს? სომსი, როგორც მამაკაცი, ძალიან მომაბეზრებელია; რაც შეეხება ბოსინის, მარტო იმ მასხარა ჯორჯს შეეძლო ეთქვა, მეკობრეს მიაგავსო, დარტის აზრით კი ბოსინი კოხტა და მშვენიერი ახალგაზრდა გახლდათ.

უინიფრიდ დარტის ნათქვამმა, რომ ბოსინი მართლაც რომ კოხტა და მშვენიერი ყმაწვილი კაციაო, ნამდვილი სენსაცია გამოიწვია, მაგრამ ვერავინ დააჯერა. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა თქმა, რომ არა უშავს რა, კარგი შესახედავი ყმაწვილიაო, მაგრამ ყვრიმალის ძვლებწამოწეულ, უცნაურთვალება და ფეტრისქუდიან კაცზე იმის თქმა, მართლაც რომ კოხტა და მშვენიერი ყმაწვილიაო, მხოლოდ ისეთ მოდასაყოლილ და უცნაურ ქალს შეეძლო, როგორიც უინიფრიდ დარტი გახლდათ.

ისეთი საუცხოო ზაფხული იდგა, რომ მოდაში უცნაურობა შემოვიდა. თვითონ მიწაც კი რაღაც უცნაური შეიქნა. წაბლის ხეები გაიფურჩქნენ, აყვავდნენ და ირგვლივ ისეთ დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ, როგორც არასოდეს. ვარდი ყველა ბაღში გაიშალა; ღამეული ცა გუნდსა და გუნდ მოკაშკაშ-მოელვარე

ვარსკვლავთ ვეღარ იტევდა; მზე კი თავის ოქროსფერ ფარს მთელი დღე აქეთ-იქიდან უღერებდა ბაღებს და მიჯაჭვულივით არ სცილდებოდა. ადამიანებიც უცნაურ ამბებს სჩადიოდნენ. მათ სახლებიდან ბაღებში გადაიტანეს საუზმე, სადილი და ვახშამი. ვერცხლისფრად მოლივლივე მდინარეზე გადებულ უამრავ ხიდს მოსვენება დაჰკარგოდა ეტლებისგან. ეკიპაჟი ეკიპაჟს მისდევდა და შიგ ოჯახებიანად მოკალათებული საშუალო კლასის წარმომადგენლები ბუშის,(ბუში - ქალაქგარეთ არსებული პარკი, ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით) რიჩმონდის, კიუის(კიუი - ბოტანიკური ბაღი ლონდონის გარეუბანში, თემზაზე) და ჰემპტონ-კორტის(ჰემპტონკორტი - სასახლე აშენებულია XVI საუკუნეში. ირგვლივ უზარმაზარი ბაღი აკრავს. მდებარეობს ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით. ყველაზე პოპულარული ადგილი იყო ქალაქგარეთ გამსეირნებელთათვის.) ამწვანებული ბაღებისკენ მიისწრაფოდნენ. საკუთარი ეტლის პატრონი თითქმის ყველა ოჯახი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, ერთხელ მაინც გაესეირნა ბუშის წაბლის ხეივანში, ან ესპანური წაბლებით დამშვენებულ რიჩმონდპარკში. საკუთარი ეტლებისგან დაყენებულ მტვრის კორიანტელში ისინი ნელა მიიწევდნენ წინ და თან ტყიდან მომზირალ თავაწეული ირმების ქორბუდა რქებს მისჩერებოდნენ. ტყე და ბუჩქნარი იმგვარად გაფოთლილიყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ შემოდგომისთვის შეყვარებულებს ჯერ არნახულ თავშესაფარს ჰპირდებოდა. და როცა მათ ყნოსვას წაბლის ყვავილებისა და გვიმრის მომძლავრებული სურნელება აღიზიანებდა, ერთიმეორეს ეუბნებოდნენ: ჩემო ძვირფასო, რა უჩვეულო სურნელი დგას ჰაერშიო!

იმ წელიწადს ცაცხვის ყვავილებსაც საოცარი თაფლისფერი დაჰკრავდა. და როცა ჩამავალი მზის სხივები ლონდონის ბაღებს ალისფრად აელვარებდა, ისინი იმ თაფლზე ტკბილ სურნელებას აფრქვევდნენ, რომელიც ფუტკრებს სკებისკენ მიჰქონდათ. ეს სურნელება ფორსაიტებსა და მათი გვარ-გუჯაბის ხალხში, ყველაში, ვინც გასაგრილებლად შედიოდა ბაღებში, რომელთა გასაღებიც მხოლოდ მათ ხელთ იყო, ენით უთქმელ დარდსა და ნაღველს იწვევდა.

ეს დარდი და ნაღველი შებინდებისას ხეების ჩრდილქვეშ აყოვნებდა მათ. ისინი აქეთ-იქით ისე იცქირებოდნენ, თითქოს ხეების ქვეშ შეყვარებულების მოლოდინი ჰქონოდეთ და იმ წუთს უცდიდნენ, როცა ჩრდილებქვეშ სინათლის უკანასკნელი სხივიც გაქრებოდა.

რიჩმონდში გასეირნების სურვილმა, რომელიც იმ წელიწადს ყველას აგრერიგად მოედო, ცაცხვის ყვავილთა სურნელებისგან გაღვიძებულმა გაურკვეველმა სიბრალულმა, თუ იმ გრძნობამ, რომ, სომსის და ვარ და მევალება პირადად დავრწმუნდე ჩემს ნათქვამში - "მათ შორის ისეთი სერიოზული არაფერი უნდა იყოსო", გააბედვინა პატარა პუბლიუსის, იმოჯინის, მოდისა და ბენედიქტის დედას - უინიფრიდ დარტის შემდეგი შინაარსის წერილი მიეწერა რძლისთვის:

"ივნისის 30.

ძვირფასო აირენ,

ყური მოვკარი, რომ სომსი ჰენლიში მიემგზავრება და ღამეც იქ აპირებს დარჩენას. ვფიქრობ, თუ რიჩმონდში გავისეირნებთ, კარგ დროს გავატარებთ. თქვენ ბოსინი წამოიყვანეთ, მე კი

ახალგაზრდა ფლიპარდს ვიახლებ. ემილი (ისინი დედას ასე ეძახ-დნენ, ასე უფრო კოხტად, მოდურად ჟღერდა) ეტლს გვითმობს. მე შვიდ საათზე თქვენთან გავჩნდები.

თქვენი მოსიყვარულე და, უინიფრიდ დარტი.

მონტეგიუ მარწმუნებს, "კრაუნსადა სკიპტრაში" მშვენიერი კერძები აქვთო".

მონტეგიუ დარტის მეორე და უფრო ცნობილი სახელი იყო. ნათლობის სახელი კი მოზესი გახლდათ. ყველაფერი შეიძლება გეთქვათ დარტიზე, მაგრამ მაღალი წრის კაცი არ არისო, ამას ვერ იტყოდით.

უინიფრიდის სასიკეთო გეგმის განხორციელებას უფრო მე-ტი წინააღმდეგობა შეხვდა, ვიდრე იგი იმსახურებდა. პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა ფლიპარდის პასუხი მოუვიდა:

"ძვირფასო მისის დარტი,

ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ ამ დღეს გადაუდებელი საქმეების გამო არ მცალია.

თქვენი აუგუსტუს ფლიპარდი".

ამ უსიამოვნების თავიდან აცილება და გამოსწორება უკვე გვიან იყო. მოხერხებული და ალღოიანი უინიფრიდი არ დაიბნა და ახლა ქმარს მიმართა. მას ჭეშმარიტად გამბედავი, მაგრამ მომთმენი ხასიათი ჰქონდა, რაც მშვენივრად ესადაგებოდა მის გამოკვეთილ პროფილს, ქერა თმასა და მწვანე თვალებს, უინიფ-რიდს იშვიათად, შეიძლება ითქვას, ვერასოდეს ნახავდით თავ-გზააბნეულს. ხოლო თუ მაინც აღმოჩნდებოდა მძიმე მდგომა-რეობაში, შეეძლო საქმე თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა.

დარტიც ფრთებჩამოყრილი იყო. "ეროტიკმა" ლანკაშირის თასი ვერ აიღო. ეს მართლაც შესანიშნავი პირუტყვი, რომელიც მარულის ნამდვილი დასაყრდენი ძალა გახლდათ და რომლის მხარეზე დარტიმ მრავალი ათასი გირვანქა დააწყო, თავლიდან არც გამოუყვანიათ. ის ორმოცდარვა საათი, რომელიც ამ გულისტკენას მოჰყვა, ყველაზე ბნელი დრო იყო დარტის ცხოვრებაში.

მერე ის იყო და ჯეიმსის ლანდიც აეკვიატა და დღედაღამ არ ასვენებდა. სომსზე აშლილი შავი ფიქრები კი ოდნავად მბჟუტავ იმედსაც სტაცებდა გულიდან. იმდენად აღელვებული იყო, რომ პარასკევს კარგა ლაზათიანად გამოთვრა. მაგრამ შაბათს მის გონებაში კვლავ საფონდო ბირჟის ინსტინქტმა გაიმარჯვა. დარტიმ რამდენიმე ათასი ისესხა, თუმცა არც კი იცოდა, როგორ გადაიხდიდა ამ ვალს, ქალაქში გაემგზავრა და მთელი კაპიტალი სალტოუნ ბოროუ ჰენდიკაპის მარულაში მონაწილე კონცერტინაზე ჩადო.

"აისიუმში" მაიორ სკროტონთან ერთად ისაუზმა და მასვე გაანდო:

- იმ ნამცეცა ებრაელმა ნათანმა ბირჟის საიდუმლოებანი გამიზიარა. მე ახლა სიფრთხილისა და ჭკუით მოქცევის თავი აღარა მაქვს, ყველაფერი უნდა სასწორზე დავდო და თუ ამანაც არ გამიმართლა, მაშინ ისევ ის ბებერი უნდა დატრიალდეს და ჩემი ვალი გადაიხადოს.

ერთმა ბოთლმა "პოლ როჯერმა"("პოლ როჯერი" - შამპანურის სახელწოდება.) ლოყები წამოუწითლა და ჯეიმსი კიდევ უფრო შეაძულა.

საქმე დამში მოუვიდა. კონცერტინა ფინიშთან სხვა ცხენებზე მხოლოდ კისრით იყო წინ და გვარიანი შიში აჭამა! წათამამებულმა დარტიმ კი მერე ასე განაცხადა: თუ შაშები მოგივიდა და საქმემ გაგიმართლა, მოგებასაც კარგს მოგცემსო.

რიჩმონდში გასეირნების იდეას მხურვალედ დაუჭირა მხარი. ხარჯებს მე ვკისრულობო, განაცხადა. აირენი გულში ყოველთვის მოსწონდა და მასთან დაახლოების დიდი სურვილი ჰქონდა.

ექვსის ნახევარზე მათ ლეინპარკიდან გამოგზავნილმა მსახურმა აცნობა: მისის ემილი ფორსაიტი მეტისმეტად წუხს, რომ ეტლს ვერ გიგზავნით, რადგან ერთ ცხენს ძლიერ ახველებსო.

შეუპოვარმა უინიფრიდმა ამ დარტყმასაც გაუძლო და მაშინვე პატარა პუბლიუსი (ამ დროს იგი შვიდი წლისა გახლდათ) აღმზრდელთან ერთად მონტპელიესკვერზე აფრინა.

ისინი ეტლით გამოემგზავრებიან და ერთმანეთს შვიდ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე შეხვდებიან.

დარტიმ ეს რომ გაიგო, ძლიერ ესიამოვნა. ეს გაცილებით უკეთესი ვარიანტი იყო, ვიდრე მთელი გზა ცხენებისკენ ზურგშექცევით ჯდომა. მას აირენთან ერთად გასეირნების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა. იგი იმედოვნებდა, რომ მონტპელიესკვერზე შეივლიდნენ და ადგილების შენაცვლებისას ეგებ აირენის გვერდზეც მოხვედრილიყო.

როცა შეიტყო, შეხვედრა "კრაუნსა და სკიპტრაში" იყო დანიშნული და იქ მეუღლესთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო, გაჯავრებულმა ისღა წაიბუზღუნა, აქ საქმე ტაატით მიდის წინო.

შვიდ საათზე სახლიდან გავიდნენ. დარტი კებმენს ნახევარ კრონიანზე დაენაძლევა, თხუთმეტ წუთში ადგილამდე ვერ მიგვიყვანო.

ცოლ-ქმარი გზაში ორჯერ თუ სამჯერ გამოელაპარაკა ერთმანეთს.

დარტიმ, თითქოს თავისთვის ამბობსო, ისე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

- მასტერ სომსი, როცა აირენისა და მისტერ ბოსინის ეტლით ერთად მგზავრობის ამბავს გაიგებს, ალბათ გულში ელდა ეცემა და ქეჩოსაც მაგრად მოიფხანს.

- მონტი, თავი დაანებე ასეთ სულელურ ლაპარაკს! - უპასუხა ცოლმა.

- სულელურ ლაპარაკსო! მაშ შენ ქალები არ გცნობია, ჩემო მშვენიერო!

მეორედ გამოლაპარაკებისას დარტიმ ცოლს უბრალოდ ჰკითხა:

- როგორი სახე მაქვს? ალბათ ცოტა წამოსივებული და გამოთაყვანებული, არა? ოჰ, ის წყეული ბებერი ჯორჯი თავისი გაზიანი ღვინით გამოგაშტერებს აბა, რა იქნება!

მან ჰევერსნეიკში ჯორჯ ფორსაიტთან ერთად მიირთვა საუზმე.

ბოსინი და აირენი უკვე მისულიყვნენ დანიშნულ ადგილზე. ისინი გრძელი, ფრანგული ყაიდის ფანჯარასთან მიმდგარიყვნენ და მდინარეს გადასცქეროდნენ.

იმ ზაფხულს მთელი დღე-ღამე ყველა ღიად ტოვებდა ფანჯრებს. მთელი დღე-ღამე ხეთა და ყვავილთა სურნელება დაუბ-

რკოლებლად შედიოდა შენობებში. მცხუნვარე მზისგან გატრუ-სული ბალახის ცხელი სურნელება და ღამის ნამისგან დამდგარი სიგრილე - ორივე ერთნაირად სასიამოვნოდ აღიზიანებდა ყნოს-ვას.

დარტის დაკვირვებულ მზერას არ გამოჰპარვია, რომ ფანჯა-რასთან მდუმარედ მდგარი მისი სტუმრები მაინცდამაინც შეხ-მატკბილებულნი ვერ იყვნენ. ამას თვალნათლივ ადასტურებდა ბოსინის მშიერი გამოხედვა.

დარტიმ სტუმრები უინიფრიდს შეატოვა და თვითონ სადი-ლის თადარიგის დასაჭერად გაეშურა.

ჩვეულებრივ ფორსაიტი კარგ კერძებს მოითხოვს და შეიძლე-ბა მსუბუქი საჭმლით არც დაკმაყოფილდეს, მაგრამ დარტიმ ხომ "კრაუნისა" და სკიპტრის" მთელი რესურსები უნდა ამოწუროს. დარტი დღევანდელი დღით ცხოვრობდა და ამიტომ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა; საჭმელ-სასმლის ამორჩევა მისი სტიქია გახლდათ. ამქვეყნად ბევრი ისეთი სასმელი იყო, რომელსაც დარტი ახლოს არ გაეკარებოდა. აბა, ყველაფერ უბედურებას ხომ არ დალევდა. მან საუკეთესო უნდა ამოარჩიოს. მის მაგიერ ფულს სხვა იხდის და დარტის რა ენაღვლება; მარტო სირცხვი-ლის გამო ხომ არ შეიძლება თავის შეკავება. ასეთი რამეში სირ-ცხვილი და მორიდება სულელთა მოგონილია, დარტი კი სულელი არ არის.

ყველაფერი საუკეთესო! კაცის ცხოვრებაში არ არსებობს იმაზე უფრო მტკიცე დასაყრდენი პრინციპი, ვიდრე ის, რომ სი-მამრს კარგ შემოსავალთან ერთად უზომო სინაზით უყვარს შვი-ლიშვილები.

დარტის მახვილ თვალს (პუბლიოსის ამქვეყნად მოვლენის დღიდანვე) არ გამოჰპარვია ჯეიმსის სისუსტე - შვილიშვილისადმი ნაზი სიყვარული და მის შორსმჭვრეტელობას კიდევ ოთხი დარტის გაჩენა მოჰყვა, რითაც სამუდამოდ დაიზღვია თავი.

სუფრაზე უმთავრესი კერძი წითელი კეფალი გახლდათ. ეს სასიამოვნო ყელის ჩამაკოკლოზინებელი თევზი კარგა შორი მანძილიდან მოჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საუკეთესოდ შეენახათ. იგი ჯერ შეწვეს, მერე ძვლები გამოაცალეს, გასაცივებლად ყინულში ჩააწყვეს, საწებლის ნაცვლად მადეირას ძმარი მოასხეს და სუფრაზე ისე მოიტანეს. კეფალის ასე მომზადება თითო-ოროლა ვინმემ თუ იცოდა იმ წრეშიც კი, რომელშიც დარტი ტრიალებდა.

დანარჩენი წვრილმანი სალაპარაკოდაც არ ღირს, გარდა იმისა, რომ დანახარჯი დაპირებისამებრ დარტიმ გადაიხადა.

იგი თავს ძალას ატანდა და ცდილობდა სადილზე განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოქცეულიყო. მისი გაბედული და აღტაცებული მზერა იშვიათად თუ სწყდებოდა აირენის სახესა და სხეულს. მაგრამ დარტი იძულებული იყო, თავს გამოსტყდომოდა, რომ მისმა დაჟინებულმა მზერამ აირენი ვერ ააღელვა. იგი ისევე მიუკარებელი და ცივი ჩანდა, როგორც მისი გამჭვირვალე, ყვითელი მაქმანიდან გამომზირალი მშვენიერი მხრები. დარტი ახლა იმას ცდილობდა, რომ აირენი და ბოსინი შეყვარებულთათვის დამახასიათებელ რაიმე ცდუნებაში გამოეჭირა. მაგრამ ამაოდ. აირენს შესანიშნავად ეჭირა თავი. რაც შეეხება იმ ახალგაზრდა არქიტექტორს, იგი თავატკივებული დათვივით პირქუში, ცხვირჩამოშვებული და გაბერილი იჯდა. უინიფრიდმა ძლივს ათქმევი-

ნა რამდენიმე სიტყვა. სადილზე ხელი არაფრისთვის უხლია. ღვინოს კი ეძალებოდა და თვალებში უცნაური გამომეტყველება ჩასდგომოდა.

ყველაფერი ერთობ თავშესაქცევი ჩანდა.

დარტი თავს მორევში გადაგდებული თევზივით გრძნობდა, თავისუფლად საუბრობდა, ოხუნჯობდა და ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, რადგან მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე მწყრალად არ გახლდათ. იგი ორ-სამ სასაცილო ამბავს ისე მოჰყვა, რომ ზრდილობის საზღვრები არ გადაულახავს. ეს აირენის პატივისცემა იყო, თორემ მისი ნაამბობი ანეკდოტები ბილწსიტყვაობით იყო განთქმული. მან, ვითომც ხუმრობით, აირენის სადღეგრძელოც წარმოთქვა, მაგრამ მხარი არავინ აუბა და ცოლმა წყენით უთხრა:

- იკმარე მასხარაობა, მონტი!

უინიფრიდის თხოვნით, სადილის შემდეგ ყველანი სახალხო ყათარისკენ გაეშურნენ, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა.

- ძალიან მაინტერესებს ვნახო, როგორ ეალერსება და ესიყვარულება ერთმანეთს უბრალო ხალხი, ეს მშვენიერი გასართობია! - თქვა უინიფრიდმა.

მზიანი დღისგან დასიცხულ უამრავ წყვილს შეეფარებინა თავი სიგრილეში. ჰაერს მათი ჩვეულებრივი ბაასი, ხმამაღალი საუბარი და ჩუმი კურკური ავსებდა. ზოგნი კი ისე ეტუტუნებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ყურში საიდუმლო რამეს ჩასჩურჩულებენო.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ოთხეულში მყოფმა ერთადერთმა ფორსაიტმა, პრაქტიკული ჭკუის უინიფრიდმა ცარიელი გრძელი სკა-

მი შენიშნა. ოთხივენი მწკრივად ჩამოსხდნენ. უზარმაზარ ხეს, რომლის ქვეშაც ისინი ისხდნენ, ტოტები შორს გაეტანა და მათი თავები საკუთარ ჩრდილქვეშ მოექცია. მდინარეზე ნელა ეშვებოდა წყვდიადი.

დარტი სკამის ბოლოში მოქცეულიყო, შემდეგ აირენი იჯდა, შემდეგ ბოსინი და სკამის თავში უინიფრიდი მოკალათებულიყო. ოთხივესთვის სკამი ვიწრო აღმოჩნდა და დარტიმ აირენის შიშველი მკლავის შეხება იგრძნო. მან იცოდა, რომ თუ აირენი მიიწეოდა, ეს მისი მხრივ უხეშობა იქნებოდა და ეს ამბავი ძალიან სიამოვნებდა; დარტი იშმუშნებოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მიახლოებოდა და მიჰკვროდა ქალის სხეულს. მისი აზრით, რაღა მარტო მეკობრეს უნდა ეგემა აირენის სხეულის სითბო და სილბო! მომენტი კი ხელსაყრელი მიეცა!

მდინარის ბნელი ნაპირიდან მანდოლინის სიმთა ჟღერას აყოლილი ხმები ძველებურ სიმღერას ღიღინებდნენ:

მდინარის ტალღებს მივანდოთ ნავი,

ნავში სიმღერით გავირთოთ თავი

და ვყლურწოთ ღვინო, თეთრი და შავი.

უცებ ცაზე ნაზად ამოცურდა ახალი მთვარე. თავისი სუნთქვით მან თითქოს კიდევ უფრო გააგრილა ჰაერი. მაგრამ დაბლა მაინც ცაცხვის ყვავილთა თბილი, საამო სურნელი იფრქვეოდა.

დარტი სიგარას ექაჩებოდა და ბოსინის შეჰყურებდა, რომელსაც ხელები გულმკერდზე დაეკრიფა, გარინდებულიყო და ისეთი სახით გასცქეროდა სიბნელეს, თითქოს აწამებენო.

დარტიმ ახლა გვერდით მჯდომ აირენს შეხედა. ჩამომდგარ ჩრდილქვეშ მისი სახე უფრო შავად ეჩვენა, ვიდრე თვითონ ჩრდილი. ჩრდილქვეშ მოქცეული აირენის სახე თითქოს მეტი სინაზით, იდუმალებით და მიმზიდველობით სუნთქავდა.

უეცრად ხმაურის ნაცვლად ირგვლივ სამოთხისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს მოსეირნენი ისეთ სანუკვარ, საიდუმლო ამბებზე ფიქრობდნენ, რომელსაც სიტყვებს ვერ ანდობდნენ.

დარტის გონებაში გაჰკრა: "აჰ, ეს ქალები!"

მდინარეზე მოციმციმე სინათლე ჩაქრა, სიმღერა შეწყდა, ახალი მთვარეც ხის ჩრდილს მიეფარა და ირგვლივ წყვდიადი გამეფდა. დარტი ტკიპასავით მიეკრა აირენს.

მან არად ჩააგდო ქალის შეკრთომა, ვითომ ვერც შენიშნა იმ სხეულის შეჟრჟოლება, რომელსაც მიეკრა, არც აირენის მძულვარე გამოხედვას აუღელვებია. იგრძნო, რომ ქალი სხეულს არიდებდა და ჩაეცინა.

შეიძლება პირდაპირ ვაღიაროთ, რომ მაღალი წრის კაცმა იმდენი დალია, რამდენიც სასურველ ხასიათზე დააყენებდა.

გაწკეპილ ულვაშქვეშ სიცილისგან გახსნილი ტუჩები და თავხედური გამოხედვა დარტის გულბილწ სატირს ამსგავსებდა.

ხეთა ხეივნებს თითქოს ცაც ზოლებად დაეყოთ და იმ ზოლებში ვარსკვლავნი ციმციმებდნენ. დაბლა მოარულ მოკვდავთა მსგავსად, თითქოს ისინიც ადგილს იცვლიდნენ, ერთად იკრიბებოდნენ და ჩურჩულებდნენ. მერე ყათარზე კვლავ ხმაური გაისმა და დარტის გონებაში გაჰკრა: "ოჰ, რა საცოდავი, მშიერი ეშმას გამოხედვა აქვს ამ ბოსინისო" და აირენს კიდევ უფრო მიეტმასნა.

დარტის ამ მოძრაობას წარმატება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ აირენი ადგა და სხვებიც წამოიშალნენ.

მაღალი წრის კაცმა ახლა უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, ახლოს გაეცნო აირენი. სანამ ყათარი გაილეოდა, იგი აირენის გვერდით მოდიოდა, ელაციცებოდა, ეხახუნებოდა, ეტმასნებოდა ქალს და, ერთი სიტყვით, მოსვენებას არ აძლევდა. საუკეთესო ხარისხის ღვინომ შედეგიც კარგი გამოიღო. სახლამდე კიდევ გვარიანი გზა უნდა ევლოთ ეტლით, ეტლში კი სიბნელეც იქნებოდა და საჭირო სივიწროვეც, რომ მშვენიერ არსებას მიჰკვროდა. ეს ეტლი პირდაპირ მისწრებაა, დაილოცა მისი მომგონი! ეგ ყმაწვილი, მთლად დამშეულს რომ ჰგავს, მის ცოლს მიუჯდეს ეტლში - დარტი ორივეს კარგ დროს ტარებას უსურვებს! შეატყო, რომ ენა ებორკებოდა და გაჩუმება არჩია. მაგრამ მისი მსხვილი ტუჩები ისევ იღიმოდნენ.

ისინი გაემართნენ ეტლებისკენ, რომლებიც ყათარის მეორე ბოლოში ელოდათ. დარტის გეგმის ღირსება ის გახლდათ, რაც ჩვეულებრივ ახასიათებს ხოლმე დიდებულ გეგმებს - დიდი უბრალოება. იგი გვერდით გაჰყვება აირენს და მანამ არ გაუშვებს ხელს, ვიდრე ეტლთან არ მიიყვანს, მერე კი თვითონაც სწრაფად მოუჯდება გვერდით.

მაგრამ აირენი რომ ეტლთან მივიდა, შიგ არ ჩაჯდა; იგი ცხენებს მიუახლოვდა და ფერება დაუწყო. დარტის საუკეთესო ღვინომ ახლა კიდევ ის ჭირი მოუსართა, რომ ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა და აირენთან ბოსინიმ მიასწრო. ქალი სწრაფად მობრუნდა და რაღაც უჩურჩულა ბოსინის. დარტიმდე მხოლოდ ორმა სიტყვამ მიაღწია "ეგ კაცი". იგი ჯიუტად იდგა ეტლის შესას-

ვლელთან და აირენის დაბრუნებას ელოდა. დარტის გაცურება არც ისე ადვილია, როგორც ეგენი ფიქრობენ!

ფარნის ქვეშ მკაფიოდ მოჩანდა საღამურ ჟილეტში გამოწკეპილი საშუალო ტანის მამაკაცი. დარტის ხელზე საზაფხულო პიჯაკი გადაედო, პიჯაკის ღილკილოში ყვავილი გაერჭო და შავგვრემან სახეზე უტიფარი იერი აღბეჭდოდა. ეს კადნიერი გამომეტყველება დარტის ჭეშმარიტად მაღალი წრის კაცს ამსგავსებდა.

უინიფრიდი უკვე ეტლში იჯდა. დარტი ახლა იმას ფიქრობდა, რა უგემური დროს ტარება ელოდა ბოსინის მის ცოლთან ერთად. უცებ ისეთი მუჯლუგუნი ჰკრეს, რომ კინაღამ გულაღმა გაიშხლართა. ბოსინის ხმა სისინით ჩაესმა ყურში:

- აირენს უკან მე წავიყვან, გაიგეთ? - დარტიმ მის გაფითრებულ სახეს შეავლო თვალი და მერე, გარეულ კატას რომ აქვს ხოლმე, იმგვარად ანთებული თვალებიც შენიშნა.

- რაო? - ენის ბორძიკით იკითხა დარტიმ, - არავითარ შემთხვევაში, თქვენ ჩემს ცოლს წაიყვანთ.

- წადით აქედან, - ისევ ჩუმად ჩაუსისინა ბოსინიმ, - თორემ გზიდან გადაგაგდებთ.

დარტიმ უკან დაიხია; იგი, რამდენადაც კი მთვრალს შეუძლია, მიხვდა, რომ ეს ყმაწვილი არ ხუმრობდა. სწორედ ამ დროს აირენი, თითქოს ხელიდან დაუსხლტაო, გვერდით გაცურდა და ეტლში ჩაჯდა. ეტლში რომ ჯდებოდა, მისი კაბა დარტის ფეხებს მოელამუნა. ბოსინიც მაშინვე მიჰყვა აირენს და ელვისებურად მოკალათდა მის გვერდით.

- გარეკე! - გაიგონა მან მეკობრის ხმა. მეეტლემ სადავეს მოსწია და ეტლიც დაიძრა.

დარტი რამდენიმე წამს მეხდაცემულივით იდგა. შემდეგ იმ კებთან მიბარბაცდა, რომელშიც მისი ცოლი იჯდა, და როგორც იქნა, შიგ შებობღდა.

- აბა, მარდად! - ყვირილით გასძახა მეეტლეს, - და ის წინა ეტლი თვალიდან არ დაგეკარგოს.

ცოლის გვერდით მოკალათებული დარტი კარგა ხანს გვარიანად იკურთხებოდა. როცა ლანძღვა-გინებით გული მოიოხა, ოდნავ დამშვიდებულმა ძლივს გამოცრა:

- ოჰ, რა მშვენივრად მოაჭახრაკე საქმე, რომ მეკობრე და აირენი ერთი ეტლით გაისტუმრე?! არ შეგეძლო როგორმე შეგეჩერებინა ის ყმაწვილი? სულელიც კი მიხვდება, აირენისთვის რომ ჭკუას კარგავს!

დარტიმ უინიფრიდის პასუხი მამაზეციერისადმი ღაღადისით ჩაახშო და ვიდრე ბარნსს არ მოადგნენ, იერემიას გოდება- (იერემიას გოდება (ბიბლიური) - საკუთარი ბედის დატირება. გამოთქმის წარმოშობას დასაბამი მისცა ბიბლიური წინასწარმეტყველის, იერემიას გოდებამ) არ შეუწყვეტია. იგი სწყევლიდა ცოლს, სიმამრს, ცოლისძმას, აირენს, ბოსინის, ფორსაიტთა ჯილაგს, საკუთარ შვილებს და იმ დღესაც, როცა დაქორწინდა.

მტკიცე ხასიათის უინიფრიდმა საშუალება მისცა ქმარს, ბოღმა ამოენთხია, მერე კი დარტი დაცხრა და კუთხეში გაიტრუნა მოღუშული. დარტის ცეცხლოვანი მზერა არ სცილდებოდა წინ მიმავალ ეტლს, რომელიც სიბნელეში მიაქროლებდა გა-

მოუყენებელ და მისთვის უკვე სამუდამოდ დაკარგულ ბედნიერ შემთხვევას.

საბედნიეროდ, დარტის არ ესმოდა ბოსინის მგრძნობიარე მუდარა, მისი თავის მართლება იმის გამო, რომ მაღალი წრის კაცს მოქმედების თავისუფლება მისცა; იგი ვერ ხედავდა, როგორ ცახცახებდა თითქოს ტანსაცმელშემოფლეთილი აირენი; არც მისი სევდიანი, მწუხარე, ნაცემი ბავშვივით ნამტირალევი დიდრონი შავი თვალები დაულანდავს; არც ბოსინის ვედრება, ხვეწნა და მუდარა მოუსმენია; არც აირენის უეცარი ქვითინი გაუგონია; ვერც იმას ხედავდა, როგორი მთრთოლარე და მორჩილი იჯდა ქალის გვერდით ეს დამშეულივით ჩამომხმარი ეშმა და რა გაუბედავად ეხებოდა მისი ხელი აირენის ხელს.

მონტპელიესკვერზე მეეტლემ დარტის დარიგებისამებრ, წინ მავალი ეტლის გაჩერებისთანავე მათი ეტლიც შეაყენა.

ცოლ-ქმარმა შენიშნა, როგორ გადმოხტა ეტლიდან ბოსინი, როგორ გადმოჰყვა აირენი და თავდახრილი სწრაფად აუყვა კიბეს. აირენს ნამდვილად საკუთარი გასაღები ჰქონდა, თორემ ასე უეცრად ვერ გაუჩინარდებოდა. შეუძლებელი იყო იმისი გაგება, წასვლის წინ უთხრა თუ არა რამე ბოსინის.

ბოსინიმ გვერდით ჩაუარა მათ ეტლს. ქუჩის ფარნის შუქზე ცოლ-ქმარმა შენიშნა, როგორ დაემახინჯებინა მძაფრ ემოციას მისი მშვენიერი სახე.

- ღამე მშვიდობისა, მისტერ ბოსინი! - დაუძახა უინიფრიდმა.

ბოსინი შეცბა, ქუდი მოიხადა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. ნათლად ჩანდა, რომ არც კი ახსოვდა ცოლ-ქმრის არსებობა.

- ნახე, იმ მხეცს რა სახე ჰქონდა? - იკითხა დარტიმ, - მე რა გითხარი? დიდებული თამაშია-მეთქი! - და მერე მოჰყვა გაუთავებელ ლაპარაკს.

ყველაფერი ისე ნათელი იყო, რომ უინიფრიდი იძულებული გახდა, უარი ეთქვა საკუთარი ვერსიის დაცვაზე.

- მე ამაზე კრინტსაც არ დავძრავ. ხმაურის ატეხა ვერაფერს გვარგებს. - დარტი მაშინვე დაეთანხმა ცოლის აზრს. მას სულაც არ სურდა სიმამრი ახლა სხვისი სატანჯველით აეღელვებინა.

- სავსებით სწორია, - კვერი დაუკრა ცოლს, - სომსმა თვითონ მიხედოს თავის თავს. ეს მას მშვენივრად შეუძლია.

ამ ლაპარაკში იყო ცოლ-ქმარი, რომ გრინსტრიტზე მდებარე სახლს მიაღწიეს (რომლის ქირასაც ჯეიმსი იხდიდა) და დამსახურებული დასვენებით დასატკბობად მოემზადნენ. საათის ისარი შუაღამეს უჩვენებდა, ამ დროს არც ერთი ფორსაიტი გარეთ აღარ იყო, რომ ქუჩაში მოხეტიალე ბოსინის გადაჰყროდა და ენახა, ქუჩის ფარნისკენ ზურგშექცეული, როგორ ატუზულიყო მონტპელიესკვერის კუთხეში ბაღის მოაჯირთან და შეჰყურებდა იმ სახლს, სადაც სიბნელეს შთაენთქა ის, ვისთან ერთი წუთით შეხვედრისთვის მთელ ქვეყანას მისცემდა, ვინც იმწუთას მისთვის ცაცხვების დამათრობელი სუნთქვა, სინათლისა და სიბნელის აზრის მიმნიჭებელი, მისი საკუთარი გულის ფეთქვა და ცხოვრების მიზანი იყო.

თავი მეათე

ფორსაიტიზმის გეში და კვალი

ფორსაიტს ბუნებაში უზის, უარყოს, ფორსაიტი ვარო; მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონმა მშვენივრად იცოდა, ვინც იყო. თუმცა, ვიდრე იმ გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამდა, რის გამოც, საკუთარმა მამამ სახლიდან გააძევა, მართლაც არ იცოდა თავისი ვინაობა; ამის შემდეგ კი გუნებიდან აღარ სცილდებოდა იმის შეგნება, რომ ფორსაიტი იყო. ამას გრძნობდა შინ, მეორე ცოლთან დამოკიდებულებაში, რომელსაც ფორსაიტისა არა ეცხო რა.

მან იცოდა, რომ რაც თვითონ სურდა, რაც თვითონ ეწადა, თუ იმას დიდი შეუპოვრობით, დაჟინებით, უდიდესი მსხვერპლისა და ფასის გაღებით მიაღწია, სისულელე იქნებოდა, უბრალოდ დაეკარგა. თუ სხვა სიტყვებით ვიტყვით, "საკუთრების შეგნება" რომ არ ჰქონოდა, მაშინ ცოლს არც შეინახავდა (შეიძლება არც ესურვებინა მისი შენახვა და შენარჩუნება), არ შეინახავდა იმას, ვის გამოც თხუთმეტი წლის განმავლობაში უსიტყვოდ იტანდა ამდენ ფინანსურ გაჭირვებას, ყველაფრის უკმარისობასა და სიმცირეს; ვერ შეძლებდა აეგულიანებინა და დაერწმუნებინა იგი, რომ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მასთან ექორწი-

ნა; ვერ გაუძლებდა ცხოვრებას და, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მჭლე, მაგრამ მხიარული ვერ იქნებოდა, როგორიც იყო.

ახალგაზრდა ჯოლიონი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც ჩინურ მინიატიურებზე გამოსახული ფეხებგადაჯვარედინებული კერპებივით საკუთარ გულში მომწყვდეულან და მუდამ დაცინვითა და ეჭვით უცქერენ საკუთარ პიროვნებას. მაგრამ ეს ინტიმური და გულწრფელი სიცილი ხელს არ უშლიდა ახალგაზრდა ჯოლიონს საქმიანობაში, ისევე როგორც თავისი ნიკაპი და ტემპერამენტი, რომლებიც ჩვეულებრივ უწყინარობისა და სიმტკიცის ნარევს წარმოადგენდნენ.

იგი მხატვრობაშიც გრძნობდა, რომ ნამდვილი ფორსაიტი იყო. ტილოზე ხატვა აუარებელ დროსა და ენერგიას ართმევდა. ამიტომ საკუთარ თავს კრიტიკულადაც უთვალთვალებდა და ფიქრობდა, ხომ არ ვცდები, ასეთ არაპრაქტიკულ საქმეს რომ ასეთი სერიოზულობით ვეკიდებიო. იგი ყოველთვის უჩვეულო უხერხულობას გრძნობდა, მხატვრობა რომ ასეთ მცირე შემოსავალს აძლევდა.

სწორედ იმის შეგნებამ, რასაც ფორსაიტი ნიშნავს, მიაღებინა ახალგაზრდა ჯოლიონს მოხუცი ჯოლიონის წერილი და ერთმანეთში ნარევი ზიზღითა და სიმპათიით ჩააკითხა იგი ბოლომდე.

"შელდრეიკ ჰაუსი,

ბროუდსტერზი,

ივლისის 1.

ჩემო ძვირფასო ჯო,

(მამის ნაწერი, ოცდაათი წლის წინ რომ უნახავს და ახსოვდა, თითქმის იგივე იყო).

თითქმის ორი კვირაა, აქ ვართ და სულ კარგი ამინდი დგას. ჰაერი შესანიშნავია, მაგრამ ცოტა ღვიძლი მაწუხებს და თავს ბედნიერად ვიგრძნობდი, რომ ქალაქში დამაბრუნა. ჯუნზე კარგს ვერაფერს მოგწერ. ჯანზეც სუსტადაა და გუნებაზეც ვერაა. არ ვიცი, რით დამთავრდება ეს ამბავი. თვითონ არაფერს ამბობს, მაგრამ ვიცი, სულ იმ ნიშნობაზე ფიქრობს და ფიქრობს. მართალი თუ გინდა, მხოლოდ ღმერთმა უწყის, იყო თუ არა ის ნიშნობა და არიან თუ არა ბოსინი და ჯუნი დანიშნულები: არ ვიცი, შეიძლება თუ არა, რომ კაცმა ასეთი აწეწილ-დაწეწილი საქმეების გამო ჯუნი ლონდონს გამოუშვას, მაგრამ ისეთი თავნებაა, რომ ყოველ წუთს შეიძლება დაჰკრას ფეხი და მანდ გამოგეცხადოთ. მე მგონია, ბოსინის ვინმე უნდა მოელაპარაკოს და საბოლოოდ გავარკვიოთ, რას ფიქრობს. ჩემი თავისა მეშინია, ვიცი, რომ ველაპარაკო, ნამდვილად ხელში შემომელახება. შენ რომ იკისრებდე ამ საქმეს, რადგან კლუბიდან იცნობ, ცუდი არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, გაარკვევ კიდეც, რას ფიქრობს ის ყმაწვილი. რა თქმა უნდა, ჯუნს არ დაამცირებ. დიდად მოხარული ვიქნები, თუ ამ დღეებში მოლაპარაკების რაიმე შედეგს შემატყობინებ. შექმნილი მდგომარეობა ძლიერ მაწუხებს და ღამეებს თეთრად ვათენებ. მომიკითხე და დამიკოცნე ჯოლი და ჰოლი.

შენი მოსიყვარულე მამა, ჯოლიონ ფორსაიტი".

ახალგაზრდა ჯოლიონი ისე დიდხანს და სერიოზულად კითხულობდა ამ წერილს და მერეც იმდენ ხანს ჩაჰკირკიტებდა, რომ ცოლმა შეატყო გაოგნება და ჰკითხა, რა დაგემართაო, რაზედაც მან სწრაფად უპასუხა "არაფერიო".

ახალგაზრდა ჯოლიონს ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, ჯუნზე არ ელაპარაკა. ამას შეიძლება დედინაცვლის აღელვება მოჰყოლოდა. კაცმა არ იცის, რას იფიქრებდა ეს ქალი. ამიტომ იჩქარა, რაც შეიძლება მალე წაეშალა საკუთარ სახეზე ჩაფიქრების ყოველგვარი კვალი. მაგრამ ამ საქმეში ნამდვილი მამაილა იყო და სწორედ ისევე ახერხებდა უსიამოვნობის ან ჩაფიქრების დაფარვას, როგორც მოხუცი ჯოლიონი, ცოლმა მის სახეზე მაშინვე ამოიკითხა დაბნეულობა და გაოგნება, ტუჩები აიბზუა და ქმარს გამომცდელად დაუწყო ცქერა.

წერილი ჯიბეში ჩაიდო და კლუბისკენ გასწია, თუმცა გადაწყვეტილი არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცულიყო.

ჩვეულებრივ, ახალგაზრდა ჯოლიონისთვის ძალზე სამძიმო და უსიამოვნო მოვალეობა იყო იმისი გამოცნობა, თუ ვინ რას "იზრახავდა". ფორსაიტთა ოჯახში პირადად მისი ანომალიური მდგომარეობა კიდევ უფრო ამწვავებდა ამ უსიამოვნო გრძნობას. ეს ნამდვილად ფორსაიტული ამბავი იყო. ნამდვილად ისეთი ამბავი, რომელიც მათ ჯილაგს ახასიათებდა - ძალდატანებითა და იძულებით ეკეთებინათ ადამიანისთვის ის, რასაც თავიანთ უფლებას უწოდებდნენ; გამოესწორებინათ და ჯეროვან სიმაღლეზე დაეყენებინათ თავიანთი წამხდარი საქმე; საქმოსნური პრინციპი მათ უცვლელად გადაჰქონდათ ცხოვრებაში და იქაც მისი განუხრელად გატარებისთვის იბრძოდნენ!

ამ მხრივ ყველაზე საინტერესო იყო წერილის ის ადგილი, სადაც მოხუცი ჯოლიონი სწერდა: "შენ, რა თქმა უნდა, ჯუნს არ დაამცირებო". ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

ამასთან ერთად, წერილში გამოთქმული პირადი წყენა, შეურაცხყოფა, ჯუნზე ზრუნვა და "ბოსინი შემომელახებაო", ძალზე ბუნებრივად ჟღერდა. არაფერია იმაში საკვირველი, რომ მოხუც ჯოლიონს ბოსინის საბოლოო აზრი აინტერესებდეს და გაჯავრებული და გაგულისებული იყოს.

უარის თქმა არ ეგებოდა. მაგრამ რაღა მაინცდამაინც მას დაავალა. მისთვის ძალიან შეუსაბამო და უხერხული იქნება ბოსინისთან ამ საკითხზე მოლაპარაკება; მაგრამ როდის იყო, რომ ფორსაიტი მიზნის მისაღწევი საშუალებების მართებულობაზე ფიქრობდა. მთავარი მათთვის ადათის, მათივე შეხედულებებისა და ყოფაქცევის წესების გარეგნულად დაცვა იყო.

როგორ ეთქვა უარი, ან როგორ განეხორციელებინა მამის დავალება? ახალგაზრდა ჯოლიონი ფიქრებმა წაიღო.

იგი კლუბში სამ საათზე მივიდა და პირველი, ვინც დაინახა, თვითონ ბოსინი გახლდათ, რომელიც ოთახის კუთხეში ფანჯარასთან მიმჯდარიყო.

ახალგაზრდა ჯოლიონი შორიახლოს ჩამოჯდა და, განერვიულებული, თავისი პოზიციის შეფასებას შეეცადა. იგი შეფარვით ათვალიერებდა ბოსინის, რომელსაც ეჭვიც არ აუღია, რომ უთვალთვალებდნენ. ახალგაზრდა ჯოლიონი ბოსინის კარგად არ იცნობდა და ამიტომ ძალიან ყურადღებით აკვირდებოდა; უჩვეულო კაცი ჩანდა. უჩვეულოდ ეცვა. სახის გამომეტყველებაც სხვანაირი ჰქონდა და ქცევითაც კლუბის დანარჩენ წევრებს არ მიაგავდა. თვითონ ახალგაზრდა ჯოლიონს, მართალია, ხასიათი და ზნე სრულიად გამოეცვალა, მაგრამ გარეგნულად, როგორც ჭეშმარიტი ფორსაიტი, მუდამ სუფთად, ფაქიზად და მოხდენი-

ლად გამოიყურებოდა. ფორსაიტებიდან მარტო მან არ იცოდა ბოსინის მეტსახელი. ბოსინი ჩვეულებრივ კაცს არ მიაგავდა, არც ექსცენტრიკულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ მაინც მის გარეგნობასა და გამომეტყველებაში იყო რაღაც უჩვეულო: ბოსინი დაუძლურებული, ღონემიხდილი, გამხდარი ჩანდა, ყვრიმალის ძვლები მკაფიოდ დამჩნეოდა, მაგრამ ავადმყოფის შეხედულება მაინც არ ჰქონდა; იგი ჯმუხი იყო და ჩადგმული, ხვეულთმიანი, რაც სიცოცხლისუნარიანობასა და სხეულის გამძლეობაზე მეტყველებს.

მისმა სახემ და პოზამ ახალგაზრდა ჯოლიონს მღელვარება აგრძნობინა და გული აუჩვილა. გამოცდილებით იცოდა, რაც იყო ტანჯვა და ბოსინის სახეზე ამოიკითხა, რომ იგი იტანჯებოდა.

ჯოლიონი ბოსინის მიუახლოვდა და მის ხელს ხელით შეეხო.

ბოსინი მოულოდნელობისგან შეკრთა, მაგრამ როცა დაინახა ვინც იყო, დაბნეულობა და შეძრწუნება არ გამოუხატავს.

ახალგაზრდა ჯოლიონი დაჯდა.

- დიდი ხანია, არ შეგხვედრივართ, - წამოიწყო ახალგაზრდა ჯოლიონმა, - მინდოდა გამეგო, როგორ მიდის ჩემი ბიძაშვილის სახლის მშენებლობის საქმე?

- ერთ კვირაში დამთავრდება.

- მოსალოცი საქმე გქონიათ და გილოცავთ კიდეც.

- გმადლობთ, მაგრამ მოსალოცი მგონი არაფერია.

- რატომ? - გაიკვირვა ახალგაზრდა ჯოლიონმა, - მე მგონი, ძალიან სასიხარულო უნდა იყოს ასეთი დიდი სამუშაოს თავიდან მოცილება. თუმცა, თქვენც ალბათ ჩემსავით ხართ - სურათს

რომ ვხატავ, მუშაობის პროცესში შვილივით მიყვარდება და მერე გასაყიდად მენანება.

ახალგაზრდა ჯოლიონმა ბოსინის ალერსიანად გადახედა.

- დიახ, - წარმოთქვა ბოსინიმ უფრო გულითადად, - დაამთავრებ რამეს და მერე მშვიდობით. არ ვიცოდი, თუ თქვენ ხატავდით.

- მარტო აკვარელს; თუმცა, ხანდახან ვეჭვობ კიდეც, რომ ხატვა ჩემი მოწოდებაა.

- ეჭვობთ? მაშ, რწმენის გარეშე როგორღა ხატავთ? რა აზრი აქვს ისეთი ნაწარმოების შექმნას, რომლის წარმატებაც თვითონვე არ გწამთ!

- კეთილი, - თქვა ახალგაზრდა ჯოლიონმა, - მეც სწორედ მაგრე ვმსჯელობ ხოლმე. სხვათა შორის, ალბათ შეამჩნევდით, როცა ერთი ამბობს, კეთილიო, მეორე ყოველთვის უმატებს - მეც სწორედ მაგრე ვამბობდიო! მაგრამ როცა თქვენ მეკითხებით, ასე როგორ ვმუშაობ, გიპასუხებთ: მე ფორსაიტი ვარ!

- არ მეგონა, რომ თქვენ ფორსაიტი იყავით!

- ფორსაიტი, - წამოიწყო ახალგაზრდა ჯოლიონმა, - უჩვეულო ცხოველი როდია. ამ კლუბის წევრად ასობით ფორსაიტია. ქუჩაშიც უამრავი ფორსაიტი დადის; სადაც გნებავთ, ფორსაიტს იქ შეხვდებით!

- მაგრამ როგორ გამოიცნობთ, რომ ფორსაიტია? - იკითხა ბოსინიმ.

- მესაკუთრის აზრებითა და გრძნობებით, ფორსაიტი ყველაფერს პრაქტიკოსის თვალით უცქერის. მე ვიტყოდი, საღი გონებით შეჰყურებთ-მეთქი. პრაქტიკული თვალი და აზრი კი მუდამ

საკუთრების გრძნობაზეა დაფუძნებული. ფორსაიტი არაფერს და არავის ბოლომდე თავს არ შესწირავს და არ აჰყვება.

- თქვენ ხუმრობთ?

ახალგაზრდა ჯოლიონს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

- არავითარ შემთხვევაში. მე, როგორც ფორსაიტს, დუმილი მმართებს. მაგრამ მე წმინდა სისხლის ფორსაიტი არა ვარ; თქვენში კი არავინ შეცდება, თუ იტყვის, რომ ფორსაიტი არ არისო. თქვენ ისევე განსხვავდებით ჩემგან, როგორც მე ბიძაჩემ ჯეიმსისგან, რომელიც ნამდვილი ფორსაიტის სრულყოფილი განსახიერებაა. საკუთრების გრძნობა ძია ჯეიმსისთვის ყველაფერია, თქვენ კი ეს გრძნობა სულაც არა გაქვთ. მე რომ არ ვიყო თქვენ შუა, მოპირდაპირე პოლუსებზე მდგარი დაპირისპირებული ადამიანები იქნებოდით. მე თქვენ შორის შემაერთებელი რგოლი ვარ - ჩვენ უკლებლივ ყველანი საკუთრების მონები ვართ. მე ვიტყოდი, საქმე აქ მეტ-ნაკლებ ხარისხშია - ვინ როგორ ემონება საკუთრებას. ვისაც მე ფორსაიტს ვეძახი, ის საკუთრების სრული მონაა. მან შესანიშნავად იცის, რაცა სურს, იცის, როგორ იგდოს ხელთ ესა თუ ის საგანი უვნებლად და საიმედოდ. და რაკი ხელთ იგდებს, მერე უკვე მაგრად უჭირავს ეს საკუთრება - ცოლი, სახლი, ფული, რეპუტაცია თუ სხვა რამ თავის მჯიღში, რომელიც მისი საკუთრების დამღას წარმოადგენს.

- აჰ, - წაიბუტბუტა ბოსინიმ, - თქვენ ამ სიტყვის მნიშვნელობის აღმოჩენისა და განმარტებისთვის პატენტი გერგებათ.

- მე მსურს მოვამზადო ლექცია თემაზე: "საკუთრება და ფორსაიტთა ღირსება-თვისებები". ეს პატარა ცხოველი მხოლოდ იმაზე წუხს, რომ თავისი გვარ-გუჯაბის წევრთა დასაცინი არ გახ-

დეს, მაგრამ არად აგდებს, თუ სხვა (თქვენ ან მე) დასცინებს. მემ-კვიდრეობით თანდაყოლილი სიბეცის გამო, თავისი წრის ხალხის გარდა არავინ იცნობს, მათ შორის ატარებს სიცოცხლის დღეებს, წყნარად მოცილეობს და გულდაჯერებით იბრძვის არსებობის-თვის.

- თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ისინი ნახევარ ინგლისს შეადგენდნენ.

- შეადგენენ კიდეც, და უკეთეს ნახევარსაც, სამპროცენ-ტიანი ქაღალდების მფლობელ საიმედო ნახევარს, სათვალავში ჩასაგდებ ნახევარს. მათი სიმდიდრეა ქვეყნის ყოვლისშემ-ძლეობის საწინდარი. მათი დოვლათი ქმნის ხელოვნებას, ლიტე-რატურას, მეცნიერებას და თვითონ რელიგიასაც კი. ფორ-საიტებს თვითონ არაფერი სწამთ, მაგრამ ყველაფერში, რაც უნ-და აკეთონ, სარგებელს პოულობენ. ფორსაიტები არიან შუამავ-ლები, კომერსანტები, საზოგადოების ბურჯები და საყრდენები, თავსაკიდურნი და ქვაკუთხედნი; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ზეაღმტაცია.

- არ ვიცი, ჩავწვდი თუ არა თქვენს დვრიტა აზრს, - წამოიწყო ბოსინიმ, - მაგრამ თქვენ რომ ახასიათებთ, იმნაირი ფორსაიტები ჩემი პროფესიის ხალხში ბევრი მინახავს.

- რაღა თქმა უნდა, - უცებ აიტაცა ეს აზრი ახალგაზრდა ჯო-ლიონმა, - არქიტექტორთა, მხატვართა და მწერალთა უდიდეს უმრავლესობას, როგორც სხვა ფორსაიტებს, არავითარი პრინ-ციპი არ გააჩნია. ხელოვნება, ლიტერატურა და რელიგია იმათ-თვის არსებობს, ვისაც ნამდვილად სჯერა მისი, და კიდევ ფორ-საიტებისთვის, რომლებიც მისგან სარგებელს გამოელიან. სულ

ზერელედაც რომ დავიანგარიშოთ, შევნიშნავთ, რომ აკადემიკოსების სამი მეოთხედი, მწერლების შვიდი მერვედი და პრესის მუშაკთა უდიდესი უმრავლესობა ფორსაიტები არიან. მეცნიერებზე არას ვამბობ, მაგრამ რელიგიის მსახურნი ნამდვილი ფორსაიტები არიან. ფორსაიტთა ყველაზე დიდი რაოდენობა თემთა პალატაშია მოკალათებული; არისტოკრატიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მე არა ვხუმრობ, უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლა, თანაც როგორი უმრავლესობისა, ძალზე საშიშია! - მან ბოსინის მიაპყრო მზერა და ისე განაგრძო, - ძალზე საშიშია, როცა შენს თავს მთლიანად მიუძღვნი სახლს, სურათს ან კიდევ ქალის სიყვარულს.

მათ ერთმანეთს შეხედეს. და რადგან ახალგაზრდა ჯოლიონმა ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც არც ერთი ფორსაიტი არ ჩაიდენდა - თავისი შეხედულებანი იმ ხალხსა და წრეზე, რომელსაც სისხლხორცეულად ეკუთვნოდა, გულახდილად გააცნო სხვას - ახალგაზრდა ჯოლიონი თავის ნაჭუჭში შეიმალა. სიჩუმე ბოსინიმ დაარღვია.

- რატომ მიგაჩნიათ თქვენი ახლობლები ტიპურ ადამიანებად? - იკითხა მან.

- ჩემი ახლობლები, - წამოიწყო ახალგაზრდა ჯოლიონმა, - ფორსაიტიზმის უკიდურესი გამომხატველნი არიან და საკუთარი თავისებურებანი აქვთ. მართალია, თავისებურებები სხვა ოჯახებსაც აქვთ, მაგრამ ჩემს ახლობლებს ორი ისეთ ხარისხში აყვანილი სრულიად მესაკუთრული თვისება აქვთ, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ ფორსაიტს შეიძლება ჰქონდეს. ერთი თვისება ისაა, რომ ძალი შესწევთ ისე აკეთონ საქმე, რომ სულიან-

ხორციანად არ დაემონონ მას, და მეორეა საკუთრების შეგრძნება.

ბოსინიმ სიცილით თქვა:

- აბა, ამ აზვინულზე რაღას იტყვის?

- სუითინზე? - იკითხა ახალგაზრდა ჯოლიონმა, - აჰ! სუითინში ჯერ კიდევ შემორჩენილია პირველყოფილების ნიშნები. ქალაქმა და საშუალო კლასის ცხოვრებამ მთლიანად ვერ გადახარშეს იგი. ძველ საუკუნეთა მიწის მუშის უხეში ძალა ჯერ კიდევ საცნაურია და ცოცხლობს სუითინში და ამიტომაა ის სხვებისგან გამორჩეული.

ბოსინი თითქოს ჩაფიქრდაო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თავი ასწია და მთელი წინადადება უცებ წარმოთქვა:

- ძალიან მარჯვედ დაახასიათეთ თქვენივე ბიძაშვილი. სომსი, ჩემი აზრით, რაც უნდა მოხდეს, ტყვიას არ დაიხლის შუბლში.

ახალგაზრდა ჯოლიონმა მოსაუბრეს გამჭოლი მზერა ესროლა.

- არა, - მშვიდად წამოიწყო მან, - ტყვიას შუბლში არ დაიხლის და სწორედ ამიტომაა ანგარიშგასაწევი. ფორსაიტებს დიდებული ალღო და მაგარი მჯიღი აქვთ. გაცინება ადვილია, მაგრამ ჩემში არ მოტყუვდეთ; ფორსაიტს ნუ მოიძულებთ; მათი უგულებელყოფაც შეუძლებელია!

- მაგრამ თვითონვე მოიძულეთ კიდეც და უგულებელყავით ისინი.

ახალგაზრდა ჯოლიონმა იგრძნო მარჯვე დარტყმა და ღიმილი ტუჩებზევე დააკვდა.

- თქვენ გავიწყდებათ, - უცნაური სიამაყის გრძნობით წამოიწყო მან, - რომ მე ფორსაიტი ვარ და ძალი შემწევს, თავი დავიცვა. ჩვენ ყველას დიდი ძალა გაგვაჩნია. კაცი, რომელიც კედელში დატანებულ თავშესაფარს ტოვებს... თუმცა თქვენ გესმით, რასაც ვგულისხმობ. არავის ვურჩევ, - ახალგაზრდა ჯოლიონმა თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს იქადებაო, - წინ გადამეღობოს. კაცია და გუნება.

ბოსინის სისხლი მოაწვა სახეზე, მაგრამ აღელვებამ მალე გაუარა, გაფერმკრთალდა და სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა. მან პასუხად ოდნავ გაიღიმა, რამაც ტუჩებზე უცნაური და სასტიკი იერი აღუბეჭდა. მისი თვალები კი ახალგაზრდა ჯოლიონს დაცინვით შეჰყურებდნენ.

- გმადლობთ, - წარმოთქვა მან, - ეს თქვენი მხრივ საშინელი სიკეთეა. მაგრამ თავდაცვის ძალა მარტო თქვენ როდი შეგწევთ, - ბოსინი წამოდგა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა მიმავალ ბოსინის თვალი გააყოლა, მერე თავი ხელს დააყრდნო და ამოიხვნეშა.

ცარიელ ოთახში გამეფებულ ძილისმომგვრელ მყუდროებას მხოლოდ გაზეთების შრიალი და ასანთის გაკვრის ხმები არღვევდა. ახალგაზრდა ჯოლიონი დიდხანს იჯდა უძრავად, თითქოს ისევ იმ დღეთა მოგონებებით დაეწყო ცხოვრება, როცა ისიც დილიდან საღამომდე გაუნძრევლად იჯდა, საათს შეჰყურებდა და ყოველ გასულ წუთს ითვლიდა. განვლილი საათები სავსენი იყვნენ ტანჯვით, წამებით, წვალებით, გაურკვეველი მომავლის გრძნობით და ტკბილი და მძაფრი გულისტკივილით. იმ დღეთა მომხიბლავმა ცეცხლის გზნებამ ძველებურად დაგესლა დამათ-

რობელი ტკბილ-მწარე შხამით. ბოსინის გამომეტყველებამ, მისმა მოქანცულმა სახემ და მოუსვენარმა თვალებმა, რომლებიც ნიადაგ საათს დასცქეროდნენ, სიბრალული და გაურკვეველი შური აღუძრეს ახალგაზრდა ჯოლიონს.

იგი კარგად იცნობდა სიყვარულის ნიშნებს. ნეტავ რა ბედი ელის ბოსინის? ნეტავ რა ჯურისაა ის ქალი, რომელმაც ისეთი მაგნიტური ძალით მიიზიდა იგი, რომ კაცის პატიოსნებამ, ღირსებამ, კეთილშობილებამ, პრინციპებმა უკან დაიხიეს. ასეთ დროს თავს მხოლოდ გაცლით თუ უშველი.

გაცლა! მაგრამ რატომ უნდა გაეცალოს ბოსინი? ადამიანი მაშინ უნდა გაეცალოს, როცა ოჯახს ანგრევს, ბავშვებს ღუპავს, როცა გრძნობს, რომ სხვის იდეალს ქელავს, რაღაცას სპობს. მაგრამ იქ, როგორც ყური მოჰკრა, ყველაფერი უკვე დანგრეულია.

თვითონ ხომ არ ამჯობინა გაცლა და, ალბათ, ყველაფერი რომ თავიდან დაწყებულიყო, არც მაშინ გაეცლებოდა. არა, ის ბოსინიზე შორს წავიდა და სხვისი კერა კი არა, საკუთარი ოჯახი დაანგრია. მერე ძველი ნათქვამი გაახსენდა - "გული კაცისა თავის ბედს თვითონ სჭედსო".

საკუთარი გული სჭედს ბედს! წიწაკას გემოს ისე ვერ გაუგებ, თუ არ გაუსინჯე. ბოსინიმ ჯერ უნდა წიწაკას გემო გაუსინჯოს.

ახალგაზრდა ჯოლიონი ფიქრით იმ ქალს გადასწვდა, რომელსაც არ იცნობდა, მაგრამ რომელზეც ბევრი რამ სმენოდა.

უბედური ქორწინება! საქმე მარტო ცუდი მოპყრობა როდია. სულ უხასიათობა და უქეიფოდ ყოფნა მტრისას და ავისას! ამაზე დამღუპველი სხვა რაღა იქნება. მთელ ცისქვეშეთში ყოველგვარი სიტკბოების ბოლოს მომღები ხომ უსიამოვნებაა; ასე თუ გაგ-

რძელდა, დღე დღეს მიჰყვება, ღამე ღამეს, წელიწადი წელიწადს და მაშინ ამ მუდმივ ტანჯვას მხოლოდ სიკვდილით მოეღება ბოლო.

ახალგაზრდა ჯოლიონს საკუთარი მწარე განცდები ყოვლის მკურნალმა დრომ მოუშუშა და ახლა თავისუფლად შეეძლო სომსის ადგილას წარმოედგინა თავი. მისი ბიძაშვილის მსგავს ადამიანს, რომელიც აღჭურვილია საკუთარი კლასის წინასწარი შეგონებებით და უმართებულო აზრებით, აღსავსეა ცრუ რწმენით, ან კი საიდან უნდა გასჩენოდა ის აუცილებელი ზეშთაგონება, რომ თავისი ერთფეროვანი ცხოვრების ერთი ხელის დაკვრით მოსპობა იყო საჭირო? საყვარელ არსებასთან ურთიერთობის ასეთ გაწყვეტას ხომ წარმოსახვის დიდი უნარი, მოვლენათა წინასწარ ჭვრეტა, ღრმად ჩაფიქრება და აღმაფრენა ესაჭიროება, რათა უკან მოიტოვო გაყრის მუდმივი თანამგზავრი უსიამოვნო ჭორები, ლაყბობა, ქირდვა, შეურაცხყოფა, წყენა და ყბედობა, რათა უკან მოიტოვო განშორების წარმავალი ტკივილი და ღირსეულთა გმობა-გაკიცხვა. მაგრამ კაცთა შორის უმცირესობას თუ აქვს წარმოსახვის ასეთი უნარი და, მით უმეტეს, ცოტას აქვს იგი იმ კლასის წარმომადგენელთა შორის, რომელსაც სომსი ეკუთვნოდა. ან კი რა წარმოსახვის უნარი ეყოფოდა მთელი ქვეყნიერების მოკვდავთ! ჰე, ტკბილო, ცაო! რა დიდი ზღვარი დაგიდვია თეორიასა და პრაქტიკას შუა! კაცთა შორის ბევრს, და იქნებ სომსსაც, ალბათ რაინდული თვალთახედვა ჰქონდა ასეთ საკითხებზე, როცა საქმე სხვას ეხებოდა, მაგრამ როცა თვითონ შეეხებათ, მაშინ ამჯობინებენ, თავი გამონაკლისად მიიჩნიონ.

ამასთან, ახალგაზრდა ჯოლიონი თავის მსჯელობას მთლიანად თვითონაც არ ენდობოდა. მან ყოველივე საკუთარ თავზე გამოცადა, უიღბლო ქორწინების სამსალა ბოლომდე შესვა და, ამდენ სიმწარენაგემი, ან კი საიდან უნდა ყოფილიყო მათსავით გულცივი, ვისაც ბრძოლის ყიჟინაც კი არ გაუგონია? მის სამხილს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ პირველწყაროდან მომდინარე საბუთი გახლდათ, როგორც იმ მეომრის მონაყოლი, რომელიც პირადად მონაწილეობდა ბრძოლებში. ძალიან ბევრი აირენისა და სომსის ქორწინებას სავსებით იღბლიანად მიიჩნევდა; სომსი ფულიანი იყო, აირენი კი ლამაზი; შეთანხმებას მეტი რაღა უნდოდა. ერთმანეთი რომ სძულებოდათ კიდეც, მაინც შეიძლებოდა ერთად ეცხოვრათ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრებაში თუ თითოეულს თავისი გზა ექნება. მთავარია მხილველთა თვალში ერთურთს წესიერად, პატივისცემით მოეპყრონ და საქორწინო კავშირის სიწმინდე არ შელახონ. მაღალი კლასის წარმომადგენლების ქორწინებათა ნახევარს ასეთი საფუძველი აქვს: არ შეურაცხყო საზოგადოების გრძნობანი; არ შეურაცხყო ეკლესიის კანონები. პირადი გრძნობების დათრგუნვა და საზოგადოებისა და ეკლესიის საკურთხეველზე ზვარაკად მიტანა სავსებით შესაძლებელია. მყარი ოჯახის არსებობა თვალსაჩინოა, შესახებადი და საკუთრების ნაწილს წარმოადგენს: STATUS GUAს(STATUS QUO - აქ: არსებული მდგომარეობის შენარჩუნება) რისკი არ სჭირდება. ოჯახის დანგრევა, უკეთეს შემთხვევაშიც კი, ძალიან საშიში ექსპერიმენტი და ეგოისტური ამბავია.

ასეთი მოტივების წამოყენება შეუძლია დამცველს სასამართლოში. ახალგაზრდა ჯოლიონმა ამოიხვნეშა.

"ყოველივეს დედაარსი, - ფიქრობდა იგი, - საკუთრებაა. მაგრამ ადამიანთაგან ბევრს ასეთი რამ არ მოეწონება. მათთვის ეს "საქორწინო კავშირის სიწმინდეა". მაგრამ საქორწინო კავშირის სიწმინდე დამოკიდებულია ოჯახის სიწმინდეზე, ოჯახის სიწმინდე კი საკუთრების სიწმინდეზე. ამასთან ერთად, ეს ხალხი იმათი ჩამომავალია, ვისაც არაფერი გააჩნია. ნამდვილად უცნაური ამბავია".

ახალგაზრდა ჯოლიონმა კვლავ ამოიხვნეშა.

"აი, ახლა, შინ მიმავალს გზად რომ ვინმე საწყალი გადამეყაროს, სახლში წავიყვანო და ჩემი ტრაპეზი გავუზიარო, ან მე უნდა დამაკლდეს, ან ჩემს ცოლს, დანაყრება კი ჯანმრთელობისა და არსებობისთვის აუცილებელია. მე მგონი, ბოლოს და ბოლოს, სომსი ძალიან კარგად იქცევა, რომ თავის უფლებას იცავს და პრაქტიკით განამტკიცებს საკუთრების იმ წმიდათაწმიდა პრინციპებს, რომლებიც ყველა ჩვენგანის ინტერესს შეადგენს, გარდა იმ ადამიანებისა, რომელთათვისაც ეს საკუთრება არ არსებობს".

ახალგაზრდა ჯოლიონი სავარძლიდან წამოდგა, კარისკენ მიმავალი რბილი სკამებით ჩახერგილი გზა გაიკვლია, ქუდი აიღო, ეტლებისგან ამტვერებულ, პაპანაქებისგან დახუთულ ქუჩაში გავიდა და სახლისკენ გაემართა.

ვიდრე უისტერია ავენიუმდე მივიდოდა, ჯიბიდან მოხუცი ჯოლიონის წერილი ამოიღო და სანაგვეში გადაუძახა.

საკეტში გასაღები გააჩხაკუნა, ოთახში შევიდა და მეუღლეს გასძახა. მაგრამ მას ჯოლი და ჰოლი წაეყვანა და სახლი ცარიელი დახვდა; ბაღში მარტოდმარტო დარჩენილი ბალთაზარი ჩრდილში წამოგდებულიყო და ბუზებს ებრძოდა.

ახალგაზრდა ჯოლიონიც ბაღში გავიდა და იმ მსხლის ქვეშ ჩამოჯდა, რომელიც დიდი ხანია, ნაყოფს აღარ იძლეოდა.

თავი მეთერთმეტე

ბოსინის "ენდნენ"

სომსი ჰენლიდან დილის მატარებლით დაბრუნდა. ეს სწორედ რიჩმონდში გატარებული საღამოს მეორე დღეს მოხდა. მას წყალბურთი არ უყვარდა, რომ ჰენლიში დროს სატარებლად და სიამოვნებისთვის გამგზავრებულიყო. კლიენტმა სთხოვა, ძალიან საჭირო საქმე მაქვსო და სომსმაც არ დააყოვნა ვიზიტი.

მან პირდაპირ სიტისკენ აიღო გეზი. იქ ბევრი საქმე არ ჰქონდა. სამი საათისთვის ყველაფერს მორჩა და ახლა უხაროდა, რომ შინ ადრიანად მივიდოდა. აირენი არ ელოდებოდა. მართალია, სომსს ჩვეულებად არ ჰქონდა მოულოდნელად შინ დაბრუნება, მაგრამ, მისი აზრით, ხანდახან ეს ანაზდეული გამოჩენაც არ უნდა ყოფილიყო ურიგო.

იგი სასეირნოდ გამოეწყო და სასტუმრო ოთახში ჩავიდა. აირენი, თავის ამოჩემებულ ადგილას, სავარძლის კუთხეში უქმად მიმჯდარიყო. თვალებზე ჩამუქებული წრეები მოუჩანდა, უძილობის უტყუარი ნიშანი.

- შინ რადა ხარ? ელოდები ვინმეს? - იკითხა სომსმა.

- ჰო, თუმცა საგანგებოდ არავის ველი.

- ვის?

- მისტერ ბოსინი დამპირდა, შემოგივლიო.

- ბოსინი? ის ხომ სახლის მშენებლობაზე უნდა იყოს.

აირენს არაფერი უპასუხია.

- კეთილი, - თქვა სომსმა, - წამო, მაღაზიებში გავიაროთ და მერე პარკში გავისეირნოთ.

- სახლიდან გასვლა არ მინდა; თავი მტკივა და შინ ყოფნა მირჩევნია.

- როცა მე გთხოვ, გავისეირნოთ-მეთქი, აუცილებლად თავის ტკივილს მოიმიზეზებ. თუ თავი გტკივა, შენთვის უმჯობესია, პარკში სუფთა ჰაერზე ხეებქვეშ ჯდომა.

აირენმა არ უპასუხა.

რამდენიმე ხანს სომსიც დუმდა. ბოლოს სიჩუმე დაარღვია:

- არ ვიცი, რას ფიქრობ! შენი აზრით, რა არის ცოლის მოვალეობა?

- მშვენივრად ვიცი, მაგრამ შენს ხელში ველარაფერი გავიგე.

სომსი პასუხს არ მოელოდა, მაგრამ აირენმა ამჯერად უპასუხა.

- მე ყოველთვის ვცდილობდი, ყველაფერი შენი სურვილისამებრ გამეკეთებინა; მაგრამ, ეტყობა, არ შემიძლია გულით ვაკეთო ყველაფერი და ჩემი ბრალი ხომ არ არის?

- აბა, ვისი ბრალია? - იკითხა სომსმა და ცოლს ალმაცერად გადახედა.

- ვიდრე დავქორწინდებოდით, შენ აღმითქვი, თუ ჩვენი ქორწინება იღბლიანი არ გამოდგა, გაგიშვებო. როგორ ატყობ, იღბლიანია?

სომსი მოიღუშა.

- იღბლიანი, - წაიბუზღუნა მან, - ძალიანაც იღბლიანია, შენ რომ წესიერად იქცეოდე!

- მე ძალიან ვცდილობდი, - თქვა აირენმა, - ახლა გამიშვებ?

სომსი შებრუნდა. შინაგანი ღელვა განრისხებაში ჩაახშო.

- გაგიშვა? იცი კი, რასაც ამბობ? გაგიშვა? მერედა როგორ გაგიშვა? ჩვენ რა, დაქორწინებულები არა ვართ? აბა, რაღას ლაპარაკობ? თუ ღმერთი გწამს, ასეთ სისულელეზე აღარ მელაპარაკო! წადი, ქუდი დაიხურე და პარკში წავიდეთ.

- აბა, არ გამიშვებ?

სომსმა იგრძნო, რომ აირენი ძალზე მგრძნობიარედ, აღელვებით შესცქეროდა.

- გაგიშვა! - წამოიწყო სომსმა, - მერედა სად უნდა წახვიდე, რომ გაგიშვა? შენ ხომ არავითარი სახსარი არ გაგაჩნია?

- როგორმე თავს გავიტან.

სომსმა სწრაფად გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე ცოლის წინ შედგა.

- ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, რომ ამ საჩოთირო ამბავზე აღარ მელაპარაკო. ახლა წადი და ქუდი დაიხურე.

აირენი არ განძრეულა.

- მე ვფიქრობ, - თქვა სომსმა, - თუ ბოსინი მოვიდა, გინდა შინ დაუხვდე.

აირენი ნელა წამოდგა და ოთახიდან გავიდა. მერე ისევ გამოჩნდა თავზე ქუდით.

ისინი ქუჩისკენ გაემართნენ.

პარკში აუარებელი უცხოელი და ჭრელი ხალხი ირეოდა. შუადღისას ჰაიდპარკში ჩვეულებრივ ისინი სეირნობენ ხოლმე, ვი-

საც თავი მოდურ ადამიანად წარმოუდგენია. შუადღის სეირნობას ნამდვილი სეირნობის დროც მოჰყვა. უკვე მისი ალოც იწურებოდა, როცა სომსი და აირენი აქილევსის ქანდაკების ქვეშ ჩამოსხდნენ.

სომსი და აირენი დიდი ხანია აღარ ყოფილან პარკში. სომსს გაახსენდა, ქორწინების პირველ ორ წელიწადს როგორ დაჰყავდა ხოლმე აირენი პარკში, როგორ ეამაყებოდა, ამ გრაციოზული არსების პატრონს, რომ მთელი ლონდონი შეჰყურებდა, როგორ სიამოვნებდა ამით. რამდენმა ნაშუადღევმა ჩაიარა ისე, რომ ისინი პარკში ერთად აღარ მსხდარან. სომსი ცოლთან ერთად კარგა ხანია აღარ გამოჩენილა პარკში, აღარ მისალმებია ნაცნობ-მეგობრებს რუხი ხელთათმანითა და ამპარტავნული ღიმილით. ცილინდრის მოხდა კი იშვიათად იცოდა ხოლმე.

ღია ნაცრისფერი ხელთათმანი ახლაც ეცვა, ტუჩებზე კვლავ დამცინავი ღიმილი ეფინა, მაგრამ გული? სომსის გულს უკურნებელი სენი შეჰყროდა.

სკამები სწრაფად ცარიელდებოდა. სომსი კი არ ჩქარობდა და აირენსაც აიძულებდა მჯდარიყო, თითქოს ფარულად მისი დასჯა აქვს გადაწყვეტილიო. ერთი-ორჯერ გამოელაპარაკა კიდეც, აირენი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, ან მოქანცული ღიმილით პასუხობდა "დიახო".

მოაჯირის გასწვრივ ვიღაც მამაკაცი ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ მოსეირნეთა ყურადღება მიიქცია.

- შეხედე იმ რეგვენს! - წარმოთქვა სომსმა, - ამ სიცხეში გიჟივით არ დაოთხილა?!

უცნობი მათკენ მობრუნდა. აირენმა რაღაც სწრაფი მოძრაობა გააკეთა.

- ეს ხომ ჩვენი მეგობარი მეკობრეა! - წარმოთქვა სომსმა.

სომსი წყნარად დაჯდა და ტუჩები დამცინავმა ღიმილმა გაუპო. გრძნობდა, რომ აირენიც წყნარად იჯდა და იღიმებოდა.

"მიესალმა თუ არა აირენი?" - ფიქრობდა სომსი.

აირენი არ მისალმებია.

ბოსინი მოაჯირის ბოლომდე მივიდა, შემდეგ უკან გამობრუნდა და სკამებს შუა მონადირე ძაღლივით დაცანცალებდა. როცა ისინი შენიშნა, ქანდაკებასავით გაქვავდა, გაოგნდა, ბოლოს გონს მოეგო და ქუდი მოიხადა.

სომსის სახეს ღიმილი არ მოშორებია; ქუდი მანაც მოიხადა.

ბოსინი მათთან მივიდა. იგი ფიზიკური მუშაობისგან ილაჯგაწყვეტილივით იდგა; შუბლზე ოფლი ასკდებოდა და სომსის ღიმილი თითქოს ეუბნებოდა: "ეტყობა, ძალიან გაგჭირვებია, ჩემო ძვირფასო..."

- რას აკეთებდით პარკში? - ჰკითხა სომსმა, - ჩვენ გვეგონა, თქვენ გძულდათ ისეთი თავქარიანი გასართობი, როგორიც პარკში ყოფნაა!

ბოსინის თითქოს არც გაუგონია ეს სიტყვებიო, მან აირენს მიმართა:

- მე შინ მოგაკითხეთ, მეგონა იქ გნახავდით.

სწორედ ამ დროს ვიღაცამ უკნიდან მოჰკიდა ხელი და გამოელაპარაკა. ამ გარემოებამ ხელი შეუშალა სომსს, რომ აირენის პასუხი გაეგონა, თუმცა გადაწყვეტილება მაინც მიიღო.

- ჩვენ შინ მივდივართ, - მიმართა მან ბოსინის, - წამოდით ჩვენთან და ერთად ვისადილოთ, - ამას რომ ამბობდა, მის ხმაში ყოყოჩობის მაგვარი უცნაური რამ გამოსჭვიოდა, მიპატიჟების სიტყვებიც უცნაური პათოსით წარმოთქვა. თითქოს ამბობდა: "მე თქვენ გენდობით, მაგრამ თქვენი არ მეშინია, ვერ მაცდუნებთო".

ისინი მონტპელიესკვერისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ. აირენი შუაში მიდიოდა. ხალხმრავალ ქუჩაში სომსი წინ გაუსწრებდათ ხოლმე. იგი ყურს არ უგდებდა მათ ლაპარაკს; უცნაურმა გადაწყვეტილებამ, ნდობა გამოეცხადებინა მათთვის, გაამხნევა და გამოაცოცხლა. მემორინესავით საკუთარ თავს ამნაირი რამ ჩააგონა: "ამ კარტის გადაგდება არ შემიძლია. უნდა ყველა კარტზე ბანკი დავიძახო. ბევრი შანსი რომ მქონდეს, მაშინ სხვაა".

სომსმა ზანტად ჩაიცვა, გაიგონა, როგორ ჩავიდა დაბლა სართულზე აირენი, ხუთიოდე წუთს კიდევ შეიცადა თავის ოთახში და შემდეგ კარი მაგრად გამოიჯახუნა, რათა გაეფრთხილებინა ისინი, მოვდივარო. აირენი და ბოსინი მან ბუხრის წინ მდგომნი იხილა - კაცი ვერ გაიგებდა, ლაპარაკობდნენ თუ არა.

ამ ფარსში თავის როლს მთელი საღამო მშვენივრად ასრულებდა. ბოსინის უფრო მეგობრულად ექცეოდა, ვიდრე ოდესმე. ბოლოს, როცა ბოსინი წამოდგა, ისიც უთხრა: მალევე გვინახულეთ, აირენს უყვარს სახლის მშენებლობაზე თქვენთან საუბარიო. სომსის ხმაში კვლავ უცნაური ყოყოჩობა და პათოსი გაისმა; თუმცა ყინულივით ცივი ხელი კი ჰქონდა.

სომსი ბოლომდე ერთგული დარჩა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც მცირე ხნის წინ მიიღო, და ამ სიტყვების წარმოთქმის-

თანავე შებრუნდა მათგან, რათა არ ეცქირა მათი განშორებისთვის. მას არ სურდა დაენახა, როგორ დაემშვიდობებოდა მისი ცოლი ბოსინის, არ სურდა ეხილა ფარნის შუქზე ოქროსფრად მბზინავი აირენის თმა და ნაღვლიანად მოღიმარი ბაგენი; არ სურდა ენახა აირენისადმი ვედრებით მიპყრობილი თვალები ბოსინისა, რომელიც ისე შესცინებდა მის მეუღლეს, როგორც ერთგული ძაღლი პატრონს.

სომსი დასაძინებლად იმ რწმენით დაწვა, რომ ბოსინის მისი ცოლი უყვარდა.

ზაფხულის ცხელი ღამე იყო. იმდენად ცხელოდა, რომ ღია ფანჯრებიდან სიგრილის ნაცვლად ისევ სიცხე შემოდიოდა. სომსი კარგა ხანს იყო გაყუჩებული და აირენის სუნთქვას ყურს უგდებდა.

აირენს შეუძლია ძილი, მას კი თვალი ვერ მოუხუჭავს. და იქვე, ცოლის სარეცელთან, გადაწყვიტა მშვიდი და მიმნდობი ქმარი ყოფილიყო.

ალიონზე წამოდგა, სათავნაპირო ოთახში გაიარა და ღია ფანჯარასთან შედგა.

სუნთქვა უჭირდა.

ოთხი წლის წინანდელი, ქორწინების წინაღამე მოაგონდა. მაშინაც ასეთი დახშული ჰაერი და ჩუმი ხვატი იდგა.

სომსი მაშინ ვიქტორიასტრიტზე, საკუთარ სასტუმრო ოთახში სარკმელთან მიდგმულ გრძელ ლერწმის სავარძელზე იწვა. იქვე ახლო შუკაში ვიღაც მამაკაცი კარის შემტვრევას ცდილობდა, მაგრამ შიგნიდან ქალის კივილი გაისმა; გუშინდელ დღესავით ახსოვდა ყველაფერი: აყალმაყალი, კარის ჯახუნი, მოკურცხლვა

და ბოლოს გამეფებული სამარისებური სიჩუმეც. შემდეგ ქუჩის ფარნების მბჟუტავ შუქზე თულუხჩი და ქუჩის სარწყავი ორთვალაც გამოჩნდა; სომსს ეჩვენა, რომ იმ ორთვალას რახრახი თანდათან ახლოვდებოდა, ვიდრე არ ჩაიარა და შემდეგ სადღაც შორს არ მიწყდა.

სათავნაპირო ოთახის ფანჯრიდან, რომელიც ეზოში გადიოდა, სომსმა აისის პირველ სხივებს მოჰკრა თვალი. სახურავებისა და კედლების ბნელი კონტურები წაიშალა და უფრო მკაფიოდ გამოჩნდა.

სომსს ფარნების მკრთალი შუქით განათებული ვიქტორიას ქუჩა გაახსენდა; მოაგონდა, რა სწრაფად ჩაიცვა, ქუჩა გადაჭრა, სახლებს და სკვერებს თითქმის ჩაურბინა და, როცა იმ ქუჩაზე გავიდა, სადაც ის ცხოვრობდა, პატარა, მყუდრო სახლს მიადგა, რომელსაც სიძველისგან მიცვალებულივით ნაცრისფერი დასდებოდა.

უცებ ელვასავით გაურბინა აზრმა: "ის რაღას აკეთებს? ის ვაჟბატონი, მე რომ მოსვენება დამიკარგა, ამ საღამოსაც რომ აქ ბრძანდებოდა, ჩემი ცოლი რომ უყვარს - იქნებ ნადავლს ეპარება, იქნებ როგორც ნაშუადღევს, ჩემი ცოლის ძებნაშია გართული; იქნებ ჩემს სახლსაც უთვალთვალებს, ყველაფერს ხომ ვერ მოიგონებ!"

იგი წყნარად ჩაიპარა სახლის წინა მხარეს, ხელის შემშლელი ფარდა მარჯვენის ერთი გაკვრით მოიშორა და სარკმლის ზევით ასწია.

სკვერში ხეების კენწეროებს ღამეული ყომრალი შუქი თავზე გადაფრენილ, მაგრამ ვეღარსად წასულ ღინღლიან ფარვანასა-

ვით ზევიდან დასდგომოდა. ფარნები კვლავ ბჟუტავდნენ, მაგრამ კაცის ჭაჭანება არსად იყო.

უცებ სამარისებური დუმილი შორეულმა ხმამ დაარღვია. სომსს თითქოს ტკივილებისა და ტანჯვისგან აღმოხდენილი ხმა ჩაესმოდა ყურებში. ეს ხმა სამოთხიდან განდევნილი და დაკარგული სამოთხის კვლავ მაძებარი ადამიანის გოდებას მიაგავდა. კვლავ და კვლავ გაისმა ის საზარელი ხმა! სომსს ამ ხმამ ჟრუანტელი მოჰგვარა და სარკმელი მიხურა.

გვიანღა მოიფიქრა: ფარშავანგები ყივიან ალბათ მდინარის პირასო.

თავი მეთორმეტე

ჯუნის სტუმრობა ბოსინის მამიდასა და ბოსინისთან

მოხუცი ჯოლიონი ბროუდსტერზის ვიწრო ჰოლში იდგა და ზღვის სანაპიროების მდიდრული სასტუმროებისთვის დამახასიათებელ ქაშაყისა და მუშამბისსურნელიან ჰაერს ისუნთქავდა. კრიალა ტყავის სავარძელში, რომლის გამოხეულ საზურგეშიც, მარცხენა ზედა კუთხეში, ცხენის ძუა გამოჩრილიყო, მოხუცი ჯოლიონის შავი ჩანთა იდო. იგი "ტაიმსის" ნომრებით იყო გამოტენილი და შიგ პატარა ბოთლით ოდეკოლონიც მოჩანდა. იმ დღეს "ოქროს მომპოვებელთა კონცესიისა" და "ახალი ქვანახშირის კომპანიის" სხდომები იყო დანიშნული. მოხუც ჯოლიონს არ სჩვეოდა გამგეობის სხდომის გაცდენა და ამიტომ მიემგზავრებოდა ლონდონს. სხდომის გაცდენა მისი სიბერის კიდევ ერთი დადასტურება იქნებოდა და მისი მოშურნე სული ამას ვერ აიტანდა. თვალებში ისეთი სხივი უკრთოდა, როგორიც იმ მოწაფეს აქვს ხოლმე, ამხანაგები რომ შეურაცხყოფენ, მაგრამ რაკი უპირატესობას მათ მხარეზე ხედავს, ნერვების დიდი დაძაბვით ბოღმას გულში იკლავს და ხმა ვერ ამოუღია. ასევე ნერვებდაჭიმული იკლავდა გულში დაძარულ ბოღმას მოხუცი ჯოლიონი, მაგრამ

ცხოვრებამ ამ ბოლო დროს სადარდებელი მოუმრავლა და სიბერემორეულ მოხუც ჯოლიონს თანდათან უჭირდა ნერვიული დაძაბულობის ატანა.

შვილისგანაც უთავბოლო, არაპრაქტიკული წერილი მიიღო. არეულ-დარეული წინადადებებით ჯოს უცდია, რომ ნათლად დასმულ კითხვაზე პასუხი არ გაეცა. იწერებოდა, - ბოსინი ვნახეო, დამნაშავე არ არისო. რამდენადაც მეტად ვუახლოვდები ადამიანებს, უფრო ვრწმუნდები, რომ არ შეიძლება მათი დაყოფა ბოროტებად და კეთილებადო. ჩემი აზრით, ისინი სასაცილოებად და მგრძნობიარეებად უნდა დაიყოს და, ვიცი, შენ ამაზე არ დამეთანხმებიო!

მოხუცი ჯოლიონი, რა თქმა უნდა, არც დაეთანხმა; ასეთი აზრის გამოთქმა ცინიკოსობად მიაჩნდა ჯოლიონს; მას ჯერ კიდევ არ მიეღწია ისეთ ღრმა სიბერემდე, როცა ფორსაიტიც კი კარგავს იმ ილუზიებს და პრინციპებს, რომლებსაც მხოლოდ პრაქტიკული მიზნით იყენებს და არასოდეს მიიჩნევს ჭეშმარიტებად; მას ჯერ არ მიეღწია სიბერის იმ მიჯნამდე, როდესაც ადამიანს სხეულისგან მინიჭებული ტკბობის აღარავითარი იმედი არა აქვს და ჯავრისგან გული ეწურება. სწორედ ამ მიჯნის მიღწევისას ხდება ხოლმე, რომ ადამიანი აცამტვერებს ყოველგვარ ბარიერს და ისეთ რამეს ამბობს, რასაც წინათ არც იტყოდა და არც დაიჯერებდა.

შესაძლოა, ვაჟიშვილზე მეტად არც თვითონ სწამდა "კეთილებად" და "ბოროტებად" ადამიანთა დაყოფა. აკი თვითონაც იტყოდა ხოლმე: ძნელი სათქმელიაო, არ ვიციო; შესაძლოა, ასეთ

თქმაშიც რამე იმალებოდეს. მაგრამ, ამ ურწმუნოების გამოხატვით რატომ უნდა დაეკარგა შესაძლო წარმატება?

იგი უქმე და დასვენების დღეებს მთებში ატარებდა, მაგრამ (როგორც ეს ნამდვილ ფორსაიტს შეშვენის) გაბედული და გულადი ნაბიჯი თავის დღეში არ გადაუდგამს. როცა აღმართს (რომელსაც ბედეკერი(ბედეკერი - გერმანელი გამომცემლის გვარია. უშვებდა გზამკვლევებს მოგზაურთათვის. ამ გამომცემლის გვარის მიხედვით, გზამკვლევების ნაცვლად მოკლედ ამბობენ - "ბედეკერი".) "დამქანცველს, მაგრამ სამაგიეროს მიმზღვევს" უწოდებს) აათავებდა და იმის იქით შესანიშნავი ხედი გამოჩნდებოდა, გრძნობდა და სჯეროდა, რომ ქაოსური ბრძოლის, უფსკრულებისა და ცხოვრებისეული პატარა მორევების იქით, დიადი, ზნეობრივად ამაღლებული, გამაკეთილშობილებელი პრინციპები არსებობდა. მისი პრაქტიკული გონება ამაზე უფრო ახლო არ მისულა რელიგიასთან.

მას მერე, რაც უკანასკნელად იყო მთებში, ბევრი დრო გავიდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჯუნთან ერთად ორ წელიწადს ზედიზედ მთებში ისვენებდა და მწარედ განიცდიდა, როცა მიხვდა, რომ მისი მოგზაურობისა და დასვენების დრო უკვე წარსულს ჩაჰბარებოდა.

ის რწმენა, რაც მოხუც ჯოლიონს მთებში მოგზაურობამ ჩაუნერგა, დიდი ხანია უცხო გამხდარიყო მისთვის.

მან იცოდა, რომ ბერდებოდა, მაგრამ ჯანი მოსდევდა, თავს ახალგაზრდად გრძნობდა და ეს ტანჯავდა. იმის ფიქრი, რომ ისეთ ფრთხილ ადამიანს, როგორიც თვითონ იყო, შვილი და შვილიშვილი თითქოს ტანჯვისთვის დაბადებოდეს, საგონებელში

აგდებდა და მოსვენებას უკარგავდა. ჯოს საწინააღმდეგო რა უნდა ეთქვა - ან კი ვის რა უნდა ეთქვა ისეთ ზრდილ ყმაწვილზე! მაგრამ მისი მდგომარეობა კი სავალალო იყო და არც ჯუნის საქმე იყო უკეთესად. ეს რაღაც საბედისწერო ამბებს მიაგავდა და საბედისწერო ამბავს კი მისი ხასიათის ადამიანი ვერც გაიგებდა და ვერც შეეგუებოდა.

მისწერდა რამეს შვილს, მაგრამ არ ჰქონდა იმედი, რომ აქედან რაიმე სიკეთე გამოვიდოდა. როჯერთან ბალზე ყოფნისას შეამჩნია, საითაც მიექანებოდა საქმე. ორჯერ ორი ოთხია, მოხუც ჯოლიონს სხვაზე სწრაფად შეეძლო თქმა. მერე ვაჟიშვილის მაგალითიც ხომ მის თვალწინ მოხდა, ყველა ფორსაიტზე კარგად უწყოდა, რომ, სურვილის მიუხედავად, ნელი ცეცხლი ადამიანს ფრთებს აკვეცდა და ჰაერში აღარ გაალაღებდა.

აირენი და ჯუნი განუყრელი მეგობრები იყვნენ და ჯუნის ნიშნობამდე იგი ხშირად შეხვედრია მისის სომსს. ამიტომაც მშვენივრად იცოდა მისი ქალური მომხიბვლელობისა და მომაჯადოებლობის ამბავი. აირენის დასახასიათებლად თავისი თაობის საყვარელ გამოთქმებს თუ იხმარდა, შეეძლო ეთქვა, რომ არშიყი და კეკლუცი ქალი არ იყო, მაგრამ მასში იყო რაღაც საშიში. მოხუცი ჯოლიონის თაობას უყვარდა საგნებისა და მოვლენებისთვის საერთოდ დამახასიათებელი, მოხდენილი, თუმცა არაზუსტი სახელების შერქმევა. რა ჰქონდა აირენს საშიში, ამის თქმა მოხუც ჯოლიონს არ შეეძლო. აბა, ჩამოგეგდოთ მასთან სიტყვა ზოგიერთი ქალისთვის დამახასიათებელ თანდაყოლილ მაცდურ მომხიბვლელობაზე! ამ ქალებს ხომ ხანდახან თვითონაც არ სურთ ვინმეს შეცდენა ან წაწყმედა!

მოხუცი ჯოლიონი გეტყოდათ:

- სისულელეა! იგი საშიში ქალია, მორჩა და გათავდა.

მისი სურვილი იყო, სულაც დაეხუჭა თვალი ამ ამბავზე.

რაც მოხდა, მოხდა; ახლა ამაზე არაფრის გაგონება აღარ უნდოდა. მას ახლა მხოლოდ ჯუნის გადარჩენა და მისთვის სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება აინტერესებდა. მის გულში კვლავ ღვიოდა იმედი, რომ ჯუნი სიბერეში მისი მანუგეშებელი და გულისდამაამებელი იქნებოდა.

მაინც გაგზავნა წერილი. გაურკვეველი პასუხი მიიღო. რაც შეეხება ბოსინისთან საუბარს, წერილში ამაზე მხოლოდ ერთი უცნაურ ფრაზა ამოიკითხა: "ჩემი დასკვნით, იგი მორევშია ჩათრეული და დინებას მიაქვსო". რა დინებას, სადაურ მორევში? რომელ დინებას? რა გაუგებრად ისწავლეს აზრების გამოთქმა.

მოხუცმა ჯოლიონმა ამოიოხრა და დარჩენილი ქაღალდებიც ჩანთაში ჩააწყო; მან მშვენივრად იცოდა, რას გულისხმობდა ჯო მორევსა და დინებაში. ჯუნი სასადილო ოთახიდან გამოვიდა და პაპას ზაფხულის პალტოს ჩაცმაში უშველა. ამ მოციცქნილის მტკიცე გამომეტყველების დანახვისთანავე მოხუცი ჯოლიონი მიხვდა, რასაც აპირებდა ჯუნი.

- მეც მოვდივარ ლონდონში, - წარმოთქვა მან.

- სისულელეა, ჩემო გოგონი. მე პირდაპირ სიტიში მივდივარ და შენ სად უნდა იხეტიალო უჩემოდ.

- მე მისის სმიჩი უნდა ვნახო.

- დაიწყე ისევ შენებურად უბედურთა მონახულება, - წაიბუზღუნა მოხუცმა ჯოლიონმა. მან არ დაუჯერა ჯუნს, მაგრამ წინა-

აღმდეგობა აღარ გაუწევია. იცოდა, ვერაფერს გახდებოდა თავ-ნება შვილიშვილთან.

ვიქტორიას ვაგზალზე ჯული თავისთვის ნაბრძანებ ეტლში ჩასვა და ისე გაისტუმრა. ჯუნის გასტუმრება მისთვის განკუთ-ვნილი ეტლით მოხუცი ჯოლიონისთვის ძალზე დამახასიათებე-ლი საქციელი გახლდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ეგოისტური გრძნობით შეპყრობილი არ გახლდათ.

- ძალიან ნუ დაიღლები, შვილო, - დაარიგა ჯუნი, ეტლი იხმო და სიტისკენ გასწია.

ჯუნი პირველად პადინგტონის(პადინგტონი - ლონდონის ერთ-ერთი რაიონი. მდებარეობს ჰაიდპარკის ჩრდილოეთით.) ერთ-ერთი შუკისკენ გაემართა, სადაც მისის სმიჩი ცხოვრობდა. მისის სმიჩი შუახანს გადაცილებული დღიურად მომუშავე ჭურ-ჭლის მრეცხავი ქალი გახლდათ; ჯუნმა ნახევარი საათი დაყო მასთან. მოისმინა მოხუცის ჩვეულებრივი წუწუნი გაჭირვებაზე, ურჩია დროებით ბედს შერიგებოდა და სტენჰოპგეიტისკენ გას-წია.

დიდი სახლი ჩაბნელებული და დაკეტილი დახვდა.

ჯუნმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ყველაფერი შეეტყო. სჯობდა, პირისპირ შეხვედროდა ყოველგვარ განსაც-დელს და თუ ცუდი რამ იყო მოსალოდნელი, ერთხელ და სამუდა-მოდ სცოდნოდა და ყოველივესთვის ბოლო მოეღო. გეგმაც მოიფიქრა: პირველ ყოვლისა, ფილის მამიდა მისის ბეინზი უნდა მოენახულებინა, თუ მისგან სათანადო ინფორმაციას ვერ მიიღებდა, თვითონ აირენი უნდა ენახა. რა შედეგს მოუტანდა ეს ვიზიტები, ამაზე ნათელი წარმოდგენა თვითონაც არ ჰქონდა.

სამ საათზე ჯუნი ლაუნდზსკვერზე იმყოფებოდა. ქალური ინსტინქტის კარნახით, რომელიც განსაცდელის ჟამს არ ღალატობთ ხოლმე, ჯუნი თავის საუკეთესო კაბაში გამოეწყო და ბრძოლის ველისკენ ისე მამაცურად გაეშურა, როგორც თვით მოხუცი ჯოლიონი წავიდოდა. შიში მოუთმენლობით შეეცვალა.

ბოსინის მამიდა, მისის ბეინზი (ნათლობის სახელი ლუიზა გახლდათ) სამზარეულოში იყო, როცა ჯუნი გამოეცხადა. იგი შესანიშნავი დიასახლისი გახლდათ და მზარეულს ადგა თავზე, რადგან მისი ქმარი მისტერ ბეინზი მუდამ ამას ამბობდა: კარგი კერძი დიდ რამეს ნიშნავსო. მას, ჩვეულებრივ, სადილის შემდეგ უყვარდა მუშაობა. სწორედ ამ მისტერ ბეინზის აშენებული გახლდათ კენსინგტონის მშვენიერი, მაღალი, შინდისფერი სახლები, რომლებიც სხვა მათ მსგავს სახლებთან ერთად, წარმატებით იბრძოდნენ "მთელ ლონდონში უმახინჯეს სახლთა" ტიტულის მოსაპოვებლად.

როცა მისის ბეინზმა ჯუნის სახელს მოჰკრა ყური, სამზარეულოდან საწოლ ოთახში გავარდა, დაკეტილი კამოდი გახსნა, წითელი ტარსიკონის ყუთი მონახა და ორი დიდი სამაჯურით დაიმშვენა თეთრი ხელები. მისის ბეინზს ჭარბად ჰქონდა ის შესანიშნავი "საკუთრების გრძნობა", რომელიც, როგორც უკვე ვიცით, ფორსაიტიზმის სასინჯ ქვასა და მაღალი ზნეობის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მის საშუალო სიმაღლის მომსხო ტანს, რომლის გამოსახულებაც თეთრი ხისგან ნაკეთებ ტანისამოსის კარადაში ჩადგმულ სარკიდან ირეკლებოდა, აშკარად სიგანისკენ ჰქონდა მიდრეკილება. ტანთ მისივე უშუალო მეთვალყურეობით შეკერილი კაბა

ემოსა, რომლის ფერთა შეხამებაც დიდი სასტუმროს ტალანის მოხატულობას მოაგონებდა კაცს, მან ორივე ხელებით შეისწორა A LA PRINCESSE DE GALLES-ის(A LA PRINCESSE DE GALLES (ფრანგ.) - უელსის პრინცესას მიერ შემოღებული თმის დაყენების მოდა. გვერდებიდან თმა სწორადაა უკან გადავარცხნილი, წინ, შუბლზე, დამოკლებული კულულები აყრიათ.) მოდაზე დაყენებული თმა, რომ უფრო მტკიცედ დაემაგრებინა თავზე. მის თვალებში ისეთ შეუცნობელ რეალიზმს ამოიკითხავდით, თითქოს მისის ბეინზს სახე წითელი ხაზებით აჭრელებოდა. საპუდრეს დასწვდა, პატარა ბალიში ამოიღო, შუბლზე გადაისვა და თვალებიდან კვლავ მკაცრი, უგვანი მზერა გამოუკრთა. როცა საპუდრის ბალიში თავის ადგილზე დადო, სარკის წინ სრულიად დამშვიდებული დადგა და სახეზე იმ ღიმილს იმარჯვებდა, რომლითაც ჯუნის შეხვედრას აპირებდა. იმ ღიმილში მონაწილეობდნენ მისი საყურადღებო ცხვირი, ნიკაპი (თუმცა ნიკაპი მის სახეზე სიდიდით არასოდეს გამოირჩეოდა და ახლა, ჩასუქებული კისრის გამო, კიდევ უფრო პატარად მოჩანდა), თხელი ტუჩები და დაბლა დაწეული პირი. სარკეში მომარჯვებული ღიმილი რომ ჯუნთან შეხვედრამდე შეენარჩუნებინა, სწრაფად აიკრიფა კაბის კალთები და კიბეზე დაეშვა.

ჯუნის სტუმრობას მისის ბეინზი კარგა ხანია ელოდა. მასაც ჩასჩურჩულეს, შენს ძმისშვილსა და სარძლოს შუა შავმა კატამ გაირბინაო, მაგრამ კვირა კვირას მისდევდა და კარის ზღურბლზე არც ერთი აღარ გამოჩნდა. მამიდამ მრავალჯერ შეუთვალა ფილს, გამოიარეო, მაგრამ ბოსინი ერთი და იმავე პასუხით აშოშმინებდა: "ძალიან დაკავებული ვარო".

იგი ინსტინქტურად გრძნობდა საფრთხეს და, უნდა პირდაპირ ითქვას, ჩინებულ მისის ბეინზს ამგვარ ამბებში ძალიან მახვილი ინსტინქტი ჰქონდა. იგი ფორსაიტად უნდა დაბადებულიყო. თუ ამ სიტყვას ახალგაზრდა ჯოლიონის აზრითა და საზომით მივუდგებით, მაშინ მისის ბეინზს ნამდვილად გააჩნდა უპირატესობა, რის გამოც, ეს მართლაც ღირსეული ქალი უნდა დავახასიათოთ.

მისის ბეინზმა სამივე ქალიშვილი ისე კარგად გაათხოვა, რომ ხალხში ხმა დადიოდა, ასეთი ბედი არც ერთს არ ეკუთვნოდაო. სამივენი ისეთი უბრალო შესახედაობით გამოირჩეოდნენ, რომელიც, როგორც წესი, "კარგ" ოჯახიშვილებში გვხვდება. მისი სახელი და გვარი მრავალი საქველმოქმედო კომიტეტის, ბაზრისა და სხვათა შემადგენლობას ამშვენებდა. იგი მანამდე არ იძლეოდა ნებას, შეეყვანათ რომელიმე კომიტეტის შემადგენლობაში, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ მასში ყველაფერი ორგანიზებულად მოეწყობოდა.

მისის ბეინზს, როგორც თვითონ ამბობდა, ღრმად სწამდა, რომ ყველა საქმეს საფუძვლად კომერციული ბაზისი უნდა გააჩნდესო; საეკლესიო საქველმოქმედო დაწესებულებებისა და ყველაფრის ფუნქცია მისის ბეინზის აზრით, "საზოგადოების" გაძლიერება უნდა ყოფილიყო. მისი ღრმა რწმენით, ფულს უკანვე დაიბრუნებდა. ორგანიზაცია და კიდევ ორგანიზაცია! უეჭველია, იგი ნამდვილად იყო დამსახურებული ოსტატი ყოველივე საქველმოქმედო საქმის ორგანიზაციისა, როგორც მოხუცი ჯოლიონი იტყოდა ხოლმე, და თან უმატებდა, დიდი თაღლითი ვინმეაო.

ყველა წამოწყება, რომელსაც მისის ბეინზიც აწერდა ხელს, ჭეშმარიტად მაღალორგანიზებული გახლდათ და, როცა ჯერი მოგების დათვლაზე მიდგებოდა ხოლმე, ეს წამოწყებანი ყოველ-გვარი სიკეთისგან გაძარცულ მოხდილ რძეს მიაგავდნენ. მაგ-რამ, როგორც მისის ბეინზი შენიშნავდა ხოლმე, მგრძნობიარობა საქმეს ვნებდა. იგი ნამდვილად ოდნავ აკადემიური ქალი ბრძან-დებოდა.

ეკლესიის მესვეურთაგან დაფასებული ეს ყოვლად ღირ-სეული ქალი ერთ-ერთი მთავარი ქურუმთაგანი იყო ფორ-საიტიზმის ტაძარში, რომლის საკუთრების საკურთხეველზე დღედაღამ ენთო კელაპტარი და იმ წმინდა სანთლის შუქზე შე-გეძლოთ ამოგეკითხათ შთამაგონებელი სიტყვები: არაფრის-თვის - არაფერი, ერთ პენსად - მცირეოდენი.

როცა მისის ბეინზი სადმე შედიოდა, იგრძნობოდა, რომ დიდი ადამიანი მოვიდა. ალბათ, ეს იყო კიდეც მისის ბეინზის, როგორც ყველას საიმედო რამის დანახვა, როცა ფულს იხდიან; საქველ-მოქმედოდ გამართულ ბალზე სწორცხვირა მისის ბეინზის განი-ერ სხეულს ისე ეხვეოდნენ აქეთ-იქიდან მისი მიმდევრები, თით-ქოს მათი გენერალიაო.

მისის ბეინზის ერთადერთი ნაკლი მხოლოდ ის იყო, რომ მეტ-სახელი არ ჰქონდა. იგი ბურჟუაზიული ოჯახების მაღალ წრეებ-ში ტრიალებდა და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. მისის ბე-ინზს ყველა საქველმოქმედო ბალისა და საღამოს ბრძოლის ველ-ზე ნახავდა კაცი. ეს ის ბრძოლის ველი იყო, სადაც მაღალი საზო-გადოება იყრიდა თავს და ყველა მონაწილე სიამოვნებდა იმით,

რომ ამ საზოგადოებაში ტრიალებდა - საზოგადოებაში, რომელიც ასომთავრული "სანით" იწყება.

იგი დიდი გავლენით სარგებლობდა იმ საზოგადოებაშიც, რომელიც პატარა "სანით" იწყება. ეს უფრო მრავალრიცხოვანი, მნიშვნელოვანი და ძლიერი სხეულია, რომელშიც კომერციული ქრისტიანული ინსტიტუტების სენტენციები და პრინციპები, მისის ბეინზში სრულად განსახიერებულნი, უფრო სისხლსავსედ და ცხოველმყოფლად ჩქეფს და ძარღვებშიც უფრო ადვილად მოძრაობს. ეს არ არის იმ სისხლის იმიტაცია, მთავრული "სანით" გამორჩეული მცირერიცხოვანი საზოგადოების ძარღვებში რომ ჩქეფს. და მისის ბეინზის მცნობნი გრძნობდნენ, რომ საქმე საღი გონების ადამიანთან ჰქონდათ, მახვილი გონების ადამიანთან, რომელიც უცებ არ ატოკდება, არც აგრე ადვილად აჰყვება გატაცებას და არც მთელი არსებით მიეცემა საწადელს, თუ ეს მისგანაა დამოკიდებული.

მისის ბეინზს ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ღვიძლ ძმასთან, ვინაიდან იგი ხშირად მწარედ დასცინოდა. გარდაცვლილი ძმის გახსენებაზე მისის ბეინზი მუდამ ერთსა და იმავე სიტყვებს წარმოთქვამდა: "ჩემი საწყალი უპატივცემულო ძმა".

მისის ბეინზმა ჯუნს გული ისე გადაუშალა და ისე შეხვდა, თითქოს მასზე კარგი და ძვირფასი ქვეყანაზე აღარავინ ჰყავდა.

იგი დიდი სიფრთხილითა და შიშით, თუკი ისეთ გამოცდილ და გამოსულ ქალს შეიძლება ეშინოდეს, უზიარებდა ხოლმე გრძნობებს თავის სარძლოს. ჩია ტანის მიუხედავად, ჯუნი საკუთარი პიროვნების უდიდესი ღირსების გრძნობით იყო გამსჭვალული, რაზეც ყველაზე საჩინოდ მისი უშიშარი თვალები მეტყველებ-

დნენ. შორსმჭვრეტელმა მისის ბეინზმა ეშმაკურად შენიშნა, რომ ჯუნის შეუპოვარსა და წრფელ გამოხედვაში ძალიან ბევრი ფორსაიტული თვისება იმალებოდა. ჯუნი რომ მხოლოდ გამბედავი და გულწრფელი ყოფილიყო, მაშინ მისის ბეინზი მას "ახირებულად" ჩათვლიდა და ზიზღის გარდა სხვა გრძნობა არ ექნებოდა მისდამი; ხოლო თუკი ჯუნი ფრენსივით მხოლოდ ფორსაიტული სულით იქნებოდა დაჯილდოებული, მაშინ მისის ბეინზი მას მარტო ყვითელი ეშმაკის გულისთვის უპატრონებდა; ტანმორჩილ მისის ბეინზს ყველაფერი დიდი ზომისა უყვარდა - ჯუნი მისის ბეინზს ერთგვარ შიშს, მორიდებასა და კრძალვას უნერგავდა; მისის ბეინზმა იგი შუქის პირდაპირ დადგმულ სავარძელში ჩასვა.

მისის ბეინზს ჯუნისადმი ღრმა პატივისცემის სხვა მიზეზიც გააჩნდა, თუმცა, როგორც ღვთისმოშიში და, ამდენად, ამქვეყნიური ცდუნებისგან დაზღვეული ადამიანი, ამას არასგზით არ გაამხელდა. მისტერ ბეინზს ცოლთან საუბარში ხშირად უთქვამს, რა ურიცხვი სიმდიდრის პატრონი იყო მოხუცი ჯოლიონი და მისის ბეინზს ჯუნისადმი პატივისცემის გრძნობას, ყველაზე უფრო, ქმრის ეს ნაამბობი უღვივებდა. იმ დღეს ამ ღვთისმოშიშ ქალს სწორედ ისეთი გრძნობა დაეუფლა, როგორიც მაშინ გვაქვს ხოლმე, როცა წასაკითხად გადაშლილი რომანის სიუჟეტური ქარგა მემკვიდრეობისა და არაფრისმქონე გმირის თავგადასავლის ფონზეა შექმნილი და შიშისგან ვცახცახებთ და ვთრთით, რომ მწერალმა ჩვენთვის უკვე საყვარელი გმირი რომანის ბოლოს ცარიელ-ტარიელი არ დატოვოს.

მისის ბეინზის საქციელში ჯუნისადმი დიდი სითბო იგრძნობოდა; წინათ მას არასოდეს ასე ნათლად არ შეუმჩნევია, როგორი

გამორჩეული და ღირსებით აღსავსე ყოფილა ჯუნი. მისის ბეინ-ზმა ახლა მოხუცი ჯოლიონის ჯანმრთელობა მოიკითხა. მიუხე-დავად წელთა სიმრავლისა, ჭარმაგად გამოიყურებაო. მაინც რამდენი წლისაა? ოთხმოცდაერთის! არასოდეს იფიქრებდა, რომ მოხუცი ჯოლიონი ამ ხნისა იქნებოდა! ზღვაზე იყვნენ? შე-სანიშნავი ამბავია! ალბათ, ფილისგან ყოველდღე იღებდა წერი-ლებს? თქვა ეს და ცნობისმოყვარეობისგან თვალები გაუფარ-თოვდა; ჯუნმა მის მზერას თვალი აარიდა.

- არა, - წარმოთქვა ჯუნმა, - ერთი წერილიც არ მოუწერია!

მისის ბეინზმა თვალები დახარა; არ უნდოდა თვალების დახ-რა და მაინც დახარა. თუმცა, მაშინვე კვლავ ძველებურად წარი-მართა მუსაიფი.

- რაღა თქმა უნდა, არ მოგწერდა, ფილის ხასიათი რომ ვიცი, ის ხომ ყოველთვის ასეთი იყო.

- ნუთუ? - იკითხა ჯუნმა.

ამ მოკლე შეკითხვამ მისის ბეინზს სახეზე მომარჯვებული ღიმილი შეუყოვნა; მან შეცბუნება სწრაფი მოძრაობით დაფარა, კაბა შეისწორა და ისე თქვა:

- ნუთუო? ასე იკითხე, არა, ჩემო ძვირფასო? ჩემი ძმისშვილი დიდი დაუდევარი ვინმეა. მაგრამ მისი საქციელი იმად არ ღირს, რომ ყურადღება მიაქციო!

მისის ბეინზის საუბრიდან ჯუნმა უცებ დაასკვნა, რომ ამ ქალთან უბრალოდ კარგავდა ძვირფას დროს; თუნდაც პირდა-პირ ეკითხა, ამ ქალისგან სანუგეშოს მაინც ვერაფერს გაიგებდა.

- თქვენთან თუ დადის ან ხშირად თუ გხვდებათ? - იკითხა ჯუნმა და სახეზე სიწითლემ გადაუარა.

მისის ბეინზს გაპუდრულ შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

- ოჰ, რა თქმა უნდა! ის კი აღარ მახსოვს, რა დღე იყო, უკანასკნელად რომ შემოიარა. თუმცა, მართალი რომ ვთქვა, ამ ბოლო დროს ხშირად აღარ მოდის ჩვენთან. იმ თქვენი ბიძაშვილის სახლმა გადაიყოლა, მითხრეს, რომ დამთავრდებაო. ჩვენ ამ ამბავს აუცილებლად აღვნიშნავთ. გამოგვიარეთ და ღამითაც აქ დაგტოვებთ!

- გმადლობთ, - თქვა ჯუნმა და თავში კვლავ იმ აზრმა გაუელვა, დროს უბრალოდ ვკარგავ, ამ ქალისგან ვერაფერს გავიგებო.

ჯუნი წასასვლელად წამოდგა. მისის ბეინზს სახე შეეცვალა. ისიც წამოდგა; ხელებს იფშვნეტდა და ტუჩები უთრთოდა. გრძნობდა, რომ ცუდი რამ ხდებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა ამ მოციცქნილი, მაგრამ კოხტა ტანის გოგონასთვის ეკითხა რამე. ჯუნი კი ტუჩებმოკუმული, თვალებში წყენაჩამდგარი, სახეზე მტკიცე იერით, იდგა მისის ბეინზის წინ და წასასვლელად ემზადებოდა. მისის ბეინზს შეკითხვების მიცემა არასოდეს შინებია, ვინაიდან მთელი ორგანიზაციული მუშაობა კითხვა-პასუხზეა დაფუძნებული! მაგრამ ამჯერად საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მისის ბეინზს ღალატობდა ჩვეულებრივ მაგარი ნერვული სისტემა; სწორედ იმ დილით ქმარმა უთხრა: მოხუც ჯოლიონს ასი ათასი გირვანქა ექნებაო.

ახლა კი, ტანმორჩილი გოგონა იდგა მის წინ და გამოსამშვიდობებლად უწვდიდა ხელს!

შეიძლება სწორედ ამწუთას უსხლტება ხელიდან ასეთი მდიდრული ლუკმა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა მისის ბეინზს,

იქნებ სწორედ ამ წუთში წყდება ყველაფერი და იგი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

მან კარამდე თვალებით გააცილა ჯუნი.

კარი მიიხურა.

მერე რაღაც წამოიძახა, კარი გამოაღო და წინ გავარდა თავისი განიერი თეძოების რწევით, მაგრამ გვიანღა იყო! მოესმა, როგორ დაიხურა წინა კარი და აღელვებული და შეურაცხყოფილი შედგა ადგილზევე.

ჯუნმა ფრინველივით სწრაფად გადასერა სკვერი. მას ახლა ეჯავრებოდა ეს ქალი, რომელიც ბედნიერ დღეებში ძალზე კეთილი ეჩვენებოდა. ნუთუ ყოველთვის უნდა გვერდი აუარონ და აიძულებენ, ეს მტანჯველი ნაღველი უღრღნიდეს გულს? თვითონ ფილთან წავა და პირდაპირ ჰკითხავს, რას ფიქრობს. მას უფლება აქვს, ყველაფერი იცოდეს. ჯუნი სწრაფად დაუყვა სლოუნსტრიტს და ბოსინის სახლს მიაღწია. სადარბაზოს კარი მოხურა და გულჩაწყვეტილი აჰყვა კიბეს.

მესამე სართულის საფეხურები რომ აათავა, სულის მოსათქმელად ნაბიჯი შეანელა და სმენად იქცა, იქნებ ზემოდან რაიმე ხმა ჩამომესმასო, მაგრამ ჩამიჩუმი არ იყო.

მეოთხე სართულზე უკვე გაფითრებული მიაბიჯებდა. ჯუნმა დაინახა კარი და ლითონის ფირფიტაზე წარწერილი გვარიც ამოიკითხა. სწორედ აქ, მეოთხე სართული რომ აათავა, სიმტკიცემ უღალატა.

თავისი საქციელის მთელი უაზრობა ახლაღა შეიგნო. მთელ სხეულზე ალმური მოედო და სიფრიფანა ხელთათმანქვეშ იგრძნო, რომ ხელისგულები სულმთლად დაუსველდა.

ჯუნმა კარიდან უკან დაიხია, მაგრამ საფეხურებზე ერთი ბიჯიც არ ჩამოუდგამს. იგი კედელს მიეყრდნო, რომ ყელში მომდგარი მახრჩობელა ბოღმა გაენელებინა. კარს კი საშინლად გამბედავი თვალებით შეჰყურებდა. არა! დაბლა ჩასვლის იდეა უარყო. რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვის ხალხი. ვერც იცნობენ! თუ თავის თავს თვითონ არ არგო, სხვა ხომ არავინ დაეხმარება! თავისი ბედი თუ უბედობა თვითონვე უნდა გამოჭედოს და საბოლოოდ პასუხი შეიტყოს.

ჯუნმა თავს ძალა დაატანა, კედელს მოსწყდა და ზარი დარეკა. კარი არ გაღებულა და ჯუნს სირცხვილისა და შიშის გრძნობამ უცებ გაუარა; კიდევ დარეკა, თითქოს ცარიელ ოთახს უნდა აზღვევინოს თავისი სირცხვილისა და შიშის საფასურიო. კარი მაინც არ იღებოდა. ჯუნმა ზარის რეკვა მიატოვა, კიბის თავზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

მალე დაბლა ჩამოვიდა. თავს ნაავადმყოფარივით გრძნობდა და, სახლში მისვლის მეტი, სხვა სურვილი აღარ ჰქონდა. ეგონა, ყველა შემხვედრმა იცოდა, სადაც იყო და რასაც აკეთებდა; უცებ მოპირდაპირე მხარეს მონტპელიესკვერიდან სახლისკენ მომავალ ბოსინის მოჰკრა თვალი.

ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ქუჩის გადარბენა სურსო. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ბოსინიმ ქუდი მოუხადა. ამ დროს ომნიბუსმა ჩაიარა და ფილი მხედველობიდან დაკარგა; მერე ტროტუარის კიდეში მდგარმა მოძრავ ტრანსპორტს შუა ღიად დარჩენილი ღრიჭოებიდან კვლავ შენიშნა სახლისკენ დინჯად მიმავალი ბოსინი.

ჯუნი უძრავად იდგა და მიმავალ ბოსინის გაჰყურებდა.

თავი მეცამეტე

სახლის დასრულება

- ხბოს ერთი წვნიანი, ერთიც ხარის კუდისა და ორი ჭიქა პორტვეინი.

"ფრენჩის" რესტორნის მაღლა სართულზე, სადაც ფორსაიტებს კიდევ შეეძლოთ მსუყე ინგლისური საჭმელებით დატკბობა, ჯეიმსი და სომსი სასაუზმოდ დამსხდარიყვნენ.

ჯეიმსი ყველა რესტორანს "ფრენჩის" რესტორანს ამჯობინებდა, აქ ყველაფერი უპრეტენზიო იყო, სასიამოვნო გემოსა და სუნის კერძები დიდი გემოვნებით გახლდათ დამზადებული. მართალია, შემოსავლის (რომელიც გამუდმებით იზრდებოდა) გადიდებამ ჯეიმსი მოდის ამყოლად აქცია და ოდნავ გარყვნა, მაგრამ მას მუდამ გულით ეწადა, იგივე კერძები ეგემა, რომლითაც ახალგაზრდობაში იკოკლოზინებდა ყელს. ამ რესტორანში თმამოშვებული, წინსაფრიანი, ნამდვილი ინგლისელი ოფიციანტები ემსახურებოდნენ: იატაკზე ნახერხი ეყარა და ოქროსვარაყიანი სამი მრგვალი სარკე იმ ზომაზე ეკიდა, რომ შიგ ვერ ჩაიხედავდით. დიდი ხანი არ იყო გასული, რაც აქ ცალკე ოთახები მოშალეს, სადაც უცხო თვალს მორიდებულს შეგეძლოთ ნამდვილად

ჯენტლმენურად შეჰქცეოდით სუკიდან აჭრილი ხორცისგან დამზადებულ კარტოფილის გარნირიან დაბეგვილ კატლეტს.

ჯეიმსმა ხელსახოცის ერთი ბოლო ჟილეტის მესამე ღილის კილოში შეიჩარა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას მერე, რაც უესტენდში ამ ჩვეულებას გამოეთხოვა. ჯეიმსი გრძნობდა, რომ წვნიანს ძალიან მადიანად უნდა შეჰქცეოდა. მთელი დილა ერთი ძველი მეგობრის მამულის გაყიდვას აფორმებდა და დაიქანცა.

როცა პირი თონეში გამომცხვარი პურით გამოიტენა, ლაპარაკიც დაიწყო:

- რობინჰილში აირენიც მიგყავს თუ მარტო მიდიხარ? აჯობებს კი, რომ თან წაიყვანო. იქ ჯერ ბევრი რამ იქნება სანახავი, რაც შეიძლება მარტო შენ გამოგრჩეს.

სომსს მამისთვის არ შეუხედავს, ისე უპასუხა:

- აირენს არ სურს წამოსვლა.

- წამოსვლა არ სურსო? ვერ გამიგია, რა იგულისხმება მაგ სიტყვებში? აბა, იმ სახლში ცხოვრებას არ აპირებს?

სომსს პასუხი არ გაუცია.

- არ ვიცი, რა ემართებათ ახლანდელ ქალებს, - ჯუჯღუნებდა ჯეიმსი, - მე მაგათთან ლაპარაკით თავს არ ვიწუხებდი. შენ ძალიან ბევრის უფლებას აძლევ აირენს. ეს თავისუფლება აფუჭებს...

სომსმა თავი ასწია:

- აირენზე ცუდს ნუ გამაგონებ, - თქვა მან მოულოდნელად.

მერე დუმილს მარტო ჯეიმსის მიერ წვნიანის ხვრეპის ხმა არღვევდა.

ოფიციანტმა ორი ჭიქა პორტვეინი მოუტანა, მაგრამ სომსმა შეაჩერა.

- პორტვეინი ასე არ მოაქვთ, - მკაცრად უთხრა მან, - უკან წაიღე და ბოთლით მოიტანე.

ჯეიმსმა ფიქრები და წვნიანი ერთად დაამთავრა და ფაქტები შეაჯამა.

- დედა ავადაა და წევს, - დაიწყო ჯეიმსმა, - შეგიძლია ეტლი წაიყვანო და აირენი გაასეირნო, მას ხომ უყვარს სეირნობა. ის ვაჟბატონი ბოსინი იქ იქნება და ყველაფერს თვითონ გიჩვენებთ.

სომსმა თავი დაუქნია.

- მეც მაინტერესებს, როგორ გამოიყურება დამთავრებული სახლი, იქნებ შინ გამოგიაროთ და სამივენი ერთად წავიდეთ, ჰა? - იკითხა ჯეიმსმა.

- არა, მე მატარებლით გავემგზავრები, - თქვა სომსმა, - თუ თქვენც გაინტერესებთ სახლის ნახვა, აირენს გაუარეთ და იქნებ გამოგყვეთ. მე ვერაფერს ვეტყვი.

მან ოფიციანტი იხმო და ანგარიში მოსთხოვა, დანახარჯი ჯეიმსმა გადაიხადა.

ისინი ერთმანეთს წმინდა პავლეს ეკლესიასთან გაშორდნენ. სომსი ვაგზლისკენ გაემართა, ჯეიმსი კი ომნიბუსში ჩაჯდა და ქალაქის დასავლეთისკენ გაემგზავრა.

იგი კონდუქტორის გვერდით სკამზე ჩამოჯდა და თავისი გრძელი ფეხებით ომნიბუსში ამოსული ბევრი მგზავრი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. თან ყველას ისეთი ნაწყენი გამომეტყველებით შეჰყურებდა, თითქოს უფლება არ ჰქონდათ მასთან ერთად მგზავრობისა.

ჯეიმსმა გადაწყვიტა ამ ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და აირენს მოლაპარაკებოდა. დროზე ნათქვამ სიტყვას ბევრი

რამის გაკეთება შეუძლია. რაკი საცხოვრებლად ქალაქგარეთ მიდის, ბარემ ცხოვრებაც ახლებურად გარდაქმნას, თორემ სომსი მის საქციელს ყოველთვის ხომ არ მოითმენს!

ჯეიმსს აზრად არ მოსვლია იმის განსაზღვრა, რას გულისხმობდა აირენის "საქციელში". ეს ძალიან ფართო, განუსაზღვრელი და ბუნდოვანი გამოთქმა სწორედ ფორსაიტული გახლდათ. ჯეიმსი საუზმის შემდეგ ჩვეულებრივზე უფრო გამამაცდა.

სახლში რომ მივიდა, ბრძანა ეტლი მოემზადებინათ და მეეტლესაც წასვლის თადარიგი დაეჭირა. ჯეიმსს სურდა რძლისთვის ესიამოვნებინა და ამისთვის ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინა.

როცა შვილის სახლის სადარბაზო კარი შეაღო, აირენის სიმღერის ხმა შემოესმა და იქვე მდგომ მსახურს მაშინვე ის უთხრა, სიმღერის ხმა გავიგონეო, რათა აირენისგან რობინჰილში გამგზავრებაზე უარი არ მიეღო.

- დიახ, მისის სომსი შინ გახლავთ, მაგრამ არ ვიცი, მნახველებს მიიღებს თუ არა, - ასე უპასუხა გოგომ.

ისეთი საოცარი სიმკვირცხლით, რომელიც ჯეიმსის აყლაყუდა ტანის შემხედვარეთ მუდამ აოცებდათ ხოლმე, იგი რძლის სასტუმრო ოთახში გაჩნდა, რათა მისთვის რობინჰილში გამგზავრებაზე უარის თქმის საშუალება მოესპო, რასაც აირენი მსახურის პირით ადვილად შემოუთვლიდა. აირენი როიალთან იჯდა, ხელები კლავიშებზე ეწყო და სულგანაბულს ჰოლში მოლაპარაკე ხმებისთვის მიეპყრო სმენა. ჯეიმსს ისე მშრალად შეხვდა, არც გაუღიმა.

- თქვენი დედამთილი ავადაა და წევს, - დაიწყო ჯეიმსმა, რათა აირენის სიმპათია მოეპოვებინა, - მე ეტლით გიახელით და ძალიან კარგს იზამთ, თუ ქუდს დაიხურავთ და სასეირნოდ გამომყვებით. ეს თქვენც ძალიან გარგებთ!

აირენი ისე შეჰყურებდა, თითქოს ეს-ეს არის, უარი უნდა თქვასო, მაგრამ ეტყობა გადაიფიქრა, მაღლა სართულზე ავიდა და ჩაცმულ-დახურული ჩამოვიდა.

- სად უნდა წამიყვანოთ? - იკითხა აირენმა.

- ჩვენ რობინჰილში გავემგზავრებით, - სეტყვასავით დააყარა ჯეიმსმა, - ცხენები უმოძრაოდ დამეხუთნენ. თან იმასაც ვნახავთ, სახლი რა დღეშია.

აირენს, ეტყობა, ახლაც უარის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, სახლიდან გამოვიდა და ეტლისკენ გაემართა. ჯეიმსიც ნელი ცუხცუხით გაჰყვა უკან.

ნახევარი გზა ჰქონდათ გავლილი, როცა ჯეიმსმა წამოიწყო;

- სომსს ისე უყვარხართ, რომ თქვენზე ერთ სააუგო სიტყვასაც ვერ გააგონებს კაცი; რატომ თქვენც ასე მხურვალე გრძნობით არ პასუხობთ?

აირენი აენთო, მაგრამ დაბალი ხმით თქვა:

- მე თვალთმაქცი არა ვარ, რომ რამე მოვაჩვენო, როგორი გრძნობაც მაქვს მისდამი, ისეთ პირს ვუჩვენებ.

ჯეიმსმა რძალს მკაცრად გადახედა; ახლა, როცა ქალი მის საკუთარ ეტლში იჯდა, მისი ცხენები მიაქროლებდნენ და მისი მსახური ემსახურებოდა, ჯეიმსმა თავი ყველაფრის ბატონპატრონად იგრძნო. ასე ადვილად არ ჩამოეხსნება; აირენი ხომ ხალხს არ შეყრის?

- ვერ გამიგია, რა გსურთ, - დაიწყო ჯეიმსმა, - სომსი ძალიან კარგი ქმარია!

აირენმა პასუხი ისე დაბალი ხმით წარმოთქვა, რომ ქუჩის ხმაურში ჯეიმსმა ძლივს გაარჩია სიტყვები:

- თქვენ ხომ არა ხართ მისი მეუღლე!

- კი მაგრამ, რა სჭირს ისეთი? რასაც მოისურვებთ, ყველაფერს გისრულებთ, სადაც მოისურვებთ, იქ დაჰყავხართ. აი, ახლა ქალაქგარეთ სახლსაც გიშენებთ. თქვენ ხომ საკუთარი სახსარი არ გაგაჩნიათ?

- არა.

ჯეიმსმა კვლავ შეხედა რძალს; აირენის გამომეტყველება არაფრისმთქმელიაო, იფიქრა. კაცს ეგონებოდა, სადაცაა ტირილს მოჰყვებაო.

- მგონი, ჩვენ მუდამ ტკბილად გექცეოდით, - ბუტბუტებდა ჯეიმსი.

აირენს ტუჩები აუთრთოლდა; ჯეიმსმა ქალის ღაწვზე ჩამოგორებული ცრემლი შენიშნა და ელდა ეცა. ახლა თვითონ იგრძნო, როგორ უჭერდა რაღაც ყელში და ახრჩობდა.

- ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხართ, - წამოიწყო ჯეიმსმა, - თქვენ რომ, - კინაღამ წამოსცდა, კარგად იქცეოდეთო, მაგრამ აზრი შეცვალა და ესღა უთხრა, - თქვენ თუ სომსს კარგ ცოლობას გაუწევთ.

აირენს პასუხი არ გაუცია და ჯეიმსიც დადუმდა. აირენის დუმილმა თავგზა აუბნია; ეს არ იყო სიჯიუტით ნაკარნახევი გაყუჩება, პირიქით, ეს უფრო ჯეიმსის ნათქვამზე თანხმობას მიაგავდა. ჯეიმსმა იგრძნო, საბოლოო სიტყვის თქმის უფლებაც

რომ თვითონ არ ეკუთვნოდა. ვერაფერს ხვდებოდა და ბრინჯი-ვით დაიბნა. ჯეიმსმა დიდხანს ვერ შეძლო მუნჯივით ყოფნა და ისევ დაარღვია დუმილი:

- მე მგონი, ის ყმაწვილი მალე შეირთავს ჯუნს?

აირენს სახის გამომეტყველება შეეცვალა.

- არ ვიცი, - უპასუხა რძალმა, - ეს ჯუნს უნდა ჰკითხოთ.

- როგორ, ჯუნთან მიმოწერა არა გაქვთ?

- არა.

- როგორ თუ არა? - გაოცებით დაიწყო ჯეიმსმა, - თქვენ, ჩემი აზრით, ძალიან ახლო მეგობრები იყავით.

აირენი ჯეიმსისკენ შებრუნდა:

- ესეც ჯუნს უნდა ჰკითხოთ!

- კეთილი, - აღელვებით წარმოთქვა ჯეიმსმა, რომელიც აირე-ნის გამოხედვამ შეაშინა, - მაგრამ ძალზე უცნაურია, ნათლად დასმულ კითხვაზე ნათელი თუ არა, ბუნდოვანი პასუხიც ხომ ვერ მივიღე, მაგრამ რაც არის, არის.

ასეთ მარჯვე დახვედრას ჯეიმსი არ მოელოდა. კარგა ხანს იყო უჩუმრად, ბევრი რამ აწონ-დაწონა და ბოლოს ვულკანივით მოულოდნელად ამოაფრქვია:

- მე გაგაფრთხილეთ. თქვენ არ გსურთ წინ გაიხედოთ. სომსს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და ამგვარ რამეს დიდხანს არ მოით-მენს. მერე ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ და ნურავის მოსთხოვთ თანაგრძნობას.

აირენმა თავი დახარა და გაღიმებულმა წარმოთქვა:

- დიდად დავალებული ვარ თქვენგან.

ჯეიმსმა პასუხი ვერ მონახა.

ზაფხულის ბრწყინვალე, ცხელი დილა ღრუბლიანმა შუადღემ შეცვალა; სამხრეთიდან დაიძრნენ ავი, ჭექა-ქუხილის მაუწყებელი ბოლოებჩაყვითლებული მძიმე ღრუბლები. გზაზე უმოძრაოდ გადმოშვერილ ხეთა ტოტებზე ფოთოლიც კი არ ირხეოდა. შეხუთულ ჰაერს ცხენების ოფლის სუნი ავსებდა; კოფოზე შემომსხდარი მეეტლე და მეჯინიბე ზანტად მასლაათობდნენ და არც უყურებდნენ ერთმანეთს.

როგორც იქნა, სახლს მიაღწიეს და ჯეიმსმა შვებით ამოისუნთქა; მას აშინებდა აირენის სიჩუმე და შეუვალობა, აირენისა, რომელიც მუდამ ნაზად და ლმობიერად წარმოედგინა.

ეტლმა ისინი ზედ სადარბაზო კართან მიიყვანა. ორივე ჩამოვიდა და სახლში შევიდნენ.

ჰოლი სამარესავით ცივი და მდუმარე იყო; ჯეიმსს გააჟრჟოლა. მან სწრაფად გადასწია ტყავის მძიმე ფარდა, რომელიც შიდა ეზოს ფარავდა და მოწონების შეძახილი აღმოხდა.

ყველაფერი მართლაც ბრწყინვალე გემოვნებით იყო ნაკეთები. კედლებიდან თეთრი მარმარილოს ქვით მოპირკეთებულ აუზამდე მუქი წითელი ფილაქანი იყო დაგებული. აუზის შემოგარენს კი მარგალიტებივით მიჯრით მოყრილი თათრული ია ამშვენებდა. ჯეიმსი აღტაცებაში მოიყვანა მეწამული ფერის ტყავის ფარდამ, რომელიც თეთრი ქვით ნაშენ უზარმაზარ ღუმელს ფარავდა. მინის სახურავი სანახევროდ გადაწეული იყო და თბილი ჰაერი მაღლიდან შიგ სახლის შუაგულში იჭრებოდა.

ჯეიმსს ხელები უკან შემოეწყო, თავი ვიწრო მხრებში ჩაემალა და კედელთან იდგა. იგი გულდასმით ათვალიერებდა ქვის ჩუქურთმას და ტალანის გასწვრივ სპილოსძვლისფრად შეღებილ

კედელზე არსებულ კოზმიდს. ერთი სიტყვით, არაფერი დაეზოგათ, რომ ნამდვილი ჯენტლმენისთვის განკუთვნილი სახლი შესანიშნავად მოერთოთ. ჯეიმსი სარკმელს მიუახლოვდა, რათა ფარდების გახსნის საიდუმლოება გამოეცნო. როცა ფარდები გახსნა, მის წინ გადაიშალა სურათების გალერეა, რომლის ერთი კედელი მთლიანად მინისა იყო. აქ მუხის შავი პარკეტი დაეგოთ, კედლებს კი სპილოსძვლისფერი დაჰკრავდა. ჯეიმსი ყველა კარს აღებდა და ოთახებში იჭვრიტებოდა. ირგვლივ ისეთი სამაგალითო წესრიგი სუფევდა, რომ საცხოვრებლად გადმოსვლა თუნდაც იმწამსვე შეიძლებოდა. როცა ყველაფრის დათვალიერებას მორჩა, ჯეიმსი მობრუნდა, რათა აირენს გამოლაპარაკებოდა, და სომსი, აირენი და ბოსინი ბაღის შესასვლელში ერთად მდგარნი დაინახა.

ჯეიმსი დიდი მიხვედრილობითა და მგრძნობიარობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა კი იმწამსვე მიხვდა, რომ მთლად კარგად ვერ იყო საქმე. იგი ცუდი წინათგრძნობით შეშინებული მიუახლოვდა იმ სამეულს და, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა, დაძაბული ატმოსფეროს განელება სცადა.

- როგორა ხართ, მისტერ ბოსინი? - თქვა ეს და არქიტექტორს ხელი გაუწოდა, - მე მგონია, სახლის მორთვა-მოხატვაზე გვარიან თანხას დახარჯავდით!

სომსი სწრაფად შებრუნდა და გაშორდა მოსაუბრეებს. ჯეიმსმა მზერა ბოსინის მოჭმუხნილი სახიდან აირენზე გადაიტანა და აღელვებულმა, ხმამაღლა გამოთქვა თავისი აზრი:

- ვერ გამიგია, რა ხდება? მე ხომ არავინ არაფერს მეუბნება!

შვილის კვალში მდგარს, ყურებში ბოსინის სიცილით ნათქვამი სიტყვები ჩაესმა:

- კიდევ კარგი, ღმერთო! შენ ისე გამოიყურები...

და საუბედუროდ, ბოლო სიტყვები ვეღარ გაარჩია.

ნეტავ რა მოხდა? მან უკან მოიხედა. აირენი არქიტექტორს თითქმის ზედ მიჰკვროდა და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც ჯეიმსს წინათ არასოდეს ენახა. მან ფეხს აუჩქარა და შვილისკენ წავიდა.

სომსი სურათების გალერეაში ბოლთას სცემდა.

- რა მოხდა? - იკითხა ჯეიმსმა, - რას ნიშნავს ყოველივე ეს?

სომსმა ამპარტავნული იერით აღსავსე თვალებით შეხედა მამას, მაგრამ ჯეიმსმა მშვენივრად იცოდა, რომ იგი გაცეცხლებული იყო.

- ჩვენმა მეგობარმა, - წამოიწყო სომსმა, - თავის უფლებებს კვლავ დიდი წარმატებით გადააჭარბა. ახლა, რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს.

სომსი შებრუნდა და კარისკენ წავიდა. ჯეიმსი უკან დაედევნა და ცდილობდა გადაესწრო. მან დაინახა, როგორ ჩამოიღო ტუჩებზე მიდებული თითი აირენმა, ყური მოჰკრა ჩვეულებრივ კილოზე ნათქვამ მის სიტყვებს, რომლებიც შორიდან ვერც გაარჩია და ვიდრე იქამდე მიაღწევდა, სადაც აირენი და ბოსინი იდგნენ, მანამდე გამოელაპარაკა მათ:

- გაავდრდება. სჯობს სახლში წავიდეთ. მგონი, ჩვენთან ერთად არ წამოხვალთ, მისტერ ბოსინი? არა, ხომ? მაშ, ნახვამდის!

თქვა ეს და გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი. ბოსინიმ ხელი არ შეაგება, მიბრუნდა და სიცილით თქვა:

- კარგად ბრძანდებოდეთ, მისტერ ფორსაიტ, ეცადეთ, ავდარმა გზაში არ მოგისწროთ! - იგი შებრუნდა და წავიდა.

- ძალიან კარგი, - დაიწყო ჯეიმსმა, - არ ვიცი...

აირენის სახეს რომ მოჰკრა თვალი, შეჩერდა. მან თავაზიანად გაუყარა რძალს ხელი და ეტლამდე მიიყვანა. გულმა უგრძნო, ნამდვილად უგრძნო, რომ მათ შეხვედრის ადგილი დაუნიშნეს ერთმანეთს.

ფორსაიტს არაფერი ამქვეყნად ისე არ აბნევს, როგორც იმის შეტყობა, რომ ნივთი, რომელშიც განსაზღვრული თანხის გადახდას იზრახავდა, გაცილებით ძვირად ღირებული აღმოჩნდება. ეს სავსებით გონივრული მსჯელობა და აზრია, ვინაიდან მთელი მისი ცხოვრება წინასწარი დაანგარიშების სიზუსტეზეა დამოკიდებული. თუ ფორსაიტმა სწორად ვერ შეძლო ნივთის ღირებულების განსაზღვრა, მაშასადამე, მისი ცხოვრების კომპასი ხდება და, უსაქმოდ დარჩენილი, დინებას უნდა მიჰყვეს.

სომსმა მას მერე, რაც ბოსინის მისწერა - მოქმედების თავისუფლებას განიჭებ ამა და ამ თანხის ფარგლებში და, თუ ორმოცი ან ორმოცდაათი გირვანქით გადავაჭარბებ დათქმულ თანხას, ამ წვრილმანებზე არც ვილაპარაკებო, - საქმე დამთავრებულად მიიჩნია და სახლის ღირებულებაზე ფიქრს თავი ანება. თავისი ღრმა რწმენით, სახლის ღირებულების ზღვრული თანხა ისე ზუსტად მისწერა ბოსინის, რომ არც კი უფიქრია, თუ შესაძლებელი იქნებოდა მისი დარღვევა. როცა ბოსინისგან შეიტყო, წინასწარ დათქმულ თორმეტი ათასს კიდევ ოთხი ათასი ემატებაო, სიბრაზისგან გაფითრდა. მისი თავდაპირველი გამოანგარიშებით სახლის მშენებლობა ათი ათას გირვანქაზე მეტი არ უნდა დამჯდა-

რიყო და სომსს ჯერ ისიც ვერ ეპატიებინა, რომ ბოსინის უფლება მისცა პირვანდელი ხარჯთაღრიცხვა დაერღვია და ღირებულება თორმეტ ათასამდე გაეზარდა. ამ ბოლოდროინდელმა ხარჯებმა კი, მის მიერ სავსებით გაუთვალისწინებელმა, მოთმინებიდან გამოიყვანეს, სომსმა ბოსინის რეგვნულ საქციელს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო; მაგრამ რაკი ეს ჩაიდინა, მთელი ღვარძლი და ამდენ ხანს ნამალავი ეჭვი, რაც გულს უღრღნიდა და მთელ სხეულში შანთივით უტრიალებდა, ბოსინის ამ მოუთმენელი საქციელის გამო ახლა მთლიანად გადმოანთხია.

მიმნდობი და მეგობრული გრძნობით გამსჭვალული ქმრის როლი დაივიწყა, ამ როლის თამაში იმისთვის იკისრა, რომ თავისი საკუთრება - ცოლი შეენარჩუნებინა, მაგრამ ახლა ფულადი საკუთრების გადარჩენა არჩია და ძველი როლის თამაში დაგმო.

- აჰ! - უთხრა მან ბოსინის, როცა სიბრაზისგან წართმეული მეტყველების უნარი დაუბრუნდა, - მგონი თქვენი თავის დიდად კმაყოფილი ბრძანდებით, არა? მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ სასტიკად მოტყუვდით.

როცა ამ სიტყვებს ეუბნებოდა, მაშინ თვითონაც კარგად არ იცოდა, რასაც მოიმოქმედებდა, მაგრამ სადილის მერე ბოსინისთან თავის მიმოწერას გადახედა, რომ ფუჭი გასროლა არ მოეხდინა. აქ ორი აზრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. იმ ვაჟბატონმა წინასწარ დათქმულ თანხას ოთხი ათასით თუ არა, სამი ათას ხუთასი გირვანქით მაინც გადაამეტა და ეს კარგ დღეს არ უქადდა.

როცა ეს დასკვნა გააკეთა, ცოლს გადახედა. აირენი ჩვეულებრივად სავარძელზე მოკალათებულიყო და კაბას მაქმა-

ნის საყელოს აკერებდა. იგი მთელი საღამო ხმაამოუღებლივ იჯ-და.

სომსი ბუხართან მივიდა, სარკეში ჩაიხედა და თქვა:

- შენმა მეგობარმა მეკობრემ დიდი სისულელე ჩაიდინა; ახლა უნდა ფული ამოყაჭოს.

აირენმა სიძულვილით აღსავსე თვალებით შეხედა და თქვა:

- არ ვიცი, რაზე მელაპარაკები!

- მალე გაიგებ. უბრალო წვრილმანია, შენს ყურადღებად არც კი ღირს, რაღაც ოთხი ათასი გირვანქა.

- ნუთუ იმას გულისხმობ, რომ იმ საძულველი სახლის ხარჯე-ბი ბოსინის დააკისრო?

- დიახ.

- თანაც იცი, რომ მას არაფერი გააჩნია.

- დიახ.

- მაშინ შენ უფრო ბილწი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა.

სომსი შემობრუნდა, ბუხრის თავიდან უაზროდ აიღო ჩინური ფინჯანი და ორივე ხელი ისე ჩასჭიდა, თითქოს ლოცულობსო. მან თვალი შეავლო, როგორ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი აირენს, რო-გორ ჩაუშავდა მრისხანებისგან თვალები, ყურადღება არ მიაქ-ცია მის გესლიან გაქირდვას და მშვიდად ჰკითხა:

- შენ ეარშიყები, არა, ბოსინის?

- არა, სრულებითაც არა!

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და სომსი შებრუნდა. მას ხან სჯეროდა ცოლისა, ხან არა, მაგრამ იმას კი მაშინვე მიხ-ვდა, იმ შეკითხვით რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა; იგი ვე-რასოდეს ხვდებოდა და ვერც მიხვდებოდაა აირენის ფიქრებს.

აირენის უკარება სახის ყურებამ, იმ ასეულ ღამეთა გახსენებამ, როცა აირენი დღევანდელივით სავარძელზე იჯდა ნაზი და უმოქმედო, მაგრამ გულდახშული და ამოუცნობი, გაარისხა და მოთმინებიდან გამოიყვანა იგი.

- დარწმუნებული ვარ, რომ შენ ქვისგან უნდა იყო ნათალი, - უთხრა მან ცოლს და მყიფე ფინჯანი ისე მოწურა თითებში, რომ ერთიანად დაფშვნა. ნამსხვრევები ბუხრის მოაჯირს იქით გადაცვივდა.

აირენმა გაიღიმა.

- მგონი დაგავიწყდა, რომ ფინჯანი ქვისა არ იყო!

სომსი ხელში სწვდა აირენს.

- ლაზათიანად უნდა მიგბეგვოს კაცმა და მხოლოდ მაშინ მოხვალ ჭკუაზე, - წაისისინა, ქუსლებზე შებრუნდა და ოთახიდან გავიდა.

თავი მეთოთხმეტე

სომსი კიბეზე ზის

სომსი იმ გრძნობით ავიდა ზემო სართულზე, რომ ძალიან შორს შეტოპა. იგი მზად იყო, თავისი სიტყვების გამო ბოდიში მოეხადა. ტალანში ჯერ კიდევ ძლიერად მოკიაფე გაზის შუქი ჩაქრო, კარის სახელურს ხელი ჩასჭიდა და შედგა, რათა კარგად მოეფიქრებინა საბოდიშო სიტყვები და აირენს არ შეემჩნია მისი ნერვიულობა.

კარი არ გაიღო. სომსმა სახელური დაბლა დასწია, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ძალაც მოიშველია, მაგრამ კარი მაინც არ გაიღო. ალბათ დაკეტვა დასჭირდა და შემდეგ გაღება დაავიწყდაო, გაიფიქრა მან.

სომსი თავის ოთახში შევიდა და ახლა იქიდან მოსინჯა მეორე კარი. ისიც დაკეტილი დახვდა. ოთახში ჩაწეული გაზის ლამპა ენთო და, ირგვლივ რომ მიიხედ-მოიხედა, შენიშნა, საკეცი საწოლი, რომელზეც ხანდახან წვებოდა ხოლმე, გაშლილი იდგა და ზედ ლოგინიც დაეგოთ. ერთბაშად სომსს ცივმა ოფლმა დაასხა და შუბლზე იტკიცა ხელი. ფიქრმა გაჰკრა, ცოლმა საწოლი ოთახიდან გამომაგდოო.

იგი დაკეტილ კართან მივიდა, ფრთხილად დააკაკუნა და დაბალი ხმით გასძახა:

- კარი გამიღე, გესმის?! კარი გამიღე!

ოთახიდან სუსტი ფაჩუნი მოისმა, მაგრამ პასუხი არ იყო.

- გესმის? ახლავე შემომიშვი... დაჟინებით გიმეორებ, ახლავე შემომიშვი!

კარზე აკრულ სომსს ცოლის გახშირებული სუნთქვა და აჩქარებული გულისცემა მოესმა. ასე საფრთხისგან შეშინებულმა სულიერმა იცის ქოშინი.

ცოლის ეს ულმობელი, გულქვა, უდრეკი სიჩუმე და იმის შეგნება, რომ მას ვერ მიეკარებოდა, რაღაც თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი იყო. სომსმა უკან დაიხია და მთელი ტანით მეორე კარს დაეძგერა, რომ შეემტვრია. კარი ახალი იყო. საქორწინო მოგზაურობაში წასვლამდე თვითონ სომსმა ისურვა, საწოლ ოთახში შესასვლელი ორივე კარი განეახლებინათ. მრისხანებამ თავგზა აუბნია, რომ ახლა ფეხის მორტყმით უნდოდა ბედი ესინჯა, მაგრამ მსახური ქალი მოაგონდა და თავი დამარცხებულად იგრძნო.

სომსი გაჯავრებული მიეგდო საწოლზე და წიგნს წამოავლო ხელი. მაგრამ ასოებს ვერ არჩევდა და მათ ნაცვლად თვალწინ შიშველ მხრებზე ქერათმაჩამოშლილი, თვალგიშერა, მხეცივით ყალყზე შემდგარი, პირგამეხებული ცოლი ელანდებოდა. ცოლის ამბოხის მიზეზსაც ჩასწვდა, ალბათ, გადაწყვიტა, მომავალშიც ასე მოიქცეს.

აირენი კართან ეგულებოდა. სომსმა ვერ მოისვენა, მივიდა და დაბალი ხმით დაუძახა:

- აირენ! აირენ!

სიმტკიცის ნაცვლად მის ხმაში მუდარა გაისმა. კარს იქით ფაჩუნი მიწყდა და კვლავ ავის მომასწავებელი დუმილი ჩამოდგა. სომსს ხელები გადაეჭდო, იდგა და ფიქრობდა.

იგი ფეხაკრეფით უკან წავიდა, შემდეგ გამოქანდა და მთელი ტანით კარს ეძგერა, რომ შეემტვრია. კარმა დაიჭრიალა, მაგრამ მაინც არ გაიღო, გულმოკლული სომსი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

კარგა ხანს იჯდა კიბის საფეხურზე ბნელში. ამასობაში მინის სახურავში მთვარის სხივი ჩამოიჭრა და ნელ-ნელა სომსისკენ მიიწევდა. სომსი ახლა იმას ცდილობდა, მომხდარი ამბავი ფილოსოფიურად განეჭვრიტა.

რაკი კარი მოუკეტა და საწოლიდან გამოაგდო, მას ცოლობის პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეს და სომსმა ნუგეში სხვა ქალების ბუდუარებში უნდა ეძიოს.

ეს იყო სიამოვნების, განცხრომისა და ტკბობის მოჩვენებითი ხილვა. სომსს ასეთი საგმირო საქმეების სურვილი არ ჰქონდა. ამ სარბიელზე მას არც ცოლის შერთვამდე უმოღვაწია ბევრი და აირენის შერთვის შემდეგ ხომ ქალებთან გარე-გარე სიარული სულ მთლად მიატოვა. ალბათ არც ახლა მოჰყვებოდა მეძავ დიაცთა უკან დევნასა და წანწალს. აშლილი ვნება მხოლოდ ცოლს უნდა დაეცხრო, მხოლოდ აირენს, შეუბრალებელს, შეშინებულსა და კარს უკან მიმალულს. სხვა ქალებთან ავხორცული ჟინის მოკვლა სომსს არ სურდა.

ეს აზრი გარეთ, ბნელში, კიბის თავზე ჩამომჯდარს აეკვიატა და საშინელი ძალით ირწმუნა კიდეც.

ფილოსოფიური მსჯელობის ნაცვლად მის გონებაში ახლა ტლანქმა მრისხანებამ იძალა. აირენის საქციელი ამორალური და შეუწყნარებელია. იგი ენით უთქმელი სასჯელის ღირსია. სომსს სხვა ქალი არ სურს, ის კი თავიდან იშორებს და დამეხსენიო, ეუბნება!

მაშ, აირენს ნამდვილად სძულებია იგი. ამდენ ხანს სომსს არ უნდოდა ამის დაჯერება. არც ახლა დაიჯერებს. გაუგონარ ამბად ეჩვენება. მან იგრძნო, რომ საღი მსჯელობის უნარი დაკარგა. თუ ისეთმა მორჩილმა და ნაზმა არსებამ, როგორადაც აირენი მიაჩნდა, ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, ვინ იცის, მომავალში რა მოხდება.

შემდეგ იმაზე იფიქრა, ნუთუ მართლა ბოსინი უყვარსო. არ სჯეროდა, რომ აირენი ბოსინის შეიყვარებდა; აირენის საქციელის ამდაგვარი ახსნა არასგზით არ უნდოდა და ამ აზრს გონებიდან იმწამსვე უკუაგდებდა ხოლმე.

აუტანელი იყო იმაზე ფიქრიც კი, რომ აირენთან მისი ურთიერთობა ხალხის სალაპარაკო უნდა გამხდარიყო. სანამ კიდევ სხვა დამამტკიცებელ საბუთებს არ მონახავს, არც დაიჯერებს, აბა, საკუთარ თავს ხომ არ დასჯის. გულის სიღრმეში კი ყველაფერი სჯეროდა.

კიბის თავზე, კედელთან ატუზული სომსის მოხრილ სხეულს მთვარემ ვერცხლისფერი სხივები შეაფრქვია.

ბოსინის აირენი უყვარს! სომსს ეჯავრება ის ვაჟბატონი და ამიერიდან აღარც დაინდობს. შეუძლია არ გადაიხადოს და არც გადაიხდის თორმეტი ათას ხუთას გირვანქაზე მეტს, თუნდაც ერთ პაუნდს, წერილში ხომ ზღვრულ თანხად სწორედ თორმეტი

ათას ორმოცდაათი გირვანქა ეწერა; ანდა გადაიხდის, გადაიხ-
დის, მაგრამ მისგან სასამართლოს წესით ამოიგებს. ის ჯობლინ-
გსა და ბოულტერთან წავა და სარჩელს მათ აღაძვრევინებს. მი-
წასთან გაასწორებს მაგ ქესატ მათხოვარს! და უცებ - თუმცა რა
კავშირი იყო ამ აზრებს შუა? - მას გაახსენდა, რომ აირენსაც არ
ჰქონდა საკუთარი ქონება. ორივე მათხოვარია. ამ აზრმა უც-
ნაური კმაყოფილება მოჰგვარა.

სიჩუმე საწოლის მსუბუქმა ჭრიალმა დაარღვია. ჭრიალი კე-
დელს იქიდან გაისმა. მაშ, აირენი დაწვა. აჰ! მშვიდი ძილი და
ტკბილი სიზმარი! ახლა კარი რომ გაეღო კიდეც, სომსი აღარ შე-
ვიდოდა.

მაგრამ სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა, ტუჩები აუთ-
რთოლდა და დაემანჭა. თვალებზე ხელები მიიდო...

მეორე დღეს, შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, როცა სომ-
სმა სასადილო ოთახის ფანჯრიდან სკვერს გახედა.

მზე ჯერ კიდევ აღწევდა ჭადრების ტოტებამდე და ოქროს-
ფრად აელვარებდა ნიავისგან მოშრიალე ფართო ფოთლებს,
რომლებიც თითქოს იქვე კუთხეში მოჟღრიალე არღნის ჰანგზე
ცეკვავდნენ. არღანი ძველებურ ვალსს უკრავდა, უკრავდა მო-
უღლელად და მის რიტმზე მხოლოდ ფოთლები ცეკვავდნენ.

მეარღნე ქალი დაღლილი და სევდიანი ჩანდა. მრავალსართუ-
ლიანი სახლების არც ერთი ფანჯრიდან ფული არ გადმოუყარეს.
ქალმა არღანს ხელი წამოავლო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შე-
ჩერდა და კვლავ დაუკრა.

ეს ის ვალსი იყო, როჯერთან რომ უკრავდნენ და აირენმა და
ბოსინიმ იცეკვეს; ახლა ღვარძლიან მუსიკასთან ერთად სომსს

თითქოს ხევარდის სუნიც ეცა, აირენის სხეულიდან რომ შეეფ-
რქვია, როცა ახლოს ჩაუქროლეს. თვალწინ დაუდგა ის მბზინავი
თმა და მიბნედილი თვალები, რომლებიც ბოსინისთან ერთად
ვეებერთელა ოთახის სიღრმეში, უსასრულობისკენ მიექანებოდ-
ნენ.

მეარღნე ქალი ხელს ნელა ატრიალებდა; იგი მთელი დღე ერ-
თსა და იმავე ჰანგებს უკრავდა, უკრავდა სლოუნსტრიტზე და,
ვინ იცის, იქნებ თვითონ ბოსინისთვისაც უკრავდა.

სომსი შემობრუნდა, ყუთიდან სიგარეტი ამოიღო და ისევ
ფანჯარასთან მივიდა. ვალსის იმ ჰანგმა თითქოს მონუსხა იგი.
უცებ აირენს მოჰკრა თვალი. ხელში დაკეცილი ქოლგა ეჭირა,
სკვერი პირდაპირ გადმოჭრა და გეზი სახლისკენ აიღო. ვარდის-
ფერი, დაბლა დაშვებულ სახელოიანი კაბა ეცვა, რომელიც სომსს
მის ტანზე ადრე არ ენახა. ის არღნის წინ შეჩერდა, საფულე
ამოიღო და მეარღნეს რამდენიმე მბზინვარე ოქროს ფული აჩუ-
ქა.

სომსი უკან მიიქცა და ისე დადგა, რომ ჰოლისთვის თვალი
ედევნებინა.

აირენმა საკუთარი გასაღებით გახსნა კარი, ქოლგა დადო და
სარკეში ჩაიხედა. ღაწვები ისე შეჰფაკლოდა, თითქოს მზისგან
დასწვიაო; ტუჩები ღიმილს გაეპო. ხელები ისე გაშალა, თითქოს
საკუთარ ხატებას უნდა მოეხვიოსო და მერე ისეთი ხმით გაიცი-
ნა, ქვითინებსო, იტყოდით.

სომსი წინ წადგა.

- მშვენიერია, - თქვა მან.

თითქოს ტყვიას ესვრიანო, ისე სწრაფად შემოტრიალდა აირენი და კიბეზე არბენა მოინდომა, მაგრამ სომსმა გზა გადაუღობა.

- რა მიგაჩქარებს? - თქვა მან და მზერა მის ყურთან ჩამოყრილ კულულს მიაპყრო.

სომსი ცოლს ვეღარ ცნობდა. ღაწვები აფერადებოდა, აირენს თითქოს ალმური ასდისო. თვალები გაბრწყინებოდა, ტუჩებზე ცეცხლი ეკიდა, თან ეს უცნაური ვარდისფერი კაბა ჩაეცვა.

აირენმა თმა შეისწორა. იგი ისე ღრმად და ხშირად სუნთქავდა, თითქოს ურბენიაო. ყოველ ამოსუნთქვას მისი თმიდან და სხეულიდან ისეთი სურნელი მოჰქონდა, თითქოს გაფურჩქნილი ყვავილი ყოფილიყო.

- ეს კაბა არ მომწონს, - გამოცრა სომსმა, - ზედმეტად ნაზი და უსახოა!

სომსმა თითი პირდაპირ მკერდში უსწორა, მაგრამ აირენმა აიცილა მისი ხელი და ყვირილით წარმოთქვა:

- არ მომეკარო!

ახლა მაჯაში სწვდა ცოლს; ქალი დაუსხლტა:

- სად იყავი? - იკითხა სომსმა.

- ზეცაში - ამ სახლს გარეთ! - თქვა ეს და ზემო სართულზე ავარდა.

გარეთ, ზედ სახლის კართან, მადლობის ნიშნად არღანი უკრავდა.

სომსი უძრავად იდგა. რამ შეუშალა ხელი, რომ უკან დასდევნებოდა?

მას წარმოუდგა, როგორ გადმომდგარიყო სლოუნსტრიტის მაღალი სახლის ფანჯარაში ბოსინი, რათა ერთხელ კიდევ შეევლო თვალი მიმავალი აირენის ალვის ტანისთვის და მისი ხვევნა-კოცნით აღგზნებული სახე გაეგრილებინა... ოთახში ჰაერი კვლავ აირენის სხეულის სურნელით იყო სავსე და ყურში კვლავ მისი ქვითინისმაგვარი სიცილი ჩაესმოდა.

ნაწილი მესამე

თავი პირველი

მისის მაკენდერმა ამხილა

"ულტრა ვივისეკციონისტის" რედაქტორი, რომლის ახალგაზრდობაც სწორედ მაშინ იფურჩქნებოდა და ბევრი სხვაც, იტყოდა, რომ სომსი ვაჟკაცურად ვერ მოიქცა, რაკი კარი არ შეამტვრია, ცოლი ლაზათიანად არ მიბეგვა და საქორწინო მოვალეობიდან გამომდინარე, სარეცელზე განცხრომის სურვილი არ დაიკმაყოფილა. სომსს სხვა სიკეთესთან ერთად სიამაყეც ჰქონდა, არა ისეთი, რომ ნამდვილად კეთილშობილური, სულგრძელი საქციელი ჩაედინა, მაგრამ საკმარისი, რომ მეტისმეტად ქვენა გრძნობებს არ აჰყოლოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უზომოდ გაცეცხლებული არ იყო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ის, როგორც ჭეშმარიტი ფორსაიტი, ხალხის ყბაში ჩავარდნას ერიდებოდა. რაკი ცოლს გვერდები ვერ დაუზილა, ისღა დარჩენოდა, რომ შექმნილ მდგომარეობას შერიგებოდა და თავსდატეხილი უბედურება უსიტყვოდ აეტანა.

მთელი ზაფხული და შემოდგომა ისე გაატარა, რომ ოფისში მიმოდიოდა, თავის სურათების საქმეებს აჭახრაკებდა და მეგობრებს სადილებზე პატიჟებდა.

სომსი ქალაქიდან არ გასულა; აირენმა ლონდონიდან ახალ სახლში გადასვლაზე ცივი უარი უთხრა. რობინჰილის მზამზარეული სახლი ცარიელი იდგა და ბინადარს ელოდა. სომსმა ბოსინის უჩივლა და სამი ათას ორმოცდაათი გირვანქის უკან დაბრუნება მოითხოვა.

ბოსინის დაცვა "ფრენკ ენდ ეიბლის" ფირმამ იკისრა. დაცვამ დაადასტურა მიმოწერაში არსებული საქმის ფაქტობრივი მხარე, მაგრამ თუ მათ შეგებებულ სასარჩელო განცხადებას იურიდიულ ფრაზეოლოგიას ჩამოვაშორებდით, ამნაირ რამეს ამოვიკითხავდით: მიმოწერაში არსებულ ძირითად თანხასთან ერთად მოქმედების სრულ თავისუფლებაზე ლაპარაკი შეუსაბამობა და უაზრობაა.

შემთხვევით მოხდა, მაგრამ დაუჯერებელი არაფერია. ვექილთა ვიწრო წრეში ასეთი რამ ხდება ხოლმე. ბოსინის დამცველთა პოზიციის შესახებ სომსმა ბევრი რამ დაწვრილებით შეიტყო. ერთხელ მისი კომპანიონი ბასტარდი სადილად მოხვდა დაბეგვრისა და გადასახადების ფირმის მეთაურ უილმისლისა და ახალგაზრდა ჩენკერისთან ერთად. ეს ჩენკერი ადათობრივი და პრეცედენტული სამართლის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლებოდა.

როგორც ცნობილია, არსებობს კანონის მსახურთა პროფესიული დაავადება და, ქალები ოთახიდან გავლენ თუ არა, ისინი იმ პროფესიულ საქმეებზე იწყებენ ლაპარაკს, რაც უკვე მოამთავრეს ან იმჟამად აქვთ მინდობილი. ადათობრივსა და პრეცედენტულ სამართალში გაწაფული დიდი მომავლის მქონე ვექილი ჩენკერიც ამ სენით იყო დაავადებული. მან გადაწყვიტა პიროვნე-

ბის დაუსახელებლად მიეცა თავსატეხი თავისი მეზობლისთვის, რომლის გვარი არც კი იცოდა. ბასტარდს, რომელზეც ამბობდნენ, მუდამ ჩრდილში ყოფნა უყვარსო და მართლაც მუდამ უკანა პლანზე იყო ხოლმე, სინამდვილეში გვარი არც ჰქონდა.

ჩენკერიმ თქვა, ამჟამად ერთი საქმე მაქვს აღებული, რომელშიც ერთი "ძალზე საჭოჭმანო მუხლი" არისო და მერე მთელი თავისი ცოდნითა და პროფესიული წინდახედულობით ქარაგმულად მოჰყვა სომსის სარჩელის შინაარსს. თან დასძინა, ვისაც ვუამბე, ყველამ ერთხმად აღიარა, - ძალზე საჭოჭმანო მუხლიაო. საუბედუროდ, სადავო თანხა მცირეა, მაგრამ ჩემი მარწმუნებლისთვის კარგა გვარიანად გამოიყურებაო, - უილმისლთან შამპანური უგემური იყო, თუმცა რამდენიც გინდოდა გესვა, - ვშიშობ, მოსამართლემ, ვიდრე საქმის შინაარსს არ ჩასწვდება, ერთბაშად არ გამოიტანოს გადაწყვეტილებაო. ძალიან უნდა ვეცადოო, - თქვა და მეზობელს მიუბრუნდა, - მეტისმეტად საჭოჭმანო მუხლია და თქვენ რას იტყოდითო, - ჰკითხა.

ბასტარდმა, რომელიც კონსპირაციის ნიმუში გახლდათ, ჩენკერის არაფერი უპასუხა. მაგრამ მეორე დღესვე სომსს ყველაფერი იქედნურად უამბო. ამ უწყინარ კაცსაც ჰქონდა ზომიერი ადამიანური გრძნობა. როცა ამბის თხრობა დამთავრდა, ზედ საკუთარი აზრიც მიაყოლა, მუხლი მართლაც მეტისმეტად საჭოჭმანო ჩანსო.

როგორც ადრევე გადაწყვიტა, ამ საქმის წარმოება სომსმა ჯობლინგსა და ბოულტერს მიანდო. მაგრამ მაშინვე ინანა, რატომ თვითონ არ აღვძარი სარჩელიო. როცა ბოსინის შეგებებუ-

ლი სარჩელი მიიღო, გეზი "ჯობლინგბოულტერის" დამცველთა ფირმისკენ აიღო.

ბოულტერმა, რომელმაც სომსის სარჩელის წარმართვა იკისრა, - ჯობლინგი უკვე რამდენიმე წლის წინ გასდგომოდა იმ გზას, საიდანაც აღარ ბრუნდებიან, - სომსს უთხრა, საქმეში ერთი მეტისმეტად საჭოჭმანო მუხლია და კონსულტაციისთვის რომელიმე ცნობილ ვექილს უნდა მოვეთათბიროო.

სომსმა გადაწყვიტა, ვინმე კარგ და გავლენიან სამეფო ვექილს(სამეფო ვექილი - მის აზრს საქმის განხილვის დროს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ჩვეულებრივი ვექილისას. სასამართლო პროცესზე სამეფო ვექილი შავი აბრეშუმის მანტიით გამოდის.) მივმართავო და ისინი უოტერბუკს მიადგნენ, რომელმაც მიმოწერის საბუთები ექვსი კვირა გააჩერა და შემდეგ ასეთი დასკვნა დაწერა: ჩემი აზრით, ამ მიმოწერის ინტერპრეტაცია დიდად არის დამოკიდებული სასამართლო პროცესის დროს მხარეთა ჩვენებებსა და მათ განზრახვაზე. ჩემი ღრმა რწმენით, მოსარჩელე მხარემ უნდა მიაღწიოს, რომ მოპასუხემ სასამართლოს განუცხადოს - შეგნებული მქონდა, რომ ზღვრული თანხისთვის (თორმეტი ათას ორმოცდაათი პაუნდი) არ უნდა გადამეჭარბებინაო. რაც შეეხება მოქმედების სრულ თავისუფლებას, რაზედაც ყურადღება მიმაქცევინეს, ეს მართლაც მეტისმეტად საჭოჭმანო მუხლია; მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ამ საქმეში უნდა გამოიყენონ "ბუალოსა და ცემენტის" საქმის პრეცედენტი.

უოტერბუკის რჩევის თანახმად, მათ გამოითხოვეს ეს "ბუალოსა და ცემენტის" საქმე, მაგრამ სასამართლო გადაწყვე-

ტილება ისე ოსტატურად იყო შედგენილი, რომ ხელმოსაკიდებელი და საიმედო ვერაფერი მონახეს.

უოტერბუკის აზრი სასადილო ოთახში ჩასულმა სომსმა სწორედ ჭამის წინ წაიკითხა ოქტომბრის პირველ რიცხვში. სამეფო ვექილის დასკვნამ ააღელვა იგი; სომსს "ბუალოსა და ცემენტის" საქმე სულაც არ ანაღვლებდა. იგი იმიტომ ნერვიულობდა, რომ ბოლო დროს თვითონაც საჭოჭმანო მუხლად ეჩვენებოდა ეს "მოქმედების სრული თავისუფლების" უფლება, რაც საკუთარი ხელით მიენიჭებინა ბოსინისთვის; "მოქმედების სრულ თავისუფლებაში" კანონის მსახურთათვის იყო ის მაცდური სურნელი, რომელიც მათ ურთიერთშორის კინკლაობის მადას უღვიძებდათ. როცა ასეთ საქმეზე შენს საკუთარ აზრს სამეფო ვექილის აზრიც დაემთხვევა, ეს ვისაც გინდა, იმას ააღელვებს.

სომსი იჯდა და ცარიელ ბუხარს შესცქეროდა. შემოდგომა უკვე კარგა ხანია მოვიდა, მაგრამ აგვისტოსავით თბილი ამინდები იდგა. რა მწარეა, როცა აგაღელვებენ. ახლა მისი ერთადერთი სურვილი იყო, გველივით გაეჭყლიტა თავი ბოსინისთვის.

მართალია, რობინჰილში უკანასკნელი შეხვედრის მერე ბოსინი თვალითაც არ უნახავს, მაგრამ ამქვეყნად მისი არსებობის ფიქრი მოსვენებას უკარგავდა. ვერ იქნა და გონებიდან ვერ ამოიღო მისი გატანჯული სახე, წამოზრდილი ყვრიმალის ძვლები და ანთებული თვალები. მას მერე, რაც პარკიდან ფარშავანგების ღამეული ყივილი შემოესმა, მუდამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბოსინი მის სახლს მონადირესავით დარაჯობდა. ბინდისას პარკში გავლილ ყოველ მამაკაცს იმას ამსგავსებდა, ვინც ჯორჯმა "მეკობრედ" მონათლა.

სომსი დარწმუნებული იყო, რომ აირენი ბოსინის ხვდებოდა; სად და როგორ, არ იცოდა და არც კითხულობდა, რომ ბევრის ცოდნას გულზე არ გაეხეთქა. ისინი თითქოს მიწისქვეშა არხებით მოქმედებდნენ.

როგორც ნამდვილ ფორსაიტს შეჰფერის, იგი კვლავ თავის მოვალეობად მიიჩნევდა ეკითხა ხოლმე ცოლისთვის, სად დადიოდა. ასეთ დროს აირენის სახე ძალიან უცნაურ იერს იღებდა. მას მშვენივრად ეჭირა თავი, მაგრამ იყო მომენტები, როცა ამ ნიღაბქვეშ მის სახეზე სომსისთვის გაუგებარი უცხო გამომეტყველება აისახებოდა ხოლმე.

ხშირად აირენი სახლში აღარ საუზმობდა; როცა სომსი ბილსონს ჰკითხავდა, ქალბატონმა ისაუზმა თუ არაო, მისგან ერთსა და იმავე პასუხს იღებდა:

- არა, სერ.

სომსს არ მოსწონდა აირენის ეს გარე-გარე სიარული და უსაყვედურა კიდეც. ცოლმა მის საყვედურს ყურადღებაც არ მიაქცია. ბოლო დროს აირენი სომსის სურვილებს ძალზე წყნარად და მშვიდად უარყოფდა. აირენის ამ საქციელში იყო რაღაც ისეთი, რაც სომსს აბრაზებდა, აოცებდა და, ასე გასინჯეთ, ართობდა კიდეც. ალბათ, აირენი იმ ცრურწმენით სულდგმულობდა, რომ ქმარზე უკვე გავიმარჯვეო.

სომსმა უოტერბუკის დასკვნა გვერდზე გადადო და აირენის ოთახში ავიდა, რომელსაც მისი თანამეცხედრე დაძინებამდე ჩვეულებრივ არ კეტავდა. სომსი ფიქრობდა, რომ თავაზიანი და ზრდილი აირენი მსახურს არაფერს აგრძნობინებდა. იგი თმას ივარცხნიდა და როგორღაც გაჯავრებით მოუბრუნდა სომსს.

- რა გნებავთ? - იკითხა აირენმა, - გთხოვთ, ჩემი ოთახიდან გახვიდეთ.

- მაინტერესებს, გავიგო, ჩვენი ურთიერთობა როდემდე გაგრძელდება ასე?

- თქვენ არ აპირებთ ჩემი ოთახიდან გასვლას?

- შენ დაგავიწყდა, რომ მე ქმარი ვარ და ისე უნდა მომექცე, როგორც მეუღლეს შეჰფერის.

- ნურას უკაცრავად.

- მაშინ მე სათანადო ზომებს მივიღებ.

- რაც გინდათ, ის ქენით!

ცოლის ასეთმა მშვიდმა პასუხმა სომსი გააოგნა. აირენს ტუჩები მოეკუმა. ოქროსფერი თმა, რომელიც მის შავ თვალებთან ნამდვილ კონტრასტს ჰქმნიდა, შიშველ მხრებზე ეყარა. თვალებში შიში, სიძულვილი, ზიზღი და გამარჯვებულის მოზეიმე იერი ჩასდგომოდა.

- ახლა გთხოვთ ჩემი ოთახიდან მიბრძანდეთ!

სომსი გულმოსული და ცხვირჩამოშვებული გაბრუნდა.

მან კარგად იცოდა, რომ არავითარ ზომებს არ მიიღებდა და ისიც შენიშნა, რომ აირენმაც იცოდა ეს. აირენმა ისიც იცოდა, რომ მას ეშინოდა კიდეც გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა.

სომსი ჩვეულებრივ ყოველდღე უამბობდა აირენს, რაც თავს გადახდა; რომელი კლიენტი იყო მასთან; როგორ შეუდგინა პარკისს გირავნობის სიგელი; როგორ გაუთავებლად ეპაექრებოდა ფრეიერს, რომელთანაც დავა ჯერ კიდევ პაპა ნიკოლასს წამოეწყო. იმ ნიკოლასს, რომელსაც ისეთი ანდერძი შეედგინა, რომ მასში ვერავინ გაერკვა და ალბათ მეორედ მოსვლამდე ვერც გაერ-

კვეოდნენ, ამიტომ მთელი მისი ქონება ჯერჯერობით ხელუხ-ლებლად რჩებოდა და მხოლოდ ვექილთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

უამბობდა, რომ ჯობსონთან იყო და აქაც ზედ ცხვირწინ ააცალა ბუშე,(ბუშე, ფრანსუა (1703-1770) - ფრანგი მხატვარი და გრავიორი, როკოკოს ტიპური წარმომადგენელი. მისი სურათე-ბის სიუჟეტები აღებულია ანტიკური მითოლოგიიდან) რომელიც ერთხელ უკვე გაუშვა ხელიდან პელ მელზე მდებარე "ტალეირან-დისა და შვილის" მაღაზიაში.

სომსი აღმერთებდა ბუშეს, ვატოს(ვატო, ანტუან (1684-1721) - სახელგანთქმული ფრანგი მხატვარი. ცნობილია) და მთელ მათ სკოლას. მას ჩვეულებად ექცა აირენისთვის ყველაფრის მოყოლა და იმ ჩვევას არც ახლა ღალატობდა. სადილობისას აირენს ისე გაუთავებლად უყვებოდა ხოლმე ყოველ წვრილმანს, თითქოს თავისი გულისტკივილის ლაპარაკში ჩახშობა სურსო.

ხშირად, როცა აირენი დასაძინებლად ემშვიდობებოდა ხოლ-მე, თუ მარტონი იყვნენ, სომსი ცდილობდა ცოლისთვის ეკოცნა. შესაძლოა, იმას ფიქრობდა, ქმარი ვარ და მევალება ცოლს ვაკო-ცოო. მერე რა, სძულდეს აირენს. სომსი ამ ძველთაძველ წესს მა-ინც არ უღალატებს.

ანდა რატომ უნდა სძულდეს? სომსს ახლაც ვერ დაეჯერები-ნა ეს ამბავი. როგორღაც უცნაურია, როცა ვინმეს ეჯავრები! მე-ტისმეტი და უკიდურესი გრძნობაა ეს სიძულვილი; თუმცა თვი-თონაც ხომ ეჯავრება ის მეკობრე, მოხეტიალე მაწანწალა ბოსი-ნი. სომსს სხვანაირად ვერ წარმოედგინა ბოსინი, თუ არა სადმე მოხეტიალე ან სადმე ჩასაფრებულ-დადარაჯებული. მაგრამ ბო-

სინის მატერიალურად უჭირს და ფონს აგრე ადვილად ვერ გავა! ახალგაზრდა არქიტექტორ ბარკიტს ბოსინი დუქნიდან გამოსული უნახავს. იმისი თავიც არა აქვს, პირველი კლასის რესტორნებში იაროს.

უძილო ღამეების ტეხასა და მუდამ იმის ფიქრით გატანჯულს, როგორ დაეღწია თავი შექმნილი მდგომარეობისთვის, - თუ აირენი გონს არ მოეგებოდა, სომსს ერთხელაც არ გახსენებია ცოლთან გაყრის შესაძლებლობა.

ფორსაიტები?! რა როლი შეასრულეს მათ სომსის ტრაგედიაში, რომელიც ახლა ისეთი უხილავი გზებით ვითარდებოდა, თითქოს ეს ამბავი ქვესკნელში ხდებაო.

თუ მართალს ვიტყვით, სრულიად უმნიშვნელო ან არავითარი, ვინაიდან ზღვაზე იმყოფებოდნენ.

მათ ყოველდღე შეხვდებოდით სასტუმროში, მინერალური წყლებით სამკურნალო დაწესებულებასა თუ ზღვისპირა დასასვენებელ სახლში. ისინი ჩქარობდნენ, რომ მთელი ზამთრის მარაგად სამყოფი ოზონი ხანმოკლე დასვენების პერიოდში ჩაესუნთქათ.

მათ მიერ შერჩეულ ზვრებში დაკრეფილ, ზღვის სანეტარო ჰაერით გაჟღენთილ ყურძენს ჭყლეტდნენ და შარბათივით წვენს ბოთლებში ინახავდნენ.

სექტემბრის მიწურულს თანდათანობით ჩამობრუნდნენ ქალაქში.

მზემოკიდებული და ჯანმომაგრებული ფორსაიტები ქალაქის სხვადასხვა სადგურიდან პატარ-პატარა ომნიბუსებით ბრუნ-

დებოდნენ სახლებში და მეორე დღეს უკვე საქმიან ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი.

მომდევნო კვირადღეს ტიმოთისთან დილიდან საღამომდე ფორსაიტების ტევა არ იყო.

სხვადასხვა საინტერესო ამბავთან ერთად მისის სეპტიმუს სმოლმა ისიც გაიხსენა, რომ აირენი და სომსი მთელ ზაფხულს ქალაქიდან არ გასულან.

უფრო დაწვრილებით კი მათ ამბავს (ვინაიდან ბევრი რამ საკუთარი თვალით ენახა) ერთი უცხო ადამიანი მოჰყვა.

სექტემბრის ერთ საღამოს, კარგა მოგვიანებით, უინიფრიდ დარტის დიდი მეგობარი მაკენდერი, რომელსაც ახალგაზრდა ოგასტუს ფლიპარდთან ერთად რიჩმონდპარკში ველოსიპედით გაესეირნა, შიინგეიტის მხარეს გვიმრებიდან გამოსულ აირენსა და ბოსინის გადაჰყროდა.

იქნებ საწყალ მაკენდერს წყურვილი კლავდა, ვინაიდან მტვრიანი და დიდი გზა გამოევლო ახალგაზრდა ფლიპარდთან ერთად, რომელთანაც ველოსიპედით მგზავრობა და მუსაიფი, როგორც მთელმა ლონდონმა იცის, ძალიან მაგარი აგებულების ადამიანთათვისაც სამძიმო იყო. იქნებ იმ გრილი გვიმრნარის დანახვაზე, საიდანაც "ის ორნი" გამოვიდნენ, გული შურითაც აღევსო.

"აჰ, ეს გვიმრნარი! გორაკის თავს რომ წამომდგარა და ზევიდან ქოლგასავით უზარმაზარი მუხების კენწეროები აბურავს, სადაც მტრედები გაუთავებელ საქორწინო ჰიმნს ღუღუნებენ, სადაც შემოდგომა შეყვარებულთ ყურში საიდუმლოს ჩასჩურჩულებთ და ირმებიც კრძალვით მიმოდიან მათ გარშემო. გვიმრნა-

რი! განუმეორებელ სიამოვნებათა სავანე და დედამიწისა და ცის მარადიული ქორწინების ფონზე წუთიერად განცდილი ან კიდევ უფრო მცირე ოქროს წამებში ნაგრძნობი ტკბობის ადგილი! გვიმრნარი, ირემთა წმინდა ნავსაყუდელი და ზაფხულის ბინდში უცნაურად მოლანდებულ ხეთა ჯირკვებისა და ვერცხლისფრად მოციალე უსპეტაკეს არყების ირგვლივ ხტუნვა-თამაში!

მაკენდერი ყველა ფორსაიტს იცნობდა. იგი მოწვეულთა შორის იყო მოხუცი ჯოლიონის გამართულ ნადიმზე და იქ ყოფნისას შეამჩნია, ვისთანაც ჰქონდა საქმე. თვითონ უბედურს, ქორწინებამ არ გაუმართლა, მაგრამ ჭკუით და მოხერხებით ქმარი აცდუნა, გაყრა გააფორმებინა, საზოგადოების გაკიცხვა აიცდინა და წყლიდან მშრალი გამოვიდა.

ამიტომ იყო, რომ ასეთ საქმეებში თავი მსაჯულად წარმოედგინა; მით უმეტეს, ისეთ დიდ სახლში ცხოვრობდა, რომლის ბინებშიც თავს აუარებელი ფორსაიტი იყრიდა და საქმიდან თავისუფალ დროს სხვათა და სხვათა საქმეს არჩევდნენ.

საბრალო პატარა ქალი იმ ოხუნჯი ფლიპარდის ხელში ნამდვილად წყურვილით იხრჩობოდა და "იმ ორნის" ხილვამ, ალბათ, უდაბნოში ოაზისის მნახველივით გაახარა, და შვებით ამოისუნთქა.

მაკენდერს დროც ისე წყალობდა, როგორც მთელი ლონდონი.

ეს ჩია ტანის მომცრო ქალი ყურადღების ღირსია; მისი ყოვლისმხილველი თვალი და ბასრი ენა უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი ძალით ემსახურებოდნენ განგებას.

სახეზე დიდი გამოქექილ-გამოჯაგული ქალის იერით მოსილი მაკენდერი თავის თავსაც კი დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა. მან, ალბათ ყველა ქალზე მეტად შეუწყო ხელი იმას, რომ ცივილიზაციის ბორბლების დამამუხრუჭებელი რაინდული სული ლაფში ყოფილიყო დატოვებული. იგი ისეთი მარჯვე გახლდათ და ისე ტკბილი ლაპარაკი იცოდა, რომ ყველანი ალერსით "პატარა მაკენდერს" ეძახდნენ.

მაკენდერი კარგად იცვამდა და ქალთა კლუბის წევრადაც ითვლებოდა, მაგრამ ზოგიერთივით ნევროტიკული, სევდიანი და მუდამ თავის უფლებებზე მოტირალი არ გახლდათ, მან კარგად იცოდა, როგორ უნდა ესარგებლა თავისი უფლებებით ისე, რომ ეს ბუნებრივიც ყოფილიყო და იმ დიდი კლასის წევრებისთვის აღტაცებისა და თაყვანისცემის მომგვრელიც, რომელსაც თვითონ, თუ მანერებით არა, დაბადებით, აღზრდით და ყველაზე ზუსტი საზომით, საკუთრების გრძნობით მაინც ეკუთვნოდა.

ბედფორშირელი ვექილის შვილი და მღვდლის შვილიშვილი მაკენდერი ცოლად ერთი მსუბუქი ხასიათის მხატვარს გაჰყვა, რომელიც ბუნებაზე იყო უსაზმნოდ შეყვარებული და ცოლი მსახიობი ქალის გამო მიატოვა. მაკენდერმა შეძლო ცოლქმრობის რთული და მტკივნეული გამოცდა იმ მხატვართან ჩაებარებინა და, თავისუფლება მოიპოვა თუ არა, ოდნავი ჯაფისა და გარჯის გარეშე შეძლო ფორსაიტიზმის შიგ შუაგულ წრეში შეცურება. მუდამ მხიარული და "ცხელ-ცხელი ამბების მაცნე", ყველას სახლში სასურველი სტუმარი გახლდათ. თუ რეინზე ან ცარმატში(-ცარმატი - საკურორტო ქალაქი შვეიცარიაში) მარტოდმარტოს, ანდა ორ მამაკაცსა და ერთ ქალთან მოხეტიალეს ნახავდნენ,

ამისთვის არავინ გაკიცხავდა მას. ყველანი უზომოდ ფრთხილ ადამიანად იცნობდნენ. ყველა ფორსაიტის გულს ათბობდა ის დიდებული ინსტინქტი, რომელიც საშუალებას აძლევდა მაკენდერს ყოველგვარი სიამოვნებით ისე დამტკბარიყო, რომ თვითონ არაფერი გაეცა. ფორსაიტებში ჩვეულებრივ მიაჩნდათ, რომ მაკენდერისთანა ქალი ფორსაიტების გამორჩეულ ქალთა ტიპის უკვდავმყოფელი იყო. მაკენდერს ბავშვები არასოდეს ჰყოლია.

თუ პატარა მაკენდერს ამქვეყნად რამე სძულდა და ვერ იტანდა, ეს იყო ქალთა ის თვისება, რასაც მამაკაცები მომხიბვლელობას, მიმზიდველობას, ანდამატს ეძახიან. ამიტომ მაკენდერს ჭირივით სძულდა მისის სომსი.

უეჭველია, იგი ინტუიციით გრძნობდა, რომ თუ მომხიბვლელობა ქალის საზომი იქნებოდა, მაშინ ჭიდილში მოხერხება და მახვილგონიერება უნდა დამარცხებულიყო. სწორედ ამიტომ, მაკენდერს გულიდან მომდინარე ღრმა სიძულვილი ჰქონდა აირენის იმ ეგრეთ წოდებულ მაცდუნებელ ანდამატისადმი, რომელიც მისის მაკენდერის ყველა ანგარიშს რევდა და ბოლოს უღებდა.

მაკენდერი აშკარად ამბობდა, აირენში ისეთს ვერაფერს ვამჩნევ, რასაც მამაკაცების ანდამატივით მიზიდვა შეეძლოსო. მისი აზრით, აირენი არც მოდური ქალი იყო და არც ეშხიანი. იგი ცხოვრებაში თავს ვერ გაიტანდა, და, ვინც მოინდომებდა, ყველა შეაცდენდა. ბოლოს და ბოლოს, რა ნახეს ამ კაცებმა მასში, ჩემთვის გაუგებარი და წარმოუდგენელიაო, ამბობდა.

იგი გულბოროტი ქალი არ იყო, მაგრამ თავისი უბედო გათხოვების მერე იმდენი სიავე და უბედურება ენახა, რომ საბოლოოდ დარწმუნდა, აუცილებელია ცხოვრებაში "ცხელ-ცხელი ამბების

მაცნე" იყოო და აზრადაც არ მოსვლია, რიჩმონდპარკში "იმ ორის" ნახვის ამბავი არ გაემხილა.

სწორედ იმ დღეს, როცა ზღვიდან დაბრუნებულმა ფორსაიტებმა ტიმოთისთან მოიყარეს თავი, მაკენდერიც იქ გაჩნდა. იგი დროდადრო შეივლიდა ხოლმე ტიმოთისთან, როგორც თვითონ ამბობდა, მოხუცების გასამხნევებლად.

ასეთ დროს ჩვეულებრივ იწვევდნენ ხოლმე უინიფრიდ დარტის მეუღლითურთ და ფრენსის, რომელიც არისტოკრატიულ წრეში ტრიალებდა; მისის მაკენდერი კი სწორედ ამ წრის ქალთათვის აცხობდა წერილებს "ლედების სამეფოს" მოდებზე. თუკი მოიხელთებდნენ, მისის მაკენდერთან სააშიკოდ და სალაღობოდ იწვევდნენ აგრეთვე ორივე ძმა ჰეიმენებს. მართალია, ჩვეულებრივ არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა, მაგრამ ყველას ისე მიაჩნდა, რომ "მოდურ საზოგადოებაში" ბოლო ხანებში მომხდარი ყოველი წვრილმანი ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ.

რვის ოცდახუთი წუთი იქნებოდა, როცა მაკენდერმა ბინაში ელექტრონის შუქი ჩააქრო, შინშილის ბეწვისსაყელოიანი მოსასხამი მხრებზე წამოიგდო და ტალანში ერთ წამს იმაზე შეყოვნდა, გასაღები ხომ არ დამრჩაო. ეს პატარა ბინები ძალიან მოხერხებული რამ იყო; მართალია, ცოტა სინათლე და ჰაერი აკლდა, მაგრამ როცა მოისურვებდა, მაშინ დაკეტავდა და წავიდოდა. მოსამსახურის გამოც აღარ წვალობდა. მერე საბრალო გულმავიწყი და მეოცნებე ფრედი გაახსენდა, ოთახიდან ოთახში რომ სულ დაბნეული დაყიალებდა. ძვირფასი, უბედური ფრედისადმი, რომელიც ძალზე მჩატე კაცი იყო, მაკენდერს გულში აღარავითარი

ღვარძლი არ ჰქონდა; მაგრამ იმ მსახიობი ქალის გახსენებაზე ახლაც კი დამცინავად და მწარედ გაიღიმებდა ხოლმე.

კარი მაგრად გამოიჯახუნა და პირქუშ, მოყვითალო-მიხაკისფერ შეღებილ დერეფანს გაჰყვა, რომელშიც აუარებელი ყავისფერი დანომრილი კარი იყო. ლიფტი დაბლა ჩადიოდა; მისის მაკენდერი წამოსასხამში ყურებამდე ისე კოხტად გაეხვია, რომ წაბლისფერი თმის ერთი ღერიც არ შესტოკებია, და თავისივე სართულზე ლიფტს დაელოდა. რკინის კარმა გაიჟღარუნა და მაკენდერი ლიფტში შევარდა, სადაც სხვა დაბლა ჩამსვლელებიც დახვდნენ: ერთი მათგანი თეთრჟილეტიანი, ბავშვივით ლოყებგამობერილი კაცი იყო, დანარჩენი ორი კი შავსამოსიანი მოხუცი ქალი.

მისის მაკენდერმა ლიფტში მყოფთ შესცინა; თუ აქამდე სამივენი დუმდნენ, უცებ მათ შორის გაცხარებული საუბარი გაიბა; ეს გახლდათ მისის მაკენდერის წარმატების საიდუმლო. მას შეეძლო სასაუბროდ გამოწვევა.

ლიფტმა ხუთი სართული ჩაიარა და ლაპარაკიც დამთავრდა. ცინიკური გარეგნობის ლიფტიორი ბიჭი მოლაპარაკეთაგან ზურგით ისეთნაირად იდგა, თითქოს ლიფტის რკინის კარში შეუჩრიათო.

ლიფტიდან გამოსვლისთანავე მათი გზები გაიყარა. თეთრჟილეტიანმა სენტიმენტალური შესახედაობის მამაკაცმა საბილიარდოს მიაშურა, მოხუცი ქალები სასადილოსკენ გაემართნენ და გზაში მილაპარაკობდნენ; "უჰ, როგორი კოხტა პატარა ქალია! შენ ისა თქვი, როგორი ენატიტინაო". მისის მაკენდერმა კი კების დასაძახებლად გასწია.

როდესაც მისის მაკენდერი ტიმოთისთან სადილობდა, საუბარი (თუმცა ტიმოთი ვერ შეაცდინეს და ასეთ დროს ერთხელაც ვერ ჩამოიყვანეს დაბლა) ფართო ხასიათს იღებდა ხოლმე. ისე, როგორც ეს მაღალი წლის ხალხში სჩვევიათ, მისის მაკენდერი ყველაფერს გადასწვდებოდა ხოლმე, თუმცა ფორსაიტები ასე გულუხვად მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ირჯებოდნენ. ალბათ, ამის გამო იყო, რომ ტიმოთისთან მაკენდერი დიდ პატივში ჰყავდათ.

მისის სმოლი და პაპიდა ესთერი მაკენდერის საუბარს მაცოცხლებელი ელექსირივით იღებდნენ. "ნეტავ, - ინატრებდნენ ხოლმე ისინი, - ეს ქალი ტიმოთის აჩვენაო". ისინი გრძნობდნენ, რაოდენ სასარგებლო იქნებოდა მაკენდერთან შეხვედრა ტიმოთისთვის. მაკენდერს შეეძლო მონტე კარლოში ჩასულ სერ ჩარლზ ფისტის ვაჟიშვილის უკანასკნელი თავგადასავალი ეამბნა, შეეძლო ეთქვა, ვინ იყო ტაინმაუთ ედის მშვენიერი მოდური რომანის ნამდვილი გმირი, ანდა პარიზში უკანასკნელ ხანს მოდაში შემოსულ საწმერთულთა ყაიდაზე ჩამოეგდო საუბარი. მაკენდერს შეეძლო გონივრულად ერჩია, ნიკოლასის უმცროსი ვაჟიშვილი საზღვაო სამსახურში შესულიყო, როგორც დედამისს სურდა, თუ ბუღალტერი გამხდარიყო, რაც მამამისს უფრო საიმედო პროფესიად მიაჩნდა. მაკენდერმა სასტიკად გაილაშქრა საზღვაო სამსახურის წინააღმდეგ. ასეთ ადგილას ან ბრწყინვალე ტალანტი უნდა გაგაჩნდეს, ან დიდი ნათესაობა, თორემ ფონს ვერ გახვალ და ყველა თავში ხელს წამოგკრავს, როცა მოესურვებაო. ადმირალობასაც რომ მიაღწიოს, რა ბედენაა, ისეთი დაბალი ხელფასი ექნება! ბუღალტრის წინ კი უფრო დიდი შესაძლებ-

ლობა იშლება. მთავარია, დასაწყისისთვის ერთი კარგი ფირმა შეარჩიოთ, რომ სარისკო საქმე არ იყოს.

ხანდახან მაკენდერი საფონდო ბირჟის ფასეულობათა საიდუმლო ინფორმაციასაც აწვდიდა მათ, მაგრამ მისის სმოლსა და პაპიდა ესთერს არასოდეს გამოეყენებინათ ეს ინფორმაცია. მათ აქციებში დასაბანდებელი ფული არ ჰქონდათ, მაგრამ ესოდენი ნდობა და საიდუმლოების ცოდნა აღელვებდათ და თითქოს ცხოვრებასთანაც უფრო აახლოებდათ. მერე შეთანხმდებოდნენ, რომ ტიმოთისთვის ეთქვათ ყოველივე. მაგრამ არც ეს ნათქვამი მოჰყავდათ ხოლმე სისრულეში, რადგან ფიქრობდნენ, ეს ამბავი ტიმოთის დააბნევსო. ხანდახან რამდენიმე კვირის განმავლობაში მალვით ათვალიერებდნენ იმ მოდური მიმართულების გაზეთებს, რომლებიც მათ პატივისცემას იმსახურებდნენ. მათ გულით ეწადათ შეეტყოთ, აიწია თუ დაეცა "ბრაიტის რუბის" ან "ვულინ მაკინტოშ კომპანის" აქციების ფასი. ხანდახან გაზეთებში კომპანიის სახელს სულაც ვერ წააწყდებოდნენ ხოლმე და ჯეიმსის, როჯერის ან სუითინის მოსვლას უცდიდნენ. როგორც კი რომელიმე მათგანი გამოჩნდებოდა, მაშინვე ცნობისმოყვარეობისგან მთრთოლარე ხმით ჰკითხავდნენ, - BOLIVIA LAIM END SPELTREIT-ის აქციებს რა ბედი ეწია, გაზეთებში ვერ ამოვიკითხეთო.

- რაში გაინტერესებთ, რამე ნაგავი იქნება, - ეტყოდა ხოლმე პაპიდებს როჯერი, - ასეთ რამეზე ხელს დაიწვავთ, აბა, რა თქვენი საქმეა კირის ან რაღაც ოხრობის, რისიც არაფერი გაგეგებათ, აქციებში ფულის დაბანდება! ვინ გითხრათ? - წვრილად გამოჰკითხავდა ამბავს და მაშინვე სიტისკენ გაუხვევდა, იქ ყველა-

ფერს ხელახლა დააზუსტებდა და მერე იმ აქციებს ზოგჯერ თვითონ იყიდდა ხოლმე.

ალბათ, შუა სადილობა იქნებოდა, ერთი სიტყვით, სწორედ მაშინ, როცა სმითერმა "ცხვრის უნაგირა" მოართვა, მისის მაკენდერმა დაუდევრად მიმოიხედა გარშემო და თქვა:

- აჰ! თქვენ რა გგონიათ? ვინ ვნახე დღეს რიჩმონდპარკში? ვერაფრით ვერ მიხვდებით, მისის სომსი და მისტერ ბოსინი. ალბათ სახლის სანახავად იყვნენ!

უინიფრიდ დარტიმ ჩაახველა, სხვებს კრინტიც არ დაუძრავთ. ეს იყო ის სამხილი, რასაც ისინი შეუცნობლად ელოდნენ.

კაცი ტყუილუბრალოდ არ უნდა ჩადგე სხვის ცოდვაში, და, რაც მართალია, უნდა ითქვას: მაკენდერმა მთელი ზაფხული იტალიასა და შვეიცარიაში გაატარა და არაფერი იცოდა სომსსა და ბოსინის შორის მომხდარ განხეთქილებაზე. ამიტომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ნათქვამი.

მაკენდერი წამოწითლდა, წელში გასწორდა და მახვილი მზერით გარშემო მსხდომნი შეათვალიერა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. მაკენდერის აქეთ-იქით მსხდარი ჰეიმენები მშივრებს დამსგავსებოდნენ და თეფშებზე გადმოღებულ ცხვრის ხორცს მშვიდად და მადიანად შეექცეოდნენ.

ჯაილზი და ჯესი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს და ისე განუყრელნი იყვნენ, რომ ყველანი ორ დრომიოს(დრომიო - შექსპირის "შეცდომათა კომედიაში" ტყუპი.) ეძახდნენ. ისინი ხმაამოუღებლივ ისხდნენ და ისე ჩანდა, რომ თავიანთი უსაქმურობა თვითონვე ართობდათ, ყველა ფიქრობდა, სერიოზული გამოცდისთვის ემზადებიან და გამუდმებით რაღაცას იზუთხავენო. ისინი უქუ-

დოდ დადიოდნენ, ხელში წიგნები ეჭირათ ხოლმე, კუდში მუდამ ფოქსტერიერი დასდევდათ და გაუთავებლად ექაჩებოდნენ თამბაქოს. ყოველ დილით ჯანდაგ ცხენებზე შემსხდარნი გამოდიოდნენ ქუჩაში და ერთმანეთისგან ორმოცდაათი იარდის დაცილებით სეირნობდნენ კემპლენჰილში. ამ ცხენებსაც თავიანთი მხედრებივით გრძელი კანჭები ჰქონდათ. ერთი საათის შემდეგ კვლავ იმავე გზით ბრუნდებოდნენ უკან. სადაც უნდა ესადილათ, საღამოს თერთმეტის ნახევარზე ალამბრა პრომენადასთან(ალამბრა პრომენადა - ლისტერსკვერში ცეკვებისთვის განკუთვნილი ადგილი.) შეხვდებოდით. ისინი ცალ-ცალკე არავის უნახავს და, ალბათ, თვითონაც ძალიან კმაყოფილნი იყვნენ, რომ წუთისოფელს ასე ატარებდნენ.

იმ მძიმე მომენტში უტყვი, ჯენტლმენური გრძნობით შთაგონებული ჰეიმენები მაკენდერისკენ შებრუნდნენ და ერთნაირი ხმით იკითხეს:

- თქვენ ნახეთ?

ამ მომართვამ მისის მაკენდერი იმდენად გააოცა, რომ დანაჩანგალი სუფრაზე დააწყო და, შემთხვევით გამოვლილმა სმითერმა რომ ეს შენიშნა, თეფში ააცალა. მისის მაკენდერი არ დაბნეულა. მსახური შეაჩერა და უთხრა, ჯერ ცხვრის ხორცი გემოთი არ მინახავსო. მაგრამ როცა ყველანი სასტუმრო ოთახში გადაბარგდნენ, საქმის არსს რომ ჩასწვდომოდა, მაკენდერი მისის სმოლს მიუჯდა და დაიწყო:

- ოჰ! რა მომხიბლავი ქალია მისის სომსი; როგორი თანამგრძნობი! ამიტომაც მიმაჩნია სომსი ნამდვილად ბედნიერ კაცად!

ამბის შეტყობის წყურვილით გახელებულ მაკენდერს გადაავიწყდა, რომ საქმე ფორსაიტებთან ჰქონდა, რომლებიც თავიანთ გასაჭირზე უცხოსთან კრინტს არ დაძრავდნენ; მისის სეპტიმუს სმოლი წელში გასწორდა და ხმა საკუთარი ღირსების გრძნობით აუცახცახდა:

- ჩემო ძვირფასო მაკენდერ, ჩვენ ამ თემაზე არ ვლაპარაკობთ!

თავი მეორე

ღამე პარკში

მიუხედავად იმისა, რომ მისის სმოლმა თავისი შეუმცდარი ინსტინქტის ჩაგონებით მართალი თქვა, თავისი ნათქვამით სტუმარი უფრო დააინტერესა.

ამ თემაზე ფორსაიტები ერთმანეთს შორისაც არ ლაპარაკობდნენ. სომსის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, რითაც მან თავისი მდგომარეობა დაახასიათა, მოქმედება იმჟამად მიწისქვეშა არხებით ვითარდებოდა.

მაგრამ რიჩმონდპარკში "იმ ორნისა" და მაკენდერის შეხვედრიდან ერთ კვირასაც არ გაევლო, რომ გარდა ტიმოთისა, რომელსაც ამ ამბავს განსაკუთრებული გულმოდგინებით უმალავდნენ, ყველამ იცოდა დაწყებული ჯეიმსიდან (იგი ისევ ძველი გზით დადიოდა პოულტრიდან ლეინპარკისკენ) დამთავრებული ველური ბუნების ჯორჯით, რომელიც ჰავერსნეიკის სარკმლიდან ყოველდღე "წითელი წრის" საბილიარდო ოთახამდე დადიოდა, რომ "იმ ორმა" ზედმეტად შორს შეტოპა.

ჯორჯმა (ის გახლდათ იმ საოცარ მოსწრებულ სიტყვათა ავტორი, რომლებსაც ფეშენებლურ წრეებში ახლაც ხმარობდნენ) ყველაზე ზუსტად გამოხატა აზრი, როცა თავის ძმა იუსტასს ხმა-

მაღლა უთხრა - "მეკობრეს" თავის საქმე "გაუიმასქნებიაო". მისი ვარაუდით, სომსს "მაგრად ათოხლეს".

ყველა გრძნობდა, რომ მდგომარეობა გამოუვალი იყო. სომსს რაღაც უნდა ეღონა და გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ იმ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაც სავალალო იყო.

აშკარა განხეთქილების მეტი სომსისთვის რა უნდა ერჩიათ. ასეთი რჩევისგან კი თავს იკავებდნენ. ამ ჩიხიდან გამოსავლად ის მიიჩნიეს, რომ არც სომსისა და არც ერთმანეთისთვის ამ საქმეზე არაფერი ეთქვათ და ყველაფრისთვის დუმილით აევლოთ გვერდი.

იქნებ ამ დუმილს, სიცივესა და გულგრილობას მოეხდინა რაიმე შთაბეჭდილება აირენზე და ზნეობრივად აემაღლებინა იგი. მაგრამ ბოლო დროს აირენს იშვიათად თუ ხედავდნენ, მისი მოძებნა კი იმის გულისთვის, რომ ეს გულგრილობა გამოეხატათ, ფრიად ძნელი საქმე გახლდათ. ხანდახან ჯეიმსი ცოლს საწოლ ოთახში თუ გაუზიარებდა შვილის უბედურებით გამოწვეულ ტანჯვას.

- ენით ვერ გამომითქვამს, - ამბობდა ჯეიმსი, - ის წყენა, გულისტკივილი, ნაღველი და მოუსვენრობა, რაც ამ საქმემ დამმართა. ეს ხომ საქვეყნოდ თავის მოჭრა იქნება და სომსს კარგს არაფერს უქადის. მე მაინც ვერაფერს ვეტყვი. იქნებ ასეთიც არაფერია, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. შენ რას ფიქრობ? მე მითხრეს, ძალიან არტისტული ბუნების ქალიაო. რაო? შენ ხომ მთლად ჯულის განსახიერება ხარ! კარგი, მე არაფერი ვიცი. რაც მოგვივიდა, იმაზე უარესს უნდა ველოდოთ. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ბავშვები არა ჰყავთ. მე თავიდანვე ვგრძნობდი, რითაც

დამთავრდებოდა ყოველივე. მათ ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ბავშვების გაჩენას არ აპირებდნენ. მე ხომ არავინ არაფერს მიმხელს!

საწოლთან ჩაჩოქილ ჯეიმსს თვალებში ნაღველი ჩასდგომოდა, ფართოდ გაღებული თვალებით პირდაპირ იცქირებოდა და საწოლის გადასაფარებელს ზედ ასუნთქავდა. საღამურ სამოსგადაცმულს კისერი წაეგრძელებინა, ბეჭებში მოხრილიყო და რომელიღაც თეთრ, გრძელ ფრინველს მიაგავდა.

- მამაო ჩვენო... - იმეორებდა და იმეორებდა ლოცვას და თან მოსალოდნელ აყალმაყალზე ფიქრობდა.

მოხუცი ჯოლიონივით ჯეიმსსაც, გულის სიღრმეში, ამ ტრაგედიისა და შეხლა-შემოხლის მიზეზად ოჯახი მიაჩნდა. ან რა უფლება ჰქონდა "იმ ჯგუფს", იგი სტენჰოპგეიტში მცხოვრებ ახალგაზრდა ჯოლიონსა და მის ქალიშვილს, ჯუნს გულისხმობდა, რომ ბოსინისთანა კაცი ოჯახში შემოეყვანათ (ჯეიმსმა იცოდა, რომ ჯორჯმა ბოსინის მეტსახელად "მეკობრე" უწოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა საერთო უნდა ჰქონოდა არქიტექტორს შერქმეულ მეტსახელთან - ის ხომ არქიტექტორია და მეკობრესთან რა საერთო აქვსო, ამბობდა).

ჯეიმსი ახლა გრძნობდა, რომ მისი ძმა ჯოლიონი, რომელსაც მუდამ მოწიწებით შეჰყურებდა და რომლის აზრსაც მუდამ ეყრდნობოდა ხოლმე, ამ შემთხვევაში ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც მოელოდა.

ვინაიდან ჯოლიონივით ძლიერი ხასიათი არ ჰქონდა, ჯეიმსს მრისხანების ნაცვლად ნაღველმა დარია ხელი. მისი ერთადერთი ნუგეში უინიფრიდთან მისვლა და პატარა დარტების კენსინგტონის ბაღში ეტლით გასეირნება იყო. იქ, მრგვალ, ხელოვნურ ტბას-

თან ხშირად შეხვდებოდით ჯეიმსს, რომელიც აღტაცებული შეჰ-ყურებდა პუბლიუსის იალქნიან გემს, რომელსაც თვითონ ჯეიმ-სი ერთ პენად ფრახტავდა, რადგან ამბობდა, გემი ნაპირს აღარ მოადგებაო. თვითონ პუბლიუსი კი, რომელიც ჯეიმსის სასიხა-რულოდ მამას სრულიად არა ჰგავდა, პაპის გარშემო ხტოდა და ეხვეწებოდა, კიდევ ერთი პენი ჩამოდი, თორემ გემი დაიღუპე-ბაო, თუმც გამოცდილებით მშვენივრად იცოდა, რომ გემი არ დაიღუპებოდა; ჯეიმსიც ჩადიოდა სანაძლეოს და წაგებულს პა-ტიოსნად იხდიდა. ხანდახან ასეთ ნაძლევს ოთხჯერაც დებდნენ, ვინაიდან პატარა პუბლიუსი იჩემებდა ხოლმე და ჯეიმსიც ხათრს არ უტეხდა, ოღონდ ფულის მიცემისას აუცილებლად ეტყოდა:

- აი, წაიღე და შენს ყულაბაში ჩააგდე, მალე ძალიან მდიდარი კაცი გახდები!

ის აზრი, რომ მისი შვილიშვილი ფულს აგროვებდა, ჯეიმსს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. მაგრამ პუბლიუსს ერთი საშა-ქარლამო ჰქონდა შეგულებული და ძალიან მოხერხებული ყმაწ-ვილიც გახლდათ.

სახლში პარკზე გავლით ბრუნდებოდნენ. ჯეიმსს ამ დროს მხრები აეწურა და მწუხარებით შთანთქმული სახე ჰქონდა. მის წოწოლა გამხდარ ტანს თითქოს შვილიშვილების ჩასუქებული, ზორბა სხეულები უგულებელყოფდნენ.

მაგრამ ბაღი და პარკი მარტო ჯეიმსის საღვთო ადგილი არ იყო. ფორსაიტებიცა და მაწანწალებიც, ბავშვებიცა და შეყვარე-ბულებიც, ყველანი აქ მოეშურებოდნენ დასასვენებლად. ისინი ყოველდღე და ყოველ საღამოს გვიან ღამემდე ისხდნენ და სეირ-ნობდნენ. აქ ეძიებდნენ მუშაობისა და ქუჩების ოხშივრისგან,

ხმაურისა და კვამლისგან, სიმყრალისა და ღრიანცელისგან განსასვენებელს.

ფოთლები ნელ-ნელა იღებდა ქარვისფერს და ჩამომდგარი ზაფხულისმაგვარი თბილი ჰაერი მათ ბაღიდან წასვლას აჯანჯლებდა.

შაბათს, 5 ოქტომბერს, მთელ დღეს ლურჯი ცა დაჰყურებდა ლონდონს. მზის ჩასვლის შემდეგ ლურჯის ნაცვლად ცას დამკრახული ყურძნისფერი გადაეკრა, მთვარე არ ჩანდა და გამჭვირვალე სიბნელემ თითქოს ხავერდის სამოსში გახვია ხეები, რომელთაც მეჩხერი ტოტები ფრთებივით შემკულ ჯიღასავით ედგათ და თბილ ჰაერში ფოთოლიც არ ერხეოდათ. მთელი ლონდონი პარკში გამოსულიყო, რომ ზაფხულის უკანასკნელი ნარჩენი ფიალაც ბოლომდე შეესვათ.

ყოველი ჭიშკრიდან წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, ბაღში შედიოდნენ, მზისგან დამწვარი ბალახით მოფენილ ბილიკს მისდევდნენ და ერთიმეორის მიყოლებით განათებული ადგილებიდან ჯერ კიდევ ფოთლებშერჩენილ ხეთა ჩრდილქვეშ მდუმარედ უჩინარდებოდნენ. უზარმაზარ ხეთა და ბუჩქნარის ჩრდილებქვეშ მქრქალად მოჩანდა მათი ლანდები, და ასე ბუნების წიაღის შუაგულ, ბნელ მორევში ჩანთქმულნი, თავიანთი თავის გარდა მთელ ქვეყანას ივიწყებდნენ.

ახალმოსულ მოსეირნეთ თავიანთი წინამორბედები ფიცხლად ჩამომდგარი სიბნელის შემადგენელ ნაწილად ეჩვენებოდათ. მათ სმენას სწვდებოდა ბინდში მოკალათებულთა უცნაური ჩურჩული, რომელიც ჩრდილს თავშეფარებულთა გულების რიტმულ ძგერას ადასტურებდა. როცა ეს ჩურჩული შუქის ქვეშ

მსხდომთა ყურებამდე აღწევდა, ხმა მათაც უთრთოლდებოდათ და უწყდებოდათ; ხელები ერთმანეთს თავისთავად ეხვეოდნენ და თვალები შორს, ძალიან შორს, წყვდიადის ძებნას იწყებდნენ. უცებ, თითქოს ვიღაცის უჩინარმა ხელმა მიიზიდაო, ისინიც დგებოდნენ, დაბალ მოაჯირს გადააბიჯებდნენ და, ჩრდილებივით დადუმებულნი, სინათლიდან შორს, ბნელისკენ მიისწრაფოდნენ.

სიჩუმე, რომელიც გარშემორტყმული იყო ქალაქის შორეული ულმობელი ხმაურით, აღსავსე იყო ვნებებით, იმედებით, სიყვარულითა და ადამიანთა აურაცხელი ატომების ურთიერთბრძოლით. მიუხედავად მუნიციპალური საბჭოს იმ შეხედულებისა, რომელიც სიყვარულსა და კანალიზაციას საზოგადოებისათვის ერთნაირ საშიშროებად მიიჩნევდა, და ფორსაიტთა გმობისა, ამ პარკსა და ასობით პარკშიც ხდებოდა ის, ურომლისოდაც ათასობით ფაბრიკა, ეკლესია, მაღაზია და გადასახადები, რომლის დარაჯებსა და მეურვეებს თვითონ ფორსაიტები წარმოადგენდნენ, უსისხლო არტერიებსა და გულამოცლილ კაცს დაემგვანებოდა.

თავდავიწყებას, ვნებას, სიყვარულს, რომელთაც თავიანთ უწყალო მტრის - საკუთრების გრძნობისგან მალულად შეეფარებინათ თავი ხეებქვეშ, ქურდული ნადიმი მოეწყოთ. ბეისუოთერ როუდიდან მომავალი სომსი, რომელმაც მარტომ ისადილა ტიმოთის სახლში, მომავალ პროცესზე ფიქრობდა და პარკის გავლით აპირებდა შინ მისვლას. როცა მის სმენას აქეთ-იქიდან ხმადაბალი სიცილი და კოცნის ხმაური მისწვდა, კინაღამ ძარღვებში სისხლი გაეყინა. ერთი პირობა იფიქრა, ხვალვე "ტაიმსის" რედაქტორს მივწერ იმ უმსგავსოებაზე, რაც ჩვენს ბაღებში ხდებაო,

მაგრამ პრესაში საკუთარი გვარის გამოქვეყნებას მოერიდა და გადაიფიქრა.

თანაც, დამშეულსა და ქალის სხეულს დანატრებულ სომსს, სიჩუმეში ყურმოკრულმა ჩურჩულმა და ნახევრად ბნელში ძლივს დანახულმა გამოსახულებებმა ავადმყოფური აღტყინება მოჰ-გვარეს. მან წყლის გაყოლებით გაკვალული ბილიკი დააგდო და ტოტებდახრილ წაბლის ხეთა ღრმა ჩრდილებქვეშ შევიდა. და იქ, ბნელ თავშესაფარში მიმავალი სომსი ქურდულად უთვალთვა-ლებდა ხეებქვეშ მიბმულ სკამებზე ჩამომსხდარ წყვილებს, რომ-ლებიც, ერთარსებად ქცეულნი, ფეხის ხმის გაგონებაზე ისევ ორ-ორნი ხდებოდნენ.

სომსი სერპენტაინის ტბას მიუახლოვდა და თითქოს გახევ-დაო, ისეთნაირად შედგა. განათებული ფარნის შუქზე ვერ-ცხლისფრად მოლივლივე წყალთან, თითქოს კონტრასტის შესაქ-მნელად განგებ მოწყობილი ამბავი ყოფილიყოს, სკამზე შავად მოჩანდა ერთმანეთს გადაჭდობილ-გადაწნული უმოძრაო ორი არსება. ქალს სახე კაცის კისერთან ჩაემალა და ერთმანეთს ქვა-ში ნაქანდაკევი ვნების მოდელივით მიჰკვროდნენ, უტყვად და ურცხვად.

სანახაობით დაგესლილმა სომსმა ისევ ხეების ღრმა ჩრდი-ლებს მიაშურა.

ვინ იცის ჩრდილებქვეშ მოარული სომსი ვის დაეძებდა და რას ფიქრობდა? იქნებ ვნების შიმშილის მომსპობი საშველის პოვნა უნდოდა, ანდა წყვდიადის გამქრობ ნათელს ეძიებდა? ვინ იცის, რისი აღმოჩენა სურდა - გულთამხილავი უპიროვნო ცოდ-ნისა, რაც მის პირად, მიწისქვეშა არხებით მავალ ტრაგედიას

ამოხსნიდა, თუ, ეჰ! ვინ იცის, ამ ბნელში მიყუჩებულ, ამოუცნობ, უსახელო წყვილებში იქნებ ისინიც ერივნენ?

მაგრამ ეს ვერ იქნებოდა იმისი ცოდნა, რასაც სომსი დაეძებდა. სომს ფორსაიტის ცოლი უბრალო გოგოსავით ბაღში ხომ არ ჩამოჯდებოდა!

ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელი რამ იყო; მერე ნელა და უხმაუროდ ინაცვლებდა ერთი ხიდან მეორისკენ.

ერთხელ სიყვარულის ფიცს მოჰკრა ყური, მერე ჩურჩული გაიგონა; ნეტავ სულ ასე ვიყოთო! კვლავ გაეყინა ძარღვებში სისხლი. და მანამ იცადა, ვიდრე ის ორნი წავიდოდნენ. მაგრამ ის თხელი გოგონა აღმოჩნდა, საყვარელს მკლავზე ჩამოკონწიალებოდა და ისეთი ზედატანი ეცვა, ალბათ მაღაზიის გამყიდველი იქნებოდა.

ბევრი ხეთა ჩრდილებქვეშ შეფარებული წყვილი იმეორებდა ამ სიტყვებს და ბევრნიც უსიტყვოდ ეალერსებოდნენ ერთმანეთს.

სომსს უცებ ზიზღისგან შეაძაგძაგა, ბილიკიდან უკან გამობრუნდა და უმიზნო ძებნა მიატოვა.

თავი მესამე

შეხვედრა ბოტანიკურ ბაღში

ახალგაზრდა ჯოლიონს, რომელსაც ფორსაიტებივით ფული არ ჰქონდა და ხელგაშლილად ვერ ცხოვრობდა, ხშირად უჭირდა და იმისი სახსარიც არ გააჩნდა, რომ ქალაქგარეთ ბუნების წიაღში გასულიყო, რომლის გარეშეც არც ერთი აკვარელისტი ფუნჯს ხელში არ იღებს.

იგი იძულებული იყო საღებავების ყუთი და დასაკეცი სკამი ეთრია ბოტანიკურ ბაღში და იქ არაუკარიის, ან კაუჩუკის ხის ჩრდილქვეშ შეფარებულს რამდენიმე საათი ხატვაში გაეტარებინა.

ხელოვნების ერთმა კრიტიკოსმა, რომელმაც მისი ნამუშევრები დაათვალიერა, ახალგაზრდა ჯოლიონს ასეთი რჩევა მისცა:

"ძირითადად, თქვენ ძალიან კარგი ნამუშევრები გაქვთ; ფერებსა და მათ შეხამებაში ჭეშმარიტად არის ბუნების გრძნობა. მაგრამ თქვენ ღობე-ყორეს ედებით, ყველაფერს ხატავთ და ასე ხალხს ვერ მიიზიდავთ. თუ ერთ განსაზღვრულ თემას აიღებთ, ასე, მაგალითად, "ლონდონი ღამით" ან "ბროლის სასახლე(ბროლის სასახლე - რკინისა და მინისგან შექმნილი უზარმაზარი ნაგებობა, სადაც მასობრივი დღესასწაულები ეწყობოდა. აშენდა

1851 წლის სამრეწველო გამოფენისთვის ლონდონში. მეორე მსოფლიო ომის წინ ძლიერი ხანძრის დროს განადგურდა.) გაზაფხულზე" და ნახატების სერიებს შექმნით, ხალხი მაშინვე დაინტერესდება თქვენი ნამუშევრებით. მე მგონია, თქვენ ამ ამბავს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. ვინც კი ხელოვნებაში დიდი სახელი შექმნა, მაგალითად, კრამმა, სტოუნმა, ბლიიდერმა, დროზე აუღეს ალღო თავიანთ საქმეს და გამოფენებზე მხილველთათვის მოულოდნელი არაფერი წარუდგენიათ; ისინი დახელოვნდნენ თავიანთ საქმეში, მოახდინეს ნამუშევართა კლასიფიკაცია და თემატურად მოწყობილ გამოფენაზე მისულთ გაუადვილდათ ამა თუ იმ სურათის მოძებნა. ამ გზით სიარული იმიტომაცაა აუცილებელი, რომ არც ერთ კოლექციონერს არ სურს, რომ მნახველმა მხატვრის გვარი ტილოზე ეძიოს; მათი სურვილია, გამოფენაზე შემოსულმა მაშინვე თქვას - "ფორსაიტი ჩინებულია!" თქვენთვის მით უფრო საჭიროა შექმნათ თემატური ნახატები, რასაც გამოფენის მაყურებელი მაშინვე აიტაცებს, რომ თქვენ არა გაქვთ საკუთარი ორიგინალური სტილი".

ახალგაზრდა ჯოლიონი პიანინოსთან იდგა, პიანინოზე კი გამხმარი ვარდებით სავსე ვაზა მოჩანდა. ეს იყო ერთადერთი პროდუქცია, რომელსაც მათი ბაღი იძლეოდა. ჯო ღიმილით უსმენდა დიდაქტიკურ საუბარს.

ჯოლიონი ცოლს მიუბრუნდა, რომელიც კრიტიკოსს გაჯავრებული შეჰყურებდა, და უთხრა:

- ხედავ, ძვირფასო?

- არა, არა, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიწყო ახალგაზრდა ჯოლიონის ცოლმა, რომლის ხმაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა უცხოური აქცენტი, - შენ ძალიან ორიგინალური სტილი გაქვს.

კრიტიკოსმა თვალი შეავლო მისი აზრის უარმყოფელს, მოკრძალებით გაიცინა და აღარაფერი უთქვამს. მათი ამბავი კრიტიკოსმაც იცოდა.

ახალგაზრდა ჯოლიონისთვის იმ სიტყვებმა კარგი ნაყოფი გამოიღო, კრიტიკოსის სიტყვები საფუძველში ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც ახალგაზრდა ჯოლიონს, როგორც ხელოვანს, თეორიულად სწამდა, მაგრამ უცნაურმა ინსტინქტმა უკარნახა თავისი სურვილის წინააღმდეგ მიჰყოლოდა იმ რჩევას და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ერთ დილით მან აღმოაჩინა, რომ ლონდონის ხედების სერიის შექმნის სურვილი დაებადა. როგორ და საიდან გაუჩნდა ეს აზრი, ვერ გეტყოდათ; მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როცა ამ სერიის სურათები კარგ ფასად გაყიდა, თვითონ კი ობიექტური მსჯელობის ხასიათზე დადგა, ხელოვნების კრიტიკოსის რჩევა გაახსენდა და თავის წარმატებაში კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი იპოვა იმისა, რომ ფორსაიტი იყო.

ჯომ გადაწყვიტა ჩანახატების სერიის შექმნა ბოტანიკური ბაღიდან დაეწყო. აქ იგი წინათაც დადიოდა და გონებაში შეარჩია კიდეც ხელოვნური ტბის კუთხე, რომელიც შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლებით მოფენილი და მებაღეთაგან ჯერ კიდევ დაუსუფთავებელ-დაუგველი იქნებოდა. ბაღის სხვა ყველა კუთხე მებაღეებს პირწმინდად ჰქონდათ დაგვილი შემოდგომის ფოთოლთა წვიმისგან. ერთად შეგროვილ ფოთლებს მებაღეები

ცეცხლს უკიდებდნენ და მწვანე ფოთლების ტკბილ-ცხარე სურნელით გაჟღენთილი ჰაერი შემოდგომის ისეთივე დამახასიათებელი ემბლემაა, როგორიც გუგულის სტვენა-მოძახილი გაზაფხულზე და ცაცხვის ხეთაგან დაფრქვეული დამბნედი კეთილსურნელება ზაფხულში. მებაღეთა სუფთა, ფაქიზი სული ვერ ეგუებოდა ოქროსფრად შეგროვებულ, მოწითალო-ყავისფერ და მწვანე ფოთლებით ბალახის მოკაზმვას. მოკირწყლული ბილიკები წესრიგში მოყვანილი, კარგად მოვლილი უნდა იყოს. მოკირწყლულ ბილიკებს არ უნდა შეეხოს არც ცხოვრების სინამდვილე და არც ფოთოლთა ნელი ცვენა, ჭკნობა და ლპობა, რომლებიც მშობელ მიწაზე ანარცხებენ ყოველგვარ მშვენიერების გვირგვინს, რომ მარადიული ბრუნვის ციკლმა გაზაფხულზე კვლავ მკვდრეთით აღადგინოს არარაობად ქცეული მშვენიერება.

და ასე იყო ყოველი ფოთოლი აღრიცხული იმ წუთიდან, როდესაც იგი მოსწყდებოდა მშობლიურ შტოს, უკანასკნელ სალამს უძღვნიდა ზაფხულს და განწირული დაბლა ეცემოდა.

მაგრამ იმ პატარა ტბის ზედაპირზე ფოთლები მშვიდად ტივტივებდნენ, თავიანთი ელფერით ლოცავდნენ ზეცას და მზეც დილიდან საღამომდე ვერ ელეოდათ.

ასეთ დღეში იხილა ფოთლები ახალგაზრდა ჯოლიონმა.

ერთხელ, ოქტომბრის შუა რიცხვებში, პატარა ტბასთან დილით მისულმა ჯომ, თავისი სამუშაო ადგილიდან ოციოდ ნაბიჯზე თვალი მოჰკრა სკამზე ჩამომჯდარ უცნობ ქალს და შეწუხდა. ჯოს არ უყვარდა, როცა მუშაობის დროს ვინმე უთვალთვალებდა.

ხავერდის ჟაკეტში გამოწყობილ ლედის თვალები დაბლა დაეხარა. ჯომ სკამსა და თავის სამუშაო ადგილს შუა აღმართული კეთილშობილი დაფნის აყვავებული ბუჩქი იფარა და სამხატვრო დაფა მოიმარჯვა.

ჯო იზლაზნებოდა; როგორც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს სჩვევია, ისიც ძალზე აჭიანურებდა შემოქმედებითი მუშაობის დაწყებას და ზანტად ირჯებოდა, როცა თავისი თავი დაიჭირა იმაში, რომ ფარულად იმ ლედის უთვალთვალებდა.

მას მოხუცი ჯოლიონის ხასიათი გამოჰყვა; არ შეეძლო, ლამაზი ქალი კარგად არ აეთვალიერ-ჩაეთვალიერებინა. ეს ლედი კი მომხიბლავი ჩანდა. ჯომ ყვითელი მაქმანის საყელოზე დაბჯენილ მრგვალ ნიკაპს მოჰკრა თვალი; მოხდენილი, ნაზი სახე, დიდრონი შავი თვალები და მინაზებული სასიამოვნო ტუჩები შენიშნა. თმას შავი ქუდი უფარავდა; ლედი სკამის საზურგეს მიყრდნობოდა და ფეხი ფეხზე გადაედო; კაბის ქვეშიდან ლაკის ფეხსაცმლის ჭვინტი მოუჩანდა. მართლაც ენით უთქმელი მშვენების პატრონი, კოხტა, გემრიელი ქალი იყო, მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონი იმან უფრო მოხიბლა, რომ ამ ქალის სახემ ცოლი გაახსენა. ჯოს ეჩვენა, რომ ეს ქალი ცხოვრებაში რაღაც ისეთს გადაჰყროდა, რაც ვერ დაეძლია. ამ ქალმა ახალგაზრდა ჯოლიონის გულში ბუნდოვანი გრძნობების სიმებს შეახო ხელი, რაინდული სული აღანთო მასში და მოხიბლა იგი. ვინ იყო? ან რას აკეთებდა მარტო ბოტანიკურ ბაღში?

ჩოგბურთის კორტებისკენ მიმავალმა, რიჯენტპარკისთვის დამახასიათებელმა, როცა კადნიერება და სიმორცხვე ერთმანეთში ირევა, ორმა ყმაწვილმა იმ ლედის წინ ჩაუარეს და აღ-

ფრთოვანებული თვალებით პირდაპირ სახეში ჩახედეს. ახალგაზრდა ჯოლიონმა გულში გაკიცხა და არ მოეწონა მათი საქციელი, უსაქმოდ მყოფი მებაღეც ვაციწვერას ბალახებთან მიჩუჩუნდა, ისე ირჯებოდა, ვითომ საქმიანობდა, და ნამდვილად კი ლედის შეჰყურებდა. ვიღაც მოხუცმა ჯენტლმენმა, ქუდის მიხედვით ბოტანიკის პროფესორმა, სამჯერ აუარ-ჩაუარა ლედის, თან დაჟინებით, ქურდულად აკვირდებოდა და ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა.

ამ კაცების საქციელი ახალგაზრდა ჯოლიონის გაურკვეველ აღშფოთებას იწვევდა. მართალია, სკამზე ჩამომჯდარი ლედი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ახალგაზრდა ჯოლიონი დარწმუნებული იყო, რომელ მამაკაცსაც უნდა ჩაევლო ლედის წინ, ყველა ასეთი თვალით შეხედავდა.

ეს არ იყო იმ ჯადოსნის სახე, რომლის ყოველი გამოხედვა კაცის გონებას ატყვევებს და განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს; ლედის არ ჰქონდა ის ჯადოსნური სილამაზე, რომელიც პირველყოფილი ფორსაიტების აღტაცებას იწვევდა; მისი სილამაზე არც იმ ტიპისა გახლდათ, ჩვენს წარმოდგენაში რომ შოკოლადის ყუთებთანაა დაკავშირებული; ის არ იყო არც ზეშთაგონებული მგზნებარე ან მგზნებარებით ზეშთაგონებული თანამედროვე, პოეზიას რომ ბიძგს აძლევს, არც ჩვეულებრივი სახლის სამკაული რამ გახლდათ; არცთუ დრამატურგს გამოადგებოდა საინტერესო და ნევრასთენიით დაავადებულ პერსონაჟად, რომელიც უკანასკნელ აქტში თავს მოიკლავდა.

ნაკვეთებით, ფერებით, დამაჯერებლობით, სიმშვიდით, გრძნობადი უბიწოებით ლედის სახე ახალგაზრდა ჯოლიონს ტი-

ციანის "ზეციურ სიყვარულს" აგონებდა, რომლის რეპროდუქციაც მის სასადილო ოთახში ეკიდა. ლედის მიმზიდველობა სწორედ მის სიმწყაზარეში უნდა ყოფილიყო საძიებელი, ძლიერი ხასიათის იმ თვინიერებაში, რომელიც თვითონ მის სახეში გამოსჭვიოდა.

ვისთვის ან რისთვის იცდიდა ასე გარინდებული ამ ხეებქვეშ, სადაც განუწყვეტელ წვიმად ცვიოდა შემოდგომის ფოთლები და შემოდგომის თრთვილით დაფარულ ბალახებზე, ლედისგან სულ ახლოს, გაყინჩული შაშვები მედიდურად დააბიჯებდნენ.

ერთბაშად ლედის მომხიბლავი სახე წამოეგზნო. შეყვარებულის ეჭვით შეპყრობილმა ახალგაზრდა ჯოლიონმა ირგვლივ მიმოიხედა და უცნობი ქალისკენ პირდაპირ მიმავალი ბოსინი შენიშნა.

ახალგაზრდა ჯოლიონი ამ შეხვედრას დიდი ინტერესით შეჰყურებდა, თვალს ადევნებდა, როგორ შეჰყურებდნენ ისინი ერთმანეთს და ყურადღებიდან არ გამოჰპარვია ხელის გაჭიანურებული ჩამორთმევაც. ბოსინი გვერდით მიუჯდა. მიუხედავად მათი წინდახედული სიფრთხილისა, მაინც ჩანდა, რომ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ. მან ყური მოჰკრა სწრაფ ლაპარაკს, მაგრამ სიტყვების გარჩევა გაუძნელდა.

სიყვარულის ბობოქარი ზღვის ტალღებში უსაჭო, უიალქნო და უნიჩბო ნავით თვითონაც იყო ნაცურავები! ამიტომაც იყო, რომ კარგად იცოდა საათობით მოლოდინის სიმწარე და ხალხის თანდასწრებით შეყვარებულთან შეხვედრის წუთების უხერხულობა. გამოცდილი ჰქონდა ტანჯვა, წვალება, მოუსვენრობა,

ნაღველი, დევნა, შევიწროება ხალხის, საზოგადოების გამო, რომლებიც თავისუფალი სიყვარულის ნებას არ იძლევიან.

საკმარისი იყო ორივესთვის სახეზე შეგეხედათ, რომ იმწამსვე მიხვედრილიყავით, ეს ის გატაცება არ იყო, რაც ქალსა და კაცს ქალაქს განარიდებს და ერთად შეჰყრის ხოლმე; არც მოპირდაპირე სქესის წარმომადგენელთა ერთურთისადმი ისეთი ლტოლვა, ექვსი კვირის თავზე რომ დაცხრება. ეს იყო ჭეშმარიტი სიყვარული! ეს იყო ის, რაც ახალგაზრდა ჯოლიონს განეცადა, ასეთი სიყვარული ადამიანს ამაღლებს და შეიძლება მსხვერპლადაც შეიწიროს.

ბოსინი რაღაცას ემუდარებოდა, ქალი კი საოცრად მშვიდი, მწყაზარი, ბალახებს ჩაჰყურებდა და მის სახეზე უდრეკი მოთმინება და სიმშვიდე ირეკლებოდა. იყო თუ არა ბოსინი ის მამაკაცი, ვისაც უნდა მოეტაცა ეს მშვიდი, მორჩილი ქალი, რომელიც დამოუკიდებლად ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა? იმწუთას კი ჩანდა, რომ ლედის თავისი თავი ბოსინისთვის ჩაებარებინა და მზად იყო მისი გულისთვის მომკვდარიყო, მაგრამ საეჭვოა, რომ მასთან ერთად გაქცეულიყო.

ახალგაზრდა ჯოლიონს მოეჩვენა, რომ ქალის შემდეგი სიტყვები მოესმა:

- მაგრამ, ძვირფასო, ეს ხომ შენ დაგღუპავს?

ჯოს თვითონაც საკუთარ თავზე გამოეცადა ის გულის დამღლელი შიში, რომელიც ყველა ქალს აქვს, მძიმე ტვირთი ხომ არ შევიქნები იმ ადამიანისთვის, ვინც აგრერიგად მიყვარსო.

ახალგაზრდა ჯოლიონს მათკენ აღარ გაუხედავს; მაგრამ მათი ჩქარი ლაპარაკი მის სმენამდე რომელიღაც ჩიტის გალობას-

თან ერთად აღწევდა, რომელიც მის ყურებში საგაზაფხულო სიმ-ღერასავით ხმიანებდა: მხიარულება - მწუხარება? ვინ? რომე-ლი?

თანდათანობით მათი ლაპარაკი მიწყდა; ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა.

"მერე სომსი სადღაა? - გაიფიქრა ახალგაზრდა ჯოლიონმა, - ამბობენ, მისის სომსი წუხს, ქმარს რომ ღალატობსო! ოჰ! როგორ ცუდად იცნობენ ქალებს! ხანგრძლივად ნამწყურვალები ქალი წყურვილის გრძნობას იკლავს და ესაა მისი შურისგება! ღმერთმა უშველოს, რადგან სომსის შურისგებაც წამოეწევა".

მან აბრეშუმის შარიშურს მოჰკრა ყური, დაფნის ხის გვერდი-დან გაიხედა და დაინახა, რომ ხელები ქურდულად შეეერთები-ნათ და უკვე მიდიოდნენ...

ივლისის ბოლოს მოხუცმა ჯოლიონმა ჯუნი ახლა მთის ჰაერ-ზე წაიყვანა; მთების ჰაერმა და მგზავრობამ (ეს მათი უკანასკნე-ლი მგზავრობა იყო ერთად) ჯუნი ფიზიკურად და სულიერად საგ-რძნობლად მოამაგრა. სასტუმრო, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ინგლისელი ფორსაიტებით იყო სავსე, ვინაიდან "გერმანელებს" მოხუცი ჯოლიონი ვერ იტანდა. იგი უცხოელებს ერთი საერთო სახელით - "გერმანელით" ნათლავდა. ჯუნს ყველგან დიდი პატი-ვისცემით ექცეოდნენ. ის ხომ შესანიშნავი შესახედაობის და უზომოდ მდიდარი მოხუცი ფორსაიტის ერთადერთი შვილიშვი-ლი იყო. ჯუნმა აგრე უბრალოდ არ იცოდა ხალხში გარევა, მაგ-რამ რამდენიმე მეგობარი მაინც გაიჩინა. მათ შორის ყველაზე უფრო, რონას ველზე ყოფნისას, ერთ ჭლექიან ფრანგ ქალს დაუახლოვდა.

კეთილშობილურმა გადაწყვეტილებამ, რომ როგორმე სიკვდილის ბრჭყალებიდან ეხსნა მეგობარი ქალიშვილი, ჯუნს თავისი ტანჯვა და გასაჭირი გადაავიწყა.

მოხუც ჯოლიონს ჯუნის ფრანგ ახალგაზრდა ქალთან დაახლოებამ ერთგვარად შეუმსუბუქა ნაღველი, მაგრამ უკმაყოფილებაც მოჰგვარა; მოხუცი ჯოლიონის აზრით, შვილიშვილის ეს არჩევანი იმის დამადასტურებელი გახლდათ, რომ ჯუნს მთელი ცხოვრების გატარება "უბედურთა და ხელმოცარულთა" შორის მოუწევდა. ნუთუ ჯუნი ისეთ მეგობარს ვერ იშოვის ან ისეთი სურვილი არ დაებადება, რომ მისთვის მართლაც სასარგებლო იყოს?

"უცხოელებში გადავარდა", - ასე დაასკვნა მოხუცმა ჯოლიონმა. მიუხედავად ამისა, თვითონ ხშირად ყიდულობდა ყურძენს ან ვარდებს და კეთილი გულითა და თვალის მომხიბლავი პაჭუნით მიართმევდა ხოლმე ჯუნისგან შეტკბობილ ფრანგ ახალგაზრდა ქალს.

მაგრამ ჯუნის სურვილებსა და მონდომებას ბუნებამ არავითარი ანგარიში არ გაუწია და სექტემბრის ბოლოს მისმა ახალმა მეგობარმა, ლუკის სასტუმროში, სადაც იგი ბოლოს გადაიყვანეს, სული განუტევა. ჯუნმა თავისი დამარცხება გულთან ისე ახლოს მიიტანა, რომ მოხუცი ჯოლიონი იძულებული გახდა პარიზს წაეყვანა იგი. იქ ვენერა მილოსელის ჭვრეტამ და წმინდა მაგდალინელის კლასიკური სტილით ნაგები ეკლესიის ნახვამ ჯუნს ნაღველი ისე განუქარვა, რომ ოქტომბრის ბოლოს ლონდონს დაბრუნებულმა მოხუცმა ჯოლიონმა ირწმუნა, შვილიშვილი გავაჯანსაღეო.

მაგრამ როგორც კი სტენჰოპგეიტში დაფუძნდნენ, მოხუცმა ჯოლიონმა, თავისდა სამწუხაროდ, შენიშნა, რომ ჯუნი ისევ ფიქრმა და კაეშანმა შეიპყრო. იგი საათობით იჯდა ნიკაპზე თავდაყრდნობილი, გაშტერებული, კერპი და პირქუში, თითქოს მარტოოდენ სულიაო და წინ იყურებოდა. მის გარშემო კი ახალგამოყვანილი ელექტრონის შუქი ციალებდა. სასტუმრო ოთახის კედლები კრეტონით აეკრათ და ბეიპლისა და პულბერდისგან მოტანილი რბილი ავეჯით აევსოთ. ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმულ უზარმაზარ სარკეში მოჩანდნენ სავსე გულმკერდიანი ქალების ფერხთით მოკალათებული პატარა ბიჭები ტანზე შემოტმასნილი მოკლე შარვლებით. ეს იყო დრეზდენული ფაიფურის ქანდაკებები, რომლებიც მოხუც ჯოლიონს ცოლის შერთვამდე ეყიდა და ახლაც, როცა გემოვნება გაფუჭდა და დაქვეითდა, დიდად აფასებდა. მოხუც ჯოლიონს ყველა ფორსაიტზე მახვილი და ნათელი გონება ჰქონდა. იგი დროსაც კარგად უღებდა ალღოს, მაგრამ მაინც ვერ ივიწყებდა, რომ ეს ქანდაკებები ჯობსონთან მამასისხლად ჰქონდა ნაყიდი. ამის გამო ხშირად იმედგაცრუებითა და ზიზღით უთქვამს ჯუნისთვის:

- შენ ესენი არ მოგწონს! ეს ისეთი ზიზილ-პიპილებიანი არ არის, შენა და შენს მეგობრებს რომ მოგწონთ, მე ესენი სამოცდაათი პაუნდი დამიჯდა!

მოხუცი ჯოლიონი ისეთი კაცი არ იყო, აგრე ადვილად შეეცვალა გემოვნება, მით უმეტეს, რომ ჯანსაღი გემოვნება გააჩნდა, რაც ძალიან სერიოზული საბუთებით დასტურდებოდა.

პირველი, რაც ჯუნმა ლონდონს დაბრუნების მერე შეისრულა, ტიმოთისთან მისვლა იყო. მან თავი დაარწმუნა, რომ მოვალე

იყო ბიძასთან მისულიყო, თავისი მოგზაურობის ამბები წვრილად ეამბნა და ამით ტიმოთი გაერთო; ნამდვილად კი ჯუნის იქ მისვლის მიზანი პირდაპირ ან მოიარებით დასმული კითხვებით ბოსინიზე რაიმე ახალი ამბის შეტყობა იყო.

ჯუნი ძალზე გულითადად მიიღეს: მოხუცი ჯოლიონის ჯანმრთელობა ჰკითხეს: მაისის მერე აღარც გამოჩენილაო, აღნიშნეს. საბრალო ბიძაშენი ტიმოთი კარგად ვერ არის, ისეთი აყალმაყალი მოუხდა ბუხრის გამწმენდთანო; იმ გამოთაყვანებულმა ჭვარტლით აავსო ბუხარი ბიძაშენის საწოლში და ტიმოთი მოთმინებიდან გამოიყვანაო.

ჯუნი დიდხანს იჯდა იმის მოლოდინში, რომ ლაპარაკი ბოსინიზე გადავიდოდა. მაგრამ უცნაური წინდახედულობით თუ სიფრთხილით დადუმებულ სეპტიმუს სმოლს სიტყვა არ დასცდენია და ჯუნისთვის ბოსინიზე თვითონაც არაფერი უკითხავს. სასოწარკვეთილმა ჯუნმა ბოლოს თვითონ იკითხა აირენისა და სომსის ამბავი; ქალაქში არიან თუ არაო, თან ისიც დაუმატა, ეს-ეს არის ჩამოვედით და ჯერ არავინ მინახავსო.

პაპიდა ესთერმა მაშინვე უპასუხა: დიახ, ქალაქში არიან, არსადაც არ წასულან. სახლის თაობაზე სიძნელეებს წააწყდნენ და პაპიდა ესთერს ღრმად სწამს, რომ ჯუნმა ყოველივე წვრილად იცის! ან არა და ის აჯობებს, პაპიდა ჯულის ჰკითხო ყველაფერიო.

ჯუნი ახლა მისის სმოლისკენ შებრუნდა, რომელიც გამართული, ხელგადაჭდობილი და დაღმეჭილი იჯდა სავარძელში. ჯუნის ცნობისმოყვარე სახეს მისის სმოლმა უცნაური დუმილი შეაგება და, როცა ლაპარაკი დაიწყო, ესა ჰკითხა, მთაში წამოდგმულ სას-

ტუმროებში ალბათ ძალიან ციოდა და ღამღამობით ფეხზე წინდა თუ გეცვაო.

ჯუნმა უპასუხა, არა მცმია, დამბორკავ, შემხუთველ საგნებს ვერ ვიტანო, და წასასვლელად წამოდგა.

მისის სმოლის უცთომელმა არჩევანმა - დუმილმა - ჯუნს უფრო მეტი რამ უთხრა, ვიდრე ამას სიტყვები შეძლებდნენ.

ბეისუოთერ როუდიდან წამოსვლის მერე ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ჯუნმა ყოველივე წვრილად დასცინცლა მისის ბეინზს. ამ უკანასკნელმა უთხრა ისიც, რომ სომსი სახლის მორთვა-მოკაზმვაში დახარჯული თანხისთვის ედავება ბოსინის და სასამართლოში სარჩელი აღძრაო.

იმის მაგივრად, რომ ჯუნი ამ ცნობას შეეწუხებინა, პირიქით მოხდა. იგი უჩვეულოდ დაწყნარდა; თითქოს ამ მომავალ ბრძოლაში თავისთვის იმედს ჭვრეტსო. მან გაიგო, რომ სასამართლო სხდომა დაახლოებით ერთ თვეში შედგებოდა და ბოსინის წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

- ამ ამბავზე ფიქრისაც კი მეშინია, - ამბობდა მისის ბეინზი, - ეს ფილისთვის ძალიან სამძიმო ამბავია, თქვენ იცით, მას არავითარი სახსარი არა აქვს. ჩვენც არ შეგვიძლია დავეხმაროთ. როგორც გავიგე, მევახშე ფულს ისე არ ასესხებს, თუ გარანტია არ ექნა, და მას ხომ არაფერი გააჩნია - არაფერი.

ამ ბოლო დროს მისის ბეინზს სიგანეში კიდევ მოემატებინა; საქველმოქმედო შეკრებულობათა საშემოდგომო ორგანიზაციის გახურებული სეზონი იდგა და მისის ბეინზის საწერ მაგიდაზე ამ შეკრებულებისთვის საჭირო სადილების მენიუების ტევა

აღარ იყო. იგი მრავალმნიშვნელოვნად შეჰყურებდა ჯუნს თუთიყუშის მსგავსი მრგვალი ნაცრისფერი თვალებით.

ჯუნის ეს წამოწითლება - ალბათ ძალიან დიდი იმედი ჰქონდა, - მისი უეცარი ტკბილი გაღიმება, მისის ბეინზს მომდევნო წლებში ხშირად აგონდებოდა ხოლმე (მისტერ ბეინზს ხელოვნების სახალხო მუზეუმის აშენებისთვის მემამულე რაინდის(ეს ნიშნავს, რომ მას მიენიჭა ბარონეტის მომდევნო, ანუ პირადი სამსახურით მოპოვებული მემამულის ტიტული - საპირისპიროდ შთამომავლობითი ტიტულისა. და შეიძლება წოდებულიყო სერ ბეინზად.) ტიტული მიანიჭეს. მისმა აშენებულმა მუზეუმებმა აუარებელი დაქირავებული მუშახელი მოითხოვა და ძალიან ცოტა სიამოვნება მიანიჭა მათ, ვისთვისაც იყო გამიზნული).

ჯუნის სახეზე მომხდარი ცვლილება, თვალსაჩინო და ხელშესახები, თითქოს მისის ბეინზის წინ ვარდის კოკორი გაშლილიყოს, ანდა დიდი ზამთრის მერე მზის პირველი მცხუნვარე სხივი ეგრძნოს, ეს ცვლილება და სხვა ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, მისის ბეინზს ხშირად ახსენდებოდა და აეკვიატებოდა ხოლმე სწორედ მაშინ, როცა მისი გონება ძალზე საყურადღებო საქმეებით იყო დაკავებული.

ჯუნის ბეისუოთერ როუდზე და მისის ბეინზთან წასვლა სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ახალგაზრდა ჯოლიონმა ბოტანიკურ ბაღში აირენი და ბოსინი იხილა. სწორედ ამ დღეს გადაწყვიტა მოხუცმა ჯოლიონმა პოულტრიზე წასვლა და თავის რწმუნებულთა ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტის ოფისის მონახულება. სომსი იქ არ დახვდა, როგორც უთხრეს, სომერსეტჰაუზში(სომერსეტჰაუზი - ლონდონის ცენტრში არსებული უზარმაზარი შე-

ნობა. აქ ბევრი სხვადასხვა დაწესებულება იყო განთავსებული, მათ რიცხვში არქივი, სადაც ინახებოდა ანდერძები, დაბადებისა და ქორწინების მოწმობები და სხვ.) იყო წასული. ბასტარდი ქალალდებში იყო ჩაფლული და შენობის ისეთ ადგილას დაესვათ, რომ არავის შეეწუხებინა და რაც შეიძლება მეტი ემუშავა; ჯეიმსი მისაღებში იჯდა, თითებს იძიძგნიდა და ნაღვლიანი სახით ფურცლავდა სამოქალაქო საქმეს "ფორსაიტი ბოსინის წინააღმდეგ".

სომსის მიერ აყვანილმა კეთილგონიერმა ვექილმა იმ "საჭოჭმანო მუხლზე" ყურადღება ისე მიაქცევინათ, თითქოს რაიმე სანებიერო საგანზე უთითებსო, მაგრამ ჯეიმსს ის "საჭოჭმანო მუხლი" სულაც არ ადარდებდა და მხოლოდ სასიამოვნო გრძნობებს უღვიძებდა, ვინაიდან გული ეუბნებოდა, მოსამართლე მაგას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს, მეც რომ მის ადგილზე ვიყო, აინუნშიც არ ჩავაგდებდიო. ჯეიმსს იმისი უფრო ეშინოდა, რომ ბოსინის სასამართლო კოტრად გამოაცხადებდა და, სახლის მორთვა-მოკაზმვის ფულს გარდა, სომსი იძულებული გახდებოდა სასამართლო ხარჯებიც ეკისრა. ამ რეალური საშიშროების იქით კი უხილავი ტანჯვის სათავე მოჩანდა, ბუნდოვანი, გაურკვეველი, ღრმად დაფარული და ცუდი სიზმარივით ავის მაუწყებელი. ავანსცენაზე გამოტანილი დავა ზურგში გაჩენილი ბზარის ყრუ გამოძახილი იყო.

როგორც კი მოხუცი ჯოლიონი შემოვიდა, მან თავი ასწია და წაიბუზღუნა:

- გამარჯობა, როგორ ხარ, ჯოლიონ? რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. მითხრეს, შვეიცარიაში იყოო. იმ ყმაწვილმა,

ბოსინიმ, საბოლოოდ გაიფუჭა თავი. ვიცოდი, რომ ამით დამთავრდებოდა ყოველივე, - ჯეიმსმა სასამართლო საქმე აიღო, უფროს ძმას გაუწოდა და თან ნერვიულად შეჰყურებდა.

მოხუცმა ჯოლიონმა ჩუმად ჩაიკითხა საქმე. ვიდრე ის კითხულობდა, ჯეიმსი იატაკს ჩაშტერებოდა და თითებს იძიძგნიდა.

ბოლოს მოხუცმა ჯოლიონმა საქმე მაგიდაზე დააგდო. იგი ნელი ხმაურით დაეცა ბანკომის ჩვენებას, ეს ჩვენება ერთი შტო გახლდათ იმ უზარმაზარი დატოტვილი ხისა, რომელსაც "ფრეიდერი ფორსაიტის წინააღმდეგ" ეწოდებოდა.

- არ ვიცი, რაში დასჭირდა სომსს ამ მცირე თანხის გამო ასეთი აურზაურის ატეხა. მე იგი ძალიან შეძლებული კაცი მეგონა.

ჯეიმსს ნერვიულად აუთრთოლდა ზედა ტუჩი; ის ვერ იტანდა, როცა მის შვილს სწორედ ამ წერტილში ურტყამდნენ.

- აქ საქმე ფულში არაა, - წამოიწყო ჯეიმსმა, მაგრამ ძმის პირდაპირი მახვილი, მიუკერძოებელი გამოხედვა რომ შენიშნა, გაჩერდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

- ჩემი ანდერძისთვის მოვედი, - თქვა მოხუცმა ჯოლიონმა და თან ულვაშის ბოლოებს აწვალებდა.

ჯეიმსი მაშინვე აიტაცა ცნობისმოყვარეობამ. ამქვეყნად ისე არაფერი აინტერესებდა, როგორც ანდერძები; ანდერძი იყო საკუთრებით გამომჟღავნების უმაღლესი აქტი, ადამიანის მონაგარის საბოლოო აღნუსხვა და კაცის ღირსების უკანასკნელი სიტყვა. ჯეიმსმა ზარი დარეკა.

- მისტერ ჯოლიონის ანდერძი შემოიტანეთ, - უთხრა მან შემკრთალ შავთმიან კლერკს.

- უნდა შეცვალო რამე? - იკითხა ჯეიმსმა და თავში აზრმა გაუელვა: "ახლა გამოჩნდება, ეს უფრო მდიდარია თუ მე".

მოხუცმა ჯოლიონმა ანდერძი გულის ჯიბეში ჩაიდო და ჯეიმსმა სინანულით მოკუნტა თავისი გრძელი ფეხები.

- ამბობენ, ამ ბოლო დროს კარგი ნივთები შეიძინაო, - თქვა ჯეიმსმა.

- არ ვიცი, საიდან გაქვს ასეთი ცნობები, - მკვახედ მიახალა მოხუცმა ჯოლიონმა, - სასამართლო როდისთვისაა დანიშნული? იმ თვეში, არ ვიცი, რას ფიქრობთ, რა თქმა უნდა, თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ მე თუ მკითხავთ, სასამართლოს გარეშე სჯობდა საქმის მოგვარება. ნახვამდის! - ჯეიმსს ხელი ცივად ჩამოართვა და წავიდა.

ჯეიმსმა მონაცრისფრო ლურჯი თვალის გუგები უხილავ გამოსახულებას ისე მიაპყრო, თითქოს უნდა გაბურღოსო და ისევ თითების ძიძგნას მოჰყვა.

მოხუცმა ჯოლიონმა თავისი ანდერძი "ახალი ქვანახშირის კომპანიის" ცარიელ ოფისში გადაიკითხა. მან ისე გესლიანად უპასუხა კომპანიის მდივანს - ჰემინგსს, რომელმაც ახალი ზედამხედველის ანგარიში აჩვენა, რომ მდივანმა გარეთ გასვლისას თავისი ღირსება შეურაცხყოფილად მიიჩნია. ჰემინგსმა, თავის მხრივ, კლერკი იხმო და განრისხებულმა მასზე ამოანთხია გულის დარდი. საწყალი კლერკი კი ისე დაიბნა, რომ არ იცოდა, სად წასულიყო და რა ექნა.

- მე უფლებას არ მივცემ, - დაჰყვიროდა ჰემინგსი კლერკს, - ყველა თავის მოიმედე არაკაცს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთად წარმოიდგინოს თავი, მე იმდენი წელია აქ ვმუშაობ, რომ შენ-

ნაირი ნაბიჭვარი ვერც დათვლის. და, თუ გგონია, რომ სამუშაოს დამთავრების მერე გულხელდაკრეფილი უნდა იჯდე, მაშინ ჰემინგსი ძალიან ცუდად გცნობია. მე გაგაცნობ, ვინცა ვარ, - ამდაგვარი სიტყვებით გამოთათხა ჰემინგსმა კლერკი.

მწვანე მაუდაკრული კარის მეორე მხარეს კი გრძელ ტყავგადაფარებულ მაგიდას მოხუცი ჯოლიონი მისჯდომოდა. ცხვირზე კუს ბაკნისგან ნაკეთები სქელჩარჩოიანი სათვალე მოუჩანდა და ოქროსფერი ფანქრით ანდერძის ზოგიერთ მუხლში შესწორება შეჰქონდა.

უბრალო საქმე ჩანდა, ვინაიდან ანდერძში სადავიდარაბო და საცილობელი არაფერი გახლდათ. სამემკვიდრეო თანხა დანაწილებული არ იყო წვრილ-წვრილ საქველმოქმედო შეწირულობებად, რომლებიც კაცის ქონებას ანიავებენ და დილის გაზეთებში ფორსაიტებისადმი მიძღვნილ მოკლე ნეკროლოგების იმ დიდებულ ეფექტს აფუჭებენ, რასაც ასი ათასი გირვანქა სტერლინგის მემკვიდრეობა იწვევს.

საქმე ძალიან უბრალო გახლდათ. "შვილს, ჯოლიონ ფორსაიტს, რჩება ოცი ათასი გირვანქა და დანარჩენი ქონება კი, ყველაფერი, როგორც უძრავი, ისე მოძრავი, მინდობილობით გაცემული ქონებიდან წარმოშობილი შემოსავალი თუ რენტა, ყოველწლიური დავიდენდები თუ პროცენტები მთლიან სარგებლობაში, განკარგულებასა და მფლობელობაში უნდა გადაეცეს ჩემს შვილიშვილს ჯუნ ფორსაიტს ან იმას, ვისზეც ის მიუთითებს თავის სიცოცხლეში, მისი სიკვდილის შემთხვევაში. ამ მემკვიდრეობითი დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს, ფულად თანხას, მშენებლობით, ფასიან ქაღალდებს და ყოველი-

ვე ჩემს ქონებას მის მიერ გაცემული მინდობილობით ვუანდერ-ძებ პირს ან პიროვნებათ, ერთს ან რამდენიმეს, იმ მიზნითა და განზრახვით გამოსაყენებლად, რა განზრახვით, მიზნითა და ფორმით ინდომებს ამას ჩემი მემკვიდრე ჯუნ ფორსაიტი, მიუხე-დავად იმისა, გათხოვდება, თუ არა იგი, განკარგულებას მოახ-დენს ანდერძით, წერილით, თუ უშუალოდ დაასახელებს მემ-კვიდრეებს თავისი უკანასკნელი ნება-სურვილით. ანდერძსაცა და წერილობით განკარგულებასაც ანდერძის ძალა ექნება, თუ ხელმოწერილი იქნება ჯუნ ფორსაიტის მიერ ძალდაუტანებლად და გამოქვეყნებული". ვალდებულების შეუსრულებლობისა და ყველაფრის გათვალისწინებით ძალიან მარტივი ფრაზეოლოგი-ით ასე იყო ყოველივე წვრილმანი ჩამოწერილ-აღნუსხული.

ანდერძი შედგენილი იყო ჯეიმსის მიერ იმ ერთ დროს, რომე-ლიც ყველა ადამიანივით მასაც ჰქონდა. მან ამომწურავად გაით-ვალისწინა ყველა შემთხვევა და კაზუსი.

მოხუცი ჯოლიონი კარგა ხანს იჯდა და ჩაჰკირკიტებდა თა-ვის ანდერძს; მერე თაროდან ნახევარი ფურცელი ქაღალდი აიღო და ფანქრით კარგა გრძელი შენიშვნა დაწერა; ანდერძის წე-რილი შეინახა, კების დასაძახებლად კლერკი გაგზავნა და, კები მოგრიალდა თუ არა, ლინკოლნ ინ ფილდზე(ლინკოლნ ინ ფილდი - ამ მოედანზე ლონდონში იმ დროისათვის არსებული ოთხი იურიდიული კორპორაციიდან ერთ-ერთი) გასწია პარმორისა და ჰერინგის იურიდიული კორპორაციის შენობისკენ. ჯეკ ჰერინგი კარგა ხანია გარდაცვლილიყო, მაგრამ ფირმაში მოხუც ჯოლი-ონს მისი ძმისშვილი დაუხვდა და ნახევარი საათი მაინც ცალკე

ეთათბირა. ეტლისთვის ნაბრძანები ჰქონდა მოეცადა და, გარეთ რომ გამოვიდა, უისტერია ავენიუსკენ გასწიეო, უბრძანა.

უჩვეულო, იდუმალი კმაყოფილება იგრძნო, თითქოს ჯეიმსსა და მესაკუთრეზე გაიმარჯვაო. ამიერიდან ისინი მის საქმეში ცხვირს ვეღარ ჩაყოფენ; თავისი ანდერძის წამოღებით მათ მეურვეობას სწორედ ახლა მოუღო ბოლო; თავის ყველა საქმეს და კომპანიის საქმეებსაც გამოაცლის ჯეიმსსა და სომსს ხელიდან და ახალგაზრდა ჰერინგს ჩააბარებს. თუ ის ყმაწვილი სომსი მართლაც ასე მდიდარია, მაშინ მისთვის წელიწადში ათასი გირვანქის დანაკლისი არაფერია; მოხუცი ჯოლიონის თეთრ ულვაშში პირქუშმა ღიმილმა იელვა. გრძნობდა, რომ მის მოქმედებაში უხვად იყო სამართლიანი, სამაგიერო მისაგებელი.

როგორც ბებერ ხეში ნელა, მაგრამ გარდაუვალად მიმდინარეობს შლისა და რღვევის პროცესი, მოხუც ჯოლიონსაც ბედნიერი წუთებისგან მიყენებულმა ჭრილობების ტკივილმა, სურვილებმა და თავმოყვარეობამ დაურღვია მკვიდრად ნაგები ფილოსოფია. ცხოვრება მთელი სიმძიმით მანამდე აწვებოდა მოხუც ჯოლიონს, ვიდრე ცალ მხარეს არ გადაზნიქა, როგორც ის ოჯახი, რომლის მეთაურიც თვითონ იყო.

შვილის სახლისკენ ეტლით მსრბოლ ჯოლიონს ბუნდოვანი გრძნობა ეუბნებოდა, რომ თავისი საკუთრების ეს ახალი გადანაწილება იმ ოჯახისა და საზოგადოებისთვის გამოტანილი სასჯელი იყო, რომლის წარმომადგენლებად მას ჯეიმსი და სომსი მიაჩნდა. მან თავის უფლებებში აღადგინა ახალგაზრდა ჯოლიონი და ამან იდუმალი შურისგების სურვილი დაუცხრო. მან შური იძია დროზე, მწუხარებაზე, სხვა ადამიანების მის საქმეებში ჩარევაზე

და იმ აურაცხელ გმობასა და გაკიცხვაზე, რაც მის ერთადერთ ვაჟს ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში თავს დაატეხეს. მხოლოდ ეს იყო ერთადერთი შესაძლებელი გზა, რომ მათთვის თავისი სურვილის ძალა ეგრძნობინებინა; აეძულებინა ჯეიმსი, სომსი, მთელი ოჯახი და ფორსაიტების ნიაღვარივით მოვარდნილი მასა, შემდგარიყვნენ მისი სიჯიუტის ჯებირს შეჯახებულნი; ერთხელ და სამუდამოდ დაემტკიცებინა მათთვის, რომ იგი მათი მეთაური და პატრონი იყო. ძალიან ტკბილი ფიქრები აღუძრა იმის გახსენებამ, რომ მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მისი შვილი, ახალგაზრდა ჯოლიონი უფრო მდიდარი იქნებოდა, ვიდრე ჯეიმსის შვილი, ის მამლაყინწა "მესაკუთრე" სომსი. ტკბილი იყო ჯოსთვის მემკვიდრეობის გადაცემა იმიტომაც, რომ ჯოლიონს ნაზად და სათუთად უყვარდა შვილი.

არც ახალგაზრდა ჯოლიონი და არც მისი ცოლი სახლში არ დაუხვდნენ (ახალგაზრდა ჯოლიონი ბოტანიკური ბაღიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო). მოსამსახურე გოგომ უთხრა, ბატონს ყოველ წამს ველოდებიო.

- ჩაის დალევის დროს შინ იქნება, სერ, მანამდე კი შეიძლება ბავშვებთან გაერთოთ.

მოხუცმა ჯოლიონმა უთხრა, დაველოდებიო; იგი მოთმინებით აღიჭურვა და გასაცოდავებულ სასტუმროში დაჯდა. სავარძლებისა და დივნისთვის ზაფხულის შალითები უკვე გადაეძროთ და ძალიან საწყალობელი შეხედულება ჰქონდათ. მას უნდოდა, ბავშვები თავისთან მიეხმო, თავის გვერდზე ჰყოლოდა, მუხლებზე დაესვა და ეგრძნო მათი სხეულების მოქნილობა, სურდა გაეგონა ჯოლის ხმა: "გამარჯობა, პაპა!" დაენახა მისი შემოვარ-

დნა, ეგრძნო ჰოლის პატარა ხელების ლოყებზე თათუნი. მაგრამ თავი შეიკავა. რამაც აქ მოიყვანა, სადღესასწაულო ამბავი იყო, და ვიდრე არ დამთავრდებოდა, ბავშვებთან თამაშს შევეშვებიო, იფიქრა. იგი იმ ფიქრებით ერთობოდა, როგორ შეეძლო კალმის ერთი მოსმით ეს სახლი სრულიად გარდაექმნა და სასიამოვნო სანახავად გადაექცია; იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოირთვებოდა ეს, ან სხვა, უფრო ფართო ოთახები ხელოვნების იმ ნიმუშებით, რომლებიც კი ბეიპოისა და პულბერთან აღმოჩნდებოდა; როგორ გაგზავნიდა პატარა ჯოლის ჰაროუსა(ჰაროუ - ვაჟთა დახურული კოლეჯი, სადაც არისტოკრატთა და კომერსანტთა შვილები სწავლობდნენ.) ან ოქსფორდში (იგი აღარ ენდობოდა იტონსა და კემბრიჯს, ვინაიდან ახალგაზრდა ჯოლიონი იქ აღიზარდა). როგორ მოიწვევდა პატარა ჰოლისთვის მუსიკის მასწავლებელს, ბავშვს ხომ შესანიშნავი სმენა აღმოაჩნდა.

მომავლის ამ სურათებმა მოხუცი ჯოლიონის გულის ძგერა ააჩქარა; იგი სარკმელთან მივიდა, ქვიტკირით შემოზღუდულ ბაღში გაიხედა და ფოთლებისგან ადრიანად განძარცულ მსხლის ხეს მოჰკრა თვალი, რომელიც შემოდგომის საღამოს შიშველი, უსიცოცხლო ტოტებით ეგებებოდა. ჭრელი ბეწვით მოსილ ბალთაზარს კუდი წრედ დაეხვია და ბაღის კედელთან ყვავილებს ყნოსავდა, ქსუტუნებდა და ხანდახან ფეხებს ბაღის კედელს აყრდნობდა.

მოხუცი ჯოლიონი ფიქრმა წაიღო.

რა სიამოვნებაღა დარჩა მას ამ წუთისოფელში? ეს იყო საბოძვარის გაცემის სიამოვნება. სიამოვნება, რომ არის ამქვეყნად ადამიანი, ვისაც შენი საბოძვარი სჭირდება და ეს ადამიანი შენი

ხორცი - ხორცთაგანი და სისხლი - სისხლთაგანია! მაგრამ ვინც შენი ახლობელი არ არის, შენზე არავითარი უფლება არა აქვს და საბოძვარს კი აძლევ, ეს ისეთ კმაყოფილებას ვერ მოგგვრის! ასეთი საბოძვარის გაცემა ინდივიდუალისტური რწმენის, სიცოცხლის მიზნის, შემართების, მთელი საქმიანობის, თავდაჭერილობის შელახვა იქნებოდა. ამიერიდან მას უფლება ჰქონდა, კანონიერად ეამაყა იმით, რომ ათიათასობით მის წინაპარ, ათიათასობით ახლანდელ და ათიათასობით ჯერ კიდევ ამქვეყნად მოუვლენელი ფორსაიტივით მასაც შეეძლო თავისი მოხერხების წყალობით მოეწესრიგებინა თავისი ცხოვრება და მონაგარი ხელიდან არ გაეშვა.

ვიდრე მოხუცი ჯოლიონი მურით გასვრილ დაფნის ფოთლებს, მტვრისგან რუხ ფერგადაკრულ ბალახსა და ბალთაზარს შეჰყურებდა, ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში მისთვის წართმეული კანონიერი სიხარულის უფლება და ტკივილი ერთმანეთში ერეოდა და შვილთან შეხვედრის სასიამოვნო წუთებს უმძიმებდა.

ბოლოს ახალგაზრდა ჯოლიონიც გამოჩნდა. იგი კმაყოფილი ჩანდა თავისი ნამუშევრებით და სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნის კვალიც დამჩნეოდა. როცა გაიგო, მამა მოსულაო, მაშინვე ის იკითხა, მისის ფორსაიტი სახლშია თუ არაო და, როცა მსახურმა უთხრა, თქვენი მეუღლე არ დაბრუნებულაო, შვებით ამოისუნთქა. მერე ფუნჯები და სამუშაო დაფა ფრთხილად შეინახა ტანსაცმლის კარადაში და შინ შევიდა.

მოხუცი ჯოლიონი მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით მაშინვე საქმეს შეუდგა.

- ჩემი პირვანდელი ანდერძი შევცვალე, ჯო, - წამოიწყო მან, - ახლა შენ საბნის დახურვა, როგორც გაგწვდება, ისე აღარ მოგიწევს. მე ახლავე გინიშნავთ ათას გირვანქას წელიწადში. ჯუნი ჩემი სიკვდილის შემდეგ ორმოცდაათი ათასს მიიღებს, დანარჩენი თანხა კი შენ დაგრჩება. მაგ ძაღლმა მთელი ბაღი გაგიფუჭა. შენს ადგილზე ძაღლს არ შევინახავდი!

ბალთაზარი შიგ შუაგულ წუმპეში იჯდა და კუდს ისინჯავდა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა ძაღლს გახედა, მაგრამ კარგად ვერც კი გაარჩია, ვინაიდან თვალები ცრემლებმა დაუსველა.

- შენ ასი ათას გირვანქას მიიღებ, შვილო, - თქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - მინდა, რომ შენ ეს იცოდე, მე დიდი დღე აღარ დამრჩენია. აღარ მინდა, რომ მერე ისევ ამ საკითხს დავუბრუნდე. ცოლი როგორა გყავს? სიყვარულით მომიკითხე.

ახალგაზრდა ჯოლიონმა მამას მხარზე დაადო ხელი და, ვინაიდან ორივე დუმდა, ეს ამბავი ამით დასრულდა.

მამა რომ კიბემდე მიაცილა, ახალგაზრდა ჯოლიონი შინ შებრუნდა და იმ ადგილას დადგა, სადაც მოხუცი იდგა და ბაღს გახედა. მან გონების თვალით დაუწყო ჭვრეტა იმას, რაც მოხდა და, როგორც ფორსაიტს შეშვენის, იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რაში უნდა გამოეყენებინა მიღებული სიმდიდრე. სიდუხჭირისა და გაჭირვების თხუთმეტმა წელმა მასში ბუნებრივი ინსტინქტები ვერ აღმოფხვრეს. იგი მეტისმეტი პრაქტიკულობით ფიქრობდა მოგზაურობაზე, ცოლის ღირსეულად მორთვა-მოკაზმვაზე, ბავშვების აღზრდაზე, ჯოლისთვის პონის ყიდვასა და ათასგვარ სხვა წვრილმანზე; შემდეგ ბოსინი, მისის სომსი და შაშვის შეწყვეტი-

ლი - "მხიარულება-მწუხარება? ვინ? რომელი?" - სიმღერა გაახ-სენდა.

მერე მწუხარებით, ტანჯვით, გრძნობებით აღსავსე მშვე-ნიერი წარსული მოაგონდა, რომლის მწველი სიტკბოებით აღსავ-სე წამებს ვერავითარი ფულით ვერ იყიდი და უკან ვეღარ დაიბ-რუნებ.

ცოლი რომ დაბრუნდა, ახალგაზრდა ჯოლიონი მიეახლა და ხელები მოხვია; ასე ხმაამოუღებლად დიდხანს ეკვროდა ცოლს თვალდახუჭული, ქალი კი განცვიფრებული, თაყვანისცემით, ეჭ-ვით აღსავსე თვალებით შესცქეროდა.

თავი მეოთხე

ჯოჯოხეთში მოგზაურობა

მეორე დილით, იმ ღამის შემდეგ, როცა სომსმა ბოლოს და ბოლოს, გამოიყენა თავისი უფლება და, როგორც ქმარს შეჰფეროდა, აირენს ისე მოექცა, მას საუზმობა მარტოს მოუხდა.

მოსამსახურემ საუზმე გაზის სინათლეზე მიართვა. ნოემბრის დამლევს ნისლმა მთელი ლონდონი ისეთ ბურუსში გახვია, თითქოს ქალაქს ზევიდან უზარმაზარი საბანი დახურესო. სკვერში მდგარი ვეება ხეები სასადილოს სარკმლიდანაც კი ძნელი გასარჩენი იყო.

სომსი დინჯად შეექცეოდა საუზმეს, მაგრამ თან იმაზე ფიქრობდა, ლუკმა ყელში მეჩხირებაო. ჰქონდა კი იმის უფლება, რომ წინაღამით დიდი ხნის ვნებადაუმცხრალმა დაიმორჩილა ქალი, რომელიც მისი კანონიერი ცოლი იყო, მაგრამ გაურბოდა და კარგა ხანია, ხელს აღარ აკარებინებდა?

სომსს მოსვენებას უკარგავდა აირენის იმღამინდელი ხელებაფარებული სახე. იგი დიდხანს ცდილობდა ამ ხელებისგან გაეთავისუფლებინა აირენის სახე და უსაშველოდ მოქვითინე ცოლი დაეწყნარებინა. ასეთი ქვითინი სომსს ჯერ არ სმენოდა და ცოლის გულამოსკვნილი მოთქმა ახლაც ყურებში უწიოდა. მო-

უსვენრობას იმის გამოც გრძნობდა, რომ თან სდევდა უჩვეულო, აუტანელი სინდისის ქენჯნა და სირცხვილის გრძნობა, რაც ერთადერთი სანთლით განათებულ სარეცელზე წამომჯდარი ცოლის კარგა ხანს შემყურეს აეკვიატა. მდუმარე სომსი ნელა გამოვიდა ცოლის საწოლიდან.

ახლა თვითონვე უკვირდა თავისი საქციელი.

ამ შემთხვევამდე ორი ღამით ადრე, სომსი უინიფრიდ დარტისთან იყო სადილად. იქ მყოფმა მაკენდერმა სომსს თავისი მახვილი, მომწვანო თვალებით ჩახედა სახეში და უთხრა:

- მაშ, თქვენი ცოლი დიდად მეგობრობს არა ბოსინის?

სომსს არ უკითხავს მაკენდერისთვის, რას გულისხმობდა ამ დიდ მეგობრობაში. იგი თვითონ ჩაუფიქრდა მაკენდერის ნათქვამს.

იმ ენაჭარტალა ქალის ნათქვამმა სომსში მძვინვარე ეჭვი აღძრა, რომელიც ამ ინსტინქტისთვის დამახასიათებელმა წარყვნილობამ შმაგ სურვილში გადაზარდა.

მაკენდერის სიტყვები სომსის საქციელის მამოძრავებელი ძალა შეიქნა. ამ სიტყვებით გაგულისებულ სომსს ცოლის საწოლი ოთახის კარი შემთხვევით ღიად დარჩენილი დაუხვდა. აირენს ტკბილი ძილით ეძინა. ძილმა ავი ფიქრები გაუფანტა, მაგრამ დილით კვლავ მოეჯარნენ ეჭვები. ერთი აზრი ამშვიდებდა: ეს ისეთი რამ არ იყო, რომ აირენს მასზე ხმის დაყრა გაებედა და, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო, დაასკვნა.

როცა სომსის ყოველდღიური საქმიანი ცხოვრების ეტლმა, რომელიც ძალიან დაკვირვებულ, ნათელ, პრაქტიკულ აზროვნებას მოითხოვდა, ჩამოიქროლა და სომსის წინ დასტა-დასტად და-

ყარა წერილები, რომელთა კითხვას "მესაკუთრე" მაშინვე შეუდგა, ის კოშმარული ეჭვიანობა მის ცხოვრებაში თანდათან განელდა და ნაკლები ყურადღების საგანი შეიქნა. ისეთი არაჩვეულებრივი არც არაფერი მომხდარა; ქალები მხოლოდ წიგნებში ტეხენ ხოლმე ასეთ რამეზე აურზაურს; მაგრამ თუ ცივი გონებით განვსჯით და საკითხს საღად მოაზროვნე კაცის, მაღალი წრის კაცის გონებით გადავწყვეტთ, როგორც სომსს ახსოვს, განქორწინების საქმეების განხილვის დროს ასეთი მოქმედება მოწონებასაც კი იმსახურებს. თავის საქციელით მან ხომ ქორწინების სიწმინდე დაიცვა, აირენს თავისი მოვალეობა მოაგონა. და, ვინ იცის, თუ კვლავ ხვდება ბოსინის, ხელიც შეუშალა... არა, ის არ ნანობს თავის საქციელს.

შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი რომ ასე წარმატებით გადადგა, შემდეგი ნაბიჯი შედარებით... შედარებით...

სომსი ადგა და სარკმელთან მივიდა. ნერვები მაინც ვერა ჰქონდა კარგად. იმ უსაშველო ქვითინისა და გულამოსკვნილი ტირილის ხმა ისევ ყურებში უწიოდა. ვერ იქნა და თავი ვერ დააღწია ამ ხმებს.

სომსმა ბეწვის პალტო ჩაიცვა და ნისლიან ქუჩაში გამოვიდა. სიტიში რომ მოხვედრილიყო, სლოუნსკვერის სადგურიდან მიწისქვეშა მატარებლით უნდა ემგზავრა.

იგი პირველი კლასის კუპეში შევიდა, რომლითაც ჩვეულებრივ მაღალი წრის ხალხი მგზავრობს ხოლმე, კუთხეში მიჯდა, მაგრამ ქვითინი ახლაც ჩაესმა ყურებში. სომსმა "ტაიმსი" შრიალით გაშალა (ამ ბოლო დროს, ამ გაზეთმა სულ უფრო და

უფრო კი უკლო შრიალს), მერე გაზეთი ისე დაიჭირა, რომ საფრადაც გამოსდგომოდა და ახალი ამბების კითხვას მოჰყვა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველი საქმეების კარგა მოზრდილი სია გადასცესო - ამოიკითხა "ტაიმსში". მერე მიჰყვა და სამი განზრახ, ხუთი კი შემთხვევით მკვლელობის, შვიდი ცეცხლის წაკიდების, თერთმეტი გაუპატიურების (უჩვეულო იყო ასეთი დიდი ციფრები) და მრავალი წვრილმანი დანაშაულის შინაარსი ამოიკითხა, რომელთა მოსმენა მომავალი სესიისთვის დაენიშნათ; ერთი ამბიდან მეორეზე თვალი ისე გადაჰქონდა, რომ საფრად მომარჯვებული გაზეთი სახიდან არ მოუცილებია.

კითხვისას სომსს განუყრელად ჰქონდა აკვიატებული აირენის მტირალი სახე და მისი გულიდან აღმომსკდარი ქვითინის სულში ჩამწვდომი ხმა.

იმ დღეს, თითქოს განგებ, აუარებელი საქმე დაუხვდა: ჩვეულებრივ საქმეებთან ერთად თავისი მაკლერები გრინი და გრინინგი უნდა ენახა, რომ მათთვის "ახალი ქვანახშირის კომპანიის" აქციების გაყიდვა დაევალებინა. ამ კომპანიის საქმეები, როგორც თავისი ალღოთი ხვდებოდა, ცუდად მიდიოდა (შემდგომში ეს წარმოება თანდათანობით დაკნინდა და ამერიკულ სინდიკატს ჩალის ფასად მიჰყიდეს); უოტერბუკთანაც იმ დღეს ჰქონდა დანიშნული შეხვედრა, იქ უნდა ყოფილიყო აგრეთვე სამეფო ვექილის თანაშემწე და თვითონ უოტერბუკის თანაშემწე ბოულტერიც.

სამოქალაქო საქმის "ფორსაიტი ბოსინის წინააღმდეგ" განხილვა მეორე დღისთვის დაენიშნათ და მოსამართლედ ბენტამი გამოეყოთ.

მოსამართლე ბენტამი საღი გონებითა და გამჭრიახობით უფრო იყო ცნობილი, ვიდრე ღრმა იურიდიული ცოდნით. სომსის ვექილებისა და თვით სომსის აზრით, ბენტამი მათთვის პირდაპირ ზედგამოჭრილი კანდიდატურა გახლდათ. იგი ძალიან "მკაცრ" მოსამართლედ ითვლებოდა.

უოტერბუკი საუბარში აშკარად უხეშად ექცეოდა და არად აგდებდა ბოულტერსა და ფისკს, მაშინ როცა სომსისადმი გადაჭარბებულ თავაზიანობას და ყურადღებას იჩენდა. იგი ან ინსტინქტით გრძნობდა, ანდა ნამდვილად იცოდა, რომ საქმე შეძლებულ მესაკუთრესთან ჰქონდა.

უოტერბუკი კვლავ მტკიცედ ადგა ადრევე მის მიერ წერილობით გამოთქმულ აზრს, რომ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა დამოკიდებული იქნება მხარეთა ჩვენებაზეო. რამდენიმე ნათელი შენიშვნით მან მიახვედრა სომსი, რომ ჩვენების მიცემის დროს ძალიან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. და ყველაფრის ზუსტად თქმაც არ ივარგებდა:

- ცოტა მეტი რწმენა, მისტერ ფორსაიტ, ცოტა მეტი რწმენა! - თქვა ეს და დარბაისლურად ჩაიცინა, მერე ტუჩები მოკუმა და, ისარგებლა რა იმით, რომ პარიკი უკან გადაწეული ჰქონდა, თავი მოიფხანა. იგი მართლაც პირწავარდნილი ჯენტლმენი-ფერმერი იყო, რადაც ასე ძალიან უყვარდა თავის გასაღება.

სომსი შინ ისევ მიწისქვეშა რკინიგზით დაბრუნდა.

სლოუნსკვერზე ნისლმა კიდევ უფრო მეტად ჩამობურა ყველაფერი. ადამიანები ბურუსში ხელის ცეცებით მიმოდიოდნენ; მოსიარულეთა შორის ქალები იშვიათად მოჩანდნენ, მაგრამ

ვინც იყო, ჩანთებს გულზე იდებდნენ და პირს ცხვირსახოცით იფარავდნენ.

ფარნების მკრთალ შუქზე ყველაფერი ისე ბუნდოვნად და მქრქალად მოჩანდა, რომ ეტლების კოფოებზე ჯადოსნურ მოჩვენებასავით ჩანდნენ მეეტლეები. მათ ქვაფენილამდე არც კი მიჰყავდათ მგზავრები, რომლებიც ეტლებიდან ჩამოსვლისთანავე დამფრთხალი კურდღლებივით მიცანცალებდნენ სახლებში.

ჯანღში მოარულ ადამიანთა მოჩვენებანი თავის წილ ნისლის სუდარაში იყვნენ გახვეულნი და ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევდნენ.

დიდ ბაკში შელალულ კურდღლებს თავ-თავიანთი ინტერესები აქვთ. განსაკუთრებით კი იმათ, რომლებსაც უფრო ძვირფასი ბეწვი აქვთ და ნისლიან დღეში კების ნაცვლად მიწისქვეშა რკინიგზით მოგზაურობას ირჩევდნენ.

მიწისქვეშა სადგურის შესასვლელთან, სომსისგან არცთუ დიდ მანძილზე ვიღაცის სილუეტი მოჩანდა.

ეს ვიღაც მეკობრე ან შეყვარებული უნდა ყოფილიყო, რომელთა შესახებ თითოეული ფორსაიტი ასე ფიქრობდა: "საცოდავი! ისე გამოიყურება, რომ ძალიან უნდა უჭირდეს!" მათი კეთილი გული სიბრალულისგან დნებოდა ბურუსში მომლოდინე შეყვარებულთა დანახვაზე; მაგრამ ისინი ფეხს არ შეანელებდნენ, ვინაიდან კარგად უწყოდნენ, რომ ფული და დრო ადამიანმა მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის უნდა დახარჯოს.

სადგურის შესასვლელთან ატუზულმა ადამიანმა, რომელსაც სიცივისგან თავდასაცავად ქუდი ჩამოეფხატა, მხოლოდ აქეთ-იქით ბოლთისმცემი პოლიციელის ყურადღება მიიპყრო.

სიცივისგან წამოწითლებულს, სახეც ტანჯულისა ჰქონდა. იგი დროდადრო იკიდებდა სახეზე ხელს. ამას ან იმიტომ სჩადიოდა, რომ მომძლავრებული ნაღველი მოეშორებინა, ანდა ძალას იკრებდა, რომ ლოდინის მოთმინება ჰქონოდა. მაგრამ მომლოდინე შეყვარებული (თუკი შეყვარებული გახლდათ) ან არ იყო პოლიციელის ყურადღებას ჩვეული, ან ისე წაეღო თავის ნაღველს, რომ ვერც ამჩნევდა, პოლიციელს ნიშანში ამოღებული ვყავარო. იგი ალბათ კარგა ხანია მიეჩვია ლოდინს, ნაღველს, ნისლს და სიცივეს. ყველაფერს აიტანდა, ოღონდაც მისი სატრფო მოსულიყო. სულელო მიჯნურო! ნისლი ზაფხულამდე გასტანს; ამას თოვლი და წვიმაც დაემატა და თავშესაფარს ვერსად იპოვი; გულის მომწყვლელი კაეშანი არ აგცდება, თუ ძალას ატან და შენს შესახვედრად გარეთ გამოგყავს, ასევე გულის მომწყვლელი კაეშანი არ აგცდება, თუ შინ ჯდომას ურჩევ.

"მაგნაირს ასე ეკადრება: ადამიანმა თავისი საქმის მოწყობა უნდა იცოდეს!"

ასე ასკვნიდნენ ფორსაიტები, მაგრამ ეს რომ შეძლებულ კაცს დამართნოდა და სიცივესა და ნისლში შეყვარებულის მომლოდინე გარეთ მდგარიყო, მაშინ სხვაგვარად იტყოდნენ, - საბრალო! ძალიან გაჭირვებულ დღეშია!

სომსმა კები დაიქირავა და სახლისკენ გასწია. მეეტლემ ნელა გაატარა სლოუნსტრიტი, ბრომპტონ როუდი და მონტპელიესკვერზე ხუთი საათისთვის მიიყვანა.

ცოლი შინ არ დაუხვდა. მოსამსახურემ უთხრა, თხუთმეტი წუთის წინ გავიდაო. ასე გვიან, ამნაირ საშინელ ბურუსში! რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე?

სომსი სასადილო ოთახში ანთებულ ბუხრის წინ დაჯდა, აღელვებისგან სული ყელში ებჯინებოდა და ცდილობდა, საღამოს გაზეთი წაეკითხა. ასეთ დროს წიგნი არ ვარგა. აღშფოთებული ადამიანის დაწყნარება მხოლოდ გაზეთს თუ შეუძლია, რომელიც ბანგივით მოქმედებს. გაზეთში გამოქვეყნებულმა ჩვეულებრივი შემთხვევების წაკითხვამ ოდნავ დაამშვიდა. "მსახიობის თვითმკვლელობა", "სახელმწიფო მოღვაწის მძიმე ავადმყოფობა", "ოფიცრის განცხადება გაყრის თაობაზე", "ხანძარი მაღაროში", - ყველაფერი წაიკითხა. ოდნავ ეშველა. ეს შემთხვევები ხომ ყველაზე დიდი მკურნალის - ჩვენი გემოვნებისა და მიდრეკილების მალამოა.

შვიდი საათი იქნებოდა, როცა აირენი დაბრუნდა.

წინაღამეს მომხდარი ინციდენტის სიმძაფრე სომსის არსებაში აირენის უდროო დროს ბურუსში წასვლამ გაანელა. მაგრამ ახლა, როცა აირენი შინ მშვიდობიანად დაბრუნდა, კვლავ გაახსენდა ის გულისმომწყვლელი ქვითინი და ცოლთან პირისპირ შეხვედრის აზრმა ააფორიაქა. მან უკვე კიბეზე შემოდგა ფეხი; რუხი ბეწვის ქურქი მუხლამდე სწვდებოდა, აწეული საყელო კი იმდენად განიერი ჰქონდა, რომ სახეს უფარავდა.

სომსის დანახვაზე არც შემობრუნებულა, არც გამოლაპარაკებია. მოჩვენება, ან მთლად უცხო სტუმარი არ ჩაივლიდა ასე მდუმარედ.

სუფრის გასაშლელად მოსულმა ბილსონმა უთხრა, რომ მისის სომსი სასადილოდ დაბლა არ ჩამოვა, ნაბრძანები მაქვს, სადილი მაღლა მივართვაო.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ სომსმა სადილისთვის ტანსაცმელი არ გამოიცვალა; ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ სასადილოდ გათხუპნილი მანჟეტებით იჯდა, მაგრამ არც შეუმჩნევია. მას საღვინე ჭიქა ეჭირა ხელში და ფიქრებში იყო წასული. მერე ბილსონი იხმო, სურათების ოთახში ცეცხლის დანთება უბრძანა და თვითონაც მალე იქ გაჩნდა.

გაზის ლამპას აუწია და ისე ამოიოხრა, თითქოს ამ პატარა ოთახში კედლისკენ პირშექცეული განძის ხილვისას სულიერი სიმშვიდე დაიბრუნაო. მერე თავის ყველაზე დიდ განძს, ტერნერს(ტერნერი (1775-1851 წწ.) - ცნობილი ინგლისელი მხატვარი-პეიზაჟისტი.) მიეახლა, მოლბერტზე დადო და სინათლისკენ მოაბრუნა. ტერნერის სურათების ფასმა იმ წლებში საგრძნობლად აიწია, მაგრამ სომსი ამ სურათს ვერ ელეოდა. სომსი კარგა ხანს იდგა ასე. ფერმკრთალი, სუფთად გაპარსული სახე მაღალ საყელოში წინ წამოეშვირა და სურათს ისე შეჰყურებდა, თითქოს მისი შეფასება სურსო. მერე თვალებში ნაღველი გამოუკრთა; თითქოს ფასი ხელსაყრელი არ ეჩვენა და იმაზე დაღონდაო. სურათი მოლბერტიდან ჩამოიღო და კვლავ კედლისკენ პირშექცევით მიაყუდა; ოთახიდან რომ გამოდიოდა, შეჩერდა. ისევ იმ გულისმომწყვლელი ქვითინის ხმამ შეზარა...

სინამდვილეში აირენი აღარ ქვითინებდა - ეს აკვიატებული ქვითინის ხმა სომსს დილანდელივით ედგა ყურებში. მალე გახურებულ ბუხარს დამცველი ვეშაკი ჩამოაფარა და დაბლა ჩამოვიდა.

"განსჯა ყოველთვის დილით, დასვენებული გონებით სჯობს!" - გაიფიქრა მან და დასაძინებლად გაემართა, მაგრამ ვიდრე დაიძინებდა, დიდხანს იბორგა.

იმ ნისლში შთანთქმულ დღეს მომხდარი შემთხვევები რომ ავხსნათ, ჯორჯ ფორსაიტის კვალს უნდა მივყვეთ.

ჭკუამახვილმა ჯორჯმა, რომელიც ერთადერთი სპორტსმენი იყო ფორსაიტებს შორის, ის დღე მამისეულ სახლში რომანის კითხვაში გაატარა. იმხანად ჯორჯს ფინანსურ საქმეებში კრიზისი დაატყდა თავს და მამამ პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ სახლში იჯდებოდა.

დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც გარეთ გამოვიდა და საუთ კენსინგტონის სადგურისკენ მიწისქვეშა რკინიგზით გასწია (ნისლის გამო იმ დღეს ყველანი მიწისქვეშა რკინიგზით ამჯობინებდნენ მგზავრობას). ჯორჯი იმ განზრახვით მოდიოდა, რომ "რედ პოტლში" ესადილა, რომელიც არც კლუბი გახლდათ, ვერც სასტუმროს მიამსგავსებდით, არც რესტორანი იყო, და საღამო ბილიარდის თამაშში გაეტარებინა.

ჯორჯი პარკის სადგურთან უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ჩარინგ კროსთან ჩამოსვლა ირჩია იმ განზრახვით, რომ ჯერმინსტრიტს უფრო განათებული ქუჩებით მივაღწევო.

ბაქანზე - გარდა ფეშენებელური და წყნარი შეხედულებისა, ჯორჯს ძალზე მახვილი თვალი ჰქონდა და ყოველთვის გაფაციცებული იყო, რომ თავისი მქირდავი იუმორისთვის რამე საკბილო გამოენახა. მისი თვალები იმ კაცმა მიიპყრო, რომელიც პირველი კლასის ვაგონიდან გადმოხტა და ბორძიკით გაემართა გასასვლელისკენ.

ეს კარგი ჩიტი გამოვიჭირეო, თავისთვის ჩაილაპარაკა ჯორ-ჯმა და უზარმაზარი სხეულით ბოსინის აედევნა. ჯორჯს ისე არაფერი ართობდა, როგორც მთვრალი კაცი.

ბოსინი, რომელიც ჩვეულებრივ ფარფლებდაშვებულ ქუდს ატარებდა, მის წინ შეჩერდა, შებრუნდა და შესასვლელად ისევ იმ ვაგონის კარს ეცა, რომლიდანაც ეს-ეს იყო გადმოვიდა. მებარგე პალტოში ჩააფრინდა, ვინაიდან მატარებელი უკვე დაიძრა.

ჯორჯის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია ის რუხქურქიანი ქალი, რომელიც მატარებლის ფანჯრიდან ბოსინის შეჰყურებდა, იმ ქალში ჯორჯმა მისის სომსი შეიცნო და ამ ამბავმა ძალზე დააინტერესა!

ჯორჯი ახლა ფეხდაფეხ მიჰყვა ბოსინის, რომელიც ჯერ ზე-ვით ავიდა, მერე კოლექტორის თავთან მდგარ ბილეთის გამსინ-ჯავს გვერდით ჩაუარა და ქუჩაში გავიდა. ბოსინის უკან დევნასა და ყიალში ჯორჯს მისდამი გრძნობები შეეცვალა; ახლა იგი ცნო-ბისმოყვარეობისა და გართობის გულისთვის კი აღარ სდევდა ლანდივით ამ საცოდავ ყმაწვილს, არამედ მისი ბედი აწუხებდა. "მეკობრე" მთვრალი არ იყო; ეტყობოდა, მძიმე სულიერი აღელ-ვების გამო იყო ასე გაოგნებული და დარეტიანებული; იგი თავის თავს ელაპარაკებოდა და ჯორჯმა იმასაც კი მოჰკრა ყური, რო-გორც აღმოხდა "ოჰ, ღმერთო"; ბოსინი შეშლილივით ჩერდებო-და, ყოყმანობდა და ისევ მიდიოდა; ჯორჯმა, რომელიც სამას-ხროდ და გასართობად აედევნა მას, ახლა გადაწყვიტა, თვალი არ მოეშორებინა ამ საცოდავი ყმაწვილისთვის.

ალბათ ძლიერი სულიერი ტრავმა მიიღო, ძალიან ძლიერი სუ-ლიერი ტრავმა! ჯორჯმა ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, ისეთი რა

უნდა ეთქვა მისის სომსს იმ ვაგონში ბოსინისთვის, რომ ასე ძლიერ აეღელვებინა. მაინცდამაინც კარგად ვერც მისის სომსი გამოიყურებოდა. და ჯორჯი ნამდვილად შეაწუხა მარტოდ დარჩენილი ქალის მწუხარებამ.

მაღალი და ბრგე ჯორჯი ხმაამოუღებლად, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ამ უსაშველო ნისლში ბოსინის და მოხერხებულად უქცევდა გვერდს შემხვედრ მოსიარულეთ. ეტყობოდა, ხუმრობა საქმე არ იყო! მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯი ოდნავ აღელდა, თავი მაინც მშვენივრად ეჭირა. მასში გულშემატკივრობის გარდა, იმ მონადირის ინსტინქტმაც გაიღვიძა, რომელიც გაქცეულ ნადირს დაედევნება ხოლმე.

ბოსინი მთავარი ქუჩის შუაგულში მიაბოტებდა. ჩამოწოლილ ნისლს ყველაფერი ისე დაებურა, რომ ექვს ნაბიჯზე უკვე აღარაფერი ჩანდა; აქეთ-იქიდან სმენამდე მიღწეული ხმები და სტვენა თითქოს დასცინოდნენ, გზით გაკვლევას რომ ლამობდა. ეტლთა ლანდები უეცრად ჩნდებოდა და უჩინარდებოდა კიდეც; ხანდახან აქა-იქ გამომკრთალი სინათლე უკიდეგანო ზღვის წყვდიადიდან მქრქალად გამოჩენილი კუნძულივით მოჩანდა.

უკუნეთის ამ სახიფათო მორევში მიმსრბოლავ ბოსინის ასევე სწრაფად სდევდა უკან ჯორჯი. თუ "მეკობრე" ომნიბუსის ქვეშ თავის შედებას განიზრახავს, ჯორჯი შეაჩერებს, თუ მიუსწრო!

ბოსინი სხვებივით ხელის ცეცებით არ მიიკვლევდა გზას ნისლის წყვდიადში, იგი ისე მიქროდა, თითქოს ერთგულ ჯორჯს ეპყრა მისი სადავეები და შოლტის ტყლაშუნით მიერეკებოდა. მხეცს დადევნებულ მონადირესავით ბოსინის კვალში დევნამ ჯორჯს უცნაური კმაყოფილება მოჰგვარა.

სწორედ იმ დროს საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა და ამიტომ ჯორჯის მეხსიერებაში ყოველივე ცოცხლად აღიბეჭდა. ნისლში შეჩერებულმა ბოსინიმ რამდენიმე სიტყვა წაიბურტყუნა, რამაც ჯორჯისთვის ბნელით მოცულ საქმეს ნათელი მოჰფინა. ის, რაც მისის სომსმა ვაგონში უთხრა ბოსინის, ჯორჯისთვის უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა. ბოსინის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიდან ჯორჯმა შეიტყო, რომ სომსმა - ცოლისგან უარყოფილმა, აირენისთვის არასასურველმა მეუღლემ, საკუთრების წმინდა აქტით აღადგინა თავისი უფლება ცოლზე, როგორც საკუთრებაზე.

ჯორჯის ფანტაზიამ წარმოსახვათა ფართო ველზე გადინავარდა და შექმნილმა მდგომარეობამ ძალზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ჯორჯი ნაწილობრივ მიხვდა ბოსინის სულიერ ტკივილს, სექსუალური კონფუზიისა, გულის წუხილის მიზეზს და გაიფიქრა: "დიახაც მძიმე განსაცდელი დასტყდომია თავს! არც მიკვირს, რომ ეგ საცოდავი თავში დაკრულივითაა".

დაბოლოს, ბოსინი ტრაფალგერსკვერზე ერთ-ერთი ლომის- (ტრაფალგერსკვერზე ერთ-ერთი ლომი - იგულისხმება ლომის გამოსახულება ადმირალ ნელსონის ქანდაკების ფეხებთან.) ქვეშ დადგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ნისლის წყვდიადს ლომიც მათსავით შთაენთქა. ბოსინი გახევებული და დადუმებული იჯდა აქ და ძმური თანაგრძნობით გამსჭვალული ჯორჯი სკამს უკან გარინდულიყო. ჯორჯი ამ დროს მოკლებული არ იყო ერთგვარ თავაზიანობას. რაკი იმდენ თავშეკავებას იჩენდა, რომ ბოსინის იმ ტრაგედიაში არ ერეოდა. ჯორჯიც თავს უკან წამომდგარ ლომის ქანდაკებასავით დადუმებულიყო და მოქმედების განვითა-

რებას ელოდა. ბეწვის საყელო მაღლა აეწია და დამკრახული, ხორცსავსე ლოყები პალტოს საყელოში ჩაემალა. თვალების გარდა, რომლებშიც რაღაც დამცინავი თანაგრძნობა იხატებოდა, არაფერი მოუჩანდა. მათ წინ ადამიანები მიდი-მოდიოდნენ, ზოგი სამსახურიდან კლუბისკენ მიემართებოდა, ზოგს კი, ვინ იცის, საით ჰქონდა აღებული გეზი? მათი გამოსახულებები ნისლში მოჩვენებასავით ჩნდებოდა და ისევ მოჩვენებებივით უჩინარდებოდა. ჯორჯის მხიარულ, ოხუნჯობის მოყვარულ გულში თანაგრძნობამაც კი ვერ ჩაახშო იუმორის გრძნობა. მას ერთი სული ჰქონდა, გაეჩერებინა ნისლში ლანდივით გამოჩენილი რომელიმე ადამიანი და ხმამაღლა ეთქვა: "ეი, შენ, ჯონი! ამნაირ სანახაობას ხშირად ვერ იხილავ! აი, აგერ ზის საცოდავი სატანა, რომელსაც საყვარელმა ძალიან საგულისხმო ამბავი ამცნო თავის ქმარზე. მოდით, აქ, მოდით და ნახეთ, როგორ თავში დაკრულივითაა მას მერე ეს უბედური!"

ჯორჯმა წარმოიდგინა, როგორ შეიკრიბებოდნენ გამვლელები და თვალდაჭყეტილნი დაუწყებდნენ ცქერას წამებულ შეყვარებულს. მას წინასწარ ეცინებოდა, როცა გონებაში წარმოიდგენდა ვინმე ახალდაოჯახებულ პატივსაცემ მოჩვენებას, რომელიც იმის გამო, რომ ცოლი ახალშერთული ეყოლებოდა, ოდნავ მაინც გაიგებდა, რა ყოფაშიც იყო ბოსინი; ჯორჯი გონების თვალით ჭვრეტდა, განცვიფრებისგან როგორ დააღებდა პირს ის ახალცოლშერთული მოჩვენება და როგორ თანდათან უფრო და უფრო გაუფართოვდებოდა დაღებული პირი და შიგ ნისლი ჩაუდგებოდა. ჯორჯს სძულდა საშუალო კლასის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ცოლიანები - რომელთათვისაც ჩვეულებრივი

იყო ის აღტყინებული განწყობილება, რაც მისი კლასის სპორ-ტსმენებს ახასიათებდათ.

ჯორჯს მოუთმენლობამ დარია ხელი. იგი მოლოდინს ვერ იტანდა.

"ბოლოს და ბოლოს, - ფიქრობდა ჯორჯი, - საცოდავი თავს როგორმე მოერევა; ეს ხომ ამ პატარა ქალაქში პირველი შემ-თხვევა არაა!" მაგრამ სწორედ ამ დროს ბოსინიმ ისევ დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ შმაგი სიძულვილისა და სიფიცხის გამომხატ-ველი სიტყვების წამოსროლა. უეცარი იმპულსის წაბიძგებით ჯორჯმა ბოსინის მხარზე შეახო ხელი.

ბოსინი უცებ შებრუნდა.

- ვინა ხართ და რა გნებავთ? - იკითხა მან.

ფარნების შუქზე ან ჩვეულებრივ სინათლეზე ჯორჯი მშვე-ნივრად დააღწევდა თავს ასეთ მდგომარეობას. ასეთ ადგილზე მასზე მოხერხებული და მცოდნე ადამიანი ცოტა თუ მოიძებნე-ბოდა. მაგრამ ამ ნისლში, სადაც ყოველივე პირქუში, მოჩვენები-თი, ფასდაკარგული მოჩანდა (ფორსაიტებს ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ სამყაროში ყოველივე ფასდადებული უნდა ყოფი-ლიყო), უცნაურმა შიშმა შეაყოვნა. ჯორჯი ცდილობდა, ამ მა-ნიაკის მზერისთვის გაეძლო, მის წინაშე ძირს არ დაეხარა თვა-ლები და სწორედ ამ დროს გაიფიქრა:

"პოლიციელს თუ მოვკარი თვალი, ბოსინის აუცილებლად ჩა-ვაბარებ, ამისი მარტო გაშვება არასგზით არ იქნება".

პასუხი რომ დროზე ვერ მიიღო, ბოსინი ისევ ნისლში გაუჩი-ნარდა. ჯორჯიც უკან გაჰყვა, მაგრამ წინანდელზე უფრო შორ

მანძილზე მისდევდა, თუმცა გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, დევნა არ შეეწყვიტა.

"რამდენ ხანს ივლის ასე, - ფიქრობდა ჯორჯი, - ღვთის წყალობაა, რომ აქამდეც რამემ არ გასრისა". ჯორჯს პოლიციელი გადაავიწყდა, რადგან სპორტსმენის გულში კვლავ აგიზგიზდა სიამოვნების ის წმიდათაწმიდა ცეცხლი, რასაც ნადირის დევნა იწვევს ადამიანში.

ნისლი კიდევ უფრო მომძლავრდა, მაგრამ ბოსინის სრბოლისთვის ამას ხელი არ შეუშლია. მან უფრო უმატა ნაბიჯს; მისმა მდევარმა კი წინმავალის უაზრო სრბოლაში ღრმად დაფარული აზრი იპოვა. ბოსინი დასავლეთისკენ მიილტვოდა.

"ეჭვი არ არის, სომსისკენ მიდის", - გაიფიქრა ჯორჯმა. ეს იდეა მიმზიდველი ეჩვენა. ნადირობას ნამდვილი სპორტული დასასრული ექნებაო, გაჰკრა გონებაში. ჯორჯს სძულდა თავისი ბიძაშვილი.

ჩამოვლილი ეტლი მხარზე გაეხახუნა და შემკრთალი ჯორჯი უკან გადახტა. სიცოცხლეს იგი არც "მეკობრეს" შესწირავდა და არც სხვა ვინმეს. მაგრამ მემკვიდრეობითი შეუპოვრობა აიძულებდა, მიჰყოლოდა ბოსინის კვალს ამ ბურუსში, რომელსაც გარდა წინმავალი კაცის ლანდისა და უახლოესი ფარნის ნათელისა, ყოველივე დაეფარა.

უცებ, იმ ადამიანის ინსტინქტით, რომელიც მისი დღე და მოსწრება ქალაქის ცენტრში დაწანწალებს, ჯორჯმა იგრძნო, რომ პიკადილზე მოხვდა. აქ მას თვალდახუჭულს შეეძლო სიარული. რაკი გეოგრაფიულად გზის გაგნებაზე ფიქრი თავიდან მოიშორა, მისი გონება ისევ ბოსინის ტანჯვა-წამებას გადასწვდა.

ჯორჯს ახალგაზრდობაში თავს გადახდენილ სასიყვარულო ამბავთა გრძელ ხეივანში ამოტივტივებული ცალკეული მოგონებები შემოეჯარა გონებაში; ჯერ კიდევ მწვავე და მტანჯველი მოგონებები, რომელთაც ამ ლონდონურ ყიამეთ ნისლში თავიანთი სურნელება, მთვარის შუქი და ზაფხულის ჯადოსნური ძალა გაახსენეს. მოაგონდა უკუნ ღამეში კუპრივით შავ მოლზე წამოწოლილი ქალი, რომლის ტუჩებმა უთხრეს, რომ მისი სხეულის მფლობელი მარტო ჯორჯი არ იყო. ამ მოგონებამ ჯორჯი მოსწყვიტა ყომრალი ბურუსით დაფარულ პიკადილს, იგი თითქოს კვლავ ღამისგან ჩაშავებულ მოლზე იწვა, ღრმად დაკოდილი გული სტკიოდა, პირქვე დამხობილს ცვრით დანამული ბალახის ტკბილი სურნელი ესალბუნებოდა, და მთვარის შუქისგან უზარმაზარ ჩინართა ხშირფოთლიანი ტოტები იფარავდა.

ჯორჯს დიდი სურვილი ჰქონდა, "მეკობრესთვის" ხელი გადაეხვია და ეთქვა: "დრო ყველაფერს კურნავს, წამო, შე ძველო, და ერთი მაგრად დავლიოთ!"

ამ დროს ვიღაცამ დაჰკივლა და შემკრთალი ჯორჯი უკან გადახტა. ყომრალ ნისლიდან გამომძვრალი ეტლი სიბნელეშივე გაუჩინარდა. უცებ ჯორჯმა იგრძნო, რომ ბოსინი დაკარგა. იგი წინ გავარდა, ისევ უკანვე დაბრუნდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ამაოდ. გული იმ მტანჯველი ბნელი შიშისგან ეკუმშებოდა, რომელიც ნისლის ფრთებქვეშაა მიმალული. შუბლი ცივმა ოფლმა დაუფარა. ჯორჯი ადგილზე გაქვავდა და სულგანაბული სმენად იქცა.

- და აქ, - როგორც იმ საღამოსვე "რედ პოტლში" ბილიარდის თამაშისას უყვებოდა დარტის, - დავკარგე იგი.

დარტიმ თვითკმაყოფილი იერით გადაიგრიხა შავი ულვაში. მან თავის ხელზე რამდენიმე ბურთი "დუპლეტი" ერთბაშად ჩაყარა ლუზში და ოცდასამი ქულა დააგროვა.

- ის მანდილოსანი ვინღა იყო? - იკითხა დარტიმ.

ჯორჯმა ნელა ახედა "მაღალი წრის" კაცის ნაპატიებ, ფერმიხდილ სახეს და ლოყებსა და თვალებზე პირქუში ღიმილი გამოეხატა.

"ვერ მოგართვი, ჩემო კეთილო ყმაწვილო, - გაიფიქრა ჯორჯმა, - მე შენ არაფერსაც არ გეტყვი", - ჯორჯი, მართალია, ხშირად ატარებდა დროს დარტისთან, მაგრამ მასზე კარგი აზრისა არ იყო.

- ვიღაც კარგი შესახედავი ქალი, - წარმოთქვა ჯორჯმა და კიის ცარცი წაუსვა.

- მშვენიერი შესახედავი ქალი, - წამოიძახა დარტიმ. მან უფრო მაგარი ფიგურალური გამოთქმა მოიშველია, - დარწმუნებული ვარ, ის ჩვენი მეგობრის სომ...

- თქვენ ასე ფიქრობთ? - უცებ იკითხა ჯორჯმა და დარტის სიტყვა პირზე შერჩა, - თუ ასე ფიქრობთ, ნამდვილად შეცდით!

ჯორჯმა ბურთი ბურთს დააცილა. იგი სიფრთხილის გამო ამ საკითხზე ლაპარაკს აღარ დაჰბრუნებია და იმ საღამოს ბილიარდს იმდენ ხანს თამაშობდა, ვიდრე, მისივე პოეტური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, "თვალთ არ დაუბნელდა". თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ქუჩას გახედა. შავად ჩამობურული ნისლი "რედ პოტლის" სარკმლებიდან დაფრქვეულ შუქს ალაგ-ალაგ გაეპო. ძეხორციელი არ ჩანდა ქუჩაში.

- იმ "მეკობრეზე" ფიქრი თავიდან არ მშორდება, - თქვა ჯორ-ჯმა, - ალბათ კვლავ ნისლში დახეტიალებს, თუ ჯერ კიდევ არა-ფერმა გასრისა, - სასოწარკვეთილი ხმით დაუმატა მან.

- გასრისაო! - წარმოთქმა დარტიმ, რომელსაც რიჩმონდპარ-კში თავს გადახდენილი ამბავი გაახსენდა, - შენ დარდი ნუ გაქვს, ძალიან კარგადაც იქნება. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ მთვრალი არ იყო!

ჯორჯი შემობრუნდა, ვეება სახეზე მრისხანება ასახოდა და სიბრაზისგან სახე ერთიანად ჩაშავებოდა.

- მთვრალი? - ცივი ხმით იკითხა ჯორჯმა, - ხომ გითხარი, რომ მთვრალი კი არა, მწუხარებისგან დარეტიანებული იყო-მეთქი.

თავი მეხუთე

სასამართლო

იმ დილითაც, რა დღესაც "ფორსაიტი ბოსინის წინააღმდეგ" საქმე სასამართლოში განსახილველად იყო დანიშნული და რიგით მეორე უნდა ყოფილიყო, სომსი იძულებული იყო, სახლიდან აირენის უნახავად გასულიყო. ეს, ერთი მხრივ, კარგიც იყო, ვინაიდან სომსს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ცოლს როგორ მოჰქცეოდა.

სომსი სასამართლოში თერთმეტის ნახევრისთვის დაიბარეს, იმ შემთხვევისთვის, თუ პირველი საქმის (დაპირების დარღვევა) განხილვა არ შედგებოდა. მაგრამ იმედმა უმტყუნა. პირველ საქმეზე ორივე მხარემ ისეთი თავდადება, მონდომება და სიმამაცე გამოიჩინა, რომ სამეფო ვექილს უოტერბაკს შესაძლებლობა მიეცა, ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა, რომ სამოქალაქო სამართლის ამ ნაწილში (დაპირების დარღვევა) მას ტოლი არ ჰყავდა. მის მოწინააღმდეგედ ვექილი რემი გამოდიოდა და რადგან ისიც სამოქალაქო საქმის ამ ნაწილის ბრწყინვალე მცოდნედ ითვლებოდა, სასამართლო სხდომა გიგანტთა ორთაბრძოლის არენად გადაიქცა.

სასამართლო გადაწყვეტილება სწორედ საუზმის შესვენებაზე გამოიტანეს. ნაფიცმა მსაჯულებმა სკამები მიატოვეს და სომსმა იფიქრა, ცოტას მეც წავიხემსებო. სასაუზმეში იგი მამას გადაეყარა, რომელიც უდაბნოსავით ცარიელ გალერეაში პელიკანივით დასდგომოდა თავს მის წინ დაწყობილ სანდვიჩსა და ხერესს. ცენტრალური ჰოლის ფართო, ცარიელ დარბაზში, სადაც მამა-შვილი იდგა და საუზმობდა, დროგამოშვებით გამოჩნდებოდნენ ხოლმე ჩქარი ნაბიჯით მიმავალი მანტიებგადაცმული პარიკიანი ვექილები. იქვე შემთხვევით მოხვედრილიყო ჟამთა სვლისგან გახუნებულ პალტოში გამოწყობილი, წელთა სიმრავლით გატეხილი ლედი, რომელიც შიშით იცქირებოდა ზევით, სადაც სარკმლის რაფაზე თამამად ჩამომსხდარი (რასაც უფროსი თაობის წარმომადგენელნი ვერ ბედავდნენ), ორი ახალგაზრდა მოჩანდა. მათ ლაპარაკის ხმასთან ერთად მაღლა ისეთი სუნი ამოსდიოდა, რომლის მსგავსიც დიდი ხნის წინ მიტოვებულ ჭებიდან ამოქრის. ეს სუნი ძველთაძველი ნესტიანი გალერეის თავისებურ სუნში ირეოდა და, საბოლოოდ, ეს თაიგული ამყრალებული ყველის სურნელით ჟღენთდა გარემოს, რაც ინგლისური სასამართლოს შენობებისთვის აგრერიგადაა დამახასიათებელი.

მალე ჯეიმსი შვილს გამოელაპარაკა.

- შენს საქმეს როდის დაიწყებენ? მე მგონი, გამოვლენ თუ არა, მაშინვე შენი საქმის განხილვას შეუდგებიან. არ გამიკვირდება, თუ ბოსინი ღობე-ყორეს მოედო; მე მგონია, სწორედ აგრე იზამს. ის ხომ გაკოტრდება, თუ საქმე წააგო, - მან სანდვიჩის კარგი დიდი ნაჭერი პირში მოიგდო და ხერესი დააყოლა, - დედამ დამაბარა, რომ შენ და აირენი ვახშმად ჩვენთან მოხვიდეთ.

სომსს ტუჩებზე ყინულივით ცივმა ღიმილმა გადაურბინა; მან მამას ახედა. უცხოსთვის, ვინც სომსის ამ ცივსა და იდუმალებით მოცულ მზერას მოჰკრავდა თვალს, შეგეძლოთ გეპატიებინათ, თუ მამასა და შვილს შორის არსებულ ურთიერთგაგებას სათანადოდ ვერ შეაფასებდა.

ჯეიმსმა დარჩენილი ხერესი ერთ ყლუპად გადაკრა.

- რამდენი? - იკითხა მან.

სასამართლო დარბაზში დაბრუნებულმა სომსმა მაშინვე თავის ადგილს მიაშურა და პირველ რიგში დაჯდა თავისი ვექილის გვერდით. მან ქურდულად მოავლო თვალი დარბაზს, რომ დაენახა, სად დაჯდა მამამისი.

ჯეიმსი უკან ჩამომჯდარიყო, ხელებით ქოლგას დაყრდნობოდა და სკამის კიდეში მოკალათებულიყო, რათა სხდომის დამთავრებისთანავე გარეთ არავის გაესწრო. იგი ბოსინის საქციელს ყოვლად უმსგავსოდ და აღმაშფოთებლად მიიჩნევდა, მაგრამ მასთან პირისპირ შეჯახება არ უნდოდა, რადგან გრძნობდა, რომ შედეგი სასინანულოდ შეექმნებოდა.

გაყრის მერე ხალხი ასეთ სასამართლო სხდომებზე დასწრებას ირჩევდა. აქ ხშირად იხილავდნენ მათთვის ძალზე საინტერესო საქმეებს. ცილისწამება, პირობის დარღვევა და სხვა კომერციული საინტერესო საქმეები სულ ამ დარბაზში იხლართებოდა. ისინი, ვისაც კანონთან არაფერი აკავშირებდა, ჩვეულებრივ უკანა სკამებზე სხდებოდნენ. ქანდარაზე კი აქა-იქ ქალების შლაპები გაიკიაფებდა ხოლმე.

პარიკიანმა ვექილებმა სწრაფად შეავსეს რიგი ჯეიმსის წინ და იმწამსვე ფანქრების ფხაჭუნს, ლაყბობასა და კბილების ჩიჩ-

ქნას მოჰყვნენ; მაგრამ უოტერბაკის შემოსვლისთანავე ჯეიმსმა თავისი ყურადღება ამ მეორეხარისხოვან ვექილებს ჩამოაცილა და მთლიანად მასზე გადაიტანა. უოტერბაკი დარბაზში აბრეშუმის მანტიის შარიშურითა და შახით შემოვიდა. სამეფო ვექილის წითელი, თავდაჯერებული სახე და მოკლე შავი ულვაში ჯეიმსს იმ რწმენას უნერგავდა, რომ უოტერბაკს კითხვებით ყველას დაბნევა შეეძლო.

მიუხედავად ისეთი მდიდარი გამოცდილებისა, როგორიც ჯეიმსს ჰქონდა, იგი უოტერბაკს პირველად ხედავდა. ჯეიმსიც, ფორსაიტების უმრავლესობის მსგავსად, რომლებიც ისეთი დიდი იურისტები არ იყვნენ, რომ სასამართლოში გამოსულიყვნენ და ელაპარაკათ, პატივს სცემდა და აღფრთოვანებული იყო ასეთი ვექილების ჯვარედინი დაკითხვის ხელოვნებით.

დაღარულ სახეზე ჯეიმსს გრძელი ნაოჭები მას მერე გაუსწორდა, რაც შენიშნა, რომ აბრეშუმის მანტიამოსხმული სამეფო ვექილი მარტო სომსს დაეჭირა.

სამეფო ვექილმა უოტერბაკმა ვერც კი მოასწრო მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა და თავის თანაშემწეს გამოლაპარაკებოდა, რომ დარბაზში თვითონ მოსამართლე ბენტამი შემოვიდა. იგი გამხდარი, ქათმის მსგავსი კაცი იყო, სუფთად გაპარსული სახე ჰქონდა და თოვლივით თეთრი პარიკი ეკეთა. როგორც ყველანი, უოტერბაკიც წამოდგა და მანამდე იცდიდა, ვიდრე მოსამართლე დაჯდებოდა. ჯეიმსი მხოლოდ წამოდგა და იმწამსვე დაჯდა; იგი, ჯერ ერთი, კარგად მოკალათდა და, მეორეც, ბამლი ტომსთან გამართულ სადილზე ერთი-ორჯერ შეხვედროდა ბენტამს და პატივს არა სცემდა. მართალია, საქმეში წარმატებას მი-

აღწია, მაგრამ თვითონ ბამლი ტომსიც ბევრი ვერაფერი შვილი გახლდათ. პირველი საქმე მას სწორედ ჯეიმსმა მისცა. გარდა ამისა, ჯეიმსი აღელვებული იყო, ვინაიდან ბოსინი არა ჩანდა. "მგონი, კიდევ რაღაც ხრიკი გამოიგონა", - ფიქრობდა ჯეიმსი.

საქმის განხილვა დაიწყო. უოტერბაკმა საქმეები ხელით გვერდზე გასწია, აბრეშუმის წამოსასხამი შეისწორა, ირგვლივ მიმოიხედა, ქადაგივით უდოკუმენტებოდ სიტყვის წარმოსათქმელად მოემზადა, და პირდაპირ სასამართლოს მიმართა.

- ფაქტები უდავოა და კამათს არ გამოიწვევენ, - დაიწყო უოტერბაკმა, - პატივცემულ ლორდს მხოლოდ მის მარწმუნებელსა და მოპასუხეს შორის სახლის მორთვა-მოკაზმვაზე არსებული მიმოწერის გაცნობა მოუხდება. ჩემი აზრით, ამ მიმოწერიდან გამომდინარე, დასკვნა სავსებით ნათელია.

მერე რობინჰილში სახლის მშენებლობის ამბავიც გაიხსენა და ბოლოს განაცხადა:

- ჩემი მარწმუნებელი მისტერ სომს ფორსაიტი ჯენტლმენია, იგი შეძლებული მესაკუთრეა და არავითარ შემთხვევაში არ იკისრებდა, კანონიერი ხარჯების გადახდაზე უარი განეცხადებინა. მაგრამ არქიტექტორის მხრივ სახლის მშენებლობაზე, როგორც პატივცემულმა ლორდმა უკვე მოისმინა, უნდა დახარჯულიყო თორმეტი ათასზე გაცილებით მეტი, ვიდრე ამას პირველად შედგენილი სახლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა. ჩემმა მარწმუნებელმა არქიტექტორის ასეთი დამოკიდებულება მშენებლობისადმი პრინციპის საქმედ მიიჩნია და თავისი და, სხვების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმე სასამართლომდე მოიყვანა. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი თავდასაცავი მო-

საზრება, ჩემი აზრით, არ შეიძლება იყოს თქვენი სერიოზული განხილვის საგანი.

მერე მან ბოსინისა და სომსის მიმოწერა გააცნო მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს:

- ჩემი რწმუნებული, რომელიც "შეძლებული მესაკუთრეა", მზადაა ფიცით დაამტკიცოს, რომ მას არავითარი უფლებით არ აღუჭურვია მოპასუხე და არავითარი ნება არ მიუცია მისთვის, გადაეჭარბებინა მიმოწერაში აღნიშნული ზღვრული თანხისთვის, რაც მიმოწერაში ძალიან ნათლადაა განსაზღვრული და თორმეტი ათას ორმოცდაათ გირვანქას შეადგენს; სასამართლომ რომ ძვირფასი დრო არ დაკარგოს, იგი ახლავე იხმობს მისტერ ფორსაიტს.

მერე სომსი წამოდგა. მთელი მისი გარეგნობა გასაოცარ თავდაჭერილობაზე მეტყველებდა. იერი ოდნავ ამპარტავნული ჰქონდა, სახე ფერმკრთალი, სუფთად გაპარსული, წარბები გაყოფილი და ტუჩები მოკუმული; ტანსაცმელი სადა და უბრალოდ შეკერილი ეცვა და ცალ ხელზე ხელთათმანი ეკეთა. დასმულ კითხვებს დაბალი, მაგრამ მკაფიო ხმით პასუხობდა. მისი ჩვენება ჯვარედინი დაკითხვისას მოკლე და სხარტი პასუხებით გამოირჩეოდა.

- გამოიყენა თუ არა მიმოწერაში გამოთქმა "მოქმედების სრული თავისუფლება"?

- არა.

- როგორ თუ არა?!

- მას არ გამოუყენებია ეს გამოთქმა. იგი წერდა მოქმედების თავისუფლებაზე მიმოწერაში აღნიშნული თანხიდან გამომდინარე.

- მიიჩნევს თუ არა გამოთქმას სწორად?

- დიახ!

- რას ნიშნავს ეს?

- რასაც ამბობს!

- დაამტკიცებს თუ არა იგი, რომ ამ გამოთქმაში არ არის წინააღმდეგობა?

- ამ ფრაზაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის!

- ირლანდიელია თუ ინგლისელი?

- ინგლისელი!

- აქვს თუ არა განათლება?

- დიახ!

- სწორად მიაჩნია თუ არა თავისი ნათქვამი?

- დიახ, სწორად მიაჩნია!

ვიდრე ჯვარედინი დაკითხვა მიმდინარეობდა და სომსს იმ "საჭოჭმანო მუხლის" თაობაზე ეკითხებოდნენ და ეკითხებოდნენ, ჯეიმსს ხელი ყურზე მიედო, რომ ყველაფერი უფრო კარგად გაეგონა და შვილისთვის თვალი არ მოეშორებია.

ჯეიმსს ეამაყებოდა ასეთი შვილი! მან იგრძნო, სომსის ადგილას თვითონ რომ ყოფილიყო, თავს ვერ შეიკავებდა ცდუნებისგან და დასმულ კითხვებზე უფრო ვრცლად იტყოდა სათქმელს. მაგრამ შინაგანი ინსტინქტი ეუბნებოდა, რომ სომსი ძალიან სწორად მოიქცა. მიუხედავად ამისა, ჯეიმსმა მაინც თავისუფლად ამოისუნთქა, როცა სომსი ჯვარედინ დაკითხვაზე პასუხის გაცე-

მას მორჩა, იმავე ამპარტავნული იერით მობრუნდა, როგორიც დაკითხვაზე გასვლის წინ ჰქონდა, და თავის ადგილზე დაჯდა.

როცა ბოსინის ვექილის გამოსვლის ჯერი დადგა, ჯეიმსმა ყურადღება ორმაგად გაამახვილა და თვალებით ისევ ბოსინის დაეძებდა.

ახალგაზრდა ჩენკერიმ თავის გამოსვლა ძალიან აღელვებულმა დაიწყო; ბოსინის სასამართლოში გამოუცხადებლობამ იგი ძალზე ცუდ დღეში ჩააგდო, მაგრამ ყოველივე იღონა, რომ ეს გამოუცხადებლობაც თავისი მარწმუნებლის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

- არ შემიძლია შიშით არ განვაცხადო, - დაიწყო ჩენკერიმ, - რომ ჩემი მარწმუნებლის თქვენ წინაშე გამოუცხადებლობა მარწმუნებს, ვაითუ რაიმე უბედურება შეემთხვა. იგი აუცილებლად უნდა მოსულიყო სასამართლოში; ჩვენ სახლშიც და ოფისშიც გავგზავნეთ კაცი ჩემი მარწმუნებლის მოსაკითხად (ჩენკერიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბოსინის სახლი და ოფისი ერთსა და იმავე ადგილზე იყო, მაგრამ თქმა ასე ამჯობინა), მაგრამ იგი არც ერთგან არ აღმოჩნდა, და საოცარი სწორედ ესაა, ვინაიდან მისტერ ბოსინი ძალიან იჩქაროდა ჩვენების მოცემას. მაგრამ ვინაიდან არავითარი რწმუნება არა აქვს საქმის გადადების თაობაზე, ამიტომ გთხოვთ, აღნიშნული საქმე განიხილოთ. კოლეგიის მოსაზრება საფუძვლიანად მიმაჩნია და, ჩემი მარწმუნებელი რომ აქ გახლდეთ, რომლის თქვენ წინაშე გამოცხადებას რაღაც უბედურებამ შეუშალა ხელი, ალბათ მის დადასტურებას არც დააყოვნებდა. მაგრამ ბატონო მოსამართლენო, თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო იმას, რომ გამოთქმა "მოქმედების სრული

თავისუფლება" არც შეზღუდული უნდა იყოს და არც შინაარსისგან დაცლილი იმ მიეთ-მოეთით, რაც მას მიმოწერაში მოსდევს. მეტსაც მოგახსენებთ: მიუხედავად მისტერ ფორსაიტის განცხადებისა, მიმოწერა თვალნათლივ ადასტურებს, რომ ბატონ სომს ფორსაიტს არც ერთხელ არ უგულებელუყვია არქიტექტორის მიერ ან მისი ბრძანებით შესრულებული სამუშაო. მოპასუხეს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს საქმე ასე გართულდებოდა, თორემ, როგორც ამას მიმოწერა ამტკიცებს, იგი სამუშაოს ხელს არ მოჰკიდებდა, მით უმეტეს, რომ მოგეხსენებათ, სახლის შინაგანი მორთვა-მოკაზმვა რაოდენ საფრთხილო, ნაზი და რთული საქმეა. მაგრამ ჩემმა მარწმუნებელმა ეს სამუშაო შეასრულა ისეთი გემოვნებით, ცოდნით, ეფექტურობითა და სიყვარულით, რომ მას შეუძლია ყველა პრეტენზიული ადამიანის გემოვნება, ყველა მდიდარი და შეძლებული კაცის ნატიფი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

ჩენკერის იმ "საჭოჭმანო მუხლის" შინაარსი ძალიან ახლოს მიჰქონდა გულთან და ალბათ იმიტომ იყო, რომ ერთობ მაგარი გამოთქმები გამოიყენა და განაცხადა:

- მისტერ ფორსაიტის მიერ წამოწყებული საქმე უსამართლო, მოულოდნელი და უპრეცედენტოა. ღრმად პატივცემულ ლორდს რომ შესაძლებლობა მისცემოდა, თავისი თვალით ეხილა ის შესანიშნავი სახლი, - მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ავსულიყავი რობინჰილში და ჩემი თვალით დამეთვალიერებინა იგი, - მაშინ თვითონ დარწმუნდებოდა, რომ ჩემმა მარწმუნებელმა - მხატვარმა, ამ სიტყვის მაღალი და სრული მნიშვნელობით, სახლის შინაგანი მორთვა-მოკაზმვის სამუშაო შეასრულა ისეთი დახვეწი-

ლი, ნატიფი გემოვნებითა და საქმის ცოდნით, რომ ღრმად პატივ-ცემული ლორდი ერთი წუთითაც არ დაუშვებდა და ვერ მოითმენ-და - მე არ მინდა უფრო მაგარი გამოთქმა ვიხმარო - იმ თამამ მცდელობას, რომლითაც თავისი მოვალეობის შესრულებას გა-ურბიან.

სომსის წერილის წაკითხვის მერე ჩენკერი ეფემერულად "ბუალოსა და ცემენტის საქმის" პრეცედენტსაც გადასწვდა. ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, აღნიშნა მან, ძალზე სა-ეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, ის გადაწყვეტილება იმდენადვე მეტყველებს ჩემი კოლეგის სასარგებლოდ, რამდენადაც ჩემს სა-სარგებლოდო, - სიტყვასიტყვით ასე განაცხადა ჩენკერიმ. მერე "საჭოჭმანო მუხლს" შეეხო და დეტალურად განიხილა.

- მიუხედავად იმ ღრმა პატივისცემისა, რომლითაც გამსჭვა-ლული ვარ მისტერ ფორსაიტისადმი, მაინც უნდა აღვნიშნო, რომ მან თავისი გამოთქმით "მოქმედების სრული თავისუფლებით" თვითონვე გააბათილა მომდევნო ფრაზაში ნათქვამი. მისი მარ-წმუნებელი მდიდარი არ არის და საქმეზე სწორი გადაწყვეტილე-ბის გამოტანა მისთვის ცოტა რამეს არ ნიშნავს; გარდა ამისა, ჩე-მი მარწმუნებელი ძალიან დიდი მონაცემების მქონე არქიტექტო-რია და საქმე მის რეპუტაციასაც ეხება.

საქმეზე მსჯელობა რომ დაამთავრა, ჩენკერიმ უშუალოდ სა-სამართლოს მიმართა და განაცხადა:

- როგორც ხელოვნების მოყვარეთ, ბატონო მოსამართლენო, მოგმართავთ, რომ დაიცვათ ხელოვნება, რომელიც ამ ბოლო დროს შემთხვევით, დიახ, შემთხვევით კაპიტალის რკინის მარ-წუხებში ექცევა. რა ბედი უნდა ეწიოს არქიტექტორთა პროფესი-

ას, თუ ისეთი შეძლებული ხალხი, როგორიც მისტერ სომს ფორსაიტია, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით გამომდინარე გადასახდელს არ გადაიხდიან.

მან ერთხელ კიდევ სთხოვა სასამართლოს, გამოეძახებინათ მისი მარწმუნებელი, რომელსაც იქნებ შესაძლებლობა მიეცა სასამართლოში მოსულიყო და თქვენ წინაშე გამოცხადდებაო.

ფილიპ ბეინზ ბოსინის სახელი სასამართლოს ბოქაულებმა სამჯერ დაიძახეს, მაგრამ მათი ყოველი დაძახებისას დარბაზსა და აივანზე უჩვეულო სევდიანი ექო მეორდებოდა.

ამ სახელის დაძახებამ, რომელსაც არავინ გამოხმაურებია, ჯეიმსზე ძალიან უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა და რატომღაც ქუჩაში დაკარგული ძაღლის ხმობა გაახსენდა. ადამიანის დაკარგვის ჟრუანტელის მომგვრელმა გრძნობამ უსიამოვნოდ დაუარა ტანში და უსაფრთხოების, კომფორტისა და მყუდროების გრძნობები აუფორიაქა. ამ ავბედითი აფორიაქებისა და ჟრუანტელის მიზეზს ჯეიმსი თვითონაც ვერ აგიხსნიდათ, მაგრამ ცუდ ხასიათზე რომ დადგა, ეს კი აშკარა იყო.

მან საათს დახედა. სამს თხუთმეტი წუთი აკლდა. თხუთმეტ წუთში ყველაფერი დამთავრდება. ნეტავ სად წავიდა ის ყმაწვილი?

ჯეიმსი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა ოდნავ, როცა მოსამართლე ბენტამი ადგა და გადაწყვეტილების კითხვა დაიწყო.

ჩვეულებრივ მოკვდავთაგან სწავლულ მოსამართლეს ხის კათედრა ჰყოფდა და გადაწყვეტილების კითხვისას სწორედ ამ კათედრაზე დაიხარა. ზედ მის თავთან დაკიდებული ელექტრონათურის შუქი სახეზე მოყვითალო ფერს ადებდა და ამ ეფექტს კი-

დევ უფრო აძლიერებდა თოვლივით თეთრი პარიკი; მის ტანზე მოსხმული უზარმაზარი მოსასხამი დარბაზში მყოფთ მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა იგი წამოდგა; დარბაზის შედარებით ჩაბნელებული მხრისკენ მობრუნებული სხეულით იგი ჯადოსნურ თუ წმინდანისებრივ ნათელს აფრქვევდა გარშემო. ჩაახველა, რამდენიმე ყლუპი მოსვა, კალმის წვერი მოსინჯა, ხელები წინ ერთმანეთს გადააჭდო და დაიწყო.

ჯეიმსს უცებ უჩვეულოდ დიდ ვინმედ წარმოუდგა თვალწინ ბენტამი. ასეთი არასოდეს წარმოედგინა იგი. ეს ალბათ კანონის სიდიადემ მოაჩვენა; ჯეიმსს კი არა, ბუნებისგან უფრო დიდი ღირსებებით დაჯილდოებულ ადამიანსაც გაუჭირდებოდა ამ შარავანდედით მოსილ პიროვნების მიღმა ჩვეულებრივი ფორსაიტი დაენახა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სერ უოლტერ ბენტამად იწოდებოდა.

სერ უოლტერ ბენტამმა დამსწრეთ სასამართლოს გადაწყვეტილება გააცნო:

- საქმეში ფაქტები სადავო არაა. ამა წლის თხუთმეტ მაისს მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ თუ მოქმედების სრულ თავისუფლებას არ მიანიჭებდა, იმ შემთხვევაში სახლის შინაგანი მორთვა-მოხატვის მოვალეობისგან გაეთავისუფლებინა იგი. მოსარჩელემ ჩვიდმეტ მაისს წერილით შეატყობინა მოპასუხეს: "თქვენი მოთხოვნილებისამებრ გეძლევათ მოქმედების სრული თავისუფლება, მაგრამ აქედანვე ნათლად უნდა იცოდეთ, რომ სახლის შინაგანი მორთვა-მოკაზმვა ჩვენი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თქვენი ჰონორარიანად თორმეტი ათას პაუნდს არ უნდა აღემატებოდეს". ამ წერილზე მოპასუხემ 18 მაისს

უპასუხა: "თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისეთ დელიკატურ საკითხში, როგორიც სახლის შინაგანი მორთვა-მოკაზმვაა, მე დავთანხმდები, რომ რაიმე თანხით ვიყო შეზღუდული, ძალიან შემცდარხართ". ცხრამეტ მაისს კი მოსარჩელემ მოპასუხეს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: "ჩემ მიერ დასახელებულ თანხას დანახარჯი რაღაც ათი, ოცი, და თუნდაც ორმოცდაათი პაუნდით გადააჭარბებს, ეს ჩვენ შორის რაიმე გაუგებრობას გამოიწვევს. თქვენ გენიჭებათ მოქმედების სრული თავისუფლება და დარწმუნებული ვარ, მშვენივრად მიიყვანთ საქმეს ბოლომდე, ძირითადად იმ თანხით, რაზეც ჩვენს მიმოწერაშია ლაპარაკი". ოც მაისს კი მოპასუხემ მოკლედ აცნობა: "ძალიან კარგი".

სახლის მორთვა-მოხატვის დამთავრებამდე მოპასუხემ გასცა სავალო დარიგებანი, რომელთა საერთო ოდენობამ თანხებში თორმეტი ათას ოთხასი პაუნდი შეადგინა, რაც მოსარჩელის მიერ მთლიანად დაიფარა. ამის შემდეგ მოსარჩელემ სასამართლოს მეშვეობით მოითხოვა მოპასუხისგან იმ თანხის დაბრუნება, რაც აღემატება მიმოწერაში აღნიშნულ ზღვრულ თანხას, თორმეტი ათას ორმოცდაათ პაუნდს. ანუ მოითხოვა სამას ორმოცდაათი პაუნდის დაბრუნება.

ახლა საკითხი ასე დგას: უნდა გადაიხადოს თუ არა მოპასუხემ მოსარჩელის სასარგებლოდ აღნიშნული თანხა. ჩემი აზრით, უნდა გადაიხადოს.

აი, რა დასკვნა გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან: მოსარჩელემ მისცა მოპასუხეს მოქმედების სრული თავისუფლება სახლის მორთვა-მოხატვის საქმეში მხოლოდ ზღვრული თანხის, თორმეტი ათასი პაუნდის ფარგლებში. თუ ამ

ზღვრულ თანხას მოპასუხის მიერ დახარჯული თანხის რაოდენობა მხოლოდ ორმოცდაათი პაუნდით აღემატებოდა, იმ შემთხვევაში მოსარჩელე არ იდავებდა, ხოლო თუ ორმოცდაათ პაუნდს გადააჭარბებდა, მას ამისი თანხმობა მოპასუხისთვის არ მიუცია და ამიტომ უფლება აქვს გაუთვალისწინებლად დახარჯული თანხა უკანვე მოითხოვოს. ჩემთვის ნათელი არ იქნებოდა მოსარჩელის საქციელი, თუ იგი არ შეასრულებდა მისი სახელით დადებულ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათ. დიახ, მან გაუნაღდა მოვალეებს მოპასუხის მიერ მისი სახელით დადებული ხელშეკრულებებიდან მომდინარე ვალდებულებანი და თავისი სასარჩელო განცხადებით მოპასუხისგან მოითხოვა ზედმეტად დახარჯული თანხის დაბრუნება.

ჩემი ღრმა რწმენით, მოსარჩელეს უფლება აქვს მოპასუხისგან სავსებით სამართლიანად ეძიოს სადავო თანხა.

მოპასუხის მხრიდან აქ ადგილი ჰქონდა მცდელობას, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს მიმოწერაში ზღვრული თანხა დადგენილი არ ყოფილიყოს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აუხსნელი რჩება, რაში დასჭირდა მოსარჩელეს თორმეტი ათასი პაუნდის ჩაწერა წერილში და დამატებით კიდევ ორმოცდაათი პაუნდის აღნიშვნა. მოსარჩელის წერილში ამ თანხის ჩაწერა სავსებით აბათილებს მოპასუხის მოსაზრებას. ჩემთვის ცხადია, რომ ოცი მაისის წერილზე თანხმობის განცხადებით მოპასუხემ სავსებით ნათლად იცოდა, რა წინადადებაზეც აცხადებდა დასტურს და რა თანხის ფარგლებშიც უნდა ემოქმედა.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო აკმაყოფილებს მოსარჩელის სასარჩელო განცხადებაში წარდგენილ მოთხოვნას და მოპა-

სუხეს, გარდა ამ თანხის გადახდისა, აკისრებს სასამართლოს ხარჯებს მთლიანად.

ჯეიმსმა ამოიოხრა და ძირს დავარდნილი ქოლგის ასაღებად დაიხარა. ქოლგა ხელიდან მაშინ გაეშვა, როცა მოსამართლის სიტყვებს: "რაში დასჭირდა მოსარჩელეს თორმეტი ათასი პაუნდის ჩაწერა წერილში" მოჰკრა ყური.

ჯეიმსმა წვალებით გაითავისუფლა დაბალ სკამში გაჩხირული გრძელი ფეხები და სასამართლო დარბაზიდან ჰაიჰარად გამოვიდა; შვილისთვის არ დაუცდია (პირქუში, უჟმური დღე იდგა), დახურულ კებს დაუძახა და პირდაპირ ტიმოთისკენ გასწია. სუითინიც იქ დაუხვდა. ჯეიმსმა მისის სეპტიმუს სმოლს, პაპიდა ესთერსა და სუითინს დაწვრილებით უამბო მთელი სასამართლო პროცესი, თან არ შეუსვენია, ისე მიირთვა ორი ქადა. ამბავი იმით დასრულდა, რომ შვილის ქებას მოჰყვა.

- სომსს შესანიშნავად ეჭირა თავი, აი, ვის უჭრის გონება. ჯოლიონს ეს არ მოეწონება. ვაჟბატონი ბოსინისთვის ეს ძალიან ცუდი ამბავია; ნამდვილად გაკოტრდება.

კარგა ხანს გაყუჩებული იჯდა და აღელვებული ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებოდა. ბოლოს ეს თქვა:

- ბოსინი სასამართლოში არ იყო, ნეტავ რა მიზეზი უნდა იყოს?

ვიღაცის ნაბიჯების ხმა გაისმა. მის უკან სასტუმრო ოთახში ღაჟღაღა მოყავისფრო სახის ბრგე მამაკაცი გამოჩნდა. მისი შავი სერთუკის ფონზე მაღლა აწეული ხელის საჩვენებელი თითი უფრო მკაფიოდ ჩანდა. იგი უკმაყოფილო ხმით ლაპარაკობდა.

- აა, ჯეიმსია, - წარმოთქვა მან, - არ შემიძლია, არ შემიძლია დარჩენა! - თქვა ეს, შებრუნდა და ოთახიდან გავიდა.

ეს იყო ტიმოთი.

ჯეიმსი წამოდგა.

- რა მოხდა?! შევატყვე, რაღაც კარგი ამბავია, - მერე შეჩერდა და ერთ წერტილს ისე მიაშტერდა, თითქოს წინამომასწავებელი რამ იხილაო.

თავი მეექვსე

სომსს ახალი ამბები მოაქვს

სასამართლოდან გამოსული სომსი შინ არ წასულა. არც სიტიში წასვლის ხასიათი ჰქონდა. სურდა გამარჯვების სიხარული ვინმესთვის გაეზიარებინა და ამიტომ ბეისუოთერ როუდისკენ აიღო გეზი, რათა ტიმოთის სახლში მისულიყო. მთელი გზა იქამდე ნელი ნაბიჯით განვლო.

მამას ერთი ფეხის გაესწრო; მისის სმოლი და პაპიდა ესთერი, რომლებმაც მთელი პროცესი უკვე ზეპირად იცოდნენ, ძმისწულს თბილად შეეგებნენ. მათი აზრით, სომსს უნდა შიებოდა. სმითერი ახლავე შეუდგება ქადების გამოცხობას, თორემ სომსის ძვირფასმა მამამ გამზადებული ქადები ერთიანად შესანსლა. თუ სომსი მანამდე სავარძელზე მიწვება და შავქლიავისგან გამოხდილ არაყს გადაჰკრავს, ეს ძალიან მოამაგრებს.

სუითინი ჯერ ისევ სასტუმროში იჯდა. იგი, ჩვეულებრივ, დიდხანს არ რჩებოდა ხოლმე, მაგრამ იმ დღეს გრძნობდა, რომ გონების გაუვარჯიშებლად ადგილიდან ვერ დაიძვროდა. ის რომ გაიგონა, სომსს შავქლიავის არაყი შესთავაზესო, ცხენივით ჩაიფრუტუნა და ისღა გაიფიქრა, ეს რა ახალგაზრდობა გვყავსო!

თვითონ ღვიძლი სტკიოდა და იმასაც ვერ იტანდა, რომ ვინმეს შავქლიავის არაყი გადაეკრა.

იგი სწრაფად წამოდგა, წასასვლელად გაემზადა და სომსს ჰკითხა:

- ცოლი როგორა გყავს? ჩემ მაგიერ გადაეცი, თუ მოწყენილია და ჩემთან ერთად სადილობა და წყნარად გასეირნება ესიამოვნება, ისეთ საუცხოო შამპანურს დავალევინებ, რომელსაც ყოველდღე ვერ დალევს.

გულმკერდწამოგდებული ვეება სუითინი სომსს მაღლიდან გადმოჰყურებდა. დამშვიდობებისას მან სქელი, სიმსუქნისგან გაფუებული მოყვითალო მარჯვენა ტორი სომსის ხელს ისე მოუჭირა, თითქოს ხელში მოქცეული ლიფსიტა უნდა გაჭყლიტოსო და სასტუმროდან ნელა გავიდა.

სასტუმროში დარჩენილი მისის სმოლი და პაპიდა ესთერი, სუითინის ოფოფების დაფრენამ ძალზე ააღელვა.

თვითონ მათ ერთი სული ჰქონდათ სომსისთვის ეკითხათ, როგორ შეხვდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას აირენი, მაგრამ იცოდნენ, რომ ამნაირი რამის კითხვა არ ივარგებდა; იქნებ თვითონ სომსს წამოსცდენოდა რამე და ამ წყვდიადით მოცულ საქმეს პატარა ნათელი მოჰფენოდა! ეს საქმე მათ ცხოვრებაში შეიჭრა და ცნობისმოყვარეობის ცეცხლის ალით ყოველივე გადაბუგა, მაგრამ ყველაზე მეტი სატანჯველი მაინც ის იყო, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ; ტიმოთის ჯანმრთელობაზე ამ ამბის გაგონებამ ძალიან ცუდად იმოქმედა. მაშინ ჯუნს რაღა დაემართებოდა? ეს საშიში, სახიფათო და ამაღელვებელი კითხვა მათ მოსვენებას არ აძლევდა.

მათ ვერ დაევიწყებინათ მოხუცი ჯოლიონის ვიზიტი, რომლის მერე უფროსი ძმისთვის თვალი არ მოუკრავთ; გონებიდან არ შორდებოდათ იმის ფიქრი, რომელიც მაშინ ყველას დაეუფლა, რომ მათი ოჯახის უწინდებურ სიმტკიცეს ბზარი შეეპარა, ბზარი ნაპრალად გადაქცევას ლამობდა და ოჯახის დანგრევას უქადდათ.

მისის სმოლს და პაპიდა ესთერს მოლოდინი არ გაუმართლდათ, ვინაიდან სომსს იმ ამბავზე კრინტიც არ დაუძრავს და მისთვის ახალაღმოჩენილ ბარბიზონის(ბარბიზონის მხატვართა სკოლა - ბარბიზონი პარიზის მახლობლად მდებარე სოფელია, სადაც XIX საუკუნის 30-60-იან წლებში მოღვაწეობდნენ ფრანგი პეიზაჟისტები. ბარბიზონელებმა დიდი როლი შეასრულეს ეროვნული პეიზაჟის განვითარებაში.) მხატვართა სკოლაზე გააბა საუბარი.

- აი, ვისა აქვს მომავალი, - განაცხადა სომსმა, - მათი სურათებით კარგა გვარიანი თანხის მოხვეჭა შეიძლება. მე უკვე შევიგულე კოროს(კორო, კამილ (1796-1875) - ცნობილი ფრანგი მხატვარი, სახელი გაითქვა ლირიკული პეიზაჟებით, რომლებიც გამოირჩევიან ხატვის თავისებური მანერითა და ფერთა დახვეწილი შეხამებით) ორი სურათი. მართლაც დიდებული ნახატებია; თუ მეტისმეტად ძვირად არ დააფასეს, აუცილებლად შევიძენ და ცოტა ხნის შემდეგ დიდ ფულს მოვიგებ.

მართალია, პაპიდა ესთერს და მისის სმოლს სომსის საქმიანი ამბები დიდად აინტერესებდათ, მაგრამ იმ დღეს სალაპარაკო თემის ასეთ გამოცვლას მორჩილად ვერ დაეთანხმნენ და არაფრად ეპიტნავათ.

სურათების ამბავი ძალიან საინტერესო რამ იყო, ვინაიდან, მათი აზრით, სომსზე უკეთ ვერავინ შეძლებდა მათ შერჩევას; მაგრამ ახლა ის უფრო აინტერესებდათ, საქმის მოგების შემდეგ რას აპირებდა სომსი; ლონდონს მიატოვებდა და საცხოვრებლად რობინჰილში გადავიდოდა თუ არა? ანდა საერთოდ რა გეგმები ჰქონდა მომავალში?

სომსმა განაცხადა, ეს ამბავი კარგად თვითონაც არ ვიცი, იქნებ რობინჰილში მალე გადავბარგდეთ კიდეცო. ესა თქვა, სასწრაფოდ წამოდგა და მამიდები გადაკოცნა.

ამ გამოსათხოვარმა კოცნამ თითქმის სულ ერთიანად გამოცვალა პაპიდა ჯული. სხეულში თითქოს საშინელი გამბედაობა ჩაუსახლდა, დაღარული სახე გადაეტკიცა და ნაოჭები სადღაც გაუქრა.

ტანმაღალი პაპიდა ჯული წამოდგა, წელში გასწორდა და სომსს უთხრა:

- ძვირფასო, დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს გითხრა და, რაკი არავინ არაფერს გეუბნება, მე მაინც გეტყვი...

პაპიდა ესთერმა შეაწყვეტინა:

- გონს მოდი, ჯული, და კარგად დაუფიქრდი, რასაც ამბობ, - მერე ძლივს ამოიქაქანა, - შენი ნათქვამის პასუხისმგებელი შენ თვითონვე იქნები.

მისის სმოლმა ისე განაგრძო დაწყებული საუბარი, თითქოს პაპიდა ესთერის გაფრთხილება არ გაუგონიაო:

- ჩემი აზრით, შენ აუცილებლად უნდა იცოდე, ძვირფასო სომს, რომ მაკენდერმა აირენი და ბოსინი რიჩმონდპარკში მოსეირნენი ნახა.

ოთახიდან გასასვლელად წამომდგარმა პაპიდა ესთერმა რომ დის ამ სიტყვებს მოჰკრა ყური, თავი გვერდზე მიაბრუნა. მისი აზრით, ჯულიმ მეტისმეტი გააკეთა, რომ მისი თანდასწრებით სომსს ყველაფერი უთხრა. ახლა სომსის პასუხის მოლოდინში პაპიდა ესთერი სულგანაბული იდგა და მოუთმენლობისგან გული ელეოდა.

სომსს წამონთება, ჩვეულებრივ, თვალებშუა გამოეხატა; მერე ხელი ასწია, თითქოს თითი შეარჩია, ფრჩხილი მოიკვნიტა და პასუხად ესღა ამოღერღა:

- მაკენდერი ბოროტი, ანჩხლი დედაკაცია.

მას აღარ დაუცდია, რას უპასუხებდნენ, ისე გავარდა ოთახიდან.

ტიმოთისკენ რომ მიდიოდა, სომსი გზაშივე აწყობდა გეგმებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სახლში. მივა აირენთან და ეტყვის, - პროცესი ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა და ამით ბოლო მოვუღე ამ საქმეს! მე ბოსინის გასრესა არ მსურს; მე მგონია, ჩვენ საერთო ენას გამოვნახავთ და რამენაირად შევთანხმდებით; მე ძალას არ დაგატან. მოდი, ახლებურად ცხოვრებას შევუდგეთ! სახლი გავაქირაოთ და ამ ნისლს გავეცალოთ. ახლავე რობინჰილში გადავალთ. მე არასოდეს გამივლია გულში შენთან უხეშობა. ხელი ხელს მივცეთ.... - იქნებ აირენმა კოცნის ნებაც კი მისცეს და ყოველივე გადაივიწყოს!

მაგრამ ტიმოთის სახლიდან გამობრუნებული სომსის განზრახვა ასე მიამიტურად აღარ ჟღერდა; გუმანმა და გულში ერთხელვე დანთებულმა ეჭვმა ახლა ხანძარი გააჩინა მის სულში. ამ ამბავს ერთხელ და სამუდამოდ მოუღებს ბოლოს; უფლებას არ

მისცემს აირენს, მისი სახელი ლაფში ამოსვაროს! თუ აირენს არ შეუძლია, ან არ სურს მისი ერთგული და მოყვარული იყოს, რაც ქალის მოვალეობაა და სომსს უფლება აქვს მოითხოვოს მისგან, მაშინ იმ ვიღაცასთან სასიყვარულო ხრიკების გაბმასა და თამაშს უნდა მოეშვას და ნულარ თვალთმაქცობს! სწორედ ასე ეტყვის; შემდეგ გაყრით დაემუქრება! ეს მუქარა ჭკუაზე მოიყვანს; აირენი გაყრაზე არ დათანხმდება. მაგრამ ერთიც ვნახოთ და დათანხმდეს? ამის გაფიქრებაზე თავზარი დაეცა და შეძრწუნდა; ამდენ ხანს არც მოსვლია ეს აზრი.

არა, გაყრაზე რომ დათანხმდეს, მაშინ რა უნდა ქნას? ერთიც ვნახოთ, ყველაფერში გამოუტყდეს და შეცოდებანი აღიაროს? მაშინ როგორღა უნდა მოიქცეს? მაშინ მეტი გზა აღარ რჩება, უნდა გაეყაროს!

გაყრა! ეს სიტყვა იმდენად ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპებს, რასაც მთელ თავის სიცოცხლეში ერთგულებდა და პატივს სცემდა, რომ მარტო მის გახსენებაზე ლამის დამბლა დაეცა. გაყრის მოსალოდნელმა საფრთხემ შეაძრწუნა იგი. სომსი იმ გემის კაპიტნის ყოფაში ჩავარდა, რომელიც იძულებულია ყველაზე ძვირფასი, სანუკვარი ტვირთი საკუთარი ხელებით გადაისროლოს აბობოქრებულ ზღვაში. საკუთრების თავისივე ხელით მოშორება სომსს ახირებულ, უცნაურ ამბად ეჩვენებოდა. ეს საქმეშიც ხელს შეუშლის. ამას ალბათ რობინჰილში სახლის გაყიდვაც მოჰყვება. მერე რამდენი ფული ჩაყარა ამ საქმეში, რა იმედი ჰქონდა, როცა აშენებდა და ახლა ზარალით უნდა გაყიდოს. მერე აირენი! ის უკვე აღარ იქნება სომსის საკუთრება. ალბათ გვარ-

საც მაშინვე გამოიცვლის! ის აღარ იქნება სომსის ცხოვრების თანამგზავრი და სომსი ვეღარასოდეს იხილავს აირენს!

ეტლით მიმავალი სომსი მთელი გზა ფიქრობდა და მაინც ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ აირენს ვეღარასოდეს იხილავდა.

იქნებ გამოსატყდომი და საღიარებელი არც არის რაიმე. ვითომ სომსის მხრივ ჭკვიანური იქნება ასე შორს შეტოპვა? ვითომ გონივრული იქნება, ისეთ დღეში ჩაიგდოს თავი, რომ ნათქვამი პირშივე ჩასჩარონ? სასამართლო პროცესზე მიღებული გადაწყვეტილება ბოსინის გააკოტრებს; გაკოტრებული კაცი თავზე ხელაღებულია, მაგრამ რა უნდა ქნას? შეუძლია საზღვარგარეთ წავიდეს. გაკოტრებულები მუდამ საზღვარგარეთ გარბიან. ნეტავ რას მოიმოქმედებდნენ ისინი უსახსროდ, ყველა გაკოტრებული რომ ერთად შეეყარათ? მაგრამ ყველაფერს ის აჯობებს, დაელოდოს როგორ შეტრიალდება საქმე. თუ აუცილებელი იქნება, აირენზე თვალს დაიჭერს. ეჭვიანობას ცეცხლი (დაუყუჩებელი კბილის ტკივილივით) ისე შემოეგზნო, ცოტა აკლდა, რომ ღრიალი დაეწყო. მაგრამ, ვიდრე სახლში შევიდოდეს, უნდა აირჩიოს, რა გზას დაადგეს.

ეტლი სადარბაზო კარს ისე მოადგა, რომ სომსმა გადაწყვეტილების მიღება ვერ მოასწრო.

ოთახში შესული სომსი ფერმიხდილი ჩანდა. მღელვარებისგან ხელისგულები გაოფლიანებოდა და აირენთან შეხვედრის შიშს აეტანა. თუმცა ცოლის ნახვა გულით ეწადა, არ იცოდა, რა ეთქვა და რა მოემოქმედა.

ჰოლში შესულს მოსამსახურე გოგომ ბილსონმა მის კითხვაზე - სადაა შენი ქალბატონიო, ეს უპასუხა, - მისის ფორსაიტი ასე,

საათის თორმეტზე, ჩემოდნითა და ჩანთით ხელში სახლიდან გავიდაო.

სომსი ისე სწრაფად შებრუნდა ბილსონისკენ, რომ მოახლე გოგოს ბეწვიანი პალტოს სახელოები ხელიდან გაეშვა.

- რაო? - წამოიყვირა სომსმა, - რა თქვი? - მაგრამ მყისვე მოაგონდა, რომ აღელვებას შეეძლო გაეცა და რაც შეეძლო მშვიდად დაუმატა, - რა დაგიბარა? - სომსმა შენიშნა, როგორი დამფრთხალი თვალებით შეჰყურებდა ბილსონი.

- მისის ფორსაიტს თქვენთვის გადმოსაცემად ჩემთვის არაფერი დაუბარებია, სერ.

- არაფერი დაუბარებია! ძალიან კარგი, გმადლობთ. მე სახლში არ ვისადილებ.

მოახლე დაბლა ჩავიდა თუ არა, სომსი ბეწვის პალტოს გაუხდელად მივიდა ნოხგადაფარებულ ჩუქურთმიან მუხის სკივრთან და ზედ დადგმულ ფაიფურის ვაზაზე დაყრილი სადარბაზო ბარათები გადასინჯა.

მისტერ და მისის ბერჰამ კალჩერი

მისის სეპტიმუს სმოლი

მისის ბეინზი

მისტერ სოლომონ თორნკუორთი

ლედი ბელისი

მისის ჰერმაიენ ბელისი

მისის უინიფრიდ ბელისი

მისის ელა ბელისი

ვინ ეშმაკია ეს ხალხი? ალბათ, უკვე ყველაფერი ავიწყდება. იმ სიტყვებმა: არაფერი დაიბარაო, ჩემოდანი და ჩანთა ეჭირაო,

სულ აურია გონება და მკითხაობა დააწყებინა. არ შეიძლება ისე წასულიყო, რომ არაფერი დაებარებინა. პალტოგაუხდელი სომსი კიბის ორ-სამ საფეხურს ერთად ახტებოდა და ზემო სართულზე ისე აირბინა, როგორც ახალდაქორწინებულმა ბიჭმა, რომელიც შინ დაბრუნდა და ცოლის ოთახისკენ მიიჩქარის.

აირენის ოთახში ყველაფერი ფაქიზი, ახალი, ტკბილსურნელოვანი იყო, ირგვლივ უდიდესი წესრიგი სუფევდა. ფართო საწოლზე, რომელსაც იასამნისფერი აბრეშუმის გადასაფარებელი ეფინა, აირენის ხელით შეკერილი და ნაქარგი საღამური, ნივთებისა და საწმერთულის ჩასალაგებელი შულდაკი იდო; საღამური ქოშებიც იქვე საწოლთან მომზადებული ელაგა; შალითის კუთხეც ისე იყო აწეული, თითქოს აირენის დაბრუნებას ელოდა.

მაგიდაზე მოვერცხლილი ჯაგრისები და ნელსაცხებლით სავსე ბოთლები მიჯრით იყო მიყრილი. ეს თვითონ სომსმა აჩუქა აირენს. ჩანთები რომ შეათვალიერა, სომსმა რაღაც შეცდომა აღმოაჩინა. ნეტავ აირენმა რომელი ჩანთა წაიღო? სომსი ზარის დასარეკად შეემზადა, რომ ბილსონისთვის ეკითხა ყოველივე, მაგრამ დროზევე მოაგონდა, რომ ისე უნდა მოქცეულიყო, თითქოს შესანიშნავად იცოდა აირენის ასავალ-დასავალი და ცოლის წასვლის მიზეზს თვითონვე უნდა ჩამწვდარიყო.

სომსმა კარი ჩარაზა; გონს მოსვლა და მომხდარში გარკვევა სურდა, მაგრამ შენიშნა, რომ ფიქრი არ შეეძლო; უეცრად თვალთაგან ცრემლებმა იწვიმა.

პალტო საწოლზე მიაგდო და სარკეში ჩაიხედა.

სახე გაფერმკრთალებოდა და ნაცრისფერი მორეოდა; იგი ფაციფუცით ეცა წყალს და პირი დაიბანა.

მოვერცხლილი ჯაგრისებიდან ნელსაცხებლის სურნელება იფრქვეოდა, რომლითაც აირენი თმას იბანდა; ამ სურნელებამ სომსს კვლავ გაუღვივა ეჭვიანობის დროებით განავლული ნაღვერდალი.

პალტოს ჩაცმა არ დაემთავრებინა, რომ კიბე ჩაირბინა და ქუჩაში გავარდა.

თავისი თავისადმი კონტროლის უნარი ჯერ სულმთლად დაკარგული არ ჰქონდა და სლოუნსტრიტისკენ მიმავალმა შესანიშნავად გამოძებნა სათქმელი იმ შემთხვევისთვის, თუ აირენი ბოსინისთან არ დახვდებოდა. მაგრამ აირენი რომ იქ დახვედროდა? მის გადაწყვეტილებას კვლავ გამოეცალა სიმტკიცე; სომსი ისე მივიდა ბოსინის სახლთან, რომ არ იცოდა, რა ექნა, თუ აირენი იქ დახვდებოდა.

სამსახურის საათები დამთავრებული იყო და ჭიშკარი გადაკეტილი დახვდა; ქალმა, ვინც კარი გაუღო, ვერ გააგებინა, შინ იყო თუ არა მისტერ ბოსინი; მან სომსს უთხრა, ბოსინი მესამე დღეა თვალით არ მინახავსო; ის აღარ ალაგებს მისტერ ბოსინის ოთახს, ბოსინის აღარავინ აღარ ულაგებს ოთახს, ის...

სომსმა შეაწყვეტინა საუბარი და ესღა უთხრა, მე თვითონ ავალ მაღლა და ვნახავო. იგი მიტკალივით გათეთრებული და გაკერპებული შეუყვა კიბეს.

ბოსინის სართულზე სინათლე არ ენთო, სომსს კარი ჩაკეტილი დახვდა, ზარის ხმაზე არავინ გამოეხმაურა და ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბეწვიან პალტოში გახვეული, აკანკალებული, გულჩაწყვეტილი სომსი იძულებული იყო დაბლა ჩამოსულიყო. კებს დაუძახა და ლეინპარკისკენ წაყვანა უბრძანა.

გზაზე თავს იმაზე იმტვრევდა, როგორმე გაეხსენებინა, ჩეკი როდის მისცა აირენს უკანასკნელად. სამ-ოთხ გირვანქაზე მეტი არ უნდა ჰქონდესო, ანგარიშობდა სომსი, მაგრამ მერე განძეულობაც გაახსენდა; იმის გახსენებამ, თუ რა დიდი თანხის მიღება შეეძლო განძეულობაში, სომსს აუწერელი ტანჯვა მოჰგვარა; საზღვარგარეთ წასასვლელად ორივეს ეყოფა; რამდენიმე თვე უზრუნველად იცხოვრებენ! იგი შეეცადა ეანგარიშა; მაგრამ კები შეჩერდა და ანგარიში ვეღარ დაამთავრა.

უფროს მსახურს, რომელმაც იკითხა, მისის სომსიც მობრძანდება თუ არაო, ჯეიმსმა უპასუხა, სადილზე ორივე მოვიპატიჟეთო.

სომსმა კი უთხრა: მისის ფორსაიტი შეუძლოდააო.

უფროსმა მსახურმა თანაგრძნობის გამომხატველი რამდენიმე სიტყვა წაიჩურჩულა.

სომსს ისე ეჩვენა, თითქოს იგი რაღაცნაირი დაჟინებით აცქერდებოდა. უცებ გაახსენდა, რომ სადილისთვის ტანსაცმელი არ გამოუცვლია და იკითხა:

- უორმსონ, ვინმე უცხო თუა სადილზე მოწვეული?

- გარდა მისტერ და მისის დარტისა, არავინ.

სომსს რატომღაც კვლავ მოეჩვენა, რომ უფროსი მსახური ცნობისმოყვარე თვალით აკვირდებოდა. ახლა კი უღალატა მოთმინებამ და ჰკითხა:

- რატომ აგრე გულმოდგინედ მაკვირდები, უორმსონ? რაშია საქმე?

უფროს მსახურს სახეზე ალმური მოედო, სომსის ბეწვიანი პალტო დაკიდა, რას ბრძანებთ, მე არ გაკვირდებოდითო, წაიბუტბუტა და სადღაც ქურდულად გაიპარა.

სომსი მაღლა სართულზე ავიდა. სასტუმრო ისე გაიარა, რომ გვერდზე არც გაუხედავს და პირდაპირ მშობლების საწოლ ოთახში შევიდა.

ჯეიმსი კარისკენ ზურგშექცევით იდგა. მისი აწოწილი ტანის ჩაღრმავებული და ჩაზნექილი ხაზები ჟილეტსა და პერანგში უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო. თავი დაეხარა, გვერდზე გადაწეული თეთრი ჰალსტუხის ბოლო თეთრივე ქილვაშით მიეჭყლიტა, დაძაბული მზერა ერთი ადგილისთვის მიეშტერებინა, ლაშები ამრეზილივით გადმობრუნებოდა და ცოლის აზღუდის შეკვრას ლამობდა. სომსი შეჩერდა; კიბეზე სწრაფად ამოსვლისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო, თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა სომსს... არასოდეს... არ სთხოვდნენ...

ჯეიმსმა ისეთ ხმაზე დაილაპარაკა, თითქოს პირში ქინძისთავები ჰქონოდეს:

- ვინ არის მანდ? რა ამბავია? რა გნებავთ?

სომსს მერე დედის ხმაც შემოესმა:

- ფელის, მოდი ერთი, ღილები შემიკარი, თორემ შენი ბატონი ვერაფერს მოახერხებს.

სომსმა ყელზე წაივლო ხელი და ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

- მე ვარ - სომსი!

- შენა ხარ, ჩემო ბიჭუნი? - დედის ხმაში სიყვარულით გამთბარი გაოცება გამოკრთა და სომსმა მადლიერება იგრძნო მისდამი.

სომსის სმენას, მერე ღილების შეკვრის თავმინებებული ჯეიმსის ხმაც მისწვდა:

- რაო? სომსი ვარო! მერე მაღლა რად ამოხვედი? ავად ხომ არა ხარ?

სომსმა მამის შეკითხვას ანგარიშმიუცემლად უპასუხა, ძალიან კარგად ვარო, მაგრამ როცა მშობლებს კარგად დააცქერდა, იგრძნო, რომ თავის გასაჭირს ვერ გაუმხელდა.

ჩვეულებრივ ფიცხი ჯეიმსი ახლაც აპილპილდა:

- შენ კარგად ვერ გამოიყურები, ალბათ გაცივდი, ეს სულ ღვიძლის ბრალია და დედა ისეთ წამალს მოგცემს...

მაგრამ ემილი ქმრის ლაპარაკში ჩაერია და გააწყვეტინა:

- აირენი სადღაა?

სომსმა თავი გააქნია და ენის ბორძიკით ძლივს ამოილუღლუღა:

- აირენმა მიმატოვა!

ემილიმ სარკის წინ ტრიალს თავი ანება. მისმა მაღალმა და წარმოსადეგმა ტანმა თითქოს ერთბაშად დაკარგა დიდებულება. როცა შვილთან მივიდა, ემილის საქციელსა და გამომეტყველებაში, ადამიანური გრძნობების მოზღვავება იგრძნობოდა.

- ჩემო ძვირფასო ბიჭო, ჩემო საყვარელო ბიჭუნი!

ემილიმ შვილს შუბლზე აკოცა და სომსის ხელს ალერსი და ფერება დაუწყო.

ჯეიმსიც მთელი ტანით მობრუნდა შვილისკენ; ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რამდენიმე წელი მომატებოდეს.

- მიგატოვა! - თქვა ჯეიმსმა, - რას გულისხმობ მიტოვებაში? შენ არასოდეს გითქვამს ჩემთვის, რომ აირენი შენს მიტოვებას აპირებდა.

- საიდან უნდა მცოდნოდა, მიმატოვებდა თუ არა? - პირქუშად უპასუხა სომსმა და დაუმატა, - მთავარია, ახლა რა გზას დავადგე და რა წყალს ვეცე?

ჯეიმსი ბოლთის ცემას მოჰყვა; ჟილეტიანი და აწოწილი, იგი ყარყატს მიაგავდა.

- რა გზას დავადგე და რა წყალს ვეცეო? მე რა ვიცი, რა გზას დაადგე და რა წყალს ეცე? მე რას მეკითხები? თავის დროზე არავინ არაფერს გამანდობს, მერე კი, მოვლენ და რჩევას მკითხავენ, რა გზას დავადგე? რა მოვიმოქმედოო, აი, დედაშენი, ამან გირჩიოს, რაც უნდა მოიმოქმედო, რატომ არაფერს გეუბნება. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრა, ისაა, რომ აირენი მოძებნო.

სომსს გაეღიმა და ეს ღიმილი, აქამდე არასდროს ყოფილა ასე საცოდავი.

- რომ არ ვიცი მისი ასავალ-დასავალი? - წარმოთქვა სომსმა.

- არ იცი, სად წავიდა? - იკითხა ჯეიმსმა, - მაინც რას ფიქრობ, სად წავიდოდა? ბოსინის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და სწორედ ბოსინისთან უნდა ეძიო. მე წინასწარ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ამ დუმილში სომსი თავის ხელზე გრძნობდა დედის ალერსიან ხელმოჭერასა და ფერებას. მერე რაც მოხდა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, თითქოს სომსს განსჯისა და მოქმედების უნარი დაჰკარგოდეს.

ჯეიმსს ისეთი წამოგზნებული, დაღრეჯილი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ტირილი უნდა დაიწყოსო. თრთოლით ნათქვამ სიტყვებში კი აშკარად იგრძნობოდა, რომ დიდ სულიერ ტანჯვას განიცდიდა.

- ნამდვილი აურზაური ატყდება; ყოველთვის ამას ვამბობდი, - მერე კარგა ხანს არც ერთს სიტყვა არ დაუძრავს და დუმილი ისევ ჯეიმსის ხმამ დაარღვია, - რას გაჩუმებულხართ დედაცა და შვილიც?!

ემილი მშვიდად, მაგრამ ზიზღნარევი ხმით გამოეპასუხა:

- კმარა, ჯეიმს! სომსი ყველაფერს იღონებს, რაც კი შეუძლია.

იატაკს ჩაშტერებულმა ჯეიმსმა დამწუხრებულივით წარმოთქვა:

- მე მოვხუცდი და ველარაფერში დაგეხმარები, შვილო, ამიტომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და ნუ აჩქარდები.

ისევ ემილის წყნარმა ხმამ შეარხია ჰაერი:

- სომსი ყოველივეს იღონებს, რომ აირენი უკან დააბრუნოს, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ყველაფერი მოგვარდება.

- ჰო, მაგრამ, - წამოიწყო ისევ ჯეიმსმა, - მე არ ვიცი, როგორ უნდა მოგვარდეს ყველაფერი. ჩემი აზრით, თუ ბოსინისთან არაა წასული, მაშინ ნურაფერს მოერიდები და ნურაფერს შეისმენ, შვილო, პირდაპირ სტაცე ხელი და უკანვე დააბრუნე.

სომსმა კვლავ იგრძნო, თითქოს ამ აზრის დამადასტურებელი დედის მოალერსე ხელის ფერება. ამით წახალისებულმა გამოცრა: "ვეცდები, მოვძებნო და უკან დავაბრუნო".

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს ვინმეს წინაშე წმინდა ფიცის დადებას იძრახავდა.

სამივენი სასადილო ოთახში ჩავიდნენ. იქ დარტი და ქალიშვილები უკლებლივ დაუხვდნენ. აირენიც რომ იქ ყოფილიყო, - მთელი ოჯახი ერთად თავმოყრილი იქნებოდა.

ჯეიმსი სავარძელში ჩაჯდა და სადილის შემოტანამდე სიტყვა არ დასცდენია გარდა იმისა, რომ შემოსვლისას სალამი უთხრა დარტის, რომელიც სძულდა და რომლისა კიდეც ეშინოდა, ვინაიდან სიძე-ბატონი ნიადაგ ჯიბეცარიელი გახლდათ. სომსიც გაყუჩებულიყო; მარტო მშვიდი და მამაცი ემილი ემასლაათებოდა უინიფრიდს წვრილმან ამბებზე. ყველაზე მეტი თავდაჭერა ლაპარაკსა და ქცევებში ემილიმ სწორედ იმ საღამოს გამოავლინა.

რაკი გადაწყვიტეს, რომ აირენის სახლიდან წასვლაზე ხმა არ ამოელოთ, ოჯახის დანარჩენ წევრებს დადევნებისა და ძებნის თავიანთი ვერსიები აღარ წამოუყენებიათ; ეჭვი არ იყო, როგორც ეს შემდეგში კარგად გაირკვა, რომ ჯეიმსის რჩევა: "ნურაფერს მოერიდები და ნურაფერს შეისმენ, შვილო, პირდაპირ სტაცე ხელი და უკანვე დააბრუნე", - მარტო ლეინპარკზე კი არა, ტიმოთის, ნიკოლასის და როჯერის ოჯახებმაც მოიწონეს. ალბათ, ამ რჩევას ყველა ლონდონელი ფორსაიტი მოიწონებდა და დასთანხმდებოდა, ამ საქმის შესახებ ყველაფერი რომ სცოდნოდათ.

უორმსონისა და კიდევ ერთი მსახურისგან მირთმეულმა სადილმა, ემილის დიდი მეცადინეობის მიუხედავად, სრულ დუმილში ჩაიარა. დარტი გაგულისებული, ცხვირჩამოშვებული იყო და, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ყლურწავდა; ჯეიმსის ქალიშვილები კი ერთმანეთს იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. ჯეიმსმა მხოლოდ ის იკითხა, ჯუნი სადაა და რას აკე-

თებსო. პასუხის გაცემა ვერავინ შეძლო, და ჯეიმსი კვლავ მწარე, მტანჯველმა ნაღველმა წაიღო. მხოლოდ უინიფრიდის ნათქვამმა, პუბლიუსმა მათხოვარს ყალბი ფული აჩუქაო, წამით გაუბრწყინა სახე.

- აჰ, - წარმოთქმა მან, - ეს ყმაწვილი ძალიან ჭკვიანი იზრდება. თუ ამ გზით წავიდა, მე მგონი, დიდი მომავალი ელის. ძალიან გონიერი, საზრიანი ყმაწვილია!

ელექტრონის სინათლით გაჩახჩახებულ სუფრაზე სხვადასხვა თავი ნუგბარი საჭმელი ერთმანეთს დღესასწაულებრივად ენაცვლებოდა.

ელნათურების შუქი კედელზე ჩამოკიდებულ ტერნერის ზღვის სურათს სწვდებოდა, მაგრამ კარგად ვეღარ ანათებდა. ამ სურათზე სათევზაო იარაღები და დასაღუპად განწირული ადამიანები იყო დახატული. მსახურმა შამპანურს ჯეიმსის პრეისტორიული პორტვეინი მოაყოლა. იგი ისეთი ცივი გახლდათ, თითქოს სამარიდან ამომძვრალი ჩონჩხის გათოშილ ხელს შემოეტანოს.

ათი საათი რომ შესრულდა, სომსი წავიდა. შეკითხვებზე, აირენი სადააო, ორჯერ იცრუა, შეუძლოდ არისო; სომსმა იგრძნო, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. დედამ ნაზი, ხანგრძლივი ამბორით გააცილა. როცა შვილის ხელები გამოსამშვიდობებლად გაწვდილ დედის ხელებს შეეხო, სომსმა იგრძნო, რომ სისხლი ღაწვებზე თბილად მოაწვა. გარეთ გამოსულს ქუჩის კუთხეებიდან მონაბერი მსტვენავი, ცივი ქარი სახეში სცემდა; ვარსკვლავებით მოჭედილი უღრუბლო, კრიალა ფოლადისფერი ცა თავზე დაჰნათოდა; მას არც სუსხიანი ზამთრის შეგებება უგრძნია, არც ყინვისგან დაღვლარჭნილი ჭადრის ფოთლების ტკა-

ცატკუცი გაუგონია, არც გაცვეთილ ბეწვის პალტოებში გახვეული მეძავები შეუნიშნავს და არც ქუჩის კუთხეებში ატუზული ლოთების შელახული სახეები დაუნახავს. ზამთარი იდგა. მაგრამ სომსი ისე მიიჩქაროდა სახლისკენ, რომ ამას ვერ ამჩნევდა. შინ დაბრუნებული კარის ჭრილში დატანებულ მოოქრული მავთულით წნულ ფოსტის ყუთს მივარდა. წერილს დაეძებდა, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა და უკანკალებდა.

აირენს წერილი კი არა, ნაგლეჯი ქაღალდიც არ დაეტოვებინა.

სომსი სასადილო ოთახში შევიდა; ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. მისი სავარძელი ცეცხლთან მიეჩოჩებინათ, ფოსტლები იქვე დაეწყოთ, მაგიდაზე ღვინის ჭურჭელი დაედგათ და პაპიროსის ჩასაწყობი მოჩუქურთმებული ხის ყუთი დაედოთ; იგი ერთიორი წუთი აკვირდებოდა იქაურობას, მერე სინათლე ჩააქრო და ზემო სართულზე ავიდა. თავის საწოლ ოთახში ბუხარი ანთებული დახვდა, მაგრამ აირენის ოთახში ბნელოდა და სიცივეს დაესადგურებინა, სომსი აირენის ოთახში შევიდა.

ჭაღის ყველა სანთელი გააჩირაღდნა და საწოლსა და კარს შუა ბოლთის თემას მოჰყვა. მას არ სურდა იმის დაჯერება, რომ აირენმა მართლა მიატოვა, ამიტომ იყო, რომ გაფაციცებული დაეძებდა წერილს, რომელშიც, მისი აზრით, უნდა ამოეკითხა რაიმე მიზეზი, საბაბი, ახსნა-განმარტება იმისა, რის გამოც მათი ოჯახური ცხოვრება იდუმალებას მოეცვა. სომსმა აირენის ოთახში ყველა ნიში, სამალავი და უჯრა მოიძია და გაჩხრიკა.

აირენის კაბებს წააწყდა; სომსს ძლიერ სიამოვნებდა, როცა მის ცოლს კარგად ეცვა და აიძულებდა კიდეც აირენს, მრავალი

დასაბურავ-ჩასაცმელი ჰქონოდა - აირენს თითქმის ხელი არ ეხლო კაბებისთვის, მხოლოდ ორი თუ სამი კაბა წაეღო. როცა ყველა უჯრა ზედიზედ გამოაღო, სომსი დარწმუნდა, რომ ლტოლვილს თეთრეულიცა და აბრეშუმის ტანსაცმელიც ხელუხლებლად დაეტოვებინა.

ბოლოს და ბოლოს, იქნებ ყველაფერი ეს მხოლოდ ახირება იყო და აირენი რამდენიმე დღით ზღვისპირად წავიდა, რომ ჰაერი გამოეცვალა. თუ ეს მართლაც ასეა და აირენი მართლაც დაბრუნდება, სომსი აღარასოდეს ჩაიდენს იმას, რაც იმ საბედისწერო ღამეს მოიმოქმედა. თუმცა აირენი მისი საკუთრებაა და იმ ღამესაც მხოლოდ ცოლის პირდაპირი მოვალეობის შესრულება აიძულა, - მაგრამ ასეთ რისკის სომსი აღარასოდეს გასწევს; აირენს ხომ თავგზა აბნეული აქვს და არ იცის, რას სჩადის.

სომსმა ის უჯრა გამოაღო, რომელშიც აირენს ჩვეულებრივ პატიოსანი თვლები და ძვირფასეულობა ეწყო ხოლმე; უჯრა დაუკეტავი აღმოჩნდა და სომსმა თავისუფლად გამოსწია; ძვირფასეულობის ყუთში პატარა გასაღებს წააწყდა. ამან გააოცა იგი, ვიდრე იმას მოიფიქრებდა, რომ ალბათ ყუთი ცარიელიაო. სომსმა ყუთს თავი ახადა.

ძვირფასეულობა ხელუხლებელი ელაგა მწვანე ხავერდით დაფარულ ბუდეებში. აქ იყო ყველა ნივთი, საათის ჩათვლით, რომელიც კი სომსს აირენისთვის ეჩუქებინა. საათისთვის განკუთვნილ ბუდეშივე იდო სამკუთხედად დაკეცილი წერილი, რომელზეც სომსმა აირენის ხელით მიწერილი "სომს ფორსაიტს" ამოიკითხა.

"ვფიქრობ, რაც თქვენ და თქვენმა ნათესავებმა მიძღვენით, ყველაფერი აქაა და თან არაფერი წამიღია", - ეს იყო და ეს.

სომსმა თვალი შეავლო მარგალიტებითა და ალმასებით მოოჭვილ ბალთებს, სამაჯურებს, პატარა ბრტყელ ოქროს საათს, რომელსაც დიდი ალმასი და საფირონის თვლები ამშვენებდა, თავ-თავის ბუდეებში ჩაწყობილ ძვირფას ძეწკვებს, ბეჭდებს და მის თვალთაგან მომსკდარმა ცრემლებმა ძვირფასეულობის ყუთი დანამა.

აირენის ვერავითარი საქციელი, შესაძლო თუ უკვე ჩადენილი, ამაზე უფრო ნათლად ვერ დაანახვებდა სომსს, რომ აირენმა იგი მართლაც მიატოვა. იმ წუთებში სომსი მიხვდა, რომ აირენს სძაგდა იგი, ეზიზღებოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მასთან ცხოვრობდა, რომ მათ შორის საერთო არაფერი იყო, რომ სომსს არც წარსულისა და არც მომავლის იმედი არ უნდა ჰქონოდა; რომ ამ ხნის განმავლობაში აირენი იტანჯებოდა და ამის გამო შესაბრალი და საცოდავი იყო.

იმწუთას ამ გრძნობამ სომსის არსებაში ფორსაიტზე გაიმარჯვა - თავი გადაავიწყა, პირადი ინტერესი გაუყუჩა, საკუთრების გრძნობა მოუდუნა და იგი მზად იყო ფაქიზ, უანგარო სიყვარულს დამონებულ უჭკუო ჭაბუკივით ყველაფერი მოემოქმედა.

ასეთი წამები დაბადებისთანავე ქრებიან.

თითქოს სისუსტე ცრემლებით ჩამოირეცხაო, სომსი წამოდგა, ყუთი დახურა და, ჯერ კიდევ მოცახცახემ, მეორე ოთახში გაიტანა.

თავი მეშვიდე

ჯუნის გამარჯვება

ჯუნი ისეთი გულმოდგინებით ათვალიერებდა ხოლმე დილა-საღამოს გაზეთებში გამოქვეყნებულ გონებაჩლუნგ, უნიჭო, მოსაწყენ წერილებს, რომ ერთი პირობა მოხუცი ჯოლიონი საგონებელშიც კი ჩააგდო. ეს პატარა არსება თავის "ერთ დროს" ელოდა, ხოლო როცა ეს დრო დადგა, იგი დიდი სიმარდით შეუდგა საქმეს და თავისი ხასიათის შეუპოვრობა და სიმტკიცეც შიგ ჩააქსოვა.

ჯუნს ცხოვრებაში არ დაავიწყდება ის დილა, როცა "ტაიმსში" ამოიკითხა: "XIII სასამართლო სხდომა, მოსამართლე მისტერ ბენტამი, საქმე "ფორსაიტი ბოსინის წინააღმდეგ".

როგორც აზარტულმა მოთამაშეებმა იციან, ვიდრე სულით ხორცამდე არ გაიფცქვნებიან, თამაშს თავს არ მიანებებენ, ჯუნმაც გადაწყვიტა, ყოველი ღონე ეხმარა და მარჯვე მომენტი ხელიდან არ გაეშვა; დამარცხება ჯუნის კარაბადინში არ ეწერა. შეყვარებული ქალის გული ეუბნებოდა, რომ ბოსინის საქმე წაგებული იყო. სწორედ ამაზე აგებდა ჯუნი თავის გეგმებს.

თორმეტის ნახევარზე იგი უკვე სასამართლო დარბაზში იყო, გალერეაზე დაჯდა და, ვიდრე სომსისა და ბოსინის სამოქალაქო

დავა არ გადაწყდა, იქიდან არ გამოსულა. სასამართლოში ბოსინის გამოუცხადებლობას ჯუნი დიდად არ აუღელვებია; იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ბოსინი თავს არ დაიცავდა. სასამართლოს გადაწყვეტილება მოისმინა თუ არა, სასწრაფოდ დაბლა ჩამოვიდა, კები აიყვანა და ბოსინის სახლისკენ გასწია.

სადარბაზო შესასვლელი და სამი სართული, სადაც დაწესებულებები იყო მოთავსებული, ისე აიარა, რომ არავის შეუმჩნევია; მაგრამ მეხუთე სართულზე ასულს უკვე მრავალი დაბრკოლება გადაეღობა.

ზარის დარეკვაზე არავინ უპასუხა. ჯუნს ახლა უნდა გადაეწყვიტა: ბინის მეთვალყურე ქალთან ჩასულიყო, გასაღები გამოერთმია, ოთახი გაეღო და შიგნით დალოდებოდა ფილს, თუ კიბის თავზე დამდგარიყო იმ იმედით, რომ ვერავინ შენიშნავდა. ჯუნმა ისევ კიბის თავზე გაჩერება ირჩია.

თხუთმეტი წუთი იდგა ჯუნი გაყინული კიბის თავზე და, როცა თვითონაც გაითოშა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ბოსინი გასაღებს კარის წინ დაგდებულ საფენქვეშ ინახავდა. ჯუნმა მოიძია და გასაღები მართლაც იქ დახვდა. რამდენიმე წუთს ისე იდგა, ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა ოთახში; ბოლოს კარი გააღო და ოთახში შევიდა, მაგრამ კარი არ დაუხურავს, რომ ყველას, ვინც ოთახში შეიხედავდა, გაეგო, საქმეზე მოსულა და მასპინძელს ელოდებაო.

ეს უკვე ის ჯუნი არ იყო, რომელიც აქ ხუთი თვის წინ აკანკალებული დაიარებოდა; ტანჯვით აღსავსე თვეებმა და გამოვლილმა ჭირმა იგი ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანად აქცია; ამ ვიზიტზე ჯუნი იმდენ ხანს ფიქრობდა და ისე კარგად ჰქონდა ყო-

ველივე აწონ-დაწონილი, რომ არავითარ შიშს აღარ განიცდიდა. ჯუნს, თუ ახლა არ გამოიყენებდა თავის დროს და საწადელს ვერ ეწეოდა, არავის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

როგორც საფრთხეში მყოფ ლეკვს გადაფოფრებულმა ძუ ნადირმა იცის, ისე მიმოდიოდა პატარა ჯუნი ოთახში, კედლიდან კედლამდე, სარკმლიდან კარამდე და ყველა საგანს თითის შეხებით სინჯავდა. ყველაფერი გამტვერიანებული იყო. ეტყობოდა, რამდენიმე კვირას ისე გაევლო, რომ ოთახი არ დაელაგებინათ. ჯუნი გაფაციცებული იყო, რომ ყველაფერი შეენიშნა, რაც მცირე იმედს მაინც შემატებდა. მისი ღრმა რწმენით, ბოსინის ოთახის დამლაგებელი ქალი ეკონომიის გაწევის მიზნით ჰყავდა დათხოვნილი.

ჯუნმა ახლა საწოლ ოთახში შეიხედა. ლოგინი ისე დაუდევრად იყო ალაგებული, რომ აშკარად იგრძნობოდა მამაკაცის უხეში ხელი. ჯუნმა ფრთხილად მიაყურა კარს და მერე საწოლ ოთახში დადგმული კარადა გამოაღო. იქ რამდენიმე პერანგი და გახამებული საყელო დალანდა, იქვე ერთი წყვილი გაუწმენდავი ფეხსაცმელი ეყარა, ოთახში ტანსაცმელი თითქმის ვერც შენიშნა.

ჯუნი, თითქოს უნდა შეიპაროსო, ისე დაბრუნდა სასტუმრო ოთახში და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ის პატარ-პატარა ნივთები, რომლებიც აგრერიგად უყვარდა, ოთახში აღარ იყო. ბოსინის დედის სახსოვარი კედლის საათი, ჩვეულებრივ სავარძლის ზემოთ დაკიდებული საველე ბინოკლი, ორი ძალიან ძვირად ღირებული გრავიურა ჰაროუს ხედით, სადაც ბოსინის მამას ესწავლა. დაბოლოს, იაპონური ლარნაკი, თვით ჯუნის ნაჩუქარი, ყველაფერი სადღაც გამქრალიყო. იმის ნაცვლად, რომ ბოსინის გაჭირ-

ვებას აღეშფოთებინა და მისდამი თანაგრძნობა გამოეწვია, ჯუნს ყოველივე ამ დანაკარგმა კმაყოფილება მოჰგვარა და, ჩემი გეგმის განხორციელებას კარგი პირი უჩანსო, აფიქრებინა.

როცა იმ ადგილს შეჰყურებდა, სადაც იაპონური ლარნაკი იდგა, ჯუნმა ანაზდად იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ. გაიხედა და ღია კარში მდგარი აირენი დაინახა.

რამდენიმე ხანს ორივე მდუმარედ შესცქეროდა ერთურთს; მერე ჯუნი მიეახლა და ხელი გაუწოდა. აირენმა ხელი არ ჩამოართვა.

გაწბილებულმა ჯუნმა ხელი უკან წაიღო. თვალები მრისხანებისგან წამოენთო; იცდიდა, რომ ლაპარაკი მოსულს წამოეწყო; ვინ იცის, რამდენი სიშმაგე, გააფთრება, ეჭვი, შური და ცნობისმოყვარეობა ჩაგუბებულიყო მის თვალებში, რომლითაც ოდესღაც თავისი მეგობრის სახეს, კაბასა და ტანს აცქერდებოდა და ზომავდა.

აირენს რუხი ბეწვის ქურქი ეცვა; სამგზავრო ქუდქვეშ შუბლზე ოქროსფერი თმა ჩამოჰყროდა, აშხვართული და სავსე სხეულის ფონზე სახე ბავშვივით პატარა მოუჩანდა. ჯუნისგან განსხვავებით, აირენის ისედაც ფერმკრთალ ღაწვისთავებს, თითქოს სიცივისგან, სპილოს ძვლისფერი დასდებოდა. ქუთუთოებს გარშემო შავი წრეები გასჩენოდა. აირენს ცალ ხელში სოსანის თაიგული ეჭირა და თავის მხრივაც დაჟინებით აცქერდებოდა ჯუნს; სახე არ უღიმოდა; ჯუნი, მიუხედავად იმისა, რომ განრისხებული იყო და ამ განრისხების მიზეზი ახლა წინ ედგა, მაინც ძველებურად მოხიბლა აირენის შავი თვალების ისარმა.

დუმილი ჯუნმა დაარღვია.

- რისთვის მოხვედით? - მაგრამ იმის განცდამ, რომ ეს კითხვა მისთვისაც შეიძლება დაესვათ, ჯუნს მაშინვე ათქმევინა, - ოჰ, ეს საშინელი სასამართლო პროცესი. იქიდან მოვედი. ბოსინისთვის უნდა მეთქვა, რომ საქმე წააგო.

აირენს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ჯუნს კვლავ ისეთი დაშტერებით აცქერდებოდა, რომ ქალიშვილმა ამ მზერას ვეღარ გაუძლო და შეჰყვირა:

- რა ქანდაკებასავით დუმხართ!

აირენს მწარედ გაეღიმა:

- მინდა გავქვავდე!

ჯუნი შებრუნდა:

- გაჩუმდით, - წამოიყვირა მან, - აღარაფერი მითხრათ! არაფრის გაგონება არ მსურს! არ მინდა ვიცოდე, რისთვის მოხვედით! - მერე შეშფოთებული სულივით ოთახში წრიალს მოჰყვა. უეცრად ისევ ხმამაღლა დაიწყო, - მე აქ პირველი მოვედი, ჩვენი ორივეს აქ დარჩენა არ შეიძლება!

აირენის სახეზე გაელვებული ღიმილი ნაპერწკალივით უეცრად ჩაქრა. იგი გახევებულივით იდგა. აირენის ტანის სინაზესა და გახევებაში ჯუნმა საშინელი გადაწყვეტილება დალანდა, გაურკვეველი, მაგრამ საშინელი. აირენმა ქუდი მოიძრო და შუბლზე ჩამოფენილი თმა ორივე ხელით უკან გადაიყარა.

- თქვენ აქ ყოფნის უფლება არა გაქვთ! - ყვირილით წარმოთქვა ჯუნმა.

- მე არსად ყოფნის უფლება არა მაქვს, - მშვიდად მიუგო აირენმა.

- რას გულისხმობთ?

- სომსი დავტოვე. თქვენ ხომ მუდამ ამას მირჩევდით!

ჯუნმა ხელები ყურებზე აიფარა.

- არ მითხრათ, არ გამაგონოთ, არაფერი არ მინდა ვიცოდე. თქვენთან ბრძოლა შეუძლებელია! რას გაქვავებულხართ? რატომ არ მიდიხართ?

აირენს ტუჩები შეერხა, და თითქოს წარმოთქვეს:

- სად წავიდე?

ჯუნი სარკმლისკენ შებრუნდა. აქედან პირდაპირ მოჩანდა ქუჩის საათის ისრები. ოთხი სრულდებოდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ბოსინის გამოჩენა. ჯუნმა თავი აირენისკენ შეაბრუნა. მისი სახე მრისხანებას დაემახინჯებინა.

აირენი ისევ გახევებულივით იდგა; ხელთათმნიან ხელებში კვლავ სოსანის თაიგული ეჭირა, ატრიალებდა და აწვალებდა.

ჯუნს ღაწვებზე მრისხანებისა და წყენის ცრემლები ჩამოუგორდა.

- როგორ მოხვედით აქ? - წარმოთქვა ჯუნმა, - თქვენ ხომ ჩემი მეგობარი იყავით?! მუხთალო და მაცდურო ადამიანო!

აირენს კვლავ გაეღიმა. ჯუნმა შენიშნა, რომ თავდასაცავად მცდარი გზა აირჩია და ხმამაღლა ასლუკუნდა.

- მაინც რად მოხვედით? - ქვითინით წარმოთქვა ჯუნმა, - თქვენ დამინგრიეთ ცხოვრება და ახლა გინდათ, ბოსინიც დაღუპოთ?

აირენს ბაგე აუთრთოლდა და როცა მათი თვალთა ისარი ერთმანეთს შეხვდა, ჯუნმა აირენის თვალებში ისეთი სევდა შენიშნა, რომ ჯერ კიდევ მოსლუკუნემ უნებურად წამოიძახა:

- არა, არა!

აირენს თავი მკერდზე ჩამოუვარდა. უეცრად იგი კარისკენ შებრუნდა, ბაგეზე სოსანის თაიგული აიფარა და გარეთ გავარდა.

ჯუნმა კარის ზღურბლთან მიირბინა. ესმოდა, როგორ თანდათან სუსტდებოდა აირენის ფეხის ხმა და გაქცეულს ჩასძახა:

- დაბრუნდი, აირენ! დაბრუნდი!

ფეხის ხმა მიწყდა...

დაბნეული, ჩიხში მომწყვდეული და განაწამები ჯუნი კიბის თავზე შედგა. რატომ წავიდა აირენი? შეყვარებულმა ქალმა ასე იოლად რად მიატოვა ბრძოლის ველი? რას ნიშნავდა მისი საქციელი? ნუთუ ის განიზრახა, რომ ბოსინი ჯუნს დაუთმოს? თუ... აქ რაღაც საეჭვო ამბავი იმალება... ბოსინი კი არ ჩანდა...

დაახლოებით ექვს საათზე მოხუცი ჯოლიონი უისტერია ავენიუდან დაბრუნდა (სადაც ამ ბოლო დროს ყოველდღე დადიოდა და საათობით რჩებოდა ხოლმე შვილთან), ჯუნი იკითხა და, როცა უთხრეს, შინ ახლახან დაბრუნდაო, მსახურს დააბარა, ახლავე ჩამოვიდეს სასტუმროში, მოსალაპარაკებელი საქმე მაქვსო.

მოხუც ჯოლიონს უნდოდა შვილიშვილისთვის ეამბნა, რომ შვილს შეურიგდა. წარსულში რაც იყო, იყო, მომავალში მაინც ხომ უნდა გამოსწორებულიყო ურთიერთობა. მოხუც ჯოლიონს აღარ სურდა ამ უზარმაზარ სახლში თითქმის მარტოდმარტო ცხოვრება; იგი გააქირავებს ამ ვეება შენობას და თვითონ ქალაქგარეთ იყიდის შესაფერ სახლს, სადაც ყველანი ერთად იცხოვრებენ. თუ ჯუნი მათთან ერთად ცხოვრებას არ ისურვებს, მოხუცი ჯოლიონი ნებას მისცემს, მარტომ იცხოვროს. ჯუნისთვის მაინც

სულერთია, მის გულში ხომ დიდი ხანია, განელდა პაპისადმი სიყვარული.

ჯუნი დაძახებისთანავე დაბლა ჩამოვიდა. სახე შეჭირვებული და საცოდავი ჰქონდა, მზერა კი დაძაბული და მგრძნობიარე. ჯუნი, ჩვეულებისამებრ, პაპის სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა. იმაში, რაც მოხუცმა ჯოლიონმა უთხრა ჯუნს, არაფერი საწყენი და შეურაცხმყოფელი არ ყოფილა, თუმცა მოხუცი ჯოლიონი ამ საუბრისთვის გულმოდგინედ მოემზადა და შესაფერ სიტყვებზე ბევრი იფიქრა. მოხუცი ჯოლიონის გულმა იმ ფრინველის გულისტკივილი იგრძნო, რომელიც გაზრდილ, დაფრენილ ბარტყებს ფრთებდამსხვრეულს იხილავს. ბერიკაცს სიტყვები პირში ეჩხირებოდა, თითქოს პატიება უნდა ეთხოვა იმისთვის, რომ კეთილგონიერ, პრინციპულ, სწორ გზას გადაუხვია, ბუნებრივ ინსტინქტს აჰყვა და ქველმოქმედებას დაადგა.

მოხუცი როგორღაც აღგზნებული იყო და ძალიან ნერვიულობდა, თითქოს იმის ეშინოდა, შვილიშვილს ცუდი მაგალითი არ ვუჩვენოო; და როცა მთავარ სათქმელთან მივიდა, მოხუცმა ჯოლიონმა დიდი სიფრთხილით გამოხატა აზრი, რომ თუ ჯუნს მისი გეგმა არ მოეწონებოდა, როგორც თვითონ ისურვებდა, პაპა ისე მოაწყობდა მის ცხოვრებას.

- და, ჩემო გოგონი, - უთხრა მოხუცმა, - თუ შენ მათ ვერ შეეჩვევი და მათთან ერთად ვერ იცხოვრებ, მე ყველაფერს თვითონ მოვაგვარებ. შენ ისე იცხოვრებ, როგორც გენდომება. ჩვენ პატარა ბინას ვიშოვით ლონდონში, შენ შიგ ჩასახლდები და მე ჩამოგაკითხავ ხოლმე. მაგრამ ბავშვები, - დაუმატა ჯოლიონმა, - ძალიან კარგები არიან!

ამ სერიოზული ამბის ახსნაში რომ იყო, საქმისა, რომელიც მთელ მის პოლიტიკას ცვლიდა, უეცრად მოხუცმა ჯოლიონმა თითქოს ვიღაცას თვალი ჩაუკრაო: "ეს საქმე ტიმოთის ისედაც სუსტ ნერვებს აუწეწს. ნაძლევს ჩამოვალ, ის ყმაწვილი ერთ ამ-ბავს ატეხს!"

ჯუნი მდუმარედ უსმენდა. იგი ისევ სავარძლის სახელურზე იყო მოკალათებული და მოხუცი ჯოლიონი მის სახეს ვერ ხედავ-და. უცებ ბერიკაცმა თავის ღაწვისთავზე ჯუნის გახურებული სახის შეხება იგრძნო და მიხვდა, რომ მის ნათქვამს ჯუნი მაინ-ცდამაინც დიდად არ აუღელვებია. მოხუცი ჯოლიონი თანდათა-ნობით იკრებდა მხნეობას.

- მამაშენი მოგეწონება, - წამოიწყო მოხუცმა, - ძალიან ზრდი-ლი ადამიანია. მართალია, ცოტა თავისებური კია, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვა ადვილი საქმეა. იგი ხელოვანია და ნამ-დვილი შემოქმედის ხასიათი აქვს.

მოხუც ჯოლიონს გაახსენდა შვილის მიერ აკვარელით შეს-რულებული ის თორმეტიოდე სურათი, რომელიც საწოლ ოთახში დადგმულ სკივრში ჰქონდა ჩაკეტილი; მას მერე, რაც ჯოს მემ-კვიდრეობა დაუმტკიცა, მოხუცი ჯოლიონის თვალში შვილის სუ-რათები ისე უმწეო და სუსტი აღარ ჩანდა.

- რაც შეეხება შენს დედინაცვალს, - განაგრძო ბერიკაცმა, - თუმცა ეს სიტყვა ძლივს წარმოთქვა, - ძალიან შნოიანი, კოხტა ქალია, თუმცა ქვრივივით სულ თავის ბედზე ტირის და წუწუ-ნებს, მაგრამ ჯო ძალიან უყვარს. ბავშვები კი, - და ეს სიტყვები ბერიკაცის თავის მართლებაში სადღესასწაულო ჰანგივით გაის-

მა, - ბავშვები ჭეშმარიტად სულზე უტკბესი პატარა არსებანი არიან!

ჯუნმა არ იცოდა, რომ პაპის ამ სიტყვებში გამოსჭვიოდა პატარა და სუსტ არსებათადმი მოხუცის ის ნაზი სიყვარული, რამაც ბერიკაცს თავის დროზე ჯუნის გულისთვის ვაჟიშვილი მიატოვებინა და ახლა კი უფრო პატარა შვილიშვილების გულისთვის თვითონ მას ტოვებდა.

ჯუნის დუმილმა მოხუცი ააღელვა და მან მოუთმენლად ჰკითხა შვილიშვილს:

- აბა, შენ რას იტყვი?

ჯუნი სავარძლიდან ჩამოცურდა, პაპის წინ მუხლებზე დადგა და განუცხადა, რომ, მისი აზრით, ყველაფერი კარგად მოეწყობოდა, ამისთვის არაფერი დაბრკოლება არ არსებობს და ჩემთვის სულერთია, ხალხმა რაც უნდა თქვასო.

მოხუც ჯოლიონს შეაჟრჟოლა. ხალხი მაინც იტყვის და იფიქრებს, მას კი ეგონა, რომ ამდენი წლის მერე მაინც აღარ ილაპარაკებდნენ! რა ვუყოთ, რაც იქნება, იქნება, მაგრამ მას მაინც არ მოეწონა ჯუნის ნათქვამი, ჩემთვის სულერთია, ხალხმა რაც უნდა თქვასო!

ბერიკაცმა მაინც დუმილი ირჩია. გრძნობები ისე არეულ-დარეული, წინააღმდეგობრივი ჰქონდა, რომ სულერთია, ნათლად მაინც ვერაფერს გამოთქვამდა.

- დიახ, - განაგრძობდა ჯუნი, - ხალხმა, რაც უნდა, ის ილაყბოს, ჩემთვის სულერთია; რა მათი საქმეა? ოღონდ ერთი ამბავია, - ეს რომ თქვა, ჯუნმა სახე თითქმის პაპის მუხლებში ჩარგო, რამაც მოხუც ჯოლიონს მყისვე აგრძნობინა, რომ სახუმარო ამბავი

არ უნდა ყოფილიყო, - რაკი ქალაქგარეთ სახლის ყიდვა გაქვს გადაწყვეტილი, მაშინ სომსმა რომ რობინჰილში სახლი ააგო, ის იყიდე! ის უკვე მზადაა, ნამდვილად შესანიშნავი სახლია და შიგ არავინ ცხოვრობს. იქ ყველანი ბედნიერად მოვთავსდებით!

მიდარაჯებულივით სმენაგამახვილებულმა და ფხიზელმა ბერიკაცმა სწრაფად იკითხა:

- როგორ, მესაკუთრე არ აპირებს ახალ სახლში ცხოვრებას? - ბოლო ხანებში იგი სომსს მხოლოდ მესაკუთრედ ახსენებდა ხოლმე.

- არა, - წარმოთქვა ჯუნმა, - არ აპირებს, - ჯუნმა იცის, რომ სომსს იმ სახლში ცხოვრება არ უნდა.

- საიდან იცი?

საიდან იცოდა, ჯუნმა ვერ თქვა, მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, რომ ასეაო, ამბობდა. და მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ისე აირდაირია ყველაფერი. აირენის ნათქვამი: "სომსი მივატოვე და სად უნდა წავიდეო", - ჯუნს ახლაც ყურებში უწიოდა.

მაგრამ ამის თაობაზე პაპასთან კრინტიც არ დაუძრავს.

თუ პაპა რობინჰილში წამოჭიმულ სახლს იყიდის სომსისგან და იმ წყეული სარჩელით გადასახდელ თანხას დაფარავს, რომელიც ფილს ვერ წარუდგინეს, მაშინ ყველაფერი, ყველაფერი მოგვარდება!

ჯუნი, თითქოს ტუჩები მიაწებაო, ისე მხურვალედ ეამბორა პაპის შუბლს.

მაგრამ მოხუცმა ჯოლიონმა თავი დააღწია შვილიშვილის ალერსს და ისეთი სახე მიიღო, როგორიც ჩვეულებრივ ჰქონდა ხოლმე საქმეების გადაწყვეტის დროს.

- რას ნიშნავს შენი ნათქვამი? - მკაცრად იკითხა ბერიკაცმა, - ამ სიტყვებს იქით სხვა რამ უნდა იმალებოდეს. ბოსინი ხომ არ გინახავს?

- არა, არ მინახავს, მაგრამ მის ოთახში კი ვიყავი.

- მის ოთახში იყავი? ვინ მიგიყვანა?

ჯუნმა მტკიცე გამომეტყველებით შეხედა პაპას სახეში:

- მე თვითონ ვიყავი, მარტო. ის საქმე რომ წააგო, არც კი მიფიქრია, კარგად ვიქცეოდი თუ არა, ავდექი და ბოსინისთან წავედი, რომ დავხმარებოდი; დავეხმარები კიდეც!

მოხუცმა ჯოლიონმა კვლავ გაუმეორა კითხვა:

- ნახე თუ არა ბოსინი?

და თან ისე შეხედა შვილიშვილს, თითქოს სულის ღრმა კუნჭულებში უნდა გაუტაროს თვალთა ისარი, რათა ყველაფერი პირადად იხილოს და განჭვრიტოსო.

- არა, არ მინახავს. ველოდე, მაგრამ არ მოვიდა, - უპასუხა ჯუნმა.

მოხუცი ჯოლიონი, თითქოს თავისუფლად ამოისუნთქაო, ისე შეიშმუშნა სავარძელში. ჯუნი წამოდგა და ახლა ისე შესცქეროდა პაპას; ასეთი სუსტი, განუსჯელი ახალგაზრდაა, და თან როგორი მტკიცე და ჯიუტია ეს ბავშვი; მაგრამ, მიუხედავად გაჯავრებისა, გაგულისებისა, წყენისა და შეწუხებისა, ბერიკაცმა ვერ შეძლო შვილიშვილის დაჟინებული მზერისთვის მონუსხული წარბები და შეკრული შუბლი დაეხვედრებინა. იმის გაფიქრებამ, რომ ამ პატარა არსებასთან ბრძოლა წააგო და სადავე ხელიდან გაუვარდა, აგრძნობინა, რომ მოიღალა, დაბერდა და დაჩაჩანაკდა.

- მე ვიცი, შენი თავნებობით, ერთხელაც იქნება, რაიმე ხიფათს გადაეყრები, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - ყველაფერი შენებურად გინდა აკეთო, - და, რაკი, საერთოდ, საგნებისა და მოვლენების ფილოსოფიურად ჭვრეტა უყვარდა, ამჯერადაც მომენტი ხელიდან არ გაუშვა და დასძინა, - რაკი ასეთი დაიბადე, ალბათ, ასეთივე მოკვდები კიდეც!

და მოხუცმა ჯოლიონმა, იმ ადამიანმა, ვისაც, ყველა საქმოსანთან, ყველა კომპანიის უფროსთან, ყველა ჯურის ფორსაიტთან და მათთანაც, ვინც ფორსაიტი არ იყო, მუდამ თავისი გაჰქონდა, სევდიანად შეხედა ჯიუტ შვილიშვილს, რადგან მის ხასიათში შეიცნო ის თვისება, რასაც თვითონ ყველაზე მაღლა აყენებდა ამქვეყნად და ქვეცნობიერად თაყვანსა სცემდა.

- იცი, რა ხმები დადის? - იკითხა ბერიკაცმა.

ჯუნი წამოეგზნო.

- დიახ, არა, არ ვიცი, თუმცა სულერთია, რას ამბობენ, - თქვა ეს და ფეხი დააბაკუნა.

- მე რატომღაც ასე მჯერა, - წამოიწყო მოხუცმა ჯოლიონმა და თვალები დახარა, - რომ შენ ბოსინის მკვდარსაც ვერ დათმობ.

მერე კარგა ხანს იყუჩა და ბოლოს ისევ თვითონ გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი.

- რაც შეეხება სახლის ყიდვას, შენ თვითონაც არ იცი, რას ამბობ!

ჯუნმა განაცხადა, რომ მშვენივრად იცოდა, რასაც ამბობდა. თუ იმ სახლის ყიდვა გინდა, მის საფასურს გადაიხდი და იყიდიო, სწორედ ამნაირად შეესიტყვა და შეება პირში პაპას.

- რა საფასური? შენ ხომ ამნაირ ამბებში არაფერი გაგეგება. მე კი ჩემით იმ ცხვირმოუხოცავ მესაკუთრესთან მოსალაპარაკებლად არ წავალ.

- სომსთან თუ არ წახვალ, პაპა ჯეიმსს მოელაპარაკე. თუ სახლის ყიდვას ვერ შეძლებ, სარჩელით გათვალისწინებულ თანხას მაინც გადაიხდი. ხომ იცი, ბოსინი რა დღეშია - ჩემი თვალით ვნახე. ჩემი კუთვნილი თანხიდან გადაიხადე!

მოხუცი ჯოლიონის თვალებში დამცინავი ღიმილი გამოკრთა:

- შენი კუთვნილი თანხიდან გადავიხადო? ძალიან კარგ გზაზე კი მაყენებ! უფულოდ ან შენ რა გეშველება?

მაგრამ მოხუცი ჯოლიონის გულის სიღრმესა და გონებაში უკვე ის აზრი მწიფდებოდა, რომ ძმისა და ძმისშვილისთვის რობინჰილზე მდგარი შესანიშნავი სახლი ხელიდან გამოეგლიჯა.

ფორსაიტთა ბირჟაზე იმ სახლზე ბევრი საეჭვო ქება-დიდება ჰქონდათ გაგონილი. "ძალიან მოხატულია, მაგრამ შესანიშნავ ადგილზე აგებულიაო", ამბობდნენ. მესაკუთრისთვის იმის წართმევა, რაც მას გულით და სულით ჰქონდა ნაკეთები, ხომ უდიდესი გამარჯვება იქნებოდა ჯეიმსზე; გარდა ამისა, ეს ხომ იმის დამადასტურებელი საბუთიც იქნება, რომ ჯოს მესაკუთრედ გადააქცევს, თავისავე წრეში დააბრუნებს და საზოგადოებაში თავის კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს. თანაც, რა მწარე სილაქი იქნება მათთვის, ვინც მის პირმშოს არასმქონე და გლახაკად მიიჩნევდა.

ის ნახავს ჯეიმსს, დიახ, ნახავს! იქნებ ამ საქმიდან არც არა გამოვიდეს, ვინაიდან მოხუც ჯოლიონს არ სურს ბევრი ფული ჩა-

ყაროს იმ სახლში. მაგრამ ფასი თუ ძალიან მაღალი არაა და მორიგდნენ, რატომაც არ უნდა იყიდოს!

გულის სიღრმესა და გონებაში კვლავ გაჰკრა იმ ფარულმა აზრმა, რომ შვილიშვილს ასეთ თხოვნაზე უარს ვერ ეტყოდა.

ჯუნისთვის ეს არ უგრძნობინებია. მოვიფიქრებ და გადავწყვეტო, - ასე უთხრა.

თავი მერვე

მოუსავლეთში

მოხუც ჯოლიონს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება არ უყვარდა, ადვილი შესაძლებელი იყო, რობინჰილში აგებული სახლის ყიდვაზე ძალიან ბევრი ეფიქრა, რომ ჯუნის სახეზე ამოკითხულ გამომეტყველებას არ მიეხვედრებინა, სულერთია, თუ არ ვიყიდე, არ ჩამომეხსნებაო.

მეორე დღეს საუზმეზე ჯუნმა ჰკითხა პაპას, კებს რომელი საათისთვის დავუძახოო.

- კებს? - ისე იკითხა ბერიკაცმა, ვითომც არაფერი ხსომებოდეს, - კები რად მინდა? მე წასვლას არსად ვაპირებ!

- თუ ადრე არ წახვედი, პაპა ჯეიმსი სიტიში გაგასწრებს, - წარმოთქვა ჯუნმა.

- ჯეიმსი რად მინდა?

- სახლი ხომ უნდა იყიდო, - ისე წარმოთქვა ჯუნმა, რომ ბერიკაცმა თავის მოკატუნებაზე უცებ აიღო ხელი.

- სახლის ყიდვა ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა.

- უნდა იყიდო! უნდა იყიდო! პაპა, ჩემზეც იფიქრე!

მოხუცი ჯოლიონი აბუზღუნდა:

- ჩემზეც იფიქრეო! აბა, ვისზე ვფიქრობ, მაგრამ შენ თვითონ რომ არ ფიქრობ შენს თავზე? რა მოჰყვება ყოველივე ამას? კარგი, უთხარი, კებს ათი საათისთვის დაუძახონ.

თერთმეტის თხუთმეტ წუთზე იგი უკვე ლეინპარკზე იყო. ქოლგა ჰოლში დატოვა, რაც შეეხება პალტოსა და ცილინდრს, მათთან გაყრა კი არ მოისურვა. უორმსონს უთხრა, შენს პატრონს უნდა მოველაპარაკოო და, მოხსენებას არ დალოდებია, ისე შევიდა სასტუმრო ოთახში და სკამზე ჩამოჯდა.

ჯეიმსი სასადილოში იყო და სომსს ემუსაიფებოდა, რომელსაც საუზმემდე მამასთან შემოევლო. უორმსონმა რომ მოახსენა, მოხუცი ჯოლიონი გეახლათო, ჯეიმსი განცვიფრდა და ესღა ამოღერღა:

- ნეტავ რა უნდა?

მერე ადგა და სომსს უთხრა:

- შენ ნუ აჩქარდები. პირველ ყოვლისა, უნდა შეიტყო, სადაა. მე ჩემი მხრივ, სტეინერს გავუვლი. ყველაზე უკეთ ისინი მოძებნიან. თუ მათ ვერ იპოვეს, მაშინ ვერავინ იპოვის, - მერე, თითქოს უცებ მოლბაო, წარმოთქვა, - საცოდავი! არ ვიცი, რას ფიქრობდა, როცა ასეთ რამეს სჩადიოდა! - და ცხვირის წმენდით გავიდა ოთახიდან.

ძმის დანახვაზე მოხუცი ჯოლიონი არ წამომდგარა, ხელი გაუწოდა და ფორსაიტული გამარჯობის თქმით დაკმაყოფილდა.

ჯეიმსმა სკამი მიდგა მაგიდასთან და თავი მაგიდაზე ჩამოდებულ ხელს დააყრდნო.

- როგორა ხარ? - ჰკითხა ძმას ჯეიმსმა, - კარგა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს!

მოხუცმა ჯოლიონმა ეს შენიშვნა უყურადღებოდ დატოვა.

- ემილი როგორაა? - იკითხა მან და, პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო, - მე იმ ყმაწვილი ბოსინის საქმეზე მოსალაპარაკებლად მოვედი. როგორც მითხრეს, რობინჰილში სახლი ზედმეტ ტვირთად დაგაწვათ და არაფერში გჭირდებათ.

- მაგის თაობაზე ვერაფერს გეტყვი, - უპასუხა ჯეიმსმა, - მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოსინიმ საქმე წააგო და ალბათ გაკოტრდება.

მოხუცმა ჯოლიონმა გადაწყვიტა, ეს ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაეშვა.

- ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც იქნება, - სწრაფად დაეთანხმა იგი, - მაგრამ თუ ბოსინი გაკოტრდა, ეს მესაკუთრეს - სომსს რა შეღავათს აძლევს. აი, მე რას ვფიქრობ: თუ სომსი იქ ცხოვრებას არ აპირებს...

ჯეიმსის გაოცებაში რომ დაეჭვება და გაოცება შენიშნა, მოხუცმა ჯოლიონმა სწრაფად განაგრძო:

- მე არაფრის შეტყობა არა მსურს; მგონი, აირენმა რაღაც ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ეს ჩემი საქმე არაა. მე ქალაქგარეთ სახლის ყიდვას ვაპირებ. ლონდონიდან ძალიან შორს არ მინდა ვიყო და, თუ თქვენი სახლი მომეწონება და ფასზე მოვრიგდებით, შეიძლება ვიყიდო.

ჯეიმსი ეჭვით, უნდოდ და შვებით უსმენდა უფროს ძმას. თან შიშობდა, ვაითუ, ერთს ამბობს და გულში სხვა ზრახვა უდევსო. ამ ეჭვებსა და უნდობლობას შეერია ჯეიმსის თავში ჯერ კიდევ შემორჩენილი რწმენა უფროსი ძმისადმი და მაღალი აზრი მოხუცი ჯოლიონის გამჭრიახ გონებასა და ერთგულებაზე. ჯეიმსი

იმანაც ააღელვა, რომ მოხუცმა ჯოლიონმა იცოდა მომხდარი ამ-ბები. თუმცა ამ უკანასკნელმა ერთგვარი იმედიც ჩაუნერგა. ჯუნსა და ბოსინის შორის რომ ყველაფერი დასრულებული იყოს, მაშინ მოტყუებული ჯუნის პაპა რად მოინდომებდა გადამ-თიელად ქცეულ ვიღაც ბოსინის დახმარებას? ასე იყო, თუ ისე, ჯეიმსი საგონებელში ჩავარდა. არ იცოდა, ამ თავსატეხი ამოცა-ნისთვის რა გასაღები მოერგო, მაგრამ, მას არ უყვარდა, რომ ვინ-მეს თავგზააბნეული, შეფიქრიანებული ენახა და ამიტომ საუბა-რი სხვა საგანზე გადაიტანა.

- როგორც მითხრეს, ანდერძი ჯოს სასარგებლოდ შეგიც-ვლია?

ჯეიმსისთვის ეს არავის უთქვამს; მან მხოლოდ ორი ფაქტი დაუკავშირა ერთმანეთს. ერთი, რომ მოხუცი ჯოლიონი შვილთან და შვილიშვილებთან ნახა და, მეორე, ანდერძი რომ გაიტანა ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტის ოფისიდან. ნასროლი ისარი მი-ზანში მოხვდა.

- ვინ გითხრა? - ჰკითხა მოხუცმა ჯოლიონმა.

- არ მახსოვს, - წარმოთქვა ჯეიმსმა, - სახელებს კარგად ვერ ვიმახსოვრებ, მაგრამ ვიღაცამ რომ მითხრა, ფაქტია. სომსმა იმ სახლში დიდძალი ფული ჩაყარა და არა მგონია, ხელიდან აგრე იოლად გაუშვას.

- თუ სომსს ჰგონია, რომ იმ სახლში უზარმაზარ თანხას შევაძ-ლევ, ძალიან შემცდარა. რამდენადაც სასამართლო საქმიდან და-ვინახე, სომსს ფული გადაუყრია, მე კი ამას ვერ გავაკეთებ. აბა, სინჯოს და საჯარო ვაჭრობით გაყიდოს, ვნახოთ, რას მისცემენ. როგორც გავიგე, ისეთი ყოფილა, რომ ყველა კი არ იყიდის.

გულში ჯეიმსიც ამას ფიქრობდა და სწრაფად გამოელაპარაკა:

- ჰო, ჯენტლმენის სადგომია. თუ გინდა, სომსი აქაა და თვითონ ელაპარაკე.

- არა, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - ასე შორს შეტოპვა საჭირო არაა; მგონი, ისე ჩანს, რომ ამ საქმიდან სასიკეთო არაფერი გამოვა!

ცოტა არ იყოს, ჯეიმსი შეშინდა; როცა კომერციულ საქმეებს აჭახრაკებდა ხოლმე, ღრმად იყო თავის თავში დარწმუნებული, რადგან საქმე ციფრებთან ჰქონდა და არა ადამიანებთან; მაგრამ წინასწარი მოლაპარაკებისას, ახლა კი, უფროს ძმასთან, მას სწორედ ასეთი მოლაპარაკება ჰქონდა, ჯეიმსი ჩვეულებრივ ნერვიულობდა ხოლმე, ვინაიდან კარგად ვერასდროს ვერ ერკვეოდა, მოლაპარაკების რა სტილზე შეჩერებულიყო.

- მე სახლის თაობაზე ვერაფერს გეტყვი, - წამოიწყო ჯეიმსმა, - სომსი ჩვეულებრივ ამაზე არაფერს მეუბნება. მგონი ამ ამბით უნდა დაინტერესდეს. მხოლოდ ფასის საკითხია მთავარი.

- ოჰ! იმის ნებას ნუ მისცემ, რომ ჩემი გულისთვის მოწყალება გაიღოს, - ნაწყენი კილოთი წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა და ცილინდრი დაიხურა.

კარი გაიღო და სომსი შემოვიდა.

- გარეთ პოლისმენი დგას და ძია ჯოლიონს კითხულობს, - თითქმის ნახევრად გაცინებულმა წარმოთქვა სომსმა.

მოხუცმა ჯოლიონმა გაჯავრებით გადახედა სომსს. ჯეიმსმა კი გაოცებულმა იკითხა:

- პოლისმენიო? რა საქმე უნდა ჰქონდეს, ვერ გამიგია. ალბათ, შენ გეცოდინება, - უთხრა მოხუც ჯოლიონს და ეჭვის თვალით შეხედა, - მიდი და მოელაპარაკე.

ჰოლში უსიცოცხლო, უაზრო, უფერულთვალებიანი პოლიციელი იდგა და ძველებურ ინგლისურ შესანიშნავ ავეჯს თვალს არ აცილებდა. ეს ძვირფასი ავეჯი ჯეიმსმა პორტმენსკვერზე, სახელგანთქმულ მავროჯანოს ვაჭრობაზე შეიძინა.

- ჩემი ძმის ნახვა თუ გსურთ, ოთახში შედით, - უთხრა პოლიციელს ჯეიმსმა.

ინსპექტორმა ორი გამართული თითი ქუდთან მიიტანა და ოთახში შევიდა.

ჯეიმსმა შეხედა თუ არა, ტანში უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა.

- რას იზამ, - უთხრა მან შვილს, - უნდა დაველოდოთ, რომ ჯოლიონს უთხრას, რა საქმეც აქვს. ბიძაშენი რობინჰილის სახლზე მელაპარაკა.

ჯეიმსი სომსთან ერთად სასადილოში შევიდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა.

- ნეტავ რა საქმე უნდა ჰქონდეს? - კვლავ წაიბურტყუნა ჯეიმსმა.

- ვის რა საქმე უნდა ჰქონდეს? ინსპექტორს? - გამოეპასუხა სომსი, - ის ჯერ სტენჰოპგეიტზე მისულა და იქიდან აქ გამოუგზავნიათ. ამის მეტი არაფერი ვიცი. ალბათ ძია ჯოლიონის მსახურმა აწაპნა რამე!

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად სომსს თავი მშვიდად ეჭირა, რატომღაც მაინც ვერ იყო მშვიდად.

ათი წუთი იქნებოდა გასული, რომ მოხუცი ჯოლიონი შემოვიდა.

იგი მაგიდასთან მივიდა, შეჩერდა და ჭაღარა ულვაშის გრეხას მოჰყვა. ჯეიმსი პირდაღებული შესცქეროდა; მას თავისი ძმა ასეთი არასოდეს ენახა.

მოხუცმა ჯოლიონმა ხელი ასწია და ნელა წარმოთქვა:

- ბოსინი ნისლში ეტლის ქვეშ ჩავარდნილა და სასიკვდილოდ დაშავებულა... - მერე მოხუცი ჯოლიონი შეჩერდა და ძმისა და ძმისწულის თავზე წამომდგარი დიდხანს ჩაჰყურებდა მათ თვალებში. ბოლოს ისევ განაგრძო შეწყვეტილი საუბარი, - ამბობენ, ვითომ თვითმკვლელობაო.

ჯეიმსს ქვედა ყბა ჩამოუვარდა.

- თვითმკვლელობა? - იკითხა მან, - თავი რატომ უნდა მოეკლა?

- თუ შენ და შენმა ვაჟიშვილმა არ იცით, მაშინ მაღლა ღმერთის გარდა არავის ეცოდინება, - მკაცრად წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა.

ჯეიმსს არ უპასუხია.

ყველა ხანდაზმულ ადამიანს, და მათ შორის ფორსაიტებსაც, ცხოვრებაში ბევრი ავი დღე გადაუტანიათ. შემთხვევითი გამვლელი, ვინც მათ ადათ-ჩვეულებების საბურვლით მოცულსა და სიმდიდრესა და ფუფუნებაში ჩაფლულთ იხილავს, ვერც კი წარმოიდგენს, რომ მათ, ია-ვარდით მოფენილი შარაგზის გარდა, ნარეკლით დაფარული ბილიკებითაც უვლიათ. წელთა სიმრავლით დამძიმებული ყოველი კაცი - მათ შორის თვითონ სერ უოლტერ ბენტამიც, - თვითმკვლელობაზე ფიქრს ერთხელ მაინც შეუძ-

რავს; და თუ ერთი ხელის დაკვრით ბოლო არ მოუღია საკუთარი თავისთვის, ეს იმიტომ, რომ რაღაც შემთხვევას, გამოუცნობ იდუმალ შიშს, სიცოცხლისადმი სწრაფვას გადაურჩენია. ფორსაიტისთვის საკუთრებაზე საბოლოო უარის თქმა ძალზე სამძიმოა. ოჰ! როგორი სამძიმოა! იშვიათად - თითქმის არასდროს ირჩევენ ისინი ამ გზას; მაგრამ ხანდახან რა ახლოს არიან ხოლმე სიცოცხლის აღსასრულთან!

თვითონ ჯეიმსიც! რომელმაც ფიქრებში გართულმა უცებ წამოიყვირა: "გუშინდელ გაზეთში წავიკითხე, ნისლში ეტლმა ადამიანი გაჭყლიტა, მაგრამ გვარი არ ეწერაო!" - გონებაარეული ხან ჯოლიონს შესცქეროდა, ხან სომსს; მაგრამ თვითმკვლელობის აზრს ინსტინქტურად უკუაგდებდა. ჯეიმსს არ უნდოდა მის გონებაში ისეთ აზრს დაედო ბინა, რომელიც თავისი, შვილისა და ყოველი ფორსაიტის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა. იგი ცდილობდა გონებაშივე ჩაეკლა ეს საძაგელი აზრი; და, როგორც ბუნებით სჩვეოდა, რომ ყოველთვის ქვეცნობიერად უკუეგდო ხოლმე ისეთი აზრი, რომელიც სარისკო იყო, ამჯერადაც თანდათანობით დასძლია შიში და თვითონვე ირწმუნა, ეს უბედური შემთხვევა იყო და მეტი არაფერიო!

მოხუცმა ჯოლიონმა შეაწყვეტინა ფიქრი.

- მაშინვე მომკვდარა. მთელი გუშინდელი დღე საავადმყოფოში ყოფილა - არავის სცოდნია, ვინ იყო. მე ახლა იქ მივდივარ; თუ შენ და შენი ვაჟიც წამოხვალთ, კარგი იქნება.

მის სურვილს წინ არავინ აღსდგომია და მოხუცი ჯოლიონი ოთახიდან გავიდა.

დღე იყო წყნარი, ნათელი, კაშკაშა; მოხუცმა ჯოლიონმა ეტლის საბურავი გადაახსნევინა და დაბლა დააშვებინა. რბილ საზურგეს მიყრდნობილს, სიგარა ბოლომდე დაეყვანა, სუფთა ჰაერით ტკბებოდა და მოფუსფუსე ხალხს და აუარებელ ეტლს სიამოვნებით გასცქეროდა. ეს უცნაური, თითქოს პარიზული მხიარულება, ქუჩაში გამოფენილი ხალხის სიმრავლე და ფუსფუსი ნისლისა და ცუდი ამინდის შემდეგ დამდგარ ამ ნათელ დღეს მოეტანა. იგი თავს ბედნიერად გრძნობდა; რამდენიმე თვე იყო გასული, თავი ასე კარგად არ უგრძნია. ჯუნს თავისი გულის წადილი უკვე გაანდო; მომავალში შვილთან და შვილიშვილებთან ერთად იცხოვრებს (გაახსენდა, რომ სწორედ ამ დილით ახალგაზრდა ჯოლიონთან "რაგინდარაში" შეხვედრა ჰქონდა დანიშნული); სასიამოვნო განცდებს იწვევდა მოხუც ჯოლიონში ისიც, რომ ჯეიმსსა და "მესაკუთრესთან" სახლის თაობაზე ისაუბრებდა და მათზე გამარჯვებას იზეიმებდა.

ეტლის სახურავი კვლავ ააწევინა; მხიარულებაზე გული აღარ მოსდიოდა; არც ის იყო ლამაზი, რომ ფორსაიტი პოლიციის ინსპექტორთან ერთად ეტლში მჯდარი შეენიშნათ.

ეტლში მჯდომმა ინსპექტორმა კვლავ გარდაცვალებაზე ჩამოაგდო სიტყვა.

ნისლი არც ისე სქელი ყოფილა. მეეტლე ირწმუნება, რომ ჯენტლმენს შეეძლო საფრთხის შემჩნევა, მაგრამ თითქოს პირდაპირ ეტლზე მოდიოდაო. ეტყობა, ბოლო დროს ძალიან უჭირდა, მის ოთახში რამდენიმე საგირავნო ქვითარი ვიპოვეთ, ბანკში არავითარი კრედიტი არა ჰქონია, დღეს კი პროცესის თაობაზე

გაზეთებში ცნობა გამოქვეყნდა. ამას რომ ლაპარაკობდა, ცისფერი, ცივი თვალებით სამივე ფორსაიტს აცქერდებოდა.

მოხუცმა ჯოლიონმა შეამჩნია, როგორ მოექცა სახე ჯეიმსს, როგორ აღელდა და თავისსავე ფიქრსა და ნაღველში ჩაიძირა. ინსპექტორის სიტყვებმა მართლაც გამოაცოცხლეს ჯეიმსის არსებაში მიძინებული ეჭვი და შიში. უჭირდაო, საგირავნო ქვითრები ვიპოვეთო, ბანკში არავითარი კრედიტი არა ჰქონიაო! ამ სიტყვებმა, რომლებიც ჯეიმსს მთელი სიცოცხლე კოშმარივით აწვალებდა, ახლა თვალნათლივ დაანახვეს, რამდენად რეალური იყო თვითმკვლელობის ვერსია, რომელიც თვითონ მაშინვე უკუაგდო. ჯეიმსი შეეცადა შვილის გამოხედვა დაეჭირა, მაგრამ დადუმებული, გაკერპებული, ყურადღებად ქცეული სომსი მამას თვალს არიდებდა. მათი შემხედვარე მოხუცი ჯოლიონი მიხვდა, როგორ მტკიცედ ედგა ერთმანეთს მხარში მამა-შვილი და თვითონაც დიდი სურვილი დაეუფლა გვერდით ჰყოლოდა ჯო, თითქოს ბოსინის ცხედრის ნახვა ბრძოლა ყოფილიყოს, სადაც მოხუც ჯოლიონს მარტოს მოუხდებოდა ორთან შებმა. მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოეწყო, რომ ჯუნის სახელი ამ ამბავში არ გარეულიყო.

ჯეიმსს ჰყავს შვილი, ვისაც შეიძლება დაეყრდნოს! რატომ მანაც არ უნდა იხმოს ჯო?

მოხუცმა ჯოლიონმა სადარბაზო ბარათი ამოიღო და ზედ წააწერა: "კებს გიგზავნი და ახლავე აქ მოდი".

ეტლიდან რომ ჩამოვიდა, სადარბაზო ბარათი კებმენს გადასცა და უთხრა, სასწრაფოდ "რაგინდარაში" მისულიყო, ახალგაზრდა ჯოლიონი მოეკითხა, თუ უკვე მოსული აღმოჩნდებოდა, სა-

დარბაზო ბარათი გადაეცა და სასწრაფოდ საავადმყოფოში მოეყვანა, თუ არა და, იქვე დალოდებოდა...

მერე მამა-შვილსა და ინსპექტორს მიჰყვა უკან. ეტყობა, საფეხურებზე ასვლა უწინდებურად აღარ ეადვილებოდა, ვინაიდან ქოლგის ტარს იშველიებდა და ერთ წამს შედგა კიდეც, რომ სული მოეთქვა. ამ დროს ინსპექტორი მობრუნდა და თქვა:

- აი, საცხედრე აქაა, სერ, მაგრამ შეისვენეთ, შეისვენეთ.

ცარიელ, თეთრად შეღებილ ოთახში, რომლის გაკრიალებულ იატაკზე მხოლოდ მზის სხივი ციმციმებდა, სუდარაგადაფარებული ცხედარი დაესვენებინათ. ვეება მტკიცე ხელით ინსპექტორმა სუდარის ერთი კუთხე გადასწია და თვალდახუჭული გვამი გამოაჩინა. ეს თვალდახუჭული გვამი თითქოს გამომწვევად შეჰყურებდა მის ორივე მხარეს მდგომ ფორსაიტებს. თითოეულ მათგანში ცხოვრების ბობოქარი ტალღებივით აღდგა ფარული შიში და სიბრალულის განცდა, ცხოვრებისა, რომლიდანაც ბოსინი ამ თეთრი ოთახის კედლებმა სამუდამოდ გამოყო. თითოეულ მათგანში გამჟღავნდა საკუთარი ბუნების ცხადმყოფი ის ტენდენცია, ჩასახვა-წარმოშობა - აღზრდის ის უცნაური არსი, რომელიც თითოეულს სხვებისგან განასხვავებს და აიძულებს თავისებურად იფიქროს, იაზროვნოს და იმსჯელოს. სხვებისგან დაშორებული, თუმცა იდუმალად ახლო მყოფი, თითოეული მათგანი მდუმარედ განმარტოებული იდგა სიკვდილთან და თვალები ძირს დაეხარა.

ინსპექტორმა წყნარად იკითხა:

- თქვენ ამოიცანით, არა, ჯენტლმენი, სერ?

მოხუცმა ჯოლიონმა თავი ასწია და თანხმობის ნიშნად დააქნია. მერე პირდაპირ მდგომ ძმას შეხედა. ჯეიმსის მაღალი, გამხდარი სხეული ცხედრისკენ დახრილიყო, სახე წამოსწითლებოდა და ნაცრისფერი თვალები დაექაჩა. მერე სომსს შეავლო თვალი, რომელსაც ფერი წასვლოდა და მამის გვერდით წყნარად იდგა. მოხუცი ჯოლიონის სულში ძმისა და ძმისშვილისადმი მტრობა კვამლივით გააქრო თეთრი სიკვდილის სიახლოვემ. ნეტავ საიდან მოდის, ან როგორ მოდის ეს სიკვდილი? უეცრად უარყოფა იმისა, რაც წინათ იყო! ცხოვრების ვიწრო ბილიკზე უეცარი შემოღამება და მზის დაბნელება, ვიწრო ბილიკზე, რომელიც, ვინ იცის, საით მიემართება? სიცოცხლის ხის დამაზრობელი და შთანმთქმელი ბნელეთი! დაუნდობლად, უწყალოდ გამსრესი და მომსპობი ყოველი კაცისა, რომლებიც მამაცურად და ფხიზლად უნდა იბრძოდნენ უკანასკნელ წუთამდე! თუმცა რა არის ჩვენი ყოფა? ადამიანები ამ დიდ სამყაროში მწერებივით უმნიშვნელო არსებანი არიან! მზის სხივმა მოხუცი ჯოლიონის სახეზე გადაინაცვლა. სომსმა რაღაც გადაუჩურჩულა ინსპექტორს, გაბრუნდა და საცხედრიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

ჯეიმსმა უეცრად თავი მაღლა ასწია. მის ეჭვით გატანჯულ თვალებში იყო უცნაური სამდურავი, თითქოს იმის თქმა უნდოდა: "თუ ღმერთმა არა, მე ხომ ვიცი, რომ არ დაგპირისპირებივარო". მერე ცხვირსახოცი ამოიღო და დანამული შუბლი შეიმშრალა. დამწუხრებული კიდევ უფრო დაიხარა ცხედრისკენ, მობრუნდა და შვილის კვალს გაჰყვა.

მოხუცი ჯოლიონი კი იდგა სიკვდილით დადუმებული და თვალები ცხედრისთვის მიეპყრო. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა. იქნებ

ის დრო აგონდებოდა, როცა ამ გარდაცვლილი ყმაწვილივით შავი თმა ჰქონდა? იქნებ ცხოვრებასთან იმ ჭიდილისა და ბრძოლის სურათებს იხსენებდა, რომლებიც აგრერიგად უყვარდა, ბრძოლისა, რომელიც ამ ყმაწვილმა ისე დაამთავრა, რომ არც კი დაუწყია? იქნებ თავისი შვილიშვილის დამსხვრეულ იმედზე ფიქრმა წაიღო? ან იქნებ ის უცნაური ქალი მოაგონდა და იმის ნაღველმა წაართვა გონება? იქნებ უცნაურობასა და სიბრალულზე ფიქრობდა? ანდა ასეთი უღვთო სიკვდილის ბედის დაცინვად მიიჩნია? მერე სამართალი! მაგრამ ადამიანებისთვის სადაა სამართალი, ისინი ხომ წყვდიადში დაძრწიან!

იქნებ ფილოსოფიურმა განსჯამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იფიქრა: ამ ქვეყნის გაცლა, როგორც ეს ყმაწვილი გაეცალა, ყველაფერს აჯობებსო...

ვიღაცამ მკლავზე შეახო ხელი.

ცრემლებმა წამწამები დაუნამა მოხუც ჯოლიონს.

- რას იზამ, - თქვა მან, - შველა აღარაფრით შეიძლება და აქ უბრალოდ ვდგავარ. სჯობს წავიდე. რაც შეიძლო მალე მოდი ჩემთან, ჯო, - თქვა ეს და გარეთ გავიდა თავდახრილი.

ახლა ახალგაზრდა ჯოლიონს ხვდა წილად ცხედრის სიახლოვეს ყოფნა. მას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბოსინის ცხედრის ირგვლივ ყველა ფორსაიტის გულაღმა გართხმული უსულო გვამები ეყარა. დარტყმა ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა.

ამქვეყნიური ტრაგედიების ყველა მამოძრავებელმა ძალამ, რომლებიც არაფერს უფრთხიან, ერთად მოიყარა თავი და გამაყ-

რუებელი ზათქით გავარდნილმა მეხმა ირგვლივ ყველაფერი მიწაში ჩაიტანა.

ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა ჯოლიონი ბოსინის უძრავი სხეულის ირგვლივ გულაღმა გართხმულ ფორსაიტთა გვამებს ხედავდა.

მან სთხოვა ინსპექტორს, მისთვის გაენდო ყველაფერი, რაც მოხდა და ამ უკანასკნელმაც, შეპყრობილმა იმ კაცის სიხარულით, რომელსაც ასეთი შემთხვევა ყოველდღე როდი აქვს, თავიდან ბოლომდე დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ამ საქმეზე იცოდა.

- აქ სხვა ამბავი იმალება, სერ, იმის გარდა, რაც ერთი შეხედვით შეიძლება კაცს მოეჩვენოს. ჩემი აზრით, ეს არც თვითმკვლელობაა და არც უბედური შემთხვევა. უფრო მგონია, რომ ამ უბედურს რაღაც ისეთი შეემთხვა, რამაც გონება დაუბნელა და, მის ირგვლივ რა ხდებოდა, აღარ ესმოდა. თქვენ ხომ შეგიძლიათ რამე ნათელი მოჰფინოთ ამ საქმეს?

ინსპექტორმა ჯიბიდან რაღაც გახვეული ამოიღო და მაგიდაზე დადო. მან ფრთხილად გამოხსნა ფოსოდან ძვირფასთვალამოვარდნილი ვენეციური ოქროს გულსაბნევით შეკრული ქალის ცხვირსახოცი, რომელმაც ირგვლივ გამხმარი სოსანის სურნელი დააფრქვია.

- გარდაცვლილის გულის ჯიბეში აღმოჩნდა, - თქვა ინსპექტორმა, - ინიციალებიც აქვს!

ახალგაზრდა ჯოლიონმა ენა ძლივს დაძრა:

- მე ვერაფერში დაგეხმარებით!

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მის თვალწინ იმ სახემ გაიელვა, ვინც ბოტანიკურ ბაღში ბოსინის დანახვაზე სიამოვნებით ანაჟრჟოლი და სახეზე ღიმგადაფენილი იხილა. ჯო იმ ქალზე მეტს ფიქრობდა, ვიდრე საკუთარ ქალიშვილზე. ვიდრე საერთოდ ვინმეზე უფიქრია. გაახსენდა მისი შავი თვალები, ნაზი გამოხედვა, კოხტა, ვნებიანი სახე. ახლა იგი მიცვალებულს ელოდება. იქნებ სწორედ ამ წუთსაც მოლოდინშია, განაბული ზის მზის სხივებქვეშ და, მოთმინებით აღჭურვილი, მშვიდად უცდის გულის სწორს.

ახალგაზრდა ჯოლიონი მოწყენილი გაემართა მამის სახლისკენ და გზად მიმავალი იმაზე ფიქრობდა, ბოსინის სიკვდილი ფორსაიტთა ოჯახს დაანგრევსო. ეს დარტყმა მათ მიერ დადგმულ მეხამრიდს ასცდა და ოჯახის სიცოცხლის ხეს შიგ გულში ეძგერა. სხვებს ეს ხე შეიძლება უწინდებურად აყვავებული ეჩვენოთ, ლონდონელთა თვალში მან შესაძლოა კვლავ შეინარჩუნოს ამაყი შესახედაობა, მაგრამ ხერხემალი იმავე დარტყმით ექნება დალეწილი, რომლის მსახვრალმა ხელმაც უწყალოდ დალახვრა ბოსინი. მათი ხის ადგილზე ახალნაყარი შტოები წამოიზრდება და ახლა ესენი იქნებიან საკუთრების დამცველთა ბურჯები.

"ფორსაიტთა სიცოცხლის ტყე, მამულის მტკიცე, საიმედო საანძე საყრდენია!" - ასე ფიქრობდა ახალგაზრდა ჯოლიონი.

რაც შეეხება ბოსინის სიკვდილს, მთელი ოჯახი უეჭველად ერთიანი ძალით შეეცდება ამ საქმეს თვითმკვლელობის საძრახი ლაქა ჩამოაშოროს! ყველანი იმას იტყვიან, რომ ეს იყო ბედი მდევარი, უბედური შემთხვევა. გულში კი ამას განგების შურისგებად მიიჩნევენ. განა ბოსინიმ მათთვის ყველაზე სანუკვარი ჯიბისა და

ოჯახის ხელყოფა არ მოინდომა? და ისინი ძალიან სწორად მოიქ-ცევიან, თუ იტყვიან, რომ "ბოსინი უბედურმა შემთხვევამ იმ-სხვერპლაო". ან, იქნებ ყველაფერს სჯობდეს, რომ დუმილი არჩი-ონ?!

რაც შეეხება ახალგაზრდა ჯოლიონს, იგი მეეტლის ნათქვამს აინუნშიც არ აგდებდა. ისეთი შმაგი შეყვარებული, როგორც ბო-სინი იყო, ფულის გულისთვის არავითარ შემთხვევაში არ მოიკ-ლავდა თავს. მით უფრო, რომ ბოსინი იმათ რიცხვში არ ერია, ვინც ფინანსურ გაჭირვებას ასე ძალუმად განიცდის. ახალგაზ-რდა ჯოლიონს გარდაცვლილის სახე ძალიან ნათლად წამოუდგა თვალწინ და თვითმკვლელობის ვერსია მაინც უკუაგდო. სწო-რედ სიცოცხლის ზაფხულში უწია ბოსინის საფლავს ჩასვლამ და იმისმა რწმენამ, რომ უბედურმა შემთხვევამ სწორედ მაშინ იმ-სხვერპლა ბოსინი, როცა მისმა გრძნობამ ადამიანთა საზოგა-დოებაში არსებული ყველა მიჯნა მოშალა, უფრო დასწყვიტა და დაუთუთქა გული ახალგაზრდა ჯოლიონს.

მერე თითქოს ეზმანაო, სომსის სახლი იხილა ისეთი, როგო-რიც იყო და როგორიც მომავალში უნდა ყოფილიყო. ელვამ უცებ თვალისმომჭრელად გადაანათა დაკრეჭილი კბილების და კბილ-თაშუა არსებული შიშველი ნასვრეტები.

როცა ჯო სტენჰოპგეიტზე მივიდა, სასადილო ოთახში მხო-ლოდ მოხუცი ჯოლიონი იჯდა. დიდ სავარძელში მოკალათებუ-ლი მოხუცი ფერმიხდილი ჩანდა. იგი კედლებზე გაკრულ სურა-თებს ათვალიერებდა და სიამოვნებდა ნატიურმორტებითა და შესანიშნავი ფერწერული ტილოთი - "ჰოლანდიელ მეთევზეთა ნავები მზის ჩასვლის ჟამს". მისმა ცხოვრებამ, იმედმა, გამარ-

ჯვებამ და მიღწევებმა ხომ ამ სურათებთან ერთად განვლო და მისი მზეც ხომ ჩასასვლელად ემზადებოდა.

- ოჰ! ჯო, შენა? საბრალო ჯუნს ყველაფერი ვუთხარი. შენ სომსთან უნდა წახვიდე? იმ ქალმა თავის თავს უნდა დააბრალოს ყველაფერი. მაგრამ ხანდახან მასზე რომ ვფიქრობ ხოლმე, მის საცოდაობას ვეღარ ვიტან, - მერე თავისი გამხდარი, ძარღვებდა-ბერილი ხელი ჰაერში ასწია და მუშტი მოკუმა.

თავი მეცხრე

აირენის დაბრუნება

მამა და მოხუცი ჯოლიონი რომ საცხედრეში დატოვა, სომსი ქუჩაში გავიდა და უმიზნოდ ხეტიალს მოჰყვა.

ბოსინის დაღუპვამ ყველაფერი შეატრიალა. სომსს უკვე აღარ ჰქონდა ისეთი გრძნობა, რომ წუთების დაკარგვას საბედისწერო შედეგი მოჰყვებოდა. ძიების დამთავრებამდე რისკის გაწევას და იმის გაცხადებას, ცოლი გამექცაო, აზრი აღარ ჰქონდა.

იმ დილით სომსი ადრიანად ადგა და ვიდრე ფოსტალიონი მოვიდოდა, საფოსტო ყუთიდან თვითონ ამოიღო მოსული წერილები. მართალია, აირენისგან არაფერი ცნობა არ მიუღია, მაგრამ ბილსონს მაინც ასე უთხრა - შენი ქალბატონი ზღვის პირას დასასვენებლად გაემგზავრაო. იქნებ ამ შაბათს მეც წავიდე და კვირამდე იქ დავრჩეო. ეს თადარიგი ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა და მანამდე კი ყველგან უნდა ეძებნა უგზო-უკვლოდ გამქრალი ცოლი და როგორმე ეპოვა.

მაგრამ ბოსინის უცნაურმა სიკვდილმა, რომელზე ფიქრიც გულში გავარვარებული შანთის გაყრასავით სამძიმო იყო, ყველაფერი არივ-დარია და სომსს, მართალია, მხრებიდან უდიდესი ტვირთი ჩამოხსნა, მაგრამ მან უკვე აღარ იცოდა, დრო როგორ

მოეკლა. სომსი დაყიალებდა ქუჩებში, ყველა შემხვედრს დაჟინებით აკვირდებოდა, თან კი ათასგვარი შიში და ელდა ზაფრავდა.

თავისმა ყიალმა ის გაახსენა, ვისაც სამუდამოდ აღეკვეთა მის სახლთან ხეტიალი.

ნაშუადღევს, როცა განცხადებებს ჩაუარა და ამოიკითხა, გვამი ამოცნობილიაო, გაზეთი იყიდა, რომ ენახა, რას წერდნენ. სომსის ნება რომ ყოფილიყო, ამდენს არ ალაყბებდა მათ, მაგრამ ახლა რა უნდა ექნა! იგი სიტისკენ გაემართა, ბოულტერი მოძებნა და დიდხანს ესაუბრა.

სახლში რომ ბრუნდებოდა, დაახლოებით ხუთის ნახევარზე, ჯობსონის მახლობლად ჯორჯ ფორსაიტს გადაეყარა, რომელმაც ჰკითხა, - საღამოს გაზეთი თუ ნახე და "მეკობრეზე" რას წერენ თუ იციო.

სომსმა მტკიცე ხმით უთხრა:

- დიახ.

ჯორჯი დააშტერდა. მას სომსი წინათაც არ ჰყვარებია და ახლა კი ბოსინის დაღუპვის მიზეზად მიაჩნდა. სომსმა მოუღო ბოლო ბოსინის, გაამწარა საკუთრებისადმი თავისი დამოკიდებულებით, სიგიჟემდე მიიყვანა და მერე ის უბედური შემთხვევაც მოხდა.

"საწყალი ბიჭი, - ფიქრობდა ჯორჯი, - ეჭვმა ისე გამოათაყვანა, შურისძიების მწველმა სურვილმა ისე დაუბნელა გონება, რომ ნისლში ომნიბუსი ვეღარ შენიშნა".

სომსმა დაღუპა! ამ განაჩენს ამოიკითხავდით ჯორჯის თვალებში.

- აქ თვითმკვლელობაზეა ლაპარაკი, - წარმოთქვა ჯორჯმა, მაგრამ ასეთი ოინი არ გაუვათ.

სომსმა თავი გააქნია.

- ეს უბედური შემთხვევაა და მეტი არაფერი, - ჩაილაპარაკა მან.

ჯორჯმა გაზეთი მუჭაში მოჭმუჭნა და ჯიბეში იკრა, რადგან სომსის ნათქვამმა თავშეკავების უნარი დააკარგვინა.

- სახლში ხომ კარგად ხართ? პატარა სომსები ხომ არ გეყოლათ?

გაჯავრებისგან ჯობსონის კიბის საფეხურებივით გათეთრებულმა სომსმა პირი ისე ფართოდ გააღო, თითქოს უნდა დაიღმუვლოსო, წინ გავარდა და ჯორჯს მხედველობიდან დაეკარგა.

სახლს რომ მიაღწია, ამერიკული საკეტი გახსნა, ოდნავ განათებულ ჰოლში შევიდა და, პირველი, რასაც თვალი მოჰკრა, ეს იყო ცოლის ოქროთი მოზარნიშებული ქოლგა, რომელიც ნოხგადაფარებულ სკივრზე ეგდო. პალტო სასწრაფოდ გაიძრო და სასტუმროში თითქმის შევარდა.

სარკმელზე ფარდები ჩამოეშვათ, მაგრამ ბუხარში შეკეთებული მოგიზგიზე კედრის კუნძების შუქზე მან დაინახა აირენი, რომელიც დივანზე ჩვეულებრივ ადგილას ჩამომჯდარიყო. სომსმა კარი ნელა მიხურა და პირდაპირ ცოლისკენ წავიდა. აირენი ისე უძრავად იჯდა, თითქოს სომსის შესვლა ვერც შენიშნაო.

- დაბრუნდი? - წარმოთქვა სომსმა, - რატომ ზიხარ ბნელში?

კარგად რომ დააკვირდა, შენიშნა, რომ აირენს სახე ისე გაჰფითრებოდა, თითქოს ძარღვებში სისხლი გაჰყინვიაო. თვალები კი დიდრონი, შავი თვალები, ფართოდ გაეღო და ბუს მიაგავდა.

დივნის კიდეში მიკუნჭული, რუხ ქურქგაუხდელი აირენი, მართლაც უცნაურად მიაგავდა დატყვევებულ ბუს, რომელსაც ფრთები და გულის პირის ბუმბული გალიის მავთულებში გამოსჩხერია. სწორი, გამართული, მოქნილი ტანი ისე დაღვლარჭნოდა, თითქოს საშინელმა ვარჯიშმა სხეული ერთიანად დაუმსხვრიაო. თითქოს გახმობოდა ძელი ცხოვრებისა, წართმეოდა სიცოცხლის მიზანი და სხეულის მოქნილობას, აშხვართულ ტანს და სილამაზეს მისთვის ყოველგვარი აზრი დაჰკარგოდა.

- მაშ დაბრუნდი, არა? - კვლავ გაუმეორა სომსმა.

აირენს არ შეუხედავს, არ დალაპარაკებია, მხოლოდ ცეცხლის შუქი ელვარებდა მის უძრავ სხეულზე.

უცებ აირენმა ასადგომად წამოიწია, მაგრამ სომსმა შეუშალა ხელი. იგი ახლა მიხვდა ყველაფერს.

აირენი დაბრუნდა, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცი ბრუნდება ბუნაგში, რადგან არ იცის, სად წავიდეს, არ იცის, რას სჩადის, კუთხეში მიყუჟული აირენის სხეულისთვის თვალის შევლებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ სომსი ყველაფერს მიმხვდარიყო.

სომსმა იგრძნო, რომ ბოსინი იყო მისი ცოლის არა მარტო მიჯნური, არამედ საყვარელიც. იგრძნო, რომ აირენმა იცოდა მისი დაღუპვის ამბავი. იქნებ მანაც სომსივით იყიდა გაზეთი და ქუჩის კუთხეში, ორჭოლ ქარზე წაიკითხა ბოსინის სიკვდილზე გამოქვეყნებული ცნობა.

აირენი თავისი სურვილით დაბრუნდა იმ გალიაში, რომლიდანაც გულით ეწადა გაფრენა. აირენის უკან დაბრუნების ამ შემაძრწუნებელ, დამზაფრავ აზრს რომ მისწვდა, სომსმა თავი ძლივს

შეიკავა, რომ არ ეყვირა: "წაათრიე ეგ წყეული სხეული, რომელიც აგრერიგად მიყვარს, და გადი ჩემი სახლიდან! ნუღარ მაყურებინებ მაგ თეთრ, სიბრალულისმომგვრელ, საცოდავ, მაგრამ ულმობელ, მინაზებული სახისთვის, თორემ მოგსპობ! გაგსრეს! წადი, დაიკარგე და აღარ მეჩვენო!"

უეცრად სომსმა შენიშნა, რომ აირენი, თითქოს ეს გულში ნათქვამი სიტყვები გაიგონა და საშინელი სიზმრიდან გამოერკვაო, წასასვლელად წამოიწია. წამოიწია და ისე სურდა სიცივესა და ბნელში წასვლა, რომ სომსზე არც უფიქრია და არც მისი იქ ყოფნა შეუმჩნევია.

სწორედ მაშინ სომსმა გულში ნაფიქრის საწინააღმდეგოდ იყვირა:

- არა, დარჩი, ნუ წახვალ! - მობრუნდა და ბუხრის მეორე მხარეს თავის ჩვეულებრივ ადგილას სავარძელში ჩავარდა.

კარგა ხანს ისხდნენ ასე დადუმებულნი.

სომსი ფიქრობდა: "რისთვის ხდება ასე? რატომ უნდა ვიტანჯო? რა ჩავიდინე ისეთი? ჩემი ბრალი ხომ არაა?"

კვლავ ცოლისკენ გააპარა თვალი. იგი კუთხეში მიყუჟულიყო, როგორც სასიკვდილოდ დაკოდილი ფრინველი, რომელიც უკანასკნელად ისუნთქავს ჰაერს, ვიდრე სამუდამოდ დახუჭავდეს თვალებს, ერთხელ კიდევ მიაპყრობს თავის მკვლელს დაბინდულ, ნაზ მზერას, უკანასკნელად ეთხოვება მზეს, ჰაერსა და გულის სწორს.

ასე ისხდნენ ისინი ბუხრის სხვადასხვა მხარეს მდუმარენი.

ცეცხლში შეკეთებული კედრის კუნძების სუნი, რომელიც სომსს აგრერიგად უყვარდა, ახლა სულს უხუთავდა. ჰოლში გა-

სულმა, კარი ყურთამდე გააღო და ოთახში შემოჭრილი ცივი ჰაერი ძალუმად ჩაისუნთქა. მერე პალტოჩაუცმელი, უქუდოდ გავიდა სკვერში.

ბაღის მოაჯირს ნახევრად მშიერი კატა მოადგა, მის პირდაპირ შემოძრომა სცადა და სომსმა იფიქრა: "ტანჯვა! მერედა როდის დამთავრდება ჩემი ტანჯვა?"

სომსის პირდაპირ, მისი ერთი ნაცნობი, გვარად რატერი, თავისი სახლის წინ ფეხებს ისეთი იერით იწმენდდა, თითქოს ამბობდა, - აქ მე ვარ ბატონ-პატრონიო. სომსმა მდუმარედ ჩაუარა მას.

შორიდან, მიუხედავად ქუჩის ხმაურისა, სუფთა ჰაერში კარგად ისმოდა ზარების გუგუნი. ეს მორწმუნენი "ვარჯიშობდნენ" ქრისტეს მოსვლამდე. გუგუნი იმ ეკლესიიდან მოისმოდა, სადაც სომსმა და აირენმა დაიწერეს ჯვარი.

გულითა და სულით მოუნდა მაგრად გამოთრობა, რომ ხასიათი შესცვლოდა და ყველაფერი გადავიწყებოდა, ან სამოქმედოდ ანთებულიყო. მერე შავი ფიქრები აეშალა. თუ თავი დააღწია ამ ობობას ქსელს, რომელიც პირველად იგრძნო თავის გარშემო, ხომ კარგი! თუ მოერია გრძნობას და ჩააგონა თავის თავს, რომ გაეყაროს, სახლიდან გააგდოს! მან ხომ დაივიწყა, თვითონაც უნდა დაივიწყოს!

თუ დაიმორჩილა გულის ხმა, - გაუშვი, იგი ხომ ბევრს იტანჯა!

თუ დაუჯერა შინაგან ძახილს, - იგი შენს ხელთაა და შენს მონად აქციე!

თუ აჰყვა გონების ხმას, - რა აზრი აქვს ყველაფერ ამას? დაივიწყე ცოტა ხნით შენი თავი, დაივიწყე! მაგრამ ყველაფერი

ასე იოლი როდია, ამ დავიწყებას მსხვერპლის შეწირვა და ზვარაკი ესაჭიროება.

თუ გონების გარეშე გადაწყვიტოს რამე!

მაგრამ სომსს არაფრის დავიწყება არ შეეძლო. არ შეეძლო არც შინაგანი ხმის, არც გონების, არც სურვილების დამორჩილება. ეს იყო ძალიან სერიოზული, გულში და სულში ჩამწვდომი ამბავი და იგი ისეთ გალიაში იმყოფებოდა, რომლიდანაც გამოსვლა არ ძალუძდა.

სკვერის შორეულ კუთხეში საღამოს გაზეთის გამყიდველი ბიჭები მუშტარს უხმობდნენ, გაჰკიოდნენ და მათი ხმა ეკლესიის ზარების ხმას ერთვოდა.

სომსმა ყურებზე ხელები აიფარა. თავში ისეთმა აზრმა გაურბინა, რომ ჟრუანტელი მოჰგვარა. ხომ შეიძლებოდა შემთხვევის წყალობით ბოსინის ნაცვლად თვითონ წოლილიყო საცხედრეში და მაშინ, სასიკვდილოდ დაჭრილი ფრინველივით კუთხეში მიყუჟვის ნაცვლად...

რაღაც რბილი ეხახუნებოდა ფეხებზე, დაბლა დაიხედა და კატას მოჰკრა თვალი. გულიდან მომსკდარმა ქვითინმა მთელი სხეული შეუძრა. მერე ბნელში სახლებიღა შეჰყურებდნენ. ალბათ ყოველ მათგანში იყო პატრონი და დიასახლისი და ყოველ ოჯახს ჰქონდა იდუმალებით მოცული ბედნიერება ან მწუხარება.

უცებ თვალი მოჰკრა, რომ მისი სახლის კარი ღია იყო და განათებული ჰოლის ფონზე შესასვლელში შავად მოჩანდა ვიღაც მამაკაცი. გულმა რეჩხი უყო და კართან ფრთხილი ნაბიჯით მივიდა.

სომსმა კარგად გაარჩია თავისი ბეწვიანი პალტო, რომელიც ჩუქურთმიან მუხის სავარძელზე იყო გადაგდებული, სპარსული ნოხი, ვერცხლის თასები, კედლებზე დაკიდებული ფაიფურის თეფშები და კარის ზღურბლზე გაჩერებული უცნობის ტანი.

- რა გნებავთ, სერ? - მკაცრად ჰკითხა სომსმა.

ზღურბლთან გაჩერებული კაცი სომსისკენ შემობრუნდა. ეს გახლდათ ახალგაზრდა ჯოლიონი.

- კარი ღია იყო, - წამოიწყო ახალგაზრდა ჯოლიონმა, - შეიძლება წუთით თქვენი ცოლის ნახვა? დავალება მაქვს და უნდა გადავცე!

სომსმა ალმაცერად შეხედა.

- ჩემს ცოლს არავის ნახვა არ სურს, - კვლავ გაიმეორა სომსმა.

ახალგაზრდა ჯოლიონმა უცებ კარში გახარიხებულ სომსის მხარს უკან გაიხედა. თვითონ სომსმაც უკან მიაბრუნა თავი. სასტუმრო ოთახის კარში აირენი იდგა. თვალები ცეცხლოვანი და მძვინვარე ჰქონდა. ტუჩები მღელვარებისგან უთრთოდა და ხელები წინ ისე გამოეწვდინა, თითქოს ვინმეს საშველად უხმობსო. მათ დანახვაზე სახეზე ნათელი გაუქრა, ხელები ჩამოუვარდა და გაქვავებულივით იქცა.

სომსმა თავი სტუმრისკენ მოაბრუნა, მისი მზერა დაიჭირა და ყელიდან ღმუილისმაგვარი ხმა აღმოხდა. მერე ტუჩები თითქოს სიცილმა გაუპოო.

- ეს ჩემი სახლია, - პირქუშად დაიწყო მან, - მე არ დავუშვებ, რომ ჩემს საქმეში ვინმე ჩაერიოს. მე თქვენ ერთხელ უკვე გითხარით და კვლავ გიმეორებთ, ჩვენ ახლა სტუმრებს არ ვიღებთ.

ეს თქვა და ახალგაზრდა ჯოლიონს კარი ცხვირწინ მოუკეტა.

ინტერლუდია* - ბებრის ყვავილობა

*ინტერლუდია (იტალ.) - (მუს.) მცირე პიესა, რომელიც ჩართულია მუსიკალური ნაწარმოების ორ ნაწილს შორის; (თეატ.) იგივეა, რაც ინტერმედია. ანუ დრამატული ან საოპერო ნაწარმოების აქტებს შორის ჩართული კომიკური ხასიათის სცენა ან პიესა. აქ: ორ რომანს შორის ჩართული მცირე ზომის ნაწარმოები.

I

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მაისის თვის უკანასკნელ რიცხვში, რობინჰილში წამოჭიმული თავისი სახლის ტერასის წინ მუხის ჩრდილს შეფარებული ჯოლიონი იჯდა და კოღოების შემოტევას ელოდებოდა, რომ ზეაღმტაცი დღის ცქერით ტკბობისთვის თავი მიენებებინა. ყავისფრად ჩამჭკნარი, ლურჯ ძარღვებზევიდან დამსხდარი ხელის წვრილი, გრძელფრჩხილება თითებით სიგარა ეჭირა. ბოლოწამახული ფრჩხილები სწორედ დედოფალ ვიქტორიას მეფობის დროიდან შემორჩენოდა, როცა თითის წვერებითაც თუ არაფერს შეეხებოდით, სწორედ ეს იყო გამორჩევისა და სხვებზე მაღლა დგომის მაჩვენებელი. მის წინწამოშვერილ შუბლს, გრძელ, ჭაღარა ულვაშს, გამხდარ ლოყებსა და ასევე გამხდარ გრძელ ნიკაპს ჩამავალი მზის სხივებისგან პანამის გახუნებული, ფართოფარფლიანი ქუდი იფარავდა. ფეხი ფეხზე გადაედო. მთელ მის პოზაში იგრძნობოდა სიმშვიდე და ბერიკაცის განსაკუთრებული ნატიფი კეთილშობილება. ბერიკაცისა, რომელიც ყოველდღე ოდეკოლონს ისხურებს აბრეშუმის ცხვირსახოცზე. მის ფერხთით ვეება ბანჯგვლიანი ნაგაზი, ბალთაზარი იწვა. მასა და მოხუც ჯოლიონს შორის არსებული ურთიერთსიძულვილი ჟამთა დინებას სიყვარულით შეეცვალა. სავარძელთან ჩამობმულ საქანელაზე დასკუპებული თოჯინა, "ბრიყვი ალისა“(ალისა - კეროლის წიგნის, "ალისა სასწაულების ქვეყანაში" გმირი გოგონა. ჭკვიანი ალისას საპირისპიროდ აქ ნახმარია

"ბრიყვი ალისა".), თავდაყირა გადმოვარდნილიყო და ცხვირი თავის პაწაწინა ქვედატანში ჩაერგო. აბა ვის უყვარდა ალისა და განა მისთვის სულერთი არ იყო, როგორც უნდა მჯდარიყო? ბერმუხის უკან, დაღმართს გაზონი გასდევდა, გვიმრით დაჯარულ ადგილამდე იჭიმებოდა, მდელოს უერთდებოდა, გუბურამდე აღწევდა და მერე იშლებოდა "ჩინებული, თვალწარმტაცი" ხედი - აი, სწორედ ამ ბერმუხის ქვეშ მჯდარ აირენთან ერთად სახლის დასათვალიერებლად ჩამოსულ სუითინ ფორსაიტს აქაურობაზე თვალი ზედ დარჩა. მოხუც ჯოლიონს ყური ჰქონდა მოკრული თავისი ძმის ამ გმირული საქციელისთვის. ეს მგზავრობა ხომ ფორსაიტების ბირჟაზე ერთობ გახმაურდა. სუითინი! შარშან ნოემბერში რომ სული განუტევა. დაბადებიდან კი სულ რაღაც სამოცდაცხრამეტი წლისა იყო. სუითინმა ამით კიდევ ერთი ეჭვი შეიტანა ფორსაიტების უკვდავებაში, ეჭვი, რომელიც პირველად მაშინ ჩაისახა, პაპიდა ენი რომ გარდაიცვალა. სული განუტევა და ახლა დარჩნენ მხოლოდ ჯოლიონი, ჯეიმსი, როჯერი, ნიკოლასი, ტიმოთი, ჯოლი, ესთერი და სიუზენი. ფიქრებმა ისევ შთანთქეს მოხუცი ჯოლიონი: "ოთხმოცდახუთი წელი! მე კი სულაც არ ვგრძნობ წლების სიმძიმეს - ტკივილები რომ არ წამომივლიდეს ხოლმე!"

მისი ფიქრები წარსულს გადასწვდნენ. იგი მას მერე ვეღარ გრძნობდა ასაკს, რაც ამ სამი წლის წინ თავისი ძმისშვილის - სომსის რობინჰილზე მდგარი ავბედითი სახლი იყიდა. შვილთან და შვილიშვილებთან ქალაქგარეთ მცხოვრები ბერიკაცი, თითქოს ყოველ გაზაფხულზე უფრო და უფრო ახალგაზრდავდებოდა; ჯუნიც აქ იყო და ახალგაზრდა ჯოლიონის მეორე ქორწინების

შედეგად ნაყოლი ჯოლი და ჰოლიც აქ ესალბუნებოდნენ პაპის გულს. ასე ცხოვრობდა იგი ლონდონის ხმაურსა და ფორსაიტების ბირჟის აურზაურს მოშორებული, თავისუფალი ყოველგვარი სხდომებისგან, იმის სიამით აღვსილი, რომ ამიერიდან არ სჭირდებოდა მუშაობა, და ჰქონდა საკმარისი გასართობი: სახლის შემდგომი მორთვა-მოკაზმვა, ოცი აკრი მიწის მოვლა-პატრონობა და ჯოლისა და ჰოლის ოინები. ჯუნის, სომსის, მისი ცოლის აირენის და საბრალო ახალგაზრდა ბოსინის ხანგრძლივი და ტრაგიკული თავგადასავლის შედეგად გულს დაჭდეული ყველა ჭრილობა და წყენა ერთიანად მოუშუშდა. თვითონ ჯუნიც განიძარცვა სევდა-დარდისგან, რასაც თუნდ ის გარემოებაც ადასტურებდა, ახლა მამასთან და დედინაცვალთან ესპანეთში რომ გაემგზავრა. მათი წასვლის შემდეგ საოცრად მშვიდი ატმოსფერო შეიქმნა. ჩინებული ატმოსფერო, ოღონდ ერთობ დიდი სიცარიელე იგრძნობოდა, რადგან ბერიკაცს შვილი გვერდით არ ჰყავდა. ჯო ნუგეშის წყაროდ ქცეულიყო მისთვის - ზრდილი და სიამის მომგვრელი ყმაწვილი. მაგრამ ქალები, რაც უნდა კარგები იყვნენ, ყოველთვის ნერვებს უშლიან ადამიანს, თუ მათდამი აღტაცებასა და თაყვანისცემას არა გრძნობთ.

შორიდან მოისმოდა გუგულის მოძახილი. მინდვრის ბოლოს, თელაზე შემომჯდარი გარეული მტრედი ღუღუნებდა; და მერე როგორ დაამშვენეს მიდამო გვირილებმა და ბაიებმა ბალახის მოთიბვის შემდეგ. დაქროლა დასავლეთის ქარმა - რა საამური ჰაერია, სურნელოვანი! ბერიკაცმა ქუდი გადაიწია და ნიკაპი და ლოყა შეუშვირა მზეს. დღეს რატომღაც ეძნელებოდა მარტოობა, ენატრებოდა მზერის დამტკბობი მშვენიერი სახე. რატომღაც

ჰგონიათ, რომ მოხუცებს არაფერი სჭირდებათ. და აი, ამ ფორ-საიტულმა ფილოსოფიამ, რომელიც მარად ცოცხლობდა მის სულში, აფიქრებინა: "ყოველთვის რაღაც გაკლია, ცალი ფეხი შე-იძლება სამარეში გედგას და მაინც გინდოდეს რაიმე". აი აქ, ქა-ლაქისგან შორს, ზრუნვისა და საქმეებისგან მოშორებით - შვი-ლიშვილები და ყვავილები, მისი პაწაწინა მამულის ხეები და ჩი-ტუნები, და, ყველაფერზე უმეტეს, მზე, მთვარე და ვარსკვლავე-ბი, ზევიდან რომ დაჰნათოდნენ, დღედაღამ ეჩიჩინებოდნენ: "სე-ზამ, გაიღე!" და გაიღო სეზამი, გაიღო მისთვის დღითა და ღამით, ისე ფართოდ გაიღო, რომ თვითონაც ვერ იტყოდა, როგორ. ის, რასაც ამ ბოლო დროს "ბუნებას" ეძახიან, ყოველთვის პოულობ-და გამოძახილს მის გულში, გულწრფელ, თითქმის რელიგიურ გამოძახილს, თუმცა ჩვეულებისთვის არასოდეს უღალატია, რომ მზის ჩასვლისთვის მზის ჩასვლა ეწოდებინა და ხედისთვის - ხე-დი, რა ძლიერადაც უნდა შეეძრათ მათ. მაგრამ ახლა ბუნებას იმ-დენად მტკივნეულად შეიგრძნობდა, რომ სევდაც მოერია. ამ წყნარ, ნათელ დღეებში, თანდათან რომ მატულობდნენ, მოხუც ჯოლიონს ჩვეულებისამებრ ჰოლისთვის ჩაეჭიდა ხელი და ახლო-მახლო მიდამოებში ისე მიმოდიოდა. მათ წინ ბალთაზარი მიცან-ცალებდა, გულმოდგინედ დაეძებდა რაღაცას და ვერ კი პოულობდა. მოხუცი ჯოლიონი უცქეროდა როგორ იშლებოდნენ ვარდები, როგორ დგებოდა წვენი ჩამწკრივებულ ხეხილზე გა-მოსხმულ ნაყოფში, როგორ აფრქვევდა მზე ოქროსფერ სხივებს მუხის ფოთლებსა და ყლორტებს ჭალაში. უმზერდა, როგორ იშ-ლებოდნენ და ბრწყინავდნენ თეთრი დუმფარები, ერთადერთ დათესილ ნაკვეთზე როგორ ბზინავდნენ ნორჩი ვერცხლისფერი

თავთავები. უსმენდა ტოროლების გალობას და შაშვების ჭიკ-ჭიკს, უმზერდა, როგორ იცოხნებოდნენ ოლდერნეის ძროხები და რა ზანტად აქნევდნენ კუდებს. ყოველი ასეთი მშვენიერი დღე სევდით ავსებდა მოხუცი ჯოლიონის გულს. მან კარგად იცოდა, რამდენადაც ძლიერ უყვარდა თავისიანები და ბუნება, იმდენად გულისმომწყვლელი იქნებოდა განშორების ჟამს მათი დათმობა. ისიც კარგად უწყოდა, რომ ცხოვრების ამო სიამოვნება წარმავალი გახლდათ და დიდხანს აღარ მოუწევდა მისით ტკბობა და სიხარული. ფიქრი, რომ ოდესმე, იქნებ ათი წლის შემდეგ, ან უფრო ადრეც - ხუთ წელიწადში, ეს ქვეყნიერება წაერთმეოდა, წაერთმეოდა ყველაფერი გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამოიწურებოდა მისი სიყვარულის ძალა, მოხუც ჯოლიონს უსამართლობად მიაჩნდა. თუ რაიმე კიდევ იარსებებს სიკვდილის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი არ იარსებებს, რაც მას სულითა და გულით უნდა, მისთვის შეწყვეტს არსებობას რობინჰილი ჩიტუნებით, ყვავილებით, ლამაზი სახეებით - იგი მათ ახლაც ნაკლებად ხედავს. წლებთან ერთად ყოველივე ყალბისადმი ზიზღი თანდათან უძლიერდებოდა. მართალი საქმის რწმენა და სიყვარული, რომელიც 60-იან წლებში ისევ დაინერგა და ძალის სიჭარბის წყალობით გაზარდა საკუთარ მეში, როგორც ქილვაში, ახლა უკვალოდ გაქრა და უკვე სამ რამეს თუ სცემდა თაყვანს: სილამაზეს, პატიოსნებასა და საკუთრების შეგრძნებას. უპირველესი ადგილი მაინც სილამაზეს ეჭირა. მოხუც ჯოლიონს ყოველთვის ბევრი რამ აინტერესებდა და, წარმოიდგინეთ, ახლაც კითხულობდა "ტაიმსს", მაგრამ საკმარისი იყო შაშვის ჭიკჭიკისთვის მოეკრა ყური, რომ გაზეთი მაშინვე განზე გადაედო. პატიოსნება და სა-

კუთრება, რაც უნდა იყოს, ადამიანს ღლიან. შაშვების ჭიკჭიკსა და მზის ჩასვლას კი მოხუცი ჯოლიონი არასოდეს მოუღლიათ. მხოლოდ ისეთი გრძნობა კი შთაბერეს, რომ მათი მოსმენითა და ცქერით საწყაული არასოდეს აღევსებოდა. როცა ადრეული საღამოს მშვიდ ბრწყინვასა და გაზონის ოქროსფერ და თეთრ პაწაწინა ყვავილებს შეავლო თვალი, ასე გაიფიქრა: ამინდი "ორფეოსის"("ორფეოსი" - გლუკის ოპერა "ორფეოსი ჯოჯოხეთში".) მუსიკას მიაგავს, რომელიც ამას წინათ კოვენტ გარდენის(კოვენტ გარდენი - ასე ეწოდებოდა ლონდონის ოპერის თეატრს.) თეატრში მოვისმინეო. ჩინებული მუსიკაა, რა თქმა უნდა, არც მეიერბერია და არც მოცარტი, მაგრამ თავისებურად, ვინ იცის, იქნებ ერთსაც სჯობდეს და მეორესაც. მასში არის რაღაც კლასიკური, ოქროსხანისეული(ოქროსხანისეული - ინგლისში ოქროს ხანას ხშირად უწოდებენ XVIII საუკუნეს, როცა ხელოვნებაში კლასიკური მიმართულება იყო გაბატონებული.), წმინდა და ჟღერადი. მერე რავოლი როგორ მღერის, "პირდაპირ გარდასულ ჟამს აგონებს", - ეს იყო ყველაზე დიდი ქება, რაც ჯოლიონს შეეძლო გამოემეტებინა. ორფეოსის სევდა-ნაღველი, იმით გამოწვეული, სილამაზე რომ ხელიდან ეცლებოდა, ქვესკნელს შთანთქმულ სიყვარულზე გოდება, - როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე, როცა სილამაზე და სიყვარული გვტოვებს, - ეს სევდა-ნაღველი და გოდება ოქროს ჰანგებად იღვრებოდა იმ დღეს ოპერის ოთხ კედელში, იმ საღამოსაც დედამიწაზე, ნაგვიანევად ნაპოვნი სილამაზე, დაკარგული სიყვარულით გამოწვეული სევდა-ნაღველი, გოდება და სინანული იმალვოდა. კორპისძირიანი მოქნილი ფეხსაცმლის წვერი უნებურად ბალთაზარს მოახვედრა. გა-

მოღვიძებულმა ძაღლმა რწყილს დაუწყო ღრენა. არ ჰყავდა რწყილები ბალთაზარს, მაგრამ აბა როგორ დაერწმუნებინათ ამაში? რანაირად? ღრენას რომ მორჩა, იმ ადგილით, რომელსაც სულ მცირე ხნით ადრე იფხანდა, მოხუცი ჯოლიონის ფეხს გაეხახუნა, ნიკაპი პატრონის მოუსვენარ ფეხსაცმელზე ჩამოდო და დაწყნარდა. უცებ ჯოლიონის მეხსიერებაში ისევ გაცოცხლდა სახე, რომელიც ამ სამი კვირის წინ ოპერაში ნახა - აირენი, თავისი ახალგაზრდა ძმისშვილის სომსის, იმ მესაკუთრის ცოლი! მართალია, მოხუც ჯოლიონს არ ენახა აირენი თავის ძველ სახლში სტენჰოპგეიტზე გამართული წვეულების შემდეგ, მას მერე, რაც მისი შვილიშვილის ჯუნის და იმ ყმაწვილი ბოსინის ავბედითი ნიშნობა იზეიმეს, მაგრამ ახლა ერთაბაშად მოაგონდა იგი, სწორედ ისეთი, როგორიც ყოველთვის, თავისი სილამაზით რომ უტკბობდა მზერას: ეს ჩინებული, თვალწარმტაცი არსება. როგორც კი საყვარელი დაეღუპა, აირენმა დაუყოვნებლივ დატოვა სომსის სახლი. ახლა მაღალმა ღმერთმა თუ იცოდა, რა დღეში იყო, ან რას აკეთებდა იგი. აირენის სახის პროფილი მოხუცმა ჯოლიონმა თეატრში ყოფნისას წინა რიგში შენიშნა. და ამ სამი წლის განმავლობაში ეს იყო ერთადერთი იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იგი კვლავ ცოცხლებში ერია. აირენზე არასოდეს აღარ ლაპარაკობდნენ. და მაინც ერთხელ ჯომ ისეთი რამე უთხრა, რამაც სულ მთლად აუმღვრია გუნება. ჩანს, ყველაფერი ეს ჯომ ჯორჯ ფორსაიტისგან გაიგო, რომელმაც, ეტყობა, ნისლში ნახა ბოსინი, იმ დღეს, როცა ომნიბუსის ქვეშ მოჰყვა - სწორედ ის ამბავი, რითაც აიხსნებოდა ახალგაზრდა კაცის სასოწარკვეთილება - სომსის თავზარდამცემი საქციელი ცოლისადმი, უგვანი საქციელი. ჯომ

აირენი იმ საღამოს ნახა, უბედურების შემდეგ, ნახა ერთი წუთით, და შვილის მიერ აღწერილი სურათი ღრმად ჩაიბეჭდა მოხუცი ჯოლიონის გონებაში. "სასომიხდილად და დაღუპულად" მიიჩნია მოხუცმა ჯოლიონმა აირენი. მეორე დღეს ჯუნი როგორღაც მოერია თავს და აირენთან წავიდა. მოსამსახურე ქალმა ტირილით მოუთხრო, რომ მისმა ქალბატონმა ღამით დატოვა სახლი და გადაიკარგა. ტრაგიკული ამბავია, ნამდვილად ტრაგიკული! ერთი რამ ცხადია: სომსმა ვეღარ შეძლო ისევ დაებრუნებინა ცოლი. იგი ბრაიტონში(ბრაიტონი - ქალაქი-კურორტი, გაშენებულია სამხრეთ ინგლისის სანაპიროზე.) ცხოვრობდა, დაიარებოდა ლონდონში და საღამოობით უკანვე ბრუნდებოდა. ახია მასზე - იმ მესაკუთრეზე! თუ მოხუც ჯოლიონს ეზარებოდა ვინმე (როგორც თავისი ძმისშვილი ეზარებოდა), არასოდეს შეიცვლიდა აზრს, არასოდეს. დღემდე ახსოვდა მოხუცს, როგორ მოეშვა გულზე, როცა უთხრეს, აირენი სახლიდან გაიქცაო - მძიმე იყო იმაზე ფიქრი, როგორ ეწამებოდა აირენი ამ სახლში, სადაც, როგორც ჯომ ნახა, ალბათ სულ ერთი წუთით დაბრუნდა იგი, დაბრუნდა, როგორც დაჭრილი მხეცი ბრუნდება თავის ბუნაგში. დაბრუნდა, როცა გაზეთში ამოიკითხა ქუჩაში "არქიტექტორის ტრაგიკული დაღუპვის" ამბავი. თეატრში ნანახმა აირენის სახემ გააოცა მოხუცი ჯოლიონი, უფრო ლამაზი არასოდეს სჩვენებია იგი, მაგრამ ეს თითქოს ნიღაბი იყო მხოლოდ, ნიღაბი, რომლის ქვეშ რაღაც სხვა იმალებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი - ასე ოცდარვა წლის. რაღა თქმა უნდა, მას უთუოდ სხვა საყვარელი ეყოლება. მაგრამ სულის და გულის წამღებ, გამანადგურებელ ფიქრზე - გათხოვილ ქალს ხელმეორედ არ უნდა შეუყვარდეს, რამეთუ ერ-

თხელ სიყვარულიც მეტისმეტი რამააო, - მისმა ფეხმა აიწია და აიწია ბალთაზარის თავმაც. გონიერი პირუტყვი წამოდგა და თვალებში ჩააჩერდა ჯოლიონს. თითქოს იმას ეკითხებოდა, სასეირნოდ წავიდეთ თუ არაო. მოხუცმა ჯოლიონმაც არ დააყოვნა და უთხრა:

- წავიდეთ, ბებერო!

როგორც ყოველთვის, ახლაც ნელა ჩაუარეს ბაიებისა და გვირილების თანავარსკვლავედს და გვიმრებში შევიდნენ. ეს ადგილი, რომელზედაც ახლა თითქმის არაფერი არ იზრდებოდა, როგორც მებაღეობაშია მიღებული, განზრახ დატოვეს პირველი გაზონის ქვემოთ ცარიელი, რათა მის გვერდით არსებულ მეორე გაზონთან შეპირისპირებისას ბუნებრივი უწესრიგობის შთაბეჭდილება დაეტოვებინათ. ნაგაზი ძალიან მიეჩვია იქაურობას და იმ ადგილებში დროდადრო თხუნელასაც პოულობდა. მოხუცი ჯოლიონი განგებ დადიოდა ამ გზით, თუმცა იცოდა, იქაურობა ლამაზი რომ არ იყო, მაგრამ, მისი აზრით, ისევე ითხოვდნენ საზრიან ყურადღებას, როგორც სახლი და ადამიანური სნეულებანი. იქ ხშირად ნახავდით ლოკოკინებს და თუ ჯოლიონ ფორსაიტს შვილიშვილები ახლდნენ, ლოკოკინაზე მიუთითებდა უთუოდ და მოჰყვებოდა ერთი ბიჭუნას ამბავს, რომელმაც იკითხა: "დედი, ქლიავს ფეხები აქვს?" "არა, შვილო!" "მაშინ წყეულიმც ვიყო, თუ ლოკოკინა არ იყო, რაც მე გადავყლაპე". და როცა ბავშვები ხტუნვას მოჰყვებოდნენ, ხელებს წაავლებდნენ პაპას და წარმოიდგენდნენ, როგორ გადასრიალდებოდა ლოკოკინა ბიჭუნას ყელში, ბერიკაცი ეშმაკურად ჭუტავდა თვალებს. გაიარა გვიმრით დაფარული ადგილი და გააღო წნული ჭიშკარი, რომელიც

პირველ მოზრდილ და სწორ ნაკვეთში გადიოდა. აქ გაშენებული ბოსტანი აგურის კედლებით შემოეფარგლათ, მოხუცმა ჯოლიონმა ბოსტანს გვერდი აუარა, იგი არ ეთანხმებოდა მის გუნებაგანწყობილებას და გუბურისკენ დაეშვა. ბალთაზარს იქ ნაცნობი წყლის ვირთხები ეგულებოდა და ბებერი ნაგაზის შესაფერისი ძუნძულით მათკენ გასწია. ნაპირს რომ მიადგა, მოხუცი ჯოლიონი შეჩერდა. დაინახა, კიდევ ერთი შროშანი გაშლილიყო წინა დღის მერე. ხვალ ჰოლის უჩვენებს ამას, როცა მის "პაწაწინას" მუცლის აშლილობა გაუვლის, სადილად ცოტაოდენი პამიდვრის ჭამამ რომ გამოიწვია - სუსტი კუჭის პატრონი იყო პატარა. ჯოლი სკოლაში დაიარებოდა უკვე და, ამიტომაც, ჰოლი მთელი დღე არ შორდებოდა პაპას და ახლა ძალიან განიცდიდა უმისობას. ბოლოს სხვა ტკივილიც დასჩემდა, მარცხენა გვერდში ჩხვლეტდა დროდადრო. ზევით აიხედა, სახლისკენ. ჩინებული ნახელავი გამოუვიდა ბოსინის. ნამდვილად ჩინებული, ჰოდა, რომ არ მომკვდარიყო, ბრწყინვალე მომავალიც ელოდა. სად არის ახლა? იქნებ ამ მიდამოებში დაეხეტება ისევ, იქნებ თავის უკანასკნელ ნამუშევარს დასტრიალებს, თავის უბედურ რომანს. იქნებ ფილიპ ბოსინის სული მთელმა სამყარომ შეისრუტა? ვინ იცის? ეს ძაღლი სულ ამოითითხნის თათებს! და მოხუცი ჯოლიონი ჭალისკენ გაემართა. იქ მშვენიერი მაჩიტა აღმოაჩინა, იცოდა, სადაც ხარობდნენ და ყვავილობდნენ ისინი, როგორც დაბურული ტყის სიღრმიდან დანახული, მზისგან მოშორებული ცის ნაგლეჯები. ტყის პირას გაშენებულ ბოსელსა და საქათმეს გვერდით ჩაუარა და საცალფეხო ბილიკით ხშირად ნარგავი ახალგაზრდა ხეებისკენ გაემართა, სადაც მაჩიტები ეგულებოდა. ბალთაზარმა მო-

ხუცს ისევ გაუსწრო და ყრუდ შეუღრინა. მოხუცმა ჯოლიონმა წიხლი ჰკრა ნაგაზს, მაგრამ ძაღლი ადგილიდან არ დაძრულა, და ეს სწორედ იქ, სადაც სხვა გასასვლელი არც იყო. ბალთაზარს ყალყზე დაუდგა ბალანი, აიფხორა. ძაღლის ღრენის, მისი ბალნის ყალყზე დადგომისა, თუ იმ გრძნობის მეოხებით, რომელიც ტყეში ჩვეულებრივ ეუფლებოდა ადამიანს, მოხუც ჯოლიონსაც ზურგში დაუარა რაღაცამ. მან ბილიკის მოსახვევთან, იქვე, ხავსით დაფარულ ხეზე მჯდარი ქალი შენიშნა. ქალი სხვა მხარეს გაიცქირებოდა და მოხუცმა ჯოლიონმა, ვიდრე იგი თავს მოაბრუნებდა, გაიფიქრა: "სხვის ნაკვეთში გადმოსულა, უნდა მიჯნასთან წარწერა გავაკეთებინო". ღმერთო, ძლიერო! ეს ის სახე იყო, ოპერაში რომ ნახა ამას წინათ, იგივე ქალი, რომელზედაც ის-ის იყო, ფიქრობდა. ამწუთას მის თვალწინ ყველაფერი აირია, მოჩვენება თუა, ღმერთო ჩემო, რა საოცრებაა! იქნება მზის ირიბი სხივები ირეკლება მის მუქ ლილისფერ კაბაზე, და ესაა და ეს. ქალი წამოიმართა და მოღიმარი, გვერდზე ოდნავ თავგადახრილი დადგა მის წინაშე. მოხუცმა ჯოლიონმა გაიფიქრა: "რა ლამაზია". დუმდა ქალი და დუმდა მოხუციც. და მიხვდა მოხუცი ჯოლიონი, რატომ დუმდა და არ შეეძლო არ დაეფასებინა. ის ალბათ, რაღაც მოგონებამ მოიყვანა აქ და სულაც არ აპირებდა არაფრისმთქმელ ახსნა-განმარტებას შესდგომოდა თავის გასამართლებლად.

- ძაღლი არ მიიკაროთ, სველი აქვს თათები, - უთხრა მოხუცმა ჯოლიონმა, - ეი, გაეცალე! - მაგრამ ბალთაზარი სტუმართან მიძუნძულდა. სტუმარმა თავზე გადაუსვა ხელი, მიეალერსა. მოხუცმა ჯოლიონმა სწრაფად მიმართა:

- ოპერაში გნახეთ ამას წინათ. თქვენ ვერ შემნიშნეთ.

- როგორ არა, შეგნიშნეთ.

ამ სიტყვებში მოხუცმა ფაქიზი ალერსი იგრძნო, თითქოს ეუბნებოდა: "როგორ შეიძლებოდა თქვენ არ შემენიშნეთ?"

- ისინი ესპანეთში გაემგზავრნენ, - მოწყვეტით წარმოთქვა ჯოლიონმა, - მე მარტო ჩავედი ლონდონს ოპერის მოსასმენად. რავოლი ჩინებულია. ბოსელი ნახეთ?

უცნობი იდუმალებით აღსავსე და სულიერი მღელვარების ამ ვითარებაში, მოხუცი ინსტინქტურად მიილტვოდა საკუთრების ამ ნატამალისკენ და აირენიც ფეხდაფეხ მიჰყვა. მისი ტანი მსუბუქად მიირხეოდა, როგორც ნატიფი ფრანგი ქალის სხეული. ნაცრისფერი კაბა ეცვა. მის ქარვისფერ თმაში ორი-სამი ვერცხლისფერი თმა შენიშნა მოხუცმა - საოცარი სანახავია, ესოდენ მშვენიერი თმა, გიშერივით თვალები, და სახის კანის თბილი ფერმიხდილობა. ამ ხავერდოვანი - შავი თვალების მოულოდნელმა ალმაცერად ნასროლმა მზერამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო მოხუცი. მოეჩვენა, რომ ეს მზერა მომდინარეობდა სადღაც სიღრმიდან, სადღაც მიღმური სამყაროდან, ანდა, ყოველ შემთხვევაში იმ ქალისგან, რომელიც ამ ქვეყანაზე მხოლოდ სანახევროდ ცოცხლობს.

- ახლა სად ცხოვრობთ?

- ჩელსიში მაქვს ბინა.

ჯოლიონს არ სურდა გაეგო, რას აკეთებდა აირენი, არაფრის გაგება არ უნდოდა. მაგრამ ეს სიტყვები ძალაუნებურად მოსწყდა მის ბაგეს:

- მარტო ცხოვრობთ?

აირენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გულზე მოეშვა მოხუცს და გაიფიქრა: ბედის შემთხვევითი ტრიალი რომ არა, ამ ტევრის დიასახლისი თვითონ აირენი იქნებოდა და იქაურობას თვითონ დაათვალიერებინებდა ჯოლიონს, როგორც სტუმარს.

- ოლდერნული ძროხებია სულ, - წაიდუდუნა მოხუცმა, - საუკეთესო რძეს იძლევიან. შეხედეთ, რა ლამაზია ეს ძროხა. ეი, მერტლ!

ქვიშისფერი ძროხა, რომელსაც ისეთივე რბილი და წაბლისფერი თვალები ჰქონდა, როგორიც აირენს, უძრავად იდგა. დიდი ხნის მოუწველავი იყო. ძროხა მბრწყინავი, მორჩილი და დამცინავი თვალებით შესცქეროდა მათ და მისი რუხი დრუნჩიდან ნერწყვის წვრილი ნაკადი იღვრებოდა ჩალაზე. ნახევრად ჩაბნელებულ გრილ ბოსელში თივის, ვანილისა და ამიაკის სუნი ტრიალებდა და მოხუცმა თქვა:

- შინ მეწვიეთ და ერთად ვისადილოთ, ეტლით გაგგზავნით უკან.

მოხუცმა შენიშნა, რომ აირენის სულში შინაგანი ბრძოლა გაიმართა. ბუნებრივია და გასაგები, რომ წარსულის მოგონებით იყო ეს გამოწვეული. მაგრამ მოხუცს სწორედ აირენი უნდოდა თანამოსაუბრედ. მისი მშვენიერი სახე, მომაჯადოებელი კენარი ტანი და სილამაზე! ეყო, მთელი ნაშუადღევი მარტო რომ იყო. შესაძლოა ჯოლიონის თვალებში სევდა-ნაღველი გამოკრთა, რადგანაც აირენმა უპასუხა:

- გმადლობთ, ძია ჯოლიონ, დიდი სიამოვნებით.

მოხუცმა ხელები მოიფშვნიტა და თქვა:

- ჩინებულია, მაშ წავიდეთ! - ბალთაზართან ერთად აჰყვნენ მდელოს. თითქმის თვალებში ჩაჰნათოდათ მზე და მოხუცი ჯოლიონი ხედავდა არა მარტო ვერცხლისფერ ძაფებს, ხედავდა საკმაოდ ღრმა ნაოჭებსაც, რომლებიც თითქოს სინატიფეს მატებდნენ აირენის სილამაზეს, როგორც მონეტაზე ამოტვიფრულ სახეს, სხვასთან არაზიარი ცხოვრების გამოხატულებას.

"ტერასით წავიყვან, - გაიფიქრა მოხუცმა ჯოლიონმა, - აირენი უბრალო სტუმარი როდია".

- რას აკეთებთ მთელი დღე? - ჰკითხა მოხუცმა.

- მუსიკას ვასწავლი. სხვა საქმეებიც მაქვს.

- მუშაობა, - წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, საქანელადან დედოფალა აიღო და ხელით გაუსწორა ქვედატანი, - მე უკვე აღარ ვმუშაობ. ვბერდები. რა სახისაა ეგ თქვენი საქმეები?

- ვცდილობ, გაჭირვებაში ჩავარდნილ ქალებს რამეთი დავეხმარო.

მოხუცმა ჯოლიონმა კარგად ვერ გაიგო ამ სიტყვების აზრი.

- გაჭირვებაში ჩავარდნილნი? - გაიმეორა მან. მერე თავზარდაცემულმა წარმოიდგინა, რომ ამ სიტყვებს აირენი სწორედ იმ აზრით ამბობდა, როგორც შეიძლებოდა თვითონვე რომ წარმოეთქვა ისინი. მაშ ლონდონელ მაგდალინებს ეხმარება! რა არაბუნებრივი და საშინელი საქმიანობაა! ცნობისმოყვარეობამ დასძლია მოხუცის შთამომავლობითი სიმორცხვე და აკითხვინა:

- როგორ? რას უკეთებთ?

- სულ ცოტა რამეს. იმდენი ფული სადა მაქვს, რომ მათ დავახარჯო. მე მხოლოდ ვანუგეშებ და ხანდახან ლუკმაპურსაც ვუზიარებ.

მოხუც ჯოლიონს ქისისკენ გაექცა ხელი ძალაუნებურად და სწრაფად წარმოთქვა:

- როგორ ახერხებთ მათ გაცნობას?

- ერთ საავადმყოფოში დავდივარ!

- საავადმყოფოში! რას ბრძანებთ!

- ყველაზე სავალალო ისაა, რომ ოდესღაც თითქმის ყველა მათგანი ლამაზი ყოფილა.

მოხუცმა ჯოლიონმა დედოფალა გაასწორა.

- სილამაზე, - წამოიძახა მან, - სამწუხარო ამბავია! - დასძინა და სახლისკენ გაემართა.

ფრანგული ყაიდის სარკმელებზე ჯერ კიდევ ხელუხლები ფარდები გადასწია და მინის კარით შეუძღვა ოთახში, რომელშიც ჩვეულებრივ კითხულობდა "ტაიმსს" და სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გვერდებს, რომლის უზარმაზარ ილუსტრაციებს - საქონლის ჭარხალსა და მრავალ სხვა საოცრებას, ჰოლი თავის გემოვნებაზე აფერადებდა.

- სადილი ნახევარ საათში მზად იქნება! ხელის დაბანა ხომ არ გნებავთ? წამობრძანდით ჯუნის ოთახში.

მოხუცმა ჯოლიონმა შენიშნა, რა ხარბად და მოუთმენლად იცქირებოდა აირენი ირგვლივ. რამდენი ცვლილება მოხდა მას მერე, რაც იგი უკანასკნელად იყო ქმართან, ან საყვარელთან, ან ორივესთან ერთად - მოხუცმა ჯოლიონმა არ იცოდა, ყველაფერი ეს ბნელით იყო მოცული მისთვის და თანაც არავითარი სურვილი არ ჰქონდა გარკვეულიყო. მაგრამ რამდენი ცვლილება მომხდარა. დარბაზში მოხუცმა თქვა:

- ჩემი ვაჟიშვილი ჯო, იცით, მხატვარია. სწორედ მისი გემოვნებითაა აქაურობა მოწყობილი. მართალია, ჩემი გემოვნება მისას არ ეთანხმება, მაგრამ ამ საქმეში ხელს არ ვუშლი.

მდუმარედ იდგა აირენი. უშველებელ მინისჭერიან დარბაზს, რომელსაც ახლა სასტუმრო ოთახადაც იყენებდნენ, მზერა მოავლო. მოხუც ჯოლიონს უცნაური შეგრძნება დაეუფლა. ხომ არ ცდილობს აირენი ამ ოთახის ჩრდილებიდან, სადაც ყველაფერს მარგალიტისა და ვერცხლისფერი ადევს, ვინმეს სულის გამოძახებას?.. ისე კი ჯობდა, ოქროსფერი ყოფილიყო: უფრო მჭახე და მხიარული იქნებოდა. მაგრამ ჯოს ფრანგული გემოვნება აქვს, ამიტომაც ოთახს აჩრდილისებური იერი მისცა, ასე გეგონებათ, პაპიროსის კვამლითააო გავსებული, რომელსაც იგი განუწყვეტლად ეწევა და, მართლაც, ხან აქ, ხან იქ ყოველთვის დაინახავთ სიგარის კვამლის ბოლქვებსა და გრაგნილებს ლურჯად და წითლად აელვარებულთ. თვითონ მოხუცი სულ სხვა რამეზე ოცნებობდა. გონების თვალით წარმოიდგინა, რომ იქ უკიდია თავისი შედევრები - ოქროს ჩარჩოში ჩასმული ნატიურმორტები, რომლებსაც დროდადრო იძენდა, როცა სურათების სიდიდე განსაკუთრებით ფასდებოდა. მერე სად უნდა ეძიო ახლა ისინი? ჩალის ფასად გაიყიდა! შეიძლება იდუმალმა ძალამ, რომელმაც აიძულა ჯოლიონი, ეს ერთადერთი ფორსაიტი, ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ეპოქას, უკარნახა, რომ არავითარი აზრი არა აქვს მათ მუდმივად შენახვას. მაგრამ მის კაბინეტში დღემდე ეკიდა "ჰოლანდიელ მეთევზეთა ნავები მზის ჩასვლის ჟამს".

მოხუცი ჯოლიონი აირენთან ერთად ნელ-ნელა აჰყვა კიბეს, ვინაიდან ისევ იგრძნო ტკივილი გვერდში.

- აქ აბაზანებია, - თქვა მან, - და სხვა სათავსები. იატაკი და კედლები კაფელით მოვაპირკეთებინე. საბავშვო ოთახები იქითაა, მოშორებით. აი, ჯოს და მისი მეუღლის ოთახი, ოთახები ერთმანეთში გადის. თუმცა, ჰო, ალბათ, თვითონაც გეხსომებათ.

აირენმა თავი დაუქნია. გალერეა გაიარეს და შევიდნენ დიდ ნათელ ოთახში, რომელშიც ვიწრო საწოლი იდგა.

- ესაა ჩემი ოთახი, - თქვა მოხუცმა. კედლებზე ბავშვების პორტრეტები და აკვარელით შესრულებული ესკიზები ეკიდა. მოხუცმა ჯოლიონმა გაუბედავად დასძინა:

- ჯოს ნამუშევარია, აქედან ჩინებული ხედი იშლება. კარგ ამინდში ეპსომიც(გრანდ სტენდ ეპსომი - ეპსომის იპოდრომის მთავარი ტრიბუნა) კი მოჩანს.

მზე დაშვებულიყო ძირს, თითქის სახლს უკან და ნათელ კვამლს გრძელი, ბედნიერი დღის გამოსხივებას "ხედი" დაეფარა. სახლები თითქმის არ მოჩანდა, მაგრამ მინდვრები და ხეები კრთებოდნენ სუსტად და ერწყმოდნენ დაისს.

- აქაურობა დღითი დღე იცვლება, - თქვა მოწყვეტით, - მაგრამ ასევე იქნება მაშინაც, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით. ყური მიუგდეთ შაშვებს. დილით ჩიტების ჟივილ-ხივილის მოსმენას ხომ აღარაფერი სჯობია. მოხარული ვარ, რომ ლონდონს მოვცილდი.

აირენის სახე თითქმის ეხებოდა ფანჯრის მინას და მოხუცი ჯოლიონი მისმა ნაღვლიანმა გამომეტყველებამ გააოცა.

"ნეტავ შემეძლოს გავამხიარულო, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - მშვენიერი სახე აქვს, მაგრამ ნაღვლიანი", - ცხელი წყლით სავსე ჭურჭელი აიღო და გალერეაში გაიტანა.

- ეს ჯუნის ოთახი გახლავთ, - თქვა მან, როცა მეზობელი ოთახის კარი შეაღო და ჭურჭელი ძირს დადგა, - მგონი ყველაფერს იპოვით, რაც დაგჭირდებათ.

თქვა ეს და მოხუცი ჯოლიონი ისევ თავის ოთახში დაბრუნდა. ხის შავი უშველებელი ჯაგრისით დაივარცხნა თმა, შუბლზე ოდეკოლონი წაისვა და ფიქრებში გაეხვია. რა უცნაური იყო აირენის გამოცხადება, - იდუმალი, რომანტიკული, სილამაზის ხილვაზე რომ ოცნებობდა, როგორ აუხდა ოცნება - ისე, როგორც დროდადრო ხდება ხოლმე ოცნებათა ახდენა. სარკის წინ მდგარმა მოხუცმა თავისი ჯერ კიდევ გამართული ზურგი უფრო გამართა, გრძელ, ჭაღარა ულვაშზე ჯაგრისი გადაისვა, წარბებზე ოდეკოლონი წაისვა და დარეკა:

- დამავიწყდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩემთან ერთად ლედიც ისადილებს. მზარეულმა რომელიმე ნუგბარი კერძი მოუმზადოს. ბიკონს უთხარი თერთმეტის ნახევრისთვის ორცხენიანი ლანდო მზად იყოლიოს, რათა სტუმარი ამაღამვე ლონდონში ჩაიყვანოს. მის ჰოლის სძინავს?

მოსამსახურის აზრით, არ უნდა სძინებოდა. მოხუცმა ჯოლიონმა გალერეა ფრთხილად გაიარა და საბავშვო ოთახის კარს მიადგა, რომლის ანჯამებსაც ყოველთვის ზეთავდნენ, რათა მოხუც ჯოლიონს ღამღამობით უჩუმრად ოთახში შესვლა-გამოსვლა შესძლებოდა.

მაგრამ ჰოლის ეძინა. მინიატიურული მადონას მსგავსი იწვა იგი. ძველთაძველ ოსტატებს რომ შეესრულებინათ მისი სურათი, ვენერასგან ვერაფრით გაარჩევდნენ. მისი შავი გრძელი წამწამები მაგრად მიჰკვროდნენ ლოყებს. სახეზე სიმშვიდე დასთამაშებ-

და. როგორც ჩანდა, მუცლის აშლილობამ გაუარა. ნახევრად ბნელ ოთახში მდგარი ჯოლიონი პატარას ეთაყვანებოდა; რა მომაჯადოებელი ბავშვი იყო, რა სერიოზული, რა საყვარელი სახე ჰქონდა! მოხუც ჯოლიონს ერთი დიდი უნარი გააჩნდა: მას შეეძლო ხელახლა ეცოცხლა ბავშვებში. ბავშვები მას საკუთარი ცხოვრების გაგრძელებად მიაჩნდა - სხვა მომავალ ცხოვრებას, როგორც ჩანდა, არც კი აღიარებდა მისი ჯანსაღი წარმართული სული. აი, მის წინაშეა ეს გოგონა, რომელსაც მთელი მომავალი წინა აქვს და მის ნამცეცა ძარღვებში სწორედ მოხუცი ჯოლიონის სისხლის ნაწილი მდინარებს. სძინავს მას უშფოთველი ძილით, სძინავს მის პატარა მეგობარს, რომლის კეთილდღეობისთვის მოხუცი მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რათა ქვეყნიერებაზე გოგონას ხვედრი სიყვარული იყოს მხოლოდ. მოჭარბებული გრძნობებით გული აევსო და გარეთ გამოვიდა. მოხუცი ცდილობდა, ლაკის ფეხსაცმლით ისე გაევლო, რომ არ ეხმაურა. დერეფანში სულელური აზრი დაებადა: წარმოიდგინეთ, რომ ბავშვები იზრდებიან და მერე ისეთ დღეში ცვივდებიან, რის შემსუბუქებასაც აირენი ცდილობდა, როგორც ახლახან განუცხადა მოხუცს! ქალები, რომლებიც ერთ დროს ისეთივე პატარები იყვნენ, როგორიც მშვიდად მიძინებული გოგონა. "ჩეკი უნდა მივცე უთუოდ, სხვაგვარად შემზარავია მათზე ფიქრი". აბა, ვის რაში სჭირდებოდნენ ის უბედური, ცხოვრებისგან დევნილი ადამიანები, ვინღა ფიქრობდა მათზე. მათმა უბედურებამ ღრმა ჭრილობა მიაყენა მოხუცის ბუნებით კეთილ გულს, რომელსაც საკუთრების გრძნობისადმი მორჩილების ღრმა ფენა გადაჰკვროდა. სილამაზისადმი სიყვარულმა, მოლოდინმა და იმის განცდამ,

რომ საღამო ულამაზეს ქალთან ერთად უნდა გაეტარებინა, ახლაც აღაგზნო, ააღელვა და გული აუთრთოლა. ორივე მხარეს გასაღები კარი გაიარა და ძირს ჩავიდა. მოხუც ჯოლიონს სარდაფში ისეთი ღვინოები ჰქონდა, ბოთლი ორი გირვანქა სტერლინგი რომ ღირდა, რეინის თეთრი ღვინო "სტეინბერგ კებინეტი" ჯოჰანისბერგზე უკეთესი, საუკეთესო მათ შორის, რაც კი ვინმეს ოდესმე გადაუკრავს, იდეალური ბუკეტი - სანეტარო ნექტარი, ნამდვილი ბადაგი. თითქოს თოთო ბავშვს ეხებაო, ფრთხილად შეეხო ერთ ბოთლს, მაღლა ასწია და ჰაერში გახედა. მტვერში გახვეულმა მკვეთრი ფერის წვრილყელა ბოთლის ჭვრეტამ სიამე მოჰგვარა. სამი წელია, რაც ლონდონიდან წამოვიდნენ და კიდევ უკეთესი, მართლა ჩინებული დამდგარა. ოცდათხუთმეტი წლის წინ იყიდა ეს ღვინო. მადლობა ღმერთს, ჯერ პირის გემო არ დაუკარგავს და უფლება აქვს, დალიოს იგი. აირენს მოეწონება ღვინო, სიმჟავის ნატამალიც არ არის მასში. ბოთლი გაწმინდა, გახსნა, ცხვირით დაიხარა ზედ, შეისუნთქა ღვინის სურნელება და სასტუმროში დაბრუნდა.

აირენი როიალთან იდგა, ქუდი და მაქმანიანი შარფი მოეხადა, და ოქროსფერი თმა და ფერგამკრთალი ყელი გამოეჩინა. პალისანდრის ხის როიალთან მდგარი მონაცრისფრო კაბაში გამოკვალთული ქალის ხილვამ სიამე მოჰგვარა ჯოლიონს.

მოხუცმა ჯოლიონმა აირენს ხელი გაუწოდა და საზეიმო ნაბიჯებით გაემართნენ სასადილო ოთახისკენ. ოთახში, რომელშიც ოცდაოთხი კაცი ჩინებულად დაეტეოდა, ახლა ერთი პატარა მრგვალი მაგიდა იდგა მხოლოდ. დიდ სასადილო მაგიდას მოხუცი ჯოლიონი ვერ იტანდა და ბრძანა შვილის დაბრუნებამდე გა-

რეთ გაეტანათ. რაფაელის ორი მადონას მშვენიერი ასლების მომზირალი მარტოხელა სადილობდა ხოლმე მოხუცი. იმ ზაფხულს მისთვის დღის ყველაზე უსიამო საათი სადილობის ჟამი გახლდათ. ჯოლიონი ბუნებით დიდი მჭამელი არასდროს ყოფილა, როგორც, მაგალითად, გოლიათი სუითინი, ანდა სილვანუს ჰეითროპი, ანდა ანტონ თორნუორთი - გარდასულ ჟამთა მეგობრები. ჰოდა, ორი ნახატი მადონას თვალთვალში სადილობას აბა რა სიამის მოტანა შეეძლო, ამიტომაც, რაც შეიძლება ჩქარა მორჩებოდა ხოლმე სადილს, რათა გადასულიყო გაცილებით უფრო დიდ სიამეზე, ყავა და სიგარა რომ ჰგვრიდა. მაგრამ დღევანდელი საღამო სულ სხვა იყო, სუფრასთან მჯდარი პირისპირ შესცქეროდა აირენს და საუბრობდა იტალიასა და შვეიცარიაზე, თავის თავგადასავალსა და ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე. ისეთ ამბებზე ესაუბრებოდა აირენს, რომლებსაც შვილს და შვილიშვილს თუნდაც იმიტომ ვერ მოუყვებოდა, რომ თითქმის ზეპირად იცოდნენ ისინი. უხაროდა, რომ ახლა ისეთი მსმენელი იშოვა, რომელიც გულისყურით დაუგდებდა ყურს მის თხრობას. მოხუცი ჯოლიონი ბერიკაცების იმ კატეგორიას სულაც არ ეკუთვნოდა, ერთსა და იმავე ამბებს რომ ჰყვებიან გაუთავებლად. უტაქტო თანამოსაუბრეთა მოსმენა საშინლად ღლიდა და, ამიტომ, ყოველნაირად ცდილობდა, თვითონ არ გამოეჩინა უტაქტობა და არ დაეღალა სხვები. თანდაყოლილი რაინდული სული აიძულებდა განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფაქიზე გამოეჩინა ქალებთან. ჯოლიონს ძალიან უნდოდა საუბარში ჩაეთრია აირენი და თუმცა იგი პასუხს აძლევდა, იღიმებოდა და თითქოსდა სიამოვნებით ისმენდა მის საუბარს, მოხუცი ჯოლიონი მაინც გრძნობდა

იდუმალებით მოცულ კარჩაკეტილობას, რომელიც დიდად ზრდიდა აირენის ესოდენ მომხიბვლელობას. ჯოლიონი ვერ იტანდა ისეთ ქალებს, თვალებს რომ გადმოკარკლავენ, მხრებს წინ წამოსწევენ და ენას წუთით არ დაასვენებენ; ვერც მკაცრ ქალებს იტანდა, ყველას ჭკუას რომ ასწავლიან და ისეთ სახეს იღებენ, აქაოდა ყველაფერი ვიცითო. ქალში ერთი თვისება მოსწონდა ფრიად - მიმზიდველობა, და რაც უფრო მშვიდი და უხმაურო იყო ქალი, მით უფრო მაღლა აყენებდა მას. აირენს კი დიახაც რომ გააჩნდა მომხიბვლელობა სწორედ ისევე ჩრდილოვანი, როგორც ჩამავალ მზეს იტალიის გორაკებსა და ხეობებში, რომლებიც ესოდენ იზიდავდა და ხიბლავდა მოხუცს ოდესღაც. იმის შეგნება, რომ აირენი მარტოხელა ცხოვრობს კარჩაკეტილი, უფრო ახლობელ და უაღრესად სასურველ მეგობრად ხდიდა მას. როცა კაცი მოხუცდება და სასტიკად ჩამორჩება ცხოვრების დინებას, მას უყვარს ახალგაზრდა მეტოქეებისგან როგორმე თავისუფლად იგრძნოს თავი, რამეთუ დიდი სურვილი აქვს ლამაზმანის გულში ისევ პირველი ადგილი ეჭიროს. წრუპავდა ღვინოს, უმზერდა აირენის ბაგეებს და თითქმის ახალგაზრდა ეგონა თავი. ნაგაზი ბალთაზარი იწვა და უმზერდა აირენის ბაგეთ. პირუტყვი გულში სწყევლიდა მათი საუბრის შეწყვეტის წამს და ოქროსფერსითხიანი მომწვანო სასმისების მოძრაობის დასაწყისს. ეს სითხე მხოლოდ ზიზღს იწვევდა ბალთაზარში.

უკვე ბნელდებოდა, როცა სასტუმრო დარბაზში დაბრუნდნენ. პირში სიგარაგაჩრილმა ჯოლიონმა წარმოთქვა:

- ქენით სიკეთე და შოპენი დაუკარით.

თუ იცით, როგორ სიგარებს ეწევა კაცი და რომელი კომპოზიტორები უყვარს, ადვილად გაიგებთ, რა მასალისგანაა ნაძერწი მისი სული.

მოხუცი ჯოლიონი მაგარ სიგარებსა და ვაგნერის მუსიკას ვერ იტანდა. მას უყვარდა ბეთჰოვენი, მოცარტი, ჰენდელი, გლუკი, შუმანი და ვინ იცის, რისთვის და რატომ, მეიერბერის ოპერები. ბოლო ხანებში შოპენმა მოხიბლა, როგორც მხატვრობაში ბოტიჩელმა. ახალი ოსტატი რომ გაიტაცებდა, გრძნობდა, რომ სცილდებოდა ოქროს ხანის საზომს. ახალი პოეზია უკვე აღარ იყო მილტონისა და ბაირონის, ტენისონისა და რაფაელის, ტიციანის, მოცარტისა და ბეთჰოვენის პოეზია. იგი თითქოს ნისლით იყო მოცული, არავის აღარ ხვდებოდა თვალში, თითებით უღიტინებდა ნეკნებში ადამიანს, უკირკიმალებდა და გულს ცეცხლივით უგზნებდა. მოხუცი ჯოლიონი არად აგდებდა იმას, სასარგებლო იყო ეს თუ არა მისთვის, ოღონდ სმენა შოპენის მომაჯადოებელი ჰანგებით დაეტკბო და ბოტიჩელის თვალისმიმტაცი სურათებისთვის ეცქირა.

მარგალიტისფერ-მონაცრისფრო ელექტროჭაღით განათებულ ოთახში აირენი როიალს მიუჯდა, ხოლო მოხუცი ჯოლიონი სავარძელში ჩაეშვა. აქედან შეეძლო აირენის მზერით დამტკბარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო და სიგარა გაებოლებინა. აირენმა კლავიშებზე დადო თითები და ერთხანს უძრავად იჯდა, როგორც ჩანდა, უნდოდა მოეფიქრებინა, რა დაეკრა. ბოლოს დაუკრა და მოხუცი ჯოლიონის გულში ჩაისახა ნაღვლიანი სიხარული, რომელსაც ქვეყნიერებაზე ვერაფერს ვერ შეადრი. თითქოს გაშეშდაო ბერიკაცი. ამ მდგომარეობიდან ხელების მოძრაობასღა თუ

გამოჰყავდა, დროდადრო სიგარას რომ იღებდა და ისევ იდებდა პირში. გააშეშა იგი აირენის იქ ყოფნამ, დალეულმა ღვინომ და თამბაქოს სურნელმა, - ყველაფერმა ერთად იმოქმედა მასზე; აგრეთვე სამყარომ, სადაც მზის ნათელი მთვარის შუქმა შეცვალა. თვალწინ ედგა მოლურჯო ხეებით დაფარული, ყარყატებით ავსებული გუბურები, წითელი ღვინისფერი ვარდები, ლავანდით დაფარული მინდორი, რომელზეც ბალახობდნენ რძესავით თეთრი ძროხები და ქალი, როგორც აჩრდილი, შავთვალება და ყელყარყარა, რომ იღიმოდა და ხელებს იწვდიდა; მუსიკასავით მომჯადოებელ ჰაერში ვარსკვლავი ჩამოვარდა და ზედ ძროხის რქაზე დაეკიდა. მოხუცმა ჯოლიონმა თვალები გაახილა. რა მშვენიერებაა, რა ჩინებულად უკრავს - ანგელოზების გალობასავით სმენად საამო ხმას გამოსცემს; ისევ მილულა თვალები. სევდა, ნაღველი და სიხარული მის სხეულს სასწაულებრივად მოედო, თითქოს ცაცხვის ხის ძირას იდგა და თაფლის ბანგივით დამათრობელ ყვავილთ სურნელებას იყნოსავდა. საკუთარ ცხოვრებაზე უნდა აეღო ხელი, მაგრამ უნდა დატკბე ქალების თვალთა ციმციმითა და ღიმილით, იყნოსო ამ თაიგულის სურნელი. ფიქრებში წასულს ბალთაზარმა მოულოდნელად გაულოკა ხელი და შემკრთალმა მოხუცმა ჯოლიონმა მარჯვენა უცებ უკან წაიღო.

- ჩინებულია, კიდევ დაუკარით, ისევ შოპენი.

ისევ დაუკრა აირენმა. ახლა მოხუცი აირენსა და შოპენის მუსიკას შორის მსგავსებამ შეძრა. მსუბუქი რხევა, რომელიც სიარულის დროს შენიშნა აირენს, იგრძნობოდა აგრეთვე მის დაკვრაში, არჩეულ ნოქტიურნში, მისი თვალების წყვდიადში, სინათლესა და მთვარის იმ ოქროსფერ სხივებშიც, აირენის თმას

რომ ეცემოდა. დიახაც, რომ მომაჯადოებელი იყო, მაგრამ არც მუსიკასა და არც თვითონ აირენში დალილას(დალილა - (ბიბ-ლიური) ვერაგი, ცბიერი ქალი, რომელმაც აცდუნა და გაყიდა მა-მაცი სამსონი.) მაცდური სული არ გამოსჭვიოდა. გრძელი ლურ-ჯი კვამლის ბოლქვი აიჭრა მისი სიგარიდან ჰაერში და გაქრა.

"ჩვენც ასე გავქრებით, - გაიფიქრა მოხუცმა ჯოლიონმა, - და ჩვენთვის აღარ იარსებებს სილამაზე. ნუთუ მართლა არაფერი არ იარსებებს?"

აირენმა ისევ შეწყვიტა დაკვრა.

- გლუკის მოსმენა ხომ არ გნებავთ? იგი მზიან ბაღში წერდა და მაგიდაზე ყოველთვის ბოთლით რეინვაინი ედო.

- ოჰ, როგორ არა. "ორფეოსი" დაუკარით.

ახლა მოხუცი ჯოლიონის გარშემო გადაიშალა ოქროსა და ვერცხლისფრად მოელვარე ყვავილებით დაფარული მინდვრები, მზის ნათელში მოძრაობდნენ თეთრი ფიგურები, ფრთხიალებ-დნენ ფერად-ფერადი ჩიტუნები. ყველაფერში იგრძნობოდა ზაფ-ხული. ტკბილი ნაჯველისა და სინანულის ტალღები ავსებდნენ მის სულს. სიგარას ფერფლი მოსწყდა და, როცა აბრეშუმის ცხვირსახოცით გადაბერტყა იგი, თამბაქოსა და ოდეკოლონის არეული სურნელება შეიგრძნო. "ა, - გაიფიქრა მან, - ახალგაზ-რდობა მომაგონდა. ეს არის და ეს", - და ხმამაღლა თქვა:

- თქვენ ჩემთვის CHE FARO((იტალ.) - არია გლუკის ოპერიდან "ორფეოსი ჯოჯოხეთში".) არ დაგიკრავთ.

აირენს არ უპასუხია. არც კი განძრეულა. ჯოლიონი უც-ნაურად დაიბნა. უცებ შენიშნა, რომ აირენი წამოდგა და შებრუნ-და. მწარე სინანული იგრძნო მოხუცმა ჯოლიონმა. უჰ, რა ტლან-

ქი და უტაქტოა! აკი ორფეოსის მსგავსად აირენსაც უთუოდ გაახსენდებოდა ქვესკნელში დაკარგული გულის სწორი. შეწუხებული ბერიკაცი სავარძლიდან წამოდგა. აირენი შორეული კუთხისკენ გაემართა და ფართო ფანჯარასთან დადგა. ბერიკაციც უხმაუროდ მიჰყვა. აირენმა გულხელი დაიკრიფა და ჯოლიონი ხედავდა მის ძალუმად გაფითრებულ ლოყას. გულაჩვილებულმა ბერიკაცმა წარმოთქვა:

- გეყოფათ, გეყოფათ, ჩემო სიყვარულო! - ეს სიტყვები უნებლიეთ მოსწყდა მის ბაგეებს. ამ სიტყვებით ამშვიდებდა იგი ჰოლის, როცა პატარას რაიმე ტკივილი აწუხებდა, მაგრამ ახლა მათ უეცარი და თავზარდამცემი გავლენა მოახდინეს. აირენმა ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა.

მოხუცი ჯოლიონი სიბერისგან ღრმად ჩაცვივნული თვალებით ჩასცქეროდა აირენს. აუტანელი სირცხვილი, რომელსაც ქალი თავის სისუსტის გამომჟღავნების გამო გრძნობდა და რომელიც ასე ცუდად ეხამებოდა მის სიმშვიდეს, იმაზე ლაპარაკობდა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სხვისი თანდასწრებით ვერ შეიკავა თავი და აქვითინდა.

- კარგი, კარგი, გეყოფათ, გეყოფათ, - ევედრებოდა ჩურჩულით მოხუცი ჯოლიონი და მოკრძალებით შეახო ხელი. აირენი მობრუნდა და ხელებში ჩარგული სახით მიეყრდნო ბერიკაცს. მოხუცი ჯოლიონი უძრავად იდგა და გამხდარ ხელს არ აცილებდა აირენის მხარს. იტიროს, იტიროს, გულზე მოეშვება. საგონებელში ჩავარდნილი ბალთაზარი ჩაცუცქულიყო და გაოცებული შესცქეროდა.

ფანჯარა ისევ ღია იყო. ფარდები ჯერ კიდევ არ ჩამოეშვათ. დღის სინათლე იჭრებოდა ოთახში და ლამპის შუქს უერთდებოდა. გარშემო ახალმოთიბული თივის სურნელი იდგა. ხანგრძლივი ცხოვრებით დაბრძენებული მოხუცი ჯოლიონი დუმდა. დიდი მწუხარების გამოტირებაც ხერხდება, ოღონდ დრომ უნდა განვლოს, დრო არჩენს სევდა-ნაღველს, დრო, რომელიც ყოველგვარი განწყობილების, ყველა გრძნობის ურთიერთგადასვლას იცნობს, იგი დიდი მკურნალი და უებარი წამალია. მოხუც ჯოლიონს საეკლესიო ჰიმნის სიტყვები გაახსენდა: "მწუხარებისგან სული მეხუთვის და თვალთაგან ნაკადულივით დამდის ცრემლები. შენს მერე სიცოცხლე სატანჯველად მექცა". მაგრამ ამ სიტყვებმა ვერაფერი უშველა, ამაოდ მოაგონდა ისინი. მერე იის სურნელება შეიგრძნო ბერიკაცმა და მიხვდა, რომ აირენი თვალებს იმშრალებდა. მოხუცმა ჯოლიონმა ნიკაპი წინ წამოსწია, ულვაშით მიეკრა აირენის შუბლს და იგრძნო, რომ ქალი მთელი ტანით ცახცახებდა როგორც ხე, წვიმის წვეთებს რომ დაიბერტყავს. ქალი ტუჩებით შეეხო ჯოლიონის ხელს და წარმოთქვა: "გამიარა, მაპატიეთ!"

კოცნამ მოხუც ჯოლიონს უჩვეულო შვება მოჰგვარა. მან ისევ როიალისკენ წაიყვანა აირენი. ბალთაზარიც უკან მიჰყვათ და გამოხრული ძვალი მათ ფეხებთან დააგდო.

მოხუც ჯოლიონს სურდა, რაც შეიძლება მალე შეენელებინა ამ წუთის მოგონება და ფაიფურის ჭურჭლის დათვალიერებაზე სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. აირენთან ერთად მიმოდიოდა განჯინებთან, გამოჰქონდა დრეზდენის, ლოუსტოფტის და ჩელსის ნაკეთობები, ატრიალებდა მათ ძარღვებზევიდან დამ-

სხდარ ჭორფლიან ხელებში, რომლებიც მეტისმეტად ბებრული და ჟამგადასული მოჩანდა.

- ეს ჯობსონისგან ვიყიდე, - უხსნიდა თითოეული ნივთის შესახებ, - ოცდაათი გირვანქა სტერლინგი დამიჯდა, ძალიან ძველია. ეს ძაღლი ყველგან ფანტავს ძვლებს. ეს ძველისძველი ტოლჩა აუქციონზე შევიძინე, როცა გარყვნილი მარკიზი გაუბედურდა. თქვენ არ გეხსომებათ. ჩელსის ნაკეთობაა. როგორ გგონიათ, ეს რა უნდა იყოს? - და ბერიკაცი სიამით ივსებოდა, როცა გრძნობდა, აირენი თავისი დახვეწილი გემოვნებით როგორ ინტერესს იჩენდა ფაიფურის ჭურჭლისადმი, რადგანაც, სხვა არა იყოს რა, არაფერი ისე არ ამშვიდებს ადამიანის ნერვებს, ვიდრე უსამშობლოოდ ქცეული ფაიფური.

როცა ბოლოს ეტლის ბორბლების ჭრიალი გაისმა, ჯოლიონმა მიაძახა:

- კიდევ გამოიარეთ. საუზმეზე ჩამობრძანდით და მაშინ ყველაფერს დღის სინათლეზე დაგათვალიერებინებთ, ჩემს პატარასაც ნახავთ, მშვენიერი გოგონაა. ჩანს, ჩემს ძაღლს ძალიან შეუყვარდით.

ბალთაზარი გრძნობდა, რომ აირენი მიემგზავრებოდა და ფერდით ფეხზე ეხახუნებოდა. დერეფანში რომ მიაცილებდა, მოხუცმა ჯოლიონმა ასე მიმართა სტუმარს:

- ერთ საათსა და თხუთმეტ წუთში ლონდონში იქნებით. ეს კი მიიღეთ თქვენი PROTEGEES-ისათვის.

ბერიკაცმა ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგის ჩეკი შეაჩეჩა აირენს, დაინახა, როგორ გაუბრწყინდა თვალები ქალს, გაიგონა მის მიერ ხმადაბლა თქმული: "ოჰ, ძია ჯოლიონ!" - და მოხუცს

სიამოვნებისგან გააჟრჟოლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი-ორი უბედური არსება დახმარებას მიიღებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აირენი ისევ მოვიდოდა. ეტლის კარში ერთხელ კიდევ შეიხედა ბერიკაცმა და ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი აირენს. ეტლი დაიძრა. ბერიკაცი მდუმარედ იდგა, შესცქეროდა მთვარეს, ხეთა ჩრდილებს და ფიქრობდა; "დიდებული ღამეა!.. აირენი!.."

II

ორი დღე იწვიმა და დადგა თბილი, მზიანი ზაფხული. მოხუცი ჯოლიონი სეირნობდა და ჰოლის ესაუბრებოდა. პირველად ბერიკაცი თავს ისე გრძნობდა, თითქოს გაიზარდა და ძალ-ღონე მოემატაო, მერე მოუთმენლობა დაეტყო. თითქმის ყოველდღე სეირნობდნენ ტევრში და, როგორც წესი, აუცილებლად მიდიოდნენ მოჭრილ მორამდე. "რას იზამ, არ მოსულა, - ფიქრობდა მოხუცი, - რა თქმა უნდა, არ მოსულა". და მაშინ ისე გრძნობდა თავს, თითქოს უფრო დადაბლდაო და შინისკენ მიმავალი აღმართზე ძლივს მიათრევდა ფეხებს, თან მარცხენა მხარზე იკიდებდა ხელს. ზოგჯერ ის აზრიც ეუფლებოდა: "მართლა იყო აქ აირენი, თუ მეზმანა მხოლოდ?" და სიცარიელეს მიაშტერებდა თვალებს. ნაგაზიც შეაჩერდებოდა ხოლმე პატრონს. რა თქმა უნდა, აირენი აღარ მოვა. უკვე ძველებური აღფრთოვანებით აღარ ხსნიდა ესპანეთიდან მოსულ ბარათებს. ისინი ივლისამდე არ აპირებდნენ დაბრუნებას. საოცარია, მაგრამ ბერიკაცი გრძნობდა, რომ ახლა ერთი თვით მარტოობის ატანა არცთუ ისე ძნელი იყო მისთვის. ყოველდღე სადილობისას თვალებს მოჭუტავდა და იმ ადგილს მიაჩერდებოდა, სადაც მაშინ აირენი იჯდა. აირენი ახლა არ იჯდა იქ და მოხუცი ჯოლიონი ისევ თვალმოუჭუტავად იწყებდა მზერას.

მეშვიდე დღეს გაიფიქრა: "უნდა წავიდე ქალაქში და ფეხსაცმელი შევუკვეთო". ბიკონს უბრძანა, ეტლი გაემზადებინა, ჩაჯდა

და გაემგზავრა. პატნეიდან ჰაიდპარკისკენ რომ გადაუხვიეს, გაიფიქრა: "ურიგო არ იქნება, ჩელსიში გავიარო და აირენი მოვინახულო". იმწამსვე მეეტლეს ასძახა: "იქ მიმიყვანე, სადაც ამას წინათ ლედი მიიყვანე!" სქელტუჩა, და ფართოსახიანმა წითურმა მეეტლემ კისერმოღრეცით მიუგო:

- ნაცრისფერ კაბაში ჩაცმული, სერ?

- დიახ, ის ლედი! - სხვა ვინ ლედი ჰყავდა, აბა! ყეყეჩი!

ეტლი მდინარიდან მოშორებით აღმართულ, პატარა სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდა. ჯოლიონის გამოცდილმა მზერამ მაშინვე შენიშნა, რომ იქ იაფფასიანი ბინები იქნებოდა. "სულ რაღაც სამოცი გირვანქა სტერლინგი თუ ეღირება წელიწადში", - წამოიძახა მან და სადარბაზო შესასვლელში გვარების ამოკითხვას შეუდგა. "ფორსაიტი" არსად ეწერა, მაგრამ გრაფაში "მეორე სართული, ბინა" შემდეგი სიტყვები ამოიკითხა "მისის აირენ ჰერონი". აჰა! თურმე ქალიშვილობის გვარს ატარებს ისევ! რატომღაც სიამოვნება მოჰგვარა ამ აღმოჩენამ. მაღლა ნელი ნაბიჯებით ავიდა. გვერდი ისევ ჩხვლეტდა. ვიდრე დარეკავდა, ერთი წუთით შედგა, რომ ცოტა არ იყოს, დამშვიდებულიყო. არა, სახლში არ იქნება! მაშინ ფეხსაცმლის შესაკვეთად წავა. ამ მრუმე აზრმა გული ატკინა. რა ჯანდაბად უნდა ახალი ფეხსაცმელი ამ ხნის კაცს. რაცა აქვს, იმათ გაცვეთდეს ნეტავ!

- დიასახლისი შინ ბრძანდება?

- დიახ, სერ.

- მოახსენეთ, მისტერ ჯოლიონ ფორსაიტი!

- ახლავე, სერ, აქეთ მობრძანდით!

იგი ფეხდაფეხ მიჰყვა ფრიად ახალგაზრდა მოსამსახურე გოგონას, რომელიც ასე თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. ისინი ფარდებჩამოშვებულ პატარა სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ოთახში როიალის გარდა ვერაფერს ნახავდით, თუ არ ჩავთვლიდით რაღაც გაურკვეველ სურნელებასა და კარგ გემოვნებას. ქუდმოხდილი მოხუცი ჯოლიონი ოთახის შუაგულში შედგა და დაფიქრდა: "ასე მგონია, ძალზე ცუდად უნდა ცხოვრობდეს". ღუმლის თავზე სარკე იდგა და მოხუცმა ჯოლიონმა სარკეში თავისი თავი დაინახა, რა ბებერი იყო, რა მიხრწნილი ბებერი! კაბის შარიშური გაიგონა და მობრუნდა. ისე ახლოს აღმოჩნდა აირენი, რომ ბერიკაცის ულვაში კინაღამ მის შუბლს შეეხო სწორედ თმაში გარეული ჭაღარის ქვემოთ.

- ქალაქში ვიყავი, - თქვა მან, - და ვიფიქრე, გავუვლი და გავიგებ-მეთქი როგორ იმგზავრა აირენმა.

და, როცა დაინახა აირენის ღიმილი დაინახა, ბერიკაცს გულზე მოეშვა. შეიძლება მართლა გულწრფელად გაუხარდა მისი ნახვა.

- იქნებ ქუდი დავიხუროთ და პარკში გავისეირნოთ?

აირენი რომ ქუდის დასახურავად გავიდა, მოხუც ჯოლიონს სახე მოეღუშა. პარკი! ჯეიმსი და ემილი! მისის ნიკოლასი ან მათი ოჯახის ძვირფასი წევრები, შესაძლოა, იქ ბოლთას სცემდნენ. და მერე მოჰყვებოდნენ ენის ტარტალს, რომ ჯოლიონი აირენთან ერთად ნახეს. კარგია, თქვენმა გახარებამ! მას არავითარი სურვილი არა ჰქონია ფორსაიტების ბირჟაზე გამოეცოცხლებინა წარსულის გამოძახილი. მან თავიდან ბოლომდე ღილებშეკრული სერთუკის საყელოს გადანაკეციდან თეთრი თმა მოიშორა და მე-

რე ლოყებზე, ულვაშსა და კვადრატულ წვერზე გადაისვა ხელი. ყვრიმალის ძვლებს ქვემოთ სიცარიელე შეიგრძნო. ბოლო ხანებში მადა სრულიად დაკარგა. უნდა სთხოვოს იმ მატყუარა ექიმბაშს, ჰოლის რომ მკურნალობს, რამე ისეთი გამოუწეროს, იქნებ ცოტათი მომაგრდეს. აირენი უკვე მზად იყო, და ეტლში რომ ჩასხდნენ, ჯოლიონმა თქვა:

- იქნებ კენსინგტონის ბაღში დავსხდეთ? - და თვალმოჭუტულმა დასძინა, - იქ, ყოველ შემთხვევაში, ბოლთას არავინ სცემს, - თითქოს აირენისთვის ცნობილი ყოფილიყოს მისი განაფიქრი.

ეტლიდან ჩამოვიდნენ, რჩეულთათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე დააბიჯეს ფეხი და ტბისკენ გასწიეს.

- თქვენ, როგორც ჩანს, ისევ ქალიშვილობის გვარს ატარებთ, - წამოიწყო ბერიკაცმა, - სულაც არ ვწუხვარ.

აირენმა ხელკავი გაუკეთა.

- ძია ჯოლიონ, რას იტყვით, ჯუნმა მაპატია?

მოხუცმა ჯოლიონმა ხალისით უპასუხა:

- დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა?

- თქვენ?

- მე მაშინვე გაპატიეთ, როგორც კი საქმის ნამდვილი ვითარება გავიგე, - შეიძლება მოხუცი ჯოლიონი მართალსაც ამბობდა. ბერიკაცი გულით ყოველთვის სილამაზეს ემხრობოდა.

აირენმა ღრმად ამოიოხრა.

- მე არასოდეს მინანია, არ შემეძლო. ოდესმე ძლიერ თუ გყვარებიათ, ძია ჯოლიონ?

ამ უცნაურ კითხვაზე მოხუცმა ჯოლიონმა მზერა გააშტერა. უყვარდა თუ არა? დიახ, თითქოსდა არ ჰყვარებია, არა. მაგრამ არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ეთქვა ეს ახალგაზრდა ქალისთვის, რომლის ხელიც მის მკლავს ეხებოდა და რომლის სიცოცხლეც, როგორც ჩანდა, უბედური სიყვარულის მოგონებას ებღაუჭებოდა. და მან გაიფიქრა: "თქვენ რომ შემხვედროდით ადრე, როცა ახალგაზრდა ვიყავი, მე, მე, ვინ იცის, იქნება ჩამედინა სისულელეები". ორივეს ერთმა სურვილმა მოუარა, განყენებული მსჯელობის სფეროში გადაბარგებულიყვნენ.

- სიყვარული უცნაური რამ არის, - თქვა ბერიკაცმა, - ხშირად საბედისწეროც. ეს ბერძნებმა, - ხომ ასეა? - აქციეს იგი ღვთაებად და, ცხადია, ისინი ოქროს ხანაში ცხოვრობდნენ.

- ფილი თაყვანს სცემდა მათ.

"ფილი!" ეს სიტყვა ყურში მოხვდა ბერიკაცს და მისმა ალღომ, რომ ყოველი მხრიდან დაენახა საგნები და მოვლენები, უკარნახა, თუ რატომ არ უმძიმდა მისი წარმოთქმა აირენს. ალბათ, თავის საყვარელზე საუბარი სწყუროდა! კეთილი, თუ ეს რაიმე სიამოვნებას მოუტანს! და მან თქვა:

- ალბათ, ჩინებულად ესმოდა სკულპტურა?

- დიახ, უყვარდა წონასწორობა და სიმეტრია. ბერძნები კი იმისთვის უყვარდა, რომ მთელი არსებით ეძლეოდნენ ხელოვნებას.

წონასწორობა! ბერიკაცს ახსოვდა, ის ახალგაზრდა კაცი სულაც არ ყოფილა დამჯდარი ჭკუის პატრონი, რაც შეეხება სიმეტრიას, თქმა არ უნდა, ჩამოსხმული ტანი კი ჰქონდა, მაგრამ მისი

უცნაური თვალები და წინ წამოწეული ყვრიმალის ძვლები - სიმეტრიაა?

- თქვენც ოქროს ხანის თაყვანისმცემელი ხართ, ძია ჯოლიონ?

მოხუცმა ჯოლიონმა აირენს გახედა, რაო, ხომ არ დამცინის? არა, თვალები მშვიდი ჰქონდა და ხავერდივით რბილი. ეფერება? მაგრამ რისთვის? ასეთ ბერიკაცს რას უნდა გამორჩეს?

- ფილიც ამ აზრის იყო. ყოველთვის ამას ამბობდა. თუმცა იქვე დასძენდა ხოლმე, "ვერასოდეს ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ მისითო".

ოჰ! ისევ და ისევ იგი. მისი გარდაცვლილი შეყვარებული. სურვილი - ილაპარაკოს მასზე. და ბერიკაცმა ხელი მოუჭირა აირენს, ნაწილობრივ შეურაცხყოფილმა ამ მოგონებით, ნაწილობრივ მადლიერმა, თითქოს გრძნობდა, რომ სწორედ ის მოგონებები აკავშირებდნენ აირენთან.

- ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, - შეეხმიანა ბერიკაცი, - ცხელა, ახლა ჩემზე სიცხეც მოქმედებს. მოდი, ჩამოვსხდეთ.

სკამზე ჩამოსხდნენ, წაბლის ხის ქვეშ, რომლის ფართო ფოთლები საღამოს მზისგან ფარავდა მათ. სასიამოვნოა აქ ჯდომა, აირენის მზერა და იმაზე ფიქრი, რომ აირენს სიამოვნებს მასთან ყოფნა. და სურვილმა, რომ კიდევ უკეთესად ეგრძნო აირენს თავი, ბერიკაცი აიძულა საუბარი განეგრძო.

- თქვენ, ალბათ, იმ მხრივაც იცნობდით მას, რომლის დანახვაც მე არ შემეძლო. მან თქვენ თავისი საუკეთესო მხარე გაჩვენათ. მისი თვალსაზრისი ხელოვნებაზე, მე, ცოტა არ იყოს... ახ-

ლებური მეჩვენებოდა, - ცოტას გადარჩა, რომ არ ეთქვა "ახალ-მოდური".

- დიახ, მაგრამ იგი ხშირად ამბობდა, რომ თქვენ ჩინებულად გესმით ხელოვნება, - ბერიკაცმა გაიფიქრა: "ჯანდაბას, თუ ასე ფიქრობდა", მაგრამ ხმამაღლა, ეშმაკურად წარმოთქვა, - სწორია, ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა თქვენ გვერდით არ ვიჯდებოდი, - რა მომხიბლავია აირენი, როცა თვალები უცინის, როგორც ახლა!

- ფილი ამბობდა, რომ თქვენ ისეთი გულის პატრონი ხართ, რომელიც არასოდეს ბერდება. მას შეეძლო ადამიანის სულში ჩახედვა.

მოხუც ჯოლიონს გულს ვერ აუჩვილებდა ეს ქათინაური, რომელიც წარსულიდან ხმიანებდა, და რომელიც აწ გარდაცვლილის შესახებ საუბრის წყურვილით იყო გამოწვეული. და მაინც ხარბად უგდებდა ყურს, რადგან აირენს სიამეს ჰგვრიდა მისი მზერა და გული, რომელიც მართლაც სულაც არ მობერებულა. იქნებ იმიტომაც, რომ აირენისა და მისი შეყვარებულისგან განსხვავებით, გაგიჟებით არავინ ჰყვარებია, ყოველთვის ინარჩუნებდა ზომიერებისა და სიმეტრიის გრძნობას? სამაგიეროდ, აი, ოთხმოცდახუთი წლის ასაკშიც აქვს სილამაზით ტკბობის უნარი! და, გაიფიქრა ბერიკაცმა, "ნეტავ მხატვარი ან მოქანდაკე ვიყო! მაგრამ მე მოხუცი ვარ და რაც შეიძლება მეტხანს უნდა ვუცქირო მზეს!"

მათ წინ ერთმა ხელგადახვეულმა წყვილმა ჩაიარა. ისინი იქ მიაბიჯებდნენ, სადაც წაბლის ხის ჩრდილი თავდებოდა და მზე

უხვად აფრქვევდა სხივებს მათ ფერმიხდილ, მოუვლელ, უსიამო სახეებს.

- ადამიანები ულამაზო არსებები ვართ! - წარმოთქვა ჯოლიონმა უცებ, - გაოცებული ვარ, ასე როგორ ზეიმობს ჩვენზე სიყვარული.

- სიყვარული ყველაფერზე ზეიმობს!

- ასე ახალგაზრდები ფიქრობენ ხოლმე, - თქვა ბერიკაცმა.

- სიყვარულს ასაკი არა აქვს, ვერ შებოჭავ მას, ვერ დაასამარებ!

ბრწყინავდა აირენის ფერმკრთალი სახე, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ისეთი დიდრონი, შავი და რბილი თვალები ჰქონდა - გაცოცხლებული ვენერა გეგონებოდათ. მაგრამ ამ უაღრესად დაუჯერებელმა აზრმა, რომ სიყვარულს ასაკი არა აქვსო, მაშინვე გამოიწვია გამოხმაურება და თვალმოჭუტულმა ბერიკაცმა თქვა:

- მართალი ხართ, სიყვარულს ზღვარი რომ ჰქონოდა, ჩვენ ვერც გავჩნდებოდით ამქვეყნად. აკი, ღმერთმანი, ძალზე ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ.

მერე ცილინდრი მოიხადა ბერიკაცმა და ზედ სახელო გადაუსვა. ვეება და ტლანქმა ქუდმა შუბლი გაუხურა, ბოლო ხანებში ხშირად გრძნობდა თავში სისხლის ავარდნას, რას იზამთ, მისი სისხლის მიმოქცევა ახლა ის აღარ იყო, რაც წინათ.

აირენი ისევ იჯდა და სივრცეს გაჰურებდა. უცებ ოდნავ გასაგონად წარმოთქვა:

- მიკვირს, რომ ისევ ცოცხალი ვარ.

ჯოს სიტყვები მოაგონდა ბერიკაცს "სასომიხდილი და დაღუ-პულიაო", რომ თქვა.

- ოჰ, - წარმოთქვა, - ჩემმა ვაჟმა თვალი მოგკრათ იმ დღეს.

- ეს თქვენი ვაჟი იყო? ჰოლიდან რაღაც ხმა მომესმა. ერთი წუთით ფილი მეგონა.

მოხუცმა ჯოლიონმა დაინახა, როგორ აუთრთოლდა ტუჩები აირენს. შეამჩნია, როგორ აიფარა ხელები სახეზე, მერე ისევ მოიცილა და მშვიდად განაგრძო:

- იმ ღამეს მდინარეზე გავედი, ვიღაც ქალმა კალთაში ჩამავ-ლო ხელი. მიამბო თავისი ცხოვრება. როცა გაიგებთ, როგორ იტანჯებიან სხვები, უთუოდ შეგრცხვებათ.

- ერთ-ერთი იმათგანი იყო?

აირენმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და მოხუცი ჯო-ლიონი შიშმა მოიცვა. ისეთი ადამიანის შიშმა, რომლისთვისაც უცხოა სასოწარკვეთილებასთან ბრძოლა. თითქმის მისდა უნე-ბურად წარმოთქვა ბერიკაცმა:

- მერე, მერე!

- სიცოცხლეს და სიკვდილს ერთი ფასი ჰქონდა ჩემთვის. რო-ცა ასეთ დღეში აღმოჩნდება ვინმე, ბედისწერა ზურგს აქცევს და არ მოკლავს ადამიანს. იმ ქალმა სამი დღე შემიკედლა და ერთი წუთით არ მომშორებია. მე ფული არ მქონდა. აი, რატომაა, რომ ყველაფერს ვაკეთებ მათთვის, რაც კი შემიძლია.

მაგრამ მოხუცი ჯოლიონი ფიქრებს წაეღო: "ფული არ მქონ-და! აბა, რა შეედრება ამ უბედურებას? ყველა დანარჩენი მასთა-ნაა დაკავშირებული".

- ნეტავ ჩემთან მოსულიყავით, - უთხრა მან, - რატომ ჩემთან არ მოხვედით?

აირენს პასუხი არ გაუცია.

- იმიტომ, რომ ფორსაიტი იყო ჩემი გვარი, არა? იქნებ ჯუნის გამო არ ჩაიდინეთ ეს! ახლა როგორ მიდის თქვენი საქმე? - ბერიკაცმა უნებურად შეავლო თვალი აირენის ტანს. იქნება ახლაც უჭირს, თუმცა, არა, გარეგნულად არ ეტყობა, რომ ასეა!

- წელიწადში 50 გირვანქა სტერლინგი მაქვს და მყოფნის კიდეც, - ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ბერიკაცი. ოჰ, ის ყმაწვილი სომსი! მაგრამ სამართლიანობის შეგნებამ ჩაახშო შინაგანი მსჯავრის ხმა. არა, სომსისგან თუნდაც ერთი პენის მიღებას, ალბათ, სიკვდილი ურჩევნია. ნაზი არსება ჩანს აირენი, მაგრამ მასში რაღაც ძალა იმალება, ძალა და ერთგულება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ჯანდაბად გააჭყლეტინა თავი ომნიბუსს იმ ახალგაზრდა ბოსინიმ, ნუთუ იმისთვის, რომ ასე გარიყული და გაუბედურებული დაეტოვებინა ეს ქალი!

- ახლა მაინც უნდა მოხვიდეთ ჩემთან, - წარმოთქვა ბერიკაცმა, - თუ რამე დაგჭირდებათ, თორემ ნაწყენი დავრჩები, - ცილინდრი დაიხურა და წამოდგა, - წავიდეთ, ჩაი დავლიოთ. იმ უქნარას ვუბრძანე, რომ ცხენები ერთ საათს მაინც დაასვენოს და თქვენთან დამელოდოს. ეტლი დავიქირავოთ, თორემ ძველებურად სიარული აღარ შემიძლია.

აუწერელი სიამოვნება იყო კენსინგტონის ბაღის ბოლომდე გასეირნება - აირენის ხმის მოსმენა, მისი მშვენიერი თვალების მზერა, მომხიბვლელი, აშოლტილი ქალის გვერდით სიარული. ჩაი ჰაისტრიტზე მიირთვეს რიუფელთან. იქიდან მოხუცი ჯო-

ლიონი ნეკ თითზე დაკიდებული შოკოლადის დიდი კოლოფით გამოვიდა და ჩელსიმდე დაქირავებული ეტლით მგზავრობამ და სიგარის გაბოლებამ სიამე მოჰგვარა. აირენი შეჰპირდა, მომავალ კვირას გამოგივლით და ისევ დავუკრავო. მოხუცი ჯოლიონი ახლა წინასწარ ფიქრობდა იმაზე, როგორ დაკრეფდა მიხაკებს და ადრეულ ვარდებს, და როგორ გაატანდა აირენს ლონდონში. რა სჯობდა ამ სიამოვნების მინიჭებას აირენისთვის, თუ ბერიკაცისგან ასეთი თავაზიანობის გამოჩენა ქალს მართლაც სიამეს ჰგვრიდა. ეტლი უკვე მოსულიყო და ელოდა. მაინცდამაინც იმ დღეს მოვიდა ეს წყეული დაბარებულზე, თორემ სხვა დროს, როგორც წესი, ყოველთვის იგვიანებდა. მოხუცი ჯოლიონი ერთი წუთით დასამშვიდობებლად შეჰყვა აირენს. პატარა წინკარში უსიამო სუნი იდგა. კედელთან მოდგმულ სკამზე ვიღაც იჯდა. ბერიკაცს მოესმა აირენის მშვიდი ხმა: "ახლავე" და, როცა კარი მიიხურა, ბერიკაცმა სერიოზული ტონით იკითხა:

- ერთ-ერთი თქვენი...

- დიახ, ახლა, თქვენი წყალობით, ცოტა რამით შემიძლია დავეხმარო.

მოხუცი იდგა, წინ იხედებოდა და ხელით ისრესდა ნიკაპს, რომლის შემძლეობა თავის დროზე მრავალს აშინებდა. იმაზე ფიქრი, რომ აირენს ამდენ გაუბედურებულთან ჰქონდა ურთიერთობა, აშინებდა ბერიკაცს და დარდით ავსებდა. რისი გაკეთება შეეძლო აირენს მათთვის? არაფრის. მხოლოდ თვითონ გაისვრება და უსიამოვნებას ნახავს, მეტი არაფერი. და ხმამაღლა თქვა:

- ფრთხილად, ჩემო ძვირფასო. ხალხი ყველაფერს კუდს აბამს.

- ვიცი.

აირენმა მშვიდად გაიღიმა და მოხუც ჯოლიონს თითქოს შერცხვაო თავისი სიფრთხილის.

- კეთილი, კვირა არ დაგავიწყდეთ, - წასჩურჩულა მან, - ნახვამდის.

აირენმა ლოყა გაუწოდა საკოცნელად.

- ნახვამდის, - გაიმეორა მან, - თავს გაუფრთხილდით, - თქვა ეს და ისე გავიდა, სკამზე მჯდარი არსებისთვის არც კი შეუხედავს. შინ ჰემერსმითის გზით დაბრუნდა, რათა მაღაზიაში გაევლო და აირენისთვის ოცდაოთხი ლიტრი საუკეთესო ბურგუნდიული ღვინო გაეგზავნა. დროდადრო ხომ უნდა მომაგრდეს! მხოლოდ რიჩმონდპარკთან მოაგონდა ბერიკაცს, რომ ფეხსაცმლის შესაკვეთად იყო ჩამოსული, და გაოცდა, რომ თავში ასეთი სულელური აზრი მოუვიდა.

III

წარსულის სულებს, რომლებიც მრავლად დაჰფარფატებენ თავზე მოხუცებს, არასოდეს ისე არ შეუწუხებიათ მოხუცი ჯოლიონი, როგორც კვირამდე დარჩენილ სამოცდაათ საათს. სამაგიეროდ, მომავლის სული უხილავი მომხიბვლელობით უწვდიდა ბაგეებს საკოცნელად. ახლა მოხუცი ჯოლიონი ტყუილად არ ირჯებოდა წაქცეული ხის სანახავად, რადგან აირენი შეჰპირდა, კვირადღეს საუზმობამდე თქვენთან გავჩნდებიო. საოცრება კი არის ეს ჭამა; როცა დათქვამენ, ერთად ვისაუზმოთო, მაშინვე მრავალი ეჭვი იფანტება, რადგან სადილს ან საუზმეს არავინ ისე არ გამოტოვებს, თუ ამისთვის უნებური მიზეზი არ გააჩნია. ბერიკაცი ჰოლის ხშირად ეთამაშებოდა კრიკეტს მინდორზე, იგი ბურთს აწვდიდა, გოგონა კი ურტყამდა. თავის მხრივ, ჰოლი იმისთვის ემზადებოდა, რომ არდადეგების დროს თვითონ მიეწოდებინა ჯოლისთვის ბურთი. ჰოლიში ცოტა რამ იყო ფორსაიტული, ხოლო ჯოლი პირწავარდნილი ფორსაიტი იყო - ფორსაიტები კი ყოველთვის ურტყამდნენ, ვიდრე ოთხმოცდახუთი წლის ასაკს მიაღწევდნენ. ბალთაზარი არ შორდებოდა მათ და, რამდენჯერაც ახერხებდა, იმდენჯერ წვებოდა ბურთზე. მოსამსახურე ბიჭუნა ბურთის მოსატანად იქამდე დარბოდა, ვიდრე სახე მთვარესავით არ გაებადრა. რაც უფრო მცირდებოდა შუალედი კვირამდე, მით უფრო ითრევდა ფეხს ყოველი დღე და უფრო და უფრო მზიანი დღეები დგებოდა. პარასკევ საღამოს ღვიძლის ტკივილის

საწინააღმდეგო აბი გადაყლაპა, მართალია, გვერდი იმ მხარეზე კი არ სტკიოდა, საითაც ღვიძლია, მაგრამ ეს წამალი მაინც უებარი ეჩვენებოდა. ყველა, ვინც მას იმის თქმას გაუბედავდა, რომ ცხოვრებაში აღგზნების ახალი წყარო მონახა, და რომ აღგზნება მისი ჯანმრთელობისთვის საზიანოა, გადაეყრებოდა მისი მუქი ნაცრისფერი თვალების მტკიცე წყრომას, რომელიც თითქოს ეუბნებოდა: "მე მშვენივრად ვიცი, რასაც ვაკეთებ". ასე იყო ყოველთვის და ასეც დარჩება.

კვირა დილით, როცა ჰოლი აღმზრდელ ქალთან ერთად წავიდა ეკლესიაში, ბერიკაცი მარწყვის მოსაკრეფად გავიდა. მან ნაგაზის თანხლებით, გულდასმით დაათვალიერა არემარე და ოციოდე ცალი მწიფე მარწყვი აღმოაჩინა. მისთვის ძნელი და მავნებელი იყო დახრა, თავბრუ ეხვეოდა, სისხლი საფეთქლებს აწვებოდა, მაგრამ მარწყვის ძებნას თავი არ მიანება, დაკრეფილი ნაყოფი თეფშზე მოათავსა და სასადილო ოთახში დატოვა. ხელი დაიბანა, შუბლზე ოდეკოლონი წაისვა, სარკეში ჩაიხედა. მეტისმეტად გამხდარი ეჩვენა საკუთარი თავი. რა "ჩხირივით გამხდარი" იყო ახალგაზრდობაში! მაგრამ რა ჯობია, როცა ტანადი ხარ და მოხდენილი! სიმსუქნეს ვერა და ვერ იტანდა. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ძალიან ჩაუცვივდა ლოყები. აირენი პირველის ნახევარზე უნდა ჩამოსულიყო მატარებლით და სადგურიდან კეიჯის ფერმის გავლით ფეხით მოუწევდა ამოსვლა. ბერიკაცმა ჯუნის ოთახში შეიხედა, რათა დარწმუნებულიყო, მზად იყო თუ არა თბილი წყალი, და აუჩქარებლად გაემართა აირენის შესახვედრად, დიახ, აუჩქარებლად, რადგან გული ძალუმად უცემდა. საამო იყო ჰაერი, გალობდნენ ტოროლები, გარკვევით მოჩანდა

ეპსომის იპოდრომი. მშვენიერი დარი იდგა! ალბათ, სწორედ ასეთ დღეს, ექვსი წლის წინ, სომსმა აქ ჩამოიყვანა ახალგაზრდა ბოსინი, რათა დაეთვალიერებინა ის ნაკვეთი, სადაც სახლის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. სწორედ ახალგაზრდა ბოსინიმ ამოირჩია სამოსახლოდ ეს ადგილი - ეს არაერთხელ გაუგონია ბერიკაცს ჯუნისგან. ამ დღეებში მოხუცი ჯოლიონი ახალგაზრდა არქიტექტორზე ძალიან ბევრს ფიქრობდა. თითქოსდა მისი სული აირენის ისევ ხილვის იმედით მართლაც დასტრიალებდა მისი უკანასკნელი ნამუშევრის მიდამოებს. ბოსინი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც მთლიანად მოინადირა ქალის გული და რომელსაც მთელი არსებით მინებდა იგი. ოთხმოცდახუთი წლის ასაკში ყოველივე ამის წარმოდგენა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მოხუც ჯოლიონში მოძრაობდა მტკივნეული, უსაგნო ეჭვიანობის მსგავსი გრძნობა და მეორე გრძნობაც, გაცილებით უფრო კეთილშობილური, - ასე უდროოდ დაღუპული სიყვარულის გამო სინანული. რამდენიმე თვის ცოდვა და სიყვარული და მერე ყველაფერს მოეღო ბოლო! დიახ, დიახ! ტევრში შესვლამდე საათზე დაიხედა. პირველის თხუთმეტი წუთი იყო მხოლოდ, კიდევ ოცდახუთი წუთი მოუწევდა მოცდა! მოხუცმა ჯოლიონმა ბილიკიდან გადაუხვია და აირენი სწორედ იმ ადგილზე დალანდა, სადაც პირველად იხილა. იგი კვლავ წაქცეულ ხეზე მოკალათებულიყო. მიხვდა ბერიკაცი, რომ ქალი უფრო ადრე ჩამოსულიყო სხვა მატარებლით, რათა ერთი-ორი საათი იქ განმარტოებულიყო. ამგვარად დაიკარგა მასთან სიახლოვის ორი საათი. ნეტავ რა მოგონებასთან იყო დაკავშირებული ამ წაქცეული ხის ესოდენი სიყვარუ-

ლი? ბერიკაცის სახემ გამოამჟღავნა, ალბათ, ეს აზრი, რადგან აირენმა გასცა პასუხი:

- უკაცრავად ვარ, ძია ჯოლიონ, აქ პირველად ვიგრძენი...

- დიახ, დიახ, და აქ დარჩება ეს ხე ყოველთვის. მობრძანდით, როცა მოგინდებათ. თითქოს ცუდად გამოიყურებით. ალბათ ძალიან გადატვირთული ხართ გაკვეთილებით?

ბერიკაცს იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, რომ აირენი იძულებულია მუსიკის გაკვეთილები ჩაუტაროს უცნობ გოგონებს, რომლებიც კოტიტა თითებით უკრავენ გამას.

- სად ატარებთ გაკვეთილებს?

- საბედნიეროდ, ყველა ებრაულ ოჯახში.

მოხუცი ჯოლიონი გაოცდა: ფორსაიტებს ებრაელები უცნაურ და საეჭვო ადამიანებად მიაჩნდათ.

- მუსიკით არიან გატაცებული და ძალიან კეთილი ხალხია.

- ღვთის გულისთვის! მათთვის ისა სჯობია, კეთილად მოიქცნენ! - თქვა მოხუცმა ჯოლიონმა და ხელკავი გაუკეთა აირენს. გვერდები ყოველთვის სტკიოდა აღმართზე და გაჭირვებით მიმავალმა აირენმა ესღა უთხრა, - ამ ბაიებზე უფრო საყვარელი თუ გინახავთ რაიმე? ერთ ღამეში გაიფურჩქნენ.

როგორც ჩანდა, აირენი გაფაციცებით ათვალიერებდა მდელოს, როგორც ფუტკარი, თაფლის ნექტარიან ყვავილებს რომ ეძებს.

- მე მინდოდა ველზე გადაშლილი ყვავილები დაგეთვალიერებინათ, ამიტომაც დღეს აქეთ ძროხების გამორეკვა ავუკრძალე, - მერე ბერიკაცს მოაგონდა, რომ აირენი ბოსინიზე სალაპარაკოდ

იყო ჩამოსული, საათის კოშკურაზე მიუთითა, საჯინიბოს თავზე რომ იყო დადგმული და თქვა:

- ის, ალბათ, მისი დადგმის უფლებას არ მისცემდა. რამდენადაც მახსოვს, ჟამთასვლა ნაკლებად აინტერესებდა.

მაგრამ აირენმა გულზე მიიკრა ბერიკაცის ხელი და პასუხის ნაცვლად ყვავილებზე ჩამოუგდო სიტყვა. მოხუცი ჯოლიონი მიუხვდა ჩანაფიქრს - ქალს არ სურდა მიხვედროდნენ, გარდაცვალებულზე სასაუბროდ რომ იყო ჩამოსული.

- საუკეთესო ყვავილი, რომლის ჩვენებაც მე შემიძლია, - საზეიმო ტონით წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, - ჩემი გოგონა გახლავთ. საცაა დაბრუნდება ეკლესიიდან, მასში არის რაღაც ისეთი, რაც თქვენს თავს მაგონებს, - უნდოდა ეთქვა: თქვენში არის რაღაც ისეთი, რომელიც ჩემს გოგონას მაგონებსო, მაგრამ გადაიფიქრა. ამ დროს ჰოლიც გამოჩნდა.

ჰოლი მოჰყვებოდა მოხუც ფრანგ აღმზრდელ ქალს, რომელსაც საჭმლის მომნელებელი ორგანოები ოცდაორი წლის წინ სტრასბურგის ალყის დროს მოშლოდა. ჰოლი კისრის მტვრევით გამოიქცა მუხის ხისკენ, რომლის ძირშიც ჯოლიონი და აირენი იდგნენ. იგი რამდენიმე ათეული იარდის მოშორებით შეჩერდა და ბალთაზარს დაუწყო ალერსი, თითქოს ამისთვის გამორბოდაო მხოლოდ. მოხუცმა ჯოლიონმა, რომელიც იცნობდა მისი სულის მოძრაობას, დაუძახა:

- აი, ჩემო კარგო, ის ნაცრისფერკაბიანი ლედი, რომლის მოყვანასაც შეგპირდი.

ჰოლი წამოდგა, აიხედა და თვალაციმციმებული მიაჩერდა ორივეს. აირენმა გაიღიმა, ჰოლის სახეზე სერიოზული ცნობის-

მოყვარეობა მორცხვმა ღიმილმა შეცვალა, მერე, ეტყობა, უფრო ღრმა გრძნობა მოერია, ბავშვს გააჩნდა სილამაზის შეგრძნება, არჩევდა თეთრსა და შავს! ჯოლიონს ერთი სული ჰქონდა, ენახა, როგორ აკოცებდნენ ერთიმეორეს!

- მისის ჰერონი, მადმუაზელ ბოს. აბა, მადმუაზელ, როგორ ჩაიარა წირვამ?

ახლა, როცა ბერიკაცს სულ მცირე ხნის სიცოცხლე დარჩენოდა, მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ერთადერთი ღვთისმსახურება, წირვის ცერემონიალი თუღა იწვევდა მის ინტერესს ეკლესიისადმი. მადმუაზელ ბოსმა შავი ლაკის ხელთათმნიანი ობობას მსგავსი ხელი გაუწოდა აირენს, აკი სულ კარგ ოჯახებში ცხოვრობდა მუდამჟამს! - და მის გამხდარ ყვითელ სახეზე მბრწყინავი ნაღვლიანი თვალები თითქოს კითხულობდნენ, - კარგად ხართ აღზრდილი? - ყოველთვის, როცა ჰოლი და ჯოლი რაიმე ისეთს ჩაიდენდნენ, რაც მას არ მოსწონდა - ეს კი ძალზე ხშირად ხდებოდა - ასე ეტყოდა: "პატარა ტეილორები ასე არ იქცეოდნენ, ძალიან კარგად აღზრდილი ბავშვები იყვნენ!" ჯოლის ეზიზღებოდა პატარა ტეილორები, ხოლო ჰოლის საშინლად აოცებდა ის ამბავი, როგორ მოხდა, რომ მათსავით კარგი ვერ გახდა. "უცნაური და ახირებული ქალია ეგ ბოსი", - ფიქრობდა მოხუცი ჯოლიონი.

საუზმემ ჩინებულად ჩაიარა. მის მიერ სათბურში ამორჩეულმა ქამა სოკოებმა, დილით დაკრეფილმა მარწყვმა და ერთმა ბოთლმა "შტეინბერგ კებინეტმა" - შესანიშნავი გუნება-განწყობა შეუქმნა და სურნელოვანი შთაბეჭდილება დაუტოვა, მაგრამ მაშინვე გაუჩნდა იმის რწმენა, რომ ხვალვე ეგზემის შეტევა დაეწყებო-

და. ნასადილევს ბერმუხის ქვეშ დასხდნენ და თურქულ ყავას შეექცნენ. მოხუც ჯოლიონს არც კი სწყენია, მადმუაზელ ბოსი რომ თავის ოთახში შევიდა, რათა დისთვის, რომელმაც წინა წელს ქინძისთავი გადაყლაპა და კინაღამ დაღუპა თავისი მომავალი, რასაც ყოველდღე უამბობდნენ ბავშვებს და აფრთხილებდნენ, კარგად უნდა დაღეჭოთ და ისე ჭამოთ, თორემ თქვენც იგივე მოგივათო, - საკვირაო წერილი მიეწერა. ქვემოთ მდელოზე ჰოლი და ბალთაზარი აჯავრებდნენ და თანაც ეფერებოდნენ ერთიმეორეს, ხოლო ბერმუხის ქვეშ, ფეხი ფეხზე შემოდებული მოხუცი ჯოლიონი სიგარას აბოლებდა და საქანელაში მჯდარი აირენის მზერით ტკბებოდა. მსუბუქ ნაცრისფერ კაბაში გამოკვალთული, საქანელასგან ოდნავ დარწეული ნაცრისფერი კენარი ტანი, აქა-იქ მზის ლაქები რომ ეცემოდა, ნახევრად ღია ბაგეები, რბილი შავი თვალები, ოდნავ დაშვებული წამწამები, კმაყოფილი სახე - ასეთი იყო ის, ვისაც მოხუცი ჯოლიონი აღტაცებით შესცქეროდა. რა თქმა უნდა, სასარგებლოა მისთვის აქ სტუმრობა! ბებრული ეგოიზმი იმდენად არ დაუფლებოდა ბერიკაცს, რომ სხვისი სიხარულით კმაყოფილება არ ეგრძნო. მან გარკვევით იცოდა, რომ პირადად მას ბევრი რამ სურდა, მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოიწურებოდა.

- აქ დიდი სიწყნარეა, - უთხრა ბერიკაცმა, - თუ მოწყენილობას გრძნობთ, ნუ მოხვალთ, მაგრამ თქვენი ნახვა დიდ სიხარულს მგვრის. ყველა, ყველა და სულ ორი სახის დანახვა იწვევს სიხარულს ჩემში, ჩემი პატარა გოგონასი და თქვენი.

აირენის ღიმილმა ბერიკაცი მიახვედრა, რომ მას, აირენს, სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ალერსიანი თვალებით უცქეროდნენ, და ამან გაამხნევა მოხუცი.

- ღმერთმანი, არ ვთვალთმაქცობ, - თქვა მან, - თავის დღეში არ მითქვამს ქალისთვის თაყვანს გცემ-მეთქი, თუ ნამდვილად არ მომწონდა. კაცმა რომ თქვას, არც კი მახსოვს, მითქვამს თუ არა რომელიმე ქალისთვის, თაყვანს გცემ-მეთქი, თუ საკუთარ ცოლს არ ჩავთვლით და ისიც ახალგაზრდობაში. და ცოლები ხომ უცნაური ადამიანები არიან, - ბერიკაცი გაჩუმდა, მაგრამ უეცრად ისევ ალაპარაკდა:

- ჩემს ცოლს უფრო ხშირად უნდოდა მეთქვა, მიყვარხარ და თაყვანს გცემ-მეთქი, ვიდრე სინამდვილეში ვეუბნებოდი, - აირენის სახე გამოუცნობმა ტკივილებმა მოიცვა და ბერიკაცი მიხვდა, რომ ალბათ რაღაც საწყენი და გულსატკენი უთხრა და აჩქარებით დასძინა, - როცა ჩემი გოგონა გათხოვდება, იმედი მაქვს, ისეთი კაცი შეხვდება, რომელმაც იცის ქალის ყადრი. მე მანამდე რა გამაძლებინებს, მაგრამ ახლა იმდენი გაუგებრობაა ქორწინებაში, რომ ყოველივე ყირამალა დგას და არ მინდა, მასაც შავი ბედი ეწიოს, - როცა მიხვდა, რომ ცეცხლზე ნავთი დაუმატა, დასძინა, - ეს ოხერი ძაღლი რა სულ იქექება!

დუმილი ჩამოწვა! რაზე ფიქრობდა ეს ულამაზესი არსება, რომლის ცხოვრებაც იავარიქმნა, რომელიც სიყვარულისთვის იყო დაბადებული, მაგრამ სიყვარულის ნერგი დაუზრა? ოდესმე, როცა ჯოლიონი ცოცხალი არ იქნება, შეიძლება აირენმა კიდეც მონახოს თავისი ცხოვრების თანამგზავრი, მაგრამ არცთუ ისე

თავქარიანი, როგორც ის ახალგაზრდა არქიტექტორი, რომელმაც თავი გააჭყლეტინა. ოჰ, მაგრამ მისი კანონიერი ქმარი?

- სომსი ხომ არ გაწუხებთ? - ჰკითხა მან.

აირენმა უარის ნიშნად თავი გააქნია და სახე უეცრად მოეღუშა. მსუბუქი ხასიათის მიუხედავად, მასში იყო რაღაც შეუპოვარი. და თითქოს სინათლის სხივმა, რომელმაც გააჩირაღდნა სქესობრივი ანტიპათიის მთელი ულმობელი ბუნება, დააბნია ისეთი ადამიანის შეგნება, რომელიც თავისი ხანდაზმულობის გამო ფრიად განსხვავებული ადრეული ვიქტორინული ეპოქის კულტურაზე იყო გაზრდილი და თავის დღეში არ დაფიქრებულა ასეთ უბრალო რამეებზე.

- ესეც კარგია, - თქვა ბერიკაცმა, - დღეს გრანდ სტენდი მოჩანს, თუ გნებავთ, ცოტა გავიაროთ.

ყვავილნარსა და ხეხილის ბაღში, რომლის მაღალ კედლებთან სხვადასხვა ჯიშის ატამი ეფიცხებოდა მზეს, ბოსლის გასწვრივ სოკოების სათბურში, სატაცურების მწკრივებში, როზარიუმში და ტალავერქვეშ გაატარა აირენი ბერიკაცმა, ბოსტანშიც შეიყვანა, რათა ეჩვენებინა მწვანე ბარდა, რომლის პარკებიდან ჰოლის ძალიან უყვარდა თითებით მარცვლების გამოცლა, რომ პატარა ხელისგულზე დაეყარა და გაელოკა. ბევრი საოცარი რამ უჩვენა ბერიკაცმა აირენს. ჰოლი და ბალთაზარი კისრისტეხით მიხტოდნენ შინ და დროდადრო მოუბრუნდებოდნენ ხოლმე, რათა მათი ყურადღება მიექციათ. ეს იყო მოხუცი ჯოლიონის ერთერთი ყველაზე ბედნიერი დღე, მაგრამ მეტისმეტად დაიქანცა და მოხარული იყო, როცა, ბოლოს და ბოლოს, დასხდნენ სასტუმრო ოთახში და აირენმა ჩაი დაუსხა. ჰოლის მეგობარი ეწვია, ბიჭუ-

რად შეკრეჭილი ქერათმიანი გოგონა. ისინი ცელქობდნენ მოშორებით, კიბის ქვეშ, კიბეზე, ზედა გალერეაში. მოხუცმა ჯოლიონმა აირენს სთხოვა, შოპენი დაუკარიო. აირენი უკრავდა ეტიუდს, მაზურკას, ვალსს და გოგონები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ როიალს და გაინაბნენ - შავტუხა და ოქროსფერი თავები ოდნავ გადახარეს წინ და უსმენდნენ გატრუნულნი. მოხუცი ჯოლიონი თვალს ვერ აშორებდა მათ.

- აბა, იცეკვეთ ორივემ.

მათ მორცხვად დაიწყეს ცეკვა, ტაქტს ვერ ჰყვებოდნენ, ცმუკავდნენ, ტრიალებდნენ, უფრო სერიოზულები იყვნენ, ვიდრე მოქნილნი. დიდხანს უვლიდნენ გარე-გარე ჯოლიონის სავარძელს და მუსიკას ფეხს აყოლებდნენ. მოხუცი ჯოლიონი თვალს ვერ სწყვეტდა მათ და როიალზე დამკვრელს, თან მოღიმარი ფიქრობდა: "დიდი ხანია ასეთი ჩინებული სურათი არ მინახავს". ამ დროს გაისმა ხმა:

- ჰოლი! ეს რა ამბავია, ამას რას სჩადიხარ? კვირადღეს ცეკვა ვის გაუგონია! გაჩერდი ახლავე!

მაგრამ ბავშვები მოხუც ჯოლიონთან მივიდნენ, იცოდნენ, რომ იგი გამოესარჩლებოდა.

- უქმე დღე კიდევ უკეთესია, მადმუაზელ, ჩემი ბრალია. აბა, გაიქეცით, ჩაი დალიეთ.

როცა ბავშვები წავიდნენ, და ნაგაზიც მიჰყვა, რომელიც, აგრეთვე ვალდებული იყო დანიშნულ დროზე მიერთმია საჭმელი. ბერიკაცმა აირენს შეხედა, თვალი ჩაუკრა და უთხრა:

- ნახეთ, ხომ კარგი ბავშვები არიან? თქვენ პატარა მოწაფეებიცა გყავთ?

- როგორ არა, სამი. მათ შორის ორი ნამდვილი მშვენებაა.

- კარგები არიან?

- მომაჯადოებლები!

მოხუცმა ჯოლიონმა ამოიოხრა. მას უსაზღვროდ უყვარდა ყველაფერი ახალგაზრდული.

- ჩემს გოგონას, - თქვა მან, - მთელი არსებით უყვარს მუსიკა. ოდესმე მუსიკოსი გახდება. იქნებ მოუსმინოთ და მითხრათ, როგორ უკრავს?

- რატომაც არა.

- იქნებ მოახერხოთ, რომ... - წამოიწყო მან და თავი შეიკავა სიტყვებისგან "გაკვეთილები მისცეთ". ის აზრი, რომ აირენი გაკვეთილებს აძლევდა, უსიამოვნო განწყობილებაზე აყენებდა. მაგრამ, თუ ჰოლის მართლა ასწავლის მუსიკას, მაშინ ხომ ხშირად ნახავს. აირენი ადგა და ბერიკაცის სავარძელთან მივიდა.

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჯუნი?.. როდის ბრუნდებიან?

მოხუცი ჯოლიონი მოიღუშა.

- მომავალი თვის ნახევარში. მერე რა?

- თქვენ მითხარით, ჯუნმა გაპატიაო, მაგრამ დავიწყებით მაინც ხომ არ დაავიწყდებოდა, ძია ჯოლიონ.

- დაივიწყებს! თუ მე მინდა, დაივიწყებს კიდეც.

და თითქოს ამ ფიქრებზე პასუხს იძლევაო, აირენმა თავი გაიქნია.

- ხომ იცით, რომ ასეთი რამეების დავიწყება არ ხდება.

ისევ მკვდრეთით აღდგა ავბედითი წარსული და გაგულისებულმა ჯოლიონმა მტკიცედ წარმოთქვა:

- ვნახოთ!

მთელი ერთი საათი ესაუბრა ბერიკაცი აირენს ბავშვებსა და ათასგვარ წვრილმანზე, ვიდრე ეტლი მოვიდოდა მის წასაყვანად. და, როცა აირენი წავიდა, მოხუცი სავარძელს დაუბრუნდა, დიდხანს იჯდა იქ, ნიკაპს ისრესდა და განვლილ დღეზე ფიქრობდა.

ნავახშმევს კაბინეტში შევიდა და საწერი ქაღალდის ფურცელი აიღო. ერთხანს შეისვენა, ვიდრე წერას შეუდგებოდა. მერე წამოდგა და კედელზე დაკიდებულ შედევრს - "ჰოლანდიელ მეთევზეთა ნავები მზის ჩასვლის ჟამს" - მიაპყრო მზერა. მაგრამ არა, სურათზე კი არა, საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობდა იგი. ცოტაოდენი ქონება უნდა უანდერძოს აირენს; მისი ფიქრების არევა და მოგონებების სიღრმეების აღელვება ასე არაფერს შეეძლო. იგი დაუტოვებს აირენს თავისი ქონების, იმედის, საქმიანობის, უნარისა და შრომის ნაწილს, იმის ნაწილს, რამაც ეს სიმდიდრე შექმნა. დაუტოვებს მას ყოველივე იმის ნაწილს, რაც პირადად მას ამ ცხოვრებაში, ჯანსაღი გონებითა და მტკიცე მარჯვენით მოუნაგრებია და რაც გამორჩა. მაგრამ რა იყო ის, რაც გამორჩა? "ჰოლანდიელ მეთევზეთა ნავები", პასუხს არ იძლეოდნენ. ფარდა გადასწია და მინის კარი გამოაღო. ქარმა დაქროლა და წინა წლის გამხმარი მუხის ფოთოლი, რომელიც, ვინ იცის, რა მანქანებით გადაურჩა მებაღის ცოცხს, მსუბუქი ხმაურითა და შრიალით გაცურდა ქვის ტერასზე გაწოლილ ნახევარსიბნელეში. სხვა ხმა არ ისმოდა, და მან იგრძნო მცირე ხნით ადრე მორწყული ჰელიოტროპების სურნელი. გაიფრინა ღამურამ. მას რომელიღაც ჩიტის კვნესა და წრიპინი მოჰყვა. მერე პირდაპირ ბერმუხის თავზე აენთო პირველი ვარსკვლავი. ფაუსტმა ოპერაში რამდენიმე წლის ჭაბუკის ფასად გაყიდა სული. ავადმყოფური, ნამდვილი პათო-

ლოგიური ამბავია! შეუძლებელია ასეთი გარიგება, და სწორედ ამაშია ტრაგედია. შეუძლებელია ისევ გაახალგაზრდავდე, რათა კვლავაც იცხოვრო და გიყვარდეს. არაფერი დარჩენია მას, არაფერი, გარდა იმისა, რომ შორიდან დატკბეს სილამაზით და აირენს რაიმე უანდერძოს. მაგრამ რამდენი? და, თითქოს სოფლური წყნარი ღამის გაშლილ ჰაერზე თანხა ვერ უანგარიშიაო, მობრუნდა და ბუხართან მივიდა. მისი საყვარელი ქანდაკებები აქაა სწორედ. კლეოპატრა, გველი რომ ჰკბენს მკერდზე, სოკრატი, რუხი მწევარი, თავის ლეკვს რომ ეთამაშება, მკლავმაგარი მამაკაცი, ცხენებს რომ აოკებს. "ესენი არ მოკვდებიან, - გაიფიქრა მან და გულზე რაღაცამ უკბინა, - ჯერ კიდევ ათასი წლის სიცოცხლე აქვთ წინ!"

"რამდენი?" კეთილი, ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც უნდა დაუტოვოს, რომ აირენი ვადაზე ადრე არ დაბერდეს, რომ რაც შეიძლება გვიან გაუჩნდეს ნაოჭები სახეზე, რომ რაც შეიძლება მოგვიანებით გაუჩნდეს ჭაღარა. თვითონ მოხუცი ჯოლიონი, ვთქვათ და, ერთ ხუთ წელს კიდევ იცოცხლებს. მაშინ აირენი ოცდაათ წელს გადაცილებული იქნება. "რამდენი?" მაგრამ აირენში რომ ჯოლიონის სისხლის ერთი წვეთიც არ ურევია! ცხოვრების იმ წესებისადმი ერთგულებამ, რომელსაც მთელი ორმოცი წელი და უფრო მეტხანს იცავდა სწორედ იმ დრომდე, ვიდრე ცოლს შეირთავდა და ამ უცნაურ დაწესებულებას - ოჯახს შექმნიდა, გააფრთხილა იგი, რომ იმას, ვის ძარღვებშიც მისი სისხლი არ ჩქეფს, უფლება არა აქვს ჯოლიონის ქონებაზე. მაშასადამე, მისი სურვილი მხოლოდ ფუფუნება და ჭირვეულობა იყო. ეს იყო სუსტი გონების ადამიანის საქციელი, ბებრული ჭირვეულობის დაკ-

მაყოფილება, ლოლიავი. მისი ქონება კანონიერად ეკუთვნით მათ, ვის ძარღვებშიც ჩქეფს მისი სისხლი, რომლებშიც პირადად იგი იცოცხლებს სიკვდილის შემდეგ. მან ზურგი აქცია ქანდაკებებს და მიაჩერდა ტყავის სავარძელს, რომელშიც მჯდარმა რამდენიმე ასეული სიგარა მოსწია, და უცებ მოეჩვენა, რომ სავარძელში ზის აირენი, ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი, ნაზი, სურნელოვანი, შავთვალა, ნატიფი, და შესცქერის ბერიკაცს. თუმცა ეჰ! ჯოლიონზე კი არა, თავის დაღუპულ შეყვარებულზე ფიქრობს მხოლოდ. მაგრამ სურს თუ არ სურს, სწორედ აქ არის იგი და თავისი სილამაზითა და მოხდენილობით ატკბობს ბერიკაცს. რა უფლება აქვს ბერიკაცს აიძულოს იგი, მასთან იმყოფებოდეს; რა უფლება აქვს, მოიპატიჟოს იგი, დააკვრევინოს როიალზე; უყუროს მას და დატკბეს მისი მშვენებით. საფასური უნდა გაიღო ამქვეყნიური სიამოვნებისთვის. "რამდენი?" ბოლოს და ბოლოს, მას ხომ ბევრი ფული აქვს! მის შვილს და შვილიშვილებს ამით არაფერი მოაკლდებათ. ყველაფერი ხომ თვითონ მან იშოვა, ყველაფერი, ჰოდა, ნუთუ უფლება არა აქვს, ვისაც სურს, იმას დაუტოვოს, შეისრულოს ეს მცირედი საწადელი? საწერ მაგიდას მიუჯდა ისევ. "ასეც ვიზამ", - გადაწყვიტა მან, - და, დაე, რაც უნდათ, ის იფიქრონ".

რამდენი? ათი ათასი, ოცი ათასი თუ რამდენი? ნეტავ ამ ფულით შეეძლოს იყიდოს სიჭაბუკის ერთი წელი, თუნდაც ერთი თვე! და ამ ფიქრებით მოცული შეუდგა წერას.

"ძვირფასო ჰერინგ, შეადგინეთ ჩემი ანდერძის შემდეგი დამატება: "ვუანდერძებ ჩემს ძმისწულს, აირენ ფორსაიტს, დაბადებით აირენ ჰერონს, რა გვარსაც ახლა ატარებს, სამემკვიდრეო

გადასახადისგან თავისუფალ თხუთმეტ ათას გირვანქა სტერ-ლინგს.

მარად თქვენი ჯოლიონ ფორსაიტი".

კონვერტი დააწება, მარკაც დააკრა, ისევ მივიდა კართან და ღრმად ჩაისუნთქა ღამის სუფთა ჰაერი. ბნელოდა, მაგრამ ცაზე ახლა მრავალი ვარსკვლავი ციმციმებდა.

IV

სამის ნახევარზე გამოეღვიძა, სწორედ იმ დროს, როცა, როგორც ხანგრძლივი გამოცდილებით იცოდა, ყველაზე ბნელი ფიქრები ესევა ადამიანს და ენით უთქმელ შიშსა ჰგვრის. ასევე გამოცდილებით იცოდა ბერიკაცმა, რომ მეორედ გამოღვიძებისას, რვა საათზე, ხსენებული შიშის უსაფუძვლობა უთუოდ ცხადი გახდებოდა. იმ ღამის ფიქრებიდან ყველაზე საშიში, რომელიც უსაზღვროდ გაღრმავდა და გაიზარდა, ის გახლდათ, რომ, თუ ვინიცობაა, ბერიკაცი ლოგინად ჩავარდებოდა - და ეს მის ასაკში არცთუ ისე მოულოდნელი ამბავი იქნებოდა, - აირენს ვეღარ იხილავდა. ძილგატეხილს ახლა იმ აზრმა გაჰკრა გონებაში, რომ აირენს მაშინაც დაკარგავდა, როცა მისი შვილი და ჯუნი ესპანეთიდან დაბრუნდებოდნენ. როგორ გაამართლოს მაშინ იმ ქალის ნახვის სურვილი, რომელმაც მოიპარა, - სისხამ დილით მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებია საგანგებო გამოთქმათა მოსანახავად, - მოიპარა ჯუნის სატრფო? ეს სატრფო უკვე ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ ჯუნი ხომ პატარა და ჯიუტი არსება გახლდათ, გულკეთილი, მაგრამ ჯიუტი და მიუკარებელი, ერთი იმათგანი, არაფერი რომ არ გადაავიწყდება! მომავალი თვის თხუთმეტში დაბრუნდებოდნენ ისინი. ისე, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე სულ ხუთი კვირის სიხარული დარჩენოდა ბერიკაცს. ღამის სიბნელე თავისი გრძნობების უაზრობას როგორღაც ნათლად უჩვენებდა. ეს იყო სილამაზით ტკბობის წადილი - იმის ნახვის

მოუთოკავი სურვილი, რაც თვალს ეამება. რამდენად სასაცილო იყო ეს მის ასაკში! ესეც რომ არა, რა უფლება ჰქონდა ბერიკაცს ისევ გაეხსნა ჯუნისთვის ძველი ჭრილობები, ანდა რა უნდა მოემოქმედა, რომ მის შვილსა და რძალს სულელად არ მოსჩვენებოდათ! ისღა დარჩენოდა, ჩუმ-ჩუმად გაპარულიყო ხოლმე ლონდონში, მაგრამ ეს ძალიან ქანცავდა და ოდნავი ავადმყოფობის შემთხვევაშიც ყველაფრისგან განიძარცვებოდა. თვალგახელილი იწვა იგი, წინასწარ შეიარაღებული ასეთი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, სულელს უწოდებდა საკუთარ თავს და გული მაგრად უცემდა, უცემდა, დაბოლოს, თითქმის ძგერაც შეწყვიტა. ვიდრე კვლავ ჩაიძინებდა, ნახა, როგორ შემოიჭრა ფარდების ჭუჭრუტანებიდან განთიადის შუქი, მოისმინა ფრინველთა ჭიკჭიკი და ჟღურტული, მის ყურს მისწვდა მამლების ყივილი და დაღლილმა, მაგრამ გონებანათელმა გამოიღვიძა. ხუთი კვირა კიდევ შეუძლია მშვიდად დატკბეს ბედნიერებით, ხუთი კვირა მის ასაკში ხომ მთელი საუკუნეა! ღამის მშფოთვარებას ამაოდ არ ჩაუვლია, მან შელახა იმ კაცის ნებისყოფა, ვინც მთელი სიცოცხლე თავის ნებაზე ირჯებოდა. დიახ, იმდენჯერ შეხვდება აირენს, რამდენჯერაც ამის წადილი ექნება.

რატომ არ უნდა ჩავიდეს ლონდონში თავის იურისტთან და წერილობითის ნაცვლად, პირადად არ მოახდინოს განკარგულება ანდერძის შეცვლაზე? იქნებ აირენმაც მოისურვოს ოპერაში წასვლა. უთუოდ მატარებლით წავა. აბა, როგორი საქმე იქნება, რომ ზურგს უკან იმ ფაშვგადმოგდებულმა მეეტლე ბიკონმა დასცინოს. ჯერ ერთი, მსახურები სულელები არიან, და, ესეც არ იყოს, უთუოდ იციან აირენისა და ბოსინის წარსული, მსახურებმა

ყველაფერი იციან და, რაც არ იციან, იმას ისედაც ხვდებიან. დილით ბერიკაცმა აირენს მისწერა:

"ძვირფასო აირენ, ხვალ ქალაქში საქმე მაქვს. თუ ოპერაში წასვლა გნებავთ, მოდით და მანამდე მშვიდად ვისადილოთ..."

მაგრამ სად? ოცი წელია, არსად არ უსადილია ლონდონში, თავისი კლუბისა და კერძო ოჯახების გარდა. ჰო, მართლა, კოვენტ გარდენზე რომ ახალმოდური რესტორანია...

"...გამაგებინეთ დილითვე სასტუმრო "პიიდმონტში", გელოდოთ თუ არა შვიდ საათზე.

თქვენი ერთგული ჯოლიონ ფორსაიტი".

აირენი ალბათ მიხვდება, რომ ბერიკაცს სურს ცოტა რამით ასიამოვნოს იგი. ის აზრი, რომ აირენი შეიძლება მიმხვდარიყო, ბერიკაცი გადამეკიდაო, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ჩემი ნახვაო, რაღაც უსიამოვნოდ ეჩვენა. ბერიკაცს არ შეშვენის დააგდოს თავისი ცხოვრების გზა მართალი, რომ სილამაზის ხილვით დატკბეს და ისიც ქალის სილამაზისა.

მეორე დღეს მგზავრობამ, თუმცა ხანმოკლემ, და თავის იურისტთან შეხვედრამ, მოხუცი ჯოლიონი დაღალა. ცხელოდა კიდეც. სადილისთვის ტანისამოსი გამოიცვალა და ცოტა ხნით დასასვენებლად დივანზე მიწვა. როგორც ჩანდა, თავბრუ დაესხა; რადგან, როცა გონს მოვიდა, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. დიდი გაჭირვებით წამოიწია და ზარი დარეკა. როგორ! უკვე მერვე საათია და ისევ აქ არის! აირენი, ალბათ, უკვე ელოდება. მაგრამ ისევ თავბრუ დაესხა და იძულებული შეიქნა დივანზე დაშვებულიყო. უცებ მოსამსახურე ქალის ხმა გაისმა:

- თქვენ დარეკეთ, სერ?

- დიახ, ერთი ახლოს მოიწიეთ, - ბერიკაცი ბუნდოვნად ხედავდა მას, - რაღაც ვერა ვარ კარგად. სასუნებელი მარილი მომიტანეთ.

- ახლავე, სერ, - უპასუხა შეშინებულმა მსახურმა.

მოხუცმა ჯოლიონმა თავს ძალა დაატანა.

- ჯერ ნუ მიდიხართ! ჰოლში ძმისშვილი მელოდება - ნაცრისფერკაბიანი ლედი. გადაეცით, რომ მისტერ ფორსაიტი შეუძლოდაა, სიცხე აქვს. თუ ცოტა ხანში ვერ მოახერხა ჩამოსვლა, სახლში წაბრძანდით, სადილად ნუ დაელოდებით-თქო.

როცა მოსამსახურე გავიდა, ღონემიხდილმა გაიფიქრა: "რატომ ვუთხარი ნაცრისფერკაბიანი ლედი? რაო, ვითომ სხვა ფერის კაბის ჩაცმა არ შეუძლია! სასუნებელი მარილი!" თავბრუ აღარ დასხმია, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ აირენი მის საწოლთან იდგა, სასუნებელ მარილს ასუნთქებდა და თავქვეშ ბალიშს უსწორებდა. მის სმენას ჩასწვდა აირენის შეწუხებული ხმა: "ძია ჯოლიონ, ძვირფასო, რა მოგივიდათ?" როგორღაც ბუნდოვნად იგრძნო ბერიკაცმა აირენის ბაგეების მსუბუქი შეხება ხელზე. მერე ღრმად ჩაისუნთქა სასუნებელი მარილი, რამაც ძალა შემატა და დააცემინა.

- ჰო, - თქვა მან, - არაფერია! თქვენ როგორ მოხვდით აქ? ძირს ჩაბრძანდით და ისადილეთ. ბილეთები სარკის წინ დევს, მაგიდაზე. წუთში ყოჩაღად ვიქნები.

მოხუცმა ჯოლიონმა იგრძნო აირენის გრილი ხელის შეხება შუბლზე, იის სურნელიც შეიყნოსა და წამოჯდა. იგი კმაყოფილების გრძნობასა და კარგად გახდომის მტკიცე სურვილს შორის ყოყმანობდა.

- მართლა ნაცრისფერი კაბა გაცვიათ? - იკითხა მან, - მიშველეთ ადგომა, - ფეხზე წამოდგა თუ არა, ოდნავ შეირხა.

- რა დროს ცუდად გახდომა იყო, ვერ გამიგია, - თქვა და ნელ-ნელა გაემართა სარკისკენ, - ჩონჩხი ვარ ნამდვილი!

ზურგიდან აირენის ხმა მოესმა:

- ძირს არ შეიძლება თქვენი ჩასვლა, ძია ჯოლიონ, უნდა დაისვენოთ.

- სისულელეა! ერთი ჭიქა შამპანური ფეხზე დამაყენებს. როგორ შეიძლება, რომ ჩემი მიზეზით ოპერაში არ წახვიდეთ?

დერეფანში გავლა არცთუ ისეთი ადვილი აღმოჩნდა. ამ ახლებურ სასტუმროებში საზიზღარი ხალიჩები დაუფენიათ, იმისსქე, რომ ყოველ ნაბიჯზე ფეხს წამოკრავ! ლიფტში ბერიკაცმა შენიშნა, რა შეშფოთებული იყო აირენი, სცადა თვალის ჩაკვრით გაემხნევებინა იგი და ნელა წარმოთქვა:

- მასპინძელიც ასეთი უნდა.

ლიფტი გაჩერდა თუ არა, სკამს მოებღაუჭა, რომ არ ჩამოცურებულიყო. მაგრამ წვნიანმა და ჭიქა შამპანურმა მოამჯობინა. მოხუც ჯოლიონს შეუძლოდ ყოფნამ გულში სიამე აგრძნობინა, რადგან აირენის ამდენი ზრუნვა სწორედ ამ შეუძლოდ ყოფნის შედეგი გახლდათ.

- რა ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენ რომ ჩემი ქალიშვილი იყოთ, - უთხრა მან მოულოდნელად, როცა დაინახა, რომ აირენს თვალები უცინოდა, და განაგრძო, - არ შეიძლება თქვენს ასაკში ადამიანმა მხოლოდ წარსულით იცხოვროს; მაშინაც გეყოფათ, როცა ჩემი ხნის გახდებით. ჩინებული კაბა გაცვიათ. მიყვარს ასეთი სტილი.

- მე თვითონ შევიკერე.

- ქალს, რომელსაც თავისთვის კარგი კაბის შეკერვა შეუძლია, ცხოვრების ინტერესი ჯერ კიდევ არა აქვს დაკარგული. ეს დალიეთ და, ვიდრე დრო გაქვთ, ისწრაფეთ ამქვეყნიური სიამოვნებით დატკბეთ. მე მინდა თქვენ ვარდისფერი ღაწვები გქონდეთ და ცხოვრება არ ჩაიმწაროთ. ამაღამ ახალი მარგარიტა გამოდის, იმედი მაქვს, ჩამრგვალებული ქალი არ იქნება. მაგრამ უფრო საშინელი ის იქნება, თუ მეფისტოფელის როლში მსუქანი კაცი გამოვიდა. ვერ წარმომიდგენია მსუქანი ეშმაკი.

ოპერაში მაინც ვერ წავიდნენ, რადგან მოხუც ჯოლიონს ისევ შეუღონდა გული და აირენმა აიჩემა: გინდათ თუ არ გინდათ, უნდა დაისვენოთ და რაც შეიძლება მალე ჩაწვეთ ლოგინშიო. ბერიკაცმა სასტუმროს სადარბაზო შესასვლელამდის გააცილა აირენი. მეეტლეს ფული მისცა, რათა ჩელსიში ჩაეყვანა ლედი, და რომ მობრუნდა, ცოტა ხნით ჩამოჯდა და სიამოვნებით მოიგონა აირენის სიტყვები: "ოჰ, როგორი ძვირფასი ხართ ჩემთვის, ძია ჯოლიონ". რატომაც არ უნდა ყოფილიყო! რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა მისთვის კიდევ ერთი დღე დარჩენილიყო ლონდონში და ზოოპარკში გაესეირნა აირენთან ერთად. მაგრამ ორ დღეს ბერიკაცთან ყოფნა ალბათ მიასიკვდილებდა კიდეც ახალგაზრდა ქალს. არა, უნდა დაიცადოს მომავალ კვირამდე, აირენი ხომ დაჰპირდა, ჩამოვალო. მოილაპარაკებენ და ჰოლის თუნდაც ერთ თვეს ამეცადინებს მუსიკაში. ეს რაღაცას მაინც ნიშნავს. პატარა მადმუაზელ ბოსს ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონება, მაგრამ, არა უშავს, როგორმე შეურიგდება. თავისი ძველი ცილინდრი გულზე მიიკრა და ლიფტისკენ გაემართა.

დილით "ვატერლოოს" სადგურში გაემგზავრა. სული კბილით ეჭირა და კინაღამ უთხრა მეეტლეს, ჩელსიში წამიყვანეო, მაგრამ ზომიერების გრძნობამ თავისი გაიტანა. გარდა ამისა, ცოტას კიდევ ბარბაცებდა და ეშინოდა, ვაითუ წუხანდელივით მომივიდეს, და ისიც საკუთარი სახლის მოშორებითო. ჰოლიც ხომ ელოდებოდა პაპას და იმ საჩუქარს, რაც მოხუც ჯოლიონს მისთვის მიჰქონდა. მის გოგონას ისე კეთილი გული აქვს, რომ ანგარებით არავინ არ უყვარს. მერე მწარე ბებრული ცინიზმით იეჭვიანა, ნუთუ აირენს ანგარებით ვუყვარვარო. მაგრამ ეს აზრი იმწამსვე უკუაგდო. არა, იგი წმინდა ადამიანია და გამორჩენაზე სულაც არ ფიქრობს, საკუთრების გრძნობა არც გააჩნია საბრალოს! ჰო, მართლა, ჯერ ანდერძის შესახებ არაფერი უთქვამს და სწორადაც მოიქცა. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ორადგილიან ეტლში, რომელიც სადგურზე დაახვედრეს, მოკალათებული ჰოლი ბალთაზარს აწყნარებდა და მათმა ალერსმა და ფერებამ მოხუცი ჯოლიონი აღტაცებაში მოიყვანა. მთელი ეს ცხელი დღე და თითქმის მთელი მომდევნო დღეც მშვიდად იყო მოხუცი, ისვენებდა ჩეროში, მზის ოქროსფერი შუქი კი უხვად იღვრებოდა ყვავილებსა და გაზონებზე. მაგრამ ოთხშაბათს, როცა ეულივით მარტო დაჯდა სადილად, საათების თვლას შეუდგა. აირენის შეხვედრასა და მინდორში მის გვერდით გავლამდე სამოცდახუთი საათი იყო დარჩენილი. მოხუც ჯოლიონს უნდოდა ჯანმრთელობის თაობაზე ექიმს მოლაპარაკებოდა, მაგრამ, ალბათ, ის ყმაწვილი ეტყოდა: მთავარია სიმშვიდე, მყუდროება, არ უნდა აღელდეთ, გულთან ახლო არაფერი მიიტანოთ და ყველაფერი ამით მორჩებოდა. არა, ჯოლიონი არავის მისცემს ნებას,

ხელ-ფეხი შეუბორკონ. არავის არ მოუსმენს, თუ ეტყვიან, სერიოზული ავადმყოფობა გაქვსო, თუნდაც მართლა ჰქონდეს, აბა, ამაზე ლაპარაკს რაღა აზრი აქვს მის ასაკში, მით უმეტეს, რომ ცხოვრებაში ახალი ინტერესი გაუჩნდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შვილთან გაგზავნილ წერილში თავის ავადმყოფობას გვერდი აუარა და არც უხსენებია. რომ მიეწერა კიდეც, რა სარგებელს მოუტანდა. ვადაზე ადრე ჩამოვიდოდნენ და მეტი არაფერი. ხოლო იმაზე, რამდენად აპირობებდა ეს დუმილი მათ სიამოვნებას და რამდენად იცავდა მოხუცი ჯოლიონის პირად სიამოვნებას, ბერიკაცს არც უფიქრია.

იმ ღამეს, კაბინეტში, ის-ის იყო ბოლომდე მოსწია სიგარა და ჩათვლიმა, რომ კაბის შარიშური ჩაესმა და იის სურნელება შეიგრძნო. თვალი რომ გაახილა, ბუხართან მდგარი ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილი, ხელებგაწვდილი აირენი დაინახა. ჩანდა, რომ ხელებში არაფერი ეჭირა, მაგრამ მკლავები იმდაგვარაც მოეხარა, თითქოს ვიღაცას კისერზე ეხვევაო, თავი უკან გადაეგდო, ბაგე გახსნოდა და ქუთუთოები დაბლა დაშვებოდა. აირენი ერთბაშად გაქრა. იმ ადგილას, სადაც ის იდგა, ბუხრისთავი და ქანდაკებები ჩანდა მხოლოდ. მაგრამ ეს ბუხრისთავი და ქანდაკებები არ იყო იქ, როცა იმ ადგილას მართლა იდგა აირენი, მხოლოდ ცეცხლის დასანთები ღრმული და კედლები ჩანდნენ მაშინ. აძაგძაგებული და განაწამები მოხუცი წამოდგა. "წამალი უნდა დავლიო, ავადა ვარ", - გაიფიქრა მან. გული ასთმიანი ავადმყოფივით ძალუმად უცემდა და ჰაერი არ ჰყოფნიდა. ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. შორს ძაღლი ყეფდა, ალბათ, ტევრს გადაღმა გეიჯის ფერმიდან მოდიოდა ეს ხმა. შესანიშნავი ღამე იდგა,

მაგრამ ბნელი. "ალბათ ჩამთვლიმა, ეს იყო და ეს, - თქვა მან, - მაგრამ, ვფიცავ ზენას, რომ თვალი წუთითაც არ მომიხუჭავს!" პასუხად რაღაც ხმა მოესმა, ამოოხვრის მსგავსი ხმა.

- რა იყო? - მკაცრად იკითხა მან, - ვინ არის? - ხელი მარცხენა მხარეს, მკერდის არეში მიიდო, რომ ოდნავ მაინც შეენელებინა გულისცემა და ტერასაზე გავიდა. რაღაცამ გაიქროლა სიბნელეში, "სსს"! ეს დიდი რუხი კატა გახლდათ, "ახალგაზრდა ბოსინი დიდ კატას ჰგავდა, - გაიფიქრა ბერიკაცმა, - ეს ბოსინი იმყოფებოდა ოთახში. ეს მას ეხვეოდა... აირენი... ბოსინია ისევ მისი გულის მპყრობელი". ტერასის ბოლომდე მივიდა და ძირს სიბნელეში ჩაიხედა. მოუთიბივ გაზონზე მიმოფანტული გვირილები მკრთალად მოჩანდნენ. დღეს აქ არიან და ხვალ აღარ იქნებიან! აი მთვარეც, იგი ყველას განურჩევლად დაჰყურებს ახალგაზრდას, მოხუცს, ცოცხალს, მკვდარს, და არავისი ბედი არ ადარდებს. მალე მისი რიგიც დადგება! ერთი დღის სიჭაბუკისთვის დათმობა მთელ დარჩენილ სიცოცხლეს! სახლში შებრუნდა. მეორე სართულზე ბავშვების ოთახში შეიხედა. მის გოგონას, რა თქმა უნდა, სძინავს. "ნეტავ ეს ძაღლი არ გამოაღვიძებდეს პატარას! ერთი, გამაგებინა, ან რატომ გვიყვარს, ანდა რატომ ვიხოცებით? უნდა დავწვე, ჩემი ძილის დროც მოვიდა".

ტერასის ქვის საფეხურებით, რომლებსაც მთვარის ნათელში ნაცრისფერი დასდებოდა, მოხუცი ჯოლიონი თავის ოთახში დაბრუნდა.

V

აბა, როგორ უნდა ატაროს დრო ბერიკაცმა ისე, რომ ბედნიერად გატარებულ გარდასულ დღეთა მოგონებებში არ ჩაიძიროს. თუმცა რაც უნდა იყოს, ამით ამაღელვებელ სითბოს ვერ გრძნობ და მხოლოდ ზამთრის ძალადაკარგული მზის შუქი თუ მოგწვდება. მეხსიერების დინამო-მანქანის ნაზ დარტყმებსა და ბიძგებს ამ დროს ტვინის გარსი მშვენივრად უძლებს. ამ შემთხვევაში დღევანდელ დღეს მოხუცი უნდობლად უნდა უცქერდეს. მომავლისგან კი თავი შორს დაიჭიროს. მოკაშკაშე მზის შუქს, რომელიც დედამიწას ეფინება და ათბობს, ჩრდილში მყოფი უნდა შესცქეროდეს. ზაფხულის მზის მაცდუნებელ ბრწყინვალებას არ უნდა აჰყვეს, რამეთუ ეს ბებრის ყვავილობის მზე არაა! მაშინ შესაძლებელია, წყნარად, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გაატაროს დარჩენილი სიცოცხლის დღენი, ვიდრე ულმობელი ბუნების ძალა ძუ მგელივით არ მიუხტება, ყელში არ წაუჭერს მსახვრალ ხელს, არ მოგუდავს და სასიკვდილო სარეცელზე არ დააწვენს. ეს მოხდება ალიონზე და ქვეყნიერებას ჯერ კიდევ არ ეცოდინება მისი იმ ქვეყნად წასვლა. მერე შეიკრიბებიან ჭირისუფალნი და საფლავის ლოდზე ამოაკვეთინებენ: "ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე"... ჰო! თუ ფორსაიტი თანამიმდევრულად იცავს თავის პრინციპებს, მას შეუძლია სიკვდილის შემდეგაც დიდხანს იცოცხლოს.

მოხუცმა ჯოლიონმა ჩინებულად იცოდა ეს ყველაფერი; მაგრამ მის ბუნებაში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ფორსაიტიზმს არ ეგუებოდა. აკი ცნობილია, რომ ფორსაიტს გონებაზე უფრო სილამაზე არ უნდა უყვარდეს; რომ ფორსაიტმა ხორციელი გულისთქმა საკუთარ ჯანმრთელობაზე მაღლა არ უნდა დააყენოს. მაგრამ იმ დღეებში, გონებისა თუ გულის ხმა ისეთი ძალით ურტყამდა მოხუცი ჯოლიონის ტვინის სიფრიფანა გარსზე, რომ მალე გახვრეტდა და პატრონს საუკუნოდ მოასვენებდა. მოხუცი ჯოლიონი საკმაოდ ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი გახლდათ და ეს ყველაფერი ძალიან კარგად უწყოდა, მაგრამ იცოდა ისიც, რომ საკუთარი გულის ხმის წინააღმდეგ წასვლა არ შეეძლო და, რომ შესძლებოდა კიდეც, ასეთ რამეს არ ჩაიდენდა. თუ თქვენ ეტყოდით, თქვენს კაპიტალს ფლანგავთო, უთუოდ გამანადგურებელ მზერას მოგაპყრობდათ! არა, არა! კაპიტალს არ ფლანგავენ. ეს დასაშვები საქციელი არ არის. ძველი კერპები ახლებს პირველ ხანებში მუდამ სჯაბნიდნენ. ხოლო იგი, ვისაც მთელი თავისი სიცოცხლე კაპიტალის ფლანგვა მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა და მზად იყო კაპიტალის გამფლანგველი ანათემაზე გადაეცა, ამავე შეცოდებას საკუთარ თავს არ უსურვებდა. სიამოვნება ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა; მშვენიერება თვალს ატკბობს; ადამიანმა ისევ ახალგაზრდული სიცოცხლით უნდა იცხოვროს - სწორედ ამას სჩადის, აბა, სხვას რას აკეთებს!

ცხოვრებაში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად გაანაწილა მოხუცმა ჯოლიონმა თავისი დრო, სამშაბათობით მატარებლით მიემგზავრებოდა ლონდონს, აირენთან ერთად სადილობდა

და მერე ოპერაში მიდიოდნენ. ხუთშაბათობით ეტლით ჩადიოდა ქალაქში, თავის მსუქან მეეტლეს სადმე დატოვებდა ხოლმე ეტლითურთ, აირენს ხვდებოდა კენსინგტონის პარკში და, როცა დაემშვიდობებოდა, კვლავ თავისი ეტლით ბრუნდებოდა შინ სადილად. სახლში ამბობდა, რომ სამშაბათობითა და ხუთშაბათობით ლონდონში საქმეები მაქვსო. ოთხშაბათობით და შაბათობით აირენი ჩამოდიოდა და მუსიკის გაკვეთილებს აძლევდა ჰოლის. რაც უფრო სიამოვნებდა აირენთან ყოფნა, მით უფრო თაკილობდა ყველაფერს და თავშეკავებული ხდებოდა ბერიკაცი: უაღრესად მეგობრულად განწყობილი კეთილი ძია. სხვანაირი გრძნობები თვითონაც არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ხანს მაინც თავისი გააქვს. და, თუ ვინიცობაა, აირენს მაინც დააგვიანდებოდა, ბერიკაცი ისე მოუსვენრობდა, რომ სიკვდილის პირას მიდიოდა. თუ აირენი არ ჩამოვიდოდა, რაც ორჯერ მოხდა, თვალებში ბებერი ძაღლივით ნაღველი ჩაუწვებოდა ხოლმე და ძილი აღარ ეკარებოდა.

ზაფხულის გამასავათებელ პაპანაქებაში განვლო ერთმა თვემ, ერთმა თვემ ზაფხულისა, როგორც ველ-მინდვრებზე, ისე პირადად მის გულში. რამდენიმე კვირით ადრე აბა ვინ დაიჯერებდა, რომ იგი თავისი შვილისა და შვილიშვილის დაბრუნებას თითქმის შიშით შეხვდებოდა, ამ დიდებულ ამინდში, თითქმის ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ბერიკაცი იმ თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით ტკბებოდა, რომელსაც ადამიანი მაშინვე კარგავს, როგორც კი ოჯახს შექმნის. ისეთი ქალის სიახლოვემ, რომელიც არაფერს მოითხოვდა მისგან და ყოველთვის გამოუცნობ და იდუმალებით მოცულ განსაკუთრებულ მომხიბ-

ვლელობას ინარჩუნებდა, დროის დინება სრულიად შეუმჩნეველი გახადა მოხუცი ჯოლიონისთვის. ეს ჰგავდა ღვინის გადაკვრას იმ ადამიანის მიერ, რომელიც მის მსგავსად დიდხანს სვამდა წყალს და გადაავიწყდა, რომ ღვინო სისხლს უმღვრევს და გონებას უბნელებს. ყვავილთა ჯარმა მის თვალში ახლებური ფერი გადაიკრა. ყვავილთა სურნელება, მუსიკა და მზე ახლა მარტო გარდასულ სიამოვნებათა მოგონებებს როდი იწვევდნენ მოხუცის გულში, ისინი სიცოცხლის წყაროდ ქცეულიყვნენ მისთვის. ახლა უკვე აზრი ჰქონდა ცხოვრებას, არსებობდა რაღაც ისეთი, რისთვისაც ღირდა ცხოვრება. იგი განუწყვეტლივ ღელავდა და ელოდა რაღაცას. და სწორედ ამით ცოცხლობდა და არა წარსულით, რაც მისი ხნის კაცისთვის იშვიათი მოვლენაა. კარგი სუფრის დიდი მოყვარული არასდროს ყოფილა, ყოველთვის ზომიერი იყო და ახლა კი ნუგბარმა საჭმელმა მისთვის თითქმის ერთიანად დაკარგა თავისი მომხიბვლელობა. უფრო და უფრო ცოტას ჭამდა, და საჭმელს არ არჩევდა. სიგამხდრემ კვლავ ჩაავლო ულმობელი კლანჭები. ისევ "ჩხირივით გახდა" და ღონემიხდილი გამოიყურებოდა. ჩავარდნილ-საფეთქლებიანი ვეება შუბლი მის გამხდარ სხეულს მეტ ლაზათს მატებდა. განა არ ესმოდა, რომ საჭირო იყო ექიმის რჩევა მიეღო, მაგრამ, რა ექნა, როცა ესოდენ ტკბილია თავისუფლება. სულის ხუთვისა და გვერდის ჩხვლეტისთვის როგორ შეეწირა თავისუფლება? დაჰბრუნებოდა ისევ მცენარეულ კვებას და ჭარხლით ესაზრდოვა, როგორც ადრე აკეთებდა ამას სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებიდან ამოკითხული რჩევა-დარიგების მიხედვით? - არა, ამის გაკეთება მის შეძლებას აღემატებოდა, რადგან ცხოვრებაში ახალი ინტერესი გა-

უჩნდა. ახლა მეტს ეწეოდა. ადრე დღეში ორი სიგარა ჰყოფნიდა, ახლა სამ-ოთხ სიგარას ეწეოდა, როგორც ყოველი შემოქმედი მამაკაცი. მაგრამ ძალზე ხშირად ფიქრობდა: "უნდა მივატოვო სიგარის მოწევა და ყავის სმა, უნდა მივატოვო ქალაქში ხეტიალი". მაგრამ არც ერთისთვის არ მიუნებებია თავი. მის გარშემო ისეთი აღარავინ იყო, ვისაც შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა მასზე და სწორედ ეს იყო უდიდესი ბედნიერება. მსახურებს, როგორც ჩანდა, ვერაფერი გაეგოთ, მაგრამ სწორედ ეს იყო მისწრება. მადმუაზელ ბოსს კუჭი აწუხებდა, და იმდენად "კარგი აღზრდილი" იყო, რომ საკუთარ თავს პირად საქმეზე ლაპარაკის უფლებას არ აძლევდა. ჰოლი ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა, როგორი გამომეტყველება ჰქონდა იმას, ვინც მისი სათამაშო იყო და ღმერთი, ისევ აირენი ემუდარებოდა, მეტი ეჭამა, სიცხეში დაესვენა, წამლები მიეღო და ასე შემდეგ. მაგრამ აირენი სულაც არ ეუბნებოდა, რომ თვითონ იყო ბერიკაცის დაჩაჩანაკების მიზეზი, რადგან ძნელია, ადამიანმა დაინახოს ის, რისი მიზეზიც თვითონაა. ოთხმოცდახუთი წლის კაცს ვნებები არ გააჩნია, მაგრამ სილამაზე, რომელიც ბადებს ვნებებს, ისევ ძველებურად მოქმედებს მასზე, ვიდრე სიკვდილი არ დაუხუჭავს მშვენიერების ხილვამოწყურებულ თვალებს.

ივლისის მეორე კვირის პირველ დღეს ვაჟიშვილის წერილი მიიღო პარიზიდან. იწერებოდა, პარასკევს შინ ვიქნებითო. განა არ იცოდა, დღეს არა, ხვალ უთუოდ უნდა მომხდარიყო ეს, მაგრამ ქარაფშუტობით მოსდიოდა თუ რამე სხვა მიზეზით, რაც მოხუცებისთვის საერთოდ დამახასიათებელია, რატომღაც ბოლომდე არ იყო ამაში დარწმუნებული. ახლა, სხვა რა გზა იყო,

დაიჯერა და რაიმე უნდა ეღონა კიდეც. ამ ახალი ინტერესის გარეშე მოხუც ჯოლიონს ვერც კი წარმოედგინა სიცოცხლე, მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ მიერ გაუთვალისწინებელი საგნები და მოვლენებიც ხომ არსებობენ, და ფორსაიტები ხშირად საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულან ამაში. ტყავის ძველ სავარძელში მჯდარი მოხუცი ჯოლიონი შვილის წერილს ხელში ატრიალებდა და ჯერ კიდევ მოუკიდებელ სიგარის ბოლოს ტუჩებით სრესდა. კიდევ ერთი დღეც და მერე სამშაბათობით ქალაქში მის მგზავრობას ბოლო მოეღება. მარტო ისღა დარჩენოდა, კვირაში ერთხელ ეტლით ჩასულიყო ლონდონში იმის მომიზეზებით, ესააო და, იურისტთან მაქვს საქმეო. მაგრამ ესეც პირადად მის ჯანმრთელობაზე იქნებოდა დამოკიდებული! გაკვეთილები! გაკვეთილები უნდა გაგრძელდეს! აირენმა თავისი მერყეობა და შიშის გრძნობა უნდა დათრგუნოს, ხოლო ჯუნმა თავისი გრძნობები დამალოს. ერთხელ ხომ მოახერხა ეს, როცა ბოსინის სიკვდილის ამბავი შეიტყო. ახლაც ისევე უნდა მოიქცეს, როგორც მაშინ. უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც ეს შეურაცხყოფა მიაყენეს და ქრისტიანული რელიგიაც ხომ შეურაცხყოფის გულზე დახვევის წინააღმდეგია. ჯუნი ძლიერი ნებისყოფისაა, მაგრამ თვითონ ჯოლიონს კიდევ უფრო ძლიერი ნებისყოფა აქვს, აკი მისთვის ახლა ეღება ბოლო ყველაფერს. აირენი ისეთი კეთილი და დამჯერია ბუნებით, რომ ამას უსათუოდ დათმობს, აღარ იყოყმანებს, რათა გული არ ატკინოს ბერიკაცს. გაკვეთილები უნდა გაგრძელდეს და, თუ გაგრძელდა, გზა ხსნისა ნაპოვნია. ბოლოს სიგარა მოსწია და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ აეხსნა, როგორ გაეგებინებინა თავისიანებისთვის ამ უცნაური მეგობრობის სა-

თავე. როგორ დაემალა შიშველი სიმართლე, რომ იგი ვერ აიტანს მშვენიერების ხილვის აკრძალვას. ჰოლი! ჰოლის უყვარს აირენი, ჰოლის მოსწონს მისი გაკვეთილები! ჰოდა, სწორედ ჰოლი დაიხ-სნის პაპას, საყვარელი გოგონა! ამ ბედნიერმა აზრმა დაამშვიდა ბერიკაცი და ახლა ის უკვირდა, რატომ ვღელავდიო. არა, არ უნ-და აღელდეს, თორემ ყოველი შეშფოთების შემდეგ საშინელ სი-სუსტეს გრძნობს და სხეული აღარ ემორჩილება.

ნასადილევს ისევ გაუმეორდა თავბრუსხვევა, თუმცა გონება არ დაუკარგავს. ზარი არ დარეკა, არც არავის გააგებინა, რადგან ამით აურზაურს ატეხდა და ხვალინდელ ქალაქში მგზავრობას კიდევ უფრო შესამჩნევს გახდიდა. ნეტავ, რატომაა, რომ დაბერ-დები თუ არა, თითქმის მთელი ქვეყნიერება შეკრავს პირს, რათა თავისუფლება შეგიზღუდონ? იმიტომ ხომ არა, რომ ოდნავ მაინც გაახანგრძლივონ შენი სიცოცხლე? ამისთვის მოხუცი ჯოლიონი ასეთ საფასურს ვერ გაიღებს. მხოლოდ ბალთაზარი ხედავდა, როგორ დასძლია სისუსტე ბერიკაცმა, მარტომ, სხვის დაუხმა-რებლად, ნაგაზი შეშფოთებული შესცქეროდა პატრონს, რომე-ლიც კარადასთან მივიდა, კონიაკი დაისხა და დალია. როცა ბერი-კაცი მიხვდა, რომ კიბეზე ჩასვლას მოახერხებდა, დასაძინებლად წავიდა. დილით მყარად ვერ იდგა ფეხზე, მაგრამ საღამოზე ფიქ-რი მატებდა ძალასა და მხნეობას. ო, რამდენი სიამოვნება იყო იმაში, რომ აირენს კარგი სადილით გაუმასპინძლდებოდა. ეჭვი ჰქონდა ბერიკაცს, ალბათ, აირენი ნახევრად მშიერია, როცა მარ-ტო რჩებაო. რაოდენ სიამეს ჰგვრიდა ოპერაში მის გვერდით ჯდომა, და იმის დანახვა, როგორ ენთება და ბრწყინდება მისი თვალები, როგორ ნებაუნებურად იღიმებიან ბაგეები. ბევრ

სიამოვნებას ვერ ხედავს აირენი ცხოვრებაში და მას, მოხუც ჯოლიონს, ერთადერთს შეუძლია ეს სიამოვნება უკანასკნელად მიანიჭოს! ჩემოდანში ნივთებს რომ ალაგებდა, მიხვდა, სადილისთვის ტანისამოსის გამოცვლის და დაღლისა ეშინოდა. მერე იმაზეც იფიქრა: რა ძნელი იქნებოდა აირენისთვის გაემხილა ჯუნის ჩამოსვლის ამბავი.

იმ საღამოს ოპერაში "კარმენს" უჩვენებდნენ. მოხუცმა ჯოლიონმა აირენთან სასაუბროდ ბოლო ანტრაქტი უნებლიეთ ამოირჩია, თითქოს უკანასკნელი წუთისთვის განგებ შემოიტოვაო უსიამოვნო ამბავი. აირენი მშვიდად შეხვდა ახალ ამბავს, მშვიდად და, ცოტა არ იყოს, უცნაურად. მართალი რომ ვთქვათ, ბერიკაცმა კარგად ვერც გაიგო, როგორ მიიღო იგი აირენმა. მერე "კარმენის" თავისებური მუსიკა კვლავ ახმიანდა და ისევ გაჩუმება შეიქნა საჭირო. აირენის სახეს ნიღაბი ეკეთა, დიახ, ნიღაბი, რომლის უკან ბევრი რამ ისეთი იყო დამალული, რაზედაც მოხუც ჯოლიონს წარმოდგენა არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, უნდა აცალოს აირენს, მოფიქრების დრო მისცეს. არ დააჩქარებს, ანდა რა საჭიროა დაჩქარება, ხვალაც ხომ მოვა, გაკვეთილს ხომ ჩაუტარებს ჰოლის და მაშინ ნახავს ბერიკაცი, როცა ქალი უკვე შეეჩვევა ამ აზრს. თეატრიდან დაბრუნებისას სულ კარმენზე ლაპარაკობდა. უკეთესებიც უნახავს თავის დროზე, მაგრამ ესეც არ იყო ცუდი. როცა დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა, აირენი სწრაფად დაიხარა და შუბლზე აკოცა.

- მშვიდობით, ძვირფასო ძია ჯოლიონ, თქვენ ბევრი სიკეთე მიყავით!

- მაშ, ხვალამდე, - მიუგო ბერიკაცმა, - ღამე მშვიდობისა. ტკბილად იძინეთ.

აირენიც ხმადაბლა გაეხმიანა:

- ტკბილად იძინეთ.

უკვე მიმავალი ეტლის ფანჯარაში შენიშნა ბერიკაცმა აირენის მისკენ მობრუნებული სახე და გამოწვდილი ხელი, რომელიც გამოსათხოვარი სალმის წუთებში თითქოს გაყინულიყო.

გაჭირვებით მონახა თავისი ოთახი. ყოველი მოსვლისას სულ სხვადასხვა ოთახს აძლევდნენ და ბერიკაცი ვერ მიეჩვია ამ "გაწიკწიკებულ" ახლებურ საწოლ ოთახებს, მათ ავეჯეულობას და მინდვრის ვარდებით მოფენილ მონაცრისფრო-მომწვანო ხალიჩებს. ძილი არ ეკარებოდა, უბედური ჰაბანერა(ჰაბანერა - ბიზეს ოპერა "კარმენიდან".) გამუდმებით რეკდა მოხუცი ჯოლიონის თავში. ისე კარგად არასოდეს სცოდნია ფრანგული, რომ ყველა სიტყვა გაეგო, მაგრამ აზრი კი ესმოდა, თუ მათში საერთოდ იყო რამე აზრი; ბოშური სიმღერა ხომ ველური და გაუგებარია. ცხოვრებაში ისეთი რამეც ხდება, რომელიც სულ თავდაყირა აყენებს ჩვენს ზრახვებს, გეგმებს და კაცსა და ქალსაც თავის დაკრულზე აცეკვებს. იწვა ბერიკაცი და ჩაცვივნული თვალებით გასცქეროდა სიბნელეს, რომელშიც გაუგებარი ძალა გამეფებულიყო. ხშირად გგონია, ბედი შენს ხელთაა, ის კი ხელიდან გისხლტება, ქეჩოში გწვდება, შეგაჭანჭყარებს, გიბიძგებს აქედან, იქიდან, საითაც უნდა თავის ნებაზე გადაგისვრის, მერე ყელში წაგიჭერს მსახვრალ ხელს და უწყალოდ მოგახრჩობს. მისი ძალა ასევე სწვდება ალბათ ვარსკვლავებსაც და თავის ნებაზე ისვრის აქეთ-იქით. ცხოვრება თავის ოინებს არა და არ მოიშლის. ამ უშველე-

ბელ ქალაქში თავმოყრილ ხუთ მილიონ ადამიანს ცხოვრების ძალა ისევე ახტუნებს თავის ნებაზე, როგორც განიერ ფიცარზე დაყრილ გამხმარ მარცვლებს მუშტის დარტყმა. თვითონ ჯოლიონს ამიერიდან ბევრი ხტუნვა აღარ მოუწევს. ღრმა და ხანგრძლივი ძილი სასარგებლო იქნება მისთვის!

უჰ, როგორ დაცხა! რა ხმაურია! შუბლი უხურდა, ეწვოდა. აირენმა სწორედ იმ ადგილზე აკოცა, სადაც ყოველთვის ტკივილს გრძნობდა. დიახ, სწორედ იმ ადგილზე აკოცა, თითქოს სურდა, კოცნით მოერჩინა, მაგრამ არა, მისმა ტუჩებმა კიდევ უფრო მეტი ტკივილი აგრძნობინა რატომღაც. ასეთი ხმა აირენისგან წინათ არასოდეს სმენია. არასოდეს დამშვიდობებია ამგვარად, მისგან მიმავალს არასოდეს მოუხედავს უკან. საწოლიდან ადგა და ფარდა გადასწია. ფანჯრები მდინარეს გადაჰყურებდა. ჰაერი შეხუთულიყო, მაგრამ განიერი, მოლივლივე მდინარის წყნარმა რონინმა კარგ გუნებაზე დააყენა. "მთავარია, - გაიფიქრა, - ხალხს თავი არ მოაბეზრო. ჩემს გოგონაზე ვიფიქრებ და დავიძინებ". მაგრამ ლონდონის ღამის სიცხე და ხმაური ზაფხულის დილის ხანმოკლე თვლემამ შეცვალა. და მოხუც ჯოლიონს თითქმის არ მოუხუჭავს თვალი.

როცა მეორე დღეს სახლში ჩააღწია, ყვავილნარში გავიდა და ყვავილებზე ნაზად შეყვარებული ჰოლის დახმარებით მიხაკების მშვენიერი დიდი თაიგული შეკრა. მერე ბავშვს გაანდო, რომ თაიგული "ნაცრისფერკაბიანი ლედისთვის" იყო განკუთვნილი. პაპა და შვილიშვილი აირენს ისევ ამ სახელით იხსენიებდნენ. თაიგული მოათავსა ვაზაში, რომელიც თავის კაბინეტში დადგა იმ ადგილას, სადაც აირენს უნდა დახვედროდა და ჯუნისა და მო-

მავალი გაკვეთილების თაობაზე მოლაპარაკებოდა. ყვავილთა კეთილსურნელება და ფერადოვნება საუბარში დამეხმარებაო, ფიქრობდა იგი. ნასაუზმევს წამოწვა, რადგან ძალზე დაიღალა, აირენი კი მხოლოდ ოთხ საათზე უნდა ჩამოსულიყო. როცა დანიშნული საათი მოახლოვდა, მოხუცმა ჯოლიონმა მოუთმენლობა იგრძნო და სამეცადინო ოთახში გავიდა, რომლის ფანჯრებიც გზას გაჰყურებდა. ფარდები ჩამოშვებული იყო, ივლისის მზის პაპანებისგან თავშეფარებული ჰოლი და მადმუაზელ ბოსი აბრეშუმის ჭიას უვლიდნენ, ეს არსებანი მოხუც ჯოლიონს ბავშვობიდანვე ჭირივით ეზარებოდა. თავისი მოყვანილობით და ფერით ისინი სპილოებს აგონებდნენ, მშვენიერ მწვანე ფოთლებს ერთიანად დახრავდნენ ხოლმე და საზიზღარი სუნი ასდიოდათ. იგი ფანჯარასთან მიდგმულ ჩითისშალითიან სავარძელში ჩაჯდა. იქ, ცოტა არ იყოს, გრილოდა კიდეც და გზაც მოჩანდა. ბალთაზარიც ზაფხულობით ჩითს ირჩევდა. იგი დივანზე ახტა და მოხუცი ჯოლიონის გვერდით მოკალათდა. პიანინოზე ჟამთა დინებისგან განაცრისფრებული გადასაფარებელი მოჩანდა, რომელზეც დადებული ადრეული სოსანი სამეცადინო ოთახს სურნელებით ავსებდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში გრილოდა, ანდა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სიგრილის გამოც, ცხოვრების მაჯისცემა მძიმე განწყობაზე აყენებდა მოხუც ჯოლიონს. მზის ყოველი სხივი ჭუჭრუტანებიდან რომ იჭრებოდა, თავისი ბრწყინვალებით აღიზიანებდა. ძაღლი საძაგლად ყარდა, ბერიკაცს გონებას უბნელებდა სოსანის სურნელიც და მონაცრისფრო-მომწვანო ზურგიანი, საშინლად სიცოცხლისუნარიანი აბრეშუმის ჭიის სუნიც. ჰოლის შავთმიანი თავი, აბრეშუმის ჭიებს ზემოდან რომ დასცქე-

როდა, უჩვეულოდ, აბრეშუმივით ბზინავდა. ცხოვრება საოცრად ულმობელი და ძლიერია. მით უმეტეს, თუ თქვენ ბებერიცა ხართ და სუსტიც. თითქოს საგანგებოდ დაგცინით თავისი ნაირფეროვნებითა და ენერგიით, რომელიც დუღს და გადმოდუღს! არასოდეს, ამ უკანასკნელ რამდენიმე კვირამდე, მოხუც ჯოლიონს არასოდეს ჰქონია ეს უცნაური განცდა! თითქოს მთელი მისი არსება დაიყო ორ ნაწილად, ერთ ნაწილს უკანმოუხედავად მიაქანებდა ცხოვრების მდინარე, მეორე ნაწილი ნაპირზე რჩებოდა და ერთი ნაწილის სავალალო წინსვლას უმზერდა სევდამორეული. მხოლოდ მაშინ, როცა აირენი იყო მის სიახლოვეს, მხოლოდ მაშინ ქრებოდა ეს გაორება.

ჰოლიმ თავი მოაბრუნა, შავტუხა მუშტით პიანინოზე მიუთითა, რადგან თითს მხოლოდ "ცუდად აღზრდილი" ბავშვები იშვერენ, და თქვა:

- შეხედე, პაპა, "ნაცრისფერკაბიან ლედის". ხომ ლამაზია დღეს?

მოხუც ჯოლიონს გული აუძგერდა და ერთ წუთში ოთახში ნისლი ჩამოწვა, მერე ისევ გაიფანტა და მოხუცმა თვალის პაჭუნით იკითხა:

- ვინ ჩააცვა?

- მადმუაზელმა.

- ჰოლი, სისულელეს ნუ ამბობ.

ოჰ, ეს ფრანგი ქალი! ვერაფრით ვერ მოუნელებია, რომ მუსიკის გაკვეთილები წაართვეს. რას იზამთ! ეს გოგონა მათი ერთადერთი მეგობარია. მაგრამ ეს ხომ მისი გაკვეთილებია. არა, ჯოლიონი არ დათმობს, არაფრის გულისთვის არ დათმობს! ბერი-

კაცმა ხელი გადაუსვა ბალთაზარის თბილ ბალანს და ჰოლის ხმაც მოესმა:

- დედა რომ დაბრუნდება, მაშინ ყველაფერი ძველებურად დარჩება. როგორც იყო, არა? ხომ იცი, პაპიკო, უცხოები რომ არ უყვარს? - გოგონას სიტყვები თითქოს წინააღმდეგობის ყინულოვან ატმოსფეროდ შემოერტყნენ გარშემო მოხუც ჯოლიონს და უჩვენეს, რა ემუქრებოდა მის ახალმოპოვებულ თავისუფლებას. ალბათ, იძულებული შეიქნება, აღიაროს თავისი სიბერე და წყალობად მიიჩნიოს მათი ზრუნვა და სიყვარული. ანდა თავისი ახალმოპოვებული მეგობრობისთვის იბრძოლოს. მაგრამ ბრძოლა უჭირდა, ღლიდა და სიკვდილის პირას აყენებდა. მისი გამხდარი და ქანცგაწყვეტილი სახე ისე გააკერპა და გააქვავა მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ თითქმის მარტო ნიკაპად აქცია. ეს მისი სახლია, ეს მისი საქმეა და რატომ უნდა დათმოს? არც დათმობს! საათს დახედა, მასავით ძველსა და გაცრეცილ საათს. ისინი უკვე ორმოცდაათი წელია, ერთმანეთს შეეზარდნენ. უკვე მეხუთე საათი დაიწყო. თავზე ეამბორა ჰოლის და დარბაზში ჩავიდა. უნდოდა მანამდე მოსაუბრებოდა აირენს, ვიდრე გაკვეთილისთვის მაღლა ამოვიდოდა. ბორბლების ხმაური მოესმა თუ არა, გარეთ გავიდა და ცარიელ ეტლს მოჰკრა თვალი.

- მატარებელი ჩამოვიდა, სერ, მაგრამ ლედი არ ჩამოჰყოლია.

მოხუცმა ჯოლიონმა მკაცრად ახედა მეეტლეს. მისი თვალები თითქოს ამით იცილებდნენ სქელი მეეტლის ცნობისმოყვარე მზერას და უკრძალავდნენ შეემჩნია ის მწარე სასოწარკვეთილება, რომელსაც ახლა მოხუცი განიცდიდა.

- კეთილი, - თქვა მან და სახლში შებრუნდა. ვერხვის ფოთოლივით მოცახცახე დაჯდა კაბინეტში. რას ნიშნავს ეს? იქნებ დაა-აგვიანდა მატარებელზე? მაგრამ არა, ჩინებულად იცოდა ბერიკაცმა, რომ ეს ასე არ იყო. "მშვიდობით, ძვირფასო ძია ჯოლიონ!" რატომ "მშვიდობით" და არა "ნახვამდის?" რატომ გაშეშდა ჰაერში გაწვდილი ხელი? რა იყო მისი კოცნა?! რას ნიშნავდა ეს? შიშისა და მშფოთვარებისგან გათანგული მოხუცი ადგა და თურქულ ხალიჩაზე, ფანჯარასა და კედელს შორის, ბოლთის ცემას მოჰყვა. ალბათ, მიანება თავი! დარწმუნებული იყო ამაში და ამიტომაც უმწეო და უიარაღო მიხრწნილ ბებერს, მშვენიერებით ტკბობა კიდევ უფრო მოუნდა! განა სასაცილო არ არის ეს? სიბერემ მოუკუმა ბაგეები და წაართვა ბრძოლის უნარი. მას არავითარი უფლება აღარა აქვს ყოველივე იმაზე, რაც ცოცხალი და თბილია, არაფრის უფლება არა აქვს, გარდა იმისა, რომ მოგონებებსა და დარდებს მიეცეს. ვედრებას ვერ დაუწყებდა აირენს. ბერიკაცებსაც აქვთ ღირსება და თავმოყვარეობა. იგი ახლა იარაღაყრილია! მთელი საათი სცემდა ბოლთას, გარშემო უვლიდა მიხაკისთაიგულიან საყვავილეს. ეს ყველაფერი აირენისთვის დაკრიფა და ახლა ყვავილები თითქოს თავიანთი სურნელებით მას დასცინოდნენ.

ადამიანი, რომელსაც მთელი სიცოცხლე თავის ნებაზე მიჰყავდა საქმე, ყველაფერს ადვილად აიტანს, საკუთარი ნების უგულებელყოფის გარდა. ცხოვრებამ თევზივით ბადეში მოიქცია იგი, და აი, ფართხალებდა ბერიკაცი ბადეში, ხან საით აწყდებოდა, ხან საით, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა, გაერღვია იგი ან დასხლტომოდა. ხუთ საათზე მოუტანეს ჩაი და ბარათი. ერთბა-

შად იმედით აენთო ბერიკაცი, კარაქის დანით გაჭრა კონვერტი და წაიკითხა:

"ჩემო ძვირფასო ძია ჯოლიონ! ძალიან მეძნელება იმის მოწერა, რაც შეიძლება საწყენად დაგრჩეთ, მაგრამ გუშინ ვერ შევძელი მეთქვა. მე ვგრძნობ, რომ კვლავინდებურად ვეღარ ვივლი და გაკვეთილებს ვერ მივცემ ჰოლის, აკი ჯუნი უკვე ჩამოდის. ზოგიერთი რამ ისე ღრმა ჭრილობას აყენებს ადამიანს, რომ შეუძლებელია მისი დავიწყება. ო, რა სიამოვნება იყო ჩემთვის თქვენი და ჰოლის ნახვა. შეიძლება ხანდახან კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, როცა ქალაქში ჩამოხვალთ. თუმცა ვიცი, რომ ასეთი მგზავრობა მავნებელია თქვენთვის და ძალიან გღლით. ჩემი აზრით, თქვენთვის აუცილებელია დაისვენოთ ამ პაპანაქების დამთავრებამდე, ახლა ისედაც კარგად იგრძნობთ თავს, რადგან თქვენი შვილი და ჯუნი ჩამოდიან, ათასჯერ მადლობელი ვარ ჩემდამი გამოჩენილი ყველა სიკეთისთვის.

სიყვარულით, თქვენი აირენი".

აი, როგორ გათავდა ყველაფერი! მისთვის მავნებელია სიამოვნება. მავნებელია ის, რაც ენატრება. მავნებელია იმის ცდა, რომ შეძლებისამებრ შორს გადასწიოს გარდაუვალი, ყველაფერი დაასრულა - ქურდული ნაბიჯებით მავალი სიკვდილი. თვითონ აირენიც ვერ მიუხვდა, რომ იგი სიცოცხლის შენარჩუნების კიდევ ერთი საშუალება იყო მისთვის, მთელი იმ სილამაზის განსახიერება, რომელიც ხელიდან უსხლტებოდა და გაურბოდა ბერიკაცს.

ჩაი გაუცივდა. სიგარისთვის ხელი არც კი მოუკიდებია. ბოლთას სცემდა და თავმოყვარეობასა და სიცოცხლის წყურვილს შო-

რის ჭიდილში მყოფს გული ეფლითებოდა. აუტანელია იმაზე ფიქრი, როცა ნელ-ნელა გწყვეტენ ცხოვრებას და შენს აზრსაც არ გათქმევინებენ, როცა ისე ცოცხლობ, რომ შენი ნება-სურვილების შესრულება-შეუსრულებლობა სხვების ხელშია, სხვებისა, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ზედმეტი ზრუნვითა და სიყვარულით გაგსრისონ. აუტანელია! ნახავს ერთი როგორ იმოქმედებს აირენზე მწარე სიმართლე, როცა გაიგებს, მისი დანახვა რომ უფრო ძვირფასია მოხუცი ჯოლიონისთვის, ვიდრე ცხოვრების ტვირთის ზიდვა. ძველ საწერ მაგიდას მიუჯდა და საწერ-კალამი მოიმარჯვა. მაგრამ ვერა და ვერ დაიწყო წერა. იყო რაღაც უხერხული და დამამცირებელი იმაში, რომ უნდა ემუდარა აირენის წინაშე, უნდა შევედრებოდა, აირენს თავისი სილამაზით გაეთბო მიხრწნილი ბერიკაცის თვალები. ეს იმას უდრიდა, რომ დაეწერა, ბებრული სიყეყეჩე მჭირსო. ეს კი შეუძლებელი იყო მისთვის. ამიტომაც, ნაცვლად ამისა, დაწერა:

"იმედი მქონდა, რომ ძველი შეურაცხყოფა ხელს არ შეუშლიდა იმას, რაც სასარგებლო და სასიამოვნოა ჩემთვის და ჩემი პატარა შვილიშვილისთვის. მაგრამ მოხუცებს ყოველთვის იმას ჩასჩიჩინებენ, სურვილებისგან თავი შეიკავეთო. რას იზამთ, ადრე თუ გვიან სიცოცხლის სურვილზედაც ხომ უნდა ვთქვა უარი. და, იქნებ, ჯობდეს კიდეც, რაც უფრო ადრე მოხდება ეს.

"თქვენი მოყვარული, ჯოლიონ ფორსაიტი".

"მწარეა, - გაიფიქრა მან, - მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. უკვე დავიღალე!" - დააწება წერილი და ყუთში ჩააგდო. საღამოს ფოსტით წაიღებდნენ ალბათ, და გაიგონა თუ არა, როგორ დაეცა

იგი ფსკერზე, გაიფიქრა: "აჰა, მორჩა ყოველი, რაცა მსურდა და რისთვისაც ვიღვწოდი".

სადილს თითქმის არ გაჰკარებია, სიგარა ნახევრად მოსწია და გადააგდო, რადგან სისუსტე აგრძნობინა. ნელი ნაბიჯებით ავიდა მაღლა და ბავშვების საძინებელ ოთახში შეიპარა. ფანჯარასთან ჩამოჯდა. ღამის ლამპა ენთო და ბერიკაცი ხედავდა ჰოლის თავს, ცალი ხელი გოგონას ლოყის ქვეშ ამოედო. იაპონური პაპიროსის ქაღალდით გამოტენილ ბუხარში გაჩხირული ხოჭო ბზუოდა და საჯინიბოდან რომელიღაც ცხენის ტორების ცემის ხმა მოისმოდა. რა ტკბილად სძინავს გოგონას! ფარდები გასწია და გარეთ გაიხედა. მთვარე ამოდიოდა, სისხლივით წითელი მთვარე. ასეთი წითელი მთვარე არასოდეს ენახა, როგორც ჩანდა, ზაფხულის უკანასკნელ ბრწყინვისგან მოღლილ ტყეებსა და ველ-მინდვრებსაც ძილი ერეოდათ. სილამაზე კი, უჩინარ სულივით, მიმოდიოდა გარშემო. "მე დიდხანს ვიცხოვრე ამქვეყნად, - ფიქრობდა იგი, - რაც კარგი და სასიამოვნოა, ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო ჩემთვის. უმადური ვარ და მეტი არაფერი. მე ხომ მრავალი უცხო სილამაზე მინახავს თავის დროზე. საბრალო ახალგაზრდა ბოსინი ამბობდა ჩემზე: რომ სილამაზის შეგრძნება აქვსო". მთვარეზე დღეს თითქოს ადამიანია გამოსახული. გაიფრინა ფარვანამ, ერთმა, მეორემ, მესამემ. "ნაცრისფერკაბებიანი ლედები". თვალი მილულა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თვალს ვეღარასოდეს გავახელო, იფიქრა. თვითონვე შეუწყო ხელი ამ გრძნობის გაძლიერებას და საკუთარი თავის დასუსტებას. მერე აცახცახდა, ძლივს ასწია ქუთუთოები, ცხადია, კარგად არ არის მისი საქმე, რაღაც უბედურებაა მის თავს. უნდა გამოუძახოს

ექიმს, სხვა გზა არ არის. ახლა ხომ სულერთია. მთვარე ტევრშიც ანათებს ალბათ. იქ ჩრდილებია და მარტო ჩრდილებს არა სძინავთ. გაქრნენ ფრინველები, მხეცები, მწერები. მხოლოდ ჩრდილები დაყიალებენ. "ნაცრისფერი ლედები"! გადაფოფხდებიან წაქცეულ ხეზე, ჩურჩულებენ. აირენი და ბოსინი? დიდებული აზრია! ბაყაყები და ერთი ციცქნა ქინქლაც ფუსფუსებენ. რა ხმამაღლა ტიკტიკებენ საათები. რაღაცნაირი საშინელი დუმილი იდგა, იქ, წითელი მთვარის შუქზე, და აი აქაც, მშვიდ ლამპის შუქზეც ასეა. ტიკტიკებდა, საათი, თეჯირზე გადიას ხალათი ეკიდა. გრძელი, ქალის სხეულივით დაკიდებული. "ნაცრისფერკაბიანი ლედი". უცნაური აზრი დაებადა ბერიკაცს: არსებობდა კი იგი საერთოდ? და იყო კი აქ ოდესმე? ანდა იქნებ იგი გამოსხივება იყო ყველა იმ სილამაზისა, რომელიც მას უყვარდა და რომელიც მალე უნდა დაეტოვებინა. ქარვისფერგვირგვინიანი, მონაცრისფრო-ლილისფერი შავთვალა ფერია ხომ არ არის იგი, რომელიც სისხამ დილით, მთვარიან ღამეს და დღის პაპანაქებაში ჩნდება ხოლმე? რა არის იგი, ვინ არის იგი, არსებობს თუ არა საერთოდ? წამოდგა და ცოტა ხანს ფანჯრის რაფაზე ხელებჩავლებული შედგა, რათა რეალურ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა. მერე ფეხაკრეფით წავიდა კარისკენ. საწოლის ფეხებთან შეჩერდა. და ჰოლიც, თითქოს მისდამი მიმართულ მზერას გრძნობსო, შეინძრა, ამოიოხრა, და თითქოს თავს იცავსო, უფრო გაეხვია საბანში. ისევ ფეხაკრეფით გავიდა ბნელ წინკარში. თავის ოთახს მიაღწია, სასწრაფოდ გაიხადა და ღამისპერანგიანი სარკის წინ დადგა. ო, რა ჩონჩხია! ძვალ-ტყავად ჰქცევია ფეხები და სულ ჩაცვივნია საფეთქლები. მისივე თვალები გაურბოდნენ საკუთა-

რი სახის ხილვას, და სიამაყის შეგრძნება აღებეჭდა სახეზე. ყველას და ყველაფერს, როგორც ჩანდა, მოხუცი ჯოლიონის წინააღმდეგ შეეკრა პირი და მის წაქცევას ლამობდნენ. თვითონ მისი გამოსახულებაც კი. მაგრამ იგი არა და არ ყრიდა ფარ-ხმალს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით! საწოლში ჩაწვა. დიდხანს იწვა ასე, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე შერიგებოდა ბედს, რადგან იცოდა, რომ ყოველგვარი აღელვება და სასოწარკვეთა მავნებელი იყო მისთვის.

დილით ისეთმა გადაქანცულმა და არაქათგამოლეულმა გაიღვიძა, რომ ექიმი გამოიძახა. ამ უკანასკნელმა გასინჯა თუ არა, წარბები შეჰყარა და ბრძანა: სიგარის მოწევა მიატოვე და ლოგინში იწექიო. მოხუცი ჯოლიონისთვის ეს თითქმის არც იყო ახალი შეზღუდვა. ფეხზე ყოფნას აზრი არ ჰქონდა. ხოლო, როცა თავს ცუდად გრძნობდა, თამბაქო ისედაც ეზარებოდა. დარაბებჩამოშვებულ ოთახში დილა უღიმღამოდ გაატარა, ფურცლავდა "ტაიმსს" და თითქმის არც კითხულობდა, ბალთაზარი მის ფეხთქვეშ იწვა. საუზმესთან ერთად დეპეშაც მოუტანეს: "თქვენი წერილი მივიღე. დღეს ჩამოვალ, ხუთის ნახევარზე თქვენთან ვიქნები. აირენი".

ჩამოვა! ბოლოს და ბოლოს, ჩამოდის! მაშ, აირენი ნამდვილად არსებობს და თვითონ ჯოლიონიც თავმინებებული არ ყოფილა! მთელ ორგანიზმში სასიამოვნო სითბო ჩაეღვარა. შუბლი და ლოყები ეწვოდა! ხილის წვენი დალია, მაგიდა გასწია და იწვა მშვიდად, წყნარად. ვიდრე მაგიდას აალაგებდნენ, მარტო იყო, ოღონდ თვალებს თითქოს ვიღაცა უპაჭუნებდა. გული მაგრად უცემდა, მაგრამ, ბოლოს თითქოს სულაც გაუჩერდა. სამ საათზე

ადგა და აუჩქარებლად ჩაიცვა. ჰოლი და მადმუაზელი ნამდვილად სამეცადინო ოთახში არიან. მოსამსახურე ქალმა, ალბათ, ისადილა და სძინავს. კარი ფრთხილად გააღო და ძირს ჩავიდა. მარტო დარჩენილი ბალთაზარი სასტუმრო ოთახში იწვა. მოხუცმა ჯოლიონმა მისი თანხლებით თავისი ოთახი მოინახულა და იქიდან მცხუნვარე მზეზე გავიდა. მერე იფიქრა, წავალ და აირენს ტევრში შევხვდებიო, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უგუაგდო, ვინაიდან ასეთ სიცხეში სიარულს ვერ აიტანდა. იგი ბერმუხის ქვეშ დაჯდა ჩეროში, საქანელასთან. ბალთაზარსაც სული ეხუთებოდა სიცხეში და ისიც მის ფეხებთან მოკალათდა. იჯდა ჯოლიონი და იღიმებოდა. რა მღელვარე, რა მზიანი დღეა! როგორ ბზუიან მწერები, როგორ ღუღუნებენ მტრედები. აი, ჭეშმარიტად ნამდვილი ზაფხულის დღე! რა დიდებული დღეა! მოხუცი ჯოლიონი ბავშვივით ბედნიერია! აირენი ჩამოვა, მას თავი არ მიუნებებია ბერიკაცისთვის. მოხუც ჯოლიონს ყველაფერი აქვს, რაც სურს. ოღონდ ცოტა მეტი ჰაერი რომ ჰქონდეს და იმდენი სიმძიმე არ აწვეს! იგი დაინახავს აირენს, როცა ის გვიმრებიდან გამოვა და ტანის ოდნავი რხევით მიუახლოვდება, როცა იგი მონაცრისფრო-ლილისფერ გვირილებსა და ბაბუაწვერებს შორის, ყაყაჩოებსა და მინდვრის ყვავილებს შორის გაივლის. ჯოლიონი არ გაინძრევა, მაგრამ აირენი მივა მასთან და ეტყვის: "ძვირფასო, ძია ჯოლიონ, მაპატიეთ!" ეტყვის და საქანელაში ჩაჯდება. ჯოლიონს შეეძლება უმზიროს მას და უამბოს, რომ, ცოტა არ იყოს, შეუძლოდ გახდა; ბალთაზარი ხელებს გაულოკავს აირენს. ნაგაზმა იცის, რომ მის პატრონს უყვარს ეს ქალი. ჩინებული ნაგაზია.

ხის ქვეშ დიდებული ჩრდილი იდგა, მზე ვერ აღწევდა. ოღონდ, დანარჩენ ქვეყნიერებას კი უწყალოდ ასხივოსნებდა. ისე, რომ მოხუც ჯოლიონს შეეძლო ნათლად დაენახა ეპსომის იპოდრომი, შორს, ძალიან შორის, და სამყურას მინდორზე მობალახე ძროხები, კუდის ქნევით რომ იგერიებდნენ ბუზებს. ირგვლივ ცაცხვისა და სოსანის სურნელება იფრქვეოდა. აი, რატომ ბზუოდნენ ფუტკრები ასე თავგამოდებით. ისინი აღგზნებულნი იყვნენ და მხიარულნი, როგორც პირადად მისი გული, და მთვლემარენი, მთვლემარენი და მთვრალები თაფლისა და ბედნიერებისგან. მისი გულიც მთვლემარე იყო და მთვრალი. მერე როგორ! ცხელა, ცხელაო, თითქოს ამბობდნენ ისინი, დიდი ფუტკრები თუ პატარები, და ბუზებიც ბანს აძლევდნენ.

საჯინიბოს თავზე საათმა ოთხი ჩამოჰკრა. ნახევარ საათში აქ იქნება აირენი. სჯობს ცოტა წათვლიმოს, ბოლო ხანებში ძალიან ცოტა სძინავს. მერე დასვენებული სახით გაიღვიძებს აირენისთვის, ახალგაზრდობისა და მშვენიერებისთვის, ნაცრისფერკაბიანი ლედისთვის, რომელიც მასთან მზით გავსებული მინდვრებიდან მოდის! ღრმად ჩაეშვა სავარძელში და თვალი დახუჭა. ოდნავ საგრძნობმა ნიავმა ნარშავის აფარფატებული ბუმბულივით მსუბუქი ღინღლი მოიტანა და მასზე უფრო ბერიკაცის თეთრ ულვაშს თითქოს ზედ მიაკრა. მოხუც ჯოლიონს ეს არ შეუმჩნევია, მაგრამ მისი სუნთქვა ღინღლს არხევდა. მზის სხივმა ფოთლებს შორის გააღწია და მის ფეხსაცმელს დააჩერდა. კელა მოფრინდა და ბერიკაცის ჩალის ქუდზე დაიწყო სეირნობა. ძილის უტკბესმა ტალღამ პანამის ქუდში გაატანა და გულში შეაღწია.

მოხუც ჯილიონს თავი გულზე ჩამოეკიდა. ცხელა, ცხელა, პაპა-ნებაა, - ისმოდა ზუზუნი.

საჯინიბოს თავზე საათმა კიდევ თხუთმეტი წუთი ჩამოჰკრა. ნაგაზი ბალთაზარი გაიზმორა და პატრონს მიაჩერდა. ნარშავის ბუმბულივით მსუბუქი ღინღლი აღარ მოძრაობდა. ნაგაზმა ახლა ჯოლიონის მზით განათებულ ფეხზე ჩამოდო თავი. არც ფეხი განძრეულა. ბალთაზარმა იმწამსვე მოაცილა დრუნჩი. ადგა, მუხლზე დაახტა მოხუც ჯოლიონს, სახეში ჩახედა, აწკმუტუნდა, მერე ჩამოხტა, დაცუცქდა უკანა თათებზე, მაღლა აიხედა და ყმუილი გააბა.

ნარშავის ღინღლი მაინც უმოძრაოდ ეკიდა ულვაშზე, რო-გორც სიკვდილი, როგორც ბალთაზარის ბებერი პატრონის სახე.

ზაფხული - ზაფხული - ზაფხული! უხმო ნაბიჯები ბალახზე.

ჯონ გოლზუორთი

ფორსაიტების საგა

წიგნი 2

მთარგმნელი:
ვახტანგ ჭელიძე

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ტიმოთისთან

ორ ძველ ოჯახს... ღირსებით შემკულს
მამათა შუღლი ახალ მტრობად გადუქცევიათ.
შექსპირი, "რომეო და ჯულიეტა"

მესაკუთრული ინსტინქტი ერთ წერტილზე არასოდეს იყინება. აყვავებისა თუ ურთიერთშუღლის დროს, ყინვასა თუ ცეცხლში ეს ინსტინქტი განვითარების კანონებს ექვემდებარებოდა თვით ფორსაიტების ოჯახშიც კი, სადაც იგი სამარადჟამოდ უცვლელი ეგონათ. თან გარე სამყაროსთანაც ისე განუყრელად არის დაკავშირებული იგი, როგორც კარტოფილის ფესვები მიწასთან.

ისტორიკოსი, რომელიც ინგლისის ისტორიის ოთხმოციოთხმოცდაათიანი წლებით დაინტერესდება, თავის დროზე ალბათ აგვიწერს სწრაფ გადასვლას თვითკმაყოფილი და თავშეკავებული პროვინციალიზმიდან - კიდევ უფრო თვითკმაყოფილ, მაგრამ ნაკლებად თავშეკავებულ "იმპერიალიზმზე". ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აგვიწერს განვითარების გზაზე დამდგარი ერის "მესაკუთრულ" ინსტინქტს. ეტყობა, ამავე კანონს

გაჰყვა ფორსაიტების ოჯახიც. მარტო გარეგნულად კი არ შეიცვალნენ ისინი, არამედ შინაგანადაც გარდაიქმნენ.

როცა 1895 წელს ფორსაიტების გათხოვილი და, სიუზენ ჰეიმენი, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა - სამოცდათოთხმეტიოდე წლისა - ქმრის გზას გაუდგა და კრემაცია უყვეს, ამან ისე ჩაიარა, თითქოს არაფერიო - ცოცხლად დარჩენილ ექვს ძველი თაობის ფორსაიტზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ეს საოცარი გულგრილობა სამი რამით შეიძლება აიხსნას. პირველი - მოხუცი ჯოლიონის სავსებით გაუხმაურებლად და ჩუმად დაკრძალვა რობინჰილზე 1892 წელს; ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ფორსაიტების გვარის წარმომადგენელი ჰაიგეიტის საგვარეულო აკლდამაში არ დაუმარხავთ. ამაზე ერთი წლით ადრე სუითინი დაკრძალეს, ყოველგვარი წესების დაცვით და ღირსეულად. ჯოლიონის დაკრძალვამ კი დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია ფორსაიტების ბირჟაზე, ტიმოთი ფორსაიტის სახლში, ბეისუოთერ როუდზე, რომელიც კვლავ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ბუდედ რჩებოდა. ზოგი მამიდა ჯულის წუწუნს უჭერდა მხარს, ზოგიც ფრენსის გულახდილ აღიარებას - მადლობა ღმერთს, ჰაიგეიტზე თითო მტკაველი მიწის ძებნასა და ჩიჩქნას ბოლო მოეღოო. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ჯუნის საქმრო ბოსინისა და სომს ფორსაიტის ცოლ აირენს შორის ის უცნაური და სამწუხარო ამბავი მოხდა, ძია ჯოლიონი სულ უფრო და უფრო აშკარად გადაუდგა საგვარეულო ტრადიციებს; და ეს თავისებურება, რითაც მუდამ გამოირჩეოდა ხოლმე ჯოლიონი, ახლა უკვე ახირებულ საქციელად ეჩვენებოდათ. მისი ფილოსოფიური ძარღვი მუდამ

შეუფერხებლად ჰკვეთდა წმინდა ფორსაიტიზმის სქელ შრეებს, და ამიტომ ჯოლიონის უცხო ადგილზე დასაფლავებას თითქოს შეგუებულნი შეხვდნენ. მაგრამ მთელი ეს ამბავი მეტისმეტად უცნაური ჩანდა და როცა მისი ანდერძი "გასავალ მონეტასავით" მოედო ფორსაიტების ბირჟას, ამან მთელი გვარი შეაძრწუნა. საერთო შემოსავლიდან - ესე იგი, 145..304 გირვანქა სტერლინგიდან (დაქვითვების ჩათვლით, რაც 35 გირვანქას, 6 შილინგსა და 4 პენს შეადგენდა) - მან 15.000 გირვანქა დაუტოვა - "როგორ გგონია, ვის, ჩემო ძვირფასო? - აირენს!" თავისი ძმისწულის შინიდან გაქცეულ ცოლს, სომსის ცოლყოფილს, რომელმაც ლამის მთელ გვარს ლაფი დაასხა; და რაც კიდევ უფრო საკვირველია, ქალი მისი სისხლით ნათესავი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ძირითადი კაპიტალი არ დაუტოვებია, - მხოლოდ პროცენტები უანდერძა და, ისიც სიცოცხლის განმავლობაში! მაგრამ მაინც რა ამბავია!.. და სწორედ ამას მოჰყვა, რომ მოხუცი ჯოლიონის ჭეშმარიტი ფორსაიტობის საკითხი საბოლოოდ შეირყა. ეს იყო პირველი მიზეზი, რის გამოც სიუზენ ჰეიმენის უოკინგის სასაფლაოზე დაკრძალვას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

მეორე მიზეზი უფრო ექსპანსიური და პირდაპირი იყო. ერთი სახლი ხომ კემდენჰილზე ჰქონდა სიუზენს, მეორე კი ჰეიმენმა უანდერძა ჰემპშირის საგრაფოს საზღვრად, სადაც ჰეიმენის ბიჭები სროლასა და ცხენით ჯირითში ოსტატდებოდნენ; ეს, რა თქმა უნდა, მათთვისაც კარგი იყო, და სხვის თვალშიც ფასს მატებდათ. ის ფაქტი, რომ ამდენი მამულის პატრონი იყო, ერთგვარად ბოდიშს ხდიდა მის გადაწყვეტილებას - თავისი ნეშტი ჰაერში გაეფანტა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მიმხვდარიყვნენ, მაინც

საიდან აიკვიატა ეს კრემაცია. ასე იყო თუ ისე, ადათი მაინც არ დაურღვევიათ, ხალხი მიიწვიეს და სომსი და ახალგაზრდა ნიკოლასიც დაესწრნენ დაკრძალვას. ანდერძიც მოწონებით მიიღო ხალხმა, თუკი რამე ფასი ჰქონდა მის ანდერძს, რადგან მთელი ქონება მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში ეკუთვნოდა ქალს, მერე კი ბავშვების ხელში გადადიოდა თანაბარი უფლებებით.

მესამე მიზეზი, - თუ რატომ არ მოახდინა სიუზენის დაკრძალვამ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება, - ყველაზე უფრო ექსპანსიური იყო. ყველაზე გაბედულად გამხდარმა და გაყვითლებულმა ეუფემიამ შეაჯამა ეს: "რა მოხდა, ჩემი აზრით, ყველას აქვს უფლება, რაც მოეპრიანება, ის უქნას თავის სხეულს, თუნდაც სიკვდილის შემდეგ". სხვას რომ ეთქვა ეს, კიდევ არაფერი, მაგრამ ნიკოლასის ქალის, ძველი სკოლის ლიბერალისა და საშინელი მტარვალის პირიდან გამოდიოდა და ამიტომ ყველა სახტად დარჩა. ეს თავისთავად ცხადყოფდა, თუ რამდენ წყალს ჩაევლო მამიდა ენის სიკვდილის შემდეგ (1886 წ.), როცა პირველად გახდა საეჭვო სომსის მესაკუთრული უფლება ცოლის სხეულზე და რამაც შემდეგ ასეთი უბედურება გამოიწვია. ეუფემია, რა თქმა უნდა, ბავშვივით ლაპარაკობდა და არავითარი გამოცდილება არა ჰქონია; მართალია, ოცდაათს უკვე გადააბიჯა, მაგრამ ჯერ ისევ ფორსაიტის გვარზე იყო. თუმცა, რაც უნდა მივკიბ-მოვკიბოთ, მისი სიტყვები იმის უტყუარი დადასტურებაა, თუ როგორ გაფართოვდა თავისუფლების ცნება, რა დეცენტრალიზაცია ხდებოდა და როგორ უფრო და უფრო გამწარებით ცდილობდნენ საკუთრების საერთო პრინციპი თავიანთი პირადი ინტერესებისთვის მოერგოთ. ნიკოლასმა რომ გაიგო თავისი ქალის ნათქვამი

მამიდა ესთერისგან, ერთი მაგრად შეჰყვირა: "ოჰ, ეს ცოლები და ქალიშვილები! რაკიღა ერთხელ მივუშვით, ბოლო აღარ უჩანს მაგათ თავისუფლებას. თავიდანვე ვფიქრობდი, რომ "ჯექსონის" საქმე არაფერ ხეირს დაგვაყრიდა და სხვა უბედურებაშიც გაგვხვევდა". თვითონ აქამდე ვერ მოენელებინა "გათხოვილი ქალების საკუთრების კანონი", რომელიც ვინ იცის, რამდენ უსიამოვნებას შეამთხვევდა, რომ დაქორწინება, ბედზე, კანონის გატარებამდე არ მოესწრო. მაგრამ მართლაც თვალში საცემი იყო აღშფოთება ახალგაზრდა ფორსაიტებისა იმის გამო, რომ სხვის ნებაზე უნდა ევლოთ; და კოლონიების დამოუკიდებლობისთვის სწრაფვის მსგავსად, რაც იმპერიალიზმის პარადოქსულ წინამორბედს წარმოადგენს, ეს აღშფოთება დღითი დღე ძლიერდებოდა. თითქმის ყველა მოეკიდა ოჯახს, გამონაკლისები იყვნენ - ჯორჯი, რომელიც დოღსა და აისიუმ-კლუბს გადაჰყვა; ფრენსი, რომელიც მუსიკას ეუფლებოდა წარმატებით ჩელსიში, კონგსროუდის სტუდიაში, და თავის თაყვანისმცემლებთან ცეკვავდა ხოლმე; ეუფემია, რომელიც შინ იჯდა და გამუდმებით ნიკოლასზე წუწუნებდა, და ორი "დრომიო" - ჯაილისი და ჯეს ჰეიმენი. მესამე თაობა არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყო: ახალგაზრდა ჯოლიონს სამი ჰყავდა, უინიფრიდ დარტის - ოთხი, ახალგაზრდა ნიკოლასს უკვე ექვსი მოესწრო, ახალგაზრდა როჯერს - ერთი, მერიენ ტუიტიმენსაც - ერთი, სენტ ჯონ ჰეიმენს - ორი; დანარჩენებს კი იმ თექვსმეტ დაოჯახებულთაგან: ჯეიმსის ნაშიერებს - სომსს, რეჩელს და სესილის; როჯერისას - იუსტასსა და თომასს; ნიკოლასისას - ერნესტს, არჩიბალდს და ფლორენსს; ჰეიმენისას

- ოგასტოსსა და ანებელ სპენდერს, წლები გადიოდა და შვილები არ უჩნდებოდათ.

ამრიგად, ათმა ძველმა ფორსაიტმა ოცდაერთი ფორსაიტი გააჩინა, ხოლო ამ ოცდაერთმა - ჯერჯერობით მხოლოდ ჩვიდმეტი. არც უჩანდა პირი, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. სტატისტიკის მოყვარული ალბათ შენიშნავდა, რომ შთამომავლობის გამრავლება პირდაპირ კავშირშია დაბანდებული კაპიტალის პროცენტების რაოდენობასთან. დიდ პაპას, "ამაყ დოსეტ" ფორსაიტს XIX საუკუნის დასაწყისში ათი პროცენტი ჰქონდა და შვილიც ათი გააჩინა. ამ ათიდან, ოთხი დაუოჯახებლისა და ჯულის გამოკლებით, რომელსაც ქმარი, სეპტიმუს სმოლი გათხოვებისთანავე მოუკვდა, შემოსავალი ყველას ოთხი თუ ხუთი პროცენტი ჰქონდა და შვილებიც ამდენივე გააჩინეს. მათ ნაშიერ ოცდაერთ ფორსაიტს სამი პროცენტიღა თუ ჰქონდა შემოსავალი და მათგან შვიდშვილიანსაც ჩვიდმეტი მემკვიდრე გაუჩნდა, ესე იგი, თითო ოჯახზე ორი და ხუთი მეექვსედი პროცენტი.

სხვა მიზეზებიც იყო ასეთი სუსტი გამრავლებისა. იმის შიში, ვაითუ, ბლომად ფული ვერ გავაკეთოო - რაც სავსებით ბუნებრივია, როცა ლუკმაპურით უზრუნველყოფილი ხარ და არ იცი, მამა როდის მოგიკვდება - აიძულებდა მათ, ფრთხილად ყოფილიყვნენ. როცა კაცს შვილები ახვევია, შემოსავალი კი ცოტა აქვს, იძულებული ხდება, ფუფუნებით ცხოვრების სურვილი ცოტათი მოთოკოს; ორის საყოფი - ოთხს ვერ გასწვდება, და ასე. ჯობს დაიცადო და ნახო, მამა რას დაგიტოვებს. თანაც, ჯობს, შენს ნებაზე იცხოვრო კაცმა, ბევრი რისკი არ გასწიო. ერჩივნათ, შვილე-

ბი არ გაეჩინათ და თავის გუნებისად ეცხოვრათ, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე - FIN DE SIECLE((ფრანგ.) - საუკუნის დასასრული)-ის უფრო და უფრო მზარდ ტენდენციათა შესაბამისად. ერთი სიტყვით, დიდ რისკს არ სწევდნენ და ყოველ მათგანს შეეძლო თითო ავტომობილის შეძენა. იუსტასს ჰყავდა კიდეც ერთი ავტო, თუმცა კარგა მაგრადაც დააშავა იმ ავტომ და თვალის კბილი ჩაუმტვრია. ასე რომ, ჯობს ცოტათი დაიცადონ, მანამ უფრო უხიფათო გახდებოდეს ავტომობილით სიარული! ბავშვები კი მეტი აღარ არის საჭირო! ახალგაზრდა ნიკოლასმაც კი დაუშვა აფრა და სამი წელი ისე გავიდა, თავისი ექვსი შვილისთვის ერთიც აღარ მიუმატებია.

მაგრამ კორპორაციული გრძნობის დაქვეითება და გათიშვაც კი, რისი ნიშნებიც აშკარად ეტყობოდათ ფორსაიტებს, ისე ღრმად მაინც არ წასულა, რომ მათი კიდევ ერთი თავშეყრისთვის შეეშალა ხელი, 1899 წელს, როცა როჯერ ფორსაიტი გარდაიცვალა. დიდებული ზაფხული იდგა, ის იყო, უცხოეთში მოგზაურობიდან და საზღვაო კურორტებიდან ლონდონს ჩამოიკრიფნენ, რომ როჯერმა ახლაც არ უღალატა თავის ჩვეულ ორიგინალობას და მოულოდნელად განუტევა სული საკუთარ სახლში, პრინსეზ გარდენზე. ტიმოთის სახლში მაშინვე ნაღვლიანი ჩურჩული შეიქნა - საწყალი როჯერი მუდამ ექსცენტრიკულობას იჩენდა ჭამაშიო; ეგ არ იყო, რომ ნაირ-ნაირ საჭმელზე ცხვირს იბზუებდა და გერმანული ცხვრის ხორცი ყველაფერს ერჩივნაო?!

ასე იყო თუ ისე, ჰაიგეიტზე დაასაფლავეს და პატივიც არ დაუკლიათ, ხოლო როცა იქიდან ბრუნდებოდნენ, სომს ფორსაიტმა თითქმის ანგარიშმიუცემლად ძია ტიმოთისთან შეუხვია,

ბეისუოთერ როუდზე. "ბებრუხანებს" - მამიდა ჯულის და ესთერს - უსათუოდ დააინტერესებთ დაკრძალვის ამბები. მამამისს, ჯეიმსს, უკვე ოთხმოცდარვა წლისთვის მიეღწია და ასეთ დამქანცველ დაკრძალვაზე ვერ წავიდა; ტიმოთიც, რაღა თქმა უნდა, არ წასულა. ასე რომ, ძმათაგან მხოლოდ ნიკოლასი ესწრებოდა. მაინც ბლომად ხალხმა მოიყარა თავი, და მამიდა ჯულისა და ესთერს დააინტერესებთ, როგორ დაასაფლავეს. ვერ ვიტყვით, რომ ამ კეთილ განზრახვაში შერეული არ ყოფილიყოს სხვა გრძნობაც - დაუოკებელი სურვილი, რომ ყველაფრისგან, რასაც კი აკეთებ, რაც შეიძლება მეტი გამოწურო; ესაა მთავარი დამახასიათებელი თვისება ფორსაიტებისა, და ყველასიც - ყველა ერის ჭკუათამყოფელი შვილებისა. ყოველგვარ საოჯახო საქმეებზე ტიმოთისთან მისვლის ჩვეულება სომსს მამისგან მოსდგამდა. მამამისი მუდამ მტკიცედ იცავდა ამ წესს - კვირაში ერთხელ მაინც შეივლიდა ტიმოთისთან დების მოსანახულებლად - და მხოლოდ ოთხმოცდაექვსი წლისამ უღალატა ჩვეულებას, როცა მეტისმეტად დაუძლურდა და უემილიოდ შინიდან გამოსვლა აღარ შეეძლო. ემილისთან ერთად სიარულს კი რა აზრი ჰქონდა - საკუთარი ცოლის თანდასწრებით რომელი ჭკუათამყოფელი კაცი გადაუშლის ვინმეს გულს! ჯეიმსის მსგავსადვე, სომსიც ცდილობდა კვირადღე არ გამოეტოვებინა და მათთან შეევლო. პატარა სასტუმრო ოთახში დასხდებოდნენ ხოლმე, სადაც სომსის უტყუარი გემოვნების გავლენით, ზოგი ცვლილება მოახდინეს, ფაიფური გამოიტანეს, - თუმცა არცთუ მთლად მისი დახვეწილი გემოვნების შესაფერისი, - ხოლო შობის დღეებში თვითონვე უსახსოვრა ორი საეჭვო ბარბიზონელის სურათი. ბარბიზონელებით მან კარგი

გამორჩენა ნახა და ეს რამდენიმე წელია მარისისკენ, იზრაელსის და მოვესკენ გადაინაცვლა. თავის საკუთარ სახლში, რომელიც მდინარის პირად ჰქონდა აგებული მეიპლედერჰემის მახლობლად, მშვენიერი გალერეა გამართა - კედლებზე მოხდენილად განალაგა სურათები და კარგი განათებაც მოაწყო! ლონდონელ მოვაჭრეთაგან ბევრი აღარავინ იქნებოდა დარჩენილი, რომ ეს გალერეა არ ენახა. სტუმრების მისაზიდადაც დიდ როლს თამაშობდა ხოლმე ეს გალერეა - სტუმრები კი კვირადღეობით ხშირად მოჰყავდათ მასთან თავისივე დებს, უინიფრიდსა და რეჩელს. მართალია, მეტისმეტად სიტყვაძუნწი გიდი იყო, მაგრამ მისი თავშეკავებული დეტერმინიზმი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სტუმრებზე, რომელთაც მშვენივრად იცოდნენ, რომ სომსის რეპუტაცია უბრალო ესთეტიკურ გატაცებაზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ იმ საოცარ ალღოზე, რომლითაც იგი წინასწარვე გამოიცნობდა სურათის მომავალ საბაზრო ღირებულებას. რამდენს მივიდოდა ტიმოთისას, მუდამ ჰქონდა ხოლმე სატრაბახო, როგორ აჯობა რომელიმე შემსყიდველს და როგორ გაიმარჯვა; და დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა მამიდები ღუღუნით გამოხატავდნენ სიამაყის გრძნობას. ამ საღამოს კი, როჯერის დასაფლავებიდან, სავსებით უჩვეულო განწყობილებით მოვიდა მშვენიერ მოთალხო კოსტიუმში გამოწყობილი სომსი - მთლად შავი არ ჩაუცვამს, რადგან ბიძა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ბიძაა, ხოლო სომსს საშინლად ეჯავრებოდა ზედმეტი მგრძნობიარობის გამომჟღავნება. მარკეტრის სკამზე გადაწოლილს, თავისი აბზეკილი ცხვირი წინ გამოეშვირა და თვალში საცემი დუმილით მისჩერებოდა ოქროს ჩარჩოებშემოვლებულ ცისფერ კედლებს. და-

საფლავებიდან რომ მოდიოდა იმის გამო, თუ სხვა რამ მიზეზით, ამ საღამოს მის სახეს წმინდა ფორსაიტული იერი ედო - ჩამოგრძელებული და ჩაცვივნული ღაწვები, გამოშვერილი ყბა, რომელსაც, ხორცს თუ ჩამოაკლებდი, მართლაც რომ მეტისმეტად ახირებული გამოჩნდებოდა; ერთი სიტყვით, ნიკაპჩამოშვებული სახე, მაგრამ ულაზათო მაინც არ ეთქმოდა. ასე ძლიერ, როგორც დღეს, მას არასოდეს უგრძნია, რომ ტიმოთისანი ყოვლად წყალწაღებული, მატრაბაზი ხალხი იყო, ხოლო მამიდები - წმინდა წყლის ვიქტორიანელი უნდილი დედაბრები. ერთადერთი, რაზეც ახლა მას გულით სურდა ლაპარაკი, იყო თავისივე გასაჭირი - ცოლგაქცეული კაცი ისევ ცოლიანად ითვლებოდა და განქორწინება ჯერაც ვერ გაეფორმებინა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა შეუძლებელი ჩანდა. ბოლო ხანებში ხშირად ფიქრობდა ხოლმე, რა დიდი სიმდიდრის პატრონი გავხდიო. მას შემდეგ, - რობინჰილზე რომ იშენებდა სახლს, რამაც საბოლოოდ დაანგრია მისი ცოლქმრული კავშირი აირენთან, - ამ თორმეტი ეულად გატარებული წლის განმავლობაში, როცა თითქმის არაფრის ხალისი აღარ ჰქონდა ცხოვრებაში, მისი სიმდიდრე საზღაპროდ გაიზარდა. ასი ათას გირვანქაზე მეტის პატრონი იყო, და ამოდენა სიმდიდრეს ვერავის უტოვებდა. რაღა აზრი ჰქონდა კვლავაც ასეთი გატაცებით მიჰყოლოდა გამდიდრების საქმეს, რაც მის სარწმუნოებას შეადგენდა. მაგრამ ამის შემდეგ, თუნდაც ძალიან არ გამოედვა თავი, ფულს ხომ ფული მოაქვს, და თვითონვე გრძნობდა, რომ თავის აწევასაც ვერ მოასწრებდა, და უკვე ას ორმოცდაათი ათასის მქონებელი გახდებოდა. სომსი თავიდანვე ოჯახს და შვილებს იყო დანატრებული. იმედგაცრუებულსა და მოტ-

ყუებულს, აქამდე დამალული ჰქონდა ეს გრძნობა, მაგრამ ახლა, ამ "მოწიფულობის ჟამს", კვლავ გამოყო თავი და გამოცოცდა. ბოლოს კი, როცა ერთმა მართლაცდა უტყუარი სილამაზის ქალმა მოხიბლა, ეს გრძნობები თითქოს შენივთდა, ერთ ფოკუსში გაერთიანდა და ჭეშმარიტ ჯადოდ ექცა.

ეს ქალი ფრანგი იყო. ეტყობოდა, ისე ადვილად არ დაკარგავდა თავს და კანონით გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში გახვევას არ მოიწადინებდა. არც სომსი იკისრებდა ამას. იმ იძულებითი უცოლობის გაჭიანურებული წლების განმავლობაში მას უკვე საკმაოდ ეგემა ტრფობის ქვენა გრძნობები, მაგრამ ყოველთვის ფარულად და ზიზღით, რადგან მეტისმეტად გულაზიზი იყო და წესიერებისა და კანონის გრძნობა გაძვალრბილებული ჰქონდა. ფარულ და ბილწ სასიყვარულო თავგადასავლებს ვეღარ იტანდა. იქორწინებს პარიზის საელჩოში, მერე რამდენიმე თვეს იმოგზაურებს და ისე ჩამოიყვანს თავის ანეტს, რომ წარსულთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ექნება. თუმცა, საცა სამართალია, არც ისეთი თვალში საცემი წარსული ჰქონია - ბოლოს და ბოლოს, მოანგარიშედ მუშაობდა დედამისის რესტორანში, სოჰოზე. ჩამოიყვანს ქალს, სრულიად გადახალისებულსა და პენიანს, ფრანგული გემოვნებითა და თავდაჭერილობით შემკულს, და მბრძანებლად ეყოლება თავის "შელტერში", მეიპლედერჰემის მახლობლად. ფორსაიტების ბირჟასა და მდინარის პირად მცხოვრებ მეგობრებში კი ხმა გავრცელდება - მოგზაურობის დროს მომხიბლავ ფრანგს შეხვდა და ცოლად შეირთოო. ფრანგ ქალზე დაქორწინებას თავისებური CACHET((ფრანგ.) - დახვეწილი გემოვნების ნიშანი.)-ი და რომანტიკული არომატი

ექნება. არა! ამისი შიში სულაც არა აქვს, ოღონდ, ეს ოხერი, ცოლთან გაყრა ჰქონდეს გაფორმებული! თან ისიც ეფიქრება, ანეტი თუ მოიწადინებს მასზე გათხოვებას, სომსი, თავის მხრივ, ჯერ ვერაფრის თქმას ვერ უბედავს, მანამ საშუალება არ მიეცემა სავსებით ნათელი და თვალისმომჭრელი მომავალი შესთავაზოს.

მამიდების სასტუმრო ოთახში იგი გაბურსალებული იჯდა და ისმენდა ჩვეულებრივ შეკითხვებს: შენი საყვარელი მამა როგორ არის (ვენაცვალე!)? ალბათ, გარეთ ვერც კი გამოდის, საშინლად აცივდა. უსათუოდ უთხარი, არ დაგავიწყდეს, რომ ესთერმა დეკას მოხარშული ფოთლები დაიდო მტკივან გვერდებზე და ხელად დაუამა; ყოველ სამ საათში იცვალოს ხოლმე ცხელი საფენები და მერე წითელი ფლანელით შეიხვიოს. იქნებ შავი ქლიავის მურაბაც ესიამოვნოს, პატარა ქილით გავუგზავნით; წელს განსაკუთრებით კარგი გამოგვივიდა და კარგადაც მოქმედებს. ჰო, მართლა! დარტის ამბავი თუ გაიგე, საცოდავ უინიფრიდს რა უსიამოვნება შეხვდა მონტეგიუსთან? ტიმოთის დაუჟინია, ვინმე უსათუოდ უნდა ჩაერიოს საქმეში და მხარი დაუჭიროსო. ხმა დაირხა - მაგრამ შენ ნუ დაიჯერებ - თითქოს უინიფრიდის თვალმარგალიტი რომელიღაც საშინელი მოცეკვავისთვის ეჩუქებინოს. ამისთანა მაგალითი სჭირდებოდა ვალს, და ისიც სწორედ მაშინ, როცა უნივერსიტეტში შედის! შენ არ გაგიგია? ოჰ, ახლავე უნდა მოინახულო და გაიგო ერთი, რა მოუვიდა იმ შენს დას. ბურებზე რაღას ფიქრობ, ნეტავ მართლა თუ იომებენ? ტიმოთი ძალიან შეწუხებულია, კონსოლებს პირდაპირ ცეცხლი ეკიდება, მაგას კი იმდენი ფული აქვს დაბანდებული!.. შენ როგორა გგონია -

ომი რომ დაიწყოს, ფასი უსათუოდ დაეცემა? სომსმა თავი დაუქნია. მაგრამ, მალევე უნდა გათავდეს, ხომ? ტიმოთის საქმე ძალიან ცუდად წავა, თუ გაგრძელდა. სომსის მამასაც მაგრად შეაწუხებს - ამ ხნის კაცს. უბედურ როჯერს ამაში მაინც ერგო ბედი, რომ ამ საშინელ განსაცდელს გაასწრო. მამიდა ჯულიმ პატარა ცხვირსახოცით მოიწმინდა დიდი კურცხალი, რომელიც მარად გამობერილ, ახლა უკვე ერთიანად ჩამომჭკნარ, მარცხენა ლოყაზე ჩამოგორებოდა. როჯერი გაიხსენა (ვენაცვალე!), მისი ახირებული ხასიათი; პატარები რომ იყვნენ, ადგებოდა და ქინძისთავით ჩხვლეტდა ჯულის. მამიდა ესთერმა, რომელიც ინსტინქტურად გაურბოდა ხოლმე უსიამოვნო ლაპარაკს, მაშინვე შეცვალა საუბრის თემა, სომსმა ჰკითხა, როგორ გგონია - ჩემბერლენს ახლავე თუ აირჩევენ პრემიერ-მინისტრად, ხელადვე მოაგვარებს ყოველგვარ საქმეებსო. ერთი იმ დღეს შევესწრებოდე, რომ ის ბებერი კრიუგერი წმინდა ელენეს კუნძულზე მიაბრძანონო. გუშინდელივით მახსოვს, ნაპოლეონის სიკვდილის ამბავი რომ მოვიდა, პაპაჩემმა როგორ გაიხარაო. რაღა თქმა უნდა, მე და ჯულის - "ჩვენ მაშინ შარვლებით დავტანტალებდით, ჩემო კარგო" - ამეებისა ბევრი არაფერი გაგვეგებოდაო.

სომსმა ფინჯნით ჩაი გამოართვა, სულმოუთქმელად გამოცალა და სამი ნაჭერი ნუშის ნამცხვარი შეატანა, რითაც განთქმული იყო ტიმოთის სახლი. მისი მკრთალი, სუსტი, დამცინავი ღიმილი ახლა ცოტა უფრო გამოიკვეთა. მართლაც რომ გამოუსწორებელ პროვინციალებად დარჩნენ მისი ნათესავები, მიუხედავად იმისა, რომ ლამის მთელი ლონდონი მათი საკუთრებაა. ამ ბოლო დროს კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა მათი პროვინ-

ციალიზმი. აგერ თუნდაც ნიკოლასი - ისევ არ იშლის ფრიტ-რეიდერობას და კვლავაც იმ ადამისდროინდელი ლიბერალისტე-ბის კლუბში დადის, თუმცა ცხადზე უცხადესია, რომ ამ კლუბის ყველა წევრი კონსერვატორია, თორემ არც ჩაეწერებოდა ნიკო-ლასი. ტიმოთიზე კი ახლაც ამბობენ - საღამურ ჩაჩს იხურავსო. ახლა ისევ მამიდა ჯულიმ დაიწყო. ჩვენი სომსი (ვენაცვალე!), თითქოს სულაც არ შეცვლილა - საყვარელი მამიდა ენის დასაფ-ლავებაზე რომ მახსოვს, ახლაც ისევ ისეა. ყველამ მოვიყარეთ მა-შინ თავი - ჯოლიონმა (ვენაცვალე!), სუითინმა (ვენაცვალე!), რო-ჯერმა (ვენაცვალე!)... შეისვენა, და ახლა მარჯვენა ლოყაზე მის-წვდა კურცხალს. ისა... აირენის ამბავი თუ გაიგე, ნეტავ რას შვრება ახლა? მამიდა ესთერმა მხარი შეიქნია და შეაწყვეტინა - ჯულიმ რომ არ თქვას რამე, ისე ხომ არ მოისვენებს! სომსს ღიმი-ლი სახეზე შეაცივდა, ფინჯანი დადგა. სწორედ იმ საგანზე ჩამო-აგდეს სიტყვა, რასაც თვითონ შორიდან უტრიალებდა. როგორ გულით უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ეს ხელსაყრელი შემთხვევა ვერ გამოიყენა.

მამიდა ჯულიმ სულმოუთქმელად განაგრძო:

- ყველა ამას ამბობს, რომ ჯოლიონმაო (ვენაცვალე!), ის თხუთმეტი ათასი ჯერ სამუდამოდ დაუმტკიცა, მაგრამ მერე, რა-ღა თქმა უნდა, უფრო კარგად დაუფიქრდებოდა და მიხვდებოდა, რომ უხერხული იყო, და სასიცოცხლოდ სარგებლობით გადაუს-წორაო.

სომსს არ გაუგია?

სომსმა თავი დაუქნია.

- შენი ბიძაშვილი ჯოლიონი დაქვრივდა. ის ითვლება იმ ქალის მეურვედ. გეცოდინება, რა თქმა უნდა!

სომსმა თავი გააქნია. ცოდნით კი იცოდა, მაგრამ არ უნდოდა, ამ საქმით დაინტერესება გამოეჩინა. ბოსინის სიკვდილის დღეს რომ ნახა, მერე აღარ შეხვედრია ახალგაზრდა ჯოლიონს.

- კაი შუახნის კაცი იქნება ახლა, - განაგრძო ფიქრებში წასულმა ჯულიმ, - დამაცადე, შენი საყვარელი ბიძა მაუნტსტრიტზე ცხოვრობდა, ეგ რომ დაიბადა. სტენჰოპგეიტზე დიდი ხნის შემდეგ გადავიდნენ - ორმოცდაშვიდის დეკემბერში, სწორედ იმ კომუნის წინა დღეებში. ორმოცდაშვიდისთვის გადაუბიჯებია. წარმოგიდგენია! რა კარგი ბიჭი იყო, ყველას გვეამაყებოდა... პირველი ბავშვი იყო.

მამიდა ჯულიმ ამოიხვნეშა და მთელი ბღუჯა თმა - არცთუ მთლად საკუთარი - ჩამოეშალა ისე შესამჩნევად, რომ მამიდა ესთერს შეაჟრჟოლა კიდეც. სომსი წამოდგა: უცნაური რამ აღმოაჩინა საკუთარ თავში. მისი სიამაყისა და თავმოყვარეობისთვის მიყენებული ძველი ჭრილობა ჯერაც არ შეხორცებია. აქეთ რომ მოდიოდა, სწორედ ამაზე ფიქრობდა სიტყვის ჩამოგდებას, სურდა მამიდებისთვის შეეჩივლა - რა ხელფეხშეკრული ვარო... მაგრამ შეხედე! მამიდა ჯულის პირველივე სიტყვებზე, რომელიც მელაპროპიზმით არის განთქმული - წამოვარდა და გარბის!

- ოჰ, უკვე მიდიხარ, სომს?!

სომსმა ცოტა არ იყოს, გესლიანად გაიცინა და უთხრა:

- დიახ. ნახვამდის. ძია ტიმოთი მომიკითხეთ.

ცივი ამბორი დატოვა ნაოჭებისგან დაპრანჭულ ორივე შუბლზე (ეს ნაოჭები ეკვროდა და ეწებებოდა მის ტუჩებს, თითქოს

სთხოვდა, ბარემ სულ გადაგვკოცნეო) და გამოვიდა. მამიდებმა ღიმილით გააცილეს... სომსი, ვენაცვალე! რა კაი ქნა, რომ შემოგვიარა... სწორედ უგუნებოდ ვიყავით!..

სინანულის გრძნობა შიგ გულში ჩხვლეტდა, როცა კიბეზე ეშვებოდა სომსი. აქ მუდამ იდგა სასიამოვნო სუნი ქაფურის, პორტვეინის და ისეთი სახლისა, სადაც მოპირდაპირე ფანჯრების გაღება და ოთახების განიავება აკრძალულია ხოლმე. საბრალო ბებრუხანები - სომსს ფიქრადაც არა ჰქონია მათი წყენინება. ქუჩაში რომ გავიდა, ხელად დაავიწყდა მამიდები, მაშინვე ანეტზე ფიქრმა მოიცვა მისი გონება, სწყევლიდა იმ ბორკილებს, რასაც მისთვის ხელ-ფეხი შეეკრა. რატომ მაშინვე არ მოუღო ბოლო ამ საქმეს და გაყრის ნებართვა არ აიღო, როცა ის უბედური ბოსინი ეტლის ქვეშ ჩავარდა?! მაშინ რამდენი საპატიო მიზეზი ჰქონდა! შეუხვია და თავისი დისკენ - უინიფრიდ დარტისკენ გაემართა, რომელიც მეიფეირში ცხოვრობდა, გრინსტრიტზე.

თავი მეორე

მაღალი საზოგადოების ადამიანის სცენიდან გასვლა

მონტეგიუ დარტისთანა ბედის ტრიალს მინდობილ მაღალი საზოგადოების კაცს რომ ერთსა და იმავე სახლში ოც წელზე მეტხანს ეცხოვროს, მართლაცდა ძალიან გასაკვირი იქნებოდა, თუ ამ სახლის საიჯარო ფული, ბეგარა და რემონტი მთლიანად სიმამრის კისერზე არ ყოფილიყო. ამ მარტივი და კომერციული საშუალებით ჯეიმს ფორსაიტმა თავის ქალსა და შვილიშვილებს ერთგვარად მყარი საარსებო პირობები შეუქმნა. სხვა რომ არაფერი, დარტისთანა თავზე ხელაღებული სპორტსმენისთვის საიმედო თავშესაფარი მართლაც რომ დაუფასებელი იყო. ბოლო დღეებში მომხდარ ამბებამდე, მთელი წლის განმავლობაში, იგი არაბუნებრივ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. საქმე ის იყო, რომ მან საზიაროდ ერთი ფაშატი იყიდა, ჯორჯ ფორსაიტის საზიაროდ, რომელიც აწ განსვენებული როჯერის გულისსახეთქად, კვლავ განაგრძობდა დოღზე თამაშს და ვერასდიდებით ვერ მოაშლევინეს. "საკინძი" - "წამებულისა" და "ცეცხლის პერანგის" შვილი და "წვივსაკრავის" შვილიშვილი, - სამი წლის წაბლა ცხენი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო თავისი ჭეშმარიტი შესაძლებლო-

ბა ჯერ კიდევ არ გამოემჟღავნებინა. როცა დარტიმ ამ დიდი იმედისმომცემი პირუტყვის ნახევარ მეპატრონედ დაიგულა თავი, სხვათა მსგავსად მის არსებაშიც ფარულად მიძინებულმა იდეალიზმმა გაიღვიძა და რამდენიმე თვის განმავლობაში გულდამშვიდებული მგზნებარებით ელოდა მომავალს. პირდაპირ განსაცვიფრებელია, რა ფხიზელი ხდება ადამიანი, როცა მომავალი კარგ რასმე უქადის. დარტის მომავალს კი მართლაც კარგი პირი უჩანდა: საშემოდგომო ჰანდი-კაპზე - ერთზე სამი, საერთო დაფასების დროს კი - ერთზე ოცდახუთი! ძველებური სამოთხე უბადრუკი რამე ჩანდა ამასთან, და დარტის მთელი იმედი ამჟამად "ცეცხლის პერანგის" ნაშიერს ემყარებოდა. იმედიც არის და იმედიც - ახლა ყველაფერი "წვივსაკრავის" ნაშიერზე იყო დამყარებული. ორმოცდახუთი წელი, ეს მოუსვენარი ასაკი, ფორსაიტებისთვის ყველაზე საშიშ ხანას წარმოადგენდა; დარტებისთვის იქნებ დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ საშიში ხანა მათთვისაც იყო. სწორედ ორმოცდახუთისა იყო მონტეგიუ, როცა თავისი დაუოკებელი ჟინის საგნად ვიღაც მოცეკვავე ქალი აირჩია. უბრალო გატაცება როდი იყო ეს. მაგრამ სავსებით უფულოდ, - როცა ფაქტობრივად ძალიან ბევრი ფული იყო საჭირო, - მათი სიყვარული ისეთივე ფარფატა და ჰაეროვანი შეიძლებოდა გამხდარიყო, როგორიც იმ ქალის საბალეტო გაზის კაბები, ხოლო დარტის თავის დღეში არა ჰქონია ფული, რის ვაი-ვაგლახით გაჰქონდა თავი უინიფრიდისგან ნასესხები თუ ნაწყალობელი სახსრებით. უინიფრიდი კი მაგარი ქალი გახლდათ და მხოლოდ იმიტომ თუ ითმენდა დარტის, რომ ჯერ ერთი, მისივე შვილების მამა იყო და, მეორეც, კაცს ჯერ კიდევ მთლად არ გაჰქრობოდა

ძველი, აწ თითქმის სავსებით დამჭკნარი ეშხი, რამაც ქალი ახალგაზრდობაში მოხიბლა. უინიფრიდიღა დარჩა, - და სხვაც, ვინც კი მისთვის ფულის სესხებას იკისრებდა, - ბანქოსა და დოღში წაგებასთან ერთად (საოცარი კია - როგორ ახერხებს ზოგიერთი წაგებით სარგებლობას!) - ერთი სიტყვით, არსებობის ეს წყაროღა შერჩა. ჯეიმსი სულ დაბერდა და ისეთი სიანჩხლე დასჩემდა, რომ ახლოსაც ვერ მიეკარებოდა. სომსიც საშინელი კერპი იყო. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, დარტი თვეების განმავლობაში იმედითღა ცოცხლობდა. ფულის მოყვარული თავის დღეში არ ყოფილა, ფორსაიტებიც კი სძულდა ფულის გროვებისთვის, თუმცა გამაცადინებული იყო, რაც შეიძლება მეტი დაეცინცლა მათთვის. ფული მხოლოდ იმდენად უყვარდა, რამდენადაც იგი სიამოვნების მიმნიჭებელი იყო.

- ნამდვილი სპორტსმენი ფულს არაფრად აგდებს, - იტყოდა ხოლმე ის ოცდახუთი გირვანქის სესხების დროს, როცა ხუთასი გირვანქის თხოვნას აზრი აღარ ჰქონდა. რაღაც მომხიბლავი ჰქონდა ამ მონტეგიუ დარტის. "ზიზილიაარ", ჯორჯ ფორსაიტი იტყოდა ხოლმე მასზე.

დოღის დღეს მოწმენდილი და ნათელი დილა გათენდა - სექტემბრის უკანასკნელი დილა. ნიუმარკეტში წინადღით ჩამოსული დარტი საუცხოო კუბოკრულ კოსტიუმში გამოეწყო და გორაკისკენ გაემართა, რათა თავისი საზიარო ფაშატის ნავარდისთვის ეყურებინა. თუ მოიგებდა ცხენი, დარტი სამი ათასს ნაღდად ჩაიჯიბავდა; თუმცა დიდი ვერაფერი საზღაური იქნებოდა ამდენი კვირის ღელვისა და ლოდინისთვის, როცა ისინი დოღში გამოსაყვანად ამზადებდნენ ცხენს. მაგრამ მეტის ჩამოსვლა მას

არ შეეძლო. ხომ არ გაბედოს და რვა ერთზე ხომ არ ჩამოვიდეს? ეს ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში, ზემოთ კი, ცის კამარაზე, ტოროლები ჟღურტულებდნენ, აბიბინებული ბალახი სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა, ხოლო ატლასივით გაპრიალებული კოხტა ფაშატი თავის ქნევით მიდიოდა მოედანზე. კიდეც რომ წააგოს, გადახდა მას მაინც არ ევალება, ხოლო თუ დაუთმო და რვა ერთზე ჩამოვიდა, მოგება ათას ხუთასზე დავა - ეს თანხა კი მოცეკვავის მოსაპოვებლად სულაც არ კმარა. მაგრამ დარტების თანდაყოლილი მგზნებარება უფრო და უფრო მძლავრობდა. ჯორჯს მიუბრუნდა და უთხრა:

- ხედავთ, რა ფიცხია. უსათუოდ მოიგებს. ბოლომდე უნდა მივენდო.

ჯორჯს სხვა შემოვლებზეც ჰქონდა სანაძლეო დადებული და მოგების იმედს არ კარგავდა, ზემოდან გადმოხედა ამხელა კაცმა დარტის, გაეჭყანა და მიუგო:

- აბა, ჰე, ჩემო საყვარელო! - ეს იმიტომ, რომ, ფულზე გამუდმებით მოწუწუნე როჯერთან გავლილი სკოლის შემდეგ, ფორსაიტების სისხლმაც თავისი გაიტანა და ხელი შეუწყო, რომ მესაკუთრის ბუნება კარგად შეეთვისებინა.

არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში იმედის გაცრუების მომენტები, რის აღწერასაც მგრძნობიარე მთხრობელი გაურბის. საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ ყველაფერი წყალში ჩაცვივდა. "საკინძი" უკან ჩამორჩა. დარტის იმედი დაიმსხვრა.

ამ მარცხიან ამბებსა და იმ დღეს შორის, როცა სომსი გრინსტრიტისკენ გაემართა, რა აღარ მოხდა!

როცა მონტეგიუ დარტის აგებულების ადამიანი ღვთისმოსავური გრძნობებით თვეების განმავლობაში საკუთარი თავის ალაგმვაზე ვარჯიშობს და ჯილდოდ კი ვერაფერს იღებს, ასეთი კაცი ღმერთის გინებით კი არ კვდება, არამედ თავისი ოჯახისდა სავალალოდ, ღმერთს გმობს და ცოცხლობს.

უინიფრიდი - ეს გულადი, თუმც კი მაღალ საზოგადოებაში გამოსული ქალი - რომელიც მთელი ოცდაერთი წლის განმავლობაში იტანდა ქმრის გააფთრებულ შემოტევას, თავის დღეში არ იფიქრებდა, რომ დარტი ამის გამკეთებელიც იყო. სხვა ცოლების მსგავსად, მასაც ეგონა - ყოველგვარი სიმწარე უკვე ვიგემეო, მაგრამ თურმე როდი იცნობდა ქმარს ორმოცდახუთი წლისას, როცა, სხვა ამ ხნის მამაკაცების მსგავსად, მანაც იგრძნო: ან ახლა, ან არასოდესო. გახსნა თუ არა ორ ოქტომბერს თავისი განძეულობის კოლოფი, საშინლად შეძრწუნდა: ქორწინების გვირგვინი და მთელი მისი სიამაყე და ავლადიდება - თვალმარგალიტი, რომელიც ოთხმოცდახუთში, ბენედიქტის დაბადების დღეს უძღვნა მონტეგიუმ, და რომლისთვისაც ოთხმოცდაშვიდის გაზაფხულზე, სკანდალის თავიდან ასაცილებლად, ჯეიმსი იძულებული გახდა კაი ძალი ფული გადაეხადა - სადღაც გამქრალიყო, მაშინვე განუცხადა ეს ქმარს. ქმარმა გაუტრიზავა: ისევ დაბრუნდებაო, უთხრა. მაგრამ რაკი ცოლი გაუკაპასდა: - მაშ კარგი, მონტი, მე თვითონვე წავალ სკოტლანდ იარდზეო, იძულებული გახდა, უკან დაეხია და საქმის მოგვარებას შეჰპირებოდა. ვაგლახ! დალევა ზოგჯერ როგორ ჩაგიშლის ხოლმე მტკიცე და შეუვალ გადაწყვეტილებას, რის შესასრულებლადაც უკიდურეს საშუალებასაც არ ერიდები. იმ ღამეს დარტი ისე დაბრუნ-

და, რომ ცა და ქვეყანა სულ ფეხზე ეკიდა. სხვა დროს უინიფრიდი თავისი ოთახის კარს ჩაიკეტავდა და ქმარს ყურსაც არ ათხოვებდა - თავისთვის გამოიძინოსო, მაგრამ ახლა მარგალიტის დარდი აწამებდა და ამიტომ დაელოდა. ქმარმა ჯიბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო, სასადილო მაგიდაზე დადო და ცოლს განუცხადა - დავიდარაბას თუ ამიტეხ, ფეხებზე მკიდია, შენ იცოცხლებ თუ არ იცოცხლებო, მე პირადად კი მომბეზრდა სიცოცხლეო. უინიფრიდი მაგიდის მეორე მხრიდან გამოელაპარაკა:

- ნუ მაიმუნობ, მონტი! სკოტლანდ იარდზე თუ იყავი?

დარტიმ რევოლვერი გულზე მიიდო და ჩახმახს რამდენჯერმე გამოუშალა ფეხი. გატენილი არ აღმოჩნდა. შეიკურთხა და რევოლვერი მოიქნია, "ბავშვების ხათრით", ამოილუღლუღა და საავარძელში ჩაიკეცა.

უინიფრიდმა რევოლვერი აიღო და ქმარს სოდიანი წყალი დაალევინა. სითხეს მაგიური ძალა აღმოაჩნდა. ცხოვრებამ უმუხთლა. უინიფრიდს არასოდეს ეს... ეს... ესმოდა მისი. ქმარს თუ არა აქვს თავისივე ნაჩუქარი მარგალიტის აღების უფლება, აბა, ვინ ოხრობას უნდა ჰქონდეს?! იმ ესპანელ გოგოს მიაშავა. უინიფრიდს თუ საწყენად დარჩება ეს, ადგება და ყელს... გამოსჭრის... იმ გოგოს. მაგასაც რომ დიდი რამე უნდა! (ეტყობა, პირველად ამ აზრის გამოსახატავად გამოიყენეს ეს შესანიშნავი ფრაზა - რადგან ყველაზე კლასიკური ენების წყაროებიც კი ბნელით არის მოცული!).

უინიფრიდს თავის შეკავების სუსხიანი სკოლა ჰქონდა გავლილი. ქმარს შეხედა და უთხრა:

- ესპანელი გოგო! ის ხომ არა, "პანდემონიუმის" ბალეტში რომ ვნახეთ? ნამდვილი ქურდი ხარ და არამზადა!

ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რამაც სულმთლად დააბნელა დარტის ისედაც ბნელით მოცული გონება. სავარძლიდან წამოიწია, ცოლს მკლავში სწვდა და ბავშვობის დროინდელი გმირობა გაიხსენა - გადაუგრიხა. ისე იტანდა ამ წამებას უინიფრიდი, რომ ერთი სიტყვა არ დასცდენია, ცრემლები კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. როცა შეატყო, ღონემ უმტყუნაო, ხელიდან დაუსხლტა, სასადილო მაგიდას მეორე მხრიდან შემოუარა და კბილებში გამოცრა:

- ო, მონტი, ყელში ამომიხვედი!

(ეჭვი არ არის, პირველად ახლა გამოიყენეს ეს ფრაზა. სწორედ ასეთი შემთხვევის გავლენით ყალიბდება ინგლისური ენა).

დარტი, რომელსაც შავ ულვაშზე დუჟი მოსდგომოდა, იქვე დატოვა, თვითონ ზემოთ ავიდა, თავისი ოთახის კარი ჩაიკეტა, მკლავი ცხელ აბაზანაში ჩადო და მთელი ღამე თეთრად გაათენა, ფიქრობდა, როგორ დაამშვენებდა მისი მარგალიტები ვიღაცის ყელს ან მისი ქმარი რა საზღაურს მიიღებდა ამის სანაცვლოდ.

მაღალ საზოგადოებაში გამოსულმა კაცმა გაიღვიძა და იგრძნო, რომ ეს საზოგადოება მისთვის დაკარგული იყო, ბუნდოვნად გაახსენდა, როგორ შესძახეს, "ყელში ამომიხვედიო". მთელი ნახევარი საათი გაუნძრევლად იჯდა იმ სავარძელში, რომელშიც მან ღამე გაატარა. ეს იყო, ალბათ, ყველაზე უბედური ნახევარი საათი მის ცხოვრებაში, რადგან დარტისთვისაც კი დასასრული ერთგვარ ტრაგიკულ გრძნობას შეიცავს, ხოლო მან იცოდა, რომ უკვე მიაღწია ამ აღსასრულს. აღარასოდეს დაიძინებს ამ სასადი-

ლო ოთახში, აღარ გაიღვიძებს განთიადისას... განთიადი კი, აგერ, ნელ-ნელა მოცოცავს ფანჯრის ფარდებში, რომელიც უინიფრიდმა ნიკენსისა და ჟარვეისგან იყიდა, ჯეიმსის ფულით. ვეღარასოდეს იგემებს ცხარედ შეკაზმულ ჭაჭას, რასაც აქამდე, ლოგინში არხეინად კოტრიალისა და ცხელი აბაზანის შემდეგ შეექცეოდა ხოლმე. ფრაკის ჯიბიდან საფულე ამოიღო. ოთხასი გირვანქა - ხუთ და ათგირვანქიანი ქაღალდის ფული - ესღა დარჩა იმ ფულიდან, რაც მან წუხელ თავის საზიარო "საკინძეში" მიიღო. ცხენი ჯორჯ ფორსაიტს შეასყიდვინა, რომელმაც რამდენიმე სანაძლეო მოიგო და ამიტომ ისეთი ზიზღი არ უგრძნია პირუტყვისადმი, რაც დარტიმ იგრძნო. საბალეტო დასი ზეგ ბუენოს-აირესში მიემგზავრებოდა და თვითონაც უნდა გაჰყოლოდა. ნამდვილი საფასური მარგალიტებისა ჯერაც არ მიუღია, ჯერ მხოლოდ დაპირებებით კვებავენ.

ზემოთ აიძურწა. ბანაობა ვეღარ გაბედა, ვერც წვერის გაპარსვა (წყალი არც იქნებოდა ცხელი), ტანსაცმელი გამოიცვალა და, რაც მოახელთა, ჩუმად ჩაალაგა. ძნელი დასათმობი იყო ამდენი პრიალა ფეხსაცმელი, მაგრამ უმსხვერპლოდ აბა რა გაკეთებულა ქვეყნად! ხელებში თითო ჩემოდანი დაიჭირა და კიბეზე გამოვიდა. სახლში სრული სიწყნარე სუფევდა - იმ სახლში, სადაც მას ოთხი შვილი შეეძინა. უცნაური გრძნობა კი იყო - იგი იდგა ცოლის ოთახის კართან, შიგნით ცოლს ეძინა, რომლითაც ერთ დროს გატაცებული მაინც იყო, თუ გულით არ უყვარდა, და რომელმაც ახლა "ყელში ამომიხვედიო" უთხრა. ამ ფრაზის გახსენებამ გული გაუკაჟა და ფეხაკრეფით გაშორდა კარს. მაგრამ მეორე კარის წინ გავლა უფრო ძნელი იყო. ამ ოთახში მის გოგო-

ნებს ეძინათ. მოდი სკოლაში იყო, იმოჯინი კი ახლა ალბათ ლოგინში იწვა. ნამძინარევი თვალები დაენამა. ოთხივე ბავშვიდან იმოჯინი ყველაზე მეტად ჰგავდა მას თავისი შავი თმითა და გემრიელი წაბლისფერი თვალებით. უკვე სიმწიფეში შედიოდა და მშვენიერი გოგო იყო. ჩემოდნები ძირს დაუშვა, მამობრივი უფლებების ეს თითქმის ფორმალური ჩამოცილება გულს სტკენდა. სახეს, რომელიც ჭეშმარიტად გულწრფელ მღელვარებას მოეცვა, დილის შუქი უნათებდა. განა ყალბი სინანული, ან რაიმე ამის მსგავსი უმღვრევდა გულს, არამედ წმინდა მამობრივი სიყვარული და იმის მწარე შეგრძნება, რომ ამით "მორჩა და გათავდა". ტუჩები ენით დაისველა. კუბოკრული შარვლის ტოტებში გაყრილი ფეხები წუთით საშინელმა ყოყმანმა და გაუბედაობამ გაუშეშა. მძიმე იყო, საშინლად მძიმე იყო სახლის ასე იძულებით მიტოვება!

- ღმერთმა შეაჩვენოს! - წაიდუდუნა მან, - ვინ იფიქრებდა, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა.

ზემოდან ხმაური ჩამოესმა და მიხვდა, რომ მოსამსახურე გოგოები დგებოდნენ. ისევ დაავლო ჩემოდნებს ხელი და კიბეზე დაეშვა. ლოყები ცრემლებს დაელბო და ეს ცოტათი ამშვიდებდა - თითქოს ერთხელ კიდევ ადასტურებდა, რომ მსხვერპლი წრფელი და ჭეშმარიტი გრძნობით ნაკარნახევი იყო. დაბლა რომ ჩავიდა, ცოტა კიდევ დაყოვნდა - სიგარები ჩაალაგა, რაღაც ქაღალდები დაძებნა, დაჭმუჭნილი ქუდი აიღო, ჯიბეში ვერცხლის პორტსიგარი ჩაიდო და რეფის გზისმაჩვენებელი გადმოიღო. მერე ვისკი შეაზავა სოდიან წყალში და დალია, სიგარეტს მოუკიდა, ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათის წინ შეჩერდა ყოყმანით - ზედ თავისი ორი გოგონა იყო გამოსახული. ეს უინიფრი-

დის საკუთრება იყო. "არა უშავს, - გაიფიქრა მან, - ის კიდევ გადააღებინებს, მე კი ვეღარა", და ჩემოდანში ჩააცურა. ქუდი დაიხურა, პალტო ჩაიცვა, კიდევ ორი პალტო, თავისი საუკეთესო ლერწმის ჯოხი და ქოლგა მოძებნა და სადარბაზო კარი გააღო. მერე ფრთხილად მიხურა კარი, და თავის დღეში რომ არ დატვირთულა, ისეთი ტვირთით ქუჩის მოსახვევისკენ გაემართა - იქ ადრეულ კებს დაელოდებოდა.

ასე დატოვა ორმოცდახუთ წელში გადამდგარმა მონტეგიუ დარტიმ სახლი, რომელსაც თავის საკუთარს ეძახდა.

როცა უინიფრიდი დაბლა ჩავიდა და ქმარი შინიდან წასული დახვდა, პირველი მისი გრძნობა ჩლუნგი გაგულისება იყო - ამდგარა და გაჰქცევია ცოლის საყვედრებს, რასაც იგი მთელი უძილო ღამის განმავლობაში გუდმოდგინებით ამზადებდა! წაიყვანდა ალბათ იმ ქალბატონს და ნიუმარკეტისკენ გაუტევდა ან ბრაიტონისკენ. რა საზიზღრობაა! თავი უნდა შეეკავებინა და იმოჯინისა და მოსამსახურეებისთვის არაფერი ეგრძნობინებინა, თან იმის შიშიც ჰქონდა, მამაჩემის ნერვები ამას ვერ გაუძლებსო... გულმა ვეღარ მოუთმინა და ნაშუადღევს ტიმოთისთან წავიდა, რათა მამიდა ჯულისა და ესთერისთვის გაენდო მარგალიტის დაკარგვის ამბავი. ფოტოსურათის დაკარგვა მხოლოდ მეორე დილას შენიშნა. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ქმრის ნარჩენი ნივთების გულმოდგინე შემოწმებამ დაარწმუნა, რომ იგი სამუდამოდ წასულიყო შინიდან. როცა საბოლოოდ დარწმუნდა ამ ვარაუდში, იგი თავისი საწოლი ოთახის შუაში გაშეშდა, კარადების ყველა უჯრა გამოღებული იყო... იდგა და იმის გაგებას ცდილობდა, ნეტავ რას ვგრძნობო. არა, ეს იოლი საქმე არ იყო! მართალია,

"ყელში ამომიხვედიო", მონტის უთხრა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მისი საკუთრება იყო, და არ შეეძლო თავი გაღატაკებულად არ ეგრძნო. ხუმრობა როდია, ორმოცდაორი წლის ქალი დაქვრივდე, როცა სინამდვილეში ქვრივი არა ხარ, ოთხი ბავშვის ამარა, ყველასგან ყბადაღებული და შეცოდებული. ვიღაც ესპანელ ჭაკს გადაეკიდა და წავიდა. კვლავ გაიღვიძეს მოგონებებმა და გრძნობებმა, რომლებიც მას უკვე გამქრალი ეგონა - ისევ გაცოცხლდნენ მთელი სიმწვავით, სიმძაფრითა და სიცხადით, ანგარიშმიუცემლად მიკეტა კარადების უჯრები, საწოლთან მივიდა, დავარდა და თავი ბალიშებში ჩარგო. არ უტირია. ტირილი რას უშველიდა? როცა საწოლიდან წამოდგა და სასაუზმოდ დაბლა ჩავიდა, მაშინღა მიხვდა, რომ თუ რამე მოუფონებდა გულს, ეს მხოლოდ ვალის შინ ყოფნას შეეძლო. ვალი კი, მისი უფროსი ბიჭი, რომელიც ჯეიმსის ხარჯზე მომავალ თვეს ოქსფორდში უნდა გამგზავრებულიყო, ამჟამად ლიტლჰამპტონში იმყოფებოდა, სადაც თავის რეპეტიტორთან ერთად უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისთვის "უკანასკნელ ზღუდესა" სძლევდა. ეს ტერმინი მამისგან ჰქონდა ნასესხები. მაშინვე დეპეშა გაგზავნა შვილთან.

- ტანსაცმელი უნდა მოვუმზადო, - უთხრა მან იმოჯინს, - ისე ხომ ვერ გავუშვებ ოქსფორდს. იქ ჩაცმულობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

- კოსტიუმების მეტი რა აქვს ვალს! - მიუგო იმოჯინმა.

- ვიცი, მაგრამ მაინც უნდა გავსინჯო. იმედი მაქვს, ჩამოვა.

- ისარივით წამოვა, დედა, მაგრამ ვაითუ გამოცდებზე ჩავარდეს.

- სულერთია, - უთხრა უინიფრიდმა, - უსათუოდ მინდა მისი ნახვა.

იმოჯინმა თავისი გულუბრყვილო თვალები ეშმაკურად შეანათა დედას და გაჩუმდა. სულ მამის საქმეა, რაღა თქმა უნდა! ვალი მართლაც "ისარივით მოფრინდა" ექვს საათზე.

წარმოიდგინეთ ფორსაიტისა და დარდიმანდი ყმაწვილის ნაერთი და თვალწინ პუბლიუს ვალერიუს დარტი დაგიდგებათ. არც შეიძლებოდა სხვანაირი გამოსულიყო ასეთი სახელის პატრონი ყმაწვილი კაცი. როცა დაიბადა, აღზევების სურვილით გაამაყებულმა და ორიგინალობაზე გადამკვდარმა უინიფრიდმა გადაწყვიტა, შვილებისთვის ისეთი სახელები შეერქმია, როგორიც არავის რქმევია (მადლობა ღმერთს, - ახლაღა იტყოდა ხოლმე იგი, - იმოჯინს თისბი არ დავარქვიო). ვალის ამ სახელით მონათვლა კი სულ ჯორჯ ფორსაიტის საქმე იყო, რომელიც მუდამ დიდ ხუმარად ითვლებოდა. თავისი ძისა და მემკვიდრის დაბადებიდან ერთი კვირა იქნებოდა გასული, რომ დარტი ჯორჯისთან ერთად სადილობდა, და მას გაანდო უინიფრიდის მაღალი ზრახვები.

- კატონი დაარქვით, - უთხრა ჯორჯმა, - ნამდვილად პიკანტური სახელი იქნება.

სწორედ იმ დღეს მოეგო ათიანი ცხენზე, რომელსაც თურმე კატონი ერქვა.

- კატონი! - გაიმეორა დარტიმ. ცოტათი შეჭიკჭიკებულები იყვნენ, როგორც იმ დროშიც იტყოდნენ ხოლმე, - ქრისტიანული სახელი რომ არ არის!

- ჰეი, მანდ ვინა ხარ? - გასძახა ჯორჯმა მოკლეშარვლიან ოფიციანტს, - ბიბლიოთეკიდან ბრიტანეთის ენციკლოპედია მოგვირბენინე. ასო - კ.

ოფიციანტმა მოიტანა.

- აჰა! - თქვა ჯორჯმა და სიგარით აჩვენა, - კატონი - პუბლიუს ვალერიუსი, ვირგილიუსისა და ლიდიუსის ნაშიერი. რასაც ეძებდი, სწორედ ის არის. პუბლიუს ვალერიუსი ქრისტიანული სახელია.

შინ რომ დაბრუნდა, უინიფრიდს უთხრა დარტიმ. ქალი სიხარულით ცას ეწია. სწორედ რომ "პენიანი" სახელი იყო! აიღეს, და პუბლიუს ვალერიუსი დაარქვეს, თუმცა მერე და მერე გამოირკვა, რომ ამათ სულ სხვა კატონის სახელი შეერჩიათ. მაგრამ 1890 წელს, როცა პატარა პუბლიუსმა ათ წელს მიაღწია, სიტყვა "პენიანი" მოდიდან გამოვიდა და მისი ადგილი ფხიზელმა გონებამ დაიჭირა. უინიფრიდი ეჭვებმა მოიცვეს. ეს ეჭვები კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა პატარა პუბლიუსი სწავლის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ სკოლიდან დაბრუნდა და დედას შესჩივლა - თავი მომძულდაო. ამხანაგები თურმე პუბის ეძახდნენ. უინიფრიდს ბევრი ჭოჭმანი არ უყვარდა, მაშინვე სხვა სკოლაში შეიყვანა შვილი და სახელიც "ვალით" შეუცვალა, ხოლო პუბლიუსის ინიციალიც კი წაიშალა მის გვართან.

ცხრამეტი წლისა რომ შეიქნა, მოხდენილი ბიჭი დადგა, ჭორფლიანი, დიდი პირი ჰქონდა, ჭროღა თვალები და გრძელი შავი წამწამები, ღიმილი ძალიან შვენოდა, მშვენივრად იცოდა ის, რაც არ უნდა სცოდნოდა და არაფერი გაეგებოდა იმისა, რისი ცოდნაც მისთვის სავალდებულო იყო. მომხიბლავი არამზადა იყო.

სულ გარიცხვით ემუქრებოდნენ. დედას აკოცა, იმოჯინს უჩქმიტა, მერე სამ-სამი საფეხურის გამოტოვებით ავარდა ზემოთ, სასადილოდ ტანსაცმელი გამოიცვალა და ოთხ-ოთხი საფეხურის გამოტოვებით დაეშვა. საშინლად ეწყინა, მაგრამ რას იზამდა - რეპეტიტორმა, რომელიც მასთან ერთად ჩამოვიდა ლონდონს, "ოქსფორდ-კემბრიჯის" კლუბში დაპატიჟა სადილად. წაუსვლელობა არ იქნებოდა - ბერიკაცს გულს ატკენდა. უინიფრიდსაც ეწყინა. მაგრამ თან სიამაყეც იგრძნო, და გაუშვა. გულით უნდოდა შინ ჰყოლოდა შვილი, მაგრამ ისიც ძალიან სასიამოვნო იყო, რომ მასწავლებელი ასეთ პატივსა სცემდა. შინიდან რომ მიდიოდა, იმოჯინს თვალი ჩაუკრა და თქვა:

- იცი რა, დედა, იქნებ ერთი-ორი წინტალას კვერცხი დამახვედროთ... მზარეულს დავუნახე. დიდებული ვახშამი იქნება. ჰო, მართლა, ცოტა ფული ხომ არ გექნება?.. იმ ჩემს ძველ სნობის ვესესხე ხუთიანი.

უინიფრიდმა ალერსიანი საყვედურით გამოხედა და მიუგო:

- ძალიან კი გიყვარს ფულის ფლანგვა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ამაღამ გადახდა მაინც როგორ იქნება, მისი სტუმარი ხარ. რა მშვენიერი და მოხდენილი ჩანს ამ თეთრ ჟილეტში! ეს შავი წამწამებიც როგორ უხდება!

- ვთქვათ, თეატრში წავედით, დედა! მე უნდა ავიღო ბილეთები, ფულზე მუდამ ქესეტად არის ხოლმე.

უინიფრიდმა ხუთგირვანქიანი გაუწოდა და უთხრა:

- კარგი, გადახდა მართლაც აჯობებს ალბათ, მაგრამ ბილეთებს შენ ნუღარ აიღებ.

ვალმა ჩაიჯიბა ხუთგირვანქიანი.

- კიდეც რომ მოვინდომო, არაფერი გამომივა, - მიუგო მან, - ნახვამდის, დედა.

ქუდი ყოყოჩურად გვერდზე მოიქცია, თავი ასწია და გავიდა, ბუნაგიდან ახალგამოშვებული ძაღლივით ხარბად ჩაისუნთქა პიკადილის ჰაერი. ბედიც ამას ჰქვია! იმ დაობებული და ჩამკვდარი სოროს შემდეგ აქ მოხვედრას ეხუმრები!

თავის "მასწავლებელს" შეხვდა, მაგრამ "ოქსფორდ-კემბრიჯში" კი არა, არამედ "თხის კლუბში". ეს მასწავლებელი ერთი წლით მასზე უფროსი თუ იქნებოდა, ეშხიანი ბიჭი, თაფლისფერი თვალები, გადაგლესილი შავი თმა, პატარა პირი, მოგრძო სახე, მიბნედილი, ფაქიზი, უაღრესად ცივი და მშვიდი, ერთი იმ ყმაწვილთაგანი, რომლებიც ძალდაუტანებლად ახდენენ ხოლმე თავიანთ ტოლებზე მორალურ გავლენას. ვალზე ერთი წლით ადრე ძლივს გადაურჩა სკოლიდან გარიცხვას, ის წელიწადი ოქსფორდში გაატარა და ვალს შარავანდმოსილი მოეჩვენა. კრუმი ერქვა და კაციშვილს ვერ შეხვდებოდი, მასზე ჩქარა შესძლებოდეს ფულის ფლანგვა. თითქოს ამის მეტი არაფერი მიზანი არა ჰქონოდეს ცხოვრებაში - და ეს ერთიანად აბრმავებდა ახალგაზრდა ვალს, რომლის არსებაშიც ზოგჯერ ფორსაიტის სისხლიც გაიღვიძებდა, და გაიკვირვებდა ხოლმე - ნეტავ რაში ვხარჯავთ ამდენ ფულსო.

დამშვიდებულად ისადილეს, გემოვნებითა და სტილის დაცვით, თითო ბოთლი ღვინო დალიეს, სიგარები გააბოლეს, კლუბიდან გამოვიდნენ და "ლიბერტიში" შეუხვიეს, პარტერში აიღეს ბილეთები. კომიკური სიმღერების სილაღე, კოხტა ფეხების ცქერის სიამოვნება ვალისთვის ჩამუქებული და გაუგემურებული

იყო თავიდან მოუშორებელი შიშის გამო - ჩემს დღეში კრუმის ძალდაუტანებელ დენდიზმს ვერ მივაღწევო. მიუღწეველი იდეალი აღმართოდა წინ და რაღა თქმა უნდა, მოსვენებული ვერ იქნებოდა. მართლაც და, პირი ყურებამდე ჰქონდა გახლეჩილი, ჟილეტი - ულაზათოდ გამოჭრილი, შარვალი - ქობაშემოუვლებელი; და არც სუმბულისფერ ხელთათმანზე ჰქონდა გავლებული შავი გვირისტი. გარდა ამისა, ბევრი სიცილიც ვერ მოიშალა, კრუმი სულაც არ იცინოდა, გაღიმება იცოდა - გადაჭიმული შავი წარბები ოდნავ აეწეოდა და ჩამოშვებულ წამწამებს შვეული სახურავივით დაადგებოდა. არა! კრუმს რას გაუტოლდება! წარმოდგენა კი მართლაც რომ მხიარული აღმოჩნდა, და ცინთია დარკიც დიდებული იყო. შესვენებებზე კრუმი ცინთიას პირად ცხოვრებას აცნობდა თავის "მოწაფეს", და ვალი გულისტკივილით მიხვდა, რომ კრუმს, თუ მოიწადინებდა, კულისებშიც შეეძლო შესვლა. კინაღამ წამოსცდა, მეც წამიყვანეო, მაგრამ თვითონ გრძნობდა, რომ სრულყოფილი კაცი ვერ იყო, და თავი შეიკავა. ასე რომ, ბოლო ორი მოქმედება ჩაშხამდა. თეატრიდან რომ გამოდიოდნენ, კრუმმა უთხრა:

- თეატრების დაკეტვამდე ნახევარი საათი კიდევ დარჩა, მოდი, "პანდემონიუმშიც" წავიდეთ.

ასიოდე იარდის გასავლელად ეტლი აიყვანეს და თითო ადგილში შვიდი შილინგი და ექვსი პენი გადაიხადეს, რადგან ფეხზე მდგარი უნდა წასულიყვნენ. ეტლიდან ჩამოვიდნენ და ვესტიბიულში შევიდნენ. სწორედ ასეთ წვრილმანებზე დაუდევარ ფულის ხარჯვაში გამოიხატებოდა კრუმის მომხიბლავი დარდიმანდობა. ბალეტი უკვე მთავრდებოდა, თან უკანასკნელი სპექტაკლი მი-

დიოდა იმ ღამეს, და ამიტომ დარბაზში ტევა აღარ იყო. ქალები და კაცები სამ მწკრივად მიხორხლილიყვნენ მოაჯირთან. სცენაზე დატრიალებულმა გრიგალმა და ელვარებამ, დარბაზის ბინდბუნდმა, თამბაქოს და დედაკაცების ნელსაცხებლების ერთმანეთში არეულმა სუნმა, და გასართობი ადგილებისთვის დამახასიათებელმა სასიამოვნოდ გამაბრუებელმა არევ-დარევამ ვალი თანდათანობით გაათავისუფლა იდეალის ტყვეობისგან. მან აღტაცებით ჩახედა სახეში ვიღაც ახალგაზრდა ქალს, მაგრამ რა ნახა, არც ისე ახალგაზრდა ყოფილაო, ხელადვე მოაბრუნა თავი, ცინთია დარკის ფრჩხილად არ ღირან! უცებ ახალგაზრდა ქალს მკლავი მოუხვდა მის ხელზე. მაშინვე მუშკისა და რეზედის(რეზედა (ფრანგ.) - ბაღის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე. აქვს სურნელოვანი წვრილი ყვავილი სხვადასხვა ფერისა.) სუნი ეცა. ვალმა ცერად გახედა ქალს. არა, ახალგაზრდა უნდა იყოს. ქალს მის ფეხზე ფეხი მოუხვდა და ბოდიში მოუხადა, ვალმა მიუგო:

- არა უშავს. მშვენიერი ბალეტია, არა?

- ოჰ, მე კი მომბეზრდა და! თქვენ არ მოგბეზრდათ?

ახალგაზრდა ვალმა გაიღიმა - თავისი გაშლილი, მომხიბლავი ღიმილით. ამაზე შორს აღარ შეუტოპავს - არ იყო საკმაოდ დარწმუნებული. მის არსებაში მომჩქეფარე ფორსაიტის სისხლი მეტ გულდაჯერებას მოითხოვდა.

სცენაზე კი, თითქოს კალეიდოსკოპიაო, ელვის სისწრაფით იცვლებოდა ფერები - ქათქათა თეთრი, მონარინჯისფრო ვარდისფერი, ზურმუხტისფერი, იისფერი, და უცებ ყველაფერი თვალისმომჭრელ პირამიდად გაიყინა. იგრიალა ტაშმა. სპექტაკლი დამთავრდა. წაბლისფერმა ფარდამ სცენა დახურა. მჭიდროდ

შეკრული ნახევარწრე მამაკაცებისა და ქალებისა წამოიშალა და მოაჯირისკენ გადაიხარა, ახალგაზრდა ქალის მკლავი ვალის მკლავს მიესრისა; ოდნავ მოშორებით, ვიღაც მამაკაცის გარშემო, რომელსაც გულზე ვარდისფერი მიხაკი დაებნია, ხალხი შეჩოჩქოლდა; ვალმა კვლავ გააპარა თვალი ახალგაზრდა ქალისკენ, რომელიც იქითკენ იყურებოდა. სამ მამაკაცს ერთმანეთისთვის მკლავში ხელი გაეყარათ და მობარბაცებდნენ. შუაში მდგომს ვარდისფერი მიხაკი ებნია, თეთრი ჟილეტი ეცვა და შავი ულვაში ჰქონდა, ცოტათი ფეხს ურევდა. კრუმმა თავისი წყნარი და თანაბარი ხმით წარმოთქვა:

- იმ ხეპრეს შეხედე, როგორ გალეშილა!

ვალმა იქითკენ მიიხედა, "ხეპრემ" ხელი გაითავისუფლა და თითი პირდაპირ მათკენ მიაშვირა.

- ეტყობა, გიცნობს! - უთხრა კრუმმა ჩვეული სიმშვიდით.

- ჰეი! - შესძახა "ხეპრემ", - აქეთ მოიხედეთ, ყმაწვილებო! იმ არამზადას ხომ ხედავთ, - ჩემი ბიჭია!

ვალმა დაინახა. მამამისი იყო! ერჩივნა მიწა გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო. განა იმიტომ, რომ ასეთ ადგილას შეხვდა, არც იმიტომ, რომ გალეშილი იყო მამამისი. არა, კრუმის სიტყვა მოხვდა გულზე - "ხეპრე!" თითქოს ცა გაიხსნაო - მას ერთბაშად ენიშნა სიმართლე. დიახ, მართლაც ხეპრეს ჰგავდა მამამისი - ეს შავგვრემანი, ლამაზი სახე, ვარდისფერი მიხაკი, მოშვებული და თავდაჯერებული სიარული! კრინტიც არ დაუძრავს, ახალგაზრდა ქალის ზურგს მოეფარა, დაყვინთა და დარბაზიდან გაიძურწა. მოესმა, როგორ დაუძახეს, მაგრამ უკან არ მოუხედავს, სწრა-

ფად ჩაირბინა სქელნოხდაფენილი კიბე და პირდაპირ სკვერში გავარდა.

ყმაწვილი კაცისთვის ალბათ იმაზე მწარე არაფერი იქნება, როგორც მშობელი მამის გამო დარცხვენა. თავქუდმოგლეჯით გამოქცეულ ვალს ეჩვენებოდა, რომ მის კარიერას დასაწყისშივე დაესვა წერტილი. რა პირით უნდა წავიდეს ახლა ოქსფორდში, როგორ გაერიოს იმ ჭაბუკებში, კრუმის ბრწყინვალე მეგობრებში, რომლებიც ალბათ გაიგებენ, რა "ხეპრე" მამა ჰყოლია! და უცებ კრუმიც შესძულდა. ვინ ჯანდაბაა ეს კრუმი? უცებ მის გვერდით რომ გაჩნდეს კრუმი, ხელსა ჰკრავს და ტროტუარიდან გადაუძახებს. მამა - მშობელი მამა! ყელში რაღაცამ წაუჭირა და ხელები ღრმად ჩააცურა პალტოს ჯიბეში. ჯანდაბას კრუმის თავი! უცებ ველური სურვილი დაებადა - უკანვე გაქცეულიყო, მამისთვის მკლავში ხელი გამოედო და კრუმის წინ გაევლო. მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და პიკადილისკენ დაუყვა. გზა ახალგაზრდა ქალმა გადაუღობა.

- ძალიან გაბრაზებული ჩანხარ? ძვირფასო!

ვალი შეცბა, ქალს თავი აარიდა და ხელადვე დამშვიდდა. კიდევ თუ დაუძრავს კრუმს ამაზე კრინტი, მაშინვე გოგრაში ჩააფარებს და საბოლოოდ დაუკარგავს ლაპარაკის ხალისს. ასიოდე იარდი გაიარა, ამ ფიქრით გული დაიმშვიდა, მაგრამ ისევ წამოუარა და კვლავ დაკარგა სულიერი სიმშვიდე. ეხუმრები?! სკოლა გაახსენდა: როცა ვისიმე მშობელი თვალში არ მოუვიდოდათ, შემდეგ მოსვენება აღარ ჰქონდა იმ ბავშვს. ეგ ისეთი რამაა, რომ ვეღარასოდეს მოიცილებ. თუკი ასეთი "ხეპრე" იყო მამამისი, ნეტავ რაღას გაჰყვა დედა ცოლად?! საშინელი უსამართლობაა -

დიდი უსინდისობა, როცა კაცს "ხეპრეს" შვილად დაგსახავენ. ყველაზე უფრო ცუდი კი ის იყო, რომ, როცა კრუმმა ეს სიტყვა წამოიძახა, ვალს მაშინვე ენიშნა - ქვეცნობიერად იგი ადრევე გრძნობდა, რომ მამამისი მთლად წმინდა კაცი არ ყოფილა. ამისთანა საშინელი რამ ჯერაც არაფერი შემთხვევია. არც არავის შემთხვევია ასეთი საშინელება. და, თავის დღეში რომ არ ახსოვს, ისეთი გულდამძიმებული, გრინსტრიტზე გავიდა და მოპარული გასაღებით სახლის კარი გააღო. სასადილო ოთახში მადისაღმძვრელად მომზადებულ კვერცხები, რამდენიმე ნაჭერი პური და კარაქი ელოდა, სურის ფსკერზე კი - ცოტაოდენი ვისკი, სწორედ იმდენი, რაც, უინიფრიდის აზრით, საკმარისი იქნებოდა, რომ თავი კაცად ეგრძნო. ამეების დანახვაზე გული აერია და პირდაპირ ზემოთ ავიდა.

უინიფრიდმა გაიგონა მისი ნაბიჯები და გაიფიქრა: "მოვიდა ჩემი საყვარელი ბიჭი. ღმერთო, შენ გმადლობ! მამის გზას თუ დაადგა, მაშინ აღარ ვიცი, რა მეშველება! მაგრამ არა - მე მგავს, ჩემი საყვარელი ვალი!"

თავი მესამე

სომსი რამეს გადაწყვეტს

სომსი თავისი დის პატარა სასტუმრო ოთახში შევიდა, რომელიც ლუდოვიკო მეთხუთმეტის სტილზე იყო მორთული. აივანიც პატარა ჰქონდა ამ ოთახს - ზაფხულობით აყვავებული ნემსიწვერით შემკული, ახლა კი ქოთნებით ლILIUM AURATUM-ი ჩაემწკრივებინათ. სომსს ერთბაშად გული გადაუქანდა - კაცის ჭაჭანება არ ჩანდა სახლში. ისევე დახვდა ყველაფერი, როგორც ამ ოცდაერთი წლის წინ, როცა პირველად ეწვია ახალდაქორწინებული დარტის ოჯახს. მორთულობა თვითონვე შეარჩია, და ისე საგულდაგულოდ, რომ მერე შეძენილ ნივთებს ოთახის საერთო იერი აღარ შეუცვლია. დიახ, მშვენივრად მოაწყო თავისი და, ეს საჭიროც იყო ქალისთვის. უინიფრიდის კარგ ქალობას უნდა მიეწეროს, რომ დარტისთან ამდენი ხნის ცხოვრების შემდეგაც სახლის მორთულობა ძველებურადვე შეინარჩუნა. სულ პირველად სომსმა შენიშნა დარტის ნამდვილი ბუნება, რასაც მოჩვენებითი კაიკაცობით, SAVOIL FAIRE-თი((ფრანგ.) - საქმიანობა, ფხიანობა.) და მოხდენილი გარეგნობით ფარავდა, და რამაც დააბრმავა უინიფრიდიც, დედაცა და თვით ჯეიმსიც კი, რომელთაც საბე-

დისწერო ნაბიჯი გადადგეს - ამ ვაჟბატონს ქალი მიათხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ სახლში არაფერი შემოუტანია.

ჯერ ოთახის მორთულობა შენიშნა სომსმა და მერე უინიფრიდი, რომელიც თავის ბიურო-ბულს(ბიურო-ბული - საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ეს კარის ოსტატ-მეავეჯის სახელი (ბული) ჰქვია წითელი ხის ავეჯის სტილს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინკრუსტაცია სხვადასხვა მასალით. აქ: ამ სტილით დამზადებული ბიურო (ფრანგ.), ანუ საწერი მაგიდა.) მისჯდომოდა და ხელში რაღაც წერილს ატრიალებდა. წამოდგა და ძმას შეეგება. სომსის სიმაღლე იყო, მსხვილყვრიმალიანი, დიდებულად ჩაცმული, მაგრამ მისმა გამომეტყველებამ ძმა შეაშფოთა. ქალმა ჯერ დაჭმუჭნა წერილი ხელში, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, გადაიფიქრა და სომსს გაუწოდა: იგი მისი ძმაც იყო და რწმუნებული ვექილიც.

სომსმა გაშალა აისიუმკლუბის ქაღალდზე დაწერილი ბარათი და წაიკითხა:

"მორჩა, ვეღარასოდეს მოახერხებთ ჩემს დამცირებას ჩემივე საკუთარ სახლში. ხვალ ინგლისიდან მივემგზავრები. ყველაფერი გათავდა. ამდენ შეურაცხყოფას ვეღარ ავიტან. თქვენივე თავს დააბრალეთ. ოდნავ თუ მაინც სცემს კაცი თავს პატივს, ამას ვერ მოითმენს, მეტს აღარ შეგაწუხებთ. მშვიდობით. გოგოების ფოტოსურათი თან მიმაქვს. სიყვარულით მომიკითხეთ. სულაც არ ვინაღვლი, თქვენი ნათესავები რას იტყვიან. მაგათი ბრალია ყველაფერი. მინდა ახალი ცხოვრება დავიწყო.

მ. დ."

ბარათს, რომელიც ნასადილევს იყო დაწერილი, ჯერ კიდევ შეუმშრალი ლაქა აჩნდა. სომსმა უინიფრიდს გადახედა - აშკარა

იყო, ეს ლაქა მისი ცრემლი უნდა ყოფილიყო; და დროზე მოასწრო სათქმელად გამზადებული სიტყვების გადაყლაპვა - "მადლობა ღმერთს!" მერე უცებ გაჰკრა თავში - ეს წერილი უინიფრიდს ისეთსავე მდგომარეობაში აგდებს, რისგანაც თავდასაღწევად მე ამდენს ვწვალობო - ესე იგი, მეუღლეგაცილებული ფორსაიტის მდგომარეობაში.

უინიფრიდი განზე მიბრუნებულიყო და ოქროსსაცობიან პატარა შუშას ყნოსავდა. სომსის გულში უცებ დაჩლუნგებული სიბრალული და შეურაცხყოფის გაურკვეველი გრძნობა შეუცოცდა. აქ იმიტომ მოვიდა, რომ საკუთარი გასაჭირი შეეჩივლა და თანაგრძნობა ეპოვა, უინიფრიდი კი თვითონვე ჩავარდნილა ამ დღეში, სხვისთვის სადღა სცხელა - მასვე სჭირდება ლაპარაკით გულის მოოხება და ძმის თანაგრძნობა! მუდამ ასე არ არის! აბა, თუ ვინმეს მოუვა თავში, რომ ამ კაცს საკუთარი გასაჭირი და ინტერესები აქვს! ბარათი ისე დაკეცა, რომ ლაქა შიგნით მოაქცია, და თქვა:

- რა მოხდა? ეს რას ნიშნავს?

უინიფრიდმა დამშვიდებით უამბო მარგალიტის ამბავი.

- როგორ გგონია, ნამდვილად წავიდოდა, სომს? ხომ ხედავ, რა დღეში ყოფილა, როცა ამ წერილს წერდა?!

როცა გულით ეწადა სომსს რაიმე, განგებას მოიშველიებდა ხოლმე, თითქოს არ სჯერა საქმის კარგად დაბოლოებისო. ახლაც დას უპასუხა:

- არა მგონია. შემიძლია მას კლუბში მივაკითხო.

- ჯორჯი თუ დაგხვდა იქ, ალბათ ეცოდინება, - უთხრა უინიფრიდმა.

- ჯორჯი? - გაიმეორა სომსმა, - სწორედ დღეს ვნახე დასაფლავებაზე.

- მაშ, ნამდვილად კლუბში იქნება.

სომსმა, რომლის საღი გონება უნებურად იწონებდა ხოლმე დის გამჭრიახობას, ახლა უხალისოდ უთხრა:

- კარგი, ახლავე წავალ. ლეინპარკზე ხომ არაფერი შეატყობინე?

- ემილის ვუთხარი, - მიუგო უინიფრიდმა, რომელიც კვლავ ინარჩუნებდა "პეწიან" ჩვეულებას და დედას სახელით ახსენებდა, - მამას ელდა არ ეცეს-მეთქი, შემეშინდა.

მართლაც, ყოველგვარ საწყენს გულმოდგინედ უმალავდნენ ხოლმე ახლა ჯეიმსს. სომსმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ოთახის მორთულობა, თითქოს დის ნამდვილი მდგომარეობა სურს გაზომოსო, და პიკადილისკენ გასწია. გარეთ უკვე საღამოს ბინდი წვებოდა - ოქტომბრის ნისლის სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. მუდამ თავშეკავებული და გულჩათხრობილი სომსი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. ჩქარა უნდა მორჩეს ამ საქმეს - დღეს სოჰოში აპირებდა სადილობას. როცა აისიუმის მეკარემ შეატყობინა, მისტერ დარტი დღეს არ გამოჩენილაო, სომსმა სახეში შეხედა ამ სანდო კაცს, და მისტერ ჯორჯ ფორსაიტი თუ არის აქაო, გადაწყვიტა ეკითხა. იქ აღმოჩნდა. სომსი მუდამ ამრეზით უყურებდა თავის ბიძაშვილს, - ეჩვენებოდა, მასხრად მიგდებსო. მაგრამ ამჟამად თავი დაიმშვიდა, მამა ახლახან მოუკვდაო, და მსახურს გაჰყვა. კაი ოცდაათი ათასს მიიღებს, ალბათ, იმის გარდა, რაც როჯერს დაბანდებული ჰქონდა. ჯორჯი თაღიან ფანჯარასთან მისჯდომოდა სუფრას და სანახევროდ მოსუფთავებულ ფუნთუ-

შის თეფშს შეჰყურებდა. მისი შავად შემოსილი, მაღალი და მოუხეშავი ტანი თითქოს გამომწვევ მუქარას აფრქვევდა, მაგრამ სპორტსმენის არაბუნებრივ სიკოხტავეს მაინც ინარჩუნებდა. მსუქან სახეზე ოდნავ შესამჩნევი დაცინვის ღიმილი გაეშალა და სომსს მიმართა:

- ჰელოუ, სომს! ფუნთუშებზე არ დამეწვევი?

- არა, მადლობელი ვარ, - წაიბურტყუნა სომსმა და ხელში ქუდის ტრიალს მოჰყვა, ისეთი სიტყვების შერჩევას ცდილობდა, რაც დროის შესაფერისი და თანაგრძნობის გამომხატველი იქნებოდა, - დედა როგორ არის?

- გმადლობ, - უპასუხა ჯორჯმა, - არა უშავს. საუკუნეები გავიდა, რაც არ მინახავხარ. დოღზე აღარ დადიხარ. სიტიში რა ამბებია?

სომსმა ხელად იყნოსა, რომ მისი მასხარად აგდება მზადდებოდა, ამიტომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და ეს უთხრა:

- დარტის ამბავი მინდა გკითხო. გავიგე, რომ...

- მოუსვა! მზეთუნახავ ლოლას გაჰყვა ბუენოს-აირესში. ბედს ეწივნენ უინიფრიდიცა და პატარა დარტებიც. მაგასთან გაძლება იქნება?!

სომსმა თავი დაუქნია. ხომ ასე სძულდათ ერთმანეთი ბიძაშვილებს, დარტიზე რომ მიდგებოდა საქმე, მაშინვე ნათესაური გრძნობა შეაკავშირებდათ ხოლმე.

- ძია ჯეიმსს აწი მშვიდად დაეძინება, - დაასკვნა ჯორჯმა, - შენც კი ბევრი მოგხვდა, მგონი, მისგან.

სომსმა გაიღიმა.

- შენ შორიდანვე კარგად განჭვრიტე, - უთხრა ჯორჯმა მეგობრული კილოთი, - ნამდვილი ცერცეტია. ვალს ახლა განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მუდამ მეცოდებოდა ხოლმე უინიფრიდი. ყოჩაღი ქალია.

სომსმა კვლავ დაუქნია თავი.

- უნდა მივბრუნდე მასთან, - თქვა მან, - დანამდვილებით სურდა გაგება. ახლა უკვე შეგვიძლია რამე ვიღონოთ. მგონი, არაფერი არ უნდა გვეშლებოდეს.

- წყალი არ გაუვა, - მიუგო ჯორჯმა. ათას ამისთანა უცნაურ გამოთქმას იგონებდა, მაგრამ მერე სხვებს მიაწერდა ხოლმე, - წუხელ ისე გაილეშა, ღმერთიც აღარ ახსოვდა, მაგრამ ამ დილით მაინც წავიდა. "ტუსკარორას" გაჰყვა, - მერე ბარათი ამოიღო და დაცინვით წაიკითხა:

- მისტერ მონტეგიუ დარტი, მოკითხვამდე, ბუენოს-აირესი. შენს ადგილზე რომ ვიყო, აღარ დავაყოვნებდი და ჩქარა ვიმოქმედებდი. წუხელ პირდაპირ ტვინი გამომილაყა.

- მართალი ხარ, - მიუგო სომსმა, - მაგრამ არც ასე ადვილია ეგ საქმე, - მერე ჯორჯს თვალებში შეატყო, რომ ამ ამბავმა მისი საქმე გაახსენა, მაშინვე წამოდგა და ხელი გაუწოდა. ჯორჯიც ადგა.

- უინიფრიდი მომიკითხე, მე თუ მკითხავ, ახლავე უნდა მოუგვარო გაყრის საქმე.

კარიდან რომ გამოდიოდა, სომსმა ერთხელ კიდევ მიიხედა და ცერად გახედა. ჯორჯი დამჯდარიყო და თავი ჩაეღუნა. შავ ტანსაცმელში ვეება და ეულად შთენილი ჩანდა. სომსს თავის დღეში არ ენახა იგი ასე მოთვინიერებული. "წუხს, ეტყობა, - გაიფიქრა მან, - თითოს ალბათ ორმოცდაათი ათასამდე შეხვდებოდა. ჯობ-

და არ გაენაწილებინათ. ომი რომ დაიწყოს, მოძრავი ქონების ფასი ხელად დაეცემა. თუმცა ძია როჯერი წინდახედული კაცი იყო". და ჩაბნელებულ ქუჩაში კვლავ ანეტის სახე დაუდგა თვალწინ. მისი წაბლისფერი თმა, მისი ლურჯი თვალები და შავი წამწამები, მისი ქორფა ტუჩები და ღაწვები - თითქოს ცვარნაპკურები და შეფაკლული, ლონდონის ამინდის მიუხედავად; მისი კოხტა ფრანგული ტანი... "არ დავაყოვნებდი!" გუნებაში გაიმეორა სომსმა. უინიფრიდის სახლს რომ მიუახლოვდა, ვალი შემოხვდა, და შინ ერთად შევიდნენ. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა სომსს. აირენის მეურვე - თავისი ბიძაშვილი ჯოლიონია. პირველად სწორედ რობინჰილისკენ უნდა გაემართოს და ჯოლიონი მოინახულოს. რობინჰილი! უცნაური, ძალიან უცნაური გრძნობები გაუღვივა ამ სიტყვებმა. რობინჰილი - სახლი, რომელიც ბოსინიმ აუშენა აირენსა და მას; სახლი, რომელშიც ერთი დღეც არ გაუთენებიათ - საბედისწერო სახლი! ახლა ჯოლიონი ცხოვრობს იქ. და უცებ გაჰკრა თავში: ამბობენ, ოქსფორდში ჰყავს შვილიო! რა იქნება, ვალიც წაიყვანოს და გააცნოს. საბაბადაც კმარა! იმდენად თვალში საცემი აღარ იქნება, სულაც არ იქნება თვალში საცემი! - კიბეს რომ ადიოდნენ, ვალს უთხრა:

- ოქსფორდში შენ ბიძაშვილი გყავს. ერთხელაც არ შეხვედრიხარ. ხვალ წაგიყვან მასთან სახლში და გაგაცნობ. გამოგადგება.

რაკი ვალს დიდი სიხარული არ გამოუმჟღავნებია, სომსი აღარ მოეშვა.

- ნასაუზმევს გამოგივლი. ქალაქგარეთ ცხოვრობს - არცთუ ისე შორს. გაერთობი კიდეც.

სასტუმრო ოთახის ზღურბლზე რომ შედგა ფეხი, მაშინღა გაახსენდა, რომ ახლა მას საკუთარ თავზე ზრუნვა კი არ მართებდა, არამედ უინიფრიდისთვის უნდა ეღონა რამე.

უინიფრიდი კვლავ თავის ბულ-ბიუროს უჯდა.

- მართალი აღმოჩნდა, - უთხრა სომსმა, - ბუენოს-აირესში წასულა ამ დილით. მეთვალყურე უნდა მივუჩინოთ საჩქაროდ, რომ გემიდან ჩამოსვლისთანავე ნახოს. ახლავე მივცემ კაბლოგრამას,(კაბლოგრამა (ფრანგ.) - წყალქვეშა კაბელით გადაცემული ტელეგრამა (დეპეშა).) თორემ მერე ქვეყნის ფული დაგვიჯდება. ამისთანა საქმეს, რაც უფრო მალე მორჩები, მით უკეთესი. სულ ის არა მაქვს სანანებლად, რომ მე თვითონ... - გაჩუმდა და მდუმარე უინიფრიდს ცერად გადახედა, - ჰო, მართლა, - განაგრძო მან, - მისი მხეცობა თუ შეგიძლია რითიმე დაამტკიცო?

უინიფრიდმა უსიცოცხლოდ უპასუხა:

- რა ვიცი. მხეცობა რას ნიშნავს?

- იქნებ ხელი შემოგკრა, ან ასეთი რამე.

უინიფრიდს შეაჟრჟოლა და ნიკაპი გამოეზნიქა.

- მკლავი გადამიგრიხა. იქნებ ისიც კმაროდეს, რევოლვერი რომ დამიმიზნა?.. ანდა, ისე რომ გაილეშებოდა ხოლმე, ტანსაცმლის გახდის თავიც აღარ ჰქონდა... იქნებ... მაგრამ არა, ბავშვებს ვერ გავრევ ამ საქმეში.

- ჰო, - თქვა სომსმა, - ვერ გავრევ. საოცარია პირდაპირ! კანონიერი გაყრაც შეიძლება, მოვახერხებ კიდეც. მაგრამ გაყრა!..

- ეს რაღას ნიშნავს? - ჰკითხა სასოწარკვეთილმა უინიფრიდმა.

- ეს იმას ნიშნავს, რომ არც იმას ექნება შენი შეხების უფლება და ვერც შენ შეეხები; გაყრილები არ გერქმევათ, მაგრამ სინამდვილეში გაყრილები იქნებით, - კვლავ ჩაიბურტყუნა რაღაც. ბოლოს და ბოლოს, რაღა ესა და რაღა მისი გასაჭირი, ოღონდ ეგ არის, რომ ამას კანონიერი ერქმევა. არა, ასეთ დღეში ვერ ჩააგდებს თავის დას.

- ოფიციალურად უნდა გაიყაროთ, - მტკიცედ უთხრა მან, - თუ მხეცურ მოპყრობაზე არ გინდა უჩივლო, გამოდის, რომ თვითონვე მიგატოვა. ახლა ვადის შემცირებაც შეიძლება - ორი წელი არც კია საჭირო. განცხადების შეტანაა საჭირო სასამართლოში, რომ ცოლის უფლებები აღიდგინო. თუ სასამართლოში არ გამოცხადდა, ექვს თვეში გაყრის ქაღალდს მიიღებ. დარწმუნებული ვარ, მის უკან დაბრუნებას აღარც შენ ისურვებ. ოღონდ სასამართლომ არ უნდა გაიგოს ეს. ცოტა სარისკო კია - ვაითუ დაბრუნდეს. მე ისევ მხეცურ მოპყრობაზე ჩივილს ვარჩევდი.

უინიფრიდმა თავი გააქნია.

- ეგ ხომ პირუტყვობა გამოვა.

- რა გაეწყობა, - ჩაიბურტყუნა სომსმა, - ჯერ კიდევ არ იქნება დიდი რისკი, ვიდრე ასე თავდავიწყებით შეყვარებულია და ფულიც არ გამოლევია. ოღონდ კრინტს ნუ დაძრავ ნურავისთან და მისი ვალის გადახდასაც ნუ მოჰყვები.

უინიფრიდმა ამოიხვნეშა. ხომ იმდენ სიმწარესა სცდიდა, მაგრამ ეს დანაკლისი მაინც მძიმე აღმოჩნდა მისთვის. ხოლო იმის გაფიქრებამ, რომ მონტის ვალი აღარ უნდა ეხადა, ეს გრძნობა კიდევ უფრო დაუმძიმა და გაუცხოველა. ცხოვრებას თითქოს მთელი სიმდიდრე მოაკლდა. ახლა პირისპირ უნდა დასდგომოდა

ცხოვრებას - უმონტოდ, უმარგალიტებოდ... აღარც ის შინაგანი გრძნობა ექნებოდა, ოჯახური სივაგლახე ვაჟკაცურად გადამაქვსო. მართლაც რომ განწირულად მიიჩნევდა თავს.

სომსმა შუბლზე აკოცა, და ამ ცივ კოცნაში იმაზე მეტი სითბო ჩააქსოვა, ვიდრე საერთოდ იყო ჩვეული.

- ხვალ რობინჰილზე მივდივარ, - უთხრა მან, - ახალგაზრდა ჯოლიონი უნდა ვნახო. მაგისი ბიჭი ოქსფორდშია. ვიფიქრე, ვალსაც თან წავიყვან-მეთქი - გავაცნობდი. შაბათ-კვირაზე შელტერში ჩამოდი ჩემთან, ბავშვებიც ჩამოიყვანე. ო, თუმცა არა, ვერ მოხერხდება; ვიღაცას ველოდები.

ეს რომ უთხრა, გაბრუნდა და სოჰოსკენ გაემართა.

თავი მეოთხე

სოჰო

იმ ამალგამის ყოვლად უცნაურ და ხუსტურიან უბანთა შორის, რასაც ლონდონს ეძახიან, ფორსაიტების სულს ყველაზე ნაკლებ სოჰო ეგუებოდა. "სოჰო! ჩემო საყვარელო!" შესძახებდა ალბათ ჯორჯი, თავისი ბიძაშვილი რომ დაენახა იქითკენ მიმავალი. ბერძნებით, მუსლიმანებით, კატებით, იტალიელებით, ტომატით, რესტორნებით, არღნით, ჭრელაჭრულებით, ზემო სართულების ფანჯრებზე გადმომდგარი უქნარებით სავსე ეს ბინძური უბანი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას სულაც არ ეხამება. მაგრამ თავისებული მესაკუთრული ინსტინქტები ამ უბანსაც აქვს, და ისე მაგრადაც, რომ საიჯარო გადასახადმა აქ კარგა მაღლა აიწია, მაშინ როდესაც სხვაგან სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა. მრავალი წლის განმავლობაში სომსის სოჰოსთან ნაცნობობა, ამ უბნის დასავლეთ ბასტიონით - უორდერსტრიტით განისაზღვრებოდა. ბევრი სარფიანი საქმე ჰქონდა იქ სომსს. ბოსინის სიკვდილისა და აირენის შინიდან გაქცევის შემდეგაც, ბრაიტონში გატარებული შვილი წლის განმავლობაშიც კი არ აუღია ხელი აქ განძეულის შეძენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ განძეულის შესანახი ადგილიც აღარ ჰქონდა, რადგან ცოლის

გაქცევაში საბოლოოდ დარწმუნებულმა, მონტპელიესკვერზე ასეთი განცხადება გამოაკვრევინა:

იყიდება

ამ მშვენიერი სახლის შეძენის პირობებზე მიმართეთ

ბ-ნ ლესონსა და ქ-ნ ტიუკს.

კოურტსტრიტი, ბელგრევია.

და ერთი კვირა არც გასულიყო, რომ გაიყიდა კიდეც - ეს მშვენიერი და უნაკლო სახლი, რომლის სახურავქვეშ ისე უბედურად გამოიღრღნა მამაკაცისა და ქალის გულები.

იანვრის ერთ ბურუსიან საღამოს, განცხადების დაფის ჩამოხსნამდე, სომსი ერთხელ კიდევ მივიდა იქ, მოედნის მოაჯირს მიაწვა და სახლის ჩაბნელებულ ფანჯრებს ახედა - თან კი მესაკუთრული მოგონებების რეზინს ღეჭავდა, რაც ახლა განსაკუთრებით მწარე გემოს უტოვებდა პირში. რატომ არ უყვარდა იგი აირენს? რატომ? აკი რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აძლევდნენ. და სამი გრძელი წლის განმავლობაში სომსიც იღებდა ყველაფერს, რასაც ინატრებდა... გარდა ქალის გულისა, რაღა თქმა უნდა. უნებურად ამოიგმინა, და გვერდით ჩავლილმა პოლიციელმა დაეჭვებით გადახედა. რადგან ახლა მას უფლებაც აღარ ჰქონდა ამ მწვანე ჭიშკარში შესვლისა, რომელზედაც დაფა გაეკრათ, ხოლო დაფაზე ეწერა - "იყიდება!" ყელში თითქოს რაღაცამ წაუჭირა, სწრაფად მოშორდა აქაურობას და ნისლს შეერია. იმავე საღამოს გადასახლდა ბრაიტონში...

იგი ახლა სოჰოში იყო, უახლოვდებოდა მალტასტრიტს, რესტორან "ბრეტანს", სადაც ანეტის მშვენიერი მხრები ალბათ საანგარიშო წიგნზე დახრილა... უახლოვდებოდა და თან გაოცებით

იგონებდა ბრაიტონში გატარებულ შვიდ წელიწადს. რამ გააძლებინა ამდენი ხანი ქალაქში, სადაც ბარდის სუნსაც კი ვერ იყნოსავ კაცი და იმის ადგილიც არ ჰქონდა, რომ თავისი განძეული გამოეფინა! მართალია, ეს ისეთი წლები იყო, როცა თავისი განძეულით დატკბობისთვის არცა სცხელოდა - წლები გამწარებული ფულის კეთებისა, როცა "ფორსაიტ-ბასტარდ-ფორსაიტის" კომპანიას იმდენ სააქციო საზოგადოებასთან ჰქონდა ურთიერთობა, რომ საქმეს ძლივძლივობით აუდიოდნენ. დილაობით სიტისკენ - პულმანის ვაგონით, საღამოობით სიტიდან - პულმანის ვაგონით, ნასადილევს ისევ დავთრების ქექვა, მერე დაქანცული ადამიანის ძილი, და დილიდან კვლავ გაფაციცებული საქმიანობა. შაბათიდან ორშაბათამდე თავის კლუბში ატარებდა დროს, ქალაქში, და ეს უცნაური დარღვევა იყო ცხოვრების ჩვეული წესრიგისა, დაფუძნებული ღრმა მოსაზრებასა და ინსტინქტურ სიფრთხილეზე, რომ ასეთი მაგარი მუშაობის დროს დღეში ერთიორჯერ ზღვის ჰაერის ჩასუნთქვაა საჭირო, დასვენების დროს კი ოჯახურ გრძნობებსაც თავისი უნდა მიუზღას. ხოლო კვირაობით ლეინპარკზე თავისიანებთან, ან ტიმოთისთან გრინსტრიტზე, და ზოგჯერ სხვა ვიღაცებთან სტუმრობა ისევე საჭიროდ მიაჩნდა ჯანმრთელობისთვის, როგორც საქმის დღეებში ზღვის ჰაერის ჩასუნთქვა. მეი-პლედერჰემზე გადასვლის შემდეგაც არ უღალატია ამ ჩვეულებისთვის, მანამ ანეტს გაიცნობდა. მაგრამ ანეტმა მოახდინა რევოლუცია მის შეხედულებებზე, თუ ეს ახალი შეხედულებები გახდა ანეტის გამოჩენის მიზეზი, ისევე იცოდა მან, როგორც ჩვენ ვიცით, რომელი წერტილიდან იწყება წრე. ეს ყველაფერი ძირფესვიანად გადაეწნა მის თანდათანობით

მზარდ შეგნებას, რომ საკუთრება - თუკი ვერავის უტოვებ მას - ჭეშმარიტი ფორსაიტიზმის უარყოფაა. მემკვიდრემ მისი საქმე უნდა გააგრძელოს, იქ უნდა დაიწყოს, სადაც თვითონ დაასრულებს, ესე იგი, ამდენი მონაგარი ოხრად არ უნდა განიავდეს... უკანასკნელ ხანებში, თითქმის წელიწადზე მეტი, სულ ეს უტრიალებდა თავში. აპრილის საღამო იყო, როცა მან ვეჯვუდის ფაიფური იყიდა და მალტასტრიტისკენ შეუხვია, მამამისის სახლისკენ, რომელიც ახლა რესტორნად გადაექციათ, და ამით დიდი რისკიც გაეწიათ, რადგან არც დაქირავების პირობებში ყოფილა ეს გათვალისწინებული. ცოტა ხანს გარეთ შეჩერდა, კრემისფრად შეღებილი კოხტა სახლი შეათვალიერა: შესასვლელთან ორი ცისფერი აუზი იყო, დაფნის ბუჩქებით გადმოჩრდილული, შენობას კი ზემოთ ოქროს ასოებით ეწერა - "რესტორანი ბრეტანი", კარგ შთაბეჭდილებასაც ახდენდა. რესტორანში ბლომად ხალხს მოეყარა თავი, პატარ-პატარა მწვანე მრგვალ მაგიდებს შემოსხდომოდნენ, მაგიდებზე კი ქოთნებით ქორფა ყვავილები და ბრეტონული ჭურჭელი ელაგა. კოხტა მსახურ გოგონას მიმართა - ქალბატონის ნახვა მინდაო. უკანა ოთახში შეიყვანეს, სადაც ქაღალდებით დაფარულ უბრალო საწერ მაგიდასთან ყმაწვილი ქალი იჯდა, იქვე კი პატარა მრგვალ მაგიდაზე ორი კაცისთვის გაეშალათ სუფრა. სისუფთავის, წესრიგისა და კარგი გემოვნების შთაბეჭდილება სომსს კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა ქალი წამოდგა და არაინგლისური აქცენტით ჰკითხა:

- თქვენ MAMAN გნებავთ, მუსიე?

- დიახ, - მიუგო სომსმა, - მე თქვენი ბატონის წარმომადგენელი ვარ, უფრო სწორად - შვილი ვარ მისი.

- ცოტა ხნით დაბრძანდით, სერ. MAMAN-ს მოახსენეთ, ჯენ-ტლმენთან გამობრძანდეს.

შეატყო, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა ქალზე, და ესიამოვნა - ბიზნესის ინსტინქტი ჰქონიაო, იფიქრა; უცებ შენიშნა, რომ საოცრად ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, თვალი ძლივს მოსწყვიტა. სკამის მისაწოდებლად რომ წამოდგა ქალი, მის მიხრა-მოხრაში ისეთი საოცარი ლაზათი და სინატიფე გამოსჭვიოდა, იფიქრებ-დით, ვინმე ოსტატს იდუმალი ხელოვნებით გამოუქანდაკებიაო. სახესა და ოდნავ მოღეღილ ყელს სიქორფის იერი დაჰკრავდა, თითქოს ეს არის, ცვარი მოუსხურებიათო. ალბათ სწორედ მაშინ გადაწყვიტა სომსმა, რომ დაქირავების პირობები სულაც არ იყო დარღვეული; თუმცა საკუთარ თავსაც და მამასაც სულ სხვა მოტივებით დაუსაბუთა ეს გადაწყვეტილება - ამ არცთუ მთლად კანონიერად გამოყენებული სახლის დიდი შემოსავლით, აყვავების უტყუარი ნიშნითა და ქალბატონი ლამოტის საქმოსნური ნიჭით. არც იმას მორიდებია, რომ ზოგიერთი საკითხი მოსაწესრიგებელი დაეტოვებინა, რაც, თავისთავად, მის ხშირ მოსვლას მოითხოვდა. ამრიგად, შენობის უკანა ნაწილზე მოთავსებული პატარა ოთახი მალე შეეჩვია მის ჩამომხმარ, საკმაოდ სოლიდურ, მაგრამ სრულიადაც არამომაბეზრებელ ფიგურას, ნიკაპჩმოგრძელებულ ყვიციან სახეს, მოკლედ დაყენებულ ულვაშს და შავ თმას, რომელიც ჯერ საფეთქლებთანაც კი არ შეჭაღარავებოდა.

- UN MONSIEUR TRES DISTINGUE,(ფრანგ.) - ძალიან ღირსეული ბატონია.) - იტყოდა ხოლმე ქალბატონი ლამოტი, ახლა კი, როცა შენიშნა, როგორ შესცქეროდა იგი ქალიშვილს, დასძინა, - TRES

AMICAL, TRES GENTIL((ფრანგ.) - ძალიან სასიამოვნო და სასურველი.).

ამისთანა ქალებს ბევრს შეხვდებით საფრანგეთში - ლამაზი, ჩათქვირული, შავთმიანი, რომელთა ყოველი მოქმედება და ხმის ტემბრიც კი ხელადვე დაგარწმუნებთ, რომ ოჯახის გაძღოლაც კარგად შეუძლიათ და გემრიელი საჭმლის მომზადებაც, თანაც ბანკში მიმდინარე ანგარიშის ზრდაზედაც გულმოდგინედ ზრუნავენ.

რესტორან "ბრეტანის" ამოჩემების შემდეგ სხვა ადგილებში სიარული სავსებით შეწყდა, თუმცა რაიმე გადაწყვეტილება ჯერ არც კი ჰქონია; საქმე ის არის, რომ სომსი, ყველა ფორსაიტისა და უმრავლესობა თავის თანამემამულეთა მსგავსად, დაბადებით ემპირიკოსი გახლდათ. მაგრამ ჩვეულების ამგვარად შეცვლამ თანდათანობით დაარწმუნა, რომ იგი ისწრაფოდა უცოლო დაცოლშვილებული კაცის ცხოვრება ხელახლა დაცოლშვილებულისაზე შეეცვალა.

იმ საღამოს - 1899 წლის ოქტომბრის დასაწყისში - მალტასტრიტზე შეუხვია და გაზეთი იყიდა, რათა ენახა, დრეიფუსის საქმეზე ახალი ცნობა ხომ არაფერიაო. უკვე დარწმუნდა, რომ მადამ ლამოტთან და მის ქალთან კიდევ უფრო დაახლოებისთვის ეს საკითხი ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან ისინი კათოლიკეები და, ამდენად, ანტიდრეიფუსელები იყვნენ.

გადახედა სვეტებს, მაგრამ საფრანგეთზე სულაც არაფერი ეწერა, სამაგიეროდ, შენიშნა, რომ ბირჟაზე საერთო კურსი ეცემოდა, თან ტრანსვალზედაც ღვარძლიანი მოწინავე წერილი იყო მოთავსებული. რესტორანში რომ შედიოდა, გაიფიქრა, "ომს ვე-

ღარაფერი შეაჩერებს. უნდა გავყიდო ჩემი კონსოლები". პირადად მას ბევრი კი არ ჰქონია, უბადრუკი სარგებელი მოჰქონდა, მაგრამ კლიენტებს უნდა ურჩიოს, კონსოლები უსათუოდ დაეცემა. კარში რომ შედიოდა, მთელ რესტორანს მოავლო თვალი და ხელადვე დარწმუნდა, რომ საქმე კარგად იყო. აპრილში ეს ძალიან გაახარებდა, ახლა კი რაღაც არ ესიამოვნა: თუ ამ ნაბიჯმა, - რის გადადგმასაც იგი ახლა აპირებდა, - გაუმართლა და ანეტი ცოლად შეირთო, მაშინ სასურველი იქნებოდა დედამისი მშვიდობიანად გამგზავრებულიყო საფრანგეთს, რესტორან "ბრეტანის" კეთილდღეობას კი, შეიძლებოდა ამ გამგზავრებისთვის ხელი შეეშალა. შესყიდვა მოუწევს, რადგან ფრანგები, ბოლოს და ბოლოს, ფულის საკეთებლად მოდიან ინგლისში, და რამდენადაც რესტორნის საქმე კარგად იქნება, იმდენად უფრო ძვირი დაუჯდება ეს შესყიდვა. მაგრამ ყელის საამურად აწვამ და გულის ფართქალმა, რასაც იგი პატარა ოთახში შესვლისას გრძნობდა ხოლმე, თანხის რაოდენობის განსაზღვრაში ხელი შეუშალა.

უცებ შავმა კაბამ გაუელვა თვალწინ და რესტორანში მიიმალა, მერე კი თვით ანეტი შენიშნა - ხელები აეწია და თმას ისწორებდა. ყველაზე უფრო, სწორედ ამ პოზაში მოსწონდა ქალი - ფუნთუშა, მოქნილი და შემართული.

მივიდა და უთხრა:

- დედათქვენთან მოსალაპარაკებლად მოვედი - მინდა ეს ტიხარი მოვხსნათ. ნუ დაუძახებთ.

- ჩვენთან ივახშმებთ, მუსიე? ათ წუთში ყველაფერს მოგიმზადებთ.

სომსს ისევ ხელში ეჭირა ქალის ხელი, თვითონაც გაუკვირდა, ისე მოერია გრძნობა.

- რა ლამაზი ხართ ამაღამ! - უთხრა მან, - ისეთი ლამაზი ხართ!.. იცით, რა ლამაზი ხართ, ანეტ!

ანეტი წამოწითლდა და ხელი გამოსტაცა.

- თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, მუსიე.

- სულაც არა, - მიუგო სომსმა, მოიღუშა და სკამზე ჩამოჯდა.

ანეტმა პროტესტის ნიშნად ხელი ოდნავ გააქნია და ჯერ პომადაშეუხებელ ლალისფერ ტუჩებზე ღიმილი გადაეშალა.

სომსს ამ ტუჩებისთვის ვერ მოეშორებინა თვალი, ისე უთხრა:

- ბედნიერად გრძნობთ აქ თავს, თუ საფრანგეთში გირჩევნიათ?

- ო, ძალიან მიყვარს ლონდონი. პარიზიც, რა თქმა უნდა. ორლეანი ვერაფრით ვერ შეედრება ლონდონს. რა ლამაზი სოფლები აკრავს! გასულ კვირას რიჩმონდში ვიყავი.

სომსი ერთი წუთით ჩაფიქრდა, გონებაში აწონ-დაწონა. ჰა, მეიპლედერჰემი! გარისკოს? ბოლოს და ბოლოს, რატომ არ უნდა წაიყვანოს - აჩვენებს მაინც, რას ჰპირდება, რას უმზადებს! თუმცა!.. და იქვე გამოუტყდება, ამ ოთახში შეუძლებელია.

- კარგი იქნებოდა, - თქვა მან ერთბაშად, - მომავალ კვირას მე მწვეოდით, თქვენცა და დედათქვენიც. ზედ მდინარის პირას მიდგას სახლი. ჯერ თბილა კიდეც. კარგ სურათებსაც გაჩვენებთ. რას იტყვით?

ანეტმა ხელი ხელს შემოჰკრა.

- რა კარგია! რა ლამაზი მდინარეა!

- მაშ ასე. დედათქვენსაც ვთხოვ.

ამაღამ ესეც კმარა, არ უნდა გასცეს თავი! ის კი არა და, მეტი ხომ არ მოუვიდა? გულში თუ არაფერი უდევს, რესტორნის დიასახლისსა და მის ლამაზ ქალიშვილს ვინ დაპატიჟებს ქალაქ-გარეთ?! ანეტი იქნებ ვერ ხვდებოდეს, მაგრამ მადამ ლამოტი უსათუოდ მიხვდება. მიხვდეს! ან კი რა უნდა იყოს ისეთი, რომ მადამ ლამოტი ვერ მიხვდეს. თანაც, აგერ, მეორედ რჩება მათთან ვახშმად, სამაგიერო ხომ უნდა გადაუხადოს?!

შინ რომ ბრუნდებოდა, ლეინპარკისკენ (ახლა იგი მამის სახლში იძინებდა), თითქოს კვლავ ანეტის ფაფუკსა და ჭკვიან ხელსა გრძნობდა თავის ხელში, თავში საამური ფიქრები უტრიალებდა - ტკბილი, და ცოტათი არეულიც. ნაბიჯის გადადგმა! რა ნაბიჯის? რანაირად? ჭუჭყიან თეთრეულს ხალხის დასანახად ხომ არ გარეცხავს? აჰ! რა წინდახედული და შორსმჭვრეტელი კაცის სახელი ჰქონდა, რამდენჯერ სხვებიც გამოუხსნია გასაჭირისგან, როგორ იცავდა ხოლმე მესაკუთრულ ინტერესებს და ახლა იმ კანონის სათამაშო ტიკინა უნდა გახდეს, რისიც ერთხელ საყრდენი ბოძი იყო?! ამის გაფიქრებაც კი საძაგლობაა! უინიფრიდის უბედურება არ კმაროდა, რომ ახლა ორმაგი სალაპარაკო მიეცეს ხალხს მის ოჯახზე! იქნებ ისე დაუკავშირდეს, საყვარლად გაიხადოს - საყვარელი... და მერე ბიჭს იშვილებს! მაგრამ ამ ოცნებას პირქუში, გაუტეხავი და გაფაციცებული მოდარაჯე მადამ ლამოტი გადაეღობება წინ! არა! არ გამოვა. თან, ანეტსაც არ შეიძლება ნამდვილი გზნებით შეუყვარდეს. ამ ხნის კაცის ასეთი გატაცებით შეყვარება ან კი სად გაგონილა! მაგრამ დედამისმა თუ მოიწადინა, და ქვეყნიური კეთილდღეობაც უტყუარ პირობად თუ მიიჩნიეს, მაშინ იქნებ გამოდნეს რამე. არადა, ნამდვილად

უარს სტკიცავენ. სომსის ფიქრები ასე წარიმართა: "არამზადა ხომ არა ვარ. სულაც არ მინდა გული ვატკინო. არც დამალული მსურს რამე. მაგრამ ეს ქალი მინდა, და შვილიც მინდა! ამას კი გაყრის მეტი ვერაფერი უშველის... რაც უნდა მოხდეს... როგორადაც უნდა დატრიალდეს საქმე... გაყრა აუცილებელია".

ქუჩის ფარნებით განათებულ ჭადრის ხეთა ჩრდილში მიდიოდა დინჯი ნაბიჯით, გრინპარკის გალავანს გასცდა. ლურჯად გამოკვეთილ ხეებს შორის ნისლი ეკიდა, რომელშიც ქუჩის მკრთალ სინათლეს ვერ შეეღწია. რამდენჯერ ჩაუვლია ამ ხეების წინ ახალგაზრდობაში, როცა მამის სახლიდან გამოსული ლეინპარკისკენ მიდიოდა, ანდა იმ ოთხი წლის განმავლობაში, როცა ცოლთან ერთად საკუთარ სახლში ცხოვრობდა, მონტპელიესკვერზე. დღეს კი, როცა მტკიცედ გადაწყვიტა, როგორმე საბოლოოდ გაეწყვიტა ცოლქმრობის ის უსარგებლო კავშირი, რაც მას აგერ ამდენი ხანია ბორკავდა... დღეს მას მოუნდა ჰაიდპარკის კუთხემდე ჩაევლო და ნაიტსბრიჯგეიტიდან გამოსულიყო, ძველებურად, როცა აირენთან ბრუნდებოდა ხოლმე შინ. ნეტავ როგორია ახლა აირენი?.. რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ნახა, ამ თორმეტი წლის წინ... აკი მთელი შვიდი წელი გავიდა, რაც ძია ჯოლიონმა ის ფული უანდერძა! ისევ ლამაზია? ახლა რომ ნახოს კაცმა, იცნობს ნეტავ?! "მე დიდად არ შევცვლილვარ, - გაიფიქრა მან, - ის, ალბათ, შეიცვლებოდა. რამდენი ტანჯვა მომაყენა!" უცებ ერთი საღამო გაახსენდა. ეს მოხდა დაქორწინების პირველსავე წელიწადს და პირველი შემთხვევა იყო, როცა სომსი მარტო წავიდა სადილად, უცოლოდ, მალბორიელ სკოლადამთავრებულ ამხანაგებთან შეხ-

ვედრაზე. გაიხსენა, რა გამწარებით მოეშურებოდა შინ, კატის სიმსუბუქით შეიპარა და ხელადვე გაიგონა, რომ აირენი უკრავ-და. ჩუმად შეაღო სასტუმრო ოთახის კარი, იქვე გაჩერდა და ქალს სახეზე დააკვირდა. პირველად ხედავდა ასეთ გამომეტყვე-ლებას - ასეთ წრფელს, ასე მინდობილს, თითქოს მუსიკას გაუხ-სნა მთელი გული, რაც სომსისთვის მუდამ დახშული იყო. გაახ-სენდა, როგორ შეწყვიტა ქალმა დაკვრა და მობრუნდა, როგორ ერთბაშად შეეცვალა სახე და ის ძველი, მისთვის ნაცნობი გამო-მეტყველება დაუბრუნდა. სომსს მაშინ ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მიუხედავად იმისა, რომ იმავე წუთში ქალს უკვე მხრებზე ეხვეოდა. მართლაც რამდენი ტანჯვა მიაყენა ქალმა? გაყრა! რა სასაცილოდ გაისმის ეს სიტყვა ამდენი ხნის სრული მარტოობის შემდეგ. მაგრამ უსათუოდ უნდა გააფორმოს ეს გაყ-რა. სხვა გზა არ არის! "ისღა რჩება გადასაწყვეტი, - უცებ საქ-მიანი მიმართულება მიიღო სომსის ფიქრებმა, - ვის დაჰბრალდეს ყველაფერი? მე თუ მას? აკი მან მიმატოვა! მანვე უნდა ზღოს. ალბათ, ჰყავს ვინმე". თავისდა უნებურად ყრუ გმინვა აღმოხდა, სწრაფად შეტრიალდა და ლეინპარკისკენ გაბრუნდა.

თავი მეხუთე

ჯეიმსის ზმანება

კარი მოურავმა გაუღო, წყნარადვე მიხურა და სომსი ვესტიბიულში გააჩერა.

- ბატონი ვერა გვყავს კარგად, სერ, - წაიბურტყუნა მან, - მაგრამ თქვენს მოსვლამდე დაწოლა არ ისურვა. ახლაც სასადილო ოთახში გელოდებათ.

სომსმაც ჩურჩულით ჰკითხა; მთელი სახლი ჩურჩულით ლაპარაკობდა:

- რა მოუვიდა, უორმსონ?

- ეტყობა, ნერვიულობს, სერ. ალბათ ამ დასაფლავებამ იმოქმედა: იქნებ იმანაც, რომ დღეს მისის დარტი იყო, ნაშუადღევს. მე მგონი, რაღაცას მოჰკრა ყური. გლინტვეინი მოვუდუღე. ქალბატონი ეს წუთია ზემოთ აბრძანდა.

სომსმა ქუდი ირმის რქის საკიდარზე დაკიდა.

- კარგი, უორმსონ, შეგიძლიათ დაიძინოთ. მე თვითონ ავიყვან ზემოთ, - და სომსი სასადილო ოთახში შევიდა...

ჯეიმსი ბუხარს მისჯდომოდა; სავარძელში ჩასვენებულს, ბეჭებზე, სერთუკზემოდან ირმის ბეწვის ფაფუკი და თბილი პლედი მოესხა, გრძელი, ჭაღარა ბაკენბარდები მხრებზე სცემდა; ჯერ

კიდევ სქელი, თეთრი თმა ლამპის შუქზე უბრწყინავდა. ერთ წერტილს მიშტერებულ ჭროღა თვალებიდან ჩამოგორებული პატარა კურცხალი ჯერ ისევ შეღაჟღაჟებულ, ღრმა ნაოჭით დასერილ ღაწვზე შერჩენოდა. ეს ნაოჭი კვეთდა სუფთად გაპარსულ ბაგეს, რასაც ახლა ჯეიმსი ისე აცმაცუნებდა, თითქოს ფიქრებს აყოლებსო; შოტლანდიურ კუბოკრულ შარვალში გახვეული გრძელი, მამლის კანჭებივით გამხმარი ფეხები მუხლებში სწორკუთხოვნად მოეხარა, და ერთ-ერთ მუხლს შეუჩერებლივ უთათუნებდა ფრჩხილებწაპრიალებულ, გაპრანჭულ თითებს. იქვე, დაბალ მაგიდაზე, გარედან შეორთქლილი, ნახევრად დაცლილი გლინტვეინის ჭიქა ედო. დილიდან მოკიდებული სულ აქ იჯდა ჯეიმსი, მარტო საჭმელზე თუ წამოდგებოდა ცოტა ხნით. ოთხმოცდარვა წლის კაცი ისევ მაგრად იყო, ოღონდ ის ტანჯავდა, რომ არავინ არაფერს ეუბნებოდა. ისიც კი გასაკვირი იყო, როჯერის დამარხვის ამბავი როგორ გაიგო დღეს, აკი ემილი უმალავდა. მუდამ ასე უმალავს ყველაფერს. ემილი სამოცდაათისა იყო, მეტი არა! და ჯეიმსს მუდამ აღიზიანებდა ხოლმე ცოლის ახალგაზრდობა. თავიდან რომ ეფიქრა, მე მალე მოვკვდები, ცოლი კი კიდევ დიდხანს იცოცხლებსო, არასდიდებით არ შეირთავდა. ეს უჩვეულო რამ იყო, თხუთმეტ-ოც წელიწადს კიდევ იცოცხლებს მისი სიკვდილის შემდეგ ცოლი, და ვინ იცის, რამდენ ფულს დახარჯავს. მუდამ ახირებული გემოვნება ჰქონდა. ნახე, თუ ავტომობილის ყიდვა არ მოინდომოს! სესილი, რეჩელი, იმოჯინი, და მთელი ეს ახალგაზრდობა სულ იმ ოხერ ველოსიპედებზე არიან გადამჯდარი, ეშმაკმა უწყის სად დაქრიან. ახლა აგერ როჯერიც წავიდა. რას გაუგებ! რა უნდა თქვას! ინგრევა ოჯახი. სომსს ალბათ ეცო-

დინება, რამდენი დატოვა ბიძამისმა. საოცარია, როგორც სომსის ბიძას, ისე იხსენიებდა ხოლმე როჯერს, და არა როგორც საკუთარ ძმას. სომსი! რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გრძნობს, რომ ერთადერთი დასაყრდენი ესღა დარჩა ამ წუთისოფელში. ფრთხილი კაცია სომსი. დიდი სიმდიდრის პატრონია. მაგრამ ვის უნდა დაუტოვოს ამდენი ფული? აჰა, ესეც! რას გაუგებ! ახლა ეს ვაჟბატონი, ჩემბერლენი! ჯეიმსის პოლიტიკური შეხედულებანი სამოცდაათ-ოთხმოციან წლებში ყალიბდებოდა, როცა ეს "თაღლითი რადიკალი" ეკალივით ერჭობოდა ყველა მესაკუთრეს. მას შემდეგ სულ გარდაიქმნა ის კაცი, მაგრამ ჯეიმსი დღემდე ვერ ენდობოდა. კიდევ არევს ამ ქვეყანას, ფულის კურსს დასცემს, ქარიშხალს დაატრიალებს! სომსი სად დაიკარგა? დასაფლავებაზე იქნებოდა, რა თქმა უნდა, მას რომ უმალავდნენ, იმ დასაფლავებაზე. მაგრამ მაინც ხომ მიხვდა! ხომ დაინახა, რა შარვალი ეცვა სომსს! როჯერი! კუბოში ჩაწოლილი როჯერი! გაახსენდა, როგორ ბრუნდებოდნენ ერთხელ სკოლიდან, დილიჟანით, 1824 წელს. როჯერი კოფოს ყუთში ჩაძვრა და დაიძინა. ჯეიმსს გაწვრილებული კრიახი აღმოხდა. სასაცილო ბიჭი იყო როჯერი, ახირებული ბიჭი. რას გაუგებ! მასზე უმცროსია და კუბოში კი წევს! ინგრევა ოჯახი. ახლა, აგერ, ვალიც საუნივერსიტეტოდ ემზადება; მორჩა, შინისკენ აღარც დაიჭერს პირს. კაიძალი ფულიც დაუჯდება! უცნაური დრო დადგა. და ის ფული, რაც მის ოთხ შვილიშვილზე უნდა დახარჯულიყო, ჯეიმსს თვალწინ აუცეკვდა. ფული კი არ ენანებოდა მათთვის, ის საშინელი რისკი აწუხებდა - ამდენი ფული რომ დაიხარჯება, მერე რა ეშველებათო. კაპიტალის შემცირება აწუხებდა. აგერ, სესილიც გათხოვ-

და, ალბათ შვილებიც გაუჩნდება. რას გაუგებ, რა უნდა თქვას! ისეთი დრო დადგა, რომ ოღონდ კი ფული ხარჯონ, და მეტი საფიქრალი არაფერი აქვთ, აქეთ-იქით იფრიალონ, და, როგორც თვითონვე ამბობენ ხოლმე, "კაი დრო ატარონ". ქუჩაში ავტომობილმა ჩაიარა. რამხელა ურჩხულია, რა გულის შემაღონებლად თუხთუხებს! თუმცა, რა აღარ თუხთუხებს ახლა! იმისთანა ფაცხაფუცხშია ხალხი, რომ თავაზიანობაც კი ფეხებზე დაიკიდეს - ერთი მის წაბლა ცხენებშებმულ ლანდოს შეედრება ეს ახალმოგონილი მაიმუნობა. კონსოლებიც უკვე 116-ზე ავარდა! ეტყობა, დიდი ფული ტრიალებს მთელ ქვეყანაში. ახლა ეს გადამღრძვალი კრიუგერი! კრიუგერის ამბის დამალვაც მოუნდომეს, მაგრამ რას გააცურებდნენ. დომხალივით აირევა ყველაფერი. მაშინვე გრძნობდა, რაც მოხდებოდა, როცა იმ ვაჟბატონმა გლადსტონმა - მადლობა ღმერთს, ჩაძაღლდა, როგორც იქნა! - ისეთი საშინელება დაატრიალა მაჯუბაში. ამის შემდეგ აღარც გაუკვირდება, მთელი იმპერია რომ ქოთანივით დაიფუშოს. და ამ ქოთანივით დაშლილი იმპერიის წარმოდგენაზე ისე ცუდად შეიქნა, რომ მთელი თხუთმეტი წუთი გული ერეოდა. ამიტომ იყო, ისე უგემურად ისაუზმა. მაგრამ მთელი უბედურება მაინც ნასაუზმევს მოხდა, როცა სულ მოეშალა ნერვები. ის იყო, თვლემა მოერია, როცა რაღაც შემოესმა - ჩურჩულებდნენ. ეჰ! ჯეიმსს ვინ რას ეტყვის! უინიფრიდი და დედაჩემი ჩურჩულებდნენ. "მონტი!" კიდევ ეს ვაჟბატონი, ეს დარტი! ჩურჩული თანდათან დაშორდა, ჯეიმსი მარტო დარჩა, კურდღელივით ყურდაცქვეტილი და შიშით ატანილი. რად მიატოვეს მარტოკა? რატომ არ მოვლენ და ყველაფერს არ ეტყვიან? და კვლავ იმ საშინელმა ფიქრმა გაჰკრა თავ-

ში, რაც აგერ რამდენი ხანია, აღარ ასვენებს. დარტი გაკოტრდა. გაიძვერულად გაკოტრდა, და უინიფრიდისა და მისი ბალღების დასახსნელად ახლა მან - ჯეიმსმა - უნდა გადაიხადოს ფული! ნეტავ თუ შეძლებს... სომსი თუ შეძლებს, რომ როგორმე განსაზღვრული პასუხისმგებლობის კომპანიაში მოაქციოს? არა, ვერ მოახერხებს. ესეც შენ! მანამ ემილი მობრუნდებოდა, სულ უფრო და უფრო მძვინვარე სახეს იღებდა მოჩვენება. ჰა, ხომ შეიძლება ყალბი თამასუქები შეედგინოს! გაწამებულმა ჯეიმსმა თვალი შუა კედელზე ჩამოკიდებულ საეჭვო ტერნერს გაუშტერა. დარტი საბრალდებულო სკამზე წარმოუდგა. შვილიშვილები - მათხოვრებად, ხოლო საკუთარი თავი - ლოგინში ჩავარდნილი. წარმოიდგინა, როგორ ყიდდნენ საეჭვო ტერნერს ჯობსონთან, და როგორ ნაკუწ-ნაკუწ ინგრეოდა დიდებული შენობა მესაკუთრეობისა. თვალწინ დაუდგა უგემურად ჩაცმული უინიფრიდი, და ემილის ხმაც ჩაესმა: "დამშვიდდი, ჯეიმს". მუდამ ასე იცის ხოლმე - "დამშვიდდი, ჯეიმს!" რა ენაღვლება, თვითონ ნერვები არა აქვს! ნეტავ რას შეირთო თვრამეტი წლით უმცროსი ქალი? უცებ ემილის ნამდვილი ხმა გაისმა:

- ტკბილად გეძინა, ჯეიმს?

გეძინა! კაცმა ჯოჯოხეთი გამოიარა და ეს კიდევ რას ეკითხება!

- რა მოუვიდა დარტის? - ჰკითხა და თვალი თვალში გაუყარა.

ემილი თავის დღეში არ დაიბნეოდა.

- რა მოგეყურა? - ალერსით ჰკითხა მან.

- დარტის რა მოუვიდა? - გაუმეორა ჯეიმსმა, - გაკოტრდა?

- რა სისულელეა!

ჯეიმსმა თავს ძალა დაატანა, წამოდგა, მთელი ტანით გაიმართა და ყანჩას დაემსგავსა.

- ყველაფერს მიმალავთ, - თქვა მან, - გაკოტრდა ხომ?!

ემილიმ გადაწყვიტა, როგორმე ჩამოეცილებინა მისთვის ეს აკვიატებული აზრი.

- არ გაკოტრებულა, - მტკიცედ უპასუხა მან? - ბუენოს-აირესში წავიდა.

მარსზე წავიდაო, რომ ეთქვა, ასე ვერ გააოგნებდა ჯეიმსს. მისი გონება ისე მოეცვა ბრიტანულ აქციებს, რომ ერთი ადგილიცა და მეორეც ძალიან ბუნდოვნად წარმოედგინა.

- იქ რა უნდა? - იკითხა მან, - ფული სად ჰქონდა? რითი წავიდა?

უინიფრიდის ამბით შეწუხებულმა და ამ განუწყვეტელი წუწუნით გულგაწვრილებულმა ემილიმ მშვიდად მიუგო:

- უინიფრიდის მარგალიტები გაიტაცა და მოცეკვავე გოგო წაიყვანა.

- რაო! - შესძახა ჯეიმსმა და სავარძელში ჩაეშვა.

ქმრის ასეთმა უეცარმა მოშვებამ ემილი შეაშინა, შუბლზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

- დამშვიდდი, ჯეიმს!

ჯეიმსს ღაწვებსა და შუბლზე წითელი ლაქები დააჯდა.

- ფული მაქვს მიცემული მაგ მარგალიტებში, - ხმა აუკანკალდა მას, - ქურდია! განა... განა არ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ბოლოს მომიღებს, ისე გამიხდის საქმეს...

სიტყვა გაუწყდა და ასე უხმოდ იჯდა.

ემილი, რომელიც დარწმუნებული იყო, ქმარს ძალიან კარგად ვიცნობო, დაფეთდა და მაშინვე განჯინას მივარდა, სადაც ბრომს ინახავდა ხოლმე. იგი ვერ ხედავდა, რომ ამ სუსტსა და აცახცახებულ სხეულში ფორსაიტების კერკეჟა სულს ბრძოლა ჰქონდა გამართული უკიდურესად დაძაბულ მღელვარებასთან, რაც ფორსაიტული პრინციპების დარღვევას გამოეწვია. ჯეიმსის არსებაში ღრმად გამჯდარი ფორსაიტული სული გაიძახოდა: "ნეტავ რას ცხარობ, მაგით საქმეს რას უშველი?! არ გირჩევნია, საჭმელი დამშვიდებით მოინელო?" ემილი ვერ ხედავდა ამას, ვერ ხედავდა, რომ ჯეიმსის არსებაში მბორგავ სულს ბრომი ოდნავადაც ვერ შეედრებოდა.

- დალიე, - უთხრა ცოლმა.

ჯეიმსმა ხელი აუკრა და მოიშორა.

- მერე უინიფრიდი სად იყო? - იკითხა მან, - როგორ გაატანა მარგალიტები?

ემილი მიხვდა, რომ კრიზისი გავლილი იყო.

- ჩემს მარგალიტებს მივცემ, - წყნარად უთხრა მან, - მე მაინც არ ვიკეთებ. მაგან ახლა გაყრაზე უნდა იზრუნოს.

- შენც დაიწყე?! - შეჰყვირა ჯეიმსმა, - გაყრა! ვინ მოსწრებია გაყრას ჩვენს ოჯახში? სომსი სად არის?

- ახლავე მოვა.

- არა, არ მოვა! - ლამის იყვირა გამწარებულმა ჯეიმსმა, - სასაფლაოზეა! შენ გგონია, არაფერი მესმის!

- კარგი, დამშვიდდი, - დაუყვავა ცოლმა, - ასე ნუ გაწიწმატდები ხოლმე, რამეს რომ გეტყვით, - ბალიში გაუბუა, ბრომი იქვე დადგა და გავიდა.

ჯეიმსს კი კვლავ მოჩვენებები გამოეცხადა - აგერ უინიფრიდი სასამართლოშია; გაყრის თაობაზე; ფორსაიტების გვარი გაზეთებში გამოუჭრელებიათ; მიწა გოროხ-გოროხ ეცემა როჯერის კუბოს; ვალი მამის კვალს დასდგომია; აგერ ის მარგალიტები, რაც მან ისეთი სასოებით იყიდა და ამიერიდან ვეღარ დალანდავს; კაპიტალის შემოსავალი ოთხ პროცენტამდე დავარდნილა და ქვეყანა ინგრევა და ნადგურდება... დღე თანდათანობით მიილია, ბინდბუნდი ჩამოწვა, ჩაის დრო გავიდა, სადილის დრო გავიდა, ხოლო მოჩვენებები სულ უფრო არეული და საშინელი ხდებოდა... კაციშვილი აღარაფერს ეუბნება; მანამ სულ არ განიავდება მთელი საცხოვრებელი, კრინტსაც არ დაძრავენ მასთან. სომსი სადღა დაიკარგა? რატომ არ მოდის?.. ხელი გაიწოდა, გლინტვეინის ჭიქა აიღო, ტუჩთან მიიტანა, და ის იყო, შვილიც დაინახა - იდგა და მას შესცქეროდა. შვებით ამოისუნთქა, ჭიქა დადგა და შვილს უთხრა:

- გეღირსა მოსვლა! დარტი ბუენოს-აირესში წასულა.

სომსმა თავი დააქნია.

- მით უკეთესი, - თქვა მან, - მადლობა ღმერთს, ჩამოგვშორდა.

ჯეიმსის გონებას დამამშვიდებელმა ტალღამ გადაუარა. სომსს არაფერი შეეშლება. ერთადერთს სომსს შერჩა ჭკუა. ბარემ გადმოვიდეს და შინ იცხოვროს! ბოლოს და ბოლოს, საკუთარი შვილი არა ჰყავს! და წუწუნით უთხრა:

- ამ სიბერეში ნერვებმა მიმტყუნეს. ნეტავ უფრო ხშირად გხედავდე შინ, შვილო.

სომსმა კვლავ დააქნია თავი. მისი გამომეტყველების ნიღაბი არაფერს ამჟღავნებდა, მაგრამ უფრო ახლოს მიიწია მამისკენ და თითქოს შემთხვევით ხელი მხარზე მოუხვდა.

- ტიმოთისთან ვიყავი და სიყვარულით მოგიკითხეს, - უთხრა მან, - ყველაფერმა რიგიანად ჩაიარა. უინიფრიდთანაც შევიარე. რაღაც მოვიფიქრე, - და მერე თავის გუნებაში თქვა: "მაგრამ შენთვის არ არის საჭირო ამის ცოდნა".

ჯეიმსმა მას შეხედა. გრძელი, თეთრი ბაკენბარდები უთრთოდა, საყელოს წაწვეტებულ ბოლოებს შორის გაწლიკული, შიშველი, ხრტილოვანი ხორხი მოუჩანდა.

- მთელი დღე საშინლად გავატარე, - თქვა მან, - ეგენი ხომ თავის დღეში არაფერს მეტყვიან.

სომსს გული მოეწურა.

- მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. შესაწუხებელი აღარაფერია. ზემოთ არ ავიდეთ? - და მხარში შეუდგა.

ჯეიმსი მორჩილად მიჰყვა, მთელი ტანი უცახცახებდა; ნელა გაიარეს ოთახი, რომელიც ცეცხლის შუქზე მდიდრულად მორთული ჩანდა, და კიბეზე გავიდნენ. კიდევ უფრო მძიმედ აუყვნენ კიბეს.

- ღამე ნებისა, შვილო, - გამოემშვიდობა თავისი საწოლი ოთახის კართან.

- ღამე ნებისა, მამა, - მიუგო სომსმა. ხელი მამის სახელოზე ჩამოუცურდა, პლედის ქვეშ. თითქოს არაფერი დებულა ამ სახელოში, ისე გაწლიკოდა მკლავი. შეღებილი კარიდან სინათლის ჭავლი გამოდიოდა, სომსმა თვალი აარიდა სინათლეს, კიბე აიარა და თავის საწოლ ოთახს მიადგა.

"ბიჭი მინდა, - გაიფიქრა მან, როცა საწოლზე ჩამოჯდა, - ვაჟიშვილი მინდა".

თავი მეექვსე

ახალგაზრდობა გამოვლილი ჯოლიონი თავის სახლში

ხეები ნაკლებად განიცდიან დროის გავლენას, და რობინჰილის ზემო მდელოებზე მდგარ ბერმუხასაც თითქოს ერთი დღეც არ მომატებია მას შემდეგ, რაც მის ძირში გაშხლართული ბოსინი სომსს ეუბნებოდა: "ფორსაიტ, შესანიშნავი ადგილი გამოგიძებნეთ სახლისთვის". მას შემდეგ რამდენი უთვლემია აქ სუითინს, მოხუცმა ჯოლიონმაც ამ ტოტების ჩრდილქვეშ დალია სული. ახლა კი, უკვე ახალგაზრდობაგამოვლილ ჯოლიონს უყვარს აქ, საქანელას მახლობლად, ჯდომა და ხატვა. ეს მისთვის ალბათ ყველაზე უფრო წმინდა ადგილი იყო ქვეყნად, რადგან მამა უყვარდა.

ამ უშველებელ მუხას რომ შეხედავდა, - დაგრეხილსა და ალაგ-ალაგ ხავსმოდებულს, მაგრამ ჯერ კიდევ დაუფუტურეებელს, - ჯოლიონს გარდასულ დროებაზე ფიქრი გაიტაცებდა ხოლმე. ეს ხე ალბათ მთელი ინგლისის ისტორიის მოწმეა. მეტი თუ არა, ელისაბედის დროიდან მაინც აქა დგას ალბათ, და არც უკვირს ეს ჯოლიონს. თავისი საკუთარი ორმოცდაათი წელი ამ ხის ხნოვანებასთან სულაც აღარაფერი ჩანს. ეგერ, მუხის უკან რომ თორმეტი წლის სახლი დგას, - ამჟამად მისი საკუთრება, - სა-

მასი წელი ისე შეუსრულდება იმ სახლს, რომ ეს ხე ისევ აქ იქნება, ვეებერთელა და დაფუღუროებული. აბა, ვინ ჩაიდენს იმისთანა მკრეხელობას, რომ მოჭრას? მაშინაც, ალბათ, რომელიმე ფორსაიტის საკუთრება იქნება ეს სახლი და სწორედ ის იქნება ამ მუხის გაფაციცებით დამცველი. ნეტავ როგორი უნდა იყოს ამ ხნის სახლიო, ჯოლიონმა გაიფიქრა. ახლაც კი, აგერ, ცისვაზი შემოხვევია კედლებს, სიახლის პეწი დაუკარგავს. ნეტავ, შეინარჩუნებს თავის სახესა და იმ ლაზათს, რითაც იგი ბოსინიმ შემოსა, თუ ბუმბერაზი ლონდონი ამასაც გადაყლაპავს და სახელდახელოდ ახოხოლავებული სახლების ქაოსში მოაქცევს? ხშირად უფიქრია ჯოლიონს, რომ ბოსინი დიდი გრძნობით იყო შთაგონებული, როცა ამ სახლს აშენებდა. მართლაც, მთელი სული და გული ჩაუქსოვია შიგ! ინგლისის ერთ-ერთ შესანიშნავ და იშვიათ ნაგებობად შეიძლებოდა ამ სახლის შერაცხვა ახლა, არქიტექტურული ხელოვნების დაცემის პერიოდში. და ჯოლიონი, რომლის არსებაში ორგანულად იყო შერწყმული ესთეტიკური სულიცა და ფორსაიტების მესაკუთრული ბუნებაც, დიდ სიამოვნებასა და სიამაყეს განიცდიდა, რომ ეს სახლი მის საკუთრებას წარმოადგენდა. მისი სურვილი იყო ეს სახლი მემკვიდრეობად გადასცემოდა შვილსა და შვილიშვილს, და ამ სურვილში გამოსჭვიოდა ერთგვარი მოწიწება და წინაპართა (ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის) დიდი თაყვანისცემა. მამამისს გატაცებით უყვარდა ეს სახლი, ეს ხედი, ეს ნიადაგი, ეს ხე; სიცოცხლის უკანასკნელი დღეები იქ გაატარა ნეტარებაში, და თვითონვე იყო პირველი ბინადარი ამ ადგილისა. რობინჰილში გატარებული ბოლო თერთმეტი წელი წარმატებათა მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ჯოლიონის,

როგორც მხატვრის, ცხოვრებაში. იგი ახლა სათავეში ედგა აკვარელისტებს და ყველას მოსწონდა. მისი ნახატები ძვირად ფასობდა. მის ჯილაგს რომ შეეფერება, ისეთი შეუპოვრობითა და მუყაითობით დახელოვნდა იგი მხატვრობის ამ ერთ დარგში, და მოიხვეჭა კიდეც სახელი, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯოლიონი წარმომადგენელი იყო გვარისა, რომელსაც სამარადისო არსებობა განუზრახავს, მაშინ დაგვიანებულად არც კი ჩაითვლება. მართლაც რომ უფრო გაღრმავდა და განვითარდა მისი ოსტატობა. თავის მდგომარეობისდა შესაფერისად მოკლე წვერი მოუშვა, რაც ფორსაიტულ ნიკაპს უფარავდა და რასაც, ის იყო, თეთრი გამორეოდა. მის შავგვრემან სახეს უკვე დაეკარგა ოსტრაკიზმის დროინდელი დაძაბულობა და ახლა უფრო ახალგაზრდა ჩანდა. ცოლის სიკვდილი 1894 წელს ერთ-ერთ იმ ოჯახურ ტრაგედიად ექცა, რასაც ბოლოს და ბოლოს, სიკეთე მოჰყვება ხოლმე. ცოლი სიკვდილის დღემდე უყვარდა, რადგან საერთოდ მოსიყვარულე და მგრძნობიარე კაცი იყო, მაგრამ უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ცოლი: გერზე ეჭვიანობდა, თავისივე პატარა ჰოლიზედაც კი ეჭვიანობდა და განუწყვეტელ წუწუნში იყო, ქმარს აღარ ვუყვარვარო, ან კი, ვიღას ვუნდივარ ყველასთვის უსარგებლო და არაფრის მაქნისი, მოვკვდე ისა სჯობსო". ჯოლიონმა გულით გამოიგლოვა, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ უფრო კი გაახალგაზრდავდა. ქალს რომ შესძლებოდა იმის დანახვა, რა ბედნიერად გრძნობდა თავს ქმარი მასთან, მაშინ მათი ცოლქმრობის ოცი წელიც რამდენად უფრო ბედნიერი იქნებოდა!

კაცმა რომ თქვას, ჯუნი ხეირიანად ვერასოდეს ვერ შეეწყო ქალს, რომელმაც ისე უტიფრად დაიკავა მისი დედის ადგილი; და გარდაიცვალა თუ არა მოხუცი ჯოლიონი, მაშინვე ატელიეში მოეწყო, ლონდონში. მაგრამ დედინაცვლის სიკვდილის შემდეგ ისევ რობინჰილს დაუბრუნდა და ოჯახის სადავეები თავის პატარა, მტკიცე ხელებში აიღო. ჯოლი მაშინ ჰეროუში იყო, ხოლო ჰოლი კვლავ მადმუაზელ ბოსთან სწავლობდა. ჯოლიონს შინ რა დაამაგრებდა - თავისი მწუხარებითა და ფერადების ყუთით საზღვარგარეთ გაემგზავრა. დიდხანს დაეხეტებოდა, უმთავრესად ბრეტანში, და საბოლოოდ პარიზში დამკვიდრდა. სულ რამდენიმე თვე დაყო პარიზში, ხოლო როცა დაბრუნდა, უფრო გაახალგაზრდავებული სახე და მოკლე, ქერა წვერი ჩამოჰყვა. ისეთი ხასიათის კაცი იყო, რომ სახლი, ბოლოს და ბოლოს, თავშესაფრადა და ღამის გასათევად სჭირდებოდა, ამიტომ ძალიანაც ესიამოვნა, ჯუნის ხელში რომ დაინახა ოჯახის სადავეები, თავისუფლება იგრძნო, დაავლებდა ხელს თავის მოლბერტს და იქით წავიდოდა, საითაც ან როცა მოეპრიანებოდა. მართალია, ეს სახლი ჯუნს, პირველ ყოვლისა, თავისი პროტეჟეების თავშესაფრად უფრო წარმოედგინა, მაგრამ შინიდან გადახვეწის წლებმა ჯოლიონის გული ყველა გადახვეწილისა და გაუბედურებულისადმი თანაგრძნობით აღავსო, ასე რომ, ჯუნის "ხელმოცარული ხალხი" მას სულაც არ აწუხებდა. ჰყავდეს და აჭამოს პური! გესლიანი იუმორის წყალობით ჯოლიონი გრძნობდა, რომ მარტო კეთილი გულის კარნახით კი არ არჩენდა ჯუნი ამ ხალხს - ისინი ქალის უფლებისმოყვარულ ბუნებასაც აკმაყოფილებდნენ. მიუხედავად ამისა, მამა მაინც ნასიამოვნები იყო, რომ მის ქალიშვილს ამდენი

"ხელმოცარული" ჰყავდა სახლში. რაც დრო გადიოდა, ჯოლიონ-საც უფრო და უფრო უშუალო და ძმური დამოკიდებულება უჩ-ნდებოდა თავის ღვიძლ ვაჟსა და ქალიშვილებთან და მათ შორის თანდათანობით, უჩვეულო თანასწორობა დამკვიდრდა. ჯოლის რომ მიაკითხავდა ჰეროუში, ვერაფრით მიმხვდარიყო, ვინ იყო მათ შორის უფროსი. დაჯდებოდა ხოლმე მასთან ერთად, ქაღალ-დის პარკიდან ალუბალს იღებდა და შეექცეოდა, თან კი ალერ-სიანი და ოდნავ ირონიული ღიმილით ტუჩებსა ბრეცდა და წარბს მაღლა გრეხდა. თადარიგს წინასწარ იჭერდა, რომ ფული მუდამ ჰქონოდა ჯიბეში და მოდურად ჩაცმულიც ყოფილიყო, ასე რომ, შვილი ერთხელაც არ გაწითლებულა მამის გამო. ჭეშმარიტი მე-გობრები იყვნენ, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნევდნენ სიტყვიერად გამოემჟღავნებინათ ეს, რადგან ორივე ნამდვილი ფორსაიტი იყო - გულჩახვეული და უთქმელი. ორივე გრძნობდა, რომ გასა-ჭირში ერთმანეთს ხელადვე ამოუდგებოდნენ მხარში, მაგრამ რა საჭირო იყო ამის სიტყვიერი მტკიცება! ჯოლიონს საშინელი შიში ტანჯავდა - მორალის შიში, ეს ნაწილობრივ ალბათ საკუთარი ბუ-ნების გამო და ნაწილობრივ თავისივე ადრეული ცოდვებისგან. დიდი დიდი, აი რისი თქმა შეეძლო შვილისთვის:

"მოიხედე, ძმობილო, ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ჯენტლმენი ხარ". მერე კი თვითონვე დაფიქრდებოდა, გაოგნებული, - სნო-ბისტურად ხომ არ გამომივიდაო. დიდი კრიკეტის მატჩი, რასაც ისინი მუდამ ერთად ესწრებოდნენ, ყველაზე მძიმე გამოცდა იყო, რადგან ჯოლიონი იტონელი გახლდათ. დიდ სიფრთხილეს იჩენ-დნენ ერთმანეთისადმი მთელი მატჩის განმავლობაში და სულ ასეთი შეძახილები გაისმოდა: "მიდი!.. ეჰ, ცუდ დღეში ჩავარდით,

ძმობილო!" ან არადა - "მიდი!.. ეჰ, ბედი არ გწყალობთ, მამა!" ასე მიმართავდნენ ხოლმე ერთმანეთს სიხარულით გულათრთოლებულები, როცა მოწინააღმდეგე სკოლის გუნდს გაუჭირდებოდა. ჯოლიონს ამ დღეს, შვილის ხათრით, ნაცრისფერი ცილინდრი ეხურა ხოლმე თავისი ფაფუკი ქუდის ნაცვლად. შავი ცილინდრის დახურვა მაინც ვერ გადაეწყვიტა. ოქსფორდში რომ წავიდა ჯოლი, ჯოლიონიც თან გაჰყვა, მხიარული, თავმოკატუნებული და ცოტა არ იყოს შეცბუნებულიც - ბიჭს სირცხვილი არ ვაჭამოო, რადგან ეს ახალგაზრდები მასზე გაცილებით უფრო თავდაჯერებული და უფრო ხნიერიც კი ჩანდნენ. ხშირად გაიფიქრებდა ხოლმე გონებაში: "მადლობა ღმერთს, მხატვარი ვარ (ლოიდთან მუშაობას დიდი ხანია თავი გაანება), უწყინარი საქმეა. ქედმაღლურად ვერავინ შემოგხედავს... არც დიდ სერიოზულობას გთხოვენ". ჯოლი, რომელსაც ბუნებით მოსდგამდა დიდკაცური ქცევები, მაშინვე მოხვდა ძალიან ვიწრო წრეში და ეს მამამისს ჩუმ-ჩუმად ართობდა კიდეც. ბიჭს ოდნავ დახუჭუჭებული ქერა თმა ჰქონდა, პაპამისის ღრმად ჩამჯდარი ლითონისფერი თვალები გამოჰყვა. ჩამოსხმული ბიჭი იყო, შტრინგი და ჯოლიონის ესთეტიკურ გრძნობას მუდამ აკმაყოფილებდა, ის კი არადა, ცოტა არ იყოს, აშინებდა კიდეც. როგორც ეს ხშირად მოსდით მხატვრებს, როცა ისინი თავისივე სქესის ადამიანის გარეგნობით არიან აღფრთოვანებულნი. ამ საკითხზედაც მოიკრიბა მთელი თავისი მამაცობა და შვილს ასეთი რჩევა მისცა:

- მოიხედე, ძმობილო; როცა იქნება, უსათუოდ გაგიჩნდება ვალი; იცოდე, მაშინვე ჩემთან მოვარდი. რაღა თქმა უნდა, გადახდაზე არასოდეს უარს არ ვიტყვი. მაგრამ ეგეც გახსოვდეს, რომ

ვინც თვითონ იხდის თავის ვალს, თავსაც უფრო მეტ პატივსა სცემს. და ჩემ გარდა, ნურავის ნუ ესესხები, კარგი?

და ჯოლიმაც უპასუხა:

- კარგი, მამა, არავის არ ვესესხები, - და მართლაც, თავის დღეში არავისგან უსესხებია.

- და კიდევ აი, რა. მორალის საქმეებისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ეს უსათუოდ უნდა გითხრათ: როცა რამეს აკეთებ, წინასწარ დაფიქრდი ხოლმე, ამ შენი მოქმედებით იმაზე მეტად ხომ არავის უშავებ რამეს, ვიდრე ეს აუცილებელია.

ჯოლი ჯერ ჩაფიქრდა, მერე თავი დააქნია და მამას ხელი ჩამოართვა. ჯოლიონმა კი გაიფიქრა: "მქონდა თუ არა ნეტავ, ამის თქმის ნება?" სულ იმის შიშში იყო - უსიტყვო ნდობა არ დაეკარგა, რაც ერთმანეთში ჰქონდათ. ახსოვდა, თვითონ როგორ დაკარგა მამის ნდობა და დიდი ხნის განმავლობაში მამა-შვილს შორიდან სიყვარულის გარდა არაფერი აკავშირებდა. ჯოლიონი, ეჭვი არ არის, სათანადოდ ვერ აფასებდა, როგორ შეიცვალა დრო 1866 წელს შემდეგ, როცა იგი კემბრიჯში შევიდა; ვერც შვილის მიხვედრილობის უნარს აფასებდა ხეირიანად - შვილი კი ხედავდა და გრძნობდა, მამის საოცრად მომთმენ ხასიათს. სწორედ ამ მომთმენობისა და, შესაძლებელია, სკეპტიციზმის წყალობით მისი დამოკიდებულება ჯუნისადმი მუდამ უჩვეულოდ თავდაცვითი იყო. ჯუნი მაგარი გოგო იყო, მშვენივრად იცოდა რა სურდა, და, მანამ საწადელს არ შეისრულებდა, ვერ მოისვენებდა, თუმცა, ხშირად, როგორც ცხელი კარტოფილი გაგიგდია ხელიდან, ისევე უცებ დაუგმია თავისი წადილი. დედამისიც ასე იყო, და მთელი ის უბედურება სწორედ ამისგან სჭირდათ. მაგრამ სად ქალიშვილის

თავნებობა და სად პირველი მისის ჯოლიონისა: რაც ქალიშვილისგან გესიამოვნება და გაგართობს, ცოლისგან, შესაძლებელია, სულაც არ იყოს სასიამოვნო. ჯუნი რომ კოპებს შეკრავდა და მანამ გულში ამოჭრილ საქმეს არ შეასრულებდა, არ მოისვენებდა - ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან ჯოლიონის თავისუფლებას სულაც არ ბორკავდა ქალიშვილის ხუშტური; ერთადერთი, რაც ვერ დათმო, რაზედაც თვითონაც შეიკრა კოპები, და კარგა მაგრადაც დაიბღვირა, ეს მისი მოკლე შეჭაღარავებული წვერი იყო. ისე კი, სერიოზული უთანხმოების საფუძველი არ ჰქონიათ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის ხუმრობაში გატარება შეიძლებოდა, და ჯოლიონი ასედაც იქცეოდა. ნამდვილი გულდასაწყვეტი ისღა იყო, რომ ჯუნი მის ესთეტიკურ გრძნობას ვერ აკმაყოფილებდა, თუმცა ქალიშვილის ოქროსფრად მბზინავი თმა, ვიკინგებისფერი თვალები, და ბერსერკერივით გაუტეხავი სული, თითქოს ამის საფუძველს იძლეოდა. ჰოლი სულ სხვა გახლდათ - წყნარი და რბილი, მორცხვი, მოსიყვარულე, თუმცა გულში მასაც კაი ჭინკა ჰყავდა დაბუდებული. ჯერ ისევ პატარა ჭუკი იყო ეს უმცროსი ქალიშვილი და მამა მაინც განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს. იქცევა თუ არა გედად, როცა გაიზრდება? მისი გაცრეცილი ოვალური სახე, მიბნედილი ჭროღა თვალები და გრძელი, შავი წამწამები იძლეოდა კიდეც ამის საფუძველს და არც იძლეოდა. მხოლოდ ამ ბოლო წელს გადაწყვიტა ჯოლიონმა - კი, უსათუოდ იქცევა! შავგვრემანი იქნება, მორცხვი, მაგრამ ნამდვილი გედი კი დადგება! მადმუაზელ ბოსი უკვე წავიდა, თერთმეტი წელი სულ იმ "ქარქად ზრდილ ფათარა ტეილორებს" მისტიროდა ეს დიდებული ქალბატონი და ახლა

სხვა ოჯახში გადავიდა, რათა იქაც - "ქარქად ზრდილი ფათარა ფორსაიტების" მოგონებით ისულდგმულოს. ფრანგული ისე ასწავლა ჰოლის, როგორც თვითონ იცოდა.

პორტრეტები მაინცდამაინც ვერ გამოსდიოდა ჯოლიონს, მაგრამ უკვე სამჯერ დახატა თავისი უმცროსი ქალიშვილი, და ახლა, 1899 წლის 4 ოქტომბერს, მეოთხედ ხატავდა, როცა უცებ სადარბაზო ბარათი მოართვეს. ჯოლიონმა წარბები აჭიმა.

მისტერ სომს ფორსაიტი

შელტერი,მცოდნეთა კლუბი,

მეიპლედერჰემისენტ ჯეიმსი

მაგრამ ერთხელ კიდევ უკან დავიხიოთ...

ესპანეთში დიდი ხნის მოგზაურობიდან შინ დაბრუნების პირველი დღე - ჩაბნელებული სახლი, ცრემლმორეული დაფეთებული გოგონა, სამარადისო ძილით მშვიდად მიძინებული საყვარელი მამა არასოდეს დავიწყებია და არც შეიძლებოდა დავიწყებოდა ისეთ მგრძნობიარე და გულჩვილ ადამიანს, როგორიც ჯოლიონი იყო. იდუმალების შეგრძნება იყო დაკავშირებული ამ ნაღვლიან დღესთანაც და იმ ადამიანის სიკვდილთანაც, რომელმაც მშვიდად, აუღელვებლად და პატიოსნად გაატარა მთელი სიცოცხლე. თითქოს დაუჯერებელიც იყო, რომ მამა ასე წავიდა ამ ქვეყნიდან - არ შეატყობინა თავისი განზრახვა შვილს, უკანასკნელად არ გამოელაპარაკა, არ გამოეთხოვა. ხოლო პატარა ჰოლის დაულაგებელი ლაპარაკი "ნაცრისფრად ჩაცმულ ქალზე" და მადმუაზელ ბოსის არეული ფრაზები "მადამ ერაზე" (სწორედ ასე გამოთქვამდა მის სახელს) კიდევ უფრო ბურუსში ხვევდა საქმეს. თუმცა მამის ანდერძი და მინაწერი რომ წაიკითხა, ცოტათი

გაიფანტა ის ბურუსი, მამა მას, როგორც ანდერძის აღმსრულებელს, ავალებდა - შეეტყობინებინა თავისი ბიძაშვილის, სომსის მეუღლისთვის - აირენისთვის - რომ იგი ქალს, სასიცოცხლო სარგებლობით, ანდერძად უტოვებდა თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგის პროცენტებს. ჯოლიონმა მოინახულა ქალი და განუმარტა, რომ ის ფული, რისგანაც მას პროცენტები უნდა მიეღო, ინდურ აქციებზე იყო დაბანდებული და შემოსავალი ყოველწლიურად ას ოცდაათი გირვანქა სტერლინგი იქნებოდა, საშემოსავლო გადასახადების დაუქვითავად. ეს გახლდათ მისი მესამე შეხვედრა ბიძაშვილ სომსის ცოლთან, თუკი ისევ ცოლი იყო სომსისა ქალი; ჯოლიონს ამაში ეჭვი ეპარებოდა. მასთან პირველი შეხვედრა გაახსენდა; როცა ქალი ბოტანიკურ ბაღში იჯდა და ბოსინის ელოდებოდა - თითქოს უსიცოცხლო, მაგრამ მომხიბლავი, ტიციანის "ციურ სიყვარულს" მოაგონებდა ადამიანს; მერე კიდევ, მამის დავალებით წავიდა მონტპელიესკვერზე, საღამო ხანს, სწორედ იმ დღეს, როცა ბოსინის სიკვდილი გაიგეს. ახლაც ცოცხლად ახსოვს, როგორ გაიელვა ქალმა მაშინ სასტუმრო ოთახის კარში, გიჟური იმედით ანთებული მისი მშვენიერი სახე როგორ გააქვავა განწირულებამ; გაახსენდა, როგორ მოეწურა მას გული ქალის სიბრალულით, მერე სომსის ღვარძლიანი ღიმილი და მისივე სიტყვებიც გაიხსენა: "შინ არ ვართ", და წინა კარი გაიჯახუნა.

მესამედ რომ ნახა, კიდევ უფრო ლამაზი და მოხდენილი ეჩვენა, ახლა უკვე თავისუფალი იყო გიჟური იმედისგანაც და საშინელი განწირულებისგანაც. შეჰყურებდა ამ ქალს და ფიქრობდა: "ახლა კი მესმის, რამ აღაფრთოვანა მამაჩემი". მერე მეხსიერება-

ში აღდგა ის უცნაური აღსასრული მამისა, რაც თანდათანობით გასაგები გახდა მისთვის. დიდი მოკრძალებით ლაპარაკობდა ცრემლმორეული ქალი მოხუც ჯოლიონზე.

- არ ვიცი რატომ, მაგრამ უჩვეულოდ დიდ სიკეთეს იჩენდა ჩემდამი. ისე დამშვიდებული და მშვენიერი ჩანდა თავის სკამზე, მუხის ქვეშ, პირველად მე ვნახე, იცით? რა კარგი დღე იყო! არა მგონია, ამაზე უფრო ბედნიერი აღსასრული ღირსებოდეს ადამიანს. ნეტავ ყველას გვეღირსებოდეს ამისთანა ბოლო.

"მართლაც, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ნეტავ ყველას გვეღირსებოდეს ასეთი აღსასრული - ზაფხულის ნეტარ დღეს, როცა თვით სილამაზე მოჰყვება მდელოს და შენკენ მოემართება".

პატარა, თითქმის ცარიელ სასტუმრო ოთახს მოავლო თვალი და ქალსა ჰკითხა, ახლა რას აპირებთო.

- ხელახალ ცხოვრებას შევუდგები, კუზენ ჯოლიონ, იმას რა სჯობს, როცა ადამიანს საკუთარი ფული გაქვს. ჩემს დღეში არ მღირსებია ეს. ამავე ბინაში დავრჩები, ალბათ, შევეჩვიე, მაგრამ იტალიაში წასვლაც შემეძლება.

- რა თქმა უნდა! - ჩაიბუტბუტა ჯოლიონმა და ქალის ოდნავ გაღიმებულ სახეს შეხედა.

იქიდან წამოსული, ასე ფიქრობდა: "რა მომხიბლავი ქალია! საბრალო! მიხარია, რომ მამაჩემმა ეს ფული დაუტოვა".

მას შემდეგ აღარ უნახავს, მაგრამ ყოველ სამ თვეში გამოწერდა ხოლმე ჩეკს მის ბანკზე და ქალს ჩელსიში აცნობებდა. პასუხსაც მუდამ იღებდა ჩელსიდან, ზოგჯერ იტალიიდანაც. ასე რომ, თანდათანობით, მის წარმოდგენაში ქალის არსება განუყრელად დაუკავშირდა ნაცრისფერ, ნელსაცხებლის სურნელდაფ-

რქვეულ ქაღალდს, რომელზედაც ლამაზი ხელით გამოყვანილი სიტყვები ასე იწყებოდა: "ძვირფასო კუზენ ჯოლიონ". იგი ახლა მდიდარი მესაკუთრე იყო და ამ პატარა ჩეკს რომ გამოწერდა, მუდამ გაიფიქრებდა ხოლმე: "ეჰ, ალბათ, გაჭირვებით ინახავს თავს". ბუნდოვან ფიქრს მიეცემოდა - ან კი როგორ ახერხებს ცხოვრებას ამ მამაკაცების სამყაროში, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ლამაზ ქალს პატრონი არ ჰყავდეს. პირველ ხანებში ჰოლიც გაიხსენებდა, მაგრამ ბავშვის მეხსიერებაში თანდათან გაფერმკრთალდა "ნაცრისფრად ჩაცმული ქალი"; ხოლო ჯუნის მოკუმული ტუჩები, რაც პაპის გარდაცვალების პირველ კვირებში ახსენებდნენ ხოლმე მისი ძველი მეგობრის სახელს, ჯოლიონს ქალზე ლაპარაკის ხალისს უკარგავდა. თუმცა ერთხელ ჯუნსაც წამოსცდა და საკმაოდ მტკიცედაც:

- მე უკვე ვაპატიე. ძალიან მიხარია, რომ აღარავისზე არ არის ახლა დამოკიდებული...

სომსის სადარბაზო ბარათი რომ მიიღო, ჯოლიონმა მსახურ გოგონას უბრძანა - მოურავებს ვერ იტანდა - "კაბინეტში სთხოვეთ, ახლავე გამოვალ-თქო, მოახსენეთ". მერე ჰოლის გადახედა და ჰკითხა:

- "ნაცრისფრად ჩაცმული ქალი" არ გახსოვს, შენ რომ მუსიკის გაკვეთილებს გაძლევდა?

- ოჰ, როგორ არა. ის ქალი მოვიდა?

ჯოლიონმა თავი გააქნია, ტილოს პერანგი გაიხადა და პიჯაკი ჩაიცვა, თქმით კი აღარაფერი უთქვამს, უცებ გადაწყვიტა, რომ ბავშვების საქმე არ იყო ამისთანა ამბის მოსმენა. კაბინეტისკენ რომ მიდიოდა, მისი სახე აშკარა გაოცებას გამოხატავდა.

ფრანგულ სარკმელთან ორნი იდგნენ და ტერასიდან მუხას გაჰყურებდნენ - შუახნის კაცი და ჭაბუკი. ჯოლიონს გაუკვირდა: "ეს ბიჭი ვიღაა? მაგათ ხომ შვილი არ ჰყოლიათ!"

უფროსი კაცი მობრუნდა. მეორე თაობის ფორსაიტები უფრო მეტის უშუალობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე პირველნი, მაგრამ ახლა, ამ ორი მეორე თაობის ფორსაიტის შეხვედრა, სახლში, რომელიც ერთ-ერთი მათგანისთვის იყო აშენებული და მეორეს კი ეკუთვნოდა, ფარული დაძაბულობით აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდნენ გულღიად შეხვედროდნენ ერთმანეთს. "ნეტავ, ცოლის საქმეზე მოვიდა?" - ფიქრობდა ჯოლიონი. "როგორ დავიწყო?" - გონებაში ზომავდა სომსი. ვალი კი, რომელიც სწორედ ყინულის გასალღობად წამოიყვანეს, იდგა თავისთვის და შავ წამწამებშემოჯარული თვალებით ამ წვერმოშვებულ კაცს მიშტერებოდა.

- ეს ვალ დარტია, - თქვა სომსმა, - ჩემი დისშვილი. ოქსფორდში აპირებს. თქვენი ვაჟიშვილისთვის მინდოდა გამეცნო.

- ეჰ, ძალიან მწყინს, რომ ჯოლი უკვე გაემგზავრა. რომელ კოლეჯში შედიხართ?

- ბრეისნოზში, - მიუგო ვალმა.

- ჯოლი კრაისტ ჩორჩ კოლეჯშია, მაგრამ თქვენი ნახვა ძალიან გაუხარდება.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ.

- ჰოლი შინ არის, ბიძაშვილთაგან თუ მარტო ბიჭები არ გაინტერესებთ და გოგონებსაც თუ შეეწყობით, ის დაგატარებთ ბაღს. ახლა სასტუმრო ოთახშია, ამ ფარდას გაივლით და ნახავთ. ეს არის, ვხატავდი.

ერთხელ კიდევ უთხრა ვალმა "დიდი მადლობა" და გავიდა, გაუმლღვალ ყინულზე დატოვა ორი ნათესავი.

- აკვარელის გამოფენაზე მინახავს თქვენი ნახატები, - უთხრა სომსმა.

ჯოლიონს უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა. ოცდაექვსი წელი იქნება, აღარავითარი ურთიერთობა აღარ აქვს მას თავის ნათესაობასთან, მაგრამ გონებაში ისინი როგორღაც დაკავშირებული ჰყავს ფრითის "დერბი დეისა" და ლენდსირის გრავიურებთან. ჯუნისგან გაუგონია, სომსი ამ საქმის მცოდნედ ითვლებაო... მაგრამ მით უარესი! ზიზღის უჩვეულო გრძნობა დაეუფლა.

- რამდენი ხანია აღარ მინახავხართ, - უთხრა მან.

- ჰო, - მოკუმული ტუჩებიდან გამოცრა სომსმა, - მას შემდეგ, რაც... კაცმა რომ თქვას, ახლაც მაგის საქმეზე მოვედი. მგონი, თქვენ უნდა იყოთ მისი მეურვე. ასე მითხრეს.

ჯოლიონმა თავი დაუქნია.

- თორმეტი წელი დიდი დროა, - სწრაფად თქვა სომსმა, - აღარ... დავიქანცე.

- არ მოსწევთ? - სხვა ვეღარაფერი მოახერხა პასუხად ჯოლიონმა.

- არა, გმადლობთ.

ჯოლიონმა თვითონ მოუკიდა სიგარეტს.

- მინდა გავთავისუფლდე, - პირდაპირ მიახალა სომსმა.

- მე მას არ ვნახულობ, - ჩაიდუდუნა ჯოლიონმა და თამბაქოს კვამლი გამოუშვა.

- ის მაინც გეცოდინებათ, სად ცხოვრობს.

ჯოლიონმა თავი დაუქნია. არ უნდოდა ქალის უნებართვოდ მიეცა მისამართი. სომსი, ეტყობოდა, მიუხვდა.

- მისამართს არ გთხოვთ, - თქვა მან, - მისამართი ვიცი.

- მაშ, რა გინდათ?

- ხომ თვითონ მიმატოვა! გაყრას ვითხოვ.

- ცოტა დაგვიანებული კია, არა?

- რა თქმა უნდა, - მიუგო სომსმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

- მაგ საქმეებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი... ყოველ შემთხვევაში, დამავიწყდა, - თქვა ჯოლიონმა და გაიჭყანა. მას თვითონვე დიდხანს მოუხდა ცდა, მანამ პირველი მისის ჯოლიონი მოკვდებოდა და თავისთავად მიიღებდა გაყრის უფლებას, - თქვენ გინდათ, რომ მე მოველაპარაკო?

სომსმა თავი ასწია და ბიძაშვილს თვალი გაუსწორა.

- მე მგონი, ვიღაც ჰყავს, - თქვა მან.

ჯოლიონმა მხრები აიჩეჩა.

- არ ვიცი, ჩემი აზრით, თქვენ, ორივეს, შეგეძლოთ ისე გეცხოვრათ, თითქოს მეორე სულაც მომკვდარიყოს. ასე ხდება ხოლმე.

სომსი ფანჯრისკენ მიბრუნდა. ადრეულად დაცვენილ მუხის ფოთლებს აივანი დაეფარათ, ქარში ფარფატებდნენ. ჯოლიონმა ჰოლისა და ვალ დარტის მოჰკრა თვალი, მდელო გადაეჭრათ და თავლებისკენ მიდიოდნენ.

"როგორ შემიძლია ერთსა და იმავე დროს კიდეც ვჭრა და კიდეც ვკერო, - გაიფიქრა მან, - ქალის მხარე უნდა დავიჭირო. მამაჩემის სურვილიც ეგ იყო". წამით თითქოს მამა გამოეცხადა,

თავის ძველ სავარძელში იჯდა, სწორედ სომსის უკან, ფეხი გადაედო, ხელში "ტაიმსი" ეჭირა. მოჩვენება ხელადვე გაქრა.

- როგორ უყვარდა მამაჩემს! - წყნარად თქვა მან.

- ვერ გამიგია, რატომ, - ისე უპასუხა სომსმა, რომ უკან არ მოუხედავს, - ჯერ თქვენს ქალს რამდენი უსიამოვნება მიაყენა, ჯუნს. ან კი ვის არ მიაყენა უსიამოვნება! ყოველგვარ სურვილს ვუსრულებდი. ის კი არადა... პატიებასაც ვაპირებდი... მაგრამ მიმატოვა, წასვლა არჩია.

ამ დახშულმა ხმამ ჯოლიონს ერთბაშად ჩაუქრო თანაგრძნობის განცდა. ნეტავ რა აქვს ასეთი უსიამოვნო ამ ადამიანს, რომ სხვის გულში სიბრალულსაც კი არ აღძრავს.

- თუ გნებავთ, წავალ და ვნახავ, - უთხრა ჯოლიონმა, - მგონი გაუხარდება კიდეც გაყრის გაფორმება. თუმცა ვინ იცის?

სომსმა თავი დაუქნია.

- ძალიან დამავალებთ. მისამართი კი ვიცი, გითხარით კიდეც. მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს მისი ნახვისა.

ტუჩებს წარამარა ისველებდა ენით, თითქოს გაუშრაო.

- იქნებ ჩაიზე დამეწვიოთ? - უთხრა ჯოლიონმა და ძლივს შეიკავა თავი, კინაღამ დასძინა - "სახლსაც დაათვალიერებთ". მერე ჰოლისკენ გაუძღვა. ზარი დარეკა, ჩაის გამზადება უბრძანა და მოლბერტთან მივიდა, ნახატი კედლისკენ შეაბრუნა. რატომღაც არ უნდოდა, მისი ნახატი ენახა სომსს, რომელიც ახლა აგერ ამ ვეებერთელა ოთახის შუაში იდგა. ეს ოთახი ხომ მან თავისი საკუთარი სურათებისთვის დააგეგმვინა. თავისი ბიძაშვილის სახეში, რომელიც უჩინარი მსგავსებით მასაც ჰგავდა და რაღაც საერთო ჰქონდა მთელ მის გვართან, ამ ჯიუტ, შეზღუდულ, დაძა-

ბულ გამომეტყველებაში ჯოლიონმა ისეთი რამ შენიშნა, რამაც ძალაუნებურად აფიქრებინა:

"ამ ვაჟბატონს არასოდეს არაფერი დაავიწყდება. არც თავის გულისპასუხს გაამჟღავნებს. პათეტიკური ჭაბუკი ბრძანდება!"

თავი მეშვიდე

კვიცები

როცა ახალგაზრდა ვალმა წინა თაობის ფორსაიტთა წარმომადგენლები დატოვა და ოთახიდან გავიდა, გაიფიქრა: "კაი მოსაწყენი ხალხია! რას მოიგონებს ხოლმე ძია სომსი. ნეტავ როგორი გოგოა!" დიდ სიამოვნებას ვერა გრძნობდა ამ გოგონას გაცნობით. მაგრამ უცებ, თავი რომ ასწია და ქალის თვალებს წააწყდა, სახტად დარჩა. რა მშვენიერი ყოფილა! ბედიც ამას ჰქვია!

- თქვენ ალბათ ვერ მიცნობთ, - უთხრა ვაჟმა, - მე ვალ დარტი გახლავართ, თქვენი ნათესავი, გარე ბიძაშვილი, თუ რაღაც ამგვარი... დედაჩემი ფორსაიტის ქალია.

ჰოლიმ, მორცხვობის გამო, ვერ მოახერხა თავისი სუსტი, მზით დამწვარი ხელი დარტის ხელისგან გაეთავისუფლებინა.

- ნათესავთაგან არავის ვიცნობ. ბევრნი არიან?

- თავსაყარად. და საშინელი ხალხიცაა... უმრავლესობა. ყოველ შემთხვევაში, მე ვისაც ვიცნობ... ნათესავები ყველა საშინელი ხალხია, არა?

- ალბათ ჩვენზეც ასე ფიქრობენ, - თქვა ჰოლიმ.

- რატომ უნდა იფიქრონ. თქვენზე ვინ იტყვის, საშინელიაო?!

ჰოლიმ თვალები შეანათა და ამ ჭროღა, ჭკვიანი თვალების სისპეტაკემ ვალს მაშინვე აგრძნობინა, რომ იგი ქალიშვილის დამცველი უნდა ყოფილიყო.

- ხალხსაც გააჩნია, - დასძინა მან ეშმაკურად, - მამათქვენი, მაგალითად, ძალიან წესიერი კაცი ჩანს.

- ოჰ, რა თქმა უნდა, - მგზნებარედ თქვა ჰოლიმ.

ვალი წამოჭარხლდა. უცებ გაუელვა პანდემონიუმის ვესტიბიულმა, შავგვრემანმა კაცმა, რომელსაც ვარდისფერი მიხაკი ჰქონდა გულზე დაბნეული და რომელიც მამამისი აღმოჩნდა.

- მაგრამ ერთი ფორსაიტებსაც გადახედეთ, - თითქმის ღვარძლით თქვა ვალმა, - თუმცა, დამავიწყდა. თქვენ ხომ ფორსაიტებს არ იცნობთ.

- მაინც რა ხალხია?

- ეჰ, დამწვარი ხალხია, ერთი ბეწო სპორტსმენობისა არა სცხიათ. თუნდაც აგერ ძია სომსი ნახეთ!

ვალს ქალისთვის ხელის მოხვევა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა.

- სიამოვნებით ვნახავდი, - თქვა ჰოლიმ.

- აჰ, რად გინდათ, - თქვა მან, - ბაღში გავიდეთ. ძია სომსის ნახვას მალე მოესწრებით. თქვენი ძმა როგორი ბიჭია?

ჰოლიმ ჯერ აივანზე გაიყვანა, იქიდან კი მდელოზე დაეშვნენ, ჭაბუკის შეკითხვაზე არ უპასუხია. როგორ უნდა აუწეროს ჯოლი; რაც ჰოლის თავი ახსოვს, იგი სულ მისი ბატონი, მბრძანებელი და იდეალია.

- თავის ნებაზე გატარებთ? - ცბიერი ღიმილით ჰკითხა ვალმა, - ოქსფორდში გავიცნობ. ცხენები გყავთ?

ჰოლიმ თავი დაუქნია.

- თავლებს არ დაათვალიერებთ?

- დიდი სიამოვნებით.

მუხას ჩაუარეს, თხლად გაჩაჩხული ბუჩქები გადაჭრეს და თავლებს მიადგნენ. აქ, საათის კოშკის ქვეშ, ბომბორა მურა ძაღლი ეგდო. სიბერისგან ქანცგაწყვეტილმა წამოდგომაც კი ვეღარ მოახერხა, მაღლა აპრეხილი კუდიღა გააქიცინა.

- ეს ჩვენი ბალთაზარია, - თქვა ჰოლიმ, - დაგვიბერდა საწყალი, ძალიან დაგვიბერდა. ლამის ჩემი ხნისა იქნება. საწყალი ბალთაზარი! ისეა შეჩვეული მამაჩემს!

- ბალთაზარი! უცნაური სახელია. ჯიშიანი ძაღლი არ უნდა იყოს.

- არა, მაგრამ ძალიან საყვარელი კია, - დაიხარა და ხელი გადაუსვა.

რბილი და მოხდენილი იყო ქალი; შავი თმა, მზით დამწვარი ჩამოქნილი კისერი და ხელები ისე უხდებოდა, რომ ვალს უცნაურიც მოეჩვენა და მომხიბლავიც, თითქოს ისეთი რაღაც იყო, რაც მასსა და აქამდე მის მიერ ნახულსა თუ განცდილს შორის მისრიალებდა.

- პაპა რომ მოკვდა, ორი დღე საჭმელზე პირი არ დაუკარებია, - თქვა მან, - პაპაჩემის სიკვდილს უყურებდა, იცით.

- მოხუცი ჯოლიონი? დედაჩემი სულ იმის ქებაშია, დიდებული კაცი იყოო.

- ნამდვილად, - უბრალოდ უპასუხა ჰოლიმ და თავლის კარი შეაღო.

ფართო ბაგაზე თრთვილა ცხენი იდგა, ასე ხუთი ფუტის სიგრძისა, შავი კუდი გრძლად გაეშალა და ფაფარიც შავი ეყარა.

- ეს ჩემია - ფერია!

- იფ! - შესძახა ვალმა, - ნამდვილი ბედაურია. ოღონდ კუდი უნდა შეაჭრათ ცოტათი. უფრო გაკოხტავდება, - მაგრამ ქალის გაკვირვებულ თვალებს რომ შეხედა, გუნებაში გაიფიქრა: "თუმცა რა ვიცი... ამ ქალს იქნებ ასე ურჩევნია!" ხარბად შეისუნთქა თავლის ჰაერი, - ცხენს რა შეედრება, არა? მამაჩემი... - მაგრამ ბაგეზე შეაწყდა სიტყვა.

- დიახ? - ჩაეკითხა ქალი.

ერთბაშად სურვილმა მოუარა, გული გადაეშალა ჰოლისთვის, მაგრამ დასძლია.

- ისე... არაფერი... უამრავი ფული დაუხარჯავს ცხენებზე. მეც ჭკუას ვკარგავ... ცხენოსნობაზეც და ნადირობაზეც. დოღიც ძალიან მიყვარს, სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას, - უცებ გადაავიწყდა, რომ ერთი დღეღა ჰქონდა დარჩენილი ქალაქში, თანაც ორ ადგილას უკვე იყო შეპირებული, მოვალო. და მგზნებარედ წარმოთქვა:

- ხვალ რომ ცხენი ვიქირაო, რიჩმონდპარკში გასასეირნებლად არ გამომყვებით?

ჰოლიმ ტაში შემოჰკრა.

- სიამოვნებით! ისე მიყვარს ცხენზე ჯდომა, რაღას ქირაობთ, ჯოლის ცხენი აქ არ არის! აგერ, ნაჩაიევს წავალთ.

ვალმა ჭოჭმანით დახედა თავის ფეხებს, რომლებსაც შარვლის ტოტები ფარავდა. წარმოიდგინა, რა ჩამოქნილი და უზადო

გამოჩნდებოდა ისინი ქალის დასანახად ყავისფერ ჩექმასა და ბედფორდულ შარვალში.

- არა, თქვენი ძმის ცხენი არ მინდა, - მიუგო მან, - ვაითუ ეწყინოს. თან, ძია სომსიც არ დარჩება, ალბათ, ამდენ ხანს. ბიძაჩემზე კი არა ვარ გადაბმული, მაგრამ მაინც. თქვენ მგონი არ უნდა გყავდეთ ბიძა, არა? კარგი ცხენი კია, - დასძინა მან და მუშტრის თვალით ახედ-დახედა ჯოლის წაბლა ცხენს, რომელსაც თვალების გარსი თეთრად უელავდა, - როგორც ვატყობ, თქვენ ნადირობას არ მისდევთ აქ.

- არა. და გულიც არ მიმიწევს დიდად. ძალიან საინტერესო იქნება, რა თქმა უნდა, მაგრამ დიდი უგულობა კი არის, ხომ? ჯუნი ასე ამბობს.

- უგულობა? - შესძახა ვალმა, - რა სისულელეა! ჯუნი ვინ არის?

- და არის ჩემი... მამით ვართ ერთნი. ჩემზე გაცილებით უფროსია, ხომ იცით, - ჯოლის ცხენს თავზე მოხვია ხელი და ცხვირი ჩიჩვირზე ფსუტუნით მოუცაცუნა. პირუტყვზე, ეტყობოდა, ჰიპნოზივით იმოქმედა ამან. ღაწვი ცხენის თავზე მიესვენებინა ქალს, ხოლო თვალები ჭაბუკისთვის მიენათებინა.

"რა საყვარელი გოგოა!" გაიფიქრა ვალმა.

შემდეგ სახლისკენ გაბრუნდნენ, მაგრამ უხმოდ. ამჯერად ბალთაზარიც აედევნათ, ოღონდ ასე ნელა ჯერ არანაირ სულდგმულს არ უმოძრავია დედამიწის ზურგზე, თან, აშკარად ეტყობოდა, იმათგანაც მოითხოვდა, მისთვის აეწყოთ ფეხი.

- დიდებული ადგილია, - თქვა ვალმა, როცა მუხას მიადგნენ და მის ძირში შედგნენ, უკან ჩამორჩენილ ბალთაზარს დაელოდ-ნენ.

- მართლაც, - დაეთანხმა ჰოლი და ამოიოხრა, - მაგრამ, რა თქმა უნდა, მე მაინც მინდა მთელი ქვეყანა მოვიარო. ნეტავ ბოშა ვიყო.

- მართალი ხართ, მხიარული ხალხია ბოშები, - კვერი დაუკრა ვალმა, - ჰგავხართ კიდეც ბოშას!

ჰოლის ერთბაშად გაუბრწყინდა და გაუნათდა სახე, როგორც მუქ ფოთლებს მოავარაყებს ხოლმე მზე.

- ყველგან უნდა წახვიდე, - ყველაფერი ნახო, ღია ცის ქვეშ იც-ხოვრო... ო! დიდებული არ იქნება?

- მოდი, ვცადოთ, - თქვა ვალმა.

- ვცადოთ, სიამოვნებით.

- მშვენიერი რამე იქნება. მარტო თქვენ და მე.

ჰოლიმ შენიშნა, ეგ ახირებულ მოქმედებად არ მოეჩვენოთო, და წამოფაკლდა.

- მაინც უნდა გავაკეთოთ, - ჯიუტად გაიმეორა ვალმა და ისიც გაწითლდა, - ჩემი აზრით, ყოველი გულის წადილი უნდა შეისრუ-ლოს ადამიანმა. ის რა ჩანს, ქვემოთ?

- ბოსტანია, იმის იქით პატარა ტბა, მერე ჭალა და ფერმა.

- წავიდეთ, ვნახოთ.

ჰოლიმ სახლისკენ გაიხედა.

- ჩაის დრო უნდა იყოს, მამა ხელს გვიქნევს.

სასტუმრო დარბაზში რომ შებრუნდნენ, ორი შუახანს მიღ-წეული ფორსაიტის ხილვამ, რომლებიც ისხდნენ და ჩაის შეექცე-

ოდნენ, ახალგაზრდებზე მაგიურად იმოქმედა და მაშინვე დაადუმა ისინი. მართლაც რომ შთამბეჭდავი სანახაობა იყო. ეს ორი კაცი გვერდიგვერდ იჯდა მარკეტრის სავარძელზე, რომელიც, ერთი შეხედვით, სამი ერთმანეთზე გადაბმული, მოვერცხლისფროვარდისფერი მატერიით გაწყობილი სკამი გეგონებოდა; წინ დაბალი ჩაის მაგიდა ედგათ. რამდენადაც შეიძლებოდა, ერთმანეთისგან დაშორებით ისხდნენ: ერთი - სავარძლის ერთ ძგიდეზე, მეორე კი - მეორე განაპირას; ეტყობოდა საგანგებოდ მოეწყვნენ ასე, რომ ერთმანეთისთვის სახეში შეხედვა არ დასჭირვებოდათ. ჭამითა და სმით უფრო იყვნენ გართული, ვიდრე ლაპარაკით - სომსი თითქოს ზიზღით ჭამდა კექსს, რომელიც ხელად გაქრა, ჯოლიონი კი, ეტყობოდა მხიარულად გრძნობდა თავს. გარეშე თვალისთვის არც ერთზე არ ითქმოდა ხარბი მჭამელი, მაგრამ საუზმეს მაინც მადიანად შეექცნენ. ახალგაზრდებიც მიიწვიეს სუფრაზე და საუზმე კვლავ უხმოდ და მადიანად გაგრძელდა. ბოლოს ჯოლიონმა სიგარეტს მოუკიდა და სომსს ჰკითხა:

- ძია ჯეიმსი როგორ ბრძანდება?

- ძალიან სუსტად. გმადლობთ.

- უცნაური მოდგმა კი გვაქვს, ჰა? იმ დღეს მამაჩემის საგვარეულო ბიბლიაზე ათი ძველი თაობის ფორსაიტის საშუალო ასაკს ვანგარიშობდი. ოთხმოცდაოთხი წელი გამოვიდა. თან ისიც ნუ გავიწყდებათ, რომ ხუთი მათგანი ჯერაც ცოცხალია. რეკორდს დაარტყამენ, - ეშმაკურად გადახედა სომსს და დასძინა, - ჩვენ მათთან რას მივალთ!

სომსს გაეღიმა. "ნეტავ, მართლა თუ ფიქრობ, რომ იმათ რამეში ჩამოვუვარდები, - ეტყობოდა, ასე ამბობდა გულში, - ან რამეს დავთმობ ჩემი ნებით, მით უმეტეს, სიცოცხლეს!"

- მაგათ ხანს იქნებ ჩვენც მივაღწიოთ, - განაგრძო ჯოლიონმა, - მაგრამ საკუთარ თავში დაეჭვება მაინც დიდ რამეს ნიშნავს, ხომ იცით, და სწორედ ამით გვჯობნიან ისინი. ჩვენ რწმენა გვაქვს დაკარგული. ვერ გამიგია, როდის ან როგორ გაგვიჩნდა ეს ეჭვი. ცოტათი მამაჩემსაც ჰქონდა ასეთი განცდა, მაგრამ არა მგონია, ძველი თაობის ფორსაიტთაგან სხვა რომელიმეს თუნდაც ერთი ბეწოთი ჰქონოდეს. თუკი მოახერხებ და შენს არსებაში ვერასოდეს ვერ შეამჩნევ იმას, რასაც სხვები ხედავენ, თავის დაცვის ამაზე დიდებული საშუალება სხვა რაღა იქნება. მთელი არსი გასული საუკუნის ისტორიისა სწორედ ჩვენ შორის განსხვავებაში მდგომარეობს... ხოლო ჩვენსა და თქვენ შორის, - დასძინა მან და თამბაქოს კვამლის რგოლში გახედა ვალსა და ჰოლის, რომლებიც ჯოლიონის დამცინავ გამოხედვაზე უხერხულად შეიშმუშნენ, - სულ სხვა ხასიათის განსხვავება იქნება. არ ვიცი კი, როგორი.

სომსმა საათი ამოიღო.

- ჩვენ უნდა წავიდეთ, - თქვა მან, - თორემ მატარებელს ვეღარ მივუსწრებთ.

- ძია სომსს თავის დღეში არ დაჰგვიანებია მატარებელზე, - შენიშნა საჭმლით პირგამოტენილმა ვალმა.

- რატომ უნდა დამგვიანებოდა? - იკითხა სომსმა უბრალოდ.

- რა ვიცი, - წაიდუდღუნა ვალმა, - ხომ აგვიანებს ხალხი!

სადარბაზო კარში, გამომშვიდობების დროს, მან კარგა ხანს გააჩერა თავის ხელში ჰოლის მზედაკრული ხელი და სხვების შეუმჩნევლად მოუჭირა.

- ხვალ გამოგივლით, - წასჩურჩულა მან, - სამ საათზე მოვალ, დრო რომ დავზოგოთ, პირდაპირ გზაზე დაგელოდებით. დიდებულ დროს გავატარებთ ცხენებით.

ჭიშკრიდან კიდევ ერთხელ გახედა, და, ქალაქური მორალის წესებს რომ არ შეებოჭა, ხელსაც დაუქნევდა. სულაც არ ეხალისებოდა ახლა ბიძასთან მუსაიფის გაბმა. მაგრამ ამ მხრივ, არც ელოდა საშიშროება - შორეულ ფიქრებში ჩაფლული სომსი მუნჯივით ენაჩაგდებული მოდიოდა.

მანამ ეს ორი კაცი ფეხით გაივლიდა ერთ-ნახევარ მილს, გაყვითლებული ფოთლები ფარფატით ეცემოდა მიწაზე. რამდენჯერ გაუვლია ეს გზა სომსს, როცა, იდუმალი სიამაყით მოცული, სახლის მშენებლობის დასათვალიერებლად მოდიოდა ხოლმე. სწორედ ამ სახლში უნდა ეცხოვრა მას იმ ქალთან ერთად, რომლისგანაც ახლა საბოლოო გათავისუფლებას ცდილობდა. ერთხელ კიდევ გახედა შეყვითლებულ ხერგულებს შორის გაჭიმულ შემოდგომის დაუსრულებელ გზას. მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ! "არავითარი სურვილი არ მაქვს მისი ნახვისაო", - ასე უთხრა ჯოლიონს. მართალია მერე ეს? "იქნებ მომიხდეს კიდეც შეხვედრა", - გაიფიქრა მან და გააჟრჟოლა. იმ უცნაურმა ჟრუანტელმა აიტანა, რასაც საკუთარ საფლავზე ფეხის დადგმის დროს განიცდის ადამიანიო, იტყვიან. ეს ცივი წუთისოფელი! უცნაური წუთისოფელი! დისშვილს გადახედა და გაიფიქრა: "ნეტავ მაგის ხნისა მქნა! ერთი გამაგებინა, როგორი გახდა აირენი!"

თავი მერვე

ჯოლიონი მეურვის მოვალეობას ასრულებს

ნათესავების წასვლის შემდეგ ჯოლიონი მოლბერტს აღარ დაჰბრუნებია, რადგან უკვე საღამოს ბინდი ჩამოწვა. იგი პირდაპირ სამუშაო ოთახისკენ გაემართა. ისეთ არეულ გუნებაზე დადგა, რომ მოუნდა მამის წამიერი ხილვა გამოეწვია - ზის მოხუცი ჯოლიონი თავის ძველ, წაბლისფერ ტყავის სავარძელში, ფეხი ფეხზე გადაუდვია, და მაღალი შუბლის გუმბათქვეშ ჩამჯდარი მშვიდი თვალებით სივრცეს გასქცერის. ამ პატარა, ყველაზე უფრო მყუდრო ოთახში ჯოლიონი ხშირად ახერხებდა მამასთან წამიერ შეხვედრას. არა, სულების არსებობა მას, რა თქმა უნდა, არ სწამდა - მის გრძნობასა და სურვილს ასეთი ლოგიკური ფორმა არც მიუღია - ეს უფრო ჰაეროვანი შეხება იყო, რაიმე სურნელის შეგრძნების მსგავსი მოვლენა, ან რა და ფორმისა თუ სინათლის ტყდომის შედეგად მიღებული ძლიერი ანიმისტიკური შთაბეჭდილება, რაც, უმეტესად, მხატვრის თვალით დაჯილდოებულ ადამიანებს ახასიათებთ. ამ პატარა ოთახში, სადაც მამას თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაუტარებია, მხოლოდ აქ შეიძლებოდა დაუფლებოდა გრძნობა, რომ მოხუცი ჯოლიონი სავსებით

არ წასულა, მისი მომხიბლავი სითბო და ბრძნული დარიგებანი კვლავაც ცოცხლობენ.

ახლა რას ურჩევდა, ნეტავ, ახლა, როდესაც ასე მოულოდნელად იფეთქა ძველმა ტრაგედიამ? როგორ მოითმენდა მუქარას იმ ქალისადმი, ვისაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით დაუახლოვდა? "რაც კი შემიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმ ქალისთვის, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - მამაჩემმა ანდერძით დამავალა მასზე მზრუნველობა! მაგრამ რა არის ეს "ყველაფერი", რისი გაკეთება შეიძლება?"

და თითქოს ცდილობს სიბრძნე შეითვისოს, მოხუცი ფორსაიტის სულიერი წონასწორობა და საღი აზრი გამოიმუშაოსო, იგი ამ ძველ სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო. მაგრამ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უბრალო ჩრდილი ჩამჯდარიყოს სავარძელში. არც არავითარი შთაგონება არ სწვევია, მანამ იჯდა და ჩაბნელებული ფრანგული ფანჯრის მინებზე ქარის თითების კაკუნს ისმენდა.

"წავიდე, ვნახო? - ფიქრობდა იგი, - თუ ვთხოვო, აქ მოვიდეს? ნეტავ აქამდე როგორა ცხოვრობდა, ან ახლა როგორ ცხოვრობს? საშინელება კია, ყველაფერ ამის გამოქექვა ამდენი ხნის შემდეგ". და კვლავ თავისი ბიძაშვილი წარმოუდგა, - ისე გამოხტა, როგორც თოჯინები გამოხტებიან ხოლმე ძველებურ საათებში, დარეკვის დროს, - ხელი მომწვანო-ზეთისხილისფერ კოხტა სადარბაზო კარისთვის ჩაუვლია და ჯოლიონს მართლაც ზარის რეკვასავით ჩაესმა მისი სიტყვები: "ჩემს საქმეს მე თვითონ მოვუვლი. ერთხელ მითქვამს და კიდევ გიმეორებთ: შინ არა ვართ". ზიზღი, რაც მაშინ იგრძნო სომსისადმი, მისი სუფთად გაფხეკილი,

გაბრტყელებულ-გაპრიალებული სიფათის, ბულდოგის გამომეტყველების, ხმელი, გაწლიკული ფიგურისადმი, რომელიც ისე მოხრილა, თითქოს ყელზე ძვალი ადგას და ვერ გადაუყლაპავსო... ეს ზიზღი კვლავ განუახლდა, არა, - ახლა კიდევ უფრო მძაფრად აღეძრა. "მძულს, მთელი არსებით მძულს, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - მით უკეთესი, უფრო ადვილად დავიჭერ მისი ცოლის მხარეს". სანახევროდ მხატვარი და სანახევროდ ფორსაიტი - ჯოლიონი - თავისი ბუნებით ვერ იტანდა ვერავითარ "დაკა-დაკას" (როგორც თვითონ ეძახდა ხოლმე). თუ ძალიან არ გააგულისებდნენ, ძუკნა ძაღლზე შეთხზული ის ძველი კლასიკური გამოთქმა იყო ჯოლიონზე ზედგამოჭრილი: "ოღონდ კი ჩხუბში ნუ ჩააბამ და ახლავე მოუსვამსო". ღიმილმა დაისადგურა მის წვერში. რა ირონიაა, რომ სომსი იძულებული შეიქნა აქ მოსულიყო, ამ სახლში, თავისთვის აშენებულ სახლში. როგორ შეჰყურებდა, როგორ მიშტერებოდა თავისივე ძველი განზრახვების განადგურებას; რა შეპარვით გადახედავდა კედლებს, კიბეს, ყველაფერს ფასს ადებდა! თითქოს ალღოთი მიხვდა, სომსის განწყობილებასო, ჯოლიონმა გაიფიქრა: "დარწმუნებული ვარ, ეს ვაჟბატონი ახლაც კი სიამოვნებით იცხოვრებდა აქ. ასე ადვილად ვერ დათმობს იმას, რაც ერთხელ მისი საკუთრება იყო. რა გაეწყობა, რამე ხომ უნდა ვიღონო, ასე იქნება თუ ისე. თუმცა არასასიამოვნო კია, ძალიან არასასიამოვნო".

საღამოს ჩელსიში გაგზავნა ბარათი, აირენსა სთხოვდა, თქვენი ნახვა თუ შეიძლებაო.

ძველი საუკუნე, რომელიც ინდივიდუალიზმის საოცარ აყვავებას შეესწრო, ახლა, მომავალი ქარიშხლებისგან შეწითლებულ

ცაზე, თანდათან ქრებოდა. ომზე ატეხილ მითქმა-მოთქმას კიდევ უფრო გაეძლიერებინა ზაფხულის ბოლოსთვის დამახასიათებელი რია-რია. ქალაქში იშვიათად ჩადიოდა ჯოლიონი, და ახლა ქუჩები კიდევ უფრო არეული და გაცოფებული ეჩვენა ახალშემოსული ავტომობილების წყალობით, რომლებიც მას ესთეტიკური თვალთახედვით არაფრად ეპიტნავებოდა. თავისი ეკიპაჟიდან ამ მანქანების თვლას მოჰყვა და ნახა, რომ ყოველ ოც კებზე თითო ავტომობილი მოდიოდა. "შარშან ოცდაათზე მოდიოდა თითო ავტომობილი, - გაიფიქრა მან, - დამკვიდრდება, რაღა შეაჩერებს. მაშინ ნახე საშინელი გრუხუნი და სიმყრალით მოწამლული ჰაერი!" ჯოლიონიც ერთ-ერთი ისეთი იშვიათი ლიბერალი იყო, რომელთაც არაფერი სწამთ ახალი, თუკი იგი ცხოვრებაში დამკვიდრდა და აშკარა გახდა. მეეტლეს უბრძანა, ჩქარა გასცლოდა ამ ღრიანცელს და სანაპიროზე გასულიყო, რათა ჭადრების რბილი ფარდის იქით მდინარისთვის ეცქირა. სანაპიროდან ორმოცდაათიოდე იარდის დაშორებით, ერთ პატარა სახლთან ეტლი გააჩერებინა და მეეტილეს უბრძანა, დამელოდეო, თვითონ კი ჩამოხტა და ბელეტაჟში შევიდა.

დიახ, მისის ჰერონი შინ იყო.

ჯოლიონს გაახსენდა, რა ღარიბული სიფაქიზით იყო მორთული ეს პაწაწინა ბინა ამ რვა წლის წინ, როცა მემკვიდრეობის ამბავი ჩამოუტანა აირენს, და ახლა რომ გადახედა მორთულობას, მაშინვე თვალში ეცა, მართალია მცირე, მაგრამ სამაგიეროდ მყარი შემოსავლის გავლენა. ყველაფერს სიქორფისა და სინატიფის იერი დაჰკრავდა, ირგვლივ ყვავილების სურნელი იდგა. საერთოდ ვერცხლისფერი ტონი იყო გამეფებული, რასაც შავი, ცის-

ფერი და ოქროსფერი ლაქები ჰქონდა გარეული. "დიდებული გემოვნება ჰქონია", - გაიფიქრა ჯოლიონმა. როცა ოქროსთმიანი, თაგვისფერ კაბაში გამოწყობილი ქალი შეეგება, შავი, რბილი თვალებით გაუღიმა და ხელი გაუწოდა.

- დაბრძანდით.

ალბათ თავის დღეში არ უგრძნია ასეთი უხერხულობა სკამზე დაჯდომის დროს.

- სულ არ შეცვლილხართ, - უთხრა კაცმა.

- თქვენც გაახალგაზრდავებულხართ, კუზენ ჯოლიონ.

ჯოლიონმა თმაზე გადაისვა ხელი - თმა არ გასცვენოდა და ეს იმედად ჰქონდა.

- დავბერდი, მაგრამ მე ვერა ვგრძნობ ამას. მხატვრობას ესა სჭირს კარგი - არ გაბერებს. ტიციანმა ოთხმოცდაცხრამეტ წელს მიაღწია, და ჭირი გახდა საჭირო, რომ მოეკლა. თქვენ რომ გნახეთ პირველად, ტიციანის ერთი სურათი გამახსენდა.

- როდის მნახეთ პირველად?

- ბოტანიკურ ბაღში.

- როგორღა მიცანით, თუკი ადრე არასოდეს გენახეთ?

- ერთი კაცი მოვიდა თქვენთან და იმით გიცანით, - ჯოლიონი ქალს შესცქეროდა, მაგრამ ქალის გამომეტყველება არ შეცვლილა.

აირენმა მშვიდად თქვა:

- დიახ, რამდენიმე სიცოცხლის წინ.

- როგორ ინარჩუნებთ ახალგაზრდობას, აირენ?

- ვინც არ ცხოვრობს, დიდებულად ინარჩუნებს თავის ახალგაზრდობას.

რა მოკლედ და მწარედ არის ნათქვამი! ვინც არ ცხოვრობს! მაგრამ ლაპარაკის დაწყების საბაბი მიეცა, და ჯოლიონმაც ჩასჭიდა ხელი.

- ჩემი ბიძაშვილი სომსი ხომ გახსოვთ?

შენიშნა, როგორ გაელიმა ქალს ამ უცნაურ შეკითხვაზე, და მაშინვე განაგრძო.

- გუშინწინ იყო ჩემთან. განქორწინებას ითხოვს. თქვენ რას იტყვით?

- მე? - დაუფიქრებლად წამოსცდა ქალს, - თორმეტი წლის შემდეგ? ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია. ძნელი არ იქნება?

ჯოლიონმა თვალებში შეხედა.

- თუ... - დაიწყო მან.

- საყვარელი თუ არა მყავს? მას შემდეგ არავინ არ მყოლია.

რა გრძნობამ მოიცვა ჯოლიონი ამ უბრალო, გულწრფელი სიტყვების წარმოთქმაზე? შვება იგრძნო, გაკვირვება თუ სიბრალული? თვით ვენერა - თორმეტი წელიწადი უსიყვარულოდ?!

- მიუხედავად ამისა, - უთხრა ჯოლიონმა, - ალბათ, თქვენც სიამოვნებით დათანხმდებოდით განქორწინებას.

- რა მოგახსენოთ. რაღა აზრი აქვს?

- რომ შეგიყვარდეთ ვინმე?

- შემიყვარდება და ის იქნება! - ამ უბრალო სიტყვებით მან თითქოს შეაჯამა მთელი ფილოსოფია ადამიანისა, ვისთვისაც ქვეყანას ზურგი შეუქცევია.

- კარგი. ხომ არაფერს დამაბარებთ მასთან?

- არაფერს, გარდა იმისა, რომ მწყინს, თავისუფალი რომ არ არის. ჰქონდა კი ამის საშუალება ერთხელ, და მიკვირს, რატომ არ გამოიყენა.

- იმიტომ, რომ ფორსაიტი გახლავთ. ჩვენ არასოდეს მოვიშორებთ ისეთ ნივთს, რის სამაგიეროდაც სხვა რამე არ გვეგულება. და მაშინაც კი გვიძნელდება.

აირენს გაეღიმა.

- თქვენც, კუზენ ჯოლიონ?.. არა მგონია, თქვენც ასეთი იყოთ.

- მე ხომ წმინდა ფორსაიტი არა ვარ - ცოტათი გადაგვარებული გახლავართ. ჩემს დღეში არ დამიწერია ჩეკზე ნახევარპენი, ვამრგვალებ ხოლმე, - ჯოლიონმა უხერხულობა იგრძნო.

- მაშ, ახლა რაღა უნდა სომსს ჩემ მაგივრად?

- რა მოგახსენოთ. ბავშვები, ალბათ.

აირენს თავი დაბლა დაეხარა და ერთხანს ხმას არ იღებდა.

- დიახ, - წაიჩურჩულა მან, - ძნელია, რომ შემეძლოს, უსათუოდ დავეხმარებოდი.

ჯოლიონმა თავისი ქუდი შეათვალიერა. სულ უფრო მეტ უხერხულობას გრძნობდა. ასევე სულ უფრო და უფრო ძლიერად ეუფლებოდა აღფრთოვანების, გაკვირვებისა და სიბრალულის განცდა. რა საყვარელი იყო ეს ქალი, და რა უთვისტომო! რა საშინლად დახლართულია საქმე!

- კარგი, - თქვა მან ბოლოს, - ვნახავ სომსს. თუკი რისიმე გაკეთება შემეძლება თქვენთვის, თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები. მამაჩემის უბადრუკ შემცვლელად მიგულეთ. ყოველ შემთხვევაში, გაცნობებთ მაინც ყველაფერს, როცა სომსს მოველაპარაკე-

ბი. მას ალბათ დამოუკიდებლადაც შეუძლია საბუთების წარდგენა.

ქალმა თავი გააქნია.

- ძვირი დაუჯდება და ბევრს იზარალებს. მე კი დასაკარგი რა მაქვს! გულით მინდა, რომ თავისუფალი იყოს, მაგრამ რომ არ ვიცი, რა უნდა გავუკეთო.

- ჯერ მეც არ ვიცი, - მიუგო ჯოლიონმა.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაჩერებულა - გამოეთხოვა და გამოვიდა, თავისი კებისკენ გაემართა. სამის ნახევარია! სომსი ახლა ოფისში იქნება.

- პოლტრისკენ! - ასძახა მან სარკმლიდან მეეტლეს.

პარლამენტისა და უაიტჰოლის წინ გაზეთის გამყიდველები გაჰკიოდნენ: "ტრანსვაალში შავად მიდის საქმე!.." მაგრამ ჯოლიონს თითქმის არც კი გაუგონია ეს ყვირილი, კვლავ მშვენიერი ქალი ედგა თვალწინ, მისი შავი თვალები და ლმობიერი გამოხედვა, ყურებში კი ისევ ეს სიტყვები ჩაესმოდა: "მას შემდეგ არავინ არ მყოლია". რა უნდა ქნას ამნაირმა ქალმა, რითი ისულდგმულოს, როცა ცხოვრება მორევში ჩაითრევს და ერთ ადგილას დაატრიალებს? ეული, უთვისტომო. ყოველი მამაკაცის ხელი მის წინააღმდეგაა შემართული... ყოველ შემთხვევაში, მისკენ არის გაწვდილი, რათა მაშინვე ჩაბღუჯოს, თუკი ოდნავი მერყეობა შენიშნა. წელიწადი წელიწადს მისდევს და იგი კვლავ ასეთ დღეშია!

გამვლელების თავზემოთ ქუჩაში გამოკრულმა წარწერამ - "პოლტრი" - ისევ სინამდვილეს დაუბრუნა.

"ფორსაიტი-ბასტარდი-ფორსაიტი!" ამ შავი ასოებით გამოყვანილმა სიტყვებმა, რომლებიც ცერცვისფერ ფონზე უფრო მკა-

ფიოდ მოჩანდა, ჯოლიონი თითქოს სამოქმედოდ წააქეზეს, იგი ბუტბუტით აუყვა ქვის კიბეს: "ესეც შენი ძველი და ქველი მესაკუთრეები! რას იზამ, უმაგათოდაც ვერაფერს გახდები".

- მისტერ სომს ფორსაიტი მინდა, - უთხრა მან ბიჭს, რომელმაც კარი გაუღო.

- რა გვარი მოვახსენო?

- მისტერ ჯოლიონ ფორსაიტი.

ბიჭმა გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა - პირველად ხედავდა წვერიან ფორსაიტს - და გაქრა.

"ფორსაიტი-ბასტარდი-ფორსაიტის" ოფისებმა თანდათანობით შთანთქეს "ტუტინგ და ბაულსის" ოფისები და ამჟამად მთელი მეორე სართული მათ ეჭირათ. მთელი ფირმა ახლა ფაქტობრივად სომსი და მისი კლერკები იყვნენ - უფროსი კლერკებიცა და უმცროსებიც - სხვა არავინ. ჯეიმსის საბოლოო წასვლამ ამ ექვსიოდე წლის წინ, საქმის წარმატება დააჩქარა, მაგრამ განსაკუთრებული სიცხოველით მაშინ დაეტყო საქმეს აღმავლობა, როცა ბასტარდიც გატყდა და ჩამოშორდა. ეს უკანასკნელი, ბევრის მტკიცებით, წელში გაწყვიტა ფრაიერისა და ფორსაიტის სასამართლო დავამ, რაც სულ უფრო და უფრო იხლართებოდა და არც ერთ მხარეს კარგს არას უქადდა. სომსი ჩვეული სიდინჯით უყურებდა საქმეს და, როგორც ყოველთვის, ახლაც ზედმეტად არ აწუხებინებდა თავს. პირიქით, თავიდანვე მიხვდა, რომ განგება მას მარტო ამ საქმეში ორასგირვანქიან წლიურ შემოსავალს უმზადებდა.

ჯოლიონი რომ შევიდა, მისი ბიძაშვილი იმ კონსოლების სიას ადგენდა, რომლებიც, მოსალოდნელ ომზე ამდენი მითქმა-

მოთქმის გამო, მის კლიენტებს, მისივე რჩევით, ახლავე უნდა გაეტანათ ბაზარზე, მანამ სხვები დაასწრებდნენ. მან ცერად გადმოხედა ჯოლიონს და უთხრა:

- გამარჯობა! ამ წუთში, სერ, დაბრძანდით.

სამი უკანასკნელი ციფრიც მიაწერა, მერე, სტრიქონი რომ არ არეოდა, სახაზავით დანიშნა, ჯოლიონს მიუბრუნდა და თავისი გაბრტყელებული სალოკი თითის კვნეტას მოჰყვა.

- დიახ? - თქვა მან.

- ვნახე.

სომსმა კოპები შეკრა.

- მერე?

- იგი წარსულის მოგონებათა ერთგული რჩება.

ეს რომ თქვა, მერეღა შერცხვა ჯოლიონს. მის ბიძაშვილს კი სახეზე ალმური მოეკიდა. ეს საწყალი ცხოველი რაღას გავაღიზიანეო, ჯოლიონმა გაიფიქრა.

- დამავალა გადმოგცეთ: თვითონაც წუხს, რომ თავისუფალი არა ხართ. თორმეტი წელიწადი დიდი დროა. თქვენ ჩემზე კარგად იცით კანონი და ის უპირატესობა, რასაც კანონი განიჭებს.

სომსმა უცნაურად წამოიღრუტუნა და ამის შემდეგ ისე გავიდა მთელი წუთი, არც ერთს ამოუღია ხმა და არც მეორეს. "სანთლის ტიკინა!" გაიფიქრა ჯოლიონმა, როცა ამ გაქვავებულ სახეს შეხედა. სიწითლე ხელადვე გაჰქრობოდა. "ვერაფრით შეატყობ, რას ფიქრობს, ან რას აპირებს. სანთლის ტიკინა!" და მზერა ახლა აყვავებული საზღვაო ქალაქის "ბაი-სტრატის" გეგმაზე გადაიტანა. ფირმის კლიენტების მესაკუთრული ინსტინქტების გასაღიზიანებლად ამ ქალაქის მომავალი ხედი კედელზე იყო გა-

მოკრული. ჯოლიონს უცნაურმა აზრმა გაუელვა: "ნეტავ ვიცოდე, ანგარიშის ქაღალდს ხომ არ გამომიწერს ახლავე: "მისტერ ჯოლიონ ფორსაიტს - ჩემი განქორწინების თაობაზე რჩევის მოცემისა, ჩემი ცოლის მონახულებისა და ამაზე ანგარიშის ჩაბარებისა, მასთანვე ხელმეორედ გაგზავნისთვის - სულ თექვსმეტი შილინგი და რვა პენი!"

უცებ სომსმა დაიწყო:

- ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, - წამოიძახა მან, - არ შემიძლია-მეთქი, გეუბნებით.

თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, როგორც მიჩიხულ მხეცს, რომელიც გასაქცევს ეძებს.

"მართლა იტანჯება, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ამის დავიწყება როგორ შეიძლება, რა ვუყოთ, რომ მძულს".

- რა თქმა უნდა, - თანაგრძნობით უთხრა მან, - მაგრამ თქვენვე უნდა იღონოთ რამე. მამაკაცი ყოველთვის მოაგვარებს ამას, საკუთარ თავზე თუ იდებს საქმეს.

სომსი ერთბაშად მოუტრიალდა, და თითქოს სულის სიღრმიდან აღმოხდა:

- რაღად უნდა ვიტანჯო, აღარ მეყოფა ამდენი ტანჯვა?! ჰა, კიდევ რად ვიტანჯო?!

ჯოლიონმა მხრებიღა აიჩეჩა. სხვა ვერაფერი მოახერხა. გონებით იგი ეთანხმებოდა, ინსტინქტი - წინააღმდეგი იყო, ვერ მიმხვდარიყო, რატომ.

- მამათქვენი, - განაგრძო სომსმა, - თანაუგრძნობდა მას... ღმერთმა უწყის, რატომ! ალბათ თქვენც თანაუგრძნობთ! - თვალი თვალში გაუყარა ჯოლიონს, - ეტყობა, საკმარისია, ადამიანმა

რამე ვნება მიაყენოს მეორეს, რომ ამით ყველას თანაგრძნობა დაიმსახუროს. ვერ გამიგია, რატომ უნდა ვიყო მე გასაკიცხი, ადრეც მიფიქრია და ვერ მივმხვდარვარ! მუდამ კარგად ვექცეოდი. რასაც კი ისურვებდა, ვუსრულებდი...

ჯოლიონის გონება ამაზედაც დაეთანხმა. ინსტინქტი კი კვლავ წინააღმდეგი იყო. "რა მომდის, - გაიფიქრა მან, - ტვინი მეღრძო? თუ ასეა, დაე ტვინნაღრძობი ვიყო და მრუდედ ვიფიქრო".

- ბოლოს და ბოლოს, - პირქუში სიმძაფრით თქვა სომსმა, - იგი ჩემი ცოლი იყო.

და მის მსმენელს მაშინვე გაუელვა თავში: "აჰა! მესაკუთრეობა! მესაკუთრე ყველას გვეთქმის - ყველას გვაქვს რაღაც ნივთები. მაგრამ ადამიანის დასაკუთრება! ფუჰ!"

- ფაქტებს უნდა გავუწიოთ ანგარიში, - ცივად უთხრა მან, - ან ფაქტების არქონას.

სომსმა კვლავ დაეჭვებული მზერა მიაპყრო ჯოლიონს.

- ფაქტების არქონას? - თქვა მან, - რომ არ მჯერა!

- უკაცრავად, - უთხრა ჯოლიონმა, - მე ის გითხარით, რაც დამაბარეს. ყველაფერი მკაფიოდ იყო თქმული.

- გამოცდილება საფუძველს არ მაძლევს, ბრმად ვენდო მის სიტყვებს. ვნახოთ, რა იქნება.

ჯოლიონი წამოდგა.

- ნახვამდის, - მკვახედ მიუგდო მან.

- ნახვამდის, - უპასუხა სომსმა. ჯოლიონი გავიდა. იგი ცდილობდა გამოეცნო, რას ნიშნავდა თავისი ბიძაშვილის სახეზე აღ-

ბეჭდილი ნახევრად შემცბარი, ნახევრად დამუქრებული გამომეტყველება.

ვატერლოოს სადგურისკენ გასწია, ტვინი არეული ჰქონდა, თითქოს მთელი არსება შერყეოდეს. იჯდა მატარებელში, და თვალწინ ედგა ბინაში ეულად გამომწყვდეული აირენი, სომსი - ასევე ეულად მყოფი თავის ოფისში! როგორ გაანადგურა ცხოვრებამ ერთიც და მეორეც! "მარყუჟში არიან! - გაიფიქრა მან, - ორივეს მარყუჟში აქვს კისერი გაყოფილი. აირენის ლამაზი კისერიც მარყუჟშია".

თავი მეცხრე

ვალმა ახალი ამბავი გაიგო

დაპირების შესრულება სულაც არ ყოფილა ახალგაზრდა ვალ დარტის დამახასიათებელი თვისება. ასე რომ, სიტყვის ორჯერ გატეხის შემდეგ მხოლოდ მესამე დაპირების შესრულებაც კი საკვირველ მოვლენად ეჩვენებოდა, როცა ჰოლისთან სეირნობის შემდეგ რობინჰილიდან ქალაქისკენ მოაჯაყჯაყებდა ცხენს. დღეს, კუდჩამოშვებულ თრთვილა ბედაურზე კიდევ უფრო ლამაზი ეჩვენა ქალი. და საკუთარი თავისადმი კრიტიკულად განწყობილ ყმაწვილს, ახლა, ოქტომბრის ამ ნისლიან ბინდბუნდში, ლონდონის მისადგომებთან, ეჩვენებოდა, რომ ქალთან სეირნობის დროს, მთელი ორი საათის განმავლობაში, მხოლოდ ჩექმა ბრწყინავდა მისი, სხვა არაფერი. ახლა ოქროს საათი ამოიღო, ჯეიმსის ნაჩუქარი, მაგრამ დროისთვის კი არ დაუხედავს, გადააბრუნა და ბრჭყვიალა ხუფზე საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა. წარბზემოთ რაღაც ლაქა შენიშნა და არ ესიამოვნა, რადგან ალბათ ქალსაც არ ესიამოვნებოდა ეს. კრუმს თავის დღეში ვერ უნახავ ლაქას. კრუმის გახსენებამ ის სურათიც გაახსენა, "პანდემონიუმში". დღეს არავითარი სურვილი არ ჰქონია, ჰოლისთვის გული გადაეშალა და მამის ამბავი გაენდო. მამას არ გა-

აჩნდა პოეზია, რისი სიმების რხევაც პირველად ახლაღა იგრძნო ცხრამეტი წლის ჭაბუკმა. "ლიბერტი" და ცინთია დარკი - ეს თითქმის მითური ხორცშესხმა ნეტარებისა; "პანდემონიუმი" და გაურკვეველი ასაკის ქალი... ერთბაშად გაქრა ყველაფერი ვალისთვის, რომელიც ახლახან დაშორდა თავის ახალგაცნობილ, მორცხვ, შავთმიან ახალგაზრდა ნათესავს. ცხენზე ჩინებულად იჯდა ქალი, და, რაც კიდევ უფრო სასიამოვნო იყო ვალისთვის, ყველგან უყოყმანოდ მიჰყვებოდა, სადაც კი ვაჟი მოისურვებდა, მიუხედავად იმისა, რომ რიჩმონდპარკსაც და მთელ იმ ადგილებს ვალზე კარგად იგი იცნობდა. ეს რომ გაიხსენა, გაოცდა - რა უაზრო რამეებს ველაპარაკებოდიო. იგრძნო, რომ ათასნაირი "დიდებული რამის" მბობა შეეძლო, კიდევ თუ შეხვდებოდა ქალს. მაგრამ ხვალ დილით ლიტლჰემპტონში უნდა წავიდეს, თორმეტში კიდევ - ოქსფორდს, იმ "ოხერ გამოცდებზე". აღარავითარი იმედი არ ჩანს ქალთან შეხვედრისა, ამის გაფიქრებამ უფრო სწრაფად ჩაუბნელა სული, ვიდრე საღამოს სიბნელე დედამიწას მოეფინებოდა. წერილს მისწერს, აკი შეჰპირდა ქალი, გიპასუხებო. ალბათ, ძმის სანახავადაც ჩამოვა ოქსფორდში. ამ ფიქრმა, ცაზე გამოჩენილ პირველი ვარსკვლავივით გაუელვა თავში, როცა იგი პედუიკის თავლებს მიუახლოვდა სლოუნსკვერის მახლობლად. ცხენიდან ჩამოხტა და გემრიელად გაიზმორა, რადგან მთელი ოცდახუთი მილი ისე გაიარა, უნაგირიდან არ ჩამოსულა. უცებ დარტის სისხლმა გაიღვიძა მასში და ბარე ხუთ წუთს პედუიკ უმცროსს ედავა კემბრიჯშირის ფავორიტზე. მერე დაუბარა, ცხენი ჩემს ანგარიშზე ჩაწერეო და გამობრუნდა, ერთხანს ფეხებგაჩაჩხული მოდიოდა და პატარა, დაწნულ ჯოხს ფეხსაცმელზე იტყა-

პუნებდა. "დღეს სულაც არ მესიამოვნება სადმე წასვლა, - გაიფიქრა მან, - დედაჩემი რომ შამპანურს მომიმზადებდეს გამოთხოვების აღსანიშნავად!" შამპანურითა და მოგონებებით კარგად შეიძლებოდა მთელი საღამოს შინ გატარება.

როცა იბანავა და დაბლა ჩავიდა, საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი დედა იქ დახვდა; ვერაფრად ეპიტნავა, როცა ძია სომსიც იქვე ნახა. ვალი რომ შევიდა, ამათ ხელად გაწყვიტეს დაწყებული საუბარი. მერე ბიძამ თქვა:

- ჯობს, ამასაც ვუთხრათ.

ვალი მიხვდა, რომ საქმე მამას შეეხებოდა და მაშინვე ჰოლი გაახსენდა. ნეტავ, სისაძაგლეა რამე?

დედამ დაიწყო:

- მამაშენი, - დარბაისლური ტონი მიიღო მან, მაგრამ, ამავე დროს, თითები კაბაზე საცოდავად წიწკნიდნენ მწვანე ნაქარგს, - მართლა ნიუ მარკეტში კი არ არის, შვილო. მამაშენი... სამხრეთ ამერიკაში წავიდა... მიგვატოვა.

ვალმა მზერა სომსზე გადაიტანა. წავიდა! შეაწუხა ამან ვალი? უყვარს კი მამა? იგრძნო, რომ გადაჭრით ვერ იტყოდა. და უცებ, თითქოს გარდენიას და სიგარის სუნი ეცაო, გული შეუტოკდა. შეაწუხა, ნამდვილად შეაწუხა! ბოლოს და ბოლოს, მამა იყო მისი. ასე ჰაიჰარად ხომ არ ადგებოდა და წავიდოდა... ასე როდი ხდება! განა მუდამ ასეთი "ხეპრე" იყო, იმ დღეს "პანდემონიუმში" დაასეირნებდა, ჯიბის ფულს აძლევდა სკოლაში წასვლის წინ... საერთოდ, გულუხვი იყო, როცა ბედი სწყალობდა.

- რატომ? - თქვა და უცებ თვითონვე შერცხვა ამ შეკითხვისა. დედის ნაძალადევად გაქვავებული სახე ერთბაშად დაიშალა და

ვალმა სწრაფადვე განაგრძო, - კარგი, დედა, ნუღარაფერს მეტ-ყვი, ოღონდ რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

- გაყრას, ვალ, სხვა გზა არ არის.

ვალს კვნესის მაგვარი უცნაური ბგერა აღმოხდა და მაშინვე ბიძას შეხედა. თავიდანვე ასე შეაჩვიეს, - რაკი ამისთანა მამის შვილი ხარ, აგერ ბიძაა შენი ხსნა და ნუგეშიო; ის კი არადა, თვით იმის საზღაურად, რომ ძარღვებში დარტების სისხლი უჩქეფდა, ბიძას უსახავდნენ. სომსის ბრტყელი სახე თითქოს მოიჭმუხნა და ამან კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება ვალს.

- საქვეყნოდ ხომ არ მოხდება ეს?

ცხადად მოაგონდა, როგორი ინტერესით კითხულობდა ხოლ-მე საგაზეთო ცნობებს, რომლებშიც განქორწინებათა პროცესე-ბის ბინძური წვრილმანები იყო აღწერილი.

- როგორმე ისე ვერ მოხერხდება, რომ ჩუმად ჩაიაროს? ისეთი საძაგლობაა ეს... დედაჩემისთვის, და... ყველასთვის, საზოგა-დოდ.

- ვეცდებით, რაც შეიძლება ჩუმად ჩავატაროთ, ამაში დარ-წმუნებული იყავი.

- ჰო, მაგრამ... რა აუცილებელია? დედა ხომ მეორედ გათხო-ვებას აღარ აპირებს.

ხომ შეიბღალა მისი სახელი, გოგოების სახელი - ამხანაგების თვალში, კრუმის თვალში... ახლა ოქსფორდელი სტუდენტები, თვით ჰოლი! აუტანელია! ან კი ამით რას უნდა გამოვრჩეთ?

- გათხოვებას აპირებ, დედა? - უკმეხად ჰკითხა მან.

უინიფრიდს პირისპირ დაუდგა მთელი ძველი განცდები, და ეს გაუკეთა მან, ვინც ყველაზე უფრო უყვარდა ქვეყნად. ამპირის

სავარძლიდან წამოდგა. გრძნობდა, რომ, თუ ყველაფერს არ ეტ-ყოდა, შვილი წინააღმდეგი იქნებოდა. თან კი როგორ უთხრას?! გაოგნებული, ისევ ნაქარგს აწვალებდა თითებით, ბოლოს სომსს გადახედა. ვალიც სომსს მისჩერებოდა. ასეთი ღირსეული კაცი, მესაკუთრეობის გვირგვინი, როგორ მოიწადინებს, რომ საკუ-თარ დას სახელი შეუბღალოს!

სომსმა პატარა, წიგნის ასაჭრელი დანა ნელ-ნელა გადაუსვა მარკეტრის მაგიდის გლუვ ზედაპირს და დისშვილისთვის არც კი შეუხედავს, ისე თქვა:

- შენ არ იცი, რა გადაიტანა დედაშენმა ამ ოც წელიწადში. ეს უკანასკნელი წვეთიღა იყო, ვალ, - მერე უინიფრიდს გახედა ცე-რად და განაგრძო, - ვუთხრა?

უინიფრიდს ხმა არ გაუღია. არ უთხრას, წინააღმდეგი წავა ბიჭი! არადა, საშინელებაა - მშობელ მამაზე ამისთანა რამეების მოსმენა! ტუჩები მოკუმა და თავი დააქნია.

- მუდამ მძიმე ტვირთივით ჰყავდა ჩამოკიდებული დედაშენს კისერზე. მისი ვალის გადახდას უნდებოდა. მოვიდოდა გალეში-ლი - ლანძღავდა და ემუქრებოდა, ახლა კი ადგა და, ვიღაც მო-ცეკვავე ქალთან ერთად, ბუენოს-აირესში წავიდა.

და თითქოს იმის შიშით, - ვაითუ, ბიჭზე სათანადო შთაბეჭდი-ლება არ მოახდინოს ამ ფაქტებმაო, სწრაფად დასძინა:

- დედაშენის მარგალიტი წაიღო, იმ ქალს აჩუქა.

ვალმა უეცრად ხელი აიქნია. უინიფრიდმა ეს უბედურების ნიშნად მიიღო და შეჰკივლა:

- კმარა, სომს... გაჩუმდი!

ბიჭის არსებაში ერთმანეთს ებრძოლა დარტი და ფორსაიტი. ვალები, სმა, მოცეკვავე ქალები - ამეებში ვალი ერთგვარად თანაუგრძნობდა კიდეც. მაგრამ მარგალიტი! არა! არა! ეს უკვე მეტისმეტი იყო! და უცებ მან ხელზე დედის ხელის მოჭერა იგრძნო.

- ხომ ხედავ, - კვლავ სომსის სიტყვები ჩაესმოდა ბიჭს, - აღარ შეიძლება, თავიდან ხომ არ დაიწყებს ყველაფერს! აივსო მოთმინების ფიალა. სანამ გაცივდებოდეს რკინა, მანამ უნდა გამოკვერო.

ვალმა ხელი გაითავისუფლა.

- მაგრამ, იცოდეთ... მარგალიტის ამბავი მაინც არ უნდა გახმიანდეს! მე ამას ვერ ავიტან... ვერ ავიტან, გესმით!

უინიფრიდმა შეჰკივლა:

- არა, არა, ვალ... არასდიდებით! ეს შენ გითხარით მარტო, რათა დაგენახა, რა აუტანელი კაცია მამაშენი.

ბიძამაც თავი დააქნია. ცოტათი დამშვიდებულმა ვალმა სიგარეტი ამოიღო. ეს თხელი, მორკალული სათუთუნე მამის საჩუქარი იყო. ოჰ! საშინელებაა! და სწორედ ოქსფორდში წასვლის წინ!

- არ შეიძლებოდა, რამე სხვაგვარი დახმარება აღმოგვეჩინა დედასთვის? - თქვა მან, - მე თვითონ მოვუვლი. ეს კი უფრო მოგვიანებითაც შეიძლება გაკეთდეს, თუკი აუცილებელი აღმოჩნდა.

სომსს ტუჩებზე მწარე ღიმილმა გადაურბინა.

- შენ არც კი იცი, რას ამბობ. ამისთანა საქმის გადადებაზე საბედისწერო არაფერია ქვეყნად.

- რატომ?

- აკი გეუბნები - ამაზე საბედისწერო არაფერია. გამოცდილებით ვიცი.

ხმაში გაღიზიანება დაეტყო. ვალი თვალდაჭყეტილი შესცქეროდა - პირველად ხედავდა ბიძას აღელვებულს. აჰა! - ახლაღა გაახსენდა - აკი არსებობდა ვიღაც ბიცოლა აირენი, და რაღაც მოხდა მერე... ისეთი რამე, რასაც მალავდნენ. მოაგონდა, რა სიტყვით ახსენა მამამ ერთხელ ის ქალი. ახლა ამ სიტყვის განმეორებაც კი უხერხულია.

- არ მინდა ცუდად ვახსენო მამაშენი, - გაღიზიანებული ტონით განაგრძო სომსმა, - მაგრამ ვიცნობ, რა შვილიც ბრძანდება - ერთი წელიც არ გაივლის, რომ ისევ დედაშენის სარჩენი გახდება. წარმოგიდგენია, რა იქნება ეს შენთვისაც და ყველა ჩვენთვის?! ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, საბოლოოდ გაწყდეს ყოველგვარი კავშირი.

ვალს არ ეგონა, ასეთ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა ეს ამბავი. უცებ დედას შეხედა და, ალბათ სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ საკუთარი გრძნობები ყოველთვის როდია მთავარი.

- კარგი, დედა, - უთხრა მან, - ჩვენც შენთან გვიგულე. ოღონდ მითხარით მაინც, როდის უნდა მოხდეს. ეს ხომ ჩემი პირველი სემესტრია. არ მინდა იმ დროს ოქსფორდში ვიყო.

- ჩემო საყვარელო ბიჭუნი, - ამოილუღლუღა უინიფრიდმა, - ვხედავ, რომ ეს წამება გახდა შენთვის, - ასე, ჩვეულების გავლენით, სულ უბრალოდ წარმოთქვა ის, რაც, მისი გამომეტყველების მიხედვით, ყველაზე უფრო სატანჯველი უნდა ყოფილიყო მისთვის, - როდის იქნება ეს, სომს?

- ვერ გეტყვი... ამ რამდენიმე თვეში ალბათ ვერ მოესწრება. ჯერ ცოლქმრული უფლებების აღდგენა იქნება საჭირო.

"ეს რა ჯანდაბაა! - გაიფიქრა ვალმა, - რა შტერი პირუტყვები ყოფილან ეს იურისტები! რამდენიმე თვე! მე ერთი რამე ვიცი - დღეს შინ ვერ ვისადილებ!"

- ძალიან ვწუხვარ, დედა, მაგრამ სადილად ვარ დაპატიჟებული.

მართალია, ეს იყო შვილის შინ ყოფნის უკანასკნელი ღამე, მაგრამ უინიფრიდმა თითქოს სიხარულით დაუქნია თავი. ორივე გრძნობდა, რომ დღეს ზომაზე მეტადაც გაუხსნეს ერთმანეთს გული.

განადგურებული და გაოგნებული ვალი ნისლჩამოწოლილ გრინსტრიტს დაუყვა, რათა ერთგვარი შვება ეპოვა. ისე მიადგა პიკადილს, არც კი გახსენებია, რომ ჯიბეში მხოლოდ თვრამეტი პენი ჰქონდა. თვრამეტი პენით რას ისადილებდა, არადა მგელივით შიოდა. ნაღვლიანად ახედა "აისიუმ-კლუბის" ფანჯრებს, სადაც მას რამდენჯერ დიდებულად უსადილია მამასთან ერთად! ის ოხერი მარგალიტი! ამის პატიება როგორ იქნება. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, რაც უფრო მეტი გზა გაიარა, შიმშილი, ბუნებრივია, უფრო მოეძალა. შინ დაბრუნება ხომ არაფრით უნდოდა და ორი ადგილიღა დარჩა წასასვლელი - ან პაპასთან უნდა მისულიყო, ლეინპარკზე, ან ტიმოთისთან, ბეისუოთერ როუდზე. ამ ორი ადგილიდან ნაკლებსაშინელი რომელია? პაპასთან, ალბათ, უფრო კარგად ისადილებს სახელდახელოდ. ტიმოთისთან, თუ წინასწარ ელოდებიან, იცოცხლე კარგად გასადილებენ, ისე ვერაფერიშვილი სადილი ექნებათ. ისევ ლეინპარკი არჩია. ამას სხვა მოსაზრებამაც შეუწყო ხელი: ოქსფორდში გამგზავრების წინ რომ პაპას საშუალება არ მისცე დაგასაჩუქროს, ეს უსინდი-

სობა იქნება პაპის და საკუთარი თავის მიმართაც. დედა, რა თქმა უნდა, გაიგებს მის აქ ყოფნას და გაუკვირდება კიდეც, მაგრამ თუკი სხვა აზრი არ არის! ზარს ჩამოჰკრა.

- გამარჯობათ, უორმსონ. რას იტყვით, ჩემთვის სადილი არ ექნებათ?

- სწორედ ახლა შედიან სასადილოდ, მისტერ ვალ. მისტერ ფორსაიტს ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა. საუზმეზე გაგიხსენათ დღეს, რამდენი ხანია აღარ მინახავსო:

ვალმა გაუცინა.

- აჰა, მოვედი კიდეც. მსუქანი ხბო დამიკალით, უორმსონ. შამპანური გამოიტანეთ.

უორმსონს გაეღიმა - ვალი მას უქნარა ყმაწვილად მიაჩნდა.

- მისის ფორსაიტსა ვთხოვ, მისტერ ვალ.

- აბა, აბა, - ჩაიდუდღუნა ვალმა და პალტო გაიხადა, - სკოლის მოსწავლე კი ნუღარ გგონივარ.

უორმსონი ხუმარა კაცი იყო, ირმის რქის საკიდარს უკან კარი შეაღო და ხმამაღლა გამოაცხადა:

- მისტერ ვალერიუს, ქალბატონო.

"ჯანდაბას შენი თავი!" - გაიფიქრა ვალმა და შევიდა.

თბილმა ჩახუტებამ, შეძახილებმა - "ო, ჩვენი ვალი!" - ეს ემილმა შესძახა - და ჯეიმსის კიდევ უფრო მთრთოლარე სიტყვებმა - "მადლობა ღმერთს, გაგვიხსენე", ვალს საკუთარი ღირსების გრძნობა დაუბრუნა.

- რატომ ადრევე არ შეგვატყობინე? მარტო ცხვრის ხორცი გვაქვს. შამპანური გამოიტანე, უორმსონ, - უთხრა ემილიმ, და სასადილო ოთახში შევიდნენ.

დიდ სასადილო მაგიდას, რომელიც, რამდენადაც კი შეიძლებოდა, დაემოკლებინათ, და რომლის ქვეშაც ერთ დროს ათასობით მდიდრულად შემოსილი ფეხი ყოფილა, თავში ჯეიმსი მიუჯდა, ბოლოში - ემილი, ვალი კი, მათ შორის, შუა ადგილას მოთავსდა. მარტოობის მოწყენილობა პაპა-დიდედისა, რომელთაც უკვე ოთხი შვილი აჰფრენოდათ ბუდიდან, ბიჭსაც გადმოედო. "ღმერთმა ნუ ქნას, რომ პაპაჩემის ხანამდე მიმეღწიოს, - გაიფიქრა მან, - საწყალი ბერიკაცი, როგორ ფიჩხივით ჩამომხმარა". და სანამ პაპა უორმსონს ეკამათებოდა, წვნიანში რამდენი შაქარი უნდა ჩაყაროო, ვალმა დიდედას გადაულაპარაკა ხმადაბლა:

- ჩვენთან დიდი ამბები დატრიალებულა, დიდედა. თქვენ, ალბათ, გაიგებდით.

- ვიცი, შვილო.

- ძია სომსი დავტოვე ახლა იქ. ნუთუ ვერაფერს მოვიფიქრებთ, რომ გაყრა თავიდან ავიშოროთ: რატომ დაუჟინია ასე ძიას?

- ჩუმად, გენაცვალე, - გადმოუჩურჩულა ემილიმ, - პაპაშენს ვუმალავთ.

უცებ მაგიდის თავში ჯეიმსის ხმა გაისმა.

- რაო, რას ლაპარაკობთ?

- ვალის კოლეჯზე ვლაპარაკობდით, - მიუგო ემილიმ, - პარიზერიც ხომ მანდ სწავლობდა, ჯეიმს. არ გახსოვთ, მერე, ცოტას გაწყდა, ბანკი არ მოხსნა მონტე-კარლოში.

ეგ მე არ ვიციო, ჯეიმსმა ჩაიბურტყუნა, ვალი ფრთხილად უნდა იყოს, ცუდ ხალხში არ გაერიოსო. და შვილიშვილს ქუშად გადახედა, მაგრამ მის თვალებში სიყვარულიც გამოსჭვიოდა.

- ერთი რამისა კი მეშინია, - თეფშს წაულაპარაკა ვალმა, - იქ ალბათ გამიჭირდება.

ალღოთი გრძნობდა ბერიკაციის სუსტ მხარეს - იმის შიშს, რომ შვილიშვილები სათანადოდ უზრუნველყოფილები არ იყვნენ.

- არა უშავს, - უთხრა ჯეიმსმა და კოვზიდან წვენი გადმოელვარა, - ფული საკმაოდ გექნება, ოღონდ უნდა იმყოფინო.

- რა თქმა უნდა, - ჩაიდუდღუნა ვალმა, - თუკი საკმარისი იქნება. მაინც რამდენი მექნება, პაპა?

- სამას ორმოცდაათი. ეს დიდი ფულია. შენოდენა რომ ვიყავი, მაგდენი ფული სად მქონდა.

ვალმა ამოიოხრა. ოთხასის იმედი ჰქონდა და შიშობდა, სამასი არ იყოსო.

- ნეტავ შენს ბიძაშვილს რამდენი დაუნიშნეს, - განაგრძო ჯეიმსმა, - ისიც იქ არის. მამამისი მდიდარი კაცია.

- თქვენ კი არა ხართ მდიდარი? - თავხედურად ჰკითხა ვალმა.

- მე? - მიუგო შემცბარმა ჯეიმსმა, - მე იმდენი ხარჯი მაქვს... მამაშენი... - მაგრამ აღარ დაასრულა.

- რა დიდებული სახლი ჰქონია ძია ჯოლიონს. ძია სომსს ვახლდი. რა მშვენიერი თავლები!

- ეჰ! - ამოიხვნეშა ჯეიმსმა, - ეგ სახლი! თავშივე ვიცოდი, რით დამთავრდებოდა!.. - და ფიქრებმა წაიღეს, თვალი თევზის ფხისთვის დარჩა მიშტერებული.

შვილის ტრაგედია, რომელმაც ასეთი განხეთქილება გამოიწვია ფორსაიტების გვარში, ახლაც კი ეჭვებისა და ავი წინათგრძნობების მორევში ჩაითრევდა ხოლმე ჯეიმსს. ვალს კი ერთი სული ჰქონდა, მანამ რობინჰილზე ჩამოაგდებდა სიტყვას, რად-

გან რობინჰილი - ეს თვითონ ჰოლი იყო. იგი ემილის მიუბრუნდა და უთხრა:

- ეგ სახლი იყო, ძია სომსისთვის რომ ააშენეს? - და როცა დიდედამ თავი დაუქნია, განაგრძო, - რა მოხდა, მაინც, დიდედა, მითხარით, რა? ან ბიცოლა აირენს რა მოუვიდა? ისევ ცოცხალია? ძია სომსი დღეს ძალიან შეწუხებული ჩანდა.

ემილიმ ტუჩებზე თითი მიიდო, მაგრამ სიტყვა "აირენი" უკვე მისწვდა ჯეიმსის სმენას.

- რაო? - იკითხა მან და ხორცწამოგებული ჩანგალი პირთან გაუშეშდა, - ვინ ნახა ეს ქალი? მე ის ვიცი, რომ კარგა ხანია აღარაფერი ისმის მაგ ამბისა.

- კარგი, ჯეიმს, - დაამშვიდა ემილიმ, - ჭამე, თუ ღმერთი გწამს, არავისაც არ უნახავს.

ჯეიმსმა ჩანგალი დადო.

- დაიწყე შენებური?! - გაცხარდა იგი, - ისე ჩავალ სამარეში, რომ არაფერს მეტყვი. გაყრას აპირებს სომსი?

- რა სისულელეა? - განუმეორებელი რიხით შესძახა ემილიმ, - სომსს მაგდენი ჭკუა კი აქვს.

ჯეიმსმა გრძელი, ჭაღარა ბაკენბარდები გასწი-გამოსწია, კისერზე კანიც გადაიჭიმა და ხელი ყანყრატოზე მოისვა.

- ეგ ქალი ხომ... ეგ ქალი ყოველთვის... - თქვა მან, მაგრამ ამ გამოუცნობ ფრაზაზე საუბარი შეწყდა კიდეც, რადგან ოთახში უორმსონი შემობრუნდა. შემდეგ კი, როცა ცხვრის ხორცს ნამცხვრები, ტკბილეული და დესერტი მოჰყვა, და ვალმა ოცგირვანქიანი ჩეკის გარდა პაპის ამბორიც მიიღო - ყოვლად უცნაური ამბორი, რისი მსგავსი ქვეყნად არავის არაფერი უნახავს; ბერიკაც-

მა, თითქოს სისუსტეს მინებდაო, ტუჩები გამობზიკა და სწრაფად მიაწება შვილიშვილს, - ამის შემდეგ ვალმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

- ძია სომსის ამბავი მითხარით, დიდედა. რატომ ასე დაუჟინია დედაჩემის განქორწინება?

- ბიძაშენი სომსი, - გადამეტებული სიმტკიცით დაიწყო ემილით, - იურისტია, ჩემო საყვარელო ბიჭუნი. იმან უკეთ იცის.

- აჰა! - აღმოხდა ვალს, - ბიცოლა აირენს რაღა მოუვიდა? მახსოვს, ლამაზი ქალი იყო.

- ძალიან, ე... - მიუგო ემილიმ, - ძალიან ცუდად მოიქცა. იმ ამბავს აღარც ვახსენებთ.

- მე, კიდევ, არ მინდა, რომ ოქსფორდში ყველამ გაიგოს ჩვენი ამბები, - შესძახა ვალმა, - საშინელებაა პირდაპირ. არ შეიძლება, რომ მამაზე ვიმოქმედოთ და არ გავახმიანოთ ეს საქმე?

ემილიმ ამოიოხრა. ისე უყვარდა მაღალ საზოგადოებაში ტრიალი, რომ გაყრის ატმოსფეროთი ცხოვრობდა და სულდგმულობდა: იმ ხალხთაგან, რომელთა ფეხები ამათი სასადილო მაგიდის ქვეშ ყოფილა გაჭიმული, ბევრს სწორედ განქორწინების პროცესმა გაუთქვა არცთუ სახარბიელო სახელი. ხოლო, როცა საკუთარ ოჯახს შეეხო საქმე, მასაც ისევე მოსწონდა ეს ამბავი, როგორც იმ ხალხს. მაგრამ ემილი საოცრად პრაქტიკული და ყოჩაღი ქალი იყო, სინამდვილეს არასოდეს მოარიდებდა თვალს და მოჩვენებებს არ გამოედევნებოდა.

- დედაშენი იქნება ბედნიერი, ვალ, საბოლოოდ რომ გათავისუფლდება, - უთხრა ემილიმ, - ნახვამდის, ჩემო საყვარელო ბი-

ჭუნი. ამ ჭყეტელა ჟილეტებს ნულარ ჩაიცვამ ოქსფორდში. ვიღა იცვამს ახლა! აგერ, ჩემი მცირე საჩუქარიც.

ვალი ლეინპარკზე გამოვიდა, ხელში ხუთი გირვანქა სტერლინგი ეჭირა, გულში კი სითბო ჩაღვროდა, რადგან ნამდვილად უყვარდა დიდედა. ქარს ნისლი გადაეყარა, შემოდგომის ფოთლები შრიალებდა, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ამდენი ფული რომ დაიგულა ჯიბეში, სურვილი აღეძრა, მოდი ერთი, "ცხოვრება ვნახოო", მაგრამ ორმოცი ნაბიჯიც არ გადაუდგამს პიკადილისკენ, რომ უცებ თვალწინ დაუდგა ჰოლის მორცხვი სახე, მისი ეშმაკურად მოციმციმე თვალები, თითქოს ახლაც ხელში ეჭიროს მისი თბილი, ხელთათმნიანი ხელი და მკლავში ისევ ის საამო ჟრუანტელი უვლიდეს. "ეჰ, არა! - გაიფიქრა მან, - შინ მივდივარ!"

თავი მეათე

სომსი მიიპატიჟებს მომავალს...

მდინარეზე სეირნობის სეზონი უკვე დიდი ხნის გასული იყო, მაგრამ მშვენიერი ამინდი იდგა და გაყვითლებული ფოთლების ქვეშ ზაფხული ფეხს ითრევდა, წასვლას არ ჩქარობდა. სომსი იმ კვირა დილით ბაღში ფუსფუსებდა მდინარის პირას, მეიპლედერ-ჰემის მახლობლად, და წარამარა ცას გაჰყურებდა, ამინდს ამოწ-მებდა. ყვავილის ქოთნები საკუთარი ხელით დაალაგა თავის პა-ტარა ნავსახლში, წყალში ნავი ჩაუშვა და გაამზადა, რათა ნასა-უზმევს ანეტი და დედამისი გაესეირნებინა. სკამებზე ჩინურად მოხატულ ბალიშებს აწყობდა, და ფიქრში ვერ გადაეწყვიტა - სურდა თუ არა მარტო ანეტთან გაესეირნა. ისეთი ლამაზი ქალია - ენდობა სომსი საკუთარ თავს, რომ გონივრულობის საზღვარს არ გადასცდეს და შეუფერებელი რამე არ უთხრას? ვარდები კვლავ ყვაოდა ვერანდაზე, ცოცხალი ღობე ისევ მწვანედ ხასხა-სებდა, ასე რომ, კაცი არ იტყოდა შუა შემოდგომაოო, და არც გუნება-განწყობილებას აცივებდა რამე. მიუხედავად ამისა, სომ-სი მაინც ნერვიულობდა, ღელავდა, უცნაურად შიშობდა, ვაითუ სწორი ტონი ვერ გამოვნახოო.

ანეტი და დედამისი იმ მიზნით მოიწვია, რომ თავისი სიმდიდრე ეჩვენებინა, რათა წინასწარვე ჰქონოდათ წარმოდგენა და ღირსეულად მოჰკიდებოდნენ ყოველგვარ წინადადებას, რის შეთავაზებასაც სომსი შემდეგ საჭიროდ მიიჩნევდა. დიდი გულმოდგინებით გამოეწყო, რათა არც ძალიან ახალგაზრდა გამოჩენილიყო, არც ძალიან ბებერი. ბედის კმაყოფილი იყო, თმა ისევ ხშირი ჰქონდა და თეთრი სულაც არ გამორეოდა. ბარე სამჯერ ავიდა თავის გალერეაში სურათებისთვის თვალის შესავლებად. თუ რამე გაეგებათ, ხელადვე უნდა მიხვდნენ, რომ მარტო მისი კოლექცია, სულ ცოტა, ოცდაათი ათასი გირვანქა მაინც ეღირება. მშვენივრად გაწყობილ საწოლ ოთახშიც შეიხედა, რომლის ფანჯრები პირდაპირ მდინარეს გადაჰყურებდა - აქ ქუდების მოსახდელად შემოიყვანს. სწორედ ეს იქნება მისი საწოლი თუ... თუ საქმე კარგად წარიმართა და სომსის ცოლი გახდა. სარკის მაგიდასთან რომ მივიდა, ხელი ქინძისთავების პატარა, იასამნისფერ ბალიშს გადაუსვა, რომელზედაც ათასნაირი ქინძისთავი ებნია. ვაზა, რომელშიც შემჭკნარი ვარდის ფურცლები ეყარა, ისეთ სურნელს გამოსცემდა, რომ სომსს ლამის თავბრუ დაესხა. მისი ცოლი! სახელდახელოდ რომ შეიძლებოდეს ყველაფრის მოგვარება და ეს განქორწინების კოშმარი არ იყოს გასავლელი! კოპები შეკრა და შუბლზე ნაოჭები დააჯდა, მდინარეს გადახედა, რომელიც ვარდის ბუჩქებსა და გაზონებს მიღმა თვალისმომჭრელად ელავდა. მადამ ლამოტს, რა თქმა უნდა, გასტეხს ქალიშვილისთვის გამზადებული ასეთი ბედი, თვით ანეტს კი დედა გასტეხს. ოღონდ კი თავისუფალი იყოს ახლა სომსი! სადგურში წავიდა, შესახვედრად. რა გემოვნება აქვთ ამ ფრანგ ქალებს! მადამ ლა-

მოტს შავი კაბა ეცვა, იასამნისფერი ნაჭრებით გაწყობილი; ანეტს მონაცრისფრო-იასამნისფერი ტილოს კოსტიუმი ეცვა, კრემისფერი ქუდი ეხურა და ასეთივე ხელთათმანი ეკეთა. ცოტა-თი ფერმკრთალი ჩანდა - ნამდვილი ლონდონური იერი ედო; ლურჯი თვალები მორცხვად დაეხარა. მანამ ქალები სასაუზმოდ ჩამოვიდოდნენ, სომსი სასადილო ოთახში ღია ფრანგულ ფანჯა-რასთან იდგა და მათ ელოდა. ამ მზით, ყვავილებითა და ხეებით მოხიბლული, ნამდვილ ნეტარებას განიცდიდა; ეს ნეტარება მხო-ლოდ მაშინ მოდის მთელი სისავსით, როცა სიყმაწვილე და სილა-მაზეც შენთან არიან და მას ინაწილებენ. საუზმის მენიუ დიდი სიფრთხილით ჰქონდა მოფიქრებული. საგანგებოდ დაკვეთილი სოტერნი, მრავალნაირი, იშვიათი საჭმელი, ვერანდაზე მორ-თმეული შესანიშნავი ყავა. მადამ ლამოტმა CREME DE MENTHE((ფრანგ.) - პიტნის ლიქიორი.) დალია, ანეტმა არ ინდომა ლიქიორი. ძალიან მომხიბლავი იყო, უბრალოდ ეჭირა თავი, მაგ-რამ ეტყობოდა, რომ საკუთარი სილამაზის ფასი იცოდა. "დიახ, - გაიფიქრა სომსმა, - კიდევ ერთი წელი ლონდონში ასეთი ცხოვრე-ბა, და ხელიდან წავა".

მადამ ლამოტი აღფრთოვანებას არ მალავდა, მაგრამ ფრან-გული თავშეკავებით.

- ADORABLE! LE SOLEIL EST SI BON((ფრანგ.). - ბრწყინვალეა! რა საამური მზეა.)! ყველაფერი SI CHIE, არა, ანეტ? ნამდვილი მონტე კრისტოა მუსიე!

ანეტმა რაღაც ჩაილაპარაკა, თანხმობა გამოხატა და სომსს გადახედა, მაგრამ რას ამბობდნენ ქალის თვალები, სომსმა ამის წაკითხვა ვერ მოახერხა. მერე, ნავით გავისეირნოთო, შესთავა-

ზა. მაგრამ ორი ქალის წაყვანა ნავით, როცა ერთი მათგანი, ჩინური ბალიშების ფონზე, ასე მომხიბლავი ჩანს, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის სინანულს იწვევდა. ამიტომ ცოტათი გაცურეს პენგბორნისკენ და დინებას უკანვე გამოჰყვნენ. ზოგჯერ შემოდგომის ფოთოლი ჩამოვარდებოდა და ხან ანეტს დაეცემოდა, ხანაც დედამისის შავ მორთულობას. სომსი ვერა გრძნობდა თავს ბედნიერად, ეს ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას: "როდის... როგორ... სად... გავუბედავ თქმას? ან რას ვეტყვი? ამათ ჯერ ისიც არ იციან, რომ მე ცოლიანი ვარ". უთხრას, ცოლიანი ვარო და საალალბედოდ გაიხადოს საქმე?! არადა, განქორწინებას თუ ელოდა და მანამდე არ გააგებინა ანეტს განზრახვა, ვაითუ ვინმე გამოტყვრეს და თავის კლანჭებში ჩაიგდოს ქალი!

ჩაიზე, რასაც სტუმრები ლიმონით შეექცეოდნენ, სომსმა ტრანსვაალზე ჩამოაგდო სიტყვა.

- ომი იქნება, - თქვა მან.

მადამ ლამოტმა გულისტკივილი გამოთქვა.

- CES PAUVRES GENS BERGERS(ფრანგ.). - საწყალი მწყემსები!)! არ შეიძლება, თავი დაანებონ?

სომსს გაეღიმა, სულელურად მოეჩვენა შეკითხვა.

საქმიანი ქალია და უნდა ესმოდეს, რომ ინგლისელები თავიანთ კანონიერ კომერციულ ინტერესებს ასე ადვილად ვერ დათმობენ.

- აჰა! ასეა, არა! - მაგრამ მადამ ლამოტი მაინც იმ აზრისა რჩებოდა, რომ ინგლისელები, ცოტა არ იყოს, თვალთმაქცობას იჩენენ. კომერციულ ინტერესებს კი არ ახსენებენ - სულ სამარ-

თლიანობა და უიტლენდერები აკერიათ პირზე. მუსიე პირველი ადამიანია, რომელმაც გულახდილად უთხრა ეს.

- ბურები - ნახევრად ცივილიზებული ხალხია, - შენიშნა სომსმა, - პროგრესს ხელს უშლიან. ჩვენს სუვერენიტეტს როგორ დავთმობთ.

- ეს რაღას ნიშნავს? სუვერენიტეტი! რა უცნაური სიტყვაა!

საკუთრების პრინციპის მუქარის ქვეშ დაყენებითა და ანეტის თვალებით ფრთაშესხმულმა სომსმა დიდი მჭევრმეტყველება გამოამჟღავნა. და ძალიან ნასიამოვნები დარჩა, როცა ყმაწვილმა ქალმა შენიშნა:

- ჩემი აზრით, მუსიე მართალია, ჭკუა უნდა ასწავლონ მაგათ.

გონიერი ქალი ყოფილა!

- რა თქმა უნდა, - თქვა სომსმა, - ძალიან არ უნდა გადავაჭარბოთ. ჯინგოისტი არ გეგონოთ. მტკიცედ უნდა ვიდგეთ, მაგრამ არ უნდა დავაფრთხოთ. ზემოთ არ წამობრძანდებით, ჩემი სურათების სანახავად?

ხან ერთ საგანძურთან შეჩერდებოდნენ, ხან მეორესთან, მაგრამ სომსი მალე მიხვდა, რომ არაფერი გაეგებოდათ. ისე ჩაუარეს მაუვეს "თივის ურემს", რომელიც მან ყველაზე ბოლოს შეიძინა, თითქოს ლითოგრაფია ყოფილიყოს. გულის ფანცქალით ელოდა, მთელი ამ კოდექციის მარგალიტზე - იზრაელსზე რას იტყვიანო, რომლის ფასს იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს და საბოლოოდ დარწმუნდა, უკვე შეიძლება გაყიდვაო, რადგან ფასმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ზედაც არ შეხედეს! ეს იყო საშინელი ელდა! თუმცა ისევ ანეტის შეურყვნელი გემოვნება სჯობს, გაწვრთნი მაინც, საშუალო ინგლისური ოჯა-

ხიდან გამოსულ სულელ, ნახევრად გამომცხვარ გოგოს კი ვერაფერს მოუხერხებ! სულ ბოლოში მესონეს სურათი ეკიდა, და სომსს ერცხვინებოდა კიდეც ამ სურათისა. მესონეს ფასი დღითი დღე ეცემოდა. მადამ ლამოტი სწორედ აქ შეჩერდა.

- მესონე! აჰ! ნამდვილი მარგალიტი არ არის! - გაგონილი ჰქონია სახელი.

სომსმა შემთხვევით ისარგებლა. ნაზად მოჰკიდა ანეტს მკლავზე ხელი და უთხრა:

- როგორ მოგწონთ ჩემი სახლი, ანეტ?

ანეტს ხელი არ გაუთავისუფლებია, არც გაწეულა. თვალები შეანათა სომსს, მერე დაბლა დახარა და ჩაილაპარაკა:

- ვის არ მოეწონება! რა მშვენიერია ყველაფერი!

- ოდესმე იქნებ... - დაიწყო სომსმა, მაგრამ გაჩუმდა.

ისეთი ლამაზი იყო ქალი, თავი ისე თავისუფლად ეჭირა... ერთბაშად დააფრთხო სომსი. ღიღილოსფერი თვალები, სპილოსძვლისფერი ყელის მოღერება, მოქნილი სხეული!.. ცდუნებასავით იდგა, და თავის შეკავება ძნელი იყო! არა! არ შეიძლება! მყარ ნიადაგზე უნდა იდგე!.. უფრო მყარ ნიადაგზე! "ახლა თავს რომ შევიკავებ, - გადაწყვიტა მან საბოლოოდ, - ეს კიდევ უფრო გააწვალებს და დატანჯავს". ანეტს მოშორდა და მადამ ლამოტთან მივიდა, რომელიც ისევ მესონეს წინ იდგა.

- დიახ, შესანიშნავი ნიმუშია მისი ბოლო ნამუშევრებისა. კიდევ უნდა მობრძანდეთ, ქალბატონო, და ღამით უნდა ნახოთ განათებული. ისე უნდა მოხვიდეთ, რომ ღამე აქ გაატაროთ ორივემ.

- რა მომხიბლავი იქნება ღამით ამ სურათების ნახვა! თან მთვარის სინათლეზე მდინარეც რა დიდებული გამოჩნდება!

ანეტმა ჩაილაპარაკა:

- ძალიან სენტიმენტალური ხარ, MAMAN!

სენტიმენტალური! ეს შავებში გამოწყობილი, სანდომიანი, ჩასუქებული საქმიანი ფრანგი ქალი! და სომსმა უცებ გადაწყვიტა, რომ არც ერთს და არც მეორეს გრძნობა არ გააჩნდა. მით უკეთესი. გრძნობა რა მოსახმარია?! თუმცა...

სადგურამდე მიაცილა და მატარებელში ჩასხა. მოეჩვენა, რომ, როცა ხელს უჭერდა ანეტს, ცოტათი ქალის თითებმაც უპასუხეს. სიბნელეში ქალმა გაუღიმა.

თავისი კებისკენ გამობრუნდა დაფიქრებული.

- შინ წადი, ჯორდან, - უთხრა მან მეეტლეს, - მე ფეხით გავივლი.

ჩაბნელებულ ქუჩას დაუყვა. სომსის არსებაში სიფრთხილე და ქალის დაუფლების სურვილი ებრძოდა ერთმანეთს. ხან ერთი გადაწონიდა, ხან - მეორე. BONSOIR, MONSIER((ფრანგ.). - ღამე ნებისა, მუსიე.)! - რა ალერსით წარმოთქვა ეს სიტყვები. ნეტავ, გულში რა უდევს? ფრანგები კატებს ჰგვანან - ვერაფერს გაუგებ! მაგრამ რა ლამაზია! მთელ სიცოცხლედ ღირს მაგის ჩახუტება! რა დედა იქნება მემკვიდრისთვის! მერე ღიმილით გაიხსენა ნათესავები. როგორ გაოცდებიან, როცა გაიგებენ, ფრანგი შეურთავსო. რა ცნობისმოყვარეობას გამოიჩენენ! სომსი კი გაათამაშებს, გამოაჯავრებს, თავგზას აუბნევს ყველას... აებნეთ თავგზა! სიბნელეში ალვის ხეები ხვნეშოდნენ. ბუ გაჰკიოდა. წყალზე ჩრდილები ჩამუქებულიყო. "უსათუოდ უნდა მივიღო

განქორწინების ქაღალდი, - გაიფიქრა მან, - აღარ შეიძლება ამ-
დენი გაჯანჯლება. მე თვითონ ვნახავ აირენს. როცა რამეს ამო-
იჭრი გულში, შენ თვითონ უნდა იმოქმედო. ხელახლა მომწყურდა
ცხოვრება. უნდა ვიცხოვრო, ვიმოძრაო, ჩემი არსებობა შევიგ-
რძნო".

და თითქოს ამ ბიბლიური ფრაზების გამოძახილიაო, ეკლე-
სიიდან მწუხრის ზარები მოისმა.

თავი მეთერთმეტე

...და ესტუმრება წარსულს

სამშაბათ საღამოს სომსმა თავის კლუბში ისადილა და იმ საქმის მოგვარებას შეუდგა, რასაც გაცილებით უფრო მეტი მამაცობა და, ალბათ, ნაკლები პედანტობა სჭირდებოდა, ვიდრე ყველა საქმეს, რაც კი მას გაჩენის დღიდან გაეკეთებინა, გარდა დაბადებისა და კიდევ ერთი მოქმედებისა. საღამო იმიტომ არჩია, რომ ჯერ ერთი, უფრო მოსალოდნელი იყო აირენის შინ ყოფნა, მაგრამ უმთავრესად, იმიტომ, რომ, დღის სინათლეზე სათანადო სიმტკიცეს ვერ გამოიჩენდა, ღვინოც იმიტომ დალია, რომ უფრო გაბედული ყოფილიყო.

კები სანაპიროზე დააყენა და ფეხით დაუყვა ოლდ ჩორჩს, კარგად არ იცოდა, რომელ სახლში ცხოვრობდა აირენი. ბოლოს მიაგნო ერთ დიდ შენობას მოფარებულ სახლში. და როცა მისი სახელი წაიკითხა: "მისის აირენ ჰერონი" - ჰერონი! აჰა! მაშ, ისევ თავის გვარზე იწერება? - უკანვე გამობრუნდა და ქუჩიდან ფანჯრებს ახედა მეორე სართულზე. კუთხის ბინიდან სინათლე გამოდიოდა და როიალის ხმაც მისწვდა სომსის ყურებს. მუსიკა სომსს არასოდეს ჰყვარებია, ის კი არადა, გულში სძულდა კიდეც, ძველად, როცა აირენი როიანს მიუჯდებოდა ხოლმე, წარამარა,

რათა ამით თავშესაფარი ეპოვა - იცოდა, რომ სომსი იქ არ შევიდოდა. გაურბოდა! დიდხანს გაურბოდა. ჯერ ჩუმად და შეფარვით, მერე - აშკარად. მწარე მოგონება აუშალა როიალის ბგერებმა. ის უკრავს, რა თქმა უნდა. და როცა უკვე დარწმუნდა, ნამდვილად ვნახავო, წინანდელზეც მეტად მოერია ყოყმანი. ტანში წინასწარვე ჟრუანტელმა დაუარა, ენა გაუშრა, გული გამალებით აუძგერდა. "არავითარი საფუძველი არა მაქვს შიშისა", - გაიფიქრა მან. და მის არსებაში ერთბაშად იურისტი გაცოცხლდა. სისულელეს სჩადის? არ ჯობდა, ოფიციალურად შეხვედროდა, მეურვის თანდასწრებით? არა! ჯოლიონის დასწრებით - არასდიდებით! იგი ქალს თანაუგრძნობს. ეგ არ მოხდება! შესასვლელში შებრუნდა და ნელა, რათა გულის ძგერა დაეცხრო, კიბეს აუყვა. ზარს ჩამოჰკრა. კარი რომ გაიღო, მთელი მისი განცდები განსაკუთრებულმა სურნელმა დააცხრო. ეს სურნელი თითქოს ძველი დროიდან გამოიჭრა და დაბურულ მოგონებებში გახვია: სასტუმრო ოთახის სურნელი, სადაც ოდესღაც სომსი შედიოდა, სახლში, რომელიც მას ეკუთვნოდა - დამჭკნარი ვარდის ფურცლებისა და თაფლის სუნი!

- მოახსენეთ - მისტერ ფორსაიტი, - უთხრა მან მსახურს, - თქვენი ქალბატონი მიმიღებს, ვიცი.

ეს წინასწარვე ჰქონდა მოფიქრებული. ჯოლიონი ეგონებოდა.

მსახური ქალი გაბრუნდა, სომსი მარტო დარჩა პაწაწინა მისაღებ ოთახში, სადაც ერთადერთ პატარა ლამპას სადაფის საფარი ჰქონდა ჩამოფარებული და კედლებს, ნოხს, ყველაფერს ვერცხლისფერს ჰფენდა, მოჩვენებათა სამყოფელს ამსგავსებდა.

სომსს ახირებული ფიქრი აეკვიატა - "პალტოიანად შევიდე თუ გავიხადო?" მუსიკა მიწყდა, მსახურმა კარის ზღურბლიდან გამოსძახა:

- მობრძანდით, სერ.

სომსი შევიდა. აქაც ვერცხლისფერი ეცა თვალში, ყველაფერი ვერცხლისფერი იყო, პიანინო ძვირფასი ინდური ხისა ჩანდა, აირენი წამოდგა და ადგილზევე გაქვავდა. ხელი კლავიშს მოუხვდა, თითქოს დასაყრდენს ეძებსო, ბგერა უსიამოვნოდ აჟღერდა და მიწყნარდა. პიანინოზე დამაგრებული სანთლის შუქი კისერზე ეცემოდა ქალს, სახე ჩრდილში იყო მოქცეული. საღამური შავი კაბა ეცვა, ბეჭებზე მანტილიის მსგავსი რაღაც მოეგდო. სომსი პირველად ხედავდა მას შავებში ჩაცმულს, და უცებ თავში გაუელვა: "მარტოა, მაგრამ მაინც გამოწყობილია".

- თქვენა ხართ? - გაიგონა მან ქალის ჩურჩული.

რამდენჯერ გაუთამაშებია ეს სცენა სომსს გონებაში, მაგრამ რეპეტიციები ამაო აღმოჩნდა. ენა დაება. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ამ ქალის ნახვა, რომელიც მას ერთ დროს მგზნებარე სურვილს აღუძრავდა, მთლიანად მის საკუთრებას შეადგენდა და რომელიც აგერ თორმეტი წელიწადია აღარ ენახა... ასეთნაირად ააფორიაქებდა. საქმიანი კაცის კილოთი ვილაპარაკებ და ვიმოქმედებო, ფიქრობდა, მსაჯულივით ვიქნებიო. მაგრამ ერთბაშად იგი აღმოჩნდა არა უბრალო ქალის, არამედ მოღალატე ცოლის წინაშე... მის წინ აღიმართა რაღაც ძალა, ნაზი და ხელშეუხები, როგორც თვით ჰაერი, რომელიც სომსის არსებაშიც შეჭრილიყო და მის გარეთაც არსებობდა.

- დიახ, უცნაური ვიზიტია! იმედი მაქვს, კარგადა ხართ.

- გმადლობთ. დაბრძანდით.

ქალი პიანინოს მოშორდა, ფანჯარასთან მივიდა, სავარძელში ჩაეშვა და ხელები მუხლებზე შემოიჭდო. აქ სახეზედაც ეცემოდა სინათლე, და სომსი ახლა კარგად ხედავდა მთელ მის სახეს, თვალებს, თმას - საოცრად, ეს ახლაც კარგად ახსოვს, საოცრად მშვენიერს.

სომსთან ახლოს ვერცხლისფერ ქსოვილგადაფარებული ინდური ხის სკამი იდგა, და ამ სკამის ძგიდეზე ჩამოჯდა.

- სულ არ შეცვლილხართ, - უთხრა სომსმა.

- ვითომ? რაზე შეწუხებულხართ?

- რაღაც საკითხის გადასაწყვეტად.

- თქვენმა ბიძაშვილმა მითხრა უკვე, რაც გნებავთ.

- მერე?

- ჩემი სურვილიც ეგ არის. თავიდანვე მინდოდა.

ახლა სომსს უკვე დაეხმარა ქალის ხმა - შეკავებული და მშვიდი, მისი გაქვავებული და შემართული პოზა, ერთბაშად ათასი მოგონება გაუცოცხლდა, ამ მოგონებებში ქალი სულ ასე შემართული იყო მის წინააღმდეგ. კაცმა ღვარძლიანად უთხრა:

- მაშ, იქნებ, კეთილი ინებოთ და ინფორმაცია მომცეთ, რის საფუძველზედაც მე მოქმედება შემეძლება. კანონსაც უნდა დავემორჩილოთ.

- ისეთი რა უნდა გითხრათ, რაც თვითონაც არ იცით.

- თორმეტი წელიწადი! როგორ გგონიათ, შემიძლია მაგის დაჯერება?!

- მე ის მგონია, რომ თქვენ არაფერსაც არ დაიჯერებთ, რაც უნდა გითხრათ. მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა.

სომსმა თვალი გაუშტერა. არ შეცვლილხარო, თავში უთხრა, მაგრამ ახლა შენიშნა, რომ შეცვლილიყო. სახეზე კი არა - გარდა იმისა, რომ ცოტა უფრო დასრულებულიყო... არა. სულიერად შეცვლილიყო. ადრე თუ მოკრძალებით უწევდა პასიურ წინააღმდეგობას, ახლა სიმტკიცე და გაბედულება მომატებია. "აჰა! - გაიფიქრა მან, - რა ყოფილა საკუთარი შემოსავალი! ის ოხერი ძია ჯოლიონი!"

- მე ვფიქრობ, ახლა ყველაფრით უზრუნველყოფილი ხართ! - უთხრა მან.

- გმადლობთ. დიახ.

- რატომ მე არ მომეცით ამის საშუალება? ყველაფრის მიუხედავად, მე ამას გავაკეთებდი.

აირენს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე, მაგრამ არაფერი უპასუხია.

- თქვენ ხომ ისევ ჩემი ცოლი ხართ, - განაგრძო მან. მაგრამ რატომ თქვა ეს სიტყვები, ან რას გულისხმობდა, არც მაშინ ესმოდა და ვერც შემდგომ მიხვდა ამას. ეს ტრუიზმი იყო, თითქმის სულელური ტრუიზმი, მაგრამ საოცარი გავლენა კი მოახდინა. ქალი სავარძლიდან წამოვარდა და ერთი წუთი ხმის ამოუღებლად მისჩერებოდა სომსს. კაცი ამჩნევდა, როგორ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. მერე ქალი მიტრიალდა და ფანჯრები ლამის გამოგლიჯა.

- რატომ შვრებით ამას? - მკვახედ შესძახა სომსმა, - გაცივდებით ამ კაბაში. მე საშიში არა ვარ, - და ნაღვლიანი სიცილი აღმოხდა.

ქალსაც გაეცინა - ოდნავ გასაგონად, მწარედ.

- ჩვეულებაა.

- უცნაური ჩვეულება კია, - გესლიანად თქვა სომსმა, - მოხურეთ ფანჯარა.

ქალმა ფანჯარა მოხურა. ძალა მომატებია... ამ ქალს... მის ცოლს! ზის აგერ, თითქოს ჯავშანი ჩაუცვამსო, და სომსი გრძნობს, როგორ მოდის მისგან ეს ძალა. და, თითქმის უნებურად, იგი წამოდგა, ქალისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, უნდოდა უფრო ახლოს ჩაეხედა სახეში. ქალმა თვალი გაუსწორა. ღმერთო! რა კრიალა თვალები აქვს, ამ თეთრი კანის ფონზე, როგორ წაბლისფრად ელვარებენ! ახლა ეს თმაც, გამომწვარი ქარვის ფერი! ეს ქათქათა ბეჭები! უცნაური გრძნობაა! წესით, მას უნდა სძულებოდა ეს ქალი.

- ჯობდა პირდაპირ გეთქვათ ჩემთვის, - უთხრა კაცმა, - თქვენც ისევე გჭირდებათ თავისუფლება, როგორც მე. ის ძველი ამბავი უკვე დიდი ხნისაა.

- მე უკვე გითხარით.

- ესე იგი, არაფერი მომხდარა... არავინ გყოლიათ?

- არავინ. თქვენს საკუთარ ცხოვრებას მიხედეთ.

ამ სიტყვებმა სომსი გაამწარა. პიანინოსკენ გაემართა, მერე ბუხრისკენ მიბრუნდა, აქეთ-იქით წრიალს მოჰყვა, როგორც ძველად, თავიანთ სასტუმრო ოთახში, როცა ძალიან აღელდებოდა ხოლმე.

- არა, ასე არ იქნება, - თქვა მან, - თქვენ მე მიმატოვეთ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ თქვენ...

შენიშნა, როგორ აიჩეჩა ქალმა ქათქათა მხრები, მისი ჩუმად წარმოთქმული სიტყვები მოესმა:

- დიახ. რატომ მაშინვე არ გამეყარეთ? ჩემთვის ხომ სულერთი იყო?

სომსი შედგა და ცნობისმოყვარეობით მიაშტერა თვალი. ნეტავ რას აკეთებს ამ ქვეყანაზე, თუკი მართლა მარტოა? ან თვითონ რატომ მაშინვე არ გაეყარა ქალს, და მანამ ასე შესცქეროდა, კვლავ ამ ძველმა გრძნობამ უჩხვლიტა - რომ ქალს არასოდეს ესმოდა მისი, არასოდეს სამართლიანად არ ექცეოდა.

- რატომ ვერ გამიწიეთ კარგი ცოლობა? - ესღა თქვა მან.

- მართალია. დანაშაული ჩავიდინე, რომ ცოლად გამოგყევით. ძვირიც დამიჯდა ეგ დანაშაული. გზას როგორმე თვითონვე გამოძებნით. ჩემი სახელის გატეხას ნუ მოერიდებით, დასაკარგი აღარაფერი შემრჩა. ახლა კი ჯობს წახვიდეთ.

დამარცხების განცდამ, იმის გრძნობამ, რომ თავის გასამართლებელი საბუთები წარსტაცეს, და კიდევ რაღაცის შეგრძნებამ, რისი ახსნა და ჩამოყალიბება მას გონებაშიც კი აღარ შეეძლო, სომსი ერთბაშად გაყინა, თითქოს ცივ ნისლში გაეხვიაო. ბუხრის თაროზე ჩინური ფაიფურის პატარა ჯამს გადასწვდა უნებლიეთ და გადმოიღო.

- ლოუსტოფტ. სად იშოვეთ? სწორედ ამისი ცალი ვიყიდე ჯობსონისგან.

უცებ მოაგონდა, როგორ დადიოდნენ ერთად დიდი ხნის წინ და ფაიფურის ნივთებს ყიდულობდნენ. იდგა ამ მოგონებით გაოგნებული და პატარა ჯამს მიშტერებოდა - თითქოს მთელი წარსული ამ ჯამში მოქცეულაო. ქალის ხმამ გამოაფხიზლა.

- წაიღეთ. მე არ მჭირდება.

სომსმა უკანვე დადო ჯამი.

- არ შეიძლება ხელი ჩამოგართვათ? - უთხრა მან.

ქალს ჩაეცინა და ხელი გაუწოდა. გახურებულ ხელში სომსს ქალის თითები ცივი ეჩვენა. "ნამდვილი ყინულია! - გაიფიქრა მან, - მუდამ ასეთი ყინული იყო!" მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა ფიქრმა გაკენწლა, მისი გრძნობები მაინც ქალის კაბისა და სხეულის სურნელმა დაბნიდა, თითქოს ქალის შინაგანი სითბო, - რისი სიამეც სომსს არასოდეს ღირსებია, გამომჟღავნებას ლამობსო. შემოტრიალდა და გამობრუნდა. ისე მოდიოდა, თითქოს ვინმე მათრახით მოსდევსო, ეტლი არც კი უძებნია, ეამა დაცარიელებული სანაპირო, ცივი მდინარე, ჭადრის ხეების ჩამუქებული ჩრდილები. არეული, აფორიაქებული, გულგასერილი, გაურკვეველი მჭმუნვარებით მოცული, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს, რომლის შედეგის წინასწარ განჭვრეტა მას არ შეეძლო!.. და უცნაური ფიქრი მოუვიდა: ახლა კი ჯობს წახვიდეთო, ქალმა უთხრა. რა იქნებოდა, ამ სიტყვების ნაცვლად რომ ეთქვა - ახლა კი ჯობს დარჩეო? რას იგრძნობდა მაშინ, რას იზამდა? მაინც რა ჯადო აქვს, ასე რომ იზიდავს, ახლაც, ამდენი ხნის განშორებისა და სიმწრის შემდეგაც. ერთი ხელის შეხება კმარა, ერთი უბრალო ნიშანი, რომ ისევ თავში გაუჯდეს. "რა სისულელე მომივიდა, რამ მიმიყვანა! - ჩაიდუდუნა სომსმა, - ოდნავადაც კი წინ არ წამოსწევია საქმე. ვინ წარმოიდგენდა? რას ვიფიქრებდი!.." მოგონებამ შორს გადატყორცნა, თავიანთი ცოლქმრობის პირველ წლებში, და ამის გახსენება ტანჯავდა. რა ღირსი იყო, რომ ეს სილამაზე კვლავ შერჩა!.. სილამაზე, რომელიც სომსს ეკუთვნოდა და რისი ფასიც მან ძალიან კარგად იცოდა. უცებ ბრაზმა წამოუარა, საკუთარ თავზე გამწარდა - ასე ჯიუტად აღტაცებული

როგორა ვარ მისითო! მამაკაცების უმრავლესობა დასანახადაც შეიძულებდა ამ ქალს. ეს მან დაიმსახურა. სიცოცხლე გაუმწარა სომსს, მის სიამაყეს მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა, შვილის ყოლის სიხარული მოუსპო. და მაინც, უბრალო თვალის შევლებაც კი, ამ ცივი და ჯიუტი ქალის ერთი დანახვაც კი, თავგზას უკარგავს! რაღაც ოხერი ჯადო აქვს. არც კია გასაკვირი, თუ მართლა მარტო გაატარა ეს თორმეტი წელი, როგორც თვითონ ირწმუნება. ეტყობა, ბოსინი - ღმერთმა დასწყევლოს მისი სახსენებელი! - არის მასთან განუყრელად, მთელი ეს თორმეტი წელიწადი. სომსი თვითონვე ვერ იტყოდა - გაახარა ამ აღმოჩენამ თუ არა.

თავის კლუბს რომ მიუახლოვდა, გაზეთი იყიდა. "ბურები არ ცნობენ სუვერენიტეტს!" "ეს ქალიც ასე არ არის! - გაიფიქრა მან, - არც ეს ცნობდა ხოლმე, არასოდეს! სუვერენიტეტი! ახლაც კი მაქვს მე სუვერენიტეტის უფლება. რა საშინელ მარტოობას გრძნობს, ალბათ, იმ ოხერ მოკუნტულ ბინაში!"

თავი მეთორმეტე

ფორსაიტების ბირჟაზე

სომსი ორი კლუბის წევრი იყო: "მცოდნეთა კლუბისა", რასაც თავის სადარბაზო ბარათებზე აწერდა, მაგრამ იშვიათად თუ შეივლიდა, და "თაობისა", რასაც სადარბაზო ბარათზე არ აწერდა, მაგრამ ისე კი ხშირად დადიოდა. ხუთი წლის წინ შევიდა ამ ლიბერალურ დაწესებულებაში, მას შემდეგ, როცა კარგად დარწმუნდა, რომ მისი წევრები, თითქმის ხელაღებით, წმინდა წყლის კონსერვატორები იყვნენ - გულით და ჯიბით მაინც, თუ პრინციპით არა. ძია ნიკოლასმა გაუწია რეკომენდაცია. ამ კლუბის შესანიშნავი სამკითხველო დარბაზი ადამის სტილზე იყო მორთული.

იმ საღამოს, კლუბში რომ შედიოდა, ტელეგრაფის ლენტს შეხედა, ტრანსვაალიდან ახალი ხომ არაფერიაო, და ნახა, რომ კონსოლები, დილას აქეთ, შვიდ მეთექვსმეტემდე დავარდნილიყო. შებრუნდა და სამკითხველო დარბაზისკენ გაემართა, უკნიდან ვიღაცამ მიაძახა:

- ჰა, სომს, დიდებულად მიდის საქმე.

ეს იყო ძია ნიკოლასი. ეცვა საგანგებოდ დამოკლებულსაყელოიანი სერთუკი და რგოლში გატარებული შავი ყელსახვევი

ეკეთა. ღმერთო! ეს ოთხმოცდაორი წლის კაცი რა ახალგაზრდა და მკვირცხლი ჩანს.

- მე მგონი, როჯერს ეამებოდა, - განაგრძო ნიკოლასმა, - დიდებულად მოეწყო საქმე. ბლეკლი? ეგეც უნდა გავითვალისწინოთ? ბექსტონს არაფერი ხეირი დაუყრია ჩემთვის. ბურებმა ლამის გულზე გამხეთქონ... ეს ჩემბერლენი ნამდვილად ომში გვითრევს. შენ რას იტყვი?

- ომს ვერ ავცდებით, - ჩაიდუდღუნა სომსმა.

ნიკოლასმა ხელი თხელ, სუფთად გაპარსულ ღაწვებზე ჩამოისვა. რომელთაც ზაფხულის მკურნალობის შემდეგ ვარდისფერი დასდებოდა. ტუჩები ოდნავ მობუსხა. ბურებთან დაკავშირებულმა ამბებმა ლიბერალური პრინციპები გაუცოცხლეს.

- არ მჯერა მაგ ვაჟბატონისა, ქარიშხალსა ჰგავს. სახლის ფასები დაეცემა, ომი თუ დაიწყო. როჯერის ქონებას რაღა უნდა მოუხერხო მაშინ? რამდენჯერ გამიფრთხილებია, ზოგი სახლი გაყიდე-მეთქი. ჯორივით გაჯიუტდა.

"შორს არ გაექცევით ერთმანეთს!" - გაიფიქრა სომსმა. მაგრამ ბიძებთან დავა არ იცოდა, სწორედ ამით ინარჩუნებდა მათ წარმოდგენაში "თავიანთი კაცის" სახელს, და მათი ქონების გამგებლობასაც.

- ტიმოთისთან მითხრეს, - ხმას დაუწია ნიკოლასმა, - დარტი, როგორც იქნა, აბარგდაო. ახლა მაინც მოისვენებს მამაშენი. დიდი ბინძური ვინმე იყო.

სომსმა კვლავ დაუქნია თავი. თუკი არსებობდა ისეთი რამე, რაზედაც ყველა ფორსაიტის აზრი საერთო იყო, ეს დარტის დახასიათება გახლდათ.

- გაფრთხილდით, კიდევ არ დაბრუნდეს, - უთხრა ნიკოლასმა, - მოსაცვლელი კბილი ბარემ მოიცვალოს უინიფრიდმა. დამპალი კბილი რიღას მაქნისია.

სომსმა ცერად ახედა ნიკოლასს. ისე გაღიზიანებოდა ნერვები იმ შეხვედრით, საიდანაც ახლა მოდიოდა, რომ ეს სიტყვები საკუთარ თავზე მიიღო.

- მეც მაგას ვეუბნები, - დაემოწმა სომსი.

- აბა, - თქვა ნიკოლასმა, - ეტლი მელოდება. შინ უნდა წავიდე, უქეიფოდ ვარ. მამა მომიკითხე.

ასე მოიხადა ვალი ნათესავების მიმართ, ჭაბუკური ნაბიჯით ვესტიბიულში გავიდა და ბეწვის ქურქში გაეხვია, რომელიც მას ახალგაზრდა შვეიცარმა მოართვა.

"არ მახსოვს, ძია ნიკოლასს არ ეთქვას, "უქეიფოდ ვარო", - გაიფიქრა სომსმა, - და სულ ისე კია, თითქოს სიკვდილს არც აპირებსო. ჯილაგიც ამას ჰქვია! მაგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოცდათვრამეტი წელიწადი კიდევ ჯანმრთელად უნდა ვიყო. აღარ მინდა ეს წლები უაზროდ ვფლანგო". სარკესთან მივიდა და სახე შეათვალიერა. ორიოდ ნაოჭსა და მოკლედ შეკრეჭილ შავ ულვაშში გარეულ სამ თუ ოთხ ჭაღარა ბეწვს თუ არაფრად ჩავაგდებთ, განა აირენზე უფრო დაბერებულია?! ჯერ ისევ ახალგაზრდები ეთქმით - მასაც და აირენსაც, სავსებით ახალგაზრდები! და ახირებულმა ფიქრმა მოუარა. სისულელეა! იდიოტობა! მაგრამ ხელმეორედ ეწვია ეს ფიქრი. და მაგრად დაფეთებული, - როგორც მეორედ შეჟრჟოლება შეაშინებს ხოლმე ადამიანს ციებცხელების მოლოდინში, - იგი სასწორზე შედგა და სავარძელში ჩაეშვა. ას ორმოცდათოთხმეტი გირვანქა! აგერ, ოცი წელიწადი

იქნება, ორი გირვანქა არ მოუმატებია, და არც დაუკლია. რამდენი წლისა იქნება ახლა აირენი? დაახლოებით ოცდაჩვიდმეტისა. ბავშვს თავისუფლად გააჩენს. რაღა თქმა უნდა! იმ თვის ცხრაში გახდება ოცდაჩვიდმეტის. კარგად ახსოვს მისი დაბადების დღე - რელიგიური მოწიწებით სცემდა ხოლმე პატივს ამ დღეს. იმ უკანასკნელადაც კი აირენის წასვლის სულ ცოტა ხნის წინ, როცა კარგად არ იყო დარწმუნებული, ცოლის ღალატში. ოთხი დაბადების დღე გადაუხადა თავის სახლში. მოუთმენლად ელოდა ხოლმე ამ დღეს, რადგან ქალი მუდამ ცდილობდა მადლიერება გამოეჩინა მისი საჩუქრების სანაცვლოდ, ერთგვარი სითბო ეგრძნობინებინა. რა თქმა უნდა, იმ უკანასკნელი დაბადების დღის გარდა, როცა სომსს ცდუნებამ სძლია და მეტისმეტი რელიგიური მოწიწების გამოჩენა სცადა! ამ მოგონებათა მოშორება მოინდომა. მოგონება ჩვენს ცხედრადქცეულ საქმიანობას მკვდარი ფოთლებით დაფარავს ხოლმე, რომელთა ქვეშ ისინი ძლივსღა აწუხებენ ჩვენს გრძნობებს. უცებ გაიფიქრა: "რა იქნება, საჩუქარი რომ გავუგზავნო დაბადების დღეს! ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანები ვართ! არ შემიძლია... არ შეგვიძლია, რომ ისევ შევკავშირდეთ!" და ღრმად ამოიხვნეშა. "ანეტი!" ეჰ! მასა და ანეტს შორის ეს ოხერი განქორწინების პროცესია ჩაჩხირული! რა უნდა იღონოს?

"მამაკაცს ყოველთვის შეუძლია ამის მოგვარება, თუკი თვითონ იკისრებს დანაშაულს", - უთხრა მას ჯოლიონმა.

მაგრამ რატომ უნდა იკისროს მან მთელი ეს შერცხვენა, კანონის სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად რატომ უნდა აქციოს თავისი სახელი? ეგ რა სამართლიანობა იქნება! ეს ხომ დონკიხოტო-

ბაა! ისე გავიდა თორმეტი წელი, რომ სომსს ერთხელაც არ უცდია თავისუფლება მიეღო, ახლა კი უკვე შეუძლებელია განქორწინების მიზეზად ქალისა და ბოსინის ურთიერთობა წამოაყენო. რაკი მაშინ არ სცადა განქორწინება, ეტყობა, შეურიგდა მდგომარეობას. ახლა კიდეც რომ გამოძებნოს სამხილი, - რაც თავისთავად ძალიან საეჭვოა, - რაღა დროსია. ეგეც რომ არ იყოს, სიამაყე არ მისცემს ნებას, ის ძველი საქმე გამოქექოს. ეყო, რაც იმისგან ტანჯვა გადახდა. არა! ახლა შეცოდებაა საჭირო ქალისა... მაგრამ არაო, დაუჟინია და... ლამის... სომსმაც ირწმუნოს. ჯოჯოხეთია! ნამდვილი ჯოჯოხეთი!"

სომსი ისეთი გრძნობით წამოდგა წითელხავერდგადაკრული ღრმა სავარძლიდან, თითქოს სული შეეხუთაო. ამისთანა დღეში რომ ხარ კაცი, რაღა დაგაძინებს! პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ქუჩაში გამოვიდა და ქვემოთ დაუყვა, დასავლეთისკენ. ტრაფალგარსკვერს რომ მიადგა, უცნაური არეულობა შენიშნა - სტრენდიდან დაძრული ბრბო მისკენ მოექანებოდა. გაზეთის გამყიდველები აღმოჩნდნენ. ისე ღრიალებდნენ, რომ ერთ სიტყვასაც ვერ გაარჩევდი. შედგა და ყური დაუგდო. ერთმა გაზეთის გამყიდველმა მასთან მიირბინა.

- საგანგებო გამოშვება! კრიუგერის ულტიმატუმი! ომი დაიწყო!

სომსმა გაზეთი იყიდა. მართლაც საგანგებო გამოშვება აღმოჩნდა! პირველად ამ აზრმა გაუელვა: "ბურები თვითმკვლელობას სჩადიან!" მეორე: "დამრჩა კიდევ რამე გასასაღებელი?" თუ მართლა დარჩა რამე, უკვე გვიანღაა - ხვალ დილით სიტიში აქციები სულ დაეცემა. თავი გამომწვევად გააქნია და ეს ფიქრი გა-

დაყლაპა. ეს ულტიმატუმი დიდი თავხედობაა - უმალ ფულის დაკარგვას არჩევს, ამაზე დათანხმება კი არასდიდებით არ შეიძლება. ჭკუის სწავლა ნდომიათ და ასწავლიან კიდეც. მაგრამ სამი თვე მაინც მოუნდება, მანამ მოარჯულებდნენ. არც ჯარი გვიდგას იქა. ჩვენს მთავრობას ყველაფერი გვიან უნდა გაახსენდეს! ღმერთმა დასწყევლოს ეს გაზეთის ვირთაგვები! ნეტავ, რას დააღვიძეს ხალხი! დილამდე ველარ დაიცდიდნენ! მამა გაახსენდა და შიშმა მოიცვა. ახლა ალბათ ლეინპარკზეც ღრიალებენ. ეტლს მოუხმო, ჩაჯდა და მეეტლეს ლეინპარკისკენ წასვლა უბრძანა.

ჯეიმსი და ემილი ახლახან ასულიყვნენ საწოლ ოთახში. სომსმა მოურავს ახალი ამბავი უთხრა და ის იყო, მაღლა უნდა ასულიყო, რომ უცებ შედგა და უორმსონს ჰკითხა:

- თქვენ რას ფიქრობთ, უორმსონ?

მოურავი ამ დროს სომსის აბრეშუმის ცილინდრს წმენდდა ჯაგრისით. წმენდას თავი ანება, სახე ოდნავ შინ წამოსწია და ხმადაბლა მიუგო:

- რა მოგახსენოთ, სერ, რა თქმა უნდა, ვერაფერს გახდებიან, მაგრამ, ყური მოვკარი, მარჯვე მშვილდოსნები ყოფილან. ჩემი ბიჭი ინისკილინგსის პოლკშია.

- თქვენი ბიჭი, უორმსონ?! რას ამბობთ. ცოლიანი თუ იყავით, არც კი ვიცოდი.

- დიახ, სერ, არავის არ ვეუბნები. ალბათ, იმასაც გაგზავნიან.

პირველი პატარა შეცბუნება, რომ თურმე ასე ცოტა რამ სცოდნია იმ კაცისა, რომელსაც თითქოს ძალიან კარგად იცნობდა, მალევე გაუქარწყლა მეორე პატარა შეცბუნებამ - თურმე შეიძლება ომი პირადადაც შეეხოს ვინმეს. სომსი ყირიმის ომის

დროს დაიბადა, ხოლო როცა სრულწლოვანი გახდა, ინდოეთის აჯანყება უკვე ჩამქრალი იყო; წვრილი ომები, რასაც ამის შემდეგ აწარმოებდა ბრიტანეთის იმპერია, წმინდა პროფესიონალური ხასიათისა იყო, სულაც არ შეხებია არც ფორსაიტებსა და არც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. ალბათ, არც ეს ომი იქნება გამონაკლისი. მაგრამ გონებაში სულ გადაქექა თავისი ნათესავები. ჰეიმენების ორი ბიჭი, როგორც ახსოვს, ცხენოსან ჯარშია, - ეს ძალიან სასიამოვნოა; ცხენოსანი ჯარი, რაც უნდა თქვა, მაინც სხვა არის. მოსირმული ლურჯი მუნდირი აცვიათ - ეცვათ, ყოველ შემთხვევაში, - და ცხენებზე სხედან. არჩიბალდი, ეგეც კარგად ახსოვს, ერთ დროს მოლაშქრეთა რაზმში შევიდა, მაგრამ მამამისმა მალე დაანებებინა თავი: ერთი ამბავი დააწია ნიკოლასმა - გამოჭიმულა ფარშავანგივით ამ მუნდირში და დროს ტყუილუბრალოდ კარგავსო. ამას წინათ, ვიღაცამ უთხრა, ნიკოლასის უფროსი ბიჭი, სულ ახალგაზრდა ნიკოლასი მოხალისედ შევიდაო. "არა, - დაასკვნა სომსმა და კიბეს შეუყვა, - ეგ არაფერი".

მშობლების საწოლი ოთახის წინ ცოტა ხანს შედგა, ჭოჭმანობდა, შევყო თავი და გამამხნევებელი რამე ვუთხრა, თუ არაო. კიბის სარკმელი გამოაღო და დააყურადა. პიკადილიდან აღწევდა გუგუნი, სხვა არაფერი ისმოდა. "კიდევ თუ მომრავლდა ეს ავტომობილები, სახლის მეპატრონეთა საქმე შავად წავა", - გაიფიქრა მან და ის იყო, მაღლა ასვლა დააპირა, სადაც მისი ოთახი მუდამ გამზადებული ჰქონდათ ხოლმე, რომ უეცრად შორიდან გაზეთის გამყიდველის ჩახრინწული ყვირილი მისწვდა მის სმენას. აკი თქვა! სადაცაა სახლის წინაც ჩაივლიან! სომსმა დედის კარზე დააკაკუნა და შევიდა.

მამა ლოგინში წამომჯდარიყო და ჭაღარა თმიდან (რომელსაც ემილი მუდამ კოხტად უკრეჭდა ხოლმე) გამოჭრილი ყურები დაცქვიტა. გაქათქათებული ზეწრიდან და ბალიშიდან ღამის პერანგში გახვეული აჩონჩხილი მხრები ამოსჩროდა; ამ საღამოს უჩვეულოდ გაღაჟღაჟებული და სუფთა ჩანდა. მხოლოდ მისი ჭროღა, დაეჭვებული, შემჭკნარი ქუთუთოებიდან გამომზირალი თვალები მოძრაობდნენ - ხან ფანჯრისკენ მიბრუნდებოდნენ, ხანაც ემილის მიაშტერდებოდნენ. ხალათში გახვეული ემილი კი აქეთ-იქით დადიოდა და შუშაზე მიმაგრებულ რეზინის ბურთულას უჭერდა ხელს, ოდეკოლონს ასხურებდა. ოთახში, მართლაც, ოდეკოლონის სუსტი სუნი იდგა.

- ყველაფერი რიგზეა! - თქვა სომსმა, - ხანძარი არ გეგონოთ. ბურებმა ომი გამოაცხადეს. მეტი არაფერი.

ემილიმ რეზინის ბურთულას ხელი უშვა.

- ოჰ! - ესღა ამოიძახა და ჯეიმსს გადახედა.

სომსმაც გახედა მამას. როგორც ელოდნენ, ისე სულაც არ მიუღია ბერიკაცს ის ცნობა, თითქოს უცნობი ფიქრი აჰკვიატებია, რისიც ამათ არაფერი ესმითო.

- ეჰ, - ჩაიდუდღუნა მან უცებ, - მე ველარ მოვესწრები მაგის დამთავრებას.

- რა სისულელეა, ჯეიმს! საშობაოდ ყველაფერი დამთავრებული იქნება.

- შენ რა გესმის?! - გაუჯავრდა ჯეიმსი, - ძალიან სასიხარულო ამბავი კია, ისიც ამ ღამით! - მდუმარე ფიქრებს მიეცა, ცოლი და შვილი კი მონუსხულებივით ელოდნენ, აბა როდის იტყვის: "რა ვიცი... ვერაფერს ვიტყვი... ვიცოდი, ასე მოხდებოდაო". მაგრამ

ჯეიმსი დუმდა. თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, მაგრამ, აშკარად ეტყობოდა, ოთახში ვერაფერს ხედავდა. მერე საბანქვეშ შეინძრა და უცებ მუხლები კარგა მაღლა შემართა.

- რობერტსი უნდა გაგზავნონ. ყველაფერი მაგ ვაჟბატონ გლადსტონისა და მისი მიჯუბასგან გვჭირს.

ცოლმაც და შვილმაც უჩვეულო რაღაც შენიშნეს ხმაში. ეს ნამდვილი მღელვარება იყო. თითქოს ამბობსო: "მორჩა, მეტად ვეღარ ვნახავ ჩემს ძველ ქვეყანას დამშვიდებულსა და სვებედნიერს. მე ხომ გამარჯვებას ვეღარ მოვესწრები". გრძნობდნენ, რომ ჯეიმსის აღელვება არ შეიძლებოდა. საშინლად შეწუხდნენ. სომსი საწოლთან მივიდა და მამის დაძარღვულ ხელს ფერება დაუწყო.

- ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, - თქვა ჯეიმსმა, - კონსოლების ფასი ნომინალამდე დავა. თუკი რამე მცოდნია, ვალი წავა და მოხალისედ ჩაეწერება.

- კარგი, ჯეიმს! - შეჰყვირა ემილიმ, - ისე მოთქვამ, თითქოს რამე უბედურება მომხდარიყოს.

ემილის დამშვიდებულმა ხმამ ცოტა ხნით ჯეიმსიც დააშოშმინა.

- ასეა, - დუდღუნებდა იგი, - ხომ გეუბნებოდით, ასე იქნებამეთქი. მე არაფერი გამეგება, რა თქმა უნდა... კაციშვილი არაფერს მეტყვის. შენ აქ იძინებ დღეს, შვილო?

კრიზისმა გაიარა, ახლა თანდათანობით დამშვიდდება და წყნარი მღელვარება მოიცავს. სომსმა სიტყვა მისცა მამას, აქ დავიძინებო, ხელი ჩამოართვა და თავის ოთახში ავიდა.

მეორე დღეს იმდენი ხალხი შეგროვდა ტიმოთისთან, რომ ამ სახლს დიდი ხანია არ ხსომებია ასეთი თავშეყრა. ამისთანა ეროვნული მღელვარების დროს შეუძლებელი იყო, იქ არ მოსულიყვნენ. განა იმიტომ, რომ რამე დიდი საშიშროება ყოფილიყო მოსალოდნელი. არა, მაგრამ საშიშროება მაინც იყო იმდენი, რომ საჭიროდ ეცნოთ ერთად შეყრილიყვნენ და ერთმანეთი დაეშოშმინებინათ, არავითარი განსაცდელი არ გვემუქრებაო.

ნიკოლასი ადრიანად მივიდა. სომსი შეხვედროდა წუხელ და ეთქვა, ომს ვერ ავცდებითო. ეს ბებერი კრიუგერი სულ გამოჩურჩუტდა... ან კი რა მოუვა, სამოცდათხუთმეტისა ისე იქნება, როგორც ერთი დღის (ნიკოლასი, თვითონ, ოთხმოცდაორისა იყო)! ტიმოთი რას ამბობდა? ერთხელ დამბლაც დასცემია, მაჯუბას შემდეგ. ნამდვილი მღლეტელები არიან ეს ბურები! შავტუხა ფრენსის, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვა ნიკოლასს, გულმა ვერ გაუძლო და, როგორც როჯერის თავნება ქალიშვილს შეეფერებოდა, ახლაც კრიჭაში ჩაუდგა ბიძამისს:

- ეგ მგლისა და კრავის არაკსა ჰგავს, ძია ნიკოლას! უიტლენდერები კაი საქონელი გყავთ, არა?! - მართლაც რა საქონელია! ახალი გამოთქმა გახლდათ, როგორც ამტკიცებდნენ, მისივე ძმა ჯორჯისგან ნასესხები.

მამიდა ჯულის აზრით, ფრენსის არ უნდა წამოსცდენოდა ამისთანა რამე. ძვირფასი მისის მაკანდერის ბიჭი, ჩარლი მაკანდერიც უიტლენდერია, მაგრამ ვინ იტყვის იმაზე მღლეტელიაო. არც ახლა დაიშურა ფრენსიმ მწარე სიტყვა: აღმაშფოთებელი, მაგრამ სულ პირზე კი ეკერა.

- მამა შოტლანდიელი ჰყავს, დედა კი - აშარი დედაკაცი.

მამიდა ჯულიმ ხელებით დაიცო ყურები, თუმცა ცოტა გვიან მოუვიდა. მამიდა ესთერს კი გაეღიმა. რაც შეეხება ნიკოლასს, იგი გაიბუსხა - სხვის ხუმრობას ვერ ეწყობოდა, მარტო საკუთარი უყვარდა. სწორედ ამ დროს მერიენ ტუიტიმენი შემოვიდა, რომელსაც ფეხდაფეხ შემოჰყვა ახალგაზრდა ნიკოლასი. შვილი რომ დაინახა, ნიკოლასი ფეხზე წამოდგა.

- მე უნდა წავიდე, - თქვა მან, - აგერ, ნიკი გეტყვით, როგორ დამთავრდება დოღი.

ასე იხუმრა თავის უფროს ვაჟზე, რომელიც ყოველგვარი გარანტიის ბურჯი და დამზღვევი საზოგადოების დირექტორი გახლდათ, სპორტს კი მამამისზე მეტად არც იგი წყალობდა. ნიკოლასმა იხუმრა და გავიდა. ვენაცვალე, ნიკოლასი! სადაური დოღია! თუ იხუმრა? რა დიდებული კაცია, სიბერე სულაც არ ეტყობა. შაქარს რამდენ ნატეხს ჩაიყრის მერიენი (ვენაცვალე!)? ჯაილსი და ჯესი როგორ არიან? მამიდა ჯულის მოსაზრებით, ჩვენს ცხენოსან ჯარს დიდი ჯაფა დაადგება, სანაპიროს დაცვა მოუწევს, თუმცაღა ბურებს ხომალდები ვინ მისცაო. მაგრამ ვინ რა იცის, ფრანგები რას იხიმანკებენ, თუკი იხელთეს; იმ ფაშოდის უბედურების მერე ყველაფერს უნდა ელოდო მაგათგან; ისე დააფეთა ტიმოთი, რომ დიდხანს აღარ უყიდია მერე ქაღალდები. მაინც რა უმადური ხალხი ყოფილა ეს ბურები, თავს ევლებოდნენ, ზედ გადაჰყვნენ... ჯემსონი შეიპყრეს და ციხეში ჩააგდეს, იმისთანა საყვარელი კაცი ყოფილა!.. მისის მაკანდერისგან გამიგონია. აგერ, სერ ალფრედ მილნერიც გაუგზავნიათ მოსალაპარაკებლად - ცარიელი ჭკუაა! მეტი რაღა უნდათ, საოცარია პირდაპირ!

მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი სენსაცია, რაც ასე ძვირფას რამედ მიაჩნდათ ტიმოთის სახლში და რაც ზოგჯერ დიდ მოვლენას მოსდევს ხოლმე.

- მის ჯუნი ფორსაიტი!

მამიდა ჯული და მამიდა ესთერი მაშინვე წამოცვივდნენ, უკვე ჩახშობილი წყენისგან ცახცახი აუტყდათ, ძველი სიყვარული კვლავ გაუცოცხლდათ და სიამაყე იგრძნეს, რომ უძღები შვილი - ჯუნი, ბოლოს და ბოლოს, ისევ დაბრუნდა. ნამდვილი საოცრება არ არის! საყვარელი ჯუნი... ამდენი ხნის შემდეგ! რა კარგად არის! სულაც არ შეცვლილა! ენაზე ჰქონდათ მომდგარი და ცოტას გაწყდა არ ჰკითხეს: "შენი ძვირფასი პაპა როგორ არისო?" ამ საერთო გაოგნების დროს კინაღამ დაავიწყდათ, რომ საცოდავი ჯოლიონი უკვე მეშვიდე წელიწადია საფლავში იწვა.

მთელ ფორსაიტებში ყველაზე გულადი და პირდაპირი, პატარა და ნაზი ჯუნი, რომელსაც სიმტკიცის გამომხატველი ნიკაპი, მკვირცხლი თვალები და ალისფერი თმა შვენოდა, ისე უბრალოდ დაჯდა მოოქრულ სკამზე, თითქოს არაფერიო - თითქოს ათი წელი არ გასულიყოს მას შემდეგ, რაც უკანასკნელად იყო აქ - მოგზაურობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ათი წელი, რომელიც მან "ბედუკულმართთა" სამსახურს შესწირა. ბოლო ხანებში ეს "ბედუკულმართი" ხალხი სულ მხატვრები, გრავიორები და მოქანდაკეები იყვნენ. ამის წყალობით იგი კიდევ უფრო მეტად იყო ალესილი ფორსაიტებსა და მათ არაპოეტურ შეხედულებებზე. კაცმა რომ თქვას, ამ ხნის განმავლობაში თითქმის გადაავიწყდა კიდეც, რომ მისი ნათესავები კვლავ არსებობდნენ ქვეყნად, და ისეთი გამომწვევი უშუალობით იყურებოდა აქეთ-იქით, რომ

მთელი შეკრებულობა აღაშფოთა. ჯუნი სულაც არ ელოდა აქ ამდენ ხალხს, "საწყალ დედაბრებს" მოვინახულებო, იფიქრა, და ან მათ სანახავად რატომ მოვიდა, ახლა იმასაც ვერ იტყოდა. ოქსფორდსტრიტიდან ლეტიმერ როუდისკენ მიდიოდა, სამხატვრო სტუდიაში, და გზად რომ ჩაიარა, სინდისმა შეაწუხა, გადაწყვიტა მოენახულებინა დიდი ხნის დავიწყებული ორი "ბედუკულმართი" ბებრუხანა.

სიჩუმე კვლავ მამიდა ჯულიმ დაარღვია.

- აგერ ვლაპარაკობდით, გენაცვალე, რა საშინელება დაატრიალეს ამ ბურებმა! ხედავ, ეს ბებერი კრიუგერი რა უტიფარი ყოფილა!

- უტიფარი?! - გაიკვირვა ჯუნმა, - მე კი მგონია, ძალიან სწორად მოიქცა. რა გვესაქმება ჩვენ ბურებთან, რას ვერევით იმათ საქმეში? ახი იქნება, სულ უკან გამოაბრუნებდეს იმ ოხერ უიტლენდერებს. სულ ფულის ხვეტაზე არიან დაფაცურებულები.

სიჩუმე, რომელიც ამ ახალ სენსაციას მოჰყვა, ფრენსიმ დაარღვია.

- რაო? შენ ბუროფილი ხარ? (ეჭვი არ არის, ეს გამოთქმაც აქედან მოდის).

- აბა რა! რატომ არ მოვეშვებით?! - ძლივს მოასწრო ამ სიტყვების თქმა, რომ მსახურმა ქალმა კარი შემოაღო და გამოაცხადა:

- მისტერ სომს ფორსაიტი!

ზედიზედ სენსაცია! მისალმება თითქმის აღარ გახსენებიათ, რადგან ყველას ის აინტერესებდა, სომსი და ჯუნი როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგან ბოროტი ხმები ამბობდა, იმ სამ-

წუხარო ამბის შემდეგ, რაც ჯუნის საქმრო ბოსინისა და სომსის ცოლს შორის მოხდა, ესენი ერთმანეთს აღარ შეხვედრიანო. ყველამ აშკარად დაინახა, რა უგემურად ჩამოართვეს ხელი და ცალი თვალით შეხედეს ერთმანეთს. მამიდა ჯულიმ ხელად გამოიდო თავი და მხსნელის როლი იკისრა.

- რა უცნაურია ჩვენი ჯუნი, ვენაცვალე! წარმოგიდგენია, სომს - ბურებს რად კიცხავთო!

- რა მოხდა, დამოუკიდებლობა უნდათ, - თქვა ჯუნმა, - რატომ არ უნდა ჰქონდეთ ამის უფლება!

- იმიტომ, რომ, - უპასუხა სომსმა და ცალი ყბით გაიღიმა, - მათ ერთხელ უკვე აღიარეს ჩვენი სუვერენიტეტი.

- სუვერენიტეტი! - ზიზღით გაიმეორა ჯუნმა, - ნეტავ, ჩვენ თუ გვესიამოვნება, ვინმემ თავისი სუვერენიტეტი რომ მოგვახვიოს!

- სამაგიეროდ, ფინანსური შეღავათები მიიღეს, - უპასუხა სომსმა, - შეთანხმება შეთანხმებაა.

- ყველა შეთანხმება როდია სამართლიანი, - აენთო ჯუნი, - და თუკი სამართლიანი არ არის, უნდა დაირღვეს კიდეც. ბურები ჩვენზე გაცილებით სუსტები არიან. ჩვენ მეტი სულგრძელობის გამოჩენა გვმართებდა.

სომსმა წაიფრუტუნა.

- ეს ცარიელი გულმოწყალებაა და მეტი არაფერი, - თქვა მან.

მამიდა ესთერი ყველაზე უფრო დავასა და უთანხმოებას ვერ იტანდა, ახლაც წინ გადმოიწია და მტკიცედ განაცხადა:

- რა მშვენიერი ამინდია, შემოდგომას არც კი ჰგავს.

მაგრამ ჯუნის გაცურება ვის შეეძლო.

- არ მესმის, რატომ უნდა იყოს დასაცინი გულმოწყალება! ეს ხომ ქვეყნად ყველაზე უკეთესი რამ არის.

გამომწვევად მიიხედ-მოიხედა, მამიდა ჯული კვლავ ჩაერია საქმეში.

- ახალი სურათები არ შეგიძენია ამ ცოტა ხანში, სომს?

მამიდა ჯულის არც ახლა უღალატია შეუდარებელი ალღოსთვის - მუდამ ის ეთქვა, რისი თქმაც სწორედ საჭირო არ იყო. სომსი წამოჭარხლდა. იმ სურათების დასახელება, რაც მან ბოლოს იყიდა, დამცინავი ბრბოს ყბაში ჩავარდნას ნიშნავდა. ასე თუ ისე, ყველა იქ მყოფმა იცოდა, რა პატივისცემით ეკიდებოდა ჯუნი ჯერ გამოუმცხვარ "გენიოსებს" და რა ზიზღს ამჟღავნებდა იმ "წარმატებულთა" მიმართ, რომელთა გამოსვლაში მისი ხელი არ ერია.

- შევიძინე ერთი-ორი, - წაიდუდუნა სომსმა.

მაგრამ ჯუნის გამომეტყველება შეეცვალა. მის არსებაში დაბუდებულმა ფორსაიტმა მაშინვე რაღაც სახეირო დაყნოსა. რატომ არ უნდა შეიძინოს სომსმა ერიკ კობლის - მისი უკანასკნელი "ბედუკუღმართი გენიოსის" რამდენიმე სურათი?! და მაშინვე შეტევაზე გადავიდა: მის ნამუშევრებს არ იცნობს სომსი? ო, რა დიდებული რამეა! მომავალი მაგისია.

ო, როგორ არა, სომსს უნახავს მისი ნამუშევრები. ნამდვილი "ნათხუპნია", ხალხში მოწონება არ ექნება.

ჯუნი გაწიწმატდა.

- რა თქმა უნდა, არ ექნება. ეს ხელოვნების უკანასკნელი სიტყვაა, რასაც ყველა ინატრებდა. მე თქვენ ხელოვნების ნამდვილი მცოდნე მეგონეთ და არა სააუქციონო შემფასებელი.

- რა თქმა უნდა, მცოდნეა სომსი, - სწრაფად ჩაერია მამიდა ჯული, - დიდებული გემოვნების პატრონია - მუდამ წინასწარ გეტყვის, რას ექნება წარმატება.

- ოჰ! - ამოიხვნეშა ჯუნმა და მოოქრული სკამიდან წამოხტა, - ვერ ვიტან მაგისთანა საზომით შეფასებას. რატომ არ შეიძლება, ხალხმა ის იყიდოს, რაც მოსწონს?

- თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რაც თქვენ მოგწონთ, არა?

ამას მოჰყვა პატარა პაუზა, რის შემდეგაც ყველამ გაიგონა ახალგაზრდა ნიკოლასის ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები - ვაიოლეტი (მისი მეოთხე შვილი) პასტელის გაკვეთილებს იღებს, და არ ვიცი, ამაში რა ხეირი ყრიაო.

- ნახვამდის, მამიდა, - თქვა ჯუნმა, - უნდა წავიდე, - მამიდები გადაკოცნა, გამომწვევად მიიხედ-მოიხედა, ერთხელ კიდევ თქვა, ნახვამდისო და წავიდა. თითქოს ქარიც თან გაიყოლაო - ყველამ შვებით ამოისუნთქა.

მანამ ვინმე ხმის ამოღებას მოასწრებდა, მესამე სენსაციაც მოხდა.

- მისტერ ჯეიმს ფორსაიტი!

ჯეიმსი, გახვეული ბეწვის ქურქში, - რომელიც მას მეტისმეტად სრულს აჩენდა, - ოდნავ ეყრდნობოდა ჯოხს.

ყველა წამოდგა. ჯერ ერთი, ამ ხნის კაცი იყო, და თან ტიმოთისთან ორი წლის შემდეგ პირველად მოვიდა.

- ცხელა თქვენთან, - თქვა მან.

სომსმა ქურქის გახდა უშველა, აღფრთოვანებაში მოიყვანა მამის სიკოხტავემ, თითქოს ერთიანად ბრწყინავდა.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა მან.

თითქოს არც რამე მნიშვნელოვანი აზრი ყოფილა მის სიტ-ყვებში, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ეს ჯუნს შეეხებოდა.

- ვიფიქრე, წავალ და მე თვითონ გავიგებ-მეთქი ყველაფერს, რა უპასუხეს კრიუგერს?

სომსმა საღამოს გაზეთი ამოიღო და სათაური წაიკითხა:

"მთავრობამ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ იმოქმედოს - ომი დაიწყო!"

- აჰ! - თქვა ჯეიმსმა და ამოიოხრა, - მეშინოდა, უკან არ დაიხი-ონ და არ გამოიქცნენ-მეთქი, გლადსტონს რომ მოუვიდა მაშინ... ერთხელ და უკანასკნელად უნდა მოვრჩეთ მაგათთან საქმეს.

ყველამ გაკვირვებით მიაშტერა თვალი. ჯეიმსი! მუდამ აღელვებული, ნერვიული, არეული! მუდამ ეს რომ აკერია პირზე - "ხომ გეუბნებოდით!" მუდამ პესიმისტურად განწყობილი და საქმეში ფრთხილი ჯეიმსი. უჩვეულო და მოულოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება, რომელიც ცოცხალ ფორსაიტთაგან ყველაზე უხუცესს მიეღო.

- ტიმოთი სად არის? - იკითხა ჯეიმსმა, - ფხიზლად უნდა ეჭი-როს თვალყური ამ საქმეზე.

არ ვიციო, მამიდა ჯულიმ უპასუხა. ორი ღერი სიტყვა არ დას-ცდენია დღეს საუზმეზეო. მამიდა ესთერი ადგა და უხმოდ გავი-და ოთახიდან, ფრენსიმ კი ეშმაკურად თქვა:

- ბურები - კერკეტი კაკალი გახლავთ, ასე ადვილად ვერ გა-ტეხთ, ძია ჯეიმს.

- სად კრებთ მაგ ცნობებს? მე კაციშვილი არაფერს მეუბნება, - ჩაილაპარაკა ჯეიმსმა.

ახალგაზრდა ნიკოლასმა ისევ ხმადაბლა თქვა, ნიკი (მისი უფროსი შვილი) სამხედრო წვრთნას გადისო.

- აჰ! - შესძახა ჯეიმსმა და თვალი გაუშტერა - ვალი გაახსენდა, - დედამისს უნდა მოუაროს, - თქვა მან, - სამხედრო წვრთნის დრო სადა აქვს მაგისთანა მამის პატრონს.

ამ გამოუცნობ სიტყვებს სიჩუმე მოჰყვა, რომელიც ისევ მან დაარღვია.

- ჯუნს რა უნდოდა? - და მისი დაეჭვებული თვალები სათითაოდ ყველას მიაშტერა, - მამამისი ახლა მდიდარი კაცია.

საუბარი ჯოლიონზე გადავიდა - უკანასკნელად ვინ ნახაო. ცოლი რომ მოუკვდა, მას მერე საზღვარგარეთ დადის და ქვეყნის ხალხს ხვდებაო. მის აკვარელს დიდი წარმატება აქვს და, საერთოდ, გამოჩენილი კაცი გახდაო. ფრენსიმ ისიც კი თქვა: "ნეტავ, ერთი კიდევ მანახვა, რა მშვენიერი კაცი იყო!"

მამიდა ჯულიმ გაიხსენა: ერთხელ სწორედ ამ სავარძელში ჩაეძინა, ახლა ჯეიმსი რომ ზისო, მუდამ საყვარელი კაცი იყო. ჰა, სომსი რას იტყვის?

ყველამ იცოდა, რომ ჯოლიონი აირენის მეურვე იყო, ამიტომ ეს შეკითხვა ძალიან ეჩოთირათ და სომსს გადახედეს. სომსი წამოწითლდა.

- გაჭაღარავებულა, - თქვა მან.

მართლა? სომსმა ნახა?! სომსმა თავი დააქნია და სიწითლემ გადაუარა.

უცებ ჯეიმსმა თქვა:

- ეჰ... რა ვიცი... ვერაფერს ვიტყვი.

ეს სიტყვები ისე კარგად გამოხატავდა საერთო განწყობილებას - თითქოს ყველაფრის უკან რაღაც იმალებაო - რომ აღარავინ შესიტყვებია. მაგრამ ამ დროს მამიდა ესთერი შემობრუნდა.

- ტიმოთი, - თქვა მან ხმადაბლა, - რუკა უყიდია ტიმოთის და სამი... სამი პაწაწინა დროშა ჩაურჭვია.

ტიმოთის ჩაურჭვია!.. ყველას ოხვრა აღმოხდა.

თუკი მართლა ჩაარჭო ტიმოთიმ დროშები, მორჩა!.. ეს იმის ნიშანია, რომ ერს, თუ ერთხელ აღდგა, ყველაფერი შეუძლია.

ახლა თუნდაც მოგებული იყოს ომი!

თავი მეცამეტე

ჯოლიონი თავის მდგომარეობაში ერკვევა

ჯოლიონი ჰოლის ყოფილი საბავშვო ოთახის ფანჯარასთან იდგა, რომელიც ახლა სახელოსნოდ გადაეკეთებინათ, არა იმიტომ, რომ ეს ოთახი ჩრდილოეთით იყო მოქცეული, არამედ იმიტომ, რომ ეპსომის იპოდრომის მთავარ ტრიბუნას გადაჰყურებდა. მერე თავლის მხარეს გამოჭრილ განის ფანჯარასთან გადაინაცვლა და საათის კოშკებქვეშ მიგდებულ ბალთაზარს დაუსტვინა. ბებერმა ძაღლმა ამოიხედა და კუდი გააქიცინა. "საწყალი ბებრუხანა!" - გაიფიქრა ჯოლიონმა და ახლა სხვა ფანჯარას მიადგა.

რაღაც არეული იყო მთელი ეს კვირა, მას შემდეგ, რაც მეურვის მოვალეობის შესრულება მოუხდა. მის მუდამ ფაქიზ სინდისს ვეღარ მოესვენა, თანაგრძნობა ისედაც ხელად აეშლებოდა ხოლმე, ახლა კი მეტისმეტად მოერია. ამას დაემატა კიდევ ერთი უცნაური გრძნობა - თითქოს სილამაზის შეგრძნებამ კონკრეტული ხორცშესხმა მიიღო. შემოდგომა ბებერ მუხასაც მისდგომოდა, ფოთლებს ყავისფერი შეჰპაროდა. მზე ამ ზაფხულს უხვად და ძალუმად აცხუნებდა. რაც ხეა - კაცის ცხოვრებაც ის არის! "ალბათ, დიდხანს გავძლებ, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - სითბო რომ არ

მყოფნის, ობი მეკიდება. მუშაობა თუ ვეღარ შევიძელი, პარიზისკენ გავწევ". მაგრამ პარიზის გახსენება არ ეამა. თან, როგორ უნდა წავიდეს? აქ უნდა დარჩეს და ნახოს, სომსი რას იზამს. "მე ხომ აირენის მეურვე ვარ. უპატრონოდ ვერ მივატოვებ", - გაიფიქრა მან. გაოცებული იყო, როგორ თვალნათლივ ხედავდა აირენს მის პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც ჯოლიონი ორჯერ შევიდა. მის სილამაზეში ცოცხალი ჰარმონია იგრძნობა! ვერავითარი ზუსტი პორტრეტი ვერ გადმოსცემს მას. მთელი მისი მადლი... ჰო, რა არის მთელი მისი მადლი?.. ცხენის ფეხის ხმამ ისევ ფანჯარასთან მიიყვანა. ჰოლი კუდჩამოგრძელებულ ბედაურზე შემჯდარიყო. გოგონამ ამოხედა, ჯოლიონმა ხელი დაუქნია. ამ ბოლო დროს დუმილი დასჩემდა. ზრდაში შედის. გადაწყვიტა მამამ, მომავალზე ოცნებობს... ასე მოსდის ყველას... ყველა ახალგაზრდას! დრო ეშმაკსა ჰგავს, ვერ დაეწევი! და იმის შეგრძნებით, რომ ამ სწრაფმავალი საგანძურის ფლანგვა შეუწყნარებელი უგუნურება იყო, ფუნჯს დასტაცა ხელი, მაგრამ ამაოდ. თვალი ერთ საგანზე ვერ შეაჩერა. თანაც უკვე ბნელდებოდა. "ქალაქში ჩავალ", - გაიფიქრა მან. ჰოლში მსახურს შეეჩეხა.

- თქვენთან ქალბატონია, სერ, მისის ჰერონი.

საოცარი დამთხვევაა. სურათების გალერეაში რომ გავიდა (ეს სახელი შერჩა ამ ოთახს), ფანჯარასთან აირენი დაინახა.

ქალი მისკენ გაემართა და უთხრა:

- წესი დავარღვიე - იმ ადგილებში გამოვიარე, სადაც გარეშეთათვის გავლა აკრძალულია, ჭალასა და ბაღს გამოვყევი. ძია ჯოლიონის სანახავად მუდამ ასე დავდიოდი ხოლმე.

- აქ თქვენ არსად გავლა არა გაქვთ აკრძალული, - მიუგო ჯოლიონმა, - ისტორია არ მოგვცემს მაგის ნებას. სწორედ თქვენზე ვფიქრობდი ახლა.

აირენმა გაიღიმა, და თითქოს მთელი მისი არსება გასხივოსნდა. ეს არ იყო უბრალო ზეშთაგონება - ეს იყო კიდევ უფრო ნათელი რამ, უფრო სრული, უფრო მომხიბლავი.

- ისტორია! - ჩაილაპარაკა მან, - ერთხელ ძია ჯოლიონს ვუთხარი, სიყვარული მარადიულია-მეთქი. არ ყოფილა მართალი. მარტო ზიზღია მარადიული.

ჯოლიონმა გაკვირვებით შეხედა. ნუთუ ბოსინი დაივიწყა!

- მართალია, - უთხრა მან, - ზიზღი სიყვარულსა და სიძულვილზედაც უფრო ღრმა არის, რადგან იგი ნერვების ბუნებრივი ნაყოფია, ნერვებს კი ჩვენ ვერ შევცვლით.

- სომსი იყო ჩემთან, ამის სათქმელად მოვედი. ისეთი რამ მითხრა, რომ შემაშინა: "შენ ისევ ჩემი ცოლი ხარო!"

- რაო? - შესძახა ჯოლიონმა, - თქვენი მარტო ცხოვრება არ შეიძლება!

შეჰყურებდა ქალს და შეწუხებული ფიქრობდა - სადაც მშვენიერებაა, იქ ყველაფერი უკუღმა უნდა დატრიალდეს, ალბათ სწორედ ამიტომ არის, რომ ხალხი, როგორც ცოდვას, ისე უყურებს ამას.

- მეტი რაო?

- ხელი ჩამომართვიო, მთხოვა.

- ჩამოართვით?

- დიახ. როცა მოვიდა, დარწმუნებული ვარ, ამის განზრახვა არ ჰქონია. ჩემ თვალწინ შეიცვალა.

- არა, ნამდვილად არ შეიძლება თქვენი მარტო ცხოვრება.

- ისეთი ქალი არავინ მეგულება, რომ ვთხოვო, ჩემთან გადმოვიდეს, საყვარელს ხომ ვერ გავიჩენ ასე საგანგებოდ, კუზენ ჯოლიონ!

- ღმერთმა დაგიფაროთ! - მიუგო ჯოლიონმა, - რა ჯოჯოხეთურად დატრიალდა საქმე! სადილად არ დარჩებით? არა? მაშინ ნება მომეცით, მე გაგაცილოთ. ვაპირებდი კიდეც ამაღამ ქალაქში ჩამოსვლას.

- მართლა?

- ნამდვილად. ხუთ წუთში მზად ვიქნები.

სადგურში მისვლამდე ისინი საუბრობდნენ მხატვრობასა და მუსიკაზე, ერთმანეთს უპირისპირებდნენ ფრანგულსა და ინგლისურ მანერას და მათ დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი... მაგრამ გრძელი ხეივნის მრავალფრად აჭრელებული ცოცხალი ღობე, სკვინჩების გაბმული ჟღურტული, ახალდამწვარი სარეველა ბალახის სუნი, აირენის მოღერებული ყელი, მისივე მომხიბლავი შავი თვალები, რომლებიც ხშირად შეანათებდნენ ხოლმე სახეში, მთელი მისი სხეულის ჯადო, ეს ყველაფერი გაცილებით უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ჯოლიონზე, ვიდრე მათი საუბარი. თავისდა უნებურად უფრო გაიმართა წელში და უფრო მოხდენილად მიდიოდა.

მატარებელში ერთგვარი დაკითხვა მოუწყო ქალს - რას საქმიანობ და დრო როგორ გაგყავსო.

კაბებს იკერავს, მაღაზიებში გადის სავაჭროდ, საავადმყოფოში ავადმყოფებს ნახულობს, პიანინოს უკრავს, ფრანგულიდან თარგმნის. ეტყობა, სისტემატურად იღებს საქმეს გამომცემ-

ლისგან და ამით ცოტათი ზრდის თავის შემოსავალს. საღამოობით იშვიათად გადის შინიდან.

- იმდენი ხანი ვცხოვრობდი მარტო, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე აღარ მაწუხებს, შევეჩვიე. ეტყობა ბუნებით ვარ ასეთი უკარება.

- არ მჯერა, - უთხრა ჯოლიონმა, - ბევრი ნაცნობი გყავთ?

- ძალიან ცოტა.

ვატერლოოს სადგურზე ეტლი აიყვანეს და ჯოლიონმა სახლამდე მიაცილა ქალი. გამოთხოვებისას ხელზე ხელი მოუჭირა და უთხრა:

- თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ მოხვიდეთ რობინჰილზე; მაშინვე შემატყობინეთ, თუ რამე მოხდეს. ნახვამდის, აირენ.

- ნახვამდის, - ნაზად უპასუხა ქალმა.

ეტლში რომ ჯდებოდა, ჯოლიონმა გაიფიქრა - რატომ სადილად არ დავპატიჟე სადმე, მერე თეატრშიც წავიდოდით. მარტოობა, შიმშილი, ძაღლური ცხოვრება - აი, საბრალო ქალის ხვედრი!

- კლუბი "რაგინდარა!" - ასძახა მან სარკმელში მეეტლეს.

სანაპიროსკენ რომ შეუხვიეს, ვიღაც ცილინდრიანმა და პალტოიანმა კაცმა ჩაიარა ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ კედელთან ისე ახლოს იყო, რომ ეტყობა, ეტლმა გაჰკრა.

"ღმერთმანი, სომსია! - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ნეტავ, აქ რა უნდა?!" ეტლი კუთხეში გააჩერებინა, ჩამოხტა და სათვალთვალოდ ისეთი ადგილი შეარჩია, საიდანაც სახლის შესასვლელი კარგად არ ჩანდა. სომსი აირენის სახლის წინ შეჩერდა და განათებულ ფანჯრებს ახედა. "შიგ თუ შევიდა, მაშინ რა ვქნა? -

გაიფიქრა ჯოლიონმა, - რისი უფლება მაქვს, რა შემიძლია გავაკეთო?" სომსი, ბოლოს და ბოლოს, მართალი იყო - ქალი ჯერაც მისი ცოლია და რაც უნდა უსიამოვნება მიაყენოს, არავის აქვს უფლება, მისგან დაიცვას! "სულერთია, თუ შევიდა - შევყვები", - გადაწყვიტა ჯოლიონმა. და თვითონაც გაემართა იქითკენ. სომსმა კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შესასვლელს მიადგა. მაგრამ უცებ შედგა, მოწყვეტით შემოტრიალდა და მდინარის მიმართულებით წამოვიდა. "ახლა რა ვქნა? - გაიფიქრა ჯოლიონმა, - რამდენიმე ნაბიჯი და დამინახავს". თვითონაც მობრუნდა. ბიძაშვილის ფეხის ხმა თითქოს ჯოლიონის ნაბიჯებს დაუწყვილდა, მაგრამ მანამ სომსი მოსახვევთან მოვიდოდა, ეტლში შეასწრო.

- წავიდეთ! - ასძახა მან სარკმლიდან.

სომსი ეტლის გვერდით აღიმართა.

- ჰეი, მეეტლე! - იყვირა მან, - დაკავებულია? ჰელოუ!

- ჰელოუ! - გამოეპასუხა ჯოლიონი, - თქვენა ხართ?

ბიძაშვილის სახეს, რომელიც ლამპის სინათლეზე ერთიანად გაცრეცილიყო, ეჭვმა გადაურბინა. ამიტომ ჯოლიონმა სწრაფად მოისაზრა სათქმელი.

- მე წაგიყვანთ, - უთხრა მან, - ქვემოთ თუ მოდიხართ.

- მადლობელი ვარ, - მიუგო სომსმა და ეტლში შევიდა.

- აირენთან ვიყავი, - უთხრა ჯოლიონმა, როცა ეტლი დაიძრა.

- მართლა?

- როგორც ვიცი, თქვენ გუშინ ყოფილხართ მასთან.

- ვიყავი, - მიუგო სომსმა, დამცინავად აბზეკილმა ტუჩმა ჯოლიონი უცებ გააბრაზა, მაგრამ თავი შეიკავა.

- თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, - უთხრა მან, - მაგრამ მართლა თუ გნებავთ განქორწინება, მე მგონი მთლად გონივრული არ უნდა იყოს მასთან სიარული! რას იტყვით? არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს კურდღელიც იყო და მწევარიც!

- გაფრთხილებისთვის მადლობელი ვარ, - მიუგო სომსმა, - მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია.

- სამაგიეროდ, მან გადაწყვიტა, - უთხრა ჯოლიონმა ისე, რომ თავი არც მიუბრუნებია, - ისე აღარ გამოგივათ ყველაფერი, როგორც თორმეტი წლის წინ იყო.

- მაგას მომავალი გვაჩვენებს.

- მოიხედეთ! - მიმართა ჯოლიონმა, - ეს ქალი საშინელ დღეშია, და ჩემ მეტი კაცი არა ჰყავს, ვისაც მის საქმეებში ჩარევის კანონიერი უფლება ჰქონდეს.

- ჩემ გარდა! - მოუჭრა სომსმა, - და მეც საშინელ დღეში ვარ. თვითონ რომ ასეთ დღეშია, საკუთარ თავს დააბრალოს, ხოლო მე რომ ვარ ამ დღეში, ეგეც მისი ბრალია. არ ვიცი, მისთვისვე საკეთილდღეოდ იქნებ მოვთხოვო კიდეც, რომ დამიბრუნდეს.

- რაო! - შესძახა ჯოლიონმა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

- არ ვიცი, რას გულისხმობთ მაგ თქვენი "რაოთი", - ცივად მიუგო სომსმა, - თქვენ ამბობთ, მის საქმეებში ჩარევის უფლება მაქვსო, მაგრამ ეს უფლება მხოლოდ იმ პროცენტების გადახდით განისაზღვრება. გთხოვთ, ამას ნუ დაივიწყებთ. მაშინ არ შევარცხვინე და განქორწინება არ მოვთხოვე, მაგრამ, ამასთან, უფლებებიც დავიტოვე და, აკი გეუბნებით, ჯერ არ ვიცი, გამოვიყენებ თუ არა იმ უფლებებს.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ჯოლიონმა და ჩაიცინა.

- დიახ, - თქვა სომსმა და მის ხმაში რაღაც არაამქვეყნიური გაისმა, - მე ჯერაც არ დამვიწყნია ის მეტსახელი, მამათქვენმა რომ შემარქვა, "მესაკუთრე!" ტყუილად კი არ შეურქმევიათ ეს სახელი.

- საოცარი ამბავია! - ჩაილაპარაკა ჯოლიონმა. როგორ შეუძლია აიძულოს ცოლი, გინდა თუ არა, ჩემთან იცხოვრეო. ბოლოს და ბოლოს, ეს დრო წავიდა. სომსს გადახედა და გაიფიქრა: "ნუთუ მართლა არსებობს ასეთი ხალხი?" მაგრამ სომსის არსებობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა: იჯდა შეურყევლად, ის კი არადა - მოხდენილადაც კი, გაფითრებულ სახეს შეკრეჭილი ულვაში უმშვენებდა, ბაგეზე ღიმილი გაჰქვავებოდა და ოდნავ აწეული ზემო ტუჩიდან კბილი მოუჩანდა. კარგა ხანს არ გაუღიათ ხმა. ჯოლიონი ფიქრობდა: "დახმარების ნაცვლად, სულ გავაფუჭე საქმე".

უცებ სომსმა თქვა:

- ამაზე კარგი არაფერი იქნება მისთვის. ყოველნაირად.

ამ სიტყვებმა ისე აუმღვრიეს ჯოლიონს გული, რომ ადგილზე დამაგრება ძლივს მოახერხა. თითქოს ყუთში ჩაეჭედოთ, ასიათასობით თავისივე თანამემამულესთან ერთად, იმ ეროვნულ ხასიათთან ერთად, რაც მას მუდამ გულს ურევდა, იმისთანა რაღაცასთან ერთად, რომელიც თითქოს სავსებით ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ მაინც გაურკვეველი და აუხსნელი იყო - ხელშეკრულებებისა და დაურღვეველი უფლებების შეურყეველი რწმენა და თვითკმაყოფილი შეგრძნება იმისა, თითქოს ამ უფლებების ჯიქურ გამოყენებით დიდ სათნოებას სჩადიოდნენ. აქ, ეტლში, გვერდით ეჯდა თვით ხორცშესხმა, თაიგული ამ მესაკუთრული

ინსტინქტისა - თანაც, მისივე ბიძაშვილი! ეს იყო ყოვლად უბუნებო, აუტანელი რამ! "მაგრამ ეს კიდევ არაფერი! - ზიზღით გაიფიქრა მან, - ამბობენ, ძაღლი თავის ნარწყევს დაუბრუნდებაო! აირენის ნახვამ უჩვეულო გრძნობა გაუღვიძა! სილამაზის! ეშმაკის ხელი ურევია!"

- ერთი სიტყვით, - თქვა ბოლოს სომსმა, - ჯერ არ გადამიწყვეტია. დიდად დამავალებთ, იმდენ სიკეთეს თუ გამოიჩენთ, რომ სულ მოეშვათ მაგ ქალს.

ჯოლიონმა ბაგე მოიკვნიტა. მუდამ გაურბოდა ხოლმე დავას, ახლა კი გაუხარდა, ჩხუბის მიზეზი რომ მიეცა.

- მაგას ვერ შეგპირდებით, - მოუჭრა მან.

- კეთილი და პატიოსანი, - უთხრა სომსმა, - მაშინ ჩვენც გვეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცეთ. მე აქ ჩამოვალ.

ეტლი გააჩერებინა და ისე ჩამოვიდა, არც სიტყვით, არც ჟესტით არ გამომშვიდობებია. ჯოლიონი თავის კლუბში მივიდა.

ქუჩაში უკვე ყვიროდნენ ომის პირველ ცნობებს, მაგრამ ჯოლიონს ყურადღება არ მიუქცევია. რა ქნას, რითი უშველოს? ნეტავ მამა იყოს ცოცხალი! ის ყველაფერს გააკეთებდა! რატომ მას არ შეუძლია გააკეთოს ის, რასაც მამა მოახერხებდა?! ხანი აკლია?.. ორმოცდაათს გადააბიჯა, ორი ცოლი გამოიცვალა, ქალიშვილები და ბიჭი მოესწრო. "უცნაურია, - გაიფიქრა მან, - უშნო რომ იყოს, არც კი დავფიქრდებოდი. სილამაზე - ეშმაკის ძალაა, თუ გულცივი ვერა ხარ მისდამი!" სული აფორიაქებული ჰქონდა, კლუბის სამკითხველო დარბაზში რომ შევიდა. სწორედ ამ დარბაზში საუბრობდნენ ბოსინი და ჯოლიონი ერთ ზაფხულის საღამოს. ახლაც კარგად ახსოვს ის შეფარული და საიდუმლო ლექ-

ცია, რაც მაშინ ყმაწვილ კაცს წაუკითხა ჯუნის ინტერესების დასაცავად, ნამდვილი ფორსაიტული მინიშნებანი, რაც ისე გაბედულად ჩამოაყალიბა. როგორ უკვირდა - ნეტავ ასეთი რა არის ის ქალიო, ვისგანაც მაშინ ყმაწვილის დაცვას ლამობდა. ახლა! ახლა ლამის თვითონვე დასჭირდეს დაცვა. "უცნაურია! - გაიფიქრა მან, - ჯოჯოხეთურად უცნაური რამ მოხდა!"

თავი მეთოთხმეტე

სომსი საბოლოოდ გაარკვევს თავის სურვილებს

გაცილებით უფრო ადვილია თქმა, "მაშინ ჩვენც გვეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცევთო", ვიდრე იმის კონკრეტულად წარმოდგენა, რასაც ეს სიტყვები გულისხმობს. ამ სიტყვების წარმოთქმით სომსის ეჭვით გაბერილ ინსტინქტებს ოდნავ მოეფონა. ეტლიდან რომ ჩამოხტა, საკუთარ თავზე იყო გაგულისებული, - რატომ აირენი არ ვნახეო; ჯოლიონზედაც მოსდიოდა გული, - იმან რატომღა ნახაო; და იმაზეც, რომ გასაგებად არ შეეძლო ეთქვა, რა უნდოდა!

ეტლიდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ მეტად აღარ შეეძლო თავისი ბიძაშვილის გვერდით ჯდომა. მიდიოდა დასავლეთისკენ და ფიქრობდა: "ერთი ბეწოთიც არ შეიძლება მაგ ჯოლიონის ნდობა. რა არამზადაც იყო, ის არამზადა დარჩა!" ეგ ვაჟბატონი დაბადებითვე... დაბადებითვე გარყვნილია ("ცოდვილის" თქმას მოერიდა, რადგან, ამ სიტყვის ხმარება მეტისმეტად მელოდრამული იქნებოდა ფორსაიტისთვის).

სურვილის გაურკვევლობა და ჭოჭმანი უცნობი გრძნობა იყო მისთვის. ახლა იგი ბავშვს ჰგავდა - რომელსაც ახალ სათამაშოს

შეჰპირდნენ, ძველი წაართვეს, და აღარ იცის, რა ქნას. თავად უკ-ვირდა, ასეთ დღეში როგორ ჩავვარდიო. წინა კვირას სავსებით გამოკვეთილი იყო მისი სურვილი - თავისუფლების მოპოვება და ანეტი! "წავიდე და იქ ვისადილო?" - გაიფიქრა მან. იმ ქალის ნახ-ვამ იქნებ მიზანი გამოუკვეთოს, გული დაუმშვიდოს, გონება და-უწმინდოს.

რესტორანი გაჭედილი დახვდა - სულ უცხოელები და ისეთი ხალხი, რომელთაც, ზედვე ეტყობოდა, მწერლობასთან ან მხატ-ვრობასთან უნდა ჰქონოდათ კავშირი. თეფშებისა და ჭიქების ჩხაკუნში ცალკეული ფრაზებიც აღწევდა მის სმენამდე. გარკვე-ვით ესმოდა, როგორ თანაუგრძნობდნენ ბურებს და როგორ კიც-ხავდნენ ინგლისის მთავრობას. "ვერაფერი შვილი მუშტარი დაუდით", - გაიფიქრა სომსმა. უგემურად შეექცა სადილს, მერე ყავაც დააყოლა, თავისი იქ ყოფნა არ გაუმჟღავნებია. როცა და-ამთავრა, ფრთხილად გაემართა მადამ ლამოტის წმინდა სამყოფ-ლისკენ, რათა არავის შეემჩნია. როგორც ფიქრობდა, სწორედ ისე მოხდა - ვახშამზე შეესწრო; მაგრამ ვახშამი იმდენად უკეთე-სი ჩანდა მის სადილზე, რომ გულიც კი დასწყდა. ისეთი გულ-წრფელი გაკვირვება გამოამჟღავნეს ქალებმა მის გამოჩენაზე, რომ სომსს უცებ ეჭვმა გაკენწლა: "ნამდვილად თავიდანვე იცოდნენ ჩემი აქ ყოფნა". ანეტს დაეჭვებული და შემპარავი თვა-ლი შეავლო. რა ლამაზია, როგორი ალალი ჩანდა. ნუთუ ანკესსა მდებს? მადამ ლამოტს მიუბრუნდა და უთხრა:

- მე აქ ვისადილე.

- მართლა! ნეტავ მცოდნოდა! კარგ რამეს შეგირჩევდით, რა სამწუხარაა!

სომსი უკვე დარწმუნდა თავისი ეჭვების სიმართლეში. "ყოველი ნაბიჯი ფრთხილად უნდა გადავდგა!" - გაიფიქრა მან.

- ერთი ყავა კიდევ მიირთვით, მუსიე, საგანგებოდ მომზადებული. ლიქიორიც, გრანდ მარინერ? - და მადამ ლამოტი გავიდა, რათა თადარიგი დაეჭირა.

მარტო რომ დარჩა ანეტთან, სომსმა ქალს მიმართა:

- ჰა, ანეტ! - და ბაგეზე ფარულმა ღიმილმა გადაურბინა.

ქალი წამოჭარხლდა. წინა კვირას თუ ჟრუანტელი დაუვლიდა ასეთ ვითარებაში, ახლა ისეთივე გრძნობა დაეუფლა, რა გრძნობაც მოიცავს კაცს, რომელსაც თავისი ძაღლი შეხედავს და კუდს გაუქიცინებს. უეცრად საოცარი უფლებამოსილება იგრძნო, თითქოს შეეძლო ახლავე ეთქვა - "აბა, მოდი, მაკოცე". და ქალიც მაშინვე მიირბენდა. უცნაური კი იყო, მაგრამ ამავე ოთახში მას თითქოს სულ სხვა სახე და ტანი ენახოს. ნეტავ ვინ აღაგზნო მაშინ - ამან თუ იმან? თავით რესტორნისკენ ანიშნა და უთხრა:

- საეჭვო მუშტრები დაგიდით. მოგწონთ ასეთი ცხოვრება?

ანეტმა ჯერ შეხედა, მერე დაბლა დახარა თვალები და ჩანგალს დაუწყო თამაში.

- არა, - უპასუხა მან, - არ მომწონს.

"ჩემია, - გაიფიქრა სომსმა, - თუკი მოვინდომებ. მაგრამ მინდა? კოხტა გოგოა, ლამაზი - ძალიან ლამაზი; ქორფა, ერთგვარი გემოვნებაც აქვს". თვალები ოთახში მოატარა, მაგრამ გონების თვალი სულ სხვაგან გაჰქცეოდა - ბინდბუნდი, ვერცხლისფერი კედლები, ინდური ხის პიანინო, ქალი პიანინოს მიჰყრდნობია, - თითქოს სომსს გაურბისო, - მისთვის ასე ნაცნობი ქათქათა მხრები, შავი თვალები, რომელთა გამოცნობას იგი აგრერიგად ცდი-

ლობდა, და მქრქალი, მუქი ქარვისფერი თმა. როგორც მხატვარი მიისწრაფვის ხოლმე განუხორციელებლისკენ და მისი შესრულების წყურვილი ტანჯავს, ისე წამოუარა სომსს უცებ ძველმა ვნებამ, რისი წყურვილის მოკვლაც მას არასოდეს ღირსებია.

- მერე, - მშვიდად უთხრა სომსმა, - ახალგაზრდა ხართ, ყველაფერი თქვენ წინაა.

ანეტმა თავი გააქნია.

- მე კი ზოგჯერ მგონია, მძიმე მუშაობის გარდა არაფერი მომელის-მეთქი. დედაჩემს ძალიან უყვარს მუშაობა, მე კი - არა.

- დედათქვენი საოცრებაა, - ოდნავი დაცინვით უთხრა სომსმა, - მის სახლში მარცხი ვერ დაიბუდებს.

ანეტმა ამოიოხრა.

- ალბათ, რა კარგი იქნება, მდიდარი რომ გახდეს ადამიანი.

- ო, ერთ მშვენიერ დღეს თქვენც გახდებით მდიდარი, - უთხრა სომსმა ისეთივე ოდნავ შესამჩნევი დაცინვით, - ფიქრი ნუ გაქვთ.

ანეტმა მხრები აიჩეჩა:

- მუსიე დიდ სიკეთეს იჩენს, - და გამობუსხულ ტუჩებში შოკოლადის ნატეხი ჩაიდო.

"დიახ, ჩემო კარგო, - გაიფიქრა სომსმა, - მართლაც ძალიან ლამაზი ტუჩები გაქვს".

საუბარი შეწყვიტა მადამ ლამოტის შემოსვლამ, რომელმაც ყავა და ლიქიორი შემოიტანა. სომსი დიდხანს აღარ დარჩენილა.

სოჰოზე რამდენს გაივლიდა, ისეთი გრძნობა მოიცავდა, თითქოს მთელი ეს საკუთრება უკანონოდ ჰქონდა სხვას დასაკუთრებული. ახლა რომ გაიარა, ფიქრებში იყო წასული. აირენს

რომ ბიჭი ეჩუქებინა მისთვის, ქალებს კი აღარ დაუწყებდა ახლა დევნას! ეს ფიქრი, ცნობიერების ბნელი და ღრმა კუნჭულიდან გამოუხტა. ბიჭი - რომელზედაც იმედს დაამყარებდა, რომელიც აზრს მისცემდა ცხოვრების დარჩენილ დღეებს, რომელსაც საკუთარ მეს გადასცემდა, რომელიც მისი გამგრძელებელი იქნებოდა. "ბიჭი რომ მყოლოდა, - სიმწრით გაიფიქრა მან, - კანონიერი ბიჭი, მაშინ ასეთ ცხოვრებასაც ადვილად შევურიგდებოდი. ბოლოს და ბოლოს, ქალი ყველა ერთნაირია". მაგრამ ცოტა რომ გაიარა, თავი გააქნია. არა! სულაც არ არის ერთნაირი. ადრეც, თავისი დარღვეული ქორწინების პირველ წლებშიც, რამდენჯერ უცდია დაერწმუნებინა თავი ამაში, მაგრამ არ გამოსვლია. არც ახლა გამოუვიდა. ცდილობს ჩააგონოს თავს, რომ ანეტიც ისეთივეა, როგორიც ის პირველი. მაგრამ არ გამოდის, ამას სულაც არ სცხია იმ ძველი ვნების ჯადო. "თანაც, აირენი ხომ ჩემი ცოლია, - ფიქრობდა იგი, - ჩემი კანონიერი ცოლი. მე ხელი არ მიკრავს, თავიდან არ მომიშორებია. რატომ არ უნდა დამიბრუნდეს? ეს ხომ სავსებით კანონზომიერი და სამართლიანი იქნება. არც სკანდალს გამოიწვევს ეს, არც დავიდარაბას. მას არ უნდა... მაგრამ რატომ არ უნდა უნდოდეს?! კეთროვანი ხომ არა ვარ და არც... აღარც ის არის შეყვარებული!" რაში სჭირდება განქორწინების პროცესის ასეთი ხრიკები და დამამცირებელი სიბინძურე, გაუთვალისწინებელი მოულოდნელობანი, როცა ეს ქალი აგერ არის, როგორც ცარიელი სახლი, და თითქოს ელოდება, კვლავ იმას დაუბრუნდეს, ვინც მისი კანონიერი პატრონი და მესაკუთრე იყო! ისეთი გულჩათხრობილი კაცისთვის, როგორიც სომსი გახლდათ, ძველი საკუთრების უშფოთველად და გაუხმიანებ-

ლად დაბრუნების ფიქრი მეტისმეტად მაცდუნებელი აღმოჩნდა. "არა, - გაიფიქრა მან, - კიდევ კარგი, ის გოგო ვნახე დღეს. ახლა უკვე ვიცი, რა მსურს უფრო ძალიან. აირენი რომ დამიბრუნდებოდეს, რასაც თვითონ ისურვებს, იმას გავაკეთებ. იცხოვროს თავის ნებაზე. მაგრამ იქნებ... იქნებ შეიცვალა კიდეც და სულით და გულითაც ჩემი გახდა". ყელზე ნერწყვი დაადგა. ასე დაბღვერილი დაუყვა იგი გრინპარკს, მამამისის სახლისკენ, თან ცდილობდა ფეხი დაებიჯებინა თავისივე ჩრდილისთვის, რომელიც მთვარით გაბრწყინებულ ტროტუარზე წინ გაურბოდა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

მესამე თაობა

ნოემბრის ერთ შუადღეს ჯოლი ფორსაიტი დაღმა მიუყვებოდა ჰაისტრიტს ოქსფორდში; ვალ დარტი კი აღმა მოდიოდა იმავე ქუჩაზე. ჯოლის, ის იყო, მენიჩბის კოსტიუმი გამოეცვალა და ახლა კლუბისკენ მოყიალებდა, ცოტა ხნის წინ აერჩიათ სწორედ ამ კლუბის წევრად, ვალსაც ახლახან გამოეცვალა მხედრის კოსტიუმი და ხვატში მიდიოდა - ბუკმეკერისკენ, კორნმარკეტის ქუჩაზე.

- ჰელოუ! - უთხრა ჯოლიმ.

- ჰელოუ! - უპასუხა ვალმა.

ბიძაშვილები სულ ორჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს: ჯოლის, როგორც მეორეკურსელს, საუზმეზე დაეპატიჟებინა ახალბედა სტუდენტი; წუხელ კი ცოტა არ იყოს, ეგზოტიკურ ვითარებაში შეხვდნენ ერთმანეთს.

კორნმარკეტის ქუჩაზე, თერძის სამკერვალოს ქვეშ, ცხოვრობდა ყმაწვილი კაცი, ერთი იმ განებივრებულთაგანი, რომელთაც მცირეწლოვნებს ეძახიან - მემკვიდრეობა დიდი მიუღიათ, მშობლები დახოცვიათ, მეურვეები შორს ჰყავთ, და მანკიერი ინსტინქტები ამოძრავებთ. ცხრამეტი წლისა რომ შეიქნა ის ყმაწვი-

ლი, ისეთ კარიერას ეზიარა, რაც უბრალო მოკვდავთათვის (ისეთი ხალხისთვის, ვისთვისაც ერთი წაგებაც კი მთელი უბედურებაა!) მიმზიდველიც არის და მიუწვდომელიც. უკვე იმით სახელგანთქმულმა, რომ მთელ ოქსფორდში ერთადერთს მას ჰქონდა რულეტის მაგიდა, თავისი მომავალი შემოსავალი ელვის სისწრაფით გაანიავა. კრუმსაც კი გადააჭარბა, მიუხედავად იმისა, სანგვინიკური ტიპი გახლდათ, კარგად ნაპატიებიც, და კრუმის მომხიბლავი მიბნედილება სულაც არ გააჩნდა. ვალისთვის რულეტის მაგიდასთან მისვლა თავისებურ ნათლობას წარმოადგენდა, ხოლო კოლეჯში დაწესებულ დროზე გვიან დაბრუნება და ფანჯრის გადახერხილი გისოსიდან გადაძრომა-კონფირმაციას. წუხელ კი, ასეთი ნეტარი დროს ტარებისას, მაცდუნებელი მწვანე მაუდიდან ასწია თავი და თამბაქოს ჯანღში თავისი ბიძაშვილი დაინახა, რომელიც მაგიდის იქითა მხარეს იდგა. ROUGE GAGNE, IMPAIR, ET MANQUE(თამაშის ტერმინებია.)! ამის მეტად უკვე აღარ დაუნახავს.

- კლუბში წავიდეთ, ჩაი დავლიოთ, - უთხრა ჯოლიმ და ერთად გაემართნენ.

უცხოს რომ დაენახა ერთად ეს ორი გარე ბიძაშვილი, ფორსაიტთა მესამე თაობის წარმომადგენლები, ალბათ ძნელად შესამჩნევ მსგავსებას შენიშნავდა: სახის ისეთივე მოყვანილობა, თუმცა ჯოლის ქროღა თვალები ცოტათი უფრო მუქი იყო, ხოლო თმა - უფრო ნათელი და ხუჭუჭი.

- ჩაი და ფუნთუშები კარაქით, გეთაყვა, - დაუკვეთა ჯოლიმ.

- ჩემს სიგარეტს არ გასინჯავთ? - შესთავაზა ვალმა, - წუხელ დაგინახეთ. რა ქენით?

- მე არ ვთამაშობ.

- მე, კიდევ, თხუთმეტი გირვანქა მოვიგე.

ჯოლის უნდოდა მამის ხუმრობა გაემეორებინა აზარტულ თამაშზე, - "როცა შენ გფცქვნიან - თვითონ ხარ საცოდავი, როცა სხვასა ფცქვნი - სხვა გეცოდება", მაგრამ გადაიფიქრა და ესღა თქვა:

- მე რომ მკითხო, საზიზღრობაა თამაში. ეგ ვაჟბატონი ჩემთან ერთად სწავლობდა. დიდი შტერი ვინმეა.

- ო, ვითომ?! - ისე შეიცხადა, თითქოს შეურაცხყოფილ წმინდანს გამოექომაგაო, - კარგი ბიჭი ჩანს.

ერთხანს უხმოდ ისხდნენ და აბოლებდნენ.

- თქვენ, მგონი, იცნობთ ჩვენებს, - უთხრა ბოლოს ჯოლიმ, - ხვალ ჩამოდიან.

ვალს სახე შეუფაკლდა.

- მართლა? თუ გინდათ, ზუსტ რჩევას მოგცემთ მანჩესტერის სანოემბრო ჰანდიკაპისთვის.(ჰანდიკაპი (ინგლ.) - აქ: დოღი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის ცხენები მონაწილეობენ.)

- გმადლობთ, მე მხოლოდ კლასიკური დოღი მიყვარს.

- მაგაზე რა ფული უნდა გააკეთოთ! - უთხრა ვალმა.

- ბუკმეკერებს ვერ ვიტან, - უპასუხა ჯოლიმ, - ისეთი რია-რია და სიმყრალე დგას... პადოკი მიყვარს.

- მე, კიდევ, ვარაუდი რომ გამიმართლდება, ის მიყვარს.

ჯოლიმ გაიღიმა. მამას მიუგავდა ღიმილი.

- მე არავითარი ვარაუდი არ მაქვს. სანაძლეოს თუ ჩამოვედი, უსათუოდ უნდა წავაგო.

- რჩევა უნდა იყიდოთ.

- ჰო, მაგრამ, რა გამოდის, ან შენ უნდა მოატყუო, ან იმათ მოგატყუონ - გემოც ამაშია.

ჯოლის ოდნავი ზიზღი გამოეხატა სახეზე.

- თქვენ რა სპორტს მისდევთ? ნიჩბოსნობას?

- არა... მე ცხენი მიყვარს. დავაქროლებ ხოლმე აქეთ-იქით. მეორე სემესტრში პოლოს დავიწყებ, ფული თუ დავაყაჭინე პაპაჩემს.

- ძია ჯეიმსზე ამბობთ? როგორი კაცია?

- მაგის ხნისა ჭალაში ქვა არ გდია. და სულ ის ეჩვენება, ვკოტრდებიო.

- ეგ და პაპაჩემი, მგონი, ძმები იყვნენ.

- არა მგონია, მაგ ბერიკაცებში სპორტსმენი ყოფილიყოს რომელიმე, - უთხრა ვალმა, - მარტო ფული ჰქონდათ სალოცავად.

- პაპაჩემზე ეგ არ ითქმის, - თქვა ჯოლიმ მგზნებარედ.

ვალმა პაპიროსის ფერფლი დააბერტყა.

- ფული იმისია, რომ დახარჯო, - თქვა მან, - ნეტავ კი ბევრი მქონდეს...

ჯოლიმ გაკიცხვით შეხედა, თვალი თვალში გაუყარა - მოხუცი ჯოლიონისგან ჰქონდა მემკვიდრეობით ასეთი შეხედულება: ფულზე არ ლაპარაკობენ! და ისევ სიჩუმე ჩამოწვა, ჩაის სვამდნენ და კარაქიან ფუნთუშებს შეექცეოდნენ.

- თქვენები სად უნდა ჩამოხტნენ? - თითქოს სხვათა შორის ჰკითხა ვალმა.

- ცისარტყელაში. ომზე რა აზრისა ხართ?

- ჯერჯერობით კარგი არაფერი ისმის. სპორტსმენობისა არაფერი სცხიათ მაგ ბურებს. ადგნენ და პირდაპირ დაიწყონ!

- რა ძალა ადგათ? მაინც ყველაფერი მათ წინააღმდეგ არის. ერთადერთი, ომის საკუთარი ხერხი უმართლებთ. აღტაცებული ვარ მათი გმირობით.

- კარგი ცხენოსნობა და სროლა იციან, - კვერი დაუკრა ვალმა, - მაგრამ კაი წუპაკი ხალხია. კრუმს არ იცნობთ?

- მერტონელს? შორიდან ვიცნობ. ეგ იმ ლოთი-შფოთი ვაჟბატონების ამფსონი უნდა იყოს. კოხტაპრუწა კაცი ჩანს.

- ჩემი მეგობარია, - მტკიცედ განაცხადა ვალმა.

- აჰ, ბოდიშს ვიხდი.

ისხდნენ, ერთმანეთისთვის შეხედვას ერიდებოდნენ, თავთავიანთ სნობისტურ ჭიას ახარებდნენ. ჯოლი ქვეცნობიერად იმ ხალხის შეხედულებას იზიარებდა, რომელთა დევიზი იყო: "სულ ტყუილია, გულს არ გაგაწყალებინებთ. წუთისოფელი ისედაც მოკლეა, ჩვენ უფრო სწრაფად და მტკიცედ უნდა ვილაპარაკოთ, მეტი გავიგოთ და მეტი გავაკეთოთ, ცალკეულ თემაზე გაცილებით უფრო ნაკლებ ხანს შევჩერდეთ, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ. ჩვენ "ყველაზე უკეთესები" გახლავართ - ფოლადივით მაგარი და თოკივით მოქნილები ვართ". ვალი კი ქვეცნობიერად იმ ხალხის შეხედულებას იზიარებდა, რომელთა დევიზი იყო: "სულ ტყუილია, ვერც გაგვაბრაზებთ და ვერც გულს გვატკენთ. ჩვენ ყველაფერი გამოვცადეთ, ყოველ შემთხვევაში თავი ისე გვიჭირავს, თითქოს გამოგვეცადოს. ისე მოგვბეზრდა ცხოვრება, რომ საათები მოკლე აღარ გვეჩვენება. უკანასკნელ პერანგსაც ისე წავაგებთ, თითქოს არაფერიო. ჩვენი დრო მოგვიჭამია. თამბაქოს კვამლია ყველაფერი". ბისმილა!" მეტოქეობის სული, რაც ასე გაძვალრბილებული აქვთ ინგლისელებს, ამ ორ ახალ-

გაზრდა ფორსაიტსაც აიძულებდა საკუთარი იდეალები ჰქონოდათ; საუკუნის მიწურულს კი იდეალები არეულია ხოლმე. არისტოკრატების უმრავლესობამ თავისი იდეალი "მხტუნავ ქრისტეს" პრინციპებში პოვა. თუმცა აქა-იქ მაინც გამოერეოდნენ კრუმისთანები (კრუმი კეთილშობილი წარმოშობისა იყო), რომლებიც თვალს მაგრად მიიბნედდნენ და სათამაშო მაგიდასთან ნირვანას მიეცემოდნენ, რაც XVIII საუკუნის დენდებისა და ლოველასების SUMMUM BONUM((ლათ.) - უმაღლესი სიკეთე.) იყო. კრუმის ირგვლივ კიდევ იკრიბებოდნენ წარსულის იმედდამსხვრეული ცისფერი სისხლის წარმომადგენლები, ამათ კი, შემდეგ, პლუტოკრატი(პლუტოკრატია (ბერძნ.) - პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ხოლო ხალხი სრულიად უუფლებოა.) მისდევდა.

მაგრამ ამ ორ ბიძაშვილს სხვა უფრო ჩამოუყალიბებელი ანტიპათიაც ჰქონდა ერთმანეთისადმი, რაც ან მათი ძნელად შესამჩნევი ნათესაური მსგავსებისგან მომდინარეობდა, რითაც არც ერთი იყო კმაყოფილი და არც მეორე; ან არადა, ძველი ქვეცნობიერი ქიშპობიდან, რაც ამ გვარის შტოებს შორის არსებობდა და რაც მომდევნო თაობას ძველებისგან ჰქონდა ჩაწვეთებული ნართაული სიტყვებისა თუ უნებურად დაცდენილი საყვედურების წყალობით. ჯოლი კოვზს აჩხაკუნებდა და ფიქრობდა: ყელსახვევში რომ ქინძისთავი გაურჭვია, ეს რაღაა! ან ეს ჟილეტი! ეს გატყლარჭული ლაპარაკი! სანაძლეოები!.. ღმერთო დიდებულო!"

ვალი კი ფუნთუშას შეექცეოდა და ფიქრობდა: "რა მხეცია ამისთანა!"

- ალბათ წახვალთ თქვენების შესახვედრად? - უთხრა მან და წამოდგა, - იქნებ გადასცეთ, რომ გულით მინდა, ჩემი კოლეჯი დავათვალიერებინო. ისეთი კი არაფერია, მაგრამ თუკი თვითონაც მოიწადინებენ...

- გმადლობთ, უსათუოდ გადავცემ.

- იქნებ საუზმეზე დამეწვიონ. ყოჩაღი მსახური მყავს.

ჯოლიმ ეჭვი გამოთქვა, ვერ მოიცლიანო.

- თქვენ მაინც სთხოვეთ.

- მადლობელი ვარ, - მიუგო ჯოლიმ, დარწმუნებულმა, რომ არ დაეწვეოდნენ, მაგრამ თანდაყოლილი თავაზიანობის გავლენით მაინც დასძინა, - სჯობს თქვენ გვეწვიოთ ხვალ სადილად.

- სიამოვნებით. რომელ საათზე?

- რვის ნახევარზე.

- ფრაკით?

- არა.

და ერთმანეთს გაშორდნენ. გულში ორივეს ჩარჩა გაურკვეველი მტრობა.

ჰოლი და მამამისი შუადღის მატარებლით ჩამოვიდნენ. ჰოლი პირველად მოხვდა ამ ოცნებისა და კოშკების ქალაქში. ხმას არ იღებდა, მოკრძალებით შეჰყურებდა თვით ძმასაც კი, რომელიც ამ საოცარი ქალაქის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. ნასაუზმევს დიდი ცნობისმოყვარეობით შეუდგა ძმის სამყოფლის დათვალიერებას. ჯოლის სასტუმრო ოთახი პანელით იყო გაწყობილი, ხელოვნება წარმოდგენილი იყო ბარტოლოცის ნახატებით, რო-

მელიც ჯერ კიდევ მოხუც ჯოლიონს ეკუთვნოდა, და სტუდენ-ტთა ფოტოსურათებით, ესენი იყვნენ მკვირცხლი ბიჭები, გმი-რული იერი დაჰკრავდათ. ჰოლის ამ სურათებმა ვალი მოაგონეს. ჯოლიონიც ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს, რადგან ეს მისი შვილის გემოვნებისა და ხასიათის გამომხატველი იყო.

ჯოლის ერთი სული ჰქონდა, მანამ თავის ნიჩბოსნობას აჩვე-ნებდა, ამიტომ მალე გაემართნენ მდინარისკენ. ჰოლი შუაში იდ-გა, მამასა და ძმას შორის და სიამოვნებდა, როცა გამვლელები უყურებდნენ და თვალს ვეღარ სწყვეტდნენ. უფრო კარგად რომ ენახათ ჯოლის დახელოვნება, მამა და და ტივტივასთან დაშორ-დნენ და მდინარის გაღმა გავიდნენ. ჩამოქნილი და მოსხეპილი ჯოლი (ფორსაიტთაგან მხოლოდ სუითინი და ჯორჯი იყვნენ მსუქნები), რვა ნიჩბოსანთაგან მეორე ნომრად მიდიოდა. ძალიან მონდომებული ჩანდა. ჯოლიონმა სიამაყით გაიფიქრა, ამხანა-გებში ყველაზე ლამაზი და მოხდენილიაო. ჰოლის, როგორც დას შეეფერება ხოლმე, სხვები უფრო მოეწონა - ერთი-ორი ბიჭი, მაგ-რამ ამას როგორ გაამხელდა. მდინარე ელვარებდა, მინდვრები გაფუებული ჩანდა, ხეებს კვლავ შერჩენოდათ ფერთა სიჭრელე. ძველი ქალაქი განსაკუთრებულ სიწყნარეს მოეცვა. ჯოლიონმა გადაწყვიტა - ამინდი თუ არ შეიცვალა, ერთ დღეს გამოვალ და რამეს დავხატავო. რვა ნიჩბოსანმა მეორედ ჩაუქროლა მათ და ტივტივასკენ გაემართა, ჯოლი ცდილობდა დინჯად სჭეროდა თავი, რათა დაღლა არ შესტყობოდა. მამა და ქალიშვილი კვლავ მეორე მხარეს გადავიდნენ და იქ დაელოდნენ.

- ჰო! - თქვა ჯოლიმ, როცა კრაისტ-ჩორჩ კოლეჯის წინ ჩაიარეს, - ვალ დარტი დავპატიჟე დღეს სადილად. თვითონ უნ-

დოდა თქვენი მიწვევა საუზმეზე, კოლეჯსაც დავათვალიერებინებო, მაგრამ მე ასე ვამჯობინე: თქვენ აღარ მოგიწევთ წასვლა. თვალში არ მომდის მაინცდამაინც.

ჰოლის ფერმიხდილი სახე შეუფაკლდა.

- რატომ?

- რა ვიცი. თავის გამოჩენა უყვარს, და ისედაც ვერ არის რიგიანი კაცი. მაგისი დედ-მამა რა ხალხია, მამა? ჩვენი გარე ბიძაშვილია?

ჯოლიონმა გაღიმებით აიცდინა პასუხი.

- ჰოლის ჰკითხე, - მიუგო მან, - ჰოლიმ ნახა ბიძამისი.

- მე მომეწონა ვალი, - თქვა ჰოლიმ და თვალები მიწას გაუშტერა, - ბიძამისი... ბიძას სულაც არ ჰგავს, - წამწამებქვეშიდან შეპარვით ახედა ჯოლის.

- ჩვენი გვარის ისტორია არასოდეს გაგიგონიათ? - იკითხა ჯოლიონმა, რომელსაც ახირებული ამბის მოყოლა გადაეწყვიტა, - ნამდვილი ზღაპარია. პირველი ჯოლიონ ფორსაიტი - ყოველ შემთხვევაში, მათ შორის პირველი, ვინც ჩვენ გაგვიგონია, თქვენ ალბათ პაპის პაპად მოგხვდებოდათ, დორსეტში ცხოვრობდა, ზღვის პირად, და "აგრიკულტურალისტი" იყო, როგორც თქვენი დიდი პაპიდა იტყოდა ხოლმე. თვითონაც მიწის მუშის შვილი ყოფილა, ფერმერის შვილი, ერთი სიტყვით, პაპათქვენი "გლეხაჭუას" ეძახდა, როცა მოიგონებდა.

ჯოლის გადახედა, მისი კეთილშობილება აბა რა გუნებაზე დადგაო, თან ჰოლისკენაც გააპარა მზერა. შენიშნა, რომ, ძმის დაჭყეტილი თვალების დანახვაზე, ჰოლის ეშმაკურად ეღიმებოდა.

- ალბათ, ერთი მოუხეშავი კაცი იქნებოდა, მსხვილი და ჩასკვნილი - ნამდვილი ინგლისელი. მანამ მრეწველობა განვითარდებოდა, ინგლისელები ასეთები იყვნენ. მეორე ჯოლიონ ფორსაიტი, - შენი დიდი პაპა, ჯოლი, რომელსაც "ამაყ დოსეტ ფორსაიტის" სახელით უფრო იცნობდნენ, სახლებს აშენებდა, გადმოცემის მიხედვით ათი შვილი გაუჩენია და ლონდონს გადაბარგებულა. ამასთან, მადერა ჰყვარებია, ესეც ცნობილია. ეს კაცი ნაპოლეონის ომებისა და საერთო არეულობის დროინდელ ინგლისელად უნდა წარმოვიდგინოთ. მის ექვს ვაჟიშვილთაგან ყველაზე უფროსი - მესამე ჯოლიონი იყო, პაპათქვენი, ჩაით მოვაჭრე და სხვადასხვა სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე, ქვეყნის გაჩენის დღიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო წესიერი ინგლისელი და ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი, - ჯოლიონის ხმამ დაკარგა ის დამცინავი კილო, და ახლა შვილებიც გულისყურით უსმენდნენ, - ალალი და მტკიცე კაცი იყო, მოწყალე და დაუბერებელი გული ჰქონდა. თქვენ გახსოვთ იგი, მეც, რა თქმა უნდა, მახსოვს. ახლა სხვებზე გადავიდეთ! თქვენი პაპის ძმას - ჯეიმსს (აი, მაგ ვალის პაპას), ვაჟიშვილი ჰყავს, სახელად სომსი. მაგ სომსთან ერთი უსიამოვნო ამბავია დაკავშირებული, მაგრამ, მე მგონი, არ ღირს ამაზე ლაპარაკი. ჯეიმსი და იმ "ამაყი დოსეტის" დანარჩენი რვა შვილი, რომელთაგან ხუთი ახლაც ცოცხალია, ვიქტორიას დროინდელი ინგლისის წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ - ვაჭრობის თავისებური პრინციპები, ხუთი პროცენტი საერთო კაპიტალიდან, ფულის დაბანდება... თუკი მიხვდებით, რას ნიშნავს ეს. ასეა თუ ისე, ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ოცდაათი ათასი გირვანქა დააბანდეს და მილიონი

გირვანქა მიიღეს. უჭკუო ნაბიჯი თავის დღეში არ გადაუდგამს ამ ხალხს, გარდა მამათქვენის ძმის სუითინისა, რომელიც მე მგონი, რომელიღაც თამაშის დროს გააცურეს, "ოთხცხენიან ფორსაიტს" ეძახდნენ, რადგან ოთხი ცხენი ჰყავდა შებმული ეტლში. მათი ყავლი გადის უკვე, ისპობა ეს ტიპი და არცთუ ხელსაყრელია ეს ჩვენი ქვეყნისთვის. პროზაული და მოსაწყენი ხალხი იყო, მაგრამ საღი გონება ჰქონდათ. მე მეოთხე ჯოლიონ ფორსაიტი ვარ... ამ კარგი სახელის უბადრუკი პატრონი...

- არაფერიც, მამა! - შესძახა ჯოლიმ, ჰოლიმ კი ხელი მოუჭირა.

- ასეა, - განაგრძო ჯოლიონმა, - უბადრუკი ტიპი! ნამდვილი შვილი სულთმობრძავი საუკუნისა: მუქთი შემოსავალი, დილეტანტობა, პიროვნული თავისუფლება - თავისუფალი ინიციატივა კი არა, ეს სულ სხვა ცნებაა, ჯოლი. შენ მეხუთე ჯოლიონ ფორსაიტი ხარ, ჩემო ძმაო, და ახალ საუკუნეს შენ უნდა შეხვდე მეჯლისით.

ამასობაში კოლეჯის ჭიშკარსაც მიადგნენ, და ჰოლიმ წამოიძახა:

- მომხიბლავი რამ არის, მამა.

ხეირიანად ვერც ერთმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა იგი. ჯოლი ჩაფიქრებული იყო.

"ცისარტყელა" მარტო იმითი გამოირჩეოდა, რომ ნამდვილი ოქსფორდული სასტუმრო იყო, სიახლისა არაფერი ეცხო, ერთი მუხის პანელით გაწყობილი მისაღები ოთახი ჰქონდა, სადაც შინ მარტო დარჩენილმა, თეთრ კაბაში გამოწყობილმა, ცოტა არ იყოს, დარცხვენილმა ჰოლიმ ერთადერთი სტუმარი მიიღო.

ვალმა ისე მოჰკიდა ხელი, თითქოს პეპელას შეეხოო.

- ეს "საცოდავი ყვავილი" რომ დაგიბნიოთ თმაში, არ შეიძლება? ისე დიდებულად მოუხდება თქვენს თმას.

პალტოს ღილკილოდან გარდენია გამოაძრო.

- ო, არა. მადლობელი ვარ, - მაგრამ უცებ მოაგონდა "თავის გამოჩენა უყვარსო!" და გამოართვა, გულზე დაიბნია. ვალს რომ ებნია გარდენია, ძალიან თვალში საცემი იყო. ჰოლის კი გულით უნდოდა ძმასაც მოსწონებოდა ვალი. ჰოლის დანახვაზე ვალი სულ იცვლებოდა (ქალს იქნებ ფიქრადაც არ მოსვლია ეს), ისეთი წყნარი და სასიამოვნო ხდებოდა, როგორც არასდროს, და იქნებ ამიტომაც მოსწონდა ქალს ასე.

- ჩვენი სეირნობის ამბავი ჯერაც არავისთვის მითქვამს, ვალ.

- მით უკეთესი. მარტო ჩვენ ვიცოდეთ.

იმის გამო, რომ მეტისმეტი მღელვარებისგან ვაჟმა აღარ იცოდა ან ხელი სად წაეღო, ან ფეხი, ქალმა თავისი გავლენის ძალა იგრძნო და ძალიან ესიამოვნა. ამას დაემატა კიდევ ერთი თბილი გრძნობა - იმის სურვილი, რომ ბედნიერება მიენიჭებინა.

- ოქსფორდზე მიამბეთ რამე. ალბათ როგორი კარგია აქაურობა!

ვალი დაეთანხმა, მართლაც ძალიან სასიამოვნოა ის აკეთო, რაც გულით გწადიანო. ლექციები დიდი არაფერი, მაგრამ ბიჭები არიან აქ მშვენიერი.

- ოღონდ, - დასძინა მან, - რაღა თქმა უნდა. მირჩევნია ლონდონში ვიყო და ხშირად ჩამოვდიოდე თქვენს სანახავად.

ჰოლიმ უხერხულად გაიქნია ხელი კალთაზე და თავი დახარა.

- ხომ არ დაგავიწყდათ, - უცებ გული მოიცა ვალმა, - აკი ჩვენ ერთად ხეტიალი გადავწყვიტეთ!

ჰოლის გაეღიმა.

- ო, ეს ხომ ხუმრობა იყო. სრულწლოვანი რომ გახდები, ამისთანა რამეები აღარ შეიძლება.

- კარგი ერთი! ბიძაშვილებს ყველაფერი შეუძლიათ. მომავალ დიდ არდადეგებზე - ივნისში იწყება, იცით, და ბოლო აღარ აქვს - უსათუოდ გავაკეთოთ.

მართალია ამ საიდუმლო შეთქმულებამ სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა ჰოლის ძარღვებში, მაგრამ მაინც თავი გააქნია.

- არ მოხერხდება?! - შესძახა ვალმა, - ვინ დაგვიშლის? მამა და ძმა არ დაგიშლიან.

ამ დროს ჯოლიონი და ჯოლი შემოვიდნენ. რომანტიკა ერთბაშად ვალის ლაკისა და ჰოლის ატლასის ფეხსაცმელში ჩაძვრა და მთელი საღამო (რომელიც დიდი გულახდილობით არ გამოირჩეოდა) ჩხვლეტდა და უღიტინებდა ახალგაზრდებს.

ჯოლიონის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ბიჭების ფარული შუღლი, და ჰოლიმაც ჩააფიქრა და შეაწუხა. უნებურად ირონიული ტონი გამოუვიდა, რაც საბედისწერო გავლენას ახდენს ხოლმე ახალგაზრდულ გულღიაობასა და უშუალობაზე. ნასადილევს მას წერილი გადასცეს, რომელმაც ისე დაადუმა, რომ, მანამ ჯოლი და ვალი წასასვლელად არ გაემზადნენ, ეს სიჩუმე თითქმის არც დარღვეულა. ყმაწვილებს ჯოლიონიც გამოჰყვა გარეთ, სიგარეტი გააბოლა და კრაის-ჩორჩის ჭიშკრამდე მიაცილა ჯოლი. უკან რომ ბრუნდებოდა, წერილი ამოიღო და ფარნის სინათლეზე კიდევ ერთხელ წაიკითხა.

"ძვირფასო ჯოლიონ! სომსი ამაღამ კიდევ მოვიდა - ჩემი დაბადების 37-ე წლისთავზე. თქვენ მართალი იყავით, აქ აღარ დამედგომება. ხვალვე სასტუმრო "პიემონტში" გადავალ; საზღვარგარეთ კი თქვენს უნახავად არ წავალ. საშინელ მარტოობასა და სასოწარკვეთილებას განვიცდი.

თქვენი კეთილისმსურველი აირენი".

წერილი დაკეცა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და გზა განაგრძო. თვითონვე იყო გაკვირვებული, თავისი გრძნობების ასეთი გამძაფრებით. ნეტავ, რა უთხრა იმ ვაჟბატონმა ან რა გააკეთა?

ჰაისტრიტზე შეუხვია და თერლის ქუჩაზე გავიდა. მიდიოდა ზოგან კაშკაშა მთვარით განათებულ, ზოგან ჩრდილებით ჩამუქებულ კოშკებისა და გუმბათების ლაბირინთებში, ჩაუარა კოლეჯების კედლებსა და გალავნებს. აქ, ინგლისური კეთილშობილების გულში, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ უთვისტომო ქალს ვინმე სდევნიდა და ავიწროებდა, მაგრამ ეს წერილი რას ნიშნავს? ეტყობა, სომსი მოსვენებას აღარ აძლევს, უკან დამიბრუნდიო. საზოგადოებრივი აზრი და კანონიც მის მხარეზეა! "ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი!" - გაიფიქრა მან და თვალი გალავნის თავზე მბზინავ გატეხილ შუშას მიაშტერა. "როცა საკუთრებას შეეხება საქმე, ხელადვე წარმართებად ვიქცევით ხოლმე! ხვალ დილითვე გავბრუნდები. კაცმა რომ თქვას, მართლაც საზღვარგარეთ წასვლა ურჩევნია". მაგრამ არც ეს აზრი ესიამოვნა. რა უფლება აქვს სომსს, რომ ინგლისიდან დევნის! ეგეც რომ არ იყოს, ადგება და საზღვარგარეთაც გასდევს, იქ კი მთლად უმწეო აღმოჩნდება საკუთარი ქმრისგან დევნილი ქალი! "ფრთხილად უნდა ვიმოქმედო, - გადაწყვიტა მან, - ეს ვაჟბატონი ყოველგვარ

სისაძაგლეს იკადრებს. ძალიან არ მომეწონა იმ ღამეს ეტლში!" უცებ ჯუნი გაახსენდა. ნეტავ ვერაფერს დაეხმარება? ერთ დროს აირენი მისი უგულითადესი მეგობარი იყო, ახლა ისიც ერთ-ერთი "ბედუკულმართი" აღმოჩნდა, რომელთა სიბრალულით ჯუნს მუდამ ეწურებოდა ხოლმე გული. გადაწყვიტა, ქალიშვილისთვის დეპეშა გაეგზავნა, რადინგტონის სადგურში დამხვდიო. "ცისარტყელასკენ" რომ მიბრუნდა, საკუთარ გრძნობებში გარკვევა მოინდომა. ამნაირ დღეში ჩავარდნილი ყველა ქალის ბედი შეაწუხებდა ასე? არა! არ შეაწუხებდა. ამ გულწრფელმა დასკვნამ სულ არია, და რა ნახა, ჰოლი უკვე დაწოლილიყო, თვითონაც თავის ოთახში შევიდა. მაგრამ ძილი არ გაეკარა, დიდხანს იჯდა ფანჯარასთან, პალტოში გახვეული, და სახურავზე მოკაშკაშე მთვარის სინათლეს შეჰყურებდა.

არც ჰოლის ეძინა მეორე ოთახში, ვალის წამწამებზე ფიქრობდა - ზედა და ქვედა წამწამებზე, განსაკუთრებით ქვედაზე. ფიქრობდა, რა უნდა ვიღონო, რომ როგორმე ჯოლის შევაყვაროო. მისი პატარა ოთახი გარდენიის სუნით გაჟღენთილიყო და ეს სიამოვნებდა.

ვალს კი, ბრეისნოზ-კოლეჯის მეორე სართულზე ფანჯრიდან გამოეყო თავი და მთვარეს გასცქეროდა, მაგრამ ხედავდა არა მთვარეს, არამედ ჰოლის, სუსტს, თეთრ კაბაში გამოწყობილს, ბუხართან მჯდარს, როგორც პირველად ნახა.

ჯოლი ჩრდილივით ვიწრო ოთახში იწვა, ხელი ღაწვქვეშ ამოედო და ესიზმრებოდა, თითქოს ვალთან ერთად ნავში იჯდა, და ერთმანეთს ნიჩბის მოსმაში ეჯიბრებოდნენ, მამა კი ნაპირიდან უყვიროდა: "მეორე! ხელები დააყენე! ო, ღმერთო!"

თავი მეორე

სომსი გადაწყვეტს, თვითონვე დარწმუნდეს

იმ ბრწყინვალე ფირმათა შორის, რომლებიც თავიანთი ვიტრინებით ლონდონის უესტ-ენდს ამკობენ, სომსს "გეივს და კორტეგელი" მიაჩნდა ყველაზე "მიმზიდველად" - ეს სიტყვა სწორედ მაშინ შემოდიოდა მოდაში. ძია სუითინისგან განსხვავებით, მას არასოდეს იტაცებდა ძვირფასი ქვები. ხოლო მას შემდეგ, როცა 1887 წელს აირენი გაექცა და ქმრის ნაჩუქარი ყველა ბრჭყვიალა ქვა თუ ნივთი დატოვა, სომსმა სულაც შეიძულა ამ საქმეში ფულის დაბანდება. მაგრამ ახლაც კი კარგად ცნობდა ბრილიანტს, და აირენის დაბადების დღის წინ, მთელი ერთი კვირა, პოლტრიზე ისე არ ჩაივლ-ჩამოივლიდა, რომ დრო არ ეხელთა და დიდი საიუველირო მაღაზიების ვიტრინებთან ცოტა ხნით მაინც არ შეჩერებულიყო. აქ შეიძლებოდა, თუ გადახდილი ფულის ნამდვილი საფასურის არა, ყოველ შემთხვევაში, ხეირიანი მარკის საქონლის შეძენა მაინც.

ჯოლიონის ეტლში მოხვედრის შემდეგ მას ერთი წუთითაც არ მოშორებია ფიქრი, რამაც თანდათანობით დაარწმუნა, რომ მის ცხოვრებაში დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, ამი-

ტომ აუცილებელი იყო სათანადო ნაბიჯის გადადგმა და თანაც უშეცდომო ნაბიჯისა. გარდა ამ ცივი და გონივრული მოსაზრებისა - რომ ახლა ან არასდროს ეზრუნა გვარის გაგრძელებაზე, რომ ახლა ან არასდროს მოეწყო საკუთარი ოჯახი და ცხოვრება - მას, იმ ქალის დანახვაზე, რომელიც ერთხელ მისი ვნებისაღმძვრელი და სასურველი ცოლი იყო, კიდევ ერთი იდუმალი გრძნობა გაეღვიძა, და სწორედ ამ გრძნობამ ჩააგონა, რომ საკუთარ ცოლზე უარის თქმა ცოდვა იქნებოდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული საღი აზრის, ასევე ფორსაიტების იდუმალი რწმენის წინააღმდეგ.

უინიფრიდის საქმეზე აყვანილმა სამეფო ვექილმა დრიმერმა - სომსს უოტერბაკი ერჩივნა, მაგრამ მსაჯულად დანიშნეს (თანაც იმ ხნისა იყო ეს კაცი, რომ, ბუნებრივია, ეჭვიც აღეძრა ხალხს - პოლიტიკური ხრიკები ხომ არ არისო) - ურჩია, მანამ განქორწინების საქმეს აღძრავდეთ, ჯერ სასამართლოში ცოლქმრული ურთიერთობის აღდგენა მოითხოვეთო. ეს სომსსაც არ ჰქონია საეჭვოდ. ხოლო როცა სასამართლო სათანადო დადგენილებას გამოიტანდა, ცოტა ხანს უნდა დაეცადათ, ენახათ - შესრულდებოდა თუ არა ეს დადგენილება. თუ არ შესრულდებოდა, ამას სასამართლო ოჯახიდან გაქცევად მიიჩნევდა, და შეუფერებელი საქციელისთვის უკვე ოფიციალურად მოითხოვდნენ განქორწინებას. სომსმა ისედაც მშვენივრად იცოდა ეს. აკი ბრწყინვალე იურისტად მიაჩნდათ იგი. დის საქმის ასეთმა მარტივმა გადაწყვეტამ კიდევ უფრო შეაწუხა სომსი, საკუთარი საქმის სირთულის გამო. ფაქტობრივად ყველაფერი იქითკენ ექაჩებოდა, რომ მარტივად გადაეწყვიტა საქმე - აირენი დაებრუნებინა. თუ ქალი

კვლავ წინააღმდეგი იქნებოდა ამისა, ბოლოს და ბოლოს, სომსმაც ხომ უნდა დათრგუნოს თავისი გრძნობები, დანაშაული აპატიოს, ტანჯვა დაივიწყოს! ყოველ შემთხვევაში, სომსს ხომ არაფერი დაუშავებია მისთვის, და ამდენი რამე კი უნდა დაუთმოს! სომსს ახლა შეუძლია გაცილებით უფრო მეტი რამე შესთავაზოს, ვიდრე ამჟამად აქვს აირენს. მზად არის დიდი კაპიტალი დაუმტკიცოს, რასაც ხელს ვერავინ ახლებს. ამ დღეებში თავის სახეს გულმოდგინედ ათვალიერებდა სარკეში. დარტისთანა ფარშავანგი თავის დღეში არ ყოფილა, არასოდეს წარმოედგინა თავი ქალების მომჯადოებლად, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც მოსწონდა საკუთარი გარეგნობა - და არც უსაფუძვლოდ: კარგად შენახული კაცი იყო, სუფთა, ჯანიანი, ფერმკრთალი. ნამდვილი ფორსაიტული ნიკაპი და დაძაბული სახე, მისი აზრით, ღირსებასაც კი მატებდა. ისეთი რწმენა ჰქონდა, რომ მისი სახის არც ერთ ნაკვთს ზიზღი არ უნდა აღეძრა.

ფიქრები და მისწრაფებანი, რითაც ადამიანი ცხოვრობს და სულდგმულობს, თანდათანობით ბუნებრივი ხდება ხოლმე თუნდაც თავიდან ყურით მოთრეული ჩანდეს. სომსი თუ მისცემს ქალს იმის აშკარა საბუთს, რომ წარსული სავსებით დაივიწყა, რაც მოხდა, მოხდა, და ამიერიდან ყველაფერს გააკეთებს ქალის საამებლად. თუკი ამაში დაარწმუნებს, რატომ არ უნდა დაუბრუნდეს?

ერთი სიტყვით, ცხრა ნოემბერს, დილით, სომსი "გეივს და კორტეგელის" მაღაზიაში შევიდა, ბრილიანტის ფარღულის საყიდლად.

- ოთხას ოცდახუთი გირვანქა, სერ, მუქთია. ნამდვილი ბრილიანტი გახლავთ.

ისეთ გუნებაზე იყო სომსი, რომ ჭოჭმანი არ დაუწყია. ტარსიკონის მწვანე კოლოფი გულის ჯიბეში ჩაიდო და პოლტრიზე გამოვიდა. კარგა ბევრჯერ ახადა იმ დღეს კოლოფს ხუფი, რათა ხავერდის ოვალურ ბუდეში ჩასმულ შვიდი მოელვარე თვალისთვის დაეხედა.

- ქალბატონს თუ არ მოეწონოს, სერ, როცა გენებოთ, მობრძანდით და გამოგიცვლით. მაგრამ მაგისი შიში არ არის.

ნეტავ, მართლაც ასე იყოს! სამუშაოში ჩაეფლო, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ ეს დაუმშვიდებდა ნერვებს. ჯერ ისევ ოფისში იყო, როცა ბუენოს-აირესიდან თავისი აგენტის კაბლოგრამა მიიღო, ცალკეულ ფაქტებსა და იმ სტიუარდესის ვინაობამისამართს აცნობებდა, რომელსაც სასამართლოში საჭირო ჩვენება უნდა მიეცა. ეს კიდევ ერთი წამქეზებელი მიზეზი აღმოჩნდა სომსისთვის, ამან კიდევ უფრო გაუღრმავა ზიზღი შინაური საქმეების საჯაროდ გამოტანა-განქიქებისა. ხოლო როცა მეტროთი ვიქტორიას სადგურისკენ მიდიოდა, გზაში საღამოს გაზეთი გაშალა და ძველი ცოლქმრული ცხოვრების განახლების სურვილი კიდევ ერთმა ახალმა ბიძგმა გაუძლიერა - გაზეთში დაბეჭდილი იყო რომელიღაც განქორწინების პროცესის ანგარიში. გაჭირვებისა და სულიერი მღელვარების დროს შინისკენ სწრაფვის ინსტინქტმა, რაც ყველა ჭეშმარიტი ფორსაიტის დამახასიათებელი თვისება იყო, ერთიანობის ძლიერმა სულმა, რისი წყალობითაც ისინი სიმტკიცესა და სიმაგრეს ინარჩუნებდნენ, სომსს ახლა სადილად ლეინპარკისკენ წასვლა ჩააგონა. ოჯახის წევრებთან თა-

ვის განზრახვაზე კრინტსაც ვერ დაძრავდა, არც სურვილი ჰქონდა ამისა და არც შეეძლო - მეტისმეტად გულდახურული და ამაყი გახლდათ. მაგრამ იმის გაფიქრებაც კი - ამათ რომ გააგებინა ჩემი განზრახვა, გაიზიარებენ და დამლოცავენო, გულს უმაგრებდა.

ჯეიმსი მოჟამულ გუნებაზე დახვდა, რადგან ცეცხლი, რომელიც კრიუგერის თავხედურმა ულტიმატუმმა დაუნთო გულში, წინა თვის ვაი-წარმატებებსა და ახალი შეტევისკენ "ტაიმსის" მოწოდებას ჩაექრო. ველარ მიმხვდარიყო, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე ეს. სომსს სულ ბულერი ეკერა პირზე, ამით ცდილობდა მამის გამხნევებას. მაგრამ ჯეიმსს მაინც არაფერი შველოდა! ეგერ, კიდევ, ის შენი კოლი - მიეწება იმ მთას და ლედისმითი უპატრონოდ მიატოვა, ნახე, იქ როგორ ააცეკვონ. მეზღვაურები უნდა გაგზავნონო, ყოჩაღი ბიჭები არიან, ხომ ნახე ყირიმში რა ამბავი დაატრიალესო. სომსმა ახლა სხვანაირი ნუგეში მოიგონა. ვალს მოუწერია უინიფრიდისთვის: ოქსფორდში გაი ფოქსის დღეს მასკარადი მოუწყვიათ, და ვალი ისე გამურულა, რომ თურმე ველარც კი იცნეს.

- ეჰ! ჭკვიანი ბიჭია, - წაიბუტბუტა ჯეიმსმა. მაგრამ მაშინვე თავი გადააქნია და დასძინა, თუმცა ვინ იცის, რა გამოვაო. მერე შვილს მიაჩერდა ნაღვლიანად და ჩაიდუდუნა, - აგერ ამ ხნის კაცს ბიჭი არა გყავს. ჩემი საკუთარი შვილიშვილი მენატრება, რომ ჩემი სახელი ერქვას. ახლა კი... ეჰ, რას იზამ!

სომსი შეკრთა. არ ელოდა, ასე თუ გამოიწვევდნენ გულის გადასახსნელად, ემილიმ რომ შენიშნა, სომსი შეკრთაო, ქმარს უსაყვედურა.

- რა სისულელეა, ჯეიმს, რას ლაპარაკობ!

მაგრამ ჯეიმსი კვლავ განაგრძობდა დუდღუნს, ისე, რომ თავი არც აუღია. აგერ როჯერი გინდა თუ ნიკოლასი, თუ ჯოლიონი - ყველას ჰყავს შვილიშვილები. სუითინმა და ტიმოთიმ ცოლის შერთვაც ვერ მოახერხეს. ჯეიმსმა, რაც შეძლო, გააკეთა, მაგრამ მალე მისი ზარიც ჩამოკრავს. და თითქოს დიდი სანუგეშო რამე ეთქვას, გაჩუმდა, ტვინის ჭამას შეუდგა. ჩანგლითა და პურის ნაჭრით იღებდა და პურთან ერთად ყლაპავდა.

მორჩნენ თუ არა სადილს, სომსი გამოეთხოვა და წავიდა. დიდი სიცივე არ ყოფილა, მაგრამ მაინც ბეწვის ქურქი ჩაიცვა, რადგან მთელი დღე ნერვიული კანკალი ჰქონდა. თანაც, ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ჩვეულებრივ შავ პალტოზე უფრო ეს უხდებოდა. მერე გულის ჯიბეში ტარსიკონის კოლოფი მოსინჯა და გზას გაუდგა. საერთოდ, მწეველი არ ყოფილა, მაგრამ ახლა სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. მძიმე ნაბიჯით გაუყვა როუს ნაიტსბრიჯისკენ, ისე ჰქონდა ნავარაუდევი, რომ ათის თხუთმეტზე ჩელსიში უნდა ყოფილიყო. ნეტავ რას აკეთებს მარტოდმარტო, ღამღამობით, იმ პატარა სოროში?! ქალებს რას გაუგებ! შენ გვერდით ცხოვრობს, მაგრამ მაინც არაფერი იცი მისი. რა ნახა ამისთანა იმ ბოსინიში, რომ გაგიჟდა?! სიგიჟე იყო, აბა რა იყო, რაც იმან გააკეთა - ნამდვილი სიგიჟე და ჭკუიდან შეშლა. რაც კი შეხედულება არსებობდა საგნებსა და მოვლენებზე, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. საკუთარი სიცოცხლეც გაანადგურა და ქმრის სიცოცხლეც! ერთი წუთით სომსი ეგზალტაციამ შეიპყრო, თითქოს წიგნის გმირი გახდაო, ქრისტიანულმა გულმოწყალებამ მოიცვა - უკანვე უბრუნებს ცოლს მთელ ცხოვრებისეულ სიკე-

თეს, ყველაფერს მიუტევებს, ყველაფერს ივიწყებს და მცველ ანგელოზად ევლინება. ნაიტსბრიჯის ბარაკების წინ, ხის ქვეშ შედგა, ერთხელ კიდევ ამოიღო ტარსიკონის კოლოფი და მთვარის სინათლეზე დახედა ძვირფასი ქვების ბრჭყვიალს. ნამდვილი ბრილიანტია - წყალი არ გაუვა! მაგრამ ხუფმა რომ გაიტკაცუნა, ძარღვებში კვლავ ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ფეხი ააჩქარა, თათმანიანი ხელები ქურქის ჯიბეებში ჩაიწყო, გულის სიღრმეში იმედოვნებდა - შინ არ დამხვდებაო. ისევ იმ ფიქრმა მოიცვა - რა ძნელი გამოსაცნობიაო. ხის სახლში, მარტოდმარტო ვახშმობს; საღამურ კაბაში გამოეწყობა ხოლმე, თითქოს დიდ საზოგადოებაში იყოს! პიანინოს უკრავს - თავისთვის! არც ძაღლი ჰყავს, არც კატა - ყოველ შემთხვევაში, სომსს არ შეუნიშნავს. და უცებ თავისი ფაშატი გაახსენდა, რომელიც მეიპლედერჰემში ჰყავდა, სადგურში სასიარულოდ. რამდენსაც შევიდოდა თავლაში, სულ მარტო იყო ეს ფაშატი, სანახევროდ ჩამოძინებული, მაგრამ შინისკენ უფრო ხალისით მიჭენაობდა ხოლმე, ვიდრე სადგურისკენ, თითქოს ეშურებოდა თავლაში შესვლას და იქ მარტოკა ყოფნასო. "ალერსიანად უნდა მოვექცე, - დაულაგებლად ფიქრობდა იგი, - დიდი სიფრთხილე მმართებს". და მთელი მისწრაფება და სიყვარული ოჯახური ცხოვრებისადმი, რომელიც თითქოს დამცინავმა ბედმა სამუდამოდ წარსტაცაო, ერთბაშად ისეთი ძალით აღდგა სომსის არსებაში, რომ კენსინგტონის სამხრეთ სადგურის პირდაპირ იგი ოცნებათა სამყაროში გადავიდა, გამოშტერებულ ლოთთან შეხვედრას მოერიდა. ციხეში გაატარებინებენ ღამეს! რა ვირი ხალხი არ გადაგეყრება! მაგრამ მთვრალმა შენიშნა, როგორ აარიდა მას თავი სომსმა და გვარიანი გინების მთელი ნიაღ-

ვარი დააწია. "იმედია, გაქაჩავენ, - ღვარძლიანად გაიფიქრა სომ-სმა, - ამისთანა არამზადების თავისუფლად გაშვება როგორ იქ-ნება, როცა ქუჩაში ქალები მარტონი დადიან!" წინ ქალი შენიშნა და იმან აღუძრა ასეთი ფიქრი. საოცრად ეუცნაურა მისი სიარუ-ლი, ხოლო როცა ქალმა იმ ქუჩისკენ შეუხვია, საითაც თვითონ მი-დიოდა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ფეხი ააჩქარა, რათა კარგად დარწმუნებულიყო. კი, აირენი იყო, ამ პატარა ქუჩაში მისი სიარული რას შეეშლებოდა! ორი მოსახვევი კიდევ გაიარა ქალმა, და ბოლო მოსახვევის კუთხიდან სომსმა დაინახა, როგორ შევიდა იგი თავის სახლში. იმის შიშით, ხელიდან არ წამივიდესო, სომსმა სწრაფად გაირბინა ეს მცირე მანძილი, კიბეზე ავარდა, და ზედ კართან წამოეწია. ჯერ გასაღების ჩხაკუნი გაიგონა, და სწორედ მაშინ ამოუდგა გვერდში, როცა ქალმა კარი შეაღო და, დაფეთე-ბულმა მოხედა.

- ნუ გეშინია, - ძლივს ამოილუღლუღა სუნთქვაშეკრულმა, - შორიდანაც მოგკარი თვალი. ერთი წუთით შემომიშვი.

ქალმა მკერდზე მიიდო ხელი, ერთიანად გაფითრებულიყო, შიშისგან თვალები გაჰფართოებოდა. მერე, ეტყობა, გონი მოიკ-რიბა, თავი დაუქნია და უთხრა:

- ძალიან კარგი.

სომსმა კარი მიკეტა. დამშვიდება მასაც სჭირდებოდა და, რო-ცა ქალი სასტუმრო ოთახში გავიდა, მთელი ერთი წუთი უმოძრა-ოდ იდგა, ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, რათა გულისცემა დაეცხ-რო. ამწუთას, რაზედაც მთელი მომავალი იყო დამოკიდებული, ტარსიკონის კოლოფის ამოღება ნაადრევი ეჩვენა. არადა, თუ კოლოფს არ ამოიღებდა, აქ მოსვლის მიზეზი აღარაფერი რჩებო-

და, ამისთანა გასაჭირში ჩავარდნილს, გული მოუვიდა - ამდენი მობოდიშება და თავის მართლება რისთვის უნდა მჭირდებოდეს. სცენა უნდა გამართულიყო, სხვა გზა არ იყო, და უნდა გაეძლო ამ სცენისთვის! ქალის ხმა მოესმა - მღელვარე, გატანჯული:

- მეორედ რაღად მოხვედი? ნუთუ ვერ მიხვდი, რომ ჩემთვის ეს სასიამოვნო არ იყო?!

ახლა შენიშნა ქალის ტანსაცმელი - მუქი წაბლისფერი ხავერდის კოსტიუმი, სიასამურის ბოა, თავზე სიასამურისვე ტოქი. ხატავდა პირდაპირ! ეტყობა, ფული აქვს, ასე კარგად რომ იცვამს! ძლივს ბორძიკით თქვა:

- დღეს შენი დაბადების დღეა. ეს მოგიტანე, - და ტარსიკონის მწვანე კოლოფი გაუწოდა.

- ო! არა... არა!

სომსმა ხუფი ახადა - ნაცრისფერ ხავერდზე შვიდი ქვა აელვარდა.

- რატომ არა? - ჰკითხა მან, - ეს ნიშანი იყოს იმისა, რომ ცუდი თვალით აღარ მიყურებ.

- არ შემიძლია.

სომსმა ფარღული ამოიღო.

- აბა ვნახო, როგორ მოგიხდება.

ქალმა უკან დაიწია.

სომსმა ხელი დაუშვა.

- აირენ, - უთხრა მან, - რაც იყო - იყო. დავივიწყოთ. მე თუკი შემიძლია ეს, შენ - მით უმეტეს, თავიდან დავიწყოთ, თითქოს არაფერი მომხდარა. რას იტყვი?

ხმაში სევდა ჩაღვროდა, ქალის სახეზე მიპყრობილი თვალები მუდარას გამოხატავდნენ.

თითქმის ზედა კედელზე მიკრულმა ქალმა ნერწყვი გადაყლაპა. ეს იყო მისი პასუხი. სომსმა განაგრძო:

- მართლა ამ სოროში ხომ არ აპირებ მთელი ცხოვრების გატარებას, ასე მკვდარ-ცოცხლად? დაბრუნდი ჩემთან, და რასაც კი ისურვებ, ყველაფერი გექნება. შენს ნებაზე გაცხოვრებ... გეფიცები.

შენიშნა, როგორ დამცინავად შეუტოკდა ქალს სახე.

- დიახ, - განაგრძობდა სომსი, - სერიოზულად გეუბნები. ერთ რამესა გთხოვ მხოლოდ. მე... მარტო... ბიჭი მინდა. ასე რად მიყურებ? ჰო, ბიჭი მინდა. ძნელია ასე.

ისე სხაპასხუპით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ თავისივე ხმა ეუცნაურა, ორჯერ უკან გადაიქნია თავი, თითქოს სუნთქვა ეკვრისო. მაგრამ სომსისთვის დაჟინებით მიპყრობილმა, თითქოსდა შიშით ჩაშავებულმა ქალის თვალებმა, ერთბაშად გამოაფხიზლა და მტანჯველი დაბნეულობა - გაგულისებად შეუცვალა.

- ნუთუ ასე უცნაური გეჩვენება ჩემი სიტყვები? - კბილებში გამოცრა მან, - ნუთუ ასე უცნაურია, რომ კაცი საკუთარი ცოლისგან შვილს მოითხოვდეს?! შენ დაანგრიე ჩვენი ცხოვრება, შენგან გვჭირს ყოველგვარი უბედურება. ჩვენ ახლა ცოცხალ-მკვდრები ვართ, ჩვენთვის მომავალი არ არსებობს. ნუთუ ასე უსიამოვნოა, რომ მე... ყველაფრის მიუხედავად... კვლავ ცოლად მიმაჩნიხარ? თქვი რამე, თუ ღმერთი გწამს. რამე მითხარი.

ეტყობოდა, აირენმა სცადა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა.

- შენი შეშინება კი არ მინდა, - ხმას დაურბილა სომსმა, - ღმერთმა ხომ იცის. მე მინდა მიხვდე, რომ ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. უნდა დამიბრუნდე. შენ მინდიხარ.

აირენმა ხელი ასწია და ბაგე დაიფარა, თვალები კი კვლავ დაჟინებით ჰქონდა სომსისთვის მიპყრობილი, თითქოს იმედი აქვს, თვალებით შეაჩეროს და ფეხი წინ აღარ გადმოადგმევინოსო.

ამდენი წელიწადი... ამდენი დრო - ფუჭი და მწარე, მას აქეთ... ჰო! როდიდან?.. თითქმის მას აქეთ, რაც პირველად გაიცნო ქალი. და ეს მოგონება მძლავრ ტალღასავით აზვირთდა სომსის მეხსიერებაში. კვლავ იმ კრუნჩხვამ წამოუარა, რასაც ვერასდიდებით სძლევდა და სახე დაუმანჭა.

- ჯერ კიდევ არ არის გვიან, - განაგრძო მან, - სულაც არა, თუ კი შენ თვითონ ირწმუნებ ამას.

აირენმა ბაგე გაითავისუფლა და ხელი მკერდზე იტაცა ცახცახით.

სომსი მკლავებში ჩააფრინდა.

- გამშორდი! - შესძახა სუნთქვაშეკრულმა ქალმა. მაგრამ სომსი არ ეშვებოდა, კვლავ მისთვის მიპყრობილ თვალებში ჩასცქეროდა. ბოლოს ქალმა წყნარად უთხრა:

- მე მარტო ვარ. ერთხელ რომ მომექეცი, ისე აღარ მოიქცევი ახლა!

სომსმა ფიცხლავ უშვა ხელი, თითქოს გახურებული რკინა სჭეროდეს, და მობრუნდა. ასეთი სიკერპე და გულღვარძლიანობა შეიძლება განა?! ნუთუ ვეღარ დაივიწყა ის ერთი ძალმომრეობა? ნუთუ იმ ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ აბრუნებინა პირი? და თავი არც კი აუწევია, ისე თქვა გაძაღლებულმა:

- მანამ პასუხს არ მომცემ, ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. ისეთ რამეს გთავაზობთ, რასაც ბევრი მამაკაცი ვერ შეგპირდება. მე მსურს... გონივრულ პასუხს ველოდები.

და სახტად დარჩა, როცა ქალის სიტყვები მოისმინა:

- გონივრულ პასუხს ნუ ელოდები, გონებას აქ ხელი არა აქვს. შენ მხოლოდ მკაცრ სიმართლეს მოისმენ: მაგას სიკვდილი მირჩევნია.

სომსი გაოგნებული შეჰყურებდა.

- ოჰ! - თქვა მან, და თითქოს ენაც წაერთვა და მოძრაობაც, ისეთმა ძიგძიგმა აიტანა, რაც მომაკვდინებელი შეურაცხყოფის დროს აიტანს ხოლმე ადამიანს, როცა არ იცის, რა ქნას, უფრო სწორად - არ იცის, რა მოუვა.

- ოჰ! - გაიმეორა მან, - ასეა საქმე! მართლა?! სიკვდილს არჩევდი! დიდებულია!

- მომიტევე. მაგრამ შენ თვითონვე მთხოვდი პასუხს. რა ვქნა, ჭეშმარიტებას ხომ ვერ დავფარავ?

ამ უცნაურმა შეკითხვამ სომსს თითქოს ბორკილი მოხსნა. კოლოფს ხუფი დაახურა და ჯიბეში ჩაიდო.

- ჭეშმარიტება! - თქვა მან, - სად ქალი და სად ჭეშმარიტება! ეს ნერვებია... ნერვები!

მას ქალის ჩურჩული მისწვდა:

- დიახ, ნერვები არა ტყუიან. აქამდე ვერ მიხვდი ამას?

სომსი ხმას არ იღებდა. მისი გონება ერთ ფიქრს მოეცვა: "უნდა შევიძულო ეს ქალი. უსათუოდ უნდა შევიძულო". მთელი უბედურებაც ეგ იყო! ეგ რომ შესძლებოდა! ერთი გახედა ქალს, რომელიც კედელს მიყუდებოდა, გაქვავებულს თავი მაღლა აეწია

და გულხელი დაეკრიფა, თითქოს ელოდება, როდის მომკლავენო. სომსმა სხაპასხუპით მიახალა:

- არც ერთი სიტყვის არ მჯერა. შენ საყვარელი გყავს. რომ არ გყავდეს, ასეთი შტერი არ იქნებოდი.

მანამ ქალის გამომეტყველება შეიცვლებოდა, სომსი უკვე მიხვდა, რომ ის არ უთქვამს, რაც უნდა ეთქვა; რომ ერთბაშად მეტისმეტი სიტლანქით დაუბრუნდა თავიანთი ცოლქმრობის წლებს, როცა დაუფიქრებლად ისროდა ხოლმე ენაზე მომდგარ სიტყვებს. კარისკენ შებრუნდა. მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. შინაგანი ძალა - ფორსაიტული სულის ყველაზე ღრმა და იდუმალი თვისება, რომ არასდიდებით არ დათმონ, არასდიდებით არ დაიჯერონ თავიანთი კერპობისა და სიჯიუტის ამაოება და უსაფუძვლობა - ეღობებოდა და არ უშვებდა. ისევ შებრუნდა და იქვე გაჩერდა, კარს აეყუდა, ისევე როგორც მის პირდაპირ ქალი იყო კედელს მიყუდებული, - ვერც კი გრძნობდა, რომ უცნაური იყო ასე განცალკევებით დგომა: ერთი - ოთახის ერთ მხარეს და მეორე - მეორე მხარეს.

- ნეტავ, საკუთარი თავის გარდა, სხვაზედაც თუ გიფიქრია ოდესმე? - ჰკითხა კაცმა.

აირენს ბაგე აუთრთოლდა, მერე წყნარად უპასუხა:

- ნეტავ, შენ თუ გიფიქრია ოდესმე, რომ მე ჩემს შეცდომას - საშინელ, გამოუსწორებელ შეცდომას - ჩვენი ქორწინების პირველივე კვირაში მივხვდი. და მთელი სამი წელიწადი ვცდილობდი - ეს შენც კარგად იცი, რომ ვცდილობდი - საკუთარ გულს მოვრეოდი?! ამას ჩემთვის ვაკეთებდი?

სომსმა კბილები დააკრაჭუნა.

- ღმერთმა იცის, რისთვის აკეთებდი, შენი ვერაფერი გავიგე. და ვერც ვერასოდეს გავიგებ. რასაც კი მოისურვებდი, ყველაფერი თავზე საყარი გქონდა. და, თუ ისურვებ, გექნება კიდეც, უფრო მეტიც გექნება. რატომ ამითვალწუნე? პირდაპირ გისვამ კითხვას: რა არ მოგწონს ჩემი? - არც კი შეუგრძნია ამ კითხვის მთელი სირთულე, ისე განაგრძო, მგზნებარედ, - კოჭლი არა ვარ, სახიჩარი არა ვარ, ხეპრე არა ვარ, შტერი არა ვარ. მაშ რა მოხდა? რა მჭირს ასეთი?

პასუხის ნაცვლად ქალმა ამოიხვნეშა.

ხელი ხელს გადააჭდო, და ეს ჟესტი ამჯერად გამომეტყველი გამოუვიდა, რაც მისთვის საერთოდ არ ყოფილა დამახასიათებელი.

- აქ რომ მოვდიოდი ამაღამ, დარწმუნებული ვიყავი... ვიმედოვნებდი, ვფიქრობდი, რაც შემეძლო, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა წარსულს საბოლოოდ გამოვთხოვებოდით და ახალი ცხოვრება დაგვეწყო. შენ კი რითი მხვდები - "ნერვებით", დუმილით, ხვნეშით. რა უნდა გაიგოს კაცმა. ეს ხომ... ეს ხომ ობობას ქსელსა ჰგავს.

- დიახ.

ამ წაჩურჩულებამ, რაც ოთახის მეორე კუთხიდან გაისმა, ხელახლა გააცოფა სომსი.

- რახან ასეა, მე არ მსურს ობობას ქსელში გახვევა. მე გავგლეჯ ამ ქსელს, - აირენისკენ გადადგა ბიჯი, - ასეა!

თვითონაც ვერ იტყოდა, რატომ გადადგა ნაბიჯი აირენისკენ. მაგრამ ახლოს რომ მივიდა, უცებ ქალის ტანსაცმლის ძველმა, ნაცნობმა სურნელმა დაბნიდა. ხელები მხარზე დაადო და საკოც-

ნელად გაიწია. მაგრამ აკოცა არა ტუჩებს, არამედ მოკუმული ტუჩების მაგარ, წვრილ ხაზს. მერე ქალის ხელებმა მისი სახე მოიშორეს და ხმაც გაიგონა ქალისა: "ო! არა!" სირცხვილმა, სინანულმა, ამაო გარჯის მწარე შეგრძნებამ თავის მორევში ჩაითრიეს. მოწყვეტით შებრუნდა და გარეთ გავიდა.

თავი მესამე

აირენთან

ჯოლიონს პედინგტონის სადგურზე დახვდა ჯუნი, რომელსაც მამის დეპეშა საუზმის დროს მიეღო. იმისთვის, რომ სრული დამოუკიდებლობა ჰქონოდა უზრუნველყოფილი, ბინა მას სენტ ჯონსვუდგარდენში დაეჭირა - ერთი სახელოსნო და ორი საწოლი ოთახი. მისის გრენდი იქ არ შეაწუხებდა, მსახურები წარამარა ხელს არ შეუშლიდნენ; ღამით თუ დღისით, რა დროც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის შეეძლო თავისი "ბედუკულმართების" მიღება. ის კი არადა, არცთუ იშვიათად, რომელიმე "ბედუკულმართი", რომელსაც საკუთარი სახელოსნო არ გააჩნდა, მოდიოდა და ჯუნის სახელოსნოში მუშაობდა. ჯუნს მოსწონდა ასეთი თავისუფლება, და ერთგვარი ქალწულებრივი გზნებით მისდევდა საქმეს. სითბო, რომელიც ბოსინისთვის უნდა მიეძღვნა, და რისგანაც - ფორსაიტულ სიკერპეს თუ გავითვალისწინებთ - იგი საბოლოოდ უსათუოდ დაიღლებოდა, ახლა მთლიანად მხატვართა სამყაროს ბედუკულმართ და ახალგამოჩეკილ "გენიოსებზე" იხარჯებოდა. მისი სიცოცხლის აზრს ახლა ისიც შეადგენდა, "ბედუკულმართი" იხვის ჭუჭულები - გედებად ექცია, და სწამდა კიდეც, რომ ეს ასე მოხდებოდა. თავისივე მგზნებარება უშლიდა, შეფასებაში მარ-

თალი ყოფილიყო. მაგრამ ალალი და გულუხვი კი იყო. მისი პატარა, ენერგიული ხელი მუდამ მტკიცედ იყო აღმართული იმის დასაცავად, ვისაც ეგრეთ წოდებული აკადემიური თუ კომერციული აზრი ავიწროებდა. და მიუხედავად იმისა, რომ კარგა დიდი შემოსავალი ჰქონდა, მიმდინარე ანგარიში ბანკში ძალიან ხშირად მინუსისკენ იხრებოდა.

პედინგტონის სადგურში ახლა სულიერად აფორიაქებული მოვიდა - ერიკ კობლის საქმეს აეღელვებინა, რომელიღაც უბადრუკ სალონს ამ თმაბურძგლა გენიოსისთვის უარი უთქვამს გამოფენის მოწყობაზე! ჯუნი მაშინვე მივარდნილა იმ სალონში. თავხედი დირექტორი არც მორიდებია აზრის გამოთქმას - კომერციული თვალსაზრისით ძალიან უბადრუკი რამ გამოვაო. ამ კომერციული სილაჩრის გამოჩენას მისი საყვარელი "ბედუკულმართი" მხატვრისადმი (ამ კაცს კი ისე უჭირდა ცოლისა და ორი შვილის შენახვა, რომ ჯუნის მიმდინარე ანგარიში ბანკში თითქმის სულ ამოწურა) ისე აეღელვებინა ჯუნი, რომ სახე ახლაც ანთებული ჰქონდა, ხოლო ოქროდაკრული წითური თმა ისე უბზინავდა, როგორც არასდროს. მამას გადაეხვია და ეტლში ჩაუჯდა: მამას ხომ საქმე ჰქონდა შვილთან, მაგრამ არც შვილს ჰქონია მამასთან ნაკლები საქმე. საკითხავი ისღა იყო - პირველად რომელი დაიწყებდა.

ჯოლიონმა ამის თქმაღა მოასწრო:

- ჩემო კარგო, მინდა, ჩემთან წამოხვიდე... - უცებ სახეში ჩახედა შვილს, და ნახა, რომ ლურჯი თვალები ისე უხტოდა აქეთიქით, როგორც თაგვს დადარაჯებულ კატას კუდი უთამაშებს ხოლმე; ყურს სულაც არ უგდებდა.

- მამა, მართლაც არ შემიძლია ჩემი ფულიდან ნაწილი გამოვიტანო?

- საბედნიეროდ, მხოლოდ პროცენტები, ჩემო საყვარელო.

- რა მხეცობაა! როგორმე ვერ მოვახერხებთ? როგორ შეიძლება რამე არ მოხერხდეს? ათი ათასად პატარა სურათების გალერეას ვიყიდდი.

- პატარა გალერეას, - ჩაილაპარაკა ჯოლიონმა, - უბრალო სურვილია, მაგრამ პაპაშენს წინასწარ განუჭვრეტია.

- ჩემი აზრით, - მტკიცედ შესძახა ჯუნმა, - ფულის ამდენი ზოგვა საშინელებაა, როცა უამრავი გენიოსია ქვეყნად, რომელთაც ყოვლად აუცილებელი რამე ვერ უყიდიათ და ამიტომ იღუპებიან, ჩემს დღეში არ გავთხოვდები და არ გავაჩენ შვილებს. რატომ არ უნდა შემეძლოს ახლავე გავაკეთო კეთილი საქმე, იმის ნაცვლად, რომ ამდენი ფული შეკრული იდოს ბანკში და იმას ელოდოს, რაც არასოდეს მოხდება?!

- ჩვენ ფორსაიტები ვართ, ჩემო კარგო, - უთხრა ჯოლიონმა დამცინავი ხმით, რასაც მისი მგზნებარე ქალიშვილი აქამდე ვერ შეეჩვია, - ფორსაიტები კი, შენც ხომ იცი, იმნაირად ტოვებენ თავიანთ მემკვიდრეობას, რომ შვილიშვილებმა, თუკი ისინი მშობლებს დაასწრებენ სიკვდილს, ანდერძი უნდა დატოვონ ქონებაზე, რომელიც მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ მიეცემოდათ მათ. გაუგე რამე? ვერც მე. მაგრამ რას იზამ, ნამდვილად ასეა. ჩვენ იმ პრინციპით ვცხოვრობთ, რომ მანამ შეიძლება სიმდიდრის გაჩერება ოჯახში, უნდა გაჩერდეს და არსად წავიდეს. შენ თუ გაუთხოვარი მოკვდი, შენი ფული ჯოლის და ჰოლის გადაეცემა. და იმათ შვილებს, ისინი თუ დაქორწინდნენ. განა სა-

სიამოვნო არ არის იმის შეგრძნება, რომ, რაც უნდა ქნა, არასოდეს არც ერთი თქვენგანი არ გაღარიბდება.

- სესხებაც არ შემიძლია?

ჯოლიონმა თავი გააქნია.

- რა თქმა უნდა, შეგიძლია სალონი იქირაო, შენი შემოსავალი თუ აუვა.

ჯუნმა ზიზღით ამოიკვნესა.

- ჰო! მერე კი სულ უფულოდ უნდა დავრჩე და ვერავის გავუმართო ხელი!

- ჩემო კარგო, - წყნარად უთხრა ჯოლიონმა, - განა ეგ სულერთი არ არის?!

- არა, - თქვა ჯუნმა მტკიცედ, - სალონს ათი ათასად ვიყიდდი. ეს იქნება მხოლოდ ოთხასი გირვანქა წლიურად. თუ ვიქირავე, წელიწადში ათასი გირვანქა უნდა ვიხადო და მაშინ ხუთასი გირვანქაღა მრჩება. გალერეა რომ მომცა, მამა, წარმოგიდგენია, რას ვიზამდი! ხელად სახელს მოვუხვეჭდი ერიკ კობლის და სხვებსაც.

- დამსახურებული სახელი თავისით მოდის ხოლმე.

- სიკვდილის შემდეგ!

- აბა, ისეთი ვინმე გაგიგონია, ვისაც სიცოცხლეშივე მოსვლოდეს დამსახურებული სახელი?

- როგორ არა. შენ, მაგალითად, - უთხრა ჯუნმა და მკლავზე ხელი მოუჭირა.

ჯოლიონი შეცბა. "მე? - გაიფიქრა მან, - ჰო! ვიცი! რამე უნდა მთხოვოს. ჩვენ, ფორსაიტებს, ყველას თავისებური მიდგომა გვაქვს".

ჯუნი უფრო ახლოს მიეკრა მამას.

- მამა, შენი ჭირიმე, - უთხრა მან, - შენ იყიდე გალერეა, და მე ყოველწლიურად ოთხას გირვანქას გადაგიხდი, არც შენ იზარალებ, არც მე. თან, ეს ფულის ჭკვიანური დაბანდებაც იქნება.

ჯოლიონი მოიკუნტა.

- როგორ ფიქრობ, - უთხრა მან, - მხატვრისთვის გალერეის ყიდვა საჭოჭმანო საქმე არ არის? თანაც, ათი ათასი დიდი თანხაა, მე კომერსანტი არ ვარ!

ჯუნმა აღტაცებული თვალი მიაპყრო.

- კომერსანტი, რა თქმა უნდა, არა ხარ, მაგრამ საოცრად საქმიანი კაცი ხარ. და იმედი მაქვს, რომ ეგ საქმე გაგვიმართლებს. რა კარგი იქნება, ცხვირს რომ აუბზუებ ამ ოხერ ვაჭრებსა და მათ ავან-ჩავანებს, - და კვლავ მაგრად მიიკრა მამის მკლავი.

ჯოლიონს სასაცილო განწირულება გამოეხატა სახეზე.

- სად არის მაინც ეს ნანატრი გალერეა? ალბათ, ბრწყინვალე ადგილას იქნება.

- კორკსტრიტთან.

"ეჰ! - გაიფიქრა ჯოლიონმა, - თავიდანვე ვიცოდი, რომ სადმე იქნებოდა. ახლა ბარემ ჩემს სათხოვარსაც ვეტყვი!"

- კარგი, ვიფიქრებ, ოღონდ ახლა არა, აირენი ხომ გახსოვს? მინდა, მის სანახავად გამომყვე. ისევ გადაეკიდა სომსი. სადმე თავშესაფარს რომ გამოვუძებნიდეთ, უხიფათოდ იქნება.

სიტყვა "თავშესაფარი", რომელიც მან შემთხვევით ახსენა, ჯუნის დასაინტერესებლად სწორედ რომ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა.

- აირენი! აღარც კი შევხვედრივარ, რაც... რა თქმა უნდა! სიამოვნებით დავეხმარები.

ახლა ჯოლიონის ჯერი მოვიდა, ჯუნისთვის მოეჭირა მკლავზე ხელი - იგი აღაფრთოვანა საკუთარი შვილის, ამ პატარა არსების, სულიერმა სიმდიდრემ და გულგაშლილობამ.

- აირენი ამაყი ქალია, - თქვა ჯოლიონმა და ცერად გახედა შვილს. უცებ ეჭვი შეეპარა, გონივრულად სიფრთხილეს თუ გამოიჩენსო, - მისთვის დახმარების აღმოჩენა ადვილი საქმე არ არის. ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. აჰა, მოვედით კიდეც. დეპეშით გავაფრთხილე, დაგველოდე-მეთქი. მოდი, ბარათები გავგზავნოთ.

- ვერ ვიტან სომსს, - თქვა ჯუნმა, როცა ეტლიდან გადმოვიდა, - ყველაფერს დასცინის, რაც წარმატებას ვერ მოუტანს.

აირენი იმ ოთახში დახვდათ, რასაც "პიემონტში" "ბანოვანთა სასტუმრო დარბაზს" ეძახდნენ.

მორალური სიმამაცე ჯუნს არ აკლდა - მაშინვე მივიდა ძველ მეგობართან, გადაკოცნა და ორივე დივანზე დაჯდა, რომელზედაც, სასტუმროს გახსნის დღიდან, კაციშვილი არ მჯდარა. ჯოლიონს არ გამოჰპარვია, რომ აირენს გულში ჩასწვდა ძველი დანაშაულის ასე უბრალოდ მიტევება, თითქოს არაფერი მომხდარაო.

- მაშ, აღარ გეშვებათ სომსი? - ჰკითხა ჯოლიონმა.

- წუხელ მოვიდა, დაბრუნდიო, მეუბნება.

- თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაუბრუნდებით! - შეჰყვირა ჯუნმა.

აირენმა ნაზად გაიღიმა და თავი გააქნია.

- მაგრამ საშინელ დღეში კია, - ჩაიდუდუნა მან.

- თავს დააბრალოს. როცა შეეძლო, მაშინ უნდა მოენდომებინა განქორწინება.

ჯოლიონს გაახსენდა, როგორ მხურვალედ ნატრობდა მაშინ ჯუნი, რომ განქორწინების პროცესით მისი მოღალატე მიჯნურის სახელი არ შებღალულიყო.

- აირენს მოვუსმინოთ - რას აპირებს, - თქვა მან.

აირენს ბაგე აუთრთოლდა, მაგრამ მაინც წყნარად წარმოთქვა:

- ნეტავ შემეძლოს, ჩემი თავიდან მოცილების ახალი მიზეზი მივცე.

- რა საშინელებაა! - შესძახა ჯუნმა.

- მაშ რა ვქნა?!

- ამაზე ლაპარაკი არც ღირს, - ძალიან მშვიდად თქვა ჯოლიონმა, - SANS AMOUR((ლათ.) - უსიყვარულოდ.).

ჯოლიონს მოეჩვენა, ტირილი წასკდებაო, მაგრამ ქალი მაშინვე წამოდგა, ოდნავ მიბრუნდა და ერთხანს ასე იდგა, ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

უცებ ჯუნმა წამოიძახა:

- მე მივალ სომსთან, ვეტყვი, რომ თავი დაგანებოთ. რა უნდა ამ ხნის კაცს?

- ბავშვი. ეგ სულაც არ არის უცნაური.

- ბავშვი! - ზიზღით შესძახა ჯუნმა, - რაღა თქმა უნდა! აბა, ვის უნდა დაუტოვოს ფული?! თუ ასე ძალიან უნდა, წაიყვანოს ვინმე და გააჩინოს. მაშინ თქვენ გექნებათ უფლება, განქორწინება მოითხოვოთ, და ის კიდევ იმ ქალს შეირთავს.

ჯოლიონი ახლაღა მიხვდა, რომ ჯუნი არ უნდა მოეყვანა - ასეთი გაცხარებითა და ფათაფუთით იგი სომსის წისქვილზე ასხამდა წყალს.

- ყველას ის აჯობებდა, ჩვენთან გადმოსულიყო აირენი, წყნარად, რობინჰილზე, და შორიდან ეცქირა, რა მოხდებოდა.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა ჯუნმა, - ოღონდ...

აირენმა თვალებში შეხედა ჯოლიონს. რამდენჯერ დაფიქრდა მერე ჯოლიონი, მაგრამ ამ შეხედვის აზრი მაინც ვერ ახსნა.

- არა! უსიამოვნების მეტს, ვერაფერს შეგახვედრებთ. საზღვარგარეთ წავალ.

ჯოლიონი მის ხმაზე მიხვდა, რომ ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილება. უცნაურმა აზრმა გაუელვა: "მით უკეთესი, იქ ვნახავ", მაგრამ თქმით სულ სხვა რამე თქვა:

- როგორ გგონიათ, იქ უფრო უმწეო არ იქნებით, იქაც თუ გამოგყვათ?

- რა ვიცი, ვცდი მაინც.

ჯუნი წამოხტა და ოთახში წრიალს მოჰყვა.

- საშინელებაა! - შესძახა მან, - ამ საზიზღარი, ფარისევლური კანონის გადამკიდე, რატომ უნდა იტანჯებოდეს ხალხი, რატომ უნდა იყვნენ წლობით უმწეონი და უბედურნი?!

მაგრამ ამ დროს ვიღაც შემოვიდა ოთახში და ჯუნი გაჩუმდა. ჯოლიონი აირენთან მივიდა:

- ფული არ გჭირდებათ?

- არა.

- თქვენს ბინას რა ვუყოთ? გაგიქირაოთ?

- დიახ, ჯოლიონ, თუ შეიძლება.

- როდის აპირებთ?

- ხვალ.

- იქ აღარ მიხვალთ, ხომ?

ეს ისეთი მღელვარებით ჰკითხა, რომ თვითონვე გაუკვირდა.

- არა. რაც მჭირდებოდა, ყველაფერი წამოვიღე.

- მისამართს გამომიგზავნით?

ქალმა ხელი გაუწოდა.

- თქვენ სალი კლდე ხართ, ასეთი გრძნობა მაქვს.

- ოღონდ საფუძველი ქვიშისა აქვს ამ კლდეს, - მიუგო ჯოლიონმა და ხელი მაგრად მოუჭირა, - გახსოვდეთ, რომ, რაც უნდა დაგჭირდეთ, ჩემთვის სასიამოვნო იქნება დახმარება გაგიწიოთ. და თუ გადაიფიქრებთ... ჯუნ, მიდი, აირენს გამოეთხოვე.

ჯუნი ფანჯარას მოშორდა, აირენთან მივიდა და ხელი მოხვია.

- იმაზე ნუღარც იფიქრებთ, - უთხრა მან ჩურჩულით, - კარგად იყავით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

ისინი მდუმარედ გავიდნენ ოთახიდან, თან წაიღეს მოგონებაში აირენის ცრემლიანი თვალები და ბაგეზე გადაფენილი ღიმილი, ჩაუარეს იმ ქალს, რომელმაც საუბარში ხელი შეუშალა მათ, და ახლა მაგიდაზე გაზეთებს ათვალიერებდა.

ეროვნულ გალერეას რომ ჩაუარეს, ჯუნმა შესძახა:

- ყოვლად გათახსირებული პირუტყვები და საშინელი კანონები!

მაგრამ ჯოლიონს პასუხი არ გაუცია. ზომიერების გრძნობა მამისა ჰქონდა მას გამოყოლილი და შეეძლო პირუთვნელად შეეხედა ამა თუ იმ მოვლენისთვის, თუნდაც აღელვებული ყოფი-

ლიყო, აირენმა მართალი თქვა. სომსიც საშინელ დღეში იყო, იქნებ აირენზე უარეს დღეშიც; რაც შეეხება კანონს, იგი ადამიანის საკეთილდღეოდ არის მოგონილი, ოღონდ ისე, რომ ადამიანისავე ბუნებაზე მეტისმეტად დაბალი წარმოდგენა აქვს. ჯოლიონმა იგრძნო: კიდევ რომ დარჩენილიყო ქალიშვილთან, სათანადო სიფრთხილით ვერ გამოზომავდა სათქმელს; ოქსფორდის მატარებელს უნდა მივუსწროო, უთხრა, - ეტლს მოუხმო, ჯუნი ტერნერის გამოფენასთან დატოვა და აღუთქვა, შენს გალერეაზე უსათუოდ ვიფიქრებო.

მაგრამ აირენზე ფიქრმა მოიცვა მისი გონება. სიბრალული სიყვარულს ენათესავებაო, ნათქვამია. თუ მართლა ასეა, მაშინ იქნებ უყვარდეს კიდეც ეს ქალი, რადგან სიბრალულით - მთელი სულით და გულით ებრალებოდა. ძნელი წარმოსადგენია - მთელ ევროპაში მარტოდმარტო წანწალი, და ისიც დევნილი ქალისა! "ღმერთმა ქნას, რომ თავს არაფერი აუტეხოს! - გაიფიქრა მან, - სულ ადვილია სასოწარკვეთილებას მიეცეს". აღარაფერი შერჩა, თავს მაინც იტყუებდა რაღაც საქმიანობით, ისიც მოესპო. ჯოლიონს ვეღარ წარმოედგინა, რა მოელოდა ქალს - ასეთი მშვენიერი, უმწეო, სასურველი ნადავლი ყველასთვის! ჯოლიონის მღელვარებას შიშიც ედო საფუძვლად და ეჭვიც. ვინ იცის, რას გააკეთებს კუთხეში მიჩიხული, განწირული ქალი! "ნეტავ, სომსი რას იზამს ახლა! - გაიფიქრა მან, - მართლაც საშინლად, იდიოტურად დატრიალდა საქმე! ახლა ადგებიან და იტყვიან - ქალია დამნაშავეო". აფორიაქებული და გულდამძიმებული ჩაჯდა მატარებელში, ბილეთი დაკარგა, ხოლო ოქსფორდის სადგურში ქუდი მოუხადა ქალს, რომლის სახე ეცნაურა, მაგრამ ვინ უნდა ყოფი-

ლიყო, ვერასდიდებით ვერ გაიხსენა, ვერც ახლა, ვერც მერე, როცა "ცისარტყელაში" ჩაის შეექცეოდა ქალი.

თავი მეოთხე

რისი ეშინიათ ფორსაიტებს

იმედდამსხვრეული, ერთიანად აცახცახებული სომსი, რომელიც გულთან ისევ გრძნობდა ტარსიკონის მწვანე კოლოფს, სიკვდილივით მწარე ფიქრებს მოეცვა. ობობას ქსელი! იგი სწრაფად მიდიოდა მთვარით განათებულ ქუჩაში, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, თავში კვლავ ის სცენა უტრიალებდა, როგორ გაქვავდა ქალის სხეული მის მკლავებში. და რამდენსაც მეტს ფიქრობდა, იმდენად უფრო აშკარა ხდებოდა მისთვის, რომ ქალს საყვარელი ჰყავდა. ასე რომ არ იყოს, მაშინ ძალიან უცნაური იქნებოდა მისი სიტყვები - "მაგას სიკვდილი მირჩევნიაო!" ვთქვათ, თავიდანვე არ უყვარდა იგი ქალს - სულერთია, ბოსინის გამოჩენამდე ჭკვიანად იყო. არა. უსათუოდ შეყვარებულია, თორემ სომსის ყოველნაირად გონივრულ და კარგად მოფიქრებულ წინადადებაზე ასეთ მელოდრამულ უარს არ იტყოდა! ძალიან კარგი! ეს უფრო ამარტივებს საქმეს.

"ყველაფერს ვიღონებ, რომ გამოვარკვიო, - გაიფიქრა მან, - ხვალ დილითვე პოლტიდთან მივალ".

ასე კი გადაწყვიტა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რომ ეს ადვილი არ იყო. სამსახურებრივი საქმეების გამო აქამდეც რამდენ-

ჯერ მიუმართავს პოლტიდის სააგენტოსთვის, ის კი არადა, სულ ახლახან დარტის საქმეზედაც მიმართა, მაგრამ ვერასოდეს წარმოიდგენდა, საკუთარი ცოლისთვის თვალყურის სადევნებლად თუ დასჭირდებოდა მათი დახმარება.

ეს მეტისმეტად დამამცირებელი იქნებოდა მისთვის.

ისე დაწვა და დაიძინა - თუმცა სინამდვილეში ძილი არ გაჰკარებია - რომ სულ ამაზე, შელახულ სიამაყეზე ფიქრობდა. წვერის პარსვის დროსღა გაახსენდა, რომ აირენი ახლა საკუთარ გვარზე - ჰერონზე - იწერებოდა. პოლტიდს არც ეცოდინება, პირველ ხანებში მაინც, ვისი ცოლი იყო აირენი, პირში ლაქუცით არ დაუწყებს ცქერას და პირს უკან აღარ დასცინებს. ვითომ, სომსის ერთ-ერთი კლიენტის ცოლია. ეს მართალიც იქნება - აკი თვითონვე იკისრა საკუთარი საქმის ვექილობა!

სომსს ეშინოდა - ახლავე თუ არ მივიყვანე საქმე ბოლომდე, პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა თუ არ გამოვიყენე, მერე, ვინ იცის, იქნებ გადამიაროს კიდეცო. უორმსონს ადრიდანვე ამოატანინა ყავა და საუზმემდე გავიდა სახლიდან. ჩქარი ნაბიჯით გაემართა უესტ-ენდის ერთ-ერთ პატარა ქუჩისკენ, სადაც პოლტიდი და სხვა სააგენტოები მდიდარი კლასის ღირსებას იცავდნენ. აქამდე თვითონ გამოიძახებდა ხოლმე პოლტიდს ყოველთვის პოლტრიში. მისამართი კარგად იცოდა და სწორედ გაღების დროს მივიდა. მისაღებ ოთახში, რომელიც ისე კოხტად იყო მორთული, მევახშის ბინა გეგონებოდათ, მას შეეგება ქალი, რომელიც მასწავლებელს უფრო ჰგავდა.

- მისტერ კლოდ პოლტიდის ნახვა მინდა. მიცნობს... არ არის საჭირო ჩემი გვარის მოხსენება.

სომსის მთავარი საზრუნავი ახლა ის იყო, ყველასთვის დაეფარა, რომ იგი, აგენტის დახმარებით, საკუთარ ცოლს დასდევდა სათვალთვალოდ.

მისტერ კლოდ პოლტიდი ძალიან განსხვავდებოდა მისტერ ლუის პოლტიდისგან - ის იყო შავთმიანი კაცი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა, მკვირცხლი თაფლისფერი თვალები, ვისაც უნდა ენახა, ყველას ებრაელი ეგონებოდა, მაგრამ სინამდვილეში ფინიკიელი იყო. მან სომსი მიიღო ოთახში, სადაც ბგერებს მტკიცედ ხშავდნენ სქელი ხალიჩებითა და ფარდებით. უბრალო ოთახსა ჰგავდა, საბუთების კვალსაც ვერსად შენიშნავდით.

მისტერ პოლტიდი მოწიწებით მიესალმა სომსს და ერთადერთი კარი განგებ შესამჩნევი სიფრთხილით დაკეტა.

"როცა თავის სახლში მიწვევს კლიენტი, - იტყოდა ხოლმე იგი, - რა სიფრთხილეც სურს, ის გამოიჩინოს - მისი ნებაა, მაგრამ ჩემთან თუ მოდის, უნდა დავარწმუნო, რომ აქედან არაფერი გაჟონავს. საიდუმლოს შენახვაზე თვალდახუჭული შეგიძლიათ მენდოთ. თუ სხვა რამე"...

- აბა, სერ, რითი შემიძლია გემსახუროთ?

სომსს თითქოს ყელში გაეჩხირა რაღაც, სიტყვა ვეღარ დაძრა. აუცილებელი იყო ამ კაცს სცოდნოდა, რომ გარდა პროფესიული ინტერესისა, ამ საქმეში მას სხვა არაფერი ამოძრავებდა. და ბაგეებს, უნებლიეთ, ჩვეული დაბრეცილი ღიმილი გადაეკრა.

- ასე ადრე იმიტომ მოვედი, რომ წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება! - მართლა თუ დაკარგავდა წუთს, მერე იქნებ გულიდან გადაჰყროდა, - გყავთ თუ არა ამჟამად ვინმე სავსებით საიმედო ქალი?

მისტერ პოლტიდმა მაგიდის უჯრა გამოაღო, დავთარი ამოიღო, გადაათვალიერა და ისევ მიკეტა უჯრა.

- დიახ, - მიუგო მან, - სწორედ მაგისთანა ქალი მყავს.

სომსი დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო - ოდნავ შეფაკლული ღაწვები თუ გასცემდა (რაც სახის დამახასიათებელ ფერად შეიძლებოდა ადამიანს მიეჩნია), თორემ სხვა არაფერი.

- მაშ, ახლავე გაგზავნეთ ჩელსიზე, ტრურო მენშენი, ბინა D. მისის აირენ ჰერონს უნდა უთვალთვალოს. დანარჩენ დავალებას მერე მივცემ.

- ახლავე ყველაფერს გავაკეთებთ, - მიუგო მისტერ პოლტიდმა, - ეტყობა განქორწინების საქმეა, - და სალაპარაკო მილში ჩასძახა, - მისის ბლენჩი აქ არის? ათ წუთში მოვიდეს ჩემთან, უნდა მოველაპარაკო.

- ცნობებს მიიღებთ, - განაგრძო სომსმა, - და მერე მე გადმომიგზავნით პირადად, ზემოდან "საიდუმლო" დააწერეთ ხოლმე და ლუქი დაადეთ. კლიენტი მთხოვს, საიდუმლო მკაცრად დავიცვათ.

მისტემ პოლტიდს ჩაეცინა, თითქოს ამბობდა: "ბებიათქვენი გააცურეთ, ჩემო ძვირფასო სერ". და მისი თვალები, რომელთაც წამიერად დაკარგეს პროფესიულობის იერი, სომსის სახეს მიაშტერდა.

- დამერწმუნეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, - უთხრა მან, - არ ეწევით?

- არა, - მიუგო სომსმა, - ყური მიგდეთ: ამ საქმისგან შეიძლება არაფერი გამოვიდეს. მაგრამ ვისიმე გვარი რომ გამჟღავნდეს, ან

ეს მეთვალყურეობა შენიშნოს ვინმემ, იქნებ სერიოზულად წავიდეს საქმე.

მისტერ პოლტიდმა თავი დაუქნია.

- შემიძლია შიფრის კატეგორიითაც გავუშვა საქმე. მაშინ გვარის დასახელება არც კი იქნება საჭირო. ნომრებით ვაწარმოებთ ხოლმე საქმეს.

მეორე უჯრა გამოაღო და ორი ფურცელი ქაღალდი ამოიღო, ზედ რაღაც დაწერა და სომსს გადასცა.

- ეს თქვენთან იყოს, სერ, თქვენი გასაღები იქნება. მე დუბლიკატს დავიტოვებ. ამ საქმეს დავარქვათ - 7X; ვისაც უნდა ვუთვალთვალოთ - 17 იქნება; მეთვალყურე - 19; სახლი - 25; თქვენ თვითონ - ესე იგი, თქვენი ფირმა - 31; ჩემი ფირმა - 32; მე - 2. თქვენი კლიენტის მოხსენიებაც თუ დაგჭირდებათ მიწერ-მოწერაში, მას 43 ნომერს მივცემთ; ვინმე საეჭვო პირი თუ გამოჩნდა - 47; მეორე საეჭვო პირი - 51. რაიმე საგანგებო ინსტრუქცია ან მითითება ხომ არ გვექნება?

- არა, - მიუგო სომსმა, - მაგრამ დიდი სიფრთხილე იქნება საჭირო.

მისტერ პოლტიდმა კვლავ დაუქნია თავი.

- ხარჯები?

სომსმა მხრები აიჩეჩა.

- რაც აუცილებელი იქნება, - მოკლედ მოუჭრა სომსმა და წამოდგა, - თქვენს ხელში იყოს ეგ საქმე, სხვას ნურავის გადასცემთ.

- სავსებით! - მიუგო მისტერ პოლტიდმა და უცებ სომსსა და კარს შორის აღმოჩნდა, - მალე იმ მეორე საქმის გამოც გნახავთ. ნახვამდის, სერ.

კიდევ ერთხელ დაკარგეს მისმა თვალებმა პროფესიული გამომეტყველება, როცა სომსს შეხედეს. მერე კარი გაუღო.

- ნახვამდის, - უთხრა სომსმა ისე, რომ გვერდზე არ გაუხედავს.

ქუჩაში რომ გამოვიდა, წყნარად, მაგრამ გულიანად შეიგინა. ობობას ქსელი! და ამ ქსელის გასაგლეჯად ამნაირ ობობებს უნდა ეხვეწოს, ფარული, უწმინდური ხერხები გამოიყენოს... რაც განსაკუთრებით გულისამრევია ისეთი კაცისთვის, რომელსაც პირადი ცხოვრება მთელი საკუთრების ყველაზე წმინდა ნაწილად დაუსახავს. მაგრამ კამათელი უკვე გაგორებულია, უკან ვეღარ დაიბრუნებს. პოლტრიში დაბრუნდა, ტარსიკონის მწვანე კოლოფი და შიფრის გასაღები, რომელსაც კრისტალური სიცხადით უნდა ეჩვენებინა მისი ოჯახის სრული განადგურება, საგულდაგულოდ ჩაკეტა.

უცნაური კია, რომ კაცს, რომელსაც მთელი თავისი დღე და მოსწრება სხვა მესაკუთრეთა უთანხმოებანი და ოჯახური უსიამოვნებანი გამოჰქონდა სააშკარაოზე, ახლა ასე ეშინია საკუთარი ოჯახის საქმეს არ მოჰკრას ვინმემ ყური; თუმცა, კაცმა რომ თქვას, არ არის უცნაური - თუ მას არა, სხვას აბა ვის უნდა სცოდნოდა ასე კარგად მთელი ამ დაკანონებული წესის უგულობა და სისასტიკე.

მთელი დღე მაგრად მუშაობდა. ოთხი საათისთვის უინიფრიდს ელოდა, რათა ტემპლში წაეყვანა, სამეფო ვექილ დრიმეტ-

თან მოსალაპარაკებლად. დის მოლოდინში კიდევ ერთხელ გადაიკითხა წერილი, რომელიც მანვე დააწერინა დარტის წასვლის დღეს და რომლითაც ქალი ქმარს შინ დაბრუნებასა სთხოვდა.

"ძვირფასო მონტეგიუ. შენი წერილი მივიღე. სამუდამოდ გტოვებ და ბუენოს-აირესში მივემგზავრებიო, მწერ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ელდაა ჩემთვის. მანამ გვიან არ არის, ახლავე ვსარგებლობ შემთხვევით და გწერ, რომ მე მზადა ვარ, ყველაფერი დავივიწყო. რაც მოხდა - მოხდა, თუკი ახლავე დაბრუნდები... გთხოვ, დაბრუნდე. ისე ვარ აღელვებული, რომ მეტს ვეღარაფერს გწერ. წერილს იმ მისამართით გიგზავნი, რომელიც შენს კლუბში დაგიტოვებია. პასუხი კაბლოგრამით მაცნობე.

შენი ჯერ ისევ მოსიყვარულე ცოლი უინიფრიდ დარტი".

უჰ! რა სისულელეა! გაახსენდა, როგორ ადგა თავზე უინიფრიდს, ამ წერილის დაწერის დროს - ჯერ თვითონ დაუწერა ფანქრით და უინიფრიდმა გადაწერა. კალამი დადო და ძმას მიმართა:

- მართლა რომ ჩამოვიდეს, სომს? - ისეთი უცნაური ხმითა ჰკითხა, თითქოს თვითონ არ იცოდა, რა სურდა.

- არ ჩამოვა, - უპასუხა სომსმა, - მანამ სულ არ გაუთავდება ფული. ამიტომ ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს.

ამ წერილის ასლს მთვრალი დარტის ნაჯღაბნიც მიაკერეს - "აისიუმ-კლუბიდან" რომ გამოუგზავნა. სომსს ერჩივნა, სასმლის აშკარა ნიშნები არ ჰქონოდა წერილს. სწორედ ამას ჩაებღაუჭებოდა სასამართლო, თითქოს უკვე ჩაესმოდა ყურში მოსამართლის სიტყვები: "თქვენ ეს სერიოზულად მიიღეთ?! იმდენად სერიოზულად, რომ ასეთი პასუხიც მისწერეთ. თქვენ გგონიათ, მართლა ასე აპირებდა?" მაგრამ არა უშავს! აშკარა გახდა, რომ

დარტი გემით გაემგზავრა და აღარც დაბრუნებულა. აქვე ჰქონდა მისი კაბლოგრამა: "დაბრუნება შეუძლებელია. დარტი". სომსმა თავი გააქნია. ამ რამდენიმე თვეში თუ ვერ მორჩნენ საქმეს, ის ვაჟბატონი ჩამოვა და ისევ კისერზე დააწვებათ. მისი მოშორებით კი სულ ცოტა ათასი გირვანქა დაიზოგება, გარდა იმისა, რომ უინიფრიდი და მამა გულისხეთქვას გადარჩებიან. "დრიმერი უნდა დავაფაცურო, - გაიფიქრა მან, - წინ უნდა წავწიოთ საქმე".

უინიფრიდი, რომელიც ახლა სანახევროდ სამგლოვიარო ტანსაცმელს იცვამდა, და ეს ძალიანაც უხდებოდა მის ქერა თმასა და ტანის სიმაღლეს, ჯეიმსის ორცხენიანი ეტლით მოსულიყო. მთელი ხუთი წელიწადია, სომსს ეს ეტლი სიტიში არ ენახა, ესე იგი, მას შემდეგ, რაც მამამ საქმეს თავი მიანება, და ახლა იმდენად უხერხული და შეუფერებელი ეჩვენა, რომ სახტად დარჩა. "იცვლება დრო, - გაიფიქრა მან, - კაცმა არ იცის, ხვალ რა მოხდება". ცილინდრიანი ხალხიც შეთხელდა. ვალის ამბავი ჰკითხა დას. ვალი იწერება, უთხრა უინიფრიდმა, მომავალ სემესტრში პოლოს თამაშს დავიწყებო. კარგ ხალხში მოხვდა, ეტყობა. მერე სცადა მღელვარება შეენიღბა, ისე ჰკითხა, თითქოს სხვათა შორის:

- ძალიან გახმაურდება, სომს? გაზეთებში უსათუოდ მოხვდება? ძალიან ცუდი იქნება ვალისთვისაც და გოგოებისთვისაც.

სომსს ჯერ თავისი უბედურებაც არ მოენელებინა, ახლაც ეს გაახსენდა.

- გაზეთებს რას მოიშორებ. ძალიან ძნელი იქნება, მაგათ რამე გამოაპარო. თავი ისე მოაქვთ, თითქოს საზოგადოებრივ მორალს იცავდნენ, სინამდვილეში კი თავიანთი ბინძური ინფორმაციებით რყვნიან ხალხს. მაგრამ ჯერ ადრეა ეს. დრიმერს დღეს

ცოლქმრული უფლებების აღდგენის საქმეზე უნდა ველაპარაკოთ. იმან, რა თქმა უნდა, იცის, რომ შენ განქორწინებას ისწრაფვი. მაგრამ მაინც ისე უნდა დაიჭირო თავი, თითქოს გული გელეოდეს დარტის დაბრუნებაზე - სწორედ ასე უნდა ეჩვენო დღეს.

უინიფრიდმა ამოიოხრა.

- ეჰ! მაგისთანა ოინბაზობა მონტის მოგონილია! - თქვა მან.

სომსმა წყრომით გადახედა. მისთვის აშკარა იყო, რომ უინიფრიდს სერიოზულად არ მიჰქონდა ეს ამბავი გულთან, პატარა მიზეზი იყო საკმარისი, რომ სულაც მოესპო აღძრული საქმე. სომსს კი თავიდანვე უკარნახებდა ალღო მტკიცე მოქმედებას. ახლა პატარა უსიამოვნების აცდენა მომავალში საშინელ შერცხვენას უმზადებს დასაც და ბავშვებსაც, ბოლოს კი სულაც გაღატაკდებიან, თუ ხელახლა ჩამოეკიდა დარტი მათ კისერზე - სულ დაბლა და დაბლა დაეშვება და იმ ფულსაც გაფლანგავს, რასაც ჯეიმსი ქალიშვილს უანდერძებს. მართალია, ეს ფული ხელუხლებლად იქნება ბანკში, მაგრამ ის ვაჟბატონი რაღაცას მაინც მოახერხებს და ანდერძისგანაც გამოადენს რამეს, საბოლოოდ ოჯახს აიძულებს ყოველგვარი თანხა გადაიხადოს, ოღონდ კი თავი დააღწიოს გაკოტრებას, და იქნებ ციხესაც კი! ბრჭყვიალა ეტლი, რომელშიც ასევე ბრჭყვიალა ცხენები ჰყავდათ შებმული და ბრჭყვიალაცილინდრიანი მსახური ახლდათ, სანაპიროზე დატოვეს და სამეფო ვექილ დრიმერის რეზიდენციაში შევიდნენ, კრაუნ-ოფის როუზე.

- აქ მისტერ ბელბი გახლავთ, სერ, - მოახსენა კლერკმა, - მისტერ დრიმერი ათ წუთში იქნება.

მისტერ ბელბი - უმცროსი რწმუნებული, თუმცა არც მთლად ისე "უმცროსი", როგორც ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს, რადგან სომსი მხოლოდ და მხოლოდ რეპუტაციადამკვიდრებულ ვექილებს მიმართავდა ხოლმე; ზოგჯერ რომ დაფიქრდებოდა, უკვირდა კიდეც. ასეთი რეპუტაცია როგორ დაიმკვიდრეს, რომ მეც კი იძულებული ვხდები მათ მივმართოო - მისტერ ბელბი მაგიდას უჯდა და ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, ათვალიერებდა თავის ქაღალდებს. ახლახან მოსულიყო სასამართლოდან და მანტია ჰქონდა მოსხმული, პარიკიც ეკეთა; მის პაწაწინა, ტუმბოს ტარივით გამობზეკილ ცხვირს, წვრილად ჩამჯდარ ცბიერ ლურჯ თვალებსა და წინ წამოშვერილ ქვემოთა ტუჩს კარგად ეხამებოდა პარიკიცა და მანტიაც - დრიმერის დამატებად და შესავსებად უკეთესი რწმუნებულის წარმოდგენა ძნელიც იყო.

უინიფრიდის ოფიციალური წარდგენისა და გაცნობის შემდეგ, ისინი ამინდს გადაახტნენ და ომზე გააბეს ლაპარაკი.

უცებ სომსმა შეაწყვეტინა:

- თუ თანხმობა არ განაცხადა, მთელი ექვსი თვით უნდა გადაიდოს პროცესი. მინდა, როგორმე დავაჩქაროთ საქმე, ბელბი.

მისტერ ბელბიმ, რომელიც ირლანდიურად უქცევდა, უინიფრიდს გაუღიმა და წაიბუტბუტა:

- კანონი ასეთი გახლავთ, მისის დარტი.

- ექვსი თვე! - გაიმეორა სომსმა, - ივნისამდე გაჭიანურდება! მერე გრძელი არდადეგებიც წამოეწევა. ცოტა უნდა დავაწვეთ, ბელბი... - ყველაფერს უნდა მოსცდეს და გამუდმებით უჩიჩინოს უინიფრიდს, თორემ ვაითუ გადაიფიქრა!

- მისტერ დრიმერს უკვე შეუძლია თქვენი მიღება, სერ.

წამოდგნენ და დაწალიკებულად გაემართნენ - ჯერ მისტერ ბელბი, მერე კი, სომსის საათის მიხედვით ერთი წუთის შემდეგ, უინიფრიდი და სომსი.

სამეფო ვექილ დრიმერს მანტია ჰქონდა მოსხმული, პარიკის მოხსნა უკვე მოესწრო, და ისე იდგა ბუხართან, თითქოს ეს თათბირი სტუმრების სამასლაათოდ მიღება ყოფილიყოს. სახე უბზინავდა მისტერ დრიმერს, ეს დიდი განსწავლულობის ნიშანია; კარგა მოზრდილი ცხვირი და ზედ წამოსკუპული სათვალე, პატარა, შეჭაღარავებული ულვაში... დიდებული ჩვეულება ჰქონდა - ცალი თვალის პაჭუნი და ზემოთა ტუჩის ქვემო ტუჩზე გადმოშვება, ამის წყალობით ხმა უფრო ყრუდ ისმოდა. ჰქონდა კიდევ ერთი ჩვეულება - მოულოდნელად წამოვარდებოდა და პირში სწვდებოდა მოსაუბრეს. ამან, ხმის მოგუდვამ და კიდევ ერთმა ჩვეულებამ - ლაპარაკის დაწყების წინ ცოტა ხანს გაბმით ღმუილმა, განქორწინებისა და მემკვიდრეობის საქმეების წარმოებაში ისეთი რეპუტაცია შეუქმნეს, რასაც ბევრი ვერ დაიკვეხნიდა. ახლაც თვალის პაჭუნით მოუსმინა მისტერ ბელბის, რომელმაც სხაპასხუპით აღუნუსხა ფაქტები, ერთი დაიღმუვლა და თქვა:

- ეგ ხომ ვიცი, - მერე უცებ უინიფრიდს ეცა და მოგუდული ხმით უთხრა, - მაშ, ჩვენ გვსურს, უკან დავაბრუნოთ, არა, მისის დარტი?

სომსმა დაასწრო:

- აუტანელ დღეშია ჩემი და.

დრიმერმა ნამდვილად დაიღმუვლა.

- ნამდვილად. ერთი სიტყვით, კაბლოგრამას ვენდოთ, თუ შობის დღეებამდე დავუცადოთ და წერილის გამოგზავნის საშუალება მივცეთ - ეს საკითხი დგას ამჟამად ჩვენ წინაშე, არა?

- რაც უფრო ჩქარა... - დაიწყო სომსმა.

- თქვენ რაღას იტყვით, ბელბი? - ახლა ბელბის ეცა დრიმერი.

მისტერ ბელბიმ თითქოს მწევარივით შეიყნოსა ჰაერი.

- დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვერ გადავცემთ საქმეს სასამართლოს. რაღა საჭირო იქნება, შემდეგაც მივცეთ თავისუფლება.

- არა, - თქვა სომსმა, - მის არჩევანზე რატომ უნდა მივაგდოთ, რატომ უნდა შევაწუხებინოთ ჩემი და...

- ჯანდაბას! - შესძახა დრიმერმა და კვლავ სომსს ეცა, - სწორია. რატომ უნდა გავგზავნოთ ხალხი ჯანდაბაში! ხომ არ უნდა გავგზავნოთ, მისის დარტი? - და მანტიის კალთა მტრედის ბოლოსავით წამოიწია, - თანახმა ვარ, ახლავე დავიწყოთ. მეტი არაფერი?

- ჯერჯერობით არაფერი, - მრავლისმეტყველად თქვა სომსმა, - მინდოდა ჩემი და გამეცნო თქვენთვის.

დრიმერმა ნაზად დაიღმუვლა:

- სასიამოვნოა. ნახვამდის.

და ისევ დაუშვა მანტიის კალთა.

როგორც შევიდნენ, იმგვარადვე გამოიწკაპნენ. უინიფრიდი კიბეზე დაეშვა. სომსმა ფეხი აითრია. დრიმერმა მაინც მოახდინა შთაბეჭდილება მასზე.

- მოწმეების საქმე, მგონი კარგად არის, - მიმართა მან ბელბის, - ჩვენში დარჩეს და, ახლავე თუ არ მოვაბით ბოლო ამ საქმეს,

მერე იქნებ სულაც ვეღარაფერს გავხდეთ. როგორ ფიქრობთ, ეს-მის ეს მაგას?

- მე გავაგებინებ, - უთხრა ბელბიმ, - ეჰ, კარგი კაცია... კარგი კაცი.

სომსმა თავი დაუქნია და დას გამოენთო. უინიფრიდი კიბის ბოლოში იდგა და პირბადის ქვეშ ტუჩებს იკვნეტდა.

სომსმა ხელადვე მიახალა:

- სტიუარდესის ჩვენება სავსებით საკმარისი იქნება.

უინიფრიდი მოიჭმუხნა, წელში გაიმართა, და გავიდნენ, ეტლს მიადგნენ. მანამ ეტლში ისხდნენ და, ხმის ამოუღებლად გრინსტრიტს მიჰყვებოდნენ, ორივეს ერთი და იგივე ფიქრი უტ-რიალებდა გონებაში: "რატომ, ოჰ, რატომ უნდა გამხდარიყო ჩემი უბედურება ასე საქვეყნოდ გამოსამზეურებელი! რატომ უნდა მჭირდებოდეს მაძებრების დაქირავება? რატომ უნდა ვაფათუ-რებინო ხელი ჩემს გასაჭირში? მე ხომ ბრალი არ მიმიძღვის!"

თავი მეხუთე

ჯოლი თვითონვე სჯის

მესაკუთრული ინსტინქტი, რამაც ფორსაიტთა გვარის ორი წარმომადგენელი იმისგან თავდაღწევისთვის სამოქმედოდ აღძრა, რაც უკვე მათ საკუთრებას აღარ წარმოადგენდა, ბრიტანეთის სახელმწიფო სხეულში სულ უფრო და უფრო მეტ სიმტკიცეს იძენდა. ნიკოლასი თავიდან დაეჭვებით შეხვდა ომს, რომელიც კარგს არაფერს უქადდა საკუთრებას; ახლა კი თურმე გაიძახოდა - ბურები საშინელი უჯიათი ხალხიაო; რამდენი ფული ნიავდება მაგათ გამო, რაც უფრო მალე ასწავლიან ჭკუას, მით უფრო კარგი იქნებაო; ჩემი საქმე რომ იყოს, უოლსლის გავგზავნიდიო. ცოტათი სხვებზე უფრო შორსმჭვრეტი კაცი იყო (ამიტომაც ჰქონდა ყველაზე მეტი ქონება ფორსაიტებს შორის) და თავიდანვე განჭვრიტა, რომ ბულერი იმედს ვერ გაამართლებდა, - დამდგარა და ერთ ადგილზე ბუსკნაობს, ახლავე თუ არ მიხედეს, ლედისმითი უსათუოდ დაეცემაო(ბულერის (BULLER) პირველი ნაწილი - ბული ხარს ნიშნავს და სწორედ ამაზეა ნიკოლასის ნართაული სიტყვები - ბუსკნაობსო (მთარგმნელის შენიშვნა).). ეს იყო დეკემბრის დამდეგს, ხოლო "შავი კვირა" რომ დადგა, მას უკვე თავისუფლად შეეძლო ეთქვა - აკი გეუბნებოდითო. სწორედ ამ შავი და ბნელი

კვირის განმავლობაში, რისი მსგავსიც ფორსაიტებს არაფერი ახსოვდათ, "სულ ახალგაზრდა ნიკოლასი" შვილის ჯანმრთელობის თაობაზე საოჯახო ექიმს მოეთათბირა. და ძალიან შეწუხებული დარჩა, როცა შვილი სავსებით ჯანსაღი აღმოჩნდა. ბიჭს უკვე მიეღო იურისტის წოდება და, კაი ფულის ფასად, ვექილის პრაქტიკასაც აძლევდნენ. ამიტომაც, ნამდვილი კოშმარი აღმოჩნდა დედ-მამისთვის ეს სამხედრო ვარჯიში, ისიც რა დროს - როცა ჯარში წვრთნამიღებული სამოქალაქო ხალხი შეიძლებოდა ფრონტზე გაეგზავნათ. პაპას, რაღა თქმა უნდა, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს შეფუცხუნება. იგი იმის მტკიცე რწმენით იყო აღზრდილი, რომ ბრიტანეთი დიდ ომებს არ აწარმოებს, ეს პატარა, პროფესიული ომებია და საიმპერიო პოლიტიკისადმი ძალიან უნდობლად იყო განწყობილი, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ პოლიტიკის წყალობით ზარალი ზარალზე მოსდიოდა: მისი აქციები - "დე ბირი" - სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით ეცემოდა, და ესეც უკვე საკმარისზე მეტი მსხვერპლი იყო მისი შვილიშვილისგან.

ოქსფორდში კი სულ სხვა გრძნობები გამძლავრდა. ის დუღილი, რაც ერთად თავშეყრილ ყმაწვილკაცობას მუდამ თანა სდევს ხოლმე, "შავი კვირის" წინ, მთელი ორი თვის განმავლობაში, თანდათანობით დაცხრა და მკაფიოდ გამოკვეთილ ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ჩამოყალიბდა. ნორმალური ინგლისელი ახალგაზრდობა, უმთავრესად კონსერვატული მიდრეკილებისა, მართალია, დიდი სერიოზულობით არაფერს ეკიდებოდა, მაგრამ ახლა მგზნებარედ მოითხოვდა ბრძოლის ბოლომდე მიყვანას და ბურების მაგრად დალეწვას. ამ უფრო მრავალრიცხოვან ბანაკს,

ბუნებრივია, ვალ დარტი ეკუთვნოდა. რადიკალურად განწყობილი ყმაწვილკაცობა, რომლებიც რიცხობრივად კი ნაკლები იყვნენ, მაგრამ მეტი ხმა ჰქონდათ, ომის შეწყვეტასა და ბურებისთვის ავტონომიის მიცემას მოითხოვდა. "შავი კვირის" დადგომამდე ბანაკები ამორფული იყო, გამოკვეთილი განსხვავება არ იგრძნობოდა და მათი დავაც უფრო აკადემიურ ხასიათს ატარებდა. ჯოლი იმ ჯგუფის ახალგაზრდებს ეკუთვნოდა, რომელთაც ვერ გადაეწყვიტათ, სად მდგარიყვნენ. სამართლიანობის გრძნობა, რაც მას პაპის - მოხუცი ჯოლიონისა - გამოჰყვა, ხელს უშლიდა საკითხის მარტო ერთი მხარე დაენახა და მეორეზე თვალი დაეხუჭა. გარდა ამისა, "ყველაზე უკეთესთა" ჯგუფში იყო ერთი ყმაწვილი, რომელსაც მეტისმეტად მოწინავე აზრები და საოცარი მომხიბლაობა ჰქონდა. ჯოლი ორჭოფობაში ჩავარდნილიყო. ამ საგანზე, ეტყობოდა, არც მამამისს ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი. და მიუხედავად იმისა, რომ ჯოლი, - როგორც ეს ოცი წლის ჭაბუკებს სჩვევიათ, - ყურადღებით აკვირდებოდა მამამისს: ისეთი ნაკლი ხომ არაფერი აქვს, რისი გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლებაო, მამის ხასიათში იმგვარი რამ აღმოაჩნდა, რაც მომხიბლაობის საბურველში ახვევდა ირონიული თმენის მისეულ კრედოს. ხელოვანი ხალხი, რაღა თქმა უნდა, ყბადაღებული ჰამლეტები არიან, და ეს მამის ხასიათშიც უნდა გაითვალისწინო, თუნდაც ძალიან გიყვარდეს იგი. მაგრამ ჯოლიონის აზრი - "ცხვირის იქ შეჩრა, სადაც არ გეპატიჟებიან" (როგორც ეს უიტლენდერებმა ქნეს) და "გაიძვერული ხრიკების დატრიალება, რათა ხალხს თავზე წამოაჯდე", "ბინძური და უკადრისი საქმეაო", - სულერთია, ჰქონდა თუ არა საფუძველი ასეთი აზრის ქონას, შვილის

თვალში მაინც მომხიბლავი იყო, რადგან იგი დიდად აფასებდა კეთილშობილებას. ამასთან, ჯოლი ვერ იტანდა იმისთანებს, რომელთაც თავის ბანაკში "ხუშტურიანებს" ეძახდნენ, ხოლო ვალისაში - "კოხტაპრუწებს". ამრიგად, იგი კვლავ ჭოჭმანში იყო, როცა "შავი შაბათის" საათმა ჩამოჰკრა. ერთი... ორი... სამი - გაისმა ავბედითი გუგუნი სტორმბერგში, მაგერსფონტეინში, კოლენზოში. გაუტეხავმა ინგლისურმა სულმა პირველ ჩამოკვრაზე შეჰყვირა: "დაიცა, მეთუენი გაჩვენებთ!" მეორე ჩამოკვრის შემდეგ: "დაიცა, ბულერი გაჩვენებთ!" მერე კი საშინელ წყვდიადში გაალმასდა. და ჯოლიმაც გადაწყვიტა: "ჯანდაბას! უნდა მივლეწოთ ეს ღვთის გლახები. მართალი ვართ თუ არა ვართ მართალი, ამას აღარ დავეძებ!" ჯოლის რომ სცოდნოდა! მამამისიც სწორედ ასე ფიქრობდა.

მომდევნო კვირას - სემესტრის უკანასკნელ კვირადღეს - "საუკეთესოთა" ერთ-ერთ წევრთან იყო მიწვეული ღვინოზე. მეორე სადღეგრძელო რომ ჩამოთავდა - "ბულერს გაუმარჯოს, ღმერთმა ბურები გადააშენოს!" (ადგილობრივი ჩამოსხმის ბურგუნდიული ბოლომდე იცლებოდა) - ჯოლიმ შენიშნა, რომ იქვე სტუმრად მყოფი ვალ დარტი მას შორიდან ეჭყანებოდა და მეზობელს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ნამდვილად მე დამცინისო, ჯოლიმ გადაწყვიტა. თუ ვინმეს ქვეყნად თავის გამოჩენა არ უყვარდა და ჩხუბის ატეხას ერიდებოდა, ეს პირველ ყოვლისა, ჯოლიზე ითქმის - სახეზე წამოჭარხლდა და პირი მოკუმა. გამოუმჟღავნებელი სიძულვილი, რასაც მუდამ გრძნობდა გარე ბიძაშვილისადმი, ახლა კიდევ უფრო მოემძლავრა. "არა უშავს, - გაიფიქრა მან გულში, - დამაცადე, მეგობარო!" ღვინის მომეტებულმა ყლურ-

წვამ, რაც ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე, და რაც სულაც არ იყო საჭირო ჯოლისთვის, წეღანდელი წყენა კარგად დაამახსოვრა და როცა დაცარიელებულ ქუჩაში გამოვიდნენ, ვალს მკლავში წაავლო ხელი.

- რას ამბობდი წეღან ჩემზე?

- არა მაქვს უფლება, რაც მინდა, ის ვთქვა?

- არა!

- მაშ, მე ვთქვი, ბუროფილია-მეთქი... ხარ კიდეც.

- მიჰქარავ.

- ჩხუბი გინდა?

- რატომაც არა. ოღონდ აქ არა, ბაღში შევიდეთ.

- კარგი, წავიდეთ.

გასწიეს. ცერად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, ფეხი კი ეშლებოდათ, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით მიდიოდნენ, ბაღის მესერზე გადაძვრნენ. ვალი სარის წვერს გამოედო და სახელო შემოიხია. ცოტა ხნით ამან დაიპყრო მისი ყურადღება. ჯოლის კი იმაზე ეთანაღრებოდა გული, სხვა კოლეჯის საზღვრებში უნდა ვიჩხუბოთ და უხერხულიაო. არ არის კარგი საქმე, მაგრამ რას იზამ!

ირგვლივ სიბნელე იდგა, ბალახში მიიკვლევდნენ გზას, პალტოები გაიხადეს.

- მთვრალი ხომ არა ხარ? - ჰკითხა უცებ ჯოლიმ, - მთვრალი თუ ხარ, ვერ გეჩხუბები.

- შენზე მეტად არც მე ვარ მთვრალი.

- მაშ, კარგი!

ხელი არ ჩამოურთმევიათ ერთმანეთისთვის, ორივე თავდაცვისთვის მოემზადა. იმდენი დალიეს, რომ ბრძოლის წესების თავი აღარ ჰქონდათ. იმას ცდილობდნენ, მოხერხებულად მდგარიყვნენ და თავი დაეცვათ, მანამ ხელი არ მოუხვდებოდა ჯოლის ვალის ცხვირზე. ამის შემდეგ კი ბებერი, გადმობურული ხეების ქვეშ გაჩაღდა ბინძური და საზიზღარი ჩხუბი, კაციშვილი არ გამოჩნდა, რომ "ტაიმი!" დაეძახა, კარგად დაჯეჯგვ-დაბეჟეს ერთმანეთი და მხოლოდ მაშინ დაუშვეს ხელი, როცა ვიღაცამ დაუყვირა:

- თქვენი გვარები, ყმაწვილებო?

ეს სიტყვები ისე ალერსიანად მოისმა ბაღის ჭიშკრიდან, - სადაც ფარანი ენთო, - გეგონებოდათ, ღვთაება ჩამოსულაო. ბიჭებს მაშინვე უღალატა ნერვებმა, პალტოებს ხელი დასტაცეს და მესერს მისცვივდნენ, როგორც იქნა, გადაძვრნენ და იმავე დაცარიელებულ ქუჩას მიაშურეს, სადაც მთელი ეს ამბავი დაიწყო. აქ, ფარნის მქრქალ სინათლეზე, სახე მოიწმინდეს და უხმოდ, ერთმანეთისგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, კოლეჯის ჭიშკრისკენ გაემართნენ. ისე გამოვიდნენ, არც ერთს გაუღია ხმა და არც მეორეს. ვალი ბრუერის გაუყვა, ბროდსტრიტისკენ, ჯოლიმ კი შუკა გადაჭრა და ჰაისტრიტზე გავიდა. მისი ჯერ ისევ გაბურსალებული თავი სინანულს მოეცვა - რატომ მეტი სიმარჯვე და ბრძოლის ხელოვნება არ გამოვიჩინეო. წარმოიდგინა ყველა ამოკვრა თუ ილეთი, რაც მას ამ ჩხუბში არ გამოუყენებია. ისეთი ბრძოლა წარმოიდგინა, რაც სინამდვილეში სულაც არ ჰგავდა მის ამაღამინდელ ჩხუბს - უაღრესად კეთილშობილური ბრძოლა, ყაწიმზე მობმული ხმალი, შეტევა და უკუდარტყმა... ერთი სიტ-

ყვით, სწორედ ისე, როგორც მის საყვარელ დიუმას წიგნებშია აღწერილი. ხან ლა მოლად წარმოედგინა თავი, ხან არამისად, ხან შიკოტედ და ხანაც დ'არტანიანად, ოღონდ, არასდიდებით არ უნდოდა, რომ ვალი კოკონასი ყოფილიყო, ან ბრისაკი და როშფორი. ყოვლად აუტანელი ვაჟბატონი ბრძანდება! არა უშავს! ერთიორი მაინც ამოჰკრა! ბუროფილი! ახლაც კი ტანჯავდა ეს სიტყვა, წავალ და მოხალისედ ჩავეწერებიო, ეს ფიქრი უტრიალებდა აფორიაქებულ თავში. მიქრის, აგერ, ველდტზე, თოფს ვაჟკაცურად ისვრის, ბურებს ბაჭიებივით დაირეკავს. მაღლა რომ ასწია ანთებული თვალები და სახურავებს შორის მოციმციმე ვარსკვლავები რომ დაინახა, წარმოიდგინა, როგორ გდია მიწაზე კარუში (ალბათ, ასეთი ადგილიც იქნება), საბანში გახვეულა, თოფი შეუმართავს და თვალები ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის მიუპყრია.

მეორე დღეს თავი უსკდებოდა. ისე იმკურნალა, როგორც "საუკეთესოთა" ნამდვილ წევრს შეეფერებოდა - ცივ წყალში ჩაყო თავი, მერე მაგარი ყავაც მოიმზადა, მაგრამ ვეღარ დალია, ცოტაოდენი რეინვეინი მოსვა საუზმეზე. ლოყა რომ ჰქონდა დალილავებული, ამაზე ზღაპარი მოიგონა - "ვიღაც" სულელი შემეჩეხა მოსახვევში და მაშინ დამემართაო. ჩხუბს არასდიდებით არ ახსენებდა, რადგან, კაცმა რომ თქვას, ეს ჩხუბი სულაც არ ეხამებოდა იმ წესებს, რაც მას ჰქონდა გამომუშავებული.

მეორე დღეს ლონდონის გზას დაადგა და იქიდან რობინჰილზე ავიდა. ჯუნისა და ჰოლის მეტი შინ არავინ დახვედრია, მამა პარიზში წასულიყო. ყოვლად მოუსვენარი და დაულაგებელი არდადეგები აღმოჩნდა, მთელი დღე ისე გავიდოდა, დებს არც კი

შეხვდებოდა. ჯუნი თავისი "ბედუკუღმართების" საქმეებით იყო გართული, რომლებსაც ჯოლი თავიდანვე ვერ იტანდა, განსაკუთრებით ერიკ კობლისა და მის ოჯახს, საერთოდ ამ "გაუბედურებულ გადამთიელებს", რომლებიც მთელი არდადეგების დროს სულ მათთან ირეოდნენ. ჰოლისა და მას შორისაც უცნაური უფსკრული გაჩნდა, თითქოს ახალი მოსაზრებები გაუჩნდა პატარა დას, რაც, კაცმა რომ თქვას, არაფერი საჭირო არ იყო. ჯოლი ან ბურთს თამაშობდა გამწარებით, ან ცხენზე შეჯდებოდა და რიჩმონდპარკში დააგელვებდა, გაცოფებული, მარტოდმარტო. მიზნად დაისახა ბარიერების გადალახვაში ევარჯიშა, და ცხენს ახტუნებდა ხოლმე მაღალ ღობეებზე, რითაც საძოვრად გაშვებული მინდვრები იყო შემოღობილი - "ნერვების გასაკაჟებლადო", თვითონ ამბობდა. შიშით შეპყრობა აფრთხობდა და იმაზე მეტადაც, ვიდრე ეს ბიჭების უმრავლესობას მოსდის. თოფი იყიდა და ეზოშივე მოაწყო სასროლი - ტბის გადაღმა, ბოსტნის გალავანზე მიაკრა სამიზნე, საფრთხეშიც კი ჩააგდო მებაღეების სიცოცხლე. ხომ შეიძლება, მეც ჩავეწერო ერთ დღეს მოხალისეთა რაზმში და სამხრეთი აფრიკა ვიხსნა ჩემი ქვეყნისთვისო. მართლაც, სწორედ იმ დროს მოხალისე მხედართა ჩაწერა იყო გამოცხადებული და ბიჭმა სულ დაკარგა მოსვენება. ჩავეწერო? რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, - მიწერ-მოწერა ჰქონდა ამხანაგებთან, - "საუკეთესოთაგან" არავინ ფიქრობდა საომრად გამგზავრებას. ვინმემ კი წამოიწყოს, და ჯოლი მაშინვე წავა: ძალიან ჯიბრიანი კაცი იყო, წესრიგის მოყვარული - მოკვდებოდა და თავის თანამოაზრეებს არ ჩამორჩებოდა. მაგრამ იმასაც ერიდებოდა, რომ დამოუკიდებლად წასულიყო, ზედმეტი ბაქიბუქი არ გამოვიდე-

სო, რადგან, ფაქტობრივად, ამის საჭიროება სულაც არ ყოფილა. გარდა ამისა, იმიტომაც არ სურდა წასვლა, რომ მას ნამდვილი ფორსაიტის სული ჰქონდა - ცხრაჯერ თუ არ გაზომავდა, ისე არაფრისდიდებით არ გაჭრიდა. საშინლად არეულ გუნებაზე იყო, ველარ მოესვენა, სულ შეიცვალა - სიმშვიდეც დაკარგა და ის ერთგვარი მედიდური სიდინჯეც.

და აი, ერთ დღეს მან ისეთ რაღაცას მოჰკრა თვალი, რამაც საშინლად ააღელვა და გააგულისა. რიჩმონდპარკის ერთ განაკაფზე, ზედ ჰამგეიტთან, ორი მხედარი შენიშნა; ერთი მათგანი, ქალი, რომელიც მარცხნივ იდგა, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, ჰოლი უნდა ყოფილიყო, თავის თრთვილა ბედაურზე ამხედრებული, მარჯვნივ კი, ასევე ეჭვს გარეშე - ის "მატრაბაზი" ვალ დარტი. ჯოლის პირველი გადაწყვეტილება იყო - ახლავე გავქუსლავ ჩემი ცხენით და ვკითხავ, ერთი, ეს რას ნიშნავს; იმ ვაჟბატონს თავის გზაზე მივაბრძანებ, ჰოლის კი შინ წავიყვანო. მერე იფიქრა, უარზე რომ დადგნენ, ხომ სულელი გამოვჩნდიო. ცხენი ხესთან მიაგდო და მოეფარა, მაგრამ არც ეს დაუჯდა ჭკუაში - ასე ჩუმად თვალთვალი არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა. ისღა დარჩა, შინ გაბრუნებულიყო და დისთვის დაეცადა, ქურდულად დაახლოებია ამ ლაწირაკს! ჯუნს ველარ მოეთათბირა, რადგან უფროსი და დილიდანვე ერიკ კობლისა და მის ოჯახს გაჰყოლოდა ლონდონს,. მამა ისევ "იმ ოხერ პარიზში" იყო. ჯოლიმ იგრძნო, რომ სწორედ ახლა დადგა ისეთი მომენტი, რის შესახვედრადაც იგი გულმოდგინედ ემზადებოდა ხოლმე სკოლაში, როცა ისა და კიდევ ერთი ბიჭი, ბრენტი, გაზეთებს ცეცხლს მოუკიდებდნენ და შუა ოთახში დააგდებდნენ, რათა საშიშროების წუთებში სიმშვი-

დეს შესჩვეოდნენ. მაგრამ სულაც არ ყოფილა დამშვიდებული, როცა თავლის წინ დას ელოდებოდა და უგულოდ უსვამდა ხელს თავის ძაღლს, ბალთაზარს, რომელიც ნაპატივები მოხუცი ბერივით ერთიანად მოთენთილიყო, და, პატრონის შინ არყოფნით მოწყენილს, ახლა თავი მისკენ მოეღრიცა - ამდენი ყურადღებით მადლობელი, საცოდავად ქლოშინებდა. ნახევარი საათი, მანამ ჰოლი მოვიდოდა, სახეზე წამოწითლებული და ისეთი ლამაზი, რომ ნებაც არ ჰქონდა ასეთი ლამაზი ყოფილიყო. ჯოლიმ შენიშნა, როგორ ხელად გამოხედა დამ - დამნაშავედ, რაღა თქმა უნდა. ჯოლი სახლში შეჰყვა, ხელი გამოსდო და პაპის ოთახში შეიყვანა. ოთახს, სადაც ახლა იშვიათად თუ შედიოდნენ, ბუნდოვნად აქამდე შემოენახა იმ ადამიანის კვალი, ვისი ალერსიც, დიდი გაბარჯღული თეთრი ულვაში, სიგარის სურნელი და სიცილი, ტკბილ მოგონებად მოჰყვებოდა ყმაწვილებს. პატარაობისას, სანამ სკოლაში შეიყვანდნენ, რამდენჯერ დასჭიდებია აქ ჯოლი პაპას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ოთხმოცი წლისა იყო, მარჯვედ გამოსდებდა ხოლმე სარმას. ჰოლი შემოვარდებოდა, ტყავის დიდი სავარძლის სახელურს გადააჯდებოდა და ჭაღარა თმაზე უსვამდა პაპას ხელს, ზედ ყურთან, თან თავის საიდუმლოს უჩურჩულებდა, ამ მინის კარიდან უთვალავჯერ გავარდნილან სამივენი ეზოს კრიკეტის სათამაშოდ, ზოგჯერ კი იდუმალებით მოცულ თამაშსაც წამოიწყებდნენ, რასაც "უოპსი-დუზლი" ერქვა, და რისი არსიც გარეშეებს სულაც არ ესმოდათ, მოხუცი ჯოლიონი კი აგზნებული თამაშობდა. ერთ ცხელ საღამოს ჰოლი ღამის პერანგის ამარა შემოვარდა აქ - ცუდი სიზმარი ენახა და დამშვიდება სჭირდებოდა. ერთხელ კიდევ, მამის შინ არყოფნის დროს, ჯოლი

შემოიყვანეს, რომელსაც დღის მოღვაწეობა იმით დაეწყო, რომ მადმუაზელ ბოსისთვის საუზმედ მირთმეულ ახალდადებულ კვერცხში შუშხუნა მაგნეზია ჩაეყარა, ეგეც არ იკმარა და კიდევ დააშავა თურმე რაღაც. ამ ოთახში მაშინ ასეთი საუბარი გაიმართა:

- ასე როგორ შეიძლება, ჩემო ბიჭუნა, ცუდად მოქცეულხარ.

- აბა, რა მექნა, პაპა, სილა გამაწნა, მეც გავაწანი. იმან აიღო და კიდევ გამაწნა.

- ქალს შემოჰკარი! ეს როგორ იქნება! ბოდიში თუ მოუხადე?

- ჯერ არა.

- მაშ, გაიქეცი და მოუხადე, ჩქარა.

- იმან რომ დაიწყო! ორჯერ გამაწნა, პაპა? მე კი მარტო ერთხელ.

- აღმაშფოთებელი საქმე ჩაგიდენია, გენაცვალე.

- ის აღშფოთდა, პაპა, მე კი არა.

- წადი და ბოდიში მოუხადე.

- მაშინ, შენც გამომყევი, პაპა.

- კარგი... ოღონდ ამ ერთხელ.

და ხელჩაჭიდებულები გაემართნენ.

აქ, სადაც ვევერლეის ციკლის რომანები, ბაირონის თხზულებანი, გიბონის "რომის იმპერია", ჰუმბოლდტის "კოსმოსი", ბუხარზე ბრინჯაოს ქანდაკება და ფერწერის შედევრი - "ჰოლანდიელ მეთევზეთა ნავები მზის ჩასვლის ჟამს" ისე უცვლელად დარჩენილან, როგორც თვით ბედისწერა; აქ, სადაც თითქოს მოხუცი ჯოლიონიც კი ძველებურადვე ზის თავის სავარძელში, ფეხი ფეხზე გადაუდვია, გაზეთი გადაუშლია, და გაზეთს ზემოდან მაღალი

შუბლი და ღრმად ჩამჯდარი, დამშვიდებული თვალები მოუჩანს... სწორედ აქ შემოვიდა მისი ორი შვილიშვილი და ჯოლი დას მიუბრუნდა:

- იმ ვაჟბატონთან ერთად დაგინახე პარკში!

ჰოლის ღაწვები შეუფაკლდა, და ამან ცოტათი დააკმაყოფილა ძმა. ეტყობა დაირცხვინა!

- მერე რა? - მიუგო ჰოლიმ.

ჯოლი სახტად დარჩა: ან ძალიან ბევრს მოელოდა იგი, ან გაცილებით უფრო ცოტას.

- შენ ეს თუ იცი, რომ ამას წინათ ბუროფილი დამიძახა, - დიდი ამბით უთხრა მან დას, - და მერე ვიჩხუბეთ!

- ვინ გაიმარჯვა?

ჯოლის უცებ მოუნდა ეპასუხა: "მე გავიმარჯვებდი", მაგრამ უღირს საქციელად მოეჩვენა.

- აქ მოიხედე, - უთხრა მან, - რას ნიშნავს ეს? არავის დაეკითხე!

- რატომ უნდა დავკითხოდი? მამა აქ არ არის; რატომ არ უნდა ვისეირნო ვალთან ერთად?!

- მე გამოგყვებოდი. ის საზიზღარი ლაწირაკია.

ჰოლი სულ გადაფითრდა სიბრაზისგან.

- არაფერიც. შენა ხარ დამნაშავე, რატომ შეიძულე?

სწრაფად ჩაუარა და გასრიალდა, ძმას საყურებლად კუზე გადამჯდარი ბრინჯაოს ვენერა დაუტოვა, რომელსაც აქამდე რბილი ფეტრის ქუდით შემოსილი მისი შავი თავი ფარავდა. უცნაურად შეწუხდა, მთელი არსებით შეძრწუნდა. ძალაუფლება, რაც მას სიკვდილის დღემდე შეუვალი ეგონა, მისივე ფერხთით

ეგდო დამსხვრეული. თავისდა უნებურად ვენერას ქანდაკებას მიუახლოვდა და კუს დაუწყო თვალიერება. მართლაც რატომ ვერ შეიყვარა ვალ დარტი? ამას ვერ გეტყოდათ. ოჯახის ისტორია მან არ იცოდა, იმ გაურკვეველ მტრობაზე, რომელიც ცამეტი წლის წინ ჩასახულა - როცა სომსის ცოლის გამო, ბოსინი ჯუნს გაექცა - ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ვალის არსებობა თითქმის სულაც არ იცოდა... თვითონაც ველარ გარკვეულიყო. არ უყვარს და მორჩა! ახლა გადასაწყვეტი ეს არის - როგორ მოიქცეს? მართალია, ვალ დარტი ბიძაშვილად მოხვდებათ, მაგრამ სულაც არ არის საჭირო ჰოლიმ მასთან ერთად იაროს! "გაამხილოს" ის, რაც მან შემთხვევით გაიგო, არ შეიძლება, ეს მის პრინციპებს ეწინააღმდეგება. საგონებელში ჩავარდნილი ტყავის ძველ სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მანამ იქ იჯდა, თანდათანობით ჩამობნელდა, იგი მაღალ ფანჯარაში გაჰყურებდა ბერმუხას, ფართოდ გადაშლილს, მაგრამ ამჟამად ფოთოლგაცვენილს, რომელიც თანდათანობით მუქ ჩრდილად გამოიკვეთა უფრო ბაცი ბინდბუნდის ფონზე.

"პაპაჩემი"! - უცებ გაიფიქრა მან და საათი ამოიღო. ისრებს ვერ ხედავდა და რეპეტირი გადასწია. "ხუთი საათია!" პაპის პირველი ოქროს საათი იყო, დრო-ჟამისგან გაპრიალებულ-გადაგლესილი, ძირს ვარდნისგან შეჭყლეტილი. ზარის წკრიალი თითქოს იმ ოქროს დროიდან მოდიოდა, როცა სენტ ჯონსვუდიდან აქ გადმოსახლდნენ - პაპის ეტლით მოგრიალდნენ და მაშინვე ხეებს ეცნენ. ჯოლი პატარა ხეებზე დაძვრებოდა, პაპა კი გერანიუმის ბუჩქებსა რწყავდა. როგორ მოიქცეს? მამას მისწეროს და ჩამოიყვანოს? ჯუნს გაენდოს?.. მაგრამ... მაგრამ ჯუნი ისეთი

ფათაფუთაა! არაფერი გააკეთოს და ბედს მიენდოს? ბოლოს და ბოლოს, ეს არდადეგებიც მალე დამთავრდება. ვალი მოძებნოს და დაითხოვოს? მისამართი როგორ გაიგოს? ჰოლი არ ეტყვის მისამართს! ათასნაირად დახლართული ლაბირინთი, შესაძლებ-ლობათა უშველებელი ღრუბელი! პაპიროსს მოუკიდა. ნახევარი რომ მოსწია, შუბლზე ნაოჭები გადაეყარა, თითქოს დამჭკნარმა, ბებრულმა ხელმა ალერსით გადაუსვა სახეზე, ყურშიც ჩურჩული ჩაესმა: "ნურაფერსაც ნუ იზამ. ჰოლის ნუ აწყენინებ, კარგად მოექეცი, გენაცვალე!" და ჯოლიმ შვებით ამოისუნთქა, კვამლი ნესტოებიდან გამოუშვა...

ზემოთ კი ჰოლის უკვე გამოეცვალა საცხენოსნო კაბა და ისევ იბღვირებოდა.

"არაფერიც... სულაც არ არის საზიზღარი!" ამ სიტყვებს უხ-მოდ იმეორებდა მისი ტუჩები.

თავი მეექვსე

ჯოლიონი ორჭოფობს

ჯოლიონს ერთი პატარა, მყუდრო სასტუმრო ჰქონდა ამოჩემებული პარიზში, საქვეყნოდ ცნობილი რესტორნის თავზე, წმინდა ლაზარეს სადგურის მახლობლად. თავის ნათესავ ფორსაიტებს ვერ იტანდა საზღვარგარეთ, რომლებიც, წყლიდან ამოთრეული თევზის მსგავსად, საცოდავად ფართხალებდნენ და ერთსა და იმავე ადგილებს ტკეპნიდნენ - ოპერა, რივოლის ქუჩა, "მულენ-რუჟი"... თითქოს სახეზე ჰქონდათ აღბეჭდილი - უსათუოდ უნდა წავსულიყავით სადმე, და თან რაც შეიძლება მალე, ავდექით და აქეთ გამოვწიეთ. ესეც აღიზიანებდა ჯოლიონს. ამ სასტუმროს კი, სადაც ბუხარს საწოლ ოთახში შეშით ანთებდნენ და ჩინებული ყავა იცოდნენ, ჯოლიონის გარდა არც ერთი ფორსაიტი არ გაჰკარებია. ზამთრობით უფრო მომხიბლავი ეჩვენებოდა პარიზი. შეშის კვამლისა და მაყალზე შემწვარი წაბლის მძაფრი სუნი, ნათელ დღეებში ზამთრის მზის თავისებური სიმცხუნვარე, ღია კაფეები - თითქოს ზამთარს სულაც არ ეპუებიანო, ბულვარზე თავშეყრილი ხალხის ჟრიამული... ეს ყველაფერი იმას ამტკიცებდა, რომ ზამთრის პარიზს თავისი სული

ედგა და, მოზამთრე ფრინველთა მსგავსად, ეს სული ზაფხულობით მიფრინავდა.

ფრანგულს კარგად ლაპარაკობდა ჯოლიონი, მეგობრებიც ჰყავდა აქ, იცოდა რამდენიმე ისეთი ადგილი, სადაც გემრიელად დანაყრებაც შეიძლებოდა და საინტერესო ტიპების ნახვაც. პარიზში მუდამ ფილოსოფიურ გუნებაზე დგებოდა, აქ უფრო მძაფრი ხდებოდა მისი ირონია. ცხოვრება თითქოს ბუნდოვანიაო, გამოკვეთილი მიზანი არ ჩანდა, სურნელოვანი ყვავილების თაიგულს ემსგავსებოდა და წყვდიადიც ჩამოწვებოდა, რომელსაც სანთლის ცვალებადი სხივი ჰკვეთს ხოლმე.

დეკემბრის დამდეგს გადაწყვიტა პარიზს გამგზავრება. მაშინ იმის გაფიქრებაც კი არ სურდა, რომ აირენის წასვლამ შეუწყო ამას ხელი. მაგრამ ორი დღე არ გასულა, რაც ჩამოვიდა, და მაშინ მიხვდა, რომ აქ წამოსვლის მიზეზი, სანახევროდ მაინც, აირენი იყო. ინგლისში კაცი ვერ გამოუტყდება თავს ისეთ რამეშიც კი, რაც სავსებით ბუნებრივია. თავიდან ასე ფიქრობდა - ურიგო არ იქნება ბინის გაქირავების საქმეს თუ გავაგებინებ და სხვა ამგვარ საკითხებსო, მაგრამ პარიზს რომ ჩამოვიდა, მაშინვე მიხვდა, რომ ეგ არ იყო მთავარი. ქალაქს თავისი ჯადო ჰქონდა. ჩამოსვლის მესამე დღეს წერილი მისწერა აირენს და პასუხი მიიღო, რამაც სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა ძარღვებში.

"ჩემო ძვირფასო ჯოლიონ,

დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის თქვენი ნახვა.

აირენი".

მზიანი დღე იყო, მის სანახავად რომ გაემართა სასტუმროში. ისეთ განცდას მოეცვა, თითქოს რამე საყვარელი სურათის სანა-

ხავად მიდისო. არ ახსოვდა, რომ ჯერ ქალს ასეთი განსაკუთრებული გრძნობით აეჩქროლებინოს მისთვის გული, თანაც ამ გრძნობას კონკრეტული გამოსახულება არ ჰქონია. მივა, დაჯდება, თვალს შეავლებს და უკანვე გამობრუნდება, უფრო ახლოს ვერც გაიცნობ ქალს, მაგრამ ხვალ მაინც სიამოვნებით წავა, რათა ერთხელ კიდევ გაახაროს თვალი. ასეთი გრძნობები დაუფლებოდა ჯოლიონს, როცა მდინარის პირად მდგარ, მყუდრო, დროჟამისგან გახუნებულ, მაგრამ კოხტად მორთულ სასტუმროში აირენი გამოეგება. ჯერ მსახური ბიჭი გამოვიდა, მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა - "ქალბატონი" - და მაშინვე გაქრა. სახე, ღიმილი, მთელი მისი მიხრა-მოხრა ისეთივე იყო, როგორიც გონებაში ჰყავდა დახატული ჯოლიონს, სახის გამომეტყველება თითქოს გარკვევით ამბობდა: "მეგობარი!"

- ჰა, - მიმართა ჯოლიონმა, - ახალი რა არის თქვენკენ, საბრალო დევნილო?

- არაფერი.

- სომსისა არაფერი ისმის?

- არა.

- ბინა გაგიქირავეთ და, როგორც კარგ მოურავს შეეფერება, ცოტაოდენი ფული ჩამოგიტანეთ. პარიზი როგორ მოგწონთ?

მანამ ჯოლიონი დაკითხვას აწარმოებდა, მოეჩვენა, რომ ასეთ მშვენიერსა და ვნებიან ტუჩებს პირველად ხედავდა. ქვედა ტუჩი ოდნავ ზემოთ ჰქონდა აბრეცილი, ხოლო ზედა ტუჩის კუთხე ძლივს შესამჩნევად ეკუჭებოდა. თითქოს პირველად დაინახა ქალი იმ სხეულში, რაც აქამდე ნაზი, სულჩადგმული ქანდაკება

იყო და ჯოლიონს ზოგადად წარმოდგენილი მშვენიერების სიამოვნებას განაცდევინებდა.

- ცოტა ძნელი კია პარიზში მარტოდმარტო ყოფნა, - გამოტყდა ქალი, - მაგრამ, ამასთან, ისე სავსეა ეს ქალაქი საკუთარი ცხოვრებით, რომ უდაბნოსავით უხიფათოაო. თანაც, აქ ახლა ინგლისელები არ უყვართ.

- ეგ თქვენზე არ ითქმის, - უთხრა ჯოლიონმა, - თქვენ ფრანგებს მოხიბლავთ.

- მაგასაც ახლავს თავისებური უსიამოვნება.

ჯოლიონმა თავი დაუქნია.

- მანამ აქ ვარ, ნება მიბოძეთ, ქალაქი დაგათვალიერებინოთ. ხვალვე დავიწყოთ. ჩემს საყვარელ რესტორანში ვისადილოთ და მერე კომიკური ოპერა ვნახოთ.

ასე დაიწყო ყოველდღიური შეხვედრები.

ჯოლიონი მალე დარწმუნდა, რომ ვისაც გრძნობების მორევისა ეშინია, მისთვის პარიზია, ერთსა და იმავე დროს პირველი და უკანასკნელი ადგილი, აქ შეიძლება ლამაზ ქალთან მეგობრული დამოკიდებულება შეინარჩუნო. თითქოს ზეშთაგონებამ გაუსხივოსნა მთელი არსება, გულში თითქოს ჩიტი უმღერდა: ELLE EST TON REVE! ELLE EST TON REVE!(ფრანგ.) - ის შენი ოცნებაა! ის შენი ოცნებაა.) ხან ბუნებრივი ეჩვენებოდა ეს გრძნობა, ხანაც - სულელური. ასე იცის შეგვიანებულმა გატაცებამ. საზოგადოებიდან ერთხელ უკვე განდევნილი, მას შემდეგ ანგარიშს აღარ უწევდა პირობითად დაკანონებულ მორალს; მაგრამ ოცნება სიყვარულისა, რასაც ქალი ვერასოდეს უპასუხებდა, - ან კი როგორ შეეძლო ამ ხნის კაცის შეყვარება? - მხოლოდ ქვეცნო-

ბიერი იყო და ცნობიერების სფეროში აღარ გადადიოდა. ამას გარდა, ჯოლიონს მოსვენებას არ აძლევდა ქალის ასეთი სიმარტოვე და უთვისტომობა. გრძნობდა, რომ იგი ერთგვარ ნუგეშს წარმოადგენდა ქალისთვის, აშკარად ეტყობოდა, რომ ქალს სიამოვნებას ანიჭებდა ის პატარა ექსკურსიები, და ჯოლიონი გულით იყო მოწადინებული, ისეთი არაფერი ჩაედინა ან არაფერი წამოსცდენოდა, რაც ამ სიამოვნებას დაარღვევდა. როგორც მომაკვდავი მცენარე იწოვს ხოლმე წყალს, ისე ეწაფებოდა ქალი მასთან მეგობრობას. დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალის სამყოფელი სხვამ არავინ იცოდა ქვეყნად, პარიზში მას ნაცნობები არ ჰყოლია და ჯოლიონსაც ცოტა ვინმე თუ იცნობდა; ასე რომ, ზედმეტი სიფრთხილე სულაც არ ყოფილა საჭირო, არც სიარულისა თუ ლაპარაკის დროს, არც თეატრებში, არც კონცერტებსა თუ სურათების გამოფენებზე, არც ვერსალსა და სან-კლუბში ყოფნისას, და ფონტენებლოშიც კი არა. დრო კი გადიოდა - იწურებოდა ერთ-ერთი ყველაზე მეტი შთაბეჭდილებებით სავსე თვე, რომელსაც არც წარსული აქვს და არც მომავალი. ჯოლიონის გრძნობები ახლაც ისეთივე ღრმა იყო, როგორიც ახალგაზრდობაში შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ უფრო დაუოკებელი ვნებათაღელვა ექნებოდა, ახლა კი სინაზეს გაცილებით მეტი ადგილი დაეჭირა, მეგობრული მფარველობის სურვილს ემძლავრა, უიმედობისა და რაინდული მოვალეობის გრძნობა ჩაღვროდა ძარღვებში; ყოველ შემთხვევაში, იმ წუთებში მაინც, როცა ქალი მასთან იყო - თავიანთი მეგობრობით ბედნიერი, გაღიმებული... რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად მშვენიერი და სულიერად მდიდარი ეჩვენებოდა იგი ჯოლიონს. ქალის ცხოვრებისეული ფილო-

სოფიაც, ეტყობოდა, ზედმიწევნით ემთხვეოდა მისას. ემოციებ-ზე უფრო იყო ის დაფუძნებული, ვიდრე გონებაზე. ირონიულად განწყობილსა და მიუნდობელს, მშვენიერების აღმქმელს, გულ-ჩვილსა და მომთმენს, მას ამავე დროს თანდაყოლილი სიმტკიცე და შეუვალობა ჰქონდა, რასაც ჯოლიონი, როგორც მამაკაცი, მოკლებული იყო. მთელი თვის განმავლობაში, როცა იგი სულ აირენთან ერთად იყო, ჯოლიონს ერთი წუთითაც არ მოშორებია ის გრძნობა, რაც ქალის პირველი ნახვის დროს აღეძრა - თითქოს შენს საყვარელ ხელოვნების რაიმე ქმნილებას შეჰყურებ და რა-ღაც დიდი, კონკრეტულად თითქმის ჩამოყალიბებული გრძნობა გეუფლება. იგი ცდილობდა, რომ მომავალი - აწმყოს ეს ულმობე-ლი დამატება - სულაც არ წარმოედგინა, ეშინოდა, სიმშვიდე არ დამირღვიოსო. გეგმებს აწყობდა, რათა ეს დრო კიდევ უფრო მომხიბლავ ადგილებში გაემეორებინა, სადაც მცხუნვარე მზე იქ-ნებოდა და ბევრ უცხო რამეს ნახავდა - თვალის შესავლებადაც და დასახატადაც. დასასრული მალე დადგა - ოც იანვარს დეპეშა მიიღო:

"ჩავეწერე მოხალისეთა ცხენოსან ნაწილში.

ჯოლი".

სწორედ მაშინ მიიღო ეს დეპეშა ჯოლიონმა, როცა ლუვრში მიდიოდა, აირენთან შესახვედრად. დეპეშამ ხელადვე გამოაფ-ხიზლა და გონს მოიყვანა. მანამ იგი აქ უსაქმოდ დაყიალებდა, მისმა შვილმა, ვისთვისაც ჯოლიონს მოძღვრობა და მასწავლებ-ლობა უნდა გაეწია, გაბედული ნაბიჯი გადადგა საშიშროების-კენ, განსაცდელისკენ, იქნებ სიკვდილისკენაც. გული აემღვრა, და ახლაღა იგრძნო, რა ღრმად გაედგა მის არსებაში ფესვები

აირენს. ახლა, როცა განშორების შიში ჩამოწვა, მათმა დამაკავშირებელმა ძალამ - ეს ძალა კი ნამდვილად არსებობდა - ზოგადი ხასიათი დაკარგა და კონკრეტული გახდა. ჯოლიონი მიხვდა, რომ ერთმანეთის სიახლოვითა და მშვენიერების ერთად ხილვით განცდილი მშვიდი სიამოვნება სამუდამოდ წავიდა. ახლაღა დაინახა ნამდვილი გრძნობა - დაუოკებელი და მხურვალე სიყვარული. იქნებ სასაცილოც კი, მაგრამ ისე აშკარა და ნამდვილი, რომ, ადრე თუ გვიან, თავისით გამომჟღავნდებოდა. ახლა კი ეტყობოდა, ამისი გამჟღავნება არ შეეძლო, უფლებაც არ ჰქონდა. ჯოლის ამბავი მთელი სისასტიკით გადაეღობა გზაზე. ეამაყებოდა შვილის გადაწყვეტილება; ეამაყებოდა, რომ მის შვილს სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა ებრძოლა. ჯოლიონის ბუროფილობისთვისაც "შავ კვირას" დაესვა თავისი დაღი. ამრიგად, დასაწყისს დასასრულმა დაასწრო! კიდევ კარგი, რომ არ გაამჟღავნა გულის წადილი!

ლუვრში რომ მივიდა, აირენი "გამოქვაბულის მადონასთან" იდგა - მოხდენილი, შთაგონებული, გაღიმებული და მთელი არსებით გატაცებული. "როგორ შემიძლია, ხელი შევუშალო, - გაიფიქრა მან, - ეს უგულობა იქნება, სანამ ნებას მაძლევს მე მისი ცქერით დავტკბე!" შეუმჩნევლად დადგა, ქალს შეჰყურებდა, ცდილობდა გულში ჩაებეჭდა მისი სახე, იმ სურათისა შურდა, რომელსაც ასე მოეჯადოებინა. ორჯერ მიაბრუნა ქალმა კარისკენ თავი და ჯოლიონმა გაიფიქრა. "ეს მე მეკუთვნის!" ბოლოს მივიდა ქალთან.

- ნახეთ! - უთხრა მან.

ქალმა წაიკითხა დეპეშა და ჯოლიონმა გაიგონა, როგორ აღმოხდა მას ოხვრა.

ეს ოხვრაც მას ეკუთვნოდა. მართლაც საშინელ დღეში იყო ჯოლიონი! შვილის ერთგულება იმას მოითხოვდა, ახლავე ჩამოერთმია ქალისთვის ხელი და წასულიყო.

- ახლავე უნდა გავემგზავრო, - თქვა მან ბოლოს, - ძალიან კი მიმძიმს ყოველივე ამის დათმობა.

- მეც ძალიან მიმძიმს. მაგრამ უსათუოდ უნდა წახვიდეთ.

- მაშ ასე! - უთხრა ჯოლიონმა და ხელი გაუწოდა.

თვალებში რომ შეხედა ქალს, კინაღამ მოერია მოზღვავებული გრძნობა.

- ასეა ცხოვრება მოწყობილი! - თქვა მან, - თავს გაუფრთხილდით, ძვირფასო.

ფეხები თითქოს უკან რჩებოდა, გონება თითქოს უარს ამბობდა აქაურობისთვის მოეშორებინა. კარის ზღურბლიდან დაინახა, როგორ ასწია ქალმა ხელი და თითები ტუჩთან მიიტანა. ჯოლიონმა ქუდი წამოსწია, და მეტად აღარ მიუხედავს უკან.

თავი მეშვიდე

დარტი დარტის წინააღმდეგ

სასამართლო პროცესი - დარტი დარტის წინააღმდეგ - რომელსაც ცოლქმრულ უფლებათა აღდგენა უნდა განეხილა და რის გამოც ამდენს ორჭოფობდა უინიფრიდი, თანდათანობით ახლოვდებოდა. შობის დღესასწაულებამდე ვერ მოესწრო, მაგრამ უქმეების შემდეგ რიგით მესამე იყო. უინიფრიდი ჩვეულებრივზე უფრო დიდი ზეიმით შეხვდა შობის დღეებს, დარდი კი მოღეღილ გულში ჩაიკეტა. ჯეიმსმა წლევანდელ შობას განსაკუთრებული გულუხვობა გამოიჩინა მისდამი და ამით თანაგრძნობაც და სიხარულიც გამოხატა "იმ საზიზღარ არამზადასთან" განქორწინების მოახლოების გამო. ბებერი გულით მძაფრად განიცდიდა ამას, მაგრამ ვერ კი გამოეთქვა.

კონსოლების დაცემამ, დარტის წასვლის წყალობით, ჯეიმსისთვის შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. რაც შეეხება სკანდალს, - ისეთი სიძულვილი ჰქონდა ჯეიმსს იმ ვაჟბატონისადმი, თანაც სულ უფრო და უფრო მზარდი მესაკუთრული ინსტინქტები ისე სძლევდა შერცხვენის შიშს, რომ საიმქვეყნოდ გამზადებული ჭეშმარიტი ფორსაიტის გულში, - რომელთანაც ამ საგანზე ლაპარაკს ყველა გულმოდგინედ ერიდებოდა (მხოლოდ თვითონ

თუ ჩამოაგდებდა სიტყვას), - ახლა სიმშვიდემ დაისადგურა. ახლა, როგორც იურისტსა და როგორც მშობელს, იმის შიშიღა აწუხებდა, ვაითუ მოულოდნელად დარტი ჩამოვიდეს და სასამართლოს განაჩენს დაემორჩილოსო. მაშინ უკვე მშვიდობით! ამისი შიში ისე უკარგავდა მოსვენებას, რომ როცა უინიფრიდს საშობაო ჩეკი აჩუქა, კარგა ბლომად თანხისა, თან უთხრა: "ეს, უმთავრესად, იმ ვაჟბატონისთვის; იქნებ როგორმე იქვე გავაჩეროთ, და არ ჩამოვიდეს". ეს, რა თქმა უნდა, დიდძალი ფულის გადაყრა იყო, მაგრამ თან თავის დაზღვევაც გამოდიოდა გაკოტრების წინააღმდეგ, რისი მუდმივი შიშიც, - თუკი ეს განქორწინება მართლაც მოხდებოდა, - მერე სავსებით მოისპობოდა. და მკაცრად ჰკითხავდა ხოლმე შვილს, მანამ უინიფრიდმა საბოლოოდ არ დაარწმუნა, რომ ფული უკვე გაგზავნილი იყო. საბრალო ქალი!.. რამდენი ტანჯვა გადაიტანა, მანამ გაუგზავნიდა იმ ფულს, რაც საბოლოოდ "იმ საზიზღარი დედაკაცის" ჩანთაში უნდა გადასულიყო! სომსმა რომ გაიგო ეს, თავი გააქნია. ფორსაიტთან ხომ არა გვაქვს საქმე, რომ განზრახვას მტკიცედ და გონივრულად მიჰყვებოდესო. ეს ხომ ფულის საალალბედოდ გადაგდებაა, როცა არ ვიცით, იქ რა ხდება და რა ამბავიაო. თუმცა სასამართლოში კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს. დრიმერს მოელაპარაკება, რომ მარჯვედ გამოიყენოს ეს ფაქტი.

- ნეტავ ვიცოდე, - წამოიძახა მან უცებ, - არგენტინის შემდეგ საით მიდის ის ბალეტი.

ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ გაეხსენებინა: იცოდა, რომ უინიფრიდი კვლავ სისუსტეს იჩენდა, თუ დარტისადმი არა, იმის გამო მაინც, რომ საქვეყნოდ არ გაეხმიანებინათ

საქმე. აღტაცების გამომჟღავნება დიდად არ სჩვეოდა, მაინც ვერ მოახერხა, დისთვის არ ეთქვა - ძალიან ყოჩაღად გიჭირავს თავი ბავშვებთან, რომელთაც ბარტყებივით დაუღიათ პირი და მამის ამბავს ელიანო. თანაც, იმოჯინი სადაცაა ხალხში უნდა გამოვიდეს, ვალიც ძალიან განიცდის. სომსი გრძნობდა, რომ უინიფრიდი ყველაზე მეტად ვალს უწევდა ანგარიშს ამ საქმეში; ვალი, საერთოდ, გამორჩეულად უყვარდა. სულ კი არ ჩაუფუშოს ამ ბიჭმა განქორწინების საქმე! და სომსი გულმოდგინედ ცდილობდა დისშვილის ყურისგან დაეფარა, რომ საქმის წინასწარი გარჩევა უკვე მოახლოებული იყო. უფრო მეტიც, სადილად მიიპატიჟა "თაობაში" და, როცა ბიჭმა სიგარა გააბოლა, სომსმა იმ საგანზე ჩამოაგდო სიტყვა, რაც, მისი აზრით, უფრო ახლოს იყო დისშვილის გულთან.

- როგორც გავიგე, პოლოს თამაშს აპირებ ოქსფორდში! - უთხრა მან.

ვალი სკამზე გადაწვა.

- ძალიან მინდა! - მიუგო ბიჭმა.

- დიდძალი ფული სჭირდება, - განაგრძო სომსმა, - არა მგონია, პაპაშენი დათანხმდეს, თუ სხვა მუდმივი ხარჯები არ მოიშორა.

ცოტა ხანს დააცადა, აბა თუ მიმიხვდა, საითკენ ვხრიო.

ვალის თვალები სქელ, შავ წამწამებში დაიმალა, მაგრამ სახე დაემანჭა და ჩაიდუდუნა:

- მამაჩემზე ამბობთ?

- ჰო, - მიუგო სომსმა, - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ისევ ტვირთად დარჩება მამაშენი თუ აღარა, - მეტი აღარაფერი უთქვამს, ბიჭს მისცა ფიქრის დრო.

მაგრამ ვალის გონება იმ დღეებში თრთვილა ცხენსა და მასზე ამხედრებულ გოგონაზე ფიქრს მოეცვა. მართალია, კრუმი ახლა ქალაქში იყო, და ცინთია დარკის გაცნობა შეიძლებოდა, ვალი თუ სთხოვდა, მაგრამ არ უთხოვია. ის კი არადა, გაურბოდა კიდეც კრუმს, თვითონაც ველარ ეცნო თავი, უჩვეულო ცხოვრებას ეწეოდა; ერთადერთი, თერძისა და მანეჟის ანგარიშები დარჩა ჩვეულებრივი. დედას, დებსა და უმცროს ძმას ეგონათ, არდადეგებს ამხანაგებში ატარებსო, საღამოობით მუდამ შინ იჯდა, ძილმორეული. რაც უნდა შეეთავაზებინათ დღისით, პასუხი ერთი იყო: "ვაი! ამხანაგი მყავს შეპირებული". და ათასნაირი ხრიკი სჭირდებოდა, რათა შინიდან გასვლისას, ან შინ დაბრუნებისას, საცხენოსნო კოსტიუმში გამოწყობილი არავის შეენიშნა. ბოლოს კი "თხის კლუბის" წევრი გახდა; ამის შემდეგ კოსტიუმი იქ გადაიტანა, იქვე დამშვიდებით იცვლიდა, და დაქირავებული ცხენით რიჩმონდპარკისკენ გაქუსლავდა. თავის თანდათანობით მომძლავრებულ გრძნობას სასოებით უმალავდა ყველას. "ამხანაგებთანაც", რომელთაც იგი ფაქტობრივად არ ხვდებოდა, არასდიდებით არ დასცდებოდა ის, რაც მათი, და მისი რწმენის მიხედვითაც, სასაცილო უნდა გამოჩენილიყო. სხვა ყველაფრის ხალისი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველებოდა. ეს გრძნობა გადაეღობა წინ და აღარ უშვებდა იმ ახალგაზრდული სიამე-გართობისკენ, რისი უფლებაც მან დამოუკიდებელ ცხოვრებაში გამოსვლასთან ერთად მოიპოვა; დანამდვილე-

ბით იცოდა, რომ კრუმი ამისთვის ცინგლიანს დაუძახებდა. ერთადერთი საზრუნავი ისღა დარჩა, უკანასკნელი მოდის მხედრული ტანსაცმელი ჩაეცვა და სხვების შეუმჩნევლად რობინჰილგეიტისკენ წასულიყო, სადაც მალე გამოჩნდებოდა თრთვილა ბედაურზე ამხედრებული, მოხდენილი, შავთმიანი, მორცხვი მხედარი - იქიდან კი პარკის განაკაფებში, ფოთოლგაცვენილ ხეთა შორის მიუშვებდნენ ცხენებს, ლაპარაკით ბევრს არ ილაპარაკებდნენ, ხან ჭენებაში შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხანაც ხელიხელჩაკიდებული ივლიდნენ გვერდიგვერდ. რამდენჯერ წამოუვლია ცდუნებას, საღამოობით, გულახდილი საუბრის დროს ეთქვა, როგორ შეეპარა გულში ეს მორცხვი, საყვარელი ნათესავი და "მთელი ცხოვრება" დაუნგრია. მაგრამ მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ხალხი, ყველანი უკლებლივ, საქმის გაფუჭების მეტს არაფერს გააკეთებდნენ, და ამის გახსენებაზე თავს შეიკავებდა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა - მანამ ჯვარს დავიწერდეთ, მე კოლეჯს დავამთავრებ, ის ამასობაში ხალხში გამოვა, რაღას გავირთულო საქმე, შეხვედრით მაინც ვხვდებიო. დები საშინელი აბეზარი და უსიამოვნო გოგოები იყვნენ, ძმა კიდევ უფრო უარესი, კაციშვილი არ ჰყავდა, რომ ხვაშიადი გაენდო. ახლა კიდევ ეს ოხერი განქორწინება! ეჰ! უბედურებაა პირდაპირ, ისეთი გვარი რომ გექნება კაცს, რასაც მთელი ქვეყანა რომ მოიარო, ვერ გაიგონებ. აბა, გორდონი რომ ერქვას, ან სკოტი, ან ჰოუარდი, ან ამისთანა ჩვეულებრივი რამე, მაშინ რა უჭირს. დარტი! მთელი სამისამართო დავთარი რომ გადაქექო, მეორეს ვერ შეხვდები. ასე თუ მივყვებით, მორკინიც შეიძლება კაცს ერქვას!..

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ერთ დღეს, იანვრის შუა რიცხვებში, თრთვილა ბედაური და მისი მხედარი არ გამოჩენილან. კარგა ხანს იყურყუტა სიცივეში, ფიქრობდა, შინ ხომ არ მივაკითხოო. მაგრამ იქ ჯოლის გადაეყრებოდა, ხოლო ის ბინძური ჩხუბი ისევ ცოცხლად ჰქონდა მეხსიერებაში ვალს. სულ ხომ არ უნდა ვეჩხუბო მის ძმას?! ისევ ქალაქში დაბრუნდა დაღვრემილი, და მთელი საღამო მოჟამული იჯდა. მეორე დღეს, საუზმეზე, ვალმა შენიშნა, რომ დედას რაღაც უჩვეულო კაბა ჩაეცვა და თავზედაც ქუდი დაეხურა. კაბა შავი იყო, ფარშავანგისფერი ლურჯით გაწყობილი, ქუდიც შავი იყო, ფართოფარფლიანი - ორივე ძალიან უხდებოდა. მაგრამ როცა ნასაუზმევს უთხრა, - "ვალ, ჩემთან წამოდიო, და სასტუმრო ოთახისკენ წაუძღვა, ბიჭს გული გადაუქანდა. უინიფრიდმა გულმოდგინედ მიკეტა კარი და ცხვირსახოცი ტუჩებზე გადაისვა. პარმული იის სუნი რომ შეიყნოსა, რითაც ცხვირსახოცი იყო გაჟღენთილი, ვალმა გაიფიქრა: "ნეტავ, ჰოლის ამბავი ხომ არ გაუგია?!"

ფიქრი დედის ხმამ შეაწყვეტინა.

- ერთ საქმეს ვერ გამიკეთებ, შვილო?

ვალი აიმრიზა.

- ამ დილით ვერ გამომყვები?..

- შეპირებული მყავდა... - დაიწყო მან, მაგრამ დედას რომ შეხედა, შეჩერდა, - ერთი სიტყვით, - განაგრძო მან, - შენ ის ხომ...

- ჰო. სასამართლოში მივდივარ ამ დილით.

მაშ, უკვე! იმ ს-ს-საქმეზე, რომელიც მას თითქმის გადაავიწყდა, აღარავის უხსენებია ამ ბოლო დროს. საკუთარი თავის სიბ-

რალულით თითების კვნეტას მოჰყვა. მერე შენიშნა, როგორ დაებრიცა დედას ტუჩები და ამან შეატოკა.

- კარგი, დედა. წამოვალ, პირუტყვები!

ვინ იყო პირუტყვი, თვითონაც ვერ იტყოდა, მაგრამ ამ სიტყვებმა ზუსტად გამოხატა ორივეს განწყობილება და ერთგვარი თანხმობა დაამყარა მათ შორის.

- წავალ, შავ კოსტიუმს ჩავიცვამ, - ჩაიდუდუნა მან და თავის ოთახში გაიძურწა.

ჩაიცვა შავი კოსტიუმი, საყელოწამოწეული პერანგი, ყელსახვევზე - მარგალიტისთავიანი სამაგრი, ახალი ნაცრისფერი გეტრები... თან კი გულიანად იწყევლებოდა. სარკეში რომ ჩაიხედა, თქვა:

- დაწყევლილი კაცი ვიყო, თუ რამე შევიმჩნიო! - და ქვევით ჩავიდა.

პაპის ეტლი შესასვლელთან იდგა, დედა სულ ბეწვებში გახვეულიყო - გეგონებოდა, ლორდ მერთან მიუწვევიათო. დახურულ ეტლში გვერდიგვერდ დასხდნენ და სასამართლოს ისე მიადგნენ, რომ ვალმა მხოლოდ ერთხელ ახსენა ეს საქმე.

- მარგალიტს ხომ არ ახსენებ, ჰა?

- აჰ, არა, - უთხრა დედამ, - დღეს ყველაფერი უვნებლად ჩაივლის. დიდედაშენსაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მე არ დავანებე. შენი იმედი მაქვს, შენ მომივლი. ისე გიხდება ყველაფერი, ვალ. ოღონდ ეს საყელო უკან ძალიან ამოგიწევია... ახლა კარგია.

- თუ შეგაშინეს... - დაუწყო ვალმა.

- აჰ, არა! ძალიან დამშვიდებული ვიქნები. სხვანაირად არ შეიძლება.

- ჩემს დაკითხვას ხომ არ მოინდომებენ?

- არა, გენაცვალე. ყველაფერი მოგვარებულია, - და შვილს ხელზე ხელი გადაუსვა.

ისე მაგრად ეჭირა დედას თავი, რომ სიმშვიდე ვალსაც გადაედო და აფორიაქებული გული დაუშოშმინა, იგი იჯდა და ხელთათმანს აწვალებდა - ხან ჩაიცვამდა, ხან წაიძრობდა. ახლაღა შენიშნა, რომ ეს ხელთათმანი არ უნდა ჩაეცვა, გეტრებს არ უხდებოდა; ნაცრისფერი უნდა ჩაეცვა, ეს კი მუქი წაბლისფერი იყო, ირმის ტყავისა. ველარ გადაეწყვიტა, სულ წაეძრო და შეენახა თუ ჰქონოდა. ათი შესრულდა და მივიდნენ კიდეც. ვალი პირველად იყო სასამართლოში და შენობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

- ღმერთო ჩემო, - თქვა მან, როცა ჰოლი გაიარეს, - ჩოგბურთის ოთხი-ხუთი დიდებული მოედანი გამოიჭრება.

სომსი დაბლა დახვდათ, ერთ-ერთ კიბესთან.

- მოხვედით! - უთხრა მან ისე, რომ ხელი არც კი ჩამოურთმევია. თითქოს ამ საქმემ მეტისმეტად გააშინაურა ისინი და ასეთი ფორმალობა საჭირო აღარ იყო, - პირველ დარბაზში გვექნება. ჰეპერლი ბრაუნი. ჩვენი საქმე პირველი გადის.

ვალი ისეთმა გრძნობამ მოიცვა, კრიკეტის თამაშზე შესვლის წინ რომ მოსდიოდა ხოლმე, მაგრამ დაბღვერილი გაჰყვა დედას და ბიძას, ცდილობდა გვერდზე არ გაეხედა, ეჩვენებოდა, თითქოს იქაურობას შმორის სუნი ასდიოდა. თითქოს, ყოველი კუნჭულიდან იჭყიტებოდნენ, და ვალმა ბიძას სახელო დასწია.

- გარეწარ კორესპონდენტებს, იმედია, არ შემოუშვებ.

სომსმა ისე მოხედა, რომ, იყო დრო, ასეთი შეხედვის შემდეგ ხალხს ენა ჩაუვარდებოდა.

- აქეთ, - თქვა მან, - ქურქს ნუ გაიხდი, უინიფრიდ.

ვალი მათ შეჰყვა, გაბრაზებულს თავი მაღლა აეწია. ამ ოხერ სოროში ყველანი - ხალხი კი კარგა ბლომად იყო - თითქოს ერთმანეთს უსხდნენ კალთაში. ვალს ეგონა, თითქოს ყველა ერთად ჭაში უნდა ჩაცურდესო. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამიერი განცდა - ამ წითელი ხისა, შავი მანტიებისა, პარიკების თეთრი ლაქების, სახეებისა და ქაღალდებისგან შექმნილი. ყველაფერს იდუმალებისა და ჩურჩულის ბეჭედი ესვა. მერე იგი პირველ მწკრივში აღმოჩნდა, დედის გვერდით, ყველასკენ ზურგშექცეული, დედის პარმული იის სურნელი სიამოვნებდა. ბოლოს ხელთათმანი გაიხადა. დედა მას შეჰყურებდა. ვალი უცებ მიხვდა, რომ იგი მართლაც დედასთან უნდა ყოფილიყო, დედას ეს უსათუოდ სჭირდებოდა, და მაშინ დარწმუნდა, რომ თვითონაც ყოფილა საჭირო ამ საქმეში. ძალიან კარგი! ახლავე აჩვენებს ყველას! მხრები წამოსწია, ფეხი ფეხზე გადაიდო და მშვიდად დააცქერდა თავის გეტრებს. მაგრამ ამ დროს ვიღაც მანტიამოსხმული და გრძელპარიკიანი ბერიკაცი შემოვიდა. გაღაჟღაჟებულ დედაკაცს უფრო ჰგავდა, მათ პირდაპირ, შემაღლებულ ადგილას კარი შემოაღო და ვალი იძულებული გახდა სწრაფად ჩამოეშვა ფეხი, სხვებთან ერთად ისიც წამომდგარიყო.

"დარტი დარტის წინააღმდეგ!"

ვალს წარმოუდგენელ საზიზღრობად მოეჩვენა სხვისი გვარის ასე საქვეყნოდ გამოტანა! უცებ უკნიდან მოესმა, როგორ დაიწყო ვიღაცამ ლაპარაკი მათ ოჯახზე. ვალმა თავი მოაბრუნა და ხელში შერჩა პარიკიანი გადამღრძვალი ბერიკაცი. ისე ჩიფჩიფებდა, გეგონებოდა, თავისივე სიტყვებს შეექცევაო - სასაცილო

ბერიკაცი, არამზადა, ამისთანა ხალხი ერთი-ორჯერ ლეინპარ-კზეც უნახავს, სადილობის დროს, პორტვეინით რომ სკდებოდ-ნენ. ახლა მიხვდა, საიდან გამოაძვრენდნენ ხოლმე ამისთანებს. ისე, კაი გასართობი კი მოეჩვენა ეს ბერიკაცი, და ალბათ არც მოაშორებდა თვალს, დედას რომ არ გაეკრა ხელი. წინ უნდა ეცქირა. ახლა მოსამართლეს მიაპყრო თვალი. ვინ მისცა უფლება ამ ვაჟბატონს, პირს რომ ასე დაცინვით აცმაცუნებს და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მათ პირად საქმეში ჩაერიოს! თავის საქმეს მიხედოს - ალბათ არანაკლებ ბინძურსა და არეულ-დარეულს! და ვალს ავადმყოფობასავით წამოუარა ძვალ-რბილში გამჯდარმა ფორსაიტულმა ინდივიდუალიზმმა. უკანა მწკრივიდან კი კვლავ ესმოდა გაბმული ზუზუნი:

- ფულზე ჩხუბი... მოპასუხის ბედოვლათობა (ეს რაღა სიტ-ყვაა! ნუთუ მამამისს გულისხმობს?)... დაჭიმული ურთიერთო-ბა... სანახევროდ შინ არყოფნა მისტერ დარტისა. ჩემი მარწმუნე-ბელი ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, თქვენც დამეთანხმებით, მი-ლორდ, ბოლოს მოვუღებ ასეთ ცხოვრებასო, იფიქრა... დაღუპ-ვის გზაზე იდგა... რამდენს ეჩიჩინა... ბანქოს თამაში, დოღი ("ა-სე?! - გაიფიქრა ვალმა, - მაგას დააწექი!")... ოქტომბრის დამდეგს კრიზისი დაიწყო, როცა მოპასუხემ წერილი მისწერა კლუბიდან, - ვალი წელში გაიმართა, ყურებზე ცეცხლი წაეკიდა, - უნდა წავი-კითხო ეს წერილი, ოღონდ საჭირო შესწორებებით, რადგან ამის წერის დროს ის ყმაწვილი... როგორ მოგახსენოთ, კარგად დანაყ-რებული გახლდათ, მილორდ.

"პირუტყვი! - გაიფიქრა ვალმა და კიდევ უფრო გაწითლდა, - ფულს იმისთვის გიხდიან, რომ აქ იოხუნჯო?!"

"მორჩა, ველარასოდეს მოახერხებთ ჩემს დამცირებას ჩემივე საკუთარ სახლში, ინგლისიდან მივემგზავრები. ყველაფერი გათავდა"... ეს გამოთქმა, მილორდ, ნაცნობია იმათთვის, ვისაც ყოველთვის ვერ უმართლებს ხოლმე ბედი.

"ჩერჩეტები!" - გაიფიქრა ვალმა და ერთიანად აენთო.

- "ამდენ შეურაცხყოფას ველარ ავიტან"... ახლა ჩემს კლიენტს ჰკითხეთ, მილორდ - ეს "შეურაცხყოფა" მხოლოდ ის არის, რომ ყელში ამომიხვედიო, უთხრა - ამისთანა პირობებში, უნდა გამოვტყდე, ძალიან მსუბუქად ნათქვამია.

ვალმა ცალი თვალით დედის გაქვავებულ სახეს გადახედა - დამფრთხალი ნადირის გამომეტყველება ჰქონდა. "საწყალი დედა", - გაიფიქრა მან, და მკლავზე მოჰკიდა ხელი. უკანა მწკრივში კი კვლავ გრძელდებოდა ლუღლუღი:

- "ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო, - მ. დ." და მეორე დღესვე, მილორდ, მოპასუხე "ტუსკარორას" გაჰყვა ბუენოს-აირესისკენ. მას შემდეგ აღარაფერი ვიცით მისი, გარდა ერთი კაბლოგრამისა - უარს უთვლის. ჩემმა კლიენტმა მეორე დღესვე, საშინლად შეწუხებულმა, წერილი დაადევნა, დამიბრუნდითო, ემუდარებოდა. და ამ წერილის პასუხად მიიღო ის კაბლოგრამა. ახლა კი ნება მიბოძეთ, მილორდ, მისის დარტი მოწმის ადგილას დავსვა.

დედა რომ ადგა, ვალმა ძლივს შეიკავა თავი, თვითონაც არ წამომდგარიყო და ეთქვა: "აქეთ მოიხედეთ! კეთილინებეთ და ამ ქალს ღირსეულად მოექეცით". მაგრამ მალე მოთოკა თავი, დედის ხმა გაიგონა: "სიმართლე, მთელი სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი". თავი ასწია. ბეწვის პალტო და ფართოფარფლიანი ქუდი ძალიან უხდებოდა, ღაწვებზე სიწითლე

შეჰპაროდა, დამშვიდებული და ცივი ჩანდა. სიამაყე იგრძნო დედის გამო, რომელიც ასე ღირსეულად გამოდიოდა ამ "ოხერი მსაჯულების" წინაშე. დაკითხვა დაიწყო. ვალმა იცოდა, რომ ეს წინასწარი სხდომა იყო და ამიტომ ერთგვარი ხალისით დაუგდო ყური შეკითხვებს, რომლებიც ისე იყო დასმული, რომ შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დედას მართლაც ნდომოდეს ქმრის შინ დაბრუნება. მოეჩვენა, რომ ისინი "კარგა კოხტად აცურებდნენ ამ პარიკიან ბერიკაცს". და ძალიან უსიამოვნოდ მოხვდა ყურში, როცა უცებ მოსამართლის ხმა გაისმა:

- მაინც, რატომ მიგატოვათ ქმარმა? მართლა იმიტომ ხომ არ მიგატოვებდათ, "ყელში ამომიხვედიო", რომ უთხარით?

ვალმა შენიშნა, როგორ მიანათა სომსმა თვალები დას ისე, რომ სახე ოდნავადაც არ მიუბრუნებია. უკანა მწკრივიდან ქაღალდის შრიალი მოისმა, და ალღოთი მიხვდა, რომ საქმე უკუღმა შეტრიალდა... ნუთუ ამათ აურიეს რამე - ძია სომსმა და ამ გადამღრძვალმა ბერიკაცმა, უკან რომ ზის?! დედამ ოდნავი ბორძიკით უპასუხა:

- არა, მილორდ, მაგრამ რამდენი ხანია, ასე გრძელდება.

- რა გრძელდება?

- ფულზე უთანხმოება.

- თქვენ აკი აძლევდით ფულს! თუ ის გინდათ თქვათ, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით მიგატოვათ?

"პირუტყვი! გადამღრძვალი პირუტყვი! პირუტყვი და მეტი არაფერი! - გაიფიქრა უცებ ვალმა, - სუნი აიღო... და ახლა უნდა რომ გამოჩხრიკოს! - და სუნთქვა შეეკრა, - თუ... თუ მართლა ჩასწვდა საქმეს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, მიხვდება, რომ დედაჩემს

სულაც არ სურს ქმრის დაბრუნება". კვლავ დედა ლაპარაკობდა, ახლა უფრო ღირსეულად.

- არა, მილორდ. საქმე ის არის, რომ საბოლოოდ უარი ვუთხარი ფულზე. დიდხანს არ უნდოდა ამის დაჯერება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაიჯერა... და როცა დაიჯერა...

- მაშ, უარი უთხარით, მას შემდეგ რომ გაუგზავნეთ?!

- მილორდ, მინდოდა როგორმე უკანვე დამბრუნებოდა.

- და იმედი გქონდათ, ეს დააბრუნებდა, არა?

- რა მოგახსენოთ, მილორდ. მამამ მირჩია ასე.

იმის მიხედვით, თუ როგორ შეეცვალა სახის გამომეტყველება მოსამართლეს, როგორ აშრიალდა ქაღალდები უკანა მწკრივში, როგორ სწრაფად გადაიდო ფეხი ფეხზე ბიძამისმა, ვალი მიხვდა, რომ ეს სწორი პასუხი იყო.

"ყოჩაღ! - გაიფიქრა მან, - ღმერთო, რა სისულელეა ეს ყველაფერი".

მოსამართლე განაგრძობდა:

- კიდევ ერთი შეკითხვა, მისის დარტი. ისევ გიყვართ თქვენი ქმარი?

ვალის ხელები, რომლებიც ზურგს უკან ეწყო, უნებურად მოიმუშტა. რა უფლება აქვს ამ მოსამართლეს, ადამიანის გრძნობებს რომ ეხება? უნდა აიძულონ დედა, გული გადაიხსნას და ამდენი ხალხის წინაშე ათქმევინონ ის, რაც ალბათ, თვითონაც არ იცის კარგად! რა საკადრისია! დედამ ამჯერად უფრო ხმადაბლა უპასუხა:

- დიახ, მილორდ.

ვალმა შენიშნა, როგორ დააქნია თავი მოსამართლემ.

"ერთი მაგ გოგრაში წამომარტყმევინა!" უკადრისი ფიქრი მოუვიდა ვალს, სანამ დედა მოვიდოდა და თავისივე ადგილზე დაჯდებოდა. ამას მოჰყვა სხვა მოწმეების დაკითხვა, რომლებიც მამის შინიდან წასვლას და, საერთოდ, მის დიდიხნობით შინ არ-ყოფნას ადასტურებდნენ; ერთი მათი მოსამსახურე გოგოც კი მოეყვანათ მოწმედ, და ამ საშინელმა მხეცობამ სულ მოსპო ვა-ლი. ბევრი ილაპარაკეს, სულ სისულელე, რის შემდეგაც მოსა-მართლემ გადაწყვეტილება გამოაცხადა - ცოლქმრული უფლე-ბების აღდგენა! მერე წამოდგნენ და გამოვიდნენ. ვალი დედას მოსდევდა, პირი მოეკუმა, თვალები დაეხარა - უნდოდა აშკარად გამოემჟღავნებინა თავისი ზიზღი ყველა იქ მყოფისადმი. დედის ხმამ გამოაფხიზლა.

- მშვენივრად გეჭირა თავი, ჩემო კარგო. დიდი ნუგეში იყო ჩემთვის, გვერდზე რომ მეჯექი. მე და ბიძაშენი სასაუზმოდ მივ-დივართ.

- ძალიან კარგი, - უთხრა ვალმა, - მაშ, მე კიდევ მოვასწრებ ამ-ხანაგის ნახვას.

ფიცხლავ მოშორდა მათ, კიბეზე დაეშვა და გარეთ გავარდა. ეტლში შევარდა და "თხის კლუბისკენ" გაქანდა. მისი ფიქრები ჰოლის დასტრიალებდნენ, რა უნდა ვქნა, რა ვიღონო, მანამ მისი ძმა ხვალ დილით გაზეთში წაიკითხავდეს ამ ამბავსო.

ვალის წასვლის შემდეგ სომსი და უინიფრიდი "ჩეშირის ყვე-ლისკენ" გაემართნენ. იქ სომსი მისტერ ბელბის უნდა შეხვედრო-და. ამ ადრიანად ჩვენს მეტი იქ არავინ იქნება და სახელგანთქმუ-ლი სასტუმროს ნახვას გულს გადავაყოლებო, - ფიქრობდა უინიფრიდი. ოფიციანტის გულის გასახეთქად, მსუბუქი საუზმე

დაუკვეთეს და საუზმისა და მისტერ ბელბის მოლოდინში, იმ საათნახევრიანი საჯარო წამების შემდეგ, ჩუმად ისხდნენ, ისვენებდნენ. მისტერ ბელბი მალე მოვიდა, წინ ცხვირი მოუძღოდა, და რამდენადაც დამხვდურები დაღვრემილები იყვნენ, იგი იმდენად მხიარული ჩანდა.

- რა მოგვიდათ? ქორწინების უფლებები აღგიდგინეთ და კიდევ მოწყენილები ხართ?!

- მართალია, - მიუგო სომსმა ხმადაბლა, - მაგრამ ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი, რათა ახალი სამხილი წარმოვადგინოთ. ალბათ განქორწინების საქმეც მაგასთან მოხვდება. საეჭვოდ მოეჩვენება, როცა ნახავს, რომ ჩვენ ცოლქმრული ღალატის ამბავი თავიდანვე ვიცოდით. შეკითხვებზევე შეეტყო, რომ ეს ჩვენი ხრიკები ქორწინების უფლებებთან დაკავშირებით მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა.

- ეჰ! - მხიარულად წამოიძახა მისტერ ბელბიმ, - დაავიწყდება! რას ამბობთ? ასი საქმე მაინც ექნება გასარჩევი ამასა და იმას შორის. მაგას გარდა, დღევანდელი გადაწყვეტილება ავალებს განქორწინებაც დაამტკიცოს, თუკი საჭირო სამხილი იქნება. ნუ ვეტყვით, რომ მისის დარტიმ თავიდანვე იცოდა ღალატის ამბავი. დრიმერი დიდებული იყო - მამაშვილურად გამოუვიდა!

სომსმა თავი დაუქნია.

- თქვენც უნდა გითხრათ ქათინაური, მისის დარტი, - განაგრძო მისტერ ბელბიმ, - ბუნებრივი ნიჭი გქონიათ, პირდაპირ, ჩვენების მიცემის. კლდესავით იდექით.

ამასობაში ოფიციანტიც მოვიდა, ცალ ხელში მარჯვედ აწონასწორებდა სამი ადამიანის საუზმეს.

- პუდინგიც მოგიხერხეთ, სერ. დღეს ცარიელი ტოროლაა.

მისტერ ბელბიმ ცხვირის დაქნევით მოუწონა წინდახედულობა. სომსმა და უინიფრიდმა კი შიშით გადახედეს მსუბუქ საუზმეს - ამ მოყავისფრო მასით გავსებულ თეფშებს და ჩანგლით ფრთხილად დაუწყეს ჩიჩქნა, რათა ეს გემრიელი პატარა მგალობლები ცალკე გამოერჩიათ. მაგრამ გემო რომ გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ კარგა მაგრად მოშივებოდათ და სულ შეჭამეს. ბოლოს თითო ჭიქა პორტვეინიც დააყოლეს. საუბარი ომზე გადავიდა. სომსის აზრით, ლედისმითს აიღებდნენ და ომი, საერთოდ, მთელ წელიწადს შეიძლებოდა გაჭიანურებულიყო. ბელბის აზრით, ზაფხულისთვის ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა. ორივე შეთანხმდა იმაზე, რომ დამატებითი ჯარის გაგზავნა იყო საჭირო. გამარჯვება ბოლომდე უნდა მიიყვანონ, ბოლოს და ბოლოს, უკვე პრესტიჟის საქმეა. უინიფრიდმა ისევ მყარ ნიადაგზე გადაიტანა საუბარი - ვიდრე ოქსფორდში საზაფხულო არდადაგებზე არ დაითხოვენ სტუდენტებს, განქორწინების პროცესი არ მინდაო. მანამ ისევ სასწავლებელში დაბრუნდებოდეს ვალი, ბიჭებს ეს ამბავი გადაავიწყდებათ; იმ დროისთვის ლონდონის სეზონიც დამთავრდებაო. იურისტებმა დაამშვიდეს - ექვსი თვე უსათუოდ უნდა გავიდეს და მერე, რაც უფრო ჩქარა მოხდება, მით უკეთესიო. ამასობაში ხალხმა იწყო დენა. ისინი ადგნენ და წავიდნენ: სომსი - სიტიში, ბელბი - თავის ოფისში, უინიფრიდმა კი ეტლი აიყვანა და ლეინპარკისკენ გასწია, რათა დედისთვის შეეტყობინებინა ამბავი. ისე კარგად დაამთავრა ყველაფერი, რომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ჯეიმსისთვისაც ეთქვათ, რომელიც მუდამდღე იმას წუწუნებდა, უინიფრიდისა არაფერი ვიცი, რა უნდა ვთქვაო.

რაც უფრო მოახლოვდა მისი საათი, მით უფრო მეტ ინტერესს იჩენდა საამქვეყნო ამბებისადმი, თითქოს გრძნობსო: "რაც შეიძლება მეტი გავიგო, ბევრი უნდა ვიღელვო, მალე ასაღელვებელი აღარაფერი მექნებაო".

ეს ამბავი უხალისოდ მოისმინა. ახლებურად დაუწყიათ საქმის წარმოება, არაფერი ვიციო. უინიფრიდს ჩეკი მისცა და უთხრა:

- ვიცი, ბევრი ხარჯი გექნება ახლა: ახალი ქუდი გიყიდია. ვალი რატომ აღარ მნახულობს?

უინიფრიდი შეჰპირდა, ამ დღეებში სადილად მოვიყვანო. შინ რომ დაბრუნდა, საწოლ ოთახში ავიდა, რათა მარტოკა დარჩენილიყო. დღეს სასამართლოს დადგენილებით ქმარი დაუბრუნეს, რათა მალე სამუდამოდ მოიშოროს თავიდან; ცდის, ერთხელ კიდევ ჩაიხედოს თავის ეულსა და დატანჯულ გულში და ნახოს ერთი, რა უნდა.

თავი მერვე

დუელში გაწვევა

ნისლიანი დილა იყო, ცოტათი ყინავდა კიდეც, მაგრამ მანამ ვალი როუჰემპტონგეიტამდე მიჩაქჩაქებდა, საიდანაც მერე ჩორთით მიჰყავდა ხოლმე ცხენი დათქმული ადგილისკენ, მზემაც გამოაჭყიტა; გუნება თანდათანობით გამოუკეთდა. ისეთი საშინელი ამ დილით არაფერი მომხდარა. გარდა იმ შეურაცხყოფისა, პირად საქმეებში რომ მოინდომეს ჩარევა. "დანიშნული რომ ვიყოთ, ფიქრობდა იგი, - მაშინ რაც უნდა მოხდეს, სულერთია". ისიც ისეთ გრძნობებს მოეცვა, რაც კაცთა მოდგმასა სჭირს საერთოდ - ცოლქმრობასა და მის ყოველგვარ შედეგებს წყევლაკრულვით ავსებენ, ჯვრისწერას კი გამწარებით ეშურებიან. მიაჭენებდა ცხენს რიჩმონდპარკში, გაფიჩხულ ბალახზე, და თან იმის შიში ჰქონდა, დავიგვიანებო. მაგრამ დათქმულ ადგილას კვლავ მარტო აღმოჩნდა, და ჰოლის მეორე ღალატმა საშინლად ააფორიაქა. დღეს რომ არ ნახოს, ისე ვერ გაბრუნდება! პარკიდან გავიდა და რობინჰილის გზას დაადგა. ველარ გადაეწყვიტა, ვინ ვიკითხოო. ვთქვათ, მამამისი დაბრუნდა ან ჯუნი დახვდა შინ, ან ძმა! გავრისკავო, ბოლოს გადაწყვიტა, და ყველას ვიკითხავო. თუ ბედმა გამიღიმა და შინ არავინ დამხვდა, მერე ჰოლის კითხვა

უხერხული აღარ იქნებაო. თუ სხვები დახვდნენ, ამასაც მოევლება - ცხენით მოვდიოდი, თქვენთანაც შემოვიარეო.

- მარტო მის ჰოლი გახლავთ, სერ.

- ო, გმადლობთ. არ შეიძლება, თავლაში შევიყვანო ცხენი? იქნებ მის ჰოლისაც მოახსენოთ - კუზენი ეწვია, მისტერ ვალ დარტი.

როცა მობრუნდა, ჰოლი ვესტიბიულში დახვდა, სახეშეფაკლული და დარცხვენილი ჩანდა. სასტუმრო ოთახში გაიყვანა და ფანჯარასთან დასხდნენ, ფართო დივანზე.

- ველარ მოვისვენე, - უთხრა ვალმა ხმადაბლა, - რა მოგივიდა?

- ჯოლიმ გაიგო ჩვენი სეირნობის ამბავი.

- ახლა შინ არის?

- არა, მაგრამ, ალბათ, მალე მოვა.

- მაშინ... - შესძახა ვალმა, წინ წაიწია და ხელი დაუჭირა. ჰოლიმ გათავისუფლება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, და სევდიანი თვალები მიაპყრო.

- პირველ ყოვლისა, - დაიწყო ვალმა, - ჩემი ოჯახის ამბავი უნდა გითხრა. მამაჩემი, მთლად ის... ერთი სიტყვით, დედაჩემი მიატოვა და ახლა განქორწინებას ცდილობენ. ამიტომ, ჯერ შინ უნდა დაბრუნდეს. ასე გადაწყვიტა სასამართლომ. ხვალ გაზეთშიც ნახავ ამას.

გოგონას თვალები თითქოს ჩაუღრმავდა შიშითა და ცნობისმოყვარეობით. ხელი მოუჭირა ვაჟს, მაგრამ აზარტში შესულმა ვალმა სწრაფად განაგრძო:

- ჯერ, რა თქმა უნდა, ისეთი არაფერი... მაგრამ ალბათ ესეც იქნება, სანამ ყველაფერს მორჩებოდნენ. განქორწინების პროცესი ჯოჯოხეთია, იცი. მინდოდა, ეს შენთვის მეთქვა, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... შენც უნდა იცოდე ეს... თუკი... - და ენა დაება. შეშინებულ თვალებში ჩასცქეროდა გოგონას, - თუკი... თუკი შემიყვარებ და ჩემი თუ გახდები, ჰოლი. მე შენ მიყვარხარ... ძალიან მიყვარხარ... და მინდა, რომ დანიშნულები ვიყოთ, - ისე უთავბოლოდ გამოუვიდა, რომ მზად იყო თავში წაეშინა ხელი. მუხლებზე დავარდა და სცადა მიახლოებოდა ამ ნაზ, შეწუხებულ სახეს, - ხომ გიყვარვარ?.. ჰა? თუ არ გიყვარვარ, მაშინ მე... - სიჩუმე და გაურკვევლობა ჩამოწვა... ეს იყო ერთი წუთით, მაგრამ ისეთი საშინელი იყო ეს წუთი, რომ ვალს გარკვევით ესმოდა სათიბი მანქანის გუგუნი, თითქოს სადღაც შორს, ამ ზამთარში, ბალახს თიბავდა. ქალი წინ გადმოიხარა, მისი თავისუფალი ხელი ვაჟის თმას მოხვდა, და ვაჟმა ამოიოხრა:

- ო, ჰოლი!

ქალის პასუხი ძალიან ალერსიანი იყო:

- ო, ვალ!

ვალს ადრეც უოცნებია ამ წუთზე, მაგრამ ყოველთვის მბრძანებლად წარმოუდგინა თავი, უფლებამოსილ ახალგაზრდა შეყვარებულად... ახლა კი მოდრკა და მოიშალა, ერთიანად თრთოდა. განძრევისა ეშინოდა, ეს მომხიბლავი წუთი არ დაირღვესო; ვაითუ უკანვე დაიხიოს და გულისთქმას აღარ მიჰყვესო - ქალი მის ხელებში ცახცახებდა, წამწამები დაეხუჭა, და ახლა ბიჭის ტუჩები ამ წამწამებისკენ მიიწევდა. ჰოლიმ ცრემლით დანამული თვალები გაახილა, ბიჭმა ტუჩები ქალის ტუჩებს მიაწება. მერე

უცებ წამოხტა, ფეხის ხმა და გმინვა მოესმა. მიიხედ-მოიხედა. არავინ იყო! მაგრამ გრძელი ფარდა, რომელიც ვესტიბიულს ოთახისგან ყოფდა, ისევ ირხეოდა.

- ღმერთო ჩემო? ვინ უნდა ყოფილიყო?

ჰოლიც წამოდგა.

- ჯოლი იქნება, - წაიჩურჩულა მან.

ვალმა ხელები მომუჭა და შეიმართა.

- ძალიან კარგი! - თქვა მან, - აღარ მენაღვლება, რაკი დანიშნულები ვართ, - ფარდისკენ გაემართა და გადასწია. ვესტიბიულში, ბუხართან, ჯოლი იდგა, მათკენ საგანგებოდ ზურგშექცეული. ვალი მისკენ წავიდა. ჯოლი შემოტრიალდა.

- ბოდიშს ვიხდი, რომ მოვისმინე, - თქვა მან.

როგორადაც უნდა მოენდომებინა ვალს, იმ აღტაცებას მაინც ვერ დათრგუნავდა, რაც ამწუთას ჯოლისადმი აღეძრა: სახე ნათელი ჰქონდა, ხმა მშვიდი, განსხვავებული ჩანდა, თითქოს რაიმე პრინციპს ემორჩილებაო.

- ასეა, - უთხრა უცებ ვალმა, - ეს თქვენ არ გეხებათ.

- ო! - შესძახა ჯოლიმ, - აქეთ გამომყევით, - და მან ვესტიბიული გადაჭრა. ვალი მიჰყვა. ოთახის კართან იგრძნო, რომ მკლავში სწვდნენ.

- მეც მოვდივარ, - თქვა ჰოლიმ.

- არა, - უთხრა ძმამ.

- მოვდივარ! - გაიმეორა ჰოლიმ.

ჯოლიმ კარი გამოაღო და სამივენი შევიდნენ. ამ პატარა ოთახში სამკუთხედად განლაგდნენ, გახეხილი თურქული ნოხის სამ სხვადასხვა კუთხეში - გაჭიმულები იდგნენ, ერთმანეთს არც

კი უყურებდნენ, იმის თავი აღარ ჰქონდათ, რომ ამ სიტუაციაში რაიმე კომიკური შეემჩნიათ.

სიჩუმე ვალმა დაარღვია.

- ჰოლი და მე დანიშნულები ვართ.

ჯოლიმ უკან დაიხია და ფანჯრის ზღუდარს მიეყრდნო.

- ეს ჩვენი სახლია, - თქვა მან, - აქ შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებთ. მაგრამ მამაჩემი შინ არ არის. ჰოლი მე ჩამაბარეს. თქვენ ამით ისარგებლეთ.

- ეგ არც მიფიქრია, - ცხარედ მიუგო ვალმა.

- მე კი მგონია, რომ ისარგებლეთ, - უთხრა ჯოლიმ, - ასე რომ არ იყოს, მე მომელაპარაკებოდით, ან მამაჩემს დაელოდებოდით.

- იყო რაღაც მიზეზი, - უპასუხა ვალმა.

- რა მიზეზი?

- ჩემს ოჯახს შეეხება... სწორედ ახლა ვეუბნებოდი. მინდოდა დროზე გაეგო ჰოლის, მანამ ის საქმე მოხდებოდა.

ჯოლის ერთბაშად მოაკლდა ის მომხიბლაობა.

- თქვენ ბავშვები ხართ, - თქვა მან, - ეს თქვენც კარგად იცით.

- მე ბავშვი აღარა ვარ, - მიუგო ვალმა.

- ხართ... ჯერ ოციც არ შეგსრულებიათ.

- აჰა! თქვენ რამდენის ხართ?

- მე უკვე ვარ ოცი წლისა, - უპასუხა ჯოლიმ.

- ახლახან შეგისრულდათ. მაგას რა მნიშვნელობა აქვს - თქვენზე ნაკლები ვაჟკაცი არც მე ვარ.

ჯერ წამოენთო ჯოლი, მერე მოიღრუბლა. ეტყობოდა, საკუთარ თავს ებრძოდა. ვალი და ჰოლი გაკვირვებით მისჩერებოდნენ, იმდენად აშკარა იყო ეს ბრძოლა, მისი სუნთქვაც კი ესმო-

დათ. ბოლოს სახეზე ღრუბელი გადაეყარა და, რაღაც უცნაურად, მტკიცე გადაწყვეტილება აღებეჭდა.

- მაგას ვნახავთ, - მიუგო მან, - მე თქვენ გიწვევთ - რასაც გავაკეთებ, თქვენც ის გააკეთეთ!

- მიწვევთ?

ჯოლის გაეღიმა.

- დიახ, - დაუდასტურა მან, - გიწვევთ. მაგრამ ვიცი, რომ არ გამომყვებით.

ვალს ავმა წინათგრძნობამ გაუსერა გული. ეს ხომ იმას ჰგავს, თვალდახუჭულმა უფსკრულის პირას აჭენო ცხენი!

- მე არ დამვიწყნია, რომ თქვენ საშინელი ჩხუბისთავი ხართ, - მშვიდად უთხრა ჯოლიმ, - მგონი, მეტი არც არაფერი შეგიძლიათ. ბუროფილიც იმიტომ მიწოდეთ.

ვალმა გარკვევით გაიგონა, - თავისივე დამძიმებულ სუნთქვას როგორ ამოჰყვა ხვნეშა; დაინახა, როგორ წამოიწია წინ ჰოლის გაფითრებული სახე, გაფართოებული თვალები.

- დიახ, - უცნაური ღიმილით განაგრძობდა ჯოლი, - მაგას ახლავე ვნახავთ. მე ცხენოსან ჯარში შევდივარ მოხალისედ, და თქვენც გიწვევთ, მისტერ ვალ დარტი!

ვალს თავი შეუტოკდა. ეს ცხვირ-პირში ჩარტყმასა ჰგავდა - ასე მოულოდნელად, ხელის ერთი მოსმით, შემზარავად დაუნგრიეს ოცნება. ჯოლის მიაპყრო შესაბრალისად არეული თვალები.

- დაჯექით! - უთხრა ჯოლიმ, - ნუ აჩქარდებით! კარგად მოიფიქრეთ, - და თვითონ პაპისეული სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა.

ვალი არ დამჯდარა. იქვე იდგა, ხელები - მომუჭული, აცახცახებული ხელები - ღრმად ჩაეცურებინა შარვლის ჯიბეებში. მთელი საშინელება მომავალი გადაწყვეტილებისა - როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიეღო, ეგ სულერთია - გაბრაზებული ფოსტალიონის სიჯიუტით უკაკუნებდა თავში. თუ არ მიიღებს ამ გამოწვევას, ჰოლის თვალში უნდა შერცხვეს და დამცირდეს, ამ ახალგაზრდა მტრის თვალშიც, ჰოლის მხეცი ძმის თვალში. მიიღებს და... ეჰ! მაშინ ყველაფერი გაქრება - ჰოლის სახე, თვალები, თმა, მისი ახლახან დაწყებული კოცნა!

- ნუ აჩქარდებით! - გაუმეორა ჯოლიმ, - არ მინდა უსამართლო ვიყო.

და ორივემ ჰოლის მიაპყრო მზერა. იგი ჭერამდე აზიდულ წიგნის თაროს მიყრდნობოდა. შავგვრემანი თავი გიბონის "რომის იმპერიისთვის" მიუსვენებია, ტანჯვის გამომეტყველი თვალები კი ვალისთვის ჰქონდა მიშტერებული, და უცებ ვალს, რომელიც დიდი გამჭრიახობით არ იყო დაჯილდოებული, ზეშთაგონება ეწვია. მაშინ თავისი ძმით უნდა იამაყოს ჰოლიმ, ვალის მტრით! ვალისა კი უნდა ერცხვინებოდეს. ხელები უცებ ამოიღო ჯიბეებიდან, თითქოს ზამბარას ამოეგდოს.

- ასე იყოს! - თქვა მან, - თანახმა ვარ.

ჰოლის სახე... ო, რა საოცრება მოხდა! ქალი ერთბაშად წამოენთო და წინ წამოიწია. მაშ, კარგად მოქცეულა - თვალები სევდიანი აღფრთოვანებით უციმციმებდა ჰოლის. ჯოლი წამოდგა და თავი ოდნავ დახარა, თითქოს ამბობდა: "გამოცდა ჩაბარებულია".

- მაშ, ხვალ ერთად წავალთ, - უთხრა მან.

ვალი უკვე გამოერკვა იმ მღელვარე დაძაბულობისგან, რამაც ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა, და ახლა ღვარძლიანად შეჰყურებდა ჯოლის. "ასე იყოს, - გაიფიქრა მან, - ახლა შენ მაჯობე: უნდა წავიდე ომში. მაგრამ ჩემი ჯერიც მოვა" და ღირსეულად თქვა:

- მე მზადა ვარ.

- მაშ, მთავარ შესაკრებ პუნქტში შევხვდებით ხვალ ერთმანეთს, - უთხრა ჯოლიმ, - თორმეტ საათზე, - კარი გააღო და აივანზე გავიდა, იმავე პრინციპს დაემორჩილა, რამაც ისე გააკვირვა და დააფრთხო ისინი წეღან ვესტიბიულში.

გონება აფორიაქებოდა ვალს, რომელიც ახლა მარტოდმარტო დარჩა იმ ქალთან, ვისი სიყვარულიც მოულოდნელად ასე ძვირი დაუჯდა. მაგრამ "თავის გამოჩენის" სურვილი მაინც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა. იქნებ საშინელებაც შეგემთხვას, მაგრამ სულაც არ უნდა შეიმჩნიო.

- ყოველ შემთხვევაში, სროლა და ცხენის ჭენება მაინც არ მოგვენატრება, - თქვა მან, - ეგეც ერთგვარი ნუგეშია, - და ულმობელი სიამოვნება იგრძნო, როცა ქალს კვნესა აღმოხდა, ეტყობოდა, გულის სიღრმიდან დაძრული.

- ომი მალე დამთავრდება, - უთხრა ვაჟმა, - იქნებ წასვლაც ვერ მოვასწროთ. შენი ამბავი მაწუხებს, თორემ ჩემთვის სულერთია.

თან იმ ოხერ განქორწინების საქმესაც ასცდება. ზოგი ჭირიო, რომ იტყვიან, ახლაც ისე გამოვიდა! ბიჭმა ქალის მხურვალე ხელი იგრძნო თავის ხელში. ჯოლის ეგონა, ერთმანეთს დავაშორებ და სიყვარულში შევუშლი ხელსო! წელზე მოხვია ქალს ხელი,

ალერსიანად ჩაჰყურებდა თვალებში, გასამხნევებლად უღიმოდა, მალე დავბრუნდები და გნახავო, - ბარე ექვსი გოჯით უფრო მაღალი იყო და ამჯერად ისეთ უფლებამოსილებასაც გრძნობდა, რის გაფიქრებასაც კი ვერ გაბედავდა ადრე. კიდევ ბევრჯერ აკოცა, მანამ გამოეთხოვებოდა, ცხენს მოახტებოდა და ქალაქისკენ გაქუსლავდა. ასეა ხოლმე - პატარა რამიდან ასე ხელად იფურჩქნება მესაკუთრული ინსტინქტი.

თავი მეცხრე

სადილად ჯეიმსთან

წვეულებას უკვე აღარ მართავდნენ ლეინპარკზე, ჯეიმსთან. ყოველ ოჯახში დადგება ხოლმე ჟამი, როცა დიასახლისსა და ოჯახის უფროსს "ამისი თავი აღარა აქვთ"; აღარ შეუძლიათ ოცოც პირს ცხრა-ცხრა თავი კერძი მოართვან და ოც-ოც გაქათქათებულ ხელსახოცზე დაულაგონ; აღარც ოჯახის კატას უკვირს ხოლმე - ნეტავ ასე მოულოდნელად რას ჩამკეტესო.

ამიტომ, როცა ემილის (სამოცდაათი უკვე შესრულებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც უყვარდა პატარა ქეიფი და დარბაზობა) ცოტაოდენი ფუსფუსის ჟინმა წამოუარა, ორის ნაცვლად ექვსი კაცის სადილი დაუკვეთა, თვითონვე დაწერა ბარათებზე კარგა ბლომად უცხოური სიტყვა, ყვავილებიც დაალაგა - რივიერიდან ჩამოტანილი მიმოზა და თეთრი რომაული სუმბული (ოღონდ რომიდან ჩამოტანილა არა), თავს შეიყრიდნენ მხოლოდ ჯეიმსი და თვითონ (რაღა თქმა უნდა), სომსი, უინიფრიდი, ვალი და იმოჯინი, მაგრამ ემილის ცოტაოდენი გაზვიადება და წარსული დიდების გათამაშება უყვარდა, ამიტომ ისე გამოეწყო, რომ ჯეიმსმა უთხრა:

- ეს რა ჩაგიცვამს? არ გაცივდე.

მაგრამ ემილიმ იცოდა, რომ ქალის კისერს, ბარე ოთხმოც წლამდე, გაცივებისგან ბრწყინვალედ გამოჩენის სიყვარული იფარავს, ამიტომ პასუხად ეს უთხრა:

- შენ, ამას წინათ რომ გულისპირი გიყიდე, იმას გაგიკეთებ, ჯეიმს. მარტო შარვალი გექნება გამოსაცვლელი, ხავერდის პიჯაკს გადაიცვამ და მორჩა. ვალს უყვარს, შენ რომ კოხტად გნახავს.

- გულისპირი! - თქვა ჯეიმსმა, - შენ თუ ფული არ გადაყარე, ისე ხომ არ იქნება.

მაგრამ მაინც გადაიტანა ეს ოპერაცია, მანამ მისი კისერიც არ გაბრწყინდა, და თავისთვის ჩაილუღლუღა:

- ვაითუ, ეგ ბიჭი ქარაქუცა გამოვიდა!

თვალები უციმციმებდა, ღაწვებზედაც ჩვეულებრივზე მეტად მოსვლოდა ფერი; სასტუმრო ოთახში გავიდა და დაჯდა, ზარის ხმაზე იყო დაყურადებული.

- ნამდვილი წვეულება გამომივიდა, - კმაყოფილებით თქვა ემილიმ, - იმოჯინისთვისაც კარგი იქნება - უნდა შეეჩვიოს, ხალხში გამოდის.

ჯეიმსმა ახლაც გაურკვევლად ჩაიდუდღუნა რაღაც, იმოჯინი მოაგონდა, მუხლებზე რომ აუძვრებოდა და საშობაო ტკაცუნებს ექიჩმაჩებოდა პაპასთან ერთად.

- ლამაზი გოგო დადგება, - ჩაიდუდღუნა მან, - ამაში დარწმუნებული ვარ.

- უკვე ლამაზია, - უთხრა ემილიმ, - ნახე, რა ბედს შეეყაროს!

- მანდეთ უმიზნებ?! - ჩაიდუდღუნა ჯეიმსმა, - მაგას ის ურჩევნია, შინ დაჯდეს და დედას მოუაროს.

ახლა რომ კიდევ ერთი დარტი გამოჩნდეს და მისი ლამაზი შვილიშვილი წაიყვანოს, ხომ მოეღო კიდეც ბოლო ჯეიმსს! აქამდე ვერ ეპატიებინა ემილისთვის, რომ მონტეგიუ დარტიმ სასიდედროც ისე მოხიბლა მაშინ, როგორც თვით ჯეიმსი იყო მოხიბლული.

- უორმსონი სად არის? - იკითხა მან უცებ, - ერთი ჭიქა მადერა მესიამოვნება დღეს.

- შამპანური გვაქვს, ჯეიმს.

- ვერაფერი საქონელია! - თქვა მან, - გემოს ვერ ვატან.

ემილიმ ბუხრისკენ გაიწვდინა ხელი და ზარს ჩამოჰკრა.

- ბატონს ერთი ბოთლი მადერა გაუხსენით, უორმსონ.

- არა, არა! - შესძახა ჯეიმსმა და გაცხარებისგან ყურის ბიბილოები შეუტოკდა, თვალები კი ისეთ რაღაცას გაუშტერა, რასაც მარტო თვითონ ხედავდა და სხვა არავინ, - ყური დამიგდე, უორმსონ: შიდა სარდაფში შეხვალ და სულ ბოლო თვალში, შუა თაროზე, ხელმარცხნივ, შვიდ ბოთლს ნახავ. შუიდან აიღე. ეგღა დამრჩა მისტერ ჯოლიონის ნაჩუქარი, როცა აქ დავსახლდით. ამ ბოთლებისთვის ხელი არ გვიხლია. როგორიც იყო, ისეთივე იქნება. თუმცა რა ვიცი... ვერაფერს ვიტყვი.

- ახლავე მოგართმევთ, სერ, - უპასუხა უორმსონმა და გავიდა.

- ჩვენი ოქროს ქორწინებისთვის ვინახავდი, - თქვა უცებ ჯეიმსმა, - მაგრამ ამ ხნის კაცი კიდევ სამ წელიწადს ვეღარ გავაწევ.

- რა სისულელეა, ჯეიმს, - უთხრა ემილიმ, - აბა, რას ლაპარაკობ.

- მე თვითონ უნდა ამომეტანა, - ჩაიდუდღუნა ჯეიმსმა, - ისე დაანჯღრევს, როგორც გინახავს...

და მდუმარე მოგონებებში ჩაიძირა, როცა აბლაბუდებით გარემოცულს, ღვინით გაჟღენთილი საცობის სასიამოვნო სუნი ქეიფის მადას აღუძრავდა. თვით ამ სარდაფის ღვინოები ინახავდა ორმოც წელზე მეტი ხნის ისტორიას, რაც ლეინპარკზე დასახლდა ახალგაზრდა ცოლით; სხვადასხვა თაობის მეგობარნაცნობთა ისტორიას; ის ხალხი ახლა საიქიოსაა. ამ დაცარიელებულ თაროებს საოჯახო წვეულებათა მოგონებანი შემოუნახავთ - მისი ახლობლებისა და ნათესავების რამდენი ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება!.. აგერ, თვითონაც მოკვდება, და ეს ღვინო ისევ ისე დარჩება, და მერე რა მოუვა, კაცმა აღარ იცის. ან დალევენ, ან გაფუჭდება, რაღა გასაკვირია!

ამ ოცნებიდან ვაჟიშვილის შემოსვლამ გამოაფხიზლა, მას კი ფეხდაფეხ მოჰყვნენ უინიფრიდი და მისი ორი უფროსი შვილი.

წყვილ-წყვილად შევიდნენ სასადილო ოთახში, ხელგამოდებულები - ჯეიმსი და საზოგადოებაში ახალგამოსული იმოჯინი, ლამაზმა შვილიშვილმა ჯეიმსს მხნეობა შემატა; სომსი და უინიფრიდი; ემილი და ვალი, რომელსაც ხამანწკის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. მაშ, კარგად მოგვილხენია, შამპანურითა და პორტვეინით! გრძნობდა, რომ ეს მისწრება იყო დღევანდელი თავგადასავლის შემდეგ, რაც ჯერ კაციშვილმა არ იცოდა. ერთი-ორი ჭიქის შემდეგ სასიამოვნო გახდა იმის შეგრძნება, რომ ეს ყუმბარა აგერ ჰქონდა დამალული, ეს პატრიოტიზმის ბრწყინვალე გამოვლინება ან, უფრო სწორად, პირადი გამბედაობისა, რადგან ის, რაც მან დღეს თავისი დედოფლისა და ქვეყნისთვის

გააკეთა, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. დღეიდან იგი უკვე კაცია, ხალხში გამოსული, თოფ-იარაღთან და ცხენებთან განუყრელად დაკავშირებული. ახლა უკვე აქვს თავის მოსაწონებელი - არა, რა ბრძანებაა, ამას არც აპირებს. ცოტას რომ მიწყნარდებიან, მშვიდად გამოაცხადებს, ვითომც არაფერიო. მენიუს რომ დახედა, გადაწყვიტა BOMBE AUX FRAISES-ს((ფრანგ.) - ხენდროიანი ნაყინი) რომ შემოიტანენ, მაშინ იქნება სწორედ ზედგამოჭრილიო. ნაყინის ჭამის დროს ერთგვარი საზეიმო განწყობილება ჩამოვარდება. მანამ წვეულების ამ უმაღლეს სასიხარულო მწვერვალს მიაღწევდნენ, ერთი-ორჯერ გულისტკივილით გაახსენდა, რომ პაპას ყველაფერს უმალავდნენ ოჯახში! მაგრამ, აგერ მადერას შეექცევა და კარგ გუნებაზე ჩანს! თან, ეს ამბავიც გაახარებს, განქორწინების სირცხვილს ჩამორეცხს. ბიძამისიც რომ ზის აგერ პირდაპირ, თითქოს იმისი აქ ყოფნაც აქეზებს. თან, დედასაც აქა სჯობია უთხრას, რაღა ცალკე ელაპარაკოს, ორივეს მოეშხამება გუნება. ეცოდება დედა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველას ხომ ვერ გადაჰყვება, როცა თვითონ აგერ ჰოლის უნდა დაშორდეს.

პაპის ხმა ძლივს მისწვდა.

- ვალ, ცოტა მადერაც გასინჯე მაგ ნაყინთან. კოლეჯში ვერ მოგართმევენ ამისთანა რამეს.

ვალი ხედავდა, როგორ მძიმედ ივსებოდა ჭიქა, ძველი ღვინის მთელი ესენცია თავზე მოექცა, შეიყნოსა ღვინის სასიამოვნო სუნი და გაიფიქრა: "ახლა კი დროა!" მართლაც დიდებულად გამოვიდა. ცოტა მოსვა და უკვე გახურებულ ვენებში საამო სითბო ჩაეღვარა. სწრაფად გადახედა ყველას და თქვა:

- დღეს ცხენოსანთა მოხალისე რაზმში ჩავეწერე, დიდედა, - და ჭიქა გამოცალა, თითქოს თავისივე გმირული მოქმედების სადღეგრძელო შეესვას.

- რაო? - ეს დედის განწირული შეძახილი იყო.

- ჯოლი ფორსაიტი და მე ვიყავით იქ დღეს.

- ჯერ არ ჩაწერილხართ! - ეს ძია სომსი იყო.

- როგორ არა! ორშაბათს ბანაკში მივდივართ.

- ამას ვერ უყურებ! - შესძახა იმოჯინმა.

ყველამ ჯეიმსს გადახედა, რომელიც წინ გადმოხრილიყო და ხელი ყურზე მოეფარებინა.

- რაო? - იკითხა ჯეიმსმა, - რა თქვა? ვერ გავიგონე.

ემილი წინ გადაიწია და ვალს ხელი გადაუსვა.

- ვალი ცხენოსანთა რაზმში ჩაწერილა, ჯეიმს. ძალიან კარგი უქნია. ნახე, როგორ მოუხდეს მუნდირი.

- ჩაწერილა... რა სისულელეა! - შეჰყვირა ჯეიმსმა და ხმა აუკანკალდა, - თქვენ ცხვირწინ ვერაფერს ხედავთ. აიღებენ და... ფრონტზე უკრავენ თავს. რას ამბობ! მიხედვ-მოხედვას ვერ მოასწრებს, რომ ბრძოლაში იქნება ჩაბმული.

ვალმა შენიშნა, რა აღტაცებული თვალებით შეჰყურებდა იმოჯინი მას. დედა კი ხმას არ იღებდა, ღირსეული სიმშვიდე შეენარჩუნებინა და ტუჩებზე ცხვირსახოცი მიედო.

მოულოდნელად ბიძამ წამოიძახა:

- შენ რომ უწლოვანი ხარ!

- ეგეც გავითვალისწინე, - გაეღიმა ვალს, - ოცდაერთი წლისად ჩავაწერინე თავი.

დიდედის აღტაცებული სიტყვები ჩაესმა ვალს: "ყოჩაღ, ვალ, დიდი სიმამაცე გამოგიჩენია". შენიშნა, რა მოწიწებით შეუვსო შამპანურით ჭიქა უორმსონმა, და ბოლოს პაპის მკვნესარი ხმაც გაიგონა:

- არ ვიცი, რა კაცი დადგები, ასე თუ გააგრძელე!

იმოჯინი ბეჭებზე უთათუნებდა ხელს, ბიძა ცერად უყურებდა, მხოლოდ დედა იჯდა გაუნძრევლად, და მისი სიჩუმით შეწუხებულმა ვალმა თქვა:

- ყველაფერი კარგად იქნება. სულ მალე კუდით ქვას ვასროლინებთ. იმედი მაქვს, ჩემი წვლილიც შევიტანო.

ერთდროულად სიამაყესაც განიცდიდა, ნაღველსაც და ამ საქმის უსაზღვროდ დიდ მნიშვნელობასაც. ახლა აჩვენებს ძია სომსს და ყველა ფორსაიტს, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სპორტსმენი. ამაზე დიდი და შესანიშნავი გმირობა იქნება?! ოცდაერთი წლისად ჩააწერინა თავი.

ემილის სიტყვებმა კვლავ მიწას დაუბრუნა.

- მეორე ჭიქა აღარ გინდა, ჯეიმს. უორმსონ!

- თქვენ ის ნახეთ, ტიმოთისთან როგორ დააღებენ პირს! - წამოიძახა იმოჯინმა, - ნეტავ მაჩვენა, რა შესახედავები იქნებიან და აღარაფერს დავეძებ. ხმალიც გექნება, ვალ, თუ მარტო დამბაჩა?

- რამ მოგაგონა ეს?

ბიძის ხმამ თითქოს ცივად დაუარა სხეულში. რამ მოაგონა? რა უპასუხოს? დიდედის მადლობელი დარჩა, რომელმაც მშვიდად წარმოთქვა:

- მე ასე მგონია, ვალმა დიდი მამაცობა გამოიჩინა. დარწმუნებული ვარ, ბრწყინვალე ჯარისკაცი იქნება: ნამდვილი მხედრის ტანი აქვს. საამაყოდ გვეყოლება ყველას.

- ჯოლი ფორსაიტთან რაღა გესაქმებოდა? ერთად რატომ წახვედით? - უჩვეულოდ შეუბრალებელი ბიძა აღარ ეშვებოდა, - როგორც მახსოვს, დიდი მეგობრობა არ გქონიათ.

- არა, მაგრამ, თავს ხომ არ დავაჯაბნინებ! - ჩაიდუდუნა ვალმა.

შენიშნა, რომ ბიძამ სულ სხვანაირად შეხედა, თითქოს მოუწონაო, პაპაც თავს უქნევდა, დიდედამაც დააკანტურა თავი. ყველამ მოუწონა - კუზენს თავი ნამდვილად არ უნდა დააჯაბნინო! - ამას რამე მიზეზიც ექნება! ვალი ბუნდოვნად გრძნობდა მღელვარების ამ წერტილს - სადღაც განზე, მისი მხედველობის მიღმა; ეს იყო ერთგვარი ციკლონის კერა, ოღონდ სად - გამოუცნობი რჩებოდა. და ბიძას რომ მიაჩერდა სახეში, საოცარი სიმკვეთრით წარმოუდგა შავთვალა ქალი, მისი ოქროსფერი თმა, ქათქათა კისერი, საამური სურნელი, რასაც ეს ქალი აფრქვევდა, ლამაზი აბრეშუმის კაბა... ამ კაბისთვის ხელის წავლება უყვარდა ვალს, როცა სულ პატარა იყო. ღმერთო! რა თქმა უნდა! ბიცოლა აირენი! როგორ აკოცებდა ხოლმე ბავშვს. ერთხელ კი ვალმა მკლავზე უკბინა, ისე, თამაშობით, იმიტომ რომ მოეწონა - ისეთი რბილი იყო!..

პაპა ლაპარაკობდა:

- მამამისი რას აკეთებს?

- პარიზშია, - მიუგო ვალმა და ბიძის უცნაურ გამომეტყველებას დააკვირდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს... თითქოს ძაღლია და სადაცაა შეიღრენსო.

- მხატვრები! - წარმოთქვა ჯეიმსმა.

ამ სიტყვით, რომელიც გულის სიღრმიდან იყო დაძრული, სადილი დამთავრდა.

როცა შინ ბრუნდებოდნენ, ვალი დედის პირდაპირ იჯდა ეტლში. იგი ტკბებოდა თავისი გმირობის ნაყოფით, რასაც, თითქოს, გადამწიფებული ზღმარტლის გემო დაჰკრავდა.

დედამ, მართალია, მხოლოდ ეს უთხრა - ახლავე თერძთან უნდა მიხვიდე და ხეირიანი მუნდირი შეაკერინო, რასაც იქ მოგცემენ, იმას ხომ არ ჩაიცვამო, მაგრამ ვალი გრძნობდა, რომ მისი გული დიდ მღელვარებას მოეცვა. დედის დასამშვიდებლად, კინაღამ წამოსცდა, იმ საზიზღარი განქორწინების პროცესს მაინც გავეცლებიო, მაგრამ მალე შეიკავა თავი - ჯერ ერთი, იმოჯინის იქ ყოფნის გამო, და, მეორეც, დედა ხომ მაინც ვერ გაეცლებოდა იმ პროცესს. ცოტათი ის აწუხებდა, რომ დედა ამაზე უფრო მეტ სიამაყეს არ განიცდიდა შვილის მოქმედებით. იმოჯინი რომ გავიდა დასაძინებლად, ვალმა გაბედა და გასაქანი მისცა გრძნობებს.

- ძალიან ვწუხვარ, რომ შენ გტოვებ, დედა.

- რას იზამ, როგორმე მოვითმენ. უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მალე მიიღო ოფიცრის წოდება. უკეთესი პირობები მაინც გექნება. სამხედრო წვრთნა სულ არ გაგივლია, ვალ?

- არა.

- ღმერთით, იქნებ ძალიან არ გაგაწვალონ. ხვალ წავიდეთ და ყველაფერი ვიყიდოთ. ღამე მშვიდობისა. მაკოცე.

ვალი ჩაბჟუტულ ბუხარს მიუჯდა. შუბლზე კვლავ დედის ნაზსა და მხურვალე კოცნას გრძნობდა, ყურში ისევ ის სიტყვები ჩაესმოდა - "ღმერთით, იქნებ ძალიან არ გაგაწვალონ". აღგზნება უკვე დაუცხრა - თავის გამოჩენის გზნებამ გაიარა. მოჟამული იყო, გული ეწურებოდა. "დაიცადოს, გავუსწორდები იმ ვაჟბატონ ჯოლის!" გაიფიქრა მან და კიბეს აუყვა, ლასლასით ჩაუარა ოთახს, რომელშიც დედამისი ბალიშსა კბენდა, რათა განწირულებისგან ყელში მომდგარი ნაღველი შეეკავებინა და არ ექვითინა.

და მალე ჯეიმსის წვეულების მონაწილეთაგან მხოლოდ ერთს არ ეძინა - ეს იყო სომსი, თავის ოთახში, მამის საწოლი ოთახის თავზე.

მაშ, პარიზში ბრძანდება ის ვაჟბატონი - ჯოლიონი! რა უნდა პარიზში? აირენს უტრიალებს?! პოლტიდის ბოლო ცნობაში გადაკვრით იყო ნათქვამი, მალე რაღაცას უნდა ველოდოთო. ნუთუ ამას გულისხმობს?! ეს წვერმოშვებული ვაჟბატონი, სულ რომ ხუმრობს რაღაცნაირად. ჯერ იყო და მაგისმა მამამ "მესაკუთრე" შეარქვა, მერე ის საბედისწერო სახლი იყიდა ბერიკაცმა. სომსს სამუდამოდ დარჩა გულში ხინჯად, რომ რობინჰილის სახლი გაყიდა. ვერასდიდებით ვერ ეპატიებინა ბიძისთვის, რომ სწორედ მან იყიდა ის სახლი, და ვერც ბიძაშვილისთვის, რომელიც ახლა იმ სახლში ცხოვრობდა.

სიცივეს აღარ შეეპუა, ფანჯარა გამოაღო და ბაღს გადახედა. ცივი და ბნელი იანვრის ღამე. მოძრაობა ქუჩაში თითქმის მიწ-

ყდა. ყინავს. გაშიშვლებული ხეები. ცაზე ვარსკვლავები - ერთი, ორი. "ხვალვე ვნახავ პოლტიდს, - გაიფიქრა მან, - ღმერთო! მგონი გავგიჟდი, კიდევ მიყვარს ის ქალი. ეს ვაჟბატონი! ეგ თუ... არა!"

თავი მეათე

ბალთაზარის სიკვდილი

ჯოლიონი ღამით გავიდა კალედან, სრუტე გადაჭრა და კვირა დილით უკვე რობინჰილში იყო. წინასწარ არაფერი შეუთვლია შინ, ამიტომ სადგურიდან ფეხით გაუყვა გზას, ჭალა გაიარა და თავის მამულში შევიდა. ჯირკიდან გამოჩორკნილ სკამს რომ მიადგა, პალტო გადააფინა და ჩამოჯდა. "წელკავი! - გაიფიქრა მან, - აი სიყვარულის ბოლო ჩემი ხნის კაცისთვის". და უცებ აირენი მოეჩვენა, იქვე, სულ ახლოს, როგორც იმ დღეს ფონტენებლოში, სეირნობის შემდეგ სასაუზმოდ ასეთივე ჯირკზე რომ ჩამოსხდნენ. რა განუშორებლად ახლოა! სუნი ჩამოცვენილი ფოთლებისა, რომელთაც მზის მკრთალი შუქი ატანდა, ნესტოებში გაუჯდა. "კიდევ კარგი, გაზაფხული არ არის", გაიფიქრა მან. მაშინ ხომ სულ აუტანელი იქნებოდა ლოპოს სურნელი, ჩიტების ჟღურტული, კვირტების სკდომა!.. "მანამდე კი ალბათ მოვინელებ. ოი, შე გამოთაყვანებულო ჩემო თავო!" პალტო აიღო და მინდორში გავიდა. ტბას შემოუარა, და გორაკს მძიმედ აუყვა. თითქმის აივაკა კიდეც, როცა ჩახრინწული ყეფა შემოეგება. ზემოთ, მდელოზე, გვიმრალს გადაღმა, თავის ბებერ ძაღლს - ბალთაზარს მოჰკრა თვალი. ძაღლის გამოღამებულმა თვალებმა პატრონი უცნობად

მიიღო და გადაწყვიტა, ხალხი გაეფრთხილებინა. ჯოლიონმა დაუსტვინა. იმ სიშორიდანაც კი, ასზე მეტი იარდის მანძილიდან, მან დაინახა, როგორ ათრთოლდა ნაცნობი ხმის გაგონებაზე მოწაბლისფრო-მოთეთრო მძიმე სხეული. ბებერი ძაღლი წამოდგა და ზემოთ აპრეხილი, დახვეული კუდი სუსტად შეუთამაშდა. ცოტაზე წაიფორხილა, შეხტა და გვიმრაში გაუჩინარდა. ჯოლიონმა იფიქრა, ალბათ პატარა ჭიშკართან შემეგებებაო, მაგრამ ბალზათარი არსად ჩანდა. ცოტა არ იყოს, შეშინდა და გვიმრალისკენ შეუხვია. ბებერი ძაღლი გვერდზე დაწოლილიყო და გაყინული თვალები სივრცისთვის მიეშტერებინა.

- რა მოგივიდა, ჩემო საბრალო ბებრუხანა? - შესძახა ჯოლიონმა. ბალთაზარის დაგრეხილი, ბანჯგვლიანი კუდი ოდნავ შეირხა, მისი ბისტგადაკრული თვალები თითქოს ამბობდნენ: "ვეღარ წამოვდგები, ჩემო პატრონო, მაგრამ შენი დანახვა ძალიან მეამა".

ჯოლიონი მუხლებზე დაეშვა. ცრემლებისგან დაბინდული თვალებით ძლივს არჩევდა ძაღლის ფერდის თანდათანობით შენელებულ ფეთქვას. ცოტაზე წამოუწია თავი - ძალიან დამძიმებული თავი.

- რა მოგივიდა, ძვირფასო მეგობარო? რა იტკინე?

კუდი კიდევ შეირხა, თვალებმა სავსებით დაკარგეს სიცოცხლის ნიშანწყალი. ჯოლიონმა ხელი გადაუსვა ამ უმოძრაო, თბილ სხეულს. ნატკენი არსად აღმოაჩნდა - პატრონის დაბრუნების სიხარულს ვეღარ გაუძლო ამოდენა სხეულში მფეთქავმა გულმა. ჯოლიონი გრძნობდა, როგორ უცივდებოდა ცხოველს თეთრი, მეჩხერი ბალნით დაფარული დრუნჩი. რამდენიმე წუთს

ასე დაჩოქილი იყო ჯოლიონი, ხელში კვლავ ეჭირა ცხოველის თავი, რომელიც თანდათანობით ფიჩხდებოდა. სხეული საშინლად დამძიმებულიყო, როცა ხელში აიღო და ზემოთ წაიღო შუა მინდვრისკენ. მინდორზე ფოთლები დააყარა. ქარი არ ქროდა და საღამომდე შეიძლებოდა დატოვება, ვერავინ დაინახავდა. "მე თვითონ დავმარხავ", - გაიფიქრა მან. თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან ეს პატარა ლეკვი ჯიბით მოიყვანა სახლში, მაშინ ისინი სენტ ჯონსვუდზე ცხოვრობდნენ. საოცარი კია - რაღა სწორედ ახლა მოკვდა ეს ბებერი ძაღლი. ცუდის მომასწავებელი ხომ არ არის? ჭიშკართან ერთხელ კიდევ მობრუნდა და გაყავისფერებულ ბექობს გახედა, მერე კი მძიმედ გასწია სახლისკენ, გული ყელში ებჯინებოდა.

ჯუნი შინ დახვდა. ჯოლის მოხალისეთა რაზმში ჩაწერა რომ გაეგო, ხელად მოვარდნილიყო. ძმის პატრიოტიზმს გაემარჯვა ბურებისადმი ჯუნის თანაგრძნობაზე. ატმოსფერო უცნაური და შეხუთული დახვდა ჯოლიონს, როცა იგი სახლში შევიდა და ბალთაზარის სიკვდილის ამბავს მოჰყვა. ამ ცნობამ ყველა გააერთიანა. გაწყდა კიდევ ერთი ძაფი, რაც მათ წარსულთან აკავშირებდა - ეს იყო ბალთაზარი! ორ მათგანს საკუთარი თავიც არ ახსოვდა უამძაღლოდ; ჯუნს - პაპის უკანასკნელ წლებს აგონებდა იგი; ჯოლიონს - ოჯახური დაძაბულობისა და შემოქმედებითი ბრძოლის წლებს, მანამ იგი მამის სიყვარულსა და სიმდიდრეს დაიბრუნებდა! და აჰა, ეს ძაფიც გაწყდა!

საღამო ხანს ჯოლიონმა და ჯოლიმ წერაქვები და ბარები აიღეს და მინდორში გავიდნენ. ყავისფერ ბექობზევე შეარჩიეს ადგილი, ისე, რომ შორს წასვლა აღარ დასჭირვებიათ. ბუსნო

ფრთხილად მოაცილეს და მიწის თხრას შეუდგნენ. ისე იმუშავეს ათი წუთი, ხმა არ გაუღიათ, მერე შეისვენეს.

- მაშ, წასვლა გადაწყვიტე, ყმაწვილო? - ჰკითხა ჯოლიონმა.

- ჰო, - მიუგო ჯოლიმ, - მაგრამ, რა თქმა უნდა, სულაც არ მეხალისება.

რა საოცრად გამოხატავდა ეს სიტყვები თვით ჯოლიონის განწყობილებასაც.

- აღტაცებული ვარ შენი გადაწყვეტილებით, ჩემო ბიჭუნა. არა მგონია, შენი ხნისას, ასეთი რამე გამებედოს - ჩემი ფორსაიტობა შემიშლიდა ხელს. მაგრამ, რამდენი ახალი თაობაც მოდის, ეტყობა, ეს ტიპი სულ უფრო და უფრო იხვეწება. ვინ იცის - შენი ბიჭი, თუკი ბიჭი გეყოლა, იქნებ ნამდვილი ალტრუისტი გამოვიდეს.

- მაშინ მე არ მემგვანება, მამა, - მე საშინელი ეგოისტი ვარ.

- არა, ჩემო კარგო. შენ ნამდვილად არ ხარ ეგოისტი, - ჯოლიმ თავი გააქნია, და მიწის თხრა განაგრძეს.

- უცნაური არსებაა ძაღლი, - თქვა უცებ ჯოლიონმა, - ერთადერთი ოთხფეხა, რომელსაც ალტრუიზმის(ალტრუიზმი (ფრანგ.) - უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის, მზადყოფნა, სხვას შესწიროს თავისი ინტერესები.) ჩანასახი და ღმერთის შეგრძნება აქვს!

ჯოლიმ მამას შეხედა.

- გწამს ღმერთი, მამა? ეგ არ ვიცოდი.

ისეთი ინტერესით ჰკითხა ეს შვილმა, რომ ჯოლიონს არ შეეძლო ზერელე პასუხი გაეცა, ერთხანს უხმოდ იდგა, დახრილი მუშაობით ზურგი დაღლოდა.

- ღმერთს რომ ამბობ, რას გულისხმობ? - ჰკითხა მან, - ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი აზრი არსებობს ღმერთზე. ერთია შემოქმედის პირველსაწყისის შეუცნობლობა - ზოგს ესა სწამს. და არის კიდევ ადამიანის არსებაში თავმოყრილი ალტრუიზმი - ბუნებრივია, რომ ბევრს ესა სწამს.

- გასაგებია. მაგრამ ქრისტეს თითქოს აღარაფერი რჩება!

ჯოლიონს თვალები გაუფართოვდა. ქრისტე ამ ორი აზრის შემაკავშირებელი რგოლია!.. აჰა, როგორც იქნა, მართლმადიდებლური რწმენის მეცნიერული დასაბუთებაც. ქრისტეს ცხოვრების დიადი პოემა - ეს იყო ადამიანის ცდა, ღმერთზე არსებული ორი შეუთავსებელი აზრი შეეკავშირებინა. და რაკი მთელი ადამიანური ალტრუიზმი ისეთივე შემადგენელი ნაწილია შეუცნობელი პირველსაწყისისა, როგორიც ყველაფერი, რასაც კი ბუნებასა და სამყაროში ვხვდებით, ეს შემაკავშირებელი რგოლი მართლაც რომ კარგად გამოიძებნა! უცნაური კია - რამდენ ხანს უნდა იცოცხლო ადამიანმა და ერთხელაც არ მოგივიდეს ასეთი აზრი!

- შენ როგორღა გგონია? - ჰკითხა მან შვილს.

ჯოლიმ კოპები შეკრა.

- კოლეჯში, პირველ წელიწადს, ბევრს ვლაპარაკობდით ამისთანა რამეებზე. მეორე წელიწადს კი უკვე გბეზრდება და თავს ანებებ. არ ვიცი, რატომ, ბოლოს და ბოლოს, ძალიან საინტერესოა.

ჯოლიონს გაახსენდა, რომ პირველ წელიწადს, კემბრიჯში, თვითონაც ბევრს ლაპარაკობდა ამხანაგებთან ამ საგანზე, მეორე წელიწადს კი მათაც თავი გაანებეს.

- როგორც ვატყობ, შენ ფიქრობ, რომ ჩვენს ბებერ ბალთაზარს სწორედ იმ მეორე ღმერთის შეგრძნება ჰქონდა, არა? - ჰკითხა ჯოლიმ.

- ჰო. ასე რომ არ იყოს, საწყალი ბებერი გული არ გაუსკდებოდა ისეთი რაიმეთი, რაც მისი არსებობის გარეთ არის.

- იქნებ ეგეც ეგოისტური განცდის შედეგი იყოს!

ჯოლიონმა თავი გააქნია.

- არა. ძაღლები ხომ ნამდვილი ფორსაიტები არ არიან, სხვა რამეც შეუძლიათ უყვარდეთ, ისეთი რამე, რაც მათ გარეთ არსებობს.

ჯოლის გაეღიმა.

- მაშ, მე ნამდვილი ფორსაიტი ვყოფილვარ, - თქვა მან, - მხოლოდ იმიტომ ჩავეწერე მოხალისედ, რომ ვალ დარტი გამომეწვია.

- ეს რაშიღა დაგჭირდა?

- ვერ ვიტანთ ერთმანეთს, - მოკლედ უპასუხა ჯოლიმ.

- აჰ! - ჩაილაპარაკა ჯოლიონმა. მაშ, მტრობა გრძელდება, მესამე თაობაზე გადასულა - მაგრამ ეს ახლებური მტრობაა, აშკარა გამოხატულება არა აქვს!

"ჯოლისაც გავაგებინო?" - გაიფიქრა მან. მაგრამ რა აზრი ექნება, თუკი თავისი როლი ამ მტრობაში მაინც უნდა დაფაროს!

ჯოლი კი ასე ფიქრობდა: "თვითონ ჰოლიმ უთხრას იმ ვაჟბატონზე. თუ არ უთხრა, ესე იგი არ ნდომებია თქმა, და რაღა მე დავაბეზღო. ეს ხომ მაინც ვქენი, რომ შევაჩერე. ჯობს არც ჩავერიო".

ისევ უხმოდ განაგრძეს მიწის თხრა. მერე ჯოლიონმა თქვა:

- მე მგონი, ეყოფა ეს სიღრმე.

ბარებს დაეყრდნენ და საფლავს ჩახედეს, სადაც საღამოს ნიავს უკვე მოესწრო და ფოთლები ჩაეყარა.

- ახლა კი მე აღარ შემიძლია, - თქვა უცებ ჯოლიონმა.

- მე დავმარხავ, მამა. მე დიდად არასოდეს ვყვარებივარ.

ჯოლიონმა თავი გააქნია.

- ფრთხილად ავიყვანოთ, ფოთლებიანად. შეხედვას ვერიდები. მე თავს ავუწევ. აბა!

დიდი სიფრთხილით ასწიეს მკვდარი ძაღლი, ქარის დაქროლებაზე ფოთლებს შორის, აქა-იქ მოჩანდა მოყავისფრო-მოთეთრო ბეწვები. ფრთხილადვე ჩაასვენეს სამარეში - მძიმე, ცივი, უგრძნობელი სხეული. ჯოლიმ ფოთლები დააყარა, ჯოლიონმა კი იმის შიშით, შვილთან უნებურად ჩემი გულჩვილობა არ გამოვამჟღავნოო, სწრაფად დაიწყო მიწის მიყრა. აჰა, წარსული მიდის! ნეტავ რამე სიხარულს მაინც ელოდე მომავალში! თითქოს საკუთარ სიცოცხლეს აყრიდე მიწას. მწვანე ბელტები გულმოდგინედ გადააფარეს ფხვიერ მიწას, და იმით მადლიერნი, რომ ერთმანეთის გრძნობები დაზოგეს, ხელიხელგაყრილები დაბრუნდნენ სახლში.

თავი მეთერთმეტე

ტიმოთი გაფრთხილებას იძლევა

მოხალისედ ჩაწერის ამბავი სწრაფად მოედო ფორსაიტების ბირჟას, ასევე ხელად გავრცელდა ჯუნის გადაწყვეტილებაც - ჯუნს ხომ სხვებისთვის უნდა გადაეჭარბებინა: მოწყალების დად აპირებდა წასვლას. ეს იმდენად უჩვეულო და ძირისგამომთხრელი მოქმედება იყო წმინდა ფორსაიტობისთვის, რომ მთელი გვარი ერთბაშად შეკრა და გააერთიანა. მომდევნო კვირადღეს მოაწყდა და მოაწყდა ნათესაობა ტიმოთის - ერთმანეთს ჰკითხავდნენ, როგორა გგონია, ეს რას უნდა ნიშნავდესო, აზრებს უზიარებდნენ ერთურთს გვარის ღირსების შესახებ. ჯაილს და ჯესს ჰეიმენები სანაპიროს აღარ დაიცავენ მეტად, სულ მალე სამხრეთ აფრიკაში უკრავენ თავს. აპრილში ჯოლი და ვალიც მათ მიჰყვებიან. ჯუნი კიდევ... თუმცა ჯუნისას ვინ რას გაიგებს!

სპიონ კოპიდან უკან დახევა და ფრონტიდან სასურველი ამბების გაქრობა ყველაფერ ამას რეალურ იერს აძლევდა, ტიმოთიმ კი საბოლოოდ, ისეთნაირად დაადასტურა ეს, თმა ყალყზე დაუდგებოდა ადამიანს. უფროსი თაობის ფორსაიტთა შორის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი (ჯერ ოთხმოციც არ შესრულდებოდა, ყველანი თავიანთ მამას, "ამაყ დოსეტს" მიამსგავ-

სებდნენ, მადერას სიყვარულშიც კი, რაც მამის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდათ) აგერ რამდენი წელიწადია კაცს აღარ დაულანდავს, ლამის ლეგენდად იქცა. მთელი თაობა წავიდა მას შემდეგ, რაც მას რისკმა არ გაუმართლა საგამომცემლო საქმეში და დაანება კიდეც თავი, მაშინ ორმოცი წლისა იყო. ოცდათხუთმეტი ათასი გირვანქაღა დარჩა და ახლა უფრო ფრთხილად იწყო ფულის დაბანდება პროცენტებზე. ორმოცი წლის განმავლობაში ისე გააორმაგა თავისი კაპიტალი, რომ შიშის კანკალი ერთხელაც არ განუცდია. ახლა წლიურად ორ-ორ ათასსა სდებდა გვერდზე, თავს ძალიან უფრთხილდებოდა და იმედი ჰქონდა, - როგორც მამიდა ესთერი იტყოდა ხოლმე, - იმდენი ეცოცხლა, რომ ერთხელ კიდევ გაეორმაგებინა თავისი კაპიტალი. რას უზამდა მერე ამ ფულს, როცა დები დაიხოცებოდნენ, თვითონაც მოკვდებოდა, ამაზე ხშირად ქირქილებდნენ ხოლმე თავისუფლად მოაზროვნე ფორსაიტები - ფრენსი, მაგალითად, ეუფემია, ახალგაზრდა ნიკოლასის მეორე ვაჟი, ქრისტოფერი, რომელიც ისე თავისუფლად აზროვნებდა, რომ გადაჭრით განაცხადა, სცენაზე უნდა გამოვიდეო. თუმცა საბოლოოდ ყველამ აღიარა, ეს თვით ტიმოთიზე უკეთ ვის ეცოდინებაო; შესაძლებელია, სომსმაც იცოდა, რომელიც საიდუმლოს არასდიდებით არ გაამხელდა.

სულ რამდენიმე ფორსაიტს ენახა იგი, და ამბობდნენ, მსხვილი და ჩასკვნილი კაციაო, არაცთუ ძალიან მაღალი, წითური, ჭაღარა, დიდად არ გამოირჩეოდა სახის ნაკვთების დახვეწილობით, რაც ფორსაიტთა უმრავლესობას "ამაყი დოსეტის" ლამაზი და ნაზი ცოლისა გამოჰყოლოდათ. ცნობილი გახდა, რომ ომით იგი

ძალიან დაინტერესდა, დაწყების დღიდანვე პაწაწინა დროშებს არჭობდა რუკას, და ახლა ეშინოდათ - ინგლისელები თუ ზღვაში გადაყარეს, მაშინ ხომ ზუსტად ვერ ჩაარჭობს და რა ეშველებაო. რაც შეეხება ოჯახური საქმეების ცოდნას და ამ საქმეებისადმი ტიმოთის დამოკიდებულებას, ეს არავინ იცოდა, გარდა იმისა, რომ მამიდა ესთერი მუდამ გაიძახოდა, ძალიან გულნატკენიაო. ამიტომ ფორსაიტებს ავის მომასწავებლად ეჩვენათ, როცა სპიონ კოპის დატოვების შემდეგ, კვირადღეს, მათ ტიმოთისთან იწყეს დენა და იქ, სასტუმრო ოთახში, ერთადერთ ნამდვილად მოხერხებულ სავარძელზე დაინახეს სინათლისკენ ზურგშექცევით მჯდარი კაცი, რომელსაც ტუჩები თავისი დიდი ხელით დაეფარა; მამიდა ესთერი ყველას მოწიწებით ხვდებოდა:

- ბიძათქვენი ტიმოთი, გენაცვალე.

ტიმოთი ერთი და იმავე სიტყვებით ეგებებოდა ყველას, ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, სხვათა შორის ისროდა ამ სიტყვებს:

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! ბოდიში, ვერ ვდგები.

ფრენსიც აქ იყო, იუსტასი საკუთარი ავტომობილით მოვიდა. უინიფრიდმა იმოჯინი მოიყვანა, და განქორწინების ყინული ვალის მოხალისედ ჩაწერის მოწონებამ გაალღო. მერიენ ტუიტიმენმა ახალი ამბები მოიტანა ჯაილსა და ჯესზე. ამათთან ერთად თუ წარმოვიდგენთ აგრეთვე მამიდა ჯულისა და ესთერს, ახალგაზრდა ნიკოლასს, ეუფემიას და, წარმოგიდგენიათ!.. ჯორჯს, რომელიც იუსტასს მოჰყვა ავტომობილით, ადვილი გასაგები გახდება, რომ ეს კრებული, თავისი შემადგენლობით, გვარის ძველი ბედნიერი დღეების ღირსი იყო. პატარა სასტუმრო ოთახში

ერთი სკამიც კი აღარ დარჩენილა თავისუფალი, და ცოტა შიშიც იგრძნობოდა - კიდევ არავინ მოგვემატოსო.

როცა ტიმოთის იქ ყოფნით გამოწვეული დაძაბულობა ცოტათი შენელდა, ომზე გააბეს ლაპარაკი. ჯორჯმა მამიდა ჯულის ჰკითხა, წითელ ჯვარს როდის უნდა გაჰყვე ფრონტზეო. ამ შეკითხვამ ცოტათი გაამხიარულა ქალი; მერე ნიკოლასს მიუბრუნდა და ახლა იმას ჰკითხა:

- ახალგაზრდა ნიკოლასზე ამბობენ, მამაცი მეომარიაო. მართალია? მეომრის ფორმა როდის უნდა ჩაიცვას?

ახალგაზრდა ნიკოლასმა მოკრძალებული საყვედურით გაიღიმა და შენიშნა, დედაჩემი, რა თქმა უნდა, ძალიან შეწუხებულიაო.

- როგორც გავიგე, ორივე დრომიო მიდის უკვე, - თქვა ჯორჯმა და მერიენ ტუიტიმენს მიუბრუნდა, - მალე ყველანი იქითკენ გავწევთ. EN AVANT!((ფრანგ.) - წინ) ფორსაიტებო! მიდით! მისცხეთ! გააგორეთ! ჰაუპტვახტში ვინ არის?

მამიდა ჯულიმ წაიკიკინა, რა სასაცილოა ჯორჯი! ესთერი ტიმოთის რუკას ვერ გამოიტანს? მაშინ უფრო მკაფიოდ აგვიხსნის ტიმოთი; ვინ სად დგას.

ტიმოთის ჩადუდღუნება თანხმობად მიიღეს და ესთერი ოთახიდან გავიდა.

ჯორჯმა განაგრძო - ფორსაიტების შეტევას განასახიერებდა; ტიმოთის, როგორც ფელდმარშალს, ისე მიმართავდა; იმოჯინი, რომელსაც დანახვისთანავე "ლამაზი ფაშატი" შეარქვა, - VIVANDIERE((ფრანგ.) - მარკიტანტი.) იყო. გადაბრუნებული ცილინდრი მუხლებში მოიქცია და წარმოსახვითი დოლის ჩხირები

დაუშინა. ამან შერეული განწყობილება შექმნა. სიცილით ყველამ გაიცინა - ჯორჯისთვის ყველაფერი ნებადართული იყო; მაგრამ თან ოჯახის დაცინვა გამოდიოდა, და ახლა ეს უხერხულად ეჩვენათ, როცა სწორედ ამ ოჯახიდან მთელი ხუთი კაცი დედოფლის სამსახურში მიდიოდა. ჯორჯისგან უარესიც იყო მოსალოდნელი. ამიტომ შვებით ამოისუნთქეს, როცა იგი წამოდგა, მამიდა ჯულის ხელი გაუწოდა, ტიმოთისთან მივიდა, გამოეჭიმა და მხედრული სალამი მისცა, მამიდას სასაცილოდ აკოცა და თქვა:

- ო, რა დიდებული იყო, ძვირფასო მამიკო! წავსულვართ, იუსტას! - და გავიდა, დაბღვერილი და ცხვირაბზუებული იუსტასის თანხლებით, რომელსაც ერთხელაც არ გაუღიმია.

სიჩუმე გაოგნებული მამიდა ჯულის სიტყვებმა დაარღვია:

- საოცარია, რუკასაც აღარ დაუცადა! მაგისგან არ უნდა გეწყინოს, ტიმოთი! სასაცილო კაცია.

ტიმოთიმ ტუჩებზე აფარებული ხელი ჩამოიღო.

- აღარ ვიცი, რა მოგველის, - გაიგონეს მისი სიტყვები, - ყველას იქ წასვლის ამბავი აკერია პირზე. მაგითი ვერ მოვერევით ბურებს.

მარტო ფრენსის ეყო გამბედაობა, რომ ეკითხა:

- მაშ, რითი უნდა მოვერიოთ, ძია ტიმოთი?

- ეგ თქვენი ახალშეთითხნილი მოხალისეობა და ბედოვლათობა, ფულის გადაყრაა და მეტი არაფერი.

ამ დროს მამიდა ესთერმა რუკა შემოიტანა, ისე ფრთხილად, გეგონებოდათ ტანზე გამონაყარი ბავშვი შემოჰყავსო. ეუფემია დაეხმარა და რუკა როიალზე გაშალეს, პატარა "კოლვუდზე", რომელიც უკანასკნელად ალბათ ამ ცამეტი წლის წინ დაეკრათ, მა-

მიდა ენის გარდაცვალების წინა ზაფხულს. ტიმოთი წამოდგა, როიალთან მივიდა და რუკას ჩააცქერდა. დანარჩენები გარს შემოეხვივნენ.

- აჰა, - თქვა მან, - ჩვენების პოზიცია ამჟამად, და კარგა სავალალო პოზიციაც.

- ჰო, მაგრამ, - ძალიან გაბედულად გამოელაპარაკა ფრენსი, - ხალხი თუ არ მიაშველე, ისე როგორ გინდა გამოასწორო, ძია ტიმოთი.

- ხალხი! - შესძახა ტიმოთიმ, - რაში გჭირდება იმისთანა ხალხი, ფულს რომ არ გიყენებს შენს ქვეყანაში და მიაქვს. ნაპოლეონია საჭირო - ერთ თვეში მორჩებოდა ყველაფერს.

- თუკი არა გყავს, ძია ტიმოთი?

- ეგ იმათი საქმეა, - მიუგო ტიმოთიმ, - რა ოხრობად გვიდგას ჯარი? იმიტომ, რომ მშვიდობიანობის დროს ამთქნარონ?! სირცხვილით უნდა იწვოდნენ, რომ მოდიან და ქვეყანას შველასა სთხოვენ! ყველამ თავისი მოვალეობა შეასრულოს და ყველაფერი კარგად იქნება.

მერე მიიხედ-მოიხედა და გაგულისებით დასძინა:

- მოხალისეები! როგორ არა! ეგეც ფულის გადაყრაა. მომჭირნეობა გვმართებს, ენერგიის დაზოგვა - ხსნის გზა ეგღაა.

მერე კარგა გრძელი ფრუტუნი თუ ფშვინვა ამოუშვა, ეუფემიას ფეხის წვერზე დაადგა ფეხი და გავიდა, ოთახში საოცარი გაკვირვება და ქერის შაქრის სუსტი სურნელი დატოვა.

როცა კაცი რამეს მტკიცედ ამბობს, თანაც ისეთი კაცი, ვისთვისაც, აშკარად ეტყობა, ეს სიტყვები მსხვერპლის გაღებასავით არის, ამას განსაკუთრებული ფასი და მნიშვნელობა ენიჭება.

რუკის გარშემო თავმოყრილ რვა ფორსაიტს, რომელთაგან მხოლოდ ერთი ერია კაცი - ახალგაზრდა ნიკოლასი - დანარჩენი კი სულ ქალები იყვნენ, ერთხანს ხმა არ გაუღიათ, ბოლოს ფრენსიმ თქვა:

- მართალი კია, ხომ იცით. მართლაც რისი მაქნისია არმია? წინდაწინვე უნდა ხედავდნენ ყველაფერს. ეს უფრო წააქეზებს კიდეც.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მამიდა ჯულიმ, - რას ამბობ, როგორი პროგრესული ხალხია! ჯერ ის რად ღირს, წითელი მუნდირები რომ დათმეს! მერე როგორ მოჰქონდათ თავი იმ მუნდირებით. ახლა რა, კატორღელებს დაემსგავსა ყველა. გუშინ ვლაპარაკობდით სწორედ მე და ესთერი, ალბათ ძალიან განიცდიან. ნეტავ, რკინის ჰერცოგს ენახა, რას იტყოდა!

- ახალი ფერიც კარგად უხდებათ, - თქვა უინიფრიდმა, - ვალი ისე დამშვენდა!

მამიდა ჯულიმ ამოიოხრა.

- ნეტავ, ჯოლიონის ბიჭი როგორი სანახავია. წარმოგიდგენიათ, ერთხელაც არ შეგვივლია თვალი. ალბათ, როგორ ეამაყება მამამისს.

- მამამისი პარიზშია, - თქვა უინიფრიდმა.

უცებ მამიდა ესთერს ცალი მხარი ზემოთ აეზიდა, თითქოსდა უნდა გააფრთხილოსო, რადგან ჯულის დამჭკნარი ღაწვები ერთბაშად წამოენთო.

- გუშინ მისის მაკენდერი იყო ჩვენთან, ვენაცვალე, ახლახან დაბრუნებულა პარიზიდან. აბა თუ გამოიცნობთ, ვის შეხვედრია ქუჩაში? ვერასდიდებით ვერ მიხვდებით.

- მაგაზე არც დავიწყებთ თავის მტვრევას, მამიდა, - უთხრა ეუფემიამ.

- აირენი! წარმოგიდგენიათ! ამდენი ხნის შემდეგ. გვერდზე ქერაწვერიანი...

- მამიდა! ნუ გამაგიჟე! ქერაწვერიანი...

- რომ აღარ დამაცლით, - მკაცრად უთხრა მამიდა ჯულიმ, - ქერაწვერიანი ჯენტლმენი-მეთქი, მინდოდა მეთქვა. თითქოს ერთი დღეც არ მომატებია. სილამაზე არასოდეს აკლდა, - დასძინა მან, თითქოს თავს იმართლებსო.

- გვიამბე რამე, პაპიდა, იმ ქალზე, - შესძახა იმოჯინმა, - ლანდად მახსოვს. საოჯახო ტაბუსავით არის. კაციშვილი არ ახსენებს. თითქოს მოჩვენება იყოს.

მამიდა ესთერი დაჯდა. რა აიტეხა ახლა ეს ჯულიმ!

- რამდენადაც მახსოვს, მოჩვენებას სულაც არ ჰგავდა, - ჩაიბუტბუტა ეუფემიამ, - კაი ხორციანი ქალი იყო.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მამიდა ჯულიმ, - ეს რანაირი ლაპარაკია - სულ არ გიხდებათ.

- ჰო, მაგრამ, მაინც როგორი იყო? - ჩააცივდა იმოჯინი.

- მე გეტყვი. გენაცვალე, - უთხრა ფრენსიმ, - თანამედროვე ვენერა რომ წარმოიდგინო, კარგად გამოწყობილი.

ეუფემიამ უკმეხად შენიშნა:

- ვენერა სულაც არ ყოფილა ჩაცმული, თვალებიც ლურჯი ჰქონდა, გამდნარი საფირონის ფერი.

ამ დროს ნიკოლასი ადგა და გავიდა.

- მისის ნიკი, ეტყობა, ძალიან მკაცრი ქალია, - სიცილით თქვა ფრენსიმ.

- ექვსი შვილის დედაა, - მიუგო მამიდა ჯულიმ, - კარგია, რომ ასეთ სიფრთხილეს იჩენს.

- ძია სომსს ძალიან უყვარდა? - აღარ ისვენებდა ულმობელი იმოჯინი. ხან ერთს შეანათებდა თავის შავ, ეშხიან თვალებს, ხან მეორეს.

მამიდა ესთერმა განწირულებით ჩაიქნია ხელი, მამიდა ჯულიმ კი უპასუხა:

- კი, ბიძაშენ სომსს მართლაც რომ ძალიან უყვარდა.

- მგონი, ვილაცასთან ერთად გაიქცა, არა?

- არა, სულაც არა. ესე იგი, მთლად ასე არ ყოფილა.

- მაშ, რა ქნა ასეთი, პაპიდა?

- წავიდეთ, იმოჯინ, - უთხრა უინიფრიდმა, - შინ წასვლის დროა.

მაგრამ მამიდა ჯულიმ მაინც უთხრა და მტკიცედაც;

- ერთი სიტყვით... ერთი სიტყვით, ცუდად იქცეოდა.

- ო, ღმერთო! - შესძახა იმოჯინმა, - სულ ეგ მესმის!

- აი, რა, გენაცვალე, - უთხრა ფრენსიმ, - შეყვარებული გაიჩინა, მერე ის ახალგაზრდა კაცი მოკვდა, და ქალმა ბიძაშენი მიატოვა. მე პირადად ყოველთვის მომწონდა.

- შოკოლადებს მაძლევდა ხოლმე, - ჩაიბუტბუტა იმოჯინმა, - ისეთი კარგი სუნი ჰქონდა!

- რა თქმა უნდა! - შენიშნა ეუფემიამ.

- არაფერიც! - შესძახა ფრენსიმ, რომელიც ლევკოიონის ძვირფას ნელსაცხებელს ხმარობდა ხოლმე.

- დაფიქრდით მაინც რას სჩადიხართ! - შესძახა მამიდა ჯულიმ და ხელები მაღლა აღაპყრო, - რაზე ლაპარაკობთ ამდენს!

- სასამართლოში განქორწინდნენ? - უკვე კარიდან იკითხა იმოჯინმა.

- რა თქმა უნდა, არა, - შესძახა მამიდა ჯულიმ, - ესე იგი... რა თქმა უნდა, არ გაყრილან.

შიდა კარიდან ხმაური მოისმა. ტიმოთი შემობრუნდა სასტუმრო ოთახში.

- ჩემი რუკა მინდა, - თქვა მან, - ვინ განქორწინდაო?

- არავინ, ძია, - მიუგო ფრენსიმ.

ტიმოთიმ როიალიდან რუკა აიღო.

- მაგ ზომამდე ნუ მიიყვანთ საქმეს ჩვენს ოჯახში, - თქვა მან, - ეს მოხალისეებად ჩაწერაც გვეყოფა. ინგრევა ქვეყანა. აღარ ვიცი, რა მოგველის, - თავისი მსხვილი თითი გააქნია, - ქალები მომრავლდნენ მეტისმეტად და თვითონვე არ იციან, რა უნდათ.

ესა თქვა, რუკას ორივე ხელი ჩაბღუჯა და სწრაფად გავიდა ოთახიდან, თითქოს შეეშინდა, არავინ მიპასუხოსო.

შვიდი ქალი, ვისაც ეხებოდა ტიმოთის სიტყვები, გაუგებარ ბუტბუტს მოჰყვა, მხოლოდ ფრენსის სიტყვები ისმოდა: "მართლაც, ფორსაიტები!".. და ამას მამიდა ჯულის სიტყვები მოჰყვა: "ესთერ, ამაღამ მდოგვიან ცხელ წყალში უნდა ჩავაყრევინოთ ფეხები. ჯეინს ვერ ეტყვი? მგონი, ისევ აუვარდა სისხლი თავში"...

საღამო ხანს, ნასადილევს, როცა ისა და ესთერი მარტონი ისხდნენ, ჯულის თვალი წაუვიდა ნაქარგში და თავი ასწია:

- ესთერ, ვეღარ მომიგონებია, ვინ მითხრა, სომსს (ვენაცვალე!) აირენის უკან მოყვანა უნდაო. ვინ იყო, რომ გვითხრა, ჯორჯმა სასაცილო რაღაც დახატა და ქვეშ მიაწერა. "მანამ თავისას არ მიაღწევს, ბედნიერი ვერ იქნებაო?"

- იუსტასმა, - მიუგო მამიდა ესთერმა, რომელსაც თავი "ტაიმ-სში" ჰქონდა ჩარგული, - ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ არ გვაჩვენა.

მამიდა ჯული ფიქრებს მიეცა. საათი ტიკტიკებდა, "ტაიმსის" ფურცლები შრიალებდა, ბუხარი ღუღუნებდა. მამიდა ჯულის მეორე თვალიც წაუვიდა.

- ესთერ, - მიმართა მან, - საშინელი რამ გავიფიქრე.

- მაშინ, ნუ მეტყვი, - სწრაფად შეაჩერა მამიდა ესთერმა.

- აჰა, უნდა გითხრა. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი რამე იყო, - ხმა თითქოს ჩაუწყდა, - ჯოლიონი... ჯოლიონი... ასე მითხრეს, ჯოლიონსა აქვს მოშვებული ქერა წვერიო.

თავი მეთორმეტე

დევნა გრძელდება

ჯეიმსის წვეულების შემდეგ ორი დღე იყო გასული, როცა მისტერ პოლტიდმა სომსს ფიქრისთვის საკვები მიაწოდა.

- ვიღაც ჯენტლმენი, - ამბობდა იგი და ცალი თვალით შიფრის გასაღებში იყურებოდა, რომელიც მარცხენა ხელში ეჭირა, - 47, როგორც შეთანხმების მიხედვით ვუწოდებთ, თვალში საცემ ყურადღებას იჩენდა 17-ისადმი. გასულ თვეს, პარიზში. ამჟამად კი საყურადღებო არაფერი ისმის. აშკარად ხვდებოდნენ ერთმანეთს საჯარო ადგილებში - რესტორნებში, ოპერაში, კომედიის თეატრში, ლუვრში, ლუქსემბურგის ბაღში, სასტუმროს ვესტიბიულში და ა. შ. არც ქალი შესულა კაცის ოთახში და არც VICE VERSA((ლათ.) - პირიქით). ფონტენებლოშიც იყვნენ, ისეთი არაფერი მომხდარა. ერთი სიტყვით, რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ მოთმინებაა საჭირო, - უცებ თავი ასწია და დასძინა, - ერთი უცნაური დამთხვევაა, - 47 იმავე გვარისაა, რაც... ე... 31!

"ამ ვაჟბატონმა იცის, რომ ჩემი ცოლია", - გაიფიქრა სომსმა.

- სახელი კი... უცნაური სახელი აქვს... ჯოლიონი, - განაგრძო მისტერ პოლტიდმა, - პარიზის მისამართიც ვიცით მისი და

აქაური სახლიც. მცდარ კვალზე სიარულს, რა თქმა უნდა, ვერიდებით.

- ასევე განაგრძეთ, ოღონდ ფრთხილად, - ღვარძლიანად უთხრა სომსმა.

ალღოთი გრძნობდა, რომ ეს დაქირავებული მაძებარი მის საიდუმლოს ჩასწვდა, და ამიტომ უფრო მეტად შეინიღბა.

- ბოდიშს ვიხდი, - უთხრა მისტერ პოლტიდმა, - ვნახო, იქნებ ახალი რამე იყოს.

წერილები გამოიტანა, კარი ისევ გამოიკეტა და კონვერტებს გადახედა.

- აჰა, ჩემი წერილია 19-დან.

- ჰა? - ჩაეკითხა სომსი.

- ეჰ, - ჩაილაპარაკა მისტერ პოლტიდმა, - ის ქალი მწერს: "47 დღეს ინგლისს გაემგზავრა, მის ბარგს მისამართი აწერია - რობინჰილი. 17-ს ლუვრში გამოეთხოვა 3:30 საათზე. ისეთი არაფერი მომხდარა. მგონი, სჯობს დავრჩე და 17-ს ვუთვალთვალო. 47-ს შეგიძლიათ ინგლისში ადევნოთ თვალყური, თუ საჭიროდ მიიჩნევთ, რა თქმა უნდა", - და მისტერ პოლტიდმა სომსს მიაპყრო თვალი. პროფესიული გამომეტყველება ახლაც მოიცილა, თითქოს, სამსახურს რომ თავს დაანებებს, წიგნის დაწერა აქვს გადაწყვეტილი ადამიანის ბუნებაზე, და ახლა მასალებს აგროვებსო, - ძალიან ჭკვიანი ქალია ეს 19, და დიდებულადაც ინიღბება. ძვირი კი ჯდება, მაგრამ ისე მუშაობს, რომ ალალია. ჯერ ვერ გრძნობენ, ვინმე თუ უთვალთვალებთ. მაგრამ, რამდენიმე ხნის შემდეგ, მგრძნობიარე ხალხის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, უსათუოდ დაყნოსავენ. ჩემი რჩევა იქნება, 17-ს ამჟამად მოვეშვათ

და 47-ს დავუდარაჯდეთ. წერილების დაჭერა ძალიან სარისკო საქმეა. ჯერჯერობით არც გირჩევდით ამას. მაგრამ შეგიძლიათ გადასცეთ თქვენს კლიენტს, რომ საქმეს კარგი პირი უჩანს.

და მოჭუტული თვალები კვლავ მდუმარე სტუმარს მიაპყრო.

- არა, - სწრაფად უპასუხა სომსმა, - პარიზში განაგრძეთ ფრთხილად თვალთვალი, აქ არ არის საჭირო.

- ძალიან კარგი, - მიუგო მისტერ პოლტიდმა, - ასე იყოს.

- რა... ერთმანეთის მიმართ როგორ უჭირავთ თავი?

- ახლავე წაგიკითხავთ, რას მწერს, - უთხრა მისტერ პოლტიდმა, უჯრა გამოაღო და მთელი შეკვრა ქაღალდები ამოიღო, - ძალიან საიდუმლოდ მაცნობებს. აჰა! "17 ძალზე მომხიბლავია, 47-ს კი ეშვები ჩამოგრძელებია (ასე იტყვიან ხოლმე ხნიერ კაცზე)... აშკარად ეტყობა, გატაცებულია... ხელსაყრელ დროს უცდის... 17 ალბათ გაურბის ამ თემაზე საუბარს, ძნელია რისიმე თქმა, თუ კარგად არ გაეცანი. მაგრამ, საერთოდ, შეიძლება კაცმა ივარაუდოს, რომ... ჭოჭმანშია... ერთ მშვენიერ დღეს ალბათ გრძნობა მოერევა. სტილს იჭერს ორივე".

- ეგ რაღაა? - ისე გამოცრა სომსმა, რომ ბაგე არც გაუხსნია.

- ეგ ჩვენი გამოთქმაა, - მიუგო მისტერ პოლტიდმა ღიმილით, თეთრი კბილები გადმოყარა, - ესე იგი, ერთი და ორი კვირის საქმე არ არისო - ან სერიოზულად შეეჭდობიან ერთმანეთს, ან სულაც არა.

- ეჰ, - ჩაიბუტბუტა სომსმა, - მეტი არაფერია?

- არა, - უპასუხა მისტერ პოლტიდმა, - მაგრამ უსათუოდ იქნება.

"ობობა!" - გაიფიქრა სომსმა.

- ნახვამდის.

გრინპარკისკენ გაემართა, რათა იქიდან პირდაპირ გადაეჭრა ვიქტორიას სადგურისკენ და მეტროთი სიტისკენ წასულიყო. უკვე იანვრის მიწურული იყო, მაგრამ თბილოდა. მზის სხივები ნისლს აპობდნენ და შეჭირხლულ ბალახზე ბზინავდნენ - როგორც ობობას ქსელი აელვარდება ხოლმე სინათლეზე.

პატარა ობობები - დიდი ობობები! და ყველაზე დიდი ობობა - მისი საკუთარი სიჯიუტე, სულ რომ ხლართავს და ხლართავს ხოლმე გზებს! ნეტავ, რას უტრიალებს ეს ვაჟბატონი აირენს? ნუთუ პოლტიდის ვარაუდი მართალია? თუ, უთვისტომოს რომ ხედავს, თანაუგრძნობს, როგორც თვითონვე უყვარს ხოლმე თქმა - მუდამ ასეთი სენტიმენტალური რადიკალი არ ბრძანდება! პოლტიდის ეჭვები თუ გამართლდა!.. სომსი შედგა. შეუძლებელია! ეს ვაჟბატონი მთელი ექვსი წლითაა სომსზე უფროსი, არც შესახედავადაა უკეთესი! არც სიმდიდრე აქვს მასზე მეტი! რაღამ უნდა მოხიბლოს?!

"თანაც, უკანვე დაბრუნებულა", - გაიფიქრა მან, - არა მგონია, რომ... წავალ და პირადად ვნახავ!" სადარბაზო ბარათი ამოიღო და დააწერა:

"იქნებ ნახევარი საათი დამითმოთ ამ კვირაში, მე "მცოდნეთა" კლუბში ვიქნები ყოველდღიურად ექვსის ნახევრიდან ექვსამდე. კლუბ "რაგინდარაშიც" შემიძლია მოვიდე, თქვენ თუ იქ ამჯობინებთ, თქვენი ნახვა მინდა.

ს. ფ."

სენტ ჯეიმსსტრიტზე შეუხვია და ბარათი კლუბ "რაგინდარას" შვეიცარს მისცა.

- მისტერ ჯოლიონ ფორსაიტს გადაეცით, როგორც კი მოვიდეს, - ახალშემოსული ტაქსი აიყვანა და სიტისკენ გაემგზავრა...

ჯოლიონმა იმავე დღეს მიიღო ბარათი და "მცოდნეთა" კლუბისკენ გასწია. ნეტავ, ახლა რაღა უნდა? პარიზის სუნი აიღო? სენტ ჯეიმსსტრიტზე გავიდა და გზაშივე გადაწყვიტა, თავისი გამგზავრების ამბავი ასე დაეფარა. "ეგეც არ ივარგებს, - გაიფიქრა მან, - რატომ უნდა გავაგებინო მისი სამყოფელი, თუ უკვე არ იცის". ამ ჭოჭმანში იყო, როცა სომსთან მიიყვანეს, რომელიც ღრმად შეჭრილ ფანჯარასთან იჯდა და ჩაის სვამდა.

- გმადლობთ, ჩაი არ მინდა, - უთხრა ჯოლიონმა, - პაპიროსს მოვწევ, თუ შეიძლება.

ფარდები ჯერ არ ჩამოეშვათ, თუმცა ქუჩაში უკვე აენთოთ ფარნები. იჯდა ორი ბიძაშვილი და ერთმანეთს ელოდა.

- პარიზში ყოფილხართ, მითხრეს, - დაიწყო ბოლოს სომსმა.

- ჰო, ახლახან დავბრუნდი.

- ვალმა მითხრა, ისა და თქვენი ბიჭი ერთად მიემგზავრებიან!

ჯოლიონმა თავი დაუქნია.

- აირენს ხომ არსად გადაჰყრიხართ? მგონი, საზღვარგარეთ უნდა იყოს.

ჯოლიონმა ჯერ კვამლი გამოუშვა და მერეღა უპასუხა.

- კი, ვნახე.

- როგორ არის?

- ძალიან კარგად.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა, სომსი წელში გასწორდა.

- ბოლოს რომ გნახეთ, - უთხრა მან, - მაშინ ორჭოფობაში ვიყავი. ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ ამ საგანზე, და თქვენი აზრი უკვე

ვიცი. აღარ მინდა, ისევ იმ დავას დავუბრუნდეთ. ესღა უნდა გითხრათ - ძალიან დამეხლართა საქმე აირენთან. არ მინდა, რომ თქვენი გავლენა გამოიყენოთ ჩემ წინააღმდეგ. რაც მოხდა, ეს უკვე ძალიან დიდი ხნის ამბავია. მინდა, აირენს ვთხოვო, რომ ყველაფერი დავივიწყოთ.

- აკი სთხოვეთ! - ჩაიბუტბუტა ჯოლიონმა.

- მაშინ ეს მოულოდნელი იყო მისთვის. ელდა ეცა. მაგრამ, რასაც მეტს ფიქრობს, უფრო მეტად უნდა სჯეროდეს, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა მისთვისაც და ჩემთვისაც.

- არა მგონია, ასე ფიქრობდეს, მე სულ სხვა შთაბეჭდილება შემექმნა, - უთხრა ჯოლიონმა განსაკუთრებული სიმშვიდით, - მომიტევეთ, მაგრამ შეცდომას უშვებთ, თუ ფიქრობთ, რომ ამ საქმეში გონებას რაიმე წვლილი უდევს.

შენიშნა, რომ ბიძაშვილს ისედაც ფერმკრთალი სახე სულ გადაეტეტკა - თავისდა უნებურად, ისე, რომ არც კი იცოდა, ჯოლიონმა აირენის სიტყვები გაიმეორა!

- გმადლობთ, - წაიბუტბუტა სომსმა, - მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, იქნებ იმაზე უფრო ნათლად ვხედავდე საქმეს. მე მინდა მხოლოდ დამშვიდებული ვიყო, რომ თქვენს გავლენას არ გამოიყენებთ ჩემ წინააღმდეგ.

- არ ვიცი, რამ გაფიქრებინათ, თითქოს მე რაიმე გავლენა მქონდეს მასზე, - უთხრა ჯოლიონმა, - მაგრამ თუკი მართლა მაქვს, ვალდებული ვარ, ისე გამოვიყენო ეს გავლენა, რომ მის ბედნიერებას შევუწყო ხელი. მე ფემინისტი ვარ, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე.

- ფემინისტი! - გაიმეორა სომსმა, თითქოს დროის მოგებას ცდილობსო, - ეს იმას ხომ არ ნიშნავს, თითქოს თქვენ ჩემ წინააღ-მდეგ გამოდიოდეთ?

- მკვახედ რომ ვთქვათ, - მიუგო ჯოლიონმა, - მე წინააღმდეგი ვარ, ქალმა იცხოვროს იმ კაცთან, რომელიც მას ნამდვილად არ უყვარს. ეს საძაგლობად მიმაჩნია.

- და, როგორც ვატყობ, სულ ამ თქვენს მოსაზრებას უჭედავთ თავში, როცა კი შეხვდებით!

- არა მგონია, კიდევ შევხვდე.

- პარიზში აღარ აპირებთ?

- არა მგონია, - უპასუხა ჯოლიონმა, რომელმაც იგრძნო, რა გაფაციცებით მიშტერებოდა სომსი.

- კარგი, ეს მინდოდა მეთქვა. ყოველი ადამიანი, ვინც ცოლ-ქმარს შუა ჩადგება, იცოდეთ, რომ მძიმე პასუხისმგებლობას იღებს კისერზე.

ჯოლიონი წამოდგა და ოდნავ დაუკრა თავი.

- ნახვამდის, - უთხრა მან, და ხელი არც კი გაუწვდია ჩამოსარ-თმევად, ისე გავიდა. სომსმა ბოლომდე გააყოლა თვალი.

"ჩვენ, ფორსაიტები, - გაიფიქრა ჯოლიონმა და ეტლს დაუქ-ნია ხელი, - ზედმეტად ცივილიზებული ხალხი ვართ. უბრალო ხალხი აქამდე ხელჩართულ ჩხუბს გამართავდა. ჩემს ბიჭს რომ არ გადაეწყვიტა ომში წასვლა". ომი! ძველი ეჭვები მოეძალა. ომი! დაპყრობა ხალხებისა ან ქალებისა! მათზე გაბატონება და მათი დასაკუთრება, ვისაც შენ არ უნდიხარ, ელემენტარული წესიერე-ბის უარყოფა! მესაკუთრეობის დაკანონებული უფლება. ვინც კი "წინააღმდეგობას" გაბედავს - განდევნა! "მადლობა ღმერთს, -

გაიფიქრა მან, - მე მუდამ "წინააღმდეგი" ვიყავი!" დიახ! ჯერ კიდევ იმ პირველ ბედუკუღმართ ქორწინებამდე, როგორ საშინლად აღაშფოთა ირლანდიის ძალმომრეობით დარბევამ ან განქორწინების პროცესმა, როცა ქალები ამაოდ ცდილობდნენ მათთვის საძულველი ქმრის უღლისგან გათავისუფლებას. მარტო მღვდლები ფიქრობენ, თითქოს სულისა და სხეულის თავისუფლება ერთმანეთისგან განსხვავებული ცნება იყოს! დამღუპველი მოძღვრებაა! სხეულისა და სულის ასე გათიშვა შეუძლებელია. ყოველგვარი კავშირის სიმტკიცე ნებაყოფლობითობაში უნდა ვეძიოთ და არა მის სისუსტეში. "პირდაპირ უნდა მეთქვა სომსისთვის, - გაიფიქრა მან, - სასაცილო ხარ-მეთქი. მაგრამ, ვაი, რომ ტრაგიკულიც არის!"

მართლაც, ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა იყოს ადამიანისთვის, როცა თავისივე მესაკუთრულ ინსტინქტს ემონება... ვინც ამ ინსტინქტის საზღვარს ვეღარა გრძნობს და ვისთვისაც სხვისი გრძნობა სავსებით გაუგებარი და მიუწვდომელია. "უნდა მივწერო აირენს, და გავაფრთხილო, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ვატყობ, ეგ ერთხელ კიდევ ცდის ბედს". და მთელი გზა, მანამ იგი რობინჰილს მიაღწევდა, ფიქრებში შვილისადმი მოვალეობის ძლიერ შეგრძნებას ებრძოდა, რაც მას ახლა პარიზში დაბრუნებას უშლიდა...

სომსი კიდევ დიდხანს იჯდა სავარძელში, ისიც არანაკლებ მტანჯველ ფიქრს მოეცვა: თითქოს უცებ ახელოდეს თვალები და დაენახოს, რომ ეს კაცი მართლაც სჯობს მას, რომ მან უკვე მოასწრო და გზა ათასნაირი ხლართით გადაუბურდა სომსს. "ეს იმას ხომ არ ნიშნავს, თითქოს თქვენ ჩემ წინააღმდეგ გამო-

დიოდეთ?" ვერაფერი პასუხი მიიღო ამ ეშმაკურ შეკითხვაზე. ფემინისტი! გატლეკილი ვაჟბატონი! "ბევრი ფაცხაფუცხი არ არის საჭირო, - გაიფიქრა მან, - სულისმოსათქმელი დრო კიდევა მაქვს. პარიზში გაბრუნებას აღარ აპირებს, თუ არ ტყუის. გაზაფხულს დავუცდი". თუმცა ზედმეტი ტანჯვის მეტს რას მოუტანდა ეს გაზაფხული, თვითონაც არ იცოდა. ქუჩაში გადაიხედა, სადაც ადამიანების ფიგურები, ფარნით განათებულ წრეებში ხან აქ ამოყოფდნენ თავს, ხან იქ. "კარგს აღარაფერს უნდა ველოდო, აღარაფერს არა აქვს აზრი. მთელი უბედურება ის არის, რომ სულ ეული აღმოვჩნდი".

თვალები დახუჭა. და მაშინვე აირენი წარმოუდგა - საყდრის ქვემოთ, ბნელ მოსახვევში მიდიოდა. ჩაიარა და თავი მოაბრუნა ისე, რომ სომსმა დაინახა - როგორ გაიელვეს მისმა თვალებმა და თეთრმა შუბლმა, მხრებზე ვუალდაშვებულ, ოქროს წინწკლებით გაწყობილი პატარა შავი ქუდის ქვეშ. თვალები გაახილა - თითქოს ცოცხალს უყურებდაო! ქუჩაში ქალი მიდიოდა, მაგრამ ის არ იყო! ოჰ, არა, აღარაფერი არ არის.

თავი მეცამეტე

"ჩვენც აქ ვართ!"

იმოჯინის საპირველსეზონო კაბებს დედამისის ყურადღება და პაპის ქისა შეეწირა მთელი მარტის განმავლობაში, უინიფრიდი ფორსაიტული შეუპოვრობით ცდილობდა, არაფერი დაჰკლებოდა ქალიშვილს. ამან მოსწყვიტა მისი გულისყური მძიმედ მოახლოებულ სასამართლო პროცესს, რასაც მისთვის საეჭვოდ სასურველი თავისუფლება უნდა მოეტანა; ამანვე მოსწყვიტა მისი გულისყური ბიჭზე ფიქრსა და სწრაფად მოახლოებულ გამგზავრების დღეს ფრონტზე, საიდანაც კვლავ ამაფორიაქებელი ამბები მოდიოდა. როგორც ფუტკრები დაფუსფუსებენ ზაფხულის ყვავილებში, როგორც კრაზანები დაქრიან და შემოდგომის ჩხვლეტია ბუჩქებს უტრიალებენ, ასევე უინიფრიდი და მისი "პატარა ქალიშვილი", - თითქმის დედის სიმაღლე და მკერდის სისრულითაც დედაზე ბევრით არანაკლები, - გამწარებით დაქროდნენ რეჯენტსტრიტის მაღაზიებსა და ჰანოვერსკვერისა და ბონდსტრიტის მოდების სახელოსნოებში - არჩევდნენ და სინჯავდნენ სხვადასხვანაირ ქსოვილს. მომხიბლავი ქცევებითა და იშვიათი მიხრა-მოხრით გამორჩეულმა, "ხელოვნების ქმნილებებში" გახვეულმა ათობით ქალიშვილმა ჩაიარა უინიფრიდისა და

იმოჯინის წინ. მოდელები - "სულ ახალთახალი, უკანასკნელი მოდა" - რასაც ეს ორი ქალი ცხვირს უბზუებდა, - მთელ მუზეუმს გამოავსებდნენ. მოდელებმა, რომელთა ყიდვა მათ აუცილებელ მოვალეობად მიიჩნიეს, თითქმის სულ შთანთქეს ჯეიმსის მიმდინარე ანგარიში ბანკში. შუამდე მიყვანილი საქმე არ ვარგა, ფიქრობდა უინიფრიდი და ცდილობდა, ეს პირველი და ერთადერთი შეუბღალავი სეზონი დიდი ამბით ჩაეტარებინა. ასეთი მოთმინება, - რასაც უინიფრიდი და იმოჯინი იმ საკუთარ სახეს მოკლებულ არსებათა მოთმინების ხარჯზე იჩენდნენ, რომლებიც ნარნარით დასრიალებდნენ მათ წინ, - მხოლოდ ფანატიკური რწმენის ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, და როგორც კათოლიკე განერთხმება ღვთისმშობლის წინაშე, ისევე მხურვალედ იყო განრთხმული უინიფრიდი სანუკვარი ღვთაების - მოდის წინ. იმოჯინისთვის ეს იყო სულ ახალი განცდა, და არცთუ უსიამოვნო, - ზოგჯერ მართლაც მშვენიერი გამოჩნდებოდა ხოლმე, და ქათინაურებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იღებდა. ერთი სიტყვით, კარგი "თავშესაქცევი" იყო ეს ყველაფერი.

ოც მარტს, საღამო ხანს, როგორც იტყვიან ხოლმე, კარგად გამოასუფთავეს სკაიუორდი და, შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზად კერემელ-ბეკერთან შეუხვიეს დასანაყრებლად; იქიდან გამოსულებმა ბერკლისკვერი გადაჭრეს და საღამოს ბინდბუნდში, რასაც უკვე გაზაფხულის სუნთქვა მოეტანა, შინისკენ გასწიეს. სახლის კარი რომ გააღეს (ახლახან შეეღებათ ღია მომწვანო ზეთისხილისფრად; არაფერი ყოფილა იმ წელიწადს დავიწყებული, რათა იმოჯინისთვის მართლაც ხეირიანი სეზონი მოეწყოთ) უინიფრიდი ვერცხლის კალათისკენ გაემართა, ჩვენს არყოფნაში ხომ

არავინ მოსულაო, და უცებ ნესტოები როგორღაც შეუტოკდა. ნეტავ, რა სუნია?

იმოჯინს მოსვლისთანავე ბიბლიოთეკიდან გამოგზავნილ რომანში ჩაერგო თავი. უინიფრიდმა ცოტა არ იყოს, მკვახედ მიმართა, რადგან უცნაური შეგრძნება ჰქონდა გულში:

- ზემოთ აიტანე, გენაცვალე, და სადილის წინ ცოტა ხანს დაისვენე.

იმოჯინს წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე აუყვა კიბეს. უინიფრიდს თავისი ოთახის კარის ჯახუნი მოესმა და ჰაერი ღრმად შეიყნოსა. ნუთუ გაზაფხულმა აუწეწა ნერვები, დარდი აუშალა და, ყოველგვარი გონივრული მოსაზრებისა და შეურაცხყოფილი სათნოების მიუხედავად, თავისი "ჯამბაზი" მოანატრა?! მამაკაცის სუნია! სიგარისა და ლავანდის სუსტი არომატი, რაც მას აგერ ექვსი თვეა აღარ უგრძნია - ადრეული შემოდგომის იმ ღამის შემდეგ, როცა "ყელში ამომიხვედიო", დაუძახა. საიდან გაჩნდა? თუ სუნის მოჩვენებაა - მეხსიერების აშკარა ემანაცია? მიიხედ-მოიხედა. არაფერი, არავითარი უწესრიგობა - არც ჰოლში, არც სასადილო ოთახში. უბრალო მოჩვენებაა, ილუზია, სევდის მომგვრელი სულელური მოჩვენება! ვერცხლის კალათში სადარბაზო ბარათები დახვდა - ორი მისტერ და მისის პოლგეტ თომისა და ერთიც მისტერ პოლგეტ თომის. ბარათები დაყნოსა, მაგრამ არა - არაფრის სუნი არ ასდიოდათ. "გადავიღალე, ალბათ, - გაიფიქრა მან, - წავალ, დავწვები". სასტუმრო ოთახი, მაღლა, ჩაბნელებული იყო - ვინმეს ხელს უცდიდა, რომ ლამპა აენთოთ. გაიარა და საწოლ ოთახში შევიდა. იქაც ნახევრად ჩამოშვებული იყო ფარდები და ბინდბუნდი იდგა - უკვე ექვსი საათი შესრულე-

ბულიყო. უინიფრიდმა პალტო გაიხადა - აქაც იგივე სუნი! წამოიწია და ტყვიანაკრავივით საწოლის ზურგს გაეკრა. კუთხეში რაღაც შავი წამოიმართა სავარძლიდან. ქალის ბაგეს ერთბაშად მოსწყდა სიტყვა, რომელიც მის ოჯახში შიშს გამოხატავდა ხოლმე: "ღმერთო!"

- მე ვარ - მონტი ვარ, - გაისმა სიბნელეში.

უინიფრიდი საწოლის ზურგს ჩაებღაუჭა, ხელი გადასწია და ტუალეტის მაგიდასთან სინათლე აანთო. დარტი სინათლის წრის ნაპირას აღმოჩნდა. შუქი ეცემოდა იმ ადგილიდან მოკიდებული, სადაც მას ახლა საათის ძეწკვი აკლდა, კოხტა, მუქ ყავისფერ ფეხსაცმელებამდე, თუმცა... ჰო, ასეა! ცალ ფეხსაცმელს პირი დაეფჩინა. სახე და მკერდი ჩრდილში მოქცეულიყო. როგორ გამხდარა - თუ სინათლე ატყუებს! რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ახლა მთლიანად სინათლეში მოექცა - ფეხის ჭვინტიდან დაწყებული შავ თმამდე... რასაც უკვე ჭაღარა შეჰპაროდა. სახე ჩაღამებოდა, გაჰყვითლებოდა; შავ ულვაშს მხნეობა დაჰკარგოდა და გესლიანი იერი მიეღო. ეს ნაოჭები სახეზე ქალს ადრე არასოდეს შეუნიშნავს. ქინძისთავი აღარ ებნია ყელსახვევზე. კოსტიუმი... აჰ!.. ცნობით კი იცნო, მაგრამ მომჩვარული, პეწდაკარგული! კვლავ პირდაფჩენილ ფეხსაცმელს დახედა. უშველებელი და ულმობელი რაღაც დასტაკებია, მოუღუნავს და დაუგრეხია, დაუფარცხავს და დაუფშვნია. იდგა ქალი და ენაჩავარდნილი, გაშეშებული, იმ გარღვეულ ფეხსაცმელს მისჩერებოდა.

- აჰა! - თქვა დარტიმ, - წერილი მივიღე და დავბრუნდი.

უინიფრიდს მღელვარებისგან მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ქმრის დაშორების სევდა, რამაც იმ სუნის შეყნოსვასთან ერთად იფეთ-

ქა ახლა მის მკერდში, ისეთ ეჭვს ებრძოდა, რისი მსგავსიც აქამდე არაფერი განეცადა. იდგა აგერ გახუხული, მიჩიხული ნადირივით აბუზული, უბადრუკი ჩრდილი იმ ძველი გაპრიალებული და უტიფრულად თავდაჯერებული მონტისა! რა ძალამ მოაქცია ასე, რამ გამოწურა ფორთოხალივით? იმ ქალმა!

- დავბრუნდი, - გაიმეორა დარტიმ, - ჯოჯოხეთი გამოვიარე. ღმერთმანი! გემბანზე ვეგდე. რაც მაცვია, ესღა შემრჩა, და ეს ჩემოდანი კიდევ.

- დანარჩენი ვის მიეცი? - შეჰყვირა ერთბაშად გამოფხიზლებულმა უინიფრიდმა, - როგორ გაბედე აქ მოსვლა? ხომ იცოდი, რომ მხოლოდ განქორწინებისთვის გამოგიგზავნეს ის ქაღალდი! ხელი არ მახლო!

დიდი საწოლის აქეთ-იქით იდგნენ, რამდენი წელიწადი გაუტარებიათ მათ ამ საწოლში, რამდენი ღამე ერთად წოლილან. ბევრი, ძალიან ბევრი... ბევრჯერ მონდომებია უკანვე დაჰბრუნებოდა. მაგრამ, როცა დაბრუნდა, ქალის არსება ცივმა და მომაკვდინებელმა გაგულისებამ მოიცვა. დარტიმ ულვაშისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ძველებურად კი არ გადაუგრეხია და აუწკეპია, უბრალოდ ჩამოისვა.

- ღმერთო! - შესძახა მან, - რომ იცოდე, რა ჯოჯოხეთი გამოვიარე.

- კიდევ კარგი, არ ვიცი!

- ბავშვები კარგად არიან?

უინიფრიდმა თავი დაუქნია.

- როგორ შემოხვედი?

- ჩემი გასაღებით.

- მაშ, მსახურებმა არ იციან. შენი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, მონტი.

კაცმა მწარედ ჩაიცინა.

- მაშ, სად უნდა წავიდე?

- სადაც გინდა.

- შემომხედე, ერთი. იმ... იმ წყეულმა...

- ის დედაკაცი თუ ახსენე, - შეჰყვირა უინიფრიდმა, - ახლავე ლეინპარკზე წავალ და აღარც დავბრუნდები.

უცებ ისეთი რამე გააკეთა კაცმა - ისეთი უბრალო რამ, მაგრამ მისთვის უჩვეულო - რომ ქალი ერთბაშად მოლბა; თვალები დახუჭა, თითქოს ამბობდა - "სულერთია! მე მაინც მკვდარი ვარ ამ ქვეყანაზე!"

- ღამე შეგიძლია აქ გაათიო, - უთხრა ქალმა, - შენი ნივთები და ტანსაცმელი ისევ აქ არის. მარტო იმოჯინია შინ.

დარტი საწოლის ზურგს მიაწვა.

- ყველაფერი შენს ხელთ არის, - უთხრა მან და საკუთარი ხელები დაუკვრანჩხა, - იმდენი რამ გადამხდა თავს! შენ აღარ დაგჭირდება მაგარი ცემა - აღარ ღირს. ისედაც დამფრთხალი ვარ. საშინლად დამფრთხალი ვარ, ფრედი.

ძველი საალერსო სახელის გაგონებამ, რომელიც რამდენი წელიწადია აღარ მოესმინა, უინიფრიდს ჟრუანტელი მოჰგვარა.

"როგორ მოვიქცე? რა ვქნა? - გაიფიქრა ქალმა, - ო, ღმერთო, როგორ მოვიქცე?!"

- სიგარეტი არ გაქვს?

ქალმა პატარა კოლოფიდან ამოიღო სიგარეტი, მისცა და მოუკიდა. კოლოფს აქვე ინახავდა, უძილობის დროს სჭირდებო-

და ხოლმე. ამ ჟესტმა ქალის არსებაში პრაქტიკული აზროვნების უნარი გააცოცხლა.

- წადი, იბანავე. ტანსაცმელს შენს ოთახში მოგიმზადებ. მერე მოვილაპარაკოთ.

კაცმა თავი დაუქნია და თვალები ქალს მიაპყრო - უსიცოცხლო თვალები... თუ იმიტომ ჩანს ასე, რომ როგორღაც, ქუთუთოები დამძიმებია?!

"სულ შეცვლილა! ის აღარ არის, რაც იყო, - გაიფიქრა ქალმა, - აღარც იქნება ისეთი, არასდროს! მაგრამ როგორი იქნება?"

- კარგი! - უთხრა დარტიმ და კარისკენ გაემართა. სიარულიც კი სხვანაირი გაუხდა, ისეთი კაცის მიხრა-მოხრას მიუგავს, რომელსაც ოცნებები დამსხვრევია და ახლა ვეღარ გადაუწყვეტია - ღირს კი, საერთოდ, განძრევა.

როცა გავიდა და აბაზანიდან წყლის ჩხრიალი მოისმა, უინიფრიდმა ერთი ხელი საცვალი და ტანსაცმელი მოუმზადა, მის ოთახში შეიტანა და ლოგინზე დაუწყო, მერე დაბლა ჩავიდა და ნამცხვარი და ვისკი ამოუტანა. ისევ ჩაიცვა პალტო, ერთი წამით აბაზანის კართან შედგა, დააყურადა, კიბეზე დაეშვა და სახლიდან გავიდა. ქუჩაში ცოტა ხანს შეყოყმანდა. მერვე საათი დაიწყო! ნეტავ სად იქნება სომსი - თავის კლუბში თუ ლეინპარკზე? ლეინპარკისკენ გასწია. დაბრუნდა! სულ ამის შიშში იყო სომსი, - უინიფრიდს კი ეს ზოგჯერ იმედად ჰქონდა. დაბრუნდა! მისგან სწორედ ეს იყო მოსალოდნელი, რა ჯამბაზიც იყო, ისევ ის დარჩა. როცა გამოჩნდება ხოლმე: "ჩვენც აქ ვართ!" და ყველა გასულელებული რჩება - სასამართლოც, სომსიც, თვითონ უინიფრიდიც! სასამართლო ხომ მაინც მოშორდა, ბავშვებისა და მის თავზე ჩა-

მოწოლილი შავი ღრუბელი! რა შვებაა! აჰ! მაგრამ მის დაბრუნებას როგორ შეხვდეს? იმ "დედაკაცმა" ერთიანად მოსპო და მოათავა, მთელი გზნება გამოაცალა, ის გზნება, რაც ცოლთან არასოდეს გამოუჩენია დარტის, უინიფრიდი ვერც იფიქრებდა, ასეთი გზნების პატრონი თუ იქნებოდა. გულდასაწყვეტიც სწორედ ეგ არის! ეს მისი თავკერძა, როხროხა "ჯამბაზი", რომელიც ხეირიანად ერთხელაც კი ვერ აღაგზნო უინიფრიდმა, ახლა ვიღაც სხვა დედაკაცს ერთიანად გამოუფიტავს და განუძარცვავს! დამამცირებელია! მეტისმეტად დამამცირებელი! სწორი არ იქნება, უხერხული იქნება მაგისი უკან მიღება! მაგრამ აკი ამას ითხოვდა, სასამართლოს ხომ შეუძლია მიღება აიძულოს! ისევ ქმრად ითვლება. უინიფრიდი ვეღარაფერს მოსთხოვს სასამართლოს! არადა, დარტის, რაღა თქმა უნდა, ფულის მეტი არაფერი აინტერესებს - რათა სიგარები და ლავანდის წყალი არ მოაკლდეს! აჰ, ეს სუნი! "ბოლოს და ბოლოს, ბებერი ხომ არ ვარ, - გაიფიქრა მან, - ჯერ არ დავბერებულვარ!" მაგრამ ის დედაკაცი, რომელმაც ამნაირი სიტყვები ათქმევინა დარტის: "იმდენი რამ გადამხდა თავს!.. ისედაც დამფრთხალი ვარ. საშინლად დამფრთხალი ვარ, ფრედი!" თანდათანობით მიუახლოვდა მამის სახლს, ფიქრით ღობე-ყორეს ედებოდა, მაგრამ გადაწყვეტილი ვერაფერი მოიფიქრა, თუმცა ფორსაიტული სულის შიგნითა, ღრმა დინება მაინც იქითკენ უბიძგებდა, რომ ბოლოს და ბოლოს, დარტი მისი საკუთრება იყო, და უნდა დაეფარა კიდეც მთელი ქვეყნისგან, იმათგან, ვინც მის წართმევას მოინდომებდა. ასეთი ფიქრებით მიადგა ჯეიმსის სახლს.

- მისტერ სომსი! თავის ოთახშია? მაშ, მაღლა ავალ. ნურავის ეტყვით, რომ აქ ვარ.

ძმა ტანსაცმელს იცვლიდა. უინიფრიდს სარკესთან დახვდა, შავ ყელსახვევს ისკვნიდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყელ-სახვევის ბოლოები დასანახად სძულსო.

- ჰელოუ! - გამოსძახა მან დას, რომელიც სარკეში დაინახა, - ცუდი ამბავია?

- მონტი! - გაქვავებული ხმით უთხრა უინიფრიდმა.

სომსი შემოტრიალდა.

- რაო?

- დაბრუნდა!

- ჩვენივე დაგებულ ხაფანგში გავებით! - ამოილუღლუღა სომ-სმა, - რატომ არ დამანებე, რომ ერთი მაგრად გამექაჩა?! თავი-დანვე ვგრძნობდი, რა სარისკო საქმეც იყო.

- ეჰ! კარგი, ერთი, ნუღარ მელაპარაკები! ახლა რა უნდა ვქნა?

პასუხად სომსმა ისე ამოიხვნეშა, რომ გული ამოაყოლა.

- ჰა? - მოუთმენლად ჩაეკითხა უინიფრიდი.

- რაო? - თავს რითი იმართლებს?

- არაფერს ამბობს. ცალი ტუფლი სულ დაჰგლეჯია.

სომსი სახეში ჩააშტერდა.

- ეჰ! - თქვა მან, - აბა, რა გეგონა! რაც ჰქონდა, შეჭამა. ახლა თავიდან დაიწყება! ეგ მოუღებს ბოლოს მამაჩემს.

- ვერ დავუმალავთ?

- არ მოხერხდება: ცუდ ამბავს მაშინვე იყნოსავს ხოლმე, - თი-თები ცისფერი აბრეშუმის აჭიმში გაუყარა და ჩაფიქრდა, - რამე კანონი უნდა გამოვძებნოთ და მივუყენოთ.

- არა, - შესძახა უინიფრიდმა, - მეტად აღარ გავისულელებ თავს. მაგას ის მირჩევნია, შევურიგდე.

იდგნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ. გულში ორივეს მოზღვავებული გრძნობები ჰქონდათ, მაგრამ არაფერს ამბობდნენ - ფორსაიტები გახლდათ.

- სად დატოვე?

- სააბაზანოში, - და უინიფრიდმა მწარედ ჩაიცინა, - ერთადერთი, ლავანდის წყალიღა ჩამოჰყვა.

- ყოჩაღ! - უთხრა სომსმა, - რას აფორიაქებულხარ. მე გამოგყვები.

- რა აზრი აქვს?

- მოველაპარაკები.

- მოელაპარაკები! ძველებურადვე დატრიალდება ყველაფერი. ცოტას მოიხედავს და... კარტი, დოღი, ლოთობა და...

გაჩუმდა, ქმრის გამომეტყველება მოაგონდა. შეშინებული ძაღლი... შეშინებული ძაღლი... იქნებ!..

- მოიხედავსო? - ჩაეკითხა სომსი, - ავად არის?

- არა. დაფეთებულია.

სომსმა სკამიდან ჟილეტი აიღო და ჩაიცვა; მერე სერთუკში გაუყარა ხელები, ცხვირსახოცს ოდეკოლონი დაასხურა, საათის ძეწკვი ღილზე დაიბნია და უინიფრიდს უთხრა:

- ბედი არ გვწყალობს.

უინიფრიდს ხომ თავისი გასაჭირიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ახლა ძმა შეეცოდა - თითქოს ამ სამი სიტყვით მთელი თავისი მწუხარება გაანდო სომსმა.

- დედა მინდოდა მენახა, - თქვა უინიფრიდმა.

- საწოლ ოთახში იქნება, მამასთან. შენ კაბინეტში ჩადი ჩუმად, ახლავე გამოვიყვან.

უინიფრიდი ფეხაკრეფით ჩავიდა პატარა, ბნელ კაბინეტში, რომელიც უმთავრესად იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ კედელზე კანალეტოს სურათი ეკიდა, იმდენად საეჭვო, რომ სხვა ოთახში მისი დაკიდება არ შეიძლებოდა; აქვე იყო სასამართლო საქმეების ანგარიშებიც, რაც რამდენი წელი ეყარა და არავინ ხსნიდა. უინიფრიდმა ზურგი წაბლისფერ ფარდებს შეაქცია და თვალები ცარიელ ბუხარს გაუშტერა. მანამ სომსი დედას მოიყვანდა, ასე იდგა.

- ო! ჩემო საბრალო შვილო, გენაცვალე! - წამოიძახა ემილიმ, - რა საცოდავად დამდგარხარ! ძალიან ცუდად კი მოქცეულა!

ოჯახში ისე ერიდებოდნენ განცდების თავისუფლად გამოხატვას, რომ ემილის შეუძლებლად მიაჩნდა, მისულიყო და შვილს მოხვეოდა. სამაგიეროდ, ნუგეში გამოსჭვიოდა მის რბილ ხმასა და ჯერ კიდევ ფუნჩულა ბეჭებში, რომელიც შავი, ძვირფასი მაქმანიდან მოუჩანდა. უინიფრიდი დედის შეწუხებას ერიდებოდა, თან სიამაყეც მოიკრიბა და ძალდაუტანებლად მიმართა:

- არა უშავს, დედა. თავის შეწუხებას რა აზრი აქვს!

- ვერ გამიგია, - თქვა ემილით და სომსს გადახედა, - რატომ არ შეუძლია უინიფრიდს, პირდაპირ უთხრას - თუ არ მომეშვები, სასამართლოში გიჩივლებო?! მაგისი მარგალიტი წაიღო ხომ - თუ არ დააბრუნა, საბაბად ეგეც კმარა.

უინიფრიდს გაეღიმა. დაიწყება ახლა ათასი ვარაუდი, ასეო - ისეო, მაგრამ მან უკვე იცის, რა უნდა გააკეთოს: არაფერიც არ უნდა გააკეთოს. იმის შეგრძნება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერ-

თგვარ გამარჯვებას მიაღწია, საკუთრება შეინარჩუნა, სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლებოდა ქალს. არა! ქმრის დასჯა თუ მოუნდა, თვითონვე დასჯის შინ. რაღა საქვეყნოდ გამოიტანოს!

- ახლა სასადილო ოთახში წამოდით, მშვიდად - დარჩი, ჩვენთან ისადილე, მამაშენს მე ვეტყვი, - და როცა უინიფრიდი კარისკენ გაემართა, ემილიმ სინათლე ჩააქრო. ახლაღა დაინახეს, თუ რა უბედურება ელოდათ დერეფანში.

ამ ოთახში სინათლე არასდროს აუნთიათ, და ახლა რომ დაენახა ჯეიმსს, დაინტერესებულიყო და წამოსულიყო. იდგა კართან, დერეფანში, აქლემის ბეწვის მონაცრისფრო შალში გახვეული, ხელები არ მოუჩანდა, და ვერცხლისფერი თავი ისე იყო მოწყვეტილი მოდური შარვლით დაფარულ ფეხებს, თითქოს სხეულში უდაბნოს სივრცე შეჭრილაო. იდგა და საოცრად ჰგავდა ყარყატს, რომელიც თავის წინ ბაყაყსა ხედავს, მაგრამ ძალიან დიდი ჩანს ეს ბაყაყი და არ იცის - გადაყლაპავს თუ ვერა.

- რა ამბავია? - იკითხა მან, - რას ეტყვი მამაშენს?! თქვენ არაფერსაც არ მეუბნებით.

ემილიმ უცებ პასუხი ველარ მოახერხა. ისევ უინიფრიდი მივიდა, ხელები შალში გახვეულ უმწეო მკლავებზე მოხვია და უთხრა:

- მონტი არ გაკოტრებულა, მამა. ოღონდ უკანვე დაბრუნდა.

სამივენი რაღაც საშინელებას ელოდნენ და ისღა ანუგეშებდათ, რომ უინიფრიდს ჰქონდა ხელები მოხვეული ჯეიმსისთვის, ის კი არ იცოდნენ, თუ რა ღრმა და მაგარი ფესვები ჰქონდა ამ ჩრდილად ქცეულ ბებერ ფორსაიტს. სუფთად გაპარსული ნიკაპი და პირი რაღაცნაირად დაემანჭა, ჩამოგრძელებულ ვერცხლის-

ფერ ბაკენბარდებს შორის ნაოჭმა გადაურბინა. ბოლოს კი ღირსეული თავდაჭერით თქვა:

- ეგ კაცი მომიღებს ბოლოს. ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა.

- ნუ აღელდები, მამა, - დაამშვიდა უინიფრიდმა, - ვაიძულებ, რომ კარგად მოიქცეს.

- აჰ! - შესძახა ჯეიმსმა, - ეს მომაშორეთ. დამცხა, - შალი მოაძრეს. ჯეიმსი შებრუნდა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა სასადილო ოთახისკენ.

- წვნიანი არ მინდა, - უთხრა მან უორმსონს და სავარძელში ჩაჯდა.

სხვებიც დასხდნენ, უინიფრიდს ქუდი არ მოუხდია, უორმსონმა კი მეოთხე სულის ჭურჭელიც დაალაგა სუფრაზე. ოთახიდან რომ გავიდა, ჯეიმსმა იკითხა:

- უკან რა ჩამოიტანა?

- არაფერი, მამა.

ჯეიმსმა სუფრის კოვზში არეკლილ თავის გამოსახულებას მიაშტერა თვალი.

- განქორწინება! - ჩაიბუტბუტა მან, - სისულელეა! ნეტავ, რას ვფიქრობდი?! ყველაფერი უნდა მეღონა, რომ ინგლისში აღარ დაბრუნებულიყო. სომს! შენ ნახე და შესთავაზე.

ეს ისეთი სწორი და მარტივი გადაწყვეტილება იყო, რომ უინიფრიდს თვითონვე გაუკვირდა, როცა თქვა:

- არა. რაკი დაბრუნდა, დარჩეს ბარემ. აღარ მოიქცევა ცუდად. ასე აჯობებს.

ყველამ მას შეხედა. თავიდანვე იცოდნენ, რომ უინიფრიდი ვაჟკაცური ქალი იყო.

- ასეა! - არეულად თქვა ჯეიმსმა, - ვინ იცის, რა კაცისმკვლელები არიან! მისი რევოლვერი მოძებნე! და უმაგისოდ ნუ დაწვები. უორმსონიც უნდა წაიყვანო, თქვენს სახლში დაიძინოს. ხვალ კი მე თვითონვე მოველაპარაკები.

ამ განცხადებამ ყველანი ააღელვა, და ემილიმ დაყვავებით მიმართა ქმარს:

- სწორი ხარ, ჯეიმს, არავითარი სისულელე არ უნდა დავანებოთ.

- ეჰ, - დაიბღვირა ჯეიმსი, - ვერაფერს ვიტყვი.

უორმსონმა თევზი შემოიტანა და ლაპარაკის თემა შეიცვალა.

მორჩნენ თუ არა სადილს, უინიფრიდი მამასთან მივიდა, აკოცა და ღამე ნებისა უსურვა. ჯეიმსმა ისეთი დაეჭვებული და შეწუხებული თვალებით ახედა, რომ უინიფრიდმა, რამდენადაც კი შეეძლო, დამამშვიდებლად და ალერსიანად უთხრა:

- ყველაფერი მოგვარდება, მამა, გენაცვალე. შენ ნუ წუხხარ. არავინ მჭირდება - მოთვინიერებული დაბრუნდა. შენ რომ აღელვებული გნახო, ეს უფრო შემაწუხებს. ღამე ნებისა, კარგად იყავი!

ჯეიმსმა გაიმეორა ეს სიტყვები - "კარგად იყავი!" თითქოს მის აზრს კარგად ვერ ჩასწვდაო, თვალებით კარამდე მიაცილა.

ჯერ ცხრა არ იყო, როცა უინიფრიდი შინ დაბრუნდა და პირდაპირ მაღლა ავიდა.

დარტი თავის ოთახში იწვა, ყველაფერი გამოეცვალა, ლურჯი სერჟის კოსტიუმი ჩაეცვა და სამეჯლისო ფეხსაცმელი გა-

მოეღო. ხელები თავქვეშ ამოედო, პირში ჩამქრალი პაპიროსი გამოსჩროდა.

უინიფრიდს ფანჯრებში ყუთებით უცნაურად გამოდგმული ყვავილები მოაგონდა, მცხუნვარე ზაფხულის დღეში რომ გადაწოლილან თუ ძლივსღა დგანან ნახევრად შემჭკნარნი, მაგრამ მზის ჩასვლის შემდეგ ცოტათი მაინც მოუთქვამთ სული. მის დახრუკულ ქმარსაც თითქოს უკვე მოხვდა პირველი ცვარი.

დარტიმ უსიცოცხლოდ ჰკითხა უინიფრიდს:

- ალბათ ლეინპარკზე იყავი! ბერიკაცი როგორაა?

უინიფრიდმა თავი ვერ შეიკავა და გესლიანად უპასუხა:

- ჯერ არ მომკვდარა.

დარტი შეცბა, აშკარად შეცბა.

- ეს გახსოვდეს, მონტი, - უთხრა ქალმა, - მამაჩემის შეწუხების ნებას არავის მივცემ. თუ წესიერ მოქცევას არ აპირებ, ახლავე შეგიძლია წახვიდე. სადაც გინდა, იქ წადი. ისადილე?

- არა.

- არ გინდა?

დარტიმ მხრები აიჩეჩა.

- იმოჯინმაც მითხრა, მაგრამ არ მინდოდა.

იმოჯინი! იმ არეულობაში უინიფრიდს შვილი სულ გადაავიწყდა.

- ნახე იმოჯინი? რაო, რა გითხრა?

- მაკოცა.

უინიფრიდმა გულისტკივილით შენიშნა, რომ ქმარს დამცინავი სახე ერთბაშად გაუბრწყინდა. "ასეა! - გაიფიქრა მან, - შვილი უყვარს, მე კი არაფრადაც არ მაგდებს".

თვალები აქეთ-იქით გაურბოდა დარტის.

- ჩემი ამბავი იცის? - იკითხა მან.

უინიფრიდს უცებ გაუელვა თავში - აჰა, იარაღი, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს. ეშინია, ბავშვებმა არ გაიგონ!

- არა. ვალმა იცის. დანარჩენებმა არ იციან. მარტო ის იციან, რომ შენ სადღაც გაემგზავრე.

შენიშნა, როგორ შვებით ამოისუნთქა ქმარმა.

- მაგრამ გაიგებენ, - მკაცრად დასძინა ქალმა, - ამისი საბაბი თუ მომეცი.

- ასე! - ამოილუღლუღა დარტიმ, - მცემე! მაინც ძირს ვგდივარ.

უინიფრიდი საწოლთან მივიდა.

- მოიხედე, მონტი! სულაც არ მინდა გცემო. სულაც არ მინდა ვნება მოგაყენო. არც არაფერს წამოგძახებ. რატომ უნდა გაგამწარო? რა აზრი აქვს? - ერთი წუთით შედგა, - მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია. არც მოვითმენ. სჯობს, ახლავე შეიგნო ეს. შენ მე მაწამე, მაგრამ მაინც მიყვარდი. სწორედ იმის ხათრით, იმ...

მისი მომწვანო თვალები ქმრის მძიმე ქუთუთოებიდან გამომზირალ თაფლისფერ თვალებს წააწყდა. უცებ ხელზე მოჰკიდა ხელი, მაშინვე შებრუნდა და თავის ოთახში შევიდა.

დიდხანს იჯდა სარკესთან და თითზე ბეჭდებს აწვალებდა, ამ მოთვინიერებულ, მისთვის თითქმის სავსებით უცნობ გახუხულ კაცზე ფიქრობდა, რომელიც, აგერ, მეზობელ ოთახში იწვა. არ უნდოდა "თავი გაეწამებინა", მაგრამ უნებურად ტანჯავდა ეჭვი იმისა, თუ "რა გადახდა თავს", და ზოგჯერ სიბრალული წამოუვლიდა ხოლმე.

თავი მეთოთხმეტე

უცნაური ღამე

სომსი გამწარებით ელოდა გაზაფხულს. ეგ ადვილი საქმე როდია ისეთი კაცისთვის, რომელსაც შეუგნია, რომ დრო სწრაფად მიქრის, მისი ოცნება კი კვლავ ოცნებად რჩება. ვერა და ვერ დაუღწევია თავი ობობას ქსელიდან. მისტერ პოლტიდი აღარაფერს იტყობინებოდა, გარდა იმისა, რომ მეთვალყურეობა გრძელდებაო, რაც, თავისთავად, კარგა ბლომად ფული ჯდებოდა; ვალი და მისი ბიძაშვილი უკვე გაემგზავრნენ ფრონტზე, საიდანაც ახლა უფრო სასიამოვნო ამბები მოდიოდა; დარტი ჯერჯერობით კარგად იქცეოდა; ჯეიმსი ისევ ჯანმრთელად იყო; საქმე ისე მიდიოდა, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი!.. ერთი სიტყვით, არაფერი შემაწუხებელი სომსს არ სჭირდა, გარდა იმისა, რომ "შებორკილი" იყო და არც იქით შეეძლო ფეხის გადადგმა და არც აქეთ.

სოჰოში ზოგჯერ ახლაც შეივლიდა, არ უნდოდა იმათთვის ეთქმევინებინა, გული "გაუცივდაო", რადგან ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი ისევ "გათბობოდა". მაგრამ ისე თავშეკავებით და ფრთხილად უხდებოდა მოქმედება, რომ ბევრჯერ მხოლოდ გვერდზე ჩაუვლიდა რესტორან "ბრეტანს", შიგ არც კი შეიხედავ-

და, და მალევე გაეცლებოდა ამ უბანს, სადაც მუდამ ისეთი განცდა მოიცავდა, თითქოს თავისივე საკუთრებისადმი რაიმე დანაშაული ჩაედინოს.

სწორედ ასე მოეხეტებოდა იქიდან მაისის ერთ ღამეს. რიჯენტსტრიტზე გავიდა და, თავის დღეში რომ არ ენახა, ისეთ საოცარ ხალხს გადაეყარა - კიოდნენ, სტვენდნენ, ხტოდნენ, ცმუკავდნენ - შემაძრწუნებელ აღტყინებას მოეცვა ყველა; ცხვირის ნიღბები წამოეცვათ, პირში სალამურები და პენიანი სასტვენები გაერჭოთ, ქუდზე გრძელი ფრთები დაემაგრებინათ - ერთი სიტყვით, გამოთაყვანების ყოველგვარი ნიშნები! ყოველ შემთხვევაში, სომსს ასე მოეჩვენა. მეიფკინგი! რაღა თქმა უნდა, მეიფკინგი გაათავისუფლეს! მაგრამ ამ სიგიჟის საბაბად ეს გამოდგება?! ვინ არიან, რა ხალხია, უესტ-ენდში საიდან გაჩნდნენ? სახეზე უღიტინებდნენ, ყურებში ჩასტვენდნენ. გოგოები უყვიროდნენ: "არ გაგვიბრაზდე, ბათქაშო!" ვიღაც ბიჭმა ისე შემოჰკრა ცილინდრზე, რომ სომსმა ძლივს მოძებნა და დაიხურა. ტკაცუნები ზედ ცხვირთან უსკდებოდა. გაშეშდა კაცი, გაშრა, გულზე გასკდა. ყოველი ქუჩიდან მოედინებოდა და მოედინებოდა ხალხის ნიაღვარი, თითქოს ჯებირები დაეხსნათ და მიწისქვეშა უხილავი წყლები გამოეშვათ, რომელთა არსებობა გაგონილი კი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს დაუჯერებია. აჰა, ხალხის ურიცხვი მასა, ცოცხალი უგულებელყოფა არისტოკრატიზმისა და ფორსაიტიზმისა! აჰა, ბატონო, ეს თქვენი დემოკრატია! აყროლებული, საშინელი, ყურთასმენის წამღები! ისტ-ენდზე, ან თუნდაც სოჰოზე კიდევ ჰო... მაგრამ აქ, რიჯენტსტრიტზე, გინდა პიკადილზე?! პოლიცია რიღას მაქნისია! 1900 წლამდე, ფორსაიტული ათასების პატრონ

სომსს ერთხელაც არ ჩაუხედავს ამ ხუფმოხდილ მოთუხთუხე ქვაბში, და ახლა რომ ჩახედა, ლამის ვეღარ დაუჯერა სიმხურვალით ამწვარ თვალებს. ენით გამოუთქმელი ამბავი ხდებოდა. ოდნავი თავშეკავებაც არა აქვს ამ ხალხს; ეტყობა, სასაცილოდაც კი იგდებენ სომსს - ეს ტლანქი, გაუთლელი, მოხარხარე ბრბო! ხარხარიც არის და ხარხარიც! არავითარი წმინდა ამათ არ გააჩნიათ, ისიც კი არ გაუკვირდება სომსს? რომ მოდგნენ ახლა და ფანჯრების ლეწვა დაიწყონ. ეს მწივანა, მოღრიალე, მოკუნტრუშე დერვიშების ბრბო უკვე პოლმოლსტრიტზე გავიდა, ჩაუარეს დიდებულ შენობებს, სადაც მხოლოდ შესვლა სამოცი გირვანქა ღირს. კლუბის ფანჯრებიდან სომსისნაირივე ხალხი, თავშესაქცევად, შეკავებული ცნობისმოყვარეობით გამოსცქეროდა ამ მოყაყანე ბრბოს. ვერც კი მიმხვდარან - ეს ხომ სერიოზული საქმეა, ვინ იცის, რა სახეს მიიღებს! დღეს კი მხიარულია ეს ბრბო, მაგრამ რა იცი, ხვალ რა გუნებაზე დადგება. გაახსენდა, როგორ დაძრწოდა ბრბო ოთხმოციან წლებში. მაშინ იგი ბრაიტონში იყო, ყველაფერს ამსხვრევდნენ, სიტყვებს წარმოთქვამდნენ, მაგრამ ახლა შიში კი არ უგრძნია იმდენად, რამდენადაც გაკვირვება. ეს ისტერიკული ღრიანცელი იყო - ინგლისურ ხასიათს არ ჰგავდა. და რისთვის მერე? იმის გამო, რომ ერთი პატარა ქალაქის, უოტფორდისხელა ქალაქის ალყა გაარღვიეს, ინგლისიდან ექვსი ათასი მილის დაშორებით. თავშეკავება, თავდაჭერა! სად გაქრა ეს თვისებები, რაც მას სიცოცხლეზედაც უფრო ძვირფასად მიაჩნდა, მესაკუთრეობისა და კულტურის ეს აუცილებელი ატრიბუტები?! ეს ხომ ინგლისურ ხასიათს არა ჰგავს! არა. ეს ინგლისური ხასიათი არ არის! გზას მიიკვლევდა სომსი და ასე ფიქრობდა.

თითქოს უცებ თვალი მოეკრას, სხვადასხვა კანონიერი დოკუ-მენტიდან როგორ ამოჭრა ვიღაცამ ხელშეკრულება "საკუთრე-ბის მშვიდობიანი მოხმარების" შესახებ; თითქოს ურჩხული დაენახოს, რომელიც მომავლიდან გამომძვრალიყოს და, მისკენ დაძრულს, წინ დიდი ჩრდილი მოეფინოს. სადღაა დარბაისლობა, სადღაა ღირსება! თითქოს ერთბაშად აღმოეჩინოს, რომ ინგლი-სელთა ცხრა მეათედი უცხოელი ყოფილა. თუკი მართლა ასეა - მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ჰაიდპარკის კუთხეში ჯორჯ ფორსაიტს შეეფეთა, გამუდმე-ბით დოღზე წრიალით მზე მოჰკიდებოდა, ხელში ცხვირის ნიღაბი ეჭირა.

- ჰელოუ, სომსს! - შესძახა მან, - ცხვირი არ გინდა.

სომსმა უგემურად გაუღიმა.

- რომელიღაც სპორტსმენს წავართვი ბრბოში, - განაგრძო ჯორჯმა, რომელსაც ეტყობოდა, კარგად ესადილა, - ქუდის წარ-თმევა მომინდომა და გემოზე მიგიტყეპე. მე მითქვამს და ნახე, სულ მალე ჭკუის სწავლება დაგვჭირდება ამ ვაჟბატონებისთვის - ძალიან თავს გავიდნენ, სულ რადიკალები და სოციალისტები არიან. ჩვენს სიმდიდრეზე უჭირავთ თვალი. ძია ჯეიმსს უამბე, ტკბილად დაეძინება.

IN VINO VERITAS((ლათ.) - ღვინოშია ჭეშმარიტება), - გაიფიქრა სომსმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, თავი დაუქნია და ჰა-მილტონ პლეისს გასცდა. ლეინპარკზე უფრო შეთხელებულიყო ბრბო, ხმაურიც ნაკლები იყო. სომსმა სახლებს ახედა და გაიფიქ-რა: "რაც გინდა თქვი და, ქვეყნის ხერხემალი, ბოლოს და ბოლოს,

ჩვენა ვართ. ასე ადვილად ვერ დაგვძრავენ. საკუთრება თვითონ არის კანონი!"

მაგრამ მამის სახლში რომ შევიდა და კარი მიიკეტა, ის უცნაური კოშმარი, რაც მან ქუჩაში იხილა, ერთიანად გაქრა, თითქოს სიზმარში ენახოს და ახლა, მზიან დილას ზამბარებიან საწოლზე გამოღვიძებოდეს, კარგად გამოშუშებულს.

უზარმაზარ, დაცარიელებულ სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, შუა ადგილას შედგა.

ცოლი! ვიღაცას ხომ უნდა გაუზიარო შენი ფიქრები! ამის ნება ხომ აქვს მაინც! ეშმაკმა დასწყევლოს, ამის ნება მაინც ხომ აქვს!

ნაწილი მესამე

თავი პირველი

სომსი პარიზში

სომსი ცოტას მოგზაურობდა. ცხრამეტი წლისა პირველად გაემგზავრა სამშობლოდან - დედასთან, მამასთან და უინიფრიდთან ერთად. ეს იყო "პატარა მოგზაურობა" ბრიუსელსა, რაინსა და შვეიცარიაში, იქიდან კი პარიზზე გამოიარეს და ისე დაბრუნდნენ შინ. ოცდაშვიდი წლისა რომ გახდა - სწორედ მაშინ, როცა სურათებით დაინტერესება დაიწყო - მთელი ხუთი მცხუნვარე კვირა იტალიაში გაატარა, რენესანსის ნიმუშებისადმი გამოიჩინა ინტერესი, თუმცა, რასაც მოელოდა, ისეთი არაფერი აღმოჩნდა. იქიდან წამოსული, ორ კვირას პარიზში დარჩა და იქ უკვე საკუთარი თავისადმი გამოიჩინა ინტერესი, როგორც ჭეშმარიტ ფორსაიტს შეეფერებოდა, რომელიც უცებ ისეთ ეგოცენტრიკულ და "უცხო" ხალხში აღმოჩნდა, როგორიც ფრანგები იყვნენ. მისი ფრანგულის ცოდნა მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა, რაც სკოლიდან გამოჰყვა, ამიტომ არც ესმოდა ფრანგების ლაპარაკი. ყველაფერს დუმილი ამჯობინა - თავისთვისაც და მსმენელებისთვისაც. სულელი მაინც არ გამოჩნდებოდა. ვერაფრად მოეწონა მამაკაცების ჩაცმულობა, დახურული კარეტები, თეატრები, რომლებიც სკებს უფრო წააგავდა, და გალერეები, სადაც თაფ-

ლის სანთლის სუნი იდგა. მეტისმეტად ფრთხილი და მორცხვი იყო, რომ პარიზის ის მხარე ენახა, რომელიც ფორსაიტების ვარაუდით, მის ფარულ მომხიბლაობას წარმოადგენს. რაც შეეხება მის ხელობას - კოლექციონერობას - არც ერთი შეთანხმება არ გაუფორმებია. ფრანგები - როგორც ალბათ ნიკოლასი იტყოდა - დამპყრობელი ხალხია. შინ რომ დაბრუნდა, უსიამოვნო გრძნობა ჩამოჰყვა, პარიზს უსამართლოდ გაუთქვეს სახელიო, ამბობდა.

ასე რომ, როცა იგი 1900 წლის ივნისში გაემგზავრა პარიზს, ეს უკვე მისი მესამე თავდასხმა იყო ცივილიზაციის ცენტრზე. ოღონდ ახლა თვით მთა მიდიოდა მუჰამედთან, რადგან ამჯერად პარიზზეც უფრო ცივილიზებულად მოჰქონდა თავი, და ალბათ იყო კიდეც. გარდა ამისა, ამჟამად განსაზღვრული მიზნით მიემგზავრებოდა. ეს უკვე უზნეობისა და გემოვნების წინაშე მუხლის მოდრეკას კი არ ჰგავდა, თავისივე კანონიერი უფლებების დასაცავად მიემგზავრებოდა. იმიტომ მიემგზავრებოდა, რომ ხუმრობის დრო უკვე დიდი ხანია გასულიყო. თვალთვალი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, შედეგი კი - არაფერი... სავსებით არაფერი! ჯოლიონი მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა პარიზში, არც სხვა ვინმე "საეჭვო" გამოჩენილა"! ახალ, სავსებით კონფიდენციალურ საქმეებში გაბმული სომსი მიხვდა თუ რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რწმუნებულისთვის რეპუტაციას, ღამღამობითა და მოცლილობის ჟამს იმისი ფიქრი ანადგურებდა, რომ დრო შეუჩერებლივ მიქროდა, ფული უანგარიშოდ მიდიოდა, მისი მომავალი კი კვლავ "ხუნდებში" ჩანდა. მეიფკინგის ღამის შემდეგ მან შემთხვევით გაიგო, რომ ანეტს "ახალგაზრდა, თავქარიანი ექიმი" უტრიალებდა. ორჯერ შეხვდა იმ ბიჭს, მხიარულ, ახალ-

გაზრდა სულელს, რომელიც ოცდაათზე მეტისა არც იქნებოდა. არაფერი ისე არ აბრაზებდა სომსს, როგორც მხიარულება - შეუფერებელი და ექსტრავაგანტური თვისება, რასაც არავითარი საერთო არა აქვს სინამდვილესთან. ერთი სიტყვით, ეს სურვილები და იმედი, ერთმანეთში არეული, სომსისთვის წამებად იქცა. ბოლო დროს ასეთი ეჭვიც გაუჩნდა, იქნება აირენი მიხვდა კიდეც, რომ უთვალთვალებენო. ფაქტობრივად, სწორედ ამან აფიქრებინა, წასულიყო და პირადად ენახა. წავა, ერთხელ კიდევ შეეცდება მისი გულის მოგებას, შეეცდება უარი გადაათქმევინოს და კვლავ ერთი გზით იარონ, ასე თუ ისე, გაასწორონ ის გზა. ახლაც თუ ვერაფერს გახდა, ნახავს მაინც, როგორ ცხოვრობს ქალი.

სომსი კომარტენის ქუჩაზე ერთ-ერთ სასტუმროში ჩამოხტა, რომელსაც ფორსაიტები დიდ რეკომენდაციას უწევდნენ. აქ თითქმის ვერ გაიგონებდით ფრანგულს. გეგმა წინასწარ არ მოუფიქრებია. ქალის დაფრთხობას ერიდებოდა; ისეთი რამე უნდა მოეფიქრებინა, რომ აირენს შეხვედრისგან თავის არიდება და გაქცევა ვერ მოეხერხებინა. და მეორე დღესვე, მშვენიერ მზიან დილას, იგი საქმეს შეუდგა.

პარიზი მხიარულებას მოეცვა, ვარსკვლავის მოყვანილობის ქალაქი ერთიანად ბრწყინავდა, და ეს თითქოს აბრაზებდა სომსს. იგი მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში, ცხვირაბზეკილი იყურებოდა აქეთ-იქით, ნამდვილი ცნობისმოყვარეობით. ამჯერად სურდა ღრმად ჩასწვდომოდა ფრანგულ სულსა და ყოფას. ანეტი ხომ ფრანგი იყო! ბევრი რამის მიღწევა შეიძლება ამ მგზავრობით, თუკი რამეს მიაღწია საერთოდ. ამ საქებარ განწყობილებაზე

რომ დადგა, ზედ თანხმობის მოედანთან ლამის სამჯერ ჩაუვარ-
და ცხენებს ფეხებში. უცებ, თითქმის მოულოდნელად, ისე, რომ
ჯერ არც კი ჰქონდა დაწყობილი მოქმედების გეგმა, კურ ლა რე-
ნის მოედანზე ამოყო თავი, სადაც აირენის სასტუმრო იდგა.
მოედანი გადაჭრა, სანაპიროზე გავიდა და ჭადრის ფოთოლთა
ფარდიდან გახედა თეთრ, მხიარულ შენობას, რომლის ფანჯრებ-
ზედაც მწვანე საჩიხები იყო ჩამოშვებული. გადაწყვიტა, რომ ქუ-
ჩაში შემთხვევით შეხვედრა უფრო გონივრული იქნებოდა, ვიდრე
რისკის გაწევა და პირდაპირ სასტუმროში მიკითხვა, ამიტომ ისე-
თი სკამი შეარჩია, საიდანაც სასტუმროს შესასვლელი კარგად
ჩანდა, ჩამოჯდა და თვალთვალი დაუწყო. ჯერ თერთმეტიც არ
იყო, აირენი ალბათ ისევ შინ იქნებოდა. მტრედები დარბაისლუ-
რად დაბაჯბაჯებდნენ ჭადრის ხეთა ჩრდილებს შორის, მზის
ზოლში, და ნისკარტით ფრთებს იწმენდდნენ, კოპწიაობდნენ.
ლურჯხალათიანმა მუშამ გაიარა, ქაღალდში საუზმე ჰქონდა
შეხვეული, ნამცეცები გადმობერტყა და მტრედებს გადაუყარა.
ბაფთებით თმაგაწყობილმა ძიძამ სასეირნოდ ორი პარტია, ნაწ-
ნავიანი გოგონა გამოიყვანა, რომელთაც ფურჩალშემოვლებუ-
ლი შარვლები ეცვათ. იქვე ეტლმა ჩაიარა - მეეტლეს ლურჯი ხიფ-
თანი ეცვა და შავი პრიალა ქუდი ეხურა. სომსის თვალში ამას ყვე-
ლაფერს მოსაჩვენებელი მანჭვა-გრეხისა და ზიზილ-პიპილების
იერი დაჰკრავდა, რაც უკვე მოდიდან გადავარდნილიყო. თეატ-
რალური ხალხია ეს ფრანგები! ძვირფასი სიგარეტი გააბოლა,
გული სწყდებოდა, რომ ბედმა მისი ცხოვრება ასე შორს გადატ-
ყორცნა. სულაც არ გაუკვირდება, რომ გაიგოს - აირენს ეს უცხო
ცხოვრება არ მოსწონსო: ის არასოდეს ყოფილა ჭეშმარიტი ინ-

გლისელი, გარეგნულადაც კი არ ყოფილა! და ვარაუდებს მოჰყვა - იმ მწვანესაჩიხიან ფანჯრებში აირენისა რომელი იქნებაო. როგორ შეარჩიოს სიტყვები იმის გამოსათქმელად, რისთვისაც აქ მოსულა, რათა ქალის ამაყი ჯიუტობის ჯავშანი შელეწოს?! სიგარეტის ნამწვავი მტრედს მოუქნია და გაიფიქრა: "სულ აქ ხომ არ უნდა ვიჯდე და თითებზე ვიმარჩიელო. ახლა წავალ და საღამო ხანს პირდაპირ სახლში მივადგები". მაგრამ მაინც არ ამდგარა. გაიგონა, როგორ დარეკა საათმა თორმეტი, მერე - პირველის ნახევარი. "პირველამდე დავიცდი, - გაიფიქრა მან, - მაინც გამოსული ვარ". მაგრამ იმწამსვე წამოვარდა, დაიგრიხა და ისევ დაჯდა. სასტუმროდან კრემისფერ კაბაში გამოწყობილი ქალი გამოვიდა, ხელში მოწაბლისფრო მზის ქოლგა ეჭირა. აირენი! მანამ კარგა შორს არ წავიდა ქალი, სომსი იქვე იჯდა, ხოლო, როცა დარწმუნდა, ამ სიშორიდან ვეღარ მიცნობსო, წამოდგა და თვითონაც უკან მიჰყვა. ქალი არ ჩქარობდა; ეტყობოდა, საქმეზე არ იყო გამოსული. ალბათ, ბულონის ტყისკენ თუ მიდიოდა - სწორედ აქეთ იყო ბულონის ტყე, თუ სომსს მახსოვრობა არ ღალატობდა. სულ ცოტა, ნახევარი საათი მაინც მისდევდა ასე მოშორებით, მანამ ქალი შიგ ტყეში არ შევიდა. ნეტავ, ვინმეს უნდა შეხვდეს აქ? ვინმე გამოშტერებულ ფრანგს, Bel ami-სნაირ ვაჟბატონს(ბელ ამი-სნაირი ვაჟბატონი - იგულისხმება მოპასანის რომანის "ლამაზი მეგობრის" (ბელ ამი) გმირი ჟორჟ დიურუა.), რომელთაც საქმე არაფერი აქვთ და ქალებს დასდევენ. თავს ძალა დაატანა და ისე წაიკითხა სომსმა ეს წიგნი, თუმცა ზიზღნარევი ინტერესი მაინც აღუძრა.

ჯიუტი შეუპოვრობით მისდევდა ქალს გადმოჩრდილულ ხეივანში, ზოგჯერ, მოსახვევში, თვალთაგან ეკარგებოდა ხოლმე. და უცებ გაახსენდა - დიდი ხნის წინ, ღამით, ჰაიდპარკში, აირენისა და ახალგაზრდა ბოსინისადმი ეჭვით გაბერილი, გახელებული და დაბრმავებული, რა გამწარებით დაძვრებოდა ხიდან ხესთან, სკამიდან - სკამთან... ერთ-ერთ მოსახვევთან სომსმა ფეხი ააჩქარა და აირენს თავს წაადგა - პატარა შადრევანთან ჩამომჯდარიყო. ეს იყო ნიობეს მომწვანო ბრინჯაოს ფიგურა, რომელსაც ჩამოშვებული თმა მოქნილ თეძოებზე სწვდებოდა, იჯდა და თავისივე ცრემლების ტბას მისჩერებოდა. ისე მოულოდნელად წაადგა თავს, რომ შეჩერება ვერც კი მოასწრო, ცოტაზე ჩაუარა და მერე მობრუნდა, ქუდი მოუხადა. ქალი არც შერხეულა. თავის შეკავება მუდამ შეეძლო ხოლმე და ეს იყო ერთ-ერთი მისი დამახასიათებელი თვისება, რასაც სომსი აღტაცებაში მოჰყავდა და ამავე დროს გულსაც საშინლად სტკენდა ხოლმე, რადგან არასოდეს შეეძლო გამოეცნო, რას ფიქრობდა ქალი. ნეტავ, შენიშნა, რომ ამდენი ხანია მოსდევს? ქალის თავშეკავებულობამ სომსი გააბრაზა. არც კი ჩაუთვლია საჭიროდ იმის განმარტება თუ მობოდიშება, აქ როგორ მოხვდა, ხელი დამწუხრებულ პატარა ნიობესკენ გაიშვირა და თქვა:

- კარგია, არა!

და მაშინღა შენიშნა, რომ ქალი საკუთარ თავს ებრძოდა, როგორმე სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

- შეშინება სულაც არ მნდომია. ეს არის შენი საყვარელი ადგილი?

- დიახ.

- ცოტა განმარტოებული კია.

ამ დროს უცნობმა ქალმა გამოიარა, ერთხანს შადრევანს მიაჩერდა და წავიდა.

აირენმა თვალი გააყოლა.

- არა, - მიუგო აირენმა და ქოლგის წვერით მიწას ჩიჩქნა დაუწყო, - განმარტოების დრო არ არსებობს. კაცს მუდამ ჩრდილი დასდევს ხოლმე.

სომსი მიუხვდა, თვალი მიაშტერა და შესძახა:

- შენს თავს დააბრალე. ახლავე შეგიძლია მაგისგან გათავისუფლდე, აირენ, დამიბრუნდი და თავისუფალი იქნები.

აირენს გაეცინა.

- ნუ იცინი! - შესძახა სომსმა და ფეხი მიწას დაჰკრა, - ეს უგულობაა. მოიხედე! რას მოითხოვ ჩემგან ისეთს, ოღონდ კი უკან დამიბრუნდე? ცალ-ცალკე სახლი რომ მოგცე?.. ათასში ერთხელ გეწვევი ხოლმე!

აირენი წამოდგა, მთელ სხეულში ერთბაშად სიცივემ დაუარა და სახეშიც მოაწვა.

- არასდიდებით! არასდიდებით! არასდიდებით! შენ შეგიძლია საფლავში ჩასვლამდე მდიო, მაინც არ დავბრუნდები.

შეურაცხყოფილმა და უკიდურესად გაღიზიანებულმა სომსმა მაინც დაიხია.

- სცენებს ნუ მიმართავ! - მკვახედ უთხრა მან.

იდგნენ გაშეშებულებივით და მისჩერებოდნენ პატარა ნიობეს, რომლის მომწვანო სხეული მზეზე ლაპლაპებდა.

- მაშ, ეს შენი უკანასკნელი სიტყვაა?! - ამოილუღლუღა სომსმა და მუშტები შეკრა, - შენ ორივესთვის გამოგაქვს განაჩენი!

აირენმა თავი დახარა.

- არ შემიძლია დაბრუნება. მშვიდობით!

საშინელი უსამართლობის გრძნობით შეპყრობილი სომსი სახეზე წამოენთო.

- შეჩერდი! - შესძახა მან, - და ერთი წუთით მომისმინე. შენ მე წმინდა აღთქმა მომეცი... ერთი გროშის პატრონი არ ყოფილხარ, ჩემთან რომ მოხვედი. რისი მოცემაც კი შემეძლო, ყველაფერი მოგეცი. სულ უმიზეზოდ გატეხე აღთქმა და ქვეყნის სასაცილო გამხადე; უბავშვოდ დამტოვე; საპყრობილეში გამომკეტე; ახლაც... ახლაც ისე მაღელვებ, რომ კვლავ ჩემი მინდა იყო... ჩემი მინდა იყო. ახლა რაღას ფიქრობ შენს საქციელზე?

აირენი მობრუნდა, მკვდარივით გაფითრებულიყო, შავი თვალები ეწვოდა.

- ღმერთმა გამაჩინა ასეთი, - თქვა მან, - უზნეო... რაკი ასეთი გგონივარ... მაგრამ არც ისეთი უზნეო, რომ კვლავ ისეთ კაცს მივნებდე, რომელიც მძულს.

ქალი წავიდა, მზის სხივები აუელვარდა თმაში და, თითქოს, კრემისფერ კაბაში მჭიდროდ გახვეულ მთელ სხეულზედაც მოეალერსა.

სომსს ენაც ჩაუვარდა და ფეხიც დაება. ამ ერთმა სიტყვამ - "მძულსო" - ასე გამეტებით ნათქვამმა სიტყვამ, - ასეთმა პრიმიტიულმა, - მის არსებაში ფორსაიტის სული შეარხია. ბოლოს წყევლა-კრულვით მოსწყდა იმ ადგილს, საიდანაც აირენი გაქრა, და, ერთბაშად მოტრიალებული, კინაღამ იმ ქალს არ ჩაუვარდა მკლავებში, რომელმაც წეღან იქით ჩაისეირნა, ახლა კი უკან მობ-

რუნებულიყო, - ჩერჩეტი, ჩრდილივით აკიდებული ჩერჩეტი დედაკაცი!

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, სულ უფრო და უფრო ღრმად მიაბიჯებდა ტყეში.

"მით უფრო კარგი, - ფიქრობდა იგი, - ბევრი წილადობილა აღარ დამჭირდება, თვითონ ხომ ერთი ბეწოთიც არაფრად მაგდებს! დღესვე ვაჩვენებ, რომ კვლავ ჩემი ცოლია!"

მაგრამ შინისკენ რომ გაბრუნდა, იძულებული გახდა, საკუთარ თავს გამოსტყდომოდა, რომ თვითონვე ვერ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა იგი ამ სიტყვებით. სცენებს ხომ არ მოუწყობდა საქვეყნოდ?! სხვა კი, ამის გარდა, აბა რა შეეძლო?! ლამის თავისივე თავს სწყევლიდა - რა უცებ ვიცი აფეთქებაო. ქალი, ვთქვათ, ყველაფრის ღირსია, მაგრამ საკუთარი თავი... ვაგლახ!.. ხომ უნდა დაინდოს! იჯდა თავისივე სასტუმრო ჰოლში, საუზმე არ მოუთხოვია, ირგვლივ ტურისტები ირეოდნენ, სომსს ხელში ბედეკერი ეჭირა, განწირულ ფიქრებს მისცემოდა. ხუნდებშია ჩაჭედილი! მთელი მისი ცხოვრება, ბუნებრივი ინსტინქტებითა და ღირსეული მისწრაფებებით, ბორკილებში მოექცა და გასაქანი აღარა აქვს, ეს იმიტომ, რომ ამ ჩვიდმეტი წლის წინ ბედმა გადაჰკიდა ქალს, რომელიც სომსმა მთელი გულით შეიყვარა, ახლაც ისე აქვს ამ ქალს დაპყრობილი მისი გული, რომ სომსს სხვისკენ ვეღარც გაუხედავს! ღმერთმა ის დღეს დასწყევლოს, რომელთაც რაღაც განსაკუთრებული დაინახეს მის არსებაში, ნამდვილად კი მხოლოდ გულქვა ვენერა ყოფილა და სხვა არაფერი! მაგრამ აგერ, ახლაც, ისევ წარმოუდგა, როგორც ეალერსებოდა კრეპდეშინის კაბაში გახვეულ ქალს მზის სხივები, და ისე ამოიკვნესა,

რომ გვერდზე ჩავლილმა ტურისტმა გაიფიქრა: "ვიღაცას ტკივილმა წამოუარა. ნეტავ რა ვჭამეთ ამ დილით?!"

ცოტა უფრო მოგვიანებით, როცა იგი ოპერის მახლობლად იჯდა ღია კაფეში და თივის ღერით ცივ ლიმონიან ჩაის წრუპავდა, ერთბაშად ღვარძლიანმა ფიქრმა მოუარა - ქალის სასტუმროში მისულიყო და იქ ესადილა. თუ შემოვიდოდა ქალი, სომსი გამოელაპარაკებოდა; არადა ბარათს დაუტოვებდა. გულმოდგინედ გამოეწყო და ასეთი ბარათი დაწერა:

"თქვენი იდილია ჯოლიონ ფორსაიტთან, ჩემთვის ცნობილია. თუ კვლავაც განაგრძობთ, იცოდეთ, რომ არაფერს მოვერიდები, ქვას ქვაზე არ დავტოვებ, ოღონდ კი იმ ვაჟბატონს სიცოცხლე გავუმწარო.

ს. ფ."

კონვერტი დაბეჭდა, მაგრამ მისამართი არ დაუწერია: მისი ქალიშვილობის გვარი დააწეროს, რაც ასე უტიფრად აღიდგინა ქალმა, გული არ აძლევდა, და თან "ფორსაიტის" დაწერასაც ვერ ბედავდა - წაუკითხავად არ დახიოსო. მერე გაჩახჩახებულ ქუჩაში გავიდა, რომელიც გასართობების მოყვარული ხალხით იყო გაჭედილი, და აირენის სასტუმროსკენ გასწია. რესტორანში შევიდა და კუთხეში დაჯდა, საიდანაც ყველა კარი კარგად ჩანდა. ბევრი არ უჭამია, ცოტა მოციცქნა, გაფაციცებული იჯდა. ქალი არ მოსულა. ყავას ნელა წრუპავდა, ორი ლიქიორიც დააყოლა - დრო გაჰყავდა. ქალი მაინც არ ჩანდა. გასაღებების დაფასთან მივიდა და გვარები შეათვალიერა. თორმეტი ნომერი, მეორე სართულზე! უცებ გადაწყვიტა, თვითონვე მიეტანა ბარათი. წითელ ნოხგადაფარებულ კიბეს აუყვა, პატარა სალონი გაიარა: რვა...

ათი... თორმეტი! დააკაკუნოს, წერილი კარში შეაცუროს თუ?.. ჩუმად მიიხედ-მოიხედა და სახელური გადასწია. კარი გაიღო, მაგრამ პატარა დერეფანში აღმოჩნდა, იქვე მეორე კარს წააწყდა. დააკაკუნა... პასუხი არავის გაუცია. კარი დაკეტილი იყო. წერილის შეცურება შეუძლებელი გახდა - კარი მჭიდროდ ეკვროდა იატაკს. წერილი ჯიბეში ჩაიდო და ერთი წუთით შედგა, დააყურადა. გული ეუბნებოდა, შინ არ არისო. ერთბაშად მობრუნდა და გამოვიდა, სალონი გაიარა და კიბეზე დაეშვა. ოფისთან მივიდა.

- იქნებ დამავალოთ და მისის ჰერონს ეს ბარათი გადასცეთ, - უთხრა მან მორიგეს.

- მადამ ჰერონი დღეს გაემგზავრა, მუსიე... მოულოდნელად წავიდა, სამი საათი იქნებოდა. ვიღაც ავად გახდომია ოჯახში.

სომსმა ტუჩები მოპრუწა.

- ოჰ! - თქვა მან, - მისამართი არ იცით?

- NON, MONSIEUR((ფრანგ.) - არა, მუსიე.). მგონი, ინგლისში გაემგზავრა.

სომსმა ისევ ჯიბეში ჩაიდო ბარათი და ქუჩაში გავიდა. იქვე ღია ეტლმა ჩაიარა. სომსმა ხელი დაუქნია.

- სადმე წამიყვანეთ!

მეეტლემ, ეტყობა, ვერ გაუგო: გაიჭყანა და მათრახი მოიქნია. ყვითელთვლებიანმა ვიქტორიამ სომსი პარიზის ქუჩებში გააქანა. აქა-იქ შედგებოდნენ, მეეტლე სომსს მოხედავდა - C'EST PAR ICI, MONSIEUR?((ფრანგ.) - აქ, მუსიე?) - "არა წადით", და ისევ გაუტევდნენ. ბოლოს მეეტლეს გული გაუწყალდა და ყვითელთვლიანი ეტლი ახლა შეუჩერებლად მიგორავდა ჭადრებით გადმოჩრდილულ ქუჩებში, დარაბებგამოკეტილი, მაღალი სახლების

წინ - ეტლი კი არა, პატარა მფრინავი ჰოლანდიელი(პატარა მფრინავი ჰოლანდიელი - აქ ნაგულისხმევია ლეგენდა ჰოლანდიელ მეზღვაურზე, რომელიც რაღაც დანაშაულის გამო დასჯილი იყო - განკითხვის დღემდე შეუჩერებლივ უნდა ეცურა ზღვაში.) იყო.

"ჩემი ცხოვრებისა არ იყოს, - გაიფიქრა სომსმა, - სულ წინ და წინ, უმიზნოდ!"

თავი მეორე

ობობას ქსელში

სომსი მეორე დღესვე დაბრუნდა ინგლისში, მესამე დღეს კი, დილით, მისტერ პოლტიდი ეწვია, რომელსაც გულზე ყვავილი ებნია, თავზე ყავისფერი ქუდი ეხურა. სომსმა ანიშნა, დაჯექითო.

- ფრონტიდან უკვე ისე ცუდი ამბები აღარ ისმის, არა? - უთხრა მისტერ პოლტიდმა, - იმედია, თქვენ კარგად ბრძანდებით, სერ.

- გმადლობთ! კარგადა ვარ.

მისტერ პოლტიდი წინ გადაიხარა, გაიღიმა, მომუჭული ხელი გაშალა, ზედ დაიხედა და წყნარად თქვა:

- თქვენი საქმე, მე მგონი, როგორც იქნა, მოვაგვარეთ.

- როგორ? - შესძახა სომსმა.

- "მეცხრამეტემ" უცებ ისეთი რამ მაცნობა, რომ, ვფიქრობ, გადამწყვეტ სამხილად შეგვიძლია მივიჩნიოთ, - თქვა და გაჩუმდა.

- რანაირად?

- ამ თვის 10 რიცხვს, დილით, "მეცხრამეტეს", "მეჩვიდმეტე" დაუნახავს - ვიღაც მამაკაცს შეხვედრია; საღამოს 10 საათზე კი - შემიძლია დავიფიცოო - საკუთარი თვალით უნახავს, როგორ გა-

მოვიდა ის უცნობი ქალის საწოლი ოთახიდან, სასტუმროში. ბევრი აღარაფერია საჭირო, ეს სამხილი სავსებით საკმარისია, მით უმეტეს, რომ "მეჩვიდმეტე" უკვე წასულა პარიზიდან - ეჭვი არ არის, იმ უცნობთან ერთად. ფაქტობრივად, ორივე გაილალა, და ჯერ კვალი არ აგვიღია, მაგრამ მივაგნებთ... ძალიან დახლართული სამუშაო შეხვდა "მეცხრამეტეს", მაგრადაც იმუშავა, და მადლობა ღმერთს, ბოლოს გაუმართლა.

მისტერ პოლტიდმა სიგარეტი ამოიღო, მაგიდაზე დარეკა, სომსს გადახედა და სიგარეტი უკანვე ჩადო. კლიენტის სახეზე გასამხნევებელი ვერაფერი ნახა.

- ის უცნობი ვინღაა? - უცებ ჰკითხა სომსმა.

- ეგ არ ვიცით. ოღონდ ფაქტის სისწორეს ფიცით ადასტურებს ჩვენი აგენტი და თან გარეგნობასაც ზედმიწევნით აგვიწერს.

მისტერ პოლტიდმა ბარათი ამოიღო და წაიკითხა:

"შუახნის კაცი, საშუალო ტანისა, დღისით ლურჯი კოსტიუმი ეცვა, საღამოზე - ფრაკი, ფერმკრთალი, შავთმიანი, მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაში, პირბრტყელი, ნიკაპი გამოწეული, ჭროღა თვალები, მოკლე ფეხები, დამნაშავის გამომეტყველება"...

სომსი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. აქ იდგა ერთხანს გამწარებული და გაცოფებული. გამოთაყვანებული! ნამდვილი გამოთაყვანებული! აჰა, გაება! მთელი შვიდი თვე კვირაში თხუთმეტ-თხუთმეტ გირვანქას იხდის, რათა საკუთარი ცოლის საყვარლად გამოიჭირონ. დამნაშავის გამომეტყველება! ფანჯარას ხელი ჰკრა და გააღო.

- ცხელა! - თქვა მან და თავისივე ადგილზე დაბრუნდა, დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და მისტერ პოლტიდს ზიზღნარევი მედიდურებით გადახედა.

- მეეჭვება, რომ ეს საკმარისი იყოს, - სიტყვები გაწელა სომსმა, - არც ვინაობა ვიცით, არც მისამართი. მგონი, აჯობებს, იმ ქალს მოეშვათ და ჩვენს მეგობარ 47-ს მივხედოთ.

სომსი დანამდვილებით ვერ იტყოდა, მიხვდა თუ არა ყველაფერს მისტერ პოლტიდი, მაგრამ წარმოიდგინა, როგორ იდგა იგი გულითად მეგობრებში და სიცილით მუცელზე იფხრიწებოდა: "დამნაშავის გამომეტყველება!" ეშმაკმა დასწყევლოს!

მისტერ პოლტიდმა დაბეჯითებით, თითქმის მგზნებარებითაც კი უთხრა:

- დამერწმუნეთ, რომ ამაზე პატარა სამხილითაც მოგვიგვარებია საქმეები. ეს პარიზია, თქვენც ხომ მოგეხსენებათ. მარტოხელა ლამაზი ქალი! ჰა, რატომ არ უნდა გავრისკოთ, სერ? კარგად შეგვიძლია ამას მოვებღაუჭოთ.

სომსს ერთბაშად გაუელვა თავში - ამ ვაჟბატონს პროფესიული ჟინი გაუცხოველდა: "ჩემი კარიერის უდიდესი ტრიუმფი - კაცს საკუთარი ცოლის საწოლ ოთახში მიუსწრეს და ამით განქორწინება მოვაწყვე. მოღვაწეობის სარბიელიდან რომ წავალ, მერეც კი ემახსოვრებათ ეს შემთხვევა". ერთი პირობა წამოუარა სომსს: "რატომაც არა?!" ბოლოს და ბოლოს, ათასობით კაცი იქნება ქვეყანაზე ისეთი, რომ საშუალო ტანი ჰქონდეს, მოკლე ფეხები და დამნაშავის გამომეტყველება!

- უფლებამოსილი არა ვარ, რაიმე რისკი გავწიო, - მოკლედ მოუჭრა სომსმა.

მისტერ პოლტიდმა შეხედა.

- სამწუხაროა, - თქვა მან, - ძალიან სამწუხაროა! ის პირველი საქმე, მგონი, გაჭიანურდეს.

სომსი წამოდგა.

- ეგ არაფერი. თქვენ. ახლა 47-ზე გეჭიროთ თვალი, და ძალიან არ გააფრინოთ. მშვიდობით.

მისტერ პოლტიდს თვალები აუციმციმდა, სომსმა რომ უთხრა - "არ გააფრინოთო".

- ძალიან კარგი. გზადაგზა ყველაფერს შეგატყობინებთ.

და სომსი კვლავ მარტო დარჩა. მართლაც რომ ახირებული, ჭუჭყიანი, ობობას ქსელისნაირი საქმეა! ხელები მაგიდაზე დააწყო და ზედ თავი დაასვენა. მთელი ათი წუთი ასე იყო, მაგრამ უფროსმა კლერკმა არ გამოაფხიზლა; მან ახალი აქციების გამოშვების პროექტი მოუტანა, რაც ძალიან სარფიანი ჩანდა. იმ დღეს მუშაობა ადრე დაამთავრა სომსმა და რესტორან "ბრეტანისკენ" გაემართა. მარტო მადამ ლამოტი დახვდა. ჩაიზე არ დაეწვევა მუსიე?

სომსმა თავი დაუქნია.

პატარა ოთახში დასხდნენ, ერთი ერთ კუთხეში, მეორე - მეორეში.

სომსმა ბორძიკით უთხრა:

- რაღაც უნდა გითხრათ, მადამ.

ქალმა ისე ხელად შეანათა კრიალა, თაფლისფერი თვალები, რომ სომსი მიხვდა, ამ სიტყვებს იგი დიდი ხანია ელოდა.

- ჯერ უნდა გკითხოთ ერთი რამ: ის ახალგაზრდა ექიმი... რა გვარია?.. ანეტსა და მას შორის ხომ არაფერია?

ქალი უცებ შავ ქარვას დაემსგავსა - ისეთივე კრიალა, შავი, მკვრივი და ელვარე გახდა.

- ანეტი ახალგაზრდაა, - მიუგო მან, - ასევე MONSIEUR LE DOCTEUR-იც.(ფრანგ.) - ბატონი ექიმი) ახალგაზრდებს უცებ უყვართ საქმის გარიგება. მაგრამ ანეტი დედის გამგონე შვილია. აჰ! ნამდვილი მარგალიტია!

სომსს ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დაეკიდა ბაგეზე.

- მაშ, სერიოზული არაფერია?

- სერიოზული?.. აჰ! რა ბრძანებაა! ძალიან კარგი ყმაწვილია, მაგრამ... რად გინდა! ფული არა აქვს ამჟამად.

ქალმა ჩინურად მოხატული ფაიფურის ფინჯანი ასწია, სომსმაც მიჰბაძა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა.

- ცოლიანი ვარ, - უთხრა სომსმა, - მაგრამ დიდი ხანია ცოლთან აღარ ვცხოვრობ. უნდა გავეყარო.

ქალბატონმა ლამოტმა ფინჯანი დადო. რას ბრძანებთ! რა ტრაგიკული ამბები ხდება ქვეყანაზე! სომსმა შენიშნა, რომ ამ ქალს ერთი ნამცეცი გრძნობა არ გააჩნდა, და გულში რაღაცნაირი ზიზღი იგრძნო მისდამი.

- მე მდიდარი კაცი ვარ, - განაგრძო მან, თუმცა ჩინებულად გრძნობდა, რომ ასეთი ლაპარაკი ვერაფერი საკადრისი იყო, - მეტი რაღა უნდა ვილაპარაკოთ ახლა, რა აზრი აქვს. მე მგონი, გამიგეთ.

მადამ ლამოტმა ისე დააჭყიტა თვალები, რომ მთელი თეთრი გარსი გამოუჩნდა. სახეში მიაჩერდა სომსს.

- Ah, ca! Mais nous avons le temps((ფრანგ.) - აჰ! რა თქმა უნდა, დრო ბევრი გვაქვს), - ამის მეტი აღარაფერი უთქვამს, - მეტს აღარ მიირთმევთ ჩაის?

სომსმა, არაო, უთხრა, გამოეთხოვა და ქალაქის დასავლეთისკენ გასწია.

ეს ფიქრი უკვე მოიშორა. ახლა მადამ ლამოტი ანეტს აღარ დაანებებს სახელის გატეხას იმ ახალგაზრდა ვირთან, მანამ... მაგრამ რა გარანტია აქვს სომსს, რომ ოდესმე შეეძლება თქმა, - "მე უკვე თავისუფალი ვარ?" რა გარანტიაა? მომავალს რაიმე რეალურის პირი აღარ უჩანს. სომსს თავი ბუზად წარმოედგინა, რომელიც ობობას ქსელში გახვეულა და საცოდავად აცეცებს თვალებს - სასურველ თავისუფლებას ეძებს.

სიარული მოუნდა და კესინგტონის ბაღს მიაღწია, იქიდან კუინსგეიტს დაუყვა და ჩელსაზე გავიდა. იქნებ ძველ ბინაში დაბრუნდა ქალი! ამას მაინც გაიგებს. რადგან იმ ბოლო და ყოვლად დამამცირებელი უარის შემდეგ, სომსის შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობა ხსნის იმედს მაინც იმაში ეძებდა, რომ ქალს უსათუოდ უნდა ჰყოლოდა საყვარელი. სადილობის დრო იქნებოდა, რომ ამ პატარა სახლს მიადგა. კითხვა აღარც კი ღირს! მის ფანჯრებში ჭაღარა დედაკაცი ყვავილებს რწყავდა. აშკარაა, ბინა გაუქირავებია. უკანვე გაბრუნდა, მძიმე ნაბიჯით, სანაპიროს დაუყვა. იდგა კრიალა, წყნარი საღამო, მომაჯადოებელი მყუდროება, და ამ საერთო ჰარმონიასა და სიმშვიდეში, მხოლოდ სომსის გულს ვერ მოესვენა.

თავი მესამე

რიჩმონდპარკი

სომსი რომ საფრანგეთს გაემგზავრა, სწორედ იმ დღეს ჯოლიონმა კაბლოგრამა მიიღო რობინჰილზე:

"თქვენს ვაჟს ტიფი შეეყარა. საშიში არაფერია. კიდევ შეგატყობინებთ".

სახლში ისედაც აფორიაქებული იყვნენ ჯუნის მომავალი გამგზავრების გამო: კაიუტა მისთვის უკვე დაეკვეთათ გემზე სახვალიოდ, და ახლა, ეს ცნობა რომ მოვიდა, ჯუნი ერიკ კობლისა და მის ოჯახს აბარებდა მამას, მათზე მზრუნველობას სთხოვდა.

ჯუნს ძმის მოხალისედ ჩაწერამ შთააგონა მოწყალების დად წასვლა, და პატიოსნადაც შეასრულა თავისი გადაწყვეტილება, ოღონდ იმ გაღიზიანებითა და სინანულით, რასაც ყველა ფორსაიტი განიცდის ხოლმე, როცა მათ პირად თავისუფლებას რაიმე ზღუდავს. პირველად დიდი ხალისით შეუდგა ამ "შესანიშნავ საამუშაოს", მაგრამ ერთი თვე რომ მიიწურა, თანდათანობით იგრძნო, რომ თავისთვის, დამოუკიდებლად, გაცილებით უფრო მეტს ისწავლიდა, ვიდრე სხვები შეასწავლიდნენ რამეს. ჰოლის რომ არ დაეჟინა, მეც უნდა მოგბაძოო, და მასაც არ დაეწყო ამ საქმის შესწავლა, ჯუნი აქამდე უსათუოდ გაანებებდა თავს. ჯო-

ლისა და ვალის გამგზავრებამ, - თავიანთ პოლკთან ერთად, აპრილში, - კიდევ უფრო განუმტკიცა შერყეული გადაწყვეტილება. მაგრამ ახლა, თავისი გამგზავრების წინ, იმის ფიქრმა, რომ ერიკ კობლისა და მის ცოლ-შვილს ბედის ანაბრად ტოვებდა, უგულო ქვეყნის ცივ ტალღებს მინდობილს, ისე შეაწუხა, რომ საშიში იყო ისევ არ გადაეფიქრა. კაბლოგრამის ამაღელვებელმა ცნობამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქმე. ქალმა უკვე წარმოიდგინა, როგორ უვლიდა ჯოლის - ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ძმის მოვლას ვინ დაუშლის! ჯოლიონი უფრო ფართოდ უყურებდა მოვლენებს, უფრო სკეპტიკურიც იყო და ამისთანა რამე არ სჯეროდა. საბრალო ჯუნი! მისი თაობის რომელი ფორსაიტი ჩასწვდებოდა, თუ რა მკაცრი და ულმობელია ცხოვრება? მას შემდეგ, რაც ჯოლიონმა გაიგო - ჯოლი კეიპტაუნში არისო, შვილზე ფიქრი მოურჩენელ ტკივილივით წამოუვლიდა ხოლმე. ვერასდიდებით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ჯოლი გამუდმებულ განსაცდელში იყო. კაბლოგრამამ ცუდი ამბავი მოუტანა, მაგრამ მაინც ერთგვარი შვება იგრძნო. ყოველ შემთხვევაში, ტყვიის შიში მაინც აღარ ჰქონდა. თუმცა ტიფიც საშინელი ავადმყოფობაა. "ტაიმსი" გაჭედილი იყო იქიდან მოსული ცნობებით დახოცილთა შესახებ. არ ჯობია, თვითონ ჯოლიონი იწვეს ახლა იქ, იმ გადაკარგულ ჰოსპიტალში, შვილი კი შინ იყოს მშვიდობიანად?! სამივე შვილის ასეთმა არაფორსაიტულმა თავგანწირულებამ ჯოლიონი ერთიანად გააოგნა. სიამოვნებით გაუცვლიდა ადგილს ჯოლის, იმიტომ, რომ უყვარდა შვილი. ისინი კი ამგვარად პირადული მოტივებით როდი მოქმედებდნენ. ჯოლიონი იძულებული იყო ეფიქრა, რომ ფორსაიტულმა ტიპმა უკვე მოჭამა თავისი დრო.

საღამო ხანს ჰოლი მივიდა მასთან ბებერი მუხის ქვეშ. ამ ორ თვეში, რაც ის მომვლელის ხელობას სწავლობდა, საოცრად გაზრდილიყო. ჯოლიონმა რომ დაინახა მისკენ მიმავალი, გაიფიქრა: "ჯერ ხომ ბავშვია, მაგრამ უკვე ჯუნზე უფრო ჭკვიანია. უფრო გონიერი. მადლობა ღმერთს, ეს მაინც არ აპირებს წასვლას". ჰოლი საქანელაზე ჩამოჯდა, უხმოდ და წყნარად. "ეგეც განიცდის, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ჩემსავით განიცდის". და როცა შენიშნა, ქალიშვილი მას მისჩერებოდა, უთხრა:

- ძალიან ახლო ნუ მიგაქვს გულთან, გენაცვალე. ავად რომ არ იყოს, ვინ იცის, იქნებ უარეს განსაცდელში ჩავარდნილიყო.

ჰოლი საქანელიდან წამოდგა.

- რაღაც უნდა გითხრა, მამა. ჯოლი ჩემ გამო წავიდა მოხალისედ.

- როგორ?

- შენ რომ პარიზში იყავი, ვალ დარტის და მე ერთმანეთი შეგვიყვარდა. რიჩმონდპარკში დავსეირნობდით ხოლმე ცხენებით. დავინიშნეთ კიდეც ერთმანეთზე. ჯოლიმ ეს გაიგო და გადაწყვიტა, ხელი შეეშალა. ადგა და ვალი გამოიწვია მოხალისეთა რაზმში ჩასაწერად. სულ ჩემი ბრალია, მამა. და ახლა მინდა მეც წავიდე. მაგათ რომ რამე მოუვიდეთ, რომელიმეს, მე ჩემი დამემართება. თან, ვისწავლე კიდეც ყველაფერი; რაც ჯუნმა იცის, ის მეც ვიცი.

გაოგნებულმა ჯოლიონმა შვილს თვალი მიაშტერა და მწარედ ჩაეცინა. აჰა, პასუხი იმ გამოცანისა, რასაც საკუთარ თავს უსვამდა ჯოლიონი. ბოლოს და ბოლოს, გამოირკვა, რომ სამივე მისი შვილი ფორსაიტი ყოფილა. ჰოლის აქამდეც შეეძლო ეს ყველაფერი მამისთვის ეთქვა! მაგრამ ეს დამცინავი შენიშვნა ბაგე-

ზევე შეაცივდა. მისი რწმენის ყველაზე უფრო წმინდა ცნება ახალგაზრდობისადმი ფაქიზი მოქცევა იყო. რაც დაიმსახურა, ის მიიღო ჯოლიონმა. დაინიშნენ! იმიტომ იყო, რომ მამასაც გაურბოდა. თანაც, ვალ დარტიზე დაინიშნა, სომსის დისწულზე, მტრული ბანაკის წევრზე! ძალიან არასასიამოვნო საქმე იყო. მოლბერტი დაკეცა და ნახატი ხეზე მიაყუდა.

- ჯუნს უთხარი?

- ვუთხარი. როგორმე ჩემს კაიუტაში მოგაწყობო. ერთსაწოლიანი კაიუტა აქვს, მაგრამ ერთ-ერთი იატაკზე დავიძინებთ. შენ თუ თანახმა გახდები, ჯუნი ახლავე წავა ქალაქში, და ნებართვას აიღებს.

"თანახმა თუ ვიქნები? - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ცოტა დაგვიანებული კია ამისი კითხვა!" მაგრამ კვლავ შეიკავა თავი.

- ჯერ პატარა ხარ, გენაცვალე, არ გაგიშვებენ.

- ჯუნი იცნობს ვიღაცებს, კეიპტაუნში წასვლა ვინც მოუხერხა. ახლავე თუ არ ამიყვანენ მოწყალების დად, ერთხანს ისე ვიქნები მათთან და ვისწავლი. გამიშვი, მამა!

ჯოლიონმა გაიცინა, რადგან ატირებას ცოტაღა უკლდა.

- მე არავის არაფერს ვუშლი, - თქვა მან.

ჰოლიმ კისერზე ხელები შემოაჭდო.

- ო, მამა, შენ ყველაზე კარგი კაცი ხარ ქვეყნად.

"ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე ცუდი ვყოფილვარ", - გაიფიქრა ჯოლიონმა. თუ ოდესმე უნანია, ასეთი ხასიათი რად მაქვსო, ყველაზე უფრო ახლა ნანობდა.

- ვალის ოჯახთან მეგობრული ურთიერთობა არა მაქვს, - თქვა მან, - და არც ვიცნობ მაგ ყმაწვილს. ეს კი ვიცი, რომ ჯოლის თვალში არ მოსდიოდა.

ჰოლიმ სივრცეს გაუშტერა თვალი და თქვა:

- მე მიყვარს ვალი.

- ყველაფერი ცხადია, - თქვა ჯოლიონმა ცივად, მაგრამ სახეზე რომ შეხედა შვილს, აკოცა. "რა უნდა იყოს ქვეყნად ახალგაზრდობის რწმენაზე უფრო პათეტიკური!" - გაიფიქრა მან. რაკი წასვლა არ დაუშლია, თავისთავად იგულისხმება, უნდა ეზრუნა, რომ რაც შეიძლება კარგად მოეწყო შვილი, ამიტომ ადგა და თვითონვე გაჰყვა ჯუნს ქალაქში. ჯუნის დაჟინებული მოთხოვნის გამო, თუ იმის წყალობით, რომ მოხელე, ვისაც მათ მიმართეს, ჯოლიონის სკოლის ამხანაგი აღმოჩნდა, ჰოლის, საბოლოოდ, ნება დართეს ჯუნის ერთსაწოლიან კაიუტაში შესულიყო. მეორე საღამოს ჯოლიონმა სერბიტონის სადგურში მიიყვანა ისინი, და ასე თვალსა და ხელს შუა გაეცალნენ შვილები - თან წაიღეს ფული, საგზალი და აკრედიტივის ფურცლები, ურომლისოდაც ფორსაიტები არსად მოგზაურობდნენ ხოლმე.

რობინჰილზე რომ ბრუნდებოდა, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მსახურებმა თავი გამოიდეს და თანაგრძნობის ნიშნად განსაკუთრებული გულმოდგინებით მოართვეს შეგვიანებული სადილი, ჯოლიონიც განსაკუთრებული მონდომებით შეექცა, რათა ეჩვენებინა, რომ დიდად აფასებდა ამ თანაგრძნობას. მაგრამ ნამდვილი შვება მაშინ იგრძნო, როცა სიგარას მოუკიდა ახალგაზრდა ბოსინის მიერ საგანგებოდ და მარჯვედ შერჩეულ, სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ქვებით ნაგებ ტერასაზე.

თანდათანობით ეხვეოდა ამ ღამეში - ამ მშვენიერ ღამეში. ხეები ძლივს ჩურჩულებდნენ და ისეთი საამური სურნელი იდგა, რომ ჯოლიონს გულზე ნაღველი მოაწვა. ბალახს ცვარი მოპკურებოდა. იმდენი იარა ამ ქვით ნაგებ ტერასაზე, რომ ბოლოს მოეჩვენა, თითქოს მარტო კი არ იყო - სამივენი ერთად იყვნენ, გაივლიდნენ, მობრუნდებოდნენ, და მამა ყოველთვის სახლის მხარეს მოექცეოდა, ვაჟი კი - ტერასის ძგიდისკენ. აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ ჯოლიონს და ნაზად გამოედოთ მისთვის ხელი. სიგარისკენ ვეღარ წაეღო ჯოლიონს ხელი - ეშინოდა მამა და შვილი არ შევაწუხოო, ფერფლი ტანსაცმელზე ეყრებოდა, და მხოლოდ მაშინ გადმოუვარდა სიგარა პირიდან, როცა სულ გაილია და ტუჩები აუწვა. და მიატოვეს კიდეც მაშინვე - მამამაც და შვილმაც, ჯოლიონმა სიცივე იგრძნო მკლავებზე. ასე დადიოდა ერთ ჯოლიონში გაერთიანებული სამი ჯოლიონი!

გაუნძრევლად იდგა, ხმაურს უგდებდა ყურს - შარაზე ეტლმა ჩაიხრიგინა, შორიდან მატარებლის ხმა მოდიოდა, გეიჯის ფერმაში ძაღლი ყეფდა, ხეები ჩურჩულებდნენ, მეჯინიბე სტვირს აკვნესებდა. ციდან აურაცხელი ვარსკვლავი იჭყიტებოდა - ბრჭყვიალა და მდუმარე ვარსკვლავები, სადღაც შორს! მთვარე ჯერ არ ჩანდა! და ღამის ბინდბუნდში მხოლოდ იატაკის ფერად ქვებსა და მახვილივით შემართულ ზამბახის ფურცლებსღა არჩევდა - საყვარელი ყვავილის დავიწროებულ, დაგრეხილ ფურცლებს, რომელთაც ღამის განსაკუთრებული ფერი დასდებოდა. სახლისკენ შებრუნდა. ეს უშველებელი სახლი ერთიანად ჩაბნელებულიყო!.. და ამხელა შენობაში, მის გარდა, კაციშვილი არ ჭაჭანებს. სრული სიმარტოვეა! მარტოს რა გააძლებინებს?! ამ

ქვეყნად სილამაზე არსებობს, ან კი რატომ უნდა გრძნობდეს კაცი ეულად თავს?! პასუხი - როგორც ნამდვილ სულელურ გამოცანას ეკუთვნის - ასეთი იქნება: იმიტომ რომ გრძნობს! რაც უფრო მეტია სილამაზე, მარტოობასაც უფრო მეტად გრძნობ. რადგან სილამაზეს ჰარმონია უმაგრებს ზურგს, ჰარმონიას კი - ურთიერთკავშირი. სული თუ გამოაცალეს სილამაზეს - ვერავითარ ნუგეშს ვეღარ მოგანიჭებს. ეს მომხიბლავი ღამე, ვარსკვლავების შუქით განათებული, აყვავებული მცენარეები, ბალახების თაფლნარევი სუნთქვა, ვერაფერი განაცდევინებდა მას სიამოვნებას, მანამ ის, ვინც მისთვის მთელი სიცოცხლის სილამაზეს წარმოადგენდა, მის ხორცშესხმასა და შინაარსს, ასე ჩამოცილებული ჰყავდა, სავსებით ჩამოცილებული, ღირსებისა და ზნეობის კანონებით მოგლეჯილი!

დაძინება ვერ მოახერხა, გამწარებით ცდილობდა ბედის მორჩილება შთაეგონებინა თავისთვის, ეს კი ფორსაიტებს, როგორც განსხვავებული ჯილაგის ხალხს და მამებისგანაც უზრუნველად დატოვებულთ, ძალიან უჭირდათ ხოლმე. გათენებისას ცოტა წათვლიმა და მაშინვე უცნაური სიზმარი ნახა.

სცენაზე იდგა. უშველებელი, მდიდრული ფარდა ჩამოეშვათ. ფარდის ზედა ნაწილი ვარსკვლავებს უწევდა, დაბლა ნახევარწრედ იყო გადაჭიმული, რამპიდან რამპამდე. თვითონ ჯოლიონი სულ დალეულიყო - პატარა, გახუხული კაცი მოუსვენრად დაწანწალებდა აქეთ-იქით. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ეს ერთი სხეული მხოლოდ ერთ არსებას კი არ წარმოადგენდა, სომსიც მასში გაერთიანებულიყო, ამიტომ არა მარტო განიცდიდა ამას, არამედ შორიდან მოთვალთვალეც იყო. ეს სხეული - სომსი

და თვითონ ჯოლიონი - ცდილობდა საძრომი ეპოვა ფარდაში, მაგრამ ჩამუქებული, მძიმე ფარდა გზას უღობავდა. რამდენჯერ-მე აიარ-ჩაიარა ფარდის გასწვრივ და უცებ სიხარულით შენიშნა პატარა გამორღვეული ადგილი, აუწერელი სილამაზე, რასაც ზამბახისფერი დაჰკრავდა და ენით გამოუთქმელი, შორეული სა-მოთხის იერი ედო. ერთბაშად წინ გაიწია, რათა გამძვრალიყო, მაგრამ ფარდა კვლავ დაიხურა. საშინლად იმედგაცრუებული ჯოლიონი - თუ სომსი? - კვლავ წრიალს მოჰყვა და ფარდების შე-საყრელ ადგილას ისევ შენიშნა ხვრელი, რომელიც ხელადვე დაიხურა. ასე მეორდებოდა დაუსრულებლად. ვერა და ვერ მოახერხა ხვრელში გაძრომა, ვიდრე ბოლოს არ გაეღვიძა - ტუ-ჩებზე აირენის სახელი შერჩა. სიზმარმა ერთიანად ააფორიაქა, განსაკუთრებით სომსთან გაიგივებამ შეაწუხა.

მეორე დილას მუშაობას ვერაფრით დაუდო გული და ჯოლის ცხენზე შეჯდა, რათა ჭენებით დაქანცულიყო. შემდეგ დღეს კი გადაწყვიტა ლონდონს წასულიყო და როგორმე ნებართვა მოეხერხებინა, რათა თვითონაც სამხრეთ აფრიკაში გამგზავრე-ბულიყო, ქალიშვილებთან. ის იყო, ბარგის ჩალაგებას შეუდგა, რომ წერილი შემოუტანეს.

"გრინოტელი,

რიჩმონდი. 13 ივნისი.

ჩემო ძვირფასო ჯოლიონ,

გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რა ახლოსა ვარ თქვენთან. პარიზში ყოფნა აუტანელი შეიქნა, იძულებული გავხდი, წამოვ-სულიყავი, რათა თქვენი რჩევა მისაწვდომი გამხდარიყო ჩემ-თვის. ერთი სული მაქვს, მანამ გნახავდეთ. რაც პარიზიდან წა-

მოხვედით, კაციშვილს არ გამოვლაპარაკებივარ ხეირიანად. ხომ კარგად ხართ? თქვენი ვაჟისა რა ისმის? არა მგონია, ამჟამად ვინმემ იცოდეს ჩემი აქ ყოფნა.

მარად თქვენი მეგობარი აირენი".

სამი მილით ყოფილა აირენი მისგან დაშორებული!.. კვლავ გამოქცეულა! იდგა და ტუჩებზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა. ამას ვერასდიდებით ვერ წარმოიდგენდა!

შუადღე იქნებოდა, როცა ჯოლიონი შინიდან გამოვიდა და ფეხით გასწია რიჩმონდპარკისკენ. მიდიოდა და ფიქრობდა: "რიჩმონდპარკი! ფორსაიტებს სწორედ რომ რიჩმონდპარკი შეგვეფერება". განა ფორსაიტებს უცხოვრიათ იქ ოდესმე! სამეფო გვარის, მეტყველებისა და ირმების გარდა, არავისაც არ უცხოვრია იქ. მაგრამ რიჩმონდპარკში ბუნებას ნება ეძლეოდა, განსაზღვრულ დონემდე გამოეჩინა თავი, მეტის უფლება არ ჰქონდა, და ამ საზღვრებში თავგამოდებით ცდილობდნენ, ყველაფერი ბუნებრივი გამოჩენილიყო, თითქოს თვით პარკი ამბობსო: "აბა, ერთი ჩემს ინსტინქტებს შეხედეთ - ინსტინქტები კი არა, თითქმის ვნებათაღელვაა, ლამის იფეთქოს და გამოხეთქოს, მაგრამ მთლიანად არა, რაღა თქმა უნდა. მფლობელობის მთელი მადლი ის არის, საკუთარი გრძნობები დაიურვო". ასეა! რიჩმონდპარკი ადვილად იუფლებდა გრძნობებს, წარმოიდგინეთ ივნისის ამ მზიან დღესაც კი, როცა გუგულების მძაფრ მოძახილს ხან ამ ხის თავზე გაიგონებდით, ხან იმ ხის თავზე და როცა ქედნები მხიარული ღუღუნით ზეიმობდნენ ზაფხულის მობრძანებას.

"გრინოტელი", რომელშიც ჯოლიონმა პირველ საათზე შედგა ფეხი, ცნობილი სასტუმროს - "კრაუნისა და სკიპტრის" - პირდა-

პირ მდებარეობდა. უბრალო სასტუმრო იყო, მაგრამ ძალიან რეს-პექტაბელური; აქ გამოულევლად იყო ხოლმე ცივი როსტბიფი, ხურტკმლის ღვეზელი და ერთი-ორი ქვრივი ქალი, ასე რომ, სა-დარბაზო კართან თითქმის მუდამ დაინახავდით ორცხენიან ეტლს.

ოთახში, რომელშიც ისეთი მქრქალი ჩითის ფარდები იყო ჩა-მოშვებული, თითქოს გადაუწყვეტიათ ყოველგვარ განცდას ხე-ლი შეუშალონო, აირენი ნაქარგგადაფარებულ სკამზე იჯდა და ძველი ნოტებით "ჰანსელსა და გრეთელს" უკრავდა. მის ზემოთ, კედელზე, რომელზედაც ჯერ კიდევ არ გაეკრათ უილიამ მორი-სის მოხატული შპალერი, დედოფლის სურათი ეკიდა - პონიზე იჯდა, ირგვლივ მწევრები ეხვია, იქვე იყვნენ შოტლანდიურქუ-დიანი მონადირეები, რომელთაც მოკლული ირმები მოჰქონდათ, აირენის მახლობლად, ფანჯრის რაფაზე, ქოთნით, ფოთლებშე-წითლებული ფუქსია იდგა. აქ ვიქტორიანიზმის სული ტრიალებ-და და თითქმის ყველაფერი ამას მეტყველებდა ოთახში; კაბაშე-მოსხლეტილი აირენი კი წარსული საუკუნიდან მოვლენილ ვენე-რად მოეჩვენა ჯოლიონს.

- სასტუმროს პატრონს რომ თვალები ჰქონდეს, - უთხრა მან, - უსათუოდ გაგიყვანდათ აქედან: თითქოს კედელი შემოგიტეხი-ათ და მის დეკორაციებში შემოჭრილხართ.

ხუმრობით გაანელა მან შეხვედრის პირველი მღელვარება, ისაუზმეს - ცივ როსტბიფს, დამუჟუჟებულ ნიგოზსა და ხურ-ტკმლის ღვეზელს შეექცნენ, თიხის სურიდან ჯანჯაფილის ტკბი-ლი სასმელი დააყოლეს და პარკისკენ გასწიეს. ხუმრობა ახლა დუმილმა შეცვალა. სწორედ ამისი ეშინოდა ჯოლიონს.

- პარიზის ამბავი რომ არ გითქვამთ ჩემთვის! - უთხრა მან ბოლოს.

- ჰო... დიდხანს მითვალთვალებდნენ. თურმე ამასაც ეჩვევა ადამიანი. მაგრამ ბოლოს სომსიც ჩამოვიდა და პატარა ნიობესთან იგივე ამბავი განმეორდა - თუ დამიბრუნდებიო!

- დაუჯერებელია.

აირენი ისე ლაპარაკობდა, რომ ჯოლიონისთვის არ შეუხედავს, ახლა კი ასწია თავი. თვალი თვალში გაუყარა, და ენაც კი ვერ გადმოსცემდა ამ სიტყვებს ისე მკაფიოდ, როგორც მისი შავი თვალები ამბობდნენ: "აჰა, ბოლოც ამ ამბისა; თუ მართლა გინდივარ, აგერ ვარ".

ხომ ამ ხნის კაცი იყო ჯოლიონი, მაგრამ ასეთი მღელვარება თავის დღეში არ განეცადა!

"აირენ, შენ ჩემი სათაყვანებელი ხარ!" კინაღამ ეს სიტყვები მოსწყდა მის ენას. და უცებ ჯოლი ცხადად წარმოუდგა, - სახეგადატეტკილი, თეთრი კედლისკენ შებრუნებული, - მაგრამ ისეთი სიცხადით, რომ ჯოლიონს ვერც დაეჯერებინა, ასე თვალნათლივ თუ შეიძლებოდა წარმოსახვის ხილვა.

- ჩემი ბიჭი ძალიან ავად ყოფილა, - თქვა მან წყნარად.

აირენმა ხელი გამოსდო.

- წავიდეთ, გავიაროთ. ყველაფერი მესმის.

უბადრუკი სიტყვები და ახსნა-განმარტება აღარ დასჭირვებია! ქალი ყველაფერს მიხვდა! გზა განაგრძეს, გვიმრა წამოზრდილიყო და მუხლებამდე სწვდებოდათ, ჩაუარეს კურდღლის სოროებს, გასცდნენ მუხნარს. სულ ჯოლიზე ლაპარაკობდნენ.

ორი საათის შემდეგ ჯოლიონი ქალს გამოეთხოვა რიჩმონდპარ-კის ჭიშკართან და შინისკენ გასწია.

"ყველაფერს ხვდება, თუ რა გრძნობა მაქვს მისდამი, - გაიფიქრა მან, - რაღა თქმა უნდა! ამისთანა ქალს ამას გამოაპა-რებ?!"

თავი მეოთხე

მდინარის გაღმა

ისე გააწვალეს ჯოლი სიზმრებმა, რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს, ახლა კი - როცა გაწამებულსა და გასავათებულს სიზმრების თავიც აღარ ჰქონდა - მიატოვეს. იწვა გაშეშებული და ბუნდოვნად იგონებდა შორეულ ამბებს. თვალის გახელის ძალაღა შერჩა, საწოლი სწორედ ფანჯარასთან იდგა, გადახედავდა ხოლმე მდინარეს, რომელიც სილაში მიიკვლევდა გზას, და კარუს ველზე მიმოფანტულ ქენდირის ბუჩქებს. ახლა უკვე მიხვდა, რაც იყო ეს კარუ; კურდღლებივით გაქცეული ბურებიც რომ არ ენახა, გაფრენილი ტყვიების ზუზუნიც რომ არ მოესმინა, ამას მაინც მიხვდებოდა. ისე უცებ მოეპარა ეს ჭირი, რომ დენთის სუნი არც კი შეუსუნთქავს. საშინელ სიცხეში აუდუღარ წყალს მიეძალა თუ ხილს გადმოჰყვა სენი - ამას ვინ მიხვდება! ყოველ შემთხვევაში, თვითონ ვერ მიხვდება, იმის თავიც აღარ ჰქონდა, რომ სწყენოდა მაინც - სენი როგორ მომერიაო. იმის ძალაღა შერჩა, უბრალოდ ეგრძნო - რომ ოთახში, მის გარდა, სხვაც ბევრი იწვა, რომ ეს ცოფიანი სიზმრები აწამებდა; თვალის გახელასღა ახერხებდა, რათა ქვემოთ გაწოლილი მდინარე დაენახა და ბუნდოვნად მოეგონებინა შორეული ამბები...

მზე უკვე ჩასვლაზეა. მალე აგრილდება. ნეტავ რა დროა - ძველ საათზე ხელის მოვლება მაინც შეეძლოს, ისეთი გლუვი და სრიალაა!.. რეპეტირის ტიკ-ტაკი მაინც მოასმენინა!.. დაამშვიდებს, გულს მოუფონებს. მაგრამ ძალა აღარ ეყო მოჰგონებოდა, რომ ეს ძველი საათი უკანასკნელად იმ დღეს მომართა, როცა აქ დააწვინეს. ისე სუსტად უფეთქავდა გონება, რომ ეს სახეები - მომვლელებისა, ექიმებისა, სანიტრებისა, - სულ ერთნაირი იყო, თითქოს ერთ გაურკვეველ სახეს წარმოადგენდა. სიტყვებსაც ერთნაირს წარმოთქვამდნენ და ეს სიტყვები არაფრისმეტყველი არ იყო. გაცილებით უფრო ცხადად და თვალსაჩინოდ ხედავდა იმას, რაც ოდესღაც გაეკეთებინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შორეული და ბუნდოვანი ამბები იყო... აგერ ჰეროუს საბილიარდოსკენ მიჰყვება კიბეს... "აქეთ, სერ! აქეთ!".. ფეხსაცმელს "უესტმინსტერის გაზეთში" ახვევს, ქაღალდს მწვანე ფერი დაჰკრავს, ფეხსაცმელი პრიალაა... პაპა თითქოს წყვდიადიდან გამოდის... ირგვლივ მიწის სურნელი დგას... აგერ სოკო-სახლი! რობინჰილი! საწყალ ბალთაზარს ფოთლები წააყარეს! მამა! სახლი...

ისევ დაუბრუნდა გონება - შენიშნა, რომ მდინარის კალაპოტში წყალი არ მიდიოდა... ვიღაცამ ჩაულაპარაკა. ხომ არაფერი უნდა? არა. მაგისი თავიც არა აქვს. ისეა მიკნავებული, რომ აღარაფერი უნდა... ოღონდ საათის ტიკ-ტაკი მოასმენინა.

ჰოლი! ბურთის ჩამოწოდებაც არ იცის ხეირიანად. ოჰ! კარგად გადმოაგდე! მიწაზე ნუ მოათრევ!.. შენ მიეშველე, მეორე!.. ჰო, მეორეა, მეორე!.. კვლავ დაუბრუნდა გონება - გარეთ იისფერი ბინდი ჩამოწვა, სისხლივით წითელი მორკალული მთვარე ცაში აიზიდა. ველარ მოაშორა თვალი ამ მთვარეს. ამ გაჭიანურე-

ბულ წუთებში, როცა გონება სულ გამოითიშა, მთვარე სულ მაღ-
ლა და მაღლა მიიწევდა...

"კვდება, ექიმო!" ფეხსაცმელს ვეღარ შეახვევს? ვეღარასო-
დეს?.. გამაგრდი, მეორევ, ყოჩაღად! რა გატირებთ! დამშვიდდი...
გადახვალ მდინარეზე და დაიძინებ!.. ბნელა?.. ეჰ, ვინმე რომ... ამ
ძველ საათს... აამუშავებდეს!..

თავი მეხუთე

სომსი მოქმედებს

მისტერ პოლტიდის ხელით დაწერილი დალუქული ბარათი მთელი ორი საათი ჯიბეში ედო სომსს, არც გაუხსნია; მისი ყურადღება ახლა მთლიანად "ქვანახშირის ახალ საბადოთა კამპანიის" საქმეებმა შთანთქეს. მას შემდეგ, რაც მოხუცი ჯოლიონი გადადგა ამ საზოგადოების თავმჯდომარეობიდან, საქმე სულ უკანუკან მიდიოდა, ბოლოს კი ერთბაშად ისეთი სისწრაფით დაექანა, რომ "ლიკვიდაციის" გარდა სხვა აღარაფერი გამოსავალი დარჩა. სასაუზმოდ რომ წავიდა კლუბში, ბარათი თან წაიღო. ეს კლუბი წმინდა ადგილი იყო მისთვის, რადგან ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მამას დაჰყავდა აქ სასაუზმოდ. ჯეიმსს მოსწონდა, რომ შვილი თავიდანვე ეჩვეოდა იმ ხალხში ტრიალს, სადაც მთელი ცხოვრება უნდა გაეტარებინა.

კუთხეში მიჯდა, წინ შემწვარი ცხვრის ხორცი და კარტოფილის პიურე დაილაგა და კონვერტი გახსნა.

"ძვირფასო სერ, თქვენივე მოსაზრების მიხედვით, ჩვენ მეორე მხრიდან მივუდექით საქმეს და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. 47-ზე დაკვირვებამ მე-17-ის კვალიც მიგვაგნებინა - რიჩმონდი, გრინოტელი. წინა კვირაში ეს ორი პიროვნება ყოველ-

დღიურად ხვდებოდა ერთმანეთს რიჩმონდპარკში. განსაკუთრებული ჯერ არაფერი შეუნიშნავთ. მაგრამ ამ წლის დამდეგს პარიზში მომხდარ ამბებსაც თუ მოვიშველიებთ, დარწმუნებული ვარ, სასამართლოსთვის საკმარისი იქნება. მანამ თქვენგან ახალ განკარგულებას მივიღებდეთ, თვალთვალს, რა თქმა უნდა, კვლავაც განვაგრძობთ.

მარად თქვენი ერთგული კლოდ პოლტიდი".

ორჯერ გადაიკითხა სომსმა წერილი და ოფიციანტს მოუხმო.

- წაიღეთ ეს, გაცივდა.

- კიდევ მოგართვათ, სერ?

- არა. ყავა მომიტანეთ სხვა ოთახში.

ხელუხლებელი კერძის ფული გადაიხადა და გავიდა, ორ ნაცნობს ისე ჩაუარა, თითქოს არც ეცნოს.

"სასამართლოსთვის საკმარისი იქნება!" - გაიფიქრა მან და მარმარილოს პატარა, მრგვალ მაგიდას მიუჯდა. ყავა უკვე მოეტანათ. ის ვაჟბატონი - ჯოლიონი! ყავა დაისხა, დაშაქრა და შეხვრიპა. თავისივე შვილების თვალში შეარცხვენს! გულზე ცეცხლივით მოაწვა ეს გადაწყვეტილება, წამოდგა და პირველად ახლაღა იგრძნო, თუ რა უხერხული იყო საკუთარი თავის ვექილობა-მრჩევლობა. თავისივე ოფისში ხომ არ დაიწყებს ამ სასკანდალო საქმის წარმოებას! მთელი სული და გული პირადი ღირსებისა ვიღაც სხვას უნდა ჩააბაროს, საოჯახო დავიდარაბათა წარმოებაში დახელოვნებულ ვინმე უცხო ვექილს. მაინც ვის? იქნებ "ლინკმენსა და ლეივერს". ბაჯ-როუზე საკმაოდ საიმედო ოფისია, არცთუ ძალიან განთქმული, ახლო ნაცნობობაც არა აქვს, მარტო სალმით იცნობს. მაგრამ, მანამ იმათ ნახავდეს, ჯერ

პოლტიდი უნდა მოინახულოს ერთხელ კიდევ. ამის გაფიქრებაზე ერთბაშად მოტყდა. გაანდოს საიდუმლო? რა სიტყვები უნდა შეარჩიოს ამის სათქმელად?! თვითონვე ჩაიგდოს თავი სასაცილოდ და საქირქილოდ? თუმცა ისედაც ეცოდინება იმ ვაჟბატონს - ჰო, ეცოდინება, რაღა თქმა უნდა! იგრძნო, რომ ახლავე უნდა გაეთავებინა საქმე - ეტლი აიყვანა და უესტ-ენდისკენ გასწია.

ამ საშინელ სიცხეში მისტერ პოლტიდის კაბინეტის ფანჯარა ბოლომდე გამოეღოთ და სიფრთხილე იმითღა გამოეჩინათ, რომ ბუზებისგან თავდასაცავად მავთულის ბადე ჩამოეშვათ. ორი-სამი ბუზი მაინც ცდილიყო შეძრომას და, ჭუჭრუტანაში გაჩხირულები, ახლა თითქოს ელოდნენ, ჰა და ჰა, გადაგვსანსლავენო. მისტერ პოლტიდმა თავისი კლიენტის მზერას გააყოლა თვალი, ბოდიში მოიხადა და ფანჯარა მიხურა.

"პოზიორი ვირი!" - გაიფიქრა სომსმა. როგორც ნამდვილ თავდაჯერებულ კაცს შეეფერება, თავი ღირსეულად დაიჭირა, ერთი თავისებურად გაიჭყანა და თქვა:

- თქვენი წერილი მივიღე, გადავწყვიტე აშკარად ვიმოქმედო. ალბათ იცით ამ ქალის ვინაობა, ვისაც თქვენ მეთვალყურე დაუნიშნეთ.

მისტერ პოლტიდის გამომეტყველება ამ წუთს მართლაც რომ შედევრი იყო. თითქოს აშკარად ამბობდა: "ჰა, თქვენ მაინც როგორა გგონიათ? მაგრამ, დამერწმუნეთ, ეს უბრალო პროფესიული ცოდნაა... მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ". ოდნავ აიქნია ხელი ჰაერში, თითქოს ამშვიდებსო: "რას იზამ... რას იზამ, ამისთანა რამე ყველას შეიძლება მოგვივიდეს!"

- მით უკეთესი, - თქვა სომსმა და ენით ტუჩები დაისველა, - აღარაფრის თქმა აღარ დამჭირდება. "ლინკმენსა და ლეივერს" უნდა მივანდო ჩემი საქმე, ბაჯ-როუზე. მე აღარ მჭირდება თქვენი ცნობები, მაგრამ იმათ კი ყველაფერი აუხსენით, გთხოვთ, ხუთი საათისთვის და უკიდურესი სიფრთხილით განაგრძეთ საქმე.

მისტერ პოლტიდმა თვალები მოჭუტა - ყველაფერში გეთანხმებიო.

- ჩემო ძვირფასო სერ!.. - ესღა თქვა მან.

- დარწმუნებული კი ხართ, - კიდევ ერთხელ მიუბრუნდა სომსი, - რომ სამხილი საკმარისი იქნება?

მისტერ პოლტიდის მხრები ოდნავ აიზნიქა.

- თავისუფლად შეგიძლიათ გარისკოთ, - წაიბუტბუტა მან, - რაც ხელთა გვაქვს, და ადამიანის ბუნებასაც თუ გავითვალისწინებთ თავისუფლად შეგიძლიათ გარისკოთ.

სომსი წამოდგა.

- მაშ, მისტერ ლინკმენს იკითხავთ. გმადლობთ. ნუ წუხდებით, - უნდოდა ამჯერად მაინც დაერღვია მისტერ პოლტიდის ჩვეულება, კარსა და მას შორის რომ გასრიალდებოდა ხოლმე. პიკადილზე მზე იღვრებოდა, და შუბლი მოიწმინდა. ყველაზე ძნელი რაც იყო, უკვე მოათავა - უცხო ხალხთან უფრო გაუადვილდება. და სიტისკენ გაბრუნდა.

იმ საღამოს, მამას რომ შეჰყურებდა ვახშამზე, კვლავ ძალუმად წამოუარა ძველმა ჟინმა - შვილი მოენატრა, ვაჟიშვილი; შვილი, რომელიც ასევე დაუწყებს სადილობისას ყურებას, როცა სომსი ხანში შევა; რომელსაც მუხლებზე დაისვამს, როგორც ჯეიმსი ისვამდა ხოლმე მას პატარაობისას; თავისივე გაჩენილი შვი-

ლი, რომელიც ყველაფერს გაუგებს, რადგან მისი სისხლი და ხორცი იქნება, გაუგებს და ანუგეშებს; მასზე უფრო მდიდარი და განათლებული იქნება, რადგან სომსი უფრო დიდი ყურადღებით აღზრდის. აბა, როცა დაბერდება - ასე რომ გათეთრდება და ჩამოხმება, უმწეო გახდება - სულ უთვისტომო და ეული შეიქნება, სიმდიდრით ყელამდე სავსე, არაფრის ინტერესი აღარ ექნება, რადგან მომავალი მისთვის აღარ იარსებებს, ხოლო მთელი მისი დოვლათი იმის ხელში და პირში გადავა, ვინც მისთვის არაფერს წარმოადგენს!.. აჰ, არა! ყველაფერს იღონებს, რომ ასე არ მოხდეს, ხელ-ფეხს გაიხსნის, დაქორწინდება, ბიჭს გააჩენს და გაზრდასაც მოასწრებს, მანამ მამამისივით დაჩაჩანაკდებოდეს, რომელიც აგერ ზის და, დაფიქრებული, ხან კერძს დახედავს, ხანაც შვილს გადახედავს.

ამ განწყობილებით ავიდა საწოლ ოთახში. მაგრამ ამ სიცხეში, ემილის მშვენიერ ტილოს ზეწრებში გახვეულს, ძველი მტანჯველი მოგონებები ეწვია. აირენი წარმოუდგა, თითქოს მის სხეულს შეხებოდეს. რამხელა სისულელე მოუვიდა, რომ ისევ ნახა, კვლავ გაუხსნა გზა ვნებათაღელვას, და რა საშინელი წამებაა, როცა აირენს იმ ვაჟბატონთან წარმოიდგენს, იმ ქურდ და წუწკ ვაჟბატონთან, რომელმაც ცოლი წაართვა!

თავი მეექვსე

ზაფხულის დღე

რიჩმონდპარკში აირენთან პირველი გასეირნების შემდეგ ისე გავიდა რამდენიმე დღე, რომ ჯოლიონს შვილზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ამბავი აღარაფერი მოსულა. სამხედრო სამინისტროშიც ვერაფერს ეუბნებოდნენ. ჯერჯერობით არც ჯუნისა და ჰოლისგან მოელოდა რამეს - სულ ცოტა, სამ კვირას მაინც ვერაფერს შეატყობინებდნენ. ამ დღეებში იგრძნო, თუ რა ცოტა რამ ჰქონდა მოსაგონებელი შვილზე და რა უზრუნველი მამა ყოფილა. ერთი შემთხვევა ვერ გაიხსენა, რომ რომელიმე მათგანს გული მოსვლოდეს. არც ერთი შერიგება - რადგან ჩხუბი არასოდეს მოსვლიათ. არც ერთხელ არ გადაუშლიათ ერთმანეთისთვის გული. ჯოლის დედა რომ მოკვდა, მაშინაც კი არა. არაფერი, გარდა ნახევრად ირონიული სიყვარულისა. სულ იმის შიში ჰქონდა, თავი ზედმეტად არ შევიბორკო და თავისუფლება არ დავკარგო, ან შვილის თავისუფლებას არ შევუშალო ხელიო.

მხოლოდ აირენთან შეხვედრა მოუფონებდა ხოლმე გულს, მაგრამ მაშინაც კი გაორების სულ უფრო და უფრო მომძლავრებული გრძნობა მოიცავდა, საკუთარი შვილის და აირენისადმი გაორებისა. ჯოლისთან მას აკავშირებდა იმ საზოგადოებრივი

რწმენის ერთიანობისა და შთამომავლობის უწყვეტობის გრძნობა, რაც ახალგაზრდობაშიც ძალუმად აღელვებდა ჯოლიონს, და მერეც, როცა მისი შვილი სკოლაში სწავლობდა, უნივერსიტეტში შევიდა, - გრძნობდა იმისგან უკანდაუხევლობისა, რასაც მამაშვილი ერთმანეთისგან მოელოდნენ. აირენთან კი დაკავშირებული იყო სილამაზისა და ბუნების განცდის მთელი სიამოვნება. და რაც დრო გადიოდა, მისთვის სულ უფრო და უფრო გაურკვეველი ხდებოდა, ვისთან იყო დაკავშირებული უფრო ძლიერად. სწორედ ასეთი ფიქრებით იყო გაოგნებული ერთ დღეს, როცა ვიღაც ველოსიპედიანმა ყმაწვილმა გამოაფხიზლა ერთბაშად და მოურიდებლად, სწორედ იმ დროს, როცა ჯოლიონი რიჩმონდისკენ წასვლას აპირებდა; საოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა ამ ყმაწვილს და ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა.

- მისტერ ჯოლიონ ფორსაიტი ბრძანდებით? გმადლობთ, სერ.

ჯოლიონს კონვერტი მიაჩეჩა ხელში, თვითონ კი ველოსიპედს მოახტა და გზას გაუყვა. გაოცებულმა ჯოლიონმა კონვერტი გახსნა.

"ანდერძისა და განქორწინების განყოფილება. ფორსაიტი - ფორსაიტისა და ფორსაიტის წინააღმდეგ!" ზიზღისა და სირცხვილის გრძნობას ხელადვე ასეთი რეაქცია მოჰყვა: "რა მოგივიდა?! აკი სწორედ ამას ნატრობდი? მაინც არ გესიამოვნა?! ალბათ აირენიც მიიღებდა ასეთ უწყებას, და ახლავე უნდა ნახო". მიდიოდა და ფიქრში ათასნაირად ზომავდა ყველაფერს. სასაცილო და ახირებული საქმე კი გამოდის! რადგან, რაც უნდა ეწეროს გულის შესახებ საღვთო წერილში, კანონის დასაკმაყოფილებლად,

უბრალო წადილს გარდა, რაღაც კიდევ არის საჭირო. მათ მშვენივრად შეუძლიათ დაიცვან თავი ამ საქმეში, ყოველ შემთხვევაში სუფთა სინდისით სცდიან მაინც. მაგრამ ამის გაფიქრებაც კი ჯოლიონს გულს უმღვრევდა. ნამდვილი საყვარელი თუ არ არის აირენისა, სურვილით ხომ ასეა, და ჯოლიონმა ისიც იცის, რომ ქალი მზადაა მისი გახდეს. ქალის გამომეტყველება ამბობს ამას. განა აზვიადებს ჯოლიონი. ქალმა აკი ერთხელ უკვე გამოცადა დიდი სიყვარული და ჯოლიონმა კარგად იცის, რომ ახლა ამ ხნის კაცის შეყვარება ისეთივე გზნებით აღარ შეუძლია. მაგრამ ქალს ნდობა აქვს მისი, უყვარს კიდეც და იცის, რომ ჯოლიონი მფარველად გაუხდება. არა, აირენი არც სთხოვს ამ პროცესზე თავი დავიცვათო, რადგან გრძნობს, როგორ აღმერთებს მას ჯოლიონი! მადლობა ღმერთს, ბრიტანულ წესიერებაზე არა სდებს თავს, რომ ბედნიერებას უბრალოდ უარის თქმის გულისთვის შეაქციოს ზურგი! გაუხარდება კიდეც, რომ ჩვიდმეტი წლის ცოცხალმკვდრად ყოფნის შემდეგ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. რაც შეეხება გახმაურებას, მაგას აღარაფერი მოევლება! კიდეც რომ მოინდომონ სასამართლოში თავის მართლება, ამით შერცხვენის ლაქას მაინც ვერ მოიშორებენ. ჯოლიონი ახლა იმასვე განიცდიდა, რა განცდაც ჩვეულებრივი იქნებოდა ყველა ფორსაიტისთვის, რომლის პირად სიცოცხლესაც რაიმე საშიშროება დაემუქრებოდა: თუკი კანონის მიხედვით უსათუოდ ჩამოხრჩობა ელის, ბარემ საწადელს მაინც ეწიოს! ეგეც რომ არ იყოს, სასამართლოში წარდგომა და ფიცით იმით მტკიცება, ჩვენ შორს არაფერი ისეთი არ მომხდარა, სიყვარულზე სიტყვაც არ დაგვცდენიაო, უფრო დამამცირებლად მიაჩნდა

ჯოლიონს, ვიდრე უხმოდ აღიარება ადულტერობისა; გაცილებით უფრო დამამცირებლად, მის ნამდვილ გრძნობასაც თუ გავითვალისწინებთ; თან შვილებისთვისაც უფრო უსიამოვნო და შემაწუხებელი იქნებოდა ეს ფაქტი. იმის გაფიქრებაც კი, რომ, მოსამართლისა და თორმეტი უნდილი ინგლისელის წინაშე წარმდგარს, პარიზსა და რიჩმონდპარკში სეირნობა-შეხვედრების ამბავი უნდა ეამბნა, გულზე წინასწარვე ელდად ხვდებოდა. ამ პროცესის მთელი სისასტიკე და ფარისევლობა; იმის ფიქრი, რომ სიმართლეს არ ირწმუნებდნენ, იმის წარმოდგენა, რომ ქალი, - ვინც მას ხორცშესხმულ მშვენიერებად მიაჩნდა, - ამ ურწმუნო ადამიანების წინაშე უნდა დამდგარიყო, რათა დაეჭვებულ და ცნობისმოყვარე თვალებს შთაენთქათ, ჯოლიონს საშინლად ეჩვენებოდა. არა! არაფრის დიდებით! სასამართლოში თავის დასაცავად გამოცხადება ლონდონს გაახარებს და გაზეთების გაყიდვას შეუწყობს ხელს! ათასჯერ უმჯობესი იქნება ის მიიღოს, რასაც სომსი და ღმერთები სთავაზობენ!

"თან, - საკუთარ თავს გამოუტყდა ჯოლიონი, - ხომ ჩემი ბიჭის ხათრით ვიტანდ ამდენს, მაგრამ ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს შემეძლება ავიტანო ასეთი ყოფა?! ყოველ შემთხვევაში, აირენი მაინც დააღწევს თავს ბოლოს და ბოლოს მარწუხებს". ფიქრებში ჩაფლული, თითქმის ვერც კი გრძნობდა შეხუთულ სიცხეს. ღრუბლებით დატვირთულ მეწამულ ცას აქა-იქ პატარა თეთრი ზოლები დაჰკრავდა. პარკის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ქუჩის მტვერს წვიმის მსხვილი წვეთი დაეცა და ვარსკვლავის მოყვანილობა მიიღო. "უჰ! - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ქუხილი! ნეტავ აირენი არ გამოვიდოდეს! ახლავე თავსხმა წამოვა!" და იმავე წუთში

აირენს მოჰკრა თვალი, ისიც ჭიშკარს უახლოვდებოდა. "ახლავე რობინჰილისკენ უნდა გავიქცეთ".

ოთხი საათი იყო, ქარიშხალმა რომ გადაუარა პოლტრის, და კლერკებს ყველა ოფისში სასიამოვნო გასართობი გაუჩინა. სომსი ჩაის შეექცეოდა, როცა ბარათი შემოუტანეს.

ფორსაიტი - ფორსაიტისა და ფორსაიტის წინააღმდეგ.

"ძვირფასო სერ,

ნება გვიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ თქვენი დავალება შესრულებულია - რიჩმონდსა და რობინჰილში დღეს პირადად შევატყობინებთ ამ საქმის მოპასუხეებს.

მარად თქვენი ერთგული ლინკმენ და ლეივერი".

სომსმა კარგა ხანს ვერ მოაცილა თვალი წერილს. იმავე წუთიდანვე, რაც ეს დავალება მისცა, იგი სულ ყოყმანობდა, ისევ ხომ არ გავაუქმო ეს ჩემი დავალებაო. ძალიან სკანდალური გამოდიოდა, საქვეყნოდ თავის მოჭრა! თვით ეს სამხილიც, მას რომ მოახსენეს, სარწმუნოდ სულაც არ მიუჩნევია. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ვერ დაეჯერებინა, რომ აირენმა და ჯოლიონმა ასე ღრმად შეტოპეს. მაგრამ ეს გაფრთხილება კი ნამდვილად წააქეზებთ ამ საქმისთვის. ეს ფიქრი აწამებდა. თვითონ ვერ ეღირსა აირენის სიყვარულსა და თანაგრძნობას, ამ ვაჟბატონმა კი უნდა იგემოს! ნუთუ მეტისმეტად დაგვიანებულია? რაკი ასე მაგრად შეაფუცხუნა ამ გაფრთხილებით, იქნებ დრო იხელთოს და მათი ერთმანეთისგან დაშორებაც მოახერხოს! "ახლავე თუ არ ვიმოქმედე, მერე გვიანღა იქნება, რაკი ეს უწყება მიიღეს, - გაიფიქრა მან, - წავალ და იმ ვაჟბატონს მოვინახულებ, ახლავე გავემგზავრები".

და ამ ცხელ გულზე კაცი აფრინა ახალშემოღებული მოტოტაქსისთვის. ვინ იცის, რამდენ ხანს მოუნდება იმ ვაჟბატონის პოვნას, ან რა გადაწყვეტილება მიიღეს მათ ასეთი ელდის შემდეგ! "მე რომ თეატრალური ვირი ვიყო, - გაიფიქრა მან, - ალბათ მათრახს ან რევოლვერს წავიღებდი, ან ამისთანა რამეს". ამის ნაცვლად მთელი შეკვრა ქაღალდები წაიღო, გზაში წასაკითხად, რაღაც საქმე - "მეჯენტი უეინის წინააღმდეგ". მაგრამ არც კი გაუშლია ქაღალდები, უხმოდ იჯდა, დროდადრო ავტომობილი შეანჯღრევდა და შეახტუნებდა ხოლმე, შიგ კეფაში რომ ქარი უბერავდა, ამას ვერც კი გრძნობდა, ვერც ბენზინის სუნს. ვნახოთ, რას იზამს ის ვაჟბატონი და თვითონაც ამის მიხედვით მოიქცევა. მთავარია, არ აღელდეს და თავი არ დაკარგოს!

პატნის ხიდს რომ მიუახლოვდა, ლონდონმა უკვე დაიწყო თავისი მუშების უკანვე გადმონთხევა: ჭიანჭველებივით გაწკლაპულიყვნენ ქუჩებში. მაინც რამდენი ჭიანჭველაა, და ყველა იმას ცდილობს, თავისი მწკრივიდან არ მოსხლტეს ამ საშინელ რიარიაში! და, ალბათ, პირველად სიცოცხლეში, სომსმა გაიფიქრა: "რომ მოვინდომო, შემიძლია ყველაფერი ფეხებზე დავიკიდო! არაფერზე თავს არ შევიწუხებ. ზედაც არ შევხედავ. ვიცხოვრებ ჩემთვის, ჩემს გემოზე!" არა! როგორ იქნება, კაცმა ჯერ ისე იცხოვროს, როგორც თვითონ ცხოვრობდა, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, დაჰკრას ფეხი და კაპუაში დასახლდეს, რაც ფული დაუგროვებია და სახელი მოუხვეჭია, ერთბაშად გაფლანგოს! რა არის ადამიანის ცხოვრება - რაც აქამდე შეგიძენია და რის შეძენასაც ახლა ცდილობ. სულელები ფიქრობენ, ასე არ არისო - სულელები და სოციალისტები, და თავაშვებული ხალხი კიდევ!

ავტომობილი გარეუბნის ვილებს გასცდა და სიჩქარეს უმატა. "თხუთმეტი მილი საათში! წარმოგიდგენია? - გაიფიქრა მან, - ახლა ქალაქგარეთ დასახლდება ხალხი!" ნეტავ მამაჩემის სამოსახლო მიწებს რა ბედი ეწევა ლონდონშიო, იფიქრა, თვითონ ასეთ რამეებში არ აბანდებდა ფულს, აზარტული მოთამაშის სული ჰქონდა, მაგრამ სურათების შეგროვებით იკლავდა ჟინს. ავტომობილი კი მიქროდა, გორაკი ჩაიარა და უიმბლდონის მინდორს გასცდა. უცნაური შეხვედრა კი ელის! ორმოცდათორმეტი წლის კაცი, ამხელა შვილების პატრონი და ერთგვარად სახელმოხვეჭილიც, წინდაუხედავად ვერ მოიქცევა. "გვარს ხომ არ შეარცხვენს, - გაიფიქრა მან, - ისევე უყვარდა მამამისი, როგორც მე მიყვარს ჩემი მამა, ისინი კი ძმები იყვნენ. სადაც კი მივა ეს ქალი, ყველგან უბედურება მიაქვს - ნეტავ რა არის ასეთი? ვერაფერი გავუგე". ავტომობილმა გადაუხვია და ტყის ნაპირს გაჰყვა, სომსის სმენას მისწვდა შეგვიანებული გუგულის ძახილი. წელს, მგონი, მეტად არც გაუგონია. იმ ადგილს მიუახლოვდა, რომელიც მან შეარჩია სახლის დასადგმელად და მერე ბოსინიმ დაუწუნა ისე უბოდიშოდ, თვითონ ამოარჩია სხვა ადგილი. ცხვირსახოცი ამოიღო და ხელები გაიწმინდა, სახეზე გადაისვა, რამდენიმეჯერ ღრმად ამოისუნთქა, რათა უფრო გამაგრებულიყო. "არ უნდა ავღელდე, - გაიფიქრა მან, - თავი არ უნდა დავკარგო".

ავტომობილმა ახლა იმ ხეივანში შეუხვია, რომელიც შეიძლებოდა მისი საკუთრება ყოფილიყო. მუსიკა შემოესმა. აქამდე არც მოჰგონებია, რომ იმ ვაჟბატონს ქალიშვილები ჰყავდა.

- ალბათ ახლავე მოვბრუნდები, - უთხრა მან მძღოლს, თუმცა იქნებ შემაგვიანდეს კიდეც, - და ზარი ჩამოჰკრა.

მოსამსახურე ქალი ჰოლისკენ გაუძღვა, და მანამ ფარდებს გაივლიდნენ, სომსი თავს იმშვიდებდა, ამ პირველი შეხვედრის ელდას ქალიშვილები შეამსუბუქებენ, ჯუნი იქნება თუ ჰოლი, რომელიც ახლა ზის და უკრავსო, და მით უფრო დიდი იყო გაკვირვება, როცა მან როიალთან აირენი დაინახა, ჯოლიონი კი იქვე სავარძელში ჩამჯდარიყო და უსმენდა. ორივე წამოდგა. სისხლი ერთბაშად თავში მოაწვა სომსს და მისი გადაწყვეტილება, რომ თავდაჭერილი ყოფილიყო, ხელადვე გაქრა. თავისი წინაპრების, ზღვის პირას მცხოვრები ურჯუკი ფერმერი ფორსაიტების, "ამაყი დოსეტის" წინამორბედების პირქუში გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე.

- ყოჩაღ, დიდებულია! - თქვა მან.

იმ ვაჟბატონის ბუტბუტი ჩაესმა:

- ეს ადგილი არ გამოდგება - კაბინეტში გავიდეთ, საწინააღმდეგო თუ არაფერი გექნებათ.

ერთმაც და მეორემაც ჩაუარეს, ფარდას გასცდნენ და გავიდნენ. პატარა ოთახში, სადაც სომსი შეჰყვა მათ, აირენი ღია ფანჯარასთან დადგა, ხოლო "ის ვაჟბატონი" დიდ სავარძელში წამოიჭიმა, აირენის გვერდით. სომსი შევიდა და კარი მიაჯახუნა. ჯახუნის ხმამ ის დღე მოაგონა, როცა მრავალი წლის წინ ასევე მიუკეტა ჯოლიონს ცხვირწინ კარი - სხვის საქმეში ნუ ერევიო.

- ჰა, - თქვა მან, - რას იტყვით?

იმ ვაჟბატონს უტიფრობა ეყო, რომ გაჭყანულიყო.

- ის უწყებები, დღეს რომ მივიღეთ, თქვენ უფლებას გარ-თმევთ, რამე გვკითხოთ. მე მგონი კმაყოფილიც უნდა იყოთ, რომ მარწუხს თავს აღწევთ.

- ო! - წამოიძახა სომსმა, - ასე გგონიათ?! მე აქ იმიტომ მოვე-დი, რომ პირდაპირ გამოგიცხადოთ - არაფერს მოვერიდები, რა-თა ამ განქორწინებით თქვენი სახელი, ორივესი, ლაფში ამოვსვა-რო, თუ ახლავე არ დაიფიცებთ, რომ ამის შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხვდებით.

თავისი დალაგებული ლაპარაკი თვითონვე გაუკვირდა, რად-გან ტვინი არეული ჰქონდა და ხელები უცახცახებდა. არც ერთს გაუცია პასუხი და არც მეორეს, ოღონდ სომსს მოეჩვენა, რომ სა-ხეზე ორივეს ზიზღი აღბეჭდოდა.

- აბა, - შესძახა მან, - თქვენ... აირენ!

აირენმა ბაგე გახსნა, მაგრამ უცებ ჯოლიონმა მხარზე ხელი ჩამოადო.

- მაგას თავი გაანებეთ! - გაცოფდა სომსი, - დაიფიცებთ, აირენ?

- არა.

- ოჰ, თქვენ?

- მით უფრო.

- მაშ, გქონიათ დანაშაული და ეგ არის, ჰა?

- დიახ, გვაქვს.

ეს აირენმა თქვა, ისე წყნარად და მკაფიოდ, ისეთი მიუკარე-ბელი ზვიადობით, რასაც ხშირად გაუცოფებია ხოლმე სომსი. ახ-ლაც თავს ვერ მოერია და იყვირა:

- შენ ბოროტი სული ხარ.

- გადი! ახლავე დატოვე ეს სახლი, თორემ ძალით გაგაგდებ!

ამ ვაჟბატონს ვერ უყურებ! ძალაზე ლაპარაკობს! ნუთუ ვერ გრძნობს, რომ წახრჩობას ძლივს გადაურჩა?!

- მეურვეს დამიხედეთ! - შესძახა სომსმა, - როგორ ისაკუთრებს იმას, რაც მოსავლელად მიუნდვიათ! თავისივე ბიძაშვილის ცოლის ქურდი!

- რაც მოგეგუნებოს, ის დამიძახე. შენ შენი გზა გაქვს არჩეული, ჩვენ - ჩვენი! ახლავე წადი!

იარაღი რომ ჰქონოდა თან, ახლა ნამდვილად ამოიღებდა სომსი.

- იცოდე, გაზღვევინებ!

- დიდი სიამოვნებით.

ახლაც ასე გადაბრუნებულად გაიგო მისი ნათქვამი კაცმა, რომლის მამამაც ერთ დროს მეტსახელად "მესაკუთრე" შეარქვა სომსს! იგი ერთბაშად აენთო, რა სისულელეა!

იდგნენ ასე და იდუმალი ძალა ბორკავდათ, რომ ერთმანეთისთვის არ დაერტყათ. ვერც ძალა ეხმარათ, ვერც ისეთი სიტყვის თქმა მოეხერხებინათ, რასაც შეეძლო მათი განწყობილება გამოეხატა. ვერც ის მოეხერხებინა სომსს, შეტრიალებულიყო და იქაურობას გასცლოდა. თვალი აირენისთვის ვერ მოეშორებინა - უკანასკნელად ხედავდა ამ საბედისწერო სახეს! ეჭვი არ არის, უკანასკნელად!

- შენ... - შესძახა მან უცებ, - რაც მე ხეირი დამაყარე, მაგასაც ისე მოექცევი. ამაში დარწმუნებული ვარ.

შენიშნა, როგორ ერთბაშად შეტოკდა ქალი, და იმ განცდით, რასაც ვერც მთლად გამარჯვებას შევარქმევდი, ვერც მთლად

შვებას, იგი კარს მიეჭრა, გარეთ გავარდა და ავტომობილში ჩაჯდა. სავარძელს მიესვენა და თვალი დახუჭა. არასოდეს ყოფილა ასე ახლოს მკვლელობასთან. ჯერაც არ მომხდარა, რომ ასე გასჭირვებოდეს თავშეკავება, ეს მისი მეორე ბუნება იყო. უმწეობის გაშიშვლებული გრძნობა გაუჩნდა, თითქოს სასიცოცხლო ძალა სავსებით გამოსცლოდეს, სიცოცხლეს აზრი დაეკარგოს, ტვინის მუშაობა შეჩერებულიყოს. მზის სხივები უხვად ეღვრებოდა სხეულზე, მაგრამ მაინც სციოდა. სცენა, რომელიც ის იყო განიცადა, უკვე გამქრალიყო; ის, რაც წინ ელოდა, თვალსაჩინოდ არ ჩანდა, გამოკვეთა აკლდა... აღარაფერი შერჩა ხელშესახები, და ერთბაშად შიშმა მოიცვა - თითქოს უფსკრულის პირას ეკიდა, ცოტა კიდევ და ცნობასაც დაკარგავდა. "არ ვვარგივარ ამისთანა საქმეში, - ფიქრობდა იგი, - არ შემიძლია... არ ვვარგივარ ამისთვის". ავტომობილი მიქროდა, სწრაფად ჩაიქროლებდნენ ხოლმე ხეები, სახლები, გზად მიმავალი ადამიანები... მაგრამ აზრი აღარაფერს ჰქონდა. "უცნაურ გუნებაზე ვარ, - გაიფიქრა მან, - მოდი, თურქულ აბანოში წავალ. თითქოს... თითქოს რაღაც უნდა ჩამედინა. ასე არ შეიძლება". ავტომობილმა ხიდზე გაირიხინა, ფულჰემ როუდზე გავიდა და პარკს ჩაუარა.

- ჰამამში მიმიყვან! - უთხრა მძღოლს სომსმა.

საოცარია, უიმისოდაც თბილა და სიცხემ უნდა დაამშვიდოს! ორთქლის ოთახში ჯორჯ ფორსაიტს შეხვდა, გაჭარხლებულიყო, ერთიანად პრიალებდა.

- ჰელოუ! - მიმართა ჯორჯმა, - შენ აქ რა გინდა? შენც ხორცის დაყრა ხომ არ გჭირდება?!

მასხარა! ცერად გაეჭყანა, ჩვეულების მიხედვით, და ჩაუარა. ზურგზე რომ გაწვა და გაიჭიმა ოფლის მოსადენად, გაიფიქრა: "ი-ცინონ, რამდენიც უნდათ. არაფერი არ მინდა ვიგრძნო. აღარც გავბრაზდები! მაწყენს!"

თავი მეშვიდე

ზაფხულის ღამე

სომსის წასვლის შემდეგ პატარა კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

- მადლობელი ვარ თქვენი მშვენიერი ტყუილისთვის, - უთხრა ჯოლიონმა მოულოდნელად აირენს, - გავიდეთ აქედან... აქ უკვე ის ჰაერი აღარ არის.

სამხრეთ გალავანთან, რასაც საგანგებოდ დარგული ატმის ხეები ფარავდა, ისინი კარგა ხანს უხმოდ დადიოდნენ - აივლიდნენ და ჩაივლიდნენ. მოხუცმა ჯოლიონმა თავის დროზე აქ ბუსნოთი დაფარულ ტერასასა და ბაიებითა და ხარისთვალა გვირილებით მოქარგულ მდელოს შორის - კვიპაროსები დარგო; თორმეტ წელიწადში ტანი აიყარეს მცენარეებმა, დამშვენდნენ, ნამდვილ იტალიურ კვიპაროსებს დაემსგავსნენ. დაცვარულ ბუჩქებში ჩიტები ლაღად დანავარდობდნენ; მერცხლები აღმა-დაღმა დასრიალებდნენ, მათი მოლურჯო-მოფოლადისფრო პატარა სხეულები ელვის სისწრაფით მოძრაობდნენ; მწვანედ მოხასხასე ბალახი ფეხქვეშ დრკებოდა და ისევ წამოიმართებოდა ხოლმე; პეპლები ერთმანეთს დასდევდნენ. იმ მტანჯველი სცენის შემდეგ ბუნების დამამშვიდებელმა ძალამ განსაკუთრებული სიმძაფრით

იმოქმედა. გალავნის გასწვრივ რეზედისა და იაჟუჟუნას კვალი გადიოდა, ყვავილებს ფუტკრები დაჰბზუოდნენ და ეს ბზუილი შთანთქავდა ყველა სხვა ხმაურს - ხბომოცილებული ძროხის ბღავილს, მინდვრის ბოლოს თელის ხიდან დაძრული გუგულის ძახილს... ვინ წარმოიდგენდა, რომ აქედან სულ რაღაც ათიოდე მილზე ლონდონი იწყებოდა, ფორსაიტების ლონდონი, სიმდიდრითა და სიღატაკით, ჭუჭყითა და ღრიანცელით; საშინელი აგურისა და ბათქაშის სახლების უფერული ზღვით, რომელშიც აქაიქ ქვის დიდებულ ნაგებობათა კუნძულები ამოზიდულან; ლონდონი, რომელიც აირენის ადრეული ტრაგედიისა და ჯოლიონის მძიმე დღეების მოწმე გახდა; ეს ობობას ბუდე; ეს, უპატრონოთა მეფური თავშესაფარი, რასაც მესაკუთრული ინსტინქტი იცავს ხოლმე!

დადიოდნენ უხმოდ გალავნის გასწვრივ და ჯოლიონს სომსის სიტყვები უტრიალებდა თავში: "რაც ხეირი მე დამაყარე, მაგასაც ისე მოექცევი. ამაში დარწმუნებული ვარ". ეს თვითონ ჯოლიონზეა დამოკიდებული. ენდობა საკუთარ თავს? მოახერხებს, რომ ფორსაიტული სული დათრგუნოს და თავისივე სათაყვანებელი მონად არ გაიხადოს?! შეიძლება, რომ სილამაზე მთლიანად მიენდოს ჯოლიონს? თუ ისა სჯობს, რომ სტუმარივით იყოს ეს სილამაზე - როცა მოესურვება, მაშინ მოვიდეს, მხოლოდ რამდენიმე წამით დაემორჩილოს და წავიდეს; კვლავ მაშინღა დაბრუნდეს, როცა თვითონვე მოიწადინებს? "ჩვენ მძარცველების მოდგმისა ვართ, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ტლანქი და ხარბი ხალხი; ცხოვრების ყვავილი ჩვენს ხელში ვერ იხარებს. როცა ან როგორც მოესურვება, მაშინ მოვიდეს ჩემთან. თუ არ მოიწადინებს, სუ-

ლაც ნუ მოვა. დაე, მისი საყრდენი ვიყო, მისი საყუდარი; გალიად კი, ღმერთმა ნუ ქნას, არასოდეს გავუხდები".

აირენი მისთვის სიზმარში მოვლენილი სილამაზის გამოსხივება იყო.

სადილობისას გეგმის დაწყობა იყო საჭირო. ამაღამ სასტუმროში უნდა გაბრუნდეს აირენი, ხვალ კი ლონდონს წავლენ ორივენი. ჯოლიონი თავის რწმუნებულ ჯეკ ჰერინგს გააფრთხილებს, რომ თითიც კი არ გაანძრიოს ამ პროცესის შესაფერხებლად. სასამართლო ხარჯებიო, ჯარიმა, თუ რაც უნდა იყოს, ყველაფერი ულაპარაკოდ იკისროს თავიდანვე, ოღონდ კი აირენის გათავისუფლებას ეღირსოს ამ მარწუხებისგან! ხვალვე ნახავს ჰერინგს, აირენსაც წაიყვანს და ერთად ნახავენ. მერე კი საზღვარგარეთ გასწევენ, რათა წამოყენებულმა სამხილმა არავითარი ეჭვი არ გამოიწვიოს, რათა აირენის ტყუილი სიმართლედ იქცეს. აირენს გახედა, და მის აღფრთოვანებულ თვალს მოეჩვენა, რომ იქ ჩვეულებრივი ქალი კი არ იჯდა, არამედ, რაღაც უფრო დიადი და ამაღლებული, სილამაზის მარადიული სული, ღრმა, მიუწვდომელი, რასაც მხოლოდ ძველი ხელოვანები - ტიციანი, ჯორჯონე, ბოტიჩელი სჭვრეტდნენ, ატყვევებდნენ და თავიანთ ტილოებზე ქალის სახედ გარდაქმნიდნენ; სწორედ ის მიუწვდომელი სილამაზე აღბეჭდოდა აირენს შუბლზე, თმაზე, ტუჩებსა და თვალებში.

"და ეს ჩემი უნდა გახდეს! - გაიფიქრა ჯოლიონმა, - სწორედ ეს მაფრთხობს!"

ნასადილევს აივანზე გავიდნენ და ყავას შეექცნენ. დიდხანს ისხდნენ იქ, შესანიშნავი საღამო დადგა, უყურებდნენ, როგორ

ნელ-ნელა ეშვებოდა ზაფხულის ღამე. ჯერ ისევ ცხელოდა და ჰაერი ცაცხვის სურნელით იყო გაჟღენთილი, ასე ადრიანად იმ ზაფხულს, აივანზე ორი ღამურა დაქროდა და ჩუმ, რაღაცნაირ იდუმალებით მოცულ ხმაურს გამოსცემდა. სკამები კაბინეტის ფანჯარასთან დააწყო ჯოლიონმა, ოთახიდან მკრთალი სინათლე გამოკრთოდა და ფარვანები სინათლისკენ მიფარფატებდნენ. ნიავი არ იძვროდა, და ოციოდე იარდზე მდგარი ბებერი მუხის ოდნავი ფაჩუნიც კი არ ისმოდა. ჭალის მიღმა თითქმის სავსე მთვარე ამოცურდა და ხელადვე ორი სინათლე შეება ერთმანეთს. მთვარემ იმძლავრა, სულმთლად შეუცვალა ბაღს ფერი და იერი, ქვის ფილებს მიეპარა, ფეხებს მისწვდა, ზემოთ აცურდა და სახეებს სულ სხვაგვარი შუქი მოჰფინა.

- ალბათ, ძალიან დაიღალეთ, - თქვა ბოლოს ჯოლიონმა, - უკვე დროა. გოგო შეგიყვანთ ჰოლის ოთახში, - კაბინეტში შევიდა და დარეკა. შემოვიდა მოახლე გოგო და დეპეშა მიაწოდა. გოგო გაბრუნდა, აირენს წაუძღვა, ჯოლიონმა თვალი გააყოლა მათ და გაიფიქრა: "ეს დეპეშა ალბათ მთელი საათის წინ მოვიდა, იქნებ უფრო ადრეც, და აქამდე არ მოგვიტანეს! ესეც რაღაცას ნიშნავს! ეტყობა მალე გაგვწირავენ!" დეპეშა გახსნა და წაიკითხა:

"ჯოლიონ ფორსაიტს,

რობინჰილი.

თქვენი ვაჟი უწვალებლად მიიცვალა ოც ივნისს. ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას..."

დეპეშა, რომელსაც უცნობი აწერდა ხელს, დაუვარდა, შეტრიალდა და გაშეშდა. მთვარემ ოთახშიც შეიხედა და ჯოლიონი გაანათა. ფარვანა სახეზე მიენარცხა. ეს იყო პირველი დღე, რო-

ცა მას ჯოლიზე არ უფიქრია განუწყვეტლივ. ფანჯრისკენ გაემართა, ისე რომ არაფერს ხედავდა, ძველ სავარძელს მიეხეთქა - მამის სავარძელს, და სავარძლის სახელურზე ჩაიკეცა. იჯდა ასე, ერთიანად მოშვებული, და ღამეს მისჩერებოდა. სანთელივით გაქრა და წავიდა! შინიდან გადაკარგული, სიყვარულს მოკლებული, უთვისტომო, წყვდიადში მოქცეული! მისი ბიჭი! ბალღობიდან მოკიდებული, მუდამ ალერსიანი მამისადმი, მეგობრული! ოცი წლისა ძლივს შესრულდა და ბალახივით მოცელეს - სიცოცხლით დატკბობაც ვერ მოასწრო! "ხეირიანად არც კი ვიცნობდი, - გაიფიქრა ჯოლიონმა, - არც ის მიცნობდა. მაგრამ ერთმანეთი გვიყვარდა. სიყვარულის მეტს ან კი რას აქვს ქვეყნად აზრი!"

სადღაც გადაკარგულში დალია სული, უპატრონომ, თავისიანებს დაშორებულმა, შინიდან გადახვეწილმა! ამის შეგრძნება მის ფორსაიტულ გულს უფრო მწარედ ჩხვლეტდა, ვიდრე თვით სიკვდილი. არც თავშესაფარი, არც ალერსი, არც პატრონი ვინმე! და ისე ღრმად ფესვგადგმული ნათესაური გრძნობა, თავისი ოჯახისა და საკუთარი სისხლისა და ხორცის სიყვარული, - რასაც მოხუცი ჯოლიონის მთელი არსება ჰქონდა მოცული და რაც, საერთოდ, ფორსაიტების მოდგმისთვის იყო დამახასიათებელი, - ახლა უპატრონოდ გადაკარგული შვილის დაკარგვამ ერთბაშად გააღვიძა, ერთბაშად ააბორგა ჯოლიონის გული. ნეტავ, ბრძოლის ველზე მაინც მომკვდარიყო, რათა ამათი მონატრების დრო არ ჰქონოდა. ალბათ, როგორ აბოდებდა და როგორ ეძახდა თავისიანებს!

მთვარე მუხას მოეფარა და ეს ბებერი ხე ერთბაშად თითქოს გაცოცხლდა, თითქოს შორიდან უთვალთვალებდა ჯოლიონს - ეს ბებერი მუხა, რომელზედაც ისე უყვარდა ხოლმე ჯოლიონის ბიჭს აძრომა. ერთხელ ჩამოვარდა და დაიმტვრა, მაგრამ არ უტირია.

კარმა გაიჭრიალა. აირენი შემოვიდა, იატაკზე დეპეშას დასწვდა და წაიკითხა. ჯოლიონს კაბის სუსტი შრიალი ჩაესმა. მუხლებზე დაეშვა კაცის მახლობლად და ჯოლიონმა თავს ძალა დაატანა ქალისთვის გაეღიმა. ქალმა ხელები ასწია, ჯოლიონის თავი მიიზიდა და მხრებზე დაისვენა. კაცი ერთბაშად მის სურნელსა და სითბოში გაეხვია. და თანდათანობით ქალს დაემორჩილა მთელი მისი არსება.

თავი მერვე

ჯეიმსი ელოდება

სომსმა იმდენი ოფლი იდინა, რომ დამშვიდდა, გონება დაეწმინდა. თავის კლუბში ისადილა და მერე ლეინპარკისკენ გასწია. მამამისი ამ ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. ეს ამბავი უსათუოდ უნდა დაუმალონ! აქამდე არც კი დაჰკვირვებია სომსი, თუ რა შიში ჰქონდა მას, ჭაღარა მამა მწუხარებით არ გაეტეხა და უდროოდ არ ჩაეყვანა სამარეში; რა განუყრელად იყო ეს გადახლართული იმ შიშთან, რასაც იგი სკანდალისადმი იჩენდა. მამასთან მუდამ გამორჩეული სინაზით იყო დაკავშირებული, მაგრამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაუძლიერდა ეს სიყვარული, რადგან იგრძნო, რომ ჯეიმსი მას უყურებდა, როგორც ერთადერთ დასაყრდენს ამ სიბერეში. დიდ უბედურებად მიაჩნდა, რომ კაცს, - რომელიც მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ იმის ზრუნვაში იყო, ოჯახის სახელი აემაღლებინა, თავისი მეცადინეობით მიაღწია კიდეც იმას, რომ ოჯახი დოვლათისა და მყარი კეთილდღეობის განსახიერებად ექცია, - ასეთ კაცს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გაზეთებში უნდა წაეკითხა თავისი შერცხვენის ამბავი. ეს იგივეა, სიკვდილს - ფორსაიტების ამ დაუძინებელ მტერს - ხელი წააშველო. "დედაჩემს ვეტყვი, - გაიფიქრა

სომსმა, - და როცა ეს ამბავი დაიწყება, როგორმე დავუმალავთ გაზეთებს. მით უმეტეს, ხალხსაც იშვიათად ხვდება". კარი გააღო და კიბეზე შედგა ფეხი. მეორე სართულიდან რაღაც ხმაური ჩამოესმა. პირველად დედის ხმა გაარჩია:

- დამიჯერე, გაცივდები, ჯეიმს. რატომ არ შეგიძლია, რომ დამშვიდებით დაელოდო?

ახლა მამის პასუხი გაისმა:

- დაველოდო! სულ ლოდინში არა ვარ! სად არის აქამდე?

- ხვალ დილით მოელაპარაკები. რა გინდა საფრთხობელასავით ამ კიბეზე?!

- ააღერს თავს და პირდაპირ თავის ოთახში წავა, კი არ გაუჭირდება. მე კი მთელი ღამე ძილი არ გამეკარება.

- ლოგინში შეწექი-მეთქი, დამიჯერე, ჯეიმს.

- უჰ! რა იცი, რომ ხვალ დილამდე გავაწევ?

- ხვალ დილამდე არც კი დაგჭირდება ცდა. მე თვითონ ჩავალ და ამოგიყვან. შენ ფიქრი ნუ გაქვს.

- სულ ასე იცი... არხეინად ხარ. ხომ შეიძლება, სულაც არ მოვიდეს ამაღამ.

- თუ არ მოვიდა, შენ თვითონ რაღას გახდები, ასე ხალათში გახვეული, კიბეზე აყუდებული?!

ამასობაში სომსმა კიბეზე მოუხვია და მამა დაინახა - ყავისფერ აბრეშუმის დალიანდაგებულ ხალათში გახვეული წოწოლა კაცი კიბის მოაჯირს გადმოჰყუდებოდა. სინათლის სხივი ვერცხლისფერ თმასა და ქილვაშზე ეცემოდა, თავზე თითქოს შარავანდი ადგა.

- აჰა, მოვიდა! - გაისმა მისი ნაწყენი ხმა, და მაშინვე საწოლი ოთახიდან დედის დამშვიდებულმა ხმამ უპასუხა:

- მით უკეთესი. შემოდი, თმას დაგვარცხნი.

ჯეიმსმა გრძელი, მოღუნული თითი დაუქნია - ჩონჩხს უფრო ჰგავდა - და საწოლ ოთახში შევიდა.

"ნეტავ რა ამბავია? - გაიფიქრა სომსმა, - ასეთი რა გაიგო?"

მამა ტუალეტის მაგიდასთან იჯდა, სარკისკენ გვერდმიქცეული, ემილი კი მოვერცხლილი სავარცხლით თმას ვარცხნიდა მშვიდად. დღეში ასე რამდენჯერმე ვარცხნიდა ხოლმე, რადგან ეს ისევე სიამოვნებდა ჯეიმსს, როგორც კატას ყურის ძირის დაფხანა.

- მადლობა ღმერთს! - მიაძახა ჯეიმსმა, - რამდენი ხანია გელოდები.

სომსმა მხარზე ხელი გადაუსვა, მერე ღილის შესაკრავი ვერცხლის კავი აიღო და იარლიყი გაუსინჯა.

- როგორ ხარ? - მიმართა მან, - დღეს უფრო კარგად მეჩვენები.

ჯეიმსმა თავი გააქნია.

- რაღაც უნდა გითხრა. დედაშენმა არც კი იცის.

ისე გამოაცხადა ეს, თითქოს დიდი საწყენი ყოფილიყოს იმის არცოდნა, რაც პირადად მან იცოდა და ემილისთვის კი არ უთქვამს.

- დიდ ამბავშია მამაშენი ამაღამ. მე მართლა არ ვიცი, რა მოხდა, - სავარცხლის წყნარმა "უიშ-უიშმა" თითქოს გააგრძელესო მისი ალერსიანი ხმის ჟღერა.

- არა. შენ რა იცი! - თქვა ჯეიმსმა, - სომსი თუ მეტყვის აგერ, - მერე სომსს მიანათა ჭროღა, ცოტა არ იყოს მოუსვენარი და დაძაბული თვალები და დუდღუნით განაგრძო, - მე უკვე ჩემს გზას ვადგავარ, სომს. ამ ხნის კაცი... აბა რა უნდა ვთქვა. კაცმა არ იცის, როდის გავფშეკ ფეხს. დიდძალ ფულს ვტოვებ - რეჩელსა და სესილის შვილები არა რჩება. ვალი გადაკარგულშია... ის ვაჟბატონი კი, მამამისი, რაც ხელში მოხვდება, ყველაფერს მოხვეტავს. იმოჯინსაც ვინმე გამოუტყვრება, დასტაცებს ხელს და წაიყვანს, რაღა თქმა უნდა.

სომსი გაოგნებული უგდებდა ყურს - ეს ყველაფერი ადრეც ჰქონდა მოსმენილი. "უიშ-უიშ" - გაჰქონდა სავარცხელს შრიალი.

- სულ ეგ თუ იყო... - დაიწყო ემილიმ.

- სულ! - შესძახა ჯეიმსმა, - ჯერ რა ვთქვი?! სათქმელზე ახლა გადავდივარ, - და ისევ სომსს მიაშტერა შეწუხებული თვალები.

- შენთანა მაქვს საქმე, შვილო, - თქვა მან უცებ, - განქორწინება უნდა გააფორმო.

ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ, რომელიც აგერ ამ ბაგემ წარმოთქვა, სომსისთვის ძნელი იყო თავის შეკავება. ღილების შესაკრავ კავს დააშტერდა, ჯეიმსმა კი, თითქოს თავს იმართლებსო, სწრაფად განაგრძო:

- იმ ქალის ამბავი აღარაფერი ვიცი... ამბობენ, საზღვარგარეთ არისო. ბიძაშენი სუითინი იყო ერთ დროს აღტაცებული მაგ ქალით... დიდი ახირებული კაცი იყო, - მუდამ ასე მოიხსენიებდა ხოლმე თავის გარდაცვლილ ტყუპისცალს. "სქელი და კნაჭაო", ასე ეძახდნენ მათ, - უნდა ვიფიქროთ, რომ აქამდე ვინმე გადაეკიდებოდა.

ასე მოკლედ დაახასიათა ადამიანის ბუნებაზე სილამაზის გავლენის ძალა და გაჩუმდა, შვილს გადახედა ფრინველის დაეჭ-ვებული თვალებით. არც სომსი იღებდა ხმას. უიშ-უიშ! განაგ-რძობდა სავარცხელი.

- კარგი ერთი, ჯეიმს! სომსმა უკეთ იცის თავისი საქმე!

- აჰ! - გულის სიღრმიდან აღმოხდა ჯეიმსს, - ეს ჩემი ფული მე-რე?.. ან მაგისი ფული?.. ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში? ეგ რომ მოკვდეს, სულაც გაქრება ჩვენი გვარი.

სომსმა ღილის შესაკრავი კავი ვარდისფერ აბრეშუმის გადა-საფარებელზე დადო:

- გვარი, - თქვა ემილიმ, - ფორსაიტის მეტი რაა!

- დიდი შეღავათი კია ეგ ჩემთვის! - ჩაიდუდღუნა ჯეიმსმა, - მე, აგერ, საფლავში ჩავდივარ, და თუ ამან ცოლი არ შეირთო, აღა-რავინ დაგვრჩება.

- მართალი ხარ, - წყნარად უთხრა სომსმა, - ახლა ვაფორმებ სწორედ განქორწინებას.

ლამის თვალები გადმოუცვივდა ჯეიმსს.

- რაო? - შესძახა მან, - აკი ვამბობ! მე ხომ არაფერს მეტყვიან.

- კარგი, ახლა, - დაუყვავა ემილიმ, - ხომ არ დაგვესიზმრებო-და, რომ შენ ეგ გინდოდა? მართლაც რომ მოულოდნელი იყო, შვილო, ამდენი ხნის შემდეგ.

- სკანდალი იქნება - ჩაიბუტბუტა ჯეიმსმა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, - მაგრამ რა ვუყო მერე. ასე მაგრად ნუ მვარცხნი. როდის უნდა მოხდეს ეგ?

- საზაფხულო არდადეგების წინ. მეორე მხარე თავს არ დაიცავს.

ჯეიმსმა ტუჩები ააცმაცუნა, რაღაცას ანგარიშობდა ჩუმად.

- ვეღარ მოვესწრები შვილიშვილს, - წაიდუდღუნა მან.

ემილიმ სავარცხელი გააჩერა.

- როგორ ვერ მოესწრები, ჯეიმს. სომსი დაფაცურდება და ხელად გაარიგებს ყველაფერს.

კარგა ხანს აღარავის გაუღია ხმა, მერე ჯეიმსმა ხელი გაიშვირა.

- ასე. ოდეკოლონი მომაწოდე, - ცხვირთან მიიტანა ოდეკოლონი და მერე შუბლი შვილს მიუშვირა. სომსი დაიხარა და აკოცა შუბლზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც თმა იწყებოდა. ჯეიმსს ერთბაშად დაუმშვიდდა სახე, თითქოს მღელვარებამ უცებ გადაუარაო.

- ახლა დავწვები, - თქვა მან, - ეგ რომ მოხდება, გაზეთებს აღარ წავიკითხავ მაშინ. საშინელი ხალხია. სჯობს აღარ მივაქციო ყურადღება, განზე გავდგები, დავბერდი უკვე.

ერთიანად აფორიაქებული სომსი შებრუნდა და კარისკენ გაემართა. მამის სიტყვები მოესმა:

- ეჰ, ძალიან დავიღალე. ლოგინში ვილოცებ.

და დედამ უპასუხა:

- კარგსაც იზამ, ჯეიმს. მოსვენებული იქნები.

თავი მეცხრე

ობობას ქსელისგან თავის დაღწევა

ჯოლის ასეთმა დაღუპვამ, უბრალო ჯარისკაცთა შორის სიკვდილმა, ფორსაიტების ბირჟაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უცნაური იყო - კითხულობდნენ, რომ ჯოლიონ ფორსაიტი (მეხუთე ჯოლიონ ფორსაიტი) ავადმყოფობამ იმსხვერპლა სამშობლოს სამსახურში, და მოკლებულნი კი იყვნენ საშუალებას, ისე გამოეგლოვათ, როგორც პირადი მწუხარება. ამან გააცოცხლა ძველი წყენა მამისადმი, რომელიც სულ განზე გადგა და განაპირდა. იმდენად დიდი იყო პრესტიჟი მოხუცი ჯოლიონისა, რომ დანარჩენი ფორსაიტები იმის გაფიქრებასაც კი ვერ გაბედავდნენ, - თუმცა მოსალოდნელი კი იყო, სწორედ ასე ეფიქრათ - რომ სწორედ მათ აქციეს ზურგი ჯოლიონის შთამომავლებს შეუფერებელი საქციელის გამო. ამ ამბის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ვალისადმი მეტი ინტერესი გამოიჩინეს და უფრო მეტად შეწუხდნენ მისი ბედით. მაგრამ ვალი, ბოლოს და ბოლოს, დარტი იყო, და კიდეც რომ მოეკლათ, ან თუნდაც ვიქტორიას ჯვარი მიეღო, გულთან ისე ახლოს ვერ მიიტანდნენ, როგორც ფორსაიტის ამბავი მიჰქონდათ. უბედურებას გაიგებდნენ ჰეიმენები-

სას თუ დიდებას, ეგეც ბევრს არაფერს ნიშნავდა მათთვის. გვარის სიამაყეს ამით არაფერი ემატებოდა.

როგორ გავრცელდა ხმა, - ო, ჩემო ძვირფასო, საშინელებაა მოსალოდნელიო, ვერავინ იტყოდა, მით უფრო სომსი, რომელმაც ყველაფრის საიდუმლოდ შენახვა იცოდა ხოლმე. ალბათ ვინმემ თვალი მოჰკრა სასამართლოს საქმეებში "ფორსაიტი - ფორსაიტისა და ფორსაიტის წინააღმდეგ", და ამას დაურთო - "აირენი იმ ქერაწვერიანთან ერთად უნახავთ პარიზშიო". ანდა, იქნებ, რომელიმე კედელს, ლეინპარკზე, ყურები გამოება. მთავარი კი ის არის, რომ ყველაფერი ცნობილი გახდა: მოხუცები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ახალგაზრდები ცხარედ კამათობდნენ, გვარის სიამაყეს დარტყმა ემუქრებაო.

სომსი საკვირაო ვიზიტით ეწვია ტიმოთის, თან ფიქრობდა, სასამართლო პროცესის შემდეგ, კარგა ხანს აღარ ვეწვევიო, მაგრამ, შედგა თუ არა ფეხი სახლში, მაშინვე იგრძნო, რომ აქ უკვე ყველაფერი იცოდნენ. რაღა თქმა უნდა, არავის გაუბედავს, პირდაპირ ეთქვა ეს მისთვის, მაგრამ იქ მყოფი ოთხი დანარჩენი ფორსაიტი ეკალზე იჯდა - იცოდნენ, რომ მამიდა ჯულის შეეძლო სულ ადვილად ჩაეგდო ყველანი საშინელ უხერხულობაში. ისეთი სიბრალულით შესცქეროდა ჯული სომსს, იმდენჯერ შეაკავა ენაზე მომდგარი სიტყვა, რომ მამიდა ესთერმა ვეღარ გაუძლო, ბოდიში მოიხადა, ტიმოთის თვალები უნდა მოვბანოო - ჯიბლიბოები ამოსდიოდა - და ოთახიდან გავიდა. სომსი მშვიდად იჯდა, ოდნავ ქედმაღლურად, მაგრამ დიდხანს აღარ გაჩერებულა. წამოდგა და გავიდა, ძლივს შეიკავა გადაფითრებულ, გაღიმებულ ბაგეზე მომდგარი წყევლა-კრულვა.

კიდევ კარგი, რომ მომავალი სკანდალის გამო საშინლად აფორიაქებულ გონებას საქმე გამოუჩნდა და ამით დამშვიდდა - სომსმა მძიმე გადაწყვეტილება მიიღო: უნდა გადამდგარიყო, საქმისთვის დაენებებინა თავი, და ახლა დღედაღამ ამით იყო გართული, გეგმებს აწყობდა. ისევ იმ ხალხთან შეხვედრა და ურთიერთობა, რომელთაც იგი მუდამ წინდახედულ კაცად და ჭკვიან მრჩევლად მიაჩნდათ, ამის შემდეგ შეუძლებელი იყო! სიამაყე და აზიზი ხასიათი, რაც უცნაურად, განუყრელად გადახლართულიყო მის მესაკუთრულ სიჩლუნგესთან, ამის წინააღმდეგ ამხედრდებოდა. ჩამოეცლება საქმეს, თავისთვის იცხოვრებს, სურათების შეძენას განაგრძობს, სახელს გაითქვამს, როგორც კოლექციონერი - ბოლოს და ბოლოს, იქითკენ უფრო მიუწევს გული, ვიდრე ვექილობისკენ. მაგრამ ამ, უკვე მტკიცე გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭიროა თავისი საქმიანობა სხვა რომელიმე ფირმას შეუერთოს, ოღონდ ისე, რომ ვერავინ გაიგოს, თორემ ხალხს ცნობისმოყვარეობა აღეძვრება და წინასწარვე დაიმცირებს თავს. შეარჩია კიდეც ასეთი ფირმა - "ქათკოტი, ჰოლიდეი და კინგსონი", რომელთაგან ორი კომპანიონი უკვე მკვდარი იყო. შეერთების შემდეგ სრული სახელწოდება იქნებოდა "ქათკოტი, ჰოლიდეი, კინგსონი, ფორსაიტი, ბასტარდი და ფორსაიტი". მაგრამ დავის შემდეგ, - თუ მკვდართაგან ვის უნდა ჰქონოდა ყველაზე დიდი გავლენა ცოცხლებზე, - გადაწყდა, რომ ფირმის სახელწოდება შემოკლდებოდა: "ქათკოტი, კინგსონი და ფორსაიტი", თანაც კინგსონი აქტიურად მოქმედი კომპანიონი იქნებოდა, ხოლო სომსი განზე უნდა მდგარიყო. მაგრამ თავისი სახელის, პრეს-

ტიჟისა და ძველი ფირმიდან გადმოყოლილი კლიენტებისთვის სომსი კარგა დიდ თანხას მიიღებდა.

ერთ საღამოს სომსი, - როგორც მისი კარიერის დონეს მიღწეულ ადამიანს შეეფერება, - იჯდა და ანგარიშობდა, აბა ერთი რამდენი ვღირვარო; ომით გამოწვეული განსხვავებაც გაითვალისწინა ფასებისა და საბოლოოდ გამოიანგარიშა, რომ ას ოცდაათი ათასი გირვანქა ღირებულა. მამის სიკვდილის შემდეგ, - რაც, ვაგლახ! არცთუ ისე შორს არის, - სულ ცოტა, ორმოცდაათი ათასს კიდევ მიიღებს. მისი წლიური გასავალი კი, ამჟამად, ორი ათასს ძლივს აღწევს. იდგა, თავის სურათებს შეჰყურებდა, და გონების თვალით სარფიან მომავალს ხედავდა, რაც მისთვის გარანტირებული იყო იმის წყალობით, რომ, საქმეში გაწაფულს, სხვებზე მეტი ალღო და ცოდნა ჰქონდა. დროულად ჰყიდდა ისეთ სურათებს, რომელთაც გაიაფება ელოდა, ხოლო ინახავდა იმას, რისი ფასებიც თანდათანობით იწევდა, საოცარი მიხვედრილობით წინასწარვე გრძნობდა, როგორი გემოვნება უნდა გამეფებულიყო მომავალში; ამგვარად იგი უნიკალურ კოლექციას შეაგროვებდა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ სამშობლოს გადაეცემოდა, როგორც "ფორსაიტის სამემკვიდრო საჩუქარი".

განქორწინების საქმე თუ ნორმალურად წარიმართებოდა, სომსს წინასწარვე ჰქონდა მოფიქრებული, როგორ უნდა მოჰქცეოდა მადამ ლამოტს. მან უკვე იცოდა ამ ქალის საშვილიშვილო ოცნება - შვილიშვილების სიახლოვეს, საკუთარ "რენტაზე" ეცხოვრა პარიზში. რესტორან "ბრეტანს" სომსი ზღაპრულ ფასად შეისყიდდა. მადამ ლამოტი პარიზში იცხოვრებდა დედოფალივით იმ თანხის პროცენტებზე, რასაც თვითონვე დააბანდებდა

(სხვათა შორის, სომსმა გადაწყვიტა ვინმე მოხერხებული გამგებელი დაენიშნა მადამ ლამოტის ადგილზე და მაშინ დაბანდებული ფული დიდ სარგებელსაც შემოიტანდა. სოჰოზე დიდი შესაძლებლობებია!). ანეტს კი შეჰპირდება თხუთმეტი ათას გირვანქას (განზრახ თუ შემთხვევით), სწორედ იმ თანხას, რაც მოხუცმა ჯოლიონმა "იმ ქალს" დაუნიშნა.

ჯოლიონის რწმუნებულის წერილიდან, რომელიც მან სომსის რწმუნებულს მისწერა, გამოირკვა რომ "ის ორი" იტალიაში ყოფილან. იქ წასვლამდე კი ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ - საშუალება მისცეს ყველას, რომ ეს ფაქტი ადვილად დაედგინათ. საქმე დღესავით ნათელი იყო, ნახევარ საათზე მეტი არც კი მოუნდებოდა სასამართლოს; მაგრამ სწორედ ამ ნახევარ საათში უნდა გაიაროს სომსმა ჯოჯოხეთი; ამ ნახევარი საათის შემდეგ მთელი ფორსაიტების მოდგმა იგრძნობს, თუ როგორ დაკარგა ვარდმა თავისი იერი. შექსპირის ილუზიას მოკლებული აღმოჩნდა, რომელიც ერთგან ამბობს, ვარდს კიდეც რომ შეუცვალო სახელი, თავის სურნელებას მაინც არ დაკარგავსო. სახელი - იგივე საკუთრებაა, რეალური, შეუბღალავი ნაწილი მთელი ქონებისა, რისი ფასიც ოციოდე პროცენტით მაინც დაიწევს. როჯერს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, რომელმაც ერთხელ პარლამენტში არჩევაზე თქვა უარი და, - ო, ბედის დაცინვა! - ჯოლიონს, რომელმაც მხატვრის სახელი მოიხვეჭა, ერთ ფორსაიტს ვერ დაასახელებ, რითიმე თავი გამოეჩინოს. მაგრამ სწორედ ეს თავის გამოუჩენლობა იყო მათი გვარის დამახასიათებელი ღირსება. ეს იყო კერძო სახელი, უაღრესად ინდივიდუალური, და მის საკუთრებას წარმოადგენდა; არასოდეს, არც კეთილი, არც ბო-

როტი განზრახვით ეს სახელი მომაბეზრებელი მითქმა-მოთქმის საბაბად არ გამოუყენებიათ. თვით სომსი და მისი ოჯახის ყველა წევრი ამ სახელს ფლობდნენ განუყოფლად, გონივრულად, საიდუმლოდ, და მხოლოდ მაშინ თუ გაახმიანებდნენ საქვეყნოდ, როცა ვინმე დაიბადებოდა, დაქორწინდებოდა ან მოკვდებოდა. მოლოდინის ეს რამდენიმე კვირა, როცა სომსი თვითონ აპირებდა კანონის სამსახურიდან გადადგომას და წასვლას, იგი საშინელი ზიზღით განიმსჭვალა ამ კანონისადმი; მთელი არსებით იყო აღშფოთებული იმ ძალმომრეობის გამო, რაც კანონს მისი სახელისადმი უნდა გამოეჩინა, თვითონ კი იძულებული ხდებოდა ამას შეჰგუებოდა, რათა, კანონიერი მოთხოვნით, ეს სახელი სამუდამოდ უკვდავეყო. მთელი ამ ამბის საშინელი უსამართლობა სომსს გაუნელებელი ბოღმით ავსებდა. ბევრს კი არაფერს ითხოვდა - მას შეუბღალავი ოჯახური სიმშვიდე სურდა. ახლა კი, ამდენი უნაყოფო, ეულად გატარებული წლების შემდეგ სასამართლოში უნდა წარდგეს და თავისი სიგლახე აღიაროს - ცოლი გამექცაო, თავისივე ჯურის ხალხში სიბრალული, სიცილი, ზიზღი გამოიწვიოს. ყველაფერი თავდაყირა დადგა. საცა სამართალია, იმ ქალმა და იმ ვაჟბატონმა უნდა იგემონ მთელი ტანჯვა, ისინი კი, ეგერ, იტალიაში არიან! ამ რამდენიმე კვირაში, კანონი, - რომელსაც სომსი ისე ერთგულად ემსახურებოდა, ისე მოწიწებით შეჰყურებდა, როგორც მთელი საკუთრების დამცველსა და საყრდენს, - მის თვალში სრულ უბადრუკობად იქცა. რა უნდა იყოს იმაზე დიდი უგუნურება, როცა კაცს ეტყვი - შენი ცოლი შენ უნდა გყავდესო, მერე კი ადგები და დასჯი, რადგან ვიღაც გამოტყვრება და უკანონოდ წაართმევს ამ ცოლს! ნუთუ კანონმა არ იცის,

რომ სახელი კაცისთვის თვალისჩინივით ძვირფასია, და გაცილებით უფრო მძიმეა ცოლგაქცეული გიწოდონ, ვიდრე სხვისი ცოლის მომტყუებელი?! ახლა მას ჯოლიონის რეპუტაციის შეშურდა - იმ საქმეში მიაღწია მან გამარჯვებას, სადაც სომსმა დამარცხება იგემა. ხარჯების კომპენსაციის საკითხიც მოსვენებას უკარგავდა. უნდოდა გაეწამებინა ის ვაჟბატონი, მაგრამ კარგად ახსოვდა მისი სიტყვები - "დიდი სიამოვნებით". იგი დარწმუნდა, რომ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა ჯოლიონს კი არ გაამწარებდა, თვითონვე გამწარდებოდა. გრძნობდა, რომ ჯოლიონს გაუხარდებოდა კიდეც, ფულის გადახდას თუ მოსთხოვდნენ - ისეთი თავაშვებული ვაჟბატონი ბრძანდება! თანაც, ანაზღაურების მოთხოვნა უხერხულიც იყო. მაგრამ ეს, სიმართლე უნდა ითქვას, თავისთავად მოხდა, თითქმის მექანიკურად. და რაც უფრო ახლოვდებოდა სასამართლოს დრო, იგი რწმუნდებოდა, რომ ესეც იმ უგრძნობელი და უკუღმართი კანონის კიდევ ერთი ხრიკი იყო, რათა სომსი ყველას თვალში სასაცილო გამოჩენილიყო; რათა ხალხს ექირქილა და ეთქვა: "რას ერჩი, კარგა ბლომად ფული აიღო იმ ქალში!" და თავის რწმუნებულს დაავალა საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ ეს ფული მთლიანად "გზასაცდენილ ქალთა" თავშესაფარს გადაეცემოდა. დიდხანს ზომავდა რა საქველმოქმედო დაწესებულებისთვის გადაეცა ეს ფული, რომელი იქნებოდა უფრო შესაფერისი და როცა უკვე შეარჩია, ველარ მოისვენა, ღამით გაეღვიძებოდა და ფიქრობდა: "არ გამოდგება, მეტისმეტად სენსაციურია, ყველას ყურადღებას მიიპყრობს. უბრალო რამე სჯობს - უფრო წესიერი". ძაღლები არ უყვარდა, თორემ ძაღლებს აირჩევდა. ბოლოს, სასოწარკვეთილმა, - რადგან მისი

ცოდნა საქველმოქმედო საქმეებში ძალზე შეზღუდული იყო, - ისევ ბრმები არჩია. ეს არც უხერხული იქნებოდა, და, თანაც, სასამართლო უფრო მაღალ თანხას დანიშნავდა გადასახდელად.

ბევრი სასამართლო პროცესი ამოვარდა სიიდან, რომელიც იმ ზაფხულს ისედაც მოკლე იყო. ასე რომ, სომსის სასამართლო აგვისტომდე მოესწრებოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, უინიფრიდი მის ერთადერთ ნუგეშისმცემლად იქცა. ეს ვაივაგლახი მასაც ჰქონდა გამოცდილი საკუთარ თავზე და ამიტომ გულით თანაუგრძნობდა, სომსს შეეძლო ყველაფერი გაენდო მისთვის, რადგან იცოდა, რომ იგი დარტის არაფერს გაუმხელდა. იცოცხლე, გაიხარებდა ის არამზადა! ივლისის მიწურულს, სასამართლოს წინადღეებში, ერთ საღამოს სომსი დას ეწვია. ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინათ ქალაქიდან გასვლა, რადგან საზაფხულოდ გადადებული ფული დარტის სულ გაეფლანგა, ხოლო მამასთან კიდევ ფულისთვის მისვლას უინიფრიდი ჯერ ვერ ბედავდა, მანამ ჯეიმსი სომსის ამბის მოლოდინში იყო.

სომსი რომ შევიდა, უინიფრიდს ხელში წერილი ეჭირა.

- ვალისგან არის? - ჰკითხა მან დაბღვერით, - რაო?

- ცოლი შევირთეო, - მიუგო უინიფრიდმა.

- ვინაო, თუ ღმერთი გწამს?

უინიფრიდმა ძმას შეხედა.

- ჰოლი ფორსაიტი, ჯოლიონის ქალი.

- რაო?

- ნებართვა მიუღია და შეურთავს. არც ვიცოდი, იმ გოგოს თუ იცნობდა. უხერხული კი გამოდის, არა?

სომსს თავის დაზე გაეცინა, რომელსაც ასე ჰქონდა ხოლმე ჩვეულებად, უბრალო წვრილმანს ჩააცივდებოდა.

- უხერხული! არა მგონია, ეს გაიგონ, მანამ დაბრუნდებოდნენ. ან კი რას მოდიან, იქვე დარჩნენ. ის ვაჟბატონი ფულს არ მოაკლებს თავის ქალიშვილს.

- მე კი მინდა, რომ ვალი დაბრუნდეს, - თითქმის შესაბრალისად თქვა უინიფრიდმა, - მიჭირს უმისობა. გვერდზე რომ მყავს, უფრო მიადვილდება ხოლმე.

- ვიცი, - ჩაიდუდუნა სომსმა, - დარტი როგორღა იქცევა ახლა?

- უფრო ცუდად რომ არ იქცევა, არ გიკვირს? სულ ფული და ფული. შენ როგორ გირჩევნია, მეც წამოვიდე ხვალ, სომს, სასამართლოში?

სომსმა ხელი გაუწოდა. ეს ჟესტი ისე აშკარად ამჟღავნებდა მის მარტოობას, რომ უინიფრიდმა ორივე ხელი მოუჭირა.

- არაფერია, გენაცვალე. სამაგიეროდ, ერთბაშად მოგეშვება გულზე, როცა ყველაფერი გათავდება.

- ვერ გამიგია, ასეთი რა გავაკეთე, - ხმა ჩაეხრინწა სომსს, - ამდენი ხანია, ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ. ყველაფერი თავდაყირა მოექცა. მერე, როგორ მიყვარდა... მუდამ მიყვარდა.

უინიფრიდმა შენიშნა, როგორ მოადგა სისხლის წვეთი ტუჩებზე და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

- რა თქმა უნდა, - თქვა მან, - საძაგლად მოიქცა. მაგრამ ვალის დაქორწინების ამბავს რა ვუყო, აღარ ვიცი, სომსს! ვეღარ მომიფიქრებია, ამაზე რა უნდა მივწერო! შენ გინახავს ის გოგო. ლამაზია?

- კი, ლამაზია, - უპასუხა სომსმა, - შავგვრემანი... მოარისტოკრატო.

"არა უშავს, კარგი ყოფილა, - გაიფიქრა უინიფრიდმა, - ჯოლიონს არასოდეს აკლდა გემოვნება".

- ახალი თავსატეხი არ გაგვიჩნდა! - თქვა მან, - რას იტყვის ახლა მამაჩემი?

- არ უნდა გავაგებინოთ, - მიუგო სომსმა, - ომი მალე გათავდება, ურჩიე ვალს, რომ იქვე დასახლდეს, მეურნეობას მოჰკიდოს ხელი.

ეს იგივე იყო, პირდაპირ რომ ეთქვა - ჩემი დისშვილი საბოლოოდ დაღუპულიაო.

- მონტისთვისაც არაფერი მითქვამს, - განწირული ხმით წაიბუტბუტა უინიფრიდმა.

საქმე თორმეტი საათისთვის დაიწყო მეორე დღეს და სულ ნახევარ საათს თუ ცოტა მეტხანს გაგრძელდა. გამოწკეპილი, ერთიანად გადაფითრებული და თვალებდასევდიანებული სომსი მკვდარივით უგრძნობელი წარდგა სასამართლოს წინაშე, იმდენი გადაიტანა წინადღეებში, რომ ახლა უკვე აღარაფერს გრძნობდა. გამოაცხადეს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, იმავე წუთში გავიდა შენობიდან.

ოთხი საათიღაა საჭირო, და მისი სახელი საქვეყნოდ გავარდება! "ნაფიც-რწმუნებულის განქორწინების საქმე!" ის უსიცოცხლო უგრძნობლობა ახლა გაცოფებულმა ღვარძლმა შეცვალა. "ჯანდაბას მაგათი თავი! - გაიფიქრა მან, - რისთვის უნდა დავიმალო! თავს ისე დავიჭერ, თითქოს არაფერიც არ მომხდარა". მზით გაფიცხებულ და ჩახუთულ ფლოტსტრიტს ფეხით დაუყვა, მერე

ლედგეიტჰილზე გავიდა და თავისი კლუბისკენ გაემართა, სიტი-ში. იქ ისაუზმა და უკანვე მიბრუნდა, სამსახურში. საღამომდე თავაუღებლივ მუშაობდა.

კაბინეტიდან რომ გამოვიდა, მაშინვე მიხვდა, რომ კლერკებ-მა უკვე ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ იმათ გაუბედავ გამოხედ-ვას ამან გესლიანად დამცინავი ღიმილი შეაგება, და კლერკებმაც ხელად მოარიდეს თვალი. წმინდა პავლეს ტაძრის წინ შეჩერდა და ყველაზე უფრო არისტოკრატიული საღამოს გაზეთი იყიდა. ჰო! აგერ! "ცნობილი ნაფიც-რწმუნებულის განქორწინების პრო-ცესი. მოპასუხე - თავისივე ბიძაშვილი. ჯარიმის თანხა - უსინათ-ლოებს"... ამათაც დაუბეჭდავთ! რამდენ ვინმეს შეხედავდა, ამას გაიფიქრებდა ხოლმე: "ნეტავ, თქვენც თუ იცით?!" და უცებ რა-ღაც მოუვიდა, თავში თითქოს რაღაც დაუტრიალდა.

რა დაემართა? არ უნდა მინებდეს! არასდიდებით! თორემ მართლა ავად გახდება. ფიქრიც არ არის საჭირო! მდინარეზე ჩა-ვა, თავის მამულში და ნიჩბებს მოუსვამს, ითევზავებს კიდეც. "არ უნდა დავუწვე", - გაიფიქრა მან.

უცებ გაახსენდა, რომ, მანამ ქალაქიდან გავიდოდა, რაღაც საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. მადამ ლამოტი! კანონი უნდა გა-აცნოს. კიდევ ექვსი თვე უნდა გავიდეს, მანამ ნამდვილ თავისუფ-ლებას მიიღებდეს! ოღონდ ანეტის ნახვა არ არის ახლა სასურვე-ლი! და ხელი თავზე მოისვა - ძალიან ცხელი ეჩვენა.

კოვენტ გარდენისკენ შეუხვია. ამ ნაგვიანევი ივლისის ხვატ-ში, ძველი ბაზრის არემარეს ჰაერი დამპალი ნარჩენების სუნით იყო მოწამლული, და სომსი უსიამოვნო გრძნობამ მოიცვა, სოჰო კიდევ, როგორც არასოდეს, ისე დამსგავსებოდა ახლა ყოველი

ჯურის არამზადათა უღიმღამო თავშესაფარს. მხოლოდ "ბრეტანს" - ამ კოპწია, ლაზათიანად შეღებილ, ჯუჯა ხეებითა და ცისფერი კასრებით დამშვენებულ რესტორანს შეენარჩუნებინა ყველაფრისგან განსხვავებული ფრანგული ღირსება და პატივი. ახლა მიყუჩებული იყო რესტორანი, კოხტად გამოწკეპილი, მიბნედილი ოფიციანტი ქალები მაგიდებს ამზადებდნენ სადილისთვის. სომსი საცხოვრებელ ნაწილში გავიდა. არ ესიამოვნა, როცა ანეტმა გაუღო კარი. ისიც ფერმკრთალი ჩანდა, სიცხისგან მილასლასებული.

- სულ დაგვივიწყეთ! - უსიცოცხლოდ უთხრა მან.

სომსმა გაუღიმა.

- ჩემდა უნებურად. ქვეყნის საქმე მქონდა. დედათქვენი სად ბრძანდება, ანეტ? რაღაც უნდა მეთქვა მისთვის.

- დედა შინ არ არის.

სომსს მოეჩვენა, უცნაურად მომჩერებიაო. ნეტავ, რა გაიგო? რა უთხრა დედამისმა? ამის გამოცნობის სურვილმა ისე შეაწუხა, რომ ერთბაშად თავში დაჰკრა. მაგიდის ძგიდეს ჩააფრინდა, და ნისლგადაკრული თვალებით ძლივს გაარჩია, გაკვირვებისგან როგორ დაეწმინდა ანეტს თვალები და ფეხი მისკენ გადადგა. სომსმა თვალები დახუჭა და თქვა:

- არა უშავს. ალბათ, მზემ დამკრა.

მზემ დაჰკრა! დაკვრაზე თუ მიდგა საქმე, წყვდიადმა უფრო დაჰკრა! ანეტის ხმა, მისი ფრანგული, დამამშვიდებელი ბგერები გაისმა:

- დაბრძანდით, გაგივლით.

ქალის ხელი მის მხრებს დააწვა და სომსი სკამზე დაეშვა. როცა წყვდიადი გადაიწმინდა და თვალი გაახილა, ნახა, რომ ქალი მას შეჰყურებდა. რა გამოუცნობი და უცნაური გამომეტყველება აქვს ამ ოცი წლის გოგოს!

- გაგიარათ?

- არა უშავს.

ალღომ უკარნახა, რომ სისუსტის გამომჟღავნება ვერაფერ ხეირს დააყრიდა - მისი ასაკი ისედაც კარგა დიდი დაბრკოლება იყო. ნებისყოფა და ძალა გამოაჩენდა მას ანეტის თვალში. ამ ბოლო თვეებში ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა და ამიტომაც წარმატებას ვერ მიაღწია, ახლა კი მორჩა, მეტი წარუმატებლობა აღარ შეიძლება. წამოდგა და ანეტს უთხრა:

- წერილს დავუტოვებ დედათქვენს. ჩემს მამულში მივემგზავრები მდინარის პირას და კარგა ხანსაც დავრჩები იქ. მინდა, რომ თქვენც ჩამოხვიდეთ ახლავე და ჩემთან დარჩეთ. დიდებული სამყოფია ახლა იქ. ხომ მესტუმრებით, ჰა?

- რა კარგი იქნება!

რა ლამაზად გამოთქვამს "რ"-ს, მაგრამ ერთი ბეწოთიც არ აღეგზნო. სომსმა შეწუხებით დასძინა:

- სიცხეს თქვენც შეუწუხებიხართ, არა? მდინარის პირას ხელად მოიკეთებთ. ღამე მშვიდობისა.

ანეტი უნებურად წინ წაიწია. ამ მოძრაობაში სინანულის გრძნობა გამოსჭვიოდა.

- უკვე შეგიძლიათ წასვლა? ყავა ხომ არ მოგართვათ?

- არა, - მტკიცედ უპასუხა სომსმა, - ხელი მომეცით.

ანეტმა ხელი გაუწოდა და სომსმა ტუჩებთან მიიტანა იგი. როცა შეხედა, კვლავ ის უცნაური გამომეტყველება შენიშნა ქალს. "ვერ გამიგია, - გაიფიქრა მან, როცა ქუჩაში გამოვიდა, - მაგრამ ფიქრი არ არის საჭირო... არც შეწუხება".

მაგრამ მიდიოდა ქუჩაში პოლ-მოლისკენ და მაინც წუხდა. ინგლისელი კაცი, უკვე შუახანს მიღწეული... რელიგია ერთი არა აქვთ, ოჯახური ტრაგედიით ერთხელ უკვე შიშნაჭამი... მდგომარეობა, უზრუნველყოფა, თაყვანისცემა! ეგეც ბევრია, მაგრამ ოცი წლის ლამაზი გოგოსთვის კმარა? ანეტს სულაც ვერ იცნობს. თან, უცნაური შიში აეკვიატა დედამისის, და თვითონ იმ გოგოს ფრანგული ხასიათისადმი. მათ დიდებულად იციან, რაც უნდათ. ფორსაიტები არიან, ბევრი კი არაფერი უკლიათ. თავის დღეში არ შეეშლებათ და ნამდვილად ღირებულის ნაცვლად, მის ჩრდილს არ წაავლებენ ხელს!

გაჭირვებით მოახერხა ერთი უბრალო ბარათი დაეწერა მადამ ლამოტთან, როცა თავის კლუბში მივიდა, და ამან საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქანცი უკვე გაწყვეტილი ჰქონდა.

"ძვირფასო მადამ (სწერდა იგი),

გაზეთის ამ პატარა ამონაჭრიდან დაინახავთ, რომ დღეს მე განქორწინება მივიღე. მაგრამ, ინგლისური კანონების მიხედვით, ექვს თვეს, მანამ საბოლოოდ დამტკიცდებოდეს ეს განქორწინება, უფლება არ მაქვს ხელახლა დავქორწინდე. ახლა იმას გთხოვთ, თქვენი ქალის ოფიციალურ ხელის მთხოვნელად ჩამთვალოთ. ამ დღეებში კიდევ მოგწერთ და ჩემს მამულში მიგიწვევთ ორივეს.

თქვენი ერთგული სომს ფორსაიტი".

წერილი დაბეჭდა, გაგზავნა და სასადილო დარბაზში შევიდა. სამი კოვზი წვნიანი ძლივს მოსვა და დარწმუნდა, რომ ჭამა არ შეეძლო. ეტლი მოაყვანინა, პედინგტონის სადგურზე გავიდა და პირველივე მატარებლით რედინგისკენ გაემგზავრა. მზე უკვე ჩადიოდა, როცა თავის სახლს მიაღწია. მაშინვე ეზოში გავიდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო მიხაკის სუნით, რომელიც გაზონების გაყოლებაზე დაერგოთ. მდინარიდან შემპარავი სიგრილე მოდიოდა.

სიმშვიდე, მოსვენება! დაე, საბრალო კაცმაც მოისვენოს! მღელვარება დაუცხრეს, ბოღმა და სირცხვილი ნუღარ თარეშობენ მის თავში, ვით ღამის ბოროტი ფრინველები! სამტრედის ქანდარაზე მიყუჟული მტრედებივით, გადაღმა ტყეში დაბუნაგებულ გლეხიკაცივით, თვით იმ მდინარესავით, რომელიც ბინდბუნდში თეთრად გაწოლილა, ამ ღიღილოსფრად ჩამუქებულ ცასავით, რომელზედაც უკვე ვარსკვლავები ენთებიან... ისიც განერიდოს საკუთარ თავს და მოისვენოს!

თავი მეათე

საუკუნე გადის

სომსმა პარიზში დაიწერა ჯვარი ანეტზე, იანვრის უკანასკნელ დღეს, 1901 წელს, მაგრამ ისე საიდუმლოდ, რომ ემილისაც კი ქორწინების შემდეგ შეატყობინეს ეს ამბავი. ჯვრისწერის მეორე დღესვე ლონდონს ჩამოიყვანა ცოლი, ერთ-ერთ ისეთ მიყრუებულ სასტუმროში, სადაც ფულს კი ბლომად ახდევინებენ, ხოლო კომფორტი და მომსახურება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა რომელიმე სასტუმროში ქვეყნიერების ზურგზე. ქალის სილამაზე, გახვეული საუკეთესო პარიზულ კაბებში, იმაზე უფრო დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა მას, ვიდრე საუკეთესო ჩინური ფაიფურის ან ძვირფასი სურათის შეძენა მიანიჭებდა. წინასწარ ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ცოლს ლეინპარკზე, გრინსტრიტსა და ტიმოთის სახლში გამოაჩენდა.

ვინმეს რომ ეკითხა იმ დღეებში: გულზე ხელი დაიდე და პირდაპირ მითხარი, გიყვარს ეს გოგო თუ არაო, სომსი ასე უპასუხებდა: "მიყვარს? რა არის სიყვარული? თქვენ თუ მეკითხებით, ისეთივე გრძნობა მაქვს თუ არა მისადმი, რაც ერთხელ აირენისადმი მქონდა, როცა პირველად შევხვდი და ვერ იქნა, თავი ვერ შევაყვარე; როცა ვოხრავდი და სულსა ვლევდი და მანამ ვერ მოვისვე-

ნე, სანამ დავითანხმებდი... არა-მეთქი, გიპასუხებთ! თუ იმას გულისხმობთ, მისი სიქორფითა და სილამაზით ვარ მოხიბლული, ან გული ამიჩქროლდება, როცა გვერდზე ჩამივლის ხოლმე, - "ჰოს" გიპასუხებთ. რას ფიქრობო, თუ მკითხავთ, ერთგულებას თუ გაგიწევს, იმედს თუ გაგიმართლებს, კარგი დედა თუ იქნებაო? - ამაზედაც "ჰოს" გიპასუხებთ! მეტი ან კი რა მინდა? - ან ქალების სამი მეოთხედი რას იღებს მეტს მამაკაცებისგან?! კიდევ თუ ჩააცივდებოდნენ და ჰკითხავდნენ: "რას იტყვი, განა პატიოსანი საქციელია, ეს გოგო რომ აცდუნე და მთელი სიცოცხლე მსხვერპლად მოატანინე, თუკი თავიდანვე გრძნობდი, რომ არ უყვარხარო?" ამაზე ასე უპასუხებდა: "ფრანგები სულ სხვანაირად უყურებენ ამ საკითხს, ჩვენ არა გვგვანან. მაგათთვის ქორწინებაში მთავარია ცხოვრების კარგად მოწყობა და შვილები. საკუთარი გამოცდილებიდანაც შემიძლია გითხრათ - მე თვითონ გონივრული მეჩვენება მათი შეხედულება. ამჟამად იმაზე მეტს არც მოველი მისგან, რისი მიღებაც შემიძლია, ან რისი მოცემაც მას შეუძლია. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთში უსიამოვნება თუ მოგვივიდა, ეგ არც გამიკვირდება - სიბერეში ვიქნები შესული, შვილები მეყოლება. თვალებს დავხუჭავ მაშინ. მე ერთხელ უკვე გამოვიარე დიდი ვნებათაღელვა; მას, ალბათ, მომავალში ელის ასეთი ვნებათაღელვა - და არა მგონია, რომ ეს ჩემდამი იყოს. მე ბევრ რამეს ვაძლევ მას, სანაცვლოდ ცოტას მოველი - შვილებს მხოლოდ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ ბიჭს მაინც. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი - გონიერი ქალია".

თუ მაინც აღარ მოეშვებოდნენ და ჰკითხავდნენ: "მაშ, თქვენ ამ ქორწინებაში სულიერ კავშირს არც ეძებთ?" სომსი, ალბათ,

ჩვეულებრივ, ცალი ყბით გაიცინებდა და უპასუხებდა: "მდგომარეობას გააჩნია. თუკი ჩემი გრძნობები დაკმაყოფილებული იქნება, შთამომავლობა მეყოლება, სახლს გემოვნებით მომიწყობენ და კარგი განწყობილება გვექნება, ჩემი ხნის კაცს მეტი ან კი რაღა უნდა. მეტისმეტი სენტიმენტალიზმისკენ არც მიმიწევს გული და არც ვფიქრობ". ამის მეტს კიდევ რაღას ჩააცივდებოდნენ, უხერხული იქნებოდა!

გარდაიცვალა დედოფალი, და ქვეყნად ყველაზე დიდ ქალაქში დაუღვრელი ცრემლების რუხი ჯანღი დადგა. სომსს ბეწვის ქურქი ეცვა, თავზე ცილინდრი ეხურა, ანეტიც შავ ბეწვის პალტოში იყო გახვეული, ლეინპარკი გადაჭრეს, სამგლოვიარო პროცესია გაიარეს და ჰაიდპარკის მესერს მიადგნენ. საზოგადოსაქვეყნო საქმეები დიდად არასოდეს აღელვებდა სომსს, მაგრამ ამ შემთხვევამ, ამ უაღრესად სიმბოლურმა ამბავმა, გრძელი და მდიდარი ეპოქის დასრულებამ, იმოქმედა. ოცდაჩვიდმეტ წელს, როცა დედოფალი ტახტზე ავიდა, "ზვიადი დოსეტი" ჯერ კიდევ აშენებდა და აშენებდა სახლებს, ამახინჯებდა ლონდონს; და ჯეიმსიც, ოცდაექვსი წლის ყმაწვილი კაცი, სწორედ მაშინ უყრიდა საფუძველს თავის იურიდიულ საქმიანობას. ჯერ ისევ დახრიგინებდნენ საფოსტო ეტლები, მამაკაცებს ფართო ყელსახვევები ეკეთათ, საულვაშეს იპარსავდნენ, ხამანწკებს პირდაპირ კასრებიდან შეექცეოდნენ, კაბრიოლეტებზე ლივრეიანი გრუმები იდგნენ. ქალები ფრანგულად შესძახებდნენ ხოლმე - LA! და საკუთარი ქონება არ გააჩნდათ. ქვეყნად თავაზიანობას ჰქონდა დაფასება, ღატაკებს საღორეებს უშენებდნენ, ბედუკუღმართებს ერთი ბეწო დანაშაულისთვის მარგილზე ჰკიდებდნენ, და დიკენ-

სსაც ახალდაწყებული ჰქონდა წერა. თითქმის ორმა თაობამ ჩაიარა მას შემდეგ, გამოჩნდა გემები, მატარებლები, ტელეგრაფები, ველოსიპედები, ელექტრონის სინათლე, ტელეფონი, და ახლა, აგერ ავტომობილიც. იმდენი სიმდიდრე დაგროვდა, რომ რვა პროცენტი სამად იქცა, ხოლო ფორსაიტები ათასობით მომრავლდა! შეიცვალა ზნეობა, შეიცვალა ქცევები, ადამიანები კიდევ ორი ნაბიჯით დაშორდნენ მაიმუნებს, ღმერთად მამონი დასახეს - მამონი, ისეთი დარბაისელი, რომ საკუთარ თავსაც კი ვეღარ იცნობდა. მთელი სამოცდაოთხი წლის განმავლობაში კერძო საკუთრების მფარველობამ მსხვილი ბურჟუაზია შექმნა, - გაამაგრა, გამოჩალხა, გააშალაშინა ისეთი მანერები, მიხრა-მოხრა, ჩვეულებები, ენა, გარეგნობა და სული მისცა, რომ თითქმის აღარც კი გამოირჩეოდნენ არისტოკრატიისგან. ეპოქა, რომელმაც პირადი თავისუფლება ისე მოავარაყა ოქროთი, რომ თუ კაცს ფული ჰქონდა - თავისუფალი იყო კანონითაც და სინამდვილეშიც, ხოლო თუ ფული არ ჰქონდა - კანონით თავისუფალი იყო, სინამდვილეში კი არა. ეპოქა, რომელმაც ისე დააკანონა ფარისევლობა, რომ საკმარისი იყო კაცს დარბაისლად მოეჩვენებინა თავი - ის უკვე დარბაისელი იყო. დიადი საუკუნე, რომლის ყოვლისმომცველ გავლენას ვერაფერი გადაურჩა, გარდა ადამიანის ბუნებისა და სამყაროს ძირითადი არსისა.

საუკუნის წასვლის ცერემონიალზე დასასწრებად ლონდონმა - ამ საუკუნის თვალისჩინმა და გამორჩეულმა - თავისი მოქალაქეები გამოფინა და ნიაღვარივით მიუშვა ჰაიდპარკის ყველა ჭიშკარსა და შესასვლელში, ამ ვიქტორიანიზმის ცენტრში, ფორსაიტების სასუფეველში. ჩანაცრისფრებულ ხის ქვეშ, რომელიც

წვიმის წინწკლებს ძლივს იკავებდა, ბნელი ბრბო სეირის საყურებლად მოგროვილიყო. წლებითა და სათნოებით დატვირთული "მოხუცი, კეთილი" დედოფალი უკანასკნელად გამოსულიყო თავისი სავანიდან, რათა ლონდონისთვის დღესასწაული მოეწყო. ჰაუნდსდიტჩიდან, ექტონიდან, ილინგიდან, ჰემსტედიდან, იზლინგტონიდან და ბეთნელ გრინიდან; ჰეკნიდან, ჰორნსიდან, ლეიტოსტონიდან, ბეტერსიდან და ფულჰემიდან: იმ მწვანე საძოვრებიდან, სადაც ფორსაიტები ყვავიან - მეიფერსა და კენსინგტონიდან, სენტ ჯეიმსსა და ბელ გრეივიდან, ბეისუოთერსა და ჩელსიდან, რიჯენტპარკიდან... ხალხი გუნდ-გუნდად გამოფენილიყო ქუჩებში, სადაც სულ მალე ქუში ზეიმითა და ბრწყინვალებით სიკვდილს უნდა ჩაევლო. მორჩა, ვერც ერთი დედოფალი ვეღარ იმეფებს ასე დიდხანს ქვეყნად, ვეღარც ხალხი გახდება მოწმე ასეთი დიდი ეპოქის დამარხვისა. სამწუხაროა, რომ ომი გაგრძელდა, და არ შეუძლიათ დედოფლის კუბო გამარჯვების გვირგვინით შეამკონ! სხვა კი ყველაფერი იქნება - ჯარისკაცები, მეზღვაურები, უცხოელი პრინცები, დახრილი დროშები, სამგლოვიარო ზარების გუგუნი, და, რაც მთავარია, შავ ძაძებში გახვეული, დიდი, ზღვასავით მღელვარე ბრბო, ამ ბრბოში კი, აქა-იქ, მოვალეობის გრძნობით ჩაცმულ შავ ტანსაცმელს ქვეშ სევდიანად მფეთქავი გულიც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საუკუნოდ მოსასვენებლად მიდის არა მარტო დედოფალი, არამედ ქალიც, რომელსაც მამაცურად გადაუტანია მწუხარება და, რამდენადაც შესძლებია, ბრძნულად და პატიოსნად უცხოვრია.

პარკის მესერთან, ბრბოში, სომსს ანეტისთვის ხელი გაეყარა, იდგა და ელოდა. დიახ! საუკუნე მიდის! ეს ტრედუნიონისტებიო,

თემთა პალატაში ლეიბორისტების მომრავლება, კონტინენტიდან შემოსული რომანები, და ისეთი შეგრძნება, რასაც ენით ვერ გამოთქვამ... ეს ყველაფერი ძალიან რთული გასარკვევი შეიქნა. მეიფკინგის ღამე გაახსენდა, მაშინდელი ბრბო და ჯორჯ ფორსაიტის სიტყვები: "სულ სოციალისტები არიან, ჩვენს დოვლათზე უჭირავთ თვალი". ჯეიმსისა არ იყოს, სომსსაც ვერაფერი გაეგო, ვერ გეტყოდათ, რა მოხდებოდა ედუარდის ტახტზე ასვლის შემდეგ. მოხუცი, კეთილი ვიკის დროს რომ მშვიდობა იყო, იმას კი საბოლოოდ გამოეთხოვე! შეაჟრჟოლა და თავისი ახალგაზრდა ცოლის მკლავი ჩაბღუჯა. ეს ხომ მაინც მისია, კვლავ მისი განუყოფელი ნაწილი, შინაური და ნამდვილი არსებული რამ, ვისთვისაც საკუთრებას ფასი ედება და თავის შეწუხებად ღირს. მაგრად მიიხუტა, სცადა სხვებისთვის მოერიდებინა და ამით კმაყოფილება იგრძნო. ირგვლივ ბრბო ირწეოდა, სანდვიჩებს ჭამდნენ, პურის ნამცეცებს ყრიდნენ. ჭადრებზე შემძვრალი ბიჭები მაიმუნებივით ტატყანებდნენ, რტოებსა და ფორთოხლის ნაფცქვენებს დაბლა ისროდნენ. დრო უკვე გავიდა, მალე პროცესიაც გამოჩნდებოდა! და უცებ, მათგან ოდნავ უკან, ხელმარცხნივ, სომსმა თვალი მოჰკრა მაღალ-მაღალ, შლაპიან ქალს, რომელსაც მრგვალი ბეწვის ქუდი ეხურა და ზემოდან ვუალი ჰქონდა ჩამოშვებული. ჯოლიონი და აირენი ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, და, როგორც სომსი და ანეტი, ისე მიჰკვროდნენ ერთმანეთს! მათ ვერ შენიშნეს, და უჩვეულო გრძნობით მოცულმა სომსმა, ჩუმად დაუწყო ყურება. ბედნიერები ჩანდნენ! აქ რამ მოიყვანა ეს კანონისდამგმობი, ვიქტორიანული იდეალების წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი?! ამ ხალხში რა ესაქმებათ?! ერთიცა და მეორეც ორ-

ორჯერ განდევნა ზნეობის სამსჯავრომ - დგანან და თითქოს თავიანთი სიყვარულითა და გარყვნილებით მოაქვთ თავი. სომსი მონუსხულივით შეჰყურებდა, ლამის უნებურად ახლაც აღიაროს, ახლა, როცა ანეტი აქვე ჰყავს ჩაბღუჯული, რომ... ის... აირენი... არა! ამას არ აღიარებს. და ხელადვე მოაბრუნა თავი. აღარც შეხედავს, აღარ მისცემს საშუალებას იმ ძველ ნაღველსა და გულისთქმას, რომ კვლავ გაცოცხლდნენ!

უცებ ანეტი მოუბრუნდა და უთხრა:

- სომს, იმ ქალსა და კაცს შეხედე. ეტყობა, გიცნობენ. ვინ არიან?

სომსმა ცერად გახედა.

- აბა, ვინ?

- აი, ხომ ხედავ? გვერდზე რომ მიბრუნდნენ. შენ გცნობენ ისინი.

- არა, - მიუგო სომსმა, - გეშლება, გენაცვალე.

- რა ეშხიანია! რა მიხრა-მოხრა აქვს! ELLE EST TRES DISTINGUEE.((ფრანგ.) - გამორჩეული ქალია)

სომსმა ახლაღა გახედა. სწორედ ასეთი მიხრა-მოხრით შემოვიდა იგი მის ცხოვრებაში და ასე გავიდა - თავაწეული, მონარნარე, შორეული და მიუწვდომელი, ვერა და ვერ ეღირსა სომსი მასთან სულიერ სიახლოვეს! და მან ერთბაშად აქცია ზურგი წარსულის ამ თანდათანობით დაშორებულ ხილვას.

- აგერ შეხედე, - უთხრა მან ცოლს, - მოდიან!

მაგრამ მანამ ასე იდგა, ცოლის მკლავჩაბღუჯული, და თითქოს მთელი გულისყურით მისჩერებოდა მოახლოებულ პროცესიას, ტანში სიმწრის ჟრუანტელი უვლიდა იმ შეუსრულებელი წა-

დილის გამო, რასაც მთელი ცხოვრება ვერ ეღირსა, იმის უნებური სინანულით, რომ იმ მეორესაც ვერ დაეუფლა.

მძიმედ მოედინებოდა მუსიკა და პროცესია, მანამ ეს გრძლად გაჭიმული მწკრივი პარკის ჭიშკარში არ შთაინთქა. სომსს ანეტის ჩურჩული ჩაესმა: "რა სევდის მომგვრელია და რა მშვენიერი!" იგრძნო, როგორ ჩაეჭიდა ქალი მის ხელს და ფეხის წვერებზე შედგა; ხალხის მღელვარება სომსსაც გადაედო. აგერ დედოფლის კატაფალკი - მძიმედ დაძრული კუბო საუკუნისა! და, მანამ ეს პროცესია ჩაივლიდა, გრძლად გაჭიმულ ბრბოში ჩუმი გმინვა გაისმა, არასოდეს გაეგონა სომსს ასეთი ხმა - პირველყოფილი, ველური და ღრმა; ვერც ის თვითონ, ვერც ვერავინ იქ მყოფთაგანი ვერ გრძნობდა, ამ საერთო გმინვაში მისი ხმაც თუ ერია. მართლაც უცნაური ხმა იყო! უკანასკნელი ვალის მოხდა საუკუნისა, თავისივე სიკვდილის გამო... ა-აჰ!.. ა-აჰ!.. ცხოვრების საყრდენი მიცურავს. ის, რაც მარადიული ეგონათ, წავიდა! დედოფალი... უფალო, განუსვენე!

ისიც კუბოსთან ერთად მიცურავდა, ეს ადგილიდან დაძრული გმინვა, როგორც ცეცხლი დაიძვრება ხოლმე ბალახით დაფარულ წვრილ ზოლზე. ფეხდაფეხ მისდევდა, თან მიჰყვებოდა მუშტივით შეკრულ ბრბოს. ადამიანურიც იყო ეს ხმა და არაადამიანურიც, ცხოველური ქვეცნობიერებით აღმომხდარი, იმის შეგნებით გამსჭვალული, რომ ყველაფერი კვდება, ყველაფერი იცვლება. არც ერთი ჩვენგანი... არც ერთი ჩვენგანი არ არის უკვდავი!..

გმინვა რომ მიწყდა, ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოწვა - ძალიან ცოტა ხნით, მანამ ენები ისევ ამოძრავდებოდა და ადრინდელი გატა-

ცებით განახლდებოდა ამ სანახაობის შეფასება. ერთხანს კიდევ იდგა სომსი, რათა ანეტისთვის მიენიჭებინა სიამოვნება, მერე კი ხელი მოჰკიდა და წამოიყვანა, ლეინპარკისკენ გასწიეს, მამის სახლში, საუზმეზე...

მთელი დილა საწოლი ოთახის ფანჯარასთან გაატარა ჯეიმსმა - იქიდან იყურებოდა ქუჩაში. აჰა, უკანასკნელი სანახაობა, რასაც იგი მოესწრო! მრავალთაგან უკანასკნელი! წავიდა დედოფალი! კარგი ხნისა კი მოიყარა! სუითინი და ჯეიმსი მის დედოფლად კურთხევასაც მოესწრნენ. გამხდარი გოგო იყო, ტანადი, იმოჯინის ხნისა არც იქნებოდა! მერე და მერე ძალიან დასრულდა. ჯოლიონთან ერთად დაესწრო დედოფლის იმ გერმანელთან დაქორწინებას, კარგი კაცი აღმოჩნდა, მერე მოკვდა და ბიჭი დაუტოვა დედოფალს. ჯეიმსს გაახსენდა, რამდენჯერ შეკრებილან ერთად, საღამოობით ძმები და მეგობრები და ნასადილევს, ღვინის სმაში, რამდენი ულაპარაკიათ ამ უფლისწულზე, რომელიც მაშინ სულ ბავშვი იყო. ახლა კი, აგერ, ტახტზე ავიდა. დარბაისელი კაცი დადგაო, ამბობენ. ჯეიმსმა რა იცის... ვერაფერს იტყვის! მოდგება ალბათ და დაიწყებს ფულის ფანტვას, მაშ, არადა! რამდენი ხალხი გამოფენილა! თითქოს, აგერ, გუშინ იყო, ისა და სუითინი უესტმინსტერის სააბატოში რომ იდგნენ, ბრბოში, და დედოფლის კურთხევას შეჰყურებდნენ. იქიდან მერე კრემორნში წაიყვანა სუითინმა. მაინც რა შფოთისთავი იყო სუითინი! თითქოს ამ იუბილეზე დიდი ხნის წინ არც კი მომხდარიყო ეს, როცა, ჯეიმსი როჯერს აჰყვა და მასთან ერთად აივანი დაიქირავა პიკადილზე. ჯოლიონი, სუითინი, როჯერი... ყველა წავიდა. ჯეიმსს კი აგვისტოში ოთხმოცდაათი შეუსრულდება! სომსმა, ეგერ,

ფრანგის ქალი შეირთო. ახირებული ხალხი კია ფრანგები, მაგრამ კარგი დედები გამოდიანო, ჯეიმსს გაუგონია. შეიცვალა ქვეყანა! გერმანიის იმპერატორიც ჩამოვიდა დედოფლის დაკრძალვაზეო, ვიღაცამ თქვა; მაგრამ ის დეპეშა, კრიუგერს რომ გაუგზავნა, აღმაშფოთებელი იყო პირდაპირ! ნურც გაგიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს რამე დავიდარაბა რომ წამოიწყოს მაგ ვაჟბატონმა! სხვა დრო დადგა! თვითონვე უნდა უპატრონონ თავს, როცა ჯეიმსიც წავა. ვინ იცის, რა მოუვა! ახლა აგერ დარტიც დაუპატიჟებია საუზმეზე ემილის, უინიფრიდსა და იმოჯინთან ერთად, სომსის ცოლი უნდა გააცნოს. სულ ასე არ იცის - მოიგონებს ხოლმე რაღაცას! აირენი ახლა ჯოლიონთან ცხოვრობსო, ამბობენ. აქამდე, ალბათ შეირთავდა კიდეც.

"ნეტავ ჯოლიონი რას იტყოდა ამაზე?" და იმის გაფიქრებამ, რომ მის უფროს ძმას - ვისაც ერთ დროს თვალებში შესცინებდა ჯეიმსი, - ახლა უკვე აღარაფრის თქმა შეეძლო, ისე მოუშხამა გუნება, რომ სკამიდან წამოდგა, ფანჯარას მოშორდა და მძიმე ნაბიჯით ოთახში ხანხალს მოჰყვა.

"ლამაზი ქალი კი იყო, - გაიფიქრა მან, - თავიდანვე შემიყვარდა. ალბათ სომსი ვერ გამოადგა... რა ვიცი... ვერაფერს ვიტყვი. ერთხელაც არ გვქონია უსიამოვნება ჩვენს ცოლებთან. სხვა ქალები წამოვიდა... სხვა დრო დადგა! ახლა, აგერ, დედოფალიც მოკვდა... ეს გვინდოდა?!" ქუჩაში კვლავ ირეოდა ხალხი და ჯეიმსს გულმა აღარ გაუძლო, ისევ ფანჯარასთან დაჯდა, ცხვირი მინას მიადო და მისმა სიცივემ ფერი ერთიანად დაუკარგა; პროცესია უკვე ჰაიდპარკს გამოსცდა, მალე ჩაივლის! ბარემ ემილიც ამოვიდეს და ნახოს, იმ საუზმეს რომ გადაჰყვა. უცებ მოისაკლი-

სა - ემილი მოისაკლისა! ჭადრების გატიტვლებული ტოტები ხელს არ უშლიდა გარკვევით დაენახა, როგორ ჩაიარა პროცესიამ, როგორ იშვლიპა ხალხმა ქუდები... რამდენი გაცივდება ახლა!.. მაშ, არადა! ხმა შემოესმა:

- დიდებული ადგილი კი შეგირჩევია საყურებლად, ჯეიმს!

- მადლობა ღმერთს! - ჩაიდუდუნა ჯეიმსმა, - სადა ხარ აქამდე? ძლივს მოუსწარი!

და ისევ გაჩუმდა, ქუჩას მისჩერებოდა გაფაციცებით.

- რა ხმაურია? - იკითხა მან ერთბაშად.

- ხმაური არ არის, - მიუგო ემილიმ, - საიდან მოიგონე?.. ყიჟინით ხომ არ შეხვდებოდნენ?!

- მე კი მესმის და.

- სისულელეა, ჯეიმს!

ორმაგ ფანჯარაში რა ხმაური შემოვიდოდა! ჯეიმსს საკუთარი გულის გმინვა ჩაესმა, როცა თავისი საუკუნე დაინახა მიმავალი!

- თუ ღმერთი გწამს, ნუ მეტყვი, სად უნდა დამმარხონ, - უთხრა მან მოულოდნელად, - რად მინდა! - და ისევ მოშორდა ფანჯარას. დედოფალიც წავიდა. რამდენი მღელვარება გადაუტანია... გაუხარდებოდა კიდეც, რომ მოისვენა. მაშ, არადა!

ემილიმ თმის ჯაგრისი აიღო.

- დაივარცხნე ბარემ თმა, - უთხრა მან, - ვიდრე მოვიდოდნენ. რაც შეიძლება, კოხტად უნდა ეჩვენო, ჯეიმს.

- აჰ! - წაიბუტბუტა ჯეიმსმა, - ლამაზიაო, ამბობენ.

ახალ რძალს ჯეიმსი სასადილო ოთახში შეხვდა. ბუხართან იჯდა, როცა ქალი შემოიყვანეს. სავარძლის სახელურებს ჩასჭი-

და ხელი და მძიმედ წამოდგა. ბეჭებში მოხრილმა, ევკლიდის ხაზივით წვრილმა, სერთუკში კოხტად გამოწყობილმა ჯეიმსმა ანეტს ხელი ჩამოართვა. ერთბაშად ფერდაკარგული, დანაოჭებული სახიდან გამომზირალი მოუსვენარი თვალებით ქალს დაეჭვებული ცნობისმოყვარეობით დააკვირდა. თვალებიც და ღაწვებიც ერთბაშად აუნთო ქალის სიქორფის ნაპერწკალმა.

- როგორა ხართ? - მიმართა მან, - დედოფლის სანახავად იყავით, ალბათ! საფრანგეთიდან ხომ კარგად იმგზავრეთ?

ასე მიესალმა იგი ქალს, რომლისგანაც იმედიანად მოელოდა გვარის გამგრძელებელ შვილიშვილს.

ანეტმა კარგად შეათვალიერა დაბერებული, ჩამომხმარი, გადატეტკილი, ფაქიზად გამოწყობილი ჯეიმსი და ფრანგულად ჩაილაპარაკა რაღაც, მაგრამ ჯეიმსმა ვერ გაიგო.

- დიახ, დიახ, - თქვა მან, - მოგშივდათ, ალბათ. დარეკე, სომს. დარტის ხომ არ დავუწყებთ ცდას.

მაგრამ სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ მოვიდნენ კიდეც. "იმ ქალის" ნახვის გულისთვის დარტი ჩვეულებას ხომ არ უღალატებდა: დილიდანვე აისიუმ-კლუბში მისულიყო, წინ კოქტეილი დაედგა და თამბაქოს მოსაწევი ოთახის ფანჯრიდან ცალი თვალით ქუჩაში იყურებოდა, ასე რომ, უინიფრიდი და იმოჯინი იძულებული გახდნენ, პარკიდან იქ გაევლოთ და წამოეყვანათ. თაფლისფერი თვალები დარტიმ გაკვირვებული აღფრთოვანებით მიაშტერა ანეტს. სომსს უყურე! მეორე მშვენიერი ქალი გამოუჭერია! ნეტავ რას ხედავენ მასში ქალები! დაიცა, ამანაც თუ ისეთივე ოინი არ უყოს! რა თქმა უნდა! მაგრამ მანამდე ხომ ბედს ეწია! და ულვაში დაიგრიხა დარტიმ; ამ ბოლო ცხრა თვეში, - რაც

იგი ოჯახურ მყუდროებას დაუბრუნდა, გრინსტრიტზე, - უკვე მოასწრო ადრინდელი სისხლ-ხორცის შევსებაცა და ძველი თავ-დაჯერების დაბრუნებაც.

ამაო აღმოჩნდა ემილის გულიანი ალერსი, უინიფრიდის თავ-დაჭერილი სიმშვიდე, იმოჯინის მეგობრული დაინტერესება, დარტის გაბღინძვა და ჯეიმსის მზრუნველობა - ანეტი მშიერი არ დაგვირჩესო: სომსმა იგრძნო, რომ საუზმეზე ისეთი განწყობი-ლება მაინც ვერ შეიქნა, რაც პატარძალს ეკადრებოდა. სულ მა-ლე ადგა და ცოლი წაიყვანა.

- რა კაცია ეს მუსიე დარტი?! - უთხრა ანეტმა, როცა ეტლში ჩასხდნენ, - JE AIME PAS CE TURE-LA!((ფრანგ.) - არ მომწონს ასეთი ტიპები)

- ღმერთმა დაგვიფაროს! - დაუდასტურა სომსმა.

- რა კარგი და გყავთ, და გოგონაც ლამაზია. მამათქვენი რო-გორ დაბერებულა. ალბათ რამდენი წვალება უწევს დედათქვენს მისი გადამკიდე. მის ბედს არ ვინატრებდი. - სომსმა თავი დაუკანტურა, ჭკუა და მიხვედრილობა მოუწონა ახალგაზრდა ცოლს. მაგრამ ცოტათი შეცბა კიდეც. ალბათ ასეთმა ფიქრმა თუ გაუელვა: "მე რომ ოთხმოცი წლის გავხდები, ეგ ორმოცდათხუთ-მეტისა იქნება და მაგასაც ბევრი წვალება მოუწევს ჩემ გამო".

- კიდევ უნდა მიგიყვანოთ ერთგან, ჩემს ნათესავებთან, - უთ-ხრა მან ცოლს, - ახირებული ხალხი მოგეჩვენებათ, მაგრამ ვალი უნდა მოვიშოროთ. მერე ვისადილოთ და თეატრში წავიდეთ.

ასე შეამზადა ცოლი ტიმოთისთან მისასვლელად. მაგრამ ტი-მოთის სახლში სულ სხვაგვარი შეხვედრა მოუწყვეს. აქ დიდად გაიხარეს სომსის ნახვით, რომელიც რამდენი ხანია არ ენახათ.

აჰა, მაშ ეს არის ანეტი!

- რა ლამაზი ყოფილხართ, ჩემო კარგო. მეტად ლამაზი და ახალგაზრდაც, ჩვენი ძვირფასი სომსისთვის! მაგრამ ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი ქმარი კი შეგხვდათ... ამისთანა კარგი ქმა... - მამიდა ჯულიმ უცებ გაწყვიტა სიტყვა და ტუჩები ანეტის თვალებს მიადო, ზედ უპეებთან. მერე ასე აუწერა ეს თვალები ფრენსის: ლურჯი, ლურჯი, ღიღილოსფერი, ისეთი ლამაზი!.. ჩაკოცნა მომინდა. მართლაც რომ დიდი მცოდნეა ჩვენი ძვირფასი სომსი. ასეთი ფრანგული ყაიდის... თუმცა მთლად ფრანგულიც არ ეთქმის... ისეთივე ლამაზი... აირენივით გამორჩეული და მომხიბლავი კი ვერ არის, მაგრამ... აირენი ძალიან მომხიბლავი იყო... მისი ქათქათა კანი და მაყვალივით თვალები. ახლა თმა COULEUR DE((ფრანგ.) - ფერები)... თუ როგორ იტყვიან? სულ მავიწყდება ხოლმე.

- FEUILLE MORTE((ფრანგ.) - მკვდარი (შემოდგომის) ფოთოლი), - მიაშველა ფრენსიმ.

- ჰო, რა თქმა უნდა, დაცვენილი ფოთლები... რა უცნაურია. პატარა რომ ვიყავი, მახსოვს, - ეს, მანამ ლონდონში ჩამოვიდოდი, - ერთი ლეკვი გვყავდა, მწევრის ჯიში იყო, მაგრამ ჩვენ ისე გვინდოდა, "სასეირნოდ". შუბლზე ყავისფერი ნიშანი ჰქონდა, გული - თეთრი, და ლამაზი, თაფლისფერი თვალები... დედალი ძაღლი.

- ჰო, მამიდა, მაგრამ, ლეკვი რაღა მოსატანია!

- ოჰ! - შესძახა აგზნებულმა მამიდა ჯულიმ, - ისეთი მომხიბლავი იყო... რა თვალები, რა ბეწვი, რომ იცოდე... - და უცებ დადუმდა, თითქოს იმის შიშით, შეუფერებელი რამე არ წამომცდე-

სო, - FEUILLE MORTE, - დასძინა მან ერთბაშად, - ესთერ... შენ ხომ გახსოვს!..

დიდი კამათი გაიმართა ორ დას შორის, გამოეყვანათ თუ არა ანეტის სანახავად ტიმოთი.

- ო, ნუ შეწუხდებით! - თქვა სომსმა.

- რა შეწუხებაა, - ოღონდ ეს კია, რომ ვაითუ ანეტის ფრანგობამ დასწყვიტოს ცოტათი გული. ფაშოდას ამბავმა ძალიან დაგვიფრთხო. მე მგონი, არ ღირს რისკის გაწევა, ესთერ. არ ჯობია, აგერ ჩვენ თვითონ მოვესიყვარულოთ?! შენ როგორა ხარ, სომს? სულ მორჩი საქმეს იმ შენს...

ესთერმა სასწრაფოდ შეაწყვეტინა:

- ლონდონი როგორ მოგეწონათ, ანეტ?

სომსი გულის ფანცქალით ელოდა პასუხს. დინჯი პასუხი აღმოჩნდა, ჭკვიანური:

- ოჰ! ლონდონს ვიცნობ, წინათაც ვყოფილვარ.

სომსმა ადრე რამდენჯერმე დააპირა, მაგრამ ვერ შეჰბედა ანეტს, რესტორნის შესახებ გაეფრთხილებინა. ფრანგებს სულ სხვანაირი წარმოდგენა აქვთ კეთილშობილებაზე, ამიტომ რესტორნის გამო დარცხვენა ვაითუ უცნაურად ეჩვენოსო. ჯერ შევირთავ და მერე ვეტყვიო, ფიქრობდა, და ახლაღა ინანა, რატომ არ გავაფრთხილეო.

- ყველაზე კარგად რომელ უბანს იცნობთ? - ჩაეკითხა მამიდა ჯული.

- სოჰოს, - ვითომ არაფერიო, ისე უპასუხა ანეტმა.

სომსმა კბილები გააკრაჭუნა.

- სოჰო? - ჩაეკითხა მამიდა ჯული, - სოჰო!

"მორჩა, მთელ საგვარეულოს მოედება", - გაიფიქრა სომსმა.

- ფრანგული ყაიდის უბანია, და თანაც საინტერესო, - თქვა მან.

- ჰო, - ჩაიბუტბუტა მამიდა ჯულიმ, - ბიძაშენ როჯერს ერთ დროს სახლებიც ჰქონდა იქა. მახსოვს, სულ მდგმურების გასახლებაში იყო.

სომსმა მეიპლედერჰემზე გადაიტანა საუბარი.

- ჰო, რა თქმა უნდა, - დაიწყო მამიდა ჯულიმ, - თქვენც, ალბათ, მალე გასწევთ იქითკენ, და დასახლდებით. ერთი სული გვაქვს, მანამ ანეტი თავის პატარა, საყვარელ...

- ჯული! - შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა ესთერმა, - დარეკე, ჩაი მოგვართვან.

მაგრამ სომსმა ვერ გაბედა ჩაიზე დარჩენა, მოჰკიდა ანეტს ხელი და წაიყვანა.

- თქვენს ადგილზე, სოჰოს არ ვახსენებდი, - უთხრა მან, როცა ეტლში ჩასხდნენ, - ცოტა არ იყოს, სახელგატეხილი უბანია. თქვენ ახლა უკვე იმ რესტორანზე მაღლა დგახართ. საქმე ის არის, რომ, - დასძინა მან, - მე მინდა კარგ საზოგადოებაში გაგიყვანოთ, ინგლისელები კი საშინელი სნობები არიან.

ანეტმა ფართოდ დააჭყიტა კრიალა თვალები, ბაგეზე ღიმილი გადაეფინა.

- მართლა? - თქვა მან.

"ნახე, - გაიფიქრა სომსმა, - მე გადმომკრა!" და ცოლს სახეში ჩააშტერდა. "ჭკვიანი და ალღოიანი ქალია, - დაასკვნა მან, - ერთხელ და საბოლოოდ უნდა მივახვედრო ყველაფერს".

- იცით, რა, ანეტ, ეგ სულ უბრალო რამ არის, ოღონდ დაკვირვება სჭირდება. ჩვენი თავისუფალი პროფესიისა და მაღალი წრის ხალხი სულ ზევით იყურება, თავს როდი უყადრებს საქმიან ხალხს, თუ დიდძალი სიმდიდრის პატრონი არ არის ეს საქმიანი ხალხი. იქნებ უგუნურება იყოს ეს, მაგრამ ასეა და რას იზამ. საჭირო არ არის, რომ ინგლისში ხალხს გააგებინოთ, ოდესმე რესტორანი თუ გქონდათ ან საერთოდ რაიმე სავაჭრო საქმიანობას თუ ეწეოდით. იქნებ ძალიან საპატიოც იყოს ეგ საქმე, მაგრამ ერთგვარ დაღს გასვამს ხოლმე; კარგ საზოგადოებაში ვეღარ გამოხვალ მერე, წესიერ ხალხს ვერ შეხვდები... ასეა.

- ვიცი, - მიუგო ანეტმა, - საფრანგეთშიც ასეა.

- ოჰ! - ერთბაშად შვება იგრძნო სომსმა, - რაღა თქმა უნდა, კლასი - ყველაფერია.

- დიახ, უთხრა ანეტმა, - COMME VOUS ETES SAGE((ფრანგ.) - რა ჭკვიანი ხართ)!

"ეს ყველაფერი კარგია, - გაიფიქრა სომსმა და ქალს ბაგეზე დააკვირდა, - მაგრამ კაი მაგარი ცინიკოსია", ფრანგული ისე კარგად არ იცოდა სომსმა, რომ სწყენოდა, რატომ შენობით არ მომმართაო. ხელი მოხვია და მთელი სულით და გულით წასჩურჩულა:

- ET VOUS ETES MA BELLE FEMME((ფრანგ.) - თქვენ კი ჩემი ლამაზი ცოლი ხართ (ფრანგ.) - თქვენ კი ჩემი ლამაზი ცოლი ხართ).

ანეტმა გადაიკისკისა.

- OH, NON! - უთხრა მან, - OH, NON! NE PARLEZ PAS FRANCAIS,((ფრანგ.) - ოჰ, არა! ოჰ, არა! ფრანგულად ნუ ლაპარა-

კობთ.) სომს. ის მოხუცი ქალი, მამიდათქვენი, რას ელოდება ასე მოუთმენლად, ერთი სული მაქვს, რომ მითხრა!

სომსმა ტუჩი მოიკვნიტა.

- ეშმაკმა იცის! - მიუგო მან, - მუდამ რაღაც უნდა მოიგონოს ხოლმე, მაგრამ ეშმაკზე უკეთ თვითონ იცოდა.

თავი მეთერთმეტე

დროებითი სიწყნარე

ომი ძალიან გაგრძელდა; ამბობდნენ, თითქოს ნიკოლასს ეთქვას - მანამ დამთავრდებოდეს, სამასი მილიონი ისე დაჯდება, როგორც ერთი პენიო! საშემოსავლო დაბეგვრას სერიოზული გაზრდა ემუქრებოდა. სამაგიეროდ, ფულის სანაცვლოდ, სამხრეთ აფრიკას დაეპატრონებიან საშვილიშვილოდ! და მიუხედავად იმისა, რომ დილის სამი საათისთვის მესაკუთრული ინსტინქტი კარგა მაგრად შეირყა, საუზმის ხანს კვლავ გამხნევდა და გამოკეთდა, როცა გაიხსენეს, რომ მუქთად არაფერი კეთდება ამ ქვეყანაზე. ასე რომ, უფრო ფართოდ თუ შევხედავთ მოვლენებს, ხალხი კვლავ საქმით იყო გართული, თითქოს არც ომი ყოფილიყოს, არც საკონცენტრაციო ბანაკები, არც დაუცხრომელი დეუეტი, არც რაიმე უკმაყოფილება კონტინენტზე და, საერთოდ, არც არაფერი უსიამოვნება. კაცმა რომ თქვას, ინგლისელების მაშინდელი განწყობილება ტიმოთის რუკას შეიძლება შევადაროთ, რომელზედაც ბოლო ხანებში ყველაფერი მიყუჩებულიყო - რადგან ტიმოთი ხელს აღარ ახლებდა პატარა დროშებს, მათ კი, თავისით, არც წინ წაწევა შეეძლოთ და არც უკან დახევა.

ეს მიყუჩება სხვა რამესაც მოედო, ფორსაიტების ბირჟასაც მისწვდა და იქაც შეიტანა საერთო დაეჭვება, ნეტავ რა მოგველისო. "ტაიმსის" საქორწინო განცხადებათა სვეტში ცნობის გამოჩენამ, - "ჯოლიონ ფორსაიტი აირენზე, განსვენებულ პროფესორ ჰერონის ერთადერთ ქალიშვილზე" - ეჭვი გამოიწვია, აირენი სწორად თუა დახასიათებულიო. მაგრამ ეს კია რომ, ყველას ერთბაშად მოეშვა გულზე, რადგან ასე არ მოიხსენიეს - "აირენზე, სომსის ცოლყოფილზე", ან "სომს ფორსაიტის განქორწინებულ ცოლზე"... საერთოდ ეს "საქმე" თავიდანვე ამაღლებული განწყობილებით მიიღო მთელმა ოჯახმა. ჯეიმსის სიტყვებისა არ იყოს "რაც მოხდა, მოხდა!" ზედმეტი ფაფხური რიღას მაქნისია! რაღას უშველის, რომ მოვდგეთ და გაუთავებლად ვილაპარაკოთ, დღევანდელი გამოთქმით, "ბინძური საქმეაო?"

მაგრამ ნეტავ ახლა რა მოხდება, როცა ორივენი - ჯოლიონიცა და სომსიც - ხელახლა დაქორწინდნენ? ძალიან საინტერესო კია. ჯორჯი თურმე იუსტასს დაენაძლევა - ექვსით ოთხზე - პატარა სომსს პატარა ჯოლიონი დაასწრებსო. რა სასაცილო კაცია ეს ჯორჯი! იმასაც ამბობენ, დარტისთვისაც აქვს დადებული სანაძლეო - ჯეიმსი ოთხმოცდაათს მიაღწევს თუ არაო; თუმცა ჯეიმსის მხარეს ვინ იჭერდა, ეს არ იყო გარკვეული.

მაისის დასაწყისი იყო, როცა ერთ დღეს უინიფრიდმა ამბავი მოიტანა - ვალი ტყვიით დაჭრილა ფეხში და ჯარიდან ათავისუფლებენო. ცოლი უვლიდა თურმე. ოდნავ იკოჭლებსო, მაგრამ ისე, რომ სათქმელადაც კი არ ღირსო. პაპას სთხოვს, ფერმა მიყიდოს აქ, და ცხენების მოშენებას დავიწყებო. ჰოლის მამამისი შეჰპირებია რვაას გირვანქას წლიურად, და უზრუნველად შეეძლებათ

ცხოვრება, რადგან ვალსაც დაუნიშნა პაპამ ხუთასი გირვანქა; თუმცა ფერმაზე კი თავი შეიფხანა - რა ვიცი, ვერაფერს ვიტყვიო; ვაითუ, ფულის წყალში ჩაყრა გამოვიდესო.

- მაგრამ, თვითონვე წარმოიდგინეთ, - თქვა უინიფრიდმა, - რამე საქმეს ხომ უნდა მოჰკიდოს ხელი!

მამიდა ესთერმა შორსმჭვრეტელობა მოუწონა ვალის პაპას (ვენაცვალე!): ფერმა თუ არ უყიდა, ამით, ყოველ შემთხვევაში, ცუდი არაფერი მოხდებაო.

- ჰა, მაგრამ ვალი ცხენებზე კარგავს ჭკუას, - შეესიტყვა უინიფრიდი, - სწორედ რომ შესაფერისი საქმე იქნება მისთვის.

მამიდა ჯულიმ შენიშნა, ცხენები რა დასანდობია, აგერ მონტეგიუმ თვითონ არ გამოცადაო?

- ვალი სხვა კაცი გახლავთ, - მიუგო უინიფრიდმა, - სულ მე გამომემსგავსა.

მამიდა ჯულის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ვალი ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო.

- აქამდე არ დამვიწყებია, - დასძინა მან, - როგორ აჩუქა ერთხელ გლახას ყალბი მონეტა. როგორ გაიხარა პაპამისმა (ვენაცვალე!), საზრიანი ბიჭიაო. მახსოვს, ამბობდა, საზღვაო სასწავლებელში უნდა მივაბაროთო.

ახლა მამიდა ესთერი ჩაერია: უინიფრიდი რას იტყვის, განა გაცილებით უფრო კარგი არ იქნება ახალგაზრდები უფრო ნაღდ საქმეს მოეკიდონ და მანამ ჭკუაში ჩაცვივდებოდნენ, სარისკო საქმეებს მოერიდონ?

- ლონდონში რომ ცხოვრობდნენ, კიდევ ჰო, - მიუგო უინიფრიდმა, - ლონდონში რა სჯობს უსაქმოდ ყოფნას. მაგრამ იქ, ყვე-

ლაფერს რომ თავი დავანებოთ, მოწყენილობით შეიძლება მოკვდეს კაცი.

რაიმე საქმე ნამდვილად კარგი იქნებაო, მამიდა ესთერი დაეთანხმა, ოღონდ ისეთი, რომ თავი არ წააგოსო. არაფრის მქონებელი რომ არ იყვნენ, კიდევ ჰო. ტიმოთი, აგერ, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, საქმეს რომ თავი დაანება. მონტეგიუ რას ამბობსო, მამიდა ჯულიმ იკითხა.

უინიფრიდს არ უპასუხია, რადგან მონტეგიუმ უბრალოდ გადაწყვიტა საქმე: "დაიცა, ჯერ ბერიკაცი მოკვდესო".

ამ დროს ფრენსის მოსვლა მოახსენეს. თვალები სულ უციმციმებდა.

- აბა, - თქვა მან, - ამაზე რას იტყვით?

- რაზე, გენაცვალე?

- ამ დილის "ტაიმსზე".

- ჯერ არც გვინახავს, გაზეთს ჩვენ ნასადილევს ვკითხულობთ. მანამდე ტიმოთის აქვს.

ფრენსიმ თვალები აახამხამა.

- იქნებ შენ თვითონ გვითხრა! რაო, მაინც? - ჩაეკითხა მამიდა ჯული.

- აირენს ბიჭი შეეძინა, რობინჰილზე იმშობიარა.

მამიდა ჯულის სუნთქვა შეეკრა.

- რანაირად? აკი მარტში დაქორწინდნენ?!

- ასეა, პაპიდა. ხომ საინტერესოა?

- ძალიან კარგი, - თქვა უინიფრიდმა, - მე პირადად გამიხარდა. ისე მეცოდებოდა ჯოლიონი, ბიჭი რომ დაკარგა. ხომ შეიძლებოდა, ვალსაც მოსვლოდა ეს უბედურება!

მამიდა ჯული ოცნებაში წავიდა.

- ნეტავ გამაგებინა, - წაიჩიფჩიფა მან, - სომსი რას ფიქრობს, ვენაცვალე. თვითონ რამდენს ნატრობდა ბიჭს! ჩიტს მოჰქონდა ხოლმე ჩემთან ამბავი.

- სომსსაც მალე ეყოლება, ღმერთით, - თქვა უინიფრიდმა.

მამიდა ჯულის თვალები გაუბრწყინდა.

- რა სასიხარულოა! - შესძახა მან, - როდის, მაინც?

- ნოემბერში.

რა ბედნიერი თვეა! ისე, ნეტავ უფრო აქეთ ყოფილიყო. ჯეიმსს მოუწევს ბევრი ლოდინი, ამ ხნის კაცს.

ლოდინი! ჯეიმსი შეიცოდეს, თორემ თავად მიჩვეულები იყვნენ. კაცმა რომ თქვას, ამითი ირთობდნენ თავს. ლოდინი! "ტაიმსის" ლოდინით; რომელიმე ძმისწულისა, რომელიც დროდადრო გამოჩნდებოდა და მამიდებს შეიქცევდა; ნიკოლასის ამბისა - ავად ხომ არ გამხდარაო; ქრისტოფერის გადაწყვეტილებისა - მსახიობობა მოუწადინებიაო; მისის მაკენდერის - ძმისწულის საბადოებს ხომ არაფერი მოსვლიაო; ექიმის ლოდინი, რომელსაც ესთერი უნდა გაესინჯა - ასე ადრე რატომ იღვიძებსო; ბიბლიოთეკის წიგნებისა, რომლებიც მუდამ გაცემულია ხოლმე; ტიმოთის სურდო როდის შეეყრებაო; წყნარი და თბილი დღის მოლოდინი, არც ძალიან ცხელისა, რათა კენსინგტონის ბაღში გაესეირნათ; სასტუმრო დარბაზში, ბუხრის აქეთ-იქით კუთხეში ჯდომა და ლოდინი, საათი როდის ჩამოჰკრავსო; დამჭკნარ, დაძარღვულ ხელებში წინდის ჩხირები დაუჭერიათ და ამოძრავებენ, კანუტის(კანუტი - დანიისა და ინგლისის მეფე (995-1035), რომელსაც, ლეგენდის მიხედვით, აბობოქრებული თემზის ტალ-

ღები დაემორჩილა.) ტალღებივით დახუჭუჭებული თმა კი ფერს აღარ იცვლის, ჩაუცვამთ აბრეშუმისა თუ ატლასის შავი კაბები და სამეფო კარს ელოდებიან, როდის შეეძლებათ ესთერმა მუქი მწვანე ჩაიცვას, ხოლო ჯულიმ - მუქი წაბლისფერი. სხედან, ელიან და თავიანთ ბებრულ მეხსიერებაში მძიმედ იცოხნიან განვლილსა თუ განცდილ სიხარულსა და მწუხარებას, ათასნაირ შემთხვევასა თუ იმედს, ყველაფერს, რაც მის პატარა ოჯახურ სამყაროში მომხდარა, იცოხნიან, საძოვარზე წამოწოლილი ძროხების მსგავსად. ეს ახალი მოვლენა კი ისეთია, რომ ლოდინად ღირს. სომსი გამორჩეულად უყვარდათ - სურათების ჩუქება იცოდა მამიდებისთვის, თითქმის ყოველ კვირაში მოინახულებდა ხოლმე, ამას კი დანატრებულები იყვნენ მამიდები, პირველი მარცხიანი ქორწინების შემდეგ ნუგეშისთვის მათთან დადიოდა ეს ახალი მოვლენა კი - სომსის მემკვიდრის გაჩენა - ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტი იყო თვით სომსისა და მამამისისთვისაც (ვენაცვალე!), რომ ჯეიმსს სიკვდილის სწორედ ამიტომ ეშინოდა, ასე გაურკვეველი და გულდაუმშვიდებელი როგორ წავიდეო. გაურკვევლობას ვერანაირად ვერ იტანდა ჯეიმსი. ახლა კი საშინლად შეშფოთებული იყო - შვილიშვილი არ რჩებოდა, გარდა პატარა დარტებისა. ბოლოს და ბოლოს, გვარია ყველაფერი! და რაც უფრო ახლოვდებოდა ჯეიმსის დაბადების ოთხმოცდაათი წელი, სულ უფრო წუხდნენ დები, ნეტავ რას იღონებს ჯეიმსი, რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივოსო. ის იქნებოდა პირველი ფორსაიტი, რომელმაც ამ ასაკს მიაღწია, და ასე ვთქვათ, ხანგრძლივი სიცოცხლის ახალი ნორმა დაამყარა. ეს ამბავი ძალიან მნიშვნელოვანი იყო დებისთვის, რომელთაც უკვე ოთხმოცდაშვიდი და

ოთხმოცდახუთი შესრულებოდათ, თუმცა საკუთარ თავზე არც კი ფიქრობდნენ ისინი, როცა აგერ ოთხმოცდაორ წელს მიღწეული ტიმოთი ჰყავდათ საზრუნავი. საიქიოს, რაღა თქმა უნდა, უკეთესი ქვეყანა ელოდათ. "მამაჩემის სახლში ბევრი სავანეაო", უყვარდა ხოლმე მამიდა ჯულის თქმა. და როცა გაიხსენებდა იმ სახლებს, რომელთა შეძენით როჯერი (ვენაცვალე!) გამდიდრებულიყო, ეს გულს უმშვიდებდა. ბიბლია სწორედ რომ დიდი შვება იყო, და როცა ძალიან კარგი, მზიანი კვირადღე გათენდებოდა, ეკლესიაში გასწევდნენ ხოლმე. ზოგჯერ ესთერი ძმის კაბინეტში შეიპარებოდა (როცა კარგად დარწმუნდებოდა, ტიმოთი გასულიაო) და პატარა მაგიდაზე, წიგნებს შორის, გადაშლილ სახარებას დაუდებდა - კითხვა, რაღა თქმა უნდა, ძალიან უყვარდა ტიმოთის, რადგან ერთ დროს გამომცემელი იყო. მაგრამ ესთერმა შენიშნა, რომ ამის შემდეგ ტიმოთი სადილზე მუდამ გაბრაზებული მოდიოდა. სმითერმაც რამდენჯერ უთხრა - ოთახს რომ ვალაგებ, იატაკზე წიგნები ყრიაო. ასეა თუ ისე, დები მაინც მშვენივრად გრძნობდნენ, რომ ცაში, რაც უნდა იყოს, ისეთი სიმყუდროვე ვერ იქნებოდა, როგორიც თავიანთ ოთახებში, სადაც ისინი დამშვიდებულად სხედან და ტიმოთისთან ერთად, აგერ რამდენი ხანია, ხან რას ელოდებიან და ხან რას. განსაკუთრებით ესთერი ვერ იტანდა დამქანცველ რამეზე ფიქრს. ყოველგვარი ცვლილება - ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ცვლილებაზე ფიქრი, რადგან არავითარი ცვლილება მათ არ განუცდიათ - მუდამ გუნებას მოუშხამავდა ხოლმე. მამიდა ჯული უფრო ყოჩაღი იყო და ზოგჯერ გაიფიქრებდა, ძალიან საინტერესო კი იქნებაო. ბრაიტონში რომ გაემგზავრა, სიუზენის გარდაცვალების წლის-

თავზე, ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა. ბრაიტონი რომ კარგი ადგილია, ეს ვინ არ იცის, მაგრამ იქ რა იქნება, ცაში, ამისი თქმა ყველას გაუძნელდება. ასე რომ, ისევ აქ ყოფნა და ლოდინი სჯობს.

ჯეიმსის დაბადების დღეს, 5 აგვისტოს, დილიდანვე აფორიაქებულები იყვნენ: სანამ საწოლში საუზმეს შეექცეოდნენ, სმითერის საშუალებით ბარათები გაუგზავნეს ერთმანეთს. სმითერი უნდა წასულიყო და ამათი კეთილი სურვილები, სიყვარული და მცირე საჩუქრები გადაეცა ჯეიმსისთვის, უნდა გაეგო, როგორა გრძნობდა თავს ჯეიმსი, ამ მღელვარების წინ ძილი ხომ არ გასტეხია. იქიდან წამოსული, გრინსტრიტზედაც შეივლიდა - ცოტათი კი გაიმრუდებს გზას, მაგრამ მერე ბონდსტრიტზე ავტობუსში ჩაჯდება და წამოვა, გახალისდება კიდეც, თვალს წყალს დაალევინებს - ერთი სიტყვით, გრინსტრიტზე შეივლის და მისის დარტისა სთხოვს, მანამ ქალაქიდან წასულხარ, უსათუოდ გამოგვიარე და გვნახეო.

სმითერმა ყველაფერი შეასრულა, რაც დაავალეს - დიდებული მოსამსახურე იყო, ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ მამიდა ენის გამოწვრთნილი. ახლა სანატრელი გამხდარიყო ამისთანა მოსამსახურე. მისის ჯეიმსს შემოუთვლია, მისტერ ჯეიმსს დიდებულად ეძინა წუხელ და სიყვარულით მოგიკითხათო. ოღონდ ძალიან გაუკვირდა და იწყინა კიდეც, ასეთი ალიაქოთი რატომ ატეხეთო. ოჰ! მისის დარტიმაც სიყვარულით მოიკითხა მამიდები, და შემოუთვალა - ჩაიზე უსათუოდ შემოგივლითო.

მამიდა ჯულის და ესთერს ცოტათი კი ეტკინათ გული, ჩვენი საჩუქრები რატომ განსაკუთრებით არ მოიხსენიესო - სულ ავიწ-

ყდებოდათ, რომ ჯეიმსი საჩუქრებს ვერ იტანდა, "ნეტავ რას ყრიან წყალში ამ ფულსო", ასე იცოდა თქმა - მაგრამ მაინც "სულით და გულით გაიხარეს; მაშ ჯეიმსი კარგ გუნებაზე ყოფილა! ეს პირდაპირ მისწრებაა ახლა მისთვის. და უინიფრიდს დაუწყეს ლოდინი. ოთხ საათზე მოვიდა უინიფრიდი, იმოჯინი და მოდიც მოიყვანა; მოდი ახლახან დაბრუნებულიყო სკოლიდან, "ეგეც ისეთი გოგო გამხდარა!" ამის შემდეგ ძალიან ძნელი იყო ანეტის ამბის გამოკითხვა. მამიდა ჯულიმ მაინც მოიკრიბა სიმამაცე და ჰკითხა - ხომ არაფრისთვის მოგიკრავს ყური, სომსი მოლოდინში ძალიან თუ ღელავსო.

- ძია სომსი სულ მუდამ არ ღელავს, პაპიდა! - დედას დაასწრო პასუხი იმოჯინმა,- ნატვრას რომ შეისრულებს, მერე როგორღა იქნება ბედნიერი.

ეს სიტყვები ეუცნაურა მამიდა ჯულის. ჰო! ჯორჯის სურათი გაახსენდა, რის ნახვასაც ვერ იქნა და ვერ ეღირსნენ! მაგრამ იმოჯინმა რა უნდა ამითი თქვას? ის, რომ ბიძამისს, რაც აქვს, მუდამ იმაზე მეტი სწადიან? ამისთანა ლაპარაკი როგორ შეიძლება!

უცებ იმოჯინის წკრიალა ხმა გაისმა:

- თვითონვე წარმოიდგინეთ: ანეტი სულ ორი წლით არის ჩემზე უფროსი. ალბათ რა საშინელებაა მისთვის, რომ ძია სომსს გაჰყვა!

შეძრწუნებულმა მამიდა ჯულიმ ხელი გაშალა.

- კარგი ერთი, გენაცვალე, - იწყინა მან, - არც კი უფიქრდები, რას ლაპარაკობ! ბიძაშენ სომსს ვინ არ გაჰყვებოდა - ასეთი ჭკვიანი კაცი, ლამაზი, მდიდარი, ყურადღებიანი და მზრუნველი,

ხანში შესული სულაც არ ეთქმის, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ.

იმოჯინმა ციმციმა თვალებით "საყვარელი ბებრუხანები" შეათვალიერა და გაიღიმა.

- ნეტავ შენ შეგხვდებოდეს მაგისთანა კარგი კაცი! - მკაცრად თქვა მამიდა ჯულიმ.

- კარგ კაცს არ გავყვები, პაპიდა, - მიუგო იმოჯინმა, - ძალიან მოსაწყენები არიან.

- მაგ ჭკუით თუ იარე, - შესძახა ერთიანად გაგულისებულმა მამიდა ჯულიმ, - მაშინ სულაც ვერ გათხოვდები. ამაზე ნუღარც ვილაპარაკებთ, - ეს თქვა და უინიფრიდს მიუბრუნდა, - მონტეგიუ როგორ არის?

იმ საღამოს, სადილის მოლოდინში, მამიდა ჯულიმ ჩაიბუტბუტა:

- სმითერს უთხარი, ესთერ, რომ ნახევარი ბოთლი ტკბილი შამპანური მოგვიმზადოს. ჯეიმსის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ (ვენაცვალე!)... სომსის ცოლის სადღეგრძელოც. ოღონდ ჩუმად, ნუ გავამჟღავნებთ. მე ასე ვიტყვი: "შენ რომ იცი, იმას გაუმარჯოს, ესთერ!" და დავლიოთ. ტიმოთის ნუ ავაფორიაქებთ.

- თუ აფორიაქებაა, ჩვენ უფრო ავფორიაქდებით, - მიუგო მამიდა ესთერმა, - მაგრამ მაინც საჭიროა, ამისთანა დღეს ისე ხომ არ გავუშვებთ!

- მართალი ხარ, - აღფრთოვანებით დაუმოწმა მამიდა ჯულიმ, - მართლაც დიდებული დღეა. შენ ისა თქვი, რა ნანატრი რამე იქნება, პაწაწკუნა ბიჭი რომ გაუჩნდეს, გვარის გამგრძელებელი! მე ასე მგონია, რომ ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს

ამას, რაკი აირენსაც ბიჭი შეეძინა. უინიფრიდმა მითხრა, ჯორჯი თურმე "სამგემბანიანს" ეძახის ჯოლიონს, იმიტომ, რომ სამი ოჯახი ჰყავს. ხომ იცი, რა მასხარა კაცია ჯორჯი! წარმოგიდგენია - აირენი ახლა იმ სახლში ცხოვრობს, რომელიც სომსმა სწორედ მისთვის და თავისთვის ააშენა! რა მძიმე იქნება ეს სომსისთვის! მერე რა კაცური კაცია!

იმ ღამეს, ღვინითა და მეორე სადღეგრძელოს საიდუმლოებით აღგზნებულსა და შეფაკლულ ჯულის ხელში გაშლილი ლოცვანი დაეჭირა, თვალები კი ლამპის სინათლით შეყვითლებული ჭერისთვის მიეშტერებინა! როგორ გაიხარებს ყველა! ნეტავ სომსის ბედნიერებას ვეღირსებოდე (ვენაცვალე!), და მეც რა ბედნიერი ვიქნები) თუმცა, იმოჯინმა რაც უნდა თქვას, ახლა მაინც ბედნიერია სომსი. რასაც ნატრობდა, ყველაფერს მიაღწევს, - სიმდიდრეს, ცოლს, შვილებს. მამისა არ იყოს, ისიც დიდხანს იცხოვრებს, და აირენი და ის საშინელი ამბავი სულაც გადაავიწყდება. ნეტავ იმდენ ხანს გამაძლებინა, რომ მაგისი ბავშვებისთვის სათამაშო ცხენის ყიდვას მომასწრო! სმითერს შევარჩევინებ მაღაზიაში - კოხტას, ხალებიანს. ეჰ! როჯერი რომ გადააჯდებოდა და არწევდა, მანამ არ გადმოყირავდებოდა. ო, ღმერთო, რამდენი ხნის წინ იყო ეს! იყო კი! "მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა"... ფხაკუნი შემოესმა. "თაგვები არ უნდა იყოს!" - გაუელვა თავში. ფხაკუნი მატულობდა. აბა! თაგვია, რა თქმა უნდა! სმითერი რაღას მიედ-მოედება, თაგვი არ გვყავსო! გამოხრავს პანელს კედლებზე და მერე ეძებე დურგალი! ყველაფერს ხრავენ და ანადგურებენ! იწვა, თვალებს აცეცებდა და ფხაკუნს უგდებდა ყურს, ძილს ელოდებოდა, რომელიც მას ამ ხმაურისგან გაათავისუფლებდა.

თავი მეთორმეტე

ფორსაიტის დაბადება

სომსი ბაღიდან გამოვიდა, გაზონი გადმოჭრა, მდინარის მახლობლად ბილიკზე შეჩერდა, მერე უკანვე შებრუნდა და ისევ ბაღის ჭიშკრისკენ გაემართა, ვერც კი გრძნობდა, რომ აქეთ-იქით დადიოდა. ბორბლების გახრიგინება რომ შემოესმა, მაშინღა მიხვდა, დრო გასულიყო და ექიმი უკვე გამგზავრებულიყო. რა თქვა, მაინც, ექიმმა?

- ასეა საქმე, მისტერ ფორსაიტ. ოპერაციას თუ გავუკეთებთ, სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენი მეუღლე გადარჩება, მაგრამ ბავშვი მკვდარი დაიბადება; თუ არ გავუკეთებთ ოპერაციას, ბავშვი იქნებ გადარჩეს, მაგრამ დედისთვის სარისკო იქნება, ძალიან სარისკო. ასე გადავწყვეტთ თუ ისე, არა მგონია, ოდესმე კიდევ გააჩინოს ბავშვი. თვითონ ახლა ისეთ დღეშია, არაფრის მოფიქრების თავი არა აქვს, ვერც დედამისს დაველოდებით. ისევ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, მანამ მე საჭირო ხელსაწყოებს მოვიტანდე. ერთ საათში დავბრუნდები.

გადავწყვიტო! რა უნდა გადავწყვიტო! არც სპეციალისტის მოყვანის დროა! არაფრის დრო აღარ არის".

ბორბლების ხმაური მიწყდა, სომსი კი კვლავ განაბული იდგა. მერე ყურებზე იტაცა ორივე ხელი, სმენა დაიხშო და ისევ მდინარისკენ გაბრუნდა. ისე მოულოდნელად და უდროოდ მოხდა ეს, რომ ვეღარაფერი მოასწრო - ვერც მომზადება რისიმე, ვერც დედამისის ჩამოყვანა. წესით, დედამისს უნდა გადაეწყვიტა საკითხი, მაგრამ პარიზიდან შუაღამემდე ვერ ჩამოვა! ექიმის ტერმინები რომ ესმოდეს, ყველა სამედიცინო წვრილმანებში რომ ერკვეოდეს და კარგად შეეძლოს საქმის აწონ-დაწონა, მაშინ რა უჭირს. მაგრამ ეს ყველაფერი მისთვის ბერძნული ანბანია; იგივეა - უცოდინარ კაცს რომ იურისპრუდენციაზე ელაპარაკო. მაგრამ მაინც უნდა გადაწყვიტოს! ხელი შუბლიდან ჩამოიღო. წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, მიუხედავად იმისა, რომ გრილოდა. ეს საშინელი კვნესა ანეტის ოთახიდან! იქ რომ მიბრუნდეს, უფრო გაუჭირდება გადაწყვეტა. დამშვიდებული უნდა იყოს, არ აღელდეს. მაშ, ასე: ერთი მხრივ, თითქმის გარანტირებული სიცოცხლე თავის ახალგაზრდა ცოლს და გარდაუვალი სიკვდილი - თავის მემკვიდრეს; თანაც შემდეგ ვეღარასოდეს ეღირსება ბავშვს! ან - ცოლის მოსალოდნელი სიკვდილი და ბავშვს კი - თითქმის გარანტირებული სიცოცხლე! და ამ შემთხვევაშიც, სხვა ბავშვს ვეღარ ეღირსება! რა აირჩიოს?

...ბოლო ორი კვირა სულ წვიმდა, მდინარე ადიდდა, და ზემო ტყიდან ჩამოტანილი რთვილდაკრული ფოთლები დაიფარა. ფოთლები ცვივა, რამდენი სიცოცხლე მიდის! სიკვდილი! სიკვდილის საქმე უნდა გადაწყდეს. და კაციშვილი არ ჩანს, რომ დაეხმაროს. სიცოცხლე წავა, სამუდამოდ წავა! ნურაფერს გაუშვებ, რისი დაკავებაც კი შეგიძლია. რადგან თუ ერთხელ წავიდა, მორჩა,

უკან ვეღარ დააბრუნებ. გაშიშვლებული დარჩები, როგორც ეს ფოთოლგაცვენილი ხეები. სულ უფრო და უფრო გაშიშვლდები და განიძარცვები, მანამ შენ თვითონაც გახმებოდე და დაეცემოდე. უცნაური ნახტომი გააკეთა მისმა ოცნებამ - თითქოს ანეტი კი არ იწვა იმ მზით განათებულ ოთახში, არამედ, აირენი, იქ, მონტპელიესკვერზე, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო თექვსმეტი წლის წინ. მაშინაც იყოყმანებდა? არც ერთი წამით! გაუკეთეთ ოპერაცია, გაუკეთეთ! სიცოცხლე შეუნარჩუნეთ! ეს გადაწყვეტილება კი არ იქნებოდა, არამედ გულიდან თავისთავად ამოვარდნილი ყვირილი, თუმცა, მაშინაც კარგად იცოდა, რომ ქალს იგი არ უყვარდა! ახლა? აჰ! მისი გრძნობა ანეტისადმი სულაც არ ყოფილა ისეთი, რომ მთელი არსება მოეცვა! რამდენჯერ, - განსაკუთრებით ამ ბოლო თვეებში, როცა ქალს შიში დაეუფლა, - სომსს თავისივე თავისა გაჰკვირვებია. თავნება ქალი იყო, თავისებურად ეგოისტი, როგორც ფრანგებს მოსდგამთ ხოლმე. მაგრამ თან... რა მშვენიერია! ნეტავ თვითონ რას იტყოდა - რისკს გასწევდა? "ვიცი, რომ ბავშვი მასაც უნდა, - გაიფიქრა სომსმა, - მკვდარი ბავშვი რომ დაებადოს და მომავალშიც გადაუწყდეს შვილოსნობს იმედი, საშინლად შეწუხდება. ყოველგვარი იმედი გადაიწურება. ყველაფერი ფუჭად ჩაივლის! წლობით გაჭიანურებული ცოლქმრული ცხოვრება უშვილძიროდ!.. რამ უნდა დაამაგროს ასეთი ახალგაზრდა ქალი?! რის იმედით უნდა ისულდგმულოს... ან იმან, ან მე?!" მკერდზე დაიბაგუნა ხელები. რატომ ვერ ახერხებს ისე იფიქროს, რომ შიგ საკუთარი "მე" არ გაურიოს? განერიდოს საკუთარ თავს და ისე გადაწყვიტოს!!.. ჯერ ჩხვლეტდა ეს ფიქრი, მერე კი დაუჩლუნგდა, თითქოს ბეგთარს

მოხვედროდეს. თავისივე თავს განერიდოს! შეუძლებელია! უხმაურო, უხილავ, უსუნო და ხელით შეუხებ სივრცეში გავიდეს! ამისი გაფიქრებაც კი უაზრობა და საშინელება იყო! და ერთბაშად სინამდვილის ქვაკუთხედს რომ წააწყდა, ფორსაიტული სულის არსს რომ შეხვდა, სომსმა წამით მოსვენება იგრძნო. როცა ადამიანი არსებობას შეწყვეტს, ყველაფერი შეწყდება მაშინ; იქნებ ის სხვა რამე მერეც არსებობდეს, მაგრამ მისთვის არა!

საათს დახედა. ოცდაათ წუთში ექიმი დაბრუნდება. უნდა გადაწყვიტოს! უარი თუ თქვა ოპერაციაზე და ქალი მოკვდა, მერე როგორ შეხედოს ან დედას, ან ექიმს? საკუთარ სინდისს როგორღა გაუსწოროს თვალი? ქალს ხომ მისი შვილი უნდა გაეჩინა! ოპერაცია თუ არჩია? ამით უშვილობის განაჩენი უნდა გამოუტანოს საკუთარ თავსაც და ანეტსაც, განა იმისთვის არ შეირთო ეს ქალი, რომ კანონიერი მემკვიდრე ჰყოლოდა?! სამარის კართან მისული მამაც სასიხარულო ცნობას ელოდება! "საშინელებაა, - გაიფიქრა მან, - რაღა მე მერგო ამისი გადაწყვეტა! მონეტა ამოიღო, და უკანვე ჩაიდო ჯიბეში. ამაზე რომ ჩაიფიქროს ახლა, მაშინ უკან აღარ დაიხევს და რაც უნდა მოხდეს, მაინც ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს! სასადილოში შევიდა, იმ ოთახს დაშორდა, საიდანაც კვნესა გამოდიოდა. პატარა იმედი მაინც დატოვა ექიმმა, იქნებ გადარჩესო. აქ უფრო გაიზარდა ეს იმედი; აქ არც მდინარე მოედინებოდა, არც ფოთლები ცვიოდა. ბუხარი გიზგიზებდა. კარადა გამოაღო. მაგარი სასმლისთვის იშვიათად უხლია ხელი, მაგრამ ახლა ვისკი დაისხა და დალია, წყლის გაურევლად, რათა "სისხლს უფრო ჩქარა ედინა ძარღვებში". "ის ვაჟბატონი, - გაიფიქრა მან, - ჯოლიონი! იმას ჰყავს შვილები. ის

ქალიც მას ერგო, ვინც მე ნამდვილად მიყვარდა. ახლა ბიჭიც ეყოლა იმ ქალთან! მე კი... მე... თავად უნდა გადამაწყვეტინონ, როგორ მოვსპო ჩემი ერთადერთი შვილი! არა, არ შეიძლება, ანეტი არ მოკვდება. ეს წარმოუდგენელია. ჯანმრთელია".

ისევ კარადასთან იდგა, ჩაფიქრებული, როცა ექიმის ეტლის ხმა გაიგონა. გამოეგება. მაგრამ ლოდინი დასჭირდა, მანამ ექიმი დაბლა ჩამოვიდოდა.

- როგორ არის საქმე, ექიმო?

- ისევ ისე. თქვენ რა გადაწყვიტეთ?

- ჰო, - დაიწყო სომსმა, - ნუ გავუკეთებთ ოპერაციას.

- ნუ გავუკეთებთ? ხომ გესმით, რომ ეს დიდი რისკი იქნება?!

სომსის სახეზე, ტუჩებს გარდა, არაფერი განძრეულა.

- აკი იმედი არისო?

- ჰო, მაგრამ, ძალიან მცირე.

- ოპერაციას თუ გააკეთებთ, ბავშვი მკვდარი დაიბადება, ხომ?

- დიახ.

- დარწმუნებული ხართ, რომ ასე გადავწყვეტთ თუ ისე, ბავშვი აღარ გაუჩნდება?

- მაგისი გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ არა მგონია გაუჩნდეს.

- ჯანმრთელი ქალია, - თქვა სომსმა, - გავწიოთ რისკი.

ექიმმა თვალი თვალში გაუყარა.

- დიდ ცოდვას იკიდებთ, - უთხრა მან, - ჩემი ცოლი რომ იყოს, მაგას ვერ ვიზამდი.

სომსს ნიკაპი შეუთამაშდა, თითქოს ვინმემ ამოარტყაო.

- მე ხომ არ დაგჭირდებით ზემოთ? - ჰკითხა მან.

- არა, მოშორებით იყავით.

- ჩემს გალერეაში ვიქნები, თქვენ იცით, სადაც არის.

ექიმმა თავი დაუქნია და ზემოთ ავიდა.

სომსი იქვე იდგა, სმენაგამახვილებული. "ხვალ ამ დროს, - ფიქრობდა იგი, - იქნებ უკვე მკვდარი იყოს, ჩემი ხელით მკვდარი". არა! რა უსამართლობა და მხეცობაა ასეთი ფიქრი! ისევ შეეკრა კოპები და გალერეაში ავიდა. ფანჯარასთან დადგა. ჩრდილოეთის ქარი უბერავდა. ციოდა, გადაწმენდილ ლურჯ ცაზე მძიმე, დაფლეთილი, თეთრი ღრუბლები მიცურავდა; ოქროსფრად მოელვარე ხეებს მიღმა მდინარესაც სილურჯე ეკრა. ერთიანად აბრიალებული ტყე ყველა ფერით ელავდა, ადრიანი შემოდგომა იდგა. საკუთარ სიცოცხლეზე რომ მიმდგარიყო საქმე, გასწევდა კი ასეთ რისკს? "მაგრამ ქალი გასწევდა ამ რისკს, - გაიფიქრა მან, - მე უფრო ადვილად გამწირავდა, ბავშვს კი ვერ შეელეოდა. ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად ხომ არ ვუყვარვარ!" ან კი რას უნდა მოელოდე - ქალია და ისიც ფრანგი! ერთადერთი, რაც მათ ცხოვრებას, მათ ცოლქმრობასა და მათ მომავალს აზრს აძლევდა, ეს ბავშვი იყო! "რამდენი სიმწარე მინახავს ამის გამო, - გაიფიქრა მან, - არ უნდა გავტყდე! არასდიდებით! აკი არის რაღაც იმედი, რომ ორივე გადარჩება... ამის იმედი არის! რაღა მე თვითონ გადავაგდო, თუკი არ წაურთმევიათ, ეს ხომ უაზრობა იქნება!" ბოლთის ცემას მოჰყვა გალერეაში. ერთი სურათი შეიძინა ცოტა ხნის წინ; იცოდა, რომ ეს მთელ სიმდიდრეს წარმოადგენდა. სწორედ ამ სურათთან შედგა - ბაც ოქროსთმიან გოგონას, რომელსაც მავთულის ხვეულს მიუგავდა თმა, ხელში ოქროს პაწაწინა

ურჩხული უჭირავს და ათვალიერებს. ახლაც კი, ამ ტანჯვის წუთებში, მას არ ავიწყდება, რა საუცხოო ნივთი ჩაიგდო ხელში, შეჰყურებდა და ყოველი დეტალით ტკბებოდა - მაგიდით, იატაკით, სკამით, გოგონას ფიგურით, მისი შთაგონებული სახით, ბაცი ოქროსფერი თმით, ბრჭყვიალა ოქროს ურჩხულით. სურათების შეძენა - გამდიდრება, გამდიდრება! მაგრამ რის მაქნისია, თუკი... ცივად შემოტრიალდა და ფანჯრისკენ გაემართა. სამტრედის ქანდარებიდან მტრედები წამოფრენილიყვნენ, ქარში შლიდნენ ფრთებს, მზის კაშკაშა სინათლეზე თეთრად ელვარებდნენ. შორს გაინავარდეს, ცაზე იეროგლიფებს ხაზავდნენ. ანეტი აპურებდა ხოლმე ამ მტრედებს, დიდებული სანახავი იყო. პირდაპირ ხელზე კენკავდნენ. გრძნობდნენ, რომ მშვიდი ქალი იყო. გული ყელში მოაწვა ერთბაშად. არ უნდა მოკვდეს, არ შეიძლება! ასეთი ჭკვიანი ქალი! თან ჯანმრთელიც არის, დედამისივით მაგარი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაზი და ლამაზია!

უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო, გულმა ვეღარ მოუთმინა და კარი შეაღო, დააყურადა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. კაბის საფეხურებზე რძისფერი ბინდი მოცურავდა. ის იყო, უკანვე შებრუნდა, რომ რაღაც ხმა მისწვდა მის სმენას. კიბის თავიდან გადაიხედა და შავი რაღაც დაინახა, ზევით მიძვრებოდა. გული გაეყინა. რა უნდა იყოს? სიკვდილი? სიკვდილის აჩრდილი გამოვიდა ანეტის ოთახიდან? არა! მოსამსახურე გოგოა, ოღონდ წინსაფარი და ჩაჩი მოუხსნია. კიბე ამოიარა, სომსს მიუახლოვდა და სულმოუბრუნებლად უთხრა:

- ექიმი გთხოვთ, სერ.

სომსი სირბილით დაეშვა კიბეზე. გოგო კედელს მიეკრა, რათა გზა დაეთმო, და უთხრა:

- ო, სერ! მორჩა!

- მორჩა?! - ლამის მუქარით შესძახა სომსმა, - როგორ თუ მორჩა?!

- ბავშვი დაიბადა, სერ!

ისე ჩახტა, რომ ოთხი საფეხური გამოტოვა, და პირდაპირ ექიმს შეეფეთა. იგი შუბლს იწმენდდა.

- ჰა? - შესძახა სომსმა, - ჩქარა მითხარით!

- გადარჩნენ, ორივენი. მე მგონი, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

სომსი არ იძროდა, თვალები ხელით დაეფარა.

- მოგილოცავთ! - ჩაესმა მას ექიმის ხმა, - ბეწვზე ეკიდა, მაგრამ გაიარა.

სომსმა ხელი გაუშვა.

- მადლობელი ვარ, - უთხრა მას, - დიდი მადლობელი ვარ. ვინ შემეძინა?

- გოგო... ეგებ იღბალია. ბიჭი რომ ყოფილიყო, მოკლავდა...

- განსაკუთრებული მოვლა სჭირდება ორივეს, - ჩაესმა ექიმის ხმა, - და ყველაფერი კარგად იქნება. დედა როდის ჩამოუვა?

- ალბათ ამაღამ, ცხრიდან ათამდე.

- მანამდე მეც აქ ვიქნები. არ გინდათ, ნახოთ?

- ჯერ არა, - უპასუხა სომსმა, - თქვენი წასვლის მერე ვნახავ. ახლავე სადილს ამოვატანინებ თქვენთვის.

და დაბლა დაეშვა.

ენით გამოუთქმელი შვება იგრძნო. მაგრამ.... გოგო! უსამართლოდ ეჩვენა ეს. მთელი ეს რისკი... საშინელი სატანჯველი... და მერე როგორი სატანჯველი... გოგოსთვის! აგიზგიზებულ ბუხართან იდგა დარბაზში, ფეხის ჭვინტით შეშას ასწორებდა და ცდილობდა დამშვიდებულიყო. "მამაჩემი რას იტყვის?!" - გაუელვა მას. რა მწარე იმედის გაცრუებაა! ვერც დაუმალავ! რაც გულით გწადიან, იმას ვერასდიდებით ვერ ეღირსები სიცოცხლეში. სხვა არაფერი იქნება... იყოს თუნდა, რის მაქნისია!

მანამ ასე იდგა, დეპეშა მოუტანეს.

"სასწრაფოდ ჩამოდი, მამა უკანასკნელ დღეშია.

დედა".

წაიკითხა და ცრემლები ყელში მოაწვა. ამდენი მღელვარების შემდეგ რაღა უნდა განიცადოსო, კაცი იფიქრებდა, მაგრამ არა, მაინც მწარედ განიცადა. ახლა რვის ნახევარია, რედინგის მატარებელი ცხრაზე იქნება, მადამ ლამოტი - თუ მოასწრო - ცხრის ორმოცზე უნდა ჩამოვიდეს... მას დაუცდის და მერე წავა. ეტლი მომიმზადეთო, უბრძანა, უგემურად ისადილა და ზემოთ ავიდა. ექიმი შემოეგება.

- სძინავთ.

- შიგ არ შევალ, - გულზე მოეშვა სომსს, - მამაჩემი კვდება. უნდა წავიდე. აქ კარგად არის საქმე?

ექიმის სახეზე საეჭვო აღტაცება გამოიხატა. "ყველა რომ ასეთი გულდამშვიდებული იყოს!" თითქოს ამას ამბობსო.

- დიახ. ფიქრი ნუ გექნებათ. მალე დაბრუნდებით?

- ხვალ, - მიუგო სომსმა, - აგერ, ჩემი მისამართიც.

ექიმი, ეტყობოდა, სამძიმრის თქმას აპირებდა.

- ნახვამდის! - ერთბაშად მოჭრა სომსმა, შებრუნდა და წავიდა.

ბენვის ქურქი ჩაიცვა. სიკვდილი! როგორ გაყინავს ხოლმე ყველაფერს. ეტლში სიგარეტს მოუკიდა - ათასში ერთხელ თუ მოსწევდა. ქარი მძვინვარებდა და ღამე შავი ფრთებით მოჰქონდა. გზას ეტლის ფარნებით მიიკვლევდნენ. მამას რამდენი წელი ეკიდა ზურგზე! ასეთ მოუსვენარ ღამეში სიკვდილი!

მივიდა თუ არა სადგურში, ლონდონის მატარებელიც ჩამოდგა, ჩათქვირული, შავ ტანსაცმელში გამოწყობილი და ლამპის შუქზე ერთიანად გაყვითლებული მადამ ლამოტი ბაქანზე გამოვიდა, ხელში სამგზავრო ჩანთა ეჭირა.

- მეტი არაფერი გაქვთ? - ჰკითხა სომსმა.

- რაღას მოვასწრებდი, დრო აღარ მქონდა. ჩემი პატარა გოგო როგორ არის?

- კარგად... ორივენი. ქალი შეეძინა!

- ქალი! რა კარგია! ისეთი საშინელი სამგზავრო იყო ზღვა.

ჩასკვნილ-ჩამრგვალებული, შავად შემოსილი მადამ ლამოტი, ვისზედაც "საშინელ მგზავრობას" ოდნავადაც კი ვერ დაეჩნია კვალი, ეტლში აბობღდა.

- თქვენ როგორღა ხართ, MON CHER((ფრანგ.) - ჩემო ძვირფასო)?

- მამაჩემი კვდება, - კბილებში გამოცრა სომსმა, - ქალაქში მივდივარ. ანეტი მომიკითხეთ.

- TIENS, - წაიბუტბუტა მადამ ლამოტმა, - QUEL MALHEUR!((ფრანგ.) - ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა)

სომსმა ქუდი მოიხადა და მატარებლისკენ გაემართა. "ფრანგები!" - გაიფიქრა მან.

თავი მეცამეტე

ჯეიმსს უთხრეს

უბრალო გაცივება ორმაგფანჯრიან ოთახში, სადაც ჰაერსა და სანახავად მოსულ ხალხსაც კი გაუფილტრავს არ უშვებდნენ, საიდანაც იგი სექტემბრის შუა რიცხვების მერე გარეთ არ გამოსულა... და ჯეიმსი ცუდ დღეში აღმოჩნდა. სულ პატარა გაცივება ადვილად მოერია მის დაძაბუნებულ სხეულს და ფილტვებში შეიჭრა. "მაგისი გაცივება არასდიდებით არ შეიძლება", - დაიბარა ექიმმა, მაგრამ ექიმი წავიდა და ჯეიმსი მაინც გაცივდა. ჯერ ყელში ეცა, და ჯეიმსმა მაშინვე უთხრა მომვლელს, რომელიც ამ ბოლო ხანებში აიყვანეს - "ასეა, ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამ თქვენს ოთახის განიავებას!" მთელი დღე საშინლად დაფეთებული იყო, კარგად იფუთნებოდა, თავს უვლიდა და წამალსაც გულმოდგინედ სვამდა; დიდი სიფრთხილით სუნთქავდა და ყოველ საათში სიცხეს იზომავდა. ემილის სულაც არ შეშინებია.

მაგრამ მეორე დილას რომ შევიდა ქმრის ოთახში, მომვლელმა ქალმა წასჩურჩულა:

- სიცხეს არ მაზომვინებს.

ემილი სასთუმალთან მივიდა და ალერსით უთხრა:

- როგორ ხარ, ჯეიმს? - თერმომეტრი პირთან მიუტანა. ჯეიმსმა ახედა.

- რის მაქნისია?! - ჩახრინწული ხმით წაიდუდუნა ჯეიმსმა, - არ მინდა სიცხის გაზომვა.

ახლა კი შეშინდა ემილი. სუნთქვა უჭირდა ჯეიმსს, გასავათებული იწვა, ერთიანად გადაფითრებულს აქა-იქ წითელი ლაქები აჩნდა. რა წვალება ახსოვდა ქმრისგან ემილის, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მაინც მისი ჯეიმსი იყო, აგერ ორმოცდაათი წელი სრულდება, რაც მისი იყო. უმისოდ სიცოცხლე არც ახსოვდა და ვერც წარმოედგინა. ხომ ისეთი მოუსვენარი და ბუზღუნა იყო, ყველაფერზე იმედგაცრუებული და მოწუწუნე, საოცრად მოსიყვარულე გული ჰქონდა, ყველასთვის კეთილი და დიდსულოვანი კაცი იყო!

მთელი ის დღე ისე დაღამდა, და მეორე დღესაც, ხმა არ გაუღია. მაგრამ თვალებზე ეტყობოდა, რომ ყველაფერს ამჩნევდა, რასაც კი მისთვის აკეთებდნენ. ემილი სახეზე ატყობდა, რომ იგი იბრძოდა, და იმედს არ კარგავდა. ეს დუმილიც კი, იმისი აშკარა ცდა, რომ შემორჩენილი სულ მცირე ენერგიაც დაეზოგა - თვალნათლივ ამტკიცებდა, თუ რა გამწარებით იბრძოდა იგი. ემილის გული ჩასწყდა. ავადმყოფთან არაფერს იმჩნევდა, დამშვიდებული და მოსვენებული ჩანდა, მაგრამ ოთახიდან რომ გამოვიდოდა, ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა.

მესამე დღეს, ჩაის დროს, როცა ემილიმ ტანსაცმელი გამოიცვალა (ცდილობდა, თავისი ჩვეულებები არ დაერღვია და ამით ქმარი არ დაეფრთხო, რადგან იგი ყველაფერს ამჩნევდა), და ოთახში შევიდა, ხელად მიხვდა, რომ ჯეიმსი შეცვლილიყო. "აღა-

რაფერი მიშველის. დავიქანცე", - აშკარად ეწერა მის გადაფითრებულ სახეზე. სასთუმალთან რომ დაიხარა ემილი, ქმარმა წაიდუდუნა:

- სომსი გამოიძახეთ.

- ახლავე, ჯეიმს, - წყნარად მიუგო ემილიმ, - ახლავე გამოვიძახებ, - და შუბლზე აკოცა. სახეზე ცრემლი დაეცა და როცა ცოლმა მოსწმინდა, ნახა, რომ ქმარი მადლიერი თვალებით შეჰყურებდა. უკვე სავსებით იმედგადაწყვეტილმა და საშინლად შეწუხებულმა ემილიმ სომსს დეპეშა გაუგზავნა.

ქარიშხლიანი ღამის წყვდიადი სომსმა გარეთ დატოვა და დიდ სახლში შედგა ფეხი, სადაც სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო. უორმსონის ბრტყელი სახე თითქოს დაპატარავებულიყო. მან გადაჭარბებული მზრუნველობით ჩამოართვა ქურქი და უთხრა:

- ღვინოს ხომ არ ინებებთ, სერ?

სომსმა თავი გააქნია და წარბები აჭიმა, მსახურს დააცადა, რას მეტყვისო.

უსორმსონს ბაგე აუთრთოლდა.

- თქვენა გკითხულობთ, სერ, - და უცებ ცხვირი მოიხოცა, - აგერ, რამდენი ხანია, მისტერ ფორსაიტს ვემსახურები.

სომსმა ქურქი მას დაუტოვა და კიბეს შეუყვა. ეს სახლი, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, არასოდეს ასეთი თბილი, მყუდრო და ძვირფასი არ მოსჩვენებია, როგორც ამჟამად, როცა იგი თითქოს სალოცავად მიემართებოდა მამის ოთახისკენ.

კართან ცოტა ხანს შედგა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფრთხილად გადასწია სახელური და მანამ ვინმე თვალს შეავლებდა, უკვე

ოთახში იყო. სინათლე მოეჩრდილებინათ. დედა და უინიფრიდი ფეხებთან უსხდნენ ავადმყოფს, მომვლელი ქალი, ის იყო, სასთუმალს მოშორდა, სადაც ცარიელი სკამი იდგა. "ჩემთვის დაუდგამთ!" - გაიფიქრა სომსმა. კარს რომ მოშორდა და ნაბიჯი გადადგა, დედა და უინიფრიდი წამოდგნენ, მაგრამ სომსმა ხელით ანიშნა, და ისევ დასხდნენ. სკამთან მივიდა, შედგა და მამას დააცქერდა. ჯეიმსი გაჭირვებით სუნთქავდა, თითქოს იხრჩობაო, თვალები დახუჭული ჰქონდა. დაჰყურებდა სომსი მამას - ერთიანად გაფითრებულს, გალეულსა და დამჭკნარს, ისმენდა მის გაჭირვებულ სუნთქვას, და ერთბაშად დაუოკებელი გულისწყრომა მოეძალა ბუნებისადმი, გულქვა, შეუბრალებელი ბუნებისადმი, რომელიც მუხლებით დასწოლია მკერდზე გალეულ კაცს და თანდათანობით აცლის სულს, სიცოცხლეს აცლის იმ ადამიანს, რომელიც ქვეყნად ყველაზე ძვირფასი იყო სომსისთვის. მამამისი ყველაზე ფრთხილ, ზომიერ, თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა, და აჰა ჯილდო! ნელ-ნელა, წამებით აცლიან სულს! და არც კი იცოდა, ხმამაღლა თუ ამბობდა, უცებ შეჰყვირა:

- რა ულმობლობაა!

შენიშნა, როგორ დაიფარა დედამ თვალები ხელით და როგორ დაიხარა უინიფრიდი საწოლისკენ. ქალები! ესენი მამაკაცებზე ადვილად იტანენ მწუხარებას, უფრო მიუახლოვდა მამის საწოლს. სამი დღეა არ გაეპარსათ ჯეიმსი და ღაწვები და ნიკაპი ბეწვებს დაეფარა, რაც მისივე შუბლზე ოდნავ თეთრი თუ იყო. სახეს რაღაცნაირ სირბილეს მატებდა წვერი, უკვე აძლევდა უცნაურ, არაამქვეყნიურ შესახედაობას. თვალი გაახილა, სომსი საწოლს მიადგა და დაიხარა.

- აქ ვარ, მამა, - ჩასძახა მან.

- უ... უ... რა... რა ისმის... მე ვინ მეტყვის... - და ხმა გაუწყდა:

მღელვარებისგან სახე ისე დაეღმიჭა სომსს, რომ ხმა ვეღარ დაძრა: უთხრას? რა თქმა უნდა. მაგრამ რა? თავს ძალა დაატანა, ტუჩები მოკუმა და თქვა:

- კარგი ამბებია, მამაჩემო, კარგი ამბები... ბიჭი შეგვეძინა.

- აჰ!

ყოვლად უცნაური ხმა ამოუშვა - მახინჯი, შვების გამომხატ-ველი, შესაბრალისი, საზეიმო... ბალღებმა რომ იციან ხოლმე შე-ძახება, როცა გულისწადილს შეუსრულებენ. თვალი დახუჭა და კვლავ ის მძიმე ქოშინი დაეწყო. სომსი სკამისკენ მიბრუნდა და მოწყვეტით დაეშვა. ტყუილმა, რაც მას ღრმა ფესვგამდგარმა რწმენამ ათქმევინა, რომ ჯეიმსი სიკვდილის შემდეგ სიმართლეს მაინც ვეღარ გაიგებდა, ერთი წუთით ყველაფრის შეგრძნების უნარი წაართვა. ხელი რაღაცაზე მოუხვდა. ეს იყო მამის შიშველი ფეხი. სულთმობრძავმა უნებურად გასწია ფეხი საბნიდან. სომ-სმა ხელი მოავლო ამ გაყინულ ფეხს - დამჭკნარს, მჩატეს, გადა-თეთრებულს, ერთიანად გაცივებულს. რაღა აზრი აქვს, რომ ისევ საბანში ჩაფუთნოს! სულერთია, მალე კიდევ უფრო გაუცივდება! თავისდა უნებურად გაუთბო ხელით, თან მამის გაჭირვებულ სუნთქვას უგდებდა ყურს. შეგრძნების უნარი თანდათანობით დაუბრუნდა. უინიფრიდს ჩუმი ქვითინი წასკდა, მაგრამ ხელადვე შეიკავა თავი, დედა გაქვავებული იჯდა, თვალები ჯეიმსისთვის მიეშტერებინა. სომსმა მომვლელი ქალი მოიხმო ხელით.

- ექიმი სად არის? - წასჩურჩულა მან.

- კაცი გავგზავნეთ მოსაყვანად.

- ვერაფერს უშველით, რომ ასე არ იხრჩობოდეს?

- მხოლოდ ნემსით... მაგრამ ვერ იტანს. ექიმი ამბობს, მანამ ასე იბრძვის...

- კი არ იბრძვის, - ჩურჩულით შეაწყვეტინა სომსმა, - ნელ-ნელა იხრჩობა. საშინელებაა.

ჯეიმსი გაჭირვებით შეირხა, თითქოს მიხვდა, რას ლაპარაკობენო. სომსი წამოდგა და წინ გადაიხარა. ჯეიმსმა ძლივძლივობით წამოსწია ხელები, სომსმა ხელი ჩასჭიდა.

- წამოწევას ითხოვს, - წასჩურჩულა მომვლელმა ქალმა.

სომსმა წამოსწია. ნაზად ვწევო, იგი ფიქრობდა, მაგრამ ჯეიმსს ლამის გაგულისება გამოეხატა სახეზე. მომვლელმა ქალმა ბალიში გაუბუა. სომსმა ისევ დაუშვა მამის ხელები, დაიხარა და შუბლზე აკოცა. ჯეიმსმა კვლავ სცადა წამოწევა და თვალები სომსს მიაშტერა, მზერა სადღაც სიღრმიდან მოდიოდა, იმის სიღრმიდან, რაც მას ჯერ ისევ შერჩენოდა. "ჩემი საქმე წასულია, შვილო, - ამბობდნენ თითქოს მისი თვალები, - გაუფრთხილდი მაგათ, თავსაც გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი... შენ გიტოვებ ყველაფერს".

- ჰო, ჰო, - ჩურჩულებდა სომსი, - ჰო, ჰო.

მომვლელი ქალი რაღაცას აკეთებდა უკან, მაგრამ რას აკეთებდა, სომსი ვერ მიხვდა, მამა კი უსიამოვნოდ შეინძრა, ეტყობოდა, არ სიამოვნებდა ქალის ჩარევა, მერე უცებ სუნთქვა გაეხსნა და დამშვიდდა. ახლა უკვე წყნარად იწვა. სახეზედაც დაჭიმულობის ნაცვლად უცნაური თეთრი სიმშვიდე გადაეფინა. წამწამები შეუტოკდა და გაუქვავდა. მთელი სახე სიმშვიდემ მოიცვა. ბაგეღა უთრთოდა ოდნავ და ამით თუ შეატყობდი, რომ სუნთქავ-

და. სომსი ისევ დაეშვა სკამზე და ისევ ფეხზე დაუწყო ხელის სმა. ჩაესმა, როგორ ტიროდა მომვლელი ქალი ბუხართან. უცნაური კია - იქ მყოფთა შორის ერთადერთი გარეშე ეს ქალი იყო და სწორედ ის ტიროდა! ესმოდა, როგორ წყნარად ტკაცუნებდა და შიშინებდა ცეცხლი. კიდევ ერთი ძველი თაობის ფორსაიტი მიემგზავრება განსასვენებლად - საოცარი ხალხი კია!.. საოცარია, როგორ ებრძოდა სიკვდილს. დედა და უინიფრიდი საწოლისკენ გადახრილიყვნენ და ტუჩებზე მისჩერებოდნენ ჯეიმსს. სომსი კი გვერდზე მიბრუნებულიყო და ფეხებს უთბობდა. ეს ერთგვარ ნუგეშს აძლევდა, თუმცა სულ უფრო და უფრო უცივდებოდა ფეხები. ერთბაშად წამოიჭრა. რაღაცნაირი ბგერა, ძრწოლის მომგვრელი ბგერა მოსწყდა მის ბაგეს. თავის დღეში ასეთი არაფერი გაეგონა სომსს. თითქოს ბოღმით გასივებული გული გასკდა და გაჭიმული კვნესა გამოუშვაო. რა მაგარი გული ჰქონია, რომ ასეთი გამომშვიდობება აღმოხდა! კვნესა მიწყდა. სომსმა სახეში ჩახედა. კუნთი აღარ შერხევია. აღარც სუნთქავდა! მოკვდა! შუბლზე ეამბორა, შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. კიბე აირბინა და საწოლ ოთახში შევიდა, თავის ძველ საწოლ ოთახში, რომელიც ისევ მისთვის ჰქონდათ, საწოლზე დაემხო და ქვითინი აუვარდა, მაგრამ ხმას ბალიში ახშობდა...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩავიდა დაბლა და ოთახში შევიდა. ოთახში მარტო ჯეიმსი იწვა, საოცრად მშვიდი, ზრუნვისა და მღელვარებისგან გათავისუფლებული, განაწამებ სახეზე აღბეჭდოდა სიდიადე, რასაც ღრმა სიბერე აძლევს ხოლმე წონას, - ძველი მონეტის უკვე გადალეული, მშვენიერი სიდიადე.

დიდხანს მისჩერებოდა სომსი ამ სახეს, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს, მთელ ოთახს, ღია ფანჯრებს მიღმა გადაშლილ ლონ-დონის ღამეს.

- მშვიდობით, - წაიჩურჩულა მან და ოთახიდან გამოვიდა.

თავი მეთოთხმეტე

მისი საკუთრება

იმ ღამესა და მეორე დღეს ქვეყნის საქმე გამოუჩნდა სომსს. საუზმის დროს დეპეშა მიიღო, რამაც დაამშვიდა - ანეტის ამბავს ატყობინებდნენ. უკანასკნელ მატარებელსღა გაჰყვა რედინგისკენ, და თან წაიღო ემილის კოცნა და მისივე სიტყვები, რომელიც მან ყურში ჩასჩურჩულა:

- არ ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდა, შვილო.

შუაღამე იყო, შინ რომ მივიდა. ამინდი შეცვლილიყო, ისევ დაწყნარებულიყო, თითქოს მორჩა საქმეს, ერთი ფორსაიტი კიდევ გაისტუმრა, და ახლა უკვე მოსვენების უფლება აქვსო. რაკი მეორე დეპეშაც, რომელიც სომსმა სადილობის დროს მიიღო, ანეტის კარგად მყოფობას იუწყებოდა, ახლა სახლში აღარ შესულა, მთვარით განათებული ბაღი გადაჭრა და თავის ნავსახლს მიადგა. აქ მშვიდად გამოძინება შეეძლო. საშინლად ქანცგაწყვეტილი ბეწვის ქურქში გაეხვია, დივანზე მიწვა და ჩაეძინა. ირიჟრაჟა თუ არა, გამოეღვიძა და ბანზე გამოვიდა. მოაჯირთან დადგა და დასავლეთით გაიხედა, სადაც მდინარე, ტყის ძირში, ერთბაშად უხვევდა. ბუნების მშვენიერების აღქმაში სომსი საოცრად ჰგავდა თავის წინაპარ ფერმერებს, ისეთივე უკმაყოფილების გრძნო-

ბა დაეუფლებოდა, როცა ამ მშვენიერებას ვერ ჭვრეტდა, ოღონდ მას, როგორც პეიზაჟური მხატვრობის გამოცნობაში გაწაფულს, რაღა თქმა უნდა, უფრო გამახვილებული და დახვეწილი ჰქონდა აღქმის უნარი. მაგრამ განთიადს ისეთი ძალა აქვს, რომ ყოვლად მშრალ წარმოსახვასაც კი აღაგზნებს ხოლმე, და სომსიც აღეგზნო. თითქოს სულ სხვა სამყაროდ იქცა შორეული, ცივი ნათელის ქვეშ გაწოლილი ეს ნაცნობი მდინარე; სამყარო, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა, მოჩვენებითი, არარსებული სამყარო! მისი ფერები სულაც არ ჰგავდა პირობით დაკანონებულ ფერებს, ფერები არც კი ეთქმოდა; მისი გამოსახულება ბუნდოვანიც იყო და მკაფიოც; მისი დუმილი - შემაძრწუნებელი; სურნელი სულაც არ ჰქონია. ასე რატომ ააღელვა სომსი ამ სანახაობამ, თვითონაც არ იცოდა; ალბათ სწორედ იმიტომ, რომ იგი ახლა ეულად გრძნობდა თავს ნათესავებისა და ყოველგვარი საკუთრებისგან მოწყვეტილად. იქნებ სწორედ ამ სამყაროში წავიდა მისი მამა, რადგან ეს სულაც არ ჰგავდა იმ სამყაროს, რაც მან აქ დატოვა. სომსი ფიქრებს მიეცა - რომელი მხატვარი შეძლებდა ამის ზუსტად გადმოცემას. ნაცრისფერშეპარული თეთრი მდინარე ჰგავდა... თევზის მუცელს. ნეტავ შესაძლებელი თუა, ეს სამყაროც, რომელიც ახლა მის წინ გადაშლილა, კერძო საკუთრებად იქცეს, წყლის გარდა, რა თქმა უნდა... თუმცა წყალსაც გულმოდგინედ ქაჩავენ და მიაქვთ! სულ რომ საკუთრებად იქცეს - ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყოველი ღერი ბალახი, ყოველი ფრინველი და ცხოველი, თევზიც კი ამ წყალში! ოდესღაც აქ გაუვალი ტყე, ჭაობი და წყალი იყო; უცნაური არსებანი დაეხეტებოდნენ და ნადირობდნენ, ადამიანი არსად ჩანდა, რომ ამათთვის სახელები

მიეცა. ამ ადგილებში, სადაც ახლა საგანგებოდ მოვლილი ტყე მდინარისკენ ეშვება, ერთმანეთში გადახლართული მცენარეები იღუპებოდნენ, გაღმა რომ გაშლილი საძოვრები ჩანს, ნისლში გახვეულ ლერწამს ჰქონდა სულ დაფარული. მერე ყველაფერს პატრონი გამოუჩნდა, დასერეს, იარლიყები მიაკრეს, სანოტარო ოფისებში გაატარეს. ძალიანაც კარგი ქნეს! მაგრამ ზოგჯერ, როგორც ახლა აგერ, წარსულის აჩრდილი გამოივლის, შემთხვევით გამოღვიძებულ ადამიანს შეეყრება და ჩურჩულით ეტყვის: "თქვენ ჩემი ხელშეუხებელი მარტოობიდან ხართ გამოსული, და დადგება დრო, ისევ აქ დაბრუნდებით".

სომსმა სიცივე და საშინელება იგრძნო ამ სამყაროსი - ამ სრულიად ახალი და ძველისძველი სამყაროსი; სამყაროსი, რომელიც არავის საკუთრებას არ შეადგენს და რომელიც ახლა თავისივე წარსულს სწვევია. შეცივებული სომსი დაბლა ჩავიდა, კაიუტაში, და სპირტქურაზე ჩაიდანი დადგა. ჩაი რომ დალია, ქაღალდი ამოიღო და ეს ორი ცნობა დაწერა გაზეთისთვის:

"ამ თვის ოცს, თავის სახლში, ლეინპარკზე, გარდაიცვალა ჯეიმს ფორსაიტი, ოთხმოცდათერთმეტი წლისა. დაკრძალვა დღის თორმეტ საათზე, ჰაიგეიტის სასაფლაოზე. გთხოვთ ყვავილებს ნუ მოიტანთ".

"ამ თვის ოცს, შელტერში, მეიპლედერჰემზე, სომსს ფორსაიტის მეუღლეს - ანეტს - შეეძინა ქალი".

ქვემოთ კი, საშრობ ქაღალდზე, "ვაჟი" მიაწერა.

რვა საათი იყო, შემოდგომის სამყაროს ჩვეულებრივი დილა, როცა სომსი ბაღში გამოვიდა და სახლისკენ გაემართა. მომრგვალებულ ბუჩქებს თავი დაეღწიათ რძისფერი ბურუსისგან და ახ-

ლა მდინარის გაყოლებაზე ელვარებდნენ; ლურჯი კვამლი ცაში ასვეტილიყო; მტრედები წყნარად ღუღუნებდნენ და, მზეზე გამოსულები, ნისკარტით ფრთებს იკორტნიდნენ.

შეუმჩნევლად შევიდა სააბაზანოში, იბანავა, წვერი გაიპარსა, საცვლები გამოიცვალა და შავი კოსტიუმი ჩაიცვა.

დაბლა რომ ჩავიდა, მადამ ლამოტი, ის იყო, საუზმეს მისჯდომოდა. კოსტიუმზე შეხედა სომსს და უთხრა:

- ნუღარაფერს მეტყვით! - და ხელი მაგრად ჩამოართვა, - ანეტი კარგად არის. ოღონდ ექიმი ამბობს, შვილს ვეღარ გააჩენსო. თქვენც იცოდით? - სომსმა თავი დაუქნია, - ძალიან სამწუხაროა. MAIS LA PETITE EST ADORABLE. DU CAFE((ფრანგ.) - მაგრამ ბავშვი მომხიბლავია. ყავას არ დალევთ?)?

სომსი შეეცადა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ამ ქალს. რაღაცნაირად გააღიზიანა - ისე მაგრად იჯდა და ფხიზლად მსჯელობდა, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა - ნამდვილი ფრანგია! ვერ იტანდა ამ ქალის ლაპარაკს - მის ხმოვანებს, "რ"-ს თავისებურ გამოთქმას. გული მოუვიდა - რა უტიფრად მიყურებდაო. ისე შემომხედა, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, რომ ანეტი ბიჭს ვეღარ გამიჩენსო. ჩემი ბრალი! იმაზეც კი მოუვიდა გული, რომ ასეთი იაფფასიანი ქება უძღვნა მის პატარა ქალს, რომელიც სომსს ჯერ არც ენახა.

უცნაურია, როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება გვიან ენახა ცოლიცა და ბავშვიც!

თითქოს მაშინვე ზემოთ უნდა აჭრილიყო მათ სანახავად. პირიქით - ფიზიკურ შიშს გრძნობდა ეს გაფუფუნებული მესაკუთრე. ეშინოდა, ანეტი რას ფიქრობს ჩემზე, რომ ამდენი ტანჯვა ჩემ

გამო შეხვდაო; ეშინოდა, ბავშვის ნახვისა; ეშინოდა - ერთბაშად არ ვიგრძნო აწმყოსა და მომავლის უიმედობაო.

მთელი საათი სასტუმრო ოთახში დააბოტებდა, მანამ საბოლოოდ დამშვიდდებოდა და მაღლა ავიდოდა, თავის ცოლშვილთან.

კარი მადამ ლამოტმა გაუღო.

- აჰ! როგორც იქნა! ანეტი გელოდებათ!

მადამ ლამოტმა გვერდზე ჩაუარა, სომსი ჩვეული ჩუმი ნაბიჯით შევიდა, კრიჭა შეკრული ჰქონდა, პირდაპირ არ იყურებოდა.

ერთიანად გადაფითრებული ანეტი ლოგინში ძალიან ლამაზი ჩანდა. ბავშვი სადღაც მოფარებული ჰყავდათ. სომსმა ვერ დაინახა. საწოლს მიუახლოვდა და ერთბაშად მოწოლილი მღელვარებით დაიხარა, შუბლზე აკოცა ცოლს.

- მოხვედი, სომს! - უთხრა ქალმა, - ახლა არა მიშავს რა. მაგრამ საშინლად ვეწამე, საშინლად. კიდევ კარგი, რომ მეტს ვეღარ გავაჩენ. ო, როგორ ვეწამე!

სომსი იდგა და ხელზე ეფერებოდა ცოლს. ალერსისა და თანაგრძნობის სიტყვები ვერ იქნა, ვერ ამოღერღა. უცებ გაუელვა; "ინგლისელი ქალი ამას არასოდეს იტყოდა!" ახლაღა დარწმუნდა, რომ ვერც სულითა და ვერც ჭკუით იგი ვერასოდეს ქალის ახლობელი ვერ გახდებოდა; ასევე ანეტიც, ვერც ის მოახერხებდა ქმართან დაახლოებას. კოლექციისთვის შეუძენია ეს ქალი და მორჩა! და უცებ ჯოლიონის სიტყვები მოაგონდა: "დარწმუნებული ვარ, გაგიხარდება კიდეც, მარწუხებიდან გათავისუფლება". აკი გათავისუფლდა! მაგრამ ხელახლა ხომ არ მოხვდა მარწუხში?

- ახლა ბევრი უნდა ჭამოთ, - უთხრა სომსმა, - მალე გამაგრდებით.

- ბავშვის ნახვა არ გინდათ, სომს? სძინავს.

- როგორ არ მინდა, - უპასუხა სომსმა, - ძალიანად მინდა.

საწოლს შემოუარა და მეორე მხრიდან მოადგა, ფეხებთან. დააშტერდა. პირველად რომ დაინახა, სწორედ ის იყო, რასაც ელოდა: ბავშვი. მაგრამ უფრო და უფრო რომ დააკვირდა, როცა ნახა, როგორ სუნთქავდა ჩვილი, როგორ ერხეოდა ძილში სახის პაწაწინა ნაკვთები, თითქოს თავისი დამახასიათებელი გამოსახულება მიიღო, სურათს დაემსგავსა, სრულყოფილ ადამიანად იქცა, რომელსაც ამიერიდან ყოველთვის იცნობდა. შესაზიზღებელი სულაც არ ყოფილა, უცნაურად ჰგავდა კოკორს, და სომსს გულზე მოეფონა. შავი თმა ჰქონდა. თითი შეახო. უნდოდა, თვალები დაენახა. ბავშვმა თვალი გაახილა - მუქი ჩანდა, ოღონდ ლურჯი თუ ყავისფერი, ეს სომსმა ვეღარ გაარჩია. ჩვილს თვალები აუხამხამდა, გაუშტერდა, ძილმორეული სიღრმე იგრძნობოდა მათში. ერთბაშად, გულში უცნაური სითბო იგრძნო სომსმა, თითქოს ფრთები შეესხა.

- MA PETITE FLEUER!((ფრანგ.) - ჩემი პატარა ყვავილი.) - ალერსით თქვა ანეტმა.

- ყვავილი, ფლერ, - გაიმეორა სომსმა, - ფლერ! ფლერი დავარქვათ.

გამარჯვებისა და მესაკუთრული სიხარულის გრძნობა მოეძალა.

ღმერთო! ეს ხომ მისია, მისი საკუთარი!

ინტერლუდია

გამოღვიძება

დიდი დარბაზის მინის სახურავიდან შემოჭრილი ივლისის მზის სხივები ზედ ფართო კიბის თავში ეცემოდა რობინჰილზე; და სწორედ ამ მზით განათებულ ზოლში იდგა ტილოს ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა ჯონ ფორსაიტი. თმა უბრწყინავდა, თვალებიც უბრწყინავდა, თუმცაღა მოღუშული იყო, რადგან ვერ გადაეწყვიტა, ამ უკანასკნელად როგორ ჩასულიყო კიბეზე, როცა ავტომობილი მამას და დედას მოიყვანდა. ოთხ-ოთხ საფეხურს გადაახტეს, და სულ დაბლა კი - ერთბაშად ხუთს? ეგ მოსწყინდა! მოაჯირს გადააჯდეს და ისე დაეშვას? მაგრამ რა-ნაირად?! პირქვე ჩაემხოს და ფეხები გაშალოს? ეგ მით უფრო მოსწყინდა! მუცელზე გაწოლილი, გვერდზე ჩაცურდეს, რა ვაჟ-კაცობაა! ზურგზე გაწვეს და ხელები გვერდების გასწვრივ ჩაჰკი-დოს? აკრძალული აქვს! თუ პირქვე ჩაემხოს და თავი მაღლა ას-წიოს, ერთი სიტყვით, იმგვარი ილეთი იხმაროს, რაც ჯერ მის გარდა არავინ იცის?.. აი მიზეზი იმისა, რომ მზით გაბრწყინებუ-ლი სახე მოღუშული ჰქონდა პატარა ჯონს...

გულუბრყვილო ხალხმა, რომელთაც ჯერ კიდევ მაშინ, 1909 წლის ზაფხულზე, ჰქონდათ სურვილი ინგლისური ენის გამარტი-ვებისა, პატარა ჯონის არსებობის ამბავი სულაც არ იცოდნენ, თორემ თავიანთ მოწაფედ შერაცხდნენ. პატარა ჯონის ნამდვი-ლი სახელი ჯოლიონი იყო, მაგრამ მისმა ცოცხალმა მამამ და გარდაცვლილმა ნახევარძმამ უკვე კარგა ხნის წინ მიითვისეს

ორი შემოკლებითი სახელი - ჯო და ჯოლი, მას ისღა დარჩა, ჯონი დაერქვა.

აქამდე მისი გული ეკუთვნოდა მამას, მეჯინიბე ბობს, რომელიც კონცერტინოზე უკრავდა ხოლმე და ძიძა "დეის", რომელიც კვირაობით იისფერ კაბას იცვამდა და რომელსაც პირად ცხოვრებაში სპრეგინსი ერქვა; ასეთი პირადი ცხოვრება ზოგჯერ შინამოსამსახურეებსაც აქვთ. დედა თითქოს სიზმარივით გამოეცხადებოდა, თან მოიტანდა სასიამოვნო სურნელს, ძილის წინ თავზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა, და ზოგჯერ თმას კრეჭდა, ოქროსფერ კულულებს დაუმოკლებდა. ერთხელ, ბუხარზე რომ გაიტეხა თავი, საბავშვო ოთახში, დედაც იქ იყო, და სულ სისხლით გათხვარა ჯონმა. აფორიაქებული სიზმრები როცა ჰქონდა, დედა საწოლზე ჩამოუჯდებოდა ხოლმე და გულზე მიიხუტებდა. ძალიან საყვარელი იყო დედა, მაგრამ თან შორეულიც, რადგან "დეი" ჰყავდა ახლოს, ხოლო მამაკაცის გულში ერთდროულად ძალიან იშვიათად თუ მოთავსდება ორი ქალი. მამასთან, რაღა თქმა უნდა, სულ სხვა რამე აკავშირებდა: პატარა ჯონიც მხატვრობას აპირებდა, როცა გაიზრდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, მამა სურათებს ხატავდა, ხოლო ჯონს ჭერი და კედლები უნდა მოეხატა; თეთრ, გათხუპნილ წინსაფარს აიფარებდა, ორ კიბეზე გადებულ ფიცარზე დადგებოდა და კირის სასიამოვნო სუნს ისუნთქავდა. რიჩმონდპარკშიც დაჰყავდა მამას, პატარა პონიზე შესვამდა, რომელსაც თაგუნა ერქვა, რადგან თაგვისფერი იყო.

პატარა ჯონი რომ დაიბადა, პირში ვერცხლის კოვზი დაჰყვა,- (პირში ვერცხლის კოვზი დაჰყვა - ინგლისური ანდაზა - To be

BORN WITH A SILVER IN ONE'S MOUTH, ე.ი. "პირში ვერცხლის კოვზით დაბადება", ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენას ნიშნავს.) თანაც საკმაოდ დიდი კოვზი. დედ-მამისგან ერთხელაც არ გაუგონია ხმამაღალი სიტყვა არც ერთმანეთში, არც თავის და არც არავის მიმართ. მეჯინიბე ბობს, მზარეულ ჯეინს, ბელას და თვით "დეისაც" კი ხმა ერთიანად შეეცვლებოდათ ხოლმე, როცა პატარა ჯონს გამოელაპარაკებოდნენ. ამიტომაც თავიდანვე ისეთი წარმოდგენა შეექმნა, თითქოს ქვეყანაზე სრული თავისუფლება და კეთილშობილება ყოფილიყოს გამეფებული.

იმ დროისთვის, როცა 1901 წელს დაბადებული ჯონი უკვე ჭკუაში ჩავარდა, ესე იგი, 1906 წლისთვის, მისი ქვეყანა, რომელსაც ის იყო გამძვინვარებულ ქუნთრუშასავით გადაეტანა ბურების ომი, ახლა ლიბერალიზმის აღსადგენად ემზადებოდა. სიმკაცრეს უკვე ყავლი გასვლოდა და მშობლებს ამაღლებული გრძნობები დაუფლებოდათ - რაც შეიძლება, კარგი პირობები შეექმნათ თავიანთი ნაშიერებისთვის. წკეპლები დაემტვრიათ, ბავშვებს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ, და შედეგით წინასწარვე ტკბებოდნენ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პატარა ჯონი ბრძნულად მოიქცა, როცა ჭკუა იხმარა და მამად ორმოცდათორმეტი წლის მოსიყვარულე მამაკაცი აირჩია, რომელსაც, ის იყო, ერთადერთი ვაჟი დაჰკარგოდა, ხოლო დედად - ოცდათვრამეტი წლის ქალი, რომლის პირველი და ერთადერთი შვილი თვითონ იყო. ხომ შეიძლებოდა კალთაში საგორებელ ფინიად და პატარა პედანტად ქცეულიყო ჯონი! მაგრამ იმან უშველა, რომ მამა დედას აღმერთებდა, პატარა ჯონი თვითონვე გრძნობდა, რომ

აირენი მარტო მისთვის კი არ ყოფილა საყვარელი არსება: ჯონს მამის გულში მეორე ადგილი ეჭირა.

დედის გულში რა ადგილი ეჭირა, ეს ჯერ კიდევ არ იცოდა. მამიდა "ჯუნს", - რომელიც ფაქტობრივად მისი ნახევარდა იყო (მაგრამ ამ ხნის ქალი დად აღარ გამოადგებოდა), - უყვარდა ჯონი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მეტისმეტად ფათაფუთა იყო. მის ერთგულ "დეისაც" სპარტული მიდრეკილება ჰქონდა: ცივ წყალში აბანავებდა, მოკლე შარვლით დაატანტალებდა, წუწუნს არ აბედვინებდა. სწავლა-განათლების მტკივნეულ საკითხს რაც შეეხება, პატარა ჯონი იმათ მოძღვრებას იზიარებდა, რომელთა აზრით, ბავშვებს ძალა არ უნდა დაატანონ. მადმუაზელი მოსწონდა, იგი ყოველ დილით მოდიოდა ხოლმე ორ-ორი საათით და თავის ენას ასწავლიდა, ასწავლიდა აგრეთვე ისტორიას, გეოგრაფიასა და არითმეტიკას; არც მუსიკა ყოფილა მოსაწყენი, მუსიკას დედა ასწავლიდა; ახალ მელოდიებს შეუმჩნევლად შეაპარებდა ხოლმე, რაც არ მოეწონებოდა, იმას აღარც გაამეორებინებდა, ისე, რომ პატარა ჯონს სულ არ ეზარებოდა თითები კლავიშებისთვის შეეჩვია. მამა გოჭებსა და სხვა ცხოველებს ახატვინებდა. დიდად განათლებული ბიჭი არ ყოფილა, მაგრამ, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ვერცხლის კოვზი კვლავ პირში ჰქონდა გაჩრილი და არც არაფერს უშავებდა, თუმცა "დეი" ზოგჯერ ეტყოდა ხოლმე, სხვა ბავშვებში გარევა სულაც არ გაწყენსო.

შვიდი წლისა იქნებოდა, როცა პირველი იმედის გაცრუება განიცადა - "დეიმ" თავნებობისთვის დასაჯა და ზურგზე გააწვინა. ფორსაიტული თავისუფლების ამ პირველმა შეზღუდვამ ლამის გააცოფა. დიდი უმწეობა განიცადა, საშინელი შიში ჭამა, სულ

ასე ხომ არ მამყოფებსო. ვაითუ, წამოდგომის ნებაც აღარ მისცეს, მაშინ რა უნდა ქნას! მთელი ორმოცდაათი წუთი გამწარებით ღრიალებდა. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ "დეი" ამდენ ხანს ვერ მიხვდა, რა შიშის ციებ-ცხელებას მოეცვა პატარა ჯონი. ასეთ საშინელ ვითარებაში აეხადა მისთვის ფარდა ადამიანის გონების მიუხვედრელობასა და შეზღუდულობას! ადგომის ნება რომ მისცეს, ამის შემდეგაც ჯონს ისეთი წარმოდგენა შეექმნა, თითქოს "დეის" საშინელება ჩაედინოს. არ უნდოდა ძიძა დაებეზღებინა, მაგრამ, მეორედაც არ გაიმეოროსო, ამის შიშმა აიძულა დედასთან მისულიყო და შეეჩივლა:

- დედა, უთხარი რა "დეის", ზურგზე ნუღარ დამაწვენს.

დედამ ორ წყებად დალაგებული ნაწნავები გაისწორა - COULER DE FEUILLE MORTE (პატარა ჯონს ჯერ კიდევ ვერ შეესწავლა მისი სახელი), თავისივე ხავერდის მოწაბლისფრო ქურთუკისფერი თვალები შვილს მიანათა და მიუგო:

- კარგი, გენაცვალე, ვეტყვი და აღარ დაგაწვენს.

ჯონს ღვთაებად წარმოედგინა დედა, და მისმა სიტყვებმა ახლა დაამშვიდეს. განსაკუთრებით მას შემდეგ დამშვიდდა, როცა ერთხელ, საუზმეზე, სოკოს მოლოდინში, დედის სიტყვებს მოჰკრა ყური: მამას ელაპარაკებოდა:

- მაშ, შენ ეტყვი "დეის", თუ მე ვუთხრა, გენაცვალე? ისე უყვარს ბავშვი!

და მამას პასუხიც გაიგონა:

- ჰო, მაგრამ ასე კი არ უნდა გამოხატოს სიყვარული, მშვენივრად წარმომიდგენია, რას უნდა გრძნობდეს ზურგზე იძულებით

გაწოლილი კაცი. ვერც ერთი ფორსაიტი ვერ იტანს ამას, ერთი წუთითაც.

როცა პატარა ჯონმა წარმოიდგინა, რომ მისი მაგიდის ქვეშ ყოფნა არც დედამ იცოდა და არც მამამ, სულ სხვა გრძნობამ მოიცვა - საშინლად დაიბნა და დაირცხვინა, და აღარც მოუცვლია ფეხი იქიდან; ისე მოუნდა სოკო, რომ სული ელეოდა.

ასეთი იყო მისი პირველი ჩაყურყუმელავება ცხოვრების ბნელ უფსკრულში. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეუცნია ახალი, მანამ ერთ დღეს, ბოსელში არ მივიდა (გარეტი ახალმოწველილ რძეს დამალევინებსო) და იქ კლავერის ხბო მკვდარი დახვდა. ხელადვე გამობრუნდა, გულჩაწყვეტილი, გარეტის თანხლებით; "დეის" სანახავად გაეშურა, მაგრამ ერთბაშად მიხვდა, რომ "დეი" ახლა ვერაფერს უშველიდა, მამის საძებნელად გავარდა, და დედას ჩაეკრა გულში.

- კლავერის ხბო მოკვდა! ოჰ, ოჰ, როგორი რბილი ჩანდა!

დედამ ხელი გადაუსვა და დაუყვავა:

- ნუ, გენაცვალე, ნუ გეშინია, ნუ გეშინია! - და ჯონმა ქვითინი შეწყვიტა.

მაგრამ, თუკი კლავერის ხბო მოკვდა, ხომ შეიძლება ყველას ეწიოს ეს ბედი, მარტო ფუტკრებს, ბუზებს, ხოჭოებსა და წიწილებს კი არა!.. ყველა ასეთივე რბილი გამოჩნდება! შემაძრწუნებელი იყო - მაგრამ მალევე გადაავიწყდა.

მეორე მწველი განცდა კრაზანაზე დაჯდომა იყო, რამაც საშინლად გაამწარა. დედამ უფრო კარგად გაუგო მაშინ, ვიდრე "დეიმ". მას შემდეგ მთელი წელიწადი ისე გავიდა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მერე კი, საშინლად

გულის გამაწვრილებელი დღის შემდეგ, რაღაც ავადმყოფობა - ტანზე წვრილი წინწკლები, ლოგინში წოლა, კოვზით თაფლი და ბლომად ტანჯერული მანდარინი. სწორედ მაშინ იყო, ქვეყანა რომ გაიფურჩქნა. და "მამიდა" ჯუნს უნდა უმადლოდეს ამ "გაფურჩქნას" - გახდა თუ არა ჯონიც ერთ-ერთი პატარა "ბედუკულმართი", მაშინვე მოვარდა ჯუნი ლონდონიდან, თან ის წიგნები ჩამოიტანა, რომელთაც ერთ დროს მასვე ჩაუდგეს რაინდული სული, აღმოცენებული იმ ღირსსახსოვარ 1869 წელს. წლებით დაძველებული წიგნები თავიანთ ფურცლებზე საოცარ ამბებს ინახავდნენ. სწორედ ამას უკითხავდა ჯუნი პატარა ძმას, მანამ ჯონს თვითონვე მისცემდნენ კითხვის ნებას. ხოლო როცა ნება მისცეს, ჯუნმა ისევ ლონდონისკენ მოუსვა, ძმას კი წიგნების მთელი გროვა დაუტოვა. შემდეგ ძილშიც და ღვიძილშიც სულ მეზღვაურები და გემები, მეკობრეები, ბორნები და სანდალის ხის ვაჭრები, რკინის ცხენები, ზვიგენები, ბრძოლები, თათრები, წითელკანიანი ინდიელები, საჰაერო ბურთები, ჩრდილო პოლუსი და ათასნაირი უცნაური რამეები ელანდებოდა. ლოგინიდან წამოდგომის ნება რომ მისცეს, მაშინვე თავისი საწოლი იალქნებით აღკაზმა კიჩოდან მოკიდებული ქიმამდე, მერე ვიწრო როფში გადავიდა, ნოხების მწვანე ზღვა გაცურა, კლდის შვერილს მიადგა, წითელი ხის უჯრების შიბებს შეჰყვა, თვალზე ჭიქა მიიდო და ჰორიზონტს გახედა - მხსნელ იალქანს დაუწყო ძებნა. პირსახოცის საკიდრის, ჩაის ლანგრისა და ბალიშებისგან ყოველდღიურად აკეთებდა ხოლმე ტივს. წამლის ცარიელ შუშაში ფრანგული ქლიავის წვენი ჩაასხა და ეს "რომი" ტივისთვის მოიმარაგა. მერე დარჩენილი ქათმის ხორცის ნარჩენები მოაგროვა, ზედ დააჯდა,

ცეცხლზე გამოაშრო და, ამგვარად, პემიკანი გააკეთა. სურავანდისგან თავის დასაცავად ფორთოხლის ნაფცქვენები კომპოტში ჩააწურა და ლიმონის წვენი მოამზადა. ერთ დილას ჩრდილო პოლუსი მოაწყო ლოგინის მოწყობილობისგან, ოღონდ მუთაქა არ უხმარია, და ამ პოლუსს არყის ხისგან შეკრული ნავით (რაც სინამდვილეში ბუხრის ლარტყულს წარმოადგენდა) მიადგა. და ეს მას შემდეგ, რაც მძვინვარე ბრძოლა გადაიხადა, "დეის" საღამურ პერანგში გახვეული მუთაქისა და ოთხი კეგლისგან შეკოწიწებულ თეთრ დათვთან. მერე, აღგზნებული ფანტაზიის დასაცხრობად, მამამ "აივენჰო", "ბევისი", "თომ ბრაუნის ბავშვობა" და "ართურ მეფის თავგადასავალი" მოუტანა. წაიკითხა პირველი წიგნი და მთელი სამი დღე აშენებდა, იცავდა, იერიშებით იღებდა ფრონ დე ბეფის ციხესიმაგრეს, როენასა და რებეკას გარდა, ყველა გმირის როლი შეასრულა ამ წიგნიდან. თავგამოდებით გაჰკიოდა ხოლმე - EN AVANT, DE BRACY!((ფრანგ.) - წინ, დე ბრასი!) და ამისთანა რამეებს. მეფე ართურის წიგნი რომ წაიკითხა, სერ ლამორაკ დე გალისად იქცა. მართალია, ამ გმირის ამბავი ძალიან ძუნწად არის წიგნში მოთხრობილი, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი სახელი მოეწონა სხვა რაინდებზე უფრო. ხელში ბამბუკის გრძელ ჯოხს მოიმარჯვებდა, სათამაშო ცხენს გადააჯდებოდა და გამწარებით დააქროლებდა, სანამ არ განგმირავდნენ და მკვდარი არ გადმოვარდებოდა. "ბევისმა" ვერ გაიტაცა. თანაც, ამას ტყე და მხეცები სჭირდებოდა, რაც ოთახში არ მოეპოვებოდა ჯონს. მართალია, ორი კატა კი ჰყავდა - ფიც და ჰეკ ფორსაიტები - მაგრამ ისინი ხელს აგრერიგად არავის ახლებინებდნენ. "თომ ბრაუნი" კი

ჯერ ადრე იყო მისთვის. შვებით ამოისუნთქა მთელმა სახლმა, როცა ოთხი კვირის შემდეგ, ეზოში გასვლის ნება მისცეს ჯონს.

მარტო იდგა. ხეები ახლა განსაკუთრებით ჰგავდა გემის ანძებს. პატარა ჯონისთვის ეს იყო საოცნებო გაზაფხული. ყველაზე მაგრად მისმა მუხლებმა, ტანსაცმელმა და "დეის" მოთმინებამ იგრძნეს ეს; "დეის" ხომ ჯონის ტანსაცმლის გარეცხვა-დაკერება ევალებოდა. ყოველ დილით, მორჩებოდა თუ არა საუზმეს, დედასა და მამას თავიანთი ოთახის ფანჯრიდან შეეძლოთ დაენახათ, როგორ გადიოდა იგი კაბინეტიდან, ტერასას გადაჭრიდა და ბებერ მუხაზე აძვრებოდა. მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა, თმა უბრწყინავდა. ასე იმიტომ იწყებდა დღეს, რომ მალე გაკვეთილებზე დაუძახებდნენ და შორს წასვლას ვერ მოასწრებდა. ბებერი ხე მუდამ მრავალფეროვანი იყო - გამოულევლად ჰქონდა დიდი ანძები, წინა ანძები... დაშვებით კი ყოველთვის ქანდარით დაეშვებოდა - ანუ საქანელას თოკით. გაკვეთილები თერთმეტზე უმთავრდებოდა. მაშინვე სამზარეულოში გაქანდებოდა, ყველს მიატეხდა, ერთ ნამცხვარსა და ორ ფრანგულ ქლიავს აიღებდა და გამობრუნდებოდა - ნავში საგზლად ესეც საკმარისი იყო; და მუდამ რაღაცას მოიგონებდა ხოლმე ამ საგზლის ჭამის დროს. მერე თავით ფეხამდე შეიარაღდებოდა თოფითა და დამბაჩებით, ხმალს შემოირტყამდა და სახეტიალოდ გასწევდა, გზად წარამარა ხვდებოდნენ მონებით გატენილი ხომალდები, ინდიელები, მეკობრეები, ლეოპარდები და დათვები... ამ დროს იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ პირში ხანჯალი არ ჰქონოდა გარჭობილი (დიკ ნიდჰემის მსგავსად) და ფისტონების ბათქაბუთქი არ ყოფილიყო. რამდენი მებაღე გაუგორებია თავისი თოფიდან გასროლილი მუ-

ხუდოს ყვითელი მარცვლებით. ერთი სიტყვით, მოუსვენარი ცხოვრება ჰქონდა.

- ჯონს რაღაც საშინელება მოსდის, - უთხრა ერთხელ დედამ მამას, როცა მუხის ძირში ისხდნენ, - მეშინია, მეზღვაური არ გამოვიდეს ან სხვა წყალწაღებული რამე. არა მგონია, სილამაზის აღქმის უნარი ჰქონდეს, შენ როგორ ატყობ?

- სულ არა აქვს.

- კიდევ მადლობა ღმერთს, მანქანებისა და ბორბლებისკენ არ მიუწევს გული! ყველაფერს შევურიგდები, ოღონდ კი მაგას ნუ იზამს. ისე, ნეტავ ბუნებით დაინტერესდებოდეს. მდიდარი წარმოსახვის ბავშვია, ჯოლიონ.

- ჰო, სანგვინიკურ ტიპსა ჰგავს. უყვარს ახლა ვინმე?

- ყველა უყვარს. მაგისთანა მოსიყვარულე და მოყვასი ბავშვი ჯერაც არ დაბადებულა.

- შენი შვილია, აირენ!

ამ დროს ხის ტოტებზე გაწოლილმა ჯონმა ორი მუხუდოს მარცვალი ესროლა მათ. მაგრამ დედ-მამის შეწყვეტილი საუბარი მაგრად და მტკიცედ ჩაეჭდო პატარა თავში. "მოსიყვარულე, მოყვასი, მდიდარი წარმოსახვის, სანგვინიკი!"

ამ დროისთვის ფოთლები უკვე კარგად დაზრდილიყვნენ და ჯონის დაბადების დღეც მოახლოებულიყო. ყოველწლიურად მოდიოდა ხოლმე ეს დღე, თორმეტ მაისს, და ჯონის საყვარელი საჭმელებით გახდა დასამახსოვრებელი: ხბოს ჯირკვლები, სოკო, ნუშის ნამცხვარი და ჯანჯაფილის ლუდი.

მაგრამ ამ მერვე დაბადების დღისა და იმ ნაშუადღევს შორის, როცა ივლისის მზით გაბრწყინებული პატარა ჯონი კიბეზე იდგა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

ჯონის მუხლების ბანა მოჰბეზრდა, "დეის" თუ სხვა რამ იდუმალმა გრძნობამ წამოუარა, რაც, წარმოიდგინეთ, ძიძებსაც კი მიატოვებინებს ხოლმე თავიანთ აღსაზრდელებს... ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, დაბადების დღესასწაულის მეორე დღესვე, ღაპაღუპით ცრემლჩამომდინარე "დეიმ" თავისი აღსაზრდელი მიატოვა და "გათხოვდა" - წარმოგიდგენიათ! - "ვიღაცას გაჰყვა". პატარა ჯონს, რომელსაც ეს ამბავი დაუმალეს, მთელი დღე შუბლი არ გაუხსნია. რატომ თავიდანვე არ უთხრეს, რად დაუმალეს! იმ განცდილი მწუხარების გარდა, მისი ხასიათის გარდაქმნას ხელი შეუწყო აგრეთვე დაბადების დღეს საჩუქრად მიღებულმა "პატარა ჯარისკაცების" ორმა დიდმა ყუთმა, ზარბაზნებმა და წიგნმა - "ნორჩი მებუკეები". ახლა უკვე, - იმის ნაცვლად, რომ თვითონ ეძებნა ფათერაკი და თავი გაეწირა, - ისეთი თამაშობანი მოიგონა, სადაც უთვალავ პატარა ჯარისკაცს, მუხუდოებს, კენჭებსა და ბურთულებს სწირავდა. ამ ყოველი ჯურის საზარბაზნე ხორცისგან მან კოლექცია შეადგინა და მონაცვლეობით იყენებდა ხოლმე, ზედიზედ იხდიდა ომებს - პირენესას, შვიდწლიანს, ოცდაათწლიანს და ვინ იცის, კიდევ... რაც მას ახლახან წაეკითხა პაპამისის დიდ "ევროპის ისტორიაში". თავის გუნებაზე შეცვალა ყველაფერი, და საბავშვო ოთახის იატაკზე გახურებული ბრძოლები წარმოებდა, ვერავის გაებედა შიგ შესვლა, იმის შიშით, რომ გუსტავ ადოლფი და შვედეთის მეფე არ შევაწუხოთ, ან ავსტრიის ჯარს ფეხი არ წამოვკრათო. ავსტრიელები გატაცებით შეიყვა-

რა, რადგან სასიამოვნოდ ჟღერდა ეს სიტყვა, და რაკი აღმოჩნდა, რომ ავსტრიის ჯარს ბრძოლებში ძალიან იშვიათად თუ გაემარ-ჯვა, იძულებული შეიქნა თავის თამაშებში თვითონვე მოეგონა ასეთი ბრძოლები. მისი საყვარელი გენერლები იყვნენ პრინცი ევ-გენი, ერცჰერცოგი კარლოსი და ვალენშტაინი. თილისა და მაკს (ამ "საოპერეტო გენერლებს", მამამ ასე უწოდა ერთხელ რატომ-ღაც) კაცი აგრერიგად ვერ შეიყვარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიელები იყვნენ. იმავე ტკბილჟღერადობის გამო ტიურენს აღმერთებდა.

ეს ფაზა, - რამაც მშობლები ძალიან შეაწუხა, რადგან ბავშვი მთელ დღეებს ოთახში ატარებდა, იმის ნაცვლად, რომ ჰაერზე ყოფილიყო, - გაგრძელდა მთელი მაისი და ნახევარი ივნისი, მერე კი მამამ "ტომ სოიერი" და "ჰეკლბერი ფინი" მოიტანა და ფაზაც დამთავრდა. ეს წიგნები რომ წაიკითხა, ბავშვის არსებაში რაღაც მოხდა, და მაშინვე გარეთ გავარდა, მდინარეს დაუწყო ძებნა. რა-კი რობინჰილის მიდამოებში ამნაირი ვერაფერი იპოვა, ისევ გუ-ბურიდან გამოიყვანა წყალი. საბედნიეროდ, აქ აღმოჩნდა თეთრი დუმფარა, ნემსიყლაპიები, კოღოები, ლელქაში და სამი პატარა ტირიფი. მამამ და გრეტმა შეამოწმეს და გუბურა უხიფათო აღ-მოჩნდა, ორ ფუტზე მეტი სიღრმე არ ჰქონია წყალს, ამიტომ ნება მისცეს, შიგ პატარა ნავი შეეცურებინა. საათობით იყო ამ ნავში, ხან ნიჩბებს უსვამდა, ხან გაწვებოდა - ინდიელ ჯოსა და სხვა მტრებს ემალებოდა. გუბურის ნაპირას ვიგვამისმაგვარი(ვიგვა-მი (ინგლ.) - ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა (კერძოდ, ალგონკი-ნების) საცხოვრებელი გუმბათისებური ქოხი; ამზადებენ ხის ტო-ტებისა და ლერწმისგან.) ქოხი მოიწყო, ნამცხვრის კოლოფების-

გან შეაკოწიწა და ზემოდან რტოებით გადახურა. ვიგვამში ცეცხლს დაანთებდა და ნანადირევ ფრინველს წვავდა, რომელიც მას თავისი თოფით არ დაეხოცა ჭალასა და მინდორში ნადირობის დროს, ან თევზს ხარშავდა, რაც მას გუბურაში არ დაეჭირა, რადგან თევზი იქ სულაც არ ჭაჭანებდა. ასე გავიდა ივნისის ბოლო და ის ივლისი, რაც მშობლებმა ირლანდიაში გაატარეს. ჯონი მარტო იყო, ზაფხულის ამ ხუთ კვირას გამუდმებით თამაშობდა, ხელში თოფი ეჭირა, ვიგვამში იჯდა, და წყალი და ნავიც იქვე ჰქონდა. მისი პატარა, მკვირცხლი გონება ძალიან კი ცდილობდა სილამაზის გრძნობა ახლოს არ გაეკარებინა, მაგრამ ზოგჯერ მაინც მიუცოცდებოდა ხოლმე ეს გრძნობა - ხან ნემსიყლაპიას ფრთებზე წამოსკუპდებოდა, ხან დუმფარას ფოთლებზე აელვარდებოდა და ხანაც, საფარში პირაღმა გაწოლილს, თვალებზე ლურჯად აუციმციმდებოდა.

"მამიდა" ჯუნმა, რომელსაც პატარა ჯონი ჰყავდა ჩაბარებული, სახლში ვიღაც "დიდი" მოიყვანა; ეს კაცი გამუდმებით ახვევლებდა და თიხით რაღაც სახეს ძერწავდა. ამიტომ ჯუნმა თითქმის ველარ მოიცალა გუბურისკენ გაევლო და ბავშვი მოენახულებინა. თუმცა ერთხელ კი მივიდა და თან ორი სხვა "დიდი" მიიყვანა. იმ დროს მიუსწრეს პატარა ჯონს, როცა იგი გატიტვლებულიყო და ტანს ლურჯად და ყვითლად იჭრელებდა მამის აკვარელის საღებავებით, თმაში კი იხვის ფრთები გაერჭო; რომ დაინახა, ჯუნს ვიღაცები მოჰყავსო, ლელიანში ჩასაფრდა და გაინაბა. ისინი ვიგვამთან მივიდნენ, ჩაიჩოქეს და გადაიხედეს, მაგრამ მანამ ჯუნი და ის მეორე "დიდი" ქალი ბავშვის კოცნას მოახერხებდნენ, ჯონმა სისხლისგამყინავი კივილით მოასწრო მათთვის

სკალპის ახდა... ამ ორ უცხო "დიდს" სახელად "მამიდა" ჰოლი და "ძია" ვალი ერქვათ. ვალს მზით გარუჯული სახე ჰქონდა, ცოტა-თი კოჭლობდა და რამდენს შეხედავდა ჯონს, საშინელი ხარხარი აუტყდებოდა ხოლმე. ჯონს "მამიდა" ჰოლი მოეწონა ძალიან, რო-მელიც აგრეთვე და ყოფილა მისი. მაგრამ ისინი იმავე საღამოს გაბრუნდნენ უკან და ჯონს მეტად აღარც უნახავს. დედისა და მა-მის ჩამოსვლამდე სამი დღეღა იყო დარჩენილი, როცა "მამიდა" ჯუნიც გაემზადა. ფაცხაფუცხით მოჰკიდა ხელი თავის "დიდს", რომელიც წარამარა ახველებდა, ის ნაძერწი თიხაც წაიღეს და წა-ვიდნენ. მაშინ იყო, მადმუაზელმა რომ თქვა: "საწყალი კაცი, ძა-ლიან ავად არის. მის ოთახში არ შეხვიდე, ჯონ". პატარა ჯონმა, რომელიც იშვიათად თუ გააკეთებდა რამეს მხოლოდ იმიტომ, რომ აკრძალული ჰქონდა, თავი შეიკავა და იმ ოთახში მართლაც აღარ შესულა, მიუხედავად იმისა, რომ მარტოობასა და მოწყენი-ლობას განიცდიდა. საქმე ისაა, რომ გუბურას დღეები უკვე წავი-და, და ბავშვის სულს ვეღარ მოესვენა, რაღაც უნდოდა - არც ხე, არც თოფი - არამედ სხვა, უფრო რბილი რამე. ეს ორი დღე გაუთავებელ თვეებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ახ-ლა წაიკითხა "ზღვიდან გამორიყულში" ბებრუხანა ლისა და მისი საშინელი კოცონის ამბავი. ამ ორ დღეში ასჯერ მაინც ავიდ-ჩავიდა კიბეზე, ახლა უფრო მოუხშირა თავისი ოთახიდან დედის ოთახში შესვლას, ყველაფერს შეათვალიერებდა ხოლმე, თუმცა ხელი არაფრისთვის უხლია, მერე სააბაზანოშიც შევიდოდა, სლინგსბის მსგავსად ცალ ფეხზე დადგებოდა აბაზანასთან და ჩურჩულებდა:

- ჰო, ჰო, ჰო! თვალი დამიდგეს! - ისეთი იდუმალებით წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, დარწმუნებული იყო, ვულოცავო.

მერე ფეხაკრეფით გამობრუნდა, დედის ტანსაცმლის კარადა გამოაღო და ღრმად შეიყნოსა ჰაერი, ამითი თითქოს უახლოვდებოდა... თვითონვე ვერ იტყოდა, რას.

ეს მოხდა მანამ, ვიდრე იგი კიბის თავში დადგებოდა, მზით განათებულ ზოლში, და ჭოჭმანს დაიწყებდა, კიბეზე რანაირად დაევშვაო. რაც არ მოიფიქრა, ყველაფერი სისულელედ მოეჩვენა, ერთბაშად მოითენთა და მძიმე ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. ჯერ დაბლა არ ჩასულიყო, რომ მამა წარმოუდგა თვალნათლივ - მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერი, ღრმად ჩამჯდარი თვალების ციმციმი, თვალებს შორის ნაოჭები, უცნაური ღიმილი, და ჩამომხმარი ტანი, რომელიც ჯონს მეტისმეტად მაღალი ეჩვენებოდა. დედა კი ვერასდიდებით ვერ გაიხსენა. მხოლოდ მისი რწევა მოიგონა სიარულის დროს, ორი შავი თვალი, რომლებიც ჯონს მიაჩერდებოდა ხოლმე, და ტანსაცმლის კარადის სუნი.

ბელა ვესტიბიულში იყო, ვეებერთელა ფარდებს გვერდზე სწევდა და სადარბაზოს კარს აღებდა.

- ბელა! - მიელაქუცა პატარა ჯონი.

- რა იყო, მასტერ ჯონ?

- ჩაი მუხის ქვეშ დავლიოთ, როცა ჩამოვლენ. ვიცი, რომ იმათაც ესიამოვნებათ.

- თუ შენ გესიამოვნება?

პატარა ჯონი ჩაფიქრდა.

- არა, იმათ ესიამოვნებათ ჩემი ხათრით.

ბელას გაეცინა.

- კარგი, ეზოში გავშლი, ჭკუით თუ იქნები და არაფერს დააშავებ, მანამ ჩამოვიდოდნენ.

პატარა ჯონი სულ ქვეითა საფეხურზე ჩამოჯდა და თავი დაუქნია.

ბელა მოუახლოვდა და შეათვალიერა.

- ადექი, - უთხრა მან.

პატარა ჯონი წამოდგა. ბელამ ზურგიდან შეათვალიერა. ბალახის ლაქა არ აჩნდა, მუხლებიც სუფთა ჰქონდა.

- ძალიან კარგი! - უთხრა ბელამ, - ღმერთო, როგორ გაირუჯე! აბა, ერთი მაკოცე.

და პატარა ჯონს თავზე აკოცეს.

- რომელი მურაბა გვექნება? - იკითხა მან, - დავიღალე ლოდინით.

- ხურტკმლისა და მარწყვის.

იფ! სწორედ მისი საყვარელი მურაბები!

ბელა გავიდა, ჯონი კი მთელი ერთი წუთით მშვიდად იჯდა. დიდ ვესტიბიულში სიწყნარე იყო, იატაკზე სვეტების ჩრდილი ირიბად ეცემოდა. პატარა ჯონი წამოდგა, ერთ-ერთ ჩრდილს გადაახტა და მონაცრისფრო მარმარილოს აუზის გარშემო შემორგულ ზამბახებს შემოუარა. ლამაზი ყვავილები იყო, მაგრამ სუნს ოდნავ უშვებდა. გაღებულ კართან მივიდა და გაიხედა. გავიხედოთ და... გავიხედოთ და, არ ჩამოვიდნენ! იმდენი ხანი ელოდა, რომ იგრძნო - ახლა ამას ვეღარ აიტანდა, და მისი ყურადღება ასეთი მწარე ვარაუდიდან მტვრის პაწაწინა ციხეებზე გადავიდა, რაც გარედან მზის მოცისფრო შუქს შემოჰქონდა სახლში. ჯონი ხელით შესწვდა, დაჭერა სცადა. ბელას ჰაერშიც უნდა გაეწმინდა

მტვერი! იქნებ მტვერი არც იყოს - იქნებ მზის სხივები ამ პატარა ნამცეცებისგან კეთდებოდეს, და გარეთ გადაიხედა, აბა, იქაც თუა ასეთი მზის სხივიო. არ აღმოჩნდა. ბელას კი აღუთქვა, ვესტიბიულში ვიქნები წყნარადო, მაგრამ მეტი აღარ შეეძლო. ხვინჭამოყრილი ბილიკი გადაჭრა და ბალახზე გაწვა. ექვსი ზიზილა მოგლიჯა და დიდი გულმოდგინებით შეარქვა ყველას თავისი სახელი - სერ ლამორაკი, სერ ტრისტანი, სერ ლანსელოტი, სერ პალიმედი, სერ ბორსი, სერ გავენი, და ერთმანეთში აბრძოლა წყვილ-წყვილად, მანამ მხოლოდ ლამორაკს, - რომელსაც ყველაზე მსხვილი ღერო შეახვედრა, - არ შერჩა მრთელი თავი, მაგრამ ისიც კი სამი შებრძოლების შემდეგ მოტეხილი და მომჩვარული აღმოჩნდა. ბალახზე ხოჭო მოცოცავდა, ის იყო, უნდა მოეკვნიტა ფურცელი. ყოველი ბალახის ღერო პატარა ხეს წარმოადგენდა, რომლის ირგვლივაც უნდა შემოევლო ხოლმე ხოჭოს. ჯონმა სერ ლამორაკი მოიმარჯვა, თავში ჩასჭიდა ხელი და ფეხებით ხოჭო შეანძრია. შეწუხებული ხოჭო დაფაცურდა. ჯონს გაეცინა, მერე ესეც მოსწყინდა და ამოიხვნეშა. გულში სიცარიელე იგრძნო. გადმობრუნდა და ზურგზე გაწვა. აყვავებული ცაცხვებიდან თაფლის სურნელი მოდიოდა, ცას სილურჯე ამშვენებდა, აქა-იქ მიმოფანტული თეთრი ღრუბლები შესახედავად, და ალბათ გემოთიც ლიმონის ნაყინს ჰგავდა. მოესმა, როგორ უკრავდა ბობი კონცერტინოზე: "ქვემოთ, ქვემოთ, სუვანის ნაპირებზე". ჯონს თან ეამა და თან სევდა შემოაწვა. ისევ გადაბრუნდა და ყური მიწას დაადო - ინდიელები ასე იგებენ ხოლმე შორეულ ფეხის ხმას - მაგრამ არაფერი ისმოდა, მარტო კონცერტინო უკრავდა. და ერთბაშად გუგუნი ჩაესმა, სუსტი პიპინი. კი! ავტომობილის ხმა

იყო... მოდიან... მოდიან! მაშინვე წამოხტა. პარმაღზე დაელოდოს თუ მაღლა ავარდეს და, როცა მოახლოვდებიან, იყვიროს: "გაიხედეთ!".. და ნელა დაცურდეს კიბეზე, თავი მაღლა ეჭიროს. ჰა? ასე ქნას? ავტომობილმა შემოუხვია. გვიანღაა! აქვე უნდა დაიცადოს. და აღგზნებული, ადგილზევე ხტუნვას მოჰყვა. ავტომობილმა ჩაიქროლა, ათუხთუხდა და გაჩერდა. ჯერ მამა გადმოვიდა - ნამდვილი, ცოცხალი მამა. იგი დაიხარა, ჯონი მაღლა შეხტა და ერთმანეთს დაეჯახნენ. მამამ ასე უთხრა: "ღმერთო, შენ მიშველე, როგორ გარუჯულხარ, ჩემო ძმობილო!".. ძველებურადვე, როგორც სულ მუდამ მიმართავდა ხოლმე. მოლოდინისა და გამოუცნობის სურვილი კვლავ შეუნელებლად დუღდა პატარა ჯონის გულში. მერე მორცხვად ასწია თავი და დედას მიაჩერდა. ლურჯი კაბა ეცვა, ქუდზე ლურჯი შარფი ჰქონდა წამოფარებული, იღიმოდა. თავის დღეში რომ არ შემხტარა, იმ სიმაღლეზე შეხტა ჯონი, ფეხები წელზე შემოხვია და მაგრად ჩაეკრა. იგრძნო, როგორ შეეკრა დედას სუნთქვა და თვითონაც მაგრად ჩაიხუტა ჯონი. თავისი მუქად ჩალურჯებული თვალებით დედას ჩასცქეროდა ძალიან მუქ თაფლისფერ თვალებში, მანამ დედის ტუჩები ბავშვის შუბლს არ მიეწება, და ახლა კიდევ უფრო მაგრად ჩაეკრა ჯონი. დედამ წამოიკვნესა და გაიცინა.

- რა ღონიერი ხარ, ჯონ!

ჯონი ჩამოცურდა, დედას ხელში ჩაეჭიდა და ვესტიბიულისკენ გაითრია.

მანამ ჩაის შეექცეოდა მუხის ძირში, ისეთი რამეები შენიშნა დედას, რაც წინათ არასოდეს შეენიშნა; ღაწვები, მაგალითად, კრემისფერი ჰქონდა, ოქროსფრად მოელვარე თმაში ვერცხლის

ძაფები დაჰკრავდა, ყელზე ბელასავით არ ჰქონია ბურთული გამოშვერილი, და ძალიან მსუბუქი მიხრა-მოხრა ჰქონდა. თვალის კუთხეებთანაც რაღაც ხაზები შენიშნა, ხოლო უპეები ეშხიანად ჩამუქებოდა. ძალიან ლამაზი იყო, "დეი" და მადმუაზელი ვერ შეედრებოდნენ, ვერც "მამიდა" ჯუნი, "მამიდა" ჰოლი ხომ ძალიან მოეწონა, იმაზეც უფრო ლამაზი იყო. ის კი არადა, ბელასაც კი სჯობდა, რომელსაც ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა. დედის ამ ახალი სილამაზის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა, და ჯონმა იმაზე ნაკლები ჭამა საუზმეზე, ვიდრე თავიდან ვარაუდობდა.

ჩაის რომ მორჩნენ, მამამ ბაღში გავლა მოინდომა მასთან ერთად. ჯონი დიდხანს ელაპარაკებოდა მამას ათას რამეზე, მაგრამ პირად ცხოვრებას გვერდი აუარა - არც სერ ლამორაკი უხსენებია, არც ავსტრიელები, და არც ის სულიერი სიცარიელე, რასაც ამ სამი დღის განმავლობაში განიცდიდა და ახლა კი ერთბაშად შეივსო. მამამ გლენსოფანტრიმზე ჩამოაგდო სიტყვა - იმ ადგილზე, სადაც ახლა დედა და ის იყვნენ, უამბო იმ პატარა კაცუნების ამბავი, რომლებიც მიწიდან ამოცოცდებიან ხოლმე, როცა სრული მყუდროება სუფევს. ჯონი შედგა და ფეხები გაშალა.

- მართლა გჯერა მაგისთანებისა, მამა?

- არა, ჯონ, მე მეგონა, შენ დაგაჯერებდი.

- რატომ?

- შენ ჯერ პატარა ხარ, ისინი კი ფერიები არიან.

პატარა ჯონმა ნიკაპი მოისრისა.

- მეც არ მჯერა ფერიებისა. ერთხელაც არ მინახავს.

- აჰა! - უთხრა მამამ.

- დედას სჯერა?

მამამ უცნაურად გაიღიმა, როგორც იცოდა ხოლმე.

- არა. დედა მარტო პანსა ხედავს.

- პანი რაღაა?

- თხის ფეხებგამობმული ღმერთია, ველურ და ლამაზ ადგილებში დახტის.

- გლენსოფანტრიმშიც იყო?

- იყოო, დედა ამბობს.

პატარა ჯონმა გზა განაგრძო.

- შენ არ გინახავს?

- არა. მე მარტო ვენერა ანადიომინელი ვნახე.

პატარა ჯონი ჩაფიქრდა. ვენერა მას, ბერძნებსა და ტროელებზე რომ წიგნი აქვს, იმაში უნახავს. მაშ, ანა სახელი ყოფილა, დიომინელი კი გვარი!

მაგრამ კიდევ რომ ჩაეკითხა მამას, გამოირკვა, რომ ეს ერთი სიტყვა ყოფილა, და წყლის ქაფიდან გამოსულს ნიშნავს.

- გლენსოფანტრიმში ამოდიოდა ხოლმე ქაფიდან?

- ჰო, მუდამდღე.

- შესახედავად როგორია, მამა?

- დედას ჩამოჰგავს.

- ოჰ, მაშ ლამაზი... - მაგრამ აღარ დაამთავრა, კედელს ეცა, ცოტათი აბობღდა და ხელადვე ჩამოცურდა. იგრძნო, რომ ეს აღმოჩენა - დედა რომ ლამაზი იყო - მარტო მას უნდა სცოდნოდა და სხვას არავის. მაგრამ მამამ იმდენ ხანს გააგრძელა სიგარის მოწევა, რომ ჯონი ბოლოს იძულებული გახდა, ეთხოვა.

- მინდა ვნახო, დედამ რა ჩამომიტანა. შეიძლება, მამა?

ასეთი სიხარბე იმიტომ მოიგონა, რომ შეეშინდა, გულჩვილობა არ დამწამონო; ცოტათი აილეწა, როცა მამამ გამომცდელი თვალებით შეხედა, მრავლისმეტყველად ამოიხვნეშა და უთხრა:

- წადი, ძმობილო, წადი, მოესიყვარულე.

ჯერ ფეხი აითრია, განგებ მძიმედ გაემართა, მერე კი ერთბაშად მოკურცხლა, რათა დაკარგული დრო მოეგო. დედის საწოლ ოთახში თავისი ოთახიდან შევიდა, კარი ღია დახვდა. დედა ჩაჩოქებულიყო და ჩემოდანს უტრიალებდა, ჯონი მივიდა და გვერდზე დაუდგა, ჩუმად, გაუნძრევლად.

დედა წელში გასწორდა და მიმართა:

- რაო, ჯონ?

- წავალ, ვნახავ-მეთქი, ვიფიქრე.

ერთხელ კიდევ ჩაეკრა დედას, მერე სავარძელზე აძვრა, ფანჯარასთან, ფეხი მოირთხა, და ყურება დაუწყო - როგორ ალაგებდა დედა ნივთებს ჩემოდნიდან. თავის დღეში რომ არ განეცადა, ისეთი სიამოვნება მიანიჭა ამან - ჯერ ერთი, ისეთი ნივთების ამოლაგებამ, რაც შორიდანვე კარგი ჩანდა, და, მეორეც დედის ყურებამ. სულ სხვანაირი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ბელასგან განსხვავებული. ასეთი კოხტა და ლამაზი ჯერაც არავინ ენახა ჯონს. როგორც იქნა, მორჩა დედა ჩემოდნის ამოლაგებას და ახლა ჯონის სავარძელთან დაეშვა მუხლებზე.

- მოგენატრეთ, ჯონ?

პატარა ჯონმა თავი დააქნია, და რაკი ერთხელ გაამჟღავნა გულში ნადები, თავის კანტური განაგრძო.

- ჰო, მაგრამ, აკი "მამიდა" ჯუნი შენთან იყო?

- ოჰ! იმას თავისი ვიღაც ჰყავდა, სულ ახველებდა.

დედას ხელადვე შეეცვალა სახე, თითქოს გაგულისება დაეტ-ყო. და ჯონმა სასწრაფოდ დასძინა:

- საწყალი კაცი იყო, დე. საშინლად ახველებდა... მეც... მეც კი შემიყვარდა.

დედამ ბეჭებზე მოხვია ხელი.

- შენ ხომ ყველა გიყვარს, ჯონ!

პატარა ჯონი ჩაფიქრდა.

- ისე, რა, - მიუგო მან, - "მამიდა" ჯუნმა ერთ კვირადღეს ეკ-ლესიაში წამიყვანა.

- ეკლესიაში? ოჰ!

- აბა, როგორ იმოქმედებსო.

- მერე?

- ცუდად შევიქენი, და მაშინვე შინ გამომაქანა. მაგრამ ავად აღარ გავმხდარვარ. ლოგინში ჩამაწვინეს და ცხელი, წყალგა-რეული კონიაკი დამალევინეს, მერე "ბიჩვუდელი ბიჭები" წავი-კითხე. დიდებულია.

დედამ ტუჩები მოიკვნიტა.

- ეგ როდის მოხდა?

- ოჰ!.. ასე... რამდენი ხანია... კიდევ წამიყვანე-მეთქი, მაგრამ აღარ წამიყვანა. შენ და მამა სულ არ დადიხართ ეკლესიაში, ხომ?

- არა, არ დავდივართ.

- რატომ?

დედას გაეცინა.

- პატარები რომ ვიყავით, ჩვენც დავდიოდით, გენაცვალე. მა-შინ, ალბათ, ძალიან პატარები ვიყავით.

- ვიცი, - თქვა პატარა ჯონმა, - საშიშია.

- გაიზრდები და შენ თვითონ მიხვდები ყველაფერს.

პატარა ჯონი ჩაფიქრდა და უპასუხა:

- მე არ მინდა, ძალიან დიდი გავიზარდო. არც სკოლაში წასვლა მინდა, - უცებ სურვილმა მოუარა, უფრო მეტი ეთქვა, ის ეთქვა, რასაც ნამდვილად გრძნობდა, და ერთბაშად წამოჭარხლდა.

- მე... მე მინდა, სულ შენთან დავრჩე, შენი შეყვარებული ვიყო, დე.

მერე, უნებურად, მდგომარეობის გამოსწორება მოუნდა და სწრაფად დასძინა:

- ამაღამ სულაც არ დავიძინებ. მომბეზრდა ყოველღამე ძილი.

- ცუდი სიზმრები ხომ არ გქონია?

- ერთხელ მხოლოდ. შენს ოთახში რომ კარი გამოდის, შეიძლება ამაღამ ღია დავტოვო?

- დატოვე, ცოტათი.

პატარა ჯონმა კმაყოფილებით ამოისუნთქა.

- გლენსოფანტრიმში რა ნახეთ?

- იქ სულ სილამაზეა.

- რა არის მაინც ეგ სილამაზე?

- სილამაზე რა არის?.. ო, ჯონ, ეგ ძნელი სათქმელია.

- მე თუ შემიძლია, მაგალითად, დავინახო?

დედა წამოდგა და გვერდზე მოუჯდა.

- შენ ყოველდღიურად ხედავ მას, ჯონ. ცა, მაგალითად, ლამაზია, ვარსკვლავებიც, მთვარიანი ღამეები, ჩიტები, ყვავილები, ხეები... ყველაფერი ლამაზია. აბა, ფანჯარაში გაიხედე - აჰა, სილამაზე, ჯონ.

- ჰო, ეს გადასახედი. სულ ეს არის?

- სულ? რატომ. ზღვაც ძალიან ლამაზია, ტალღებიც, ქაფს რომ მოიგდებს.

- ყოველდღე იმ ქაფიდან გამოდიოდი, დე?

დედას გაეღიმა.

- ჩვენ ვბანაობდით.

პატარა ჯონი უცებ გადაიწია და კისერზე ხელები მოხვია.

- მე ვიცი, - თქვა მან მრავლისმეტყველად, - ნამდვილი ლამაზი შენა ხარ, დანარჩენი - ისე.

დედამ ამოიოხრა, გაიცინა და უთხრა:

- ო, ჯონ!

პატარა ჯონმა კრიტიკულად თქვა:

- შენ როგორ გგონია, ბელა ლამაზია, მაგალითად? მე არა მგონია.

- ბელა ახალგაზრდაა. ეგეც ბევრ რამეს ნიშნავს.

- შენ უფრო ახალგაზრდა ჩანხარ, დე. ხელი რომ ატაკო ბელას, გეტკინება. არც "დეი" ყოფილა ლამაზი, ახლა რომ ვუფიქრდები. მადმუაზელი ხომ გონჯია და მეტი არაფერი.

- მშვენიერი სახე აქვს მადმუაზელს.

- ო, სახეს არა უშავს. მე ეს შენი პატარა სხივები მომწონს, სახეზე რომ გაქვს, დე.

- სხივები?

პატარა ჯონმა ნაოჭებზე გადაუსვა ხელი, თვალის უპეებთან.

- აჰ, ესენი? ეს ხომ სიბერის ნიშანია!

- როცა გაიცინებ, მაშინ გაგიჩნდება ხოლმე.

- ადრე ხომ არ მქონია!

- ო, მე მაინც მომწონს... გიყვარვარ, დე?

- აბა რა, გენაცვალე... როგორ არ მიყვარხარ!

- ძალიან?

- ძალიან.

- მე რომ მგონია, იმაზე უფრო?

- გაცილებით... გაცილებით უფრო ძალიან.

- მეც. მაშ ქვით ვყოფილვართ.

უცებ თავში გაჰკრა, ასე გულახდილად ჩემს დღეში არ მილაპარაკიაო, და მაშინვე სერ ლამორაკის, დიკ ნიდჰემის, ჰეკ ფინისა და სხვა გმირების ვაჟკაცური შემართება მოაგონდა.

- გინდა, რაღაც გაჩვენო? - თქვა მან. დედას დაუსხლტა, დაბლა ჩაცურდა და ყირა გააკეთა. მერე, დედის შექებით წაქეზებული, საწოლზე აძვრა და, ხელი არაფრისთვის უხლია ისე, ლოგინზე რამდენჯერმე გადაკოტრიალდა.

იმ საღამოს ჯონმა ჯერ ყველაფერი გასინჯა, რაც ჩამოუტანეს, და მერე, სადილად, დედ-მამის შუაში ჩაჯდა, პატარა მრგვალ მაგიდასთან. მარტო როცა იყვნენ, ამ მაგიდაზე სადილობდნენ ხოლმე. ჯონი მეტისმეტად აღგზნებული იყო. დედას მონაცრისფრო-მომწვანო კაბა ეცვა, რომელსაც ვარდივით დაკუჭუჭებული ლიმონისფერი მაქმანის საყელო ჰქონდა მოკერებული, კისერი საყელოზე უფრო მუქი ჩანდა. დიდხანს მისჩერებოდა დედას, ვიდრე, ბოლოს მამის უცნაურმა ღიმილმა ყურადღება ერთბაშად ანანასის ნაჭერზე არ გადაატანინა. დასაძინებლად გვიან გავიდა, ასე გვიან არასოდეს დაუძინია. დედაც თან გაჰყვა, და ჯონმა ზანტად დაიწყო ტანსაცმლის გახდა, რათა დედა დიდხანს გაეჩერებინა. ბოლოს, როცა პიჟამას ამარა დარჩა, დედას მიმართა:

- მანამ ლოცვას გავათავებ, ნუ წახვალ, რა!

- არ წავალ.

დაიჩოქა, სახე ლოგინში ჩარგო და სხაპასხუპით მიაყარა ლოცვა. სუნთქვა ეკვროდა, ცალი თვალით მალ-მალე გამოიხედავდა ხოლმე და დედას გადახედავდა, იქვე გაუნძრევლად მდგომსა და მოღიმარს. "მამაო ჩვენო, - ასეთი იყო მისი ბოლო ლოცვა, - რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ დედა შენი, და სასუფეველი შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, მომეც ჩუენ დღით-დღედ დედა ჩუენი არსობისა, და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რამეთუ ჩუენცა მივუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისგან, ამინ! ფრთხილად!" მერე წამოხტა და დედას ჩაეხუტა, მთელი ერთი წუთი არც მოშორებია. ლოგინში რომ ჩაწვა, მერეც არ გაუშვია დედისთვის ხელი.

- კარს ამაზე მეტად ნუღარ მიხურავ, კარგი? მალე მოხვალ, დე?

- დაბლა ჩავალ, უნდა დავუკრა და მამას მოვასმენინო.

- რა კარგია! მეც მოვისმენ.

- არა, შენ უნდა დაიძინო.

- ძილს მერეც მოვესწრები, სხვა საღამოს.

- რაღა სხვა საღამოს, ეგეც ხომ ისეთივე საღამოა!

- ოჰ! არა... ეს სულ სხვა საღამოა, განსაკუთრებული საღამო.

- განსაკუთრებულ საღამოს უფრო კარგად სძინავთ ხოლმე.

- ჰო, მაგრამ, ძილში ხომ ვეღარ გავიგებ, დე, შენს ამოსვლას.

- როცა ამოვალ, გაკოცებ - გაღვიძებული თუ იქნები, გაიგებ, არადა, მაინც გეცოდინება, რომ მოვედი და გაკოცე.

პატარა ჯონმა ამოიხვნეშა.

- კარგი, - თქვა მან, - რა გაეწყობა, მოვითმენ. დე.

- რა იყო, შვილო?

- იმ ქალს რა ჰქვიაო, მამას რომ სწამს? ვენერა ანა დიომედეესელი?

- ოჰ, ჩემო ანგელოზო! ანადიომინელი!

- ჰო! შენთვის მე უფრო კარგი სახელი მაქვს.

- რა სახელი, ჯონ?

პატარა ჯონმა დარცხვენით უპასუხა:

- გუინივირი! ეს ართურის მრგვალი მაგიდიდან. ამ წუთში მოვიგონე. ოღონდ იმას თმა ჩამოშლილი ჰქონდა.

დედა სადღაც შორს იყურებოდა, თითქოს თვალი გაუშტერდა.

- აქ მოსვლა ხომ არ დაგავიწყდება, დე?

- თუ დაიძინებ, არა.

- სიტყვა სიტყვა იყოს.

და პატარა ჯონმა თვალები მოწკურა.

დედის ტუჩები იგრძნო შუბლზე, მერე მისი ფეხის ხმა გაიგონა, თვალი გაახილა, რათა ენახა, როგორ მისრიალებდა დედა კარში, ამოიხვნეშა და ისევ მოწკურა თვალები.

და ახლა გაჭიანურდა დრო.

პირველ ათ წუთს ძალიან გულმოდგინედ ცდილობდა დაძინებას, კვლებში დარგული ნარშავების თვლას მოჰყვა, ეს "დეის" ძველისძველი რეცეპტი იყო ძილის მოსაგვრელად. თითქოს მთე-

ლი საათები ითვალა. "ახლა ალბათ უნდა მოვიდეს", - გაიფიქრა მან. საბანი გადაიძრო.

- მცხელა! - თქვა და უცნაურად გაისმა ეს სიბნელეში, თითქოს სხვისი ხმა ყოფილიყოს.

რატომ არ მოვიდა? წამოჯდა. აბა, ერთი გადაიხედოს! ლოგინიდან გამოძვრა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა ცოტათი გადასწია. სინათლე იდგა, მაგრამ ვერ მიხვდა - გათენდა თუ მთვარისგან იყო, რომელიც უშველებელი გამხდარიყო. უცნაური, ბოროტი სახე ჰქონდა, თითქოს დასცინოდა, და აღარ შეხედა, არ ესიამოვნა. მერე დედის ნათქვამი გაახსენდა, მთვარიანი ღამე ლამაზიაო, და ისევ გახედა სივრცეს. ხეები მსხვილ ჩრდილებსა ჰფენდა, გაზონები დაღვრილ რძეს ჰგავდა, და თვალი შორს, შორ ადგილებს სწვდებოდა. ოჰ, ძალიან შორს!.. ცის დასალიერს უწევდა, და სულ სხვაგვარი ჩანდა ყველაფერი, თითქოს ცურავსო. ღია ფანჯრიდან სასიამოვნო სურნელი შემოდიოდა.

"ნეტავ, ნოეს მტრედი მომცა!" - გაიფიქრა მან.

მთვარე მრგვალი, გაბადრული

და სინათლე ირგვლივ სრული.

უცებ მოუვიდა თავში ეს სტრიქონები, მერე კი ერთბაშად მუსიკა მოესმა, ძალიან ნაზი და საამური! დედა უკრავდა! გაახსენდა, რომ ნუშის ნამცხვარი ჰქონდა უჯრაში, გამოიღო და ისევ ფანჯარასთან მივიდა. გადააწვა, ხან ნამცხვარს ღეჭავდა, ხან გაჩერდებოდა, რათა უფრო კარგად მოესმინა მუსიკა. "დეიმ" იცოდა ხოლმე თქმა, ცაში ანგელოზები ჩანგზე უკრავენო. მაგრამ დედის დაკვრას მაინც ვერ შეედრება ამ მთვარიან ღამეში, როცა ჯონს პირიც ნუშის ნამცხვრით აქვს გამოტენილი. ჰაერში ღრა-

ჭამ გაიბზუილა, სახეზე ფარვანა ეცა, მუსიკა შეწყდა, და პატარა ჯონმა ისევ უკან გადაიწია. ალბათ ახლა ამოვა! არ უნდოდა, გაღვიძებულისთვის მოესწრო დედას. ისევ ლოგინში შეძვრა და თავზე საბანი წაიფარა, მარტო თვალები მოუჩანდა. ფარდა ცოტაზე გადაწეული დარჩენილიყო და ოთახში მთვარის სინათლე შემოდიოდა, ზედ საწოლის ფეხთან ეცემოდა. მერე ნელ-ნელა დაიძრა ეს სხივი და მისკენ წავიდა, თითქოს ცოცხალიაო. ისევ გაისმა მუსიკა, მაგრამ ჯონს ძლივსღა ესმოდა. ძილმორეული მუსიკა... მშვენიერი... ძილმორეული... მუსიკა... ძილმორეული... ძილ...

დრო მიცურავდა, მუსიკა ხან გაძლიერდებოდა, ხან მინელდებოდა და სულაც შეწყდებოდა. მთვარის სხივი ახლა სახეზე ააცოცდა. პატარა ჯონი ძილში წრიალებდა, მერე ზურგზე მოეწყო, გარუჯული ხელით კვლავ ჩაბღუჯული ჰქონდა საბანი. თვალის უპეები აუთამაშდა, სიზმარს ხედავდა. თითქოს რძეს სვამს ჯამით და ეს ჯამი მთვარეა, პირდაპირ კი შავი კატა ჩაცუცქულა და უცნაურად უცინის, ჯონის მამას მიუგავს ღიმილი. მერე ჩურჩული ჩაესმა: "ამდენს ნუ სვამ!" ეს რძე ხომ კატის არჩივი იყო, და ჯონმა ხელი გაიშვირა მოსაფერებლად. მაგრამ კატა აღარ დახვდა. ჯამი ახლა საწოლად იქცა, თვითონ შიგ წევს და ვეღარ გამოსულა, წვალობს, მაგრამ ძგიდეს ვერ მოავლო ხელი... ვერასდიდებით ვერ მიაგნო... ვეღარ... ვეღარ ამოძვრა! საშინელებაა!

ძილში წამოისლუკუნა. საწოლი დატრიალდა. ხან სხეულში აქვს ეს საწოლი, ხან გარეთ გამოვარდება. ტრიალებს და ტრიალებს. აგიზგიზებული ცეცხლია, ბებრუხანა ლი დამდგარა და ტრიალებს ("ზღვიდან გამორიყულებში" რომ ბებრუხანა ლია!). უი, რა საშინელი სანახავია! სულ უფრო და უფრო სწრაფად

დატრიალდა!.. მანამ თვით ჯონი, საწოლი, ბებრუხანა ლი, მთვარე და ის შავი კატაც ერთ ბორბალში არ მოექცა.. და ტრიალებენ და ტრიალებენ, სულ აღმა და დაღმა მიდიან... ვაიმე... ვაი... ვაი!

ჯონმა იკივლა.

და ბორბლიდან ხმა გამოვიდა: "გენაცვალე, გენაცვალე!"

გაეღვიძა, ლოგინზე იდგა, თვალები ფართოდ დაეჭყიტა.

დედაც იქვე იდგა, საწოლთან, თმა გუინივირივით ჩამოშლოდა, ჯონი მივარდა და სახე ამ თმაში ჩამალა:

- ვაიმე! ვაი!

- ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო. ხომ ხედავ, გაგეღვიძა. დამშვიდდი! დამშვიდდი! ნუ გეშინია!

მაგრამ პატარა ჯონი მაინც გაიძახოდა:

"ვაიმე! ვაი!"

დედის ხმა ხავერდივით ხვდებოდა ყურზე:

- მთვარის ბრალია, ჩემო საყვარელო, სახეზე გეცემოდა.

- აკი ლამაზიაო! ვაიმე!

- ძილში კი არ არის ლამაზი, ჯონ. მაინც როგორ შემოვიდა! შენ გადასწიე ფარდა, ჯონ?

- რა დროა-მეთქი, მინდოდა გამეგო... გა... გავიხედე... შენი დაკვრა გავიგონე, დე. მერე... ჩემი ნუშის ნამცხვარიც ვჭამე.

თანდათანობით დამშვიდდა. და უნებურად სურვილი აღეძრა, შიშის მიზეზი ეთქვა.

- ბებრუხანა ლი დამიტრიალდა გულში და ცეცხლი წამიკიდა, - წაიბუტბუტა მან.

- აბა, რა გეგონა, ჯონ, დაწოლის მერე რომ ნამცხვრები ჭამე!

- მარტო ერთი ცალი შევჭამე... და მუსიკაც უფრო ტკბილი გამოჩნდა. შენ გელოდებოდი... მეგონა, ხვალ დილა გათენდა-მეთქი...

- ჯერ თერთმეტი საათია, ჩემო ჭუკო.

პატარა ჯონი დადუმდა, ცხვირი დედას მოუსვა კისერზე.

- მამა შენს ოთახშია, დე?

- არა, დღეს არა.

- შეიძლება მე მოვიდე?

- მოდი, თუ გინდა, ჩემო ძვირფასო.

თითქმის გონს მოსულმა ჯონმა უკან დაიწია.

- სულ სხვანაირი ხარ, დე, უფრო ახალგაზრდა.

- თმა რომ ჩამოვიშალე, იმიტომ გეჩვენება ასე, გენაცვალე.

პატარა ჯონმა თმაზე მოჰკიდა ხელი. სქელი, ოქროსფერი თმა იყო, აქა-იქ ვერცხლის ზოლები დაჰკრავდა.

- ძალიან მომწონს, - თქვა მან, - ასე ყველაზე უფრო მომწონ-ხარ.

ხელში მოჰკიდა დედას ხელი და კარისკენ წაიყვანა. როცა გავიდნენ, კარი მიკეტა და შვებით ამოისუნთქა.

- შენ საით დაწვები, დე?

- მარცხნივ...

- ძალიან კარგი.

დრო აღარ დაუკარგავს, იმისი შიშით, დედამ არ გადაიფიქროსო, პატარა ჯონი ლოგინში შეძვრა, მის ლოგინზე გაცილებით უფრო მსუბუქი აღმოჩნდა. კიდევ ამოიხვნეშა, თავი ბალიშში ჩარგო და საომარი ეტლებისა და ხმალ-შუბების ტრიალს დაუწყო ყურება - ბრძოლა ყოველთვის საბანზე იმართებოდა, ქსოვილი-

დან ამოწვერილ პატარა ბუსუსებზე, რასაც სინათლის შუქი გამოაჩენდა ხოლმე.

- არაფერიც არ ყოფილა, ხომ? - თქვა მან.

დედა სარკეს არ მოშორებია, ისე უპასუხა:

- სულ მთვარის ბრალია, და შენი აღგზნებული გონებისა. ასე კი არ უნდა იღელვო, ჯონ.

პატარა ჯონმა, რომელსაც ჯერაც ვერ დაემორჩილებინა ნერვები, წაიტრაბახა:

- სულაც არ შემშინებია. მართლა გეუბნები! რატომ უნდა შემშინებოდა! - და ისევ საომარ ეტლებსა და ხმლებს გაუშტერა თვალი. თითქოს დიდი ხანი გავიდა.

- ო, დე! ჩქარა, რა!

- თმა ხომ უნდა დავიწნა, გენაცვალე!

- ო, ამაღამ არ გინდა! ხვალ ხომ ისევ უნდა ჩამოიშალო. მეძინება. თუ არ მოხვედი, დიდხანს არ დამეძინება.

სარკესთან მდგარი დედა ქათქათა თეთრი და გაფურჩქნილი ჩანდა: ჯონი მას სამი მხრიდან უყურებდა. ყელი მოღერებული ჰქონდა, თმა სინათლის შუქზე უბრწყინავდა, ჩამუქებული თვალები უციმციმებდა. რაღა დროს სარკესთან ტრიალია! და ჯონმა ისევ შეახსენა:

- გელოდები, დე, მოდი.

- ახლავე, გენაცვალე, მოვდივარ.

პატარა ჯონმა თვალი დახუჭა. ყველაფერი კარგად მიდის, ოღონდ ჩქარა მოვიდეს! მერე საწოლის შერხევა იგრძნო, დედა წვებოდა. ჯონს თვალი არც გაუხელია, ისე თქვა, ძილმორეულმა:

- რა კარგია! არა, დე?

ჩაესმა, როგორ უპასუხა დედამ რაღაც, ცხვირზე იგრძნო დედის ტუჩები, მაგრად მიეხუტა მას, ვინც ახლა გვერდით ეწვა და ვისაც ჯონი ყველაფერს ერჩივნა ქვეყანაზე, მერე უშფოთველ ძილში ჩაიძირა, რაც მას წარსულს აშორებდა.

ჯონ გოლზუორთი

ფორსაიტების საგა

წიგნი 3

მთარგმნელი:
დავით აკრიანი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

სომსი ბერდებოდა...

საბედისწერო წიაღიდან ამ ორი მტრისა
სათავეს იღებს ბედდავსილი მიჯნურთა წყვილი.
შექსპირი, "რომეო და ჯულიეტა"

1920 წლის 12 მაისს სომს ფორსაიტი გამოვიდა "ნაითსბრიჯოტელიდან" იმ განზრახვით, რომ ენახა სურათების კოლექცია გალერეაში კორკსტრიტზე და მომავალში ჩაეხედა. ფეხით გაუყვა ქუჩას. ომის შემდეგ არასოდეს იჭერდა ტაქსის, თუ ამის აუცილებლობა არ ჰქონდა. მისი აზრით, ტაქსის მძღოლები გაუთლელები იყვნენ, თუმცა ახლა, როდესაც ომი დამთავრდა და მომსახურებაზე მოთხოვნაც იზრდებოდა, მძღოლებიც, ადამიანის ბუნებისამებრ, უფრო და უფრო კულტურულად იქცეოდნენ. მიუხედავად ამისა, სომსს ჯერჯერობით მაინც ვერ ეპატიებინა მათთვის, რაკი სიღრმისეულად აიგივებდა ბნელ მოგონებებთან და - როგორც მძღოლთა კლასის ყველა სხვა წარმომადგენელს - თვით რევოლუციასთან. ომის პერიოდში გადატანილ დიდ მღელვარებას და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ღელვას, ომს მოყოლებულ მშვიდობაში რომ იწვნია, ფსიქოლოგიური

ძვრებიც მოჰყვა მის ძლიერ ხასიათში. იმდენჯერ ჰქონდა განცდილი მენტალური ნგრევა, რომ უკვე აღარც კი სჯეროდა მისი განხორციელება მატერიალურად. ყოველწლიურად ოთხი ათასის გადახდა შემოსავლიდან და მეტისმეტად დიდი დაბეგვრა: ამაზე უარესი რა იქნებოდა! თუმცა, ერთი მხრივ, მხოლოდ მეუღლისა და ერთი ქალიშვილის პატრონობა, მეორე მხრივ კი - სრულიად სხვადასხვაგვარად ინვესტირებული მეოთხედი მილიონი გირვანქა მკვიდრ გარანტიას იძლეოდა თვით ასეთი "ველური" დაბეგვრის პირობებშიც კი. რაც შეეხება ომის ნაალაფრის კონფისკაციას, სომსი სავსებით ემხრობოდა ამ პროცესს, რადგან თვითონ მსგავსი არაფერი გააჩნდა და "ღატაკთა უფლებას იცავდა"! გარდა ამისა, სურათების ფასიც სხვა ყველაფერზე არანაკლებად ავარდა, სომსს კი ისე არასოდეს უზრუნია თავის კოლექციაზე, როგორც ომის დაწყების შემდეგ. საჰაერო თავდასხმებმაც სასიკეთოდ იმოქმედა დაბადებიდანვე ფრთხილ სულზე და კიდევ უფრო გამოუწრთო უამისოდაც შეუპოვარი ხასიათი. მთლიანად გაბნევა-გაფანტვის შიში ნაკლებად მოშიშს ხდიდა უფრო ნაწილობრივი გაფანტვებისადმი, რასაც იწვევდა დაბეგვრები და გადასახადების აკრეფა, ხოლო გერმანელთა უტიფრობის გაკიცხვის ჩვევამ ბუნებრივად მიიყვანა თვით ლეიბორისტული პარტიის კიცხვამდე, - თუ აშკარად არა, სულის სიღრმეში მაინც.

მიაბიჯებდა. არსად ეჩქარებოდა. ფლერს გალერეაში ოთხ საათზე უნდა შეხვედროდა, ახლა კი ჯერ სამის ნახევარი იყო. სიარული სასიკეთოდ ზემოქმედებდა სომსზე, რომელსაც, ცოტა არ იყოს, ღვიძლი შემკვრივებოდა, ნერვები კი დაწყვეტამდე მის-

ვლოდა. ქალაქში ყოფნისას, მისი მეუღლე ყოველთვის გარეთ იყო, ქალიშვილი კი, როგორც ომის შემდგომი პერიოდის გოგონათა დიდი უმრავლესობა, ყველგან დატანტალებდა და ლაქლაქებდა. და მაინც: მამა მადლობელი უნდა ყოფილიყო, რომ გოგონა მეტისმეტად ახალგაზრდა ჰყავდა საიმისოდ, რომ საკუთრივ ომში დაესაქმებინათ. არა, რასაკვირველია, სომსი დაწყების წამიდანვე ერთიანად უკუაგდებდა ომს. მაგრამ ამ სიძულვილთან ერთად, მის არსებაში მოისინჯებოდა ნაპრალი რაღაც ძველმოდურისა. სძულდა და ეზიზღებოდა ემოციური თავშეუკავებლობა. მაგალითად, დიდად უსაყვედურა ანეტს, ასეთ მიმზიდველს და, 1914 წლისთვის, სულ ოცდათოთხმეტი წლისას, მისი განზრახვისთვის - წასულიყო მშობლიურ საფრანგეთში, მის "ძვირფას სამშობლოში", სადაც, ომისგან სტიმულმიცემული (როგორც თვითონვე უწოდებდა თავის თავს), ის, რაღა თქმა უნდა, "ქვეითი ჯარის მამაც მებრძოლებს" მოუვლიდა. არადა, ჯანმრთელობას და სილამაზეს გაინადგურებდა! თითქოს, მართლაცდა, ექთანად იყო შობილი! სომსმა ამ განზრახვას პირი ამოუქოლა. დაე, ანეტი შინ იჯდეს და კეროს ან ქსოვოს თავისიანებისთვის! ჰოდა, ამიტომაც შინიდან ფეხი არ გაუდგამს და, მას შემდეგ, არასოდეს ყოფილა ზუსტად იგივე ქალი. მისი მავნე ტენდენცია - სომსის გატრიზავება არა ღიად, მაგრამ უჩუმრად და გადაკვრით, უფრო და უფრო გაიზარდა. რაც შეეხება ფლერს, მისთვის ომმა გადაჭრა მტკივნეული პრობლემა - უნდა წასულიყო თუ არა სკოლაში. თავს უკეთესად გრძნობდა, როცა შორს იყო დედამისის საომარი განწყობისგან, საჰაერო თავდასხმის შესაძლებლობისა და ექსტრავაგანტური მოქმედებების ჩა-

დენის იმპულსისგან. ამიტომაც სომსმა თავისი გოგონა სემინარიას გადაულოცა იმდენად შორეულ დასავლეთში, რამდენადაც ღირსება-სათნოებასთან შეხამებულად ეჩვენა. მას შემდეგ საშინლად ენატრებოდა. ფლერი! სომსს არასოდეს უნანია, მოულოდნელად რომ დაარქვა ახალშობილ გოგონას ეს რამდენადმე უცხოქვეყნიური, ასე აშკარად ფრანგული ჟღერადობის სახელი. ფლერი! მშვენიერი სახელი, მშვენიერი ბავშვი! თუმცა მოუსვენარი, მეტისმეტად მოუსვენარი და - ჯიუტი! და იმის მცოდნეც, რა ძლიერი გავლენა ჰქონდა მამაზე! სომსი ხშირად უბრუნდებოდა თავის შეცდომას - უპირობო თაყვანისცემას ფლერისადმი. დაბერება და ბავშვობაში ჩავარდნა! სამოცდახუთი წელი! სომსი ბერდებოდა, თუმცა ვერ გრძნობდა ამას, რადგან - იქნებ საბედნიეროდაც - თუ გაითვალისწინებდა ანეტის სინორჩესა და სილამაზეს, მაშინ მეორე ქორწინება ჩინებული გამოდგა. ცხოვრებაში ერთადერთი ნამდვილი ლტოლვა ჰქონია: ლტოლვა პირველი ცოლის, აირენისადმი. ის კი, სომსის ბიძაშვილი ჯოლიონი, აირენი რომ წაიყვანა და წავიდა, როგორც ამბობდნენ, სადღეისოდ ფრიად მოფამფალებულიყო. რა გასაკვირია სამოცდათორმეტი წლის კაცისთვის, მთელი ოცი წელი რომ გაატარა მესამე ქორწინებაში!

სომსი ერთი წუთით შეყოვნდა და მდინარე როუს მოაჯირს დაეყრდნო. შესაფერისი ადგილი იყო მოგონებებისთვის, რადგანაც ახლა ნახევარგზაზე იმყოფებოდა პარკ ლეინში მდგარ, მისი დაბადებისა და მისი მშობლების სიკვდილის შემსწრე სახლსა და მონტპელიესკვერში აგებულ პატარა სახლს შორის, რომელშიც ოცდათხუთმეტი წლის წინ თავისი პირველი ქორწინების სიხა-

რული იგემა. ახლა, მეორე ქორწინებიდან ოცი წლის შემდეგ, ძველი ტრაგედია ეჩვენებოდა წინა ცხოვრებად, რომელიც მაშინ დამთავრდა, როცა ნანინანატრი ვაჟის ნაცვლად დაიბადა ფლერი და სომსს ყველა მოთხოვნა დაუკმაყოფილა. ყოველივეს შემდეგ, გოგონა მამის გვარს ატარებდა, მამა კი სულაც არ ელოდებოდა დროს, როცა ფლერი ამ გვარს შეცვლიდა. მართლაც: თუ სომსს ოდესმე გაუფიქრია ასეთ უბედურებაზე, ეს უკანასკნელი, ნაწილობრივ, იმ ბუნდოვანი გრძნობით შენელებულა, რომ შეეძლო საკმაოდ გაემდიდრებინა თავისი ქალიშვილი, რის შედეგადაც ფლერი მომავალი ქმრის გვარს იყიდდა და გააუქმებდა. რატომაც არა, თუ ახლა ქალები კაცების თანასწორნი არიან? და სომსიც ძალუმად გადაისვამდა ხოლმე სახეზე მოხრილ ხელს, რომელიც საბოლოო ნუგეშს ნიკაპთან პოულობდა. ზომიერი ჩვევების წყალობით სომსი არც გასუქებულიყო და არც სიტყვაუხვობას დასჩვეოდა. თხელი, ფერმკრთალი ცხვირი ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილი ნაცრისფერი ულვაში, დაუქვეითებელი მხედველობა. მცირეოდენი დაფერდება კეტავდა და კორექციას უკეთებდა იმ გაფართოებას, რუხი თმის უკუქცევისგან გამოთავისუფლებული შუბლი რომ აძლევდა მის სახეს. დროს ბევრი ვერაფერი შეეცვალა ახალგაზრდა ფორსაიტებისგან ამ "უთბილესში", როგორც სჩვეოდა თქმა თავის ასმეერთე წელში მყოფ ტიმოთის - უკანასკნელს ძველი თაობის ფორსაიტებისგან.

ელეგანტურ შლაპაზე სომსს ჭადრების ჩრდილი დაეცა. ცილინდრს უკვე აღარ ატარებდა: აზრი არ ჰქონდა სიმდიდრის ხაზგასმას ამ დროში. ჭადრები! აზრები მადრიდისკენ გაექცა, ომის დაწყების წინმსწრები აღდგომისკენ, როცა უშუალოდ ად-

გილზე გაემგზავრა გადაწყვეტილების მისაღებად გოიას იმ სურათთან დაკავშირებით. ამ ახალგაზრდამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სომსზე: აი, დონე, აი, ნამდვილი გენიოსი! მაღალ საფასურს ადებდნენ, მაგრამ სომსი კიდევაც უფრო მეტს მისცემდა. მომდევნო გოიასთვის ვნების ნიშნული კიდევ უფრო მაღლა აიწეოდა. ჰო, რა თქმა უნდა! და სომსმა იყიდა. ამ ვიზიტის დროს (მანამდე ეს არასოდეს მომხდარა) მას უკვე შეკვეთილი ჰქონდა ასლი ფრესკული ნახატისა "რთველი", რომელზეც გამოსახული იყო დოინჯშემოყრილი გოგონა. ის სომსს თავის გოგონას ახსენებდა, ამჟამად ეს ნახატი - უკვე მისი საკუთრება - მეიპლდურჰამის გალერეაში ჰქონდა. საკმაოდ მწირული ასლი იყო, გოიას კოპირება ხომ შეუძლებელია. მაინც უყურებდა ხოლმე, როცა გოგონა სხვაგან იყო, უყურებდა რაღაც ისეთის გამო, რაც წინაღუდგომლად ახსენებდა რაღაცას სინათლეში: გოგონას ფიგურის ვერტიკალური წონასწორობის, მორკალულ წარბებს შორის მანძილის, მრუმე თვალებში ჩამდგარი მწველი ოცნების გამო. ნეტავ როგორი იქნებოდა ფლერი შავი თვალებით, როცა, რეალურად, ნაცრისფერი ჰქონდა? ახლა დედამისის ლურჯი თვალები აიღეთ! თუმცა, რაღა თქმა უნდა, ბებიამისი ლამოტი გიშერივით შავ თვალებს ახამხამებდა!

სომსმა გზა განაგრძო ჰაიდპარკის კუთხისკენ. მთელ ინგლისში არსად მომხდარა იმხელა ცვლილება, რამდენიც როუში! თითქმის ამ მდინარის სიახლოვეს დაბადებულ სომსს როუ 1860 წლიდან ახსოვდა. აქ კრინოლინის ბოლოკაბებში მოხვედრილი ბავშვივით უყურებდა მოტკეცილშარვლიან და კავალერიის ცხენებზე შემომსხდარ ულვაშიან ფრანტებს; დატალღულკი-

დეებიანი და თეთრთხემიანი ქუდების მოხდას; ამ ყველაფრის აუჩქარებელ სვლასა და გრძელ, წითელ ჟილეტში შემოსილ მრუდეფეხებიან ჩია კაცს, რომელიც თოკებზე გამობმული რამდენიმე ძაღლის თანხლებით შემოდიოდა და ცდილობდა, რომელიმე მათგანი სომსის დედისთვის მიეყიდა: მეფე ჩარლზის სპანიელები, იტალიური მწევრები - მათ ახლა ვეღარსად ნახავდი. ახლა, მართლაცდა, უყურებდი არა რაიმე ხარისხიანს, არამედ უსახურ რიგებად ჩამწკრივებულ მუშებს, რომლებიც სხვას ვერაფერს ხედავდნენ, ცხენებით მოხტუნავე რამდენიმე შლაპიანი ქალისა თუ უღიმღამო ჯაგლაგებზე შემსხდარ კოლონიის მობინადრეთა, აქა-იქ პონიზე დასკუპებული პატარა გოგონების, ნელი ჩორთით მსვლელი მოხუცი ჯენტლმენების ან კავალერიის ცხენზე გადამჯდარი მავანი მეკავშირის გარდა. არავითარი სუფთა სისხლის ულაყი, არავითარი მეჯინიბე, არავითარი თავის ქნევა თუ მიწის ფხოჭნა, არავითარი ჭორები. მხოლოდ იგივე ხეები, ასე რომ განსხვავდებოდნენ კაცობრიული თაობებისა და დაცემაგაუარესებისგან. დემოკრატიული ინგლისი: აბურძგნილი, აჩქარებული, ხმაურიანი და, თითქოსდა, იერარქიული პირამიდის წვერის გარეშე. სომსის სულში რაღაც ზიზღით გადატრიალდა. სამუდამოდ გაქრა მაღალი რანგისა და დახვეწილობის მქონე პატარა ქალაქი! სიმდიდრე რჩებოდა, რასაკვირველია! თვით სომსი ხომ ისეთი მდიდარი იყო, როგორიც არასოდეს ყოფილა მამამისი. მაგრამ მანერები, გემოვნება, ხარისხი - ყველაფერი გაქრა, ერთ ვეებერთელა, უშნო, მხრებმოხახუნე, ბენზინისსუნიან "გაგიმარჯოს"-ში დაინთქა. აქა-იქ ჩანდა თავაზიანობისა და კასტობრივი ცნობიერების პატარა, ნახევრად დაჟეჟილი ჯიბეები,

გაფანტული და შესაბრალისი (როგორც ანეტი იტყოდა). მაგრამ აღარაფერი იყო მტკიცე და თანამიმდევრული, მოწიწებით რომ შეხედავდი, ისეთი. ცუდი მანერებისა და აშვებული ზნეობის ამ ალიაქოთში ჩაკარგულიყო სომსის გოგონა, მისი ცხოვრების ყვავილი! და როცა ის მუშა-ჯიგრები ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, - თუკი ოდესმე მოვიდოდნენ, - უარესი კიდევ წინ იყო.

თაღის ქვეშ გაიარა. მადლობა ღმერთს, ამჯერად მეხივით აღარ დასცემია თავზე თაღქვეშა პროჟექტორის უტიფარი ნაკადი. "ჯობს ეს პროჟექტორი იქით მიანათონ, საითკენაც ყველანი მიდიან, თავიანთი ძვირფასი დემოკრატია გაანათონ", გაიფიქრა თავისთვის და პიკადილზე განლაგებული კლუბების ფასადებს ჩაუყვა. რაღა თქმა უნდა, ჯორჯ ფორსაიტი ახლაც აისიუმის სარკმელ-ფანჯარასთან იჯდებოდა. უკვე იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის მთელ დროს აქ ატარებდა, როგორც რომელიღაც უძრავი, სარდონიკული, იუმორიანი თვალი, რომელიც ადამიანთა და საგანთა ვარდნას დასცქეროდა. სომსმა ნაბიჯს აუჩქარა, რადგან ყოველთვის ორგანულად აფორიაქებდა ბიძაშვილ ჯორჯის მზერა. ამ უკანასკნელმა, როგორც სომსს სმენოდა, გახურებული ომის დროს დაწერა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა "პატრიოტი" და რომლის ავტორიც უჩიოდა მთავრობის ისტერიას სადოღე ცხენების კუთვნილი შვრიის ულუფის შემცირებასთან დაკავშირებით. ჰო, იქ იჯდა: მაღალი, მძიმე, სუფთად ჩაცმული, კარგად გაპარსული, ვარდისფერი ფურცლით ხელში, ერთობ შეთხელებულ-დატკეპნილი თმით, რომელსაც, ეჭვი არაა, საუკეთესო შამპუნის სუნი ასდიოდა. ჰო, ჯორჯი არ იცვლებოდა! და ალბათ ცხოვრებაში პირველად, სომსმა ერთგვარი სიმპა-

თია იგრძნო ამ სარდონიკული ნათესავის მიმართ. თავისი წონით, უზადოდ გაყოფილი თმითა და ხარისებრი მზერით, ჯორჯი იძლეოდა გარანტიას, რომ ძველი წესრიგი კიდევ შეიცვლებოდა. სომსმა დაინახა, როგორ აამოძრავა ჯორჯმა ვარდისფერი ქაღალდი, თითქოს ეპატიჟებოდა, ამოდიო. ალბათ რაღაც უნდოდა ეკითხა სომსის საკუთრების შესახებ, რომელსაც ისევ და ისევ სომსი განაგებდა, რადგან ოცი წლის წინ, იმ მტკივნეულ პერიოდში, როცა აირენს გაშორდა, აღმოაჩინა, რომ თითქმის შეუმჩნევლად აკონტროლებდა პირწმინდად ყველა ფორსაიტულ საქმეს.

სულ ერთი წამით შეყოყმანდა, მერე კი თავი დააქნია და შევიდა. მას შემდეგ, რაც პარიზში გარდაეცვალა სიძე, მონტეგ დარტი, და ვერავინ მიხვდა რეალურად, რა მოხდა, გარდა იმისა, რომ ეს ნამდვილად არ იყო თვითმკვლელობა, აისიუმ კლუბი სომსს უფრო რესპექტაბელური ეჩვენა. იცოდა, რომ ჯორჯსაც უკვე წარსულისთვის ჩაებარებინა თავისი უკანასკნელი სასიყვარულო ისტორია და ახლა მხოლოდ მაგიდის თამაშებით ირთობდა თავს, მხოლოდ საუკეთესოს ჭამდა, ვინძლო წონა დაეგდო, და, მისივე თქმით, ერთ-ორ ჯაგლაგს თუ ინარჩუნებდა, ვინძლო ცხოვრების ინტერესი ჰქონოდა. ასე რომ, სომსი თავის ბიძაშვილს კლუბის სარკმელ-ფანჯარასთან შეუერთდა და ამჯერად არ ჰქონია წინდაუხედაობის განცდა, უწინ რომ გრძნობდა ხოლმე აქ ყოფნისას. ჯორჯმა კარგად მოვლილი ხელი გამოუწოდა:

- ომის შემდეგ პირველად გხედავ. ცოლი როგორ გყავს?

- გმადლობ, არა უშავს, - ცივად დაუბრუნა სომსმა.

ჯორჯს ხორცსავსე სახეზე მეყსეულად გადაურბინა რაღაცამ და ბოროტი სიხარულის სხივად გამოუკრთა თვალებიდან.

- ის ბელგიელი ჯიგარი, პროფონი, ჩვენი კლუბის წევრია. უცნაური ტიპია.

- ძალიან! - ჩაილუღლუღა სომსმა, - რისთვის გინდოდა ჩემი ნახვა?

- მოხუცი ტიმოთი ნებისმიერ წამს შეიძლება მარილზე გავიდეს. ვფიქრობ, ანდერძი შედგენილი ექნება.

- ჰო.

- შენ ან ვინმემ უნდა მოინახულოთ ძველი თაობის ეს უკანასკნელი მოჰიკანი. ასი წლისაა, ხომ იცი. ვერ არისო, ამბობენ. სად უპირებ დასაფლავებას? აშკარად პირამიდა ეკუთვნის.

სომსმა თავი გააქნია:

- ჰაიგეიტში, საოჯახო აკლდამაში.

- ჰო, მგონი, ბებრუხანებს მოენატრებოდათ, სხვაგან რომ ყოფილიყო. ამბობენ, დღემდე უყვარს საჭმელებიო. იქნებ კიდევაც იცოცხლოს. რამე თუ გვრჩება მოხუცი ფორსაიტებისგან? როგორც გამოვთვალე, ათი მათგანი საშუალოდ ოთხმოცდარვა წლისაა. სამ-სამი ტყუპისცალებივით არიან.

- სულ ეგაა? - ჰკითხა სომსმა, - წასასვლელი ვარ.

"ჯანდაბას შენი თავი, კაცი ვერ დაგელაპარაკება", ეუბნებოდა თითქოს ჯორჯის თვალები.

- ჰო, სულ ესაა. შეიხედე მის მავზოლეუმში, იქნებ რამის წინასწარმეტყველება სურს, - ჯორჯს მდიდრულ ნაკვთებზე ღიმილი აუთამაშდა, მერე განაგრძო: - ხომ არ მოგიფიქრებიათ იურისტებს, როგორ ავიცდინოთ თავიდან ეს წყეული საშემო-

სავლო დაბეგვრა? ეშმაკივით ატყდება თავს მემკვიდრეობით შემოსავალს. ორი ათას ხუთასი შემომდიოდა წელიწადში, ახლა ეს თანხა რაღაც მათხოვრულ ათას ხუთასამდე ჩამოვიდა, ცხოვრების ღირებულება კი, ამასობაში, ორგზის გაიზარდა.

- აჰ! - ჩაიჩურჩულა სომსმა, - ცხოვრება საფრთხეშია.

ჯორჯის სახეზე სარდონიკული თავდაცვა გაკრთა.

- ისე გამზარდეს, რომ არაფერი მეკეთებინა, - თქვა მან, - ახლა ვჭკნები, ვყვითლდები და დღიდან დღემდე უფრო და უფრო ვღარიბდები. ეს მუშები წინდაწინ აპირებენ ყველაფრის მითვისებას. როგორ უნდა იცხოვრო, როცა ასეთი რამ გიახლოვდება? დღეში ექვს საათს ვიმუშავებ, რათა პოლიტიკოსებს ხუმრობის დანახვა ვასწავლო. დამიჯერე, სომს: პარლამენტში შედი, შენი ოთხასი გაინაღდე და მეც დამასაქმე.

როდესაც სომსი გავიდა, ბიძაშვილი თავის სკამზე დაბრუნდა სარკმელ-ფანჯარასთან.

ფიქრებში ჩაძირული და ჯორჯის სიტყვებით აღელვებული სომსი პიკადილის გაუყვა. თვითონ ყოველთვის მშრომელი და მომჭირნე იყო, ჯორჯი - ყოველთვის მუქთახორა და მხარჯველი. მაგრამ თუ ერთხელაც კონფისკაცია დაიწყებოდა, სწორედ მას - მშრომელსა და მომჭირნეს - გაძარცვავდნენ! ეს იყო ყოველგვარი სათნოების უარყოფა, ფორსაიტების ყველა პრინციპის გადატრიალება. ნუთუ შეიძლებოდა, რომ ცივილიზაცია რამე სხვა პრინციპებს დაყრდნობოდა? სომსის აზრით, ეს შეუძლებელი იყო. არა, სურათებს არ ჩამოართმევდნენ, თუმცა მათი ფასი არ ეცოდინებოდათ. მაგრამ რა ფასი შერჩებოდა ამ სურათებს, თუკი ეს მანიაკები ერთხელაც მთელ კაპიტალს ხელში ჩა-

იგდებდნენ? ჩაწოლილი საქონლის ფასი, მეტი არაფერი. "ჩემი თავი არ მედარდება, წელიწადში ხუთასი გირვანქაც მეყოფა და სხვაობასაც ვერ შევამჩნევ ამ ასაკში". მაგრამ ფლერი?! ასე მრავალმხრივად დაბანდებული ფული, ასე ფრთხილად შერჩეულ-დაგროვილი საგანძური - ეს ყველაფერი ხომ ფლერისთვის იყო. და თუ ისე უნდა მოხდეს, რომ ვეღარ მისცემს ან ვერ დაუტოვებს ფლერს ამ ქონებას, მაშინ ცხოვრებას აზრი ეკარგება. მაშ, რაღა აზრი ჰქონდა ამ გიჟურ, ფუტურისტულ ნაგავში შესვლას იმის სანახავად, ჰქონდა თუ არა მას რაიმე მომავალი?

გალერეაში მისულმა თავისი შილინგი გადაიხადა, კატალოგი აიღო და შევიდა. ირგვლივ ათამდე ადამიანი დაბოდიალებდა. სომსი მიუახლოვდა რაღაცას, რაც ომნიბუსის შეჯახებისგან გაღუნულ ლამპიონს მიამსგავსა. სამი ნაბიჯით დაშორებოდა კედელს და კატალოგში "იუპიტერი" ერქვა. გულდასმით დაათვალიერა, რაკი ამ ბოლო ხანებში მისი ყურადღება სკულპტურამ მიიქცია. "თუ ეს იუპიტერია, მაშ, ნეტავ იუნონა როგორ გამოიყურება?", გაიფიქრა თავისთვის. და უცებ იუნონაც დაინახა მოპირდაპირე მხარეს. თუ რამეს ჰგავდა, მხოლოდ მსუბუქად დათოვლილ ორსახელურიან ტუმბოს. ჯერ კიდევ ამ ფიგურას უმზერდა, რომ მარცხენა მხრიდან ორი დამთვალიერებელი გაუჩერდა.

- გლიჯავს! - თქვა ერთ-ერთმა.

- ჟარგონი! - ჩაიდუდღუნა სომსმა თავისთვის.

- ვერ გაიგე, ძამიკო, გასულელებს, - უპასუხა მეორე ბიჭურმა ხმამ, - როცა "იუპიტერი" და "იუნონა" შექმნა, მოქანდაკე ამ-

ბობდა: "ვნახავ, რამდენს ჩაყლაპავენ ეს ბრიყვები", და ამათაც ყველაფერი შთანთქეს.

- პატარა სულელო! ვოსპოვიჩი ნოვატორია. ნუთუ ვერ ხედავ, რომ სკულპტურაში სატირა აქვს შემოტანილი? პლასტიკური ხელოვნების, მუსიკის, ფერწერის და თვით არქიტექტურის მომავალმა სატირულში დაივანა. სხვა გზა არც იყო. ადამიანები დაიღალნენ, განცდისგან ფსკერი ჩაენგრათ.

- მეც მიზიდავს მშვენიერება. ომიც გამოვიარე. ცხვირსახოცი დაგივარდათ, სერ.

სომსმა მისკენ გამოწვდილი ცხვირსახოცი დაინახა, ერთგვარი ბუნებრივი ეჭვით გამოართვა და ცხვირთან მიიტანა. ის სუნი ჰქონდა, რომელიც უნდა ჰქონოდა - შორეული ოდეკოლონის, ამასთანავე, მისი ინიციალებიც ერთ-ერთ კუთხეში. რამდენადმე დამშვიდებულმა, ჭაბუკს სახეზე შეხედა. ბიჭს ირემივით ყურები ჰქონდა, მოცინარი პირი ახალამოჯეჯილებული ულვაშით, ნორმალურად შემოსილი სხეულის ზემოთ კი პატარა, ცოცხალი თვალები იყურებოდნენ.

- გმადლობ, - თქვა სომსმა და ერთგვარი გაღიზიანებით დაამატა: - საამური გასაგონია, მშვენიერებაზე რაც თქვით. ახლა ეს იშვიათობაა.

- ვაღმერთებ, - თქვა ჭაბუკმა, - თუმცა თქვენ და მეღა დავრჩით ძველი ჯარისკაცებიდან, სერ.

სომსს გაეღიმა.

- თუ მართლა გეძვირფასებათ სურათები, აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. შემიძლია ყოველ კვირადღეს საკმაოდ კარგი რამეები გაჩვენოთ, თუ მოიცლით და შემოიხედავთ.

- უსაზღვროდ თავაზიანი ხართ, სერ, ჩიტივით შემოვფრინდები, მონტ-მაიკლი მქვია, - ჭაბუკმა ქუდი მოიხადა.

სომსმა, რომელიც უკვე ნანობდა თავის იმპულსურ საქციელს, საპასუხოდ ოდნავ წამოსწია ქუდი. თან ჭაბუკის კომპანიონსაც შეხედა, მის ერთი ბეწო ულვაშსა და ზიზღნარევ ღიმილს. ის პოეტს ჰგავდა!

ეს იყო პირველი წინდაუხედაობა, რომელიც მან იქ ჩაიდინა, რის შემდეგაც წავიდა და კედლის ნიშაში დაჯდა. რა ეტაკა ასეთი, რომ თავისი სავიზიტო ბარათი მისცა ამ ენაჭარტალა ბიჭს?! ფლერმა კი, მუდამ მისი აზრების კულისებში მყოფმა, ისე გამოაბიჯა ახლა იქიდან, როგორც რომელიმე ფილიგრანულმა ფიგურამ - ციფერბლატიდან, სრული საათის ჩამოკვრისას. ნიშის მოპირდაპირე მხარეს ეკიდა დიდი გაბარიტების ტილო, რომელზეც - რამდენადაც სომსი თავისი ადგილიდან ხედავდა - გამოსახული იყო უამრავი პამიდვრისფერი ბურთულა, სხვა არაფერი. "#32, "მომავალი ქალაქი", "პოლ პოსტი", ეწერა კატალოგში. "ვგონებ, ესეც სატირულია", გაიფიქრა სომსმა. "რა სურათია!" თუმცა მეორე იმპულსი უფრო ფრთხილი აღმოჩნდა - სასწრაფო განაჩენი არ გამოჰქონდა. იქ იყო მონეს ზოლებიანძარღვებიანი, ესოდენ წარმატებული ქმნილებები. იქვე იყო წერტილოვანი მხატვრობა. იყო გოგენი. უჰ, პოსტიმპრესიონისტებს მოჰყვებოდა ერთი-ორი მხატვარი, რომლებთანაც არც კი შეჩერდებოდი. ამ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, რაც უკვე სპეციალისტი იყო ამ სფეროში, სომსს იმდენი "მოძრაობა", გეომოვნებისა და ტექნიკის იმდენი მიქცევ-მოქცევა მოენიშნა, რომ, რეალურად, არაფერი იყო სათქმელი, გარდა იმისა, რომ სტილის

თითოეული ცვლილებიდან ფული უნდა გამომდნარიყო. ეს აგრეთვე შეიძლებოდა ყოფილიყო ის შემთხვევაც, როცა ან უნდა დამორჩილებოდი პირველად ინსტინქტებს, ან - ბაზარი დაგეკარგა. სომსი წამოდგა, სურათის წინ გაჩერდა და სხვა ადამიანთა თვალით შეხედვა სცადა. ის, რაც პამიდვრის ბურთულების ზემოთ მოჩანდა, სომსმა დაისად მიიღო, სანამ ვიღაც ჩამვლელმა თქვა: "საოცრად ხატავს თვითმფრინავებს, არა?" პამიდვრის ბურთულების ქვემოთ იყო თეთრი ზოლი ვერტიკალური შავი ხაზებით, რასაც სომსი საერთოდ ვერანაირად ვერ ხსნიდა. ამ დროს ვიღაცამ ჩაიარა და ჩაიჩურჩულა: "რა ექსპრესიას აღწევს ამ წინა პლანით!" ექსპრესიას? რის ექსპრესიას? სომსი თავის ნიშაში დაბრუნდა. "მდიდრული" ნახატი იყო, როგორც მამამისი იტყოდა. თვითონ ეს სულაც არ ანაღვლებდა. ექსპრესია! როგორც ამბობდნენ, ამჟამად კონტინენტზე ყველა ექსპრესიონისტი იყო. მაშ, ეს უკვე აქაც შემოდიოდა, არა? გაახსენდა ჩინეთში გავრცელებული გრიპის პირველი ტალღა 1887-1888 წლებში. იქნებ ეს... ეს ექსპრესიონიზმიც ასე ვრცელდებაო, ფიქრობდა. საქმე ეხებოდა მუდმივ სნეულებას.

რაღაც მომენტში გააცნობიერა, რომ მის მზერასა და "მომავლის ქალაქს" შორის ქალი და ჭაბუკი იდგნენ, ზურგით სომსისკენ. უცებ მან ქუდი ჩამოიწია, კატალოგი სახეზე აიფარა და ქუდსა და კატალოგს შორის დარჩენილი ღრიჭოდან ამ წყვილს დაუწყო თვალთვალი. შეცდომა გამორიცხული იყო. ეს მარად ელეგანტური ზურგი და თუნდაც უკვე გაჭაღარავებული თმა მის ზემოთ! აირენი! მისი ცოლყოფილი აირენი! ეს ახალგაზრდა კი, უეჭველია, მისი ვაჟი იმ ჯოლიონ ფორსაიტისგან, სომსის ქა-

ლიშვილზე ექვსი თვით უფროსი მათი ვაჟიშვილი! გონებაში განქორწინების მწარე დღეები ამოუტივტივდა, სწრაფად წამოდგა, რომ იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ისევ დაჯდა. ქალს თავი გვერდზე მოებრუნებინა და ბიჭს ესაუბრებოდა. იმდენად ახალგაზრდული პროფილი ჰქონდა, რომ განაცრისფრებული თმა ცარცით დაფერილსა და ფანტაზიით შექმნილს მიუგავდა, ტუჩებზე კი ისეთი ღიმილი ეფინა, როგორიც სომსს - ამ ტუჩების პირველ მფლობელს - არასოდეს ენახა. სომსმა უნებურად აღიარა, რომ აირენი ისევ ლამაზი იყო და სხეულიც უწინდებურად მშვენიერი ჰქონდა. ან ბიჭმა როგორ დაუბრუნა ღიმილი! სომსს გული მოუწურა ემოციებმა. ამ სანახაობამ სამართლიანობის გრძნობა შეულახა. შეშურდა ბიჭის ღიმილი: ეს იმაზე შორს მიდიოდა, რასაც ფლერი აძლევდა, და ამას სომსი არ იმსახურებდა. მათი ვაჟიშვილი შეიძლებოდა მისი ყოფილიყო. ფლერიც შეიძლებოდა გასჩენოდა აირენს, ამ უკანასკნელს გზიდან რომ არ გადაეხვია. სომსმა კატალოგი ძირს დაუშვა. თუ ქალმა შენიშნა, მით უკეთესი! შეხსენება მისი ქცევისა ვაჟიშვილის თანდასწრებით (რომელმაც ალბათ არაფერი იცოდა) იქნებოდა თითქოსდა მხსნელი შეხება ნემეზიდასი, რომელიც ადრე თუ გვიან აირენს მიაკითხავდა! შემდეგ, რაკი სანახევროდ გააცნობიერა, რომ ასეთი აზრი საკმაოდ ექსტრავაგანტური იყო მისი ასაკის ფორსაიტისთვის, სომსმა თვალთვალი შეწყვიტა. ოთხს უკვე გადასცდა. ფლერი იგვიანებდა. თავის დისშვილთან, იმოჯინ კარდიგანთან იყო წასული. იქ კი უთუოდ სიგარეტითა და ჭორაობით შეიქცევდნენ თავს. სომსს ბიჭის სიცილი მოესმა, მერე მხურვალედ ნათქვამი სიტყვები:

- დე, ეს მამიდა ჯუნის ერთ-ერთი ხეიბრისაა?

- ეს პოლ პოსტია, ძვირფასო.

ბოლო სიტყვამ სომსი პატარა შოკში ჩააგდო: აირენს უწინ არასოდეს უთქვამს ეს სიტყვა. მერე კი ქალმა სომსს მოჰკრა თვალი. ამ მომენტში კაცს ალბათ ჯორჯ ფორსაიტის სარდონიკული მზერა ჰქონდა, რადგან აირენი ხელთათმნიანი ხელით თავისივე კაბას ჩაებღაუჭა, წარბები აზიდა, სახე გაუქვავდა. ქალმა სვლა განაგრძო.

- ეს გაფრთხილებაა, - თქვა ბიჭმა და ისევ მკლავში ჩაეჭიდა.

სომსმა მზერა გააყოლა. ბიჭს კარგი სახე ჰქონდა, ფორსაიტების ნიკაპი, ღრმად ჩამჯდარი მუქი ნაცრისფერი თვალები, რომელშიც რაღაც მზიური უბრწყინავდა, თითქოს ზედ მთელი ჭიქა ძველი ხერესი გადაესხათ. შესაძლოა, ეს მისი ღიმილი იყო, მისი თმა... უკეთესი, ვიდრე ისინი იმსახურებდნენ, ეს ორნი! სომსის მზერას გასცდნენ და მეორე ოთახში გადაინაცვლეს, მან კი "მომავალი ქალაქის" ცქერა განაგრძო, თუმცა ვერ ხედავდა. ტუჩები მცირე ღიმილმა დაუბრიცა. ზიზღი მოჰგვარა მისივე გრძნობების სიძლიერემ მთელი ამ წლების შემდეგ. აჩრდილები! ჰო, რამე თუ რჩებოდა სიბერეში შესულ სომსს, რაღაც აჩრდილურის გარდა? კი, რჩებოდა: ფლერი! შემოსასვლელ კარს მიაჩერდა. ახლა ის უნდა შემოსულიყო. ის კი, რა თქმა უნდა, ალოდინებდა! უეცრად სომსმა ადამიანის სუნთქვის მსგავსი რამ იგრძნო: პატარა, მყიფე ფორმა, რომელსაც ზღვისფერი მწვანე ჯუბა ეცვა, ზედ ლითონის ქამარი შემოერტყა, რუხზოლებჩაყოლებული, წითელ-ოქროსფერი ჩანჩქერივით თმა კი ზონრით შეეკრა. ქალი გალერეის თანამშრომლებს ესაუბრებოდა, მზერაში

კი - თვალებში, ნიკაპში, თმაში, სულში - სომსს რაღაც ნაცნობი იზიდავდა, რაღაც ისეთი, რაც სადილის მოლოდინში მყოფ გამხდარ სკაი-ტერიერს აგონებდა. რაღა თქმა უნდა, სომსის ბიძაშვილ ჯუნ ფორსაიტს პირდაპირ მისი განმარტოებული კუნჭულისკენ აეღო გეზი! იქ მისული, გვერდით მიუჯდა, ბლოკნოტი ამოიღო და ფანქრით რაღაც ჩაწერა. სომსი გაუნძრევლად იჯდა. ბიძაშვილობა: თავგზააბნეული ამბავი! "გულისამრევია!", გაიგონა სომსმა ქალის ჩურჩული. მერე ჯუნმა გამოხედა, თითქოსდა გულმოსულმა იმით, რომ თავის გვერდით მოყურადე უცნობი აღმოაჩინა. ყველაზე უარესი უკვე მოხდა.

- სომს!

ამან თავი სულ ოდნავ მიაბრუნა.

- როგორ ხარ? - ჰკითხა ქალს, - ოცი წელია არ შევხვედრივართ.

- არა. აქ რამ მოგიყვანა?

- ჩემმა ცოდვებმა. რა მასალაა!

- მასალა? აჰ, ჰო, რასაკვირველია, ჯერ არ დაბრუნებულა.

- არც დაბრუნდება. ეს სუფთა დანაკარგი იქნება.

- ჰო, რა თქმა უნდა.

- შენ საიდან იცი?

- ეს ჩემი გალერეაა.

სომსმა გაკვირვებისგან დაიფრუტუნა.

- შენი? რა გაიძულებს, ასეთ შოუს რომ მართავ?

- ისე არ ვუყურებ ხელოვნებას, როგორც საბაყლო საქონელს.

სომსმა "მომავლის ქალაქზე" მიუთითა:

- ამას შეხედე! ვინ იცხოვრებს ამნაირ ქალაქში ან, მასთან ერთად, თავის კედლებზე?

ჯუნი ერთხანს სურათს უმზერდა.

- ეს ხილვაა, - თქვა ბოლოს.

- ჯანდაბას!

ამას სიჩუმე მოჰყვა, მერე ჯუნი წამოდგა. "შეშლილს ჰგავს!", გაუელვა სომსს.

- იქ შენს ახალგაზრდა ნახევარძმას და ჩემს ნაცნობ ქალს შეხვდები. თუ დამიჯერებ, ამ გამოფენას დახურავ, - თქვა სომსმა.

ჯუნმა გამოხედა. "ოჰ, შე ფორსაიტო!", თქვა და სიარული განაგრძო. ასე უეცრად მიმავალ მის მსუბუქ, მოფრიალე ფიგურაში რაღაც სახიფათო იგრძნობოდა. ფორსაიტო! ჰო, რა თქმა უნდა, სომსი ფორსაიტი იყო! ისევე, როგორც ჯუნი! მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც, ჯერ კიდევ გოგონამ, მან სიცოცხლე მისცა ბოსინის, რათა შემდეგ მოესპო, სომსს ამ ქალთან ურთიერთობა ველარ აეწყო და ვერც ვერასოდეს აეწყობოდა. ახლა კი აქ იყო - აქამდე გაუთხოვარი ქალი და გალერეის მეპატრონე!.. უეცრად სომსი დაფიქრდა: რა ცოტა იცოდა აქამდე საკუთარი ოჯახის შესახებ! ტიმოთის თაობის მოხუცი მამიდები მრავალი წლის გარდაცვლილები იყვნენ, ახლებისთვის ჯერ ანგარიშსწორების პალატა არ არსებობდა. რას აკეთებდნენ ისინი ომში? ახალგაზრდა როჯერის ბიჭი დაიჭრა, წმინდა ჯონ ჰეიმანის მეორე ვაჟი მოკლეს, ახალგაზრდა ნიკოლასის უფროსმა შვილმა ბრიტანული იმპერიის ოფიცრის წოდება თუ რაღაც ამდაგვარი მიიღო. რაღაცნაირად, ყველა ისინი ჯარში გამწეს-

დნენო, ფიქრობდა სომსი. იმასაც ფიქრობდა: ჯოლიონისა და აირენის ვაჟი ჯერ ძალიან ნორჩია, ჩემი თაობა - მეტისმეტად ასაკოვანიო. თუმცა ჯილ ჰეიმანს წითელი ჯვრის მანქანა დაჰ-ყავდა, ჯეს ჰეიმანი კი საგანგებო კონსტებლი იყო: ეს "დრო-მიოები" ხომ იმთავითვე სპორტული ტიპები იყვნენ. რაც შეეხება თვით სომსს, მან ფული შესწირა სანიტარიული მანქანის შესაძე-ნად, გულისარევამდე კითხულობდა გაზეთებს, ბევრს ღელავდა, არავითარ ტანსაცმელს არ ყიდულობდა თავისთვის, შვიდი ფუნ-ტიც დაიკლო წონაში. არც კი იცოდა, მეტი რა შეიძლებოდა ექნა თავის ასაკში. მართლაც, როცა ამაზე ფიქრობდა, აზრად მოუვი-და, რომ მან და მისმა ოჯახმა ეს ომი (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი - დ. ა.) სრულებით სხვანაირად მიიღეს, ვიდრე ბუ-რების ომი,(ბურების ომი - ბრიტანელთა ომები დანიელ ახალმო-სახლეებთან 1880-1881 და 1899-1902 წლებში.) რომლის შედე-გადაც იმპერიის ყველა ფულადი შემოსავალი დაბეგვრას უნდა დაქვემდებარებოდა. იმ ძველ ომში, რაღა თქმა უნდა, მისი დის-შვილი, ვალ დარტი დაიჭრა; ჯოლიონის პირველი ვაჟი მუცლის ტიფმა იმსხვერპლა; "დრომიოები" ცხენებით დაჯირითობდნენ, ჯუნი კი ექთანად მუშაობდა. მაგრამ ეს ყველაფერი, თითქოს ჯერ კიდევ წინამაუწყებლის როლს ასრულებდა. ამ ომში კი, რამ-დენადაც სომსი ხედავდა, ყველამ თავისი წვლილი შეიტანა. ეს თავისთავად ცხადი ამბავი თითქოს მიუთითებდა რაღაცის ზრდაზე და, შესაძლოა, რაღაც დასასრულის მოახლოებაზეც. ხომ არ გახდნენ ფორსაიტები ნაკლებად ინდივიდუალური, ან მეტად იმპერიული, ან ნაკლებად პროვინციული? ან ეგებ, უბრა-ლოდ, ვინმეს გერმანელები სძაგდა?.. რატომ არ მოვიდა ფლერი,

რათა სომსი იქაურობას გასცლოდა? თვალი მოჰკრა იმ სამეულს, რომლებიც მეორე ოთახიდან გამოვიდნენ და შირმის დაშორებულ ბოლოს ჩაუარეს. ამჯერად ბიჭი "იუნონას" წინ იდგა. და უცებ, ქანდაკების მეორე მხარეს სომსმა თავისი ქალიშვილი შენიშნა, შესაძლოა იმ წამს წარბებიც კი აზიდა. დაინახა, როგორ ირიბად გახედა ფლერმა ბიჭს და ამანაც როგორ დაუბრუნა მზერა. მერე აირენმა ბიჭს ხელი მკლავში გამოსდო და თან წაიყოლა. სომსმა ისიც დაინახა, როგორ მოაბრუნა ბიჭმა თავი და ფლერმაც როგორ გააყოლა თვალი სამეულს, რომელიც ამ ოთახიდან გავიდა.

- ცოტა უქეიფოდ ხართ, არა, სერ? - გაისმა ხალისიანი ხმა.

ისევ ის ახალგაზრდა აღმოჩნდა, ცხვირსახოცი რომ მიაწოდა ცოტა ხნის წინ. სომსმა თავი დაუქნია:

- არ ვიცი, სადამდე მივდივართ.

- ოჰ, არა უშავს, სერ, - ხალისით დაუბრუნა ჭაბუკმა, - ეგ არც მათ იციან.

- გამარჯობა, მამა! - გაისმა ფლერის ხმა, - აჰა! - ეს ისე წარმოთქვა, თითქოს ალოდინეს.

ჭაბუკმა ქუდი მოიხადა და გზა განაგრძო.

- ვერაფერს იტყვის კაცი: პუნქტუალური გოგონა მყავხარ! - თქვა სომსმა და ფლერი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

მისი ცხოვრების ამ საგანძურს, საშუალო ფერ-სიმაღლისას, მოკლედ შეკრეჭილი მუქყავისფერი თმა ჰქონდა. განგან ჩასმული ყავისფერი თვალები იმდენად ნათელ გუგებში ეჯდა, რომ მოძრაობისას უელავდა. თუმცა, უმოძრაობის დროს, თითქმის მეოცნებედ იმზირებოდნენ ძალზე თეთრი და შავწამწამიანი ქუ-

თუთოების ქვეშ, რამდენადმე დაძაბულად რომ შემდგარიყვნენ ამ თვალებს ზემოთ. ფლერს მომხიბლავი პროფილი ჰქონდა და არაფრით ჰგავდა მამას, გამოკვეთილი ნიკაპის გარდა. სომსმა იცოდა, რომ ფლერის ცქერისას გამომეტყველება ურბილდებოდა, და ამიტომაც შუბლი შეჭმუხნა, ვინძლო ფორსაიტისთვის ჩვეული უემოციობა შეენარჩუნებინა. იცოდა: ფლერი ერთობ მიდრეკილი იყო იმისკენ, რომ მუდმივად ესარგებლა მამამისის სისუსტით.

ახლაც ხელი შეუცურა მკლავქვეშ და ჰკითხა:

- ის ვინ იყო?

- ცხვირსახოცი მომაწოდა. სურათებზე ვლაპარაკობდით.

- ამის ყიდვას ხომ არ აპირებ, მამა?

- არა, - თქვა სომსმა პირქუშად, - არც იმ იუნონასი, შენ რომ უყურებდი.

ფლერმა მკლავზე მოქაჩა:

- წავიდეთ! საშინელი სანახაობაა!

გასასვლელში გვერდით ჩაუარეს ახალგაზრდა კაცს, სახელად მონტს, და მის პარტნიორს. თუმცა სომსს გამოკიდებული ჰქონდა აბრა: "კანონის დამრღვევნი დაისჯებიან" და ახლა ძლივს შესამჩნევი რეაქციაღა ჰქონდა ჭაბუკის მისალმებაზე.

- მაშ, ვის შეხვდი იმოჯინთან?

- მამიდა უინიფრიდს და მუსიე პროფონს.

- ოჰ! - ჩაილუღლუღა სომსმა, - ეგეთს რას ხედავს მამიდაშენი მაგ კაცში?

- არ ვიცი. საკმაოდ ღრმა ადამიანი ჩანს. დედა ამბობს, მომწონსო.

სომსმა ჩაიფრუტუნა.

- ბიძაშვილი ვალ დარტი და მისი მეუღლეც იქ იყვნენ.

- რაა? მეგონა, სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდნენ.

- ოჰ, არა! ფერმა გაყიდეს. ბიძაშვილი სადოღე ცხენების გაწვრთნას აპირებს სასექსის ბორცვებზე. დიდებული საგვარეულო სახლი შეიძინეს და მიმიპატიჟეს კიდეც.

სომსმა ჩაახველა. ეს სიახლე დიდად არ ეპიტნავა.

- როგორ გამოიყურება ვალ დარტის ცოლი ამჟამად?

- ვფიქრობ, ძალიან მშვიდია და კარგი.

- უწესრიგოდ ცხოვრობს ეგ შენი ბიძაშვილი.

- არა, მამა! ისინი ბოლომდე ერთგულები არიან ერთმანეთის. გესტუმრებით-მეთქი, შევპირდი... შაბათიდან ოთხშაბათამდე.

- სადოღე ცხენების წვრთნა! - გაიმეორა სომსმა. ეს უჩვეულო იყო, თუმცა არა უამური განწყობის მიზეზი. რატომ ვერ დარჩა მისი დისშვილი სამხრეთ აფრიკაში? თვით სომსის განქორწინება ისედაც საკმაოდ მძიმე გამოდგა, რომ ახლა მის დისშვილს მოეყვანა ცოლად მისი თანამოპასუხის ქალიშვილი, ჯუნისა და იმ ბიჭის ნახევარდა, წუთის წინ რომ უყურებდა ფლერი "ტუმბო-იუნონას" სახელურის ქვემოდან. თუ სომსი არ გაფრთხილდებოდა, ფლერი ყველაფერს შეიტყობდა ამ ძველი სირცხვილის შესახებ. უსიამოვნო ამბები! ამ ნაშუადღევს ისინი სომსს ფუტკრის ნაყარივით უტრიალებდნენ გარშემო.

- მე ეგ არ მომწონს! - უთხრა ფლერს.

- სადოღე ცხენების ნახვა მინდა, - ჩაიჩურჩულა ფლერმა, - ცხენზე დასმასაც შემპირდნენ. ბიძაშვილ ვალ დარტის ბევრი

სიარული არ შეუძლია, აი, ცხენს კი ბრწყინვალედ ატარებს. ცხენების ჭენება უნდა მაჩვენოს.

- დოღი! - თქვა ისევ სომსმა, - დასანანია, რომ ომმა ამას ბოლო ვერ მოუღო. ვშიშობ, მამამისის კვალს მისდევს.

- არაფერი ვიცი მამამისზე.

- ჰო, მას ცხენები აინტერესებდა და კისერი მოიტეხა პარიზში, კიბეზე ჩამოსვლისას. ესეც მშვენიერი გათავისუფლება მამიდაშენისთვის! - სომსი მოიღუშა, რადგან მეხსიერებაში ამოუტივტივდა გამოძიება კიბეზე, პარიზში რომ ესწრებოდა ექვსი წლის წინ, რადგანაც ამ პროცესს მონტეგ დარტი თვითონ ვერ დაესწრებოდა. სავსებით ნორმალური კიბე იყო იმ სახლში, სადაც ბანქოს თამაშობდნენ ხოლმე. მისი სიძის თავში ან მისი გამარჯვებები აღიბეჭდა, ან ის, თუ როგორ ზეიმობდა ამ გამარჯვებებს. ფრანგული პროცედურა ძალიან დაუხვეწავი გამოდგა და სომსსაც ბევრი დავიდარაბის გამოვლა მოუხდა.

ფლერის ხმამ გამოაფხიზლა:

- შეხედე: ეს ის ხალხია, ჩვენთან ერთად რომ იყვნენ გალერეაში.

- რომელი ხალხი? - ჩაიბურტყუნა სომსმა, რომელმაც ჩინებულად იცოდა, ვის გულისხმობდნენ.

- მგონი, ლამაზი ქალია.

- შევიდეთ ამ საკონდიტროში, - თქვა სომსმა მკვეთრად, უფრო მტკიცედ ჩაბღუჯა ფლერის მკლავი და საკონდიტროში შეიყვანა. მისთვის ეს მოულოდნელი მოქმედება იყო.

- რას შეჭამ? - ჰკითხა აწრიალებულმა.

- უჰ, არაფერი მინდა. კოქტეილი დავლიე და დიდებული ლანჩიც გეახელი.

- უნდა ვჭამოთ რამე, რაკი აქ ვართ, - ჩაიბურდღუნა სომსმა ფლერისთვის ხელის გაუშვებლად, - ორი ფინჯანი ჩაი და ორიც ეგ ნუგა.

მაგრამ ჯერ დამჯდარიც არ იყო, რომ გული შეუთრთოლდა. იმავე კაფეში ის სამნი შემოდიოდნენ, სწორედ ის სამეული! გაიგონა კიდეც, როგორ გადაულაპარაკა აირენმა რაღაც თავის ვაჟს და ამ უკანასკნელის პასუხი:

- ოჰ, არა, დე! ამ ადგილს არაფერი უჭირს. სხვა ყველას მირჩევნია.

სამეული მაგიდას მიუჯდა.

ამ ყველაზე უხერხულ მომენტში თავისი არსებობის ყველა სხვა მომენტს შორის, წარსულის ჩრდილებითა და აჩრდილებით დახუნძლულ ამ წამში, იმ ორად ორი ქალის თანდასწრებით, ოდესმე რომ ჰყვარებია ცხოვრებაში, სომსს საკუთრივ ისინი კი არ აშინებდნენ, არამედ ჯუნი. ახლა ჯუნს შეეძლო სცენა მოეწყო და იმ სცენაში ეს ორი ბავშვიც ჩაერთო. საერთოდ მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სწრაფად ჩაკბიჩა ნუგა, რომელიც მერე თეფშს მიეკრო. სომსმა თითით დაუწყო კირკიტი, თან ფლერს გახედა. გოგონა სიზმრეულად ღეჭავდა თავის ნუგას, თუმცა თვალი ბიჭისკენ ეჭირა. სომსის არსებაში ფორსაიტმა თქვა: "იფიქრე, იგრძენი და მზად იქნები!" თითს სასოწარკვეთით ატრიალებდა. პროთეზს თუ ატარებდა ჯოლიონი? ეს ქალი თუ ატარებდა? იყო დრო, როცა მას სრულებით შიშველს ხედავდა. ამას სომსს ვერავინ წაართმევდა. ქალმა იცოდა ეს და, მიუხედა-

ვად ამისა, შეეძლო იქ მშვიდად და თავშეკავებით მჯდარიყო, თითქოს არასოდეს ყოფილა მისი ცოლი. მკბენარი იუმორი შეირხა სომსის ფორსაიტულ სისხლში, ფაქიზი ტკივილი, სულ ერთი თმის ღერი რომ აშორებდა სიამოვნებისგან. ოღონდაც ახლა ჯუნს არ შეეყო ჯოხი კრაზანების ბუდეში. ამწუთას ბიჭი ლაპარაკობდა.

- რა თქმა უნდა, მამიდა ჯუნ (ნუთუ "მამიდას" უწოდებდა თავის ნახევარდას? თუმცა ეს ქალი ორმოცდაათი წლის უნდა ყოფილიყო), ჩინებულად იქცევი, ასე რომ უწყობ ხელს. მხოლოდ... ყველაფერი დაკიდე!

სომსმა მზერა გააპარა. აირენის გაოგნებული თვალები თავის შვილს მისჩერებოდა. მას... მას ჰქონდა ეს ერთგულება... ბოსინისადმი, ამ ბიჭის მამისადმი, თვით ამ ბიჭისადმი! სომსი ფლერის მკლავს შეეხო:

- აბა, გეყო თუ არა?

- კიდევ ერთი რა, მამა!

გული აერეოდა ამდენი ნუგისგან! სომსი დახლთან მივიდა. როცა მოტრიალდა, დაინახა, რომ ფლერი კართან იდგა და ეჭირა ცხვირსახოცი, რომელიც აშკარად ბიჭმა მისცა წამის წინ.

- ფ. ფ., - გაიგონა სომსმა, - ფლერ ფორსაიტი, ჩემია. დიდი მადლობა.

ღმერთო ძლიერო! ეს ფანდი ფლერს იმან მოაფიქრებინა, რაც სომსს გადახდა გალერეაში. ეს მაიმუნი, ესა!

- ფორსაიტი? ჩემი გვარიც ეგაა. იქნებ ბიძაშვილები ვართ?

- მართლაც! უნდა ვიყოთ. სხვა ფორსაიტები არ არსებობენ. მე მეიპლდურჰამში ვცხოვრობ. შენ?

- რობინჰილში.

კითხვა-პასუხი იმდენად სწრაფად გაიცვალა, რომ ყველაფერი მანამდე დამთავრდა, სანამ სომსი თითს გაანძრევდა. თვალი მოჰკრა აირენის სახეს და მასზე აღბეჭდილ შიშს, თავი სულ ოდნავ გააქნია და მკლავი ფლერის მკლავს გაუყარა.

- წამოდი!

ფლერი არ განძრეულა.

- გაიგონე, მამა? განა უცნაური არ არის, რომ ჩვენ ერთნაირი გვარები გვაქვს. ბიძაშვილები ხომ არ ვართ?

- რა? ფორსაიტი? შორეული ბიძაშვილები, შესაძლოა.

- მე ჯოლიონი მქვია, სერ, შემოკლებით - ჯონ.

- ოჰ! აჰ! ჰო, შორეული. როგორ ხარ? ძალიან კარგი. ნახვამდის, - თქვა სომსმა და სვლა გააგრძელა.

- დიდი მადლობა, - თქვა თავის მხრივ ფლერმა, - Au revoir!((ფრანგ.) - ნახვამდის)

- Au revoir! - გაიგონა სომსმა ბიჭის ხმა.

თავი მეორე

მშვენიერი ფლერ ფორსაიტი

საკონდიტროდან გამოსვლისას სომსის პირველი იმპულსი იყო ნერვების დამშვიდება იმით, რომ თავისი ქალიშვილისთვის ეთქვა "შენი ცხვირსახოცის დავარდნა!", რაზედაც იმას შეეძლო ეპასუხა "ეგ შენგან ვისესხე!". ამიტომაც მეორე იმპულსად მოუვიდა, საერთოდ არ ამოეღო ხმა და ყველაფერი ასევე დაეტოვებინა. მაგრამ ქალიშვილი უთუოდ გამოჰკითხავდა. ირიბად გახედა ფლერს და აღმოაჩინა, რომ ისიც ასევე უყურებდა.

- რატომ არ გეხატება გულზე შენი ბიძაშვილები, მამა? - ჰკითხა მორიდებით.

სომსს ტუჩის კუთხე შეერხა:

- ეგ რამ გაფიქრებინა?

- Cela ce voit((ფრანგ.) - ეგ ისედაც ჩანს.).

"ეგ ისედაც ჩანს!" ეს რანაირი ნათქვამია! ფრანგ ცოლთან ოცწლიანი თანაცხოვრების შემდეგაც კი არ ეპიტნავებოდა სომსს ფრანგული, რომელიც მისთვის თეატრალურ ჟესტსა და შინაური ირონიის ყოველგვარ რაფინირებას უკავშირდებოდა.

- რანაირად? - ჰკითხა ფლერს.

- შენ მათ იცნობ, თუმცა არ ამჟღავნებ. დავინახე, როგორ გიყურებდნენ.

- თვალითაც არასოდეს მინახავს ეგ ბიჭი, - თქვა სომსმა სრული სიმართლე.

- ჰო, მაგრამ ის ორი ქალი ხომ გინახავს, ძვირფასო?

სომსმა კიდევ შეხედა. მაინც რა სმენოდა ფლერს? მამიდა უინიფრიდმა, ან იმოჯინმა, ან ვალ დარტიმ და მისმა ცოლმა ხომ არ ილაპარაკეს? ძველი სკანდალის ყველა დეტალი ფლერს საგულდაგულოდ დაუმალეს, უინიფრიდმა კი არაერთგზის გააფრთხილა სომსი, ერთი სიტყვაც არ დაგცდეს ფლერთან იმ ამბებზეო. ფლერისთვის მამამისი არასოდეს დაქორწინებულა მანამდე. გოგონას შავი თვალები, რომელთა სამხრეთული ბრწყინვა და სიცხადე სომსს ხშირად აკრთობდა, გულუბრყვილოდ შეხვდა მამამისის თვალებს.

- ჰო, - თქვა სომსმა, - პაპაშენსა და მის ძმას ჩხუბი მოსვლიათ და ორ ოჯახს ერთმანეთთან კონტაქტი არ აქვს.

- რა რომანტიკულია!

"რისი თქმა უნდა ამით?", ფიქრობდა სომსი, რომლისთვისაც ეს სიტყვა ისე ექსტრავაგანტურად და სახიფათოდ ჟღერდა, თითქოს ფლერს ეთქვას - "რა სასიხარულოა!"

- და ასეც დარჩებიან, - დაამატა სომსმა, თუმცა მეორე წამსვე ინანა გამოწვევა, რომელიც ამ სიტყვებში იდო. ფლერი იღიმოდა. ამ ასაკში, როცა ახალგაზრდები ამაყობდნენ საკუთარი გზებით სვლას და აინუნშიც არ აგდებდნენ უფროსთა კეთილსინდისიერ წინასჯებს, სომსმა სწორედ ისეთი რამ უთხრა, რაც

ფლერს საკუთარ ნებას გაუღვივებდა. შემდეგ სომსს აირენის გამომეტყველება გაახსენდა და ისევ ამოისუნთქა.

- რაზე იჩხუბეს? - მოესმა ფლერის შეკითხვა.

- სახლთან დაკავშირებით. შენთვის ეს მეტისმეტად ძველი ამბავია. პაპაშენი შენი დაბადების დღეს გარდაიცვალა. ოთხმოცდაათი წლის იყო.

- ოთხმოცდაათის? კიდევ ბევრი ფორსაიტი არსებობს იმათ გარდა, ვინც წითელ წიგნში წერია?

- არ ვიცი. ახლა ყველა გაფანტულია. მოხუცები აღარ არიან, ტიმოთის გარდა.

ფლერმა ხელები შეაერთა:

- ტიმოთი? უჰ, რა გემრიელად ჟღერს, არა?

- სულაც არა, - თქვა სომსმა. ეწყინა "ტიმოთის" მიჩნევა "გემრიელად", ერთგვარ შეურაცხყოფად მიიღო თავისი მოდგმისთვის. ეს ახალი თაობა დასცინოდა ყველაფერ მყარსა და მდგრადს. "უნდა წახვიდე და მოხუცი ბიჭი მოინახულო. იქნებ რაღაცის წინასწარმეტყველება სურს". ნეტავ შესძლებოდა ტიმოთის, ენახა თავისი შვილიშვილების პერიოდის მოსვენებადაკარგული ინგლისი, უეჭველად იტყოდა ერთ-ორ სიტყვას. სომსმა უნებლიეთ ახედა აისიუმის ფანჯარას. ჰო, ჯორჯი ისევ იქ იჯდა და ისევ ის ვარდისფერი ფურცელი ეჭირა.

- რობინჰილი სად არის, მამა?

რობინჰილი! რობინჰილი, რომლის გარშემო მთელი ის ტრაგედია დატრიალდა! რაში დასჭირდა ფლერს ამის ცოდნა?

- სარეიში, რიჩმონდიდან არც ისე შორს. რატომ მეკითხები?

- იქ არის სახლი?

- რა სახლი?

- ჩხუბის მიზეზი?

- ჰო. მაგრამ შენ ამასთან რა გესაქმება? ხვალ შინ ვბრუნდებით... უმჯობესია შენს კაბებზე იფიქრო.

- გაგიმარჯოს! ყველა ფიქრით მაგას ვუტრიალებ. ოჯახური ქიშპი? საშინლად ამგზნებია, როგორც ბიბლია ან მარკ ტვენი. შენ რას შვრებოდი ამ ქიშპში, მამა?

- ეგ შენი საქმე არ არის.

- ოჰ! მაგრამ თუ მე უნდა ვიცოდე?

- ვინ გითხრა, რომ უნდა იცოდე?

- შენ, ძვირფასო.

- მეე? მე გითხარი, შენ მაგასთან არაფერი გესაქმება-მეთქი.

- მხოლოდ ის, რასაც ვფიქრობ, ანუ ყველაფერი რიგზეა.

ფლერი მეტისმეტად მკვეთრი იყო სომსისთვის, ანუ ბასრი, როგორც ანეტი უწოდებდა ხანდახან. ახლა სომსს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ფლერის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა.

- აქ მაქმანია გამოფენილი, - თქვა და მაღაზიასთან შეჩერდა, - მოეწონება-მეთქი, ვიფიქრე.

სომსმა ფული გადაიხადა და მათ გზა განაგრძეს.

- ხომ არ ფიქრობ, რომ იმ ბიჭის დედა ულამაზესია თავისი ასაკის ქალებს შორის?

სომსს გააჟრჟოლა: რა უცნაურად აიჩემა ფლერმა ეს თემა!

- არ ვიცი, მგონი, არ შემიმჩნევია.

- მე შევამჩნიე შენი თვალის კუთხე, ძვირფასო.

- ყველაფერს ხედავ და, მგონი, გაცილებით მეტსაც!

- მისი ქმარი როგორიღაა? თუ თქვენი მამები ძმები იყვნენ, მაშინ ის შენი მკვიდრი ბიძაშვილი გამოდის.

- ძვირფასო, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი ოცი წელიწადია თვალითაც არ მინახავს, - თქვა სომსმა მოულოდნელი ძალით.

- ვინ იყო ის კაცი?

- მხატვარი.

- საკმაოდ სასიამოვნოა.

სომსს ბაგეზე მოადგა სიტყვები: "თუ გსურს, მასიამოვნო, გამოიფერთხე თავიდან ეგ ხალხი". მაგრამ უკანვე შეიბრუნა: ფლერს არ უნდა დაენახა მისი გრძნობები.

- მან ერთხელ შეურაცხმყო.

ფლერის სწრაფი თვალები მის სახეს მიაჩერდა.

- მესმის! შენ სამაგიერო არ მიუზღე, ეს კი მტანჯველია. საბრალო მამა! ნება მომეცი, მე ვცადო!

სომსი თითქოს სიბნელეში იწვა და ზედ სახესთან კოღო უწუოდა. ფლერის ასეთი შეუპოვრობა მისთვის სიახლე იყო. სასტუმრომდე რომ მივიდნენ, მკაცრად თქვა:

- მე გავაკეთე, რაც შემეძლო. ამ ხალხისთვის ეს საკმარისია. სადილამდე ჩემს ოთახში ვიქნები.

- მე აქ დავჯდები.

სომსმა დამშვიდობების მზერით - სანახევროდ ნაწყენი და სანახევროდ მოთაყვანე თვალებით - გამოხედა სავარძელში ჩამჯდარ ფლერს და შევიდა ლიფტში, რომელმაც თავის მრავალოთახიან ნომრამდე აიყვანა მეოთხე სართულზე. იქ სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან გაჩერდა, საიდანაც იშლებოდა ხედი ჰა-

იდპარკზე, და თითები რაფაზე ააკაკუნა. გრძნობები აბურდოდა, ამღვრეოდა, შელახოდა. დროისგან და ახალი ინტერესებისგან შეხორცებული იმ ძველი ჭრილობის ფეთქვა ახლა უსიამოვნებას და მღელვარებას შერეოდა, და მცირე ტკივილსაც განიცდიდა მკერდში, სადაც ის ნუგა გასჩხეროდა. ანეტი ხომ არ შემოვიდა? არა იმიტომ, რომ რაიმეს არგებდა ამ მძიმე მომენტში. როცა კი ანეტს პირველ ქორწინებაზე უკითხავს რამე, სომსს მაშინვე მოუკეტვინებია. ანეტმა არაფერი იცოდა იმ ქორწინებაზე, გარდა იმისა, რომ ეს იყო სომსის ცხოვრების დიდი ლტოლვა, მასთან - ანეტთან - ქორწინება კი - მხოლოდ ყოფითი შენაცვლება. ყოველთვის ატარებდა ფარულ გაღიზიანებას ამის გამო და, ასე ვთქვათ, კომერციულ გამოყენებას უძებნიდა. სომსმა მიაყურადა: კარის მეორე მხრიდან ქალის მოძრაობების თანმხლები ყრუ შარიშური აღწევდა. ანეტი იყო. სომსმა დააკაკუნა.

- რომელი ხარ? - იკითხა ანეტმა.

- მე.

ანეტი კაბას იცვლიდა და ბოლომდე ჩაუცმელი მისი ჩინებული ფიგურა სარკეში ირეკლებოდა. იყო რაღაც დიდებულება მის მხრებში, მკლავებში, თმაში (რომელიც ჩამუქდა მას შემდეგ, რაც სომსმა პირველად ნახა), ყელის ხაზებში, სამოსის სირბილეში, შავწამწამებიან რუხ-ცისფერ თვალებში. ისეთივე ლამაზი იყო ამ თავის ორმოცი წლის ასაკში, როგორიც იმთავითვე ყოფილა. დახვეწილი ფლობა, ჩინებული დიასახლისი, მგრძნობიარე და საკმაოდ მოსიყვარულე დედა. ნეტავ ყოველთვის ასე გულღიად ცინიკური არ ყოფილიყო მათი ურთიერთობის მიმართ! სომსი, რომელსაც იმაზე მეტად არ უყვარდა ანეტი, ვიდ-

რე ანეტს - სომსი, იტანჯებოდა ერთგვარი ინგლისური წყენისგან, რომ ანეტს არასოდეს გადაუფარებია მათი პარტნიორობისთვის გრძნობის უთხელესი რიდეც კი. თანამემამულე კაცებისა და ქალების უმრავლესობასავით, სომსის აზრითაც ქორწინება უნდა ეყრდნობოდეს ორმხრივ სიყვარულს, მაგრამ როდესაც სიყვარული ქრება ან აღმოჩნდება, რომ არც არასოდეს ყოფილა, ანუ აშკარად არ დაყრდნობია სიყვარულს, ეს მაინც არ უნდა აღიარო. თანაცხოვრება იყო, სიყვარული - არა, მაგრამ შენ იყავი და უნდა გაგეგრძელებინა ეს ყოფნა! ამ გზით, ორმხრივად ინარჩუნებდი ქორწინებას და ფრანგივით არ ირცხვენდი თავს ცინიზმით, რეალიზმითა და უზნეობით. მეტიც: ეს ქონების ინტერესებშიც შედიოდა. სომსმაც იცოდა და ანეტმაც, რომ ორივეს მოეხსენებოდა სიყვარულის არარსებობა მათ შორის, მაგრამ კაცი მაინც არ მოელოდა ქალისგან ამის სიტყვიერ აღიარებას ან სხვაგვარ გამოხატვას და არასოდეს ესმოდა, რას გულისხმობდა ანეტი, როცა ინგლისელთა ფარისევლობას ახსენებდა.

- ვის წაიყვან შელტერში მომდევნო კვირას? - ჰკითხა სომსმა.

ანეტმა განაგრძო ტუჩების მსუბუქი დანერწყვა, ანუ ის, რაც სომსს არასოდეს მოსწონდა.

- შენს დას, უინიფრიდს, კარ-რ-დიგანებს, - ანეტმა პაწია შავი წკირი განზე გადადო, - პროფესორ პროფონს.

- იმ ბელგიელ ტიპს? რატომ მაინცდამაინც იმას?

ანეტმა ზლაზვნით მოაბრუნა კისერი, თავის ერთ წამწამს შეეხო და თქვა:

- უინიფრიდს ართობს.

- ფლერიც მინდა რომ გაართონ. მოუსვენარია.

- მოუსვენარ-რ-ი? ამას პირველად ამჩნევ, მეგობარო? დაბადებიდან მოუსვენარ-რ-ი იყო.

ნუთუ ვერასოდეს გადაეჩვეოდა ამ მანერულ რ-ებს?

სომსი მის გახდილ სამოსს შეეხო და ჰკითხა:

- რას აკეთებდი?

ანეტმა თავის სარკეში არეკლილ ქმარს შეხედა და წუთის წინ შელებილი ტუჩები სავსე, ირონიულმა ღიმილმა გაუპო:

- ჩემს თავს შევხაროდი.

- ოჰ! ბანტები, როგორც ვხვდები.

ამ სიტყვით სომსი აღნიშნავდა ქალების ჩვეულ სირბილს მაღაზიებში.

- ფლერმა თუ იყიდა თავისი საზაფხულო სამოსი?

- რატომ არ მეკითხები, მე თუ ვიყიდე ჩემი?

- შენთვის ხომ სულერთია, გკითხავ თუ არა.

- სრული სიმართლეა. ჰო, ფლერმა იყიდა. მეც - საშინლად ძვირი.

- რას საქმიანობს ის პროფონი ინგლისში?

ანეტმა წამის წინ მოწესრიგებული წარბები აზიდა:

- იახტით ცურავს.

- აჰ, ესე იგი, მძინარა ტიპია.

- ზოგჯერ, - მიუგო ანეტმა სახეზე გადარბენილი მშვიდი სიხარულით, - ზოგჯერ - საკმაოდ სახალისო.

- გუდრონის ფუნჯგადასმულს ჰგავს.

ანეტმა გაიზმორა:

- გუდრონის ფუნჯი რაღაა? დედით სომეხია.

- ჰოდა, საქმეც ეგ არის, - ჩაილაპარაკა სომსმა, - მხატვრობაში თუ ერკვევა?

- ყველაფერში ერკვევა: მსოფლიო კაცია.

- ჰოდა, ვინმე უშოვე ფლერს. მინდა, გავართო. შაბათს ვალ დარტისთან და მის ცოლთან მიდის. მე ეს არ მომწონს.

- რატომ?

რადგანაც მიზეზს ვერ აუხსნიდა ოჯახის ისტორიის გაუხსენებლად, სომსმა უბრალოდ უთხრა:

- მეტისმეტად ბევრს დატანტალებს.

- მომწონს ის პატარა მისის ვალი, ძალიან წყნარია და ჭკვიანი.

- არაფერი ვიცი მაგ ქალზე, გარდა იმისა, რომ... - ამ დროს სომსმა საწოლზე თერძული ხელოვნების რთული ქმნილება შენიშნა და აიღო: - ეს ახალია!

ანეტმა კაბა გამოართვა და სთხოვა:

- უკან ხომ ვერ შემიკრავდი?

სომსმა შეკვრა დაიწყო, თან მხარზემოდან შეხედა სარკეში, სადაც ანეტის სახის გამომეტყველება შენიშნა, - ოდნავ მხიარული, ოდნავ ზიზღნარევი, - რომელიც თითქოს ეუბნებოდა: "გმადლობ! შენ ვერასოდეს ისწავლი მაგის კეთებას!" მადლობა ღმერთს, რომ სომსი ფრანგი არ იყო! შეკვრა დაამთავრა ბიძგით და სიტყვებით: "აქ ძალიან დაბლაა". კარს მიაშურა ერთი სურვილით, რომ ანეტს გასცლოდა და ისევ ფლერთან ჩასულიყო.

ქალმა პუდრის ბალიში შეაჩერა და მოულოდნელად ესროლა:

- Que tu es grossier!(ფრანგ.) - რა უხეში ხარ!)

სომსი იცნობდა ამ გამოთქმას, უწინაც ჰქონია ასეთი შემთხვევა. როცა ანეტმა პირველად მიმართა ასე, სომსს ეგონა, რომ უთხრეს "რა ბაყალი ხარ!",("რა ბაყალი ხარ!" - ლაპარაკია ფრანგული grossier-ის და ინგლისური grocer-ის ევფონიურ მსგავსებაზე.) ხოლო როდესაც გაიგო, რას ეუბნებოდნენ, არ იცოდა, შვება განეცადა თუ არა. ეწყინა ამის გაგონება: ის არ იყო უხეში! თუ სომსი უხეში იყო, მაშინ იმ ახალგაზრდას რაღა ეთქმოდა, გვერდით ოთახში რომ ცხოვრობდა და დილაობით ყოვლად საზარელ ხმებს გამოსცემდა ყელის ჩაწმენდისას? ან სასტუმროს ჰოლში მიმომსვლელ ტიპებს, ამ მოყაყანე სიცარიელეს, რომელსაც კარგი აღზრდის ნიშნად მიაჩნდა ყველაფრის ლაპარაკი მხოლოდ ღრიალით და ყველას გასაგონად?! სომსი კი უხეში აღმოჩნდა იმიტომ, რომ ანეტის სამოსი ქვემოთ დაწეული ეჩვენა. ასე იყო და რა ექნა! ჰოდა, ხმის ამოუღებლად გავიდა ოთახიდან.

ჰოლში დაშორებული ბოლოდან შევიდა და მაშინვე თვალი მოჰკრა ფლერს, რომელიც იქვე იჯდა, სადაც დატოვა. ფეხი ფეხზე გადაედო და აბრეშუმისწინდიან და ნაცრისფერფეხსაცმლიან ფეხს ნელა აქანავებდა უტყუარ ნიშნად იმისა, რომ ოცნებაში იყო წასული. ამაზე მისი მზერაც მეტყველებდა, ასე რომ ეთიშებოდა ხანდახან. მერე კი, ერთ წამში, ისევ ცოცხლდებოდა და მაიმუნივით სწრაფი და მოუსვენარი ხდებოდა. რამდენი რამ იცოდა და რა თავდაჯერებული იყო, თუმცა ჯერ ცხრამეტი წელიც არ შესრულებოდა. რა იყო ის საძაგელი სიტყვა, რომელიც მიესადაგებოდა ამ საშინელ ახალგაზრდა არსებებს, რომლებიც წიოდნენ, კიოდნენ და საქვეყნოდ ჰფენდნენ თავიანთ წვივებს?

ახტაჯანა! ყველაზე უარესები მათ შორის ავ სიზმრებს ჰგავდნენ, ყველაზე უკეთესები - შეპუდრულ ანგელოზებს! ფლერი არ იყო ახტაჯანა, ანუ სლენგით მოლაპარაკე ამ უხეშ არსებათაგან ერთ-ერთი. და მაინც: ასე შემაშინებლად თავნება, სიცოცხლით სავსე და ამ სიცოცხლის სიხარულისთვის თავგადადებული იყო. სიხარულისთვის! ეს სიტყვა სომსს პურიტანულად კი არ ზაფრავდა, არამედ მხოლოდ მისი ტემპერამენტის შესატყვისად. ყოველთვის აკრთობდა დღევანდელი დღით გახარება, რადგან შიშობდა, ვაითუ, ხვალინდელი დღე ასე აღარ გამიხარდესო, და აძრწუნებდა იმის შეგრძნება, რომ მისი ქალიშვილი განძარცული იყო ამ თავდაცვითი საშუალებისგან. ამას თვით მისი ჯდომის მანერაც კი - ოცნებაში ასეთი წასვლა - ამხელდა. თვითონ სომსი არასოდეს დანთქმულა ოცნებაში. აქედან ხომ, საბოლოოდ, მაინც არაფერი გამოდნებოდა. ამიტომაც არ იცოდა სომსმა, ვისგან გამოჰყვა ეს თვისება ფლერს. რაღა თქმა უნდა, არა ანეტისგან! თუმცა ახალგაზრდობაში, როდესაც სომსი ეარშიყებოდა, ანეტს მოყვავილე მზერაც ჰქონია. ის მზერა დიდი ხანია დაკარგა.

ფლერი სკამიდან წამოხტა - მკვირცხლად, მოუსვენრად - და საწერ მაგიდას მივარდა. იქ სამელნეს და ფურცელს დასწვდა და ფაცხაფუცხით შეუდგა წერას, თითქოს სანამ არ დაწერდა, მანამდე ვერ ამოისუნთქავდა. უეცრად სომსი დაინახა. მთელი არსებით დანთქმულობის იერი გაუქრა, გაიღიმა, მამას კოცნა გაუგზავნა და ლამაზი სახე მიიღო. თითქოს ცოტათი გაკვირვებული დარჩა, ცოტათი - თავგაბეზრებული.

ოჰ, ფლერი "მშვენიერი" იყო... "მშვენიერი"!

თავი მესამე

რობინჰილში

ჯოლიონ ფორსაიტმა ვაჟიშვილს რობინჰილში გადაუხადა მეცხრამეტე დაბადების დღე და აუჩქარებლად მიუყვა თავის საქმეს. ახლა ყველაფერს აუჩქარებლად აკეთებდა, რადგან გული ვერ ჰქონდა კარგად და, მთელი მისი ოჯახის მსგავსად, დიდად არ ეპიტნავებოდა სიკვდილი. არასოდეს სცოდნია, მაინც რა სჭირდა მის გულს, სანამ თავის ექიმს არ მიაკითხა დაავადების სიმპტომების გასარკვევად ორიოდე წლის წინ.

- ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერ გადატვირთვაზე შეიძლება დაგარტყას! - უთხრა ექიმმა.

ეს დიაგნოზი ჯოლიონმა მიიღო ღიმილით - ფორსაიტისთვის ჩვეული რეაქციით უსიამოვნო ჭეშმარიტებაზე. მაგრამ მატარებელში, რომლითაც შინ ბრუნდებოდა, მან ბოლომდე გააცნობიერა თავზემოთ დაკიდებული განაჩენი: დამშვიდობება აირენთან, ვაჟიშვილთან, სახლთან, სამუშაოსთან... თუმცა ახლა ბევრს ვეღარაფერს აკეთებდა. ამ ყველაფრის დატოვება და გადასახლება გაურკვეველ წყვდიადში, წარმოუდგენელ მდგომარეობაში, ისეთ არარაობაში, სადაც თვით მისი საფლავის თავზე ნიავით აშრიალებული ფოთლების ხმასაც კი ვერ გაიგონებდა

და ვერც მიწისა და ბალახის სურნელს შეიგრძნობდა. ისეთ არა-რაობაში, რომლის გააზრებაც, რამდენჯერაც უცდია, ვერას-დროს შესძლებია. ის იმედი უნდა ეკმარა, რომ შეიძლებოდა ისევ ენახა მისთვის საყვარელი ადამიანები! ამის გაცნობიერება უმ-წვავესი სულიერი ტკივილის გაძლებას ნიშნავდა. იმ დღეს გზა-შივე გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა აირენისთვის. იმაზე უფრო ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, ვიდრე მამაკაცი მოქცეულა ოდესმე, რადგან უმცირეს დეტალსაც შეიძლებოდა გაეცა ეს ამ-ბავი და აირენიც თითქმის ქმარივით შესაბრალისი გაეხადა. სხვა მხრივ, ექიმმა მოამაგრა, რაკი უთხრა, რომ სამოცდაათი წელი არაფერი ასაკი არ არის და, თუ მოახერხებ, კიდევ დიდხანს იცოცხლებო.

ასეთი დასკვნა, რომელსაც ადამიანი ორი წელი ატარებს, ბოლომდე ავითარებს მისი ხასიათის ფაქიზ მხარეს. ბუნებრივად არამკვეთრი ჯოლიონი (თუ არ ჩავთვლით ნერვული აგზნების მომენტებს) თვითკონტროლის განსახიერებად იქცა. სევდიანი მოთმინება მოხუცებისა, რომლებსაც აღარ შეუძლიათ ძალის მოკრება, ამოეფარა ღიმილს, რომელსაც ტუჩები მარტოობის დროსაც კი ინარჩუნებდნენ. მუდმივად იგონებდა ყოველგვარ შესაძლებლობას თავისი მზარდი უძლურების დასაფარავად.

თავის თავს დასცინოდა ამის კეთებისთვის და მაინც - ვი-თომდა უბრალო ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება. უარი თქვა ღვინოსა და სიგარეტზე, სვამდა საგანგებო ყავას, რომელშიც არავითარი ყავა არ იყო. მოკლედ, იმდენად დაიცვა თავი, რამ-დენადაც მის მდგომარეობაში მყოფი ფორსაიტი შეძლებდა მი-სივე რბილი ირონიის საფარში. მაისის იმ მშვენიერ დღეს, რაკი

ცოლ-შვილი ქალაქში იყო გასული და ამიტომაც ვერავინ ამხელ-და, ჯოლიონი იჯდა და თავის ქაღალდებს აწესრიგებდა, რათა არავინ შეეწუხებინა, თუ ხვალ სიკვდილი მოაკითხავდა. ფაქ-ტობრივად, საბოლოოდ სახეს აძლევდა თავის მიწიერ მდგომა-რეობას. როცა ყველაფერი აღწერა და მამისეულ ჩინურ კარადა-ში ჩაკეტა, გასაღები კონვერტში ჩადო, კონვერტს დააწერა: "გა-საღები ჩინური კარადისა, რომელშიც იპოვით ჩემს ზუსტ მდგო-მარეობას. ჯ. ფ." და ჩაიდო გულის ჯიბეში, სადაც სიკვდილის წამსაც თან ექნებოდა. შემდეგ ჩაისთვის დარეკა და მის დასალე-ვად ბებერი მუხის ქვეშ გავიდა.

ყველას სიკვდილის განაჩენი აქვს გამოტანილი. ჯოლიონი კი, რომლის განაჩენი ოდნავ უფრო ზუსტი იყო და უფრო აჩქა-რებდა, იმდენად მიეჩვია ამას, რომ სხვა საგნებზეც ჩვეულებრი-ვად ფიქრობდა სხვა ადამიანებივით. ამჯერად თავის შვილზე ფიქრობდა.

იმ დღეს ჯონი ცხრამეტის გახდა, გადაწყვეტილება კი დაგ-ვიანებით მიიღო. განათლება არც ეტონში შეიძინა, როგორც მა-მამისმა, არც ჰაროუში, როგორც მისმა გარდაცვლილმა ნახე-ვარძმამ, არამედ ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც უნდა ასცდენოდა ბოროტებას და მიეღო სახალხო სკოლის სისტემის სიკეთე, თუმცა შეიძლებოდა მიეღო ან არ მიეღო ბოროტება და ასცდენოდა სიკეთეს. ეს დაწესებულება ჯონმა ისე დატოვა აპ-რილში, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა მომავალ-ში. ომი, რომელიც ადამიანებს დაჰპირდა, რომ სამუდამოდ გაგ-რძელდებოდა, სწორედ მაშინ დამთავრდა, როცა ჯონს ჯარში წასვლის დრომ მოუწია, ამ მომენტამდე ექვსი თვით ადრე. იქი-

დან მოყოლებული, ჯონი ეჩვეოდა აზრს, რომ შეეძლო თვითონ აერჩია თავისი საქმე. რამდენჯერმე ესაუბრა მამამისს, რის შემდეგაც მხიარულად დაასკვნა, ყველაფრისთვის მზად ვარ, რაღა თქმა უნდა, ეკლესიის, ჯარის, იურისპრუდენციის, სცენის, ბირჟის, მედიცინის, ბიზნესისა და საინჟინრო საქმის გარდაო. ამის მსმენელმა ჯოლიონმა სრულებით ნათლად დაასკვნა, ჯონს არაფრის ამორჩევა არ სურსო. თვითონაც ზუსტად ასე იყო ჯონის ასაკში, თუმცა, მის შემთხვევაში, ამ საამურ სიცარიელეს ბოლო მოუღო ადრეულმა ქორწინებამ და ამ უკანასკნელის უსიხარულო შედეგებმა. მას შემდეგ, რაც იძულებით გამწესდა კლერკად ლოიდში(ლოიდი - საზღვაო სადაზღვევო კომპანია.), ჯოლიონმა კეთილდღეობა დაიბრუნა, მერე კი მხატვრული ტალანტიც გამოუვლინდა. როდესაც შვილმა ღორებისა და სხვა ცხოველების ხატვა "ისწავლა", ჯოლიონმა უკვე იცოდა, რომ ის არასოდეს გახდებოდა მხატვარი, და იმ დასკვნისკენ გადაიხარა, რომ ჯონის ანტიპათია ყოველივეს მიმართ მწერლობისკენ მიდრეკილებას ნიშნავდა. თუმცა ჯოლიონი იმასაც ითვალისწინებდა, რომ გამოცდილების ქონას თვით ეს საქმიანობაც ითხოვდა და, ამდენად, ჯონს ახლა სხვა აღარაფერი სჭირდებოდა, თუ არა უნივერსიტეტი, მოგზაურობა და, შესაძლოა, სადილების მირთმევა ადვოკატების წრეში. ამის შემდეგ ჯოლიონი ნახავდა ან, ალბათ, ვერ ნახავდა, როგორ წავიდოდა საქმე. ამ ცდუნებების წინაშე მდგარი ჯონი კი გადაწყვეტილებას ვერ იღებდა.

ასეთმა საუბრებმა შვილთან ჯოლიონს დაუდასტურა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ქვეყნიერება სულაც არ შეცვლილა. ადამიანები ამბობდნენ, ახალი ეპოქა ჩამოდგაო. შორსმხედველო-

ბით იმ ადამიანისა, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია, ჯოლიონი ხვდებოდა, რომ ოდნავ განსხვავებული ზედაპირის ქვეშ ზუსტად იგივე ეპოქა იდგა. კაცობრიობა ისევ ორ სახესხვაობად იყოფოდა: მცირედნი, ვის სულებსაც ჭვრეტის უნარი ჰქონდა, და ბევრნი, ვისაც ეს არ ჰქონდა. ამ ორს შორის გადიოდა ჯოლიონისნაირი ჰიბრიდების სარტყელი. ჯონს აზროვნება აღმოაჩნდა, ეს კი მამამისს ცუდ პერსპექტივად ესახებოდა.

ამიტომ ჯოლიონმა თავის ჩვეულებრივ ღიმილზე რაღაც უფრო სიღრმისეულის თანხლებით მოუსმინა ჯონის სიტყვებს ორიოდე კვირის წინ: "ფერმერობა მინდა ვცადო, მა, თუკი ეს ძალიან ძვირი არ დაგიჯდება. მგონი, მხოლოდ ასეთი ტიპის ცხოვრება არ აზიანებს არავის. თუ არ ჩავთვლით ხელოვნებას, რომელზეც, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია ჩემთვის".

ჯოლიონმა ღიმილი შეიკავა და თქვა:

- კეთილი. ეს იქნება ნახტომი უკან, სადაც ჩვენი პირველი ჯოლიონი იყო 1760 წელს. ეს დაადასტურებს ციკლურ თეორიას და, სხვათა შორის, შენ შეიძლება უკეთესი თალგამი გამოიყვანო, ვიდრე მას გამოჰყავდა.

- შენი აზრით, ეს ცუდი სქემაა, მა? - ჰკითხა ცოტათი დათრგუნვილმა ჯონმა.

- არა, ძვირფასო, გამოდგება. თუ მართლა მოჰკიდებ ხელს, მაშინ მეტ სიკეთეს მოუტან ქვეყანას, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობას მოაქვს. ეს ცოტას არ ნიშნავს.

თავისთვის კი გაიფიქრა: "არა, არ მოჰკიდებს. ოთხ წელიწადს მივცემ. ასეა თუ ისე, ჯანსაღი და უმტკივნეულო საქმეა".

ამ ამბავზე ფიქრისა და აირენთან მოლაპარაკების შემდეგ ჯოლიონმა თავის ქალიშვილს, მისის ვალ დარტის მისწერა წერილი, რომელშიც ეკითხებოდა: ხომ არ გეგულება მანდ, დაუნსში, ვინმე ფერმერი, ჯონს შეგირდად რომ აიყვანდაო. ჰოლიმ ენთუზიაზმით უპასუხა: მშვენიერი კაცი ცხოვრობს აქვე ახლოს, მე და ვალს კი დიდად გაგვიხარდება, თუ ჯონი ჩვენთან იცხოვრებსო.

ბიჭი მეორე დღეს უნდა წასულიყო.

ჯოლიონი პატარა ყლუპებით სვამდა ლიმონიან მსუბუქ ჩაის და ბებერი მუხის ფოთლებიდან გასცქეროდა ხედს, ესოდენ სასურველს მისთვის მთელი ამ ოცდათორმეტი წლის განმავლობაში. ხე, რომლის ქვეშაც იჯდა, ამაზე ერთი დღით უფროსიც კი არ ჩანდა! ასეთი ნორჩი, პატარა, მოყავისფრო ოქროსფერი ფოთლები; ასეთი ბებერი, თეთრ-ნაცრისფერ-მწვანე სქელი, უხეში ღერო. მოგონებების ხე, რომელიც კიდევ ასობით წელს იცოცხლებდა (თუ ამასობაში ვინმე ბარბაროსი არ მოჭრიდა), ნახავდა მოხუცი ინგლისის სვლას სხვა ყველაფერთან ერთად. ჯოლიონს გაახსენდა ერთი ღამე სამიოდე წლის წინ, თავისი ფანჯრიდან რომ იყურებოდა აირენზე მკლავშემოხვეული და უთვალთვალებდა გერმანულ თვითმფრინავს, რომელიც თითქოს ზედ მუხის თავზე ლივლივებდა. მეორე დღეს ბომბისგან ამოთხრილი ორმო იპოვეს გეიჯის ფერმის მინდორში. ეს მოხდა მანამდე, სანამ ჯოლიონს ექიმი სასიკვდილო განაჩენს გამოუცხადებდა. სხვა შემთხვევაში, ალბათ ისურვებდა, რომ იმ ბომბს იქვე გაეთავებინა. ეს ჯოლიონს გაათავისუფლებდა ამდენი წოწიალისგან, საათობით გაგრძელებული გამთანგავი შიშისგან.

იმედი ჰქონდა, რომ მიაღწევდა ნორმალურ ფორსაიტულ ასაკამდე, ანუ ოთხმოცდახუთ ან მეტ წლამდე. მაშინ აირენი სამოცდაათის იქნებოდა და თავისებურად მოენატრებოდა ჯოლიონი. სამაგიეროდ, დარჩებოდა ჯონი - ჯოლიონზე უფრო მნიშვნელოვანი აირენის ცხოვრებისთვის, ჯონი, რომელიც დედამისს აღმერთებდა.

ამ ხის ქვეშ, სადაც მოხუცმა ჯოლიონმა უკანასკნელად ამოისუნთქა, ის ამჯერად მდელოს გავლით მოსულ აირენს ელოდებოდა და ახირებით ფიქრობდა: რაკი ყველაფერი ბოლომდე მოვაწესრიგე, ხომ არ აჯობებდა მე თვითონ დამეხუჭა თვალი და ამ ქვეყანას გავცლოდიო. იყო რაღაც პარაზიტული იმაში, რომ ცხოვრების უძლურ დასასრულს მიჰკვროდა, ცხოვრების, რომელშიც ორადორ რამეს ნანობდა: ხანგრძლივ დაშორებას მამასთან თავის სიჭაბუკეში და დაგვიანებულ კავშირს აირენთან.

იქიდან, სადაც იჯდა, აყვავებული ვაშლის ხეების კორომი ჩანდა. არაფერი ისე არ უთრთოლებდა გულს ბუნებაში, როგორც მოყვავილე ხეხილი. ჰოდა, უეცრად ეს გული შეეკუმშა იმის წარმოდგენაზე, რომ ველარასოდეს ნახავდა აყვავებულ ხეებს. გაზაფხული! ნამდვილად არ უნდა კვდებოდნენ ისეთები, ვისაც გული იმდენად ნორჩი აქვს, რომ მშვენიერება უყვარს! ბუჩქებში შაშვები მღეროდნენ, მაღლა მერცხლები დაფრინავდნენ, ჯოლიონის თავზემოთ ფოთლები ბზინავდა, ველებზე კი პირველი სიმწვანის ყველა წარმოსადგენი ტონი მოჩანდა - თანაბარი მზის შუქით განათებული იქამდე, სადაც შორეული სიცისფრე კვამლივით იწვა ჰორიზონტის გაყოლებაზე. იმ საღამოს აირენის ყვავილები - უზრუნველი ყოფიერების პატარა და ღრმა და-

დასტურებები - საოცარი ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ თავ-თავიანთ ვიწრო საბინადროში. მხოლოდ ჩინელმა და იაპონელმა მხატვრებმა და, შესაძლოა, ლეონარდომ იცოდნენ, როგორ ჩაედოთ ეს პატარა, განსაცვიფრებელი ეგო თითოეულ ყვავილში, ჩიტში, ცხოველში, - ეგო, სახეობის შეგრძნება და, ამასთანავე, სიცოცხლის უნივერსალობაც. ისინი ძმები იყვნენ! "მე არაფერი გამიკეთებია ისეთი, რაც დარჩება, - ფიქრობდა ჯოლიონი, - მე მოყვარული ვიყავი, უბრალო მიჯნური, არა შემოქმედი. და მაინც: მე როცა წავალ, ჯონი დარჩება". რა ბედნიერებაა, რომ ბიჭი იმ საზარელ ომში არ მოჰყვა! ისევე ადვილად შეეძლოთ მოეკლათ, როგორც ის საბრალო ჯოლი მოკლეს ოცი წლის წინ ტრანსვაალში. "ჯონი ოდესმე რაღაცას გააკეთებს, თუკი ეს საუკუნე არ გარყვნის. მდიდარი წარმოსახვა აქვს! მისი ახირება ფერმერობასთან დაკავშირებით მხოლოდ მცირეოდენი სენტიმენტალობაა და დიდხანს არ გასტანს".

სწორედ ამ დროს დაინახა მინდორზე მომავალი ჯონი და აირენი. სადგურიდან მოდიოდნენ მკლავგაყრილები. ჯოლიონი წამოდგა და, ახალი ვარდის ბაღის გავლით, მათ შესახვედრად გაემართა...

იმ ღამეს აირენი მის ოთახში შევიდა და ფანჯარასთან დაჯდა. ხმა არ ამოუღია, სანამ ჯოლიონმა ჰკითხა:

- რა ხდება, ჩემო სიყვარულო?

- დღეს შეხვედრა გვქონდა.

- ვისთან?

- სომსთან.

სომსი! ეს სახელი კარგა ხანია ჯოლიონს თავისი ფიქრებიდან განედევნა, თუმცა აცნობიერებდა, რომ ეს მისთვისვე იყო ცუდი. ახლა კი გული დაბნეულობისგან შეერხა, თითქოს მკერდში გადაუადგილდა.

აირენმა მშვიდად განაგრძო:

- ის და მისი ქალიშვილი გალერეაში იყვნენ, მერე - საკონდიტროში, სადაც ჩვენ ჩაი დავლიეთ.

ჯოლიონი მივიდა და ხელი მხარზე დაადო.

- როგორ გამოიყურებოდა?

- გაჭაღარავებულა. სხვა მხრივ, თითქმის ისეთივეა.

- გოგონა?

- ლამაზია. ყოველ შემთხვევაში, ჯონის აზრით.

ჯოლიონს გული კიდევ ერთხელ გადაუქანდა. მის ცოლს დაძაბული და საგონებელში ჩავარდნილი სახე ჰქონდა.

- შენ ხომ არაფერი... - დაიწყო ჯოლიონმა.

- არა, მაგრამ ჯონმა მათი გვარი გაიგო. გოგონას ცხვირსახოცი დაუვარდა და ამან მიაწოდა.

ჯოლიონი თავის საწოლზე ჩამოჯდა. ცუდი იღბალი!

- ჯუნი თქვენთან ერთად იყო. ხომ არ ჩაერია თავისებურად?

- არა. მაგრამ ყველაფერი ძალზე უცნაურად და დაძაბულად მოხდა. ეს ჯონმაც შენიშნა.

ჯოლიონმა ღრმად და ხანგრძლივად ამოიოხრა:

- ხშირად მიფიქრია, გვქონდა თუ არა მისთვის იმ ყველაფრის დამალვის უფლება. ერთხელაც თვითონ აღმოაჩენს.

- რაც უფრო გვიან, მით უკეთესია, ჯოლიონ. ახალგაზრდები ძალიან ზედაპირულად და მკაცრად განსჯიან. ცხრამეტი წლისა

რომ იყავი, რას იფიქრებდი დედაშენზე, თუ ისე მოიქცეოდა, როგორც მე მოვიქეცი?

საქმეც ეს იყო! ჯონი აღმერთებდა დედამისს და არაფერი იცოდა ცხოვრების ტრაგედიებზე, გარდაუვალ საჭიროებებზე, უიღბლო ქორწინების დამწყვდეულ მწუხარებაზე, ეჭვიანობასა და ვნებაზე. არაფერი იცოდა ჯერჯერობით!

- რა უთხარი? - თქვა ბოლოს ჯოლიონმა.

- ნათესავები არიან, ოღონდ ჩვენ არ ვიცნობთ: აირენს დიდად არასოდეს ანაღვლებდა თავისი სანათესავო, ამ სანათესავოს კი - აირენი-მეთქი. მგონი, კითხვებს დაგისვამს.

ჯოლიონს გაეღიმა:

- ეს საჰაერო თავდასხმებს გვპირდება. ბოლოს და ბოლოს, უკვე მენატრება.

აირენმა ქვემოდან ამოხედა:

- ჩვენ ვიცოდით, რომ ერთხელაც ეს მოხდებოდა.

- ვერასოდეს ავიტანდი ჯონის ბრალდებებს შენ მიმართ! - თქვა ჯოლიონმა უეცრად მოზღვავებული ენერგიით, - ის ამას ფიქრშიც კი არ იზამს. წარმოსახვას არ ემდურის და, თუ რიგიანად მივაწვდით, ყველაფერს სათანადოდ გაიგებს. ვფიქრობ, აჯობებს მე თვითონ ვუთხრა, სანამ სხვა გზებით შეიტყობს.

- ჯერ არა, ჯოლიონ.

ეს აირენს ჰგავდა: წინდაწინ ვერაფერს ჭვრეტდა და არასოდეს დგამდა ნაბიჯებს უსიამოვნების შესახვედრად. თუმცა, ვინ იცის, შეიძლებოდა ამჯერად მართალიც იყო. დედობრივი ინსტინქტი ეწინააღმდეგებოდა რამის გამხელას ჯონისთვის. იქნებ გამართლებულიც იყო, რომ ბიჭს თავისი გზა განეგრძო

იქამდე, სანამ პირადი გამოცდილება მისცემდა გარკვეულ კრიტერიუმს, რომლითაც ძველი ტრაგედიის ღირებულებებს განსჯიდა, და როცა სიყვარული, ეჭვი თუ ლტოლვა თვითონვე გაუღრმავებდა გულმოწყალებას. და მაინც, უნდა გაფრთხილებულიყვნენ, ანუ მიეღოთ სიფრთხილის ყველა შესაძლებელი ზომა! აირენის გასვლის შემდეგ ჯოლიონს კიდევ დიდხანს არ დაუძინია. იწვა და სიფრთხილის ზომებზე ფიქრობდა. უნდა მისწეროს ჰოლის და უთხრას, რომ ჯონმა არაფერი იცის ოჯახური ისტორიიდან. ჰოლი წინდახედული ქალი იყო, ქმარსაც გააჩუმებდა, ყველაფერზე იზრუნებდა. ხვალ ჯონი თვითონ წაუღებდა წერილს.

ასე რომ, დღე, როდესაც ჯოლიონმა თავისი მატერიალური ანდერძი მოაწესრიგა, საათის გამოზომილი ჩამოკვრით დამთავრდა, მეორე დღე კი დაიწყო სულიერი არეულობით, რომელსაც ასე ადვილად ვერ მოამთავრებდა და ვერ გააპრიალებდა...

თუმცა ჯონსაც ეღვიძა თავის ოთახში - მის უწინდელ ბაგაბაღში. ამჯერად იმ განცდის ტყვე იყო, რომელსაც მხოლოდ მისი არმცოდნენი განსჯიდნენ: - პირველივე ნახვით შეყვარების! იგრძნო, რომ მის არსებაში ეს დაიწყო იმ შავი თვალების ციმციმით, ზუსტად მოპირდაპირე მხრიდან რომ უყურებდნენ იუნონას, დაიწყო იმ რწმენით, რომ ეს მისი "ოცნება" იყო. ხოლო რაც ამას მოჰყვა, ჯონს ერთდროულად ბუნებრივიც ეჩვენა და ზღაპრულიც. ფლერი! თვით ეს სახელიც კმაროდა იმისთვის, ვინც უკიდურესად მგრძნობიარე იყო სიტყვების ხიბლის მიმართ. ჰომეოპათიურ საუკუნეში, სადაც ბიჭები და გოგონები ერთად სწავლობდნენ და ერთად იყვნენ ადრეულ ასაკში, როცა სექსი

თითქმის არ არსებობდა, ჯონს გამორჩეულად ძველი სტილი შეენარჩუნებინა. მისი თანამედროვე სკოლა მხოლოდ ბიჭებს იღებდა, უქმეებს კი რობინჰილში ატარებდა თავის მეგობრებთან ან მშობლებთან ერთად. ამიტომაც არასდროს აუცრიათ შხამის პატარ-პატარა დოზების შეშხაპუნებით სიყვარულის პირველი ჩანასახების საწინააღმდეგოდ და ახლა, ამ სიბნელეში, მისი ტემპერატურა სწრაფად იწევდა ზემოთ. მღვიძარე იწვა და, როგორც ამბობენ, ფლერს წარმოისახავდა, მის სიტყვებს იხსენებდა, განსაკუთრებით - იმ რბილ და მხიარულ Au revoir-ს.

განთიადსაც თვალგახელილი შეხვდა, შარვალი ამოიცვა, ფეხები სპორტულ ფეხსაცმელში წაყო, ჯემპრიც ჩაიცვა, ჩუმად ჩაუყვა კიბის საფეხურებს და სამუშაო კაბინეტის ფანჯრიდან გარეთ გავიდა. ახლაღა თენდებოდა. ჰაერში ბალახის სურნელება იდგა. "ფლერ!", ფიქრობდა ბიჭი, "ფლერ!" გარეთ ყველაფერს იდუმალი სითეთრე დასდებოდა. ჯერ არაფერს ეღვიძა, მხოლოდ ჩიტები იწყებდნენ ის-ისაა გალობას. "ტევრში ჩავალ", გაიფიქრა ჯონმა. მინდვრები გადაირბინა, ზუსტად მზის ამოსვლისას გავიდა ტბორთან და იქ ტევრში შევიდა. ხეებქვეშ მიწა მაჩიტებს მოექარგათ, მუხებს შორის იდუმალი რომანტიკული ჰაერი იდგა. ჯონმა შეისუნთქა ეს სიცინცხლე და მაჩიტებს მიაჩერდა თანდათან მომძლავრებულ სინათლეში. ფლერ! ირგვლივ ყველაფერი ამ სახელს ერითმებოდა. "ის მეიპლდურჰამში ცხოვრობს: მშვენიერი სახელია, სადმე მდინარის პირას იქნება". ჯონს შეეძლო რუკაზე ეპოვა ეს ადგილი. მისწერდა ფლერს. მაგრამ ის თუ უპასუხებდა? უნდა უპასუხოს! ხომ უთხრა Au revoir!, არა Good bye! მაინც რა იღბლად დაუვარდა ცხვირსახოცი!

უამისოდ ხომ ვერ გაიცნობდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა იმ ცხვირსახოცზე, მით უფრო უკვირდა თავისი იღბალი. ფლერ! ეს განცდა უდავოდ ერითმებოდა ფლერს! თავი რიტმებით აევსო, სიტყვები ირეოდნენ და წყვილდებოდნენ: ჯონი ლექსის დაწერის ზღვარზე იყო.

ასეთ მდგომარეობაში დარჩა ნახევარ საათზე მეტხანს, შემდეგ სახლში დაბრუნდა, კიბე გამოიტანა და, ერთიანად აღტყინებული, საწოლი ოთახის ფანჯრამდე აცოცდა. მერე გაახსენდა, რომ სამუშაო კაბინეტის ფანჯარა ღია დარჩა, ქვემოთ ჩავიდა და დაკეტა. ჯერ კიბე მოაშორა კედელს, რათა თავისი გრძნობის ყველა კვალი წაეშალა. მეტისმეტად ღრმა ამბავი იყო საიმისოდ, რომ მოკვდავისთვის გაენდო, თვით დედისთვისაც კი.

თავი მეოთხე

მავზოლეუმი

არსებობს სახლები, რომელთა სულებს გავლილი აქვს დროის ლიმბი, სხეულები კი ლონდონის ლიმბში დაუტოვებიათ. მთლად ასეთი არ იყო ტიმოთის სახლის მდგომარეობა ბეისვოტერ როუდზე, რადგან მის სულს ცალი ფეხი ჯერ კიდევ ტიმოთი ფორსაიტის სხეულში ედგა, სმითერი კი უცვლელად ინარჩუნებდა ატმოსფეროს, ანუ ქაფურისა და პორტვეინის სუნს, რომლის გასაქარვებლადაც სახლი სულ ორჯერ ნიავდებოდა დღეში.

ფორსაიტული წარმოსახვისთვის ეს სახლი ამჟამად ჩინურ პაგოდას ჰგავდა, ანუ ფენების წყებას, რომლის სულ ზედა შრეში ტიმოთი ცხოვრობდა. მას ვერ მიაღწევდი ან, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ ოჯახის წევრები, რომლებიც - ძველი დროიდან გამოყოლილი ჩვევის ან გაფანტულობის მიზეზით - თვეში ერთხელ თუ მოიკითხავდნენ ჯერაც ცოცხალ ბიძას. ასეთები იყვნენ ფრენსი, ამჟამად სავსებით თავისუფალი ღმერთისგან (ეს ქალი გულახდილად აღიარებდა ათეიზმს), ეფემია - თავისუფალი მოხუცი ნიკოლასისგან, უინიფრიდ დარტი კი - თავის "მსოფლიო კაცისგან". თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ახლა ყველა

ემანსიპირებული იყო, ან ამბობდა, რომ იყო, რაც მთლად ერთი და იგივე არ გახლავთ.

ჰოდა, როდესაც სომსი პადინგტონის სადგურზე გავიდა გალერეაში მომხდარი შეხვედრის მომდევნო დღეს, სულაც არა იმ მოლოდინით, რომ ხორციელად ნახავდა ტიმოთის. გული მსუბუქად შეუქანდა, როდესაც სრული სამხრეთული მზის ქვეშ იდგა ახალშეთეთრებულ საფეხურებზე იმ პატარა სახლისა, სადაც ოდესღაც ოთხი ფორსაიტი ცხოვრობდა, ახლა კი ერთიღა დარჩენილიყო ზამთრის ბუზივით; სახლი, რომელშიც სომსი უთვალავჯერ შესულ-გასულა, განძარცული ან დატვირთული ოჯახური ჭორებით, - სხვა საუკუნის, სხვა ეპოქის ბინადარ მოხუცთა სახლი.

სმითერის დანახვამ, იმ სმითერის, რომელიც ახლაც ყელამდე შეკრული კორსეტით დადიოდა, რაკი დაახლოებით 1903 წელს შემოსული ახალი მოდა არასოდეს მოსვლიათ თვალში მამიდა ჯულის და მამიდა ესთერს, - ამ კაცის დანახვამ სომსს მსუბუქად მეგობრული ღიმილი გადაუფინა ტუჩებზე. სმითერმა - ძველებური წესრიგის ყველა დეტალში ერთგულმა და ფასდაუდებელმა მოსამსახურემ, რომლის მსგავსებიც აღარ მოიპოვებიან - ღიმილზე ღიმილითა და ამ სიტყვებით უპასუხა:

- უჰ, ეს ბატონი სომსია, მთელი ამ ხნის შემდეგ! როგორ გიკითხოთ, სერ? მისტერ ტიმოთი ერთობ ნაამები დარჩება თქვენი აქ მოსვლით.

- როგორ არის?

- ოჰ, თავისი ასაკისთვის საკმაოდ მხიარულად, სერ. საოცარი კაცია, რაღა თქმა უნდა. როგორც მისის დარტის ვუთხარი

მისი ბოლო ვიზიტის დროს: მის ფორსაიტს, მისის ჯულისა და მის ესთერს აშკარად ეამებათ იმის დანახვა, დღემდე როგორ იტ-კბარუნებს პირს შემწვარი ვაშლით. თუმცა სრულებით ყრუა. და ეს მე აშკარა წყალობად მეჩვენება. სხვა შემთხვევაში, ახლაც არ ვიცი, რა უნდა გვექნა მისთვის საჰაერო თავდასხმების დროს.

- ჰოდა, რა უქენით? - თქვა სომსა.

- თავის საწოლში დავტოვეთ, სარდაფში კი ზარი გვქონდა ჩა-მოყვანილი, რათა მზარეულს და მე გაგვეგონა, თუ დარეკავდა. არაფრით არ უნდა შეეტყო, რომ ომი დაიწყო. მზარეულს ვუთ-ხარი: "თუ მისტერ ტიმოთი დარეკავს, როგორც გსურთ, ისე მოიქეცით, მე კი ზემოთ ავდივარ. ჩემს ძვირფას ქალბატონებს შეტევა დაემართებათ, თუ დაინახავენ, რომ ტიმოთი რეკავს და არავინ აკითხავს". არადა, უდრტვინველად ეძინა ყველა დაბომ-ბვის დროს. ერთხელ კი, დღისით რომ ცვიოდა ბომბები, მისტერ ტიმოთი ბანაობდა. ეს ნამდვილი წყალობა იყო, რადგან თავი-სუფლად შეეძლო დაენახა, როგორ იყურებოდა ზემოთ ქუჩაში მოსიარულე ხალხი. ხშირად იცქირება ხოლმე ფანჯრიდან.

- კარგი! - უთხრა სომსმა, რადგან სმითერი უკვე ყბედობას იწყებდა, - მსურს, მხოლოდ მივიხედ-მოვიხედო და ვნახო, რამე ხომ არ არის გასაკეთებელი.

- დიახ, სერ. არა მგონია, რამე გვჭირდებოდეს, გარდა იმისა, რომ სასადილო ოთახში თაგვის სუნი დგას და არ ვიცით, როგორ მოვიშოროთ თავიდან. უცნაურია, რომ იქ არიან, თუმცა პურის ერთი ნამცეციც არსად გდია, რადგანაც ომის დაწყების წინ მის-ტერ ტიმოთიმ ქვემოთ ჩამოსვლა შეწყვიტა.

- საწოლიდან თუ დგება?

- ოჰ, კი, სერ! დილაობით მშვენიერ ვარჯიშს აკეთებს თავისი საწოლიდან ფანჯრამდე. სრულიად მყუდროდაა მოკალათებული საკუთარ თავში. ყოველდღიურად უბრუნდება თავის ანდერძს. ეს დიდი შვებაა მისთვის.

- კარგი, სმითერ, მისი ნახვა მსურს. იმ შემთხვევაში, თუ რამის თქმა უნდა ჩემთვის.

სმითერი წამოწითლდა თავისი კორსეტის ზემოთ.

- იქნება ამის შესაძლებლობა! - თქვა სმითერმა, - ოთახები ხომ არ დაგვევლო, სერ, სანამ მზარეულს გავგზავნი, რომ გააგებინოს, რა ხდება.

- არა, შენ წადი, - თქვა სომსმა, - ოთახებს მე თვითონ დავივლი.

ერთი ადამიანი მეორის წინაშე სენტიმენტებს ვერ გადმოაფრქვევს, სომსი კი გრძნობდა, რომ სენტიმენტალური ხდებოდა წარსულით ასე გაჟღენთილ ამ ოთახებში. როცა აღგზნებისგან აჭიკჭიკებული სმითერი სომსს გაეცალა, ეს უკანასკნელი სასადილო ოთახში შევიდა და იქაური ჰაერი შეიყნოსა. მისი აზრით, ეს იყო არა თაგვების სუნი, არამედ მერქნის ლპობის საწყისი სტადიის, და ამიტომაც კედლებზე აკრული პანელი შეამოწმა. დარწმუნებული არ იყო, ღირდა თუ არა ამის შეღებვა ტიმოთის ასაკში. ეს ოთახი იმთავითვე ყველაზე თანამედროვე იყო მთელ სახლში. სომსის ტუჩებსა და ნესტოებზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა. მუხის პანელის ზემოთ მდიდრული მწვანე ფერის კედლები აზიდულიყო. კოჭების შემცვლელებით დაყოფილი ჭერიდან მძიმე ლითონის შანდალი ეშვებოდა. სურათები თვით ტიმოთის ეყიდა სამოცი წლის წინ ჯობსონთან: სნაიდერის სამი ნა-

ტიურმორტი, სამი მქრქალფერებიანი, საკმაოდ მომხიბლავი ნახატი, რომლებზეც გამოსახული იყო ბიჭი და გოგო და ეწერა ინიციალები - "ჯ. რ.". ტიმოთის მუდამ სჯეროდა, რომ ეს ინიციალები შეიძლებოდა ყოფილიყო ჯოშუა რეინოლდსის, თუმცა სომსმა, რომელიც ეთაყვანებოდა ამ სურათებს, აღმოაჩინა, რომ ისინი მხოლოდ ჯონ რობინსონის ნახელავი იყო. თეთრი პონი კი, რომელსაც ნალებს აჭედებდნენ, უდავოდ მორლანდს ეკუთვნოდა. პლუშის მუქწითელი ფარდები, წითელი ხის ათი მაღალსაზურგიანი, პლუშგადაკრული სკამი, თურქული ხალიჩა და ასევე წითელი ხის სასადილო მაგიდა - იმდენადვე დიდი, რამდენადაც ოთახი იყო პატარა: აი, ოთახი, რომელიც ასეთი ახსოვდა სომსს ოთხი წლის ასაკიდან. გამორჩეულად მიეჯაჭვა ორ ნახატს და ფიქრობდა: "ამათ გაყიდვებზე შევიძენ".

სასადილო ოთახიდან ტიმოთის სამუშაო კაბინეტში შევიდა. არ ახსოვდა, ოდესმე თუ ყოფილა ამ ოთახში. იატაკიდან ჭერამდე წიგნები ასვეტილიყო და სომსმაც ინტერესით შეხედა. ერთი კედელი, როგორც ჩანდა, მთლიანად ეძღვნებოდა საგანმანათლებლო წიგნებს, რომლებიც ტიმოთის ფირმას გამოეცა ორი თაობის წინ, ზოგჯერ - თითო წიგნის ოც ეგზემპლარსაც კი. მათი სათაურების შემხედვარე სომსს შეაჟრჟოლა. შუა კედელი ზუსტად იმავე წიგნებს ეჭირა, სომსის მამას რომ ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში პარკ ლეინზე, საიდანაც მან წარმოსახვითაც დაასკვნა, რომ ერთ დღესაც ჯეიმსი და მისი უმცროსი ძმა ერთად გავიდნენ და პატარა ბიბლიოთეკების მთელი ასხმულა შეიძინეს. მესამე კედელს მეტი მღელვარებით მიუახლოვდა. აქ აშკარად ტიმოთის პირადი გემოვნება ამოიცნობოდა. წიგნებს მაკეტების

ფორმა ჰქონდა. მეოთხე კედელი წარმოადგენდა მთლიანად ფარდაჩამოფარებულ ფანჯარას, რომლისკენაც მიბრუნებული იყო დიდი სკამი ზედ მიბმული წითელი ხის საკითხავი დაფითა და ზედ დადებული "ტაიმსის" შეყვითლებული ეგზემპლარით, რომელიც თარიღდებოდა 1914 წლის 6 ივლისით - დღით, როცა ტიმოთი პირველად ვეღარ ჩამოვიდა ქვემოთ, თითქოს ომისთვის ემზადებოდა, ანუ რაღაცნაირად მაინც მის მოლოდინში იყო. კუთხეში იდგა დიდი გლობუსი იმ მსოფლიოსი, რომელიც ტიმოთის არასოდეს მოუნახულებია, რაკი ღრმად სწამდა სხვა ყველაფრის არარეალობა, ინგლისის გარდა, და გამუდმებით შერყეულ-შექანებული იყო ზღვისგან, რომელმაც მთლად აუმღვრია გულ-მუცელი 1836 წლის ერთი კვირადღის ნაშუადღევს, როცა ბრაიტონის ნავმისადგომიდან გავიდა გასართობ გემზე ჯულისთან და ესთერთან, სუითინ და ჰატი ჩესმენებთან ერთად. და ეს - სუითინის წყალობით, რომელიც მუდამ რაღაცას იკვიატებდა და რომელსაც, მადლობა ღმერთს, თვითონაც ზღვის ავადმყოფობა დაემართა. ეს ყველაფერი სომსმა ჩინებულად იცოდა, სულ ცოტა ორმოცდაათჯერ მაინც მოუსმენია ეს ამბავი ხან ერთი და ხან მეორე მათგანისგან. გლობუსთან მივიდა და დასატრიალებლად უბიძგა. გლობუსმა მსუბუქად გაიჭრიალა, ერთი დუიმით შებრუნდა და გამოაჩინა ობობა, რომელიც 44-ე განედზე დაჰკვდომოდა მსოფლიოს.

"მავზოლეუმი! - გაუელვა სომსს, - ჯორჯი მართალი იყო!" მერე კაბინეტიდან გამოვიდა და კიბეს აუყვა.

ერთგან, კიბის უჯრედში, შეჩერდა კოლიბრების ფიტულების ყუთთან, ასე რომ ახარებდა ბავშვობაში. ისინი ზუსტად ისე-

თივე ცინცხლები ჩანდნენ და მავთულებზე ისხდნენ ყუთში ჩაფენილი ბალახის ზემოთ. თუ ყუთი გაიხსნებოდა, ჩიტები არ აზუზუნდებოდნენ, მაგრამ სომსს ეჭვი ჰქონდა, ყველაფერი დაიშლებაო. ამის გაყიდვა არ ღირდა! და უცებ ხსოვნაში მამიდა ენი ამოუტივტივდა, ძვირფასი მოხუცი მამიდა ენი, რომელსაც სომსი ხელით ეჭირა ყუთის წინ და ეუბნებოდა: "შეხედე, სომი! ნათელი და ლამაზი ჩიტები არიან პაწია კოლიბრები, არა?" სომსს თავისი პასუხიც გაახსენდა: "ისინი არ ზუზუნებენ, მამიდა". იმ დროს ექვსი წლის უნდა ყოფილიყო და შავი ხავერდის ცისფერსაყელოიანი სამოსი ეცვა. ჰო, ის კოსტიუმიც ახსოვდა! მამიდა ენი თავისი ბეჭდებით, თხელი და კეთილი ხელებით, სერიოზული მოხუცი არწივის მზერით, დახვეწილი ქალბატონი, მამიდა ენი! სომსმა გზა განაგრძო სასტუმრო ოთახის კარისკენ. მის ორივე მხარეს მინიატიურები იყო ჩამწკრივებული. ამათ უსათუოდ გამოისყიდდა! აქ იყო მინიატიურები სომსის ოთხი მამიდის, ბიძა სუითინის მოზარდობის ხანაში და ბიძა ნიკოლასისა მის ბიჭობაში. ყველა ისინი დახატა ოჯახის მეგობარმა ახალგაზრდა ქალმა დაახლოებით 1830 წელს, როდესაც მინიატიურები დიდ მოდაშიც იყო და გამძლედაც კეთდებოდა სპილოს ძვლისგან, რომელიც შემდეგ გარედან ფერადდებოდა. ბევრგზის სმენია იმ ახალგაზრდა ქალის ამბავი: "ფრიად ნიჭიერი იყო, ძვირფასო. დიდი სისუსტე ჰქონდა სუითინისადმი. სულ მალე ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა. ზუსტად ისე, როგორც კიტსი. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ამაზე.

ჰო, აქ იყვნენ ყველანი: ენი, ჯული, ესთერი, სუზანი - მთლად ბავშვი; სუითინი, ცასავით ლურჯი თვალებით, ვარდისფერი

ლოყებით, ყვითელი კულულებით, ცხოვრებასავით ფართო თეთრი ჟილეტით; და ნიკოლასი, კუპიდონივით ცისკენ მიპყრობილი თვალით. სომსი დაფიქრდა იმაზე, რომ ბიძა ნიკოლასი ყოველთვის მართლაც ასეთი იყო: ბოლომდე საოცარი ვინმე. ჰო, იმ ქალს ნამდვილად უნდა ჰქონოდა ნიჭი და მინიატიურებსაც ყოველთვის ედოთ საკუთარი ბეჭედი, რომელიც ბევრით არაფრით ექვემდებარებოდა ესთეტიკური მიმართულებების ცვლას. სომსმა სასტუმრო ოთახის კარი შეაღო. შიგნით ყველაფერი მტვრიანი იყო, ავეჯი - შეუფუთავი, ფარდები - დაშვებული, თითქოს მამიდები ისევ იქ იყვნენ და მოთმინებით იცდიდნენ. სომსს აზრად მოუვიდა: როცა ტიმოთი მოკვდება (რატომაც არა?), განა თითქმის მოვალეობად არ უნდა იქცეს ამ სახლის შენარჩუნება ისევე, როგორც შენარჩუნება კარლაილის სახლისა, მერე კი დაფის მიკვრა სათანადო ახსნა-განმარტებით? "შუა პერიოდის ვიქტორიანული საბინადროს ნიმუში. შესვლა - ერთი შილინგი. დამთვალიერებლებს ეძლევათ კატალოგი". ბოლოს და ბოლოს, ეს იყო ყველაზე დასრულებული სახლი და, შესაძლოა, ყველაზე უსიცოცხლოც დღევანდელ ლონდონში. სომსმა კედლებიდან ჩამოხსნა და თავისი კოლექციისთვის წაიღო ბარბიზონის ოთხი ნახატი (სრულყოფილი თავის საგანგებო გემოვნებასა და კულტურაში), რომლებიც უწინ თვითონვე მისცა მათ. ჩუმი, ლაჟვარდოვანი კედლები; მწვანე ფარდები მოქარგული წითელი ყვავილებითა და გვიმრებით; შალით ნაქარგი ქსოვილის საბუხრე შირმა თითბრის ცხაურის წინ; სამშვენისებით სავსე წითელი ხისფანჯრებიანი კარადა; ფეხების დასაყრდნობი, თვლებით მოვარაყებული პატარა სკამები; კიტსი, შელი, საითი, ქოუპერი,

კოლრიჯი, ბაირონის "კორსარი" (თუმცა მხოლოდ ეს, სხვა არა-ფერი) და წიგნის კარადის თაროზე ჩამწკრივებული ვიქტო-რიანელი პოეტები; ინკრუსტირებული ხის, მქრქალწითელპლუშ-სარჩულიანი ზარდახშა და შიგ ჩაწყობილი ოჯახური რელიკ-ვიები: ესთერის პირველი მარაო, მათი პაპის ფეხსაცმლის ბალ-თები; ბოთლებში ჩაწყობილი სამი მორიელი; ინდოეთიდან დიდი ბიძა ედგარ ფორსაიტის მიერ გამოგზავნილი ძალზე ყვითელი სპილოს ეშვი, რომელიც უწინ ჯუტით ვაჭრობდა; ქაღალდის ყვითელი ნაგლეჯი, რომელზეც აბლაბუდასავით ეწერა, ღმერ-თმა უწყის, რა! და კედლებზე დაკიდებული სურათები, ყველა - აკვარელით შესრულებული, გარდა ბარბიზონის იმ ოთხი ნახა-ტისა, უცხოელებს რომ ჰგავდნენ და იყვნენ კიდეც, - ნათელი და საილუსტრაციო სურათები: "ფუტკრებთან", "სალამი ბორანს!" და სუითინის მიცემული ორი სურათიც ფრისის სტილში. ბევრი, ბევრი სურათი იყო, რომლებისთვისაც სომსს ათასჯერ უცქერია ზიზღნარევი აღტაცებით; მბრწყინავი, პრიალა მოოქრული ჩარ-ჩოების განსაცვიფრებელი კოლექცია.

იქვე იყო სახლის შესაფერისი სიდიდის ფორტეპიანო, ლამა-ზად დამტვერილი და, როგორც ყოველთვის, ჰერმეტულად და-კეტილი; მამიდა ჯულის ალბომი ზედ დაკრული გაბრტყელებუ-ლი წყალმცენარით; მოოქრულფეხებიანი სკამები - უფრო მტკი-ცე, ვიდრე გარეგნულად მოჩანდა; ბუხრის ერთ მხარეს - ჟოლოს-ფერი აბრეშუმის დივანი, რომელზეც მამიდა ენი, მის შემდეგ კი - მამიდა ჯულიც ჩვეულებისამებრ სხდებოდნენ სინათლის პირ-დაპირ, ისარივით წელგამართულები, მეორე მხარეს კი - ზურ-გით სინათლისკენ მდგარი ერთი დიდი, მოხერხებული სავარძე-

ლი მამიდა ესთერისთვის. სომსმა თვალები მოჭუტა: მოეჩვენა, რომ ყველანი აქ ისხდნენ. ოჰ, ახლაც კი ირგვლივ მეტისმეტად ბევრი ნივთისა და მაქმანებიანი ფარდების, პარკებში ჩაწყობილი ლავანდისა და გამხმარი ფუტკრების ფრთების ატმოსფერო იდგა. "არა, - გაიფიქრა სომსმა, - მსგავსი აღარაფერი დარჩა. ეს უნდა შევინარჩუნოთ". ჯორჯის გვერდით, მათ შეეძლოთ ეცინათ ამაზე, მაგრამ კეთილშობილი ცხოვრების სტანდარტით, კანის, თვალის, ცხვირის თუ გრძნობის დახვეწილობით ეს ამხელდა დღევანდელობას სიცარიელეს, დღევანდელობას თავისი მილებითა და მანქანებით, გამუდმებით მბოლავი სიგარეტებით, ფეხებგადაჯვარედინებული, კისერმოღიავებული, მუხლებამდე და წელამდე შიშველი გოგონებით (რაც საამური სამზერი იყო ყოველ ფორსაიტში ჩაბუდებული გარყვნილისთვის, თუმცა არანაირად - ბანოვანის იდეის შესატყვისი), ისევე, როგორც მაგიდასთან ჯდომისა და ჭამის დროს თავთავიანთი სკამის ფეხებზე შემოხვეული მათი წვივებით, მათეულ-ზერელე დამშვიდობებებით, აგდებული ურთიერთმიმართვებითა და უშვერი სიცილ-კისკისით, - გოგონებით, რომელთა გახსენებაზე სომსს აჟრჟოლებდა, როგორც კი მათ გვერდით წარმოიდგენდა ფლერს. ასევე აჟრჟოლებდა მტკიცემზერიან, ენერგიულ უფროს ქალებზეც, თვითონ რომ წარმართავდნენ ცხოვრებას. არა! მის მოხუც მამიდებს, თუნდაც არასოდეს ხსნიდნენ თავიანთ გონებას, თვალებს ან - ძალიან ფართოდ - თავიანთ ფანჯრებს, სხვა რომ არაფერი - ჰქონდათ კეთილშობილი მანერები, დონე და მოწიწება წარსულისა და მომავლის მიმართ.

სულშეხუთულმა სომსმა კარი დახურა და ფეხისწვერებზე აუყვა კიბეს. ადიოდა და ყველაფერს ათვალიერებდა... 80-იანი წლების საგანთა წყობა... კედლებზე გაკრული ერთგვარი თხელი ყვითელი მუშამბა... კიბის თავზე ოთხი კარი დახვდა და შეყოყმანდა: აქედან რომელი შედიოდა ტიმოთისთან? მიაყურადა. ისეთი ბგერა მოესმა, თითქოს ბავშვი მიათრევდა ჯოხის ცხენს. ეს ტიმოთი უნდა იყოს! დააკაკუნა და კარი მთლად აჭარხლებულმა სმითერმა გაუღო.

მისტერ ტიმოთი თავის დღიურ სეირნობაში იყო და სმითერი ვერ ახერხებდა მის მოვლას. თუ მისტერ სომსი უკანა ოთახში გავიდოდა, კარიდან მისტერ ტიმოთის დაინახავდა.

ასეც მოიქცა.

ძველი ფორსაიტებიდან უკანასკნელი ფეხზე იდგა, შთამბეჭდავად, ნელა მოძრაობდა საწოლის ფეხიდან ფანჯრამდე და უკან, დაახლოებით თორმეტფუტიან მონაკვეთზე საქმისადმი სრული კონცენტრირების იერით,. მისი ოთხკუთხა სახის ქვედა ნაწილი - უკვე გაუპარსავი - შეძლებისდაგვარად მოკლედ შეკრეჭილ წვერს დაეფარა. ნიკაპი ისევე ფართო ჰქონდა, როგორც სრულიად გათეთრებული წარბები, ხოლო ცხვირი, ლოყები და შუბლი კარგად შეჰყვითლებოდა. ცალ ხელში მაგარი ჯოხი ეჭირა, მეორით თავისივე შალის ხალათის კალთა ჩაებღუჯა. ხალათის შიგნით კი მოუჩანდა ლოგინის წინდიანი წვივები და შალის ჩუსტებში წაყოფილი ფეხები. სახეზე გაბრაზებული ბავშვის გამომეტყველება ედო, ბავშვის, რომელიც ესწრაფვის რაღაც ისეთს, რაც არ აქვს. ყოველ შემობრუნებაზე ჯოხს უბრაგუნებ-

და იატაკს, მერე კი მიათრევდა, თითქოსდა იმის საჩვენებლად, რომ უჯოხოდაც ივლიდა.

- ისევ მაგრად გამოიყურება, - თქვა სომსმა თავისთვის.

- ოჰ, მართლაც, სერ. თქვენ ბანაობისას უნდა განახათ. საოცარია პირდაპირ, ისე უხარია ეს.

ამ სრულებით ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვებმა სომსი ყველაფერს მიახვედრეს. ტიმოთი თავის ბავშვობას დაუბრუნდა.

- საერთოდ თუ აინტერესებს რამე? - იკითხა თვითონაც ხმამაღლა.

- ოჰ, კი, სერ: თავისი საკვები და თავისი ანდერძი. უნდა ნახოთ, როგორ ფურცლავს და ფურცლავს, თუმცა, რასაკვირველია, არ კითხულობს. წამდაუწუმ მეკითხება კონსოლიდირებული რენტის ფასს და მეც ვეება ასოებით ვუწერ გრიფელის დაფაზე. რა თქმა უნდა, სულ ერთსა და იმავეს ვუწერ, ანუ იმას, რაც მან უკანასკნელად ჩაწერა 1914 წელს. როდესაც ომი დაიწყო, ექიმი მოვუყვანეთ, რათა გაზეთების კითხვა აეკრძალა. თავიდან ძალიან აპილპილდა ამაზე. თუმცა მალევე დამშვიდდა, რადგან იცოდა, რომ კითხვა ქანცავდა. საოცრად შეუძლია ძალის დაზოგვა, როგორც თვითონვე სჩვეოდა ამის თქმა, როცა ჩემი ძვირფასი ქალბატონები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. დაილოცოს მათი გულები! ყოველთვის თათხავდა ხოლმე ამის გამო. ისინი ხომ მუდამ აქტიურობდნენ, თუ გახსოვთ, მისტერ სომს.

- რა მოხდება, თუ შევალ? - იკითხა სომსმა, - გამიხსენებს? მე დავწერე მისი ანდერძი მის ესთერის გარდაცვალების შემდეგ, 1907 წელს.

- ოჰ, სერ, მაგის თქმას ჩემს თავზე ვერ ავიღებ. მგონი, გაგიხსენებთ. ნამდვილად საოცარი ვინმეა თავისი ასაკისთვის.

სომსმა კარის ზღურბლს გადააბიჯა. დაელოდა, როდის მოტრიალდებოდა ტიმოთი და ხმამაღლა თქვა:

- ძია ტიმოთი!

მოხუცმა ნახევარი გზა გაიფრატუნა და შეჩერდა.

- ჰა? - აღმოხდა იმწამს.

- სომს! - მთელი ძალით შეჰყვირა სომსმა და ხელი გაუწოდა: - სომს ფორსაიტი!

- არა! - თქვა ტიმოთიმ, ჯოხი იატაკს დაჰკრა და სიარული განაგრძო.

- მგონი, ასე არ გამოდის, - თქვა სომსმა.

- არა, სერ, - მიუგო უკვე დათრგუნვილმა სმითერმა, - ხომ ხედავთ: სეირნობა არ დაუმთავრებია. ეს იმთავითვე ისეთი რამ გახლავთ მისთვის, რასთან ერთადაც სხვას არაფერს აკეთებს. ალბათ ნაშუადღევს მკითხავს, გაზისთვის ხომ არ მოვიდნენო, და მეც გვარიანი სამუშაო მელის, სანამ გავაგებინებ, რა მოხდა.

- ხომ არ აჯობებდა, მის სიახლოვეს ვინმე ჰყავდეთ?

სმითერმა ხელები გაასავსავა:

- კაცი? ოჰ, არა! მზარეული და მე მშვენივრად ვუმკლავდებით. უცხო კაცი მის სიახლოვეს ჭკუაზე გადაიყვანდა. არც ჩემს ქალბატონებს მოეწონებოდათ ამ სახლში მამაკაცის ყოფნის იდეა. გარდა ამისა, ჩვენ ისე ვამაყობთ მისით...

- ვგონებ, ექიმი მოდის ხოლმე?

- ყოველ დილას. ის საგანგებო პირობებს ქმნის ასეთი შემთხვევისთვის და მისტერ ტიმოთიც ძალიან შეეჩვია. არაფერს

უწევს ანგარიშს, უშუალოდ ამ კაცის პირიდან გამოსული სიტ-ყვის გარდა.

- კარგი, - თქვა სომსმა და შეტრიალდა, - ეს ჩემთვის ძალზე სევდიანი და მტკივნეულია.

- ოჰ, სერ! - აღელდა სმითერი, - ნუ იფიქრებთ ასე! ახლა, რო-დესაც არაფერი აფორიაქებს, დიდად შეხარის თავის ცხოვრე-ბას. ჰო, შეხარის. მზარეულსაც ვეუბნები: მისტერ ტიმოთი ახლა უფროა კაცი, ვიდრე ოდესმე ყოფილა-მეთქი. იცით, როდესაც არ სეირნობს ან არ ბანაობს, მაშინ ჭამს, და თუ არც ჭამს, მაშინ სძინავს. საქმეც ესაა: არც ტკივილი აწუხებს და არც საზრუნავი.

- ჰო, არის მაგაში რაღაც, - თქვა სომსმა, - ახლა ჩავალ. ჰო, მართლა: მისი ანდერძი მიჩვენე.

- დრო დამჭირდება მაგისთვის, სერ. ბალიშის ქვეშ ინახავს და, სანამ აქტიურადაა, შემამჩნევს.

- მხოლოდ იმის გაგება მინდა, იგივეა თუ არა, რაც მე შევად-გინე. რაღაც მომენტში თარიღი ნახე და გამაგებინე.

- დიახ, სერ. თუმცა დარწმუნებული ვარ, იგივეა, რადგან მე და მზარეულმა დავადასტურეთ, ხომ გახსოვთ? ჩვენი ხელმოწე-რებია ზედ და ეს ჩვენ ერთადერთხელ ვქენით.

- ნამდვილად, - თქვა სომსმა, რომელსაც ეს ამბავი ახსოვდა. სმითერი და ჯეინი უშუალოდ ესწრებოდნენ ამ პროცესს, როდე-საც ანდერძში აღარაფერი დარჩა ისეთი, რის გამოც დაინტერე-სებულები იქნებოდნენ ტიმოთის სიკვდილით. სომსმა აღიარა, რომ ეს იყო თითქმის ყოვლად უადგილო უსაფრთხოების ზომა. მაგრამ ის თვით ტიმოთიმ ისურვა და, სხვა რომ არაფერი, მამი-და ესთერმა ერთობ გულუხვად უზრუნველყო მათი მომავალი.

- ძალიან კარგი, - თქვა სომსმა, - ნახვამდის, სმითერ! მიხედე მაგ კაცს და თუ რამის თქმა მოუნდება, ჩაწერე და შემატყობინე.

- ოჰ, დიახ, მისტერ სომს, ნამდვილად ეგრე ვიზამ. ძალიან კარგი იყო თქვენი ნახვა! მზარეულს ძალიან გაუხარდება, როცა ვეტყვი.

სომსმა ხელი ჩამოართვა და კიბეს ჩაუყვა. მთელ ორ წუთს იდგა ქუდების საკიდართან, რომელზეც ამდენჯერ დაუკიდია თავისი ქუდი. "ასე მიდის ყველაფერი, - ფიქრობდა ამ დროს, - მიდის და ისევ თავიდან იწყება. საბრალო მოხუცი!" და აყურადებდა, შემთხვევით თავისი ჯოხის მთრეველი ტიმოთისგან რაიმე ბგერა ხომ არ აღწევს აქამდეო. ან ეგებ რომელიმე ძველი სახე ამოცურებულიყო კიბის სახელურების თავზე და რომელიღაც გარდასულ ხმას ეთქვა: "აი, ძვირფასი სომსიც! ჩვენ კი სწორედ ახლა ვამბობდით, მთელი კვირაა არ გვინახავსო!"

არაფერი... არაფერი! მხოლოდ ქაფურის სუნი და კარზემოთა მარაოსებრი ფანჯრიდან შემომავალ მზის სხივში მოლივლივე მტვრის ნაწილაკები. პატარა ძველი სახლი! სომსი შებრუნდა, გარეთ გავიდა და თავის მატარებელს მიაშურა.

თავი მეხუთე

მშობლიური მიწა

"მისი ფეხი მისსავე მშობლიურ მიწაზეა. მას ვალ დარტი ჰქვია" - ამდაგვარი გრძნობით გავიდა მეორმოცე წელში გადასული ვალ დარტი სუსექს დაუნსის ჩრდილოეთით მდგარი თავისი ძველი საგვარეულო სახლიდან იმავე ხუთშაბათის ადრიან დილას. დანიშნულების ადგილი - ნიუმარკეტი, სადაც უკანასკნელად იყო 1899 წელს, როცა ოქსფორდიდან კემბრიჯშირში გაიპარა. კართან შეჩერდა, ცოლს აკოცა და პორტვეინიანი მათარა ჯიბეში ჩაიჩურთა.

- ფეხს ნუ გადაღლი, ვალ, და დიდ ფსონს ნუ ჩახვალ.

მის მკერდზე მობჯენილი ცოლის მკერდისა და მის თვალებში მომზირალი ქალის თვალებისგან ვალმა ფეხიც დაცულად იგრძნო და ჯიბეც. ყველაფერი ზომიერი უნდა იყოს. თავისი თანდაყოლილი საზრიანობით ჰოლი არასოდეს ცდებოდა. ვალს, შესაძლოა, არცთუ ფრიად აღსანიშნავ ამბად მიაჩნდა, როგორც სხვებს შეიძლებოდა მიეჩნიათ, რომ მან - ნახევრად დარტიმ - ასე ბოლომდე უერთგულა თავის მკვიდრ ბიძაშვილს მათი ოცწლიანი ცოლქმრობის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეს ქალი რომანტიკულად შეირთო ბურების ომში, უერთგულა მსხვერ-

პლისა და მობეზრების ნიშანწყლის გარეშე, იმდენად მკვირცხლად აზროვნებდა ჰოლი, იმდენად მუდამ წინ უსწრებდა ქმრის განწყობას. რადგანაც მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ, გადაწყვიტეს (თუმცა ეს სულაც არ იყო საჭირო), რომ ბავშვებს არ იყოლიებდნენ. ჰოდა, კანის ოდნავი სიყვითლის მიუხედავად, ჰოლიმ შეინარჩუნა თავისი გარეგნობაც, სითხელეცა და თმის სიშავეც. ვალს განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ჰოლის პირადი ცხოვრების არსებობის ფაქტი (გარდა იმისა, რომ ქმარზე ზრუნავდა) და ისიც, რომ მისი ცოლი წლიდან წლამდე უფრო და უფრო უკეთესი მხედარი ხდებოდა. ჰოლი აგრძელებდა ურთიერთობას თავის მუსიკასთან, კითხულობდა უამრავ წიგნს - რომანებს, პოეზიას, ათასგვარ რამეს. მათ კოლონიაში, კეთილი იმედის კონცხზე, განსაცვიფრებლად ზრუნავდა ყველა "შავ" ქალსა და ბავშვზე. თავმდაბლობით არც ისე გამორჩეულ ვალს უნდა ეღიარებინა ჰოლის აღმატება მასზე. ამას კი არ გაუგულისებია, - ასე მიაგო ცოლს კუთვნილი მისაგებელი. შეიძლება ითქვას, არასოდეს უყურებდა ჰოლის ისე, რომ ქალს არ სცოდნოდა ეს. აი, ჰოლი კი ზოგჯერ უჩუმრად უყურებდა ხოლმე.

ვალმა ცოლს სახლის ზღურბლზე აკოცა, რადგან ვერ აკოცებდა სადგურის ბაქანზე, სადაც ახლა ჰოლი მიჰყვებოდა გასაცილებლად და მანქანის უკან წამოსაყვანად. გარუჯული და დანაოჭებული კოლონიური ჰავისგან, ისევე, როგორც ცხენების მოვლისგან, ამ ყველაფერთან ერთად კი - დაკოჭლებული ცალი ფეხით, რომელიც ბურების ომში დაუსუსტდა და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც გადაურჩა ახლანდელ ომს, ვალ დარტი მაინც დიდწილად იგივე იყო, რაც ჰოლისთან რომანის პერიოდში. ღი-

მილიც ისეთივე ფართო ჰქონდა და მომხიბლავი, კიდევ უფრო გახშირებოდა და გაშავებოდა წამწამები, რომელთა ქვეშ ნაცრისფერი თვალები ციმციმებდნენ, ჭორფლები უფრო ღრმად ჩასჯდომოდა, თმა კი ოდნავ გასთეთრებოდა გვერდებზე. ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც აქტიურად ეცხოვრა მზიან კლიმატში ცხენებთან ერთად.

ვალმა მანქანა მკვეთრად მოატრიალა კარიბჭესთან და თქვა:

- როდის ჩამოდის ახალგაზრდა ჯონი?

- დღეს.

- რამე ხომ არ გინდა მისთვის? შაბათს წამოვიყოლებ.

- არა, მაგრამ შეგიძლია იმავე მატარებელს გამოჰყვე, რომელსაც ფლერი: ორს ოცი რომ აკლია.

ვალ დარტიმ მთელი ძალით გააქანა თავისი ფორდი. დღემდე ისე ატარებდა მანქანას, როგორც უცხო ქვეყნის ცუდ გზებზე მოხვედრილი კაცი, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის და ყოველ ორმოში ზეცის მოლოდინი აქვს.

- ახალგაზრდა ქალია, რას გაიგებ მაგისას, - თქვა ვალმა, - ანუ, შენ მოგივიდა აზრად?

- ჰო, - თქვა ჰოლიმ.

- ძია სომსი და მამაშენი ერთმანეთთან ვერ არიან, არა?

- ამას ვერც გოგო გაიგებს და ვერც ბიჭი. არაფერი არ უნდა ვთქვათ, რასაკვირველია. სულ ხუთიოდე დღეზეა ლაპარაკი, ვალ.

- ხელშეუხებელი საიდუმლო! კეთილი!

თუ ჰოლი ფიქრობდა, რომ სიტუაცია დაცულია, მაშ, ასეც იყო.

- ის თუ შეამჩნიე, რა ლამაზად ითხოვა აქ ჩამოსვლა ფლერმა? - ჰკითხა ქმარს.

- არა!

- ჰო, ასე იყო. რას ფიქრობ მასზე, ვალ?

- ლამაზია და ჭკვიანი. თუმცა, თუ ჭკუა გადაუტრიალდა, ნებისმიერ კუნჭულში გაგისხლტება ხელიდან.

- მაინტერესებს, თანამედროვე გოგოა თუ არა, - ჩაიჩურჩულა ჰოლიმ, - თავგზა მებნევა, როცა ამაზე ვფიქრობ.

- შეენ? შენ ყველაფერში სწრაფად ერკვევი ხოლმე.

ჰოლიმ ქმარს ჯიბეში ჩაუცურა ხელი.

- შენთან ყველაფერი ირკვევა ხოლმე, - თქვა გამხნევებულმა ვალმა, - იმ ბელგიელ ტიპზე რას ფიქრობ, პროფონზე?

- კეთილი ეშმაკია.

ვალმა ჩაიღიმა:

- საკმაოდ უცნაურ ტიპად მეჩვენება, როგორც ჩვენი ოჯახის მეგობარი. საერთოდ, ეს ჩვენი ოჯახი ერთობ უცნაურ წყლებში დაცურავს: ძია სომსმა ფრანგი ქალი მოიყვანა, მამაშენმა - სომსის პირველი ცოლი. ამის შემხედვარე ჩვენი პაპები ძალიან გაბრაზდებოდნენ!

- ყველას პაპა გაბრაზდებოდა, ძვირფასო.

- ამ მანქანას კარგი შენჯღრევა სჭირდება, - თქვა ვალმა უეცრად, - რაღაც ვერ ქაჩავს აღმართებზე. დაღმართზე უნდა მივაწვე, რომ მატარებულს მივასწრო.

ცხენებთან ურთიერთობა ვალს უბრკოლებდა სიმპათიას მანქანისადმი და მისი ხელით მართული ფორდი ყოველთვის განსხვავდებოდა ჰოლის მიერ მართულისგან.

მატარებელს მიასწრეს.

- ფრთხილად იარე შინისკენ. გადმოგაგდებს, თუ შეძლებს. ნახვამდის, ძვირფასო, - უთხრა ვალმა.

- ნახვამდის, - გასძახა ჰოლიმ და ხელით კოცნა გაუგზავნა.

მატარებელში, მას შემდეგ, რაც მთელ თხუთმეტ წუთს მერყეობდა ჰოლიზე ფიქრებს, დილის გაზეთს, ნათელი დღის ლანდშაფტებსა და ნიუმარკეტთან დაკავშირებულ თავის ბუნდოვან მოგონებებს შორის, ვალ დარტი ჩაეფლო კვადრატული ფორმის პატარა წიგნში, რომელშიც მოცემული იყო ცხენების სახელები, გენეალოგია, ძირითადი ფესვები, ისევე, როგორც მათ აგებულებასა და ფორმასთან დაკავშირებული შენიშვნები. მასში არსებულ ფორსაიტს განსაზღვრული ჯიშის შეძენა სურდა და ვალიც ურყევად ემორჩილებოდა, თუმცა, როგორც დარტი, სხვა ჯიშზე გიჟდებოდა. მას შემდეგ, რაც სარგებლიანად გაყიდა თავისი სამხრეთაფრიკული ფერმა და დაბრუნდა ინგლისში, სადაც დაინახა, რომ აქ მზე იშვიათად ჩანდა, ვალმა თავის თავს უთხრა: "ჩემთვის აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ცხოვრების ინტერესი ვიპოვო, თუ არადა, ეს ქვეყანა სრულებით დამთრგუნავს. ნადირობა არ კმარა, ჯიშებს გამოვიყვან და გავწვრთნი". სწორედ ახალ ქვეყანაში დიდი ხნის ცხოვრებისგან ჩამოყალიბებული ამ დამატებითი გამჭრიახობისა და გაბედულების წყალობით, ვალ დარტიმ ცხენების ჯიშების გამოყვანის თანამედროვე მეთოდის სუსტი წერტილი გამოავლინა. ყველა დაჰიპნოზებული

იყო სტილითა და მაღალი ღირებულებით. დარტი სილამაზისთვის იზრუნებდა, სახელები კი ჯანდაბასაც წაუღია. და აქ უკვე თვითონაც დაჰიპნოზდა პრესტიჟულ ჯიშებზე ფიქრით. ნახევრად გაცნობიერებულად ფიქრობდა: "არის რაღაც ამ დაწყევლილ კლიმატში, რაც თავგზას გიბნევს. ამის მიუხედავად, მე მეიფლაის ჯიში უნდა ვიყოლიო".

ამ განწყობით ჩავიდა თავისი იმედების მექაში. ეს იყო ერთერთი იმ წყნარ შეხვედრათაგან, რომლებიც ხელს უწყობდნენ ცხენების შესწავლის ამ მშვიდ სურვილს და არა საქმის დაჭერას ბუკმეკერებთან. და ვალიც ცხენების ბაკს მიეკრო. ოცწლიანმა კოლონიურმა ცხოვრებამ, რომელმაც განძარცვა იგი უწინდელი ფრანტობისგან, მხედრისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი აკურატულობა შესძინა და აღჭურვა უცნაურ-მავნე თვალით იმისადმი, რასაც თვითონვე უწოდებდა ზოგიერთი ინგლისელი კაცის ბრიყვულ სიცილს თუ ზოგიერთი ინგლისელი ქალის "ფართქუნა თუთიყუშობას". დაკვირვებული, სწრაფი და მიხვედრილი ვალ დარტი პირდაპირ გარიგებაზე, ცხენზე, სასმელზე გადავიდა. ის იყო, მეიფლაის კვიცს უახლოვდებოდა, როცა გვერდიდან შემოესმა აუჩქარებლად ნათქვამი სიტყვები:

- მისტერ ვალ დარტი? მისის ვალ დარტი როგორ არის? ვიმედოვნებ, კარგად.

ვალმა მის გვერდით თავის დასთან, იმოჯინთან გაცნობილი ბელგიელი დაინახა.

- პროსპერ პროფონი... ლანჩზე შევხვდით, - წარმოთქვა ხმამ.

- როგორ გიკითხოთ? - დაიჩურჩულა ვალმა.

- ძალიან კარგად, - უპასუხა მუსიე პროფონმა, თან რაღაც განუმეორებლად ნელა გაიღიმა. "კეთილი ეშმაკიო", თქვა მასზე ჰოლიმ. ჰო, ცოტათი ჰგავდა კიდევაც ეშმაკს შავი, მოკლე, წაწვეტებული წვერით. თუმცა ზანტი იყო და გულკეთილი, პატარა და მოულოდნელად ჭკვიანური თვალებით.

- აქ ერთ ჯენტლმენს სურს თქვენი გაცნობა, თქვენს ბიძაშვილს, მისტერ ჯორჯ ფორსაიტს.

ვალმა დაინახა დიდი ფიგურა: სუფთად გაპარსული, ხარისებრი სახე, ოდნავ პირქუში, სავსე ნაცრისფერ თვალებში მოთუხთუხე სარდონიკული იუმორით. ეს ვალს ბუნდოვნად ახსოვდა ძველი დროიდან, როცა მამამისთან ერთად სადილობდა კლუბ აისიუმში.

- მამაშენთან ერთად მიჭენებია, - ამბობდა ჯორჯი, - როგორ არის ბიჭი? რომელიმე ჩემი ჯაგლაგის ყიდვას აპირებ?

ვალმა ჩაიღიმა, ვინძლო დაემალა უეცარი განცდა, რომ მეცხენეობას უკვე ფსკერი ჩავარდნოდა. აქ არაფრის სწამდათ, თვით ცხენებისაც კი. ჯორჯ ფორსაიტი, პროსპერ პროფონი! თვით ეშმაკიც კი არ იყო ისე დაცლილი ილუზიებისგან, როგორც ეს ორნი.

- არ ვიცოდი, რომ დოღის კაცი ხართ, - უთხრა ვალ დარტიმ მუსიე პროფონს.

- არ ვარ. სულაც არ მედარდება. მე იახტსმენი ვარ. ისე, არც ეს მედარდება, ეგაა, მეგობრების ნახვა მახარებს. პატარა ლანჩი მაქვს, მისტერ ვალ დარტი, ხომ არ ინებებდით? ბევრი არაფერი, სულ ორიოდე ლუკმა, ჩემს მანქანაში.

- გმადლობ, - დაუბრუნა ვალმა, - დიდი სიკეთეა თქვენი მხრივ. თხუთმეტიოდე წუთში მოვალ.

- აგერ, იქ. მისტერ ფორსაიტი მოდის, - მუსიე პროფონმა ყვითელხელთათმნიანი ხელი გაიშვირა, - პატარა მანქანაა პატარა ლანჩით.

მან გზა განაგრძო - უმწიკვლოდ ჩაცმულმა, თითქოსდა ძილში გახვეულმა, განსხვავებულმა, ჯორჯ ფორსაიტი მიჰყვა - ბრგე, კოხტა, ხუმარა იერით.

ვალ დარტი იქვე დარჩა. ისევ მეიფლაის კვიცს უყურებდა. რაღა თქმა უნდა, ჯორჯ ფორსაიტი ხანში შესული კაცი იყო, მაგრამ ამ პროფონის ასაკი ვალისას არ აღემატებოდა. ეს უკანასკნელი თავს ძალზე ახალგაზრდად გრძნობდა და მეიფლაის კვიციც იმ სათამაშოს ჰგავდა, რომელზეც ორივე კაცს გულიანად ეცინა. ცხოველს რეალობა დაჰკარგოდა.

"ეს პატარა ჭაკი... - თითქოს ესმოდა ვალ დარტის, - რას ხედავ მასში ასეთს?.. ჩვენ ყველანი დავიხოცებით!"

ჯორჯ ფორსაიტი კი, ვალ დარტის მამის ერთგული, ჯერ კიდევ დოღში მონაწილეობდა! რითი სჯობდა მეიფლაის ჯიში ნებისმიერ სხვას? არანაკლებ შეეძლო გაერისკა ფულის ჩადება სხვა რამეში.

- არა, ღმერთმანი! - ჩაიბურტყუნა უცებ, - თუ კარგი საჯიშე ცხენები არ არიან, მაშინ არც არაფერია კარგი. რისთვის მოვედი? ვიყიდი ამას.

უკან მიდგა და თვალი მიადევნა ბაკის დამთვალიერებელთა უკუსვლას ტრიბუნისკენ. კოხტად გამოწკეპილი მოხუცები, საზრიანი წარმოსადეგი ტიპები, ებრაელები, ინსტრუქტორები, ისე

რომ გამოიყურებოდნენ, თითქოს ცხენი არასოდეს ენახათ; მაღალი, აპათიური ან მკვირცხლი, ხმამაღლა მოლაპარაკე ქალები; ახალგაზრდა კაცები, ისეთი იერით, თითქოს ამ ყველაფრის სერიოზულად მიღებას ცდილობდნენ. მათ შორის ორი თუ სამი ცალხელაც იყო.

- აქ ცხოვრება თამაშია! - გაუელვა ვალს, - ზარების ბრტყელი რგოლები, ცხენთა ჭენება, ფულის მიმცემ-ამღები ხელები, ისევ ზარი, ისევ რბოლა, ისევ ფულის მიცემა-დაბრუნება.

თავისივე ფილოსოფიით აწრიალებული ვალ დარტი ბაკთან მივიდა იქ მონავარდე მეიფლაის კვიცის სანახავად. ცხენი კარგად მოძრაობდა და ვალმაც "პატარა" მანქანას მიაშურა. "პატარა" ლანჩი ისეთი რამ აღმოჩნდა, რაზეც ადამიანი ოცნებობს, თუმცა იშვიათად იღებს. როდესაც ლანჩი ჩამთავრდა, მუსიე პროფონი ვალთან ერთად ისევ ბაკისკენ წავიდა.

- თქვენი მეუღლე მშვენიერი ქალია, - აღნიშნა მოულოდნელად.

- უმშვენიერესი მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ, - დაუბრუნა ვალ დარტიმ მშრალად.

- ჰო, - განაგრძო მუსიე პროფონმა, - მშვენიერი სახე აქვს. ვეთაყვანები მშვენიერ ქალებს.

ვალმა იჭვნეულად შეხედა, თუმცა რაღაც კეთილმა და პირდაპირმა, რაც მისი კომპანიონის ჯადოქრობაში იგრძნობოდა, ამჯერად სრულებით განაიარაღა.

- ნებისმიერ დროს, როცა ჩემს იახტაზე მოსვლას ინებებთ, მისის დარტის პატარა გასეირნებას შევთავაზებ.

- გმადლობ, - ისევ აიბურძგლა ვალ დარტი, - ვერ იტანს ზღვას.

- მეც, - დასძინა მუსიე პროფონმა.

- მაშ, რატომ დაცურავთ?

ბელგიელმა თვალებით გაიღიმა:

- ოჰ, არ ვიცი. ყველაფერი გამოვლილი მაქვს და ესღა დამრჩა.

- ეს სასტიკად ძვირი იქნება. მე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი დამჭირდებოდა.

მუსიე პროსპერ პროფონმა წარბები ასწია და მძიმედ გამობურცა ქვედა ტუჩი.

- იოლი ხასიათის კაცი ვარ.

- ომში თუ იყავით? - ჰკითხა ვალმა.

- კი-ი. ეგეც გამივლია. გაზით მოვიწამლე. ვერ ვიტყვი, დიდად სასიამოვნო იყო-მეთქი, - მან კეთილდღეობაში მყოფი ადამიანის ღრმა და სიზმარეული იერით გაიღიმა, თითქოს ეს ღიმილი თავისივე სახელიდან გამოჭრა("პროსპერ" - ფრანგულად ნიშნავს "აყვავებულს", "კეთილდღეობაში მყოფს").

ვალ დარტი ვერ ხვდებოდა, ნამდვილი შეცდომა იყო თუ მანერული ჟესტი, როცა ბელგიელი ამბობდა "პატარა", იმის ნაცვლად, რომ ეთქვა "მცირედი". მისგან აშკარად ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

- თქვენი ფასის შეთავაზებას თუ აპირებთ? - ჰკითხა დოღის მომგები მეიფლაის კვიცის მყიდველთა წრეში მდგარმა მუსიე პროფონმა.

ვალმა თავი დააქნია. ამ ზანტი სატანის გვერდით რწმენის საჭიროება იგრძნო. თუნდაც დაზღვეულს განგების უკიდურესი დარტყმებისგან პაპის წინდახედულობით, ათასი წლის წინ რომ იზრუნა მასზე, ისევე როგორც ჰოლის პაპის ათასწლოვანი ზრუნვით, ვალ დარტის მაინც არ ჰქონდა ხელშესახები კაპიტალი, რაკი სამხრეთ აფრიკაში ნაშოვნი ფულის უდიდესი ნაწილი სუსექსში დაფუძნებას მოახმარა. სულ მალე უკვე ფიქრობდა: "ჯანდაბას! კვიცი ხელიდან მისხლტება!" მისი შესაძლებლობების ზღვარი - ექვსასი გინეა - უკვე უკან ჩამოიტოვეს. ის აუქციონს გამოეთიშა. მეიფლაის კვიცი შვიდას ორმოცდაათ გინეად გაიყიდა. გაბრაზებული ვალ დარტი უკვე წასასვლელად ემზადებოდა, რომ მუსიე პროფონის აუჩქარებელი ნათქვამი გაიგონა:

- ჰო, ეს პატარა კვიცი კი ვიყიდე, მაგრამ არ მჭირდება. წაიყვანეთ და თქვენს მეუღლეს აჩუქეთ.

ვალმა ბელგიელს ეჭვის თვალით შეხედა. მაგრამ იმას ისეთი კეთილი სხივი ედგა თვალებში, რომ არავის ეწყინებოდა.

- ომში ცოტაოდენი ფული ვიშოვე, - დაიწყო მუსიე პროფონმა ვალ დარტის მზერის საპასუხოდ, - წილი მქონდა საბრძოლო ტექნიკის ბიზნესში. ახლა მსურს გავცე. ჩემთვის სულ ცოტას დავიტოვებ. მირჩევნია, მეგობრებს ჰქონდეთ.

- კვიცს იმ ფასად ვიყიდი თქვენგან, რაც მასში მიეცით, - უთხრა დარტიმ მოულოდნელი გადაწყვეტილებით.

- არა, ისე წაიყვანეთ, მე არ მჭირდება.

- ჯანდაბას! მე არ...

- რატომაც არა? - გაიღიმა მუსიე პროფონმა, - მე ოჯახის მეგობარი ვარ.

- შვიდას ორმოცდაათი გინეა სიგარების კოლოფი არ გახლავთ! - მოუთმენლად ისროლა ვალმა.

- კარგი. მანამდე შემინახეთ, სანამ დამჭირდება. ისე გამოიყენეთ, როგორც ისურვებთ.

- თუ კვიცი თქვენი იქნება, მაშინ არ ვაპროტესტებ, - დასძინა დარტიმ.

- კეთილი, - ჩაიბუტბუტა მუსიე პროფონმა და განზე გავიდა.

დარტიმ თვალი გააყოლა. ეს კაცი შეიძლება "კეთილი ეშმაკი" იყოს, შეიძლება არც იყოს. დაინახა, როგორ შეუერთდა ჯორჯ ფორსაიტს, მერე კი აღარ დაუნახავს.

დოღის დღეების ღამეებს ვალ დარტი დედამისის სახლში ატარებდა გრინსტრიტზე.

სამოცდაორი წლის უინიფრიდ დარტი საოცრად კარგად შენახული ქალბატონი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ოცდაცამეტ წელს, რომლებმაც განვლო ფრანგული კიბიდან მონტეგ დარტის თითქმის ბედნიერი "გადმოფრენის" შემდეგ. დედა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა რჩეული შვილის დაბრუნებას სამხრეთ აფრიკიდან ამდენი ხნის შემდეგ, შვილის, რომელიც თითქმის არ შეცვლილიყო და რომლის მეუღლეც უინიფრიდს ერთობ ეჭაშნიკა. ამ ქალმა, რომელიც 70-იანების მეორე ნახევარში, სანამ გათხოვდებოდა, თავისუფლების, სიამოვნებისა და მოდის ავანგარდში იყო, ახლა აღიარა, რომ თანამედროვე გოგონებმა უკან ჩამოიტოვეს მისი ახალგაზრდობა. მაგალითად, ქორწინებას ისინი თითქოს ისე უყურებდნენ, როგორც ინციდენტს, და უინიფრი-

დიც ზოგჯერ ნანობდა, რომ თვითონაც ასე არ იყო. იქნებ მეორე, მესამე, მეოთხე ინციდენტის დროს შეხვედროდა ნაკლებად კაშკაშა ალკოჰოლისტს. თუმცა, ყოველივეს შემდეგ, ქმარმა მას დაუტოვა ვალი, იმოჯინი, მოდი, ბენედიქტი (თითქმის პოლკოვნიკი და მაინც დაუზიანებლად გამოსული ომიდან), რომელთაგან ჯერ არც ერთი არ იყო განქორწინებული. მისი შვილების ხასიათის სტაბილურობა ხშირად აკვირვებდა ამ ქალს, ვისაც მათი მამა ახსოვდა. მაგრამ უინიფრიდს სიხარულით სჯეროდა და თავს იმხნევებდა, რომ ყველა ისინი ნამდვილად ფორსაიტები იყვნენ. შესაძლოა ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა იმოჯინი. უინიფრიდს საგონებელში აგდებდა ფლერი - მისი ძმის "პატარა გოგონა", ისეთივე მოუსვენარი, როგორიც ნებისმიერი თანამედროვე ქალიშვილი. "ორპირ ქარში დანთებული პატარა ცეცხლია", თქვა ერთხელ პროსპერ პროფონმა სადილის შემდეგ. თუმცაღა, ფლერი ღობე-ყორეს არ ედებოდა და არც ყურისწამღებად ხმამაღლა ლაპარაკობდა. მყარი ფორსაიტობა უინიფრიდის ხასიათში ინსტინქტურად უკუაგდებდა ზედაპირულ გრძნობას, თანამედროვე გოგონას ჩვევებსა და ლოზუნგს: "ყველაფერი თითქმის ერთი და იგივეა! ახლა დახარჯე, ხვალ ღატაკები ვიქნებით!" ფლერის გადამრჩენელ მადლად ის მიაჩნდა, რომ თუ ამ გოგონას რამეზე გული შეუვარდებოდა, მანამდე რჩებოდა ასე, სანამ ამ რაღაცას მოიპოვებდა. თუმცა იმის განსაჭვრეტად, რაც შემდეგ მოხდა, ფლერი, რაღა თქმა უნდა, ჯერ ერთობ ნორჩი იყო. დიდ პატივად მიიჩნეოდა ზრუნვა ამ ბავშვზე, ამ "ულამაზეს პატარა არსებაზე", რომელსაც ჩაცმა-დახურვის ფრანგული გემოვნება და ნიჭი დედამისისგან გამოჰყვა. ყველა თავს აბრუ-

ნებდა ფლერის შესახედავად, რაც დიდი კომპენსაცია იყო უინიფრიდისთვის - სტილისა და გამორჩეულობის მოყვარულისთვის, რომელსაც ასე სასტიკად გაუცრუვდა იმედი მონტეგ დარტისგან.

შაბათ დილით საუზმის დროს, როცა ვალს ესაუბრებოდა ფლერზე, უინიფრიდი დიდხანს შეჩერდა ოჯახურ საიდუმლოზე.

- შენი სიმამრისა და დეიდა აირენის ის ისტორია, ვალ, ამ ბორცვებივით ძველია, რაღა თქმა უნდა. ფლერმა არაფერი უნდა იცოდეს მის შესახებ, რათა დიდი ამბავი არ ატყდეს. ბიძაშენი სომსი განსაკუთრებით მოითხოვს ამას. ასე რომ, ფრთხილად იყავი.

- ჰო, მაგრამ ეს ჯოჯოხეთურად ძნელია. ჰოლის ახალგაზრდა ნახევარძმა ჩამოდის ჩვენთან საცხოვრებლად, სანამ ფერმერობას ისწავლის. ამწუთას უკვე იქაა.

- უჰ, სისულელეა! როგორი შესახედავია?

- ერთადერთხელ ვნახე, რობინჰილში, შინ რომ ვიყავით, 1909 წელს. შიშველი იყო და ლურჯი და ყვითელი ზოლებით მოხატული. მხიარული პატარა ბიჭუნა.

"ძალიანაც კარგი", გაიფიქრა უინიფრიდმა და მყუდროდ დაამატა:

- ჰოლი მგრძნობიარე ქალია, მიხვდება, როგორ გაართვას თავი ამ სიტუაციას. მე არაფერს ვეტყვი ბიძაშენს, ამით მხოლოდ თავს შევაწყენდი. დიდი ნუგეშია შენი აქ ყოფნა, ჩემო ძვირფასო ბიჭო, განსაკუთრებით ახლა, როცა ვბერდები.

- ბერდები! რატომ ბერდები?! ისევ ისეთი ახალგაზრდა ხარ, როგორც ყოველთვის. დედა, ის ტიპი... პროფონი... ნორმალური ვინმეა?

- პროსპერ პროფონი? ოჰ, ყველაზე თავშესაქცევი ვინმეა მათ შორის, ვისაც ვიცნობ.

ვალ დარტიმ ჩაიბუზღუნა და დედამისს კვიცის ეპიზოდი უამბო.

- ჰო, ზუსტად ეგეთია, - ჩაიჩურჩულა უინიფრიდმა, - სულ ეგეთ რამეებს სჩადის.

- კარგი, - თქვა ვალმა ტკივილით, - ჩვენი ოჯახი არასოდეს განებივრებულა ეგეთი ინდივიდებით. მეტისმეტად არხეინი ვინმეა საჩვენოდ.

ეს სიმართლე იყო და უინიფრიდის დამძიმებული ფიქრებიც მთელ წუთს გაგრძელდა, სანამ უპასუხებდა:

- ოჰ, ბოლოს და ბოლოს, უცხოელია, ვალ. უნდა მივცეთ რაღაცების უფლება.

- კეთილი. გამოვიყენებ მის კვიცს და ვეცდები, ვიმეგობრო მაგ კაცთან.

მალე დედას დაემშვიდობა, საპასუხოდ კოცნა მიიღო, მერე კი ჯერ თავის ბუკმეკერთან წავიდა, მერე აისიუმკლუბში, ბოლოს - სადგურში.

თავი მეექვსე

ჯონი

სამხრეთ აფრიკაში გატარებული ოცი წლის შემდეგ მისის ვალ დარტს დიდი სიყვარულით შეუყვარდა რაღაც ისეთი, რაც, საბედნიეროდ, ღრმად მისეული იყო: ხედი, რომელიც იშლებოდა მისი ფანჯრებიდან: გრილი სინათლე მწვანე დაუნსის თავზე. ბოლოს და ბოლოს, ისევ ინგლისში იყო! კიდევ უფრო მშვენიერ ინგლისში, ვიდრე მანამდე ეოცნება. არსებითად, იღბალმა მიიყვანა ცოლ-ქმარი დარტი ისეთ წერტილამდე, სადაც სამხრეთ დაუნსი ნამდვილად წარმტაცია, როცა მზე ანათებს. ჰოლის საკმარისად მამისეული თვალი ჰქონდა იმისთვის, რომ დაეფასებინა ამ სანახების იშვიათი ხარისხი და ცარცისებრი ნათება; ხეობის მსგავსი შუკის აყოლა და ჩანკტონბერისა და ამბერლეისკენ გასეირნება იყო სიამოვნება, რომლის გაზიარებასაც ჰოლი გულითადად ცდილობდა ვალისთვის. ამ უკანასკნელის აღტაცება ბუნებით გადასჯაჭვოდა რაიმე სარგებლის მიღების ფორსაიტულ ინსტინქტს, მაგალითად - ბუსნოს მდგომარეობის შეფასებით, რაც შემდეგ მისი ცხენების წვრთნას მოხმარდებოდა.

როდესაც ფორდს შინ აბრუნებდა ლაღად და იუმორის ტალღაზე, ჰოლიმ გუნებაში პირობა დადო: უპირველესი, რასაც

ჯონს გავაკეთებინებ, ის იქნება, რომ ზემოთ ავიყვან და მაისის ცის ქვეშ გადაშლილ ამ ლანდშაფტს ვუჩვენებო. თავის ახალგაზრდა ნახევარძმას ჰოლი ვალ დარტის მიერ ვერამოწურული დედობრივობით ელოდა. სამდღიანმა ვიზიტმა რობინჰილში სამშობლოში მათი დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ მაინც ვერ შეახვედრა ჯონს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში იყო. ამიტომაც ჰოლის მოგონებაში, ვალისა არ იყოს, ჩარჩენილიყო პატარა, ოქროსთმიანი, ლურჯი და ყვითელი ზოლებით მოხატული ბიჭუნა ტბორთან.

რობინჰილში გატარებული ის სამი დღე ამაღელვებელი, სევდიანი და თავგზისამბნევი იყო: მოგონებები გარდაცვლილ ძმაზე, მოგონებები ვალ დარტის არშიყობაზე; მამის შესვლა ასაკში, იმ მამის, რომელიც ჰოლის მთელ ოცი წელიწადი არ ენახა და რომლის ირონიულ სირბილეში იყო რაღაც სამგლოვიარო, რაც ჰოლის დახვეწილ ინსტინქტს არ გამოეპარებოდა. უწინარეს ყოვლისა კი, მისი დედინაცვალი, რომელიც ბუნდოვნად ახსოვდა, როგორც "ქალი ნაცრისფერში", როდესაც ჰოლი პატარა გოგონა იყო, პაპა - ცოცხალი, მადმუაზელ ბოსი კი - ძალიან გაბრაზებული, რადგან შემოჭრილმა არსებამ მუსიკის გაკვეთილების მიცემა დაიწყო: - ეს ყველაფერი აბნევდა და აწამებდა სულს, რომელიც უშფოთველ რობინჰილს ესწრაფოდა. თუმცა ჰოლი ახერხებდა რაღაცების შენახვას თავისთვის და ყველაფერი თითქოს საკმარისად კარგად მიდიოდა.

გამომშვიდობებისას მამამ აკოცა და იმ წამს ჰოლიმ აშკარად იგრძნო ათრთოლებული ტუჩები.

- ჩემო ძვირფასო, - უთხრა მამამ, - ომს რობინჰილი არ შეუცვლია, არა? ნეტავ ჯოლიც შენთან ერთად დაბრუნებულიყო! ანუ, ხომ გაუძლებ მთელ ამ სპირიტულ რეკეტს? ვწუხვარ, მაგრამ... როდესაც მუხა კვდება, კვდება და მორჩა.

ჰოლიმ ისე თბილად ჩაიკრა გულში, რომ მამა, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ თავი გასცა, რადგან უეცრად იუმორში გადავიდა:

- სპირიტიზმი უცნაური სიტყვაა: რაც უფრო მეტს ავლენენ, მით მეტად ამტკიცებენ, რომ სწორედაც მატერია მოიხელთეს.

- ეგ როგორ? - ჰკითხა ჰოლიმ.

- აბა, შეხედე აურული არსებების ფოტოებს. სანამ ფოტოსურათს გადაიღებ, უნდა არსებობდეს რაღაც მატერიალური სინათლისა და ჩრდილისთვის. არა, ეს ყველაფერი იმით დასრულდება, რომ მთელ მატერიას სულად მოვნათლავთ ან მთელ სულს - მატერიად. არ ვიცი, რომელი უფრო მოხდება.

- ნუთუ სულის უკვდავება არა გწამს, მამა?

ჯოლიონმა შეხედა და ჰოლის გული შეუძრა მამამისის სახეზე აღბეჭდილმა სევდიანმა ახირებამ.

- ჩემო ძვირფასო, ნამდვილად ვისურვებდი, რაღაცას გამოვრჩენოდი სიკვდილს. ცოტათი შევისწავლე კიდეც. მაგრამ ჩემი სიცოცხლისთვის ვერაფერი ვიპოვე ისეთი, რისი მიზეზიც ისევ და ისევ ამქვეყნიური საწყობიდან გამოტანილი ტელეპათია, ქვეცნობიერი თუ ემანაცია არ იქნებოდა. თუმცა ვისურვებდი, მეპოვა. სურვილები შობს აზრებს, ოღონდ არა თვალსაჩინოებას.

ჰოლიმ ტუჩები კიდევ ერთხელ მიადო შუბლზე იმ გრძნობით, რომ ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებდა მამის თეორიას,

რომლის მიხედვითაც მთელი მატერია სულად ქცევის გზაზე იდგა. ეს შუბლი რაღაცნაირად არანივთიერის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

თუმცა იმ ხანმოკლე ვიზიტის ყველაზე მძაფრი მოგონება უკავშირდებოდა ჰოლის მიერ მისი დედინაცვლის უჩუმარ თვალთვალს, როცა ეს უკანასკნელი ჯონისგან მიღებულ წერილს კითხულობდა. ჰოლის აზრით, ასეთი მშვენიერი სანახაობა მას არასოდეს ენახა. ჯონის წერილში დანთქმული აირენი იდგა ფანჯარასთან, საიდანაც შემოსული სინათლე სახეზე და მშვენიერ მოვერცხლისფრო თმაზე ეცემოდა. ტუჩები უმოძრავებდა, უღიმოდა, შავი თვალები უცინოდა, უცეკვავდა, მეორე ხელი კი, რომლითაც წერილი არ ეჭირა, მკერდზე ჰქონდა მიდებული. ჰოლი თითქოსდა სრულყოფილი სიყვარულის ხილვიდან გამოერკვა, დარწმუნებული იმაში, რომ ჯონი უდავოდ კარგი ვინმე უნდა ყოფილიყო.

როცა დაინახა, როგორ გამოდიოდა სადგურიდან თითო ხელში თითო ზურგჩანთით, ჰოლის თავისი წინასწარი განწყობა დაუდასტურდა. ეს ბიჭი ცოტათი ჯოლის ჰგავდა, ჰოლის ბავშვობის დაკარგულ კერპს. თუმცა ჯონს უფრო მხურვალე მზერა ჰქონდა და ნაკლებად ოფიციალური ჩანდა, უფრო ღრმა თვალები და უფრო ნათელი შეფერილობის თმა, რომელიც უჩანდა, რაკი ქუდი არ ეხურა. ასე იყო თუ ისე, ძალზე საინტერესო "ძამიკო" იყო!

მისმა მოყოყმანე თავაზიანობამ მოხიბლა ის, ვინც ჭაბუკურ თავდაჯერებულობას იყო ნაჩვევი. ჯონი შეწუხდა, რომ სახლამდე სწორედ ჰოლის უნდა წაეყვანა მანქანით და არა პირიქით.

ნუთუ აქამდე ვერ უნდა მიმხვდარიყო ამას? შინ, რობინჰილში, ომის შემდეგ მანქანა, რა თქმა უნდა, აღარ ჰყოლიათ, ჯონის კი სულ ერთხელ გაეტარებინა და ისიც მიწაყრილს შესჯახებოდა. ასე რომ, ჰოლის მისთვის მანქანის მართვაში გავარჯიშების საშუალება უნდა მიეცა. ჯონის რბილი და გადამდები სიცილი ძალზე მიმზიდველი იყო, თუმცა სიტყვა "მიმზიდველი", როგორც ჰოლის სმენოდა, სადღეისოდ ძველმოდურად ჟღერდა. როცა სახლამდე მივიდნენ, ჯონმა ჩანთიდან დაჭმუჭნილი წერილი ამოიღო და ჰოლის გადასცა. სანამ სტუმარი ბანაობდა, ჰოლიმ წერილი წაიკითხა. ეს ერთი ბეწო წერილი ჰოლის მამას დიდ ოფლის ღვრად დაუჯდებოდა.

"ჩემო ძვირფასო,

მჯერა შენ და ვალს არ დაგავიწყდებათ, რომ ჯონმა არაფერი იცის ოჯახის წარსულიდან. ჩემი და დედამისის აზრით, საამისოდ ის ჯერ ძალზე ახალგაზრდაა. დედამისს იგი თვალისჩინივით ეძვირფასება. Verbum sapientibus.(ლათინური ანდაზა: "ჭკვიანი ნახევარი სიტყვითაც მიხვდება".)სიყვარულით, მამა.

ჯ. ფ."

სულ ეს იყო, თუმცა ამ ყველაფერმა ჰოლის განუახლა გულის დამამძიმებელი სინანული, რომ ამ პერიოდში ფლერიც ჩამოდიოდა.

ჩაის დალევის შემდეგ ჰოლიმ თავისი თავისთვის მიცემული პირობა შეასრულა და ჯონი გორაზე აიყვანა. ხანგრძლივად ისაუბრეს მაყვლითა და ხურტკმლით დაფარული ცარცის ძველი კარიერის ზემოთ ჩამომსხდრებმა. მწვანე ფერდობი რძიანას და

ღვიძლის ხავსს დაეწინწკლა, ტევრში ტოროლები ჟღურტულებ-დნენ, ზოგჯერ კი ხმელეთზე შემოფრენილი თოლია ქათქათა თეთრ ზოლს ავლებდა გაუფერულებული ცის ფონზე, - იქ, სა-დაც ფერმკრთალი მთვარე იწყებდა ამოსვლას. ნესტოებში ტკბილი სურნელება უღიტინებდათ, თითქოს რაღაც პატარა, უხილავი არსებები დარბოდნენ და ბალახის ღერებიდან სურნე-ლების ძაფებს აბამდნენ.

გარკვეული ხნის დუმილის შემდეგ უეცრად ჯონმა თქვა:

- საოცარია! ვერაფერს დაამატებ: თოლიას გაფრენა, ცხვრე-ბის ზანზალაკები...

- თოლიას გაფრენა, ცხვრების ზანზალაკები... შენ პოეტი ხარ, ძვირფასო!

ჯონმა ამოიოხრა.

- უჰ, არა, არ გამომდის!

- სცადე! მეც ასე ვიყავი შენს ასაკში.

- ჰოო? დედაჩემიც მეუბნება, სცადეო, მაგრამ ისეთი საძაგე-ლი ვარ. ხომ არაფერს წამაკითხებდი შენსას?

- ჩემო ძვირფასო, - ჩაიბუტბუტა ჰოლიმ, - ცხრამეტი წლის წინ გავთხოვდი. მხოლოდ მაშინ ვწერდი ლექსებს, როცა გათხო-ვება მსურდა.

- უჰ! - თქვა ჯონმა და თავი მიაბრუნა. ერთადერთ ლოყას, რომელსაც ჰოლი ხედავდა, მომხიბლავი ელფერი ედო. მაშ, იყო თუ არა ჯონი "ფეხმოცელილი", როგორც ვალმა თქვა? თუ ასეა, მით უკეთესი: ახალგაზრდა ფლერისკენ არც კი გაიხედავდა. გარდა ამისა, ორშაბათს ფერმერობის გაკვეთილები ეწყებოდა. ჰოლის გაეღიმა. ვინ მიჰყვებოდა სახნისს: ბერნსი თუ მხოლოდ

პეტრე-მიწის მხვნელი?(პეტრე მიწის მხვნელი - პერსონაჟი უილიამ ლენდლერდის ალეგორიული პოემისა "პეტრე-მიწის მხვნელის ხილვა" (1362)) ამ დროში თითქმის ყველა ჭაბუკი და ქალიშვილთა დიდი ნაწილი პოეტობას იჩემებდა, თუ, რასაკვირველია, ჰოლი იმსჯელებდა სამხრეთ აფრიკაში წაკითხული, ჰატჩუსიდან და ბუმპარდიდან შემოტანილი წიგნების რაოდენობით, მშვენიერი წიგნების, გაცილებით უკეთესის, ვიდრე თვითონ წერდა! თუმცა პოეზია მხოლოდ მაშინღა - ჰოლის შემდეგ - შემოდიოდა ავტომობილებთან ერთად. მეორე ხანგრძლივი საუბარი შედგა სადილის შემდეგ ბუხართან დაბალჭერიან ჰოლში, რის შემდეგაც თითქოს ბევრი აღარაფერი დარჩა გასაგები ჯონის შესახებ, ნამდვილად მნიშვნელოვანი რამეების გარდა. ჰოლი ჯონს მისთვის განკუთვნილი საძინებლის კართან დაემშვიდობა მას შემდეგ, რაც ორგზის დარწმუნდა, რომ ამ ბიჭს ყველაფერი ჰქონდა და რომ ჰოლი შეძლებდა ჰყვარებოდა ის და არც ვალ დარტი დარჩებოდა გულგრილი. ჯონს მხურვალე გული ჰქონდა, თუმცა გრძნობებად არ იღვრებოდა. შესანიშნავი მსმენელი იყო, თანამგრძნობელი, თავის თავზე ბევრს არ ლაპარაკობდა. აშკარად უყვარდა თავისი და ჰოლის მამა, აღმერთებდა დედას. უყვარდა ცხენზე ჯდომა, ნავით ცურვა, უფრო ფარიკაობა, ვიდრე თამაშები. ფარვანებს იცავდა სანთლის ალში ჩაწვისგან და ვერ იტანდა ობობებს, თუმცა მაინც არ კლავდა, მხოლოდ გარეთ გაჰყავდა ქაღალდში გახვეული. ერთი სიტყვით, მეგობრული და საყვარელი ადამიანი იყო. დასაძინებლად რომ წვებოდა, ჰოლი ფიქრობდა, ეს ბიჭი საშინლად დაიტანჯება, თუ ვინმე გულს ატკენსო. მაგრამ ვინ ატკენდა მას?

ამ დროს თვით ჯონი ფანჯარასთან იჯდა ფურცლითა და ფანქრით ხელში და თავის პირველ "რეალურ ლექსს" წერდა სანთლის შუქზე, რადგან მთვარის სინათლე მხოლოდ იმისთვის კმაროდა, რომ ღამე მსუბუქი და მოვერცხლილი გამოეჩინა, სწორედ ისეთი, რომელშიც ფლერს უნდა ევლო, აქეთ-იქით ეცქირა და ქვეყნიერების კიდემდე გასძღოლოდა ჯონს. უეშმაკო შუბლი ღრმად შეჭმუხნოდა, ფურცელზე ნიშნებს სვამდა, შლიდა და ისევ წერდა, ანუ აკეთებდა ყველაფერს, რაც ხელოვნების ნიმუშის შექმნას სჭირდებოდა. ისეთ გრძნობებში იყო, როგორითაც გაზაფხულის ქარები ქრიან და პირველ სიმღერებს მღერიან დაბერილ კვირტებს შორის. როგორც ბიჭი, ჯონი ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვისთვისაც შინ გამოწვრთნილმა მშვენიერების სიყვარულმა სკოლის ცხოვრებას გადაასწრო. ეს, რაღა თქმა უნდა, თავისთვის უნდა შეენახა. თვით ხატვის მასწავლებელმაც არაფერი იცოდა, თვითონ ჯონში კი სულდგმულობდა, დახვეწილი და ნათელი. და ახლა თავისი ლექსიც კოჭლად და ოჩოფეხებზე შემდგარად ესახებოდა ამ ფრთიან ღამეში. მაინც ხელიდან არ უშვებდა ამ "ნადირს", რომელიც სულ არაფერს სჯობდა, როგორც გამოუთქმელის გამოთქმა. შეცბუნებული ფიქრობდა: "ამას დედაჩემს ვერ ვაჩვენებ". დაძინებით კი უჩვეულოდ კარგად ეძინა სიახლით დარეტიანებულს.

თავი მეშვიდე

ფლერი

იმ კითხვების თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც ვერ უპასუხებდნენ, ჯონს მხოლოდ ეს უთხრეს:

- კვირის ბოლოს გოგონა ჩამოდის ვალთან ერთად.

იმავე მიზეზით, ფლერსაც მხოლოდ ეს უთხრეს:

- ჩვენთან ერთი ბიჭი ცხოვრობს.

ამდენად, ორი კვიცი (ასე მოიხსენიებდა მათ ვალ დარტი ფიქრებში) ყოვლად მოუმზადებლად შეხვდა ერთმანეთს. ჰოლიმ ასე გააცნო ერთმანეთი:

- ეს ჯონია, ჩემი პატარა ძმა. ეს ფლერი - ჩვენი ბიძაშვილი.

ჯონი, რომელიც ფრანგული ფანჯრიდან დაბრუნდა შინ კაშკაშა მზის სინათლიდან, ამ სასწაულის წინასწარმეტყველურმა ხასიათმა გააოგნა. ამასობაში კი ისე გაიგონა ფლერის მიერ მშვიდად ნათქვამი "ოჰ... როგორ გიკითხოთ?", თითქოს არასოდეს ენახა ეს გოგო, მისი თავის უმცირეს-უსწრაფესი მოძრაობით კი მიხვდა, რომ აქამდე ისინი არასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს. ამიტომაც მთვრალივით დაიხარა ფლერის ხელზე და მკვდარივით გაიტრუნა. მიხვდა, რომ ახლა ყველაფერს გაჩუმება აჯობებდა. ერთხელ, წარსულში, როცა ღამის ლამპაზე

კითხვისას შეუსწრეს, ჯონმა სულელურად თქვა: "მხოლოდ ვფურცლავდი, დე". ამაზე დედამ უპასუხა: "ნურასოდეს მოიგონებ რაღაცებს, ჯონ. მაინც არავინ დაგიჯერებს შენი სახის გამო".

ამ სიტყვებმა ერთხელ და სამუდამოდ გამოაცალეს საფუძველი თავდაჯერებულობას, ესოდენ აუცილებელს წარმატებული სიცრუისთვის. ახლა ჯონი უსმენდა ფლერის სხაპასხუპით გამოთქმულ აღფრთოვანებას იმის თაობაზე, თუ რაოდენ თვალწარმტაცია ირგვლივ ყველაფერი. ჯემითა და ბლინებით გაუმასპინძლდა და მაშინვე გაეცალა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა. ამბობენ, თეთრი ცხელების დროს ავადმყოფი ხედავს სულ ერთსა და იმავე საგანს, უპირატესად - მუქ ფერებში, რომელიც უეცრად იცვლის ფორმასა და მდგომარეობას. ჯონიც ასეთ განმეორებად საგანს ხედავდა: მას მუქი ფერის თვალები ჰქონდა, მუქი თმა, ადგილსაც იცვლიდა, თუმცა ფორმას - არა. იმის გაცნობიერებამ, რომ მასა და ამ საგანს შორის ორმხრივი საიდუმლო ურთიერთგაგება დამყარდა (თუმცაღა - გაუგებარი), ბიჭი ისეთი თრთოლით აავსო, რომ თითქოს ციებ-ცხელებით ატანილი შეუდგა თავისი ლექსის გადათეთრებას, ლექსის, რომლის ჩვენებას ფლერისთვის ვერასდროს გაბედავდა. მერე ფლოქვების თქარათქურმა გამოაფხიზლა. ფანჯარაში გაიხედა და დაინახა ცხენზე ამხედრებული ფლერი ვალის თანხლებით. გასაგები იყო, რომ გოგონა დროს არ კარგავდა. თუმცა ამ სანახაობამ ჯონს გული დასწყვიტა: თვითონ ხომ კარგავდა დროს! დანარჩენებს რომ არ გასცლოდა თავის მორიდებულ აღტაცებაში, მასაც მიიწვევდნენ გასასეირნებლად. ახლა კი ფანჯარასთან

იჯდა და უყურებდა, როგორ გაუჩინარდნენ მხედრები, მერე ისევ გამოჩნდნენ აღმართზე, ისევ გაქრნენ და ერთი წუთით კვლავ ამოყვინთეს - მკვეთრად მოხაზულებმა ბორცვის თხემზე. "რა ბრიყვი ვარ! - ფიქრობდა ბიჭი, - ყოველთვის ხელიდან ვუშვებ შანსს".

რატომ არ შეეძლო თავდაჯერებულად ყოფნა? ნიკაპი ორივე ხელს დააყრდნო და წარმოსახვაში დახატა გასეირნება ფლერთან ერთად. გოგონა ორიოდე დღით ჩამოვიდა, ჯონმა კი ამ ორი დღიდან სამი საათი უკვე გაფლანგა. აბა, სხვა ვინ გამოთაყვანდებოდა ასე მის ნაცნობებს შორის? არავინ.

სადილობის დრო რომ მოვიდა, ნაადრევად ჩაცმული ჯონი ყველაზე ადრე ჩავიდა ქვემოთ. პირობა მისცა თავის თავს, მეტ შანსს ხელიდან აღარ გავუშვებო. მაგრამ მაინც გაუშვა ხელიდან ფლერი, რომელიც ყველაზე ბოლოს შეუერთდა სხვებს. მაგიდასთან ჯონი ფლერის პირდაპირ იჯდა და ეს მისთვის ნამდვილი წამება იყო: შიშით ვერაფერს ამბობდა, ვაითუ, ზედმეტი წამომცდესო; ვერც კი შეეხედა ისე, როგორც ისურვებდა. შეუძლებელია ბუნებრივად მოქცევა იმ ქალიშვილთან, რომელთანაც წარმოსახვით უკვე მთა-გორები შემოგივლია და თან მუდმივად აცნობიერებ, რომ მასაც და ყველა დანარჩენსაც მუნჯი რეგვენი ჰგონიხარ. ჰო, ეს წამება იყო. ფლერი კი ასე მშვენივრად ჭიკჭიკებდა, ასე მსუბუქად გადადიოდა თემიდან თემაზე! საკვირველია, როგორ ჰქონდა ათვისებული ეს ხელოვნება, რომელიც ჯონს ასეთი მიუწვდომელი ეგონა. ეჭვი არაა, ფლერს იგი უიმედო ბრიყვად მიაჩნდა.

მისკენ ერთგვარი გაკვირვებით მიმართულმა დის მზერამ ჯონი, ბოლოს და ბოლოს, აიძულა პირდაპირ შეეხედა ფლერისთვის. თუმცა, იმავე წამს, გოგონას ფართოდ გახელილი ცოცხალი თვალები თითქოს შეევედრა: "არ გინდა, თუ ღმერთი გწამს!" და აიძულა მზერა ვალ დარტიზე გადაეტანა. თუმცა ვალის მოცინარმა თვალებმა ჯონს თვალები თავის კატლეტზე ჩაახრევინა, რომელსაც, საბედნიეროდ, არც თვალები ჰქონდა, არც ღიმილი, და ჯონმაც სასწრაფოდ გააქანა პირისკენ.

- ჯონი ფერმერობას აპირებს, - თქვა ჰოლიმ, - ფერმერობას და პოეტობას.

ბიჭმა საყვედურით გახედა თავის დას, შენიშნა თავშექცევით აწეული წარბი, ზუსტად როგორც მათ მამას სჩვეოდა, გაიცინა და თავი გაცილებით უკეთ იგრძნო.

ვალმა სრულებით დროულად გაიხსენა თავისი შეხვედრა პროსპერ პროფონთან, რადგან ამ დროს ის ჰოლის უყურებდა, ჰოლი - მას, ფლერი კი, ოდნავ შუბლშეჭმუხნილი, თითქოს თავის რომელიღაც დაფარულ აზრს უკირკიტებდა. ჯონს მისი დათვალიერების შესაძლებლობა მიეცა. ფლერს თეთრი კაბა ეცვა, მთლად უბრალო, მაგრამ ბრწყინვალედ შეკერილი. მკლავები შიშველი ჰქონდა, თმაში თეთრი ვარდი ეკეთა. ამ უსწრაფეს წამში, როცა პირველად შეხედა ფლერს თავისუფლად ასეთი დაძაბული მოლოდინის შემდეგ, ჯონმა გოგონა ჰაერში აფარფატებული დალანდა, როგორც სიბნელეში ვხედავთ ხოლმე თეთრად გადაპენტილ ვაშლის ხეს. ისე იხელთებდა ამ ხილვას, როგორც ტვინში ამომხდარ ლექსის სტრიქონს, როგორც შორს ამოცურებულ და მიჩუმებულ მელოდიას. ბუნდოვნად მარჩიელობდა, ნე-

ტავ რამდენი წლისააო, იმდენად კარგად ფლობდა ფლერი თავს და იმდენად მასზე უფრო გამოცდილი ჩანდა. რატომ უნდა მალავდნენ, რომ ერთმანეთს იცნობენ? ჯონს გაახსენდა დედის სახე, დაბნეული და შეურაცხყოფილი, როცა შვილს უთხრა: "ჰო, ისინი ჩვენი ნათესავები არიან, მაგრამ არ ვიცნობთ". დედა ხომ აღმერთებს სილამაზეს. ნუთუ ფლერი რომ გაიცნოს, არ აღფრთოვანდება მისით? შეუძლებელია!

სადილის შემდეგ ვალთან დარჩენილი ჯონი მოწიწებით წრუპავდა პორტვეინს და თავის ახალმოვლენილი სიძის შეკითხვებს პასუხობდა. რაც შეეხება ცხენის ტარებას (ამას ვალ დარტი ყოველთვის პირველ პლანზე აყენებდა), ჯონს სთავაზობდნენ წაბლისფერ კვიცს, რომელიც თავად უნდა შეეკაზმა, თავადვე მოეხსნა უნაგირი და მოსართავები და, საერთოდ, ყველანაირად ეზრუნა მას შემდეგ, რაც უკან მოიყვანდა. ჯონმა თქვა, ამ ყველაფერს შინვე მივეჩვიეო, და მალევე დარწმუნდა, რომ ამ ამბავმა თვალში საცემად აამაღლა მასპინძლის თვალში.

- ფლერმა ჯერ არ იცის სათანადოდ ტარება, - თქვა ვალმა, - თუმცა მკვირცხლია. რასაკვირველია, მამამისი ცხენს ბორბლისაგან ვერ არჩევს. მამაშენი თუ ატარებს ცხენს?

- უწინ ატარებდა, ახლა კი, ხომ გესმით, ახლა...

ბიჭს ენა დაება, სანამ იტყოდა სიტყვას "მოხუცია". მამა მოხუცია, მე - არა, რასაკვირველია.

- მესმის, - თქვა ვალმა, - ოდესღაც ოქსფორდში შენს ძმას ვიცნობდი, იმას, ბურების ომში რომ დაიღუპა. ერთხელ ვიჩხუბეთ კიდეც უნივერსიტეტის ბაღში. უცნაური ამბავი იყო და ბევრი რამ გაიყოლა თან.

ჯონს თვალები გაუფართოვდა. ყველაფერი წარსულის გამოჩხრეკისკენ უბიძგებდა. თუმცა ამ დროს ზღურბლიდან დაიკო ჰოლის ალერსიანი ხმა მოისმა:

- შემოგვიერთდით!

და ჯონიც წამოხტა, რადგან მისი გული აწმყოს მიელტვოდა.

რადგანაც ფლერმა განაცხადა, ასეთ დიდებულ საღამოს ცოდვაა სახლში ჯდომაო, ოთხივენი გარეთ გავიდნენ. მთვარის სხივებქვეშ ცვარი ბრწყინავდა, ძველი მზის საათი კი გრძელ ჩრდილს ისროდა. ბზის ორი მესერი, კვადრატული და ჩაბნელებული, მართი კუთხით ხვდებოდა ერთმანეთს და ხეხილის ბაღს ტიხრავდა. ფლერმა ამ მესრებს შორის დატოვებულ გასასვლელს მიაშურა.

- წამოდით! - გამოსძახა დანარჩენებს.

ჯონმა სხვებს გამოხედა და გოგონას მიჰყვა. ის კი მოჩვენებასავით მირბოდა ხეებს შორის. ყველაფერი ისე ლამაზი იყო ფლერის თავზემოთ, თითქოს ქაფი მოსდებიაო. ჰაერში ხანდაზმული ხეების ღეროებისა და ჭინჭრის სუნი იდგა. ფლერი თვალს მიეფარა. დავკარგეო, იფიქრა ჯონმა, მაგრამ მეორე წამს კინაღამ დაეჯახა და წააქცია: ფლერი გაუნძრევლად იდგა.

- ხომ საოცარია? - ჰკითხა და ჯონიმაც უპასუხა:

- ჰო.

ფლერი ფეხისწვერებზე შედგა, ვაშლის ხიდან ყვავილი მოწყვიტა, ფურცლები გაუშალა და თქვა:

- შეიძლება, უბრალოდ, ჯონი ვთქვა? და შენობით მოგმართო?

- რასაკვირველია.

- ჩინებულია! ის თუ იცი, რომ ჩვენი ოჯახები მოსისხლე მტრები არიან?

ჯონს ენა ჩაუვარდა:

- მტრები? რატომ?

- რა რომანტიკულია და რა ბრიყვული, არა? აი, რატომ მივიღე ისეთი სახე, თითქოს უწინ არასდროს შევხვედრივართ. მოდი, ხვალ ადრე ავდგეთ და დილის საუზმემდე გავისეირნოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ უკან ჩამოვიტოვოთ ეს. არ მიყვარს საქმის გაჯანჯლება. შენ?

ჯონმა აღტაცებული თანხმობა წაილუღლუღა.

- ასე რომ, ხვალ დილის ექვს საათზე. იცი, მე მგონი, დედაშენი ძალიან ლამაზია.

ჯონმა მხურვალედ აიტაცა:

- ჰო, ძალიან.

- მიყვარს სილამაზე ყველანაირი ფორმით, როცა გაღელვებს, - განაგრძო ფლერმა, - ბერძნულ ხელოვნებას არ ვაღიარებ.

- როგორ, თვით ევრიპიდესაც?

- ევრიპიდეს? ჰო, ვერ ვიტან ბერძნულ ტრაგედიას, ძალიან გაწელილია. ვფიქრობ, სილამაზე მუდამ სწრაფი უნდა იყოს. მე, მაგალითად, მიყვარს რაღაც სურათის შეხედვა და - გაქცევა. ვერ ვუძლებ ბევრ საგანს ერთად. აი, უყურე, - ფლერს ვაშლის ხის ყვავილი მთვარისკენ აწვდილი ეჭირა, - ეს მთელ ბაღს მირჩევნია.

და უცებ მეორე ხელით ჯონის ხელი ჩაბღუჯა:

- ნუთუ არ ფიქრობ, რომ ამქვეყნად ყველაზე აუტანელია სიფრთხილე? დაყნოსე მთვარის შუქი.

და ფლერმა ყვავილი სახეში ესროლა. ჯონი სიამოვნებით დათანხმდა, რომ ამქვეყნად ყველაზე უარესი, მართლაცდა, სიფრთხილე იყო. დაიხარა და მის ხელზე შემოჭდობილ თითებს აკოცა.

- კარგია და ძველმოდური, - თქვა ფლერმა, - აუტანლად მდუმარე ხარ, ჯონ. დუმილიც მიყვარს, როცა მოულოდნელია, - ფლერმა ხელი გაუშვა, - ხომ არ გიფიქრია მაშინ, რომ ცხვირსახოცი განგებ დავაგდე?

- არა! - შესძახა გაოგნებულმა ბიჭმა.

- მე კი, რა თქმა უნდა, ეს განგებ ვქენი. დავბრუნდეთ, თორემ იფიქრებენ, რომ შეგნებულად განვმარტოვდით.

და ფლერი ისევ მოჩვენებასავით გაიქცა ხეებს შორის. ჯონი დაედევნა: გულში - სიყვარულით, გულში - გაზაფხულით. ყოველივეს ზემოთ კი, მთვარიანში, თეთრი, არამიწიერი ყვავილობა გაბნეულიყო. ტევრიდან იმავე გზით გავიდნენ, რომლითაც შევიდნენ. ფლერს ყოვლად ძალდაუტანებელი იერი ჰქონდა.

- იქ, ბაღში, ზღაპარია! - მიბნედით უთხრა ჰოლის.

ჯონი დუმდა და უსასოოდ იმედოვნებდა, რომ ეს დუმილი ფლერს უეცარი ეგონებოდა.

გოგონამ იოლად და თავშეკავებულად უსურვა ძილი ნებისა და ჯონს მოეჩვენა, რომ ბაღში შემდგარი საუბარი სიზმარი იყო და სხვა არაფერი.

თავის საძინებელში ფლერმა კაბა გაიძრო, საგანგებოდ უფორმო ხალათში გაეხვია, დაჯდა, ფეხები სხეულქვეშ ამოიკე-

ცა და სანთლის შუქზე წერას შეუდგა. გეიშას ყაიდაზე თმაში გარჭობილი ვარდი ჯერაც არ გამოეძრო.

"ძვირფასო ჩერი,

მგონი, შეყვარებული ვარ. თოვლივით ჩამომეყარა თავზე, თუმცა სადღაც უფრო ღრმადაც ვგრძნობ. ის ჩემი გარე ბიძაშვილია, ჯერ მთლად ბავშვი, ჩემზე ექვსი თვით უფროსი. ბიჭებს ყოველთვის უფროსი ქალები უყვარდებათ, გოგონებს - უმცროსები ან ორმოცი წლის მოხუცები. არ გაგეცინოს, მაგრამ ჩემს დღეში არ მინახავს მის თვალებზე უფრო გულმართალი რამ. ჩვენი პირველი შეხვედრა ლონდონში - ვოსპოვიჩის იუნონას ჩრდილში - ძალიან რომანტიკული იყო. ახლა მეზობელ ოთახში სძინავს. ხვალ დილით კი, სანამ სხვები გაიღვიძებენ, ჩვენ ცარცის გორებზე ავალთ, სტუმრად ფერიებთან. ჩვენი ოჯახები მოსისხლე მტრები არიან, რაც მე აღტაცებას მგვრის. ჰო! და, შესაძლოა, რაღაც ეშმაკობების ჩადენა დამჭირდეს, ანუ გთხოვო, რომ შენთან მიმიწვიო. მიხვდები, რატომაც. მამაჩემს არ სურს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდეთ, მაგრამ მე ამას ვერ შევურიგდები. სიცოცხლე მეტისმეტად მოკლეა. მას მზეთუნახავი დედა ჰყავს: შავთვალება, მშვენიერი ვერცხლისფერი თმითა და ახალგაზრდული სახით. ახლა მის დასთან ვარ სტუმრად, ანუ ჩემი ბიძაშვილის ცოლთან. ეს ყველაფერი ძალიან ჩახლართულია, თუმცა ხვალ იმდენი უნდა ვათქმევინო, რამდენსაც შევძლებ. მე და შენ ხშირად გვითქვამს, როგორ აფუჭებს სიყვარული მხიარულ თამაშს. სისულელეა! მხოლოდ სიყვარულით იწყება ჭეშმარიტი თამაში. და რაც უფრო ადრე გამოცდი ამას, მით უკეთესი შენთვის.

ჯონი (არა უბრალოდ "ჯონი", არამედ შემოკლებული "ჯოლიონი" - ფორსაიტების ტრადიციული სახელი) იმ ჯიშს ეკუთვნის, ხან რომ ინთებიან და ხან ქრებიან. ხუთი ფუტისა და ათი დუიმის სიმაღლისაა. ჯერ კიდევ იზრდება და პოეტობა სურს. თუ დამცინებ, სამუდამოდ გაგებუტები. წინდაწინ წარმოვიდგენ ყოველგვარ გართულებას, მაგრამ შენ იცი: თუ რამე სერიოზულად განვიზრახე, ჩემსას გავიტან. სიყვარულის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, რომ ჰაერი დასახლებული გგონია ისევე, როგორც მთვარის ზედაპირზე გვეჩვენება ხოლმე ადამიანის სახის ნაკვთები. გგონია, ცეკვავ და, იმავდროულად, რაღაც უცნაური განცდაა, სადღაც კორსეტის ზემოთ, აყვავებული ფორთოხლის სურნელებას ჰგავს. ეს ჩემი პირველი სიყვარულია და იმის წინათგრძნობაც მაქვს, რომ უკანასკნელიც, რაც, რაღა თქმა უნდა, სისულელეა, თუ ბუნებისა და ზნეობის კანონებს გავითვალისწინებთ. თუ ჩემს დაცინვას დააპირებ, მოგკლავ, და თუ ვინმეს უამბობ, ვერასდროს გაპატიებ. გინდ დაიჯერე, გინდ არა, მგონი, ვერ გავბედავ ამ წერილის გამოგზავნას. ასეა თუ ისე, ახლა ზედ ნაწერზე ვიძინებ. მაშ, ღამე ნებისა, ჩერი!

შენი ფლერი".

თავი მერვე

იდილია ბალახზე

როდესაც ორმა ახალგაზრდა ფორსაიტმა გადალახა პირველი უღელტეხილი და მზერა აღმოსავლეთისკენ - მზისკენ - მიმართა, ცაში ერთი ღრუბელიც არ ჩანდა, ბორცვებზე კი ცვარი ციმციმებდა. უღელტეხილზე თითქმის სირბილით ავიდნენ და ახლა ცოტათი ქოშინებდნენ. თუ რამე ჰქონდათ სათქმელი, მაინც არაფერს ამბობდნენ და ტოროლების ჟღურტულში, დილაადრიანად უზმოდ გასეირნების უხერხულ დუმილში მიაბიჯებდნენ. სახალისო იყო მათი უჩუმარი გასვლა, თუმცა აქ, ამ თავისუფალ სიმაღლეზე, შეთქმულების განცდას სიმუნჯე შეენაცვლა.

- დიდი სისულელე ჩავიდინეთ, - თქვა ფლერმა ნახევარი მილის გავლის შემდეგ, - მშია.

ჯონმა ჯიბიდან შოკოლადის ფილა ამოიღო. შუაზე გატეხეს და - ენაც ამოიდგეს. ლაპარაკობდნენ თავ-თავიანთ შინაურ სიტუაციაზე და თავიანთ უწინდელ ცხოვრებაზე, რომელიც ბორცვების ამ სიმარტოვეში ჯადოსნურ-არარეალური ჩანდა. ჯონის წარსულში ხელშეუხებელი იყო ერთადერთი რამ - დედამისი, ფლერის წარსულში - მამა. მათი სახეები უარყოფითად გამოს-

ცქეროდნენ თავიანთ შვილებს შორიდან და შვილებიც ბევრს არაფერს ამბობდნენ მათზე.

გზა ღარტაფში ჩაეშვა და ისევ აღმართს აუყვა ჩანკტონბერი-რინგის მიმართულებით. შორს ზღვამ გაიბრწყინა. მათ თავებსა და მზეს შორის ქორი ლივლივებდა და სისხლისფერ-ყავისფერი ფრთები ცეცხლისფერ-წითელი უჩანდა. ჯონი, უბრალოდ, შეპყრობილი იყო ფრინველებით, დიდხანს იჯდა ხოლმე გაუნძრევლად და ცაში მოსრიალეებს უთვალთვალებდა. და რადგან მზერაც მახვილი ჰქონდა და მეხსიერებაც, ამდენად, ღირდა კიდეც მისი მოსმენა, როცა ფრინველებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა. თუმცა ჩანკტონბერი-რინგში ფრინველთა ხმები არ ისმოდა, წიფლის ტევრის დიდი ტაძარი ამ სისხამ დილით ცარიელი, უსიცოცხლო და გამოციებული იყო. სასიამოვნო ეჩვენათ ტევრიდან კვლავ მზეზე გასვლა. ახლა გოგონას ჯერი იყო. ის ალაპარაკდა ძაღლებზე და იმაზეც, თუ რა საძაგლად ექცეოდნენ ამ ცხოველებს. განა სისასტიკე არ იყო მათი დაბმა ჯაჭვით! ფლერი სულ შოლტით ააჭრელებდა იმათ, ვინც ასე იქცეოდა. ჰუმანურობის ასეთმა გამოვლინებამ ჯონი განაცვიფრა. აღმოჩნდა, რომ ფლერი იცნობდა ერთ ძაღლს, რომელიც მავან ფერმერს ნებისმიერ ამინდში დაბმული ჰყავდა საფრინველის კუთხეში, ისე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყეფისგან ცხოველს ხმა ჩაუწყდა!

- დაუფიქრდი, რა საწყენია! - თქვა ფლერმა მხურვალედ, - ყოველი გამვლელისთვის რომ არ ეყეფა, არც იყოლიებდნენ. ადამიანი ბინძური ქმნილებაა. ორჯერ მე თვითონ ავუშვი ის ძაღლი, ორჯერვე კინაღამ მიკბინა, მერე კი სიხარულისგან დახ-

ტოდა. თუმცა ბოლოს ისევ შინ ბრუნდებოდა, სადაც ისევ ჯაჭ-ვით აბამდნენ. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მის პატრონს დავაბამ-დი (ამ დროს ჯონმა შენიშნა, როგორ გაიელვა ფლერის თვალებ-მა და კბილებმა) და დაღს დავასვამდი შუბლზე: "ნადირი!" ჰოდა, ჭკუასაც ისწავლიდა!

ჯონი დათანხმდა, ჩინებული მეთოდიაო.

- ყველაფრის თავიდათავი - საკუთრების ინსტინქტია, რო-მელმაც ჯაჭვები შექმნა, - დასძინა ბიჭმა, - ბოლო თაობა სხვაზე არც არაფერზე ფიქრობდა, საკუთრების გარდა. აი, რატომ და-იწყო ომი.

- ოჰ, ეს არასოდეს მომსვლია თავში! - შესძახა ფლერმა, - შენ-მა და ჩემმა მშობლებმაც საკუთრების გამო იჩხუბეს. არადა, სა-კუთრება ყველას გვაქვს. შენი მშობლები ხომ მდიდრები არიან.

- ჰო, საბედნიეროდ! არა მგონია, მე ფულის შოვნა შემეძლოს.

- რომ შეგეძლოს, არ მომეწონებოდი.

ჯონმა თრთოლით მოჰკიდა ხელი.

ფლერი პირდაპირ იყურებოდა და მღეროდა:

"ჯონი, ჯონი, ფერმერის ვაჟი,

ღორს წაპნის და, ჰაიდა, გზაში!"

ჯონის ხელი ფლერის წელს შეაცოცდა.

- საკმაოდ მოულოდნელია! - წყნარად თქვა ფლერმა, - ხში-რად აკეთებ ამას?

ჯონმა ხელი დაუშვა. მაგრამ ფლერი აკისკისდა და ბიჭის ხე-ლიც ისევ მის წელს შემოეხვია. ფლერი ამღერდა:

"ო, თავისუფალს ვინ ჩასდევს დაღმართს?

ვინ გააჭენებს ცხენს ჩემთან ერთად?

ვინ ავა ზემოთ, მე რომ გამომყვეს?.."

- იმღერე, ჯონ!

ჯონი ამღერდა. მას შეუერთდნენ ტოროლები, ცხვრების ზანზალაკები, სტეინინგის შორეული დილის ზარი. მელოდიიდან მელოდიაზე გადადიოდნენ, სანამ ფლერმა განაცხადა:

- ღმერთო ჩემო, ახლა კი ნამდვილად მომშივდა!

- უჰ, ისე მრცხვენია! - თქვა ჯონმა.

ფლერმა სახეში ჩახედა.

- ჯონ, დიდებული ვინმე ხარ! - ფლერმა იდაყვით მიიჭირა წელზე შემოვლებული ხელი. ბედნიერებისგან ჯონი კინაღამ წა-ბარბაცდა. თეთრ-ყვითელმა ძაღლმა, რომელიც კურდღელს მისდევდა, ისინი ერთმანეთს დააშორა. მანამდე უყურებდნენ ცხოველებს, სანამ მათ გორა გადაირბინეს. ფლერმა ამოისუნ-თქა:

- მადლობა ღმერთს, ვერ დაიჭერს! რომელი საათია? ჩემი საათი გაჩერდა, დაქოქვა დამავიწყდა.

ჯონმა საათზე დაიხედა.

- ჯანდაბას! ჩემიც გაჩერებულა!

ხელები ჩასჭიდეს და გზა განაგრძეს.

- ერთი წუთით დავსხდეთ, თუ ბალახი მშრალია, - შესთავაზა ფლერმა.

ჯონმა ქურთუკი გაიძრო და ორივენი ზედ დასხდნენ.

- უყნოსე: ნამდვილი ველური კვლიავია.

ჯონმა კიდევ ერთხელ მოხვია ხელი და ასე ხმის ამოუღებ-ლად ისხდნენ რამდენიმე წუთს.

- რა ვირები ვართ! - აყვირდა ფლერი და წამოხტა, - საძაგლად ვიგვიანებთ, ყოვლად ბრიყვული იერი გვექნება და ყველა ყურებს დაცქვეტს. აი, რა, ჯონ: უბრალოდ, სახეტიალოდ გავედით საუზმის წინ, მადის მოსაყვანად გავისეირნეთ და გზა აგვებნა, კარგი?

- ჰო, - დაეთანხმა ის.

- ეს მნიშვნელოვანია. ყველანაირად დაგვაბრკოლებენ. მოხერხებულად იტყუები?

- მგონი, არც ისე, მაგრამ შევეცდები.

ფლერი მოიღუშა.

- იცი, მე მგონი, არ დაგვანებებენ, რომ ვიმეგობროთ.

- რატომ?

- უკვე აგიხსენი.

- ეს ხომ სისულელეა!

- ჰო, მაგრამ შენ მამაჩემს არ იცნობ.

- ვფიქრობ, ძალიან უყვარხარ.

- იცი, მე მისი ერთადერთი ქალიშვილი ვარ. შენც ერთადერთი ჰყავხარ დედაშენს. რა საწყენია! ერთადერთი შვილისგან მეტისმეტად ბევრს მოელიან ხოლმე. სანამ გააკეთებ ყველაფერს, რასაც შენგან ელიან, მოკვდები კიდეც.

- ჰო, - ჩაიბუტბუტა ჯონმა, - ცხოვრება აღმაშფოთებლად მოკლეა. არადა, გინდა, სულ იცოცხლო და ყველაფერი შეიცნო.

- და ყველა და ყველაფერი გიყვარდეს?

- არა, - შესძახა ჯონმა, - სიყვარულით მხოლოდ ერთხელ მინდა მიყვარდეს და - მხოლოდ შენ!

- ნუთუ? ასე სწრაფად? უჰ, შეხედე ცარცის ამ ორმოს. აქედან სახლამდე შორს აღარ არის. გავიქცეთ!

ჯონი დაედევნა, თან შიშით ეკითხებოდა თავის თავს, ხომ არ შეურაცხვყავიო.

ხრამი - მიტოვებული ცარცის ორმო - მზესა და ფუტკრების ბზუილს აევსო.

ფლერმა შუბლიდან თმა უკან გადაიგდო.

- ისე, ყოველი შემთხვევისთვის, უფლება გეძლევა მაკოცო, ჯონ, - უთხრა და ლოყა მიუშვირა. იმანაც, თავბრუდასხმულმა, ცხელ და რბილ ლოყაზე კოცნა აღბეჭდა.

- გახსოვდეს: ჩვენ დავიკარგეთ. შეძლებისდაგვარად მე მომანდე ამის ახსნა. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის ბოროტული თვალებით შემოგხედავ. შენც შეეცადე, გაგულისებულმა მიცქირო!

ჯონმა თავი გააქნია:

- არ შემიძლია!

- ჩემი გულისთვის, რა! თუნდაც შუადღის ჩაიმდე.

- მიხვდებიან, - პირქუშად ჩაილაპარაკა ჯონმა.

- სცადე როგორმე. შეხედე, უკვე შინ ვართ! ქუდი დაუქნიე. უი, ქუდი არ გაქვს! კარგი, მე დავუყვირებ. გაიმანძილე ჩემგან და უკმაყოფილო სახე მიიღე.

ხუთი წუთის შემდეგ, როცა ჯონი პარმაღზე ადიოდა და ყველანაირად ცდილობდა, უკმაყოფილო იერი ჰქონოდა, სასადილო ოთახიდან ფლერის წკრიალა ხმა შემოესმა:

- ოჰ, შიმშილით ვკვდები! ეს ბიჭუნა ფერმერობას აპირებს და გზა ვერ გაუგნია. იდიოტი!

თავი მეცხრე

გოია

საუზმე დამთავრდა და სომსი სურათების გალერეაში ავიდა თავის სახლში, მეიპლდურჰამის ახლოს. ანეტის თქმით, სომსი "მოწყენილობას მიეცა". ფლერი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ოთხშაბათს ელოდნენ, იმან კი დეპეშა გამოგზავნა, ჩემი ჩამოსვლა პარასკევისთვის გადაიდოო. პარასკევს მეორე დეპეშა მოვიდა, კვირას ჩამოვდივარო. ამასობაში ჩამოვიდნენ ფლერის მამიდა, მისი ბიძაშვილი კარდიგანები და, მათთან ერთად პროფონიც. ვერაფერი ვერ ეწყობოდა, ჰაერში მოწყენილობა ტრიალებდა, რადგან ფლერი არ იყო. სომსი გოგენთან იდგა, ანუ თავისი გალერეის უმტკივნეულეს წერტილთან. ეს დიდი და უმსგავსი ტილო მატისეს ორ ადრეულ ნახატთან ერთად იყიდა ომის დაწყებამდე. პოსტიმპრესიონისტების გარშემო ხომ ასეთი აურზაური იყო ატეხილი. ფიქრობდა: იქნებ პროფონმა გამათავისუფლოს ამ სურათებისგანო. ბელგიელმა, როგორც ჩანს, არ იცოდა, სად წაეღო თავისი ფულები. ამ დროს უკნიდან დის ხმა გაიგონა:

- ჩემი აზრით, საძაგელი რამეა, სომს.

იგი შემობრუნდა და მასთან მისულ უინიფრიდს შეხედა.

- ჰოო? ამ სურათში ხუთასი გირვანქა მივეცი.

- ნუთუ? ქალები ასეთები არ არიან, თვით შავკანიანებიც კი.

- შენ ამის სათქმელად არ მოსულხარ, - არცთუ მხიარულად ჩაიცინა სომსმა.

- ჰო. იცი თუ არა, რომ ვალ დარტის და მის მეუღლეს ახლა ჯოლიონის ვაჟიც სტუმრობს?

სომსი უეცრად შემობრუნდა.

- რაა?!

- ჰო-ო, - გაწელვით წარმოთქვა უინიფრიდმა, - სულ იქ იქნება, სანამ სოფლის მეურნეობას ეუფლება.

სომსი მიბრუნდა, მაგრამ დის ხმა არ ეშვებოდა, სანამ ის ბოლთას სცემდა გალერეაში.

- ვალ დარტი გავაფრთხილე, რომ არც ბიჭთან და არც გოგონასთან არაფერი წამოსცდეს ძველი ამბებიდან.

- რატომ ადრე არ მითხარი?

უინიფრიდმა თავისი სავსე მხრები შეათამაშა:

- ფლერი იმას აკეთებს, რაც მოესურვილება. ყოველთვის ანებივრებდი. გარდა ამისა, ძვირფასო, რა არის ამაში საშიში?

- რა არის საშიში? - კბილებში გამოცრა სომსმა, - ფლერი... ფლერი...

სომსს ხმა ჩაუწყდა. იუნონა, ცხვირსახოცი, ფლერის თვალები, შეკითხვები, ახლა კი - ჩამოსვლის დღის გადავადებები... ეს ყველაფერი იმდენად ავის მომასწავებელი ეჩვენა, რომ თავისი ბუნების ერთგული სომსი ამას ვერავის გაანდობდა.

- ვფიქრობ, მეტისმეტად ფრთხილი ხარ, - დაიწყო ისევ უინიფრიდმა, - მე შენს ადგილზე ფლერს მთელ ისტორიას ვუამბობდი. სიბრიყვე იქნებოდა გვეფიქრა, რომ დღევანდელი და

უწინდელი გოგონები არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ვერ ვიტყვი, საიდან იღებენ ცოდნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი იციან.

სომსის ჩაკეტილ სახეს კრუნჩხვამ გადაურბინა და უინიფრიდმაც სასწრაფოდ დაამატა:

- თუ ლაპარაკი გიმძიმს, ამას ჩემს თავზე ავიღებ.

სომსმა თავი გააქნია. ჯერ ამის აბსოლუტური აუცილებლობა არ იყო, ხოლო ის აზრი, რომ მისი სათაყვანებელი ქალიშვილი იმ ძველი სირცხვილის ამბავს შეიტყობდა, მეტისმეტად უღიზიანებდა სიამაყეს.

- არა, - თქვა მან, - ოღონდაც არა ამჯერად. და თუ შესაძლებელი იქნება - არასდროს.

უინიფრიდი გაჩუმდა. იგი სულ უფრო და უფრო იხრებოდა სიწყნარისა და სიმშვიდისკენ, ასე რომ ართმევდა მონტეგ დარტი ახალგაზრდობაში. და რადგანაც ამ სურათების ნახვა ყოველთვის თრგუნავდა, მალევე ჩავიდა ქვემოთ, სასტუმრო ოთახში.

სომსი მივიდა იმ კუთხეში, სადაც ეკიდა გოიას ერთი ორიგინალი და ერთიც ასლი ფრესკისა "რთველი". გოიას სურათის გამოჩენა მის გალერეაში ჩინებული ილუსტრაცია იყო იმისი, თუ როგორ შეიძლება ადამიანის ცხოვრება - ეს ფრთანათელი პეპელა - გაიხლართოს მატერიალური ინტერესების აბლაბუდასა და ვნებებში. გოიას ორიგინალის დიდგვაროვანი მფლობელის პაპის პაპამ ეს სურათი ერთ-ერთი ესპანური ომის დროს დაითრია უბრალო ნაალაფარის სახით. თვით დიდგვაროვან მფლობელს წარმოდგენა არ ჰქონდა სურათის ღირებულების შესახებ, სანამ გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთმა უნარიანმა კრიტიკოს-

მა ქვეყანას არ განუმარტა: ესპანელი მხატვარი, სახელად გოია, გენიოსიაო. თვით გოიასთვის სურათი ერთ-ერთი მორიგი ნამუშევარი გახლდათ, მაგრამ ინგლისში ის თითქმის ერთადერთი იყო, რის გამოც მის მფლობელს სახელი გაუვარდა. სხვადასხვაგვარი ქონებისა და არისტოკრატული კულტურის პატრონს, კულტურის, რომელიც მხოლოდ გრძნობად სიამოვნებას კი არ მიელტვის, არამედ ეყრდნობა უფრო ჯანსაღ წესს, რომ ადამიანმა ყველაფერი უნდა იცოდეს და თავგადადებით უყვარდეს სიცოცხლე, - მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეენახა საგანი, ასეთ ელვარებას რომ სძენდა მის სახელს, სიკვდილის შემდეგ კი სახელმწიფოსთვის ეანდერძა. სომსისთვის საბედნიეროდ, 1909 წელს ლორდთა პალატამ სასტიკი თავდასხმები გადაიტანა და დიდგვაროვანი მფლობელიც აწრიალდა და გაბრაზდა. "თუ მათ წარმოუდგენიათ, რომ ყოველმხრივ გამძარცვავენ, დიდად ცდებიან, - გადაწყვიტა მან, - სანამ არ მეხებიან და საშუალებას მაძლევენ, მშვიდად ვისიამოვნო ცხოვრებით, მანამ სახელმწიფოს შეუძლია ჰქონდეს იმედი, რომ ზოგიერთ ჩემს სურათს ვუანდერძებ. მაგრამ თუ ეს სახელმწიფო აპირებს, შეგნებულად მომიწამლოს ცხოვრება და მძარცვოს, მაშინ, დაე, სამგზის წყეული ვიყო, თუ გადამთიელებს არ მივყიდო მთელი ჩემი კოლექცია! ორიდან ერთი: ან ჩემი საკუთრება, ან პატრიოტიზმი. ორივეს ერთად ისინი ჩემგან ვერ ეღირსებიან". ეს აზრი რამდენიმე თვეს ატარა, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, მავანი სახელმწიფო მოღვაწის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, დეპეშა გაუგზავნა თავის აგენტს: ჩამოდი და ბოდკინიც თან ჩამოიყვანეო. კოლექციის დათვა-

ლიერების შემდეგ, ბოდკინმა განაცხადა (სპეციალისტებს ამ კაცის აზრი საბაზრო ფასებზე უაღრესად კომპეტენტურად მიაჩნდათ), რომ მოქმედების სრული თავისუფლების შემთხვევაში, თუ სურათები ამერიკაში, გერმანიასა და ხელოვნებით დაინტერესებულ სხვა ქვეყნებში გაიყიდებოდა, გაცილებით მეტი ფული გაკეთდებოდა, ვიდრე ინგლისში. შემდეგ დაამატა: დიდგვაროვანი მფლობელის პატრიოტიზმი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მის კოლექციაში ნებისმიერი სურათი უნიკალურიაო. დიდგვაროვანმა მფლობელმა ამ მოსაზრებით გატენა თავისი ჩიბუხი და მთელ წელს პირიდან არ გამოუღია. ამ პერიოდის შემდეგ წაიკითხა იმავე სახელმწიფო მოღვაწის კიდევ ერთი მოხსენება და აგენტს უდეპეშა: ბოდკინს მოქმედების თავისუფლება მიეციო. სწორედ ამ დროს გაუჩნდა ბოდკინს იდეა, რომელმაც გოია და კიდევ ორი უნიკალური სურათი დიდგვაროვანი მფლობელის სამშობლოს შეუნარჩუნა. ცალი ხელით ბოდკინს სურათები უცხოურ ბაზრებზე გაჰქონდა, მეორით კი კერძო ინგლისელ კოლექციონერთა სიას ადგენდა. მას შემდეგ, რაც ზღვის გადაღმა ქვეყნებიდან მაქსიმალური ფასების შემოთავაზებას მიაღწევდა, ბოდკინი, თავის მხრივ, მოცემულ სურათს და დადგენილ ფასს უკვე თავის თანამემამულე კოლექციონერებს სთავაზობდა და, პატრიოტიზმის გრძნობაზე აპელირებით, უფრო მეტის გადახდისკენ მოუწოდებდა. ოცდაერთი შემთხვევიდან სამში (გოიას ჩათვლით) ეს ტაქტიკა წარმატებით დასრულდა. რა მიზეზითო, იკითხავენ. ერთ-ერთმა კოლექციონერმა - ღილების ფაბრიკანტმა - დიდძალი ფული იშოვა და ახლა უნდოდა, რომ მის მეუღლეს ლედი ბატონსი(ბატონსი (buttons) - ღილები (ინგ.))

დარქმეოდა. ამიტომაც გაიღო დიდი საფასური ერთ-ერთ უნიკალურ სურათში, მერე კი სახელმწიფოს აჩუქა. მეგობრების თქმით, ეს იყო "ერთ-ერთი უდიდესი ფსონი მის დიდ თამაშში".

მეორე კოლექციონერს სძულდა ამერიკა და იმიტომ შეიძინა ერთ-ერთი უნიკალური სურათი, რომ "ნიშნი მოეგო წყეული იანკებისთვის". მესამე კოლექციონერი აღმოჩნდა სომსი, რომელმაც - სხვებზე უფრო ფხიზელმა - სურათი მადრიდში მოგზაურობის შემდეგ შეიძინა, რადგან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გოიას ჯერ კიდევ ფასი ედებოდა: მართალია, ამჟამად არც ისე მოდაშია, მაგრამ მისი დიდება ჯერ კიდევ წინ არისო. უყურებდა ამ სურათს, რომელიც თავისი პირდაპირობით და სიმკვეთრით ჰოგარტსა და მანეს ახსენებდა, თუმცა განსხვავდებოდა მათგან ხაზების საგანგებო - მკვეთრი და უცნაური - სილამაზით. სომსი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ არ შემცდარა, თუმცა დიდძალი თანხა გადაიხადა, - ყველაზე დიდი მათ შორის, რაც კი რომელიმე სურათში მიუცია. ამ პორტრეტის გვერდით ეკიდა ასლი ფრესკისა "რთველი". აი, ის, პატარა ეშმაკუნა, ტილოდან რომ უმზერდა სიზმარეულ-მეოცნებე მზერით, რომელიც სომსს ყველა სხვა მზერაზე მეტად უყვარდა, რადგან შედარებითი სიმშვიდის მდგომარეობას ანიჭებდა.

ისევ სურათს უყურებდა, როცა სიგარის სუნმა ნესტოებში შეუღიტინა და უკნიდან ხმა გაიგონა:

- აბა, მისტერ ფორსაიტ, რას უპირებთ ამ პატარა კოლექციას?

საძაგელი ბელგიელი, რომელსაც დედა სომეხი ჰყავდა (ვითომ ფლამანდიური სისხლი არ კმაროდა)! სომსმა უნებლიე გაღიზიანებას სძლია და იკითხა:

- სურათებში თუ ერკვევით?

- დიახ. მეც მაქვს რაღაც-რაღაცები.

- პოსტიმპრესიონისტები თუ გაქვთ?

- ჰო-ო! მიყვარს ისინი.

- ამაზე რას ფიქრობთ? - სომსმა გოგენზე მიუთითა.

მუსიე პროფონმა წინ გამოსწია ქვედა ტუჩი და წამახული წვერი.

- საკმაოდ კარგი რამეა. გაყიდვა ხომ არ გსურთ?

სომსმა მეყსეულად უკუაგდო ინსტინქტურად ენაზე მომდგარი "შეიძლება ითქვას, არა". არ სურდა ჩვეულებრივი ეშმაკობის ჩადენა უცხოელთან.

- მსურს, - თქვა უბრალოდ.

- რამდენს ითხოვთ?

- რამდენიც გადავიხადე.

- ჩინებულია. სიამოვნებით ვიყიდი თქვენგან ამ სურათს. პოსტიმპრესიონისტები საშინლად უსიცოცხლოები არიან, თუმცა - თავშესაქცევიც. დიდად არ მენაღვლება ფერწერა, თუმცა ცოტაოდენი სურათები მაინც მაქვს, სულ ცოტა.

- საერთოდ რა გაინტერესებთ?

მუსიე პროფონმა მხრები აიჩეჩა:

- ცხოვრება ძალიან მაგონებს მაიმუნების ჩხუბს ცარიელი კაკლისთვის.

- თქვენ ახალგაზრდა ხართ, - თქვა სომსმა.

პროფონს, როგორც ჩანს, განზოგადებები მოსწონდა, თუმცა შეეძლო არ შეეხსენებინა, რომ კერძო საკუთრებამ დაკარგა თავისი პირვანდელი სიმყარე.

- არაფერზე არ ვღელავ, - ღიმილით დაუბრუნა მუსიე პროფონმა, - ჩვენ ვიბადებით და ვკვდებით. კაცობრიობის ნახევარი შიმშილობს. დედაჩემის სამშობლოში ბავშვების პატარა გუნდს ვკვებავ. მერედა რა? არანაკლები წარმატებით შემეძლო ის ფული მდინარისთვის გამეტანებინა.

სომსმა სტუმარი მზერით გაზომა და გოიას მიუბრუნდა. გაუგებარი იყო, რა სურდა ამ კაცს.

- რა თანხაზე გამოვწერო ჩეკი?

- ხუთასზე, - მოკლედ თქვა სომსმა, - თუმცა არ მინდა, თავს მოგახვიოთ ეს სურათი, თუ მაინცდამაინც არ გაინტერესებთ.

- ოჰ, მაგაზე ნუ ღელავთ, - უპასუხა მუსიე პროფონმა, - ბედნიერი ვიქნები, თუ მას შევიძენ.

და იქვე გამოწერა ჩეკი მოოქრული ავტოკალმით. სომსი აფორიაქებული უყურებდა ამ პროცესს: საიდან შეიტყო ამ ბატონმა, რომ გოგენის გაყიდვა მინდოდაო? მუსიე პროფონმა ჩეკი გაუწოდა.

- ინგლისელებს ერთობ უცნაური დამოკიდებულება აქვთ ფერწერასთან, ფრანგებსაც და, სხვათა შორის, ჩემს თანამემამულეებსაც. ძალიან უცნაურია.

- არ მესმის თქვენი, - გახევებული ხმით უთხრა სომსმა.

- თითქოს ქუდებთან ჰქონდეთ საქმე, - გამოუცნობად წარმოთქვა მუსიე პროფონმა, - პატარებთან და დიდებთან, აკეცილი ან ჩამოკეცილი ფრთებით, მოდის მიხედვით. ძალიან უცნაურია.

მან გაიღიმა და გალერეიდან გავიდა, ლურჯი და მკვრივი, როგორც მისი დიდებული სიგარის კვამლი.

სომსმა ისე აიღო ჩეკი, თითქოს პროფონს კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინოს თვით მესაკუთრეობის ჭეშმარიტი ღირებულება. "კოსმოპოლიტი", ფიქრობდა სომსი და უყურებდა, როგორ მიემართებოდნენ პროფონი და ანეტი მდინარისკენ. რა ნახა მისმა ცოლმა ამ ბელგიელში? სომსს არ ესმოდა ეს. ან იქნებ, უბრალოდ, ანეტს მშობლიურ ენაზე საუბარი სიამოვნებდა? და ამ დროს სომმს გაუელვა იმან, რასაც თვით პროფონი "პატარა ეჭვად" მონათლავდა: მეტისმეტად ლამაზი ხომ არ არის ანეტი საიმისოდ, რომ თავისუფლად დასეირნობდეს ამგვარ კოსმოპოლიტთან ერთად? თვით ასეთ მანძილზეც კი ხედავდა სომსი მისი სიგარის ლურჯ, მზის თანაბარ სინათლეში ამავალ კვამლს, ხედავდა ნაცრისფერი ზამშის ბათინკებს და ნაცრისფერი ფეტრის ქუდს. მუსიე დახვეწილი ფრანტია. ისიც დაინახა, რა სწრაფად შემოაბრუნა ანეტმა თავი, ესოდენ გამართულად დასკუპებული მის მაცდუნებელ მხარ-კისერზე. თავის ასეთი შემობრუნება სომსს მუდამ რაღაცნაირად მოსაჩვენებლად და მელოდრამულად მიაჩნდა, არცთუ მთლად შესაფერისად ლედისთვის. მოსეირნეები ვიწრო გზას მიჰყვებოდნენ ბაღის ქვედა ბოლოში. იქ მათ შეუერთდა ფლანელის კოსტიუმში გამოწყობილი ვიღაც ახალგაზრდა, ალბათ - მდინარის გზით მოსული რომელიმე საკვირაო სტუმარი. სომსი გოიას დაუბრუნდა. უინიფრიდის მიერ რამდენიმე წუთის წინ შეტყობინებული ამბით აწრიალებული, ჯერ კიდევ ყურძნის მკრეფავ გოგონა-ფლერს უყურებდა, როდესაც ცოლის ხმა გაიგონა:

- მისტერ მაიკლ მონტი, სომს. შენ მოიწვიე სურათების სანახავად. ის ყოჩაღი ახალგაზრდა კორკსტრიტის გამოფენიდან.

- როგორც ხედავთ, შინ შემოგეჭერით, სერ! სულ ოთხიოდე მილის მანძილზე ვცხოვრობ პენგბორნიდან. მშვენიერი ამინდია, არა?

თავისი ექსპანსიურობის პირისპირ დარჩენილმა სომსმა სტუმარს მოჭუტული თვალებით შეხედა. ამ ჭაბუკს თითქოს არასოდეს სცილდებოდა ღიმილი კუთხეებში აწეული დიდი ტუჩებიდან. ან რატომ არ იზრდის უფრო რიგიანად ამ იდიოტური ულვაშის ნარჩენებს, მიუზიკჰოლის მასხარას რომ ამსგავსებს? რატომ იმცირებს თავს თანამედროვე ახალგაზრდობა ამ პაწაწკინტელა ჯაგრისებით ზედა ტუჩზე ან ამ პაწია, მოქარაფშუტო ბაკენბარდებით? უჰ, ეს პრეტენზიული კრეტინები! თუმცა, სხვა მხრივ, სტუმარი სომსს სრულებით მისაღები ეჩვენა. მონტის უმწიკვლოდ სუფთა ფლანელის კოსტიუმი ეცვა.

- მოხარული ვარ, რომ გხედავთ! - უთხრა ჭაბუკს.

მან ირგვლივ მიმოიხედა და გაოგნებული შედგა:

- აი, სურათი!

სომსი ალბათ ვერ გაერკვეოდა თავის არეულ გრძნობებში, ამჯერად რომ იხუვლეს მის გულში, როცა დაინახა, რომ ეს შენიშვნა გოიას ასლს ეხებოდა.

- ჰო, - თქვა მან მშრალად, - ეს გოია არ არის, მხოლოდ მისი ასლია. იმიტომ შევუკვეთე, რომ ეგ გოგონა ჩემს ქალიშვილს მაგონებს.

- ნამდვილად! მეც კი მომეჩვენა, რომ სახე ვიცანი, სერ. აქ არის თქვენი გოგონა?

ჭაბუკის გულღიაობამ სომსი თითქმის განაიარაღა.

- ჩაის შემდეგ ჩამოვა. სურათების დათვალიერება ხომ არ გსურთ?

და სომსი ჩამოუყვა სურათებს, რაც არასოდეს ჰბეზრდებოდა. დიდ გაგებას არ ელოდებოდა იმ ადამიანისგან, რომელმაც ასლი ორიგინალად მიიჩნია, თუმცა განყოფილებიდან განყოფილებაში გადასვლისას გაოგნებული რჩებოდა ჭაბუკის ზუსტი შენიშვნებით. თავადაც ბუნებით გამჭრიახმა და მგრძნობიარემაც კი თავდაჭერილობის ნიღაბქვეშ, სომსმა ამაოდ არ მიუძღვნა ცხოვრების ოცდათვრამეტი წელი თავის კოლექციონერულ სწრაფვას, რის შედეგადაც სურათების მისეული აღქმა სულაც არ შემოიფარგლებოდა მათი საბაზრო ფასების ცოდნით. სომსი წარმოადგენდა ერთგვარ შუალედურ რგოლს მხატვარსა და მყიდველ საზოგადოებას შორის. ხელოვნება ხელოვნებისთვის და ყველა ასეთი ამბავი, რაღა თქმა უნდა, ცარიელი ყბედობაა. მაგრამ ესთეტურობა და კარგი გემოვნება აუცილებელია. როცა კარგი გემოვნებით გამორჩეულ მოყვარულთა გარკვეული სიმრავლე რაღაცას აღიარებს, მაშინ ეს საგანი მყარ საბაზრო ღირებულებას იძენს, ანუ, სხვა სიტყვებით, "ხელოვნების ქმნილება" ხდება. მათ შორის განხეთქილება, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. და სომსიც ისე მიეჩვია შემკრთალ და არამხედველ მაყურებელთა ნაკადს, რომ არ შეეძლო არ დაინტერესებულიყო სტუმრით, რომელიც უყოყმანოდ ამბობდა მაუვეს შესახებ: "ეჰ, აი, ძნები!", ან ჯეიმს მარისზე: "ჰო, საღებავები არ დაუზოგავს. აი, მეთიუ მარისი კი ნამდვილი ოსტატია, არა, სერ? იმდენი საღებავი დააქვს ტილოზე, რომ, თუ მოისურვებ, ნიჩბით

ამოთხრი". მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა უისტლერთან მისულმა ჭაბუკმა დაუსტვინა: "რას ფიქრობთ, სერ, ამ კაცს ოდესმე თუ უნახავს შიშველი ქალი?", სომსმა შენიშნა:

- თქვენ თვითონ ვინ ხართ, მისტერ მონტი, ნება მიბოძეთ, გკითხოთ?

- მეე, სერ? უწინ მხატვრად გახდომას ვაპირებდი, მაგრამ ამაში ომმა დამაბრკოლა. სანგრებში ბირჟაზე ოცნებით ვიმშვიდებდი თავს, ვინძლო მქონოდა სითბო, სიმყუდროვე და არც ისე ბევრი ხმაური. მაგრამ ამაში მშვიდობის დამყარებამ დამაბრკოლა. ამჟამად აქციებით შორს ვერ წახვალ, ხომ ასეა? სულ ერთი წლის წინ მოვხვდი დემობილიზაციაში. ხომ ვერაფერს მირჩევდით, სერ?

- სათანადო სახსრები თუ მოგეპოვებათ?

- როგორ გითხრათ... მყავს მამა, რომლის სიცოცხლესაც ვიცავდი ომის დროს და, შესაბამისად, ახლა თვითონ არის ვალდებული, რომ დამეხმაროს. თუმცა, რასაკვირველია, ისიც საკითხავია, დაუტოვებენ თუ არა თავის საკუთრებას. ამაზე რას ფიქრობთ, სერ?

სომსმა ფერმკრთალი, თავდამცავი ღიმილით გაიღიმა.

- მოხუცს ლამის გულმა დაარტყას, როცა ვეუბნები, შეიძლება მუშაობა მოგიხდეს-მეთქი. იცით, ის მიწათმფლობელია. ეს საბედისწერო სნეულებაა.

- აი, გოიას ორიგინალი, - მშრალად თქვა სომსმა.

- ჯანდაბას! აი, გენიოსი თუ გინდა! ერთხელ მიუნხენში გოიას ერთი ნახატი ვნახე და ლამის ჭკუიდან გადავედი: უბოროტესი ბებრუხანა უმდიდრეს მაქმანებში. ჰო, ეს საზოგა-

დოების გემოვნებაში ვერ ჯდებოდა. თავის დროზე ალბათ ბომ-ბივით გასკდა. იმდროინდელ პირობითობებსაც მაგრად მის-ცხებდა. მის წინაშე თვით ველასკესიც მქრქალდება, არა?

- ველასკესი არ მაქვს, - თქვა სომსმა.

ჭაბუკმა ყურადღებით შეხედა.

- ჰო, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს მხოლოდ სახელმწი-ფოები და გადამყიდველები თუ მისცემენ. რატომ არ უნდა მიჰ-ყიდონ - იძულების წესით - გაკოტრებულმა სახელმწიფოებმა გა-დამყიდველებს თავიანთი ველასკესები, ტიციანები და სხვა შე-დევრები, მერე კი გამოსცენ კანონი, რომ ყველა, ვინც ძველი ოს-ტატების სურათებს ფლობს, ვალდებულია, გამოფინოს ისინი რომელიმე სახელმწიფო გალერეაში? მე მგონი, ღირდა.

- ჩაი ხომ არ დაგველია ქვემოთ? - ჰკითხა სომსმა.

ახალგაზრდა კაცს ყურები თითქმის ჩამოსცვივდა, ანუ უფ-რო მჭიდროდ მიეკრა თავის ქალაზე. "ტაქტი არ აკლია", გაიფიქ-რა სომსმა და უკან მიჰყვა გალერეიდან გასულ სტუმარს.

გოია, ასე უჩვეულოდ და სატირულად რომ მიელტვოდა დე-ტალებს, თავისებური ხაზითა და შუქჩრდილის გაბედული მო-ნაცვლეობით შეძლებდა ზუსტად გადმოეცა ანეტის მაგიდასთან შეკრებილ ადამიანთა ჯგუფი. შესაძლოა, მხოლოდ მას გამოესა-ხა სუროშემოყოლებული ტრელაჟის გავლით შემოჭრილი მზის სხივები; გლუვი ბრინჯაო, ძველი ბროლი, ჩაის მკრთალ ქარვაში მოტივტივე ლიმონის თხელი ნაჭრები; თალხ მაქმანებში გამოწ-ყობილი ანეტი, რომლის სილამაზეში იყო რაღაც ქერა ესპანელი ქალისა, თუმცა კი აკლდა ამ იშვიათი ტიპისთვის დამახასიათე-ბელი განსულიერება; ჭაღარათმიანი, კორსეტშემოჭერილი

უინიფრიდის მაღალხარისხოვნება; სომსის ჭაღარა და ფერდებ-შეფერთხილი კორექტულობა; მკვირცხლი მაიკლ მონტი - ყურ-დაცქვეტილი და გაფაციცებული; შავტუხა, ზანტად მოღიმარი და უკვე სისრულისკენ წასული იმოჯინი; პროსპერ პროფონი, რომლის ღიმილი თითქოსდა ამბობდა: "აბა, მისტერ გოია, ღირს კი ამ პატარა კამპანიის გადატანა ტილოზე?"; დაბოლოს, ჯეკ კარდიგანი, რომლის აუმღვრევლად მოციმციმე თვალები და სისხლსავსე მზემოკიდებული იერი თითქოს ამხელდა მისი ცხოვრების წარმმართველ პრინციპს: "მე ინგლისელი ვარ და იმისთვის ვცოცხლობ, რომ ჯანმრთელი ვიყო".

უცნაურია, რომ იმოჯინი, რომელიც, როცა გოგონა იყო, სა-ზეიმოდ შეჰპირდა ტიმოთის, კარგ ადამიანს ცოლად არ გავყვე-ბი, რადგან ასეთები ერთობ მოსაწყენები არიანო, - უცნაურია, რომ, აი, ეს იმოჯინი ცოლად გაჰყვა ჯეკ კარდიგანს, რომლის ჯანმრთელობამ იმდენად გადარეცხა ადამის თავდაპირველი ცოდვის კვალი, რომ იმოჯინს შეეძლო მოესვენა ათი ათას სხვა ინგლისელთან ისე, რომ ვერც კი ეგრძნო სხვაობა მათსა და იმ ადამიანს შორის, ვისთანაც საბოლოოდ გაიყო სარეცელი. "ოჰ, ჯეკი საშინლად ჯანმრთელია! - ამბობდა იმოჯინი დედამისის-თვის დიდად სასიხარულოდ, - მთელი ცხოვრება ერთი დღეც კი არ უავადმყოფია. ომი ისე გაიარა, არც კი გაკაწრულა. ვერ წარ-მოიდგენთ, რამდენად ჯანმრთელი და სიცოცხლისუნარიანია". მართლაცდა, ჯეკი იმდენად მისადაგებული იყო ცხოვრებას, რომ ვერც კი ამჩნევდა, როგორ ეარშიყებოდა მისი მეუღლე სხვა მამაკაცებს, რაც, ნაწილობრივ, საკმაოდ ხელისშემწყობი ჩანდა. თუმცა იმოჯინს ქმარი უყვარდა (რამდენადაც შეიძლება სპორ-

ტული მანქანის სიყვარული), ისევე, როგორც დედის თარგზე გამოჭრილი ორი პატარა კარდიგანი. იმოჯინის თვალები ეშმაკურად ადარებდნენ ქმარს პროსპერ პროფონს: როგორც ჩანს, არ არსებობდა ისეთი "პატარა" თამაში ან სპორტი, - კეგლით დაწყებული, ზვიგენზე ნადირობით დამთავრებული, - რომელიც მუსიე პროფონს გამოცდილი და უკვე მობეზრებული არ ჰქონდა. იმოჯინი ოცნებობდა, რომ ეს ყველაფერი მობეზრებული ჰქონოდა ჯეკსაც, რომელიც განაგრძობდა თამაშს და ლაპარაკს თამაშზე იმ მოწაფის გატაცებით, სულ ახლახან რომ ისწავლა ჰოკეი. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პაპა ტიმოთის ასაკში შესული ჯეკი გოლფს ითამაშებდა მისი საძინებელი ოთახის ხალიჩაზე და "ცხვირსაც მოსწმენდდა ვინმეს".

ამწუთას ჯეკი იმას ჰყვებოდა, თუ როგორ გამოუყვანა ამ დილით "წირვა პროფესიონალ გოლფისტს - მშვენიერ ადამიანს და ნამდვილად კარგ მოთამაშეს" ზედ ბოლო ხვრელთან და როგორ გაცურა ნიჩბებიანი ნავით თვით კავერშემამდე, სანამ მეორე საუზმის დრო მოვიდოდა. როცა ამას ჰყვებოდა, ცდილობდა, დაეყოლიებინა პროსპერ პროფონი ჩოგბურთის პარტიაზე ჩაის შემდეგ. სპორტი სასარგებლო რამეა: ადამიანს სიცოცხლისუნარიანს ხდის.

- რაში გჭირდებათ სიცოცხლისუნარიანობა? - ჰკითხა მუსიე პროფონმა.

- დიახ, სერ, - ჩაილაპარაკა მაიკლ მონტიმაც, - რასთან გსურთ მისადაგება ცხოვრებაში?

- ჰო, ჯეკ, - სიხარულით აიტაცა იმოჯინმა, - რასთან ხარ შეწყობილი?

სიცოცხლით სავსე ჯეკ კარდიგანი თვალებგაფართოებული იყურებოდა. კითხვები კოღოებივით ზუზუნებდა და იმანაც ხელი თითქოსდა მათ მოსაგერიებლად ასწია. ომის დროს, რასაკვირველია, იმასთან იყო შეწყობილი, რომ გერმანელები ეხოცა, ახლა კი ან არ ჰქონდა პასუხი ამ კითხვაზე, ან მორიდებით არ ამჟღავნებდა თავისი ცხოვრების წარმმართველ პრინციპებს.

- თუმცა ის მართალია, - თქვა მოულოდნელად მუსიე პროფონმა, - ჩვენ სხვა აღარაფერი გვრჩება, მისადაგების გარდა.

ეს გამონათქვამი - მეტისმეტად ღრმა კვირადღის ჩაისთვის - უპასუხოდ ჩაივლიდა, თუ არა დაუოკებელი მაიკლ მონტი.

- მართალია! - შესძახა მან, - აი, ის დიდი აღმოჩენა, რომელსაც ომს უნდა ვუმადლოდეთ: აქამდე წარმოგვედგინა, რომ წინ მივდივართ, ახლა კი ვიცით, რომ მხოლოდ ვიცვლებით.

- უარესისკენ, - ღიმილით წარმოთქვა მუსიე პროფონმა.

- რა მხიარული ხართ, პროსპერ, - ჩაიჩურჩულა ანეტმა.

- წავიდეთ ჩოგბურთის მოედანზე! - თქვა ჯეკ კარდიგანმა, - მოწყენილობა გაქვთ გასაფანტი, - თქვენ თუ თამაშობთ ჩოგბურთს, მისტერ მონტ?

- ისე რა! ბურთს ვაგორებ და ეგ არი.

სომსი წამოდგა, ნაბიჯები ქვეცნობიერი განგაშით მომავლის გამო, რომელსაც მთელი მისი ცხოვრება უნდა განესაზღვრა.

- როდესაც ფლერი ჩამოვა... - მოესმა ამ დროს ჯეკ კარდიგანის სიტყვები.

ჰო! რატომ არ ჩამოდის? სომსმა გადაჭრა სასტუმრო ოთახი, ჰოლი, ვერანდა, გავიდა ხეივანში, იქ გაჩერდა და მიაყურადა,

აბა, ხრეშზე მომგორავი საბურავების ხმა ხომ არ ისმისო. ირგვლივ საკვირაო სიჩუმე იდგა. იასამნის სურნელებას გულუხვად გაეჟღინთა ჰაერი. მზის სხივებს გედის ბუმბულივით მოევარაყებინა თეთრი ღრუბლები. მეხსიერებაში მძაფრად ამოტივტივდა დღე, როდესაც ფლერი დაიბადა და რომელსაც სომსი ტანჯვით ელოდებოდა, ხოლო ფლერის და დედამისის სიცოცხლე მის ხელებში მერყეობდა. და სომსმა ფლერი გადაარჩინა, რათა მოგვიანებით გოგონა მისი ცხოვრების ყვავილად ქცეულიყო. ახლა კი... ნუთუ აუცილებლად განგაში უნდა მოჰქონდეს მამამისისთვის? ტანჯვა და განგაში? არა, არ მოსწონს, როგორ წავიდა ყველაფერი!

ამ ფიქრებში შაშვის საღამური გალობა შემოიჭრა. ამ ბოლო წლებში სომსს ცოცხლად აინტერესებდა თავისი ბაღის ჩიტები. არცთუ იშვიათად ფლერთან ერთად მიუყვებოდა ბაღის ბილიკებს და მათ უთვალთვალებდა. ფლერს ნემსებივით მახვილი თვალები აქვს, თითოეულ ბუდეს იცნობს. სომსმა დაინახა ფლერის ძაღლი - მზის ზოლში გაწოლილი პოინტერი - და დაუძახა: "რაო, ძმობილო, შენც ელოდები ფლერს?" ძაღლი წამოდგა, ნელა, კუდის უკმაყოფილო ქნევით მიუახლოვდა და სომსმაც მექანიკურად მოუთათუნა. ძაღლი, ჩიტი, იასამანი - მისთვის ყველაფერი ფლერის ნაწილი იყო. "მეტისმეტად მიყვარს, - ფიქრობდა ახლა, - მეტისმეტად!" იმ გემთმფლობელს ჰგავდა, დაუზღვეველი გემები რომ ჰყავდა გაშვებული შორეულ ცურვაში. ისევ ისე დაუზღვეველი იყო, როგორც იმ შორეულ დღეებში, როცა, მუნჯი და ეჭვიანი, ლონდონის უდაბნოში დაეხეტებოდა და ენატრებოდა ქალი - მისი პირველი ცოლი, იმ წყეული ბიჭის დედა.

აჰა, აი, ავტომობილიც! მაგრამ მხოლოდ ბარგი მოაქვს... ფლერი სადღაა?

- მის ფლერი ფეხით მოდის იმ გზაზე, მდინარეს რომ მოუყვება, სერ.

ნუთუ ამხელა გზა - რამდენიმე მილი - ფეხით უნდა გამოიაროს? სომსი მძღოლს მიაჩერდა. მსახურს სახეზე ღიმილი დაემჩნა. ნეტავ რას იღმიჭება? სომსი მაშინვე მიბრუნდა: "ჩინებულია, სომს!" და სახლში შევიდა. ისევ გალერეაში ავიდა თავის სურათებთან. აქედან მდინარეზე ხედი იშლებოდა. სომსი თვალს არ აცილებდა გზას და ავიწყდებოდა, რომ ფლერი მხოლოდ ერთი საათის შემდეგ თუ გამოჩნდებოდა. ფეხით წამოვიდა! და მძღოლიც რატომღაც იღმიჭება! ის ბიჭი... სომსმა მკვეთრი მოძრაობით ზურგი აქცია ფანჯარას. ვერა, ფლერს ჯაშუშურად ვერ უთვალთვალებს! თუ გოგონას სურს საიდუმლოების განდობა, დაე, თვითონ გაანდოს. ჯაშუშობით კი სომსი ვერ უჯაშუშებს. გულში სიცარიელე ჰქონდა და სიმწარე ზედ ბაგეზე მოადგა. ჯეკ კარდიგანის წყვეტილი შეძახილები ბურთის გორებისას და ახალგაზრდა მონტის სიცილი მდუმარებას არღვევდა. სომსი იმედოვნებდა, რომ ისინი იქ ილაჯს უწყვეტდნენ პროფონს. ხოლო "რთველის" გოგონა დოინჯშემოყრილი იდგა და თავისი სიზმარეულ-მეოცნებე თვალებით სადღაც სომსის მიღმა იყურებოდა. "რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი შენთვის, - ფიქრობდა იგი, - დაწყებული იმ დღეებიდან, როცა ჯერ მუხლამდე მწვდებოდი. შენ... შენ არ ისურვებ, რომ ტკივილი მომაყენო!" მაგრამ გოიას გოგონა არ პასუხობდა, მხოლოდ ელავდა იმ ფერებით, რომლებიც ახლაღა იწყებდნენ გაფერმკრთალებას. "ამა-

ში არ არის ნამდვილი ცხოვრება, - ფიქრობდა სომსი, - რატომ არ მოდის?"

თავი მეათე

ტრიო

უონსდონში, დაუნსის ქვემოთ, კვირის ბოლომ, რომელიც ცხრა დღემდე გაიწელა, ზღვრულად დაჭიმა ერთმანეთში გადახლართული ძაფები მესამე თუ, სხვა ანგარიშით, მეოთხე თაობის ოთხ ფორსაიტს შორის. ჯერ არასოდეს ყოფილა ფლერი ასეთი "დახვეწილი", ჰოლი - ასეთი ყურადღებით მოთვალთვალე, ვალ დარტი - ასე დანთქმული თავის საჯინიბოებში, ჯონი - ასეთი მდუმარე და ასეთი აღელვებული. ცნობები სოფლის მეურნეობაზე, რომლებიც მან გასულ კვირაში შეაგროვა, ფანქრის სათლელი დანის წვერზე დაეტეოდა და ერთი შებერვით გაიფანტებოდა ჰაერში. რადგან თვით თავისი ბუნებით სძულდა ყოველგვარი ინტრიგა და თავის ქედმოდრეკაში ფლერის წინაშე "ბავშვურ სისულელედ" მიაჩნდა მთელი ეს მალვა-ჩქმალვა, ამიტომაც ჯონს გული სწყდებოდა და უჯანყდებოდა. მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ემორჩილებოდა და, შეძლებისდაგვარად, ინაზღაურებდა ამას ფლერთან პირისპირ დარჩენის იშვიათ წუთებში. ხუთშაბათს, როდესაც სადილისთვის გამოწყობილები გვერდიგვერდ იდგნენ სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან, ფლერმა თქვა:

- კვირას შინ ვბრუნდები, ჯონ. მატარებელი გადის პადინ-გტონის ვაგზლიდან, ოთხს რომ ოცი აკლია. თუ შაბათს შენები უნდა მოინახულო, შეგეძლო კვირას ჩამოსულიყავი, გაგეცილე-ბინე, მერე კი ბოლო მატარებლით აქ დაბრუნებულიყავი. ისე-დაც ხომ უნდა მიხვიდე შინ?

ჯონმა თავი დააქნია.

- როგორც გინდა, ისე ვქნათ, ოღონდაც შენთან ერთად ვიყო, - თქვა მან, - მაგრამ რატომ უნდა ვთვალთმაქცობდე, თითქოს...

ფლერმა ნეკათითი გადაუტარა ხელისგულზე.

- შენ ალღო არ გაქვს, ჯონ. წინ მე მიმიშვი ყველაფერში. ჩვენს ნათესავებთან საქმე ძალიან სერიოზულადაა. საიდუმლო უნდა დავიცვათ, თუ გვსურს, რომ ერთად ვიყოთ.

ამ დროს კარი გაიღო და ფლერმა ხმამაღლა დაამატა:

- შენ, უბრალოდ, რეგვენი ხარ, ჯონ!

ბიჭს მკერდში რაღაც გადაუბრუნდა. აუტანელი იყო თავის მოკატუნება, ასეთი ბუნებრივი, ასეთი ყოვლისმომცველი ტკბი-ლი გრძნობის დამალვა.

პარასკევ საღამოს, დაახლოებით თერთმეტი საათისთვის, ჯონმა თავისი ნივთები ჩაალაგა და ფანჯრიდან გადაეყუდა. ნა-ხევრად სევდიანად, ნახევრად სიხარულით წარმოუდგა პადინ-გტონის სადგური. ამ დროს კარზე მსუბუქად - თითქოს ფრჩხი-ლით - მოაკაკუნეს. ჯონი სასწრაფოდ წელში გაიმართა და მიაყურადა. ისევ ის ბგერა! ჰო, უეჭველად ფრჩხილია! ჯონმა კა-რი გამოაღო. ოთახში საკვირველმა ხილვამ შემოაბიჯა.

- მინდოდა, ჩემი სამეჯლისო სამოსი მეჩვენებინა, - წარმოთ-ქვა ხილვამ და საწოლთან დადგა შესაფერის პოზაში.

სუნთქვაშეკრული ჯონი კარს მიეყრდნო. ხილვას თავზე თეთრი მარმაში ედგა, მოღიავებულ ყელსაც თეთრი ყელსახვევი უფარავდა, ღვინისფერი კაბა კი მდიდრულ ნაკეცებად შემოხვეოდა წელზე. გოგონამ ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, მართი კუთხით გაშლილ მეორე ხელში კი ეჭირა მარაო, რომელიც კეფას ეხებოდა.

- მარაოს ნაცვლად ყურძნიანი კალათა უნდა იყოს, - დაიჩურჩულა ხილვამ, - მაგრამ აქ არ მაქვს. ეს ჩემი კოსტიუმია გოიას მიხედვით. ეს პოზა იმ სურათიდან მოდის. მოგწონს?

- ეს სიზმარია!

ხილვამ პირუეტი გააკეთა.

- შეეხე, აბა.

ჯონი მუხლებზე დადგა და მოწიწებით შეეხო კაბის კალთას.

- ყურძნის ფერი, - გაისმა ჩურჩული, - "რთველი".

ჯონის თითები ორივე მხრიდან მსუბუქად შეეხო გოგონას წელს, სიყვარულის აღტაცებით აღვსილი მზერა კი ზემოთ შეიმართა.

- ო, ჯონ! - დაიჩურჩულა ხილვამ, რომელიც დაიხარა და ბიჭს შუბლზე აკოცა. მერე ისევ პირუეტი გააკეთა, კარში გასხლტა და გაუჩინარდა.

მუხლებზე მდგარ ჯონს თავი საწოლზე ჩამოუვარდა. ვერც კი გაიგო, რამდენი დრო დაყო ასეთ მდგომარეობაში. ფრჩხილით მოკაკუნება კარზე, ნაბიჯები, კაბის შრიალი სიზმარივით იყო და არ მთავრდებოდა. დახუჭული თვალების წინ ხილვა ედგა, უღიმოდა და ჩასჩურჩულებდა. ჰაერში ისევ ნარგიზის სურნელი ტრიალებდა, შუბლზე კი, იქ, სადაც აკოცეს, მსუბუქი სი-

ცივე იგრძნობოდა, თითქოს ყვავილით შეეხნენ. სული სიყვარულით ავსებოდა, ჭაბუკის სიყვარულით ქალიშვილის მიმართ, სიყვარულით, რომელმაც ასე ცოტა რამ იცის და ამდენ იმედს ატარებს, რომელიც ამქვეყნად არაფრის გულისთვის არ დათმობს თავის სიმაღლეებს და რომელიც, დროთა განმავლობაში, უნდა გადაიქცეს ტკბილ მოგონებად, დამფერფლავ ვნებად, მოსაწყენ ქორწინებად ან, იშვიათ შემთხვევაში, მადლიან რთველად მტევნებზე შერჩენილი დაისის სიწითლით.

აქაც და სხვაგანაც საკმაოდ ბევრი ითქვა ჯონ ფორსაიტის შესახებ, რათა გვეჩვენებინა, რამხელა დისტანცია იყო მასა და მის პაპის პაპას - დოსეტში ზღვისპირა ფერმის მფლობელ პირველ ჯოლიონს - შორის. ჯონი გოგონასავით მგრძნობიარე იყო, ათი თანამედროვე გოგონადან ცხრაზე უფრო მგრძნობიარე. წარმოსახვით არ ჩამოუვარდებოდა თავისი ნახევარდა ჯუნის რომელიმე "უიღბლო" მხატვარს და, როგორც თავისი დედ-მამის შვილი, ისიც, ბუნებრივია, შთაბეჭდილებიანი და მოსიყვარულე იყო.

და მაინც, ჯონის არსების უღრმეს შრეებში არსებობდა რაღაც, რაც მათი მოდგმის ძველი დამფუძნებლისგან მოდიოდა: - სულის იდუმალი შეუპოვრობა, საკუთარი გრძნობების გამომჟღავნების შიში, მტკიცე გადაწყვეტილება - არასოდეს ეცნო თავი დამარცხებულად. შთაბეჭდილებიან, მოსიყვარულე და მდიდრული წარმოსახვის ბიჭებს, როგორც წესი, არ უადვილდებათ სკოლა და იქაური ურთიერთობები. თუმცა ჯონი ინსტინქტურად მალავდა თავის ჭეშმარიტ ბუნებას და თავის ამხანაგებს შორის მხოლოდ ზომიერად უბედური იყო. აქამდე ჯონი მხო-

ლოდ დედასთან იხსნებოდა ბოლომდე. შაბათს, როდესაც რობინჰილში მიემგზავრებოდა, გული დამძიმებული ჰქონდა, რადგანაც, ფლერის თქმით, არ უნდა ყოფილიყო გულღია და ბუნებრივი იმასთან, ვისაც ჯონი არასოდეს არაფერს უმალავდა; არ უნდა მოეყოლა დედასთვის მათი მეორე შეხვედრის ამბავი, თუკი არ დარწმუნდებოდა, რომ მისთვის ეს უამისოდაც ცნობილი იყო. ეს მომენტი ჯონს იმდენად აუტანლად ეჩვენებოდა, რომ მზად იყო, დეპეშა გაეგზავნა და რაღაც მოემიზეზებინა ლონდონში დასარჩენად. ხოლო პირველი, რაც დედამისისგან გაიგონა, ეს იყო:

- ამრიგად, ჯონ, იქ შენ შეხვდი ჩვენს პატარა ნაცნობს საკონდიტროდან. როგორია ის უფრო ახლო ნაცნობობაში?

- უჰ, დიდებული ვინმეა, დედა, - შვებით უპასუხა ლოყებაწითლებულმა ჯონმა.

დედამ იდაყვით მიიჭირა შვილის ხელი.

ჯონს არასდროს ჰყვარებია დედამისი ისე, როგორც ამწუთას, დედა, რომელიც, როგორც ჩანდა, ფანტავდა ფლერის შიშს და ჯონის სულშიც მშვიდობას აბრუნებდა. თავი მოატრიალა და დედას შეხედა... მაგრამ რაღაცამ მის მოღიმარ სახეში, რაღაც ისეთმა, რისი მოხელთებაც მხოლოდ ჯონს შეეძლო, შეუჩერა უკვე ენის წვერზე მომდგარი მოთუხთუხე სიტყვები. შეთავსებადია თუ არა შიში და ღიმილი? თუ არის, მაშინ დედის სახეზე ჯონმა შიში ამოიკითხა და, შესაბამისად, მის ბაგესაც სულ სხვა სიტყვები მოსწყდა, სიტყვები, რომლებიც ეხებოდა სოფლის სამუშაოებს, ჰოლის, ცარცის მთებს. სწრაფად მეტყველებდა, რადგან ელოდა, რომ დედა თვითონ გადაიტანდა საუბარს

ფლერზე. მაგრამ ეს არ მოხდა. არც მამამისს უხსენებია გოგონა, თუმცა, რასაკვირველია, იცოდა მათი შეხვედრის ამბავი. როგორ ძარცვავდა და ასახიჩრებდა სინამდვილეს ეს მიჩუმათება ფლერთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ჯონი სავსე იყო მისით, დედა - თავისი ჯონით, მამა კი - დედით! ასე გაატარა სამივემ ერთად შაბათის საღამო.

სადილის შემდეგ დედა როიალს მიუჯდა და, როგორც ჩანს, განზრახ დაუკრა ჯონის საყვარელი ოპუსები. ბიჭი იჯდა ცალ მუხლზე შემოჭდობილი ხელებით და აჩეჩილი თმით, რომლის დავარცხნა არც გახსენებია. უყურებდა დედას, სანამ ის უკრავდა, თუმცა ხედავდა ფლერს მთვარით განათებულ ვაშლის ბაღნარში, ფლერს მზით ამოვსებულ ცარცის ორმოში, ფლერს თავის ფანტასტიკურ სამოსში. აი, ის ქანაობს, ჩურჩულებს, ჯონისკენ იხრება და შუბლზე კოცნის. ერთი წუთით მთლად გადაავიწყდა თავისი თავი და მეორე სავარძელში მჯდომ მამას შეხედა. რატომ აქვს მამას ასეთი თვალები, ასეთი სევდიანი და გაუგებარი გამომეტყველება? ჯონი ბუნდოვანი ქენჯნის გრძნობით წამოდგა და მამის სავარძლის სახელურზე გადაჯდა. აქედან მის სახეს ვერ ხედავდა... და ისევ ფლერი დაინახა დედამისის თეთრ, თხელ ხელებში, რომლებიც კლავიშებზე დასრიალებდნენ, მისი სახის პროფილში, მის ვერცხლისფერ თმაში და ოთახის სიღრმეში გაღებულ ფანჯარასთან, რომლის მიღმა მაისის ღამე მიაბიჯებდა.

როდესაც ჯონი თავისთან ავიდა დასაძინებლად, დედამ ოთახში მიაკითხა. ფანჯარასთან გაჩერდა და თქვა:

- საოცრად გაიზარდნენ პაპაშენის დარგული კვიპაროსები. მთვარის შუქზე განსაკუთრებით მშვენიერი მეჩვენებიან. გული მწყდება, რომ პაპაშენს არ იცნობდი, ჯონ.

- მამას რომ გაჰყევი ცოლად, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო? - მოულოდნელად იკითხა ჯონმა.

- არა, ძვირფასო, 1882 წელს გარდაიცვალა ძალიან ხანდაზმული, თუ არ ვცდები - 85 წლისა.

- მამა თუ ჰგავს მას?

- ჰგავს, მაგრამ უფრო გამხდარია და ნაკლებად შთამბეჭდავი.

- ჰო, მე ეს პაპას სურათიდან ვიცი. ვინ დახატა?

- ჩვენი ჯუნის ერთ-ერთმა "უიღბლომ". თუმცა ურიგო პორტრეტი არ არის.

ჯონმა ფრთხილად აიღო დედის ხელი.

- დედა, მიამბე ჩვენს ოჯახში მომხდარ განხეთქილებაზე.

ჯონმა იგრძნო, როგორ აუცახცახდა ხელი დედამისს.

- არა, ძვირფასო. დაე, ეს ოდესმე მამაშენმა გიამბოს, თუკი შესაძლებლად მიიჩნევს.

- ესე იგი, სერიოზული ამბავი იყო? - იკითხა ჯონმა წყვეტილი ხმით.

- ჰო.

ჩამომდგარ სიჩუმეში არც დედამ და არც შვილმა არ იცოდნენ, რა უფრო ძლიერად კანკალებდა - იდაყვი თუ მასზე მოჭერილი თითები.

- ზოგი მიიჩნევს, რომ კლებაში წასულ მთვარეს ავი იერი აქვს, მე კი ის მუდამ მატყვევებს, - თქვა დედამ, - შეხედე კვიპა-

როსების ჩრდილს. ჯონ, მამა ამბობს, რომ მე და შენ შეგვიძლია ორი თვით იტალიაში გავემგზავროთ. გინდა?

ჯონმა ხელი გაუშვა დედის იდაყვს და ხელი ჰაერში დაეკიდა, იმდენად მძაფრი და ბუნდოვანი განცდების ტყვეობაში იყო ამწუთას. დედასთან ერთად იტალიაში! ორი კვირის წინ უკეთესს ვერაფერს ინატრებდა, ახლა კი ამ აზრმა სასოწარკვეთით აავსო. რაღაც კარნახობდა, რომ ეს მოულოდნელი შემოთავაზება ფლერს უკავშირდებოდა.

- ო, რა თქმა უნდა... - თქვა ენის ბორძიკით, - თუმცა... არ ვიცი... მე ხომ სულ ახლახან მოვეკიდე საქმეს? უნდა მოვიფიქრო.

დედის ხმამ ცივად და ალერსიანად გაიჟღერა:

- ჰო, საყვარელო, მოიფიქრე. მაგრამ ახლა ჯობია, ვიდრე მერე, როდესაც სერიოზულად მოჰკიდებ ხელს სოფლის მეურნეობას. რა შესანიშნავი იქნებოდა შენთან ერთად ვენეციაში!

ჯონმა მკლავები შემოხვია წელზე, ჯერაც ქალიშვილის წელივით რბილსა და მოქნილზე.

- მამას როგორ დატოვებ მარტოს? - იკითხა მორიდებით და ბრალეულობის განცდით.

- მამამ თვითონ შემოგვთავაზა. მიიჩნევს, რომ იტალია მაინც უნდა მოინახულო, სანამ რაიმე განსაზღვრულზე შეჩერდები.

ჯონს მეყსეულად გაუქრა ბრალეულობის განცდა. ჰო, იცოდა, რომ მამა და დედა მასზე უფრო გულახდილები არ არიან. უნდათ, რომ ფლერს მოაშორონ. ჯონის გული გააფთრებამ მოიცვა. დედა კი თითქოს მიხვდა, რა ხდებოდა მასში, და განაგრძო:

- ძილი ნებისა, ძვირფასო. გამოიძინე და მოიფიქრე. დიდებული რამ იქნებოდა.

და ისე მოწყვეტით ჩაიკრა მკერდში, რომ ჯონმა ვერ მოასწრო მისი სახის დანახვა და ახლა ისე იდგა, როგორც ბავშვობაში, როცა რაიმეს იცელქებდა. მისთვის მტკივნეული იყო ისიც, რომ სიყვარულის მოზღვავებას არ გრძნობდა დედისადმი, და ისიც, რომ აცნობიერებდა თავის სიმართლეს.

აირენი ერთი წუთით თავის ოთახში შეყოვნდა, მერე კი გავიდა საგარდერობო ოთახში, რომელიც მის საძინებელს ქმრის საძინებლისგან ჰყოფდა.

- აბა? - ჰკითხა იმან.

- მოვიფიქრებო, ჯოლიონ.

ქალის სახეზე დაღლილი ღიმილის შემხედვარე ქმარმა წყნარად წარმოთქვა:

- უმჯობესი იქნებოდა ნება მოგეცა, ყველაფერი მომეყოლა მისთვის და ასე მოგვეთავებინა ეს ამბავი. ბოლოს და ბოლოს, თავისი ინსტინქტებით ჯონი ნამდვილი ჯენტლმენია. მხოლოდ ის უნდა გაიგოს, რომ...

- მხოლოდ! ვერ გაიგებს! ეს შეუძლებელია.

- მის ასაკში მე გავიგებდი.

აირენი ქმრის ხელს ჩაეჭიდა:

- შენ ყოველთვის ჯონზე უფრო დიდი რეალისტი იყავი... და არასოდეს ყოფილხარ ასეთი უცოდველი.

- ეს სიმართლეა. მაგრამ განა უცნაური არ არის? მე და შენ შეგვეძლო დაურცხვენლად მოგვეთხრო ჩვენი ისტორია მთელი ქვეყნისთვის, საკუთარი შვილის წინაშე კი ვმუნჯდებით.

- ჩვენთვის სულერთი იქნებოდა, გვკიცხავს თუ არა ქვეყანა.

- ჯონი ვერ განგვსჯის!

- განგვსჯის, ჯოლიონ! ის შეყვარებულია, ვგრძნობ, რომ შეყვარებულია და თავის თავს ეტყვის: "ოდესღაც დედაჩემი უსიყვარულოდ გათხოვდა! როგორ გააკეთა ეს?" ამ ამბავს დანაშაულად ჩამითვლის და სწორიც იქნება!

ჯოლიონი ხელზე მოეფერა და ტუჩები ღიმილმა გაუმრუდა:

- აჰ, მაინც რატომ ვიბადებით ახალგაზრდებად? მოხუცებად რომ ვიბადებოდეთ და წლიდან წლამდე ვახალგაზრდავდებოდეთ, მაშინ გავიგებდით, რა როგორ ხდება, და ჩვენს წყეულ მოუთმენლობასაც შორს მოვისროდით. მაგრამ, იცი, თუ ბიჭი ნამდვილად შეყვარებულია, ვერანაირი იტალია ვერ დაავიწყებს ამ გრძნობას. ჩვენ, ფორსაიტები, ჯიუტი ხალხი ვართ და ჯონსაც ალღო მიახვედრებს, რატომ გზავნიან შორს. მას ერთადერთი რამ განკურნავს: ის მიწისძვრა, რომელიც შეარყევს, როცა ყველაფერს შეიტყობს.

- მაინც ნება მომეცი, ვცადო.

ჯოლიონი დუმდა. ამ არჩევანში ეშმაკსა და ზღვის უფსკრულს შორის, საშინელი მხილების ტკივილსა და ცოლთან ორთვიანი განშორების სიმწარეს შორის, მაინც ეშმაკისა უფრო სჯეროდა, ვიდრე ზღვის. მაგრამ თუ აირენი ზღვას ამჯობინებს, ჯოლიონი უნდა შეეგუოს ამას. ბოლოს და ბოლოს, მისთვის ეს იქნება მომზადება იმ საბოლოო განშორებისთვის, რომელიც არასოდეს მთავრდება. ცოლს მოეხვია, თვალებში აკოცა და უთხრა:

- როგორც ისურვებ, საყვარელო!

თავი მეთერთმეტე

დუეტი

სიყვარულის "პატარა მღელვარება" განსაცვიფრებლად იზრდება, როცა საშიშროება ემუქრება. პადინგტონის სადგურზე ჯონი ნახევარი საათით ადრე მივიდა, თვითონ კი ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი კვირით დაიგვიანა. იდგა წინასწარ დათქმულ წიგნის კიოსკთან, საკვირაო მოაგარაკეთა ბრბოში და თვით კუბოკრული კოსტიუმის უხეში შალიც კი ვერ მალავდა მის აჩქარებულ გულისცემას. კითხულობდა დახლზე დაწყობილი რომანების სათაურებს და, ბოლოს, ერთი მათგანი იყიდა, ვინძლო თავიდან აეცდინა გამყიდველის ალმაცერი მზერა. რომანს ერქვა "ბილიკის გული", რასაც რაღაცნაირი აზრი უნდა ჰქონოდა, თუმცა, ეტყობოდა, არ ჰქონდა. იყიდა კიდევ "ქალბატონის სარკე" და "თანამემამულე". წარმოსახვითი საშინელებებით სავსე თითოეული წუთი მთელ საათს გრძელდებოდა. ცხრამეტი ასეთი წუთის შემდეგ ჯონმა დაინახა ფლერი ტვირთმზიდავის თანხლებით. გოგონა სწრაფად და მშვიდად მოუახლოვდა და ისე მიესალმა, როგორც ძმას.

- პირველი კლასი, - უთხრა ტვირთმზიდავს, - კუთხის ადგილები ერთმანეთის პირდაპირ.

ფლერის საოცარი თვითფლობა ჯონს აცვიფრებდა.

- მთელ კუპეს ხომ ვერ დავიკავებდით? - ჩურჩულით ჰკითხა გოგონას.

- არ გამოვა. ბევრგან აჩერებს. აი, მეიდენჰედის შემდეგ კი შეიძლება. ნუ დაიძაბები, ჯონ.

იმან სახე მოქუფრა და ორივენი კუპეში შევიდნენ ვიღაც ორ რეგვენთან ერთად, ჯანდაბასაც ისინი წაუღია! შეცბუნებისგან ჯონმა ტვირთმზიდავს დიდძალი ფეხისქირა უბოძა, თუმცა ამ არამზადამ ერთი პენიც არ დაიმსახურა იმის გამო, რომ აქ მოიყვანა, თანაც ისეთი სახით, ვითომც ყველაფერს მიხვდა!

ფლერმა "ქალბატონის სარკე" აიფარა, ჯონმაც მიჰბაძა და "თანამემამულე" მოიმარჯვა. მატარებელი დაიძრა. ფლერს წიგნი გაუვარდა და წინ გადმოიხარა.

- აბა? - მიმართა ჯონს.

- ეს დღე ორ კვირასავით გაიწელა!

იმან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჯონსაც მაშინვე გაუნათდა სახე.

- ძალდაუტანებლად მოიქეცი, - ჩასჩურჩულა ფლერმა და თავშეუკავებლად აკისკისდა.

ჯონს წყენის განცდა გაუჩნდა: როგორ უნდა მოიქცეს ძალდაუტანებლად, თუ იტალიაში წასვლის საშიშროება ემუქრება? აპირებდა, ეს სიახლე ფრთხილად შეეტყობინებინა ფლერისთვის, მაგრამ მაინც ერთბაშად უთხრა:

- ორი თვით იტალიაში მიპირებენ გაგზავნას დედასთან ერთად!

ფლერმა წამწამები დახარა, ოდნავ გაფითრდა და ტუჩი მოიკვნიტა.

- ო! - სხვა არაფერი უთქვამს.

თუმცა ეს საკმარისი იყო.

ეს "ო!" ფარიკაობაში სასწრაფოდ უკან წაღებულ ხელს ჰგავდა მოულოდნელი შეტევის მზადებისას. და შეტევამაც არ დააყოვნა:

- უნდა წახვიდე!

- წავიდე? - გაიმეორე ჯონმა მოგუდული ხმით.

- რა თქმა უნდა!

- ორი თვით? საშინელებაა!

- არა, თვე-ნახევრით. მანამდე დამივიწყებ. სახელმწიფო გალერეაში შევხვდებით ერთმანეთს თქვენი ჩამოსვლის მეორე დღეს.

ჯონს სიცილი აუტყდა.

- და თუ დაგავიწყდი, მაშინ? - ჩაილუღლუღა ბორბლების ხმაურში.

ფლერმა თავი გააქნია.

- ვიღაც სხვა არამზადა... - განაგრძო ჯონმა.

გოგონამ ფეხსაცმლის ჭვინტი მიაჭირა ფეხზე.

- არავითარი სხვა არამზადები! - თქვა და "ქალბატონის სარკე" აიღო.

მატარებელი გაჩერდა. ორი თანამგზავრი ჩავიდა, შემოვიდა ერთი ახალი.

"მოვკვდები, თუ მარტო დარჩენა ვერ მოგვიხერხდა".

მატარებელმა ისევ გაუტია. ფლერიც ისევ წინ გადმოიხარა:

- მე არასდიდებით არ დავიხევ უკან. შენ?

ჯონმა მხურვალედ გააქნია თავი.

- არასოდეს! - შესძახა, - მომწერ ხოლმე?

- არა. მაგრამ შენ კი შეგიძლია მომწერო ჩემს კლუბში.

"თავისი კლუბი აქვს... საკვირველი გოგო!"

- ჰოლის თუ მიაწექი? - დაიჩურჩულა ჯონმა.

- ჰო, მაგრამ ვერაფერი შევიტყვე. მეშინოდა, მეტისმეტად მაგრად არ მივწოლოდი.

- ასეთი რა შეიძლებოდა დასტეხოდა თავს ჩვენს ოჯახს? - შესძახა ჯონმა.

- რაც უნდა იყოს, გავიგებ.

ამას მოჰყვა ხანგრძლივი სიჩუმე, რომელიც ბოლოს ფლერმა დაარღვია.

- მეიდენჰედი. გამაგრდი, ჯონ!

მატარებელი გაჩერდა. ერთადერთი თანამგზავრი ჩავიდა. ფლერმა ფანჯარაზე დარაბა ჩამოუშვა.

- სწრაფად! - ესროლა ჯონს, - შენ ფანჯარაში გაიხედე! ყველაზე უფრო პირუტყვული სიფათი მიიღე, როგორიც კი შეგიძლია.

ჯონმა ნესტოები დაბერა და კოპები შეიკრა. რაც თავი ახსოვს, ასე, ალბათ, არასდროს დაბღვერილა! ერთი მოხუცი ქალბატონი არ შემოვიდა, მეორემ - ახალგაზრდამ - სახელური დაქაჩა, მაგრამ კარი არ დაემორჩილა. მატარებელი დაიძრა, ახალგაზრდა ქალი მეორე ვაგონს მიაწყდა.

- რა ბედნიერებაა! - შესძახა ჯონმა, - საკეტი გაჯიუტდა!

- ჰო, კარი დავიჭირე.

მატარებელი მიქროდა. ჯონი მუხლებზე დაეცა.

- დერეფანში გამავალ კარს უთვალთვალე! - დაიჩურჩულა ფლერმა, - სწრაფად!

მათი ტუჩები ერთმანეთს შეხვდა. და თუმცა კოცნა სულ ათიოდე წამს გრძელდებოდა, ჯონის სულმა მისი სხეული დატოვა და ისეთ სიშორეში გაქანდა, რომ როდესაც ისევ ამ მშვიდი და თავშეკავებული ქალიშვილის პირდაპირ მჯდარი აღმოჩნდა, სახე სიკვდილივით გაფითრებული ჰქონდა. მოესმა ფლერის ამოოხვრა და ეს ბგერა იყო ჯონისთვის უძვირფასესი უწყება, ანუ საოცარი აღიარება იმისა, რომ ნამდვილად რაღაცას ნიშნავდა ამ გოგონასთვის.

- ექვსი კვირა სულაც არ არის დიდი დრო, - თქვა ფლერმა, - შენ არ გაგიძნელდება მაგ მოგზაურობის დაყვანა ექვს კვირაზე. ეგაა, თავი არ უნდა დაკარგო, როცა იქ იქნები, და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ჩემზე არ ფიქრობ.

ჯონი გაშტერდა.

- როგორ არ გესმის, ჯონ! აუცილებელია, რომ ისინი დაარწმუნო ამაში. თუ შენი ჩამოსვლისთვის ჩვენ ისევ ასეთი ცუდები ვიქნებით, ისინი თავს დაანებებენ თავიანთ სისულელეებს. საწყენი ისაა, რომ იტალიაში მიდიხართ და არა ესპანეთში. მადრიდში, გოიას ნახატზე, გამოსახულია გოგონა, რომელიც, მამაჩემის თქმით, მე მგავს. არადა, სულაც არ მგავს. ჩვენ მისი ასლი გვაქვს და ვიცი.

ჯონისთვის ეს ბურუსის გამრღვევ მზის სხივს ჰგავდა.

- ჰოდა, ესპანეთში წავალთ, - თქვა მან, - დედა არ გააპროტესტებს, არასოდეს ყოფილა ესპანეთში. მამაჩემი კი ძალიან მაღალი აზრისაა გოიაზე.

- ჰო, მართლა: ის ხომ მხატვარია?

- მხოლოდ აკვარელით ხატავს, - თქვა ჯონმა კეთილსინდისიერად.

- როცა რედინგამდე მივალთ, შენ პირველი ჩახვალ და კევერშემის რაბთან დამელოდები. მანქანას შინ გავგზავნი, ჩვენ კი მდინარის გასწვრივ მიმავალ გზას გავუყვებით.

მადლიერების ნიშნად, ჯონმა ფლერის ხელი აიღო და ამის შემდეგ ხმის ამოუღებლად ისხდნენ, ქვეყანა აღარ ახსოვდათ, მხოლოდ ცალი თვალით თუ გახედავდნენ დერეფანს. თუმცა მატარებელი თითქოს გაორმაგებული სისწრაფით მიქროდა და მისი ხმაური თითქმის ფარავდა ჯონის მხურვალე სუნთქვას.

- ვუახლოვდებით, - თქვა ფლერმა, - გზა მდინარის გასწვრივ აღმაშფოთებლად ღიაა. კიდევ ერთხელ! ო, ჯონ, ნუ დამივიწყებ!

ამაზე ჯონმა კოცნით უპასუხა. სულ მალე მავანი ჭაბუკი ფიცხად გამოვარდა ვაგონიდან და აჩქარებით გაუყვა ბაქანს, თან ჯიბეებში ბილეთს ეძებდა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ფლერი გზაზე წამოეწია კევერშემის რაბიდან ოდნავ უფრო შორს, ჯონმა თავს ძალა დაატანა და შედარებით გაწონასწორდა. თუ განშორება გარდაუვალია, მაშინ, რაღა თქმა უნდა, სცენებს არ მოაწყობს. ნათელი მდინარის მხრიდან წამობერილი ნიავი კუნელის ფოთლებს ატრიალებდა, ისინი მზეზე ვერცხლისფრად ელავდნენ და სუსტი შრიალით აცილებდნენ ორ შეთქმულს.

- ჩვენს მძღოლს ავუხსენი, რომ მატარებელში თავბრუ დამესხა, - თქვა ფლერმა, - შენ თუ გქონდა საკმარისად ბუნებრივი იერი ბაქანზე ჩამოსვლისას?

- არ ვიცი, რას ეძახი "ბუნებრივს"?

- შენთვის ბუნებრივი ისაა, რომ ბედნიერად და მოუდუნებულად გამოიყურებოდე. პირველად რომ დაგინახე, ვიფიქრე, რომ არანაირად არ ჰგავხარ სხვებს.

- ზუსტად იგივე ვიფიქრე მეც შენზე. მაშინვე მივხვდი, რომ სხვას არავის შევიყვარებდი, შენ გარდა.

ფლერს გაეცინა.

- ჩვენ სისულელემდე ახალგაზრდები ვართ, სიყვარულის ახალგაზრდული ოცნებები კი დროს ჩამორჩება, ჯონ. რამდენი მხიარული თავგადასავალი გელოდება ცხოვრებაში! შენ ხომ ჯერ არც კი დაგიწყია. მრცხვენია კიდეც. მე კი... რომ წარმოვიდგენ...

ჯონი შეცბუნდა. როგორ შეუძლია ფლერს ასეთი რამეები ილაპარაკოს უშუალოდ განშორების წინ!

- თუ ასე ლაპარაკობ, მე ვეღარ გავემგზავრები. დედას ვეტყვი, რომ უნდა ვიმუშაო. დაფიქრდი, რა ხდება მსოფლიოში.

- რა ხდება?

ჯონმა ხელები ღრმად ჩაიჩურთა ჯიბეებში.

- დაფიქრდი, რამდენი ადამიანი კვდება შიმშილით.

ფლერმა თავი გააქნია:

- ცხოვრებას ვერაფრით მოვიწამლავ.

- ვერაფრით! არადა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა და დახმარებას ითხოვს.

- ოჰ, ვიცი ეგ ყველაფერი. მაგრამ ადამიანებს ვერ დაეხმარები, ჯონ, ისინი განწირულები არიან. როგორც კი ვინმე ერთი ორმოდან ამოიყვანს, მაშინვე მეორეში მიძვრებიან. შეხედე: ისევ ჩხუბობენ, ხრიკებს უწყობენ ერთმანეთს, იბრძვიან, თუმცა ყოველდღიურად გროვა-გროვად იხოცებიან. იდიოტები!

- არ გეცოდებიან?

- მეცოდებიან? რა თქმა უნდა, მეცოდებიან, თუმცა ამისთვის ტანჯვას არ ვაპირებ. ვის რას ვარგებ ამით?

ორივე გაჩუმდა, ორივე - აღელვებული. პირველად უშიშვლებდნენ ერთმანეთს თავ-თავიანთ ბუნებას.

- ჩემი აზრით, ადამიანები პირუტყვები და იდიოტები არიან, - ჯიუტად გაიმეორა ფლერმა.

- ჩემი აზრით, ისინი, უბრალოდ, უბედურები არიან, - თქვა თავის მხრივ ჯონმა.

თითქოს იჩხუბეს ამ მაღალ და საშინელ ჟამს, როდესაც კუნელებს შორის გამონათებულ ბოლო ღრიჭოებში უკვე განშორება მოჩანდა.

- კეთილი. წადი, გადაარჩინე შენი უბედურები და ნუღარ იფიქრებ ჩემზე.

ჯონი ადგილზე გაქვავდა. შუბლი დაეორთქლა. მთელი სხეულით აცახცახდა. ფლერიც შეჩერდა და შუბლშეჭმუხნილი მიაჩერდა მდინარეს.

- რაღაც მაინც უნდა მწამდეს, - თქვა ჯონმა მომაკვდინებელი სევდით, - ყველა ადამიანი იმისთვისაა შექმნილი, რომ ცხოვრებით დატკბეს.

ფლერმა გადაიკისკისა:

- დიახ. ოღონდაც ყურადღებით იყავი: შენი წილი სიტკბოება არ გაუშვა ხელიდან. თუმცა, ვინ იცის, შენი მცნებებით თუ განვსჯით, ეგებ სიამოვნება საკუთარი თავის ტანჯვაში მდგომარეობს. რაც გინდა ის თქვი, მაგრამ ასეთები არც ისე ცოტანი არიან.

ფლერი გაფითრებული იყო, თვალები უფრო გამუქებოდა, ტუჩები დაწვრილებოდა. ნუთუ ეს ფლერი იყო, წყალს რომ გაჰყურებდა ახლა? ჯონს არარეალობის შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ამწუთას განიცდიდა სცენას რომანიდან, სადაც მიჯნური იძულებულია არჩევანი გააკეთოს სიყვარულსა და მოვალეობას შორის. მაგრამ, აი, ფლერმა გამოხედა და ვერაფერი იქნებოდა ამ სწრაფ მზერაზე უფრო დამათრობელი. მან ისე იმოქმედა ჯონზე, როგორც ჯაჭვის მოქაჩვამ - ძაღლზე. ჯონი კუდის ქიცინითა და გადმოგდებული ენით მივარდა ფლერს.

- ნუ ვსულელობთ! - თქვა ქალიშვილმა, - დრო მეტისმეტად ცოტაა. შეხედე, ჯონ, აქედან მოჩანს, სად გადავდივარ მდინარეზე. აი, იქ, მოსახვევს იქით, ტყის პირას.

ჯონმა თვალი მოჰკრა სახლის წვეტურას, ორ-სამ საკვამლე მილს, კედლის ფრაგმენტს ხეებს შორის და - გული კოჭებში წაუვიდა.

- მეტს ვეღარ დავაყოვნებ. ჯობს, იმ მესრის იქით ერთად ნუღარ წავალთ, იქ მეტისმეტად მოღიავებულია. იქამდე მივიდეთ და დავემშვიდობოთ.

ჩუმად მიაბიჯებდნენ გვერდიგვერდ, ხელიხელჩაკიდებული უახლოვდებოდნენ მესერს, სადაც ბოლომდე გაშლილიყო კუნელის თეთრ-ვარდისფერი ყვავილები.

- ჩემი კლუბი "თილისმა", სტრეტონსტრიტი, პიკადილი. იქ შეგიძლია მოიწერო ყოვლად უსაფრთხოდ, მე კი საკმაოდ რეგულარულად მივდივარ ხოლმე კვირაში ერთხელ.

ჯონმა თავი დაუქნია. სახე გაქვავებული ჰქონდა, თვალები სივრცის რომელიღაც უძრავ წერტილს მისჩერებოდა.

- დღეს ოცდასამი მაისია, - თქვა ფლერმა, - 9 ივლისს, სამ საათზე, "ფავნისა და არიადნეს" წინ ვიდგები. მოხვალ?

- მოვალ.

- თუ შენც ისევე ცუდად ხარ, როგორც მე, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. ჯერ ამათ ჩაიარონ...

ბავშვებთან ერთად მოსეირნე ცოლ-ქმარი საკვირაო ღირსებით მოაბიჯებდა.

- ოჯახური იდილია! - თქვა ფლერმა, როცა ოჯახის ბოლო წევრი წნულ კარში გაუჩინარდა, და აყვავებულ მესერს მიეყრდნო. მის ზემოთ კუნელის ტოტები გაშლილიყო და ვარდისფერი მტევანი ფლერს ლოყაზე მიჰკრობოდა. ჯონმა ეჭვიანად გაიშვირა ხელი, რომ განზე გაეწია.

- მშვიდობით, ჯონ.

ერთ წამს იდგნენ და ერთმანეთის ხელები მაგრად ჩაებღუჯათ. მერე მათი ბაგეები კიდევ ერთხელ შეერთდნენ და როცა ერთმანეთს დაშორდნენ, ფლერი სწრაფად უკუდგა, კარში შევარდა და გაიქცა. ჯონი ისევ იქ იდგა, სადაც ფლერმა დატოვა, და შუბლით იმ ვარდისფერ მტევანს ეკვროდა. წავიდა! შვიდ კვირას გამოკლებული ორი დღით წავიდა! ჯონი კი დგას და მისი დანახვის უკანასკნელ შანსს კარგავს! წნულ კარს მივარდა და გახედა: ფლერი ისე სწრაფად მიაბიჯებდა, ლამის მშობლებს ჩა-

მორჩენილი ბავშვებს დასჯახებოდა უკნიდან. რაღაც მომენტში მოტრიალდა, ჯონს ხელი დაუქნია და ისევ წინ გაეშურა. ნელა მიმავალი ოჯახი ფლერს გადაეფარა და ჯონის მზერისთვის უხილავი გახადა.

ბიჭს სასაცილო სიმღერა გაახსენდა:

"პადინგტონის ოხვრა - უმწარესი, ოჰ, რა! -

ამოუშვა ბიჭმა პადინგტონის ოხვრა..."

და აჩქარებული ნაბიჯით დაბრუნდა სადგურზე. მთელ გზაზე ლონდონამდე და ლონდონიდან უონსდონამდე მუხლებზე გადაშლილი "ბილიკის გული" ეჭირა, გონებაში კი ლექსს თხზავდა, იმდენად სავსეს გრძნობებით, რომ ვერანაირად ვერ გაირითმებოდა.

თავი მეთორმეტე

ახირება

ფლერი ჩქარობდა. სწრაფი მოძრაობა აუცილებელი იყო, რადგან აგვიანებდა, ადგილზე მისულს კი მთელი თავისი გონიერებისთვის უნდა მოეხმო. უკან ჩამოიტოვა კუნძულები, სადგური, სასტუმრო და ის იყო მდინარის გადასაყვანი პუნქტისკენ დაეშვა, რომ ნაპირთან ნავი შენიშნა, ნავში - უცნობი ახალგაზრდა.

- მის ფორსაიტ, - მიმართა ფლერს, - ნება მიბოძეთ, გადაგიყვანოთ. საგანგებოდ მოვედი ამისთვის.

სრულებით დაბნეულ ფლერს თვალები გაუფართოვდა.

- არაფერია ამაში უცნაური: ახლახან თქვენს მშობლებთან ჩაის მივირთმევდი და გადავწყვიტე, გზა შემემოკლებინა თქვენთვის. თან, ეს ჩემს გზაზეა, რადგანაც ახლა პენგბორნში ვბრუნდები. მონტი მქვია. პირველად გამოფენაზე გნახეთ. გახსოვთ? როდესაც მამათქვენმა თავისი სურათების დასათვალიერებლად მიმიწვია.

- აჰ, ჰო! მახსოვს: ცხვირსახოცი, - ხმა ამოიღო ფლერმა.

ის ვალში იყო ამ ახალგაზრდასთან: სწორედ მან გაუდო ხიდი ჯონისკენ. ფლერმა ხელი გაუწოდა და ნავში გადავიდა. ჯერ კი-

დევ აღელვებული, ჩუმად იჯდა და სულს ითქვამდა. აი, მის თანამგზავრს კი ენა არ გაუჩერებია. ფლერს თავის სიცოცხლეში არ გაეგონა, რომ ადამიანს ამდენი რამ ეთქვას დროის ესოდენ მოკლე მონაკვეთში. მან ფლერს თავისი ასაკი ამცნო: ოცდაოთხი წელი; თავისი წონა - სამოცდაათი კილო; საბინადრო - აქედან არცთუ შორს; აღუწერა თავისი განცდები ომის ცეცხლქვეშ და გაზის იარაღით შეტევის დროს; გააკრიტიკა "იუნონა" და, პარალელურად, გამოთქვა ამ ქალღმერთის მისეული გაგება; ახსენა გოიას ასლი და ისიც თქვა, რომ დიდად არ ჰგავდა ფლერს; მოკლედ მიმოიხილა ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობა; მუსიე პროფონს - თუ რა ჰქვია, კაცო? - "უსაყვარლესი ადამიანი" უწოდა; აღნიშნა, რომ ფლერის მამას რამდენიმე "ყოვლად დიდებული" ტილო აქვს, თუმცა, მათთან ერთად, "წიაღისეულიც" უკიდია; გამოთქვა იმედი, რომ ნებას დართავენ მოინახულოს ფლერი და მდინარეზე გაასეირნოს: ჩემზე ხომ მთლიანად შეიძლება დაყრდნობაო; ჰკითხა ფლერს მისი აზრი ჩეხოვზე და თავისი მოსაზრებაც გამოთქვა; გამოთქვა სურვილი, იქნებ ოდესმე ერთად დავესწროთ რუსულ ბალეტსო; აღიარა: ფლერ ფორსაიტი, უბრალოდ, მომხიბლავი სახელიაო; გამოლანძღა თავისი მშობლები იმისთვის, რომ "მონტს" კიდევ "მაიკლი" დაუმატეს; მოხაზა მამამისის პორტრეტი და თქვა, თუ ფლერს რაიმე კარგი წიგნი მოენატრა, მაშინ იობის წიგნი წაიკითხოს, როცა ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ მიწა ჰქონდაო.

- იობს მიწა არ ჰქონდა, - შეესიტყვა ფლერი, - მხოლოდ ცხვრის ფარა და ძროხების ჯოგი ჰყავდა და საძოვრიდან საძოვარზე გადადიოდა.

- დასანანია, რომ ჩემი მშობელი ადგილს არ იცვლის, - აიტაცა მაიკლ მონტიმ, - არ იფიქროთ, რომ მის მიწაზე მრჩება თვალები. ჩვენს დროში მიწის ფლობა მოსაწყენი საქმეა. არ მეთანხმებით?

- ჩვენს ოჯახში არავინ ყოფილა მიწათმფლობელი, - თქვა ფლერმა, - ჩვენ სხვა საკუთრებები გვაქვს. მგონი, ოდესღაც მამაჩემის ერთ-ერთ ბიძას დოსეტში ჰქონდა სენტიმენტალური ფერმა, რადგან სწორედ იქიდან მოდის ჩვენი მოდგმა. მაგრამ იმ ფერმას უფრო მეტი ხარჯი ჰქონდა, ვიდრე მონაგარი.

- გაყიდა?

- არა, შეინახა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არავინ ყიდულობდა.

- მით უკეთესი მოხუცი კაცისთვის.

- არა, მისთვის ეს უკეთესი არ იყო. მამა ამბობს, ეს მას გულს სწყვეტდაო. სუითინი ერქვა.

- შეუდარებელი სახელია!

- იცით თუ არა, რომ სახლს კი არ ვუახლოვდებთ, არამედ ვშორდებით. მდინარე, ასე თუ ისე, მიედინება.

- ჩინებულია! - შესძახა მონტიმ და გაფანტულად ჩაყო ნიჩბები წყალში, - სასიამოვნოა გონებამახვილ გოგონასთან შეხვედრა.

- უფრო სასიამოვნოა, უბრალოდ, გონიერ ჭაბუკთან შეხვედრა.

მონტიმ ისე ასწია ხელი, თითქოს თმის ამოგლეჯას აპირებსო.

- ფრთხილად! ნიჩაბი! - შეჰკივლა ფლერმა.

- არა უშავს. ეკიდოს მანდ.

- მოუსვამთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს? - მკაცრად დაუბ-რუნა ფლერმა, - შინ უნდა ვიყო.

- მაგრამ შინ რომ მიხვალთ, მერე მე ველარ გნახავთ. Fini((ფრანგ.) - დამთავრებულია.)), როგორც თქვა ერთმა ფრან-გმა ქალმა, როდესაც ლოცვის შემდეგ საწოლში ისკუპა. ნუთუ არ ლოცავთ ბედს, რომელმაც ფრანგი დედა და ასეთი სახელი მოგცათ?

- მიყვარს ჩემი სახელი, თუმცა ის მამაჩემმა დამარქვა. დე-დაჩემს მარგერიტი უნდოდა.

- რაც, რასაკვირველია, აბსურდი იქნებოდა. თქვენის ნებარ-თვით ფ.ფ.-ს დაგიძახებთ, თქვენ კი მ.მ. დამიძახეთ. თანახმა ხართ? ეს თანამედროვედ ჟღერს.

- ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც შინ მივიდე.

ნავი გადაქანდა - მონტიმ მეტისმეტად ღრმად ჩაუშვა ნიჩაბი.

- ფუჰ, ეს რა ჯანდაბაა! - თქვა მონტიმ პასუხის ნაცვლად.

- ნიჩბებს მოუსვით, თუ შეიძლება.

- გისმენთ და გემორჩილებით, - ნიჩბები რამდენჯერმე მოიქ-ნია, თან ფლერს ცეცხლოვანი მწუხარებით შეჰყურებდა, მერე ისევ შეჩერდა: - ხომ იცით, რომ თქვენს სანახავად ჩამოვედი და არა მამათქვენის სურათების!

ფლერი წამოდგა:

- თუ ნავს არ წაიყვანთ, გადავხტები და გავცურავ.

- მართლაა? მაშინ მეც თქვენ მოგყვებით.

- მისტერ მონტ, უკვე გვიანია. დავიღალე. გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამიყვანოთ ნაპირზე.

როდესაც ფლერმა ფეხი დაადგა ნავმისადგომს თავისი ბაღის ბოლოში, მენავე მთელი სიმაღლით აღიმართა ნავში და, ორივე ხელით თმაჩაბღუჯულმა, თვალი გააყოლა ქალიშვილს.

ფლერმა გაიღიმა.

- არა! - აყვირდა დაუოკებელი მონტი, - ვიცი, რომ ახლა ფიქრობთ: "ჯანდაბამდის გზა გქონია, წყეულო ჯაგარო!"

ფლერი მიბრუნდა, ხელი დაუქნია, მხარზემოდან გამოსძახა "მშვიდობით, მისტერ მ. მ." და ვარდის ბუჩქებში შევიდა. იქ ჯერ საათიან სამაჯურზე დაიხედა, მერე სახლის ფანჯრებს ახედა. უცნაურია: სახლი უკაცრიელი ჩანდა. არადა, უკვე მეშვიდე საათი იყო! მტრედები თავიანთ ბუდეს უბრუნდებოდნენ, გადახრილი მზის სხივები კი სამტრედესა და მტრედების თეთრ ბუმბულს ეხებოდა და ხეების კენწეროებზე ტყდებოდა. ვერანდიდან ბილიარდის ბურთების ჭახანი ჩამოდიოდა, რაც ჯეკ კარდიგანის იქ ყოფნას ამხელდა. ფოთლებს ჩუმად აშრიალებდა ევკალიპტი - ეგზოტიკური სამხრეთელი ამ ძველინგლისურ ბაღში. ფლერი საფეხურებს აუყვა. უკვე შინ შესვლას აპირებდა, მაგრამ შეჩერდა და მარცხენა მხარეს მდებარე სასტუმრო ოთახიდან გამომავალ ხმებს მიაყურადა. დედა! და მუსიე პროფონი! ტრელაჟიდან, რომელიც ბილიარდის ოთახსა და ვერანდას შორის იყო, გამოდიოდა სიტყვები: "კარგი, ანეტ, არ ვიზამ!"

მამამ თუ იცის, რომ ეს ბატონი დედას სახელით მიმართავს? ფლერმა ერთხელ და სამუდამოდ დაიჭირა მამის მხარე, როგორც შვილები დგებიან ხოლმე ერთ ან მეორე მხარეზე ოჯახუ-

რი სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში, და ახლა შეყოყმანებული იდგა. დედამ თავისი ჩუმი, შემპარავი, ლითონისებრი ხმით წარმოთქვა: Demain((ფრანგ.) - ხვალ), რაზეც პროფონმა უპასუხა: "ჩინებულია". ფლერი მოიქუფრა. სიჩუმე მსუბუქმა ხმაურმა დაარღვია, შემდეგ გაისმა პროფონის ხმა: "წავალ, ცოტას გავისეირნებ".

ფლერი შუშის კარით შევარდა ბუდუარში. პროფონი სასტუმრო ოთახში გამოვიდა და ბაღში ჩავიდა. გაისმა ისევ ბილიარდის ბურთების ჭახაჭუხი, რომელიც მანამდე თითქოს საგანგებოდ შეწყდა, რათა ფლერს სხვა ბგერებიც გაეგონა. გოგონა ცოცხლად გავიდა ჰოლში, იქიდან - სასტუმრო ოთახში. დედამისი ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა დივანზე ფანჯრებს შორის, თავი ბალიშზე მიედო, ტუჩები ნახევრად ღია ჰქონდა, ქუთუთოები - ჩამოშვებული. ძალიან ლამაზი იყო.

- აჰ, შენ ხარ, ფლერ! მამა უკვე ნერვიულობდა.

- სად არის?

- თავის გალერეაში. ადი მასთან.

- ხვალ რა გეგმა გაქვს, დედა?

- ხვაალ? ლონდონში მივდივარ მამიდა უინიფრიდთან ერთად.

- ასეც ვიფიქრე. ერთ სრულებით უბრალო ქოლგას ხომ ვერ მიყიდდი?

- რა ფერის?

- მწვანეს. სტუმრები, იმედია, ყველანი წავიდნენ?

- ჰო, ყველა. შენ მამასთან დარჩები, რომ არ მოიწყინოს. მოდი, მაკოცე.

ფლერმა მთელი ოთახი გადაიარა, დაიხარა, შუბლზე კოცნა მიიღო და გავიდა. თან, გზადაგზა, დივნის მეორე კუთხეში დაწყობილ ბალიშებზე სხეულის კვალიც შენიშნა. მერე სირბილით აუყვა კიბეს.

ფლერი სულაც არ გახლდათ ძველი ჩამოსხმის ქალიშვილი, რომელიც ითხოვს, რომ მშობლებიც მისთვის დადგენილ ნორმებს უნდა ემორჩილებოდნენ. ის საკუთარი ცხოვრების მართვის უფლებას მოითხოვდა და არა სხვების. ამასთანავე, ფლერში უკვე ამოქმედდა უტყუარად ამომცნობი ალღო ყოველივესადმი, რასაც შეიძლებოდა მისთვის სარგებლობა მოეტანა. სახლის აფორიაქებულ ატმოსფეროში მოგების მეტი შანსი ეძლეოდა იმ გულს, რომელიც მთავარ ფსონს ჯონზე ჩავიდა. მიუხედავად ამისა, ფლერი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, როგორც ქარი შეურაცხყოფს ხოლმე ყვავილს. თუ ეს ადამიანი ნამდვილად კოცნიდა დედამისს, მაშინ ეს... ეს სერიოზული ამბავია და მამა საქმის კურსში უნდა იყოს. Demain, ჩინებულია! დედა ხვალ ქალაქში მიდის! ფლერი საძინებელში შევიდა და ფანჯარაში გადაეყუდა უცნაურად შეხურებული სახის გასაგრილებლად. ამწუთას ჯონი ალბათ სადგურს უახლოვდება. რა იცის მამამ ჯონის შესახებ? შესაძლოა, ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი.

სამოსი გამოიცვალა, რათა ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს უკვე დიდი ხანია შინ იყო, და ზემოთ, გალერეისკენ გაეშურა.

სომსი ისევ ჯიუტად იდგა ალფრედ სტივენსის ტილოს, მისი უსაყვარლესი სურათის წინ. არ შემობრუნებულა, როდესაც კარი გაიღო, თუმცა ფლერი მიხვდა, რომ მამამ გაიგონა და რომ ის

ნაწყენია. ჩუმად მიუახლოვდა უკნიდან, ხელები ყელზე შემოხვია, თავი უკან გადმოუწია და ლოყა ლოყაზე მიადო. ასეთი შესავალი ყოველთვის წარმატებულად მთავრდებოდა, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და ფლერიც ყველაზე უარესისთვის მოემზადა.

- მობრძანდი, როგორც იქნა, - თქვა მამამ გაქვავებული ხმით.

- სულ ესაა, რასაც ქალიშვილი მოისმენს გაგულისებული მამისგან? - ჩუმად წარმოთქვა ფლერმა და ლოყა ლოყაზე გაუხახუნა.

სომსმა თავის გაქნევა სცადა.

- რატომ მაიძულე ასე მეღელვა, როცა რამდენჯერმე გადადე ჩამოსვლა?

- ჩემო ძვირფასო, ეს ხომ სრულებით უწყინარი რამ იყო.

- უწყინარი! ძალიან იცი, რა არის უწყინარი და რა - არა.

ფლერს მკლავები ძირს ჩამოუცურდა.

- კარგი, ძვირფასო. ასეთ შემთხვევაში, იქნებ ყველაფერი ისე ამიხსნა, როგორც არის. გულახდილად და პირდაპირ, - ამ სიტყვებზე ფლერი გავიდა და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

მამამისი სურათს მოშორდა და დაჟინებით ჩააცქერდა თავისი ფეხსაცმლების ჭვინტებს. თითქოს მთლიანად განაცრისფრდა. "მამას მოხდენილი პატარა ფეხები აქვს", გაიფიქრა ფლერმა, თან მისკენ უჩუმრად ნასროლი მზერა მოიხელთა.

- შენ ჩემი ერთადერთი ნუგეში ხარ და ასე იქცევი, - თქვა უეცრად სომსმა.

ფლერს გული აუბაგუნდა:

- როგორ, ძვირფასო?

სომსმა ისევ სწრაფად გამოხედა, თუმცა ამ მზერაში სინაზეც გამოსჭვიოდა.

- გესმის, რას ვგულისხმობ, - თქვა მამამ, - არ მსურს, რაიმე საერთო მქონდეს ჩვენი ოჯახის იმ შტოსთან.

- ჰო, ძვირფასო, მაგრამ არ მესმის, მეც რატომ არ უნდა მქონდეს.

სომსი ქუსლებზე შემოტრიალდა:

- მიზეზების ახსნას არ ვაპირებ. ისეც უნდა გჯეროდეს ჩემი, ფლერ.

ტონმა, რომლითაც ეს სიტყვები წარმოითქვა, ფლერზე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ჯონზე ფიქრობდა და დუმდა, თან ქუსლს მუხისპანელიან კედელს უკაკუნებდა. უნებლიეთ მოდური პოზა მიიღო: გადახლართული ფეხები, მოხრილ ხელის მტევანზე დაყრდნობილი ნიკაპი, მეორე ხელით აკრული მკერდი და ქვემოდან დაჭერილი პირველი ხელის იდაყვი. მთელ მის სხეულში არ იყო ერთი ამოუტრიალებელი ხაზიც კი, თუმცა მთლიანობა მაინც თავისებურ გრაციას ინარჩუნებდა.

- შენთვის ცნობილი იყო ჩემი სურვილები, - განაგრძობდა სომსი, - მიუხედავად ამისა, შენ კიდევ ოთხ დღეს დარჩი იქ. და იმ ბიჭმაც, რამდენადაც მესმის, დღეს გამოგაცილა.

ფლერი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა.

- არაფერს გეკითხები, - თქვა სომსმა, - არ ვიჩხრიკები შენს ამბებში.

ფლერი წამოდგა და ფანჯარაში გადაიხარა, თან ხელები ამოიდო ნიკაპქვეშ. მზე ხეებს უკან ჩაგორდა. მტრედები ჩამომ-

სხდარიყვნენ სამტრედის კარნიზზე. ბილიარდის ბურთების რა-ხუნი მაღლა იტყორცნებოდა ჰაერში, ქვედა სართულის ფან-ჯრიდან კი ბალახზე სინათლის სუსტი სხივები ეცემოდა. ჯეკ კარდიგანმა სინათლე აანთო.

- დაგამშვიდებს, თუ შეგპირდები, რომ არ შევხვდები მას, ვთქვათ, უახლოესი ექვსი კვირის განმავლობაში?

ფლერი მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ უცნაური თრთოლის-თვის, მამამისის ცარიელ და თანაბარ ხმაში რომ იგრძნობოდა.

- ექვსი კვირის? ექვსი წლის, სამოცი წლის! ნუ ტყუვდები, ფლერ, ამაოდ ნუ ტყუვდები!

გოგონამ განგაშით იბრუნა პირი.

- რა არის ეს, მამა?!

სომსი ისე მიუახლოვდა, რომ უკვე ქალიშვილის სახეც დაინახა.

- თქვი, ეს ხომ ახირებაა, - ჩაილაპარაკა მან, - შენ ხომ ისეთი ტუტუცი არ ხარ, რომ მის მიმართ რაღაც გრძნობები გქონდეს? ეს მეტისმეტი იქნებოდა.

სომსმა გაიცინა.

ფლერს არასოდეს სმენია მამის ასეთი სიცილი. "ესე იგი, მი-ზეზი ძალიან სერიოზულია, - გაიფიქრა, - რა უნდა იყოს ასეთი?" ხელი მსუბუქად ჩასჭიდა მამას და პირდაპირ უთხრა:

- ჰო, რა თქმა უნდა, ახირებაა. ეგაა, მე ჩემი ახირებები მიყ-ვარს და არა შენი, ძვირფასო.

- ჩემი! - მწარედ ამოთქვა სომსმა და მიტრიალდა.

ფანჯრის გადაღმა სინათლე თანდათან ცივდებოდა და მდი-ნარეზე ცარცივით მოთეთრო ათინათებს აფენდა. სოფელს

მხიარული ფერები გაუქრა. ფლერს უეცრად მშიერივით მოენატრა ჯონის სახე, ხელები, ტუჩები, მოენატრა მისი ტუჩების კვლავ შეხება თავის ტუჩებზე! ხელები მაგრად მიიჭირა მკერდთან და ყელიდან მსუბუქი სიცილი ამოუშვა:

- ო-ლა-ლა! პატარა უსიამოვნება, როგორც იტყოდა პროფონი. არ მიყვარს ეგ კაცი, მამა.

სომსი შეჩერდა და ჯიბიდან რაღაც ამოიღო.

- არ გიყვარს? რატომ?

- ისე, უბრალოდ: ახირებაა!

- არა, ახირება არ არის, - არ დაეთანხმა სომსი და შუაზე გადახია ის, რაც ხელში ეჭირა, - მართალი ხარ: არც მე მიყვარს!

- შეხედე! - ჩუმად თქვა ფლერმა, - აგერ, მოდის! ვერ ვიტანი მაგის ფეხსაცმელს: დაბიჯებისას ხმას არ გამოსცემს.

საღამოს სინათლეში პროსპერ პროფონის ფიგურა მოძრაობდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ჩუმად უსტვენდა. მერე შეჩერდა და ცას ახედა, თითქოს ამბობდა: "ამ პატარა მთვარეზე მაღალი აზრის არ ვარ".

ფლერი ფანჯარას მოსცილდა.

- მსუქან კატას ჰგავს, არა? - თქვა ჩურჩულით.

ქვემოთ ბილიარდის ბურთები მკვეთრად შეეხალა ერთმანეთს, თითქოსდა კატას, მთვარეს, ახირებებსა და ყველა ტრაგედიას ჯეკ კარდიგანი აღემატა თავისი შეძახილით: "წითლიდან - ლუზში!"

მუსიე პროფონმა გზა განაგრძო. თავისთვის ღიღინებდა დამცინავ მოტივს. ეს საიდან? აჰ, ჰო, ეს ხომ "რიგოლეტოა",

Donna e mobile((იტალ.) - "ლამაზი ქალის გული ღალატს მიელ-ტვის"). სხვა რა უნდა ემღერა? ფლერმა მამას იდაყვზე მოუჭირა:

- დაძრწის! - ჩაიჩურჩულა, როცა პროფონი სახლის კუთხეს მოეფარა.

დღისა და ღამის გამყოფი დაღვრემილი ჟამი დასრულდა. დადგა საღამო - ჩუმი, ნელი და თბილი. კუნელისა და იასამნის სურნელი სუფთა ჰაერს ელაციცებოდა მდინარის თავზე. უცებ შაშვი ამღერდა. ჯონი უკვე ლონდონშია, ჰაიდპარკში მიაბი-ჯებს, ხიდზე გადადის სერპანტაინის გავლით და ფლერზე ფიქ-რობს! ზურგს უკან გახმიანებულმა მსუბუქმა შრიალმა შემოაბ-რუნა: მამა ისევ ქაღალდს ხევდა. ფლერმა შენიშნა: ეს ჩეკი იყო.

- არ მივყიდი ჩემს გოგენს, - თქვა ამ დროს, - არ მესმის, რას ხედავენ ამ სურათში მამიდაშენი და იმოჯინი.

- ან დედა.

- დედა? - გაიმეორა სომსმა.

"საბრალო მამა! - გაიფიქრა ფლერმა, - ის არასოდეს ჩანს ბედნიერი, ნამდვილად ბედნიერი. არ მინდოდა, მეც დამემატე-ბინა ტკივილი, მაგრამ, რასაკვირველია, მომიწევს, როდესაც ჯონი დაბრუნდება. კარგი, სადღეისოდ კმარა!"

- წავალ, გამოვიცვლი, - თქვა ხმამაღლა.

საძინებელში მარტო დარჩენილს მოაფიქრდა ჩაეცვა თავისი სამეჯლისო კოსტიუმი, რომელიც შეკერილი იყო ოქროსფერი ფარჩისგან. ოქროსფერი შარვალი მაგრად ეჭირებოდა კოჭებზე, მხრებზე პაჟის მოსასხამი ეკიდა, ფეხზე ოქროსფერი ქოში ეცვა, თავზე ოქროსფრთებიანი ჩაჩქანი ეხურა, ეს ყველაფერი კი, გან-საკუთრებით - ჩაჩქანი, ერთიანად დაწინწკვლოდა ოქროსფერი

ზანზალაკებით, რის გამოც თავის ყოველ მოტრიალებას თან ახლდა მსუბუქი გაწკრიალება. სევდა შემოაწვა, რომ ამწუთას ჯონი ვერ დაინახავდა. ისიც კი საწყენი ეჩვენა, რომ არ უყურებს თუნდაც ის მხიარული ახალგაზრდა, მაიკლ მონტი. მაგრამ გაიჟღერა გონგმა და ფლერიც ქვემოთ დაეშვა.

სასტუმრო ოთახში სრული სენსაცია მოახდინა. უინიფრიდმა მისი სამოსელი "უკიდურესად სახალისოდ" მონათლა, იმოჯინი აღტაცებული იყო, ჯეკ კარდიგანმა კოსტიუმს "ბრწყინვალე, მომხიბლავი, გადასარევი და გონისდამბნედი" უწოდა, მუსიე პროფონს თვალები უღიმოდა, როცა ამბობდა "აი, დიდებული პატარა კაბუნა!", დედამ კი, ძალიან ლამაზმა თავის შავ მაქმანებში, ფლერს შეხედა და არაფერი თქვა. მამასღა დარჩა საღი აზრის შემომტანის როლი:

- რატომ ჩაიცვი? შენ ხომ საცეკვაო დარბაზში არ ხარ?

ფლერი ქუსლებზე შეტრიალდა და ზანზალაკებმაც გაიწკრიალეს.

- ახირებაა!

სომსმა ყურადღებით შეათვალიერა, მიბრუნდა და ხელი გაუწოდა თავის დას. ჯეკ კარდიგანმა ანეტი წაიყვანა, პროსპერ პროფონმა - იმოჯინი. ფლერი თავის თავს დასჯერდა.

"პატარა მთვარე" მალე ჩავიდა. დაეშვა მაისის რბილი და თბილი ღამე და ვაზის ყვავილობის ფერებითა და სურნელით მილიონობით მამაკაცისა და ქალის ახირებებს, ინტრიგებს, ვნებებს, სურვილსა და სინანულს შემოეხვია. ბედნიერი იყო ჯეკ კარდიგანი, ტილივით სიცოცხლისუნარიანი, ხანგამოშვებით რომ წაიხვრინებდა იმოჯინის თეთრ მხართან. ბედნიერი იყო ტი-

მოთიც თავის მავზოლეუმში, მეტისმეტად მოხუცი ამქვეყნად ყველაფრისთვის, ბავშვური ძილის გარდა. ბევრზე ბევრი კი თვალმოუხუჭავად იწვა ან სიზმრებს ნახულობდა და ეს ქვეყანაც სიზმარშივე ატრიზავებდა წინააღმდეგობებითა და არეულობებით.

მიწას ცვარი ჩამოეფინა და ყვავილებმა ფურცლები დახურეს. მდელოზე ძროხები დაბალახობდნენ, ენით პოულობდნენ უხილავ ბალახს, ცხვრები კი ლოდებივით უძრავად მიწოლილიყვნენ ცარცის ბორცვებზე. ხოხბებს - ბენგბორნის ტყეების მაღალ ხეებზე, ტოროლებს - ბალახის ბუდეებში მიტოვებულ სამტეხლოებს ზემოთ, უონსდონში, მერცხლებს - სახლის კარნიზებქვეშ რობინჰილში და ლონდონის ბეღურებს - ყველას მშვიდად ეძინა ამ ალერსიან უქარობაში და არც ერთს არაფერი ესიზმრებოდა. მეიფლაის კვიცი ალბათ ჯერ კიდევ არ გაშინაურებოდა ახალ საბინადროს და სხეულს ნამჯაზე იფხანდა. კანტიკუნტად მოფარფატე ღამის მონადირეები - ღამურები, ბუები, ღამის პეპლები - ძალუმი ფრენით სერავდნენ ღამის თბილ წყვდიადს. დღის ბუნების მთელი ტვინი - უფერული და უხმაურო - ღამის სიმშვიდეში დანთქმულიყო. მხოლოდ ადამიანები კაზმავდნენ სიყვარულისა თუ მღელვარების საკვირველ ცხენებს და, მარტოობის ამ საათებში, ოცნებისა და აზრის მოცახცახე ცეცხლებს ანთებდნენ.

ფანჯრის რაფაზე გადახრილი ფლერი ჰოლში ყრუდ და თორმეტჯერ ჩამორეკილ საათს აყურადებდა. ესმოდა თევზის მსუბუქი შეფართხალება წყალში, ვერხვის ფოთლების უეცარი წამოშრიალება მდინარის მხრიდან წამობერილ ნიავზე, ღამის მა-

ტარებლის შორეული დაგადუგი, დროდადრო კი ისეთი ბგერები, რომლებსაც სიბნელეში სახელს ვერ დაარქმევ, რბილი და ბნელი ბგერები ადამიანისა და ცხოველის, ფრინველისა და მანქანის ან, ეგებ, გარდაცვლილი ფორსაიტების, დარტების თუ კარდიგანების, რომლებმაც ღამის გასეირნება გადაწყვიტეს ამ სამყაროში - ოდესღაც მათი სხეულშემოსილი სულების ადგილსამყოფელში.

თუმცა ფლერი ამ ხმებს არ აყურადებდა. მისი სული, რომელიც სულაც არ ესწრაფოდა სხეულთან დამშვიდობებას, სწრაფი ფრთებით მიფრინავდა მატარებლის ვაგონიდან კუნელის ფოთლებისკენ, ჯონს დაჰყვებოდა, მის აკრძალულ სახეს, მის ხმას - უკვე ტაბუდადებულს ფლერისთვის. გოგონამ ნესტოები დაბერა და სცადა, შუაღამის მდინარისეული სურნელებიდან აეღორძინებინა წამი, როდესაც ჯონის ხელი კუნელის ყვავილსა და მის ლოყას შორის შესრიალდა. დიდხანს იჯდა ფლერი ფანჯარასთან სამეჯლისო სამოსში და უკანმოუხედავად მზად იყო, ფრთები ცხოვრების სანთელში ჩასწვოდა. ეს მაშინ, როდესაც მისი ღამის ლამპისკენ მსწრაფველი ფარვანები ფრთით ეხებოდნენ ლოყაზე და არ იცოდნენ, რომ ფორსაიტების სახლში ცეცხლი არასოდეს ანთია ღიად.

ბოლოს, თვით ფლერსაც მოერია ძილი, სულ დაავიწყდა თავისი ზანზალაკები და მკვირცხლად ჩამოხტა რაფიდან.

თავისთან, ანეტის საძინებლის მომიჯნავე ოთახში, რომელსაც ფანჯარა ღია ჰქონდა, ფლერივით ჯერაც არდაწოლილ სომსს მსუბუქი წკრიალი ჩაესმა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჩამოცვენილი ვარსკვლავების ან ყვავილიდან ჩამოვარდნილი

ცვრის ხმა, თუ ეს ბგერები ყურისთვის გასაგონად გაიჟღერებ-და.

"ახირება! - გაიფიქრა სომსმა, - ვერა, ვერ მოვუყვები. ფლერი თავნებაა. რა უნდა ვქნა? ფლერ!"

შუაღამეს დიდი ხნის გადაცილებული იყო, სომსი კი იწვა და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

დედა და ვაჟიშვილი

იმის თქმა, რომ ჯონ ფორსაიტი დედამისს უხალისოდ გაჰყვა ესპანეთში, მთლად მართებული არ იქნება. ისე მიდიოდა, როგორც სასეირნოდ გაყვანილი ზნეკეთილი ძაღლი წავიდოდა თავის პატრონთან ერთად, გზის პირას კი კარგა ხნის ნალოლიავებ ცხვრის ძვალს დატოვებდა. მიდიოდა და უკან-უკან იყურებოდა ამ ძვლის კიდევ და კიდევ შესახედად. ფორსაიტები, თუკი ძვალს წაართმევ, როგორც წესი, იბუტებიან. მაგრამ ასეთი რამ ჯონს არ ახასიათებდა. ის დედას აღმერთებდა და, სხვა რომ არაფერი, თავის პირველ მოგზაურობაში იმყოფებოდა. იტალია სავსებით იოლად შეცვალა ესპანეთმა. ჯონმა სულ ეს თქვა: "უმჯობესია, ესპანეთში წავიდეთ, დედა. იტალიაში შენ ბევრჯერ ყოფილხარ. მინდა, ორივემ რაღაც ახალი ვნახოთ".

ჯონში ეშმაკობა გულუბრყვილობას უთავსდებოდა. ერთი წუთითაც არ დავიწყებია, რომ ორი თვე ექვს კვირაზე უნდა დაეყვანა, და სწორედ ამიტომ არ უნდა შესტყობოდა, რომ ეს უნდოდა. იმის კვალობაზე, ვინც გზაზე ნუგბარი ძვალი დატოვა და ვინც შეპყრობილია აკვიატებული აზრით, ნამდვილად არცთუ ცუდი თანამგზავრი აღმოჩნდა. არასდროს კამათობდა იმაზე,

სად და როდის წასულიყვნენ, სრულებით გულგრილი იყო საკვების მიმართ და საკადრის მისაგებელს მიაგებდა ქვეყანას, ესოდენ უცხოს მოგზაურ ინგლისელთა უმრავლესობისთვის. ფლერმა დიდი სიბრძნე გამოიჩინა, როცა უარი თქვა მისთვის წერილების წერაზე. ყოველ ახალ ადგილზე ჯონი მხურვალებისა და იმედის გარეშე ჩადიოდა და შეეძლო ყურადღებით მოესმინა ზარების გადაძახილი ზარებთან, ეთვალიერებინა ვირები, მღვდლები, მათხოვრები, ბავშვები, მყივანი მამლები, სომბრეროები, კაქტუსის ცოცხალი მესრები, მთის ძველი, თეთრი სოფლები, თხები და ზეთისხილის ხეები, ამწვანებული ველები, პაწია გალიებში მომღერალი ჩიტები, წყლის გამყიდველები, დაისები, გოგრები, კამეჩები, დიდი ეკლესიები, ფერწერის ქმნილებები და ამ მომხიბლავი მხარის სივრცეში აცურებული ნაცრისფერ-ყავისფერი მთები.

ზაფხულის სიცხემ დააჭირა და დედა-შვილიც თანამემამულეთა არყოფნით ტკბებოდნენ. ჯონი, ვის ძარღვებშიც, რამდენადაც ცნობილი იყო, არც ერთი წვეთი არ ერია არაინგლისური, ხშირად გრძნობდა თავს უბედურად თანამემამულეთა წრეში. ისინი საქმიან, გონიერ ხალხად ეჩვენებოდა, მასზე უფრო პრაქტიკულად რომ უდგებოდნენ ცხოვრებას. გამოუტყდა კიდევაც დედას, თავს უკიდურესად არასაზოგადოებრივ ცხოველად შევიგრძნობ და ფრიად სასიამოვნოა გარიდება ყველასგან, ვინც ლაპარაკობს იმაზე, რაზეც ზოგადად, მიღებულია ლაპარაკი ადამიანებშიო. აირენმა უბრალოდ უპასუხა:

- ჰო, ჯონ, მე მესმის შენი.

მარტოობამ შეუდარებელი შანსი მისცა იმის შესაფასებლად, რაც ვაჟიშვილებს იშვიათად ესმით: დედობრივი სიყვარულის სისავსის. იმის შეგნება, რომ რაღაც უნდა დაემალა დედისთვის, ჯონს უდავოდ გადაჭარბებულად მგრძნობიარეს ხდიდა, ხოლო სამხრეთელების გაცნობამ კიდევ უფრო გაუზარდა აღფრთოვანება დედას სილამაზით, რომელსაც ინგლისში მუდამ "ესპანურს" უწოდებდნენ. ახლა ჯონი მიხვდა, რომ ასე არ იყო: დედამისის მშვენიერება არც ინგლისურია, არც ესპანური, არც ფრანგული და არც იტალიური, არამედ თავისთავადი და განსაკუთრებული! ასევე, როგორც ცხოვრებაში პირველად შეაფასა დედამისის სისათუთე და მგრძნობიარობა. მაგალითად, ჯონი ვერ იტყოდა, შენიშნა თუ არა დედამ მისი გატაცება გოიას "რთველით" და იცოდა თუ არა, რომ ნასაუზმევს ჯონი უჩუმრად დაბრუნდა ფრესკასთან, დაბრუნდა მეორე დილითაც, რათა მთელ ნახევარ საათს მდგარიყო იქ მეორედაც და მესამედაც. ეს, რა თქმა უნდა, ფლერი არ იყო, მაგრამ გოიას ყურძნის მკრეფავი გოგონა რაღაცით ჰგავდა ფლერს, რათა ბიჭს გული ტკივილით გაჰკვესოდა, შეყვარებულთათვის ესოდენ საამური ტკივილით, და გაეხსენებინა ხილვა, მისი საწოლის ფეხთან რომ იდგა თავზემოთ შემართული ხელით. ამ ფრესკის რეპროდუქციიანი ღია ბარათის ტარება ჯიბით, მუდმივად ამოღება და დატკბობა მისით, ჯონს ერთ-ერთ იმ ცუდ ჩვევად ექცა, რომელსაც ადრე თუ გვიან მაინც წაასწრებს სიყვარულით, შიშით თუ ეჭვით გამძაფრებული დამკვირვებლის თვალი. დედამისის დაკვირვებულობა კი ერთსაც ამძაფრებდა, მეორესაც და მესამესაც. გრენადაში ზედ თავზე წაადგნენ. ჯონი მზისგან გავარვარებულ ქვის სკამ-

ზე იჯდა ალგამბრის მიწაყრილზე, საიდანაც, წესით და რიგით, ლანდშაფტით უნდა დამტკბარიყო. ეგონა, დედა გაკრეჭილ აკაციებს შორის ჩალაგებულმა ლევკოიას ქოთნებმა გაიტაცა, რომ უეცრად მისი ხმა გაიგონა:

- შენს საყვარელ გოიას უყურებ, ჯონ?

მან გარკვეული დაგვიანებით გააკეთა მოძრაობა, შპარგალკაზე წასწრებული მოწაფე რომ აკეთებს ხოლმე, და უპასუხა:

- ჰო.

- ნამდვილად მომხიბლავი რამეა. თუმცა მე სხვას ვამჯობინებ: "ქალი ქოლგით". მამაშენი ალბათ გააფრენდა გოიაზე. არა მგონია, 92-ში ენახოს, როცა ესპანეთში იმოგზაურა.

1892-ში, ჯონის დაბადებამდე ცხრა წლით ადრე! როგორი ცხოვრება ჰქონდათ დედას და მამას მანამდე? თუკი მათ უფლება აქვთ აინტერესებდეთ ჯონის მომავალი, მაშინ ჯონსაც აქვს მათი წარსულით დაინტერესების უფლება. მან თავი ასწია და დედას შეხედა. მაგრამ იყო რაღაც მის სახეში, - ძნელად გავლილი ცხოვრების კვალი, მღელვარების, გამოცდილების, დიდი ტანჯვისა და ძვირად მოპოვებული სიმშვიდის იდუმალი ბეჭედი, - რაც ჯონის ცნობისწადილს კადნიერებად აქცევდა. როგორც ჩანს, დედას საოცრად საინტერესო ცხოვრება გამოუვლია. ასეთი მშვენიერია და ასეთი... ასეთი... ჯონი ვერ გამოთქვამდა, რას გრძნობდა დედამისში. წამოდგა და დააჩერდა ქვემოთ გადაშლილ ქალაქს, მწვანეულობით დაფარულ ვაკეს, დაისის მზით აელვარებულ მთების მწკრივს. დედამისის ცხოვრება ამ ძველი მავრული ქალაქის წარსულს ჰგავდა, დიდი შინაარსით დატვირთულს, ღრმას, შორეულს. დედის ცხოვრების წინაშე ჯონის

ცხოვრება ჰგავს ჩვილს, უიმედო უმანკოებას და უმეცრებას! ამ-ბობენ, დასავლეთის იმ მთებში, პირდაპირ ლურჯ-მწვანე დაბ-ლობიდან რომ აზიდულან, ოდესღაც ცხოვრობდნენ ფინიკიელე-ბი - ბნელი, უცნაური, იდუმალი ხალხი, მაღლა-მაღლა მიწის ზე-მოთ! დედას ცხოვრებაც ჯონისთვის ისეთივე იყო, როგორც ფი-ნიკიური წარსული ველზე გაშლილი ამ ქალაქისთვის, სადაც მამ-ლები ყიოდნენ და რომლის ქუჩებში დღიდან დღემდე მხიარუ-ლად ჭყიოდნენ ბავშვები. საწყენია, რომ დედამ ჯონზე ყველა-ფერი იცოდა, ჯონმა დედაზე კი - არაფერი, გარდა იმისა, რომ მას უყვარს თავისი ვაჟიშვილი და ამ ვაჟის მამა და რომ ის უმ-შვენიერესი ქალია. ბავშვური უმეცრება (ჯონი ომშიც კი არ ყო-ფილა, ანუ თვით ამ საყოველთაო უპირატესობაზეც უარი ეთ-ქვა!) მას საკუთარ თვალშივე ამცირებდა.

იმ ღამეს თავისი საძინებლის აივნიდან დაჰყურებდა ქალა-ქის სახურავებს, - თითქოსდა ქარვის, სპილოს ძვლისა და ოქროს ფიჭებს, - მერე კი დიდხანს იწვა თვალგახელილი, უსმენდა გუ-შაგთა გადაძახილს საათის ჩამოკვრის შემდეგ და თავში ეს სტრიქონები ულაგდებოდა:

"ხმა ისმის ღამეში, ქვემოთ, ძველ და
მძინარე ესპანურ ქალაქში,
თეთრი ვარსკვლავების ქვეშ რომ ჩაბნელებულა!
რას ამბობს ეს ხმა, მისი ნათელი, გაგრძელებული ტკივილი?
მხოლოდ დარაჯი წარმოთქვამს უსაფრთხოების
უხსოვარ ამბავს?
მხოლოდ ყარიბი ესვრის მთვარეს თავის სიმღერას?
არა! ეს ისაა, ვისაც წაართვეს, ვისი მეტრფე

გულიც ქვითინებს,

ქვითინებს მხოლოდ ამას: "რამდენ ხანს?"

სიტყვა "წაართვეს" ცივად და არადამაკმაყოფილებლად მოეჩვენა, არც სხვა ამდენივემარცვლიანი სიტყვა მოიფიქრა ისეთი, რომელიც შეინარჩუნებდა დანარჩენს: "ვისი მეტრფე გულიც ქვითინებს". როცა დაამთავრა, უკვე ღამის სამი საათი იყო დაწყებული, ხოლო როდესაც დასაძინებლად დაწვა, უკვე მეოთხე საათი მიდიოდა და ამ მომენტისთვის, სულ ცოტა, ოცდაოთხჯერ მაინც ჰქონდა ჩაჩურჩულებული ეს სტრიქონები. მეორე დღეს ფურცელზე გადმოიტანა და ჩადო ფლერისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელთა სახელდახელოდ დაწერა ჯონს თავის მოვალეობად მიაჩნდა, სანამ დასანაყრებლად ქვემოთ ჩავიდოდა. ეს მას გულს უხსნიდა და უფრო კომუნიკაბელურს ხდიდა.

იმავე დღეს, შუადღისას, სასტუმროს ტერასაზე მჯდარმა ჯონმა უეცრად მოულოდნელი ტკივილი იგრძნო კეფაში, რასაც თან ახლდა უცნაური განცდა თვალებში და გულისრევის შეგრძნება. მზემ მეტისმეტად მცხუნვარედ მიუალერსა. მომდევნო სამი დღე გაატარა ბინდბუნდში, ჩლუნგ, ავადმყოფურ განურჩევლობაში ყოველივეს მიმართ, თავზე დადებული ყინულისა და დედის ღიმილის გარდა. დედა მისი ოთახიდან არ გადიოდა და წუთითაც არ ადუნებდა თავის უსიტყვო სიფხიზლეს, რომელიც ჯონს ანგელოზურად ესახებოდა. თუმცა იყო წუთები, როცა ჯონს აუტანლად ებრალებოდა თავისი თავი და ძალიან უნდოდა, რომ ფლერს მისი მონახულება შესძლებოდა. რამდენჯერმე მხურვალედ დაემშვიდობა მას და მთელ დედამიწას და ცრემლე-

ბიც მოადგა თვალებზე. ისიც კი მოიფიქრა, რა შეტყობინებას გაუგზავნის ფლერს დედამისის ხელით, დედამისის, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინანებს, რომ მათი დაშორება უნდოდა. საბრალო დედა! თუმცა ჯონმა ისიც გაიაზრა, რომ ამჯერად კანონიერი საბაბი ჰქონდა დაუყოვნებლივ შინ დასაბრუნებლად.

ყოველ საღამოს, შვიდის ნახევარზე, იწყებოდა "გასგაჩა": მრეკავი ზარების კასკადი, რომელიც ქალაქიდან ცისკენ იტყორცნებოდა, უკანვე ბრუნდებოდა და ზარიდან ზარში გადადიოდა. ავადმყოფობის მეოთხე დღეს, "გასგაჩას" მოსმენის შემდეგ, ჯონმა მოულოდნელად თქვა:

- ინგლისში დაბრუნება მსურს, დედა, აქ მზე ძალიან აჭერს.

- კარგი, ძვირფასო. წავალთ, როგორც კი მგზავრობის ნებას დაგრთავენ.

ჯონი მაშინვე მოკეთდა, სული კი უფრო დაუმდაბლდა.

ხუთი კვირა იყო გასული ლონდონიდან გამომგზავრების შემდეგ, როდესაც დედა-შვილი ინგლისის გზას დაადგა. ჯონის აზრებს უწინდელი სიცხადე დაუბრუნდა, ეგაა, უნდა ეტარებინა ფართოფარფლებიანი ქუდი, რომელსაც დედამ ქვემოდან მწვანე და ნარინჯისფერი ჩითის რამდენიმე ფენა ამოაკრა. სიარულითაც, უპირატესად, ჩრდილის მხარეს დადიოდა. ახლა, როდესაც მათ შორის ფარულად მიმდინარე ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, ჯონი სულ უფრო და უფრო მღელვარედ ეკითხებოდა თავის თავს: ამჩნევს თუ არა დედა, როგორ მსურს დაბრუნება იმასთან, რასაც მან მომწყვიტაო. რაკი, მატარებლის მოლოდინში, იძულებულები იყვნენ მთელი დღე-ღამე მადრიდში

გაეტარებინათ, ბუნებრივია, კიდევ ერთხელ მოინახულეს პრადო. ამჯერად ჯონი ვითომდა სასხვათაშორისოდ შეჩერდა გოიას "ყურძნის მკრეფავ გოგონასთან". ახლა, როდესაც ფლერთან ბრუნდებოდა, შეეძლო არც ისე ყურადღებით ეცქირა მისთვის. დედა სურათთან შეყოვნდა და თქვა:

- გოგონას სახე და ფიგურა მომხიბლავია.

ჯონი შეაცბუნა ამ სიტყვებმა. ბოლოს და ბოლოს, მიხვდა დედა თუ ვერა? თუმცა ჯონი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ დიდად ჩამორჩება დედამისს თვითფლობასა და გულისხმიერებაში. რაღაც თავისი, ინტუიციური გზით, რომლის საიდუმლო ჯონისთვის მიუწვდომელი იყო, დედას შეეძლო გაეზომა მისი აზრების პულსი, ალღოთი ამოეცნო, რისი იმედი აქვს ჯონს, რისი ეშინია და რა სურს. და, რადგანაც თავისი ტოლსწორების უმრავლესობისგან განსხვავებით, ჯონს სინდისიც ჰქონდა, ამიტომაც ატარებდა სასტიკი უხერხულობისა და დანაშაულის შეგრძნებას. უნდოდა, დედა გულახდილი ყოფილიყო მასთან, თითქმის იმედოვნებდა კიდეც, ბრძოლა დაუფარავი იქნებაო. მაგრამ არც ბრძოლა იყო, არც გულახდილობა და ჯონიც ჯიუტი დუმილით მიემგზავრებოდა ჩრდილოეთისკენ. ასე გაიგო პირველად, კაცთან შედარებით რამდენად უფრო უკეთ ფლობს ქალი დალოდების სტრატეგიას. ერთი დღის გატარებამ პარიზშიც მოუწიათ. ჯონმა მთლად ყურები ჩამოყარა, რადგან ეს ერთი დღე ორ დღემდე გაიწელა მკერავთან დაკავშირებული რაღაც საქმეების გამო. ვითომც დედამისს, რომელსაც ყველანაირი კაბა ხატავდა, კიდევ მორთვა-მოკაზმვა სჭირდებოდა! უბედნიერესი წუთი

მთელ ამ მოგზაურობაში ჯონისთვის ის წუთი იყო, როდესაც გემში ავიდა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაპირზე.

გემის ბორტზე შვილთან ხელჩაკიდებულმა აირენმა თქვა:

- ვშიშობ, ჩვენმა მოგზაურობამ დიდად არ გასიამოვნა. თუმცა მე მაინც ძალიან კარგად მეპყრობოდი.

ჯონმა უჩუმრად მოუჭირა ხელი.

- არა, ძალიან კარგად ვიყავი. მხოლოდ სულ ბოლოს მიღალატა თავმა.

ახლა, როდესაც მოგზაურობა მთავრდებოდა, გარდასული კვირები ჯონისთვის გაუგებარი ხიბლით გაბრწყინდა. ჯონი ნამდვილად განიცდიდა იმ მტანჯველ სიამოვნებას, რომლის გადმოცემასაც ლექსებად შეეცადა იმ ღამეს. რაღაც ამდაგვარს განიცდიდა ბავშვობაში, როცა ხარბად უსმენდა შოპენს და ტირილი უნდებოდა. უკვირდა, ასევე იოლად რატომ ვერ ეუბნებოდა დედას: "შენ ძალიან კარგად მექცეოდი". განა უცნაური არ არის, რომ ასე ძნელია, იყო ალერსიანი და ბუნებრივი? ამის სანაცვლოდ თქვა:

- ალბათ შეგვაყანყალებს.

გემმა, მართლაცდა, შეაყანყალა და ლონდონში დასუსტებულები შევიდნენ ექვსი კვირისა და ორი დღის არყოფნის შემდეგ. მთელი ეს ხანი ერთხელაც არ უხსენებიათ ის, რაც თითქმის განუწყვეტლივ უტრიალებდათ თავში.

თავი მეორე

მამები და ქალიშვილები

ცოლ-შვილისგან ესპანური მოტივით მოწყვეტილი ჯოლიონი დარწმუნდა, რაოდენ აუტანელია მარტოობა რობინჰილში. ფილოსოფოსი, რომელსაც აქვს ყველაფერი, რაც სურს, არ ჰგავს მეორე ფილოსოფოსს, რომელსაც ბევრი რამ აკლია. მიუხედავად ამისა, შეგუებისთვის ან თუნდაც შეგუების იდეისთვის გაწვრთნილი ჯოლიონი მარტოობასაც შეეგუებოდა, რომ არა ჯუნი, რომელიც თავისი ინიციატივით ჩაერია ამ ამბავში. ჯოლიონმა თავი "უიღბლოდ" გამოაცხადა და, შესაბამისად, ჯუნის მზრუნველობის ქვეშ მოექცა. ქალმა სასწრაფოდ დაამთავრა ერთი ბედნავსი გრავიორის გადარჩენა, მის ხელში რომ აღმოჩნდა იმ-ხანად, და აირენისა და ჯონის გამგზავრებიდან ორი დღის შემ-დეგ რობინჰილში გამოჩნდა. პატარა ქალბატონი ახლა ჩიზუიკში ანუ დიდსახელოსნოიან პაწაწინა სახლში ცხოვრობდა. უკეთესი პერიოდის ფორსაიტების წარმომადგენელმა, როცა არავისთვის ანგარიშის ჩაბარება არ უწევდა, ჯუნმა მაინც იმგვარად მოახერ-ხა მისადაგება თავისი შემოსავლების შემცირებასთან, რომ ამით თვითონაც კმაყოფილი იყო და მამამისიც. რამდენადაც იჯარა კორკსტრიტის გალერეისთვის, რომელიც მამამ უყიდა, შეად-

გენდა იმავე თანხას, რამდენსაც მომატებული საშემოსავლო გადასახადი, საქმე სრულებით უბრალოდ გადაწყდა: ჯუნმა შეწყვიტა იჯარის მიცემა ჯოლიონისთვის. თვრამეტი წლის განმავლობაში გალერეას ხარჯის მეტი არაფერი მოჰქონდა, ახლა კი, სულ ცოტა, იმის იმედი მაინც გაჩნდა, რომ ის თავის თავს შეინახავდა და, ასეთ შემთხვევაში, მამამისისთვის, ჯუნის აზრით, არავითარი სხვაობა არ იქნებოდა. ამ ეშმაკობის წყალობით ჯუნმა შეინარჩუნა თავისი ათას ორასი გირვანქა წლიური შემოსავალი. ხოლო იმით, რომ შეამცირა სამზარეულოს ხარჯი და ორი გაღარიბებული ბელგიელი ქალი - მისი მოსამსახურე შტატი - შეცვალა კიდევ უფრო გაღატაკებული ერთი ავსტრიელით, ჯუნი, ფაქტობრივად, ისევ უწინდელ შესაძლებლობებს ფლობდა გენიოსთა თანადგომისთვის. რობინჰილში სამდღიანი სტუმრობის შემდეგ, მან მამა ქალაქში წაიყვანა. ამ სამ დღეში ჯუნმა ამოჩხრიკა საიდუმლო, რომელსაც ჯოლიონი ორი წლის განმავლობაში მალავდა, და მაშინვე გადაწყვიტა, მამა უნდა განვკურნოო. მართლაც, ამ მიზნისთვის ჯუნი იცნობდა ყველაზე შესაფერის ადამიანს: ის სასწაულად მოევლინა პოლ პოსტს - შესანიშნავ მხატვარს, რომელმაც წინ გადაასწრო ფუტურიზმს. ამიტომაც გაბრაზდა ჯუნი მამაზე, რომელმაც წარბები მაღლა აზიდა და თქვა, არც მაგ მხატვარზე მსმენია რამე, არც ექიმზეო. რა თქმა უნდა, "რწმენის" გარეშე მამა ვერასდროს განიკურნება! უგუნურებაა არ გჯეროდეს იმ კაცის, რომელმაც ისე მოარჩინა პოლ პოსტი, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ახლაღა დაავადდა განმეორებით მეტისმეტი შემოქმედებითი გარჯისგან ან, შესაძლოა, გადაჭარბებული სიამეებისგან. ამ მკურნალის დიდი სიახ-

ლე იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უკავშირდებოდა ბუნებას. საგანგებოდ სწავლობდა ჯანმრთელი ბუნების ნორმალურ სიმპტომებს და როდესაც პაციენტს არ აღმოაჩნდებოდა ბუნებრივი სიმპტომებიდან თუნდ ერთი მაინც, ექიმი მას სიმპტომის გამომწვევ შესაბამის შხამს აძლევდა და ავადმყოფიც იკურნებოდა! თავის ექიმზე ჯუნი უსაზღვრო იმედებს ამყარებდა. რობინჰილში მამა აშკარად არაბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, რის გამოც აუცილებელი იყო სიმპტომების გაღვიძება. ჯუნის განცდით, მან კავშირი დაკარგა თანამედროვეობასთან, ეს კი არაბუნებრივი იყო. მამის გული მასტიმულირებელ საშუალებებს ითხოვდა. ჩიზუიკის პატარა სახლში ჯუნი და მისი ავსტრიელი მოსამსახურე (მადლიერი სული, იმდენად ერთგული თავისი პატრონის, რომ ახლა უკვე მას ემუქრებოდა დაავადმყოფების საფრთხე) ყველანაირ სტიმულს აძლევდნენ ჯოლიონს მოსამზადებელი მკურნალობის რეჟიმში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი აზიდული წარბები ვერაფრით ეშვებოდნენ ქვემოთ. ხან ავსტრიელი მოსამსახურე აღვიძებდა უეცრად დილის რვა საათზე, როცა ჯოლიონი სულ ახალი ჩაძინებული იყო, ხან ჯუნი ართმევდა ხელიდან "ტაიმსს": არაბუნებრივია "ასეთი სისულელის" კითხვა და "ნამდვილი ცხოვრებით" უნდა დაინტერესდეო. ჯოლიონს მუდმივად აოცებდა ჯუნის გამომგონებლობა, განსაკუთრებით - საღამოობით. მამის კეთილდღეობისთვის (თუმცა ჯოლიონი ეჭვობდა, რომ მკურნალობის ასეთი მეთოდიდან მისი ქალიშვილი თავისთვისაც პოულობდა რაღაცას), ჯუნი თავისთან აგროვებდა მთელ მეოცე საუკუნეს, რომელიც გენიალობის სინათლეს ირეკლავდა. და ეს საუკუნე ჯოლიონის თვალწინ ჩაივლიდა

გალერეაში ფოქსტროტისა თუ კიდევ უფრო "უაზრო" ცეკვის - უანსტეპის სახით, რომლის რიტმი იმდენად არ შეესატყვისებოდა მუსიკას, რომ გაოგნებული ჯოლიონის წარბები თითქმის მის თმაში იკარგებოდა იმ გამოცდის წინაშე, რომელსაც ამ დროს გადიოდა მოცეკვავეთა ნებისყოფა. რაკი იცოდა, რომ აკვარელისტების საზოგადოებაში ყველაზე უკან იდგა მათ შორის, ვინც პრეტენზიას აცხადებდა მხატვრად ყოფნაზე, ამიტომაც ჯოლიონი ყველაზე ბნელ კუნჭულში მოიკალათებდა ხოლმე და იხსენებდა რიტმებს, რომლებზეც ოდესღაც აღიზარდა. და თუ ჯუნი მიუყვანდა მავან ქალიშვილს ან ჭაბუკს, ჯოლიონიც მორჩილად მაღლდებოდა მათ დონემდე (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) და ფიქრობდა: "ღმერთო ჩემო, ალბათ რა მოსაწყენი ეჩვენებათ!" მართალია, მამამისივით ატარებდა მუდმივ თანაგრძნობას ახალგაზრდობის მიმართ, მაგრამ მაინც დაღალა ჯუნის თვალსაზრისზე დგომამ. ისე კი, ეს ყველაფერი ჯოლიონს სტიმულს აძლევდა, ნიადაგ გაოცებულს თავისი ქალიშვილის დაუოკებელი ენერგიით. დროდადრო, ჯუნის შეკრებებზე გამოჩნდებოდა ხოლმე ზიზღისაგან ტუჩამრეზილი რომელიმე გენიოსი, რომელსაც ჯუნი ყოველთვის წარუდგენდა მამას. მისი აზრით, ეს განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჯოლიონისთვის, რადგან გენიალობა ბუნებრივი სიმპტომია, რომელიც მამას ყოველთვის აკლდა. თავის დიდ სიყვარულს მამისადმი ჯუნი ასეთ ფიქრებსაც უთავსებდა.

რამდენადაც ეს შესაძლებელი ჩანს კაცისთვის, ჯოლიონი დარწმუნებული იყო, რომ ჯუნი მისი ღვიძლი შვილია, და ხშირად უკვირდა, ასეთი მაინც საიდან გამოვიდაო. თავისებური ჭა-

ღარით შეჟანგებული წითელ-ოქროსფერი თმა; გახსნილი, ცოცხალი სახე, ესოდენ განსხვავებული მამის ფაქიზი და რთული ფიზიონომიისგან; პატარა, მსუბუქი ფიგურა (თვით ჯოლიონი ხომ, ფორსაიტების უმრავლესობასავით, მაღალი იყო). ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე, სადაური წარმოშობისაა ეს სახეობა: დანიურია თუ კელტურიო? ალბათ უფრო კელტური, თუ გაითვალისწინებდა ჯუნის მებრძოლ ხასიათს, მიდრეკილებას შუბლზე შემოკრული ლენტებისა და თავისუფალი კაბებისადმი. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯოლიონი ჯუნს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე მის ირგვლივ მოტრიალე "მეოცე საუკუნის ადამიანებს", თუნდაც, უპირატესად, ახალგაზრდებს. ამასობაში ჯუნმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მამის კბილებს, რადგან ამ ბუნებრივ სიმპტომს ის ჯერ კიდევ ფლობდა. მისმა დანტისტმა დაუყოვნებლივ აღმოუჩინა პირში "ოქროსფერი სტაფილოკოკები" (რამაც უდავოდ შეიძლება გამოიწვიოს ნახეთქების გაჩენა) და მოინდომა, ამოეცალა მისთვის აქამდე შემორჩენილი კბილები და შეეცვალა ისინი არაბუნებრივი სიმპტომის ორი სრული კომპლექტით. ჯოლიონის თანდაყოლილი სიჯიუტე ყალყზე შედგა და იმ საღამოს ჯუნის სახელოსნოში შეეცადა, თავის მხრივ, შესიტყვებოდა ამას: არასოდეს მქონია რაიმე ნახეთქი და, რამენაირად, სიცოცხლის ბოლომდე საკუთარ კბილებს ვიმყოფინებო. უდავოდ სიცოცხლის ბოლომდე გეყოფა, თუ არ მოიშორებო, დათანხმდა ჯუნი. მაგრამ თუ ახლებს ჩაისვამდა, მაშინ გული უფრო გაუმაგრდებოდა და სიცოცხლეც გაუხანგრძლივდებოდა. ეს სიჯიუტე, ჯუნის განცხადებით, სიმპტომატური იყო ჯოლიონის მთელი ქცევისთვის. მას არ სურდა

ბრძოლა. როდის წავიდოდა ექიმთან, რომელმაც პოლ პოსტი მოარჩინა? ჯოლიონმა გამოხატა თავისი გულწრფელი წუხილი, მაგრამ ექიმთან წასვლას სულაც არ აპირებდა. ჯუნი აღშფოთდა: პონდრიჯი დიდი მკურნალი და შესანიშნავი ადამიანია, თუმცა ასე უჭირს მატერიალურად და ჯერაც ვერ მიუღწევია იმისთვის, რომ მისი თეორიები აღიარონო. ამაში მას აბრკოლებდა სწორედ ჯუნის მამის გულგრილობა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ და მისივე წინასჯები. არადა, როგორ წაადგებოდა ეს მკურნალობა ორივეს!

- ვატყობ, ორი კურდღლის ერთად დაჭერა განგიზრახავს!

- უკეთ თქვი: შენი განკურნება! - აყვირდა ჯუნი.

- ეგ ერთი და იგივეა, ძვირფასო.

ჯუნი თავისას არ იშლიდა: არაკეთილსინდისიერია ასეთი რამეების ლაპარაკი, სანამ მკურნალობას არ გაივლიო.

ჯოლიონი შიშობდა: როცა გავივლი, მერე საერთოდ ველარ ვილაპარაკებო.

- მამა! - შესძახა ჯუნმა, - შენ აუტანელი ხარ.

- შეიძლება. მაგრამ ვამჯობინებ ასეთად დავრჩე რაც შეიძლება დიდხანს. არ ვაპირებ მძინარე ძაღლების გაღვიძებას, ჩემო შვილო. არ ყეფენ, ესე იგი, არაფერი უჭირთ.

- ეგ ნიშნავს ყველა გზის ჩაკეტვას მეცნიერების წინაშე! - ყვიროდა ჯუნი, - ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ ერთგულად ემსახურება პონდრიჯი თავის საქმეს. მისთვის მეცნიერება ყველაზე მაღლა დგას.

- როგორც მისტერ პოლ პოსტისთვის ხელოვნება, არა? - შეესიტყვა ჯოლიონი და გააბოლა სუსტთამბაქოიანი პაპიროსი,

რომლითაც თავი შემოიფარგლა ბოლო ხანებში, - ხელოვნება ხელოვნებისთვის, მეცნიერება მეცნიერებისთვის. კარგად ვიცნობ მაგ ენთუზიასტ ბატონებს - ეგოცენტრიკულ მანიაკებს. თვალის დაუხამხამებლად გამოგჭრიან ყელს. სხვა რომ არაფერი, ფორსაიტი ვარ, ჯუნ, და ვამჯობინებ, თავი შორს დავიჭირო მათგან.

- ნეტავ იცოდე, რაოდენ მოძველდა შენი არგუმენტები, მამა! ჩვენს დროში ვერავინ მისცემს თავს სანახევროდ ყოფნის უფლებას.

- ვშიშობ, სწორედ ესაა ერთადერთი ბუნებრივი სიმპტომი, რომლითაც მისტერ პონდრიჯს არ სჭირდება ჩემი მომარაგება. ჩვენ დაბადებიდან გვეძლევა მიდრეკილება, ვიყოთ უკიდურესობების მომხრე ან შუა ხაზს მივყვეთ. ჰოდა, ნუ გაბრაზდები, თუ ვიტყვი, რომ იმათი ნახევარი, ვინც უკიდურესობებს ქადაგებს, სინამდვილეში საკმარისად ზომიერი ხალხია. რამდენიც შემიძლია მოვითხოვო, იმდენად ჯანმრთელი ვარ, და ეს უნდა ვიკმაროთ.

ჯუნი დუმდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რაოდენ ქედმოუხრელი შეიძლება იყოს მამამისი ამ თავის მსუბუქ შეუპოვრობაში, როდესაც საქმე ეხება მისი მოქმედების თავისუფლებას.

ჯოლიონს თვითონაც არ ესმოდა, როგორ წამოსცდა ჯუნთან, რატომ წაიყვანა აირენმა ჯონი ესპანეთში. მაინცდამაინც არ ჰქონდა ჯუნის თავშეკავებულობის იმედი. რაც შეეხება ჯუნს, იგი ჩაუფიქრდა ამ ამბავს, რაც, საბოლოოდ, მამასთან მძაფრი კამათით დასრულდა, კამათით, რომელმაც ჯოლიონს დაანახვა ძირეული დაპირისპირება, ერთი მხრივ, თავისი ქალიშ-

ვილის ტემპერამენტსა და, მეორე მხრივ, მეუღლის პასიურობას შორის. იმაშიც დარწმუნდა, რომ ჯერაც ბოლომდე არ გაფანტულიყო სიმწარე მათი ერთი თაობის წინანდელი დავისა ფილიპ ბოსინის თაობაზე, რომელშიც პასიურმა საწყისმა ასე ნიშანდობლივად იზეიმა აქტიურზე.

ჯუნი სიბრიყვედ და სიმხდალედ მიიჩნევდა წარსულის დამალვას ჯონისგან.

- წმინდა წყლის ოპორტუნიზმია, - განაცხადა მან.

- რომელიც წარმოადგენს რეალური ცხოვრების შემოქმედებით პრინციპს, ძვირფასო, - მსუბუქად ჩაამატა ჯოლიონმა.

- ოჰ! - შესძახა ჯუნმა, - გულწრფელად ვერ დაიცავ აირენს იმაში, რომ ჯონს სიმართლეს უმალავს, მამა! შენთვის რომ მოენდოთ ეს ამბავი, ყველაფერს გაამხელდი.

- ჰო, შეიძლება. თუმცა ამას, უბრალოდ, იმიტომ ვიზამდი, რომ ადრე თუ გვიან ჯონი მაინც ყველაფერს შეიტყობს და ეს უარესი იქნება, ვიდრე ჩვენი პირიდან გაგონილი.

- მაშ, რატომ არ აკეთებ ამას? ისევ "მძინარე ძაღლებს" ერიდები?

- ძვირფასო, ამქვეყნად არაფრის გულისთვის არ წავალ აირენის ინსტინქტის საწინააღმდეგოდ. ჯონი მისი შვილია.

- და შენიც!

- როგორ შეიძლება მამის ინსტინქტის შედარება დედის ინსტინქტთან?!

- როგორც გინდა. მაგრამ, მე მგონი, ეს სულმოკლეობაა შენი მხრივ.

- შეიძლება, - დაეთანხმა ჯოლიონი, - შეიძლება.

სულ ეს იყო, რასაც ჯუნი მამამისს გამორჩა. თუმცა ეს საქმე თავიდან არ შორდებოდა. ვერ აეტანა აზრი "მძინარე ძაღლების" შესახებ. ერთი სული ჰქონდა, როდის მისცემდა საქმეს მსვლელობას, ვინძლო რამენაირად დაებოლოებინა. ჯონს ყველაფერი უნდა უამბონ, რათა მისი გრძნობა ან გაუშლელად დაჭკნეს, ან კიდევ - წარსულის ჯიბრით გაფურჩქნილმა - ნაყოფი მოისხას. და ჯუნმაც გადაწყვიტა, მოენახულებინა ფლერი და საკუთარი აზრი შეექმნა მასზე. თუ ჯუნი რაიმეს გადაწყვეტდა, ზედმეტი წესიერების საკითხი უკანა პლანზე რჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჯუნი სომსის ბიძაშვილის შვილია და ორივეს აინტერესებს ფერწერა. მივა ამ კაცთან და განუცხადებს, პოლ პოსტის რომელიმე ტილო ან, შესაძლოა, ბორის სტრუმოლოვსკის სკულპტურა უნდა შეიძინოო. ჯოლიონს, რაღა თქმა უნდა, არაფერს ეტყვის.

ჰოდა, პირველივე კვირადღეს გაუდგა გზას. იმდენად მიზანსწრაფული იერი ჰქონდა, რომ რედინგის სადგურზე გაჭირვებით დაიჭირა ტაქსი. ივნისის - ჯუნისთვის - ამ დღეებში მდინარის ნაპირები მომხიბლავი იყო და ისიც მგრძნობიარედ აღიქვამდა მათ ხიბლს. ცხოვრებაში არასოდეს ჰქონია სასიყვარულო კავშირი და თითქმის სიგიჟემდე უყვარდა ბუნება.

როცა მიუახლოვდა იმ დახვეწილ მონაკვეთს, სადაც სომსი დასახლდა, ჯუნმა ტაქსი გაუშვა. საქმის დასრულების შემდეგ უნდოდა მდინარისა და ტევრის სიგრილით დამტკბარიყო. ამგვარად, სომსის კართან ფეხით მივიდა და პატრონს თავისი სავიზიტო ბარათი გაუგზავნა. იცოდა: თუ ნერვები უთრთის, ესე იგი, რაღაც ისეთს აკეთებს, რაც ღირს ამ შრომად, ხოლო თუ არ უთ-

რთის, მაშინ ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობის გზით უვლია და კეთილშობილებაც არაფერს ავალდებულებს.

შეიყვანეს სასტუმრო ოთახში, რომელსაც - თუნდაც თავისი სტილით ჯუნისთვის უცხოს - მომთხოვნი გემოვნების ბეჭედი ედო. ის იყო, გაიფიქრა: "ძალიან ღვლარჭნილი - ბევრი კაური", რომ ძველი სარკის შავ ჩარჩოში ვერანდიდან შემომავალი გოგონა დაინახა. მთლად თეთრებში გამოწყობილი, თეთრი ვარდებით ხელში და სარკის ვერცხლისფერ-ნაცრისფერ ტბაში არეკლილი - ის ხილვას ჰგავდა, თითქოს სარკიდან მშვენიერმა მოჩვენებამ შემოაბიჯა.

- გამარჯობა, - თქვა ჯუნმა და შემობრუნდა, - მე მამათქვენის ნათესავი ვარ.

- აჰ, ჰო, მაშინ საკონდიტროში გნახეთ.

- ჩემს უმცროს ძმასთან ერთად. მამა შინ არის?

- მალე მოვა. გასასეირნებლად გავიდა.

ჯუნმა ოდნავ მოჭუტა ლურჯი თვალები და ძლიერხასიათიანი ადამიანის ნიკაპი ასწია.

- თქვენ ფლერი გქვიათ, არა? ჰოლისგან მსმენია თქვენზე. რას ფიქრობთ ჯონზე?

გოგონამ ვარდები სახესთან მიიტანა, შეხედა და მშვიდად უპასუხა:

- ძალიან საყვარელი ბიჭია.

- არანაირად არ მგავს არც მე, არც ჰოლის. ასე არ არის?

- არანაირად.

"თავშეკავებულია", გაიფიქრა ჯუნმა.

- ხომ ვერ მიამბობდით, რატომ ვერ თანხმდებიან ჩვენი ოჯახები ერთმანეთში? - იკითხა უცებ ქალიშვილმა.

როცა იმ კითხვის წინაშე დადგა, რომელზე პასუხის გაცემასაც ჯოლიონს ურჩევდა, ჯუნი გაჩუმდა. იქნებ იმიტომ, რომ ამ გოგონასაც რაღაც უნდოდა მისგან? ან ეგებ, უბრალოდ, იმიტომ, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ იქცევა რეალობაში ისე, როგორც თეორიაში?

- ხომ იცით, - განაგრძო გოგონამ, - ყველაზე უტყუარი ხერხი იმისთვის, რომ ადამიანმა ყველაზე უარესი გამოჩხრიკოს, ესაა მისი გამოკეტვა უმეცრებაში. მამაჩემის თქმით, განხეთქილება საკუთრების გამო მოხდა. მე ეს არ მჯერა: მათაც და ჩვენც საკმარისად გვაქვს ყველაფერი. ისინი მეშჩანებივით არ მოიქცეოდნენ.

ჯუნი აინთო: შეურაცხყო ამ სიტყვამ, რომელიც მისი მამის და პაპის მისამართით გამოიყენეს.

- პაპაჩემი ძალზე დიდსულოვანი კაცი იყო. მამაც ასეთია. ვერანაირად ვერ უწოდებ მეშჩანებს.

- მაშ, რა მოხდა ასეთი?

რაკი ხედავდა, რომ ფორსაიტების ოჯახის ეს ახალგაზრდა წარმომადგენელი ჯიუტად ესწრაფვის თავისას, ჯუნმა მაშინვე გადაწყვიტა, დაებრკოლებინა ის და რაიმე სარგებელი ეპოვა თავისთვის.

- რატომ გსურთ ამის ცოდნა?

გოგონამ ვარდები დაყნოსა.

- იმიტომ, რომ მიმალავენ.

- კეთილი. დაპირისპირება ნამდვილად საკუთრების გამო მოხდა, მაგრამ საკუთრება სხვადასხვაგვარი არსებობს.

- აქამდე ყველაფერი უწინდებურად რჩებოდა, ახლა კი ნამდვილად უნდა შევიტყო.

ჯუნის ნებისყოფიან სახეს ჟრჟოლამ გადაურბინა. მრგვალი ქუდის ქვეშიდან გამოვარდნილი თმა მხრებზე ჩამოეშალა. ამწუთას ჯუნი მთლად ნორჩი ჩანდა, თითქოს ამ შეხვედრამ გააახალგაზრდავა.

- ი-იცით, - თქვა მან, - მე დავინახე, როგორ დააგდეთ ცხვირსახოცი... რამე თუ ხდება თქვენსა და ჯონს შორის? თუ ხდება, უარი თქვით ამაზე.

ფლერი გაფითრდა, მაგრამ მაინც გაიღიმა.

- თუკი არსებობს ხერხი, რომ რაიმე მაიძულონ, ასეთი მაინც არ გამოდგება.

ამ თამამი გამონათქვამის პასუხად ჯუნმა ხელი გაუწოდა.

- მე თქვენ მომწონხართ, აი, მამათქვენი კი არ მიყვარს. არასდროს მყვარებია. ხომ შეგვიძლია გულახდილად ვისაუბროთ?

- მაგის სათქმელად ჩამოხვედით?

ჯუნი აკისკისდა.

- არა, თქვენს სანახავად.

- დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრივ.

გოგონა კარგად იცდენდა დარტყმებს.

- ორ-ნახევარჯერ უფროსი ვარ თქვენზე, - თქვა ჯუნმა, - თუმცა სავსებით თანაგიგრძნობთ. აღმაშფოთებელია, როცა ადამიანს ყველანაირად აბრკოლებენ.

ფლერს ისევ გაეღიმა.

- იცით, მე მგონი, თქვენ ყველაფერი უნდა მიამბოთ.

რა შეუპოვრად ექაჩება თავისკენ ეს ბავშვი!

- ეს ჩემი საიდუმლო არ გახლავთ, მაგრამ ყველაფერს ვიზამ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, რადგან, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი თქვენც უნდა იცოდეთ და ჯონმაც. ახლა კი დაგემშვიდობებით.

- მამას არ დაელოდებით?

ჯუნმა თავი გააქნია.

- იქით ნაპირზე როგორ მოვხვდები?

- მე გადაგიყვანთ ნავით.

- აი, რა, - თქვა ჯუნმა იმპულსურად, - როცა ლონდონში მოხვდებით, შემომიარეთ. აი, ჩემი მისამართი. საღამოობით ჩემთან ახალგაზრდობა იკრიბება ხოლმე. თუმცა უმჯობესი იქნება, თუ მამას არ ეტყვით.

გოგონამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ჯუნი უყურებდა, როგორ უსვამდა ის ნიჩბებს, და ფიქრობდა: "უმშვენიერესია. ჩინებული აღნაგობა აქვს. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სომსს ასეთი ლამაზი გოგონა ეყოლებოდა. ის და ჯონი მომხიბლავი წყვილი იქნებოდა".

წყვილების შერჩევის ინსტინქტი, რომელიც თავის დროზე დაუკმაყოფილებელი დარჩა, არასდროს იძინებდა ჯუნში. უკვე მეორე ნაპირზე იდგა და უყურებდა, როგორ აბრუნებდა ფლერი ნავს. აი, ნიჩაბს მოუსვა, რათა ხელი დაექნია ჯუნისთვის, რომელიც გულისტკივილით გაუყვა მდინარის ზემოთ გადაშლილ მინდვრებს. ახალგაზრდა მიელტვის ახალგაზრდას, როგორც ნემსიყლაპიები დასდევენ ერთმანეთს, და სიყვარული მზესავით

უთბობს მთელ არსებას. მისი ახალგაზრდობა! დიდი ხნის წინ, როცა ის და ფილი... მას შემდეგ აღარაფერი მომხდარა! ვერავისთან იპოვა ის, რასაც ეძებდა. ასე გაუშვა ხელიდან ცხოვრება. მაგრამ რა ყულფი ეჭირება ორ ნორჩ არსებას, თუ მართლა უყვართ ერთმანეთი, როგორც ჰოლის ჰგონია, როგორც შიშობენ ჯუნის მამა და აირენი და, როგორც ჩანს, სომსიც! რა მარყუჟი და რა დაბრკოლებები! წევა მომავლისკენ, ცოცხალი ზიზღი გარდასულისადმი, - რისგანაც აქტიური საწყისი იქმნება, - ალაპარაკდა ქალის გულში, ქალის, რომელსაც მუდამ მიაჩნდა, რომ ის, რაც შენ გინდა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც სხვებს არ უნდათ. ზაფხულის თბილ სიჩუმეში ჯუნი მაღალი ნაპირიდან დასცქეროდა დუმფარებს, უთვალთვალებდა წნორის ფოთლებს, თევზების გაფართხალებას, ისუნთქავდა ბალახისა და გრაკლის სუნს და ფიქრობდა, როგორ ეიძულებინა თითოეული ადამიანი - ყოფილიყო ბედნიერი. ჯონი და ფლერი! საბრალო შეუბუმბლავი ბარტყები - ყვითლები, უბედურები! რა ცოდოები არიან! უდავოდ შეიძლება რაღაც გაკეთდეს. ასეთ მდგომარეობასთან შერიგება დაუშვებელია. ჯუნმა გზა განაგრძო და გაცხელებული გულითა და წამონთებული ბრაზით მივიდა სადგურში.

იმავე საღამოს, რაკი უწინდებურად მისდია ღიად მოქმედების თანდაყოლილ მიდრეკილებას (რის გამოც ბევრი გაურბოდა), ჯუნმა ჯოლიონს უთხრა:

- მამა, ფლერის სანახავად ვიყავი. ვფიქრობ, ფრიად მიმზიდველი ქალიშვილია. ცუდია, ფრთებქვეშ შემალული თავებით რომ დავდივართ.

გაოგნებულმა ჯოლიონმა ქერის ყავას თავი ანება და მოკლე წვერი მუჭში მოიქცია.

- შენ სწორედ მაგას აკეთებ, - თქვა მან, - გახსოვს თუ არა, ვისი ქალიშვილია ის?

- დაე, მკვდარმა წარსულმა დამარხოს თავისი მკვდრები.

ჯოლიონი წამოდგა.

- რაღაც-რაღაცები ვერასდროს დაიმარხება.

- არ გეთანხმები, - თქვა ჯუნმა, - ეს ისაა, რაც გზას უხერგავს ყოველგვარ წინსვლას და ბედნიერებას. შენ ჩვენი საუკუნისა არ გესმის, მამა: ის უკუაგდებს ყოველივე ყავლგასულს. რატომ გაშინებს ასე, რომ ჯონი ყველაფერს შეიტყობს დედამისზე? ვინღა ანიჭებს მნიშვნელობას ასეთ რამეებს ამჟამად? ქორწინების კანონები ახლაც ისეთივეა, როგორიც იყო მაშინ, როცა აირენი და სომსი განქორწინების უფლებას ვერ იღებდნენ და შენ მოგიწია ჩარევამ. ჩვენ წინ წავედით, კანონები კი ძველ ადგილზე დარჩა. ამიტომაც არავინ უწევს ანგარიშს. ქორწინება განქორწინების ღირსეული შესაძლებლობის გარეშე: აი, მონათმფლობელობის ერთ-ერთი ფორმა! ადამიანი მეორე ადამიანის საკუთრება ვერ იქნება. ახლა ყველას ესმის ეს. და თუ აირენმა ასეთი კანონი დაარღვია, რა არის ამაში ცუდი?

- ეს ჩემი გასაპროტესტებელი არ არის, - თქვა ჯოლიონმა, - მაგრამ საქმე სულ სხვაა და არა ეს. საქმე - ადამიანური გრძნობაა.

- რა თქმა უნდა! - შესძახა ჯონმა, - ორი ახალგაზრდა არსების ადამიანური გრძნობა.

- ჩემო ძვირფასო, - თქვა ჯოლიონმა მსუბუქად, თუმცა იმ განცდით, რომ მოთმინებას კარგავს, - სისულელეს ამბობ.

- არანაირად! თუ აღმოჩნდება, რომ მათ ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, რატომ უნდა გაუბედურდნენ წარსულის სახელით?

- შენ ეგ წარსული არ განგიცდია, მე კი განვიცადე - ჩემი მეუღლის გრძნობებით, ჩემივე ნერვებითა და წარმოსახვით, როგორც შეიძლება განიცადოს იმან, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს.

ჯუნი წამოდგა და, აღელვებული, ოთახში სიარულს მოჰყვა.

- ფლერი ფილიპ ბოსინის ქალიშვილი რომ ყოფილიყო, უკეთ გაგიგებდი, - თქვა უცებ, - აირენს უყვარდა ის, სომსი კი არასდროს ჰყვარებია.

ჯოლიონს მკერდისმიერი ბგერა აღმოხდა, რაღაც ისეთი, როგორითაც გლეხის ქალი ერეკება ხოლმე თავის კამეჩს. გული გაშმაგებით აუძგერდა, თუმცა, საკუთარი გრძნობებით ატანილს, ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის.

- შენი სიტყვებიდან ჩანს, რა ცოტა გაგიგია. არც მე და არც ჯონი, რამდენადაც მას ვიცნობ, არ განვსჯიდით სასიყვარულო წარსულს. მაგრამ საქორწინო კავშირი უსიყვარულოდ გულისამრევია და მიუღებელი. ეს გოგონა იმ კაცის ქალიშვილია, რომელიც ოდესღაც ისე ფლობდა ჯონის დედას, როგორც ზანგ მონა ქალს. ამ მოჩვენებას ვერსად გაფანტავ და ნურც ეცდები, ჯუნ! შენ ხომ იმას ითხოვ ჩვენგან, რომ მშვიდად ვუყუროთ, როგორ შეუერთდება ჯონი სისხლი სისხლთაგანს იმ კაცისას, რომელიც ჯონის დედას მისივე ნების საწინააღმდეგოდ ფლობდა. სიტყვების შერბილება საჭირო არ არის და ეს ყველაფერი ერ-

თხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს. ახლა კი შევწყვიტოთ საუბარი, თუ არადა, ასე მომიწევს ჯდომა მთელ ღამეს.

ჯოლიონმა მკერდზე ხელი მიიდო, ქალიშვილს ზურგი აქცია, ფანჯარასთან მივიდა და თემზას დააცქერდა.

ჯუნი, რომელიც, თავისი ბუნებით, მაშინღა ხედავდა კრაზანას, როცა ეს უკანასკნელი ნესტარს ჩაასობდა, სერიოზულად აღელდა. ჯოლიონთან მივიდა და ხელი მოჰკიდა. სულაც არ ფიქრობდა, რომ მამა მართალია და თვითონ ცდება (ასეთი აღიარება უცხო იყო მისი ბუნებისთვის), მაგრამ გული შეუძრა აშკარა ფაქტმა, როგორი მავნებელი აღმოჩნდა ეს თემა მამისთვის. ლოყა მხარზე გაუხახუნა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

სტუმარი რომ გადაიყვანა, ფლერი პირდაპირ თავისი ნავმისადგომისკენ არ წასულა, - ლერწმებში შეცურა, კაშკაშა სინათლის ზოლში. დღის მშვენიერებამ რამდენიმე წამით მოხიბლა ქალიშვილი, არცთუ მეტისმეტად მიდრეკილი ოცნებისა და პოეზიისკენ. მდინარის ზემოთ, სათიბელაგამობმული ლურჯა ცხენი ადრეულ ბალახს თიბავდა. ფლერი გაუნძრევლად მისჩერებოდა ნაკადად ჩამოცვენილ გრილ და ცინცხალ ბალახს მსუბუქი თვლების გავლით. სტვენა და ტკაცუნი წნორისა და ალვების შრიალთან და ტყის მტრედის ღუღუნთან ერთად მდინარის მჟღერ სიმღერად ერთიანდებოდა. ღრმა მწვანე წყალში წყალმცენარეები ყვითელი გველებივით იკლაკნებოდნენ დინების მიმართულებით. გაღმა ნაპირზე, ჩრდილში, ჭრელი ძროხები იდგნენ და კუდებს ზანტად აქნევდნენ. დღე საოცნებოდ განაწყობდა. ფლერმა ჯონის წერილები ამოიღო, - არა ფერად-ფერადი გადმოღვრები, არამედ წერილობით გადმოცემული, ფლერის-

თვის ერთობ საამური სევდით გაჟღენთილი ნანახ-განცდილი. ყველა წერილი მთავრდებოდა სიტყვებით "შენი ერთგული ჯ.". ფლერი არ იყო სენტიმენტალური, ყოველთვის კონკრეტული და განსაზღვრული სურვილები ჰქონდა, მაგრამ უდავოდ ყველაფერმა, რაც კი პოეტური გააჩნდა სომსის და ანეტის ქალიშვილს მოლოდინის იმ კვირებში, თავი მოიყარა ჯონთან დაკავშირებულ მოგონებებში. ისინი ცოცხლობდნენ ბალახსა და ფოთლებში, ყვავილებსა და მიდინებულ წყალში. როცა გაძლიერებულად ისუნთქავდა სურნელს, მათში ჯონის სიახლოვეს შეხაროდა. ვარსკვლავები არწმუნებდნენ, რომ ჯონის გვერდით იდგა ესპანეთის რუკაზე. დილაადრიანად კი, ცვრის წვეთები აბლაბუდაზე, ნაპერწკლოვანი ბურუსი და ბაღში მსუნთქავი დღის დაპირება მისთვის ჯონის განსახიერება იყო.

სანამ წერილებს კითხულობდა, ნავის გვერდით დიდებულად ჩაისრიალა თეთრი გედების წყვილმა, უკან კი მათი შთამომავლობა მოჰყვებოდა - ექვსი ახალგაზრდა გედი ერთიმეორის მიყოლებით, თანაბარი მანძილის დაცვით ერთმანეთის კუდებსა და თავებს შორის, როგორც რუხი ნაღმოსნების ფლოტილია. ფლერმა წერილები დამალა, ნიჩბები მოიმარჯვა და ნავი ნავმისადგომთან მიაცურა. ბაღის ბილიკზე ასვლისას იმაზე ფიქრობდა, ვუთხრა თუ არა მამაჩემს ჯუნის ვიზიტის შესახებო. თუ სომსი მოსამსახურისგან შეიტყობს ჯუნის მოსვლას, საეჭვოდ მიიჩნევს, რატომ ფლერმა არაფერი მითხრაო. თანაც, ეს ამბავი მამასთვის ოდინდელი შუღლის მიზეზის გამხელის შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომაც ფლერი გზაზე გავიდა მამას შესახვედრად.

სომსი იმ ტერიტორიის სანახავად იყო წასული, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება აპირებდა სანატორიუმის აშენებას ფილტვებით დაავადებულთათვის. თავისი ინდივიდუალიზმის ერთგული, სომსი არ მონაწილეობდა ადგილობრივ საქმეებში, კმაყოფილდებოდა იმით, რომ კეთილსინდისიერად იხდიდა სულ უფრო და უფრო გაზრდილ გადასახადებს, მაგრამ გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ ახალი და საშიში გეგმის მიმართ. ამ ტერიტორიას მისი სახლიდან ნახევარ მილზე ნაკლები მანძილი აცილებდა. სომსი სავსებით ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ქვეყანამ უნდა აღმოფხვრას ტუბერკულოზი, მაგრამ აქ არ იყო საამისო ადგილი. ეს სადმე მოშორებით უნდა გაკეთებულიყო. სომსმა ისეთი პოზიცია დაიკავა, რომელსაც ნებისმიერი ნამდვილი ფორსაიტი გაიზიარებდა: ჯერ ერთი, მას არ ეხება სხვისი სნეულებები, მეორეც, სახელმწიფომ უნდა აკეთოს თავისი საქმე ისე, რომ არაფრით ხელყოს ბუნებრივი პრივილეგიები, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო ან მოგვიანებით მოიხვეჭა. ფრენსიმ - ყველაზე თავისუფლად მოაზროვნემ ფორსაიტებს შორის (ჯოლიონის გამოკლებით) - ერთხელ ეშმაკურად ჰკითხა: "ოდესმე თუ გინახავს ფორსაიტის სახელი ხელმოწერების რომელიმე ნუსხაში?"

ასე იყო თუ ისე, სანატორიუმი აქაურობას წაახდენდა და ამიტომაც ის, სომსი, უთუოდ ხელს მოაწერს თხოვნას მისი გადატანის თაობაზე. ამ ახალი გადაწყვეტილებით ბრუნდებოდა შინ, როცა ფლერს მოჰკრა თვალი.

ბოლო ხანებში ფლერი მამას მეტი სინაზით ეპყრობოდა და სომსიც, ფლერთან ერთად რომ ატარებდა ზაფხულის თბილ

დღეებს, თავს გაახალგაზრდავებულად გრძნობდა. ანეტი მუდმივად დაიარებოდა ქალაქში ხან რისთვის და ხან რისთვის და, შესაბამისად, ფლერიც თითქმის იმდენად იყო სომსის განკარგულებაში, რამდენადაც ის ისურვებდა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ მაიკლ მონტი თითქმის ყოველდღიურად აკითხავდათ მოტოციკლეტით. ახალგაზრდა კაცმა, საბედნიეროდ, მოიპარსა თავისი ბრიყვული ულვაში და ამჟამად ტაკიმასხარას აღარ ჰგავდა. სახლში იმყოფებოდა ფლერის მეგობარი გოგონა, მეზობლურად შემოდიოდნენ სხვა ახალგაზრდებიც და ამიტომაც სადილის შემდეგ ჰოლში ყოველთვის იყო, სულ ცოტა, ორი წყვილი, რომლებიც ცეკვავდნენ ელექტრონული პიანოლას დაკრულ მუსიკაზე. ეს მოწყობილობა თითქოს გაკვირვებისგან ბზინავდა და სხვის დაუხმარებლად ასრულებდა ფოქსტროტებს. ხანგამოშვებით, ვინმე ჭაბუკის მკლავებში მოქცეული ანეტიც გრაციოზულად გაისრიალებდა პარკეტზე. სომსი სასტუმრო ოთახიდან ჰოლისკენ გამავალ კარში ჩერდებოდა, ცხვირს ასწევდა, შეკრებილ საზოგადოებას ფლერის ღიმილის მოლოდინით გამოხედავდა, მერე კი ბუხართან მიდგმული სავარძლისკენ გასწევდა სასტუმრო ოთახის სიღრმეში და "ტაიმსს" ან რომელიმე კოლექციონერის კატალოგს გადაშლიდა. მისი მუდმივად გაფაციცებული თვალი ვერ ამჩნევდა ვერანაირ ნიშანს რომელიც გაამხელდა, რომ ფლერს ისევ ახსოვდა თავისი ახირება.

გოგონა მტვრიან გზაზე მიუახლოვდა და სომსმაც ხელი ჩასჭიდა.

- შენთან სტუმარი იყო, მამა! თუმცა დალოდებით ვეღარ დაგელოდა. თუ მიხვდები, ვინ?

- არ შემიძლია მიხვედრა. ვინ იყო?

- შენი ბიძაშვილის შვილი, ჯუნ ფორსაიტი.

სომსმა გაუცნობიერებლად მოუჭირა ხელზე.

- ჩემთან რამ მოიყვანა?

- არ ვიცი. ეს მოსისხლე მტრობის დარღვევაა, არა?

- მოსისხლე მტრობის? რომელი მტრობის?

- იმის, რომელიც შენს წარმოსახვაშია, ძვირფასო?

სომსმა ხელი გაუშვა: ატრიზავებს თავისი ქალიშვილი თუ მისი გამოჭერა სურს?

- ალბათ უნდა, რომ რომელიღაც სურათი შევისყიდო, - თქვა ბოლოს.

- არა მგონია. შეიძლება, უბრალოდ, ნათესაურმა გრძნობამ მოიყვანა.

- ბიძაშვილისშვილობა რა დიდი ნათესაობაა, - ჩაიბურტყუნა სომსმა.

- თანაც, შენი მტრის შვილია.

- რისი თქმა გინდა?

- მაპატიე, ძვირფასო. მეგონა, ის შენი მტერი იყო.

- მტერი! - გაიმეორა სომსმა, - ეს ძველისძველი ამბავია. არ ვიცი, საიდან გაქვს ეგ ცნობები.

- ჯუნ ფორსაიტისგან.

ამ აზრმა გოგონას უცებ გაუნათა გონება: თუ სომსი იფიქრებს, რომ ფლერმა უკვე ყველაფერი იცის ან რომ სულ მალე მიხვდება, ადგება და თვითონვე ეტყვის.

სომსი დარეტიანებულივით იყო, მაგრამ ფლერმა სათანადოდ ვერ შეაფასა მისი სიფრთხილე და თავდაჭერილობა.

- თუ ყველაფერი იცი, გულს რაღად მიწყალებ? - თქვა ცივად.

ფლერი მიხვდა, რომ ძალიან შორს შეტოპა.

- სულაც არ მინდა, საყვარელო, რომ გული გაგიწყალო. მართალი ხარ: რისთვის მჭირდება ამაზე უფრო მეტის ცოდნა? რისთვის ვჩხრიკო ეს "პატარა საიდუმლო"? Je m'en fiche((ფრანგ.) - ფეხზე მკიდია), როგორც პროფონი იტყოდა.

- ის ბელგიელი! - ღრმააზროვნად წარმოთქვა სომსმა.

ბელგიელი იმ ზაფხულს ნამდვილად ასრულებდა მნიშვნელოვან, თუმცა უხილავ როლს. მეიპლდურჰამში აღარ გამოჩენილა იმ კვირადღის შემდეგ, როდესაც ფლერმა შენიშნა, როგორ "დაძრწოდა" ბაღში. სომსი ხშირად ფიქრობდა მასზე და ყოველთვის - ანეტთან აკავშირებდა. თუმცა ამისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბოლო ხანებში ანეტი თვალში საცემად გალამაზდა. მესაკუთრულმა ინსტინქტმა, რომელიც ომის შემდეგ თანდათან უფრო დაიხვეწა, უფრო მოქნილი გახადა და ნაკლებად ექვემდებარებოდა ფორმალობებს, სომსს ასწავლა, რომ განავარდების საშუალება არ მიეცა ეჭვისთვის. როგორც უყურებენ ხოლმე ამერიკულ მდინარეს, მდორედ მიდინებულსა და საამურს, და იციან, რომ მის შლამში, შესაძლოა, ალიგატორიც მიმალულა და, რაღაც მომენტში, წყალში ჩაძირული ხისგან ძნელად გასარჩევი თავიც გამოყო, - სწორედ ასე უყურებდა სომსი თავისი ცხოვრების მდინარეს, ყნოსავდა მუსიე პროფონს, თუმცა უარს ამბობდა იმაზე, რომ ცნობიერებაში შეეშვა რაიმე უფრო კონკრეტული, ვიდრე უბრალო ეჭვი ბელგიელის "გამოყოფილი თავისადმი" ცხოვრების ამ პერიოდში, ფაქტობრივად, ყველაფერი ჰქონდა, რასაც ისურ-

ვებდა, და იმდენად ახლოს იყო ბედნიერებასთან, რამდენადაც ამის საშუალებას თვით მისი ბუნება და ხასიათი აძლევდა. ვინმესთან მიბმის მოთხოვნილებამ თავისი ნავსაყუდელი ფლერში პოვა; სომსის კოლექციას სახელი ჰქონდა გავარდნილი; ფული საიმედოდ იყო დაბანდებული; ჯანმრთელობის მხრივ არაფერს უჩიოდა, იშვიათად წამოტკივებული ღვიძლის გარდა; ჯერაც არ დასწყებოდა სერიოზული ფორიაქი იმასთან დაკავშირებით, რა ელოდა სიკვდილის შემდეგ, თუმცა იხრებოდა აზრისკენ, რომ იქ არაფერი ელოდა. ერთ-ერთ თავის კიდეებმოოქრულ აქციას ჰგავდა. ხოლო ამ კიდეების ჩამოფხეკა და იმის ნახვა, რისი დანახვის აუცილებლობაც არ არსებობდა, ეს, როგორც თვითონვე გრძნობდა ინსტინქტურად, რაღაც არაბუნებრივი და რეგრესული იქნებოდა. ეს ორი დაჭმუჭნილი ვარდის ფურცელი - მისი ქალიშვილის ახირება და შლამიდან ამოყოფილი პროფონის თავი - გატკიცინდებოდა, თუ კარგად გააუთოებდა.

იმ საღამოს მომხდარმა შემთხვევამ (თვით ყველაზე უზრუნველყოფილი ფორსაიტების ცხოვრებაშიც რომ შეჭრილა) სიტუაციის გასაღები ფლერს გადაულოცა. მამამისი სადილზე უცხვირსახოცოდ ჩამოვიდა და ერთ მომენტში ცხვირის მოხოცვა დასჭირდა.

- მე ჩამოგიტან ცხვირსახოცს, საყვარელო, - უთხრა ფლერმა და ზემოთ გაიქცა.

ძველ, ფერგადასულ პორტმანში, სადაც მამამისის ცხვირსახოცი ეგულებოდა, ორი განყოფილება აღმოჩნდა. ერთში ცხვირსახოცები ეწყო, მეორე შეკრული იყო და შიგ რაღაც ბრტყელი და მაგარი საგანი ისინჯებოდა. ბავშვური ცნობისწადილით ატა-

ნილმა ფლერმა ეს განყოფილებაც გახსნა. მასში აღმოჩნდა ჩარჩო ფლერის ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათით. იდგა და უყურებდა, მოჯადოებული თავისი გამოსახულებით. აკანკალებული თითებიდან სურათი დაუსხლტა და მის ქვეშ სხვა ფოტოსურათი გამოჩნდა. ფლერმა უფრო მეტად გასწია თავისი ფოტო და დაინახა სხვა ფოტოსურათი, რომელზეც ჩანდა ძალიან ძველმოდურ საღამოს ტუალეტში გამოწყობილი ულამაზესი ახალგაზრდა ქალი. ის ფლერს თითქოსდა ეცნო. თავისი ფოტო უკანვე შეაცურა, ცხვირსახოცი ამოიღო და სასადილო ოთახისკენ დაეშვა. მხოლოდ კიბეზე გაახსენდა, ვინ იყო ის ქალი. რა თქმა უნდა, ჯონის დედა! რა თქმა უნდა! უეცარი დარწმუნებულობა დარტყმასავით მოხვდა. აზრების ქარბუქში მოხვედრილი ფლერი კიბეზე შეჩერდა. ყველაფერი გასაგებია! ჯონის მამა დაქორწინდა ქალზე, რომელსაც ესწრაფოდა მამამისი. ვინ იცის, იქნებ მოტყუებითაც კი წაართვა სომსს. მერე იმის შიშით, ჩემმა იერმა არ გამყიდოს, რომ საიდუმლო აღმოვაჩინეო, ფლერმა გადაწყვიტა, მეტად აღარ ეფიქრა ამ ამბავზე და სასადილო ოთახში აბრეშუმის ცხვირსახოცის ქნევით შევიდა.

- ყველაზე მსუბუქი ამოვარჩიე, მამა.

- მაგას მხოლოდ გაცივების დროს ვიყენებ ხოლმე. კარგი, არა უშავს!

მთელი საღამო ფლერი სათითაოდ იხსენებდა ყველა დეტალს. გაიხსენა, როგორი გამომეტყველება დაედო მამას საკონდიტროში: გაუცხოებული, ცივ-ინტიმური, ყოვლად უცნაური სახე. აშკარად ძალიან ჰყვარებია ეს ქალი, თუ დღემდე ინახავდა მის სურათს. გოგონას შეუბრალებელ-ფხიზელმა აზრმა მიზანში

ამოიღო თავისი დედ-მამის ურთიერთობა: ანეტი თუ ჰყვარებია ოდესმე სომსს ნამდვილად? ფლერის აზრით, არ ჰყვარებია. ჯონი კი ვაჟიშვილია იმ ქალისა, რომელიც მას ჭეშმარიტად უყვარდა! ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, სომსი არ უნდა აღაშფოთოს იმან, რომ მის ქალიშვილს ჯონი უყვარს. ეგაა, უნდა გაუშინაურდეს ამ აზრს. ღრმა შვების სუნთქვა ჩაეფინა ღამის პერანგის ნაკეცებს, აუჩქარებლად რომ უყრიდა ფლერი თავსა და მკლავებს.

თავი მესამე

შეხვედრები

ახალგაზრდობა სიბერეს მხოლოდ მკვეთრი ცვლილებების მომენტში ამჩნევს. ჯონს რეალურად არ შეუჩნევია მამამისის სიბერე, სანამ ესპანეთიდან არ დაბრუნდა. ახლა კი სრულებით გააოგნა მოლოდინით გატანჯული ჯოლიონ მეოთხეს სახემ, იმდენად დამჭკნარი და ხანდაზმული ეჩვენა. შეხვედრის მღელვარებამ ნიღაბი გადასწია და ჯონი უეცრად მიხვდა, როგორ დატანჯა მამამისი მათმა არყოფნამ. მერე ეს აზრი მოიშველია: "რა გაეწყობა! მე ხომ არ მსურდა წასვლა". ის დრო არ იდგა, როცა ახალგაზრდობა შემგუებლურად ეპყრობოდა სიბერეს. მაგრამ ჯონი არაფრით ეკუთვნოდა თავის ეპოქას. მამა ყოველთვის "ასეთი ღიმილიანი" იყო მის მიმართ და ჯონს გულზე არ ეხატებოდა აზრი, რომ დაუყოვნებლივ უნდა მიჰყოლოდა ქცევის ისეთ ხაზს, რომელიც მამას ექვსკვირიანი მარტოობის ტანჯვას მოუშუშებდა.

ჯოლიონის შეკითხვაზე, "აბა, ძამიკო, როგორ შეხვდი დიდ გოიას?", ჯონს მწარედ უკბინა სინდისმა. "დიდი გოია" მხოლოდ იმდენად არსებობდა მისთვის, რამდენადაც შექმნა გოგონა, რომელიც ფლერს წააგავდა.

იმ ღამეს ჯონმა სინდისის დიდი ქენჯნით დაიძინა, თუმცა დილით სასიხარულო მოლოდინით გამოიღვიძა. ჯერ მხოლოდ ხუთი ივლისი იყო, ფლერთან შეხვედრა კი ცხრა ივლისს ელოდა. უონსდონში დაბრუნებამდე სამი დღე შინ უნდა გაეტარებინა. უნდა ეყოჩაღა და ფლერი ენახა!

თვით ყველაზე მოყვარული მშობლებიც ვერ უარყოფენ, რომ მამაკაცის ცხოვრებაში განუხრელი პერიოდულობით იჭრება ახალი შარვლის საჭიროება. ამიტომაც შინ დაბრუნების მეორე დღეს ჯონი შარვლის საყიდლად გაემგზავრა და, რაკი სინდისის ჩასაცხრობად კონდიდსტრიტზე შეუკვეთა ის, რაც სჭირდებოდა, ამის შემდეგ გეზი პიკადილისკენ აიღო. სტრეტონსტრიტი, რომელზეც ფლერის კლუბი მდებარეობდა, დევონშირ ჰაუსს ესაზღვრება. ფლერის ყოფნა კლუბში წმინდა წყლის შემთხვევითობა იქნებოდა, მაგრამ ჯონი მაინც სუნთქვაშეკრული მიაბიჯებდა ბონდსტრიტზე და აღნიშნავდა გზად შეხვედრილი ყველა ჭაბუკის აღმატებას მასზე. რა მოხდენილი კოსტიუმები აცვიათ! როგორი თავდაჯერებულები არიან და ჯონზე უფროსებიც! უცებ ელვასავით დაარტყა: რაღა თქმა უნდა, ფლერმა დამივიწყაო. მთელი ამ კვირების განმავლობაში მხოლოდ საკუთარ გრძნობაში იყო დანთქმული და მხედველობიდან გაუშვა ეს შესაძლებლობა. ბაგის კუთხეები ჩამოებრიცა, ხელები ოფლით დაენამა.

ფლერი, თავის მსუბუქ ღიმილში სინორჩის ყვავილგაფურჩქნილი ფლერი!

ეს სასტიკი წამი იყო. ჯონს არ ეუცხოებოდა დიდი იდეა, რომ ადამიანმა თვალი უნდა გაუსწოროს ნებისმიერ ხვედრს. თავს ამ

მკაცრი აზრით იმხნევებდა, როცა ანტიკვარულ მაღაზიასთან შეჩერდა. იმ დღეს, გახურებულ ლონდონურ სეზონში (როგორც ოდესღაც უწოდებდნენ), ეს მაღაზია არაფრით გამოირჩეოდა ნებისმიერი სხვა მაღაზიისგან, ორი-სამი რუხცილინდრიანი მყიდველისა და სპილენძზე არეკლილი მზის სხივის გარდა. ჯონ-მა გზა განაგრძო და, როცა პიკადილიზე გაუხვია, კინაღამ გა-დააყირავა ვალ დარტი, რომელიც აისიუმ კლუბში მიემართებო-და (ცოტა ხნის წინ მიეღოთ იქ).

- გამარჯობა, ჭაბუკო. საით გაგიწევია?

ჯონი გაწითლდა.

- თერძთან ვიყავი.

დარტიმ თავით ფეხამდე გაზომა.

- ჩინებულია. აქ პაპიროსი უნდა შევუკვეთო, მერე კი ერთად ვისაუზმოთ.

ჯონმა შეთავაზება მიიღო. ვალისგან რაღაცას შეიტყობდა ფლერზე.

თამბაქოს მაღაზიაში ახლებურად მოჩანდა ინგლისის თანა-მედროვე მდგომარეობა, ასე რომ თრგუნავდა მის პრესას და სა-ზოგადო მოღვაწეებს.

- დიახ, სერ, სწორედ ის პაპიროსი, რომლითაც მამათქვენიც მომიმარაგებია. მაშ, როგორ! მონტეგ დარტი ხომ ჩვენი მუდმივი კლიენტი იყო... მოიცათ, გავიხსენო... ჰო, იმ წლიდან მოყოლე-ბული, როცა მელტონმა პირველი პრიზი მოიგო დერბიში, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო კლიენტი!

მეთამბაქოეს სახე მსუბუქმა ღიმილმა გაუნათა:

- რამდენჯერ მირჩია, რომელ ცხენზე ჩავსულიყავი ფსონს. რომელი ერთი ვთქვა! ყოველკვირეულად ორას სიგარეტს ყიდულობდა, წლიდან წლამდე, და ყოველთვის - ერთი და იმავე მარკისას. ძალიან თავაზიანი ჯენტლმენი გახლდათ, ბევრი ახალი მუშტარი მოჰყავდა. ისე დამენანა, როცა უბედურება შეემთხვა. როდესაც ძველ კლიენტს კარგავ, მუდამ განიცდი ამ დანაკარგს.

ვალს გაეღიმა. მონტეგ დარტის სიკვდილის შემდეგ ამ მაღაზიაში, ალბათ, ყველაზე გრძელი ანგარიში დაიხურა. დროისგან კურთხევამიღებული პაპიროსის კვამლის რგოლებში კი ვალმა მამამისის სახე დაინახა: შავგვრემანი, კარგნაკვთებიანი, რამდენადმე შეშუპებული, მოვლილი ულვაშით. აქ, ყოველ შემთხვევაში, მამამისი სახელგანთქმული კაცი იყო: კვირაში ორას პაპიროსს ეწეოდა, ცხენების ყადრი იცოდა, იცოდა, როგორ წაეღო დაუსრულებლად ნისიად! თავისი მეთამბაქოესთვის მონტეგ დარტი გმირი იყო და ეს მაინც პატივად ითვლებოდა და შთამომავლობასაც გადაეცემოდა.

- ნაღდს გადავიხდი. რამდენი მმართებს? - ჰკითხა დარტიმ.

- მისი ვაჟისთვის და ნაღდის კვალობაზე, ათი შილინგი და ექვსი პენსი. ვერასდროს დავივიწყებ მონტეგ დარტის. ზოგჯერ მთელ ნახევარ საათს შეყოვნდებოდა ხოლმე ჩემთან საუბარში. მისნაირებს ახლა იშვიათად შეხვდები. ყველას სადღაც ეჩქარება. ომი ცუდად აირეკლა ადამიანთა მანერებში. ცუდად! როგორც ვატყობ, თქვენც მჯდარხართ სანგრებში.

- არა, - დაუბრუნა დარტიმ და ხელი მუხლზე დაირტყა, - ეს ჭრილობა წინა ომში მივიღე და, მე მგონი, სწორედ ამან გადამარჩინა. შენ არ გინდა პაპიროსი, ჯონ?

- მე ხომ არ ვეწევი, - ჩაილუღლუღა ჯონმა დარცხვენით და დაინახა, როგორ დაებრიცა მეთამბაქოეს ტუჩები, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა "ღმერთო ძლიერო!" ან "ჰოდა, ახლა შეგიძლიათ დაიწყოთ, სერ".

- კარგია, - თქვა ვალ დარტიმ, - ეგრე განაგრძე, სანამდის შეძლებ. მაშინ მოგინდება მოწევა, მაგრად რომ გდრუზავს ეს ცხოვრება. მაშ, ნამდვილად იგივე თამბაქოა, არა?

- ზუსტად, სერ. ოდნავ გაძვირდა, ესაა და ეს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ბრიტანეთის იმპერია განსაცვიფრებლად მტკიცე სამეფოა.

- ამ მისამართზე გამომიგზავნეთ ხოლმე ასი პაპიროსი კვირაში, ანგარიში კი - თვეში ერთხელ. წავედით, ჯონ.

ჯონი არცთუ ცნობისწადილის გარეშე შევიდა აისიუმში. უწინ არასოდეს ყოფილა რომელიმე ლონდონურ კლუბში, გარდა იმისა, რომელსაც ერქვა "ნარევი" და რომელშიც ხანდახან მამასთან ერთად საუზმობდა. მოკრძალებული კომფორტით მსუნთქავი აისიუმი არ იცვლებოდა და ვერც შეიცვლებოდა, სანამ მმართველობაში იჯდა ჯორჯ ფორსაიტი, რომლის გასტრონომიული დახვეწილობა მას თითქმის დიქტატორულ ხელისუფლებას ანიჭებდა. აისიუმი მკაცრად განეკუთვნებოდა ომის შემდგომი პერიოდის მდიდრებს და საჭირო გახდა ჯორჯ ფორსაიტის მთელი ავტორიტეტი იმისთვის, რომ კლუბში გაწევრებულიყო პროსპერ პროფონი, რომელსაც ჯორჯი ადიდებდა, როგორც "შესანიშნავ სპორტსმენს".

როცა ვალ დარტი და ჯონი კლუბის სასადილოში შევიდნენ, ჯორჯ ფორსაიტი და მისი პროტეჟე ერთად საუზმობდნენ და,

რაკი ჯორჯმა ხელის დაქნევით მიიწვია, ისინიც მათ მაგიდას მიუსხდნენ: დარტი - ეშმაკურად მოჭუტული თვალებით და მომხიბლავი ღიმილით, ჯონი - საზეიმოდ მოკუმული ტუჩებით და მზერაში ჩამდგარი მომსყიდველი სიმორცხვით. ამ კუთხის მაგიდას პრივილეგირებული შესახედაობა ჰქონდა, თითქოს მასთან შეიძლებოდა მსხდარიყვნენ მხოლოდ მასონთა ლოჟის უზენაესი წევრები. დარბაზის ატმოსფერო ჯონზე ჰიპნოზურად ზემოქმედებდა. გამხდარსახიანი ოფიციანტი მასონის მოწიწებული ჟესტებით მოძრაობდა, თითქოს პირში უყურებდა ჯორჯ ფორსაიტს, თანაგრძნობით ადევნებდა თვალს ხარბ ნაპერწკალს მის მზერაში და სიყვარულით უთვალთვალებდა კლუბის ვენზელებით აღბეჭდილი მძიმე ვერცხლის ტოკვას. ლივრეის სახელო და კონფიდენციალური ხმა ჯონს თავგზას უბნევდა, იმდენად იდუმალად გამოჩნდებოდა ერთი და გაიჟღერებდა მეორე მის მხარს უკნიდან.

თუ არ ჩავთვლით ჯორჯის შენიშვნას: "პაპათქვენმა ერთხელ გონივრული რჩევა მომცა: მან იცოდა, რა არის კარგი სიგარა", არც ის და არც მეორე უზენაესი მაგისტრი ჯონს ყურადღებას არ აქცევდნენ, რის გამოც ბიჭი მადლიერებას გრძნობდა მათდამი. საუბარი იფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ცხენთა ჯიშების შეჯვარებით, მათ შესახებ გამოქვეყნებული წერილებით, მათი ფასებით და ჯონიც თავიდან თითქოს ბურუსში უსმენდა, გაკვირვებული იმით, თუ როგორ ეტეოდა ამდენი სიბრძნე ადამიანის თავში. ვერ აშორებდა თვალს შავგვრემან მაგისტრს, რომლის სიტყვები ასეთი თამამიც იყო და ასეთი დამთრგუნველიც, უცნაური, მძიმე სიტყვები, თითქოს ჩაცინებით

გამოთქმულ-გამოტანილი. ჯონი პეპლებზე ფიქრობდა, როცა უეცრად მის ცნობიერებამდე შავთმიანის ნათქვამმა ფრაზამ მიაღწია:

- მისტერ სომსი უნდა დაინტერესდეს ცხენებით.

- მოხუცი სომსი? რაღა დროსია მაგ ამომშრალი ძარღვისთვის!

ჯონი მთელი ძალებით ცდილობდა, არ გაწითლებულიყო. ამასობაში შავგვრემანი მაგისტრი განაგრძობდა:

- მისი ქალიშვილი ერთობ მიმზიდველი ახალგაზრდა ქალია. თვით მისტერ სომს ფორსაიტი რამდენადმე ჩამორჩენილი კაცია. ვისურვებდი, ოდესმე მენახა, როგორ მხიარულობს ხოლმე.

- ნუ იღელვებთ: არც ისე უბედურია, როგორც შეიძლება კაცს ეგონოს. არასოდეს გაამხელს, რომ რაღაცით ტკბება, ემანდ არავინ წაართვას. მოხუცი სომსი! ერთხელ ნაჩხვლეტი კაცი ორგზის მფრთხალია.

- დაამთავრე, ჯონ? - აჩქარებით ჰკითხა ვალ დარტიმ, - წავიდეთ, ყავა დავლიოთ.

- ეს ბატონები ვინ არიან? - ჰკითხა ჯონმა კიბეზე, - კარგად ვერ გავიგონე.

- უფროსი ჯორჯ ფორსაიტია, მამაშენისა და ბიძაჩემ სომსის ბიძაშვილი. საუკუნეებია აქ ზის. მეორე პროფონია. დიდი უცნაური ვინმეა. მგონი, სომსის ცოლს ეკურკურება, რაკი გაგება მოინდომე!

ჯონმა შიშით შეხედა.

- ეს საშინელებაა, საშინელება - ფლერისთვის.

- არა მგონია, ფლერი ყურადღებას აქცევდეს ამგვარ რამეებს. ყოვლად თანამედროვე გოგოა.

- ლაპარაკია მის დედაზე!

- შენ ჯერ მკვახე ხარ, ჯონ.

ბიჭი წამოჭარხლდა.

- დედა სულ სხვა საქმეა, - ჩაიბუტბუტა ბრაზიანად.

- მართალი ხარ, - დათანხმდა დარტი უეცრად, - მაგრამ ცხოვრება შეიცვალა მას შემდეგ, როცა შენი ასაკისა ვიყავი. ახლა ყველა ამბობს: "წამი მოიხელთე, ხვალ ყველანი დავიხოცებით". აი, რას ფიქრობდა მოხუცი ჯორჯი, როცა ძია სომსზე ლაპარაკობდა.

- რა მოხდა ამ კაცსა და მამაჩემს შორის? - სწრაფად იკითხა ჯონმა.

- ეგ ოჯახური საიდუმლოა, ჯონ. დაუჯერე ჩემს რჩევას: ნუ გამოჩხრეკ, მაგის ცოდნა არაფერში გარგია. დაგისხა ლიქიორი?

ჯონმა თავი გააქნია.

- ჩემთვის აღმაშფოთებელია, როცა ადამიანს ყველაფერს უმალავენ, მერე კი დასცინიან, მკვახე ხარო, - ჩაილუღლუღა მან.

- კეთილი. ჰოლის ჰკითხე. თუ ისიც უარს გეტყვის მაგ ამბის მოყოლაზე, მაშინ დაიჯერებ, რომ ეს შენივე კეთილდღეობისთვის ხდება.

ჯონი წამოდგა.

- ჩემი წასვლის დროა. მადლობა საუზმისთვის.

ვალ დარტიმ ნახევრად სევდიანად გაიღიმა. ბიჭი, როგორც ჩანს, დათრგუნვილი იყო.

- კარგი. პარასკევს გელოდებით.

- მართალი გითხრა, არ ვიცი, - დაიბნა ჯონი.

მართლაცდა, არ იცოდა. ეს საუბარი სასოწარკვეთაში აგდებდა. დამამცირებელი იყო, რომ ისე ექცეოდნენ, როგორც ბავშვს. გაფანტულად გაუყვა სტრეტონსტრიტს. ახლა ფლერის კლუბში მივა და ყველაზე უარეს ამბავს შეიტყობს.

ჯონის შეკითხვაზე უპასუხეს: მის ფორსაიტი დღეს არ გამოჩენილა, თუმცა შეიძლება მოგვიანებით შემოიაროსო; ხშირად მოდის ხოლმე ორშაბათობით, მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვითო. თავის მხრივ, ჯონმა უთხრა, კიდევ ერთხელ შემოვივლიო, მერე გრინპარკში შევიდა და ბალახზე გაგორდა ხის ქვეშ. მზე კაშკაშებდა და ნიავი ფოთლებს ურხევდა ახალგაზრდა ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯონი იწვა. მას გული სტკიოდა. მისი ბედნიერების ირგვლივ ღრუბლები გროვდებოდნენ. ბიგ ბენმა სამჯერ ჩამოჰკრა და ტრანსპორტის გრიალი გადაფარა. ამ ხმებმა რაღაც შეარხიეს მასში. ჯონმა ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და ფანქრით შეუდგა წერას. ოთხსტრიქონიანი ლექსის დაწერის შემდეგ, როცა ხელს ბალახში აფათურებდა და ახალ რითმას ეძებდა, რაღაც მკვრივი საგანი შეეხო მხარზე. მწვანე ქოლგა აღმოჩნდა. თავზე ფლერი წამოსდგომოდა.

- მითხრეს, შემოიარა და კიდევ მოვაო. ჰოდა, ვიფიქრე, რომ უთუოდ აქ მოხვიდოდი. ასეც აღმოჩნდა. საოცარია, არა?

- ოჰ, ფლერ! მე კი ვფიქრობდი, რომ დამივიწყე.

- ხომ გითხარი, არ დაგივიწყებ-მეთქი.

ჯონმა ხელი ჩაუბღუჯა.

- აუტანელი ბედნიერებაა! მეორე ბოლოში წავიდეთ.

ჯონმა თითქმის გაათრია ფლერი ამ მეტისმეტად გაწკიპინებული პარკის მეორე მხარეს, სადაც შეიძლებოდა ხელიხელჩაკიდებული ჯდომა გვერდიგვერდ.

- არავინ შემოჭრილა ამასობაში? - ჰკითხა ჯონმა და თვალებში ჩახედა.

- ერთი იდიოტი გამოჩნდა ჰორიზონტზე, მაგრამ ის სათვალავში ჩასაგდები არ არის.

ჯონს სიბრალულმა უჩხვლიტა იდიოტის მიმართ.

- იცი, მზის დარტყმა მქონდა. ამაზე არაფერი მომიწერია.

- მართლაა? საინტერესოა?

- არა. დედაჩემი ანგელოზივით მივლიდა. შენკენ არაფერია ახალი?

- არაფერი. ერთი კია: მგონი, ამოვჩხრიკე, რა ხდება ჩვენს ოჯახებს შორის, ჯონ.

ბიჭს გული აუჩქარდა.

- მე მგონი, მამაჩემს დედაშენის მოყვანა უნდოდა ცოლად, სინამდვილეში კი მამაშენს ერგო.

- ოჰ!

- დედაშენის ფოტოსურათს წავაწყდი: ჩემი სურათის უკან იყო ჩასმული პატარა ჩარჩოში. რასაკვირველია, თუ სომსს ძალიან უყვარდა დედაშენი, საკმარისზე მეტი მიზეზი ექნებოდა გასაშმაგებლად, არა?

ჯონი ჩაფიქრდა.

- არა, რატომ, თუკი დედაჩემს მამაჩემი შეუყვარდა?

- და თუ ისინი დანიშნულები იყვნენ?

- ჩვენ რომ დანიშნულები ვყოფილიყავით და შენ დარწმუნებულიყავი, რომ სხვა ადამიანი უფრო გიყვარს, მე შეიძლებოდა გავგიჟებულიყავი, მაგრამ შენ მაინც არ დაგადანაშაულებდი.

- მე კი დაგადანაშაულებდი. შენ არ უნდა მიღალატო, ჯონ.

- ღმერთო ჩემო! მაგას როგორ შევძლებ!

- მე მგონი, მამაჩემს არასოდეს ეძვირფასებოდა დედაჩემი რეალურად.

ჯონი გაჩუმდა. ვალ დარტის სიტყვები! ორი უზენაესი მაგისტრი კლუბში!

- ჩვენ ხომ არ ვიცით: იქნებ ეს მისთვის დიდი დარტყმა იყო, - განაგრძო ფლერმა, - იქნებ ქალი ცუდად მოექცა. რამდენი რამ ემართებათ ადამიანებს.

- დედაჩემი მაგას ვერ შეძლებდა!

ფლერმა მხრები აიჩეჩა.

- დიდი არაფერი ვიცით ჩვენს დედ-მამაზე! იმის მიხედვით ვმსჯელობთ მათზე, თუ როგორ გვექცევიან. მაგრამ სხვა ადამიანებსაც ხომ შეხვედრიან ჩვენს დაბადებამდე. ორივენი მოხუცები არიან. მაგალითად, მამაშენი, რომელსაც სამი ოჯახი ჰყავს!

- ნუთუ მთელ ამ საძაგელ ლონდონში არ მოიძებნება ადგილი, სადაც მარტო ჩვენ ვიქნებოდით?

- მხოლოდ ტაქსიში.

- ჰოდა, ჩავსხდეთ.

როცა გვერდიგვერდ მოთავსდნენ მანქანაში, ფლერმა უეცრად ჰკითხა:

- შინ უნდა დაბრუნდე რობინჰილში? მინდა, ვნახო, სად ცხოვრობ, ჯონ. მე მამიდა მელოდება, ამაღამ მასთან ვრჩები, თუმცა სადილამდე დაბრუნებას ხომ მოვასწრებ. სახლთან, რა-საკვირველია, არ მოვალ.

ჯონმა აღტაცებით შეხედა.

- ჩინებულია! ჩვენს სახლს ტევრის მხრიდან გიჩვენებ, იქ არავის გადავეყრებით. მატარებელი ზუსტად ოთხ საათზე გადის.

საკუთრების ღმერთს და მის ერთგულ ფორსაიტებს - დიდებს და პატარებს, რანტიეებს, ჩინოვნიკებს, ექიმებსა და ადვოკატებს, ისევე, როგორც ყველა მუშაკს - ჯერაც არ დაესრულებინა შვიდსაათიანი სამუშაო დღე, რის გამოც ჭაბუკი და ქალიშვილი მათი მეოთხე თაობიდან - რაკი ადრეულ მატარებელს მიუსწრეს - ახლა რობინჰილისკენ მიქროდნენ პირველი კლასის ცარიელი, მტვრიანი და შეხუთული ვაგონით, სადაც ნეტარ დუმილში ისხდნენ, ხელიხელჩაკიდებული.

სადგურზე არავინ დაუნახავთ, ტვირთმზიდავებისა და ჯონისთვის უცნობი ორი-სამი ფერმერის გარდა. იქიდან აუყვნენ სოფლის თემშარას, სადაც მტვრისა და ჯიქას(ჯიქა - მცენარე. საქართველოში გავრცელებულია მისი ერთ-ერთი სახეობა, ცხრატყავა.) სუნი იდგა.

ჯონისთვის, რომელსაც უკვე სჯეროდა თავისი სატრფოსი და ახალი განშორება აღარ აშინებდა, ეს საკვირველი მგზავრობა იყო, კიდევ უფრო დამატყვევებელი, ვიდრე მათი გასეირნებები ბორცვებზე ან თემზის გასწვრივ. ეს იყო სიყვარული ლაჟვარდოვან ბურუსში, ცხოვრების ერთ-ერთი ნათელი ფურცელი, რო-

მელზე დაწერილი თითოეული სიტყვა და ღიმილი, ხელის თითოეული მსუბუქი შეხება, თითქოსდა პაწაწინა წითელი, ცისფერი ან ოქროსფერი პეპელა იყო, სტრიქონებს შორის კი ყვავილები და ჩიტები დაფარფატებდნენ: მთელ ოცდაჩვიდმეტ წუთს გაგრძელებული ბედნიერ-გიჟური ურთიერთობა! ტევრს ძროხების წველის ჟამს მიუახლოვდნენ. ჯონი არ აპირებდა ფლერთან ერთად ფერმამდე მისვლას, მხოლოდ ისეთ ადგილზე გაიყვანდა, საიდანაც ჩანდა მინდორი, ბაღი, მათ გადაღმა კი - სახლიც. მუხებს შორის გამავალ ბილიკს მიჰყვნენ და უცებ, მოსახვევში, წაქცეული ხის ღეროზე მჯდომარე აირენი დაინახეს.

არსებობს სხვადასხვაგვარი დარტყმა: დარტყმა ხერხემალზე, ნერვებზე, სინდისზე... მაგრამ მათ შორის უძლიერესია დარტყმა, რომელიც ადამიანის ღირსებას ხვდება. ასეთი დარტყმის ატანა მოუხდა ახლა ჯონს, ასე მოულოდნელად რომ წააწყდა დედას. უცებ მიხვდა, რომ ულამაზო ნაბიჯი გადადგა. ფლერის ჩამოყვანა ღიად - კი ბატონო, მაგრამ მალულად... სირცხვილისგან ალმოდებულმა იმდენი თავხედობა მოიკრიბა, რამდენიც კი საერთოდ შეეძლო.

ფლერი ოდნავ გამომწვევად იღიმოდა. აირენის სახეზე მოვარდნილი შიში სწრაფად შეცვალა გულგრილი მისალმების გამომეტყველებამ. მან პირველმა ამოიღო ხმა:

- დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ! რა შესანიშნავია, რომ ჯონმა მოისაზრა თქვენი მოყვანა ჩვენთან!

- შინ შესვლას არ ვაპირებდით, - ისროლა ჯონმა, - მხოლოდ ის მინდოდა, რომ ფლერისთვის მეჩვენებინა, სად ვცხოვრობთ.

- შემოდით, ჩაი დავლიოთ, - მშვიდად თქვა დედამ.

ჯონი აცნობიერებდა, რომ კიდევ უფრო გააღრმავა თავისი უტაქტობა. ამ დროს ფლერის პასუხი გაიგონა:

- დიდი მადლობა! სიამოვნებით შემოვიდოდი, მაგრამ სადილისთვის შინ უნდა ვიყო. ჯონს შემთხვევით გადავეყარე და მომინდა, მისი სახლისთვის შემეხედა.

როგორ უჭირავს თავი!

- ჩინებულია. მაგრამ მაინც უნდა დაგვეწვიოთ ჩაიზე. მერე სადგურზე გაგისტუმრებთ. ჩემი ქმარი მოხარული იქნება, თუ გნახავთ.

ჯონის სახეზე სულ ერთი წამით შეჩერებულმა აირენის მზერამ ბიჭი ფერფლად აქცია და მატლივით გასრისა. ქალი წინ წავიდა, გოგონა მიჰყვა, ჯონი კი თავს ბავშვად გრძნობდა და ორი ქალის უკან მილასლასებდა, ასე თავისუფლად რომ ლაპარაკობდნენ ესპანეთზე, უონსდონზე და ხეებს უკან, მწვანე ბორცვზე აღმართულ სახლზე. უყურებდა, როგორ იკვეთებოდა ამ ორი ქალის მზერა, როგორ სწავლობდა ერთმანეთს ეს ორი არსება, რომლებიც ჯონს ყველაფერზე მეტად უყვარდა ამქვეყნად.

შორიდან დაინახა მამა, რომელიც ბებერი მუხის ქვეშ იჯდა, და წინდაწინ იტანჯებოდა იმ დამამცირებელი განაჩენის გამო, რომლის წაკითხვაც მოუხდებოდა მოხუცის მზერაში, მის მშვიდ პოზაში, გამხდარ, მოხუცებულ და მაინც მოხდენილ ფიგურაში. ჯონს უკვე ეჩვენებოდა მსუბუქი ირონია ჯოლიონის ხმასა და ღიმილში.

- ეს ფლერ ფორსაიტია, ჯოლიონ. ჯონმა ჩამოიყვანა ჩვენი სახლის სანახავად. ახლავე შევთავაზოთ ჩაი. ჩვენს სტუმარს მა-

ტარებელზე ეჩქარება. თადარიგი დაიჭირე, ძვირფასო, და ტაქსი გამოიძახე ტელეფონით.

ჯონს ეუცნაურა ფლერის მარტო დატოვება მშობლებთან. და მაინც, როგორც უეჭველად გაითვალისწინა დედამ, ეს ახლა უმცირესი ბოროტება იქნებოდა. ჯონი სირბილით შევიდა სახლში. ახლა ერთი წუთითაც ვეღარ ნახავს ფლერს პირისპირ, არადა, ჯერ არ ჰქონდათ დათქმული მომდევნო შეხვედრა. როცა ჯონი დაბრუნდა, მოსამსახურე ქალებსა და ჩაის სერვიზს ამოფარებული, ბებერი მუხის ქვეშ უხერხულობის ნატამალიც არ იგრძნობოდა. თუმცა უხერხულობა თანდათან იპყრობდა ჯონის, რის გამოც თავს უფრო მსუბუქად ვერ გრძნობდა. საუბარი კორკსტრიტის გამოფენას ეხებოდა.

- ჩვენ, მოხუცები, ამაოდ ვცდილობთ გავიგოთ, რატომ ვერ ვაფასებთ ახალ ხელოვნებას. თქვენ უნდა გაგვანათლოთ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ხელოვნება ისე უნდა განვიხილოთ, როგორც სატირა? - თქვა ფლერმა.

ჯოლიონს გაეღიმა.

- სატირა? არა, მე მგონი, რაღაც უფრო მეტია. შენ რას იტყვი, ჯონ?

- არ ვიცი, - დაიბნა ჯონი.

მამამისს კი უეცრად სახე მოეღუშა.

- მოვბეზრდით ახალგაზრდებს: ჩვენი ღმერთები, ჩვენი იდეალები. "თავები დააყრევინეთ, - ყვირიან, - დაამხეთ კერპები! დავუბრუნდეთ არაფერს!" და ხომ ხედავს ზეცა, რომ ასეც მოიქცნენ: ჩიხში შევიდნენ. ჯონი პოეტია. ისიც ამ გზით წავა და ფეხქვეშ გათელავს, რაც ჩვენგან დარჩება. საკუთრება, მშვენიერე-

ბა, გრძნობა - კვამლია ეს ყველაფერი! ჩვენს ეპოქაში არავითარი საკუთრება არ უნდა არსებობდეს, თვით გრძნობების საკუთრებაც კი: ისინი ხერგავენ გზას, რომელიც მიდის... არარაობისკენ!

ჯონი გაოგნებული, თითქმის შეურაცხყოფილი უსმენდა მამის სიტყვებს, რომელთა უკან ყრუდ შეიგრძნობდა მისთვის მიუწვდომელ ფარულ აზრს. მას ხომ არაფრის გათელვა არ სურდა!

- დღევანდელობის ღმერთად არარაობა იქცა, - განაგრძო ჯოლიონმა, - მივედით იქ, სადაც რუსები სამოცი წლის წინ იდგნენ, როცა ნიჰილიზმის საფუძვლებს ქმნიდნენ.

- არა, მამა, - შესძახა უცებ ჯონმა, - ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ ვიცხოვროთ, ოღონდ არ ვიცით, როგორ, რადგანაც წარსული გვაბრკოლებს.

- ვაღიარებ, რომ ღრმა ნათქვამია, ჯონ, - თქვა ჯოლიონმა, - თვითონ მოიფიქრე? წარსული! საკუთრების ძველი ფორმები, გარდასული ვნებები და მათი შედეგები. ხომ არ გავაბოლოთ?

ჯონმა თვალი მოჰკრა, როგორ მიიდო დედამ ხელი პირზე, ისე სწრაფად, თითქოს სიჩუმისკენ უხმობსო. ჯონმა პაპიროსის პატარა კოლოფი მოიტანა. ასანთი ჯერ მამას და ფლერს მიუახლოვა, მერე თვითონაც გააბოლა. ამ დროს თავში მოხვდა: "რა თქვა ვალ დარტიმ?" როცა ნაფაზს არ არტყამდა, კვამლი ცისფერი იყო, როცა არტყამდა - ნაცრისფერი. მოეწონა შეგრძნება ცხვირში და, ამასთანავე, პაპიროსით მოგვრილი თანასწორობის განცდა. კარგია, რომ არავინ უთხრა ამ დროს: "როგორ? შენც დაიწყე მოწევა?" თითქოს წლოვანება მოემატა.

ფლერმა საათს შეხედა და წამოდგა. ჯონის დედა და ფლერი სახლში შევიდნენ. მამასთან მარტო დარჩენილი ჯონი დროდადრო პაპიროსს აბოლებდა.

- სტუმარი მანქანაში ჩასვი, მეგობარო, - თქვა ჯოლიონმა, - და როცა გაემგზავრება, დედას სთხოვე, აქ შემომიაროს.

ჯონი გავიდა. ჰოლში შეიცადა, ფლერი მანქანაში ჩასვა. არც ერთხელ არ მიეცა ორიოდე სიტყვის თქმის შანსი, ხელის ჩამორთმევაც ძლივს მოახერხა დამშვიდობების წინ.

მთელ საღამოს ელოდა, რომ რამეს ეტყოდნენ. მაგრამ არაფერი თქმულა, თითქოს საერთოდ არაფერი მომხდარა. დასაძინებლად წავიდა და ღამის მაგიდის ზემოთ დაკიდებულ სარკეში თავის თავს შეხვდა. არაფერი უთქვამს არც მას და არც მის ორეულს, თუმცა ორივე ისე იყურებოდა, თითქოს რაღაცას მალავდნენ.

თავი მეოთხე

გრინსტრიტზე

უცნობია, საიდან გაჩნდა სულ პირველად შთაბეჭდილება, რომ პროსპერ პროფონი სახიფათო კაცია: მაშინ, როცა ცდილობდა, ვალ დარტისთვის მეიფლაის კვიცი ეჩუქებინა? ფლერის შენიშვნის შემდეგ, რომ ეს კაცი, "მიდიელთა ჯარივით, სულ დაძრწის და დაძრწის"? მაშინ, როცა მან დასვა ყოვლად უცნაური შეკითხვა: "რაში გჭირდებათ სიცოცხლისუნარიანობა, მისტერ კარდიგან?"; თუ, უბრალოდ, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ის უცხოელი იყო ან, როგორც ახლა ამბობენ, "უცხო წარმოშობის ელემენტი". ცნობილია მხოლოდ ის, რომ ანეტი ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა და რომ სომსმა მას - პროფონს - თავისი გოგენი მიჰყიდა, მერე კი ჩეკი დახია, რის შემდეგაც თვით პროფონს განუცხადებია: "ვერა და ვერ მივიღე ის პატარა სურათი, მისტერ ფორსაიტისგან რომ შევიძინე".

როგორი ეჭვის თვალითაც უნდა ეცქირათ, ის მაინც ხშირად დაიარებოდა უინიფრიდის სახლში გრინსტრიტზე, ბრწყინავდა თავისი გულკეთილი სიჩლუნგით, რომელსაც არავინ უთვლიდა მიამიტობად: - ამ სიტყვას ნამდვილად ვერ მიუსადაგებდი მუსიე პროსპერ პროფონს. თუმცა უინიფრიდი მას ისევ "სახალისო" პი-

როვნებად ნათლავდა და მოსაწვევ ბარათებსაც უგზავნიდა: "შემოგვიარეთ, დაგვეხმარეთ, რომ საღამო სასიამოვნოდ მოვახრჩოთ" (უინიფრიდს ჰაერივით სჭირდებოდა, რომ, თავისი ლექსიკონით, არ ჩამორჩენოდა თანამედროვეობას).

თუ პროფონი ყველასთვის იდუმალების ნიმბით იყო მოცული, ამას განაპირობებდა ის, რომ მას ყველაფერი გამოეცადა, ყველაფერი თავისი თვალით ენახა, თავისი ყურით მოესმინა და ყველაფერი იცოდა, თუმცაღა ვერაფერში ვერაფერს პოულობდა, რაც სრულებით არაბუნებრივი ჩანდა. უინიფრიდი, რომელიც მუდამ მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა, საკმარისად იცნობდა გულის აცრუების ინგლისურ ტიპს. ასეთი ტიპის ადამიანები აღბეჭდილი იყვნენ გარკვეული დახვეწილობითა და კეთილშობილებით, ისე, რომ ეს გარშემო მყოფებს სიამოვნებასაც კი ანიჭებდა. მაგრამ ვერაფერში ვერაფრის პოვნა ინგლისური ფენომენი არ გახლდათ, ხოლო ყოველივე არაინგლისური უნებლიეთ საშიში ჩანს, თუკი საერთოდ ცუდ ტონად არ ითვლება. თითქოს ომისგან ჩამოყალიბებული განწყობა - ბნელი, მძიმე, გულგრილად მოღიმარი - მკვიდრად ჩაგიჯდათ ამპირის სავარძლებში; თითქოს უეცრად ამეტყველდა მეფისტოფელური წვერის ზემოთ გამობურცული თავისი სქელი, წითელი ტუჩებით. ინგლისელისთვის ეს "ცოტა არ იყოს მეტისმეტი" იყო, როგორც ამბობდა ჯეკ კარდიგანი. თუ არაფერია ისეთი, რისთვისაც ღირს აღელვება, მაშინ სპორტი მაინც რჩება, ის კი ნამდვილად ღირს მღელვარებად. უინიფრიდს, რომელიც მუდამ ჭეშმარიტ ფორსაიტად რჩებოდა, არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ ასეთი გულის აცრუებისგან ვერაფერს გამოწურავ და, ამდენად, არც აქვს

არსებობის უფლება. მართლაცდა, მუსიე პროფონი მეტისმეტად აშიშვლებდა თავის თვალსაზრისს იმ ქვეყანაში, რომელიც პატიოსნად მალავდა ამგვარ მოვლენებს.

როდესაც რობინჰილიდან აჩქარებით დაბრუნებული ფლერი სადილზე გამოცხადდა, იმ მომენტში "განწყობა" უინიფრიდის პატარა სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან იდგა და ისეთი სახით გადასცქეროდა გრინსტრიტს, თითქოს იქ სრულებით ვერაფერს ხედავდა. გოგონა იმწამსვე მიტრიალდა და ბუხარს ჩააშტერდა, თითქოს უყურებდა ცეცხლს, რომელიც იქ არ იყო.

პროფონი ფანჯარას მოშორდა. უნაკლოდ გამოწყობილიყო: თეთრი ჟილეტი, თეთრი ყვავილი ღილკილოში.

- აჰ, მის ფორსაიტ! ძალიან მიხარია, რომ გხედავთ. როგორ ვიკითხო მისტერ ფორსაიტი? ზუსტად დღეს ვამბობდი, რომ მას გართობა მართებს. მოწყენილია.

- ნუთუ? - მოკლედ დაუბრუნა ფლერმა.

- ჰო, აშკარ-რად, - თქვა მუსიე პროფონმა "რ"-ს გაწელვით.

ფლერი მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა.

- გითხრათ, რა გაართობდა? - დაიწყო მან... მაგრამ სიტყვები "იმის გაგონება, რომ თქვენ აითესეთ" ტუჩებზე შეაცივდა, როცა პროფონის სახეს შეხედა. მუსიემ ყველა ჩაწიკწიკებული კბილი გამოაჩინა.

- დღეს კლუბში მისი გარდასული უსიამოვნებები შევიტყვე.

ფლერს თვალები გაუფართოვდა.

- არ მესმის, რას გულისხმობთ.

მუსიე პროფონმა გადაგლესილი თავი დახარა, თითქოს ასე უნდოდა შეემცირებინა თავისი სიტყვების მნიშვნელობა:

- ის პატარა ამბავი, ჯერ კიდევ თქვენს დაბადებამდე რომ მოხდა.

მართალია გააცნობიერა, რომ პროფონმა ძალზე ჭკვიანურად გადაიტანა ფლერის ყურადღება იმ ხაზიდან, რომელიც თვითონვე შეჰქონდა მამამისის უსიამოვნებაში, ფლერმა მაინც ვერ მოითმინა დაესვა მძაფრი ცნობისწადილით ნაკარნახევი საკითხი:

- მიამბეთ, რა შეიტყვეთ.

- რისთვის? - გამოხდა მუსიე პროფონს, - თქვენ იცით ეს ყველაფერი.

- რასაკვირველია. ოღონდ, მსურს, დავრწმუნდე, რომ თქვენ დამახინჯებულად არ გადმოგცეს.

- მისი პირველი მეუღლის შესახებ, - თქვა მუსიე პროფონმა.

ძლივს შეიკავა თავი შეძახილისგან: "მამაჩემს არასოდეს ჰყოლია სხვა ცოლი!" და ამის ნაცვლად თქვა:

- ჰოდა, რა შეიტყვეთ იმ ქალზე?

- მისტერ ჯორჯ ფორსაიტმა მიამბო, რომ მამათქვენის მეუღლე მოგვიანებით ცოლად გაჰყოლია მის ბიძაშვილ ჯოლიონს. მისტერ ფორსაიტისთვის ეს, ვფიქრობ, რამდენადმე უსიამოვნო იყო. მათი ვაჟიშვილი ვნახე. დიდებული ბიჭია.

ფლერმა მზერა შემართა: მუსიე პროფონის ლუციფერულად მოღიმარი სახე მის თვალწინ აცურდა. აი, ის! აი, მიზეზი! ჰეროიკული ძალისხმევით, ისეთით, როგორიც არასოდეს დასჭირვებია ცხოვრებაში, ფლერმა მღელვარება ძალდატანებით დაიოკა. არ იცოდა, შენიშნა თუ არა პროფონმა მისი განწყობა. ამ დროს სასტუმრო ოთახში უინიფრიდი შემოვიდა.

- ოჰ, თქვენ უკვე აქ ხართ. მე და იმოჯინმა ჩინებული დღე გავატარეთ "ჩვილის ბაზარში".

- რომელი ჩვილის? - მექანიკურად იკითხა ფლერმა.

- საზოგადოებისა, რომელსაც ჰქვია "იხსენი ჩვილები". ზღაპრული რაღაც შევიძინე, ძვირფასო: ძველი სომხური მაქმანის ნაგლეჯი, ძველთუძველესი. თქვენს მოსაზრებას ხომ მეტყვით, პროსპერ.

- მამიდა! - დაიჩურჩულა ფლერმა.

გოგონას უცნაური ტონით შემკრთალი უინიფრიდი ფლერს მიუახლოვდა.

- რა ხდება შენს თავს? ცუდად ხარ?

მუსიე პროფონი ისევ ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც თითქოს მათ ლაპარაკს ვერ გაიგონებდა.

- მამიდა, მან... მან მე მითხრა, რომ მამაჩემი ერთხელ უკვე დაქორწინებულა. სიმართლეა, რომ იმ ცოლს გაშორდა და ის ქალი შემდეგ ჯონ ფორსაიტის მამამ შეირთო?

უინიფრიდს - ოთხი პატარა დარტის დედას - ცხოვრებაში არასოდეს განუცდია ასეთი შეცბუნება, როგორც ამ მომენტში. მის ძმისშვილს სახე გაჰფითრებოდა, თვალები ჩამუქებოდა, დაძაბული ხმა ჩურჩულამდე დასვლოდა.

- მამაშენს არ სურდა, რომ ეს ამბავი შენამდე მოსულიყო, - თქვა შეძლებისდაგვარად დამაჯერებლად, - ყოველთვის ასე ხდება. ხშირად მითქვამს მისთვის, ყველაფერი უნდა უამბომეთქი.

- ოჰ! - წამოიძახა ფლერმა.

და ამით მორჩა. მაგრამ ესეც საკმარისი იყო. უინიფრიდმა ხელი მოუთათუნა მხარზე - თეთრ, მაგარ, საამურ მხარზე! თავისდა უნებურად, ყოველთვის შემფასებლური მზერით უყურებდა თავის ძმისშვილს, რომელიც ოდესმე, რაღა თქმა უნდა, გათხოვდებოდა, ოღონდაც არა ამ ყმაწვილ ჯონზე.

- ჩვენ უკვე მრავალი წელია დავივიწყეთ ეს ამბავი, - თქვა ფლერის დასამშვიდებლად, - წამოდი, ვისადილოთ.

- არა, მამიდა. რაღაც უქეიფოდ ვარ. შეიძლება, ზემოთ ავიდე?

- ჩემო ძვირფასო! - გული დასწყდა უინიფრიდს, - რა ახლოს მიგაქვს გულთან? თქვენ შორის ხომ ჯერ არაფერი ყოფილა. ის ბიჭი მთლად ბავშვია!

- რომელი ბავშვი? უბრალოდ, თავი მტკივა. და დღეს აღარ მსურს ამ ადამიანის ნახვა.

- კარგი, ძვირფასო. ადი და დაწექი. ბრომს გამოგიგზავნი და პროსპერსაც დაველაპარაკები. რატომ გადაწყვიტა ჭორაობა? თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ, ჩემი აზრით, უკეთესიც კია, რომ ყველაფერი შეიტყვე.

ფლერმა გაიღიმა:

- ჰო, - და ჩუმად გავიდა.

კიბეზე ასვლისას თავბრუ ეხვეოდა, პირი გამომშრალი ჰქონდა, მკერდი ეკუმშებოდა. დაბადებიდან დღემდე არასოდეს ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რომ ვერ მიიღებდა იმას, რაც სურდა. დღევანდელი დღე სავსე იყო ძლიერი განცდებით, ამ დამაგვირგვინებელმა საზარელმა აღმოჩენამ კი პირდაპირ თავი აატკივა. გასაკვირი არ არის, რომ მამა ფოტოსურათს მალავს, -

რცხვენია, რომ აქამდე ინახავს. მაგრამ ნუთუ შეიძლება, რომ ჯონის დედა სძულდეს და თან მის სურათს ინახავდეს? ფლერმა ხელები საფეთქლებზე მიიდო - თავის აზრებში გარკვევას ცდილობდა. იმათ თუ უამბეს ჯონს? ფლერის გამოჩენამ რობინჰილში თუ აიძულა, რომ ეამბნათ? ჰო თუ არა? ახლა ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. ფლერმაც იცის და დანარჩენებმაც, გარდა, შესაძლოა, ჯონისა.

ტუჩის კვნეტით ბოლთას სცემდა ოთახში და გმირული დაძაბულობით ფიქრობდა. ჯონს უყვარს დედამისი და, თუ ეს ყველაფერი უამბეს, როგორ მოიქცევა აწი? წინდაწინ ვერავინ იტყვის. და თუ არ უამბნიათ, ხომ არ შეიძლებოდა, რომ ფლერს... ხომ არ შეიძლება, რომ ფლერი მანამდე მისთხოვდეს, სანამ ჯონი ამ ამბავს შეიტყობს? ფლერმა რობინჰილში მიღებული შთაბეჭდილებები გადასინჯა: დედამისის სახე - ესოდენ პასიური, მრუმე თვალები, თითქოსდა შეპუდრული თმა, ნაკვთებში - თავშეკავებული სიმშვიდე, ბაგეზე - ღიმილი. ეს სახე ფლერს თავგზას უბნევდა. მამამისის სახე კი - კეთილი, ჩამომჭკნარი, ირონიული. ფლერი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ისინი მაშინვე არ უამბობდნენ ჯონს ყველაფერს, - ვერ მიაყენებდნენ დარტყმას, რადგანაც ეს ამბავი მისთვის, რაღა თქმა უნდა, საშინელი დარტყმა იქნებოდა.

ოღონდაც მამიდამ არ უთხრას მამას, ფლერმა ყველაფერი იცისო! ზომები უნდა მიიღოს. სანამ მშობლები ფიქრობენ, რომ არც მან და არც ჯონმა არაფერი იციან, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის, შეიძლება კვალის წაშლა და სასურველის მიღწევა. თუმცა ფლერს თრგუნავდა აზრი, რომ მარტოდმარტო იბრძოდა. ყველა მის წინააღმდეგ იყო, ყველა! ზუსტად ისე, რო-

გორც ჯონმა თქვა დღეს: ჩვენ ცხოვრება გვსურს, წარსულს კი გზა ჩაუხერგავს, წარსულს, რომელშიც ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია. აღმაშფოთებელია! უეცრად ჯუნი გაახსენდა. ის ხომ არ დაეხმარებოდა? რატომღაც ჯუნმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს თვითონაც ვერ იტანდა დაბრკოლებებს და ამიტომ უნდა თანაეგრძნო მათი სიყვარულისთვის. მერე ინსტინქტმა სხვა აზრი უკარნახა: "არც იმას ვეტყვი რამეს. არ შეიძლება. ჯონი ჩემი უნდა იყოს - ყველას ნების საწინააღმდეგოდ".

თასით შემოუტანეს ბულიონი და ბრომიდის აბი - უინიფრიდის საყვარელი საშუალება თავის ტკივილის გასაყუჩებლად. ფლერმა ერთიც გადაყლაპა და მეორეც. მერე თვით უინიფრიდი გამოცხადდა. ფლერმა კამპანია ამ სიტყვებით გახსნა:

- იცით, მამიდა, არ მინდა, ხალხი ფიქრობდეს, თითქოს ეს ბიჭი მიყვარს. თითქმის სრულებით არ ვიცნობ.

მთელი თავისი გამოცდილების მიუხედავად, უინიფრიდი არც ისე ფაქიზი სულისა იყო. ფლერის სიტყვებმა თითქმის დაამშვიდეს. რასაკვირველია, გოგონასთვის უსიამოვნო იყო ოჯახური სკანდალის გაგება და უინიფრიდიც შეუდგა ტონის შერბილებას, ანუ ამოცანას, რომლისთვისაც შესანიშნავად იყო მომზადებული მას შემდეგ, რაც, ერთი მხრივ, მაღალი აღზრდა მიიღო მუდამ მშვიდი დედისა და იმ მამისგან, რომლის ნერვებს მუდმივად უფრთხილდებოდნენ, მეორე მხრივ კი, გაიარა ხანგრძლივი ცოლქმრული ცხოვრების სკოლა მონტეგ დარტის გვერდით. მისი მონათხრობი ყოველივეს გამარტივების შედეგს წარმოადგენდა:

სომსის პირველი ცოლი დიდი ხუშტურიანი ვინმე ყოფილა. იყო კიდევ მავანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მანქანამ გასრისა. იმ ქალმა კი სომსი მიატოვა. მრავალი წლის შემდეგ, როცა ისევ შეიძლებოდა ყველაფრის მოწესრიგება, ის ქალი მათმა ბიძაშვილმა ჯოლიონმა მოხიბლა. სომსი, რასაკვირველია, იძულებული იყო ცოლს ოფიციალურად გაჰყროდა. ეს ამბავი აღარავის ახსოვს, ოჯახის წევრების გარდა. სხვათა შორის, საბოლოოდ, ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა: სომსს ახლა ფლერი ჰყავს, ხოლო ჯოლიონსა და აირენს, როგორც ჩანს, ძალიან ბედნიერი ცხოვრება აქვთ. მათი ვაჟიშვილიც საყვარელი ყმაწვილია. ვალ დარტი ჰოლიზე დაქორწინდა და ამან საბოლოოდ მოაწესრიგა ყველაფერი. ამ დამამშვიდებელი სიტყვებით უინიფრიდმა ძმისშვილს მხარზე ხელი მოუთათუნა და გაიფიქრა: "მადისაღმძვრელი პატარა ქალბატონი - მთლად ჩამოსხმული", მერე კი დაუბრუნდა პროსპერ პროფონს, რომელიც, ჩადენილი უტაქტობის მიუხედავად, იმ საღამოს ფრიად და ფრიად "გამრთობი" გახლდათ.

მამიდის გასვლის შემდეგ, რამდენიმე წუთს ფლერი განიცდიდა პრეპარატ ბრომიდის ზემოქმედებს. მერე რეალობის განცდა დაუბრუნდა. მამიდამ დუმილით აუარა გვერდი ყოველივე ნამდვილად მნიშვნელოვანს: გრძნობას, სიძულვილს, სიყვარულს, მხურვალე გულების შეურიგებლობას. ფლერი ახლაღა იწყებდა ცხოვრებას, პირველად შეეხო სიყვარულს, მაგრამ მაინც ინსტინქტით გრძნობდა, რომ სიტყვები ისევე შორს იყო ფაქტისგან, როგორც ფულის მონეტა - მისით ნაყიდი პურისგან. "საბრალო მამა! - ფიქრობდა, - საბრალო მე! საბრალო ჯონი!

მაგრამ სულერთია: რაკი მე მსურს, ის ჩემი იქნება". თავისი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, როგორ გავიდა სადარბაზო კარიდან "ის კაცი" და მწუხრში "გაიძურწა". თუ ის და დედამისი... როგორ აისახება ეს ფლერის გეგმებზე? უეჭველია, ასეთ შემთხვევაში მამა უფრო მეტად მიებმება გოგონას და, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდება ყველაფერზე, რასაც ფლერი მოისურვებს, ან უფრო სწრაფად შეურიგდება ყველაფერს, რასაც ფლერი მოიმოქმედებს მასთან შეუთანხმებლად.

პეშვით მიწა ამოიღო ფანჯრის გარეთ დაკიდებული ყვავილების ყუთიდან და მთელი ძალით ესროლა იმ ზურგს, უფრო და უფრო რომ შორდებოდა სახლს. რა თქმა უნდა, ვერ მიაწვდინა, მაგრამ თვით ამის მცდელობამაც კი დამამშვიდებლად იმოქმედა.

ფანჯარაში შემოსულ ნიავს გრინსტრიტიდან ბენზინის უსიამოვნო სუნი შემოჰყვა.

თავი მეხუთე

წმინდად ფორსაიტული საქმეები

ფიქრებში ჩაფლული სომსი ქალაქში გავიდა იმ განზრახვით, რომ დღის ბოლოს გრინსტრიტზე შეევლო, ფლერი წამოეყვანა და ერთად მისულიყვნენ შინ. საქმეებისგან თავდახსნილი ახლა იშვიათად ხვდებოდა ქალაქში. და მაინც, ოფისში "ქეთკოტ, კინგსონ და ფორსაიტი" ჰქონდა თავისი კაბინეტი, სადაც ორი მოხელე პირწმინდად ფორსაიტულ საქმეებს აგვარებდა: ერთ მათგანს სრული ხელფასი ეძლეოდა, მეორეს - ნახევარი. ამჟამად საქმეები კარგად მიდიოდა - კარგი მომენტი იყო სახლების გაყიდვისთვის და სომსიც დაკავებული იყო მამამისის, ძია როჯერისა და, ნაწილობრივ, ძია ნიკოლასის უძრავი ქონების გაყიდვით. თავისი გამჭრიახობისა და კეთილსინდისიერების წყალობით ფულთან დაკავშირებულ ყველა საქმეში სომსმა მიიღო მისთვის მინდობილ ამ ქონებათა ერთპიროვნულად განკარგვის უფლება. თუ სომსი ფიქრობდა ამას ან იმას, სხვას აღარავის სჭირდებოდა იმავე საგანზე ფიქრი. ის, თითქოსდა, უზრუნველყოფდა მესამე და მეოთხე თაობის ფორსაიტების უპასუხისმგებლობას. სხვა მეურვეები - მისი ბიძაშვილები, როჯერი და ნიკოლასი, მისი მოყვრები - ტვიტმენი და სპენდერი, ან მისი დის, სისილის,

ქმარი - ყველა ენდობოდა სომსს, რომელიც პირველი აწერდა ხელს და სადაც ის აწერდა, იქ ყველა დანარჩენიც აწერდა და ერთი პენიც კი არ აკლდებოდა არავის. პირიქით: ამჟამად ყველა ისინი გაცილებით მეტი პენის მფლობელები იყვნენ და მისთვის მინდობილი ზოგიერთი უძრავი ქონების ლიკვიდაცია სომსს საკმაოდ ვარდისფერ ტონებში ესახებოდა (რამდენადაც ეს წარმოსადგენია ამ დროში). აცბუნებდა მხოლოდ რეალიზებული თანხებით შეძენილი ფასეულობებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება.

ამრიგად, ფიქრში დანთქმული სომსი ლონდონის აფუთფუთებულ ქუჩებს მიარღვევდა ამ ქალაქის ყველაზე ჩუმი ნავსაყუდლისკენ.

ფულის არტახები უფრო და უფრო მაგრად ეჭირება, ზნეობა კი უკიდურესად დუნდება. აი, ომის პირდაპირი შედეგი! ბანკები სესხებს არ იძლევიან. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა კონტრაქტები. ჰაერში რაღაც სიო ქრის, რაღაც ისეთი, რაც სომსს არ მოსწონს, ისევე, როგორც სახეების ახლებური გამომეტყველება. ქვეყანა აშკარად გადის სპეკულაციისა და გაკოტრების პერიოდს. არც ის აზრი იძლეოდა კმაყოფილებას და სიმშვიდეს, რომ თვით სომსი და მისი ნდობით აღსავსე პირები ინარჩუნებდნენ მხოლოდ ისეთ ფასეულობებს, რომლებსაც არაფერი ემუქრებოდა, გარდა რაღაც გიჟური ზომებისა, როგორიცაა სახელმწიფო ვალების ან კაპიტალზე დაწესებული გადასახადის გაუქმება. თუ სომსს საერთოდ რაიმესი სჯეროდა, ეს იყო "ინგლისური საღი აზრი", ანუ ამა თუ იმ გზით საკუთრების შენარჩუნების უნარი. არაერთგზის უთქვამს (როგორც მანამდე - მამამის ჯე-

იმსს): "არ ვიცი, საით მივდივართ", თუმცა გულში არ სწამდა, რომ საერთოდ სადმე მივდიოდით. თუ სომსის რჩევას მოუსმენენ, ყველაფერი თავის ადგილზე დარჩება, ის კი, ბოლოს და ბოლოს, ერთი რიგითი ინგლისელია, რომელიც ხელიდან არ უშვებს იმას, რაც აქვს, და იცის, რომ არასოდეს იტყვის უარს თავის ქონებაზე, თუკი სანაცვლოდ რაიმე მეტ-ნაკლებად იმავე ღირებულებისას არ მიიღებს. მის გონებას ყოველგვარი ეკვილიბრისტიკის უნარი ჰქონდა მატერიალური სიკეთის საკითხებში, ხოლო მის შეხედულებებს ინგლისის ეკონომიკაზე უბრალო მოკვდავი ძნელად თუ უკუაგდებდა. მაგალითად ავიღოთ თვით სომსი. ის შეძლებული კაცია, მაგრამ ვის რა უშავდება ამით? დღეში ათ სადილს არ ნთქავს. ჭამს არა უფრო მეტს, - და, შესაძლოა, ნაკლებსაც, - ვიდრე რომელიმე ღატაკი. გარყვნილებისთვის ფულს არ ხარჯავს. იმდენ ჰაერსა და წყალს იყენებს, რამდენსაც რომელიმე ზეინკალი ან მტვირთავი. მართალია, სომსი გარემოცულია ლამაზი ნივთებით, მაგრამ ამ უკანასკნელთა წარმოებამ უამრავი ადამიანი დაასაქმა, ვიღაცამ კი ამ ნივთებით უნდა ისარგებლოს. სომსი ყიდულობს ფერწერის ნიმუშებს, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა წაახალისოს ხელოვნება? სომსი, არსებითად, ის შემთხვევითი კალაპოტია, რომლითაც მიედინება ფული სამუშაო ძალის ასანაზღაურებლად. რა არის ამ ყველაფერში გასაპროტესტებელი? სომსის ხელებში ფული უფრო სწრაფად და მეტი ამონაგებით ტრიალებს, ვიდრე სახელმწიფოსა და უგერგილო, ანგარებიანი ჩინოვნიკების ხელში. ის თანხები კი, ყოველწლიურად რომ სდებს გვერდზე თავისი შემოსავლებიდან, ზუსტად დახარჯული თანხებივით ექცევიან ბრუნვაში, იქცევიან

წყალმომარაგების ტრესტის, მუნიციპალიტეტის ან რომელიმე გონივრული და სასარგებლო წარმოების აქციებად. სახელმწიფო ხელფასს არ უხდის იმისთვის, რომ სომსი საკუთარ ან სხვათა ფინანსებს მართავს, - ის ამას უფასოდ აკეთებს. ეს სომსის მთავარი კოზირია ნაციონალიზების საწინააღმდეგოდ: კერძო საკუთრების მფლობელები არ იღებენ ხელფასს, თუმცა ყველანაირად უწყობენ ხელს ფულის ბრუნვის გაცხოველებას. ნაციონალიზების შემთხვევაში კი სწორედაც საპირისპირო რამ ხდება ქვეყანაში, რომელიც ბიუროკრატიისგან ლამის დაიხრჩოს.

თავის წყნარ ნავსაყუდელში შევლისას სომსი გულდაწყვეტით ფიქრობდა იმაზე, რომ ასობით მოურიდებელი ტრესტი და გაერთიანება ყიდულობდა ბაზარზე ყველა ჯურის საქონელს და ფასებს ხელოვნურად ზრდიდა. ეს თავხედები ძალადობდნენ ინდივიდუალისტურ სისტემაზე. ყველა უბედურება მათგან მოდიოდა, ისე, რომ მანუგეშებელიც კი იყო იმის დანახვა, როგორ ამოიძუეს კუდი ბოლოს და ბოლოს, რაკი შიშობდნენ - ჩვენი მაქინაციები გასკდება და ბოლოს გავკოტრდებითო.

ოფისს "ქეთკოტი, კინგსონი და ფორსაიტი" ქუჩის მარჯვენა მხარეს მდგარი სახლის პირველი და მეორე სართულები ეკავა. "დროა განვაახლოთ კედლების შეფერილობა", ფიქრობდა თავისი კაბინეტისკენ ამავალი სომსი.

მისი მოხუცი მოხელე, გრედმენი, თავის ოდინდელ სკამზე იჯდა ვეება მაგიდასთან, რომელსაც აურაცხელი უჯრა ჰქონდა. მეორე მოხელე, უფრო სწორად - ნახევრად მოხელე, პირველის გვერდით იდგა და მოემარჯვებინა მაკლერის ანგარიში ინვესტი-

რების შენატანებზე ბრაიენსტონ-სკვერში მდგარი სახლის გა-
ყიდვის შემდეგ. ეს სახლი როჯერ ფორსაიტს ეკუთვნოდა. სომ-
სმა ანგარში გამოართვა.

- ვანკუვერ-სიტის ბირჟა! - წაიკითხა ფურცელზე, - იქ ხომ
კურსი დღეს დაცემულია.

- დი-ახ. მაგრამ სადღეისოდ ყველა ქაღალდი დაცემულია,
მისტერ სომს, - უპასუხა გრედმენმა რაღაც მხვნეშავი პირმოთ-
ნეობით.

ნახევარმოხელე გავიდა.

სომსმა ეს ფურცელიც სხვა ფურცლებთან ერთად დადო და
ქუდი მოიხადა.

- მინდა, ჩემი ანდერძი და ქორწინების აქტი გადავათვა-
ლიერო.

მოხუცი გრედმენი მიბრუნდა, რამდენადაც ამის საშუალე-
ბას მოტრიალე სკამი აძლევდა, და ქვედა მარცხენა უჯრიდან
ორი საქაღალდე ამოიღო. მერე ისევ წელში გაიმართა და ჭაღარა
თავიც ასწია, ერთიანად აჭარხლებულმა ამ ძალისხმევისგან.

- ასლებია, სერ.

სომსმა ქაღალდები აიღო და უცებ განცვიფრდა: რამდენად
ჰგავს გრედმენი სქელ, ჭრელ ეზოს ძაღლს, მუდმივად ჯაჭვზე
რომ ებათ შელტერში. ერთ მშვენიერ დღეს კი ფლერი ჩაერია.
გოგონამ დაიჟინა, ეს ძაღლი აუშვითო. იმან კი აშვებისთანავე
მზარეულს უკბინა და ამიტომაც მოკლეს. გრედმენიც უკბენს
მზარეულს, თუკი აუშვებენ?

სომსმა ეს მსუბუქი ფანტაზია ალაგმა და საქორწინო კონ-
ტრაქტი გახსნა. თვრამეტი წელია ამ საქაღლდეში არ ჩაეხედა,

ანუ მამის გარდაცვალებისა და ფლერის დაბადების შემდეგ, როცა ანდერძი შეცვალა. ახლა უნდოდა დარწმუნებულიყო, ეწერა თუ არა იქ სიტყვები "სანამ იმყოფება ქმრის მფარველობის ქვეშ". კი, ეწერა. უცნაური გამოთქმაა, თუ კაცი ჩაუფიქრდებოდა: "მფარველობა", "დაფარვა". ნეტავ საცხენოსნო ტერმინოლოგია ხომ არ უდევს საფუძვლად? პროცენტები თხუთმეტი ათასი გირვანქიდან, რასაც ცოლს უხდის საშემოსავლო დაბეგვრის გამოუკლებლად მანამდე, სანამ იგი მის მეუღლედ რჩება, და მერეც, ქვრივობის დროს, dum casta(ლათინური იურიდიული ტერმინი, რომელიც ნიშნავს "სანამ უმწიკვლოა", ანუ, სხვა სიტყვებით, სანამ მეუღლის ერთგულია.) - არქაული და ცხარე სიტყვები ჩასმული იმისთვის, რომ უზრუნველყონ ფლერის დედის უმწკივლო ქცევა. გარდა ამისა, ეს ანდერძი ამტკიცებდა წლიურ შემოსავალს ხუთი ათასი გირვანქის ოდენობით. ჩინებულია! სომსმა საქაღალდე დაუბრუნა გრედმენს, რომელმაც თავაუღებლად გამოართვა, სკამიანად მიბრუნდა, ისევ ქვედა უჯრაში დააბრუნა და კვლავ თავის ანგარიშებში ჩაეფლო.

- გრედმენ, არ მომწონს საქმეების მდგომარეობა ქვეყანაში. უამრავი ხალხი გამოჩნდა, საღი აზრის ნატამალი რომ არ გააჩნია. უნდა ვიპოვო ხერხი, ფლერს ყოველგვარი შესაძლებელი უკუღმართობისგან რომ დაიცავს.

გრედმენმა საშრობზე დაწერა ციფრი "2".

- ჰო-ო, უსიამოვნო ნაკადები იგრძნობა.

- ჩვეულებრივი დაზღვევები კაპიტალის შესაძლებელი ხელყოფისგან მიზანს ვერ აღწევს.

- ვერ აღწევს, - გაიმეორა გრედმენმა.

- ვთქვათ, ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს ან კიდევ უფრო ცუდი რამ მოხდა. ფანატიკოსები ყველაზე უარესი ხალხია. ავიღოთ თუნდაც ირლანდია.

- დი-ახ, - თქვა გრედმენმა.

- ვთქვათ, ახლავე შევადგინე ნაჩუქრობა, რომლითაც კაპიტალი ჩემს ქალიშვილს გადავეცი, მაშინ ჩემგან ვერაფერს წაიღებენ, პროცენტების გარდა, თუ, რასაკვირველია, კანონს არ შეცვლიან.

გრედმენმა თავი დააქნია და გაიღიმა.

- ოჰ, არა, ამაზე არ წავლენ!

- ვინ იცის, - ჩაილუღლუღა სომსმა, - მე მათ არ ვენდობი.

- ორი წელიწადი დასჭირდება, სერ, რომ ნაჩუქარი კაპიტალი ისე არ იქნას განხილული, როგორც მემკვიდრეობა.

სომსმა ჩაიფრუტუნა. ორი წელი! ის ხომ ჯერ მხოლოდ სამოცდახუთისაა.

- საქმე ეს არ არის. მოხაზეთ ნაჩუქრობა, რომლის მიხედვითაც მთელი ჩემი ქონება გადაეცემა მის ფლერის შვილებს თანაბარ წილებად, პროცენტები კი მომხმარდება მთელი დარჩენილი სიცოცხლე ჯერ მე, შემდეგ - მის ფლერს ვადამდელი გადახდის უფლების გარეშე. გარდა ამისა, დამატებაში აღნიშნეთ, რომ თუ რამე ისეთი მოხდა, რაც ჩემს ქალიშვილს წაართმევს სასიცოცხლო რენტის უფლებებს, მაშინ ეს რენტა გადაეცეს მის მეურვეებს, დანიშნულთ მისი ინტერესების დასაცავად ამ უკანასკნელთა სრული გათვალისწინებით.

- ასეთი უკიდურესი ზომები, სერ, თქვენს ასაკში... - ამოიხვნეშა გრედმენმა, - თქვენ ხელიდან უშვებთ კონტროლს.

- ეგ პირადი საქმეა, - მოუჭრა სომსმა.

"სარგებლობისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში... ვადამდელი გადახდა... უფლების ჩამორთმევა რენტაზე... მათი სრული გათვალისწინება...", ჩამოწერა გრედმენმა ფურცელზე და თქვა:

- მეურვე ვინ იქნება? მე შემოგთავაზებდით ახალგაზრდა კინგსონს - სიმპათიურ ახალგაზრდას და ყოვლად დადებით პიროვნებას.

- ჰო, იყოს ეგ - სამეულიდან ერთ-ერთი. კიდევ ორია საჭირო. ფორსაიტებიდან არც ერთი არ მეჩვენება შესაფერისი.

- ახალგაზრდა მისტერ ნიკოლასი? იურისტია. მისთვის საქმეებიც გადაგვიცია.

- ეგ ველოსიპედს ვერ გამოიგონებს.

გრედმენის სახეზე, უთვალავ ცხვრის კატლეტს რომ ჩაეთქვირებინა, ღიმილი გაიფურჩქნა, იმ კაცის ღიმილი, მთელ დღეს ჯდომაში რომ ატარებს.

- მის ასაკში ამას ვერ დაველოდებით, მისტერ სომს.

- რატომ? რამდენი წლისაა? ორმოცის?

- დი-იახ. ჯერ სრულებით ახალგაზრდა კაცია.

- კეთილი. ავიყვანოთ. მაგრამ კიდევ მჭირდება ვიღაც ისეთი, ვინც პირადად იქნება დაინტერესებული. რაღაც ვერავის ვხედავ.

- მისტერ ვალერიუსზე რას იტყოდით? ახლა, როცა ინგლისში დაბრუნდა?

- ვალ დარტი? კი მაგრამ, მამამისი?

- ჰო-ო-ო, - ჩაილუღლუღა გრედმენმა, - მამამისი შვიდი წლის წინ გარდაიცვალა. აქ შესაძლებელია აცილება.

- არა, მირჩევნია მასთან საქმე არ დავიჭირო, - თქვა სომსმა და წამოდგა.

- თუ კაპიტალზე გადასახადს დააწესებენ, შეუძლიათ მეურვეებამდეც მივიდნენ, სერ, - თქვა უცებ გრედმენმა, - საბოლოო ჯამში, იგივე გამოვა. მე თქვენს ადგილზე დავიცდიდი.

- ეგ სიმართლეა. მოვიფიქრებ. ვირსტრიტზე თუ გაგზავნეთ უწყება გამოსახლების თაობაზე შენობის ნგრევის მიზეზით?

- ჯერ არ გამიგზავნია. მდგმური მეტისმეტად ხანდაზმული ქალია. ასეთ ასაკში ბინის დატოვების თავი აღარ აქვთ.

- ეგ არავინ იცის. ახლა ყველა მოუსვენრობის სულითაა მოწამლული.

- მაინც საეჭვოა, სერ. ოთხმოცდაერთი წლისაა.

- გაგზავნეთ უწყება, ვნახოთ, რას იტყვის. ჰო, მართლა: მისტერ ტიმოთისთან როგორ არის საქმე? ყველაფერი მზად გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ...?

- უკვე მომზადებული მაქვს მისი ქონების აღწერილობა, ავეჯისა და სურათების ფასები, ასე რომ, ვიცით ღირებულება ყველაფრის, რასაც აუქციონზე გავიტანთ. თუმცა გული დამწყდება, თუ მოკვდება. ღმერთო ჩემო! რამდენი წელია მისტერ ტიმოთის ვიცნობ!

- არავინ ვართ მარადიული, - თქვა სომსმა და საკიდრიდან ქუდი ჩამოხსნა.

- ჰო, მაგრამ საწყენი იქნება: ძველი ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი. იმ ამბავს ხომ არ მივხედო, ოლდ-

კემპტონსტრიტის მდგმურებს რომ უჩივიან ხმაურისთვის? ოჰ, ეს მუსიკოსები! მათგან მხოლოდ უსიამოვნებებია და მეტი არაფერი.

- მიხედეთ. მე მის ფლერსაც უნდა შევუარო, მატარებელი კი ოთხზე გადის. ნახვამდის, გრედმენ.

- ნახვამდის, მისტერ სომს. ვიმედოვნებ, მის ფლერი...

- ჯანმრთელობა წესრიგში აქვს, ეგაა, შინ არ ედგომება.

- ჰო-ო, - ამოიხვნეშა გრედმენმა, - ახალგაზრდობა!

სომსი გამოვიდა. "მოხუცი გრედმენი! - ფიქრობდა, - უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, მეურვედ ავიყვანდი. ვერავის ვხედავ, ვისაც მშვიდად დავეყრდნობოდი, რომ საქმეს სრული კეთილსინდისიერებით მიუდგებოდა".

ეს ნავსაყუდელი რომ დატოვა იქაურობისთვის დამახასიათებელი არაბუნებრივი სიმშვიდითა და მათემატიკური სიზუსტით, სომსი მიაბიჯებდა და ფიქრობდა: "ჯერჯერობით მფარველობის ქვეშ! რატომ არ უნდა იზღუდებოდნენ თავიანთ უფლებებში პროფონის მსგავსი ადამიანები მრავალი გერმანელი მუშის სანაცვლოდ?" და უცებ შეჩერდა, გაოგნებული იმ უამრავი უსიამოვნებით, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ არაპატრიოტულ აზრს. მაგრამ ვერაფერს გააწყობ! ვერც ერთი წუთით ვერ მოისვენებს ადამიანი ბოლომდე. ყველგან და ყველაფერში რაღაც იმალება. სომსმა გეზი გრინსტრიტისაკენ აიღო.

ზუსტად ორი საათის შემდეგ თომას გრედმენი თავის სკამიანად შებრუნდა, საწერი მაგიდის უკანასკნელი უჯრაც ჩაკეტა, ჟილეტის ჯიბეში გასაღებების ასხმულა ჩაიდო, იმდენად შთამბეჭდავი ზომისა, რომ მარჯვენა მხარე ღვიძლის მიდამოებ-

ში თვალში საცემად გამოებერა, ძველი ცილინდრი სახელოთი გაწმინდა, ქოლგა აიღო და კიბეზე გავიდა. ტანმორჩილი, ბუნჩულა, სერთუკში გამოკვალთული - ახლა კოვენტ-გარდენის ბაზრისკენ მიაბიჯებდა. დღიდან დღემდე, სხეულის ასამოძრავებლად, განუხრელად გადიოდა ამ მარშრუტს ოფისიდან მეტროს სადგურამდე და იშვიათად თუ ახორციელებდა ღრმად გააზრებულ გარიგებას ხილ-ბოსტნეულის სფეროში. დაე, დაიბადონ ახალი თაობები, ხან ერთი ქუდი შემოვიდეს მოდაში და ხან მეორე, ატყდეს ომები, დაიხოცონ მოხუცი ფორსაიტები, - ჭაღარა და ერთგულმა თომას გრედმენმა ყოველდღე უნდა გაისეირნოს და თავისთვის ბოსტნეულის დღიური ულუფა იყიდოს. რასაკვირველია, ახლა სხვა დროა. მისმა ვაჟიშვილმა ფეხი დაკარგა. აღარც მაღაზიაში იძლევიან - უწინდლისგან განსხვავებით - საყვარელ წნულ კალათებს შეძენილი საქონლის მისატანად სახლამდე. ეს მეტრო კი, სხვათა შორის, საკმაოდ ხელსაყრელი რამეა. საბოლოოდ, არაფერი აქვს დასაჩივლი: ჯანმრთელობა - ასაკის შესაფერისი; ადვოკატურაში მუშაობის ორმოცდახუთწლიანი სტაჟის შემდეგ - მთელი რვაასი გირვანქა წელიწადში. ბოლო ხანებში კი ძალიან გართულდა საქმე: უფრო და უფრო მეტ საკომისიოს იხდის ბინის გადასახადების აკრეფისთვის. ახლა კი მიმდინარეობს ფორსაიტების უძრავი ქონების ლიკვიდაცია, ესე იგი, ესეც მალე დამთავრდება... და ცხოვრებაც ისევ გაძვირდა. თუმცა, არსებითად, ნერვიულობად არ ღირს. მისი საყვარელი გამონათქვამია "ჩვენ, ყველანი, ღვთის ქვეშ დავდივართ". და უძრავი ქონებაც ლონდონში... რას იტყოდნენ მისტერ როჯერი და მისტერ ჯეიმსი, რომ ენახათ, როგორ იყიდება ახლა

სახლები? ურწმუნობის სუნი ასდის ამ ყველაფერს. მისტერ სომსი კი ისევ ფაციფუცობს. უნდა მოიცადოს, სანამ ყველა ახლანდელი მცხოვრები მოკვდება და კიდევ ოცდაერთი წელი, მერე კი, როგორც ჩანს, აღარსად რჩება წასასვლელი. თუმცა ჯანმრთელობას არ ემდურის და მის ფლერიც მოხდენილი გოგოა. გათხოვდება. ეგაა, დღესდღეობით ბევრია უშვილო. თვითონ გრედმენს ოცდაორი წლისას უკვე შვილი ჰყავდა. იმხანად მისტერ ჯოლიონი კემბრიჯში ცხოვრობდა და, ღმერთო დიდებულო, ზუსტად იმავე წელს ეყოლა შვილი! ეს მოხდა 1869 წელს, ანუ გაცილებით ადრე, სანამ მისტერ ჯოლიონმა - უძრავი ქონების საკითხების დახვეწილმა მცოდნემ - მთელი ანდერძი წაართვა მისტერ ჯეიმსს. აი, რა დრო იყო! იმ პერიოდში გამალებით იძენდნენ უძრავ ქონებას. არც ეს ხაკი არსებობდა და ადამიანებიც ზედ არ უვლიდნენ ერთმანეთს, ვინძლო რამენაირად თვითონ გამომძვრალიყვნენ. ერთი კიტრი ორი პენსი ღირდა, გოგრა - საუკეთესო თეთრი გოგრები - პირდაპირ პირში დნებოდა! ორმოცდაათი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა გრედმენი მისტერ ჯეიმსის ოფისში მივიდა, იმან კი უთხრა: "ჰო, გრედმენ, თქვენ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართ. მაგრამ ბოლოს იქამდე მიხვალთ, რომ წელიწადში ხუთას გირვანქას იშოვით". ისიც მუშაობდა და ხელფასს იღებდა, და ღმერთის ეშინოდა, და ფორსაიტებს ემსახურებოდა, და საღამოობით ბოსტნეულის დიეტას იცავდა.

"ჯონ ბული" შეიძინა (თუმცა ეს მეტისმეტად მყვირალა ჟურნალი მის გემოვნებაში არ იჯდა) და სქელ ქაღალდში შეხვეული მოკრძალებული პაკეტით ხელში შეაბიჯა მეტროს ესკალატორზე, რომელმაც ის ქვემოთ, მიწის წიაღისკენ გააქანა.

თავი მეექვსე

სომსის პირადი ცხოვრება

გრინსტრიტისკენ მიმავალი სომსი ფიქრობდა: ცუდი არ იქნება, თუ დუმეტრიუსს შევუვლი საფოლკსტრიტზე და შევიტყობ, როგორია ბოლდერბისგან კრომი-უფროსის შეძენის პერსპექტივებიო. შეიძლება ითქვას, ღირდა ომის გადატანა, თუ ამის შემდეგ სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ კრომ-უფროსი იყიდება! მოხუცი ბოლდერბი გარდაიცვალა, შვილი და შვილიშვილი ომში დაეღუპა, მემკვიდრეობა ერგო ძმისშვილს, რომელმაც ყველაფრის გაყიდვა გადაწყვიტა, ზოგის აზრით - ინგლისის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სხვები კი ამას ბოლდერბის ასთმით ხსნიდნენ.

თუ სურათი დუმეტრიუსის ხელში მოხვდა, მისი საფასური მიუწვდომელი ხდება. სანამ იყიდი, ჯერ უნდა დაზვერო, უკვე დუმეტრიუსს ხომ არ შეუძენია. ასე რომ, სომსი ესაუბრა დუმეტრიუსს მონტიჩელის შესახებ: ხომ არ შემოვა მოდაში ახლა, როდესაც მოდა ითხოვს, რომ ფერწერა იყოს ყველაფერი, საკუთრივ ფერწერის გარდაო. ილაპარაკა ჯოუნზის მომავალზე. შეეხო ბაკსტონ ნაითსაც. მხოლოდ წამოსვლის წინ ჩაურთო:

- მაშ, ბოლდერბი მაინც ვერ შეელია კრომს?

რასობრივი უპირატესობის გამომხატველი ამაყი ღიმილით (როგორც მოსალოდნელი იყო), დუმეტრიუსმა უპასუხა:

- გიშოვით, მისტერ ფორსაიტ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სერ.

მისი ქუთუთოების თრთოლამ სომსი განამტკიცა თავის გადაწყვეტილებაში - თავისი ხელით მიეწერა ამჟამინდელი ლორდი ბოლდერბისთვის და ჩაეგონებინა, რომ კრომ-უფროსი ერთადერთ დამოკიდებულებას იმსახურებს: არასდიდებით არ მოხვდეს კომისიონერთა ხელში.

- ჩინებულია. კარგად ბრძანდებოდეთ, - დაემშვიდობა სომსი და დუმეტრიუსი კიდევ უფრო ინფორმირებული დატოვა.

გრინსტრიტზე უთხრეს: ფლერი გავიდა და გვიან საღამოს დაბრუნდება, კიდევ ერთ დღეს დარჩება ლონდონშიო. სრულებით დაღვრემილმა ტაქსი აიყვანა, რათა მატარებლისთვის მიესწრო.

შინ ექვსი საათისთვის დაბრუნდა. ჰაერი შეხუთული იყო, კოღოები იკბინებოდნენ, ქარიშხალი ახლოვდებოდა. საფოსტო ყუთიდან წერილები ამოიღო და, ლონდონის მტვრისგან განსაბანად, თავისი სააბაზანოსკენ წავიდა.

მოსაწყენი ფოსტა: ხელმოწერა, ფლერის მიერ შეძენილი ნივთების ანგარიში; პროსპექტი ოფორტების გამოფენის შესახებ; წერილი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით:

"სერ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია..."

ჰო, ქველმოქმედი საზოგადოების მოწოდება ან სხვა უსიამოვნო რამე იქნება. სომსმა იმ ადგილს დახედა, სადაც ხელს აწერენ ხოლმე. ხელმოწერა არ აღმოჩნდა. ყოყმანით და-

ათვალიერა ფურცლის მეორე მხარე, ყველა კუთხე გამოიკვლია. რაკი სომსი საზოგადოებრივი მოღვაწე არ იყო, არც ანონიმური წერილები მიუღია არასდროს და ახლა პირველ იმპულსად მოუვიდა, ეს ბარათი დაეხია და გადაეგდო, როგორც რამ სახიფათო. მეორე იმპულსმა უკარნახა: მაინც წაიკითხე, იქნებ მეტისმეტად საშიშიაო?

"სერ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, შეგატყობინოთ, რომ თუმცაღა ამ საქმეში არავითარი პირადი დაინტერესება არ მაქვს, თქვენი მეუღლე ინტიმურ კავშირშია უცხოელთან..." როცა ამ ადგილამდე მივიდა, სომსმა მექანიკურად შეწყვიტა კითხვა და კონვერტზე დაკრულ მარკას დახედა. რამდენადაც შეძლო საფოსტო შტემპელის შეუღწევადი საიდუმლოს გარჩევა, იქ იკითხებოდა სიტყვა, რომელიც მთავრდებოდა "სეა"-ით, შუა სიტყვაში კი იყო "ტ". ჩელსი? არა! ბატერსი? შეიძლება. მერე განაგრძო კითხვა:

"უცხოელები ყველანი ერთნაირები არიან. ყველა ერთ ტომარაში უნდა მოაქციო და წყალში ჩაუძახო! ზემოხსენებული სუბიექტი თქვენს მეუღლეს ხვდება კვირაში ორჯერ. ჩემთვის ეს ცნობილია პირადი დაკვირვებიდან, ხოლო იმის ყურება, როგორ ატყუებენ ინგლისელს, თვით ჩემს ბუნებას ეწინააღმდეგება. გამოიძიეთ და თავად დარწმუნდებით, სიმართლეს გეუბნებით თუ არა. არ ჩავერეოდი, ბინძურ უცხოელთან რომ არ გვქონდეს საქმე.

თქვენი მონა-მორჩილი".

სომსმა ისე მოისროლა წერილი, თითქოს თავის საძინებელ ოთახში შესულს იქაურობა ტარაკნებით სავსე დახვედროდეს.

მთლიანად ზიზღის ცახცახმა მოიცვა. წერილის ანონიმურობა მას ძირეულად საძაგელს ხდიდა. ყველაზე უარესი იყო აჩრდილი, მისი ცნობიერების კულისებში რომ მიმალულიყო იმ კვირადღის შემდეგ, როდესაც ფლერმა მოლზე მოსეირნე პროსპერ პროფონზე მიუთითა და თქვა: "დაძრწის, გაიძვერა!" იქნებ სწორედ ამ მიზნით გადასინჯა დღეს თავისი ანდერძი და საქორწინო ხელშეკრულება? ახლა კი ანონიმურმა თავხედმა (როგორც ჩანს, ყოვლად უანგაროდ, მხოლოდ უცხოელებისადმი თავისი სიძულვილის დასაკმაყოფილებლად) ეს ამბავი ამოათრია წყვდიადიდან, სადაც სომსი მის დატოვებას ამჯობინებდა. ამ ასაკში მას ძალდატანებით ახვევენ თავს ამდაგვარ ცნობებს... და ვისთან დაკავშირებით? ფლერის დედასთან! სომსმა ხალიჩაზე დაგდებული წერილი აიღო, შუაზე გადახია, მერე ეს ნახევრებიც მიატყუპა, რომ უკვე ოთხად გადაეხია, მაგრამ შეჩერდა და კიდევ ერთხელ გადაიკითხა. იმ წუთას მიიღო ურყევი გადაწყვეტილება. ის არ დაუშვებს, რომ ახალ სკანდალში ჩაითრიონ. არა! რაც უნდა მოიფიქროს ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ყველაზე შორსმჭვრეტელ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს, არაფერს მოიმოქმედებს ისეთს, რაც ფლერს ავნებს. როცა გადაწყვეტილება მომწიფდა, მისი აზრები ისევ მართვადი გახდა. სომსმა ხელები განიბანა. გამშრალებისას უთრთოდა. არა, სკანდალს არ დაუშვებს, მაგრამ რაღაც მაინც ხომ უნდა იღონოს, რომ წერტილი დაუსვას ამას! ცოლის ოთახში შევიდა, გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. აზრადაც არ მოსვლია რამენაირი სამხილის მოძებნა, რაც საფუძველს მისცემდა, რომ ამიერიდან მუქარის ქვეშ ჰყოლოდა. ვერც იპოვიდა ვერაფერს: ანეტი ხომ მეტისმე-

ტად პრაქტიკული არსებაა. ცოლის თვალთვალის აზრი კი მანამდე უკუაგდო, სანამ ჩამოუყალიბდებოდა: მეტისმეტად კარგად ახსოვდა მსგავსი გამოცდილება წარსულში! სომსს არ გააჩნდა არავითარი სამხილი, თუ არა შუაზე გადაფხრეწილი ბარათი, დაწერილი "ანონიმური თავხედის" მიერ, რომლის უსირცხვილო შემოჭრა პირად ცხოვრებაში სომსს უაღრესად აღმაშფოთებლად მიაჩნდა. საძაგლობაა ამ ერთადერთი სამხილის გამოყენება, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ასე მოქცევა მოუხდება. რა ბედნიერებაა, რომ ფლერი ამაღამ ქალაქში დარჩა! კარზე მოაკაკუნეს და მტანჯველი აზრების ნაკადი შეუფერხეს.

- მისტერ მაიკლ მონტი, სერ, სასტუმრო ოთახში გელოდებათ. მიიღებთ?

- არა! ანუ - მივიღებ! ახლავე ჩამოვალ.

რაღაცით მაინც გადაერთოს ამ ფიქრებიდან!

ფლანელის კოსტიუმში გამოწყობილი მაიკლ მონტი ვერანდაზე იდგა და პაპიროსს ეწეოდა. სომსის დანახვისთანავე პაპიროსი გადააგდო და თმაზე ხელი გადაისვა.

ამ ახალგაზრდასთან სომსს ორგვარი დამოკიდებულება ჰქონდა. ძველებური გაგებით, მისტერ მონტი, რასაკვირველია, თავქარიანი და უპასუხისმგებლო ყმაწვილი გახლდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, იყო რაღაც მომსყიდველი საკუთარ მოსაზრებათა ფრქვევის მისეულ, უჩვეულოდ მხიარულ მანერაში.

- შემოდით, - უთხრა სომსმა, - ჩაის თუ მიირთმევთ?

მონტი შევიდა.

- მეგონა, ფლერი უკვე დაბრუნდა-მეთქი, სერ, თუმცა მიხარია, რომ აქ არ არის. საქმე ისაა, რომ მე ის უსაზღვროდ შემიყ-

ვარდა, იმდენად უსასრულოდ, რომ გადავწყვიტე, ეს თქვენს ყურამდე მომეტანა. რა თქმა უნდა, ძალიან არათანამედროვეა ჯერ მშობლებთან დალაპარაკება. მაგრამ, ვფიქრობ, მომიტევებთ ამას. მამაჩემს უკვე ველაპარაკე და მითხრა: თუ უფრო დინჯ ცხოვრებაზე გადახვალ და ღობე-ყორეს აღარ მოედები, მხარში ამოგიდგებიო. ის კი არა, ამართლებს კიდეც ამ აზრს. თქვენს გოიაზე ვუამბე.

- აჰ, ამართლებს კიდეც? - ენით უთქმელად ცივად ჩაეკითხა სომსი.

- დიახ, სერ. თქვენ?

სომსმა მსუბუქი ღიმილით უპასუხა.

- იცით, - კვლავ წამოიწყო მონტიმ, თან ხელებში ატრიალებდა ჩალის ქუდს, ამასობაში კი თმა, ყურები და წარბები ერთიანად აბურძგნოდა მღელვარებისგან, - ის, ვისაც ომი გამოუვლია, აუჩქარებლად ვერ იმოქმედებს.

- ფაცხაფუცხით დაქორწინება, მერე კი ცოლის მიტოვება, - ნელა წარმოთქვა სომსმა.

- ოღონდაც არა ფლერის, სერ! ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ თავი.

სომსმა ჩაახველა: ჰოო, დამაჯერებელი არგუმენტია, ვერაფერს იტყვი.

- ფლერი ჯერ მთლად ნორჩია.

- ოჰ, არა, სერ! ამჟამად ჩვენ ძალიან მოხუცები ვართ. მამაჩემი სრულ ჩვილად მეჩვენება. მისი სააზროვნო მექანიზმი არავითარ გავლენას არ დაექვემდებარა. მაგრამ ის, ასე ვთქვათ, ბარონეტია და ამიტომაც არ პროგრესირებს.

- ბარონეტი? - ჩაეკითხა სომსი, - ეს როგორ გავიგოთ?

- ბარონეტი, სერ. ოდესმე მეც გავხდები ბარონეტი, მაგრამ რაღაცნაირად გადავიტან.

- მაშ, მიბრძანდით და რაღაცნაირად გადაიტანეთ, - თქვა სომსმა.

- ო, არა, სერ! - შეევედრა მონტი, - უბრალოდ, ახლომახლო უნდა ვიხეტიალო, თორემ არავითარი შანსი აღარ დამრჩება. ყოველ შემთხვევაში, ხომ დაანებებთ ფლერს, ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს? ქალბატონი დედამისი ჩემდამი კეთილგანწყობილია.

- მართლაა? - ყინულოვანი ხმით ჰკითხა სომსმა.

- ნუთუ თქვენ საბოლოოდ მიშორებთ? - ჭაბუკმა იმდენად შეესაბრალისად შეხედა, რომ სომსს გაეღიმა.

- შეიძლება თქვენს თავს ძალიან მოხუცად მიიჩნევთ, მე კი სრულებით ყმაწვილი მგონიხართ, - უთხრა სომსმა, - ყოველთვის ყველაფერში წინ გავარდნა სიმწიფის ნიშანი არ გახლავთ.

- კეთილი, სერ, ფარ-ხმალს ვყრი ასაკის საკითხში. მაგრამ იმისთვის, რომ დაგიმტკიცოთ ჩემი განზრახვის სერიოზულობა, საქმეს მოვეკიდე.

- მიხარია მაგის გაგონება.

- ერთი გამომცემლობის კომპანიონი გავხდი, სახელად ჰქვია "მშობელი ჩამოდის მონეტას".

სომსმა პირზე ხელისგული აიფარა, რადგან კინაღამ წამოსცდა: "ღმერთი ფარავდეს უბედურ გამომცემელს!" მისი ნაცრისფერი თვალები მოუშორებლად მისჩერებოდნენ ახალგაზრდას.

- არაფერი მაქვს თქვენი საწინააღმდეგო, მისტერ მონტ, მაგრამ ფლერი ჩემთვის ყველაფერია, ყველაფერი, გესმით თუ არა ეს?

- მესმის, სერ, მაგრამ ის ჩემთვისაც ყველაფერია!

- შეიძლება. ასეა თუ ისე, მოხარული ვარ, რომ გამაფრთხილეთ, მეტს კი, ვფიქრობ, ამჯერად ვეღარაფერს ვიტყვით.

- ესე იგი, რამდენადაც მესმის, ბოლო სიტყვა მასზეა, სერ?

- და, ვიმედოვნებ, კიდევ დიდხანს იქნება.

- ყოველივეს მიუხედავად, თქვენ მე არ მამხნევებთ, - თქვა მონტიმ მოულოდნელად.

- ჰო, ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება ნებას არ მრთავს, გავამართლო ნაჩქარევი ქორწინებები. ნახვამდის, მისტერ მონტ. ფლერს არ გადავცემ იმას, რაც თქვენ მითხარით.

- ოოჰ, - გაწელა მონტიმ, - მე მართლა მზად ვარ, თავი გავისრისო მისი გულისთვის. მან ეს მშვენივრად იცის.

- სავსებით შესაძლებელია... - დაუბრუნა სომსმა და ხელი გაუწოდა. ამას მოჰყვა გაფანტული ხელის ჩამორთმევა და მძიმე ამოოხვრა. მერე კი, უფრო და უფრო დაშორებულმა მოტოციკლეტის ხმამ წარმოსახვაში ავარდნილი მტვრისა და დამსხვრეული ძვლების სურათი დახატა.

"აი, ის, უმცროსი თაობა!", პირქუშად გაიფიქრა სომსმა და მოლზე გაისეირნა. მებაღეებს აქაურობა ცოტა ხნის წინ გაეთიბათ და ბაღში ჯერ კიდევ ახალგათიბული ბალახის სურნელება იდგა. მოახლოებული ქარიშხლით დამუხტული ჰაერი ყველა სუნს მიწასთან ახლოს აკავებდა. ცა მეწამული ჩანდა, ალვის ხეები - შავი. მდინარეზე ორმა თუ სამმა ნავმა ჩაისრიალა: ქა-

რიშხალს გაურბოდნენ... "სამი დღე - მშვენიერი ამინდი, ახლა კი - ქარიშხალი". ანეტი სად არის? იქნებ იმ ბელგიელთან: ის ხომ ახალგაზრდა ქალია. ამ აზრის დიდსულოვნებით გაოგნებული სომსი ფანჩატურში შევიდა და ჩამოჯდა. ფაქტი სახეზე იყო და სომსიც იღებდა მას: იმდენად ბევრს ნიშნავდა მისთვის ფლერი, რომ ცოლი უკვე ცოტას ნიშნავდა, ძალიან ცოტას. წარმოშობით ფრანგი ანეტი მისთვის, უპირატესად, საყვარელი იყო, სომსი კი სულ უფრო და უფრო გულგრილი ხდებოდა ცხოვრების ამ წახნაგის მიმართ. საკვირველია: ზომიერებასა და კაპიტალის სწორ დაბანდებაზე თავისი განუხრელი ზრუნვისგან განსხვავებით, გულსა და გრძნობებს სომსი მთლიანად აძლევდა ვინმე ერთადერთს. თავიდან ეს იყო აირენი, ახლა - ფლერი. ამას ბუნდოვნად აცნობიერებდა აქ, ფანჩატურში, და, პარალელურად, აცნობიერებდა ასეთი ერთგულების საშიშროებასაც. ამან ერთხელ უკვე მიიყვანა კრახამდე და სკანდალამდე, ახლა კი... ახლა ხსნად მოევლინება. ფლერი ხომ იმდენად ძვირფასია, რომ მისი გულისთვის სომსი არასდიდებით არ დაუშვებს ახალ სკანდალს. ანონიმური წერილის ავტორი რომ მოახელთებინა, ასწავლიდა, როგორ უნდა სხვის საქმეებში ჩარევა და ჭუჭყის ამოტანა ჭაობის ფსკერიდან მაშინ, როდესაც სხვებისთვის სასურველია, რომ ის ფსკერზე დარჩეს.

ელვის შორეულ გაკლაკვნას მოჰყვა მეხის ყრუ გრიალი, მერე კი მსხვილი წვეთებიც აკაკუნდა ფანჩატურის ლერწმის სახურავზე. სომსი მექანიკურად განაგრძობდა თითით ხატვას დამტვერილ სააგარაკო მაგიდაზე. უზრუნველყოს ფლერის მომავალი! "მსურს, ბედნიერად იცუროს. ჩემს ასაკში სხვა ყველაფერი

უმნიშვნელოა". ცხოვრება მოსაწყენი ისტორიაა! რაც გაქვს, ვერასოდეს ინარჩუნებ. ერთ რამეს გვერდზე გადასწევ, მეორეს შემოუშვებ. ვერაფრის უზრუნველყოფას ვერ ახერხებ. სომსმა ხელი გაიწვდინა და ვარდი მოწყვიტა ტოტიდან, რომელიც სარკმელს ეფარებოდა. ყვავილები იფურჩქნება და ჭკნება. უცნაურია ბუნება. აღმოსავლეთით, მდინარის ჩაყოლებაზე მეხი გრუხუნებდა და სკდებოდა, მოთეთრო ელვა მზერას სერავდა, ალვების კენწეროები მკაფიოდ იხატებოდა ცის ფონზე, მძიმე თავსხმა უშხაპუნებდა, გრიალებდა და ევლებოდა ფანჩატურს, რომელშიც სომსი იჯდა თავის უვნებო ფიქრებში.

როდესაც თავსხმა შეწყდა, თავშესაფრიდან გამოვიდა და სველ ბილიკს მდინარისკენ ჩაუყვა. ლელქაშში შეყუჟულიყო ორი გედი - სომსის ძველი ნაცნობები. შედგა და აღტაცებული თვალი მიაპყრო კეთილშობილი ღირსებით მიმოხრილ თეთრ ყელებსა და მსხვილ, გველისებრ თავებს. "იმაში კი, რაც მე უნდა ვქნა, ღირსება არ არის", ფიქრობდა ამ დროს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ექნა, რომ უფრო უარესი არ მომხდარიყო. სადაც უნდა ყოფილიყო დღისით, ანეტი ახლა შინ უნდა იყოს: მალე სადილის დროა. რაც უფრო ახლოვდებოდა მასთან შეხვედრის წუთი, მით უფრო ძნელი გადასაწყვეტი ხდებოდა, რა ეთქვა და როგორ ეთქვა. ახალი, სახიფათო აზრიც მოუვიდა: იქნებ ანეტმა თავისუფლება მოინდომოს, რომ იმ ტიპს ცოლად გაჰყვეს? განქორწინებას მაინც ვერ მიიღებს. ამისთვის არ უქორწინია სომსს მასზე. პროსპერ პროფონის სახება ზანტად გაუფარფატდა თვალწინ და - დაამშვიდა. ასეთი კაცები ცოლს არ ირთავენ. არა, არა! მომენტალური შიში გულის დაწყვეტამ შეცვალა. "ურჩევ-

ნია, თვალში არ მომხვდეს ეგ სომხურ-ბელგიური ნარევი. ეგ ნაძირალა, ეგ განხორციელებული..." მაინც რას განასახიერებდა პროსპერ პროფონი? რასაკვირველია, არაფერ არსებითს და, იმავდროულად, რაღაც მეტისმეტად რეალურს: აწყვეტილ უზნეობას, ნადავლის მძებნელ გულის აცრუებას. ანეტმა მისგან ისესხა გამოთქმა "Je m'en fiche". საეჭვო სუბიექტია! კოსმოპოლიტი კონტინენტიდან - ეპოქის პროდუქტი. რომც ეარსება ამაზე უფრო გამანადგურებელ ლანძღვას, სომსისთვის ის უცნობი იყო.

გედებმა თავები მიაბრუნეს და მხოლოდ მათთვის ნაცნობ შორეთს მიაცქერდნენ. ერთ-ერთმა ჩუმად დაუსტვინა, კუდი აიქნია, შებრუნდა, თითქოს საჭეს დაემორჩილაო, და განზე გაცურა. მეორე უკან მიჰყვა. წყვილი თეთრი სხეული და ორი ლერწამივით ყელი სომსის მხედველობის არიდან გავიდა და ისიც სახლისაკენ დაიძრა.

ანეტი სასტუმრო ოთახში იჯდა, სადილისთვის ჩაცმული, სომსი კი კიბეზე ადიოდა და ფიქრობდა: "ძნელია გარეგნულობით განსჯა". სადილზე, რომელიც გამოირჩეოდა რაოდენობრივი სიმკაცრით და ხარისხის სრულყოფილებით, სულ რამდენიმე სიტყვა ითქვა ქარიშხალზე და სასტუმრო ოთახის ფარდებზე. ანეტი დივანზე იჯდა მინის ორ კარს შორის და პაპიროსს ეწეოდა. ბალიშებზე მიწოლილიყო - წელგამართული, შავ კაბაში ღრმად ამოჭრილი გულით, ფეხი ფეხზე გადაედო და ლურჯი თვალები ნახევრად მიელულა. ლამაზი, სავსე ტუჩებიდან ცისფერ-ნაცრისფერი კვამლი გამოდიოდა, წაბლისფერ თმას ლენტი უკავებდა. ფეხზე უთხელესი აბრეშუმის წინდა ეცვა,

ძალზე მაღალქუსლიანი ღია ფეხსაცმელი კი ხაზს უსვამდა ფეხის ზურგების მკვეთრ ქანობს. აი, ნებისმიერი ოთახის მშვენიერი დეკორაცია! სომსს გვერდითა ჯიბეში ჩაყოფილი ხელით შუაზე გადახეული წერილი ჩაებღუჯა.

- ფანჯარას დავხურავ. სინესტე შემოდის.

დახურა და უახლოესი კედლის კრემისფერი შპალერიდან თავმომწონედ გადმომზირალი დევიდ კოქსის წინ გაჩერდა.

რაზე ფიქრობს ანეტი ახლა? სომსს არასოდეს ესმოდა ქალების, ფლერის გამოკლებით, და მისიც - არა ყოველთვის. გული აჩქარებით უცემდა. თუ უნდა იმოქმედოს, მაშინ დაუყოვნებლივ, ახლა ყველაზე შესაფერისი მომენტია. კოქსისგან შემობრუნდა და ჯიბიდან გადახეული წერილი ამოიღო.

- აი, რა მივიღე.

ანეტს თვალები გაუფართოვდა და სომსზე გადატანილი მზერა გაუხისტდა.

კაცმა წერილი გაუწოდა:

- გახეულია, მაგრამ წაკითხვა შეიძლება.

და ისევ მიუბრუნდა დევიდ კოქსს: ზღვის პეიზაჟი, კარგი ფერები, თუმცა - არასაკმარისი მოძრაობა. "საინტერესოა, რას აკეთებს ახლა პროფონი? - ფიქრობდა სომსი, - ასეა თუ ისე, საკმარისად გავაკვირვებ". თვალის კუთხით ხედავდა, რომ ანეტს წერილი სახესთან უჭირავს, თვალები კი მარცხნიდან მარჯვნივ უმოძრავებს შეღებილი წამწამებისა და ასევე შეღებილ-შეჭმუხნილი წარბების ჩეროში. წერილი ხელიდან გაუვარდა, ოდნავ შეკრთა, გაიღიმა და თქვა:

- სიბინძურე!

- სავსებით გეთანხმები! სამარცხვინოა. ეს სიმართლეა?

თეთრმა კბილმა წითელი ქვედა ტუჩი ჩაკვნიტა.

- თუნდაც სიმართლე იყოს, მერე?

რა თავხედია!

- სულ ესაა, რისი თქმაც შეგიძლია?

- არა...

- მაშინ ილაპარაკე.

- რა ყრია ლაპარაკებში?

- ესე იგი, ადასტურებ? - ჰკითხა სომსმა ყინულოვანი ხმით.

- არაფერს არ ვადასტურებ. სულელი ხარ, რომ მეკითხები. შენნაირმა კაცმა არ უნდა იკითხოს. ეს სახიფათოა.

სომსმა ოთახში გაიარა. ცდილობდა, დაეთრგუნა წამოთუხ-თუხებული სიშმაგე.

- გახსოვს, ვინ იყავი, როდესაც ცოლად მოგიყვანე? - ჰკითხა ანეტის წინ გაჩერებულმა სომსმა, - რესტორნის მოანგარიშე.

- შენ თუ გახსოვს, რამდენჯერ უმცროსი ვიყავი შენზე?

სომსმა პირველმა გაწყვიტა მათი თვალების ხისტი შეხვედ-რა და ისევ დევიდ კოქსთან მივიდა.

- შენთან კინკლაობას არ ვაპირებ. მოვითხოვ, რომ შეწყვიტო ეგ მეგობრობა. იმდენად ვერევი ამაში, რამდენადაც ეს შეიძლე-ბა აისახოს ფლერზე.

- აჰ, ფლერზე!

- ჰო, ფლერზე, - ჯიუტად გაიმეორა სომსმა, - ის ისევეა შენი ქალიშვილი, როგორიც ჩემი.

- რა კეთილი ხარ, რომ ამას აღიარებ.

- შეასრულებ თუ არა ჩემს მოთხოვნას?

- მე უარს ვამბობ იმაზე, რომ ჩემი განზრახვები გამცნო.

- მაშ, გაიძულებ.

ანეტმა გაიღიმა.

- არა, სომს. ვერაფერს გააწყობ. ნუ იტყვი სიტყვებს, რომლებსაც მერე ინანებ.

სომსს შუბლზე ძარღვები დაებერა. პირიც გააღო, რომ გულისწყრომა გადმოენთხია და - ვერ შეძლო.

- ასეთი წერილები მეტად აღარ მოვა, - განაგრძო ანეტმა, - გპირდები. და ეს კმარა.

სომსს შეაჟრჟოლა. "ეს ქალი, რომელიც იმსახურებს... - სომსმა არც კი იცოდა, რას, - ეს ქალი ზუსტად ისე მომმართავს, როგორც ბავშვს".

- როდესაც ორნი დაქორწინდნენ და ასე ცხოვრობენ, როგორც ჩვენ, სომს, არაფერი აქვთ ერთმანეთზე სადარდებელი. არის საგნები, რომლებიც ჯობია არ ამოათრიო მზის სინათლეზე ყველას საჭორაოდ და სამასხარაოდ. შენ თავს გამანებებ არა ჩემთვის, არამედ შენივე თავისთვის. შენ ბერდები, მე - ჯერ არა. შენ მასწავლე, რომ ყოვლად პრაქტიკული ვყოფილიყავი.

სომსმა, რომელმაც გაიარა ყველა სტადია, რომლებსაც გადის ადამიანი, რომელსაც ახრჩობენ, ჩლუნგად გაიმეორა:

- მოვითხოვ, შეწყვიტო ეგ მეგობრობა.

- და თუ არ შევწყვეტ?

- მაშინ... მაშინ ჩემი ანდერძიდან გამოგთიშავ.

როგორც ჩანს, მიზანში ვერ მოარტყა, რაკი ანეტმა გაიცინა:

- შენ დიდხანს იცოცხლებ, სომს.

- გარყვნილი ქალი ხარ, - მიახალა სომსმა მოულოდნელად.

ანეტმა მხრები აიჩეჩა.

- არა მგონია. შენთან თანაცხოვრებამ ბევრი რამ მომიკლა შიგნით, ამაზე არ ვკამათობ. მაგრამ გარყვნილი არ ვარ, მხოლოდ კეთილგონიერი. შენც გონს მოეგები, როცა კარგად ჩაუფიქრდები ყველაფერს.

- მოვინახულებ იმ კაცს და გავაფრთხილებ, - პირქუშად თქვა სომსმა.

- სასაცილო ხარ, mon cher((ფრანგ.) - ჩემო ძვირფასო.)! შენ მე არ გინდივარ და, რამდენადაც გინდივარ, იმდენად გყავარ კიდეც. და მოითხოვ, რომ სხვა ყველაფერი ჩემში მოკვდეს! არაფერს ვადასტურებ, სომს, მაგრამ უნდა გითხრა, რომ სულაც არ ვაპირებ ჩემს ასაკში უარი ვთქვა ცხოვრებაზე და ამიტომაც გირჩევ, დამშვიდდე. არც მე მინდა სკანდალი. არანაირად. რაც უნდა მოიმოქმედო, მე მეტს არაფერს გეტყვი.

ანეტი გაიზმორა, მაგიდიდან ფრანგული რომანი აიღო და გადაფურცლა. სომსი უყურებდა და დუმდა, მეტისმეტად აღსავსე შერეული გრძნობებით. აზრი პროფონის შესახებ თითქმის ანდომებდა ამ ქალს, ეს კი, რადგანაც მათი ურთიერთობების საფუძველს წარმოაჩენდა, აშინებდა კაცს, არცთუ დიდად მიდრეკილს თვითანალიზისკენ. მეტი აღარაფერი უთქვამს, ოთახი დატოვა და თავის გალერეაში ავიდა. აი, რას ნიშნავს ფრანგი ქალის შერთვა! არადა, უმისოდ არც ფლერი იარსებებდა.

"ის მართალია, - ფიქრობდა სომსი, - ვერაფერს ვიზამ. ისიც კი არ ვიცი, იყო თუ არა მათ შორის რამე". თავდაცვის ინსტინქტმა უკარნახა, რომ სარქველი დაეკეტა და ჩაქრობის საშუალება მიეცა ცეცხლისთვის, რომელსაც ჰაერი არ ჰყოფნიდა. სანამ

ადამიანი არ ირწმუნებს, რომ რაღაც ხდება, მანამდე არაფერიც არ ხდება.

ღამით საძინებელში შევიდა და ანეტმაც ისე მიიღო, როგორც ყოველთვის: მშვიდად, თითქოს მათ შორის არც არაფერი მომხდარა. თავისთან უცნაურად დაშოშმინებული დაბრუნდა. თუ დანახვა არ გსურს, შეგიძლია არ ხედავდე. მას არ სურს დანახვა და არც მომავალში მოუნდება. როდესაც ხედავ, ამით ვერაფერს იგებ, ვერაფერს! კარადის უჯრა გამოაღო და იქიდან ცხვირსახოცი და ფლერის ფოტოსურათი ამოიღო. ცოტა ხანს უყურა, მერე გასწია და გამოაჩინა მეორე ფოტო - აირენის ძველი სურათი. სანამ ფანჯარასთან იდგა და სურათს უყურებდა, გარეთ ბუ კიოდა. მცოცავ ვარდს თითქოს ფერი ჩამუქებოდა. აყვავებული ცაცხვების სურნელი აქამდე ატანდა. ღმერთო, მაშინ სულ სხვა იყო. ლტოლვა... ხსოვნა! ფერფლი!

თავი მეშვიდე

ჯუნს სურს დაეხმაროს

მოქანდაკე, სლავური წარმოშობის, ერთხანს ნიუ-იორკში ცხოვრობდა, ეგოისტი, იტანჯება უფულობისგან... ასეთი ადამიანი სრულებით ბუნებრივად შეიძლება აღმოჩნდეს საღამო ხანს ჯუნ ფორსაიტის სახელოსნოში, ჩიზვიკში, თემზის სანაპიროზე. 6 ივლისის საღამო ბორის სტრუმოლოვსკიმ (რომელმაც აქ გამოფინა თავისი რამდენიმე ნამუშევარი, ჯერჯერობით მეტისმეტად მოწინავე ყველა სხვა ადგილისთვის) არცთუ ცუდად დაიწყო: გაფანტული დუმილი, რომელსაც ის მიწიდან გაჰყავდა და რაღაცით ქრისტეს ამსგავსებდა, საოცრად უხდებოდა მის მრგვალ, ჭაბუკურ, ფართოყვრიმალებიან სახეს ირგვლივ შემორტყმული ქერა, გოგონასავით შუბლზე შეჭრილი თმით. ჯუნს მასთან უკვე სამკვირიანი ნაცნობობა აკავშირებდა და მაინც ხედავდა მასში გენიის საუკეთესო განსახიერებასა და მომავლის იმედს, ერთგვარ აღმოსავლეთის ვარსკვლავს შეხეტებულს დასავლეთში, სადაც მისი დაფასება არ სურდათ. იმ საღამომდე ბორისის საუბრების მთავარ თემას წარმოადგენდა შთაბეჭდილებები შეერთებულ შტატებზე, რომელთა მტვერი სულ ახლახან ჩამოიბერტყა ფეხებიდან. მისი აზრით, ეს იმდენად ბარბაროსუ-

ლი ქვეყანაა, რომ თითქმის ვერაფერი გაყიდა და პოლიციამაც ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ამ ქვეყანას, მისი თქმით, არ აქვს არც თავისი ეროვნული სახე, არც თავისუფლება, არც თანასწორობა, არც ძმობა, არც პრინციპები, ტრადიციები თუ გემოვნება, ერთი სიტყვით - საერთოდ არაფერი აბადია. დაუნანებლად დატოვა იქაურობა და ჩამოვიდა ერთადერთ ქვეყანაში, სადაც ადამიანური ცხოვრებაა შესაძლებელი. მარტოობის წუთებში ჯუნი მისი ქმნილებების წინ იდგა - დამაფრთხობელი, თუმცა ძალითა და სიმბოლური აზრით აღსავსე ქმნილებების - და მათ შემოქმედზე დარდობდა. ის ამბავი, რომ თავისი ოქროსფერი თმის გარემოცვაში (მნახველს ადრეულ იტალიურ ფერწერას რომ აგონებდა) ბორისს ამქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ თავისი გენია ახსოვდა (უდავოდ ერთადერთი ნიშანი, რითაც ჭეშმარიტი გენია ამოიცნობა) და რომ ის მაინც "უიღბლო" იყო, ჯუნის მხურვალე გულს ისე აღელვებდა, რომ თვით პოლ პოსტსაც კი ივიწყებდა. ის იყო, უკვე დაიწყო კიდეც თავისი გალერეის დაცარიელება იმ მიზნით, რომ სტრუმოლოვსკის შედევრებით აევსო, რომ პირველივე ნაბიჯებიდან სირთულეებს წააწყდა. პოლ პოსტი ჯიუტობდა. ვოსპოვიჩი იკბინებოდა. გენიალობის მთელი მგზნებარებით, გენიალობის, რომელსაც ჯუნი ჯერაც არ უარყოფდა მათში, ორივე ითხოვდა გალერეის დათმობას მათთვის კიდევ, სულ ცოტა, ექვსი კვირით მაინც. ამერიკელების მოქცევა მთავრდება, მალე დაიწყება მიქცევა. ამერიკელთა ნაკადი - მათი კანონიერი უფლებაა, მათი ერთადერთი იმედი, მათი ხსნა, რაკი ჩვენს "დამპალ" ქვეყანაში არავის აინტერესებს ხელოვნება. ჯუნი დანებდა მათ არგუმენტებს. ბოლოს და ბოლოს, ბორისმა არ უნდა გააპ-

როტესტოს, თუკი ამერიკელთა ნაკადიდან მიღებულ შემოსავალს ის ორი არავის გაუნაწილებს: ბორისს ხომ ასე ორგანულად ეზიზღება ამერიკელები.

ექვსი ივლისის საღამოს ჯუნმა ეს ყველაფერი პირდაპირ უთხრა ბორისს. ამ საუბარს ესწრებოდნენ მხოლოდ ჰანა ჰოდბი, რომელიც ცნობილი იყო თავისი გრავიურებით შუა საუკუნეების თემებზე, და ჯიმი პორტუგალი, ჟურნალ "ნეოარტისტის" რედაქტორი. ეს ჯუნმა ბორისს გაუზიარა იმ მოულოდნელი ნდობით, რომელიც მის მგზნებარე და დიდსულოვან გულში ნეოარტისტულ სამყაროსთან მუდმივმა ურთიერთობამაც კი ვერ დაშრიტა. მაგრამ როდესაც სტრუმოლოვსკი საპასუხო სიტყვით გამოვიდა, ჯუნი ამ სიტყვის მეორე წუთზევე მოჰყვა თავისი ცისფერი თვალების ისეთ ტრიალს, როგორც კატა ატრიალებს ხოლმე თავისას. სტრუმოლოვსკის თქმით, ეს სახასიათო იყო ინგლისისთვის - მსოფლიოს ყველაზე ეგოისტური ქვეყნისთვის, რომელიც სისხლს სწოვს სხვა ქვეყნებს, ტვინსა და გულს უშრობს ირლანდიელებს, ინდოელებს, ეგვიპტელებს, ბურებსა და ბირმელებს, ანუ დედამიწის უმშვენიერეს ხალხებს. ტლანქი, თვალთმაქცი ინგლისი! სხვას არც არაფერს ელოდა, როცა ჩამოვიდა ამ ქვეყანაში, სადაც გამუდმებით ბურუსია, ხალხი - თხემით ტერფამდე გავაჭრებული, ყოვლად დაბრმავებული ხელოვნების მიმართ, ჩარჩობასა და უტლანქეს მატერიალიზმში დანთქმული. როცა გაიგონა ჰანა ჰოდბის ჩურჩული "უსმინეთ, უსმინეთ!" და ჯიმი პორტუგალის შეკავებული ჩაცინება, ჯუნი წამოჭარხლდა და კაშხალივით გაირღვა:

- მაშ, რისთვის ჩამოხვედით აქ? ჩვენ არ მოგვიხმიხართ.

ეს შენიშვნა იმდენად არ თანხვდებოდა არაფერს, რისი მოლოდინიც ჯუნისგან შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ სტრუმოლოვსკიმ მხოლოდ ხელი გაიწვდინა და პაპიროსი აიღო.

- ინგლისს არასოდეს უყვარდა იდეალისტები, - თქვა ბოლოს.

ჯუნის არსებაში სიღრმისეულად იყო აღშფოთებული რაღაც ძირეულად ინგლისური. იქნებ ჯოლიონისგან მემკვიდრეობით მიღებულმა სამართლიანობის განცდამ გაიღვიძა?

- თქვენ ჩვენს პურს ჭამთ და ჩვენს წყალს სვამთ, მერე კი მიწასთან გვასწორებთ, - თქვა ჯუნმა, - თქვენთვის ეს, შესაძლოა, პატიოსნური ქცევაა, ჩემთვის - არა.

მან უეცრად გამოაღო ის, რაც ჯუნამდე სხვებმა გააღეს: უჩვეულოდ სქელი კანი, რომელშიც ზოგჯერ იმალება გენიოსის თავმოყვარეობა. სტრუმოლოვსკის ახალგაზრდული და მიამიტური სახე ზიზღიან ნიღბად გადაიქცა.

- თქვენს პურს ვჭამთ? არავინაც არ ჭამს. ჩვენ ვიღებთ იმას, რაც გვეკუთვნის, - იმის მეათედს, რაც გვეკუთვნის. თქვენ ინანებთ მაგ სიტყვებს, მის ფორსაიტ.

- არა, არ ვინანებ.

- ო, ჩვენ - მხატვრებს - ეს ბრწყინვალედ მოგვეხსენება: იმიტომ გვიყვანთ, რომ გამოგვწუროთ, რისი გამოწურვაც კი შეიძლება. მე თქვენგან არაფერი მინდა, - და პირიდან ჯუნის ნაყიდი თამბაქოს ბოლქვი გამოუშვა.

ჯუნის გადაწყვეტილება ყინულოვანი ქარის წამობერვასავით ამოვარდა შეურაცხყოფილი სირცხვილიდან:

- ძალიანაც კარგი. შეგიძლიათ წაიღოთ თქვენი ქმნილებები და წაბრძანდეთ.

და თითქმის იმავე წამს გაიფიქრა:

"საბრალო ბიჭი! სხვენზე ცხოვრობს და, ეჭვი არაა, იმის ფულიც კი არ აქვს, რომ ტაქსით იმგზავროს. სხვების თანდასწრებით! საზიზღრად მოვექეცი!"

ახალგაზრდა სტრუმოლოვსკიმ თავი გადაწყვეტით დააკანტურა, თუმცა ის ხშირი, სწორი, ოქროს თეფშივით გლუვი თმა მაინც არ ასწეწვია.

- უფულოდაც შემიძლია ვიცხოვრო, - გაისმა მისი მკვეთრი ხმა, - ხშირად მიწევდა ასე ცხოვრება ჩემი ხელოვნებისთვის. სწორედ თქვენ, ბურჟუები, გვაიძულებთ, რომ ფული ვხარჯოთ.

ეს სიტყვები ნეკნებში ნასროლ ქვასავით მოხვდა ჯუნს. და ეს იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მან გააკეთა ხელოვნებისთვის! მან, ვინც ხელოვნების მღელვარებით სუნთქავდა, მის "უიღბლოებს" ელოლიავებოდა! ჯუნი სათანადო სიტყვებს ეძებდა, რომ კარი გაიღო და ავსტრიელმა მოახლემ დაიჩურჩულა:

- თქვენთან ახალგაზრდა ქალბატონია, gnadiges Fraulein((გერმ.) - ქალიშვილი, რუსული барышня.).

- სად არის?

- სასადილო ოთახში.

ჯუნმა გამოხედა ბორის სტრუმოლოვსკის, ჰანა ჰოდბის, ჯიმი პორტუგალს და სიტყვის უთქმელად გავიდა ოთახიდან, ძალზე დაშორებული სულიერი წონასწორობის მდგომარეობას. სასადილო ოთახში შესულმა დაინახა, რომ ახალგაზრდა ქალბატონი სხვა არავინაა, თუ არა ფლერი. ქალიშვილი მშვენივრად გამოიყურებოდა, თუმცა გაფითრებული იყო. გულის აცრუების ამ მომენტში ეს "უიღბლო" არსება მისივე გვარ-ტომიდან სასურვე-

ლი სტუმარი გახლდათ ჯუნისთვის - ესოდენ ჰომეოპათიურისთვის თავისი ინსტინქტით.

ფლერის მოსვლა, რაღა თქმა უნდა, ჯონს უკავშირდებოდა. თუ არადა, ჯუნისგან რაღაცის შესატყობად იყო მოსული. ამწუთას ჯუნმა იგრძნო, რომ ვინმეს დახმარება - ერთადერთი ასატანი საქმეა.

- ასე რომ, ჩემი მოწვევა არ დაგვიწყებიათ, - დაიწყო მან.

- რა დიდებული მყუდრო სახლი გაქვთ! თუმცა ახლავე დამითხოვეთ აქედან, თუ სტუმრები გყავთ.

- არც კი ვიფიქრებ, - უთხრა ჯუნმა, - დაე, ცოტა ხანს საკუთარ წვენში იხარშონ. ჯონის საკითხზე ხართ?

- თქვენ მაშინ მითხარით: ჩემი აზრით, არაფერს უნდა გიმალავდნენო. ჰოდა, შევიტყვე კიდეც.

- ო! - თქვა ჯუნმა, - უშნო ამბავია, არა?

ისინი ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ, პატარა, გადაუფარებელი მაგიდის აქეთ-იქიდან. ჯუნი, ჩვეულებრივ, ამ მაგიდასთან სადილობდა, რომელზეც ახლა ლარნაკი იდგა ისლანდიური ყაყაჩოებით. ქალიშვილმა ხელი ასწია და ზამშის ხელთათმნიანი თითი ყვავილის ფურცელს შეახო. უეცრად ჯუნს თვალში მოუვიდა ფლერის მოდური კაბა - გვერდებზე ფურჩალებიანი და მუხლებში დავიწროებული. "რა მომხიბლავი ფერია - სელივით მუქმტრედისფერი! ტილოზე გადატანას ითხოვს", გაუელვა ჯუნს. ეს პატარა ოთახი თავისი გათეთრებული კედლებით, ძველებურ-ვარდისფერი შორენკეცებით მოპირკეთებული იატაკითა და ბუხრით, ცხაურიანი ფანჯრით, რომელშიც მზე თავის უკანასკნელ სხივებს ისროდა, - ეს ოთახი არასოდეს ყოფილა

ასეთი მშვენიერი, როგორც ახლა, როცა მას რძისფერკანიანი, ოდნავ სახემოღუშული ქალიშვილი ამკობდა. ჯუნს უცებ გაახსენდა, რაოდენ მშვენიერი იყო თვითონაც იმ გარდასულ ხანაში, როდესაც გული მიუძღვნა ფილიპ ბოსინის - გარდაცვლილ მიჯნურს, ვინც უარი თქვა ჯუნზე, რათა სამუდამოდ გაეგლიჯა და გაეუქმებინა აირენის დამოკიდებულება ამ გოგონას მამაზე. ესეც შეიტყო ფლერმა?

- აბა, რას აპირებთ ახლა? - ჰკითხა ქალიშვილს.

რამდენიმე წამი გავიდა, სანამ ფლერი უპასუხებდა.

- არ მინდა, ჯონი დაიტანჯოს. კიდევ ერთხელ მსურს ვნახო და ბოლო მოვუღო ამ ამბავს.

- ბოლო მოუღოთ?

- მეტი რა გზა მაქვს?

ახლა ჯუნს ეს გოგონა აუტანლად უსიცოცხლო ეჩვენა.

- ვფიქრობ, მართალი ხართ, - ჩაიბუტბუტა ფლერმა, - ვიცი, რომ მამაჩემიც ასე ფიქრობს. თუმცა... მე თვითონ არასოდეს მოვიქცეოდი ასე. არ შემიძლია უბრძოლველად დანებება.

როგორი ფრთხილი და გაწონასწორებულია ეს გოგო, როგორ აუღელვებლად მეტყველებს!

- ხალხი იფიქრებს, რომ შეყვარებული ვარ.

- არ ხართ?

ფლერმა მხრები აიჩეჩა. "წინდაწინ უნდა მცოდნოდა, - გაიფიქრა ჯუნმა, - ის ხომ სომსის ქალიშვილია - წითელი კოჭი! თუმცა ის კაცი..."

- ჩემგან რა გინდათ? - ჰკითხა ჯუნმა ერთგვარი ზიზღით.

- შემიძლია თუ არა ჯონისთან შეხვედრა აქ, თქვენთან, როცა ჰოლისკენ გზაზე იქნება? მოვა, თუ რამდენიმე სიტყვას დაუწერთ. მერე კი, ეგებ დაამშვიდოთ ისინი რობინჰილში, რომ ყველაფერი დამთავრდა და საჭირო აღარ არის ჯონისთვის დედამისის ამბის მოყოლა?

- კეთილი! - მოკლედ თქვა ჯუნმა, - ახლავე დავწერ და თქვენი ხელით ჩააგდეთ. ხვალ სამის ნახევარზე. მე შინ არ ვიქნები.

ჯუნი პატარა საწერ მაგიდას მიუჯდა ოთახის კუთხეში. როცა შემობრუნდა, ფლერი ისევ იქ იდგა და ზამშიანი თითებით ყაყაჩოებს ელოლიავებოდა.

ჯუნმა კონვერტი დაბეჭდა.

- აი, აიღეთ. თუ შეყვარებული არ ხართ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, აღარაფერია სალაპარაკო. ჯონს იღბალი სწყალობს.

ფლერმა კონვერტი გამოართვა.

- განუზომლად გემადლიერებით.

"ცივსისხლიანი არსება, - გაიფიქრა ჯუნმა, - ჯონს - მამამისის შვილს - უყვარს, ის კი არ უყვართ. და ვის? სომსის ქალიშვილს. რა დამცირებაა!"

- სულ ესაა?

ფლერმა თავი დაუქნია. კარისკენ წასული კაბის ფურჩალები თრთოდა და ირხეოდა.

- ნახვამდის!

- ნახვამდის... მოდურო თოჯინა, - ჩაიბუტბუტა ჯუნმა კარის მიხურვისას. "აი, ოჯახი, თუ გინდა!" და ისევ სახელოსნოში დაბრუნდა.

ბორის სტრუმოლოვსკი დუმდა და ამ დუმილში ქრისტეს წააგავდა. ჯიმი პორტუგალი კი ყველას მიწასთან ასწორებდა, გარდა იმ ჯგუფისა, რომელსაც თვით მისი "ნეოარტისტი" წარმოადგენდა ბეჭდვაში. განსჯილთა რიცხვში შედიოდა ერიკ კობლი და კიდევ რამდენიმე გენიოსი, რომლებმაც სხვადასხვა დროს პირველი ადგილი დაიკავეს ჯუნის რეპერტუარში, იღებდნენ მის მოწიწებასა და დახმარებას. ზიზღისა და სიცარიელის განცდით ატანილი ჯუნი ფანჯარასთან მივიდა, რათა მდინარიდან დაბერილ ნიავს ყურებში ჩამდგარი ჭრიალა ხმები გაეფანტა.

მაგრამ როდესაც ჯიმი პორტუგალმა, ბოლოს და ბოლოს, ლანძღვა დაამთავრა და წავიდა ჰანა ჰოდბისთან ერთად, ჯუნი დაჯდა და მთელ ნახევარ საათს ამშვიდებდა ბორის სტრუმოლოვსკის იმით, რომ, სულ ცოტა, ერთთვიან ამერიკულ ბედნიერებას ჰპირდებოდა. ჰოდა, სტრუმოლოვსკიც ისე წავიდა, რომ მის ოქროს ნიმბს არაფერი მოჰკლებია.

"მაინც რა საოცარი ვინმეა ეს ბორისი", - ფიქრობდა ჯუნი.

თავი მერვე

აწყვეტა

იმის გაგება, რომ მარტოდმარტო უპირისპირდები ყველას, ზოგი ნატურისთვის მორალური წნეხისგან გათავისუფლებას ნიშნავს. ჯუნის სახლიდან გამოსულ ფლერს სინდისი არ აწუხებდა. როცა თავისი პატარა ნათესავის ცისფერ თვალებში განსჯა და გულის დაწყვეტა ამოიკითხა, ფლერი სიხარულმა მოიცვა, როგორ გავაბრიყვეო. ეზიზღებოდა ჯუნი იმისთვის, რომ მოხუცი იდეალისტი ჭეშმარიტ ზრახვებს ვერ მიუხვდა.

ბოლო მოუღოს ყველაფერს! კი, აბა, მეტი საქმე არა აქვს! მალე ყველას დაანახვებს, რომ სწორედ ახლაღა იწყებს ყველაფერს. და ფლერმა გაუღიმა თავის თავს ავტობუსში, რომელსაც იგი უკან, მეიფერში მიჰყავდა. მეორე წამს კი ეს ღიმილი - წინათგრძნობებისა და მღელვარების სპაზმით დამფრთხალი - ტუჩებიდან გაუქრა. ჯონს თუ აიყოლიებს? თვითონ ლაგამი გაწყვიტა და ჯონს თუ გადაადგმევინებს იმავე ნაბიჯს? ფლერმა იცის სიმართლე და შეყოვნების მთელი საშიშროება, ჯონმა არც ერთი იცის და არც მეორე. მნიშვნელოვანი სხვაობაა!

"იქნებ ვუამბო? ასე, ვგონებ, უფრო ნაღდი იქნება". გარემოებათა ამ ბრიყვულ თანხვედრას უფლება არა აქვს ხელყოს მა-

თი სიყვარული. ჯონმა უნდა გაიგოს ეს. ისინი ამას არ დაუშვებენ. მომხდარ ფაქტს ადამიანები ადრე თუ გვიან, ყოველთვის ურიგდებიან. ამ ფილოსოფიური აზრიდან, რომელიც საკმაოდ ღრმა იყო მისი ასაკისთვის, ფლერი ნაკლებად ფილოსოფიურზე გადავიდა. ჯონი რომ დაიყოლიოს სასწრაფო ფარულ ქორწინებაზე, მერე კი ბიჭმა შეიტყოს, რომ ფლერმა მთელი სიმართლე იცოდა, მაშინ? ჯონს სძულს შემოვლითი გზები. ამიტომაც ხომ არ აჯობებს, რომ ფლერმა ყველაფერი უამბოს? მაგრამ მეხსიერებაში ამოცურებული ჯონის დედის სახე ამ ზრახვასაც უმუხრუჭებდა. ფლერს ეშინოდა. ჯონის დედას ძალა აქვს თავის შვილზე, იქნებ საკუთარ თავზე უფრო დიდი ძალაც კი. რისკი მეტისმეტად დიდია.

ამ ქვეცნობიერ გათვლებში დანთქმულმა ფლერმა გრინსტრიტს ჩაუარა და სასტუმრო "რიცამდე" მივიდა. იქ ავტობუსიდან ჩამოვიდა და ფეხით გაუყვა გრინპარკს. თავსხმამ თითოეული ხე განბანა. წყალი ჯერ კიდევ წვეთავდა ტოტებიდან. მძიმე წვეთები ფლერის ფურჩალებზე ცვიოდა. მათ მოსარიდებლად ქუჩა გადაჭრა და აისიუმ კლუბის ფანჯრებქვეშ აღმოჩნდა. რაღაც მომენტში შემთხვევით თავი ასწია და ფანჯარაში მუსიე პროფონს მოჰკრა თვალი ვიღაც მაღალ და მსუქან უცნობთან ერთად. როცა გრინსტრიტზე უხვევდა, გაიგონა, რომ სახელით დაუძახეს. მოიხედა და დაინახა, რომ ის "გაიძვერა" უკვე ეწეოდა. ქუდიც მოიხადა - პრიალა ქვაბი, როგორსაც ფლერი განსაკუთრებით ვერ იტანდა.

- საღამო მშვიდობის, მის ფორსაიტ. რაიმე პატარა სამსახურს ხომ ვერ გაგიწევდით?

- კი, თუ ქუჩის მეორე მხარეს გადახვალთ.

- მომისმინეთ: რატომ ვერ მიტანთ ასე?

- ნუთუ ეგრეა?

- ჰო, ასე ჩანს.

- მაშინ იმიტომ, რომ ისეთ გრძნობას მიჩენთ, თითქოს ცხოვრება საერთოდ არ ღირს.

მუსიე პროფონმა გაიღიმა.

- კარგი რა, მის ფორსაიტ. ნუ იდარდებთ. ყველაფერი კარგად იქნება. არაფერია ამქვეყნად მარადიული.

- არა, ბევრი რამეა მტკიცე, - აყვირდა ფლერი, - ყოველ შემთხვევაში - ჩემთვის. განსაკუთრებით - მეგობრობა და მტრობა.

- ეგ მე, ცოტა არ იყოს, უბედურს მხდის.

- მე კი მეგონა, თქვენ ვერაფერი გაბედნიერებთ ან გაუბედურებთ.

- არ მიყვარს თავის შეწყენა ადამიანებისთვის, ამიტომაც ჩემი იახტით მივემგზავრები.

ფლერმა გაკვირვებულმა ახედა:

- სად?

- პატარა მოგზაურობაში ოკეანეთის კუნძულებისკენ ან სადმე სხვაგან, - თქვა მუსიე პროფონმა.

ფლერმა ერთდროულად შვებაც იგრძნო და წყენაც. ამით ეს კაცი აშკარად ანიშნებდა, დედაშენთან ურთიერთობას ვწყვეტო. როგორ ბედავს დედასთან რაიმე კავშირის ქონას და როგორ ბედავს მის გაწყვეტას!

- კარგად ბრძანდებოდეთ, მის ფორსაიტ! ჩემი სალამი გადაეცით მისის დარტის! იცით, არც ისეთი ცუდი ვინმე ვარ. კარგად ბრძანდებოდეთ!

ასე დარჩა ქუჩის კუთხეში ქუდით ხელში. ფლერმა მალულად მიიხედა და დაინახა, როგორ გაემართა ის - მძიმე და უმწიკვლოდ ჩაცმული - ისევ კლუბისკენ.

"სიყვარულიც კი არ შეუძლია რიგიანად, - გაიფიქრა ფლერმა, - რას იზამს დედა ახლა?"

იმ ღამეს ფლერს წყვეტილი და ამაფორიაქებელი სიზმრები ესიზმრა. დამძიმებული თავით გაიღვიძა და მაშინვე უიტეკერის ალმანახის შესწავლას შეუდგა. თითოეული ფორსაიტი სულის სიღრმეში დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანია ფაქტები. რომც დაარწმუნოს ჯონი და გადალახოს მისი წინასწარ შექმნილი აზრი, მაინც ვერ განახორციელებენ თავიანთ თავგანწირულ განზრახვას ზუსტად გათვლილი გეგმის გარეშე. ფასდაუდებელმა ცნობარმა ამცნო, რომ ორივე ოცდაერთი წლის მაინც უნდა იყოს, თუ არადა, დასჭირდებათ ვინმეს თანხმობა, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღებენ. მერე სულ დაიბნა მითითებებში, რომლებიც ეხებოდა ნებართვებს, ცნობებს, უწყებებს, რაიონებს, ბოლოს კი წააწყდა სიტყვებს "ცრუ მოწმობები". სისულელეა! ვინ გაასამართლებს რეალურად, თუ - სიყვარულით დაქორწინების მიზნით - არასწორად მიუთითებენ თავიანთ ასაკს? ფლერმა მსუბუქად წაიხემსა და ისევ უიტეკერს დაუბრუნდა. რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით აკლდებოდა თავდაჯერებულობა. აი, ზანტად გადაშალა მორიგი ფურცელი და წააწყდა განყოფილებას "შოტლანდია". თურ-

მე შოტლანდიაში შესაძლებელი ყოფილა ქორწინება ყოველგვარი გაჯანჯლების გარეშე. ფლერმა სულ ოცდაერთი დღე უნდა იცხოვროს იქ, რის შემდეგაც ჯონი ჩამოვა და ორი მოწმის თანდასწრებით ისინი თავიანთ თავს ცოლ-ქმრად გამოაცხადებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს მათ ნამდვილ ცოლ-ქმრად აქცევს. ეს ყველაზე კარგი იქნება. და ფლერმაც უცებ გადათვალა გონებაში თავისი სკოლის მეგობრები.

მერი ლემი!

მერი ლემი ყოჩაღი ვინმეა, ედინბურგში ცხოვრობს ძმასთან ერთად და ეს ორნი მათი მოწმეები იქნებიან. ფლერმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბევრი ქალიშვილი ამას ზედმეტად მიიჩნევდა: საკმარისი იყო ის და ჯონი რომელიმე კვირადღეს სადმე გამგზავრებულიყვნენ, მერე კი მშობლებისთვის მოეხსენებინათ: "ჩვენ, ფაქტობრივად, ცოლ-ქმარი ვართ, ახლა საჭიროა ეს დავაკანონოთ". მაგრამ ფლერი ტყუილუბრალოდ არ იყო ფორსაიტი, რადგან გრძნობდა ამნაირი ღონისძიების საეჭვო ხასიათს და წინდაწინ აშინებდა სახის გამომეტყველება, რომელსაც მიიღებდა მამამისი ამგვარი განაცხადის შემდეგ. გარდა ამისა, შეიძლება ჯონი ამაზე არ წასულიყო: მეტისმეტად სჯეროდა ფლერის და დაუშვებელი იყო თავის დამდაბლება მის თვალში. არა, მერი ლემის გზა უკეთესია და ახლა სწორედაც რომ ყველაზე შესაფერისი დროა შოტლანდიაში გასამგზავრებლად. საგრძნობლად დამშვიდებულმა ფლერმა თავისი ჩემოდანი ჩაალაგა, იღბლიანად ასცდა მამიდასთან შეხვედრას, ჩიზვიკში დაბრუნდა და ჯუნის სადარბაზო კარზე დარეკა. ავსტრიელმა მოახლემ სასადილო ოთახში გაიყვანა.

ახლა, როდესაც ფლერმა იცოდა, რა დაბრკოლების წინაშე იდგნენ, ჯონისადმი ლტოლვა გაუათკეცდა, თითქოს ჯონ ფორსაიტი ბასრკიდეებიანი ან შხამიანი საღებავით შეღებილი სათამაშო იყო, ბავშვობაში რომ წაურთმევიათ ფლერისთვის ერთიორჯერ. თუკი თავისას ვერ მიაღწევს და ჯონს სამუდამოდ ვერ დაისაკუთრებს, ალბათ მწუხარებისგან მოკვდება. სიმართლითა თუ ტყუილით, ჯონი მისი უნდა გახდეს. და გახდება კიდეც! შორენკეციანი ბუხრის თავზე უძველესმინიანი მრგვალი და მქრქალი სარკე ეკიდა. ფლერი იდგა და საკუთარ გამოსახულებას უმზერდა: ფერმკრთალი სახე, მუქი რგოლები თვალებქვეშ. მსუბუქმა ჟრჟოლამ დაუარა. ამ დროს გაისმა ზარი და ფანჯარასთან მიპარულმა ფლერმა დაინახა კართან მდგარი ჯონი, რომელიც თმას ილაგებდა და ტუჩებს ილოკავდა, თითქოს მღელვარების მოთოკვას ცდილობსო.

ჯონის შემოსვლის მომენტში ფლერი ზურგით კარისკენ იჯდა ორი მოწნული სკამიდან ერთ-ერთზე.

- დაჯექი, ჯონ, სერიოზული სალაპარაკო მაქვს შენთან, - თქვა მაშინვე.

ბიჭი გვერდით დაუჯდა მაგიდასთან. ფლერმა ისე განაგრძო, სახეში არ უყურებდა:

- თუ ჩემი დაკარგვა არ გინდა, უნდა დავქორწინდეთ.

ჯონი გაოგნდა.

- როგორ? კიდევ რამე ხომ არ შეგიტყვია?

- არა, მაგრამ ეს რობინჰილშიც ვიგრძენი და მერეც, სახლში.

- რობინჰილში... - ჯონს ენა დაება, - რობინჰილში ყველაფერი მშვიდად ჩამთავრდა. არაფერი მითხრეს.

- მაგრამ ჩვენ დაგვაბრკოლებენ. ეს ცხადად ამოვიკითხე დედაშენის სახეზე... და მამაჩემისაზეც.

- ნახე მას შემდეგ?

ფლერმა თავი დაუქნია. რა უჭირს ერთი ბენწო დამატებით ტყუილს?

- არ მესმის, როგორ შეუძლიათ შეინარჩუნონ ასეთი გრძნობები ამდენი წლის შემდეგ!

ფლერმა შეხედა.

- იქნებ არასაკმარისად გიყვარვარ?

- არასაკმარისად მიყვარხარ? მეე?! მაშინ, როცა...

- მაშინ უზრუნველმყავი.

- ისე, რომ მათ არაფერი ვუთხრათ?

- წინდაწინ - არა.

ჯონი დუმდა. რამდენად უფრო გაზრდილი ჩანდა, ვიდრე სულ რაღაც ორიოდე თვის წინ, როდესაც ფლერმა პირველად ნახა. ახლა მთელი ორი წლით უფროსად გამოიყურებოდა.

- ეს სასტიკად შეურცხყოფს დედაჩემს.

ფლერმა ხელი უკან გამოსტაცა.

- არჩევანი შენზეა.

ჯონი სკამიდან ჩამოსრიალდა და ფლერის წინ ჩაიჩოქა.

- რატომ არ უნდა ვუთხრათ, ფლერ? ისინი ვერ შეგვაფერხებენ!

- შეგვაფერხებენ-მეთქი, გეუბნები!

- როგორ?

- ჩვენ მთლიანად მათზე ვართ დამოკიდებული. ფულადი შეზღუდვები დაიწყება. სხვა ყველანაირიც. მე მომთმენთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ჯონ.

- მაგრამ ეგ ნიშნავს, რომ ვატყუებთ.

ფლერი წამოდგა.

- შენ ჭეშმარიტად არ გიყვარვარ. სხვა შემთხვევაში ასე არ იყოყმანებდი. "ან ეგებ ზაფრავს მას თვისი ბედი!"

ჯონმა ხელები წელზე შემოაჭდო და ძალდატანებით დასვა. ფლერმაც აჩქარებით განაგრძო:

- ყველაფერი დავგეგმე. მხოლოდ შოტლანდიაში უნდა გავემგზავროთ. როცა ვიქორწინებთ, ისინი ამას შეურიგდებიან. ადამიანები ყოველთვის ურიგდებიან ფაქტებს. ნუთუ არ გესმის, ჯონ?

- მაგრამ ეს მათ საშინელ ტრავმას მიაყენებს!

მაშ, ურჩევნია ფლერს ატკინოს, ვიდრე თავისიანებს!

- კეთილი, მაშინ წავედი.

ჯონი წამოდგა და ზურგით კარს მიეყრდნო.

- ვგონებ, მართალი ხარ, - თქვა ნელა, - მაგრამ, მსურს, მოვიფიქრო.

ფლერი ხედავდა, როგორ თუხთუხებდნენ ჯონში გრძნობები და როგორი ტანჯვით ცდილობდა მათ გამოხატვას, მაგრამ არ მოისურვა დახმარებოდა. ამწუთას სძულდა თავისი თავი და თითქმის ჯონიც სძულდა. მხოლოდ ფლერს რატომ ანდობს მათი სიყვარულის დაცვას? ეს კეთილსინდისიერი არ არის. მერე კი შეხედა ჯონის თვალებს - თაყვანისცემითა და სასოწარკვეთით სავსეს.

- ასე ნუ მიყურებ. არ მინდა, დაგკარგო, ჯონ.

- ვერ დამკარგავ, სანამ გიყვარვარ.

- ო, არა, დაგკარგავ!

ჯონმა ხელები მხრებზე დააწყო.

- ფლერ, რამე თუ შეიტყვე ისეთი, რაც ჩემთვის არ გითქვამს?

აი, ის პირდაპირი კითხვა, რომლისაც ფლერს ეშინოდა!

- არა, - დაახეთქა ურცხვად. ოღონდაც ჯონი მისი გახდეს, ჯონი, რომელიც სიცრუეს სთხოვს! ფლერმა მკლავები ყელზე მოხვია და ტუჩებში აკოცა... და გაიმარჯვა! ეს მკერდით იგრძნო, ამ მკერდზე მოდებული ჯონის მკერდის ბაგუნით, იმით, თუ როგორ დაიხუჭა მისი თვალები.

- მინდა, დავრწმუნდე! მინდა, დავრწმუნდე! - დაიჩურჩულა ფლერმა, - შემპირდი!

ჯონს არ უპასუხია. სახეზე უკიდურესი წუხილის დუმილი ედო. ბოლოს თქვა:

- ეგ იგივეა, რომ მათ ყველას სახეში გაულაწუნო. ცოტა ხანს ფიქრი მჭირდება. ჰო, ფლერ, მართლა მჭირდება.

გოგონა მკლავებიდან დაუსხლტა.

- აჰ, ეგრეა? კარგი.

და უეცრად ფლერის თვალებიდან გულის აცრუების, სირცხვილისა და მეტისმეტი დაძაბულობის ცრემლებმა იხუვლა. ამას მოჰყვა ხუთი უუბედურესი წუთი. ჯონის სინანულსა და სინაზეს საზღვარ არ ჰქონდა, მაგრამ პირობა მაინც არ მიუცია. ფლერს უნდოდა ეყვირა: "ჩინებულია! თუ არასაკმარისად გიყვარვარ, მაშინ მშვიდობით!" მაგრამ ვერ გაბედა. ბავშვობიდან

თვითნებობას მიჩვეული გოგონა გაოგნებული შეჰყურებდა წინააღმდეგობას ასეთი ახალგაზრდა, ნაზი და ერთგული არსების მხრიდან. უნდოდა, უკუეგდო, გამოეცადა, როგორ იმოქმედებდა ჯონზე მრისხანება და სიცივე... მაგრამ ვერ გაბედა. იმის შეგნება, რომ ბრმად უბიძგებდა ჯონს გამოუსწორებელი საქციელის ჩადენისკენ, წყენასაც უსუსტებდა და ლტოლვასაც. თვით კოცნაც კი არ გამოუვიდა იმდენად მაცდუნებელი, რამდენადაც უნდოდა. ისე დამთავრდა ეს პატარა და მხურვალე შეჯახება, რომ, საბოლოოდ, ვერაფერი გადაწყდა.

- ჩაის ხომ არ მიირთმევდით?

ფლერმა ჯონი უკუაგდო და შესძახა:

- არა, არა, მადლობელი ვარ! მივდივარ! - და მანამ გავიდა, სანამ ჯონი მის შეჩერებას მოასწრებდა.

გარეთ მალვით მიაბიჯებდა და დაფოთლილი სიწითლით ახურებულ ლოყებს ისრესდა - დამფრთხალი, განრისხებული და უსაზღვროდ უბედური. ასე ააღელვა ჯონი და მაინც ვერაფერზე შეუთანხმდა, ვერ შეიპირა! მაგრამ რაც უფრო ბნელი და უიმედო ჩანდა მომავალი, მით უფრო შეუპოვრად - დადარაჯებული მარწუხივით - ეჭდობოდა ფლერს გულზე "ფლობის ნების" საცეცები.

გრინსტრიტის სახლში არავინ დახვდა. უინიფრიდი და იმოჯინი თეატრში იყვნენ წასული იმ პიესის სანახავად, რომელსაც ერთნი ალეგორიულ დადგმად მიიჩნევდნენ, მეორენი "იცით, მეტისმეტად აღმგზნებად". უინიფრიდი და იმოჯინი "სხვების" გამოძახილმა აცდუნა. ფლერი სადგურზე გაემგზავრა. ვაგონის ფანჯარაში დაქროლილ ნიავს გვიანი ნათიბისა და ვესტ-

დრეიტონის აგურის ქარხნების სუნთქვა შემოჰქონდა და გოგონას ჯერაც ჩაუმცხრალ ლოყებს ელამუნებოდა. სულ ცოტა ხნის წინ თითქოს ასე იოლი ჩანდა ყვავილების მოწყვეტა, ახლა კი ერთიანად ეკლებსა და ბუსუსებში ისხდნენ. და, ყოველივეს შემდეგ, მით უფრო მშვენიერი და სასურველი უჩანდა ფლერის შეუპოვარ გულს ეკლის გვირგვინში ჩაწნული ოქროს ყვავილი.

თავი მეცხრე

მოსახდენი მომხდარია

რაოდენ დანთქმულიც უნდა ყოფილიყო თავის განცდებში, შინ დაბრუნებულ ფლერს არ შეეძლო არ ეგრძნო სახლში გამეფებული ატმოსფეროს უცნაურობა. დედა პირქუში და მიუდგომელი იყო, სათბურში გახიზნული მამა ცხოვრებაზე ფიქრობდა. თითქოსდა ორივეს პირში წყალი ჩაეგუბებინა. "ჩემ გამო? - ფიქრობდა ფლერი, - თუ პროფონის?"

- რა დაემართა მამას? - ჰკითხა დედას.

იმან პასუხის ნაცვლად მხრები აიჩეჩა.

მერე მამას იგივე ჰკითხა დედაზე.

- რა დაემართა? - დაუბრუნა მამამ და თვალი თვალში გაუყარა, - რა შეიძლება დედაშენს დაემართოს?!

- ჰო, მართლა, - თქვა ფლერმა ვითომც სასხვათაშორისოდ, - მუსიე პროფონი "პატარა" ცურვაში მიემგზავრება თავისი იახტით ოკეანეთის კუნძულებისკენ.

სომსი უყურებდა ვაზის რტოს, რომელსაც არც ერთი მტევანი არ ება.

- უიღბლო რტო... - თქვა და განაგრძო: - ახალგაზრდა მონტიმ შემომიარა. შენთან დაკავშირებით მთხოვა რაღაც.

- აა! როგორ მოგწონს ეგ ბიჭი, მამა?

- ამ... ამ დროის პროდუქტია, როგორც მთელი დღევანდელი ახალგაზრდობა.

- შენ ვინ იყავი მის ასაკში, მამა?

- ჩვენ საქმეს ვაკეთებდით, ღობე-ყორეს არ ვედებოდით - აეროპლანებს, ავტომობილებს, ქალებს.

- შენ არასოდეს გიარშიყია ქალებთან?

ფლერი პირდაპირ ცქერას თავს არიდებდა, თუმცა საკმარისად კარგად ხედავდა სომსს, რომელსაც ფერმკრთალი სახე წამოუჭარხლდა, წარბები კი, რომლებშიც შავი ჯერ კიდევ ებრძოდა ჭაღარას, ერთ ხაზად გაუერთიანდა.

- ქალებთან კურკურისთვის არც დრო მქონდა, არც მიდრეკილება.

- იქნებ შენ დიდი გრძნობების კაცი იყავი?

სომსი ფლერს მიაჩერდა.

- ჰო, თუ გნებავს, და არაფერი გამოვიდა აქედან!

მერე განზე გავიდა და გათბობის მილების გაყოლებაზე გაიარ-გამოიარა. ფლერი უსიტყვოდ დაჰყვებოდა უკან.

- მომიყევი ეგ ამბავი, მამა!

- რატომ გაინტერესებს ეს შენს ასაკში?

- ის ცოცხალია?

სომსმა თავი დაუქნია.

- და გათხოვილია?

- ჰო.

- ჯონ ფორსაიტის დედა, ხომ? ის შენი პირველი ცოლი იყო, არა?

ფლერმა ეს ზეშთაგონებით წარმოთქვა. სომსის წინააღმდეგობის მიზეზი, უეჭველია, ის იყო, რომ მის ქალიშვილს არ გაეგო მამისთვის მიყენებული ძველი ჭრილობის ამბავი. ახლა კი ფლერს თვითონვე შეეშინდა თავისი სიტყვების: სომსს - ასაკში შესულ, მშვიდ ადამიანს - ისე შეაჟრჟოლა, თითქოს მათრახი გადაჰკრეს, და ტკივილის მძაფრმა ნოტმა გაიჟღერა მის ხმაში:

- ვინ გითხრა ეგ? თუ მამიდაშენმა, მაშინ... ვერ ვიტან, როცა ამაზე ლაპარაკობენ.

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ეს ხომ ძალიან დიდი ხნის წინ იყო, - მსუბუქად მიმართა ფლერმა.

- დიდი ხნის წინ თუ ცოტა ხნის წინ, მე...

ფლერი იდგა და ხელზე ეფერებოდა.

- მუდამ ვცდილობდი დამევიწყებინა, - უცებ ალაპარაკდა სომსი, - არ მსურს, მახსენებდნენ, - მერე კი თითქოს სადინარი მისცა ძველ, ფარულ გაღიზიანებას, დაამატა: - ჩვენს დროში ადამიანებს ეს არ ესმით. ჰო, არავინ იცის, რა არის დიდი გრძნობები.

- აი, მე კი ვიცი, - თქვა ფლერმა თითქმის ჩურჩულით.

მისკენ ზურგშექცეული სომსი მკვეთრად შემოტრიალდა.

- რაზე ლაპარაკობ? შენ ბავშვი ხარ!

- იქნებ მემკვიდრეობით გადმომეცა, მამა.

- რა?

- დიდი გრძნობები... მისი ვაჟიშვილის მიმართ...

სომსი ფურცელივით გაფითრდა და ფლერმა იცოდა, რომ ამწუთას თვითონაც ასეთი ფერი ედო სახეზე. იდგნენ და თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს ორთქლის მხურვალებაში, რომე-

ლიც გაჟღენთილიყო ფხვიერი მიწის, ქოთნებში გაშლილი ნემსიწვერასა და სიმწიფეში სწრაფად შემავალი ყურძნის სურნელით.

- ეს სიგიჟეა, - გამოცრა სომსმა გამშრალი ტუჩებიდან.

- ნუ გაბრაზდები, მამა. ეს ჩემზე უფრო ძლიერია, - ძლივს გასაგონად გაისმა ფლერის ხმა.

თუმცა ხედავდა, რომ მამა არ ბრაზობდა, მხოლოდ შეძრული იყო, სულით ხორცამდე შეძრული.

- ვფიქრობდი, ეგ სისულელე დიდი ხნის წინ დამთავრდა-მეთქი.

- ო, არა! ათგზის უფრო გაძლიერდა.

სომსმა ქუსლი მილს მიარტყა. უძლურების გამომხატველმა ამ მოძრაობამ გოგონას გული შეუძრა. მას სრულებით არ ეშინოდა მამის, სრულებით!

- რაც მოსახდენია, იმას ვერსად გაექცევი, ძვირფასო.

- მოსახდენი! - დაუბრუნა სომსმა, - წარმოდგენა არ გაქვს, რას ლაპარაკობ. იმ ბიჭმაც ყველაფერი იცის?

ფლერს სისხლი მოაწვა სახეზე.

- ჯერ არა.

სომსი ისევ მიტრიალდა და, ცალმხარაწეულმა დაჟინებით დაუწყო თვალიერება მილების გადანაკერს.

- ეგ ამბავი ჩემთვის უკიდურესად აუტანელია, - თქვა უცებ, - ვერაფერი იქნება უფრო აუტანელი. იმ კაცის შვილი! ეს... ეს არასწორია!

ფლერმა თითქმის გაუცნობიერებლად აღნიშნა, რაც სომსს არ უთქვამს: "იმ ქალის შვილი..." და ინტუიციაც ისევ ამუშავდა.

მაშ, იმ დიდი სიყვარულის ლანდი ისევ იმალება მამამისის გულში? მერე ხელი მოჰკიდა სომსს.

- ჯონის მამა სრულებით ავადმყოფია და დაჩაჩანაკებული: მე ვნახე ის.

- ნახე?

- ჰო, ჯონს გავყევი და ორივე ვნახე.

- და რა გითხრეს?

- არაფერი. ძალიან თავაზიანად მექცეოდნენ.

- ოღონდაც! - სომსი გადანაკერის ჭვრეტას დაუბრუნდა, მერე კი უცებ თქვა: - უნდა მოვიფიქრო. საღამოს კიდევ ერთხელ დავილაპარაკებთ.

ფლერმა იცოდა: ამჯერად მეტს ვეღარაფერს მიაღწევდა და ოთახი უხმაუროდ დატოვა. მამა მილების თვალიერებაში დატოვა, თვითონ კი ხეხილის ბაღში გავიდა. იქ მოცხარსა და ჟოლოს შორის ხეტიალს მოჰყვა, თუმცა პირის ჩატკბარუნების არანაირი სურვილი არ გასჩენია. ორი თვის წინ გულზე არაფერი აწვა, ორი დღის წინაც, - სანამ პროსპერ პროფონი საიდუმლოს გაუმხელდა. ახლა კი ვნებების, კანონიერი უფლებების, აკრძალვებისა და ამბოხის აბლაბუდაში, სიყვარულისა და სიძულვილის ხუნდებში ამოყო თავი. ამ ბნელ, დაღვრემილ ჟამს თვით შეურყეველი ფლერიც კი ვერ ხედავდა გამოსავალს. რა გზას დაადგეს? როგორ დაუმორჩილოს გარემოებები თავის ნებას და აისრულოს გულის წადილი?

ის იყო, ბზის მაღალ მესერს შემოუარა, რომ კინაღამ შეეჯახა დედას, რომელიც სწრაფად მოაბიჯებდა და ხელში გაშლილი წერილი ეჭირა. ანეტს თვალები გაჰფართოებოდა, მკერდი სწრა-

ფად აუდ-ჩაუდიოდა, ლოყები ასწითლებოდა. "იახტა! საბრალო დედა!", მეყსეულად გაუელვა ფლერს.

ანეტმა ფართოდ გახელილი, შეშინებული თვალები მიაპყრო და უთხრა:

- J'ai la migraine((ფრანგ.) - შაკიკი მაქვს.).

- ძალიან ვწუხვარ, დედა.

- ჰო, მეტისმეტად სწუხხართ შენ და მამაშენი!

- მართლა ვწუხვარ, დედა. ვიცი, ეგ რას ნიშნავს.

ანეტს შეშინებული თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა, ისე, რომ სილურჯის ზემოთ თეთრმა გუგამ გამოანათა.

- საბრალო უმანკო ბავშვო, - თქვა ამ დროს.

და ამას ამბობდა დედამისი - თვითფლობისა და საღი აზრის ნიმუში! ყველაფერმა საშინელი იერი მიიღო: მამამ, დედამ, თვით ფლერმა. სულ რაღაც ორიოდე თვის წინ კი თითქოსდა ყველა-ფერი ჰქონდათ, რასაც ისურვებდნენ.

ანეტმა წერილი დაჭმუჭნა. ფლერი მიხვდა, რომ ამ ჟესტზე რეაგირება არ ღირდა.

- რამით ხომ ვერ შევამსუბუქებდი შენს შაკიკს, დედა?

ანეტმა თავი გააქნია და, თეძოების ქნევით გზა განაგრძო.

"რა სისასტიკეა, - გაიფიქრა ფლერმა, - მე კი მიხაროდა. სა-ძაგელი კაცი! ნეტავ რას დაძრწიან და რას უმწარებენ ადა-მიანებს ცხოვრებას! როგორც ჩანს, დედაჩემი მოჰბეზრდა. რა უფლება აქვს, რომ დედა მოჰბეზრდეს? რა უფლება?" ამ მოსაზ-რებაზე, ესოდენ ბუნებრივსა და ესოდენ უჩვეულოზე, ფლერს მოკლე და მოგუდული სიცილით ჩაეცინა.

რაღა თქმა უნდა, წესით და რიგით, ეს ამბავი უნდა უხაროდეს. მაგრამ რა არის სასიხარულო? მამისთვის ეს სულერთია. დედისთვის? არა, როგორც ჩანს. ფლერი ხეხილის ბაღში დაბრუნდა და ალუბლის ხის ქვეშ ჩამოჯდა. ქარი ზედა ტოტებს უქანავებდა, მათი მსუბუქი სიმწვანის მიღმა ცა მუქლურჯად ჭიატებდა, ღრუბლები კი, თითქმის ყოველთვის რომ თან სდევს მდინარის პეიზაჟს, თეთრზე უთეთრესი მოჩანდა. ფუტკრები ქარს ემალებოდნენ და მსუბუქად ზუზუნებდნენ. წვნიან ბალახზე სომსის მიერ ოცდახუთი წლის წინ ჩაყრილი ხეხილის მრუმე ჩრდილები ეცემოდა. ჩიტების ხმა თითქმის არ ისმოდა, გუგული დუმდა, მხოლოდ ტყის მტრედები განაგრძობდნენ ღუღუნს. მოგუგუნე ზაფხულის სუნთქვა დიდხანს ვერ ამშვიდებდა აგზნებულ ნერვებს. ფლერმა ხელები მუხლებზე შემოიჭდო და გეგმების დაწყობას შეუდგა. უნდა აიძულოს მამა, მხარი დაუჭიროს ფლერს. რატომ შეეწინააღმდეგება, თუ მისი ქალიშვილი ბედნიერი იქნება? თავისი ცხოვრების ცხრამეტი წლის განმავლობაში ფლერმა მოასწრო იმის გაგება, რომ სომსის ერთადერთი ზრუნვის საგანს ფლერის მომავალი შეადგენდა. ესე იგი, ისღა დარჩენია, დარწმუნდეს, რომ ჯონის გარეშე ფლერის ბედნიერება ვერ იარსებებს. სომსს ეს გიჟურ ახირებად მიაჩნია. რა ბრიყვები არიან მოხუცები, როცა წარმოიდგენენ, რომ შესწევთ უნარი, განსაჯონ ახალგაზრდების გრძნობა! თვითონ ხომ აღიარა სომსმა, ახალგაზრდობაში დიდი სიყვარულით მიყვარდაო. ამიტომაც უნდა გაიგოს. "ფულს აგროვებს ჩემთვის, - ფიქრობდა ფლერი, - რა ყრია ფულში, თუ ბედნიერი არ ვიქნები?" რაც უნდა შეიძინო, ფულს ბედნიერება არ მოაქვს. ის მხოლოდ სიყვარულს

მოაქვს. დიდთვალა გვირილები, ხანდახან ასეთ მეოცნებე სახეს რომ აძლევენ ბაღს, ველურად და ბედნიერად იზრდებოდნენ. მათი დრო იდგა.

"ფლერი არ უნდა დაერქმიათ ჩემთვის, თუ არ სურდათ, რომ ჩემს ჟამსაც ჩამოეკრა და ბედნიერი ვყოფილიყავი. თითქოს გზაზე არავითარი დაბრკოლება არ ჩანს, მაგალითად, ავადმყოფობა ან სიღარიბე, მხოლოდ გრძნობები - უბედური წარსულის ლანდი. ჯონმა სიმართლე თქვა: მოხუცები ახალგაზრდებს ცხოვრების გასაქანს არ აძლევენ! ისინი შეცდომებს, დანაშაულს სჩადიან და უნდათ, რომ ეს შვილებმა ზღონ".

ქარი ჩადგა. კოღოები იკბინებოდნენ. ფლერი წამოდგა, ჯიქას ტოტი მოტეხა და სახლში შევიდა.

ცხელი საღამო ჩამოდგა. ფლერმაც და დედამისმაც თხელი, ღია ფერის კაბები ჩაიცვეს. მაგიდაზე ფერმკრთალყვავილებიანი ლარნაკი იდო. ფლერი სახტად დარჩა, ირგვლივ ყველაფერი ფერმკრთალი ჩანდა: მამის სახე და დედის მხრები, მქრქალი შპალერი კედლებზე, მქრქალნაცრისფერი ხავერდოვანი ნოხი, ლამპის აბაჟური და თვით წვნიანიც კი. ოთახში არც ერთი ფერადი ლაქა არ იყო, თვით ღვინოც კი არ იდგა უფერულ ჭიქებში, რაკი არავინ სვამდა. ხოლო რაც ფერმკრთალი არ იყო, ის შავად ზიმზიმებდა: მამის კოსტიუმი, ლაქიას სამოსი, ფლერის ძაღლი, დაღლილად რომ გაწოლილიყო კარის ზღურბლზე, კრემისფერორნამენტებიანი შავი ფარდები. ღამის პეპელა შემოფრინდა, ისიც უფერო. მდუმარე იყო ეს სამგლოვიარო სადილი ცხელი, ჩახუთული დღის ბოლოს.

როდესაც ფლერმა გასვლა დააპირა უკვე მიმავალი დედის კვალდაკვალ, მამამ დაუძახა და დატოვა.

- ბევრი ვიფიქრე.

- ჰო, ძვირფასო?

- ჩემთვის უკიდურესად მტანჯველია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ვერაფერს გააწყობ. არ ვიცი, გესმის თუ არა, რამდენს ნიშნავს ჩემთვის, ამაზე არასოდეს მილაპარაკია - საჭიროდ არ მიმაჩნდა. მაგრამ შენ... შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის. დედაშენი...

სომსს ენა დაება და ვენეციური მინის პატარა ლარნაკს მიაჩერდა.

- ჰო?

- შენ ჩემი ერთადერთი საზრუნავი ხარ. არაფერი მაქვს, არაფერი მსურს იმის შემდეგ, რაც ამ ქვეყანას შენ მოევლინე.

- ვიცი, - ჩაიჩურჩულა ფლერმა.

სომსმა გამშრალ ტუჩებზე ენის წვერი გადაიტარა.

- ალბათ ფიქრობ, რომ შემეძლო ეს საქმე მომეგვარებინა შენთვის? ცდები. მე... მე აქ უძლური ვარ.

ფლერი ხმას არ იღებდა.

- ჩემი გრძნობებისგან დამოუკიდებლად, - განაგრძო სომსმა მეტი გადაწყვეტით, - არიან კიდევ ის ორნი, რომლებიც, რაც უნდა ვუთხრა, არასგზით წამოვლენ შემხვედრი მიმართულებით. მათ... მათ მე ვძულვარ, როგორც ყოველთვის სძულთ ხოლმე ის, ვინც შეურაცხყვეს.

- მაგრამ... ჯონი?

- ის მათი სისხლი და ხორცია, დედამისის ერთადერთი შვილი. ალბათ ის იგივეა დედამისისთვის, რაც შენ - ჩემთვის. ეს ჩიხია.

- არა, - შეჰყვირა ფლერმა, - არა, მამა!

სომსი სკამის საზურგეს გადააწვა, გაფითრებული და მომთმენი, თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფრით გაეცა თავისი მღელვარება.

- მომისმინე, - ხმა ამოიღო ისევ, - ოცდაათწლიან გრძნობას შენ უპირისპირებ გრძნობას, რომელიც სულ ორი თვისაა, ორად ორი თვის, ფლერ! რისი იმედი გაქვს? პირველი გატაცება, სულ რაღაც ხუთი-ექვსი შეხვედრა, რამდენიმე გასეირნება და საუბარი, რამდენიმე კოცნა ისეთი რამის საპირისპიროდ, რისი წარმოდგენაც კი არ ძალგიძს და რასაც ვერავინ წარმოიდგენს ისეთი, ვისაც თვითონ არ გაუვლია ეს. გონს მოდი, ფლერ, შენ საზაფხულო სიგიჟეს აუტანიხარ.

გოგონამ ჯიქას ყვავილი პატარა მფრინავ ნაფლეთებად აქცია.

- სიგიჟის ტყვეობაში ისინი არიან, ვინც წარსულს ანგრევინებს ყველაფერს. რა გვესაქმება წარსულთან? ეს ხომ ჩვენი ცხოვრებაა და არა თქვენი!

სომსმა ხელი მიიდო შუბლზე, რომელზეც ფლერმა უცებ გამოჟონილი სინოტივე შენიშნა.

- ვისი შვილები ხართ თქვენ? ვისი შვილია ის? აწმყო გადაჯაჭვულია წარსულთან, მომავალი - ორივესთან. ამას ვერსად წაუხვალ.

აქამდე ფლერს არასოდეს სმენოდა, რომ მამამისს ეფილოსოფოსოს. რაოდენ ძლიერიც უნდა ყოფილიყო გოგონას მღელვარება, მაინც შეცბუნდა, იდაყვები მაგიდას დააყრდნო და ნიკაპი ხელისგულებში მოიქცია.

- მაგრამ პრაქტიკულად განვსაჯოთ, მამა. მე და მას გვიყვარს ერთმანეთი. ფული ორივეს ბევრი გვაქვს, არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება, გრძნობების გარდა. დავმარხოთ წარსული, მამა!

სომსმა ღრმად ამოიოხრა.

- თანაც, შენ ხომ არ შეგვაფერხებ, - ალერსიანად განაგრძო ფლერმა.

- ყველაფერი მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, შესაძლოა, არც ვცდილიყავი თქვენს დაბრკოლებას. ვიცი: ბევრი უნდა მოვითმინო იმისთვის, რომ შენი სიყვარული შევინარჩუნო. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერს მე არ განვსაზღვრავ. მინდა, გაიგო ეს, სანამ გვიან არ არის. თუ უწინდებურად განაგრძობ ფიქრს, რომ ყველაფერი შენებურად უნდა ხდებოდეს, და თუ ხელსაც შეგიწყობ ამ ცდომილ ფიქრში, მით უფრო მძიმე აღმოჩნდება დარტყმა, როცა მიხვდები, რომ ასე არ ყოფილა.

- მამა! - შესძახა ფლერმა, - დამეხმარე! ვიცი, რომ შეგიძლია!

სომსმა შიშნეულად გააქნია თავი.

- მე? - წარმოთქვა მწარედ, - მე? მთელი დაბრკოლება ხომ - როგორც, მგონი, თავად თქვი - მთელი დაბრკოლება ხომ ჩემშია. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს.

თქვა და წამოდგა.

- ჰო, მოსახდენი უკვე მოხდა. თუ გაჯიქდები მაგ შენს კაპრიზში, საკუთარ თავს დააბრალე. კარგი რა, ფლერ! თავი დაანებე მაგ სიგიჟეს, ჩემო შვილო, ჩემო ერთადერთო შვილო!

ფლერმა შუბლი მიადო მხარზე.

ყველა გრძნობა აბურდოდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამის ჩვენებას მამისთვის? არავითარი! ფლერი სომსს მოშორდა და სირბილით შეერია მწუხრს, ჭკუაზე გადასული უბედურებისა და გაგულისებისგან, თუმცა - არცთუ ბოლომდე თავდაჯერებული. ყველაფერი იყო გაურკვეველი და ბუნდოვანი, როგორც ჩრდილები და კონტურები - ბაღის ბინდბუნდში, ერთადერთის - ფლობის ნების - გამოკლებით. ალვის ხის კენწერო ცის ჩაბნელებულ სილურჯეში შეჭრილიყო და თეთრ ვარსკვლავს მიბჯენოდა. ცვარმა ფლერს ფეხსაცმელი დაუსველა, შიშველ მხრებზე სიგრილე მიელამუნა. მდინარესთან ჩავიდა და მუქ წყალზე გაწოლილ მთვარის ზოლს მიაჩერდა. უცებ ნესტოებში თამბაქოს სუნმა შეუღიტინა და სიბნელიდან თითქოსდა მთვარის სხივებისგან შექმნილმა თეთრმა ფიგურამ ამოყვინთა. ეს იყო ფლანელისკოსტიუმიანი მაიკლ მონტი, რომელიც თავის ნავში იდგა. ფლერის სმენას წყალში ჩამქრალი სიგარეტის მსუბუქი შიშხინი მოსწვდა.

- ფლერ, - გაისმა მისი ხმა, - სასტიკად ნუ მომეპყრობით უბედურს: მე ხომ ამდენი ხანია გელოდებით!

- რისთვის?

- გადმოდით ჩემს ნავში.

- არც ვიფიქრებ.

- რატომ?

- ქალთევზა არ ვარ.

- ნუთუ რომანტიკის ნიშანწყალი არ გცხიათ? ნუ იქნებით ასეთი თანამედროვე, ფლერ!

მონტი უკვე ბილიკზე იდგა სამიოდე ნაბიჯზე ფლერისგან.

- წადით!

- ფლერ! მე თქვენ მიყვარხართ, ფლერ!

გოგონამ ერთხელ გადაიკისკისა.

- ისევ მოდით, როცა ვერ მივიღებ იმას, რაც მსურს.

- რა გსურთ?

- არ გეტყვით.

- ნუ დამცინით, ფლერ, - მონტის ხმა უცნაურად აჟღერდა, - თვით ის ძაღლიც კი, რომელსაც ვივისექციას უტარებენ, იმსახურებს ყურადღებას, სანამ საბოლოოდ გაფატრავენ.

ფლერმა თავი გააქნია, თუმცა ტუჩები უთრთოდა.

- რატომ მაშინებთ? პაპიროსი მომეცით.

მონტიმ პორტსიგარა გაუწოდა, ანთებული ასანთი მიუმარჯვა და თვითონაც გააბოლა.

- სისულელეების ჩმახვა არ მსურს, - თქვა მონტიმ, - მაგრამ წარმოიდგინეთ მთელი ის აბდაუბდა, რაც ქვეყნიერების შექმნიდან დღემდე ულაპარაკია ყველა შეყვარებულს, და ამდენ ბოდვას ზედ კიდევ ჩემიც დაუმატეთ.

- მადლობელი ვარ. წარმოვიდგინე. ღამე ნებისა.

ერთ წუთს აკაციის ქვეშ იდგნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ სახეში, მათ შორის კი ორი პაპიროსის კვამლი იკლაკნებოდა ჰაერში.

- ამ გარბენში მაიკლ მონტს ადგილი არ მოეძებნება, ჰო?

ფლერი მკვეთრად შებრუნდა და სახლისკენ დაიძრა. გაზონზე მოტრიალდა: მონტი თავზემოთ ხელებს იქნევდა. ფლერი ხედავდა, როგორ ხვდებოდა ეს ხელები კეფაზე, მერე კი როგორ ემშვიდობებოდა მთვარით განათებულ აკაციის ყვავილებს. ფლერამდე მოაღწია მონტის ხმამ "კარგია, კარგი!" და შეკრთა. მაგრამ რა ქნას, ვერაფრით დაეხმარება. თავისი საზრუნავიც ეყოფა. ვერანდაზე ისევ შეჩერდა. დედა თავის საწერ მაგიდასთან იჯდა სასტუმრო ოთახში. სახის გამომეტყველებაში არაფერი ჰქონდა განსაკუთრებული, მხოლოდ უკიდურესად უმოძრაოდ იყო. ამ უძრაობაში სასოწარკვეთა იგრძნობოდა. ფლერი სირბილით აუყვა კიბეს და კიდევ ერთხელ შეჩერდა თავისი საძინებლის კართან. ისმოდა, როგორ მიდი-მოდიოდა მამა გალერეაში.

"ჰო, სიხარული არ ჩანს... ო, ჯონ!"

თავი მეათე

გადაწყვეტილება

როდესაც ფლერი გავიდა, ჯონი ავსტრიელ მოახლეს - გამხდარ და შავგვრემან ქალს მიაჩერდა. მის სახეს შეჰყინვოდა მწუხარე გამომეტყველება ქალისა, რომელსაც ერთიმეორის მიყოლებით დაჰკარგოდა ოდესღაც ნაქონი ყველა ცხოვრებისეული სიკეთე.

- ესე იგი, ჩაის არ მიირთმევთ? - იკითხა მან.

ჯონმა მის ხმაში გულის აცრუების ნოტი მოიხელთა და ჩაილუღლუღა:

- რაღაც არ მინდა. მადლობელი ვარ.

- სულ ერთი ფინჯანი. უკვე მზადაა. ერთი ფინჯანი და ერთიც პაპიროსი.

ფლერი წავიდა. ახლა ჯონს სინანულისა და მერყეობის გრძელი საათები ელოდა. მძიმედ გაიღიმა და თქვა:

- კეთილი. მადლობელი ვარ.

მოახლემ ლანგრით შემოიტანა პატარა ჩაიდანი, ორი ფინჯანი და ვერცხლის პატარა ყუთი პაპიროსებით.

- შაქარი თუ გნებავთ? მის ფორსაიტს ბევრი შაქარი აქვს, ჩემთვის და ჩემი მეგობრისთვის ყიდულობს. მის ფორსაიტი ძა-

ლიან კეთილი ქალბატონია. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ვმსახურობ. თქვენ მისი ძმა ხართ?

- ჰო, - თქვა ჯონმა, რომელიც ცხოვრებაში მეორე სიგარეტს ეწეოდა.

- ძალიან ახალგაზრდა ძმა ჰყოლია, - თქვა ავსტრიელმა მორიდებულ-შეცბუნებული ღიმილით, რომელმაც ჯონს ძაღლის მოქიცინე კუდი გაახსენა.

- შეიძლება, დაგისხათ? - ჰკითხა მოახლეს, - იქნებ ჩამოჯდეთ?

იმან თავი გააქნია.

- მამათქვენი ძალიან საყვარელი მოხუცი კაცია, უსაყვარლესია მათგან, ვინც ოდესმე მინახავს. მის ფორსაიტმა ყველაფერი მიამბო მასზე. ახლა უკეთაა?

ამ სიტყვებმა ჯონის ყურებში საყვედურად გაიხმიანა.

- ოჰ, კი. ვფიქრობ, სრულებით ჯანმრთელია.

- მოხარული ვიქნები, თუ კიდევ ვიხილავ, - თქვა გულზე ხელმიდებულმა მოახლემ, - მას ძალიან კეთილი გული აქვს.

- ჰო, - თქვა ჯონმა და ისევ საყვედური ჩაესმა მოახლის სიტყვებიდან.

- არასოდეს არავის აწუხებს და ასე სანდომიანად იღიმის.

- ჰო, მართლაც.

- ხანდახან ისე უცნაურად უყურებს ხოლმე მის ფორსაიტს. ჩემზე ყველაფერი ვუამბე, იმდენად სიმპათიურია. დედათქვენიც საყვარელი და კეთილია?

- კი, ძალიან.

- მამათქვენს მისი სურათი თავისი საძინებლის მაგიდაზე უდევს. ძალიან ლამაზი ქალია.

ჯონმა ჩაი სწრაფად დალია. ეს ადამიანი თავისი მწუხარე სახითა და საყვედურიანი სიტყვებით პიესის შეთქმულ ქალს ჰგავდა: პირველი მკვლელი, მეორე მკვლელი...

- მადლობელი ვარ. ჩემი წასვლის დროა. თქვენ... ხომ არ გეწყინებათ, თუ რამეს დაგიტოვებთ?

ჯონმა შეყოყმანებული ხელით დადო ლანგარზე ათი შილინგი და კარისკენ გავარდა. უკნიდან ავსტრიელი მოახლის შეწუხებული ამოკვნესა მოესმა და ჯონიც კიდევ უფრო აჩქარებით გავიდა. მატარებლის გასვლამდე მინიმალური დრო რჩებოდა. მთელ გზაზე სადგურამდე თითოეულ გამვლელს სახეში აცქერდებოდა, როგორც უიმედოდ მოიმედე შეყვარებულები აცქერდებიან ხოლმე. უორდინგში ბარგი ადგილობრივი მატარებლით გაგზავნა, თვითონ კი ფეხით აუყვა უონსდონში ამავალ სამთო გზას, ვინძლო სიარულით ჩაეხშო გადაუწყვეტლობის ტკივილი. სწრაფად მიაბიჯებდა, მწვანე ფერდობების მშვენიერებას შეხაროდა, დროდადრო ჩერდებოდა, რათა ბალახზე გაწოლილს გაოცებით ეცქირა ასკილის სრულქმნილებისთვის, ყური დაეგდო ტოროლასთვის. მაგრამ ეს მხოლოდ უჭიანურებდა ბრძოლას ფლერისადმი ლტოლვასა და ტყუილის სიძულვილს შორის. როდესაც ცარცის ორმოს მიუახლოვდა უონსდონში, ისევე შორს იყო გადაწყვეტილების მიღებისგან, როგორც გზის დასაწყისში. საკითხის ორივე მხრიდან ერთდროულად დანახვის უნარი ჯონის სიძლიერეც იყო და სისუსტეც.

შინ ზუსტად მაშინ შევიდა, როცა სადილის მაუწყებელ პირველ გონგს ჩამოჰკრეს. თავისი ნივთები უკვე მოსული დახვდა. ფაცხაფუცხით გადაივლო წყალი და ჩავიდა სასადილო ოთახში, სადაც ჰოლის მეტი არავინ იჯდა. ქალაქში გამგზავრებული ქმარი შეჰპირებოდა, ბოლო მატარებლით დავბრუნდებიო.

მას შემდეგ, რაც ვალმა ურჩია, შენს დას გამოჰკითხე ორ ოჯახს შორის მომხდარი განხეთქილების მიზეზიო, კიდევ იმდენი რამ მოხდა, - ფლერთან შეხვედრა გრინპარკში, მგზავრობა რობინჰილში, დღევანდელი შეხვედრა, - რომ თითქოს საკითხავი აღარაფერი დარჩა. ჯონი ლაპარაკობდა ესპანეთზე, მზის დარტყმაზე, ვალ დარტის ცხენებზე, მამის ჯანმრთელობაზე. ჰოლიმ გააკვირვა იმის აღნიშვნით, რომ, მისი აზრით, მამის ჯანმრთელობა ფრიად სავალალო მდგომარეობაშია. ორჯერ ჩაუკითხავს რობინჰილში. ძალიან დაღლილი სახე ჰქონია, დროდადრო - გატანჯულიც კი, თუმცა გამუდმებით ირიდებდა საუბარს თავის თავსა და თავის ჯანმრთელობაზე.

- რა კარგი ადამიანია, ეგოიზმის ნიშანწყალი არა აქვს. ხომ ასეა, ჯონ?

ბიჭს შერცხვა, რომ მისთვის ეგოიზმი უცხო არ იყო, და თქვა:

- რა თქმა უნდა.

- რამდენადაც მახსოვს, ყოველთვის უმწიკვლო მამა იყო.

- ჰო, - უპასუხა სრულებით დათრგუნვილმა ჯონმა.

- არასდროს არაფერში აბრკოლებდა შვილებს და თითქოს ყოველთვის ესმოდა მათი. კუბოს კარამდე ვერ დავივიწყებ, როგორ დამრთო ნება გავმგზავრებულიყავი სამხრეთ აფრიკაში ბურების ომის დროს, როცა ვალ დარტი შემიყვარდა.

- ეს, მგონი, მანამდე მოხდა, სანამ მამა დედაჩემს მოიყვანდა, არა? - ჰკითხა უეცრად ჯონმა.

- ჰო. რატომ მეკითხები?

- ისე, უბრალოდ. მანამდე ხომ დედა ფლერის მამის მეუღლე იყო?

ჰოლიმ კოვზი დაუშვა, ჯონს პირდაპირ შეხედა და ყურადღებით შეათვალიერა. "რა იცის ჯონმა? იქნებ იმდენი, რომ უმჯობესია, ყველაფერი შეიტყოს?" ჰოლის ვერ გადაეწყვიტა. საერთოდ, ჯონი რაღაცნაირად მომჩვარულს და მობერებულს ჰგავდა. თუმცა ეს იქნებ მზის დარტყმის ბრალი იყო.

- ჰო, იყო რაღაც ეგეთი, - თქვა ბოლოს, - მაშინ ჩვენ აფრიკაში ვცხოვრობდით და ახალი ამბები არ გვესმოდა.

ჰოლიმ ვერ იკისრა პასუხისმგებლობა სხვის საიდუმლოზე. თანაც, არ იცოდა, რა გრძნობები ამოძრავებდა ჯონს ამჟამად. ესპანეთის ეპიზოდამდე ჰოლს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჯონი შეყვარებულია. მაგრამ ბიჭი ბიჭად რჩება. მას შემდეგ შვიდმა კვირამ განვლო, შუალედში კი მთელი ესპანეთი იდო.

ჰოლიმ შეამჩნია, რომ ჯონი მიუხვდა სურვილს - მისი ყურადღება სახიფათო თემიდან სხვა საგანზე გადაეტანა, და დაუმატა:

- რამე ხომ არ შეგიტყვია ფლერისგან?

- კი.

ჰოლის სახემ ჯონს უფრო მეტი უთხრა, ვიდრე თვით ყველაზე თანამიმდევრული ახსნა-განმარტება ეტყოდა. ამრიგად, ჯონს არ დავიწყებია. ჰოდა, ჰოლიმაც მშვიდზე მშვიდად უთხრა:

- ფლერი საოცრად მომხიბლავია, ჯონ, მაგრამ, იცი, მე და ვალს მაინცდამაინც არ მოგვწონს.

- რატომ?

- მომხვეჭელთა მოდგმიდან მოდის.

- მომხვეჭელთა? არ მესმის, რას გულისხმობ. ის... ის... - ჯონმა ჩაროზიანი თეფში მისწია, ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

ჰოლიც წამოდგა და ჯონს მოეხვია.

- ჯონ, ძვირფასო, ნუ გაბრაზდები! ჩვენ ადამიანებს ერთნაირად ვერ დავინახავთ, ასე არ არის? იცი, ვფიქრობ, თითოეულ ჩვენგანს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან ორი ახლობელი, რომლებიც ხედავენ საუკეთესოს, რაც ჩვენშია, და გვეხმარებიან მის გამოვლენაში. შენთვის ასეთი ადამიანი, ვგონებ, დედაშენია. ერთხელ შევესწარი, როგორ კითხულობდა შენს წერილს, რა საოცარი სახე ჰქონდა იმ წუთებში. არასდროს შემხვედრია უფრო მშვენიერი ქალი, დრო თითქოს არ მოქმედებს მასზე.

ჯონს სახე მოულბა, მერე კი ისევ ჩაეკეტა. ყველა მას და ფლერს უპირისპირდება, ყველა! და ყველა ადასტურებს ფლერის ხმობას: "უზრუნველმყავი მეც და შენი თავიც: ცოლად შემირთე, ჯონ!"

აქ, სადაც ჯონმა გაატარა თავისი ნეტარი კვირა, აქ ფლერისკენ ლტოლვაცა და გულისტკივილიც წუთით წუთამდე იზრდებოდა მის არყოფნაში. ფლერი არ იყო, რათა ზღაპრად ექცია ეს ოთახი, ბაღი, თვით ჰაერი. როგორ იცხოვროს აქ ისე, რომ ვერ ხედავდეს ფლერს? ჯონი საბოლოოდ ჩაიკეტა თავის თავში და ადრე წავიდა დასაწოლად. თავის ოთახში საყურძნე სამოსელში გამოწყობილ ფლერთან მაინც დარჩებოდა მოგონებებში. გაიგონა, როგორ მოვიდა ვალ დარტი და როგორ გადმოჰქონდათ ჩამოტანილი ნივთები მისი ფორდიდან. მერე ისევ ზაფხულის ღა-

მის სიჩუმემ დაისადგურა. შორიდან მოისმოდა მხოლოდ ცხვრების ბღავილი და ღამის ფრინველის ძახილი. ჯონმა თავი გაყო ფანჯარაში: ცივი მთვარე, თბილი ჰაერი, თითქოსდა მოვერცხლილი ბორცვები. ქინქლები, წყაროს რაკრაკი, მცოცავი ვარდები... ღმერთო, რა ცარიელია ყველაფერი ფლერის გარეშე! ბიბლიაში წერია: დატოვე მამაშენი და დედაშენი და მიეკარი... ფლერს!

გამბედაობა უნდა მოეკრიბა, მისულიყო მშობლებთან და ყველაფერი ეთქვა! ვერ დაუშლიან ფლერზე დაქორწინებას, არ მოუნდებათ, როცა შეიტყობენ, რომ ჯონს უყვარს ის. ჰო, ეტყვის! ღიად და გაბედულად. არა ისე, როგორც ფლერი აპირებს.

ფრინველი გაჩუმდა, ცხვრებმაც შეწყვიტეს ბღავილი. მხოლოდ ნაკადულის რაკრაკი ისმოდა წყვდიადში. და ჯონსაც ჩაეძინა თავის საწოლში, გათავისუფლებულს ყველაზე უარესი ცხოვრებისეული ბოროტებისგან, რომელსაც ჰქვია გადაუწყვეტლობა.

თავი მეთერთმეტე

ტიმოთი წინასწარმეტყველებს

შეუმდგარი პაემნის დღეს სახელმწიფო გალერეაში აღინიშნა ინგლისის სიამაყისა და დიდების ანუ, უბრალოდ, ცილინდრის აღორძინების მეორე წლისთავი. "ლორდის" სტადიონზე გამართულმა შეჯიბრებამ - ომისგან გაუქმებულმა დღესასწაულმა - მეორედ აღმართა თავისი ცისფერი და ლურჯი დროშები, ანუ დიდებული წარსულის თითქმის ყველა შტრიხი წარმოადგინა. შესვენების დროს აქ ნახავდით ქალის თავსაბურავის მრავალგვარ და კაცის ქუდის ერთ სახეობას. ეს ქუდები იცავდნენ მრავალი ტიპის სახეს და ასოცირდებოდნენ ადამიანთა "კლასებთან". უფასო ან იაფფასიან ადგილებზე დაკვირვებული ფორსაიტი უთუოდ შენიშნავდა მაყურებლებს მსუბუქი ქუდებით, თუმცა ასეთები ნამდვილად ვერ გაბედავდნენ მინდორთან მოახლოებას. ძველი სკოლის (თუ სკოლების) წარმომადგენლებს შეეძლოთ სიხარულით შეხვედროდნენ იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატი ჯერ კიდევ ვერ გადაიხდიდა აქ შემოსვლის საფასურად დადგენილ ნახევარ კრონას. სხვა თუ არაფერი, ეს სიმაგრე მაინც რჩებოდა, - უკანასკნელი, მაგრამ მნიშვნელოვანი. გაზეთების ინფორმაცით, სტადიონზე ათი ათასი კაცი შეგროვდა.

ერთი იმედით ანთებული ეს ათი ათასი კაცი ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა ერთმანეთს: "სად საუზმობთ დღეს?" იყო ამ კითხვაში რაღაც უკიდურესად დამამშვიდებელ-ამამაღლებელი, - ამ კითხვაშიც და ამდენ ადამიანშიც, რომლებიც ერთნაირად წარმოთქვამდნენ მას. კიდევ რამდენი რეზერვი შეუნახავს ბრიტანეთის იმპერიას: საკმარისი რაოდენობის მტრედი და ასთაკვი, ხბოს ხორცი და ორაგული, მაიონეზები, მარწყვი, შამპანური ამხელა მასის გამოსაკვებად! პერსპექტივაში არ ჩანს არავითარი სასწაული, ხუთი პურითა და რამდენიმე საბრალო თევზით ჩადენილი არანაირი ფოკუსი: - აქაური რწმენა უფრო მყარ საფუძველს ეყრდნობა. ექვსი ათას ცილინდრს მოიხდიან, ოთხი ათას ჭრელ ქოლგას დაკეცავენ და ერთნაირი ინგლისურით მოლაპარაკე ათი ათასი პირი საკვებით შეივსება. ჯერაც ცოცხალია ძველი ბრიტანელი ლომი! ტრადიცია და კიდევ ერთხელ ტრადიცია! რა ძლიერია და რა მოქნილი! დე, იბობოქრონ ომებმა და იყაჩაღონ გადასახადებმა, დე, ტრედიუნიონების ხარკმა წელში გაწყვიტოს პატიოსანი მოქალაქეები, ევროპას კი შიმშილით სული სძვრებოდეს, - ეს ათი ათასი მაინც გამოძღება. ამ მესრის მიღმა მწვანე მოლზეც ისეირნებენ ცილინდრებით და ერთმანეთს მიესალმებიან. ძველი სამყაროს გული ჯანმრთელია, პულსი თანაბრად ფეთქავს:

ი-ტო-ნი!

ჰა-რო-უ!

საკუთარი უფლებითა თუ ნაცნობობით ამ ნაკრძალში მოხვედრილ მრავალ ფორსაიტს შორის სომსი და მისი ცოლ-შვილიც ერივნენ. თვით სომსს არასოდეს უსწავლია ამ ორი მოპაექრე

სკოლიდან რომელიმეში, არანაირად არ აინტერესებდა კრიკეტი, მაგრამ უნდოდა, ფლერს თავისი კაბა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, თვითონ კი ცილინდრი დაეხურა, ანუ კვლავ გასულიყო მშვიდობისა და სიუხვის აღლუმზე სხვა თავისნაირებთან ერთად. დარბაისლურად მიჰყავდა ფლერი, რომელსაც მეორე მხრიდან ანეტი მოჰყვებოდა. რამდენადაც სომსი ხედავდა, მის ორ ქალს ვერც ერთი სხვა ქალი ვერ შეედრებოდა. მათ სიარულიც იციან, თავის დაჭერაც, მათი სილამაზე საგნობრივია, ამ თანამედროვე ქალებს კი არც ტანადობა აქვთ, არც მკერდი. და უცებ სომსს გაახსენდა, რა სიამაყით გადიოდა აირენთან ერთად ქუჩაში მათი ქორწინების პირველ პერიოდში; როგორ საუზმობდნენ კარეტაში, რომლის შეძენა სომსის დედამ აიძულა მამამისს, რაკი ეს ძალიან მდიდრული იყო: იმ ხანებში ხომ თამაშს კარეტებიდან უყურებდნენ და არა ამ ვეებერთელა ტრიბუნებიდან. ხოლო მონტეგ დარტი ყოველთვის ზედმეტს ყლურწავდა. სომსი სავსებით უშვებდა აზრს, რომ ადამიანები ახლაც ზედმეტს ყლურწავენ, თუმცა დღესდღეობით ისეთი ასპარეზი აღარ არის. გაახსენდა ჯორჯ ფორსაიტი (მისი ძმები, როჯერი და იუსტასი, შესაბამისად, იტონში და ჰაროუში სწავლობდნენ), რომელიც კარეტაზე აძვრა და ლურჯი დროშის ქნევით ხმამაღლა დაიძახა "იტროუ - ჰარტონ!" ზუსტად იმ მომენტში, როცა მთელი პუბლიკა დუმდა! ყოველთვის ასე მასხარასავით იქცეოდა. იუსტასი კი, თავით ფეხამდე დენდი, დინჯად იდგა ქვემოთ, არ კადრულობდა ერთი ან მეორე ფერის როზეტის ჩამოცმას ან, საერთოდ, რამესთვის ყურადღების მიქცევას. ჰოო, გარდასული დღეები! აირენი ნაცრისფერ, ოდნავ მწვანედ მოათინათე აბრე-

შუმში. სომსმა ირიბად გამოხედა ფლერს. "სახე რაღაცნაირად ჩამქრალი აქვს, არც სინათლეს ასხივებს, არც სიცოცხლეს. მას სიყვარული ღრღნის. რა საძაგელი ამბავია!" სომსის მზერა უფრო შორს გასრიალდა, ცოლის სახისკენ, რომელიც დღეს ჩვეულებრივზე უფრო მეტად მოეხატა და ოდნავ ზიზღნარევი გამომეტყველებაც დაჰკრავდა. თუმცა ანეტს, რამდენადაც სომსი ხედავდა, არავითარი მიზეზი არ ჰქონდა ზიზღისთვის. ანეტი უცნაური სიმშვიდით იღებდა პროფონის დეზერტირობას. ან ეგებ მისი "პატარა გაცურვა" ოკეანეთისკენ მხოლოდ ყურადღების გადასატანი მანევრი იყო? თუ ასეა, მაშინ სომსს ურჩევნია ამ მანევრს არ ხედავდეს.

ჯერ პავილიონებს ჩაუარეს მოედანზე, მერე "ბედუინების კლუბის" კარავში უინიფრიდის მაგიდა მოძებნეს. ეს ახალი კლუბი, რომელშიც მამაკაცებიც შედიოდნენ და ქალებიც, ტურიზმისა და მავანი ჯენტლმენის ინტერესებში დაფუძნდა. ამ ჯენტლმენს მემკვიდრეობით გადმოეცა ძველი შოტლანდიური გვარი, თუმცა მამამისი რატომღაც ლევის გვარს ატარებდა. უინიფრიდი ამ კლუბში იმიტომ კი არ შევიდა, რომ ოდესღაც ტურიზმით იყო დაკავებული, არამედ ინსტინქტმა უკარნახა, რომ ასეთი დამფუძნებლისგან წამოსულ ამგვარი სახელწოდების კლუბს დიდი მომავალი ელოდა და, თუ ახლავე არ გაწევრდებოდა, მომავალში შეიძლებოდა ამის პრობლემა შეჰქმნოდა. კლუბის კარავი, რომლის იატაკზე ყურანის ერთი სურა ეწერა, შესასვლელის თავზე კი პატარა მწვანე აქლემი იყო ამოქარგული, ყველა სხვა კარავზე მეტად ხვდებოდა მზერას. შესასვლელში იდგა ლურჯჰალსტუხიანი ჯეკ კარდიგანი (ერთხელ მან ჰაროუს მხა-

რეს ითამაშა) და ბამბუკის ტროსტს იქნევდა, რითაც აჩვენებდა, როგორ უნდა დაერტყა ბურთისთვის. საზეიმოდ მიიყვანა სომსი და მისი ქალები უინიფრიდის მაგიდასთან, რომელთანაც უკვე შეკრებილიყვნენ იმოჯინი, ბენედიქტი და მისი ახალგაზრდა ცოლი, ვალ დარტი ჰოლის გარეშე, მოდი და მისი მეუღლე. როცა ახალმოსულები მაგიდას მიუსხდნენ, ერთი თავისუფალი ადგილი კიდევ დარჩა.

- პროსპერს ველოდები, - თქვა უინიფრიდმა, - ერთობ გატაცებულია თავისი იახტით!

სომსმა მალულად გახედა ანეტს, რომლის სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა. მოვა ის ტიპი თუ არ მოვა, ანეტმა, როგორც ჩანს, ყველაფერი იცის. სომსმა ისიც შენიშნა, რომ დედისკენ ფლერმაც გააპარა თვალი. თუ ანეტი მის გრძნობებს არაფრად აგდებს, მაშინ ფლერზე მაინც იფიქროს. უკიდურესად აბდაუბდა საუბარი იოლას გადიოდა ჯეკ კარდიგანის მსჯელობით მიდ-ოფფ-ზე(მიდ-ოფფ - კრიკეტის გუნდის ერთ-ერთი წევრი.). ჯეკმა ჩამოთვალა ყველა "დიდი მიდ-ოფფ-ები" დღიდან ამ სპორტის შექმნისა. როგორც ჩანს, მათ მიიჩნევდა ერთ-ერთ ძირითადად იმ ელემენტებიდან, რომლებიც ქმნიდა ბრიტანელთა რასობრივ არსს. სომსი გაუმკლავდა თავის ასთაკვს და უკვე მტრედის ხორცის ღვეზელზე გადაინაცვლა, როცა გაიგონა სიტყვები: "ცოტათი შემაგვიანდა, მისის დარტი" და დაინახა, რომ ამიერიდან ცარიელი ადგილი მაგიდასთან აღარ იყო. იმოჯინსა და ანეტს შორის მუსიე პროფონი იჯდა. სომსი გულდასმით განაგრძობდა ჭამას, მხოლოდ შიგადაშიგ თუ გაუცვლიდა სიტყვას მოდს ან უინიფრიდს. მის ირგვლივ საუბარი ისმოდა.

- მე მგონი, ცდებით, მისის ფორსაიტ. ნაძლევს ვდებ, მის ფორსაიტი დამეთანხმება.

- რაში? - გაისმა ფლერის მაღალი ხმა.

- მოსაზრება გამოვთქვი, რომ ახალგაზრდა ქალიშვილები ახლაც ისეთივე არიან, როგორიც უწინ იყვნენ. სხვაობა ძალიან მცირეა.

- ასე კარგად იცნობთ მათ?

ასეთმა მკვეთრმა შეპასუხებამ ყველას ყურები დაუცქვიტა. სომსი უხერხულად შეირხა თავის თხელ, მწვანე სკამზე.

- რასაკვირველია, ვერ გავბედავ ვამტკიცო, მაგრამ მათ სურთ იარონ საკუთარი პატარა ბილიკით, რაც, მე მგონი, უწინაც არსებობდა.

- აი, თურმე რა!

- მაგრამ, პროსპერ, - მსუბუქად შეესიტყვა უინიფრიდი, - გოგონები, რომლებსაც ქუჩაში ვხედავთ, გოგონები, რომლებსაც სამხედრო ქარხნებში უმუშავიათ, ნორჩი გამყიდველი გოგონები, - ყველა ამათი მანერები პირდაპირ თვალში გცემს.

სიტყვაზე "გცემს" ჯეკ კარდიგანმა შეწყვიტა თავისი ისტორიული ძიებები და სრულ სიჩუმეში მუსიე პროფონის ხმა გაისმა:

- უწინ ეგ შიგნით იმალებოდა, ახლა გარეთ გამოვიდა.

- მათი ზნეობა! - აყვირდა იმოჯინი.

- ისინი უწინდელზე ნაკლებად ზნეობრივი არ არიან, მისის კარდიგან, ეგაა, ახლა უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ.

ეს შენიღბულ-ცინიკური შენიშვნა საზოგადოებამ მიიღო იმოჯინის მსუბუქი ჩაცინებით, ჯეკ კარდიგანის გაოცებით გაღებული პირითა და სომსის ქვეშ აჭრიალებული სავარძლით.

- რა ბოროტი ხართ, პროსპერ! - თქვა უინიფრიდმა.

- თქვენ რას იტყვით, მისის ფორსაიტ? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ადამიანის ბუნება არასოდეს იცვლება?

სომსს ცოტა დააკლდა, რომ წამომხტარიყო და ბელგიელისთვის პანღური ამოეკრა. ამ დროს ცოლის ხმა გაიგონა:

- ინგლისში ადამიანური ბუნება ისეთი არ არის, როგორიც სხვაგან.

ისევ ანეტის დაწყევლილი ირონია!

- შეიძლება. კარგად არ ვიცნობ ამ პატარა კუნძულს. თუმცა ვიტყოდი, რომ წყალი ყველგან დუღს, თუნდაც ქვაბს სახურავი ეხუროს. ყველანი სიამოვნებას ვესწრაფვით - და ყოველთვის ვესწრაფოდით.

ჯანდაბას წაუღია ეს კაცი! მისი ცინიზმი, უბრალოდ... უბრალოდ, შეურაცხმყოფელია!

საუზმის შემდეგ საზოგადოება წყვილებად დაიშალა საჭმლის მომნელებელი გასეირნებისთვის. სიამაყიდან გამომდინარე, სომსმა არ შეიმჩნია, მაგრამ შესანიშნავად იცოდა, რომ ანეტი სადღაც "დაძრწოდა" პროფონთან ერთად. ფლერი ვალ დარტის შეუერთდა: რასაკვირველია, იმიტომ აირჩია, რომ დარტი იმ ბიჭუნას იცნობს. თვით სომსს უინიფრიდი ერგო. რამდენიმე წუთის განმავლობაში წრეზე მიაბიჯებდნენ ადამიანთა მაძღარ, სახეაწითლებულ ნაკადში. მერე უინიფრიდმა თქვა:

- მინდა, ორმოცი წლით უკან დავბრუნდე, მეგობარო.

ამ ქალის სულიერი მზერის წინ დაუსრულებელი აღლუმივით მიაბიჯებდა მისი საკუთარი კაბები, რომლებიც "ლორდის" დღესასწაულთან დაკავშირებით იკერებოდა და რომლის საფასურსაც ყოველ ჯერზე - მორიგი ფინანსური კრიზისის გამო - მამამისი იხდიდა.

- ბოლოს და ბოლოს, მაშინ ძალიან მხიარულად ვცხოვრობდით. ზოგჯერ თვით მონტის ნახვაც კი მინდება ხოლმე. ახლანდელ პუბლიკაზე რას იტყვი, სომს?

- განსახიერებული უგემოვნობა. არაფერია სანახავი. ყველაფერმა რღვევა და ნგრევა იწყო ველოსიპედებისა და ავტომანქანების გამოჩენასთან ერთად, ომმა კი საერთოდ დააგვირგვინა ეს პროცესი.

- ხშირად ვფიქრობ, საითკენ მივდივართ-მეთქი, - მტრედის ხორცის ღვეზელმა უინიფრიდი ოცნების ხასიათზე დააყენა, - სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ კრინოლინებს და კუბოკრულ პანტალონებს არ დავუბრუნდებით. იმ კაბას შეხედე!

სომსმა თავი დააქნია:

- ფული ახლაც არის, აღარ არის რწმენა პრინციპებში. ჩვენ აღარაფერს ვდებთ სამომავლოდ. ახლანდელი ახალგაზრდობა... ცხოვრება მათთვის ხანმოკლე და მხიარული წამია.

- აჰ, როგორი ქუდია! - თქვა უინიფრიდმა, - პირდაპირ არ ვიცი, როცა ვფიქრობ, რამდენი ადამიანი დაიხოცა ომში და სხვა ამდაგვარს! პროსპერის თქმით, ყველა ქვეყანა გაკოტრდა, ამერიკის გარდა. თუმცა ამერიკელები ყოველთვის ჩვენგან სესხულობდნენ ჩაცმის სტილს.

- ნამდვილად მიემგზავრება სამხრეთის ზღვებში?

- ო, ვერასოდეს გაიგებ, სად მიემგზავრება პროსპერი!

- აი, თუ გნებავს, ვინ არის დროის ნიშანი, - ჩაიბუტბუტა სომსმა.

უინიფრიდმა მაგრად მოუჭირა იდაყვზე.

- თავი არ მიაბრუნო, - უთხრა ხმადაბლა, - მხოლოდ თვალებით გაიხედე მარჯვნივ, ტრიბუნის პირველ რიგში.

სომსმა შეძლებისდაგვარად გაიხედა ისე, როგორც ურჩიეს. იქ იჯდა რუხცილინდრიანი კაცი ჭაღარა წვერით, გამხდარი, ღია ყავისფერი, დანაოჭებული ლოყებით, უდავოდ მოხდენილ პოზაში. გვერდით ეჯდა მომწვანოკაბიანი ქალი, რომლის მრუმე თვალები სომსს არ სცილდებოდნენ. ამ უკანასკნელმა თვალი დახარა და საკუთარ ფეხებს დააცქერდა. რა სასაცილოდ მოძრაობენ ფეხები: ერთი, მეორე; ერთი, მეორე! ყურში უინიფრიდის ხმა ჩაესმა:

- ჯოლიონს სრულებით ავადმყოფური იერი აქვს, თუმცა სტილი შეუნარჩუნებია. ქალი კი არ იცვლება, მხოლოდ თმის ფერი.

- რატომ უამბე ფლერს ის ისტორია? - ჰკითხა სომსმა.

- მე არ მიამბია, თვითონ შეიტყო. ყოველთვის ვამბობდი, ეგრე მოხდება-მეთქი.

- ძალიან გულდასაწყვეტია. ფლერი მათი ვაჟიშვილით არის გატაცებული.

- უჰ, ეგ ეშმაკი, ეგა! - დაიჩურჩულა უინიფრიდმა, - უნდოდა, თვალი აეხვია ჩემთვის მაგ საკითხთან დაკავშირებით. ახლა რას აპირებ, სომს?

- დინებას მივყვები.

გზა ჩუმად განაგრძეს. ძლივს მიარღვევდნენ ხშირ ბრბოს.

- მართლაც, - თქვა უცებ უინიფრიდმა, - ეს, შეიძლება ითქვას, ბედისწერაა, თუმცა ყოვლად შეუფერებელ დროს ხდება. შეხედე: ჯორჯი და იუსტასი.

ჯორჯ ფორსაიტის მაღალი, ზორბა ფიგურა მათ წინ გაჩერდა.

- გამარჯობა, სომს! წუთის წინ შევხვდი პროფონს და შენს მეუღლეს. დაეწევი, თუ ნაბიჯს აუჩქარებ. ტიმოთისთან თუ შეიარე?

სომსმა თავი დაუქნია, მერე კი ხალხის ნაკადმა ისინი ერთმანეთს დააშორა.

- ყოველთვის მომწონდა ჯორჯი, - თქვა უინიფრიდმა, - დიდი გამრთობი ვინმეა.

სომსმა უინიფრიდი მის ადგილამდე მიაცილა, თვითონ კი თავისაზე დაბრუნდა. იჯდა და ვერც კი ამჩნევდა შორს გაელვებულ თეთრ ფიგურებს, ჯოხების რახუნს, აპლოდისმენტებს ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან. არც ფლერი ჩანდა, არც ანეტი. რას უნდა ელოდო თანამედროვე ქალებისგან? მათ ხმის უფლება მიიღეს, მიიღეს "ემანსიპაცია" და აქედან კარგი არაფერი გამოვიდა! მაშ, უინიფრიდს უნდა უკან დაბრუნდეს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს, თვით დარტის ჩათვლით? სომსმაც დააბრუნოს წარსული, იჯდეს აქ ისე, როგორც 83-84 წლებში იჯდა მანამდე, სანამ დარწმუნდა, რომ ქორწინება აირენთან დაირღვა, მანამდე, სანამ მისი სიძულვილი ქმრის მიმართ იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ, მთელი თავისი სურვილის მიუხედავად, სომსს არ შეეძლო არ შეემჩნია ეს. აირენი ჯოლიონის გვერდით

დაინახა და მოგონებებიც გაცოცხლდა. ახლაც კი არ ესმოდა სომსს, რატომ იყო აირენი ასეთი ურჩი. მას შეეძლო ჰყვარებოდა სხვა მამაკაცები. მასში ეს არსებობდა! მაგრამ მის წინაშე - იმ ერთადერთი კაცის, რომელიც უნდა ჰყვარებოდა - მან გულის დახურვა ამჯობინა. როდესაც სომსი წარსულისკენ იყურებოდა, წარმოუდგებოდა (თუმცა ესმოდა, რომ ეს ფანტაზიაა), რომ საქორწინო კავშირის თანამედროვე შესუსტება, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქორწინების ფორმები და კანონები იგივე დარჩა, თანამედროვე მოშვებულობა აირენის ამბოხიდან აღმოცენდა; წარმოუდგა (დე, ფანტაზიით), რომ პირველი ბიძგი აირენისგან წამოვიდა და ნგრევა მანამდე გაგრძელდა, სანამ არ ჩამოიქცა ან ჩამოქცევის პირამდე არ მივიდა ყოველგვარი მესაკუთრეობა. ყველაფერი აირენისგან დაიწყო! ახლა კი მშვენივრად დაეწყო ყველაფერი! ოჯახური კერა! როგორ გექნება ოჯახური კერა, თუ ოჯახის წევრებს საკუთრების უფლება არ გაქვთ ერთმანეთზე? ალბათ იტყვიან, სომსს არც არასოდეს ჰქონია ნამდვილი ოჯახური კერაო. მისი ბრალია ეს? აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეეძლო. ჯილდოდ კი, აი, ის წყვილიც ერგო ტრიბუნაზე და ფლერის ამბავიც!

"მეტს აღარ დავუცდი, - გაიფიქრა სიმარტოვის განცდით ატანილმა სომსმა, - როცა დაბრუნება მოუნდებათ, თავად იპოვიან გზას სასტუმროსკენ!" გამოსასვლელთან ტაქსის დაუძახა და მძღოლს უთხრა:

- ბეისუოთერ-როუდზე.

მოხუც მამიდებს არასოდეს უღალატიათ სომსისთვის, რომელიც მუდამ სასურველი სტუმარი იყო. მამიდები ახლა აღარ არიან, სამაგიეროდ არის ტიმოთი!

ღია კარში სმითერი იდგა.

- მისტერ სომს! მე კი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გამოვედი. რას გაიხარებს ჩვენი მზარეული!

- მისტერ ტიმოთი როგორ არის?

- ბოლო რამდენიმე დღეა რაღაც მთლად რიგზე ვერ არის, სერ. ძალიან ბევრს ლაპარაკობს. აი, დღეს დილასაც უცებ თქვა: "ჩემი ძმა ჯეიმსი ძალიან დაბერდა". აზრები ერევა, მისტერ სომს, და გამუდმებით ნათესავებზე ლაპარაკობს, მათ მიერ დაბანდებულ თანხებზე ღელავს. წინა დღეებში თქვა: "ჩემი ძმა ჯოლიონი არ ცნობს კონსოლიდირებულ რენტებს". როგორც ჩანს, ძალიან დათრგუნვილია ამით. შემოდით, მისტერ სომს, შემოდით. რა სასიამოვნო სიურპრიზია!

- სულ რამდენიმე წუთით, - თქვა სომსმა.

- დიახ, - დაიჩურჩულა სმითერმა წინკარში, სადაც უცნაურად იგრძნობოდა ზაფხულის დღის სიცინცხალე, - ამ ბოლო კვირაში მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვართ მისი ქცევით. ჭამის დროს ყოველთვის მოიტოვებდა ხოლმე გემრიელ ნაჭრებს ბოლოს დასაყოლებლად. ორშაბათიდან მოყოლებული კი სწორედ რომ ნუგბარი ნაჭრებით იწყებს. თუ ოდესმე დაჰკვირვებიხართ ძაღლს, მისტერ სომსს, დაინახავდით, რომ პირველ ყოვლისა, ხორცს თქვლეფს. ჩვენ ყოველთვის კარგ ნიშნად მიგვაჩნდა, რომ თავის ხანდაზმულ ასაკში მისტერ ტიმოთი საკვების ნუგბარ ნაწილს ბოლოსთვის იტოვებდა ხოლმე. ახლა კი მეტისმე-

ტად თავშეუკავებელი გახდა: საუკეთესო ნაჭრებით იწყებს. ექიმი ამას ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ... - სმითერმა თავი გადააქნია, - მისტერ ტიმოთი, ეტყობა, ფიქრობს, რომ თუკი ერთბაშად არ შეჭამს, მაშინ აღარც ერგება. ეს ჩვენ გვაღელვებს, ეს და კიდევ მისი უხვსიტყვაობა...

- რამე მნიშვნელოვანი ხომ არ უთქვამს?

- რაც უნდა სამწუხარო იყოს, მისტერ სომს, უნდა გითხრათ, რომ მას სულ აღარ აინტერესებს თავისი ანდერძი, უბრალოდ - დასანახავად ვერ იტანს. არადა, რამდენი წლის განმავლობაში ყოველ დილით იღებდა ხელში. ძალიან უცნაურია! ამ დღეებში თქვა: "ისინი ჩემს ფულებს ელოდებიან". ვაი-მეთქი, შევძახე. მე ხომ ვუთხარი, არავინ თქვენს ფულებს არ ელოდება-მეთქი. და რა დასანანია, რომ თავის ასაკში მისტერ ტიმოთი ფულზე ფიქრობს. გამბედაობა მოვიკრიბე და ვუთხარი: "იცით, მისტერ ტიმოთი, ჩემი ძვირფასი მასპინძელი (მის ენის ვგულისხმობ, მისტერ სომს, მე რომ მასწავლიდა) არასოდეს ფიქრობდა ფულზე. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კარგი სახელი". მან, ვერც კი ვიტყვი, რა უცნაურად შემომხედა და ძალიან მშრალად მითხრა: "არავის სჭირდება ჩემი კარგი სახელი". წარმოგიდგენიათ, რა თქვა! თუმცა ზოგჯერ სრულებით გონივრულად ლაპარაკობს ხოლმე.

ამასობაში სომსი ძველ გრავიურას ათვალიერებდა საკიდრის გვერდით და ფიქრობდა: "ღირებული ნივთია!"

- ზემოთ ავალ და შევიხედავ, - თქვა შემდეგ.

- მასთან ახლა მზარეულია, - ამოიქოშინა სმითერმა თავისი კორსეტიდან, - ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა.

სომსი ნელა აუყვა კიბეს. "ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ასეთ სიბერემდე!", ფიქრობდა ამ დროს.

მეორე სართულზე შეჩერდა და დააკაკუნა. კარი გაიღო და გამოჩნდა სამოცამდე წლის ქალის მრგვალი, ალერსიანი სახე.

- მისტერ სომს! - წარმოთქვა მან, - ნუთუ ეს თქვენ ხართ, მისტერ სომს?!

სომსმა თავი დაუქნია.

- ჰო, ჯეინ, მე ვარ, - და ოთახში შეაბიჯა.

ბალიშებშემოწყობილი და გულხელდაკრეფილი ტიმოთი საწოლში წამომჯდარიყო და მისჩერებოდა ჭერს, რომელზეც ბუზი იჯდა თავდაყირა. სომსი საწოლის ბოლოში დადგა და პირდაპირ შეხედა ტიმოთის.

- ძია ტიმოთი! - თქვა ხმის აწევით, - ძია ტიმოთი!

ტიმოთის თვალები ბუზს მოშორდა და სტუმრის სახეს მიაჩერდა. სომსი ხედავდა, როგორ ამოძრავებდა მოხუცი ტუჩებს, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა.

- ძია ტიმოთი, - გაიმეორა სომსმა, - რამე ხომ არ გინდოდათ გეთქვათ?

- ჰა! - წარმოთქვა იმან.

- თქვენს სანახავად მოვედი, აბა, ყველაფერი რიგზე თუ გაქვთ.

ტიმოთიმ თავი დააქნია. როგორც ჩანს, მის წინ მდგარი ფიგურის ათვისებას ცდილობდა.

- ყველაფერი გაქვთ, რაც გჭირდებათ?

- არა.

- ხომ არ შემიძლია, მოგიტანოთ?

- არა.

- მე სომსი ვარ. გესმით? თქვენი ძმისშვილი. სომს ფორსაიტი. თქვენი ძმის, ჯეიმსის, ვაჟიშვილი.

ტიმოთიმ თავი დაუქნია.

- მოხარული ვიქნებოდი, თუ რამეში გამოგადგებოდით.

ახლოს მოდიო, ანიშნა ტიმოთიმ. სომსი მიუახლოვდა.

- უთხარი ყველას, რომ მაგრად იდგნენ, - ალაპარაკდა ტიმოთი სიბერისაგან გაუხშოებული ხმით და იდაყვზე თითი მიუკაკუნა, - რომ კონსოლიდირებული რენტები ზრდაშია, - და სამგზის დააკანტურა თავი.

- კეთილი, გადავცემ.

- ჰო, - თქვა ტიმოთიმ, ისევ ჭერს მიაჩერდა და ბოლოს დაამატა: - ბუზი.

უცნაურად გულაჩუყებულმა სომსმა გახედა მზარეულის სასიამოვნო, მრგვალ სახეს, მთლად დანაოჭებულს ქურასთან გამუდმებული ტრიალისგან.

- ახლა იგი თავს უკეთ იგრძნობს, სერ, - თქვა ქალმა.

ტიმოთი რაღაცას ბურტყუნებდა, აშკარად თავის თავს ელაპარაკებოდა. სომსი გარეთ გავიდა მზარეულთან ერთად.

- ძალიან მინდა მარწყვის კრემი მოგიმზადოთ, მისტერ სომს, როგორც იმ ძველ, კეთილ დროებაში. თქვენ ხომ ასე გიყვარდათ მარწყვის კრემი. ნახვამდის, სერ, ძალიან გაგვახარეთ, რომ შემოგვიარეთ!

- მოუარეთ მას, ჯეინ, მართლაცდა ძალიან მოხუცდა.

სომსმა ხელი მოუჭირა დანაოჭებულ ხელზე და წინკარში ჩავიდა. სმითერი ისევ კარის ზღურბლზე იდგა და სუფთა ჰაერს ისუნთქავდა.

- როგორ მოგეწონათ, მისტერ სომს?

- ჩვენ ყველა ვალში ვართ თქვენთან, სმითერ.

- ოჰ, სრულებითაც არა, მისტერ სომს, ნუ იტყვით მაგას! ეს ჩემთვის მხოლოდ სიამოვნებაა. იგი შესანიშნავი ადამიანია.

- აბა, ნახვამდის, - თქვა სომსმა და ტაქსიში ჩაჯდა.

"ზრდაშია, - ფიქრობდა ამ დროს, - ზრდაში".

როცა სასტუმრომდე მივიდა ნაითსბრიჯზე, ჰოლში გავიდა და ჩაი შეუკვეთა. არც ცოლი დახვდა, არც ქალიშვილი. ისევ მარტოობის განცდამ მოიცვა. ოჰ, ეს სასტუმროები! რა საზარლად ვეებერთელები გახდნენ ბოლო ხანებში! სომსს ახსოვს ის დრო, როცა უდიდესი იყო ლონგის, ბრაუნის, მორლეის სასტუმროები, ტევისტოკსოტელი, ხოლო ლენგჰემისა და გრანდოტელის ხსენებაზე თავებს იჭვნეულად აქნევდნენ. სასტუმროები და კლუბები, კლუბები და სასტუმროები - მათ ახლა ველარავინ მოთვლის. და სომსი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ "ლორდის" სტადიონზე ტრადიციისა და სიმყარის სასწაული უკვირდა, ახლა იმაზე დაფიქრდა, როგორ შეიცვალა ლონდონი, სადაც პირველად იხილა დღის სინათლე სამოცდახუთი წლის წინ. ზრდაშია, კონსოლიდირებული რენტები თუ ეცემა, ლონდონი საშინლად გამდიდრდა. არ არსებობს მეორე ასეთი მდიდარი ქალაქი, გარდა, რასაკვირველია, ნიუ-იორკისა. დაე, გაზეთები ისტერიამ მოიცვას, მათ კი, ვისაც, სომსის მსგავსად, ახსოვს, როგორი იყო ლონდონი სამოცი წლის წინ, და ხედავენ, როგორია ახლა, ესმით

სიმდიდრის მთელი ნაყოფიერება და მოქნილობა. მთავარია, თავი არ დაკარგო და განუხრელად ესწრაფოდე სიმდიდრეს. მართლაც! სომსს ახსოვს ქვაფენილები და კებში, ფეხქვეშ, აყროლებული ნამჯა. ან რამდენი რამის მოყოლა შეეძლო მოხუც ტიმოთის, ხსოვნა რომ შერჩენოდა! ყველაფერში მოუწყობლობაა, ადამიანები ჩქარობენ, ფაციფუცობენ. აქ კი ლონდონია თემზაზე, ირგვლივ - ბრიტანეთის იმპერია, უფრო შორს - დედამიწის კიდე. "კონსოლიდირებული რენტები ზრდაშია!" არაფერია გასაკვირი. ყველაფერი ჯიშშია. და ყველაფერი, რაც სომსს ბულდოგისა ჰქონდა, იმწუთას მის ნაცრისფერ თვალებში ირეკლებოდა, სანამ ეს თვალები კედელზე დაკიდებულმა ვიქტორიანულმა გრავიურამ არ მიიზიდა. სასტუმრომ რამდენიმე ათეული ასეთი გრავიურა იყიდა. ძველ სასტუმროებში სასიამოვნო იყო ძველი ოფორტების ცქერა: რომელიმე ნადირობა ან "ქარაფშუტას კარიერა". მაგრამ ეს სენტიმენტალური სისულელე? რა სალაპარაკოა, ვიქტორიანული ეპოქა ხომ დამთავრდა. "უთხარი ყველას, რომ მაგრად იდგნენ", თქვა მოხუცმა ტიმოთიმ. მაგრამ რაზე უნდა დადგნენ ამ ახალ დემოკრატიულ ალიაქოთში, როდესაც თვით კერძო საკუთრებაც კი საფრთხეშია. სომსმა უკან მისწია ფინჯანი დაუმთავრებელი ჩაით და ფანჯარასთან მივიდა. არა, კაცმა რომ წარმოიდგინოს! ბუნებას ადამიანი ვერ დაეუფლება უფრო მეტად, ვიდრე ეს ბრბო ფლობს ჰაიდპარკის ყვავილებს, ხეებსა და ტბორებს. არა, არა! კერძო საკუთრება დევს ყოველივეს საძირკველში, რისი ფლობაც ღირს. ეგაა, ქვეყნიერებამ ცოტა არ იყოს აურია, როგორც ძაღლებს ეკარგებათ გონება სავსემთვარეობისას და ღამის ნადი-

რობაში მიდიან. მაგრამ, ძაღლის არ იყოს, ქვეყნიერებამ იცის, სად იძლევიან უკეთეს საკვებს და თბილ საწოლს, და ამიტომაც უცილოდ დაუბრუნდება ერთადერთ კერას, რომლის ფლობაც ნამდვილად ღირს: - კერძო საკუთრებას. ქვეყნიერება მოხუცი ტიმოთივით ჩავარდა ბავშვობაში და ჭამას ნუგბარი ნაჭრით იწ-ყებს!

ზურგს უკან ხმაური გაიგონა: ცოლი და ქალიშვილი მოვიდ-ნენ.

- დაბრუნდით, ბოლოს და ბოლოს!

ფლერს არაფერი უთქვამს, ერთი წამით შეჩერდა, ჯერ მამას შეხედა, მერე დედას, და თავის საძინებელში გავიდა. ანეტმა ფინჯანში ჩაი დაისხა.

- პარიზში მივდივარ, დედაჩემთან, სომს.

- ოჰ, დედაშენთან?

- ჰო.

- დიდი ხნით?

- არ ვიცი.

- როდის მიდიხარ?

- ორშაბათს.

ნამდვილად დედასთან მიდის? უცნაურია, რაოდენ სულერ-თი გახდა ეს სომსისთვის!

უცნაურია, რაოდენ უშეცდომოდ გამოიცნო ანეტმა, რომ სომსი მის გამგზავრებას გულგრილად შეხედავდა, რაკი ყველა-ფერი უსკანდალოდ ხდებოდა. და უცებ ცოლსა და თავის თავს შორის სომსმა თვალნათლივ დაინახა სახე, რომელიც დღეს უკვე ნახა: აირენის სახე.

- ფული თუ გჭირდება?

- გმადლობ. რაც მაქვს, სავსებით მეყოფა.

- კეთილი. გაგვაგებინე, დაბრუნებას რომ დააპირებ.

ანეტმა თეფშზე დადო ორცხობილა, რომელსაც თითებში ატრიალებდა, შეღებილი წამწამებიდან ქმარს გამოხედა და უთხრა:

- გადავცე რამე maman-ს((ფრანგ.) - დედიკო.)?

- თავი დაუკარი ჩემგან.

ანეტი გაიზმორა წელზე შემოჭდობილი ხელებით და ფრანგულად წარმოთქვა:

- რა ბედნიერებაა, რომ არასოდეს გყვარებივარ, სომს! - მერე წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

სომსს გაუხარდა, რომ ანეტმა ეს ფრაზა ფრანგულად უთხრა და ამით თითქოს პასუხის საჭიროება გამორიცხა. გამოჩნდა ისევ ის სახე - ფერმკრთალი, მუქი თვალებით, ჯერაც მშვენიერი. და სადღაც ღრმად, ღრმად სომსში შეირხა რაღაც სითბოსმაგვარი, როგორც ნაპერწკალი - ფერფლის ფხვიერი გროვის ქვეშ. ფლერი კი ჭკუას კარგავს მისი ვაჟისთვის! ველური შემთხვევითობა! მაგრამ არსებობს კი, საერთოდ, შემთხვევითობა? ადამიანი ტროტუარზე მიდის და ჩამოვარდნილი აგური თავზე ეცემა. ეს უდავოდ შემთხვევითობაა. აქ კი... "მემკვიდრეობით გადმომეცა", თქვა ფლერმა. ის არ გადაუხვევს: "მაგრად დგას"!

ნაწილი მესამე

თავი პირველი

მოხუცი ჯოლიონი

იმ დილას ჯოლიონს ორნაირმა იმპულსმა უბიძგა, რომ ცოლისთვის ეთქვა:

- სტადიონზე წავიდეთ!

"სასწრაფოდ საჭიროა..." რაღაც, რაც ჩაახშობდა განგაშს, რომელიც არ ტოვებდა მას და აირენს მთელი სამოცი საათის განმავლობაში იმ წუთიდან მოყოლებული, როდესაც ჯონმა რობინჰილში ფლერი ჩაიყვანა. საჭირო იყო რაღაც, რაც ჩაუხშობდა ხსოვნის ტკივილებს იმას, ვინც იცის, რომ ნებისმიერ დღეს შეიძლება ყველაფერი დაკარგოს.

ორმოცდათვრამეტი წლის წინ ჯოლიონი იტონის სტუდენტი გახდა, რადგანაც მოხუც ჯოლიონს აზრად მოუვიდა შვილის "ჩართვა განათლებულ ადამიანებში", თუნდაც დიდი ხარჯების ფასად. წლიდან წლამდე მიემგზავრებოდა იგი "ლორდის" სტადიონზე მამასთან ერთად, რომლის სიჭაბუკემ XIX საუკუნის ოციან წლებში კროკეტის მოედანზე ჩაიარა. მოხუცი ჯოლიონი სრულებით ღიად ლაპარაკობდა კრიკეტზე: "დარტყმები", "სრული ნასროლები", "ნახევარი" და "სამი მეოთხედი" ბურთები, შვილი-ჯოლიონი კი თავის მიამიტურ სნობიზმში თრთოდა, ვინ-

ძლო არავის მოესმინა მისი მშობლისთვის! თრთოლით კი მხოლოდ კრიკეტის უზენაეს სფეროში თუ თრთოდა, რადგანაც მამა ყოველთვის იდეალად მიაჩნდა. მოხუც ჯოლიონს არ მიუღია დახვეწილი განათლება, მაგრამ თანდაყოლილი მომთხოვნელობა და გაწონასწორებული ხასიათი მას ვულგარული ჩავარდნებისგან აზღვევდა. რაოდენ სასიამოვნო იყო მთელი ამ ცილინდრების, ღრიალის, გამსავათებელი სიცხის შემდეგ მამასთან ერთად კაბრიოლეტით გაქანება შინისკენ, შხაპის გადავლება, ტანსაცმლის გამოცვლა და წასვლა კლუბში "განხეთქილება", სადაც სადილად მოართმევენ სალაკას, კატლეტს და ვაშლის ნამცხვარს, კლუბიდან კი - ერთად წასვლა ოპერაში ან თეატრში ლაიკის ღიაიისფერ ხელთათმნიანი ორი ფრანტის: ახალგაზრდისა და მოხუცის. კვირაობით, მატჩის შემდეგ კოხტა ეკიპაჟით მიეშურებოდნენ რესტორანში "გვირგვინი და კვერთხი" და თემზის გადამყურე ტერასაზე. ეს ოქროს სამოციანი წლებია, როდესაც ქვეყნიერება უბრალო იყო, ფრანტები ბრწყინავდნენ, დემოკრატია ჯერ არ არსებობდა, უაიტ მელვილის რომანები კი ერთიმეორის მიყოლებით იბეჭდებოდა.

მოვიდა ახალი თაობა და მოიყოლა მისი ვაჟიშვილი ჯოლი, რომელიც ღილკილოში ჰაროუს ღიღილოს ატარებდა. ამჯერად უკვე პაპა ჯოლიონმა კეთილგონივრულად ინება, რომ შვილიშვილი ცოდნას ზიარებოდა სულ ოდნავ ნაკლები დანახარჯებით. მატჩის დღეს ჯოლიონი ისევ მოიხარშა სიცხეში, თვალი ადევნა ვნებების თამაშს, მერე რობინჰილის სიგრილესა და მარწყვის კვლებს დაუბრუნდა, სადილის შემდეგ კი ბილიარდი ათამაშა, რომლის დროსაც მისი ვაჟიშვილი ბურთს ბურთზე აგდებდა და

თან ცდილობდა, მოწყენილი და უფროსული იერი ჰქონოდა. ეს ორი დღე წელიწადში დედ-მამა პირისპირ რჩებოდა შვილთან. დემოკრატია კი სულ ახალი გამოჩეკილი იყო!

ამრიგად, ჯოლიონმა რუხი ცილინდრი ამოჩხრიკა, აირენს ცისფერი ლენტის ნაგლეჯი გამოართვა და ნელ-ნელა, მსუბუქად, ჯერ ავტომანქანით, მერე მატარებლით, ბოლოს კი ტაქსით მიაღწია სტადიონამდე. იქ იჯდა მომწვანო, ვიწრო შავკანტიან კაბაში ჩაცმული აირენის გვერდით, თამაშს უყურებდა და გრძნობდა, როგორ უმოძრავებდა შიგნით გარდასული მღელვარება.

მაგრამ გვერდით ჩაუარა სომსმა და - დღე გაფუჭდა. აირენს სახე გაუმრუდდა, ტუჩები მოეკუმა. აღარ ღირდა აქ ჯდომა და იმის ლოდინი, რომ მის წინ უსასრულო წილადის ციფრებივით გაჩერდებოდა სომსი ან მისი ქალიშვილი.

- ხომ არ ვიკმაროთ, საყვარელო? თუ გინდა, შინ დავბრუნდეთ!

იმ საღამოს ჯოლიონი სრულმა დაუძლურებამ შეიპყრო. არ უნდოდა, რომ აირენს ამ მდგომარეობაში ენახა, ამიტომ დაიცადა, სანამ ის როიალს მიუჯდებოდა, და ჩუმად გავიდა თავის კაბინეტში. იქ მაღალი ფანჯარა გამოაღო, რომ ჰაერს ემოძრავა, გააღო კარი, რათა მის სმენას აირენის დაკრული მუსიკის ტალღები მისწვდომოდა. მერე მამის ნაქონ ძველ სავარძელში ჩაეშვა, თავი გაცვეთილ ყავისფერ ტარსიკონს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. ცეზარ ფრანკის სონატის ის ადგილი იყო, არც მეტი, არც ნაკლები, მისი ცხოვრება აირენთან: ღვთაებრივი მესამე თემა! ნახევრად თავდავიწყებულ მდგომარეობაში, ცნობიერე-

ბის საზღვარზე მიმდგარი ჯოლიონი ვერც კი ხვდებოდა, სინამ-დვილეში მოსდიოდა თუ სიზმარში სიგარის სუნი და მართლა ხე-დავდა თუ არა საკუთარ მამას დახუჭული თვალების წინ, წყვდი-ადში. სახება ჩნდებოდა, ქრებოდა, მერე ისევ ჩნდებოდა. ჯოლი-ონს ეჩვენებოდა, რომ ამ სავარძელში, რომელშიც ახლა იჯდა, მამამისს ხედავდა, ხედავდა შავსერთუკიან მოხუც ჯოლიონს, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო და საჩვენებელ და ცერათი-თებს შორის მოქცეულ სათვალეს აქანავებდა; ხედავდა მის თეთრ ულვაშსა და ჩამჯდარ თვალებს, გუმბათოვანი შუბლის ქვემოდან რომ იყურებოდნენ, თითქოსდა სწორედ მის თვალებს ეძებდნენ და ამბობდნენ: "თვალს ხომ უსწორებ, ჯო? ეგ შენი გა-დასაწყვეტია, არა იმისი. ის მხოლოდ ქალია!" აჰ, როგორ ცნობ-და მამას ამ ფრაზით! როგორ მეტყველებდა მასთან ერთად მთე-ლი ვიქტორიანული საუკუნე! თვითონ კი პასუხობს: "ვერა, შემე-შინდა, ვერ გავრისკე დარტყმის მიყენება მისთვის, ჯონისთვის, ჩემივე თავისთვის. სუსტი გული მაქვს. შევშინდი". მაგრამ მო-ხუცი თვალები - იმდენადვე უფროსი, რამდენადაც უმცროსი მის საკუთარ თვალებზე - ჯიქურ იმეორებენ: "შენი ცოლი, შენი შვი-ლი, შენი წარსული. უფრო გაბედულად, ჩემო ბიჭუნა!" რა იყო ეს - მოხეტიალე სულისგან მოსული უწყება? თუ მხოლოდ მამის ხმა, შვილში რომ განაგრძობდა ცხოვრებას? ისევ მოვიდა სიგა-რის სუნი კვამლით გაჟღენთილი ძველი ტარსიკონიდან. არა! თვალს არ აარიდებს! მისწერს ჯონს, ყველაფერს ისე გადმოს-ცემს, როგორც იყო, შავით თეთრზე!

უცებ ჯოლიონს სუნთქვა დაუმძიმდა, ყელი შეუვიწროვდა და გულიც გაებერა მკერდში. ადგა და ჰაერზე გავიდა. ვარ-

სკვლავები უჩვეულოდ კაშკაშებდნენ. ტერასას გაუყვა სახლის გარშემო და ასე მივიდა სასტუმრო ოთახის ფანჯრამდე, საიდანაც როიალთან მჯდარი აირენი მოჩანდა. თავის თავში დანთქმულ ქალს ლამპის სინათლე შეპუდრულ თმაზე ეცემოდა, მრუმე თვალები სივრცეში იყურებოდნენ, ხელები უმოქმედოდ ეწყო კლავიშებზე. ჯოლიონმა დაინახა, როგორ აიწია ეს ხელები და როგორ შეერთდა მკერდზე. "ჯონზე! - გაიფიქრა ჯოლიონმა, - ისევ და ისევ ჯონზე ფიქრობს! მე მისთვის უკვე ვწყვეტ არსებობას. რა ბუნებრივია!"

იზრუნა, რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, და უკან დაბრუნდა.

მეორე დღეს, ცუდად გამოძინებული ღამის შემდეგ, ჯოლიონი თავის სამუშაოს მიუჯდა. გაჭირვებით წერდა და ხშირ-ხშირად შლიდა უკვე დაწერილს.

"ჩემო უძვირფასესო ბიჭო!

საკმარისად დიდი ხარ იმის გასაგებად, რაოდენ ძნელია მშობლებისთვის გაიხსნან საკუთარ შვილთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ, როგორც მე და დედაშენმა (რომელიც მუდამ ახალგაზრდა დარჩება ჩემთვის) მთელი გული მიუძღვნეს იმას, ვისაც აღსარება უნდა უთხრან. ვერ ვიტყვი, თავს ცოდვილებად ვგრძნობთ-მეთქი, - ცხოვრებაში ამის განცდა იშვიათად აქვთ ადამიანებს, - მაგრამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა მაინც იტყოდა, რომ ჩვენ შევცოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მართებული თუ არამართებული ქცევა ჩვენვე შემოგვიბრუნდა. სიმართლე, ჩემო ძვირფასო, იმაში მდგომარეობს, რომ ორივეს - დედაშენსაც და მეც - ჩვენ-ჩვენი წარსული გვაქვს და ახლა ჩემ წი-

ნაშე დგას ამოცანა, გაგანდო შენ ეს წარსული, რადგან ის ღრმად და სევდიანად უნდა აირეკლოს შენს მომავალზე.

ძალიან დიდი ხნის წინ, 1883 წელს, როცა დედაშენი მხოლოდ ოცი წლის იყო, მას თავს გადახდა დიდი და გამოუსწორებელი უბედურება: უიღბლო გათხოვება. უფულოდ დარჩენილი მამის სიკვდილის შემდეგ, დედინაცვალთან - იეზაბელის(იეზაბელი - ბიბლიური მეფის, აქაბის ცოლი, განთქმული სისასტიკითა და გარყვნილებით.) ახლო ნათესავთან - ცხოვრობდა და თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. ბოლოს, მისთხოვდა ჩემს ბიძაშვილს, სომს ფორსაიტს, ფლერის მამას, რომელიც შეუპოვრად მიელტვოდა ამ ქორწინებას და, სამართლიანად უნდა ითქვას, დიდი სიყვარულით უყვარდა დედაშენი. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ დედა მიხვდა თავის შეცდომას. ბრალი კაცს არ მიუძღოდა, დამნაშავე იყო ცდომილება დედის განსჯაში, მისი ბოროტი იღბალი".

აქამდე ჯოლიონი ინარჩუნებდა რაღაც ირონიის მსგავსს, ამის შემდეგ კი თემამ მთლიანად გაიტაცა:

"ჯონ, თუ შევძლებ (ეს კი ძალიან ძნელია), მინდა, აგიხსნა, რატომ ხდება ასე ადვილად ასეთი უიღბლო ქორწინებები. შენ, რა თქმა უნდა, იკითხავ: "თუ დედაჩემს ნამდვილად არ უყვარდა, როგორღა გაჰყვა ცოლად?" და მართალიც იქნებოდი, თუ არა ერთი ყოვლად სევდიანი გარემოება. სწორედ ამ პირველ შეცდომას მოჰყვა ყველა დანარჩენი არეულობა, მწუხარება, ტრაგედია და ამიტომაც ვეცდები, განგიმარტო მისი რაობა. გესმის თუ არა, ჯონ, რომ მაშინაც ისევე, როგორც ახლა (სიმართლე გითხრა, განათლებასთან დაკავშირებული ყველა ლაპარაკის მიუხე-

დავად, არც კი ვიცი, როგორ შეიძლება ხდებოდეს სხვანაირად), ქალიშვილთა უმრავლესობა ისე თხოვდება, რომ წარმოდგენა არ აქვს ცხოვრების სქესობრივ მხარეზე. თვით მაშინაც კი, როცა იციან, რაში მდგომარეობს ეს, გამოცდილება მაინც არ აქვთ. ჰოდა, საქმეც ესაა. მთელი განსხვავება და მთელი სირთულე რეალური გამოცდილების არარსებობაშია, რადგან სხვების მონათხრობის ცოდნა ვერაფერს შველის. ძალიან ხშირად - და ასე მოხდა დედაშენის შემთხვევაშიც - ქალიშვილი ისე თხოვდება, რომ არ იცის და ვერც ეცოდინება, უყვარს თუ არა მომავალი ქმარი, - არ იცის, სანამ ამას არ გაუხსნის ფიზიკური სიახლოვე მასთან - ქორწინების რეალური არსი. ამჟამად ბევრ, ალბათ უმრავლეს საეჭვო შემთხვევაში ფიზიკური დაახლოება ასრულებს იმ ცემენტის როლს, რომელიც განამტკიცებს წყვილის ორმხრივ მიბმულობას. მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც, - და დედაშენის შემთხვევაც მათ რიცხვს ეკუთვნის, - როცა ფიზიკური დაახლოება ამხელს შეცდომას და აცამტვერებს ყოველგვარ, თუნდაც მანამდე არსებულ ლტოლვას. არაფერია უფრო ტრაგიკული ქალის ცხოვრებაში, ვიდრე დანახვა ამ ჭეშმარიტებისა, რომელიც ყოველი დღის, ყოველი ღამის შემდეგ სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. ელამი გონებისა და გულის ადამიანებს შეუძლიათ იცინონ ასეთ შეცდომაზე და თქვან: "აურზაური არაფრის გამო!" გონებაშეზღუდულებს, თვითკმაყოფილ "გულმართლებს", რომლებიც სხვების ცხოვრებას მხოლოდ საკუთარით განსჯიან, მკაცრი განაჩენი გამოაქვთ ქალისთვის, რომელმაც ეს ტრაგიკული შეცდომა დაუშვა, განაჩენი - სასიცოცხლო კატორღა, რომელიც მან თვითონ გაუმზადა თავის თავს. ალბათ

გსმენია სიტყვები: "სადაც ლოგინი გაიშალე, იქ დაიძინე კიდეც!" ეს ტლანქი და უმოწყალო გამოთქმა სავსებით უღირსია ჯენ-ტლმენისთვის ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. უფრო ძლიერ მსჯავრს ვერც კი დავდებდი. არასოდეს ვყოფილვარ ის, რასაც ზნეობრივი ადამიანი ჰქვია, თუმცა ერთი სიტყვითაც კი არ მსურს, ძვირფასო, ჩაგაგონო, რომ შეიძლება მსუბუქად მივუდ-გეთ კავშირებსა და მოვალეობებს, რომლებსაც დაქორწინებუ-ლი ადამიანი თავის თავზე იღებს. ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ მთელი ჩემი განვლილი ცხოვრების გამოცდილებით შემიძლია დავადასტურო, რომ ისინი, ვინც მსჯავრს სდებენ ასეთი ტრაგი-კული შეცდომის მსხვერპლს და არ უწვდიან დახმარების ხელს, ადამიანობას მოკლებული არიან, ან უფრო სწორად, იქნებოდნენ ასეთები, რომ ესმოდეთ, რას სჩადიან. მაგრამ არა, არ ესმით! ჯანდაბასაც ისინი წაუღია! ანათემას გადავცემ მათ, როგორც, ეჭვი არაა, ისინი გადამცემენ მე, რომელსაც უნდა მეთქვა შენ-თვის ეს ყველაფერი, რაკი ვაპირებ შენს სამსჯავროზე გამოვიყ-ვანო დედაშენი, შენ კი ძალიან ახალგაზრდა ხარ და გამოუცდე-ლი.

მაშ, ასე, განვაგრძობ თხრობას.

მას შემდეგ, რაც უნაყოფოდ ჩაიარა სამწლიანმა ძალისხმე-ვამ - გადაელახა თავისი ანტიპათია, მე ვიტყოდი - თავისი ზიზღი (და ეს სიტყვა არ იქნებოდა გადაჭარბებული, რადგან მსგავს ვი-თარებაში ანტიპათია სწრაფად გადაიზრდება ხოლმე ზიზღში), სამწლიანი წამების შემდეგ, ჯონ, რადგან ისეთი არსებისთვის, როგორიცაა დედაშენი, ანუ მშვენიერებაში შეყვარებული ქა-ლისთვის ეს სწორედაც რომ წამება იყო, - ის შეხვდა ახალგაზ-

რდა კაცს, რომელსაც შეუყვარდა აირენი. ის კაცი არქიტექტორი იყო, აშენებდა სწორედ იმ სახლს, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ, აშენებდა მისთვის და ფლერის მამისთვის, ანუ აგებდა ახალ დილეგს ლონდონური დილეგის სანაცვლოდ. შესაძლოა, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რაც შემდეგ მოხდა. დედასაც შეუყვარდა ის კაცი. ვიცი, არ მჭირდება შენთვის იმის ახსნა, რომ წინდაწინ ვერავინ აირჩევს, ვის შეიყვარებს. ეს მოდის. ჰოდა, მოვიდა კიდეც! წარმომიდგენია ის ბრძოლა (თუმცა დედაშენს ბევრი არაფერი უამბია ამის შესახებ), მის არსებაში რომ მიმდინარეობდა იმხანად, რადგანაც, ჯონ, აირენმა მკაცრი აღზრდა მიიღო და არ გამოირჩეოდა შეხედულებათა სიმსუბუქით. არა და არა! მიუხედავად ამისა, ეს გრძნობა ყოვლისშთანმთქმელი აღმოჩნდა და იქამდე მივიდა, რომ მათ ისევე შეუყვარდათ ერთმანეთი ხორციელად, როგორც აზრებში.

მერე კი საზარელი ტრაგედია მოხდა. უნდა გიამბო, რადგან უამისოდ ვერასოდეს გაიგებ იმ სიტუაციას, რომელშიც გმართებს გარკვევა. ადამიანმა, რომელსაც ცოლად გაჰყვა დედაშენი, ანუ სომს ფორსაიტმა, ფლერის მამამ, ერთხელ, ღამით, იმ პერიოდში, როცა დედაშენის გრძნობა იმ ახალგაზრდა არქიტექტორის მიმართ თავის ზენიტში იყო, ძალდატანებით განახორციელა მასზე თავისი ცოლქმრული უფლებები. მეორე დღეს აირენი შეხვდა თავის საყვარელს და ეს ამბავი უამბო. თავი მოიკლა იმან თუ შემთხვევით მოჰყვა ომნიბუსის ქვეშ იმ ყოვლად დათრგუნვილ მდგომარეობაში, ამას ვერასოდეს შევიტყობთ. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ის კაცი დაიღუპა. წარმოიდგინე, რა გადაიტანა დედაშენმა, როცა იმ საღამოს მისი სიკვდილის ამბავი

შეიტყო. ისე მოხდა, რომ მაშინ აირენი ვნახე, - პაპაშენმა გამგზავნა მის დასახმარებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. სულ ერთი წამით დავინახე, რადგან მისმა ქმარმა კარი ცხვირწინ მომიჯახუნა. მაგრამ არასოდეს დამავიწყდება აირენის სახე, რომელიც ახლაც თვალწინ მიდგას. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი შეყვარებული მასზე, - ეს თორმეტი წლის შემდეგ მოხდა, - მაგრამ ის სახე არასოდეს დამვიწყებია.

ჩემო ბიჭუნა, არ მეიოლება ასე წერა. მაგრამ, ხომ გესმის, რომ უნდა ვწერო. დედაშენის მთელი არსება შენი ერთგულია და მხოლოდ შენითაა სავსე. არ მინდა, ღვარძლით ვწერო სომს ფორსაიტზე. საერთოდ უღვარძლოდ ვფიქრობ მასზე. დიდი ხანია მხოლოდ მებრალება. შეიძლება თავიდანვე მებრალებოდა. ამქვეყნიური განსჯით, აირენი დამნაშავე იყო, სომსი - მართალი. თავისებურად ამ კაცს დედაშენი უყვარდა. აირენი მისი საკუთრება იყო. ასეთია სომსის შეხედულება ცხოვრებაზე, ადამიანურ გრძნობებზე, გულზე: - საკუთრება! მისი ბრალი არ არის, - ასეთი დაიბადა. მე ასეთი შეხედულებები ყოველთვის ამაზრზენად მიმაჩნდა, - ასეთი დავიბადე! რამდენადაც გიცნობ, იმდენად მგონია, რომ ისინი შენთვისაც ამაზრზენი უნდა იყოს. ჰოდა, ნება მომეცი, განვაგრძო ჩემი ამბავი.

დედაშენი იმავე ღამეს გაიქცა სომსის სახლიდან და თორმეტი წელიწადი ჩუმი ცხოვრებით იცხოვრა მარტომ, ადამიანებისგან შორს, როცა 1899 წელს მისმა ქმარმა (რომელიც, როგორც გესმის, ჯერ კიდევ აირენის ქმარი იყო, რადგანაც გაყრას არ ესწრაფოდა, თვით აირენი კი ვერ მოითხოვდა განქორწინებას) მოისაზრა, რომ შვილები აკლდა, და ხანგრძლივი ალყა დაიწყო,

რათა აირენი იძულებული გაეხადა, დაბრუნებულიყო და მისთვის შვილი მიეცა. იმხანად, პაპაშენის დავალებით, მისი მეურვე ვიყავი და ვუკვირდებოდი, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. ამ თვალთვალში გულითადად და ერთგულად შემიყვარდა იგი. ამასობაში სომსი სულ უფრო და უფრო ჯიქურ მოითხოვდა თავისას, სანამ, ერთ დღესაც, აირენი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, რომ პრაქტიკულად დამეცვა იგი. მისმა ქმარმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო აირენის თითოეული ნაბიჯი, სცადა, ერთმანეთს დავეშორებინეთ. ჰოდა, განქორწინების პროცესი წამოიწყო. ან იქნებ ნამდვილად სურდა ეს. არ ვიცი. ასე იყო თუ ისე, ჩვენი სახელები საჯაროდ შეერთდა. ამან პრაქტიკულ შეერთებამდეც მიგვიყვანა. აირენმა მიიღო განქორწინება, ცოლად გამომყვა და დაიბადე შენ.

ვცხოვრობდით აუმღვრეველ ბედნიერებაში, ყოველ შემთხვევაში - მე ბედნიერი ვიყავი და, ვფიქრობ, დედაშენიც. განქორწინების შემდეგ სომსმაც ცოლი მოიყვანა და დაიბადა ფლერი. ასეთია ჩვენი წარსული, ჯონ. გიამბე იმიტომ, რომ შენში გაჩენილ გრძნობას იმ კაცის ქალიშვილისადმი (როგორც ჩვენ ამას ვხედავთ) დედაშენის ბედნიერების სრული გაცამტვერებისკენ მივყავართ, თუ შენი საკუთარის არა. ჩემს თავზე აღარაფერს ვამბობ, რადგან ვითვალისწინებ ჩემს ასაკს და ძნელად წარმომიდგენია, რომ კიდევ დიდხანს დავტკეპნი მიწას. ყველა შემთხვევაში, ჩემი ტანჯვა მხოლოდ დედაშენისთვის და შენთვის გადატანილი ტანჯვა იქნება. მე მხოლოდ იმას ვესწრაფვი, რომ შენ გაიგო ერთი რამ: შეუძლებელია საშინელებისა და ზიზღის ასეთი გრძნობის დამარხვა ან დავიწყება. ეს გრძნობა დღემდე

ცოცხლობს აირენში. გუშინ "ლორდის" სტადიონზე შემთხვევით გადავეყარეთ სომს ფორსაიტს. იმ წამს დედაშენის სახე რომ გენახა, უცილობლად დარწმუნდებოდი ჩემს სიტყვებში. ის აზრი, რომ შენ შეიძლება ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი, დედაშენს კოშმარივით დასდევს, ჯონ. პირადად მე არაფერი მაქვს ფლერის საწინააღმდეგო, გარდა იმისა, რომ ის სომსის ქალიშვილია. მაგრამ თუ მასზე დაქორწინდები, მაშინ შენი შვილები არა მხოლოდ დედაშენის შვილიშვილები იქნებიან, არამედ სომსისაც, ანუ იმ ადამიანის, ვინც ისე ფლობდა დედაშენს, როგორც კაცი შეიძლება ფლობდეს მონა ქალს. დაუფიქრდი, რას ნიშნავს ეს. ასეთი ქორწინებით შენ გადადიხარ იმ ბანაკში, სადაც დედაშენი იყო დატუსაღებული. შენ ცხოვრების ზღურბლზე დგახარ, სულ ორი თვეა მაგ ქალიშვილს იცნობ და, რაოდენ ღრმადაც უნდა გესახებოდეს შენი სიყვარული მის მიმართ, მოგიწოდებ, დაუყოვნებლივ შეწყვიტო ის. ნუ მოუწამლავ დედაშენს დარჩენილ ცხოვრებას ტანჯვითა და დამცირებით. ის მუდამ ახალგაზრდა იქნება, თუმცა უკვე ორმოცდაჩვიდმეტი წლისაა. სხვა არავინ ჰყავს დედამიწაზე, ჩვენ ორის გარდა. მალე შენღა დარჩები. გამბედაობა მოიკრიბე და შეწყვიტე ეგ ურთიერთობა, ნუ აღმართავ კედელს შენსა და დედაშენს შორის! გულს ნუ დაუმსხვრევ! გლოცავ, ჩემო ძვირფასო ბიჭუნა და - კიდევ ერთხელ - მაპატიე ტკივილი, რომელსაც ეს წერილი მოგიტანს. ვცადეთ, აგვერიდებინა ის, მაგრამ, როგორც ჩანს, ესპანეთმა ვერ გაამართლა.

შენი მარად მოყვარული მამა, ჯოლიონ ფორსაიტ".

ამ წერილობითი აღსარების შემდეგ ჯოლიონი იჯდა, გამშრალი ლოყა ხელისგულზე დაეყრდნო და დაწერილს კითხუ-

ლობდა. როცა წარმოიდგენდა, ამას ჯონი წაიკითხავსო, ზოგიერთი რამ ისეთ ტკივილს აყენებდა, რომ კინაღამ დახია დაწერილი ფურცლები. ასეთი რამეების მოყოლა ჭაბუკისთვის და, თანაც, საკუთარი შვილისთვის, თავისი ცოლისა და ამ მისი დედის შესახებ, ჯოლიონის თავშეკავებულ ფორსაიტულ სულს საშინელებად მიაჩნდა. არადა, როგორ დაანახვებდა ჯონს სინამდვილეს, ღრმა ნაპრალს, შეუხორცებელ ჭრილობას, თუ ამ ყველაფერს არ უამბობდა? უამისოდ, როგორ გაემართლებინათ მის წინაშე, რატომ უხშობდნენ სიყვარულს? მაშინ, უმჯობესია, საერთოდ არაფერი დაწეროს!

აღსარება დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მადლობა ღმერთს, შაბათი დღე იდგა, მეორე დღის საღამომდე დრო ჰქონდა მოსაფიქრებლად. თუნდაც ახლავე გაეგზავნა წერილი, ჯონი მას მხოლოდ ორშაბათს მიიღებდა. ჯოლიონი უცნაურ შვებას გრძნობდა ამ გადავადების გამოც და კიდევ იმიტომაც, რომ, გაგზავნილი თუ გაუგზავნელი წერილი უკვე დაწერილი იყო.

ვარდების ბაღში, რომელიც უწინდელი გვიმრის ბარდნარში გაშენდა, ჯოლიონი სეკატორიან და კალათიან აირენს ხედავდა. ის თითქოს არასოდეს იჯდა უქმად. ახლა კი, როცა ჯოლიონი თითქმის მთელ თავის დროს უქმად ატარებდა, უკვე შურიც გაუჩნდა აირენის მიმართ.

ადგა და ბაღში ჩავიდა. აირენმა მიწიანი ხელთათმანი ასწია და გაიღიმა. ნიკაპქვეშ განასკვული მაქმანიანი თავსაფარი თმას უფარავდა და მოგრძო სახე ჯერაც გაუჭაღარავებელი წარბებით მთლად ახალგაზრდული უჩანდა.

- წელს ქინქლები შეტევაზე არიან გადმოსული, არადა, გრილა. დაქანცული იერი გაქვს, ჯოლიონ.

კაცმა ჯიბიდან აღსარება ამოიღო.

- ეს დავწერე. მე მგონი, უნდა გადაიკითხო.

- ჯონს მისწერე? - ამის თქმისას აირენს სახის ნაკვთები რაღაცნაირად მოემჩვარა და გადაუსხვაფერდა.

- ჰო, საიდუმლო გახსნილია.

წერილი აირენს გადასცა და თვითონ ვარდის ბუჩქებს შეერია. მერე, როდესაც დაინახა, რომ აირენმა ბოლომდე ჩაიკითხა და ახლა გაუნძრევლად იდგა, დაშვებულ ხელში კი წაკითხული ფურცლები ეჭირა, ისევ მიუახლოვდა.

- აბა, რას იტყვი?

- მშვენივრად არის გადმოცემული. მგონი, უკეთესად ვერც იტყოდა კაცი. გმადლობ, ძვირფასო.

- რამის ამოშლა ხომ არ გსურს?

ქალმა თავი გააქნია.

- არა. იმისთვის, რომ გაიგოს, ყველაფერი უნდა იცოდეს.

- მეც ეგრე ვფიქრობდი. თუმცა... მაინც მძაგს ეს ყველაფერი!

ჯოლიონს ისეთი განცდა ჰქონდა, რომ მას უფრო სძაგდა, ვიდრე აირენს. სქესის საკითხებზე ქალთან უფრო ეიოლებოდა საუბარი, ვიდრე კაცთან. გარდა ამისა, აირენი ყოველთვის ბუნებრივი და გულწრფელი იყო. ჯოლიონისა არ იყოს, არც მას ახასიათებდა ღრმა ფორსაიტული დაფარულობა.

- არ ვიცი, ახლა მაინც თუ გაიგებს, ჯოლიონ? ძალიან ახალგაზრდაა და ფიზიკური მხარე განიზიდავს.

- ეგ მამაჩემისგან გადმოეცა: ყოველივე მაგდაგვარს ის ისეთივე ზიზღით უყურებდა, როგორც გოგონა უყურებს ხოლმე. ხომ არ აჯობებს, ხელმეორედ დავწერო და ვთქვა, რომ შენ სომსი გძულდა?

აირენმა თავი გააქნია:

- სიძულვილი მხოლოდ სიტყვაა და არაფერს ამბობს. არა, ეგრე უკეთესია, როგორც წერია.

- კეთილი. ხვალ წერილი გაიგზავნება.

აირენმა სახეში შეხედა, ყვავილებით მორთული ბევრი ფანჯრის წინ კი ჯოლიონმა აკოცა.

თავი მეორე

აღსარება

მოგვიანებით, დღისით, ჯოლიონმა ძველ სავარძელში ჩათვლიმა. მუხლებზე, ყდით - ზემოთ, ედო La Patisserie de la Reine Pedauque((ფრანგ.) - "დედოფალ პედოკის საკონდიტრო" - ფრანგი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ანატოლ ფრანსის (1844-1924) რომანი.) და ჩაძინების წინ ფიქრობდა: "ოდესმე ნამდვილად თუ შეგვიყვარდება ფრანგები, როგორც ხალხი? ოდესმე თუ შევუყვარდებით ნამდვილად?" თვითონ იმთავითვე უყვარდა ფრანგები, რაკი იცნობდა მათ გონებამახვილობას, გემოვნებას, სამზარეულოს. ომის დაწყებამდე, როდესაც ჯონი დახურულ კერძო სკოლაში სწავლობდა, აირენთან ერთად ხშირად ჩადიოდნენ პარიზში. ჯოლიონის რომანიც აირენთან - მისი უკანასკნელი და უგრძესი რომანი - სწორედ პარიზში დაიწყო. მაგრამ ეს ფრანგები... ინგლისელს არ ძალუძს უყვარდეს ისინი, თუ ვერ ისწავლის მათ დანახვას გვერდიდან, თითქოსდა ესთეტის თვალით. ამ სევდიანი დასკვნით ჩაეძინა ჯოლიონს.

გაღვიძებულმა, დაინახა ჯონი, რომელიც მასა და ტერასაზე გამავალ კარს შორის იდგა. ის, როგორც ჩანს, ბაღიდან მოვიდა და ჯოლიონის გაღვიძებას ელოდა. მამამ ნამძინარევზე გაუღი-

მა. რა კარგი ვაჟი ჰყავს - მგრძნობიარე, ალერსიანი, პირდაპირი! მერე კი ჯოლიონს გული უსიამოვნოდ შეერხა, სხეულში ჟრჟოლამ დაუარა. ჯონი და ეს აღსარება! ჯოლიონს ძალის მოკრება დასჭირდა თავის ხელში ასაყვანად.

- სალამი, ჯონ! რომელი ციდან ჩამოვარდი?

ბიჭი დაიხარა და შუბლზე აკოცა.

ახლაღა შენიშნა ჯოლიონმა, როგორი სახე ჰქონდა ჯონს.

- ჩამოვედი, რომ რაღაც მეთქვა შენთვის, მამა.

ჯოლიონი მთელი ძალით ცდილობდა გამკლავებოდა მღელვარე შეგრძნებას მკერდში: იქ რაღაც იკრუნჩხებოდა და თუხთუხებდა.

- კარგი, დაჯექი, მეგობარო! დედას თუ დაენახვე?

- არა.

ბიჭის წამონთებული სახე სიფერმკრთალეში გადავიდა. ძველი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, როგორც ოდესღაც თვით ჯოლიონი ჯდებოდა ხოლმე ასევე ნახევრად მწოლიარე მამამისის გვერდით. სავარძლის სახელური მისი დაკანონებული ადგილი იყო მანამდე, სანამ მასა და მამამისს შორის განხეთქილების საათმა ჩამოჰკრა. ნუთუ თავის ვაჟთანაც იმავე საათმა ჩამოჰკრა ახლა? მთელი ცხოვრება შხამივით სძულდა სცენები, გაურბოდა ჩხუბს, წყნარად მიჰყვებოდა თავის გზას და სხვებს ხელს არ უშლიდა. ახლა კი, ბოლო მიჯნასთან, როგორც ჩანს, მაინც ვერ გაექცეოდა სცენას - ყველაზე მტანჯველს იმათგან, რომლებსაც აქამდე გაჰქცევია. თავის მღელვარებას მუზარადი ჩამოაფარა და ჯონის ამეტყველებას დაელოდა.

- მამა! - ნელა წარმოთქვა ჯონმა, - ფლერი მომყავს ცოლად.

"ასეც არის!", - გაიფიქრა ჯოლიონმა და სუნთქვა შეეკრა.

- ვიცი, რომ დედას და შენ ეს აზრი არ გსიამოვნებთ. ფლერი ამბობს, რომ დედა მამამისის საცოლე იყო, სანამ შენ შეირთავ-დი. რასაკვირველია, მე არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ეს საუკუ-ნეების წინ უნდა ყოფილიყო. მე ის მიყვარს და ისიც ამბობს, რომ ვუყვარვარ.

ჯოლიონს უცნაური ბგერა აღმოხდა: სიცილი თუ გმინვა.

- შენ ცხრამეტი წლის ხარ, ჯონ, მე - სამოცდათორმეტის. როგორ გავუგოთ ერთმანეთს ასეთ რამეებში?

- შენ დედა გიყვარს, მამა, და უნდა გახსოვდეს, რას ვგრძნობთ ჩვენ. უსამართლობა იქნება, რომ იმ ძველს ამბებს ჩვენი დღევანდელი ბედნიერება წავახდენინოთ!

თავის აღსარებასთან პირისპირ დარჩენილმა ჯოლიონმა გა-დაწყვიტა უმისოდ გასულიყო ფონს, თუ ამის თუნდ უმცირესი შანსი არსებობდა.

- იცი, ჯონ, შემეძლო გამეწელა ეს საქმე იმაზე საუბრით, რომ ორივე მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ, საკუთარ თავსაც არ იცნობთ და სხვა ამდაგვარი. მაგრამ შენ არ მომისმენდი და ეს არც არის მთავარი. ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, თავის თავს თვითონვე კურნავს. შენ იოლად ახსენებ "იმ ძველ ამბებს", თუმცა არაფერი იცი, როგორც თავადვე თქვი გულღიად. მითხა-რი, ოდესმე თუ მომიცია საბაბი, ეჭვი შეგპარვოდა ჩემს სიყვა-რულში შენდამი ან ჩემს გულწრფელობაში?

ნაკლებად მღელვარე წუთში ჯოლიონი ალბათ გაერთობოდა იმით, რომ მისმა სიტყვებმა ამდენი წინააღმდეგობრივი გრძნო-ბა აღძრა ჯონში: ხელის მხურვალე ჩამორთმევით ბიჭი შეეცადა

დაემშვიდებინა მამა, თუმცა სახეზე შიში შეეპარა, თუ რა მოჰ-ყვებოდა ამ დამშვიდებას. მაგრამ ჯოლიონს სხვა არაფერი უგ-რძნია, მადლიერების გარდა.

- ძალიან კარგი, მაშ, შეგიძლია დაიჯერო, რასაც მე გეტყვი. ჯონ, თუ ამ სიყვარულს არ მოეშვები, ამით დედაშენს სიცოც-ხლის უკანასკნელ დღემდე გააუბედურებ. დამიჯერე, ჩემო ძვირფასო, წარსული, როგორიც უნდა იყოს, ვერასდიდებით ვერ დაიმარხება!

ჯონი იატაკზე ჩამოხტა.

"გოგონა... - გაუელვა ჯოლიონს, - აი, მოდის, მის წინ ჩერდე-ბა - გასახიერებული სიცოცხლე - მხურვალე, მშვენიერი, მოსიყ-ვარულე!"

- არ შემიძლია, მამა! როგორ შემიძლია, აი, ასე, მხოლოდ იმი-ტომ, რომ შენ ამბობ?! რასაკვირველია, არ შემიძლია!

- რომ იცოდე, რა მოხდა, მაშინ უყოყმანოდ დასვამდი წერ-ტილს. ვალდებული იქნებოდი. დამიჯერე, ჯონ!

- საიდან იცი, რას ვიფიქრებდი? მამა, ის მე ამქვეყნად ყვე-ლაფერზე მეტად მიყვარს.

ჯოლიონს სახე მოეღრიცა და ტანჯული აუჩქარებლობით წარმოთქვა:

- დედაშენზე უფრო მეტად, ჯონ?

ბიჭის სახის, მისი შეკრული მუშტების შემხედვარე ჯოლი-ონს ესმოდა, რა ბრძოლა მიმდინარეობდა ჯონში.

- არ ვიცი, - წამოისროლა ბოლოს, - არ ვიცი! მაგრამ უარის თქმა ფლერზე არაფრის გულისთვის, ან ისეთი რამის, რაც მე არ

მესმის... უარის თქმა ისე, რომ არ მჯეროდეს, რომ მიზეზი თუნდაც სანახევროდ ღირს ამად, ეს... ეს იგივე იქნება, რომ...

- რომ ჩვენ უსამართლოდ ვიქცევით და გაბრკოლებთ, არა? მაგრამ ისევ ეს ჯობია იმას, რაც შენ გადაწყვიტე.

- არ შემიძლია. ფლერს ვუყვარვარ და მეც მიყვარს. შენ გსურს, რომ მჯეროდეს შენი? შენ რატომ არ გჯერა ჩემი? არაფრის ჩაძიებას ჩვენ არ დავიწყებთ, თითქოს არც არაფერი მომხდარა. და ეს ჩვენ იმისკენ გვიბიძგებს, რომ უფრო მეტადაც შეგიყვაროთ შენცა და დედაც.

ჯოლიონმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, თუმცა ისევ ცარიელი ამოიღო. მხოლოდ ენას აწკლაპუნებდა მოკუმულ პირში.

- დაფიქრდი, ჯონ, რა არის შენთვის დედაშენი! მას სხვა არავინ ჰყავს, შენ გარდა. მე დიდი დღე აღარ დამრჩენია.

- რატომ? ასე ნუ ლაპარაკობ! რატომ?!

- კარგი, - ცივად თქვა ჯოლიონმა, - იმიტომ, რომ ასე მითხრეს ექიმებმა, მხოლოდ ამიტომ.

- ო, მამა! - შესძახა ჯონმა და ცრემლები წასკდა.

ცრემლებმა, რომლებიც აღარ უნახავს მას შემდეგ, რაც ბიჭი ათი წლის გახდა, ახლა სულის სიღრმემდე შეძრა ჯოლიონი. ასე ცხადად არასოდეს მიმხვდარა, როგორი ჩვილი გული აქვს მის შვილს, როგორ დატანჯავს ეს ამბავი და, საერთოდ, რამდენი ტანჯვა ელის თავის ცხოვრებაში. და ჯოლიონმა უმწეოდ გაიშვირა ხელი: არც უნდოდა და ვერც გადაეწყვიტა ადგომა.

- არ გინდა, ჩემო მეგობარო, თორემ მეც გადამდებ! - თქვა ბოლოს.

ჯონმა ქვითინი ჩაიხშო და ახლა ჩუმად იდგა, ჩუმად და სახე-მიბრუნებული.

"ახლა? - ფიქრობდა ჯოლიონი, - რა ვუთხრა ისეთი, რომ გულზე შეეხოს?"

- ჰო, ამაზე დედას ნურაფერს ეტყვი. ისედაც ბევრს ღელავს შენზე. მესმის შენი გრძნობები. მაგრამ, ჯონ, შენ საკმარისად იცნობ დედასაც და მეც. გჯეროდეს: არაფრის გულისთვის ბედ-ნიერებას არ წაგიხდენთ. ჩვენი საზრუნავიც სწორედ ესაა, ჩემო ძვირფასო ბიჭო: შენი ბედნიერება. ყოველ შემთხვევაში, მე მხო-ლოდ შენს და დედაშენის ბედნიერებაზე ვფიქრობ, ის კი - მხო-ლოდ შენსაზე. მთელი თქვენი მომავალი - შენი და მისი - ახლა სასწორზე დევს.

ჯონი შემობრუნდა. სახე მკვდარივით გაჰფითრებოდა, ღრმად ჩაცვენილი თვალები ანთებოდა.

- რა მოხდა ასეთი? მაინც რა მოხდა? რატომ მტოვებთ სიბ-ნელეში?

ჯოლიონი მიხვდა, რომ დამარცხდა. ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო და ასე დარჩა მთელ წუთს. თვალები დახუჭული ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა. ტვინში აზრმა გაურბინა: "ჩემს ცხოვრე-ბაში იყო ხანგრძლივი ბედნიერების ზოლი, იყო მწარე წუთებიც, მათ შორის ეს უმწარესია". მერე ჯიბიდან ხელი ამოიღო, ამჯე-რად - წერილიანად, და დაღლილი ხმით წარმოთქვა:

- კარგი, ჯონ, დღეს რომ არ ჩამოსულიყავი, ამ წერილს ფოს-ტით მიიღებდი. მინდოდა, ამეცილებინა შენთვის ზედმეტი ტკი-ვილი, დამენდო დედაშენი და ჩემი თავი, მაგრამ, როგორც ვხე-

დავ, ამაოდ. წაიკითხე და დაფიქრდი, მე ბაღში ჩავალ, - და ჯოლიონმა ადგომა დააპირა.

ჯონმა წერილი გამოართვა და სწრაფადვე მოაყოლა:

- არა, შენ იჯექი, მე თვითონ წავალ, - და სირბილით გავიდა.

ჯოლიონი ისევ სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. დიდმა ლურჯმა ბუზმა სწორედ ეს წუთი ამოირჩია, რათა გაშმაგებული ბზუილით ეტრიალა თავზემოთ. სასიამოვნო ხმა იყო, სიჩუმეს მაინც ჯობდა... სად წავიდა ბიჭი წერილის წასაკითხად? უბედური წერილის, უბედური ამბის! შეუბრალებელია ეს ყველაფერი, შეუბრალებელია აირენისთვის, სომსისთვის, ამ ორი ბავშვისთვის, თვით ჯოლიონისთვის, რომელსაც ახლა გული უფანცქალებდა. მტკივნეული იყო ეს ყველაფერი, მტკივნეული. ცხოვრება თავისი სიყვარულით, შრომით, სილამაზით, ტკივილით და - დასასრულით! კარგი დრო, მშვენიერი დრო, ყოველივეს მიუხედავად, მშვენიერი, სანამ არ ინანებ, რომ ამქვეყნად მოხვედი. ცხოვრება გცვეთს, მაგრამ არ გასწავლის, როგორ გსურდეს სიკვდილი. აი, რაშია სივერაგე! ჯობია, გული არ გქონდეს! ისევ ბზუილით მოფრინდა ბუზი, შემოიტანა ზაფხულის მთელი სიცხე, ბგერები, სუნი. ჰო, მწიფე ნაყოფის, გამომშრალი ბალახის, წვნიანი ბარდნარისა და ძროხის ვანილიანი სუნი მოიტანა. და ამ სხვადასხვა სუნს შორის სადღაც მიმალული ჯონი ახლა წერილს კითხულობს, ფურცელს ფურცელზე შლის და წეწავს სიმწარეში, გაოგნებასა და სიმწარეში, და გული ეფლითება. ამ აზრმა ჯოლიონს მწვავე ტკივილი აგრძნობინა. ჯონი ხომ ასეთი გულჩვილია, ასეთი მოსიყვარულე, ასეთი კეთილსინდისიერი. ჰოდა, უსამართლობა იყო ეს, ო, როგორი უსამართლობა! ჯოლიონს გა-

ახსენდა აირენის სიტყვები: "არასოდეს დაბადებულა ამქვეყნად ჯონზე უფრო მოსიყვარულე და უფრო სიყვარულის ღირსი არსება!" საბრალო პატარა ჯონი! ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქვეყნიერებამ ერთბაშად დაკარგა მისთვის ყოველგვარი ღირებულება! რა მძაფრად აღიქვამს ყველაფერს ახალგაზრდობა! შეცბუნებული და გატანჯული ამ მოსაზრებით ყველაფრის მძაფრად აღმქმელი ახალგაზრდობის შესახებ, ჯოლიონი სახლიდან გავიდა. ჯონი არსად ჩანდა და ის ძებნას შეუდგა. თუ რამით შეიძლებოდა ჯონის დახმარება, უნდა დახმარებოდა. ბუჩქნარი გაიარა, შემოღობილ ბაღში შეიხედა. ჯონი არ ჩანდა. არც იქ აღმოჩნდა, სადაც ატამი და გარგარი გაბერვას და შეფერვას იწყებდა. ბნელი და წვეტიანი კვიპაროსების კედელს გაუყვა და მდელოზე გავიდა. სად დაიმალა ბიჭი? ტევრში ხომ არ გაიხიზნა - თავის ძველ ნაკრძალში? ჯოლიონი მოთიბული ბალახის გროვებზე გადადიოდა. ორშაბათს ძნებად ააგებენ, სამშაბათს კი, თუ არ მოწვიმს, ზიდვას დაიწყებენ. როდესაც ჯონი პატარა ბიჭი იყო, ხშირად უვლიათ ამ მინდვრის გავლით ხელიხელჩაკიდებულებს. ეჰა, რომ ოქროს საუკუნე მაშინ მთავრდება, როცა ადამიანი ათი წლის ასაკს გასცდება. ჯოლიონი მივიდა ტბორთან, სადაც წყლის ნათელ ზედაპირს კოღოები და ბუზები დასტრიალებდნენ ლელქაშებს შორის. ამასაც გასცდა და ტევრში შევიდა. იქ სიგრილე იდგა, მუხების სუნი ტრიალებდა. მაგრამ ჯონი არ ჩანდა. ჯოლიონმა დაუძახა. არავინ უპასუხა. აფორიაქებული და თავისი უძლურების დამვიწყებელი მამა წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა. არასწორად მოიქცა, ბიჭი წერილიანად რომ გაუშვა. თვალი არ უნდა მოეცილებინა. ძალზე აღელვებული წა-

მოდგა და უკან გამოეშურა. ცხოველების ფერმასთან ისევ დაიძახა, ბნელ ბოსელში შეიხედა. იქ, სიგრილეში, ვანილისა და ამიაკის სურნელში, ბუზებისგან შორს, მშვიდობიანად იცოხნებოდა სამი ოლდერნი(ოლდერნი - შინაური პირუტყვის ჯიში, რომელიც მოდის ოლდერნიდან (ბრიტანული კუნძული ლა-მანშის სრუტეში)). სულ ახლახან მოწველეს და ისინიც ელოდებოდნენ საღამოს, როცა ისევ მინდორზე გალალავდნენ. ერთმა მათგანმა ზანტად მოაბრუნა თავი და მბრწყინავი თვალი მიმოატარა. ქვედა ტუჩზე ჯოლიონმა ნერწყვი შენიშნა. ამ ნერვიულ აგზნებაში ყველაფერს უკიდურესად მკაფიოდ ხედავდა, ყველაფერს, რაც ოდესღაც უყვარდა, რის გამოსახვასაც ცდილობდა საღებავებისა და შუქჩრდილის საოცრებებით. საკვირველი არ არის, რომ ლეგენდამ ქრისტე საქონლის ბაგაში მოათავსა: რა შეიძლება იყოს უფრო ნაზი და უღალატო, ვიდრე ძროხის თვალები და მთვარეულ-მოთეთრო რქები ბოსლის თბილ ბინდბუნდში? ჯოლიონმა ისევ დაიძახა. არავითარი პასუხი! აჩქარებული ნაბიჯით გავიდა ტევრიდან, ჩაუარა ტბორს და ბორცვის ფერდს აუყვა. აშკარად ირონიის უცნაური თამაში იქნებოდა, თუ ჯონი თავისი აღმოჩენის მოსანელებლად მოვიდოდა იმავე ტევრში, სადაც დედამისი და ბოსინი თავგადადებით გამოუტყდნენ ერთმანეთს სიყვარულში; სადაც იმ კვირა დილით პარიზიდან დაბრუნებული და წაქცეულ ხეზე ჩამომჯდარი ჯოლიონიც მიხვდა, რომ აირენმა მისთვის მთელი ქვეყნიერება შეავსო. ეს ადგილი უნდა ამოერჩია ირონიას იმისთვის, რომ აირენის შვილის თვალებზე გადაფარებული რიდე დაეფლითა!

მაგრამ ის აქ არ იყო. სად წავიდა? უნდა მოეძებნა, საბრალო.

ჯოლიონს მზის სხივი მოხვდა და კიდევ უფრო გაუმძაფრა ისედაც გაძლიერებული აღქმა ამ დღის მშვენიერების, მაღალი ხეების, წაგრძელებული ჩრდილების, ლაჟვარდისა და თეთრი ღრუბლების. თივის სუნი იდგა, მტრედები ღუღუნებდნენ, ყვავილებს გვირგვინები მაღლა აეწვდინათ. ჯოლიონი ვარდნარში გავიდა და ვარდების სილამაზე მზის ასეთ სინათლეში არამიწიერი ეჩვენა. "ვარდო, ესპანეთის ასულო!"("ვარდო, ესპანეთის ასულო!" - სტრიქონი ინგლისელი პოეტის, რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენლის, რობერტ ბრაუნინგის (1812-1889) ლექსიდან "ყვავილის სახელი".) - მშვენიერი სამი სიტყვა! აქ, მუქწითელი ვარდების ბუჩქთან კითხულობდა წერილს აირენი და აქვე გადაწყვიტა, რომ ჯონს ყველაფერი უნდა შეეტყო. ჰოდა, შეიტყო კიდეც! სამართლიანი იყო მისი არჩევანი? ჯოლიონი დაიხარა და ვარდი დაყნოსა. მისმა ფურცლებმა ნესტოებსა და ტუჩებში შეუღიტინა. არაფერია ამქვეყნად ვარდის ფურცლის ხავერდზე უფრო ნაზი, გარდა, რა თქმა უნდა, აირენის ყელისა! აირენ! ჯოლიონმა მდელო გადაჭრა და ძველი მუხისკენ ამავალ ფერდობს აუყვა. მისი კენწერო ოქროსფრად განათებულიყო, რადგან მზის ის უეცარი სხივი უკვე სახლს გასცდა. ქვემოთ ხშირი და ნეტარ-ცინცხალი ჩრდილი იდგა. სიცხემ ძალიან დაქანცა ჯოლიონი. ერთ წუთს იდგა და ხელი საქანელას თოკისთვის ეკიდა: ჯოლი, ჰოლი, ჯონი! ძველი საქანელა! და უცებ საშინელი, მომაკვდინებელი უქეიფობა იგრძნო. "გადავაჭარბე, - გაუელვა, - ნამდვილად გადავაჭარბე!" აქანავებული წაბანცალდა უკან, ტერასისკენ, გაჭირვებით აუყვა საფეხურებს და სახლის კედელს მიემთხვა. ასე იდგა აქოშინებული, სახეჩარგული ჯიქაში,

რომელზეც მან და აირენმა გვარიანად იშრომეს, რათა ფანჯრებში უფრო ტკბილსურნელოვანი ჰაერი შემოსულიყო. ამჯერად ჯიქას სურნელება მძაფრ ტკივილს ერთვოდა. "ჩემო სიყვარულო! ჩემო ბიჭუნა!" დიდი ძალისხმევით მიაღწია მინის კარამდე, ზღურბლს გადააბიჯა და მოხუცი ჯოლიონის სავარძელში ჩაეშვა. გვერდით იდო წიგნი, შიგნით - ფანქარი. ჯოლიონი ფანქარს მისწვდა, ერთი სიტყვა დაჩხაპნა გადაშლილ ფურცელზე და ხელი ჩამოუვარდა... აი, თურმე როგორ... ნუთუ ასე...

ერთი გაკანკალება და - წყვდიადი.

თავი მესამე

აირენ!

წერილიანად გაქცეული ჯონი - შიშით და შეცბუნებით ატანილი - ტერასას გაუყვა და სახლს შემოუარა. იქ მცოცავი მცენარეებით დაფარულ კედელს მიეყრდნო და კითხვას შეუდგა. გრძელზე გრძელი წერილი იყო! შიშმა იმატა. როცა მივიდა ადგილამდე "მისთხოვდა... სომს ფორსაიტს, ფლერის მამას...", ყველაფერი თვალწინ დაუბზრიალდა. ფანჯარასთან ახლოს იდგა და იქიდან შევიდა სახლში, გაიარა სასტუმრო ოთახი, ჰოლი, და თავის საძინებელში ავიდა. პირზე ცივი წყალი შეისხა, საწოლზე ჩამოჯდა და კითხვა განაგრძო. წაკითხული ფურცლები გვერდით ცვიოდა. მამას ხელწერას სულ ადვილად არჩევდა, რადგანაც კარგად იცნობდა, თუმცა ამის მეოთხედი სიგრძის წერილიც კი არასდროს მიუღია ჯოლიონისგან. კითხულობდა, მაგრამ გრძნობები თითქოს დაუჩლუნგდა, წარმოსახვის უნარი გაუნახევრდა. პირველ წაკითხვაზე ყველაზე უკეთ იმას მიხვდა, თუ როგორი ტკივილი უნდა განეცადა მამას წერის დროს. ბოლო ფურცელიც დაუვარდა და, რაღაც გონებრივ-ზნეობრივ უძლურებაში ჩავარდნილი, ისევ პირველის კითხვას შეუდგა. ეს ყველაფერი მისთვის ამაზრზენი იყო, მკვდარი და ამაზრზენი. შემ-

დეგ ცხელ ტალღასავით მოაწყდა საშინელების უეცარი განცდა და სახე ხელებში ჩარგო. დედამისი! ფლერის მამა! ფურცლები შეაგროვა და მექანიკურად განაგრძო კითხვა. და ისევ მოვიდა განცდა, რომ ეს ყველაფერი მკვდარია და ამაზრზენი. მისი სიყვარული სულ სხვანაირია! წერილში ნათქვამია: ჯონის დედა და ფლერის მამა! საშინელი წერილია!

საკუთრება! ნუთუ არსებობენ კაცები, რომლებიც ისე უყურებენ ქალს, როგორც თავიანთ საკუთრებას? ჯონს ქუჩაში თუ სოფელში ნანახი სახეები შემოეხვია, წითელი და ხორციანი, ხისტი და ჩლუნგი, მშრალი, გაბღენძილი და ღვარძლიანი: ასობით, ათასობით სახე! საიდან უნდა იცოდეს, რას ფიქრობენ და აკეთებენ ისინი, ვისაც ასეთი სახე აქვს? ჯონმა საფეთქლებზე ხელები მიიდო და აქვითინდა. დედამისი! ფურცლები შეაგროვა და ისევ შეუდგა კითხვას: "საშინელებისა და ზიზღის გრძნობა... ეს გრძნობა დღემდე ცოცხლობს აირენში... თქვენი შვილები... შვილიშვილები... ადამიანის, ვინც ისე ფლობდა დედაშენს, როგორც კაცი შეიძლება ფლობდეს მონა ქალს..." ჯონი წამოდგა. ეს სასტიკი, ბნელი, ჩრდილივით მიმალული წარსული - სიმართლეა. სხვანაირად მამა ამ წერილს ვერ დაწერდა. "რატომ მაშინვე არ მიამბეს? იმ დღეს, როცა პირველად დავინახე ფლერი? ეშინოდათ, ახლა კი... ახლა, აი, ეს ხდება!" ისეთი მწვავე ტკივილისგან, რომელიც შეუძლებელს ხდიდა განსჯას და აწონ-დაწონას, ჯონი ოთახის ბნელ კუთხეში მიიკუნჭა და იატაკზე დაჯდა. უბედურ ცხოველს ჰგავდა. ბინდბუნდი და შიშველი იატაკი მანუგეშებელი იყო, თითქოს უბრუნდებოდა იმ დღეებს, როცა იატაკზე გართხმული პატარა ბიჭი ჯარისკაცებით თამაშობდა. არც კი იცო-

და, რამდენ ხანს იჯდა ასე, მოკუნტულ-აბურძგნილი და მუხლებზე მკლავებშემოხვეული. იჯდა მწუხარებისგან გახევებული, სანამ დედის ოთახიდან მის ოთახში შემომავალი კარის ჭრიალმა არ გამოაფხიზლა. ფანჯრებზე დარაბები ჩამოწეული იყო, თვით ფანჯრები კი მის არყოფნაში დაეკეტათ. თავისი კუნჭულიდან მხოლოდ შრიალი ესმოდა, აირენის მოახლოებული ნაბიჯების ხმა. მერე დაინახა, რომ დედამისი ლოგინის მეორე მხარეს, ღამის მაგიდასთან შეჩერდა. რაღაც ეჭირა ხელში. ჯონი ძლივს სუნთქავდა იმ იმედით, რომ აირენი ვერ შეამჩნევდა და წავიდოდა. ხედავდა, როგორ ეხებოდა ნივთებს მაგიდაზე, თითქოს ისინი რაღაც შინაგან ძალას მალავდნენ. შემდეგ ფანჯრისკენ მიბრუნდა, თავით ფეხამდე - ლანდივით ნაცრისფერი. ცოტაც რომ მოაბრუნოს თავი, ჯონს დაინახავს! აირენის ტუჩები ამოძრავდა: "ო, ჯონ!" თავის თავს დაელაპარაკა და ამ ხმისგან ჯონს გული შეუტოკდა. დედამისის ხელში პატარა ფოტოსურათი შენიშნა. სინათლის მხარეს ეჭირა და უყურებდა. ეს ერთი ბეწო სურათი ჯონს მაშინვე ეცნო: მისი ბავშვობის დროინდელი ფოტო, რომელიც დედას ყოველთვის ჩანთაში ჰქონდა. ჯონს გული აუბაგუნდა. თითქოს ეს ხმა ჩაესმაო, აირენმა თავი მოაბრუნა და ჯონი დაინახა. მის უნებლიე შეძახილზე, ხელების მოძრაობაზე, როცა აირენმა სურათი მკერდზე მიიკრა, ჯონმა ხმა ამოიღო:

- ჰო, მე ვარ.

აირენი მივიდა და გვერდით ჩამოუჯდა. სურათს ისევ მკერდზე იკრავდა. მერე თვალი მოჰკრა იატაკზე ჩასრიალებულ ფურცლებს და ხელები მაგრად ჩასჭიდა საწოლის საზურგეს.

წელგამართული იჯდა და შვილს მრუმე თვალებით უყურებდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

- ასე, ჯონ. ვხედავ, შენ უკვე იცი.

- ჰო.

- მამა თუ ნახე?

- კი.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. მერე აირენმა თქვა:

- ო, ჩემო ძვირფასო!

- არა უშავს, ყველაფერი რიგზეა, - ჯონი ისეთი მძაფრი და რთული განცდების ტყვეობაში იყო, რომ ვერც კი გაინძრა ამ თავის წყენაში, სასოწარკვეთაში და, ამასთანავე, უცნაურ წყურვილში - შეეგრძნო შუბლზე დედამისის მანუგეშებელი შეხება.

- ახლა რას აპირებ?

- არ ვიცი.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე. მერე აირენი წამოდგა. ერთ წუთს გარინდებული იდგა, მხოლოდ ხელის თითები უმოძრავებდა. ბოლოს თქვა:

- ჩემო ძვირფასო, ჩემო უძვირფასესო ბიჭო, ნუ იფიქრებ ჩემზე, საკუთარ თავზე იფიქრე! - მერე საწოლს შემოუარა და ისევ თავის ოთახში გავიდა.

ჯონი ზღარბივით მოიკუნტა და თავის კუთხეში გაყუჩდა.

ასე გავიდა ოცი წუთი, რომლის შემდეგაც ჯონი ყვირილმა წამოაგდო. ხმა ქვემოდან, ტერასის მხრიდან გაისმა. ჯონი შეშინებული წამოხტა. ყვირილი განმეორდა: "ჯონ!" დედის ხმა იყო! ჯონი ოთახიდან გავარდა, კიბეზე დაეშვა და ცარიელი ოთახის გავლით მამის კაბინეტში შევიდა. დედა მუხლებზე ჩაჩოქილი

დახვდა ძველ სავარძელთან, რომელშიც მთლად გათეთრებული და მკერდზე თავჩამოვარდნილი ჯოლიონი იწვა. ცალი ხელი გაშლილ წიგნზე ედო, თითებით კი ფანქარი ჰქონდა ჩაბღუჯული, ოღონდ ისე უცნაურად, რომ ჯონს მსგავსი არაფერი ენახა ცხოვრებაში. აირენმა შეშლილივით მოატარა მზერა და თქვა:

- ო, ჯონ, ის მოკვდა... მოკვდა!

ბიჭი თვითონაც მუხლებზე დაეცა, სავარძლის იმ სახელურზე გადაიხარა, რომელზეც ცოტა ხნის წინ იჯდა, და მამას შუბლზე ტუჩები მიადო. ყინულივით ცივი შუბლი! როგორ შეეძლო, როგორ შეეძლო მამას მომკვდარიყო, როცა ერთი საათის წინ... დედა მკლავებს ხვევდა მის მუხლებს, მკერდით ეკვროდა ზედ. "რატომ არ ვიყავი მის გვერდით, რატომ!", მოესმა ჯონს მისი ჩურჩული. მერე დაინახა წიგნის გადაშლილ გვერდზე უსწორმასწოროდ გამოყვანილი ერთადერთი სიტყვა "აირენ" და - თვითონაც აქვითინდა.

ეს იყო მისი პირველი შეხვედრა ადამიანის სიკვდილთან, რომლის მუნჯმა სიჩუმემ ყველა სხვა განცდა ჩაუხშო. სხვა ყველაფერი მხოლოდ მზადებაა ამისთვის! სიყვარული და ცხოვრება, სიხარული, მღელვარება, დარდი, მოძრაობა, სინათლე, მშვენიერება - მხოლოდ და მხოლოდ შესასვლელია ამ საზარელ თეთრ მდუმარებაში. ჯონი სულის სიღრმემდე შეიძრა. უცებ ყველაფერი დაპატარავდა, უნაყოფო და ხანმოკლე გახდა.

ბოლოს თავი ხელში აიყვანა და აირენიც წამოაყენა:

- დედა, ნუ ტირი, დედა!

რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ყველაფერი გაკეთდა, რაც უნდა გაკეთებულიყო, და დედაც დაწვა, ჯონი მარტო დარჩა მა-

მასთან, რომელიც საწოლზე ესვენა, თეთრზეწარგადაფარებული. დიდხანს იდგა და დაჰყურებდა ამ სახეს, რომლის კეთილ და ოდნავ ახირებულ ნაკვთებზე არასოდეს აღბეჭდილა ღვარძლი და ბოროტება. "იყავი მუდამ კეთილი და შენს ხაზს მისდიე: ესაა და ეს", უთხრა ერთხელ შვილს. რა საოცარია, რომ ჯოლიონი ყოველთვის ამ ფილოსოფიით მოქმედებდა! ახლა ჯონი მიხვდა: მამამისმა უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ სიკვდილი მეყსეულად მოვა, იცოდა, თუმცა ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამ თემაზე. ჯონი მხურვალე მოწიწებით დაჰყურებდა მამას. რა მარტოხელა სევდაზე გაწირა ამ კაცმა თავი, როცა ჯონსა და დედამისს უფრთხილდებოდა! უყურებდა ამ სახეს და თავისი უბედურება ჯონს პატარა ეჩვენებოდა. ფურცელზე დაჯღაბნილი სიტყვა! დამშვიდობების სიტყვა! ახლა დედას აღარავინ დარჩა, ჯონის გარდა! ახლოს მივიდა მიცვალებულთან: მამას სახე სრულებით არ შესცვლოდა და მაინც - ახლა ის სრულებით სხვა იყო. ერთხელ მამამ თქვა, არ მჯერა განაცხადი, რომ ცნობიერება სხეულის სიკვდილის შემდეგაც იარსებებსო, და თუ იარსებებს, მხოლოდ მანამდე, სანამ არ დადგება სხეულის სიცოცხლის ბუნებრივი ზღვარი, სანამ არ გავა სხეულის სიცოცხლისუნარიანობის ბუნებრივი ვადა. ასე რომ, თუ სხეულს უბედური შემთხვევა, ზედმეტობები, მწვავე სნეულება მოკლავს, მაშინ ცნობიერებას შეუძლია იარსებოს მასზე უფრო დიდხანს, იქამდე, სანამდისაც საგანთა ბუნებრივი სვლის შემთხვევაში და გარედან ჩაურევლად ეს სხეული თვითონვე ამოწურავდა თავის თავს. მაშინ ჯონი სახტად დატოვა მამამისის სიტყვებმა, რადგან არასოდეს სმენოდა ვინმესგან ასეთი მოსაზრება. თუ გული ასე უეცრად შე-

ჩერდა, ეს, რასაკვირველია, არცთუ მაინცდამაინც ბუნებრივია! იქნებ ჯოლიონის ცნობიერება ჯერ კიდევ ამ ოთახშია. საწოლის თავზე პაპის სურათი კიდია. იქნებ ამ პაპის ცნობიერებაც ცოცხალია და ჯონის უფროსი ძმისაც, ტრანსვაალში რომ დაიღუპა? იქნებ ეს ყველა ახლა ამ საწოლის ირგვლივ შემოკრებილა? ჯონმა ცივ შუბლს აკოცა და ჩუმად გავიდა თავის ოთახში. დედის საძინებლის კარი ოდნავ გამოღებული იყო. ჩანს, დედა შემოსულა ჯონთან, რაკი ყველაფერი მომზადებული დახვდა, თვით ბისკვიტებიცა და თბილი რძეც. არც წერილის ფურცლები ეყარა იატაკზე. ჯონმა რძე დალია, ბისკვიტები შეჭამა, თან უყურებდა, როგორ ქრებოდა დღის უკანასკნელი ათინათები. არ ცდილობდა მომავალში ჩახედვას, მხოლოდ მუხის ბნელ ტოტებს გაჰყურებდა ფანჯრის დონეზე და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ცხოვრება შეჩერდა. ღამით, მძიმე ძილში მოუსვენრად მბრუნავმა, რაღაც თეთრი და უმოძრაო მასა დაინახა საწოლის გვერდით და შეშინებული წამოხტა.

- მე ვარ, ძვირფასო, სხვა არავინ! - წარმოთქვა დედის ხმამ. მისი ხელი ჯონს შუბლზე შეეხო და თავი უკან გადაუწია. მერე თეთრი ფიგურა გაქრა.

ჯონი მარტოა!

მძიმედ ჩაბრუნდა ძილში და დაესიზმრა დედის სახელი, რომელიც საწოლზე მოცოცავდა.

თავი მეოთხე

სომსი ფიქრობს

"ტაიმსში" გამოქვეყნებული განცხადება ჯოლიონის სიკვდილის თაობაზე სომსმა სრულებით უბრალოდ მიიღო. ამრიგად, მისი ბიძაშვილი გარდაიცვალა! მათ შორის არასოდეს ყოფილა ნათესაური სიყვარული. ცოცხალი სიძულვილი სომსის გულში დიდი ხნის წინ მიინავლა. ყოველთვის ებრძოდა რეციდივების საფრთხეს. თუმცა ეს ნაადრევი სიკვდილი მას ერთგვარ პოეტურ შურისძიებად წარმოუდგებოდა. ოცი წლის განმავლობაში ადამიანი ტკბებოდა მეორე ადამიანისგან წართმეული ცოლითა და სახლით. ახლა მკვდარია. მოგვიანებით დაბეჭდილი ნეკროლოგი, სომსის აზრით, ჯოლიონს გადაჭარბებულ პატივს მიაგებდა. მასში ლაპარაკობდნენ "ასეთ ოსტატზე და სასიამოვნო მხატვარზე, რომლის ნამუშევრები წარმოადგენს გვიანვიქტორიანული პერიოდის აკვარელური ფერწერის ტიპურ და საუკეთესო ნიმუშებს". სომსმა, რომელიც მუდამ გაუცნობიერებლად ამჯობინებდა მოლს, მორპინსა და კეზუელ ბეის და მუდამ ხმამაღლა ფრუტუნებდა, როცა გამოფენებზე ბიძაშვილის ნამუშევრებს ხედავდა, მოხრაშუნე "ტაიმსი" მომდევნო გვერდზე გადაფურცლა.

იმ დილით ლონდონში გამგზავრება მოუხდა ფორსაიტულ საქმეებზე და უტყუარად შენიშნა, რომ გრედმენი სათვალის ზემოდან ალმაცერ მზერას ესროდა. მოხუც მოხელეს რაღაც მწუხარე მისალმების აურა შემოჰკვროდა. ამ კაცს უდავოდ გარდასულ დროთა სუნი სდიოდა. თითქმის ისმოდა მისი ფიქრები: "მისტერ ჯოლიონი... ჰოო, სწორედ ჩემს ასაკში იყო და, აი, აღარ არის. დასანანია, დასანანი! მისი ცოლისთვის ეს დიდი დარტყმაა. რა ლამაზი ქალი იყო. რას ვიზამთ, ყველაფერი უფლის ნებაა... გაზეთებში ნეკროლოგები იბეჭდება. აი, რა ამბებია!" გრედმენის ირგვლივ გამეფებულმა ატმოსფერომ უბიძგა სომსს, უჩვეულო სისწრაფით მოეგვარებინა რამდენიმე გარიგება, რომლებიც უკავშირდებოდა საკუთრების გადაცემას და სახლების გაქირავებას.

- იმ პროექტზე რა ხდება, მისტერ სომსს, მის ფლერთან დაკავშირებით?

- გადავიფიქრე, - მოკლედ მიუგო სომსმა.

- აჰ! ოჰ! ძალიან მოხარული ვარ. მაშინაც მომეჩვენა, რომ ძალიან ჩქარობდით. დრონი იცვლებიან.

სომსს მღელვარება შემოეპარა: როგორ შეხვდებოდა ამ სიკვდილს ფლერი? დარწმუნებული არ იყო, რომ გოგონამ ეს ამბავი იცოდა: იშვიათად ფურცლავდა გაზეთებს, ხოლო დაბადებასთან, ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებულ განცხადებებს საერთოდ არ კითხულობდა.

ფაცხაფუცხით ჩაამთავრა თავისი საქმეები და საუზმის მისართმევად გრინსტრიტს მიაშურა. უინიფრიდი მოწყენილი დახვდა. როგორც სომსმა გამოარკვია, ჯეკ კარდიგანს მანქანის

ფრთა გაუტეხავს და თვითონაც გამოსულა წყობიდან განსაზღვრული დროით. უინიფრიდი ვერაფრით ურიგდებოდა სიძის ჯანმრთელობის მოულოდნელ გაუარესებას.

- პროფონი თუ გაეგზავრა, ბოლოს და ბოლოს? - იკითხა სომსმა.

- გაემგზავრა, თუმცა არ ვიცი, სად, - უპასუხა უინიფრიდმა.

უბედურებაც ესაა, რომ დანამდვილებით ვერაფერს იტყვი! ისე, სომსს დიდად არც სწადდა ამის გაგება. ანეტის წერილები მოდიოდა დიეპიდან, სადაც ის დედასთან ერთად ცხოვრობდა.

- ალბათ წაიკითხავდი მისი სიკვდილის ამბავს? - ჰკითხა სომსმა.

- ჰო. მებრალება... ისიც და მისი შვილებიც... ძალიან სასიამოვნო კაცი იყო.

სომსმა რაღაც გაურკვეველი ჩაიბუზღუნა. ძველი, ღრმა ჭეშმარიტება, რომ ამქვეყნად ადამიანებს განსჯიან არა მათი საქმეებით, არამედ იმით, თუ რას წარმოადგენდნენ საკუთრივ ისინი, - ეს ჭეშმარიტება საიდანღაც მოცოცდა და აბეზარად უკაკუნებდა ცნობიერების უკანა კარზე.

- ვიცი, რომ საყოველთაოდ მიღებული იყო ასეთი აზრი მასზე.

- საკადრისი მისაგებელი უნდა მივაგოთ ახლა, როცა აღარ არის.

- მერჩივნა, მაშინ მიმეგო მისაგებელი, სანამ ცოცხალი იყო, - თქვა სომსმა, - მაგრამ არასოდეს მომეცა ამის შესაძლებლობა. "ბარონეტების წიგნი" თუ გაქვს?

- ჰო, მანდ, ქვედა თაროზეა.

სომსმა სქელი წითელი წიგნი აიღო და ფურცვლას შეუდგა.

"... მონტი, სერ ლორენსი, მე-9 ბარონეტი, ტიტული მინიჭებულია 1620 წლიდან, ვაჟიშვილი ჯოფრის, მე-8 ბარონეტის, და ლავინიას, სერ ჩარლზ მასკჰემის ქალიშვილის (მასკჰემ-ჰოლი, შროპშაირი); 1890 წელს შეირთო ემილი, ქალიშვილი ესკვაირ კონუეი ჩარველისა (კონდაფორდ-გრეინჯი); ჰყავს მემკვიდრე ვაჟიშვილი, მაიკლ კონუეი (დაიბ. 1895 წ.), და ორი ქალიშვილი. საცხოვრებელი ადგილი: ლიპინგოლ-მანორი, ფოლველი, ბუქსი. კლუბები: "ხუმარები", "ყავის სახლი", "აეროპლანი". იხ. "ბიდლი-კოტი".

- ოჰ! - ამოიღმუვლა სომსმა, - ვინმე გამომცემელს თუ იცნობდი?

- ძია ტიმოთის.

- არა, ცოცხალს?

- მონტი ხვდებოდა ხოლმე თავის კლუბში ერთ გამომცემელს და ერთხელ ჩვენთანაც მოიყვანა სადილზე. ხომ იცი, მონტი ყოველთვის ატარებდა აზრს, დაეწერა წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ ვიშოვოთ ფული დოღში. ცდილობდა, ეს გამომცემელი დაეინტერესებინა.

- მერე, მოახერხა?

- დაარწმუნა, რომ ერთ ცხენზე ორი ათასი გინეა დაედო. ის კაცი მეტად აღარც გვინახავს. მახსოვს, ელეგანტური ვინმე იყო.

- ცხენმა თუ მოიგო?

- ვერა. მგონი, სულ ბოლო მივიდა. იცი, თავისებურად მონტი სულაც არ იყო ბრიყვი.

- ჰოო? - თქვა სომსმა, - და შენ ფიქრობ, რომ საგამომცემლო საქმე და მომავალი ბარონეტი რამენაირად ებმის ერთმანეთს?

- ამ დროში ადამიანები ყველანაირ საქმეს ჰკიდებენ ხელს, - უთხრა უინიფრიდმა, - ახლა ყველაზე მეტად უსაქმურობა აფრთხობთ, მაშინ კი არაფრის კეთება იდეალი იყო. მაგრამ, მე მგონი, ეს ისევ დაბრუნდება.

- ახალგაზრდა მონტი, რომელზეც მე ვლაპარაკობ, ძალიან არის გატაცებული ჩვენი ფლერით. თუ მოხერხდებოდა იმ მეორე ამბის საბოლოოდ შეწყვეტა, მე, შეიძლება ითქვას, ამ ჭაბუკს წავახალისებდი.

- საინტერესო ვინმეა? - იკითხა უინიფრიდმა.

- ლამაზმანი არ გახლავს, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო ტიპია, ერთგვარი გამონათებებიც აქვს გონებაში. მე მგონი, ბევრი მიწა აქვთ. როგორც ჩანს, ფლერის მიმართ გულწრფელი გრძნობა ამოძრავებს. თუმცა, არ ვიცი.

- ჰო, - ჩაიბუტბუტა უინიფრიდმა, - ძნელი საკითხია. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ყველაფერს ჯობია არაფერი აკეთო. რა გულისდამწყვეტია ჯეკის ამბავი, კიდევ დიდხანს ვერ გავემგზავრებით. ისე კი, ხალხზე ყოველთვის შეგიძლია გაერთო. ჰაიდპარკში ვივლი და საზოგადოებას ვადევნებ თვალს.

- შენს ადგილზე, სოფელში კოტეჯს ვიყიდდი, - უთხრა სომსმა, - საჭიროების შემთხვევაში, იქ გავერიდებოდი დღესასწაულებსა და გაფიცვებს.

- სოფელი მალე მბეზრდება, - უთხრა უინიფრიდმა, - ხოლო რკინიგზელთა გაფიცვამ ძალიან გამიტაცა.

უინიფრიდი მუდამ გამოირჩეოდა ცივსისხლიანობით.

სომსი დაემშვიდობა და წავიდა. მთელ გზაზე რედინგამდე იმას ფიქრობდა, ღირს თუ არა ფლერს "იმ ბიჭუნას" მამის გარდაცვალების ამბავი ვამცნოო. სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა. ეგაა, ჭაბუკი უფრო დამოუკიდებელი გახდა და ახლა წინააღმდეგობას მხოლოდ დედისგან თუ შეხვდებოდა. მან, უეჭველია, დიდძალი ფული მიიღო მემკვიდრეობით და, შესაძლოა, სახლიც, - აირენისთვის და სომსისთვის აშენებული სახლი, რომლის არქიტექტორმა მას ოჯახური კერა დაუნგრია. და ფლერი - ამ სახლის დიასახლისი! ჰო, ესეც პოეტური შურისძიება იქნებოდა! სომსს გაეცინა - არა მხიარული სიცილით. ოდესღაც ამ სახლს შერყეული ურთიერთობის გასამყარებლად აგებდა, თავისი შთამომავლობის ბუდედ, თუკი აირენს დაითანხმებდა და შვილს გააჩენინებდა! აირენის ვაჟი და სომსის ქალიშვილი! მათი შვილები, თავისებურად, სომსის და აირენის ერთობლივი ნაყოფი იქნება.

ამ აზრის თეატრალურობა არანაირად არ შეეფერებოდა სომსის აზროვნებას. მიუხედავად ამისა, ეს იყო ყველაზე მსუბუქი და უმტკივნეულო გამოსავალი ჩიხიდან ახლა, როცა ჯოლიონი მოკვდა. ორი ფორსაიტული კაპიტალის შეერთებაც ასევე გარკვეული ცდუნება იყო სომსის კონსერვატიული ბუნებისთვის. ხოლო აირენი ისევ დაუკავშირდება მას ნათესაური კავშირით!..

უაზრობა! აბსურდი! ეს აზრი სომსმა თავიდან ამოიგდო.

შინ მისულს ბილიარდის ბურთების შეხლა-შემოხლა მოესმა და ფანჯრიდანვე მოჰკრა თვალი ბილიარდის მაგიდაზე გაწოლილ ახალგაზრდა მონტს. ფლერს კია მოემარჯვებინა და ჭა-

ბუკს ღიმილით უყურებდა. პირმშვენიერი ქალიშვილი! რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა კაცი ჭკუას კარგავს მასზე! ტიტული, მიწა! თუმცა ამჟამად მიწა ბევრს არაფერს ნიშნავს, ტიტული - კიდევ უფრო ნაკლებს. ძველ ფორსაიტებს მუდამ ცოტათი ეზიზღებოდათ ტიტულები, ხედავდნენ მათში რაღაც უცხოსა და არაბუნებრივს, რაღაც ისეთს, რაც არ ამართლებდა მათთვის გაღებულ ფულს. ჯერ მარტო სამეფო კართან საქმის დაჭერა რად ღირს! ყველა ძველ ფორსაიტს მეტ-ნაკლებად ახასიათებდა ეს გრძნობა. მართალია, ადრეულ ასაკში სუითინი ერთხელ მოხვდა მავან მაღალწარჩინებულ პირთან დილის მიღებაზე, მაგრამ შინ დაბრუნებულს განუცხადებია, იქ აღარ წავალო. "ერთი მაგათიც! წვრილმანი თევზეულობა!" ბოროტი ენები ამასთან დაკავშირებით ამტკიცებდნენ: სუითინი მეტისმეტად ზორბად გამოიყურებოდა მუხლებამდე შარვალშიო. სომსს გაახსენდა, როგორ ოცნებობდა დედამისი, წარედგინათ იმ პირთან, რადგან ეს ცერემონია ფრიად და ფრიად სადღესასწაულო ყოფილა! სომსის მამა კი გადაჭრით შეეწინააღმდეგა მეუღლის სურვილს: ფულის და დროის ეს ამაო ფლანგვა არაფერს მოგვცემსო!

იმ ინსტინქტმა, რომლის წყალობითაც თემთა პალატამ მიიღო და შეინარჩუნა უზენაესი ხელისუფლება ბრიტანულ სახელმწიფოში, იმ განცდამ, რომ მათი საკუთარი სამყარო საკმარისად კარგია და ყველა სხვაზე უმჯობესიც, რადგან ეს მათი სამყაროა, - საშუალება მისცა ძველ ფორსაიტებს, არ დახარბებოდნენ "არისტოკრატულ ზიზილპიპილებს" (როგორც ნიკოლასი უწოდებდა მათ, როცა ნიკრისი შეაწუხებდა ხოლმე). სომსის თაობას, უფრო მეტად მიდრეკილს თვითანალიზისა და ირონი-

ისკენ, შველოდა აზრი მოკლეშარვლიან სუითინზე. რაც შეეხება მესამე და მეოთხე თაობებს, ისინი, როგორც ჩანს, ყველაფერს დასცინოდნენ განურჩევლად.

თუმცაღა, სომსი დიდ ზიანს ვერ ხედავდა იმ გამოუსწორებელ გარემოებაში, რომ ახალგაზრდა მონტი ბარონეტის ტიტულისა და მამულების მემკვიდრე იყო. აუღელვებლად ავიდა ვერანდზე იმ წამში, როდესაც მონტიმ ბურთი ვერ ჩააგდო. სომსმა შენიშნა, რომ ჭაბუკის მზერა მისჯაჭვოდა ფლერს, რომელიც თავისი დარტყმის განსახორციელებლად მაგიდაზე გადმოწვა. ამ მზერაში ამოკითხულმა თაყვანისცემამ სომსს თითქმის გული აუჩუყა.

ფლერმა კია მოქნილი ხელის მტევნის ჩაღრმავებაზე დაიდო, მერე თავი ასწია და მოკლედ შეკრეჭილი მუქყავისფერი თმა შეარხია.

- ვერ ჩავაგდებ.

- ვინც არ რისკავს, ის...

- მართალია!

კია ბურთს მოხვდა და ლუზისკენ გაასრიალა.

- აი, ბატონო!

- ასცდა! დიდი ამბავი!

ამ დროს დაინახეს სომსი, რომელმაც თქვა:

- თქვენი მარკიორი ვიქნები, - და მაღალ დივანზე დაჯდა მრიცხველის ქვეშ. ელეგანტური და დაღლილი, ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა ამ ორ სახეს. როცა პარტია დამთავრდა, მონტი მიუახლოვდა.

- აი, სერ, მე დავიწყე. გულის გამაწვრილებელია ყველა ეს "საქმე", არა? ალბათ, როგორც იურისტს, ბევრი დაკვირვება დაგიგროვდათ ადამიანური ბუნების შესახებ?

- დამიგროვდა.

- გითხრათ, რა შევამჩნიე? ადამიანები მცდარ გზას ირჩევენ, როცა ნაკლებ ანაზღაურებას სთავაზობენ, ვიდრე მიცემა შეუძლიათ. მეტი უნდა შესთავაზონ, მერე კი უკან დაიხიონ.

სომსმა წარბები აზიდა.

- მაგრამ თუ შეთავაზებას მიიღებენ?

- ეგ არაფერს ნიშნავს. უფრო მოგებიანია ფასის დაკლება, ვიდრე მომატება. ვთქვათ, ავტორს კარგი პირობები შევთავაზეთ და იმანაც, ბუნებრივია, ეს პირობები მიიღო. შემდეგ დავიწყეთ საქმე და აღმოვაჩინეთ, რომ ვერ ვახერხებთ წიგნის გამოცემას მნიშვნელოვანი მოგებით და ამას ავტორსაც ვეუბნებით. ის გვენდობა, რადგან მის მიმართ გულუხვობა გამოვიჩინეთ, კრავივით უდრტვინველად გვემორჩილება და იოტისოდენა გაწბილებასაც არ გრძნობს ჩვენ მიმართ. არადა, თავიდანვე ხისტი პირობები რომ წავუყენოთ, არ მიიღებს, ჰონორარის აწევა მოგვიწევს, აქაოდა, არ დავკარგოთო, რაც იმით მთავრდება, რომ საძაგელ ძუნწებად და ვაჭრებად გვნათლავს.

- აბა, სცადეთ სურათების ყიდვა ეგეთი სისტემით, - დაუბრუნა სომსმა, - მიღებული შემოთავაზება უკვე კონტრაქტია. ეს თუ გასწავლეს?

ახალგაზრდა კაცმა თავი მიაბრუნა ფანჯრისკენ, სადაც ფლერი იდგა.

- არა, - თქვა ამ დროს, - სამწუხაროდ, არ უსწავლებიათ. და, აი, კიდევ რა: ყოველთვის გაათავისუფლეთ ადამიანი კონტრაქტისგან, თუკი სურს, რომ გათავისუფლდეს.

- რეკლამისთვის? - მშრალად იკითხა სომსმა.

- დიახ, თუ გნებავთ. თუმცა მე ამას პრინციპად მოვიაზრებ.

- თქვენი გამომცემლობა ამ პრინციპით მოქმედებს?

- ჯერ არა. მაგრამ ეს მოვა.

- სამაგიეროდ ავტორები წავლენ.

- არა, სერ, ნამდვილად არ წავლენ. ამჟამად დაკვირვებებს ვაგროვებ, ბევრ დაკვირვებას, და ყველა ადასტურებს ჩემს თეორიას. საქმეებში მუდმივად სათანადოდ არ ვითვალისწინებთ ადამიანურ ბუნებას და ისინიც ამ დროს ბევრ სიამოვნებასა და მოგებას კარგავენ. რასაკვირველია, სრულებით ღიად და გულწრფელად უნდა მოქმედებდეთ. მაგრამ ეს რთული არ არის, თუ ასეთია თქვენი გრძნობები. რაც უფრო ჰუმანური და გულუხვი ხართ, მით მეტი შანსი გაქვთ საქმეებში.

სომსი წამოდგა.

- უკვე შეხვედით კომპანიაში?

- ჯერ არა. ექვსი თვის შემდეგ შევალ.

- დანარჩენმა კომპანიონებმა უნდა იჩქარონ და თავისი წილები უკან გაიტანონ.

მონტიმ გაიცინა.

- აი, ნახავთ, - თქვა თავის მხრივ, - დიდი ცვლილებები გვიახლოვდება. მესაკუთრული პრინციპი სულს ღაფავს.

- რაო?

- მაღაზია იხურება! შენობა ქირავდება! ნახვამდის, სერ, ჩემი წასვლის დროა.

სომსმა დაინახა, როგორ გაუწოდა მისმა ქალიშვილმა ხელი მონტს და როგორ შეეჭმუხნა სახე ჩამორთმევისას. ისიც აშკარად გაიგონა, როგორ ამოიოხრა ჭაბუკმა ზღურბლზე გადაბიჯების მომენტში. ფლერი ფანჯარას მოსცილდა და თითით ჩაუყვა წითელი ხისგან დამზადებულ ბილიარდის მაგიდას. სომსმა თვალი გააყოლა და მიხვდა, რომ ფლერს რაღაცის კითხვა უნდოდა. გოგონამ ბოლო ლუზსაც შემოუარა და მამას შეხედა.

- მამა, რამე ხომ არ ქენი ისეთი, რომ ჯონს აღარ მოეწერა ჩემთვის?

სომსმა თავი გააქნია და უთხრა:

- ესე იგი, არ წაგიკითხავს გაზეთში? მამა გარდაეცვალა. ზუსტად ერთი კვირის წინ.

- ოჰ! - ფლერის შეცბუნებულ-შეჭმუხნილმა სახემ აირეკლა მომენტალური ძალისხმევა იმის მისახვედრად, რა მოჰქონდა მისთვის ამ ახალ ამბავს.

- საბრალო ჯონი! რატომ აქამდე არ მითხარი, მამა?

- რა ვიცი, - ჩუმად თქვა სომსმა, - შენ ხომ არ მენდობი.

- მოგენდობოდი, ჩემი დახმარების სურვილი რომ გქონოდა.

- იქნებ ვიქონიო.

ფლერმა ხელები შეაერთა.

- ოჰ, ძვირფასო! როდესაც რაღაც მთელი არსებით გწადია, სხვებზე არ ფიქრობ. ნუ გამიბრაზდები!

სომსმა ისე გაიშვირა ხელი, თითქოს ცილისწამებას იშორებსო.

- მე ვფიქრობ (რამ აიძულა ასე საზეიმოდ გამოეთქვა ეს ფრაზა?). მონტი ისევ არ გასვენებს?

ფლერს გაეღიმა.

- ოჰ, მაიკლი! ის არასოდეს მასვენებს. მაგრამ ძალიან საყვარელია და, ჯანდაბას მაგისი თავი, რაც უნდა, ის ქნას.

- კარგი, დავიღალე, - თქვა სომსმა, - ცოტას წავუძინებ სადილის წინ.

გალერეაში ავიდა, დივანზე მიწვა და თვალები დახუჭა. აშინებდა პასუხისმგებლობა თავისი გოგონასადმი, რომლის დედაც იყო... მართლაცდა, ვინ იყო დედამისი? საშინელი პასუხისმგებლობა! დაეხმაროს? როგორ უნდა დაეხმაროს? იმ ფაქტს ვერ შეცვლის, რომ მისი მამაა, ვერც იმას, რომ აირენი... რა თქვა დღეს იმ ბიჭმა? რაღაც სისულელე მესაკუთრულ ინსტინქტთან დაკავშირებით: მაღაზიის დაკეტვა, გაქირავება? აბდაუბდა!

გრაკლას, მდინარისა და ვარდების სუნით გაჯერებული ხვატიანი ჰაერი გრძნობებს უფუთავდა და უძინებდა.

თავი მეხუთე

აკვიატებული იდეა

"აკვიატებული იდეა" - ყველაზე ღვარძლიანი მფლანგველი სხვა სულიერ სნეულებათა შორის - არასოდეს მჟღავნდება ისე მხურვალედ, როგორც მაშინ, როდესაც სიყვარულის გაუმაძღარ სახეს იღებს ხოლმე. მესრეგია თუ კარები, ადამიანები, რომლებიც არ დაუმძიმებია აკვიატებულ თუ რამე სხვა იდეას, ბავშვის ეტლები და მისი მგზავრები, გულდასმით რომ წოვენ თავიანთ აკვიატებულ იდეას, სხვა ტანჯულები შეპყრობილი ამ შეუპოვარი სნეულებით, - არაფერ ამის შემჩნევა სიყვარულის აკვიატებულ იდეას არ სურს. ის მიქრის შიგნით, საკუთარი სინათლის წყაროსთვის მიპყრობილი თვალებით, და სხვა არც ერთი მნათობი აღარ ახსოვს. ადამიანები ატანილი არიან აკვიატებული იდეით, რომ კაცობრიობის ბედნიერებისთვის გარდაუვალია მათი ხელოვნება, ძაღლების ვივისექცია, უცხოელების სიძულვილი, საგანგებო გადასახადის გადახდა, ის, შეინარჩუნებენ თუ არა მინისტრის პოსტს, ატრიალებენ თუ არა ბორბლებს ან ხელს უშლიან თუ არა მეზობლებს განქორწინებაში, სამხედრო სამსახურის უარყოფა, ბერძნული ზმნები, საეკლესიო დოგმა, პარადოქსები, მათი აღმატება ყველა სხვა მონომანიით დაავადებულ ადა-

მიანზე, - ყველა ეს ადამიანი არამდგრადია იმასთან შედარებით, ვინც შეპყრობილია თავისი რჩეულის დაუფლების იდეით. და, მართალია, იმ გრილ დღეებში ფლერი ეწეოდა გაფანტულ ცხოვრებას ნორჩი მის ფორსაიტისა, ვისი კაბების საფასურს სიტყვის შეუბრუნებლად იხდიდნენ და ვისი საქმიანობაც სიამოვნების მიღება იყო, - ამის მიუხედავად, ამ ყველაფერთან ფლერს "ღმერთი, რჯული" (როგორც მოდურად იტყოდა უინიფრიდი) არაფერი ესაქმებოდა. მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ მისწვდომოდა თემზის ან გრინპარკის თავზე მიმცურავ მთვარეს, როცა ქალაქში მიდიოდა. ჯონის წერილები ვარდისფერ აბრეშუმში შეახვია და გულთან ინახავდა. ჩვენს დღეებში, როცა კორსეტები ასე დადაბლებულა, გრძნობებს ზიზღით უყურებენ და მკერდი სრულებით აღარ არის მოდაში, ნამდვილად ვერსად მოიძებნებოდა ფლერის იდეის აკვიატებულობის უკეთესი მტკიცებულება.

როცა მამამისის სიკვდილი შეიტყო, ჯონს წერილი მისწერა და სამი დღის შემდეგ, მდინარეზე სეირნობიდან დაბრუნებულს, მისგან მოსული პასუხიც დახვდა. ჯუნის სახლში მომხდარი შეხვედრის შემდეგ ეს პირველი წერილი იყო ჯონისგან. წერილის გახსნისას წინათგრძნობები სტანჯავდა, კითხვის დროს - საშინელების განცდა.

"მას შემდეგ, რაც შეგხვდი, ყველაფერი შევიტყვე წარსულის შესახებ. არ დავიწყებ იმის გადმოცემას, რაც გავიგე. ვგონებ, შენ ეს უკვე იცოდი მაშინ, ჯუნის სახლში რომ შევხვდით: იცოდაო, ამბობს. თუ ასე იყო, ფლერ, ჩემთვისაც უნდა გეამბნა. მაგრამ, შესაძლოა, მხოლოდ მამაშენისეული ვერსია იცოდი, მე კი

დედაჩემის ვერსია ვიცი. ის, რაც მოხდა, საზარელია. ახლა, როდესაც დედა ასეთ მწუხარებაშია, ახალ ტკივილს ვეღარ მივაყენებ. რაღა თქმა უნდა, დღისით და ღამით მენატრები, მაგრამ ახლა აღარ მჯერა, რომ ოდესმე შევძლებთ შევერთდეთ: მეტისმეტად ძალუმი რამ გვთიშავს ერთმანეთისგან".

მაშ, ასე! ფლერის სიცრუე გამოაშკარავდა. თუმცა ჯონმა აპატია: ფლერმა ეს იგრძნო. გული ეწურებოდა და მუხლები ეკვეთებოდა. ამის მიზეზი იყო ჯონის სიტყვები დედამისთან დაკავშირებით.

პირველ იმპულსად ფლერს პასუხის მიწერა მოუვიდა, მეორედ - არმიწერა. ეს ორი იმპულსი გაუთავებლად ენაცვლებოდა ერთმანეთს სასოწარკვეთის ზრდის კვალდაკვალ. შემთხვევით არ იყო ფლერი მამამისის შვილი: განუხრელი შეუპოვრობა, რომელმაც დიდი ხნის წინ სომსი გამოსჭედა და გაანადგურა, ფლერის ხასიათის ხერხემალიც იყო, მორთულ-მოკაზმული ფრანგული გრაციითა და სიმკვირცხლით. ზმნას "ქონა" ფლერი ინსტინქტურად აუღლებდა ნაცვალსახელთან "მე". ამის მიუხედავად, მან სასოწარკვეთის ყველა ნიშანი დამალა და მოჩვენებითი უზრუნველობით მიეძალა ათასგვარ გასართობს, რომლებიც შეეძლო მოეტანა მდინარეს ივლისის წვიმიან და ქარიან დღეებში. და ამქვეყნად არც ერთ ბარონეტს არასოდეს უგულებელუყვია საგამომცემლო საქმიანობა ისე, როგორც ფლერის ერთგულ აჩრდილს, მაიკლ მონტს.

სომსისთვის ფლერი გამოცანა იყო. თითქმის ტყუვდებოდა, გოგონას უზრუნველი მხიარულების შემყურე, - თითქმის, რადგან მაინც ამჩნევდა, რომ ფლერის თვალები უმოძრაოდ მიშტე-

რებიან სივრცეს და რომ გვიან ღამით მისი ფანჯრიდან ბალახზე ლამპის გამონაშუქი ეცემა. რაზე ფიქრობდა ფლერი გათენების წინ, როცა წესით და რიგით, უნდა სძინებოდა? სომსმა ვერ გაბედა, პირდაპირ დაესვა ფლერისთვის ეს შეკითხვა. საბილიარდოში იმ ხანმოკლე საუბრის შემდეგ კი ქალიშვილს მისთვის მეტი აღარაფერი უთქვამს.

სწორედ ამ მიჩუმათების პერიოდში მიიწვია ისინი უინიფრიდმა საუზმეზე, საუზმის შემდეგ "ფრიად გასართობ პატარა ოპერა-კომედიაზე" წასვლაც შესთავაზა და ისიც სთხოვა, ვინმე მეოთხეც გამოიყოლეთო. სომსმა, რომელიც თეატრისგან შორს იყო და წესად ჰქონდა არაფერი ენახა, ეს შემოთავაზება მიიღო, რადგან ფლერი სწორედაც საპირისპიროდ იქცეოდა, ანუ ყველაფერს ნახულობდა. ქალაქში ავტომანქანით გაემგზავრნენ და თან წაიყვანეს მაიკლ მონტიც, რომელიც ბედნიერებისგან მეშვიდე ცაზე იყო, იმდენად, რომ უინიფრიდს იგი "ძალიან კარგ ბიჭად" წარმოუდგა. "ღატაკთა ოპერამ" სომსი სრულებით შეაცბუნა: ყველა პერსონაჟი - ყოვლად უსიამოვნო, მთელი დადგმა - უკიდურესად ცინიკური. უინიფრიდი "დაინტრიგა", არც მეტი, არც ნაკლები, ოპერის... კოსტიუმებმა! მუსიკაც მოეწონა. წინადღეს მეტისმეტად ადრე მოუვიდა რუსულ ბალეტზე მისვლა და სცენაზე წაასწრო მომღერლებს, რომლებიც უკვე მთელი საათის განმავლობაში ფითრდებოდნენ და წითლდებოდნენ შიშისგან, რამე საზარელი დაუდევრობით მელოდია არ ჩავაგდოთო. მაიკლ მონტი აღტაცებული იყო მთელი დადგმისგან, სამივე ერთად კი იმას ცდილობდა, ფლერის აზრი გამოეცნო. მაგრამ ფლერის გონება სხვაგან ქროდა. მისი აკვიატებული იდეა რამ-

პასთან იდგა და მღეროდა დუეტს პოლი პიჩუმთან, იგრიხებოდა ფილჩთან, ცეკვავდა ჯენი დაივერთან, პოზებს იღებდა ლუსი ლოკიტთან, კოცნიდა, ეხვეოდა, მღეროდა მეკჰისთან ერთად. ფლერის ტუჩები იღიმოდა, ხელები ტაშს უკრავდა, მაგრამ ეს ძველი კომიკური შედეგრი იმაზე მეტად არ შეხებია, ვიდრე მაშინ შეეხებოდა, თანამედროვე "დაკვირვებასავით" სეტიმენტალურ-ცრემლიანი რომ ყოფილიყო. როდესაც ისევ ჩასხდნენ მანქანაში და შინისკენ დაიძრნენ, ფლერისთვის მტკივნეული იყო, რომ გვერდით მაიკლ მონტის ნაცვლად ჯონი არ ეჯდა. როცა მკვეთრ მოსახვევში ბიჭის მხარი თითქოსდა შემთხვევით შეეხო ფლერის მხარს, ამ უკანასკნელს გაუელვა: "ნეტავ ჯონის მხარი ყოფილიყო!". როცა თავისი მხიარული, ფლერის სიახლოვისგან მოგუდული ხმით მონტი რაღაცას ლაყბობდა და სიტყვები ძრავის გრუხუნის გავლით ფლერის ყურამდე აღწევდა, გოგონა ღიმილით პასუხობდა, თავისთვის კი ფიქრობდა: "ეს რომ ჯონის ხმა იყოს!" ერთხელ კი, როდესაც მონტიმ უთხრა: "ფლერ, ამ კაბაში თქვენ გამოცხადებული ცის ანგელოზი ხართ!", იმან უპასუხა: "ნუთუ? ასე მოგწონთ?", თავისთვის კი იფიქრა: "ნეტავ ჯონი მხედავდეს ამ კაბაში!"

ამ მგზავრობისას მომწიფდა ფლერის გადაწყვეტილება: რობინჰილში გამგზავრება და პირისპირ შეხვედრა ჯონთან. მანქანას ისე წაიყვანს, რომ არაფერს ეტყვის არც მამას და არც ჯონს. ათი დღე გავიდა მისი წერილის მოსვლიდან, მეტს ვეღარ დაელოდება. გადაწყვეტილებამ "ორშაბათს წავალ!" უფრო კეთილგანწყობილი გახადა მონტის მიმართ. ჰოდა, რადგანაც ფლერი რაღაცას ელოდებოდა, შეეძლო მოეთმინა და პასუხებიც

გაეცა. სადილზეც შეუძლია დარჩეს. მომდევნო შემოთავაზებაც გაისმის მისგან. გაუშვი, ეცეკვოს კიდეც, ხელი მოუჭიროს ხელზე, ოხვრა ამოუშვას, - რაც უნდა, ის ქნას. მხოლოდ მაშინ აბეზრებს თავს, როცა ფლერს თავის აკვიატებულ იდეას წყვეტს. შეეცოდა კიდევაც მონტი, რამდენადაც ვისიმე შეცოდების უნარი შესწევდა ასეთ მომენტში, საკუთარი თავის გარდა. სადილზე მონტი ჩვეულებრივზე უფრო თავშეუკავებლად ალაპარაკდა "მყარი ნიადაგების რღვევაზე". ფლერი მაინცდამაინც არ უსმენდა. სამაგიეროდ, მამამისი უსმენდა ყურადღებითა და ისეთი ღიმილით, რომელიც არდათანხმებას და თვით აღშფოთებასაც კი ნიშნავდა.

- უმცროსი თაობა თქვენსავით არ ფიქრობს, სერ. ასე არ არის, ფლერ?

გოგონამ მხრები აიჩეჩა: უმცროსი თაობა - ჯონია, რომლის აზრები ამ საკითხზე ფლერისთვის უცნობი იყო.

- ახალგაზრდები ჩემსავით იფიქრებენ, როცა ჩემს ასაკს მიაღწევენ, მისტერ მონტ. ადამიანის ბუნება არ იცვლება.

- ვუშვებ, რომ ეგრეა, სერ. მაგრამ აზროვნების ფორმები დროის კვალდაკვალ იცვლება. თვალის მიდევნება აზროვნების მოძველებული ფორმაა.

- ნუთუ? ზრუნვა საკუთარ სარგებელზე აზროვნების ფორმა კი არ გახლავთ, მისტერ მონტ, არამედ ინსტინქტი.

ჰო, თუ საქმე ეხება ჯონს!

- მაგრამ რა ვიგულისხმოთ "საკუთარ სარგებელში", სერ? აი, რა არის საკითხავი. საერთო სარგებელი მალე თითოეულის საკუთარ საქმედ იქცევა. ასე არ არის, ფლერ?

გოგონამ მხოლოდ გაიღიმა.

- თუ არადა, ისევ სისხლი დაიღვრება, - დააბოლოვა ჭაბუკმა.

- ადამიანები უხსოვარი დროიდან განსჯიან ასე.

- მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ საკუთრების ინსტინქტი გადაშენების გზაზეა?

- მე ვიტყოდი: უძლიერდება იმათ, ვისაც საკუთრება არ აქვს.

- მაგალითად, მე. მე გაუსხვისებელი უძრავი ქონების მფლობელი ვარ, თუმცა არ მჭირდება ის. თუნდაც ხვალ გააუქმონ მაიორატი.

- თქვენ უცოლო ხართ და არ გესმით, რას ამბობთ.

ფლერმა შენიშნა, რა საწყალობლად გადაინაცვლა მონტის თვალებმა მასზე.

- მართლა ასე ფიქრობთ, რომ ქორწინება... - დაიწყო მან.

- საზოგადოება შენდება ქორწინებაზე, - მოკუმული ბაგეებიდან გამოცრა სომსმა, - ქორწინებასა და მის შედეგებზე. ნუთუ გინდათ, რომ გააუქმოთ ის?

ახალგაზრდა მონტიმ დაბნეულად გაშალა ხელები. ფიქრიანი დუმილი ჩამოწვა სადილის მაგიდაზე, სადაც ალებასტრის ბურთიდან გამოსხივებული ელექტრონული სინათლე ფორსაიტების გერბიან (ხოხობი ბუნებრივ ფერებში) კოვზებს აბრწყინებდა. ფანჯრის მიღმა კი, მდინარეზე, მძიმე სინესტითა და ტკბილი სურნელებებით გაჟღენთილი საღამო წვებოდა.

"ორშაბათს, - ფიქრობდა ფლერი, - ორშაბათს".

თავი მეექვსე

სასოწარკვეთა

მწუხარე და ცარიელი კვირები დაუდგა მამის სიკვდილის შემდეგ ამჟამად არსებულ ერთადერთ ჯოლიონ ფორსაიტს. გარდაუვალი ფორმალობები და ცერემონიები: ანდერძის კითხვა, ქონების შეფასება, მემკვიდრეობის გაყოფა. ეს ყველაფერი არასრულწლოვანი მემკვიდრის დაუსწრებლად განხორციელდა. მიცვალებულის სხეული კრემატორიუმში დაწვეს. გარდაცვლილის ნების თანახმად, მის დაკრძალვას არავინ ესწრებოდა, არავის ჩაუცვამს ძაძები ჯოლიონისთვის. მისი მემკვიდრეობა, გარკვეულწილად გაკონტროლებული პაპა ჯოლიონის ანდერძით, უტოვებდა აირენს რობინჰილსა და ორი ათას ხუთასი გირვანქის ოდენობის წლიურ შემოსავალს. სხვა ყველაფერში ორივე ანდერძი ერთად მოქმედებდა და ჯოლიონის სამივე შვილისგან თითოეულისთვის უზრუნველყოფდა თანაბარ წილს მამის და პაპის ქონებიდან როგორც მომავალში, ისე აწმყოში. ოღონდაც ჯონი, ძლიერი სქესის პრივილეგიით, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თავიანთი კაპიტალის თავისუფლად განკარგვის უფლებას იღებდა, მაშინ, როდესაც ჯუნი და ჰოლი მხოლოდ ჩრდილს იღებდნენ თავ-თავისი კაპიტალიდან, რათა ეს უკანასკნელი მათ

შვილებს გადასცემოდა. იმ შემთხვევაში, თუ შვილები არ ეყოლებოდათ, ყველაფერი გადაეცემოდა ჯონს, თუკი ის თავის დებზე უფრო დიდხანს იცოცხლებდა. რამდენადაც ჯუნი უკვე ორმოცდაათი წლის იყო, ჰოლი კი ორმოცს უახლოვდებოდა, ამდენად იურიდიულ სამყაროში მიიჩნევდნენ, რომ, თუ არა საშემოსავლო გადასახადის სიშმაგე, ახალგაზრდა ჯონი თავისი სიკვდილის მომენტისთვის პაპამისივით მდიდარი იქნებოდა. ეს ყველაფერი არაფერს ნიშნავდა თვით ჯონისთვის და ცოტას - დედამისისთვის. ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჯოლიონისთვის (რომელმაც თავისი საქმეები სრულ წესრიგში დატოვა), გააკეთა ჯუნმა. როდესაც ის გაემგზავრა და დედა-შვილი ისევ მარტო დარჩა დიდ სახლში პირისპირ სიკვდილთან, რომელიც აახლოებდა მათ, და სიყვარულთან, რომელიც თიშავდა, დღე-ღამეები ჯონისთვის მტანჯველად გაიწელა. უჩუმრად გულაცრუებული იყო თავის თავში, სძაგდა საკუთარი არსება. დედა მომთმენი სევდით უყურებდა, სევდით, რომელსაც რაღაც გაუცნობიერებელი სიამაყეც ერთვოდა, თითქოს ბრალდებული უარს ამბობდა დაცვაზე. როდესაც დედა იღიმებოდა, ჯონს აშმაგებდა, რომ მისი საპასუხო ღიმილი მწირი იყო და ნაძალადევი. არ საყვედურობდა დედამისს და არ განსჯიდა: ის ყველაფერი იმდენად შორს იყო, რომ აზრადაც არ მოსდიოდა მისი განსჯა. არა! მაგრამ მისი ღიმილი იმიტომ იყო მწირი და ნაძალადევი, რომ დედის მიზეზით უარი უნდა ეთქვა გულით სასურველზე. დიდ შვებად მოევლინა ჯონს ზრუნვა მამამისის სიკვდილის შემდგომ სახელზე, ზრუნვა, რომელსაც მშვიდად ვერ მიანდობდი ჯუნს, თუმცა ეს უკანასკნელი ყველაფრის თავის თავზე აღებას სთავაზობდა.

ჯონიც და დედამისიც გრძნობდნენ, რომ თუ ჯუნი წაიღებდა მამას საქაღალდეებს, გამოუფენელ ნახატებს და დაუმთავრებელ ნამუშევრებს, მათ ყველას ისეთი ცივი შეხვედრა ელოდა პოლ პოსტისა თუ ჯუნის სახელოსნოს სხვა მუდმივი სტუმრის მხრიდან, რომ თვით ჯოლიონის ქალიშვილის თბილ გულშიც კი გაიყინებოდა ყოველგვარი სიყვარული ამ ნამუშევრების მიმართ. თავის ძველმოდურ სტილში და თავისებურად, ჯოლიონს კარგი ნახატები ჰქონდა, მისი შვილისა და ქვრივისთვის მტკივნეული იქნებოდა მათი მიცემა გასაქილიკებლად. ჯოლიონის ნამუშევრებისთვის საგანგებო გამოფენის მოწყობა: აი, ის მინიმალური მისაგებელი, რომელიც უნდა მიეგოთ კაცისთვის, რომელიც უყვარდათ. გამოფენის მომზადებაში ბევრი საათი გაატარეს ერთად. ჯონი გრძნობდა, რა უცნაურად ეზრდებოდა პატივისცემა მამას მიმართ. ეტიუდები და ესკიზები ამხელდა მშვიდ შეუპოვრობას, რომლითაც მხატვარმა განავითარა თავისი მოკრძალებული ნიჭი და რაღაც ჭეშმარიტად ინდივიდუალურად აქცია. ძალიან ბევრი ნამუშევარი იყო. მათ კვალდაკვალ ცნაურდებოდა მხატვრის განუხრელი ზრდა, რაც ჩანდა ხედვის გაღრმავებაში, უფრო და უფრო მრავლისმომცველ აღქმაში. რასაკვირველია, ძალიან დიდი სიღრმეებისა და სიმაღლისთვის ჯოლიონს არ მიუღწევია, მაგრამ მის წინ დასმულ ამოცანებს ბოლომდე წყვეტდა: გაცნობიერებით, დასრულებულად, კეთილსინდისიერად. და როცა იხსენებდა, როგორი "მიუკერძოებელი" იყო მამამისი, როგორ არ ესწრაფოდა თვითდამკვიდრებას, რა ირონიული თავმდაბლობით ლაპარაკობდა თავის ძიებებზე, როდესაც თავს ყოველთვის "დილეტანტად" მოიხსენიებდა, ჯონი

უნებლიეთ მიდიოდა იმის შეგნებამდე, რომ სიღრმისეულად არასოდეს ესმოდა მამამისის. აღიქვამდე საკუთარ თავს სერიოზულად, მაგრამ არასდროს მოახვიო ეს აღქმა სხვებს: აი, როგორც ჩანს, რა იყო ჯოლიონის ამოსავალი პრინციპი. ეს ჯონში გამოძახილს პოვებდა და აიძულებდა, მთელი გულით დასთანხმებოდა დედის შენიშვნას: "ის ჭეშმარიტად კულტურული ადამიანი იყო. რაც უნდა ეკეთებინა, არ შეეძლო არ ეფიქრა სხვებზე. და თუ მაინც უნდა მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აიძულებდა სხვების წინააღმდეგ სვლას, ამას მეტისმეტად გამომწვევად არ აკეთებდა, ანუ არა თანამედროვე სტილში. მართალია, ცხოვრებაში ორგზის მოუხდა ყველას წინააღმდეგ სვლა, მაგრამ მაინც არ გააფთრებულა ამის გამო". ჯონი ხედავდა, როგორ ჩამოუგორდა ცრემლები აირენს სახეზე, რომელიც იმწამსვე მიაბრუნა. თავის დანაკარგს ის მშვიდად ატარებდა. ჯონს ხანდახან ისიც კი მოსჩვენებია, რომ დედა არც ისე ღრმად განიცდიდა მამის გარდაცვალებას. ახლა კი დედას უყურებდა და ესმოდა, რამდენად ჩამორჩებოდა მას თავშეკავებაშიც და იმის ცოდნაშიც, თუ როგორ შენარჩუნებოდა ღირსება ორივეს: მამასაც და დედასაც. ჩუმად მიუახლოვდა და ხელები მოხვია წელზე. იმან სწრაფად, თუმცა მგზნებარედ აკოცა და ოთახიდან გავიდა.

სტუდია, სადაც ისინი საქაღალდეებს არჩევდნენ და იარლიყებს აკრავდნენ, ოდესღაც ჰოლის საკლასო ოთახი იყო. აქ ის უვლიდა თავის აბრეშუმის ჭიებს, ჰერბარიუმს, ეუფლებოდა მუსიკას და სხვა სასწავლო საგნებს. ახლა, ივლისის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრები ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს უყურებდა, თბილი, თვლემის მომგვრელი ჰაერი ოთახში ფერგა-

დასული იასამნისფერი ტილოს ფარდების გავლით შემოდიოდა. გარდაცვლილი დიდების სუსხის შესარბილებლად, - ოქროსფერი და გარდასული ველის დიდებისა იმ ოთახში, რომელიც პატრონმა უკვე დატოვა, - აირენმა საღებავებით მოთხვრილ მაგიდაზე ვარდებიანი ლარნაკი დადო. ვარდები და ჯოლიონის საყვარელი კატა, რომელიც ისევ და ისევ ეტმასნებოდა მიტოვებულ ოთახს, გულის გამხარებელ ლაქად გამოიყურებოდა აფუტკნულ და ქმუნვაჩამდგარ ოთახში. ჯონს, რომელიც ჩრდილოეთის ფანჯარასთან იდგა და მარწყვის თბილი სურნელით იდუმალად გაჟღენთილ ჰაერს ისუნთქავდა, მოახლოებული მანქანის ხმა შემოესმა. ალბათ მორიგი სისულელისთვის მოვიდნენ! რატომ არის ეს სუნი ასე მტკივნეული? ან, საერთოდ, საიდან მოდის, თუკი აქეთა მხრიდან სახლს მარწყვის კვლები არ ჩასდევს? მექანიკურად ამოიღო ჯიბიდან ფურცელი და რამდენიმე სტრიქონი დაწერა. მკერდში სითბო ეღვრებოდა. ხელისგულები გაუხახუნა ერთმანეთს. მალე ფურცელზე გამოჩნდა სტრიქონები:

ძალა თუ მექნა სიმღერის წერის,
გულს რომ დამიცხრობს - ისეთ სიმღერის,
მას მცირე-მცირე საგნებით შევქმნი:
წყლების დგაფუნით, ფრთების შრიალით,
ყვავილთ გვირგვინის ფურცვლა-ფრიალით,
წვიმის წვეთების შხაპუნით ნელით,
კატის კრუტუნით, ჩიტების ტრელით,
ყველა ჩურჩულით, რაც მე მსმენია,
როს ფოთლებს უვლის ქარი სტვენია,
შორს ჩაქროლილი ყველა ზუზუნით.

სიმღერას ისეთ ნაზსა და მსუბუქს,

როგორც მიმფრინავ პეპელას, ყვავილს.

როს დავინახავ, რომ იბადება,

მივცემ ფრენის და სიმღერის ნებას!

ჯერ კიდევ ფანჯარასთან იდგა და თავისთვის ლექსებს ბუტ-ბუტებდა, როცა გაიგონა, რომ სახელით დაუძახეს. შემობრუნე-ბულს ფლერი შერჩა ხელში. ამ მოულოდნელი ხილვით დამუნჯე-ბული ჯონი ადგილზე გაქვავდა. ამასობაში ფლერის ცოცხალი და ნათელი მზერა გულს უვსებდა. მერე რამდენიმე ნაბიჯი გა-დადგა მისკენ, მაგიდასთან შეჩერდა და თქვა:

- რა კარგია, რომ ჩამოხვედი!

ამის გაგონებაზე ფლერმა ისე დახუჭა თვალები, თითქოს ქვა ესროლესო.

- ვიკითხე, შინ იყავი თუ არა, - თქვა მან, - შემომთავაზეს, რომ ზემოთ ამოვსულიყავი. მაგრამ შემიძლია, წავიდე.

ჯონმა საღებავებით მოთხვრილი მაგიდის კიდე ჩაბღუჯა. ფლერის სახე, ფურჩალებიან კაბაში შემოსილი ფიგურა ისეთი ფოტოგრაფიული სიმკვეთრით ირეკლებოდა ჯონის გუგებში, რომ მაშინაც კი დაინახავდა, უეცრად მიწაში რომ დანთქმული-ყო.

- ვიცი, რომ მოგატყუე, ჯონ, მაგრამ ეს სიყვარულისგან ვქე-ნი.

- ჰო, ჰო, არა უშავს.

- წერილზე არ გიპასუხე. რა აზრი ჰქონდა? არაფერი იყო სა-პასუხო. ამის სანაცვლოდ, შენი მონახულება გადავწყვიტე, - და ფლერმა ორივე ხელი გაიწვდინა ჯონისკენ და ამანაც ჩაბღუჯა

ეს ხელები მაგიდის მეორე მხრიდან. რაღაცის თქმასაც შეეცადა, მაგრამ მთელი მისი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ გოგონას ხელები არ სტკენოდა, იმდენად ტლანქი ეჩვენებოდა თავისი ხელები და იმდენად მსუბუქი - ფლერისა.

- მართლა ასეთი საშინელია ის ძველი ამბავი? - იკითხა ფლერმა თითქმის გამომწვევად.

- ჰო.

ჯონის ხმაშიც გაისმა გამოწვევა.

ფლერმა ხელი უკან წაიღო.

- არ მეგონა, თუ დღევანდელობაში ჭაბუკები დედიკოს კალთას ებღაუჭებოდნენ.

ჯონმა ნიკაპი შემართა, თითქოს მათრახი გადაჰკრესო.

- უჰ, ეს უნებლიეთ წამომცდა! ასე არ ვფიქრობ! რაღაც საშინელება ვთქვი! - შესძახა ფლერმა და ბიჭთან მიირბინა, - ჯონ, ძვირფასო, სულაც არ ვფიქრობ ასე.

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

ფლერმა ორივე ხელი მხარზე დაადო ჯონს, ხელებს კი შუბლიც დააყრდნო. ქუდის ფარფლები ბიჭს ყელზე ეხებოდა და მან ამ ფარფლების თრთოლა იგრძნო, მაგრამ ჯონი რაღაც გახევებას შეეპყრო. ფლერი მის მხარს მოსცილდა და უკუდგა.

- კარგი. თუ არ გჭირდები, წავალ. არასოდეს მიფიქრია, რომ უარს იტყოდი ჩემზე.

- არა, არ მითქვამს! - შესძახა უეცრად სიცოცხლისკენ მობრუნებულმა ჯონმა, - არ შემიძლია. კიდევ ერთხელ ვცდი.

ფლერს თვალები აენთო და ჯონს მივარდა.

- მე შენ მიყვარხარ, ჯონ! ნუ უარმყოფ! თუ უარმყოფ, არ ვიცი, რას ვიზამ! მე ძალიან სასოწარკვეთილი ვარ. რას ნიშნავს მთელი წარსული ამასთან შედარებით?

ფლერი ჯონს მიეკრა, ის კი თვალებს, ლოყებს, ტუჩებს უკოცნიდა. კოცნიდა და, ამ კოცნის მიღმა, თავისი საძინებელი ოთახის იატაკზე მოფანტულ ხელნაწერიან ფურცლებს ხედავდა, მამის გათეთრებულ მკვდარ სახეს, სავარძელთან ჩაჩოქებულ დედას. ყურში კი ბავშვურ ტიტინად ჩაესმოდა ფლერის სიტყვები: "აიძულე! შემპირდი! ო, ჯონ, შეეცადე!" ჯონი თავს უცნაურად დაბერებულად გრძნობდა.

- გპირდები! - ამოთქვა ჯონმა, - ოღონდ... შენ არ გესმის.

- დედაშენს უნდა ცხოვრება წაგვიხდინოს. არადა, სულ იმიტომ, რომ...

- ჰო, რატომ?

ჯონის ხმაში ისევ გამოწვევა გაისმა და ფლერმა არ უპასუხა. გოგონას ხელები მაგრად შემოსჭდობოდა ბიჭს და ისიც პასუხობდა კოცნებზე. მაგრამ თვით ამ წუთშიც კი, როდესაც ჯონი ნებდებოდა, მის არსებაში შხამი მოქმედებდა, მამის წერილის შხამი. ფლერმა არ იცის, არ ესმის და, ალბათ, დედამისით განსჯის ყველაფერს: მტრის ბანაკიდან მოვიდაო! ასეთი მშვენიერია ფლერი, ასე უყვარს ჯონს, მაგრამ მის მკლავებშიც კი ახსენდება ჰოლის სიტყვები: "მომხვეჭელთა მოდგმიდან მოდის", და დედის სიტყვებიც: "ჩემო ძვირფასო ბიჭო, ჩემზე ნუ იფიქრებ, შენზე იფიქრე!"

როდესაც ფლერი მხურვალე სიზმარივით გაქრა, ჯონს თვალებში დაუტოვა თავისი სახება თვალებში, კოცნები - ტუჩებზე,

მწვავე ტკივილი - გულში. ბიჭი ღია ფანჯარაში გადაიხარა და მიმავალი მანქანის ხმას მიაყურადა. ისევ იგრძნობოდა მარწყვის თბილი სურნელი, ისმოდა ზაფხულის მსუბუქი ხმები, რომლებითაც უნდა მოქსოვილიყო ჯონის სიმღერა. ივლისის ფართო, მთრთოლავ ფრთებში ჯერ კიდევ სუნთქავდა სიჭაბუკისა და ბედნიერების დაპირება. და ჯონის გულიც იფლითებოდა. მისი სურვილი არ მომკვდარა, არც იმედს დაუყრია ფარ-ხმალი, მაგრამ შერცხვენილი დგას და თვალები დაუხრია. მწარე ამოცანა აქვს გადასაჭრელი! ფლერი სასოწარკვეთილია, თვითონ ჯონი? ჯონი სასოწარკვეთით გაჰყურებს, როგორ ირწევიან ალვები, როგორ მიცურავენ ღრუბლები, როგორ თამაშობენ ბალახზე მზის სხივები. იდგა და ელოდებოდა.

მოსაღამოვდა. თითქმის მდუმარედ ისადილეს. დედამ როიალზე დაუკრა ჯონისთვის, ის კი ელოდა, თითქოს გრძნობდა, რომ დედამ იცოდა, რა სიტყვებს ელოდნენ მისგან. მერე აკოცა და ზემოთ ავიდა, ჯონი კი ისევ ფეხს ითრევდა, უთვალთვალებდა მთვარის შუქს და ღამის პეპლებს, ამ არარეალურ ტონებს, მალვით და თავისებურად რომ ფერავენ ზაფხულის ღამეს. ყველაფერს მისცემდა, რომ უკან, წარსულში დაბრუნებულიყო, სულ სამიოდე თვის წინანდელ დროში. ან კიდევ, მრავალი წლით გადაენაცვლა მომავალში. აწმყო თავისი ბნელი და სასტიკი არჩევანით შეუძლებელ რამედ მოჩანდა. რამდენადაც უფრო მძაფრად, იმდენად უფრო სწრაფად მიხვდა, რას გრძნობდა დედამისი. თითქოს მამის წერილში მოთხრობილი ამბავი მტრობის ციებ-ცხელებაში აღმოცენებული შხამიანი ჩანასახი იყო, ისე, რომ ჯონი რეალურად გრძნობდა ორი ბანაკის არსებობას. ერ-

თში შედიოდნენ ის და აირენი, მეორეში - ფლერი და სომსი. მესაკუთრეობისა და ქიშპობის ის ძველი ტრაგედია, მართალია, მკვდარია, მაგრამ მკვდარი საგნები შეიცავს შხამს, სანამ მათ დრო არ მოაშთობს. თვით მის სიყვარულსაც კი თითქოს ხრწნა შეეპარა: ნაკლები ილუზია დარჩა, მეტი მიწიერება. ამასთან ერთად, გამცემლური ეჭვიც ჩასაფრებულა: იქნებ ფლერსაც, მამამისის არ იყოს, ფლობა სურს? ეს არ იყო გამოკვეთილი აზრი, არამედ მხოლოდ მხდალი აჩრდილი, საზიზღარი და უღირსი, რომელიც ჯონის მოგონებების ცეცხლთან დაცოცავდა და თავისი სუნთქვით აფერმკრთალებდა იმ მომხიბლავი სახისა და სხეულის ცოცხალ მშვენიერებას. ეს ეჭვი არასაკმარისად რეალური იყო საიმისოდ, რომ ჯონი მის სინამდვილეში დარწმუნებულიყო, თუმცა, ამავე დროს, საკმარისად რეალურიც, რათა აბსოლუტური რწმენა აეფეთქებინა. ხოლო ჯონს, რომელსაც ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა, აბსოლუტური რწმენა სჭირდებოდა. ჯერ კიდევ იწვოდა ახალგაზრდობისთვის ნიშნეული წყურვილით - გაეცა ორივე ხელით და არაფერი აეღო სანაცვლოდ, მეგობარი გოგონასთვის ისეთივე სრული და უშუალო გულუხვობა მიეცა, როგორიც თვითონ იყო. რაღა თქმა უნდა, ფლერი კეთილშობილია და გულუხვი! ჯონი ფანჯრის რაფას მოსცილდა და გაიარ-გამოიარა დიდ, ნაცრისფერ, მოჩვენებით ოთახში, რომლის კედლებზე აკრული ქსოვილი ვერცხლისფრად ციმციმებდა.

როგორც მამა ამბობდა თავის სიკვდილისწინა წერილში, ეს სახლი აშენდა ჯონის დედისთვის, რომელსაც აქ ფლერის მამასთან ერთად უნდა ეცხოვრა! ჯონმა ბინდბუნდში ხელი გაიშვირა,

თითქოს იმისთვის, რომ გარდაცვლილის მოჩვენებით ხელს ჩასჭიდებოდა. თითებს კუმშავდა, ვინძლო მამამისის თხელი, გარდაცვლილი თითები შეეგრძნო, მოეჭირა და დაერწმუნებინა, რომ მისი ვაჟი... რომ მისი ვაჟი მის მხარეზეა. გარეთ ვერგადმოდინებული ცრემლები თვალებს უწვავდა და უშრობდა. ფანჯარასთან დაბრუნდა. გარეთ უფრო თბილოდა, უფრო მანუგეშებელი იყო, ნაკლებად ჟრუანტელის მომგვრელი, ცაში სამი დღის ნაკლული ოქროსფერი მთვარეც ეკიდა. თავისუფალი ღამე სიმშვიდის გრძნობას იძლეოდა. ნეტავ ფლერს სადმე უკაცრიელ კუნძულზე შეხვედროდა, სადაც არავითარი წარსული არ იარსებებდა და სადაც სახლად თავად ბუნება ექნებოდათ! ჯონი ჯერაც დიდ პატივს სცემდა უკაცრიელ კუნძულებს, სადაც პურის ხე ხარობს, წყალი კი ლურჯად ციმციმებს მარჯნის რიფების თავზე. ღამე ღრმა იყო, თავისუფალი, მიმხმობი, თავისი ხიბლი ჰქონდა, თავისი დაპირება, თავშესაფარი ყოველგვარი ხლართისგან, თავისი სიყვარული! დედის კალთას ჩაბღაუჭებული ჩვილი! ჯონმა ფანჯარა მიხურა, დარაბები ჩამოსწია, სინათლე გამორთო და ზემოთ ავიდა.

მისი ოთახის კარი ღია იყო, სინათლე - ანთებული. აირენს ისევ საღამოს კაბა ეცვა და ფანჯარასთან იდგა.

- დაჯექი, ჯონ, ვილაპარაკოთ, - მიმართა შვილს. თვითონ სკამზე ჩამოჯდა, ჯონი - საწოლზე, საიდანაც დედას პროფილიდან ხედავდა. აირენის ფიგურის სილამაზე და გრაცია, შუბლის, ცხვირის, ყელის ნატიფი ხაზი, მისი უცნაური, თითქოსდა შორეული დახვეწილობა გულზე შეეხო ჯონს. ეს ქალი არასოდეს ყოფილა გარემომცველი სამყაროს წარმომადგენელი, - ამ სამ-

ყაროში სადღაც გარედან შემოდიოდა. რას ეტყვის ახლა ჯონს, რომელსაც ამდენი გამოუთქმელი რამ ჩარჩენია გულში?

- ვიცი, რომ დღეს ფლერი იყო. არ მიკვირს.

ამან ისე გაიჟღერა, თითქოს ნათქვამი ასე დაებოლოებინოს: "ის მამამისის შვილია!" და ჯონს გული დაეძაგრა. აირენი მშვიდად განაგრძობდა:

- მამის წერილი მე მაქვს. იმ დღეს ავკრიფე და შევინახე. ხომ არ დაგიბრუნო, საყვარელო?

ჯონმა თავი გააქნია.

- სანამ შენ გადმოგცემდა, რასაკვირველია, წავიკითხე. ძალიან შეუმცირებია ჩემი დანაშაული.

- დედა! - თავი ვერ შეიკავა ჯონმა.

- ყველაფერს ძალიან მსუბუქად გადმოსცემს, მაგრამ ვიცი, რომ უსიყვარულო გათხოვებით მე საზარელი საქციელი ჩავიდინე. უბედურმა ქორწინებამ შეიძლება სხვების ცხოვრებაც აბურდოს, არათუ მხოლოდ ჩვენი. შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ჩემო ბიჭუნა, ძალიან მოსიყვარულე. რას ფიქრობ, ბედნიერი თუ იქნებოდი იმ გოგონასთან?

ჯონი აირენის მუქ თვალებს ჩაჰყურებდა, ტკივილისგან კიდევ უფრო ჩამუქებულებს.

- ჰო, ჰო, ვიქნებოდი! შენ რომ შეგძლებოდა...

აირენს გაეღიმა.

- სილამაზით აღტაცება და ფლობის წყურვილი ჯერ კიდევ არ არის სიყვარული. რა მოხდება, შენც იგივე რომ დაგემართოს, რაც მე გადამხდა, ჯონ, როცა ყოველივე სანუკვარი ჩახშობილია: სხეულები ერთად, სულები - ცალ-ცალკე!

- რატომ, დედა, რატომ? შენ ფიქრობ, რომ ის მამას ჰგავს. არადა, არ ჰგავს. მე ვნახე ის კაცი.

აირენის ტუჩებს ისევ ღიმილი დაემჩნა და ჯონსაც რაღაც შეუტოკდა მკერდში: რამდენი ირონია და გამოცდილება იგრძნობოდა ამ ღიმილში!

- შენ იძლევი, ჯონ, ის იღებს.

ისევ ეს უღირსი ეჭვი, ეს დაურწმუნებლობა, უჩუმრად რომ დაგყვება ყველგან!

- არა, ის ასეთი არ არის, არ არის ასეთი... - თქვა ჯონმა მხურვალედ, - მაგრამ მე... მე ვერ მოგაყენებ ამხელა ტკივილს ახლა, როდესაც მამა... - და ჯონმა მუშტები მიიდო საფეთქლებზე.

აირენი წამოდგა.

- იმ ღამეს ხომ გითხარი, ძვირფასო: ჩემზე ნუ ფიქრობ, შენს თავზე იფიქრე-მეთქი. ეს გულითადად გითხარი. იფიქრე შენზე და შენს ბედნიერებაზე! იმასაც გადავიტან, რაც გადასატანი დამრჩა, მაინც მე თვითონ დავიტეხე თავზე ეს ყველაფერი.

- დედა! - ისევ წამოსცდა ჯონს.

აირენი მივიდა და ხელები ხელისგულებზე დაუწყო.

- თავი ხომ არ გტკივა, ძვირფასო?

ჯონმა თავი გააქნია, არაო. რასაც ის გრძნობდა, მკერდში ხდებოდა, ზუსტად იქ, სადაც ორი სიყვარული ორად ფხრეწდა რომელიღაც ქსოვილს.

- როგორც უნდა მოიქცე, ყოველთვის უწინდებურად მეყვარები, ჯონ. არაფერი დაგეკარგება.

დედამ მსუბუქად გადაუსვა ხელი თმაზე და გავიდა. ჯონმა გაიგონა, როგორ მიიხურა კარი. თვითონ პირქვე დაემხო სა-

წოლს - სუნთქვაშეკრული, პირთამდე სავსე ზღვრულად დაძაბული საშინელი გრძნობით.

თავი მეშვიდე

მისია

როცა ჩაიზე ფლერი მოიკითხა, სომსმა შეიტყო, რომ გოგონა ორი საათისთვის შინიდან გასულა და სადღაც გამგზავრებულა მანქანით. მას შემდეგ მთელი სამი საათი გავიდა! ნუთუ ლონ-დონში გაემგზავრა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთხრა მამას? სომსი ვერა და ვერ შეურიგდა ავტომანქანებს. პრინციპულად იღებდა მათ, როგორც დაბადებით ემპირიკოსი ან როგორც ფორსაიტი, რომელიც პროგრესის ყოველ ახალ გამოვლენას ხვდებოდა სულ ერთი და იმავე სიტყვებით: "რას იზამ! უამისო-დაც ვერ გახვალ ფონს". რეალურად კი მანქანებს მეტისმეტად სწრაფ, დიდ და მყრალ რამედ მიიჩნევდა. ანეტის მოთხოვნით, იძულებული შეიქნა შეეძინა კომფორტული როლჰარდი, მარგალიტოვან-რუხი სავარძლებით, ელექტრული ნათურებით, პატარა სარკეებით, საფერფლეებით, საყვავილე ლარნაკებით (ამ ყველაფერს ბენზინისა და სუნამოს სუნი უდიოდა), თუმცა ისე უყურებდა მანქანას, როგორც ოდესღაც - მონტეგ დარტის. მანქანა მისთვის განასახიერებდა ყოველივე სწრაფს, არასაიმე-დოსა და ფარულზეთოვანს, რაც კი ნიშნეული იყო თანამედრო-ვე ცხოვრებისთვის. მაშინ, როდესაც ეს ცხოვრება უფრო და უფ-რო ჩქარდებოდა, უფრო იშვებდა სადავეს და უფრო ახალგაზ-

რდავდებოდა, სომსი, პირიქით, უფრო იზრდებოდა, უფრო აუჩ-ქარებელი და შინაგანად უფრო აკრეფილი ხდებოდა; აზრითაც და მეტყველებითაც მეტად და მეტად ემსგავსებოდა მამამის ჯეიმსს და თითქმის თვითონვე აცნობიერებდა ამას. ტემპები და პროგრესი სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად მოსდიოდა თვალში. გარდა ამისა, ავტომანქანით სიარული ხომ საკუთარი ქონების საქვეყნოდ გამოფენას ნიშნავდა, ეს კი სომსს არცთუ უსაფრთხოდ მიაჩნდა მუშების დღევანდელი განწყობიდან გამომდინარე. ჰქონდა ერთხელ შემთხვევა, როდესაც მისმა მძღოლმა რომელიღაც მუშის ძაღლს - მის ერთადერთ ქონებას გადაუარა. სომსს არ დავიწყებია, როგორ იქცეოდა პატრონი, თუმცა, სომსის ადგილზე, ცოტა ვინმე თუ შეყოვნდებოდა ასეთ წვრილმანებზე. სომსს შეებრალა ძაღლი და მზად იყო, მისი მხარე დაეჭირა ავტომობილის საწინააღმდეგოდ, რომ არა ამ ძაღლის პატრონის ყოვლად უტიფარი ქცევა.

უკვე მეხუთე საათი ილეოდა, რაც ფლერი არ ჩანდა, და ავტომობილთან დაკავშირებული ყველა გრძნობა, რომლებიც ოდესმე გადაუტანია სომსს პირდაპირ თუ ირიბად, ახლა ერთად აითქვიფა მასში და გულს უფანცქალებდა. შვიდ საათზე საქალაქთაშორისო ტელეფონით დას დაურეკა. არაფერი! გრინსტრიტზე ფლერს არ შეუვლია. მაშინ სად არის? სომსს საშინელი კატასტროფების ხილვები აეკვიატა: მისი საყვარელი გოგონა ბორბლებქვეშ წევს, ფურჩალებიანი კაბა ერთიანად სისხლში და მტვერში ამოსთხვრია. სომსი ფლერის ოთახში გავიდა და მალულად დაათვალიერა მისი ნივთები. ჩემოდანი არ წაუღია, არც ძვირფასეულობა. ამან სომსს ზოგიერთი ეჭვი დაუშოშმინა, სა-

მაგიეროდ გაუზარდა ეჭვი უბედური შემთხვევის მიმართ. რა საშინელია ასეთი უმწეო ლოდინი, როცა შენი საყვარელი არსება იკარგება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვერც გახმაურებას და ალიაქოთს იტან! როგორ მოიქცეს, თუ ღამემდე არ დაბრუნდება?

რვის თხუთმეტ წუთზე მანქანის ხმა მოესმა. თითქოს გულიდან ვეებერთელა ტვირთი ჩამოხსნეს, სომსი აჩქარებით ჩავიდა ქვემოთ. მანქანიდან გადმოვიდა ფლერი - ფერმკრთალი სახით, დაღლილი იერით, თუმცა მრთელი და უვნებელი. მამა ჰოლში შეხვდა.

- ძალიან მანერვიულე. სად იყავი?

- რობინჰილში. მაპატიე, ძვირფასო, მაგრამ წასვლა მომიხდა. მერე მოგიყვები.

ფლერმა სასწრაფოდ აკოცა და თავისთან გაიქცა. სომსი სასტუმრო ოთახში დაელოდა. რობინჰილში წასულა! რას მოასწავებს ეს?

სადილზე ამ თემას ვერ წამოიწყებდნენ - ანგარიში უნდა გაეწიათ ლაქიის იჭვნეული ხასიათისთვის. მღელვარება, რომელიც სომსმა გადაიტანა, და სიხარული, რომ გოგონა ცოცხალი იყო და უვნებელი, ძალას ართმევდა, განესაჯა ფლერი ამ საქციელისთვის, ან წინააღმდეგობა გაეწია იმისთვის, რის გაკეთებასაც ამიერიდან მისი გოგონა აპირებდა. ამიტომაც იჯდა ამ თავის მოდუნებულ სიმუნჯეში და ფლერის აღსარებას ელოდა.

ცხოვრება საშინელი რამეა! აი, უკვე სამოცდახუთამდე მიაღწია, აქედან ორმოცი წელი იმაში გაატარა, რომ თავის უზრუნველსაყოფ შენობას იშენებდა. მაგრამ მაინც ვერ აკონტროლებს

საგანთა სვლას! ყოველთვის შეიძლება ამოხტეს რაღაც, რასაც ვერ შეურიგდება. სმოკინგის ჯიბეში ანეტისგან მოსული წერილი ედო: ორ კვირაში ჩამოვდივარო. სომსს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას აკეთებდა ანეტი იქ. და უხაროდა, რომ არ ჰქონდა. მისი არყოფნა სომსისთვის შვება იყო. შორს თვალებიდანაც და აზრებიდანაც! ახლა კი ბრუნდება. კიდევ საზრუნავი აკლდა სომსს! ბოლდერბის მამა - კრომიც ხელიდან დაუსხლტა და დუმეტრიუსის თათებში მოხვდა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ანონიმური წერილის მიღებამ ბოლდერბიც გადაავიწყა და სურათიც. მალულად შეამჩნია დაძაბული გამომეტყველება ფლერის სახეზე, თითქოს ისიც ისეთ სურათს უყურებდა, რომელსაც ვერ იყიდდა. სომსს თითქმის სწყინდა, რომ ომი დამთავრდა. ომის დროს მღელვარებები ნაკლებად ეხება ადამიანს. ფლერის ალერსიანი ხმის მსმენელმა, მისი გამომეტყველების შემხედვარე სომსმა იცოდა, რომ ქალიშვილს რაღაც უნდოდა მისგან, თუმცა არ იცოდა, გონივრული საქციელი იქნებოდა თუ არა ამ რაღაცის მიცემა. სომსმა ყველიანი თეფში ხელუხლებლად მისწია უკან და ფლერთან ერთად - კამპანიისთვის - პაპიროსიც კი გააბოლა.

სადილის შემდეგ ფლერმა ელექტრული პიანოლა ჩართო. როცა გოგონა პატარა, რბილ სკამზე ჩამოჯდა მამის ფეხებთან და მისი ხელი ხელებში მოიქცია, სომსს უბნელესი წინათგრძნობები შემოაწვა.

- ნუ გამიბრაზდები, ძვირფასო. ჯონი უნდა მენახა, მანამდე წერილი მივიღე მისგან. ეცდება, ზეგავლენა მოახდინოს დედამისზე. თუმცა მე ყველაფერი მოვიფიქრე. ეს, არსებითად, შენს

ხელშია, მამა. თუ დაარწმუნებდი, რომ ჩვენი ქორწინება არანაირად არ ნიშნავს წარსულის მობრუნებას; რომ მე შენს ქალიშვილად ვრჩები, ის კი - მის ვაჟიშვილად; რომ შენ არც ჯონთან ესწრაფვი შეხვედრას, არც დედამისთან, ისევე, როგორც იმ ქალს არ დასჭირდება შეხვედრა შენთან ან ჩემთან! მხოლოდ შენ თუ დაარწმუნებ მას ამაში, ძვირფასო, რადგან ამ პირობის მიცემა შენ ერთს შეგიძლია. სხვის ნაცვლად პირობას ვერავინ დადებს. ნუთუ მეტისმეტად უხერხული იქნება შენთვის, ერთხელ, სულ ერთადერთხელ შეხვდე იმ ქალს ახლა, როდესაც ჯონის მამა გარდაიცვალა?

- მეტისმეტად უხერხული? - გაიმეორა სომსმა, - ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია!

- იცი, - თქვა ფლერმა ჩახრილი თვალებით, - სინამდვილეში, შენ სულაც არ ხარ მასთან შეხვედრის წინააღმდეგი!

სომსი დუმდა. ფლერის სიტყვებმა გამოთქვა იმდენად ღრმა სიმართლე, რომელსაც სომსი არც კი უშვებდა თავის ცნობიერებამდე. ფლერის თითები მის თითებს გადაეჭდო: გოგონას ცხელი, თხელი, მხურვალე თითები კაცის ცივ ხელში ჩაიჭრნენ. ის - მისი ქალიშვილია, ის ფრჩხილებით გაანგრევს აგურის კედელს.

- რა გზას დავადგე, მამა, თუ შენ არ დამთანხმდები? - თქვა ფლერმა ძალიან ლმობიერად.

- შენი ბედნიერებისთვის ყველაფერზე წავალ. მაგრამ ეს შენ ბედნიერს არ გაგხდის.

- ოჰ, შენ არ იცი! გამხდის!

- მხოლოდ და მხოლოდ ისევ აშლის და აფუნგნის ყველაფერს! - თქვა სომსმა პირქუშად.

- ისედაც აფუნგნულია ყველაფერი. ამჯერად უნდა დალაგდეს. იმ ქალმა უნდა დაგიჯეროს, რომ საქმე ეხება ჩვენს - ჩემს და ჯონის - ცხოვრებას; რომ ეს არ ეხება არც დედამისის ცხოვრებას, არც შენსას. შენ ეს შეგიძლია, მამა, ვიცი, რომ შეგიძლია.

- ასეთ შემთხვევაში, ძალიან ბევრი გცოდნია, - წარმოთქვა ისევ პირქუშად.

- თუ დაგვეხმარები, მე და ჯონი მოვიცდით ერთ წელს, თუ გინდა - ორს.

- ვფიქრობ, ჩემს გრძნობებს საერთოდ არ უწევ ანგარიშს, - ჩუმად თქვა სომსმა.

ფლერმა მისი ხელი ლოყაზე მიიდო.

- ვუწევ, ძვირფასო. მაგრამ შენ ხომ არ გინდა, რომ მე უკიდურესად უბედური ვიყო.

როგორ ლაქუცობს, რომ თავისი გაიტანოს! სომსი მთელი ძალებით ცდილობდა ერწმუნა, რომ ფლერი ნამდვილად ფიქრობდა მასზე, მაგრამ ვერ რწმუნდებოდა, ვერა და ვერა. მთელი მისი აზრები მხოლოდ და მხოლოდ იმ ბიჭს უტრიალებდა. რატომ უნდა დაეხმაროს ფლერს იმ ბიჭის მოპოვებაში, თუკი ის მამისადმი სიყვარულს უკლავს, რატომ? ფორსაიტების წესებით, ეს უაზრობაა! ამით ვერაფერს მოიგებს, ვერაფერს! იმ ბიჭს დაუთმოს ფლერი? გადასცეს მტრის ბანაკს, მოაქციოს იმ ქალის გავლენის ქვეშ, ასე ღრმად რომ შეურაცხყო სომსი?! ნელ-ნელა და გარდაუვლად, სომსი თავისი ცხოვრების ყვავილს დაკარგავს!..

უცებ ხელზე სინესტე იგრძნო და გული მტკივნეულად შეერხა: ფლერი ტიროდა. არა, ამას სომსი ვეღარ აიტანს. სწრაფად

დაადო მეორე ხელი გოგონას ხელს. მაგრამ ეს ხელიც დასწვა ზედ დაწვეთებულმა წვეთმა.

ასე ვერ გაგრძელდება!

- კარგი, კარგი, - უთხრა შვილს, - მოვიფიქრებ და გავაკეთებ, რასაც შევძლებ. დამშვიდდი.

თუ ეს სჭირდება ფლერის ბედნიერებას, ესე იგი, სჭირდება. სომსი უარს ვერ ეტყვის დახმარებაზე. და ახლა ფლერს მადლობების ფრქვევა რომ არ დაეწყო, სომსი წამოდგა და პიანოლასთან მივიდა: ძალიან ხმამაღლა უკრავს! სანამ უახლოვდებოდა, ფირფიტა დამთავრდა და ჩუმი შიშინით გაჩერდა. სომსს გაახსენდა ბავშვობის დროინდელი მუსიკალური ყუთი: "მელოდიური მჭედელი", "დიდებული ნავმისადგომი". ის ხომ ყოველთვის უბედურად გრძნობდა თავს, როცა დედამისი კვირაობით მუსიკას ჩართავდა ხოლმე. ახლაც იგივე ხდება, ოღონდ მუსიკალური ყუთი პიანოლამ შეცვალა... ისმის სიმღერები: "ველური, ველური ქალები!" და "პოლიციელის დღესასწაული", სომსს კი აღარ აცვია ლაჟვარდისფერსაყელოიანი შავი ხავერდის კოსტიუმი. "პროფონი მართალია, - გაუელვა სომსს, - არაფერი ამაში არ არის. ჩვენ საფლავისკენ მივდივართ!" ფიქრში წარმოთქვა ეს საოცარი აზრი და ოთახიდან გავიდა.

იმ საღამოს ფლერი აღარ უნახავს. მეორე დღეს კი, საუზმეზე, გოგონას თვალები მოუშორებლად დაჰყვებოდა ისეთი მოწოდებით, რომელსაც სომსი ვერც დაემალებოდა და არც ცდილობდა დამალვას. ჰო, გადაწყვიტა, რომ უნდა გაიაროს ნერვებისთვის მისჯილი ეს წამება. გაემგზავრება რობინჰილში, - იმ სახლში, რომელსაც ამდენი მოგონება უკავშირდება. უკანასკნე-

ლი საამური მოგონება: როცა იქ ჩავიდა, რათა განქორწინების მუქარით დაეშორებინა აირენი და ამ ბიჭის მამა. მას შემდეგ ხშირად მოსვლია აზრად, რომ თავისი ჩარევით მხოლოდ განამტკიცა მათი კავშირი. ახლა კი იმისთვის მიდის, რომ განამტკიცოს თავისი ქალიშვილის კავშირი მათ ვაჟთან. "არ ვიცი, რა ცოდვებისთვის დამატყდა თავს ასეთი უბედურებები!", ფიქრობდა სომსი.

ჯერ ლონდონში ჩავიდა, იქიდან მატარებელს გაჰყვა, სადგურიდან კი ფეხით აუყვა გრძელ თემშარას, რომელიც ამ ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილიყო. უცნაურია: ასეთ სიახლოვეში ქალაქთან! როგორც ჩანს, ყველა არ ჩქარობს მიწების გაყიდვას და თავიდან მოშორებას! ეს მსჯელობა ამშვიდებდა სომსს, რომელიც ნელა მიაბიჯებდა მაღალ მესრებს შორის, რათა არ გაოფლიანებულიყო, თუმცა გრილი დღე იდგა. რაც გინდა თქვი, მაგრამ მიწაში არის რაღაც რეალური და ნამდვილი, რასაც ადგილიდან ვერ დაძრავ. მიწა და კარგი სურათები! ფასები შეიძლება ცოტათი მერყეობდეს, მაგრამ, მთლიანობაში, სულ ზემოთ და ზემოთ იწევს. ამნაირი ქონება ხელიდან არ უნდა გაუშვა იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი არარეალური, იაფფასიანი, ცვალებადი მოდის ტყვეობაშია; სადაც ყველაფერი მოწამლულია განწყობით: "დღეს ცოცხლები ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით". ფრანგები, არსებითად, სწორად იქცევიან, გლეხურ მიწათმფლობელობას რომ ინარჩუნებენ, თუმცა ის, სომსი, არაფრად აგდებს ყოველივე ფრანგულს. ცოტაოდენი მიწა საკუთრებაში! არის ამაში რაღაც ჯანსაღი. ხშირად გაისმის, როგორ უწოდებენ მიწათმფლობელ გლეხებს "ჩლუნგ და ელამ მა-

სას". ერთხელ კი ახალგაზრდა მონტიმ საკუთარი მამა "მორნინგ პოსტის" ელამ მკითხველად მოიხსენია. არც ისე ცუდია იყო ელამი და "მორნინგ პოსტს" კითხულობდე. ამაზე უარესიც არსებობს. ავიღოთ თუნდაც პროფონი და მთელი მისი მოდგმა, ან კიდევ, ეს ახალგამოჩეკილი ლეიბორისტები, ეს მყვირალა პოლიტიკანები და "ველური, ველური ქალები!" ჰო, ბევრი სიმდარეა გარშემო.

უეცრად სომსმა სისუსტე იგრძნო, ციებ-ცხელებამ აიტანა და მუხლები აუკანკალდა. უბრალოდ, ნერვიული ფორიაქია შეხვედრის წინ! "ნერვები ანცობენ", იტყოდა მამიდა ჯული "ამაყი დოსეტიდან" მოხმობილი პასაჟით. ხეებს შორის უკვე გამოჩნდა სახლი, რომლის მშენებლობასაც ოდესღაც თვითონ მეთვალყურეობდა, რაკი აპირებდა თანაცხოვრებას ამ ქალთან, რომელიც, ბედის უცნაური ახირებით, იმავე სახლში დაბინადრდა სხვა კაცთან ერთად. სომსმა დაიწყო ფიქრი დუმეტრიუსზე, შიდა სესხსა და კაპიტალის დაბანდების სხვა შესაძლებლობებზე. ასეთი ნერვებაწეწილი ხომ ვერ შეხვდება აირენს, რომელსაც განკითხვის დღესავით მოევლინა მიწაზეც და ცაშიც: კანონიერი საკუთრების განსახიერება - განსახიერებას დანაშაულებრივი სილამაზისა! სომსის ღირსება მიუკერძოებლობას ითხოვს, რათა შეასრულოს დაკისრებული მისია - მათი შვილების შეერთება ურღვევი კავშირით, შვილების, რომლებიც, თუკი ეს ქალი სათანადოდ მოიქცეოდა, და-ძმა იქნებოდნენ. აჰ, ისევ ეს ავადსახსენებელი მელოდია. "ველური, ველური ქალები!" თითქოსდა ჯიბრზე არ შორდება თავიდან, რადგან, როგორც წესი, სომსს არასოდეს უტრიალებს თავში მელოდიები. როცა ალვების გასწვრივ მიაბი-

ჯებდა სახლის ფასადთან, სომსმა გაიფიქრა: "რამსიმაღლე გახდნენ! ესენი ხომ მე ჩავრგე!"

დარეკილ ზარზე კარი მოახლემ გააღო.

- მოახსენეთ: მისტერ ფორსაიტი, ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე.

თუ აირენი სტუმრის ვინაობას გაიგებს, სავსებით შესაძლებელია უარი თქვას მის მიღებაზე. "ჯანდაბას, - გაუელვა სომსს, რომელსაც ბრძოლის მოახლოება უფრო და უფრო ავეშებდა, - სულელური ჩანაფიქრი! ყველაფერი თავდაყირა დგება!"

მოახლე დაბრუნდა.

- ხომ არ დაასახელებს ჯენტლმენი საქმეს, რომლისთვისაც მოვიდა?

- ის ეხება მისტერ ჯონს, - უპასუხა სომსმა.

კიდევ ერთხელ დატოვეს ჰოლში თეთრ-ნაცრისფერი მარმარილოს აუზთან, რომლის აქ გაკეთების იდეა აირენის პირველ საყვარელს ეკუთვნის. ოჰ!

ცუდი ქალია, ცუდი: ორი მამაკაცი უყვარდა, სომსი კი არ უყვარდა! ეს უნდა ახსოვდეს, როცა კიდევ ერთხელ შეხვდება პირისპირ...

და უცებ ღიობში ორ მძიმე, მეწამულ პორტიერს შორის თითქოსდა ფიქრში შემდგარი აირენი დაინახა. ისეთივე მეფური ტანადობა, ხაზების ისეთივე სრულყოფილება, მრუმე თვალებში ჩამდგარი ისეთივე გაოცებული სერიოზულობა, ისეთივე მშვიდი თავდაცვა ხმაში:

- ხომ არ შემოხვიდოდით?

სომსი შევიდა. როგორც მაშინ გამოფენაზე, როგორც იმ საკონდიტროში, ახლაც ეს ქალი სომსს ისევ მშვენიერი ეჩვენა. და პირველად, სულ პირველი დღიდან მათი ქორწინებისა, რომელიც ოცდათექვსმეტი წლის წინ მოხდა, სომსი ისე დაელაპარაკა აირენს, რომ აღარ ჰქონდა კანონიერი უფლება, მისთვის "თავისი" ეწოდებინა. ქალს შავები არ ეცვა. ეს მისი ბიძაშვილის ერთერთი რადიკალური მოთხოვნა იქნებოდა!

- მომიტევეთ, რომ თქვენთან მოსვლა გავბედე, - თქვა სომსმა პირქუშად, - მაგრამ, ასე თუ ისე, ეს ამბავი უნდა გადაწყდეს.

- იქნებ ჩამოჯდეთ?

- არა, მადლობელი ვარ.

სომსს გული ჩაუწყვიტა თავისმა დღევანდელმა სტატუსმა, მასა და აირენს შორის ამ ვითარებით მოტანილმა აუტანელმა ცერემონიულობამ, მისი სიტყვებიც წყვეტილ-წყვეტილად დაცვივდა:

- რაღაც ჯოჯოხეთურად ბოროტი ბედია! მე ხელს არ ვუწყობდი, ყველა ძალით ვცდილობდი, აღმეკვეთა. ვფიქრობ, ჩემი ქალიშვილი შეიშალა, მაგრამ იმთავითვე არაფერში დამიბრკოლებია და ამიტომაც ვარ აქ. დარწმუნებული ვარ, გიყვართ თქვენი ვაჟი.

- უსაზღვროდ.

- ჰოდა?

- მან უნდა გადაწყვიტოს.

სომსს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ ალყა შემოარტყეს და წინ ბარიერი დაუდგეს. მუდამ, მუდამ იცოდა აირენმა ბარიერის

აღმართვა მის წინ, თვით მაშინაც - ქორწინების პირველივე დღეებში.

- პირდაპირ რაღაც სიგიჟეა.

- ჰო.

- თქვენ რომ... ერთი სიტყვით... ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ...

სომსმა არ დაამთავრა ფრაზა: "და-ძმა, ჩვენ კი გავთავისუფლდებოდით ამ უბედურებისგან". მაგრამ შენიშნა, რომ აირენი ისე შეკრთა, თითქოს ეს ფრაზა ბოლომდე გაეგონოს. გაღიზიანებულმა სომსმა მთელი ოთახი გაიარა და ფანჯარასთან მივიდა. ამ მხარეს ხეები სრულებით არ გაზრდილიყო - მეტისმეტი სიბერის გამო!

- ჩემთან დაკავშირებით შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, - განაგრძო შემდეგ, - არ ვაპირებ, მოგინახულოთ ხოლმე თქვენ ან თქვენი ვაჟი იმ შემთხვევაში, თუ ეს ქორწინება შედგა. დღევანდელ ახალგაზრდობას ვერ გაუგებ. მაგრამ არ შემიძლია ჩემი ქალიშვილის ყურება ასეთ გაუბედურებულ მდგომარეობაში. რა ვუთხრა, როცა დავბრუნდები?

- გთხოვთ, გადაეცით ის, რაც მე გითხარით: ყველაფერი ჯონზეა დამოკიდებული.

- თქვენ წინააღმდეგი არ ხართ?

- მთელი გულით, ოღონდ - უსიტყვოდ.

სომსი იდგა და თითს იკვნეტდა.

- მახსოვს ერთი საღამო... - თქვა უცებ და გაჩუმდა.

რა იყო... რა იყო ამ ქალში ისეთი, რაც ვერასგზით ვერ ეტეოდა სომსისეული გმობისა და სიძულვილის ოთხ კედელში?

- თქვენი ვაჟი სად არის?

- ალბათ ზემოთ, მამის სტუდიაში.

- იქნებ გეთქვათ, რომ ჩამოსულიყო?

სომსი თვალს ადევნებდა, როგორ დააჭირა აირენმა ხელი ღილაკს და როგორ შემოვიდა მოსამსახურე ქალი.

- უთხარით მისტერ ჯონს, რომ ვეძახი.

- თუ ამ საქმის გადაწყვეტა მასზე ჰკიდია, მაშინ ალბათ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს არაბუნებრივი ქორწინება შედგება. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება გარკვეული ფორმალობები. ვისთან მექნება საქმე? ჰერინგთან?

აირენმა თავი დააქნია.

- თქვენ მათთან ერთად არ იცხოვრებთ?

არაო, ანიშნა აირენმა.

- რა ბედი ელის ამ სახლს?

- რასაც ჯონი გადაწყვეტს.

- ეს სახლი... - თქვა სომსმა უცებ, - მე მასზე ვამყარებდი იმედებს, როცა მისი აგება გადავწყვიტე. თუ აქ ისინი იცხოვრებენ... მათი შვილები! ამბობენ, არსებობს ასეთი ღვთაება: ნემეზიდა. გჯერათ მისი არსებობა?

- ჰო.

- აჰ, გჯერათ?

სომსი ფანჯარას მოსცილდა და უფრო ახლოს გაჩერდა მასპინძელთან, მის როიალთან, რომლის ხვეულში ისე იდგა აირენი, როგორც ყურეში.

- ეჭვი მეპარება, კიდევ ოდესმე გნახოთ, - ნელა თქვა სომსმა, - ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს... - ტუჩები უთრთოდა, სიტყვები ბიძგებით ამოსდიოდა, - დაე, დაიმარხოს წარსული!

სომსმა ხელი გაუწოდა. აირენის გაფითრებული სახე კიდევ უფრო გაფითრდა, მუქი თვალები გაუნძრევლად მიაჩერდნენ სომსის თვალებს, მკერდზე დაკრეფილი ხელები არ განძრეულა. ამ დროს სომსს ნაბიჯების ხმა მოესმა და შემობრუნდა. ნახევრად გაწეულ პორტიერთან იდგა ჯონი. უცნაურად გამოიყურებოდა: არანაირად არ ჰგავდა კორკსტრიტის გალერეაში ნანახ ბიჭს. ძალიან გაზრდილიყო, ყმაწვილური აღარაფერი შერჩენოდა: გასავათებული, გაცივებული სახე, აჩეჩილი თმა, ღრმად ჩაცვენილი თვალები. სომსმა თავს ძალა დაატანა, ტუჩები ღიმილით თუ რაღაც გრიმასით მოღრიცა და თქვა:

- ჰო, ახალგაზრდა კაცო! მე აქ ჩემი ქალიშვილის მიზეზით ვარ მოსული. როგორც ჩანს, ბოლო სიტყვა თქვენზეა. დედათქვენი ყველაფერს თქვენ განდობთ.

ჯონს არ უპასუხია, თვალმოუშორებლად მისჩერებოდა დედამისს.

- ჩემი ქალიშვილისთვის თავს ვაიძულე აქ მოსვლა, - თქვა სომსმა, - რა ვუთხრა, როცა დავბრუნდები?

ჯონი ისევ დედამისს უყურებდა, როცა მშვიდად წარმოთქვა:

- გთხოვთ, ფლერს გადასცეთ, რომ აქედან არაფერი გამოვა. მე უნდა აღვასრულო მამაჩემის უკანასკნელი ნება.

- ჯონ!

- არაფერია, დედა!

დაბნეული სომსი ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს. მერე სავარძლიდან ქუდი და ქოლგა აიღო და გასასვლელისკენ წავიდა. ბიჭი გვერდზე მიდგა და გზა მისცა. სომსი გარეთ გავიდა. გაისმა, როგორ გაიჭრიალა ზურგს უკან რგოლებმა: პორტიერი დაიხურა. ამ ბგერამ სომსს რაღაც გაუთავისუფლა მკერდში.

"აი, ასე!", თქვა მან და სადარბაზო კარს გასცდა.

თავი მერვე

ბნელი მელოდია

როდესაც სომსი რობინჰილის სახლიდან გამოვიდა, ცივი დღის ღრუბლიან საფარში ნაშუადღევის მზემ გამოანათა. მართალია, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პეიზაჟურ ფერწერას, ცოცხალი ბუნების მიმოქცევას სომსი არ უკვირდებოდა. მით უფრო ძლიერად გააოგნა ამ პირქუშმა ბრწყინვამ, რომელიც თითქოს მწუხარებითა და ზეიმით გამოეხმაურა მის საკუთარ გრძნობებს. გამარჯვება დამარცხებაში! მისმა მისიამ შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ სომსი გათავისუფლდა იმ ადამიანებისგან, თავისი ქალიშვილი კი მისივე ბედნიერების ფასად დაიბრუნა. რას იტყვის ფლერი? დაიჯერებს, რომ მამამ ყველაფერი იღონა, რაც შეეძლო? და უცებ, ამ მეწამულ სინათლეში, რომელიც ეფინებოდა სუროს, თხილნარს, გზისპირა ჭყორსა და დაუმუშავებელ მინდვრებს, სომსი შიშმა აიტანა. ფლერი სრულებით დაითრგუნება. სომსი მის სიამაყეს უნდა მიაწვეს. ბიჭუნამ უარყო იგი და მიემხრო ქალს, ვინც ოდესღაც მამამისი უარყო! რატომ უარყო? რა უშავს სომსს ასეთი? და ისევ შეიგრძნო შეცბუნება იმ ადამიანისა, რომელიც ცდილობს, თავის თავს სხვისი თვალებით შეხედოს. ეს იმას ჰგავს, ძაღლი რომ წააწყდე-

ბა ხოლმე საკუთარ ანარეკლს წყალში და ცნობისწადილითა და სიფრთხილით ჩერდება ხელშეუხებელი არსების წინ.

რაკი შინ მისვლას არ ჩქარობდა, სომსმა ლონდონის "მცოდნეთა კლუბში" ისადილა. გულდასმით ჭრიდა მსხალს, როცა უეცრად გაუელვა: მე რომ არ ჩავსულიყავი რობინჰილში, ბიჭს შესაძლოა სხვანაირი გადაწყვეტილება მიეღოო. ამოუტივტივდა ჯონის სახე იმ მომენტში, როცა აირენმა ხელი არ შეაგება მის გაწვდილ ხელს. უცნაური, ველური აზრი! ნუთუ ფლერმა თვითონვე გაიფუჭა საქმე, როცა გადაუდებლად ისურვა, საბოლოოდ მიება ჯონი?

სახლს დაახლოებით ათის ნახევრისთვის მიუახლოვდა. როცა მანქანა მსუბუქად ჩაუყვა ბაღის ხეივანს, სომსმა მეორე ხეივანში მიმავალი მოტოციკლეტის რახრახი გაიგონა. მონტია, რაღა თქმა უნდა. ესე იგი, ამასობაში ფლერი არ მოიწყენდა. სომსი მაინც დამძიმებული გულით შევიდა სახლში. გოგონა კრემისფერ სასტუმრო ოთახში იჯდა, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, ნიკაპი - შეერთებულ ხელის მტევნებზე. თეთრი კამელიების თაიგული ბუხარს უჩრდილავდა. ფლერის პირველივე დანახვამ, ფლერის, რომელსაც ჯერ არ შეემჩნია მისი მოსვლა, სომსში შიშის ახალი ზვირთი მოაგდო. რას ხედავდა ფლერი ამ თეთრ ყვავილებში?

- აბა, რა ხდება, მამა?

სომსმა თავი გააქნია. ენა არ ემორჩილებოდა. როგორ წამოეწყო ეს ჯალათური საქმე? გოგონას თვალები გაუფართოვდა, ტუჩები აუთრთოლდა.

- რა, რა? მალე თქვი, მამა!

- ძვირფასო... ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო... მაგრამ... - და ისევ გააქნია თავი.

ფლერმა მოირბინა და ხელები მხრებზე დააწყო.

- ის ქალი?

- არა, - ამოთქვა სომსმა, - ბიჭი! მე დამავალეს, გადმოგცე, რომ არაფერი გამოვა და რომ ის მამამისის უკანასკნელ ნებას ასრულებს.

სომსმა თავის გოგონას წელზე შემოხვია მკლავები.

- თავი დაანებე, ჩემო შვილიკო! საწყენად ნუ მიიღებ მათგან. ისინი შენს ნეკადაც არ ღირან.

ფლერი მკლავებიდან გაუსხლტა.

- შენ არ შეეცადე... რა თქმა უნდა, არ შეეცადე. მამა... შენ მე მიღალატე!

შიგ გულში დაჭრილი სომსი უყურებდა გოგონას მხურვალე სხეულს - მის წინ მიმოკლაკნილს.

- არ შეეცადე, არა! მე სულელივით მოვიქეცი. ვერ დავიჯერებ, რომ ის ამას იზამდა... რომ ოდესმე ამაზე წავიდოდა! ჯერ კიდევ გუშინ ის...! ოჰ, რატომ გთხოვე საერთოდ!

- ჰო, მართლაც, - თქვა სომსმა მშვიდად, - რატომ მთხოვე? მე გადავაბიჯე საკუთარ გრძნობებს, ყველაფერი ვიღონე საკუთარი მრწამსის საპირისპიროდ და, აი, რითი მიბრუნებ. ღამე ნებისა!

თითოეული კაპილარი უთრთოდა, ისე წავიდა კარისკენ.

ფლერი დაედევნა.

- მან მე უარმყო? შენ ამის თქმა გსურს? მამა!

სომსი მობრუნდა და თავს აიძულა ეპასუხა:

- ჰო.

- ოჰ! - შესძახა ფლერმა, - რა ჩაიდინე ასეთი, რასაც იმ გარდასულ დროში თუ იზამდი?

ღრმა აღშფოთებამ ამ ჭეშმარიტად ჯოჯოხეთური უსამართლობის მიმართ სომსს საყლაპავი მილი დაუხშო. რა ჩაიდინა ასეთი? იმათ რა უქნეს, იმათ?!

ისე, რომ სრულებით არ გაუცნობიერებია, რამდენი ღირსება ჩადო თავის ჟესტში, სომსმა ხელი მიიდო მკერდზე და თავის ქალიშვილს სახეში შეხედა.

- რა სირცხვილია! - შესძახა ფლერმა.

სომსი გავიდა. ყინულოვანი სიმშვიდით შეაბიჯა გალერეაში და თავის საგანძურში გაიარ-გამოიარა. აღმაშფოთებელია! უბრალოდ, აღმაშფოთებელია! ეს გოგო მეტისმეტად განებივრებულია! კი მაგრამ, ვინ გაანებივრა? სომსი გოიას ასლთან შეჩერდა. თავნება გოგო შეეჩვია, რომ ყველაფერში უნდა წაექეზებინათ. სომსის ცხოვრების ყვავილი! ახლა კი გულით სასურველს ვერ იღებს! სომსი ფანჯარასთან მივიდა ჰაერის ჩასაყლაპად. დაისი ქრებოდა, მთვარის ყვითელი დისკო ალვებს მიღმა ამოსდიოდა. ეს რა ხმაა? პიანოლა! აბსურდული მელოდია - დაუმთავრებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი! ფლერი აჟღარუნებს! ნუთუ ასეთი მელოდიით ინუგეშებს თავს? ვერანდის წინ, ბაღში, სადაც ახალგაზრდა აკაციებსა და მცოცავი ვარდების მტევნებს მთვარის სინათლე ეცემოდა, სომსმა რაღაც მოძრაობა შენიშნა. იქ ფლერია: მიდის და მოდის, მიდის და მოდის. სომსს გული მოეწურა: რას იზამს ფლერი ასეთი დარტყმის შემდეგ - როგორ გამოიცნოს ეს სომსმა? საერთოდ რა იცის ფლერზე? მთელი ცხოვრება მის სიყვა-

რულში გაატარა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, არადა, არ იცნობს მას, სწორედაც რომ არ იცნობს! აგერ, ბოლთას სცემს ბაღში ამ უაზრო მელოდიის ფონზე, ხეების მიღმა კი, მთვარიანში, მდინარე ციმციმებს.

"უნდა გავიდე", გაიფიქრა სომსმა.

აჩქარებით ჩავიდა სასტუმრო ოთახში, რომელიც ისევე იყო განათებული, როგორც ნახევარი საათის წინ, როცა იქიდან გამოვიდა. პიანოლა ისევ თავის ბრიყვულ ვალსს თუ ფოქსტროტს ატრიალებდა, თუ რა ჰქვია იმას? სომსი ვერანდაზე გავიდა.

საიდან უთვალთვალოს ფლერს ისე, რომ იმან ვერ დაინახოს? ხილის ბაღის გავლით სომსი ნავმისადგომთან ჩავიდა. ახლა ფლერსა და მდინარეს შორის იმყოფებოდა და გულზე ცოტა მოეშვა. ფლერი მისი ქალიშვილიც იყო და ანეტისაც, უგუნურს არაფერს ჩაიდენდა. და მაინც, ვინ იცის, რა ხდება! წყალზე მოტივტივე ჯიხურის სარკმლიდან ჩანდა სულ ბოლო აკაცია და კაბის კალთა, რომელიც წინ და უკან მოსიარულე ფლერის ყოველ შემობრუნებაზე ფრიალებდა. ბოლოს და ბოლოს, მელოდია შეწყდა. მადლობა ღმერთს! სომსი მეორე სარკმელთან მივიდა და წყალს დააცქერდა, მშვიდად რომ მიედინებოდა დუმფარების გვერდით. მათ ღეროებთან დატრიალებული ბუშტულები სინათლის ზოლში ხვდებოდა და ელვარებდა. სომსს გაახსენდა დილაუთენია გაღვიძება ამ ჯიხურში, სადაც ღამე გაატარა მამამისის სიკვდილის შემდეგ. იმ დროს ფლერი სულ ახალი დაბადებული იყო, ანუ ეს მოხდა თითქმის ცხრამეტი წლის წინ! ახლაც კი ახსოვს ის უცნაური გრძნობა, გამოღვიძებისას რომ დაეუფლა: თითქოს სრულებით ახალ, უჩვეულო სამყაროში შედიოდა. იმ

დღეს დაიწყო მისი ცხოვრების მეორე სწრაფვა, სწრაფვა ამ გოგონასადმი, რომელიც ახლა აკაციების ქვეშ დაბოდიალებდა. რამხელა ნუგეშად მოევლინა იგი მამამისს! სიმწრისა და წყენის გრძნობა უკვალოდ გაქრა. ოღონდაც რამენაირად ისევ გააბედნიეროს ფლერი! გვერდით დაღვრემილი კივილით ჩაუფრინა ბუმ. ღამურამაც გაიფარფატა. მთვარის შუქი უფრო ფართოდ და უფრო გაბედულად დაჰყურებდა მდინარეს. კიდევ რამდენ ხანს ივლის წინ და უკან? სომსი პირველ სარკმელთან დაბრუნდა და იქიდან დაინახა, რომ ფლერი მდინარისკენ ჩამოდიოდა. მოვიდა და მთლად ახლოს შეჩერდა, ნავმისადგომის ფიცრებზე. სომსი უყურებდა, სუნთქვაშეკრული. დაელაპარაკოს თუ არა? ნერვები უკიდურესად დასჭიმოდა. ეს გაყურსული ქალიშვილური ფიგურა, სინორჩე, რომელიც სასოწარკვეთაში, სევდაში, თავის თავში დანთქმულა! მუდამ ასეთი ემახსოვრება, როგორიც აქ დგას მთვარიანში, ემახსოვრება მდინარის ტკბილ-მსუბუქი სუნი და წნორის ფოთლების თრთოლა. ყველაფერი აქვს ამქვეყნად, რაც მამას შეუძლია მისცეს, გარდა ერთადერთი რამისა, რასაც ვერ იღებს მამამისის მიზეზით! ფაქტების ავი სიჯიუტე ისეთივე საწყენი იყო და მტკივნეული, თითქოს სომსს ყელში თევზის ძვალი გასჩროდა.

შემდეგ უსაზღვრო შვებით დაინახა, რომ ფლერი შებრუნდა და სახლს მიაშურა. რას შესთავაზებს მამა ამ დანაკარგის სანაცვლოდ? მარგალიტებს, მოგზაურობებს, ცხენებს, სხვა კაცებს? - ყველაფერს, რასაც ფლერი ისურვებს, ოღონდაც სომსმა მდინარესთან მიმდგარი ეს ნორჩი ფიგურა დაივიწყოს. ეს რაღაა? ისევ ის მელოდია დაატრიალა? ეს ხომ მანიაა! წყვეტილ-წყვეტილი,

მოჟღარუნე მუსიკა ძლივს აღწევდა აქამდე. თითქოს ფლერი ამბობდა: "თუ არაფერი გამოჩნდება ისეთი, რაც მაიძულებს ვიარო, მე გავშეშდები და მოვკვდები!" სომსს ბუნდოვნად ესმოდა. კარგია, თუ ეს შველის, თუნდაც დილამდე აჟღარუნოს!

სომსი ფეხაკრეფით გამოუყვა ხილის ბაღს და ვერანდაზე ავიდა. მართალია, ეს იმ განზრახვით გააკეთა, რომ სასტუმრო ოთახში შესულიყო და უფრო ვრცლად ელაპარაკა ფლერთან, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ყოყმანობდა, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა. ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა, რას გრძნობს ადამიანი, როცა სიყვარულში დაბრკოლებას აწყდება. უნდა სცოდნოდა, უნდა გაეხსენებინა, მაგრამ არ ძალუძდა! ნამდვილი ხსოვნა გარდაიცვალა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ეს იყო მტანჯველად მტკივნეული მდგომარეობა. ახლა აზრების გარეშე იდგა და ხელისგულებსა და უცნაურად გამშრალ ტუჩებზე ცხვირსახოცს ისვამდა. თუ კისერს წაიგრძელებდა, დაინახავდა ფლერს, რომელიც ზურგით პიანოლასკენ იდგა, ისევ იმ ტვინისწამღებ მელოდიას აჟღარუნებდა, ხელები მტკიცედ გადაეჯვარედინებინა, კბილებით ანთებული პაპიროსი ეჭირა და მისი კვამლი რიდესავით შემოხვეოდა სახეზე. ეს სახე სომსს უცხო ეჩვენა: შორს მიმართული თვალები ელვარებდნენ, თითოეული ნაკვთი მწარე დაცინვითა და რისხვით სუნთქავდა. ერთი-ორჯერ ასეთი გამომეტყველება სომსს ანეტის სახეზეც შეუნიშნავს. ეს სახე - მეტისმეტად ცოცხალი და გახსნილი - მის გოგონას არ ეკუთვნოდა.

და სომსმა ვერ გაბედა შესვლა, რადგან ესმოდა: ფლერის დაშოშმინების ყოველგვარი მცდელობა უსარგებლო იქნებოდა.

ამის სანაცვლოდ, სომსი ვერანდაზე ჩამოჯდა ტრელაჟის ჩრდილში.

ბედი მომაკვდინებელი ხუმრობით წაეთამაშა! ნემეზიდა!

ის ძველისძველი უიღბლო ქორწინება! არადა, რისთვის? რისთვის, ბოლოს და ბოლოს? მაშინ, როდესაც ასეთი თავგადადებით სურდა აირენი და ისიც დათანხმდა ცოლობაზე, ნუთუ შეიძლებოდა სომსს სცოდნოდა, რომ ეს ქალი არასოდეს შეიყვარებდა? მელოდია ჩაჩუმდა, განახლდა და ისევ ჩაჩუმდა, სომსი კი ისევ თავის კუთხეში იჯდა და თვითონაც არ იცოდა, რას ელოდებოდა. ფანჯრიდან ფლერის პაპიროსის ნამწვი გამოფრინდა და ვერანდის წინ დაეცა. სომსი უყურებდა, როგორ ინავლებოდა ნამწვი ბალახზე. მთვარე ალვებს ამოსცდა და ბაღი თავის მოჩვენებით მფლობელობაში მოაქცია. უსიხარულო, შორეულმა, გამოუცნობმა სინათლემ, რომელიც ჰგავდა სილამაზეს იმ ქალის, ვისაც არასდროს ჰყვარებია სომსი, ნემეზიებს და ლევკოიონებს არამიწიერი სამოსი შემოახვია. ყვავილები! ფლერი კი, მისი ყვავილი, ასეთი უბედურია! აჰ, რატომ არ შეიძლება ბედნიერების ჩადება სეიფში, ოქროს გასაღებით ჩაკეტვა და დაქვეითების საწინააღმდეგო დაზღვევა!

სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან სინათლე უკვე აღარ გამოდიოდა. ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე იდგა. ზემოთ ავიდა ფლერი? სომსი წამოდგა და ფეხისწვერებზე შემდგარმა ოთახში შეიხედა. ჰო, როგორც ჩანს, ასე მოხდა. სომსი შევიდა. ვერანდა მთვარის სხივებს აბრკოლებდა და ოთახში არ უშვებდა. თავიდან სომსმა ვერაფერი გაარჩია, სხვადასხვა ავეჯის შავზე უშავესი სილუეტის გარდა. ხელის ცეცებით გაემართა შორეული ფან-

ჯრისკენ, უნდოდა მიეხურა და ამ დროს ფეხი წამოსდო სკამს. ვიღაცამ შეჰყვირა.

აი, ისიც, დაგორგლილი და დივნის კუნჭულში შეყუჟული! სომსმა აცახცახებული ხელი ასწია. სჭირდებოდა კი ფლერს დამშვიდება და ნუგეში? სომსი იდგა და დაჰყურებდა დაჭმუჭნილი ფურჩალებისა და თმის ამ გორგალს, ამ მშვენიერ სინორჩეს, ასე რომ ცდილობდა მწუხარების კედლის გარღვევას საკუთარი ფრჩხილებით. როგორ დატოვოს აქ? ბოლოს და ბოლოს, სომსმა ხელი გადაუტარა თმაზე და უთხრა:

- წადი, ძვირფასო, ჯობია დაწვე. რაღაცნაირად მოგიგვარებ მაგას.

რა უაზრობა იყო! მაგრამ რა უნდა ეთქვა სხვა?

თავი მეცხრე

ბებერი მუხის ქვეშ

როცა სტუმარი გავიდა, ჯონს და დედამისს ხმა არ ამოუღიათ. ასე იდგნენ, სანამ ჯონმა წარმოთქვა:

- უნდა გაგვეცილებინა.

მაგრამ სომსი უკვე შემოსასვლელ ხეივანს მიუყვებოდა და ჯონიც, რაკი სასტუმრო ოთახში დაბრუნება ვერ გადაეწყვიტა, ზემოთ ავიდა, მამის სტუდიაში.

დედამისის სახის გამომეტყველებამ, როცა აირენი პირისპირ იდგა თავის ქმარყოფილთან, განამტკიცა ჯონის გადაწყვეტილება, - ის, რომელმაც მომწიფება დაიწყო უკვე წინა დღიდან, როდესაც დედა მისი საძინებლიდან გავიდა, - განამტკიცა სინამდვილესთან უკანასკნელი შეხებით. ფლერის შერთვა იქნებოდა სილის გაწვნა დედისთვის და გარდაცვლილი მამის ღალატი! ჯონი სრულებით არ იყო გაბოროტებული და ამ სასოწარკვეთილებაში მშობლებს არ უჩიოდა. მას ჰქონდა მისი ასაკისთვის იშვიათი უნარი - დაენახა საგნები მათ თანაზომიერებაში. ფლერიცა და თვით ჯონის დედაც ახლა მასზე უარესად იყვნენ. უარყოფილს უფრო უმძიმს, ვიდრე უარმყოფელს, და ორჯერ უფრო მძიმე გასაცნობიერებელია, რომ საყვარელ ადამიანს მსხვერ-

პლის გაღება უხდება შენთვის. არა, ჯონი არ ჩივის და არც უნდა ჩიოდეს! იდგა, გვიან გამონათებულ მზეს უყურებდა და ისევ მოდიოდა ხილვა, წუხელ ღამით რომ აცბუნებდა: ზღვიდან ზღვამდე, ქვეყნიდან ქვეყნამდე, მილიონობით ადამიანიდან თითოეულს თავისი ცხოვრება ჰქონდა, თავისი სწრაფვები, სიხარულები, მწუხარება და ტკივილები, თითოეულს თავისი მსხვერპლი უნდა გაეღო, თითოეული მარტოდმარტო იბრძოდა თავისი არსებობისთვის. და თუმცა ჯონი ხალისით დათმობდა ყველაფერს, რაც გააჩნდა, იმ ერთისთვის, ვისი მიღებაც არ შეეძლო, სისულელე იქნებოდა იმის დავიწყება, თუ რა ცოტას ნიშნავდა მისი გრძნობები ამ ვეებერთელა დედამიწაზე, და თავის ჩვენება მტირალად ან არამზადად. წარმოიდგენდა ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი წაერთვა: ომში დაღუპულ მილიონებს; სხვა მილიონებს, რომელთაც ომმა აღარაფერი დაუტოვა, სიცოცხლის გარდა; მშიერ ბავშვებს, რომლებზეც ჯონს წაკითხული ჰქონდა; მილიონობით ხეიბარს და მილიონობით ყოველმხრივ უბედურს. მაგრამ მათზე ფიქრი მაინცდამაინც ვერ ეხმარებოდა. თუ საჭმელი არ გაქვს, ნუთუ განუგეშებს ის აზრი, რომ სხვებიც უსადილოდ დარჩნენ? უფრო მიმზიდველი იყო აზრი მოგზაურობაზე ამ ვრცელ სამყაროში, რომელზეც მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. არა, ვერ დარჩება აქ, ამ წყნარ თავშესაფარში, სადაც ყველაფერი ასეთი მშვიდია და უპრობლემო, და სადაც არაფერს იქმს, მხოლოდ ფიქრობს და ოცნებობს იმაზე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ვერც უონსდონს დაუბრუნდება, ვერც მოგონებებს ფლერზე. კიდევ ერთხელ რომ ნახოს, პასუხს ვეღარ აგებს თავის თავზე. ხოლო თუ აქ დარჩება ან უონსდონში დაბრუნდება, უეჭ-

ველად შეხვდება ფლერს. ეს გარდაუვალია, სანამ ისინი ასე ახლოს არიან ერთმანეთთან. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჯონს დარჩენია, ესაა სადმე შორს გამგზავრება რაც შეიძლება სწრაფად. თუმცა, რაც უნდა ჰყვარებოდა დედა, არ სურდა მასთან ერთად წასვლა. შემდეგ თავისი თავი პირუტყვად მონათლა და ძალა მოიკრიბა, რომ დედისთვის იტალიაში მოგზაურობა შეეთავაზებინა. ორ საათს ებრძოდა თავის თავს ამ დაღვრემილ ოთახში, მერე კი სადღესასწაულოდ გამოეწყო სადილისთვის.

დედაც სასადილო ოთახში ჩავიდა. თითქმის არ უჭამიათ, ისხდნენ და მამის სურათების კატალოგზე საუბრობდნენ. გამოფენის მოწყობა ოქტომბერში იგეგმებოდა და, ზოგიერთი ფორმალობის გარდა, ყველაფერი მზად იყო.

სადილის შემდეგ აირენმა პალტო ჩაიცვა და ორივენი ბაღში გავიდნენ. ცოტა გაიარეს, ცოტა ილაპარაკეს, მერე ჩუმად გაჩერდნენ მუხის ქვეშ. იმ მოსაზრებით, რომ "თუ რამეს გამოვაჩენ, ყველაფერს გამოვაჩენ", ჯონმა დედას მკლავი გამოსდო და თითქოს უცაბედად უთხრა:

- იტალიაში წავიდეთ, დედა.

აირენმა ჯონის ხელიანი იდაყვი სხეულზე მიიკრა და იმავე ტონით დაუბრუნა:

- ჰო, ძალიან სასიამოვნო იქნებოდა. უკვე ვიფიქრე მაგაზე. მაგრამ, მე მგონი, უფრო მეტს ნახავ და მეტს მიაღწევ, თუ უჩემოდ წახვალ.

- ასეთ შემთხვევაში მარტო დარჩები.

- მთელ თორმეტ წელიწადს ვიცხოვრე მარტომ. თანაც, აქ მინდა ვიყო გამოფენის გახსნისას.

ჯონმა უფრო მაგრად მოუჭირა ხელი. არა, არ მოტყუებულა.

- მთლად მარტოკა ვერ დარჩები, ძალიან დიდი სახლია.

- აქ არა, ლონდონში. გამოფენის გახსნის შემდეგ კი, შესაძლოა, პარიზში. შენ, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც გჭირდება, რათა ქვეყანა ნახო.

- ჰო, კარგი იქნება ქვეყნიერების მოვლა. მაგრამ არ მინდა შენი დატოვება ასე, სულ მარტო.

- ჩემო ძვირფასო, ისედაც ვალში ვარ შენ წინაშე. თუ ეს შენთვის კარგია, მაშინ ჩემთვისაც კარგია. რატომ არ უნდა წახვიდე ხვალვე? პასპორტი უკვე გაქვს.

- ჰო, თუ წასვლაა, მაშინ ახლავე აჯობებს. ოღონდ, დედა, თუ... თუ მომინდება სადმე დავსახლდე, - ამერიკაში ან სხვაგან, - შენ ხომ უარს არ იტყვი, რომ მერე შემომიერთდე?

- სადაც და როდესაც დამიძახებ, ძვირფასო. ოღონდ არა მანამდე, სანამ ნამდვილად არ მოგინდება ჩემი ნახვა.

ჯონმა ღრმად ამოიოხრა:

- სული მეხუთება ინგლისში.

კიდევ რამდენიმე წუთს იდგნენ მუხის ქვეშ, შორს იყურებოდნენ, იქ, სადაც საღამოს ბინდით შებურული ეპსომის იპოდრომის ტრიბუნები მოჩანდა. ტოტები არ უშვებდნენ მთვარის სინათლეს, რომელიც მხოლოდ გარშემო ეცემოდა, ანათებდა მხოლოდ მინდვრებს და მწვანით დაფარულ სახლს, რომელიც მალე გაქირავდებოდა.

თავი მეათე

ფლერის ქორწინება

ოქტომბრის გაზეთებმა, რომლებიც ფლერ ფორსაიტისა და მაიკლ მონტის ქორწინებას აღწერდნენ, ნამდვილად ვერ გადმოსცეს ამ ხდომილების სიმბოლური აზრი. საქორწინო კავშირი "ამაყი დოსეტის" შვილთაშვილსა და მეცხრე ბარონეტის მემკვიდრეს შორის წარმოადგენდა კლასების იმ აშკარა და თვალსაჩინო შერევას, რომლითაც ინარჩუნებს პოლიტიკურ მდგრადობას ნებისმიერი სახელმწიფო. დადგა დრო, როცა ფორსაიტები უარს იტყოდნენ თავიანთ ბუნებრივ ანტიპათიაზე "ზიზილპიპილებისადმი", რომელიც არ შეეფერებოდა მათ დაბადებით და რომელიც ახლა უნდა მიეღოთ, როგორც თავიანთი მესაკუთრული ინსტინქტებისთვის მიგებული ორმაგად ბუნებრივი მისაგებელი. გარდა ამისა, უფრო მაღლა უნდა ასულიყვნენ საზოგადოებრივ კიბეზე, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ იმათთვის, ვინც გაცილებით უფრო გვიან მივიდა სიმდიდრემდე. ამ მშვიდ და გემოვნებიან ცერემონიაში, რომელიც ჯერ ჰანოვერსკვერში, მერე კი გრინსტრიტის ავეჯიან ატმოსფეროში გაიმართა, მხოლოდ მცოდნე თვალი თუ გაარჩევდა ერთმანეთისგან ფორსაიტების არმიას მონტების საბრძოლო რაზმისგან, იმდე-

ნად შორს დარჩა "ამაყი დოსეტი". ნუთუ შარვლის ნაკეცით, ულვაშით, აქცენტით ან ცილინდრის ბზინვით სომსი თუნდაც რამდენადმე გამოირჩეოდა თვით მეცხრე ბარონეტისგან? განა არ იყო ფლერი ისეთივე თავშეკავებული, მკვირცხლი, ლამაზი და დაუმორჩილებელი, როგორიც ყველაზე ჯიშიანი კვიცი - მასკჰემების, მონტების ან ჩარუელის ბანაკში? სამოსით, გარეგნობითა და მანერებით ფორსაიტები წინდაწინ ქულასაც კი მისცემდნენ მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებს. ისინი უკვე "უმაღლეს კლასს" ეკუთვნოდნენ და ახლა, როდესაც მათი ფული ბარონეტების მიწას შეეუღლა, მათი სახელიც სრულად შეიტანებოდა საპრიზო ბედაურთა გვარ-ტომში. მოხდა თუ არა ეს დაგვიანებით ან მესაკუთრული ინსტინქტისთვის მინიჭებული ჯილდო სულ მალე დნობაში ხომ არ მოჰყვებოდა თავის ფულიანმიწიანად, - ეს, ჯერჯერობით, იმდენად სადავო საკითხად რჩებოდა, რომ არც კი გამოჰქონდათ განსახილავად. ბოლოს და ბოლოს, ტიმოთის - მთლიანი ჯაჭვის შემავსებელი რგოლის - თქმით, კონსოლიდირებული რენტები ზრდაში იყო; ტიმოთის, რომელიც, ფრენსისგან მოსული ცნობით, უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა ბეისუოთერ-როუდის სახლში. იმასაც ავრცელებდნენ ჩურჩულით, თითქოს ახალგაზრდა მონტი რაღაც სოციალისტის მსგავსიაო, რაც მას სულაც არ ჩაეთვლებოდა სიბრიყვედ, როგორც ერთგვარი დაზღვევა ამ დროებაში. არაფერი იყო ამაში შემაცბუნებელი. დროდადრო, მიწათმფლობელთა კლასი თავს ასეთი ჯამბაზობის უფლებას აძლევს, რაც უსაფრთხო კალაპოტში მიედინება და თეორიებს არ სცილდება. რო-

გორც ჯორჯმა უთხრა თავის დას, ფრენსის: "ლეკვებს დაყრიან და მონტიც დაწყნარდება".

ეკლესია, თავისი თეთრი ყვავილებითა და რაღაც ლურჯი ლაქით აღმოსავლეთის ფანჯრის შუაგულში, უკიდურესად ზნეკეთილ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს მთელი თავისი იერით ცდილობდა შეერბილებინა საეკლესიო მსახურების რამდენადმე სახიფათო ფრაზეოლოგია, რომელიც თითქოს ესწრაფოდა, რომ დამსწრეთა აზრები "ლეკვებზე" შეეჩერებინა. ფორსაიტები, ჰეიმენები, ტუიტიმენები მარცხენა ფრთაში განლაგებულიყვნენ, მონტები, ჩარუელები, მასკჰემები - მარჯვენაში. რაც შეეხებათ ფლერის თანასკოლელებს და მონტის თანასანგრელებს, ისინი აქეთაც იყვნენ და იქითაც. ამ ყველას ზურგიდან იცავდა სამი პატივსაცემი შინაბერა, რომლებმაც შემოიხედეს ეკლესიაში გზად სკაიუორდის მაღაზიიდან, მონტის ოჯახის ორი წევრი და ფლერის მოხუცი ძიძა. მთლიანობაში, ეკლესია იმდენად სავსე იყო, რამდენადაც ქვეყნის ახლანდელ მოუწესრიგებელ მდგომარეობას მოეთხოვებოდა.

მესამე რიგში მჯდომმა მისის ვალ დარტიმ მრავალგზის მოუჭირა ხელი თავის ქმარს მთელი ამ სპექტაკლის განმავლობაში. მისთვის, ვინც მთლიანად იცნობდა მიმდინარე ტრაგიკომედიის ფარულ მიზეზებს, ყველაზე დრამატული მომენტი თითქმის მტანჯველი აღმოჩნდა. "ნეტავ მაცოდინა, - ფიქრობდა ამ დროს, - იცის თუ არა ჯონმა იქ, ბრიტანულ კოლუმბიაში, რა ხდება აქ ამწუთას?" იმ დილით ძმისგან წერილი მიიღო, წერილი, რომელმაც გააღიმა და ათქმევინა:

- ჯონი ბრიტანულ კოლუმბიაშია, ვალ, რადგან კალიფორნიაში ყოფნა სურს. იქ მეტისმეტად კარგიაო, ფიქრობს!

- აჰა! - თქვა ვალ დარტიმ, - ესე იგი, იუმორის გრძნობა დაუბრუნდა.

- მიწა იყიდა და დედასაც თავისთან დაუძახა.

- რა ესაქმება იმ ქალს იქ?

- არაფერი, თვით ჯონის გარდა. ისევ ბედნიერ გამოსავლად მიიჩნევ ამას, ვალ?

კაცის ეშმაკური თვალები ორ პატარა ღრიჭოდ იქცა შავ წამწამებს შორის.

- ფლერი მას არ შეეფერება. ისე აღზრდილი არ არის.

- საბრალო პატარა ფლერი! - ამოიოხრა ჰოლიმ.

მართლაცდა, განა ეს უცნაური ქორწინება არ იყო? ამ ახალგაზრდა კაცს, მაიკლ მონტს, თავისი გემის ჩაძირვით სასოწარკვეთილი ფლერი, რასაკვირველია, რიკოშეტით მიაწყდა. ასეთი ნახტომი ცივ წყალში, რაღა თქმა უნდა, "უკიდურესი ზომაა", როგორც იტყოდა ვალ დარტი. მაგრამ ძნელი იყო დასკვნის გამოტანა პატარძლის ფატითა და ზურგით, და ჰოლის თვალებიც ამ ქრისტიანული ქორწინების მთლიანი სურათის თვალიერებას შეუდგა. თვით ჰოლი წარმატებულად გათხოვდა სიყვარულით, რის გამოც ჟრუანტელს ჰგვრიდა ფიქრი უიღბლო ქორწინებებზე. ფლერი, შესაძლოა, უიღბლოდ არ გათხოვილა, მაგრამ ეს წმინდა წყლის ლატარია იყო. ხოლო ამ ლატარიის კურთხევა ხელოვნურად დათაფლული ცერემონიით თავისუფლად მოაზროვნეთა ფეშენებელური ბრბოს წინაშე (ასეთი ფრანტები ხომ მხოლოდ "თავისუფლად აზროვნებენ"), ჰოლის აზრით, ყველაზე მე-

ტად უახლოვდებოდა ცოდვას, როგორც შეიძლებოდა ადამიანს წარმოედგინა ამ ცნების გამაუქმებელ ეპოქაში.

ღირსი მამა ჩარუელიდან (ფორსაიტებს ქვეყნისთვის ჯერ-ჯერობით არც ერთი პრელატი არ ეჩუქებინათ) ჰოლის მზერამ გადაინაცვლა ვალ დარტიზე, რომელიც გვერდით ეჯდა და მომავალ დოღში მეიფლაის კვიცის მონაწილეობაზე ფიქრობდა (ამაში ჰოლის ეჭვი არ ეპარებოდა). მერე ჰოლის თვალებმა უფრო შორს გადაინაცვლა და მეცხრე ბარონეტის პროფილს მიადგა, ბარონეტის, რომელიც ერთგვარ მუხლმოდრეკას იმიტირებდა. ჰოლიმ შენიშნა ნაკეცი მუხლზე, სადაც იმან შარვალი აიწია, და იფიქრა: "ვალს კი შარვლის აწევა დაავიწყდა!" მზერა გადავიდა მეორე რიგზე, სადაც უინიფრიდის მდიდრული ფორმები ირხეოდა, იქიდან სომსზე და ანეტზე, რომლებიც იქვე ჩაჩოქილიყვნენ. ჰოლის მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა: ალბათ ლამანშის პოლინეზიური კუნძულებიდან დაბრუნებული პროსპერ პროფონიც სადმე მათ უკან დგას მუხლებზეო. ჰო, როგორც უნდა შემობრუნდეს მომავალში, ამწუთას ეს უცნაური "პატარა ამბავია". ამჟამად ის სათანადო ეკლესიაში ხდება, ხვალ კი სათანადო გაზეთები აღწერენ.

გაისმა ფსალმუნი. ეკლესიის მეორე ფრთიდან ჰოლის ესმოდა, როგორ მღეროდა მეცხრე ბარონეტი მიდიელთა ჯარზე. ჰოლის ნეკი ვალ დარტის ცერს შეეხო - მათ ერთი ლოცვანი ჰქონდათ - და მსუბუქმა ჟრჟოლამ დაუარა სხეულში, როგორც ოცი წლის წინათ. დარტი დაიხარა და ჰკითხა:

- ვირთხა თუ გახსოვს?

ვირთხა მათ ქორწილზე კაპშტადში! ულვაშს რომ იწმენდდა რეგისტრატორის მაგიდის უკან! ჰოლის ნეკა და უსახელო თითებმა ტკივილამდე მოუჭირა ვალის ცერს.

გალობა დამთავრდა, მღვდელმა ქადაგება დაიწყო. ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა სახიფათო დროში ვცხოვრობთ და რაოდენ მცდარ მოსაზრებებს გამოთქვამს ლორდთა პალატა განქორწინებაზე. "ჩვენ ყველანი ჯარისკაცები ვართ, - თქვა მან, - სანგრებში ვსხედვართ სიბნელის მეუფის მომწამლავი გაზების ქვეშ. ვაჟკაცურად უნდა გავუძლოთ. ქორწინების მიზანი ბავშვებია და არა, უბრალოდ, ცოდვიანი ბედნიერება".

ჰოლის მზერაში ჭინკა აცეკვდა, ვალ დარტის წამწამები ძირს დაეშვა. დაუშვებელია, რომ ახლა ხვრინვა ამოუშვას! ცერა და საჩვენებელი თითებით ჰოლი სულ უფრო ხშირად ჩქმეტდა ბარძაყზე, სანამ დარტი სკამზე არ აცმუკდა.

ქადაგება დამთავრდა, საფრთხემ ჩაიარა. უკვე ხელს აწერდნენ ეკლესიის საცავში. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

- მანძილს თუ აიტანს? - იკითხა ვიღაცამ უკანა რიგში.

- რომელი ხართ? - იკითხა ჩურჩულით ჰოლიმ.

- მოხუცი ჯორჯ ფორსაიტი.

ჰოლიმ პატივისცემით გადახედა კაცს, რომელზეც ამდენი სმენოდა. სამხრეთ აფრიკიდან ახლახან დაბრუნებული ჰოლი თითქმის არ იცნობდა თავის სანათესავოს და ყოველ ჯერზე ბავშვური ცნობისწადილით ათვალიერებდა ხოლმე. ჯორჯ ფორსაიტი ძალიან ზორბა და ძალიან ელეგანტური იყო. მისი მზერის წინაშე ჰოლის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს შიშველი იჯდა!

- დაიძრნენ! - კიდევ ერთხელ გაიგონა მისი ხმა.

ახალდაქორწინებულები ნელა ჩამოდიოდნენ საკურთხევლის კიბეზე. ჰოლიმ ჯერ ახალგაზრდა მონტის სახეს შეხედა. ნეფეს ტუჩები და ყურები უთრთოდა; თვალები, რომლებიც ფეხსაცმლის ქვინტებიდან თავის შავ სახელოზე ჩაჭიდებულ ფერმკრთალ თითებზე გადმოიტანა, უცებ პირდაპირ გაუშტერდა სივრცეში, თითქოს თავის წინ მტერს ხედავსო. ჰოლის ისეთი განცდა გაუჩნდა, რომ მონტი სულიერად მთვრალი იყო. ფლერი? აქ კი სულ სხვა სურათი ჩანდა. ქალიშვილი სრულყოფილად ფლობდა თავის თავს და ამ თეთრ კაბაში, შუბლზე სწორად შეჭრილ მუქწაბლისფერ თმაზე დადებულ თეთრ ფატაში იმაზე უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მისი ქუთუთოებიც მორიდებით ჩამოჰფარებოდა მუქყავისფერ თვალებს. სხეულით ფლერი აქ იყო, მაგრამ სული - სული სად დაეხეტებოდა? ჩავლისას ფლერმა ქუთუთოები ასწია და მისი გუგების მოუსვენარმა ბრწყინვამ ჰოლის გალიაში დამწყვდეული ჩიტის ფრთების ფარფატი გაახსენა.

გრინსტრიტზე ჩვეულებრივზე ნაკლებად მშვიდი უინიფრიდი სტუმრებს იღებდა. სომსის თხოვნამ - ზეიმი შენთან მოვაწყოთო, უინიფრიდს ფსიქოლოგიურ მომენტში წაასწრო. პროფონის ერთი შენიშვნის შემდეგ იგი შეუდგა თავისი ამპირის(ამპირი (ფრანგ.) - გვიანი კლასიციზმის (XIX საუკუნის დასაწყისის) სტილი დასავლეთ ევროპის არქიტექტურასა და დეკორატიულ ხელოვნებაში. წარმოიშვა საფრანგეთში ნაპოლეონ I-ის დროს. ახასიათებს ანტიკური ხელოვნების ნიმუშების მიბაძვა (ტრიუმფალური თაღები, მონუმენტური შენობები, სფინქსები და სხვ.)) შეცვლას ექსპრესიონისტული გარემოცვით. მილარდთან იყიდე-

ბოდა ერთობ სახალისო ნივთები ლილისფერი, მწვანე და ნარინ-ჯისფერი კვადრატებითა და მინდვრებით. კიდევ ერთი თვე და - შეცვლა დამთავრებული იქნებოდა. მაგრამ ამ მომენტისთვის უინფრიდის მიერ შეძენილი ერთობ საინტერესო ახალწვეულები მაინცდამაინც არ უხდებოდა ძველ გვარდიას, დაახლოებით ისე-ვე, პოლკის ერთ ნაწილს ხაკი რომ სცმოდა, მეორეს - წითელი მუნდირები და დათვის ქუდები. თუმცა უინიფრიდი წარმატებით ამჟღავნებდა თავის სამშვიდობო ნიჭს ამ სალონში და არც კი ეჭ-ვობდა, რაოდენ სრულყოფილად აირეკლავდა ეს უკანასკნელი თავისი ქვეყნის რევოლუციონიზებულ იმპერიალიზმს. ბოლოს და ბოლოს, რაც უფრო მეტი მეშჩანობა მოიყრიდა თავს ორი საწყისის ამ ურთიერთშერევისას, მით უკეთესი! უინიფრიდი მოწყალე მზერას ავლებდა სტუმრების გროვას: სომსს ხელები ძველებური სკამის საზურგისთვის ჩაევლო; ახალგაზრდა მონტი გაუჩინარდა იმ "საშინლად სახალისო" ეკრანის უკან, რომელიც უინიფრიდს ჯერაც ვერავინ აუხსნა; მეცხრე ბარონეტი საშინე-ლების გრძნობით უკუიქცა მრგვალი, ალისფერი მაგიდისგან, რომელზე დაფარებული მინა ქვემოდან ლურჯი ავსტრალიური პეპლების ფრთებით გაეწყოთ, და ახლა ლუდოვიკო XV-ის სტი-ლის კარადასთან იდგა; ფრენსი ფორსაიტს ხელები ჩაევლო ბუხ-რის ახალი დაფისთვის, რომლის აბანოზისფერ ფონზე დახვეწი-ლად ამოეკვეთათ იისფერი ქიმერები; ძველ კლავიკორდზე(კლა-ვიკორდი (ფრანგ.) - ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი კლავესინის მსგავსი აგებულებისა) დაყრდნობილ ჯორჯს ცისფერი წიგნი ეჭირა, თითქოს ვინმესთან სანაძლეოს ჩამოსვლას აპირებსო; პროსპერ პროფონი კაშკაშა ლურჯლარ-

სიანი შავი კარის სახელურს ატრიალებდა, თუმცა ეს კარი ისე-დაც ღია იყო; მის გვერდით კი საკუთარ წელზე ხელებშემოვლე-ბული ანეტი იდგა; ორი მასკჰემი აივანზე იჯდა პალმებს შორის, თითქოს უექიფოდ იყვნენ; ქალბატონ მონტს, გამხდარსა და გა-ბედულს, ისეთი სახით მიეშვირა ლორნეტი ცენტრალური ლამ-პის თეთრ-წითელ-ნარინჯისფერი აბაჟურისკენ, თითქოს მის თვალწინ თვითონ ზესკნელი გახსნილიყო. მართლაცდა, თი-თოეული მათგანი რაღაცას ჩასჭიდებოდა. მხოლოდ ფლერი - ჯერ კიდევ საქორწინოდ მოკაზმული - იდგა უსაყრდენოდ და მარჯვნივ და მარცხნივ ისროდა სიტყვებსა და მზერას.

სალონში მაღალი საზოგადოების საუბარი გუგუნებდა. არა-ვის ეყურებოდა მეორის ნათქვამი, მაგრამ ამას თითქოს არც ჰქონდა მნიშვნელობა, პასუხს მაინც არავინ ელოდებოდა. უინიფრიდის აზრით, თანამედროვე საუბარი სხვანაირად ეწყო-ბოდა, არა ისე, როგორც მის ახალგაზრდობაში, როცა მოდაში იყო გაწელილ-მღერადი მანერა. თუმცა დღევანდელი საუბრები-თაც ერთობოდა ადამიანი, ეს კი, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თვით ფორსაიტებიც კი ძალზე სწრაფად მეტყველებდნენ: ფლერი და კრისტოფერი, იმოჯინი და პატრიკი - ნიკოლასის უმცროსი შთამომავალი. სომსი, რასაკვირველია, დუმდა. სამაგიეროდ, კლავიკორდს დაყრდნობილი ჯორჯი დრო-დადრო კომენტარს ისროდა, ფრენსი კი ბუხრის თაროსთან იდ-გა. უინიფრიდი მეცხრე ბარონეტთან მინარნარდა: როგორც ჩან-და, მის გვერდით სულს მოითქვამდა. ბარონეტს თხელი, ტუჩებ-ზე ოდნავ გადმოკიდებული ცხვირი ჰქონდა, ჭაღარა ულვაშის

ბოლოებიც ქვემოთ დაზნექოდა. უინიფრიდმა ღიმილით წაიმღერა:

- ძალიან საყვარლად გამოვიდა, არა?

პასუხი დაგორგლილი პურის ბურთულასავით ესროლეს:

- ფრეზერთან თუ გახსოვთ, რომელიღაც ტომის წარმომადგენლები თავიანთ ახალდაქორწინებულებს წელამდე რომ ფლავენ მიწაში?

ესეც ყველა სხვასავით სწრაფად მეტყველებდა! ცოცხალი, შავი თვალები ჰქონდა, ნაოჭების ბადით შემოვლებული - კათოლიკე მღვდელივით. უცებ უინიფრიდმა იგრძნო, რომ ამ კაცისგან შეიძლებოდა უსიამოვნო რამეები გაეგონა.

- ქორწილები ყოველთვის ასეთი სახალისოა, - ჩაილაპარაკა მან და გზა განაგრძო სომსისკენ.

ის გარინდებული იდგა და უინიფრიდიც სასწრაფოდ მიხვდა მისი უმოძრაობის მიზეზს: მარჯვენა მხარეს ჯორჯ ფორსაიტი ედგა, მარცხნივ - ანეტი და პროფონი. თუ სომსი შეირხეოდა, ან ამ წყვილს დაინახავდა, ან მის ანარეკლს ჯორჯ ფორსაიტის დამცინავ თვალებში. სავსებით მართალია, როცა ამჯობინებს, რომ არაფერი შენიშნოს.

- ამბობენ, ტიმოთი კვდებაო, - თქვა სომსმა პირქუშად.

- სად დაასაფლავებ, სომს?

- ჰაიგეიტში, - და თითებზე გადაითვალა, - უკვე თორმეტნი იქნებიან, ცოლების ჩათვლით. ფლერი როგორ მოგწონს?

- საოცრად კარგია.

სომსმა თავი დაუკანტურა: არასოდეს უნახავს თავისი ქალიშვილი ასეთი ლამაზი. და მაინც, თავიდან ვერ იშორებდა გან-

ცდას, რომ ამ ყველაფერში რაღაც არაბუნებრივი იყო. ვერაფ-
რით ივიწყებდა დივნის კუთხეში მიკუნჭულ გოგოს. იმ ღამის
შემდეგ ფლერს აღარაფერი უთქვამს. სომსმა მძღოლისგან შე-
იტყო, რომ მის ქალიშვილს კიდევ ერთი იერიში განუხორციელე-
ბია რობინჰილზე და უშედეგოდ დაბრუნებულა: სახლი ცარიელი
დახვედრია. სომსმა ისიც შეიტყო, რომ ფლერმა წერილი მიიღო,
თუმცა ამ წერილის შინაარსიდან მხოლოდ ის იცოდა, რომ ფლე-
რი სადღაც შეიყუჟა და იტირა. სომსი ამჩნევდა, რომ დროდად-
რო გოგონა მალულად უყურებდა, თითქოს ჯერ კიდევ სურდა
გაეგო, რა ჩაედინა მამამისს ასეთი, რომ ისინი დასანახავად ვერ
იტანდნენ. ასე მიდიოდა ყველაფერი. ანეტი დაბრუნდა და ზაფ-
ხულის დღეებიც დაღვრემილად ცვლიდა ერთმანეთს, სანამ ერ-
თხელაც ფლერმა განაცხადა, მონტს მივყვებიო. ამ განცხადების
შემდეგ ოდნავ უფრო ალერსიანი გახდა მამის მიმართ. იმანაც
დათმო. ან რა აზრი ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევას? ღმერთია
მოწამე, რომ სომსს ფლერი არასოდეს არაფერში დაუბრკოლე-
ბია, ხოლო ის ჭაბუკი აშკარად ჭკუას კარგავდა მის ქალიშვილ-
ზე. რასაკვირველია, ფლერს სასოწარკვეთა ამოძრავებდა, თა-
ნაც მთლად ნორჩი იყო, სისულელემდე ნორჩი. მაგრამ სომსი
რომ წინ აღსდგომოდა, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა? არც
აციებდა, არც აცხელებდა და - რაღაც პროფესიას ამოირჩევდა,
ექიმი ან ადვოკატი გახდებოდა. ვინ იცის, რა სისულელე მოუფ-
რიკინდებოდა თავში! ფლერს არც ხატვის ნიჭი ჰქონდა, არც
პოეზიის, არც მუსიკის, ანუ არც ერთის იმ კანონიერ საქმიანო-
ბათაგან, რომლებითაც, სომსის აზრით, გაუთხოვარი ქალიშვი-
ლი შეიძლებოდა დაკავებულიყო ამ ეპოქაში, თუ მაინცდამაინც

რაღაცის კეთება უნდოდა. საერთოდ, უფრო მშვიდი გამოსავალი იყო გათხოვება, რადგან სომსი მშვენივრად ამჩნევდა, რა ციებ-ცხელებასა და ფორიაქს აეტანა მისი გოგონა. ანეტიც თანაგრძნობით უყურებდა ამ გეგმას, როგორც სომსი ხედავდა თავისი უსურვილობის მიღმა, უსურვილობის - სცოდნოდა საკუთრივ ანეტის გეგმები, თუ ასეთები საერთოდ არსებობდა. "დაე, მისთხოვდეს ამ ჭაბუკს, - თქვა ანეტმა, - ჩინებული ბიჭია, არა ისეთი თავქარიანი, როგორ შთაბეჭდილებასაც ტოვებს". საიდან მოუვიდა ასეთი სიტყვები? სომსმა არ იცოდა ეს, თუმცა ანეტის თანხმობამ ეჭვები გაუფანტა. ეს ქალი, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი ქცევა, საგნებს ფხიზელი თვალით უყურებდა და საღი აზრის დამთრგუნველი სიჭარბითაც გამოირჩეოდა. ფლერის ანგარიშზე სომსმა ორმოცდაათი ათასი გირვანქა გადაიტანა, თან ზომებიც მიიღო, რომ ეს ფული სხვას არ ჩავარდნოდა ხელში, თუ ვითარება რამენაირად უარესობისკენ შეიცვლებოდა. უკეთესობისკენ თუ შეიძლებოდა, რომ წასულიყო? სომსმა იცოდა, რომ ფლერს არ დავიწყებია ის, მეორე ბიჭი. თაფლობის თვეს ახალდაქორწინებულები ესპანეთში გაატარებდნენ. ფლერი გაემგზავრება და მამას კიდევ უფრო უარეს სიმარტოვეში დატოვებს. თუმცა იქნებ მერე წარსული მიავიწყდეს და სომსს დაუბრუნდეს!

უინიფრიდის ხმამ ფიქრებიდან გამოაფხიზლა.

- როგორ! სასწაულთა სასწაული: ჯუნი!

თავის უცვლელ ბალახონში (ეს რა უაზროდ იცვამდა ხოლმე, ღმერთო!) და ლენტის ქვემოდან გამოვარდნილი თმით, გამოჩ-

ნდა ჯუნი, სომსის ბიძაშვილი. ფლერი მივიდა და მიესალმა. ორივენი კიბისკენ წავიდნენ და გაუჩინარდნენ.

- მართლაცდა, ჯუნისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ვინ წარმოიდგენდა მის მოსვლას!

- რატომ მოიწვიე? - ჩაიბუტბუტა სომსმა.

- დარწმუნებული ვიყავი, არასგზით არ მიიღებდა მოწვევას.

უინიფრიდს დაავიწყდა, რომ ადამიანის საქციელს მისი ხასიათის ძირითადი ძარღვი განაპირობებს. ანუ, სხვა სიტყვებით, მხედველობიდან გამორჩა, რომ ამჟამად ფლერი "უიღბლოთა" ჯგუფში აღმოჩნდა.

თავდაპირველად, როცა მიწვევა მიიღო, ჯუნმა იფიქრა: "ახლოსაც არ გავეკარები!" მერე კი, ერთ მშვენიერ დილას, გამოიღვიძა სიზმრიდან, რომელშიც ნახა ფლერი: გოგონა ნავში იჯდა და სასოწარკვეთილად უქნევდა ხელს. ჰოდა, ჯუნმა გადაწყვეტილება შეცვალა.

როდესაც ფლერი მიუახლოვდა და უთხრა: "ზემოთ ავიდეთ. ცოტა ხანს ჩამოჯექით ჩემთან, სანამ გამოვიცვლი", ჯუნი კიბეზე გაჰყვა. ფლერი წინ წავიდა, იმოჯინის ყოფილ ოთახში, რომელიც პატარძალს გამოუყვეს ტუალეტისთვის.

ჯუნი საწოლზე ჩამოჯდა, თხელი და წელგამართული, როგორც პატარა და ასაკოვანი ლანდი. ფლერმა კარი შიგნიდან ჩაკეტა, საქორწინო კაბა გაიხადა და ჯუნის წინ გაჩერდა. რა საყვარელია და მოხდენილი!

- უთუოდ ტუტუც გოგოდ მთვლით, - თქვა ფლერმა და ტუჩები აუთრთოლდა, - ეს ხომ, სინამდვილეში, ჯონი უნდა ყოფი-

ლიყო. მაგრამ რა უნდა მექნა? მაიკლს ვუყვარვარ, ჩემთვის კი ახლა სულერთია. ჩვენი სახლიდან მაინც დამიხსნის.

მკერდის მაქმანებში ხელი ჩაიყო და იქიდან წერილი ამოიღო.

- აი, რა მომწერა ჯონმა.

ჯუნმა წაიკითხა:

"ოკანაგენის ტბა, ბრიტანეთის კოლუმბია. ინგლისში აღარ დავბრუნდები. არასდროს დაგივიწყებ. ჯონი".

- ხომ ხედავთ: იმ ქალმა შვილი საიმედოდ გადამალა, - თქვა ფლერმა.

ჯუნმა წერილი დაუბრუნა.

- უსამართლო ხართ აირენის მიმართ! იგი გამუდმებით ეუბნებოდა ჯონს: ისე მოიქეცი, როგორც შენ გინდაო.

ფლერმა მხოლოდ გაიღიმა.

- მითხარით, იმ ქალს თქვენი ცხოვრებაც ხომ არ მოუწამლავს?

ჯუნმა წარბები ასწია.

- სისულელეა, ძვირფასო: ვერავინ გაუფუჭებს მეორე ადამიანს ცხოვრებას! რაც უნდა მოხდეს, წელში არ უნდა გავტყდეთ.

ჯუნს გული გადაუქანდა, როცა ფლერი მუხლებზე დაეცა და სახე კალთაში ჩაურგო. ქალის სმენამდე გოგონას ქვითინმა მოაღწია.

- არა, შვილიკო, არა... - ბუტბუტებდა დაბნეულად, - ყველაფერი კარგად იქნება.

მაგრამ გოგონას წვეტიანი ნიკაპი უფრო მაგრად და უფრო მტკივნეულად ეკვროდა მუხლებზე. საშინელი იყო მისი ქვითინის ხმა.

არა უშავს, არა უშავს! უნდა გაიაროს ეს. ნელ-ნელა გულზე მოეშვება. ჯუნი ხელს უსვამდა მოკლედ შეკრეჭილ თმას ამ მოხდენილ თავზე. ჯუნის დაუხარჯავმა დედობრივმა გრძნობამ თავი მოიყარა მის ხელში და ახლა თითისწვერებიდან გადაეცემოდა გოგონას.

- ქედს ნუ მოუხრით დარტყმას, ძვირფასო, - თქვა ჯუნმა ბოლოს, - ჩვენ ცხოვრებას ვერ ვმართავთ, მაგრამ შეგვიძლია ვიბრძოლოთ. სულით ნუ დაეცემით. მეც ჩემი გადავიტანე და, თქვენსავით, არც მე მსურდა დამევიწყებინა. მეც ვტიროდი. ახლა კი შემხედეთ!

ფლერმა თავი ასწია და მისი ქვითინი უცებ ჩუმ, შეკავებულ სიცილში გადაიზარდა: მის წინ, მართლაცდა, სიფრიფანა, ველური, ძალაგამოცლილი აჩრდილი იჯდა, თუმცა - მამაცური თვალებით.

- ჰო! - თქვა ფლერმა, - მაპატიეთ. ალბათ დავივიწყებ, თუ სწრაფად და შორს გავქროლდები.

მერე თავს ძალა დაატანა, წამოდგა და პირსაბანთან მივიდა.

ჯუნი თვალს ადევნებდა, ცივი წყლით როგორ იშორებდა ფლერი გადატანილი მღელვარების ნიშატს. როცა სარკესთან მივიდა, აღარაფერი დარჩენოდა, სავსებით მისაღები მსუბუქი სიწითლის გარდა. ჯუნი საწოლიდან წამოდგა, ქინძისთავების ბალიში აიღო და ორ ქინძისთავს ადგილი შეუცვალა: სულ ამით გამოხატა თავისი თანაგრძნობა.

- მაკოცეთ, - უთხრა უკვე მოწესრიგებულ ფლერს და ნიკაპი თბილ ლოყაში ჩაურჭო.

- მოვწევ, ნუ დამელოდებით, - თქვა ფლერმა და კბილებში პაპიროსგაჩრილი, ნახევრად თვალებდახუჭული დარჩა საწოლზე. ჯუნი ქვემოთ ჩავიდა. კარის ზღურბლზე სომსი იდგა, თითქოს ფლერის დაგვიანებით აფორიაქებული. ჯუნმა თავი გააქნია და შეუჩერებლად განაგრძო ჩასვლა მომდევნო კიბის უჯრედამდე, სადაც მისი ბიძაშვილი ფრენსი იდგა.

- შეხედე! - ნიკაპის აქნევით მიუთითა მას სომსზე, - საბედისწერო კაცი!

- რისი თქმა გინდა ამით? - ჰკითხა ფრენსიმ, - რატომ საბედისწერო?

ჯუნმა არ უპასუხა.

- აღარ დაველოდები, უჩემოდ გააცილებენ, - თქვა პასუხის სანაცვლოდ, - ნახვამდის!

- ნახვამდის! - დაუბრუნა ფრენსიმ და მის ნაცრისფერ კელტურ თვალებში სიცილი ათამაშდა. ძველი მოსისხარობა! თუმცა, შეიძლება ითქვას, ეს რომანტიკას მოკლებული არ არის!

კიბეზე გადახრილმა სომსმა დაინახა, რომ ჯუნი მიდის, და შვებით ამოისუნთქა. სად არის ფლერი, რატომ არ ჩამოდის? მატარებელზე დააგვიანდებათ, მატარებელზე, რომელიც ფლერს შორს წაიყვანს და რომელზეც - სომსი ვერც ამაზე ფიქრობდა აუღელვებლად - მათ შეიძლებოდა დაჰგვიანებოდათ.

აი, გამოჩნდა, როგორც იქნა. ყავისფერ კაბაში და შავი ხავერდის ქუდში გამოწყობილმა ფლერმა კიბეზე ჩამოირბინა, მამას ჩაუარა და სასტუმრო ოთახში გავიდა. სომსმა დაინახა, როგორ აკოცა დედას, მამიდას, ვალ დარტის ცოლს, იმოჯინს და ისევ გამოვიდა, მკვირცხლი და მშვენიერი, როგორც ყოველ-

თვის. როგორ მოეპყრობა მამას თავისი ქალწულობის ამ ბოლო წუთებში? სომსი ბევრს არაფერს იმედოვნებდა.

ფლერის ტუჩები შუაგულ ლოყაზე მიეჭირა:

- მამიკო! - თქვა და გავარდა.

"მამიკო!" მრავალი წელია ასე აღარ უწოდებია. სომსმა მთელი მკერდით ამოიოხრა და ნელა ჩაუყვა საფეხურებს. მოუწევს გაიაროს ეს ალიაქოთი თავისი კანფეტებითა და სხვა სისულელით. ის თავისი გოგონას ღიმილს ელოდება, თუ ფლერი მანქანიდან გამოიხედავს დასამშვიდობებლად. თუმცა საჭირო არ არის: ვინმემ შემთხვევით ფეხსაცმელი არ სთხლიშოს თვალებში.

ახალგაზრდა მონტის ხმა მგზნებარედ გახმიანდა მის ყურთან:

- ნახვამდის, სერ! უსაზღვროდ მადლობელი ვარ თქვენი! და ასეთი ბედნიერი!

- ნახვამდის, - დაუბრუნა სომსმა, - მატარებელზე არ დაგაგვიანდეთ.

ქვემოდან მესამე საფეხურზე იდგა, საიდანაც თავების ზემოთ ხედავდა, იმ ბრიყვული ქუდებისა და თავების ზემოთ. აი, მანქანაშიც ჩასხდნენ და დაიწყო კანფეტების ტრიალი, ბრინჯის ფანტვა, ტუფლიც ისროლეს. სომსს რაღაც ტალღა აუზავთდა მკერდში და რაღაცამ - კაცი ვერ გაიგებს, რამ - თვალები დაუნისლა.

თავი მეთერთმეტე

ძველი ფორსაიტებიდან უკანასკნელი

როცა მოვიდნენ, რათა გაეპატიოსნებინათ ტიმოთი ფორსაიტი, ეს საშინელი სიმბოლო, პირწავარდნილი ინდივიდუალისტების უკანასკნელი წარმომადგენელი, ერთადერთი ადამიანი დედამიწაზე, რომელსაც არაფერი სმენოდა პირველ მსოფლიო ომზე, - ყველამ აღმოაჩინა, რომ ის მშვენივრად გამოიყურებოდა: თვით სიკვდილსაც კი ვერ ემოქმედა მის ჯანმრთელ ნატურაზე.

სმითერისა და მზარეულისთვის მიცვალებულის განბანა იქცა საბოლოო მტკიცებულებად იმისა, რაც მათ ყოველთვის შეუძლებელი ეგონათ: - ფორსაიტების ძველი ოჯახის მიწიერი ცხოვრების დასასრულის. საბრალო მისტერ ფორსაიტმა არფა უნდა აიღოს და შეუერთდეს მის ფორსაიტს, მისის ჯულის, მის ესთერს, ისევე, როგორც მისტერ ჯოლიონს, მისტერ სუითინს, მისტერ ჯეიმსს, მისტერ როჯერსა და მისტერ ნიკოლასს. იქვე იქნებოდა თუ არა მისის ჰეიმენი? საეჭვოა, რადგან მისი ცხედარი დაწვეს. მზარეული მალულად ფიქრობდა, რომ მისტერ ტიმოთი თავს კარგად ვერ იგრძნობდა, რაკი არასოდეს უყვარდა არღანი: "ისევ აყმუვლდნენ ფანჯრის ქვეშ! მეტი საქმე არა აქვთ!

გახედეთ, სმითერ, იქნებ რამენაირად შეაჩეროთ!" სმითერს გულით გაუხარდებოდა მუსიკა, რომ არ სცოდნოდა, რომ ახლა მისტერ ტიმოთი დარეკავდა და ეტყოდა: "აი, მიეცით ეს ნახევარპენიანი და უთხარით, წავიდეს". ხშირად უხდებოდათ სმითერსა და მზარეულს სამი პენსის დამატება თავიანთი ჯიბიდან, რათა მეარღნე წასვლაზე დაეთანხმებინათ. ტიმოთი მუდამ არასაკმარისად აფასებდა ემოციებს. საბედნიეროდ, უკანასკნელ წლებში არღანი ლურჯ ბუზში ერეოდა, რაც ძალზე ხელსაყრელი იყო, რადგან სმითერსა და მზარეულს მუსიკით ტკბობის საშუალება მიეცათ. მაგრამ არფა! მზარეულს ფიქრი ეძალებოდა: "ჰო, ნამდვილად ახალი დრო მოდის! მისტერ ტიმოთის კი არასოდეს უყვარდა ცვლილებები". თუმცა ამ ფიქრებს მზარეული არ უზიარებდა სმითერს, რომელსაც იმდენად თავისებური წარმოდგენები ჰქონდა სასუფეველზე, რომ ზოგჯერ, უბრალოდ, ჩიხში შეჰყავდით.

როცა ტიმოთის აცმევდნენ, მზარეული ტიროდა, მერე კი ყველამ ერთად დალია ერთი ბოთლი ხერესი, რომელსაც შარშანდლიდან ინახავდნენ შობისთვის, მაგრამ უკვე აღარ იყო საჭირო. ოჰ, მწარე, მწარე უბედურება! მზარეულმა ამ სახლში ორმოცდახუთი წელი გაატარა, სმითერმა - ორმოცდასამი! ახლა კი უნდა გადასახლებულიყვნენ პაწაწკინტელა სახლში ტუტინგში, რათა იქ გაეტარებინათ დარჩენილი ცხოვრება დაზოგილი თანხებითა და კიდევ იმ ფულით, მის ესთერმა რომ დაუტოვა თავისი გულკეთილობით. ახალი სამსახურის დაწყება ამდენი ხნის დიდებული წარსულის შემდეგ, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო! თუმცა ნამდვილად მოხარულები იქნებიან, თუ კიდევ ერთხელ ნახავენ

მისტერ სომსს, მისის დარტის, მის ფრენსის და მის ეფემიას. თვით მაშინაც კი, თუ მოუწევთ, რომ თვითონვე დაიქირავონ კარეტა, მაინც თავიანთ აუცილებელ მოვალეობად ჩათვლიან დაკრძალვაზე დასწრებას. ექვსი წლის განმავლობაში ჩვილივით უვლიდნენ მისტერ ტიმოთის, რომელიც დღიდან დღემდე სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა, სანამ მეტისმეტად არ დაპატარავდა ცხოვრებისთვის.

მოლოდინის საათები მიეძღვნა სპილენძის ჭურჭლის გაპრიალებას და მტვრის გადაწმენდას, ბოლო თაგვის დაჭერას და უკანასკნელი ტარაკნის მოსპობას (ვინძლო ყველაფერი საკადრის ფორმაში დაეტოვებინათ), აგრეთვე ერთობლივ მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რა შეესყიდათ აუქციონზე: მის ენის სამუშაო ზარდახშა; მის ჯულის (ანუ მისის ჯულის) ზღვის ბალახების ალბომი; ბუხრის ეკრანი, რომელიც მის ესთერმა მოქარგა გარუსით; მისტერ ტიმოთის თმა - მუყაოზე დაკრული და შავ ჩარჩოში ჩასმული ოქროსფერი კულულები...

ოჰ, სასწრაფოდ უნდა გამოესყიდათ ეს ყველაფერი! ეგაა, დღესდღეობით ნივთები ძალიან გაძვირდა.

დაკრძალვის ცერემონიაზე მოსაწვევების დაგზავნა დაევალა სომსს, რომელმაც ისინი თავის ოფისში მოამზადა გრედმენთან ერთად. იწვევდნენ მხოლოდ სისხლით ნათესავებს განსაკუთრებული აღლუმის გარეშე. ექვსი კარეტა შეუკვეთეს. ანდერძს წაიკითხავდნენ სახლში, დაკრძალვის შემდეგ.

თერთმეტ საათზე სომსი მივიდა, აბა, ყველაფერი მზად იყო თუ არა. თხუთმეტი წუთის შემდეგ გამოჩნდა მოხუცი გრედმენი შავი ხელთათმანებით და ქუდზე დამაგრებული კრეპით. ის და

სომსი სასტუმრო ოთახში იდგნენ და ელოდებოდნენ. თორმეტის ნახევარზე სადარბაზოსთან კარეტები ჩამწკრივდა, თუმცა მეტი აღარავინ მოსულა.

- მიკვირს, მისტერ სომს, - თქვა გრედმენმა, - მე თვითონ მივიტანე მოსაწვევები ფოსტაში!

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, - მიუგო სომსმა, - მან დაკარგა კავშირი ოჯახთან.

უწინ არაერთგზის შეუმჩნევია, რამდენად უფრო მეტ ნათესაურ გრძნობებს ამჟღავნებდნენ მის ოჯახში გარდაცვლილების მიმართ, ვიდრე ცოცხლებთან დამოკიდებულებაში. ახლა კი ის ამბავი, რომ ფლერის ნიშნობას მოაწყდნენ და ტიმოთის დაკრძალვას გაეცალნენ, რაღაც ძირეულ ცვლილებაზე მიუთითებდა. თუმცა აქ, შესაძლოა, სხვა მიზეზიც არსებობდა, რადგანაც სომსი აცნობიერებდა: წინდაწინვე რომ არ სცოდნოდა ტიმოთის ანდერძის შინაარსი, არც თვითონ დაესწრებოდა დაკრძალვას დელიკატურობის გამო. ტიმოთიმ დიდძალი ქონება დატოვა, თუმცა პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა და, შესაბამისად, არავის უნდოდა საბაბის მიცემა ეჭვისთვის, რომ რაღაცას ელოდა გარდაცვლილისგან.

თორმეტ საათზე ტიმოთი გამოასვენეს და პროცესიაც დაიძრა. პირველ კარეტაში მინისსახურავიანი სასახლით მიცვალებული მიჰყავდათ. მეორეში მარტო სომსი იჯდა. მესამეში გრედმენი - ასევე მარტოდმარტო. ბოლოს, სმითერი და მზარეული ერთად. თავიდან ნელა დაიძრნენ, მერე კი, კარგი ამინდით წაქეზებულები, ჩორთზე გადავიდნენ. ჰაიგეიტის სასაფლაოს შესასვლელთან პროცესია ეკვდერთან შეყოვნდა იქ ჩასატარებელი

მსახურებისთვის. სომსმა სუფთა ჰაერზე მოცდა ამჯობინა. ერთი სიტყვაც არ სჯეროდა მთელ ამ მსახურებაში. თუმცა, მეორე მხრივ, ეს იყო ერთგვარი დაზღვევა, რომლისთვისაც გვერდი არ უნდა აევლოთ, თუკი საიქიოში მაინც არსებობდა რამე.

უკანა გზაზე ბეისუოთერ-როუდისკენ სომსმა გრედმენი გულთბილად მიიწვია თავის კარეტაში. ამ ჭარმაგი ადამიანისთვის, რომელიც ფორსაიტებს ორმოცდათოთხმეტ წელს ემსახურა, სიურპრიზი ჰქონდა შემონახული. არასოდეს დავიწყებია, როგორ ჰკითხა მოხუც ტიმოთის მამიდა ესთერის დაკრძალვის მეორე დღეს: "გრედმენზე რას იტყვით, ძია ტიმოთი? რამდენი დავიდარაბა გადახდენია ჩვენი ოჯახისთვის. ხუთი ათასს ხომ ვერ გამოუწერდით?" და ძალიან გაუკვირდა, როცა ტიმოთიმ, რომელიც ძნელად თუ გაიღებდა ვინმესთვის ფულს, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მოხუცი გრედმენი მეშვიდე ცაში აფრინდებოდა ბედნიერებისგან, რადგანაც, რამდენადაც სომსმა იცოდა, მისის გრედმენს გული აწუხებდა, მათმა ვაჟიშვილმა კი ფეხი დაკარგა ომში. სომსს უზომოდ სიამოვნებდა ხუთი ათასი გირვანქის გადაცემა ტიმოთის ფულიდან. ის და გრედმენი დასხდნენ პატარა სასტუმრო ოთახში, რომლის კედლები სამოთხის ხილვასავით ლაჟვარდისა და ოქროს ფერი იყო, ჩარჩოები არაბუნებრივად ბრწყინავდა, ავეჯს კი მტვრის ერთი ნაწილაკიც არ ედო. აქ ერთად უნდა წაეკითხათ მცირე შედევრი - ტიმოთის ანდერძი. მამიდა ესთერის სავარძელში ზურგით სინათლისკენ ჩამჯდარმა სომსმა ერთხელ გახედა მამიდა ენის პატარა დივანზე ჩამომჯდარ, პირდაპირ განათებულ გრედმენს და ფეხიფეხზეგადადებულმა დაიწყო:

"ეს არის ჩემი - ლონდონში, ბეისუოთერ-როუდზე მცხოვრები ტიმოთი ფორსაიტის - უკანასკნელი ნება და ანდერძი. მის აღმსრულებლებად ვნიშნავ ჩემს ძმისწულს, მეიპლდურჰამში მცხოვრებ სომს ფორსაიტს, და ფოლი-როუდის 159-ე ბინაში მცხოვრებ თომას გრედმენს. ზემოთ დასახელებულ სომს ფორსაიტს ვუტოვებ მემკვიდრეობაზე გადასახადისგან თავისუფალ ათას გირვანქა სტერლინგს, ხოლო ზემოთ დასახელებულ თომას გრედმენს - ხუთი ათას სტერლინგს, ასევე თავისუფალს მემკვიდრეობაზე გადასახადისგან".

სომსმა კითხვა შეწყვიტა. მოხუცი გრედმენი წინ გადმოიხარა და პუტკუნა ხელებით თავის შავ, მსუქან მუხლებს ჩააფრინდა. პირი ისე დააფჩინა, რომ შიგნიდან სამი ოქროს პლომბი გამოუბრწყინდა. წამწამები ფახულობდნენ და ორი ცრემლიც ნელა მოგორავდა ორ ლოყაზე. სომსმა სასწრაფოდ განაგრძო:

"მთელ დანარჩენ ქონებას, თანდართული აღწერილობის მიხედვით, ვაბარებ ჩემი ანდერძის აღმასრულებლებს, რათა მოახდინონ მისი რეალიზება, რომლის შედეგად შემოსული თანხები შეინახება ქვემოთ მოყვანილ რწმუნებულობათა მიხედვით. სახელდობრ, მოხდება ყველა ჩემი ვალის, დაკრძალვისა და წინამდებარე ანდერძთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, ხოლო დარჩენილი თანხა გადაენახება მამაჩემის, ჯოლიონ ფორსაიტისა, და მისი კანონიერი მეუღლის, ენ პირსის, იმ მამრობითი სქესის პირდაპირ შთამომავალს, რომელსაც - მას შემდეგ, რაც გარდაიცვლება ზემოხსენებული მამაჩემისა და მისი ზემოხსენებული ქორწინების პირდაპირი, ჩემი სიკვდილის მომენტისთვის ცოცხალი ორივე სქესის შთამომავალი - ყველაზე ბოლოს შეუს-

რულდება ოცდაერთი წელი. ამასთანავე გამოვხატავ სურვილს, რომ ჩემი ქონება ინახებოდეს ინგლისის კანონებით დაშვებულ ზღვრულ დრომდე მამრობითი სქესის ზემოთ მითითებული შთამომავლის სასარგებლოდ".

ბოლოს სომსმა წაიკითხა ხელმოწერები და დამოწმება, მერე თავი ასწია და გრედმენს შეხედა. მოხუცი შუბლს იმშრალებდა დიდი ცხვირსახოცით, რომლის კაშკაშა ფერი მთელ ამ პროცესს სადღესასწაულო ელფერს აძლევდა.

- ღმერთო ჩემო, წარმოგიდგენიათ, მისტერ სომს! - შესძახა მან და აშკარად გამოჩნდა, რომ ადვოკატმა მასში მთლიანად გადაფარა ადამიანი, - ღმერთო ჩემო! ამჟამად ფორსაიტებს ორი ჩვილი გყავთ და რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი. თუ ერთი მათგანი მიაღწევს ოთხმოც წლამდე, ანუ არცთუ მაინცდამაინც ღრმა მიხრწნილებამდე, და ამას მიემატება ოცდაერთი წელი, ჯამში მივიღებთ ას წელიწადს. ხოლო მისტერ ტიმოთის ქონება სუფთა ას ორმოცდაათი ათასი გირვანქაა. რთული პროცენტები და ყოველწლიური ხუთი პროცენტი აორმაგებს თავდაპირველ თანხას თოთხმეტი წლის შემდეგ, ანუ ვიღებთ სამასი ათასს, რომელიც ოცდარვა წლის შემდეგ ექვსასი ათასი ხდება, ორმოცდაორი წლის შემდეგ - მილიონ ორასი ათასი; ორი მილიონ ოთხასი ათასი - ორმოცდათექვსმეტი წლის შემდეგ; ოთხი მილიონ რვაასი ათასი - სამოცდაათი წლის შემდეგ; ცხრა მილიონ ექვსასი ათასი - ოთხმოცდაოთხი წლის შემდეგ... აჰა! ასი წლის შემდეგ ოცი მილიონი გამოდის! ჩვენ ვერ ვიცოცხლებთ იქამდე! მე მესმის, რომ ეს ანდერძია.

- მანამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, - თქვა სომსმა მშრალად, - მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება სახელმწიფომ წაიღოს. ჩვენს დროში ყველაფერია მოსალოდნელი.

- ხუთს მოვეშვათ, - თავისთვის ჩაილაპარაკა გრედმენმა, - დამავიწყდა, რომ მისტერ ტიმოთიმ ყველაფერი კონსოლიდირებულ რენტებში ჩადო. საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით, ორ პროცენტზე მეტ მოგებას ვერ ვიგულისხმებთ. ვთქვათ რეალურად: რვა მილიონი. არც ესაა ცოტა!

სომსი წამოდგა და ანდერძი გრედმენს გადასცა.

- თქვენ ქალაქში მიდიხართ. იზრუნეთ ამაზე და გააკეთეთ ყველაფერი, რაც საჭიროა. გამოაქვეყნეთ განცხადება და სხვა ამდაგვარი. ისე, ტიმოთის არავითარი ვალი არ დარჩენია. აუქციონი როდის არის?

- იმ კვირის სამშაბათს, - თქვა გრედმენმა, - როდის დაიხოცება სადღეისოდ ცოცხალი ყველა ადამიანი და როდის გავა კიდევ ოცდაერთი წელი? არც ისე მალე. მაგრამ მიხარია, რომ მისი ფული ოჯახში დარჩა...

აუქციონზე, რომელიც, ვიქტორიანული სტილის ავეჯის გამო, ჯობსონთან ვერ მოეწყო, გაცილებით მეტი პუბლიკა შეიკრიბა, ვიდრე დაკრძალვაზე. თუმცა მზარეული და სმითერი არ მოსულან, რადგანაც სომსმა შესთავაზა, რომ თვითონვე მიუტანდა მათთვის სასურველ ნივთებს. აუქციონს დაესწრნენ უინიფრიდი, ეფემია და ფრენსი, იუსტასიც მოგორდა თავისი მანქანით. მინიატიურები, ბარბიზონელების და ჯ.რ.-ს ნახატები წინდაწინ შეისყიდა სომსმა. რელიკვიები, რომელთაც არ ჰქონდათ საბაზრო ღირებულება, მეზობელ ოთახში გაიტანეს ოჯა-

ხის წევრებისთვის იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი რაიმეს სახსოვრად წაღებას ისურვებდა. დანარჩენი ჩაქუჩის ქვეშ გაიყიდა. ვაჭრობა თითქმის ტრაგიკულად დუნედ მიმდინარეობდა. ოთახის ვერც ერთი აქსესუარი, ვერც ერთი სურათი თუ ფაიფურის ფიგურა ვერ პასუხობდა თანამედროვე გემოვნებას. კარადიდან გამოღებულ კოლიბრებს (სადაც ისინი სამოცი წლის განმავლობაში იწონებდნენ თავს) ფოთლებივით გასცვივდა ბუმბული. სომსისთვის მტკივნეული სანახავი იყო, რომ სკამები, რომლებზეც ისხდნენ მისი მამიდები, როიალი, რომელზეც თითქმის არასოდეს უკრავდნენ, წიგნები, რომელთა ყდებს ათვალიერებდნენ ხოლმე, ფაიფური, რომლიდანაც მტვერს წმენდნენ, პორტიერები, რომლებსაც ხსნიდნენ და ხურავდნენ, ხალიჩა, რომელიც მათ ფეხებს უთბობდა, და, რაც მთავარია, საწოლები, რომლებშიც ეძინათ და რომლებშიც დაიხოცნენ, - ეს ყველაფერი წვრილფეხა ვაჭრებისა და ფულჰემელი მეპატრონეების ხელში გადადიოდა. არადა, რა უნდა ექნა? თვითონვე ეყიდა ყველაფერი და საკუჭნაოში დაეყარა? არა, ამ ნივთებსაც უნდა ეწვნიათ ყოველგვარი სხეულისა და ავეჯის ხვედრი: მანამდე ემსახურათ ადამიანებთან, სანამ განადგურდებოდნენ. მაგრამ როდესაც საქმე მიდგა მამიდა ენის ტახტზე და უკვე აპირებდნენ ჩაქუჩიდან გაეშვათ ხუთ შილინგად, სომსმა იყვირა: "ხუთი გირვანქა!" დიდი აურზაურის შემდეგ ტახტი მას ერგო.

როცა აუქციონის ჰაერნაკლულ დარბაზში გაყიდვა დასრულდა და მთელი ეს ვიქტორიანული ფერფლი ლონდონში გაიფანტა, სომსი ისეთი გრძნობით გამოვიდა ოქტომბრის დღის ნისლიან სინათლეში, თითქოს ძველი სამყაროს უკანასკნელი

სიმყუდროვე გარდაცვლილიყო და უკვე რეალურად ეკიდა აბრა: "ქირავდება". ჰორიზონტზე რევოლუცია ჩანდა; ფლერი ესპანეთში იყო; ანეტისგან სასიხარულო არაფერი ქროდა; აღარც ტიმოთის სახლი იდგა ბეისუოთერ-როუდზე. დათრგუნვილმა და გულდაწყვეტილმა სომსმა გაუპენორის გალერეას მიაშურა. იქ გამოფენილი იყო ჯოლიონ ფორსაიტის აკვარელები. წავიდა სანახავად და საფხუკუნოდ. ეს გარკვეულ შვებას მისცემდა. ჯუნისგან მისის ვალ დარტიმდე, მისის ვალ დარტისგან ვალამდე, ვალისგან უინიფრიდამდე, უინიფრიდისგან სომსამდე: - ამ გზით გაჟონა ხმებმა, რომ სახლი - საბედისწერო სახლი რობინჰილში - იყიდებოდა, აირენი კი შვილთან მიემგზავრებოდა ბრიტანულ კოლუმბიაში ან სადმე სხვაგან. ერთ გიჟურ წამში სომსს გაუელვა: "რატომ არ უნდა ვიყიდო? ის ხომ ჩემი ცოლისთვის...". მაგრამ ეს აზრი მეორე წამსვე უკუაგდო. მეტისმეტად პირქუში ზეიმი გამოუვიდოდა, მეტისმეტად ბევრი მოგონება უკავშირდებოდა ამ ადგილს, დამამცირებელი მისთვისაც და ფლერისთვისაც. ყოველივეს შემდეგ, რაც მოხდა, ფლერი არასოდეს დასახლდებოდა იქ. დაე, იქაურობა მშვიდად ერგოს რომელიმე პერს ან გადამყიდველს: სახლი, რომელიც იმთავითვე იქცა განხეთქილების მიზეზად, მტრობის მოლუსკის დამმალავ ნიჟარად. იმ ქალის წასვლის შემდეგ კი ნიჟარა დაცარიელდა. "იყიდება ან ქირავდება": სომსის გონებრივი მზერის წინ უკვე მოჩანდა დაფა ასეთი წარწერით, რომელიც აგვირგვინებდა მისი ზედამხედველობით აშენებულ სუროთი დაფარულ კედელს.

სომსმა გალერეის პირველ ოთახებში გაიარა. "რაც გინდა თქვი, ცოტა ნამუშევარი არ არის!" ახლა, როდესაც მხატვარი

მოკვდა, ეს ყველაფერი უწინდებურად მოსაწყენი აღარ ჩანდა. ხაზები სასიამოვნო იყო, ფერები ჰაერს გადმოსცემდა, სტილში ინდივიდუალობა იგრძნობოდა. "მამამისი და მამაჩემი, ის და მე, მისი შვილი და ჩემი შვილი, - ფიქრობდა სომსი, - ასე წავიდა ყველაფერი! სულ იმ ქალის გამო!" უკანასკნელი კვირის ამბებით ნაამები, შემოდგომის დღის სევდიან მშვენიერებას აყოლილი სომსი ისე ახლოს მივიდა ჭეშმარიტებამდე, როგორც არასოდეს მისულა მანამდე, ჭეშმარიტების, რომელიც მიუწვდომელი იყო წმინდა სისხლის ფორსაიტისთვის: რომ მშვენიერების სხეულს აქვს სულიერი არსი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავისგან თავისუფალი ერთგულება თუ მოიხელთებს. ბოლოს და ბოლოს, ამ ჭეშმარიტებასთან სომსს ფლერის სიყვარული აახლოებდა. იქნებ სწორედ ამ სიყვარულმა გააგებინა თუნდაც ნაწილობრივ, როგორ გაუშვა ხელიდან ჯილდო. და ახლა, თავისი ბიძაშვილის ხელით შექმნილ ამ აკვარელებში, ბიძაშვილის, რომელმაც მიიღო ის, რაც მისთვის მიუწვდომელი დარჩა, - სომსი ჯოლიონსა და აირენზე მისთვისვე გასაკვირი ტოლერანტობით ფიქრობდა. თუმცა შეძენით მაინც არც ერთი აკვარელი არ შეუძენია.

სომსმა სუფთა ჰაერზე გამოსვლა დააპირა და, სალარომდე რომ მივიდა, გალერეაში შემომავალ აირენს გადაეყარა. ეს არც ისე მოულოდნელი იყო, რადგან ასეთი შესაძლებლობა მუდამ დაჰქონდა ფიქრში. მაშ, ჯერ არ გამგზავრებულა და დასამშვიდობებელ ვიზიტებს აწყობს ჯოლიონის ნაშთებთან! სომსმა დათრგუნა ინსტინქტური სურვილების უნებლიე მოვარდნა, ხუთივე გრძნობის მექანიკური რეაქცია ოდესღაც მისი კუთვნილი ბანოვანის ხიბლზე, - განზე გაიხედა და გვერდით ჩაუარა. თუმ-

ცა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ვერ მოითმინა და მოიხედა. უკანასკნელად - უკანასკნელად! მისი ცხოვრების ცეცხლი და ტანჯვა, სიგიჟე და სევდა, მისი ერთადერთი მარცხი დამთავრდება, როცა აირენის ხატება მის თვალწინ გაილვებს და გაქრება. თვით ასეთ მოგონებებსაც კი აქვს თავისი მტანჯველი სიტკბო.

აირენმაც მოიხედა... მოიხედა და ხელთათმანშემოტმასნილი ხელი ასწია, ტუჩებზე უმსუბუქესი ღიმილი დაემჩნა, მრუმე თვალები კი თითქოს მეტყველებდნენ.

ამჯერად სომსს დაუდგა ჯერი - არ ეპასუხა ღიმილზე და ხელის იმ მსუბუქ, დასამშვიდობებელ გაქნევაზე. თხემით ტერფამდე აცახცახებული გავიდა ფეშენებელურ ქუჩაზე. მიხვდა, რას ეუბნებოდა ეს ღიმილი: "ახლა, როდესაც სამუდამოდ მივდივარ, როცა შენთვისაც მიუღწეველი ვარ და შენი ახლობლებისთვისაც, მაპატიე! სიკეთეს გისურვებ". აი, რას ნიშნავდა ეს: ზნეობის, მოვალეობის, საღი აზრისთვის გაუგებარი საშინელი სიმართლის უკანასკნელი დასტური, დასტური ამ ქალის ზიზღისა მის მიმართ, ქალის, რომლის სხეულსაც ის ფლობდა, მაგრამ ვერასოდეს შეეხო მის სულს თუ გულს. ეს მტკივნეული იყო, იმაზე უფრო მტკივნეული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, თუ სახიდან ნიღაბს არ მოიხსნიდა და არც ხელს დაუქნევდა.

სამი დღის შემდეგ, დღიდან დღემდე სიყვითლემოძალებულ ოქტომბერში, სომსმა ტაქსი აიყვანა ჰაიგეიტის სასაფლაოზე და, თეთრი ჯვრების ტყის გავლით, ფორსაიტების საგვარეულო აკლდამასთან ავიდა.

ბებერ კედართან, კატაკომბებისა და კოლუმბარიუმების ზემოთ აღმართული ეს მაღალი, უშნო, ინდივიდუალური აკლდამა

თითქოს სათავეში ედგა კონკურენციულ სისტემას. სომსს გაახსენდა კამათი, რომელშიც სუითინი ბოლომდე იცავდა აკლდამის ფასადზე ხოხბიანი გერბის გაკეთების იდეას. ეს იდეა უარყვეს და არჩიეს ქვის მოკრძალებული გვირგვინი, რომლის ქვემოთ იქნებოდა სიტყვები: "ჯოლიონ ფორსაიტის საგვარეულო აკლდამა, 1850 წელი". აკლდამა სრულ წესრიგში იყო, ბოლო დაკრძალვის ყველა კვალი - წაშლილი, ფხიზელი ნაცრისფერი ქვა მშვიდად მოღუშულიყო მზის სინათლეში. მთელი ოჯახი ახლა აქ იწვა, გარდა სამი წინაპრის: მოხუცი ჯოლიონის მეუღლის, რომელიც, წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, თავისი ოჯახის აკლდამაში დაბრუნდა საფოლკში; ყველაზე პირველი ჯოლიონის, რომელიც რობინჰილში იწვა; და სიუზან ჰეიმანის, რომლის ადგილსამყოფელი კრემაციის შემდეგ აღარავინ უწყოდა. სომსი კმაყოფილებით შეჰყურებდა აკლდამას: "მასიურია, დიდ ზრუნვას არ ითხოვს და ეს არცთუ უმნიშვნელოა". იცოდა: როცა თვითონაც მოკვდებოდა, აღარავინ მიხედავდა ფორსაიტების ამ სამუდამო განსასვენებელს. უკვე მოახლოვდა დრო, როცა ახალ საბინადროზე უნდა ეფიქრა. შეიძლება კიდევ ოცი წელი ეცოცხლა. მაგრამ ეს არავინ იცის წინდაწინ. ოცი წელი მამიდებისა და ბიძების გარეშე; იმ ცოლის გვერდით, რომელზეც უმჯობესია არაფერი იცოდეს; ქალიშვილთან, რომელიც სახლიდან წავიდა! სომსს მელანქოლია და წარსულზე ფიქრი შემოეპარა.

ეს სასაფლაო, როგორც ამბობდნენ, სახელოვანი და დიდი გემოვნებით დაკრძალული ადამიანებით იყო სავსე. ამ სიმაღლიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა ლონდონზე. ანეტმა ერთხელ წასაკითხად მისცა იმ ფრანგის - მოპასანის - მოთხრობა. ერთ ღა-

მეს სასაფლაოზე ბნელი ამბავი ხდება: საფლავებიდან მკვდრები ამოდიან, საფლავის ქვებზე ამოტვიფრული კეთილი წარწერები კი მათი ცოდვების აღწერილობად იქცევა. ყოვლად არამართლმაგვარი ისტორიაა! სომსი ფრანგებზე ვერაფერს იტყოდა, მაგრამ, აი, ინგლისელები კი საკმაოდ უწყინარი ხალხი იყო, მხოლოდ კბილები და გემოვნება ჰქონდათ უდავოდ სავალალო მდგომარეობაში. "ჯოლიონ ფორსაიტის საგვარეულო აკლდამა, 1850 წელი". ამ თარიღის შემდეგ აქ უამრავი ხალხი დაიკრძალა, უამრავი ინგლისური სიცოცხლე იქცა ნაცრად და ფერფლად! ოქროსფერი ღრუბლების ქვეშ მიმფრინავი აეროპლანის გუგუნმა სომსი ზემოთ აახედა. რა ჯოჯოხეთური ექსპანსია მოხდა ამ წლებში! მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მაინც სასაფლაომდე მოდის, საფლავის ქვაზე ამოჭრილ სახელამდე და თარიღამდე. და სომსმა არცთუ სიამაყის გარეშე გაიფიქრა, რომ არც თვითონ და არც მის ოჯახს არაფრით შეუწყვია ხელი ამ ექსპანსიისთვის. სოლიდური, კეთილსინდისიერი შუამავლები - ისინი ღირსებით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს: ფლობდნენ და მართავდნენ ადამიანთა ქონებას. მართალია, "ამაყი დოსეტი" საშინელ პერიოდში აშენებდა, ჯოლიონი კი საეჭვო პერიოდში ხატავდა, მაგრამ სომსის ოჯახიდან სხვას არავის გაუსვრია ხელები რაიმე შემოქმედებაში (თუ არ ჩავთვლით ვალ დარტისა და მის ცხენსაშენს). იყვნენ მათ შორის გადასახადების ამკრეფნი, სასამართლოს მოხელეები, იურისტები, ვაჭრები, გამომცემლები, ბუღალტრები, დირექტორები, მიწების ყიდვა-გაყიდვის აგენტები, თვით სამხედროებიც. ჰო, ნამდვილად. ქვეყანა მათგან დამოუკიდებლად ფართოვდებოდა. ისინი ამოწმებდნენ, აკონტრო-

ლებდნენ, იცავდნენ, კრეფდნენ ამ პროცესიდან მიღებულ შემოსავლებს. როცა გაიფიქრებდი, რომ "ამაყმა დოსეტმა" ცხოვრება თითქმის ცარიელი ხელებით დაიწყო, მის შთამომავლებს კი, გრედმენის შეფასებით, უკვე მილიონ-ნახევრამდე გირვანქა დაუგროვდათ, ბევრი აღარაფერი რჩებოდა დასაჩივლი!

მიუხედავად ამისა, სომსს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მისმა ოჯახმა მთელი თავისი ტყვია-წამალი დახარჯა და რომ მისი საკუთარი მესაკუთრული ინსტინქტიც სულს ღაფავდა. მეოთხე თაობის ფორსაიტებს თითქოს უკვე აღარ შესწევდათ ფულის შოვნის უნარი. ისინი მიდიოდნენ ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სოფლის მეურნეობაში, ჯარში ან, უბრალოდ, ხარჯავდნენ მიღებულ მემკვიდრეობას, თვითონ კი არავითარი აქტივობა არ ძალუძდათ. სათანადო ზომების მიუღებლად მათ გადაშენება ელოდათ.

სომსი შებრუნდა და ქარს სახე მიუშვირა. ამ ბორცვზე ჩინებული ჰაერი იქნებოდა, რომ არა ხრწნის სუნი, მის ნერვებს რომ ელანდებოდათ გარშემო. სომსი გაღიზიანებით უყურებდა ჯვრებსა და ურნებს, ანგელოზებს, "იმმორტელებს", ხასხასაფერებიან ან ჭკნობაშეპარულ ყვავილებს. და უცებ შენიშნა ერთი ადგილი იმდენად განსხვავებული ყოველივე დანარჩენისგან, რომ გადაწყვიტა რამდენიმე ნაბიჯი გაევლო და უფრო ახლოდან შეეხედა.

მშვიდი კუნჭული, უჩვეულო ფორმის მასიური, დაუმუშავებელი რუხი გრანიტის ჯვარი, რომლის ირგვლივ ოთხი მცველივით იდგა ოთხი ბნელი ურთხმელი. ირგვლივ სხვა საფლავების სიახლოვე სივიწროვეს არ ქმნიდა, რადგან უკანა მხრიდან ამ

საფლავს პატარა შემოღობილი ბაღი ეკვროდა, წინიდან - ოქრო-შეპარული არყის ხე.

ამ ოაზისმა ტრაფარეტული საფლავების უდაბნოში სომსის სულს ესთეტიკური სიმი შეურხია და ისიც იქვე ჩამოჯდა მზეში. იქიდან, ოქროსფერი არყის ხის მთრთოლავი ფოთლების მიღმა, ქვემოთ გადაშლილ ლონდონს უმზერდა და მოგონებების ტალღებს მიჰყვებოდა. ფიქრობდა მონტპელიესკვერში შეხვედრილ აირენზე, მის წითურ-ოქროსფერ თმაზე მაშინ, როდესაც მისი ქათქათა მხრები სომსს ეკუთვნოდა, - აირენზე, სომსის სასიყვარულო ვნების ჯილდოზე, რომელიც მესაკუთრეს ხელში არ ეძლეოდა. ხედავდა ბოსინის სხეულს თეთრ სუდარაში, დივანზე მჯდომ აირენს, მომაკვდავი ფრინველის მზერით რომ გაჰყურებდა სივრცეს. ისევ ხედავდა მასზე პატარა მწვანე ნიობეას გვერდით ბულონის ტყეში, კიდევ ერთხელ რომ უარყო სომსი! მერე წარმოსახვამ გადაიყვანა უხვწყლიან მდინარეზე, ნოემბრის ერთ დღეს, როდესაც ფლერი დაიბადა, მომწვანო წყალში მიმცურავ ხმელ ფოთლებზე, გველისთავიან წყალმცენარეებზე, სულ რომ ირწევიან და შიშინებენ - დაბმულები, დაკლაკნილები, ბრმები; წაიყვანა უფრო შორს - ჰაიდპარკის თავზე ვარსკვლავიან ცივ ღამეში გაღებული ფანჯრისკენ, ოთახში, სადაც მისი გარდაცვლილი მამა იწვა; მერე გადაინაცვლა სურათზე "მომავლის ქალაქი", იმ ბიჭის პირველ შეხვედრაზე ფლერთან, პროფონის სიგარის მოლურჯო კვამლზე და ფლერზე, ფანჯრიდან ქვემოთ რომ უთითებდა: "დაძრწის!"; ლორდის სტადიონზე, რომლის ტრიბუნაზე აირენი იჯდა იმ გარდაცვლილის გვერდით; მასზე და მის ვაჟიშვილზე რობინჰილში; დივანზე, რომლის კუნ-

ჭულში ფლერი მიყუჟულიყო; გოგონას ტუჩებზე, როცა სომსს ლოყაზე აკოცა, მის დასამშვიდობებელ სიტყვაზე "მამიკო!" და უცებ ისევ დაინახა აირენის ლაიკისტყავიანი ხელი, საბოლოოდ რომ ქანაობდა ნიშნად გათავისუფლების.

იქ დიდხანს იჯდა, განვლილი ცხოვრების გზას იხსენებდა, გზას, რომელსაც განუხრელად წარმართავდა მესაკუთრული ინსტინქტი, და თვით წარუმატებლობების გახსენებაც კი გულს უთბობდა.

"ქირავდება" ფორსაიტული საუკუნე, ფორსაიტული ცხოვრების წესი, როდესაც ადამიანი თავისი სულის, თავისი შემოსავლებისა და თავისი ცოლის შეუდავებელი და უკონტროლო მფლობელი იყო. ახლა მის შემოსავლებს სახელმწიფო ხელყოფს, მისი ცოლი თავისი თავის ბატონ-პატრონია, ხოლო ვინ ფლობს სომსის სულს, ეს ერთმა ღმერთმა უწყის. ქირავდება ჯანმრთელი და უბრალო რწმენა!

ცვლილების წყლები აქაფებული მოგორავდა და ახალ ფორმებს იუწყებოდა. თუმცა ეს ფორმები მხოლოდ მაშინ დამკვიდრდებოდა, როცა დამანგრეველი წყალდიდობა თავისას იზამდა და უკუიქცეოდა. სომსი იჯდა და ქვეცნობიერად გრძნობდა მათ, თუმცა ფიქრებში ჯიუტად დასტრიალებდა წარსულს: იმ მხედარივით, ყიამეთში რომ მიქრის, სახე კი ცხენის კუდისკენ მოუბრუნებია. წყლები ზედ ევლებოდა ვიქტორიანულ კაშხლებს, საკუთრებას, ზნეობას, ხელოვნების ძველ ფორმებს და ტუჩებზე მარილიან გემოს ტოვებდა - სისხლის გემოს მსგავსს; მოგორავდა თვით ჰაიგეიტის ბორცვამდე, რომლის საფლავებშიც ვიქტორიას საუკუნეს ეძინა. სომსი კი იჯდა აქ, გამორჩეულ შემაღლე-

ბაზე, კაპიტალდაბანდების სიმბოლურ ფიგურასავით, და უარს ამბობდა - გაეგონა ამ წყლების დაუოკებელი ხმაური. ინსტინ-ქტურად არ ებრძოდა მათ, რადგან მეტისმეტად ბევრ პირველ-ქმნილ სიბრძნეს ატარებდა იმ ცხოველისა, რომელსაც ჰქვია ადამიანი-მესაკუთრე. წყლები ჩაცხრება, როცა გაუვლის ჩამორ-თმევისა და ნგრევის დროებთი ციებ-ცხელება, გამძღარი სხვა-თა შემოქმედებისა და ქონების განადგურებით; ჩაცხრება, ისევ თავის კალაპოტს დაუბრუნდება. და დაიწყება ახალი აღმშენებ-ლობა ცვლილების ციებ-ცხელებაზე უფრო ასაკოვანი ინსტინ-ქტის - შინაური კერის ინსტინქტის საფუძველზე.

"Je m’en fiche", იტყოდა პროსპერ პროფონი. სომსი არ ამ-ბობდა: "Je m’en fiche". ეს ფრანგული გამოთქმა იყო, ის ტიპი კი - სომსის ფერდში შესობილი ეკალი. თუმცა სულის სიღრმეში სომსმა იცოდა: ცვლილება ნიშნავს მხოლოდ სიკვდილის შუალე-დურ პერიოდს სიცოცხლის ორ ფორმას შორის, გარდაუვალ ნგრევას ახალი საკუთრებისთვის საჭირო ადგილის გასათავი-სუფლებლად. მერედა რა, რომ აბრა უკვე ეკიდა და სიმყუდროვე ქირავდებოდა? ერთ დღესაც ვიღაც მოვიდოდა და იქაურობას ისევ დაისაკუთრებდა.

რეალურად, საფლავთან ჩამომჯდარ სომსს ერთადერთი რამ აწუხებდა: გულში შეპარული მელანქოლია, რადგან მზე ჯადოქ-რული ხიბლით მიადგა მის სახეს, ღრუბლებს, ოქროსფერი არ-ყის ხის ფოთლებს... ნიავიც ასე ნაზად შრიალებდა, ურთხმლის სიმწვანე ასეთი მრუმე იყო, მთვარის ნამგალი ცაში - ასეთი მქრქალი...

შეეძლო ესურვა, ესურვა და - ვერასოდეს მიეღო ეს: მშვენიერება და სიყვარული ამქვეყნად!